



თბილისი
2012

ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭო

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II**, თამაზ **გამყრელიძე** (თავმჯდომარე), ზურაბ **აბაშიძე** (თავმჯდომარის მოადგილე), გურამ **თევზაძე**, ფრიდონ **თოდუა**, გუჩა **კვარაცხელია**, როინ **მეტრეველი**, ოთარ **ნათიშვილი**, ავთანდილ **საყვარელიძე**, გურამ **ხარატიშვილი**.

ქართული ენციკლოპედიის სამეცნიერო სექციების ხელმძღვანელები

ზაზა **აბზიანიძე**, გურამ **ალექსიძე**, ამირან **არაბული**, ერეკლე **გამყრელიძე**, რამინ **გობეჯიშვილი**, ნიკოლოზ **ვახანია**, გურამ **თევზაძე**, დიმიტრი **თუმანიშვილი**, ირაკლი **იმედაძე**, ჯუმბერ **ლომინაძე**, ლია **მელიქიშვილი**, დავით **მუსხელიშვილი**, გიორგი **ნახუცრიშვილი**, ვლადიმერ **პაპავა**, იოსებ **ჟორდანია**, მინდია **სალუქვაძე**, გულბაათ **ტორაძე**, გრივერ **ფარულავა**, იაკობ **ფუტკარაძე**, იზაბელა **ქობალავა**, რამაზ **შენგელია**, თამაზ **ჭელიძე**, კუკური **ჭოხონელიძე**, კოხტა **ჯაფარიძე**, თამაზ **ჯოლოგუა**.


კონსულტანტები

გიორგი **აბაშიძე**, ლევან **ალექსიძე**, გურამ **ასათიანი**, თამაზ **ბერაძე**, თეიმურაზ **ბერიძე**, დევი **ბერძენიშვილი**, ელდარ **ბუბულაშვილი**, გურამ **გვერდწითელი**, ვახტანგ **გოილაძე**, გიორგი **გომელაური**, ალექსანდრე **დიდებულიძე**, ლევან **დოლიძე**, ირაკლი **ელიავა**, ნინო **კალანდაძე**, იაკობ **მესხია**, ელდარ **ნადირაძე**, პეტრე **ნასყიდაშვილი**, შოთა **ნემსაძე**, ოთარ **ჟორდანია**, მიხეილ **სვანიძე**, ირაკლი **სურგულაძე**, დალი **ფანჯიკიძე**, ვახტანგ **შამილაძე**, შოთა **ცირეკიძე**, შოთა **ცუცქირიძე**, გიორგი **ღერეთელი**, ნანა **ხაზარაძე**, ჭიჭიკო **ჯანელიძე**.

ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია მუდმივი და უანგარო მხარდაჭერისათვის გულწრფელ მადლობას მოახსენებს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ ,,ქართუს‘‘.

საქართველო

ენციკლოპედია



გიმნაზია–ენდრო

ქართული ენციკლოპედიის *ირაკლი აბაშიძის სახელობის*
მთავარი სამეცნიერო redაქცია

ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთავარი რედაქტორი — ზურაბ აბაშიძე (2006-მდე — ავთანდილ საყვარელიძე), **მთავარი რედაქტორის მოადგილე** — გიორგი ლორთქიფანიძე, **პასუხისმგებელი მდივანი** — ზურაბ ჭელიძე, **პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე** — დავით ნიორაძე, **მრჩეველი** — ავთანდილ საყვარელიძე, **მენეჯერი** — კონსტანტინე რომანოვი.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა და კარტოგრაფიის რედაქცია. რედაქციის გამგე — ცარო ვაშაკიძე; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორი — ეთერ ლოლუა.

ეკონომიკისა და სამართლის რედაქცია. რედაქციის გამგე — ლია აბრამიშვილი (2006-მდე — გურამ ყუფუნია); წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: დავით დეკანოიძე, მაყვალა ჭიჭინაძე.

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების რედაქცია. რედაქციის გამგე — თამაზ გერსამია; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: ირინე აბაშიძე, თამარ დოლიძე, მარინე თუშიშვილი, ლიანა ძნელაძე.

ისტორიის რედაქცია. რედაქციის გამგე — მარიამ ზალდასტანიშვილი (2006-მდე — შოთა ცირეკიძე); წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: ლიანა მანიავა, თამარ მარგველაშვილი.

მედიცინის, ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის რედაქცია. რედაქციის გამგე — სოფიო ბაქრაძე; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: გიორგი აბაშიძე, ნინო ფივფივაძე.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა რედაქცია. რედაქციის გამგე — თეა ალიბეგაშვილი; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორი — ნათია ვადაჭკორია.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქცია. რედაქციის გამგე — თამაზ დვალი; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: ლალი მოფონელიძე, თამარ რუსიშვილი; რედაქტორი — ყამარ ბლიაძე.

სიტყვანის, ბიბლიოგრაფიის, სამეცნიერო და სალიტერატურო კონტროლის რედაქცია. რედაქციის გამგე — ნოდარ გიოშვილი; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: ზაირა გეწაძე, გენრიხ გიორგობიანი, ცისანა კვეზერელი, მთვარისა სილაგაძე, რუსუდან ფოფხაძე, ნელი ქაფიანიძე, იზაბელა ჩარკვიანი.

ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიისა და ტექნიკის რედაქცია. რედაქციის გამგე — ილია ლომიძე; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: თინა არსენაძე, ფიქრია ინასარიძე.

საკორექტორო. გამგე — ლეილა საათაშვილი; კორექტორი — ნანა მეძვაბიშვილი.

ბიბლიოთეკა. გამგე — გულო ქენქაძე.

ტექნიკური რედაქცია. მთავარი სპეციალისტი — ლიანა ნიაზაშვილი; ტექნიკური მდივანი — თამარ დემეტრაშვილი; სპეციალისტი — თინათინ მახათაძე.

დამკაბადონებელი — კარინა ხარაზიშვილი.

მხატვარი — შოთა ნიორაძე.

კომპიუტერული ცენტრი. უფროსი ოპერატორი — იზოლდა მოსიძე; ოპერატორები: ნანა გიორგაძე, ციალა ხითაროვა.

რუკების კომპიუტერული უზრუნველყოფა — ზაზა გულაშვილი.

© ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის
მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ISBN 978-99928-20-27-8

რედაქციისაგან

ენციკლოპედია ,,საქართველოს'' II ტომში მკითხველს ვაწვდით მრავალფეროვან ინფორმაციას საქართველოსა და ქართველებზე, ყველა მნიშვნელოვან ფაქტსა თუ მოღვაწეზე, ასევე იმ უცხოელებსა და მსოფლიო-ისტორიულ მოვლენებზე, რომელთაც ღრმა კვალი დატოვეს ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. II ტომში წარმოდგენილია ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ყველა ის ძირითადი სფერო, რომლებთან დაკავშირებითაც საქართველო განიხილება მსოფლიოს საერთო ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში.

ენციკლოპედია ,,საქართველოს'' დასაყრდენია უახლესი ინფორმაცია და მონაცემები, პირველი ქართული უნივერსალური ენციკლოპედიის თორმეტტომეული და რედაქციის მიერ მომზადებული სხვა საენციკლოპედიო გამოცემები (,,თბილისი'', 2002; ,,საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა'', ტ. 5, 1990, ტ. 2, 2004; ,,ქართული ენა'', 2008; ,,თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები'', 2008 და სხვ.). მასალების შერჩევისა და აგების ძირითად მეთოდოლოგიურ პროცესში შეტანილია ცვლილებები (იგულისხმება ცალმხრივი იდეოლოგიზაციის, დოგმებისა და სტერეოტიპების დაძლევა).

აღსანიშნავია, რომ თავიდან გათვალისწინებული იყო ენციკლოპედია ,,საქართველოს'' 5 ტომად გამოცემა, თუმცა ბოლო ათეული წლების განმავლობაში უხვად დაგროვილი ახალი ინფორმაციის გამო და იმასთან დაკავშირებით, რომ, მკითხველთა სურვილის გათვალისწინებით, II ტომში ოდნავ გაიზარდა შრიფტის ზომა, შესაძლებელია ენციკლოპედიის ტომების რაოდენობამ გეგმურს გადააჭარბოს. ენციკლოპედია ,,საქართველოს'' II ტომი სხვადასხვა მიზეზის გამო 15 წლის დაგვიანებით გამოდის, ამიტომ რედაქციას გადაწყვეტილი აქვს აღნიშნული ენციკლოპედიის გამოცემის დასრულების შემდეგ, შესაძლო ხარვეზების შესავსებად, დროის შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით, გამოსცეს სპეციალური ტომი.

როგორ ვისარგებლოთ ენციკლოპედიით

ენციკლოპედია ,,საქართველოში'' სტატიები მათი სახელწოდებების (ტერმინების) მიხედვით ანბანზეა დალაგებული, ამასთან, გათვალისწინებულია სტატიის სახელწოდებაში შემავალი ყველა სიტყვის (გარდა ფრჩხილებში ჩასმულისა) ასოთა ანბანური რიგი. ტერმინი, ჩვეულებრივ, მხოლოობით რიცხვშია მოცემული, თუ იგი სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლობითის ფორმით არ არის დამკვიდრებული. თანამოსახელე ტერმინები გაწყობილია ქრონოლოგიის, მნიშვნელობის, წარმომავლობა-სადაურობის მიხედვით, მეფეებისა და სხვათა სახელები — ნუმერაციის მიხედვით (**გიორგი I, გიორგი II** და ა. შ.); აქ ნუმერაციის სახელწოდება ანბანურ რიგს არ ექვემდებარება. ასევე, **გიორგი V გურიელი** მოიძებნება **გიორგი გურიელზე** (გამონაკლისია მხოლოდ ის შემთხვევა, როცა ციფრს ბრუნვის ნიშანი ახლავს. მაგ., **აბას I-ის ლაშქრობანი საქართველოში**).

თუ სტატიის სახელწოდება ორი ან მეტი სიტყვისაგან შედგება, უპირატესად წარმოდგენილია პირდაპირი წყობით, მაგ., **გურჯაანის ყველაფმინდა**. ზოგჯერ გამოყენებულია ინვერსიული (შებრუნებული) წყობაც, მაგ., **ემბრიოლოგია მცენარეთა** (ამ შემთხვევაში პირველ ადგილზე აზრობრივად მთავარი სიტყვაა).

თუ სტატიის სახელწოდებას მოსდევს მისგან მძიმით გამოყოფილი (ან ფრჩხილებში ჩასმული) და დაყოფით აწყობილი ერთი ან რამდენიმე სიტყვა, ეს ნიშნავს, რომ იგი ძირითადი ტერმინის პარალელურად იხმარება, მისი სინონიმი ან დაზუსტებაა. მაგ., **გიორგი მთაწმიდელი**, გიორგი ათონელი; **დონის მონასტერი მოსკოვში** და ა.შ. ზოგჯერ შემოკლებულია მრავალსიტყვიანი ტერმინი, რაც ენციკლოპედიური გამოცემის სპეციფიკით არის განპირობებული. ასეთ შემთხვევაში ტერმინის სრული ფორმა ან მისი ნაწილი აწყობილია დაყოფით. მაგ., **რუსთაველის თეატრი**, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი.

უცხოური წარმოშობის ტერმინს ერთვის ეტიმოლოგიური ცნობა; როცა ერთნაირი სახელწოდების სტატიები ერთიმეორის მიყოლებით არის დალაგებული და ეს სიტყვები ერთი და იმავე წარმომავლობისაა, ეტიმოლოგიური ცნობა ახლავს მხოლოდ ერთ მათგანს, როგორც წესი – პირველს.

იმ სტატიების სახელწოდებებს, რომლებიც ეძღვნება საზღვარგარეთის მოღვაწეებს, პერიოდულ გამოცემებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ა. შ., ფრჩხილებში

მოსდევს დედაენისეული დაწერილობა. ეს წესი ვრცელდება მხოლოდ იმ ენების მიმართ, რომლებიც ლათინური გრაფიკით სარგებლობენ. ბერძნული სახელწოდებების (ტერმინების) დედაენისეული დაწერილობა ლათინური ტრანსლიტერაციითაა მოცემული. ბიბლიოგრაფიაში კი გამოყენებულია სლავური, სომხური და ბერძნული დაწერილობაც.

ზოგიერთი სახელგადარქმეული გეოგრაფიული პუნქტის ისტორიული და არქიტექტურული ცნობები მოცემულია ამ პუნქტის ძველ (ისტორიულ) სახელთან.

საქართველოსა და რუსეთში 1918 წლამდე მომხდარი ისტორიული მოვლენები დათარიღებულია ძველი სტილით. ორივე სტილით (ძველით და ახლით) თარიღდება განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენები.

ბიოგრაფიულ სტატიებში გვარისა და სახელის შემდეგ ფრჩხილებში დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებია. საქართველოსა და იმ ქვეყნებში, რომლებიც არ გადავიდნენ წელთაღრიცხვის ახალ სტილზე, 1918 წლამდე დაბადებულთა და გარდაცვლილთა თარიღები მოცემულია როგორც ძველი, ისე ახალი სტილით (თარიღი ახალი სტილით ფრჩხილებშია ჩასმული), ხოლო ერთი თარიღი მოცემულია მხოლოდ მაშინ, როცა არსებული თარიღის სტილი უცნობია. როცა თარიღი საერთოდ დადგენილი არ არის, სტატიაში აღნიშნულია მოღვაწეობის საუკუნე, პერიოდი. თარიღის შემდეგ, ჩვეულებრივ, მითითებულია დაბადებისა და გარდაცვალების ადგილი (თუ გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილები განსხვავებულია, მაშინ მოცემულია დაკრძალვის ადგილიც). ცნობები პიროვნების სახლ-მუზეუმზე ახლავს მის ბიოგრაფიას.

მეფის შთამომავალი ბაგრატიონები მოხსენიებული არიან სახელებითა და ბატონიშვილებად, გვერდითი შტოს წარმომადგენლები — გვარებით, კათოლიკოსები — სახელებით.

არაბული საკუთარი სახელები, რომელთაც ,,ალ'' არტიკლი დაერთვის, მოიძებნება სახელის ძირითად ნაწილზე (,,ალ'' ანბანური რიგის სათვალავში არ შედის და ნუსხურით არის აწყობილი).

ენციკლოპედიაში ფართოდაა გამოყენებული მითითებათა სისტემა. მაგ., სტატიაში ხშირად კურსივითაა აწყობილი რომელიმე ტერმინი, რითაც მკითხველი დამატებით ინფორმაციას იღებს (ცნობილსა და ხშირად განმეორებად ტერმინზე მითითება არ კეთდება).

ილუსტრაციები და რუკები მოთავსებულია ტექსტში (თუ ილუსტრაცია ან რუკა სტატიას არ ახლავს, მინიშნებულია მათი ადგილი). გარკვეული კატეგორიის ბიოგრაფიულ სტატიებთან წარმოდგენილია ფოტოსურათები. თუ ორი ან მეტი პიროვნების გვარი და ინიციალები ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ პორტრეტების გასარჩევად გამოყენებულია თარიღები.

სიტყვათა დამკვიდრებული შემოკლებების გარდა (,,მაგ.‘‘, ,,ე. ი.‘‘, ,,ა. შ.‘‘ და სხვ.), ენციკლოპედიაში გამოყენებულია საენციკლოპედიო გამოცემებში მიღებული შემოკლებები. თუ სტატიის სახელწოდება ტექსტში მეორდება, იგი, როგორც წესი, აღნიშნულია სახელწოდებაში შემავალ სიტყვათა პირველი ასოებით, რომლებსაც დაერთვის ბრუნვის ნიშნები. წელიწადის აღმნიშვნელ რიცხვებს სიტყვა ,,წელიწადი‘‘ (,,წ.‘‘) არ ახლავს. ნაწარმოების (ლიტერატურული, მეცნიერული, მუსიკალური და სხვ.) დასახელების შემდეგ ფრჩხილებში მოცემული რიცხვები მისი პირველი გამოქვეყნების, შექმნის, შესრულების (დადგმის) თარიღია. პრემიის, სამეცნიერო ხარისხის, წოდებისა და სხვ. დასახელების შემდეგ ფრჩხილებში ჩასმულია მათი მინიჭების თარიღი.


სიდიდეებისა და სიდიდეთა ერთეულების სახელწოდებები, მათი აღნიშვნები ენციკლოპედიაში წარმოდგენილია ერთეულთა საერთაშორისო სისტემის (SI) მიხედვით. ენციკლოპედიის მკითხველებს ამ სისტემაზე გადასვლა რომ გაუადვილდეთ, ზოგჯერ ფრჩხილებში მოცემულია ადრე მიღებული აღნიშვნებიც.

მრავალი სტატიის ტექსტში ან ცალკე, სტატიის ბოლოს, მოცემულია ბიბლიოგრაფიული ცნობები. შიდასატექსტე ბიბლიოგრაფიული ცნობა სტატიის ბოლოს, როგორც წესი, აღარ მეორდება (გამონაკლისია თვისებრივად განსხვავებული უახლესი გამოცემა და უცხოენოვანი ავტორის თხზულება).

თხზულებები, რომლებიც პერსონალიას ახლავს, ძირითადად განლაგებულია ქრონოლოგიურად (ასეთივეა რუბრიკები — გამოც., პუბლ.), ხოლო რუბრიკებში ლიტერატურა და წყარო — ანბანურად.

შენიშვნა: 1. გეოგრაფიული დასახლებული პუნქტების ადმინისტრაციული მონაცემები შეესატყვისება 2012 წლამდე არსებულ მდგომარეობას;

2. I ტომის ჩანართი ილუსტრაციები იხ. 678 და 679 გვერდებზე.



გიმნაზია (ბერძნ. gymnasion – სატანვარჯიშო მოედანი, შემდეგ – სახელმწიფო სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება ძვ. საბერძნეთსა და ელინისტურ აღმოსავლეთში), საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელი, ჩვეულებრივ, მკვეთრად გამოხატული ჰუმანიტარულ-ფილოლოგიური განხრით. პირველი გ. 1526 ბავარიის ქ. ნიურნბერგში დააარსა ცნობილმა თეოლოგმა და პედაგოგმა ფილიპე მელანხტონმა (1497–1560). 1528 გ. გაიხსნა საქსონიაში, ხოლო 1538 – ქ. სტრასბურგში. XVI–XVIII სს. გ-ები აღმოცენდა გერმანიის მრავალ ქალაქში, ასევე რუსეთშიც (პეტერბურგში – 1725, მოსკოვში – 1755); XIX ს-ში ავსტრია-უნგრეთში, ბულგარეთში, ჰოლანდიაში, საბერძნეთში, დანიაში, სერბეთსა და შვეიცარიის გერმ. კანტონებში. გ. ეწოდებოდა ვაჟებისათვის განკუთვნილ საშ. სკოლებს. XIX ს. შუა ხანებიდან ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში დაარსდა რეალური სასწავლებლები, სადაც დაინერგა ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის გაძლიერებული სწავლება. შეიქმნა საშ. სასწავლო დაწესებულებების ახალი, გარდამავალი ტიპი – რეალური გ., სადაც ბერძნ. ენა აღარ ისწავლებოდა. XIX–XX სს. მიჯნაზე კლასიკურ გ-ებში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ძვ. ენების სწავლებას, მაგრამ გ-ის ეს ტიპი მაინც რჩებოდა ძირითად საშ. სასწავლო დაწესებულებად ევროპაში.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი პირველი გ. – *თბილისის პირველი გიმნაზია* – გაიხსნა 1830. 1864-იდან რუსეთის იმპერიაში, შესაბამისად, საქართველოშიც, გატარდა საგანმანათლებლო რეფორმა. დაარსდა სამი ტიპის გ.: ბერძნ. ენის გაძლიერებული სწავლებით, ლათ. ენის გაძლიერებული სწავლებითა და რეალური გ. – საბუნებისმეტყველო დისციპლინებისა და თანამედროვე ენების გაძლიერებული სწავლებით. გიმნაზიადამთავრებულებს ჰქონდათ სწავლის გაგრძელების უფლება. პირველი ორი ტიპის გ-ის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს უფლება ეძლეოდათ, განეგრძოთ სწავლა უნ-ტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, რეალური გ-ის დამთავრების შემდეგ კი – მხოლოდ უმაღლეს ტექ. სასწავლებლებში. XIX ს. 60-იან წლებში გაიხსნა ქალთა გ-ებიც. XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში საქართველოში არსებობდა შემდეგი გ-ები: თბილისში – *თბილისის ქართული გიმნაზია* (1879), სათავადაზნაურო გიმნაზია (1918–21 – ვაჟთა VII გ.), ვაჟთა II (1887–1921), ვაჟთა III (1894–1921), თბილისის ვაჟთა ქართული (1900–21), ვაჟთა IV (1905–21), ვაჟთა V (1908–21), ვაჟთა VI (1912–20), ქალთა I (1872–1921), ქალთა II (1874–1921), ქალთა III (1884–1921), ქალთა IV (1903–21), ქალთა V (1906–21), ქალთა VI (1910–21), ქალთა VII (1863–1919), ქალთა VIII (1892–1919) და ქალთა ქართული (1906–19) გ-ები. გ-ები გაიხსნა საქართველოს სხვა ქალაქებშიც: ქუთაისში – ვაჟთა (1850–1921), ქუთაისის სათავადაზნაურო ვაჟთა ქართული (1880–1921) და ქალთა (1903–21) გ-ები; ფოთში – ვაჟთა (1906–21), ქალთა (1902–21); ბათუმში – ქალთა (1900–21); გორში – ქალთა (1915–21); ხონში – ვაჟთა (1916–21); ხაშურში – ვაჟთა (1916–21) გ-ები. სოხუმში გაიხსნა ქალთა პროგიმნაზიაც. გ-ების უმრავლესობა 1921 შემდეგ გადაკეთდა სახ. განათლების სისტემის სასწავლო დაწესებულებებად. ამჟამად გ. არსებობს მხოლოდ კერძო სექტორში.

მ. ბაქრაძე. დ. გურგენიძე.



თბილისის კლასიკური გიმნაზია. XX ს. დასაწყისი.

გიმოზგონჯილი, სოფელი ხობის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, სენაკი – ფოთის სარკინიგზო და საავტ. გზაზე. ქვემო ქვალონის თემის ცენტრი (სოფლები: გ., ბულიში, გვიმარონი, დურღენა, ჭითაუშკური). ზ. დ. 13 *მ,* ხობიდან 12 *კმ,* ქვალონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 *კმ.* 885 მცხ. (2002).

გინეკოლოგია (ბერძნ. gynē, ნათ. ბრუნვა gynaikos – ქალი და logos – სიტყვა, მოძღვრება), მეცნიერება ქალის ორგანიზმის ანატომიური, ფიზიოლოგიური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური თავისებურებებისა და მათი ცვლილებების შესახებ; ვიწრო გაგებით – კლინიკური მედიცინის დარგი, რ-იც შეისწავლის ქალის სასქესო ორგანოების ფიზიოლოგიასა და პათოლოგიას, გინეკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის საკითხებს. გ. მჭიდროდაა დაკავშირებული *მეანობასთან.*

პირველი ცნობები გინეკოლოგიურ დაავადებებზე გვხვდება ძვ. ინდოეთის, საბერძნეთის, ეგვიპტისა და სხვ. წერილობით ძეგლებში. ჰიპოკრატემ ძვ. წ. V–IV სს-ში აღწერა ქალის სასქესო გზების ანთება და საშვილოსნოს სიმსივნის კლინ. სურათი, მაგრამ დამოუკიდებელ მეცნიერებად გ. XVIII ს-ში ჩამოყალიბდა.

საქართველოში XI ს-ში უკვე აღწერდნენ ქალთა მრავალ დაავადებას; იცოდნენ, რომ სისხლდენა და ტკივილი შეიძლება საშვილოსნოს სიმსივნის – ,,კორჩხიბის'' ნიშანი იყოს და სხვა. ,,უსწორო კარაბადინში'' (XI ს.) 7 თავი გინეკოლოგიურ დაავადებებს ეთმობა, XIII ს. ძეგლში ,,წიგნი საქიმოჲ'' ეს დარგი უფრო ვრცლად არის გაშუქებული.

თბილისში 1873 არსებობდა სამშობიარო დახმარების პატარა კერძო სტაციონარი, ამას მოჰყვა გინეკოლოგიური განყოფილებების გახსნა თბილისის საავადმყოფოებში. ამ პერიოდში აქ მოღვაწეობდნენ პრაქტიკოსი ექიმები: ი. თუმანიშვილი, ე. *სობესტიანსკი,* ი. მეფისაშვილი, ი. ხოფერია, ვ. ზაკრჟევსკი, მ. იოსელიანი, რ. მამრაძე, ბ. *ღოღობერიძე,* გ. არეშევი, ს. ვოლოხი, ი. მონინი და სხვა.

1875 თბილისში დაარსდა ოლღას სახელობის საბებიო ინ-ტი. ეს იყო ამიერკავკასიაში პირველი სამეანო-გინეკოლოგიური ინ-ტი, სადაც მზადდებოდა კადრები ამიერკავკასიის სამკურნალო დაწესებულებებისათვის, აქვე ექიმები იმაღლებდნენ კვალიფიკაციას; 1912 ოლღას საბებიო ინ-ტს ეწოდა ოლღას სამეანო-გინეკოლოგიური ინ-ტი, 1936 – მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნ.-კვლევითი ინ-ტი, ხოლო 1976-იდან – მეანობა-გინეკოლოგიისა და პერინატოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. ეს იყო პირველი ოფიციალურად აღიარებული პერინატოლოგიის, როგორც მეცნ. ახ. დარგის, სამეცნ.-კვლევითი დაწესებულება სსრ კავშირში. 1978 ინ-ტი სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა მოთავე სამეცნ.-კვლევით ცენტრად პერინატოლოგიაში. 2002-იდან გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად და ეწოდა ,,ს. ს. კ. ჩაჩავას სახელობის მეანობა-გინეკოლოგიისა და პერინატოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი'' (სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე – პ. *კინტრაია,* გენ. დირექტორი – ე. გოცირიძე), სადაც ჩამოყალიბდა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მრავალპროფილური ქირურგიული განყ-ბა.

საქართველოში მეცნ. გ-ის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ი. *თიკანაძისა* და გ. *ღამბარაშვილის* მიერ თსუ-ის სამკურნალო ფაკულტეტზე 2 გინეკოლოგიური კათედრის შექმნამ. 2005-იდან თბილისის სახელმწიფო სამედ. ინ-ტში გაერთიანდა მეანობა-გინეკოლოგიის კათედრები და შეიქმნა ერთი – მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი (ხელმძღვ. – ნ. კინტრაია); ასევე შეიქმნა მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტში (ხელმძღვ. – ა. *ხომასურიძე*).

1935 შეიქმნა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინ-ტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრა და ამით საფუძველი ჩაეყარა საქართველოში მეან-გინეკოლოგთა დიპლომის შემდგომი მომზადების საქმეს. კათედრას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ე. სობესტიანსკი, ლ. *ელიაშვილი,* ი. *ჟორდანია,* კ. *ჩაჩავა,* პ. კინტრაია.

1958 თბილისში ი. ჟორდანიას ინიციატივით დაარსდა ქალის ფიზიოლ. და პათოლოგიის პირველი სამეცნ.-კვლევითი ინ-ტი, რ-იც ამჟამად მისი დამაარსებლის სახელობისაა და ეწოდება ადამიანის რეპროდუქციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი (დირექტორი – ა. ხომასურიძე).

საქართველოში მეანობა-გინეკოლოგიის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით მეან-გინეკოლოგებს: ი. თიკანაძეს, გ. ღამბარაშვილს, კ. ჩაჩავას, ი. ჟორდანიას, ბ. ღოღობერიძეს, მ. მგალობლიშვილს, პ. *შუშანიას,* ა. ტ. *ბაქრაძეს,* ა. *უსტიაშვილს,* ლ. ელიაშვილს, ბ. *კოპალეიშვილს,* ი. მაჭავარიანს, ე. შუშანიას, მ. *პაპიტაშვილს,* გ. ყ. *ასათიანს,* ე. ჩახავას, ა. ძნელაძეს, ი. *ჩარკვიანს,* ლ. ჩარკვიანს, გ. ხეჩინაშვილს, შ. ქორიძეს, მ. ს. *გიგინეიშვილს,* ლ. გეგიას, ს. ფხაკაძეს, რ. *ღოღობერიძეს,* გ. მაისაიას, ს. კუჭავიძეს, მ. კაკაურიძეს, მ. მ. *გიგინეიშვილს,* ზ. ბიბილეიშვილს, ჯ. მეტრეველს, ზ. ჭილაძეს; ქუთაისის მეან-გინეკოლოგებს: ა. მესხს, გ. ლორთქიფანიძეს, ვ. ბეთანელს, ა. კერესელიძეს, ლ. ვეფხვაძეს და სხვ. აგრეთვე დ. *აბულაძეს* (კიევი) და გ. ხეჩინაშვილს (სანქტ-პეტერბურგი).

სამეცნ.-კვლევითი, პედ. და პრაქტ. მუშაობა მიმდინარეობს ზემოთ დასახელებულ ინ-ტებში, მეანობა-გინეკოლოგიის კათედრებზე და სხვადასხვა ქალაქის მსხვილ სამედიცინო ცენტრებში (ლ. ხონელიძე, ლ. ფხაკაძე, დ. შელია, ლ. ბეჟანიძე, ჯ. უნგიაძე).

შექმნილია ახალი სამეცნ. მიმართულებები გინეკოლოგიურ ენდოკრინოლოგიაში (პ. შუშანია), ონკოლოგიური გინეკოლოგიის დარგში (ლ. ჩარკვიანი), ქალის გენერაციული ფუნქციის შესწავლაში (ი. ჟორდანია, ჯ. *ციციშვილი,* ა. ხომასურიძე), ენდოსკოპიურ ქირურგიაში (ნ. კინტრაია, ა. გვენეტაძე), გენეტიკაში (მ. დალაქიშვილი, ჯ. ქრისტესაშვილი).

ქართველ მეცნიერთა სამეცნ. შრომები აღინიშნა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით (კ. ჩაჩავა, ლ. ჩარკვიანი), საქართვ. სახელმწიფო პრემიით (პ. კინტრაია, მ. გიგინეიშვილი, მ. მ. გიგინეიშვილი, გ. ს. *დანელია,* ზ. ჭილაძე).

უკანასკნელი პერიოდის პრაქტ. გ-ის მიღწევაა ქირურგიულ გინეკოლოგიაში ენდოსკოპიური მეთოდის ფართოდ დანერგვა (ნ. კინტრაია, ა. გვენეტაძე). შეიქმნა საქართვ. გინეკოლოგ-ენდოსკოპისტთა ასოციაცია (პრეზიდენტი – ა. გვენეტაძე, გენერალური მდივანი – ნ. კინტრაია).

ორსულობისა და მშობიარობის დროს ნაყოფის ფუნქციური მდგომარეობის შეფასების ელექტროფიზიოლ. მეთოდების დამუშავებით (კ. ჩაჩავა, პ. კინტრაია, 1961)

შეიქმნა ახ. მიმართულება პერინატოლოგიაში – ნაყოფის ელექტროფიზიოლოგია. ასევე, სრულიად ახ. მეთოდია ნაყოფისა და ახალშობილის ბიორითმოლოგია (პ. კინტრაია, ე. ზარნაძე). მნიშვნელოვანი მიღწევებია ახალშობილის ძილის შესწავლაში (მ. დევდარიანი, მ. კოხია, ს. მიქაძე). განსაკუთრებით აღსანიშნავია კვლევა, მიძღვნილი პრობლემისადმი – ,,ნაყოფი და ტკივილი'' (პ. კინტრაია). შემოღებულ იქნა ცნება ,,ნაყოფის აუტოჰიბერნაცია'' (პ. კინტრაია, ბ. ქურჩიშვილი). დაინერგა ნაყოფის კრანიო-ცერებრალური ჰიპოთერმიის მეთოდი მშობიარობის დროს (კ. ჩაჩავა, პ. კინტრაია) და ასევე შეიქმნა ვაკუუმ ექსტრაქტორ-ჰიპოთერმი ოპერაციული მშობიარობის დროს ნაყოფის თავის ტვინის სამეანო ტრავმის შესამცირებლად (პ. კინტრაია, ბ. ქურჩიშვილი). ქართველი ავტორების მიერ სრულიად ახლებურადაა ახსნილი მშობიარობის გამშვები მექანიზმები და მშობიარობის რეგულაციაში ნეიროპეპტიდების როლი (პ. კინტრაია, ი. მამამთავრიშვილი, დ. მიქელაძე, ნ. კინტრაია).

შესწავლილია ორსულობის დრომდე მიუტანლობისა და ნაადრევი მშობიარობის მოლეკულური საფუძვლები, დანერგილია პრაქტიკაში დიაგნოსტიკის ახ. მეთოდი (ნ. კინტრაია, ი. მამამთავრიშვილი, დ. მიქელაძე). *პ. კინტრაია.*

გინეკოლოგია ვეტერინარული, კლინიკური დისციპლინა, რ-იც შეისწავლის სასოფლო-სამეურნეო მდედრი ცხოველის სასქესო ორგანოების დაავადებებს, მკურნალობას, პროფილაქტიკას, უნაყოფობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს.

ვეტ. გინეკოლოგიაში გაერთიანებულია საკუთრივ გ., მეანობა და ანდროლოგია.

ვეტერინარული გინეკოლოგია სწავლობს მდედრ და მამრ ცხოველებში აღწარმოების ფუნქციის დარღვევას, რ-იც გამოწვეულია ცხოველთა არასწორი მოვლა-შენახვით, კვებითა და სასქესო ორგანოების დაავადებებით.

მეანობა სწავლობს პერიოდს მდედრის სასქესო სიმწიფიდან ნაყოფიერების დასრულებამდე.

ანდროლოგია შეისწავლის მამრ. ცხოველებში სქესობრივ რეფლექსებს, სასქესო ორგანოების დაავადებებს და მათ მკურნალობას.

სამივე ერთად შეისწავლის ცხოველის განაყოფიერების, მაკეობის და მშობიარობის მიმდინარეობის აუცილებელ პირობებს.

ჩვენში ამ დარგის განვითარება დაკავშირებულია საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო სასწ.-კვლევითი ინ-ტის მეანობა-გინეკოლოგიისა და სას.-სამ. ცხოველთა ხელოვნური დათესვლის კათედრის დაარსებასთან (1938).

2005-იდან გ., როგორც მიმართულება, შედის აგრ. უნ-ტის სავეტერინარო მედიცინის ფაკ-ტის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტში, სახელწოდებით სას.-სამ. ცხოველთა მეანობა-გინეკოლოგია და გამრავლების ბიოტექნოლოგია.

ვეტ. გინეკოლოგიის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით ვ. ჩირაძეს, კ. გუგუშვილს, გ. კამალოვს, ს. მარგველაშვილს, ა. ჯიქიას, ს. მეცხვარიშვილს, რ. ირემაშვილს, რ. ჭანტურიძეს, ზ. პარკაძეს და სხვებს.

კათედრის თანამშრომლების მიერ შესრულებული სამეცნ. შრომები ეძღვნება სას.-სამ. ცხოველთა უნაყოფობასა და ბერწიანობას, სასქესო ორგანოების დაავადებებსა და მათ სამკურნალო საშუალებებს. შესწავლილია, აგრეთვე, იმუნოლოგიური ფაქტორების გავლენა ცხოველთა აღწარმოებაზე და სარძევე ჯირკვლის ანთებითი პროცესები (მასტიტები). დამუშავებულია და შექმნილია მათი მკურნალობის რაციონალური მეთოდები და ეფექტური სამკურნალო საშუალებები.

თ. ყურაშვილი. რ. ჭანტურიძე.

გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნი (Guinness Book of World Records), მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ყოველწლიური გამოცემა, მოიცავს ცნობებს ადამიანის უდიდესი მიღწევებისა და რეკორდების, აგრეთვე ბუნების უნიკალური მოვლენების შესახებ. 1955-იდან გამოსცემს კორპორაცია ,,არტურ გინეს ენდ სანს პაბლიკ ლიმიტედ კომპანი'' (ამ სახელწოდებითაა ცნობილი 1982-იდან). გამოდის მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში 25 ენაზე.

ამჟამად გ. მ. რ. წ. იბეჭდება გამომცემლობა ,,გეიმერის'' (Gamer`s Edition) ეგიდით და ახალ-ახალი რეკორდებით ივსება. მასში მოხვედრა საპატიოა, რისთვისაც ათასობით ადამიანი იღვწის.

საინტერესოა ამ წიგნის შექმნის ისტორია. 1951 წლის 10 ნოემბერს ინგლისელი ლორდი ჰიუ ბივერი, ა. გინესის ლუდსახარშის აღმასრულებელი დირექტორი, მეგობრებთან ერთად ნადირობდა გარეულ ფრინველებზე ვექსფორდში (ირლანდია). მონადირეებმა კამათი გამართეს იმის თაობაზე, თუ რომელი ფრინველი უფრო სწრაფად ფრენდა. მათ ვერ მიაკვლიეს ცნობარს, რ-შიც ზუსტი მონაცემები იქნებოდა ამა თუ იმ ფრინველის ფრენის სისწრაფის შესახებ. ამის გამო, 1954 აგვისტოში, ჰიუ ბივერმა (იმხანად უკვე გინესის გამომცემლობის მმართველმა დირექტორმა) გადაწყვიტა საგანგებო საცნობარო კრებულის შედგენა და გამოცემა. მალევე მეცნიერთა



გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნის საიუბილეო გამოცემის გარეკანი.

მონაწილეობით შეიქმნა ბიურო და დაიწყო უდიდესი მოცულობის ინფორმაციის დამუშავება.

არტურ გინესი (1725–1803) იყო ირლანდიელი ლუდის მხარშავი, რ-მაც 1759 დააარსა ლუდის მწარმოებელი კომპანია (საოჯახო ფირმა). 1886 კომპანია გარდაიქმნა კორპორაციად და XXI საუკუნის დასაწყისშიც რჩება ლუდის ერთ-ერთ უდიდეს მწარმოებლად. 1955 წლის 27 აგვისტოს გინესის კორპორაციამ გამოსცა პირველი წიგნი, რ-იც მალევე ბესტსელერად იქცა. მომდევნო წელს წიგნი გამოიცა აშშ-ში, საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანეთში და სხვ. მას დამფინანსებელი ფირმის ,,გინესის'' სახელი დაენათლა. 2005 აღინიშნა გამოცემის 50 წლისთავი.

სქართველოდან გინესის რეკორდების წიგნში ბევრი ადამიანია შესული, მ. შ.: მ. *ჩა-*



გინკგო. ორნაკვთიანი გინკგო (Ginkgo biloba).





გიორგაული თეთრი. გიორგი VII-ის მონეტა. ვერცხლი. XIV ს. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

ბურდანიძე, რ-მაც 17 წლისამ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჭადრაკში; ოლიმპიური ძალოსნები – გ. ასანიძე [მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ატაცში დამყარებული აქვს ორი მსოფლიო რეკორდი: 168 *კგ* (77 *კგ* წონით კატეგორიაში, 1998) და 186 *კგ* (85 *კგ* წონით კატეგორიაში)] და კ. *კახიაშვილი* [მსოფლიო და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1992, 1996, 2000)]; თ. ცისკარაძე (როგორც მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ყველაზე ახალგაზრდა კინორეჟისორი – 16 წლისა და 4 თვის); ჯ. *ლეჟავა* (ადგილზე ხელებით აზიდვების მრავალგზის გამარჯვებული, მსოფლიო მოგზაური); გ. მახარაძე (ექსტრემალური სპორტსმენი – 8 საათის, 12 წუთისა და 25 წამის განმავლობაში თავით ფეხბურთის ბურთის მკენწლავი); ლ. სარქისოვი – ყველაზე უხუცესი (60 წლისა და 161 დღის) მათ შორის, ვინც დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე (8848 *მ*) ავიდა (12. V. 1999); 15 წლის ე. სააკაშვილი, რ-მაც დაამყარა რეკორდი (5. VII. 2011) თანამედროვე ტექნოლოგიებში. მან ერთი ხელით აიპადში (iPad) 5,26 წამში აკრიფა ინგლისური ანბანი, რითაც წამნახევრით გააუმჯობესა წინა რეკორდი.

გ. მ. რ. წ-ში შეტანილია, აგრეთვე, ქართ. სიტყვა ,,გვფრცქვნის'', რ-შიც 8 თანხმოვანი მიჯრით არის წარმოდგენილი; საქართვ. (აფხაზეთის) მდინარე რეპრუა – დედამიწის უმოკლესი (სიგრძე 27 *მ*) მდინარე, რ-იც სათავიდან შესართავამდე ერთ ფოტოკადრში ეტევა. გინესის წიგნში შესაძლებელია ინფორმაციის მოპოვება კახეთში 1982 წელს ჩამოვარდნილი სეტყვის უზარმაზარი მარცვლის (56 *მმ*) შესახებ და სხვა.

გინესის წიგნში ქართ. სარეკორდო მონაცემების წარდგენას წარმატებით უძღვება საქართვ. მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი კავშირი ,,გიორგი''. *გ. მანია.*

გინკგო (Ginkgo), შიშველთესლოვან ფოთოლმცვივან მერქნიან მცენარეთა გვარი გინკგოსნაირთა ოჯახისა. ერთადერთი თანამედროვე სახეობა რელიქტური ორნაკვთიანი გ-სი (G. biloba) 30–40 *მ* სიმაღლისა და 1–9 *მ* დიამეტრის ორსახლიანი გაშლილვარჯიანი ხეა. აქვს გრძელყუნწიანი მარაოსებრი ფოთლები. ბუნებრივად გავრცელებულია მხოლოდ აღმ. ჩინეთის მცირე ტერიტორიაზე, სადაც წიწვოვან და ფართოფოთლოვან მცენარეებთან ერთად ქმნის ტყეებს. დეკორ. მცენარედ მოშენებულია მსოფლიოს მრავალ ბოტან. ბაღსა და პარკში. საქართველოში შემოტანილია XIX ს. 60-იან წლებში შავი ზღვის სანაპიროზე. განსაკუთრებით კარგად ხარობს კოლხეთის დაბლობზე, სადაც გიგანტურ ზომას აღწევს. ინტროდუქცირებულია აღმ. საქართველოშიც, კერძოდ, თბილისში (ბოტან. ბაღში). სამშობლოში 1000 წლამდე ცოცხლობს. ყინვაგამძლეა და ჩვენში შეიძლება მისი კულტივირება ზ. დ. 800 *მ* სიმაღლემდე.

გინჩი, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი მთიან დაღესტანში, მდ. გიდერიულ-ორის ნაპირას (ხუტორი გინჩი, შამილსკოეს რ-ნი). გაითხარა 1956–63 (მ. პიკული, ჟ. ატაევი, ე. კოტოვიჩი, ა. ჰაჯიევი და მ. ჰაჯიევი). ენეოლითური ნასოფლარი დაცული იყო ფლატეებითა და ზოგან 1 *მ* სისქის ქვის კედლებით. გათხარეს ნატეხი და რიყის ქვისაგან მშრალი წყობით ნაგები ოთხკუთხა შენობების ნაშთები. თიხატკეპნილ იატაკზე გამართული იყო ღია კერები, ხოლო სანოვაგის შესანახად იატაკში ჩაჭრილი იყო მცირე ზომის ხაროები. იატაკქვეშ აღმოჩნდა სამარხები, რაც წინააზიური გავლენის შედეგი უნდა იყოს. აღმოჩენილი კერამიკა 2 სახისაა: ადგილობრივი და იმპორტული. აღნიშნული ენეოლითური ფენა ზოგადად ძვ. წ. IV ათასწლეულით თარიღდება და წინააზიური კულტურის გავლენის გავრცელების უკიდურესი ჩრდ. პუნქტია. ნასოფლარის II ფენა ეკუთვნის *მტკვარ-არაქსის კულტურის* ჩრდ.-აღმ. ლოკალურ ვარიანტს (ძვ. წ. III ათასწლ.). ნასოფლარი დაზიანებულია ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ. სამარხებით, რაც გ-ის III კულტ. ფენას ქმნის. გათხრილია 15 დიდი და 2 პატარა აკლდამა, 15 სამარხი თიხის დერგებში. აკლდამები მომრგვალო და ოთხკუთხაა, ნაგებია მშრალი წყობით, გადახურულია ქვის დიდი ფილებით. აკლდამებში კოლექტიურად კრძალავდნენ მოზრდილებს. პატარა აკლდამები მოზარდთა ინდივიდ. სამარხები იყო, ხოლო დერგებში ჩვილ ბავშვებს მარხავდნენ. სამარხეული ინვენტარიდან აღსანიშნავია კერამიკა; ქვის, ძვლისა და ლითონის სამკაული; შრომისა და საბრძოლო იარაღი.

ლიტ.: Г а д ж и е в М. Г., Новые данные о южных связях Дагестана в IV–III тысячелетиях до н. э., «Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях ин-та археологии АН СССР», 1966, в. 108; М о с и е в, Из истории культуры Дагестана в эпоху бронзы (могильник Гинчи), Махачкала, 1969; История Дагестана, т.1, М.,1967.

თ. კილურაძე.

გიორგაული თეთრი, მეფე ვახტანგ VI-ის (1675–1737) მიერ შემოღებული ტერმინი, რ-ის საფუძველზეც ქართ. ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა შეხედულება, თითქოს გიორგი V ბრწყინვალეს (1318–46) მოეჭრას საკუთარი, ერთვნ. მონეტა. ვახტანგ VI ემყარებოდა ბექა-აღბუღას სამართალს, რ-შიც ნახსენებია არა გ. თ., არამედ ,,გიორგის ჟამის თეთრი'', რაც გულისხმობს საქართველოში ილხანების სახელით მოჭრილ მონეტებს. 1355-მდე საქართვ. ზარაფხანებში სხვა მონეტები არ იჭრებოდა.

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, თბ., 1964; დ უ ნ დ უ ა გ., დ უ ნ დ უ ა თ., იჭრებოდა თუ არა გიორგაული თეთრი?, «საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები», 2011, [ტ.] 1.

გ. დუნდუა.

გიორგაშვილი ლევან გიორგის ძე (დ. 1. I. 1946, ყვარელი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1997). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი (1969). 1968–88 მუშაობდა თსუ-ის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინ-ტში, 1988-იდან – საქართვ. ტექნიკურ უნ-ტში. 2005-იდან საქართვ. ტექნიკური უნ-ტის მათ. ფიზიკის მიმართულების ხელმძღვანელია. 2005–06 იყო თსუ-ის ახალციხის ფილიალის მათემატიკა-ასტრონომიის ფაკ-ტის დეკანი. იკვლევს მყარი დეფორმირებადი სხეულების მექანიკის სასაზღვრო ამოცანებს სხვადასხვა ველების გათვალისწინებით.

გიორგაძე ბეჟან გიორგის ძე (25. III. 1905, სოფ. ვალე, ახალციხის მაზრა, – 24. XI. 1984, თბილისი), ისტორიკოსი. დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია. XX ს. 20-იან წლებში სწავლობდა სორბონის უნ-ტის სიტყვიერებისა და ჰუმანიტარული მეცნ. ფაკ-ტზე, აქვე გახდა საქართვ. ახალგაზრდობის პატრიოტული ორგანიზაციის ,,*თეთრი გიორგის*'' წევრი. შემდეგ რომში დაამთავრა ვატიკანის უნ-ტი. მიენიჭა უნ-ტის ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხი. ვატიკანის ბ-კაში ეძებდა მასალებს საქართველოს შესახებ. 30-იან წლებში სამშობლოში დაბ-

რუნდა. პოლიტ. შეხედულებათა გამო 1938–46, 1951–56 რეპრესირებული იყო. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ისტორიის ინ-ტის ბიბლიოთეკარად და მეცნიერ თანამშრომლად. თბილ. უცხო ენათა პედ. ინ-ტში ასწავლიდა იტალ. ენას. გ-მ გაშიფრა, თარგმნა, დაურთო გამოკვლევები, კომენტარები და გამოსცა საქართვ. ისტორიის შესასწავლად მეტად ღირებული ისტ. წყაროები: ჯუდიჩე მილანელი დონ ჯუზეპე ,,წერილები საქართველოზე XVII ს.'' (1964), ,,ულუგ-ბეგ ბაიათი და მისი რელაციონი XVI ს. საქართველოზე'' (1975), ,,დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე XVII ს.'' (1977) და სხვ., მ. შ. გამორჩეულია დონ კრისტოფორო დე კასტელის ,,ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ'' (1976). *ე. გიორგაძე.*

გიორგაძე გენადი ვალერიანის ძე (დ. 7. XI. 1948, სოფ. წილკანი, ახლანდ. მცხეთის მუნიციპალიტეტი), სპორტსმენი (სამბო და თავისუფალი ჭიდაობა). საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი (1973). დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინ-ტი (1970). სოფლის სპორტსმენთა შორის საკავშ. ჩემპიონატების (1968–72) ჩემპიონი და IX საერთაშ. ტურნირის (1969, თბილისი) ბრინჯაოს პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში. სსრკ ნაკრების წევრი (1972–75). მსოფლიოს ჩემპიონი (1973, თეირანი) სამბოში. 1995-იდან იყო საქართვ. სამბოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, 1997-იდან – საქართვ. სამბოს ნაკრების მწვრთნელი, 2003-იდან – ლ. თედიაშვილის სახ. სპორტული სკოლის მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ე. გიორგაძე. ნ. გუგუშვილი.

გიორგაძე გიორგი გელას ძე (დ. 10. X. 1964, ქუთაისი), მოჭადრაკე. საერთაშ. დიდოსტატი (1993). სსრკ სპორტის ოსტატი (1982), საერთაშ. ოსტატი (1989). 1986 დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი. გ-ის პირველი მწვრთნელი იყო დ. ჩარაძე (ქუთაისი). საქართვ. ჩემპიონი (1982, 1988). სსრკ ჩემპიონატის ფინალისტი (1989). მსოფლიოს ვაჟთა საჭადრაკო ოლიმპიადებისა (1992, 1994, 1998, 2000) და ევრ. გუნდური პირველობების (1992, 1997) მონაწილე საქართვ. ნაკრები გუნდის შემადგენლობაში. იყო გ. კასპაროვის სეკუნდანტი მსოფლიო პირველობის მატჩში (1990). მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე მეორე დაფაზე მოიპოვა ბრინჯაოს მცირე მედალი (1996). საქართვ. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი 2008 წლიდან. მიენიჭა ღირსების ორდენი (2001).

თ. გიორგაძე.

გიორგაძე გიორგი ივანეს ძე (12. V. 1927, თბილისი, – 2002, იქვე), ინჟინერ-მექანიკოსი. 1950 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის მექანიზაციის ფაკ-ტი. 1963–71 მუშაობდა კ. ამირაჯიბის სახ. საქართვ. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტთან არსებულ ჩაის კრეფის მექანიზაციის ლაბორატორიაში უფროსის მოადგილედ, 1977–91 – სხვადასხვა სამეცნ.-კვლ. ორგანიზაციაში პროექტის მთ. კონსტრუქტორად. 2000-იდან იყო კ. ამირაჯიბის სახ. საქართვ. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი. ჩაის საკრეფი მანქანა ,,საქართველოს'' შექმნისა და მისი წარმოებაში დანერგვისათვის მიენიჭა ლენინური პრემია (1967, სხვებთან ერთად). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1999).

გიორგაძე გრიგოლ გრიგოლის ძე (28. VII. 1927, ქუთაისი, – 2. IV. 2005, თბილისი), ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1993). ისტ. მეცნ. დოქტორი (1973). პროფესორი (1991), საქართვ. მეცნ. აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის ძვ. აღმ. ისტორიის განყ-ბის გამგე (1988–2005), თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტის ასირიოლოგიის კათედრის გამგე. ქსე-ის ძვ. ისტორიისა და რელიგიის ისტორიის სამეცნ.-საკონსულტაციო სექციის თავ-რე. მისი კვლევის სფერო იყო ძვ. აღმოსავლეთის ისტორია, კერძოდ, ხეთოლოგია და მისი მომიჯნავე დარგები. გ-ის სამეცნ. შრომები ეძღვნება ძირითადად ხეთების სახელმწიფოს სოც.-ეკონ. ისტორიის, სახელმწიფოებრივი წყობის, მათი პოლიტ. და ეთნ. ისტორიის, ისტ. გეოგრაფიის, სამართლის საკითხებს (მისი აზრით, ხეთური საზ-ბა ადრეკლასობრივი პოლიტ. ორგანიზმია, სადაც წარმოების პროცესში არამონურთან ერთად ვითარდებოდა აგრეთვე მონური ხასიათის წარმოებითი ურთიერთობანი, თავისუფალთა და არათავისუფალთა სოც. ფენების წარმოქმნით). იკვლევდა აგრეთვე ხეთურ და ქართველურ ენათა, ხეთური და ძველი ქართული რელიგიური პანთეონის, ხეთებისა და ქართველურ ტომთა კულტ. ურთიერთობის საკითხებს.

თხზ.: ათასი ღვთაების ქვეყანა, თბ., 1988; Борьба хеттов за Северную Сирию в период Древнехеттского царства, «Вестник древней истории», 1964, №1; Очерки по социально-экономической истории Хеттского государства, Тб., 1973; Производство и применение железа в Центральной Анатолии по данным хеттских клинописных текстов, «Древний Восток», М., 1985; Неиндоевропейские этнические группы (хатты, каски) в древней Анатолии, კრ.: Разыскания по истории Абхазии, Тб., 1999; Two Forms of Non-slave Labour in Hittite Society, «Labour in the Ancient Near East», New Haven, 1987.

გიორგაძე გრიგოლ ტიმოთეს ძე (20. XI. 1879, ქუთაისი, – 18. VIII. 1937, ყაზახეთი), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, იურისტი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი. 1902 დაამთავრა ქუთაისის სას. სემინარია, 1909 ხარკოვის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი. 1905–19 იყო ს.-დ. (მენშევიკური) პარტიის წევრი, 1919–21 — დამოუკიდებელი ს.-დ. ორგანიზაციის – ,,ახალი სხივის'' ლიდერი, 1909–10 – გაზ. ,,ფონის'' რედ.-გამომცემელი (ქუთ.). 1917–18 გ. იყო საქართვ. ეროვნ. საბჭოს წევრი, 1918–19 – საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის სამხ. მინისტრი, 1919–21 – საქართვ. დამფუძნებელი კრების წევრი და სხივველების ფრაქციის თავ-რე.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართვ. ოკუპაციის შემდეგ 1921 დააპატიმრეს. 1922–37 ეწეოდა საადვოკატო მოღვაწეობას, იყო საქართვ. დამცველთა (ადვოკატთა) კოლეგიის წევრი, სხვადასხვა დაწესებულებების იურისკონსულტი, საქართვ. სახელმწ. მუზეუმის უფრ. მეცნ. თანამშრომელი. იკვლევდა საქართვ. ფეოდ. ხანის, ახ. და უახლესი ისტორიის, ფეოდ. ხანის საქართვ. სოც. ურთიერთობათა ისტორიის, ქართ. სამართლის ისტორიის საკითხებს. 1937 გ. დააპატიმრეს და გადაასახლეს ყაზახეთში, სადაც იმავე წელს გარდაიცვალა.


თხზ.: ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში, ტფ., 1926; საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე (1864–1905), ტფ., 1928.

ლ. ურუშაძე.

გიორგაძე ვარლამ ნიკოლოზის ძე [4 (17). VIII. 1905, ქუთაისი, – 17. V. 1995, თბილისი], ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1951), პროფესორი (1963), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). 1930 დაამ-




გ. გიორგაძე (დ. 1964).



გ. გიორგაძე (1927–2005).



გ. ტ. გიორგაძე.



თ. ვ. გიორგაძე.



თ. შ. გიორგაძე.



მ. რ. გიორგაძე.

თავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1937–38 იყო დმანისის რ-ნის მთ. ექიმი და ქირურგი, II მსოფლიო ომის მონაწილე, 1946–52 – თბილ. სამედ. ინ-ტის ჰოსპიტალური ქირურგ. კათედრის დოცენტი, 1952–53 – ტრავმატოლოგიის ინ-ტის აღდგენითი ქირურგიის განყ-ბის გამგე, 1953–66 – აჭარის მთ. ქირურგი, 1966–88 – ექიმთა დახელოვნების თბილ. ინ-ტის ქირურგიის კათედრის ქუთ. ფილიალის გამგე და ქალაქის მთ. ქირურგი, 1988-იდან – რესპ. კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყ-ბის კონსულტანტი. მიღებული აქვს სახელმწ., მ.შ. საბრძოლო ორდენები და მედლები.

თხზ.: ზურგის ტვინის ანესთეზია, თბ., 1937; ნაწლავთა გაუვალობა, თბ., 1961.

გიორგაძე თამაზ ვასილის ძე (დ. 9. I. 1947, ქუთაისი), მოჭადრაკე. საერთაშ. დიდოსტატი (1977), სსრკ სპორტის ოსტატი (1967). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1970). გ-ის პირველი მწვრთნელი იყო დ. ჩირაძე. თბილისის ჩემპიონი (1968), საქართვ. ორგზის ჩემპიონი (1972, 1973), სსრკ ჩემპიონატების სამგზის მონაწილე (საუკეთესო შედეგი – მე-4 ადგილი, დაუმარცხებლად, 1978). სსრკ სტუდენტთა ორგზის ჩემპიონი (1966, 1969), სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადის გამარჯვებული, სსრკ ნაკრების შემადგენლობაში (დრეზდენი, 1969), ევროპის ორგზის ჩემპიონი კლუბებს შორის, ,,ბურევესტნიკის“ შემადგენლობაში (1976, 1979). სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადაზე საქართვ. ნაკრების შემადგენლობაში I დაფაზე დაიკავა I ადგილი (1979). იყო ა. კარპოვის მწვრთნელი (1980–86), ესპანეთის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი (1986–92), საქართვ. დამს. მწვრთნელი. მრავალი საერთაშ. ტურნირის გამარჯვებული. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

თ. შ. გიორგაძე.

გიორგაძე თენგიზ შალვას ძე (დ. 1.IV. 1925, თბილისი), მოჭადრაკე, საერთაშორისო არბიტრი (1972), საჭადრაკო მიმომხილველი, ლიტერატორი და ისტორიკოსი. საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1976), საქართვ. ფიზკულტ. და სპორტის დამს. მუშაკი (1981), საქართვ. დამს. მწვრთნელი (2002). ეროვნ. ოსტატი (1994), პედ. მეცნ. კანდიდატი (2004), პროფესორი (2005). დაამთავრა თსუ (1952). თბილისის ჩემპიონი (1953), სსრკ საპატიო მსაჯი (1985), მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მსაჯი (1994, 1996, 1998), 1948-იდან საქართვ. ჭადრაკის ფედერ. პრეზიდიუმის წევრი (1948–2000), სსრკ ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი (1972–75), გაზ. ,,ლელოს“ ჭადრაკის განყ-ბის გამგე (1950–84), საჭადრაკო გაზ. ,,მერანის“ პირველი რედაქტორი (1984–87), ყოველთვიური ჟურნ. ,,ჭადრაკის სამყაროს“ მთ. რედაქტორი (1997–2000), საქტელეჭადრაკის ჟურნ. ,,სამორინეს“ წამყვანი და ავტორი (1968–96), საქართვ. ფიზკულტურისა და სპორტის აკადემიაში ჭადრაკის სპეციალიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი (1977) და პედაგოგი. გამოცემული აქვს 50-მდე წიგნი, მ. შ.: ,,ქართული ჭადრაკის მატიანე“ (სამტომეული, 1995, 1997, 2000), მონოგრაფიები: ,,თამაშობს ანდრია დადიანი“ (1972), ,,ცხოვრება ვიქტორ გოგლიძისა“ (1985), ,,ჩვენი ნონა“ (1992), ,,ჭადრაკის ანბანი“ (1965, 1974, 1983, 1999), 10 წიგნი, მიძღვნილი ქალთა მსოფლიო პირველობის მატჩებისადმი (1963–89) და სხვ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996), საქართვ. სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციისა (1999) და სეოკის პრემიებით.

დ. გურგენიძე.

გიორგაძე იგორ პანტელეიმონის ძე (დ. 26. VI. 1950, ზაისანი, ყაზახეთი), გენერალ-ლეიტენანტი (1994). 1992–93 იყო საქართვ. შს სამინისტროს სპეცსამსახურის უფროსი, 1993 – შს მინისტრის მოადგილე, 1993–95 – საქართვ. სახელმწ. უშიშროების მინისტრი. 1995 საქართვ. პრეზიდენტის ე. შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტთან დაკავშირებით გ-ის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. 1995-იდან საზღვარგარეთაა. იძებნება ინტერპოლის მიერ.

ლ. დოლიძე.

გიორგაძე ინგა ირაკლის ასული (დ. 30. XI. 1938, თბილისი), ვირუსოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1981), პროფესორი (1996). 1962 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1967–72 იყო თბილ. ვაქცინებისა და შრატების სამეცნ.-კვლ. ინ-ტის (ახლანდ. გ. ელიავას სახ. ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინ-ტი) ვირუსოლოგიის ლაბორატორიის უფრ. მეცნ. მუშაკი; 1972–2007 – ამავე ინ-ტის ვირუსოლოგიის ლაბორ. ხელმძღვანელი; 2007-იდან შპს ანალიტიკურ-სადიაგნოსტიკო ცენტრის – ,,დიაგნოზი-90“-ის ხელმძღვანელი.

გ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი. მისი შრომები ეხება ვირუსოლოგიის, იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის აქტუალურ პრობლემებს, განსაკუთრებით ინტერფერონის სისტემის შესწავლის სხვადასხვა ასპექტებს.

გიორგაძე კონსტანტინე ლევანის ძე (12. X. 1923, თბილისი, – 8. XII. 2004, იქვე), რენტგენოლოგი და სამედიცინო რადიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1970), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1990), საქართვ. სამედიცინო აკად. წევრი (1996). 1946 დაამთავრა თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტი და მუშაობა დაიწყო ამავე ინ-ტის შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრაზე, ხოლო 1955 – რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის კათედრაზე, რ-ის გამგეც იყო 1973–97.

გ. იყო ბირთვული მედიცინის განვითარების პიონერი საქართველოში. შეისწავლიდა რადიონუკლეიდური კვლევის ავტომატიზებულ სისტემებს და მათ გამოყენებას კლინ. დიაგნოსტიკაში. ქართ. ენაზე შეადგინა სახელმძღვანელო – ,,სამედიცინო რადიოლოგიის მოკლე კურსი“ (1969). 1986 აირჩიეს თბილისის რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რედ, 1997 – საქართვ. რადიოლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად.

თხზ.: ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის რადიოიზოტოპური დიაგნოსტიკა, თბ., 1966; სამედიცინო რადიოლოგია, თბ., 1986.

გიორგაძე მიხეილ პორფილეს ძე [28. II (12.III). 1912, სოფ. ზოდი, ახლანდ. ჭიათურის მუნიციპალიტეტი, – 23. XI. 1982, მოსკოვი], სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი (1957–82). 1941–51 მუშაობდა სსრკ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში (შემდეგ სოფლის მეურნეობის სამინისტრო). 1953–54 – საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რის პირველი მოადგილე და სოფ. მეურნ. მინისტრი; 1954–56 – საქ. კპ ცკ-ის მეორე მდივანი; 1956–57 – საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავრის პირველი მოადგილე; სსრკ IV–IX მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

გიორგაძე მიხეილ რევაზის ძე (დ. 14. III. 1961, ქუთაისი), სპორტსმენი (წყალბურთი, მეკარე). სსრკ

სპორტის დამს. ოსტატი (1982). დაამთავრა საქართველოს ფიზკულტ. ინ-ტი და თსუ. თამაშობდა თბილისის დინამოსა (1977–89) და სსრკ ნაკრებში (1981–89). მსოფლიოს ჩემპიონი (1982), მსოფლიოს თასის მფლობელი (1981), მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1983), ევროპის სამგზის ჩემპიონი (1983, 1985, 1987), სეულის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი (1988).

ნ. გუგუშვილი.

გიორგაძე ნესტორ ასალოს ძე (9. I. 1901, სოფ. გუთური, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 7. VIII. 1983, თბილისი), მშენებელი, სოციალისტური შრომის გმირი (1958). 1935–38 ხელმძღვანელობდა პირველი ჩაის გადასამუშ. ფაბრიკის (ლაითური) მშენებლობასა და დაბა ლაითურის გაშენებას. შემდგომ სტალინგრადში მონაწილეობდა მცირე სიმძლავრის სატანკო ძრავების ქ-ნის მშენებლობაში. 1942-იდან კვლავ საქართველოშია. მ-ის დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსთავის მეტალ. ქ-ნის აშენებასა და თვით რუსთავ-ქალაქის განაშენიანებაში. 1946–1960 იყო ამიერკავკ. მეტალურგმშენის ტრესტის მმართველი. რკინაბეტონის ნაკეთობათა (კერძოდ, მილების) ახ. მეთოდის დამუშავებისა და დანერგვისათვის მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1951, სხვებთან ერთად). 1963, როგორც მშენებლობის მინისტრის მოადგილეს, დაევალა კურორტ ბიჭვინთაში მიმდინარე სამუშაოების ხელმძღვანელობა. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

გიორგაძე ნოდარ ვარლამის ძე (5. V. 1941, თბილისი, – 15. VII. 2009, იქვე), უროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (2001). ბავშვთა მთ. უროლოგი (1994). 1964 დაამთავრა ლენინგრადის სახელმწ. პედიატრიის ინ-ტი; 1969–72 მუშაობდა თბილ. ბავშვთა №5 საავადმყოფოს უროლოგად, 1972–89-იდან – უროლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ბავშვთა განყ-ბის უმცროს, შემდეგ კი უფროს და წამყვან მეცნ. თანამშრომლად; 1994-იდან იყო თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ბავშვთა ქირურგ. კათედრის პროფესორი.

გ. იყო საქართვ. ბავშვთა უროლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი (2000), საქართვ. ბავშვთა ქირურგთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე (2000).

გ. იყო მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 4 მონოგრაფიისა და 7 მეთოდური რეკომენდაციის ავტორი.

მისი სამეცნ. შრომები ეხება ბავშვთა ქირურგიის და უროლოგიის აქტუალურ საკითხებს.

თხზ.: თირკმლის და შარდსაწვეთის ანომალიები ბავშვთა ასაკში, თბ., 1978; შარდის შეუკავებლობა ბავშვთა ასაკში, თბ., 1991; „მწვავე“ სათესლე პარკი ბავშვებში, თბ., 2004.


გიორგაძე ოთარ შოთას ძე (19. II. 1931, ქუთაისი, – 8. I. 2007, ბათუმი), პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1999), პროფესორი (2000), საქართვ. პედაგოგიურ მეცნ. აკადემიისა (1998) და საქართვ. განათლების მეცნ. აკადემიის წევრი (2001). 1964 დაამთავრა ბათუმის პედ. ინ-ტის რუსული ენისა და ლიტ-რის ფაკ-ტი, 1973 – ლენინგრადის კულტურის უმაღლესი სკოლა. 1949-იდან მუშაობდა ხულოსა და ბათუმის სკოლების მასწავლებლად, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივ თანამდებობაზე განათლების, კულტურის, სპორტის ორგანიზაციებში. 1993–2007 იყო შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწ. უნ-ტის დაწყებითი განათლების კათედრის გამგე.

გ-მ ჩამოაყალიბა ესთეტ. აღზრდის სისტემის თეორ. მოდელი, რ-იც ხელს უწყობს მოზარდი თაობის ჰარმონიულ აღზრდას. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი.

გიორგაძე პანტელეიმონ ივანეს ძე (17. VIII. 1925, სოფ. გორმაღალი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 3. III. 2009, თბილისი), საბჭოთა არმიის გენერალმაიორი (1971). II მსოფლიო ომის დროს იბრძოდა ჩრდ. კავკასიის ფრონტზე. დაამთავრა ალმა-ათის საკავალერიო სასაზღვრო სასწავლებელი (1948), სსრკ შს სამინისტროს სამხ. აკადემია (1956), სსრკ შეიარაღებული ძალების გენ. შტაბის სამხ. აკადემია (1969). მუშაობდა ამიერკავკ. სასაზღვრო ოლქის შტაბში, შემდეგ – აღმ. სასაზღვრო ჯარების უფროსის მოადგილედ (1969–73). 1973–76 მუშაობდა მონღოლეთში. 1976–79 იყო შუა აზიის სასაზღვრო ჯარების სარდლის მოადგილე, 1979–82 – ამიერკავკ. სასაზღვრო ჯარების სარდლის მოადგილე. 1982–85 მუშაობდა კუბაში, 1985–87 – კვლავ მონღოლეთში. 1987–90 იყო საქართვ. სახელმწ. თავდაცვის საბჭოს მდივანი, 1991–92 – საქართვ. სასაზღვრო ჯარების სარდალი, 1992–93 – სამშვიდობო ძალების სარდალი საქართველოს მხრიდან შიდა ქართლში. 1993-იდან იყო საქართვ. ერთიანი კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი, კომუნისტურ პარტიათა კავშირის (სკკპ-ის საფუძველზე) თავ-რის მოადგილე, საბჭ. ოფიცერთა კავშირის თავ-რის მოადგილე. მიღებული აქვს სახელმწიფო, მ. შ. საბრძოლო ჯილდოები.

ლ. დოლიძე.

გიორგაძე ჯონდო პარმენის ძე (12. VII. 1934, სოფ. ზემო ხედი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 2008, თბილისი), ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი, სპატიო რკინიგზელი (2002). 1957 დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტრანსპ. ინჟინერთა ინ-ტი. 1958-იდან მუშაობა დაიწყო თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის სპეც. საკონსტრუქტურო ბიუროში (1990-იდან – მთ. კონსტრუქტორი). 1959–64 უშუალოდ მონაწილეობდა ქართული ცვლადი დენის ვლ40 მარკის სამგზავრო ოთხღერძიანი და ვლ10 მარკის სატვირთო რვაღერძიანი მაგისტრალური ელექტრომავლების შექმნაში. შემდგომ წლებში მისი ხელმძღვანელობით ქარხანაში დაინერგა მრავალი მნიშვნელოვანი ტექნიკური სიახლე. მუდმივი დენის ოთხღერძიანი ელექტრომავლის 4E1-ის გამოკვლევის, დამუშავებისა და წარმოებაში დანერგვისათვის გ-ს, ავტორთა ჯგუფთან ერთად, მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (2002).



ნ. ა. გიორგაძე.

თხზ.: Особенности электрических схем электровозов ВЛ 11, М., 1982 (თანაავტ. Д. Н. Болашвили).

გიორგაძე ჰამლეტ გრიგოლის ძე (25. VI. 1937, თბილისი, – 1. III. 2005, იქვე), აგრარიკოს-ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1981), პროფესორი (1984). 1960 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ეკონ. ფაკ-ტი. 1965-იდან სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა საქართვ. სახელმწ. აგრარულ უნ-ტში: 1970–76 – მათ. მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის კათედრის გამგედ; 1976–2005 – სოფ. მეურნეობის ეკონ. კათედრის გამგედ, პრორექტორად (1978–80). ავტორია სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების. მისი სამეცნ. შრომები ეხება სას.-სამ. წარმოების ეკონ. ეფექტიანობის, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, აგრ. პოლიტიკისა და სასურსათო უსაფრთხოების საკითხებს. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).



ჯ. გიორგაძე.

გიორგაბერიძე ივანე ალექსის ძე (25. VII. 1906, ხონი,– 24. X. 1994,

თბილისი), აგრონომი. სოფ. მეურნ. მეცნ. კანდიდატი (1952), პროფესორი (1961), აფხ. არ (1961) და საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). 1934 დაამთავრა მოსკ. კ. ტიმირიაზევის სახ. სას.-სამ. აკადემია. 1957-იდან იყო ქუთ. სას.-სამ. ინ-ტის დირექტორი, 1959–73 – საქართვ. სუბტროპ. მეურნ. ინ-ტის რექტორი, 1973–92 – საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის მემცენარეობის კათედრის პროფესორ-კონსულტანტი. დაამუშავა დას. საქართვ. პირობებში საკონსერვო ბოსტნეულის აგროტექ. საკითხები. შეისწავლა მწვანე ბარდის ჯიშების აგროტექნიკა და დანერგა ისინი საქართველოში როგორც შუალედური კულტურები. მისი ავტორობითა და თანაავტორობით გამოყვანილი და სელექციურად გაუმჯობესებულია საკონსერვო ხილბოსტნეულის 23 ჯიში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

გიორგეთი, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), ალაზნის ვაკეზე, მდ. კაბალის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: გ., გუჯარეთი, ვერხვისმინდორი, ლაფნიანი, ფიჩხისბოგირი). ზ. დ. 260 *მ,* ლაგოდეხიდან 20 *კმ.* 736 მცხ. (2002). 30-იან წლებში სოფელს დაერქვა ორჯონიკიძე. 1990 დაუბრუნდა ძვ. სახელი.

გიორგი მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი - ა თ ო ნ ე ლ ი, *ათონის ივერთა მონასტრის* წინამძღვარი 1019–29. შეცვალა მონასტრის ძვ. წესები, რის შედეგადაც ბერძნებმა მონასტერში შესვლის უფლება მოიპოვეს. ამით გ-მ თანამემამულეთა წყრომა დაიმსახურა. ამავე დროს ბიზანტ. საიმპერატორო კარის რისხვაც დაატყდა თავს, ვინაიდან ბრალად დაედო სახელმწ.-პოლიტ. საქმიანობაში მონაწილეობა. გ. გადაასახლეს კ. მონოვატზე, სადაც აღესრულა კიდეც. ქართველმა ბერებმა გიორგის ცხედარი მონოვატიდან ათონზე გადმოასვენეს. სხვა წყაროებში იგი მოხსენიებულია როგორც ,,გიორგი დიდი'' და ,,მაშენებელი'', როგორც ჩანს, ასეთი სახელი და პატივი მან ათონის ქართ. სავანეში ჩატარებული აღმშენებლობითი საქმიანობით მოიპოვა. ბერძნ. წყაროების მიხედვით, ღვთისმშობლის მიძინების მთავარი საკრებულო ტაძარი აუგია გ-ს (რასაც ადასტურებს ტაძრის წარწერა) და არა მის წინამორბედს – *იოანე მთაწმიდელსა* და *თორნიკე ერისთავს* (როგორც ზოგიერთი ავტორი წერს). ხშირად გ-ს აიგივებენ ვარაზვაჩესთან, რაც სწორი არ არის. პროფ. ლ. მენაბდის აზრით, გ. და ვარაზვაჩე სხვადასხვა პირები არიან. გ. თავისი აღმშენებლობითი საქმიანობით გამორჩეული მოღვაწე ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ მან ქართველთა სავანეში ბერძნები მოამრავლა, ერთგვარად მაინც შეაკავა ბერძენთა მოძალება, რაც მისი გარდაცვალების შემდეგ სულ მალე ნათელი გახდა. გ. შერაცხეს წმინდანად და ეწოდა ღირსი გიორგი მაშენებელი-ათონელი. ხსენების დღეა 28.VII (10.VIII). ათონის ივერთა მონასტერში წმ. გიორგი მაშენებლის ხსენება წმ. იოანესა და წმ. ექვთიმესთან ერთად აღესრულება.

ლიტ.: მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, წგ. 2, თბ., 1980; ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბილისი–ათენი, 2003.

ა. ჩხარტიშვილი.

გიორგი, თბილისის ბეგლარბეგი, გამაჰმადიანებული ქართველი თავადი. 1580 აგვ. ბოლოს სინანფაშამ ის თბილისის ბეგლარბეგად დანიშნა და ამ თანამდებობაზე 1582 სექტემბრამდე დაყო.

გიორგი (გ ა რ ს ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი) (დაახლ. 1680 – 20. VI. 1745, მოსკოვი), საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე. დაახლოებული იყო მეფე *ვახტანგ VI-ის* ოჯახთან. ღვთისმეტყველებას ასწავლიდა *ბაქარს* და *ვახუშტი ბატონიშვილს.* 1724 ემიგრაციაში გაჰყვა ვახტანგ VI-ს. რუსეთში სხვა ქართვ. სასულიერო მოღვაწეებთან ერთად ჩაირიცხა სინოდის შტატში. შემდეგ მოღვაწეობდა მოსკ. ქართულ ახალშენში. 1730 მარტში ვახტანგ VI-მ და ბაქარმა საგანგებო დავალებით საქართველოში გამოგზავნეს. მას გამოჰყვა არქიმანდრიტი არსენიც (ფიცხელაური). 1737-იდან გ. საბოლოოდ დასახლდა მოსკოვში. დაკრძალულია ვსეხსვიატსკოეს ქართ. ტაძარში. *ფ. სიხარულიძე.*

გიორგი I (998 ან 1002–16. VIII. 1027), საქართველოს მეფე 1014–27, *ბაგრატ III-ის* ძე. გამეფებისთანავე მცირეწლოვან მეფეს დიდგვაროვანი აზნაურები აუჯანყდნენ და კახეთ-ჰერეთი საქართველოს ჩამოაშორეს. გ. I-მა ისარგებლა იმით, რომ ბიზანტ. იმპ. ბასილი II ბულგარელებს ეომებოდა, 1014–16 შეიჭრა ტაოში და დაიბრუნა იგი. 1019 ბასილი II-მ ბულგარელებთან ომი დაამთავრა და გ. I-ს სადავო ტერიტორიის დაცლა მოსთხოვა. გ. I-მა კარგად იცოდა, თუ რაოდენ ძნელი იქნებოდა ბრძოლა ბასილი II-ის წინააღმდეგ და საომრად დიდი მონდომებით დაიწყო მზადება. მან თხოვნით მიმართა ბიზანტიის მოწინააღმდეგეს, ეგვიპტის სულთანს – ალ-ჰაქიმს და ერთობლივი საომარი ოპერაციები შესთავაზა, მაგრამ სულთნის მოულოდნელი გარდაცვალების გამო ეს კავშირი ვერ განხორციელდა. ბიზანტიასთან ომში გ. I-ის მოკავშირეები იყვნენ კახეთ-ჰერეთი, მეზობელი სომეხი მეფეები: ანისის მეფე იოანე-სუმბატი და მისი ვასალი ვანანდის სამეფო, ვასპურაკანის მეფე სენექერიმი. 1021 ბიზანტ. ჯარი საქართველოში შემოიჭრა. ქართველები რამდენჯერმე დამარცხდნენ (იხ. *შირიმნის ბრძოლა 1021* და *საქართველო-ბიზანტიის ომები XI საუკუნეში*). გ. I იძულებული გახდა თრიალეთში გადასულიყო, სადაც მაშველი ჯარი დახვდა. კეისარი მოერიდა ომის გაგრძელებას, დასაზამთრებლად ქალდიაში (ტრაპიზონის მახლობლად) წავიდა და საქართველოში ახ. ლაშქრობისთვის სამზადისს შეუდგა. გ. I-მა საზავო მოლაპარაკება გამართა, ამასთანავე, ხელსაყრელ მომენტს უცდიდა ომის გასაახლებლად. ამ დროს ბიზანტიაში იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო ნიკიფორე ფოკას და ქსიფეს მეთაურობით. გ. I-მა კავშირი დაამყარა მათთან და უარი განაცხადა ბიზანტიასთან არახელსაყრელი ზავის დადებაზე. მაგრამ აჯანყება დამარცხდა და მასში ქართველთა მონაწილეობაც გამჟღავნდა. კეისარმა გ. I-ს კვლავ მოსთხოვა სადავო ტერიტორიების დაცლა. საქართვ. მეფემ ბასილის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. მან განაახლა საზავო მოლაპარაკება და თან ბრძოლისათვის მზადება, მაგრამ ბასილი II-მ დაასწრო ომის დაწყება. თავდაპირველად უპირატესობა გ. I-ის მხარეზე იყო, საბოლოოდ კი ქართველები დამარცხდნენ. 1022/23 გ. I დათანხმდა ზავის მძიმე პირობებზე: სადავო ტერიტ. ისევ ბიზანტიამ მიიტაცა, ტახტის მემკვიდრე ბაგრატი 3 წლით მძევლად გაიგზავნა კონსტანტინოპოლში. საქართველომ დაკარგა ე. წ. *დავით III კურაპალატის მემკვიდრეობა.* როგორც ჩანს, გ. I ემზადებოდა რევანშისათვის: 1025 გამომჟღავნ-

და ვასპურაკანის მმართველის ნიკიფორე კომნენოსის შეთქმულება იმპერატორის წინააღმდეგ, რ-ის მონაწილეც გ. I იყო. გ. I-ის მეფობის დროს დიდ საომარ ოპერაციებთან ერთად მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები, აიგო მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, იქვე.

ლიტ.: კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970–1070 წლებში, თბ., 1969; ლორთქიფანიძე მ., საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ცქიტიშვილი ო., მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანაში, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1968, №4; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2).

მ. ლორთქიფანიძე.

გიორგი I აღწეფელი, აფხაზთა (დას. საქართველო) მეფე 861–868; *ლეონ II-ის* ძე. გამეფებამდე მისი საუფლისწულო მამული იყო აღწეფი (აქედანაა ზედწოდება – აღწეფელი). თავისი წინამორბედებივით ცდილობდა დაუფლებოდა ქართლს, რაც დროებით შეძლო კიდეც. ,,მატიანე ქართლისას'' ცნობით, ,,გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი; დაიპყრა ქართლი'' და იქ ერისთავად თავისი ძმისშვილი, დემეტრე II-ის ვაჟი, ბაგრატი დასვა.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI–XVII вв.), Сух., 1959. *ზ. ანჩაბაძე.*

გიორგი I (გ. 1392), იმერეთის მეფე 1389–92, *ბაგრატ I* ერისთავის ძე. გ. I-ის გამეფების დროს იმერეთის, მ. შ. ქუთაისის, ზოგიერთი ციხესიმაგრე, ჯერ კიდევ საქართვ. მეფეს ბაგრატ V-სა და მის მემკვიდრეს – გიორგის ეჭირათ. გურიის, ოდიშისა და სხვა მთავრებიც მათ მხარეზე იყვნენ და გ. I-ის მეფობას არ ცნობდნენ. გ. I-მა მოახერხა აღნიშნულ ციხესიმაგრეთა დაკავება. 1390 გ. I-მა აფხ. (დას. საქართველო) კათოლიკოსად არსენი დასვა და ამით სას. ფეოდალთა წრეშიც დასაყრდენი გაიჩინა. 1392 ოდიშის მთავრის *ვამეყ I დადიანის* წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ დამარცხდა; თვითონაც ამ ბრძოლაში დაიღუპა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბროსე მ., საქართველოს ისტორია, ნაწ. 2, თარგმ. ს. ღოღობერიძისა, ტფ., 1900. *ო. სოსელია.*

გიორგი I, ქართლის კათოლიკოსი (დაახლ. 677–678 წწ.).

წყარო: ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ'', შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილისა და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

გიორგი II, საქართველოს მეფე 1072–89, *ბაგრატ IV-ის* ძე. მას მძიმე საშინაო და საგარეო პირობებში მოუხდა მეფობა. 1073 მას განუდგნენ დიდგვაროვანი ფეოდალები: ნიანია ქვაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე და ვარდან სვანთა ერისთავი. ნიანია ქვაბულის ძემ ქუთაისი დაიკავა, ივანე ლიპარიტის ძემ კახელები მოიშველია და ქსნისპირი დაიპყრო, ხოლო ვარდანმა სვანები აავჯანყა და საეგრო (ეგრისი) დაარბია. მათი დამორჩილების შემდგომ გ. II გარკვეულ დათმობაზე წავიდა და ურჩი ყმები ,,წყალობით დაფარა''. ივანე ლიპარიტის ძეს სამშვილდე უბოძა, მის ვაჟს – ლიპარიტს – ლოწობანი (რუსთავის ნაცვლად; ეს უკანასკნელი კახელებს გადაეცა), ნიანია ქვაბულის ძეს – თმოგვი, ვარდან სვანთა ერისთავს – ასკალანა და ა. შ. 1074 ივანე ლიპარიტის ძე კვლავ განუდგა მეფეს. გ. II-მ მესხთა ლაშქრითა და კახთა მეფის აღსართანის დახმარებით გამდგარი ფეოდალი დაამარცხა. ლიპარიტს ლოწობანი წაართვეს და სამეფოს შემოუერთეს. მალე მეფე და ივანე ლიპარიტის ძე დაზავდნენ, მაგრამ ურჩმა ფეოდალმა გ. II-ის მეციხოვნეებს გაგი გამოსტყუა და განძის პატრონს – ფადლონს – მიჰყიდა.

1073 (ან 1074) საქართველოს შემოესია ,,დიდ სელჩუკთა'' სახელმწიფოს სულთანი მალიქ-შაჰი, რ-მაც აიღო სამშვილდე, დაარბია ქართლი და დიდძალი ტყვითა და ნადავლით უკან გაბრუნდა. იმავე ხანებში სულთნის ლაშქრით საქართველოს შემოესია მალიქ-შაჰის მიერ განძის გამგედ დანიშნული სარანგი. გ. II-მ აღსართან კახთა მეფე მოიშველია და ფარცხისთან დაამარცხა მტერი. ამ გამარჯვების შემდეგ, როგორც ,,მატიანე ქართლისა'' მოგვითხრობს, მეფემ აიღო ანაკოფია, ,,მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტანისა'', აგრეთვე კარის ციხე-ქალაქი, ,,სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი'' და გააქცია თურქები.

საერთაშ. მდგომარეობის გართულებამ (1074 ბიზანტია იძულებული გახადა თავისი სამფლობელოს აღმ. მიწა-წყლის დიდი ნაწილი თურქებისათვის დაეთმო) ახ. საფრთხე შეუქმნა საქართველოს: მტერი უკვე ორი მხრიდან – დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან უტევდა. 1079 ყველის ციხესთან მდგომ გ. II-ს თავს დაესხნენ დიდძალი თურქები ამირა აჰმადის მეთაურობით. მეფე იძულებული გახდა უბრძოლველად გასცლოდა მტერს. თურქებმა ააოხრეს საქართვ. დიდი ნაწილი და აურაცხელი ალაფით გაბრუნდნენ უკან. XI ს. 80-იანი წლების დამდეგიდან დაიწყო სელჩუკიან თურქთა ახ. შემოსევები (იხ. ,,*დიდი თურქობა*''). გ. II დიდებულებთან მოთათბირების შემდეგ სულთან მალიქ-შაჰს ეახლა (სავარაუდოდ 1081–82) და მორჩილება გამოუცხადა. საქართველო სელჩუკიანი თურქების მოხარკე გახდა. კმაყოფილმა მალიქ-შაჰმა საქართვ. სამეფო გაათავისუფლა ,,ზედამარბეველთაგან'', გ. II-ს კახეთ-ჰერეთი მისცა და მის შესაერთებლად ლაშქარიც გამოაყოლა. მტრისა და ქართველთა გაერთიანებული ჯარი კახეთს შეესია, ვეჯინის ციხეს გარშემოადგა. ვეჯინის ალყა ხანგრძლივი გამოდგა. ზამთარში მოულოდნელად გ. II-მ ალყა მოხსნა და დას. საქართველოში გადავიდა, რის გამოც მას კიცხავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ქვეყნის ისედაც გართულებულ მდგომარეობას ზედ დაერთო სტიქიური უბედურება – მიწისძვრა (1088), რ-იც თითქმის მთელი წელიწადი გაგრძელდა და მრავალი ადამიანი იმსხვერპლა. მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობისა და მწვავე სახელმწიფოებრივი კრიზისის პირობებში საქართვ. სამეფო კარზე მოხდა გადატრიალება: 1089 გ. II ტახტიდან გადააყენეს და მეფედ მისი ძე დავითი (შემდეგ აღმაშენებლად წოდებული) დასვეს. ისტორიკოსთა ერთი ნაწილი (ვახუშტი ბატონიშვილი, მარი ბროსე) გ. II-ის გარდაცვალების თარიღად მიიჩნევს 1089, ხოლო ზოგიერთი (ნ. ურბნელი, თ. ჟორდანია, დ. კარიჭაშვილი) – 1112.

ლიტ.: მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002; მისივე, გიორგი II, თბ., 2004 (თანაავტ. ჯ. სამუშია); ჯავახიშვილი



გიორგი II-ის მონეტა. ვერცხლი. XI ს. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2). *რ. მეტრეველი.*

გიორგი II, აფხაზთა (დას. საქართველო) მეფე 922–957, *კონსტანტინე III-ის* ძე. მეფობის პირველ წლებში სამეფო ტახტს ნახევარძმა ბაგრატი ეცილებოდა. გ. II-ის ხელისუფლება მხოლოდ ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ განმტკიცდა. მან დაიკავა შიდა ქართლი, რ-ის ერისთავადაც თავისი უფროსი შვილი კონსტანტინე დანიშნა. ქართლის აზნაურების მხარდაჭერით კონსტანტინე, რ-საც გამეფება სურდა, მამას აუჯანყდა. გ. II-მ აჯანყება ჩაქრო, კონსტანტინე სიკვდილით დასაჯა და ქართლის ერისთავად თავისი მეორე ძე ლეონი (შემდეგ მეფე *ლეონ III*) დასვა. გ. II-ის დროს აფხაზთა სამეფომ პოლიტ. ძლიერების მწვერვალს მიაღწია. X ს. 20-იან წლებში გ. II კახეთში შეიჭრა და შეიპყრო ქორეპისკოპოსი *კვირიკე II*, რ-მაც ცნო აფხაზთა მეფის უფლებები კახეთზე. გ. II-მ კვირიკე II გაათავისუფლა. გ. II-ის გაძლიერების მოწინააღმდეგე ქართლისა და კახეთის აზნაურთა დახმარებით კვირიკე II-მ დაიბრუნა კახეთი. 957 გ. II-მ კახეთის დასაპყრობად ლაშქარი გაგზავნა თავისი შვილის ლეონის წინამძღოლობით, მაგრამ გ. II გარდაიცვალა, ლეონი და კვირიკე კი დაზავდნენ. კვირიკემ ცნო აფხაზთა მეფის სიუზერენობა. გ. II-ის გავლენა ვრცელდებოდა ტაო-კლარჯეთში და საქართველოს ფარგლებს გარეთაც. გ. II-ის ასული *გურანდუხტი* მეფეთამეფის *გურგენის* მეუღლე იყო; გ. II-ის აქტ. ხელშეწყობით X ს. II ნახევარში ალანთა ქვეყანაში ქრისტიანობა სახელმწ. რელიგიად გამოცხადდა. ნაყოფიერად მოღვაწეობდა იგი კულტ. სფეროშიც. ქართ. წყარო მას ეკლესიათა აღმშენებელს უწოდებს. გ. II-მ დააარსა ჭყონდიდის (მარტვილის) საეპისკოპოსო კათედრა.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ლორთქიფანიძე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX–X სს.), თბ., 1963; Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI–XVII вв.), Сух., 1959. *ზ. ანჩაბაძე.*

გიორგი II, იმერეთის მეფე 1565–85, *ბაგრატ III-ის* ძე. თავისი მეფობის დასაწყისში გ. II-ს ოდიშისა და გურიის მთავრებთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა. შემდეგ, მთავართა გათიშვის მიზნით, *გიორგი I გურიელს* დაუმოყვრდა. *ლევან I-მა დადიანმა* ამ მოყვრობაში თავისთვის საფრთხე დაინახა. მან გ. II-ის ტახტიდან ჩამოგდება და მისი ბიძაშვილის ხოსრო ბატონიშვილის გამეფება განიზრახა. ლევანმა მიიმხრო განკერძოებისათვის მებრძოლი ჭილაძეთა საგვარეულოს მეთაური ვარაზ ჭილაძე. 1568 გ. II სოფ. იანეთთან მოულოდნელად თავს დაესხა დადიანს და მის მომხრეებს, დაამარცხა ისინი და საჯავახო დაიკავა. მეფის გაძლიერების შიშით დადიანი და გურიელი გაერთიანდნენ, გ. II-ს წაართვეს საჯავახო და შუაზე გაიყვეს. მიუხედავად ამ მარცხისა, გ. II-მ მაინც მოახერხა მთავრებთან დროებითი მშვიდობის დამყარება. გ. II-ს ბრძოლა უხდებოდა ოსმალებთანაც. 1578 მან ლიხის მთის სიმაგრეებთან დაამარცხა და უკუაგდო ლალა-ფაშის მიერ იმერეთის დასალაშქრად გაგზავნილი ჯარი. გ. II-მ ტახტის პრეტენდენტებისაგან თავისი მცირეწლოვანი მემკვიდრის ლევანის დასაცავად, 1583 ციხეში გამოკეტა საკუთარი ძმა კონსტანტინე (იხ. *კონსტანტინე ბატონიშვილი*) და მისი შვილი როსტომი (იხ. *როსტომი*, იმერეთის მეფე).

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბროსე მ., საქართველოს ისტორია, ნაწ. 2, თარგმ. ს. ღოღობერიძისა, ტფ., 1900. *ო. სოსელია.*

გიორგი II, ავგიორგი, კახეთის მეფე 1511–13, კახთა მეფის *ალექსანდრე I-ის* ძე. ავგიორგი შეარქვეს მრავლად ჩადენილ ბოროტ საქმეთა გამო: სამეფო ტახტის მისაკუთრების მიზნით 1511 მოკლა მამა, შეიპყრო უმცროსი ძმა დიმიტრი, დასთხარა თვალები და კახეთიდან გააძევა. დაპყრობის მიზნით გამუდმებით არბევდა და აოხრებდა ქართლს. გ. II-ის ალაგმვა ითავა ქართლის მეფე *დავით X-ის* ძმამ – ბაგრატ ბატონიშვილმა, რ-მაც მეფეს საბატონოდ მუხრანის მხარე მოსთხოვა და იქ ციხე ააგო. გ. II-მ შეიტყო ბაგრატის განზრახვა, შეყარა ჯარი და ციხეს გარს შემოადგა. 3 თვის უშედეგო ალყის შემდეგ გ. II კახეთში გაბრუნდა. მალე კვლავ გაილაშქრა. ამ ლაშქრობის დროს ბაგრატმა იგი შეიპყრო და მუხრანის ციხეში გამოკეტა, სადაც გ. II მალევე გარდაიცვალა (მეორე ვერსიით მოკლეს).

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967. *გ. აკოფაშვილი.*

გიორგი II, ქართლის კათოლიკოსი (დაახლ. 826–838 წწ.).

წყარო იხ. სტ-თან გიორგი I, ქართლის კათოლიკოსი.

გიორგი III (გ. 1184), საქართველოს მეფე 1156–1184, *დემეტრე I-ის* ძე. მამამ იგი ჯერ თანამოსაყდრედ გამოაცხადა (უფროსი ძის *დავით V-ის* გარდაცვალებისა და სამეფო ხელისუფლების სათავეში დაბრუნების შემდეგ), მერე კი თავის სიცოცხლეშივე გაამეფა. ასეთი ღონისძიება აუცილებელი იყო, რადგანაც დიდგვაროვან ფეოდალებს დავით V-ის ძის, *დემნა (დემეტრე) უფლისწულის* სახით ჰყავდათ ტახტის პრეტენდენტი ცენტრ. ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. გ. III, დავით აღმაშენებლის მსგავსად, აქტ. საშინაო და საგარეო პოლიტიკას ატარებდა. მისი მეთაურობით ქართველები განაგრძობდნენ ბრძოლას სელჩუკიანი თურქების წინააღმდეგ. საქართვ. საზღვრების შემოსამტკიცებლად 1161 გ. III-მ ანისზე გაილაშქრა, ქალაქი აიღო და მისი მართვა-გამგეობა ამირსპასალარ ივანე ორბელს მიანდო, თანაშემწედ კი სარგის მხარგრძელი დაუნიშნა. 1162 ქართველებმა სომხ. ძვ. დედაქალაქი დვინი აიღეს. საქართველოს ასეთმა აქტიურობამ მაჰმადიანთა ამირები აიძულა ქართველებისათვის შეერთებული ძალით შემოეტიათ. საქართველოსაკენ დაიძრნენ ხლათის, დიარბექირისა და არზრუმის მმართველები. გ. III ქართველ-სომეხთა შეერთებული ლაშქრით შეება დამპყრობლებს. მაჰმადიანთა ლაშქარმა უკან დაიხია. ეს გ. III-მ და საქართვ. ლაშქრის მეთაურებმა საბოლოო გამარჯვებად მიიჩნიეს და სიფხიზლე მოადუნეს. ამით ისარგებლეს მოწინააღმდეგეებმა: საქართვ. ლაშქრის დაზვერვა მოახერხეს და მოულოდნელად შეუტიეს ანისს. ქართველებმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ბრძოლა გაჭიანურდა. ბოლოს, დადებული ზავის თანახმად, ანისის მაჰმადიანი მმართველი საქართვ. მეფის ყმადნაფიცი გახდა.

1167 გ. III-მ ილაშქრა შირვანში თავისი ყმადნაფიცისა და მამიდაშვილის აღსართან (ახსითან) შირვანშაჰის დასახმარებლად (შირვანშაჰს დარუბანდის მხრიდან თავს ესხმოდნენ ჩრდილოკავკასიელები). ქართველთა მხედრობა მივიდა დარუბანდის კარამდე, აიღო ქ. შაბურანი, რ-იც გ. III-მ აღსართანს უწყალობა. 1173-იდან გ. III-ის მცდელობის შედეგად დვინი, ანისი და მათი მიმდებარე მხარეები საქართვ. სახელმწიფოს შეუერთდა, თუმცა ბრძოლა ამ მხარეებისათვის შემდეგაც გრძელდებოდა.

გ. III-ის დროს საქართველოში განსაკუთრებით მომრავლდნენ ე. წ. გლახაკნი და მეკობრენი. ლაშქარს ქონების შეძენის მიზნით უცხო ქვეყნების დაუსრულებელი რბევის სურვილი გაუჩნდა. ქვეყანაში გახშირდა ღალატი და დამპყრობელთა მხარეზე გადასვლა. განსაკუთრებული თავგამოდებით ცენტრ. სამეფო ხელისუფლებას დიდგვაროვანი აზნაურები ებრძოდნენ. 1177 დაიწყო დიდი ამბოხება ამირსპასალარ ივანე ორბელის მეთაურობით. მას გვერდში ედგნენ დიდგვაროვანი ფეოდალები: ივანე ვარდანის ძე, შოთა, ძე ართავაჩოს ძისა, ქავთარ ივანეს ძე და სხვ. ამბოხებულები თითქოსდა დემნა (დემეტრე) უფლისწულის ინტერესებს იცავდნენ (დემეტრეს ცოლად ჰყავდა ივანე ორბელის ქალი). სინამდვილეში კი სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისა და თავიანთი უფლებების გასაფართოებლად იბრძოდნენ. აჯანყება რამდენიმე თვეს გაგრძელდა. 1178 დასაწყისში გ. III-მ შეძლო მისი ჩახშობა. იგი განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა აჯანყების მოთავეებს: ორბელები სიკვდილით დასაჯეს, დემეტრე უფლისწულს თვალები დასთხარეს და დაასაჭურისეს. გ. III-მ ორბელთა მამულები თავის ერთგულებს უწყალობა, მ. შ. დიდი ნაწილი – ყივჩაყთა გვარდიის უფროსს *ყუბასარს*, რ-იც მეფემ ორბელთა სამთავრო პატივში აიყვანა და საქართველოს ამირსპასალარად დანიშნა, ხოლო ,,უგვარო'' აზნაურის ნაყმევ *აფრიდონს* მსახურთუხუცესის თანამდებობა უწყალობა. ორბელთა ამბოხების ჩაქრობის შემდეგ გ. III იძულებული გახდა დაეთმო ეკლესიის მესვეურებისათვის და ეკლესიის შეუვალობის აღდგენის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა. 1179 მეფემ მეკობრეობის წინააღმდეგ გამოსცა კანონი, რ-იც მკაცრ ზომებს ითვალისწინებდა. ორბელთა ამბოხების ჩახშობისთანავე, 1178, გ. III-მ საქართვ. სამეფო ტახტზე თანამოსაყდრედ დაისვა თავისი ასული თამარი.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; სტეფანოს ორბელიანის ,,ცხოვრება ორბელიანთას'' ძველი ქართული თარგმანები, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1978.

ლიტ.: ლორთქიფანიძე მ., საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; მეტრეველი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; მისივე, დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2).

რ. მეტრეველი.



გიორგი III. საქართველოს მეფე. ბეთანიის ტაძრის მოხატულობა. დეტალი. XIII ს. დასაწყისი.

გიორგი III (გ. 1639), იმერეთის მეფე 1604–39, *კონსტანტინე ბატონიშვილის* (XVI ს.) ძე. გ. III-ს მძიმე ბრძოლა უხდებოდა გაძლიერებული ოდიშის მთავრის *ლევან II დადიანის* წინააღმდეგ. ეს ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც დადიანის მხარეზე გადავიდა გ. III-ის მიერ შერისხული თავადი პაატა წულუკიძე. გოჭოურის ბრძოლაში (იხ. *გოჭოურის ბრძოლა 1623*) დადიანმა დაამარცხა გ. III. დადიანის წინააღმდეგ თანამოაზრეების ძებნისას გ. III დაუკავშირდა გიორგი *საკაძეს*, რ-საც 1626 ბაზალეთის ბრძოლაში ზემო იმერეთის ლაშქარი მიაშველა. შემდეგ გ. III დაუმოყვრდა *თეიმურაზ I-ს* (1629 მისმა ვაჟმა, ტახტის მემკვიდრე ალექსანდრემ, ცოლად შეირთო თეიმურაზის ასული დარეჯანი, ზურაბ ერისთავის ქვრივი). ამის შემდეგაც ლევან II დადიანი სისტემატურად არბევდა იმერეთის სამეფოს. გ. III-ის დროს იმერეთში ფართო ხასიათი მიიღო ტყვეებით ვაჭრობამ. შექმნილი ვითარებიდან თავის დასაღწევად 1619–22 გ. III-მ სცადა მოეპოვებინა რუს. მეფის მფარველობა, მაგრამ ამ ცდას რეალური შედეგი არ მოჰყოლია. 1632 ქართლის მეფე როსტომთან შესახვედრად მიმავალ ლევან II დადიანს გ. III ჩაუსაფრდა და მისი შეპყრობა განიზრახა, მაგრამ თავისი ხელქვეითების ღალატის გამო გ. III თვითონ ჩაუვარდა ტყვედ დადიანს (ტყვეობაში ორი წელი დაჰყო). გ. III-ის გამოსყიდვა ძვირად დაუჯდათ მის მემკვიდრეებს.

წყარო: გორგიჯანიძე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: კაკაბაძე ს., საქართველოს ისტორია (1500–1810), ტფ., 1922; სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), [ტ.] 1, თბ., 1973.

ო. სოსელია.

გიორგი III (ტაოელი), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახლ. XI ს. 50–60-იან წწ. მეფე *ბაგრატ IV-ის* თანამედროვე. საპატრიარქო ტახტი დაიკავა კათოლიკოს-პატრიარქ *იოანე II-ის* შემდეგ. 1057 შიომღვიმის მონასტრისადმი მეფის მიერ შეწირულების სიგელს გ. III-ის დამტკიცება და ხელრთვაც ახლავს.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გა-



გიორგი III. იმერეთის მეფე. კასტელის ალბომიდან. XVII ს.

მოც., ტ. 1, თბ., 1955; ქართული სამართლის ძეგლები ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1968. *ზ. აბაშიძე.*

გიორგი IV ლაშა (1192 – 18. I. 1223), საქართველოს მეფე 1207–23. თამარ მეფისა და დავით სოსლანის ძე. 1202 თამარმა თანამოსაყდრედ დაისვა და ამ დროიდან მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვასა და ლაშქრობებში. თამარის გარდაცვალების შემდეგ გ. IV ერთპიროვნული მმართველი გახდა.



გიორგი IV. საქართველოს მეფე. ბეთანიის ტაძრის მოხატულობა. დეტალი. XIII ს. დასაწყისი.

იღვწოდა, რომ განემტკიცებინა მეფის ხელისუფლება, შეენარჩუნებინა სახელმწიფოს მთლიანობა და შემოემტკიცებინა ყმადნაფიცი ქვეყნები, რ-ებიც ცდილობდნენ საქართვ. სამეფოს ვასალობისაგან განთავისუფლებას. XIII ს. 10-იან წლებში გ. IV-მ გაილაშქრა ვასალის – განძის ათაბაგის წინააღმდეგ. საქართვ. ლაშქარმა განძას ალყა შემოარტყა. ათაბაგი იძულებული გახდა დამორჩილებოდა გ. IV-ს, განძა კვლავ საქართველოს მოხარკედ დარჩა. იარაღის ძალითვე დაიმორჩილა მან გამდგარი ვასალები – ხლათის, არზრუმისა და ნახჭევანის თურქი მფლობელები. 1220 ან 1221 გ. IV დას. ევრ. ქვეყნებთან ერთად პალესტინაში ჯვაროსნული ლაშქრობისათვის ემზადებოდა იერუსალიმის სელჩუკთაგან გასათავისუფლებლად. მაგრამ ამ დროს საქართვ. საზღვრებს მოულოდნელად მონღოლები მოადგნენ და ეს გეგმა ჩაშალა. გ. IV მონღოლებთან ბრძოლაში (1221 ან 1222) დაიჭრა, დასნეულდა და გარდაიცვალა. სავარაუდოა, რომ დაკრძალეს გელათში.

პირველწყაროები გ. IV-ის შესახებ სხვადასხვა ცნობას გვაწვდიან: ერთნი (ლაშას დროინდელი მემატიანე და სხვ.) მას ახასიათებენ როგორც შესანიშნავ მოღვაწეს, რაინდსა და გონიერ მმართველს, მეორენი (ჟამთააღმწერელი და სხვ.) – როგორც უზნეო და ბეც პოლიტიკოსს. უფრო სანდო პირველი რიგის ცნობებია. გ. IV-ის პოლიტიკა ხშირად იწვევდა დიდგვაროვანთა უკმაყოფილებას და მისი უარყოფითი დახასიათებაც ამ ნიადაგზე უნდა გაჩენილიყო. ჟამთააღმწერელი გ. IV-ს ბრალად სდებს, რომ მან მოიშორა თავისი დედის დროს დაწინაურებული დიდებულები და დაიახლოვა ახალგაზრდები – თანამოსაკენი. ეტყობა, მეფე თავიდან იცილებდა არასასურველ მოხელეებს და მათ ახ. ძალებს უპირისპირებდა. მეფეს ბრალად სდებდნენ, რომ მას კავშირი ჰქონდა თავისუფლად მოაზროვნე რინდებთან (იხ. სტ. *რინდები*), რ-ებიც სუფიზმს იზიარებდნენ, უარყოფდნენ ეკლესიასა და სამღვდელოებას და ღმერთთან ზიარების გზად ექსტაზი და აღმაფრენა მიაჩნდათ. გ. IV თავისუფალი რწმენისა და აზროვნების ადამიანი იყო. მან თანამეცხედრის არჩევასაც პირადი გრძნობა დაუდო საფუძვლად და მეუღლედ დაისვა ველისციხელი აზნაურის ქალი, ხოლო შემდეგ, როცა ეს ქალი დააშორეს, ცოლი აღარ შეურთავს.

წყარო: ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ჟამთააღმწერელი, იქვე, ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII–XIV სს.), თბ., 1962; კეკელიძე კ., ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის, მის წგ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 1, თბ., 1956; კიკნაძე რ., კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის, კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3). *შ. ხანთაძე.*

გიორგი IV, გოჩია, იმერეთის მეფე 1696–97. ბაგრატიონთა იმერეთის შტოს წარმომადგენელი. გამეფებამდე ოდიშში ცხოვრობდა. 1696 იმერეთის თავადებმა *არჩილ II* გადააყენეს და მეფედ გ. IV გამოაცხადეს. მაგრამ იგი მეფობისათვის შეუფერებელი გამოდგა და სამეფოს ფაქტობრივად გიორგი-მალაქია *აბაშიძე* განაგებდა. 1697 თავადებმა გ. IV ტახტიდან გადააყენეს და იმერეთის მეფედ კვლავ არჩილ II დასვეს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბროსე მ., საქართველოს ისტორია, ნაწ. 2, თარგმ. ს. ღლონტი-ძისა, ტფ., 1900; კაკაბაძე ს., საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500–1810), ტფ., 1922.

ო. სოსელია.

გიორგი IV, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XIII ს. 30-იან წლებში. გ. IV, როგორც ჩანს, საკათოლიკოსო ტახტზე უნდა ასულიყო მას შემდეგ, რაც მისი წინამორბედი კათოლიკოს-პატრიარქი და მწიგნობართუხუცესი *არსენი* გადადგა და შიომღვიმეში დამკვიდრდა. გ. IV-ის მიერაა დამტკიცებული *„ვაჰანის ქვაბთა განგება“.*

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970. *ზ. აბაშიძე.*

გიორგი V ბრწყინვალე, საქართველოს მეფე 1318–46, *დემეტრე II* თავდადებულის ძე, აღიზარდა სამცხეში პაპის (დედის მხრივ), *ბექა I* ჯაყელის (მანდატურთუხუცესი) კარზე. აჯანყებულ *დავით VIII-ს* მონღოლებმა ძმები ვახტანგი (შემდეგში *ვახტანგ III*) და მცირეწლოვანი გიორგი დაუპირისპირეს. 1299 გ. V მეფედ აკურთხეს, მაგრამ მისი უფლებები თბილისს არ სცილდებოდა და ამიტომ „თბილისის მეფეს“ უწოდებდნენ. ვახტანგ III-ის გარდაცვალების (1308) შემდეგ გ. V რეალური მეფობის მოპოვებას ცდილობდა, მაგრამ მონღოლებმა მეფედ დავით VIII-ის ვაჟი *გიორგი VI* მცირე დაამტკიცეს და გ. V-ს მისი მეურვეობა დააკისრეს. ამ დროიდან გ. V აქტიურად ერეოდა სახელმწ. პოლიტ. საკითხებში. ჯერ კიდევ ბექა I-ის კარზე ყოფნისას მოიპოვა მონღოლების ნდობა. იგი ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო და

თავდაპირველად მონღოლებთან დაპირისპირებას ფრთხილი და მშვიდობიანი ურთიერთობა ამჯობინა. მეგობრობდა ილხანის მთავარ ვეზირთან – ჩობან-ნოინთან (ეხმარებოდა ოქროს ურდოს წინააღმდეგ ლაშქრობებში, 1314 მონაწილეობდა რუმის სასულთნოში მაჰმუდ-ფარვანეს აჯანყების ჩახშობაშიც). ამ ურთიერთობამ საშუალება მისცა საშინაო მდგომარეობა გამოესწორებინა. 1318-იდან, ახალი ყაენის აბუ საიდის ტახტზე ასვლის შემდეგ, გ. V რეალური ძალაუფლებით გამეფდა. მას სამემკვიდრეოდ პოლიტიკურად დაშლილი ქვეყანა ერგო. ცენტრ. ხელისუფლების გაძლიერების მიზნით ცივის მთაზე სანადიმოდ მიიწვია და ამოხოცა კახეთ-ჰერეთისა და სომხითის ურჩი ერისთავები (დაახლ. 1327–29) და ეს რეგიონები სამეფო ტახტს შემოუმტკიცა. განდევნა (,,განასხნა'') შიდა ქართლში (გორში) ჩამოსახლებული ოსები და აღადგინა შემცირებული ქართული მიწისმფლობელობა. 1329 შემოიერთა ერთიანი სამეფოსაგან გამდგარი დას. საქართველო. 1334, როცა სამცხის მთავარი *სარგის II* ჯაყელი (მეფის ბიძა) გარდაიცვალა, გ. V-მ მთავრად დანიშნა სარგისის შვილი ყვარყვარე, უბოძა ათაბაგობა და ერთგულების ფიცი ჩამოართვა.

XIV ს. 30-იან წლებში გ. V-მ მთიელთა საქმეებიც მოაწესრიგა და ქართლის მთიანეთის მოსახლეობისათვის შეადგინა სამართლის წიგნი ,,*ძეგლის დადება მეფეთმეფის გიორგის მიერ*''. მისი ხელმძღვანელობით სახელმწ. მართვა-გამგეობის დარღვეული წესების აღსადგენად შეიქმნა საკანონმდებლო ძეგლი ,,*გარიგება ქელმწიფის კარისა*''.

გ. V-მ აღკვეთა მტრის თარეში, მოსპო ,,მრავალმეფიანობა'', აღადგინა საქართველოს მთლიანობა. ეს იყო დიდი პოლიტ. მონაპოვარი. დადგა მონღოლთა ბატონობისაგან ქვეყნის გათავისუფლების დრო. ყაზან-ყაენის გარდაცვალების (1304) შემდეგ საილხანოში ანარქია სუფევდა. აბუ საიდ-ყაენის (1317–35) შემდეგ ილხანთა სახელმწიფო დაიშალა. 1335 გ. V-მ მონღოლებს ხარკი შეუწყვიტა და მათი დამსჯელი რაზმიც ადვილად უკუაგდო. მონღოლთა ასწლოვან ბატონობას საქართველოში ბოლო მოეღო, თუმცა 1355-მდე საქართველოში მონეტა მაინც ილხანთა სახელით იჭრებოდა (იხ. სტ. *გიორგაული თეთრი*).

გ. V პარალელურად სხვა ქვეყნებთან დიპლ. მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა. მოაწყო ორი ელჩობა ეგვიპტის სასულთნოში (1316 და 1320). ამის შედეგად ქართველებმა მიიღეს იერუსალიმში თავისუფლად შესვლის უფლება და იერუსალიმსა და სინის მთაზე ქართველთა მონასტრების აღდგენის ნებართვა. გ. V-ს აქტ. კონტაქტები ჰქონდა დას. ევროპასთან: მიმოწერას აწარმოებდა რომის პაპთან, *იოანე XXII-თან.*

ითვალისწინებდა რა საქართველოს როლს მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ვატიკანმა კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა სმირნიდან თბილისში გადმოიტანა. კათოლიკეთა ეპისკოპოსად თბილისში იოანე ფლორენციელი დანიშნა, სოხუმში – პეტრე გერალდი. 1332–33 გ. V-ს ესტუმრნენ ფრანცისკელი მისიონერები – რიკარდო მერჩერი (მერსიე) და ალექსანდრე ინგლისელი. დიპლ. ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთის მეფესთან – ფილიპე VI ვალუასთან. საქართვ. სამეფო კარი მზად იყო ფრანგებთან ერთად 30 ათასი მებრძოლით გაელაშქრა სირია-პალესტინაში ,,წმინდა მიწების'' გამოსახსნელად, მაგრამ ეს ლაშქრობა არ განხორციელდა.

გ. V-მ სცადა ქართველთა გავლენა აღედგინა ტრაპიზონის სამეფოში და მხარი დაუჭირა ტახტისათვის მებრძოლ ანა ხუტლუს, რამაც ერთხანს დაიკავა კიდეც ტახტი (1341), მაგრამ ეს მდგომარეობა მხოლოდ 1343-მდე გაგრძელდა. სამეფოს გაძლიერებისა და ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურებისათვის შთამომავლობამ გ. V-ს ,,ბრწყინვალე'' უწოდა.

წყარო: ჯ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: კ ი კ ნ ა ძ ე ვ., საქართველო XIV საუკუნეში, თბ., 1989; ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, ტ. 1, თბ., 1997; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3).

მ. ხანთაძე.

გიორგი V, იგივე *აბაშიძე* გიორგი-მალაქია, იმერეთის ფაქტობრივი მეფე 1701–07.

გიორგი V, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XIV ს. 80–90-იან წლებში, მეფეების – *ბაგრატ V-ისა* და *გიორგი VII-ის* თანამედროვე. მოღვაწეობდა *თემურლენგის* შემოსევების უმძიმეს პერიოდში, როდესაც მტერმა ცეცხლითა და მახვილით გადაუარა მთელ საქართველოს, ,,...უფროსღა წმინდანი ეკლესიანი და მონასტერნი დააქცინნეს და დაწვეს ცეცხლითა''. გ. V 1393 ამტკიცებს გიორგი VII-ის მცხეთისათვის შეწირულების სიგელს. მოიხსენიება აგრეთვე 1398 ერთ-ერთ საბუთში. 1399 კათოლიკოსად უკვე *ელიოზი* ჩანს.

წყარო: ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება. მეორე ტექსტი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

გიორგი VI მ ც ი რ ე, საქართველოს მეფე 1308–18, *დავით VIII-ის* ძე. ამ პერიოდში, მონღოლთა გამთიშველი პოლიტიკის წყალობით, საქართველოში დამკვიდრდა მრავალმეფობა: 1298 მონღოლებმა დავით VIII-ის საწინააღმდეგოდ გაამეფეს მისი უმცროსი ძმა *ვახტანგ III*, ხოლო შემდეგ – მისი მეორე ძმა *გიორგი V.* ვახტანგის გარდაცვალების (1308) შემდეგ მონღოლებმა გაამეფეს გ. VI მცირე, გიორგი V კი მეურვედ დაუნიშნეს. დავით VIII-ის გარდაცვალების (1310) შემდეგ საქართველოში გაჩნდნენ აგრეთვე პროვინციის მეფეები – *მელქისედეკი,* ანდრონიკე და *დიმიტრი.* დას. საქართველოში კონსტანტინე მეფობდა. ასეთ ვითარებაში გ. VI-ის ხელისუფლების განმტკიცების მიზნით 1314 მონღოლებმა იგი ხელმეორედ დასვეს ტახტზე. როგორც ჩანს, 1318-მდე იგი ერთპიროვნული მმართველია.



გიორგი V ბრწყინვალე. მხატვარი გ. გეგეჭკორი. 1997. საქართველოს პარლამენტი. თბილისი.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ჯ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ასწლოვანი მატიანე, რ. კიკნაძის გამოც., თბ., 1987.

ლიტ.: კ ი კ ნ ა ძ ე ვ., საქართველო XIV საუკუნეში, თბ., 1989; კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი დ., XIV ს. დამდეგის საქართველოს ისტორიიდან, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1982, №1; ო დ ი შ ე ლ ი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV–XVII სს.), კრ.: XIV–XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964.

ჯ. ოდიშელი.

გიორგი VI (გ. III. 1720), იმერეთის მეფე 1703–20 (დროგამოშვებით), *ალექსანდრე IV-ის* ძე. 1703 ოსმალთა დახმარებით გამეფდა, მაგრამ იმერეთს ფაქტობრივად გიორგი-მალაქია *აბაშიძე* განაგებდა, რ-იც ქართ. ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, გიორგი V-დ ითვლება. გ. VI-ს მხარს უჭერდა ქართლის სამეფო სახლი და იმერეთის ფეოდალთა დიდი ნაწილი. 1707 გ.

VI-მ დაამარცხა გიორგი-მალაქია აბაშიძე და დროებით განიმტკიცა მეფობა. 1711 იმერელ ფეოდალთა ერთმა ჯგუფმა ბ. VI გადააყენა და *მამია III გურიელი* გაამეფა. ბ. VI ქართლში გადავიდა ვახტანგ ბატონიშვილთან (იხ. *ვახტანგ VI*), ხოლო შემდეგ – ახალციხეში ფაშისთვის დახმარების სათხოვნელად. 1712 *ჩხარის ბრძოლაში* ბ. VI-მ დაამარცხა მამია III გურიელი და კვლავ გამეფდა, მაგრამ 1713 ურჩმა ფეოდალებმა ისევ მამია გურიელი გაამეფეს. გურიელი მალე გარდაიცვალა (1714) და იგი მისმა შვილმა გიორგიმ შეცვალა. 1714 ოსმალთა დახმარებით ბ. VI-მ ისევ დაიბრუნა ტახტი, მაგრამ 1716 *ბეჟან დადიანმა* და სხვა თავადებმა იგი სვიმონეთის ბრძოლაში ახალციხის ფაშის დახმარებით დაამარცხეს. ბ. VI იძულებული გახდა ჯერ ახალციხეში, ხოლო შემდეგ სტამბოლს წასულიყო. 1719 ოსმალთა დახმარებით ბ. VI კვლავ გამეფდა. ბეჟან დადიანის, შოშიტა III რაჭის ერისთავისა და ზურაბ აბაშიძის წაქეზებით სიმონ აბაშიძემ ბ. VI ნადიმის დროს თავის მსახურებს ვერაგულად მოაკვლევინა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ქ. ჩხატარაიშვილი.

გიორგი VII (გ. 1407), საქართველოს მეფე 1393–1407, *ბაგრატ V-ის* ძე. იმის გამო, რომ საქართვ. სხვადასხვა კუთხეს განაგებდა, მამის სიცოცხლეშივე იხსენიებოდა მეფედ. ბ. VII-ის მეფობა დაემთხვა საქართველოს ძნელბედობას, თემურლენგის შემოსევების ხანას (იხ. *თემურლენგის ლაშქრობანი საქართველოში*). ბ. VII-მ თემურლენგის წინააღმდეგ საბრძოლველად გააერთიანა ამიერკავკ. ხალხები (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვ.), იყენებდა ოქროს ურდოსა და თოხთამიშის დაპირისპირებას თემურლენგთან. ამავე დროს იგი დაუკავშირდა თემურლენგის წინააღმდეგ მებრძოლ აჰმედ ჯალაირს, რ-ის შვილი, თაჰერი, ქართველებმა იხსნეს თემურლენგის მიერ გარშემორტყმული ალინჯის ციხიდან (1399). ბ. VII-მ უარით უპასუხა თემურლენგის მოთხოვნას თაჰერის გადაცემის შესახებ. ამას მოჰყვა საქართველოს მორიგი აოხრება (1400). ბ. VII დას. საქართველოში გადავიდა, ხოლო თაჰერმა ოსმალეთს შეაფარა თავი. თემურლენგსა და ბ. VII-ს შორის 1400 დროებითი, ე. წ. შამქორის ზავი დაიდო: ბ. VII-მ მსუბუქი ხარკი იკისრა, მაგრამ პირობა არ შეასრულა. 1401 თემურლენგმა კვლავ ააოხრა საქართველო. ბ. VII მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა. თემურლენგთან 1403 დადებული ზავი უფრო მძიმე იყო და ხარკთან ერთად სამხ. სამსახურსაც ითვალისწინებდა. თემურლენგის სიკვდილის (1405) შემდეგ ბ. VII აღმ. საქართველოში გადმოვიდა და ციხესიმაგრეებიდან განდევნა თემურლენგის მიერ ჩაყენებული მეციხოვნეები. ბ. VII-ის მეთაურობით ქართველებმა დაამარცხეს თემურიანთა ლაშქარი, დაარბიეს ნახჭევანი, განჯა და თავრიზსაც მიაღწიეს. შემდეგ ქართველებმა ნახჭევანი და განჯა დატოვეს. ეს ქალაქები დაიკავა ბ. VII-ის მოკავშირე შირვანშაჰმა. ბ. VII ებრძოდა აგრეთვე საქართველოში შემოჭრილ ე. წ. შავბატკნიან თურქმანებს (იხ. *ყარა-ყოიუნლუ*). დაილუპა მათ წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., თათართა შემოსევები საქართველოში (ბაგრატ V და გიორგი VI), თბ., 1943; გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII–XIVსს.), თბ., 1962; კ ა ც ი ტ ა ძ ე დ., საქართველო XIV–XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1975; ო დ ი შ ე ლ ი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV–XVII სს.), კრ.: XIV–XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964; ტ ა ბ ა ტ ა ძ ე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV–XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3).

დ. კაციტაძე.

გიორგი VII, იმერეთის მეფე 1741, *გიორგი VI-ისა* და მამია III გურიელის ასულის თამარის ვაჟი. 1741 ბ. VII ოსმალებმა გაამეფეს იმერეთში, მაგრამ იმავე წლის შემოდგომაზე თვითონვე გადააყენეს და ტახტი კვლავ მის ძმას *ალექსანდრე V-ს* დაუბრუნეს. ალექსანდრე გიორგის მომხრეებს სასტიკად გაუსწორდა. ბ. VII ოდიშს წავიდა. შემდეგ, როგორც ჩანს, სოლომონ I-ის დროს, ბ. VII იმერეთში დაბრუნდა, სადაც საბატონიშვილო მამულს ფლობდა. 1772 ცოცხალი ჩანს.

წყარო: გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1962; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ქ. ჩხატარაიშვილი.

გიორგი VIII (კახეთში – გ ი ო რ გ ი I), საქართველოს მეფე 1446–66, კახეთისა – 1466–76. *ალექსანდრე I* დიდის ძე. მისი მეფობის დროს ძირითადად დამთავრდა საქართველოს ერთიანი ფეოდ. მონარქიის სამეფო-სამთავროებად დაშლის ხანგრძლივი პროცესი. თავდაპირველად სამეფოს ჩამოსცილდა სამცხე-საათაბაგო. დას. საქართველოში გამეფების პრეტენზიით გამოვიდა სამოქალაქოს ერისთავი ბაგრატი (იხ. *ბაგრატ VI*), რ-მაც ბ. VIII-ს ომი გამოუცხადა. *ჩიხორის ბრძოლაში* (1463) ბ. VIII დამარცხდა. 1465 სამცხის მთავარმა *ყვარყვარე II* ათაბაგმა ბ. VIII ტყვედ ჩაიგდო. ამით ისარგებლა ბაგრატ VI-მ და 1466 თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა. ტყვეობიდან განთავისუფლებული ბ. VIII იძულებული გახდა კახეთში გადასულიყო. აქედან მიეცა დასაბამი კახეთის ცალკე სამეფოდ გამოყოფას.

ბ. VIII-ის მეფობისას, 1459, ანტიოსმალური კოალიციის მოწყობის მიზნით ევროპაში ელჩობა გაიგზავნა. ქართვ. ელჩები, ნიკოლოზ თბილელის მეთაურობით, ეწვივნენ



გიორგი VIII. მინიატურა. სასისხლო სიგელი ჟურულებისადმი. 1460. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბილისი.

რომის პაპს, საფრ. მეფეს შარლ VII-ს (1422–61), შემდეგ მის შვილს ლუი XI-ს (1461–83), თუმცა უშედეგოდ, რადგანაც ევრ. ქვეყნებმა ოსმალეთთან მორიგება არჩიეს. ბ. VIII-ის ერთ-ერთი ასული ბიზანტ. იმპერატორზე იყო დანიშნული, მაგრამ 1453 თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ ეს გეგმა ჩაშალა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3).

გ. აკოფაშვილი.

გიორგი IX, ქართლის მეფე 1525–27, *კონსტანტინე II-ის* ძე. ტახტზე ავიდა თავისი უფროსი ძმის *დავით X-ის* ბერად აღკვეცის შემდეგ. 1527 (სხვა ცნობით – 1534) დინასტიური ბრძოლის გამო იძულებული გახდა თვითონაც ბერად აღკვეცილიყო და ტახტი დაეთმო თავისი ძმისშვილის *ლუარსაბ I-თვის.*

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ო დ ი შ ე ლ ი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV–XVII სს.), კრ.: XIV–XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964.

დ. კაჭარავა.

გიორგი X (1560–65 შორის – 1606), ქართლის მეფე 1600–06, *სიმონ I-ის* ძე. უფლისწულობაში გ. X ოსმალთა წინააღმდეგ ქართლის 1598–99 აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო. 1599 სათავეში ედგა შიდა ქართლის ჯარს და დავალებული ჰქონდა დაეცვა გორი აჯანყების ჩასაქრობად ქართლში შემოსულ ოსმალთა ლაშქრისაგან. *ნახიდურის ბრძოლაში* (1599) ქართველთა დამარცხებისა და სიმონ I-ის დატყვევების შემდეგ გ. X დაედევნა უკან გაბრუნებულ ოსმალებს, მაგრამ ვერ დაეწია და ქართლში დაბრუნდა. 1601 გ. X-მ ოსმალთაგან გაათავისუფლა ლორე. ირან-ოსმ. 1602–12 ომში გ. X იძულებული იყო ქართლის ლაშქრით ებრძოლა ირანის მხარეზე. 1603–04 მონაწილეობდა ერევნის აღებაში. 1604 აბას I-ის ნებართვით ქართლში დაბრუნდა, რომ სათავეში ჩადგომოდა თბილისსა და ახალციხეში მდგარი ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებას. აბას I-მა გ. X-ს წაართვა ლორე-დებედის ხეობა – საქართვ. უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მხარე სამხრ-ით. გ. X-ის დროს, 1604–05, საფუძველი ჩაეყარა რუსეთისა და ქართლის პოლიტ. ურთიერთობას: მიღწეულ იქნა შეთანხმება, რ-ითაც რუსეთ-ქართლის კავშირი და რუს. მფარველობა უნდა განემტკიცებინა გ. X-ის ასულის ელენესა და თეიმურაზ ბორისის ძე გოდუნოვის ქორწინებას, თუმცა რუს. საშინაო მდგომარეობის გაუარესებამ და პოლონეთ-შვედეთის ინტერვენციის დაწყებამ ეს გეგმა ჩაშალა და ორ ქვეყანას შორის დიპლ. ურთიერთობაც შეწყდა. გ. X. დაკრძალულია მცხეთაში.

წყარო: ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ი ს ქ ა ნ დ ე რ მ უ ნ შ ი ს ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1969; Б е л о к у р о в С. А., Сношения России с Кавказом, в. 1 (1578–1613), М., 1889.

ვ. გუჩუა.

გიორგი XI (გ. 1709), ქართლის მეფე (1676–88, 1703–09), *ვახტანგ V-ის* ძე. 1675 ირანს მიმავალი ვახტანგ V მოულოდნელად ხოშკარში (ირანი) გარდაიცვალა. წასვლის წინ ქართლის გამგებლად მან თავისი მეორე ვაჟი – გიორგი დანიშნა. მეფედ რომ დაემტკიცებინათ, გიორგი ირანში გაიწვიეს,



გიორგი XI. უცნობი მხატვარი. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

მაგრამ ეს საქმე შეაფერხა ირანში აღზრდილმა, ისპაანის ტარუღად მყოფმა გ. XI-ის მომდევნო ძმამ – ალექსანდრემ, რ-საც ქართლის ტახტი თავისთვის სურდა. ამის საწინააღმდეგოდ იმერეთის ტახტისათვის მებრძოლი *არჩილ II* ახალციხიდან სადგერში გადმოვიდა და ქართლის შემომტკიცებას შეუდგა. შაჰმა სულეიმანმა (1666–94) ისევ გიორგი არჩია, მუსლიმანობა მიაღებინა, შაჰნავაზ-ხანი უწოდა და 1677 საქართველოში გამოისტუმრა. გ. XI-ის, ანუ შაჰნავაზ II-ის მეფობა (1676–88) აღინიშნა ქართლში ფეოდალური ანარქიის გამწვავებით, ამასთან, ის მამაზე მეტად იღვწოდა დამოუკიდებლობისა და საქართველოს გაერთიანებისათვის. შაჰს არჩილის ურთიერთობა ახალციხის ფაშასთან საეჭვოდ მიაჩნდა, ამიტომ გ. XI-ს მისი შეპყრობა და ირანში გაგზავნა დაავალა. გ. XI-მ დავალება არ შეასრულა. უფრო მეტიც, ქართლის სპარსოფილი თავადები გაანადგურა და კახეთის დაკავებაც სცადა. ამით უკმაყოფილო შაჰმა გ. XI გადააყენა და მის მაგივრად თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, ახალგამაჰმადიანებული *ერეკლე I* (ნაზარალი-ხანი) დანიშნა (1688–1703). გ. XI-მ თავი იმერეთს შეაფარა და იქიდან შეეცადა ტახტის დაბრუნებას. 1691 ქართლში გადმოვიდა და ოთხი წლის განმავლობაში ებრძოდა ერეკლე I-ს ტახტისათვის, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბოლოს იძულებული გახდა შაჰს დამორჩილებოდა და 1696 ისპაანში გაემგზავრა. ამასობაში შინაპოლიტიკური ვითარება ირანში მკვეთრად გაუარესდა – პროვინციები განკერძოებისაკენ ისწრაფოდნენ. განსაკუთრებით საშიში ვითარება შეიქმნა ავღანეთში. ირანის ახ. შაჰმა ჰუსეინმა (1694–1722) ავღანელთა წინააღმდეგ გამოცდილი მებრძოლისა და მხედართმთავრის გ. XI-ის გამოყენება გადაწყვიტა. მან ქართლის ყოფილი მეფე შემოირიგა და თავისი უფლებები აღუდგინა (1703), თუმცა ირანში დაიტოვა, ირანის სპასალარობა და ყანდაარის ბეგლარბეგობა უბოძა და ავღანელთა დაშოშმინება დაავალა. ქართლში გ. XI-ის თხოვნით მის მოადგილედ ვახტანგ ლევანის ძე გამოგზავნეს. გ. XI-მ ავღანეთში აჯანყება ჩაახშო და დატყვევებული ავღანი ტომების განმათ. ბრძოლის მეთაური მირვეისი ისპაანში გააგზავნა. ამ უკანასკნელმა შეძლო შაჰის კარის მოსყიდვა და უკან ყანდაარში დაბრუნება. მალე გ. XI მირ-ვეისის დაგებულ მახეში გაება – ცბიერმა ყანდაარელმა თავისი ქალიშვილი შესთავაზა ცოლად და ამ მოვლენის აღსანიშნავად გამართულ ნადიმზე მიწვეული სასიძო და მისი ამალა ღალატით ამოხოცა.

ქართლში შექმნილი მძიმე პოლიტ. სიტუაციის მიუხედავად, გ. XI-მ შეძლო თავისი კვალი დაეჩნია ქართ. კულტ. განვითარებისათვის. ცნობილია მისი მუდმივი ზრუნვა ქართ. ხელნაწერთა დაცვა-გამრავლებაზე. მისი დავალებით 1680 მდივანმა ბეგთაბეგ თანიაშვილმა დაამზადა ვეფხისტყაოსნის ძვირფასი ხელნაწერი. მისივე დავალებით იაკობ დუმბაძემ გალექსა ბაგრატ ბატონიშვილის პოლემიკური ნაშრომი მაჰმადიანობის წინააღმ-

დეგ. მანვე შეუკვეთა სულხან-საბა ორბელიანს ქართ. განმარტებითი ლექსიკონის შედგენა.

წყარო: გორგიჯანიძე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», ტფ., 1925, [ტ.] 2; ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV–XVII სს.), [ტ.] 2, თბ., 1965; კაკაბაძე ს., საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500–1810), ტფ., 1922; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. მაისურაძე.

გიორგი XII (10. X. 1746 – 28. XII. 1800), ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე 1798–1800, *ერეკლე II-ის* ძე. ლიტ-რაში ზოგჯერ



გიორგი XII. უცნობი მხატვარი. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

გიორგი XIII-ის სახელითაც იხსენიება. აღიზარდა სამეფო კარზე. XVIII ს. 60-იანი წლებიდან მონაწილეობდა სახელმწ. საქმეებში. 1765 მხარი არ დაუჭირა ერეკლე II-ის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილეთა მკაცრად დასჯას. ეს გამხდარა მამაშვილის უთანხმოების საფუძველი. ამ უკმაყოფილებას კიდევ უფრო ამწვავებდა გ. XII-ის დედინაცვალი დარეჯან დედოფალი, რ-იც გ. XII-ს საკუთარ შვილებს უპირისპირებდა. როცა ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ, 1798 იანვარში, გ. XII გამეფდა, იგი უკვე მძიმე ავადმყოფი იყო. მისი მეფობის დროს ქართლ-კახეთში მეტად რთული საშინაო და საგარეო ვითარება შეიქმნა. გ. XII ზრუნავდა ირანელთა 1795 შემოსევის შედეგად დანგრეული თბილისის აღდგენაზე. მისი ბრძანებით აღწერეს მოსახლეობა და შემოიღეს ფულადი გადასახადი სამეფო სასახლის ასაგებად, მაგრამ შეკრებილი თანხა ეკლესიების კეთილმოწყობაზე დაიხარჯა. გ. XII ცდილობდა ერეკლეს დროინდელი მორიგე ჯარის აღდგენას, ებრძოდა ქვეყანაში შემოჭრილ ირან. წეს-ჩვეულებებს, ფიქრობდა ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივ ერთობაზე (სომხებში მართლმადიდებლური ქრისტიანობის დანერგვით), შეეცადა მოწინააღმდეგე ბატონიშვილთა პარტიის დამორჩილებას და შინაური მოღალატეების ალაგმვას, მაგრამ ვერ შეძლო. საგარეო პოლიტიკაში გ. XII რუსეთთან ურთიერთობის არჩეულ კურსს იცავდა. იგი მოითხოვდა 1783 გეორგიევსკის ტრაქტატის შესრულებას და საქართველოში რუს. ჯარის შემოყვანას, რ-ის დახმარებით ფიქრობდა საშინაო და საგარეო პოლიტ. სიძნელეებიდან თავის დაღწევას. მაგრამ რუს. ჯარის საქართველოში შემოსვლამ (1799 წ. 26 ნოემბ.) ვერ გამოაკეთა ქართლ-კახეთის შერყეული სახელმწიფოებრივი მდგომარეობა. ასეთ ვითარებაში გ. XII დათანხმდა შეეზღუდათ 1783 ტრაქტატით გათვალისწინებული მეფის უფლებანი, ოღონდ მისთვის და მისი შთამომავლებისათვის მეფობა შეენარჩუნებინათ. რუს. მთავრობა ხედავდა ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილ კრიზ. მდგომარეობას და ამ სამეფოს სრული გაუქმებისათვის ხელსაყრელ მომენტს ელოდა. გ. XII-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთმა შეიერთა.

ლიტ.: იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტფ., 1936; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; Дубровин Н., Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ее к России, 2 изд., СПб., 1897; Думбадзе М. К., Из истории борьбы грузинского народа против колониальной политики царизма, «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყ-ბის მოამბე», 1963, №5.

მ. დუმბაძე.

გიორგი აკროპოლიტე (Geōrgios Acropolitēs) (1217, ნიკეა, – 1282 შემდეგ, კონსტანტინოპოლი), ბიზანტიელი დიპლომატი, პოლიტიკური მოღვაწე და ისტორიკოსი. განათლება მიიღო ნიკეის სამეფო კარზე. ნიკეის იმპერიის ტახტის მემკვიდრის თეოდორე II ლასკარისის მასწავლებელი და მრჩეველი. 1246-იდან იყო ნიკეის, შემდეგ კი – კონსტანტინოპოლის კარზე დიდი ლოგოთეტი. 1240–50 მონაწილეობდა ბულგარეთისა და ეპირის დესპოტატის წინააღმდეგ გამართულ ომებში. 1282 ტრაპიზონში ელჩად გაგზავნეს. საყურადღებო ცნობას გვაწვდის *ტრაპიზონის იმპერიის* დამაარსებლებზე – ალექსი და დავით კომნენოსებზე. გ. ა-ს ძირითადი ნაშრომია ,,ქრონიკა'', რ-იც ნიკიტა ქონიატეს ,,ისტორიის'' გაგრძელებაა. მასში აღწერილია 1204–61 ამბები. არის აგრეთვე პოემების, რიტორიკული და თეოლ. თხზულებების ავტორი.

თხზ.: Opera, rec. A. Heisenberg, v.1, Lipsiae, 1903; Летопись... სერიაში: Византийские историки, переведенные с греческого..., СПб., 1863.

ლიტ.: გამყრელიძე ა., გიორგი აკროპოლიტესი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 31.

ნ. ლომოური.

გიორგი ალასტანელი (გ. 6. VIII. 1373), ,,*პროვინციის მეფე*'', ძე ანდრონიკე ,,პროვინციის მეფისა'', დავით VIII-ის შვილიშვილი. საქართველოს ცენტრ. ხელისუფლების დასუსტებასთან ერთად ალასტანელი უფლისწულები (იხ. სტ. *ალასტანელები*) ,,გახელმწიფებას'' ცდილობდნენ და ,,პროვინციის მეფეებად'' იქცნენ. გ. ა-ს, როგორც ჩანს, საქართვ. სამეფო კართან უკმაყოფილება არ ჰქონია. დაილუპა თურქ დამპყრობლებთან ბრძოლაში. 1433 მეფე *ალექსანდრე I* დიდის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლისთვის გადაცემული შეწირულების წიგნიდან ვიგებთ, რომ კათოლიკოს თეოდორეს თურქთაგან გ. ა-ის მოწამებრივი სიკვდილის მაგალითით ჯარი გაუმხნევებია [,,ამა უსჯულოთა (აგარის) ნათესავთა ანდრონიკეს შვილი ალასტანელი გიორგი მოუკლავს და მრავალნი ქრისტიანენნი წამებითა აღუსრულებიან''].

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; კაკაბაძე ს., მეფე გიორგი, ანდრონიკეს შვილი ალასტანელი, მის წგ.: წვრილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, ტფ., 1914; ნინიძე დ., ,,პროვინციის მეფეები'' XIV–XV საუკუნეების საქართველოში, თბ., 1995; ოდიშელი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV–XVII სს.), კრ.: XIV–XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964.

ჯ. ოდიშელი.

გიორგი ალექსანდრეს ძე (27. IV. 1871, ცარსკოე-სელო, – 28. VI. 1899, აბასთუმანი), რუსეთის იმპერიის მემკვიდრე უფლისწული (1894–99) და დიდი მთავარი. იმპერატორ *ალექსანდრე III-ის* ვაჟი. *ნიკოლოზ II-ის* უმცროსი ძმა. 1892-

იდან ტუბერკულოზით დაავადებული ახალგაზრდა **ბ. ა.** *კურორტ აბასთუმანში* დასახლდა, სადაც საკუთარი სახსრებით აიშენა ხის საზაფხულო სასახლე მაღალმხატვრული ინტერიერითა და წითელი ხისგან დამზადებული ავეჯით. 90-იანი წლების მეორე ნახევარში მისივე ინიციატივით იქვე აშენდა ქვის სასახლე. იმპ. ალექსანდრე III-ის დავალებით აბასთუმანში 1893–95 მიიწვიეს გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი ვ. ო. კლიუჩევსკი, რ-იც დიდ მთავარს რუსეთისა და კავკასიის ისტ. კურსს უკითხავდა. სამხრ. საქართველოში ერთ-ერთი მოგზაურობისას **ბ. ა.** აღფრთოვანებულა ზარზმის ეკლესიით და გადაუწყვეტია საკუთარი ხარჯებით მსგავსი ეკლესიის (მომცრო ზომის) აგება აბასთუმანშიც. 1895–98 აბასთუმნის ცენტრში, მდ. ოძრხეს ნაპირას, თბილისში მოღვაწე ცნობილი ხუროთმოძღვრის ო. *სიმონსონის* პროექტით აიგო წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესია და სამრეკლო, რ-იც ახ. ზარზმის ეკლესიის სახელითაც არის ცნობილი.

ბ. ა. ადრეული ასაკიდან გატაცებული ყოფილა ასტრონომიით, რაც აბასთუმანში მისი ყოფნის დროს უფრო გაცხოველებულა. 1892 მაისში მან მოიწვია ცნობილი ასტრონომი ს. *გლაზენაპი*. **ბ. ა.**-მ მასთან ერთად შეარჩია ხელსაყრელი ადგილი და საკუთარი ხარჯებით ააშენა იმპერიაში პირველი სამთო ასტრონ. კოშკი (ე. წ. ,,გიორგისეული''), სადაც დადგა მცირე ზომის ტელესკოპი (1932 აშენებული საქვეყნოდ ცნობილი *აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის* წინამორბედი). **ბ. ა.** უეცრად გარდაიცვალა აბასთუმანში მოპედით სეირნობისას. დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგის პეტრე-პავლეს ეკლესიაში, მამამისის სარკოფაგის გვერდით.

წყარო: „Правительственный Вестник“, 1899, №142, 146, 150, 152; Кавказский календарь на 1900 год, Тфл.,1899.

ლიტ.: ს ა ლ უ ქ ვ ა ძ ე გ., აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დაარსების ისტორიისათვის, «აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტენი», 2008, № 78; Б а р а т а ш в и л и К., Любовь и сердце цесаревича, «Русский клуб», 2009, №11.

გ. გ. ლორთქიფანიძე.

გიორგი ამარტოლი (Geōrgios Amartōlos), გ ი ო რ გ ი მ ო ნ ა ზ ო ნ ი, IX ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი. არის ავტორი ,,ქრონოგრაფიისა'', რ-შიც გადმოცემულია მსოფლიო ისტორია დასაბამიდან 842 წლამდე. ნაშრომი დასრულებულია დაახლ. 867. ნაშრომის სამმა რედაქციამ (ვრცელი, საშუალო და მოკლე) ჩვენამდე მოაღწია 27 ხელნაწერის სახით. მათგან ზოგი წარმოადგენს **გ. ა**-ის შრომის გაგრძელებას 1142 წლამდეც კი. ,,ქრონოგრაფიის'' ოთხი წიგნის დასაწერად **გ. ა**-მა გამოიყენა ანტ. და ბიზანტ. საისტორიო თხზულებები, მტრულად იყო განწყობილი ხატმებრძოლთა მიმართ. ,,ქრონოგრაფია'' მეტად პოპულარული იყო, როგორც ბიზანტ. ისტ. სახელმძღვანელო. ძველთაგანვე ითარგმნა იგი სხვა ენებზე. ცნობილია ,,ქრონოგრაფიის'' ბულგ., სლავური და სერბულ-სლავური რედაქციები. ქართულად ,,ქრონოგრაფია'' თარგმნა არსენ იყალთოელმა XII ს. დასაწყისში. არსენის თარგმანი მისდევს უძველეს ხელნაწერებში შემორჩენილ რედაქციას, ამავე დროს იგი ორიგინალის ზოგიერთი ადგილის დაზუსტების, შევსებისა და ახლებურად წაკითხვის საშუალებას იძლევა. ამ თვალსაზრისით ქართ. თარგმანი მეტად მნიშვნელოვანია. არსენის თარგმანი შედგება 9 წიგნისაგან და წყდება ბიზანტიის იმპერატორ თეოდოსიუს II-ის (401–450) მეფობამდე. არსენს თარგმნა დაუწყია მანგანის აკადემიაში. ამ დროს იგი პლატონის ზეგავლენას განიცდიდა, რაც მის ,,ქრონოგრაფიაშიც'' აისახა. შემდეგ არსენის შეხედულება პლატონის ფილოსოფიასა და ნეოპლატონიზმზე მკვეთრად შეიცვალა. როგორც ფიქრობენ, ამის გამო მან აღარ დაასრულა ,,ქრონოგრაფიის'' თარგმნა.

თხზ.: Georgii Monachi chronicon, ed. C. de Boor, v. 1–2, Lipsiae, 1904; [წგ.]: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, ნაკვ. 2, თბ., 1952.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული თარგმანი გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფიისა (ისტორიულ-ლიტერატურული შენიშვნები), მის წგ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1956; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფიის ქართული თარგმანები, ნაწ. 2. გამოკვლევა, თბ., 1926; მ ი ს ი ვ ე, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3 – ბიზანტიური პერიოდის ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973.

რ. მიმინოშვილი.

გიორგი არაგვის ერისთავი (გ. 1723), ერისთავი 1688–96, 1703–23; ოთარ არაგვის ერისთავის ძე. 1688 **გ. ა. ე.** *ერეკლე I-ს* მიემხრო *გიორგი XI-ის* წინააღმდეგ ბრძოლაში; ამის გამო გიორგი მეფის ლაშქარი არაგვის საერისთავოში შეიჭრა, აიღო და გადაწვა დუშეთი, მისი შემოგარენიც, მაგრამ თვითონაც დიდად დაზარალდა და იძულებული გახდა საერისთავოდან გამოსულიყო. 1691 **გ. ა. ე.** გიორგი XI-ს მიემხრო, რის პასუხადაც ერეკლე I-მა არაგვის საერისთავო დაარბია. 1695 ერეკლემ ირანელთა დამხმარე ჯარით გიორგი XI და **გ. ა. ე.** დაამარცხა. ეს უკანასკნელი ჯერ იმერეთში, შემდეგ დავალეთში გადავიდა, სადაც მისმა ვასალებმა შეიპყრეს და ერეკლე I-ს მიჰგვარეს. ერეკლემ **გ. ა. ე.** ირანში გაგზავნა (1695), სადაც 1703-მდე დაჰყო. ირანში მყოფი გიორგი XI-ის შუამდგომლობით **გ. ა. ე.** საქართველოში დააბრუნეს და კვლავ არაგვის ერისთავად დანიშნეს. ერთხანს იგი *ვახტანგ VI-ის* ერთგული იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვახტანგი გაძლიერდა, გადაუდგა მას და დათუნა ქსნის ერისთავთან ერთად შაჰს ვახტანგის გადაყენება და იასეს მეფედ დასმა სთხოვა. შემდეგ **გ. ა. ე.** შეურიგდა ვახტანგს, მაგრამ 1723, როცა კახეთის ხანმა *კონსტანტინე II-მ* თბილისი აიღო და დაარბია, კვლავ განუდგა ვახტანგს და კონსტანტინეს მიემხრო, რის გამოც *ბაქარმა* **გ. ა. ე.** (თავისი სიმამრი) შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.

გ. ჯამბურია.

გიორგი ბატონიშვილი (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (დაახლ. 1570–12. III. 1605), კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, ალექსანდრე II-ის მესამე ვაჟი. 1601, როცა მისმა ძმამ დავითმა (იხ. *დავით I*, კახეთის მეფე) მამის ტახტი მიიტაცა, **გ. ბ.** დავითის წინააღმდეგ გამოვიდა. დავითმა შერიგების მიზნით **გ. ბ**-ს საუფლისწულო უბოძა. 1602 **გ. ბ**-მა და მისმა მომხრე თავადებმა შეთქმულება მოაწყვეს დავითის წინააღმდეგ. შეთქმულება გამჟღავნდა. **გ. ბ.** მცხეთის კათოლიკოსმა შეიფარა, მაგრამ ქართლის მეფემ – *გიორგი X-მ* იგი დავითს გადასცა, მან კი საპყრობილეში ჩასვა. დავითის გარდაცვალებისა და ალექსანდრე II-ის ხელახლა გამეფების შემდეგ მამამ **გ. ბ.** ციხიდან გაათავისუფლა. 1604 დასაწყისიდან 1605 მარტამდე, ალექსანდრე II-ის ირანში ყოფნის დროს, **გ. ბ.** კახეთს განაგებდა. 1604 აგვ-ში მან რუს. ხელმწიფის ელჩები მიიღო. 1604 ოქტ-ში დაა-

მარცხა ქ. ძეგამში სალაშქროდ მიმავალი განჯა-შემახის ხანები. ამ ლაშქრობაში გიორგის ახლდა 40 მეთოფისაგან შემდგარი რუსთა ელჩების მცველი რაზმი. 1605 წ. 1 იანვ. გ. ბ-მა დარბაზის წევრებთან ერთად რუს. ხელმწიფის ერთგულების ფიცი მიიღო. იგი მამასთან ერთად ძეგამში მოკლა საკუთარმა ძმამ – *კონსტანტინე I-მა.*

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *გ. ჯამბურია.*

გიორგი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (2. VIII. 1712, თბილისი, – 19. XII. 1786, მოსკოვი), მოსკოვის ქართული ახალშენის მეთაური, *ვახტანგ VI-ის* ძე. რუს. იმპერიის არმიის გენერალ-ანშეფი, მცენატი, ქველმოქმედი. 1724 მშობლებთან და ოჯახის სხვა წევრებთან ერთად რუსეთში გაემგზავრა. მამამ იგი პეტერბურგის საიმპერატორო კარზე გაგზავნა, სადაც დაეუფლა რუს., გერმ. და ფრანგ. ენებს. აქ შეისწავლა ფილოსოფია, ისტორია, სამხ. ხელოვნება. წერდა ლექსებსაც. გ. ბ. რუსეთ-შვედეთის ომის (1741–43) დროს მეთაურობდა ესკადრას. თავი გამოიჩინა რაინის კამპანიაში (1747–48), შვიდწლიან ომში (1756–63). *ბაქარის* გარდაცვალების შემდეგ (1750) გ. ბ. მოსკ. ქართ. ახალშენის ფაქტობრივი მეთაური გახდა და აქ დიდი სამშ. საქმიანობა გაშალა. პრესნიაზე, ქართ. დასახლებაში, მთავარმოწამე წმ. გიორგის საყდარი ააგო. შემდეგ შეიძინა სხვა მამულები და გააფართოვა სამეურნ. საქმიანობა მოსკ. მაზრაში, ასტრახანში, ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში. მოსკოვში მოაწყო მდიდარი ბ-კა. მის სასახლეში თავს იყრიდნენ ქართვ., რუსი და ევრ. მოღვაწენი. სამშობლოში პერიოდულად გზავნიდა საეკლ. ინვენტარს და სხვ. საჩუქრებს. გ. ბ-ს ახლო და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა მოსკ. უნ-ტის მესვეურებთან, 1785 უნ-ტს შესწირა 10 ათ. მანეთი (ოქროთი). ამის აღსანიშნავად უნ-ტის შენობაში 100 წელზე მეტხანს გამოკრული იყო მისი მოსახსენიებელი დაფა. დაკრძალულია მოსკ. ქართველთა ნეკროპოლში – *დონის მონასტერში.*

გ. ბ. დაჯილდოებული იყო წმ. ალექსანდრე ნეველის, წმ. ანას I ხარისხისა და წმ. ნინოს (პორტუგალია) ორდენებით.

ლიტ.: რუხაძე ტ., ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI–XVIII სს.), თბ., 1960; სიხარულიძე ფ., ქართული კულტურის კერის შექმნა მოსკოვში, «ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში», 1968, №2; ყუბანეიშვილი ს., დავით გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში, თბ., 1955; Джавахишвили Н., Грузины под Российским флагом, Тб., 2002. *ფ. სიხარულიძე.*

გიორგი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1778–1807), იმერეთის მეფის *სოლომონ I-ის* შვილიშვილი, *ალექსანდრე ბატონიშვილის* უკანონო შვილი. უმემკვიდროდ დარჩენილი სოლომონ I გ. ბ-ს იმერეთის ტახტის მემკვიდრედ ზრდიდა, მაგრამ სოლომონის გარდაცვალების (1784) შემდეგ იმერეთის დიდებულებმა ისარგებლეს გ. ბ-ის მცირეწლოვნებით და იმერეთის ტახტზე დავით გიორგის ძე (*დავით II*) დასვეს (1785). 1789 იმერეთში გამეფებულმა *სოლომონ II-მ* გ. ბ., როგორც ტახტის პრეტენდენტი, მუხურის ციხეში ჩასვა (1795). 1806 წ. 15 ოქტ. გ. ბ-მა მოახერხა ციხიდან გაქცევა და თავი რუსეთს შეაფარა. სიცოცხლის ბოლო წლები მოსკოვში გაატარა. ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებში აღწერს მუხურის ციხეში ყოფნის წლებს, იქიდან გამოპარვას; ღრმა სინანულს გამოთქვამს იმერეთის ტახტის დაკარგვის გამო.

გ. ბ-ს ჰყავდა ორი ვაჟი: ალექსანდრე (გენ.-ლეიტენანტი) და დიმიტრი ბაგრატიონები (გენ.-მაიორი), რ-ებიც რუს. არმიაში მოღვაწეობდნენ.

წყარო: Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. 3, Тфл., 1869.

ლიტ.: ჟორდანია თ., თავგადასავალი იმერთა მეფის სოლომონ დიდის შვილისშვილის ბატონიშვილის გიორგისა, «მოამბე», 1900, №5.

ო. სოსელია.

გიორგი ბარწყინვალის სამართალი, სამართლის წიგნი, რ-იც 1335 *გიორგი V-მ* საგანგებოდ მთიულეთისათვის შეადგინა. იხ. *„ძეგლის დადება მეფეთმეფის გიორგის მიერ“.*

გიორგი I გურიელი (გ. 1512), გურიის მთავარი 1483–1512, *კახაბერ I გურიელის* ძე. ისარგებლა რა იმერეთში ოსმალთა შემოსევით, უარი თქვა იმერთა მეფის მორჩილებაზე. XVI ს. დასაწყისში მოიგერია ოსმალთა შემოსევა ჭანეთის ჩრდ. ნაწილში, რ-იც მაშინ გურიის სამთავროში შედიოდა. 1511 სამცხის ათაბაგ მზეჭაბუკთან ბრძოლაში დაკარგა აჭარა და ჭანეთი.

ლიტ. იხ. სტ-თან გიორგი V გურიელი. *ქ. ჩხატარაიშვილი.*

გიორგი II გურიელი (გ. 1600), გურიის მთავარი 1566–83 და 1587–1600, *როსტომ გურიელის* ძე. მის დროს გურიის სამთავრომ შეიერთა საჯავახოს ნაწილი, ე. წ. „გურიის საჯავახო“. ირან-ოსმალეთის 1578–90 ომის დროს, 1581, გ. II გ. იძულებული გახდა ოსმალებს დამორჩილებოდა და იმერეთის მეფესთან ერთად ქართლი დაელაშქრა. 1583 *მამია IV დადიანის* მიერ დამარცხებული გ. II გ. სტამბოლში გაიქცა. 1587 ოსმალთა ჯარის შემწეობით კვლავ გაბატონდა.

ლიტ. იხ. სტ-თან გიორგი V გურიელი. *ქ. ჩხატარაიშვილი.*

გიორგი III გურიელი (გ. 1684), გურიის მთავარი 1664–84, იმერეთის მეფე 1681–83, *ქაიხოსრო I გურიელის* ძე. აქტიურად მონაწილეობდა დას. საქართველოს ფეოდ. შინაომებში. სამთავრო შეინარჩუნა ოსმ. მოხარკეობის ფასად. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ახალციხის ფაშასთან. საეკლ. საქმეებში დას. საქართვ. კათოლიკოსის ნების შემსრულებელი იყო. 1681 ისარგებლა იმით, რომ ახლად გარდაცვლილი იმერეთის მეფის – ბაგრატ IV-ის – შვილი მძევლად იყო ქართლში და დაიპყრო იმერეთის სამეფო ტახტი. 1683 სულთნის ბრძანებით მეფობიდან გადააყენეს. მეფობის დაკარგვის შემდეგ შექმნა დას. საქართვ. კათოლიკოსის ნების შემსრულებელი იყო. 1681 ისარგებლა იმით, რომ ახლად გარდაცვლილი იმერეთის მეფის – ბაგრატ IV-ის – შვილი მძევლად იყო ქართლში და დაიპყრო იმერეთის სამეფო ტახტი. 1683 სულთნის ბრძანებით მეფობიდან გადააყენეს. მეფობის დაკარგვის შემდეგ შექმნა დას. საქართვ. მთავართა და მსხვილ ფეოდალთა კოალიცია იმერეთის მეფის *ალექსანდრე IV-ის* წინააღმდეგ, მაგრამ *როკითის ბრძოლაში 1684* დაიღუპა.

ლიტ. იხ. სტ-თან გიორგი V გურიელი. *ქ. ჩხატარაიშვილი.*

გიორგი IV გურიელი, გურიის მთავარი 1711–26 (დროგამოშვებით), *მამია III გურიელის* ძე. 1711 გურიელად დასვა მამამისმა, რ-იც მაშინ იმერეთის მეფე იყო. 1712–14 ტახტი წაართვა ძმამ – *ლევან გურიელმა.* 1716 გიორგი იმერეთში გაამეფა ჯარით შემოსულმა ახალციხის ფაშამ, მაგრამ მალე იძულებული გახდა გურიაში დაბრუნებულიყო. 1717 გააძევა ძმამ – *ქაიხოსრო III გურიელმა,* თუმცა ოსმალთა დახმარებით ტახტი მალევე დაიბრუნა. იმავე წელს (1717) *ბეჟან დადიანმა* გააძევა სამთავროდან. ამჯერადაც მაშინვე შეძლო ძალაუფლების აღდგენა. გ. IV გ-ს ახლო კავშირი ჰქონდა *ვახტანგ VI-თან* და მისი შემწეობით ცდილობდა ოსმალთა მიერ მიტაცებული ბათუმ-ჩაქვის მხარეთა დაბრუნებას. მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. 1723 ოსმალებმა დაიკავეს ციხისძირის, ქობულეთის, შეკვეთილის, სეფისა

და გრიგოლეთის ციხეები და გურია ზღვას მოსწყვიტეს.

ლიტ. იხ. სტ-თან გიორგი V გურიელი. *ქ. ჩხატარაიშვილი.*

გიორგი V გურიელი, გურიის მთავარი 1756–58, 1765–71 და 1776–88, *გიორგი IV გურიელის* ძე. მთავრობდა ოსმალთა ხელშეწყობით. რუს.-ოსმ. 1768–74 ომის დასაწყისში ნეიტრალური პოზიცია დაიკავა; 1771 წ. 3 იანვარს ფოთთან ოსმალთა დამარცხების შემდეგ ჩაება მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. იმავე წლის იანვარში *სოლომონ I-მა* გურიაში ილაშქრა, გ. V გ. გადააყენა და გურიელად კვლავ მამია IV დასვა. რთული საგარეო ვითარების გამო გ. V გ. იძულებული იყო ორმაგი პოლიტიკა ეწარმოებინა: კარგი ურთიერთობა ჰქონდა როგორც ოსმალეთთან, ისე იმერეთის სამეფოსა და რუსეთთან. 1784 მარტში ბათუმისკენ სალაშქროდ მიმავალ სოლომონ I-ს თან ახლდა გურიის ლაშქარი. ამ ლაშქრობის შემდეგ გურიის სამთავრომ საბოლოოდ დაკარგა ქობულეთის მხარე. გ. V გ. ცდილობდა რუსეთთან დაკავშირებას, მაგრამ უშედეგოდ. 1788 ღრმად მოხუცი გ. V გ. შინაური არეულობის გამო იძულებული გახდა გურიელობა უფროსი ვაჟისთვის, სიმონისთვის დაეთმო.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; სოსელია ო., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 30; ჩხატარაიშვილი ქ., გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1985.

ქ. ჩხატარაიშვილი.

გიორგი I დადიანი (გ. 1323), ოდიშის (სამეგრელო) ერისთავი, ბედან *დადიანის* ძე. პირველად 1293 იხსენიება ოდიშის ერისთავად, თუმცა როდის მიიღო ეს ტიტული, უცნობია. იგი აქტიურად მონაწილეობდა შინაფეოდ. ომებში, რ-იც დას. საქართველოში დაიწყო *დავით VI* ნარინის გარდაცვალების შემდეგ.

გ. I დ-ის დროს ოდიშის საერისთავოში აიგო ხობის ტაძარი. იგი ეკლესიით ხელში გამოსახულია ამ ტაძრის ჩრდ. კედელზე შესაბამისი წარწერით, რ-ის მიხედვით ირკვევა, რომ გ. I დ. ატარებდა *მანდატურთუხუცესის* ტიტულს. მოხსენიებულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ორ აღაპში.

გ. I დ-მა ოდიშის საერისთავოს ცხუმის საერისთავო მიუერთა და ოდიშის საერისთავოს დას. საზღვარი მდ. კოდორიდან ანაკოფიის წყლამდე (დღევანდ. მდ. ფსირცხა) გადაიტანა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბერაძე თ., ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1967, [ტ.] 3; გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII–XIV სს.), თბ., 1962; მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941; სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, ილ. ანთელავას საერთო რედ., თბ., 1999. *თ. ბერაძე.*

გიორგი II დადიანი, ოდიშის (სამეგრელო) ერისთავი 1345–84. ჰქონდა *მანდატურთუხუცესის* ტიტული. გ. II დ-ს, საკუთრივ ოდიშის საერისთავოს გარდა, ემორჩილებოდა *გურიის საერისთავო* და სვანეთის საერისთავოს ერთი ნაწილი (ბალს ქვემო სვანეთი). მისი ვაჟით, კახაბერით, დაიწყო გურიის საერისთავოს ბოლო დინასტია (იხ. *კახაბერ I გურიელი*).

გ. II დ-ს დიდი წვლილი მიუძღვის ბედიის სამონასტრო კომპლექსის განახლებაში. მისი ფრესკა მეუღლესთან, დედოფალ მარეხთან ერთად, გამოსახულია ამ ტაძრის ჩრდ. კედელზე. დიდი ღვაწლი დასდო ასევე იერუსალიმის ჯვრის მონასტერს. დაკრძალულია ხობის მონასტერში.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ. 2, ტფ., 1914; სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, ილ. ანთელავას საერთო რედ., თბ., 1999. *თ. ბერაძე.*

გიორგი III დადიანი (გ. 1582), ოდიშის (სამეგრელო) მთავარი 1572–73, 1578–82, *ლევან I დადიანის* ძე. მუდმივი მტრობა ჰქონდა გურიის მთავართან. 1573 *გიორგი II გურიელის* დახმარებით ტახტი წაართვა ძმამ – მამიამ (*მამია IV დადიანი*). გ. III დ. აფხაზეთში გაიქცა და შეცადა აფხაზთა, ჯიქთა და ჩერქეზთა დახმარებით ტახტი დაებრუნებინა, მაგრამ კვლავ დამარცხდა. 1578 იგი იმერეთის მეფის *გიორგი III-ის* დახმარებით შეურიგდა ძმას, გურიელს და ტახტი დაიბრუნა.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., ნაწ. 2, ტფ., 1913.

ლიტ.: გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII–XIV სს.), თბ., 1962.

თ. ბერაძე.

გიორგი IV დადიანი, ოდიშის (სამეგრელო) ფაქტობრივი გამგებელი XVIII ს. დასაწყისიდან 1714-მდე, კაცია ჩიქოვანის ძე. 1681 სალიპარტიანოს მფლობელი გახდა. ატარებდა ლიპარტიანის ტიტულს. 1684-იდან, როცა *გიორგი III გურიელი* (რ-იც 1681–83 იმერეთის მეფე იყო) *როკითის ბრძოლაში* დაიღუპა, გ. IV დ-მა ოდიშის მთავრად ლევან III დადიანის უკანონო შვილი ლევანი (იხ. *ლევან IV დადიანი*) დასვა და 1690-იდან სამთავროს ფაქტობრივი გამგებელი თვითონ გახდა. გ. IV დ. დაუახლოვდა გიორგი-მალაქია *აბაშიძეს,* გააძევა ლევან IV დადიანი და დამოუკიდებლად შეუდგა სამთავროს მართვას. გ. IV დ-ის წინააღმდეგ გამოვიდა *მამია III გურიელი*, რ-საც ოსმ. სულთანმა დადიანობა და ოდიში უბოძა, მაგრამ იგი ოდიშში ვერ გაბატონდა. გ. IV დ-ის პოზიციები განსაკუთრებით გაძლიერდა 1701-იდან, როცა მან ცოლად შეირთო გიორგი-მალაქია აბაშიძის ასული თამარი. 1707 შემდეგ გ. IV დ-ს საკუთარი შვილები დაუპირისპირდნენ, იმერეთის მეფის დახმარებით მცირე ხნით მთავარი გახდა მისი ძე კაცია. კაციას გარდაცვალების (დაახლ. 1710) შემდეგ გ. IV დ-მა კვლავ დაიბრუნა დადიანობა. მან შეაჩერა აფხაზ ფეოდალთა შემოსევები, თუმცა ვერ მოახერხა ოდიშის ჩრდ.-დას. ნაწილის მთლიანად დაბრუნება. სამთავროს საზღვრები ღალიძგამდე გააფართოვა. გ. IV დ-ის დროს ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შევიდა ლეჩხუმი.

ლიტ.: ბერაძე თ., ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1964, [ტ.] 2; მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941; ჩხატარაიშვილი ქ., საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან (XVIII ს. პირველი მეოთხედი), კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, [ტ.] 2, თბ., 1972.

თ. ბერაძე.

გიორგი დოდიში, XII ს. კალიგრაფი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხუცესმონაზონი. 1156 გადაწერა სვინაქსარი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H–1661). ხელნაწერი შესრულებულია ნუსხურით, ერთ სვეტად, წვრილი, ლამაზი, თანაბარი ასოებით. უხვადაა გამო-

ყენებული სინგური (საზედაო ასოები, ცალკეული სტრიქონები), რაც ფურცლებს დეკორ. და სადღესასწაულო იერს ანიჭებს. წიგნის დასაწყისში გამოსახულია ქართულ-ორნამენტებიან თაღოვან ჩარჩოში ჩასმული ჯვარი, ბოლოში მოხსენიებულია გადამწერის სახელი. გ. დ. მიეკუთვნება შუა საუკ. ცნობილ ქართვ. კალიგრაფთა რიცხვს.

ვ. ბერიძე.

გიორგი ერისთავის თეატრი, ქართული პროფესიული თეატრი (1850–56), ეროვნული რეალისტური თეატრ. ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვანი კერა. დააარსა და მისი იდეური, შემოქმედებითი მრწამსი განსაზღვრა პოეტმა და დრამატურგმა გ. *ერისთავმა.* პირველი წარმოდგენა გაიმართა 1850 წ. 2(14) იანვ. თბილ. I გიმნაზიის სააქტო დარბაზში სცენისმოყვარეთა ძალებით, გ. ერისთავის რეჟისორობითა და მონაწილეობით. წარმოადგინეს მისივე პიესა ,,გაყრა‘‘. ეს თარიღი XIX ს. 80-იანი წლებიდან აღინიშნება, როგორც ქართ. თეატრის დღე. 1851 თბილისში მუშაობა დაიწყო გ. ერისთავის მიერ ჩამოყალიბებულმა პირველმა პროფ. დასმა. მასში შედიოდნენ მსახიობები: ნ. უზნაძე, გ. დვანაძე, გ. ტატიშვილი, ი. ელიოზიშვილი, რჩეულიშვილი, გ. ჯაფარიძე, გ. კორძაია, ზ. ანტონოვი და სხვ. თეატრთან მუდმივად თანამშრომლობდნენ საზ. მოღვაწეები და მწერლები: მ. თუმანიშვილი, ი. კერესელიძე და სხვ. იდგმებოდა გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, ა. მეიფარიანის, გ. ჯაფარიძისა და სხვათა ორიგინ., აგრეთვე თარგმნილი და გადმოკეთებული პიესები. მეფის მთავრობამ დასს ყოველწლიური ფულადი დახმარება დაუნიშნა, რადგან ვარაუდობდა, რომ იგი ცარიზმის ინტერესებს დაექვემდებარებოდა, მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ თეატრი ეროვნულ იდეებს ქადაგებდა და ბატონყმობის წინააღმდეგაც გამოდიოდა, დაიწყო მისი შევიწროება. 1854 გ. ერისთავი იძულებული გახდა თეატრისათვის თავი დაენებებინა. თეატრი დაიხურა 1856.

ლიტ.: გერსამია ს., გიორგი ერისთავის თეატრი, თბ., 1950; გუნია ვ., ქართული თეატრი (1879–1889), თბ., 1889; Бухникашвили Г. В., Театр Георгия Эристави, Тб., 1947.

გ. ბუხნიკაშვილი.

გიორგი კედრენე (Geōrgios ho Kedrēnos), XI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი. მისი თხზულება ,,ისტორიული მიმოხილვა‘‘ წარმოადგენს მსოფლიო ისტორიას ქვეყნის დასაბამიდან 1059-მდე, იგი კომპილაციური ხასიათისაა. გ. კ-ს საინტერესო ცნობები აქვს ქართველების შესახებ. აღწერს ლაზიკის ურთიერთობას ბიზანტიასა და ირანთან VI ს-ში; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია X–XI სს-ის ცნობები საქართველოს შესახებ: *ბასილი II-ის* ლაშქრობები საქართველოში, *გიორგი I-ის* მეფობა და *ბაგრატ IV-ის* ბიზანტიასთან ურთიერთობა; *ლიპარიტ IV* ბაღვაშისა და ბაგრატ IV-ის კონფლიქტები. ეს ცნობები ავსებს და აზუსტებს ქართ. წყაროთა მონაცემებს.

თხზ.: Ioannis Scylitzae ope, ed. I. Bekker, v. 1–2, Bonnae, 1838–39; [წგ.]: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 5, თბ., 1963.

ნ. ლომოური.

გიორგი კოდინე (Geōrgios ho Kodinos), ისტორიული ქრონიკების ავტორი, რომლის ბიოგრაფია უცნობია. მას მიაკუთვნებენ ორ ნაწარმოებს: 1) ,,პატრია‘‘ (,,Patria‘‘ ან ,,Patria Konstantinoupoleos‘‘),სავარაუდოდ შეთხზული უნდა იყოს XI–XII სს-ში. შედგება 5 ნაწილისაგან. მასში მოცემულია ქ. კონსტანტინოპოლის დაარსების ამბავი და ტოპოგრ. აღწერა. უკანასკნელი ნაწილი – ,,წმინდა სოფიოს ტაძრის აშენების შესახებ‘‘ – უმეტესად ლეგენდარულ ცნობებს შეიცავს. ნაშრომი შუა საუკუნეებში ქართულად ყოფილა თარგმნილი (ერთ-ერთი ხელნაწერი გამოსცა ე. თაყაიშვილმა); 2) თხზულება ,,De officiis‘‘ ბიზანტ. სამეფო კარის თანამდებობათა კრებულია. იგი XIV ს-ში უნდა იყოს შედგენილი, ლიტ-რაში ფსევდოკოდინეს ნაწარმოებს უწოდებენ. მასში მოიპოვება მოკლე ცნობა საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის ასულის, ბიზანტიის დედოფლის *მარიამის* შესახებ.

თხზ. [წგ.]: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 6, თბ., 1966.

ლიტ.: Krumbacher K., Geschichte der Byzantinischen Literatur, Münch., 1897.

ნ. ლომოური.

გიორგი მაწყვერელი, აწყურის ეპისკოპოსი X ს. I ნახ. მოხსენიებულია *ბასილი ზარზმელის* ,,სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში‘‘. გ. მ. დაბადებულა შუარტყლის ხევში (კლარჯეთი), წარჩინებულ მშობელთა ოჯახში. ბერად აღკვეცილა და საეკლ. აღზრდა-განათლება მიუღია *ოპიზის* მონასტერში. გ. მ. პირადად იცნობდა *მიქაელ პარეხელს* და მის მოწაფეს – *სერაპიონ ზარზმელს.* განსაკუთრებით დაუახლოვდა ამ უკანასკნელს მას შემდეგ, რაც გ. მ. უშუალოდ ჩაერია გიორგი *ჩორჩანელის* მემკვიდრეობისათვის ატეხილ შინაომში და ,,დაიპყრა საყდარი აწყურისაჲ‘‘. ბასილი ზარზმელის ცნობით, მან ,,ჴელთ-იდვა განგებაჲ სამცხისაჲ‘‘ და ,,დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თჳსი, ვითარცა წეს-იყო, და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მეშფოთეთანი‘‘. გ. მ-ს ბასილი ზარზმელისათვის მიუწოდებია ცნობები მიქაელ პარეხელისა და სერაპირონ ზარზმელის შესახებ. გ. მ. იხსენიება ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც‘‘ იმ ცნობილ საეკლ. მოღვაწეთა შორის, რ-ებსაც, *გიორგი მერჩულის* რწმენით, *გრიგოლ ხანძთელის* ცხოვრების აღწერა შეჰფეროდათ. კ. კეკელიძის აზრით, გ. მ. თავის დროისათვის ცნობილი მწერალი უნდა ყოფილიყო, თუმცა მის თხზულებათაგან ჩვენამდე არაფერს მოუღწევია.

გ. მ. შერაცხეს წმინდანად და ეწოდა ღირსი. ხსენების დღეა 2 (15). IV.

წყარო: ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, თბ., 1963.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

გიორგი მერჩულე, X ს. მწერალი, ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი. გ. მ. განსწავლული პიროვნება იყო, იცოდა უცხოური ენები, საფუძვლიანად იცნობდა სას. მწერლობასა და ქრისტ. თეოლოგიას (პ. ინგოროყვას განმარტებით, ,,მერჩულე‘‘ სამართლის სპეციალისტ-თეოლოგს, ,,რჯულის მეცნიერს‘‘ ნიშნავს). მოღვაწეობდა ხანძთის სავანეში. აქვე დაუწერია ჰაგიოგრაფიული თხზულება ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება‘‘ (951). მასალად გამოუყენებია *გრიგოლ ხანძთელის* მოწაფეებისა და ამ მოწაფეთა მოწაფეების ნაამბობი, აგრეთვე ისტ.-ლიტ. წყაროები (კირილე ალექსანდრიელის, იპოლიტე რომაელის, კირილე სკვითოპოლელისა და სხვათა თხზულებანი). 958–966 გ. მ-ის თხზულება შეუვსია *ბაგრატ ერისთავთერისთავს* სასწაულმაუწყებელი პასაჟებით.

,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება'' ასახავს VIII–IX სს. საქართვ. პოლიტ.-სახელმწიფოებრივ ვითარებას, ტაო-კლარჯეთში გაშლილ სამონასტრო მშენებლობასა და კულტ.-საგანმან. საქმიანობას, ვრცლად მოგვითხრობს გრიგოლ ხანძთელისა და მის თანამოღვაწეთა თავგადასავალს. ძეგლი პირველხარისხოვანი საისტ. წყაროა და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მრავალი საცილობელი საკითხის გადაჭრისას. საყურადღებოა ნაწარმოებში გადმოცემული ეროვნ. მთლიანობის იდეა ენისა და სარწმუნოების ერთიანობის საფუძველზე. გ. მ-ის აზრით, ,,ქართლი'' არ არის მხოლოდ ეთნოგრ. ერთეული – საქართველოა ყველგან, სადაც ღვთისმსახურება ქართ. ენაზე სრულდება: ,,ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების''. იმხანად უკვე ცხადი გამხდარა, რომ ტერმ. ,,ქართლი'' ვეღარ იტევდა ახ. შინაარსს, რადგან იგი დიდი ხანია გასცდენოდა თავის ძველ საზღვრებს. გ. მ-ს შეუნიშნავს და საგანგებოდ განუმარტავს ეს შეუსაბამობა.

გ. მ. ქართ. პროზის დიდოსტატია. აქვს დახვეწილი მხატვრული გემოვნება, ბრწყინვალე გამომსახველობით-აღწერილობითი უნარი, მოქმედ პირთა ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა. შინაარსობრივ-თემატიკური სიმდიდრისა და მრავალფეროვნების, იდეურ-აზრობრივი სიღრმისა და მიზანდასახულობის გარდა, გვხიბლავს თხზულების მხატვრული ფორმაც. გამორჩეულია მწერლის მეტყველების სტილი, ხატოვანი, სადა და მარტივი ენა. თხზულებაში სრულყოფილად არის ასახული ყოფითი რეალიები. ნაწარმოები მნიშვნელოვანია აგრეთვე როგორც ლიტერატურული წყარო: გვაწვდის ცნობებს IX–X სს. მიჯნაზე მოღვაწე ქართვ. მწერლების (სოფრონ შატბერდელი, ილარიონ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი, სტეფანე მტბევარი) შესახებ.

გ. მ. ძირითადად ოფიც. ქრისტ. იდეოლოგიის დამცველია. იგრძნობა მისწრაფება საერო თემატიკისაკენ, რაც უმთავრესად სატრფიალო თავგადასავალთა გადმოცემაში მჟღავნდება. მწერალი ქადაგებს კაცთმოყვარეობასა და პატრიოტიზმს. საინტერესოა მისი მსოფლმხედველობა ქართული საზ. და ფილოს. აზრის ისტორიის თვალთახედვით. გ. მ. საჭიროდ მიიჩნევდა საერო ფილოს. შესწავლას და მისგან თეოლოგიისათვის მისაღების გამორჩევას.

ჩვენამდე მოღწეულია ,,ცხოვრების'' ერთადერთი, XII ს. (ზოგიერთი მოსაზრებით, XI ს.) ხელნაწერი, დაცული იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში (მიაკვლია ნ. დ. *ჩუბინაშვილმა* 1845); 1902 ნუსხა აღწერა ნ. *მარმა*, მანვე გამოაქვეყნა სამეცნ. გამოცემა რუს. თარგმანითურთ (,,Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии'', VII, СПб., 1911), რ-იც ლათინურად თარგმნა პ. *პეეტერსმა* (1923). 1956 დ. *ლანგმა* გამოაქვეყნა მისი ინგლ. პარაფრაზი. გ. მ-ის სახელს ქართ. ჰიმნოგრაფიასაც უკავშირებენ: მიქაელ მოდრეკილის კრებულში ერთ საგალობელს აწერია ,,მერჩულიულნი უცხონი''. საფიქრებელია, რომ ეს ჰიმნი ან გ. მ-ისაა, ან მის მიერ დამკვიდრებული ფორმითაა დაწერილი (იხ. *მერჩულიულნი*). გ. მ. შერაცხულია წმინდანად და მოიხსენიება 5(18). X. კლარჯეთის უდაბნოს ღირს მამათა და დედათა შორის.

თხზ.: შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ, და მის თანა ჴსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963; ცხორება გრიგოლ ხანძთელისა და მოყუასთა და მოწაფეთა მისთა, პ. ინგოროყვას გამოც., [ტ.]1, თბ., 1949.

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე რ., გიორგი მერჩულე – ქართული პროზის დიდოსტატი და მშვენება, თბ., 2001; გ ო გ ო ლ ა ძ ე-გ ა ბ უ ნ ი ა მ., მწერალთა ბიოგრაფიები, თბ., 2004; ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; მ ი ს ი ვ ე, თხზულებათა კრებული, ტ. 3, თბ., 1965; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977.

ლ. მენაბდე.

გიორგი მთაწმიდელი, გ ი ო რ გ ი ა თ ო ნ ე ლ ი (1009 – 29. VI. 1065, კონსტანტინოპოლი, დაკრძალულია ათონის ივერთა მონასტერში), სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი. ეროვნული კულტურის მოამაგე, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი (1044–56), საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველთა სამეცნ.-ლიტ. საქმიანობის სულისჩამდგმელი. მისი ბიოგრაფის, *გიორგი მცირის,* გადმოცემით გ. მ. დაიბადა თრიალეთში, გავლენიანი სახელმწ. მოღვაწის, იაკობის ოჯახში. 7 წლის გიორგი სწავლობდა ტაძრისის დედათა მონასტერში, 10 წლისა კი – ხახულის მონასტერში, სადაც მოღვაწეობდნენ მისი ბიძები – გიორგი მწერალი და საბა. ერთხანს ცხოვრობდა გიორგი მწერალთან ერთად ტაოელი დიდებულის ფერის ჯოჯიკის ძის ოჯახში – ტვარწატაფში; ეხმარებოდა ბიძას ქრისტ. სამღვდელმსახურო წესების აღსრულებაში. 1022 ფერის ჯოჯიკის ძეს იმპ. ბასილი II-ის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის თავი მოჰკვეთეს, მისი ოჯახის წევრები კი კონსტანტინოპოლში წაიყვანეს. გ. მ. ბიძასთან ერთად გაჰყვა მათ. იქ მან საფუძვლიანად შეისწავლა ბერძნ. ენა და ეზიარა ბიზანტ. კულტურას. 1034 სამშობლოში დაბრუნდა და ბერად აღიკვეცა ხახულის მონასტერში. 1036 ანტიოქიის მახლობლად, შავ მთაზე (სირია) გიორგი შეყენებულს დაემოწაფა. 1039 იერუსალიმს გაემგზავრა. წმინდა ადგილების მოლოცვის შემდეგ დაბრუნდა შავ მთაზე თავის მოძღვართან, 1040 კი, მისი რჩევით, ათონს გაემგზავრა. 1044 გ. მ. ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს. მის ოშვიათ შემოქმედებითსა და ორგანიზატორულ ნიჭს სათანადო ასპარეზი მიეცა. მან კიდევ უფრო გააძლიერა მონასტერი და ქართ. სულიერი კულტურის მძლავრ კერად აქცია. გ. მ-ის პრაქტ.-ორგანიზატორულმა მოღვაწეობამ თანდათან ფართო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა შეიძინა. ბაგრატ IV-მ არაერთგზის შესთავაზა მას საქართველოს მღვდელმთავრობა. მისი თხოვნით გ. მ-მა ხუთი წელი (1060–65) საქართველოში დაყო და საეკლ. საქმეები მოაგვარა. მან



გიორგი და ექვთიმე მთაწმიდელები. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობა. XVII ს.

უარყო წოდებრივი უპირატესობა საეკლ. საქმიანობაში და წინ ადამიანის პირადი ღირსება წამოსწია. გ. მ. იცავდა ქართ. ეკლესიას და კულტურას. ანტიოქიის პატრიარქთან გამართულ ცხარე კამათში 1057 მან ბრწყინვალედ დაიცვა ქართ. ეკლესიის დამოუკიდებლობა. 1065 გ. მ. ბიზანტიაში დაბრუნდა, თან წაიყვანა 80 უდედმამო ბავშვი აღსაზრდელად და ათონის ივერთა მონასტერში ქართვ. ბერთა გასამრავლებლად. გ. მ. ნაყოფიერად იღვწოდა მშობლიური ლიტ-რის გასამდიდრებლად. ცნობილია ბიბლიის ახ., ე. წ. ,,გიორგისეული რედაქცია‘‘. მან ხელახლა თარგმნა ბიბლიის ზოგიერთი წიგნი (სახარება – ოთხთავი, სამოციქულო, დავითნი), სხვა წიგნები კი ,,გაჩალხა‘‘ და ბერძნ. დედანს შეაჯერა. გ. მ-მა მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია ქართ. ჰაგიოგრაფიასა და აპოკრიფულ მწერლობას, ეგზეგეტიკას, დოგმატიკას, ჰომილეტიკას, ჰიმნოგრაფიასა და საეკლ. სამართალს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გ. მ-ის ჰაგიოგრაფიულ თხზულებას ,,ცხორება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ‘‘, რ-იც ათონის ივერთა მონასტრის მხატვრული მატიანეა. ნაყოფიერად იღვაწა გ. მ-მა ლიტურგიკის სფეროშიც. ქართ. მწერლობას შესძინა მნიშვნელოვანი როგორც თარგმნილი, ისე ორიგინ. ძეგლები: ,,დიდი სჳნაქსარი‘‘, ,,სახარებაჲ გამოკრებული საწელიწდო‘‘, ,,პავლე გამოკრებული საწელიწდო‘‘, ,,თთუენი ათორმეტნივე‘‘ და სხვ. გ. მ-ის დიდი პოეტური კულტურის დამადასტურებელია მისი ორიგინ. იამბიკოები და ნათარგმნი მდიდარი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა.

გ. მ-მა ბერძნულიდან თარგმნა ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, ათანასე ალექსანდრიელის, იოანე დამასკელის, ნექტარი კონსტანტინოპოლელის, დოროთეოს ტვირელისა და სხვათა თხზულებანი. მისი ბიოგრაფის სამართლიანი შეფასებით, ,,ესევითარი თარგმანი, თჳნიერ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესისა, სხუაჲ არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა‘‘. გ. მ-ის მრავალმხრივმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო ქართ. კულტურის აღმავლობას მომდევნო საუკუნეებში. გ. მ. შერაცხულია წმინდანად და ეწოდა ღირსი. ხსენების დღეა 27. VI (10. VII).

თხზ.: ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, რედ. ა. შანიძე, თბ., 1946; ი გ ი ვ ე, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 2, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1967.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.1, თბ., 1960; ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე ე., ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1969; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977. *რ. ბარამიძე.*

გიორგი მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – დავით გიორგის ძე ა ლ ა დ ა შ ვ ი ლ ი) (8. XII. 1850, სოფ. არბოშიკი, ახლანდ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, – 28. II. 1924, იქვე), სასულიერო მოღვაწე. 1864 სწავლობდა თბილ. სას. სასწავლებელში, 1869–75 – თბილ. სას. სემინარიაში, რის შემდეგაც დაინიშნა თბილ. სას. სასწავლებლის პედაგოგად. 1884 დაამთავრა კიევის სას. აკადემია ღვთისმეტყველების მაგისტრის წოდებით.

1899 წ. 25 სექტ. გ. მ. ბერად აღიკვეცა. ამავე წლის 3 ოქტ. აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 1902 წ. 16 მარტს აირჩიეს იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად და დაინიშნა დავითგარეჯის ნათლისმცემლის მამათა მონასტრის წინამძღვრად. 1905 წ. 25 სექტემბერს ხელდასხმულ იქნა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად, ხოლო 1908 წ. 1 თებერვალს – იმერეთის ეპისკოპოსად. 1912 წ. 11 აპრილიდან შეთავსებით გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის მამათა მონასტრის წინამძღვარი იყო. იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართვ. საზ.-კულტ. საქმიანობაში. 1917 წ. 12 (25) მარტს ხელი მოაწერა საქართვ. ავტოკეფალიის აღდგენის აქტს, თუმცა ეგზარქოსთან შეხვედრისას განაცხადა, რომ აქტზე ხელის მოწერა გამოიწვია გამოუვალმა ვითარებამ. ამ განცხადებას ეპარქიის მხრიდან მოჰყვა სრული უნდობლობის გამოცხადება, რის გამოც საქართვ. მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითმა მმართველობამ გ. მ-ს მღვდელმთავრობა შეუჩერა, ხოლო 1917 წ. 8–17 სექტემბერს გამართულმა I საეკლ. კრებამ იმერეთის ეპისკოპოსის თანამდებობიდან გადააყენა.

1918 წ. 1 აგვისტოდან მიტროპოლიტმა *ლეონიდემ* გ. მ. წილკნის ეპარქიის მმართველად დაადგინა. 1920 ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტი გახდა და დროებით ბათუმ-შემოქმედის ეპარქიასაც განაგებდა. 1922, საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე, პენსიაზე გავიდა და 1922 წ. 17 ოქტომბერს ხირსის წმ. სტეფანეს მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1924, ბოლშევიკების მიერ ხირსის მონასტრის დარბევის შემდეგ, იძულებული გახდა თავის სოფელ არბოშიკში დაბრუნებულიყო.

გ. მ-ს მიღებული აქვს არაერთი საეკლ. ჯილდო – სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება, წმ. ვლადიმირის IV, წმ. ანას I და II ხარისხის ორდენები.

დაკრძალულია სოფ. არბოშიკის ეკლესიის გალავნის ჩრდ. კედელთან.

ლიტ.: ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე ს., ქართველი მღვდელმთავრები (XX–XXI საუკუნეები), თბ., 2010; ჟ ვ ა ნ ი ა ზ., საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთ., 1994. *თ. მარგველაშვილი.*

გიორგი მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – გიორგი ნესტორის ძე ღ ო ნ ღ ა ძ ე) (7. VII. 1894, სოფ. ჩრდილი, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, – 22. VI. 1982, თბილისი), სასულიერო მოღვაწე. 1913 გელათის მონასტერში გაიარა მედავითნის კურსები, სწავლის კურსი დაასრულა თბილისის ფერისცვალების მონასტერში, 1914 სოფ. გრემისხევში მედავითნედ გაიგზავნა. 1914–17 იყო სამხ. სამსახურში. 1918 ხელდასხმულ იქნა მთავარ დიაკვნად სოფ. ატოცში. 1923 ქვეყანაში შექმნილი რელიგ. დევნის საფუძველზე აიძულეს თავი დაენებებინა სას. საქმიანობისათვის. 1924–49 საერო სამსახურში იყო. 1949 სას. სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით წერილობითი თხოვნით მიმართა კათოლიკოს-პატრიარქ *კალისტრატეს.* გ. მ. იმავე წელს ეკურთხა მღვდლად – გაამწესეს თელავის რ-ნის სოფ. აწყურის თეთრი გიორგის ეკლესიაში. 1952–54 ღვთისმსახურებას ეწეოდა სოფ. ალვანსა და ფშავში. 1955 იყო თბილ. დიდუბის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მღვდელმსახური, სადაც აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში.

1974 წ. 13 იანვ., კათოლიკოს-პატრიარქ *დავით VI-ის* ლოცვა-კურთხევით გ. მ. ხელდასხმულ იქნა მანგლისის ეპისკოპოსად. 1977 მხარი დაუჭირა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად მიტროპოლიტ ილიას არჩევას. 1978 წ. 4 იანვარს ებოძა მიტროპოლიტის პატივი. 1980

დაინიშნა წილკნის მიტროპოლიტად, მაგრამ წილკნის ეპარქიაში არსებული ეკლესიების უმოქმედობის გამო წირავდა თბილისში, დიდუბის ეკლესიაში. დაჯილდოებულია კუნკულ-ბარტყულაზე – ჯვრის, სკუფიაზე – ბრილიანტის ჯვრის, მიტრაზე – ჯვრისა და ორი პანაღიის ტარების უფლებით; მოციქულთა სწორის წმ. ნინოსა და წმ. გიორგის ორდენებით. დაკრძალულია თბილისის დიდუბის ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში.

ლიტ.: ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე ს., ქართველი მღვდელმთავრები (XX–XXI საუკუნეები), თბ., 2010; ჟ ვ ა ნ ი ა ზ., საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთ., 1994; ,,ჯვარი ვაზისა", 1982, № 1.

თ. მარგველაშვილი.

გიორგი მიტროპოლიტი (ერის-კაცობაში – გური პორფილეს ძე შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე) (დ. 25. II. 1945, სოფ. ფერსათი, ბაღდათის მუნიციპალიტეტი), სასულიერო მოღვაწე. 1971 დაამთავრა ლენინგრადის (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი) სას. აკადემია, იმავე წლის 23 ნოემბ. ეკურთხა მღვდლად და დაინიშნა მცხეთის სას. სემინარიის პედაგოგად. 1971–74 ღვთის მსახურებას აღავლენდა თბილ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში, 1974–78 – ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიაში. იყო საქართვ. მართლმადიდებელი ეკლესიის მე-12 საეკლ. კრების აქტიური მონაწილე, მხარს უჭერდა სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს – ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას.

1978 წ. 16 მარტს ბ. მ. დაინიშნა მცხეთის სას. სემინარიის რექტორად. მოღვაწეობდა სვეტიცხოვლის ტაძარში. 1980–88 იყო სიონის საპატრიარქო ტაძრის პროტოპრესვიტერი. 1988 წ. 14 ოქტ. კათოლიკოს-პატრიარქ *ილია II-ის* ლოცვა-კურთხევით გახდა ჭყონდიდის ეპისკოპოსი. 1994 წ. 21 დეკემბერს ეპოძა მთავარეპისკოპოსობა, 2000 წ. 28 ნოემბ. – მიტროპოლიტობა. 2007 წ. 25 დეკ-იდან დადგენილ იქნა *ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის* მმართველად.

გიორგი მცირე, ხ უ ც ე ს მ ო ნ ა ზ ო ნ ი (გ. XI ს. 80-იან წლებში), მწერალი, *გიორგი მთაწმიდელის* მოწაფე. თან ახლდა თავის მოძღვარს ანტიოქიაში, შავ მთაზე, იერუსალიმში, კონსტანტინოპოლში, ათონის მთაზე. გიორგი მთაწმიდელის ნეშტის კონსტანტინოპოლიდან ათონის მთაზე გადასვენების შემდეგ ბ. მ. სამუდამოდ იქ დამკვიდრდა. 1066–68 მან გიორგი შეყენებულისა და იოანე ჭყონდიდელის დავალებით აღწერა გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება და სას.-სამწერლო მოღვაწეობა. თხზულება შემოგვინახა XI ს. (1074) ხელნაწერმა (S–353), დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. თხზულების ენა სადა და ხატოვანია, თხრობა – შთამბეჭდავი, ზოგი პასაჟი გიორგი მთაწმიდელის ,,იოანე და ექვთიმე ათონელების ცხოვრების" მიბაძვით არის დაწერილი. მასში არ არის მოცემული თარიღები, არც გიორგი მთაწმიდელის თხზულებათა სრული ნუსხა. არის ზოგიერთი უზუსტობაც. მიუხედავად ამისა, თხზულება ქართ. ჰაგიოგრაფიული მწერლობის ბრწყინვალე ნიმუშია. ავტორი ამჟღავნებს ღრმა განსწავლულობასა და დახვეწილ ლიტ. გემოვნებას. ძეგლში საყურადღებო ცნობებია ბაგრატ IV-ის მეფობისა და საქართველო-ბიზანტ. იმდროინდელ ურთიერთობათა შესახებ. პირველად გამოსცა მ. *საბინინმა* (კრებ. ,,საქართველოს სამოთხე", 1882). ლათინურად თარგმნა პ. პეეტერსმა (1923), პარაფრაზირებული თარგმანი გამოაქვეყნა მ. საბინინმა (,,Полное жизнеописание святых грузинской церкви", ч. 2, СПб., 1872).

თხზ.: ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 2, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1967.

ლიტ.: ა ფ ც ი ა უ რ ი ჯ., გიორგი მცირის გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება (მონოგრაფია), თბ., 1980; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.1, თბ., 1960; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977.

რ. მიმინოშვილი.

გიორგი მწერალი და საბა ხახულელი (XI ს.), სასულიერო პირები, წმინდანები. *გიორგი მთაწმიდელის* ბიძები. მოღვაწეობდნენ ხახულის მონასტერში. ქრისტესმიერი მოღვაწეობით დამაშვრალი ღირსი მამები XI ს. შუა წლებში მშვიდობით აღესრულნენ. მათი ხსენების დღეა 19 (1.I) დეკემბერი.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბ.–ათენი, 2003.

გიორგი ოსტატი, XVIII ს. დასასრ. და XIX ს. დასაწყ. ქართველი ოსტატი. 1811 სოფ. ვაშლოვანში (ახლანდ. თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი) ააშენა კოშკი. მოხსენიებულია კოშკის წარწერაში ,,ოსტატი ამისა გიორგი". იგივე წარწერა გვაცნობს კოშკის მფლობელსაც: ,,კოშკი ავაგე სალხინოდ მე თამაზ ორბელიანმა..." გეგმით მრგვალი კოშკი ნაშენია რიყის ქვითა და აგურით, აღჭურვილია სათოფურებით. შემორჩენილია 3 სართული (ყოველ მათგანში თითო ოთახია). სოფლისკენ მიქცეულ მთავარ სამხრეთის ფასადზე ერთიმეორის ზემოთ მოთავსებულია ორი ღრმა თაღი, ერთში კოშკის შესასვლელია, მეორეში – საცხოვრებელი დარბაზის აივნის კარი, ხოლო მის თავზე – საგანგებოდ ჩასმულ ყვითელ ქვაზე, ორბელიანების გერბი და წარწერაა. კოშკის საერთო პროპორცია, მისი გარეგნული სახე, ტექ. შესრუ-



გიორგი ოსტატი. თამაზ ორბელიანის კოშკი. 1811. სოფელი ვაშლოვანი.

ლების მაღალი დონე გვიჩვენებს, რომ კოშკის ამშენებელი გამოცდილი და დახელოვნებული ოსტატი იყო. იგი გვიანფეოდ. ხანის ხუროთმოძღვრულ ტრადიციებზე ყოფილა აღზრდილი. კარგად იყენებდა ქართლ-კახეთის იმდროინდელ მშენებლობაში გავრცელებულ ცალკეულ ხუროთმოძღვრულსა და დეკორ. მოტივებს. მიუხედავად იმისა, რომ მრგვალი კოშკის თემა XVI–XVIII სს. მანძილზე მტკიცედ შემუშავებულ ფორმათა ფარგლებში იყო მოქცეული, ბ. ო. ახერხებს საკუთარი სიტყვის თქმას და ვაშლოვნის კოშკს გარკვეულ ინდივიდუალობას ანიჭებს.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი ლ., ,,კოშკი სალხინოდ ნაგები", «საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე», 1958, ტ. 21, №1.

ვ. ბერიძე.

გიორგი პაქიმერე (Geōrgios Pachymerēs) (1242, ნიკეა, – დაახლ. 1310, კონსტანტინოპოლი), ბიზანტიელი ისტორიკოსი, ფილოსოფოსი და პოეტი. მის ,,ისტორიაში" მოთხრობილია ბიზანტ. ცხოვრება (1259–1308). იგი აღწერილი ამბების უშუალო მომსწრე და

თვითმხილველია, მოეპოვება საყურადღებო ცნობები საქართველოს შესახებ, მაგ., საქართვ. მეფე *დავით VI* ნარინზე, რ-საც ცოლად ჰყავდა იოანე დესპოტის (პალეოლოგოსის) ქალიშვილი; კონსტანტინოპოლის პატრიარქ გერმანეზე, წარმოშობით ლაზზე; შავი ზღვის სანაპიროზე მონღოლთა ლაშქრობის შესახებ. დაწვრილებითი ცნობები აქვს ტრაპიზონის იმპერიაზე იმ პერიოდში, როცა მას მართავდნენ იმპ. იოანე II (1280–97) და ალექსი II (1297–1330) კომნენოსები. ეს ცნობები ეხება როგორც ტრაპიზონის იმპერიის პოლიტ. ისტორიას, ისე ეთნ. შემადგენლობას. გ. პ-ს თხზულება ამ პერიოდის ტრაპიზონის ისტორიის ძირითად წყაროს წარმოადგენს.

თხზ. [წგ.]: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 7, თბ., 1967. *ნ. ლომოური.*

გიორგი-პროხორე (დაახლ. 991, შავშეთი, – 1066, იერუსალიმი), საეკლესიო მოღვაწე, იერუსალიმის *ჯვრის მონასტრის* მაშენებელი. ღვთისმსახურება ადრე დაიწყო. დიაკვნად აკურთხეს წყაროსთავის მონასტერში. იქ მიიპყრო ცნობილი საეკლესიო მოღვაწის ეფვთიმე გრძელის ყურადღება, დაემოწაფა მას და გაჰყვა პალესტინაში, სადაც საბა პალესტინელის ლავრაში მღვდლად აკურთხეს. იერუსალიმში ცხოვრებამ მას საშუალება მისცა გასცნობოდა ქალაქში უკვე ძველთაგან არსებულ ქართველთა დასახლებების ცხოვრებას და განეზრახა მოეწყო ცენტრი, რომელიც გარს შემოიკრებდა ქალაქსა და მის შემოგარენში მცხოვრებ ქართველებს. საამისოდ შეარჩია გზაჯვარედინი ,,მახლობლად იერუსალიმისა დასავლეთ კერძო'' და სამეფო კარის დახმარებით დააარსა ჯვრის მონასტერი, ქართველთა რელიგ. კულტ. ცენტრი, შემოზღუდული მაღალი, მტკიცე გალავნით, სკრიპტორიუმით.

ამ დიდებული სავანის წინამძღვარი (ჯვარის მამა) გახდა მისი დამფუძნებელ-აღმაშენებელი გ.-პ. რამდენიმე წლის მოღვაწეობის შემდეგ იგი გადავიდა პალესტინაშივე არსებულ ჯვრის მონასტრის ფილიალში ახ. კერათა განსამტკიცებლად.

ლიტ.: მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ე., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიიდან (ქართული პერიოდი), გორი, 2002; მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1984; მ ი ს ი ვ ე, გიორგი-პროხორე თუ გიორგი და პროხორე, «საისტორიო-ეთნოლოგიური კრებული», 2008.

ფ. სიხარულიძე.

გიორგი რაჭის ერისთავი (გ. 1787), ერისთავი 1785–87, *როსტომ რაჭის ერისთავის* ძე. 1769, როცა *სოლომონ I-მა* რაჭის საერისთავო გააუქმა და როსტომ ერისთავი და მისი შვილები დასავლეთ საქართველოში გადაასახლა, გ. რ. ე. ცალი თვალით დააბრმავეს და დააპატიმრეს. იმავე წელს ერისთავი საპყრობილიდან გაიქცა, სახელი გამოიცვალა (ქიორ-ბეი შეირქვა), თავი სტამბოლს შეაფარა და სულთნის სამსახურში ჩადგა. 1784, სულთნის მხარდაჭერით დაიმედებული, იმერეთში გამეფებას შეეცადა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. 1785 იმერეთის მეფემ *დავით II-მ* გ. რ. ე. ოსმალეთიდან მოიწვია და ახლად აღდგენილი რაჭის საერისთავოს ერისთავად დასვა.

ლიტ.: ს ო ს ე ლ ი ა ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), ტ. 1, თბ., 1973. *თ. ბერაძე.*

გიორგი რუსი, იხ. *იური ანდრიას ძე.*

გიორგი სინგელოსი (Geōrgios ho Syngellos) (გ. 810-ის შემდეგ), VIII–IX სს. ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწე. 786–806, ტარასის პატრიარქობის დროს, მისი მდივნის მოვალეობას ასრულებდა. შემდეგ განმარტოვდა მონასტერში, სადაც დაწერა თავისი ,,ქრონიკა'' (მსოფლიო ისტორია ადამიდან დიოკლეტიანეს კეისრობამდე), რ-შიც გამოყენებული აქვს *,,დაბადების''* ტექსტი, ალექსანდრიელი ქრონისტების პანდორესა და ანნიანეს თხზულებები. გ. ს-ის ,,ქრონიკა'' გააგრძელა *თეოფანე ჟამთააღმწერელმა.*

გ. ს-ის გადმოცემით, *ნოემ იაფეტს* სხვა ქვეყნებთან ერთად იბერია და კოლხეთიც არგუნა. ნოეს შვილებს შორის ასახელებს თობელს, მოსოხს, თარსუსს – ,,საიდანაც არიან იბერიელები''. იაფეტისგან წარმოშობილ ტომებს მიაკუთვნებს *კოლხებს*, კორზენებს, *ხალიბებს, მოსინიკებს.* ავტორი პომპეუსის მიერ მოპოვებულ სამხ. წარმატებებს შორის იბერებსა და კოლხებზე გამარჯვებასაც აღნიშნავს. საინტერესოა გ. ს-თან დაცული ცნობა, რომ რომში *პომპეუსის* ტრიუმფში მონაწილე ტყვეებს შორის იყვნენ კოლხთა, ანუ ლაზთა მეფე და იბერიელთა ოცი მთავარი (არქონტები).

გ. ს-ის ცნობებში განსაკუთრებით საყურადღებოა ცნობა 532-წლიანი მოქცევის შესახებ, რ-საც ემყარება ქართ. წელთაღრიცხვა. გ. ს. პირველია ჩვენამდე მოღწეულ ავტორთა შორის, რ-იც ამ წელთაღრიცხვას ხმარობს და ქრისტეს დაბადებას მეთერთმეტე მოქცევის 181-ე წლით ათარიღებს.

თხზ. [წგ.]: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, ნაკვ. 1, თბ., 1941.

ლიტ.: ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1973. *ნ. მიწიშვილი.*

გიორგი ფრანძესი (Geōrgios Phrantzēs) (1401, კონსტანტინოპოლი, – 1478-ის შემდეგ), ბიზანტიელი სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსი. 1449 დესპანად იყო ქართლსა და ტრაპიზონში იმპ. კონსტანტინე XI-თვის (1449–53) საცოლის შესარჩევად. 1451-იდან დიდი ლოგოთეტია. მისი საისტორიო ნაშრომი, ,,მცირე ქრონიკა'', აგვიწერს 1413–77 ამბებს. აქ მოთხრობილია აღნიშნული ელჩობის ამბავი. მასში მრავალი მნიშვნელოვანი ცნობაა *გიორგი VIII-ის* მეფობის დროინდელი (1446–66) ქართლის საშინაო ვითარების, ოსმალებსა და ტრაპიზონის იმპერიასთან ურთიერთობის შესახებ. მეორე ნაშრომი ,,ვრცელი ქრონიკა'', რ-იც გ. ფ-ის სახელით იყო ცნობილი, როგორც გაირკვა, მას არ ეკუთვნის.

თხზ. [წგ.]: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 8, თბ., 1970. *ნ. ლომოური.*

გიორგი ძსნის ერისთავი, ქსნის ერისთავი 1774–77, ყულარაღასი (მეფის მცველი). ხშირად ეურჩებოდა ერეკლე II-ს და ლეკთა დაქირავებული რაზმით არბევდა ქართლის სოფლებს. 1777 აჯანყდა და ქსნის საერისთავოს ციხეები გაამაგრა. ერეკლე II-მ შერიგების მიზნით მოციქულები გაუგზავნა, მაგრამ გ. ძ. ე. არ დაემორჩილა. ერეკლე II-მ *გიორგი ბატონიშვილისა* და *ლევან ბატონიშვილის* მეთაურობით ჯარი შეგზავნა საერისთავოში. მათ საერისთავოს ციხეები ბრძოლით აიღეს, გ. ძ. ე. შეიპყრეს და თბილისში ჩამოიყვანეს (1777 დეკ.). ერეკლე II-მ მას სიცოცხლე შეუნარჩუნა, მაგრამ საერისთავო გააუქმა, მისი დიდი ნაწილი სახასოდ გამოაცხადა და გიორგი ბატონიშვილსა და *იულონ ბატონიშვილს* გადასცა. ერისთავის შვილებს დარჩათ მცირე მამული გვერდისძირზე და შიდა ქართლში.

წყარო: ბარათაშვილი ი., ცხოვრება-ანდერძი, ა. იოსელიანის გამოც., თბ., 1950; დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოც., თბ., 1941.

ლიტ.: გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.

გ. ჯამბურია.

გიორგი ღმერთშემოსილი (გ. 1068), სასულიერო მოღვაწე, ასკეტი, დაყუდებულად წოდებული. მოღვაწეობდა შავ მთაზე. თავშესაფარი იპოვა ,,მიუვალი მთის ნაპრალებში'', რის გამოც შეყენებულსაც უწოდებენ. მას საქართველოდან წასული *გიორგი მთაწმიდელი* დაემოწაფა, რ-იც გ. ღ-მა სამი წელი მონასტერში დაამკვიდრა, შემდეგ ,,სქემით აკურთხა და ამით სრულყო მონაზნობა მისი''.

გ. ღ-ის კურთხევით და შეგონებით გიორგი მთაწმიდელი ათონზე გაემგზავრა და გააგრძელა *ექვთიმე მთაწმიდელის* დაწყებული საქმე. გ. ღ-მა დიდი წვლილი შეიტანა ქართ. სას. მწერლობის განვითარებაში.

გ. ღ. ქართ. ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად, მისი ხსენების დღეა 3 (16) ივლისი.

თ. მარგველაშვილი.

გიორგი ჩორჩანელი, იხ. *ჩორჩანელი* გიორგი.

გიორგიძე გიორგი გრიგოლის ძე [5 (17). X. 1889, თბილისი, – 26. II. 1974, იქვე], ბიბლიოთეკათმცოდნე, ბიბლიოგრაფი. 1909 დაამთავრა თბილ. გიმნაზია, 1915 – მოსკ. უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკტი. 1916–37 ეწეოდა პედ. და საბიბლიოთეკო მოღვაწეობას. 1938 მუშაობა დაიწყო თბილ. ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტში (ახლანდ. ილიას უნ-ტი), სადაც სხვადასხვა დროს იყო ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრის პირველი გამგე და ბ-კის გამგე. იკვლევდა საქართველოში საბიბლიოთეკო განათლების, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის (როგორც გამომცემლის), ქართ. ფაქსიმილური გამოცემებისა და სხვა საკითხებს. გ-მ საქართველოში პირველმა შეადგინა და გამოსცა (1970) სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის – ,,საბავშვო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია'', აგრეთვე ,,საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი'' (1962, 1974 თანაავტორი გ. კარტოზია). გ. იყო თვალსაჩინო ბიბლიოფილი. მონაწილეობდა საქართვ. მეცნ. აკადემიის ცენტრ. ბ-კის დაარსებაში, როგორც პირველი ფონდის დამკომპლექტებელი და დირექტორი. ამავე ბ-კას გადასცა საკმაოდ მდიდარი პირადი ბ-კა.

გიორგიძე ეთერ გიორგის ასული (14. V. 1919, თბილისი, – 27. VII. 2009, იქვე), ინჟინერ-მექანიკოსი. პროფესორი (1972), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1976). 1941 დაამთავრა საქართვ. ინდუსტრ. ინ-ტის მექანიკის ფაკ-ტი. 1941–43 მუშაობდა ზაჰესში. 1945-იდან სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას ეწეოდა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში (ახლანდ. ტექნიკური უნ-ტი) ლითონთმცოდნეობისა და ლითონთა ტექნოლოგიის კათედრაზე. 1984–2005 იყო იმავე კათედრის კონსულტანტი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

თხზ.: ლითონთმცოდნეობა, თბ., 1968; ლითონთა ტექნოლოგია, თბ., 1973 (თანაავტ. ი. ჯანელიძე); მასალათმცოდნეობა, თბ., 1984.

გიორგიწმინდა, VIII–IX სს. ერთნავიანი ეკლესია სოფ. თმოგვის მახლობლად (ასპინძის მუნიციპალიტეტი), ნასოფლარ გიორგიწმინდაში. ეკლესია დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე. გარედან კედლები შემოსილია კარგად გათლილი ქვის, თანაბარი ზომის კვადრებით; შიგნით ასეთივე წყობითაა ამოყვანილი კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები. დანარჩენი კედლები უხეშად გათლილი ქვითაა ნაგები. ეკლესიას აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდი აქვს. საკურთხევლის სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია. გრძივი კედლები ორ-ორი კედლის თაღითაა დანაწევრებული. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია, ამ მხრიდანვე ეკლესიას მთელ სიგრძეზე გასდევდა სტოა. ეკლესიის სამხრ.-აღმ-ით, ფერდზე, შემორჩენილია ქვასვეტის (სტელის) უხეშად თლილი ბაზისი. იქვეა სტელა. იგი ბაზალტის ქვაშია გამოკვეთილი, მოკლებულია მორთულობას, მხოლოდ ერთ მხარეს აქვს მრავალფურცლიანი ვარდული.

ნ. ჩუბინაშვილი სტელას VI ს. დასასრულითა და VII ს. დასაწყისით ათარიღებს და ეკლესიის თანადროულად მიიჩნევს.


ლიტ.: სურამელაშვილი მ., გიორგიწმინდა, «ძეგლის მეგობარი», 1986, №1; Чубинашвили Н. Г., Хандиси, Тб.,1972.

მ. სურამელაშვილი.

გიორგიწმინდა, სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტის ფერსის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), მდ. მტკვრის მარცხ. მხარეს, მდინარეების წინუბნისწყლისა და წვერუკნისღელის (მტკვრის მარცხ. შენაკადები) წყალგამყოფის სამხრ.-აღმ. კალთის ძირას. ზ. დ. 1000 *მ,* ახალციხიდან 12 *კმ,* ფერსიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 1 *კმ.* 415 მცხ. (2002). გ-იდან ჩრდ.-დას-ით 3 *კმ*-ზე აქატის საბადოა.

სოფლის მახლობლად დგას VIII–IX სს. წმინდა გიორგის ეკლესია.

გიორგიწმინდა, სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის სამხრ. მთისწინეთში, მდ. წიფლისხევის (ივრის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: გ., ანთოკი, მარიამჯვარი). ზ. დ. 720 *მ,* საგარეჯოდან 5 *კმ.* 2,6 ათ. მცხ. (2002).



გ. გიორგიძე.

სოფელში, ერთმანეთისგან ოცი-ოდე მეტრის დაშორებით დგას XVIII ს. II ნახევრის ორი ცილინდრული კოშკი, მათ შორის კი – დარბაზული ეკლესია. ეკლესიის სამხრ. შესასვლელის თავზე ჩასმულია წარწერიანი ქვა. როგორც ირკვევა ეკლესია 1800 საკუთარი სახსრებით აუგია მღვდელ ი. კევლიშვილს. რესტავრირებულია 2010.


ლიტ.: ბერიძე ვ., XVI–XVII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1983; ზაქარაია პ., კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბ., 1962.

გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი (გ. დაახლოებით 1118), საქართველოს სამეფო კარის ვაზირი დაახლ. 1104–18, *მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის* სახელოს პირველი მფლობელი, *რუის-ურბნისის საეკლესიო კრების* (1104) აქტ. მონაწილე და მეფის პოლიტიკის გამტარებელი. ქმედით მონაწილეობას იღებდა ქვეყნის მართვა-გამგებლობაში. მისი მცდელობითა და ხელმძღვანელობით სამეფოს შემოუერთეს სამშვილდე (1110) და რუსთავი (1115). გ. ჭ. საქართველოში ყივჩაყთა ჩამოსახლების ერთ-ერთი მოთავე იყო. ამ მისიით იგი დავით აღმაშენებელთან ერთად ჩრდ. კავკასიაში გაემგზავრა, სადაც გარდაიცვალა. ვარაუდობენ, რომ დაკრძალულია გელათში, მეფეთა საძვალეში.

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 3, თბ., 1966; მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002; მისივე, 2004 წელი – რუის-ურბნისის 900 წლისთავი, თბ., 2002; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 1, ტფ., 1928. *რ. მეტრეველი.*

გიორგი ხუცესმონაზონი, XII ს. დასასრ. და XIII ს. დასაწყ. კალიგრაფი. მოღვაწეობდა *შიომღვიმის მონასტერში.* გადაწერა შიომღვიმის ოთხთავი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H–1344) და ტიბიკონი (H–1349). ორივე წიგნი დაწერილია ნუსხურით,



გიორგი ხუცესმონაზონი. შიომღვიმის ოთხთავი. ფრაგმენტი. XII–XIII სს. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბილისი.

ლამაზი, გაწაფული ხელით. ოთხთავში ოთხი მახარებლის ოსტატურად შესრულებული სურათია ჩართული (ყავისფერსა და მომწვანო-ოქროსფერ ფონზე მხატვარს გამოყენებული აქვს კაშკაშა წითელი ფერი). განვითარებული სახის კამარები (სვეტისთავებით, ანტაბლემენტში ჩართული თაღებით, ჩიტებით, ყვავილებით, ჭაღებით და სხვ.) დახვეწილი და ფრადოვანია, უმთავრესია ლურჯი და ოქროსფერი, აქა-იქ სოსანიც. დაუდგენელია, მინიატიურებიც გ. ხ-ის შესრულებულია თუ არა.



ი. გიორგობიანი.

გიორგობა, *წმინდა გიორგის* დღესასწაული. საეკლ. კალენდრის მიხედვით აღინიშნება 23. IV (6. V) და 10. XI (23. XI). ხალხური გ. სხვადასხვა ადგილას და დროს სხვადასხვა სახელწოდებით იმართება: ქართლში – *არბოობა* (გერისთობა), *ატოცობა, უსანეთობა*; კახეთში – *ალავერდობა*, თეთრი გიორგობა; სამეგრელოში – *ილოროობა* და სხვ. გადმოცემით, საქართველოში არსებობდა წმ. გიორგის სახ. 363 ტაძარი და სამლოცველო (ლეგენდის მიხედვით, წმ. გიორგის სიკვდილის შემდეგ ღმერთმა მისი სხეული დაანაწილა, ქვეყანაზე მიმოაბნია და ყველგან, სადაც წმ. ნაწილები მოხვდა, სალოცავები დააწესა). მომდევნო ხანაში ამ ღვთაებას ელვისა და ჭექა-ქუხილის გამგებლისა და მსაჯულის ფუნქციაც დაეკისრა, ხოლო იკონოგრაფიულად ცეცხლოვანი ატრიბუტებით აღჭურვილი მეომარი ღვთაების სახით ჩამოყალიბდა. ძველად საქართვ. ცალკეულ კუთხეებში თაყვანს სცემდნენ ამ ღვთაებებს, რ-თაც, მიუხედავად შინაარსობრივი იგივეობისა, სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ და ამა თუ იმ ტერიტ. ერთეულის მფარველებად თვლიდნენ. აღმ. საქართვ. მთაში დღემდე შემორჩა ადგილ. ღვთაებები, რ-თაც, გარდა თავისი სახელისა, გიორგისაც უწოდებენ (ლაშარი, ლომისა, ხახმატი და ა. შ.), ბარში კი ძვ. წარმართული ღვთაება მთლიანად შეცვალა ქრისტ. წმინდა გიორგიმ. კულტმსახურებისას მიღებულია ზვარაკის შეწირვა – კლავენ მამალს, ცხვარს, ხარს. საერთოდ, ყველა დღეობა, მცირეოდენი განსხვავებით, ერთი პრინციპით სრულდებოდა, მაგ., კახეთში, 14 აგვ. იმართებოდა აწყურის თეთრი გიორგის დღეობა: ხალხი სამგზის ან შვიდგზის შემოუვლიდა გალავანს, გუნდი დიდებას გალობდა. ეკლესიის ეზოში ცეკვავდნენ თეთრად მორთული „ხატის მონები“. ზოგი მლოცველი, ხატის უღლითა და მძიმე ჯაჭვით დატვირთული, ჩოქვით შემოუვლიდა ტაძარს და კედლებზე ანთებულ სანთელს აკრავდა. კარის ზღურბლზე წვებოდა „ხატის მონა“, რ-საც ყველა შემსვლელი ფეხს ადგამდა. წირვის შემდეგ იკვლებოდა შეწირული საქონელი, ფრინველი; იმართებოდა პურობა, რ-იც ხშირად რამდენიმე დღე გრძელდებოდა. სამეგრელოში, სუჯუნის ტაძარში, 23 აპრ. ღამეს ათევინებდნენ საპატიო კაცს, რ-იც მეორე დილით წმინდანის „ნებას“ აცნობდა ტაძართან შეკრებილ მორწმუნეებს.

ლიტ.: ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. 1 – ფშავი, თბ., 1974; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1979 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 1); Чурсин Г. Ф., Народные обычаи и верования Кахетии, Тфл., 1905. *ი. კ. სურგულაძე.*

გიორგობიანი ვახტანგ ალექსის ძე (28. VIII. 1914, თბილისი, – 28. II. 1990, იქვე), გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1971). 1942 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (პედაგოგი ი. *შარლემანი*). 1954-იდან იქვე ეწეოდა პედ. საქმიანობას (1970-იდან – პროფესორი). 1945-იდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. გ-ს ეკუთვნის პლაკატები: „ახალგაზრდობა, ჩვენი იმედი“ (1954), „1945–1985“ (II მსოფლიო ომში გამარჯვების 40 წლისთავთან დაკავშირებით); ი. შარლემანის (1956), მ. თოიძის (1956) პორტრეტები. მხატვრულად გააფორმა ნ. ლორთქიფანიძის „რჩეული ნაწერები“ (1953), ლ. მენაბდის „სულხან-საბა ორბელიანი“ (1954), ი. ჯორჯაძის „საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორია“ (1987). დახატა საქართვ. ხუროთმოძღვრული ძეგლები: „ანანურის ეკლესია“ (1983), „ტიმოთესუბნის ტაძარი“ (1985); შექმნა თემატური სურათები: „ჰიმნი საქართველოს“ (1950) და სხვ.



ვ. გიორგობიანი. „თედორე შალიაპინის სახლ-მუზეუმი“. 1960. პრესლავი. ბულგარეთი.

გიორგობიანი ინგა დურმიშხანის ასული (დ. 21. XI. 1968, თბილისი), სპორტსმენი (აკრობატიკა, ქალთა სამეული). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი (1990). დაამთავრა თსუ (1991). მსოფლიოსა და ევროპის აბსოლ. ჩემპიონი (1988); მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი (1990). სსრკ ექვსგზის (1985–90) ჩემპიონი (სამგზის აბსოლუტური), სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1988, 1990). გამოდიოდა სამეულში ნ. ანისიმოვასთან და ს. მაკარიჩევასთან ერთად, შემდეგ – ნ. ანისიმოვასთან და ი. ოვოიანთან ერთად. საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (2004). მწვრთნელები: ვ. *გურგენიძე,* ნ. თავართქილაძე.

გიორგობიანი ოთარ ლეონტის ძე (12. IV. 1926, თბილისი, – 24. XI. 2005, იქვე), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1994), საქართვ. დამს. ეკონომისტი (1987). 1959 დაამთავრა საქართვ. სუბტროპ. მეურნეობის ინ-ტის ტექნოლოგიის ფაკ-ტი. 1952-იდან იყო სხვადასხვა სახელმწ. და სამეურნეო თანამდებობებზე. 1973–88 მუშაობდა ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში განყ-

ბის გამგედ; 1988–2000 – აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორის მოადგილედ. ძირითად საქმიანობასთან ერთად ეწეოდა პედ. მოღვაწეობას სხვადასხვა ინ-ტში. მისი სამეცნ. შრომები ეხება კვების მრეწველობის ეკონ. საკითხებს. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

გიორგობიანი რამაზ დუტუს ძე (16. IV. 1946, თბილისი, – 25. II. 1996, იქვე), მსახიობი და რეჟისორი. დაღესტნის დამს. არტისტი (1971). დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1971) და შოთა რუსთაველის სახ. სქართვ. თეატრ. ინ-ტის კინო-სარეჟისორო ფაკ-ტი (1979). გადაიღო სადიპლომო მხატვრული ფილმი ,,მეუღლე მარო, ძმისწულები კაკო და შოთა'' (1979); სატელევიზიო მხატვრული ფილმი ,,თითქმის ორი თვე'' (1980) და სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,მოდი ვილაპარაკოთ'' (1986). 1965-იდან გადაღებულია ფილმებში: ნიკო (,,გიორგობისთვე'', 1966), ქოლგიანი ბიჭი (,,ქოლგა'', 1967), რამაზი (,,სერენადა'', 1969), ლეიტენანტი დათა (,,ფილატელისტის სიკვდილი'' 1969), ჩამსულა (,,ადამი და ჰევა'', 1969), ბაჰადური (,,სამკაული სატრფოსათვის'', 1971), დათო მგალობლიშვილი (,,მხიარული რომანი'', 1972), რეზო (,,ეს ჩემზე ძლიერია'', 1974), იუსუფი (,,მთიელი ქალი'', 1977), სოსო (,,ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი'', 1983; სსრკ სახელმწ. პრემია, 1985) და სხვ.

ა. გვენცაძე.

გიორგობისთვე, იხ. *ნოემბერი.*

გიორგწმინდა, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის შატილის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ხევსურეთის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. გიორგწმინდისწყლის (არღუნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 2000 *მ,* დუშეთიდან 110 *კმ.* 27 მცხ. (2002).

გიორგწმინდის არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დროის ძეგლები სოფ. გიორგწმინდის (დუშეთის მუნიციპალიტეტი) მიდამოებში. სოფლის სამხრ.-აღმ-ით, მდ. გიორგწმინდისწყლის მარჯვ. ნაპირზე, ადგილ ნასისხლართან მდებარეობს ძვ. წ. III ათასწლ. I ნახ. ნამოსახლარი. გამოვლენილია 2 კულტ. ფენა. მოპოვებულია კერამ. ნაწარმის ფრაგმენტები და ცხოველთა ძვლების ნაშთები.

სოფლის სამხრ.-აღმ-ით, მდ. არღუნისა და გიორგწმინდისწყლის შესართავთან, ციხეთგორად წოდებულ ადგილზე, გამოვლენილია ძვ. წ. III ათასწლ. შუა ხანის სამაროვანი. გათხრილია (ხელმძღვ. რ. რამიშვილი) ორ- და სამიარუსიანი ქვის მშრალი წყობით ნაგები ინდივიდ. და კოლექტიური სამარხები. მიცვალებულებს ჩატანებული ჰქონდათ თიხის ჭურჭელი, ლითონის, ძვლის, სარდიონისა და მინისებური პასტის ნაკეთობანი. აღმოჩენილი მასალა ახლოს დგას საქართვ. ტერიტ-ზე გათხრილ *მტკვარ-არაქსის კულტურის* ძეგლებთან (*სამშვილდე, ამირანის გორა*), აგრეთვე ჩრდ. ოსეთში, ჩაჩნეთსა და ინგუშეთში მოპოვებულ მასალასთან.

სოფ. გიორგწმინდის მოპირდაპირე ქედზე მდებარეობს გვიანდ. შუა საუკ., ფიქლის მშრალი წყობით ნაგები 2 მიწისზედა აკლდამა და 1 აკლდამის ნაშთი.

სოფლის სამხრ.-აღმ-ით, მდ. არღუნისა და გიორგწმინდისწყლის შესართავთან ე. წ. ,,ქავის გორაზე'' მდებარეობს განვითარებული შუა საუკ. საგინას ციხე. შემორჩენილია ოთხკუთხა კოშკის ნაშთი, რ-ის გარშემო ნასახლარია.

სოფლის ახლოს, ციხეთგორის ქედზე, არის გვიანდ. შუა საუკ. ხატი, ე. წ. ,,შარის ყარაული''. იგი ქვის მშრალი წყობით ნაგები საზარე კოშკია, რ-საც საფეხურებიანი გადახურვა აქვს.

ლიტ.: ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. 2, თბ., 1982; Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Маргвелашвили М. Г., Работы Жинвальской комплексной экспедиции, წგ.: Археологические открытия 1985 года, М., 1987.

გ. გოგოჭური.

გიორგწმინდის ციხე, შუა საუკ. ხუროთმოძღვრების ძეგლი ხევში (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი); პირველი სადარაჯო კოშკი მდ. თერგზე. კოშკის ზედა ბაქანზე დანთებული კოცონით ატყობინებდნენ მტრის მოახლოებას მთელი ხეობის სიგრძეზე განლაგებულ სხვა კოშკებსა და თრუსოს ხეობის სათვალთვალოებს. გ. ც. თერგის ზედა წელის გაყოლებით ერთმანეთთან აკავშირებდა სოფ. ხურთისისა და გორისციხის თავზე მდებარე კოშკებს.

ციხის მშენებლობისას გამოყენებულია კლდის ბუნებრივი გამონაშვერები – 2 ვეებერთელა, ერთმანეთისკენ გადმოხრილი, კლდესმოწყვეტილი ლოდი შეერთებულია წყობის მცირე მონაკვეთის ჩაშენებით. ასე აქციეს იგი თავდაცვითი კოშკის ბუნებრივ კვარცხლბეკად. მეორე კოშკი ლოდებით მოფენილი ფერდობისკენ ჩაჭრილი კონცხის ნაპირას დგას. იგი საბჭენი კედლით გამაგრებულ კლდოვან მასივზეა აშენებული. აქვეა მომცრო ბაქანზე აგებული პატარა ეკლესიაც.


ლიტ.: შმერლინგი რ., დოლიძე ვ., თბილისიდან კავკავამდე, თბ., 1991.

გიოშვილი ნოდარ ალექსის ძე (დ. 21. III. 1935, თბილისი), ფილოლოგი, ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი. 1959 დაამთავრა თბილ. უცხო ენათა პედ. ინ-ტი. 1959–65 იყო საქართვ. მეცნ. აკად. ცენტრალური სამეცნ. ბ-კის სწავლული მდივანი, 1965–66 – ა. ნათიშვილის სახ. მორფოლოგიის ინ-ტის მეცნ. მუშაკი, 1966–86 – ქსე-ის სიტყვანისა და ბიბლიოგრაფიის რედაქციის წამყვანი სამეცნ. რედაქტორი და ბიბლიოგრაფიის ჯგუფის ხელმძღვანელი, 1986-იდან – სამეცნ. კონტროლის რედაქციის გამგე; 2002-იდან არის სამეცნ., სალიტ. კონტროლის, სიტყვანისა და ბიბლიოგრაფიის რედაქციის გამგე. გ-ის პირველი გერმ. თარგმანები დაიბეჭდა 1956 ბერლინში (,,აკაკის ნაკვესები'', გაზ. «ტრიბიუნე»). გერმანულად თარგმნა აგრეთვე სულხან-საბას იგავ-არაკები; ქართულად – კ. რომელის ,,კავკასიის ხალხები'' (2011). ქართული უნივერსალური ენციკლოპედიის მომზადებასა და გამოცემაში შეტანილი წვლილისათვის 1987 მიენიჭა საქართვ. კულტურის დამს. მუშაკის წოდება. ავტორია მასში დაბეჭდილი მრავალი სტატიისა. ქსე-ის გარდა, გ. მონაწილეობდა სხვადასხვა პერსონალური თუ დარგობრივი ენციკლოპედიების, ლექსიკონების, მონოგრაფიების და ა. შ. რედაქტირებაში.

გირავნობის კანონი ერეკლე II-ისა, საგანგებო დადგენილება, რ-იც აწესრიგებდა აღამაჰმად-ხანისაგან 1795 თბილისის აოხრებისა და დაწვის შემდეგ წარმოშობილ სადავო საკითხებს დაგირავებული სახლებისა და დუქნების თაობაზე. გამოსცა ერეკლე II-მ ქალაქის მოხელეთა ,,თანდასწრებით'', ითვალისწინებდა სახლის დამგირავებლის ვალის შემცირებას 1/4-ით. დამწვარი დაგირავებული დუქანი მოგირავნეს (კრედიტორს) უნდა აღედგინა, ხოლო დამგირავებელს სესხი სრულად გაესტუმრებინა. კანონი ხელს უწყობდა ქალაქის აღორძინებას.




რ. გიორგობიანი.





გიორგწმინდის არქეოლოგიური ძეგლები. გიორგწმინდის სამაროვანი. თიხის სასმისები. ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარი. დუშეთის არქეოლოგიური ბაზა.



ნ. გიოშვილი.



ს. გირგოლავა.



გირჩა სოკო.



გიტარა.

წყარო: ,,საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთ დროთა შემოღებულნი სჯულნი'', მ.12, ი. დოლიძის გამოც., მის წგ.: საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ., 1960.

დ. ფურცელაძე.

გირგალ-საჯიხვის ქედი, კახეთის კავკასიონის სამხრ. განშტოება, მდინარეების ლოპოტისა და ინწობის (ალაზნის მარცხ. შენაკადები) წყალგამყოფი. იწყება კავკასიონზე საჯიხვისთავის მთასთან (2872 *მ*), მთავრდება სოფ. შაქრიანთან (ყვარლის მუნიციპალიტეტი). ქედის ჩრდ. მონაკვეთი საჯიხვის, ხოლო სამხრეთი – გირგალის სახელითაა ცნობილი. აგებულია იურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. გარდა საჯიხვისთავისა, ქედზე აღმართულია მთები: გირგალი, ქვათახევისთავი, ხერხემლისმაღალი და სხვ. ქედის კალთები ძლიერ დანაწევრებულია ხევ-ხეობებით, რ-თა შორის კარგად განვითარებული წყალგამყოფებია (პირჩიტა, მერქნისწვერი). გ.-ს. ძ-ის კალთები დაფარულია ფართოფოთლოვანი ტყით (ჭარბობს წიფელი). ჩრდ. მონაკვეთის თხემზე სუბალპ. და ალპ. მდელოებია.

დ. უკლება.

გირგოლავა სიმონ სიმონის ძე (14. II. 1881, თბილისი, – 25. I. 1957, ლენინგრადი), სამხედრო ქირურგი, სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი (1943), სსრკ მედ. მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1944), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1943), სსრკ მეცნ. დამს. მოღვაწე (1945). 1904 დაამთავრა პეტერბ. სამხ.-სამედ. აკადემია. ათეული წლების განმავლობაში ეწეოდა პედ. მოღვაწეობას, 1919–37 იყო ლენინგრადის (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი) სამხ.-სამედ. აკად. ზოგადი ქირურგიის, 1937–57 – ამავე აკად. ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის უფროსი, 1932-იდან – ლენინგრადის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ინ-ტის სამეცნ. ხელმძღვანელი. მისი შრომები ეძღვნება უმთავრესად ნეიროქირურგიის, ქირურგ., ენდოკრინოლოგიის, ონკოლოგიის და სხვა პრობლემებს. მანვე დაამუშავა ჭრილობების კლასიფიკაცია. იყო II მსოფლიო ომის მონაწილე, საბჭ. არმიის მთ. ქირურგის მოადგილე (1941–45). 1942 მიენიჭა სამედ. სამსახურის გენ.-მ. წოდება. დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და მედლით.

თხზ.: Отморожение, Л., 1940; Учебник частной хирургии, 2 изд., т. 1–2, М., 1944; Огнестрельная рана, Л., 1956.

ლიტ.: Ш е й н и с В. Н., Памяти С.С. Гирголава, «Вестник хирургии», 1957, т. 79, №8.

ლ. დოლიძე.

გირვანქა, მასის ერთეული, სამ. მასა 409,5 *გ.* 1 გ. უდრის 96 *მისხალს.* საქართველოში გავრცელდა XVIII ს-იდან. იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე. იხ. აგრეთვე *მეტროლოგია* ისტორიული.

გირჩა სოკო [Strobilomyces floccopus (fr.) Karst], ქუდიანი სოკო. ბოლოტუსისებრთა ოჯახისა, ქუდის (დიამეტრი 4–10 *სმ*) ბალიშისებრი ზედაპირი დაფარულია კრამიტისებურად გაწყობილი მსხვილი კონუსისებრი ქერცლებით, წააგავს წიწვოვანთა გირჩას და მონატრისფრო-მოყავისფროა. ქუდის ქვედა მხარეს ჰიმენოფორი მილისებრია, ფორები კუთხოვანია, მოთეთრო-მონატრისფრო, ფეხის სიგრძე 10–15 *სმ*, სისქე 1–2 *სმ* აღწევს, ნატრისფერი ან შავია. ფეხზე აქვს მოთეთრო, ცილინდრული საყელო, რ-ის ქვემოთ ფეხის ზედაპირი დაფარულია ფიფქოვანი ქერცლით. რბილობი თავდაპირველად თეთრია, შემდეგ წითლდება და ბოლოს შავდება. იზრდება ერთეულებად ნესტიან წიწვოვან და ფოთლოვან ტყეში, განსაკუთრებით წიფლნარში კარბონატულ ნიადაგზე ზაფხულიდან შემოდგომის ჩათვლით. საქართველოში გვხვდება ყველგან. საჭმელად ვარგისია.

ა. ჯორჯაძე.

გისტოლა, მწვერვალი სვანეთის კავკასიონზე, მდინარეების წანერის (ენგურის აუზი) და ბეზენგ – ჩერეკის (თერგის სისტემა) წყალგამყოფზე, მესტიის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 4860 *მ.* აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი. 1886 გ-ზე პირველად ავიდნენ ინგლისელი ალპინისტები დონკინი და დენტი, შვეიცარიელ მეგზურებთან ბურგენერთან და ანდენმატენთან ერთად.

გიტარა (ესპ. guitarra< ბერძნ. kithara – კითარა), სიმებიან-ჩამოსაკრავი მუსიკალური საკრავი. შედგება წელში გამოყვანილი ხის კორპუსისა და ბრტყელი დეკებისაგან. ზემო დეკას შუაში სარეზონატორო ღრუ აქვს, ყელზე – კილოებიანი გრიფი. საკრავის თავზე სიმების დამჭერი მოქლონებია. თავდაპირველად სიმებს ნაწლავებისაგან აკეთებდნენ, მოგვიანებით – ლითონისა და ნეილონისაგან. გ-ის სამშობლოდ ითვლება ესპანეთი, საიდანაც ის გავრცელდა თავდაპირველად სამხრეთ იტალიაში, შემდეგ კი ევროპის ყველა ქვეყანაში, ამერიკაში, აფრიკაში, აზიასა და რუსეთში (XIII ს.). მსოფლიოში გავრცელებული გ. ექვსსიმიანია. შვიდსიმიანი გ. პირველად რუსეთში შემოიღო (XIX ს.) ა. სიხრამ (წარმოშობით ბოშამ) და იგი ფართოდ დამკვიდრდა როგორც სოლო და სააკომპანემენტო საკრავი (ე. წ. ,,რუსული გიტარა''). გ-ს იყენებენ ძირითადად სიმღერის აკომპანემენტისთვის, აგრეთვე კამერული ანსამბლის სოლო საკრავადაც. ზოგ ქვეყანაში იგი ხალხ. საკრავად იქცა. გ-თვის ნაწარმოებები დაწერეს ნ. პაგანინიმ, მ. დე ფალიამ, ე. ვილა-ლობოსმა და სხვ. ცნობილი გიტარისტები არიან მ. ჯულიანი (იტალია), ფ. სორი, ფ. ტარეგა, ა. სეგოვია (ესპანეთი), გ. ლ. ანიდო (არგენტინა), ე. ა. სიხრა, მ. ვისოცკი, მ. სოკოლოვი, კ. ივანოვ-კრამსკოი (რუსეთი).

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი გ. შემოვიდა რუსეთიდან XIX ს. შუა წლებში. შვიდსიმიანი გ. ფართოდ გავრცელდა ქართ. ქალაქურ ყოფაში, განსაკუთრებით დას. საქართველოში (ქუთაისი), სადაც იგი მყარად დამკვიდრდა არა მარტო ქალაქურ, არამედ სოფლის ყოფაშიც. გ-თან მჭიდროდაა დაკავშირებული ქართ. ქალაქური მუს. შემოქმედების ე. წ. ,,დასავლური შტოს'' ჩამოყალიბება, რ-იც თანდათანობით მთელ საქართველოში გავრცელდა. შვიდსიმიანი გიტარის წყობა საქართველოში ნაწილობრივ შეიცვალა (რე, სი, სოლ, რე, დო, სოლ, რე) და შეიქმნა რამდენადმე განსხვავებული წყობა, რ-საც ზოგჯერ ,,ქუთაისურსაც'' უწოდებენ.

საქართველოში პროფ. მუსიკაში გ. გამოიყენეს მ. *ბალანჩივაძემ* (რომელიც ბრწყინვალე გიტარისტი იყო) ოპერა ,,თამარ ცბიერის'' შექმნისას და ვ. *დოლიძემ* (აგრეთვე ბრწყინვალე გიტარისტმა) ოპერაში ,,ქეთო და კოტე''. გ-ის თანხლებით მღეროდნენ ქართ. სიმღერის კორიფეები: ვ. *წერეთელი,* დები *იმნელები,* ვ. *ძაგნიძე* და შ. *ჩხიკვაძე,* ი. *გურგულია* და სხვ.; ცნობილი პედაგოგ-შემსრულებლები – ვ. გიორგაძე, ი. ქავთარაძე, გ. ესებუა, ა. ნიკოლაიშვილი, თ. გამიდაძე, გ. ცაგარეიშვილი, ო. რამიშვილი, ტ. ბერიძელიძე, გ. ბარბაქაძე; საგიტარო ხელოვნ. განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვით: ს. ნაცვალაძეს, გ. და ჯ. ბაღაშვილებს; ჯაზური (და არა მარტო

ჯაზური) მუს. შესანიშნავი შემსრულებელია თ. *ყვითელაშვილი* (ელექტროგიტარა).

ლიტ.: თ უ შ ი შ ვ ი ლ ი გ., გიტარის კვალდაკვალ, თბ., 1981.

გ. თუშიშვილი.

გიულდენშტედტი (Güldenstaedt) იოჰან ანტონ [26. IV (7.V). 1745, რიგა, – 23. III (3. IV). 1781, პეტერბურგი], გერმანელი მეცნიერი, მოგზაური. პეტერბ. საიმპერატორო მეცნ. აკად. წევრი (1771), ,,თავისუფალი ეკონომიკური საზოგადოების'' პრეზიდენტი (1780-იდან). სწავლობდა ბერლინის სამედ.-ქირურგ. სასწავლებელში. ოდერის ფრანკფურტის უნ-ტში მიიღო დოქტორის ხარისხი (1767). 1768 რუსეთის მეცნ. აკად. მიწვევით პეტერბურგში ჩავიდა 1768–74 ექსპედიციებში მონაწილეობის მისაღებად. გ-ის ექსპედიციამ, რასაც დავალებული ჰქონდა ჩრდ. კავკ. და საქართვ. ყოველმხრივი გამოკვლევა-შესწავლა, 1770 იანვრიდან 1771 აგვისტომდე მოიარა ჩრდ. კავკასია და სექტემბერში საქართველოში ჩამოვიდა, სადაც დაჰყო 1772 ოქტ-მდე. გ-მა მოიარა ქართლი, კახეთი, იმერეთი, რაჭა, იყო გურია-სამეგრელოს საზღვრებზე; შეხვდა მეფეებს – ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს. 1772 ნოემბრიდან 1773 ივლისამდე გ. კვლავ ჩრდ. კავკასიაში იყო. 1775 წ. 2 მარტს პეტერბურგში დაბრუნდა.

გ-ის სიკვდილის შემდეგ აკად. პ. პალასმა ორ ტომად გამოსცა მისი ჩანაწერები – ,,მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიის მთიანეთში''. ამ ნაშრომში მრავალი ცნობაა დაცული საქართველოსა და ჩრდ. კავკასიის შესახებ, მ. შ. ყველაზე დიდი ადგილი ქვეყნების გეოგრ. და მინერალოგიურ აღწერას უჭირავს. კუთხეებისა და პუნქტების დასახელებისას გ-მა ისინი ისტორიულადაც მიმოიხილა, აღწერა არქიტ. ძეგლები, წარმოადგინა ფოლკლორული მასალა, დაწვრილებით შეეხო ადგილ. ფლორასა და ფაუნას. წიგნში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასა და დამუშავებას. ავტორმა უხვად მოგვაწოდა ცნობები საქართვ. სამეფო-სამთავროთა პოლიტ. მდგომარეობის, სახელმწ. წყობილების, სოც. ურთიერთობის, სოფლის მეურნეობის, ადგილ. სარეწების, ვაჭრობა-ხელოსნობის, ბაზრებისა და ფასების, მიმოქცევაში არსებული მონეტების, ზომა-წონის ერთეულების, სწავლა-განათლების, კანონმდებლობის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია გ-ის ნაშრომში დაცული ეთნოგრ. ცნობები (ქორწილი, დასაფლავება, საცხოვრ. სახლები, ტრანსპორტი, ღვინის დაყენების წესი და მრავალი სხვ.). როგორც ექიმს, გ-ს აინტერესებდა ავადმყოფთა მკურნალობის ადგილ. მეთოდები. აღწერილი აქვს ყვავილის აცრა და სხვ. იძლევა იმ მედიკამენტთა ვრცელ სიას, რ-ებსაც საქართველოში იყენებდნენ. ნაშრომის დასასრულს ავტორი ახასიათებს ცნობილ ისტ. პიროვნებებს (მეფეებს, მოხელეებს, რეზიდენტებს და ა. შ.).

კავკასიაში მოგზაურობის დროს გ-მა შეკრიბა ლექსიკური მასალა და შეადგინა კავკასიაში გავრცელებული ენების შედარებითი სიტყვათა კონები. თითოეული ასეთი კონა შეიცავს 340-მდე სიტყვას (ესენია არსებითი სახელები, ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები, ზედსართავები, ზმნები). სიტყვები დალაგებულია შინაარსობრივად. მთის მრავალი იბერიულ-კავკასიური ენის ლექსიკური მასალა ასე ვრცლად პირველად ჩაიწერა, ამიტომ მათი შესწავლის ისტორიაში ამ დოკუმენტაციას დიდი ღირებულება აქვს. ლექსიკური მასალის შედარების საფუძველზე გ-მა გამოყო ენათა ექვსი ჯგუფი: 1. ქართული (ქართული, მეგრული, სვანური), 2. ქისტური (ჩაჩნური, ინგუშური, თუშური), 3. ლეკური (ხუნძური-დიდოური, ანწუხური, ჭარული, ყაზიყუმუხური, ახუშური), 4. ჩერქეზული (ყაბარდოული და აფხაზური), 5. ოსური, 6. თათრული. მან პირველმა წამოაყენა ცალკეული ჯგუფის წევრთა შორის ნათესაური ურთიერთობის საკითხი. გ-ის მიერ ვახუშტის რუკებზე დაყრდნობით შედგენილ კავკასიის რუკას (,,Mappa fundamentalis partem Caucas'') დიდი მნიშვნელობა ენიჭება XVIII ს. II ნახევრის საქართველო-კავკასიის ისტ.-გეოგრ. შესწავლის თვალსაზრისით. რუკაზე აღნიშნულია ტერიტ. თელავიდან ქუთაისამდე და საქართვ. სამხრ. საზღვრიდან ასტრახანის გუბ. სამხრ. საზღვრამდე. დატანილია 530-ზე მეტი ტოპონიმი, რ-თა უმეტესობა საქართვ. ტერიტორიაზეა, მ. შ. მდინარეები: მტკვარი (მიწერილია ,,კურატ''), ვერესხევი; თბილისი და მისი შემოგარენი: დიდუბე, დიღომი, თელეთი, კოჯორი, კუმისი, მარტყოფი, მცხეთა, ნავთლუღი, ნორიო, საგურამო, სოღანლუღი, შინდისი, წალასყური.

თხზ.: მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოც., ტ. 1–2, თბ., 1962–64.

ლიტ.: П о л и е в к т о в М. А., Европейские путешественники XII–XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935.

ვ. გამრეკელი. გ. გელაშვილი.

გიუნაშვილი ჯემშიდ შალვას ძე [დ. 1. V. 1931, თეირანი (ირანი)], ენათმეცნიერი, ირანისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1970), დიპლომატი. დაიბადა ემიგრანტ შალვა გიუნაშვილის ოჯახში. 1947 რეპატრიაციის წესით საქართველოში ჩამოსული გ-ის ოჯახი საბჭ. ხელისუფლებამ ყაზახეთში გადაასახლა (1951–55). გადასახლებიდან გათავისუფლების შემდეგ გ. ეწეოდა სამეცნ. და პედ. მოღვაწეობას ტაშკენტის უნ-ტში (1956–58), შემდეგ თსუ-ში (1958–94), ენათმეცნ. ინ-ტში (1958–60), აღმოსავლეთმცოდნ. ინ-ტში (დაარსებიდან – 1994-მდე) და აზიისა და აფრ. ინ-ტში (1991–94). 1994-იდან 2004 მაისამდე გ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იყო ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. 2004 ივნისიდან განაგრძობს ფართო სამეცნ. და საზ. მოღვაწეობას. მისი კვლევის სფეროა ირან. ენათმეცნიერება და ფილოლოგია. ავტორია მრავალი შრომისა, რ-თაგან საერთო აღიარება მოუპოვა სპარს. ენის ფონეტიკასა და ფონოლოგიაში, აგრეთვე ლექსიკოლოგიასა და ტექსტოლოგიაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა.



ჯ. გიუნაშვილი.

ირანის საზ-ბის სხვადასხვა ფენებში, მ. შ. ფერეიდენელთა შორის, ეწევა ქართ. ენის, ლიტ-რის, კულტურის, საქართვ. ისტორიის პოპულარიზაციას. გ-ის უშუალო მონაწილეობითა და რედაქტორობით საქართვ. საელჩომ გამოსცა ფარშიდ დელშადის მიერ თარგმნილი ,,ვეფხისტყაოსნის'' სრული ტექსტი (პირველად სპარსულ ენაზე, თეირანი, 1998), ხოლო გიორგი ანის უნტმა – ლ. გეგუჩაძის ,,ქართული ენა სპარსულენოვანთათვის'' (ფარდინ ქომაის თარგმანი, რაშთი, 2004). გ. არის ,,ევროპის ირანისტების საზოგადოების'' წევრი (1998) და ,,საქართველო-ირანის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საზოგადოების'' დამფუძნებელი და თავ-რე (1994).

თხზ.: ,,თარიხ-ე სისტანის'' თბილისური ნუსხა, თბ., 1971; სპარსული ენის სახელმძღვანელო, თბ., 1987; ფერეიდნელის ოროველა, თბ., 2003; Фонетика персидского языка, Тб., 1964 (თანაავტ. შ. გაფრინდაშვილი); Система фонем литературного персидского языка, «თსუ შრომები», 1965, ტ. 116; Филологические

заметки, Тб., 1978; Concerning Georgian-Persian Bilingualism. Bilingualism in Iranian Cultures, Bamberg, 1992; Concerning the Textological Value of Evidence of the Historical Geography of Iran, «Proceedings of second European Conference of Iranian Studies», Rome, 1995; Georgian–Iranian Studies, Tbilisi–Tehran, 1997; Georgian Efforts Aimed at National stability and security, «Central Asia and the Caucasus Review», № 42, Tehran, 2003. *გ. ჩიქოვანი.*

გიურზა (Vipera lebetina), შხამიანი გველი გველგესლასებრთა ოჯახისა. საქართველოში გავრცელებულ გველებს შორის ყველაზე დიდია. მისი სიგრძე 1,5 *მ* აღწევს. აქვს მძლავრი კუნთოვანი სხეული. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ტანმძიმეა, სწრაფად მოძრაობს, კარგად დაცოცავს ხეებზე. გავრცელებულია ჩრდ. აფრიკასა და სამხრ.-დას. აზიაში, ამიერკავკასიაში, დაღესტანში, თურქმენეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის უკიდურეს სამხრ. ნაწილში. საქართველოში გვხვდება ივრის ზეგანსა და ქვემო ქართლში, იმვიათად – თბილისის მიდამოებში. ბინადრობს ქსეროფიტულ ბიოტოპებში (ნათელი ტყე, მშრალი ხევები, ქვიანი და ბუჩქნარიანი ველები და სხვ.), თავშესაფრიდან გამოდის დღისით ან შებინდებისას – სეზონის მიხედვით. იკვებება ხვლიკებით, პატარა ფრინველებით და მღრღნელებით. ივნ.-ივლ-ში დებს 15-მდე კვერცხს, რ-თაგანაც 35–40 დღის შემდეგ იჩეკება 23–24 *სმ* სიგრძის წიწილები. საქართველოში გავრცელებულ გველებს შორის გ-ს ყველაზე ძლიერი შხამი აქვს. მისი ნაკბენი სახიფათოა ადამიანისა და ცხოველებისათვის. გ-ს რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში‘‘.



გიურზა.

თ. მუსხელიშვილი.

გიუტაშვილი რომან ივანეს ძე (დ. 11.V. 1937, თბილისი), სპორტსმენი (მთამსვლელი). სსრკ სპორტის ოსტატი (1966). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1960). არის მრავალი ექსპედიციის მონაწილე (მათ შორის მ. *ხერგიანთან* ერთად) როგორც მაშველი და ინსტრუქტორი. საერთაშ. ექსპედიციის შემადგენლობასთან ერთად (10. IX. 1991) დალაშქრა ევერესტი (მეწყვილე დ. მაზური, აშშ). გ. პირველი ქართველი მთამსვლელია, რომელიც ევერესტის მწვერვალზე ავიდა, მსოფლიოში კი 394-ე. მრავალჯერ დალაშქრა კომუნიზმის (1998-იდან ისმაილ სამანის), ლენინისა (2006-იდან იბნ-სინას) და კორჟენევსკაიას პიკები. ,,თოვლის ჯიქი‘‘ (1989). არის მრავალი ასვლის ხელმძღვანელი ტიან-შანსა და პამირის მთებში. ამჟამად ცხოვრობს მოსკოვში. არის რუსეთის ალპინიზმის ფედერ. საკვალიფიკაციო კომისიის მუდმივი წევრი.



რ. გიუტაშვილი ევერესტის მწვერვალზე საქართველოს დროშით.

გიშელები, ფეოდალური საგვარეულო საქართველოში. იხ. *გრიგოლისძენი.*

გიშერი, სათი, წიაღისეული ნახშირის სახესხვაობა. აქვს შავი ფერი, მქრქალია (საღ მონატეხზე – ელვარე). ახასიათებს სიბლანტე და ნიჟარისებრი მონატეხი. სისალე მინერალოგიური სკალით 3–3,5; სიმკვრივე დაახლ. 1300–1400 *კგ/მ*^{3}. წარმოიქმნება მეზოზოური ან კაინოზოური ასაკის ზღვიურ შლამში მერქნის მეტამორფიზმის შედეგად. გვხვდება დანაგროვების ან ცალკეული ნატეხების სახით ქვიშაქვებში, მერგელებსა და სუსტად მეტამორფიზებულ ქვანახშირში ან მურა ნახშირში. იყენებენ უმთავრესად სამკაულების დასამზადებლად. საქართველოში გ-ის საბადოები განლაგებულია იურული ასაკის ნახშირიან წყებაში (გელათისა და ძიროვნის საბადოები; ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია).

თ. მგელიაშვილი.

გიში (ახლანდ. დაბა ქიში, შაქის რ-ნი, აზერბ. რესპ.), წუქეთის საერისთავოს ცენტრი. ფეოდალური საგვარეულოს – გიშელთა, იგივე *გრიგოლისძეთა* რეზიდენცია. მდებარეობდა გიშისწყალზე (ახლანდ. მდ. ქიშჩაი, აზერბ. რესპ.). იქვე იყო საეპისკოპოსო კათედრალი (იხ. სტ. *გიშის საეპისკოპოსო*). ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ცნობით, ,,...გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთო წუქეთისა, და ეკლესია დიდი, გუნბათიანი, და ივჯდაცა ეპისკოპოზი მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკიხისა...‘‘. გ. პირველად XII ს-ში იხსენიება, თუმცა გაცილებით ძვ. პუნქტი უნდა იყოს. ვარაუდობენ, რომ იგი ,,ეპისტოლეთა წიგნის‘‘ ქართ. საეპისკოპოსოთა ნუსხებში (VI ს.) იხსენიება. ,,განგება დარბაზობისას‘‘ (XIII ს.) მიხედვით აღმ. საქართვ. ეპისკოპოსთა შორის გიშელი რიგით 35-ე იყო. XVI ს-ში გ. ელისუს სასულთნოს შემადგენლობაში შევიდა.

გ-ში შემონახულია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – ღვთისმშობლის გუმბათიანი ეკლესია. შირიმის კვადრებით ნაგებ კუპელ-ჰალეს (ერთნავიანი ეკლესია, რ-შიც გუმბათი ეყრდნობა სიგრძივი კედლებიდან გამოშვერილ და არა ცალკე მდგომ ბურჯებს) ტიპის შენობას აღმ-ით შვერილი ნახევრადწრიული აფსიდი აქვს. ინტერიერში აფსიდის ჩრდ. და სამხრ. კედლების წინ 2-თაღოვანი საფეხურის მეშვეობით გამოყოფილია გუმბათქვეშა კვადრატი. გუმბათის ყელი მრგვალია. მიუხედავად იმისა, რომ იგი გადაკეთებული და შელესილია, შეინიშნება ძვ., X–XI სს. ეკლესიის კვალი (დეკორ. ლილვები გუმბათქვეშა თაღებთან, შიგა გუმბათქვეშა კარნიზის თაროს ქვეშ და სხვ.). არსებობს მოსაზრება, რომ ეს ეკლესია არ შეესაბამება ნახსენებ საეპისკოპოსო ცენტრს და იგი ადრეულ საუკუნეებშივე გადაიტანეს ქ. შაქსა თუ საინგილოში, ახლანდ. აზერბ. რესპ. კახის რ-ნის სოფ. ლეკითის (ძვ. ლექრთის) მიდამოებში. XIX ს. 50–60-იან წლებში ეკლესია ღვთისმსახურებისათვის ხელმეორედ გამოიყენეს პასკევიჩის ბრძანებით გადმოსახლებულმა (XIX ს. 20–30-იან წლები) სომხებმა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაწ. 2, თბ., 1980; Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959. *გ. მარჯანიშვილი. დ. მუსხელიშვილი.*

გიშის საეპისკოპოსო, ერთ-ერთი საეპისკოპოსო ფეოდალურ საქართველოში. მის მეთაურს, გიშელ ეპისკოპოსს, აღმ. საქართველოს საეკლ. იერარქიაში XIII ს-ში 35-ე ადგილი ეჭირა. ვარაუდობენ, რომ გ. ს. ,,ეპისტოლეთა წიგნის‘‘ ქართ. საეპისკოპოსოთა ნუსხებში (VI ს.) იხსენიება. ეპარქია მოიცავდა ელისენს (ახლანდ. ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რ-ნების ტერიტ., აზერბ. რესპ.), წუქეთს (ახლანდ. რუთულის და ახთის რ-ნები, დაღ. ტერიტ.) და

შაკიხს (ახლანდ. შაქის რ-ნი, აზერბ. რესპ.). ა. *ხახანაშვილის* მოსაზრებით, VIII–IX სს-ში გ. ს-ს ცენტრი იყო ლეკითის ტეტრაკონქი (კახის რ-ნი, აზერბ. რესპ.).

დ. მუსხელიშვილი.

გლაზენაპი სერგეი პავლეს ძე [13 (25). IX. 1848, სოფ. პავლოვსკოე, ტვერის გუბ., – 12. IV. 1937, ლენინგრადი], რუსი ასტრონომი. სსრკ მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1929). შრომის გმირი (1932). დაამთავრა პეტერბ. უნ-ტი (1870). კვალიფიკაცია სრულყო პულკოვოს ასტრონ. ობსერვატორიასა და გერმანიაში (1870–78). 1877-იდან მუშაობდა სანქტ-პეტერბ. უნ-ტში (1885–1924 – პროფესორი). გამოიკვლია (1871–82) იუპიტერის თანამგზავრთა მოძრაობა, დააზუსტა აბერაციის მუდმივა, აკვირდებოდა და ითვლიდა (1882–97) ორჯერად ვარსკვლავებს. XIX ს. 80-იან წწ. დასასრ., როგორც რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრის *გიორგი ალექსანდრეს ძის* აღმზრდელი, იმყოფებოდა აბასთუმანში, სადაც მცირე ზომის ტელესკოპით აკვირდებოდა მჭიდრო ვარსკვლავთა წყვილებს მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით აშენებული კოშკი-



გლაზენაპის კოშკი. აბასთუმანი.

დან (ე. წ. ,,გიორგისეული კოშკი'', შემდგომში – ,,გლაზენაპის კოშკი''). გამოქვეყნებულ შედეგებს ყურადღება მიაქციეს სპეციალისტებმა და აბასთუმნის კლიმატი, ასტრონ. კვლევისათვის ხელსაყრელი ატმ. პირობების თვალსაზრისით, მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარეს. გ. წლების განმავლობაში იყო რუსეთის ასტრონ. საზ-ბის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მისი თავ-რე.

გლაუკონიტი, სილიკატების კლასის მინერალი ჰიდროქარსების ჯგუფისა. ქიმ. შედგენილობა: $(K, Na, Ca)(Fe^{3+}, Al, Fe^{2+}, Mg)_2[Al_xSi_{4-x}O_{10}](OH)\cdot nH_2O$, სადაც $x \leq 1$, $n=1–2$. გვხვდება წვრილკრისტალური, ზოგჯერ თირკმლისებური აგრეგატების სახით. სისალე მინერალოგიური სკალით 2–3; სიმკვრივე 2200–2800 *კგ/მ³*. სხვადასხვა ელფერის მწვანეა. ძირითადად წარმოიქმნება ეგზოგენური პროცესების შედეგად, გვხვდება მადნეულ საბადოთა ჰიდროთერმული შეცვლის ზონებშიც. იყენებენ დანალექი ქანების K–Ar მეთოდით დათარიღებისათვის, მრეწველობაში – მწვანე საღებავებისა და დეკორ. ცემენტის დასამზადებლად, მინის წარმოებაში, სასუქად, ხისტი წყლის დასარბილებლად. საქართველოში გვხვდება საქართვ. ბელტის ცარცულ ნალექებში (ე. წ. გლაუკონიტიანი ქვიშაქვები).

ვ. ჯავრიშვილი.

გლაციოლოგია (ლათ. glacies – ყინული და ბერძნ. logos – სიტყვა, მოძღვრება), მეცნიერება ბუნებრივი სისტემების შესახებ, რომელთა თვისება და დინამიკა ყინულითაა განსაზღვრული. მისი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ჰიდროსფეროში, ატმოსფეროში და ლითოსფეროს ზედა ფენებში არსებული ბუნებრივი ყინულები, მათი განვითარების დინამიკა, გარემოსთან ურთიერთკავშირი, ყინულის რეჟიმი და მათი როლი დედამიწის ბუნებრივი გარემოს ევოლუციაში. გ-ის კვლევის ერთიან ბუნებრივ ობიექტს გლაციოსფერო და მისი შემადგენელი ნივალურ-გლაციალური სისტემა წარმოადგენს.

გლაციოსფერო პლანეტური სისტემის – ლითოსფერო, ჰიდროსფერო, ატმოსფერო – დამოუკიდებელ ნაწილს წარმოადგენს და გამოირჩევა სპეციფ. თვისებებით: წყლის მყარ მდგომარეობაში არსებობა, მასის შენელებული ცვლა, არეკვლის მაღალი თვისებები, ფაზებში გადასვლისას დიდი რაოდენობით სითბოს დახარჯვა, ხმელეთზე ზემოქმედების გამორჩეული მექანიზმი და სხვ. გ. განსაზღვრავს გარკვეულწილად თანამედროვე გარედურ და ვერტ. ზონალობას, განედებს შორის ჰაერის მასების ცვლას და გავლენას ახდენს მსოფლიო ოკეანის დონეზე.

გ-ის ამოცანაა დედამიწის ზედაპირზე მყინვარების წარმოქმნის, მათი არსებობისა და მოძრაობის თავისებურებების გამოკვლევა, ასევე მათი შედგენილობის, აგებულებისა და ფიზ. თვისებების დადგენა.

გ-ის განვითარებაში პირობითად სამი ეტაპი გამოიყოფა:

პირველი ეტაპი უპირატესად მთის მყინვარებისა და მისი ფორმების შესწავლით ხასიათდება. ძირითადი ყურადღება ეთმობა მყინვარის ენის გამოკვლევას. განიხილავენ მთის მყინვარების გავრცელების კანონზომიერებას, ადგენენ მათ ტიპებს. კავკასიაში მყინვარებს სწავლობდნენ გეოგრაფები, კარტოგრაფები, გეოლოგები და გეოდეზისტები.

მეორე ეტაპი (მოიცავს XX საუკუნეს) ხასიათდება პოლარული გამყინვარების გავრცელების კანონზომიერებების დადგენით, კონტინენტური და მთის გამყინვარების ურთიერთკავშირით და დედამიწაზე მათი ზემოქმედებით. ამავე ეტაპზე იკვლევენ მთის მყინვარების ფირნის აუზს, სადაც უშუალოდ ხდება მყინვარების ფორმირება, ჩასახვა. კვლევის ტრად. მეთოდების გვერდით გაჩნდა ახალი მეთოდები და ხელსაწყოები – ფოტოგრამმეტრიული, გეოლეზიური, სეისმური ზონდირება, თერმული ბურღვა, მტვრის ანალიზი და სხვ. მარშრუტული დაკვირვება და აღწერითი სამუშაოები შეცვალა სტაციონარულმა და ნახევრად სტაციონარულმა დაკვირვებებმა, თუმცა მათი სრული შეცვლა თითქმის შეუძლებელია.

გ-ის განვითარებას ხელი შეუწყო პირველმა (1882–83), მეორე (1932–33) საერთაშ. პოლარულმა წლებმა და მესამე (1957–58, დამატებით 1959) საერთაშ. გეოფიზიკურმა წელმა. ამ წლებში ხდებოდა დაკვირვება მყინვარების უკან დახევის სიჩქარეზე, აბლაციასა და კვების არეებში მასის დაგროვების პროცესებზე.

მესამე ეტაპი პირობითად არის გამოყოფილი 1960-იდან დღემდე. ამ პერიოდში ,,საერთაშორისო ჰიდროლოგიურ ათწლეულთან'' დაკავშირებით საფუძველი ჩაეყარა ახალ გამოკვლევებს; შეირჩა (მსოფლიოს ყველა მხარეში) სამოდელო მყინვარები სტაციონარული დაკვირვებებისათვის – მათზე წარმოებს როგორც მყინვარის ენის, ასევე ფირნის აუზის კომპლ. დაკვირვება-შესწავლა. საქართველოში ასეთი მყინვარებია ბუბა, თბილისა და ზოფხიტო. ამ პერიოდში მთავრდება მყინვარების კატალოგიზაცია, სადაც მოცემულია უახლესი ცნობები მათ შესახებ.

გ. როგორც მეცნიერება, სათავეს ევროპაში იღებს და მის პიო-



ს. გლაზენაპი.

ნერად ითვლება შვეიცარიელი ბუნებისმეტყველი, ალპების გეოლ. აგებულების პირველი მკვლევარი, ორას ბენედიქტ სოსიური (1740–99), რ-მაც ალპების მყინვარებზე დაკვირვების შემდეგ გამოაქვეყნა ოთხტომეული ,,მოგზაურობა ალპებში'' (1779–96).

კავკასიის თოვლ-ყინულოვანი საფრის შესახებ პირველ ცნობებს გვაწვდის ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი *ვახუშტი ბატონიშვილი* თავის შრომებში ,,საქართველოს გეოგრაფია'' (1745) და ,,საქართველოს ატლასი'' (1735, 1745). იგი თოვლ-ყინულოვანი საფრის აღწერით არ კმაყოფილდება და იძლევა მოვლენათა ოდენობრივ და თვისებრივ დახასიათებას; გვაწვდის ინფორმაციას კავკასიონის მყინვარების ენების სისქესა და ფერზე, თოვლის საფრის არსებობის ხანგრძლივობაზე.

საქართველოში მყინვარებს მრავალი მეცნიერი იკვლევდა – დ. *წერეთელი*, თ. *დავითაია*, მ. სანებლიძე, გ. *კურდღელაიძე*, ვ. *ცომაია*, რ. შენგელია, გ. აბულაძე, რ. ხაზარაძე, რ. *გობეჯიშვილი* და სხვები.

ქართველი გეოგრაფები მონაწილეობდნენ ანტარქტიდაზე (გ. კურდღელაიძე, ლ. *ფულარიანი*), არქტიკაზე (შპიცბერგენი), ტიბეტზე, ჰიმალაიაზე, ტიან-შანზე, პამირზე (რ. გობეჯიშვილი) ჩატარებულ გლაციოლოგიურ გამოკვლევებში.

1997 გამოიცა ,,მსოფლიოს თოვლ-ყინულოვანი რესურსების ატლასი'', რ-იც დღევანდელ ეტაპზე ერთგვარ შემაჯამებელ ფუნდამენტურ ნაშრომს წარმოადგენს. მის შედგენაში ქართვ. გეოგრაფებიც მონაწილეობდნენ.

ლიტ.: გობეჯიშვილი რ., კოტლიაკოვი ვ., გლაციოლოგია, თბ., 2006; Атлас снежно-ледовых ресурсов мира, М., 1997; Гобеджишвили Р. Г., Ледники Грузии, Тб., 1989; Гляциологический словарь, Л., 1984; Knight P. G., Glaciers, L., 1999. *რ. გობეჯიშვილი.*

გლახაკები, საზოგადოების ფენა ფეოდალურ საქართველოში. ფეოდ. ურთიერთობის გამარჯვების შემდეგ თავისუფალ მწარმოებელთა ფენა თანდათანობით ქრებოდა. იგი გლეხთა ან აზნაურთა რიგში გადადიოდა. თავისუფალი პირი, რ-მაც დაკარგა მიწა და იძულებული გახდა სხვისი მიწა დაემუშავებინა, მუდამ იმის საფრთხეში იყო, რომ თანდათან დაკარგავდა პირად თავისუფლებასაც. ბევრი მათგანი საერთოდ გამოეთიშა ფეოდ. ურთიერთობას და მათხოვრობა დაიწყო. ბატონყმური ურთიერთობის განმტკიცებას თან სდევდა გ-ის რაოდენობის ზრდაც. მათი რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ *ბაგრატ I-მა* კურაპალატმა ჯერ კიდევ IX ს. ბოლოს დააწესა ე. წ. *გლახაკთა ნაწილი* – საგანგებო თანხა გ-ის დასახმარებლად. გარდა გლახაკთა ნაწილისა, გ-ის რჩენას ხმარდებოდა კერძო პირთა ქველმოქმედებით გაცემული თანხა. გ-სთვის სასარგებლო ქველმოქმედებას საქართველოს მეფეებიც არ გაურბოდნენ. მაგ., დავით აღმაშენებელმა საკუთარი სახსრებიდან მათთვის ოცდაოთხი ათასი დრაჰკანი გამოყო. გვიანდ. შუა საუკუნეებში დასუსტებული ცენტრ. ხელისუფლება გ-ზე ვეღარ ზრუნავდა.

წყარო: ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, იქვე, ტ. 1, თბ., 1955; გიორგი მერჩულე, ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.

ლიტ.: მეტრეველი რ., დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში (V–XII სს.), თბ., 1976; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 2, თბ., 1984 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 7). *მ. ბერძნიშვილი.*

გლახაკთა ნაწილი, სახელმწიფო შემოსავლის გლახაკებისთვის განკუთვნილი ნაწილი ფეოდალურ საქართველოში. დააწესა *ბაგრატ I-მა* კურაპალატმა IX ს. ბოლოს. XII–XIII სს-ში გ. ნ. სახელმწ. შემოსავლის ერთ მეათედს შეადგენდა (,,ნაათალი'').

გლდანი, სოფელი ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გლდანი-ნაძალადევის რ-ნი). მდებარეობს საგურამოს ქედის სამხრ. კალთის ძირას, მდ. გლდანისხევის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე, თბილისი–თიანეთის საავტ. გზაზე. ზ. დ. 560 *მ.* 1987 სოფელში, ღრმა ხევზე, აშენდა 549 *მ* სიგრძის ესტაკადა (თბილისის შემოსავლელი გზა), რ-იც კახეთის გზატკეცილს აკავშირებს მცხეთისაკენ მიმავალ გზასთან.

გ-ის ტერიტორიაზე, შემთხვევითი არქეოლ. აღმოჩენების მიხედვით, ადამიანის ცხოვრების კვალი შორეულ წარსულში დასტურდება. წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება XIII ს-ში ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში ,,ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი''. გრდანის, გრდანისხევის, გლდანის სახელწოდებით საისტ. წყაროებში მოხსენიებული ეს ,,ქუეყანა'' მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას: აღმ-ით – ერწოს მთამდე, სამხრ-ით – ხევმძარ-ლილო-მარტყოფამდე, ჩრდ-ით – იალნოს მთამდე, დას-ით – ვანკოდა-ლეკუთხევამდე. ძველად გ-ში შემავალი ვანკოდა მძორეთ-ჭოპორტიდან ნორიას სახნავებამდე და ავჭალა-მტკვრამდე აღწევდა.

IV ს-ში გ. შედიოდა კუხეთში, რ-ის ცენტრი რუსთავი იყო, შემდეგ – ქართლის სამეფოში შემავალ კახეთ-კუხეთის საუფლისწულოში. ვახტანგ გორგასლის დროიდან (V ს.) გ. საეკლ.-ადმ. დანაწილებით, რუსთველის სამწყსოს ეკუთვნოდა, თუმცა მას ზოგჯერ იქვემდებარებდნენ აღმ. საქართველოს კათოლიკოსი და თბილ. მიტროპოლიტი. VII ს-ში გ. არაბებმა დაიპყრეს და შემდეგ თბილ. საამიროში გააერთიანეს. X ს-ში აოხრებული გ. კახეთის სამეფოში გაერთიანდა. თამარის მეფობისას იგი აღორძინდა, მაგრამ ხვარაზმელების, მონღოლებისა და თემურლენგის ლაშქრობებისას კვლავ გაჩანაგდა. მოგვიანებით, XVII–XVIII სს-ში, გ-ში ცხოვრება გაუმჯობესდა, რასაც ხელი შეუწყვეს ადგილ. თავადებმა – ჯანდიერებმა. გ-ის ნაწილი სადედოფლო საკუთრება იყო, ნაწილი – რუსთველისა და მცხეთის კათოლიკოსისა.

სამხ. დანაყოფების მიხედვით, გ. შედიოდა კახეთის სამეფოს მემარცხენე სასარდლოს რუსთველის სადროშოს, ე. წ. ,,ნაპირის სოფლების ლაშქარში''.

XVIII ს. II მეოთხედში (,,ოსმალობისა'' და ,,ყიზილბაშობის'' დრო) გ. გავერანდა. ქართლ-კახეთის გაერთ. სამეფოს პერიოდში ზემო და ქვემო გ-ის მოსახლეობის ძირითად ბირთვს ქართვ. მთიელები შეადგენდნენ. XIX ს-ში ორივე სოფელი თბილ. მაზრაში გაერთიანდა და ხალხიც თანდათან ჩამოსახლდა საქართვ. სხვადასხვა კუთხიდან: რაჭიდან, იმერეთიდან, სამცხიდან, აგრეთვე ყირიმიდან (სომხები).

1897 წ. 19 იანვ. ექიმ ვაწაძის მამულში გაიხსნა სამონასტრო სკოლა, რ-შიც 32 ბავშვი სწავლობდა. XX ს. 40-იანი წლებიდან დაიწყო გლდანელების მასობრივი დასახლება რიყიანის უბანში, რ-იც 1979 თბილისს შეუერთდა.

სოფლის სამხრ. განაპირას, სასაფლაოზე, დგას ღვთისმშობლის

VIII–IX სს. დარბაზული ეკლესია, ხოლო ჩრდილოეთით მდებარე სასაფლაოზე – IX–X სს. გრიგოლ ღვთისმეტყველის სამეკლესიანი ბაზილიკა. ნაგებობის ძირითადი ნაწილია მაღალი წაგრძელებული დარბაზი, რ-ის აფსიდი კარით უკავშირდება გეგმით მართკუთხა სამკვეთლოს. როგორც ჩანს, სამხრ-ით ფასადს მთელ სიგრძეზე სტოა გასდევდა. მოგვიანებით სამკვეთლოსათვის დას. მხრიდან მიუშენებიათ დამატებითი სათავსი. ეკლესია ნაგებია ნატეხი ქვითა და დუღაბის სქელი ხსნარით. ფასადები სადაა, მხოლოდ საკურთხევლის სარკმლის თავზეა ამოკვეთილი წრეში ჩაწერილი ტოლმკლავიანი განედლებული ჯვარი. შიგნით ეკლესიის გრძივი კედლები დანაწევრებულია პილასტრების 2 წყვილით. კედლები გაფორმებულია კამარის საფუძველთან გაყოლებული ბრტყელი თაღების მწკრივით. ეკლესია მოქმედია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990; ხარაძე კ., გლდანი, თბ., 1977; Шмерлинг Р., Долидзе В., Барнавели Т., Окрестности Тбилиси, Тб., 1960.

ვ. დოლიძე.

დ. სვანიძე. ფ. სიხარულიძე.

გლდანის არქეოლოგიური ძეგლები, გლდანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები. მათგან უძველესია ხევძმარის სამაროვანზე გათხრილი შუა ბრინჯაოს ხანის დასასრ. (ძვ. წ. II ათასწლ. II მეოთხედი) რამდენიმე სამარხი. სამარხთა უმეტესი ნაწილი გვიანდ. ბრინჯაოს – ადრინდ. რკინის ხანისაა (ძვ. წ. II ათასწლ. II ნახ. – ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ.). ამ სამაროვნის მახლობლად, გლდანის მასივის V მიკრორაიონის ტერიტორიაზეა ამავე ხანის ე. წ. ,,საბატონოს სამაროვანი''. აღნიშნული სამაროვნების თანადროული 2 ნასახლარი მდებარეობს მდ. ხევძმარის მარჯვ. ნაპირზე, ერთი – მდინარის კალაპოტში, ხოლო მეორე – მის დას-ით, ხევის შედარებით მაღალ ნაპირზე. მდ. გლდანის-ხევის მარცხ. მაღალ ნაპირზე, სოფ. გლდანის სასაფლაოს ახლოს და ძვ. გლდანის ტერიტორიაზე, ადგილ ,,ნარსელასა'' და ,,ისმაილაზე'' აკრეფილია გვიანდ. ბრინჯაოს – ადრინდ. რკინის ხანის არქეოლ. მასალა. სასაფლაოს მახლობლად არის გვიანდ. ანტ. ხანის სამაროვანიც. ადრინდ. ფეოდ. ხანის ნასახლარი სხვადასხვა დროს აგებული ორი ეკლესიითურთ გათხრილია ადგილ ,,საბატონეზე'' (გლდანის მასივის IV და V მიკრორაიონებს შორის). ფეოდ. ხანის ნასახლარები მიკვლეულია ,,ისმაილას'', ,,ნარსელასა'' და ხევძმარის სამაროვნის ტერიტორიაზე. სოფ. გლდანის ტერიტორიაზე რიყიანში 1964 ჩატარებული მიწის სამუშაოების დროს დაინგრა ქვის სამარხები. აღმოჩენილია VI–VIII სს. ნივთები: ბრინჯაოს საყურეები, ბროწეულის ყვავილის მოყვანილობის მარჯნისთავიანი რკინის საკინძები, რკინის სამაჯურის ნატეხი და სხვ.; მასალა ინახება დუშეთის არქეოლ. ექსპედ. ბაზაზე.

რ. აბრამიშვილი. ბ. ჯორბენაძე.

გლედიჩია (Gleditsia), ფოთოლმცვივანი ხეების გვარი ცეზალპინიასებრთა ოჯახისა. გვარში 12 სახეობაა, რ-ებიც გავრცელებულია აზიაში, ჩრდ. და სამხრ. ამერიკაში, ტროპ. აფრიკაში. საქართველოში გ. ბუნებრივად არ იზრდება. ჩვენში ხელოვნურად გავრცელებულია ჩრდ. ამერ. სახეობა – ჩვეულებრივი ანუ სამეკალა გ. (G. triacanthos), ნაკლებად – კასპიური გ. (G. caspia). სამეკალა გ. სწორტანიანი, ფართოდ გადაშლილვარჯიანი ხეა. მისი სიმაღლე 40–45 *მ* აღწევს. ღერო და ტოტები დაფარულია მარტივი და დატოტვილი მაგარი ხშირი ეკლებით. აქვს ფრთართული ფოთლები და დამოკლებულ მტევნებად შეკრებილი პატარა, მომწვანო ყვავილები. არის გვალვაგამძლე, სინათლისა და სითბოს მოყვარული მცენარე. იტანს ნიადაგის სუსტ დამლაშებას. იზრდება სწრაფად. იყენებენ ცოცხალ ღობედ, მინდორსაცავი ტყის ზოლების გასაშენებლად და სხვ. მერქნისაგან აკეთებენ სხვადასხვა ნაკეთობას. თაფლოვანია.

გლეოკაფსა (Gloeocapsa), ლურჯმწვანე წყალმცენარეთა (Cyanophyta) გვარი. უმეტესად გვხვდება მიკროსკოპული, 2–8 უჯრედისაგან შემდგარი, ზოგჯერ მრავალუჯრედიანი ლორწოვანი კოლონიები, იშვიათია ერთუჯრედიანი ფორმები. უჯრედები სფეროსებრია, ზოგჯერ ოდნავ ელიფსური, ნახევარსფეროსებრი ან კუთხოვანი. ლორწოვანი გარსი სხვადასხვა სიმკვრივის, უფერული ან შეფერილი, შრეებიანი ან სადაა. გ. მრავლდება ვეგეტატიურად და უსქესოდ. ბინადრობს როგორც მშრალ ადგილებში კლდეებზე, ქვებზე, კედლებზე და ა. შ. (უმთავრესად შეფერილი ფორმები), ისე წყალში (ძირითადად უფერული ფორმები), ზოგიერთი – პლანქტონშიც. საქართველოსთვის ცნობილია გ-ის გვარის 27 წარმომადგენელი (16 სახეობა და 11 ფორმა). ფართოდ გავრცელებული სახეობებია: Gloeocapsa turgida, Gl. minuta, Gl. montana, Gl. minor, Gl. punctata.

ლ. კუხალეიშვილი.

გლერძი (Astragalus), ერთ- ან მრავალწლოვან მცენარეთა გვარი პარკოსანთა ოჯახისა. გვხვდება ბალახების ან ნახევრად ბუჩქების სახით, ზოგჯერ ეკლიანია. აქვთ წყვილფრთისებრი ან კენტფრთისებრი, იშვიათად 1–3 ფოთოლაკიანი ფოთლები, ყვავილები თავაკისებრ ან თავთავისებრ ყვავილედებადაა შეკრებილი. საქართველოში 72 სახეობაა. მათგან 16 ენდემურია. გვხვდება ქვიან, ღორღიან მთის ფერდობებზე, კლდეებსა და ნაშალებზე, მორენებზე, თიხნარ ბორცვებზე დაბლობიდან სუბნივალურ სარტყლამდე, ნახევრად უდაბნოებში, ველებზე, ბუჩქნარში, ტყის ველობებსა და მაღალმთიან მდელოებზე. ეკლიანი ბუჩქები ქმნიან დაჯგუფებებს – გლერძიანებს. ბევრი სახეობა კარგი საკვები ბალახია, ღერო შეიცავს გუმფისს, რ-საც საფეიქრო და ქაღალდის მრეწველობაში იყენებენ. ფოთლებსა და თესლს ხალხ. მედიცინაში იყენებენ. ზოგი ავტორი გუმფისის შემცველ ეკლიანი ბუჩქების ჯგუფს დამოუკიდებელ გვარს Astracantha-ს მიაკუთვნებს.

მ. ივანიშვილი.

გლეხთა კომიტეტები, მასობრივი ორგანიზაციები 1905–07 რევოლუციის დროს.

პირველი გ. კ. საქართველოში ჩამოყალიბდა ოზურგეთის მაზრაში 1903 ზაფხულში. თავდაპირველად ისინი ფარულად მუშაობდნენ, ზოგიერთ სოფელში ბოიკოტსაც უცხადებდნენ სამღვდელოებასა და მთავრობის დაწესებულებებს. 1904 იანვარში გურიის ს.-დ. ორგანიზაციების II კონფერენციამ მოიწონა რსდმპ II ყრილობის გადაწყვეტილებები. ბრძოლის მთ. ფორმად აღიარა ბოიკოტი, რ-იც სოფლად უშუალოდ გ. კ-ს უნდა განეხორციელებინათ. ერთ-ერთ მთ. საბრძოლო ამოცანად კონფერენციამ წამოაყენა სახელმწ. და მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდება რევ. გზით. 1904 გურიის თითქმის ყველა სოფლის გლეხობამ ბოიკოტი გამოუცხადა მთავრობის დაწესე-



გლდანის არქეოლოგიური ძეგლები. ბრინჯაოს შუბისპირი და სატევარი. ს. ჯვანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.



გლედიჩია. სამეკალა გლედიჩია (Gleditsia triacanthos). ყლორტი ნაყოფით..



გლედიჩია. კასპიური გლედიჩია (Gleditsia caspia). ყლორტი.

ბულებებს, მემამულეებს, სამღვდელოებას, წლის ბოლოს პარალიზებული იყო მაზრის მთელი ხელისუფლება. საზ. ცხოვრების ყველა საკითხს (სასამართლო, სკოლები, გზები, ფასები და სხვ.) ბ. ჰ. წყვეტდნენ. ზოგიერთ სოფელში უკვე მოქმედებდა შეიარაღებული წითელი რაზმები. მემამულეთა ნაწილი თავს ან ოზურგეთს აფარებდა, ან ქუთაისს. მათ მიწებს გლეხობა დაეპატრონა.

1904 ბოლოს ბ. ჰ. სახ. სასამართლოები და წითელი რაზმები შეიქმნა სენაკის მაზრის ზოგიერთ სოფელშიც. 1905 წ. 9 იანვ. ამბების შემდეგ კი ბ. ჰ. საქართვ. სხვა მაზრებშიც დაარსდა. 1904 ბოლოსა და 1905 იანვ.-მარტში მრავალი ბ. ჰ. ითხოვდა არა მარტო ,,ჩამონაჭრების'' დაბრუნებას ან გადასახადების შემსუბუქებას, არამედ მემამულეთა მთელი მიწების კონფისკაციასაც და ზოგჯერ მიზანსაც აღწევდა. იმ დროს თითქმის მთელ საქართველოში იყო გლეხთა რევ. კომიტეტები. დეკ. შეიარაღებული აჯანყების დროს საქართველოში წარმოიშვა პატარ-პატარა ,,რესპუბლიკები'' (სენაკის, გორის, გურიის და სხვ.), რ-თა სათავეში ბ. ჰ. იდგნენ, ბ. ჰ-ს კი უშუალოდ ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ.

ბ. ჰ. ქმნიდნენ საკუთარ ადმინისტრაციას, წითელ რაზმებს, სასამართლოებს, იარაღის სახელოსნოებს, სტამბებს, განაგებდნენ სასკოლო განათლებას, აწესებდნენ გადასახადებს, ფასებს და ა. შ. დეკ. შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ ბ. ჰ-მა არსებობა შეწყვიტეს.

ლიტ.: ჯ ა მ ბ უ რ ი ა გ., გლეხთა რევოლუციური კომიტეტები საქართველოში 1905–1907 წწ., თბ., 1957.

გ. ჯამბურია.

,,გლეხი'', ყოველკვირეული სახალხო გაზეთი, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანო. გამოდიოდა თბილისში 1906 (22 ივნ. – 3 აგვ.); სულ გამოვიდა 7 ნომერი. ოფიც. რედ.-გამომცემელი – მ. ადამაშვილი (მიხეილ ჯავახიშვილი), ფაქტობრივი რედაქტორი – ს. *ფირცხალავა*. ,,გ.'' პროპაგანდას უწევდა გლეხთა ბრძოლას მიწისა და სოც. თავისუფლებისთვის. გაზეთში მწვავედ იყო დასმული ქართ. ენის უფლების დაცვის, ერობისა და იმ დროს აქტუალური სხვა პრობლემები. გარდა პუბლიც. მასალისა, გაზეთი აქვეყნებდა ი. ევდოშვილის, დუტუ მეგრელის, ბ. ახოსპირელისა და სხვათა ორიგინ. და ნათარგმნ მხატვრულ თხზულებებს. ხელისუფლებამ დახურა რევ. მიმართულებისათვის. 1906 სექტ-ში გაზეთი აღადგინეს ,,*მიწის*'' სახელწოდებით.

გლეხობა, სოფლის მეურნეობის უშუალო მწარმოებელთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფენა, რ-იც თანამედროვე მსოფლიოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ტერმ. ,,გ ლ ე ხ ი'' ქართ. წყაროებში VIII ს-იდან მოიხსენიება. გლეხი ეწოდებოდა პირადად არათავისუფალ პირს, რ-იც დასახლებული იყო და მეურნეობას ეწეოდა ფეოდალის მიწაზე, მიწის პატრონს კი ბეგარას უხდიდა. გლეხთა წარმოშობის თავდაპირველი წყარო სხვადასხვა იყო: გლეხად იქცეოდა მიწათმფლობლის მიწის ნაკვეთზე დასახლებული თავისუფალი მეთემე, მონა, ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი ან გამოსყიდული და ნაკვეთზე ,,დასმული'' კაცი და ა. შ. IX–X სს. საქართვ. მწარმოებელ საზ-ბაში ჯერ კიდევ იყვნენ პირადად თავისუფალი მიწათმოქმედნი (მდაბიურები), რ-თა გაგლეხების პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა. ეს პროცესი XI–XII სს-ში დასრულდა (XIV ს. საკანონმდებლო ძეგლის ,,ბექა-აღბუღას სამართლის'' მიხედვით, გლეხის მიწაზე მიმაგრება დიდი ხნის წინათ მომხდარი ფაქტია). ბატონს უფლება ჰქონდა გაქცეული გლეხი 30 წელს ეძებნა. შეეძლო გლეხის გასხვისება-გაყიდვა, გაჩუქება, გამზითვება, შეწირვა, წყალობით გაცემა და სხვ. ამის მიხედვით გლეხები იყვნენ ,,ნასყიდი'', ,,ნამზითვი'', ,,შეწირული'', ,,ნაწყალობევი'' და ა. შ. XI–XIII სს-ში გვხვდებიან მკვიდრი (თაობიდან თაობამდე საბატონო მიწის ერთ ნაკვეთზე მჯდომი), *თავდაწერილი,* თავდაუწერელი, *ნებიერი, გარეთმოსული გლეხი* და სხვა სოც. კატეგორიის გლეხები. XV–XVIII სს-ში გაჩნდნენ *წყალობის* ყმა, *თავშეწირული, თავნასყიდი, აზატები, თარხანი, ბოგანო, ხიზანი, ტაბარუკი* და სხვა გლეხები. საბატონო მიწის ნაკვეთს, რ-საც გლეხი ფლობდა, ფუძე (ფუზე) ერქვა (XI–XV სს.). ზოგჯერ მის აღსანიშნავად ,,მამულიც'' იხმარებოდა, რადგან მემკვიდრეობით მამისგან შვილზე გადადიოდა. XVI ს-იდან ,,ფუძის'' აღსანიშნავად შემოვიდა ,,საკომლო'' (საკუამლო, საკვამლო). ფუძე-საკომლო საქართვ. სხვადასხვა მხარეში სხვადასხვა სიდიდისა იყო. XI–XII სს-ში კომლი და ფუძე ერთმანეთს ემთხვეოდა. დროთა განმავლობაში ხდებოდა ფუძე-საკომლოთა დაქუცმაცება. XII ს-იდან ერთ ფუძეზე 2–8 კომლი იჯდა. XVIII ს. II ნახევარში კი ზოგიერთი გლეხი საკომლოს მეთორმეტედ ნაწილს ფლობდა. მიმდინარეობდა საწინააღმდეგო პროცესიც – ახ. ფუძე-საკომლოების გაჩენა და შემცირებული მიწის ნაკვეთის შევსება. მიწის სანაცვლოდ გლეხი ფეოდალს უხდიდა ბეგარას (შრომით, ნატურით, ფულით). გლეხს შეიძლებოდა ჰქონოდა საკუთარი – ნასყიდი მიწაც, რაც კანონმდებლობით მტკიცე საკუთრება იყო, მაგრამ გლეხს მისი გასხვისება ბატონის ნებართვის გარეშე მაინც არ შეეძლო. გლეხი სარგებლობდა ასევე სათემო მიწებით.

XIV ს. კანონმდებლობით გლეხის ,,სისხლის'' ფასი 400 და 1000 თეთრი იყო, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ არსებობდა ბ-ის ეკონომიკურად და უფლებრივად განსხვავებული ფენები. XVIII ს. I ნახ. კანონმდებლობით, გლეხების ცალკეული კატეგორიებისათვის განსხვავებული ,,სისხლის'' ფასი დაწესებული არ ყოფილა, მაგრამ ამ პერიოდშიც გლეხთა სხვადასხვა კატეგორიის არსებობა ბ-ის არაერთგვაროვნებაზე მეტყველებს. ეკონ. მდგომარეობის მიხედვით XV–XVIII სს. გლეხები 4 კატეგორიად იყოფოდნენ: 1. კარგი გლეხი (დიდი გლეხი, პირველი კაცი), 2. შუათანა გლეხი (საშ. გლეხი, მეორე კაცი), 3. დაბალი გლეხი და 4. შეუძლებელი. ბ-ის ეკონ. დანაწილების პრინციპი დამოკიდებული იყო მათ გადახდისუნარიანობაზე. გლეხთა გადასახადები მრავალფეროვანი იყო – იხდიდნენ სამეფო, საბატონო, საეკლესიო, სამოხელეო და სხვ. გადასახადებს, უცხო დამპყრობთა სასარგებლოდ დაწესებულ გამოსაღებს და სხვ. გლეხის გასხვისება ძირითადად იმ მიწიანად ხდებოდა, რ-ზედაც იყო მიმაგრებული, მაგრამ პრაქტიკულად ეს იურიდ. ნორმა ხშირად ირღვეოდა. XVIII ს. II ნახევარში ცენტრ. ხელისუფლება იძულებული გახდა გაეტარებინა ღონისძიებანი გლეხთა უმიწოდ გაყიდვის წინააღმდეგ. დაბეგრილი ბ-ის გვერდით არსებობდნენ ნაწილობრივ ან სრულიად დაუბეგრავებიც. ესენი იყვნენ განსაკუთრებული დამსახურების გამო შეღავათებით მოსარგებლე აზატ-თარხნები (შეუვალნი), ან ეკონომიკურად დაკნინებულნი – შეუძლებელნი. ზოგჯერ გლეხს

ორმაგი ბეგარა-სამსახურიც ეკისრებოდა. XVII–XVIII სს-ში ხშირი იყო შემთხვევა, როცა ერთი მებატონისგან აყრილი გლეხი მეორე მებატონის მიწაზე დაჯდებოდა და იქიდან ,,ემსახურებოდა'' თავის ძვ. მებატონეს. XIII–XIV სს-ში გამოჩნდნენ ე. წ. ,,მეღალე გლეხები'', რ-ებიც იჯარით ამუშავებდნენ სხვის მიწას. მოსავლის ნაწილი პატრონისა იყო, ნაწილი – გლეხისა. უმიწო ან მცირემიწიანი გლეხები ხშირად დადიოდნენ სხვადასხვა მხარეში, სოფლებში თუ ქალაქებში ,,მოსარეწელად'', ანუ საშოვარზე. XIII–XVIII სს-ში ე. წ. აღზევებულ გლეხებს (,,გლეხის გლეხი'') ზოგჯერ ჰყავდათ მკვიდრი ან ნასყიდი გლეხები, თუმცა ქართ. ფეოდ. კანონმდებლობა ამას კრძალავდა. უმიწო, ,,უმამულო'' გლეხებს შორის იყვნენ ხელოსნებიც, რ-ებიც დადიოდნენ ქვეყნის სხვადასხვა მხარეში, ხელოსნობით ირჩენდნენ თავს და ფეოდ. ვალდებულებებსაც იხდიდნენ.

მთელი ფეოდ. ეპოქის მანძილზე შეიმჩნეოდა მ-ის ექსპლუატაციის რეგლამენტაციის ცდა. ამის მიუხედავად, იზრდებოდა გლეხთა ბეგარა-გადასახადები. მ. იბრძოდა ფეოდალების წინააღმდეგ. ანტიფეოდ. ბრძოლის ფორმები იყო გადასახადზე უარის თქმა, ფეოდ. ვალდებულებათა შეუსრულებლობა, ჩივილი მეფესთან, აყრა-გაქცევა, ზოგჯერ ბატონის მოკვლა. ბრძოლის უფრო მაღალი ფორმა იყო გლეხთა აქტ. გამოსვლები (აბრაგობა, ყაზახობა, ყაჩაღობა, ,,ჯანყი''), მაგრამ ის უფრო იშვიათი, ლოკალური ხასიათისა იყო. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების (1801) შემდეგ განსხვავება გლეხთა კატეგორიებს შორის თანდათან წაიშალა. ცარიზმმა გააუქმა თარხანი, აზატი და მსახური გლეხის პრივილეგიები. მოხდა გლეხთა კატეგორიების ნიველირება გამოსალებთა საფუძველზე. XIX ს. დასაწყისიდან ჩამოყალიბდა სახელმწიფო ანუ სახაზინო გლეხთა კატეგორია, რ-შიც შევიდნენ ყოფ. სამეფო და საუფლისწულო ყმები, აგრეთვე ცარიზმის საწინააღმდეგო აჯანყებებში მონაწილეობისათვის დასჯილი თავად-აზნაურთა ყმები. საეკლ. გლეხების სოც.-ეკონ. მდგომარეობა კი არსებითად არ შეცვლილა.

ბურჟ. რეფორმების წინ საქართვ. გლეხური მოსახლეობის დაახლ. 47%-ს საბატონო, 43%-ს სახაზინო და 10%-ს საეკლ. გლეხები შეადგენდნენ. XIX ს. 60-იანი წწ. დასაწყისში ფეოდ. ბატონყმური სისტემის კრიზისმა და გლეხთა ბრძოლის გამწვავებამ აიძულა ცარიზმი გაეუქმებინა ბატონყმობა. საბატონო გლეხებმა მიიღეს პირადი თავისუფლება, მათგან შეიქმნა დროებითვალდებულ გლეხთა ახ. კატეგორია. 1869–80 საეკლ. მ. თანდათან დაექვემდებარა სახაზინო უწყებას. ხიზნებს ფორმალურად რეფორმა არ შეხებია, მაგრამ ფაქტობრივად მათი მდგომარეობა უფრო მერყევი გახდა. რეფორმის შემდგომ წლებში, სასაქონლო-ფულადი და კაპიტალ. ურთიერთობის განვითარების პირობებში მ., როგორც ერთიანი წოდება, ქრებოდა. თანდათანობით ღრმავდებოდა მ-ის სოც. დიფერენციაციის პროცესი. XIX–XX სს. მიჯნაზე საქართვ. მ-ის 5%-ს შეადგენდნენ შეძლებული გლეხები (,,კულაკები''), 35–40%-ს – საშუალონი და 55–60%-ს ღარიბები. მთელი მ. დაინტერესებული იყო ბატონყმობის ნაშთების – თავად-აზნაურთა წოდებრივი პრივილეგიებისა და მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობით.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1918 წ. 26 მაისი) შემდეგ მ-ის მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკამ 1918–19 გაატარა აგრ. რეფორმა, რ-მაც მოსპო ბატონყმობის ყველა ნაშთი, გააუქმა მსხვილი თავადაზნაურული მიწათმფლობელობა, ჩამორთმეული მიწების დიდი ნაწილი გადასცა ღარიბ მ-ს. საქართვ. მ-ის საკუთრებად დამტკიცდა როგორც ადრინდ. სანადელო მიწები, ისე ახლად მიზომილი ნაკვეთები და ამით შეიქმნა თავისუფალი გლეხური, ფერმერული მეურნეობის განვითარების რეალური შესაძლებლობა.

საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარებისთანავე (1921) დაიწყო კორექტივების შეტანა 1918–19 აგრ. რეფორმაში. საბჭ. ხელმძღვანელებმა მიიჩნიეს, რომ სოც. დემოკრატებმა დააკანონეს მიწის დიდი ნორმა (სხვადასხვა ბუნებრივ-სამეურნეო ზონაში 7, 15, 40 ჰა), რითაც დაიცვეს თავად-აზნაურობისა და ,,კულაკთა'' ინტერესები და ძალიან მცირე ფართობები გამოუყვეს ღარიბებს. ახ. რეფორმის შედეგად შემცირდა მიწის ნორმა, რამაც საგრძნობლად გაზარდა ღარიბი მ-ის მიწათმფლობელობა. მაგრამ საერთოდ მიწის ნაციონალიზაციის კანონმა გლეხთა უფლება მიწაზე მნიშვნელოვნად შეზღუდა. მიუხედავად ამისა, ე. წ. ახ. ეკონ. პოლიტიკის პირობებში გლეხები არსებითად ინარჩუნებდნენ სამეურნეო დამოუკიდებლობას, მიღებული პროდუქციის საბაზრო ფასებში გაყიდვის შესაძლებლობას. ამასთან ერთად გლეხებს ჰქონდათ გამსაღებელ მომხმარებელთა კოოპერატივებში გაერთიანებისა და მიწის დამმუშავებელი ამხანაგობების შექმნის შესაძლებლობა. 1929-იდან სამეურნეო ევოლუციის პროცესი შეწყდა. ზემოდან დაშვებული გეგმით დაიწყო მასობრივი, არსებითად ძალდატანებითი კოლექტივიზაცია, რ-ის დროსაც უხეშად ითელებოდა გლეხის უფლებაც და სურვილიც. შეძლებული გლეხების მიმართ რეპრესიებსაც მიმართავდნენ, მათი საგრძნობი ნაწილი ფიზიკურად და სოციალურად მოსპეს. ,,კულაკებთან'' ერთად საშ. გლეხებსაც შეუტიეს. კოლმეურნეობებში გაერთიანებულმა მ-მ დაკარგა პიროვნული თავისუფლება, კოლექტიური შრომის შედეგად მიღებული პროდუქციის თავის შეხედულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა. მისი მთ. ფუნქცია გახდა პროდუქციის უაღრესად დაბალ ფასებში მიწოდება სახელმწიფოსათვის. არაეკვივალენტურმა გაცვლამ დიდი ზიანი მიაყენა მ-ს, სოფელს.

50-იანი წწ. შუა ხანიდან გარკვეული ცვლილებები მოხდა საბჭ. სახელმწიფოს აგრ. პოლიტიკაში. გაიზარდა სახელმწიფოსათვის მისაყიდი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასი. ამან აამაღლა კოლმეურნეობათა რენტაბელობა, მაგრამ საზ. მეურნეობიდან კოლმეურნეთა შემოსავალი არსებითად არ გადიდებულა. წარმოების საბოლოო შედეგებით გლეხის დაინტერესება არ გაზრდილა. ასეთ პირობებში კოლმეურნე გლეხმა თავისად ვერ შეიცნო სახელმწ. საკუთრება და საზ. წარმოება. მთელი ყურადღება საკარმიდამო ნაკვეთებსა და გარე სამუშაოებზე გადაიტანა, რამაც გამოიწვია სას.-სამ. წარმოების კრიზისი და სასურსათო პრობლემის გამწვავება.

80-იან წლებში დაიწყო სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დაძლევის გზების ძიება. ტარდებოდა ეკონ. ექსპერიმენტები. ე. წ. გარდაქმნის სტრატეგიის მიზანი იყო უშუალო მწარმოებელ მასას დაბრუნებოდა მიწისა და წარმოების საშუალებებზე ბატონ-პატრონობის გრძნობა, მაქსიმალურად ამაღლებული-

ყო კოლმეურნე გლეხობის სოც. აქტიურობა. კოლმეურნეობები თავისუფლდებოდნენ მბრძანებლურადმ. დიქტატისაგან, ღებულობდნენ დამოუკიდებლობას, გ-ის თვითმოქმედებასა და ინიციატივას საფუძვლად ედებოდა კოლექტ. და საოჯახო ოჯარა, შრომის ორგანიზაციისა და მატერ. სტიმულირების სხვა ფორმები. ხდებოდა საკუთრებისა და მეურნეობის ფორმათა გამრავალფეროვნება, საბჭ. მეურნეობისა და კოლმეურნეობის პარალელურად თავისუფალი გლეხური და *ფერმერული მეურნეობის* შექმნა-განვითარება.

საბჭოური იმპერიის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების (1991) შემდეგ საბაზრო ურთიერთობათა თანდათანობით ჩამოყალიბებისა და კერძო საკუთრების განვითარების პირობებში დღევანდელი ქარსთული სოფლის ახალ სახეს ფერმერული მეურნეობა წარმოადგენს. თუ ადრე სოფლად მეურნეკაცი გლეხად მოიხსენიებოდა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში შინაარსობრივი ინტერპრეტაციით იგი ფერმერად, მესაკუთრედ იწოდება. გლეხი თუ ისტორიულად სოციალურ კატეგორიას წარმოადგენდა, ფერმერი, მისგან განსხვავებით, ეკონომიკურ კატეგორიას განეკუთვნება და ამდენად, დღეს უკვე გაუმართლებელია ,,გლეხისა'' და ,,ფერმერის'' გაიგივება, მათი სინონიმებად წარმოდგენა. ფერმერი ახლებური ტიპის სამეწარმეო მოტივაციებზე მორგებული სოფლის მეურნეა, რ-ის საქმიანობაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ეფუძნება.

რაც შეეხება სოფლის მცხოვრებთა სამოსახლოსთან მდებარე პატარა-პატარა ნაკვეთებზე გაშლილ წარმოებას, იგი, შესაძლებელია იწოდებოდეს სოფლის მკვიდრის საკარმიდამო მეურნეობად, რ-ის პროდუქციასაც ძირითადად თავისავე ოჯახში მოიხმარს და რეალიზაციის პროცესს ნაკლებად ექვემდებარება.

ლიტ.: ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი ა., საქართველოს ისტორია (1801–1991), თბ., 1999; ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი მ., გლეხთა გამოსაღებები XI–XII სს. საქართველოში, «ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები», 1964, ტ. 7; მ ი ს ი ვ ე, გლეხთა კატეგორიები XI–XII სს., იქვე, 1960, ტ. 5, ნაკვ. 1; ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე ა., ქართლის აღრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1961; გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX სს., ტ. 2, ნაწ. 2, თბ., 1956; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ., ძირითადი საზოგადოებრივი კლასები IX–X სს. საქართველოში, «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყ-ბის მოამბე», 1960, №1; მ ე გ რ ე ლ ა ძ ე დ., გლეხობის კლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1979; მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ლ., დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები XVI–XVII სს., «ენიმკის მოამბე», 1940, ტ. 5–6; ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, ნაწ. 1, თბ., 1967; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ს ო ს ე ლ ი ა ო., ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966; А н т е л а в а И. Г., Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. 1, Тб., 1969; т. 2, Сух., 1962; Сельское хозяйство и аграрные отношения (источники и материалы), сост. П. В. Гугушвили, т.1–4, Тб., 1937–55. *ა. ბენდიანიშვილი. დ. მეგრელაძე. ო. ქიშელაშვილი.*

გლეხური მეურნეობა, იხ. სტატები *გლეხობა, თემი, კომლი, საკომლო, ფერმერული მეურნეობა.*

გლიპტიკა (ბერძნ. glyptikē<glyphō – ამოვკვეთ, ამოვტეხ), დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი სახე; ძვირფას და ნახევრად ძვირფას ქვებზე გამოსახულების ამოჭრის ხელოვნება. ამოკვეთილგამოსახულებიან ქვას გ ე მ ა ეწოდება. გემას, რზედაც გამოსახულება სიღრმეშია ამოჭრილი, ი ნ ტ ა ლ ი ო ჰქვია, რელიეფურგამოსახულებიანს კი – კ ა მ ე ა. გემას უძველესი დროიდან იყენებდნენ სამკაულად, ავგაროზად, საბეჭდავად. აკეთებდნენ რბილი (სტეატიდი, ჰემატიტი, სერპენტინი) ან მაგარი (სარდიონი, აქატი, ქალცედონი) ქვისაგან ხელით ან მბრუნავსაჭრისებიან მარტივ დაზგაზე.


გ. ძვ. წ. IV ათასწლეულში ჩაისახა მესოპოტამიასა და ეგვიპტეში.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლების უძველესი ნიმუშები (მცხეთა, ვაჩნაძიანი) ძვ. წ. II ათასწლეულის წინააზიური ცილინდრული საბეჭდავებია. ამავე პერიოდში იწყება საბეჭდავთა ადგილ. წარმოებაც. ძვ. წ. XIV–VII სს-ში მზადდებოდა თიხის დიდი ზომის წრიული, ოვალური, სწორკუთხა, მაღალსახელურიანი ტლანქი საბეჭდავები, რ-ებზედაც ამოკვეთილი იყო პრიმიტიულად შესრულებული გამოსახულებები – მეანდრი, სპირალი, სვასტიკა, კონცენტრული წრეები (ხოვლე, გუდაბერტყა, ყათლანიხევი, სამადლო, ჭოგნარი, ძევრი, შირაქი). ძვ. წ. IX–VI სს-ში გავრცელდა სხვადასხვა ფორმის დიდი ზომის ქვის (ქვიშაქვა, სტეატიტი, მარმარილო) საბეჭდავები. მათზე გამოსახულია ცხოველები, ფრინველები, ადამიანის ფიგურები (ხოვლე, ურბნისი, მცხეთა, ნატანები, ბორი). ძვ. წ. V–III სს-ში გვხვდება ლითონისაგან (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო) დამზადებული თითზე სატარებელი ფარაკიანი საბეჭდავი ბეჭდები. ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე (საძეგური, ყანჩაეთი, კამარახევი, ალგეთი, ღრმახევისთავი, ყოღოთი, აბელია, ტახტიძირი) აღმოჩენილი ბეჭდები ძირითადად ადგილობრივია. კოლხეთში (ვანი, ქობულეთი-ფიჭვნარი, გუადიხუ, ეშერა, დაფნარი) ნაპოვნ ნივთთაგან ჭარბობს ბერძნ. სახელოსნოებში ნაკეთები ბეჭდები. ადგილობრივ ნახელავში (დაბლაგომი, ვანი, თაგილონი) შეიმჩნევა ბერძნ. კლასიკური ხელოვნებისადმი სწრაფვა. საქართველოში აღმოჩენილ ელინისტური ხანის მცირერიცხოვან გლიპტიკურ ძეგლებს შორის მნიშვნელოვანია პტოლემაიოსების ეგვიპტის ორი დედოფლის – ბერენიკა II-ის (ძვ. წ. IV ს. ფარაკიანი ბეჭედი, ქობულეთი-ფიჭვნარი) და არსინოა II-ის (ძვ. წ. 316–270 გრანატის ინტალიო, ,,დედოფლის გორა'') შესანიშნავი პორტრეტული გამოსახულებებით. ძვ. წ. ბოლო საუკუნეების საქართვ. გლიპტიკური ძეგლები გამოირჩევა ფორმისა და შინაარსის მრავალფეროვნებით. ნახელავი ძირითადად ადგილობრივია. დიდი ზომის სამკუთხა და მართკუთხა ფორმის ბრინჯაოს საბეჭდავებზე, ცხოველთა გამოსახულებებია ამოკვეთილი (როქი, ურბნისი, წაღვლი, თეთრი წყარო, მონასტერი, სამთავისი, ვაჩნაძიანი, საირხე). გვხვდება მინისა და ქვის ს კ ა რ ა ბ ე ო ი დ ე ბ ი (სანთა, სამთავრო) და ლურჯი, გაუმჭვირი მინის ჩამოსხმული მრავალწახნაგები. ძირითადად ძვ. წ. II–I სს. არქეოლ. კომპლექსებში აღმოჩენილი სერიული ნაწარმი მოწმობს, რომ მათ ავგაროზისა და სამკაულის დანიშნულება ჰქონდა.

ძვ. წ. მიწურულსა და განსაკუთრებით, ახ. წ. I ს-იდან საქართველოში (სამთავრო, არმაზისხევი, ბაგინეთი, ზღუდერი, ურბნისი, ბორი, ჟინვალი, კლდეეთი, მოდინახე, აღაიანი, მაგრანეთი, ფიჭვნარი, კახეთის ახალდაბა), გავრცელდა მინერალისა (სარდიონი, ამეთვისტო, გრანატი, ქალცედონი,

აქატი და სხვ.) და მინის რომაული გემები, რ-ებითაც ძირითადად ამკობდნენ ბეჭდებს, მედალიონებს, საყურეებს, სამაჯურებს, ქამრის ბალთებს. მ. შ. მაღალმხატვრული ნიმუშები: პრაზემის ინტალიო, რ-ზედაც გამოსახულია ალექსანდრე მაკედონელის იდეალიზებული პორტრეტი ოსტატ პლატონის ხელმოწერით (არმაზისხევი); მაღალი რელიეფით, თითქმის სკულპტურულად შესრულებული გრანატის კამეა ალექსანდრე მაკედონელის პორტრეტით (მცხეთა); მთის ინტალიო იმპ. ლუციუს სევერუსის (161–169) შესანიშნავი რეალისტური პორტრეტით (ციხისძირი); ამეთვისტოს ინტალიო იმპ. კარაკალის (211–217) ექსპრესიული პორტრეტით (ურბნისი); ამეთვისტოს ინტალიო, რ-ზედაც არიადნეს ბიუსტია გამოსახული (წილკანი) და სხვ. მეცნიერთა ვარაუდით, ამ პერიოდში, მცხეთაში იყო გემები: ასპარუგის საბეჭდავი ბეჭედი, სარდიონზე ამოჭრილი მისი პორტრეტითა და წარწერით; გრანატის ინტალიო ქართლის ერისთავის ზევახისა და მისი მეუღლის კარპაკის პორტრეტებით (არმაზისხევი) და სხვ.

V ს. II ნახევარში ინტენსიურად გავრცელდა სასანური ირანის გლიპტიკური ნაწარმი, ე. წ. ,,სასანური მონოგრამები'' და სხვ. (სამთავრო, არმაზისხევი, ურბნისი, ალევი, მაგრანეთი, კარსნისხევი, ჯინისი, კორბოული, თელოვანი, კაჭრეთი, რუსთავი). აღმოჩენილია VI–VII სს. ბიზანტ. Გ-ის რამდენიმე ნიმუშიც (სამთავრო, თიანეთის სიონი, მაგრანეთი). XI–XIII სს-ში გავრცელებულია ძირითადად ადგილ. წარმოების ლითონის საბეჭდავები, იშვიათად – თვლიანი ბეჭდები სხვადასხვა მარტივი სახეებით: რომბი, რომბში ჩასმული წრე, ჯვარი და სხვ. (თიანეთის სიონი, დმანისი, უჯარმა). ამავე ხანებში ბეჭდებზე გაჩნდა ასომთავრული წარწერები. ევროპის აღორძინების ხანისა და XVII–XIX სს. კლასიციზმის ეპოქის გლიპტიკურ ხელოვნებას საქართვ. გლიპტიკურ ძეგლებზე გავლენა არ მოუხდენია. გვიანდ. შუა საუკუნეებში საქართველოში გავრცელებული იყო სხვადასხვა ფორმის საბეჭდავები: ქვის (ძირითადად სარდიონის) ინტალიოები (კათოლიკოს დომენტი II-ის საბეჭდავი, XVII ს.), უმეტესად ასომთავრული ან მხედრული წარწერებით (გიორგი XII-ის საბეჭდავი). აღსანიშნავია კათოლიკოს ანტონ I-ის ვერცხლის საბეჭდავი (XVIII ს. I ნახ.), რ-ის პირამიდული ფორმა მოფიქრებულია როგორც სტილიზებული ყვავილი. ზურმუხტზე შესრულებული ასომთავრული წარწერა ასოთა უზადო მოხაზულობითა და ოსტატური შევჯუფებით დიდ მხატვრულ ეფექტს აღწევს.



გლიპტიკა. 1 – გემა კარპაკისა და ზევახის გამოსახულებით. I–II სს. არმაზისხევი; 2 – გემა ასპარუგ პიტიახშის გამოსახულებით. I–II სს. არმაზისხევი; 3 – გიორგი III-ის ბეჭედი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

XIX ს. საბეჭდავთაგან აღსანიშნავია გიორგი XII-ის შვილის, ბატონიშვილ დავითის (1767–1819 წწ.) ლოტოსის ყვავილის მოყვანილობის ლითონის მოხდენილი საბეჭდავი ასომთავრული წარწერით ,,დვთ'' და ვერცხლის კონუსისებრი საბეჭდავი ივანეს (ი. ჯავახიშვილის პაპა) მხედრული წარწერით ,,ივ. ჯ ხ.''.

ლიტ.: ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი ს., საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები, თბ., 1965; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, [წგ.] 1–4, თბ., 1954–67; მ ი ს ი ვ ე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, თბ., 1969; მ ი ს ი ვ ე, კოლხეთის ძველი წელთაღრიცხვის V–III სს. საბეჭდავი ბეჭდები, თბ., 1975; მ ი ს ი ვ ე, უძველესი საბეჭდავი ბეჭდები იბერიიდან და კოლხეთიდან, თბ., 1981; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ქ., ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, V), თბ., 1972; М а к с и м о в а М. И., Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1950, ტ. 16 B.

ქ. ჯავახიშვილი.

გლიცინია, იხ. *ცისვაზი.*

გლობალიზაცია (ფრანგ. global – საერთო, საყოველთაო, რაც მთელ მსოფლიოს მოიცავს), თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ღრმა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პროცესების ერთობლიობა. თანამედროვე მსოფლიოს ცხოვრებასა და აზროვნებაში Გ-მ ფართო მნიშვნელობა შეიძინა და ძალზე მრავალმხრივი ცნება გახდა; მასში გულისხმობენ ერთიანი, საერთო მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას და, ამდენად, გაერთიანება-შერწყმის სინონიმადაც მოიაზრება. მსოფლიოს ქვეყნების, რეგიონების, ხალხების საყოველთაო ინტეგრაცია Გ-ის არსებითი ნიშანია. ბევრი დღევანდელი მეცნიერი და მოაზროვნე თანამედროვე სამყაროს მიიჩნევს გლობალურ სამყაროდ, ხოლო ეპოქას – Გ-ის ეპოქად.

Გ. ისტ. პროცესია. იგი კაცობრიობის შორეულ წარსულში იღებს სათავეს, ისტორიულად ვითარდებოდა და დამახასიათებელი იყო ყველა დროისა და ეპოქისათვის. თანამედროვე Გ. ძველთაგანვე მომდინარე ინტეგრაციული პროცესების ახალი ეტაპია და სრული სახით XX ს. II ნახევარში ჩამოყალიბდა. დღევანდელი გაგებით ტერმინი ,,Გ.'' გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში წარმოიშვა და მის გამოჩენას ამერიკელი მეცნიერ-ეკონომისტის ტ. ლევიტის სახელს უკავშირებენ, რ-მაც 1983 ,,Harward Business Review''-ში გამოაქვეყნა სტატია და ამ ტერმინით აღნიშნა მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ სხვადასხვა

პროდუქციის ბაზრების შერწყმის ფენომენი.

თანამედროვე გ. ერთობ რთული და მრავალფეროვანი პროცესია, რ-მაც დღის წესრიგში დააყენა კომპლექსურად ურთიერთდამოკიდებული, ურთიერთგამაწონასწორებელი ინსტიტუციური სტრუქტურებით ინტეგრირებული მსოფლიოს არსებობა. გ-ის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე ეკონომიკაა. თვალსაჩინოა, რომ დღეისათვის უზარმაზარი ფინანსური ნაკადი გადაადგილდება საერთაშორისო ბირჟებსა და მათ სტრუქტურებში; გაჩნდა ისეთი გლობალური კომპანიები, რ-თა კაპიტალის მოცულობა და ბრუნვა ბევრად აღემატება მრავალი მცირე სახელმწიფოს ფინანსურ შესაძლებლობებს; ამ კომპანიათა სავაჭრო მარკები განთავსებულია მთელ მსოფლიოში. მათ იმდენად გააფართოვეს თავიანთი მოღვაწეობის სფერო და გავლენა, რომ დღეს ნაწილობრივ უკვე შეიძლება საუბარი ეროვნული ეკონომიკის შევიწროვებასა და გაქრობაზეც კი. მეორე მხრივ, გ. კულტ. ფენომენიცაა. საერთაშორისო მედიაკომპანიების მიერ თავიანთი პროდუქციის მთელ მსოფლიოში გავრცელებამ ერთ-ერთ შედეგად ლოკალური კულტურების ნაწილობრივი რღვევაც გამოიწვია. ახალი ტექნოლოგიების (მიკროელექტრონიკა, რობოტტექნიკა, ბიოტექნოლოგია და სხვ.) არნახულმა განვითარებამ, რევოლუციამ ტელეკომუნიკაციებში, მსოფლიო კომპიუტერული ქსელის (ინტერნეტის, ელექტროფოსტის), ფიჭური კავშირგაბმულობის გავრცელებამ, მათი შესაძლებლობების განუხრელმა ზრდამ და გამოყენებამ, შედეგად მოგვცა ის, რომ შეიცვალა დროისა და მანძილის ოდინდელი მნიშვნელობა. თანამედროვე ტელესაკომუნიკაციო საშუალებები უდიდესი სისწრაფით გადასცემენ ინფორმაციებს დედამიწის ნებისმიერ წერტილში და ადამიანებიც ასევე სწრაფად გადაადგილდებიან ერთი ქვეყნიდან მეორე, ყველაზე შორეულ ქვეყანაშიც კი.

გ-ის პროცესი მაქსიმალურად აახლოებს ერთმანეთთან სხვადასხვა კონტინენტსა და ცივილიზაციას, იგი ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ზრდის ტენდენციას გამოხატავს და ძირითადად ხუთი პარალელური პროცესისაგან შედგება: ინტერნაციონალიზაცია, უნივერსალიზაცია, ლიბერალიზაცია (ეროვნული სახელმწიფოს როლის შესუსტება), ვესტერნიზაცია (მთელ მსოფლიოში დასავლური ფასეულობებისა და კულტურის გავრცელება-აღიარება) და დეტერიტორიალიზაცია (სახელმწიფო საზღვრების როლის შემცირება).

გ-ის პროცესისადმი, მისი უაღრესი სირთულიდან გამომდინარე, მსოფლიოში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აღინიშნება. საზოგადოდ არსებობს ორი რადიკალურად განსხვავებული შეხედულება: პირველის (ე. წ. ,,გლობალისტების'') თანახმად, გ. წარმოადგენს პროგრესულ პროცესს, რ-იც ხელს შეუწყობს მთლიანად მსოფლიოს განვითარებას, ხოლო მეორე (ე. წ. ,,ანტიგლობალისტები'') შეხედულების მიხედვით, გ. არის ნეგატიური მოვლენა, რ-იც ემუქრება არა მარტო ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოებს, ერებს, მათ კულტ. ფასეულობებს, არამედ განიხილება როგორც მსოფლიო განვითარებისათვის საშიში ტენდენცია. აღსანიშნავია მესამე მოსაზრებაც, რ-ის მიხედვითაც გ. თავისი არსით არ წარმოადგენს არც აბსოლუტურ სიკეთეს და არც აბსოლუტურ ბოროტებას, და რომ მისი შედეგებით სარგებლობა ცალკეული ინდივიდის, საზოგადოების, ქვეყნის განვითარების დონესა და ნებაზეა დამოკიდებული.

უკანასკნელ ათწლეულებში საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში აუცილებლობად იქცა გ-ის პრობლემების ნათლად და მკაფიოდ განხილვა. გ-ის ფენომენი სხვადასხვა დარგის მეცნიერთა, სახელმწიფო მოღვაწეთა, საქმიანი წრეების წარმომადგენელთა მხედველობის არეალში მოექცა. შეიქმნა ცოდნის ახალი დარგი – გლობალისტიკა, რ-იც ერთმანეთთან აკავშირებს მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებს: პოლიტოლოგიას, სოციოლოგიას, ისტორიას, ფილოსოფიას, ეკონომიკურ მეცნიერებას, კულტუროლოგიას, სამართალმცოდნეობას და სხვ. გლობალური პრობლემების გრძელვადიანი პროგნოზების შესამუშავებლად და შესაფასებლად ჩამოყალიბებულია დამოუკიდებელ საერთაშორისო ექსპერტთა საკრებულო, რ-იც ე. წ. ,,რომის კლუბის'' სახელით არის ცნობილი და დღეისთვის აერთიანებს რამდენიმე ათეული ქვეყნის ასობით მეცნიერს, ბიზნესმენს, პოლიტ. თუ საზ. მოღვაწეს.

გ-ის პრობლემა, სხვადასხვა ურთულესი გამოწვევების სახით, აშკარად დგას XXI ს-ის დასაწყისის საქართველოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო მნიშვნელოვანწილად არის ჩართული გ-ის პროცესში. სრულყოფილი, სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს შესაქმნელად მთავარი ამოცანაა, ქვეყანამ განსაზღვროს საკუთარი ფუნქცია და დაიმკვიდროს თავისი ადგილი თანამედროვეობის საერთაშორისო სისტემაში, ევრაზიის გეოპოლიტიკურ სივრცეში.

წარსულის გლობალურ მსოფლიო სისტემაში საქართველო გეოპოლიტიკურად ყოველთვის მიეკუთვნებოდა გარკვეულ ისტ.-კულტურულ რეგიონს: კავკასია – მცირე აზია – წინა აზია, ხოლო თავის სუბრეგიონთან ერთად შედიოდა უფრო ვრცელ – ახლო და შუა აღმოსავლეთის ისტ. სივრცეში. იგი მდებარეობდა და მდებარეობს ევროპისა და აზიის გზასაყარზე, ევრო-ატლანტიკური სივრცის უკიდურეს აღმოსავლეთში. ძვ. წ. IV–III ათასწლეულებიდან მოყოლებული, დღევანდელ ქართველთა წინაპარი ტომები და მათ მიერ დაარსებული სახელმწიფოები ინტენსიურად იყვნენ ჩართული ძველაღმოსავლური და ანტიკური ეპოქების მსოფლიო ცივილიზაციათა შექმნა-განვითარების პროცესში. განსაკუთრებული რელიეფურობით ეს ფაქტი (მოვლენა) ბერძნ.-ელინურ სამყაროსთან კულტ. ინტეგრირებითა და პოლიტ. კავშირით გამოიხატა.

ქართული სახელმწიფოების ინტენსიური კულტ.-პოლიტ. და სამხ. თანამშრომლობის შემდგომი ეტაპი იყო ბერძნულ-რომაულ და აღმოსავლურ-ევროპულ სამყაროსთან (ბიზანტიასთან) ხანგრძლივი და მრავალმხრივი ურთიერთობები. შეიძლება ითქვას, რომ თავისი ისტ. გამოცდილებით, კულტ.-პოლიტ. და სახელმწიფოებრივი ცნობიერებით ადრინდ. და განვითარებული შუა საუკუნეების საქართველო ხმელთაშუაზღვისპირეთის ცივილიზაციას მიეკუთვნებოდა, მის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. სწორედ ამ სამყაროსადმი კუთვნილებამ განაპირობა საქართველოში, ერთი მხრივ, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება და, მეორე მხრივ, ის ისტ. რეალობა, რომ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ოდითგანვე გადიოდა საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი –

აბრეშუმის დიდი გზა; იგი შავ და ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებს ინდოეთთან და ჩინეთთან აკავშირებდა.

გვიანდელ შუა საუკუნეებში, მთელი რიგი მიზეზების გამო, ქართულ საზ. პოლიტ. აზროვნებაში მნიშვნელოვან ტრადიციად იქცა განსაკუთრებული სწრაფვა ევროპისადმი, რ-იც, თავის მხრივ, ,,დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიდან'' მოყოლებული მუდმივად განვითარებადი სამყაროს განსაკუთრებულ ტიპს წარმოადგენდა. 1453 კონსტანტინოპოლის დაცემისა და ბიზანტიის იმპერიის დასასრულის შემდეგ, მიუხედავად სახელმწიფოებრივი დაშლა-დაქუცმაცების, დასავლური სამყაროსაგან იზოლაციის და მენტალური თვითმყოფადობისა, საქართველო მაინც რჩებოდა შესაბამისი ეპოქის ისტ.-კულტ. მსოფლიოს განუყოფელ ნაწილად. ეს საზოგადო ტენდენცია შინაგანად შენარჩუნებული იქნა XIX–XX სს. განმავლობაშიც, როდესაც ქვეყანა თავდაპირველად რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ საბჭ. კავშირის შემადგენლობაში იმყოფებოდა და როგორც დამოუკიდებელი პოლიტ. ერთეული მსოფლიო რუკაზე არც კი აღინიშნებოდა (1918–21 გამოკლებით). თითქმის მთელი XX ს-ის განმავლობაში საქართველოს ურთიერთობები გარე სამყაროსთან განსაზღვრული იყო საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტ. დოქტრინით და საკუთარი სახელმწიფოებრივი კონცეფციის ჩამოყალიბება და ცხოვრებაში გატარება პრაქტიკულად გამორიცხული იყო.

თანამედროვე გეოპოლიტიკურ პირობებში კვლავ აქტუალური გახდა ,,აბრეშუმის გზის'' – სატრანსპორტო და ენერგეტიკული სატრანზიტო პროექტების განახლება, რითაც საქართველოს საშუალება ეძლევა კვლავ აღიდგინოს ძველი ფუნქცია და მონაწილეობა მიიღოს ფართომასშტაბიან საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში. ახალ ვითარებაში საქართველომ გააკეთა თავისი ისტ. არჩევანი და საგარეო კურსი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ მიმართა. 1999-იდან საქართველო ევროპის საბჭოს წევრია და მონაწილეობს იმ ევროპული ინსტიტუტების საქმიანობაში, რ-ებიც ხელს უწყობენ დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოების დასავლური სტანდარტებით მშენებლობას, და რ-ის საბოლოო მიზანიც ევროპულ თანამეგობრობაში ინტეგრირებაა.

ლიტ.: ბაინდურაშვილი ხ., გლობალიზაცია და საქართველო, კრ.: გლობალიზაციის პრობლემები, თბ., 2007; ბალცეროვიჩი ლ., თავისუფლება და განვითარება, თბ., 2004; ბარათაშვილი ნ., გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები და ახალი მსოფლიო წესრიგი, თბ., 2004; გაგოშიძე მ., გლობალიზაცია და თანამედროვეობა, თბ., 2009; მამუკელაშვილი ე., გლობალიზაცია და საქართველო, თბ., 2008; მეტრეველი რ., კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში, თბ., 2007; Исмаилов Э., Папава В., Центральный Кавказ: от геополитики к геоэкономике, Стокгольм, 2006.

გ. გ. ლორთქიფანიძე.

გლობალური დათბობა, დედამიწის ზედაპირის, ატმოსფეროსა და ოკეანის საშუალო წლიური ტემპერატურის თანდათანობითი ზრდის პროცესი. მეცნიერული აზრი, რ-იც ჩამოაყალიბა გაეროს ექსპერტთა სახელმწიფოთაშორისმა ჯგუფმა (IPCC) და რ-საც მიემხრო განვითარებული ქვეყნების მეცნ. აკადემიების უმრავლესობა, მდგომარეობს იმაში, რომ, სამრეწვ. რევოლუციის დაწყების პერიოდთან (XVIII ს. II ნახევარი) შედარებით, საშუალო ტემპ-რამ დედამიწაზე აიწია 0,7°C და რომ ტემპ-რის ზრდა ბოლო 50 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია ადამიანის საქმიანობით, პირველ რიგში სათბურის აირების (წყლის ორთქლი H_2O, ნახშირორჟანგი CO_2, მეთანი CH_4) ამოფრქვევით.

კლიმატური სისტემების ცვლილების ბუნებრივი მიზეზები ბოლომდე არ არის გარკვეული. ამ მიზეზთა შორის მნიშვნელოვანია დედამიწის ორბიტის და ბრუნვის ღერძის დახრილობის პერიოდული ცვლილებები (მილანკოვიჩის ციკლები), მზის აქტიურობის ვარიაციები, ვულკანური ამოფრქვევები და სათბურის ეფექტი. ეს ეფექტი (რაოდენობრივად შეისწავლა სვანტე არენიუსმა, 1896) აღწერს დედამიწის ზედაპირის და ატმოსფეროს გაცხელების პროცესს ატმ. აირების მიერ ინფრაწითელი (სითბური) სხივების შთანთქმისა და გამოსხივებისას. XVIII ს. შუა წლებთან შედარებით ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაციამ საგრძნობლად მოიმატა (CO_2 – 31%-ით, CH_4 – 149%-ით). პალეოკლიმატური გამოკვლევების (პოლარული ყინულის ანალიზი) თანახმად, ასეთი მაღალი კონცენტრაციები მიღწეულია პირველად ბოლო 650 ათასი წლის მანძილზე.

ადამიანის საქმიანობით გამოწვეული (ანთროპოგენური) სათბურის აირების ატმ. კონცენტრაციის მატება უკავშირდება ორგ. საწვავის (ნავთობი, ქვანახშირი) წვას და ლანდშაფტების ცვლილებას სას.-სამ. სამუშაოების (სახნავების ფართობის მატება, ტყეების გაჩეხვა) შედეგად. არსებული კლიმატური მოდელების მიხედვით, ანთროპოგენური **გ. დ.** მყღავნდება, პირველ რიგში, საშ. ტემპ-რების მატებით პოლარულ რეგიონებში და ზამთრის ტემპ-რების მატებით ზომიერ სარტყელში. დაკვირვებები აღასტურებს ამ მოდელის სისწორეს, რაც **გ. დ**-ის ანთროპოგენური მიზეზების სასარგებლოდ მეტყველებს.


გ. დ. იწვევს დედამიწის ატმოსფეროს ცირკულაციისა და ოკეანური დინებების მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც არაერთგვაროვნად მოქმედებს კლიმატზე დედამიწის სხვადასხვა რეგიონში. უმნიშვნელოვანესია **გ. დ**-ის გავლენა გოლფსტრიმის თბილ დინებაზე, რ-იც განაპირობებს ჩრდ.-დას. ევროპის რბილ კლიმატს. გრენლანდიის მყინვარების გადნობამ **გ. დ**-ის პროცესში შეიძლება გამოიწვიოს გოლფსტრიმის დინების შეჩერებაც კი, რაც მკვეთრად გაამკაცრებს კლიმატს ამ ქვეყნებში. **გ. დ**-ის ამ და სხვა უარყოფითი შედეგების შესარბილებლად ან თავიდან ასაცილებლად გაეროს ეგიდით იდება სხვადასხვა სამთავრობათაშორისო შეთანხმება და იგეგმება ღონისძიებები ანთროპოგენური სათბურის აირების ამოფრქვევის და ატმოსფეროში მათი კონცენტრაციის შესამცირებლად.

საქართველოში **გ. დ**-ის ფონზე აღინიშნება კლიმატის ცვლილების დიდი მრავალნაირობა. ტემპ-რის ცვლილების დადებითი ტენდენციები (დათბობა), როგორც სიჩქარის, ისე ანომალიების მხრივ, ძირითადად აღმ. საქართველოში აღინიშნება. ქვემო ქართლის ვაკეზე, ქართლისა და კახეთის ქედებზე და ბორჯომის ხეობაში ჰაერის საშ. წლიური ტემპ-რის მატების სიჩქარე შეადგენს 0,05–0,06°C ათწლეულში. ამავე დროს, ჯავახეთის ზეგნის ნაწილზე და სამსრის ქედზე აღინიშნება ტემპ-რის უმნიშვნელო

დაკლება სიჩქარით 0,01–0,03°C ათწლეულში. აღმ. საქართველოს დანარჩენ რაიონებში მიმდინარეობს დათბობა.

დას. საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე ტემპ-რის მნიშვნელოვანი ცვლილება ბ. დ-ის პირობებში არ შეინიშნება, ხოლო ცალკეულ რაიონებში აღინიშნება აცივებაც კი, კერძოდ, კოლხეთის დაბლობის შიდა რაიონებში, მესხეთის ქედის დას. ნაწილსა და მდ. ენგურის ხეობის ზემო წელში.

საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილება საქართველოს ტერიტორიაზე 1906-1995 წლებში



ამავე დროს, დას. საქართველოშიც შეინიშნება დათბობის ცალკეული კერები – აჭარაში, იმერეთის მაღლობზე და რაჭის ქედზე.

წლის ცალკეულ სეზონსა და თვეებში ტემპ-რის ცვლილების სურათი გაცილებით რთულია. წლის ცივი პერიოდის განმავლობაში ტემპ-რის ცვლილების დადებითი სიჩქარეები კვლავ აღმ. საქართველოში ჭარბობს. მაქს. სიჩქარით იცვლება ტემპ-რა (0,05°C ათწლეულში და მეტი) ქვემო ქართლის ვაკეზე, საგურამო-იალნოს ქედზე, გომბორის ქედის ჩრდ.-დას. ნაწილში. თრიალეთის ქედის დიდ ნაწილზე, შიდა ქართლის ვაკის ცალკეულ უბნებში და ლიხის ქედის აღმ. კალთებზე ტემპ-რის ცვლილება არ აღინიშნება. დას. საქართველოში ტემპ-რის ცვლილების დადებითი სიჩქარეები შენარჩუნებულია ლიხის ქედის დას. კალთებზე და იმერეთის მაღლობზე. დანარჩენ ტერიტორიაზე ტემპ-რის ცვლილების სიჩქარე უარყოფითია, თუმცა – უმნიშვნელო.

წლის თბილი პერიოდის განმავლობაში მაქს. სიჩქარით მატულობს ტემპ-რა ქვემო ქართლის ვაკეზე, ბორჯომის ხეობაში, ჯავახეთის ზეგნის აღმ. ნაწილში, ქართლისა და კახეთის ქედების სამხრ. ნაწილში, კახეთის კავკასიონზე. სამხრ. საქართველოში – მტკვრის ხეობაში და თრიალეთის ქედის დას. ნაწილში — აღინიშნება აცივება სიჩქარით 0,03°C ათწლეულში. დას. საქართველოში დათბობის დიდი სიჩქარეები მხოლოდ ცალკეულ კერებშია ფიქსირებული – აჭარის სანაპიროზე, ლეჩხუმის ქედის დას. ნაწილში, კოლხეთის დაბლობის ცენტრ. ნაწილში. ინტენს. აცივება აღინიშნება კავკასიონის მაღალმთიან ზონაში. დას. საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მდგრადი უცვლელი მდგომარეობაა.

ბ. დ-ზე საქართველოს ლოკალური კლიმატების განსხვავებული რეაქცია განპირობებულია განსხვავებული ბუნებრივ-ლანდშაფტური პირობებით. აღმ. საქართველოს სემიარიდული (ნახევრად უდაბნო) და არიდული (მშრალი უდაბნო) ბუნებრივი ლანდშაფტები უფრო სწრაფად რეაგირებენ ბ. დ-ზე, ვიდრე დას. საქართველოს ჰუმიდური (ტენიანი) ლანდშაფტები, სადაც სითბოს დიდი ნაწილი იხარჯება აორთქლებაზე, ჰაერი კი ნაკლებად თბება. სწრაფად რეაგირებენ ბ. დ-ზე ვაკეების სემიარიდული და სემიჰუმიდური ლანდშაფტები, აგრეთვე სემიჰუმიდურში გარდამავალი დაბალი და საშ. მთის ტყის და მთის ზომიერი სემიჰუმიდური ლანდშაფტები. აქ საშ. წლიური ტემპ-რის ზრდის სიჩქარე ახლოსაა საშ. გლობალური ტემპ-რის ზრდის სიჩქარესთან (0,05–0,06°C ათწლეულში).

როგორც ვაკის, ისე მთის კოლხური ჰუმიდური ლანდშაფტები სუსტად რეაგირებენ ბ. დ-ზე. უფრო მეტიც, ბ. დ-ის ფონზე ამ ლანდშაფტებში გასული საუკუნის განმავლობაში საშ. წლიური ტემპ-რა იკლებდა 0,01–0,04°C ათწლეულში.

მთიან და მაღალმთიან რაიონებში, სადაც მდგრადი თოვლის საფარი იცის, თოვლის დნობისას ჰაერის მიწისპირა ფენაში ტემპ-რა კლებულობს, რის გამოც ტემპ-რის ზრდის სიჩქარე რამდენადმე ეცემა, ზოგჯერ კი უარყოფითიც ხდება.

მსოფლიო მეტეოროლ. ორგანიზაციამ შეიმუშავა გლობალური კლიმატის ცვლილების რამდენიმე სცენარი. ამათგან ყველაზე მკაცრი სცენარის მიხედვით, XXI ს. განმავლობაში გლობალური ტემპ-რის ზრდის სიჩქარე იქნება 0,3°C ათწლეულში. შესაბამისი გაანგარიშებებით, საქართველოს ბარის არაჰუმიდურ ლანდშაფტებში საშ. ტემპ-რის ცვლილების სიჩქარე იქნება 0,3°C ათწლეულში, მთებში – შედარებით ნაკლები, ხოლო ვაკის ჰუმიდურ ლანდშაფტებში კი – 0,22°C. ამ მკაცრი სცენარის განხორციელების შემთხვევაში საქართველოს ზოგიერთი ბუნებრივი ლანდშაფტის შესამჩნევი ტრანსფორმაცია შესაძლებელია XXI ს. დასასრულს.

ლიტ.: თავართქილაძე კ., ელიზბარაშვილი ე., მუმლაძე დ., ვაჩნაძე ჯ., საქართველოს მიწისპირა ტემპერატურული ველის ცვლილების ემპირიული მოდელი, თბ., 1999; Элизбарашвили Э. Ш., Элизбарашвили М. Э., Основные проблемы климатологии ландшафтов, Тб., 2006; Climate Change, IPCC, Cambridge, UK, 2001. *მ. ელიზბარაშვილი.*

გლობულარია (Globularia), ბალახოვან მცენარეთა გვარი გლობულარიასებრთა ოჯახისა. აერთიანებს 25-მდე სახეობას, რ-ებიც გავრცელებულია მწვანე კონცხის კ-ებიდან დას. აზიამდე. საქართ-



გლობულარია. ბეწვყვავილა გლობულარია (Globularia trichosantha).

ველოში ამ გვარის მხოლოდ ერთი სახეობა იზრდება – ბ ე წ ვ ყ ვ ა ვ ი ლ ა Გ. (G. trichosantha). მისი 10–30 *სმ* სიმაღლის ღერო (ერთი ან მრავალი) მოფენილია დაკნინებული ფოთლებით. ფოთლების უმეტესობა ღეროს ძირშია როზეტად თავმოყრილი. აქვს ცისფერი ყვავილი. გვხვდება იშვიათად შიგა ქართლში, კახეთსა და ქიზიყში, აგრეთვე ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში, აღმ. ევროპასა და მცირე აზიაში. იზრდება ტყისპირა ჩამონაზვავზე, ნატყევარ მშრალ ფერდობზე დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე.

„გლოვის მგოსანი“, ქართული სამგლოვიარო რიტუალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის – დატირების – შემსრულებელი; მიცვალებულის პროფესიული თუ ნახევრად პროფესიული დამტირებელი. ტერმ. „Გ. მ.“ დადასტურებულია ძვ. ქართ. წყაროებში. საქართვ. სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით მთაში, შემორჩენილია დატირების ტრად. წესი; აქ დღესაც არიან „Გ. მ-ები“, რ-ებიც ლექსად დაიტირებენ ხოლმე გარდაცვლილს. ეს ლექსები გამოირჩევა ღრმა ემოციურობით, თავისებური ფორმით (იხ. აგრეთვე *ხმით ნატირალი*).

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1956; ქართული ხალხური პოეზია თორმეტ ტომად, ტ. 1, ნაკვ. 2, თბ., 1973; ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956. *ჯ. ბარდაველიძე.*

გლოლა, სოფელი ონის მუნიციპალიტეტში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), რაჭის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ. ჭანჭახის (რიონის მარცხ. შენაკადი) ნაპირას, ონი – შოვის საავტ. გზაზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 1280 *მ*, ონიდან 27 *კმ*. 385 მცხ. (2002). სოფლის მიდამოებში, მდინარეების ბოყოსწყლისა და ჭანჭახის შესართავთან, არის მყინვარის მიერ მთავარი ქედიდან ჩამოზიდული გრანიტული ლოდები. მათი გადაადგილების დრო უკავშირდება უკანასკნელ ან უკანასკნელისწინა გამყინვარებას. გლოლის ლოდები შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“.

Გ. პირველად დამოწმებულია ალექსანდრე მეფის სიგელში (XV ს.) – „წიგნი ალექსანდრე მეფისა სვანთა მიერ ჯაფარიძეთა სისხლის გადახდაზე“. მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: „არს გლოლა დაბა მგზავსი ციხისა, კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი. შიგ ეკლესია, აღსილი ოქროვეცხლის ხატითა და ჯუარითა და წიგნებითა, ძუელადვე ხიზნულნი“.

მდ. ჭანჭახის მარჯვ. ნაპირზე, გორაკზე, რ-საც ადგილ. მოსახლ. ზედაქალაქს უწოდებს, შემორჩენილია შუა საუკ. ციხის, განვითარებული შუა საუკ. 2 ეკლესიისა და სხვ. ნაგებობათა ნანგრევები. ერთი, შედარებით დიდი, ეკლესია წმინდა გიორგისა შემოსილია სუფთად გათლილი მოყვითალო შირიმის კვადრებით. ინტერიერში მოხატულობის კვალია. მოხატული ყოფილა მეორე, ნახევრად დამუშავებული დიდრონი ქვით ნაგები მიქელ-გაბრიელის ეკლესიაც. Გ-ში ასევე არის ჯვარპატიოსნის (შუა საუკ.), ნათლისმცემლის (XVII ს.) ეკლესიები და ეკლესია „ციხე“ (შუა საუკ.).

დ. სვანიძე. მ. დვალი.

გლონოქორი, ქართლის მთავარეპისკოპოსი, ქართლისა და ჰერეთის ერისთავი V ს. I ნახ-ში. Გ. ერისთავად დანიშნა ირანის ხელისუფლებამ, რითაც მან კავშირი დაამყარა ქართვ. ფეოდალების გარკვეულ ფენებთან.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.

ლიტ.: ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII–XII საუკუნეების საქართველოში, კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966; პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970; ჯ ა ნ ა შ ი ა ს., ადრეული ფეოდალიზმი, შრომები, ტ. 2, თბ., 1952.

ბ. ლომინაძე.

გლოსოლალიები (ბერძნ. glōssa – ენა და laliá – ლაყბობა, ფუჭსიტყვაობა), შინაარსმოკლებული (ან შინაარსდაკარგული) სიტყვები და მარცვლები, რ-ებზედაც ხდება გამღერება. Გ. ხშირია ქართულ ხალხურ მუსიკალურ ნაწარმოებებში (ვოდელია, ვარალო, არუდილა, ჰარუდილა, რიმტირი, აბარერა, ვაჰე, არალე და ა.შ.). Გ-ს განსაკუთრებით ხშირად იყენებენ მრავალხმიან სიმღერებში რეფრენისა და მისამღერის სახით. გურულ პოლიფონიურ სიმღერებში კი ბანი და მაღალი ხმა თითქმის მთლიანად Გ-ს ემყარება. თავისებური Გ. ახასიათებს კრიმანჭულს, გამყივანს, ბანს. ზოგიერთი ქართ. ხალხ. სიმღერა მთლიანად Გ-ზეა აგებული (სვანური „შინა ვორგილი“, „გურული ღიღინი“, „აბადელია“ და სხვ.). Გ-ის ძირების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, მათში შეიძლება შემორჩენილი იყოს უძველესი დროის ტერმინები (ზოგჯერ გვხვდება ურარტული წარმოშობის სიტყვები. მაგ., არალე ღვთაების სახელია; ივრი არალე – ღმერთო არალე, თარი არალე – დიდი არალე, არი არალე – მომეც წყალობა არალე. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში Გ-ს „გაქვავებული გამოთქმები“ ეწოდება.

ლიტ.: ს ვ ა ნ ი ძ ე ალ., შესავალი ალაროდიელ ტომთა ისტორიიდან, ტფ., 1936; შ ი ლ ა კ ა ძ ე მ., გლოსოლალიები ქართულ ხალხურ სიმღერებში, «ქართველური მემკვიდრეობა», III, ქუთ., 1999. *ი. ჟორდანია.*



ვ. გ ლ უ ნ ჩ ა ძ ე. მალხაზი, ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“.

გლუნჩაძე ვახტანგ სამსონის ძე (23. VI. 1925, თბილისი, – 2. I. 2006, იქვე), მომღერალი (ტენორი). საქართვ. დამს. არტისტი (1967). ქართ. საოპერო ხელოვნებაში მოვიდა მხატვრული თვითმოქმედებიდან. 1953–60 მღეროდა თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდში. 1960–70 იყო ამავე თეატრის სოლისტი, ხოლო 1970–77 – ქუთ. საოპერო თეატრის წამყვანი სოლისტი. წარმატებით ასრულებდა ტენორის მთ. პარტიებს ზ. ფალიაშვილის („დაისი“ და „აბესალომ და ეთერი“), ო. თაქთაქიშვილის („მინდია“, „სამი ნოველა“), ს. ცინცაძის („განდეგილი“), ა. კერესელიძის („ბაშიაჩუკი“), ჟ. ბიზეს („კარმენი“, „მარგალიტის მაძიებლები“), ჯ. ვერდის („ტრუბადური“), ჯ. პუჩინის („ტოსკა“), პ. მასკანის („სოფლური ღირსება“), გ. დონიცეტის („ლუჩია დი ლამერმური“), მ. გლინკას („რუსლან და ლიუდმილა“), ს. რახმანინოვის („ალეკო“) და სხვა კომპოზიტორთა ოპერებში. ასრულებდა ქართვ. კომპოზიტორთა რომანსებსა და სიმღერებს.



ნ. გ ლ უ ნ ჩ ა ძ ე. ტატიანა, პ. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი“.

გლუნჩაძე ნაირა ვახტანგის ასული (დ. 30. III. 1955, თბილისი), მომღერალი (სოპრანო). ტულუზის (საფრანგეთი) საერთაშ. კონკურსის დიპლომანტი (1987), ბუსეტოს (იტალია) „ვერდის ხმების“ საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (1992, I პრემია). 1981 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. გ. ქართველიშვილის კლასი). ამავე წელს ჩაირიცხა ზ. ფალიაშვილის სახ. თბილ. ოპერისა და ბალეტის ეროვნ. თეატრის დასში და გახდა წამყვანი სოლისტი. ასრულებდა ქართ. და უცხ. ოპერების მთ. პარტიებს: მარო და მარიხი (ზ. ფალიაშვილის „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“), ვიოლეტა და დეზდემონა (ჯ. ვერდის „ტრა-

ვიატა'', ,,ოტელო''), ცერლინა (ვ. ა. მოცარტის ,,დონ ჟუანი''), მარგარიტა (შ. გუნოს ,,ფაუსტი''), ტატიანა (პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი''), ალინა (გ. დონიცეტის ,,სიყვარულის ნექტარი''), მიმი და ლაურეტა (ჯ. პუჩინის ,,ბოჰემა'', ,,ჯანი სკიკი''), ლეილა (ჟ. ბიზეს ,,მარგალიტის მაძიებლები''), ლუიზა და პრინცესა ნინეტა (ს. პროკოფიევის ,,დუენია'', ,,სამი ფორთოხლის სიყვარული'') და სხვ. გ-ის შესრულებისათვის დამახასიათებელია ნატიფი ლირიზმი, დახვეწილი გამომსახველობითი საშუალებები. ეწევა საკონცერტო მოღვაწეობას კამერული რეპერტუარით. გასტროლები გამართა საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში (საფრანგეთი, ავსტრია, გერმანია, იტალია, შვეიცარია). 1992-იდან მოღვაწეობს გერმანიაში.

გმელინი (Gmelin) სამუელ გოტლიბ [23. VII. 1745 (ან 23. VI. 1744), ტიუბინგენი, – 27. VII. 1774, დაღესტანი], გერმანელი მეცნიერი და მოგზაური. 1767 მიიწვიეს პეტერბურგში და იმავე წელს აირჩიეს პეტერბ. საიმპერატორო მეცნ. აკად. წევრად (აკადემიკოსად). 1768–74 აკადემიის დავალებით გ-მა ი. ა. *გიულდენშტედტთან* ერთად შეისწავლა ვოლგისა და დონის სათავეები, კავკასია (მ. შ. საქართველო), კასპიის ზღვის ნაპირები. ტყვედ ჩავარდა დაღესტანში და ტყვეობაშივე გარდაიცვალა. მის თხზულებაში ,,მოგზაურობა რუსეთში ბუნების სამი სამეფოს გამოკვლევისათვის'' (I–III, 4 წიგნად; 1771–85) მრავალი საინტერესო მონაცემია ბუნებაზე, აღწერილია ცხოველთა ახ. სახეობები, მ. შ. ამჟამად ამომწყდარი გარეული ცხენი ტარპანი (Equus gmelini).

რ. ჟორდანია.

გმირი, ფიზიკური და სულიერი ღირსებებით გამორჩეული პიროვნება, შესატყვისი ბერძნ.-ლათ. ცნებისა hērōs, თუმცა სრულად არ გამოხატავს მის შინაარსს. ,,ქართლის ცხოვრებაში'' გ-ებად იწოდებიან ქართვ. და კავკ. სხვა ხალხთა ეპონიმები: თარგამოსი, ქართლოსი, ჰაოსი და მათი ნაშიერნი. გ-ად იწოდება აგრეთვე ბიბლიური პერსონაჟი ნებროთი (,,მსგავსი ნებროთ გმირისა გამოგაჩინა წინამძღურად ჩუენდა''). მთის დიალექტებში (განსაკუთრებით, ხევსურულში) გ-ს ,,მოძალადის'', ,,მძლავრის'' მნიშვნელობა აქვს. ეს საყურადღებო ფაქტია, რადგან ფიქრობენ, რომ შესაძლებელია სიტყვა ,,გ.'' მომდინარეობდეს ერთ-ერთი სკვითურ-სარმატული ტომის *კიმერიელების* სახელისგან. ძვ. წ. VIII ს-ში მათ გადმოიარეს კავკასია, დაარბიეს *ურარტუ* და საფრთხე შეუქმნეს თვით ასურეთის იმპერიასაც კი. ასურულ წყაროებში მათი სახელწოდებაა ,,გიმირრაია'', ანუ გიმირელები. *ზ. კიკნაძე.*

გნოლი (Perdix perdix), ფრინველი ქათმისნაირთა რიგისა. მისი სხეულის სიგრძეა 35 *სმ*. მამლის მასა 500 *გ* აღწევს, დედლის – 350 *გ*. გავრცელებულია ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში, წინა და შუა აზიაში. გ. საქართველოშიც ბინადრობს, ზამთარში ნომადობს (მომთაბარეობს). ცხოვრობს ბუჩქნარით შემორაგულ ველ-მინდვრებზე, ყანებში, ზეგნებზე (ზ. ღ. 2600 *მ*-მდე). გ. მონოგამია, ბუდეს მიწაზე იკეთებს. მაის-ივნისში გ. დებს 12–15 კვერცხს, კრუხობს



გნოლი.

21–26 დღე-ღამე. იკვებება მცენარეული (კენკრა, მარცვლოვნები, კვირტები, ყლორტები) და ცხოველური (მწერები) საკვებით. ქვესახეობებიდან საქართველოში გვხვდება სამხრეთკავკასიური გ. (P. p. canescens). ბოლო წლებში გ-ების რიცხოვნობამ მკვეთრად იკლო. შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში''. *რ. ჟორდანია.*

გნოსეოლოგია (ბერძნ. gnōsis – ცოდნა და logos – მოძღვრება), ფილოსოფიის ნაწილი, რ-იც შეისწავლის შემეცნების პროცესის კანონზომიერებებს, არკვევს, რა არის ჭეშმარიტება და როგორ შეიმეცნება იგი, როგორია სუბიექტისა და ობიექტის მიმართება შემეცნების პროცესში და, საერთოდ, შესაძლებელია თუ არა შემეცნება. *ონტოლოგიასთან* ერთად იგი შეადგენს თეორიულ *ფილოსოფიას.*

XVII–XVIII სს-ში გ-ს მიიჩნევდნენ კვლევის სპეციალურ ფილოსოფიურ დარგად, ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ: ინგლ. ფილოსოფოსი ჯ. ლოკი (1632–1704), რ-მაც ემპირისტული გ-ის პრინციპების საფუძველზე უარყო თანდაყოლილი იდეების არსებობა და მთელი საკაცობრიო ცოდნა ცდისეულად გამოაცხადა; ი. *კანტი,* რ-მაც რეალობა, როგორც თავისთავადი ნივთის სამყარო თვით შემეცნებისაგან დამოუკიდებლად გამოაცხადა (ობიექტი, მისი აზრით, არსებობს მხოლოდ სუბიექტის მოღვაწეობის ფორმებში).

გ-ს ხშირად აიგივებენ ეპისტემოლოგიასთან (ბერძნ. epistēmē – მეცნიერული ცოდნა და logos – მოძღვრება), რაც ზუსტი არ არის, რადგან გ-ის ცნება გამოიყენება როგორც შემეცნების პროცესის, ასევე საერთოდ ცოდნის კანონზომიერებათა შემსწავლელი მეცნიერების აღსანიშნავად, ხოლო ეპისტემოლოგია მოძღვრებაა მხოლოდ მეცნიერული ცოდნის შესახებ. მათი გაიგივების, უფრო სწორად, ეპისტემოლოგიაზე შემეცნების თეორიის დაყვანის მცდელობა თვალსაჩინოა უახლეს ქართულ ფილოსოფიურ ლიტ-რაში (ვ. რამიშვილი).

შემეცნების შესაძლებლობის უარმყოფელ თეორიას აგნოსტიციზმი ეწოდება, ხოლო იმ ფილოს. მიმდინარეობას, რ-იც არც ამტკიცებს და არც უარყოფს შემეცნების შესაძლებლობას, არამედ ასაბუთებს, რომ როგორც ერთი, ისე მეორე მხარე მიზანს ვერასდროს მიაღწევს – სკეპტიციზმი.

ერთმანეთისგან განსხვავდება გრძნობადი, ანუ ემპირიული, და რაციონალური, ანუ ლოგიკური, შემეცნება. ემპირიული შემეცნების ფორმებია: შეგრძნება, აღქმა და წარმოდგენა, ხოლო რაციონალური შემეცნებისა – ცნება, მსჯელობა და დასკვნა. მათთან მჭიდროდაა დაკავშირებული ინტუიციური შემეცნება – რაიმეს უეცარი მიხვედრა, ჭეშმარიტების ერთგვარად მოულოდნელი გაცხადება. არსებობს ინტუიციის სხვადასხვა ფორმა (გრძნობადი, ინტელექტუალური, მხატვრული, რელიგიური და სხვ.). მათგან შემეცნების პროცესში უპირატესად მონაწილეობს მხოლოდ ინტელექტუალური ინტუიცია. თუმცა ინტუიციური შეიძლება იყოს მხოლოდ შემეცნება და არა ცოდნა, როგორც შემეცნების პროდუქტი – ინტუიციურად შეცნობილი მხოლოდ ლოგიკური დასაბუთების შემდეგ მიიღებს ცოდნის ხასიათს.

ნებისმიერი შემეცნების მიზანი არის ჭეშმარიტების აღმოჩენა.

ჭეშმარიტება არის სინამდვილის სწორი, ადეკვატური ასახვა. მისი საპირისპიროა შეცდომა, რ-იც სინამდვილეს წარმოსახავს მცდარად.

როცა ამტკიცებენ ჭეშმარიტების ობიექტურობას, ეს ნიშნავს, რომ იგი არ ექვემდებარება სუბიექტურ თვითნებობას. ამავე დროს იგი რელატიური, ანუ ფარდობითია. ამის გაცნობიერება შესაძლებლობას იძლევა შეცდომების პერმანენტული გამორიცხვის გზით უზრუნველვყოთ შემეცნების პროცესის სრულყოფა.

გ. ასაბუთებს შემეცნების სამი ურთიერთდაკავშირებული ფორმის არსებობას: მეცნიერებამდელი, ანუ წარმოდგენებით აზროვნება, კონკრეტული-ცნებისეული, ანუ მეცნ. შემეცნება, და ფილოსოფიური შემეცნება, რ-იც ხორციელდება უზოგადესი ანუ ფილოს. ცნებების – კატეგორიების მეშვეობით.

ხშირად გ-ზე დაჰყავდათ მთელი ფილოს. თეორია. ეს არასწორი ტენდენცია განსაკუთრებით მას შემდეგ გაჩნდა, რაც ახალწარმოშობილმა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა თითქოს კვლევის ობიექტებად დაინაწილეს ყოფიერების სფერო და, ამდენად, ონტოლოგია ზედმეტად აქციეს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი გ-ის აქტუალური პრობლემები ყოველთვის იყო ქართვ. ფილოსოფოსების ყურადღების ცენტრში. შემეცნების თეორიის ცალკეულ საკითხებს ვხვდებით *იოანე პეტრიწის*, ს.-ს. *ორბელიანის*, *ანტონ I-ის*, ი. *ხელაშვილის*, *იოანე ბატონიშვილის*, ს. *დოდაშვილისა* და სხვ. ქართვ. მოაზროვნეთა თხზულებებში. კერძოდ, შ. *ნუცუბიძემ* ბ. ბოლცანოს ონტოლოგიური ჭეშმარიტების თეორიის საფუძველზე შეიმუშავა ორიგინ. გნოსეოლოგიური მოძღვრება – ა ლ ე თ ო ლ ო გ ი ა. მაგრამ ამ მოძღვრების დედაარსი მდგომარეობს არა აზროვნებისა და შემმეცნებელი სუბიექტისაგან ჭეშმარიტების აბსოლუტურად დამოუკიდებელი სახით არსებობის დაშვებაში, არამედ იმის დასაბუთებაში, რომ ჭეშმარიტება არის ფსიქოლოგისტური და ანთროპოლოგისტური დანაშრევებისაგან თავისუფალი ფენომენი. ამ სახით შ. ნუცუბიძის შეხედულება თითქოს ეხმიანება და ერთგვარად წინ უსწრებს კ. პოპერის საინტერესო თეორიას ცოდნის ონტოლოგიური ბუნების შესახებ. პოპერის მიხედვით, შემმეცნებელი სუბიექტის მიერ მოპოვებული ცოდნა მისი ავტორის (შემეცნების სუბიექტის) ცნობიერებასთან ერთად, როგორადაც იგი ფიქსირდება წიგნებსა და ჟურნალებში, ცოდნას წარმოადგენს იმ შემთხვევაშიც კი, როცა მას არავის ცნობიერება არ ითვისებს.

ფილოსოფიის გ-ზე დაყვანის ტენდენციას, რ-იც ჯ. ლოკის, ი. კანტისა და ნეოკანტიანელებისაგან მომდინარეობდა, ეხმაურებოდნენ ქართვ. ფილოსოფოსებიც, კერძოდ, კ. *ბაქრაძეს* მიაჩნდა, რომ ფილოსოფია არსებითად გ. არის და რომ ფილოს. საგანია შემეცნების კანონზომიერება. ამ თვალსაზრისს, ქართ. ფილოს. აზრის ისტორიისათვის დიდი კულტ. ღირებულება ჰქონდა, რადგან ადასტურებდა ქართვ. ფილოსოფოსების ინტერესს დასავლურ ფილოს. აზროვნებაში მიმდინარე პროცესებისადმი.

თავის დროზე შემეცნების აქსიომატურ საფუძვლებს იკვლევდა მ. *გოგიბერიძე* (,,შემეცნების აქსიომატური დასაბამი'', 1926). მის მიერ დაწყებული შემეცნების მტკიცე და საიმედო საწყისების ძიების ერთგვარი გაგრძელებაა ს. შ. *ავალიანის* ფსევდოაბსოლუტური ჭეშმარიტების თეორია, რ-ის მიხედვით *ფსევდოაბსოლუტურობა* შემეცნების უზოგადესი კანონზომიერებაა. თუმცა ჯერ კიდევ დასაზუსტებელია კავშირი შემეცნების აქსიომატურ საფუძვლებსა, მტკიცე და საიმედო საწყისებსა და ფსევდოაბსოლუტურს შორის.

გ-ის კვლევის ობიექტისა და არეალის გაფართოების თვალსაზრისით თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ა. *შეროზიას*, რ-მაც დაადგინა, რომ არაცნობიერის კვლევა კი არ ხელყოფს გ-ს, არამედ პირიქით, უფრო აღრმავებს მას.

ს. *წერეთელმა* დაადგინა ჭეშმარიტების დიალექტიკური ბუნება, რითაც ბიძგი მისცა დიალექტ. ლოგიკის ჩამოყალიბებას და ლოგიკის, შემეცნების თეორიისა და დიალექტიკის იგივეობის შემდგომ დასაბუთებას.

საქართველოში გნოსეოლოგიური აზრის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნ. კვარაცხელიას შეხედულება შემეცნების ობიექტისა და სუბიექტის მიმართების საკითხზე. მისი აზრით, ადამიანი არის არა მხოლოდ შემეცნების სუბიექტი, არამედ თვით წარმოადგენს შემეცნების ობიექტს, ანუ გნოსეოლოგიურ პრობლემას. ამ პრობლემის გადაწყვეტაში თვით შემეცნების მონაწილეობა გვაახლოებს შემეცნების სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობის შემდგომ დაზუსტებასთან.

აღნიშნულ ამოცანას თავისებურად ეხმაურება ბ. *ბრეგვაძის* თვალსაზრისი, რ-ის მიხედვით ჭეშმარიტების კრიტერიუმი თვით აზრში, ცნობიერებაში უნდა ვეძიოთ. ცხადია, ეს დებულება არ იწვევს პრაქტიკის კრიტერიუმის უგულებელყოფას. პირიქით, აქ აზრს ენიჭება ჭეშმარიტების შეფასების (და არატრადიციული აზრით – საზომის) დანიშნულება. ამდენად, პრაქტიკა, როგორც ჭეშმარიტების საზომი და აზრი, როგორც ჭეშმარიტების შემფასებელი, ერთმანეთს საჭიროებენ. უნდა აღინიშნოს, რომ გნოსეოლოგიური პრობლემების აქსიოლოგიური პოზიციიდან განხილვის ერთ-ერთი პირველი ინიციატორი იყო დ. ბეჭვაია. კერძოდ, მან ოსტატურად გაარკვია ქართ. ფილოს. მონაპოვარი გნოსეოლოგიური კატეგორიის – ფსევდოაბსოლუტურის – აქსიოლოგიური დანიშნულება და ამით ერთმანეთთან დააკავშირა აღნიშნული დარგები. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბოლომდე გარკვეული არ არის განსხვავება ფსევდოაბსოლუტურსა და ჰ. ფაიჰინგერის (1852–1933), ფრ. ნიცშესა და პრაგმატისტების ფიქციონალისტურ შეხედულებებს შორის.

უკანასკნელ პერიოდში ქართვ. ფილოსოფოსებს შორის გაძლიერდა გნოსეოლოგიური პრობლემატიკის გაფართოებისა და მისი სტრუქტურის შეცვლის ცდები. მაგ., გ-ის სტრუქტურაში უკვე წარმოდგენილია მეცნიერება, დიალექტიკური ლოგიკა, რ-იც აქამდე არსებითად მხოლოდ სოც. ფილოსოფიის დონეზე განიხილებოდა და ისიც როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმა. გ-ის სტრუქტურაში კი იგი მიჩნეულია ადამიანის მოღვაწეობის სფეროდ, რ-ის ფუნქციაა სინამდვილის მოვლენების, პროცესების არსებისა და კანონზომიერების შესახებ ობიექტური, ჭეშმარიტი ცოდნის სისტემატიზაცია აბსტრაქტულ-ლოგიკური ფორმით.

ქართვ. ფილოსოფოსთა დიდ ყურადღებას იქცევს ჭეშმარიტების კრიტერიუმისა და მეცნიერების თეორიის საკითხები, რ-ებიც ფართოდაა წარმოდგენილი ს. *დანელიას*, ნ. *კირვალიძის*, ჯ. *კორძაიას*, თ. ა. *ბუაჩიძის*, ო. ჯულელის, ვ. *ერქომაიშვილის*, მ. *მამარდაშვილის* და სხვათა შრომებში.

ლიტ.: ავალიანი ს., თეორიული ფილოსოფია, თბ., 2007, თ. 6; ასათიანი გ., ფილოსოფია, ნაწ. 3, თბ., 2006; ბაჩულაშვილი გ., კატეგორიების დიალექტიკა როგორც ვნოსეოლოგიური ლოგიკა, თბ., 1978; ბეჭვაია დ., აქსიოლოგია, თბ., 2007; გაგოიძე ვ., მეცნიერება-ტექნიკა-საზოგადოება, ტ. 1–2, თბ., 1982–85; კვარაცხელია ნ., ადამიანის, როგორც შემმეცნებელი სუბიექტის პრობლემა, თბ., 1986; კვიჟინაძე რ., ჭეშმარიტების ცნება და ალტერნატივები შემეცნების თეორიაში, თბ., 1976; კირვალიძე ნ., ჭეშმარიტების საზომის პრობლემა ფილოსოფიაში, თბ., 1978; კორძაია ჯ., პრაქტიკა, როგორც შემეცნების საფუძველი, თბ., 1971; რამიშვილი ვ., ფილოსოფია, ნაწ. 4, თბ., 2009; რეხვიაშვილი ტ., განწყობის, ინტუიციისა და აზროვნების როლი სუბიექტის აზროვნებაში, თბ., 1991; შუშანაშვილი გ., შემეცნების თეორია (3 ნაწილად), თბ., 1977–81. *ს. ავალიანი.*

გნოსტიციზმი (ბერძნ. gnōstikos – შემმეცნებელი, მცოდნე), ადრინდელი ქრისტიანობის რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება. გ. ნეოპლატონიზმისა და პითაგორეიზმის ზოგიერთი ელემენტის მორგების მცდელობაა ქრისტ. დოგმატურ დებულებებთან და მთლიანობაში წარმოადგენს სხვადასხვა აღმოსავლური აღმსარებლობის (იუდაიზმი, ზოროასტრიზმი, ბაბილონური და ეგვიპტური რელიგიები), ქრისტიანობის, ბერძნ. ფილოს. და მისტერიული კულტების სინთეზს. წარმოიშვა ახ. წ. I ს-ში ახლო აღმოსავლეთში (სირიაში, სამარიაში ან ალექსანდრიაში). გ. ერეტიკული მოძღვრებაა, ამიტომ ორთოდოქსული ქრისტიანობა ებრძოდა მას და ანადგურებდა გნოსტიკოსთა შრომებს. დიდი ხნის მანძილზე გნოსტიკური თხზულებები მკითხველთათვის უცნობი იყო. გ-ის შინაარსს უმთავრესად ეცნობოდნენ ირინეუს ლიონელისა და იპოლიტეს პოლემიკური ხასიათის თხზულებებით. XX ს. 40-იან წლებამდე მთავარ გნოსტიკურ თხზულებად ,,პისტის სოფია'' ითვლებოდა (გამოცემული იყო კოპტურ ენაზე). გ-ის მთავარ წარმომადგენლებად ითვლებიან II ს-ის მოღვაწეები: ბასილიდ სირიელი, ვალენტინ ეგვიპტელი, კარპოკრატ ალექსანდრიელი და სხვ. გ-მა თავისი განვითარების უმაღლეს დონეს II ს-ში მიაღწია. 1945 ეგვიპტეში, ქ. ნაგ-ჰამადიში აღმოაჩინეს გნოსტიკური თხზულებების ორიგინალები, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მკვლევართა ინტერესი მის მიმართ.

საკუთრივ გ-ში გამოიყოფა სამი ძირითადი მიმდინარეობა: 1. I–III სს. ქრისტ. გ. – ცნობილი ადრექრისტიანული ერესოგრაფებისა და ნაგ-ჰამადში მიკვლეული ტექსტებით; 2. იმავე ეპოქის წარმართული გ.; 3. მანდეიზმი (არამეულად მანდა-გნოსის) და სემიტურ-ბაბილონურ ნიადაგზე დამოუკიდებლად განვითარებული გ. (ჩვენ დრომდე შემორჩენილია ერთადერთი გნოსტიკური სექტა ერაყში).

გ-ის, როგორც რელიგ.-ფილოს. აზრის, მთავარი ტენდენციაა, შექმნას ისეთი მოძღვრება, რ-იც გააერთიანებს ქრისტიანობას, წარმართობასა და იუდაიზმს; აღემატება მათ და დაემყარება ფილოს. საფუძველს. გ-ის ძირითადი იდეაა ღმერთის ბუნებიდან ყველა სულიერი არსების გამომდინარეობა (ემანაცია). ღმერთი მოიაზრება როგორც ,,ყოფიერების სისრულე'', პლერომა, სადაც ემანაციის ყოველი მომდევნო საფეხური, მსგავსად ნეოპლატონიზმისა, ნაკლებად სრულყოფილია, ვიდრე წინამორბედი; საბოლოო მიზანი კი ყოველი სულიერი არსების ღვთაების წიაღში დაბრუნებაა (მონანიება). ამგვარად, გნოსტიკოსებს, უპირატესად, სჯეროდათ ერთიანი, მიზანშეწონილი სამყაროს არსებობისა, რ-იც იხსნის არა ყველა არსებას, არამედ მხოლოდ ,,გონით'' ადამიანებს, ,,პნევმატიკოსებს''. მატერია გნოსტიკოსებისათვის ბოროტებაა, ცოდვის წყაროა, რ-იც უნდა გადაილახოს. ქრისტე არის მხსნელი, მაგრამ მის გზას მხოლოდ ,,პნევმატიკოსები'' მიჰყვებიან. ,,სულის'' ადამიანები მხოლოდ რწმენას აღწევენ, შემეცნება მათთვის უცხოა. ,,ხორცის'' ადამიანები კი გრძნობიერების ტყვეობაში რჩებიან.

გ-მა გავლენა მოახდინა არაორთოდოქსულ ქრისტ. მისტიკაზე [ი. ბოემე (1575–1624), ფ. ბაადერი (1765–1841), ფ. შელინგი (1775–1854)], ანთროპოსოფიასა და თეოსოფიაზე. გარკვეულ გნოსტიკურ იდეებს ავითარებდნენ: რუსი ფილოსოფოსი ვ. სოლოვიოვი (1853–1900) და გერმ. ფილოსოფოსი ლ. ციგლერი. საქართველოში გნოსტიკურ პრობლემატიკაზე მუშაობდა და ამ საკითხში გარკვეული სიცხადე შეიტანა მ. *გოგიბერიძემ.*

ლიტ.: გოგიბერიძე მ., რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1972; Layton Bentley (ed.), The Rediscovery of Gnosticism, 1981 (თანაავტ.: E. J. Brill). *ე. ბარათელი.*

გნუღი, ქნოღო, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ბელოთის თემში (შიდა ქართლის მხარე), ქნოღოს მთის სამხრ. კალთაზე, მდ. პატარა ლიახვის ზემოთში. ზ. დ. 2100 *მ,* ერედვიდან 54 *კმ.* 1989 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

გობელენი, ხელით ნაქსოვი ხალიჩა-სურათი (შპალერი). ვიწრო გაგებით – პარიზის ერთ-ერთი მანუფაქტურის მიერ დამზადებული ნაწარმი. ეს მანუფაქტურა დაარსდა პარიზის გარეუბანში, სენ-მარსელში, 1662, როგორც მეფის პირადი სახელოსნო. მასში გაერთიანდა შპალერის დამამზადებელი კერძო დაწესებულებანი, მ.შ. ფლამანდიელი ფეიქრების მ. კომანისისა და ფ. პლანშის მიერ 1607 დაარსებული სახელოსნო. მანუფაქტურა ძირითადად მოთავსებული იყო XV ს-იდან ცნობილი მღებავების – გობელენების (Gobelins) ყოფ. სახელოსნოს შენობაში (შემდგომ მათი სახელი ეწოდა მანუფაქტურასაც და მის ნაწარმსაც). გ-ს ამზადებდნენ შალისა და აბრეშუმის ფერადი ძაფით (ზოგჯერ სირმით). სპეც. საქსოვ დაზგაზე ხელით ქსოვდნენ ცალ-ცალკე ნაწილებს და შემდეგ მათ აბრეშუმის წვრილი ძაფით აერთებდნენ.

XIX ს-ში გ-ს უწოდებდნენ საერთოდ შპალერსა და მანქანური წესით დამზადებულ სქელ ტილოებს. XXს. 30-იან წლებში გ-ის ხელოვნება აღორძინდა.

გ. ქართული ხელოვნების სრულიად ახ. დარგია (XX ს. 60-იანი წწ.). მის დამკვიდრებას ხელი შეუწყო ამ პერიოდში დეკორ.-გამოყენებითი და მონუმ.-დეკორ. ხელოვნების ინტენს. განვითარებამ. ქართ. გ-ის კოლორიტის ჩამოყალიბებასა და სიბრტყის გააზრებაზე გარკვეული გავლენა იქონია ქართ. *ფარდაგმა.* არსებობს ქართ. გ-ის ორი სახე: საგამოფენო და საზ. დანიშნულებისა. ეს უკანასკნელი არქიტ. ინტერიერისთვისაა განკუთვნილი და იყენებენ გარემოს მხატვრული გაფორმებისათვის. მხატვრული გადაწყვეტა ორივესი ერთნაირია. ქართ. გ. ძირითადად კლასიკური, ანუ მჭიდროდ ნაქსოვია. მისი მიზანია სიუჟეტის კონკრეტული გამოსახვის, მოქმედების ჩვენებისაკენ სწრაფვა. ქართ. გ-ის მხატვრული ხელწერის ჩამოყალიბება განსაზღვრა მასალისა და ტექნიკის სპეციფიკამ, გ-ის ხელოვნების ტრადიციულმა გამოცდილებამ; ქართ. ფარდაგმა და ფერწერამ

კი განაპირობა ქართ. გ-ის მხატვრული სახე. იგი ძირითადად ეყრდნობა ქართ. ფერწერის ვალიორულ ტექნიკას, სადაც სხვადასხვა ფერის მონასმებით იქმნება გამოსახულება. სხვადასხვა სუფთა ფერის მისაქსელი ძაფის მონაცვლეობამ წარმოქმნა პირობითი დეკორ. სახე (გ. *ყანდარელი*, ლ. ელიაშვილი, ნ. კიკნაძე, ძმები ა. და გ. გახარიები). ქართ. გ-ის გამომსახველობითი საშუალებებია ლოკალური ფერი და ხაზი (ო. ხუბულური, ვ. წურწუმია, თ. ნუცუბიძე), მისთვის დამახასიათებელია ნახატის გრაფ. სიზუსტე, ფერადოვანი ლაქების მთლიანობა. საქართველოში დაირღვა გ-ის სწორკუთხედის ფორმის ტრადიცია, ქართ. მხატვრები მას სხვადასხვა ფორმას აძლევენ. ბოლო წლებში მეტი ადგილი დაიკავა აბსტრ.-დეკორ. გ-მა. იგი უკვე ტრად. ფორმად მკვიდრდება და ძირითადად დამახასიათებელია ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებისათვის. *ნ. ყიფიანი.*



გობელენი. გ. ყ ა ნ დ ა რ ე ლ ი. ,,ბალადა ფიროსმაწზე''. ფრაგმენტი. 1979.


გოგებჩია გიორგი (გიგლა) ნიკოლოზის ძე (5. VIII. 1929, თბილისი, – 15. XI. 2010, იქვე), ინჟ.-ნერი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1996), საქართვ. საინჟინრო აკად. ნამდვილი წევრი (2005). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ორი ფაკ-ტი – ინჟ. გეოლოგისა (1953) და ინჟ. ჰიდროტექნიკოსის (1965) სპეციალობით. 1974–94 მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ სამეცნ. თანამდებობაზე. 1994-იდან იყო საქართვ. მეცნ. აკად. ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის მთ. მეცნ. თანამშრომელი, ჟურნალ ,,მეცნიერება და ტექნიკის'' მთ. რედაქტორის მოადგილე. არჩეული იყო საერთაშორისო ჰიდრავლიკოსთა ასოციაციის წევრად.

გ-ს სამეცნ. კვლევის ძირითადი მიმართულებები: საქართველოს წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა; წყალთა მეურნეობის განვითარების თავისებურებები მთის რეგიონებში; გეოეკოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, წყალსამეურნეო, ჰიდრომელიორაციული პრობლემები, ბუნებრივი რესურსების ათვისების საკითხები. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

თხზ.: Особенности формирования водного хозяйства горных регионов, Тб., 1996 (თანაავტ. Н. Варазашвили); Инженерно-экологические проблемы создания и эксплуатации водохозяйственных систем с водохранилищами горных регионов, Тб., 2001 (თანაავტ. Н. Варазашвили).

ნ. ყიფიანი.

გოგებჩია იოსებ პავლეს ძე (1879, ქუთაისი, – 1960, საფრანგეთი), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერთა) პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა ოდესის უნ-ტის მათ. ფაკ-ტზე. 1901 სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს და ადმ. წესით სამშობლოში გაასახლეს. 1901 ქუთაისში საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავის იუბილეს აღნიშვნის წინააღმდეგ საპროტესტო სიტყვით გამოსვლის გამო ისევ დააპატიმრეს. 1902-იდან ოდესაში გააგრძელა სწავლა. 1904 კვლავ დააპატიმრეს, გათავისუფლების შემდეგ კავკასიაში დაბრუნდა. 1905–06 აქტიურად მონაწილეობდა ახალაღორძინებულ ესერთა პარტიის მუშაობაში. ალიხანოვ-ავარსკის სადამსჯელო ოპერაციების დროს გ-მ ესერთა პარტიის დადგენილებით ჩამოაყალიბა მებრძოლი რაზმები, ტერორისტული აქტები მოაწყო ქუთაისში, ზუგდიდში, თბილისში და სხვ. 1906 დამდეგს მონაწილეობდა ესერთა III პარტ. საბჭოს მუშაობაში იმატრაში (ფინეთი), 1907 – ესერთა პარტიის II ყრილობაში ქ. ტამერფორსში (ფინეთი). თბილისში დაბრუნების შემდეგ დააპატიმრეს და გაასახლეს. სხვისი გვარით ოდესაში ჩავიდა და რექტორის, ვ. *პეტრიაშვილის* დახმარებით უნ-ტის IV კურსზე ჩაირიცხა. 1908, უნ-ტის დამთავრების შემდეგ, ლექციებს უკითხავდა ქ. ხერსონის სახალხო მასწავლებლებს ასტრონომიასა და მათემატიკაში, 1909–11 – ბაქოს მუშათა პროფ. კურსებზე და სახ. უნ-ტში. ამავე წლებში ესერთა პარტიის ბაქოს ქართ. ორგანოს ,,მარცვლის'' სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო. ესერთა ცკ-ის მუშაობის გააქტიურების შედეგად მისი ვინაობა შეიტყვეს და იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო. ერთი წელიწადი პარიზის ობსერვატორიაში მუშაობდა. მალე გრენობლის პოლიტექ. ინ-ტში შევიდა, რ-იც ელექტროტექნიკოსის სპეციალობით დაამთავრა და პარიზშივე განაგრძო მუშაობა ინ-



დ. გობეჟიშვილი.

ჟინრად. რუს. რევ. დროს (1917) პეტერბურგში დაბრუნდა. დროებითმა მთავრობამ კავკასიის ფრონტის სამხ. კომისრად დანიშნა. საქართვ. სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ იყო საქართვ. ეროვნ. საბჭოს, რესპ. პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების წევრი. 1921-იდან იმყოფებოდა ემიგრაციაში.

დაკრძალულია პარიზში, ლევილის სასაფლაოზე. *გ. ნარსია.*

გობეჩია მელიტონ გიორგის ძე [9 (21). VIII. 1878, სოფ. ჭაქვინჯი, ახლანდ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, – 5 (18). VI. 1914, ხარკოვი], პუბლიცისტი, მწერალი. 1897-იდან მასწავლებლობდა. 1905 იყო გაზ. ,,ცნობის ფურცლის'' კორესპონდენტი ზუგდიდის მაზრაში. 1906 გაემგზავრა პარიზში სასწავლებლად. 1910 დაამთავრა სორბონის უნ-ტი და დაბრუნდა სამშობლოში. მოღვაწეობდა ,,სახალხო გაზეთში''. 1911 დააპატიმრეს. გარდაიცვალა ხარკოვის ციხეში. გ-ს ეკუთვნის ლექსების კრებული ,,ჰანგები'' (1902), ,,პარიზის სონეტები'' (1910), ორი პოემა ,,ფარნაოზი'' და ,,ამირანი''; ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას.

ლიტ.: გობეჩია ვ., მელიტონ გობეჩია, სოხ., 1959.

გობეჟიშვილი გერმანე თედორეს ძე (17. I. 1911, სოფ. ღები, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 10. X. 1973, თბილისი), არქეოლოგი. ისტ. მეცნ. კანდიდატი (1943). 1945-იდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტში; 1960–73 იყო ბრინჯაოს ხანის არქეოლ. განყ-ბის გამგე. 1936–65 გ-ის ხელმძღვანელობით გათხრილი და შესწავლილია ზემო რაჭის, კერძოდ, მდ. რიონის სათავეების არქეოლ. ძეგლები (იხ. *ბრილი*). ამ გათხრებთან არის დაკავშირებული ქართ.-კავკ. მეტალ. წარმოების საწყისი საფეხურისა და ნატიფი ხელოვნების ძეგლების აღმოჩენა და კვლევა. 1945–48 ცხინვალში გათხარა სამოსახლო-საკულტო ძეგლი ნაცარგორა. 1956–71 არქეოლ. გათხრები ჩაატარა თეთრ წყაროში (იხ. *თეთრი წყაროს ნასოფლარი*). მის მიერ გამოვლენილ არქეოლ. ძეგლებს დიდი მნიშვნელობა აქვს *მტკვარ-არაქსის კულტურის* გენეზისისა და კავკასიის, კერძოდ, საქართველოს, ადგილ. მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომთა ისტ. უძველესი მონაკვეთის კვლევისათვის. ხოლო ბედენზე ჩატარებულმა გათხრებმა (იხ. *ბედენის გორასამარხები*) ახლებურად დასვა ე. წ. *თრიალეთის კულტურის* წარმოშობა-გავრცელების საკითხი.

თხზ.: არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952; მცხეთა, [ტ.] 1 – არმაზის არქეოლოგიური ძეგლები 1937–1946 წწ. განათხარის მიხედვით, თბ., 1955 (თანაავტ.); საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959 (თანაავტ.); თეთრი წყაროს ნასოფლარი, თბ., 1978; ბედენის გორასამარხების კულტურა, თბ., 1980.

გობეჟიშვილი დავით ნიკოლოზის ძე (დ. 3. I. 1963, სოფ. ხურუთი, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი), სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1986). 1989 დაამთავრა თსუ-ის საინჟინრო-ეკონ. ფაკ-ტი. ჭიდაობა დაიწყო ონში (1979). სსრკ ნაკრები გუნდის წევრი (1984–91). საქართვ. ხუთგზის (1982, 1983, 1984, 1985, 1986), სსრკ სამგზის (1985, 1986, 1988), სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადის (1986), დსთ-ის (1992), ევროპის (1985), მსოფლიოს ორგზის (1985, 1990), კეთილი ნების თამაშების (1990) და XXIV ოლიმპიური თამაშების (1988, სეული) ჩემპიონი, XXV ოლიმპიური თამაშების (1992, ბარსელონა) ბრინჯაოს პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონატის (1986) ვერცხლის პრიზიორი. მსოფლიო თასის სამგზის მფლობელი (1986–88). 1994–2000 იყო საქართვ. თავისუფალი ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე (2001–04), 2008 წლიდან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, საქართვ. ორგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1985, 1990), ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი. მწვრთნელები – ა. მაისურაძე და გ. საღარაძე.

ნ. გუგუშვილი.

გობეჟიშვილი რამინ გრიგოლის ძე (დ. 15. IX. 1941, სოფ. ნიგვზნარა, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი), გეოგრაფი. გეოგრ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1996), სსრკ მეცნ. აკად. გლაციოლოგიის სექციის ბიუროს წევრი (1988–92), საქართველოს გეოგრ. საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი (1996–2008). დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი (1964). 1965 მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრ. ინ-ტში. 1981–88 ხელმძღვანელობდა აეროკოსმოსური მეთოდების ლაბორატორიას, 1988–2006 – გლაციოლოგიის ლაბორატორიას, 2000–03 – გეომორფოლოგიის განყ-ბას. 2003–08 თსუ-ის გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის კათედრის გამგეა, 2006-იდან – სრული პროფესორი, 2005–07 – ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრ. ინ-ტის დირექტორი, 2007-იდან დღემდე – ამავე ინ-ტის სამეცნ. საბჭოს თავმჯდომარე. გამოიკვლია მთიან რეგიონებში (კავკასიონი, პამირი, შპიცბერგენი, ტიან-შანი, ტიბეტი, ჰიმალაი და სხვ.) თანამედროვე მყინვარების დინამიკა და ძველი გამყინვარების ევოლუციის საკითხები, თანამედროვე გეოდინამიკური პროცესები. დამუშავებული აქვს ძვ. გამყინვარების რეკონსტრუქციის კვლევის ახ. მეთოდი, რ-ის მიხედვითაც შეადგინა კავკასიონის, ტიან-შანის, აღმ. ანატოლიის, აღმ. ტიბეტისა და ცენტრ. ჰიმალაის გვიანდ. პლეისტოცენური გამყინვარების რუკები. მონაწილეობდა ,,მსოფლიოს თოვლ-ყინულოვანი რესურსების ატლასის'' შედგენაში (1997). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

თხზ.: კავკასიონის ქვიანი მყინვარების წარმოშობა და ასაკი, კრ.: საქართველოს ბუნება და რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემები, თბ., 1988; გლაციოლოგია, თბ., 2006 (თანაავტ.); საქართველოს რელიეფი, თბ., 2011; Изучение современных рельефообразующих процессов в горных районах стереофотограмметрическими методами, Тб., 1981; Ледники Грузии, Тб., 1989.

ც. ვაშაკიძე.

გობი, დიდი ზომის ამოთლილი ან შეკრული ხის ჭურჭელი; ,,ძელ-



გობი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

თაგან ამოთლილი ჭურჭელი'' (საბა). იხმარება უმთავრესად ცომის მოსაზელად, სანოვაგის დასაწყობად და სხვ. გ-ს აკეთებენ ,,უწვნო'', ,,სუფთა'' ხეებისაგან (ცაცხვი, თელა). ასეთი მასალისგან დამზადებული გ. ხმარებისას არ სკდება და არც გემოს აძლევს საჭმელს. გ-ის წარმოება ფართოდ იყო გავრცელებული ქართლსა და იმერეთ-სამეგრელოში. საქართვ. ეროვნ. მუზეუმში დაცულია სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების გ-ების მდიდარი კოლექცია.

ლიტ.: გასიტაშვილი გ., ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962.

გ. გასიტაშვილი.

გობისცხვირა (Prunella), მცენარეთა გვარი ტუჩოსანთა ოჯახისა. მრავალწლოვანი დაბალი ბალახი საპირისპიროდ განლაგებული მთლიანი ან დაკბილული, ზოგჯერ განკვეთილი ფოთლებით. მათი იისფერი, მეწამული, თეთრი ან მოყვითალო ყვავილები შეკრებილია ჩხროებად, რ-ებიც თავის მხრივ თავმოყრილია თავთავისებრ ყვავილედებში. გ-ს 15-მდე სახეობა უმთავრესად გავრცელებულია ევროპაში. საქართველოში ამ გვარის 3 სახეობაა. მათგან P. grandiflora მხოლოდ ქართლსა და აჭარაში იზრდება, ხოლო P. vulgaris და P. laciniata – თითქმის მთელ საქართველოში. პირველი გვხვდება ტყეებში და ტყის პირას, ბუჩქნარებში, სუბალპ. მდელოებზე, მდინარეთა ნაპირებზე და გზის პირას, ხოლო როგორც სარეველა – ნათესებში; მეორე – იზრდება მდელოებზე, ტყის პირას. თაფლოვანი და სამკურნ. მცენარეა. იყენებენ ხალხ. მედიცინაში. *მ. გურგენიძე.*

გობოზაანი, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის ძვილეთის თემში (შიდა ქართლის მხარე), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. ღაღურის (შუა ფრონის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 805 *მ,* თიღვიდან 15 *კმ,* აგარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 19 *კმ.* 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

სოფლის ისტ. სახელია ტ ყ ი ს უ ბ ა ნ ი.

გობრონეთი, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტის ცხმორისის თემში (აჭარის არ), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. აჭარისწყლის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 700 *მ,* ქედიდან 13 *კმ.* 323 მცხ. (2002).

სახელი უწოდეს გობრონიძეების საგვარეულოს მიხედვით.

გობრონი (გ. 914), ქართველი აზნაური. სამხრ. აზერბაიჯანის მმართველის აბუ ლ-კასიმის საქართველოში ლაშქრობის დროს (იხ. *აბუ ლ-კასიმის ლაშქრობა საქართველოში 914*) ხელმძღვანელობდა *ყველისციხის* დაცვას. ციხის ორასიოდე თავდადებულ დამცველთან ერთად იგი გმირულ წინააღმდეგობას უწევდა მტერს. ოცდარვადღიანი უთანასწორო ბრძოლის შემდეგ მეციხოვნეები დანებდნენ. დატყვევებულ გ-ს აბუ ლ-კასიმმა გამაჰმადიანება მოსთხოვა. გ-მა უარყო მისი წინადადება, რისთვისაც სიკვდილით დასაჯეს. ქართ. ეკლესიამ იგი მიქელის სახელით წმინდანად შერაცხა. გ-ის ხსენების დღედ დაწესდა 17(30) ნოემბერი (მისი მოწამეობრივი სიკვდილის დღე). გ-ის გმირობა ასახულია ქართ. ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ს ტ ე ფ ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ა რ ი, მარტჯლობაჲ გობრონისი, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ., ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1966; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წგ. 1 – ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945.

მ. ლორთქიფანიძე.

გობრონიძე ალექსანდრე ამბროსის ძე (დ. 17. X. 1925, სოფ. ლიხაური, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), პედაგოგი, პედ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1987). 1991–96 იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და თავ-რის მოადგილე. 1946 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე, 1957–64 – ლიხაურის საშ. სკოლის დირექტორად, 1964-იდან – ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტის (ამჟამად უნ-ტი) დაწყ. განათლების პედ. ფაკ-ტის დეკანად. 1975-იდან იყო ამ ინ-ტის პედ. კათედრის გამგე. იკვლევს პედ. თეორიისა და ისტ. პრობლემებს.

თხზ.: ცხოვრებასთან სკოლის კავშირის პრობლემა ი. გოგებაშვილის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში, ბათ., 1965; ი. გოგებაშვილი და აჭარა, ბათ., 1970; ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდა ბათ., 1976; მომავალ მასწავლებელთა მომზადება, ბათ., 1984; პედაგოგიკა (დამხმარე სახელმძღვანელო), ბათ., 1996; აღზრდის ფილოსოფიური საფუძვლები. დამხმარე სახელმძღვანელო, ბათ., 1997.

გობრონიძე ევტიხი გიორგის ძე [6 (19). XI. 1903, სოფ. გაღმა დვაბზუ, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 19. VII. 1988, თბილისი], ფსიქიატრი. მედ. მეცნ. დოქტორი (1946), პროფესორი (1947), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961), საქართვ. დამს. ექიმი (1946). 1928 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1944–68 იყო მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში, 1968–78 – თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტის ფსიქიატრიის კათედრის გამგე. 1978–88 – ამავე კათედრის კონსულტანტი. შეისწავლიდა ნევროზებს, სიმპტომატურ ფსიქოზს, ალკოჰოლიზმს, ტოქსიკომანიას და მათი მკურნალობის მეთოდებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Шизофренииის инъсулинотерапиа, თბ., 1950; К клиническим особенностям послеродового психоза, კრ.: Проблемы психоневрологии. Научные труды, M., 1969; Über manche Fragen der Differentialdiagnostik der Schizophrenie, «Psychiatrie, Neurologie und medizinische Psychologie», 1965, H. 3.

გობავა ზაზა ზურაბის ძე (დ. 14. VII. 1971, სოფ. გოჩაჯიხაიში, ახლანდ. ხონის მუნიციპალიტეტი), გენერალ-მაიორი (2008). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. უნ-ტის სატრანსპორტო ფაკ-ტი (1994). 1995–2000, 2002 გაიარა ანტიტერორისტ. მომზადების კურსი აშშ-ში. 1995–2004 მსახურობდა საქართვ. სახელმწ. უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში სპასუხისმგებლო თანამდებობებზე. 2004–06 იყო საქართვ. თავდაცვის სამინისტროს სპეც. დანიშნულების ბრიგადის მეთაური, 2006–08 – საქართვ. შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი. 2008-იდან – საქართვ. შსს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსი. *ლ. დოლიძე.*

გობარძენე, ისტორიული ქვემო ქართლის ბერძნული სახელწოდება (ქართ. წყაროებით – გუგარეთი, სომხ. წყაროებით – გუგარქი). პირველად მოხსენიებული აქვს *სტრაბონს* (ძვ. წ. 64/63 – ახ. წ. 23/24) როგორც იბერიის პროვინცია, რ-იც ძვ. წ. II ს-ში სომხ. სამეფომ შეიერთა. სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს ქართ. ტომის – *გუგარებისაგან.* ძვ. წ. I ს-ში აქ შეიქმნა საპიტიახშო. I–II სს-ში გ. ქართლის შემადგენლობაში იყო, მოგვიანებით ისევ სომხეთმა შეიერთა. საბოლოოდ კი, IV ს. II ნახევარში, გ. ქართლის სამეფომ დაიბრუნა. გუგარქის პიტიახშს წყაროებში ქართლის პიტიახშიც ეწოდება (ლაზარ ფარპეცი; ,,ევსტათი მცხეთელის წამება''). ტერიტორიულად გ-ის პროვინცია არსებითად მდინარეების ალგეთის, ქციისა (ხრამი) და დებედის აუზებით ისაზღვრებოდა, თუმცა გუგარქის საპიტიახშოს ტერიტ. სხვადასხვა დროს სხვადასხვა სიდიდის იყო. სომხური გეოგრ. თხზულების ,,აშხარჰაცუიცის'' (VII ს.) ცნობების მიხედვით, რებიც გაცილებით უფრო ძვ. ვითარებას ასახავენ, გუგარქის საპიტიახშო მთლიანად მოიცავდა



გობისცხვირა. დიდყვავილა გობისცხვირა (Prunella grandiflora).



გობისცხვირა. ჩვეულებრივი გობისცხვირა (Prunella vulgaris).



გობისცხვირა. გაპობილი გობისცხვირა (Prunella laciniata).

იბერიის სამეფოს სამხრ. პროვინციებს კლარჯეთიდან ხუნანამდე. გ.-გუგარქის ტერიტორიის გაფართოების ამსახველ ფაქტად არის მიჩნეული ქართ. ტოპონიმი *გუჯარეთი*. ძვ. ქართ. აღმ. დანაწილებით საკუთრივ გ.-გუგარქის გეოგრ. რეგიონი ემთხვეოდა სამშვილდის საერისთავოს ტერიტორიას.

წყარო: ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წგ. 1 – საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.

დ. მუსხელიშვილი.

გოგაშენი, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალქალაქის პლატოზე, მდ. მტკვრის მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: გ., აფნია). ზ. დ. 1740 *მ*, ახალქალაქიდან 16 *კმ*. 349 მცხ. (2002).

სოფლის ჩრდ.-აღმ-ით მდებარეობს მთავარანგელოზის XIII–XIV სს. ეკლესია. ეკლესია ნაგებია ადგილობრივი, მონაცრისფრო ნათალი ქვებით. აღმ. სარკმელს ორმაგი ლილვით შედგენილი ჩარჩო შემოუყვება. ეკლესიასთან ძვ. და ახ. გალავანშემოვლებული სასაფლაოა. სოფელში დგას ასევე ღვთისმშობლის ახალი, XIX ს. ეკლესია, სადაც ინახება ადრეული ხანის სტელის ნატეხი. სტელის ერთ გვერდზე გამოსახულია კაცის ფიგურა, რ-საც მარჯვენა ხელი მკერდზე აქვს მიდებული. მეორე გვერდზე შემორჩენილია სამსაფეხურიან კვარცხლბეკზე დაყრდნობილი ჯვრის ქვედა მკლავი, მესამეზე კი თითქოს გველის კლაკნილი ტანია გამოსახული, მეოთხეზე – ცხოველის თავი, დაცქვეტილი სამკუთხა ყურებით. მას ყელზე შემოჭდობილი აქვს ადამიანის ხელი, რ-იც ახრჩობს. ამ გამოსახულებას ზევიდან ჯვარი აზის. ვანის ქვაბთა განგების XV–XVI სს. მინაწერების მიხედვით, როსტევან რჩეულას ძემ (რჩეულაშვილი) ვანის ქვაბთა მონასტერს შესწირა ,,გულარშნისა ქუეშეთ აბჯარაული ზუარი‘‘. აბჯარაული ახლაც გ-ს ეკუთვნის (მდებარეობს მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, გ-ის ქვევით), ამიტომ ამ მინაწერში გ. უნდა იგულისხმებოდეს. 1595 ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის‘‘ მიხედვით, გ. შედიოდა ახალქალაქის ლივის თმოგვის ნაჰიეში (რაიონი). იმჟამად ის ჭაჭკრის (იმდროინდელი სოფლი) სახნავ-სათესი ტერიტორია იყო და მარცვლეულის მოსავალზე წლიურად შეწერილი ჰქონდა 500 ახჩა. სავარაუდოდ XIX ს-ში, გ. ისევ მოშენებულა. ახლა აქ 80-მდე კომლია. მაცხოვრებელთა გვარებია: ხუციშვილი, ხოსიტაშვილი, ცისკარიძე, კოჟორიძე, ნათენაძე, თაქთაქიძე, ბერიძე.

წყარო: ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 3, თბ., 1958.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი, თბ., 1985.

დ. ბერძენიშვილი.

გოგაფშვილი გიორგი რევაზის ძე (დ. 8. X. 1960, თბილისი), ბრიგადის გენერალი (2003). 1982 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის საინჟინრო ფიზ. ფაკ-ტი, 1987 – მოსკოვის სსრკ სახელმწ. უშიშროების კომიტეტის უმაღლესი სკოლა, 2002 – თავდაცვის უწყების ენების ინ-ტი (სან-ანტონიო, აშშ), 2003 – ეროვნ. თავდაცვის უნ-ტი (ქ. ვაშინგტონი), იქვე მიენიჭა მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი ეროვნ. უსაფრთხოების სტრატეგიის დარგში. 1987–91 მუშაობდა საქართვ. სახელმწ. უშიშროების კომიტეტის დაზვერვის განყ-ბაში, 1992–96 – საქართვ. თავდაცვის სამინისტროს სპეც. დანიშნულების მთავარ სამმართველოში (სამხ. დაზვერვა); 1996–97 იყო საქართვ. ეროვნ. უშიშროების საბჭოს ანალიტიკური სამსახურის წამყვანი სახელმწ. მრჩეველი, 1998–2002 – საქართვ. თავდაცვის სამინისტროს გენ. ინსპექციის უფროსი, 2003–04 – საქართვ. თავდაცვის ეროვნ. აკად. რექტორი. 2004-იდან არის თბილისის პოლიტ. სწავლების სკოლისა და ევროკავშირის უნ-ტის სტრატეგიული კვლევის ცენტრის ექსპერტი. *ლ. დოლიძე.*

გოგაძეები, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტის უჩამბის თემში (აჭარის არ), შავშეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ტბეთის (ჩირუხისწყლის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1320 *მ*, შუახევიდან 16 *კმ*. 337 მცხ. (2002). სახელი ეწოდა გოგაძეების საგვარეულოს მიხედვით.

გოგბაიძე (ოგბაიძე) გივი, გიორგი *საკაძის* თანამებრძოლი. ხალხ. პოეზიის მიხედვით, თავი ისახელა მდინარე ქსნის ხეობაში მომხდარ სამდღიან ბრძოლაში (1625), როდესაც ქართველებმა გ. სააკაძის მეთაურობით თითქმის მთლიანად ამოჟლიტეს სპარსელთა ლაშქარი. ამ დამარცხებით სპარსელებმა დაკარგეს ის უპირატესობა, რაც მათ მარაბდის ბრძოლის გამარჯვებით მოიპოვეს. გ. თავისი პიროვნული სიმამაცისა და ძლიერების გამო ხალხურ პოეზიაში შედარებულია ,,ხართან‘‘.

ლიტ.: ლეონიძე გ., ჩემი უბის წიგნაკიდან (შენიშვნები, დაკვირვებანი, ცნობები, მასალები), «ლიტერატურული გაზეთი», 1960, № 28; ქართული ხალხური პოეზია. ისტორიული ლექსები, ტ. 11. შეადგინა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ქს. სიხარულიძემ, თბ., 1984; ჯავახიშვილი ნ., ოგბაიძენი (საგვარეულოს ისტორიისათვის), თბ., 2005. *ნ. ჯავახიშვილი.*

გოგებაშვილი იაკობ სიმონის ძე [15 (27). X. 1840, სოფ. ვარიანი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 1(14). VI. 1912, თბილისი], პედაგოგი, საზ. მოღვაწე. მეცნიერული პედაგოგიკისა და საგანთა სწავლების მეთოდიკის ფუძემდებელი საქართველოში, განმანათლებელი, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი. დაიბადა მღვდლის ოჯახში. თავდაპირველად სწავლობდა გორის სას. სასწავლებელში, შემდეგ – თბილ. სას. სემინარიაში. ახალგაზრდა გ. 1861 ჩაირიცხა კიევის სას. აკადემიაში. სწავლის პერიოდში (1861–63) გაეცნო რუს. რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებს, აგრეთვე ჩ. დარვინისა და ა. ჰუმბოლდტის მატერიალისტ. შეხედულებებს. ავადმყოფობის გამო 1863 მიატოვა აკადემია და სამშობლოში დაბრუნდა. 1864 დანიშნეს თბილ. სას. სასწავლებელში გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად, 1865 – ზედამხედველად, ხოლო 1868 – ინსპექტორად. თბილ. სას. სასწავლებელში გ. გამოირჩეოდა თავისუფალი აზროვნებით, მოსწავლეებს ხშირად აკითხებდა მატერიალისტური შინაარსის წიგნებს, რის გამოც გ. ,,არასაიმედო პირთა‘‘ სიაში მოხვდა. 1873 რუსეთიდან სპეციალურად გამოგზავნილმა სინოდის რევიზორმა გ-ს ბევრი რამ დასწამა და სასწავლებლიდანაც დაითხოვა.

ამ დროიდან მოკიდებული, გ. ქადაგებდა რელიგიისა და მეცნიერების ჰარმონიული თანაარსებობის იდეას. მას მტკიცედ სწამდა, რომ ქრისტ. ზნეობა მხოლოდ დედაენას შეეძლო ჩაენერგა ბავშვის გონებასა და გულში. გ-მა შეადგინა და 1865 გამოსცა ,,ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის‘‘, რ-შიც გამოყენებული იყო სწავლების უახლესი პროგრ.


მეთოდები. შეადგინა და 1868 გამოსცა აგრეთვე ენციკლოპედიური ხასიათის სახელმძღვანელო ,,ბუნების კარი‘‘, რ-იც გათვალისწინებული იყო საკითხავ წიგნად დაწყებითი სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეთათვის. ,,ბუნების კარი‘‘ ნახევარი საუკუნის მანძილზე ემსახურებოდა საქართველოში საბუნებისმეტყველო ცოდნის გავრცელების საქმეს. 1876 გამოსცა ,,*დედა ენა*‘‘, რ-იც პოპულარულ წიგნად იქცა. ანბანის სახელმძღვანელოთა შედგენის ისტორიაში Გ-მა საქართველოში პირველმა დაიწყო წერა-კითხვის სწავლება აზრიანი სიტყვებითა და ფრაზებით, რამაც საშუალება მისცა სწავლის პროცესი თავიდანვე შეგნებულობის პრინციპზე დაეფუძნებინა. სახელმძღვანელო შედგენილია წერა-კითხვის სწავლების ანალიზურ-სინთეზური მეთოდის შესაბამისად. უახლესი მეთოდების საფუძველზე შექმნა ასევე რუს. ენის სახელმძღვანელო ,,რუსსკოე სლოვო‘‘ (1887), რ-იც თავისი დიდაქტ.-მეთოდიკური ღირსებებით საუკეთესოდ იქნა აღიარებული რუს. იმპერიაში. Გ-ის სახელმძღვანელოთა მიხედვით შედგენილია შემდგომ პერიოდში საქართველოს სკოლებში მოქმედი ქართ. და რუს. ენების დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები. Გ-ის დამსახურებაა ისიც, რომ მან შექმნა ,,დარიგება მასწავლებელთათვის‘‘. ანუ ქართ. და რუს. ენების სწავლების მეთოდიკის კურსები, რითაც საფუძველი ჩაუყარა სწავლების მეთოდიკის მეცნიერულ განვითარებას საქართველოში.

Გ. მონაწილეობდა XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყ. ყველა იმ ეროვნ.-კულტ. ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რ-ებიც საგანმან. მიზნებს ემსახურებოდა. იგი აქტიურად იღვწოდა ,,ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების‘‘ დაარსებისათვის (1878). სწორედ ამ საზ-ბამ გახსნა თბილისში პირველი ქართ. სახალხო სკოლა თავისი პანსიონით 1879 (1890 ქართ. გიმნაზიად გადაკეთდა). განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* დასაარსებლად გაწეულ მოსამზადებელ მუშაობასა და დაფუძნებაში (1879). Გ. 20 წლის განმავლობაში იყო მისი გამგეობის წევრი, სასკოლო და სახელმძღვანელოების კომისიის თავ-რე, 1890-იდან კი – საზ-ბის საპატიო წევრი. იგი მატერიალურად ეხმარებოდა ამ საზ-ბას და თავისი უძრავ-მოძრავი ქონების დიდი ნაწილიც უანდერძა.

Გ. აღიარებულია ქართ. სამეცნ. პედაგოგიკის მამამთავრად; მან შექმნა პროგრ.-დემოკრატიული მეცნ. პედაგოგიკური მოძღვრება.



Გ-ის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების, XIX ს. 60-იანი წლების საქართვ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობისა და ქრისტ. მოძღვრების ზეგავლენით, ხოლო მისი პედ. შეხედულებები – მრავალსაუკუნოვანი ქართ. კულტურის, საზღვარგარეთის პროგრ. პედ.



მემკვიდრეობის ათვისებისა და შემოქმედებითი გადამუშავების შედეგად. Გ-თვის აღზრდის, განათლების შინაარსისა და მიმართულების განმსაზღვრელი იყო ხალხურობის პრინციპი, ამ პრინციპის საფუძველზე იგი ყოველ პედ. პრობლემას ეროვნ. პოზიციებიდან წყვეტდა. აყალიბებდა ქვეყნის, ხალხის ინტერესებისა და კონკრეტული ისტ. ვითარების შესაბამის აღზრდისა და სწავლების სისტემას და მთელი სიცოცხლის მანძილზე *სამოციანელებთან* (ი. *ჭავჭავაძე*, ა. *წერეთელი*, ნ. *ნიკოლაძე*, ს. *მესხი*, ი. *მაჩაბელი*, ნ. *ცხვედაძე* და სხვ.) ერთად ქართველთა მშობლიურ ენაზე განათლებისა და სწავლების დამკვიდრებისათვის იბრძოდა. ამასთან ერთად, Გ. რუს. ენის ცოდნის სარგებლობას ქადაგებდა და მისი შესწავლის აუცილებლობას აღიარებდა. პირველმა შემოიტანა განმავითარებელი აღმზრდელობითი სწავლების იდეა, ხოლო სწავლების დიდაქტ. პრინციპებად შეგნებულობა და აქტიურობა, სისტემატურობა და თანმიმდევრულობა, მისაწვდომობა და თვალსაჩინოება აღიარა.



ი. გოგებაშვილი.

Გ. აღზრდის ძირითად მიზნად მიიჩნევდა ,,ახალი ტიპის ქართველის‘‘ – გონებრივად, ზნეობრივად, ესთეტიკურად, ფიზიკურად განვითარებული პიროვნების – ჩამოყალიბებას. Გ-ის ყველა სახელმძღვანელო, წერილი თუ მოთხრობა გამსჭვალულია დემოკრატიზმის, ჰუმანიზმის, სამშობლოს სიყვარულისა და სხვა ხალხებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. მის მსოფლმხედველობაში ერთმანეთთან იყო შერწყმული ეროვნ. და სოც. იდეები. ამავე დროს, იგი სასტიკად ილაშქრებდა ეროვნ. ნიადაგს მოწყვეტილი იმ ,,სოციალისტების‘‘ წინააღმდეგ, რებიც უგულებელყოფდნენ ეროვნ. პრობლემებს და წინა პლანზე სოც. საკითხებს წამოსწევდნენ.

Გ. სიკეთედ თვლიდა პროგრ. რუსეთთან კავშირს, მაგრამ ვერ ურიგდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას, გარუსების პოლიტიკას.

Გ. მოითხოვდა განათლებასთან, მეცნიერებასა და კულტურასთან ხალხის ზიარებას, მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბებას მშობელი ხალხის სულიერი კულტურის ნიადაგზე. Გ-ის ზოგადპედაგოგიური, მეთოდიკური და სოც.-პოლიტ. შეხედულებები ასახულია მის შრომებში: ,,ბურჯი ეროვნებისა‘‘, ,,ხე ნაყოფით იცნობება‘‘, ,,ახალი ნაბიჯი ხალხის



იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედალი.

განათლებაში‘‘, ,,ბრმა წინამძღოლობა ხალხის განათლებაში‘‘, ,,ახალი სამოსწავლო გეგმის შესახებ‘‘, ,,სახალხო მასწავლებლის ღვაწლი და უკიდურესი გაჭირვება მისი‘‘, ,,განათლების მდგომარეობა საქართველოში‘‘, ,,მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხები‘‘, ,,რანი ვიყავით გუშინ?‘‘ და სხვ. გ-ის მეთოდიკურ ნაშრომთაგან აღსანიშნავია ,,დარიგება მასწავლებლისათვის, თუ როგორ უნდა წაიყვანოს სწავლება წერა-კითხვისა ქართულ ანბანში და პირველ საკითხავ წიგნში‘‘, ,,დედანი ქართული წერისა‘‘, ,,მეთოდიკური სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის‘‘, ,,რუსული ენის სასწავლო სახელმძღვანელოთა გარჩევა‘‘, ,,ქართული და რუსული ალფავიტები პედაგოგიური თვალსაზრისით‘‘, ,,მასწავლებელთა და მშობელთათვის‘‘ (წინასიტყვაობა ,,ბუნების კარისა‘‘) და სხვ.

გ-ის საბავშვო მოთხრობები საინტერესო და მისაწვდომია ბავშვებისათვის. მათში რეალისტურად და მაღალმხატვრულად არის ასახული ბუნებისა და საზ. ცხოვრების ესა თუ ის მოვლენა. მოთხრობებისათვის იგი იყენებდა მდიდარ ხალხ. შემოქმედებას. ზნეობის საკითხებისადმი მიძღვნილი მისი მოთხრობები (,,ქურდი და მამალი‘‘, ,,მერცხალი და მეცხვარე‘‘, ,,ცხვარი და მარტი‘‘, ,,დევნილი მეგობარი‘‘, ,,ბელურა‘‘, ,,ლომი‘‘, ,,მერცხალი‘‘, ,,აქლემი‘‘, ,,ორაგულის ცხოვრება‘‘, ,,ნამი‘‘, ,,ცისარტყელა‘‘ და სხვ.) აგებულია ხალხ. ანდაზებზე. მსოფლიოს გამოჩენილ ბუნებისმეტყველთა ნაშრომების გამოყენებით დაწერილ მოთხრობებში გ. ბავშვებს აცნობს ფრინველთა და ცხოველთა სამყაროს. მოზარდთათვის განსაკუთრებით მიმზიდველია ,,ქართლის ცხოვრების‘‘ სიუჟეტებზე აგებული საისტორიო მოთხრობები (,,ასპინძის ომი‘‘, ,,იოთამ ზედგინიძე‘‘, ,,ერეკლე მეფე და ინგილო ქალი‘‘, ,,ცოტნე დადიანი‘‘, ,,თავდადებული მღვდელი თევდორე‘‘, ,,სხივი წარსულისა‘‘, ,,სამასი თავდადებული გლეხი‘‘, ,,ხატის მიზეზით?‘‘, ,,საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა‘‘, ,,თავდადებული ქართველი ექიმი‘‘, ,,საშინელი სასჯელი მოღალატისა‘‘ და სხვ.), რ-ებიც ადამიანს შთააგონებს სამშობლოს სიყვარულს. მისი ცნობილი მოთხრობა ,,იავნანამ რა ჰქმნა?‘‘ ყოველი ქართველის სულიერი თანამგზავრია ბავშვობიდან მთელი ცხოვრების განმავლობაში.

გ-ის აქტ. მონაწილეობა ყოველმხრივ უწყობდა ხელს და პრაქტიკულადაც განსაზღვრავდა საყმაწვილო ჟურნალების (,,*ნაკადულ*ი‘‘, ,,*ნობათ*ი‘‘ და ,,*ჯეჯილ*ი‘‘) პედ. მიმართულებას.

გ. არ იშურებდა სახსრებს სახ. განათლებისათვის: მატერიალურად ეხმარებოდა ღარიბ მასწავლებლებს, საზ. მოღვაწეებს, პოეტებსა და მწერლებს; სისტემატურად უგზავნიდა ფულს საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართვ. სტუდენტებს, მთავრობის მიერ რეპრესირებულ, გადასახლებაში მყოფ პოლიტ. პატიმრებს და სხვ.

გ., მისი ანდერძის თანახმად, დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და საზ. მოღვაწეთა პანთეონში ბ. ღოღობერიძისა და ნ. ცხვედაძის გვერდით. 1940 დაბადების 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით მისი ნეშტი გადაასვენეს მთაწმინდის პანთეონში.

1976 ჩატარდა ,,დედა ენის‘‘ 100 წლისთავის იუბილე, მასობრივი ტირაჟით გაიმეორეს გ-ის სიცოცხლეში გამოცემული ,,დედა ენისა‘‘ და ,,ბუნების კარის‘‘ პირველი და ბოლო გამოცემები. თბილისში აიგო ძეგლი ,,დედა-ენა, ცოდნის ზარი‘‘ (მოქანდაკე ე. ამაშუკელი, არქიტ. ნ. მგალობლიშვილი, ბრინჯაო, 1983). გ-ის ხსოვნის უკვდავსაყოფად გატარდა მრავალი ღონისძიება: მისი სახელი მიენიჭა პედაგოგიკის მეცნ. ეროვნ. ინ-ტს, საქართვ. პედაგოგიურ საზ-ბას, პედ. ბიბლიოთეკას, თელავის პედაგოგიურ უნ-ტს, თბილ. პედაგოგიურ სასწავლებელს, თბილ. ერთ-ერთ ქუჩას (ვერე). მემორიალური დაფა გაუკეთდა მის საცხოვრებელ სახლს თბილისში, დიმიტრი ყიფიანის ქუჩაზე. აიგო ძეგლი გ-ის საფლავზე; დაწესდა გ-ის სახ. მედალი (ანიჭებს საქართვ. განათლების სამინისტრო), პრემია (I და II ხარისხის, ანიჭებს საქართვ. პედ. საზ-ბა), სტიპენდია (ანიჭებდა ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. უნ-ტი, პედ. სასწავლებელი და სხვ.); დამკვიდრდა სახ. დღესასწაული ,,იაკობობა‘‘ (1971-იდან; იმართება ყოველწლიურად, ოქტ. ბოლო კვირაღღეს სოფ. ვარიანში) და სხვ.; 1952–65 გამოვიდა გ-ის თხზულებათა ათტომეული, 1976 – რჩეულ თხზულებათა ერთტომეული, 1982 – მხატვრული ნაწარმოებების კრებული ,,საგანძური‘‘ და სხვ. 1990 გ-ის დაბადებიდან 150 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად მომზადდა გ-ის შრომებისა და წერილების 20-ტომეული (გამოიცა 9 ტ.), 5-ტომეული (შემდგენლები ვ. გაგუა, დ. გურგენიძე, გ. სიხარულიძე, ლ. ქავჭაია, ვ. რამიშვილი, კ. მაჭარაშვილი, თბ., 1989–90); გაკეთდა მასწავლებლის მაგიდის კალენდარი გ-ის ნაწარმოებთა თემაზე (რედაქტორები ვ. გაგუა, დ. გურგენიძე, თბ., 1990), 1999 – ცნობარი მასწავლებელთათვის (კალენდარი ასტროლოგიური მონაცემებით, შემდგენლები: ა. ბუაძე, ა. სამადაშვილი).

თხზ.: რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. 1, თბ., 1910; რჩეული ნაწერები ოთხ ტომად, ტ. 2, თბ., 1940; თხზულებანი, ტ. 1–10, თბ., 1952–65; რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1977; საგანძური, თბ., 1982; თხზ. ხუთ ტომად, თბ., 1989–90; საღმრთო ისტორია, თბ., 1992; თხზულებათა 20-ტომეული (გამოიცა 9 ტ.), თბ., 1990–97; მოთხრობები, სკოლამდელთათვის, თბ., 1940; მოთხრობები მოზრდილთათვის, თბ., 1950; მოთხრობები მცირეწლოვანთათვის, თბ., 1951; Избр. педагогические сочинения, М.,1954.

ლიტ.: გ ურ გ ე ნ ი ძ ე დ., მარად უჭკნობი ეროვნული დიდება, თბ., 1976; თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი გ., იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1960; თ ა ლ ა კ ვ ა ძ ე მ., ი. გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოთა აგების პრინციპები, თბ., 1952; იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად, ტფ., 1913; იაკობ გოგებაშვილი (საიუბილეო კრებული), თბ., 1940; იაკობ გოგებაშვილი (საიუბილეო კრებული), თბ., 1960; იაკობ გოგებაშვილის ბრძნული გამონათქვამები, თბ., 1990; იაკობ გოგებაშვილი – 150, თბ., 1991 (შემდგ. ვ. მაჭარაშვილი); იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა ლექსიკონი, თბ., 1994 (შემდგ. გ. შალამბერიძე); ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე დ., დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი (დაბადებიდან 120 წლისთავის გამო), თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე, ქართული კულტურის მარგალიტი – ი. გოგებაშვილის ,,დედა ენა‘‘, თბ., 1976; რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ვ., ი. გოგებაშვილის ,,დედა ენა‘‘, თბ., 1979; მ ი ს ი ვ ე, ი. გოგებაშვილი, თბ., 1979; ჯ ი ბ ლ ა ძ ე გ., იაკობ გოგებაშვილი – ახალი ქართული პედაგოგიკის მამა, თბ., 1976.

დ. გურგენიძე.
გ. კვანტალიანი.

იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი, დაარსდა 1958 სოფ. ვარიანში (ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი). 2010 წ. 1 იანვრისთვის ფონდში იყო 1500-ზე მეტი ექსპონატი, მ. შ. ი. გოგებაშვილის მემორიალური ნივთები (24 ერთეული), ფოტომასალა, დოკუმენტები, წარმოდგენილია აგრეთვე საბჭ. პერიოდის ფერწერა, ქანდაკება, ჭედურობა, კერამიკა. თავმოყრილია მასალა ი. გოგებაშვილის სახ. მედლისა და პრემიის ლაურეატებზე. სახლ-

მუზეუმში ტარდება სამეცნ. სესიები, ლექციები. მუზეუმი ყოველწლიურად უძღვება სახ. დღესასწაულს ,,იაკობობას''. გამოცემულია სახლ-მუზეუმის მეგზური.

გ-ის დაბადებიდან 150 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით მუზეუმი რესტავრირებული და რეორგანიზებულია. *ვ. კოკაური.*

გოგებაშვილი ნოდარ ვლადიმერის ძე (დ. 2. VIII. 1930, თბილისი), იმუნოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1984), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1991), საქართვ. მედიცინის მეცნ. აკად. წევრი (1994). 1954 დაამთავრა თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტი (თსსი); 1964–96 მუშაობდა ტუბერკულოზის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, სადაც ეკავა ექსპერ. განყ-ბის ხელმძღვანელის, კლინ. და იმუნოლოგიური განყ-ბის უფრ. მეცნ.-მუშაკის, ამავე განყ-ბის გამგის, ინ-ტის დირექტორის თანამდებობები. 1995–2005 იყო პ. შოთაძის სახ. თბილ. სამედ. აკად. იმუნოლოგიისა და ალერგოლოგიის კათედრის გამგე.

გ-მა შეისწავლა და დაადგინა სხივური დაავადების დროს ბაქტერიოფაგიის კანონზომიერებანი, ტუბერკულოზის თანამედროვე იმუნოლოგიის მექანიზმები. მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები I ტიპის კოლაგენის მიმართ განვითარებული აუტოიმუნური პროცესის თავისებურებების შესახებ ტუბერკულოზის, ფსორიაზის, პაროდონტიტის და სხვ. პათოლოგიური პროცესების დროს. 1994 მისი ხელმძღვანელობით შემუშავებულ იქნა ტუბერკულოზთან ბრძოლის პროგრამა.

გ. 1983 აირჩიეს სსრკ სამედ. აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული იმუნოლოგიის სამეცნ. საბჭოს წევრად, 1984 – მის მიერვე ჩამოყალიბებულ საქართვ. იმუნოლოგთა საზ-ბის პრეზიდენტად. 1997–2006 იყო ალერგოლოგთა და კლინ. იმუნოლოგთა ასოციაციის თავ-რე. 2006-იდან არის ამ ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი.

გ-ს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მ. შ. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის მედალი (1994), ღირსების ორდენი (1999).

თხზ.: მაიონიზირებელი გამოსხივების გავლენა ორგანიზმის იმუნო-ბიოლოგიურ რეაქტიულობაზე, თბ., 1963; Иммунологическая реактивность организма при туберкулёзе, Тб., 1975.

გოგელია ანა ფილიპეს ასული (30. V. 1906, ქ. ყარსი, ახლანდ. თურქ. ტერიტ., – 27. VIII. 1997, თბილისი), ერთ-ერთი პირველი არქიტექტორ-რესტავრატორი ქალი საქართველოში. დაამთავრა ამიერკავკ. ინდუსტრ. ინ-ტი (1936). მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტ ,,საქკომუნპროექტში'', პარალელურად – არქიტ. ძეგლების აღრიცხვა-ფიქსაციასა და შესწავლაზე (აჭარის არ, ახალციხისა და ზესტაფონის რ-ნები, ჭიათურის ზონა და სხვ.). 1951-იდან მუშაობდა სპეც. სამეცნ.-სარესტავრაციო სახელოსნოში არქიტექტორ-რესტავრატორად. მონაწილეობდა რამდენიმე მნიშვნელოვანი არქიტ. ძეგლის შესწავლასა და აღდგენითი პროექტების შედგენაში: გორის ციხე (რ. გვერდწითელთან ერთად), თუშმალიშვილების კოშკი (ახლანდ. ხაშურის მუნიციპალიტეტი), *ალავერდის* კომპლექსის გალავნის კონსერვაცია (გ. ჭეიშვილთან და გ. ჯაფარიძესთან ერთად) და სხვ.

ს. კინწურაშვილი.

გოგელია არჩილ გრიგოლის ძე (დ. 10. XII. 1941, თბილისი), ჟურნალისტი, საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1981). დაამთავრა საქართვ. ფიზკულტ. სახელმწ. ინ-ტი (1961) და თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1967). იყო ჟურნალების – „მართვესა“ (1975–79) და „სკოლა და ცხოვრების“ (1979–84) მთ. რედაქტორი; გაზეთების: „ლელოს“ (1984–85) და „თბილისის“ (1985–89) მთ. რედაქტორი. საქტელერადიო კომიტეტის (შემდგომ – კორპორაციის) თავ-რე (1989–99); საქართვ. ინფორმაციის მინისტრი (1992); საქართვ. ჟურნალისტთა კავშირის მდივანი. 1991 დააარსა და ამჟამადაც რედაქტორობს დამოუკიდებელ საზ.-პოლიტ. გაზეთ „დრონს“. 1999-იდან 2004-მდე იყო საქართვ. პარლამენტის წევრი. 2004–იდან არის საქართვ. ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტი.

გ. იყო საქართვ. ნაკრების წევრი ფარიკაობაში, რესპ. არაერთგზის ჩემპიონი, სსრკ ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი, სსრკ პროფკავშირთა სპარტაკიადის ჩემპიონი, სსრკ თასის ფინალისტი. ავტორია წიგნებისა: „მუშკეტერები“ (1974), „ასეთია სპორტული ცხოვრება“ (1986).

გოგელია გიორგი (კომანდო) ილიას ძე (6. IX. 1878, ოზურგეთი, – 21. XII. 1924, თბილისი), პოლიტიკური მოღვაწე, ანარქისტი. დაამთავრა ოზურგეთის სას. სასწავლებელი; სწავლობდა ქუთ. სას. სემინარიაში (რ-იც არ დაუმთავრებია), 1897-იდან კი – ლიონის (საფრანგეთი), შემდეგ – ლოზანის (შვეიცარია) აგრონ. სასწავლებლებში. 1917 რუს. თებ. რევოლუციამდე ძირითადად ემიგრაციაში იყო და აქტიურად მონაწილეობდა საფრ., შვეიც. და იტალ. ანარქისტულ მოძრაობაში. 1903 აგვისტოში ჟენევაში გამოსცა პირველი რუს. ანარქისტული ჟურნალი ,,ხლებ ი ვოლია''. შესანიშნავი ორატორი და პოლემისტი, ემიგრანტულ შეკრებებზე ხშირად ანარქისტული პოზიციებიდან ეკამათებოდა გ. პლეხანოვს, ვ. ჩერნოვსა და რუს. რევ. მოძრაობის სხვა ავტორიტეტებს. რევ. წრეებში გ. უფრო ,,ორგეიანის'' ფსევდონიმით იყო ცნობილი.

1905 რევ. დროს გ. ვ. ჩერქეზიშვილთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა. მისი თაოსნობითა და მონაწილეობით თბილისში გამოვიდა რამდენიმე ანარქისტული ჟურნალ-გაზეთი (,,მუშა'', ,,ნობათი, ,,ხმა'', ,,ქარიშხალი'', ,,ცის ნამი''). გ-ს და ვ. ჩერქეზიშვილის საქართველოში მოღვაწეობამ განაპირობა ის, რომ თბილისი იქცა რუს. იმპერიაში ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთ ინტელექტუალურ ცენტრად. გ. იყო საუკუნის დასაწყისში დას. ევროპაში წარმოქმნილი, მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების – ანარქო-სინდიკალიზმის – ფუძემდებელი რუსეთის იმპერიაში. გ-მ პ. კროპოტკინის წინასიტყვაობით გამოსცა წიგნი ,,როგორ და რისგან განვითარდა რევოლუციური სინდიკალიზმი''. ამავე პერიოდში რუს. ენაზე გამოიცა მისი წიგნი – ,,რევოლუცია და რევოლუციონური მთავრობა'', რ-ითაც იგი ასაბუთებდა ცენტრალისტური სახელმწიფოს ანტიჰუმანურ ბუნებას.



ა. გ. გოგელია.

რევ. დამარცხების შემდეგ გ. კვლავ ემიგრაციაში იყო და აქტიურად მონაწილეობდა საერთაშ. და ევრ. მასშტაბის კონგრესებში, შეკრებებში; შედიოდა პარიზში გამომავალი რუს. ანარქისტული ორგანოს ,,ბურევესტნიკის'' რედკოლეგიაში, აქვეყნებდა წერილებს ევრ. პრესაში.

გ-ის ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართვ. ეროვნ.-პოლიტ. მოძრაობასთან, განსაკუთრებით სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიასთან. 1904 აქტ. მონაწილეობა მიიღო ქართ. პოლიტ. ფრაქციების ჟენევაში გამართულ ინტერპარტიულ კონფერენციაზე.

Გ-ს, როგორც მარქსისტული ცენტრალიზმის სასტიკი მოწინააღმდეგის, პოლიტ. იდეალი იყო ხალხებისა და ერების ნებაყოფლობითი გაერთიანება ფედერალიზმის საფუძველზე ,,მსოფლიოს თავისუფალ ფედერაციაში'', რ-იც მისი სიტყვებით, ყველაზე უფრო შეეფერებოდა ,,ჩვენი ხალხის ცხარ, გულად და ცოცხალ ხასიათს''.


1908 თბილისში გამოვიდა წიგნი ,,კრიტიკა სოციალ-ფედერალიზმისა და კრიტიკა სოციალ-დემოკრატიისა'', რ-ის ერთი ნაწილის ავტორია **გ.,** ხოლო მეორე ნაწილის – მისი ძმა შ. *გოგელია.* გ. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში თბილისში ცხოვრობდა. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დ. შველიძე.



რ. გოგელია.

გოგელია რევაზ ბესარიონის ძე (17. III. 1932, ბათუმი, – 20. XI. 1999, თბილისი), სპორტსმენი (კალათბურთი). სსრკ სპორტის ოსტატი. დაამთავრა თსუ (1953). თამაშობდა თბილისის ,,დინამოში''. სსრკ ჩემპიონატების ორგზის მეორე პრიზიორი (1960, 1961); ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962, თბილისის ,,დინამოს'' შემადგენლობაში).



გ. გოგიაშვილი.

გოგელია შალვა ილიას ძე (დ. და გ. წლები უცნობია), ანარქისტი. 1906 თბილისში გამოსცა ბროშურა ,,ჩვენი მტრები და მეგობრები'', რ-შიც ხალხის მჩაგვრელ ინსტიტუტებად მიიჩნევდა მონარქიას, კაპიტალიზმს, ოჯახს, ტრადიციებს. 1908 თავის ძმასთან გ. *გოგელიასთან* ერთად გამოსცა წიგნი: ,,კრიტიკა სოციალ-ფედერალიზმისა და კრიტიკა სოციალ-დემოკრატიისა''. 1905–07 რევ. პერიოდში ისინი მწვავედ დაუპირისპირდნენ ქართვ. ანარქისტთა მეორე ჯგუფს (ვ. ჩერქეზიშვილი, მ. წერეთელი). XX ს. 10-იანი წლებიდან **გ.** აღარ ჩანს პოლიტ. სარბიელზე.

დ. შველიძე.

გოგია ომარ ათანასეს ძე (დ. 25. VI. 1940, სოფ. ლეძაძამე, ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი), პოლიციის გენერალ-მაიორი (2003). დაამთავრა სტავროპოლის სას.-სამეურნეო ინ-ტის აგროეკონომიური ფაკ-ტი (1964). აფხ. არ უმაღლესი საბჭოს მთავარი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე (1999–2001). საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე (2001–02). აფხ. არ მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე (2002–04). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა (2000) და ღირსების (1999) ორდენებით.

ლ. დოლიძე.

გოგიაშვილები, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტის დანდალოს თემში (აჭარის არ), მდ. აჭარისწყლის ხეობაში. ზ. დ. 520 *მ,* ქედიდან 22 *კმ.* 203 მცხ. (2002).

გოგიაშვილი ანტონ ივანეს ძე [2 (14). XII. 1878, სოფ. ნიგოითი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 28. XII. 1907 (10. I. 1908), თბილისი], გრაფიკოსი. დაამთავრა თბილ. სას. სასწავლებელი. მხატვრული განათლება მიიღო თბილ. სამხატვრო სასწავლებელში (1901–06). იზიარებდა XIX–XX სს. მიჯნაზე საქართველოში გავრცელებულ დემოკრ. იდეებს. თანამშრომლობდა გაზეთების რედაქციებთან: ,,კვალი'', ,,ცნობის ფურცელი'', რ-ებშიც აქვეყნებდა ქართვ. ხალხის ყოფა-ცხოვრების ამსახველ (,,გლეხის კერა'', ,,შობის ხეების გაყიდვა'') და დოკუმენტურ (,,გიორგი წერეთლის გასვენება'') ჩანახატებს. ,,ცნობის ფურცლის'' სურათებიან დამატებაში იბეჭდებოდა გ-ის მიერ საქართვ. სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობისას შესრულებული ჩანახატები, რომელთაგან გამორჩეულია ლირ. განწყობილებითა და სიფაქიზით შესრულებული პეიზაჟები. ჩანახატებით: ,,დარბევა'' და ,,ტყეში შეფარებული გურულები'' (ორივე 1906, საქართვ. ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმი. თბილისი) მხატვარი 1905 რევოლუციას გამოეხმაურა. გ-ს ეკუთვნის ვაჟა-ფშაველას პოემა ,,ბახტრიონის'' (1896) და ი. ჭავჭავაძის პოემა ,,განდეგილის'' (1901), რ. ერისთავის ლექსების (,,სესიას ფიქრები'', ,,სამშობლო ხევსურისა'', ,,თრიალეთელი მწყემსი'', ,,დაჭრილი'') ილუსტრაციები და სხვ. გ-ის ნახატები დაცულია საქართვ. ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმში.

გოგიაშვილი გურამ სოლომონის ძე (დ. 19. VII. 1934, თბილისი), ჟურნალისტი, მთარგმნელი. საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1984). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი ჟურნალისტიკის განხრით (1958). 1954-იდან პრესაში აქვეყნებს წერილებსა და ნარკვევებს. 1965–80 იყო გაზ. ,,კომუნისტის'' რედაქტორის მოადგილე, 1980-იდან – ჟურნ. ,,პარტიული სიტყვის'' (შემდგომში ,,საზრისი'') მთ. რედაქტორი, 1991 – გამომც. ,,სამშობლოს'' დირექტორის მოადგილე, 1992–96 – გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკის'' მთავარი რედაქტორი, 1996-იდან – ამავე გაზეთის მთ. რედაქტორის მოადგილეა. 60–70-იან წლებში ხელმძღვანელობდა ქართ. ემიგრაციისათვის განკუთვნილ გაზეთ ,,სამშობლოს''.

Გ-მა თარგმნა კუბელი პოეტის ნ. გილიენის ,,ლექსები'' (1961) და ,,საგვარეულო სახელი'' (1967); ა. ბლოკის, რ. მ. რილკეს, ი. რაინისის, ჟ. პრევერის, ჯ. როდარის, ს. მარშაკის, ა. ჩეხოვის, კ. პაუსტოვსკის, ა. ოსტროვსკის, ვ. შუქშინის, ე. რაძინსკისა და სხვ. ნაწარმოებები; განსაკუთრებით აღსანიშნავია თარგმანი ფ. რაბლეს კომიკური ეპოპეისა ,,გარგანტუა და პანტაგრუელი'' (I წგ. – 1972, II–1984, III – 1997, IV–1999, V – 2000). მთარგმნელმა ნაწარმოების სტილისტური მრავალფეროვნება (რეალისტურ-ფანტასტიკური, აკადემიურ-მეცნ., მდაბიურ-კარნავალური ფორმები) ოსტატურად შეუხამა ქართ. ხალხ. მეტყველების სხვადასხვა მანერას, ინტონაციასა და ლექსიკას. თარგმნა აგრეთვე ჰოლანდ. ჰუმანისტის ერაზმ როტერდამელის, ჩეხი მწერლების – ი. და მ. ტომანოვების, ბრაზილიელი მწერლის პაულო კოელიოს, სერბი მწერლის მილორად პავიჩის ნაწარმოებები. გ. არის ი. მაჩაბლის (1990), ვაჟა-ფშაველას (1994) პრემიების ლაურეატი. დაჯილდოებულია ღირსებისა (1996) და გორგასლის მესამე ხარისხის (2003) ორდენებით.

გოგიაშვილი კუკური პავლეს ძე (15. X. 1912, ქუთაისი, – 24. VI. 1984, თბილისი), მწერალი. ,,ცისფერყანწელთა'' ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენლის შ. *კარმელის* ძმა. სწავლობდა ქუთაისში, კ. მარჯანიშვილის თეატრთან არსებულ სტუდიაში და პარალელურად მუშაობდა ამავე თეატრში (1928–30). 1930 თეატრთან ერთად გადავიდა თბილისში და კ. მარჯანიშვილის გარდაცვალებამდე (1933) იყო მისი დასის წევრი. გ. სხვადასხვა დროს იყო თელავისა და თბილისის (თოჯინების, მოზარდ მაყურებელთა ქართ.) თეატრების მსახიობი და დრამატურგი. ამავე დროს ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა გაზ. ,,მუშასა'' და ჟურნ. ,,ნიანგში''. 1948-იდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ჟურნ. ,,დილაში''. პირველი ლექსები 1934 გამოაქვეყნა, პირველი საბავშვო წიგნი – ,,თინიკოს მამალი'' – 1940. ბავშვებს მიუძღვნა აგრეთვე ლექსების, ზღაპრების, პოემების კრებუ-

ლები: ,,გაზაფხული'' (1947), ,,ტყის სტუმარი'' (1951), ,,აბლი-ბაბლი'' (1962), ,,მზეს უმღერიან'' (1970), ,,გაზაფხული მოდის'' (1972), ,,ათული და ბათული'' (1978), ,,შემოდგომას რა სჯობს'' (1983) და სხვ. წერდა სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებებს. გ-ის პიესები იდგმებოდა თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრსა (,,ფარავნელი ჭაბუკი'', ,,ალუბლები ჰყვავიან'', ,,ბაღნარში'' და სხვ.) და თოჯინების თეატრში (,,ბეკეკა'', ,,რწყილი და ჭიანჭველა'', ,,რუხი მგელი'' და სხვ.). დაჯილდოებულია ი. გოგებაშვილის სახ. მედლით (1973).

თხზ.: საბავშვო პიესები, თბ., 1950; ახალი სახლი. სკეტჩები და სატირა, თბ., 1961; ვინ დალუპა აფრასიონი?! თბ., 1964; სიძე-სიმამრიანი, თბ., 1975.

გოგიაშვილი ლიანა ევტიხის ასული (3. X. 1944, თბილისი), პათოლოგ-ანატომი. მედ. მეცნ. დოქტორი (1984), პროფესორი (1990). 1968 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1972 იყო ალ. ნათიშვილის სახ. ექსპერ. მორფოლოგიის ინსტიტუტის ციტოლოგიის განყ-ბის უმცროსი, უფროსი (1976–86) და მთავარი მეცნ. თანამშრომელი (1986–2005), 2005–06 – ადამიანის ზოგადი პათოლოგიისა და ადამიანის ეკოლ. განყ-ბის გამგე, 2006-იდან არის კლინ. და ექსპერ. პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. გ-ის სამეცნ. შრომები ეძღვნება გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის პათოლოგიებს.

თხზ.: Регенерация почки в раннем постнатальном периоде развития организма, Тб., 1978; Функциональная морфология сердечно-легочного синдрома, Тб., 1982 (თანაავტ. З. Г. Цагарели); Ультраструктура сердечно-сосудистой системы в норме и патологии, Тб., 1986 (თანაავტ.).

გოგიაშვილი ომარ გიორგის ძე (დ. 22. X. 1941, თბილისი), პოლიტოლოგი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (1988), საქართვ. განათლების აკად. წევრი და დამფუძნებელი (1996). 1964 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1964–73 კომკავშირულ საქმიანობას ეწეოდა. 1973-იდან იყო თსუ-ის ისტ. ფაკ-ტის დეკანის მოადგილე (1975–79), თსუ-ის პოლიტოლოგიის კათედრის გამგე, პოლიტ. მეცნიერებათა კვლევის ცენტრის დირექტორი (1998–2006). საქართვ. ფიზ. აღზრდისა და სპორტის აკადემიის (ყოფ. ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინ-ტი) რექტორი (1984–2005). ი. ჭავჭავაძის სახ. თბილისის უნ-ტის პროფესორი (2007–09), საქართვ. საპატრიარქოს ქართ. უნ-ტის პროფესორი (2009-იდან). იკვლევს შრომის ორგანიზაციის, სოციალურ, პოლიტიკისა და ქართ. პოლიტოლოგიური მემკვიდრეობის საკითხებს.

თხზ.: შრომის სტიმულები, თბ., 1978; ივანე ჯავახიშვილი და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა, თბ., 1998 (თანაავტ.); პოლიტიკური იდეოლოგიები, თბ., 2003; ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიები, თბ., 2004 (თანაავტ.); ილია დღეს (იდეოლოგია და პოლიტიკა), თბ., 2008; Безумные и безумцы (Незанимательная грузинофобия), Тб., 2004; იგივე გამოც. მოსკ., 2005 (თანაავტ.); Эпидемия идиотизма (о незанимательной грузинофобии и не только о ней), Тб., 2006 (თანაავტ.).

გოგიბედაშვილი ვახტანგ გრიგოლის ძე (23. V. 1906, გორი, – 1985, თბილისი), ფიზიოთერაპევტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1951), პროფესორი (1958). 1931 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი; 1931–33 მობილიზებული იყო კრასნოიარსკში ლაზარეთის უფროსად; იყო თბილისის შრომის ჰიგიენისა და პროფ. სნეულებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტის კლინ. განყოფილების მეცნ. მუშაკი, შემდგომ – ამ ინ-ტის დირექტორი (1946–48); ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის ინ-ტის დირექტორი (1948–64). თსსი-ის ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის კათედრის პროფესორი (1964–80). გ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი, რ-ებიც ეხება ფიზიოთერაპიის და კურორტოლოგიის აქტუალურ საკითხებს.

გოგიბერიძე გაიოზ გალაქტიონის ძე (დ. 5. II. 1922, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი – 11. XII. 2000, ბათუმი), მსახიობი. აჭარის დამს. არტისტი (1957), საქართვ. სახ. არტისტი (1982). 1938–41 და 1943–50 იყო ბათუმის, ჩოხატაურის, ხულოს თეატრების მსახიობი; 1951–56 მუშაობდა თბილ. მოზარდ მაყურებელთა, შემდეგ – ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრში. 1956-იდან კვლავ ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრის დასის წევრია. როლები: ონისე (ა. ყაზბეგის ,,ხევისბერი გოჩა''), უფლისწული (მ. ჯაფარიძის ,,ჟამთაბერის ასული''), პეპო (გ. სუნდუკიანის ,,პეპო''), ესპე (გ. ფიგეირედუს ,,მელა და ყურძენი''), კოჩკარიოვი (ნ. გოგოლის ,,ქორწინება''), არტური (ფ. ვოინიჩის ,,კრაზანა''), ბაში-აჩუკი (ა. წერეთლის ,,ბაში-აჩუკი''), კასიო (უ. შექსპირის ,,ოტელო''), მანუჩა (ვ. კანდელაკის ,,მაია წყნეთელი''), ზაროვაველი (ე. იურანდოტის ,,მეცხრე წმინდანი'') და სხვ. *მ. ცუცქირიძე.*



გ. გოგიბერიძე.

გოგიბერიძე მოსე ივანეს ძე (27. VIII. 1897, სოფ. ქვენობანი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 10. X. 1949, ქ. აქტიუბინსკი, ყაზახეთი), ფილოსოფოსი. 1918 დაამთავრა ხონის სამასწავლებლო სემინარია. 1918–22 სწავლობდა ბერლინისა და მარბურგის უნ-ტებში. 1922 მარბურგში ნ. ჰარტმანის ხელმძღვანელობით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: ,,სოლომონ მაიმონის აზროვნების თეორია კანტთან და ლოგიკური იდეალიზმის შემდგომ განვითარებასთან მიმართებით''. 1923-იდან მუშაობა დაიწყო თსუ-ში; 1930-იდან იყო პროფესორი, 1933-იდან – ბუნების დიალექტიკის კათედრის გამგე, 1939-იდან – ფილოს. კათედრის გამგე.



გ. გოგიბერიძე. მანუჩა, ვ. კანდელაკის ,,მაია წყნეთელი''.

საბჭ. ფილოსოფოსებს შორის გ-მ ერთ-ერთმა პირველმა გამოიკვლია ფილოს. და ბუნებისმეცნიერების ურთიერთმიმართების პრობლემები (,,აინშტაინის რელატივობის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები'', 1924; ,,შემეცნების აქსიომატური დასაბამი'', 1926). აზროვნებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური რეალობის პრობლემის კვლევისას შექმნა ორიგინ. თეორია. ცალმხრივი დასკვნა გააკეთა შემეცნებისა და, საერთოდ, აზროვნების, როგორც ნეგაციის, შესახებ (,,შემეცნების აქსიომატური დასაბამი'', 1926). მან ამ პოზიციაზე ფორმალური უარი გამოთქვა წიგნით ,,ლენინი როგორც ფილოსოფოსი'' (1930), სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჭეშმარიტებისა და დაპირისპირებულთა ერთიანობის პრობლემათა ანალიზი. ამ შრომის მოსამზადებელ ეტაპზე გ-მ დაწერა შრომები: ,,ისტორიული მატერიალიზმი'' (ქრესტომათია, 1927), ,,კარლ კაუცკის ახალი ფილოსოფია'' (1928), ,,მატერიალიზმისა და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე'' (1928), ,,მეცნიერება და რელიგია'' (1929). დიდ ყურადღებას უთმობდა თანამედროვე დასავლური ფილოს. კრიტიკას (ო. შპენგლერი, ჰ. კაიზერლინგი, ა. როზენბერგი და სხვ.). მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართ. ფილოს. ისტორიის კვლევაში (,,პეტრიწი და მისი



მ. გოგიბერიძე.

მსოფლმხედველობა‘‘, 1940). გ-მ 1940 სსრკ მეცნ. აკად. საქართვ. ფილიალის ,,მოამბეში‘‘ (ტ. 1. №5) გერმ. ენაზე პირველმა გამოაქვეყნა ნარკვევი პეტრიწის შესახებ (1978, ქართ. ენაზე). მნიშვნელოვანია გ-ის თარგმანები (ო. შპენგლერისა და ი. კანტის შრომები). 1941 გამოსცა ,,ფილოსოფიის ისტორია‘‘ (ტ. 1. კანტამდე), რ-იც თსუ-ში სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა. საყურადღებო ნარკვევები მიუძღვნა ნ. ბარათაშვილის ,,მერანს‘‘, ი. ნიკოლაძის ,,ჩახრუხაძეს‘‘, რუსთაველის ესთეტიკას. განიხილა პოემის მსოფლმხედველობის კავშირი ქართულ ქრისტ. მწერლობასა და საერთოდ, ქრისტიანულ კულტურასთან. მოგვაწოდა საინტერესო დაკვირვებები ვეფხისტყაოსნის რენესანსული სულისკვეთებისა და პოეტური ენის შესახებ. გააშუქა იოანე პეტრიწის, ი. ნიკოლაძისა და ზ. ფალიაშვილის შემოქმედების ზოგიერთი საკითხი. 1942 გ. ცილისწამების საფუძველზე დააპატიმრეს და ყაზახეთში გადაასახლეს. გარდაიცვალა იქვე.



გ. გოგიტიძე.

თხზ.: რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი 4 ტომად, თბ., 1970–78 (ბიბლიოგრ. მე–3 ტომში).

ლიტ.: უ რ ი დ ი ა ბ., მ. გოგიბერიძის ფილოსოფიური მემკვიდრეობა, თბ., 1984; ც ა ი შ ვ ი ლ ი ს., ლიტერატურული წერილები, თბ., 1966; ჯ ი ბ ლ ა ძ ე გ., კრიტიკული ეტიუდები, [ტ.] 5, თბ., 1974. *გ. თევზაძე.*



ე. გოგიტიძე.

მოსე გოგიბერიძის სახლ-მუზეუმი, დაარსდა 1977 სოფ. ქვენობანში (ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), 2010 იანვრისთვის ფონდში იყო 1000-მდე ექსპონატი, მ. შ. მემორიალური ნივთები, მეცნიერის ნაშრომები, წერილები მის შესახებ, აგრეთვე დოკუმენტები, ფოტომასალა, ფერწერული ტილოები. მუზეუმი პერიოდულად ატარებს მ. გოგიბერიძისადმი მიძღვნილ სამეცნ. სესიებს, კონფერენციებს, თემატურ საღამოებს – 1997 წ. 16 ოქტ. თსუ-ის, საქართვ. მეცნ. აკადემიისა და საქართვ. მწერალთა კავშირის ინიციატივით მოეწყო გ-ის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნ. სესია.

გოგიეთი, სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაკვანეთის თემში (გურიის მხარე), მდ. აქიდაყვის (აჭისწყლის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 280 *მ*, ოზურგეთიდან 7 *კმ*. 130 მცხ. (2002).

გოგილაშვილი ვახტანგ ნიკოლოზის ძე (დ. 20. XI. 1933, თბილისი), ინჟინერი მანქანათმშენებლობის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1991). 1957 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის მექანიკის ფაკ-ტი მანქანათმშენებლის სპეციალობით. 1960-იდან დღემდე ეწევა პედ. საქმიანობას საქართვ. ტექნიკურ უნ-ტში მექანიზმებისა და მანქანების თეორიის კათედრაზე. 2005-იდან არის კათედრის გამგე.

გ-ის სამეცნ. კვლევები ეხება მექანიკურ სისტემებში ენერგიის დანაკარგების შესწავლას; რთული სტრუქტურის ჯაჭვური სისტემების დინამ. ანალიზსა და სინთეზს; კოსმოსური ბაზირების ტრანსფორმირებადი სისტემების გაანგარიშებისა და დაპროექტების საკითხებს. მონაწილეობდა პირველი ქართ. კოსმოსური ობიექტის – დიდი გასაშლელი რეფლექტორის – ღია კოსმოსში გაყვანის ექსპერიმენტში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

თხზ.: ტრანსფორმირებადი სისტემების სტრუქტურული და კინემატიკური სინთეზი, თბ., 2009 (თანაავტ.).

გოგილაშვილი ოთარ ივანეს ძე (დ. 21. II. 1938, თბილისი), მეტალურგი. პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1989), პროფესორი (1990). 1961 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის (ახლანდ. ტექ. უნ-ტი) მეტალურგიის ფაკ-ტი. 1969–74 მუშაობდა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში, სადაც 1975 მიანიჭეს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის წოდება. ამავე წელს მუშაობა დაიწყო ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტში (ახლანდ. ილიას უნ-ტი). იკვლევს პედ. თეორიის საკითხებს, ტექ. დისციპლინათა სწავლების მეთოდიკას.

თხზ.: ლითონების კოროზია ძაბვების ქვეშ (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 1972; შრომის მასწავლებლის პიროვნების ჩამოყალიბება პედაგოგიურ ინსტიტუტებში (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 1986; ზოგადტექნიკური დისციპლინებისა და შრომის მასწავლებლის პიროვნების მოდელირება, თბ., 1988.

გოგინავა უშანგი აკაკის ძე (დ. 2. X. 1968, სოფ. ვარჩე, ახლანდ. გულრიფშის მუნიციპალიტეტი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (2001), პროფესორი (2004). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი (1993). 1995–2001 მუშაობდა თსუ-ის სოხუმის ფილიალის მათ. ანალიზის კათედრაზე. 2001-იდან ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტის პროფესორია. კვლევის ძირითადი მიმართულებაა: ფუნრიეს მწკრივების კრებადობა და შეჯამებადობა.

გოგინაური, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტის დღვანის თემში (აჭარის არ), შავშეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ჩირუხისწყლის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1150 *მ*, შუახევიდან 15 *კმ*. 344 მცხ. (2002).

გოგინიძეები, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტის ოქტომბრის თემში (აჭარის არ), მდ. მერისის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 600 *მ*, ქედიდან 5 *კმ*. 168 მცხ. (2002).

გოგიტიძე გერმანე იოსების ძე (12. IX. 1886, ოზურგეთი, – 7. III. 1960, თბილისი), ქართული კინოწარმოების ერთ-ერთი პიონერი. უმაღლესი განათლება მიიღო საფრანგეთში (პარიზი). 1906-იდან დაუკავშირდა თეატრის მოყვარულებს. 1914 ოზურგეთში გაიხსნა მისივე თანხებით აშენებული თეატრი, რ-იც შემდეგ კინოთეატრ ,,ილუზიონად‘‘ გადაკეთდა. 1916 ა. *წულუკიძესთან* ერთად გადაიღო პირველი ქართ. მხატვრული ფილმი ,,ქრისტინე‘‘. 1921 სათავეში ჩაუდგა განათლების სახ. კომისარიატთან არსებულ კინოსექციას. 1923-იდან იყო ,,სახკინმრეწვის‘‘ დირექტორ-განმკარგულებელი. დიდი როლი შეასრულა საქართველოში კინოწარმოების განვითარებასა და პროპაგანდაში. გ-ის ძალისხმევით მოხერხდა ქართ. ფილმების უცხოეთში ჩვენება.

ა. გვენცაძე.

გოგიტიძე ელიზბარ შაბანის ძე [20. IX (3. X). 1907, ქობულეთი, – 1997, ოდესა], მეზღვაური, შორეული ნაოსნობის კაპიტანი. 1931 დაამთავრა ოდესის საზღვაო სასწავლებელი, შემდგომ კი ,,ლოიდის‘‘ – ,,Lloyd‘‘ საზღვაო სასწავლებელი (დიდი ბრიტანეთი). 1931–35 მუშაობდა შავი ზღვის ფლოტის გემებზე კაპიტნის თანაშემწედ, კაპიტნად. II მსოფლიო ომის დროს გადაჰქონდა ტვირთი აშშ-იდან სსრკ ნავსადგურებში. ტრანსატლანტიკურ საერთაშორისო საზღვაო სივრცეში, პირველი კაპიტანი იყო სსრკ-იდან, რ-საც უფლება ჰქონდა ლოცმანის გარეშე შესულიყო მსოფლიოს ნებისმიერ საზღვაო ნავსადგურში. იყო გემების ,,როსიის‘‘, ,,ლატვიისა‘‘ და ,,შოთა რუსთაველის‘‘ კაპიტანი, ხოლო 1988-იდან – კაპიტან-დამრიგებელი შავი ზღვის ფლოტ-

ში. მასზე შექმნილია დოკუმენტური ფილმი ,,კაპიტანი გოგიტიძე'' (რეჟ. რ. ჭიაურელი, 1960). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: ჩ ი კ ვ ა ი ძ ე გ., ოთხი შეხვედრა. მოთხრობები, თბ., 1950; Б е р ш а д с к и й В. А., Капитан из Кобулети, Од., 1960.

ვ. ბარათაშვილი.

გოგიტიძე იოსებ რევაზის ძე (დ. 31. V. 1962, ქობულეთი), გენერალ-მაიორი (1994). 1991 დაამთავრა ქ. როსტოვის საინჟინრო-სამშენებლო ინ-ტი, ამავე წელს სამსახური დაიწყო აჭარის არ შს სამინისტროში უზენაესი საბჭოსა და მთავრობის დაცვის ქვეგანყოფილების უფროსად. 1993 ოქტ. დაინიშნა აჭარის არ შს მინისტრის პირველ მოადგილედ. 1993 ნოემბრიდან – 2004-მდე იყო აჭარის არ სახელმწ. უშიშროების მინისტრი. 2004-იდან ცხოვრობს საქართვ. ფარგლებს გარეთ. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის (1996) და ღირსების (1997) ორდენებით. *ლ. დოლიძე.*

გოგიტიძე ნიკოლოზ ჯემალის ძე (დ. 6. II. 1960, თბილისი), იუსტიციის გენერალ-მაიორი (1995). დაამთავრა მოსკ. სამხედრო ინ-ტის იურიდ. ფაკ-ტი (1982). 1993–94 იყო სახელმწ. მეთაურის მთავარი სამხედრო მრჩეველი, 1994–97 – საქართვ. გენ. პროკურორის მოადგილე (მთ. სამხ. პროკურორი), 1998–2002 – საქართვ. კონსული უკრაინასა და მოლდოვაში, 2003–04 – საქართვ. კონსული აზერბაიჯანში, 2004–07 – გენ. კონსული ტრაპიზონში, 2007–11 – საქართვ. სრულუფლებიანი და საგანგებო დესპანი აზერბაიჯანში, 2011-იდან – საქართვ. გენ. კონსული საბერძნეთის რესპუბლიკაში (ქ. თესალონიკი). *ლ. დოლიძე.*

გოგიტიძე სიმონ კონსტანტინეს ძე [3 (15). I. 1872, სოფ. ჭალა, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 4. III. 1927, თბილისი], პედიატრი, მეცნიერული პედიატრიის პიონერი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1904), პროფესორი (1912). 1897 დაამთავრა კიევის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი და იქვე დაიწყო მუშაობა ბავშვთა სნეულებების კათედრაზე. 1904 მონაწილეობდა რუს.-იაპ. ომში. 1909 აირჩიეს კიევის უნ-ტის პედიატრიის კათედრის პრივატ-დოცენტად, 1912 – ნოვოროსიის (ოდესა) უნ-ტის პედიატრიის კათედრის გამგედ. 1921-იდან იყო თსუ-ის ბავშვთა სნეულებების კათედრის გამგე. Გ-ის შრომებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვის ორგანიზმის თავისებურებებისა და ჰიგიენის შესწავლას. Გ-მ ერთ-ერთმა პირველმა დაადგინა ქალის რძეში ცხიმის გაჩენის გზები.

თხზ.: ბავშვის კვება, ტფ., 1927.

ი. ფალავა.

გოგიტიძე ფადიკო შაბანის ასული (1916, სოფ. ალამბარი, ახლანდ. ქობულეთის მუნიციპალიტეტი, – 20. X. 1940, იქვე), პირველი ქართველი მფრინავი ქალი აჭარიდან. 1936 დაამთავრა თბილ. საფრენოსნო სკოლა და მუშაობა დაიწყო ბათუმის აეროკლუბში ინსტრუქტორად. დაიღუპა ბათუმში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

გოგიუბა, გ ო გ ა უ ბ ა, გ ა გ უ ა ბ ა, დასახლებული პუნქტი ისტორიულ არტაანში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა. ახლანდ. სახელწოდებაა ბინბაშაქი (Binbaşak). როგორც ჩანს,



გოგიუბა. X ს. ეკლესიის ნანგრევები. საერთო ხედი.

გოგაბუბა-გაგუგუაბა, ძვ. ქართ. ტოპონიმის დამახინჯებული ფორმაა. ე. თაყაიშვილისა და პ. ზაქარაიას ვარაუდით, ადრე სოფელს უნდა რქმეოდა გიორგობა, ხოლო ს. ჯიქიას მიხედვით – გუგუბა. უფრო საფიქრებელია, რომ პუნქტის თავდაპირველი სახელწოდება იყოს გოგუბანი.


სოფლის შორიახლოს, ვრცელ მინდორზე, იდგა X ს. შუა ხანების ეკლესია, რ-იც დაანგრიეს XX ს. 70-იან წლებში. 1902 ძეგლი ნახა და აღწერა ე. თაყაიშვილმა. ეკლესია წარმოადგენდა გუმბათიან ნაგებობას რადიალურად განლაგებული ექვსი ერთნაირი აფსიდით. გარედან ძირითად კორპუსს თორმეტწახნაგა ფორმა ჰქონდა. აფსიდებს შორის ფასადებზე მაღალი სამკუთხა ნიშები იყო შეჭრილი. გუმბათი ეყრდნობოდა აფსიდების შვერილებს. ცენტრ. ჰექსაგონის კუთხეებში, აფსიდთა კონქების თაღებს შორის გამოყვანილ ტრომპებში, ჩასმული იყო რელიეფური გამოსახულებები (ადამიანის თავი, ირემი, ლომი). რელიეფები ამკობდა მცირე ტრომპებსაც გუმბათის ექვსწახნაგა ყელის ზედა კუთხეებში. ეკლესიის კედლები შიგნით და გარეთ მოპირკეთებული ყოფილა სუფთად გათლილი ქვებით (კედლების დიდი ნაწილი ე. თაყაიშვილს უკვე საკმაოდ დაზიანებული დახვდა).

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; Т а к а й ш в и л и Е. С., Христианские памятники, «Материалы по археологии Кавказа», 1909, в. 12.

ვ. ბერიძე. დ. ხოშტარია.

გოგიშვილი ბენიამინ გიორგის ძე (6. IV. 1925, სოფ. მარანი, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 28. X. 1982, თბილისი), გეოლოგი. გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1970), საქართვ. დამს. გეოლოგი (1979). 1955 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი. 1955-იდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ა. თვალჭრელიძის სახ. კავკ. მინერ. ნედლეულის ინ-ტში (1976-იდან იყო ჰიდროთერმული პროცესებისა და მინერალთა სინთეზის განყ-ბის გამგე). II მსოფლიო ომის მონაწილე. Გ. არის საქართველოში ორი ახ. მიმართულების (ჰიდროთერმულად შეცვლილი ქანების პეტროლოგია და ექსპერ. მინერალოგია) ფუძემდებელი. შეისწავლა კავკ. სხვადასხვა ტიპის ენდოგენ ური საბადოები, შეიმუშავა რეგიონული მეტალოგენიური ანალიზისა და საბადოების პროგნოზირების ახლებური საფუძვლები, დაადგინა ფერადი, იშვიათი და კეთილშობილი ლითონების ფორმირების კანონზომიერებები. Გ-ის გამოკვლევები საფუძვლად დაედო საქართვ. ზოგ რ-ნში ოქროს საბადოების ძებნასა და პროგნოზირებას (ბოლნისის რ-ნის მაგალითზე). შეიმუშავა ბუნებრივი მორდენიტის ტიპის ცეოლითის, ნატრიუმიანი მეტასილიკატისა და ვულკ. მინისაგან მინერალების მიღებისა და გალენიტის გადამუშავების იაფი და ეფექტური მეთოდი.

Გ. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-ში. არის მრავალი სამეცნ.




ს. გოგიტიძე.



ფ. გოგიტიძე.



გ. გ. გოგიჩაიშვილი.



ფ. გოგიჩაიშვილი.

ნაშრომისა და 4 გამოგონების ავტორი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Некоторые вопросы генезиса рудных месторождений Сомхитско-Карабахской и Гагра-Джавской тектонических зон, Тб., 1979. *გ. გიგიაძე.*

გოგიშვილი კონსტანტინე სოლომონის ძე (14. I. 1905, სოფ. მარანი, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 10. IX. 1984, თბილისი), გეოგრაფი. გეოგრ. მეცნ. დოქტორი (1976). 1927 მუშაობა დაიწყო საქართვ. ჰიდრომეტეოროლ. სამსახურის სამმართველოში. 1941 დაინიშნა საქართვ. ჰიდრომეტეოროლ. სამსახურის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, 1942 – უფროსად. II მსოფლიო ომის დროს ხელმძღვანელობდა ამიერკავკ. და ბელორ. I ფრონტების მეტეოროლ. სამსახურს. სხვადასხვა წლებში მივლინებული იყო პოლონეთში, ავსტრიაში, უნგრეთში, გერმანიაში, ირანში. 1953 მუშაობა დაიწყო ვახუშტის სახ. გეოგრ. ინ-ტში. 1969–72 ორჯერ გაიგზავნა კუბაში, სადაც ხელმძღვანელობდა საბჭ. მეტეოროლოგთა ჯგუფებს. გ-ის შრომაში ,,საქართველოს ჰავის გენეზისის ცირკულაციური ფაქტორების გამოკვლევა'' შესწავლილია სამხრ. კავკასიაში ჰაერის ცივი მასების შემოჭრის პირობები, დამუშავებულია ჰაერის თბილი და ცივი ნაკადების გავრცელების მრავალწლიური რეჟიმი და სხვ.

გ-ს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. შრომა. *კ. ხარაძე.*

გოგიჩაიშვილი გივი სიმონის ძე (23. VI. 1918, ზუგდიდი, – 17. I. 1977, თბილისი), მწერალი. პირველი მოთხრობა ,,გადამწყვეტი შამათი'' 1944 გამოაქვეყნა, მოთხრობების პირველი კრებ. ,,ცისარტყელა'' – 1953. ავტორია რომანებისა: ,,პირველი დღეები'', 1959; ,,გაზაფხულიდან გაზაფხულამდე'', 1965; ,,სამაია'', 1975 და მოთხრობათა კრებულებისა. მარტინა მინტეგი-ბილბაოსთან ერთად თარგმნა ბ. პერეს გალდოსის, რ. პანილიას თხუზულებები. გ-ის რამდენიმე რომანი და მოთხრობა თარგმნილია რუს., უკრ., აზერბ. და სხვა ენებზე. *ჯ. თოთმერია.*

გოგიჩაიშვილი გიორგი გიორგის ძე (დ. 20. I. 1941, ბათუმი), ავტომატიკისა და ტელემექანიკის სპეციალისტი. საქართვ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წ.-კორ. (2009). ტექ. მეცნ. დოქტორი (1983), პროფესორი (1985). 1963 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი ავტომატიკისა და ტელემექანიკის სპეციალობით. 1971 მუშაობა დაიწყო ინ-ტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ლაბორატორიაში, შემდგომ – საქართვ. ტექ. უნ-ტის ახალდაარსებულ ინფორმატიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრაზე. გ. არის ამ კათედრის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1991–2007 იყო ამავე კათედრის გამგე. 2007-იდან არის საქართვ. ტექ. უნ-ტის ორგანიზაციული მართვის დეპარტამენტის უფროსი. გ-ის სამეცნ. კვლევის ძირითადი მიმართულებაა მართვის ავტომატიზებული სისტემების, მ. შ. ინტელექტუალური სისტემების დაპროექტების მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიის სრულყოფა სრულიად ახალი პრინციპების გამოყენებით. ეს პრინციპები საფუძვლად დაედო მისი ხელმძღვანელობით დამუშავებულ და დანერგილ მართვის ავტომატიზებულ სისტემას ქიმიური ბოჭკოების ექსტრაქციის პროცესების მართვისათვის, ასევე რობოტტექნიკურ კომპლექსს ანოდირებული ფირფიტების წარმოებაში. გ. ასევე იკვლევს გადაწყვეტილებათა მიღების ინტელექტუალური სისტემების დამუშავების ახალ მეთოდებსა და მოდელებს, რ-ებიც საფუძვლად დაედო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მართვის ავტომატიზებულ და ექსპერტულ სისტემებს. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, 17 სახელმძღვანელო, 5 მონოგრაფია, მიღებული აქვს რამდენიმე საავტორო მოწმობა და პატენტი გამოგონებებზე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა (2002) და გ. ნიკოლაძის მედლით (2006).

თხზ.: დაპროგრამების მეთოდები, თბ., 1997; მართვის ავტომატიზებული სისტემის დაპროექტება და აგება, თბ., 2001; Автоматизация принятия решений в системах управления, Тб., 1985.

გოგიჩაიშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე (7. V. 1903, სოფ. ნივეზიანი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 14. IV. 1945, ჩეხოსლოვაკია, დაკრძალულია კიევში), საბჭოთა კავშირის გმირი (13. XII. 1942). წოდება მიენიჭა II მსოფლიო ომში კავკასიის დაცვის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის. 1944 კარპატებში იბრძოდა, დაიღუპა პრაღის მისადგომებთან. დაჯილდოებულია დიდების ორდენით და სხვა საბრძოლო ორდენებით.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

გოგიჩაიშვილი ფილიპე გაბრიელის ძე (20. I. 1872, ლანჩხუთი, – 29. III. 1950, თბილისი), ეკონომისტი, პუბლიცისტი და საზ. მოღვაწე. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1935, თსუ-ის სამეცნ. საბჭომ დისერტაციის დაუცველად მიანიჭა ხარისხი), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1945), თსუ-ის ერთ-ერთი დამაარსებელი და პროფესორი (1918–50), ქართული ეკონ. სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1901 დაამთავრა ლაიფციგის უნტის ფილოს. ფაკ-ტის ეკონ. განყ-ბა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით. 1892-იდან ეწეოდა სამეცნ.-პუბლიც. მოღვაწეობას. 1918-იდან თსუ-ში კითხულობდა პოლიტ. ეკონომიის, ფინანსების, სტატისტიკისა და ეკონ. აზრის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსს. მისი თაოსნობით სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტის ბაზაზე ჩამოყალიბდა სოც.-ეკონ. ფაკ-ტი. იყო აგრეთვე პოლიტ. ეკონომიის კათედრის ორგანიზატორი და გამგე; სტატისტიკის კათედრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

გ-ის სამეცნ. შრომები ძირითადად საქართვ. და ამიერკავკასიის სხვა კუთხეების სოც.-ეკონ. და საზ.-პოლიტ. საკითხებს ეხება. მისი პირველი ფუნდამენტური ნაშრომი იყო სადოქტორო დისერტაცია ,,ხელოსნობა საქართველოში'', რ-იც ტიუბინგენში (გერმანია) 1901 ცალკე წიგნად გამოიცა გერმ. ენაზე და რ-მაც საქართველოს ეკონომიკა გააცნო ევროპას. 1910 მისი რედაქციით რუს. ენაზე გამოვიდა კაპიტ. ნაშრომი ,,სტატისტიკური ცნობების კრებული კერძო მიწათმფლობელობის შესახებ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში'', ორ ტომად. გ-ის უშუალო მონაწილეობით თარგმნილი და რედაქტირებულია კ. მარქსის ,,კაპიტალის'' I ტომი (1930), მანვე თარგმნა კ. მარქსის ,,ფილოსოფიის სიღატაკე'' (1931), ,,პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის'' (1932), ,,კაპიტალის'' II–III ტტ. (1932–34), ,,კომუნისტური პარტიის მანიფესტი'' (1940), დ. რიკარდოს ,,პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები'' (1937), ა. სმითის ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ'' (ტ. 1, 1938) და სხვ.

გ-ს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართ. ფოლკლორისტიკაშიც. 1904 მან ანდერძით მიიღო

პ. *უმიკაშვილის* მიერ შეკრებილი ქართ. ფოლკლორის ნიმუშების მდიდარი კოლექცია, რ-ის ნაწილი, ვრცელი წინასიტყვაობით, 1905 გამოაქვეყნა (,,სახალხო ლექსები''). 1937 გამოსცა ამ კოლექციის პოეტური ნაწილი (,,ხალხური სიტყვიერება'', ტ. 1). 1905–06 რედაქტორობდა გაზ. ,,ივერიას'', 1903–13 გ. იყო თბილისის საქალაქო სათათბიროს, აგრეთვე კავკასიის სოფ. მეურნეობის საზ-ბის სტატისტ. ბიუროს ხელმძღვანელი, 1914–16 – სრულიად რუსეთის საერობო კავშირის რწმუნებული ამიერკავკასიაში, 1917–18 – კახეთის რკინიგზის გამგეობის თავრე, 1918–20 – სახელმწ. კონტროლიორი (მინისტრი) საქართვ. დემოკრ. რესპ. მთავრობაში. 1945–50 შეთავსებით მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინ-ტში.

გ-ის ნეშტი 2002 წ. 13 სექტემბერს ვაკის სასაფლაოდან გადაასვენეს თსუ-ის ეზო-სავანეში.

2008 საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიამ დააწესა მისი სახელობის პრემია ეკონომიკის დარგში.

თხზ.: რჩეული ნაწერები, პ. გუგუშვილის რედ., ტ. 1, თბ., 1974; ხელოსნობა საქართველოში, თბ., 1976; Малоземелье среди крестьян Закавказья, Тфл., 1903; Das Gewerbe in Georgien unter besonderer Berücksichtigung der primitiven Betriebsformen, Tübingen, 1901.

ლიტ.: გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ., ფილიპე გოგიჩაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. ბიბლიოგრაფია, თბ., 1973; ს ა ღ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი ო., ბურჯი ქართული ეკონომიკური აზროვნების აღორძინებისა, თბ., 2003.

გოგიჩაძე გიორგი კონსტანტინეს ძე (დ. 28. X. 1941, თბილისი), ბიოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1983), პროფესორი (1991), ევროპის სამედ. ონკოლოგიის საზ-ბის (ESMO) საპატიო წევრი. დაამთავრა თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტი (1964). 1964–66 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ბოტანიკისა და თბილ. ონკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტებში სხვადასხვა სამეცნ. თანამდებობაზე, 1970–94 – ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ელექტრონული მიკროსკოპიის ლაბორატორიის ხელმძღვანელად. გ. იკვლევს სიმსივნური ზრდის უჯრედულ მექანიზმებს, ისევე როგორც შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის (შიდსის) განვითარების შესაძლებლობებს. 2005–07 იყო თსსუ-ის ფსიქოთერაპიისა და ფსიქოსომატური მედ. ფაკ-ტის დეკანის მოადგილე. 2007-იდან ამავე ინ-ტის მიკრობიოლ. და იმუნოლოგიის დეპარტ. ხელმძღვანელია. ეწევა აგრეთვე პედ. საქმიანობას, არის თსსუ-ის ბიოლ., სამედ. გენეტიკისა და მიკრობიოლ. კათედრის პროფესორი. გ. ავტორია სამედ. ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური ლექსიკონის და 4 გამოგონებისა.

თხზ.: ბიოლოგიისა და მედიცინის დრამატული ფურცლები, თბ., 2009; Соматическая гибридизация и механизм злокачественной трансформации клеток, Тб., 1993. *ი. ჯაფარიძე.*

გოგლიძე ვასილ (ვლასი) მიხეილის ძე (8. III. 1927, სოფ. კომანდელი, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 27. VIII. 2005, თბილისი), ინჟინერი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1978), პროფესორი (1978). საქართვ. საინჟინრო და გარემოს დაცვის აკადემიების წევრი; 1949 დაამთავრა ინდუსტრიული ინ-ტის სამშ. ფაკ-ტი, საავტომობილო გზების სპეციალობით. 1953–56 მუშაობდა მოსკოვის საავტომობილო გზების საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1961-იდან ეწეოდა პედ. საქმიანობას საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის სამშენებლო ფაკ-ტზე. 1964–2001 იყო საავტომობილო გზებისა და აეროდრომების კათედრის გამგე. 2001 აირჩიეს მოსკოვის საავტომობილო-საგზაო ინ-ტის საპატიო პროფესორად. გ-ის სამეცნ. კვლევები ეხება მეტროპოლიტენების, ხიდებისა და სატრანსპ. გვირაბების დაპროექტებასა და მშენებლობას. ავტორია 10-მდე სახელმძღვანელოსი და 30-მდე გამოგონებისა.

თხზ.: ბეტონი საგზაო მშენებლობაში, თბ., 1962.

გოგლიძე ვიქტორ არსენის ძე (26. XI. 1905, დაბა ურსათიევსკაია, ახლანდ. ხავასთი, უზბეკეთი, – 22. IX. 1964, თბილისი), მოჭადრაკე. პირველი ქართ. სპორტის ოსტატი ჭადრაკში (1930), სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1941), საერთაშ. ოსტატი (1950), საკავშ. კატეგორიის მსაჯი (1949). 1940 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის სამშენებლო ფაკ-ტი. მონაწილეობდა საქართვ. I ჩემპიონატში (1928, I–II ადგილი), ახალგაზრდა საბჭ. ოსტატთა ტურნირში (1934, I ადგილი), მოსკ. II საერთაშ. ტურნირში (1935), სადაც შეხვდა ე. ლასკერს, ხ. რ. კაპაბლანკას, მ. ბოტვინიკს, ს. ფლორს და სხვ. მონაწილეობდა სსრკ ჩემპიონატებში. 1936–56 იყო საქართვ. ჭადრაკის ფედერაციის თავ-რე. 1957 მისი თაოსნობით თბილისში გაიხსნა პირველი ბავშვთა საჭადრაკო სკოლა, რ-ის დირექტორი თვითონ იყო გარდაცვალებამდე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: გამოჩენილ მოჭადრაკეთა 100 კომბინაცია, თბ., 1958 (თანაავტ. ჰ. კასპარიანი); Избранные партии, Тб., 1949.

ლიტ.: გ ი ო რ გ ა ძ ე თ., ცხოვრება ვიქტორ გოგლიძისა, თბ., 1985.

თ. შ. გიორგაძე.

გოგლიძე სერგო არსენის ძე (12. VIII. 1901, სოფ. ქორთა, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 23. XII. 1953, მოსკოვი), გენერალ-პოლკოვნიკი (1945). 1934–36 იყო ამიერკავკ. საბჭ. ფედერ. სოციალ. რესპუბლიკის შს სახ. კომისარი, 1936-იდან – სახელმწ. უშიშროების მე-2 რანგის კომისარი, 1937–38 – საქ. სსრ შს სახ. კომისარი, 1938–41 – სსრკ შს სახ. კომისარიატის სამმართველოს უფროსი ლენინგრადის ოლქში, 1941–51 – სსრკ შინაგან საქმეთა და უშიშროების სამმართველოს უფროსი შორეულ აღმოსავლეთში. 1951 აგვ.–ოქტ. და 1952 ნოემბ. – 1953 მაისში იყო სსრკ სახელმწ. უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე. ლ. ბერიას საქმესთან დაკავშირებით 1953 ივნ. დააპატიმრეს და დეკ-ში დახვრიტეს. დაჯილდოებული იყო სსრკ ორდენებითა და მედლებით.

ლ. დოლიძე.



ვ. ა. გოგლიძე.

გოგმაჩაური, სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქაქუთის თემში (აჭარის არ), მესხეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ჩოლოქის (ნატანების მარცხ. შენაკადი) ზემოთში. ზ. დ. 380 *მ,* ქობულეთიდან 18 *კმ.* 68 მცხ. (2002).

გოგმაჩაძე გულადი ჯემალის ძე (დ. 17. II. 1962, სოფ. გვარა, ახლანდ. ქობულეთის მუნიციპალიტეტი), აგროინჟინერი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (2005). 1987 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი, 1987–92 მუშაობდა ქობულეთის აგროსამრეწველო გაერთიანებაში, ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას ბათუმის სახელმწ. უნ-ტის ბიოლოგიის ფაკ-ტზე; 1993–99 მუშაობდა კომერციულ სტრუქტურებში. 2000-იდან იყო რუს. ფედერ. სახელმწ. დუმის ექსპერტი სურსათის უსაფრთხოების საკითხებში. 2002-იდან სახელმწ. ფედერ. უნიტარული საწარმოს – ,,სრულიად რუსეთის ინფორმატიზაციის, აგრონომიისა და ეკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის'' გენ. დირექტორია. 2004-იდან მოღვაწეობს მ.

ლომონოსოვის სახ. მოსკ. სახელმწ. უნ-ტის ნიადაგმცოდნეობის ფაკ-ტზე.

გ-ის სამეცნ. ინტერესების სფეროა: სიმინდის მოყვანის ტექნოლ. შემუშავება საქართვ. ტყის მურა და მდელო-ჭაობის ნიადაგებზე, გამოკვლევები სას.-სამ. სავარგულების ეკოლ. მდგომარეობის აგრომონიტორინგის პრობლემებზე, ადაპტურ-ლანდშაფტური მიწათმოქმედების ბიოლოგიზაციის მოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერებასა და სხვადასხვა აგროფიტოცენოზებზე, მიწის ნაყოფიერების შეფასების ახ. მეთოდების დანერგვა. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა (მ. შ. 5 მონოგრაფია). გ. შეყანილია ენციკლოპედიაში ,,რუსეთის თვალსაჩინო მოღვაწეები'' (2007).



რ. გოგნიაშვილი ფორტეპიანოსთან.

თხზ.: Возделывание кукурузы в Аджарии, Батуми, 1997; Агроэкологический мониторинг почв и земельных ресурсов Российской Федерации, М., 2010.

გოგნაური, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ქვეშეთის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. მთიულეთის არაგვის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1400 *მ*, დუშეთიდან 58 *კმ*. 40 მცხ. (2002).

გოგნი, სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის ჩრდ. მთისწინეთში, ოკრიბა-არგვეთის სერზე, მდ. ქვერუნის (ძევრულის მარცხ. შენაკადი) ზემოთში, თერჯოლა – ტყიბულის საავტ. გზაზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 580 *მ*, თერჯოლიდან 22 *კმ*, ტყიბულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 10 *კმ*. 527 მცხ. (2002).

თამარ მეფის 1188-ით დათარიღებულ სიგელში მოხსენიებულია გ-ის ციხისთავი. 1778 მეფე სოლომონ I-ის მეუღლემ, მარიამ დედოფალმა, გ-ში ააგო ეკლესია და დააფუძნა მონასტერი (იხ. *გოგნის უდაბნო*).

სოფლის დას-ით, მაღალ გორაზე დგას გვიან. შუა საუკ. წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია ,,კარუგდებული''. მას გარს აკრავს ურთხელის ტყე და გამოქვაბულები (სამხრ-ით). ეკლესია ნაშენია ქვითკირით. შესასვლელი დას-იდან აქვს, ინტერიერში ქვაზე გამოქანდაკებულია მაცხოვრის ამაღლების სცენა (დაზიანებულია). *თ. ბერაძე.*

გოგნიაშვილი ნიკოლოზ რევაზის ძე (6. XII. 1844, სოფ. ქვემო ხოდაშენი, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, – 31. I. 1913, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1900). 1863-იდან მსახურობდა მე-3 გრენადერთა საარტ. ბრიგადაში. მონაწილეობდა 1877–78 რუს.-ოსმ. ომში; 1896–1900 მსახურობდა კავკ. სამხ. ოლქის შტაბში. დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის, წმ. ანას და წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

ლ. დოლიძე.

გოგნიაშვილი რევაზ დიმიტრის ძე (26. X. 1893, სოფ. ქვემო ხოდაშენი, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, – 20. III. 1967, თბილისი), კომპოზიტორი და დირიჟორი. თბილისის საოპერო სცენაზე დადგმული პირველი ქართ. ოპერის ,,ქრისტინეს'' ავტორი. პირველდაწყებითი განათლება მიიღო თბილისის სამუსიკო სასწავლებელში (ი. ტერ-დავიდოვის კლასი), 1913 დაამთავრა პარიზის კონსერვატორია საკომპოზიციო განხრით (პედაგოგები: პროფ. პენიო, გრავარე, ივადონი). ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში პარიზის ერთ-ერთმა ცნობილმა ფირმამ გამოსცა გ-ის საფორტეპიანო პიესა ,,სევდა''. 1913–14 პარიზშივე დირიჟორობდა ერთ-ერთ სიმფ. ორკესტრს. 1914 დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო ინტენსიური შემოქმედებითი მოღვაწეობა. შეკრიბა და დაამუშავა ქართ. ხალხ. სიმღერები. იმავე წელს დაიწყო მუშაობა ოპერა ,,ქრისტინეზე'' (მისივე ლიბრეტო, ე. ნინოშვილის მოთხრობისა და პ. ირეთელის პიესის მიხედვით). 1918 წლის 21 მაისს ,,ქართველ მომღერალთა კავშირის'' თაოსნობით ,,ქართული კლუბის'' სცენაზე შედგა გ-ის ,,ქრისტინეს'' პრემიერა (რეჟ. კ. ანდრონიკაშვილი, დირიჟ. ნ. ქართველიშვილი, იასონის პარტიას ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი). იმავე წლის 17 ივნისს ,,ქრისტინე'' დაიდგა თბილ. საოპერო თეატრის სცენაზე. გ-ის სხვა ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ოპერები: ,,ჯაყოფლისანი'' (ქართ. ხალხ. ზღაპრის მოტივებზე, რაც ნაწყვეტების სახით ასრულებდა სიმფ. ორკესტრი) და ,,მზის ქურუმი'' (საკულტო-რიტუალური ხასიათის), აგრეთვე ვოკალურ საკრავიერი და კამერული ნაწარმოებები. მის საკონცერტო მინიატიურებს ასრულებდა ვ. სარაჯიშვილი. დაწერილი აქვს მუსიკა დრამატ. თეატრების დადგმებისათვის (სატირის, თოჯინების, მოზარდ მაყურებელთა და სხვ. თეატრების 100-მდე სპექტაკლისათვის). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. სამუს. სკოლებში. *შ. ცუცქირიძე.*

გოგნის უდაბნო, სამონასტრო კომპლექსი სოფ. გოგნში (ახლანდ. თერჯოლის მუნიციპალიტეტი). დააარსა 1778 სოლომონ I-ის მეუღლემ – იმერეთის დედოფალმა მარიამმა. იმერეთის დედოფლის 1778 წყალობის სიგელი, რ-იც ამ უდაბნოს დაარსებასთან დაკავშირებით არის გაცემული, გვამცნობს, რომ ამ დროისათვის გოგნში აშენებული ღვთისმშობლის მიძინების ქვიტკირის ეკლესია გ. უ-ს გადაეცა. მასვე ებოძა ყმა-მამული ახლომახლო სოფლებიდან. მარიამ დედოფალს დაუდგენია გ. უ-ს წინამძღვარი და ბერები. შემორჩენილია კიდევ რამდენიმე წყალობის წიგნი, რ-ებიც ამ უდაბნოსათვის ყმა-მამულის ბოძებას ეხება. 1826 გ. უ. გელათის მონასტერს ექვემდებარებოდა. აქ იდგა ორი ქვიტკირის ეკლესია, ხის შვიდი სენაკი ბერებისათვის და ერთიც წინამძღვრის ხის სახლი. გ. უ-ს ეკუთვნოდა ყმა-მამული, აგრეთვე სახნავ-სათესი მიწები და ტყის ნაკვეთები. იმ დროისათვის გ. უ-ში, წინამძღვრის გარდა, ოთხი ბერი იყო. *თ. ბერაძე.*

გოგოლაურთა, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის უკანაფშავის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, ფშავის არაგვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1650 *მ*, დუშეთიდან 65 *კმ*. 12 მცხ. (2002).

გოგოლაური, ყიზილბაში დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლი კახეთის 1660 სახალხო ავჯანყების გმირი. ხალხ. საისტორიო პოეზიის მიხედვით, გ. ფშაველთა რაზმის მეთაური ყოფილა. მონაწილეობდა კახეთში ჩამოსახლებული თურქმანებისაგან *ბატრიონის ციხის* განთავისუფლებასა (იხ. *ბატრიონის ბრძოლა 1660*) და ალვანის ველზე გამართულ ბრძოლაში, რ-იც ავჯანყებულთა გამარჯვებით დამთავრდა. *გ. ჯამბურია.*

გოგოლაური გურამ ზაქარიას ძე (დ. 15. IV. 1944, სოფ. მანავი, ახლანდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი), სპორტსმენი (ძიუდო). საქართვ. სპორტის დამს. ოსტატი (1974). 1976 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი, არმიის სპორტ. კლუბი (თბილისი). სსრკ ნაკრები გუნდის წევრი (1970–77). ევრ. სამგზის (1972, 1973, 1974) ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში, ორგზის ვერცხლისა (1971, 1972) და ბრინჯაოს (1973) მედალოსანი, მიუნხენის (1972) ოლიმპიური თამაშების მონაწილე (V ადგილი), სსრკ ხალხთა V სპარტა-

კიადის ჩემპიონი სამბოში (1971). თბილ. ნაკრებ გუნდთან ერთად 1976 გახდა სსრკ თასის მფლობელი. *ნ. გუგუშვილი.*

გოგოლაშვილი გიორგი ბიძინას ძე (დ. 24. VII. 1948, სოფ. კურსები, ახლანდ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი), ენათმეცნიერი, ქართველურ ენათა სპეციალისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (1994). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტის კავკასიურ ენათა განყ-ბა (1971). 1975-იდან მუშაობდა თსუ-ის ახ. ქართ. ენის, 1992-იდან კი – ძვ. ქართ. ენის კათედრაზე (2003-იდან ამავე კათედრის გამგეა). 1978-იდან მუშაობს არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტში (1982–85 იყო სწავლული მდივანი, 1989–95 – დირექტორის მოადგილე, 1995–96 – განყ-ბის ხელმძღვანელი, 1996-იდან – წამყვანი მეცნ. თანამშრომელი; 2006-იდან – უფრ. მეცნ. თანამშრომელი).

გ-ის შრომები ეძღვნება ძვ. და ახ. ქართული ენის მორფოლოგიის, ენისა და კულტურის, ქართ. დიალექტოლოგიის, ენის ისტორიის საკითხებს. სხვადასხვა დროს იყო საქართვ. პრეზიდენტთან არსებული ქართ. ენის სახელმწ. კომისიის წევრი, ჟურნ. ,,ბურჯი ეროვნებისას'' გამომც.-რედაქტორი, ,,საენათმეცნიერო ძიებანის'' მთ. რედაქტორი, ჟურნ. ,,ენათმეცნიერების საკითხების'' მთავარი რედაქტორის მოადგილე. პედ. საქმიანობაში გაწეული ღვაწლისათვის დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის მედლით (2004).

თხზ.: დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბ., 1984; ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბ., 1988 (თანაავტ.: ც. კვანტალიანი, დ. შენგელია); ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1989; ქართული ენის სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბ., 1991 (თანაავტ.: ც. კვანტალიანი, დ. შენგელია); ფიქრები დედაენაზე, თბ., 1997; დედაენა – წიგნთა წიგნი, თბ., 2002; ქართული – ენად შემკული და კურთხეული, თბ., 2004; ბედი ქართული უნივერსიტეტისა ათას-წლეულის კარიბჭესთან, თბ., 2006.


გოგოლაშვილი ვალერიან (ვლადიმერ) გიორგის ძე (დ. 20. II. 1935, სოფ. ანაგა, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი), ჟურნალისტი. საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1980). დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1959) და მოსკოვის საფინანსო-ეკონ. ინ-ტი (1978). მუშაობდა გაზეთ ,,სოფლის ცხოვრების'' რედაქციაში (1960–90). იყო გაზეთის პ/მგ მდივანი, რედაქტორის მოადგილე, მთ. რედაქტორი (1987–90). XX ს. 70–80-იან წლებში თავი გამოიჩინა საქართვ. სოფლის მეურნ. წარმოების, მართვისა და ეკონომიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი სტატიებითა და ნარკვევებით. მისმა ანალიტიკურმა და კრიტიკულმა საგაზეთო პუბლიკაციებმა სათავე დაუდო იმდროინდელ სიახლეს – ჟურნალისტურ გამოძიებას. ნარკვევების ციკლისთვის ,,ნია გრუზინსკაიას ცხელი ზამთარი'' მას მიენიჭა სსრკ ჟურნალისტთა კავშირის პრემია (1975).

გ. იყო შსს საზოგადოებასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი (1990). შსს პრესსამსახურთან ერთად გ. ზედიზედ ოთხჯერ დაჯილდოვდა საქართვ. ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის (ფედერ.) პრემიით – ,,ექსტრემალურ სიტუაციებში მამაცობისა და პროფესიონალიზმის გამოჩენისათვის'' (1991–94). 1993 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება.

1970–94 გ. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტზე. არის ნარკვევების, რამდენიმე წიგნის, ,,პრესის თეორიისა და პრაქტიკის'' სახელმძღვანელოს თანაავტორი.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

გოგოლაშვილი ვახტანგ მანუელის ძე (27. IV. 1932, სოფ. კურსები, ახლანდ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი, – 19. VII. 2011, თბილისი), მწერალი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1989). 1955 დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი. 1962–2006 იყო თბილ. სახელმწ. ფილარმონიის საესტრადო-სალიტერატურო სამმართველოს უფროსი. გამოცემულია გ-ის ლექსების რამდენიმე კრებული: ,,მახსენდება მშობლიური სკოლა'' (1957), ,,ჟუჟუნა წვიმა მოვიდა'' (1961), ,,გემბანიდან დანახული სანაპირო'' (1978). გ-ის ლექსებზე შექმნილია მრავალი პოპულარული ქართ. სიმღერა [,,დადუმებულხარ, ჩემო აპრილო'', ,,პატარა ქალბატონო'', ,,მოგონება'', ,,სიმღერა თბილისზე'' (კომპოზიტორები: ს. ებრალიძე, მ. სებისკვერაძე, ო. თევდორაძე, ნ. გიგაური)]. განსაკუთრებული წარმატება ხვდა მოთხრობების კრებულს ,,იქ, სადაც ლურჯი მთებია'' (1958), რ-იც ითარგმნა რუს., უკრაინულ, ლიტვურ და სომხ. ენებზე, გამოიცა აგრეთვე სტამბოლში თურქ. ენაზე (1962). აქვს მოთხრობათა კრებულები: ,,მუშკეტერის სიკვდილი'' (1976), ,,ჭინკების ბრიგადა'' (1991) და სხვ. გ. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. მისი ნაწარმოები ,,წეროები'' 1961 დაიდგა თბილ. მოზარდ მაყურებელთა დრამ. თეატრში, 1962 – მოსკ. ცენტრ. საბავშვო თეატრში, ამავე წელს – ლენინგრ., კიევის, ერევნის, ოდესის, ეკატერინბურგის თეატრებში. ავტორია მონოგრაფიებისა: ,,ჯანო ბაგრატიონი'' (1982), ,,ვასო გოძიაშვილი და ქართული ესტრადა'' (1982), ,,ნიკოლოზ მოსეშვილი'' (1984), ,,ფილარმონიის ისტორიის ნარკვევები'' (1989), «დიდი ანსამბლი ,,ერისიონი''» (2008) და სხვ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).



ვ. მ. გოგოლაშვილი.

გოგოლაშვილი თინათინ შალვას ასული (23. III. 1919, დაბა ხარაგაული, – 26. XII. 2011, თბილისი), პიანისტი, საქართვ. დამს. არტისტი (1961). 1938 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. ა. *ჟორსალაძის* საფორტეპიანო კლასი). 1935-იდან იყო საქართვ. რადიოკომიტეტის, ხოლო 1938-იდან – საქართვ. სახელმწ. ფილარმონიის სოლისტი. 1957-იდან იყო თბილ. კონსერვატორიის, 1991-იდან კი – ხელოვნ. აკადემიის პედაგოგი.

ეწეოდა ნაყოფიერ საგასტროლო მოღვაწეობას; პროპაგანდას უწევდა ქართ. კლასიკურ მუსიკას. გამართული აქვს 100-ზე მეტი კონცერტი. იყო მრავალი ქართვ. კომპოზიტორის (ა. ბალანჩივაძის, ა. მაჭავარიანის, ა. კერესელიძის, ა. შავერზაშვილის და სხვ.) საფორტეპიანო ნაწარმოებთა პირველი შემსრულებელი. მის რეპერტუარში დიდი ადგილი ეთმობა მსოფლიო კლასიკოსთა (ბახი, ბეთჰოვენი, შოპენი, შუმანი და სხვ.) საფორტეპიანო ნაწარმოებებსაც. არის შოპენის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპ. კონკურსის ლაურეატი (1949, I პრემია).



თ. გოგოლაშვილი ფორტეპიანოსთან.

გოგოლაშვილი მარგარიტა (მარგო) კონსტანტინეს ასული (30. V. 1911, თბილისი, – 28. X. 2002, იქვე), თეატრმცოდნე. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1976). 1931 დაამთავრა თსუ-ის ქართ. ენისა და ლიტ-რის ფაკ-ტი, 1937 – სასცენო ხელოვნ. უმაღლესი კურსები (ხელმძღვ. ა. ფაღავა). ვეისიციხის სახელმწ. თეატრში დადგა ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავენი'' და ნ. სტეპანოვის ,,პატრიოტები''. 1952–53 იყო თბილ. თოჯინების სახელმწ.



მ. ი. გოგოლაშვილი.

ქართ. თეატრის დირექტორი, 50-იანი წლებიდან პრესაში აქვეყნებდა წერილებსა და რეცენზიებს. თანამშრომლობდა ქართ. და რუს. ენციკლოპედიების რედაქციებთან, ჟურნ. ,,ტეატრთან'' (მოსკოვი). თარგმნა პიესები: ა. ოსტროვსკის ,,ლამაზი მამაკაცი'' (მ. გიჟიმყრელთან ერთად), მაქსიმ გორკის ,,მოხუცი'', ,,ბარბაროსები''; თ. მეტერლინკის ,,მონა ვანა'' და სხვ.

თხზ.: მესხეთის თეატრი, თბ., 1974.

შ. ცუცქირიძე.

გოგოლაშვილი მიხეილ იოსების ძე [15 (28). III. 1902, სოფ. ჩანჩეთი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 11. III. 1957, ოდესა, დაკრძალულია ბათუმში], შორეული ნაოსნობის კაპიტანი. დაამთავრა ბათუმისა (1922) და ხერსონის (1936) საზღვაო სასწავლებლები. იყო ბათუმის პორტის კაპიტანი (1935-იდან), შავი ზღვის ფლოტის შორეული ნაოსნობის კაპიტანი (1943-იდან). II მსოფლიო ომის დროს მონაწილეობდა ოდესის მოსახლეობის ევაკუაციასა და საბჭ. ჯარების საწვავით მომარაგებაში. გემებით გადაჰქონდა საწვავი ევროპის, ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში, აფრიკასა და ამერ. კონტინენტებზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები.

ვ. ბარათაშვილი.



შ. ს. გოგოლაშვილი.

გოგოლაშვილი რობერტ ალექსანდრეს ძე (დ. 30. VII. 1939, სოფ. კურსები, ახლანდ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი), მომღერალი, ლოტბარი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1983). 1969 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია ვოკალის განხრით (ხელმძღვ. შ. ქუთათელაძე). მღეროდა სხვადასხვა ხალხ. ანსამბლში. 1976-იდან ძირითადად მოღვაწეობს როგორც ლოტბარი, დირიჟორი, ხალხ. ანსამბლების დაარსების ინიციატორი და ხელმძღვანელი. წარმატებით უძღვებოდა საქართვ. მეცნ. აკად. ხალხ. სიმღერის ანსამბლ ,,*ფაზისს*'' (1976–83), ვაჟთა ვოკალურ ანსამბლებს: ,,თბილისს'' (1980-იდან 30 წლის მანძილზე), ,,*ქართულ ხმებს*'' (1992-იდან, დაარსდა 1985 ,,ჟურნალისტის'' სახელწოდებით), ,,*უნივერსიტეტს*'' (1998–2007); ხალხ. სიმღერის ანსამბლ ,,იმერს'' (2006-იდან). ამ ანსამბლების რეპერტუარი მოიცავს უძველეს ქართ. ხალხ. სიმღერებსა და საგალობლებს, ქართ. ქალაქურ სიმღერებს, ქართვ. კომპოზიტორთა საგუნდო ნაწარმოებებსა და სასიმღერო შემოქმედებას. ანსამბლებთან ერთად Გ-მა სხვადასხვა დროს წარმატებით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა (გამოსულია ფირფიტა-გიგანტი, აუდიოკასეტები და კომპაქტდისკები). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

გოგოლაშვილი (ხონელი) შალვა სიმონის ძე [1 (13). I. 1887, ქუთაისი, – 1. XI. 1972, იქვე], მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1961). 1904 დაამთავრა თბილ. ქართ. გიმნაზია. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1905 ხონში. მსახიობად და რეჟისორად მუშაობდა თბილ. (1910–12), ქუთ. (1912–17), ბაქოს ქართ. (1917–20), ბათუმის (1920–23), ფოთის (1923–26), ჭიათურის (1926–28) თეატრებში. 1928-იდან გარდაცვალებამდე ქუთ. თეატრის წამყვანი მსახიობი იყო. გამოირჩეოდა მაღალი პროფ. კულტურით. შესრულებული აქვს 200-მდე როლი, რ-თა შორის აღსანიშნავია: პარასკიდი და კოწია (შ. დადიანის ,,კაკალ გულში'' და ,,გუშინდელნი''), ლომკაცა (პ. კაკაბაძის ,,კოლმეურნის ქორწინება''), ცერი (,,კომუნარის ჩიბუხი'', 1929), მამულოვი (,,საკანი №79'', 1930), მამასახლისი (,,უკანასკნელი მასკარადი'', 1934), პრისტავი (,,დაკარგული სამოთხე'', 1937), ნესტორი (,,კოლხეთის ჩირაღდნები'', 1941). Გ-მა ქართ. თეატრისათვის თარგმნა და გადმოაკეთა 80-ზე მეტი პიესა.

ა. გვენცაძე.

გოგოლაშვილი შოთა მინას ძე (28. V. 1927, თბილისი, – 28. I. 2007, იქვე), კინოს მხატვარი, ფერმწერი, გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1970). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1956). მისი პედაგოგები იყვნენ ა. *ციმაკურიძე*, კ. *სანაძე*. 1957-იდან იყო კინოსტუდია ,,ქართული ფილმის'' მხატვარი. გააფორმა ფილმები: ,,ხევსურული ბალადა'' (1965), ,,მალე გაზაფხული მოვა'' (1967), ,,დიდოსტატის მარჯვენა'' (კ. ხუციშვილთან ერთად, 1969), ,,წუთისოფელი'' (1971), ,,ივანე კოტორაშვილის ამბავი'' (1974), ,,მოხეტიალე რაინდები'' (1975), ,,წინაპართა მიწა'' (1979), ,,წერილები ბამიდან'' (1980), ,,ფესვები'' (1986), ,,აშუღი ქერიბი'' (,,აშიკი ქერიბი'', 1988, მხატვრო-



შ. მ. გოგოლაშვილი. ,,ჩანახატი''. XX ს. 80-იანი წლები. კერძო კუთვნილება.

ბისათვის მირებული აქვს ევროპული კინოს პრიზი (ბერლინი), ,,ვალსი პეჩორაზე'' (1990) და სხვ. Გ-ის ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია: მახვილი კომპოზიცია, კადრის სივრცის შეგრძნებისა და გადმოცემის უნარი. მისი დაზგური ნამუშევრებია: ,,წისქვილი'' (1986, საქართვ. ეროვნული გალერეა); ,,გზა'' (1985); ,,სვანე-

თი'' (1986) – ორივე ა. პუშკინის სახ. ხელოვნ. მუზეუმი, მოსკოვი.

გოგოლაძე დერმიშა ანდროს ძე (21. XII. 1924, სოფ. გოგოლესუბანი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 13. XII. 2002, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი (1983). II მსოფლიო ომის მონაწილე. 1952 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1956-იდან იყო ი. ჯავახიშვილის სახ. ისტ. და ეთნოგრ. ინ-ტის თანამშრომელი. მისი გამოკვლევები ეხება გვიანდ. შუა საუკ. საქართველოს ისტორიის საკითხებს. გ. იყო ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევების'' IV ტომის ერთ-ერთი ძირითადი ავტორი, აგრეთვე ეკუთვნის მრავალი მონოგრაფია და სამეცნ. სტატია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830–64), თბ., 1959; სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII–XIX სს.), თბ., 1966; საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, თბ., 1976; ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში, წგ. 1–2, თბ., 1992–97.

გოგოლაძე ვახტანგ გიორგის ძე (31. III. 1909, ქ. რკვია, ახლანდ. აზერბ. რესპ., – 17. VI. 1961, დაბა წაღვერი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1945), პროფესორი (1947). დაამთავრა თსუ (1929). იყო მოსკ. ჩარხსაშენი ინ-ტის უმაღლესი მათ. კათედრის გამგე (1947). იკვლევდა ჰიპერბოლური ტიპის კერძოწარმოებულიან განტოლებათა თეორიის, თეორ. სეისმოლოგიისა და სხვ. საკითხებს. *თ. ებანოიძე.*

გოგოლაძე ვლადიმერ ომარის ძე (დ. 18. VIII. 1966, თბილისი), სპორტსმენი (სპორტული ტანვარჯიში). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1988), ოლიმპიური ჩემპიონი (სეული, 1988, გუნდური ჩათვლა), ევროპის ჩემიონატის მესამე პრიზიორი (1985), ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1984, თავისუფალი ვარჯიში და ღერძი), სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადის (1986) ჩემპიონი, მრავალ საერთაშ. ტურნირში გამარჯვებული. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

გოგოლაძე თენგიზ გიორგის ძე (9. VIII. 1926, სოფ. ახალქალაქი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 19. XII. 1996, თბილისი), მწერალი. საქართვ. კულტურის დამს. მუშაკი (1974). სწავლობდა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტზე, მუშაობდა გამომც. ,,საბჭოთა საქართველოში'' (1957–61), გაზ. ,,ახალგაზრდა კომუნისტისა'' (1951–52) და ჟურნ. ,,დროშის'' (1961–87) რედაქციებში. პირველი მოთხრობა ,,გარიყულას განთიადი'' 1949 გამოაქვეყნა. აღსანიშნავია გ-ის მოთხრობების კრებულები: ,,კარგი დღე'' (1957), ,,ფუძე'' (1961), ,,ჩვენს ქუჩაზე'' (1964), ,,მოთხრობები'' (1967, 1976, 1987), ,,მარადიული წყაროს სიმღერა'' (1972); რომანები: ,,ნიაღვარი'' (1962), ,,კაცი კაცითა'' (წგ. I, 1966, წგ. II, 1970), ,,ჟამი ჩვენი'' (1972), ,,გზა კაცისა'' (3 წიგნად: I – 1978, II – 1984, III – 1987). მასვე ეკუთვნის საბავშვო და საყმაწვილო მოთხრობები; რუსი, აზერბ., ბერძენი მწერლების თხზულებათა თარგმანები. გ-ის ნაწარმოებები თარგმნილია რუს., უკრ., სომხ., პოლ. ენებზე. *ჯ. თითმერია.*

გოგოლაძე ლერი დავითის ძე (დ. 1. IV. 1938, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1988). სპორტსმენი (წყალბურთი), საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი (1960). 1961 დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი. 1985–87 იყო თსუ-ის პრორექტორი, 1987-იდან – ზოგადი მათ. კათედრის გამგე. კვლევის ძირითადი მიმართულებაა: ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის საკითხები. მონაწილეობდა და დიდი წვლილი მიუძღვის საქართვ. ნორჩ მათემატიკოსთა ნაკრების საერთაშ. ოლიმპიადებისათვის მომზადებაში.

გ. იყო თბილ. ,,დინამოს'' წყალბურთელთა გუნდის (1957–72) და სსრკ ნაკრების (1959–64) წევრი (მეკარე). ოლიმპიური თამაშების (რომი, 1960), ევრ. ჩემპიონატის (ლაიფციგი, 1962), მსოფლიო უნივერსიადის (პორტუ-ალეგრი, 1963) ვერცხლის მედალოსანი, სსრკ ჩემპიონატის მრავალგზის პრიზიორი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

გოგოლევა ელენე ნიკოლოზის ასული [25. III (7. IV). 1900, მოსკოვი, – 15. XI. 1993, იქვე], რუსი მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1949), საქართვ. სახ. არტისტი (1964). დაამთავრა მოსკოვის ფილარმონიასთან არსებული მუსიკალურ-დრამატული სასწავლებელი. მე-2 კურსიდან მიიწვიეს მოსკოვის მცირე თეატრში. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: სოფიო (ა. გრიბოედოვის ,,ვაი ჭკუისაგან''), პრინცესა ებოლი (ფ. შილერის დონ კარლოსი'', დადგმა კოტე მარჯანიშვილისა, 1933), ივდითი (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა'') და სხვ. გ-ს გარკვეული წვლილი მიუძღვის ქართ.-რუს. თეატრალურ ურთიერთობათა განმტკიცებაში, განსაკუთრებით კ. მარჯანიშვილის შემოქმედების შესწავლაში. პერიოდულად მონაწილეობდა ა. გრიბოედოვის სახ. თეატრის სპექტაკლებში. იყო სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1947, 1948, 1949). მიღებული აქვს აგრეთვე სხვა სახელმწიფო ჯილდოები.



ვ. ო. გოგოლაძე.



ლ. გოგოლაძე.

გოგოლეთი, სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ცახის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. შარეულის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 740 *მ,* ამბროლაურიდან 28 *კმ.* 36 მცხ. (2002). სოფლის მიდამოებში, შარეულის ხეობის მარჯვ., დამრეცი ფერდობის თავში არის კარსტული მღვიმე.



ე. გოგოლევა.

გოგოლესუბანი, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (გურიის მხარე), მდ. სუფსის მარჯვ. ნაპირას, ტერასულ ვაკე-დაბლობზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 140 *მ,* ჩოხატაურიდან 4 *კმ,* საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 21 *კმ.* 1,1 ათ. მცხ. (2002).

გვიანდ. შუა საუკუნეებამდე სოფელს ქვემო ფარცხა ერქვა, შემდეგ – გოგოლეთი.

გოგოლესუბნის განძი, გვიანდელი ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. XII–XI სს.) სპილენძის ნივთების განძი. აღმოჩენილია 1944 სოფ. *გოგოლესუბანში,* მდ. სუფსის მარჯვ. ნაპირას, ადგილ ,,საჯვარეზე''. თიხის დერგით დაფლული განძის შემადგენლობაში იყო კოლხ. ტიპის მახვილყუიანი ცული, სამაჯური, სპილენძის 14 ზოდი (მასა 17,2 *კგ*), ყველა ადგილ. წარმოების პროდუქციაა.



გოგოლესუბნის განძი. ბრინჯაოს სამაჯური და ცული. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

ლიტ.: ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965; ჩუბინიშვილი ტ., სოფ. გოგოლესუბანში გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კომპლექსის აღმოჩენის გამო, «მიმომხილველი», 1949, [ტ.] 1.

ა. კალანდაძე.

გოგოლი ავთანდილ აკაკის ძე (23. IV. 1922, თბილისი, – 8. XII. 2003, იქვე), ჰიგიენისტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1978), პროფესო-

რი (1991), საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ჰიგიენისტი (1985). 1942 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სტომატოლოგიური ინ-ტი, 1951 – თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1947-იდან მუშაობდა საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, 1969-იდან იყო ამავე ინ-ტის გარემოს დაცვის ჰიგიენის განყ-ბის გამგე, 1995–2001 – საქართვ. პროფილაქტ. მედ. და ადამიანის ეკოლ. მეცნ. აკადემიის პრეზიდენტი.



მ. გოგოლიშვილი.

იკვლევდა წყლის ჰიგიენის, წყალსატევების სანიტ. დაცვისა და მოსახლეობაზე მათი გავლენის პრობლემებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

თხზ.: საქართველოს სსრ ნიადაგქვეშა წყლების, წყალმომარაგების პირობების ჰიგიენური შეფასება და წყლის ფაქტორის როლი მოსახლეობის ინფექციურ და არაინფექციურ ავადობაში, თბ., 1974.

გოგოლი გიული ივლიანეს ძე (დ. 23. II. 1945, სენაკი), ზოოტექნიკოსი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (2000). 1972 დაამთავრა საქართვ. ზოოტექ.-საველტერინარო სასწ.-კვლევითი ინ-ტი. 1976–91 იყო საქართვ. მეცნ. აკად. ზოოლოგიის ინ-ტში მეძროხეობის განყ-ბის გამგე, 1991–2006 – საქართვ. მეცნ. აკადემიის მეცხოველეობის ბიოლ. საფუძვლების სამეცნ.-კვლევითი სექტორის ხელმძღვანელის მოადგილე სამეცნ. დარგში. 1994–2006 ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას საქართვ. ზოოტექ.-საველტერინარო სასწ.-კვლევით ინ-ტში. 1995–2005 ხელმძღვანელობდა საქართვ. მეცნ. აკადემიის გრანტების პროექტს. 2006-იდან საქართვ. სახელმწ. აგრ. უნ-ტის ასოცირებული პროფესორია, 2007-იდან – მ. რჩეულიშვილის სახ. მეცხოველეობის ბიოლ. საფუძვლების ინ-ტის დირექტორი. გ. მუშაობს ძროხის ადაპტაცია-აკლიმატიზაციის, ჯიშთაშორისი და სახეობათაშორისი ჰიბრიდიზაციის პრობლემებზე, ასევე სწავლობს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლ. საკითხებს. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომის (მ. შ. 12 მონოგრაფია და 3 სახელმძღვანელო). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.



პ. გოგორიშვილი.

თხზ.: ხორცისა და ხორცპროდუქტების ტექნოლოგია, თბ., 2004; ჰიბრიდიზაცია სარძეო მეძროხეობაში, თბ., 2009.

გოგოლიშვილი მამია ალექსის ძე (16. IX. 1914, სოფ. ბობოყვათი, ახლანდ. ქობულეთის მუნიციპალიტეტი, – 6. VIII. 2006, თბილისი), აგრონომი. საქართვ. სოფლის მეურნ. მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (1992). სოფლის მეურნ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1962), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). 1938 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის სუბტროპ. ფაკ-ტი. 1938–54 ეკავა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა. 1953–89 იყო საქართვ. მეცნ. აკად. ცენტრ. ბოტან. ბაღის დირექტორი და ამიერკავკ. ბოტან. ბაღების საბჭოს თავ-რე, 1989–94 – ბოტან. ბაღის დირექციის მრჩეველი, 1958–89 – ბოტან. ბაღების მსოფლიო ასოციაციის წევრი, 1962–94 – საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის მეხილეობის კათედრის გამგე, 1994–98 – საქართვ. სოფლის მეურნ. მეცნ. აკად. აჭარის რეგიონალური სამეცნ. ცენტრის თავ-რე. 1994–2004 იყო საქართველოს აგრ. უნ-ტის ბათუმის სახელმწიფო სას.-სამ. ინ-ტის აგრობიოლოგიის ფაკ-ტის სუბტროპ. და მრავალწლოვანი კულტურების კათედრის გამგე. გ-მა გამოიკვლია მულჩის გავლენა ციტრუსებისა და ყურძნის მოსავლიანობაზე. ავტორია რამდენიმე მონოგრაფიული ნაშრომისა. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1999).

თხზ.: დამულჩვის თეორია და პრაქტიკა მევენახეობის ზოგიერთ რაიონში, თბ., 1961; თბილისის ბოტანიკურ ბაღში ინტროდუცირებული ხე-ბუჩქები, თბ., 1982. *ნ. წივწივაძე.*

გოგორიშვილი დავით (დაუთბეგ) (გ. 1626), სამცხის ფეოდალი, გიორგი *სააკაძის* მომხრე; მასთან ერთად მონაწილეობდა *ბაზალეთის ბრძოლაში*. რადგანაც სააკაძეს არ უნდოდა პირადად ჩარეულიყო ძმათა შორის სისხლისმღვრელ ომში, გ-მა ჩაიცვა მისი კურტაკი (სამხედრო სამოსი), შეჯდა მისსავე ცხენზე და სააკაძის სახელით ბრძოლის ველზე შეიჭრა. მან არევ-დარევა შეიტანა მოწინააღმდეგის რაზმში, მაგრამ ზურაბ არაგვის ერისთავთან ორთაბრძოლის დროს თვითონაც დაიღუპა.

ლიტ.: არჩილიანი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1. არჩილიანი, ტფ., 1936; ჯამბურია გ., გიორგი სააკაძე, თბ., 1964. *გ. ჯამბურია.*

გოგორიშვილი პლატონ ვლადიმერის ძე (25. VIII. 1899, სოფ. ბზვანი, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 20. V. 1977, თბილისი), ქიმიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1954), პროფესორი (1956), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1980, გარდაცვალების შემდეგ; სხვებთან ერთად). დაამთავრა თსუ (1928). 1930 მუშაობა დაიწყო საქართვ. მეცნ. აკად. პ. მელიქიშვილის სახ. ფიზ. და ორგ. ქიმ. ინ-ტში (1934-იდან – ლაბორ. გამგე). 1929–72 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში. იყო თბილისის სტომატოლოგიური ინ-ტის არაორგ. ქიმ. კათედრის გამგე (1935–48). საფუძველი ჩაუყარა საქართველოში კომპლექსნაერთთა კვლევას, დაამუშავა და წარმოებაში დანერგა ნაბურღი წყლებიდან იოდის მიღების ახ. მეთოდი, შეიმუშავა მადნეულის სპილენძის სულფიდური მადნების გადამუშავების ავტოკლავურ-ჰიდრომეტალურგიული მეთოდი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

გოგოური, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზემო ხეთის თემში (გურიის მხარე), გურიის ქედის სამხრ. მთისწინეთში, მდ. ხევისწყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) ზემოთში. ზ. დ. 320 *მ*, ჩოხატაურიდან 20 *კმ*, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 23 *კმ*. 71 მცხ. (2002).

გოგოძე კარლო იოსების ძე (8. V. 1909, სამტრედია, – 3. I. 1977, თბილისი), კინოკრიტიკოსი, დრამატურგი, პედაგოგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1966). 1929–30 სწავლობდა სახკინმრეწვის კინომსახიობთა სკოლაში. დაამთავრა საკავშ. კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტის სასცენო ფაკ-ტი (1935). გ. ავტორი და თანაავტორია მხატვრული ფილმების სცენარებისა: ,,დაკარგული სამოთხე'' (1940, ვ. კარსანიძესთან ერთად), ,,დაგვიანებული სასიძო'' (1939), ,,ქაჯანა'' (1941 ნ. ლომოურის მოთხრობის მიხედვით), ,,მაგდანას ლურჯა'' (1955, ე. გაბაშვილის მოთხრობის მიხედვით), ,,მაიაკოვსკი იწყებოდა ასე...'' (1958, კ. პაპინაშვილთან ერთად) და სხვ. მისივე სცენარებით გადაიღეს მულტფილმები: ,,ვეფხვი და ვირი'' (1960), ,,ლურჯა'' (1970); დოკუმენტური ფილმები: ,,გენერალ-პოლკოვნიკი ლესელიძე'' (1944), ,,საქართველოს მზიური სანაპიროები'' (1949), ,,ვლადიმერ მაიაკოვსკი საქართველოში'', ,,ალაზნის ველი'' (1954), ,,ქართული ფოლადი'' (1961), ,,იყალთოს ნაფუძვარზე'' (1970)

და სხვ. 1971–77 ხელმძღვანელობდა თავისსავე ინიციატივით დაარსებულ კინომუზეუმს.

თხზ.: ნატო ვაჩნაძე, თბ., 1949; ნარკვევები ქართული კინემატოგრაფიის ისტორიიდან, თბ., 1950; კოტე მარჯანიშვილი, თბ., 1953; ვასილ ამაშუკელი, თბ., 1954; ივანე პერესტიანი, თბ., 1957; ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების გზები, თბ., 1959; საბჭოთა კინოფილმების საერთაშორისო წარმატებები, თბ., 1963; ქართული ფილმები მსოფლიოს ეკრანებზე, თბ., 1975; აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს, თბ., 1979. *ა. გვენცაძე.*

გოგოჭური დავით ლევანის ძე (15. XI. 1922, სოფ. ბუჩუკურთა, ახლანდ. დუშეთის მუნიციპალიტეტი, – 2000, თბილისი), ფოლკლორისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1990). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1949). პირველი წიგნი ,,მელექსეობა ხევსურეთში'' 1974 გამოაქვეყნა. იკვლევდა ფოლკლორის ცალკეულ ჟანრებს, ხევსურული მელექსეობის, საგმირო, საწესჩვეულებო პოეზიის საკითხებს. ავტორია პროზაული მხატვრული კრებულისა ,,ეს უმღერია პაპასა'' (1991). ,,ქართული ხალხური პოეზიის'' თორმეტტომეულის მომზადებისათვის მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (სხვებთან ერთად, 1988).

თხზ.: ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები, თბ., 1977; ხალხური სიტყვიერება მავნე წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ, თბ., 1978.

გოგოხია დამიანე ვლადიმერის ძე (26. V. 1919, სოფ. ქვემო ბარღები, ახლანდ. გალის მუნიციპალიტეტი, – 4. III. 2001, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1984), პროფესორი. 1941 დაამთავრა სოხუმის სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი. 50–70-იან წლებში მუშაობდა სხვადასხვა პარტ. და სახელმწ. თანამდებობაზე. იყო საქართვ. მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწ. კომიტეტის თავრე, 1973–80 – მეცნ. და პოლიტ. ცოდნის გამავრცელებელი საზ-ბა ,,ცოდნის'' გამგეობის თავ-რე, 1981-იდან სიცოცხლის ბოლომდე – საქართვ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ. და ეთნოგრაფიის ინ-ტის წამყვანი მეცნ. თანამშრომელი. მ-ს კვლევის ძირითადი მიმართულება იყო ქართველი და აფხაზი ხალხების ერთობლივი ისტორიის სოციალური, ეკონომიკური განვითარების მეცნ. შესწავლა. ამ პრობლემას მიუძღვნა მონოგრაფია ,,აფხაზეთის ასსრ სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება (1961 – 1985 წწ.)''.

გოგოხია რევაზ აკაკის ძე (დ. 28. IV. 1936, სოფ. ფახულანი, ახლანდ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1988), პროფესორი (1989). 1958 დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ეკონ. ინ-ტში უფრ. მეცნიერ თანამშრომლად, ჟურნ. ,,ეკონომიკის'' განყ-ბის გამგედ, საქართვ. სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ. 1989-იდან იყო თსუ-ის ეკონ. თეორიის კათედრის პროფესორი, აგრეთვე თსუ-ის სოხუმისა (1995–2001) და ზუგდიდის (2001–05) ფილიალების კათედრის გამგე, საერთაშ. სამეცნ.-პრაქტ. ჟურნ. ,,სოციალური ეკონომიკის'' მთ. რედაქტორი (1999–2007). 2008-იდან მისი რედაქტორობით გამოდის თსუ-ის ეკონ. და ბიზნესის ფაკ-ტის საერთაშ. სამეცნ.-პრაქტ. ჟურნ. ,,ეკონომიკა და ბიზნესი''.

მ-ის სამეცნ. შრომები ეხება ეკონ. თეორიის, საბაზრო ეკონომიკის, აგრ. ურთიერთობებისა და შერეული ეკონ. სისტემის, საქართვ. სოც.-ეკონ. განვითარების პრობლემურ საკითხებს. დაჯილდოებულია ი. ჯავახიშვილის მედლითა (2001) და ღირსების ორდენით (2003). *ლ. ჩიქავა.*

გოგოხია შოთა დორიმენდონის ძე (26. IX. 1920, სოფ. ფახულანი, ახლანდ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, – 22. X. 2009, თბილისი), გერონტოლოგი და ჯანდაცვის ორგანიზატორი. მედ. მეცნ. დოქტორი (1970), საქართვ. დამს. ექიმი (1966). 1942 დაამთავრა თბილ. სამედ. ინ-ტი. 1950–73 იყო აფხ. ჯანდაცვის მინისტრი. 1974–98 მუშაობდა ა. ნათიშვილის სახ. ექსპერ. მორფოლოგიის ინ-ტის აფხ. სამედ.-დემოგრ. ლაბორატორიის გამგედ. მ. შეისწავლიდა კურორტოლოგიის, ჯანდაცვის ორგანიზაციის, მედ. ისტორიის, ადამიანის ფიზ. განვითარებისა და გერონტოლოგიის საკითხებს. 1973-იდან აფხ. გერონტოლოგთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე იყო. 1983 აირჩიეს ლოს-ანჟელესის (აშშ) უნ-ტის საპატიო დოქტორად, 1984 – საერთაშორისო ნატურალური მედიცინის ასოციაციის წევრად. 1990-იდან იყო საქართვ. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის სოხუმის ფილიალის დირექტორი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: როგორ ავიცდინოთ თავიდან ნაადრევი სიბერე, თბ., 2003; როგორია დღეგრძელთა ცხოვრების წესი, თბ., 2005; Курорты Абхазии, Сух., 1961; Здравоохранение в Абхазии, Сух., 1966.



რ. გოგოხია.

გოგრა (Cucurbita), ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეების გვარი გოგრისებრთა ოჯახისა. გ. ბაღჩეული კულტურაა, აქვს მთავარღერძა მძლავრი ფესვთა სისტემა. მისი ძირითადი ნაწილი ნიადაგში 40–50 *სმ* სიღრმეზეა გავრცელებული, ცალკეული ფესვები – 4–5 *მ*-ზე, ღერო მხოხავი და მხვიარაა, ფოთოლი ფართო (25 *სმ*), გრძელყუნწიანი და ბუსუსიანი, ზარისებური ყვავილი ყვითელი ან ნარინჯისფერია. სახეობისა და ჯიშის შესაბამისად, ისხამს სხვადასხვა ფორმისა და შეფერილობის ნაყოფს, რ-ის მასა 4–10 *კგ*. ზოგიერთი სახეობის გ. რამდენიმე ათეულ *კგ* იწონის. თესლი მსხვილი, ოვალური, თეთრი ან მოყვითალოა. გ. გაყოფილსქესიანი, ერთსახლიანი, ჯვარედინმტვერია, სითბოსა და სინათლის მოყვარული გვალვაგამძლე მცენარეა. ფართოდაა გავრცელებული გოგრის 3 სახეობა:



გოგრა. მსხვილნაყოფა გოგრა (Cucurbita maxima).



გოგრა. მუსკატური გოგრა (Cucurbita moschata).



გოგრა. მაგარკანიანი გოგრა (Cucurbita pepo).



ვ. ვ. გოგუაძე.

მსხვილნაყოფა (C. maxima) ანუ გიგანტური ბ., რ-ისგანაც გამოყვანილია სუფრის, საკვები და დეკორ. ჯიშები [საქართველოში გავრცელებულია დიდნაყოფა (თათრული) ბ.]; მუსკატური (C. moschata) ანუ ჯავზის ბ. (საქართველოში ცნობილია თაფლა ბ-ის, ხურჯინას, ბორჩალოური ბ-ის სახელით, გავრცელებულია ქვემო ქართლის დაბლობ ზონაში); მაგარკანიანი (C. pepo) ანუ ჩვეულებრივი ბ. (ხოკერა, საქართველოში ძველთაგანვეა გავრცელებული). ამ სახეობას მიეკუთვნება – ყაბაყი და პატისონი, რებიც გამოიყენება საკვებად მხოლოდ ტექნიკურ სიმწიფეში.

საქართველოს რეგიონებში გოგრა სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი: იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში კვახს უწოდებენ; გურიასა და აჭარაში – ხაპს; სამეგრელოსა და სვანეთში – კოპეშიას, კვახნეს; საინგილოში – გუგრას; ჭანეთში – კაიშს, ყოყორეს და სხვ.

მსხვილნაყოფა და მუსკატური ბ-ის სამშობლოა ამერიკა, მაგარკანიანის – აზია–აფრიკა.

თესლი აღმოცენებას იწყებს 15°C ტემპ-რაზე, მისი ზრდა-განვითარების ოპტიმალური ტემპრაა 25–28°C. კარგად ხარობს ნაყოფიერ, ღრმა, ორგ. და მინერ. სასუქით უხვად განაყოიერებულ მსუბუქი მექან. შედგენილობის ნიადაგზე. ბ-ის ნაყოფი შეიცავს მინერ. მარილებს, ნახშირწყლებს, პექტინებს, კაროტინს, ვიტამინებს (C, B_1, B_2, E) და სხვ. ბ-ის თესლისაგან ხდიან ზეთს. ბ. სამკურნალო მცენარეა, იყენებენ საჭმელად, აგრეთვე ცხოველთა საკვებად.

ლიტ.: ჯაფარიძე გ., კვაჭაძე გ., მებოსტნეობა, თბ., 1951; Даскалов Хр. С., Колев Н. Б., Овощеводство, София, 1958. *ვ. ჯაფარიძე.*

გოგრისებრნი (Cucurbitaceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. ერთწლოვანი, ზოგჯერ მრავალწლოვანი გართხმული ან მცოცავი ბალახები, იშვიათად ბუჩქები და პატარა ხეებია. აქვთ ხუთწევრიანი, უფრო ხშირად ერთსქესიანი, ფურცლებშეზრდილი ყვავილები; ქვედა სამბუდიანი ნასკვი, ერთი მოკლე, სამი ნალისებრი დინგით დაბოლოებული სვეტი; უმეტესად მრავალთესლიანი გოგრულა ნაყოფი. ცნობილია 90-მდე გვარი და 760-მდე სახეობა. გავრცელებულია ძირითადად ტროპიკებში.

საქართველოში ველურად იზრდება 2 გვარი – ლეშურა და კიტრანა. სამეურნ. მნიშვნელობისაა *კიტრი, ნესვი, გოგრა, საზამთრო,* აყირო, ლუფა, კოლოქვინტი. ზოგიერთი ბ., მაგ., ლეშურა, მედიცინაში გამოიყენება; ზოგი, მაგ., ტლადიანტა, დეკორატიულია.

გ. კვაჭაძე.

გოგუა ალექსი ნოჩოს ძე (დ. 15. III. 1932, სოფ. გუფი, ახლანდ. ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი), აფხაზი მწერალი. დაამთავრა სოხუმის პედ. ინ-ტის ენისა და ლიტ-რის ფაკ-ტი (1955) და მოსკ. მ. გორკის სახ. ლიტ-რის ინ-ტი (1960). იყო ჟურნ. ,,ამცაბზის'' მთ. რედაქტორი. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1948, პირველი პროზაული კრებ. ,,მდინარე ისწრაფის ზღვისკენ'' – 1957. ბ. ავტორია რომანისა ,,შარავანდედი'' (1966); კრებულებისა: ,,თოვლი და ელვა'' (1964), ,,წყლის გემო'' (1966), ,,მშვენიერი მთა'' (1970), ,,თეთრი ცვარი'' (1972), ,,პატარა მშაგუ და დიდი მშაგუ'' (1976), ,,მოთხრობები, პიესა'' (1977) და სხვ. ქართულად გამოიცა მისი პროზაული კრებულები: ,,თეთრი ცხენი'' (1965), ,,თაქარას თვალები'' (1969), ,,ოლიმპიადა'' (1979) და სხვ. პიესა ,,ნასესხები დღე'' (1969) დაიდგა სოხუმის ს. ჭანბას სახ. თეატრში. ბ. არის დ. გულიას სახ. პრემიისა (1974) და საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის – ,,ხუთწლედის მატიანის'' (1980) ლაურეატი. *რ. კვერენჩხილაძე.*

გოგუა ვასილ ბარნაბის ძე (18. II. 1908, სოფ. ჯურუყვეთი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 25. V. 1967, თბილისი), საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რე (1948–52). საქართვ. დამს. ინჟინერი. 1932 დაამთავრა საქართვ. სამთო-საინჟინრო ინ-ტი. 1932–36 მუშაობდა ზაჰესის მე-2 და ტყვარჩელის თბოელექტროსადგურების მშენებლობებზე, 1936–67 – სხვადასხვა საპასუხისმგებლო პარტიულ და სამეურნეო თანამდებობაზე. იყო სსრკ II–III მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

მ. კოჯელაშვილი.

გოგუაძე ვალერი პეტრეს ძე (29. IX. 1911, ბათუმი, – 2. III. 1971, თბილისი), ქიმიკოსი. ქიმ. მეცნ. დოქტორი (1948), პროფესორი (1949), საქართვ. დამს. გამომგონებელი. დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1934). 1959-იდან ხელმძღვანელობდა საქართვ. მეცნ. აკად. არაორგ. ქიმ. და ელექტროქიმიის ინ-ტის ელექტორგანულ ნაერთთა ლაბორატორიას. დაამუშავა პროვიტამინ D_{13}-ის სინთეზის უმოკლესი გზა. ავტორია მნიშვნელოვანი სამეცნ. შრომებისა და გამოგონებებისა.

გოგუაძე ვახტანგ ვლასის ძე (15. III. 1940, სოფ. ლესა, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 10. VI. 2007, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1984), პროფესორი (1987). თსუ-ის პრორექტორი იდეურ-აღმზრდელობით დარგში (1985–92). საქართვ. სახელმწ. საბჭოს მდივანი 1992 მარტიდან ოქტ-მდე, 1992–95 იყო საქართვ. პარლამენტის თავრის პირველი მოადგილე, შემდეგ – სპიკერი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1963). პედ. მოღვაწეობას ეწეოდა იმავე უნ-ტის ესთეტიკის კათედრაზე (1967–85). იყო საქართველო-რუსეთის მეგობრობის კავშირის თავ-რე (2001–07). ბ. იკვლევდა ადამიანის ფილოს., სახელდობრ, ესთეტ. პრობლემატიკას; ისტორიზმის პრინციპის მიხედვით განიხილავდა ხელოვნების მიერ ადამიანის ესთეტ. სახის შექმნის მხატვრულ-ისტ. კანონზომიერებას.

თხზ.: ერი გულადი, პურადი, თბ., 1977; ადამიანი, როგორც ესთეტიკური ფენომენი, თბ., 1980; იდეოლოგიური ბრძოლა და ხელოვნების მისია, თბ., 1986; მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია, თბ., 1993; Верните мне мою Россию, Тб., 2000; Starez Zosima und Vater Sergij. – «Ostkirchliche Studien», Bd. 36, Heft 2/3, September, 1987.

გოგუაძე ვლადიმერ (ვალოდია) საბას ძე (1880, სოფ. ჭანჭათი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 1954, პარიზი), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. 1921-იდან ქართ. პოლიტ. ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი. დაამთავრა ლანჩხუთის ორკლასიანი სასწავლებელი (1895). 1895–98 მსახურობდა ბათუმში, რიხნელის და როტშილდის ქარხნებში. 1900 გაიწვიეს სამხ. სამსახურში. 1901–03 სწავლობდა ოდესის უნტეროფიცერთა სამხ. სკოლაში, რ-ის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. 1904 გახდა სოც.-დემოკრ. პარტიის წევრი. 1905 დაპატიმრებულ იქნა ,,ოხრანკის'' მიერ. 1906–08 მოღვაწეობდა ბაქოში. 1909–10 მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და მეურნეობას მიჰყო ხელი. 1910 დაესწრო სოც.-დემოკრატთა გურიის კომიტეტის სხდომას, რის შემდეგ კვლავ ჩაება პოლიტ. საქმიანობაში. 1910–16 თანამოაზრეებთან ერთად აქტიუ-

რად ებრძოდა სოც.-დემოკრ. პარტიის სახელით გურიაში მოქმედ წითელრაზმელებს, რ-ებიც აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. 1916, ერთ-ერთი შეტაკების დროს, მძიმედ დაიჭრა. 1918–21 გ. იყო საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთ. შტაბის წევრი და ჯავშნოსანი მატარებლის უფროსი. აქტიურად მონაწილეობდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლებში (1918 მარტი–აპრ.), საქართველო-სომხეთის ომში 1918, ბოლშევიკური რუსეთის მე-11 წითელი არმიის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში (1921 თებ.–მარტი).

ბოლშევიკური რუს. მიერ საქართვ. ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ, 1921–23 ცხოვრობდა თურქეთში. 1923-იდან მოღვაწეობდა საფრანგეთში. იყო საქართვ. სოც.-დემოკრ. პარტიის საზღვარგარეთული ბიუროსა და საფრანგეთის ქართ. სათვისტომოს გამგეობის წევრი. თანამშრომლობდა ქართ. ემიგრანტულ პრესასთან. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. 1963 პარიზში გამოიცა მისი ,,მოგონებანი‘‘.

თხზ.: მოგონებანი, წგ.: შ ა რ ა ძ ე გ., ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, ტ. 3, თბ., 1992. *ლ. ურუშაძე.*

გოგუაძე ჯემალ მელქისედეკის ძე (16. I. 1939, სოფ. ჭყონაგორა, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 19. XI. 2000, თბილისი), ტრავმატოლოგ-ორთოპედი. მედ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1996), საქართვ. მედიცინის მეცნ. აკადემიის წევრი (1998), ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნ.-კვლ. ცენტრის დირექტორი (1997–2000). 1963 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1966–68 ჩაირიცხა მოსკ. ცენტრ. ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ინ-ტის ორდინატურაში, შემდეგ მუშაობა განაგრძო თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის კათედრაზე. 1994-იდან იყო ამავე კათედრის გამგე, 1997–2000 – რესპ. მთ. ტრავმატოლოგ-ორთოპედი. არის 10 გამოგონებისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი (,,სამხედრო საველე ქირურგიის საკითხები‘‘, თბ., 1999).

გოგშელიძე გიორგი ომარის ძე (დ. 7. XI. 1979, გორი), სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა). პეკინის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (2008). მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი (2001) და ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (2001), მსოფლიო თასის მფლობელი. რუსეთის სახელით ასპარეზობდა 2004-მდე. 2006-იდან ასპარეზობს საქართველოს სახელით. მსოფლიო ჩემპიონატის მეორე (2006) და მესამე (2009) პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი (2008), მეორე (2010) და მესამე (2006, 2007) პრიზიორი.

გოგჩა (თურქ. – ლურჯი წყალი), სევანის ტბის (სომხეთი) თურქული სახელწოდება. ქართ. წყაროებში მეტწილად ცნობილია როგორც გელაქუნის ტბა, გელაქუნის ზღვა. მოიხსენიება მხატვრულ ლიტ-რაშიც, მაგ., ა. ჭავჭავაძის ლექსი ,,გოგჩა‘‘.

გოდგაძეები, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტის დეკანაშვილების თემში (აჭარის არ), არსიანის ქედის დას. კალთაზე, მდ. აჭარისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1000 *მ*, ხულოდან 5 *კმ*. 98 მცხ. (2002).

გოდერძი, ნასოფლარი ადიგენის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მდ. ძინძისწყლის (ქვაბლიანის მარჯვ. შენაკადი) მარჯვნივ. სოფელი სამ უბნად იყოფოდა. შუა უბნის შემაღლებაზე შემორჩენილია ჯამე, ნასოფლარის ზედა ნაწილში – *დარანი,* დაბალი, ვიწრო შესასვლელით. მას მოსდევს ერთ მთლიან ქვაში გაჭრილი გასასვლელი, რ-იც ქვის კარით იხურება (კარის სიმაღლე 80 *სმ* და ქუსლზე ტრიალებს). ორი ერთმანეთში გამავალი დარბაზი თანაბარი ფართისაა (8 *მ* × 2 *მ*). პირველი დარბაზის მარჯვ. ბოლოში პატარა (2*მ* × 3*მ*) სათავსია, მისი გაგრძელება ჩამოქცეულია. სათავსი უთანაბრო სიმაღლისაა (ყველაზე მაღალი – 1,7 *მ*). იქვე ახლოს სხვა დარნის ნაკვალევია. მისი შესასვლელი აღარ ჩანს. ნასოფლარის ჩრდ-ით, დაახლ. 1,5 *კმ*-ზე, ტყიან ბორცვზე, ერთნავიანი ეკლესიის ბუდეა (5 *მ* × 10 *მ*), რ-იც ნათალი და ჩუქურთმიანი ქვებითაა ამოვსებული. ეკლესიის საკურთხევლის წინ, სამხრ-ით, არის მომაღლო გათლილი ბაზისი (სიმაღლე – 130 *სმ*, სიგანე – 60 *სმ* და 40 *სმ*), რ-შიც ჯვრის ჩასასმელი ოთხკუთხა ფოსოა ამოჭრილი. პილასტრები ორსაფეხურიანი ყოფილა, სვეტისთავები პროფილირებული და ორღარიანია. შესასვლელი სამხრ-იდან უნდა ყოფილიყო. იქვე გდია წნული ჩუქურთმით შემკული არქიტრავის ნახევარწრიული ლოდი, რ-იც XII–XIII სს. უნდა იყოს. ნაეკლესიარის სამხრ-ით გალავნის ნაშთია, მის შიგნით – კიდევ ერთი სადგომის ბუდე. სოფლიდან ეკლესიისკენ მიმავალი ტყით დაფარული ნაგზაური ჩანს. ქვაყრილებით შექმნილი ორღობე 3,5 *მ* სიგანისაა, ე. ი. საურმეა.

როგორც ჩანს, გ. მნიშვნელოვანი სოფელი ყოფილა განვითარებულ შუა საუკუნეებში. მისი სახელი ეწოდება სამცხიდან აჭარაში მიმავალი გზის უღელტეხილსაც. ამავე სახელს ატარებდა ადრე სინდისწყლის ხევი. ბასილი ზარზმელის თხზულებაში ვკითხულობთ: ,,რამეთუ აღვჰყევით პირსა მის მდინარისასა და მივიწიენით ხევსა რასმე ღრმასა და უღაღსა, რომელსა გოდერძისა ეწოდების... აღვედით რაჲ თავსა მის ხევისასა და ვიხილენით მცირენი რაჲმე ყანობირნი და მცირე დაბაჲ‘‘. 1595 წლის ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის‘‘ მიხედვით, სოფ. გ. შედიოდა ახალციხის ლივის ქვაბლიანის ნაჰიეში. აქ ცხოვრობდა ცხრა კომლი ქრისტიანი ქართველი: საბა გუბელასძე, პეპინა ძე მისი, გიორგი ძმა მისი, ტატულა მახარებლისძე, საბა...? გიორგი ამირინდოსძე, ვარძელ ძმა მისი, ასპან გუბელასძე, გიორგი ძმა მისი, გიორგი გურგენასძე. მათ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი; ჰქონდათ ბოსტნები; ჰყავდათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი. წლიურად იხდიდნენ 3999 ახჩას. 1944 სოფ. გ-ის მაჰმადიანი ქართველები შუა აზიაში გადაასახლეს, ამის შემდეგ იგი ნასოფლარია.



გ. გოგშელიძე.

წყარო: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წგ. 1, თბ., 1963; ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2, თბ., 1941.

დ. ბერძენიშვილი.

გოდერძის ლოკოკინა (Helix goderziana), ხმელეთის ნიჟარიანი მოლუსკი მუცელფეხიანთა (Gastropoda) კლასისა. ყველაზე დიდი ზომის მოლუსკი მთელ ჩრდილოეთ არატროპიკულ პალეარქტიკაში. ნიჟარის სიმაღლე და სიგანე – 7 *სმ*. კავკ. ენდემი, მცირე კავკასიონის შავიზღვისპირა მთიანეთის ბინადარი.



გოდერძის ნამარხი ტყე. განამარხებული ფოთოლი.

გოდერძის ნამარხი ტყე, ნაპოვნია მესხეთში, გოდერძის უღელტეხილის აღმ. ფერდობზე. მდ. ძინძისწყლის (ქვაბლიანის მარჯვ. შენაკადი) ორივე ნაპირზე შიშვლდება მძლავრი ვულკანოგენური

წყება, რ-იც კარგად დაცულ დიდძალ მცენარეულ ნაშთებს შეიცავს. ეს არის საქართვ. ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და კარგად შესწავლილი ნამარხი ფლორა; სამეცნ. ლიტ-რაში ცნობილია XIX ს. 80-იანი წლებიდან.

მცენარეული ნაშთების სიუხვე და ხასიათი მიუთითებს, რომ აქ ვულკანური ამოფრქვევის შედეგად განამარხებული ტყეა დარჩენილი (ზოგიერთი ხე ვერტ. მდგომარეობაშიც კია დამარხული). ამ უნიკალური ფლორის ნაშთები, ძირითადად, წარმოდგენილია ხეების გაქვავებული ან ნახევრად გაქვავებული ღეროებითა და ფოთლების ანაბეჭდებით, რ-ებზეც, ხშირად, უნაკლოდაა შემონახული ნერვაციის თითოეული დეტალი. გ. ნ. ტ-ის ძირითადი ნაწილი ტენიანი, სუბტროპ. ჰავისათვის დამახასიათებელი მცენარეებია, მ. შ. აღსანიშნავია დაფნისებრების, მაგნოლიების, პალმებისა და გვიმრანაირების სიჭარბე და მრავალფეროვნება. მერქნის მიხედვით დადგენილია წიწვოვნებისა და ზოგიერთი ისეთი ფოთლოვანი მცენარის სახეობები, რ-ებიც მხოლოდ მთიანი რელიეფისთვისაა დამახასიათებელი. ნამარხი მასალის შემცველი ტუფების პეტროგრაფიული ანალიზის საფუძველზე დადგენილია გოდერძის ფლორის ზედამიოცენური ასაკი. *ი. რამიშვილი.*



გ. გოდერძიშვილი.

გოდერძის უღელტეხილი, უღელტეხილი არსიანის ქედზე, მდ. ძინძისწყლის (ქვაბლიანის მარჯვ. შენაკადი) სათავეში. ზ. დ. 2025 *მ.* აგებულია ზედამიოცენური ვულკანოგენური დანალექი ქანებით, რ-ებიც შეიცავს განამარხებულ ფლორას (იხ. სტ. *გოდერძის ნამარხი ტყე).* გ. უ-ის კალთები ციცაბო და დანაწევრებულია. შემოსილია: ქვემოთ – ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყით, ზემოთ – მეორეული სუბალპ. მდელოებით. გ. უ-ზე გადის ბათუმი – ახალციხის საავტ. გზა. *მ. უთმელიძე.*



გოდერძის უღელტეხილი.

გოდერძიშვილი გუგული ილიას ძე (17. X. 1927, საგარეჯო, – 7. IX. 2008, თბილისი), ვეტერინარი ექიმი. ვეტერინარიის მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1970), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1981). საქართვ. სოფლის მეურნ. მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1995; წ.-კორ. – 1992). 1950 დაამთავრა საქართვ. ზოოტექ.-ვეტერინარო ინ-ტი. 1968-იდან იყო საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო სასწ.-კვლ. ინ-ტის პარაზიტოლოგიის კათედრის გამგე, 1992–99 – ინ-ტის პრორექტორი სასწ. დარგში. 1997–98 იყო რექტორის მოვალეობის შემსრულებელი. 2003 ინ-ტის პარაზიტოლოგიისა და ვეტ.-სანიტ. ექსპერტიზის კათედრას გ-ის სახელი ეწოდა.

გ-ის სამეცნ. შრომები ეხება სას.-სამ. ცხოველთა ფასციოლოზის, დიკროცელიოზის, ცხვრის მონიეზიოზის, თიზანიეზიოზის, ავიტელინოზის, სტრონგილიატოზების ბიოლოგიისა და ეპიზოოტოლოგიის შესწავლას, მათ ქიმიოთერაპიასა და ქიმიოპროფილაქტიკას. მანვე შეიმუშავა ზოგიერთი ჰელმინთოზის საწინააღმდეგო ღონისძიებანი, რ-ებიც დანერგილია სავეტერინარო პრაქტიკაში. გ-ის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით საწარმოო პირობებში მომზადდა პრეპარატი დარიშხანმჟავა კალა (კალას არსენატი), გამოინახა ამ ჯგუფის ახ. ანტიჰელმინთური საშუალებები (თუთიის, მანგანუმისა და კალციუმის არსენატი), რ-ებიც გამოიყენეს საბჭოთა კავშირში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ცესტოდოზების, ე. ი. ლენტისებრი ჭიებით გამოწვეული დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად. გ. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა, აქვს 4 საავტორო მოწმობა გამოგონებაზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2000).

ლიტ.: კ ა პ ა ნ ა ძ ე კ., გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი (გუგული გოდერძიშვილი), თბ., 1999.

გოდერძიშვილი დავით გუგულის ძე (დ. 7. VIII. 1963, თბილისი), ვეტერინარი ექიმი. ვეტერინარიის მეცნ. დოქტორი (2002), პროფესორი (2004). 1985 დაამთავრა საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო სასწ.-კვლ. ინ-ტი. 1986–2006 იყო ამავე ინ-ტის სავეტერინარო ფაკ-ტის მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგიის კათედრის დოცენტი, შემდეგ – პროფესორი. 2006-იდან საქართვ. სახელმწ. აგრ. უნ-ტის სავეტერინარო მედიცინის ფაკ-ტის ინფექციურ და ინვაზიურ სნეულებათა დეპარტამენტის უფროსი და სრული პროფესორია. ეწევა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას. გ-მა პირველმა გამოიყენა ცხოველთა ვირუსული დაავადებების სამკურნალოდ ინტერფერონი; დაადგინა ღორის ახ. ლეიკოციტარული ინტერფერონის მაღალი ანტივირუსული ეფექტი მსხვილფეხა პირუტყვის პარაგრიპ-3-ისა და ღორის გრიპის სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის.

თხზ.: სავეტერინარო იმუნოლოგია, თბ., 2009; სავეტერინარო ვირუსოლოგია, თბ., 2010.

გოდოგანი, სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. წყალწითელას (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: გ., ბროლისქედი, ნაგარევი, ჭალასთავი). ზ. დ. 260 *მ,* თერჯოლიდან 27 *კმ,* ქუთაისიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 *კმ.* 1,8 ათ.

მცხ. (2002). გ. ცნობილია მარმარილოსა და კირქვის საბადოებით. სოფლის მახლობლად არის კორპის მუხის ტყე (150 ჰა), კარსტული მღვიმე – *საკაჟია*.

გ-ში დგას 1873 აგებული დარბაზული ეკლესია. დას. შესასვლელის ტიმპანზე ამოკვეთილ წარწერაში მოხსენიებულია ეკლესიის ამშენებელი ოსტატი ისიდორე ბერეკაშვილი (იხ. სტ. *ბერეკაშვილები*) და ძეგლის აშენების თარიღი. ეკლესია მოქმედია. სოფელში დგას აგრეთვე X ს. ღვთაების ეკლესია.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.

გოდოგანი, სოფელი მარტვილის მუნიციპალიტეტის კურზუს თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის ვაკეზე, მდ. ოჩხომურის (ხობის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 340 *მ*, მარტვილიდან 37 *კმ*. 129 მცხ. (2002).

გ-ში დგას XVII ს. ციხე და XVIII ს. ეკლესია.

გოდოლი, მაღალი კოშკი, ციხესიმაგრის ერთ-ერთი სახეობა. წერილობითი წყაროების მიხედვით ტერმ. ,,გ.'' ადრინდ. ფეოდ. ხანაში იხმარებოდა, შემდეგ იგი *კოშკმა* შეცვალა.

გოდორები, ვულკანური მთა სამხრის ქედზე, ფარავნის ტბის დას-ით, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 3188 *მ*. აგებულია ზედაპლიოცენური ანდეზიტურ-დაციტური ლავებით. მწვერვალზე შემორჩენილია ძვ. გამყინვარების კვალი, კალთებზე, ქვემოთ, ალპ. მდელოებია, ზემოთ – ქვაყრილები. *მ. უთმელიძე.*

გოდორი, წნელით, ზოგჯერ ტკეჩით მოწნული მაღალი, ყურიანი, მრგვალი ან ოთხკუთხედი ჭურჭელი. იყენებენ ხილის, ბოსტნეულის, ჩაის ფოთლის, საქონლის საკვებისა და სხვათა გადასაზიდად. ზოგ მაღალმთიან რეგიონში (მთიულეთი) მარცვლეულის შესანახად ხმარობენ თიხით ამოლესილ გ-ს. გ-ის ტევადობა სხვადასხვაა (უმეტესად 2–15 ფუთი). *ლ. ფრუიძე.*

გოდორჟური, 1. ტირიფის წნელით მოწნული დიდი, დაახლ. 3 *მ* სიმაღლისა და 2 *მ* სიგანის გოდორი მდინარის ნაპირის გასამაგრებლად, ან სარწყავი არხის სათავეში წყლის გადასაშვებად. ქვემოდან გამაგრებული იყო მიწაში ჩასარჭობი მანებით (მარგილებით). გ-ს მდინარის კალაპოტში შერჩეულ, ამოსუფთავებულ ადგილას დგამდნენ და რიყის ქვით ავსებდნენ. მდინარის კალაპოტისა და არხის სიდიდის შესაბამისად, სათავეში ზოგჯერ მეორე ან მესამე გ. იდგმებოდა ისე, რომ წყალში ცერად ყოფილიყო წაზიდული. გ-ს ფართოდ იყენებდნენ ქართლ-კახეთში. აგებდნენ ადრე გაზაფხულზე, მდინარეების ადიდებამდე. 2. თევზის საჭერი თავგადაშლილი გოდორი, რ-შიც ჩადგმულია ძაბრისმაგვარი ყელი. გ-ს მდინარეში ისე აწვენენ, რომ ფართო პირი წყლის დინებისაკენ ჰქონდეს მიმართული და ძაბრის ნასვრეტი სანახევროდ წყლით დაიფაროს. თავგადაშლილი პირიდან თევზი შიგ შედის, უკან კი ვეღარ გამოდის.



გოდორი.

ლიტ.: გეგეშიძე მ., სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961. *ლ. ფრუიძე.*

გოლუაძე ვახტანგ ირაკლის ძე (10. X. 1924, ქუთაისი, – 26. X. 1990, იქვე), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1971). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1949). 1950-იდან მუშაობდა ქუთაისის საპროექტო ინ-ტებში სხვადასხვა თანამდებობაზე, ბოლოს – ,,საქქალაქმშენსახპროექტის'' ქუთ. ფილიალში (1965-იდან – ფილიალის მთ. არქიტექტორი, 1968-იდან – მთავარი ინჟინერი). 1973–83 იყო ქუთ. სახ. დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავრის მოადგილე, 1985-იდან – ისევ საპროექტო ინ-ტის ფილიალის მთ. არქიტექტორი. 1963–78 არჩეული იყო საქართვ. არქიტ. კავშირის ქუთ. ორგანიზაციის თავრედ. 1956–57 და 1972–75 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. ძირითადი ნამუშევრები: ქუთაისში – სასტუმრო ,,თბილისი'' (1954), ორდარბაზიანი კინოთეატრი (1957), საცხოვრ. კვარტალი (60-იანი წწ.); მარტვილში – საცხოვრ. სახლი და ადმ. შენობა (50-იანი წწ.); საჩხერეში – კულტ. სახლი (1973).

ს. კინწურაშვილი. მ. მაისურაძე.

გოეთე (Goethe) იოჰან ვოლფგანგ ფონ (28. VIII. 1749, მაინის ფრანკფურტი, – 22. III. 1832, ვაიმარი), გერმანელი მწერალი და მოაზროვნე. დაიბადა შეძლებული ბიურგერის ოჯახში. სწავლობდა ლაიფციგისა და სტრასბურგის უნ-ტებში. გ. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსი პოეტია. მისი დრამები, რომანები, ფილოს. ჰიმნები, ლირ. ლექსები, ეპიგრამები და მრავალი სხვა მსოფლიო ლიტ-რის საგანძურის კუთვნილებაა. გ-ს ისტ. მნიშვნელობის შრომები აქვს ბუნებისმეტყველების დარგში. მანვე შემოიღო ტერმინი ,,მორფოლოგია''.

ქართვ. საზ-ბა გ-ს შემოქმედებას გაეცნო XIX ს. 70-იან წლებში ლექსით ,,მგზავრის ღამეული სიმღერა'', რ-იც მ. ლერმონტოვის თარგმანიდან გადმოაქართულა გ. ორბელიანმა. დაახლ. ამავე პერიოდში ითარგმნა ,,ეგმონტი'', ,,რაინეკე მელა'', ,,ფაუსტის'' ნაწილი, ლირ. ლექსები. გ-ს შემოქმედებისადმი ინტერესი გაიზარდა 1900-იან წლებში. განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნენ მას ი. ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, ნ. ავალიშვილი, ნ. ნაკოლაძე, ა. ცაგარელი, ს. ჭრელაშვილი და სხვ. XX ს-ში დაიწყო გ-ს თხზულებების სისტემატური თარგმნა და კვლევა. მისი ლირ. ნაწარმოებები თარგმნეს ს. შანშიაშვილმა, გ. ტაბიძემ, ვ. გაფრინდაშვილმა, გ. ცეცხლაძემ, დ. ნახუცრიშვილმა, ვ. ბეწუკელმა, ა. გელოვანმა, ო. ჯინორიამ, დ. წერედიანმა, გ. კანკავამ და სხვ. აღსანიშნავია ,,ახალგაზრდა ვერთერის ვნებანის'' სამი თარგმანი (ი. ახალშენიშვილი, კ. გამსახურდია, ო. ხუციშვილი). 1983 ნ. კაკაბაძის რედაქციითა და ესეის თანხლებით დაიბეჭდა ო. ხუციშვილის მიერ თარგმნილი ,,გოეთეს ლირიკული რომანი''. გ-ს დრამ. ნაწარმოებები: ,,ეგმონტი'', ,,გეც ფონ ბერლიხინგენი'', ,,იფიგენია ტავრიდაში'', ,,ტორკვატო ტასო'', ,,რაინეკე მელა'', ,,ჰერმან და დოროთეა'' თარგმნა ვ. ბეწუკელმა. ითარგმნა ,,ფაუსტი'', როგორც ფრაგმენტულად, ისე მთლიანად (დ. ნახუცრიშვილი, პ. მირიანაშვილი, ს. შანშიაშვილი, ა. ქუთათელი, კ. გამსახურდია, დ. ონიაშვილი, გ. ჯორჯანელი, ი. ქემერტელიძე და სხვ.). ტრაგედიის ორივე ნაწილის მთლიანი, პ. მირიანაშვილისეული თარგმანი გამოქვეყნდა 1908, ხოლო დ. ონიაშვილისეული თარგმანი – 1962 (შესავალი წერილი ო. ჯინორიასი, რედაქცია და კომენტარები – დ. ლაშქარაძისა და ო. ჯინორიასი); 1988 გამოქვეყნდა გ. ჯორჯანელის მიერ თარგმნილი ,,ფაუსტის'' პირველი ნაწილი. საინტერესოა კ. კაპანელის წერილი ,,ჰამლეტი და ფაუსტი. ინდივიდუალიზმის ტრაგედია'' (ჟურნ. ,,ქართული მწერლობა'', 1927). არაერთი ესეისტური ნაწარმოები უძღვნა გ-ს კ. გამსახურდიამ (თხზ. ტ. VI,



ი. ვ. გოეთე.

1963) – ,,გოეტე, ნაპოლეონი, ნიცშე'', ,,გოეტე თუ მისტიკოსი'', ,,გოეტეს ცხოვრების რომანი'', რ-იც გ-ს ,,პოეზიისა და სინამდვილის'', ,,საფრანგეთში გალაშქრების'', ,,იტალიაში მოგზაურობის'', ეკერმანთან საუბრების, კერძო მიმოწერისა და მეგობრებთან ურთიერთობის შემცველი მასალებითაა გავჯერებული.

აღსანიშნავია ქართ. გერმანისტების როლი XX ს. 40–70-იან წლებში გ-ს შემოქმედების ირგვლივ გამართულ პოლემიკაში, რაც სათანადოდ აისახა ლიტ. კრიტიკაში და რამაც გარკვეული წვლილი შეიტანა ქართვ. გერმანისტების ორიენტაციის ჩამოყალიბებაში. 1937 გამოქვეყნდა გ. ხავთასის მონოგრაფია ,,გოეთე და რევოლუცია'', ხოლო 1959 – მისი გადამუშავებული ვარიანტი – ,,გოეთე და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია''. 1952 ვ. ქოჩორაძის ნაშრომში ,,სოციალ-უტოპიური იდეები გოეთეს შემოქმედებაში'' (დისერტაცია ფილოლ. მეცნ. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად) აისახა ქართ. გოეთეანაში არსებული ზოგიერთი დებულების კრიტიკა.

დიდი ინტერესი გამოიწვია სპეციალისტებს შორის მ. კვესელავას ორტომიანმა ნაშრომმა ,,ფაუსტური პარადიგმები'' (1961–62) და ო. ჯინორიას ფუნდამენტურმა მონოგრაფიამ ,,გოეთეს შემოქმედებითი გზა'' (1966, რუს. – 1984), რ-ის დიდი ნაწილი დაიბეჭდა გერმ. სამეცნ. ჟურნ. ,,გოეთეს წელიწდეულში''. წიგნად გამოიცა მისივე ,,გერმანული ფილოსოფიური ლირიკა'' (1981, თარგმანი და კომენტარები ო. ჯინორიასი, შესავალი წერილი ნ. ხუციშვილისა, რედაქტორი დ. წერედიანი). 1994–96 ლ. თაკვარელიამ თარგმნა გ-ს რომანი ,,სულთა ნათესაობა'' (სრულად გამოქვეყნდა ჟურნ. ,,საუნჯეში'', 1994, № 1–2; 1996, № 1–2).

გ-ს ნაწარმოებთა ქართ. თარგმანები (XIX ს-იდან) და მისი შემოქმედების შესწავლის მდგომარეობა ქართ. ლიტმცოდნეობაში გაანალიზებულია დ. ლაშქარაძის მონოგრაფიით ,,გოეთე ქართულ ლიტერატურაში'' (1983), ამავე საკითხებს განიხილავს იგი ბროშურაში ,,გოეთე'' (1982). XX ს. 80-იან წლებში საქართველოსა და, ნაწილობრივ, გერმანიაში გამოქვეყნდა ქართვ. მეცნიერთა ნაშრომები, რ-ებიც ეხება გ-ს მსოფლმხედველობასა და მისი მნიშვნელოვანი ნაწარმოებების ლიტ. ანალიზს (ნ. კაკაბაძე, ლ. თეთრუაშვილი, ზ. გამსახურდია, რ. ყარალაშვილი, ლ. თაკვარელია), გ-ს შემოქმედების მიმართებას გერმ. მწერლებსა და ფილოსოფოსებთან, ქართ. პოეზიის წარმომადგენლებთან. აღსანიშნავია ლ. თეთრუაშვილის მონოგრაფია ,,ვაჟა-ფშაველასა და იოჰან ვოლფგანგ გოეთეს იდეურ-მსოფლმხედველობრივი ურთიერთობისათვის'' (1982), რ-ის ძირითადი ნაწილი დაიბეჭდა ,,გოეთეს წელიწდეულში'', მისივე ,,პანთეიზმის პრობლემა ახალგაზრდა გოეთეს ფილოსოფიურ ლირიკაში'' და ,,ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისა და იოჰან ვოლფგანგ გოეთეს შტურმერული ლირიკის ტიპოლოგიისათვის''.

გ-ს გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით დაიბეჭდა ა. არსენიშვილის, ა. გაწერელიას, შ. ნუცუბიძისა და სხვათა წერილები, ხოლო 150 წლისთავს მიეძღვნა სამეცნ. კონფერენციები, რ-ებიც მოაწყო საქართვ. გ-ს საზ-ბამ თბილისსა და ქუთაისში.

საქართველოში გ-ს შემოქმედებითი მემკვიდრეობისა და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკის მეცნ. შესწავლისა და პოპულარიზაციის ცენტრია *გოეთეს საზოგადოების* საქართვ. განყ-ბა და გ-ს კაბინეტი თსუ-ში.

თხზ.: Gesammelte Werke, hrsg. von E. Trunz, 9. Aufl., Bd. 1–14, Hamb., 1969;Werke, hrsg. von E. Trunz, C. H. Beck, in 14 Bänden, Münch., 1982–2008; Sämtliche Werke in 40 Bänden, Fr/M., 1985; ლირიკა, თბ., 1967; დრამები, თბ., 1969.

ლ. თეთრუაშვილი.

გოეთეს ინსტიტუტი (Goethe-Institut), გერმანიის საზღვრებს გარეთ გერმანულ ენაზე ზრუნვისა და საერთაშ. კულტურული ურთიერთობის ხელშემწყობი ინსტიტუტი. დაარსდა 1952 მიუნხენში (მსგავსი ინ-ტი გერმანიაში არსებობდა 20-იან წლებშიც). გერმანიაში მას აქვს 13, ხოლო მსოფლიოს 83 ქვეყანაში – 147 ინ-ტი. ეს ინ-ტები, გერმ. ენის სწავლების გარდა, ატარებენ მასპინძელი ქვეყნის ინტერესების შესაბამის კულტ. ღონისძიებებს. აქვთ ბიბლიოთეკები და მედიოთეკები. გ. ი-ების ქსელი, გოეთეს ცენტრების, კულტ. საზ-ბების, სამკითხველო დარბაზების, საგამოცდო და ენის შემსწავლელი ცენტრების მეშვეობით, უკვე 50 წელზე მეტია, გერმანიის საგარეო კულტ. და განათლების პოპულარიზაციას ეწევა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი (თბილისში) გ. ი. (Goethe-Institut Georgien, Tbilisi) დაარსდა 1994. ის ამიერკავკასიაში მოქმედი ინ-ტია, რ-ის მიზანია საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, გერმანიასა და მთლიანად ევროპაში ადამიანთა შორის ურთიერთობის ხელშეწყობა და ერთიანი ევრ. ცნობიერების ჩამოყალიბება; ასევე ამიერკავკასიაში გერმ. ენაზე ზრუნვა და სკოლებისა და უნ-ტების გერმ. ენის პედაგოგთა კონსულტაცია მეთოდურ-დიდაქტ. საკითხებზე. გ. ი. ქართ.-გერმ. კულტურული ურთიერთობების ცენტრია და უპირველესად ქართვ. პარტნიორების იდეებსა და პროექტებს ითვალისწინებს; მრავალგვარი სხვადასხვა ღონისძიებით აქტიურად უჭერს მხარს საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმას. ინ-ტის მიზანია წარმოაჩინოს იმ პირთა ღვაწლი, რ-ებმაც სხვადასხვა დროს გერმანიასა და საქართველოს შორის კულტ. შუამავლის როლი იტვირთეს. გ. ი. პოპულარიზაციას უწევს გერმ. კულტ. და მწერლობაში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებს. ამ მიზნით თითქმის ყოველწლიურად ეწყობა ამა თუ იმ გერმ. მწერლის ან პოეტის შემოქმედებითი საღამოები.

გ. ი-ის სტრუქტურაში შედის გერმ. ენის შემსწავლელი კურსები (1995-იდან), გერმ. ენის (1995-იდან), კულტ. პროგრამების (1994-იდან), ინფორმაციისა და ბ-კის (2000-იდან) განყ-ბები, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის სახ. გერმანული ბ-კა (2002-იდან დეკ-ში საქართვ. პარლამენტის ეროვნ. ბ-კის შენობაში), ლიტ. კაფე ,,გოეთე'' (2003-იდან).

საქართვ. გ. ი-ში შესაძლებელია ყველა სასერტიფიკაციო გამოცდის (ZD, ZB2, ZC1, ZC2), ასევე Start Deutsch 1 Prüfung-ის და TestDaf-ის ჩაბარება და გერმ. ენის დიპლომის მიღება. ცენტრში ყოველწლიურად დაახლ. 3000 სტუდენტი სწავლობს.

გერმ. ენის განყ-ბის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, იზრუნოს გერმ. ენის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამ მიზნით ინ-ტი პერიოდულად მართავს სემინარებსა და შეხვედრებს თბილისში, საქართვ. რეგიონებში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, გასცემს სტიპენდიებს, აგზავნის მრავალ პედაგოგს გერმანიაში დიდაქ-

ტიკის, სწავლების მეთოდიკისა და სხვ. სემინარებზე. კულტ. პროგრამების საქმიანობის ძირითადი სფეროა თანამედროვე გერმ. კულტ. პრეზენტაცია გამოფენების, კინოჩვენებების, კონცერტების, სამუშაო შეხვედრების, სემინარებისა და ა. შ. სახით ხელოვნების სხვადასხვა დარგში, ადგილობრივ და გერმ. ხელოვანებსა და ინტელექტუალებს შორის კონტაქტების დამყარება და თანამშრომლობის ხელშეწყობა.

ინფორმაციისა და ბ-კის განყ-ბა მჭიდროდ თანამშრომლობს სამხრ. კავკასიის ბ-კებთან, გამომცემლობებსა და საინფორმაციო ცენტრებთან, აქტიურად მონაწილეობს თბილისის საერთაშ. წიგნის გამოფენა-გაყიდვებზე. მის მიერ ჩატარებული სამუშაოებიდან აღსანიშნავია ეროვნ. ბ-კაში გამართული სხვადასხვა სემინარი. ინფორმაციის ცენტრი მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა სახის მასალას [ნაბეჭდი და ინტერნეტ-მასალები (ჟურნალები, წიგნები), აუდიო და ვიდეოკასეტები] ხელოვნებისა და ლიტ-რის დარგში, აგრეთვე დარგობრივ ლიტრას. ვ. ჰუმბოლდტის სახ. გერმ. ბ-კა მომხმარებელს სთავაზობს დაახლ. 5 ათ. საფონდო ერთეულს სახლში გატანის შესაძლებლობით.

ლიტ. კაფეში ყველას შეუძლია გაეცნოს ყოველდღიურ და ყოველკვირეულ გერმ. ჟურნალ-გაზეთებს.

1999 საქართვ. და გერმ. შეთანხმების საფუძველზე საქართვ. საგარეო საქმეთა სამინისტროს ძალისხმევით გ. ი-ს გადაეცა მ. ზანდუკელის ქუჩაზე მდებარე შენობა, სადაც 1920–37 განთავსებული იყო გერმ. საკონსულო. გ. ი-ის შენობაში არის დეაადეს (DAAD) და ქართ.-გერმ. საზ-ბების ბიუროები.

ლ. ბაქრაძე. ნ. მიქელაძე.

გოეთეს საზოგადოება, გოეთეს შემოქმედების მეცნიერული კვლევისა და პოპულარიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს განყოფილება. შეიქმნა თბილისში 1970, როგორც ვაიმარში 1885 დაარსებული გოეთეს საერთაშ. საზ-ბის ერთ-ერთი განშტოება. მისი დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი იყო ო. ჯინორია (1969-იდან გოეთეს საერთაშ. საზ-ბის პრეზიდიუმის წევრი). 1975-იდან პრეზიდენტი იყო დ. ლაშქარაძე, 1999-იდან – ნ. კაკაბაძე, 2006-იდან – მ. პაიჭაძე.

გ. ს-ის საქართვ. განყ-ბა შეისწავლის გერმ. კლასიკური ლიტ-რისა და კულტ. საკითხებს; ეწევა მის სისტემ. პროპაგანდას. ამ საქმიანობამ ქართ. გერმანისტიკის სკოლას ფართო აღიარება მოუპოვა საერთაშ. ასპარეზზე. გ. ს-ის საქართვ. განყ-ბის ანგარიში რეგულარულად ქვეყნდება გოეთეს საერთაშ. საზ-ბის ბეჭდვით ორგანოში ,,გოეთეს წელიწდეულში'' (,,Goethes Jahrbuch'').

1995 დაარსდა გ. ს-ის ფოთის განყოფილება. 1982 ქუთაისში გაიხსნა ფილიალი, რ-იც 1996-იდან ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ადგილ. ორგანიზაციად. დამოუკიდებელი გაერთიანებების წევრთა დელეგაციები მონაწილეობენ გოეთეს საერთაშ. საზ-ბის მიერ ორგანიზებულ გოეთეს კონგრესებში, რ-ებიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება ვაიმარში.

ნ. ბაქანიძე.

გოელრო, გეგმა, დამუშავებული 1920 საბჭოთა რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისიის მიერ გ. კრჟიჟანოვსკის ხელმძღვანელობით, რ-იც ითვალისწინებდა 10–15 წლის განმავლობაში სახ. მეურნეობის ძირფესვიან რეკონსტრუქციას ელექტრიფიკაციის ბაზაზე (მძლავრი საწარმოების მშენებლობა, 30 რაიონული ელექტროსადგურის, მ. შ. 1,75 მლნ. *კვტ* ჯამური სიმძლავრის მქონე და 8,8 მლრდ. *კვტ. სთ* წლიური გამომუშავების 10 ჰიდროელექტროსადგურის აგება). გეგმა ძირითადად შესრულდა 1931-თვის.

მოგვიანებით გ-ს გეგმის საფუძველზე შედგა ამიერკავკ. საბჭ. რესპუბლიკების, მ. შ. საქ. სსრ სახ. მეურნ. განვითარების გეგმა. ენერგეტ. დარგში იგი ითვალისწინებდა მდ. რიონის ჰიდროენერგორესურსების გამოყენებას ელექტროენერგიის მისაღებად, ჰიდრო- და თბოელექტროსადგურების მშენებლობას. 1922 დამდეგს საბჭ. საქართველოში დაიწყეს ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურის (*ზაჰესი*) მშენებლობა; 1921–27 – აბაშის ჰესის, აწჰესის, ცხინვალჰესის, რიონჰესის და სხვათა მშენებლობა. 1927 წ. 26 ივნ. საზეიმოდ გაიხსნა ზაჰესი, პირველი დიდი ელსადგური ამიერკავკასიასა და საქართველოში (მეორე – ვოლხოვის ჰიდროელსადგურის შემდეგ).

ლიტ.: პაჭკორია გ., გოელროს გეგმა და საქართველო, თბ., 1971; Кржижановский Г. М., Стеклов В. Ю., Ленинский план электрификации в действии, М., 1956.

გოვეა (Govea) ანტონიო დე (1575–1628), პორტუგალიელი მისიონერი, ესპანეთის ელჩი ირანში. 1597 მისიონერად იყო გოაში (ინდოეთი), საიდანაც ესპ. მეფე ფილიპე III-ის დავალებით ორ მისიონერთან (ჟერომ დე ლა კრუა, კრისტოფ დუ სენტ-ესპრი) ერთად შაჰ-აბასის კარზე გაემგზავრა. მისიას დავალებული ჰქონდა პოლიტ.-სარწმუნოებრივი და კომერციული საკითხების მოგვარება. 1611 ლისაბონში გამოიცა გ-ს ნაშრომი, რ-იც სამი ნაწილისაგან შედგება. ამ ნაშრომში არის მრავალი ძვირფასი ცნობა ირანში მოღვაწე ქართველების შესახებ, კერძოდ, ირანის ჯარების პირველ ყულარაღასა და ფარსის ბეგლარბეგ *ალავერდი-ხან* უნდილაძეზე, მის ორ ვაჟზე – *დაუდ-ხანსა* და *იმამყული-ხანზე*. აგრეთვე ქართლის მეფე *სიმონ I-სა* და *მანუჩარ II* ათაბაგზე, *ქეთევან დედოფალზე*. გ-ს საინტერესო ცნობები აქვს ქართვ. დიპლომატი ქალის – *გულჩარას* საქმიანობის, კახთა მეფე ალექსანდრე II-ისა და მისი გამაჰმადიანებული ძის კონსტანტინეს (იხ. *კონსტანტინე I*) შესახებ.

თხზ.: Relaçam en que se tratam as guerras e grandes victorias que aleançan o grande Rey da Persia Xa Abbas do grão Turco Mahometto e seu pilho Amethe etc..., Lisboa, 1611.

ლიტ.: გიორგაძე ბ., XVII საუკუნის დასაწყისის პორტუგალიელი ელჩის დონ ანტონიო დე გოვეას რელაციონი საქართველოზე, წგ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1970. *ბ. გიორგაძე.*

გოზალიშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე (15. XI. 1900, სოფ. ბოდბისხევი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 30. VII. 1988, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1931), პროფესორი (1936), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1962). 1927 დაამთავრა თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი ისტ. განხრით. ი. ჯავახიშვილის წარდგენით დატოვეს თსუ-ში, რათა ბიზანტინოლოგიის დარგში საპროფესოროდ მოემზადებინათ (ხელმძღვ. ს. ყაუხჩიშვილი). 1930-იდან მუშაობდა თსუ-ში. 1943–47 ისტ. და ფილოლ. გაერთიანებული ფაკ-ტის დეკანი იყო, იმავდროულად განაგებდა ძვ. ისტ. და ბიზანტინოლოგიის კათედრებს. 1930–54 მუშაობდა საქართვ. სხვადასხვა პედ. ინ-ტში. იკვლევდა ბიზანტია-საქართვ. ურთიერთობის საკითხებს, ტრაპიზონის იმპერიის ისტ. ცალკეულ მომენტებს, პონტო-კაპადოკიაში მოსახლე ქართვ. ტომების

ეთნოგენეზის პრობლემებს და მათ წვლილს ბიზანტ. ისტორიაში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1–3, თბ., 1935–76; ძველი ისტორიის ქრესტომათია, ტ. 1–2, თბ., 1951–58; ჯვაროსანთა IV ლაშქრობა და ბიზანტია, «თსუ შრომები», 1960, ტ. 87; მითრიდატე პონტოელი, გამოც. მე-2, თბ., 1965; ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან, თბ., 1965 (იგივე რუსულად, 1967); ქართლის მოქცევის პრობლემა და ბაკური, თბ., 1974.

გოზალიშვილი შალვა ნიკოლოზის ძე (4. I. 1909, სოფ. ბოდბისხევი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 10. VIII. 1993, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1967), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1985). დაამთავრა თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი (1930), იყო II მსოფლიო ომის მონაწილე. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართვ. სახელმწ. საჯარო ბ-კაში, საქართვ. სახელმწ. მუზეუმის (ახლანდ. საქართვ. ეროვნ. მუზეუმი) ხელნაწერთა განყ-ბაში, საქართვ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინ-ტში (ახლანდ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი), თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტში, შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ინ-ტში. უმთავრესად იკვლევდა XIX–XX სს. ქართ. მწერლობის საკითხებს.

თხზ.: ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები, თბ., 1951; 1905–07 წლების რევოლუცია და იროდიონ ევდოშვილი, თბ., 1955; იროდიონ ევდოშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1961; ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები, თბ., 1973; ეგნატე ნინოშვილი, თბ., 1985.

გოზაური, ღვინისა და არყის ჩასასხმელი მოზრდილი თიხის ჭურჭელი (იყენებდნენ საწყაოდაც). იტევდა 1,5–2 თუნგ, ე. ი. 4,5–7,2 ლ (3—4 *ბელადა*) სითხეს (თეიმურაზ ბაგრატიონი). ადრე გავრცელებული იყო მთელ საქართველოში, XIX ს-იდან კი – უმეტესად ქართლ-კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმში.

გ. ზოგჯერ მოჭიქულია, აქვს სწორი, მაღალი ყელი, მრგვალი, იშვიათად ძირისკენ შევიწროებული მუცელი, უტუჩო პირი და ბრტყელი ყური. ხშირად შემკულია რელიეფური ორნამენტით (ცხოველების ან ფრინველების გამოსახულებები, გეომ. და მცენარეული მოტივები). ზოგიერთ გ-ზე გამოსახულია ქალის ფიგურა, რ-იც ნაყოფიერების ძვ. ქართ. ქალღვთაებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. აღმ. საქართველოში განთქმული იყო სოფ. ნინოწმინდაში (გარეკახეთი) დამზადებული მოჭიქული გ-ები. საქართვ. ეროვნ. მუზეუმში დაცულია გ-ების (მ. შ. გათხრებისას მოპოვებული გ-ები) მდიდარი კოლექცია.



გოზაური. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

ლიტ.: კერამიკა. მოჭიქული ჭურჭელი (ალბომი), თბ., 1964; ქართული ხალხური კერამიკა (კატალოგი), თბ., 1964. *რ. თოდუა.*

გოზინაჟი, საახალწლო ტკბილეული. წვრილად დაჭრილი და თაფლში მოხარშული ნიგოზი (იშვიათად ნუში ან თხილი). ახალი წლის მისალოცი ტაბლის – *აბრამიანის* ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი. საქართვ. ზოგიერთ კუთხეში (იმერეთი, რაჭა) გ. ჩურჩხელას ჰქვია. ქართვ. ხალხის ძვ. რელიგ. რწმენა-წარმოდგენით თაფლი და ნიგოზი წმინდა საკვებად ითვლებოდა და ,,ბატონებს'' (ბავშვთა ინფექციური დაავადება) კაკალს უკმევდნენ (ბაზმა), თაფლს კი საშობაო კორკოტში ურევდნენ. სვანეთში ლიფანალის დღეობაზე თაფლისა და რძის ნაზავს ასხურებდნენ ხოლმე იმ გზას, რ-ითაც, ვითომ, უკან ბრუნდებოდნენ მიცვალებულთა სულები.

ნ. რეხვიაშვილი.

გოზო, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ბელოთის თემში (შიდა ქართლის მხარე), ქნოღოს მთის სამხრ. კალთაზე, მდ. პატარა ლიახვის ზემოთში. ზ. დ. 2230 *მ*, ერედვიდან 28 *კმ*. 1989 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

გოთოთა, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის ხვწის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. დიდი ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 1280 *მ*, ჯავიდან 10 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 30 *კმ*. 4 მცხ. (1989).

გოთუა გიორგი სიმონის ძე (14. I. 1871, სოფ. ძიმითი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 13. I. 1936, ბელგრადი), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1918). 1902-იდან მსახურობდა 256-ე ლუნიბის და მე-8 კრასნოვოდსკის სარეზერვო ბატალიონებში. მონაწილეობდა 1904–05 რუს.-იაპონიისა და I მსოფლიო (1914–18) ომებში. თავდაპირველად მეთაურობდა ბატალიონს, შემდეგ კი რუს. საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობაში მყოფ ,,ღირსების საგანგებო ლეგიონს'' საფრანგეთში. მისმა ლეგიონმა მოკავშირეთა არმიებს შორის პირველმა გაარღვია სახელგანთქმული ,,ჰინდენბურგის ხაზი'', რისთვისაც მიიღო ,,საპატიო ლეგიონის'' ორდენი. 1918-იდან ემიგრაციაში (იუგოსლავია) წავიდა. დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენით და საფრანგეთის ,,სამხედრო ჯვრით''.

ლიტ.: Керсновский А. А., История русской армии, т. 1–4, М., 1992–94.

მ. გოგიტიძე.

გოთუა თამარ პართენის ასული (25. XII. 1919, თბილისი, – 15. I. 2007, იქვე), პირველი ფთიზიო-ქირურგი ქალი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი (1985), საქართვ. დამს. ექიმი (1975). 1940 დაამთავრა თბილ. სტომატოლოგიური ინ-ტი, 1948 კი – თბილ. სამედ. ინ-ტი. II მსოფლიო ომის მონაწილე; 1943–45 იყო მე-18 სადესანტო არმიისა და №714 ქირურგ. საველე ჰოსპიტლის ქირურგი. 1949–65 მუშაობდა ტუბერკულოზის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის გულმკერდის ქირურგ. განყ-ბაში, 1965–78 – ექიმთა დახელოვნების თბილ. ინ-ტის გულმკერდის ქირურგ. საპრობლემო ლაბორატორიაში. 1978–2000 იყო ქალაქის I კლინიკური საავადმყოფოს ფილტვის ქირურგ. განყ-ბის ხელმძღვანელი, 2000-იდან – ამავე განყ-ბის კონსულტანტი. გ. ავტორია მრავალი სამეცნ. შრომისა, რებიც ეხება გულმკერდის ქირურგ., ექსპერ. ფიზიოლ., ფთიზიატრიისა და პულმონოლოგიის აქტუალურ საკითხებს, და ორი ლიტერატურული ნაწარმოებისა (,,სიკვდილთან ჭიდილი'' და ,,თავგადასავალი ლევან გოთუასი'' – ორივე 1990). წლების მანძილზე იყო ვეტერან სპორტსმენ ქალთა საბჭოსა და

ექიმთა დახელოვნების თბილ. ინ-ტის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავ-რე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები (მ.შ. საბრძოლო) და ღირსების ორდენი (2001).

თხზ.: Биотоки головного мозга и сердца при резекциях легких у больных туберкулезом, «Труды VII всесоюзного съезда фтизиатров», М., 1966.

გოთუა ლევან პართენის ძე (10. III. 1905, თბილისი, – 30. I. 1973, იქვე, დაკრძალულია მცხეთაში, სამთავროს ტაძრის ეზოში), მწერალი. სწავლობდა თსუ-ის სოც.-ეკონ. ფაკ-ტზე. 1921 თებ-ში მოხალისედ წავიდა კოჯორში და შეუერთდა თბილისის დამცველებს. იყო ეროვნ.-დემოკრ. პარტიის წევრი და მისი ახალგაზრდული ფრთის ლიდერი. მონაწილეობდა 1924 აჯანყების მომზადებაში. ამავე წლის აგვისტოში დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. შვიდი თვის შემდეგ გაათავისუფლეს. 1925 აგვისტოში ხელახლა დააპატიმრეს, ერთხანს თბილ. და მოსკ. ციხეებში იმყოფებოდა, შემდეგ კი სოლოვეცკის საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს. პატიმრობა ვლადიკავკაზში (ჩრდ. ოსეთი) თავისუფალი გადასახლებით შეუცვალეს. გაქცევის მცდელობისათვის სასჯელი 1936-მდე გაუხანგრძლივეს. იყო ნარიმისა და ბიისკის საკონცენტრაციო ბანაკებში. II მსოფლიო ომის გამოცხადებისთანავე შექმნა იატაკქვეშა პოლიტ. ორგანიზაცია ,,საქართველოს ეროვნული თავდაცვის კომიტეტი'', რის გამოც 1946–55 კვლავ მოათავსეს ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკში. შემორჩენილია პატიმრობის დროინდელი ლექსები, დღიურები, ისტ. დრამა ,,სამსახეობა რაინდისა'' და, რაც მთავარია, ისტ. რომანი ,,გმირთა ვარამი'', რ-იც გ-მ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ გადაამუშავა და 1958–62 გამოსცა (II გამოც., წგ. 1–4, 1965–67).

ტეტრალოგია ,,გმირთა ვარამი'' მეტად მნიშვნელოვანია გ-ს შემოქმედებაში. მოქმედება ხდება XVI–XVIII სს. საქართველოში. აღწერილია ქვეყნის ყველაზე სისხლიანი ეპოქის ისტორია, ქართვ. ხალხის სულიერი სიმტკიცე, კახეთის მეფე ალექსანდრე II-ისა და მისი ოჯახის დრამატიზმით აღსავსე ცხოვრება. რომანში უხვად არის მოშველიებული ისტ. ფაქტები, ეთნოგრ. მასალა, გეოგრ. ცნობები; წარმოდგენილი არიან ისტ. პირები, კოლორიტული ხალხ. პერსონაჟები. რომანის ყველაზე ტრაგიკულ ეპიზოდებშიც კი მკაფიოდ ჩანს დაცემული ქვეყნის აღდგენის იმედი. ასევე საინტერესოა რომანი ,,მითრიდატე'' (1970, დასრულებულია მხოლოდ I წიგნი), რ-შიც აღწერილია ქართველური ტომების გაერთიანების დასაწყისი I ს-ში. ისტ. თემას გ-ს შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი ეთმობა. ამ თემაზეა დაწერილი დრამები: ,,მეფე ერეკლე'' (1942), ,,უძლეველნი'' (1943), ,,დავით აღმაშენებელი'' (1945), ,,სამსახეობა რაინდისა'' (1946); მოთხრობები: ,,კრწანისის სევდა'' (1941), ,,ყინწვისის ანგელოზი'' (1943), ,,ხანძთის ზარი'' (1945), ,,უგზო ქარავანი'' (1945), ,,სიბრძნე სიკვდილისა'' (1949). გ. მხოლოდ ისტ. თემით არ შემოფარგლულა. აღსანიშნავია ასევე რომანი ,,ლეკვი ლომისა'' (1963); მოთხრობები: ,,ნისლი ნახატარის ტყეში'' (1959), ,,ფიქრები თოკის კიბეზე'' (1960), ,,ფრესკის მეორედ დაბადება'' (1961) და სხვ. გამოქვეყნებული აქვს არაერთი პუბლიც. წერილი, საბავშვო მოთხრობა, ნოველა. მისი უკანასკნელი ნაწარმოებია ,,სერაფიტა'' (1973).

გ. ბევრს მოგზაურობდა, იყო მთამსვლელიც – დალაშქრული აქვს ბევრი მწვერვალი. მოგზაურობის შთაბეჭდილებები აღწერა ნარკვევების წიგნში ,,მგზავრული კრიალოსანი'' (1960).

ქართ. თეატრების სცენაზე (უმეტესად კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრში) იდგმებოდა გ-ს პიესები: ,,დავით აღმაშენებელი'' (1946, რეჟ. ვ. ტაბლიაშვილი), ,,მეფე ერეკლე'' (1963, რეჟ. გ. ლორთქიფანიძე) და სხვა. რომან ,,გმირთა ვარამის'' მიხედვით დაიდგა აგრეთვე ამავე სახელწოდების სპექტაკლი (1976, რეჟ. ა. ჩხარტიშვილი).

თხზ.: თხზულებათა კრებული 6 ტომად, თბ., 1975–82.

ლიტ.: გოთუა თ., გოთუა ა., თავგადასავალი ლევან გოთუასი, თბ., 1955; ნორაკიძე ვ., ლევან გოთუა. ფსიქოლოგიური პორტრეტი, თბ., 1976; ლევან გოთუა. ბიობიბლიოგრაფია, შედგ. კ. რამიშვილისა და რ. მეგრელიძის მიერ. ბიოგრ. ნარკვევი ს. ხუციშვილისა, თბ., 1976. *რ. ჩხეიძე.*


გოთუა პართენ ალექსანდრეს ძე (10. X. 1873, სოფ. ძიმითი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 2. V. 1936, თბილისი), მწერალი, პუბლიცისტი, პედაგოგი, ჟურნალისტ-გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა ნოვოროსიის (ოდესა) უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი. თხზულებისათვის ,,1889 წლის საფრანგეთის სათავადაზნაურო დარიგებები'' დააჯილდოვეს ოქროს მედლით და მიავლინეს საზღვარგარეთ. იმოგზაურა შვეიცარიაში, გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში. 4 თვე იმუშავა საფრანგეთში, ლუვრის საპარლამენტო არქივში. 1898 დანიშნეს ვლადიკავკაზის საქალაქო სასწავლებელსა და ქალთა გიმნაზიაში ისტ., გეოგრ., პედ. და მეთოდიკის მასწავლებლად. 1899 გ. იყო ვლადიკავკაზის ქართ. სკოლის ფაქტობრივი ხელმძღვანელი და ქართ. საზ-ბის თავ-რე. მისი თაოსნობით გაფართოვდა სკოლის შენობა, აშენდა სათეატრო დარბაზი, შეიქმნა ქართვ. მსახიობთა დასი და მომღერალთა გუნდი. 1903 გ-მ მუშაობა დაიწყო თბილისში ბეჭდვითი კომიტეტის ცენზორად, თუმცა მალე დაითხოვეს ,,არაკეთილსაიმედოობის'' გამო. 1905 დააარსა ქართ. ეროვნ. ორიენტაციის რუსულენოვანი გაზეთი *,,ჟოზროჟდენიე''*, რისთვისაც იდევნებოდა ხელისუფლების მიერ. გაზეთთან თანამშრომლობდნენ იმდროინდელი პროგრ. საზ. მოღვაწეები და მწერლები, მ.შ. ნ. ნიკოლაძე და ა. წერეთელი. 1907 გ. აირჩიეს ქალაქის საბჭოს ხმოსნად. როგორც ედპ-ის წევრი, იღვწოდა აჭარაში ქართ. სკოლების ქსელის გასაფართოებლად, თბილისში პოლიტექ. უმაღლესი სასწავლებლის დასაარსებლად. იყო *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* გამგეობის წევრი, შემდეგ კი – თავ-რე. გ. სიჭაბუკის დროიდან მოღვაწეობდა სალიტ. ასპარეზზე და აქვეყნებდა მოთხრობებს, თარგმანებსა და ნარკვევებს ჟურნალ-გაზეთებში (,,ცნობის ფურცელი'', ,,ჯეჯილი'', ,,ივერია'', ,,მწყემსი'', ,,კვალი'', ,,მოამბე'' და სხვ.). მის კალამს ეკუთვნის დრამები: ,,სიკვდილი'', ,,სამზადისი'', ,,კენჭისყრა'', ,,პარტიის კაცი'' და სხვ. გ-მ შეისწავლა ფინანს.-ეკონ. დარგი, აქტიურად მონაწილეობდა საქალაქო და ცენტრ. ბანკის დაფუძნებაში, რ-საც თვითონ ჩაუდგა სათავეში. გამოუშვა ქართ. გაზ. ,,სავაჭრო გზა'' და ,,ახალი დროება''; დასტამბა არაერთი ნაშრომი საქართვ. ეკონ. განვითარების საკითხებზე. იყო ქველმოქმედი (ეხმარებოდა ხელმოკლე ახალგაზრდა მწერ-



ლ. გოთუა.



პ. გოთუა.



ა. გოკიელი.



ე. გოკიელი.



ი. გოკიელი.

ლებსა და სტუდენტებს). დაიღუპა საგზაო კატასტროფის დროს. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე, მწერალთა ყოფ. პანთეონში.

დ. გურგენიძე. რ. ჩხეიძე.

გოიათა, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის არცევის თემში (შიდა ქართლის მხარე), შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. აბურის (მეჯუდის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 880 *მ*, ერედვიდან 15 *კმ*. 670 მცხ. (1989).

გოითეფე, მრავალფენიანი ნამოსახლარი გორა რეზაიეს (ურმიის) ტბის დას. ნაპირზე, ქ. რეზაიეს (ირანი) მახლობლად. გორის ფართობია 540*მ* × 450*მ*. 1948 გათხარა ინგლ. არქეოლოგმა ტ. ბარტონ ბრაუნმა. გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის 8 კულტ. ფენა. სავარაუდოა უფრო ადრეული ფენების არსებობაც. ქვედა ორი ფენა ენეოლითის ხანისაა. ქვევიდან მეორე (M) ფენაში აღმოჩნდა სწორკუთხა ნაგებობათა ნაშთები, ნამჯანარევი თიხისაგან ნაძერწი ანგობირებული და უმეტესად ყავისფრად მოხატული კერამიკა, ადრინდ. სამიწათმოქმედო კულტურებისათვის დამახასიათებელი ქვის, ძვლის ნაწარმი და სპილენძის 3 ნივთი. კავკასიის-მცოდნეობისათვის ყველაზე საინტერესოა მომდევნო (K) ფენა, რშიც არის როგორც ოთხკუთხა, ისე მრგვალი ნაგებობები. ეს ფენა მთლიანად შეიცავს ამიერკავკ. ადრინდ. ბრინჯაოს ანუ მტკვარ-არაქსის კულტ. მასალას. გ. ერთერთი პირველი ძეგლია, სადაც ეს კულტ. მასალა სტრატიგრაფიულ დაფენებაში აღმოჩნდა სხვა პერიოდის მასალასთან ერთად. ამ ფენის ზემოდან ბრინჯაოს ხანის რამდენიმე ფენაა. ზედა (A) ფენა გვიანდ. ბრინჯაოს – ადრინდ. რკინის ხანისაა (დაახლ. ძვ. წ. 1200).

ლიტ.: Brown T. B., Excavations in Azerbaijan. 1948, L.,[1951].

თ. კიღურაძე.

გოკიელი არჩილ პეტრეს ძე [14 (27). VIII. 1903, ქუთაისი, – 30. XI. 1985, თბილისი], ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1949), პროფესორი (1954), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1963). 1925 დაამთავრა თსუ-ის სოც.-ეკონ. ფაკტი. 1926–30 მუშაობდა საქართვ. სახელმწ. საგეგმო და საფინანსო ორგანოებში. 1928-იდან კითხულობდა ლექციებს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სააღრიცხვო და საფინანსო კურსებზე, შემდეგ კი – თბილ. საფინანსო-კოოპერაციულ ინ-ტში; 1933-იდან მოღვაწეობდა თსუ-ში, სადაც 1937–38 იყო ეკონ. ფაკ-ტის დეკანი, 1958–85 კი – სახ. მეურნეობის დაგეგმვის კათედრის გამგე. გ-ის სამეცნ. შრომებმა დიდი წვლილი შეიტანა საბჭ. ფინანსებისა და ვაჭრობის ეკონომიკის, აგრეთვე სახ. მეურნეობის დაგეგმვის პრობლემების შესწავლაში. მან იმ დროისათვის ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა საბჭ. ვაჭრობის არსის, ფუნქციებისა და როლის ყველაზე სრულყოფილი განმარტება. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მ. ჯიბუტი.

გოკიელი გაბრიელ იოსების ძე (1869, ახალციხე, – 18. II. 1958, ქუთაისი), ექიმი და საზოგადო მოღვაწე. 1898 დაამთავრა ხარკოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი და მუშაობა დაიწყო მოსკ. თერაპიულ კლინიკაში პროფ. ა. ოსტროუმოვთან. შემდეგ პარიზში ეუფლებოდა მკურნალობის ფიზიოთერაპიულ მეთოდებს. 1901-იდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ქუთაისში. გ. საქართველოში ფიზიოთერაპიული მეთოდებით მკურნალობის ერთ-ერთი პიონერი იყო. მისი თაოსნობითა და ნაწილობრივ მისივე სახსრებით ქუთ. აგრონ. ტექნიკუმთან აშენდა ამბულატორია და რამდენიმე-საწოლიანი საავადმყოფო, სადაც უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ ტექნიკუმის მოსწავლეებსა და პედაგოგებს, აგრეთვე ქუთ. დრამ. თეატრის მსახიობებს. გ. იკვლევდა ქართ. ხალხ. მედიცინის ისტ. საკითხებს, აბასთუმნის საკურორტო ფაქტორებს, აქვეყნებდა სამეცნ.-პოპულ. წერილებს. იყო ქუთ. საქიმო საზ-ბის ერთ-ერთი დამაარსებელი.

ლიტ.: მეფისაშვილი გ., თეატრის მოამაგე ექიმები, თბ., 1975; საყვარელიძე ს., გაბრიელ გოკიელი, თბ., 1973.

მ. შენგელია.

გოკიელი გია ვახტანგის ძე (დ. 7. I. 1941, თბილისი), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1982), საქართვ. მედ. მეცნ. აკად. წევრი (1994). 1964 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1981–88 იყო ამავე ინ-ტის ჰოსპიტალური ქირურგ. კათედრის პროფესორი, 1988–2002 – ქირურგ. სნეულებათა კათედრის გამგე, 1986–90 – ქალაქის მთ. ქირურგი, 1990–96 – კ. ერისთავის სახ. ქირურგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი, 2002-იდან საქართვ. სახელმწ. სამედ. აკად. გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის სამეცნ.-პედ. ცენტრის ხელმძღვანელია.

გ. შეისწავლის გულმკერდისა და მუცლის ღრუს ქირურგიის აქტუალურ საკითხებს. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომის, 2 გამოგონებისა და 5 სასარგებლო მოდელის. გამოქვეყნებული მონოგრაფიისთვის ,,მიოკარდიუმის მწვავე იშემია და გულის გადანერგვა'', მეცნიერთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1989). გ. არის ჟურნ. ,,კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიის'' დამფუძნებელი და რედაქტორი (1991-იდან). 1993 დააფუძნა ასევე საზ. ორგანიზაცია – ქირურგიის საქველმოქმედო ფონდი. დაჯილდოებულია აკად. გ. მუხაძის სამახსოვრო მედლით (1981) და ღირსების ორდენით (1999).

თხზ.: მკურნალობის ოპერაციული მეთოდის მნიშვნელობა კუჭის კიბოს დროს, თბ., 1971; ზოგიერთი ახალი მეთოდის დანერგვა მწვავე პერიტონიტების მკურნალობაში, თბ., 1988; მუცლის ღრუს ჭრილობები, თბ., 2003.

გოკიელი ელენე სტეფანეს ასული (25. VIII. 1918, თბილისი, – 26. XII. 1992, იქვე), სპორტსმენი (მძლეოსნობა, თარჯრბენი, სიგრძეზე ხტომა). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1946), სსრკ დამს. მწვრთნელი (1972), საქართვ. ფიზკულტ. და სპორტის დამს. მუშაკი (1972). 1939 დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპ. ინჟინერთა ინტი, 1956 – საქართვ. ფიზკულტ. ინ-ტი. სსრკ ჩემპიონი (1946) გამორბენით სიგრძეზე ხტომაში. სსრკ რეკორდსმენი 80 *მ*-ზე თარჯრბენში (მოსკოვი, 1949; ჰელსინკი, 1952). ევრ. ჩემპიონატის (1946, ოსლო) ვერცხლის პრიზიორი თარჯრბენში. 1969-იდან გარდაცვალებამდე იყო თსუ-ის ფიზ. აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ნ. გუგუშვილი.

გოკიელი ივანე (ვანო) რაფიელის ძე [9 (21). X. 1899, თბილისი, – 10. VII. 1972, იქვე], კომპოზიტორი და პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1969). 1931 დაამთავრა ლენინგრადის (სანქტ-პეტერბურგი) კონსერვატორია (ვ. შჩერბაჩოვის საკომპოზიციო კლასი). 1932–34 იყო საქართვ. კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პ/მგ მდივანი, 1938–42 – გამგეობის თავ-რე. 1933–36 – საქართვ. რადიოკომიტეტის მუს. გადაცემათა რედაქტორი, 1942–44 – თბილ. კონსერვ. დირექტორი. გ. საქართველოში სიმფ. ორკესტრის ერთ-ერთი ფუძემდე-

ბელია (1924–25). დაწერილი აქვს ოპერები: ,,პატარა კახი'' (1942, ა. წერეთლის ამავე სახელწ. პოემის მიხედვით, დაიდგა 1943, თბილისი), ,,წითელქუდა'' (1960, დაიდგა თბილისში, ვილნიუსში, ხარკოვსა და დონეცკში) და ,,ბროლის ქოში'' (ლირ.-კომიკური მუს. ზღაპარი შ. პეროს ,,გერიას'' სიუჟეტზე, 1964, დაიდგა 1965, თბილისი), სიუიტა ქორეოგრ. პოემიდან ,,ვეფხისტყაოსანი'' (1933) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: გ ე ლ ა ძ ე თ., ვანო გოკიელი, «საბჭოთა ხელოვნება», 1970, №1; П и ч х а д з е М. Я., Вано Гокиели, «Советская музыка», 1955, №7.

მ. გეღევანიშვილი.

გოკიელი ლევან პეტრეს ძე [20. XI (3. XII). 1901, ქუთაისი, – 4. I. 1975, თბილისი], მათემატიკოსი და ფილოსოფოსი, საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1961). ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1935), პროფესორი (1936), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1944). დაამთავრა თსუ (1924, მათ. ფაკ-ტის პირველი გამოშვების ერთადერთი კურსდამთავრებული). მუშაობდა თსუ-ში მათ. დაფუძნებისა და ისტ. კათედრის გამგედ (1934–70), აგრეთვე საქართვ. მეცნ. აკად. მათ. (1935–48) და ფილოს. (1948–53) ინ-ტებში. საქართვ. მათ. საზ-ბის პრეზიდენტი (1967–71). თავდაპირველად დაინტერესებული იყო ძირითადად მათემატიკის დაფუძნების პრობლემებით. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევისას იგი აანალიზებდა და კრიტიკულად აფასებდა სიმრავლეთა თეორიის პარადოქსების გადაჭრისა და მათემატიკური დაფუძნების ძირითად მიმართულებებს (ლოგიციზმი, ინტუიციონიზმი და ფორმალიზმი). შემდგომში მათ. ანალიზის ძირითად ცნებათა და დებულებათა ლოგიკურმა ანალიზმა, რ-იც მან საფუძვლად დაუდო კ. მარქსის მათ. ხელნაწერების შესწავლასა და კომენტირებას (მარქსი კ., მათემატიკური ხელნაწერები. თარგმანი და გამოკვლევა, თბ., 1947), გ. მიიყვანა ლოგიკის დაფუძნების პრობლემებისა და მისი აგების მეთოდის კვლევის აუცილებლობამდე. მან შეიმუშავა დიალექტ. ლოგიკის საკუთარი სისტემა, ე. წ. ძირეული დასკვნის თეორია, რ-იც, მისი აზრით, არის ლოგიკის განვითარების უმაღლ. საფეხური, ლოგიკისა და დიალექტიკის იგივეობის შესახებ თეზისის ხორცშესხმა, სიმრავლეთა თეორიის პარადოქსების გადალახვისა და ლოგიკის აგების ჭეშმარიტი მეთოდი. ამ კონცეფციის შემუშავებისას გ-ზე გავლენა იქონია ს. *წერეთლის* შეხედულებებმა. მისი ძირეული დასკვნა არის დებულების ჭეშმარიტების დადგენა იმის ჩვენებით, რომ მისი უარყოფა (უარყოფის ფაქტი) თავის თავში შეიცავს გარკვეული სახის ლოგიკურ შეუძლებლობას – რეგრესს უსასრულობაში. მაგ., უძველესი დროიდან ცნობილ არგუმენტს ჭეშმარიტების უარმყოფელთა წინააღმდეგ გ. ძირეული დასკვნის სახით ასე აყალიბებს: ის, ვინც უარყოფს ჭეშმარიტებას, ე.ი. ამტკიცებს მის არარსებობას, მან უნდა უარყოს ეს მტკიცება, შემდეგ იგივე გააკეთოს ამ შესწორების მიმართ და ა.შ. უსასრულოდ. გ-ის მიხედვით, ძირეული დასკვნა მხოლოდ ჰგავს აპაგოგიურ დასაბუთებას (დასაბუთების წინააღმდეგობაზე დაყვანით). ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ძირეული დასკვნა არის დებულების ჭეშმარიტების აბსოლუტური (უწინამძღვრო) დასაბუთება. გ-ის თანახმად, ჭეშმარიტება და მისი დადგენა-დასაბუთება ერთიანი პროცესის ორი მხარეა. ლოგიკა არის ფილოს. დისციპლინა, რ-იც შეისწავლის ჭეშმარიტებას, მისი დადგენა-დასაბუთების კანონზომიერებას. აქედან გამომდინარე, ლოგიკა არ შეიძლება აიგოს აქსიომატურ-დედუქციური მეთოდით, რადგან მეთოდის გამოყენებისას თავდაპირველად საჭიროა შემოვიღოთ აქსიომები, რ-ებიც საშუალებას მოგვცემენ გამოვიყენოთ უკვე შემოღებული აქსიომები და ა. შ. ამ ლოგიკურად ყალბი სიტუაციის დასაძლევად უნდა მივმართოთ ლოგიკის აგების ისეთ მეთოდს, რ-იც ნათელს გახდის, რომ ლოგიკის ძირითადი დებულებების ჭეშმარიტება მათივე საშუალებით დადგინდება. ეს თვითდადგენა ძირეული დასკვნით ხორციელდება. გ-ის აზრით, მათ. ანუ სიმბოლური ლოგიკა არ არის ლოგიკა, ის მათ. დარგია, თუმცა მასში ხდება ლოგიკის აპარატის მათ. გადამუშავება.

თხზ.: სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები, ტფ., 1934; მათემატიკური ანალიზის შესავალი, თბ., 1938; მათემატიკის საფუძვლები, თბ., 1957; О природе логического, Тб., 1958; Логика, т. 1–2, Тб., 1965–67.

ლიტ.: ჭ ო ღ ო შ ვ ი ლ ი გ., ლევან გოკიელი, თბ., 1976.

ლ. მჭედლიშვილი.

გოკიელი ფატი (ფატმან) გაბრიელის ასული [12 (25). VII. 1903, ქუთაისი, – 3. XII. 1973, თბილისი], ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი. ფილოლ. მეცნ. კანდიდატი (1948). დაამთავრა თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი (1924). ამზადებდნენ საპროფესოროდ, რისთვისაც იმავე წელს დატოვეს თსუ-ში იურიდ. განხრით (ხელმძღვ. ლ. *ანდრონიკაშვილი*). 1927 დაატოვებინეს უნ-ტი, რადგანაც უარი თქვა ლ. ანდრონიკაშვილის გაკრიტიკებაზე. 1938 ისევ თსუ-ის ასპირანტია, ამჯერად დას. ევროპის ლიტ-რის სპეციალობით. პირველი თარგმანი 1928 გამოაქვეყნა. იკვლევდა ფრანგ.-ქართულ და რუს.-ქართულ კულტ.-ლიტ. ურთიერთობების ისტორიას. კითხულობდა ლექციებს კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრთან არსებულ დრამ. სტუდიაში, ქუთაისის პედ. ინ-ტში, თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა ინ-ტში, თბილ. პედ. ინ-ტში. 1946–49 იყო ქუთ. პედ. ინ-ტის უცხო ენების კათედრის გამგე და ფაკ-ტის დეკანი. მის ნაშრომთაგან აღსანიშნავია ,,ბელინსკი და დასავლეთის რომანტიზმი'' (1958), ,,XIX საუკუნის ქართული პრესა და საფრანგეთის პროგრესული პუბლიცისტიკა'' (1961), ,,შუა საუკუნეების ფრანგული სოციალურ-პატრიოტული პოეზია'' (1962). თარგმნა ჰაინრიხ დერნბურგის ,,პანდექტების'' ზოგადი ნაწილი (1928) და მოლიერის ,,ძალად ექიმი'' (1936). დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. *დ. თევზაძე.*



ლ. გოკიელი.

გოკიელი ჯემალ ივანეს ძე (4. VIII. 1920, ქუთაისი, – 14. IV. 1991, თბილისი), დირიჟორი და პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1980). კომპოზიტორ ი. *გოკიელის* ვაჟი. 1943 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია საოპერო-სიმფ. დირიჟორის სპეციალობით (ო. *დიმიტრიადის*, მ. სტოლიაროვისა და ა. *გაუკის* კლასები, 1937-მდე ერთხანს, ე. *მიქელაძის* კლასშიც მეცადინეობდა). 1944–48 იყო თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის, ხოლო 1948-იდან – საქართვ. სახელმწ. სიმფ. ორკესტრის დირიჟორი. რეპერტუარში ჰქონდა მსოფლიოს კლასიკური და ქართ. მუსიკის საუკეთესო ნიმუშები. გ. იყო ქართვ. კომპოზიტორთა მრავალი ნაწარმოების პირველი შემსრულებელი (რ. ლაღიძის სიმფ. პოემა ,,სამშობლოსათვის'', ი. გოკიელის არაერთი ნაწარმოე-



ჯ. გოკიელი.

ბი და სხვ.). ავტორია რამდენიმე საორკესტრო ტრანსკრიფციისა. 1956–85 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. კონსერვ. საგუნდო-სადირიჟორო კათედრაზე.

გ. ტორაძე.

გოკიო, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ალასტანის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალქალაქის პლატოზე, მდ. გოკიოსწყლის (ჭობარეთისწყლის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1780 *მ*, ახალქალაქიდან 24 *კმ*. 549 მცხ. (2002).

გ. მდებარეობს ისტ. ჯავახეთში. სოფლის მახლობლად, ხევის მარცხ. ნაპირზე, ორი გორაა; დასით მდებარე უფრო ამოზიდული და ყელგადაჭრილია. მისი თხემი (ფართ. დაახლ. 150 *მ* × 70 *მ*) გალავნის ნანგრევითაა შემოზღუდული. გალავნის შიგნით სათავსების ნაშთებია. ანაკრეფ კერამ. ფრაგმენტებში ჭარბობს გვიანდ. ბრინჯაო – ადრინდ. რკინის ხანის ნატეხები. გალავნითაა გამაგრებული აღმ-ით მდებარე მეორე გორაც, რ-ის შიგნით ასევე მოჩანს სათავსების ნაშთები. ანაკრეფ კერამიკაში აქ წინარეფეოდალურთან ერთად ფეოდ. ხანის ნატეხებიცაა. ამჟამად სოფელში შემორჩენილია ორი ეკლესიის ნანგრევი, ადრე კი უფრო მეტი იყო. მომცრო ეკლესიის საკურთხეველში თავდაყირა დაუდგამთ სამხრ. შესასვლელის ბალავრის ქვა, რომელზეც აყვავებული ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. აქვე აწყვია ჯვრიანი ქვები და სამთაღიანი ბრტყელი ფილა. მეორე, დას-ით მდგარი, მოზრდილი ეკლესიის (20 *მ* × 12 *მ*) კედლები უკეთესად არის შემონახული. ნაგებია გათლილი ქვით. არქიტ. დეტალთაგან შემორჩენილია ოთხი პილასტრი. ორივე ეკლესიას გალავანი ჰქონია, რ-თა შიგნით საფლავის ქვებია (ცხენებისა და ვერძების ქანდაკებები). დიდი ეკლესიის სამხრ.-აღმ. კუთხესთან საფლავის ქვაზე გამოსახულია მამაკაცის ფიგურა, რ-საც მარჯვ. ხელში უჭირავს წრეში ჩასმული ჯვარი. რელიეფური წარწერის ნაშთზე იკითხება მხოლოდ ორი ასო-ნიშანი – ,,ე'' და ,,კ''. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით, 1595 სოფ. გ. შედიოდა ხერთვისის ლივის ტყიანი ჯავახეთის ნაჰიეში (რ-ნი), ცხოვრობდა 18 კომლი: მახარებელი, რუბენ ძე მისი, იოსებ ძმა მისი, ვარაზგულ ესტატესძე ქრისტესა, ძმა მისი, იმარინდო ჯვარასძე, ილარიონ ძე მისი, პაპუნა ძმა მისი, გიორგი მახარებლისძე, რევაზ ძმა მისი, ქაქუჩა, ზურაბ ძე მისი, ... ვეფხიასძე, მაზანა, სოზია ძე მისი, იორდანე, ბადურა ბეროზას ძე, ილო ძე მისი. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, სელის თესლი; ჰქონდათ ბოსტანი, ერთი თვალი წისქვილი, ერთი თვალი ზეთსახდელი; ჰყავდათ ღორი, ცხვარი, ფუტკარი და იხდიდნენ 15000 ახჩას წლიურად. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, XVIII ს-ში გ. იყო: ,,ქალაქი მცირე. მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი''. 1917 რევ. შემდეგ აქედან აყრილან ადგილ. მცხოვრები თარაქამები (ყარაფაფახები), რ-თაც თავიანთი სახლ-კარი ბორჯომის ხეობიდან ჩამოსული ოსებისათვის მიუყიდიათ. ოსებს ვერ აუტანიათ აქაური ჰავის სიმკაცრე და კვლავ გუჯარეთის ხეობაში დაბრუნებულან. ოსების შემდეგ აქ დასახლებულან სომხები და ახალციხის რ-ნიდან მოსული ქართველები. ამჟამად ამ სოფელში სომხ. მოსახლეობა ჭარბობს. ქართ. მოსახლეობის გვარებია: ტაბატაძე, ინასარიძე, ზაზაძე, ხუციშვილი და სხვ.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2, თბ., 1941; წგ. 3, თბ., 1958. *დ. ბერძენიშვილი.*

გოლათუბანი, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წიფის თემში (იმერეთის მხარე), მდ. ჩხერიმელის (ძირულის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს, ტორძულის შესართავთან. ზ. დ. 800 *მ*, ხარაგაულიდან 25 *კმ*, წიფიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. 483 მცხ. (2002).

გ. წერილობით წყაროებში პირველად დამოწმებულია 1711. აღნიშნულია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ დას. საქართველოს რუკაზეც (1743). გ-ს მოიხსენიებს აგრეთვე გერმ. მოგზაური ი. *გიულდენშტედტი*. 1711 გ. სააბაშიოს შემადგენლობაში შევიდა და ქართლის სამეფოს საზღვრებში მოექცა. 1751 ვახუშტი აბაშიძემ გ. გაათავისუფლა ყოველგვარი გამოსაღებლისაგან და ამავე სოფელში მდებარე წმ. გიორგის ეკლესიის სამსახური დააკისრა. აღმ. საქართვ. რუსეთთან შეერთების შემდეგ სოფელი გორის მაზრას ეკუთვნოდა, ხოლო 1846-იდან (ქუთ. გუბ. ჩამოყალიბებიდან) – შორაპნის მაზრას.

გ-ში შემორჩენილია კირქვით ნაგები XIX ს. დარბაზული ეკლესია და ნამოსახლარი. *თ. ბერაძე.*

გოლასკური, სოფელი სენაკის მუნიციპალიტეტის თეკლათის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ცივის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 10 *მ*, სენაკიდან 8 *კმ*. 360 მცხ. (2002).

გოლგოთა (ბერძნ. Golgotha <არამ. gūlgūetā, სიტყვასიტყვით – თავის ქალა), მთა, რომელზეც ჯვარს აცვეს იესო ქრისტე. იმ დროს გ. *იერუსალიმის* გარეთ იყო, ჩრდ.-დას-ით. ამჟამად ძვ. ქალაქშია მოქცეული. IV ს-ში გ-ზე იმპერატორ *კონსტანტინე I-ის* დედამ ელენემ ააშენა ტაძარი, სადაც დღეს უფლის საფლავის ტაძარია.

გ. არის სამონასტრო კომპლექსი, რ-იც იერუსალიმის სამ უმთავრეს მონასტერს აერთიანებს: გოლგოთის, უფლის საფლავისა და აღდგომის მონასტრებს.



გოლგოთის მთისკენ მიმავალი კიბეები. იერუსალიმი.

ქართველები დიდი ხნის წინათ დამკვიდრდნენ გ-ზე და მისი საკმაო ნაწილი, იქ არსებული ნაგებობების სახით, საუკუნეების მანძილზე მათ განკარგულებაში იყო. ქართველებს, საკუთრივ გ-ის ეკლესიის ერთი ნაწილის გარდა, სხვადასხვა დროს ეკავათ: ღვთისმშობლის სამლოცველო, მარიამ მაგდალინელის სამლოცველო, ჯვრის აღმოჩენის სამლოცველო და ე. წ. სამლოცველო გ-ის მთის ძირას. დასახელებული სამლოცველოების შესახებ ცნობები უაღრესად მწირია, ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან გ-ის წმ. საფლავის ბაზი-

ლიკას და მათი ცალკე გამოყოფა თითქმის შეუძლებელია.

გ-ის ტაძარი აშენდა იქ, სადაც ჯვარს აცვეს იესო ქრისტე. იგი 1010 დაანგრია ეგვიპტის სულთანმა ჰაქემმა. მის აღდგენაში აქტ. მონაწილეობა მიუღიათ ქართველებსაც, ამის გამო მათ გ-ზე გარკვეული უფლებები მოიპოვეს და ადგილიც დაიმკვიდრეს. ამას მოწმობს 1049 გადაწერილი ივლის-აგვისტოს ,,თვენი'' და ისიც, რ ომ, ხელნაწერის ანდერძის მიხედვით, მისი დამკვეთი იოვანე ,,გოლგოთელად'' მოიხსენიება. დაახლოებით 1050 ს-ქართვ. მეფემ *ბაგრატ IV-მ* ბიზანტიის კეისრისაგან გ-ზე მიიღო თხემის ნახევარი, სადაც ქართვ. ეპისკოპოსიც დანიშნა. 1308 ქართველებმა ბიზანტიის კეისრის დახმარებით ,,გოლგოთის სავანე თავიანთ კერძო საკუთრებად დაამტკიცებინეს ეგვიპტის მამლუკ სულთანსა''. 1320 გიორგი ბრწყინვალის მიერ ეგვიპტის სულთანთან გაგზავნილმა ელჩმა პიპა ერისთავმა შეძლო წმინდა საფლავის მთელი კომპლექსის გათავისუფლება, რის შემდეგაც ,,ბერძნებს და დანარჩენ ქრისტიანებს ქართველებისათვის უნდა ეთხოვათ, რომ წმინდა საფლავზე ლოცვის უფლება მიეღოთ... ასორმოცდაათი წლის განმავლობაში ქართველები მშვიდობიანად ფლობდნენ გოლგოთის თხემის მთელ სავანესამლოცველოს''. როგორც რუსი დიაკვანი ეგნატე 1391 აღნიშნავდა ,,ქართული წირვა იმართება გოლგოთაზე... გოლგოთის ძირში იბერიელების მიწაა და იბერიელთა ლოცვები იმართება. ფრანკები თავის წირვებს ქართველთა შემდეგ ასრულებენ''. გ-ის მფლობელობაში ქართველებს სომხები და ფრანცისკელები ეცილებოდნენ. სომხებმა წარმატება მოიპოვეს 1407. 1422-მდე იგი ხან ქართველების, ხანაც სომხების ხელში იყო. სულთანმა ჯაკმაკმა კი ეს საკითხი მეფე *ალექსანდრე I-ის* დროინდელ საქართველოსთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენა და გ. ქართველებს გადასცა.

ქართველებისათვის გ-ის წართმევა 1475 ფრანცისკელებმა სცადეს და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს. 1492 ადგილობრივი სასამართლოს განჩინებით გ-ის თხემი ორად გაიყო – ჩრდ. ნაწილი ქართველებს დარჩათ, სამხრ. კი – ფრანგებს. XVI ს. 10-იანი წლების დასაწყისში ფრანცისკელები გ-იდან გააძევა ბეენა ჩოლოყაშვილმა. ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ ხელნაწერში ბეენა გვამცნობს: ,,ნებითა ღმრთისითა აქა ფრანგთა გოლგოთა დავაგდებინე და მათი ყულა გარეთ



გოლგოთა. უფლის საფლავის ტაძარი. იერუსალიმი.

გამოუყარე – კანდელი და რაცა მათი იყო მე ცოდვილმა ბეენ ამინ''. იტალ. წყაროს მიხედვით, 1514 ფრანცისკელებმა რაღაც საშუალებით გამოისყიდეს ჯვარცმის ეკლესია. ეს ცნობა დასტურდება ნ. მარის მიერ გამოქვეყნებული ჯვრის მონასტრის ერთი აღაპით, რ-შიც საუბარია იმავე წელს ზოსიმე კუმურდელის მიერ გ-ის გამოსყიდვაზე. ქართველებისა და ფრანგების მეტოქეობა გ-ის გამო იმდენად ცნობილი და მწვავე ხასიათისა იყო, რომ შემდგომი პერიოდის ადგილობრივ (იერუსალიმის) და ქართ. ზეპირ თუ წერილობით წყაროებშიც კი აისახა.

ქართველების მდგომარეობა გ-სა და საერთოდ იერუსალიმში გაუარესდა XVI ს. I მეოთხედში, ოსმალების გაბატონების შემდეგ. მიუხედავად ამისა, კახთა მეფის *ლევანის* მიერ წარგზავნილმა ჯვარის მამა იოაკიმმა (1535 ან 1536) ,,საფლავი ქრისტესი დაქცეული და გოლგოთა'' აღაშენა. *ალექსანდრე II–ის* ჩარევით კი ოსმ. სულთანმა მურად III-მ გ-ის ქრისტეს საფლავის ეკლესია ქართველ ბერებს გადასცა. XIX ს. I ათწლეულში ,,გოლგოთას შუაზე ეპისკოპოსის საჯდომი სკამი'' ქართ. წარწერით უნახავს ,,ლავრენტი ბერს გოგელაძეს ოკრიბელს''. 1534–40 ლათინები ქართველებს ედავებოდნენ გ-ის თხემზე არსებული საკურთხევლის მფლობელობაში. XVI ს. დასასრულს გ-ზე ქართველების ყოფნას აღნიშნავდნენ პოლონელი ნ. რაძივილი და რუსი ტ. კორობეიკოვი. 1584 გ-ის ეპისკოპოსი ქართვ. ეპიფანე ყოფილა, XVII ს-ში – თეოდოსე მანგლელი (რევიშვილი), თუმცა ქართველთა წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა – ფრანცისკელებმა საერთო ენა გამონახეს ადგილობრივ ოსმალო მოხელეებთან და 1582-თვის ქართველებს გ-ზე მხოლოდ სამლოცველო შემორჩათ. XVII ს. 40-იან წლებში კი ქართველებმა საერთოდ მიატოვეს გ. და იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გადასახლდნენ.

ქართვ. მეფე-მთავრებისა და მოსახლეობის მიერ გ-თვის შესაწირავების, მოწყალების გაგზავნისა და ფინანს. დახმარების შესახებ ცნობები X ს-იდან მოიპოვება (კონსტანტინე პორფიროგენეტი). ქართველები გ-სა და ქრისტეს საფლავს აგრეთვე სწირავდნენ მიწებსა და სხვა ქონებას. იერუსალიმში, ყველა ქართ. ეკლესია-მონასტრის დაკარგვის მიუხედავად (XVII–XVIII სს. მიჯნა), შესაწირავების გაგზავნა და მოწყალების მოკრება გრძელდებოდა XIX ს-შიც.


გ. გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს მძიმე, ძნელ გზას, ტანჯვის გზას (,,გოლგოთაზე ასვლა'').

ლიტ.: მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, თბ., 1998; მ ი ს ი ვ ე, საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI–XVII სს.), თბ., 2008; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI–XVII სს.), თბ., 1962.

ე. მამისთვალიშვილი.

გოლგოთის სამლოცველო, სამლოცველო გოლგოთის მთაზე (იერუსალიმი), ქართველებს ეკუთვნოდათ XIV–XVI საუკუნეებში და ცნობილი იყო სხვადასხვა სახელით: ,,სამლოცველო გოლგოთის ძირში'', ,,სამლოცველო კალვარიის მთის ძირში'', ,,სამლოცველო, სადაც დაიკრძალა ადამი'', ,,სამლოცველო, სადაც დაკრძალულნი არიან ლათინთა მეფეები'', ,,წმ. იოანე მახარებლის სამლოცველო'', ,,წმ. საფლავის ეკლესიის ტალანები'', ,,წმ. ელენეს სამლოცველო''.

ლიტ.: ფერაძე გრ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები იერუსალიმში ქართველი ბერების და ქართული მონასტრების შესახებ, გ. ჯაფარიძის გამოც., თბ., 1995. *ე. ბამისთვალიშვილი.*



კ. გოლდონი.

გოლდონი (Goldoni) კარლო (25. II. 1707, ვენეცია, – 6. II. 1793, პარიზი), იტალიელი დრამატურგი, თეატრის რეფორმატორი. წერდა კომედიებს, ტრაგიკომედიებს, ინტერმედიებს, ლიბრეტოებს, სცენარებს, ლექსებს და სხვ. გ-ს შემოქმედება საქართველოში XIX ს. მიწურულს გახდა ცნობილი პიესით ,,ბუზღუნა კეთილისმყოფელი'', რ-იც 1879 იტალიურიდან თარგმნა ი. მაჩაბელმა. პიესა მაშინვე დადგა ქართ. დრამ. მუდმივმა დასმა სათაურით: ,,როგორც ჰქუხს, ისე არ სწვიმს''. განსაკუთრებით საინტერესოა ქართ. თემაზე დაწერილი პიესა ,,მშვენიერი ქართველი ქალი'', რ-იც პირველად 1761 ვენეციაში, სან ლუკას თეატრის სცენაზე დაიდგა, ხოლო მეორედ – თბილისში, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრში 1981 (დამდგმელი რეჟისორი ა. ვარსიმაშვილი). ეს დადგმა და პიესის იმავე წელს გამოცემული თარგმანი (იტალ.-ქართ. პარალელური ტექსტი, თარგმანი და წინასიტყვაობა ზ. სტურუასი) მიეძღვნა გ-ს დაბადებიდან 275 წლისთავს. ქართ. სცენაზე გ-ს არაერთი პიესა დაიდგა, მ.შ. აღსანიშნავია ,,ორი ბატონის მსახური'' (1946, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრი; 1970, კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. აკად. თეატრი), ,,სასტუმროს დიასახლისი'' (1952, კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრი), ,,საპატარძლო აფიშით'' (1942, რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრი) და სხვ. მისი პიესები დაიდგა აგრეთვე ბათუმის, გორის, ხაშურის, ჭიათურის თეატრებში. ქართულად თარგმნილია გ-ს მრავალი ნაწარმოები, ზოგი მათგანი რამდენჯერმე თარგმნა სხვადასხვა მთარგმნელმა. პიესებს თარგმნიდნენ ი. გრიშაშვილი, გოლა (გ. მუმლაძე), ა. ფრონისპირელი, დ. კასრაძე, გ. ყალაბეგიშვილი, ა. ფაღავა და სხვ. 1903 პ. უმიკაშვილმა თარგმნა იტალ. დრამატურგის პ. ფერარის პიესა ,,გოლდონი და მისი ახალი 16 კომედია''. შ. დადიანმა 1930 გ-ს პიესის ,,ცნობის-მოყვარენის'' მიხედვით დაწერა ორიგინ. პიესა ,,ცის, ბრის''.

თხზ.: Opere complete, v. 1–40, Venezia, 1907–57; Комедии, т. 1–2, М.–Л., 1959.

ლიტ.: Реизов Б. Г., К. Гольдони, Л.–М., 1957. *ზ. სტურუა.*

გოლეთიანი გიორგი ივანეს ძე [3 (16). I. 1903, სოფ. ნაკურალეში, ახლანდ. ცაგერის მუნიციპალიტეტი, – 21. VII. 1975, სოხუმი], აგროქიმიკოსი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1961), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1974). 1932 დაამთავრა მოსკ. კ. ტიმირიაზევის სახ. სას.-სამ. აკადემია. 1952–57 იყო ქუთ. სას.-სამ. ინ-ტის დირექტორი, 1954–59 – აგროქიმ. და ზოგადი მიწათმოქმედების კათედრის გამგე. 1959–75 – საქართვ. სუბტროპ. მეურნ. ინ-ტის ამავე სახელწოდების კათედრის გამგე. იკვლევდა დას. საქართვ. წითელმიწა ნიადაგის მჟავიანობის საკითხებს, ამ ნიადაგის გავლენას ჩაის კულტურაზე და სხვ. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები.

თხზ.: მინერალური სასუქების გავლენა ნიადაგის თვისებებსა და ჩაის პლანტაციის მოსავლიანობაზე, თბ., 1960.

გოლთეთი, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე), ქვემო ქართლის პლატოზე, მდ. ალგეთის მარჯვ. მხარეს. სათავო სოფელი. ზ. დ. 880 *მ*, თეთრი წყაროდან 15 *კმ*. 1,1 ათ. მცხ. (2002).

1987–88 სტიქიით დაზარალებული ლენტეხის რ-ნის სოფლებიდან გ-ში ჩამოსახლდა 300 ოჯახი.

გოლიათი, ბიბლიური პერსონაჟი, პალესტინის წინარე მოსახლეთა – რეფაიმთა (ანუ ბუმბერაზთა) შთამომავალი, რ-იც ორთაბრძოლაში შურდულით დაამარცხა ყრმა დავითმა, ისრაელის მომავალმა მეფემ, და სირცხვილისგან იხსნა თავისი ხალხი (მეფეთა, 17, 4). ქართ. ენაში სიტყვა ,,გოლიათი'' ბიბლიის გავლენით განსაკუთრებულად დიდი ტანის ადამიანის მნიშვნელობით დამკვიდრდა. ,,ქართლის ცხოვრებაში'' გ-ებად მოიხსენიებიან ქართვ. მეფეები: ადერკი (,,ტანით დიდი და გოლიათი'') და ამაზასპი (,,კაცი ძლიერი და გოლიათი'') და ბაყათარ ოვსი.

ზ. კიკნაძე.

გოლიანქი (ისტ. მაჩვთა), ახლანდ. სოფ. *ოლიანგი,* წალკის მუნიციპალიტეტში. ადრე მას, როგორც ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) რუკიდან ჩანს, მაჩვთა ერქვა. გ. თურქეთიდან XIX ს. I ნახევარში გადმოხვეწილმა და აქ დასახლებულმა ბერძნებმა შეარქვეს და ნიშნავს ტბის, გუბის ეკლესიას. სოფელში შემონახულია შუა საუკ. ეკლესია. თლილი ქვით შემოზღუდული გუბურის ნაწილი ეკლესიის ქვეშაა მოქცეული; მიწიდან ამოსული ნაკადული ეკლესიის ქვეშ გროვდება, შემდეგ გადმოდის ღია ნაწილში (გუბურა სავსეა კალმახებით, რის გამოც ეკლესიას ,,კალმახის საყდარსაც'' უწოდებენ). გუბურაზე დადგმული, გეგმით მართკუთხა, თლილი ქვით ნაშენი ეკლესია ფორმის მიხედვით ადრინდ. ქრისტ. ხანის ძეგლებს ჰგავს. თრიალეთის მოსახლ. რწმენით, კალმახი წმინდა თევზად ითვლება, მას დიდი მოწიწებით ეპყრობიან, სჯერათ ავადმყოფებზე მისი სასწაულებრივი ზემოქმედებისა და ხშირად მაგიურ თვისებებსაც მიაწერენ. ამჟამად აქ მამათა მონასტერია.

ეკლესიიდან დაახლ. 200 *მ*-ზე, მეორე კალმახიანი გუბურაცაა, მის ირგვლივ ძვ. ნაგებობის ნანგრევებია.

ლიტ.: ჩიქოვანი თ., თრიალეთი, თბ., 1976; Такайшвили Е. С., Археологические экскурсии, разыскания и заметки, в.4, Тфл., 1913.

გოლიაძე ლავრენტი (კოტე) ალექსის ძე (14. I. 1909, სოფ. მაკვანეთი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 6. VI. 1973, იქვე), საბჭოთა არმიის ავიაციის გენერალ-მაიორი (1958). 1931 დაამთავრა ბაქოს 26 კომისრის სახ. ქვეითთა სკოლა, 1938 – კიევის საავიაციო სკოლა, 1951 – კ. ვოროშილოვის სახ. უმაღლესი სამხ. აკადემია. მონაწილეობდა სსრკ-ფინეთის ომში (1939–40), II მსოფლიო ომში, აგრეთვე იაპონიის კვანტუნის არმიის განადგურებაში (1945). 1961–63 იყო საქართვ. სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსი, 1963-იდან – სსრკ სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს ინფორმაციის განყ-ბის უფროსი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ორდენები და მედლები. *ლ. დოლიძე.*

გოლიაძე შოთა კირილეს ძე (1. IX. 1925, სოფ. ცხემლისხიდი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 19. VIII. 2008, იქვე), აგრონომ-სუბტროპიკოსი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1993), საქართვ. დამს. აგრონომი (1979), საქართვ. სოფ. მეურნ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1994). 1953 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის სუბტროპ. კულტურების ფაკ-ტი. 1963–2006 ანასეულის ჩაის, სუბტროპ. კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნ. საწარმოო გაერთიანების სუბტროპ. კულტურების სელექციისა და გენეტიკის განყ-ბის გამგე იყო. ბ. იკვლევდა სუბტროპ. კულტურების სელექციის თეორ. და პრაქტ. საკითხებს, მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით გამოყვანილია სუბტროპ. კულტურების (ციტრუსები, ფეიხოა, აქტინიდია, ბამბუკი და სხვ.) 24 ახ. პერსპექტიული ჯიში და ფორმა; დარაიონებულია ლიმონის, მანდარინის, ბამბუკის ჯიშები. ბ. სამეცნ.-კვლ. საქმიანობასთან ერთად ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. იყო II მსოფლიო ომის მონაწილე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1999).

გოლიაძეები, ცირკის მსახიობთა ოჯახი. ი ვ ა ნ ე გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ძ ე (2. V. 1875, სოფ. გომი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 27. II. 1963, სოხუმი), ცირკის მსახიობი, ეკვილიბრისტი, აკრობატი, მუშაითი, კლოუნი, ქართ. საცირკო გუნდის ერთ-ერთი ორგანიზატორი. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ძვ. ქართ. ხალხ. საცირკო ხელოვნ. ტრადიციათა აღორძინებასა და დამკვიდრებაში. 1900 რუსეთში პირველმა დაიწყო ველოსიპედით მავთულზე სიარული. რვა წლის ასაკიდან ცირკის მანეჟზე გამოდიოდა 1943-მდე. 1943–52 იყო საოჯახო საცირკო დასის მხატვრული ხელმძღვანელი. 1952-იდან საბოლოოდ დატოვა ცირკი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდო.

დ ა რ ი ა ს ტ ე ფ ა ნ ე ს ა ს უ ლ ი – ეკვილიბრისტი, ი. გოლიაძის მეუღლე. ნ ი კ ო ლ ო ზ ი ვ ა ნ ე ს ძ ე გოლიაძე – ეკვილიბრისტი, აკრობატი, ტანმოვარჯიშე, საქართვ. სახ. არტისტი (1980), ივანე და დარია ბ-ის ვაჟი. მანეჟზე გავიდა 1913-იდან. ვ ე რ ო ნ ი კ ა ი ვ ა ნ ე ს ა ს უ ლ ი – ეკვილიბრისტი, ივანე და დარია ბ-ის ქალიშვილი. ცირკის მანეჟზე გამოდიოდნენ აგრეთვე ნიკოლოზის მეუღლე ა დ ა და ძმისშვილი ს ო ფ ი ო, ნიკოლოზის შვილი ს ვ ე ტ ლ ა ნ ა, საქართვ. დამს. არტისტი (1968), რ ა ფ ა ე ლ ა და თ ა მ ა რ ი.

ბ., ცნობილი ეკვილიბრისტები, საგასტროლოდ იყვნენ ჩინეთში, ირანში, რუმინეთში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში და სხვ. II მსოფლიო ომის დროს ბ-მა 1000-მდე კონცერტი გამართეს.

ა. გვენცაძე.

გოლისი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლების *დიდი გოლისისა* და *პატარა გოლისის* გავრცელებული სახელწოდება. წერილობით წყაროებში პირველად XV ს-ში იხსენიება.

გოლიცინი გრიგოლ სერგეის ძე (1838, ვლადიმირის გუბ., – 1907), კავკასიის მთავარმართებელი 1897–1904; რუსეთის იმპერიის არმიის ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, განათლება მიიღო პაჟთა კორპუსში და გენშტაბის ნიკოლოზის აკადემიაში. მსახურობდა კავკასიის არმიის მთავარ შტაბში. მეთაურობდა სხვადასხვა ნაწილებს, მ. შ. გრენადერთა მე-14 ქართ. პოლკს. 1885 სენატორი გახდა. 1893 სახელმწ. საბჭოს წევრად დანიშნეს. ბ., როგორც რუს. კოლონ. რეჟიმის ტიპური წარმომადგენელი, უხეში ფორმებით ცდილობდა ამ რეჟიმის ინტერესების ცხოვრებაში გატარებას. იგი გულმოდგინედ ადგენდა ამიერკავკასიაში ე. წ. ,,ჭარბი მიწების'' სიებს სოფლების დასაარსებლად რუსეთიდან ამიერკავკასიაში გადმოსახლებულთათვის.

1898 წ. 28 სექტ. ბ-მა დაამტკიცა საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებული ,,დროებითი წესები'', რ-შიც იგი მთლიანად უგულებელყოფდა ადგილ. მცირემიწიანი მოსახლეობის უფლებებსა და ინტერესებს. მის მიერ შედგენილი დოკუმენტები მოწმობს რუს. იმპ. მიგრაციული პოლიტიკის რეაქციულ არსს. ბ-ის პოლიტიკა იმდენად აღიზიანებდა ამიერკავკ. ადგილობრივ მოსახლეობას, რომ მას თავს დაესხნენ და დაჭრეს, რის შემდეგაც საიმპერიო ხელისუფლება იძულებული გახდა 1905 დასაწყისისათვის იგი კავკასიიდან გაეწვია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970; ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე დ., რუსული დასახლებები საქართველოში (XIX–XX სს.), წგ.: რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008 (ავტ. კოლექტივი); Кавказский календарь на 1898, отд. III – Адрес-календарь.

გ. გ. ლორთქიფანიძე.

გოლმგლატი ოსკარ ედუარდის ძე (14. VIII. 1843 – 9. I. 1898, თბილისი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1897). დაბადა ბორჩალოს მაზრაში, გერმ. კოლონისტების ოჯახში. 1862-იდან მსახურობდა სამხ. იუსტიციის ორგანოებში. მონაწილეობდა 1877–78 რუს.-ოსმ. ომში. 1883–88 მსახურობდა კავკ. სამხ. საოლქო სასამართლოს სამხ. პროკურორად, 1894–98 ამავე სასამართლოს თავ-რე იყო.

დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის, წმ. ანას და წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

მ. გოგიტიძე.

გოლოვინი ევგენი ალექსანდრეს ძე (1782–1858), კავკასიის მთავარმართებელი (1838–42), რუსეთის იმპერიის არმიის ინფანტერიის გენერალი (1839). დაამთავრა მოსკ. უნ-ტი. 1797-იდან სამხ. სამსახურში იყო. მონაწილეობდა საფრანგეთ-რუსეთის (1812), რუს.-ოსმ. ომებში (1806–12; 1828–29). 1838–42 მეთაურობდა ცალკე კავკ. კორპუსს. ატარებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას. განამტკიცა რუს. გავლენა კავკასიაზე. აქტ. საომარ ოპერაციებს მართავდა შამილის წინააღმდეგ. ხელმძღვანელობდა გზათა მშენებლობასა და სიმაგრეთა აგებას შავი ზღვის სანაპიროზე, საქართვ. სამხ. გზაზე, ჩაჩნეთსა და დაღესტანში. 1838 მაისში საძირკველი ჩაუყარა ნოვოროსიისკის ნავსადგურის მშენებლობას. მისი მმართველობის დროს, 1841, იფეთქა გურიის გლეხთა აჯანყებამ, რ-იც სასტიკად ჩაახშეს. აჯანყების მეთაურების მიმართ მთავარმართებლის მიერ გამოტანილი განაჩენი იმდენად მკაცრი იყო, რომ ნიკოლოზ I-მა იგი საგრძნობლად შეარბილა. 1845–48 ბალტიისპირეთის გენ.-გუბერნატორი იყო. 1917 ოქტ. რევოლუციამდე მისი სახელი ერქვა ახლანდ. რუსთაველის პროსპექტს.

თხზ.: Очерк положения военных дел на Кавказе с нач. 1838 г. по конец 1842 г., Рига, 1847.

ლიტ.: Т о л с т о й Ю. В., Очерк жизни и службы Е. А. Головина, კრ.: Девятнадцатый век, изд. П. Бартеневым, кн.1, М., 1872.

გოლოვინოს სამაროვანი, ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლი სოფ. გოლოვინოს მიდამოებში (სომხ. რესპ.). გამოვლინდა რამდენიმე სამაროვანი: 1. 1929, 1950 გათხარეს ძვ. წ. VIII–VII სს. კრომლეხები. აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის იარაღი (სატევრები, დანები, შუბისპირები), ბრინჯაოს



შ. გოლიაძე.



გ ო ლ ი ა ძ ე ე ბ ი. ეკვილიბრისტები თავისუფალ კიბეზე.

სამკაული (სამაჯურები, რგოლები, ხატისუღლები, საკიდები, სარტყელი, მძივები), პასტისა და ქვის მძივები, ბრინჯაოსა და თიხის ჯურჯელი. 1950 იქვე გათხარეს ორმოსამარხი, რ-შიც ადამიანისა და ცხენის ჩონჩხები იყო; 2. აღნიშნული სამაროვნიდან 500 *მ*-ზე აღმოჩნდა პირველი საუკუნეების სამარხები. გათხარეს აგრეთვე ძვ. წ. VIII–VII სს. 2 აკლდამა, რ-ებშიც შავპრიალა თიხის ჯურჯელი იყო.

გ. ს-ში გამოვლენილი მასალა თრიალეთის სინქრონული ძეგლების მსგავსია.

ლიტ.: Мартиросян А. А., Раскопки в Головино, კრ.: Археологические раскопки в Армении, Ер., 1954,№ 4.

ლ. ფანცხავა.

გოლოვნია ლევ ვასილის ძე (26. I. 1893, ქუთაისი, – 22. IX. 1969, თბილისი), საქართველოში სპორტული ფარიკაობის პიონერი, ეროვნებით უკრაინელი. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1943), საქართვ. ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამს. მუშაკი (1961), სსრკ დამს. მწვრთნელი (1957), სპორტის საპატიო მსაჯი (1955), სამონადირეო ძაღლების მსაჯი და ექსპერტი. 1912 დაამთავრა ქუთ. კლასიკური გიმნაზია. 1919–23 სწავლობდა თბილ. კონსერვატორიაში (ვოკალის განხრით). 1919–22 იყო თბილ. ,,სკაუტის'' ორგანიზაციის ხელმძღვანელი, 1922 – პირველი ქართ. დივიზიის ფიზაღზრდის ინსტრუქტორი. 1932 დაამთავრა აზერბ. ფიზკულტ. ინ-ტი. 1935–36 აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტში განაგებდა ფარიკაობის კათედრას. 1937-იდან, თბილისში ფიზკულტ. ინ-ტის დაარსების დღიდან, 1964-მდე იყო ამ ინ-ტის ფარიკაობის კათედრის გამგე. მისი მრავალრიცხოვანი გამოკვლევებიდან აღსანიშნავია საფარიკაო ფაზის ჩაწერის გრაფ. მეთოდი (1938). *ვ. ელაშვილი.*

გოლცევი ვიქტორ ვიქტორის ძე [15 (28). VII. 1901, მოსკოვი, – 9. V. 1955, იქვე], რუსი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე. სწავლობდა ბრიუსოვის სახ. უმაღლეს ლიტ.-მხატვრულ ინ-ტში (1923-მდე). პირველი ნაწარმოები 1923 გამოაქვეყნა. XX ს. 30-იანი წწ. დასაწყისიდან გაიტაცა ქართულმა ლიტ-რამ. იყო ქართ. ლიტ-რის კარგი მცოდნე და პოპულარიზატორი. ავტორია რამდენიმე წიგნისა და 50-ზე მეტი სტატიისა ქართ. ლიტ-რის შესახებ. მანვე შეადგინა ანთოლოგია ,,ქართული პოეზია'' (რუს. ენაზე, 1949). საგანგებო ნაშრომები მიუძღვნა შოთა რუსთაველის (მონოგრაფია), დ. გურამიშვილის, ი. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, ა. წერეთლის, ა. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ე. ნინოშვილის, ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის (მონოგრაფია), ს. ჩიქოვანის, ი. გრიშაშვილის, ა. მირცხულავას, კ. კალაძის, ლ. ქიაჩელის, კ. გამსახურდიას, ს. კლდიაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, ა. ქუთათელისა და სხვა თანამედროვე მწერალთა შემოქმედებას. გ. იყო რედაქტორი, შემდგენელი, წინასიტყვაობის ავტორი და კომენტატორი ქართვ. მწერალთა 80-მდე რუსულად გამოცემული წიგნისა. საქართველოს დაუკავშირა რუსი მწერლები: ნ. *ზაბოლოცკი,* ა. *მეჟიროვი,* მ. ლუკონინი და სხვები. იყო ჟურნ. ,,დრუჟბა ნაროდოვის'' რედაქტორი. ამ პერიოდის ჟურნალის ფურცლებზე გაფართოვდა ქართ. თემატიკა და თანამშრომლობა ქართვ. ავტორებთან. გ-ს თითქმის მთელი საქართველო ჰქონდა შემოვლილი. ამ მოგზაურობის შედეგად დაწერა მრავალი ნარკვევი (,,სავანე'', ,,სინათლე'' და სხვ.).

თხზ.: შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1941; სინათლე, თბ., 1948; Литературно-критические статьи, Тб., 1957; Статьи и очерки, М., 1958.

ლიტ.: მარგველაშვილი გ., ვ. გოლცევის წერილები და ნარკვევები, «მნათობი», 1959, №8; მისივე, მტკვარდალეული, «ლიტერატურული საქართველო», 1971, 10 სექტ.; მისივე, Мастер дружбы, წგ.: Несгорающий костер, Тб., 1973; Тихонов Н., Большой характер, «Дружба народов», 1961, №12. *გ. მარგველაშვილი.*

გომა, მთა შავშეთის ქედის ჩრდ. განშტოებაზე, მდინარეების ტბეთისა (ჩირუხისწყლის მარცხ. შენაკადი) და დიდღელის (მერისის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფზე, შუახევის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 2360 *მ.* აგებულია პალეოგენური ვულკანური ქანებით (ტუფ-ბრექჩიები, ტუფები, ანდეზიტური განფენი). გ. გუმბათის ფორმისაა. კალთები ციცაბოა, დაფარული ფართოფოთლოვანი ტყეთ; წვერზე სუბალპ. მდელოა.

დ. უკლება.

გომანი, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ზაკვის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალქალაქის პლატოზე, მდ. მეჯურის (ბარალეთისწყლის შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1780 *მ,* ახალქალაქიდან 13 *კმ.* 1,5 ათ. მცხ. (2002).

გ. მდებარეობს ისტ. ჯავახეთში. სოფლის ნამდვილი სახელია გომი. ყოფილა დიდი და პატარა გომი, ამიტომ გ. შეიძლება მრავლობითის მანიშნებელიც იყოს. საქართველოში სახელწ. ,,გომი'' ხშირად გვხვდება. მას მსხვილფეხა რქოსანი საქონლის საზამთრო მიწური სადგომის მნიშვნელობაც აქვს. გ-ის მახლობლად, ყელგადაჭრილ ქედზე, გამაგრებული გორაკია, რ-საც გალავნის ნაშთი და ნასადგომევის ბუდეები შერჩენია. ანაკრეფი კერამ. ფრაგმენტები გვიანდ. ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ხანისაა. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით, 1595 ამ სოფელში 25 კომლს უცხოვრია: სალუყაზანისძე, ქავთარა ბევროზასძე, იმედა ქაიმაროზისძე, ბევროზას შვილიშვილი, მახარებელი, ოქროპირ მღვდლის შვილი, ფრიდონა ფერაზასძე, ზესელა ზაქარასძე, იორდან, ძმა მისი, გულას შვილიშვილი, მახარებელ მარცვალასძე, ისაკა, მახარა, ძმა მისი, პაპუნა ისაკასძე, ელისა მღვდელი, მამუკას შვილიშვილი, იორამ, მერაბა, ბატატა გოშფარასძე, ზესელა ძმა მისი, დათუნა კვირიკასძე, რევაზ, სუმბატა შოთასძე, ელია სურხანისძე. მათ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, სელის თესლი, ჰყავდათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი, ჰქონიათ ბოსტნები, ერთი თვალი წისქვილი. მათი წლიური გადასახადი 6000 ახჩა ყოფილა. 1704–05 სოფ. გომი ახალქალაქის ლივაში შემავალ აკშეჰირის ნაჰიეს (რ-ნი) ეკუთვნოდა და მისი გადასახადი 8000 ახჩას შეადგენდა. 1863 საბუთში დიდი და პატარა გომია დასახელებული, მაგრამ პატარა გომი უკვე გაუკაცრიელებული ყოფილა. 1870 გომში 51 კომლი ცხოვრობდა (1830 აქ სომხ. მოსახლეობა გადმოსახლებულა ერზურუმის მხრიდან). გ-ის ეკლესია 1846 არის აგებული, ძვ. სასაფლაოზე შერჩენილია ქვის ყოჩი და გუმბათიანი ეკლესიის მაკეტი. ახ. სომხ. ეკლესიის კედელში დაუყოლებიათ ძვ. ქართ. ეკლესიის ქვაჯვარის ბაზისი.

წყარო: ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, ც. აბულაძისა და მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979; ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2, თბ., 1941; წგ. 3, თბ., 1958.

დ. ბერძენიშვილი.

გომარდული, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტის ბარათაულის თემში (აჭარის არ), მდინარეების აჭარისწყლისა და ვანისწყლის (ნაღვარევის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფის ჩრდ. კალთაზე.

ზ. დ. 1120 *მ*, შუახევიდან 23 *კმ*. 506 მცხ. (2002).

გომარეთი, სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე), გომარეთის (ისტ. ზურტაკეტის) პლატოზე. თემის ცენტრი (სოფლები: გ., კაკლიანი, მამულა, ჩათახი). ზ. დ. 1380 *მ*, დმანისიდან 30 *კმ*. 976 მცხ. (2002).

გ. ადრე შედგებოდა ორი სოფლისაგან – *დიდი გომარეთისა* და *პატარა გომარეთისაგან*. გაერთიანდა მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტ. განვითარების შესახებ 1999 მიღებული კანონის საფუძველზე.

გ-ის მოსახლეობა ქართულია (გადმოსულია სხვადასხვა დროს ჯავახეთიდან, ქართლიდან, იმერეთიდან, კახეთიდან და სამეგრელოდან). მიუხედავად მკაცრი ჰავისა, ზურტაკეტის პლატოზე და საკუთრივ გ-შიც ადამიანის ცხოვრების, მისი შემოქმედების კვალი უძველესი ხანიდან ჩანს. მოსახლ. უძველესი ნაკვალევი აქ დასტურდება მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ. წ. IV ათასწლ. II ნახ. – III ათასწლ.) დროიდან, ამასვე ადასტურებს ნეოლითური ხანის ცალკეული ნივთები, ენეოლითური ხანის ნამოსახლარი, ადრე ბრინჯაოს ხანის უდიდესი ყორღანები; აღსანიშნავია გვიანდ. ბრინჯაოს – ადრე რკინის ხანის სამაროვნები (ორმოსამარხები); ადრეანტიკური და ელინისტური ხანის სამარხები (ქვაყუთები, ორმოსამარხები); მშრალი წყობით (ციკლოპური) ნაგები სხვადასხვა დროის კედლები; ადრე და შუა ფეოდ. ხანის საკულტო-მემორიალური დანიშნულების ძეგლები (ქვასვეტი); განვითარებული და გვიანდ. ფეოდ. ხანის ბევრი ეკლესია, მონასტერი, ციხე და სოფელი, ნაეკლესიარი, ნაციხარი, ნასოფლარი, ნაქალაქარი, ნაწისქვილარი.

შუა საუკ. მატერ. კულტ. ძეგლების სიმრავლით გ. და მისი შემოგარენი ყველაზე მდიდარია ზურტაკეტის პლატოს სხვა სოფელთა შორის. ეს ძეგლებია სხვადასხვა სახისა და დროის დარბაზული ეკლესიები. აქ თავმოყრილი ქვასვეტებიდან ბევრი სხვადასხვა ადგილიდანაა გადმოტანილი.

დიდ გომარეთში 5 ეკლესიაა: ერთი XIII–XIV სს. წმ. გიორგის პატარა დარბაზული ეკლესია, ნაგებია სუფთად გათლილი ქვით (ერთგან ძვ. სტელის ფრაგმენტია ჩაყოლებული). გადახურულია ქვისავე ფილებით (ლორფინებით), იატაკი კირის ხსნარით შედუღაბებული ქვისა აქვს. ძვ. კანკელის ადგილზე სხვადასხვა დროის მოხატულობით, ასომთავრული და მხედრული წარწერებით შემკული გვიანდ. ხანის ხის კანკელია. ეკლესიას ჩრდ-ით მთელ სიგრძეზე აქვს გვიანდ. მინაშენი, რ-იც ეკლესიას ორი თაღით უერთდება. მინაშენზე სამრეკლოს ოთხსვეტიანი ფანჩატურია აღმართული. სამხრ. კარის ბალავარზე ჯვარია ამოკვეთილი, წარწერები გადაშლილია. მინაშენის ჩრდ. კარის თავზე ამხედრებულ წმ. გიორგის რელიეფს აქვს ასომთავრული წარწერა. სარკმლის ჩარჩოები მოჩუქურთმებულია.

მეორე, ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია სოფლის შუაგულში აგებულია 1014–22, დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე. შემოსილია მოყვითალო ქვიშაქვის თლილი კვადრებით. ჩუქურთმით მოჩარჩოებულ ბალავრის ქვაზე, ამოკვეთილია ჯვარი და ასომთავრული წარწერები, ერთ-ერთში მოხსენიებულია ლიპარიტ ერისთავთერისთავი და შვილნი მისნი, მეორეში – გიორგი აფხაზთა მეფე და ეკლესიის მაშენებელი ,,მიქელ ხუც კალატოზი‘‘. წარწერაში ნათქვამია, რომ ეკლესიის ბალავარი დაუდევთ მაშინ, როდესაც ზვიად მარუშიანი შეიპყრო გიორგი აფხაზთა მეფემ (გიორგი I-მა). ეს ფაქტი სხვა ქართ. წყაროებში არ დასტურდება. ბალავრის აღმ. ნაწილის რელიეფზე ამოკვეთილია გველეშაპის პირიდან გამომავალი იონა. იქვე არის აგრეთვე ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებანი.

მესამე, დარბაზული ეკლესია ,,სიხუაანთ საყდარი‘‘ (აგებულია 1034) შემოსილია უხეშად დამუშავებული ქვით. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. კარის ბალავარზე გამოსახულია ჯვარი და ამოკვეთილია ასომთავრული წარწერები, სადაც მოხსენიებულია ლიპარიტ ერისთავთერისთავი და მისი შვილები.

მეოთხე, ,,ყიფიანთ საყდარი‘‘, დარბაზული ეკლესია, XII–XIII სს-ით თარიღდება. ნაგებია სუფთად გათლილი ქვით. გადახურულია ლორფინებით. სამხრეთის ერთადერთი კარის ბალავარზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი. ფასადის დას. ნაწილში XVII–XVIII სს. მხედრული წარწერაა (რესტავრ. 2007).

მეხუთე, ნატეხი ქვით ნაგები პატარა დარბაზული ეკლესია, ერთიანად დაქცეულია.

პატარა გომარეთის განაპირას დგას ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია, რომელსაც სამხრეთიდან გვიანდ. მინაშენი ეკვრის. ეკლესიის სამხრ. კარის არქიტრავის ასომთავრული წარწერის მიხედვით იგი აგებულია XI ს. I ნახევარში ლიპარიტ ერისთავთერისთავის მიერ. კედლები, აფსიდი და ცილინდრული კამარა ნაგებია კარგად გათლილი ქვით. პილასტრების კაპიტელები მარტივადაა პროფილირებული. ინტერიერში შემორჩენილია ქვის კანკელის ფრაგმენტები. აღმ., სამხრ. და დას. კედლებში თითო სარკმელია. ფასადები შემოსილია სუფთად გათლილი ბაზალტის კვადრებით.



დიდი გომარეთი. ,,ყიფიანთ საყდარი‘‘. XII–XIII სს. (რესტავრაციამდე).

მორთულობიდან აღსანიშნავია აფსიდის სარკმლის პროფილირებული თავსართი.

ეკლესიებით მდიდარია გ-ის მიდამოებიც. ისინი ყველა ერთნავიანია, მათგან აღსანიშნავია: VIII–IX სს. ბრტყელაფსიდიანი წმ. კვირიკეს ეკლესია კვირიკეთის მთაზე (ვახუშტი ბატონიშვილის განმარტებით, მთას სახელი ეწოდა წმ. კვირიკეს ეკლესიის გამო); ჭოჭიანის ეკლესია (განვითარებული შუა საუკ.); მეორე ეკლესია ჭოჭიანში (ცნობილია როგორც თამარის სამწირველო, შუა საუკუნეები), რ-ის სამხრ. კარის თავზე ამოკვეთილია ჯვარი. აღმ. ფასადზე ჩასმულ ფერად ქვაზე ასომთავრული წარწერაა: ,,თამარ ღმრთისა სწორის სამლოცველო‘‘. აქვეა XVIII ს. ეკლესია, თეთრი

საყდარი, XI ს. წმ. ნიკოლოზის ეკლესია.

სოფლის მიდამოებში მდებარეობს განვითარებული შუა საუკ. შოშილეთის ეკლესია და გვიანდ. სამრეკლო, მონასტერი ,,ლამაზი საყდარი'', კომპლექსი ეგრისი.

გ. მდიდარია საკულტო მემორიალური ძეგლებით (VI–IX სს. ქვასვეტები, ქვაჯვრები და



დიდი გომარეთი. ,,სიხუაანთ საყდარი''. 1034 (რესტავრაციამდე).

ქვაკაცები). სოფლის წივილაანთ უბანში, მცირე ბორცვზე, შეკრებილია მოზრდილი სტელების ფრაგმენტები, რ-ებზეც რელიეფურად გამოყვანილია მცენარეული ორნამენტები.

ლიტ.: მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაწ. I, თბ., 1977; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 4, თბ., 1972; რჩეულიშვილი ლ., ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები, თბ., 1994; Такайшвили Е., Археологические экскурсии, разыскания и заметки, в. 4, Тфл., 1913.

ნ. ალხაზიშვილი. დ. ბერძენიშვილი. პ. ზაქარაია.



ა. გ. გომართელი. ,,ვაზის დედა''. 1971. კერძო კუთვნილება.

გომაარეთის პლატო, ზურტაკეტის პლატო, ვულკანური პლატო საქართველოს სამხრეთი მთიანეთის აღმოსავლეთ პერიფერიაზე, მდ. შავწყაროსწყლის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) აუზში. დას-ით ესაზღვრება ჯავახეთის ქედი, ჩრდ-ით – კვირიკეთის ქედი, აღმ-ით – ხრამის ხეობა, სამხრ-ით – ლუკუნის მასივი. სიმაღლე 1200 – 1600 *მ.* აგებულია პლეისტოცენური დოლერიტული ლავებითა და მათთან გენეტიკურად დაკავშირებული ტბიურ-მდინარეული ნაფენებით, რ-ებშიც მოქცეულია განამარხებული ნიადაგის ჰორიზონტები. დასერილია მდ. შავწყაროსწყლისა და მისი შენაკადების კანიონებით და ხეობებით, რ-თა სიღრმეა 10–500 *მ.* ფერდობებზე გამოქვაბულებია. პლატოს ზედაპირი უტყეოა, ათვისებულია სას.-სამ. კულტურებით. *ლ. მარუაშვილი.*

გომაარეთის სამაროვანი, ანტიკური ხანის (ძვ. წ. V–IV სს.) სამაროვანი სოფ. გომარეთის ტერიტორიაზე (ახლანდ. დმანისის მუნიციპალიტეტი). 1962 და 1975 ჩატარებულმა არქეოლ. გათხრებმა (დ. თუშაბრამიშვილი, ც. დავლიანიძე) გამოავლინა ორ სართულად განლაგებული 26 ქვაყუთი. კიდურებმოხრილი მიცვალებულები ესვენენ მარჯვ. გვერდზე. ჩატანებული ჰქონდათ მოშავო და ღია ფერის, აგრეთვე წითლად შეღებილი თიხის ჭურჭელი (დოქები, ხელადები, ქოთნები, კოჭბები, ჯამები, სასმისები, ზოომორფული გამოსახულებებით შემკული დოქი), სამკაული (ბრინჯაოსა და რკინის რკალგახსნილი სამაჯურები, ბრინჯაოს რგოლები, ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები, მძივები და სხვ.), ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავი, რკინის შუბისპირი და დანა.

აღმოჩენილი მასალა დამახასიათებელია ქვემო ქართლის ადრინდ. ანტ. ხანის სამარხებისათვის. დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში. *ც. დავლიანიძე.*

გომაართა, ძველი ნასოფლარი ფრონის ხეობაში, სოფელ ვახტანადან (ქარელის მუნიციპალიტეტი) 10 *კმ*-ზე, ქართლ-იმერეთის საზღვარზე. აქ გადიოდა კორბოულისა და ჭიათურისაკენ მიმავალი გზა. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) დაცარიელებულ სოფლად მოიხსენიებს. ნასოფლარის მახლობლად, მაღალი მთის თავზე, შემორჩენილია დარბაზული ეკლესიის ნანგრევი. ნაგებია კლდის ქვით, ურევია აგურიც. შესასვლელი სამხრიდან აქვს. ინტერიერში აგურის კანკელია. შელესილი კედლები მოხატული იყო, რ-ის ფრაგმენტებიც აქა-იქ არის შემორჩენილი. გადახურული იყო ქვა-ფიქალით. მოხატულობის მიხედვით ძეგლი თარიღდება XV– XVI სს-ით.

ლიტ.: მაკალათია ს., ფრონის ხეობა, თბ., 1963.

გომართელი ამირან იოსების ძე (დ. 11. VIII. 1946, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (1998). 1969 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. 1973–2006 იქვე კითხულობდა ლექციებს. 1973–89 მუშაობდა უახლესი ქართ. ლიტ-რის ისტ. კათედრაზე, 1989–2006 იყო ქართ. ენისა და ლიტ-რის სწავლების მეთოდიკის კათედრის გამგე, 1997–2006 – ფილოლ. ფაკ-ტის დეკანი. 1999-იდან რედაქტორია ფილოლ. ფაკ-ტის ალმანახისა ,,ლიტერატურა და სხვა''.

გ-მა არაერთი წერილი მიუძღვნა XIX–XX სს. ქართ. მწერლობას, მ. შ. აღსანიშნავია ,,ქართული სიმბოლისტური პროზა'' (1997), ლიტერატურული წერილები და ესეები (2005). წიგნისათვის ,,ჭირთა თქმა სჯობს'' (1985) გ-ს მიენიჭა ნ. ლორთქიფანიძის სახ. პრემია (1986). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

გომართელი ანზორ გაიოზის ძე (10. III. 1936, თბილისი, – 23. IV. 1992, იქვე), მოქანდაკე. საქართვ. დამს. მხატვარი (1976). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1962), პროფ. ნ. კანდელაკის სახელოსნო. 1963-იდან იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1986-იდან – პროფესორი). მნიშვნელოვანი ნამუშევრები: ექვთიმე თაყაიშვილის (1982, ბრინჯაო, სოფ. ლიხაური, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს (1983, ბრინჯაო, სოფ. შემოქმედი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), ს. მესხის (1985, ბრინჯაო, ქუთაისი), დ. სარაჯიშვილის (1991, ბრინჯაო, საქართვ. მწერალთა კავშირი, თბილისი) ძეგლები; შინმოუსვლელთა მემორიალი ბოლნისსა და ხობში (1976, ქვა), მ. ჯავახიშვილისა (1988, ქვა, სოფ. წერაქვი, მარნეულის მუნიციპალიტეტი) და კ. ლესელიძის (1975, ბრინჯაო, ოზურგეთი) ბიუსტები; კომპოზიცია ,,დაუმთავრებელი ფანტაზია'' (დაჯილდოვდა ვროცლავის მხატვართა კავშირის დიპლომით, პოლონეთი).

გომართელი თამარ კაპიტონის ასული (31. XII. 1915, სოფ. სუფსა, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 28. II. 1999, თბილისი), ჟურნალისტი, თეატრმცოდნე. 1950 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. 1958-იდან მუშაობდა ჟურნ. ,,საბჭოთა ხელოვნებაში'' ლიტ. მუშაკად, 1960–80 კი – სახ. თეატრების განყ-ბის გამგედ.

გამოიკვლია ქართ. სახ. თეატრების ისტორია, XIX–XX სს. მიჯნის აშუღთა და მუშა-პოეტების ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხები, პროფესორ-მასწავლებელ ქალთა წვლილი თსუ-ის სამეცნ. ცხოვრებაში და სხვ. ქართ. ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე სისტემატურად ბეჭდავდა სტატია-პორტრეტებს გამოჩენილ ქართვ. მოღვაწეებზე. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები. არის კოტე მარჯანიშვილისა (1977) და საქართვ. ჟურნალისტთა კავშირის (1997) პრემიების ლაურეატი, დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა (1996) და ი. ჯავახიშვილის მედლით. მიღებული აქვს ჟურნალისტური კონკურსების დიპლომები და პრიზები.

გომართელი ივანე გედეონის ძე [2(14). X. 1875, სოფ. გორისა, ახლანდ. საჩხერის მუნიციპალიტეტი, – 19. IV. 1938, თბილისი], ექიმი, მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. 1894 დაამთავრა თბილ. მეორე გიმნაზია, 1899 მოსკ. უნტის სამედ. ფაკ-ტი. აქტიურად მონაწილეობდა ,,ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს'' წრეში, რაც ა. *ხახანაშვილი* ხელმძღვანელობდა. 1899-იდან მუშაობდა დიდ ჯიხაიშში, გორისაში, ქუთაისში, თბილისში. სანამ ცნობილი ექიმი გახდებოდა, ქართვ. საზ-ბამ იგი გაიცნო როგორც მწერალი და კრიტიკოსი. 1901-იდან ქართ. პერიოდულ პრესაში სისტემატურად აქვეყნებდა პოპულ. წერილებს სამედ. საკითხებზე, პუბლიც. და კრიტ. სტატიებს.

გ. იყო *,,მესამე დასის''* წევრი, შემდეგ – მენშევიკ-ავტონომისტი, ,,ალიონელი'', 1902-იდან – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის გამგეობის წევრი. 1905 თანამშრომლობდა ლეგალურ სოც.-დემოკრ. ჟურნ. ,,მოგზაურში''. 1906 პირველი სახელმწ. სათათბიროს დეპუტატი იყო ქუთ. გუბერნიიდან. 1907 სამუშაოდ გადავიდა თბილისში. 1910 დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ერთი წელი დაყო. თებერვლის ბურჟ.-დემოკრ. რევოლუციის შემდეგ გახდა საქართვ. ეროვნ. კრების, პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების წევრი, 1917-იდან – გაზ. ,,ალიონის'' ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტ. თანამშრომელი, სადაც დაიბეჭდა (№59) ოქტ. რევოლუციისადმი მიძღვნილი მისი ესკიზი ,,დედა სამშობლო''. გ-ის პიესები ,,ქოხში'' და ,,წამხდარი სისხლი'' (ორივე 1905) წარმატებით იდგმებოდა ქართ. თეატრების სცენაზე. დრამატურგიაში გ. აგრძელებდა ,,ნატურალისტური დრამის'' ტრადიციებს. მას ეკუთვნის აგრეთვე რომანი-ქრონიკა ,,სამი დროება'' (1931), კრიტ. წერილები ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ბარათაშვილის, ა. ჭავჭავაძის, ე. ნინოშვილის, რ. ერისთავის, დ. კლდიაშვილის, ი. გრიშაშვილის, პოეტ-სიმბოლისტებისა და პროლეტ. მწერლების, ასევე ფ. შილერის, მ. გორკის, ჯ. გარიბალდის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. აღსანიშნავია გ-ის ,,გლეხის კარაბადინი'' (1928), ,,საუბარი ჯანმრთელობის საკითხებზე'' (1937).

თხზ.: რჩეული თხზულებანი, ტ. 1–2, შემდგ. ვ. წოწელია, თბ., 1966.

ლიტ.: გაგოიძე ვ., ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XX საუკუნის საქართველოში, თბ., 1964; ნადარეიშვილი გ., ივანე გომართელი, თბ., 1967; წოწელია ვ., ივანე გომართელი (XX საუკ. სალიტ. კრიტიკის ისტორიიდან), წგ. 1–2, თბ., 1979–85. *ვ. წოწელია.*

გომართელი ნინო ნიკოლოზის ასული (დ. 24. I. 1953, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (2002), პროფესორი (2004). 1975 დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი. 1978–2006 მუშაობდა თბილისის ს.-ს. ორბელიანის სახ. პედაგოგიურ უნ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე, 2006–09 კი – ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწ. უნ-ტში. 2009-იდან საქართვ. ტექნიკური უნ-ტის საქართველოს ისტორიისა და ქართ. კულტ. მიმართულების სრული პროფესორია. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. სამი სახელმძღვანელო და სამი მონოგრაფია.

გომარო, სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტის ზანავის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 1560 *მ,* ადიგენიდან 6 *კმ,* ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 36 *კმ.* 426 მცხ. (2002).

სოფელში შემორჩენილია ძვ. ეკლესიის სამხრ. კედლის ნაშთი – დიდი ქვების ცოკოლზე შეყენებული და გარედან დამუშავებული სამი დიდი ლოდი. ადგილობრივთა გადმოცემით, ეკლესიის ქვები მშენებლობებზე გაუზიდავთ, ხოლო ერთი ჯვრიანი ქვა სოფლის წყლის სათავის აუზთან აუტანიათ. ნაეკლესიარიდან 20 *მ*-ზე გდია 1 *მ* სიმაღლის ლოდი. მას შუაში რელიეფური ზოლი დაუყვება. იგი შესაძლოა ჯვრის ქვედა ნაწილი იყოს. 1595 ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით ამ სოფელს გომაროტი ერქვა და ახალციხის ლივის უდის ნაჰიეს (რ-ნი) ეკუთვნოდა. ცხოვრობდა 3 კომლი ქართველი: ქიტია მათიასძე, ხუდა გოგიჩასძე, ლაშქარა ხარებასძე. მათ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, მუხუდო, ოსპი, ცერცვი; ჰქონდათ ბოსტნები, ჰყავდათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი. ყველა ამისათვის ისინი იხდიდნენ 7000 ახჩას ყოველწლიურად. 1705–06 ახალციხის ლივის უდის ნაჰიეში შემავალი სოფ. გომაროდი ექვემდებარებოდა ვინმე სულეიმანს და იხდიდა 17000 ახჩას. ჩანს, ამ დროისათვის იმატა მცხოვრებთა რაოდენობამ. ამჟამად აქ ცხოვრობენ უმეტესად აჭარიდან გადმოსახლებული: მიქელაძეები, ხოზრევანიძეები და ჯიმშელეიშვილები (იმერეთიდან).

წყარო: ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979; ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2, თბ., 1941. *დ. ბერძენიშვილი.*



ი. გომართელი.

გომბეშო (Bufo), უკუდო ამფიბიების გვარი გომბეშოსებრთა ოჯახისა. ამ გვარის 304 სახეობა გავრცელებულია ყველა კონტინენტზე, გარდა ავსტრალიისა. საქართველოში გვხვდება 2 სახეობა: მწვანე გ. და ჩვეულებრივი გ.



მწვანე გომბეშო.

მ წ ვ ა ნ ე გ. (Bufo viridis) ფართოდაა გავრცელებული. ბინადროობს ნაირგვარ ბიოტოპში, მ. შ. მშრალ ადგილებში, რ-იც არახელსაყრელია სხვა ამფიბიებისათვის. მისი სხეულის სიგრძე 14 *სმ*-მდე აღწევს. ზემოდან ღია რუხი ან წენგოსფერია, დიდი მუქი მწვანე ლაქები (ხალები) აქვს. ცხოვრობს ხმელეთზე. წყალსატევებში ჩადის მხოლოდ გამრავლების პერიოდში, სადაც ყრის ქვირითს გრძელი თასმის სახით. საკვების მოსაპოვებლად გამოდის შებინდებისას და ღამე. იკვებება ხმელეთის უხერხემლო ცხოველებით. ზამთრის ძილქუშს ატარებს მღრღნელების სოროებში, ორმოებში, ქვების ქვეშ, ფხვიერ მიწაში.



კავკასიური გომბეშო.

კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი გ. (Bufo verucosissimus), გავრცელებულია დას. საქართველოში, ბორჯომის ხეობაში, ფშავის არაგვის ხეობასა და ლაგოდეხში. ბინადრობს ტყეში, ბაღებში, ბუჩქნარებში. მისი სხეულის სიგრძე 20 *სმ*-მდე აღწევს. მსხვილია, ზემოდან მურა ფერის

ან ერთფეროვანი, აქვს მუქი ლაქები. იკვებება უხერხემლო ცხოველებით, ზოგჯერ პატარა-პატარა ხერხემლიანი ცხოველებითაც.

ორივე სახეობას კარგად აქვს განვითარებული შხამიანი ჯირკვლები – პაროტიდები, რ-ებიც ადამიანისათვის საშიში არ არის. მთაში გვხვდება ზ. დ. 3000 მ-მდე.

მ. ბაქრაძე.

გომბორი, მთა გომბორის ქედზე, გომბორის უღელტეხილის ჩრდილოეთით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 1839 მ. აგებულია სარმატული თიხებით, ქვიშაქვებითა და კონგლომერატებით. აქვს მობრტყელებული წვერი და სამი მხრივ (ჩრდ., დას., აღმ.) ძალზე დამრეცი კალთები, სამხრ-ით – ფლატოვანია. შემოსილია მეორეული სუბალპ. მდელოებით.

დ. უკლება.



გომბორის მთა.

გომბორი, მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში. მდ. ივრის მარცხ. შენაკადი (ერთვის სოფ. ოთარაანთან). სიგრძე 13 კმ. სათავეს იღებს გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, გომბორის უღელტეხილის მახლობლად, ზ. დ. 1550 მ სიმაღლეზე. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა ზამთარში.

ი. აფხაზავა.



ა. გომელაური.

გომბორი, სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, მდ. გომბორის (ივრის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე, გომბორი – თელავის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: გ., ასკილაური, ვაშლიანი, ვერონა, რუსიანი). ზ. დ. 1050 მ, საგარეჯოდან 50 კმ. 775 მცხ. (2002).

გომბორის უღელტეხილი, უღელტეხილი აღმოსავლეთ საქართველოში, *გომბორის ქედზე.* სიმაღლე ზ. დ. 1620 მ. აგებულია ძირითადად ნეოგენური ასაკის ტერიგენული ნალექებით. შემოსილია მეორეული სუბალპ. მდელოებით. შიგნიკახეთს საავტ. გზით აკავშირებს გარეკახეთთან. 2009–2010 მოხდა გ. უ-ზე გამავალი გზის 55 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია, რამაც მანძილი და მოძრაობის ხანგრძლივობა თბილისიდან თელავამდე საგრძნობლად შეამცირა.

დ. უკლება.



გომბორის გზა. თბილისი–თელავის საავტომობილო გზის მონაკვეთი.

გომბორის ქედი, ცივ-გომბორის ქედი, კავკასიონის მთათა სისტემასთან დაკავშირებული ქედი. შახვეტილის მთასთან ებმის მთავარი ქედის სამხრ. ტოტს – კახეთის ქედს. მიმართულია ჩრდიდან სამხრ.-აღმ-კენ. სიგრძე 107 კმ. უმაღლესი მწვერვალი ცივი (ზ. დ. 1991 მ). აგებულია ძირითადად ცარცული და მესამეული ასაკის დანალექი წყებებით. წარმოადგენს მდინარეების ალაზნისა და ივრის წყალგამყოფს. ჩრდ. კალთა ჩაჭრილია მდინარეების ორვილის, ხოდაშნისხევის, თურდოს, კისისხევის, ვანთისხევის, ჭერმისხევის, ფაფრისხევის, ხოლო სამხრ. კალთა – გომბორის, ლაფიანხევისა და სხვ. ხეობებით. დამახასიათებელია მეწყრები, ბედლენდები, ქედზე არის ხელოვნური გამოქვაბულებიც. ქედის თხემზე მეორეული სუბალპ. მდელოებია, კალთებზე – ფოთლოვანი ტყე და ზოგან ფიჭვნარი.

ლ. მარუაშვილი.



ა. გომელაური. შვეიკი, ი. ჰაშეკის ,,გულადი ჯარისკაცი შვეიკი''.

გომელაური ალექსანდრე გიორგის ძე [9 (22). IX. 1907, თბილისი, – 29. VII. 1966, იქვე], მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1958). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1927 თბილ. მუშათა თეატრში. შემდგომ მუშაობა განაგრძო თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართულ (1928–31) და ქუთ. (1931–33) თეატრებში. 1933-იდან გარდაცვალებამდე კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობი იყო. შესრულებული აქვს 150-მდე როლი. მ. შ. აღსანიშნავია: შვეიკი (ი. ჰაშეკის ,,გულადი ჯარისკაცი შვეიკი''), კაკუტა (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი''), გიორგი (,,ჩატეხილი ხიდი'', ი. ჭავჭავაძის მიხედვით), ილია ჭავჭავაძე (გ. ნახუცრიშვილის ,,წიწამური''), გიჟუა და მოურავი (ა. ცაგარლის ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ''), კაპულეტი (უ. შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტა''), ყოჩ-აშული (ლ. გოთუას ,,მეფე ერეკლე''), ბობჩინსკი (ნ. გოგოლის ,,რევიზორი''), ბეზღადი (ნ. ჰიქმეთის ,,ლეგენდა სიყვარულზე''), ოჰანეზი (ლ. არდაზიანის ,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი'') და სხვ. კინოროლებიდან აღსანიშნავია: სამხედრო ექიმი (,,ქალიშვილი გაღმიდან'', 1941), დევი (,,ცისკარა'', 1955), ომარაშვილი (,,ოთარაანთ ქვრივი'', 1957), ილია ჭავჭავაძე (,,გლახის ნაამბობი'', 1961) და სხვ. გ. გამოირჩეოდა სცენური მომხიბვლელობით, ლამაზი ტემბრის ხმით, იუმორით. გამოდიოდა ესტრადაზე თავდაპირველად ნ. ილურიძესთან, 1938-იდან – ა. კვანტალიანთან ერთად.

ა. გვენცაძე.

გომელაური ვალერიან ბაგრატის ძე (დ. 1. I. 1933, თელავი), საბჭოთა არმიის გენერალ-მაიორი (1982). დაამთავრა ნოვოჩერკასკის ა. სუვოროვის სამხ. სასწავლებელი (1952), მოსკ. რსფსრ უმაღლესი საბჭოს სახ. უმაღლესი საჯარისო-სამეთაურო სასწავლებელი (1954), ლენინგრადის ზურგისა და ტრანსპორტის სამხ. აკადემია (1967). იყო შორეული აღმოსავლეთის სამხ. ოლქის სარდლის მოადგილე (1979–85); სამხ. მრჩეველი ეთიოპიაში (1985–88); ამიერკავკ. სამხ. ოლქის სარდლის მოადგილე (1988–1991), საქართვ. შეიარაღებული ძალების გენშტაბის მრჩეველი-კონსულტანტი (1992–2005). ამჟამად თადარიგშია. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (2001).

ლ. დოლიძე.

გომელაური ვახტანგ ივანეს ძე [8 (21). IX. 1914, ჭიათურა, – 24. XII. 1995, თბილისი], მეცნიერი ენერგეტიკისა და ტექნიკური თბური ფიზიკის დარგში. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1979). ტექ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1965), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). საქართვ. მეცნ. აკად. გამოყენებითი მექან. და მართვის პროცესების განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (1983–87). 1936 დაამთავრა საქართვ. ინდუსტრ. ინტი ინჟინერ-თბოტექნიკოსის კვალიფიკაციით. 1938–45 მუშაობდა თბილ. თბოელექტროცენტრალში

სხვადასხვა თანამდებობაზე. 1947–59 იყო საქართვ. მეცნ. აკად. ენერგეტ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის თბოტექ. განყ-ბის გამგე, 1959–65 – ამავე ინ-ტის თბოგადაცემისა და წვის განყ-ბის გამგე, 1965–70 – სტაბილური იზოტოპების ინ-ტის თბური ფიზ. განყ-ბის გამგე, 1965–83 – საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის თეორ. და ზოგადი თბოტექ. კათედრის პროფესორი. პარალელურად იყო სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი. გ-ის ძირითადი შრომები ეხება თბოგაცემის პროცესების ინტენსიფიკაციის ექსპერ. შესწავლას, თბური ტუმბოს სისტემის გამოყენებას სამრეწვ. და კომუნალურ ენერგეტიკაში, ატომური და ჰიდრავლიკური ელექტროსადგურების კომპლ. გამოყენებას ენერგოსისტემაში. მონაწილეობდა საქართვ. მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტის ატომური ცენტრის შექმნაში, თბილ. თბოელექტროცენტრალის აგებაში. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საქართველოში თბოტექ. მიმართულების რამდენიმე კვლევითი ლაბორატორია. 1987–95 იყო საქართვ. მეცნ. აკად. მართვის სისტემების ინ-ტის დირექციის მრჩეველი.

თხზ.: სითბოს და მასის გადაცემის თეორიის საფუძვლები (სახელმძღვანელო), თბ., 1974; О применении тепловых насосов на чайных фабриках Грузинской ССР, «ა. დიდებულიძის სახ. ენერგეტიკის ინ-ტის შრომები», 1956, ტ. 10 (თანაავტ. А. И. Мусхелишвили); Влияние искусственной шероховатости на конвективный теплообмен, «ფიზიკის ინ-ტის შრომები», 1963, ტ. 9.

თ. მაგრაქველიძე.

გომელაური ზაქარია (შაქრო) ნიკოლოზის ძე [17 (29). XI. 1890, თბილისი, – 10. VII. 1964, იქვე], მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1950). დაამთავრა თბილ. საქალაქო სასწავლებელი (1904). მონაწილეობდა ავლაბრის მუშათა თეატრის სპექტაკლებში. 1910 ვ. გუნიამ მიიწვია თბილ. პროფ. დასში. 1912–13 სწავლობდა თბილ. დრამ. სტუდიაში. მუშაობდა თბილ. (1910–16, 1919–22, 1924–28), ქუთ. (1916–18), ბათუმის (1922–24) თეატრებში. 1928-იდან იყო თბილისის, კ. მარჯანიშვილის მიერ დაარსებული თეატრის მსახიობი (ამჟამად კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. აკად. დრამ. თეატრი). გ-მა შექმნა მრავალი საინტერესო სახე, რ-თა შორის აღსანიშნავია: ერეკლე (ა. წერეთლის ,,პატარა კახი''), ვილჰელმ კილმანი (ე. ტოლერის ,,ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ''), ვურმი და ბერლეი (ფ. შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული''; ,,მარიამ სტიუარტი''), პეპია (,,ჩატეხილი ხიდი'', ი. ჭავჭავაძის მიხედვით), რინკველი და პარასკიდი (შ. დადიანის ,,კაკალ გულში''), იაგო (უ. შექსპირის ,,ოტელო''), კოკორიშკინი (ლ. ლეონოვის ,,შემოსევა''), კომისარი (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი''), სპირიდონ მცირიშვილი (შ. დადიანის ,,ნინოშვილის გურია''), რაევსკი (ვ. კორშონის ,,პური''), ნაპოლეონი (ვ. სარდუს ,,მადამ სან-ჟენი''), გიგო და პროფ. მინდელი (ვ. გაბესკირიას ,,უფსკრულთან''; ,,მათი ამბავი''), ტარტიუფი (ჟ. ბ. მოლიერის ,,ტარტიუფი''), ჟორჟ დიუვალი (ა. დიუმას ,,მარგარიტა გოტიე''), გრაფი ალმავივა (პ. ბომარშეს ,,ფიგაროს ქორწინება'') და სხვ. სახელი მოიხვეჭა სახასიათო როლების შესრულებით. მისი გმირები გამოირჩეოდნენ სიწრფელითა და სისადავით, მკაფიო ინდივიდუალობით. გადაღებულია ფილმებში ,,მე ვიტყვი სიმართლეს'' (1957), ,,მამლუქი'' (1958) და სხვ. II მსოფლიო ომის დროს ჰოსპიტლებსა და ფრონტის ხაზზე 300-ზე მეტი საშეფო კონცერტი გამართა მსახიობთა ბრიგადამ, რ-საც გ. ხელმძღვანელობდა. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ა. გვენცაძე.

გომელაური ივანე მიხეილის ძე [10 (22). IX. 1867, სოფ. მირზაანი, ახლანდ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, – 8. XI. 1951, თბილისი], პედაგოგი, საზ. მოღვაწე და მწერალი. დაამთავრა სიღნაღის საქალაქო სასწავლებელი (1885), შემდეგ – თბილ. სამასწავლებლო ინ-ტი (1890). მასწავლებლობდა ოზურგეთში, ზუგდიდში, სოფ. ტირძნისში (გორის მუნიციპალიტეტი), თბილ. ქართ. გიმნაზიაში, ძველ სენაკში, წინამძღვრიანთკარში, ბაქოში და სხვ. ასწავლიდა ქართ. ენას თბილ. ა. პუშკინის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტში (ახლანდ. ილიას სახელმწ. უნ-ტი). მის სახელმძღვანელოს ,,სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები'' (წგ. I, 1906; წგ. II, 1911; წგ. III, 1920) იყენებდნენ საშ. სასწავლებლებში 1906–26. თანამშრომლობდა ქართ. ჟურნალ-გაზეთებთან (,,ივერია'', ,,კვალი'', ,,განათლება'' და სხვ.). იყო ჭიათურის დრამ. საზ-ბისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის ჭიათურის ფილიალის აქტ. წევრი. თარგმნა ვ. კოროლენკოს, ა. ჩეხოვისა და გ. ჰაუპტმანის თხზულებები.

თხზ.: იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი, წგ.: იაკობ გოგებაშვილი. საიუბილეო კრებული, თბ., 1940.

ლიტ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, წგ. 1, თბ., 1953; ქაჯაია ვ., ივანე გომელაური, თბ., 1947.

ნ. ალანია.

გომელაური ინა გიორგის ასული (2. IV. 1918, თბილისი, – 13. XII. 2006, იქვე), არქიტექტორი, ხელოვნებათმცოდნე. დაამთავრა საქართვ. ინდუსტრ. ინ-ტი (1941). 1957-იდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართ. ხელოვნ. ისტორიის ინ-ტში. იკვლევდა შუა საუკ. და თანამედროვე ქართ. ხუროთმოძღვრებას. აზომა და მეცნიერულად შეისწავლა მღვიმევის, ყორანთის, ჩიხის, აბელიისა და სხვა ეკლესიები.

თხზ.: ერთაწმინდის ტაძრის არქიტექტურა, თბ., 1976; მღვიმევი – XIII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, თბ., 1982.

ვ. ბერიძე.

გომელაური ლია იოსების ასული (დ. 8. I. 1947, თბილისი), პათოფიზიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2004). 1972 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1991–99 იყო თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ცენტრ. სამეცნ.-კვლ. ლაბორატორიის უფრ. მეცნ. მუშაკი; 1999–2005 – საქართვ. სახელმწ. სამედ. აკადემიის პათოფიზიოლოგიის კათედრის გამგე; 2005–06 – ამავე აკადემიის ფუნდამენტური მედ. კათედრის გამგე. 2009-იდან არის პ. შოთაძის სახ. თბილისის სამედ. აკადემიის პათოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი. გ-ის სამეცნ. შრომები ეხება – ვეგეტატიური ფუნქციების ცენტრალურ სარეგულაციო მექანიზმებს. გ. არის ივ. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგთა საზ-ბის წევრი (1996-იდან).

თხზ.: Значение хемосенситивности церебральных структур в регуляции некоторых обменно-вегетативных сдвигов, Тб., 1994.

გომელაური ნიკო (ნიკოლოზ) გიორგის ძე (12. VII. 1970, თბილისი, – 13. IV. 2010, იქვე), მსახიობი, პოეტი. 1992 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრალური ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. იყო თავისუფალი თეატრისა და ა. გრიბოედოვის სახ. რუსული დრამ. თეატრის წამყვანი მსახიობი. თავისუფალ თეატრში მონაწილეობდა შემდეგ სპექტაკლებში: ,,კომედიანტები'', ,,ძმები'', ,,იდიო-



ვ. ი. გომელაური.



ზ. გომელაური.



ზ. გომელაური. გრაფი ალმავივა, პ. ბომარშეს ,,ფიგაროს ქორწინება''.



ნ. გომელაური (1970–2010).

ტოკრატია'', ,,კავკასიური ცარცის წრე'', ,,ჰამლეტი'', ,,ჯინსების თაობა'', ,,ტელემისტერია'', ,,ბავშვის თვალებით'', ,,ღმერთო, დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები'' და სხვ.; ა. გრიბოედოვის სახ. თეატრში: ,,მე, ბულატ ოკუჯავა'', ,,ხანუმა'', ,,ცხოვრება მშვენიერია'', ,,იცხოვრე და გახსოვდეს'', ,,ოსტატი და მარგარიტა'', ,,ორი წყვილი, ანუ ვინ არის ჩარლი'', ,,რუსული ბლუზი'', ,,სიზმრები საქართველოზე'', ,,მისტიფიკატორი'' და სხვ. გადაღებულია კინოფილმებსა და სატელევიზიო სერიალებში.

გ-ის პოეზია გამოირჩევა გამოსახვის თავისებური სტილითა და მანერით. პოეტმა მკითხველის აღიარება და სიყვარული მოიპოვა. გ-ის პოეტური კრებულები: ,,2-ჯერ 6 საკაიფო ლექსი'' (2000), ,,ჩემს ქალაქში ყველაფერი მოსულა'' (2003), ,,უაზრო ლექსი'' (2004), ,,უბის ლექსი'' (2008), ,,ახალი ლექსი'' (2010), ,,...ოცნებები მცნებებივით ირღვევიან...'' (2011). 2011 გამოვიდა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი ,,ნიკო... აპლოდისმენტები'' (რეჟ. გ. ბერიძე).

გ. იყო კ. მარჯანიშვილის სახ. პრემიის (2003), ბრესტისა (2004) და შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო (ტრაპიზონი, 2006) თეატრალური ფესტივალების ლაურეატი.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



ნ. გომელაური (1907–1977).

გომელაური ნიკოლოზ გიორგის ძე [15 (28). IV. 1907, სოფ. მირზაანი, სიღნაღის მაზრა, ახლანდ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, – 24. V. 1977, თბილისი], მეტალურგი. პროფესორი (1972). საქართვ. დამს. ინჟინერი. 1930 დაამთავრა ამიერკავკ. სამთო-მეტალ. ინ-ტი. მუშაობა დაიწყო იქვე. იყო სამთო-მექან. ფაკ-ტის დეკანი (1931–33), მინერ. ნედლეულის ინ-ტის ამიერკავკ. ფილიალის გამდიდრების ლაბორ. გამგე (1932–37), ტრესტ ,,ჭიათურმანგანუმის'' სისტემაში მშენებლობების უფროსი (1937–41), რუსთავის მეტალურგიული ქ-ნის დირექტორი (1944–57), საქართვ. სახ. მეურნ. საბჭოს თავ-რე (1963–65), საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავრის მოადგილე (1965–70), მინერ. ნედლეულის კავკ. ინ-ტის დირექტორი (1970–77). მისი ძირითადი შრომები ეხება სპილენძ-მოლიბდენის მადნების სელექციური ფლოტაციისა და კომპლ. გამოყენების, აგრეთვე მანგანუმის ღარიბი მადნებისა და შლამის გამდიდრება-გამოყენების საკითხებს. რუსთავის მეტალურგიული ქ-ნის მილსაგლინავი აგრეგატის ავტომატიზაციისათვის სპეციალისტების ჯგუფთან ერთად მიენიჭა ლენინური პრემია (1962). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

გომელაური ნიკოლოზ ვლადიმერის ძე (18. XI. 1918, სიღნაღი, – 11. XI. 1961, თბილისი), კერამიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1958). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1942). მისი პედაგოგები იყვნენ დ. *ცაცამვილი*, ბ. შებუევი, ა. *ფიცხელაური*, ზ. პ. *მაისურაძე*. 1942–44 გ. სიღნაღის დრამ. თეატრის მთ. მხატვარი იყო. 1947-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში. 1945-იდან მონაწილეობდა მხატვართა საერთაშ. გამოფენებში (კერამიკოსთა საერთაშ. გამოფენა, ჟენევა, 1945). გ. ქართ. პროფესიული კერამიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მან ქართ. კერამიკა გაამდიდრა ახ. ტექ. პროცესებით, შეისწავლა ბრინჯაოსა და ანტ. ეპოქის კერამიკა, რ-იც შემოქმედებითად გამოიყენა თავის საქმიანობაში. გ. ძირითადად ქმნიდა დეკორ. ლარნაკებსა და კერამ. ქანდაკებებს. ნამუშევრები: ფიალები (1953), ყვავილების ლარნაკი (1958), ჭინჭილა (1960), დოქი (1961) და სხვ. გ-ის შემოქმედებამ გარკვეული როლი ითამაშა ქართ. მხატვრული პროფესიული კერამიკის განვითარების საქმეში.

ნ. კიკნაძე.

გომერის ქედი, ქედი ქვემო ქართლში, მდინარეების ალგეთისა (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) და ჭივჭავას (ხრამის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფი, გამოეყოფა ბედენის ქედს სამხრ. მიმართულებით. აგებულია ცარცული ვულკანოგენური ფაციესის კირქვებით, მერგელებით, იშვიათად – სხვადასხვა შედგენილობის ვულკანოგენური ქანებით. ჩრდ. ნაწილში ქედის კალთები საკმაოდ დახრილი და დასერილია. ქედის სიმაღლე ზ. დ. 1800 *მ* აღწევს, სამხრ.-აღმ-ით თანდათან დაბლდება (მთები გომერი – ზ. დ. 1458 *მ* და სამება – ზ. დ. 1199 *მ*). დაფარულია ფართოფოთლოვანი ტყით.

დ. უკლება.

გომეწარი, მთა გუდამაყრის ქედზე, მდ. მაღაროსხევის (ფშავის არაგვის მარჯვ. შენაკადი) სათავეში, დუშეთის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 2100 *მ*. აგებულია იურული თიხაფიქლებით. კალთები შემოსილია სუბალპ. მდელოებით.

დ. უკლება.

გომეწარი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღაროსკარის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), გუდამაყრის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. მაღაროსხევის (ფშავის არაგვის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას, გომეწრის ხეობაში. ზ. დ. 1300 *მ*, დუშეთიდან 41 *კმ*. 135 მცხ. (2002).

სოფლის შუაში, მდინარის მარცხ. მხარეს, მთის კალთის მცირე შევაკებაზე, დგას XVIII ს. მიწურულს აგებული ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია. სოფელთან ახლოს, საყდართგორად წოდებულ ადგილზე მდებარეობს VIII–IX სს. პატარა დარბაზული ეკლესია.

გ-სა და გომეწრის ხეობაზე გადიოდა თიანეთისა და მთიულეთ-გუდამაყრის დამაკავშირებელი გზა. ხეობის თავში შემორჩენილია ადრინდ. შუა საუკ. დროინდელი ციხეები: ყელყვითელას ციხე, რ-იც თიანეთიდან და მთიულეთ-გუდამაყრიდან გადმომავალ გზას იცავდა, და სიმაგრეულას ციხე, რ-იც დარაჯობდა ხორხის ხეობიდან მომავალ გზას. ყელყვითელას ციხეზე 1944 ნაპოვნია ქვაზე ამოკვეთილი X ს. იურიდ. დოკუმენტი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, თბ., 2004.

გ. ბაგრატიონი.

მ. ბალიაური. ჯ. გვასალია.

გომეწრის ხეობა, ხეობა თუშეთში, მდ. თუშეთის ალაზნის აუზში. იწყება აწუნთის ქედის აღმ. კალთიდან (ზ. დ. 2800–2900 *მ*) და აღწევს სოფ. ომალოს მიდამოებამდე (ზ. დ. 1600 *მ*). მოქცეულია კავკასიონის მთავარი ქედისა და მაკრატელას ქედის კალთებს შორის. გ. ხ. მაკრატელას ქედით გამოყოფილია პირიქითის ალაზნის ხეობისაგან. აგებულია იურული ფიქლებით. ჭარბობს რელიეფის ეროზიული ფორმები, რ-თა ჩაჭრის სიღრმე 1500–2700 *მ*-მდეა. 2600 *მ*-ზე მაღლა რელიეფის ეროზიულ ფორმებთან ერთად გვხვდება ძველმყინვარული ფორმები (მორენები, ცირკები, კარები). ხეობის ქვემო კალთებზე არის ფიჭვის, არყის და ცირცელის ტყეები, ზემოთ – სუბალპ. და ალპ. მდელოები.

ჭ. ჯანელიძე.

გომი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), მტკვრის მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: გ., ნიაბი).

ზ. დ. 550 *მ*, კასპიდან 14 *კმ*, მეტეხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 7 *კმ*. 1,0 ათ. მცხ. (2002).

გ. პირველად იხსენიება XIV ს-ში. 1398 მეფე ალექსანდრემ შეწირულობა განუახლა სვეტიცხოველს. 15 59 მეფე სიმონმა გ-ის შეწირულობისა და თარხნობის წიგნი განუახლა სვეტიცხოველს. 1561 მან გ. სამოურავოდ გადასცა პაპუნა მაღალაძეს. 1619 კათოლიკოსმა ქრისტეფორემ გ. გიორგი მიწობლიძეს უბოძა სამოურავოდ, ხოლო 1624 – მაღალაძეებს. 1691 ნიკოლოზ კათოლიკოსმა გ-ში დადგა მარანი და საწნახელი. 1692 ერეკლე I-მა გ. სამოურავოდ რევაზ მაღალაძეს გადასცა. XVII ს-ში გ-ს ეწერა 31 სახასო მოლაშქრე. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) გ-ს მოიხსენიებს თეძმის ხეობის სოფელთა სიაში. გ-ში არის გვიანდ. ფეოდ. ხანის ციხე, მარიდაანთ კოშკი და ნათლისმცემლის ეკლესია. *ჯ. გვასალია.*

გომი, სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემოქმედის თემში (გურიის მხარე), მდ. ბჟუჟის (ნატანების მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 250 *მ*, ოზურგეთიდან 9 *კმ*. 462 მცხ. (2002).

გ-ს მოიხსენიებს ი. *გიულდენშტედტი* (XVIII ს.). სოფელში არის წმ. გიორგის ეკლესია (XVI ს.).

გომი, სოფელი ონის მუნიციპალიტეტში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), კედელას ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. გომრულის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: გ., ჯინჭვისი). ზ. დ. 1160 *მ*, ონიდან 16 *კმ*. 84 მცხ. (2002).

სოფელში შემორჩენილია შუა საუკ. ეკლესიის ,,დოშვერა მთავარანგელოზის'' ნანგრევები.

გომი, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ. მტკვრის მარცხ. მხარეს, ხაშური – ქარელის სარკინიგზო და საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: გ., აგარები, დიდი სატივე, ვაყა, პატარა სატივე, ქვემო აძვისი, ხიდისყური). ზ. დ. 640 *მ*, ხაშურიდან 12 *კმ*. 1,4 ათ. მცხ. (2002). სოფელში ფუნქციონირებს სააქციო საზ-ბა ,,*გომის სპირტისა და არყის კომპანია*''.

გ. მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.) ძამის ხეობის სოფელთა სიაში. შედიოდა საციციანოს შემადგენლობაში. 1865 გ. თავისი 90 კომლით ხიდისთავის უბნის გომის სასოფლო თემის შემადგენლობაში შედიოდა.

სოფლის დას-ით, სასაფლაოზე, დგას ნატეხი ქვით ნაგები აგარების დარბაზული ეკლესია. კონქში შემორჩენილია მოხატულობის კვალი. სოფლის აღმ-ით 1 *კმ*-ზე, სასაფლაოზე, ქვიშაქვის კვადრებით ნაგები ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესიაა. ორივე ეკლესია თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. სოფლის აღმ-ით 1 *კმ*-ზე არის ასევე კოშკის ნაშთი. *დ. სვანიძე.*

ჯ. გვასალია. მ. სალარაძე.

გომიაშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე (15. VII. 1911, ახლანდ. დაბა სტეფანწმინდა, – 13. III. 1997, თბილისი), პოეტი. დაამთავრა თსუ (1933). 1938–40 იყო ჟურნ. ,,მნათობის'' პოეზიის განყ-ბის გამგე, 1946–50 – საქართვ. მწერალთა კავშირის გამგეობის პ/მგ მდივანი, 1951–64 – საქართვ. ლიტფონდის დირექტორი, 1967-იდან – გამომც. ,,ცოდნის'' დირექტორი, 1971–87 – წიგნის პალატის დირექტორი. მისი პირველი ლექსი ,,მთის ბალადა'' ჟურნ. ,,ქართულ მწერლობაში'' გამოქვეყნდა 1929, პირველი პოეტური კრებ. ,,ამხანაგმა მთამ აიღო სიტყვა'' – 1931. ომის თემაზე დაწერილი აქვს ლექსები: ,,ქართველო, ხელი ხმალს იკარ!'' (1943), ,,დასაწყისი განთიადისა'' (1946), ,,მშვიდობის ჯარისკაცი'' (1950) და სხვ. პატრ. მოტივს ეძღვნება მისი არაერთი ლექსი და პოემა: ,,დავითიანი დაღესტანში'' (1953), ,,ხევის პატარძალი'' (1955), ,,ადგილის დედა'' (1956), ,,ამბავი სამასი არაგველისა'' (1958) და სხვ.

გ-ის პოეტურ კრებულთაგან აღსანიშნავია ,,ანდეზიტის სიმღერა'' (1932), ,,ლექსები'' (1933, 1937, 1978), ,,დარიალი'' (1940), ,,ბალადები'' (1946, 1958), ,,ლექსები და ბალადები'' (1960), ,,ძველები და კლდეები'' (1964), ,,ფიცი'' (1976) და სხვ. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1972; რჩეული, თბ., 1969 (გამოც. მე-2, 1983).

ლიტ.: კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე გ., ალექსანდრე გომიაშვილის ბალადები, «მნათობი», 1958, №11; ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი გ., ალექსანდრე გომიაშვილის პოეზია, მის წგ.: თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1976.

გომიაშვილი არჩილ მიხეილის ძე (13. III. 1926, ჭიათურა, – 31. V. 2005, მოსკოვი), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1966). სწავლობდა მოსკოვში ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახ. სკოლა-სტუდიაში. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1944-იდან თბილ. ა. გრიბოედოვის სახ. რუს. დრამ. თეატრში. რამდენიმე სეზონი იმუშავა სოხუმისა და გორის, წლების მანძილზე კი – თბილ. კ. მარჯანიშვილისა და ა. გრიბოედოვის სახ. თეატრებში. 1971-იდან მუშაობდა მოსკ. ლენინური კომკავშირის სახ. თეატრში. სცენაზე შესრულებული აქვს 100-მდე როლი, მ.შ. გამოირჩევა არმანი (ა. დიუმას ,,მარგარიტა გოტიე''), ალდემარო (ლოპე დე ვეგას ,,ცეკვის მასწავლებელი''), ვიქტორი (ლ. ზორინის ,,ვარშავული მელოდიები''), ლაითაძე (კ. ბუაჩიძის ,,ეზოში ავი ძაღლია''), ბარონი (მ. სტეგლიკის ,,სოფლური სიყვარული''), მარტ ტუისკი (ე. რანეტის ,,გზააბნეული შვილი''), ვასკა პეპელი (მაქსიმ გორკის ,,ფსკერზე''), კეისარი (ბ. შოუს ,,კეისარი და კლეოპატრა'') და სხვ. თეატრში მუშაობის პარალელურად წლების მანძილზე კონცერტებს მართავდა სსრკ ქალაქებში. დადგა პანტონიმა ,,სასაცილო და ნაღვლიანი ნოველები''. 1961-იდან იღებდნენ კინოში. როლები: ზურაბი (,,თხუნელა'', 1962), კოსტაია (,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ'', 1965), ოსტაპ ბენდერი (,,თორმეტი სკამი'', 1971, ,,მოსფილმი''), ნუგზარ პაპაშვილი (,,მიმინო'', 1977, ,,მოსფილმი''), ეროშკა (,,კავკასიური ამბავი'', 1978), აშრაფი (,,სიყვარულო და სევდავ ჩემო'', 1979, ,,მოსფილმი'' და თურქ. ,,ტუგრა-ფილმი''), ანტონიო (,,სპილენძის ანგელოზი'', 1984, მ. გორკის სახ. კინოსტუდია), სკაპენი და რეჟისორი (,,სკაპენის ოინები'', 1985), პაშა ფოკინი (,,ჩემი საყვარელი ჯამბაზი'', 1986, ,,მოსფილმი'') და სხვ.

გ. გამოირჩეოდა მკაფიო ინდივიდუალობით, სცენური მომხიბვლელობითა და იუმორით.

ა. გვენცაძე.



ა. მ. გომიაშვილი.



ა. მ. გომიაშვილი – ოსტაპ ბენდერი, ს. ფილიპოვი – კისა ვორობიანინოვი, კადრი ფილმიდან ,,თორმეტი სკამი''.

გომის მთა, კლიმატური კურორტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტ-

ში, მესხეთის ქედის მთისწინეთში. ზ. დ. 2000 *მ,* ოზურგეთიდან 14 *კმ.* მცენარეულობა – წიწვიანი ტყეები (კავკასიური ნაძვი, სოჭი). კლიმატი – შუამთის (ზედა სარტყელი), ზაფხული – ზომიერად გრილი (აგვ. საშ. ტემპ-რა 13°C). ზამთარი რბილი, უხვთოვლიანი (იანვრის საშ. ტემპ-რა –5°C). ნალექების საშ. წლ. რაოდენობა 1600 *მმ.* ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 75%. სუფთა და გამჭვირვალე ჰაერი გაჯერებულია წიწვის არომატით.

,,გომის სპირტისა და არყის კომპანია“ (სააქციო საზოგადოება), დიდი ტრადიციების მქონე სპირტიანი სასმელების საწარმო. დაარსდა 1903 სოფ. გომში (ხაშურის რ-ნი), ეწოდებოდა ,,გომის სპირტის ქარხანა“. აწარმოებდა სპირტრექტიფიკატს შაქრის ჭარხლის ბადაგისა (მელასა) და ჭაჭის ნედლი სპირტისაგან. 1994, ქ-ნის პრივატიზების შემდეგ, იგი ჩამოყალიბდა როგორც სააქციო საზ-ბა ,,რექტიფიკატი“, 2006-იდან კი დაერქვა ,,ბ. ს. და ა. კ.“ 1995–97 ქ-ნაში განხორციელდა რეკონსტრუქციისა და ტექ. გადაიარაღების სამუშაოები: წარმოების მართვა გადაყვანილ იქნა სრულ ავტომ. რეჟიმში, დაინერგა თანამედროვე ტექნოლ. სქემა ხორბლის სპირტის წარმოებისათვის, დაიწყო არყისა და ლიქიორების სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოება-ჩამოსხმა; 2006 კი მოხდა საწარმოს სრული მოდერნიზაცია, დაინერგა ევრ. წარმოების უახლესი ტექნოლოგიები, კერძოდ, 6-სადგურიანი ფილტრაციის სისტემა ვერცხლის ფილტრით, 2007-იდან დაემატა პლატინისა და ოქროს ფილტრაციის სისტემები. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ძირითადი სახეობაა ხორბლის რექტიფიცირებული სპირტი ,,რექტიფიკატი“, რ-იც გამოიყენება სხვადასხვა სახის არყის (,,ლუქსი“, ,,ორიგინალი“, ,,პრემიუმი“, ,,ელიტა“, ,,კლასიკი“, ,,პრესტიჟი“), არომატული არყის (,,პიტნის“, ,,წიწაკის“, ,,ტარხუნის“, ,,თაფლის“, ,,ლიმონის“), ლიქიორის (,,კომშის“, ,,ალუბლის“) დასამზადებლად. კომპანია უშვებს აგრეთვე ჭაჭის არაყსა (,,ჭაჭა დაძველებული“, ,,ჭაჭა კაკლის“, ,,ჭაჭა თაფლის“, ,,ჭაჭა კლასიკური“) და მრავალგვარი სახეობის ლიმონათს. წარმოების ძირითადი ნედლეულია ხორბალი (როგორც ადგილ., ისე შემოტანილი) და საქართვ. სხვადასხვა კუთხეში მოყვანილი სოფ. მეურნეობის სხვა პროდუქტები (თაფლი, წიწაკა, ლიმონი, პიტნა, ტარხუნა, კომში).

1996-იდან კომპანიას 49-წლიანი იჯარით აღებული აქვს 300 *ჰა* მიწის ნაკვეთი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში (კახეთი), სადაც გაშენებულია ქართ. და ფრანგული ვაზის უნიკალური ჯიშები, ხოლო ლიმონათის საწარმოებლად აქვს საკუთარი კომშისა და ალუბლის ბაღები. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია საექსპორტოა და გადის უკრაინაში, ყაზახეთში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, აშშ-ში, კანადაში და სხვ. საწარმოს აქვს საკუთარი სადისტრიბუციო კომპანია ,,კადისი“, რ-იც ეწევა პროდუქციის რეალიზაციას.

კომპანიის პროდუქციას სხვადასხვა საერთაშ. გამოფენა-კონკურსზე მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მ. შ. გრან-პრი (2004, თბილისი), 2 ოქროს (2000, 2003 – სანქტ-პეტერბურგი) და 2 ვერცხლის (2000, 2003 – იქვე) მედალი.

ლ. აბრამიშვილი.

გომისციძე, გუმბათისებრი მთა მესხეთის ქედზე, მდ. გუბაზეულის (სუფსის მარცხ. შენაკადი) სათავეში. სიმაღლე ზ. დ. 2380 *მ.* აგებულია დისლოცირებული, შუაეოცენური ანდეზიტურგანფენებიანი ტლანქშრეებრივი და მასიური ტუფ-ბრექჩიებით. გ-ის კალთების ქვემო ნაწილში წიფლნარ-მუქწიწვოვანი ტყეა, ზემოთ – სუბალპ. მდელოები. *დ. უკლება.*

გომისჯვარი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის წინარეხის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ნიჩბისისწყლის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 900 *მ,* კასპიდან 18 *კმ,* კავთისხევიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 13 *კმ.* 32 მცხ. (2002).

გ. პირველად XVII ს-ში მოიხსენიება. ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.) შეტანილი აქვს ქართლის სოფელთა სიაში. XVII ს-ში დავით გაბადაძეს ებოძა თელათგორისა და გ-ის მოურავობა. 1865 გ., 4 კომლი ქართველი მოსახლით, ხიდისთავის უბნის წინარეხის სასოფლო თემში შედიოდა.

სოფელში შემონახულია XVII ს. ნადირაანთ კოშკი. ნაგებია ნატეხი ქვით და ბათქაშით. გეგმით კვადრატული, მაღალი და მოხდენილი პროპორციების შვიდსართულიანი კოშკი სამხ. დანიშნულებისა იყო. პირველი სართული დაბალია და ყრუ, სანახევროდ მიწით ამოვსებული. შესასვლელი II სართულზეა. სართულებშუა გადახურვა ხისა იყო და ერთმანეთს მისადგმელი კიბეებითა და ლუკების საშუალებით უკავშირდებოდა. III–IV სართულებზე თითო ბუხარია, ხოლო IV–VII-ის სამხრ. ფასადზე, რ-იც სოფელსა და მის ქვემოთ გაშლილ სივრცეს გადაჰყურებს – ხის დაკიდებული აივნები ჰქონდა. აივანზე გასასვლელთა თაღები აგურისაა. ყოველ სართულზე სათოფურებია. სამხრ. შესასვლელის თავზე ჩასმულია დიდი გათლილი ქვა, რ-ზეც წარწერა იყო (გადარჩენილია მხოლოდ სამი ასო ,,წად“). კოშკი თარხნიშვილების საკუთრება იყო. მთელი ეს კუთხე ისტორიულად თარხან-მოურავებს ეკუთვნოდათ. აქ მრავალი ეკლესია და თავდაცვითი ნაგებობა ყოფილა. თვით გ-ში ადრე 4 ეკლესია მდგარა, ახლა მხოლოდ ორიღაა შემორჩენილი. ერთი მათგანი იოანე მახარებლის სახელზეა აგებული. მის აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, აგურის წყობის შეღრმავებით გამოყვანილია ,,გოლგოთის ჯვარი“ და 2 შეისრულთაღოვანი ნიში. დას. შესასვლელის თავზე მოთავსებული იყო რუხი-მოწითალო ქვა (დაცულია კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში). ქვაზე ამოკვეთილი წარწერის თანახმად ეკლესია 1684 აუგია *ლევან ბატონიშვილს,* ვახტანგ V-ის შვილს. აქვე მახლობლად შემორჩენილია აგურით ნაშენი კამარიანი ნაგებობის, სავარაუდოდ აბანოს ნაშთი. სოფლის განაპირას სამხრ.-დას-ით, სასაფლაოზე დგას XVI–XVII სს. წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია.

ლიტ.: ბერიძე ვ., წინარეხი – გომისჯვარი – სასხორი, «საქართვ. მეცნ. აკად. მოამბე», 1943, ტ. 4, №6; მისივე, XVI–XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. 1, თბ., 1983; მაკალათია ს., კავთურას ხეობა, თბ., 1960. *ვ. ბერიძე. ჯ. გვასალია.*

გომმუხაჭრუა, სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე, მდ. კაპიტონის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 150 *მ,* სამტრედიიდან 15 *კმ,* დაფნარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 7 *კმ.* 454 მცხ. (2002).

გომნატეხები, სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე. ზ. დ. 80 *მ,* სამტრედიიდან 14 *კმ,* დაფნარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 *კმ.* 430 მცხ. (2002).

გომფონემა (Gomphonema), კაჟოვანი წყალმცენარეების (Bacillariophyta) გვარი. ერთუჯრედიანი ფორმები, სუბსტრატთან ლორწოვანი ,,ჭიმებით“ მიმაგრებული;

იშვიათად ქმნიან დატოტვილ კოლონიებს. უჯრედები სოლისებრი, ლანცეტისებრი ან სწორხაზოვანია. მათი ბოლოები კი – მომრგვალებული, თავაკიანი, ზოგჯერ წაწვეტებულიც სხვადასხვაგვარი ზედა და ბაზალური ბოლოთი. აქვს ვიწრო ღერძული, იშვიათად – გარდიგარდმო გაგანიერებული მომცრო, მომრგვალებული შუა ველი, უმთავრესად ერთი ან რამდენიმე იზოლირებული წერტილით. განივი შტრიხები ნაზი, პუნქტირებული, იშვიათად ხაზოვანია. ფართოდაა გავრცელებული ძირითადად მტკნარ წყლებში, ბინადრობს წყალსატევების ფსკერზე. საქართველოში ცნობილია გ-ის გვარის 43 წარმომადგენელი (8 სახეობა, 29 სახესხვაობა, 6 ფორმა). განსაკუთრებით ხშირად გვხვდება: Gomphonema angustatum, G. parvulum, G. intricatum, G. truncatum.

ლ. კუხალეიშვილი.

გომღისმაღალი, მთა მდინარეების ასისა და არლუნის წყალგამყოფ ხევსურეთის ქედზე, სოფ. შატილის სამხრ.-დას-ით და უღელტეხილ ისართლელის სამხრ-ით, დუშეთის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 3740 *მ*. აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებით. აღმ. კალთაზე (არლუნის აუზში) მცირე მყინვარებია. დამახასიათებელია სუბალპ. და ალპ. ლანდშაფტები.

ლ. მარუაშვილი.

გონა, სოფელი ონის მუნიციპალიტეტის ღების თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ჩვეშურის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1680 *მ*, ონიდან 39 *კმ*. 2 მცხ. (2002). 1934–56 მუშავდებოდა ვოლფრამისა და მოლიბდენის საბადოები.

სოფლის მახლობლად, მდ. ჩვეშურის მარჯვ. ნაპირას, დგას შუა საუკ. მთავარანგელოზის დარბაზული ეკლესია. შიგნით და გარედან იგი შემოსილია სუფთად გათლილი შირიმის ქვით. ყურადღებას იქცევს ძეგლის თავისებურება – შიდა სივრცე მთლიანად ცილინდრული კამარითაა გადახურული, ე. ი. კონქი არა აქვს და საკურთხეველი გამოყოფილია მხოლოდ პილასტრებით. შეკეთებულია XIX ს. დასასრულს.

მ. დვალი.

გონაშვილი მაყვალა კარლოს ასული (დ. 1. III. 1959, სოფ. არბოშიკი, ახლანდ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი), პოეტი. 1981 დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი, მუშაობდა ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციაში. 1990 დააფუძნა ახალგაზრდა მწერალთა ასოციაცია ,,გულანი''. რედაქტორობდა 1995 დაარსებულ ინგლისურენოვან შემეცნებით-გასართობ საყმაწვილო გაზეთს ,,ჰელოუ, ბეიბი''. იყო საქართვ. მწერალთა კავშირის მდივანი. 2004 აირჩიეს საქართვ. მწერალთა კავშირის თავ-რედ.

გ-ის პირველი ლექსები და მინიატიურები 1968-იდან იბეჭდებოდა საყმაწვილო ჟურნალ-გაზეთებში (,,ნორჩი ლენინელი'', ,,პიონერი''), გამოქვეყნებული აქვს კრებულები: ,,ყაყაჩოების კოცონი'' (1985), ,,მზის ცრემლი'' (1987), ,,მე თქვენ მიყვარხართ'' (1990), ,,სალოცავი ჩემი, საფიცარი ჩემი'' (1994), ,,სახეები და სახელები'' (1999), ,,ძახილი'' (2001), ,,გუმბათებიდან მზის მადლი ჟონავს'' (2003), ,,მართალს ვიტყვი'' (2006), ,,აქედანა და თქვენამდე'' (2009), ,,მზე შინა'' (2010) და სხვ. გამოცემული აქვს საბავშვო წიგნები: ,,კიჭას საოცარი თავგადასავალი'' (1987), ,,კუდიანი ვარსკვლავის სამეფოში'' (1991), ,,მე პატარა ქართველი ვარ'' (1992), ,,გოჭი კიკის საოცარი თავგადასავალი'' (2006). გ-ის ლექსები თარგმნილია უცხ. ენებზე. 2008 გ-ს მიენიჭა ანა კალანდაძის, 2010 – ილია ჭავჭავაძის სახ. პრემიები.

გონაშვილი შალვა გიორგის ძე [23. XI (5. XII). 1901, სოფ. მირზაანი, ახლანდ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, – 8. IV. 1969, თბილისი], ბიოქიმიკოსი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1949), პროფესორი (1950), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1962). 1929 დაამთავრა თსუ-ის აგრონ. ფაკ-ტი და მუშაობა დაიწყო თბილ. ზოოტექ. საცდელ სადგურში. 1930–41 იყო მოსკ. რძის მრეწვ. საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ასპირანტი, შემდეგ – უფროსი მეცნიერი მუშაკი. 1945–59 მუშაობდა საქართვ. მეცხოველეობისა და ვეტ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ბიოქიმ. ლაბორ. გამგედ; 1959–69 იყო საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო სასწ.-კვლ. ინ-ტის ბიოქიმიის განყოფილების გამგე. მისი შრომები ეხება რძის ბიოქიმ. და ფერმენტების პრობლემებს, საკვებ საშუალებათა ქიმ. შედგენილობას და სხვ. გ. იყო სას.-სამ. ცხოველთა ფიზიოლ. და ბიოქიმ. საკავშ. საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

თხზ.: რძისა და რძის პროდუქტების ქიმია და ანალიზი, თბ., 1963.


ო. მეგრელიძე.

გონაშვილი ჰამლეტ დიმიტრის ძე (23. VI. 1928, სოფ. ანაგა, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 25. VII. 1985, თბილისი), მომღერალი, ქართ. ხალხური სიმღერების შემსრულებელი. საქართვ. სახ. არტისტი (1980). 1950–53 სწავლობდა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტში – ერთდროულად კინოსამსახიობო და თეატრმცოდნეობის ფაკ-ტებზე. 1973 დაამთავრა თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. II სამუსიკო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო განყ-ბა.



მ. გონაშვილი.

1953–69 გ. საქართვ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. დამს. ანსამბლის წამყვანი მომღერალი იყო. მან ბუნებრივად გააგრძელა თავისი წინამორბედების (ცნობილი მომღერლის ვ. მჭედლიშვილისა და სხვათა) მიერ დამკვიდრებული ტრადიცია – სიმღერის დაახლოება პირველწყაროსთან, თვითმყოფ სოფლური შესრულების მანერასთან. 1969–85 გ. ქართ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლ ,,რუსთავში'' მოღვაწეობდა. იგი წარმატებით ასრულებდა როგორც ქართლ-კახური, ისე იმერულ-გურული კილოს საგალობლებს, მეგრ. და აფხ. ხალხ. სიმღერებს. როგორც წესი, ასრულებდა მთქმელის პარტიას. მათგან ქართული ხალხ. სიმღერის ოქროს ფონდში დამკვიდრდა: ,,წინწყაროო'', ,,გუშინ შვიდნი გურჯანელნი'', ,,ჭონა'', ,,შავი შაშვი'', ,,რომელნი ქერუბიმთა'', ,,წმიდაო ღმერთო'', ,,გაფრინდი, შავო მერცხალო'' და სხვ. ფოლკლორული ნიმუშების გარდა, გ. წარმატებით ასრულებდა ქართვ. კომპოზიტორთა სიმღერებსაც.



ჰ. გონაშვილი.



საგასტროლო აფიშა ,,ჰამლეტ გონაშვილი''.

გ-ს ჰქონდა განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, იშვიათი სილამაზის, რბილი ტემბრის ხმა, ვირტუოზული საშემ-

სრულებლო ტექნიკა, დახვეწილი გემოვნება. მისი შემოქმედება ქართ. და დას. ევროპის კლასიკური მუსიკის ესთეტ. იდეალების ერთგვარი სინთეზია. ანსამბლთან ერთად კონცერტებს მართავდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში. *ე. გარაყანიძე.*

გონგაძე ნიკოლოზ ვალერიანის ძე (დ. 12. XII. 1948, თბილისი), ფარმაკოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (2004). 1972 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი; 1978–89 მოღვაწეობდა თბილისისა და ლენინგრადის წამყვან კლინიკებში. 1993-იდან იყო თბილისის სახელმწ. სამედ. უნ-ტის ფარმაკოლოგიის კათედრის თანამშრომელი (1998-იდან – პროფესორი), 2002–06 – ამავე კათედრის გამგე.



მ. გონგლიაშვილი ფორტეპიანოსთან.

1991–2003 მუშაობდა საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიურ კომიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე, მ. შ. კომიტეტის თავ-რე. მისი სამეცნ. შრომები ეხება გულ-სისხლძარღვთა და ცენტრ. ნერვულ სისტემაზე მოქმედი წამლებისა და ბიოლ. აქტიური ნივთიერებების ფარმაკოლოგიას.

გ. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 2 მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოს ავტორი.

თხზ.: საქართველოს ფარმაკოლოგიური ფორმულარი, თბ., 1994 (თანაავტ.); ანტიბიოტიკებით რაციონალური თერაპია, თბ., 2000 (თანაავტ.); Хронофармакология антигипертензивных средств, Тб., 2010; Guidebook and Compendium International Clinical Tonals, ed. by B. Brunier and G. Nahler, Denver, Colorado (USA), 1999, vol. 1 (თანაავტ.).



დ. გონდაური.

გონგლიაშვილი მედეა სიმონის ასული (10. I. 1933, თბილისი, – 23. II. 2012, იქვე), პიანისტი, ესტრადის კონცერტმაისტერი. საქართვ. სახ. არტისტი (1984). 1951 დაამთავრა თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ცენტრ. სამუსიკო სკოლა. 1956 – თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (გეოფიზიკოსის სპეციალობით). 1956–68 მუშაობდა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში ფიზ. კათედრაზე. პარალელურად, როგორც პიანისტი, უკრავდა ამავე ინ-ტის საესტრადო ორკესტრში (ხელმძღვ. ი. *ტუღუში*). 1961-იდან მუშაობდა სხვადასხვა საესტრადო მომღერალთან კონცერტმაისტერად. 1968-იდან საქართვ. სახელმწ. ფილარმონიის კონცერტმაისტერია. ძირითადად მუშაობდა ნ. *ბრეგვაძესთან.* მასთან ერთად საგასტროლოდ იმოგზაურა სსრკ ქალაქებში და საზღვარგარეთ. მისი შესრულება გამოირჩევა მაღალი პროფ. კულტურით, რბილი, ფაქიზი ჟღერადობით, ნაწარმოების არსში ღრმა წვდომით, მომღერალთან სანიმუშო თანახმიერებით. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკ. VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი (1957).

გონდაური დავით ბაქარის ძე (23. I. 1921, თბილისი, – 9. III. 2002, იქვე), პედაგოგი. საქართვ. სახალხო მასწავლებელი (1990). 1937–41 სწავლობდა თსუ-ის ფიზ.-მათ. ფაკ-ტზე. 1953 დაამთავრა თბილ. ა. პუშკინის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტის ფიზ.-მათ. ფაკ-ტი. 1941-იდან მუშაობდა მათ. მასწავლებლად სკოლაში, რ-საც იმხანად მე-4 სანიმუშო საშ. სკოლა ერქვა, შემდეგ იგი გადაკეთდა ჯერ ვაჟთა 24-ე, შემდეგ 77-ე სკოლად, ხოლო 1990-იდან – გ. კობახიძის სახ. მე-5 გიმნაზიად. 1970–90 ატარებდა ტელეგაკვეთილებს (გადაცემათა რუბრიკები: ,,მათემატიკა მოსწავლეთათვის'' და ,,მასწავლებლის საათი''), კითხულობდა ლექციებს მათემატიკასა და მათ. სწავლების მეთოდიკაში. ,,წლის საუკეთესო მასწავლებლის'' კონკურსებში მრავალგზის გამარჯვების გამო ეს წოდება მუდმივად მიენიჭა.

თხზ.: ვექტორები გეომეტრიის სასკოლო კურსში, კრ.: მათემატიკის სწავლების საკითხები სკოლაში, თბ., 1967; საზრიანობა და ხარვეზები მოსწავლეთა პასუხებსა და წერით ნამუშევრებში, თბ., 1985.

ლიტ.: ალავერდაშვილი გ., პედაგოგიური შრომის ოსტატები, თბ., 1966.

გონდრიო, იხ. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი *კონდრო.*

გონებისკარი (ყოფ. კარისყურე), სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემოქმედის თემში (გურიის მხარე), მდ. ბჟუჟის (ნატანების მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 190 *მ*, ოზურგეთიდან 7 *კმ*. 156 მცხ. (2002).

გონიკიშვილი მიხეილ გიორგის ძე (დ. 28. XII. 1924, სოფ. ზეკოტა, ახლანდ. ხაშურის მუნიციპალიტეტი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1999). 1953 დაამთავრა მოსკოვის პედ. ინსტიტუტის ისტ. ფაკ-ტი. 1954-იდან მუშაობდა საქართვ. კპ ცკ-თან არსებულ რესპუბლიკურ პარტიულ სკოლაში. 1959-იდან მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-ტში სხვადასხვა სამეცნ. თანამდებობებზე. გ-ის კვლევის ძირითადი მიმართულებაა საქართველოს ბაგრატიონთა სამეფო გვარის საქმიანობა. მისი კვლევები ეძღვნება როგორც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე პერიოდს, ისე შემდგომ ხანას. რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა ჩრდ. კავკასიის ხალხთა ისტორიას. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია და 5 მონოგრაფია.

გ. არის II მსოფლიო ომის ვეტერანი, მინიჭებული აქვს საქართვ. დამსახურებული ბიბლიოგრაფის წოდება (1971), იაკობ გოგებაშვილის სახ. პრემია (2006). დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებით.

თხზ.: იმერეთის სამეფო XVIII–XIX სს. მიჯნაზე, თბ., 1964; საგლეხო-საადგილმამულო რეფორმა თერგის ოლქში, თბ., 1984; ბაგრატიონთა გადასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, ნაწ. I, თბ., 1986, ნაწ. II, თბ., 2002.

გონიო (ძვ. გონია), სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (აჭარის არ), მდ. ჭოროხის მარცხ. მხარეს, შავი ზღვის ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: გ., ავგია, ახალსოფელი, კვარიათი). ზ. დ. 30 *მ*, ხელვაჩაურიდან 10 *კმ*. 2,9 ათ. მცხ. (2002). სოფელშია სასტუმროები; ძვ. ციხესიმაგრე (იხ. სტ. *გონიოს ციხე*).

გ. პირველად მოხსენიებულია XIV ს. ტრაპიზონელი მემატიანის მიქელ პანარეტოსის ,,ტრაპეზუნდის ქრონიკაში''. ერთხანს იტალ. ქალაქ-რესპ. გენუის სავაჭრო ფაქტორია იყო. 1547 გ. ოსმალებმა დაიკავეს და მათ მფლობელობაში დარჩა 1878-მდე. რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად 1878 გ. საქართველოს დაუბრუნდა.

ა. ცინცაძე. ი. სიხარულიძე.

გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი, მდებარეობს სოფ. *გონიოსთან* (აჭარის არ). დაარსდა 1994; მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორია მოიცავს გონიო-აფსაროსის ციხესა და მის მიმდებარე ტერიტორიას (საერთო ფართ. 4,75 *ჰა*, საექსპოზიციო – 156 *მ*^{2}), სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია ელინისტური ხანის მასალა (მაკედონიის მეფის ანტიგონა გონატას მონეტა, ძვ. წ. III ს.; სინოპური კერამიკა). აღმოჩენილია საზ. დანიშნულების ნაგებობები, კერამიკის, ბრინჯაოს, ვერცხლის, ოქროს ნივთები, იუსტინიანე I-ის სპილენძის მონეტები, ჰიდრავლიკურხსნარიანი იატაკისა და კრამიტის ნიმუშები. განსაკუთრებით აღსანიშნავია *გონიოს განძი*, რ-იც ძირითადად უნიკალური საიუველირო ნიმუშებისაგან შედგება (აჭარის ხ. *აბვლედიანის* სახ. სახელმწ. მუზეუმი).

მუზეუმ-ნაკრძალში დაცულია 17 ათ. ექსპონატი. ბ.-ა. მ.-ნ-ის პარტნიორი ორგანიზაციებია საქართვ. არქეოლ. კვლევის ცენტრი, იენის უნ-ტი.

გონიოს განძი, II–III სს. ოქროს ნივთები. აღმოაჩინეს 1974 გონიოს ციხის აღმ-ით, მთაზე. ლითონის ჭურჭელში მოთავსებული იყო 60-მდე ოქროს ნივთი და ნივთების ფრაგმენტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია: ფიალა, ბოლოგახსნილი სამაჯურები (2 ც.), ჭედური, თვალედი გარსაკრავი, მედალიონი (მამაკაცის ჭედური, რელიეფური ბიუსტი), თვალედი ბალთები (4 ც.), რ-ებიც დამაგრებული ყოფილა ტყავის სარტყელზე; ცვარათი შემკული მძივები (2 ც.), წნული სარტყელი (ან ძეწკვი, 2 ც.), შტანდარტის თავი ჭაბუკის ქანდაკებასაკიდი, რ-იც თავსამკაულისა და ქლამიდის მიხედვით, ანტ. მითოლოგიის ერთ-ერთი პერსონაჟი [დიოსკური (კაბირი) კორიბანტი] უნდა იყოს. სარმატული ცხოველსახოვანი ძეგლების წრეს მიეკუთვნება გარსაკრავი, რ-ზეც ცხოველთა ბრძოლის სცენაა გამოსახული.

ბ. ბ. საქართვ. სხვა ადგილებში (არმაზისხევი, თაგილონი, ურეკი, ბანძა, კლდეთა და სხვ.) აღმოჩენილი ოქრომჭედლური ნაწარმის ანალოგიურია. იგი უნდა ეკუთვნოდეს საქართვ. მმართველი საზ-ბის ერთ უცნობ წრეს, რ-იც განაგებდა კონკრეტულ ადმ. ერთეულს [ცენტრი – ციხე-ქალაქი აფსარუნტი (გონიო)].

ბ. ბ-ში სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო მდიდრული სამარხის ინვენტარი, რ-იც მძარცველებს ადრევე უპოვიათ და გადაუმალავთ.

ლიტ.: ლორთქიფანიძე ო., მიქელაძე თ., ხახუტაიშვილი დ., გონიოს განძი, თბ., 1980 (ქართ., რუს. და ფრანგ. ენებზე).

დ. ხახუტაიშვილი.

გონიოს ტბა, ტბა დასავლეთ საქართველოში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. გონიოსთან. ტბის ქვაბული მოქცეულია ზღვის სანაპირო დიუნებს შორის, ზ. დ. 0,5 *მ*-ზე. წაგრძელებულია ჩრდ-იდან სამხრ-კენ. ზედაპირის ფართ. 0,06 *კმ*^{2}, მაქს. სიღრმე 1,3 *მ*, წყლის მოცულობა 5,4 ათ. *მ*^{3}. უმთავრესად საზრდოობს წვიმის წყლით. მინ. დონე ზაფხულში აქვს, მაქს. – შემოდგომაზე.

ი. აფხაზავა.

გონიოს ციხე, ძველი ციხე-ქალაქი შავი ზღვის ნაპირას, ბათუმიდან სამხრ-ით 12 *კმ*-ზე, მდ. ჭოროხის დელტის მარცხ. მხარეს. ციხე-ქალაქიდან გადარჩენილია გრანდიოზული ციხე, მისი გეგმა დაახლ. კვადრატია (222 *მ* × 195 *მ*). ყოველ მხარეს აქვს თითო ჭიშკარი. გალავანში 18 კოშკია ჩართული. ციხის ტერიტორიაზე და მის გარშემო დაცულია მძლავრი არქეოლ. ფენები.

წერილობით წყაროებში ბ. ც. პირველად მოიხსენიება I ს-ში (პლინიუს სეკუნდუსი) აფსაროსის ციხის სახელწოდებით. XII ს-მდე მას იცნობდნენ აფსაროს-აფსარუნტის სახელით, ხოლო XII ს-იდან



გონიოს ციხე.

– გონიოს სახელით (ჰაჯი კაფკა). II ს-ში აქ რომაული გარნიზონი მდგარა (ფლავიუს არიანე); მისი სახელი ამ დროის რომაულ წარწერებშიც გამოჩნდა. შემდეგ იგი ლაზიკის სამეფოს შემადგენლობაში იყო. პროკოპი კესარიელის ცნობით (VI ს.), აფსაროსი ოდესღაც დიდი და ხალხმრავალი ქალაქი ყოფილა, ჰქონია თავისი თეატრონი, იპოდრომი და ა. შ. VIII–IX სს-ში იგი ქართ. სამეფოს (იოანე საბანისძე), კერძოდ, აჭარის საერისთავოს ნაწილი იყო. XIV ს-ში მიქაელ პანარეტოსი (ტრაპეზუნტის ქრონიკა) ბ. ც-ს საქართვ. განაპირა ციხედ მიიჩნევდა. 1547 იგი ოსმალებმა დაიკავეს. ამის შემდეგ ხელიდან ხელში გადადიოდა, ბოლოს კი ისევ ოსმალებს დარჩათ. გონიოში გაუვლია არაერთ მოგზაურსა და სახელმწ. მოღვაწეს, მ. შ. ს.-ს. ორბელიანს. ბ. ც-ში ჩატარებული არქეოლ. გათხრები (1959, 1961, 1967) დაზვერვითი ხასიათისა იყო. მისი სისტემური არქეოლ. შესწავლა 1995 დაიწყო, როცა იქ შეიქმნა მუზეუმ-ნაკრძალი და მუდმივმოქმედი არქეოლ. ექსპედიცია. გონიო-აფსაროსში აღმოჩენილია სხვადასხვა დროის საცხოვრ. და საზ. ნაგებობათა ნანგრევები, 12 წყალსადენი, აბანოები, საკანალიზაციო კოლექტორები, დიდი რაოდენობით ადგილ. და იმპორტ. კერამ. ნაწარმი, მინის ჭურჭელი, მონეტები, საბრძოლო და სამეურნეო იარაღი და ა. შ. არქეოლ. მასალის საფუძველზე გამოირკვა, რომ ქალაქი წარმოქმნილია ძვ. წ. VIII–VII სს. ნამოსახლარზე. დაზვერვითი სამუშაოებისა და გათხრების მეშვეობით ხდება გვიანდ. ელინისტური (ძვ. წ. II–I სს.), გვიანდ. ანტ. (I–IV სს.), ადრინდ. ბიზანტ. (ადრინდ. ფეოდ.), განვითარებული ფეოდ. და ოსმალობის პერიოდის კულტ. ფენების შესწავლა.

ციხის შემორჩენილ კედლებში გამოიყოფა 3 ძირითადი სამშენებლო ფენა, რ-თაგან ჯერჯერობით უძველესი V ს-ზე ადრინდელი არ არის. ყველაზე გვიანდ. სამშენებლო ფენა ოსმალთა ბატონობის ხანას უკავშირდება. გამოვლენილია აგრეთვე სხვადასხვა პერიოდის ნაგებობათა ნანგრევები (საცხოვრ. სახლები, სალოცავები და ა. შ.).


ლიტ.: გძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი დ., რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში, კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, თბ., 1964; იაშვილი ვ., გონიოს ციხის ისტორიისათვის, კრ.: ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, ბათ., 1955; ლორთქიფანიძე ო., მიქელაძე თ., ხახუტაიშვილი დ., გონიოს განძი, თბ., 1980 (ქართ., რუს. და ფრანგ. ენებზე); სიხარულიძე ი., აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათ., 1962.

დ. ხახუტაიშვილი.


გონიოს ღმინდა გიორგის ეკლესია, XI ს. ეკლესია მდებარეობს ცაგერის მუნიციპალიტეტში, სოფელ ორხვის მახლობლად. ეკლესია დარბაზულია, ნაგებია სწორ რიგებად ნაწყობი, სუფთად გათლილი შირიმის კვადრებით. აღმ-ით გეგმით ნახევარწრიული, კონქით დასრულებული აფსიდი აქვს. შიგნით ეკლესია გადახურულია ცილინდრული კამარით. გარედან სამხრეთის სარკმლის ზღუდარზე, ფონის ჩაღრმავებით გამოყვანილია სამი, წრეში ჩასმული ჯვრის რელიეფური გამოსახულება. ინტერიერში შემორჩენილია შელესილობისა და მოხატულობის ფრაგმენტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩუქურთმებითა და რელიეფებით შემკული ხუთთაღიანი კანკელი, რ-იც ამ ტიპის ძეგლებს შორის საყურადღებო ნიმუშია. ეკლესიას დას-ით ჰქონდა მინაშენი.


2006–07 ჩატარდა ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოები.











გონიოს ოქროს ნივთების განძი: 1, 2 – საკიდი; 3 – ჭაბუკის ქანდაკება; 4 – სამშვენისები; 5 – თასი. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ბანძელაძე ი., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ლ., ლეჩხუმი, თბ., 1983.



გონის წმინდა გიორგის ეკლესია. XI ს. (რესტავრაციამდე).

გონჯაონა, ამინდის გამოსაწვევი რიტუალი. გვალვის დროს გონჯათი (ერთმანეთზე ჯვარედინად დამაგრებული ორი ჯოხი ადამიანის ფორმისა) კარდაკარ სიარული და ვედრება წვიმისათვის. იხ. აგრეთვე: *ლაზაროზა, ლამპრობა.*

გოპაძე ილია ზურაბის ძე [8(20). I. 1853, ქუთაისი, – 29. III. 1932, თბილისი], თერაპევტი. მედ. დოქტორი (1886). სამედ. სამსახურის გენ.-მაიორი (1917). 1878 დაამთავრა სანქტ-პეტერბურგის სამედ.-ქირურგ. აკადემია. 1888 ბერლინში იმაღლებდა კვალიფიკაციას მასაჟისა და სამკურნ. ტანვარჯიშის დარგში. 1888–94 მუშაობდა პეტერბურგის ჰოსპიტალურ თერაპიულ კლინიკაში. 1894–1909 იყო აბასთუმნის სამხ. ჰოსპიტლის მთ. ექიმი, 1898-იდან – აბასთუმნის მინერ. წყლების დირექტორი. აბასთუმნის, როგორც ტუბერკულოზის სამკურნ. დაწესებულების, დამაარსებელი, რუს. საიმპერატორო ტახტის მემკვიდრის, ნიკოლოზ II-ის უმცროსი ძმის, ტუბერკულოზით დაავადებული დიდი მთავრის – გიორგი ალექსანდრეს ძის პირადი ექიმი (ლაიბ მედიკოსი 1904-მდე), 1921-იდან – კურორტ აბასთუმნის კონსულტანტი. აქტიურად მონაწილეობდა კურორტის კეთილმოწყობასა და მშენებლობაში. შეისწავლა მისი კლიმ. და ბალნეოლ. ფაქტორების როლი ტუბერკულოზისა და სხვა დაავადებათა მკურნალობაში. იყო კავკასიაში ტუბერკულოზის წინააღმდეგ მებრძოლი საზ-ბის გამგეობისა და ქართვ. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზ-ბის წევრი, საქართვ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზ-ბის სამეცნ. ტერმინოლოგიის საექიმო წრის პირველი თავ-რე.



ი. გოპაძე.

მიღებული ჰქონდა წმ. ანდრიას, წმ. ანას და წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენები.

თხზ.: Влияние массажа на азотистый обмен и усвоение азотистых веществ, СПб., 1886 (дисс.); Абастуман как климатическая станция и бальнеологический курорт, Тфл., 1930.

ლიტ.: წულუკიძე ა., მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ექიმები, თბ., 1961.

გორა, დიხაგუძუბა, დიხაზურგა, ნაცარგორა, თელი, თეფე, გორასამარხი (ყორღანი), არქეოლოგიურ ძეგლთა ერთ-ერთი უძველესი სახეობა, რ-საც ბორცვის, გორის ფორმა აქვს მიღებული, ან ბუნებრივ გორაზე მდებარეობს. ერთი მოსაზრებით, გ. უნდა ყოფილიყო გვაროვნული საზოგადოების დროინდელი გვარის სამოსახლო (ნ. ბერძენიშვილი); სხვა მოსაზრებით, უძველეს გ-ზე სახლობდნენ საერთო წარმოშობის, საგვარეულოს დიდი ან მცირე მონოგამური ოჯახები. გ-ზე, მისი ხანგრძლივად ფუნქციონირების გამო (ძვ. წ. VII–I ათასწლ.), შეიძლებოდა ეცხოვრა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, მათ შორის სახელმწ. დონეზე მდგომ სასოფლო თემსაც (გ. მინდიაშვილი). გ-ების გაჩენა დაკავშირებულია ადამიანის მწარმოებლურ, განსაკუთრებით სამიწათმოქმედო საქმიანობაზე გადასვლასა (ნეოლითი) და ერთ ადგილზე ხანგრძლივ ცხოვრებასთან. დასახლების მჭიდრო, შეჯგუფებული ხასიათი ნაკარნახევი იყო თავდაცვის აუცილებლობით. ერთ ადგილას დიდხანს ცხოვრების შედეგად სხვადასხვა დროის საცხოვრ. და სხვა ნაგებობათა ნანგრევები ერთიმეორეს ემატებოდა და ვაკე ადგილებში თანდათან იწვევდა გ-ების, ნაცარგორების, თელების გაჩენას (შულავრის გორა, იმირის გორა, არახლოს გორა და სხვ.) (ა. აფაქიძე). გ-ებად დასახლება საფუძველს უყრიდა საქართვ. ისტორიული ,,ქვეყანაების'' ჩამოყალიბების პროცესს (ნ. ბერძენიშვილი).

ლიტ.: აფაქიძე ა., გორა, გორანამოსახლარი, კრ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966; ბერძენიშვილი ნ., ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1960, ტ. 1; მინდიაშვილი გ., გორანამოსახლართა სოციალური ბუნებისათვის, «მაცნე». ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1980, №4.

ა. აფაქიძე. გ. მინდიაშვილი.

გორა, გორო, მარცვლეულისა და სითხის საწყაო XVI–XVIII სს. ლეჩხუმში. ტევადობა – საშუალოდ 32 *ლ*. გ. დღესაც გვხვდება ლეჩხუმის ეთნოგრ. ყოფაში.

ლიტ.: ჯაფარიძე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX–XIX სს.), თბ., 1973.

გ. ჯაფარიძე.

გორა, სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტის საკირის თემში (ქვემო ქართლის მხარე), ლოქის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ფინეზაურის (მაშავრის აუზი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1360 *მ*, დმანისიდან 25 *კმ*, კაზრეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 30 *კმ*. 38 მცხ. (2002).

გ-ში დგას ძველი, მოგვიანებით განახლებული ღვთისმშობლის ეკლესია, მის მახლობლად – ბერძნების მიერ XIX ს-ში აგებული წმ. ილიას ეკლესია. გ-ის ახლანდ. ბერძნ. მოსახლ. წინაპრები XIX ს-ში გადმოსახლდნენ არზრუმის მხრიდან (თურქეთი).

დ. ბერძენიშვილი.

გორა, ვანის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზედა გორისა* და *ქვედა გორის* გავრცელებული სახელწოდება. აქ ადამიანს ბრინჯაოს ხანიდან უცხოვრია. გ. დატანილია იტალ. მისიონერის არქანჯელო ლამბერტის მიერ 1654 შედგენილ რუკაზე. შემორჩენილია ფეოდ. ხანის ორი ციხის ნანგრევები. იხ. აგრეთვე *გორას განძი. თ. ბერაძე.*

გორაბერეჭოული, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (გურიის მხარე), სუფსის დაბლობზე, მდ. სუფსის მარცხ. ნაპირას. სათავო სოფელი. ზ. დ. 140 *მ*, ჩოხატაურიდან 5 *კმ*, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 24 *კმ*. 766 მცხ. (2002).

სახელწოდება გ. მიღებულია ორი სოფლის – გორასა და ბერეჟოულის სახელთა გაერთიანებით. ადამიანს აქ ჯერ კიდევ წინაანტ. ხანაში უცხოვრია. გ-ში შემორჩენილია ციხე-გალავანი (XVII ს. მიწურული) და ეკლესია (XIX ს.).

ი. სიხარულიძე.

გორაკა, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის ქვემო ჭალის თემში (შიდა ქართლის მხარე), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. ლეხურის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 840 *მ*, კასპიდან 15 *კმ*. 86 მცხ. (2002).

გ-ის თავში ნამოსახლარია, სადაც აღმოჩენილია ადრინდ. და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის კერამიკა. უძველეს ხანაში ეს ადგილი ლეხურის ხეობის ცენტრი ყოფილა. შემდგომ მის მახლობლად გაჩენილა ხეობის ახ. ცენტრები – *სხვილოს ციხე* (განვითარებული შუა საუკ.) და ქვემო ჭალა.

ჯ. გვასალია.

გორანა, მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ივრის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 8,6 *კმ*, აუზის ფართ. 24,8 *კმ²*. სათავეს იღებს ქართლის ქედის აღმ. კალთაზე. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა ზამთარში. ერთვის რამდენიმე შენაკადი. საშ. წლ. ხარჯი 0,4 *მ³/წმ*. *ი. აფხაზავა.*

გორანა, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის სიმონიანთხევის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ერწოს ქვაბულის ჩრდ.-დას. კიდეზე, მდ. აძეძის (ივრის მარჯვ. შენაკადი) ზემო აუზში. ზ. დ. 1100 *მ*, თიანეთიდან 28 *კმ*. 293 მცხ. (2002).

სოფლის დას-ით დგას გვიანდ. შუა საუკუნეების 4 დარბაზული ეკლესია და ამავე პერიოდის პატარა კოშკი.

გორანა, სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კოჭბაანის თემში (კახეთის მხარე), იალნოს ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ივრის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1000 *მ*, საგარეჯოდან 50 *კმ*. 124 მცხ. (2002).

გორანა, სოფელი სოხუმის მუნიციპალიტეტის თავისუფლების თემში (აფხაზეთის არ), მდ. ბესლეთის ზემო დინების აუზში. ზ. დ. 320 *მ*, სოხუმიდან 5 *კმ*. 104 მცხ. (1989).

გორასამარხი, ყორღანი, არქეოლოგიური ძეგლების კატეგორია – მიწაყრილიანი ან ქვაყრილიანი სამარხი. ჩვეულებრივ ნახევარსფერულია, უფრო იშვიათად – ოვალურ-კვადრატული ან მოგრძოფუძიანი; ფუძეს ხშირად ქვების წრიული წყობა ან თხრილი შემოუყვება. მიწაყრილით ან ქვაყრილით დაფარულია სამარხთა სხვადასხვა სახეობა: *აკლდამა*, დოლმენი, კატაკომბა, ქვით ან ძელებით ამოშენებული დასაკრძალავი დარბაზი, *ორმოსამარხი* და სხვ. გამოირჩევა დრომოსიანი და უდრომოსო გ-ები.

გ., ჩვეულებრივ განკუთვნილი იყო ერთი პიროვნებისათვის, მაგრამ ხშირად წარჩინებულებს თან აყოლებდნენ ცოლს, მონებსა თუ მოახლეებს. ზოგი გ. გვარის რიგითი წევრების სამარხებს ფარავს (,,გრძელი ყორღანები'' რუსეთში; ტყვიავისა და ქორეთის გ-ები საქართველოში). გ-ებში თითქმის ყოველთვის არის აღაპის ნაშთები; ხშირია დაკლული საქონლის ჩატანების შემთხვევაც. ზოგჯერ მთავარი მიცვალებულისა და მისი თანმხლები სამარხების გარდა, გ-ის ყრილში გვხვდება გვიანდ. ე. წ. ჩაშვებული სამარხებიც. ადრინდ. ხანაში გ-ები ჩვეულებრივ ჯგუფებადაა განლაგებული, თუმცა ზოგი განმარტოებით დგას. გვიანდ. ხანაში კი გვხვდება გ-ების დიდი ჯგუფები. იგი გავრცელებულია თითქმის მთელ მსოფლიოში. კასპიისა და შავიზღვისპირეთის ველებზე და ჩრდ. კავკასიაში (მაიკოპის კულტურა) აღმოჩენილია გვიანდ. ნეოლითისა და ენეოლითის ხანის (ძვ. წ. IV–III ათასწლ.) გ-ები. გ. ყველაზე მეტად დამახასიათებელია ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ხანისათვის; აღმ. და ჩრდ. ევროპასა და ცენტრ. აზიაში გ-ებში კრძალავდნენ გვიანდ. შუა საუკუნეებამდე, რუსეთში – XIV ს-მდე.

საქართველოში უძველესი გ-ები გვიანდ. ენეოლითისა და ადრინდ. ბრინჯაოს ხანისაა (იხ. *მტკვარ-არაქსის კულტურა*), განსაკუთრებით ცნობილია შუა ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ.) გ-ები (თრიალეთი, მესხეთ-ჯავახეთი, კახეთი), სადაც ნაპოვნია პოლიქრომული ოქრომჭედლობისა და მაღალმხატვრული კერამიკის უბადლო ნიმუშები (ოქროსა და ვერცხლის თასები, ოქროს ყელსაბამები და შტანდარტები, მოხატული კერამიკა, სპილენძის ჭურჭელი და სხვ.). გათხრილია ქვით ნაგები დიდი დასაკრძალავი დარბაზები – ძელსამარხები, მუხის დიდი მორებით ნაგები ,,სახლი საკრძალავი'' (იხ. *ბედენის გორასამარხები*). საქართველოში შესწავლილია გვიანდ. ბრინჯაოს ხანის მდიდრული გ-ებიც (დიღომი, კახეთი). დაკრძალვის ეს წესი ანტ. ხანამდე შემორჩა. *ა. აფაქიძე.*

გორას განძი, ძვ. წ. XIII–XII სს. კოლხური კულტურის დამახასიათებელი ბრინჯაოს ხანის განძი, აღმოჩენილი სოფ. გორაში (ვანის მუნიციპალიტეტი). შედგება ბრინჯაოს 12 სეგმენტისებური იარაღის, 5 თოხის, კოლხური ცულის, კოლხური ცულის ნატეხების, ნამგლის ნატეხისა და ბრინჯაოს ზოდებისაგან. დაცულია ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწ. ისტ. მუზეუმში.

ლიტ.: ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

ლ. ფანცხავა.

გორაფი, მთა ჩხალთის ქედის თხემზე, მდ. არვაშის (ჯამპალის მარცხ. შენაკადი) სათავეებში, გულრიფშის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 2742 *მ*. აგებულია იურული პორფირიტებით და ტუფებით, ტუფ-ბრექჩიებით, ტუფქვიშაქვებითა და ფიქლებით. აქვს ციცაბო კალთები, შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოს ბალახეულით. *დ. უკლება.*

გორაფის ტბა, ყვარაშის ტბა, ტბა დას. საქართველოში, გულრიფშის მუნიციპალიტეტში, ჩხალთის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, ზ. დ. 2175 *მ*. ტბის ქვაბული წარმოადგენს მყინვარულ კარს. ზედაპირის ფართ. 0,08 *კმ²*, აუზის ფართ. 2,8 *კმ²*. მაქს. სიღრმე 15,6 *მ*, საშ. – 7,7 *მ*. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით, ტბიდან გაედინება მდ. ყვარაში (ჩხალთის მარჯვ. შენაკადი). ზაფხულში ზედაპირზე წყლის ტემპ-რა 15–16°C-ია. ზამთარში რამდენიმე თვე იყინება. ტბაში გავრცელებულია კალმახი. ყვარაშის ტბა შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში''.

ი. აფხაზავა.

გორაძირი, ძვ. წ. VII–IV სს. არქეოლოგიური ძეგლი – წარმართული სატაძრო კომპლექსი სამაროვნითურთ. მდებარეობს საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. კორბოულთან, ადგილ ,,გორაძირზე'', სოფლის სამხრ.-აღმ-ით, დაახლოებით 2 *კმ* დაშორებით მდებარე ორი გორიდან უმაღლესზე (ჩრდ-ით მდებარე გორა).

1967–68 ჩატარებული გათხრებით (ხელმძღვ. ე. გოგაძე) გამოვლენილი სამაროვანი მოიცავს 3–4 *ჰა*. აქ გაითხარა სამი ყორღანი და ოთხი ორმოსამარხი. დასტურდება კოლექტიური დაკრძალვა და კრემაცია. სამარხეული მასალა ძირითადად კერამიკაა. მიცვალებულებისათვის ჩაუტანებიათ აგრეთვე ბრინჯაოს ისრისპირი, საკინძი, სამაჯური, ხელშუბისპირები, მშვილდსაკიდი, ღეროვანი საკინძები, ცხოველის ფორმის ბრტყელი აბზინდა, ორნამენტირებული ბალთა, პინცეტი, სამაჯურები (ერთი ოქროს გარსაკრავიანი), სამნაწილიანი ფირფიტოვანი საკიდი ხვია, ცხოველის მინიატიურული ქანდაკება, ბრინჯაოსა და რკინის სატევრები, სარდიონის თეთრი კაჟისებური ქვის, მინისა და პასტის მძივები.

გორაძირის ძეგლებში დაკრძალვის წესი და სამარხეული მასალა გამოხატავს კოლხური და აღმ. ქართული არქ. კულტურების ელემენტთა შერწყმას და სასაზღვრო რეგიონში ამ კულტ. სფეროების სათანადო ეთნ. ნაკადთა შერწყმის პროცესზე უნდა მიუთითებდეს. მასალის ტიპოლოგიური ანალიზით

ძეგლი ძვ. წ. VII–VI სს. ფარგლებში ექცევა.

1997–98 გაითხარა სატაძრო კომპლექსი, რ-იც გორის თხემზეა გამართული. იგი ორფენიანია. ზედა ფენა წარმოადგენს დაახლოებით 60–70 $მ^2$ ფართობის ფლეთილი ქვით ნაგებ სწორკუთხა შენობას, რ-ის აღმ. ნაწილში გამოვლინდა ქვის ცალპირი წყობით ნაშენი შიდა კედლის ნაშთიც. ნაგებობის ცენტრ. ნაწილში მომწვანო ფერის თიხის, კუბის ფორმის ორი პოდიუმი გაიწმინდა. ფენაში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი არქეოლ. მასალიდან (კერამიკა, რკინის ნივთები) ყურადღებას იქცევს თეფშის ფორმის ორი ჭურჭელი, რ-ზეც დაძერწილია სფერულმუცლიანი პატარა კოჭბები. ფენა ძვ. წ. V–IV სს-ით თარიღდება.



გორაძირი. სატაძრო კომპლექსი. ძვ. წ. VII–IV სს.

ქვედა ფენა წარმოადგენს ღია, კვადრატულ სამლოცველო მოედანს, რ-იც მოგებული იყო ფილაქვებით (10 *სმ* × 10 *სმ*). მის ცენტრ. ნაწილში აღმოჩნდა მრგვალი, ბრტყელი ლოდი 10 *სმ* დიამეტრის გამჭოლი ნახვრეტით, რ-იც სავარაუდოდ, სარიტუალო სვეტის ან კერპის ბაზისი უნდა ყოფილიყო. მოედანზე აღმოჩნდა სხვადასხვა ცხოველის და ფრინველის დამწვარი ძვლები (შეწირულობები), ფრაგმენტულად წარმოდგენილია თიხის მრავალრიცხოვანი ჭურჭელი, რკინის ფიბულები და ისრისპირები, ბრინჯაოს სამაჯური, სკვითური ისრისპირი და სხვა. ფენა ძვ. წ. VII–VI სს-ით თარიღდება.

თხემის ჩრდ. ნაწილში, მინდორზე გაიწმინდა დიდი ზომის ფლეთილი ქვებით ნაგები ოთხკუთხა შენობის საძირკვლის ნაშთი. მისი შიდა არე დაფარული იყო სამშენებლო ბათქაშით; სავარაუდოდ იგი ქვის საძირკველზე აღმართული ბათქაშით შელესილი ხის ნაგებობა უნდა ყოფილიყო. საბერძნეთიდან შემოტანილი ამფორისა და შავლაკიანი ჭურჭლის მცირე ფრაგმენტები რამდენადმე აზუსტებს ნაგებობის თარიღს და იგი ძვ. წ. V–IV სს-ით განისაზღვრება.

ლიტ.: გ ო გ ა ძ ე ე., დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე ც., გორაძირი, თბ., 1981; გ ო გ ა ძ ე ე., მ ე შ ვ ე ლ ი ა ნ ი თ., პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი რ., ქ ო რ ი ძ ე ი., ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე მ., წარმართული ტაძარი გორაძირიდან, «არქეოლოგიური ჟურნალი», V, თბ., 2010. *ე. გოგაძე. ი. ქორიძე.*



მ. ს. გორბაჩოვი.

გორბაჩოვი მიხეილ ნიკიფორეს ძე (12. III. 1917, თბილისი, – 6. VIII. 1955, ქ. ჟდანოვი), საბჭოთა კავშირის გმირი (13. III. 1944). გაიზარდა თბილისში. 1938 გაიწვიეს საბჭ. არმიის რიგებში. 1940 დაამთავრა სამხ.-საავიაციო სასწავლებელი და დაინიშნა კიევში დისლოცირებული შორსმოქმედი ესკადრილიის მფრინავად. II მსოფლიო ომის დროს იბრძოდა ლენინგრადთან, სტალინგრადთან, ვორონეჟთან. შეასრულა 250-ზე მეტი საბრძოლო გაფრენა. ომის დამთავრების შემდეგ კვლავ სამხ. სამსახურში იყო. 1951-იდან კი – სამოქალაქო ავიაციაში მსახურობდა. დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

გორბაჩოვი მიხეილ სერგეის ძე (დ. 2. III. 1931, სოფ. პრივოლნოე, კრასნოგვარდეისკოეს რ-ნი, სტავროპოლის მხარე, რფ), სსრ კავშირის პრეზიდენტი (1990–91). დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. უნტის იურიდ. ფაკ-ტი (1955), სტავროპოლის სას.-სამ. ინ-ტი (1967). სხვადასხვა დროს იყო სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი (1970–78), სკკპ ცკ-ის მდივანი (1978–85), პოლიტბიუროს წევრი (1980–91), სკკპ ცკ-ის გენ. მდივანი (1985–91), სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1988–89) და უმაღლესი საბჭოს (1989–90) თავ-რე. 80-იანი წწ. შუა ხანებიდან სათავეში ჩაუდგა საბჭ. საზ-ბის გარდაქმნის პროცესს, დიდი წვლილი შეიტანა დემოკრატიულობის ელემენტებისა და საჯაროობის დამკვიდრებაში, საერთაშ. უსაფრთხოების ახალი კონცეფციის შემუშავებაში, დას. ქვეყნებთან კონფრონტაციის შეწყვეტასა და ,,ცივი ომის'' დამთავრებაში. 1991 დეკ-ში გადადგა პრეზიდენტის პოსტიდან. 1992 იანვრიდან არის სოც.-ეკონ. და პოლიტოლოგიური კვლევების საერთაშ. საზოგადოებრივი ფონდის (გორბაჩოვი-ფონდი) პრეზიდენტი. არის მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი (1990), მრავალი ჯილდოს კავალერი. იხ. აგრეთვე სტ. *ცხრა აპრილი 1989.*

გორგანელი ვახტანგ პეტრეს ძე (25. II. 1921, თბილისი, – 4. V. 1996, იქვე), პოეტი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1948). მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. ლიტ. მოღვაწეობა 1944-იდან დაიწყო. პირველი წიგნი ,,სიცოცხლის ტალღები'' 1947 გამოაქვეყნა. მის პოეტურ კრებულთაგან აღსანიშნავია ,,გზა მთებში'' (1956), ,,მთელი გულით'' (1959), ,,გზები და მწვერვალები'' (1965), ,,ცეცხლი და ყვავილი'' (1969), ,,ლექსები, პოემა'' (1973), ,,ნახტომი იტალიის მთებიდან'' (1974), ,,ყაყაჩოები არაგვის პირას'' (1976) და სხვ. გ. ავტორია აგრეთვე საბავშვო ლექსების კრებულებისა. მისი ლექსები თარგმნილია უცხ. ენებზე.

გორგასალი, იხ. *ვახტანგ I* გორგასალი.

„გორგასლიანი“, არალეგალური პატრიოტული ორგანიზაცია. შეიქმნა 1953. მასში თავდაპირველად გაერთიანებული იყო სულ 4 მოზარდი: ზ. *გამსახურდია,* მ. *კოსტავა,* ა. მიქაძე და ვ. სიხარულიძე. 1959-ისათვის ,,გ.'' 9 წევრისაგან შედგებოდა. დაემატნენ: გ. *დოჩანაშვილი,* თ. მეტრეველი, თ. ცერცვაძე, თ. გუნჯუა და გ. სხირტლაძე.

არალეგალურმა ჯგუფმა თავისი საქმიანობა ანტისაბჭოთა პროკლამაციების გამოშვებით დაიწყო. ,,გ.'' პარტიზანული ბრძოლისათვისაც კი ემზადებოდა. შეიმუშავეს სათანადო გეგმა და მცირეოდენი იარაღიც შეიძინეს.

ორგანიზაციის საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1956 წ. 9 მარტის ტრაგედიის შემდეგ. ჯგუფის თითქმის ყველა წევრი 15 დეკემბერს დაიჭირეს. გ. დოჩანაშვილი და გ. სხირტლაძე კი მოგვიანებით დააპატიმრეს.

,,გ-ის'' წევრთა დაპატიმრებიდან 5 თვის შემდეგ, 1957 წ. 3–5 აპრილს, თბილისში საჯარო სასამართლო სხდომა გაიმართა, რამაც ორგანიზაციის წევრები ანტისაბჭოთა საქმიანობაში დამნაშავედ ცნო და 3-იდან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მაგრამ სასამართლო კოლეგიამ მხედველობაში მიიღო შემამსუბუქებელი გარემოებანი და მსჯავრდებულებს პირობითი სასჯელი შეუფარდა.

გორგასლიძე შალვა თეოფილეს ძე (23. IX. 1917, სოფ. უსახელო, ახლანდ. ცაგერის მუნიციპალიტეტი, – 23. VIII. 1991, თბილისი), სპორტსმენი (მოკრივე). სსრკ სპორტის ოსტატი (1939), სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1951); საკავშ. კატეგორიის (1959) და სსრკ საპატიო მსაჯი (1969) კრივში. საქართვ. ფიზკულტ. და სპორტის დამს. მუშაკი (1967). 1940 დაამთავრა საქართვ. ფიზკულტ. სახელმწ. ინტი. კრივში ვარჯიში დაიწყო 1932 (პირველი მწვრთნელი – თ. ფურცელაძე, შემდეგ გ. გასპარიანი და ა. გოლდშტეინი). 1937 იყო საქართვ. ნაკრების წევრი, 1945 კვლავ საქართვ. ნაკრების წევრი გახდა; მოიპოვა სსრკ გუნდური ჩემპიონობა. სსრკ ჩემპიონი (1944, მსუბუქ წონაში); 1937, 1938 და 1945 სსრკ პირველობის მესამე პრიზიორი. საქართველოს 13-გზის ჩემპიონი. რინგზე ჩაატარა 149 ორთაბრძოლა, მოიგო 132, აქედან 24 ნოკაუტით. *უ. ჭიჭინაძე.*

გორგაძე ანთიმოზ მიხეილის ძე (2. VII. 1924, ქუთაისი, – 2. I. 1970, თბილისი), მოქანდაკე, გრაფიკოსი, ოქრომჭედელი. საქართვ. დამს. მხატვარი (1962). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1947, ი. ნიკოლაძის კლასი). 1948-იდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. გ. ქართ. რელიეფური ქანდაკების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. ნამუშევრები: ,,რუსთავი'' (1954, ტონირებული თაბაშირი, რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი), ,,ჭაბუკის პორტრეტი'' (1956), ,,მამაკაცის პორტრეტი'' (1957 ორივე საქართველოს ეროვნული გალერეა, თბილისი). მისი ნამუშევრები გამოირჩევა დახვეწილი კომპოზიციითა და ამაღლებული განწყობით. ავტორია სკულპტურული ფიგურებისა: ,,ჩამომსხმელი'' (1950, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმი), ,,მეშახტე ბოტკოველი'' (1951, ტონირებული თაბაშირი, ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი); შესრულებული აქვს გრაფ. სერიები: ,,ჩეხოსლოვაკია'', ,,ეგვიპტე'', ,,თურქეთი'' (მხატვრის კუთვნილება), სპორტისა და თეატრის თემებზე შექმნილი კომპოზიციები. გ. წარმატებით მუშაობდა ჭედურ ხელოვნებაშიც.


გ. მასხარაშვილი.

გორგაძე ბიძინა ვასილის ძე (17. XI. 1919, ოზურგეთი, – 11. IX. 1992, თბილისი), ფერმწერი. საქართვ. დამს. მხატვარი (1961). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1947, უ. ჯაფარიძის კლასი). II მსოფლიო ომის მონაწილე. 1947-იდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. გ. პეიზაჟისტია. მისი შემოქმედების ძირითადი თემა იყო საქართვ. ისტ. წარსულისა და აწმყოს ასახვა. მნიშვნელოვანი ნამუშევრები: ,,რუსთავი'' (1952–53), ,,ბათუმი'' (1953), ,,ელბაქიძის აღმართი'' (1955), ,,ზღვის პეიზაჟი'' (1958), ,,შემოდგომა'' (1981) და სხვ. გ. მონაწილეობდა საზღვარგარეთ (პოლონეთი, 1959; გერმანია, 1969) მოწყობილ ქართვ. მხატვართა გამოფენებში.


გორგაძე მიხეილ ანთიმოზის ძე (13. VI. 1896, ქუთაისი, – 2. V. 1972, თბილისი), სპორტის ისტორიკოსი. საქართვ. ფიზკულტურისა და სპორტის დამს. მუშაკი (1961), პროფესორი (1963). 1927 დაამთავრა თსუ-ის პედ. ფაკ-ტის ისტორიის განყ-ბა. იყო საქართვ. ფიზიკური კულტურის ინ-ტის რექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში, 1939–69 – ინ-ტის ფიზკულტურის ისტ. და ორგანიზაციის კათედრის გამგე, 1969-იდან – ამ კათედრის პროფესორი. 1967 მისი ხელმძღვანელობით დაარსდა საქართვ. ფიზკულტურისა და სპორტის მუზეუმი. 1966–70 იყო ქსე-ის სპორტის სამეცნ. საბჭოს თავ-რე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.



ა. გორგაძე. ,,მამაკაცის პორტრეტი''. 1957.



ბ. გორგაძე. ,,მუხრანის ხიდი''. 1956. კერძო კუთვნილება.



ლ. გორგილაძე.

თხზ.: ნარკვევები საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1959; ფიზიკური კულტურის ისტორია, თბ., 1965.

გორგაძე სერგი რომანოზის ძე (1876, სოფ. ილემი, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 1929, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, პედაგოგი. დაამთავრა ქუთ. სას. სასწავლებელი (1890), შემდეგ – თბილ. სას. სემინარია (1897) და სწავლა განაგრძო ყაზანის სას. აკად. ისტ. ფაკ-ტზე. მისი უმთავრესი ისტ. ნაშრომებია: ,,წერილები საქართველოს ისტორიიდან'' (წგ. 1–2, 1906–08), ,,საქართველოს მე-18 ს. სამხედრო ისტორიის მასალები'' (1927) და სხვ. გ. ავტორია ქართ. ვერსიფიკაციის პირველი სისტემ. კურსისა (,,ქართული ლექსი'', 1930), რ-შიც განხილულია მახვილის, მეტრიკის, სტროფიკის, რითმისა და ლექსის კომპოზიციის საკითხები. გ-მ შეადგინა ქართ. ლიტ-რის ქრესტომათიები: ,,ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია'' (1915), ,,ჩვენი ახალი მწერლობა'' (წგ. 1–2, 1917–18) და სხვ. მანვე გამოსცა ბესიკის თხზულებანი (1912), ნემესიოს ემესელის ,,ბუნებისათვის კაცისა'' (1914), იაკობ ხუცესის (ცურტაველის) ,,შუშანიკის წამება'' (1917). საყურადღებოა გ-ის გამოკვლევა ,,ქართული სადასიტყვაობა'' (1915), რ-იც ქართ. წინადადების საკითხებს ეძღვნება. თავისი დროისათვის ძალზე საჭირო წიგნად იყო მიჩნეული აგრეთვე მისი ,,ქართული მართლწერა'' (1916). დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, «მოამბე», 1905, №3, 4, 5; ქართული წყობილსიტყვაობა, ტფ., 1912; ქართული ლექსი, თბ., 1930.

ლიტ.: ა ბ ა შ ი ძ ე ზ., სერგი გორგაძე ქართლის მოქცევის ქრონოლოგიის შესახებ, თბ., 1997; მ ი ს ი ვ ე, სერგი გორგაძე ქართული ეკლესიის იერარქიული მდგომარეობის შესახებ (IV–VI სს.), თბ., 1997; გ ა წ ე რ ე ლ ი ა ა., რჩეული ნაწერები, ტ. 2, თბ., 1965; გ რ ი გ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., სერგი გორგაძე, კრ.: ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი, თბ., 1986.

თ. დოიაშვილი.

გორგაძეები, სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხალის თემში (აჭარის არ), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ღორჯომისწყლის (აჭარისწყლის მარჯვ. შენაკადი) ზემოთში. ზ. დ. 1450 *მ,* ხულოდან 16 *კმ.* 522 მცხ. (2002).

სახელი უწოდეს გორგაძეების საგვარეულოს მიხედვით.

გორგილაძე ზურაბ ჰასანის ძე (5. V. 1937, სოფ. ხალა, ახლანდ. ქობულეთის მუნიციპალიტეტი, – 8. IV. 2006, ბათუმი), პოეტი. დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედ. ინ-ტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკ-ტი (1961). პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1957, პირველი წიგნი ,,ნედლი სალამურები'' – 1962. ავტორია პოეტური კრებულებისა: ,,დიდი თვალები'' (1964), ,,ლირიკული პოემები'' (1969), ,,ზღვიდან აკრეფილი კენჭები'' (1970), ,,ლექსები'' (1973), ,,სინაზე'' (1977), ,,ლირიკა'' (1979), ,,მოფერება'' (1984) და სხვ. ლექსების ძირითადი თემატიკაა სიყვარული, აჭარის ისტ. წარსული და პოეტის მშობლიური კუთხის მკვიდრთა სულიერი სამყარო. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1997).

გორგილაძე თევრათ იუსუფის ძე (6. VII. 1926, სოფ. გორგაძეები, ახლანდ. ქობულეთის მუნიციპალიტეტი, – 1. III. 1996, ოდესა), ოფთალმოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1977), უკრ. მეცნ. დამს. მოღვაწე. 1954 დაამთავრა ოდესის სამედ. ინ-ტის სამკურნ. ფაკ-ტი; გაიარა კლინ. ორდინატურა აკად. ვ. ფილატოვის რეკომენდაციით. გ. მუშაობდა თვალის რქოვანას გადანერგვის პრობლემებზე. გაგზავნილი იყო აფრიკის ქვეყნებში ოფთალმოლოგად. დაჯილდოვდა ტუნისის უმაღლესი ორდენით. გ-ის სამეცნ. შრომებს შორის საინტერესოა თვალის მეორადი გლაუკომისა და რქოვანას გადანერგვის საკითხები.

გორგილაძე ლეონიდე ერემიას ძე (5. IX. 1914, თბილისი, – 22. IX. 1989, იქვე), ისტორიკოსი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1983; წ.-კორ. 1974). ისტ. მეცნ. დოქტორი (1958), პროფესორი (1960), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1964). 1933 დაამთავრა თბილ. ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტი. 1938–52 მუშაობდა სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის საქართვ. ფილიალში უფროს მეცნ. თანამშრომლად, პარტიის ისტ. სექტორის გამგედ. 1946–64 იყო თსუ-ის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე, 1964-იდან – მეცნ. კომუნიზმის კათედრის გამგე, ხოლო 1962–66 – პრორექტორი. მუშაობდა კომპარტიის, მეცნ. კომუნიზმის ისტ. და თეორიის საკითხებზე. მთავარი ნაშრომები: ,,მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში'' (1956); ,,ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან'' (1961); ,,სოციალიზმის ისტორიიდან'' (წგ. 1–2, 1967–70). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

გორგილაძე მალხაზ დიმიტრის ძე (4. IV. 1938, თბილისი, – 1. I. 1996, იქვე), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართველოს დამს. არტისტი. 1960 დაამთავრა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტი (დ. ალექსიძის კლასი). 1962–67 მუშაობდა კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. აკადემიურ დრამ. თეატრში, სადაც შექმნა დასამახსოვრებელი სახეები: კლავდიო (უ. შექსპირის ,,აურზაური არაფრის გამო''), ჯიბო (ო. იოსელიანის ,,ცეცხლთან თამაში''), გიგი (გ. ხუხაშვილის ,,მთაწმინდის მთვარე''), ვლადიმერი (ვ. კოროსტილიოვის ,,მე მჯერა შენი''). 1967–75 მუშაობდა რუსთავის თეატრში. საუკეთესო როლები: კრისტიანი (ე. როსტანის ,,სირანო დე ბერჟერაკი''), თავადი ოლენსკი (ვ. კოროსტილიოვის ,,ასის წლის შემდეგ''), მეფე (პ. კაკაბაძის ,,კახაბერის ხმალი''), ედგარი (უ. შექსპირის ,,მეფე ლირი''), ზაზა (ნ. დუმბაძის ,,საბრალდებო დასკვნა''). 1975-იდან კვლავ კ. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი იყო. შეასრულა მთ. როლები: ვაჟა (ლ. თაბუკაშვილის ,,ძველი ვალსი''), ვრონსკი (ლ. ტოლსტოის ,,ანა კარენინა''), მარჯვანი (გ. რობაქიძის ,,გრაალის მცველნი'') და სხვ. კინოში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: კუკა (,,ნინო''), ვაჟა (,,დღე პირველი, დღე უკანასკნელი''), ემზარი (,,ენგურის ნაპირებზე''), თავადი მიქელაძე (,,დათა თუთაშხია''). მონაწილეობდა აგრეთვე ფილმებში: ,,ჯილდო'', ,,პიერი მი-



მ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე – ადიკო. ქ. კ ი კ ნ ა ძ ე – კნეინა ჩიტუნია, შ. დადიანის ,,გუშინდელნი''.

ლიციის თანამშრომელი‘‘, ,,წინაპართა მიწა‘‘, ,,ფესვები‘‘, ,,ფიროსმანი‘‘.

გ-ს ჰქონდა მომხიბვლელი გარეგნობა, ლამაზი ტემბრის ხმა, სცენური კულტურა. მის მიერ შექმნილი სახეები გამოირჩეოდნენ უშუალობითა და სისადავით.

გორგიძე ალექსანდრა დავითის ასული (8. VI. 1928, სოფ. მანდიკორი, ახლანდ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი, – 23. V. 1985, თბილისი), ბიოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1984). დაამთავრა თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტი (1950). 1956–80 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ბოტანიკის ინ-ტში სხვადასხვა სამეცნ. თანამდებობაზე, 1979–80 იყო ამავე ინ-ტის კულტ. ფლორის განყ-ბის გამგე, 1980 – საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ბოტანიკის კათედრის გამგე, 1984-იდან გარდაცვალებამდე – ამავე ინ-ტის პრორექტორი სამეცნ. დარგში. გ-ის კვლევის ძირითადი მიმართულებები: ზოგადი გენეტიკა, კულტ. მცენარეების სახეთა და ფორმათა წარმოქმნისა და ევოლ. საკითხების შესწავლა, სისტემატიკა, პალეოეთნობოტანიკა, რადიობიოლოგია. გ-ს მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია საბუნებისმეტყველო მეცნ. დარგში (1990).

ლიტ.: ალექსანდრა გორგიძე. ბიობიბლიოგრაფია. შემდგ. ე. გუგავა და სხვ., თბ., 2001. *ი. ჯაფარიძე.*

გორგიძე ალექსი იასონის ძე (17. V. 1907, ქუთაისი, – 17. XII. 1992, თბილისი), მათემატიკოსი და მექანიკოსი. პროფესორი (1961), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1969), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1998, გარდაცვ. შემდეგ). დაამთავრა თსუ (1928). 1929-იდან იყო საქართვ. ტექ. უნ-ტის თანამშრომელი, 1938-იდან – თეორიული მექანიკის კათედრის გამგე და პროფესორი. იყო საქართვ. მეცნ. აკად. ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინ-ტის ერთ-ერთი დამაარსებელი (1933), 1940–54 – ამავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე, თსუ-ის დოცენტი, პროფესორი (1935–92), საქართვ. მეცნ. აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწე (1944–48), საქართვ. მათემატიკოსთა საზ-ბის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პრეზიდიუმის წევრი, სსრკ თეორიული მექან. საბჭოს პრეზიდიუმის წევრი (1977–92), ამიერკავკასიის თეორიული მექან. სამეცნ. მეთოდური საბჭოს თავ-რე (1977–92). გ-ის ძირითადი შრომები ეხება დრეკადობის თეორიის, თეორიული მექან., გამოთვლითი მათ. საკითხებს, მეცნიერებისა და ტექ. ისტორიას და სხვა.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. 1993 საქართვ. საინჟინრო აკადემიამ დააარსა ა. გორგიძის სახ. პრემია.

თხზ.: თეორიული მექანიკა, წგ. 1–2, თბ., 1990–91; თეორიული მექანიკის კურსი. დინამიკა, თბ., 1997; Некоторые обобщения задач кручения и изгиба составных брусьев, Тб., 2001; К истории развития механики в Грузии, Тб., 2001.

ლიტ.: ბ ო ხ უ ა თ., საუბრები პროფესორ ალექსი გორგიძესთან, თბ., 1997.

გორგიძე დავით ალექსის ძე (დ. 9. II. 1944, თბილისი), მექანიკოს-მათემატიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2000), საერთაშ. და საქართვ. საინჟინრო აკადემიების ნამდვ. წევრი (2003), საქართვ. საინჟინრო აკადემიის მექანიკისა და გამოყენებითი მათ. განყ-ბის აკად.-მდივანი (2000). 1968 დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი. 1968–84 მუშაობდა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში თეორიული მექან. კათედრაზე; შეთავსებით თსუ-ის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათ. ინ-ტში. 1984-იდან პედ. საქმიანობას ეწეოდა საქართვ. ტექ. უნ-ტში თეორიული მექან. კათედრაზე.

გ-ის კვლევის თემაა: თერმოელექტროდრეკადობის თეორიის, რეალური მოვლენებისა და პროცესების მათ. მოდელირება. გამოქვეყნებული აქვს 4 მონოგრაფია და 6 სახელმძღვანელო. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

თხზ.: Математические модели пьезоэлектрических устройств систем управления, Тб., 2000; Некоторые задачи управления корпоративными системами, Тб., 2004.

გორგიძე ივანე ალექსის ძე (დ. 12. VI. 1942, თბილისი), მეცნიერი ინფორმატიზაციის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1990), საქართვ. საინჟ. აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1992), საერთაშ. საინჟ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1992), სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი (1986). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1964). 1965–67 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. გამოთვლით ცენტრში, 1967–71 – სსრკ მეცნ. აკად. მართვის პრობლემების ინ-ტში. 1978-იდან არის მისივე თაოსნობით შექმნილი ინფორმატიზაციის სამეცნ.-კვლ. ცენტრის დირექტორი.

გ-ის სამეცნ. შრომები ეხება მეცნიერებისა და ტექ. ისტორიას, მართვის პრობლემებს, მართვის სისტემებს, ორგანიზაციული სისტემების აგებასა და მართვას. არის აქტ. სისტემების მართვის თეორიის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

თხზ.: Совершенствование планирования в активных системах, Тб., 1985; Методы повышения эффективности и качества функционирования автоматизированных информационно-управляющих систем, М., 2001 (თანაავტ).



ა. ი. გორგიძე.

გორგიჯანიძე (გ ი ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე) ფარსადან (1626, გორი, – XVII ს. ბოლო წწ.), მწიგნობარი და ისტორიკოსი. 10 წლის ასაკიდან იზრდებოდა ქართლის მეფის როსტომის კარზე, სადაც სრულყოფილად შეისწავლა სპარს. ენა. 1656 როსტომის წარდგინებით შაჰ აბას II-მ სეფიანთა სახელმწ. დედაქალაქის – ისპაანის ტარუღად (მოურავად) დანიშნა, მაგრამ მალე *ემიკალასპაშის* (საპოლიციო უწყების უფროსი) თანამდებობაზე გაამწესეს.

ირანში ორმოცი წელი გაატარა და არაერთი განსაცდელი გადაიტანა. მან შეიმუშავა შეხედულებათა სისტემა, რ-იც გულჩახვეულობას, უნდობლობასა და პირმოთნეობას ქადაგებს და რ-ის მიხედვით ადამიანმა მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე უნდა იზრუნოს. ირანში გ. ნაყოფიერ ლიტ. და სამეცნ. საქმიანობას ეწეოდა. მონაწილეობა მიიღო ,,შაჰ-ნამეს‘‘ ქართ. ვერსიების გადაწერასა და გალექსვა-რედაქტირებაში, შეადგინა ქართ.-არაბ.-სპარს. ლექსიკონი, ქართულად თარგმნა ,,მუსულმანთ სასჯულო წიგნი ჯამი-აბასი‘‘ და სხვ. გ-ის მთავარი თხზ. ,,საქართველოს ცხოვრება‘‘, არჩილის, ფეშანგისა და იოსებ თბილელის ისტ. ნაწარმოებებთან ერთად XVII ს. II ნახ. ქართ. ისტორიოგრაფიის ახ. აღმავლობის მაუწყებელია. აღმოსავლური ისტ. მწერლობის ტრადიციებზე აღზრდილმა გ-მ ქართ. ისტორიოგრაფიაში პირველმა შეადგინა კომპილაციური ისტ. ნაწარმოები. თხზულება დაწერილია ირანში და, როგორც ჩანს, დამთავრებულია 1694 წ. I ნახევარში. მასში მოთხრობილია საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორია ქართლში ქრისტიანობის გავრცელებიდან XVII ს. დამლევამდე.

ავტორის მიერ გამოყენებული წყაროების შესაბამისად ი. ჯავახიშვილმა გ-ის თხზულება პირობითად 4 ნაწილად გაყო. პირველი 3 ნაწილი კომპილაციურია, გამოყენებულია ზეპირი გადმოცე-



ი. გორგიძე.

მები და წერილობითი წყაროები. იმის გამო, რომ გ-ს ხელთ არ ჰქონდა საქართვ. ძვ. ისტორიის სანდო წყაროები, თხზულების I ნაწილში არაერთი ზღაპრული ამბავი აქვს გადმოცემული. II ნაწილი ძირითადად ,,ქართლის ცხოვრების'' თხზულების მიხედვით არის შედგენილი. მხოლოდ ერთი ხელნაწერის ამარა დარჩენილ ავტორს აქაც ბევრი შეცდომა დაუშვია, თუმცა, როგორც ირკვევა, ხშირ შემთხვევაში ,,ქართლის ცხოვრების'' ეს ხელნაწერი უფრო სრული და უკეთესად შენახული ყოფილა, ვიდრე დღეს ცნობილი ნუსხებია. ამის გამო ,,საქართველოს ცხოვრების'' ე. წ. მეორე ნაწილს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქართლის ცხოვრების თხზულებების კრიტ. ტექსტის დასადგენად, ისე XII–XIII სს. საქართველოს ისტ. არაერთი საკითხის შესასწავლად. III ნაწილი ძირითადად სპარს. წყაროების საფუძველზეა შედგენილი, ხოლო IV-ში ალღოიანი თანამედროვის მახვილი თვალით დანახული საქართვ. და ირან. ისტორიის მრავალი ფაქტი და მოვლენაა გადმოცემული.

გ-ის აზრით, ყველაფერი როდია წიგნში შეტანის ღირსი, მასში მხოლოდ რეალური ამბები უნდა იყოს გადმოცემული. ისტორიკოსი კრიტიკულად არის განწყობილი ქართვ. მეფეებისა და ირან. შაჰების მიმართ და თამამად ამხელს მათი საქმიანობის ზოგიერთ უარყოფით მხარეს. ის თანაუგრძნობს ღარიბთ, უქონელთ. გ-ის ენა სპარსულის ძლიერ გავლენას განიცდის. ,,საქართველოს ცხოვრების'' სრული ტექსტი არ არის გამოცემული, გამოქვეყნებულია მხოლოდ ე. წ. III და IV ნაწილები. IV ნაწილი თარგმნილია ფრანგულად.



ბაგრატიონებისეული გორდა. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

თხზ.: საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, წგ. 2; ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1941.

ლიტ.: გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. 3, თბ., 1968; კ ი კ ნ ა ძ ე რ., ფარსადან გორგიჯანიძე და ,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი'', თბ., 1975; ნ ა კ ა შ ი ძ ე რ., ფარსადან გორგიჯანიძის ბიოგრაფიისათვის, წგ.: ლიტერატურული ძიებანი, თბ., 1983; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V–XVIII სს.), თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977; ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ., ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი, ტფ., 1896. *რ. კიკნაძე.*

გორგონეიონი, გ ო რ გ ო ნ ი ო ნ ი (ბერძნ. Gorgōn – გორგონა), ნიღაბი მედუზა გორგონის გამოსახულებით. ანტიკურ პერიოდში წარმოადგენდა ავი თვალისაგან დასაცავ სიმბოლოს, მოგვიანებით მხოლოდ დეკორატიული ფუნქცია დარჩა. იგი გამოისახებოდა ბრინჯაოს კრატერებზე, მოხატულ ლარნაკებზე, არქიტექტურულ ტერაკოტასა და ფრონტონის სკულპტურულ შემკულობაზე. მეტად პოპულარული იყო ჯერ კიდევ არქაული ხანის საბერძნეთში. ძვ. წ. VII ს. დასასრულისათვის უკვე შემუშავდა მისი იკონოგრაფიული ტიპი. მას გამოსახავდნენ მრგვალი სახით, დიდი, გამობურცული თვალებით, მოცინარი პირითა და დაკრეჭილი კბილებით (ზოგჯერ სპილოს ეშვის მსგავსი). გორგონს ენა გარეთ აქვს გამოყოფილი, დიდი ცხვი-



გორგონეიონი. თიხის ანტეფიქსი გორგონის გამოსახულებით. ძვ. წ. III ს. ვანი.

რი კი – დაბრტყელებული. შუბლზე კულულები გველების სახით არის გამოსახული, მედუზა ხშირად წვეროსანია. ძვ. წ. V ს-თვის გორგონის ახ. ტიპი გაჩნდა, რ-ის მიხედვითაც იგი უკვე ლამაზი ქალია. გ. ხშირადაა დატანილი ატიკურ მოხატულ ლარნაკებზე, როგორც ფარის ემბლემა. დაახლ. ძვ. წ. 530 შემდეგ გ. ხშირად გვხვდება ათენას ეგიდაზე, ატიკურ წითელფიგურულ ლარნაკებსა და ქანდაკებებზე.

საქართვ. ტერიტორიაზე გ-ით შემკული ანტეფიქსები აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე ძვ. წ. IV ს. პირველი ნახევრის ფენაში, აგრეთვე 1963 ნიჩბისში აღმოჩენილ ბრინჯაოს სურებზე, რ-ებზეც ე. წ. ,,პათეტიკური ტიპის'' გორგონაა გამოსახული, ხოლო თვითონ სურები იტალიკური წარმოების საუკეთესო ნიმუშებს განეკუთვნება. ისინი ავგუსტუსის ხანით, არა უგვიანეს ახ. წ. I ს. პირველი მეოთხედით, თარიღდება.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ო., ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), თბ., 1968.

დ. ახვლედიანი.

გორგოძე შოთა ვარლამის ძე (დ. 10. XI. 1932, სოფ. ზედა ილემი, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი), შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი (1988). დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპ. ინჟინრების ინ-ტი (1950). მუშაობდა ქ-ნა ,,ელექტროგამშვებში'' საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსად, 1963–65 საქ. კპ თბილ. პირველი მაისის რაიკომის ინსტრუქტორად, 1965-იდან – შინაგან საქმეთა სამინისტროში განყ-ბის უფროსად, სამმართველოს უფროსის მოადგილედ, სამმართველოს უფროსად, 1977–86 შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ. 1986–90 იყო შს მინისტრი, 1987–90 – საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 1985–90 – სპორტსაზოგადოება ,,დინამოს'' თავ-რე. 1994–2000 – საქართვ. შსს აკადემიის რექტორი. 2001 სექტ-იდან თადარიგშია. არის პედ. მეცნ. და საერთაშ. ინფორმატიკის აკადემიების წევრი. მიღებული აქვს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი (2003). *ლ. დოლიძე.*

გორგული, სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალციხის ქვაბულში, მდ. ქვაბლიანის (ფოცხოვისწყლის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: გ., ადიგენი, იმერთუბანი, იჯარეთი). ზ. დ. 1200 *მ*, ადიგენიდან 1 *კმ*, ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 30 *კმ*. 169 მცხ. (2002).

სოფელში სიძველეთაგან აღარაფერია შემორჩენილი. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით, 1595 გ. შედიოდა ახალციხის ლივის უდის ნაჰიეში (რ-ნი). ცხოვრობდა სამი კომლი ქრისტიანი ქართველი: ვარძელ მარცვალასძე, გოგოჩა ძე მისი, პაპუნა ძმა მისი. გ-ში გაბრიელ აზნაურის მიწა მფლობელობაში ჰქონია მხედარს, სახელად ჰამზას. სოფელში მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, ჰქონდათ ბოსტნები; ჰყოლიათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი. იხდიდნენ გადასახადს – წლიურად 4500 *ახჩას*. 1870 გ-ში ხუთი კომლი ირიცხებოდა. ამჟამად იქ იმერეთიდან და აჭარიდან გადმოსული მოსახლეობა ცხოვრობს.

წყარო: ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2–3, თბ., 1941–58. *დ. ბერძენიშვილი.*

გორდა, 1. ვადაჯვრიანი ან უვადაჯვრო ხმალი სწორი, წვერისკენ გახრილი პირით, შეიძლება იყოს როგორც ორღარიანი, ისე სამღარიანი. აქვს თავისებური დამღა

ხმლის ყუაზე, გამოყვანილი ტალღოვანი რკალები ან ხმლის პირზე ორი მოპირდაპირე, დაკბილული პატარა ნახევარრკალი. რკალის ბოლოები სამმარცვლოვანი ნიშნებით არის დაწინწკლული (გადმოცემის თანახმად, ბრძოლებში მონაწილეობის ან მოკლული მტრის რაოდენობის აღსანიშნავად). ასეთი დამღა დამახასიათებელია აღმოსავლური, კავკ. თუ ევრ. წარმომავლობის ხმლის პირებისათვის. გვიანდ. ფეოდ. საქართველოში Გ. ფართოდ იყო გავრცელებული და, საბას სიტყვით, ,,ამას ქართველნი ჰყვარობენ''. აღმ. საქართველოს მთიანეთში შემონახულია როგორც ადგილ., ისე XVI–XVII სს. ცნობილ იტალ. ოსტატთა ნახელავი Გ. ხმლები, რ-ებიც გენუელ ვაჭრებს შემოჰქონდათ საქართველოში. ჩვენში დამზადებულ ხმლის პირებს სადამღო რკალები ყუაზე მიჯრით ჰქონდა გამოყვანილი.

2. ქართლში – პატარა გობი, ცომის მოსაზელი თაბახი.

ლიტ.: ქ ა ფ ი ა ნ ი ძ ე მ., ქართული ხმლების ტიპოლოგიისათვის (საქართველოს ეროვნული მუზეუმის იარაღის ფონდში დაცული მასალების მიხედვით), «საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე», 2010, ტ. 1, 46B; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ნაკვ. 3–4, თბ., 1962.

კ. ჩოლოყაშვილი.

გორდაძე გიორგი ნესტორის ძე [1(13). VI. 1897, სოფ. კუხი, ახლანდ. ხონის მუნიციპალიტეტი, – 12. IV. 1979, თბილისი], პარაზიტოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1958), პროფესორი (1959), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1962). 1924 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1924–25 მონაწილეობდა საქართვ. სხვადასხვა კუთხეში მალარიის ეპიდემიოლოგიური კერების ჩამქრობ ექსპედიციებში. 1941–46 განაგებდა ამიერკავკ. ფრონტის სანიტ.-ეპიდემიოლოგიური სადგურის მალარიის საწინააღმდეგო განყ-ბას. 1946–53 იყო ს. ვირსალაძის სახ. მალარიისა და სამედ. პარაზიტოლოგიის ინ-ტის ეპიდემიოლოგიური განყ-ბის, ხოლო 1953–73 – ამავე ინ-ტის ჰელმინთოლოგიური განყ-ბის გამგე, 1973-იდან გარდაცვალებამდე – მეცნიერ-კონსულტანტი. Გ. შეისწავლიდა მალარიისა და ჰელმინთოზების ეპიდემიოლოგიის საკითხებს, ამ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Материалы по изучению симптоматологии карликового гименолепидоза, «Медицинская паразитология и паразитарные болезни», 1940, т. 9, в. 5.

გორდაძე გიორგი სერაფიონის ძე [20. III(2. IV). 1911, სოფ. კუხი, ახლანდ. ხონის მუნიციპალიტეტი, – 30. VIII. 1976, თბილისი], ფიზიკოსი, კვანტური ქიმიის ფუძემდებელი საქართველოში. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1961). დაამთავრა თსუ (1930). 1934 მუშაობა დაიწყო იქვე. 1935–37 იყო თსუ-ის თეორ. ფიზ. კათედრის გამგე, 1936–37 – თსუ-ის ფიზ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი. 1947–54 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ფიზ. და გეოფიზ. ინ-ტში, პარალელურად – თბილ. ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტში (1948–55), 1954–76 – საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში; Გ-მ ჩაატარა უმარტივესი სამატომიანი მოლეკულების კვანტური გამოკვლევა და სხვ.

თხზ.: ქიმიური ვალენტობის კვანტურ-მექანიკური თეორიის თანამედროვე მდგომარეობისათვის, ტფ., 1936; ზოგადი ფიზიკა, თბ., 1960.

ლიტ.: Читая Г., Чимакадзе Г., Гордадзе Георгий Серапионович, «საქართველოს პოლიტექნიკური ინ-ტის სამეცნ. შრომები», 1978, № 9 – მყარი ტანის ფიზიკა (ახლავს Გ-ის შრომების ბიბლიოგრ.). *ვ. პარკაძე.*

გორდაძე მიხეილ (დ. წ. უცნობია, თელავი, – 1919, იქვე), პოეტი, ლიტ. ფსევდონიმი – ა ბ უ ლ ა ძ ე. იყო თანამედროვე და მეგობარი ი. *დავითაშვილისა,* რ-მაც Გ-ს 1881 უძღვნა ლექსი ,,ახალ მელექსეს''. Გ-ის მიერ ხალხ. კილოზე დაწერილი ლექსების თემა იყო მუშათა მძიმე ცხოვრება, გაუნათლებლობა. მის პოეზიაში მნიშვნელოვანია პატრიოტული მოტივი (,,ჩემი სამშობლო'', ,,ვუძღვნი თ. აკაკი წერეთელს'' და სხვ.). გამოცემული აქვს ლექსების 2 კრებული: ,,სამშობლო ანუ ლექსთა კრება'' (1881) და ,,ლექსნი'' (1893). მისი ერთი ლექსი – ,,ჩიტი'' დაიბეჭდა ,,ივერიაში'' (1893, 24. X). გაზ. ,,დროების'' ცნობით, 1880 Გ-ს განუზრახავს ,,არჩილიანის'' გამოცემა, მაგრამ უშედეგოდ. *ს. ხუციშვილი.*

გორდეევი გრიგოლ სერგეის ძე (1791–1838), რუსი ეთნოგრაფი, მწერალი, ტოპოგრაფი. 1815–38 მოღვაწეო ბდა საქართველოში. 1830–32 იყო გაზ. ,,ტიფლისსკიე ვედომოსტის'' მთ. რედაქტორის მოადგილე. ამ გაზეთში გამოქვეყნებული აქვს მრავალი საყურადღებო ეთნოგრ. ნარკვევი. აქტიურად მონაწილეობდა ეკლესია-მონასტრებში შემონახული ხელნაწერების შეგროვებაში. 1828–29 ფეხით შემოიარა ხევი და მთიულეთი, დაწერა ნაშრომი ,,მთიელ ხალხთა ყოფა'', რ-იც შესულია მის ოთხტომეულში – ,,რუსეთის იმპერ-კავკასიური სამფლობელოების მიმოხილვა სტატისტიკური, ეთნოგრაფიული, ტოპოგრაფიული და ფინანსური თვალსაზრისით'' (ტ. 2, 1836, გვ. 79–155).

აღსანიშნავია Გ-ის ,,ოსური მოთხრობა ზარე'', რ-იც 1830 გამოქვეყნდა გაზეთ ,,ტიფლისსკიე ვედომოსტიში'' (№88). ამ მოთხრობას ორი წლის შემდეგ გამოეხმაურა გ. ერისთავი გაზეთში ,,სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი'' (1832, №2–4) წერილით ,,ოსური მოთხრობა''. 1832 ,,ტიფლისსკიე ვედომოსტიში'' (№ 3–4) Გ-მა გამოაქვეყნა კრიტ. წერილი, რ-შიც ამხილა რეაქციონერი, შოვინისტი, ქართველთა ცილისმწამებელი ავტორები.

Გ-ის თხზულებები არ იყო დაზღვეული სერიოზული ხარვეზებისგან. მისი წერილი ,,საქართველოს უკანასკნელ მეფეთა დაკრძალვის წესები'' (,,ტიფლისსკიე ვედომოსტი'', 1832, №1) მწვავედ გააკრიტიკა ს. დიდაშვილმა (,,სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი'', 1832, № 3).

ვ. შადური.



გ. ს. გორდაძე.

გორდეევი დიმიტრი პეტრეს ძე (1889–1964, თბილისი), რუსი ხელოვნებათმცოდნე. ძირითადად საქართველოში მუშაობდა. 1913 დაამთავრა ხარკოვის უნ-ტი. ერთ-ერთმა პირველთაგანმა მეცნიერულად შეისწავლა ქართ. ხელოვნების არაერთი ძეგლი, რ-თა შორის აღსანიშნავია საფარის, ზარზმის, ჭულის მონასტრების კედლის მხატვრობა, ქართ. მინანქარი და მინიატიურა, ჭედური ხელოვნება და სხვ. 1952-იდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართვ. ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლად.

თხზ.: Миниатюры грузинских лицевых рукописей Сионского древлехранилища в Тифлисе, «Ars», 1918, №2–3; Отчет о поездке в Ахалцихский уезд в 1917 г. Росписи в Чуле, Сапаре и Зарзме, «Известия Кавказского историко-археологического ин-та», 1923, т. 1; Предварительное сообщение о Мцхетской „Антиохии" (Извлечение из материалов экспедиции 1922 г. и последующих поездок, «Известия Кавказского историко-археологического ин-та», Тфл., 1925, т. 3; Мгвимская резная дверь, «საქართველოს მუზეუმის მოამბე», 1927, ტ. 3.

გორდეზიანი ბენიამინ (ბენო) პავლეს ძე (13. III. 1894, სოფ. საკაო, ახლანდ. ონის მუნიციპალიტე-



ბ. გორდეზიანი.



მ. გორდეზიანი.



რ. გორდეზიანი.

ტი, – 22. VII. 1975, თბილისი), მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1950). თბილისის სას. სემინარიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თსუ-ში. დაამთავრა წიგნის გაფორმების უმაღლესი კურსები ლენინგრადში. მუშაობდა გამომც. ,,სახელგამის'' საქმეთა მმართველად, მხატვარ-რედაქტორად, მთ. მხატვრად, სახვ. ხელოვნების განყ-ის გამგედ. ხელმძღვანელობდა ქართ. შრიფტის ექსპერ. ლაბორატორიას (1947–73). არჩეული იყო თავისსავე თაოსნობით შექმნილი ქართ. შრიფტის კომიტეტის პ/მგ მდივნად. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართ. საშრიფტო წარმოების შემდგომი განვითარება. შექმნა მრავალი ახ. სახეობის ქართ. შრიფტი (,,მკაფიო'', ,,გორდეზიანი'' და სხვ.), გამოსცა თეორ. ნაშრომები: ,,ქართული მხედრული შრიფტი'' (1955), ,,ქართული სასტამბო შრიფტები'' (1961), ,,ქართული სასტამბო შრიფტების ცნობარი-კატალოგი'' (1965), ,,პოლიგრაფიული შრიფტები'' (1970). გ. ნაყოფიერად მოღვაწეობდა ლიტ. და ხელოვნების სფეროში. იყო საქართვ. ფუტურისტული მიმდინარეობისა და ჟურნ. ,,H_2SO_4''-ის ერთ-ერთი დამაარსებელი. მხატვრულად აფორმებდა წიგნებს. ავტორია საყურადღებო მონოგრაფიებისა: ,,ნიკო ფიროსმანაშვილი'' (1930), ,,გრიგოლ ტატიშვილი'' (1957), ,,იოსებ შარლემანი'' (ქართ. ენაზე – 1955, რუს. ენაზე – 1958), ,,დავით ქუთათელაძე'' (1959, რუს. ენაზე), ,,ქართული გრაფიკა'' (ქართ. ენაზე – 1959, რუს. ენაზე – 1963), ,,ივანე ვეფხვაძე'' (1976). საერთაშ. აღიარება პოვა გ-ის მონოგრაფიამ ,,ზიჩი საქართველოში'' (1966, II გამოცემა). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მ. ხერხეულიძე.

გორდეზიანი დავით გიორგის ძე (დ. 9. XII. 1937, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1982), პროფესორი (1985). კომპიუტერულ მეცნ. და სისტემების საერთაშ. აკად. ნამდვ. წევრი (1993), საქართვ. საბუნებისმეტყველო მეცნ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1994) და მისი საპატიო პრეზიდენტი (2006), საქართვ. საინჟინრო აკადემიის ნამდვ. წევრი (2007). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი (1961). 1962-იდან კითხულობს ლექციებს თსუ-ში, 1964–68 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათ. ინ-ტში, 1968-იდან – თსუ-ის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1979–85 იყო ამავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. მუშაობის დარგში, 1985–2007 – ინ-ტის დირექტორი. 2009-იდან არის პროფესორ-ემერიტუსი. კვლევის ძირითადი თემაა: საბუნებისმეტყველო და საინჟინრო ამოცანების მათემატიკური მოდელირება და კომპიუტერული რეალიზაცია, წრფივი და არაწრფივი ამოცანების ამოხსნის რიცხვითი ალგორითმების შექმნა და დაფუძნება. აქვს ოთხი გამოგონება, ორი პატენტი აშშ-სა და დანიაში, არის სამი მონოგრაფიის ავტორი. სამეცნ. პედ. და სამეცნ.-ორგანიზაციული საქმიანობისათვის დაჯილდოებულია ი. ჯავახიშვილის მედლით (1998, 2010) და ღირსების ორდენით (1998). მიღებული აქვს სხვა სახელმწ. ჯილდოები.

გორდეზიანი იასონ დავითის ძე (1876, სოფ. საკაო, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 1960, ბათუმი), აგრონომი და მებაღე-დეკორატორი. აგრონომიული განათლება მიიღო თბილისის სას.-სამ. სკოლაში 1889–93. 1894–1909 საქართვ. სხვადასხვა მხარეში ხელმძღვანელობდა ხეხილის სანერგეებისა და ბაღების, ბაღ-პარკების გაშენებას. 1909–11 დეკორ. მებაღეობისა და მწვანე მშენებლობის სპეციალობით სწავლობდა ვერსალის ეროვნ. სას.-სამ. ინ-ტში (საფრანგეთი), შემდეგ მუშაობდა საფრანგეთში და შვეიცარიაში; ერთხანს იყო კიუს სამეფო ბოტან. ბაღის (დიდი ბრიტანეთი) თანამშრომელი. 1913 მიიწვიეს ახლად დაარსებულ ბათუმის ბოტან. ბაღში სამუშაოდ. 1914–17 იყო ამ ბაღის აღმასრულებელი დირექტორი. მისი უშუალო მონაწილეობით გაშენდა ბოტან. ბაღის ძირითადი კოლექციები. გ., კრასნოვთან ერთად, არის ბათუმის ბოტან. ბაღის დამაარსებელი.

ლიტ.: გაგნიძე რ., იასონ გორდეზიანი – დავიწყებული გამორჩეული დეკორატორი, აგრონომი და ბათუმის ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთი გამშენებელი, კრ.: მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის ნარკვევები, 46–47, თბ., 2009.

ჯ. ჩიკვილაძე.

გორდეზიანი ლევან რისმაგის ძე (დ. 1. X1. 1962, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2004). 1984 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1987–2000 მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობებზე. 1995–2000 იყო თსუ-ის კულტ. ისტორიის კათედრის დოცენტი, 2001–06 – ამავე კათედრის პროფესორი, 2005–06 – თსუ-ის რექტორის მოადგილე. 2006-იდან არის თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკ-ტის სრული პროფესორი. მისი კვლევის ძირითადი მიმართულებებია ძვ. მსოფ. ისტორია, ბერძნ. და ძველაღმოსავლური ისტორიის წყაროთმცოდნეობა, მითოლოგია. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. ექვსი მონოგრაფია.

გორდეზიანი მარლენ შალვას ძე (დ. 29. VII. 1938, თბილისი), ბიოქიმიკოსი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის წ.-კორ. (1997). ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (1996). დაამთავრა საქართვ. ზოოტექ. სავეტერინარო ინ-ტი (1962). 1965-იდან მუშაობს ს. დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლ. ინ-ტში უმცროსი (1965), უფროსი (1971) და წამყვანი მეცნ. მუშაკის თანამდებობებზე (1975). 1978-იდან იყო ,,ბიოლოგიური ჟანგვის'' ლაბორ. გამგე, მთ. მეცნიერი თანამშრომელი (2003). მისი სამეცნ. შრომები ეხება დაბინძურებული გარემოს ბიოლ. მეთოდებით აღდგენას. არის აკად. ს. დურმიშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი ბიოქიმიაში.

თხზ.: ბიოფიზიკური ქიმია და სოფლის მეურნეობა, თბ., 1971 (თანაავტ.: კ. გორდეზიანი, დ. უგრეხელიძე); ეკოლოგიის ქიმიური საფუძვლები, თბ., 2000 (თანაავტ. გ. კვესიტაძე); ბიოენერგეტიკა და ჟანგვითი პროცესების რეგულაცია, თბ., 2004 (თანაავტ.: გ. ხატისაშვილი, ე. კირთაძე); მემბრანული ქსენობიოქიმია, თბ., 2005 (თანაავტ. გ. ხატისაშვილი).

გორდეზიანი რისმაგ ბენიამინის ძე (დ. 9. VI. 1940, თბილისი), ფილოლოგი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. წ.-კორ. (1988). ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი (1977). ვინკელმანის საერთაშ. საზ-ბის წევრი (1971), საქსონიის მეცნ. აკადემიის წ.-კორ. (1977), საბერძნეთის არქეოლოგიური საზ-ბის საპატიო წევრი (1987). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1963). სამეცნ. პედ. მოღვაწეობას ეწევა ამავე უნ-ტის კლასიკური ფილოლ. კათედრაზე – 1989–2006 იყო ამ კათედრის გამგე. 1982-იდან ხელმძღვანელობს თსუ-ის ხმელთაშუა ზღვის კულტ. კვლევის ლაბორატორიას, 1993–96 იყო თსუ-ის პრორექტორი სასწ. დარგში. 1997-იდან სათავეში ჩაუდგა თავისსავე ინიციატივით შექმნილ კლასიკური ფილოლ., ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცის-

ტიკის სასწ.-სამეცნ. ინ-ტს. არის ბერძნ.-რომაული ფილოლ. სადისერტაციო საბჭოს თავ-რე. გამოქვეყნებული აქვს 23 წიგნი და მრავალი სამეცნ. სტატია ჰომეროლოგიის, ეგეისტიკის, ეტრუსკოლოგიის, ანტ. ლიტ-რისა და კულტ. ისტორიის, ქართველოლოგიის დარგებში ქართულსა და უცხ. ენებზე.

მოხსენებებსა და ლექციებს კითხულობს საზღვარგარეთის (საბერძნეთი, გერმანია, რუსეთი, იტალია, ნორვეგია, აშშ) სამეცნ. ცენტრებსა და უნ-ტებში. სხვადასხვა დროს იყო საერთაშ. ჟურნალ ,,Phasis''-ის (თბილისი) მთ. რედაქტორი, საქართვ. მეცნ. აკად. ,,მოამბის'', ,,Caucasica''-ს (თბილისი), ,,Philologus''-ის (გერმანია) სარედაქციო კოლეგიების წევრი, საქართვ. პრეზიდენტთან არსებული შეწყალების კომისიის თავ-რე (1996–2003). 2007-იდან არის საბერძნეთის მწერალთა კავშირის წევრი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2003), ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი (2010). არის საბერძნეთის რესპუბლიკის ღირსების ორდენის კავალერი (2008).

თხზ.: ,,ილიადა'' და ეგეოსის მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბ., 1970; ეტრუსკული და ქართველური, თბ., 1980; წინარე ბერძნული და ქართველური, თბ., 1985; ბერძნები საქართველოში, წგ.: ბერძნული ცივილიზაცია, ნაკვ. 1–2, თბ., 1989–97 (თანაავტ.); ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, 1993; ქაოსიდან კოსმოსამდე, თბ., 1997; არგონავტები, თბ., 1999; Лекτά. რჩეული ნაშრომები ქართ., გერმ., რუს. ენებზე, თბ., 2000; მედიტერანულ-ქართველური მიმართებები, 4 ტომად, თბ., 2007–08; Кавказ и проблемы древнейших средиземноморских языковых и культурных встреч, Тб., 1975; Проблемы гомерского эпоса, Тб., 1978; «Илиада» и «Одиссея» – памятники письменности (Античность как тип культуры), М., 1988; Kriterien der Schriftlichkeit und Mündlichkeit. Ein Homerisches Epos, Fr. a/M., 1986; Abwandlungsformen der traditionellen Struktur des Mythos in der griechischen und römischen Heldendichtung, კრ.: Griechenland und Rom, Tb., 1996; Gegenüberstellung Europa – Asien von Altertum bis zur Gegenwart, Tb., 1977; Liebe im Homerischen Epos, «Philologus», 141, 1997; Einige Aspekte der hellenischen Studien um die Jahrhundertwende, «Phasis», 2–3, 2000.

გორდეზიანი შოთა გიორგის ძე (14. V. 1911, თბილისი, – 16. XI. 1965, იქვე), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1958), პროფესორი (1958). 1937 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი და მუშაობა დაიწყო ამავე ინ-ტის საფაკულტეტო ქირურგ. კათედრაზე. 1958-იდან კათედრის პროფესორია. 1955–56 მუშაობდა მოსკოვში, ექიმთა დახელოვნების ცენტრ. ინ-ტის ქირურგ. კათედრაზე პროფ. ვ. ი. კაზანსკისთან, ხოლო შემდეგ პროფ. პ. ბოროვსკისთან (ნეიროჰისტოლოგიის ლაბორატორიაში). გ-მა შეისწავლა სიდამწვრისა და მისი მკურნალობის მეთოდები. იკვლევდა გულის გვირგვინოვან სისხლძარღვთა ნაკლოვანების ქირურგ. მკურნალობის საკითხებს და სხვ. გ. თანაავტორია სახელმძღვანელოებისა ქირურგიაში (1954, მ. კოკოჩაშვილი, შ. გორდეზიანი, დ. ღვინეფაძე).

თხზ.: თერმული სიდამწვრე და მისი მკურალობა, თბ., 1954; გულის ანგინის ქირურგიული მკურნალობა, თბ., 1961; Материалы к хирургическому лечению коронарной недостаточности сердца, Тб., 1957.

,,გორდელა'', ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX საერთაშ. ფესტივალის ლაურეატი (სოფია, 1968). არსებობდა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიასთან XX ს. 60–70-იან წლებში. ანსამბლის ორგანიზატორები იყვნენ კონსერვ. სტუდენტები, შემდგომში ცნობილი მუსიკოსები: ა. *ერქომაიშვილი*, ბ. *თოიძე*, გ. *სიხარულიძე*, თ. *ქევხიშვილი*, კ. *ჭოხონელიძე* და სხვ. ანსამბლის განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მან საბჭოურ წლებში მოიძია და აღადგინა უძველესი სასულიერო საგალობლები და ხელი შეუწყო საეკლესიო ლიტურგიკაში მათ დამკვიდრებას. ასრულებდა ქართვ. კომპოზიტორთა საგუნდო ნაწარმოებებს. ,,გ-ს'' მიერ დამუშავებული რბილი, რაფინირებული საშემსრულებლო მანერა შემდგომში მყარად დამკვიდრდა ხალხ. სიმღერის თბილისურ ანსამბლებში.

ლიტ.: სიხარულიძე გ., გორდელა 50, თბ., 2011. *ე. გარაყანიძე.*

გორდელაძე გიორგი ერასტის ძე (17. II. 1912, თბილისი, – 11. II. 1990, იქვე), გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1965). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1940). მისი პედაგოგები იყვნენ ი. *შარლემანი*, ს. *ქობულაძე*, ვ. *გრიგოლია*. იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1968-იდან, 1988-იდან – პროფესორი). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1944-იდან. იყო ნაყოფიერი გრაფიკოს-ილუსტრატორი, გამომც. ,,სახელგამის''



გ. გორდელაძე. გარეკანი ალბომისათვის ,,ვეფხისტყაოსნის დასურათება''. 1966.

(1933–68) და ,,*ნაკადულის*'' (1968–70) მთავარი მხატვარი. მაღალმხატვრულად გააფორმა წიგნები: ,,დედაენა'' (1955), გ. ჩუბინაშვილის ,,ქართული ოქრომჭედლობა'' (ალბომი), ,,ვეფხისტყაოსნის დასურათება'' (ორ წიგნად), ა. ანტონოვსკაიას ,,დიდი მოურავი'',



ანსამბლი ,,გორდელა''.

ანანურში'' (1957), ,,ცხრა ძმა ხერხეულიძე'' (1964), ,,დავით აღმაშენებელი'' (1980), ,,მეფე ერეკლე II'' (1982), ,,თამარ მეფე ვარძიაში'' (1987) და სხვ. საერთო აღიარება მოიპოვა მხატვრის მიერ შექმნილმა პლაკატებმა: ,,ტელეხედვა სვანეთში'', ,,ოცნება და სინამდვილე'', ,,ტყე ჩვენი სიმდიდრეა'' და სხვ. გ. წლების მანძილზე მუშაობდა ქართ. შრიფტზე. ავტორია ქართ., რუს. და ლათ. შრიფტის ორიგინ. ნიმუშებისა. *გ. მასხარაშვილი.*



შ. გორდელაძე.

გორდელაძე დავით გიორგის ძე (დ. 3. III. 1946, თბილისი), თერაპევტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1997); 1968 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1980–97 იყო თსსი-ის სამკურნ. ფაკ-ტის შინაგან დაავადებათა კათედრის თანამშრომელი (1995–97 – კათედრის პროფესორი), 1997–2005 – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილ. სახელმწ. უნ-ტის შინაგან დაავადებათა კათედრის გამგე, 2000–05 – მედ. ფაკ-ტის დეკანი. 2004-იდან საქართვ. თერაპევტთა ასოციაციის პრეზიდენტია.

გ-ის სამეცნ. ინტერესების სფერო: მინერ. ცვლა, ლაზეროთერაპია, ჰეპატოლოგია, გასტროენტეროლოგია, გულის კუნთის მორფოლოგია, თერაპიის სწავლების მეთოდოლოგია, ბიოეთიკა, სამედ. სამართალი.

გ. არის სამეცნ. შრომებისა და 1 მონოგრაფიის ავტორი. მიღებული აქვს საავტორო მოწმობა 2 გამოგონებაზე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

თხზ.: გულის მორფოლოგია სიკვდილის სხვადასხვა მექანიზმის დროს, თბ., 1976.

გორდელაძე თეიმურაზ დიმიტრის ძე (დ. 12. VIII. 1925, თბილისი), პათოლოგანატომი. მედ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1972). 1948 დაამთავრა თბილ. სახელმწიფო სამედ. ინ-ტი. მუშაობდა იქვე პათოლ. ანატ. კათედრის პროფესორად (1971–78). იყო ამავე ინ-ტის სასამართლო მედ. კათედრის გამგე (1979–98), 1998-იდან არის ამ კათედრის პროფესორი, პარალელურად 1993-იდან – ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნ-ტის სამედიცინო ფაკ-ტის პათოლოგიის კათედრის პროფესორი. გ-მ ექსპერიმენტულად შეისწავლა სიმსივნეებისა და მათ ირგვლივ მდებარე ქსოვილების ინერვაციის საკითხები, ზოგიერთი ძუძუმწოვარი ცხოველის ვირუს-პოლიომა 2510 By შტამით გამოწვეული სიმსივნეების პათოლ. ანატომია და სხვ.

გ. მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 2 მონოგრაფიისა და 4 სახელმძღვანელოს (,,სასამართლო მედიცინა''; 1995, 1998, 2001, 2008) ავტორია.

გ. იყო პათოლოგანატომთა საკავშ. სამეცნ. საზ-ბის გამგეობის წევრი (1974–80), საკავშ. სამედ. ჟურნ. ,,Судебная медицинская экспертиза''-ს სარედაქციო საბჭოს წევრი (1980–90) და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1999).

თხზ.: შუა ტვინის დაზიანებანი ქალა-ტვინის მძიმე ტრავმის დროს, «თბილ. სახელმწ. სამედ. უნ-ტის შრომათა კრებული», 1997, ტ. 33; Гистохимия и электронная микроскопия в клинической и экспериментальной медицине, М., 1975 (თანაავტ.).

გორდელაძე ირაკლი ერმალოზ ძე (23. VII. 1921, თბილისი, – 29. VIII. 1998, იქვე), გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1967). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1958). მისი პედაგოგები იყვნენ ს. ქობულაძე, ს. ნადარეიშვილი, კ. სანაძე. აქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1969-იდან). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1958-იდან. გ. ძირითადად ქმნიდა პლაკატებს, რ-თაგან აღსანიშნავია ისტ. და პოლიტ. თემებზე შექმნილი: ,,თბილისის



ი. გ ო რ დ ე ლ ა ძ ე. ,,მამლუქი''. 1958.

1500 წელი'' (1957), ,,საშიში ბუდე'' (1964), ,,ქალთა საერთაშორისო დღე'' (1975), ,,ფრთხილად, დედამიწაა!'' (1982) და სხვ. საყურადღებოა ასევე თეატრ. სპექტაკლებისა და კინოფილმებისათვის შექმნილი აფიშები: ,,რიჩარდ III'' (1957, სხვა ავტორებთან ერთად), ,,მამლუქი'' (1958), ,,მაია წყნეთელი'' (1962). გ. ნაყოფიერად მუშაობდა წიგნის ილუსტრატორად.

გ. მასხარაშვილი.

გორდელაძე ლეილა კონსტანტინეს ასული (15. IV. 1927, თბილისი, – 19. III. 2004, იქვე), კინორეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1976). დაამთავრა თსუ-ის ფსიქოლ.-ფილოს. ფაკ-ტი (1950) და საკავშ. კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტის სარეჟისორო კურსები მოსკოვში (1959). სადიპლომო ფილმია ,,ნეტოჩკა ნეზვა-



ლ. გ ო რ დ ე ლ ა ძ ე. კადრი ფილმიდან ,,ძაღლი'' (ნ. დუმბაძის მიხედვით).

ნოვა'' (1959). 1959-იდან მეორე რეჟისორად იმუშავა ფილმებზე ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი'' (1962) და ,,მაცი ხვიტია'' (1966). დამდგმელი რეჟისორია ქართ. მხატვრული ფილმებისა: ,,ლევანა'' (1960); ,,ორი მოთხრობა'' (კინონოველა ,,თეთრი ქალიშვილი'', 1962); ,,დაბრუნებული ღიმილი'' (კინონოველა ,,ალაოობა'', 1967); ,,მოიტაცეს თამარ ქალი'' (1971); ,,მშობლიურ ხეთა ჩრდილებში'' (კინონოველა ,,ძაღლი'', 1974); ,,ბათა ქექია'' (1978); ,,აქედანა და შენამდე'' (1984); ,,ჩემი ბოშები'' (1987) და სხვ.

გ-მ აღადგინა კ. *მიქაბერიძის* მიერ 1929 გადაღებული შავ-თეთრი მუნჯი კინოს შედევრი, სატირული კინოკომედია ,,ჩემი ბებია'' (1975). *ა. გვენცაძე.*

გორდელაძე შალვა გიორგის ძე (20. X. 1905, სოფ. ხვარბეთი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 12. I. 1973, კიევი), ასტროფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1965). 1936–40 იყო აბასთუმნის

ასტროფიზ. ობსერვ. დირექტორის მოადგილე, 1940–73 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა კიევის უნ-ტსა და პოლიტექ. ინ-ტში. იკვლევდა ახ. ვარსკვლავების ატმოსფეროში იონიზაციას, ტემპ-რის ცვლილებებს ანთებამდე და ანთების შემდეგ, აგრეთვე ანთების პროცესში სხვადასხვა სახით გამოყოფილ ენერგიას. პირველმა განსაზღვრა ახ. ვარსკვლავის აფეთქების შედეგად ამოფრქვეული ნივთიერების მასა. ვ. *ამბარცუმიანთან* ერთად ჩამოაყალიბა ახ. თვალსაზრისი გალაქტიკაში ვარსკვლავთშორისი შთანთქმის დისკრეტულობის შესახებ. უკრაინის მეცნ. აკად. მთავარ ასტრონ. ობსერვატორიაში მისი უშუალო ხელმძღვანელობით გამოიცა 28000 მკრთალი ვარსკვლავის ფოტომეტრიული მონაცემების კატალოგი. ავტორია მრავალი სამეცნ. და სამეცნ.-პოპულ. ნაშრომისა. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

გორდელი ოთარ მიხეილის ძე (18. XI. 1928, თბილისი, – 6. XII. 1994, იქვე), კომპოზიტორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1966). 1951 დაამთავრა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია კომპოზიციისა (ი. ტუსკიას კლასი) და ფორტეპიანოს (ა. ვირსალაძის კლასი) სპეციალობით, 1955 – მოსკ. კონსერვ. ასპირანტურა კომპოზიციის განხრით (ხელმძღვ. ს. ბოგატირიოვი). 1959-იდან იყო თბილ. კონსერვ. პედაგოგი (პოლიფონია), 1982-იდან – პროფესორი, 1967–87 – საქართვ. მუსიკალურ-ქორეოგრ. საზ-ბის თავ-რე, 1968–73 – საქართვ. კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი. ნაწარმოებები: კანტატა ,,წელიწადის დრონი'' (1954), ვოკალურ-სიმფონიური პოემა ,,რაზედ ბუტბუტებს მტკვარი'' (1961), ,,ახალგაზრდული უვერტიურა'' (1956), სიმფონია (1964), 2 სიუიტა (1965, 1968), ,,პასაკალია'' (1964), ცეკვა ,,ქართული'' სიმფ. ორკესტრისათვის (1958), კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმფ. ორკესტრისათვის (1952), კონცერტი ფლეიტისა და სიმფ. ორკესტრისათვის (1958); კამერულ-საკრავიერი (მ. შ. საფორტეპიანო კვინტეტი – 1950), კამერულ-ვოკალური და საგუნდო ნაწარმოებები და სხვ.; ოპერეტები ,,ნატვრის თვალი'' (1980), ,,ჩემი საყვარელი ბიძა'' (1983), საესტრადო მუსიკა; მუსიკა დრამ. სპექტაკლებისა და კინოფილმებისათვის. *ს. ჭყონია.*

გორდი, ხონის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზედა გორდისა* და *ქვედა გორდის* გავრცელებული სახელწოდება. გ. აღნიშნულია იტალ. მისიონერის არქანჯელო ლამბერტის მიერ 1654 შედგენილ რუკაზე. მის ერთ-ერთ უბანში იდგა გალავანშემორტყმული ციხე-კოშკი – ,,ველის ციხე''. *თ. ბერაძე.*

გორდის ნამოსახლარი, ქვედა პალეოლითის ხანის (ძვ. წ. 100 ათ. – 40 ათ. წწ.) სახელოსნო-ნამოსახლარი. აღმოჩენილია (ექსპედიციის ხელმძღვ. კ. კალანდაძე) 1982 სოფ. გორდში (ახლანდ. ხონის მუნიციპალიტეტი), დადიანების საზაფხულო რეზიდენციის ეზოში (იხ. *დადიანების სამთავრო რეზიდენციები*). ზედაპირულად აიკრიფა კაჟის იარაღი (საფხეკები, დანალამელები, ნუკლეუსი და წარმოების ნაშთები). იქვე, ზეგანზე, გამოდის კაჟის ე. წ. ძარღვები, რითაც ამ იარაღს ამზადებდნენ.

ლიტ.: К а л а н д а д з е К. С., Б е р д з е н и ш в и л и Н. З., Работы Цхалтубской археологической экспедиции, «Полевые археологические экспедиции в 1982 году», Тб., 1985. *კ. კალანდაძე.*

გორდუენე (ანტ. წყაროებში – გ ო რ დ ი ე ნ ე და გ ო რ დ ი ა; ძვ. სომხ. კ ო რ დ უ ქ ი), მთაგორიანი ქვეყანა ახლანდელი ქურთისტანის მთიანეთის დასავლეთ ნაწილში. გ-ს ჩრდ-იდან ესაზღვრებოდა მდ. კენტრიტი (ახლანდ. ბოტან-ჩაი), დას-ით – მდ. ტიგრი, ხოლო სამხრ-ით – *კარდუხეთის*, იგივე გორდიების მთები (ე. ი. ამ მიმართულებით საზღვარი თანამედროვე ქ. ჯიზრეს მიდამოებამდე აღწევდა).

გ-ს ეტიმოლოგიაზე სამეცნ. ლიტ-რაში აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი ვარაუდობენ, რომ ასურულ წყაროებში გ. მოხსენიებულია ,,კატმუხის'' ან ,,კუტმუხის'' ფორმით. სხვათა თვალსაზრისით, ტოპონიმი გ. დაკავშირებულია ქართველთა თვითსახელწოდებასთან ,,ქართველი''. ასეთი კავშირი აიხსნება მუშქი-მესხების ქართველური ტომების ინფილტრაციით აღნიშნულ რეგიონში ძვ. წ. II ათასწლ. მიწურულს.

ძვ. წ. VI–V სს. გ. სპარს. იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო. ძვ. წ. V ს. მიწურულს კი – დამოუკიდებელი ქვეყანა. სპარსელთა ცდა, კვლავ შეეერთებინათ გამდგარი ქვეყანა, მარცხით დამთავრდა. ძვ. წ. I ს-ში გ. დაიპყრო დიდი სომხ. მეფე ტიგრან II-მ (ძვ. წ. 95–56), მოგვიანებით კი – რომაელთა სარდალმა პომპეუსმა. გამარჯვებულმა რომაელებმა თავდაპირველად გ. სოფენესთან ერთად სამმართველოდ გადასცეს ტიგრან II-ის ვაჟს ტიგრანს, ხოლო შემდეგ – კაპადოკიის მეფე არიობარზანეს (ძვ. წ. 95–63). ძვ. წ. I ს. 50-იან წლებში გ-სა და სოფენეს კვლავ დიდი არმენიის მეფეები დაეუფლნენ. ამის შემდეგ გ. სომხ. ორგ. ნაწილად იქცა.

გ-ს დასახლებულ პუნქტთა შორის ცნობილია შემდეგი ქალაქები: სარისა, სატალკა, პინაკა.


ლიტ.: მ ი ქ ე ლ ა ძ ე თ., ქსენოფონტის ,,ანაბასისი'', თბ., 1967; М е л и к и ш в и л и Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959. *გ. ჭეიშვილი.*

გორეთი, ერედვის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზემო გორეთისა* და *ქვემო გორეთის* გავრცელებული სახელწოდება.

გორელაშვილი რომან მიხეილის ძე (დ. 14. IX. 1936, თბილისი), პიანისტი. საქართვ. დამს. არტისტი (1967). 1959 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. ა. ვირსალაძის კლასი). 1957-იდან (სტუდენტობის დროს) დაიწყო საშემსრულებლო მოღვაწეობა. 1962-იდან (ხანგამოშვებით) მუშაობდა თბილ. კონსერვატორიაში (1980–90 საფორტეპიანო ფაკ-ტის დეკანია, 1975-იდან – პროფესორი). პედაგოგად მიიწვიეს ვაიმარში (გდრ), ფ. ლისტის სახ. უმაღლეს სამუსიკო სკოლაში, 1977 – პრაღის კონსერვატორიაში. გ-ის შესრულების მანერა გამოირჩევა ტექ. სრულყოფილებით. მის რეპერტუარში დიდი ადგილი უჭირავს ფ. ლისტის, ს. რახმანინოვის, ჯ. გერშვინისა და სხვათა ნაწარმოებებს. ავტორია მრავალი საფორტეპიანო ტრანსკრიფციისა და პარაფრაზისა (მ. შ. ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტეს'' თემებზე). 1980–84 ფირმა ,,მელოდიამ'' გამოუშვა ფირფიტები გ-ის ჩანაწერებით. მისი რედაქციით გამოვიდა ქართვ. კომპოზიტორთა საფორტეპიანო ნაწარმოებები. გ. ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას საქართველოსა და სსრკ სხვადასხვა ქალაქში. ამჟამად ისრაელშია.



ო. გორდელი.



რ. გორელაშვილი.

გორელოვკა, სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ჯავახეთის ზეგანზე, მდ. ბუღდაშენის (ფარავნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. თემის ცენტრი (სოფლები: გ., ეფრემოვკა, ორლოვკა, ჟდანოვანი, სამება, სპასოვკა). ზ. ღ. 2050 *მ*, ნინოწმინდიდან 10 *კმ*. 1,1 ათ. მცხ. (2002). სოფელში არის საშენი მასალის (ვულკ. წიდა) საბადო.



გორის გერბი. 1843.



გორის გერბი. 1858.



გორის გერბი (2010-იდან).

ადგილ. სომხები გ-ის ძვ. სახელწოდებად ბუღდაშენს ასახელებენ. სიძველეებიდან ამ დიდ სოფელში ახლა აღარაფერია შემორჩენილი, თუმცა XX ს. 30-იან წლებში ადგილობრივ მოსახლეობას კიდევ ახსოვდა, რომ გ. ძვ. სოფლის ნანგრევებზე იყო აშენებული (ეკლესიის ნანგრევი, ძვ. სასაფლაო დიდი ბრტყელი ლოდებით, ზეთის სახდელი ნაგებობა და სხვ.). გ-ის მახლობლად, ბუღდაშენის ტბის აღმ. ნაპირზე, ძვ. ნასოფლარია, სადაც შემორჩენილია ნასახლართა დიდი ბუდეები და სასაფლაო ძვ. დაუმუშავებელი ლოდებით, ეკლესიის კვალი კი აღარსადაა. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში'' (1595) ეს ადგილები სრულიად დაუსახლებელი ჩანს. XIX ს. 40-იან წლებში რუსეთის მთავრობამ ჯავახეთში გადმოასახლა *დუხობორები* ტავრიისა და ვორონეჟის გუბერნიებიდან. სახელი ,,გ.'' მათი შერქმეულია.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1964; ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი: თორი, ჯავახეთი, თბ., 1985.

დ. ბერძენიშვილი.

გორეცკი კონსტანტინე ეფიმის ძე (3. XII. 1870, ქუთაისი, – 1947), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1914). დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, შემდეგ თბილისის ქვეით იუნკერთა სასწავლებელი (1888). 1890-იდან მსახურობდა ჯარში. დაამთავრა გენერალური შტაბის საინტენდანტო კურსები. იყო რუსეთ-იაპონიის (1904–05) ომის მონაწილე, 1908-იდან – პოლკოვნიკი, 1911-იდან – შეიარაღებული ძალების მთავარი ინტენდანტი. 1918-იდან მსახურობდა წითელ არმიაში. 1928 წ. 7 სექტ. მიენიჭა შრომის გმირის წოდება. 1928-იდან გავიდა პენსიაზე. 1940 იყო წითელი არმიის მთავარი საინტენდანტო სამმართველოს სამეცნ. კონსულტანტი. დაჯილდოებულია წმ. ანას, წმ. ვლადიმირის, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით. დაკრძალულია მოსკოვში, ნოვოდევიჩიეს სასაფლაოზე. *მ. გოგიტიძე.*

გორვაში, უელტეხილი სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, სიმაღლე ზ. დ. 3665 *მ.* აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით, დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი. მდ. მესტიაჭალის (მულხრის მარჯვ. შენაკადი) ხეობას მყინვარ ლეხზირზე გავლით აკავშირებს მდ. ადილსუს (ბაქსანის მარჯვ. შენაკადი) ხეობასთან. *გ. მარგველანი.*

გორვაში, უელტეხილი სვანეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში. სიმაღლე ზ. დ. 2899 *მ.* აგებულია იურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. დამახასიათებელია ალპ. ლანდშაფტი. საცალფეხო გზით აკავშირებს მდ. ენგურისა (მესტიის მუნიციპალიტეტი) და ცხენისწყლის (ლენტეხის მუნიციპალიტეტი) ხეობებს. *გ. მარგველანი.*

გორთუბანი (ისტ. ღორთუბანი), სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტის ჭეჭლის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალციხის ქვაბულის დას. ნაწილში, მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 1480 *მ,* ადიგენიდან 12 *კმ,* ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 41 *კმ.* 139 მცხ. (2002).

გორი, ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის მხარის ცენტრი. მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდინარეების ლიახვისა და მტკვრის შესართავთან. ზ. დ. 580 *მ.* სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. თბილისიდან 76 *კმ.* ჰავა ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი. იცის ცხელი ზაფხული და ზომიერად ცივი ზამთარი. საშ. წლ. ტემპ-რა 10,9°C, იანვ. –1,2°C, აგვ. 22,5°C. ნალექები 580 *მმ* წელიწადში. 49,5 ათ. მცხ. (2002; 1939 წ. – 19,6 ათ., 1959 წ. – 35,1 ათ., 1970 წ. – 48,2 ათ., 1979 წ. – 56,0 ათ., 1989 წ. – 67,8 ათ.).

გ. ერთ-ერთი უძველესი ქალაქია საქართველოში. სახელწოდება მომდინარეობს ქალაქში აღმართული კლდოვანი გორაკისაგან, რ-ზეც გაშენებულია ძვ. ციხესიმაგრე (იხ. *გორის ციხე*). არსებობს მოსაზრება თითქოს გ-ის ძვ. სახელწოდება რეხი ან ტონთიო უნდა ყოფილიყო, რაც ისტ. წყაროებით არ დასტურდება. ჩანს, გ-ს თავიდანვე ეს სახელი ერქვა. გ-ს პირველად მოიხსენიებს ფსევდოშაპუჰ ბაგრატუნი თავის ,,ისტორიაში'' X ს. ამბებთან დაკავშირებით, როდესაც ერთმანეთს ებრძოდნენ აფხაზთა მეფე თეოდოს III და სომხ. მეფე სუმბატ II (X ს. 70-იანი წწ.).

არქეოლ. მასალა მოწმობს, რომ ძვ. და ახ. წელთაღრიცხვის მიჯნაზე აქ უნდა არსებულიყო ქალაქური ტიპის დასახლება. გ-ის ტერიტორიაზე გამოვლენილი არქეოლ. ძეგლებიდან უძველესია აღრინდ. ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი კვერნაქზე. მტკვრის პირას, ადგილ ღამბარეულზე (ჯიგრაშენი) მიკვლეული კერამიკა ტიპობრივია ძვ. წ. III ათასწლ. მტკვარ-არაქსის კულტურისათვის. 1850 აღმოჩენილია პართული დრაქმების განძი, XX ს. დასაწყისში – კოლხური სტატერი (ძვ. წ. III–I სს.) და ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას და ანტონიუსის მოჭრილი მონეტა, 1939 – ძვ. წ. I ს. ქალის ქანდაკების ფრაგმენტი, 1940 – სამი საფლავი [ერთში ადამიანის დაშლილ ჩონჩხთან ერთად იყო პართიის მეფის გოტარზესის (ახ. წ. I ს.) ვერცხლის დრაქმა, მძივები, ლითონის სამკაულები, თიხის ჯამი]. ერთ-ერთ საფლავში აღმოჩნდა აგრეთვე მინისა და თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ზანზალაკი. 1946 გ-ის ციხის ჩრდ. ფერდობის მოზვავებისას გამოჩნდა ძვ. ციხის კედლის ნაშთი და კერამიკის ნატეხები. კედელი ნაშენები იყო თლილი ქვით და ალიზით. აღმოჩენილი მასალა ძვ. წ. I ათასწლ. დასასრულითა და ახ. წ. დასაწყისი საუკუნეებით თარიღდება.

VI ს. დასაწყისიდან გ., სხვა ქართ. ანტ. ქალაქების მსგავსად, დაკნინდა და დიდი ხნის განმავლობაში იყო მცირე დასახლებული პუნქტი. IX–X სს-იდან გ-ის გამოცოცხლება და თანდათან დაწინაურება დაიწყო, რამდენადაც ქალაქი უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ და ეკონ. გზათა გადაკვეთაზე მდებარეობდა და მისი დაუფლება ნიშნავდა პოლიტ. ბატონობას შიდა ქართლზე.

გ-ის აღდგენა-განახლებისა და მისი ქალაქად გადაქცევის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა *დავით IV* აღმაშენებელმა. ქვეყნის გაერთიანების შემდეგ, 1124, მან თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლებული სომხეთის ერთი ნაწილი ქ. ანისთან ერთად საქართვ. შეუერთა. თავიანთი სურვილითა და დავით IV-ის ბრძანებით საქართველოში წამოყვანილი სომეხ ვაჭარ-ხელოსანთა ერთი ნაწილი გ-შიც დაასახლეს. მეფის მიერ გ-ის ხელახალი გაშენება იმითაც უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, რომ ქვეყნის გაერთიანების შემდეგ დიდი მნიშვნელობა მოიპოვა გ-თან გამავალმა გზებმა.

ოქროს ურდოს ყაენის ბერქას (1209–66) მიერ დევნილი მრავალი ოსი ჩრდ. კავკასიიდან საქართველოში *ვახუშტი ბატონიშვილის* ცნობით 1263, ხოლო ფარსადან *გორგიჯანიძის* მიხედვით 1268–

69 გადმოვიდა და მეფე *დავით VII* ულუს თავშესაფარი სთხოვა. დავითმა ოსებს მონღოლებთან უშუამდგომლა, არსებობის საშუალება გაუჩინა (,,ხარაჯა მისცა'') და თავის მოლაშქრეებად განაწესა. 1291 ოსებმა ისარგებლეს ქართლის ხელისუფლებისა და ჯარის მონღოლთა ლაშქრობაში წასვლით და ,,იწყეს ოვსთა ოჯრებად, ჯოცად, და რბევად, და ტყუენვად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენნეს და თჳსად დაიჭირეს ოვსთა''. ოსებისაგან შევიწროებულმა ქართველებმა 1292 სცადეს გ-ის განთავისუფლება, მაგრამ მონღოლების მხარდაჭერით ოსები გ-ში დარჩნენ. მხოლოდ გიორგი V ბრწყინვალემ, XIV ს. I მეოთხედში, გაათავისუფლა იგი. 1400 გ. თემურლენგმა აიღო, 1465 დაიკავა იმერეთის ერისთავმა ბაგრატმა (ქართლის მეფე *ბაგრატ VI*), 1477 ქალაქი გაძარცვა აყ-ყოიუნლუს მბრძანებელმა უზუნ-ჰასანმა. 1510, მცირე ხნით გ-ს იმერეთის მეფე *ალექსანდრე II* დაეუფლა. 1518 დაიპყრო შაჰ ისმაილ I-მა, 1556 აიღო ირანის შაჰმა თამაზ I-მა. XVI ს. 50-იან წლებში ქალაქში ქართლის მეფე *სიმონ I-ის* რეზიდენცია იყო. 1557 გ. ყიზილბაშებმა დაარბიეს, 1578 ოსმალებმა სანჯაყად (ე. ი. სადროშოდ) და ქართლში თავიანთი ბატონობის პლაცდარმად აქციეს. სიმონ I-მა 1578–79 (სავარაუდოდ, 1584 წელსაც) გ. დროებით გაათავისუფლა. 1599 სიმონ I მოულოდნელად დაესხა თავს გ-ს და ციხე კვლავ აიღო. 1614 ზაფხულში ირანის შაჰმა აბას I-მა დანგრეული გ-ის ციხე აღადგინა და ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენა. იმავე წელს *თეიმურაზ I-მა* და *ლუარსაბ II-მ* მცირე ხნით გ-ს შეაფარეს თავი, აქვე ეახლა ლუარსაბი შაჰ აბასს. 1628 (I. VI) ავგუსტინელმა ბერებმა ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილი გ-ში მოიტანეს და თეიმურაზ I-ს გადასცეს. 1631 ზურაბ ერისთავმა გ. გაძარცვა.

გ-ის ისტ. მნიშვნელოვანი ეტაპი *როსტომ* მეფის ხანას (1632–58) უკავშირდება – 1633 იგი გ-ში ყიზილბაშთა დიდი ჯარით შევიდა და ქალაქი თავის მთავარ დასაყრდენად აქცია ქართლის ფეოდალების დასამორჩილებლად და თეიმურაზ I-ის წინააღმდეგ საბრძოლველად. აქვე იქორწინა (1634) მან *ლევან II დადიანის* დაზე, მარიამზე. როსტომმა აღადგინა გ-ის ციხე, ააშენა ,,ყიზილბაშთა რიგის'' სასახლე, რ-საც ,,წალკოტსავარდიანი'' ბაღი და უზარმაზარი წყლიანი აუზები ამშვენებდა.

გ-ს თავს აფარებდა (1690) იმერეთის მეფე *ალექსანდრე IV*. იმავე საუკუნის 90-იან წლებში, თითქმის ორი წლის განმავლობაში გ. ალყაში მოაქციეს *ერეკლე I-ის* წინააღმდეგ მებრძოლმა *გიორგი XI-ის* მომხრეებმა. იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ციხე-ქალაქი იყო *ვახტანგ VI-ის* დროსაც. ვახტანგმა აღადგინა როსტომ მეფის აშენებული სასახლე. 1712 იმერეთის მეფე *გიორგი VI-თან* ბრძოლაში დამარცხებულმა *მამია III გურიელმა* გ-ს გარკვეული დროით შეაფარა თავი. გ. დიდად დაზიანდა ე. წ. ,,*ოსმალობისა*'' და ,,*ყიზილბაშობის*'' დროს (XVIII ს. 20–30-იანი წლები). გ-იდან ებრძოდნენ ყიზილბაშები გ. ა. *ამილახვარს* (1742–45). 1745-იდან (ცნობილი არაა როდემდე) გ-ში შაჰის მიერ გამოგზავნილი ავღანთა ჯარი იდგა. გ-იდან ებრძოდნენ *თეიმურაზ II* და *ერეკლე II* ქართლში შემოსეულ ლეკებს. 1756 აქედან გაემგზავრა რუსეთს ქართველთაგან შერისხული *ანტონ I* კათოლიკოსი. 1758 გ-ში გაფორმდა ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ერეკლე II-სა და *სოლომონ I-ს* შორის. 1769 გ. *ტოტლებენის* მიერ საქართველოში შემოყვანილი რუსთა ჯარის ერთი ნაწილი გ-ში დაბანაკდა. 1770 ასპინძიდან წამოსულმა ტოტლებენმა გ-ის აღება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. 1786 აქ იმყოფებოდა იმერეთის მეფე *დავით II* ერეკლე II-სთან მოსალაპარაკებლად.

რუსეთთან შეერთებამდე გ. სამეფო ქალაქი იყო და მას განაგებდნენ მეფის მიერ დანიშნული მოხელეები: *მოურავი, ციხისთავი, მამასახლისი, ნაცვალი, ქედხუდა*, მებაჟე, ქალაქის მწერალი ანუ ,,*მუშრიბი*'', ქალაქის *მდივანბეგი*. 1801 წ. 16 თებ. მანიფესტით ქართლის მთავრობა, თავისი ,,პროვინციული'' კანცელარიითა და ვიცე-გუბერნატორით გ-ში იმყოფებოდა. მმართველობის ამ ფორმამ მცირე ხანს იარსება – შეცვალა სამხედრო კომენდატმა, რ-საც სამოქალაქო სასამართლო უფლებაც მიენიჭა.

1802 წ. 25 მაისიდან გ. სამაზრო ქალაქად გადაიქცა, სადაც გაიხსნა სამაზრო საკრებულო, მაზრის სასამართლო, მაზრის ხაზინა, სატელეგრაფო სადგური (ამოქმედდა 10. VIII. 1860), ფოსტის კანტორა, სააქციზო სამმართველო, საავადმყოფო (1901-იდან), აფთიაქი (1830-იდან), მაზრის სატუსაღო. გ-ში შტაბბინა დაიდო კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადამ.

1876 გ-მა თვითმმართველობა მიიღო. 1881 სათათბიროს მიენიჭა ქალაქისთავის არჩევის უფლება. შეიქმნა საზ. ორგანიზაციები: საზოგადო საკრებულო (1874), გორის მაზრის მომხმარებელთა საზოგადოება (1882), გ-ის საურთიერთობო ნდობის საზოგადოება (1907), საზ-ბა ,,მანდილოსანი'' (1913-იდან).

1873-ში პირველად გ-ში ჩამოყალიბდა ხალხოსანთა ფარული ორგანიზაცია. გ-ში არსებობდა ,,თავისუფლად მოაზროვნეთა საიდუმლო წრე'' (1879). XIX–XX სს. მიჯნაზე იქმნება პირველი სოციალ-დემოკრ. წრეები, რ-ებიც დაკავშირებულია ი. *სტალინის*, ვ. *კეცხოველის*, მ. დავითაშვილის და სხვათა სახელებთან. 1905–07 წლების რევ. დროს გ. საქართველოში რევ. მოძრაობის ერთ-ერთ



გორი. ქალაქის ხედი.

მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. 1917 მაისში გ-ში გაფორმდა ბოლშევიკების არალეგალური დამოუკიდებელი ორგანიზაცია. 1921 წ. 1 მარტს გ. წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს, შეიქმნა დროებითი რევ. კომიტეტი.

ფრანგი მოგზაურის ჟ. *შარდენის* ცნობით, XVII ს. 70-იან წლებში გ. მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო. XVII–XVIII სს-ში გ-ში ჩანს ხელოსნური ორგანიზაციები – ამქრები. XIX ს. დასასრულს იყო 12 ამქარი, სადაც გაერთიანებული იყო 800-ზე მეტი ოსტატ-ხელოსანი. სავაჭრო ამქრებიდან ცნობილი იყო: მიკიტნების, ბაყლების და მეწვრილმანეთა ამქრები.

ისტ. წყაროების მიხედვით, გ. გვიან. ფეოდ. ხანაში კულტ.-საგანმან. და კათოლიციზმის პროპაგანდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა გახდა. XIII ს. 20-იანი წლებიდან XVI ს. დასასრულამდე საქართველოში ფრანცისკელები და დომინიკელები მოღვაწეობდნენ. დასახელებული კათოლ. ორდენების გ-ში საქმიანობაზე პირდაპირი ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ მათი ყოფნა სავარაუდოა. XVII ს-იდან მოდიან ავგუსტინელები და თეატინელები. ავგუსტინელები გ-ში იმყოფებოდნენ 1628-იდან 1637-მდე. წასვლისას მათ თავიანთი ეკლესია ჩააბარეს თეატინელებს, რ-ებიც გ-ში მოვიდნენ 1628 წ. 14 დეკ. გ-იდან დაიწყო 1713 ს.-ს. *ორბელიანის* მოგზაურობა ევროპაში.

აქაურ კულტ. ტრადიციებზე აღზრდილი ზოგიერთი მწერალი სხვაგანაც ეწეოდა საგანმან. საქმიანობას. ასეთები იყვნენ: ფარსადან გორგიჯანიძე, *ფეშანგი ფაშვიბერტყაძე* (ხითარიშვილი), პირველი ქართვ. დისერტანტი დავით ტულუკაშვილი (XVIII ს.), პოეტი სტეფანე ფეშანგიშვილი (XVIII–XIX სს.), კალიგრაფი დიმიტრი ოქროაშვილი (XVIII–XIX სს.) და სხვ. არსებითად გ-ის ლიტ. ტრადიციებზე აღიზარდა მწიგნობარ თუმანიშვილთა მთელი თაობაც.

გ-ში არსებობდა: სასულიერო (1817-იდან; სხვადასხვა დროს სწავლობდნენ ი. *გოგებაშვილი*, ი. სტალინი, ლ. კეცხოველი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური, კ. მამაცაშვილი, ნ. ხიზანიშვილი და სხვ.), სამაზრო ანუ სახალხო (1830-იდან; 1880-იდან გადაკეთდა საქალაქო სასწავლებლად), სომხურ-გრიგორიანული (1861) და სახელოსნო (1869) სასწავლებლები; სამასწავლებლო სემინარია (1876; სემინარიაში აღიზარდნენ: ვაჟა-ფშაველა, ლ. აღნიაშვილი, ალ. ნათაძე, ივ. ავალიშვილი, ნ. რაზიკაშვილი, თ. რაზიკაშვილი, ივ. გაუნაშვილი, ტ. მამალაძე, ნ. ჯანაშია, თ. ხუსკივაძე და სხვ.), ქალთა სასწავლებელი (1877; გაანადგურა ხანძარმა), ქალთა (1882) და ვაჟთა (1910; 1915 გადაკეთდა გიმნაზიად, 1922 წელს შეუერთდა ქალთა ჰუმანიტარულ ტექნიკუმს და შეიქმნა გ-ის ჰუმანიტარული ტექნიკუმი) პროგიმნაზიები. XIX ს. 50-იანი წლებიდან გაიხსნა კერძო პანსიონები.

1865 წ. 26 ივლ. გ-ში დაარსდა თეატრი. 1874 შეიქმნა ,,სცენისმოყვარულთა წრე'', 1876 – ,,სცენისმოყვარულთა საზოგადოება'', 1880 – მოწაფეთა დრამატული წრე, 1883 – ,,ქართული ისტორიისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება'', 1909 – ,,სახალხო თეატრი''.

გ-ში 1889 დაიბეჭდა პირველი წიგნი, 1912 დაარსდა ქართვ. გამომცემელთა ამხანაგობა ,,ქართლი''.

XIX ს. დასაწყისში გ. ციხის ფერდობებზე იყო შეფენილი. ფოთი–თბილისის რკინიგზის გაყვანის შემდეგ (1872) ქალაქი სამხრ. მიმართულებით განაშენიანდა და მტკვრის მეორე ნაპირიც მიიერთა. XIX ს. გეგმაზე მაინც ჩანს გ-ის გარკვეული სქემა – უმთავრესი ღერძია საბაზრო ქუჩა, რ-იც მთის ძირს მიუყვება და ქმნის უწყვეტ რკალს. მის სამხრ-ით და აღმ-ით ჩანს კონცენტრული მიმართულების ქუჩებიც, მაგრამ ისინი უწყვეტ ხაზს ვერ ქმნიან. მოკლე რადიალური ქუჩები მთის ძირიდან სხივებად იშლება. კ. *კასტელის* XVII ს. ნახატის მიხედვით მთის ფერდობზე მდგარა ერთი ეკლესია, XIX ს. დასაწყ. გეგმაზე კი ბაზრის ქუჩის კონცენტრულ ხაზზე განლაგებულია რამდენიმე ეკლესია. 1802-თვის გ-ში არსებობდა: მართლმადიდებელი ქართული – გიორგი ძლევამოსილის, ღვთისმშობლის ხარების, ღვთისმშობლის მიძინების (იგივე მთავარანგელოზის), გ-ის ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიები, დედოფლისად წოდებული უსახელო ეკლესია ამილახვრების სახლში, ღვთისმშობლის (ოქონის) ტაძარი; სომხური – ღვთისმშობლის მიძინების, წმ. სტეფანეს (დაინგრა XIX ს. I მეოთხედში), ქრისტეს აღდგომის, თუმანიანთ (თუმანიშვილების) ყოვლადწმინდის ეკლესიები და კათოლიკეთა სამლოცველო სახლი. ეკლესიების უმრავლესობა განადგურდა ან სერიოზულად დაზიანდა 1920 მიწისძვრის შედეგად. დაზიანებული ეკლესიები კომუნისტებმა დაანგრიეს.

XIX–XX სს. საცხოვრ. სახლები ძირითადად ე. წ. ,,ევროპული სტილისა'' და ქართ. არქიტ. ელემენტების შერწყმის თვალსაჩინო ნიმუშებია.

1934-იდან დაიწყო ქალაქის დაგეგმარებისა და რეკონსტრ. გენ. გეგმის შედგენა (არქიტ. მ. *ნებრინცკი*), რ-იც 1939 დაასრულეს (ლ. სუმბაძე, ბ. *ლორთქიფანიძე*). ქალაქი მთის სამ მხარეს – სამხრ-ით, აღმ-ით და ჩრდ-ით განაშენიანდა, დას-ით, მდ. ლიახვს გაღმა არ გადასულა.



გორი. ღვთისმშობლის შობის ეკლესია. 1806–10.

Გ-ის ციხის ნანგრევებზე სხვადასხვა დროის მრავალი ფენა განირჩევა, თუმცა ძვ. ქალაქის კვალი თითქმის მთლიანად წაშლილია ახ. განაშენიანებით. არქიტ. ძეგლთაგან შემორჩენილია მხოლოდ ე. წ. ერეკლეს აბანო, კათოლიკე მისიონერთა სახლი.

Გ-ს თანდათან მიეცა თანამედროვე ქალაქის სახე. 1950 შედგა ქალაქის ახ. გენ. გეგმა (არქიტ.: ლ. სუმბაძე, ბ. ლორთქიფანიძე). გაფართოვდა ქუჩები, აიგო ახ. საზ. შენობები: პედ. ინ-ტი (1937, არქიტ.: მ. ნეპრინცევი, ნ. ფარემუზოვა), თეატრი (1939, არქიტ.: მ. *ჩხიკვაძე*, შ. თავაძე), სკოლა (1939, არქიტ. ი. ვაჩნაძე), მდ. ლიახვზე აშენდა ხიდი (1938, ს. სატუნცი). 1947 მდ. ლიახვის მარჯვ. ნაპირას დაიწყო ბამბეულის კომბინატის დასახლების მშენებლობა (არქიტ. ლ. სუმბაძე), აშენდა ი. სტალინის სახლ-მუზეუმი (1947–55, არქიტ. ა. *ქურდიანი*), სასტუმრო ,,ინტურისტი'' (1947–56, არქიტ.: ა. ქურდიანი, ქ. სოკოლოვა-ფორაქიშვილი), სამეცნ.-კვლ. ინ-ტი (1956, არქიტ. მ. *შავიშვილი*, თანაავტორი ზ. ცქიტიშვილი) და სხვ. ქალაქში დგას გ. ერისთავის (1950, ბრინჯაო; მოქანდაკე კ. *მერაბიშვილი*, არქიტ. მ. ჩხიკვაძე), ნ. ბარათაშვილის (1970, ბრინჯაო; მოქანდაკე თ. *ღვინიაშვილი*, არქიტ. კ. ნახუცრიშვილი), ნ. ლომოურის (1982, სპილენძი; მოქანდაკე ა. შალუტაშვილი, არქიტ. ნ. პაპიაშვილი), ი. გოგებაშვილის (ბრინჯაო, მოქანდაკე ო. ფარულავა) ძეგლები, მონუმენტი ,,გამარჯვება'' (1979, ბრინჯაო, მოქანდაკე ე. *ამაშუკელი*, არქიტ. ვ. *დავითაია*).

Გ. შიდა ქართლის სამრეწვ. და კულტ. ცენტრია. ტვირთბრუნვის მოცულობით, მგზავრთა გადაყვანით და მრეწვ. პროდუქციის მოცულობით იგი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა საქართველოში.

Გ-ის სამრეწველო საწარმოებიდან ყველაზე დიდი ხვ. წილი მოდის კვების მრეწველობაზე, რ-იც წარმოდგენილია პურ-პროდუქტების, ღვინის, უალკოჰოლო სასმელებისა და საკონსერვო (სააქციო საზ-ბა ,,*გორკონი*'', შპს ,,გორის ბავშვთა კვების საკონსერვო ქ-ნა'') საწარმოებით. კვების მრეწვ. სხვა დარგებიდან აღსანიშნავია ხორცისა და რძის გადასამუშ. საწარმოები. Გ-ში ფუნქციონირებს საწარმოო გაერთიანება ,,*დილა*''. მსუბუქი მრეწვ. საწარმოებიდან აღსანიშნავია სააქციო საზ-ბა ,,*ლაინი*'' (ყოფ. გორის ბამბეულის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანება).

2011 წლის მონაცემებით Გ-ში იყო სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო და კერძო სკოლები, გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, ნორჩ ტექნიკოსთა სადგური, სპორტ., სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, პროფტექ., სამედ. და სამუსიკო სასწავლებლები, Გ-ის უნ-ტი, მცირე აკადემია, ბ-კები, ს. მაკალათიას სახ. გორის ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმი, გ. ერისთავის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრი, სამედ. დაწესებულებები, კულტ. და დასვენების პარკი, ავტოკემპინგი. ამჟამად Გ-ში მოქმედებს ღვთისმშობლის შობის საკათედრო, ხარების, ყოვლადწმინდა სამების, ივერიის ღვთისმშობლის, ღირსი მამა გიორგი მთაწმიდლის და წმ. ნიკოლოზის ტაძრები, ქართვ. ებრაელთა სინაგოგა. შენდება აღდგომის საკათედრო ტაძარი.

2008 აგვისტოში რუს. აგრესიის შედეგად Გ-მა სერიოზული ზარალი განიცადა – განადგურდა საცხოვრებელი სახლები, საყოფაცხოვრებო ნაგებობები, დაიჭრა და დაიღუპა ასობით ადამიანი.

ლიტ.: ბერიძე ვ., XVI–XVII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. 1, თბ., 1983; გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983; გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, თბ., 1954; ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1973; მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I (1801 წლამდე), თბ., 1994; მისივე, გორის ისტორია, II (1921 წლამდე), თბ., 1999; Бухникашвили Г., Гори, Тб., 1952.

ი. გაგოშიძე. ჯ. გვასალია. პ. ზაქარაია. ე. მამისთვალიშვილი. ლ. მენაბდე. დ. სვანიძე.

გორი, სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის იწის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), რაჭის ქედის ჩრდ. კალთის ძირას, მდ. რიონის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 760 *მ*, ამბროლაურიდან 1 *კმ*. 76 მცხ. (2002).

სოფელში დგას წმინდა გიორგის ერთნავიანი ეკლესია. ადრე მას მინაშენებიც ჰქონია. მშენებლობაში გაირჩევა ორი ფენა, ერთი ადრინდ., განვითარებული შუა საუკუნეებისა, მეორე – გვიანდ. XIX ს., თავდაპირველი ნაგებობიდან შემონახულია შირიმის ქვით მოპირკეთებული აღმ. ნაწილი. ეკლესიას შემორტყმული აქვს კარგად დამუშავებული ნატეხი ქვის გალავანი. *მ. დვალი.*

გორი, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტის ოლადაურის თემში (აჭარის არ), მდ. ჩირუხისწყლის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1300 *მ*, შუახევიდან 18,5 *კმ*. 213 მცხ. (2002).

გორისა, სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), ჭიათურის პლატოზე, მდ. ფრონის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) სათავეში. თემის ცენტრი (სოფლები: Გ., გამოღმა არგვეთი). ზ. დ. 800 *მ*, საჩხერიდან 10 *კმ*. 1,4 ათ. მცხ. (2002). წერილობით წყაროებში Გ. პირველად XVII ს-ში მოიხსენიება.

გორის ბამბეულის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანება, იხ. ,,*ლაინი*''.

გორის ბრძოლა 1599, ქართველთა ლაშქრის ბრძოლა გორიდან ოსმალთა განსადევნად. ირან-ოსმ. 1590 ზავით ამიერკავკასიაში ოსმალები გაბატონდნენ. ქართლის მეფე სიმონ I-მა 1598 განაახლა ომი ოსმალეთთან და ალყა შემოარტყა გორის ციხეს. ალყა ცხრა თვეს გაგრძელდა. 1599, დიდმარხვის დასაწყისში, ქართველებმა ციხეს ალყა მოხსნეს. ოსმალებმა სიფხიზლე მოადუნეს. მტრის ეს შეცდომა კარგად გამოიყენა სიმონ I-მა, რ-ის ბრძანებითაც გორის ყოფ. მოურავმა სულხან თურმანიძემ და ფარსადან ციციშვილმა თავიანთ მამულებში საიდუმლოდ დაამზადეს ციხის კედლებზე ასასვლელი კიბეები. ქართველთა ლაშქარი ღამით ჩუმად მიადგა ციხეს და დაიწყო გალავანზე გადასვლა, რაც ოსმალებმა გვიან შენიშნეს. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, გათენებისას, მტერმა იარაღი დაყარა. Გ. Ბ-ს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

წყარო: გორგიჯანიძე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, წგ. 2; ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1948; გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. 2, თბ., 1965; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *დ. კაჭარავა.*

გორის განძი, XV საუკუნის ქართული მონეტების განძი; დაკნინებული მასის დაახლ. 10000 ცალი ბილონური მონეტა (დაბალსინჯიანი სპილენძის მონეტა). აღმოჩნდა ქ. გორში 1935. Გ. Გ-ის აღმოჩენით ცნობილი გახდა XV ს. ქართვ. მეფეთა და ცალკეულ ფეოდალთა მიერ

მოჭრილი მონეტების უმრავლესობა და მოხდა მათი ზუსტი განსაზღვრა. განძი ჩაფლულია XV ს. ბოლო მეოთხედში.

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, თბ., 1964; კ ა პ ა ნ ა ძ ე დ., XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძი, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1940, ტ. 10 B; მ ი ს ი ვ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969.

გ. დუნდუა.



გორის განძი. 1, 2, 5 – ვახტანგ IV-ის მონეტები; 3 – კონსტანტინე II-ის მონეტა; 4 – ყვარყვარე II-ის მონეტა. ს. ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ა, დაარსდა 1935 საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან გორის საზოგადოებრიობის ინიციატივითა და ი. ჯავახიშვილის, ს. მაკალათიასა და ი. ყიფშიძის მხარდაჭერით, როგორც მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. 1943 გადაკეთდა ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმად, და 2005 ს. მაკალათიას სახელი ეწოდა. 2008-იდან **ბ. ი.-ე. მ.** არის არაკომერციული არასამწარმეო იურიდიული პირი (ააიპ).

ბ. ი.-ე. მ-ის ექსპონატები შეგროვდა საველე-საექსპედიციო და სამეცნ.-კვლ. იმ მუშაობის შედეგად, რ-იც ფართოდ გაიშალა მუზეუმის დაარსების პირველივე წლებიდან და ატარებდა რეგიონში კომპლ.-ინტენს. კვლევის ხასიათს. საექსპედიციო მონაპოვრების ბაზაზე შეიქმნა ძირითადი ფონდი, რ-იც თანდათან მდიდრდებოდა ქართ. მატერ. და სულიერი კულტურის ამსახველი მნიშვნელოვანი ექსპონატებით. 1938 გაიხსნა პირველი სტაციონარული ექსპოზიცია. 50-იანი წლებიდან მუზეუმი იქცა შიდა ქართლის სათავო მუზეუმად.

2010 წ. 1 იანვრისათვის მუზეუმის ფონდი მოიცავდა 85 ათ-მდე ექსპონატს: არქეოლ., ეთნოგრ., ნუმიზმატიკურ მასალას, ქართ. და არაბულენოვან ეპიგრაფიკულ ძეგლებს, ხელნაწერ და პირველნაბეჭდ წიგნებს, სიგელ-გუჯრებს, საარქივო მასალებს, ფოტოთეკას, სამეცნ. ბ-კას, სადაც დაცულია პერიოდული გამოცემებიც.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ადრინდელი ბრინჯაოს ხანის მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის იარაღები, ლითონწარმოებისა და მცირე ქანდაკების ნიმუშები და სხვ. სახის მასალა, რ-იც წარმოდგენას გვაძლევს წინა აზიისა და ქართველურ ტომთა უძველესი კულტურების მჭიდრო კავშირზე.

არქეოლ. ფონდი მდიდარია ტყვიავის ყორღანების, დვანის ნეკროპოლის, გუდაბერტყას ნამოსახლარის, ხიზანაანთ გორის, ხელთუბნის, თედოწმინდისა და სხვ. ექსპედიციების დროს აღმოჩენილი თუ შიდა ქართლში მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით ნაპოვნი უნიკალური ექსპონატებით. ესენია: ბრინჯაოს დიადემები (გუდაბერტყა, ძვ. წ. XXIX–XXVII სს.), ღვთაებათა ანთროპომორფული მცირე ფიგურები (დვანი, ძვ. წ. VI–V სს.), ბრინჯაოს სატევარი, დანა, ისრის პირი (თედოწმინდა, ძვ. წ. XXVIII–XXV სს.), დიაბაზის ლახტის თავი (ტყვიავი, ძვ. წ. XXIX ს.).

ეთნოგრაფიული ფონდის განსაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენს იშვიათი ტექნოლოგიით მოქსოვილი ქირმანშალი, სამოსლისა და აქსესუარების მრავალფეროვანი კოლექცია, ჭედური ხელოვნების ნიმუშები, შრომისა და ბრძოლის იარაღები – დაწყებული უძველესი კაჟის სატევრებიდან, დამთავრებული XX ს-ში დამზადებული ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით (ხმალი ,,ბაწარაული'', სოლომონ I-ის მოვერცხლილი თოფი წარწერით), კერამიკული და ვერცხლის ჭურჭელი, მუსიკალური ინსტრუმენტები (ერეკლე II-ის ნაქონი საზი), საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ხის დეტალები (დედაბოძები, მოაჯირები).

ნუმიზმატიკურ ფონდში დაცულია ოქროს, ვერცხლის, სპილენძის მონეტები: კოლხური დიდრაქმა, დრაქმები, თამარისა და დავით ნარინის მონეტები, XV ს-ის გორის განძი, ძვ. აღმ. და ანტ. ქვეყნების ფულის ერთეულები, ბაბილონური ობოლო (ძვ. წ. IV ს.), სასანიდური (III ს.), პანტიკაპონის (ძვ. წ. IV ს.), მილეთის (ძვ. წ. VI ს.), პართიის, ტრაიანეს, ათენას, ალექსანდრე მაკედონელის დრაქმა, ებრაული შეკელი და სხვ.

მდიდარი მასალაა დაცული ხელნაწერთა განყ-ბაში; ხელნაწერი წიგნებიდან აღსანიშნავია: კარაბადინის ფრაგმენტი (1667), 1729 გადაწერილი ვახტანგ VI-ის ,,დასტურლამალი'', ,,ამირანდარეჯანიანი'', ,,ყარამანიანი'' (1777), X–XI სს-ის ეტრატი, XII–XIII სს. პალიმფსესტი, ქართველ მეფეთა მიერ გაცემული სიგელები და გუჯრები (XIV–XVIII სს.), პირველნაბეჭდი წიგნებიდან – ,,კონდაკი'' (1710), გაზ. ,,ივერია'' (1877) და სხვ.

ბ. ი.-ე. მ-ის შემადგენლობაში შედის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გორი), საბრძოლო დიდების მუზეუმი (გორი), ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმი (სოფ. არბო), ალ. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი (სოფ. ძევერა).

ბ. ი.-ე. მ. სისტემატურად აწყობს სამეცნიერო სესიებს, მოძრავ და ერთდროულ გამოფენებს, შეხვედრებს ცნობილ ადამიანებთან, სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, ამზადებს და სკოლებთან ერთად ახორციელებს პროექტებს ეროვნული სასწავლო პროგრამის ფარგლებში. *თ. სოსანიძე.*

გორის მაზრა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიის თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში. შეიქმნა 1801 წ. 12 სექტემბერს. 1840 წ. 10 აპრ. დებულებით ბ. მ. ახლად შექმნილი საქართველო-იმერეთის გუბ. შემადგენლობაში შევიდა და უბნებად დაიყო. ამიერკავკ. მხარის სამმართველოს უმაღლ. საბჭომ ბ. მ. ხუთ უბნად დაყო: ქსნის (რ-შიც უნდა შესულიყო გაუქმებული დუშეთის მაზრის სოფლების ნაწილი), სურამის, პირველი ოსეთის, მეორე ოსეთისა და ხიდისთავის, თუმცა ეს დაყოფა არ განხორციელებულა.

1842 ბ. მ-ს ჩამოსცილდა ოსური სოფლები და მათგან შეიქმნა დამოუკიდებელი ადმ.-ტერ. ერთეული – ოსეთის ოკრუგი, რ-იც საქართველო-იმერეთის გუბ. შემადგენლობაში შედიოდა. ბ. მ-ში დარჩენილი სოფლები, ე. წ. ,,მთის ხალხები'', ახლად ჩამოყალიბებული მთის უბანს შეუერთეს. 1842-თვის ბ. მ-ში ოთხი საპოლიციო უბანი გაფორმდა: მთის, ქსნის, სურამის, ხიდისთავის. 1843 საქართველო-იმერეთის გუბ. ტერიტორიაზე შეიქმნა დამოუკიდებელი ერთეული – მთის ოკრუგი, რამაც ცვლილებები გამოიწვია: ბ. მ-ს ჩამოსცილდა მთის უბანი და მნიშვნელოვანი ნაწილი ქსნის უბნისა, მაზრაში დარჩენილი ქსნის უბნის ნაწილისაგან კი მთის საპოლიციო უბანი შეიქმნა. 1843-თვის ბ. მ-ის ტერიტ. იყოფოდა შემდეგ საპოლიციო უბ-

ნებად: გორის, სურამის, ხიდისთავის.

1859 წ. 19 ივნ. გაუქმდა ოსეთის ოკრუგი. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ოსეთის უბნის სახით კვლავ დაუბრუნდა ბ. მ-ს, რ-იც 1860 დასაწყისისათვის იყოფოდა ოთხ საპოლიციო უბნად: გორის, ოსეთის, სურამის, ხიდისთავის.

1864 ქსნის უბანი შევიდა ბ. მ-ის შემადგენლობაში. 1865 ბ. მ-ის სოფლები, ისევე როგორც სხვა მაზრების სოფლები, სასოფლო საზ-ბად გაერთიანდა. 1867 წ. 9 დეკ. დებულებით გაუქმდა ბ. მ-ის უბნებად დაყოფა, მას ჩამოშორდა ყოფ. ქსნის უბანი, რ-იც ახლად ჩამოყალიბებული დუშეთის მაზრის შემადგენლობაში გადავიდა.


ქვეყნის საპოლიციო უბნებად დაყოფის აღდგენის შემდეგ (1888) ბ. მ-ში ჩამოყალიბდა ხუთი საპოლიციო უბანი: ახალქალაქის, ბორჯომის, სურამის, ტყვიავის, ცხინვალის. 1892 ახალქალაქის საპოლიციო უბანს უწოდეს ხიდისთავის უბანი, ხოლო ტყვიავისას – მეჯვრისხევისა. საქ. სსრ ადმ.-ტერ. დაყოფის მიხედვით, ბ. მ. გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, ზნაურის, ცხინვალისა და ჯავის რ-ნებს ემთხვეოდა.

ბ. მ. 1930 გაუქმდა. *ზ. ცინცაძე.*

გორის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის მხარეში. ჩრდ-ით ესაზღვრება ჯავის, აღმ-ით – ახალგორისა და კასპის, სამხრ-ით – ბორჯომისა და წალკის, დას-ით – ქარელის, ჩრდ.-დას-ით – საჩხერის მუნიციპალიტეტები. ფართ. 2327,2 *კმ²* (დროებითი ადმინისტრაციის ჩათვლით). მოსახლ. 148,6 ათ. კაცი (2002). ცენტრი – ქ. *გორი.* ბ. მ-ში არის 133 სოფელი, 21 თემი: ატენის (ცენტრი – პატარა ატენი), ახალუბნის, ბერბუკის, ბოშურის (ცენტრი – ქვემო ბოშურა), დიცის, ვარიანის, ზეღდულეთის, კარალეთის, მერეთის, მეჯვრისხევის (ცენტრი – დიდი მეჯვრისხევი), მღებრიანის, ნიქოზის (ცენტრი – ქვემო ნიქოზი), საყავრის, სკრის, ტინისხიდის, ტირძნისის, ტყვიავის, ქვახვრელის, შავშვების (ცენტრი – ქვემო შავშვები), შინდისის, ძევრის და 1 სათავო სოფელი – ხიდისთავი.

საქართვ. პრეზიდენტის 2007 წ. 10 მაისის №296 ბრძანებულებით გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიქმნა დროებითი ადმინისტრაცია, ერედვისა და ქურთის მუნიციპალიტეტები 11 თემით და 141 სოფლით.

ისტორიული ცნობა. ახლანდ. ბ. მ-ის ტერიტ. შიდა ქართლის („ზენა სოფლის“) ისტორიულად დაწინაურებული რეგიონია. იგი საქართვ. ცენტრ. მხარეს – „ქვეყანას“ ტენსიურად არის ათვისებული ადრინდელ *ბრინჯაოს ხანაში.* ამ პერიოდში შეიმჩნევა ზოგიერთი სამოსახლოს გამსხვილება და გარკვეული მიკრორაიონის



1. საჩხერის მუნიციპალიტეტი.

წარმოადგენდა. აქ იკვეთებოდა საქართვ. უმთავრესი სამიმოსვლო გზები. ახლანდ. ბ. მ-ის ტერიტორიაზე ზედა *პალეოლითის* ხანის ადამიანის ნაკვალევი მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. ტერიტ. ინცენტრად გადაქცევის ტენდენცია (მაგ., *გუდაბერტყა*). ადრინდ. ანტ. ხანისათვის (ძვ. წ. VI–IV სს.) აღმ. საქართველოში წარმოიშვა რამდენიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, მათგან ერთ-ერთი იყო „ზენა სოფელი“, რ-ის ცენტრი

მდებარეობდა *უფლისციხის* მიდამოებში. ადრინდ. ფეოდალიზმის ხანაში ახლანდ. ბ. მ-ის ტერიტორიის მტკვრის სამხრ-ით მდებარე ნაწილი შედიოდა ტანისხევში, ჩრდ. ნაწილი კი რეხას, გვერდისძირს, საცხუმეთსა და აჩაბეთის ხევს ეკუთვნოდა. X ს-ში მტკვრის მარცხ. სანაპიროზე წარმოიქმნა ერთი ისტ.-გეოგრ. ,,ქვეყანა'' (ცენტრი – უფლისციხე), მტკვრის მარჯვ. სანაპიროზე – მეორე ,,ქვეყანა'', რატი ბაღვაშის საერისთავოდ წოდებული (ცენტრი – *ატენი*). XII–XIII სს-ში ნაჭარმაგევში (ახლანდ. კარალეთი) მდებარეობდა გაერთიანებული საქართვ. მეფეთა სასახლეები. XV ს-იდან ახლანდ. ბ. მ-ის ტერიტ. შედიოდა *საამილახვროს, სამაჩაბლოს, ქსნის საერისთავოს* და *საციციანოს* შემადგენლობაში. XVI ს-იდან ქართლის სამეფო დაიყო ოთხ სამხ.-ადმ. ერთეულად – საძროშოდ ანუ სასარდლოდ. რეგიონის ტერიტ. შედიოდა მეორე და მეოთხე საძროშოში, სადაც ერთის სათავეში იდგა ამილახვართა ფეოდ. სახლობა, ხოლო მეორისაში – ციციშვილთა ფეოდ. სახლის წარმომადგენლობა. ახლანდ. ბ. მ-ის ტერიტ. ეკლესიური მმართველობის თვალსაზრისით განაწილებული იყო მცხეთის საპატრიარქოს, ნიქოზის, რუისისა და მცხეთის საეპისკოპოსოებზე. 1802 შეიქმნა *გორის მაზრა*, 1930 – გორის რ-ნი (2006-იდან – გორის მუნიციპალიტეტი). 1991 გორის რ-ნს შეუერთდა ყოფ. სამხრ. ოსეთის აო-ში შემავალი ცხინვალის რ-ნი.

ბუნება. ბ. მ-ის მთავარი ოროგრ. ერთეულებია: 1. იურული და ცარცული ფლიშური წყებებით აგებული საშუალ- და მაღალმთიანი გუდისის ქედი; 2. იურული, ცარცული და პალეოგენური, უმთავრესად ტერიგენული ქანებით აგებული მაღალმთიანი ხარულის ქედი; 3. მეოთხეული ნალექებით აგებული შიდა ქართლის ვაკე, რ-ის მიკრორელიეფის მთავარი ელემენტებია ეროზიული ხეობები და მეოთხეული ტერასები. იგი მოიცავს მტკვრის შუა ხეობასაც, რ-ის ძირზე გაშლილია ვრცელი ტერასული ვაკეები. აქ აკუმულაციურ ფორმებთან ერთად გვხვდება რელიეფის დენუდაციური და მეწყრული ფორმები; 4. ნეოგენური ქანებით აგებული დაბალმთიანი კვერნაქები; 5. უმთავრესად პალეოგენური და ცარცული ნალექებით აგებული თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთა (ნიშანდობლივია საფეხურებად განლაგებული ძვ. მოსწორებული ზედაპირები) შტოქედებითა და მ. შ. ღრმად ჩაჭრილი ხეობებით.

რელიეფის მსხვილი ფორმებიდან აღსანიშნავია აგრეთვე მდინარეების პატარა ლიახვის, მეჯუდისა და დიდი ლიახვის ხეობები. პატარა ლიახვის ხეობა აგებულია ზედაიურული და ქვედაცარცული ფლიშით, მეჯუდის ხეობა – ცარცული ფლიშური წყებებით და პალეოგენური ნალექებით, დიდი ლიახვის ხეობა – ახალგაზრდა ალუვიური ნალექებით. მდინარის მარჯვ. მხარეს მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის ლიხის ქედის რუსთავძარის შტოქედი.

უმთავრესი სასარგებლო წიაღისეულია საშენი მასალები, თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე მოიპოვება კერამ. თიხები, ატენის მახლობლად – სალესი და სადოლაბე ქვები.

ბ. მ. ზომიერად ნოტიო სუბტროპ. ჰავის ოლქშია და ჰავის სიმაღლებრივი ზონალურობით ხასიათდება. შიდა ქართლის ვაკეზე ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ჰავაა. იცის ცხელი ზაფხული და ზომიერად ცივი ზამთარი. მთისწინეთში, დაბალ-, საშუალ- და მაღალმთიან ზონაში ჰავა ზომიერად ნოტიოა, ზამთარი – ზომიერად ცივი, ზაფხული – ხანგრძლივად თბილი, საშუალმთიანეთში – გრილი, მაღალმთიანეთში ნამდვილი ზაფხული არ იცის. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა ვაკეზე 9,5–10,9°C, დაბალ- და საშუალმთიან ზონაში 3,6-იდან 9,5°C-მდეა. იანვ. საშ. ტემპ-რა ვაკეზე –1,2, –1,8°C, საშუალმთიან ზონაში –3,2°C, მაღალმთიან ზონაში უფრო დაბალი ტემპ-რაა. აგვ. საშ. ტემპ-რა ვაკეზე 20,5–22,5°C-მდეა, დაბალმთიან ზონაში 18,6°C; აბსოლ. მინ. ვაკეზე –31°C-მდეა, აბსოლ. მაქს. 40°C, მთიან ზონაში 36°C. ნალექები ვაკეზე – 580 *მმ* წელიწადში, დაბალმთიან ზონაში – 610 *მმ*. მეტი ნალექი მოდის საშუალ- და მაღალმთიან ზონაში. ვაკეზე ნალექების მინიმუმი მოდის აგვ-ში, მაქს. – მაისში, მაღალმთიანეთში – მინ. – იანვ-ში, მაქს. – მაის-ივნისში. მთელი წლის განმავლობაში ქრის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქარი, მთიან ნაწილში იცის მთახეობათა ქარი.

ბ. მ. მდიდარია შიგა წყლებით. მუნიციპალიტეტს კვეთს მდ. მტკვარი, რ-საც ერთვის ლიახვი (მარცხნივ) და ტანა (მარჯვნივ). სხვა მდინარეთა შორის აღსანიშნავია პატარა ლიახვი, მეჯუდა, თეძამი, არცეულა, ტილიანი და სხვ. მდინარეები საზრდოობენ წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის წყლით. ლიახვი საზრდოობს აგრეთვე მყინვარული წყლით. წყალდიდობა გაზაფხულზეა, წყალმცირობა – ზამთარში. მდინარეები გამოყენებულია სარწყავად და ენერგეტ. მიზნით. გაყვანილია ტირიფონის, დოეს–გრაკლის, სკრა–ქარელის არხები.

ნიადაგები სიმაღლებრივ ზონებად არის გავრცელებული: ვაკეზე ალუვიური (ძვ. ალუვიური), მდელოს კარბონატული და ალუვიური ყავისფერი კარბონატული ნიადაგებია. საშუალმთიანი ზონის ქვემო ნაწილში საშ. და მცირე სისქის ტყის ყომრალი ნიადაგია, ზემო ნაწილში – ღია და გაეწრებული ტყის ყომრალი. ვრცელი ფართ. უკავია მთის მდელოს ნიადაგს. სუბალპ. მდელოს სარტყელში გავრცელებულია კორდიანი და კორდიან-ტორფიანი ნიადაგები, ალპ. სარტყელში, კლდეებსა და ქვაყრილებს შორის – მცირე სის-



უფლისციხე. კლდეში ნაკვეთი ქალაქი.

ქის კორდიან-ტორფიანი ნიადაგი. აქა-იქ კირქვების გამოფიტვის პროდუქტებზე კორდიან-კარბონატული ნიადაგია.

მცენარეული საფრის გავრცელებაც სიმაღლებრივ ზონალურობას ემორჩილება. ვაკეზე ძირითადად კულტ. მცენარეულობაა, მაგრამ შემორჩენილია ბუნებრივი მცენარეულობაც. მდინარეთა გასწვრივ ჭალის ტყეებია. მთისწინეთსა და მთის ქვემო კალთებზე განვითარებულია მუხნარ-ჯაგრცხილნარი და ჯაგეკლიანები. ტყის ზონის ქვემო სარტყელს ქმნის ქართული მუხა და რცხილა, მათთან შერეულია ნეკერჩხალი, ცაცხვი და სხვ. (ქვეტყეს ქმნის ფოთოლმცვივანი ბუჩქები). ტყის ზოლის ზემო ნაწილში გაბატონებულია წიფელი, არის წიწვოვნებიც (ფიჭვნარი, ნაძვნარ-სოჭნარი). ტყის ზონა მთავრდება სუბალპ. ტანბრეცილი მეჩხერი ტყით (არყი, მაღალმთის მუხა, ნეკერჩხალი, ცირცელი და სხვ.). ყველაზე მაღალი ადგილები – სუბალპ. და ალპ. მდელო – საძოვრებადაა გამოყენებული.

მუნიციპალიტეტში ძუძუმწოვართაგან გვხვდება არჩვი, გარეული ღორი, შველი, ირემი, კვერნა, მაჩვი, დედოფალა, მგელი, ტურა, მელა, მურა დათვი, ენოტისმსგავსი ძაღლი, ტყის კატა. ფართოდაა გავრცელებული ციყვი, თაგვისებრნი, კურდღელი, ზღარბი, თხუნელა და სხვ. მრავალფეროვანია ორნითო- და იქთიოფაუნა.

ძირითადი ლანდშაფტები: 1. ჭალები ტუგაის მცენარეულობით ალუვიურ ნიადაგზე; 2. ჯაგეკლიანი ვაკე მდელოს ყავისფერი და შავმიწისებრი ნიადაგებით; 3. მთისწინეთი მუხნარ-ჯაგრცხილნარით და ჯაგეკლიანი სტეპით ტყის ყავისფერ ნიადაგზე; 4. დაბალმთიანეთის შერეულ-ფოთლოვანი და წიფლნარ-მუქწიწვოვანი ტყის ლანდშაფტი ყავისფერ და ყომრალ ნიადაგებზე; 5. საშუალო სიმაღლის მთები წიფლის ტყეებით ტყის ყომრალ და გაეწრებულ ყომრალ ნიადაგებზე; 6. სუბალპ. ტყეები და მდელოები, ალპ. მდელოები.

მოსახლეობა. საქართვ. მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნ. საყოველთაო აღწერის შესაბამისად Გ. მ-ის მოსახლ. უმეტესობას შეადგენენ ქართველები (93,2%), ცხოვრობენ აგრეთვე ოსები (4,9%), მცირე რაოდენობით – სომხები, აზერბაიჯანელები და რუსები. განსახლების ძირითადი ზონა ზ. დ. 500–1200 *მ* ფარგლებშია. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 146,7 კაცი 1 $კმ^2$-ზე. მოსახლ. 66,7% ცხოვრობს სოფლად.

მეურნეობა. სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. სპეციალიზებული დარგებია მებაღეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა. მოსახლ. შემოსავლის ძირითადი წყაროა მეხილეობა (უმთავრესად მოჰყავთ ვაშლი). აქაური ხილი გამოირჩევა შაქრიანობით, არომატულობითა და ტრანსპორტაბელობით. განვითარებულია მევენახეობა, ძირითადად გავრცელებულია ვაზის შამპანური ჯიშები. ნათეს ფართობში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საშემოდგომო ხორბალს, საკვებ ბალახებსა და სხვ. მოჰყავთ პარკოსანი კულტურები, უმთავრესად ლობიო. განვითარებულია მეცხოველეობა, კერძოდ, მესაქონლეობა, მეფრინველეობა; მისდევენ მეფუტკრეობას.

სამრეწვ. წარმოება შედარებით სუსტადაა განვითარებული, ძირითადად წარმოდგენილია კვების მრეწვ. საწარმოებით. ბერბუკში, შინდისსა და კვარხითში არის საკონსერვო ქ-ნები, ფუნქციონირებენ ღვინის, აგრეთვე საშენ მასალათა და ადგილ. მრეწვ. წვრილი საწარმოები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა მცირე სიმძლავრის ტირიფონის ჰესი (აგებულია ტირიფონის სარწყავი არხის ვარდნილზე).

Გ. მ-ის ტერიტორიაზე გადის საქართვ. რკინიგზის მაგისტრალი და ცენტრ. ავტობანი. ტერიტორიას კვეთს ადგილ. მნიშვნელობის საავტ. გზები.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. 2011 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში იყო სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო და კერძო სკოლები, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე. ა. *ერისთავ-ხომტარიას* (მეჯვრისხევი), ი. *გოგებაშვილის* (ვარიანი), ნ. *ლომოურის* (არბო), ა. *ჯავახიშვილის* (ძევერა) სახლ-მუზეუმები, უფლისციხის ისტ.-არქიტ. მუზეუმ-ნაკრძალი.

მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება სამედ. დაწესებულებები. მდ. მტკვრის მარჯვ. მხარეს, თრიალეთის ქედის ჩრდ. მთისწინეთში მდებარეობს ადგილ. მნიშვნელობის ბალნეოლ. კურორტი *გორიჯვარი*.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. მუნიციპალიტეტის ისტ. და ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია: ზემო ნიქოზის ღვთაების კომპლექსი (V–XVII სს.), *ატენის სიონის* გუმბათოვანი ტაძარი (VII ს.), ვერეს ეკლესია გარდატენის მიდამოებში (VI ს., გადაკეთებულია XI ს-ში), მღებრიანის კლიკის ჯვრის (VII–VIII სს.), არბოს წმინდა გიორგის (X ს.), *საორბისის* (1152) ეკლესიები, უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი (ძვ. წ. ბოლო საუკუნეები – შუა საუკ.), *გორის ციხე* (ძვ. წ. III–II სს. – შუა საუკ.), *გორიჯვრის ეკლესია* და ციხე (ორივე შუა საუკ.), *ბობნევის* (1683), ბოშურის (შუა საუკ.), *შინდისის, ამურიანის* ეკლესიები: *ქვახვრელის* გამოქვაბული კომპლექსი (ადრინდ. ფეოდ. ხანა; ეკლესია – 1716), *მეჯვრისხევის, ტირძნისის, ტყვიავის* ციხე-დარბაზები (ყველა გვიანდ. ფეოდ. ხანა და სხვ.).

2008 აგვისტოში რუს. აგრესიის შედეგად Გ. მ-მა სერიოზული ზარალი განიცადა. განადგურდა საცხოვრებელი სახლები, საყოფაცხოვრებო ნაგებობები, დაიჭრა და დაიღუპა ასობით ადამიანი, ხოლო ათასობით ოჯახი იძულებული გახდა მიეტოვებინა თავისი საცხოვრებელი ადგილი. რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენეს სამხედრო ავიაცია, ასევე ტაქტიკური რაკეტა ,,ისკანდერი'', რაც დადასტურდა საერთაშორისო ექსპერტიზის მიერ. ამჟამად Გ. მ-ის ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია.

ლიტ.: გ გ ა ს ა ლ ი ა ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983. *ჯ. გვასალია. ე. ლოლუა. დ. უკლება.*

გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი, ექვემდებარება გორის მუნიციპალიტეტს. დაარსდა 1938 როგორც გორის კულტურის სახლის განყ-ბა; თავდაპირველად ფუნქციონირებდა მხოლოდ მხატვრული წრეები. 1966-იდან პიონერთა სახლს გამოეყო შენობა ლენინის (ახლანდ. სამეფოს) ქუჩაზე; 1971 წ. 8 ოქტ. პიონერთა სახლს სასახლის სტატუსი მიენიჭა; გაფართოვდა წრეების ქსელი, დამყარდა კონტაქტები სსრკ-ის სხვა ქალაქების, აგრეთვე ჩეხეთის, პოლონეთის პიონერთა სასახლეებთან. 1990 საქართველოში გაუქმდა ბავშვთა და მოზარდთა პოლიტ. ორგანიზაციები, რის გამოც პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე ეწოდა.

2010 წ. 1 იანვრისთვის სასახლე გორის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაშია.

ბ. მ. მ. ა. ს-ში, რ-იც ემსახურება ოთხასზე მეტ ბავშვს, ფუნქციონირებს: ლიტ-რის, მხატვრული, საბუნებისმეტყველო და სხვ. წრეები. მისი პრიორიტეტია საქართვ. კონფლიქტური რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილ) ბავშვებთან მუშაობა.

ბ. მ. მ. ა. ს. თანამშრომლობს თბილისისა და ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეებთან.

გორის 202-ე ქვეითი პოლკი, რუსეთის არმიის სამხედრო შენაერთი, რ-იც *გორის სარეზერვო ქვეითი (კადრის) პოლკის* ბაზაზე ჩამოყალიბდა. 1908 წ. 30 დეკ. გორის №259-ე სარეზერვო ქვეითი პოლკი გადაკეთდა გორის 259-ე ქვეით პოლკად. 1910 შეუცვალეს ნუმერაცია და უწოდეს გორის 202-ე ქვეითი პოლკი.

ლიტ. Хроника кавказских войск в 2-х частях, сост. А. Л. Гизетти, Тфл., 1896.

ო. ჟორდანია.

გორის სავიკარიო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ეპარქია. შეიქმნა საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების (1811) შემდეგ, 1812 წ. 30 იანვარს, რუს. სინოდის განკარგულებით. იგი შედიოდა მცხეთისა და ქართლის ეპარქიის შემადგენლობაში, რ-თა მმართველი საქართვ. *ეგზარქოსი* იყო. გორის ეპისკოპოსი საქართვ. ეგზარქოსის ვიკარ-ეპისკოპოსად ითვლებოდა. რუს. სინოდის გადაწყვეტილებით გორის ვიკარ-ეპისკოპოსად დაინიშნა *დოსითეოსი* (ფიცხელაური), რ-იც 1811–14 პეტერბურგში იმყოფებოდა და საქართვ. საეგზარქოსოს გარდაქმნის პროექტზე მუშაობდა; რუსეთის სინოდის მითითებით დოსითეოსმა შეიმუშავა საქართვ. საეკლ. მოწყობის ახ. დებულება, რ-იც 1814 წ. 30 აგვ. რუს. იმპერატორმა დაამტკიცა. დოსითეოსს მთავარეპისკოპოსის წოდება მიენიჭა და დაინიშნა ახალდაარსებული *,,ოსეთის სასულიერო კომისიის''* ხელმძღვანელად.

გორის ვიკარ-ეპისკოპოსები ძირითადად ცხოვრობდნენ თბილისში და ეგზარქოსს ეხმარებოდნენ ეპარქიის მართვაში. ბ. ს-ს ტერიტორიაზე არსებობდა გორის სას. სასწავლებელი, რ-ის კურსდამთავრებულები სწავლას თბილისის სას. სემინარიაში აგრძელებდნენ. დოსითეოსის შემდეგ გორის ვიკარ-ეპისკოპოსები იყვნენ: გერვასი მაჭავარიანი (1814–17); სტეფანე ჯორჯაძე (1818–39); ნიკიფორე ჯორჯაძე (1844 –51); იოანე ავალიანი (1852–58); გაბრიელ ქიქოძე (1859–60); გერმანე პაპიტაშვილი (1862–69). 1869 წ. 30 მაისიდან 1898 წ. 20 მარტამდე ბ. ს. უმღვდელმთავროდ იყო დარჩენილი. 1881–86 გორის ვიკარ-ეპისკოპოსი იყო ალექსანდრე ოქროპირიძე. მისი მღვდელმთავრობის დროს ბ. ს-ში გაიხსნა სას. სასწავლებლები. აღდგა სამონასტრო ცხოვრება და შეკეთდა *შიომღვიმის მონასტერი, ზედაზნის მონასტერი*. მღვდელმთავარი ხელს უწყობდა ძვ. ქართ. საეკლ. გალობის აღდგენას. 1898–1900 ბ. ს-ს ხელმძღვანელობდა *ლეონიდე* (ოქრიპირიძე); 1900–02 – *კირიონ* II (საძაგლიშვილი); 1902–05 – ბენიამინ მასნუკოვი; 1905–06 – ეფთვიმე ელიაშვილი; 1907–09 – პეტრე კონჭოშვილი. უკანასკნელი მღვდელმთავარი იყო ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე (1912–17). საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ ბ. ს. გაუქმდა.

ლიტ.: Кирион (Садзагелов), Краткий очерк истории Грузинской Церкви и Экзархата за XIX ст., Тфл., 1901.

ე. ბუბულაშვილი.

გორის საკონსერვო ქარხანა, იხ. *,,გორკონი''*.

გორის სამუსიკო სასწავლებლის ქალთა კამერული გუნდი, მუსიკალური კოლექტივი. დაარსდა 1970 სასწავლებლის დირექტორის, ხელოვნ. დამს. მოღვაწის ა. კაჭარავას თაოსნობით. გუნდის შემოქმედებითი სახე განსაზღვრა მისმა უცვლელმა სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთ. დირიჟორმა, საქართვ. სახ. არტისტმა შ. *მოსიძემ.* რეპერტუარშია მსოფლიო კლასიკური მუსიკა და ქართვ. კომპოზიტორთა ნაწარმოებები. გუნდმა წარმატებით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა (გერმანია, ესპანეთი, ირლანდია, საფრანგეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, მალტა, რუსეთი, სომხეთი და სხვ.).

გუნდი 1989 მიწვეული იყო პარიზში, ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციის 200 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე, არის ახალგაზრდული საერთაშ. საგუნდო ფედერაციის ,,ევროპა-კანტატის'' წევრი (1989). უცხოელი სპეციალისტები გუნდს ,,მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ'' მიიჩნევენ, ხოლო მის ხელმძღვანელს შ. მოსიძეს ,,ბგერის ჯადოქარს'' უწოდებენ. გუნდის საშემსრულებლო ხელოვნება გამოირჩევა ფართო დიაპაზონით, ხავერდოვანი დაბალი რეგისტრით, დინამ. ექსპრესიულობით, ჟღერადობის ორკესტრული ფერადოვნებით (გუნდის სოლისტია საქართვ. დამს. არტისტი მ. აბულაძე). გუნდის არსებობამ განაპირობა 1985 საგუნდო ზეიმის მოწყობა გორში, რასაც მოჰყვა საგუნდო მუსიკის გორის საერთაშ. ფესტივალის დაარსება (1986, 1988, 1990, 1996), რ-ის მონაწილენი იყვნენ საგუნდო კოლექტივები ევრ. და აზიის ქვეყნებიდან (რუსეთი, საფრანგეთი, იაპონია, ესპანეთი და სხვ.).

იაპონურმა ფირმა ,,სონიმ'' გამოუშვა ბ. ს. ს. ძ. კ. ბ-ის ორი კომპაქტ-დისკი (1995–2003), რ-ზეც ჩაწერილია ქართ. მუსიკა. 1997 საქართვ. ტელეფილმმა გადაიღო ფილმი ,,შალვა მოსიძე''. 2003 წ. ოქტ-ში გუნდმა ანსამბლ ,,რუსთავთან'' ერთად კონცერტი გამართა ლონდონის საგუნდო ფესტივალზე ,,როიალ-ჰოლში''.

ლიტ.: წურწუმია რ., გორის სამუსიკო სასწავლებლის გოგონათა გუნდი, «საბჭოთა ხელოვნება», 1974, №11.

რ. წურწუმია.

გორის საოსტატო სემინარია, ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია, გაიხსნა 1876, ამზადებდა დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს. ჰქონდა 3 კურსი, სწავლება მიმდინარეობდა რუს. ენაზე. ცალკე საგნებად ისწავლებოდა ქართ., სომხ. და აზერბ. ენები. სემინარიასთან არსებობდა ქართ., რუს., სომხ. და აზერბ. დაწყ. სკოლები, სადაც სემინარისტები პედ. პრაქტიკას გადიოდნენ, ასევე ორი საცხოვრ. პანსიონი (ქრისტიანი და მუსლიმანი მოსწავლეებისათვის). ბ. ს. ს-ში სხვადასხვა დროს სწავლობდნენ ვაჟა-ფშაველა, ნ. და თ. რაზიკაშვილები, ლ. აღნიაშვილი, ნ. ჯანაშია, ნ. ნარიმანოვი, უ. ჰაჯიბეკოვი, მ. მაგომაევი და სხვ. სემინარია დაიხურა 1918.

ლიტ.: კეკელიძე მ., გორის სამასწავლებლო სემინარია, თბ., 1955.

გორის სარეზერვო ქვეითი (კადრის) პოლკი, ამიერკავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ახალწვეულთაგან დაკომპლექტებული სამხედრო შენაერთი, დაარსდა 1887 წ. 12 ივლისს. თავდაპირველად ეწოდებოდა კავკ. I ადგილ. სარეზერვო (კადრის) რაზმი (დრუჟინა). 1889 წ. 20 სექტ. (სხვა მონაცემებით 1890 წ. 26 ივლ.) გადაკეთდა პოლკად.

ლიტ.: Хроника кавказских войск в 2-х частях, сост. А. Л. Гизетти, Тфл., 1896.

ო. ჟორდანია.

გორის სასულიერო სასწავლებელი, ერთ-ერთი პირველი სასულიერო სასწავლებელი საქართველოში; დაარსდა 1818, ასწავლიდნენ რუს. და ძვ. სლავურ გრამატიკას, არითმეტიკას, საეკლ. გალობას, კატეხიზისს, ბერძნ. და ლათ. ენებს (პირველდაწყებითი კურსი), საღვთო სჯულს და სხვ. დიდი ყურადღება ექცეოდა თარგმანს (ქართულიდან – რუსულად და რუსულიდან – ქართულად). სხვადასხვა დროს აქ სწავლობდნენ ი. გოგებაშვილი, ი. ჯუღაშვილი (სტალინი), ლ. კეცხოველი, ს. მგალობლიშვილი (შემდეგ აქვე ასწავლიდა ქართ. ენასა და ლიტ-რას), ნ. ლომოური და სხვ. მ. ს. ს. დაიხურა 1917. მ. ს. ს-ის ბ-კის ფონდი დაცულია ი. გოგებაშვილის სახ. პედ. ბ-კაში.

დ. გურგენიძე.

გორის სახელმწიფო დრამატული თეატრი გ. ერისთავის სახელობისა, პროფესიული ქართული დრამატული თეატრი გორში. სათავეს იღებს 1865-იდან, როდესაც ადგილ. სცენისმოყვარეთა ძალებით გაიმართა გ. *ერისთავის* ,,ძუნწის'' პირველი საჯარო წარმოდგენა. სცენისმოყვარეთა საშინაო წარმოდგენები გორში XIX ს. 40-იანი წლებიდან იმართებოდა, 70-იანი წლებიდან კი სისტემატური ხასიათი მიიღო. წარმოდგენები იმართებოდა ე. წ. ,,როტონდის'' ხის შენობაში ან საზ. საკრებულოს დარბაზში (ხელმძღვანელობდა მწერალი ს. მგალობლიშვილი). აქედან დაიწყო მოღვაწეობა ქართ. თეატრის გამოჩენილმა მსახიობმა ნ. *გაბუნიამ.* გორში საგასტროლოდ ჩამოდიოდნენ პროფ. თეატრ. დასები თბილისიდან და ქუთაისიდან. XX ს-ის 20-იანი წლებიდან საფუძველი ჩაეყარა მუდმივმოქმედ დრამ. წრეს, რ-საც სხვადასხვა დროს უძღვებოდნენ ა. ჯაფელი, დ. ჩარკვიანი, ზ. გომელაური, ს. გრიქუროვი; მსახიობები მ. გარიყული, ნ. ერისთავი, ს. ციციშვილი, ვ. მურადელი და სხვ. დაიდგა: ა. *ცაგარლის* ,,ციმბირელი'', ა. შირვანზადეს ,,პატიოსნებისათვის'', ტ. რამიშვილის ,,სტუმარ-მასპინძელი'', ვ. მონტის ,,კაი გრაკხი'' და სხვ. 1934 დაარსდა პროფ. თეატრი, რ-საც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ა. ალაზნისპირელი, გ. ხელაია, გ. სულიაშვილი. დასში ირიცხებოდნენ: ა. ალავიძე, მ. ბახტაძე, ნ. კახნიაშვილი, შ. ხავხალია, ნ. ჩიხლაძე, ნ. ნინონი, ვ. კახნიაშვილი და სხვ. თეატრის რეპერტუარში იყო ა. აფინოგენოვის ,,მგლის ბილიკი'', ბ. ლავრენიოვის ,,რღვევა'', პ. ირეთელის ,,ქრისტინე'' და სხვ. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია თეატრმა იმ პერიოდში, როდესაც თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო საქართვ. სახ. არტისტი პ. *ფრანგიშვილი* (1939–49). 1939 საზეიმოდ გაიხსნა თეატრის ახ. შენობა (არქიტ. შ. თავაძე). პირველი სპექტაკლი იყო ი. გედევანიშვილის ,,გადასასვლელზე'' (30. I. 1940). 40-იან წლებში იდგმებოდა ა. წერეთლის ,,პატარა კახი'', ი. ჭავჭავაძის ,,დედა და შვილი'', დ. ერისთავის ,,სამშობლო'', გ. მდივნის ,,ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ'' და სხვ. თეატრის წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით რეჟისორებს: ა. ალაზნისპირელს (თეატრის პირველი რეჟისორი), ვ. *ყუშიტაშვილს*, გ. *ლორთქიფანიძეს*, ო. *ალექსიშვილს*, ლ. *იოსელიანს*, გ. *აბრამიშვილს*, გ. *სულიაშვილს*, ს. *ვაჩნაძეს*, ი. *კაკულიას*, ვ. მაღლაფერიძეს, გ. სებისკვერაძეს, ა. ჯაყელს და სხვ.; მსახიობებს: თ. ა. *აბაშიძეს*, ქ. ბოჭორიშვილს, შ. *ხერხეულიძეს*, ნ. *მაჭავარიანს*, ს. კალანდარიშვილს, ე. არაქელოვს, ქ. ბახტაძეს, ვ. *კახნიაშვილს*, ვ. ცხვარიაშვილს, გ. ციცქიშვილს, ე. მოციქულაშვილს, ა. ივერიელს, ს. გრიქუროვს და სხვ. დიდია მხატვარ შ. ხუციშვილის წვლილი. 1947 თეატრს გ. ერისთავის სახელი მიენიჭა.

თეატრის რეპერტუარშია ქართვ. და საზღვარგარეთელ დრამატურგთა პიესები: გ. ერისთავის ,,გაყრა'', დ. ერისთავის ,,სამშობლო'', პ. *კაკაბაძის* ,,ყვარყვარე თუთაბერი'', ა. *სუმბათაშვილ-იუჟინის* ,,ღალატი'', ა. ცაგარლის ,,ხანუმა'', ს. *კლდიაშვილის* ,,ირმის ხევი'', ბ. ლავრენიოვის ,,რღვევა'', ლ. *სანიკიძის* ,,მედეა'', მაქსიმ გორკის ,,ვასა ჟელეზნოვა'', ვ. პეტროვის ,,მშვიდობის კუნძული'', გ. ბერიაშვილის ,,მეხდაცემული კაკალი'', მ. ბაიჯიევის ,,დუელი'', ჟ. ბ. მოლიერის ,,ძალად ექიმი'', ნ. *დუმბაძის* ,,კუკარაჩა'', ა. ჩხაიძის ,,შთამომავლობა'', ო. *იოსელიანის* ,,სანამ ურემი გადაბრუნდება'', შ. შამანაძის ,,ღია შუშაბანდი'', ნ. დუმბაძის ,,თეთრი ბაირაღები'', სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე'', ლ. *ქიაჩელის* ,,ჰაკი აძბა'', ე. დე ფილიპოს ,,ცილინდრი'', მ. *მრევლიშვილის* ,,წამებაჲ დედოფლისა'', ე. შვარცის ,,ჩვეულებრივი სასწაული'', თ. *ჭილაძის* ,,ჭალას ჩიტი მომკვდარიყო'', შ. *დადიანის* ,,გუშინდელნი'', მ. *ჯავახიშვილის* ,,თეთრი საყელო'', ჟ. ბ. მოლიერის ,,ჟორჟ დანდენი'' და სხვ.

თეატრის დასში მოღვაწეობდნენ (2009) საქართვ. სახ. არტისტი ჩ. ტატალაშვილი, საქართვ. დამს. არტისტები: ო. დათუნაშვილი, ლ. ოზგებაშვილი, დ. ჭამაური, მ. მეზურნიშვილი, ქ. მანუელიშვილი და სხვ.

თეატრის დამდგმელი რეჟისორია ა. გვაძაბია, მთ. მხატვარი ვ. არჩვაძე, თეატრის მმართველი გ. მაჭარაშვილი.

ლიტ.: ბუნიკაშვილი გ., გორის თეატრი, თბ., 1965. *შ. ცუცქირიძე.*

გორის სახელმწიფო პედაგოგიკური უნივერსიტეტი, იხ. *გორის უნივერსიტეტი.*

გორისუბანი, სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბუგეულის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა



გორის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

და ქვემო სვანეთის მხარე), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. რიონის ხეობაში. ზ. დ. 800 *მ*, ამბროლაურიდან 17 *კმ*. 71 მცხ. (2002).

სოფელში არის წმინდა ბარბარეს დარბაზული ეკლესია. შემორჩენილი წარწერებისა და ორნამენტის მიხედვით ეკლესია XI ს-შია აგებული. მოპირკეთებულია შირიმის ქვით. შიგნით ერთიანად მოხატული ყოფილა. შემორჩენილია კანკელის რამდენიმე ფრაგმენტი.

მ. დვალი.

გორის უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი. დაარსდა 2007 გორისა და ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტების გაერთიანების შედეგად და ამ უმაღლესი სასწავლებლების სამართალმემკვიდრეა.

1935 გორში გაიხსნა 2-წლიანი სასწავლებელი (სამასწავლებლო ინ-ტი), რ-იც 1939 გადაკეთდა გორის სახელმწ. პედ. ინ-ტად, სწავლების 4-წლიანი კურსით; 1939 ინ-ტს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი ეწოდა. თავდაპირველად ინ-ტს ჰქონდა ლიტ-რის, ისტ., ფიზ.-მათ. ფაკულტეტები, ფუნქციონირებდა 3 კათედრა, 50-იანი წლებისათვის კი – 22 კათედრა. დაემატა ახ. სპეციალობები: ბუნებისმეტყველების, გეოგრ., ფიზ. აღზრდისა და დაწყ. განათლების. 1980 ინ-ტში იყო 4 ფაკ-ტი: საბუნებისმეტყველო და ფიზ. აღზრდის, ისტორია-ფილოლოგიის, დაწყებითი განათლების პედ. და მეთოდიკის, საზ. პროფესიათა; სწავლობდა 1342 სტუდენტი, მუშაობდა 114 პროფესორ-მასწავლებელი. 1982 ინ-ტმა შეწყვიტა მიღება; სტუდენტების ბოლო გამოშვება 1985 იყო. ამავე წელს მოხდა გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწ. პედ. ინ-ტის რეორგანიზაცია და ინ-ტს ეწოდა გორის სახელმწ. ეკონ. ინ-ტი. 1991 ინ-ტმა აღადგინა პედ. და შეინარჩუნა ეკონ. სპეციალობებიც.

1997-იდან გ. უ-ს გორის სახელმწ. ეკონ.-ჰუმანიტარული ინ-ტი ეწოდა; სახელმწ. და კერძო დაფინანსების სექტორებზე იყო შემდეგი ფაკ-ტები: აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის; ფინანსების; საერთაშ. ეკონ. ურთიერთობების; კომერც. საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის; წარმოების ეკონ. და სტატისტიკის; სამართალმცოდნეობის; ფილოლ. და გეოგრ.-ბიოლოგიის; ფიზ. აღზრდისა და დაწყ. განათლების; დაუსწრებელი (სულ 18 სპეციალობა). მუშაობდა 21 კათედრა, 20 კაბინეტ-ლაბორატორია, კომპიუტერული ცენტრი და ტელეცენტრი, 2 ლინგაფონური კაბინეტი, ბ-კა. ინ-ტში სწავლობდა 3 ათ. სტუდენტი, მოღვაწეობდა 174 პროფესორ-მასწავლებელი, მ. შ. 22 მეცნ. დოქტორი და პროფესორი, 83 მეცნ. კანდიდატი და დოცენტი. ინ-ტის თანამშრომელთა ავტორობით გამოცემულია 80-ზე მეტი სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო და მონოგრაფია. ინ-ტს ჰქონდა 3 სასწ. კორპუსი, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი (1500 ადგილი).

1999 წ. 16 ივლ. ინ-ტს მიენიჭა უნივერსიტეტის სტატუსი (საქართვ. პრეზიდენტის №260 ბრძანების საფუძველზე). 2009 გ. უ-ს სასწავლო პროცესი მოიცავდა საუნივერსიტეტო განათლების ყველა საფეხურს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა). ფუნქციონირებდა 3 ფაკ-ტი: 1. განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ტი; სპეციალობები და სპეციალიზაციები: პედაგოგიკა (დაწყებითი განათლება, ფიზიკური აღზრდა), განათლების მეცნიერებები (განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა, ისტორია, ქართ. ენა და ლიტ-რა, ინგლისური ენა და ლიტ-რა, გერმ. ენა და ლიტ-რა, რუს. ენა და ლიტ-რა, გეოგრაფია, მათემატიკა, ბიოლოგია, ინფორმატიკა), კომპიუტერული ტექნოლოგიები (ინფორმაციული ტექნოლოგიები), საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, ფიზიკური გეოგრაფია), ჯანდაცვა (სამკურნალო საქმე, სტომატოლოგია); 2. ჰუმანიტარული ფაკ-ტი; სპეციალობები, სპეციალიზაციები და ქვესპეციალიზაციები: ჰუმანიტარული მეცნიერებანი [ისტორია, ფილოლოგია (ქართ. ენა და ლიტ-რა, გერმ. ენა და ლიტ-რა, რუს. ენა და ლიტ-რა)]; 3. სოც. მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი; სპეციალობები და სპეციალიზაციები: სამართალი (სამართალმცოდნეობა, სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი), სოც. მეცნიერებანი (ჟურნალისტიკა, ეკონომიკა), ბიზნესი და მართვა (ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე, ტურიზმი).

გ. უ-ში მოქმედებდა 14 სამაგისტრო პროგრამა (განათლების მეცნიერებები; მასწავლებელთა განათლება; ქართ. სალიტერატურო ენა; ქართ. ლიტ-რა; საქართველოს ისტორია; ანგლისტიკა; ჟურნალისტიკა; ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა; ფინანსები; საბანკო და სადაზღვევო საქმე; საბუღალტრო, საგადასახადო საქმე და აუდიტი; ტურიზმის მენეჯმენტი; სისხლის სამართალი; სამოქალაქო სამართალი); მოქმედებდა აგრეთვე სადოქტორო პროგრამები: მათ. მიმართულებით (ალბათობის თეორია და მათ. სტატისტიკა; ტოპოლოგია და ტოპოლოგიური მეთოდების გამოყენება); საქართველოს ისტორია; XX ს-ის ქართ. ლიტ-რა; ქართ. ენათმეცნიერება. გ. უ-ის ფარგლებში ფუნქციონირებდა პროფ. უმაღლესი პროგრამები: სასტუმროების, რესტორნებისა და სპეც. ღონისძიებების ადმინისტრირება, მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრირება.

გ. უ. მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც საზღვარგარეთის, ისე საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან (ლიტვის, ლატვიის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწ. უნ-ტთან, თბილისის ილიას სახელმწ. უნ-ტთან, აგრეთვე თელავის, ბათუმის, ქუთაისის უნ-ტებთან).



გორის უნივერსიტეტი.

გ. უ-ს აქვს 5 სასწავლო კორპუსი, ბ-კები (422 ათასამდე დაცვითი ერთეული, მ. შ. – 67475 დასახელების 290437 ეგზემპლარი და 131432 ჟურნ. ნომერი), სამკითხველო დარბაზები, სპორტ. მოედნები, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები და სხვ.

2010 წ. 1 იანვ-თვის გ. უ-ში მუშაობდა 87 პროფესორ-მასწავლებელი (47 – სრული პროფესორი, 36 – ასოცირებული, 2 – ასისტენტ-პროფესორი), სწავლობდა 2000-მდე სტუდენტი.

ლ. მელაძე. ზ. ცოტნიაშვილი.

გორის შეთანხმება 1758, იმერეთის მეფე სოლომონ I-სა და ქართლ-კახეთის მეფეებს თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს შორის დადებული ხელშეკრულება.

ხრესილის ბრძოლაში 1757 მოპოვებული გამარჯვების შემდეგ სოლომონ I მოელოდა თურქ-ოსმალთა ახ. ჯარების შემოსევას. სულთანმა ხრესილთან განცდილი მარცხის გამო სიკვდილით დასაჯა ახალციხის ფაშა ჰაჯი-აჰმედი და მის მაგივრად დანიშნა მისი ბიძაშვილი ჰასანი (ჯაყელი), რ-საც იმერეთის დარბევა დაავალა. ახალციხის ფაშა აქტიურად იყენებდა ლეკთა მოთარეშე რაზმებს. 1758 სოლომონ I ჩავიდა გორში, სადაც იმყოფებოდნენ თეიმურაზ II და ერეკლე II, და მათ შორის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება გაფორმდა: ,,რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდესო, ერთმანეთს მივეშველნეთო''. გ. უ-ს ორივე მხარისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საგარეო მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგ., 1759 და 1760 იმერეთის ჯარი ქართლ-კახეთის ლაშქართან ერთად იბრძოდა ლეკებისა და განჯის სახანოს წინააღმდეგ. ერეკლეც რამდენჯერმე დაეხმარა სოლომონს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო 1763 მან თურქებს ჩაუკეტა იმერეთში აღმ-იდან შესასვლელი გზა და აიძულა უკან გაბრუნებულიყვნენ.

წყარო: ორბელიანი ს., ჰამბავნი ქართლისანი, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1981; ხერხეულიძე ო., მეფობა ირაკლი მეორისა, ლ. მიქაშავილის გამოც., თბ., 1989.

ლიტ.: ბურჯანაძე შ., სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752–1768 წწ.), «თსუ შრომები», 1950, ტ. 41; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გორის ციხე, ისტორიული ციხე-სიმაგრე ქართლში, გორის ცენტრში, მაღალ კლდოვან ბორცვზე. ჩრდ. ფერდობზე შემორჩენილი ნანგრევები და არქეოლ. მონაცემები მოწმობს, რომ აქ ძვ. წ. I ათასწლეულის უკანასკნელ საუკუნეებში გაშენებული ყოფილა ძლიერი სიმაგრე, მის გარშემო კი მოსახლეობა ცხოვრობდა. პირველად იხსენიება IX–X სს. თხზულებაში. გ. ც. მნიშვნელოვან სტრატეგიულ სიმაგრეს წარმოადგენდა, მისი დაუფლება ნიშნავდა პოლიტ. ბატონობას მთელ შიდა ქართლზე. საუკუნეების მანძილზე გ. ც. არაერთხელ განახლებულა და გადაკეთებულა. XII–XIV სს-ში ის საკმაოდ გამაგრებულ ციხედ ითვლებოდა. გიორგი ბრწყინვალემ ოსთაგან მის განთავისუფლებას 3 წელი მოანდომა. თემურლენგის ისტორიკოსები ნიზამ ალ-დინ შამი და შერეფ ალ-დინ იეზდი XV ს. დასაწყისში გ. ც-ს ,,უაღრესად მკვიდრ და საგულდაგულოდ გამაგრებულ ციხესიმაგრედ'' წარმოგვიდგენენ. XV ს. 70-იან წლებში ის ხით ნაგები ყოფილა, 1478 კი ოსმალებმა ქვით ააშენეს. 1599 ციხე სიმონ I-მა დაანგრევინა, 1614 შაჰ აბასის ბრძანებით გ. ც. აღადგინეს და შიგ ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენეს. ძირითადი ნაწილი XVII ს. 30-იან წლებში როსტომ მეფეს აღუდგენია. 1774 იგი საფუძვლიანად შეაკეთა მეფე ერეკლე II-მ. რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიის (1801) პირველ წლებში გ. ც. კიდევ ასრულებდა თავის სტრატეგიულ ფუნქციას, აქ რუს. არმიის გრენადერთა ბატალიონი იდგა. შემდგომში მან დაკარგა ადრინდ. მნიშვნელობა.

ერეკლე II-ის მიერ რესტავრირებული ციხე ერთი საუკუნის განმავლობაში თანდათან ინგრეოდა. მისი აღდგენა განიზრახა გორის კეთილმოწყობის დიდმა მოამაგემ, გადამდგარმა გენერალმა ივანე ამილახვარმა. მას სურდა გ. ც. თავად-აზნაურთა გასართობ ადგილად გადაექცია – საკუთარი სახსრებით მოაწყო მისასვლელი გზა, ცემენტის კიბე, გააშენა ბაღი და გაიყვანა წყალი. გ. ც. ძლიერ დაზიანდა 1920 მიწისძვრის შედეგად. 50-იან წლებში ის ნაწილობრივ აღადგინეს, შემდგომ კი პერიოდულად ტარდებოდა სარემონტო სამუშაოები. გ. ც-ის აღმ. მონაკვეთში დგას XI–XII სს. დარბაზული ეკლესია.

ლიტ.: ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1973; მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I (1801 წლამდე), თბ., 1994.

ჯ. გვასალია. ე. მამისთვალიშვილი.

გორისციხე, სოფელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ტყარშეტის მთის სამხრ.-აღმ. კალთის ძირას, მდ. თერგის მარცხ. ნაპირზე. თემის ცენტრი (სოფლები: გ., ტყარშეტი, ფხელშე, ყანობი, ხურთისი). ზ. დ. 1870 *მ*, სტეფანწმინდიდან 12 *კმ*. 283 მცხ. (2002).

სოფელში შემორჩენილია ორი დანგრეული კოშკი, რ-თაგან ერთს ,,ავსავჯანიანთ ციხეს'' ეძახიან, მეორეს – ,,მამაწმინდის ხატს''.

მდინარის ნაპირას, მაღალ კლდეზე, აღმართულია XVII ს. კოშკი. იგი თითქმის კლდესთან არის შერწყმული და, როგორც ჩანს, 3–4 სართულიანი იყო. შემორჩენილია I სართული. შესასვლელი დას-იდან აქვს. ოთხივე კედელში განლაგებულია სათოფურები.

ლიტ.: ითონიშვილი ვ., ხევის ტოპონიმიკა, თბ., 1971; მაკალათია ს., ხევი, თბ., 1934.

ჯ. გვასალია. პ. ზაქარაია.

გორიჯვარი, ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური



გორის ციხე. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.



მ. გორკი.

კურორტი გორის მუნიციპალიტეტში, გორიდან 2 *კმ*-ზე, ზ. დ. 710 *მ.* მცენარეულობა სტეპური ხასიათისაა; ჰავა რბილია. იცის მცირეთოვლიანი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა –1,2°C) და ცხელი, მშრალი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 22,3°C). ნალექების წლ. რაოდენობა დაახლ. 500 *მმ.* ძირითადი სამკურნ. ფაქტორია ჰიდროსულფიდური, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი, დაბალი მინერალიზაციის (0,9 *გ/ლ*) წყალი, რ-საც იყენებენ აბაზანებისათვის ქვედა კიდურების, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. კურორტზე პანსიონატი და სააბაზანო მუშაობს ივნ-იდან ოქტ-მდე. იხ. აგრეთვე *დიდი გორივჯვარი* და *პატარა გორივჯვარი. გ. უშვერიძე.*

გორივჯვრის ღმინდა გიორგის ეკლესია, შუა საუკუნეების ერთნავიანი ეკლესია, მდებარეობს გორის მახლობლად მტკვრის მარჯვ. სანაპიროს მაღალ გორაკზე. ნაგებია ქვით. აგების თარიღი უცნობია, მაგრამ კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1574–1605) დროს იგი უკვე კარგადაა ცნობილი. ხალხ. თქმულებით, თამარ მეფის აგებულია. ეკლესიის შესახებ ცნობებს გვაწვდიან მ. *ბროსე,* დ. *პაქრაძე,* ე. *თაყაიშვილი.* პ. *უვაროვას* აზრით, როგორც ეკლესია, ისე მისი გალავანი უძველესი დროისაა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „... გორის პირისპირ არს ეკლესია წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა ნაშენი, სასწაულთმოქმედი. თავი წმიდის გიორგისა მდებარებს ჯუარსა შინა, უწოდებენ გორივჯუარს“. ამ ეკლესიაში ინახებოდა კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი (ამჟამად საქართვ. ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაშია). ჯვარი ხისაა და შეჭედილია ვერცხლის ფირფიტებით, რ-ებზეც გამოსახულია წმ. გიორგის ცხოვრებისა და წამების სცენები. შუაში მოთავსებულია ჯვარცმა, იქვეა ღვთისმშობლისა და იოანეს გამოსახულებები. ჯვრის კონუსისებრი ქუდიც ვერცხლით არის შეჭედილი, მასზე წმინდანები არიან გამოსახული. ჯვრის კონუსური ქუდი გ. *ჩუბინაშვილმა* XIII ს-ით დაათარიღა, ხოლო თავად ჯვრის დათარიღების შესახებ გამოთქმულია ორი თვალსაზრისი. ერთი მოსაზრებით (თ. საყვარელიძე), ჯვარი მდიდრული დეკორისა და მისი მოჭედილობის მიხედვით XVI ს. მიეკუთვნება. ასევე მიაჩნდა გ. ჩუბინაშვილსაც. განსხვავებული მოსაზრებით (ვ. თუთბერიძე), ჯვრის წარწერიდან გამომდინარე, იგი XV ს-ით შეიძლება დათარიღდეს. ხალხს სჯეროდა ეკლესიის სასწაულთმოქმედი ძალისა. ამიტომ იგი დიდძალ მლოცველს იზიდავდა. აქ ძველთაგანვე იმართება *გორივჯვრობა* – წმ. გიორგის სახელობის დღეობა. ბ. ე-ის მიდამოებში წყალი არ იყო. 1712 ვახტანგ VI-ის მეუღლეს, ჩერქეზთ ბატონის ასულ რუსუდანს, იგი ბურეთის მთიდან გამოუყვანია. 1920 მიწისძვრის დროს დანგრეული ეკლესია ამჟამად აღდგენილი (1988, არქიტ. გ. ციციშვილი) და მოქმედია. ტერიტორია კეთილმოწყობილია.

ლიტ.: თ უ თ ბ ე რ ი ძ ე ვ., გვიანფეოდალური ხანის ქართული ჭედურობის ერთი ძეგლის შესახებ, «ძეგლის მეგობარი», 1976 , № 41; ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე თ., XIV–XIX საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა, თბ., 1987; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990.

გორივჯვრობა, წმინდა გიორგის სახელობის დღეობა. იმართება გორივჯვრის წმ. გიორგის ეკლესიასთან (გორივჯვრის მთაზე, გორის მახლობლად) 6 მაისსა და 23 ნოემბერს. ბ. იზიდავს მრავალ მორწმუნეს ქართლის თითქმის ყველა კუთხიდან. ძველად მთელი ეკლესია შემკული იყო სხვადასხვა შეწირული ნივთებით. ბ-ს მიაწერენ ავადმყოფთა და ყოველგვარი სნეულებისაგან განკურნების სასწაულმოქმედ ძალას. მლოცველები დღეობაზე ასრულებენ სხვადასხვა სახის საწესო რიტუალს. ვისაც ეკლესიაში ასვლა არ შეუძლია, ის მთის ძირში გორივჯვრის ნიშთან ლოცულობს. გორივჯვრის წმ. გიორგის განსაკუთრებულ გავლენაზე მეტყველებს ისიც, რომ ძველად მას მარტო გორში 22 კომლი ყმა ჰყავდა. 1920 გორივჯვრის ეკლესია მიწისძვრამ დაანგრია, თუმცა მორწმუნე მოსახლეობა დღესასწაულებს მაინც მართავდა. მორწმუნეთა მატება განსაკუთრებით იგრძნობა უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში. მლოცველებს თან მიჰყავთ მამლები, ყოჩები, იშვიათად – მოზვრები, რთაგანაც ზოგს კლავენ, ზოგს კი ცოცხალს უშვებენ. იმართება დიდი პურობა ცეკვა-თამაშით.

ლიტ.: მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., ღიახვის ხეობა, თბ., 1971; მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ე., გორის ისტორია, I (1801 წლამდე), თბ., 1994.

ე. მამისთვალიშვილი.

გორკი მაქსიმ (ნამდვ. სახელი და გვარი – ალექსი მაქსიმეს ძე პ ე შ კ ო ვ ი) [16(28). III. 1868, ნიჟნი-ნოვგოროდი, – 18. VI. 1936, გორკი, მოსკოვის ახლოს], რუსი მწერალი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი; ე. წ. სოციალისტური რეალიზმისა და საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი. ცოდნა შეიძინა თვითგანათლებით. ბევრს მოგზაურობდა. 1891 ბ. სამხრეთისკენ გაემგზავრა. იმავე წლის 1 ნოემბ. თბილისს ჩამოაღწია. აქვე მოეწყო მუშად ამიერკავკ. რკინიგზის სახელოსნოში. თითქმის მთელი წელი იცხოვრა საქართველოში. თბილისში ბ. პირველად დაუკავშირდა რევოლუციონერებს, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. თბილისში, კრასნოგორსკის ქუჩაზე (ახლანდ. მაქსიმ გორკის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი), მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა „კომუნა“; აქ გამართულ საღამოებს მრავალრიცხოვანი აუდიტორია ჰყავდა. ბ. მოხსენებებით გამოდიოდა თბილ. სხვადასხვა უბანში, დაუახლოვდა ჩულურეთის რევ. ორგანიზაციას, სადაც მას ამარაგებდნენ აკრძალული ლიტ-რით.

თბილისში დაიწერა და 1892 წ. 12 სექტ. გაზ. „კავკაზში“ გამოქვეყნდა ბ-ს პირველი მოთხრ. „მაკარ ჩუდრა“. თბილისშივე დაწერა პოემა „ქალიშვილი და სიკვდილი“, ასევე რამდენიმე მოთხრობა, რებიც მოგვიანებით დაიბეჭდა. 1898 ბ. მეორედ ჩამოვიდა თბილისში, 1900 ზაფხულში კი ა. ჩეხოვთან, მხატვარ ვ. ვასნეცოვსა და ექიმ ა. ალექსინთან ერთად მესამედ ესტუმრა საქართველოს და ორ კვირაზე მეტხანს დარჩა. 1903 ზაფხულში ბ., თითქმის ერთი თვით, კვლავ ესტუმრა საქართველოს. თან ახლდნენ მეუღლე ე. პეშკოვა, გამომც. „ზნანიეს“ დირექტორი კ. პიატნიცკი და სხვ., იყო ბათუმში, სოხუმში, ბორჯომში, აბასთუმანში, ქუთაისში, რაჭაში. ადგილ. პრესამ სათანადოდ გააშუქა მწერლის ჩამოსვლა. არქივებში შემონახულია ჟანდარმერიის დოკუმენტები, რ-ებშიც აღნიშნულია ბ-ს მონაწილეობა თბილ. და ქუთ. არალეგალური წრეების მუშაობაში, მის მიერ გაწეული ფულადი დახმარება სოციალ-დემოკრატთა სასარგებლოდ.

1905 ბ. ბოლშევიკური პარტიის რიგებში შევიდა. 1906 დასაწყისში იგი პარტიის დავალებით საზღვარგარეთ გადავიდა

საცხოვრებლად. 1907 სათათბირო ხმის უფლებით დაესწრო პარტიის V ყრილობას ლონდონში. 1928 გ. მეხუთედ ესტუმრა საქართველოს. მაშინ საბჭ. კავშირი საზეიმოდ აღნიშნავდა გ-ს დაბადების 60 წლისთავს. ეს იუბილე საგანგებოდ აღნიშნეს საქართველოშიც. მოეწყო გ-ს საჯარო გამოსვლები, შეხვედრები მწერლებსა და ჟურნალისტებთან. მეექვსედ (უკანასკნელად) მწერალი 1929 ზაფხულში ჩამოვიდა საქართველოში, ისვენებდა გაგრაში. ერთი დღით ეწვია თბილისს, შეხვდა ქართვ. მწერლებს. მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებანი ასახა ნარკვევში ,,საბჭოთა კავშირში'' (1929).

1931 გ-მ გამოგზავნა წერილი, რ-ითაც ასე მიმართა ქართველ ხალხს: ,,თქვენი ქვეყნის ულამაზესმა ბუნებამ და თქვენმა რომანტიკულმა სიფაქიზემ – სწორედ ამ ორმა ძალამ მომცა ბიძგი, რამაც მე, მაწანწალა, ლიტერატორად მაქცია'' (Горький М., Собр. соч. в тридцати томах, т. 25, с. 414).

თხზ.: Архив А. М. Горького, т. 1–14, М., 1939–76; Полн. собр. соч. Художественные произведения, т. 1–25, М., 1968–76; თხზულებანი, ტ. 1–10, თბ., 1956–68.

ლიტ.: გვენეტაძე გ., მაქსიმ გორკი და ქართველი საზოგადოებრიობა, თბ., 1968; ა. მ. გორკი. ბიბლიოგრაფიული საძიებელი, თბ., 1968; კაკაბაძილი გ., მაქსიმ გორკი საქართველოში (ბიბლიოგრაფია), თბ., 1969; ცისკაშვილი გ., ქართველი საზოგადოებრიობა და მაქსიმ გორკი, თბ., 1977; Гвенетадзе Г. Д., Максим Горький и грузинская литературная мысль в начале XX века, Тб., 1961; Имедадзе В. К., Горький в Грузии, Тб., 1958; Летопись жизни и творчества А. М. Горького, т. 1–4, М., 1958–60. *გ. გვენეტაძე.*

„გორკონი“ (სააქციო საზოგადოება), გორის საკონსერვო ქარხანა, საქართველოს კვების მრეწველობის ერთ-ერთი მსხვილი და უძველესი საწარმო. 1919 გორში (ცხინვალის გზატკეცილზე) საკონსერვო საქმის სპეციალისტის ევსევი ბერიტაშვილის (ივანე ბერიტაშვილის ძმა) ინიციატივით დაარსდა საქართველოში პირველი საკონსერვო ქ-ნა, რასაც ხელი შეუწყო ამ რ-ნში მაღალხარისხოვანი ნედლეულის – ხილისა და ბოსტნეულის სიუხვემ. ქ-ნა კუსტარული წესით ამზადებდა ხილისა და ბოსტნეულის კონსერვებს, აგრეთვე გამხმარ ხილს (ჩირს). ქ-ნამ მრავალჯერ შეიცვალა ადგილმდებარეობა, აღიჭურვა ახალი ტექნიკით, ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით 1960–69, ქალაქის ცენტრიდან 2 *კმ* დაშორებით (შინდისის გზატკეცილზე), აშენდა ახ., თანამედროვე ტიპის საწარმო – გორის საკონსერვო კომბინატი, რ-ის სიმძლავრემ წელიწადში 32 მლნ., ხოლო წარმოებამ 31343 ათ. პირობითი ქილა კონსერვი შეადგინა (1969). ამზადებდა 80-მდე დასახელების ბოსტნეულის, ხილის, ტომატისა და ბავშვთა კვების კონსერვებს, რ-ის 80% გადიოდა სსრ კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებში.

1976 შეიქმნა საკონსერვო მრეწველობის გორის აგროსაწარმოო გაერთიანება (მასში შევიდა გორისა და ტყვიავის ხილკენკროვანი წვენების, კარალეთისა და გორის საკონსერვო ქ-ნები და ბერბუკის საბჭ. მეურნეობა), რ-იც 1980-იდან ეტაპობრივად დაიშალა. 1994-იდან გორის საკონსერვო ქ-ნის ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბა ,,გ.'', რ-ის აქციების მფლობელთა შორისაა შვეიცარული ფირმა ,,ბუტეკ კლასიკი'' (BUTEC CLASSIC). ქ-ნას უჭირავს 10,2 *ჰა* მიწის ფართობი, აქვს რკინიგზის ჩიხი, თბომავალი, სამანქანო მისასვლელი გზები, ორმაგი ელექტროკვების ხაზი, ჩართულია ქალაქის წყალმომარაგების ქსელში. მის შემადგენლობაშია 5 ძირითადი (ხილბოსტნეულის, ბავშვთა კვების, სატომატე, რბილობიანი წვენების და მთავარი საამქროები), 3 დამხმარე საამქრო და სასაწყობო მეურნეობა. წარმოების ძირითადი მიმართულებაა ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების დამზადება. გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი მრავალფეროვანია: მურაბები, ჯემები, კომპოტები, საბავშვო კონსერვები, საწებლები, ბოსტნეულის კონსერვები, მარინადები და სხვ. ძირითადი სანედლეულო ზონებია: გორის, ხაშურის, ქარელის, კასპის, მცხეთის მუნიციპალიტეტები. საწარმოს სიმძლავრე 48,5 მლნ. პირობითი ქილა კონსერვია წელიწადში (2009). გამოშვებული პროდუქცია გადის საექსპორტოდ. 1997 მადრიდში ჩატარებულ გამოფენაზე ქ-ნის პროდუქციამ (კაკლის მურაბა) მიიღო ჯილდო – ,,ევროპის თაღი''.

დ. დავითულიანი.

გორმაღალა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტი სამტრედიის მუნიციპალიტეტში. ზ. დ. 200 *მ*, სამტრედიიდან 20 *კმ*. მცენარეული საფარი – მარადმწვანე ფოთლოვანი ტყე. ჰავა ძლიერ რბილია, იცის უთოვლო ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა 4,7°C) და ძლიერ თბილი, ნოტიო ზაფხული (აგვ. საშ. ტემპრა 23,3°C); ნალექები წელიწადში 1526 *მმ*. ძირითადი სამკურნ. ფაქტორია ქლორიდულ-სულფატური, ნატრიუმიანი მინერ. წყალი, რ-საც იყენებენ აბაზანებისათვის ქვედა კიდურების დაავადებების სამკურნალოდ. მკურნალობა ამბულატორიულია. *გ. უშვერიძე.*

გორმაღალი, მთა მდინარეების ვეზურისა (ჯეჯორის მარჯვ. შენაკადი) და კოზისწყლის (ღარულის სათავე) წყალგამყოფ ქედზე, ჯავის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 3187 *მ*. აგებულია ქვედაცარცული კირქვებით, მერგელებითა და ქვიშაქვებით. აქვს კლდოვანი, ციცაბო კალთები, რ-ებზეც განვითარებულია რელიეფის მყინვარული ფორმები. მცენარეულ საფარს თითქმის მთლიანად მოკლებულია. *ს. ნემანიშვილი.*

გორმაღალი, მთა ქართლის ქედზე, მდინარეებს შარახევსა (ფშავის არაგვის მარცხ. შენაკადი) და ვერხველს (ქუსნოს ზემო დინება) შორის, დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტების საზღვარზე. სიმაღლე ზ. დ. 1983 *მ*. აგებულია ცარცული კირქვებით, მერგელებითა და ქვიშაქვებით. კალთები დამრეცია, შემოსილია მეორეული სუბალპ. ბალახეულობით. *ს. ნემანიშვილი.*

გორმაღალი, სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის სამხრ. მთისწინეთში, მდ. ხევისწყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: გ., ქვაყუდე). ზ. დ. 150 *მ*, სამტრედიიდან 18 *კმ*, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 *კმ*. 210 მცხ. (2002).

გორმაღლის ქედი, ლეჩხუმის ქედის სამხრეთი განშტოება, ცაგერის მუნიციპალიტეტში, მდ. რიონისა და მისი მარჯვ. შენაკადების ლაჯვანურისა და ასკისწყლის აუზების წყალგამყოფი. უმაღლესი მწვერვალები: გორმაღალი (1728 *მ*), ლაილაში (1640 *მ*), გველისთავი (1465 *მ*). აგებულია ცარცული ასაკის კირქვებითა და ქვიშაქვებით. შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყით. *ზ. ჯანელიძე.*

გორნოპოპლავსკი სტანისლავ, იხ. *ჰორნო-პოპლავსკი* სტანისლავ.

გოროვანი, სოფელი მცხეთის მუნიციპალიტეტის წეროვნის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), სხალტბის სერის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ.



გორულა.



გორული. კოშკი. XVII ს.



გორული საადრეო.



ე. გოსტენინა.

640 *მ*, მცხეთიდან 10 *კმ*. 487 მცხ. (2002).

ისტ. წყაროებში პირველად XII ს-იდან მოიხსენიება. საბუთებიდან ჩანს, რომ გ. ყოფილა წმ. ევაგრეს ნასყიდი სოფელი, რ-ის შეწირულობა 1170 მეფე გიორგი III-მ განუახლა შიომღვიმის მონასტერს. 1392 სითარხნის გუჯრის მიხედვით, გ. მცხეთის საკათოლიკოსო სოფელია. გ. 1447 და 1559 საკათოლიკოსო მამულების გუჯრებშიც არის მოხსენიებული. 1741 წყალობის წიგნის მიხედვით, კათოლიკოსმა დომენტიმ გ. გადასცა გედევანიძეს. ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) სოფელთა სიაში გ. სამუხრანოს კუთვნილებაა.

სოფლის განაპირას დგას აგურითა და ნატეხი ქვით ნაგები ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია. აგებულია 1830. დას. კედლის კეხზე მოგვიანებით სამრეკლოს ფანჩატური დაუშენებიათ. ინტერიერში, აფსიდის კონქში, XX ს. საკმაოდ მდარე ხარისხის მოხატულობაა შემონახული.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, თბ., 1964; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970. *ჯ. გვასალია.*

გორულა, ქართული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში. იზრდება ინტენსიურად, უხვმოსავლიანია. ყლორტების 75–84% იძლევა ნაყოფს. 1 *ჰა*-ზე საშ. 100 *ც*-ზე მეტი იკრიფება. ყურძენი სქელკანიანი, ხორციანი და ნაკლებწვნიანია. მწიფდება შუა ოქტ-ში. შაქრიანობა 18–19%, მჟავიანობა – 5–6‰-მდე. გ. ტრანსპორტაბელური, შენახვისუნარიანი და მაღალხარისხოვანი სუფრის ჯიშია. გავრცელებულია მცხეთის, ახალგორის, კასპის, გორის მუნიციპალიტეტებსა და თბილისის გარეუბნებში.

გ. რამიშვილი.

გორული, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ისტორიულ ქვემო ქართლში, სოფ. ოფრეთის მახლობლად (მარნეულის მუნიციპალიტეტი), ნასოფლარ გორულში. აქ, მთის დამრეც კალთაზე, საცხოვრებელ ნაგებობათა ანსამბლი ყოფილა, რისგანაც შემორჩენილია კოშკი, საცხოვრ. ნაგებობათა ნანგრევები და ორი ეკლესია. ნატეხი ქვით ნაგები ე. წ. ზემო ეკლესია ღვთისმშობლის სახელზეა აგებული (მოსახლეობა მას ,,წმინდა ნიკოლოზს'' უწოდებს). გეგმით სწორკუთხა ერთნავიან შენობას შიგნით, აღმოსავლეთის მხარეს, ნახევარწრიული აფსიდი აქვს. სამხრ-ით, დას-ით და ჩრდ-ით კედლების ნაშთია შემორჩენილი (შესაძლებელია, კარიბჭეებისა და ეკვდერებისა). შესასვლელების ჩუქურთმა ტლანქია. სამხრ. შესასვლელის



გორული. ,,წმინდა ნიკოლოზის'' ეკლესია. XVII ს. II ნახევარი.

ტიმპანზე მოთავსებული წარწერის თანახმად, მისი შენება დაწყებულა XVII ს. II ნახევარში ქსნის ერისთავის ქალის, დარეჯანის თაოსნობით როსტომ მეფის დროს და დაუმთავრებიათ გიორგი XI-ის მეფობაში. ნატეხი ქვით ნაგები ქვემო ეკლესიაც ერთნავიანია. ჩრდილოეთის მხარეს მცირე მინაშენი აქვს. მიეკუთვნება XVI–XVII სს.

გეგმით ოთხკუთხა ხუთსართულიანი კოშკი (სავარაუდოდ XVII ს.) უდიდესია მაშინდელ კოშკთა შორის. ნაშენია შედარებით წვრილი, შერჩეული ნატეხი ქვით, უფრო მოზრდილი ქვები კუთხეებშია დაყოლებული, შესასვლელი კი (II სართულზე) თლილ ქვაშია ჩასმული. საფასადო კედლებზე ნაკერები ბათქაშით არის შევსებული, ქვის ნაპირებიც დაფარულია. ყოველ სართულზე ქვის კამარით გადახურული თითო წაგრძელებული ოთახია, II–III და IV სართულებს შორის კედელს მიუყვება ვიწრო ქვის კიბე. მხოლოდ V სართულზე ადიოდნენ მისადგმელი კიბით. საცხოვრებლად IV სართული იყო გამოყენებული – აქვს დიდი ბუხარი, ფართო სარკმლები, თახჩები და სხვ. კოშკს მრავლად ჰქონდა სათოფურები.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; მ ა ს ი ვ ე, XVI–XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. 1, თბ., 1983.

ვ. ბერიძე.

გორული საადრეო, ქართული ატმის ჯიში. გამოყვანილია გორის მეხილეობა-მებოსტნეობის სასელექციო-საცდელ სადგურში (1939–52). აქვს მსხვილი, მომრგვალო ნაყოფი; მოყვითალო-მოთეთრო, წითლად შეფერილი კანი; თეთრი, ნაზი, არომატული რბილობი; სახრავია. მწიფდება აგვ. დასაწყისში. გავრცელებულია გორის, გარდაბნისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში. *ე. ერისთავი.*

,,გორხანა'' (სპარს. – საფლავის სახლი), მაჰმადიანური სასაფლაო თბილისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე. ადგილმდებარეობას მიანიშნებს 1748 *აბდულა-ბეგის* წინააღმდეგ თბილისთან მეფე ერეკლე II-ის მიერ გამართული ერთ-ერთი ბრძოლის ამსახველი მასალა: ,,აბდულა-ბეგ წავიდა განჯას... ხუთი ათასი კაცი წამოასხა, ყიზილ-ბაშის ჯარი და მოადგა ქალაქს ტფილისს. ტფილისიდან ქუვეითი ჯარი გავიდა. გორხანის თავზედ ... ტფილის ჯარმან გაიმარჯუა''. ეს მოხდა 1748 წელს, ,,ბზობის პარასკევი დღე იყო'' (ქრონიკები, III, გვ. 619). აღნიშნული ამბავი პ. *ორბელიანსაც* აქვს მოთხრობილი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მეფე ერეკლე ,,გაბრძანდა ქალაქით ომად... ავიდნენ ესენი თაბორისაკენ'' (ქრონიკებში – ,,გორხანის თავზედ'', სწორედ იქ, სადაც თაბორია). *თ. ბერიძე.*

გოსტაშაბიშვილები, თავადთა საგვარეულო, *პარათაშვილების* ერთი შტო ქვემო ქართლში XVI–XIX სს-ში. გ-ის გვარის ფუძემდებლად ითვლება გოსტაშაბ ქავთარის ძე ბარათაშვილი, მოხსენიებულია 1523 ბარათიანთ გაყრის წიგნში. გ-ის სათავადო მამულები – საგოსტაშაბიშვილო – ძირითადად ალგეთის ხეობაში მდებარეობდა. ყმა-მამულს ფლობდნენ აგრეთვე ქციის ხეობასა და სომხითში. გ-ის სამფლობელო ცენტრი იყო სოფ. ამლიევი (ახლანდ. *ამლევი*), სადაც ჰქონდათ სასახლე და 1683 აშენებული სასაფლაო-მონასტერი. სასახლე ჰქონდათ ბირთვისშიც, სასაფლაო-საძვალე კი – ბეთანიაში. გ-ს XVII–XVIII სს. მიჯნაზე 300 კომლი გლეხი და 10-მდე ვასალი აზნაური ჰყავდათ. 1713 და 1721–24 გ. გაიყარნენ. ლეკიანობის შედეგად XVIII ს. ბოლოსათვის მათი ყმა-მამული შემცირდა, რის გამოც XIX ს-ში წვრილ მფლობელებად იქცნენ. გ-ის ფეოდ. სახლის უფროსი – მეორე, ხოლო სახლიკაცები მესამე ხარისხის თავადებად ითვლებოდნენ.

ლიტ. იხ. სტ-თან გ ე რ მ ა ნ ო ზ ი შ ვ ი ლ ე ბ ი. *გ. ჯამბურია.*

გოსტენინა ელისაბედ ანდრიას ასული [4 (17). VIII. 1904, თბილისი, – 13. IX. 1988, იქვე], მომღერალი (სოპრანო) და პედაგოგი.

საქართვ. სახ. არტისტი (1947). 1929 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. ლ. მიხალსკაიას კლასი). 1929–59 იყო ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. 1962-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას ზ. ფალიაშვილის სახ. II სამუსიკო სასწავლებელში. ხანგრძლივი სასცენო მოღვაწეობის მანძილზე შეასრულა სოპრანოს თითქმის ყველა წამყვანი პარტია, მ. შ.: მარო, ეთერი (ზ. ფალიაშვილის ,,დაისი'', ,,აბესალომ და ეთერი''), ტატიანა, ლიზა (პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი'', ,,პიკის ქალი''), აიდა, ვიოლეტა (ჯ. ვერდის ,,აიდა'', ,,ტრავიატა''), ტოსკა (ჯ. პუჩინის ,,ტოსკა'') და სხვ. გ-ს ჰქონდა ძლიერი ხმა, მისი შესრულების მანერა გამოირჩეოდა სავსე ხმოვანებითა და ინტონირების სიფაქიზით, მაღალი ვოკალურ-სცენური ოსტატობით. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. *მ. გედევანიშვილი.*



ე. გოსტენინა. მარია, პ. ჩაიკოვსკის ოპერა ,,მაზეპა''.

გოსტიბე, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის ახალქალაქის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1500 *მ*, კასპიდან 33 *კმ*, მცხეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 26 *კმ*. 45 მცხ. (2002).

გ. პირველად მოიხსენიება XVII ს-ში. 1652 მეფე როსტომმა გ. უბოძა იორამ *სააკაძეს*. გიორგი სააკაძის საქართველოდან გადახვეწის შემდეგ გ. სახასო სოფელი გახდა. XVIII ს-ში გ-ის მოსახლეობა ლეკთა თარეშის გამო ამოწყდა. 1866-იდან გ-ში დასახლდა გუდამაყრიდან და ფშავიდან გადმოსული მოსახლეობა.

სოფლის მახლობლად შემორჩენილია X ს. დასასრ. (ან X–XI სს. მიჯნის) წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია. გეგმით წაგრძელებულ ვიწრო ნაგებობას აღმ-ით ნახევარწრიული, სარკმლიანი აფსიდი აქვს. გრძივ კედლებზე ორსაფეხურიანი პილასტრებია. მათზე დაყრდნობილია კამარის საბჯენი თაღები. ნაგებია რუხი, მომწვანო ფერის უხეშად გათლილი ქვის კვადრებით. პილასტრები, აფსიდის მიმდებარე კუთხეები და კამარის საბჯენი თაღები სუფთად გათლილი ქვითაა გამოყვანილი, კედლის თაღები და კონქის ნაწილი – შირიმით. ყველა იმპოსტი, აგრეთვე პილასტრების ზოგი ნაწილი მწვანე ქვისაა. ეკლესია შელესილი ყოფილა. კედლებზე, უშუალოდ ქვაზე, წითელი საღებავით დახატული ჯვრებია. შესასვლელი ორია – ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. დას-ით ყრუ კედელია. ინტერიერში კედლებზე შეწყვილებული დეკორ. თაღებია, რ-თა კრონშტეინები ასევე მწვანე ქვისაგანაა გამოთლილი. ფასადების დეკორ. მორთულობაში გამოყენებულია ჯვრის გამოსახულებანი. აღმ. სარკმელი შემკულია სათაურით, მასზედაც ჯვარია ამოკვეთილი. ეკლესიაზე არის წარწერებიც. ერთ-ერთ მათგანში მოხსენიებულია ,,დავით გალატოზი'' – ეკლესიის მშენებელი ოსტატი. სოფელში დგას საბრძოლო კოშკიც (იხ. აგრეთვე სტ. *გოსტიბის სამაროვნები*).

ლიტ.: Меписашвили Р. С., Памятники архитектуры X—XI веков в сел. Кабери и Гостибе, «ქართული ხელოვნება», 1979, №8.

ჯ. გვასალია. რ. მეფისაშვილი.

გოსტიბის სამაროვნები, ძვ. წ. I ათასწლეულის ორი სამაროვანი კასპის მუნიციპალიტეტში, მდ. თეძმის მარჯვ. შენაკადის გოსტიბისწყლის ხეობაში. შეისწავლეს 1948 (ტ. *ჩუბინიშვილი*). I სამაროვანზე აღმოჩნდა ქვაყრილით გადახურული ორმოსამარხები, რებშიც კიდურებმოკეცილი მიცვალებულები ესვენა. სამარხებში იყო რუხად და შავად გამომწვარი თიხის ჭურჭელი (დოქები, ქოთნები, კოჭბები, ჯამები), ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი, მთლიანად სხმული, ე. წ. კახური ტიპის სატევარი და კოლხური ცული. სამაროვანი თარიღდება ძვ. წ. X–VIII სს-ით და შეესაბამება სამთავროს სამაროვნის II ფენის ორმოსამარხებს. აღმოჩენილი ნივთები ცხადყოფს, რომ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი მასალა გავრცელებული იყო შიდა ქართლის სამხრ. რ-ნებშიც. II სამაროვანზე (I-იდან 1,5 *კმ*) აღრინდ. ანტ. ხანისათვის დამახასიათებელ მოკლე ქვაყუთებში აღმოჩნდა შავად გამომწვარი თიხის გეომ. სახეებით შემკული ხელადა და ჯამი, ვერცხლის რგოლი, ბრინჯაოს სამაჯური, ბეჭედი, საწვივე რკალები, საკინძი და ღილები. ლითონის ნივთები ტიპურია ძვ. წ. VI–IV სს-თვის. კერამიკა აგრძელებს გვიანდ. ბრინჯაოს – აღრინდ. რკინის ხანის კერამიკის ტრადიციებს, მაშინ როცა ამავე ხანის ქვემო ქართლის სამაროვნებში (ბეშთაშენი) ახ. ტიპის წითლად გამომწვარი კერამიკა ვრცელდება.

ლიტ.: ჩუბინიშვილი ტ., გოსტიბეს ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1950, ტ. 16B. *ი. გაგოშიძე.*

გოტიე (ლათ. Galterius), XII ს. მოღვაწე, ჯვაროსნული ომების მონაწილე. ანტიოქიის სამთავროს კანცლერი. ავტორი ქრონიკისა ,,ანტიოქიის ომები'' (Bella Antiochena), რ-შიც გადმოცემულია ანტიოქიის სამთავროს ისტორია 1119–26. გ. საინტერესოდ მოგვითხრობს დავით აღმაშენებლის მეთაურობით ქართველთა გამარჯვებას *დიდგორის ბრძოლაში 1121*. მხოლოდ მის თხზულებაშია შემონახული იმ მოწოდების ტექსტი, რ-ითაც დავით IV-მ ბრძოლის დაწყების წინ მიმართა თავის მოლაშქრეებს.

ლიტ.: ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი), პარიზი, 1929 (თბ., 1989); მესხია შ., ძველად საკვირველი, თბ., 1972. *შ. ბადრიძე.*

გოუბარი (Gobar) ეშ (დ. 1930, ფოთი), ამერიკელი ფილოსოფოსი. ტრანსილვანიის უნ-ტის (ლექსინგტონი, კენტუკის შტ.) ემერიტუსი, საქართვ. ფილოსოფიურ მეცნ. აკად ნამდვილი წევრი, წარმოშობით ქართველი. 8 წლისამ მშობლებთან ერთად დატოვა სამშობლო. თავდაპირველად გაემგზავრა ევროპაში (ბულგარეთი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, გერმანია), შემდეგ – ამერიკაში, სადაც მიიღო ფილოს. განათლება, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (1959, უისკონსინის უნ-ტი) და გამოაქვეყნა გამოკვლევები მეცნიერების ფილოსოფიისა და სიცოცხლის ფილოსოფიის დარგში. თანამშრომლობს ევრ. და ამერ. წამყვან ფილოს. ჟურნალებთან. ჟენევაში სამეცნ. მივლინებით ყოფნისას (1959–61) დაუახლოვდა გამოჩე-



გოსტიბის სამაროვნები. 1 – ოქროს ბეჭედი; 2 – ვერცხლის სამაჯური; 3 – ოქროს საყურე; 4 – ვერცხლის ილალი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.



ლ. გოქსაძე.

ნილ შვეიცარიელ ფსიქოლოგს – ჟ. პიაჟეს. შეიმუშავა ორიგინ. ფილოს. თეორია ,,დიალექტიკური რეალიზმის'' სახელწოდებით, რ-იც ვრცლად წარმოდგენილია მის მონოგრაფიაში ,,ფილოსოფია როგორც უმაღლესი განმანათლებლობა'' (1994). ბ. ავტორია მრავალი სამეცნ. გამოკვლევისა, მ. შ. ქართ. ფილოსოფიის შესახებ; ახლო ურთიერთობა აქვს ქართვ. კოლეგებთან (ს. შ. *ავალიანი*, გ. *თევზაძე*). ბ-ის სტატიები სისტემატურად იბეჭდება საქართვ. ფილოსოფიურ მეცნ. აკადემიის ყოველწლიურ გამოცემაში ,,ფილოსოფიური ძიებანი''. ბ. 1992 მოწვეით იმყოფებოდა თბილისში, წაიკითხა ლექციები თსუ-ში.

თხზ.: Philosophic Foundations of Genetic Psychology and Gestalt Psychology, The Hague, 1968; Contemporary Philosophy in Soviet Georgia, «Studies in Soviet Thought», 1978, №18; Bibliography of Georgian Philosophy (1946—1976), «Institute of East Europian Studies», 1978, vol. 18, №13; Letter to the Institute of Phylosophy of the Academy of Sciences of the Georgian SSR, «Studies in Soviet Thought», 1982, №24; Studia Georgica, იქვე, 1983, №25; Philosophy as Higher Enlightenment, N. Y., 1994; ხელახალი შეხვედრა მეცნიერების ფილოსოფიასთან: დიალექტიკური რეალიზმი, «მაცნე». ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1993, №2; ჩემი ფილოსოფიური მოგზაურობის გზანაშნულები (ბიბლ. ინგლ. და ქართ. ენებზე), იხ. «ფილოსოფიური ძიებანი», კრ. XI, თბ., 2007.

ლიტ.: ღია წერილი პროფ. ე. გოუბარს, «მაცნე». ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1979, №2. *ს. ავალიანი.*



გოქშო. თმიანი გოქშო (Dipsacus pilosus).

გოფანთოს ბრძოლა 1588, ბრძოლა ქართლის მეფის *სიმონ I-ისა* და იმერეთის მეფის *ლევანის* ლაშქარს შორის სოფ. გოფანთოსთან (ახლანდ. თერჯოლის მიდამოები). XVI ს. 80-იან წლებში იმერეთის სამეფო-სამთავროები შინაფეოდ. ომებში იყვნენ ჩაბმული. ქართლისა და იმერეთის პროგრ. მოღვაწეები ცდილობდნენ ქართლ-იმერეთის გაერთიანებას. ამ მიზნისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგა სიმონ I და თავისი ლაშქრით იმერეთში გადავიდა. ლევანმა დახმარებისათვის *მამია IV დადიანსა* და *გიორგი II გურიელს* მიმართა, მაგრამ ისინი ერთმანეთს მტრობდნენ და მეფეს დახმარება არ გაუწიეს. ბ. ბ-ში ლევანი დამარცხდა და ლეჩხუმში გაიქცა. სიმონ I-მა მძევლები წაიყვანა და სასწრაფოდ ქართლში დაბრუნდა, რადგან ოსმალებისა ეშინოდა (ოსმალებს ამ დროს გორი და მისი მიდამოები ეჭირათ). ამით ისარგებლა ლევანმა და იმერეთის ტახტი დაიბრუნა, რის შედეგადაც დას. საქართველოში შინაფეოდ. ომები კიდევ უფრო გამწვავდა.



გოქშო. ჯავარა გოქშო (Dipsacus strigosus).



გოქშო. გაპობილი გოქშო (Dipsacus laciniatus).

წყარო: ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ო. სოსელია.

გოფი ანატოლი გენრიხის ძე [16 (29). III. 1908, სოფ. კილასოვო, ახლანდ. პერმის ოლქი, – გ. წ. უცნობია], ინჟინერ-მშენებელი, წარმოშობით ინგლისელი. 1933 დაამთავრა საქართვ. ინდუსტრ. ინ-ტი. 1931–41 მუშაობდა ამიერკავკ. ნაგებობათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, 1941–42 – ,,საქქალაქმშენსახპროექტში'', 1942–64 – ტრესტ ,,საქშახტმშენში'', 1964–92 – კვლავ ,,საქქალაქმშენსახპროექტში''. 1992-იდან საცხოვრებლად გადავიდა რუსეთში. სსრკ-ში პირველი უნიკალური ახალი ათონის მღვიმის კომპლექსის შექმნისათვის მეცნიერთა და მშენებელთა ჯგუფთან ერთად 1977 მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ვ. ჯავრიშვილი.

გოქსაძე ლილი სერგოს ასული (დ. 3. I. 1935, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (2004). დაამთავრა თსუ-ის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტ-რის ფაკ-ტის ინგლისური ენის განყ-ბა (1957). 1957–59 მუშაობდა თბილ. სახელმწ. სამედიცინო ინ-ტში ინგლისური ენის მასწავლებლად, 1962–2009 – თსუ-ის ინგლისური ფილოლ. კათედრაზე. 2006-იდან ამავე უნ-ტის ინგლისური ფილოლ. მიმართულების სრული პროფესორია. 2009 მიენიჭა პროფესორ-ემერიტუსის სტატუსი. ბ-მ შეისწავლა კატენატიური მიმართებები და ზმნის უპირო ფორმებთან დაკავშირებული საკითხები თანამედროვე ინგლისურში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. სტატია, 13 სახელმძღვანელო და მონოგრაფია – ,,ქართულ-ინგლისური ყოფითი თავისებურებები (თავაზიანობის ნორმები)'' (1997).

ბ. არის საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2002). ,,თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკის უმაღლესი კურსის'' ოთხტომეულის გამოცემისათვის დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. მედლით (2009).

გოქსაძე რობერტ შალვას ძე (დ. 8. III. 1931, ბაღდათი), ფიზიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1972), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1986). 1953 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტი. 1957–64 მუშაობდა თბილისის ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ტექნოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირების განყ-ბის გამგედ. 1964–75 იმავე განყ-ბას ხელმძღვანელობდა თბილისის მეტროლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1975–90 იყო მიკროელექტრონიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ,,მიონი'' მათემატიკური მოდელირების ლაბორატორიის გამგე. პარალელურად, ლექციებს კითხულობს საქართვ. ტექ. უნ-ტში უმაღლესი მათემატიკისა და მიკროელექტრონიკის კათედრებზე. 1997-იდან უფრ. მეცნ. თანამშრომელია მართვის სისტემების ინ-ტში. ბ-ის კვლევის მიმართულებაა ტექნოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირება და ზოგადი ფარდობითობის თეორიის საკითხები. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Скалярные поля в анизотропных неоднородных средах, Тб., 2009 (თანაავტ.: А. А. Нергадзе, Р. И. Чиковани).

გოქშო (Dipsacus), მცენარეთა გვარი გოქშოსებრთა ოჯახისა. ორწლოვანი, იშვიათად მრავალწლოვანი მაღალი ბალახია. აქვს ქაცვებით დაფარული, წახნაგოვან-წიბოიანი ღეროები, საპირისპიროდ განლაგებული, ზოგჯერ წვივილად შეზრდილი მთლიანი ან რამდენადმე ღრმად განკვეთილი ღეროსეული ფოთლები, თავაკისებრ ყვავილედებად შეკრებილი სოსანი ან თეთრი ყვავილები. გვარი აერთიანებს 20-მდე სახეობას, რ-ებიც გავრცელებულია დას. ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში, ჩრდ. აფრიკაში, სამხრ. და აღმ. აზიაში, აღმ. ჩინეთსა და იაპონიაში. საქართველოში ბ-ს 3 სახეობაა: Dipsacus pilosus, Dipsacus strigosus და Dipsacus laciniatus. იზრდება მდინარეთა ხეობებში, ტენიან ადგილებში, ტყეებსა და ბუჩქნარებში, ტყის პირებსა და ველობებზე, ზღვის სანაპიროებზე, აგრეთვე რუდერალურ ადგილებში. *მ. გურგენიძე.*

გოშაძე გივი გიორგის ძე (1. VI. 1928, სოფ. კვაშხიეთი, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 5. I. 2004, თბილისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1973), საქართვ. საინჟინრო აკადემიის ნამდვ. წევრი (1996), საქართვ. ჟურნალისტთა კავშირის პრემიის ლაურეატი (1982). თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტის დამთავრების (1952) შემდეგ მუშაობდა გამომც. ,,საბჭოთა საქართველოს'' სამრეწვ.-ტექ. ლიტ-რის რედაქციის გამგედ (1957–60), იყო საქართვ. სას.-სამეურნეო ინ-ტის

პოლიტეკონ. კათედრის დოცენტი (1960–67), კათედრის გამგე (1980–92), თსუ-ის პოლიტეკონ. კათედრის დოცენტი (1967–73), პროფესორი (1973–80), ეკონ. თეორიის კათედრის პროფესორი (1992–2004). მისი სამეცნ. შრომები ეხება ეკონომიკური თეორიისა და სარკინიგზო ტრანსპორტის ეკონომიკის საკითხებს. დაჯილდოებულია ი. ჯავახიშვილის საიუბილეო მედლითა (1976) და ღირსების ორდენით (1998). *ჯ. კახნიაშვილი.*

გოშაძე ლერი პავლეს ძე (დ. 11. XII. 1935, თბილისი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (2005). 1962 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის სამშენებლო ფაკულტეტი (სპეციალობით – არქიტექტურა). 1960–63 მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტში ,,საქქალაქმშენსახპროექტი'', 1963–67 – საკავშირო საპროექტო ინ-ტის ,,სოიუზკურორტპროექტის'' საქართვ. ფილიალში არქიტ. ჯგუფის ხელმძღვანელად; 1967–98 – კვლავ ,,საქქალაქმშენსახპროექტში'' პროექტის მთავარ არქიტექტორად, 1999-იდან 2005-მდე – შპს ,,თბილქალაქპროექტის'' ქალაქგეგმარების სამმართველოში ჯგუფის ხელმძღვანელად. 2005 იყო საქართვ. ეკონომიკის სამინისტროს სამშენებლო პროექტების სახელმწ. ექსპერტიზის სამმართველოს განყ-ბის გამგე. ძირითადი ნამუშევრები: რუსთავის გენგეგმა (1967, ლ. სუმბაძესთან, მ. მელიქიშვილთან, შ. ბაღაშვილსა და თ. წერეთელთან ერთად); მესტიის გენგეგმა (1973, ბ. გაბუნიასთან ერთად); ზუგდიდის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენგეგმა (1977, თ. ლომთაძესა და ზ. ჟვანიასთან ერთად); ექსპერ. მიკრორაიონი ბათუმში (1977, გ. გეგეშიძესთან, ნ. მაღლაკელიძესთან ერთად); ქუთაისის გენგეგმა (1978, ზ. ქურდიანთან, ნ. მიქაძესთან, ა. ლომთაძესა და თ. ლომთაძესთან ერთად); ქალაქ-კურორტის გაგრის გენგეგმა (1979, ნ. მიქაძესა და ე. ბაგრატიონთან ერთად).

გოშაძე სოლომონ ესტატეს ძე [16 (28). IV. 1880, თელავი, – 11 (24). IV. 1908, იქვე], პოეტი, საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა თელავის სამოქალაქო სასწავლებელში, შემდეგ – ბაქოს სპეც. საშ. სკოლაში. მისი პირველი ლექსი 1897 დაიბეჭდა ,,კვალში'' (№47). **გ. ი.** *ევდოშვილის* სკოლის მიმდევარი პოეტი იყო. მან 1905–07 რევ. პერიოდში მიიქცია ყურადღება სამოქალაქო და პოლიტ. ხასიათის ლექსებით, რ-ებსაც აქვეყნებდა ფსევდონიმებით: ,,სოლ-გ-ძე'' და ,,ს. განწირული''. წერდა პიესებსაც. მისი პიესა ,,კიდევ ბნელა'' (1901), ცენზურამ აკრძალა. რევ. საქმიანობისათვის **გ.** დაპატიმრებული იყო. 1900-იან წლებში ჩამოაყალიბა დრამ. დასი, რ-იც კახეთის რეგიონში სპექტაკლებს დგამდა. **გ.** მართავდა ლიტ. საღამოებს, ხოლო შემოსავალს საქველმოქმედო საქმეს ახმარდა.

თხზ.: ლექსები, ი. გრიშაშვილის რედ., ტფ., 1927.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი გ., ნამცვრევი, «მეგზური», 1975, №3.

გ. ჯავახიშვილი.

გოჩა ბატონიშვილი (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (გ. 1599), სამხედრო მოღვაწე, გიორგი IX-ის ძე, ქართლის მეფის *სიმონ I-ის* თანამებრძოლი, მეწინავე ჯარის ქვემო ქართლის სადროშოს სარდალი. თავი გამოიჩინა 1599 გორიდან ოსმალების განდევნისათვის ბრძოლაში, სადაც დაიღუპა. **გ.** ბ-ის შთამომავლებმა გოჩაშვილის გვარი მიიღეს (იხ. *გოჩაშვილები*).

წყარო: გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ვ. გუჩუა.

გოჩაშვილები, ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოება, რ-იც XVII ს-იდან ფეოდ. სათავადოდ ყალიბდებოდა. **გ.**-ს ვახუშტი მოიხსენიებს როგორც ,,მთავარს''. ნიკო დადიანის სიტყვებით, ბაგრატიონთა გვარის შტო – გოჩაშვილნი ,,არიან აწ თავადნი'', საგვარეულო განშტოების სახელწოდება *გოჩა ბატონიშვილის* სახელიდან მომდინარეობს. დროთა განმავლობაში გოჩას მემკვიდრეებს ცხარე ბრძოლა მოუწიათ უფლებრივი მდგომარეობის მოსაპოვებლად თუ მის შესანარჩუნებლად, მაგრამ ისინი არა თუ ბატონიშვილობას, არამედ ბაგრატიონობასაც ველარ ინარჩუნებენ. ფ. გორგიჯანიძის ცნობით, გოჩას ძე – გიორგი – მეფე როსტომის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობდა და თუ გაიმარჯვებდა, ქართლის ბატონობასაც კი მოელოდა, მაგრამ დამარცხდა. მას თვალები დათხარეს და მოკლეს; გოჩას შვილიშვილმა – იორამმა – ასევე ,,ინება'' მეფობა, მაგრამ მას ვახტანგ V-მ დათხარა თვალები და მამულები წაართვა. დამცრობისა და შესაბამისი უფლებრივი მდგომარეობის დაკარგვის შემდეგ **გ.**-მა ფეოდ. იერარქიაში თავადის რანგით დაიკავეს კუთვნილი ადგილი, ქართლის სამეფო კარისაგან შესაბამის ყმა-მამულს იღებდნენ და თავიანთი ახ. გვარით ქართლის ერთ-ერთი საფეოდალოს – **გ.**-ის სათავადოს ბატონ-პატრონები გახდნენ.

წყარო: გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», წგ. 2, ტფ., 1925; დ ა დ ი ა ნ ი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ნ ი ნ ი ძ ე დ., ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა წარმოშობისათვის, «მაცნე», 1993, №2; მ ი ს ი ვ ე, გუარი მეფეთა ბაგრატიონთა – გოჩაშვილნი, თბ., 1998. *დ. ნინიძე.*

გოჩაშვილი გიორგი, XVI ს. I ნახ. პოლიტიკური მოღვაწე, *გოჩა ბატონიშვილის* ძე. მონაწილეობა მიიღო ქართლის მეფის, როსტომის წინააღმდეგ მოწყობილ ერთ-ერთ შეთქმულებაში (1636), რისთვისაც როსტომმა შეიპყრო და თვალები დათხარა.

წყარო: ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ., ქართლის ცხოვრების გაგრძელება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973. *გ. ჯამბურია.*

გოჩაშვილი იორამ გიორგის ძე, XVII ს. II ნახ. პოლიტიკური მოღვაწე, ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი. მონაწილეობა მიიღო ვახტანგ V-ის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში და ირანის შაჰის მეშვეობით ცდილობდა ქართლში გამეფებას. ამისათვის ვახტანგმა შეიპყრო, თვალები დათხარა და მამულები ჩამოართვა (1665–66).

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973. *გ. ჯამბურია.*

გოჩაჯიხაიში, სოფელი ხონის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე, ხონი – სამტრედიის საავტ. გზაზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 80 *მ*, ხონიდან 8 *კმ*, სამტრედიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 14 *კმ*. 1,0 ათ. მცხ. (2002).

სოფელი აღნიშნულია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ (XVIII ს.) შედგენილ რამდენიმე რუკაზე.

გოჩიტაშვილი თეიმურაზ შალვას ძე (დ. 30. IX. 1946, სოფ. ბოდბე, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი), მეცნიერი სამთო მექანიკის, ენერგეტიკული რესურსებისა და მილსადენი ტრანსპორტის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი



დ. გოცაძე.



თ. გოცაძე.

(1988), პროფესორი (1989), საქართვ. საინჟ. აკად. ნამდვ. წევრი (1999), მინერ. რესურსების საერთაშ. აკად. წევრი (1997). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის სამთო გეოლ. ფაკ-ტი (1969) და ოქსფორდის ნავთობისა და ენერგეტიკული კვლევების კოლეჯი (1997). 1969 მუშაობა დაიწყო საქართვ. მეცნ. აკადემიის გ. წულუკიძის სახ. სამთო მექან. ინ-ტში, 1989-იდან მთ. მეცნ. თანამშრომელია. 1992-იდან ხელმძღვანელობს სამთო სატრანსპ. სისტემების ჯგუფს, არის საქართვ. ტექ. უნ-ტის პროფესორი. 1994-იდან არის რამდენიმე საერთაშ. პროგრამის ექსპერტი სამთო მრეწველობასა და ენერგეტიკაში, 1996–2000 იყო საქართვ. პარლამენტის დარგობრივი ეკონ. კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი.

გ-ის ძირითადი სამეცნ. შრომები ეხება მაგისტრალური მილსადენი სისტემების საიმედოობისა და მოწყობილობათა ჰიდროაბრაზიული ცვეთის, სათბობი რესურსების ტრანსპორტირებისა და გამოყენების საკითხებს. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა და გამოგონებისა, რ-თა მნიშვნელოვანი ნაწილი დანერგილია სხვადასხვა ქვეყნის სამრეწვ. ობიექტებში.

თხზ.: რეგიონალური სათბობ-ენერგეტიკული რესურსები და კასპიის ნავთობის სავარაუდო მარშრუტები, თბ., 1999; Напорные гидротранспортные системы (Справочное пособие), М., 1991 (თანაავტ.: Г. П. Дмитриев, Л. И. Махарадзе); Гидроабразивный износ оборудования гидротранспортных систем, Тб., 1992; Trends in developing theoretical and experimental investigations in studying hydroabrasive wearing processes, «Wear», Oxford, 1993, v. 162 –164.

გოცაძე დავით ტოგოს ძე (16. X. 1953, ქუთაისი, –13. XI. 2008, თბილისი), ონკოლოგ-ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1992), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2004). 1970–76 სწავლობდა მოსკოვის ნ. პიროგოვის სახ. II სამედ. ინ-ტში; 1982–85 იყო რუსეთის საკავშ. ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის უროლოგიური განყ-ბის მეცნ. მუშაკი. 1986-იდან მუშაობდა საქართვ. ონკოლოგიის სამეცნ. ცენტრის უროლოგიურ განყ-ბაში უფრ. მეცნ. თანამშრომლად, შემდეგ – განყ-ბის გამგედ; 2004-იდან იყო ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და უროლოგიური განყ-ბის კონსულტანტი.

გ. მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორია. მისი მოღვაწეობის სფეროა ონკო-უროლოგია, მცირე მენჯის რადიკალური და გაფართოებული ოპერაციების შემდგომი აღდგენით-რეკონსტრუქციული ოპერაციები.

გოცაძე თეიმურაზ გიორგის ძე (დ. 25. III. 1941, თბილისი), ფერმწერი. საქართვ. სახ. მხატვარი (1989). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1989). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1964, ა. ქუთათელაძის კლასი). 1971–83 მუშაობდა საქართვ. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწ. კომიტეტის მთავარ მხატვრად. 1983–88 იყო თბილისის ,,მხატვრის სახლის'' დირექტორი, ხოლო 1985–95 – საქართვ. მხატვართა კავშირის მდივანი, 1988–2005 – საქართვ. სამუზეუმო-საგამოფენო გაერთიანების ,,სურათების ეროვნული გალერეის'' გენ. დირექტორი. 1994-იდან პედ. მოღვაწეობას ეწევა თბილ. კულტურის სახელმწ. ინ-ტში (1996-იდან – პროფესორი). გ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ახ. ფორმებისა და გამომსახველობითი საშუალებების ძიება. მისი სურათები მრავალფეროვანია, აგების მხრივ – რთული, დეკორატიული. ძირითადი ნამუშევრები: ,,ლურჯა ცხენები'', ,,დაბადება'' (ორივე 1965), ,,ეფემერები'' (1966), ,,ჩემი საუკუნე'' (1980), ,,ჩემი თბილისი'' (1987), სერია ,,ქართლის ცხოვრება'' (11 სურათი, 1983), ,,მეტამორფოზა'' (1989), ,,სულიერი საქართველო'' (1991), ,,მოტაცებული მშვენიერება'' (1999), ,,საქართველო – XX საუკუნე'' (2002). შექმნა თანამედროვეთა (ო. ჭილაძე, 1973; მ. ჯანაშია, 1975; თ. ჩხეიძე, 1985) პორტრეტები, მონუმ. მხატვრობის ნიმუშები: კულტურის სახელმწ. ინ-ტის საკონფერენციო დარბაზის მოხატულობა (1998), ,,ფიროსმანი'' (ახალგაზრდული ქალაქი, ყოფ. ბორის ძნელაძე, შავნაბადა, 1979), მართვის სისტემების ინ-ტის საკონფერენციო დარბაზი (თბილისი, 1980) და სხვ. პერსონალური გამოფენები: თბილისი (1976), მოსკოვი, ნიუ-იორკი, სან-დიეგო (1989), თბილისი (2003). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998). *ი. ქარაია.*



თ. გოცაძე. ,,როცა ეპოქა დასრულდა დიდი – ილია ჭავჭავაძე''. 1987.

გოცაძე ოთარ დავითის ძე (7. II. 1929, სოფ. ბიღა, ახლანდ. ჭიათურის მუნიციპალიტეტი, – 12. III. 1993, თბილისი), გეოფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1985). 1951 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი. 1951-იდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. გეოფიზიკის ინ-ტში, 1973-იდან გარდაცვალებამდე იყო რეგიონალური სეისმოლოგიის განყ-ბის გამგე. გ-ის შრომებს, რ-ებიც ეხება კავკ. რეგიონის სეისმურობასა და სეისმურ რეჟიმს, ფუძემდებლური მნიშვნელობა ჰქონდათ კავკასიაში სეისმოლოგიური კვლევის განვითარებისათვის. გ-ს დიდი წვლილი მიუძღვის საქართვ. სეისმური სადგურების ქსელის ეფექტიანობის დადგენასა და განსაკუთრებით სეისმური ობსერვ. ,,თბილისის'' დაარსებაში (1976). მისი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა კავკასი-

ის მიწისძვრათა საინფორმაციო-საძიებო კომპიუტერული სისტემა და საქართვ. ტერიტ. სეისმური დარაიონების ნორმატიული რუკა. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდო.

თხზ.: Построение сейсмических линеаментов и оценка основных эффектов сейсмичности Кавказа, Тб., 1982; Карта сейсмического районирования территории Грузии, Тб., 1989 (თანაავტ.).

ო. ვარაზანაშვილი.

გოცირიძე ალექსანდრე მიხეილის ძე [21. I(3. II). 1904, სოფ. ნუკრიანი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 14. V. 1986, თბილისი], ფიზიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი (1942), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი (1928). 1928–33 მუშაობდა უნ-ტის ფიზიოლ. კათედრაზე ასისტენტის, შემდეგ დოცენტის თანამდებობაზე, 1933-იდან გარდაცვალებამდე – ქუთ. პედ. ინ-ტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლ. კათედრის გამგედ, შეთავსებით – პროფესიულ დაავადებათა და შრომის ჰიგიენის ინ-ტში ფიზიოლ. განყ-ბის გამგედ (1934–45). მუშაობდა ასევე გორისა (1942–50) და თბილ. პედ. (პუშკინის სახ.; 1950–53) ინ-ტებში. ეწეოდა სამეცნ.-ორგანიზაციულ მუშაობას ფიზიოლ. საკითხების პოპულარიზაციისათვის. 1955 დააარსა მოსკ. ბუნებისმეტყველთა საზ-ბის ქუთაისის განყ-ბა. *ვ. ყენია.*

გოცირიძე არკადი ფილიპეს ძე [11 (23). XI. 1890, სოფ. წესი, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 24. II. 1954, თბილისი], ფსიქიატრი. მედ. მეცნ. დოქტორი (1941), პროფესორი (1941), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946). 1915 დაამთავრა კიევის უნ-ტის სამედიცინო ფაკ-ტი. 1931–36 იყო თბილ. ფუნქციურ ნერვულ დაავადებათა ინ-ტის დირექტორი, 1934–54 განაგებდა თბილ. სამედიცინო ინ-ტის ფსიქიატრიის კათედრას. იკვლევდა ბავშვთა ფსიქიატრიის საკითხებს, ნევროზებს, ფუნქციურ ნერვულ დაავადებებს, ფსიქოთერაპიის პრობლემებსა და სხვ. გ-მ შეიმუშავა მკურნალობის მეთოდი, რ-იც ,,გოცირიძის სიმპტომის'' სახელით არის შესული ფსიქიატრიულ ენციკლოპედიაში. გ-ის სახელი მინიჭებული აქვს თბილ. ფსიქონევროლოგიურ დისპანსერსა და მის კოჯრის სტაციონარს.

თხზ.: Katharsis-ი ფსიქოთერაპიაში, ტფ., 1929; ძნელი ბავშვები, ტფ., 1935; ბავშვის თამაში, ტფ., 1936.

გოცირიძე გიორგი გიორგის ძე (14. XI. 1910, თბილისი, – 1. V. 1977, მოსკოვი), არქიტექტორი. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1950, 1951). საბჭ. კავშირის გმირი (25. X. 1943). გვარდიის პოდპოლკოვნიკი. დაამთავრა თბილ. საინჟინრო-სამშ. ინ-ტი (1934), მოსკ. კომუნ. მეურნეობის აკადემია (1938). ეწეოდა სამეცნ. მოღვაწეობას მოსკოვში. II მსოფლიო ომის დროს საბჭ. არმიაში გაიწვიეს და სასწავლებლად გაგზავნეს ვ. კუიბიშევის სახ. სამხ.-საინჟინრო აკადემიაში. იბრძოდა სტალინგრადთან, მდ. დონთან. მდ. დნეპრის გადალახვის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. ომის შემდეგ ცხოვრობდა და მუშაობდა მოსკოვში. 1968-იდან მოსკ. ოლქის მთ. არქიტექტორი იყო. მის ნამუშევართაგან აღსანიშნავია ცენტრ. აეროჰიდროდინამიკის ინ-ტის კომპლექსი, აკად. ა. ტუპოლევის ექსპერ. ბაზა (1951, 1953), მოსკ. ოლქის რ-ნული დაგეგმარების პროექტი (1973), ქ. მოსკ. საგარეუბნო ზონის დაგეგმარების პროექტი (1976). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები. *ტ. ჩინჩილაკაშვილი.*

გოცირიძე გიორგი დავითის ძე [1 (13). XI. 1899, განჯა, აზერბაიჯანი, – 12. XI. 1959, თბილისი], ჩარხმშენებელი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1955), პროფესორი (1957). 1924 დაამთავრა თსუ-ის პოლიტექ. ფაკ-ტი. 1945–59 იყო საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ლითონსაჭრელი ჩარხების კათედრის გამგე. გ-ის მიერ შემუშავებული ჩარხების ამძრავების კინემატიკური გაანგარიშების განზოგადებულ მეთოდსა და ფორმულებს იყენებდნენ სამეცნ.-კვლ. ინ-ტები, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები და ჩარხსაშენებელი ქ-ნები. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

გოცირიძე დავით ზურაბის ძე (დ. 30. III. 1952, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (1989), რუსისტთა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1974). 1978 მუშაობა დაიწყო თსუ-ში. 1987–2006 იყო რუს. ენის კათედრის გამგე. 2006–09 მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. უნ-ტში; 2009-იდან მუშაობს თსუ-ში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკ-ტზე სრულ პროფესორად. გ-ის სამეცნ. მოღვაწეობის სფეროებია: ზოგადი ენათმეცნიერება, კომუნიკაციის თეორია, ფსიქოსოციოლინგვისტიკა, თარგმანის თეორია და ისტორია. მონოგრაფიისათვის ,,ნარკვევები რუსული გრამატიკული აზრის ისტორიიდან'' (თანაავტორი – პროფ. გ. ხუხუნი) მიენიჭა ლენინგრადის სახელმწ. უნ-ტის სამეცნ. პრემია (1984). არის რამდენიმე პროფ. სამეცნ. საზ-ბის წევრი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ (სანქტ-პეტერბურგი, ნიუ-იორკი და ა. შ).

თხზ.: Очерки по истории русского и западноевропейского перевода, Тб., 1986; Принципы контрастивного исследования фразовых текстов, в кн.: Der Text und seine Struktur, Jena, 1990; Возрождение и Реформация в истории перевода и переводческой мысли, Тб., 1994; Русская лингвистическая мысль первой трети 20-ого века, Тб., 2000.

გოცირიძე ვიქტორ დავითის ძე [20. III (2. IV). 1910, სოფ. ხოტევი, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 22. III. 1995, თბილისი], ინჟინერ-გვირაბმშენებელი. საქართვ. დამს. ინჟინერი (1961), საპატიო რკინიგზელი (1944), სოციალ. შრომის გმირი (1980), თბილისის საპატიო მოქალაქე (1988). 1934 დაამთავრა მოსკ. საგზაო-საავტ. ინ-ტი. 1934–37 მუშაობდა მოსკ. მეტროპოლიტენის მშენებლობაზე შახტის ცვლის ინჟინრად, ხოლო შემდეგ – ცვლის უფროსად; 1937–41 – თბილ. საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახ. განათლების განყ-ბაში მთ. ინჟინრად; 1941–46 – ამიერკავკ. ფრონტის შტაბის სამხ. მიმოსვლების უფროსის თანაშემწედ; 1946–52 – ამიერკავკ. რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსის მოადგილედ, შემდეგ – ამავე სამსახურის უფროსად. 1952-იდან იყო *,,თბილმეტრომშენის''* სამმართველოს უფროსის მოადგილე, ხოლო 1957–87 – სამმართველოს უცვლელი უფროსი, 1987-იდან (პენსიაზე გასვლის შემდეგ) – ამავე სამმართველოს მთ. სპეციალისტი.


გ. ითვლება თბილ. მეტროპოლიტენის ერთ-ერთ დამაარსებლად. მის სახელთან არის დაკავშირებული თბილ. მეტროპოლიტენის 27 *კმ*-იანი ხაზისა და 21 სადგურის მშენებლობა. გ-ს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე მრავალი საგზაო და სარკინიგზო გვირაბის (როგორც საქართველოში, ისე სამხრ. და ჩრდ. კავკასიის რესპუბლიკებში), სოფ. მეურნეობის დანიშნულების რიგი მსხვილი ობიექტების, რკინიგზის ვაგზლების (სოხუმი, გაგრა, სოჭი, ტუაფსე, ბორჯომი), ახმეტა–ომალოს საავტ.



გ. გ. გოცირიძე.



ვ. გოცირიძე.



ი. გოცირიძე.



ლ. გოცირიძე.



ლ. გოცირიძე. კარმენი, ჟ. ბიზეს ოპერა ,,კარმენი''.



მ. გოცირიძე. ,,გულაბი-დული''. 1968.

გზის, კოსმ. სხივების მაღალმთიანი სადგურის (ცხრაწყარო) მშენებლობაში, ახალი ათონის კარსტული მღვიმის კეთილმოწყობაში (1977; მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია, სხვებთან ერთად). ხელმძღვანელობდა აგრეთვე თბილ. რკინიგზის ვაგზლის, ფიზიკის ინ-ტის, რესპუბლიკის მოედნისა და მეტეხის გვირაბის მშენებლობას; მონაწილეობდა თბილისისა და ერევნის სარეკონსტრუქციო სამუშაოებში და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები. 1995–2006 გ-ის სახელობის იყო მეტროპოლიტენის სადგური ,,დელისი'', 2011-იდან კი მისი სახელი ეწოდა მეტროს სადგურ ,,ელექტროდეპოს''.

დ. გომართელი.

გოცირიძე ილარიონ დავითის ძე [3(15). I. 1897, სოფ. ხოტევი, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 22. III. 1968, მოსკოვი], მშენებელი ინჟინერი. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1947). 1929 დაამთავრა მოსკ. საინჟ.-სატრანსპ. ინ-ტი. 1929–33 მუშაობდა შუა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის რკინიგზების მშენებლობაზე; 1933-იდან – მოსკ. მეტროპოლიტენის მშენებლობაზე, თავდაპირველად უბნის, შემდეგ – შახტის უფროსად. მისი ხელმძღვანელობით ააშენეს სადგურები «Красные ворота» და «Площадь Маяковского». 1937–38 იყო ,,მოსმრეწვმშენის'' ტრესტის მმართველი, 1939-იდან – მოსკ. მეტრომშენის უფროსი, 1941–53 – სსრკ მიმოსვლის გზათა სახ. კომისრის (შემდეგ მინისტრის) მოადგილე, 1954–62 – სსრკ სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრის მოადგილე. II მსოფლიო ომისა და მის შემდგომ პერიოდში გ-ის ხელმძღვანელობით აღადგინეს და ააგეს მრავალი სარკინიგზო კომუნიკაცია. დიდია გ-ის ღვაწლი თბილ. მეტროპოლიტენის მშენებლობის დაწყების საქმეში.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები.

გოცირიძე ლეილა მიხეილის ასული (13. III. 1924, თბილისი, – 30. XI. 1998, მოსკოვი), მომღერალი (მეცო-სოპრანო). საქართვ. სახ. არტისტი (1958). 1947 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. ო. ბახუტაშვილ-შულგინას კლასი). 1948–72 იყო თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. შექმნა მრავალი შთამბეჭდავი ვოკალურ-სცენური სახე: ლატავრა (ზ. ფალიაშვილის ,,ლატავრა''), დარეჯანი (მ. ბალანჩივაძის ,,დარეჯან ცბიერი''), დედა (შ. მშველიძის ,,დიდოსტატის მარჯვენა''), პოლინა (პ. ჩაიკოვსკის ,,პიკის ქალი''), აზუჩენა, ამნერისი (ჯ. ვერდის ,,ტრუბადური'', ,,აიდა''), კარმენი (ჟ. ბიზეს ,,კარმენი'') და სხვ. გ-ს ჰქონდა ლამაზი ტემბრის, ძლიერი, ყველა რეგისტრში თანაბრად მჟღერი ხმა. მისი ხელოვნებისათვის დამახასიათებელი იყო მაღალი ვოკალურ-სცენური კულტურა, დახვეწილი პროფესიონალიზმი. წარმატებით გამოდიოდა კამერულ კონცერტებზე. 1980-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორიასა და შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტში. *მ. გედევანიშვილი.*

გოცირიძე მიხეილ გერასიმეს ძე (8. XI. 1901, თბილისი, – 25. V. 1975, იქვე), სცენოგრაფი, კინოს მხატვარი. საქართვ. დამს. მხატვარი (1962). 1922–25 სწავლობდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში, 1923-იდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. 1925-იდან მხატვრად მუშაობდა თბილ. თეატრებში. გააფორმა სპექტაკლები: ,,უჩინმაჩინი'', ,,ნატვრისთვალი'', ,,ჩვენი ნაცნობები'', ,,ორი რეკორდი'' – მუს. კომედიის თეატრში; ,,რობინ ჰუდი'', ,,სურამის ციხე'', ,,ლადო კეცხოველი'', ,,ნაცარქექია'', ,,კომბლე'' – თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრში და სხვ. 1929-იდან იყო დამდგმელი მხატვარი კინოსტუდია ,,ქართულ ფილმში''; გააფორმა ფილმები: ,,ბანაკი მთაში'' (1930), ,,უდაბნო'' (1932), ,,უკმური'' (1934), ,,მდინარის იქით'' (1935), ,,ორი მეგობარი'' (1936), ,,ქაჯეთი'' (1936), ,,დაგვიანებული სასიძო'' (1939), ,,გიორგი სააკაძე'' (1942–43), ,,ქალის ტვირთი'' (1957), ,,ორი ოჯახი'' (1958) და სხვ. მუშაობდა დაზგურ ფერწერასა და გრაფიკაში. *ა. გვენცაძე.*

გოცირიძე ნესტორ კონსტანტინეს ძე (23. IX. 1913, ქუთაისი, – 1. VIII. 2007, თბილისი), ზოოტექნიკოსი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1985). 1935 დაამთავრა საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტი. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. 1949-იდან იყო მეცხოველეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი. სამეცნ. და სასწ. ინ-ტების რეორგანიზაციის შემდეგ დანიშნეს საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო სასწ.-სამეცნიერო ინ-ტის მეძროხეობისა და ძროხის ხორცის წარმოების ტექნოლ. განყ-ბის გამგედ. 2002–05 მუშაობდა საქართვ. სახელმწ. ზოოტექ.-სავეტერინარო უნ-ტის რძისა და ძროხის ხორცის წარმოების ტექნოლოგიის კათედრაზე კონსულტანტ-პროფესორად. გ-მ გამოავლინა ადგილ. ჯიშების გენეტიკური შესაძლებლობანი. ექსპერიმენტულად შეისწავლა ძროხის მეგრული წითელი ჯიშის სარძეო-სახორცე პროდუქტიულობა, პირველმა დაადგინა საქონლის ქართ. ჯიშების სახორცე უნიკალური თვისებები. სომეხ., აზერბ. და დაღ. მეცნიერებთან ერთად გამოიყვანა ძროხის ახ. ჯიში ,,კავკასიური წაბლა'' (1960). გ-ის ხელმძღვანელობით მომზადდა ქართვ. ზოოტექნიკოსთა კადრები.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2000).

თხზ.: სანაშენე მუშაობა საქართველოს მესაქონლეობაში, თბ., 1962; რძისა და ძროხის ხორცის წარმოების ტექნოლოგია, თბ., 1997. *ნ. წივწივაძე.*

გოცირიძე ნიკოლოზ (ნიკო) სიმონის ძე (16. II. 1872, თბილისი, – 30. VII. 1949, იქვე), მსახიობი.



ნ. ს. გოცირიძე. გეურქა, ზ. ანტონოვის ,,მზის დაბნელება საქართველოში''.

საქართვ. სახ. არტისტი (1924). ეს წოდება მიენიჭა ერთ-ერთ პირველს ვ. აბაშიძისა და ვ. სარაჯიშვილის შემდეგ. 1893–1921 მუშაობდა მღე-

ბავად რკინიგზის დეპოში (თბილისი), იმავდროულად მოღვაწეობდა *ავჭალის აუდიტორიაში,* შემდეგ – თბილ. სახალხო სახლში. 1921 მიიწვიეს შოთა რუსთაველის სახ. თეატრში, 1930 – კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში. ბ. იყო ქართ. თეატრის თვალსაჩინო მოღვაწე. გამოირჩეოდა დიდი კომედიური ნიჭით, სცენური მომხიბვლელობით. განსაკუთრებით გაითქვა სახელი ვაჭარ-ხელოსანთა ტიპების განსახიერებით. მნიშვნელოვანი როლები: აკოფა, მაზუთიანი (ა. ცაგარლის ,,ხანუმა'', ,,ციმბირელი''), გეურქა (ზ. ანტონოვის ,,მზის დაბნელება საქართველოში''), არშაკი (ნ. შიუკაშვილის ,,ამერიკელი ძია''), გიქო, გიჟმოზე (გ. სუნდუკიანის ,,პეპო'', ,,დაქცეული ოჯახი''), ოსიპი (ნ. გოგოლის ,,რევიზორი''), კოსტილევი (მ. გორკის ,,ფსკერზე''), პოლონიუსი (უ. შექსპირის ,,ჰამლეტი''), ჟურდენი, ორგონი (მოლიერის ,,გააზნაურებული მდაბიო'', ,,ტარტიუფი'') და სხვ. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

თხზ.: მოგონებანი, თბ., 1949.

ლიტ.: ბუხნიკაშვილი გ., ნიკო გოცირიძე, თბ., 1972; გრიშაშვილი ი., ნიკო გოცირიძე, ტფ., 1934.

გ. ბუხნიკაშვილი.

გოცირიძე ოთარ დავითის ძე (15. X. 1919, ქუთაისი, – 7. III. 2010, მოსკოვი), საბჭოთა არმიის გენერალ-მაიორი (1966). 1941 დაამთავრა მოსკ. ნ. ბაუმანის სახ. მანქანათსამშენებლო ინ-ტი, მუშაობდა იჟევსკის იარაღის ქ-ნაში მექანიზაციის ბიუროს უფროსად. 1951–53 იყო გაზ. ,,კომსომოლსკაია პრავდის'' მთ. რედაქტორის მოადგილე, 1953–54 – საქ. კპ ცკ-ის განყ-ბის გამგე, 1954–56 – მდივანი, 1956–63 – აფხ. კპ საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი და საქართვ. სახელმწ. საგეგმო კომიტეტის თავ-რე, ხოლო 1970–89 – სსრკ საგეგმო კომიტეტის განყ-ბის ხელმძღვანელი. 1991–2010 ვეტერანთა საერთაშორისო ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი და პრეზიდიუმის წევრი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლ. დოლიძე.

გოძიაშვილი ალექსანდრე (1897, სანქტ-პეტერბურგი, – 1941, ვარშავა), სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. 1916 დაამთავრა სამხ. სასწავლებელი. 1918-მდე მსახურობდა ბახჩისარაის საკავალერიო პოლკში, 1914–18 მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. 1918 ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს. 1919–22 იყო პოლონ. ეროვნ. არმიის კავალერიის როტმისტრი. ვარშავის პოლიტ. მეცნიერებათა ინ-ტის დამთავრების შემდეგ ეწეოდა ნაყოფიერ პუბლიც. და საზ. მოღვაწეობას. იყო ჟურნ. ,,სინათლის ხმის'' რედაქტორ-გამომცემელი. 1931–39 თავმჯდომარეობდა პოლონეთის ქართველთა კომიტეტს. 1926 გამოსცა საყურადღებო ნაშრომი ,,საქართველოს სახელმწიფოს ამოცანები საერთაშორისო სამართლის შუქზე''. მჭიდროდ თანამშრომლობდა სხვა ქვეყნების ქართ. ემიგრაციასთან. დაკრძალულია ვარშავის სამხ. სასაფლაოზე. დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის ჯვრითა და პოლონეთის საბრძოლო ჯილდოებით.

ლიტ.: გრიშკაშვილი ა., ქართველები პოლონეთში, თბ., 2006.

ლ. ურუშაძე.

გოძიაშვილი ვასილ (ვასო) დავითის ძე [14 (27). XI. 1905, თბილისი, – 30. I. 1976, იქვე], მსახიობი. ბ. გამოირჩეოდა ჭეშმარიტი არტისტიზმით, მკაფიო აქტიორული ინდივიდუალობით, მაღალი პროფ. ოსტატობით, იმპროვიზაციის დიდი უნარით, სცენური მომხიბვლელობით, მუსიკალურობით, პლასტიკურობით. მის შემოქმედებაში აისახა ქართ. თეატრის საუკეთესო ტრადიციები. ბ. წარმატებით ასრულებდა როგორც დრამ., ისე კომიკურ და გროტესკულ როლებს. მის მიერ შექმნილი ლუარსაბ თათქარიძის სახე (,,კაცია ადამიანი?!'', ი. ჭავჭავაძის მიხედვით) ქართ. თეატრის ისტორიაში შევიდა როგორც ქართ. აქტიორული სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე მონაპოვარი. აღსანიშნავია სხვა როლები: ახმა (ს. შანშიაშვილის ,,ანზორი''), ჩეშმაკოვი (ზ. ანტონოვის ,,მზის დაბნელება საქართველოში''), ავეტიკა (ა. ცაგარლის ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ''), რუი ბლაზი (ვ. ჰიუგოს ,,რუი ბლაზი''), არბენინი (მ. ლერმონტოვის ,,მასკარადი''), ხლესტაკოვი (ნ. გოგოლის ,,რევიზორი''), მეფე ერეკლე (ლ. გოთუას ,,მეფე ერეკლე''), რიჩარდ III (შექსპირის ,,რიჩარდ III''), კეისარი (ბ. შოუს ,,კეისარი და კლეოპატრა''), ფილიპე (ფ. შილერის ,,დონ კარლოსი'') და სხვ. ბ-მა თავისსავე დადგმულ სპექტაკლში ,,ძველი ვოდევილები'' (ა. წერეთლის ,,ბუტიაობა'', ა. ცაგარლის ,,ოინბაზი'', ბახუტაშვილის ,,სასამართლოში'') ბრწყინვალედ შეასრულა ტიგრან ოფოფიანცის, არშაკასა და სპექტაკლის წამყვანის – მოხუცი მსახიობის როლები. ბ-ს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართ. საესტრადო ხელოვნ. განვითარებაში. იყო ესტრადის მსახიობთა I საკავშ. კონკურსის ლაურეატი. წარმატებით მოღვაწეობდა კინოში. შესრულებული აქვს სიკოს (,,ქეთო და კოტე'', 1948), ავეტიკას (,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ'', 1965) და სხვ. როლები. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. დაკრძალულია ქართვ. მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



ვ. გოძიაშვილი. ტიგრან ოფოფიანცი, სცენა სპექტაკლიდან ,,ძველი ვოდევილები''.

ლიტ.: გუგუშვილი ე., ვასო გოძიაშვილი, თბ., 1972; ცისკაშვილი გ., ვასო გოძიაშვილი, თბ., 1964; Гугушвили Э., Театральные портреты, Тб., 1968.

ლ. ცაგარეიშვილი.

გოძიაშვილი მარეხ ილიას ასული (დ. 30. XII. 1926, თბილისი), ესტრადის მომღერალი. საქართვ. სახ. არტისტი (1968). ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI (მოსკოვი, 1957) და VII (ვენა, 1959) მსოფლიო ფესტივალების ლაუ-



ნ. ს. გოცირიძე.



ვ. გოძიაშვილი.



მ. გოძიაშვილი.



მ. გოძიაშვილი სცენაზე.

რეატი. 1948 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. 1953-იდან იყო საქართვ. ფილარმონიის სოლისტი. ამავე წელს დააარსა ვოკალურ-საკრავიერი ტრიო (პირველი შემადგენლობა: Გ., ე. სეფაშვილი, კ. მაკარიძე), რ-საც დიდხანს ხელმძღვანელობდა ჯ. ბაღაშვილსა და ვ. ტატიშვილთან ერთად. Გ. ქართვ. კომპოზიტორთა მრავალი სიმღერის პირველი შემსრულებელია. გამოირჩეოდა ხმის სასიამოვნო ტემბრით, მუსიკალობით, ეროვნ. კოლორიტის (განსაკუთრებით, ქალაქური ფოლკლორის) შეგრძნების უნარით. მის მიერ შესრულებული სიმღერებიდან პოპულარობით სარგებლობდა შ. მილორავას ,,ყვავილებში დამეკარგე'' და ,,შემირიგდი'', გ. ცაბაძის ,,გამოღმით შენ ხარ'', ,,მუხამბაზი'' (ვაჟა-ფშაველას, პ. გრუზინსკის, ნ. დიასამიძის ლექსებზე) და, განსაკუთრებით, მისი საკუთარი – ,,წაღვერი და თბილისი'' და ,,გამიგონია'' (ა. თევზაძისა და ი. ნონეშვილის ლექსებზე); Გ-სა და მის ტრიოს დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართ. ქალაქური სიმღერის პროპაგანდაში. იგი კონცერტებს მართავდა სსრკ ქალაქებში და საზღვარგარეთ (დიდი ბრიტანეთი, ლუქსემბურგი, ეგვიპტე, ინდოეთი, კუბა, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, თურქეთი და სხვ.).



ნ. გოძიაშვილი.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997). 2010 აირჩიეს თბილ. საპატიო მოქალაქედ.

გოძიაშვილი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე [2 (14). I. 1899, თბილისი, – 24. VIII. 1965, იქვე], რეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1941). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო ბათუმში 1917. 1918-იდან მსახიობად მუშაობდა თბილ. მუშათა თეატრში, სოხუმის, ჭიათურის თეატრებში. 1926 დაამთავრა ქართ. დრამ. სტუდია (მოსკოვი) ვ. მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით. ამის შემდეგ რეჟისორად და მსახიობად მუშაობდა ქუთაისის, ბათუმის თეატრებში და თბილ. კ. მარჯანიშვილის სახ. (1932–35) თეატრში. 1936–47 ხელმძღვანელობდა ფოთის თეატრს, სადაც დადგა სპექტაკლები: სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე'', კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა'', ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავენი'', ა. კორნეიჩუკის ,,პლატონ კრეჩეტი'' და სხვ. 1948–56 იყო თბილ. სანკულტურის თეატრის რეჟისორი. დადგა: თ. სვანის ,,სვანეთის მთებში'', გ. ბერძენიშვილის ,,ჩემი სილამაზე'', რ. ქორქიას ,,მაიას წყარო'' და სხვ. 1949–50 და 1960–61 თელავის თეატრში დადგა სპექტაკლები – ვ. პატარაიას ,,უჩა-უჩარდია'', გ. ბერძენიშვილის ,,გული ხელის-გულზე'' და სხვ. 1956–58 Გ. მუშაობდა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრის მთ. რეჟისორად, სადაც განახორციელა დადგმები: დ. თაქთაქიშვილის ,,შარავანდედი'', გ. ქელბაქიანის ,,ხმა გულისა'' და სხვ. იყო აგრეთვე თბილ. ესტრადის თეატრის ხელმძღვანელი და რეჟისორი (1923–30), ბათუმის მუშა-ახალგაზრდობის თეატრის რეჟისორი (1935–36).

ლიტ.: კვინტრაძე-გოძიაშვილი ც., ნიკო გოძიაშვილი, თბ., 2006.

შ. ცუცქირიძე.

გოჭის ხუთშაბათი, შინაური საქონლისა და ფრინველის გამრავლებასთან დაკავშირებული ადრე-საგაზაფხულო დღეობა რაჭაში. იმართებოდა *ყველიერის* წინა ხუთშაბათს. სადღესასწაულოდ ნასუქ გოჭს დაკლავდნენ, საღამოს ,,განატეხს'' (შესაწირავ პურს) გამოაცხობდნენ და საქონელს დალოცავდნენ.

ლიტ.: სოხაძე ა., ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1964; Джапаридзе Г., Народные праздники, обычаи и поверья рачинцев, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», в. 21, Тфл., 1896; Переваленко В., Гочис-Хучапати, «Кавказ», 1850, № 50.

ა. სოხაძე.

გოჭოურის ბრძოლა 1623, ბრძოლა ოდიშის მთავარ *ლევან II დადიანსა* და იმერეთის მეფე *გიორგი III-ს* შორის. ლევან II დადიანის გაძლიერებით უკმაყოფილო გიორგი III ოდიშზე სალაშქრო მოემზადა. ლევან II დადიანმა, რ-საც აფხაზთა და ჯიქთა ლაშქარიც ახლდა, გიორგი III-ს დაასწრო, იმერეთში შეიჭრა და გოჭოურასთან (ქუთაისის მახლობლად) სასტიკად დაამარცხა მეფე. Გ. ბ-ის შემდეგ იწყება ლევან II დადიანის პოლიტ. უპირატესობა დას. საქართველოში.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ქ. ჩხატარაიშვილი.

გოხნარი, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ახალსოფლის თემში (ქვემო ქართლის მხარე), ბედენის ქედის ჩრდ. კალთაზე, მღ. ბზისწყლის (ალგეთის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1350 *მ*, თეთრი წყაროდან 47 *კმ*. 47 მცხ. (2002).

სოფლის მახლობლად, ქ. წალკასაკენ მიმავალი გზის პირას დგას დარბაზული ეკლესია. აღრე სამხრიდან მინაშენი ჰქონდა. შემოსილია ბაზალტის თლილი ფილებით. სამხრ. კარის ბალავრის ქვაზე ამოკვეთილ ვრცელ ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებულ ისტ. პირთა მიხედვით (ლიპარიტ ორბელიანი და მისი შვილები, რატი და იოანე), ეკლესია XI ს. II ნახევარშია აგებული. მის ირგვლივ სასაფლაოა. საფლავის მოზრდილ ქვებზე გამოსახულია ადამიანის ფიგურები, მშვილდები, სახნისები და სხვ. იხ. აგრეთვე სტ. *გოხნარის ლოდოვანი.*

ლიტ.: Такайшвили Е. С., Археологические экскурсии, разыскания и заметки, в. 4, Тфл., 1913.

ი. ციციშვილი.



გოხნარის ეკლესია. XI ს. II ნახევარი.

გოხნარის ლოდოვანი, ციკლოპურ ნაგებობათა ერთ-ერთი უდიდესი კომპლექსი საქართველოში, მდ. ალგეთის ხეობაში, სოფ. *გოხნარის* (თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი) მახლობლად. შედგება 3 ძირითადი ნაწილისაგან: ნაპრალგვირაბებიანი ქვაყრილის (კარკალი), ნასოფლარისა და ციხისაგან. Გ. ლ-ის ტერიტორიაზე არის რამდენიმე დოლმენისებური ნაგებობა, გვირაბები, გამაგრებული და დახურული ბუნებრივი ნაპრალები, მენჰირები და სხვ. ცენტრში აღმართულია უზარმაზარი ქვასვეტი – მონოლითი. ციხე გეგმით ოთხკუთხაა. განსაკუთრებით გრანდიოზულია ზღუდის აღმ. კედელი. სამხრ. კედელში ცილინდრული კოშკებია. სავარაუდოდ, Გ. ლ. ადრინდ. ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება.



გოხნარის ლოდოვანი.

ლიტ.: მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი ლ., მეგალითური კულტურა საქართველოში, თბ., 1938; ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1, ტფ., 1936; ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ი., ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1955.

ი. გაგოშიძე. გ. გაფრინდაშვილი.

გოჯეული, სიგრძის საზომი საქართველოში. შეადგენდა 2 გოჯს (დაახლ. 6,32 *სმ*), „ორთავე ცერთა გოჯები შეყრით სიგრძეზე“ (საბა).

ლიტ.: ჯ ა ფ ა რ ი ძ ე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX–XIX სს.), თბ., 1973. *გ. ჯაფარიძე.*

გოჯი, სიგრძის საზომი საქართველოში. შეადგენდა 9 ხორბლის მარცვალს (დაახლ. 3,16 *სმ*).

ლიტ. იხ. სტ-თან გ ო ჯ ე უ ლ ი. *გ. ჯაფარიძე.*

გოჯიაანები, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), თიანეთის ქვაბულში, მდ. ივრის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1140 *მ*, თიანეთიდან 4 *კმ*. 94 მცხ. (2002).

სოფლის ჩრდ-ით დგას გვიანდ. შუა საუკ. ყველაწმინდის დარბაზული ეკლესია. სოფლის ზემოთ, ნასოფლარ იხინჭის ტერიტორიაზე დგას გვიანდ. შუა საუკ. მთავარანგელოზთა დარბაზული ეკლესია.

გოჯიაშვილი უშანგი ივანეს ძე (4. XI. 1933, დაბა თიანეთი, – 2007, სოჭი), სამთო ინჟინერი. ტექ. მეცნ. კანდიდატი (1973), საქართვ. დამს. ინჟინერი (1976). 1957 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი. 1957–65 მუშაობდა დონბასში (უკრაინა) შახტების მშენებლობაზე, 1965–86 – ენგურჰესის მშენებლობაზე. 1981–86 იყო ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს მთ. ინჟინერი, 1986–88 – საქართვ. საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილე, 1988–97 – „თბილმეტრომშენის“ გენ. დირექტორი, 1997–2000 – „თბილმეტრომშენის“ უფროსის მოადგილე და „თბილმეტრომშენის“ ეკატერინბურგის ფილიალის ხელმძღვანელი. 2000–03 მუშაობდა ქ. სოჭში №44 საგვირაბო რაზმის მთ. ინჟინრად. 2003-იდან იყო ამავე რაზმის მთ. ტექნოლოგი და გენ. დირექტორის მრჩეველი. 1988 მიენიჭა სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია, 1993 – საქართვ. სახელმწ. პრემია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

მ. ნემსაძე.

გრაბარი (Grabar) ანდრე (1896, კიევი, – 5. X. 1990, პარიზი), ხელოვნების ისტორიკოსი, ადრინდ. ქრისტ. და ბიზანტ. ხელოვნების მკვლევარი. პარიზის კოლეჟ დე ფრანსისა და ეკოლ დეზ-ოტ-ეტიუდის პროფესორი. საფრანგეთის წარწერათა და ბელეტრისტიკის აკად. და მრავალი ქვეყნის სამეცნ. საზ-ბისა და აკად. წევრი. ავტორია ფუნდამენტური ნაშრომებისა, რ-ებშიც განხილულია გვიანდ. ანტ. და ადრინდ. შუა საუკ. ბიზანტიისა და აღმ. ევრ. ქვეყნების იკონოგრაფიის, მხატვრობისა და გამოყენებითი ხელოვნების, ხუროთმოძღვრების ისტორიის საკითხები. ზოგ მათგანში განხილულია ძვ. ქართ. ხელოვნების ძეგლებიც.

თხზ.: L’ Empereur dans l’art byzantin. Recherches sur l’art officiel de l’Empire d’Orient, P., 1936; Byzantine painting. Historical and critical Study, Geneva, 1953; Les revêtements en or et en argent des icones byzantines du Moyen-âge, Venise, 1975. *ვ. ბერიძე.*

გრაბარი იგორ ემანუილის ძე (25. VII. 1871, ბუდაპეშტი, – 16. V. 1960, მოსკოვი), რუსი ფერმწერი და ხელოვნებათმცოდნე. სსრკ სახ. მხატვარი (1956), სსრკ მეცნ. აკად. (1943) და სსრკ სამხატვრო აკად. (1947) ნამდვილი წევრი. სსრკ სახელმწ. პრემიის



ი. გ რ ა ბ ა რ ი. „არყის ხეების ხეივანი“. 1940. ტრეტიაკოვის გალერეა.

ლაურეატი (1941). სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიასა (1894–96) და მიუნხენის ა. აჟბეს სკოლაში (1896–98). მრავალჯერ იმოგზაურა ევროპაში, იყო აშშ-ში, ეგვიპტესა და თურქეთში. 1889-იდან მუშაობდა პეტერბურგში, 1903-იდან – მოსკოვში. იყო გაერთიანება „მირ ისკუსტვასა“ და რუს მხატვართა კავშირის წევრი. გ-მა იმპრესიონისტ მხატვართა შემოქმედების გადამუშავების საფუძველზე 1901–08 შექმნა საკუთარი ფერწერული სტილი. ამავე პერიოდის ნატურმორტებში გ. ცდილობდა ნეოიმპრესიონიზმისათვის დამახასიათებელი ფერწერული ხერხებით გადმოეცა განათების მრავალფეროვნება, განწყობილება („ქრიზანთემები“, 1905, „აულაგებელი მაგიდა“, 1907, ორივე – ტრეტიაკოვის გალერეა). გ-ის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გამოიცა „რუსული ხელოვნების ისტორია“ (ტ. 1–6, 1909–16). ხელოვნების შესწავლისას გ. ეყრდნობოდა შედარებით მეთოდს. 1913–25 ხელმძღვანელობდა ტრეტიაკოვის გალერეას. იყო ხელოვნ. ძეგლთა და სიძველეთა დაცვის, აგრეთვე მუზეუმთმცოდნეობისა და სარესტავრაციო საქმის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1941–42 ცხოვრობდა საქართველოში, თბილისში ეწეოდა აქტ. შემოქმედებით მოღვაწეობას. შექმნა ქართვ. ხელოვნ. მოღვაწეთა – მედეა ჯაფარიძის (1942), ნატო ვაჩნაძის (1942), ალექსანდრა თოიძის (1942), მარინე იაშვილის (1942), ნ. კანდელაკის (1943) – პორტრეტები (ყველა – საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.




უ. გოჯიაშვილი.



ი. გრაბარი.

გრავეტული დანა, გ რ ა ვ ე ტ ი ს ტ ი პ ი ს დ ა ნ ა, კაჟის (ან სხვა ქანის) მეტ-ნაკლებად პარალელურგვერდებიანი, ვიწრო, სწორი ლამელა (ფირფიტა), რ-ის ერთი გვერდი დაბლაგვებულია ციცაბო რეტუშით. წვერი ძლიერ წამახვილებული აქვს. ზოგჯერ წვერი და ბოლო მუცლის მხრიდან დამუშავებულია ბრტყელი რეტუშით. სახელი ეწოდა პალეოლითური ძეგლის ლა-გრავეტის (საფრანგეთი) მიხედვით. გაჩნდა ზედა პალეოლითის ადრეულ საფეხურზე. ფართოდ გავრცელდა ორინიაკისა და მომდევნო ხანაში, განსაკუთრებით, სამხრ.-დას. ევროპაში. საქართველოში მრავლად გვხვდება ზედა პალეოლითის შუა და გვიანდ. ხანის ძეგლებში (იხ. სტ-ები *დევისხვრელი, მღვიმევი, გვარჯილის კლდე* და სხვ.).



გრავეტული დანა.

ლიტ.: თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი დ., გვარჯილას-კლდის პალეოლითური ნამთები, თბ., 1960; Е ф и м е н к о П. П., Первобытное общество, 3 изд., К., 1953; B r é i l l o n Michel N., La dénomination des objets de pierre taillu, VII, P., 1968.

დ. თუშაბრამიშვილი.

გრავიმეტრია (ლათ. gravis – მძიმე და ბერძნ. metreō – ვზომავ), მეცნიერება გრავიტაციული ველის მახასიათებელი სიდიდეების გაზომვისა და მათი გამოყენების შესახებ გეოდეზიურ, გეოლოგიურ

და გეოფიზიკურ პრობლემათა შესასწავლად. სიმძიმის ძალის ცვლილება დედამიწის ზედაპირზე დამოკიდებულია დედამიწის ფიგურაზე, ზომაზე და მისი შინაგანი მასების სიმკვრივეთა განაწილებაზე. ამიტომ, თუ ცნობილია სიმძიმის ძალის განაწილება დონებრივ ზედაპირზე, შეიძლება ვიმსჯელოთ დედამიწის ფიგურის, შინაგანი აგებულების, სასარგებლო წიაღისეულის განლაგებისა და სხვ. შესახებ.

გრავიმეტრიულ ამოცანათა ამოხსნისას გამოთვლების მოხერხებულობისა და გამარტივების მიზნით სიმძიმის ძალის აჩქარების ველს წარმოადგენენ ნორმალური ველისა და ანომალიური ველის ჯამის სახით. პირველი გამოწვეულია ისეთი ელიფსოიდური ფორმის სხეულის მიზიდულობით, რ-ის შიგნით დედამიწის მთელი მასა გარკვეული კანონზომიერებითაა განაწილებული, მეორე – ქერქისა და მანტიის მასების სიმკვრივის არაერთგვაროვნებით. ანომალიური გრავიტაციული ველი, საზოგადოდ, რთულად გამოისახება; გეოლ. ან გეოდ. ამოცანების ამოხსნის გამარტივების მიზნით მიმართავენ ამ ველის გაყოფას, ანუ ტრანსფორმაციას, რეგიონალურ და ლოკალურ მდგენელებად.

ცნობილია სიმძიმის ძალის აჩქარების გაზომვის აბსოლუტური და ფარდობითი მეთოდები. აბსოლუტური მეთოდი დამყარებულია სხეულის თავისუფალი ვარდნის კანონზე. XIX ს. დასაწყისში პოტსდამის გეოდეზიის ინ-ტში (გერმანია) განისაზღვრა სიმძიმის ძალის აჩქარების აბსოლ. მნიშვნელობა. ეს პუნქტი საერთაშ. მნიშვნელობის საყრდენი გრავიმეტრიული პუნქტია. აბსოლუტური მეთოდისაგან განსხვავებით, ფარდობითი მეთოდით განსაზღვრავენ სიმძიმის ძალის აჩქარების სხვაობას საყრდენ პუნქტსა და მოცემულ პუნქტს შორის. უკანასკნელ პერიოდში სიმძიმის ძალის აჩქარების განსაზღვრის სიზუსტე მკვეთრად ამაღლდა და ამჟამად მისი ძირითადი დანიშნულებაა გრავიმეტრების საეტალონო პოლიგონების შექმნა. მნიშვნელოვანია მიზიდულობის ძალის პოტენციალის მეორე რიგის წარმოებულების გაზომვა. ამ მიზნით იყენებენ გრავიტაციულ ვარიომეტრებს, ხოლო პოტენციალის უფრო მაღალი რიგის წარმოებულები კი გამოითვლება რიცხვითი მეთოდებით სიმძიმის ძალის ანომალიის რუკის გამოყენებით.

გრავიტაციული ანომალიის განაწილებას გარკვეული კანონზომიერება ახასიათებს. მაგ., როგორც წესი, ე. წ. ბუგეს ანომალია მთიან რ-ნებში დიდი უარყოფითი მნიშვნელობით ხასიათდება, ვაკე ადგილებში იგი მცირე მნიშვნელობისაა და ნიშანცვლადია, ხოლო ზღვებისა და ოკეანეების აკვატორიებში დიდი დადებითი მნიშვნელობა აქვს. ამის საფუძველზე დადგინდა, რომ მთიან რ-ნებში დედამიწის ქერქი სქელია, ხოლო ზღვებისა და ოკეანეების აუზებში – თხელი. ეს ურთიერთკავშირი ანომალიასა და ქერქის სისქეს შორის აიწერება მიახლოებითი ფორმულებით. სიმძიმის ძალის ანომალიის ანალიზის საფუძველზე იქმნება წარმოდგენა დედამიწის ქერქისა და ზედა მანტიის საერთო აგებულებაზე, ცალკეული სტრუქტურებისა და რღვევის ზოლების ადგილმდებარეობაზე. გარდა ამისა, გრავიტაციული ველის შესწავლა საშუალებას იძლევა დავადგინოთ, არის თუ არა დედამიწის ქერქი იზოსტატიკურ მდგომარეობაში და როგორია დაძაბულობანი დედამიწის ტანში.

შეისწავლება აგრეთვე სიმძიმის ძალის პერიოდული და არაპერიოდული ვარიაციები. პირველს იწვევს მზისა და მთვარის მიზიდულობა; მეორე უკავშირდება დედამიწის ქერქსა და მანტიაში მასების გადაადგილებას.

საქართველოს გრავიმეტრიული სკოლა საბჭ. კავშირში ერთ-ერთ მოწინავე სკოლად ითვლებოდა. ამ სკოლის ფუძემდებელია ბ. *ბალავაძე*. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულია საქართვ. ტერიტორიის გრავიმეტრიული აგეგმვა, შედგენილია ანომალიური გრავიტაციული ველის რუკები ფაისა და ბუგეს რედუქციებში, შესრულდა მნიშვნელოვანი თეორ. და ექსპერ. გამოკვლევები, რასაც მსოფლიო აღიარება მოჰყვა.

მნიშვნელოვანია მ. *ალექსიძის* მიერ შესრულებული თეორ. გამოკვლევები, რ-ებიც საფუძვლად დაედო გრავიტაციული ველის რედუქციებისა და ტრანსფორმაციის საკითხების შესწავლას. მ. ალექსიძემ, კ. მ. *ქართველიშვილთან* ერთად, პირველად გადაწყვიტა ნორმალური სიმძიმის ძალის ფორმულის ამოხსნის პრობლემა გეოლ. და გეოფიზ. მიზნებისათვის; მიიღო პრაქტიკულად ადვილად დასამუშავებელი ნორმალური პოტენციალისა და სიმძიმის ძალის გამოსათვლელი ზუსტი ფორმულები.

გ. *შენგელაიას* მიერ შესწავლილია კავკ. ტერიტორიაზე დედამიწის ქერქის შემადგენელი ქანების ფიზ. თვისებები და შედგენილია კავკ. ტერიტორიის დედამიწის ქერქის სამგანზომილებიანი მოდელი.

პ. *მინდელის* მონაწილეობით 1960–63 წლებში ჩატარებულია შავი ზღვის აუზის გრავიმეტრიული აგეგმვა და შედგენილია შესაბამისი რუკები. მის მიერ გაზომილია სიმძიმის ძალის მნიშვნელობები იალბუზსა (1957) და კავკასიონის სხვ. მწვერვალებზე, შედგენილია კავკ. და აღმ. ხმელთაშუა ზღვის სარტყლის ლითოსფეროს გრავიტაციული მოდელი.

საქართვ. ტერიტორიის გრავიმეტრიულ შესწავლაში მონაწილეობდა ვ. აბაშიძე. მან 1964–65 წლებში საქართვ. ტერიტორიაზე შექმნა 80-მდე საყრდენი გრავიმეტრიული პუნქტი, რ-ებშიც 1974–75 წლებში ჩატარდა განმეორებითი გრავიმეტრიული გაზომვები. მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები, რ-ებიც სიმძიმის ძალის ანომალიის ცვლილებას უკავშირებს დედამიწის ქერქის თანამედროვე დინამიკას. 1967-იდან დღემდე მისი ხელმძღვანელობით ტარდება გეოდინამიკური დაკვირვებები ენგურჰესის რ-ნში მაღლივი თაღოვანი კაშხლის უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით.

კ. ზ. *ქართველიშვილის* მიერ შექმნილია დედამიწის მყარ ტანში მიმოქცევითი მოვლენების შემსწავლელი მიწისქვეშა ლაბორატორია, სადაც შეისწავლება გრავიტაციული ველის პერიოდული და საუკუნოვანი ცვლილებები.

საქართვ. ტერიტორიის გრავიტაციული ველის შესწავლისა და მათ. და ფიზ. მოდელირების საკითხების დამუშავებაში დიდი დამსახურება მიუძღვით გ. მანაგაძეს, ვ. გაბუნიას, ჯ. კაპანაძეს, თ. გვანცელაძეს და სხვებს. 1994 მ. ალექსიძეს, ბ. ბალავაძეს, ვ. აბაშიძეს, კ. მ. ქართველიშვილს, კ. ზ. ქართველიშვილს, გ. შენგელაიას მიენიჭათ საქართვ. სახელმწ. პრემია 1978–1992 წლებში გამოქვეყნებულ შრომათა ციკლისათვის

გრავიტაცია



ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონი (1687):
m და M მასის ნებისმიერი ორი მატერიალური ნაწილაკი ურთიერთმიზიდება ძალით

$$\boldsymbol{F} = -GmM\boldsymbol{r}/r^3,$$

სადაც $\boldsymbol{r}$ არის მიზიდვის ობიექტის რადიუს-ვექტორი მიზიდვის ცენტრის მიმართ, ხოლო G – გრავიტაციული მუდმივა (პირველად გაზომა ინგლისელმა მეცნიერმა ჰ. კავენდიშმა 1798). თანამედროვე მონაცემებით: $G = (6{,}67428 \pm 0{,}00067)\cdot 10^{-11}$ $მ^3 \cdot კგ^{-1} \cdot წმ^{-2}$ (ან $ნ \cdot მ^2 \cdot კგ^{-2}$). ნიუტონის თეორიით, მოცემულ ნაწილაკზე სხვა ნაწილაკების მხრიდან მოქმედი გრავიტაციის ძალა უდრის თითოეული ნაწილაკის მხრიდან მოქმედი ძალების ვექტორულ ჯამს. კანონი მართებულია აგრეთვე სფერული სიმეტრიის მქონე სასრული ზომის სხეულებისათვის, როცა ამ სხეულთა ცენტრებს შორის მანძილი r აღემატება მათი რადიუსების ჯამს.

,,გეოფიზიკური, გეოლოგიური და საინჟინრო ამოცანების გადაწყვეტის გრავიმეტრიული მეთოდების დამუშავება და რეალიზაცია‘‘.


ლიტ.: აბაშიძე ვ., გეოლეზური გრავიმეტრიის მოკლე კურსი, თბ., 2004; ბალავაძე ბ., გრავიმეტრიის კურსი, თბ., 1996; Александзе М. А., Фундаментальные функции в приближенных решениях граничных задач, М., 1991; Балавадзе Б. К., Гравитационное поле и строение земной коры в Грузии, Тб., 1957; Картвелишвили К. З., Исследования земных приливов по наблюдениям в Тбилиси, Тб., 1978; Картвелишвили К. М., Планетарная плотностная модель и нормальное гравитационное поле Земли, М., 1982; Минделли П. Ш., Гравитационная модель литосферы Кавказа и Восточного Средиземноморья, Тб., 1999; Шенгелая Г. Ш., Гравитационная модель земной коры Кавказа, М., 1982.

ბ. ბალავაძე. პ. მინდელი.

გრავიტაცია, უნივერსალური ურთიერთქმედება მატერიის ნებისმიერ სახეთა შორის. არარელატივისტური სხეულების (რ-თა სიჩქარე ბევრად ნაკლებია სინათლის სიჩქარეზე ვაკუუმში) სუსტი გ. ემორჩილება მსოფლიო მიზიდულობის კანონს, რ-იც ი. *ნიუტონმა* საბოლოოდ ჩამოაყალიბა თავის ,,ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკურ საწყისებში‘‘ (1687). ნიუტონის თეორიაში ითვლება, რომ გ. მყისიერად ვრცელდება, რაც ეწინააღმდეგება *ფარდობითობის თეორიას* (ფთ). ფთ-ზე დაფუძნებული გ-ის თეორია შექმნეს დ. *ჰილბერტმა* (გამოქვეყნდა 20. XI. 1915) და ა. *აინშტაინმა* (გამოქვეყნდა 25. XI. 1915). აინშტაინმა უწოდა მას ფარდობითობის ზოგადი თეორია (ფზთ). თვითონ ჰილბერტი ყოველთვის ასახელებდა აინშტაინს ფზთ-ის შემქმნელად.

თანამედროვე წარმოდგენებით, გრავიტაციული ურთიერთქმედება ხორციელდება გრავიტაციული ველით, რ-ის დაძაბულობა ნიუტონის თეორიაში – აჩქარება, რ-საც ანიჭებს ნაწილაკს მასზე მოქმედი გ-ის ძალა – არ არის დამოკიდებული ნაწილაკის თვისებებზე.

გ-ის მათ. აღწერა ფზთ-ის ჩარჩოებში ემყარება წარმოდგენებს არაევკლიდურ, ,,გამრუდებულ‘‘ სივრცე-დროზე. ფზთ-ის თანახმად, გრავიტაციული ველის და ამ ველით განპირობებული სივრცე-დროის თვისებებს განსაზღვრავს მატერიის სივრცული სიმკვრივე, იმპულსების ნაკადები და მატერიის მოძრაობის დამახასიათებელი სხვა ფიზიკური სიდიდეები (მატერიაში ფზთ გულისხმობს მატერიის ყველა სახეს – ნივთიერებას, ელექტრომაგნ. და სხვა ფიზ. ველებს, ფიზიკურ ვაკუუმს; ფზთ-ის თვალსაზრისით გრავიტაციული ველი არ ითვლება ფიზიკურ ველად). ფზთ-ის თანახმად, მატერია იწვევს სივრცე-დროის გამრუდებას, კერძოდ, საათი, რ-იც უძრავია მოცემული ათვლის სისტემის მიმართ, სივრცის სხვადასხვა წერტილში დროის შუალედებს სხვადასხვანაირად აითვლის, ხოლო სინათლის სიხშირე იცვლება სხივის გასწვრივ. ზუსტი გაზომვები ადასტურებს ამ დასკვნებს. ფზთ-ის ერთ-ერთი ფუნდამენტური




გრავიტაციული ლინზირება. ხვოლსონ – აინშტაინის რგოლები (მითითებულია ცაცური ობიექტების კოორდინატები).

დასკვნაა გრავიტაციული ტალღების არსებობა, რ-ებიც გამოსხივდება სწრაფადცვალებადი გრავიტაციული ველის შემქმნელი მასიური სისტემების, მაგ., მჭიდრო ორმაგი ვარსკვლავების მიერ. ასეთი სისტემების მიერ ენერგიის კარგვის დამზერილი სიჩქარე შეესაბამება ფზთ-ით ნაწინასწარმეტყველებ მნიშვნელობას (ჯ. ტეილორი, რ. ჰალსი, ნობელის პრემია, 1993). მეორე ფუნდამენტური დასკვნაა გრავიტაციული კოლაფსის შესაძლებლობა – სხეული უსაზღვროდ იკუმშება გ-ის ზეგავლენით, რის შედეგადაც მისი რადიუსი ნაკლები ხდება მის გრავიტაციულ რადიუსზე. ასეთ ობიექტებს უწოდებენ *შავ ხვრელებს.* XXI ს. დასაწყისისათვის გაჩნდა დაკვირვებითი მონაცემები გალაქტიკათა ცენტრებში გიგანტური (რამდენიმე მილიონი მზის მასის მქონე) შავი ხვრელების არსებობის შესახებ, რ-თა გ. მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გალაქტიკებში მიმდინარე პროცესებზე.

ფზთ-ის კიდევ ერთი ნაწინასწარმეტყველები (ო. ხვოლსონი, 1924; ა. აინშტაინი, 1936; ფ. ცვიკი, 1937) და დაკვირვებებით დადასტურებული (პირველი დაკვირვება – ინგლ. ასტრონომი დ. უოლში, თანაავტორებთან ერთად, 1979) ეფექტია გრავიტაციული ლინზის მოვლენა. ძლიერ გრავიტაციულ ველში სინათლის გავრცელება აღარ არის წრფივი; შედეგად, დაშორებული ობიექტის გამოსახულებას დამკვირვებელი ხედავს რკალების (ზოგჯერ – რგოლის) სახით (ნახ.). ამ მოვლენას იყენებენ უხილავი, ფარული მატერიის აღმოსაჩენად და შესასწავლად,





გრავიტაციული ლინზის მოვლენა (სქემა)

გამოსხივება სფერულად სიმეტრიული *D* გრავიტაციული ლინზის ველში მრუდდება და დამკვირვებელი ხედავს *s* წყაროს რკალისებურად დაგრძელებულ J_1 და J_2 გამოსახულებებს (ნაჩვენებია ყვითლად), რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებულია α კუთხით. თუკი ლინზა გამჭვირვალეა, მოჩანს წყაროს დაუმახინჯებელი გამოსახულებაც.

ფზთ-ის თანახმად, გრავიტაციული ველის და ამ ველით განპირობებული სივრცე-დროის თვისებების კავშირი სივრცეში მატერიის განაწილებასა და მოძრაობასთან აიწერება აინშტაინის განტოლებით

$$R^{in}_{kn} - \delta^i_k R/2 = 8\pi G c^{-4} T^i_k,$$

სადაც

$$R^{in}_{kn} = \delta^i_j R^{in}_{kj}, \quad R = \delta^k_n R^{in}_{kn};$$

R^{in}_{kn} სიმრუდის ტენზორია, რ-იც გამოისახება სიმეტრიული მეტრიკული ტენზორით g_{ik} და მისი პირველი და მეორე წარმოებულებით; $\delta^i_k = 1$, როცა $i = k$, და $\delta^i_k = 0$, როცა $i \neq k$; T^i_k – მატერიის ენერგია-იმპულსის ტენზორია, რ-ის კომპონენტებიც გამოისახება სიმკვრივით, იმპულსების ნაკადებით და მატერიის მოძრაობის დამახასიათებელი სხვა ფიზიკური სიდიდეებით.

სფერულად სიმეტრიული ელექტრონეიტრალური არამბრუნავი m მასის ობიექტის გრავიტაციული რადიუსი

$$r_g = 2Gm / c^2$$

ფზთ მეთოდებით გამოთვალა გერმ. მეცნ. კ. შვარცშილდმა (1916). ინგლ. მეცნიერმა ს. ჰოუკინგმა თეორიულად აჩვენა (1974), რომ კვანტური მოვლენების შედეგად m მასის შავი ხვრელის ზედაპირი ხდება სპეციფიური გამოსხივების წყარო, რ-ის სპექტრი

$$T=\hbar c^3/(8\pi Gmk_b)$$

ტემპერატურის მქონე აბსოლუტურად შავი სხეულის გამოსხივების სპექტრს ემთხვევა (აქ $\hbar$ – პლანკის მუდმივაა, k– ბოლცმანის მუდმივა). გამოსხივების პროცესში შავი ხვრელის მასა m მცირდება, ხოლო ტემპერა და გამოსხივების სიმძლავრე

$$P=\hbar c^6/(15360\pi G^2m^2)$$

სულ უფრო იზრდება და

$$t=5120\pi G^2m^3\hbar^{-1}c^{-4}$$

დროში ხდება შავი ხვრელის სრული აორთქლება.

ფზთ-ის პარალელურად ვითარდება გ-ის ალტერნატიული, ფზთ-გან განსხვავებული თეორიები: სკალარულ-ტენზორული (პ. იორდანი, 1955; კ. ბრანსი, რ. დიკე, 1961), ტენზორულ-ტენზორული (მ. გოგბერაშვილი, 1997), ტენზორულ-ვექტორულ-სკალარული (ჯ. ბეკენშტეინი, 2004) და სკალარულ-ვექტორულ-ტენზორული (ჯ. მოფატი, 2006) თეორიები; ფზთ-ის განზოგადებები, რ-ებიც, გარდა სიმრუდისა, ითვალისწინებს სივრცის გრეხას (ე. *კარტანი*, 1922; ა. აინშტაინი, 1928); გრავიტაციის რელატივისტური თეორია (ა. *ლოგუნოვი*, მ. *მესტვირიშვილი*, 1989), რ-შიც გრავიტაციული ველი განიხილება, როგორც ფიზიკური ველი მინკოვსკის ფსევდოევკლიდურ სივრცეში და არა როგორც სივრცის გამრუდების შედეგი; გრავიტაციის ყალიბრული თეორია (დ. *ივანენკო*, გ. სარდანაშვილი, 1983) და სხვა. ექსპერიმენტული შემოწმება ჯერჯერობით არ იძლევა საფუძველს, უარყოფილ იქნას ფზთ და გაკეთდეს არჩევანი რომელიმე ამ თეორიის სასარგებლოდ.

საქართველოში ახალშექმნილი ფთ-ის და ფზთ-ის ფილოს. და მათ. ასპექტებს ჯერ კიდევ XX ს. დასაწყისში (1924–27) განიხილავდნენ მ. *გოგიბერიძე*, ა. *რაზმაძე*, ნ. *მუსხელიშვილი*. თბილისის სახელმწ. უნ-ტში 1964-იდან გ-ის თეორიას ავითარებდნენ მ. *მირიანაშვილი* და მისი მოწაფეების ჯგუფი: შ. გობეჯიშვილი, რ. *გოქსაძე*, გ. ვეფხვაძე, ვ. თარგამაძე, ა. კერესელიძე, ო. ლეჟავა, ვ. ქირია. მათ მიერ შემუშავებულია ფზთ-ის ფორმულირება არაჰოლონომურ ბაზისში, შესწავლილია დამუხტულ და ელექტრონეიტრალურ ნაწილაკთა რელატივისტური აჩქარებული მოძრაობა, კერძოდ, ე. წ. ჰიპერბოლური მოძრაობა და სხვა. 1967 თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია GR-V, სადაც შეჯამდა იმ დროისათვის მსოფლიოში, მ. შ. საქართველოში, გ-ის შესწავლაში მიღწეული შედეგები. მნიშვნელოვანი შედეგები აქვთ მიღებული დ. თარხნიშვილს, დ. *კურდღელაიძეს* (კვარკული ვარსკვლავები, სპინორული გეომეტრია), ნ. პოლიევექტოვ-ნიკოლაძეს, ჯ. *ჯავახიშვილს* (პლაზმა ძლიერ გრავიტაციულ ველში). გ-ის თანამედროვე ფუნდამენტურ და გამოყენებით საკითხებზე (ფზთ-ის განტოლებების ზუსტი ამოხსნები, პლანეტური სისტემების ევოლუცია, კოსმოლოგიის საკითხები, კერძოდ, ადრეული სამყაროს ევოლუცია, მსხვილმასშტაბური სტრუქტურის წარმოქმნა და გალაქტიკათა წარმოშობის პრობლემა, მაგნ. ველების გრავიტაციული თვისებები, რელიქტური გრავიტაციული გამოსხივება, ასტროფიზ. ობიექტების ძლიერ გრავიტაციულ ველში, კერძოდ, ნეიტრონული ვარსკვლავების და შავი ხვრელების აკრეციული დისკოებში მიმდინარე პროცესები და სხვ.) მუშაობენ *აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის* თეორიული განყოფილების მეცნიერები: თ. ბორჩხაძე, მ. გიგოლაშვილი, ა. თევზაძე, თ. კახნიაშვილი, რ. *კილაძე*, ჯ. *ლომინაძე*, გ. *მაჩაბელი*, ა. როგავა, ლ. სამუშია, გ. ღოღობერიძე, გ. *ჩაგელიშვილი*, დ. წიკლაური, ლ. ხარბედია და სხვები; ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინ-ტში (სივრცე-დროის ტოპოლოგიის ცვლილებით გამოწვეული ეფექტები, არააბელური შავი ხვრელები და მათი სტაბილურობა, გ. ორგანზომილებიან სივრცეში და სხვ.) – გ. ლავრელაშვილი, გ. ჯორჯაძე; ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინ-ტში (მდგარი გრავიტაციული ტალღები დამატებით-განზომილებებიან სამყაროში, ბრანეების გ. და სხვ.) – ა. ბარნაველი, მ. გოგბერაშვილი, ა. კობახიძე, მ. მაზიაშვილი და სხვები; გორის უნ-ტში (ფიზიკური მოვლენები მრავალგანზომილებიან სივრცე-დროში) – პ. მიდოდაშვილი; ასევე, საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში მომუშავე ქართველი ფიზიკოსები – ზ. ბერეჟიანი, გ. გაბადაძე, შ. ვაშაკიძე, მ. მესტვირიშვილი, ო. *ყანჩელი* და სხვები. მნიშვნელოვანი შედეგები აქვს მიღებული გ. *დვალს*. მისი ჰიპოთეზის თანახმად, 10^{-5}–10^{-8} *მ*-ზე მცირე მანძილებზე გრავიტაციული ძალა უფრო სწრაფად უნდა იზრდებოდეს მანძილის შემცირებასთან ერთად, ვიდრე ამას ამტკიცებს ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონი. ეს დასკვნა გამომდინარეობს ვარაუდიდან დამატებითი ფარული განზომილებების კომპაქტიფიკაციის რადიუსის მაკროსკოპულობის შესახებ (ნ. არკანი-ჰამედი, ს. დიმოპოულოსი, გ. დვალი, 1998). მსოფლიოს რამდენიმე წამყვან ლაბორატორიაში მიმდინარეობს ექსპერიმენტები ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად. გ. დვალის კიდევ ერთი წინასწარმეტყველება უკავშირდება მიკროსკოპული შავი ხვრელების წარმოქმნის შესაძლებლობას მაღალი ენერგიის მქონე ელემენტარული ნაწილაკების შეჯახებისას. ასეთ მოვლენებს, თანამედროვე შეხედულებებით, ადგილი უნდა ჰქონოდა სამყაროს განვითარების ადრეულ ეტაპებზე. გ. დვალის ამ ჰიპოთეზის შემოწმება დაგეგმილია *დიდ ჰადრონულ კოლაიდერზე* მიმდინარე ექსპერიმენტებში.

ლიტ.: მირიანაშვილი მ., ფარდობითობის თეორია, გამოც. მე-2, თბ., 2005; Зельдович Я. Б., Новиков И. Д., Строение и эволюция Вселенной, М., 1975; Ландау Л. Д., Лифшиц Е. М., Теория поля, 8-е изд., стереотип, М., 2006 («Теоретическая физика», т. 2); Thorne K. S., Misner Ch. W., Wheeler J. A., Gravitation, vol. 1–3, San Francisco, 1973; Weinberg S., Gravitation and Cosmology. John Wiley & Sons, 1972.

ი. ლომიძე.

გრავიურა (ფრანგ. gravure), 1. მყარი მასალის ფირფიტაზე ამოჭრილი (თუ სხვა გრაფ. ხერხით გამოსახული) ნახატის ანაბეჭდი ქაღალდზე ან მსგავს მასალაზე; 2. *გრაფიკის* სახე, რ-იც მოიცავს მყარი მასალის ფირფიტის გრაფ. დამუშავების მრავალრიცხოვან ხერხს და ამ ფირფიტაზე შესრულებული ნახატის ანაბეჭდის მიღებას. გ-ს მიაკუთვნებენ ხშირად *ლითოგრაფიასაც*, თუმცა მისი შექმნა არ არის დაკავშირებული გრავირების პროცესთან. გ-ს იყენებენ წიგნებისა და ალბომების გასაფორმებლად (ილუსტრაციები, შრიფტი და სხვ.), ესტამპის, ლუბოკის, ექსლიბრისის შესაქმნელად და ა. შ. მისი მხატვრული გამომსახველობისათვის მიმართავენ ხელოვნ. ისეთ ხერხებს, როგორიცაა კონტურული ხაზი, შტრიხი, ლაქა, ტონი და ზოგჯერ ფერი. გ-ის თავისებურებაა მისი ტირაჟულობა – დიდი რაოდენობით ერთნაირი ხარისხის ანაბეჭდის მიღების შესაძლებლობა. არსებობს ამობურცული და ჩაღრმავებული გ. ამობურცული გ-ის შექმნისას ფირფიტის ნაწილი, რ-იც ნახატისაგან თავისუფალია, 2–5 *მმ* ღრმავდება. ნახატი რელიეფური ხდება, საღებავით იფარება და მისი ანაბეჭდი ქაღალდზე გადააქვთ. ამობურცულ გ-ს მიეკუთვნება გ. ხეზე (ქსილოგრაფია) და ლინოლეუმზე (ლინოგრავიურა), აგრეთვე რელიეფური გ. ლითონზე (საჭრეთლით სპილენძის, თითბრის, კალის ან ტყვიის დამუშავება). ტექნიკის მხრივ ქსილოგრაფია ემსგავსება ლინოგრავიურას, მაგ-



თ. ყუბანეიშვილი. ილუსტრაცია ვაჟა-ფშაველას პოემისათვის ,,გველისმჭამელი“. 1961.

რამ იგი უფრო კონტრასტულია და უფრო დიდი და არათანაბარი შტრიხებითაა შესრულებული. ჩაღრმავებული Გ-ის დასამზადებლად ნახატს ლითონის ფირფიტაზე აღრმავებენ მექან. ან ქიმიური საშუალებებით (მჟავით ამოჭმა). ჩაღრმავებულ ადგილებში ტამპონით შეაქვთ საღებავი, შემდეგ ფირფიტას დასველებულ ქაღალდს ადებენ და საბეჭდი დაზგის ლილვებს შორის ატარებენ. არსებობს კვეთილი Გ. (ლითონის ზედაპირზე შტრიხებით იკვეთება ხაზები), ოფორტი (მჟავაგამძლე ლაქით დაფარულ ზედაპირზე საგრავიურო ნემსით ნახატის ამოკაწვრა) და Გ. მშრალი ნემსით (ნახატის სუფთა ფირფიტაზე ამოკაწვრა). ყველა ეს სახე იძლევა ფსიქოლ. ნიუანსების, მოძრაობის, სინათლისა და სივრცის გადმოცემის საშუალებას. ფერმწერებს, მოქანდაკეებს, არქიტექტორებს მუდამ იზიდავდა Გ-ის მხატვრული გამომსახველობის შესაძლებლობები. მრავალგვარი ტონალური ელფერის მიღწევა შეიძლება აკვატინტის, პუნქტირული მანერის, ლავისის, მეცო-ტინტოს ხერხებით. ფანქრის მანერითა და რბილი ლაქით Გ. ფანქრით ნახატის იმიტაციას იძლევა. ორივე სახის Გ. შეიძლება ფერადი იყოს. XV ს-იდან გრავიორები თავიანთ ნამუშევარს ხელწერას ან მონოგრამას ურთავდნენ. მოგვიანებით გაჩნდა ლათ. აღნიშვნის სისტემა (უმთავრესად შემოკლებული): invenit – ჩავიფიქრე, კომპოზიცია შევქმენი; fecit – შევასრულე; pinxit – დავწერე (სურათი, საიდანაც შესრულებულია Გ.); sculpsit – ამოვჭერი; delinedvit – დავხატე; excudit – გამოვეცი. Გ-ის წარმოშობა დაკავშირებულია ხელოსნობის ისეთი დარგების განვითარებასთან, რ-ებიც Გ-ის სხვადასხვა სახეს იყენებდნენ: ქსილოგრაფია – ჩუქურთმების ჭრასთან, კვეთილი Გ. – საიუველირო საქმესთან, ოფორტი – იარაღის მოვარაყებასთან. ანაბეჭდის მისაღებად ქაღალდი პირველად ჩინეთში გამოიყენეს (Გ-ები აქ მოხსენიებულია VI–VII სს-ებიდან, პირველი დათარიღებული Გ. კი – 868-იდან). ქაღალდზე ანაბეჭდი Გ. ევროპაში შუა საუკ. არის ცნობილი. მას ინტენსიურად იყენებდნენ აღორძინების ეპოქაში. ევრ. ქსილოგრაფების მიერ რელიგ. თემაზე შესრულებული პირველი სურათები XIV–XV სს-ებში გაჩნდა. 1430 შეიქმნა ,,ბლოკური“ (,,ქსილოგრაფიული“) წიგნები. დაახლ. 1461 დაიბეჭდა პირველი ანაწყობი წიგნი, რ-იც ხეზე შესრულებული Გ-ებით იყო ილუსტრირებული. საფრანგეთში ,,ჟამნის“ გასაფორმებლად იყენებდნენ Გ-ს ლითონზე. XVI ს. იტალიაში ჩამოყალიბდა წიგნის Გ-ის ორი მიმდინარეობა: ფლორენციაში დიდი ყურადღება ექცეოდა ორნამენტს, ვენეციასა და ვერონაში – მკაფიო ხაზებს.




რ. თარხან-მოურავი. ,,ლახტი მინდორში“. 1963.

გადამკვეთი დაშტრიხვით ქმნიდნენ მოცულობით გამოსახულებას, სკულპტურულ ფორმებს. აღორძინების ოსტატების ძიებები დაასრულა ა. დიურერმა, რ-მაც გერმ. Გ-ის შტრიხების სინატიფე შეუთავსა იტალ. აზრის სიღრმესა და პლასტიკურობას.

XVI ს-ში იტალიაში საფუძველი ჩაეყარა სარეპროდუქციო კვეთილ Გ-ს. ამავე საუკუნეში რუსეთში, ჩეხეთში, ლიტვასა და უკრაინაში მესტამბეთა (ფრანცისკ სკორინა, ივანე ფიოდოროვი, პეტრე მსტისლავეცი და სხვ.) მოღვაწეობის შედეგად გაჩნდა წიგნის ქსილოგრაფია. XVII ს-ში რუსეთში გავრცელდა Გ. ლითოწზე. XVIII ს-ში სარეპროდუქციოდ იყენებდნენ ოფორტს, მეცო-ტინტოს, აკვატინტას, ლავისს, ფანქრის მანერას (ლ. ფ. დებიუკური, ა. ვატო, ო. ფრაგონარი, ჯ. ბ. ტიეპოლო, ჯ. ა. კანალეტო, უ. ჰოუგართი, დ. ნ. ხოდოვიეცკი, ჯ. ბ. პირანეზი). XVIII ს. I ნახ. რუსეთში კვეთი-



ვ. ქუთათელაძე. ,,ერეკლე II-ის მოედანი“. 1962.



დ. ერისთავი. ,,ლვინის ალმართი‘‘. სერია ,,ძველი თბილისი‘‘. 1968.

ლი გ-ით ასრულებდნენ ბატალურ სცენებს, პორტრეტებს, ქალაქის ხედებს (ა. ზუბოვი, ი. სოკოლოვი, მ. მახაევი). XVIII ს. იაპონური ქსილოგრაფიის აყვავების ხანაა



გ. წერეთელი. ,,აივანი‘‘. 1970.

(შემოვიდა ჩინეთიდან). იმ საუკუნის დამლევის უდიდესი ოსტატები იყვნენ კიტაგავა უტამარო და ტესიუსაი სიარაკუ. XIX ს. ესპანეთში შეიქმნა უდიდესი მხატვრული ღირებულების გ-ები. ამ დროს ჭარბობდა სარეპროდუქციო ტორცული გ. ხეზე (XVIII ს. 80-იან წლებში გამოიგონა ინგლ. ტ. ბიუიკმა). ოფორტის აღორძინებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ჟ. ფ. მილეს, კ. კოროს, შ. ფ. დობინის, ტ. შევჩენკოს, ი. შიშკინს, ი. რეპინს, ვ. სეროვს. XIX– XX სს. მიჯნაზე თავიანთ ოფორტებში სოც. და ფილოს. შინაარსი შეჰქონდათ სიმბოლისტებსაც და რეალიზმის წარმომადგენლებსაც. XIX ს. 90-იან წლებში აღორძინდა ორიგინ. დაზგური და წიგნის ქსილოგრაფია. ახ. გზები დასახა პ. გოგენის გ-ებმა. ხაზის, ფერისა და სილუეტის გამომსახველობა ახლებურად აჟღერდა პ. პიკასოს, ა. მატისის, რ. დიუფის ნამუშევრებში. შესამჩნევად გამდიდრდა ტექნიკა.

საქართველოში XIX ს. II ნახევარში ხეზე კვეთილ გ-ს (ქსილოგრაფიას) საფუძველი ჩაუყარა გ. *ტატიშვილმა.* მის მიერ დაარსებულ საგრავიურო სახელოსნოში ბეჭდავდნენ დასურათებულ წიგნებს. გ-ის ტექნიკა განსაკუთრებით აღორძინდა XX ს-ის ქართ. ხელოვნებაში. ამ პერიოდის მხატვრობაში მრავალფეროვნად აისახა ხალხის ცხოვრება, ქვეყნის განვითარების ძირითადი ეტაპები. საფუძველი ჩაეყარა ახ. ტენდენციებს. განვითარდა ქსილოგრაფია (ვ. *ქუთათელაძე,* ვ. *გრიგოლია,* დ. *გაბაშვილი* და სხვ.); გაიზარდა ოფორტის როლი. ამ ტექნიკის გამოყენებით საყურადღებო ნამუშევრები შექმნეს დ. ე. *ქუთათელაძემ,* ვ. ა. *კეშელავამ,* ა. ნაცვლიშვილმა, ლ. *შენგელია-აბაშიძემ,* ნ. ცინცაძემ, ლ. ა. *ზამბახიძემ,* ც. ტერელაძემ, ნ. ჭურღულიამ და სხვ. ესტამპის განვითარებაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით დ. *ნოდიას,* რ. გ. *თარხან-მოურავს.* 50–60-იანი წლებისათვის განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ლინოგრავიურისადმი (დ. ნოდია, რ. თარხან-მოურავი, თ. *ყუბანეიშვილი,* ზ. დეისაძე, ჯ. ლოლუა, გ. ა. *ქუთათელაძე,* ო. ჯიშკარიანი და სხვ.). დღეისათვის საქართველოში გ-ის ყველა სახეა განვითარებული, მათ შორის სერიგრაფია (ნ. ფერაძე, ი. გიგოშვილი, ლ. შენგელია-აბაშიძე და სხვ.).

ლიტ.: გორდეზიანი ბ., ქართული საბჭოთა გრაფიკა, თბ., 1952; ურუშაძე მ., პირველი ქართველი გრავიორი გრიგოლ ტატიშვილი, თბ., 1953; Гордезиани Б., Грузинская графика, Тб., 1963.

ა. ჩხარტიშვილი.



ა. თევზაძე. ,,გაზაფხული‘‘. 1973.

გრაიჩიუნასი იონას (10. VI. 1903, თბილისი, – 1. VIII. 1994, ვილნიუსი), ლიტველი პოეტი და მთარგმნელი. დაიბადა სამხ. ინჟინრის ოჯახში, ბავშვობის წლები თბილისში გაატარა. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1923-იდან. თბილისის სიყვარულით შთაგონებულმა პოეტმა არაერთი ლექსი უძღვნა საქართველოს (,,თბილისს‘‘, ,,საქართველოს‘‘ და სხვ.). მრავალი წელი იმუშავა ვეფხისტყაოსნის თარგმნაზე, რასაც თვლიდა ,,სასიცოცხლო საქმედ‘‘, ,,მოვალეობად მეორე სამშობლოს – საქართველოს წინაშე‘‘. პოემა გამოვიდა 1971 (მეორე გამოცემა – 1984, ე. მეჟელაიტისის წინასიტყვაობით). თარგმნა ვაჟა-ფშაველას ლექსები და პოემა ,,გიგლია‘‘ (1973).

ლიტ.: Богомолов И. С., Спаяны дружбой, Тб., 1987. *ი. ბოგომოლოვი.*

გრაკალი (ძვ. ქართ. წყაროებში – ,,გარკალი‘‘), სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის დღესის თემში (შიდა ქართლის მხარე), მტკვრის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 540 *მ,* კასპიდან 22 *კმ,* გრაკლიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 1 *კმ.* 135 მცხ. (2002).

სოფელი დასახლებული ყოფილა უძველესი დროიდანვე, რასაც ადასტურებს აქ მიკვლეული შუა და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის სამარხები. გ. დას. და აღმ. საქართველოს დამაკავშირებელ გზაზე მდებარეობდა და უძველესი ქართ. სახელმწიფოებრივი გაერთიანების წარმოქმნიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართვ. ბარის სოც.-ეკონ. და პოლიტ. ცხოვრებასთან. წერილობით წყაროებში გ. პირველად მოხსენიებულია 1260 რკონის ღვთისმშობლის მონასტრისადმი კახა თორელის მიერ დაწერილ ანდერძში, საიდანაც ირკვევა, რომ უფრო ადრეულ ხანაშიც იგი თორელთა საძვალე მონასტრის – რკონის – კუთვნილება ყოფილა. გ. იხსენიება აგრეთვე მცხეთის საკათოლიკოსო მამულების 1392 სიაში.

სოფელი დიდად დაზარალდა XIV ს-ში, თემურლენგის შემოსევების დროს. თორელთა საგვარეულოს პოლიტ. ასპარეზიდან ჩამოცილებისა და საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ (XV–XVI სს. მიჯნა) გ. ეკუთვნოდა რკონის მონასტერს, ხოლო XVI–XVIII სს-ში – ამილახვრებს. გვიანდ. ფეოდ. ხანაში ადმ.-ტერ. დაყოფით სოფელი შედიოდა ზემო ქართლის მემარჯვენე სადროშოში, რ-საც ამილახვრები სარდლობდნენ. ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.) გ. მოხ-

სენიებული აქვს ხოვლის ხევში. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუს. მმართველობის დამყარების შემდეგ, მაშინ, როცა XIX ს. 30-იან წლებში ამილახვართა სათავადოც მოიშალა, სოფელი თბილ. გუბ. გორის მაზრაში შევიდა.

გ-ში რკინიგზის სადგურთან, სასაფლაოზე, რიყის ქვით ნაგები ეკლესიის ნანგრევებია. აქვეა დიდი ზომის ნატეხი ქვებით ნაგები მეორე დარბაზული ეკლესიის ნანგრევები (ორივე გვიანდ. შუა საუკ. თარიღდება).

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ., ქრონიკები..., წგ. 2, ტფ., 1897. *კ. კაჭაძე. ჯ. გვასალია.*

გრაკლა (Spiraea), მცენარეთა გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. 1– 2,5 *მ* სიმაღლის ზ ა ფ ხ უ ლ - მ წ ვ ა ნ ე ბუჩქებია. აქვთ მორიგეობით განლაგებული მარტივი, მთლიანი, დაკბილული ან სუსტად დანაკვთული ფოთლები, ქოლგისებრ, ფარისებრ ან პირამიდულ ყვავილედებში თავმოყრილი თეთრი, ვარდისფერი ან მეწამული ყვავილები, მრავალფოთლურა ნაყოფი. 100-მდე სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერი ჰავის ქვეყნებში. საქართველოში ბუნებრივად იზრდება 2 სახეობა: კ რ ა ზ ა ნ ა ფ ო თ ო ლ ა, ანუ ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი გ. (S. hypericifolia) და ხ ე რ ხ კ ბ ი ლ ა გ. (S. crenata). პირველი გავრცელებულია ნახევარუდაბნოს, ველისა და ტყის სარტყლებში, ზოგან კი მაღალმთის ზონაშიც, სადაც გვხვდება მისი სუბალპური სახესხვაობა (var. subalpina). მეორე უფრო ქსეროფილურია და უმთავრესად სამხრ. მთიანეთის მთის შუა სარტყლამდე იზრდება. ქმნიან ბუჩქნარებს – გრაკლიანებს. ტიპოლოგიურად საქართვ. გრაკლიანები უმეტესად მარცვლოვნიან-ნაირბალახოვანი ფიტოცენოზებია, მათი უკიდურესად ქსეროფილური ვარიანტები კი – მარცვლოვნიანი. ჩვენში გრაკლიანები ჩვეულებრივ გაჩეხილი ტყის ადგილას გვხვდება და მეორეულ გრაკლიანებს წარმოადგენს. ბუნებრივ გრაკლიანებს გრუნტ-ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა აქვს. საქართველოში მოშენებულია გ-ის 30-მდე უცხო სახეობა. ხანგრძლივი და უხვი ყვავილობის გამო გ-ს ფართოდ იყენებენ დეკორ. მებაღეობაში, რგავენ ეულად, ჯგუფებად (ქვიან გორაკებზე), იყენებენ ბორდიურებად, ცოცხალ ღობეებად. ამრავლებენ თესლით, კალმით, ფესვის ამონაყარით, გადაწვენით და ბუჩქის დაყოფით. გ. კარგი თაფლოვანი მცენარეა. ფოთოლი შეიცავს C ვიტამინს და ხშირად იყენებენ ჩაის სუროგატად.

მ. სახოკია.

გრამატიკა (ბერძნ. grammatikē < gramma – ასო, დაწერილობა), ენათმეცნიერების ნაწილი. შეისწავლის ბგერით სისტემას, სიტყვისა და შესიტყვების სტრუქტურასა და ფუნქციებს. გ-ში გამოყოფენ *ფონეტიკას, მორფოლოგიასა* და *სინტაქსს.* გ-ის რაობისა და შედგენილობის გაგება სხვადასხვაგვარი იყო ენათმეცნ. ჩამოყალიბებამდე (XIX ს.) და ჩამოყალიბების შემდეგაც.

გ. ჩამოყალიბდა ძვ. ინდოეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე. გ., როგორც ,,ხელოვნება'' (სწორად წერისა და მეტყველებისა), შეიქმნა ძვ. ბერძნ. ენის შესწავლის პროცესში (დიონისე თრაკიელის „Technē grammatikē'', ძვ. წ. II– I სს.). სინტაქსი შექმნა აპოლონიოს დისკოლომ ახ. წ. II ს-ში. XVII ს-ში შეიქმნა ,,ზოგადი ანუ რაციონალური გრამატიკა'' (,,პორ-როიალის გრამატიკა''). იგი ენის კატეგორიებს ლოგიკის კატეგორიებზე დამყარებით განიხილავდა. გ. მეცნიერებად იქცა XIX ს-ში ენის ისტორიისა და შედარებითი კვლევის შედეგად. ენის ისტ. ძიებამ შექმნა ახ. დარგები – სემასიოლოგია (ანუ სემანტიკა), მეცნ. ეტიმოლოგია, სახე უცვალა ფონეტიკასა და მორფოლოგიას (,,ეტიმოლოგია''), ხელი შეუწყო ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის, როგორც საენათმეცნიერო დარგების ჩამოყალიბებას.

გრამატ. მეცნიერებით ქართველთა დაინტერესება იწყება X ს-იდან. გრამატ. აზროვნების პირველი ნაკადი ჩნდება X–XII სს-ში ბიზანტ. მეცნიერთა გავლენით. ამ პერიოდში იქმნება პირველი გრამატ. ტრაქტატები: ანონიმი ქართვ. გრამატიკოსის ,,სიტყუაჲ ართრონთათჳს'' და *იოანე პეტრიწის* ,,ბოლოსიტყუაჲ'', რ-იც ერთვის პროკლეს ,,განმარტებაჲს''. XII ს-ში ითარგმნა ამონიოს ჰერმიას თხზულებანი, რ-შიც გ-ის საკითხებზე მსჯელობისას ბერძნ. გრამატ. ტერმინოლოგია ან პირდაპირ არის გადმოტანილი, ან შექმნილია სათანადო კალკები, რ-თა მეშვეობით შესაძლებელი ხდება მსჯელობა ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის მრავალ საკითხზე.

ჩანს, რომ ქართველები იცნობდნენ როგორც დიონისე თრაკიელის გრამატიკას, ისე IX– X სს. მის განმმარტებელთა დებულებებს, რ-თაც, მსგავსად პლატონის, არისტოტელეს, პროკლე დიადოქოსის ნაშრომებისა, ეცნობოდნენ ბერძნ. დედნებში. *გიორგი მთაწმიდელი* ,,ღრამატიკოსად'' მოიხსენიება ათონის ივერთა მონასტრის 1074 აღაპების წიგნში და მისი ღვაწლი დახასიათებულია დიონისე თრაკიელის გ-ის მოთხოვნათა მიხედვით.

გელათის თეოლოგიურმა სკოლამ, იოანე პეტრიწის ხელმძღვანელობით, დაიწყო სალიტ. ენის დემოკრატიზაცია სამწერლობო ენაში სამეტყველო ენის ლექსიკისა და გრამატ. ფორმების შემოტანით. ამ პერიოდში შექმნილი ენობრივი ლექსიკური მოდელები წარმატებით გამოიყენეს მეხოტბეებმა და შოთა რუსთაველმა.

ქართ. ენის გრამატ. კვლევა განახლდა XVII ს-ში იტალ. კათოლიკე მისიონერთა ინიციატივით. ისინი საქართველოში ხსნიდნენ სკოლებს, სადაც ბერძნ. და ლათ. გ-ებთან ერთად ასწავლიდნენ ქართ. ენისთვის მათ მიერ დადგენილ გრამატ. წესებს. 1629 რომში დაიბეჭდა ,,ქართულ-იტალიური ლექსიკონი'', რ-იც შეადგინეს ს. *პაოლინიმ* და ნიკიფორე ირბაქმა (ნ. *ჩოლოყაშვილი*). 1643 რომშივე დაიბეჭდა ფ.-მ. *მაჟოს* ,,ქართული ენის გრამატიკა''. 1670–80 წლებით თარიღდება *პერნარდე ნეაპოლელის* მიერ შედგენილი ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონები, ხოლო XVIII ს. პირველი მეოთხედით – ანონიმი ავტორის მიერ შედგენილი გორული ,,იტალიურ-ქართული ლექსიკონი'', რ-საც წინ უძღვის 33-გვერდიანი გრამატ. ტრაქტატი.

როგორც ბერნარდე ნეაპოლელის, ისე გორელი ანონიმი მისიონერის ლექსიკონში სახელებთან უთითებენ ფუძეთა წარმოქმნას, ზმნებთან კი – სიტყვათა ფორმაცვალებას კატეგორიების მიხედვით. ლექსიკონებში ლექსიკურ განმარტებებთან ერთად არის გრამატ. ინფორმაციაც.

XVII–XVIII სს-ში ქართ. გრამატ. აზრის აღორძინება და ახ. საფეხურზე აყვანა დაკავშირებულია ს.-ს. *ორბელიანისა* და *ანტონ I-ის* სახელებთან. იტალ. მისიონ-



გრაკლა. კრაზანაფოთოლა გრაკლა (Spiraea hypericifolia).



გრაკლა. ხერხკბილა გრაკლა (Spiraea crenata).

რებთან ურთიერთობამ ორივეს საშუალება მისცა, კარგად გასცნობოდნენ როგორც ლათ. გრამატიკებს, ისე თვით იტალიელთა მიერ შედგენილ ქართ. ენის გრამატიკებსა და ლექსიკონებს.

სულხან-საბას ,,ლექსიკონი ქართულის'' შექმნის მიზანი იყო ,,გარყვნილი'' ენის უცხო მინარევთაგან გაწმენდა, მისი სრულქმნა და განმტკიცება. ლექსიკონი უნდა გამხდარიყო ,,სასწავლო კეთილგონიერთა მოსწავლეთათვის'' (ასეთივე მიზნით გამოიცემოდა იტალ. ენის ლექსიკონიც XVI ს-იდან). მასალის ხასიათით, მასშტაბითა და ნორმატიული დანიშნულებით სულხან-საბას ლექსიკონი იტალ. ლექსიკონთა პრინციპებს მიჰყვება.

სულხან-საბას ლექსიკონს ახლავს დანართი ,,სასწავლო ყრმათათვის'', სადაც წარმოდგენილია ქართული ენის ბგერითი ანალიზი, მოცემულია მორფემათა კონკრეტული დახასიათება, აგებულია სახელთა და ზმნათა პარადიგმები იტალ. მისიონერთა ნაშრომებზე დაყრდნობით. ამ ლექსიკონში ქართ. ტრადიციასაც ეწევა ანგარიში: იოანე პეტრიწისა და ანონიმი ქართვ. გრამატიკოსის მიერ ნახმარი ტერმინები ან პირდაპირ არის გადმოტანილი, ან მათი მნიშვნელობებია შეცვლილი.

სულხან-საბას ლექსიკონისა და იტალ. მისიონერთა გრამატ. ტრაქტატების სახით ანტონ I-ს სოლიდური მასალა და დებულებები დახვდა. რუსეთში ყოფნისას (ექვსი წლის განმავლობაში) იგი ეცნობოდა ევრ. ენათა გ-ებს, ცდილობდა დაედგინა, რა იყო ენებს შორის საერთო და რა – სპეციფიკური. მისი ,,ქართული ღრამმატიკის'' მეორე რედაქცია ჩამოყალიბებული მეცნ. ნაშრომია. მასში დადგენილია სახელთა და ზმნათა ფორმაცვალების სახეები, რ-თაგან ზოგი დღესაც ინარჩუნებს ნორმის ძალას. ,,ქართული ღრამმატიკის'' ამ რედაქციაში ანტონ I აღარ ლაპარაკობს სამი სტილის შესახებ, პირიქით, მოითხოვს ერთიანი სამწერლობო ენის ტრადიციებსა და ხალხ. მეტყველებაზე დამყარებული სალიტ. ენის შექმნას. ეს თვალსაზრისი უთუოდ გამოძახილი იყო რუსეთში XVIII ს. 30–60-იან წლებში მიმდინარე დავისა რუს. სალიტ. ენასთან დაკავშირებით. ანტონის მიერ ჩამოყალიბებული ნორმები იმ დროის დანაწევრებულ საქართველოში იყო ერთადერთი ეროვნ. შემადუღებელი მოვლენა, როგორც ამას ს. ჯანაშია თვლიდა.

ანტონ I-ის ,,ქართული ღრამმატიკა'' საფუძველი გახდა შემდგომი პერიოდის ყველა გრამატიკისა და, თუმცა მას სხვადასხვანაირად კითხულობდნენ მომდევნო თაობათა წარმომადგენლები, ერთი რამ ნათელია – XIX ს. 90-იან წლებამდე არსებითად ანტონის გრამატიკის ვარიანტები ტრიალებს, მეტ-ნაკლებად გასაგები ენით დაწერილი.

სახელისა და ზმნურ კატეგორიებს (ბრუნება, რიცხვი, პირი, კილო, დრო და სხვ.) ქართ. ენის გრამატიკის შემდგენელნი კარგად იცნობდნენ ბერძნ.-ლათ. გრამატიკული სახელმძღვანელოებიდან და მათ უსადაგებდნენ ქართ. ენის მონაცემებს.

ცალკეა აღსანიშნავი სულხან-საბას ორიგინ. ტრაქტატი ზმნისწინების შესახებ, რ-იც მისი ლექსიკონის B რედაქციის დანართშია. ამ დამოუკიდებელ ნაშრომში ზმნისწინები დახასიათებულია გეზის კატეგორიის მიხედვით.

Გ-ში უფრო რთულია ფორმაცვალებად მეტყველების ნაწილთა ანალიზი. მაგ., ანტონ I-ის ,,ქართული ღრამმატიკის'' გავლენით ბრუნებაში მიცემითისაგან გაუდიფერენცირებელი იყო ვით. ბრუნვა (უფრო ადრე შედგენილ პარადიგმაში სულხან-საბა მათ ცალ-ცალკე იძლევა) და ზედმეტი იყო ბრალდებითი (,,შემასმენლობითი''). ანტონ I-ის შემდეგ ეს ვითარება კარგა ხანს შემორჩა (*გაიოზ რექტორი,* პ. *იოსელიანი* და სხვ.); ა. ვ. *ქუთათელაძეს* პარადიგმაში არ შეაქვს შემასმენლობითი ბრუნვა, ოღონდ თავის ადგილზეა ვითარებითი (,,განვითარებითი''). იმავე ხანებში გამოცემულ თ. *ჟორდანიას* გრამატიკაში ბრალდებითი (ანუ შემასმენლობითი) კვლავ ცალკე ბრუნვადაა შეტანილი, ვითარებითიც (,,ზმნისზედითი'') გამოყოფილია მიცემითისაგან; ზ. *შანშოვანის* ,,მოკლე ღრამმატიკაში ქართულისა ენისა'', რ-იც 144 წლის განმავლობაში უცნობი იყო, და, ამდენად, მას რაიმე გავლენის მოხდენა არც შეეძლო შემდგომი პერიოდის გრამატიკოსებზე (ა. ა. *ცაგარელი*), სულხან-საბას მიხედვითაა გაწყობილი ქართ. ანბანი (ვ გადატანილია ჳ-ს მომდევნოდ) და შემასმენლობითში (,,საძიებო'') სახელი წარმოდგენილია მიც. და სახ. ბრუნვების ფორმებით (კაცებს, კაცნი), რაც აგრეთვე გამოძახილია სულხან-საბას პარადიგმისა, სადაც ბრალდებითს (,,აკუსატიო'') დაესმის მიც. ბრუნვის კითხვა. სულხან-საბა კი ანგარიშს უწევდა XI–XII სს. მიჯნის ტრაქტატის – ,,სიტყუაჲ ართრონთათჳს'' – დებულებებს მიცემითსა და აკუზატიურ ბრუნვებთან დაკავშირებით. XX ს-ში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქართ. სახელების ბრუნების პარადიგმა (მხოლოდ მოთხრობითი იწვევს გარკვეულ მერყეობას): ამოიღეს ბრალდებითი ბრუნვა (აკუზატივი), ვითარებითმა კი თავისი ადგილი დაიმკვიდრა.

უფრო რთული იყო ზმნათა უღლებაში გარკვევა. ზმნურ პარადიგმებს პირველად ვხვდებით ფ.-მ. მაჯოს გრამატიკასა და სხვა იტალ. მისიონერთა ლექსიკონებში (ბერნარდე ნეაპოლელი, გორელი ანონიმი...); ქართვ. ავტორთაგან პირველია ს.-ს. ორბელიანი, რ-მაც იტალიელთა (კერძოდ, გორელი ანონიმის) მიხედვით ,,ლექსიკონი ქართულის'' დანართში (,,სასწავლო ყრმათა'') შეიტანა ,,მ ი ყ ვ ა რ ს'' ზმნის უღლება დრო-კილოთა მიხედვით.

თუმცა უღლების პარადიგმები ბერძნ.-ლათ. გრამატიკების მიხედვით იქმნებოდა, სპეციფიკა მაინც იჩენდა თავს. მაგ., ფ.-მ. მაჯომ წარსული დროის ცნობილ ფორმებს (უწყვეტელი, წყვეტილი, თურმეობით-მეორე – იმპერფექტი, პერფექტი, პლუსქვამპერფექტი) დაუმატა კიდევ თურმეობით-პირველი და, რადგან ლათინურში მას ვერ მიუსადაგა ვერაფერი, ზმნური ფორმები განსაზღვრა იტალიურად, სახელი კი ლათინური მისცა: Praeteritum perfectum magis propinquum – ,,ახალი ნამყო სრული'', წყვეტილის სახელია Praeteritum perfectum minus propinquum – ,,დაშორებული ნამყო სრული''. შემდეგ ამათ ,,ახლორე წარსულისა'' (წყვეტილი) და ,,შორადრე წარსულის'' (თურმეობითი I) სახით ვხვდებით ანტონ პირველის გრამატიკაში (§248, დ); თურმეობით II-ს (ნამყო წინარე წარსული) ანტონი უწოდებს ,,ფრიად უშორესს'', ასევე ,,ნამყო უუსრულესს''. აღსანიშნავია, რომ პარადიგმათა გამართვაში სულხანიცა და ანტონიც ხშირად ჩარეულან და ორთოგრაფიაც შეუცვლიათ სალიტ. ენის ტრადიციისამებრ.

XIX და XX სს. ქართვ. გრამატიკოსებს ამ ფორმათა ძიება აღარ დასჭირვებიათ: თურმეობით I-ს უწოდებენ ,,ნამყო უსრულესს'' (ნ. ჩუბინაშვილი) ან ,,ნამყო ისტორიულს'' (თ. ჟორდანია) და სხვ., მარ-

თალია, ფრანცისკო-მარია მაჯოს გაგება შეცვალეს, მაგრამ თურმეობითი I-ის ფორმა უღლებაში დარჩა.

გრამატ. კატეგორიების მეცნ. აღწერა და ზმნური პარადიგმების სრულქმნა შემდგომ პერიოდს ეკუთვნის (ნ. *მარი*, ა. *შანიძე*, გ. *ახვლედიანი*, არნ. *ჩიქობავა*, ვ. *თოფურია* და სხვ.), თუმცა მათ შესახებ მსჯელობა ძვ. დროის გრამატიკოსებთანაც არაერთხელ გვხვდება.

გამოც.: ანტონ პირველი, ქართული ღრამმატიკა (მეორე გამოც. – 1767), ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ელ. ბაბუნაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. კიკნაძემ, თბ., 1997.

ლიტ.: ბაბუნაშვილი ე., ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970; ბაბუნაშვილი ე., უთურგაიძე თ., ანტონ პირველის ,,ქართული გრამატიკა'' და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა, თბ., 1991; კარიჭაშვილი დ., ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, [თბ.], 1929; კვანტალიანი ლ., ქართული წინადადების შესწავლის ისტორია, «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება», 1990, ტ. 19; მისივე, ქართული ენის სინტაქსის შესწავლის ისტორია, იქვე, 1993, ტ. 31; მელიქიშვილი დ., გელათის სკოლა და ქართული მეცნიერული ენის განვითარების საკითხები, «თსუ შრომები», 1986, ტ. 10 – ენათმეცნიერება; უთურგაიძე თ., ქართული ენის შესწავლა იტალიელ მისიონერთა მიერ და მათი მეცნიერული ნააზრევის ურთიერთმიმართება, «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება», 1990, ტ. 29; მისივე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1999; ფოცხიშვილი ა., ქართული გრამატიკული აზრის ისტორიისათვის, თბ., 1979; მისივე, ქართული ენათმეცნიერების ისტორია, ტ. 1, თბ., 1995; შანიძე მ., ,,სიტყუაჲ ართრონთათჳს''. ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბ., 1990; ჩიქობავა ა., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; მისივე, გრამატიკა, ქსე, ტ. 3, თბ., 1978; ჩიქობავა ა., ვათეიშვილი ჯ., პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983; Жордания Г., Гамезардашвили З., Римско-католическая миссия и Грузия, Тб., 1994; Орловская Н. К., Анонимная грузинская грамматика XVII в. на итальянском языке, «თსუ შრომები», 1972, ტ. 75; მისივე, Грузинские словари Бернардо Неаполитанского, «ლიტერატურული ძიებანი», 1972, [ტ.] 3; Цагарели А., О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873. *თ. უთურგაიძე.*

გრანელი (ნამდვ. გვარი – კვერკველია) ტერენტი სამსონის ძე [3. VI (სხვა ცნობით 25. XI). 1897, წალენჯიხა, –10. X. 1934, თბილისი], პოეტი. 7 წლისა სოფლის სასწავლებელში მიაბარეს, მაგრამ უკიდურესი გაჭირვების გამო მე-6 კლასიდან გამოიყვანეს, რის შემდეგაც მამის სახელოსნოში წაღების კერვა დაიწყო. ცხოვრების პირობებმა მის ხასიათს მძიმე დაღი დაასვა. 1918 თბილისს გაემგზავრა, მეტისმეტად ხელმოკლედ ცხოვრობდა, მუშაობდა რკინიგზაზე ვაგონების გადამბმელად, კონდუქტორად, შემდეგ შიკრიკად გაზ. ,,სახალხო საქმეში'', რ-შიც მისი პირველი ლექსი დაბეჭდა. ამ პერიოდში მეტად გაიტაცა ეროვნ. თავისუფლების იდეებმა (გაზ. ,,სახალხო საქმე'', ,,ტრიბუნა'', ,,ახალი ნაკადი'', 1917–20). ფსევდ. გრანელი, მისი დების გადმოცემით, ლათ. სიტყვის ,,გრანუმის'' (მარცვალი) მიხედვით აურჩევია – ,,მეც პატარა, ობოლი მარცვალი, სამყაროს უმცირესი ნაწილი ვარო''. სიმბოლისტური პოეზიით გატაცებულმა 1919 გამოსცა სამხატვრო-სალიტ. გაზ. ,,ია'' და ჟურნ. ,,კრონოსის სარკე''. 1920 და 1921 გამოაქვეყნა ლექსების 2 პატარა კრებული – ,,პანაშვიდები'' და ,,სამგლოვიარო ხაზები'', 1922 გამოსცა ლექსების წიგნი ,,სულიდან საფლავები'', რ-საც შესანიშნავი რეცენზიები უძღვნეს ტ. მაჩაბელმა, ვ. გაფრინდაშვილმა, პ. ორბელიანმა და კ. გამსახურდიამ. ლიტ. საღამოებზე მსმენელი მას აღტაცებით ხვდებოდა.

თავისებურმა ცხოვრებამ, ბოჰემურმა ყოფამ გ-ის პოეზიაში უნუგეშობის, მარტოობის, განწირულობის თემატიკა შემოიტანა, რეალობის ასახვას მან მისტიკურ-რელიგ. ხილვები დაუპირისპირა (,,საიდუმლო მისალმება ჭლექიან სამრეკლოს'', ,,ფარული ვედრება'', ორივე 1921; ,,ცრემლი შუაღამის'', 1922), ადამიანურ სიხარულს – მწუხარებისა და სიკვდილის აპოლოგია (,,კვირის შუადღე'', 1920; ,,სიშორე'', 1921; ,,ცისფერი სიშორე'', 1922; ,,პოეტი პატიმარი'', 1926; ,,გულიდან სისხლის წვეთები'', 1924).

1924 გამოიცა ახ. ლექსების წიგნი ,,Memento mori'', რ-მაც ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ამავე წელს გ-ს რუსთაველის თეატრში სალიტ. საღამო გაუმართეს და საგანგებო გაზეთიც მიუძღვნეს, რ-შიც მის პოეზიას მაღალ შეფასებას აძლევდნენ კ. კაპანელი, ვ. ბარნოვი, გ. ნადირაძე, ი. გომართელი და სხვ. 1926 გ-მა გამოსცა უკანასკნელი წიგნი; 1928-იდან დაეწყო მკვეთრი სულიერი დეპრესია. სიცოცხლის ბოლო 4 წელი თბილ. და სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში გაატარა. დაკრძალული იყო პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, საიდანაც 1987 გადაასვენეს მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: რჩეული, თბ., 1961; ლირიკა, თბ., 1972; რჩეული, თბ., 1979 (შეადგინა და წინასიტყვა დაურთო ლ. ალიმონაკმა); ასი ლექსი, თბ., 2005; ლექსები, თბ., 2010.

ლიტ.: ადამია რ., ტერენტი გრანელი, თბ., 2008; ალიმონაკი ლ., კვირის წირვები, თბ., 1988; ვერულავა თ., ტ. გრანელი, თბ., 2009.

ლ. ალიმონაკი.

ტერენტი გრანელის სახლ-მუზეუმი საქართველოს კულტურის სამინისტროსი, გაიხსნა 1987 წალენჯიხაში ტერენტი გრანელის დაბადებიდან 90 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. პოეტის მამის სამსონ კვირკველიას ნასახლართან აღიმართა ორნამენტითა და ჩუქურთმიანი აივნებით დამშვენებული ორსართულიანი სახლი. გრანელის ნასახლარზე გაშენებულია სკვერი, რ-შიც არის პოეტის მემორიალური დაფა. მაცხოვრის ეკლესიის ძირში მოწყობილია დეკორირებული ,,ტერენტის წყარო''. სახლ-მუზეუმში გამოფენილია გ-ის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალები. ეგრისის ქედის ერთ-ერთ მწვერვალს დაერქვა მისი სახელი.



ტ. გრანელი.

გრანიტოიდები, სიღრმული სრულკრისტალური მჟავა ქანების საერთო სახელწოდება. გ-ის ერთ-ერთი გავრცელებული სახესხვაობაა გრანიტი. იგი შედგება ორთოკლაზის ან მიკროკლინის, მჟავე პლაგიოკლაზის, კვარცის, ქარსისა და ამფიბოლის, იშვიათად, პიროქსენისაგან; თანაბარმარცვლოვანია ან პორფირისებრი, ზოგჯერ გნაისისებრ-ზოლებრივი. წარმოშობის მიხედვით განარჩევენ მაგმურ, მეტასომატურ, პალინგენეზისურ, ანატექსისურსა და სხვა სახეობის გრანიტებს. იყენებენ საშენ მასალად და შენობების მოსაპირკეთებლად, აგრეთვე მონუმ. ქანდაკებისათვის. საქართველოში გ. გავრცელებულია კავკასიონის ქედის ღერძულ ნაწილში (ზემო სვანეთი, ზემო რაჭა, დარიალის ხეობა), კავკასიონის სამხრ. ფერდობზე, იურულისწინა კრისტ. ფუნდამენტის შვერილებში (*ძირულის მასივი, ხრამის მასივი, ლოქის მასივი*). *ვ. ჯავრიშვილი.*

გრანჟე (Granger) ლუი (XVII ს.), ფრანგი მისიონერი, იეზუიტთა ორდენის წევრი. იგი 1614, სტამბოლში მოღვაწე საფრანგეთის ელჩის ხელშეწყობით, გამოემგზავრა სამეგრელოში კათოლიკობის გასავრცელებლად. მოგზაურობის ანგარიშში, რ-იც მან 1615 მოქვიდან იეზუიტების ორდენის გენერალს

კლავდიო აკვავივას გაუგზავნა, აღწერილია შავიზღვისპირეთის მოსახლეობის ეთნ. შემადგენლობა სტამბოლიდან გურიამდე, ის ენები, რ-ზეც იმ დროს მეტყველებდა ეს მოსახლეობა; გურიისა და სამეგრელოს მთავრებთან შეხვედრები და ამ შეხვედრისას ადგილ. ფეოდ. და სას. არისტოკრატიასთან წამოჭრილი სასაუბრო თემები (უპირატესად სარწმუნოების საკითხებზე). აღწერილია აგრეთვე შეხვედრა დას. საქართველოში მყოფ კახეთის მეფე თეიმურაზ I-თან, რ-საც ბ. ,,თებრიზ-ხანს'' უწოდებს.

ლიტ.: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902; Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII–XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935.

გ. ჟორდანია.

გრანტი (ინგლ. grant – სუბსიდია, დოტაცია, საჩუქარი), 1. მეორე მხარისადმი უსასყიდლოდ გადაცემული ნებისმიერი ფასეულობა; 2. ბიუჯეტის შემოსავლების შევსების ერთ-ერთი წყარო, რ-იც არ ექვემდებარება დაბრუნებას. ბ. შეიძლება იყოს ფულადი და საქონლო სახის.



გრატა.

ბ. გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნ.-კვლ., ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური და სოც. პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განსახორციელებლად.

მიღების წყაროების მიხედვით ბ. იყოფა სხვადასხვა სახეობებად. ესენია: სხვა ქვეყნის მთავრობებიდან, საერთაშ. ორგანიზაციებიდან, საგარეო არასახელმწიფოებრივი წყაროებიდან, სახელმწიფო მმართველობის სხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული და სხვა არაკლასიფიცირებული ბ-ები.

ბ-ის მიმღები შეიძლება იყოს სახელმწიფო, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, არასამეწარმეო იურიდიული პირი, მოქალაქე. მისი გაცემის სამართლებრივი საფუძველია ხელშეკრულება ბ-ის გამცემსა და მიმღებს შორის. ბ. გამოიყენება მხოლოდ ხელშეკრულებაში აღნიშნული მიზნებისათვის.

საქართველო უკანასკნელ წლებში დიდი მოცულობის სხვადასხვა სახის ბ-ს ღებულობს საერთაშ. ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების ან მათი წარმომადგენლობებისგან, რაც აისახება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. საერთაშ. ორგანიზაციებიდან მიღებული ბ-ები გამოიყენება სიღარიბის დაძლევის, გარემოს დაცვის, დაცული ტერიტორიების, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების, ეპიდემიურ დაავადებათა კონტროლის, განაღდების სისტემის რეფორმის, ლტოლვილთა დახმარების, რეგიონების განვითარებისა და სხვა ღონისძიებებისათვის.

უცხო ქვეყნების მთავრობებისა ან მათი წარმომადგენლობებისგან საქართველოში მიღებული ბ-ები გამოიყენება ქალაქების კომუნ. ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის, კაპიტ. მშენებლობისათვის, ეროვნ. ტყე-პარკების რეაბილიტაცია-შენახვისათვის, ინფექციურ დაავადებათა ლიკვიდაციისათვის, იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და სხვა ღონისძიებებისათვის.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში უცხოური ბ-ების მოცულობამ 2007 წ. შეადგინა 208,6 მლნ. ლარი, 2008 წ. – 617,1 მლნ. ლარი, 2009 წ. – 555,4 მლნ. ლარი, 2010 წ. იგი დაიგეგმა 463,1 მლნ. ლარის მოცულობით.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად მიყენებული ზარალისა და მსოფლიოს ეკონ. კრიზისის საქართველოს ეკონომიკაზე გავლენის შერბილების მიზნით ევროკავშირის, აშშ-ის, სხვა ქვეყნებისა და საერთაშ. ორგანიზაციების მიერ საქართველოს 2008–11 წლებისათვის გამოეყო ბ. 2,0 მლრდ. აშშ დოლარის მოცულობით.

ი. მესხია.

გრატა (Emberiza), ფრინველთა გვარი ბეღურასნაირთა რიგისა. აერთიანებს ღია ლანდშაფტში (მთების მშრალი კალთები, ბუჩქნარი და სხვ.) მობუდარ ფრინველებს. ევროპაში, აზიასა და აფრიკაში გავრცელებულია ამ გვარის 39 სახეობა. საქართველოში გვხვდება მეფეტვია, ჩვეულებრივი ბ., შავთავა ბ., ბაღის ბ., მთის ბ. ისინი მიეკუთვნებიან მობინადრე და მობუდარ გადამფრენ ფორმებს. ლერწმის ბ. აქ მხოლოდ მიმოფრენისას გვხვდება. ბ. სხვადასხვაგვარად შეფერილი ფრინველია, აქვს შედარებით გრძელი კუდი, საჭის ბოლო ბუმბულების კიდეები თეთრი ან თეთრკოპლებიანია. იკვებება მცენარეული (მარცვლოვნები) და ცხოველური (მწერები) საკვებით.


რ. ჟორდანია.

გრაფიკა (ბერძნ. graphikē < graphō – ვწერ, ვხაზავ, ვხატავ), სახვითი ხელოვნების სახეობა, რ-იც მოიცავს ნახატებსა და ნაბეჭდ მხატვრულ ნაწარმოებებს (*გრავიურა, ლითოგრაფია* და სხვ.); დაფუძნებულია ხატვის პრინციპებზე, მაგრამ საკუთარი გამომსახველობითი საშუალებებიც აქვს. ტერმ. ,,ბ.'' თავდაპირველად ნაწერისა და კალიგრაფიის მიმართ იხმარებოდა. თანამედროვე მნიშვნელობა მან XIX ს. დასასრ. და XX ს. დამდეგს მიიღო პოლიგრაფიისა და კალიგრაფიულად მკაფიო კონტრასტულ-ხაზობრივი ნახატის განვითარების შედეგად, როცა გაჩნდა წიგნსა და ჟურნალში მხატვრული ნამუშევრის ფოტომექან. ანაბეჭდის ადვილად და მოხერხებულად გადატანის საშუალება. აქამდე ბ-ის საფუძველი იყო ხაზი, რ-ის საშუალებითაც იგი განსაზღვრავდა სივრცეს, გადმოსცემდა საგნებსა და მოცულობას. კონკრეტული ხაზების გარდა, ბ. იყენებს შტრიხებსა და ლაქებს, რ-ებიც მისი მთ. მასალის–ქაღალდის–თეთრი (იშვიათად ფერადი ან შავი) ზედაპირის კონტრასტულია. ამ საშუალებათა შერწყმას შეუძლია ტონალური ნიუანსების გადმოცემა. ბ-ში შესაძლებელია ფერების გამოყენებაც. საგნის



ს. ქობულაძე. უ. შექსპირის ,,მეფე ლირის'' ილუსტრაცია. 1946.

სივრცეში გამოსახვისათვის დიდ როლს თამაშობს ქაღალდის ფონი. გრაფ. ნახატი სიბრტყითია. ბ-ს არა აქვს სივრცის ილუზიის შექმნის ფერწერისნაირი ფართო შესაძლებლობა, სამაგიეროდ იგი თავისუფლად და მოქნილად გადადის სიბრტყიდან სივრცეში.



ს. მაისაშვილი.
,,ხევსურეთი‘‘. 1968.

მას შეუძლია გამოავლინოს საგნის სტრუქტურა, აღძრას თხრობისადმი ინტერესი. მხატვარ-გრაფიკოსი შეიძლება შემოიფარგლოს საგნის პირობითი აღნიშვნით, მასზე მინიშნებით, რომ მნახველს საგანზე მხოლოდ წარმოდგენა შეუქმნას. სახეთა ტევადობას იგი ხშირად გრაფ. მეტაფორებით აღწევს, რის გამოც Გ-ს ხშირად პოეზიას ადარებენ. დამთავრებული მხატვრული გრაფ. ნამუშევრის გვერდით დიდი მნიშვნელობა აქვს ნატურულ ჩანახატებს, ესკიზებს [მიქელანჯელო, ლ. ბერნინი (იტალია), რემბრანდტი (ჰოლანდია), ო. *როდენი* (საფრანგეთი)]. Გ-ის მიერ სახეთა მკვეთრი სიმახვილით გადმოცემის შესაძლებლობამ ხელი შეუწყო გრაფ. სატირისა და გროტესკის ფართო განვითარებას




ვ. ბელეცკაია.
,,ძველი თბილისი‘‘. 1969.

(ფ. გოიას ოფორტები, ო. დომიეს, ლ. *გუდიაშვილის*, გ. გროსის, კუკრინიკსების ნახატები). Გ-ის ტექ. თავისებურებაა მასალის ფაქტურის გამოყენება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება Გ-ში არაგამომსახველობით ელემენტებს: სუფთა დეკორ. მოტივებს, გრაფ. ორნამენტს, ტექსტს. Გ-ის მნიშვნელოვანი თავისებურებაა აქტუალური მოვლენების სწრაფი და დროული ასახვა, მასობრივი ტირაჟით გავრცელება, ჩანაფიქრის არსის თანამიმდევრული ახსნა გამოსახულებათა სერიებში (ინგლ. უ. ჰოუგართი, ბელგიელი ფ. მაზერელი). ეს თავისებურებანი ფართოდ გამოიყენა სააგიტაციო და სატირულ-პოლიტ. Გ-მ, რ-ის განვითარება დაემთხვა დიდ ისტ. მოვლენებს (1524–26 გერმ. გლეხთა ომების დროინდელი ,,მფრინავი ფურცლები‘‘; საფრანგეთის დიდი ბურჟ. რევოლუციისადმი მიძღვნილი გრავიურები და რუსეთის 1812 სამამულო ომისადმი მიძღვნილი ლუბოკები, რუსეთში სამოქალაქო და II მსოფლიო ომის თემებზე შექმნილი პლაკატები). შესრულების ტექნიკის მხრივ არის ნახატი და ნაბეჭდი Გ.; გრაფ. ხელოვნების უძველესი სახეობაა ნახატი. იგი სათავეს იღებს კლდეზე გამოსახული ფიგურებითა და ანტ. ლარნაკწერით, სადაც მათი ძირითადი ელემენტებია ხაზი და სილუეტი. ანტ. გრაფ. ნახატის ამოცანები ახლოსაა ფერწერასთან, მ. შ. საზღვარი პირობითია. აკვარელს, გუაშს, პასტელს, ტემპერას იყენებენ Გ-შიც და ფერწერაშიც. ნაბეჭდი გრავიურა და ლითოგრაფია შეიძლება თანაბარი ღირებულების ეგზემპლარებად გავრცელდეს.

არსებობს დაზგური, წიგნისა და საგაზეთო-საჟურნალო, გამოყენებითი Გ. და პლაკატი. დაზგური Გ. ძირითადად აღორძინების ეპოქიდან მომდინარეობს. Გ-ის სპეციფ. მასობრივი სახეობაა ლუბოკი, საგაზეთო-საჟურნალოში – კარიკატურა, წიგნის Გ-ში შედის ილუსტრაციები. Გ-ის შედარებით ახ. დარგია პლაკატი, რ-იც თანამედროვე ფორმით XIX ს-ში ჩამოყალიბდა, ჯერ როგორც სავაჭრო და თეატრ. რეკლამა, შემდეგ – პოლიტ. აგიტაციის იარაღი. პლაკატის შესაქმნელად, ნახატის გარდა, ფოტომონტაჟსაც იყენებენ. განვითარდა სამრეწველო Გ.


საქართველოში საკუთრივ Გ-ის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა ნაბეჭდი წიგნის განვითარებასთან ერთად. დაზგური Გ-ის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან ა. *ბერიძე*, რ. *გველესიანი*, გ. *გაბაშვილი*, ა. *მრევლიშვილი*, ა. *გოგიაშვილი*. წიგნის Გ-ის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის პირველ ქართვ. გრავიორ-ქსილოგრაფს, ახ. გრაფ. ხელოვნების ფუძემდებელს გ. *ტატიშვილს*. იგი აფორმებდა ჟურნალებს, წიგნებს. ქართ. კარიკატურის განვითარებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ო. *შმერლინგს*. Გ-ის განვითარების კერა იყო თბილ. სამხატვრო აკადემია, სადაც საბეჭდი დაზგები დაიდგა. წიგნის Გ-ის ცნობილი ოსტა-



შ. ნიორაძე. ,,გალაკტიონი‘‘. 1974.



ნ. ცინცაძე. ,,ქალის პორტრეტი‘‘. 1989.



კ. ფაჩულია. სერიიდან ,,აივნიანი ქალაქი''. 2004.

ტი იყო ვ. *გრიგოლია*. მან ქართ. ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნის დეკორის გათვალისწინებით შექმნა წიგნის მორთულობის ახ. კომპოზიციები (თავსართები, ბოლოსართები, თავსამკაული ასოები). დაამუშავა ახ. შრიფტი. გ-ის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ი. *შარლემანმა*, დ. *კაკაბაძემ*, ლ. გუდიაშვილმა, ე. *ახვლედიანმა*, თ. *აბაკელიამ*, ი. *თოიძემ*, ს. *ქობულაძემ*, კ. *სანაძემ* და სხვ. გ-ის ხელოვნება განსაკუთრებით განვითარდა 50–60-იან წლებში. მნიშვნელოვანი ნამუშევრები შექმნეს რ. *თარხან-მოურავმა*, დ. *ერისთავმა*, დ. *ხახუტაშვილმა*, ლ. *ცუცქირიძემ*, ე. *ბერძენიშვილმა*, ა. *ბანძელაძემ*, ზ. *კაპანაძემ*, თ. *მირზაშვილმა*, თ. *ყუბანეიშვილმა*, ო. *ჯიშკარიანმა* და სხვ.; 70–80-იან წლებში – გ. *წერეთელმა*, გ. *ღლონტმა*, ლ. *შენგელია-აბაშიძემ*, ნ. ცინცაძემ, გ. *კიკალიშვილმა*, ი. გიგოშვილმა, მ. თავაძემ, ლ. ა. *ზამბახიძემ*, გ. *დოლენჯაშვილმა*, ნ. *ზაალიშვილმა*, კ. ფაჩულიამ, ნ. ჭურღულიამ. განვითარდა გ-ის სახეობები – პლაკატი და კარიკატურა (ი. თოიძე, ს. *ნადარეიშვილი*, მ. და ე. ბერძენიშვილები, ნ. *მალაზონია*, ჯ. *ლოლუა*, გ. *ფირცხალავა*, ა. სარჩიმელიძე, თ. ვარვარიძე, ზ. ნაცვლიშვილი, ასევე ა. კანდელაკი, *დონი*, *გურო*, ზ. ფორჩხიძე, თ. ქართველიშვილი, ვ. კუცია, ზ. სულაკაური).



ნ. ზაალიშვილი. ,,რალაც საიდუმლოებით დაფარული''. 2005.

ქართული ილუსტრაციის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 30-იან წლებში შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის საიუბილეო თარიღისათვის, აგრეთვე, იაკობ ცურტაველის ,,შუშანიკის წამების'' 1500 წლისთავის საიუბილეოდ შექმნილ ილუსტრაციებს. XX ს. 30–90-იან წლებში ქართველმა მხატვრებმა დაასურათეს უ. შექსპირის ყველა ნაწარმოები, 60-იან წლებიდან იქმნება ვეფხისტყაოსნის ახალი ილუსტრაციები, ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დასურათდა სახარების მთლიანი და ცალკეული ეპიზოდები.

ლიტ.: გორდეზიანი ბ., ქართული საბჭოთა გრაფიკა, თბ., 1952; ქართული მოდერნიზმი. 1910–1930, თბ., 2005; ჯანბერიძე ნ., ძიება და ტრადიცია, თბ., 1989; Беридзе В., Езерская Н., Изобразительное искусство Грузинской ССР, М., 1986; Гордезиани Б., Грузинская графика, Тб., 1963.

ა. ჩხარტიშვილი. მ. ხერხეულიძე.

გრაფის ჩანაქცევი, კარსტული მახტი (მღვიმე) დასავლეთ საქართველოში, გუდაუთის მუნიციპალიტეტში, ბზიფის კირქვულ მასივზე, ზ. დ. 2200 *მ* სიმაღლეზე. გამომუშავებულია ზედაიურულ მასიურ კირქვებში. მღვიმე იწყება ვიწრო ნაპრალით, რ-იც ებმის მოზრდილ დარბაზს; გასწვრივ ჭრილში მღვიმეს აქვს საფეხურისებრი პროფილი. სიღრმე – 700 *მ*, დერეფნების ჯამური სიგრძე – 550 *მ*, მოცულობა – 14000 *მ*³. მღვიმეში არის შეუსწავლელი განშტოებები. მახტში სამი მოზრდილი ტბაა, გაედინება ნაკადული. ცალკეულ უბნებში ჭარბი ნგრევის მასალაა.

ლიტ.: ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009. *ზ. ტატაშიძე.*

გრდემლი, ლითონისაგან ჩამოსხმული და კუნძზე დამაგრებული გლუვზედაპირიანი ლითონის საკვერავი დაზგა. პატარა გ-ს იყენებენ ოქრომჭედლები და მესაათეები. საქართველოში ძველთაგანვე იყო ცნობილი სხვადასხვა მოყვანილობისა და ზომის ფოლადისა და ქვის გ-ები. ქართ. მითოლოგიაში გ. დაკავშირებულია *ამირანის* თქმულებასთან (ამირანის კლდეზე მიჯაჭვა, ხმლის გაჭედვა; ყოველ დიდ ხუთშაბათს მჭედლები გ-ს უბრად სამჯერ დაჰკრავენ უროს, ამირანმა არ აიშვასო). ქართვ. ხალხის ძვ. რელიგ. წარმოდგენებით გ. წმინდა (,,ნაწილიან'') საგნად ითვლებოდა და მას მჭედლები ყოველ შაბათს სანთელს უნთებდნენ. ძველადვე სცოდნიათ დამნაშავის გ-ზე ,,გადაცემა'' დასასჯელად და მისი ,,ახსნაც'' (ცოდვის მიტევება). რუსთაველთან მოხსენებულია ტყვიის გ. (,,გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა''), რ-ზეც ხდებოდა ალმასის (ქვამაგარის) მოწახნაგება.

ნ. რეხვიაშვილი.

,,გრდემლი'', ყოველკვირეული ეროვნულ-ლიბერალური მიმართულების გაზეთი. სულ გამოვიდა 3 რვაგვერდიანი ნომერი 1907 ქუთაისში. მოკლე ხანში ,,გ-ის'' ნაცვლად გამოვიდა გაზ. ,,ალი'' (მხოლოდ ერთი ნომერი), რ-შიც გაგრძელდა ,,გ-ის'' ზოგიერთი დაუმთავრებელი სტატია (რედაქტორ-გამომცემელი – ა. ჩილაევი).

ი. ლორთქიფანიძე.

,,გრდემლი'', ლიტერატურული კრებული. გამოვიდა თბილისში სამ წიგნად. I–II წიგნი გამოქვეყნდა 1912, III–1916. კრებულში დაბეჭდილია ა. აბაშელის, შ. არაგვისპირელის, ვ. ბარნოვის, ი. გედევანიშვილის, ს. გორგაძის, ი. გრიშაშვილის, ი. ევდოშვილის, ი. ვართაგავას, პ. იაშვილის, ია კარგარეთელის, დ. კლდიაშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, კ. მაყაშვილის, ა. პაპავას, თ. რაზიკაშვილის, ვ. რუხაძის, გ. ტაბიძის, ტ. ტაბიძის, ლ. ქიაჩელის, ა. შანშიაშვილის, ა. ჭუმბაძისა და სხვათა ნაწარმოებები.

ლიტ.: ვართაგავა ი., მოგონებები, ნაწ. 2, თბ., 1962.

ი. ლორთქიფანიძე.

,,გრდემლი'', ლიტერატურული სურათებიანი ჟურნალი. გამოდიოდა 1923 თბილისში ორ კვირაში ერთხელ. გამომცემელი – საქ. კპ (ბ) ცკ და საქართვ. პროფკავშირთა საბჭო. გამოიცა 7 ნომერი. იბეჭდებოდა ორიგინ. და თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებები, წერილები სოციალ. მშენებლობაზე, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია და სხვ. თანამშრომლობდნენ მწერლე-

ბი: დ. კლდიაშვილი, ს. ჩიქოვანი, ა. მაშაშვილი, შ. კარმელი, ი. ვაკელი, პ. სამსონიძე. რედაქტორი – პ. საყვარელიძე. *ი. ლორთქიფანიძე.*

„გრდემლი“, ყოველთვიური ლიტერატურული ალმანახი, ქუთაისის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანო; გამოდიოდა იქვე, 1927–28. გამომცემელი – სარედაქციო კოლეგია. გამოიცა 4 ნომერი. თანამშრომლობდნენ ს. მინდაძე, ბ. კეშელავა, ვ. დარასელი, თ. ჯუმბურიძე, შ. ჩარკვიანი, ვ. გაბესკირია, დია ჩიანელი, ფ. დგებუაძე-ფულარია, ჯ. ჯორჯიკია, ა. ურუშაძე და სხვ.

ი. ლორთქიფანიძე.

გრდზელოვი ბერნარდ (Grdseloff, ნამდვ. გვარი – გ რ ძ ე ლ ა შ ვ ი ლ ი) (1. VII. 1915, კაირო, – 8. X. 1950, იქვე), ეგვიპტოლოგი, ეროვნებით ქართველი. ეგვიპტოლოგიური ძიებანი დაიწყო ბერლინის მუზეუმში ცნობილი ეგვიპტოლოგის კ. ჰ. ზეთეს ხელმძღვანელობით. შემდეგ მუშაობდა კაიროში, გერმანიის არქეოლოგიის ინ-ტში, ცნობილ ეგვიპტოლოგ ლ. ბორჰარდტთან; ეგვიპტეში იყო ებრაელთა კვლევის საზ-ბის რედაქციის მდივანი. გ-ის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოკვლევები (სამი მონოგრაფია და 30-ზე მეტი სტატია), რ-თა ნაწილი დაიბეჭდა მისი სიკვდილის შემდეგ, ეხება პირამიდების ეპოქის მეფეთა ცხედრების გაწმენდასა და ბალზამირებას, რეშეფის კულტის შექმნას, ფარაონ სეთი I-ის სტელას სკითოპოლისში, ფარაონთა ეგვიპტის პაპირუსებსა და ეპიგრაფიკას, სემიტურ-აღმოსავლურ ურთიერთობებს. გ-ის რამდენიმე ნაშრომის ხელნაწერი ინახება ინგლისში, გრიფითის ინ-ტში.

ლიტ.: ჯ ა ფ ა რ ი ძ ე გ., ბერნარდ გრდზელოვის გახსენება, გაზ. «სამშობლო», 1979, ნოემბ., №24; მ ი ს ი ვ ე, ბერნარდ გრდზელოვი, გაზ. «კავკასიონი», 1995, ივნ., №24; H a r a r i I., Bernhard Grdseloff, «Annales du Service des Antiquités de l`Egypte», t. 60, fasc. 1, Le Caire, 1951; D a w s o n W. R., H i l l E. P., Who was who in Egyptology. Third revised ed. by M. L. Bierbier, L., 1995.

გ. ჯაფარიძე.

გრე, სიგრძის საზომი ერთეული XVI–XVIII სს. ირანში. უდრიდა შაჰის *წყრთის* 1/16-ს. XVIII ს-იდან გავრცელდა საქართველოშიც და ზომით *გოჯეულს* უტოლდებოდა.

ლიტ.: ჯ ა ფ ა რ ი ძ ე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX–XIX სს.), თბ., 1973. *გ. ჯაფარიძე.*

გრეგეშოკი, სოფელი გაგრის მუნიციპალიტეტის ხოლოდნაიარეჩკის თემში (აფხაზეთის არ), გაგრის ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 240 *მ*, გაგრიდან 6 *კმ*. 254 მცხ. (1989).

გრეგუარი (Grégoire) ანრი (21. III. 1881, გიუი, – 28. IX. 1964, ბრიუსელი), ბელგიელი ბიზანტინისტი და სლავისტი, კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი. ბიზანტინოლოგიის დარგში საერთაშ. კონგრესების მოწყობის ერთ-ერთი ინიციატორი. ჟურნალების „Byzantion“ და „Corpus bruxellense historiae Byzantinae“ დამაარსებელი და რედაქტორი. გ-ის ნაშრომთა უმრავლესობა ეხება ბიზანტიის წყაროთმცოდნეობის, პოლიტ. ისტორიის, ასევე ბერძნ. პოემის „დიგენის აკრიტასთან“ დაკავშირებულ საკითხებს. გ-ის წერილი „ივერთა მონასტერი და ათონის მთის ქართველთა როლი“ 1963 დაიბეჭდა „ბიზანტინოლოგიური საზოგადოების წელიწდეულში“, ხოლო მისი ქართ. თარგმანი ს. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა. გ. „ბალავარიანის“ ბერძნ. რედაქციის ავტორად *ექვთიმე მთაწმიდელს* მიიჩნევს და ამ ლიტ. ნაწარმოებს უმაღლეს შეფასებას აძლევს.

ლიტ.: ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1973; Л е в ч е н к о М. В., А. Грегуар и его работы по византиноведению, «Византийский временник», 1950, т. 3.

ნ. მიწიშვილი.

გრემი, ისტორიული ქალაქი, კახეთის სამეფოს ერთ-ერთი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ეკონომიკური ცენტრი 1466–1616. გ. მდებარეობს სოფ. *გრემის* მახლობლად, მდ. ინწობის მარჯვ. ნაპირზე, მდინარეების ბოლაისა და ინწობის შესაყართან. აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს სატევრისა და შავპრიალა კერამიკის ნაშთების მიხედვით ვარაუდობენ, რომ გ-ის ტერიტორიაზე მოსახლეობა გვიან. ბრინჯაოს ხანაში უნდა გაჩენილიყო. იგი დასახლებული იყო XII–XIV სს-შიც. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, 1466 გ. კახეთის სამეფოს დედაქალაქი და მნიშვნელოვანი კულტ. კერა გახდა. აქ XV ს-იდან ამრავლებდნენ ხელნაწერებს, რ-თაგან ცნობილია ანა დედოფლის გადაწერილი „ქართლის ცხოვრება“ (XV ს.), თინათინ დედოფლის თაოსნობით მომზადებული კრებული სვინაქსარი (1535) და სხვ. მწიგნობრულ-შემოქმედებითი საქმიანობა გ-ში გაცხოველდა XVI ს. მიწურულიდან, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ *დავით I, ქეთევან დედოფალი*, მოგვიანებით – *თეიმურაზ I.*

გ. რთულ რელიეფზეა განლაგებული. არქეოლ. გათხრები მიმდინარეობდა 1939–49 (ა. მამულაშვილი) და 1963–67 (პ. ზაქარაია). ქალაქს ეკავა დაახლ. 50 *ჰა*. გამოიყოფა 3 მთავარი ნაწილი: 1. მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ თ ა ე კ ლ ე ს ი ი ს კ ო მ პ ლ ე ქ ს ი, რ-შიც შედის მთავარანგელოზთა ეკლესია, 3-სართულიანი სასახლე, სამრეკლო და სამეურნეო ნაგებობანი (საწნახლიანი მარანი, ლითონის წვრილმანი ნივთების დასამზადებელი ქურა, რესტავრ. 2011); 2. მ ე ფ ე დ ი დ ე ბ უ ლ თ ა უ ბ ა ნ ი, რ-შიც განლაგებული იყო ორი სასახლე, ე. წ. „აკადემია“, შადრევნიანი ნაგებობა, რვაკუთხა კოშკი, აბანო და სხვ.; 3. ს ა ვ ა ჭ რ ო უ ბ ა ნ ი, რ-ის ცენტრ. ნაგებობა იყო გეგმით სწორკუთხა დახურული ბაზარი (ქულბაქები) და სასტუმრო (ქარვასლა). ბაზარი ოთხივე მხრიდან შემოფარგლული იყო ქვით ნაგები დუქნების რიგით, შუაში იყო პატარა ეზო. დუქნებს ეზოს მხარეს მიშენებული ჰქონდა ღია აივნები, ალბათ, საქონლის გამოსაფენად. ზოგ დუქანს სარდაფიც ჰქონდა. ოთხივე რიგში იყო 30, სხვადასხვა საქმიანობისათვის გამიზნული დუქანი; ერთ-ერთში აღმოჩნდა ღუმელი ლითონის დამწვარი ნივთების ნაშთით, მეორეში – ექვსკუთხა აუზი. სავარაუდოდ, ეს დუქანი მხიარული თავშეყრის ადგილიც იყო. თითოეული დუქნის ფართ. დაახლ. 10 $მ^2$-ია; ქულბაქებს აღმ-იდან ესაზღვრებოდა სასტუმრო, რ-იც გეგმით მოგრძო



გრემი. მთავარანგელოზთა ეკლესიის კომპლექსი.

სწორკუთხედის ფორმისაა (სიგრძე 80 *მ*). შენობის კორიდორის ორივე მხარეს იყო 16–16 პატარა სათავსი. ამავე უბანში გაითხარა აბანო,



გრემი. სამეფო აბანო.

რ-იც გ-ში ჩამოსული სტუმრებისათვის იყო განკუთვნილი. აბანოს მილებში შემორჩენილი დიდი რაოდენობის ნალექის მიხედვით სავარაუდოა, რომ აბანოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყენებდნენ. გათხრებით მოპოვებულ მასალაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმპორტულ



გრემი. ქულბაქები (რესტავრაციამდე).

კერამიკას [სპარსული წარწერებით – ლექსებითა და სადღეგრძელოებით შემკული მწვანე, მოჭიქული დიდი ჯამი, ჩინური სელადონის ნიმუშები, ჩინური სელადონის სპარს. მინაბაძები, ჩინური ფაიფურის ჯამები (ერთ-ერთზე შემორჩენილია წარწერა – ,,მარადიული გაზაფხული'')]. ქალაქს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ქაშანთან და ქირმანთან. იმ დროის მოწინავე ცენტრებს უკავშირდებოდა კეთილმოწყობილი სავაჭრო გზებით. ერთ-ერთი ასეთი გზა გრემიდან გავაზის, ბაზარ-ზაგემის, კახისა და შემახის გავლით ირანის ქალაქებისაკენ მიემართებოდა.



,,გრემი''.

1614–16 ირანის შაჰის აბას I-ის ლაშქრობის შედეგად გ. გაპარტახდა. მის დაცემაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დაღესტნელ ფეოდალთა გამუდმებულმა თავდასხმებმაც. მტერთა შემოსევების შედეგად გრემმა საერთოდ დაკარგა ძვ. დიდება. როსტომ მეფის მემატიანე (XVII ს.) წერს: ,,იქ მრავალი კარგად ნაშენები სასახლენი დაქცეულ-დანგრეული ვნახეთ, უკარო და უჭერო, ნადირთ სადგომ-ქმნილნი''. მას შემდეგ, რაც სატახტო ქალაქმა თელავში გადაინაცვლა, მიტოვებული გ. ნანგრევებად იქცა.

ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან გამოირჩევა ნაქალაქარის აღმ-ით, მაღალ გორაკზე აღმართული მთავარანგელოზთა გუმბათოვანი ტაძარი, რ-იც აგებულია (1565) ლევან კახთა მეფის შეწევნითა და თაოსნობით. ეკლესიის გეგმა კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია. შესასვლელი აქვს დას-იდან, სამხრ-იდან და ჩრდ-იდან; შიდა სივრცის ცენტრ. ნაწილი დაგვირგვინებულია გუმბათით, რ-იც საკურთხევლის კუთხეებსა და თავისუფლად მდგარ ორ ბოძს ეყრდნობა. გუმბათის ყელში 8 სარკმელია გაჭრილი. საკურთხევლის აფსიდი ბემიანია, მის ორივე მხარეს სადიაკვნე და სამკვეთლოა. ეკლესია ნაგებია აგურით, გამოირჩევა კახეთის იმ დროის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი, ძლიერ აზიდული, მსუბუქი პროპორციებით. ეკლესიის მოხატვა 1577 დაუმთავრებიათ. დას. კედელზე პორტრეტულად გამოსახულია ქტიტორი, რ-საც ეკლესიის მოდელი უჭირავს ხელში. კომპლექსს გარს არტყია გალავანი, რ-ის კედლებში სათოფურებია დატანებული და გარედან კონტრფორსებით არის გამაგრებული. გალავნის სამხრ. კუთხიდან მდ. ინწობისკენ გვირაბი ეშვებოდა. ორ ბურჯს შორის მოქცეული, საგანგებოდ გამაგრებული შესასვლელი გალავნის ჩრდ.-დას. კუთხეშია მოწყობილი. ტაძრის აგებამდე გორაკზე სასახლის ტიპის კოშკური ნაგებობა იდგა, რ-იც XIX ს-ში გადააკეთეს და თაღებით გახსნილი სამრეკლო დადგეს.

1999 აღდგა გ-ის მამათა მონასტერი. 2011 ნაქალაქარის ტერიტორიაზე ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, ტ. 1, 3, თბ., 1975–81; მ ა მ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ა., გრემის სარწყავი არხი, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1941, ტ. 11 B; მ ი ს ი ვ ე, კახეთის ძველი აბანოები, იქვე, 1947, ტ. 14 B; შ ა ნ ი ძ ე ა., ფ უ თ უ რ ი ძ ე ვ., სამენოვანი წარწერა გრემში, «ენიმკის მოამბე», 1940, ტ. 5–6; ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ ი ჯ., გრემში ნაპოვნი ჯამი სპარსული წარწერით, «აღმოსავლური ფილოლოგია», 1972, [ტ.] 2; Ч у б и н а ш в и л и Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

ჯ. გვასალია. პ. ზაქარაია. ლ. მენაბდე. ლ. ჭილაშვილი.


გრემი სოფელი ყვარლის მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), ალაზნის ვაკეზე, მდ. ინწობის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: გ., გრძელი ჭალა, შაქრიანი). ზ. დ. 480 *მ*, ყვარლიდან 22 *კმ*, თელავიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 19 *კმ*. 977 მცხ. (2002). მის მახლობლადაა ისტ. ქალაქი *გრემი*. *მ. პალიაური.*

,,გრემი'', ქართული სამარკო ბრენდი (*კონიაკი*). მზადდება ღვინის სპირტისაგან, რ-იც მიიღება ყვარლის მუნიციპალიტეტის მიკრორაიონებში მოწეული თეთრი ყურძნის (რქაწითელი) გადამუშავებით მიღებული საბრენდე ღვინომასალის გამოხდით და შემდეგ მუხის კასრებში მისი 9–10-წლიანი დაძველებით. ხასიათდება გამჭვირვალე ოქროსფერით, მსუბუქი, საკმაოდ განვითარებული ბუკეტით, ჰარმონიული რბილი გემოთი, 40% (მოცულობით) სპირტშემცველობით. ,,გ-ს'' 1961-იდან 2010-მდე უშვებდა სააქციო საზ-ბა *,,სარაჯიშვილი''* (ყოფ. თბილისის კონიაკის ქ-ნა), ამჟამად კი მისი მწარმოებლები არიან სააქციო საზ-ბები ,,ვაზიანი'' და კორპორაცია ,,ქინძმარაული''. ,,გ-ს'' ტექნოლოგია შეიმუშავეს ვ. *ციციშვილმა*, ო. ლორთქიფანიძემ, დ. ნიკოლაიშვილმა. 1964–2009 სხვადასხვა საერთაშ. გამოფენაზე, დეგუსტაციასა და კონკურსზე მიღებული აქვს 1 გრან-პრი, 10 ოქროს, 4 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი.

გრემისხევის ეკლესია, იხ. *ცისხისუბნის ეკლესია.*

გრემისხევის სამაროვანი, ძვ. წ. VIII–VII სს. ძეგლი გრემისხევის თემში (დუშეთის მუნიციპალიტეტი), მდ. ნარეკვავის (არაგვის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას, ადგილ ,,ნამზღვლევში''. 1975 გათხარეს (ექსპედიციის ხელმძღვანელი ლ. წითლანაძე) ორმოსამარხები, სადაც ხელფეხმოკეცილი მიცვალებულები ესვენენ მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე. ჩატანებული ჰქონდათ ჭურჭელი (თიხის კოჭბები, ლანგრები,

ქოთნები, სამარილეები), იარაღი (რკინის შუბისპირები, ბრტყელი ქუსლამოღარული ისრისპირები), სამკაული (მძივები, კილიტები, საკინძები, სამაჯურები). მსგავსება ჩანს საქართვ. ტერიტორიაზე (მცხეთა, რენე და სხვ.) აღმოჩენილ ამავე დროის სხვა მასალასთან.



გრემისხევის სამაროვანი. ორმოსამარხი. ძვ. წ. VIII–VII სს.

ლიტ.: Цитланадзе Л., Менабде М., Исследования в ущелье р. Нарекавави, კრ.: Археологические открытия 1975 года, М., 1976; Цитланадзе Л., Кигурадзе Т., Мирцхулава Н., Основные итоги работ Нареквавской археологической экспедиции, კრ.: Полевые археологические исследования в 1975 году, М., 1979.

ლ. წითლანაძე.

გრემ-ნეკრესის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, დაარსდა 1970 გრემის ძეგლ-მუზეუმის სახელწოდებით (ყვარლის მუნიციპალიტეტი). 1981 იანვრიდან ეწოდა გ.-ნ. ი.-ა. მ.-ნ. 1986 დამთავრდა რ-ნის (დღევ. მუნიციპალიტეტი) ძეგლთა აღრიცხვა, ხოლო 1988 – ძეგლთა პასპორტიზაცია. ისტ. და არქეოლ. მასალის მოძიების მიზნით მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლები მონაწილეობენ ექსპედიციებში. მუზეუმ-ნაკრძალის ექსპონატები გამოფენილია ე. წ. სამეფო კოშკში (160 ექსპონატი). შედგენილია მუნიციპალიტეტში არსებული ძეგლების გეგმა-რუკა. 2011 მუზეუმ-ნაკრძალში ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები. სავაჭრო უბანში აშენდა ახალი მუზეუმი საექსპოზიციო დარბაზით.

მ. ბუჯიაშვილი.

გრესელ-კოშუტი გალინა ალექსანდრეს ასული (12. IX. 1909, ალექსანდროპოლი, ახლანდ. გიუმრი, სომხეთი, – 4. VIII. 2008, თბილისი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1967). დაამთავრა საქართვ. საინჟ.-სამშ. ინ-ტი (1933). მონაწილეობდა (არქიტექტორ-დამპროექტებლად) თბილისში ,,დინამოს'' სტადიონისა (1934–35) და მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის ფილიალის (1935–36) დაპროექტების ბოლო სტადიაზე. ძირითადად მუშაობდა ,,საქქალაქმშენსახპროექტში'' (1936–41; 1944–76) არქიტექტორად, პროექტის მთ. არქიტექტორად, არქიტ. სახელოსნოს ხელმძღვანელის მოადგილედ. ძირითადი განხორციელებული პროექტები: საბავშვო ბაღი ოზურგეთში (1948), საცხოვრ. სახლები თბილისში, ახმეტაში, კაჭრეთში; მდ. ლიახვის სანაპირო გორში (1948), სასტუმრო მესტიაში (1953), ავტოვაგზალი თბილისში (სანაპიროზე, 1954), საქართვ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სანატორიუმი გაგრაში (1970, გ. ჯაფარიძესთან ერთად) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ს. კინწურაშვილი.

გრიბოედოვი ალექსანდრე სერგეის ძე [4 (15). I. 1795 (სხვა ცნობებით – 1794, 1791), მოსკოვი, – 30. I (11. II). 1829, თეირანი, დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდის პანთეონში], რუსი მწერალი და დიპლომატი. მიიღო მრავალმხრივი განათლება. 1822-იდან მსახურობდა თბილისში – თავდაპირველად მთავარმართებელ ერმოლოვთან, შემდეგ – პასკევიჩთან. დაუახლოვდა მოწინავე ქართვ. საზოგადოებას, განსაკუთრებით ა. ჭავჭავაძის ოჯახს. დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ დააპატიმრეს, თუმცა ფარული საზ-ბის წევრობა ვერ დაუმტკიცეს. 1827 მიანდეს ირანსა და ოსმალეთთან დიპლ. ურთიერთობის წარმართვა. დიდი ძალისხმევის შედეგად გ-მა მიაღწია თავისი ქვეყნისათვის ხელსაყრელი *თურქმანჩაის ზავის* დადებას, რამაც რუსეთის იმპერიას ,,მნიშვნელოვანი ტერიტორიები და დიდი კონტრიბუცია შესძინა''. 1828 იგი დანიშნეს რუსეთის მინისტრ-რეზიდენტად (სრულუფლებიან წარმომადგენლად) ირანში. იმავე წელს ცოლად შეირთო ა. ჭავჭავაძის ასული ნინო. 1829 თეირანში გ. აჯანყებულებმა მოკლეს.

გ-მა თბილისში დაიწყო მუშაობა თავის მთავარ თხზულებაზე ,,ვაი ჭკუისაგან''. იგი ურთიერთობდა ქართვ. საზ-ბის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან (ა. ჭავჭავაძის ოჯახი, გ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ძმები ჭილაშვილები, ს. დოდაშვილი და სხვ.). გ-ის სახელთანაა დაკავშირებული გაზ. ,,ტიფლისსკიე ვედომოსტის'' გამოცემა, სამაზრო სკოლების გახსნა, თბილ. საჯარო ბ-კის დაარსების მცდელობა. მასვე ეკუთვნის აღა-მაჰმად-ხანის მიერ დანგრეული თბილისის განახლების პროექტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია გ-ის მიერ შედგენილი მთელი ამიერკავკ. სამეურნ.-კულტ. გარდაქმნის პროექტი, რ-იც ველიკოდერჟავულ ტენდენციებზე იყო დაფუძნებული. პროექტი არ მიიღეს.

საქართველოსთანაა დაკავშირებული გ-ის რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები. ,,მგზავრის წერილებში'' (1818–19) გადმოცემულია ჩვენი ქვეყნის ბუნებითა და ხალხის გაცნობით, არაგვის ნაპირებზე მოსმენილი ,,ქართველთა დილის სიმღერით'' მოგვრილი შთაბეჭდილებები. გ. მოხიბლული იყო საქართველოს ბუნებით. ,,ტკბილ კახეთს'' მან უძღვნა შემდეგი სტრიქონები: ,,იქ, სადაც რბის ალაზანი, მსუბუქ ნიავს მოაქვს შვება''. დაუმთავრებელ პოემაში ,,მეყალიონეები'' მოთხრობილია ირანში გაყიდული კახელი ჭაბუკის ტრაგიკული ისტორია. საქართვ. და სომხ. I ს. ამბები გ-მა გამოიყენა დრამაში ,,რადამისტი და ზენობია'' (მოღწეულია ნაწყვეტები). ბატონყმობის პრობლემას კი მიუძღვნა ასევე დაუმთავრებელი თხზულება ,,ქართული ღამე''.

შემონახულია ცნობები, რომ ,,ვაი ჭკუისაგან'' პირველად ა. ჭავჭავაძის სახლში დაუდგამთ, შემდეგ კი – რომან ბაგრატიონის სასახლეში (გრიბოედოვის სახ. თეატრის ყოფ. შენობის ადგილას). კომედიის მთავარგმნელები იყვნენ გ. წინამძღვრიშვილი (1853), გ. ერისთავი, ა. ყაზბეგი, განდეგილი (დომინიკა ერისთავი), ს. ფაშალიშვილი (გამოიცა 1960).



ა. გრიბოედოვი.

თხზ.: Полн. собр. соч., т. 1–3, П., 1911–17; Соч., М., 1956; ვაი ჭკუისაგან, თბ., 1960.

ლიტ.: ენაკოლოფაშვილი ი., ცხოვრება გრიბოედოვისა, [თბ.], 1958; რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, შეადგინა ვ. შადურმა, ტ. 1, თბ., 1949; შადური ვ., გრიბოედოვი და საქართველო, თბ., 1954; Кладиашвили М. С., Русские писатели о Грузии, Тб., 1980.

თ. ბუაჩიძე. ვ. შადური.

გრიბოედოვის თეატრი, თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი, გაიხსნა 1932. დასაბამს იღებს პირველი რუსული პერიფერიული დრამ. თეატრიდან, რ-იც დაარსდა თბილისში 1845. XIX ს. 40-იან წლებში საქართველოში სცენის მოყვარეთა



გრიბოედოვის თეატრი. პ. ლუსპეკაევი – ბორეიკო, სპექტაკლი ,,პორტ-არტური''.

ცალკეული ჯგუფები რუს. ენაზე მართავდნენ წარმოდგენებს. შეიქმნა თეატრ. დასი, რ-საც სათავეში ჩაუდგა ა. იაბლოჩკინი. დასის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა სახელგანთქმული რუსი მსახიობი მ. შჩეპკინი. თბილისში, რ-იც კავკასიის კულტ. ცენტრს წარმოადგენდა, მუშაობდნენ რუს. თეატრის ცნობილი მოღვაწეები, ჩამოდიოდნენ ავრეთვე რუს. სცენის კორიფეები – მ. ერმოლოვა, გ. ფედოტოვა, მ. სავინა, ვ. კომისარჟევსკაია, ა. ლენსკი, ა. სუმბათაშვილ-იუჟინი, ვ. დავიდოვი და სხვ. 1915 თბილისში ჩამოყალიბდა ,,რუსეთის თეატრალური საზოგადოების ამხანაგობა'' (,,ტარტო''), რ-საც ხელმძღვანელობდა გამოჩენილი თეატრ. მოღვაწე ა. ტუგანოვი. საქართველოში



თეატრალური აფიშა.

საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921-იდან) გახშირდა რუს. თეატრ. კოლექტივებისა თუ მსახიობთა ცალკეული ჯგუფების საგასტროლო მოგზაურობა (მოსკ. სამხატვრო თეატრი, მცირე თეატრი, ვ. მეიერხოლდის და კამერული, ე. ვახტანგოვის სახ. თეატრი და სხვ.), რითაც თბილისში რუს. სახელმწ. თეატრის დაარსების პირობები მომწიფდა. 1932 განათლების კომისარიატის დადგენილებით თბილისში ჩამოყალიბდა რუს. დრამ. თეატრი, რ-ის დასი შედგებოდა ყოფ. წითელი არმიის თეატრისა და რუსეთიდან მოწვეული მსახიობებისაგან. დასმა მუშაობა დაიწყო წითელი არმიის თეატრის შენობაში. პირველი სპექტაკლი, რ-იც მაყურებელს უწვენეს, იყო მ. გორკის პიესა ,,ფსკერზე'' (1932 წ. 3 ნოემბ.). წარმოდგენის დასადგმელად მიწვეული იყო ქართ. თეატრის რეფორმატორი რეჟ. კ. მარჯანიშვილი. 1935 თეატრს მიენიჭა ა. გრი-


სცენა სპექტაკლიდან ,,ორნი საქანელაზე''. რეჟისორი ა. ჩხარტიშვილი.

ბოედოვის სახელი. 1936 თეატრი გადავიდა ახ. შენობაში. თეატრის რეპერტუარში, რუს. და უცხოურ თანამედროვე და კლასიკურ ნაწარმოებებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართ. ავტორთა შემოქმედებასაც, რ-თაგან აღსანიშნავია სხვადასხვა დროს დადგმული შ. დადიანის ,,ნაპერწკლიდან'', ი. ვაკელის ,,დიდი მოურავი'', ვ. დარასელის ,,კიკვიძე'', ნ. დუმბაძის ,,მარადისობის კანონი'' და სხვ. თეატრის წარმატებაში წვლილი მიუძღვით კ. შახ-აზიზოვს (დღიდან დაარსებისა 15 წელი ხელმძღვანელობდა თეატრს), სსრკ სახ. არტისტებს: გ. *ტოვსტონოგოვს*, დ. *ანთაძეს*, გ. *ლორთქიფანიძეს*, ნ. *ბურმისტროვას;* საქართვ. სახ. არტისტებს: თ. *ბელოუსოვას*, ნ. *მარშაკს*, ა. *თაყაიშვილს*, ს. *ჭელიძეს*, კ. *მიუფკეს*, დ. *სლავინს*, ი. *რუსინოვს*, ე. *პაიკოვსკის*, ი. *ზლობინს*, ე. *სატინას*, ა. *სმირანინს*, მ. *პიასეცკის*, კ. დობჟინსკის, ა. ზაგორსკის, გ. *ქავთარაძეს*, გ. *ჟორდანიას;* საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწეებს: ა. რუბინს, გ. ღვინიაშვილს, მ. ოლშანიცკაიას, რ. შაფთოშვილს, კ. სურმავას, ნ. *გომელაურს* და სხვ.

1958 თეატრმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვში ჩატარებულ ქართ. ხელოვნ. და ლიტ. დეკადაში. სხვადასხვა დროს დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია ლ. ტოლსტოის ,,ანა კარენინა'', ა. კორნეიჩუკის ,,პლატონ კრეჩეტი'', ნ. ვირტას ,,მიწა'', ფ. შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული'', უ. შექსპირის ,,მეთორმეტე ღამე'', კ. გოლდონის ,,სასტუმროს დიასახლისი'', ე. როსტანის ,,სირანო დე ბერჟერაკი'', ვ. ჰიუგოს ,,ერნანი'', ო. დე ბალზაკის ,,დედინაცვალი'', ა. კუპრინის ,,ორმო'', ფ. ირაბლის ,,პიკნიკი'', ა. ჩეხოვის ,,ალუბლის ბაღი'', ე. ზოლას ,,ტერეზა რაკენი'', მოლიერის ,,ტარტიუფი'', ა. ცაგარლის ,,ხანუმა'', ბ. შოუს ,,ბედის რჩეული'', მ. ბულგაკოვის ,,ოსტატი და მარ-


სცენა სპექტაკლიდან ,,ქორწინება''. რეჟისორი ა. ვარსიმაშვილი.

გარიტა'', ა. კრისტის ,,ინგლისური დეტექტივი'' და სხვ. 2011 დასის მსახიობები: მ. ამბროსოვი, მ. არჯევანიძე, ლ. არტიომოვა, ვ. ვოინოვა, მ. კიტია, ი. კვიჟინაძე, ა.


სცენა სპექტაკლიდან ,,მელიები''. რეჟისორი გ. ტოვსტონოგოვი.



სცენა სპექტაკლიდან ,,სტუმარ-მასპინძელი'' (ვაჟა-ფშაველას ,,სტუმარ-მასპინძელი''). რეჟისორი გ. ქავთარაძე.

კუბლაშვილი, ი. მელვინეთუხუცესი, ო. მჭედლიშვილი, ს. ნათენაძე, ა. შენგელაია, ვ. ხარიუტჩენკო და სხვ. თეატრის მმართველი და სამხატვრო ხელმძღვანელი – ა. ვარსიმაშვილი, მთავარი რეჟისორი – გ. მარგველაშვილი; რეჟისორები – ა. ენუქიძე, ვ. ნიკოლავა. 2005 თეატრმა იზეიმა დაარსებიდან 160 წლისთავი.

თეატრს მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



სცენა სპექტაკლიდან ,,ოსტატი და მარგარიტა'' (მ. ბულგაკოვის ,,ოსტატი და მარგარიტა''). რეჟისორი ა. ვარსიმაშვილი.

გრიგალათი, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხევის თემში (იმერეთის მხარე), მდინარეების ძირულისა და ჩხერიმელის წყალგამყოფი ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. რიკოთულის (ძირულის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 600 *მ*, ხარაგაულიდან 48 *კმ*. 469 მცხ. (2002). გ. პირველად 1628 წერილობით წყაროშია მოხსენიებული. გვიანდ. შუა საუკუნეებში სოფელი ხეფინის ხევში შედიოდა.

გრიგალაშვილი თამაზ სერგოს ძე (11. XI. 1932, თბილისი, – 14. II. 2004, იქვე), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1990). დაამთავრა., თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1956), მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ფიზიკის ინ-ტში (1956–70), დუბნის (რუსეთი) ბირთვული გამოკვლევების გაერთ. ინ-ტში (1970–90). 1990–2004 იყო საქართვ. მეცნ. აკად. ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინ-ტის განყ-ბის გამგე. კვლევის ძირითადი მიმართულებაა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა. მიღებული აქვს ბირთვულ გამოკვლევათა გაერთ. ინ-ტის პრემიები (1977, 1981 და 1985, სხვებთან ერთად), საქართვ. სახელმწ. პრემია (1986, სხვებთან ერთად) ნაშრომთა ციკლისათვის ,,ფარული უცნაურობის მქონე ბარიონული მდგომარეობების დამზერა და გამოკვლევა''.

,,გრიგალი'', სოციალ-დემოკრატიული მიმართულების (მენშევიკური) ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა 1906 თბილისში გაზ. *,,ჩვენი ცხოვრების''* ნაცვლად (რედ.-გამომცემელი – ე. ჩანტლაძე). გაზეთში უმთავრესად იბეჭდებოდა პოლიტ. სტატიები და მიმოხილვები. თანამშრომლობდნენ ლ. ნათაძე, ნ. აზიანი (დონდაროვა), დ. ონიაშვილი, ა. ჩხენკელი, ჭ. ლომთათიძე და სხვ. 16 ნომრის გამოსვლის შემდეგ გაზეთი დაიხურა გენ.-გუბერნატორის განკარგულებით. შემდეგ ,,გ-ის'' ნაცვლად გამოდიოდა გაზ. ,,ტალღა''. *ი. ლორთქიფანიძე.*

გრიგოლ I, ქართლის ეპისკოპოსი დაახლ. V ს. 20–30-იან წლებში. ,,ქართლის ცხოვრების'' მიხედვით ეპისკოპოსად იჯდა მეფე *არჩილ I-ის* დროს. მოხსენიებულია მხითარ აირივანეცის ქართლის ეპისკოპოსთა სიაში.

წყარო: ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; მ ხ ი თ ა რ ა ი რ ი ვ ა ნ ე ც ი, ქრონოგრაფიული ისტორია, ლ. დავლიანიძე-ტატიშვილის გამოც., თბ., 1990. *ზ. აბაშიძე.*

გრიგოლ I, აფხაზეთის (დას. საქართველო) კათოლიკოს-პატრიარქი 1639. ამ პერიოდის საბუთებში გ. I არსად არ იხსენიება. გელათის გულანის მიხედვით, გ. I კათოლიკოსად 1639 წლის რომელიღაც მონაკვეთში უნდა ყოფილიყო.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, თბ., 2000.

გრიგოლ I დიდი (Gregorius Magnus) (დაახლ. 540, რომი, – 12. III. 604, იქვე), რომის პაპი 590-იდან, ანციუსების ძვ. რომაელი პატრიციების გვარიდან. ატარებდა მოქნილ პოლიტიკას. საფუძველი ჩაუყარა პაპების საერო ხელისუფლებას და განამტკიცა პაპობის პრიმატი დასავლეთის ქვეყნებზე. დიდი დამსახურება მიუძღვის ლიტურგიის რეფორმაში. შექმნა გრიგორიანული ქორალი.

გ. I-თვის წერილი მიუწერია ქართლის კათოლიკოს კირიონ I-ს. შემონახულია პაპის საპასუხო წერილი (მ. თამარაშვილის აზრით, იგი 596 უნდა იყოს დაწერილი). როგორც ჩანს, კირიონ I-ს გ. I-თვის ნესტორიანული მწვალებლობის (იხ. *ნესტორიანობა*) გამო მიუმართავს.

გ. I-ის ,,დიალოღონი'' 1011 ქართულად უთარგმნია ექვთიმე მთაწმიდელს. *გ. ყორდანია.*

გრიგოლ II, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. 760–767 წლებში. ,,მოქცევაჲ ქართლისაჲს'' მიხედვით, გ. II იყო პირველი კათოლიკოსი, რ-საც მცხეთის კათედრაზე არჩევის შემდეგ ანტიოქიის საყდრის ,,დამტკიცება'' აღარ დასჭირვებია.

წყარო: შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილისა და ელ. გუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

ზ. აბაშიძე.

გრიგოლ III, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. 802–814 წლებში. იხსენიება ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ-ში''.

წყარო იხ. სტ-თან გ რ ი გ ო ლ II.

ზ. აბაშიძე.

გრიგოლ IX (Gregorius; ერისკაცობაში – გრაფი უ გ ო ლ ი ნ ო დ ი ს ე ნ ი – Ugolino di Segni) (დაახლ. 1145, ანანი, – 22. VIII. 1241, რომი), რომის პაპი 1227-იდან. გერმ. იმპ. ფრიდრიხ II-თან ბრძოლაში აგრძელებდა პაპი ინოკენტი III-ის თეოკრატიულ პოლიტიკას, დევნიდა მწვალებლებს; ინკვიზიცია გადააქცია კათოლ. ეკლესიის მუდმივ ორგანოდ (1232). ცნობილია გ. IX-ის 2 საპასუხო წერილი საქართვ. მეფის რუსუდანისა და მისი ძის დავითისადმი. პირველ წერილში (1233 წ. 11 აპრ.) გ. IX რუსუდანს სთხოვდა თბილისში მყოფი მინორიტების ორდენის მისიონერთა მფარველობას, ხოლო მეორე წერილიდან (1240 წ. 13 იანვ.) ჩანს, რომ რუსუდანსა და დავითს პაპისათვის მონღოლების წინააღმდეგ დახმარება უთხოვნიათ. პაპს საპასუხოდ ვრცელი წერილი მოუწერია: ,,პაპი გრიგოლ IX ბრწყინვალე რუსუდანს და შვილს დავითს, საქართველოს დედოფალს და მეფეს... ხოლო ჩვენი სიამოვნება შეასუსტა და სიხარული გაგვიმწარა იმ ამბავმა, რომელიც გვაუწყეთ თქვენის წერილით, რომ კათოლიკე სარწმუნოების მტერნი თათარნი შემოსულან თქვენს სამეფოში და დიდი ვნება მოუყენებიათ თქვენთვის ... სარკინოზნი, რომლებსაც სირიაში ვეომებით, არ გამოუშვებენ მან-



გრიბოედოვის თეატრი. სცენა სპექტაკლიდან ,,ბარათები მკვდარი სახლიდან''. რეჟისორი გ. ქავთარაძე.

დეთ ჩვენს მხედრობას. ამ თქვენმა ამბავმა ძლივს მოაღწია ჩვენამდე. ქრისტიანე სარწმუნოების დაცვისათვის დაუცხრომელად ვეომებით მტერსა იტალიასა, სირიასა და ესპანეთში, ამიტომ აღარ შეგვიძლია დაგეხმაროთ. რაკი სხვაფრივ ვერ შევიძელით თქვენი შეწევნა, ამიტომ ვინებეთ ამ წერილის გამოგზავნა, რათა ამითი კარგად სცნოთ ჩვენი თქვენდამი სიყვარული, რომელიც ვერ გამოგიხატეთ თქვენ მიერ ნათხოვნის მიცემით''. ამავე წერილიდან ცხადი ხდება, რომ პაპს საქართველოში გამოუგზავნია დომინიკელთა ორდენის მისიონერები.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902. *გ. ჟორდანია.*

გრიგოლაანთკარი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ბაზალეთის პლატოს სამხრ.-დას. ნაწილში, ბაზალეთის ტბის ჩრდ.-დას-ით. ზ. დ. 890 *მ*, დუშეთიდან 6 *კმ*. 200 მცხ. (2002). სოფლის სამხრ-ით, სასაფლაოზე, დგას კვირაცხოვლის ეკლესია (XVII ს.), რ-იც XVIII ს-ში აღუდგენიათ.

გრიგოლ აკნერცი, გ რ ი გ ო ლ ა კ ა ნ ე ლ ი, XIII ს. სომეხი ისტორიკოსი, *კირაკოს განძაკეცისა* და *ვარდან არეველცის* უმცროსი თანამედროვე, მოძღვარ ვანაკანის მოწაფე. ადრე ლიტ-რაში მალაქია აბეღას, ანუ ბერის სახელით იყო ცნობილი. მისი თხზულება ,,მოისართა ტომის ისტორია'' გადმოგვცემს ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში მონღოლთა შემოსევებისა და მათი გაბატონების ისტორიას 1220-იდან 1275-მდე. გ. ა-ის ცნობები საინტერესო დეტალებითა და ეპიზოდებით ავსებს სხვა სომეხი ავტორებისა (ვარდან არეველცი, კირაკოს განძაკეცი, *სტეფანოს ორბელიანი* და სხვ.) და *ჟამთააღმწერლის* მონათხრობს ამ ხანის ამიერკავკ. ისტორიაზე. მონღოლების ბატონობის დროინდელ საქართველოს გ. ა. წარმოგვიდგენს ფეოდ. დაქსაქსულ ქვეყნად, სადაც ურთიერთმტრობა, უზრუნველობა და დროსტარებით გატაცება ქართ. არისტოკრატიის დამახასიათებელი ნიშან-თვისება გამხდარა; აღწერს საგამის ველზე ქართველთა ლაშქრის პირველ საბრძოლო შეხვედრას მონღოლებთან და მის მონაწილეობას მონღოლთა გაუთავებელ სამხ. ექსპედიციებში; დაწვრილებით გადმოგვცემს მონღოლთა წინააღმდეგ დავით ლაშას ძის მეთაურობით 1249 აჯანყების მომზადებას, რ-იც გამცემლობისა და აჯანყების ხელმძღვანელთა დაუდევრობის შედეგად ჩაშლილა. თხზულებაში ცალკე ადგილი აქვს დათმობილი საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანაში გაჩენილ მედროვეთაგან ყველაზე გავლენიანი პირის – სადუნ მანკაბერდელის აღზევების ისტორიას.

თხზ.: მოისართა ტომის ისტორია. სომხ. ტექსტი ქართ. თარგმ. და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1961.

ლიტ.: მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი ლ., საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები. კატალოგი, [ტ.] 1, თბ., 1949; А б е г я н М., История древнеармянской литературы, Ер., 1975.

გ. მაისურაძე.

გრიგოლ აპირატის ძე, ანისის გამგებელი (XII ს.), როგორც ჩანს, მამის – აპირატის – შემდეგ. გ. ა. მონაწილეობდა დემნა-ორბელთა აჯანყებაში (იხ. *ორბელთა აჯანყება 1177–78*). იგი თავდაპირველად აჯანყებულთა მხარეზე იყო, მაგრამ გიორგი III-ის გაძლიერების გამო სხვა აჯანყებულებთან ერთად ისიც მეფეს მიემხრო.

წყარო: ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ,,ცხოვრება ორბელიანთა''-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართ.-სომხ. ტექსტები, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1978.

ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII საუკუნე), თბ., 1973; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2).

მ. ზალდასტანიშვილი.

გრიგოლ ასათის ძე, ჰერეთის ერისთავი XII ს. თამარის მეფობის დროს. ეს სახელო მას მამამ, ასათ *გრიგოლისძემ* გადასცა მას შემდეგ, რაც თვითონ ,,იაჯა არიშიანის ადგილისა დაჯდომა სასთაულითა''. მონაწილეობდა განძის ლაშქრობაში.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

მ. ზალდასტანიშვილი.

გრიგოლაფშვილი ბორის არკადის ძე (26. X. 1933, თბილისი, – 29. X. 1993, ქუთაისი, დაკრძალულია თბილისში), გენერალ-მაიორი (1993), მსახურობდა საბჭოთა არმიაში (პოლკოვნიკი). 1992-იდან მსახურობდა ქართ. არმიაში: ეროვნ. გვარდიის მთ. სამმართველოს შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, ოპერატიული სამმართველოს უფროსი, 1993 ივლ-იდან – აფხ. ტერიტორიაზე მოქმედი I საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი, კორპუსის მეთაურის პირველი მოადგილე. მისი ხელმძღვანელობით წარმატებით ჩატარდა მრავალი ოპერაცია. გმირულად დაიღუპა აფხაზეთის ომში. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვეს ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (1993).

ლ. დოლიძე.

გრიგოლაშვილი ზიგფრიდ შალვას ძე (დ. 15. VI. 1942, მცხეთა), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1992), სსრკ სპორტის ოსტატი (1963). 1965 დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი. 1969-იდან ეწეოდა სამეცნ. და პედ. მოღვაწეობას თსუ-ში: იყო სახ. მეურნეობის დაგეგმვისა და ვაჭრობის ეკონ. კათედრის ასისტენტი, დოცენტი, იმავდროულად – კომერციისა და საქონელმცოდნეობის ფაკ-ტის დეკანის მოადგილე (1979–87), სასაქონლო მიმოქცევის ეკონ. და მარკეტინგის კათედრის პროფესორი (1991–2003). მისი სამეცნ. შრომები ეხება ვაჭრობის ეკონომიკის, ფინანსებისა და მარკეტინგის საკითხებს. საქართვ. სამგზის ჩემპიონი (1959, 1961, 1962) და საკავშ. პრიზიორი (1964) ნიჩბოსნობაში.

გრიგოლ ბაკურიანის ძე (XI ს. 20-იანი წლები – 1086, სოფ. ველიატყო, ბულგარეთი), XI ს. ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. ერისთავთერისთავ *ბაკურიანის* შვილი. ბიზანტიის იმპერიის ორი პროვინციის – აღმოსავლეთისა (სამხრ. კავკასია) და დასავლეთის (ბალკანეთი) დიდი დომესტიკოსი (სარდალი), ჰქონდა სევასტოსის ტიტული. მისი სამშობლო – იმიერ ტაო – დავით III დიდი კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტ. პოლიტ. საზღვრებში მოექცა. 1064 თანამმართველის თანამდებობა ეკავა ბიზანტ. იმპერიის აღმ. ადმ. ერთეულში – თემა იბერიაში (რეზიდენცია ანისში); ალფ-არსლანის საქართველოში ლაშქრობის დროს (1064) ანისის დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. შემდეგ გადაიყვანეს ბალკანეთში, ხოლო 1071 იგი კვლავ თემა იბერიის მმართველი და აღმოსავლეთის დომესტიკოსი გახდა [რეზიდენცია – თეოდოსიოპოლი (კარნუ-ქალაქი)].

თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს ჩასაბმელად ბ. ბ. ძ-მ, ბიზანტ. ხელისუფალთა ნებართვით, 1072–73 საქართვ. მეფეს გიორგი II-ს გადას-



გრიგოლ ბაკურიანის ძე. პეტრიწონის მონასტრის საძვალის მოხატულობა. XI ს.

ცა კარის (ყარსის) ციხე-ქალაქი და მისი მომიჯნავე ქვეყანა. XI ს. 70-იანი წლების ბოლოს ბ. ბ. ძ. კვლავ ბალკანეთში მსახურობდა და მიიღო მთელი რიგი სამფლობელოები. მისი მამულები, რ-ებსაც სრული საგადასახადო იმუნიტეტი ჰქონდა მინიჭებული, გაბნეული იყო იმპერიის სხვადასხვა მხარეში.

ბ. ბ. ძ-ის ხელშეწყობით 1081 ბიზანტ. საიმპერატორო კარზე მოხდა გადატრიალება, რის შედეგადაც ნიკიფორე III ბოტანიატე დამარცხდა და ტახტზე ალექსი I კომნენოსი ავიდა. ამისათვის ბ. ბ. ძ. დასავლეთის დიდი დომესტიკოსის რანგში აიყვანეს (რეზიდენცია ქ. ადრიანოპოლში). იგი იმპერატორთან დაახლოებული პირი იყო, დამოუკიდებელ სამხ. ოპერაციებს ატარებდა ნორმანების, პაჭანიკებისა და ყივჩაღების წინააღმდეგ.

1083 ბ. ბ. ძ-მ პეტრიწონში (ბაჩკოვო, ბულგარეთი) დააარსა ქართველთა მონასტერი (იხ. *პეტრიწონის მონასტერი*), რ-საც დიდძალი უძრავ-მოძრავი ქონება დაუმკვიდრა. მონასტერს შეუდგინა ტიპიკონი (წესდება). ბ. ბ. ძ. თავისი წარმომავლობის, ოჯახისა და ძმის – აბას მაგისტროსის შესახებ მოგვითხრობს ტიპიკონში, რ-იც დაიწერა ბერძნ. და ქართ. ენებზე. ჩვენამდე მოაღწია მისმა გვიანდ. ნუსხებმა (XII–XIII სს.). ქართ. ნუსხის მიხედვით, ტიპიკონი დაიწერა ბერძნ. და ქართ. ენებზე, ბერძნ. ნუსხის მიხედვით კი – ბერძნ., ქართ. და სომხ. ენებზე.

ბ. ბ. ძ. დაიღუპა პაჭანიკებთან ბრძოლაში. დაკრძალულია პეტრიწონის მონასტრის საძვალეში, სადაც შემონახულია ბ. ბ. ძ-ის და მისი ძმის აბას მაგისტროსის ფრესკული გამოსახულება (XI ს.).

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; პეტრიწონის ტიპიკონი, წგ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 5, თბ., 1963; შანიძე ა., ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971; Typicon de Gregoire Pacourianos, pour le monastère de Petrizos (Backovo) en Bulgarie. Text original publié par Louis Petit, СПб., 1904; Γρηγόριος Πακουριανος, μέγα δόμεστικος τῆς Δύσεως, καί ὑπί αὐτῶ της μονῆς, τῆς Θεοτόκου τῆς Πετριζοντίτης, ὑπό Γεωργίου Μουσαίου Στενιμαχίτου, Lipsiai, 1888.

ლიტ.: ბოგვერაძე ა., გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონის გაგებისათვის, კრ.: ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბ., 1991; გოზალიშვილი გ., გრიგოლ ბაკურიანის ძე, «მნათობი», 1970, №2; მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 2, თბ., 1980; შანიძე ა., დამატებითი ცნობა გრიგოლ ბაკურიანის ძის ხელის მოწერის შესახებ, კრ.: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2); Арутюнова В. А., Григорий Пакуриан (Бакуриани) и цели основания Петрицонского монастыря, «Н. Марр и вопросы арменоведения», Ер., 1968; Марр Н. Я., Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI–XII вв., «ЗВОИРАО», т. XIX, 2–3, СПб., 1909; Силогава В. И., Новые материалы по истории грузино-болгарских взаимоотношений, «მაცნე». ისტ. სერია, 1982, №2; Αμαντός Κ., Μικρὰ Θρακικὰ μελετήματα, B¹, λειρόγραφε τῆς μονῆς τοῦ Γρηγορίου Πακουριανοῦ παρὰ τὸν Στενήμαχον, „Θρακικα“, 10, 1938.

ა. ბოგვერაძე. ვ. სილოგავა.

გრიგოლ განმანათლებელი, გრიგოლ პართელი (დაახლ. 239–326), სომხეთის ქრისტიანული ეკლესიის ფუძემდებელი. ითვლება ქრისტიანობის გამავრცელებლად სომხეთში. სომხ. ეკლესიასა და მის მრწამსს, ბ. ბ-ის სახელის მიხედვით, გრიგორიანულსაც უწოდებენ. სომხ. ეკლესიაში დაწესებულია წმინდა გრიგოლ პართელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა მომენტის აღმნიშვნელი მოსახსენებელი დღეები. მასვე მიეწერება ,,ქადაგებანისა“ და ,,ჟამისწირვის“ ავტორობა. ბ. ბ-ის ცხოვრების ძირითადი წყაროა *აგათანგელოსის* ,,სომხეთის ისტორია“, რ-მაც ჩვენამდე სხვადასხვა ენაზე და ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ვერსიებით მოაღწია. ბ. ბ. იყო ძე ანაკ პართელისა, რ-მაც ღალატით მოკლა სომხეთის პირველი ქრისტიანი მეფის თრდატ III-ის მამა ხოსრო. შურისძიების შიშით მცირეწლოვანი გრიგოლი კაპადოკიაში გახიზნეს, სადაც ქრისტ. წესზე აღიზარდა. სომხეთში დაბრუნებულმა გრიგოლმა ქრისტიანობის ქადაგება დაიწყო. მისი ვინაობა მალე გამომჟღავნდა, თრდატ III-ის ბრძანებით ბ. ბ. სასტიკად აწამეს და ხაროში ჩააგდეს. იგი ,,ღვთაებრივი სასწაულით“ გადაურჩა სიკვდილს და ასევე სასწაულის ძალით სამეფო კარს ქრისტიანობა მიაღებინა. მალე ქრისტიანობა სომხეთში სახელმწ. სარწმუნოებად გამოცხადდა (301 ან 315–316) და ბ. ბ. პირველ ეპისკოპოსად აკურთხეს კესარეაში. იქიდან დაბრუნებულმა ბ. ბ-მა დიდ სომხეთში დაამსხვრია წარმართული კერპები, ბრძანა ქრისტ. ეკლესიების აშენება და ეპისკოპოსები დაგზავნა მთელ სომხეთში. სიცოცხლის ბოლო წლებში მან ეპისკოპოსად აკურთხა თავისი ძე არისტაკესი, თვითონ კი განმარტოვდა დარანალის გავარის მანის ქვაბებში და იქვე აღესრულა. რამდენიმე წლის შემდეგ ბ. ბ-ის ცხედარი გადაასვენეს სოფ. თორდანში.

აგათანგელოსის სახელით ცნობილი თხზულების ბერძნ. და არაბ. ვერსიების მიხედვით, ბ. ბ-მა სებასტიელ მღვდელს ირენარქე-იბირზუას მისცა მიტროპოლიტობა და გამოგზავნა იბერიაში ეპისკოპოსების დასადგენად. ქართ. წყაროები ამ ცნობებს არ ადასტურებენ.

მიუხედავად საქართველოსა და სომხეთს შორის მომხდარი საეკლ. განხეთქილებისა, ქართ. მართლმადიდებელი ეკლესია ცნობს ბ. ბ-ის კულტს, ვინაიდან მან იქადაგა ,,მართალი სარწმუნოება“, რ-საც სომხებმა შემდეგ გადაუხვიეს. ძვ. ქართ. მწერლობაში დაცულია წმინდა გრიგოლისადმი მიძღვნილი საგალობლები, ხოლო ქართ. ენაზე შემონახული გვაქვს მის ცხოვრებასთან დაკავშირებული ან მასზე მიწერილი თხზულებები: ,,ცხორება წმინდა გრიგოლ პართელისაჲ“, ,,რიფსიმეანთა წამება“ და ,,სარწმუნოებისათჳს“.

წყარო: ცხორებაჲ წმ. გრიგოლ პართელისა, ტფ., 1920; Agathangelos, History of the Armenians. Translation and commentary by R. W. Thomson, Albany, 1976.

ლიტ.: Марр Н. Я., Крещение армян, грузин, абхазов, аланов св. Григорием, СПб., 1905.

ზ. ალექსიძე. ნ. აფციაური.

გრიგოლ დადიანი (1770–23. XII. 1804), ოდიშის (სამეგრელოს) მთავარი 1788–1804. 1789 *სოლომონ II-ს* დაეხმარა იმერეთის სამეფო ტახტის დაუფლებაში და მიათხოვა თავისი და მარიამი. 1791 ბ. დ-მა ცოლად შეირთო

ქართლ-კახეთის მომავალი მეფის, გიორგი XII-ის ასული ნინო. 1792 **გ. დ**-ს დაუპირისპირდა სოლომონ II-ის ძმა მანუჩარი, რ-მაც მეფის დახმარებით გააძევა იგი ოდიშიდან. **გ. დ.** აფხ. მთავრისა და იმერეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტის დავით გიორგის ძის (დავით II) დახმარებით რამდენჯერმე შეეცადა ოდიშის ტახტის დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ. 1796 **გ. დ.** გადავიდა ქართლ-კახეთის სამეფოში, შემდეგ ერეკლე II-ის დახმარებით შეურიგდა სოლომონ II-ს. ერთხანს **გ. დ.** მასთან იმყოფებოდა, მალე ქუთაისიდან გაიქცა და დაიბრუნა ძალაუფლება. თავის მეტოქეს – მანუჩარს – საუფლისწულოდ მისცა *სალიპარტიანო.* რამდენიმე წლის შემდეგ **გ. დ**-მა ისევ დაკარგა ტახტი, რ-იც საბოლოოდ დაიბრუნა 1802. ამ დროისათვის სოლომონ II-ს გადაწყვეტილი ჰქონდა ოდიშის სამთავროს გაუქმება. შევიწროებულმა **გ. დ**-მა დახმარებისათვის მიმართა აფხ. მთავარს და მძევლად მისცა ტახტის მემკვიდრე ლევანი. დახმარება სთხოვა რუს. მთავრობასაც. 1803 ივლში **გ. დ**-მა რუს. იმპერატორის ერთგულების ფიცი მიიღო. იმავე წლის დეკ-ში მან ხელი მოაწერა მფარველობით ხელშეკრულებას, რ-იც ალექსანდრე I-მა 1804 ივლ. დაამტკიცა. ოდიშის სამთავრო რუს. იმპერიის შემადგენლობაში შევიდა შეზღუდული ავტონომიის უფლებით.

წყარო: დ ა დ ი ა ნ ი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962; დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია. – ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოც., თბ., 1941.

ლიტ.: დ უ მ ბ ა ძ ე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957. *თ. ბერაძე.*

გრიგოლ დიაკონი, სავარაუდოდ IV ს. ქართველი საეკლესიო მწერალი. ,,მოქცევაჲ ქართლისაჲს'' მატიანის I ნაწილის — ,,ქრონიკის'' ავტორის ცნობით, **გ. დ**-ს დაუწერია ,,მოკლედ აღწერილი'' ,,წიგნი ქართლის მოქცევისაჲ'', რ-შიც მცხეთაში ჯვრის აღმართვის ამბავი იყო გადმოცემული. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით (ს. ყუბანეიშვილი – 1927, შემდეგ გაიზიარა კ. კეკელიძემ, რ. სირაძემ, ვ. გოილაძემ), **გ. დ**-ის დასახელებული თხზულება შემონახული უნდა იყოს ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ''-ს მეორე ნაწილის — ,,ნინოს ცხოვრების'' შატბერდული რედაქციის მე-14 თავსა (,,აღმართებაჲ პატიოსნისა ჯუარისა მცხეთისაჲ და მერმე კუალად გამოჩინებაჲ'') და კლარჯულ მრავალთავში (ჭელიშური რედაქცია მეცამეტე თავით სრულდება). ამ ბოლო ხანებში გამოთქმულია მოსაზრება, რომ რადგან ,,ქრონიკის'' ძირითადი ნაწილი ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის – მირიანის თანადროულად, ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში შექმნილ ნაწარმოებად მიაჩნიათ, სავარაუდოდ, ,,ქრონიკაში'' დამოწმებული **გ. დ**-ის თხზულება ,,ქრონიკაზე'' ადრე უნდა დაწერილიყო.

წყარო: კლარჯული მრავალთავი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ. მგალობლიშვილმა, თბ., 1991.

ლიტ.: გ ო ი ლ ა ძ ე ვ., პირველი ქართული საეკლესიო თხზულება, «მნათობი», 2003, №5–6; ქართლის მოქცევა. ახალ ქართულზე გადმოღებული ტექსტი და ძველი ვერსიების რედაქცია ე. გიუნაშვილისა. მოკვლევა, მიმოხილვა და კომენტარები ვ. გოილაძისა, თბ., 2009; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ს ი რ ა ძ ე რ., ,,ნინოს ცხოვრება'' და დასაწყისი ქართული მწერლობისა, «განთიადი», 1989, №3; მ ი ს ი ვ ე, უძველესი ქართული ნაწარმოები, წგ.: ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ., 1992; ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს., გრიგოლ დიაკონი და მისი თხზულება, «ლიტერატურული ძიებანი», II, თბ., 1945.

ვ. გოილაძე.

გრიგოლ დოდორძელი (ვ ა ხ ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი), XVII–XVIII სს. საეკლესიო მოღვაწე და მწერალი. *დავითგარეჯის* ლიტ. სკოლის აქტ. წევრი. მოღვაწეობდა დოდორძის მონასტერში. დაწერა ჰაგიოგრაფიული თხზულება ,,თთუესა სეკდემბერსა იგ წამებაჲ ყოვლადდიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისაჲ, რომელი იწამა სპარსთა მეფისა შაჰაბაზ უსჯულოჲსა მიერ ქალაქსა შირაზისასაჲ'', რ-იც შემოგვინახა 1703–13 ხელნაწერმა (A-130). **გ. დ**-ს ეკუთვნის რამდენიმე საგალობელიც. ზოგ მათგანში შექებულია *ქეთევან დედოფალი.*

თხზ.: [წიგნში] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 5, თბ., 1981.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; რ უ ხ ა ძ ე ტ., ახლად აღმოჩენილი ,,ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა'', «ლიტერატურული ძიებანი», V, თბ., 1949 (ახლავს ტექსტი); ქ ა ვ თ ა რ ი ა მ., დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ., 1965; ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII–XVIII სს., თბ., 1977. *ი. ლოლაშვილი.*

გრიგოლეთი, სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის თემში (გურიის მხარე), გურიის დაბლობზე, შავი ზღვის ნაპირას, ზღვისპირა გზატკეცილზე. ზ. დ. 3 *მ,* ლანჩხუთიდან 25 *კმ,* სუფსიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ.* 235 მცხ. (2002).

გ. ადგილ. მნიშვნელობის ზღვისპირა კლიმ. კურორტია. ჰავა სუბტროპიკულია. იცის რბილი და უთოვლო ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა 5,2°ჩ) და ცხელი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 23,2°ჩ). ნალექები 1770 *მმ* წელიწადში. ზამთარში ქრის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქარები. პლაჟს მთელ სიგრძეზე გასდევს წიწვოვანი ხეების ჭალა. ძირითადი სამკურნ. ფაქტორია ჰავა და წვრილმარცვლოვანი ქვიშის ფართო პლაჟი, რ-იც დიდი რაოდენობით შეიცავს მაგნიტური რკინის ნაწილაკებს (მინერალი მაგნეტიტი). მაგნიტურ ქვიშას იყენებენ სახსრებისა და პერიფერიული ნერვული სისტემის ზოგიერთი დაავადების დროს. კურორტზე მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი სასტუმროები და პანსიონატები.

გ. უშვერიძე.

გრიგოლი, კახეთის მთავარი (787–827), VIII ს. 80-იან წლებში გააერთიანა კახეთი, კუხეთი და გარდაბანი და იწოდა კახთა მთავრად, ანუ ქორეპისკოპოსად. **გ**-ის მთავრობის პირველივე წლებში კახეთის სამთავროს ჩამოსცილდა ჰერეთი, რ-იც XI ს. დასაწყისამდე დამოუკიდებელ პოლიტ. ერთეულად დარჩა. სამაგიეროდ კახეთის სამთავროს საზღვრები გაფართოვდა დასავლეთის მიმართულებით. კახეთის ქორეპისკოპოსის სამფლობელოს ასეთი გაფართოება ეწინააღმდეგებოდა *აშოტ I დიდი* კურაპალატისა და აფხაზთა მეფის *თეოდოს II-ის* ინტერესებს. მათ შეერთებული ძალებით გაილაშქრეს კახეთის მთავრის წინააღმდეგ. **გ**-ს ამ ბრძოლაში ეხმარებოდნენ მთიულები, წანარები და თბილისის ამირა ალი შუაბის ძე. ბრძოლა მდ. ქსანზე მოხდა დაახლ. 791–818 შორის. **გ.** დამარცხდა და მის მიერ დაპყრობილი შიდა ქართლის გარკვეული ნაწილი ისევ აშოტ კურაპალატმა დაისაკუთრა. მიუხედავად ამისა, **გ**-ის დროს კახეთის სამთავროს ტერიტ. მაინც ქსნის ხეობამდე ვრცელდებოდა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მატიანე ქართლისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ლორთქიფანიძე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 31; პაპუაშვილი ლ., რანთა და კახთა სამეფო (VIII–XI სს.), თბ., 1982; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965. *თ. პაპუაშვილი.*

გრიგოლი, *ოშკის* ტაძრის მშენებელი, მოღვაწეობდა X საუკუნეში. მოხსენიებულია ოშკის ტაძრის დიდ სამშენებლო წარწერაში: ,,მე გრიგოლ ღირსმყო ღმერთმან მსახურებისა ამას მათსა ღმრთისა მიმართ, და მე ვიყავ საქმესა ზედამდგომი''. ამავე წარწერაში მოხსენიებულ ისტ. პირთა მიხედვით (*ადარნასე III* კურაპალატის ძენი – *ბაგრატ ერისთავთერისთავი* და *დავით III* დიდი კურაპალატი) წარწერა X ს. 60-იანი წლებით თარიღდება. მუხლმოდრეკილი, ხელებაპყრობილი გ. გამოსახულია ტაძრის სამხრ. გალერეაში რელიეფებიან ბოძზე, ვედრების კომპოზიციის ქვეშ. ე. თაყაიშვილს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ გ. შესაძლოა გრიგოლ ღვთისმეტყველის ზოგიერთი ნა-



გრიგოლი. ოშკის ტაძრის მშენებელი. გამოსახულება რელიეფებიან ბოძზე.

წარმოების მთარგმნელი *გრიგოლ ოშკელი* იყოს. ოშკის ტაძარი შუა საუკ. საქართვ. ერთ-ერთი უდიდესი საკულტო ნაგებობაა და მხატვრული და ისტ. თვალსაზრისით ღირსეული ადგილი უკავია ქართ. ხელოვნ. ისტორიაში.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; ჯობაძე ვ., ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბ., 2007.

ვ. ბერიძე.

გრიგოლი, მანგლელ-თბილელი ეპისკოპოსი. 1437–39 მონაწილეობდა *ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების* მუშაობაში, სადაც *იოანე* ეპისკოპოსთან ერთად საქართვ. დელეგაციას ხელმძღვანელობდა. კრების მოწვევის მთავარი მიზეზი იყო ოსმ. წინააღმდეგ გაერთიანების საკითხი. დას. ევრ. ქვეყნების უმაღლესმა ხელისუფლებმა მასში მონაწილეობა არ მიიღეს. კრებაზე აშკარა გახდა, რომ საქართველოს პაპისაგან რეალური დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა. გ-მა ეკლესიების გაერთიანების აქტს ხელი არ მოაწერა.

ლიტ.: ჟუჟუნაძე ო., XV ს. პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, კრ.: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბ., 1970.

დ. ნინიძე.

გრიგოლი (ერისკაცობაში – გრიგოლ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე), აფხაზეთის (დას. საქართველო) კათოლიკოს-პატრიარქი 1696–1742. აღადგინა საკათოლიკოსოს დაცემული მეურნეობა, დაიბრუნა ოდიშის, გურიის სამთავროებსა და რაჭის საერისთავოში ფეოდალებისაგან მიტაცებული ზოგიერთი საეკლ. მამული, საკათოლიკოსოს შემოსავლის გაზრდის მიზნით ადრე გაუქმებული ფულადი ბეგრის ნაცვლად სანთლის ბეგარა შემოიღო, ამითვე შეცვალა ნატურალური საკომლო ბეგრის ნაწილიც. გ. მონაწილეობდა იმერეთის სამეფოს პოლიტ. ცხოვრებაში, ეკავა ლეგიტიმისტური პოზიცია. მან პირობა დაადებინა იმერეთისა და ოდიშის თავადებს, რომ თავს არ დაზოგავდნენ თურქთაგან ქუთაისის ციხისა და იმერეთის გასათავისუფლებლად; გ. ენერგიულად იბრძოდა *ტყვის სყიდვისა* და მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ, დადიანს მღვდელმსახურების შეწყვეტით დაემუქრა, თუ იგი თავის სამფლობელოში ტყვის სყიდვას არ აკრძალავდა. გ. ცდილობდა აღედგინა, ქრისტიანობა კავკასიის მთიანეთის მოსახლეობაში.

ლიტ.: ლომინაძე ბ., მასალები დასავლეთ საქართველოს XVII–XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 31; მისივე, ფეოდალური მეურნეობის ორგანიზაციის ისტორიიდან გვიანფეოდალურ საქართველოში, იქვე, 1954, ნაკვ. 30. *ბ. ლომინაძე.*

გრიგოლი (დადიანი) (დაახლ. 1760–1822), ცაიშის ეპისკოპოსი (ცაიშელი), მოგვიანებით მიტროპოლიტი; განმანათლებელი, მისიონერი, ქველმოქმედი. ოდიშის მთავრის კაცია ოტიას ძე დადიანის ხელშეწყობით აღადგინა და მოაშენა *ცაიშის* მონასტერი, შეაკეთა მთავარი ტაძარი და შესძინა სამღვდელმსახურო ინვენტარი, წიგნები. ააშენა ქვის სამრეკლო, აგრეთვე სახლები მღვდლებისა და სხვა სას. პირებისათვის, მონასტერს შემოავლო გალავანი. გ. დიდ ყურადღებას უთმობდა ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების შეკრებას, წიგნსაცავის შექმნას. სხვადასხვა დროს მონასტერს აუშენა 4 ტაძარი: სოფ. ლარჩავას – მთავარანგელოზის, სოფ. კოცოხს – თევდორე ტირონის, ხეთას – წმ. კვირიკესი, ხეთაში, თავისივე მამულში, ააგო სასახლე და მოაწყო კარის ეკლესია. იქვე დააარსა სასწავლებელი, ააგო საცხოვრ. და სამეურნ. დანიშნულების შენობები. თავისი სახსრებით დაიხსნა დას. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მაჰმადიანთა მიერ გატაცებული ტყვეები. დიდი სამისიონერო საქმიანობა გასწია აფხაზთა დასაბრუნებლად ქრისტ. სარწმუნოებაზე. 1822 წ. 19 ივნ. შედგენილ მის ვრცელ ანდერძში საინტერესო ცნობებია იმდროინდელ დას. საქართველოს სოც., პოლიტ. და კულტ. მდგომარეობაზე. *ფრ. სიხარულიძე.*

გრიგოლი (ერისკაცობაში – გიორგი ელიზბარის ძე დადიანი) (1824, სოფ. ქვიშხორი, ქუთაისის გუბ., – 12. X. 1907, მარტვილი), სასულიერო მოღვაწე. პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, სწავლა გააგრძელა ნახარებაოს ღვთისმშობლის მონასტერში, სადაც ზედმიწევნით შეისწავლა საღმრთო წერილი, გალობა, ტიპიკონი. შემდეგ სწავლობდა სამეგრელოს სამაზრო სას. სასწავლებელში, რ-ის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სას. სემინარიაში. 1845 წ. 1 იანვარს იგი მორჩილად გაამწესეს, 1849 აპრილში კი ბერად აღიკვეცა. 1850 იანვარში თავისივე თხოვნით თბილისის *ფერისცვალების მონასტერში* გადაიყვანეს, 1852 კი ეგზარქოსმა ისიდორემ მღვდელმონაზვნად აკურთხა.

1857 ნოემბერში იგი სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდელმონაზვნად გაამწესეს, 1858–62 – ბიჭვინთის, შემდეგ აბჟუას ოლქის

მთავარხუცესი იყო; 1862 კი სოხუმის საკათედრო ტაძრის იღუმენად დანიშნეს. 1875 გ. საქართვ.-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად აირჩიეს, 1879 წ. 28 ივლისიდან დავით-გარეჯის მონასტრის წინამძღვარი გახდა. 1886, რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით, ეპისკოპოსის ხარისხი მიანიჭეს და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად აკურთხეს, იგი გამუდმებით ზრუნავდა თავის ეპარქიაში სას. განათლების სრულყოფაზე, ამ მიზნით სოფ. ბანძაში გახსნა 2-წლიანი სამრევლო სკოლა. გ. წინ აღუდგა რუსეთის რეაქციულ პოლიტიკას, რ-იც მიზნად ისახავდა საქართველოსგან სამეგრელოს ჩამოშორებას. კავკ. სასწ. ოლქის ზედამხედველის იანოვსკის მითითებით მეგრულად ითარგმნა ლოცვები, ასევე განზრახული იყო სკოლებში მეგრულად სწავლების შემოღება. გ-მა რამდენიმე სხდომა ჩაატარა ამ განზრახვის წინააღმდეგ, იქაურ სამღვდელოებას და საზ-ბას განუმარტავდა ამ პოლიტიკის მზაკვრობას. მეუფე გ-ისა და იქაური მრევლის წინააღმდეგობის გამო ხელისუფლებამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, მაგრამ გ. არასაიმედო პიროვნებად მიიჩნია, ეპარქია ჩამოართვა და საცხოვრებლად თავდაპირველად გელათის, შემდეგ კი მარტვილის მონასტერი მიუჩინა. დაკრძალულია ჭყონდიდის დღევანდელ საკათედრო ტაძარში.

ე. ბუბულაშვილი.

გრიგოლი (ერისკაცობაში – გრიგოლ რომანოზის ძე ფ ე რ ა ძ ე) (31. VIII. 1899, სოფ. ბაკურციხე, ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 6. XII. 1942, ოსვენციმი, პოლონეთი), წმინდა მღვდელმოწამე, არქიმანდრიტი, ისტორიკოსი, თეოლოგი. დაიბადა სოფლის მღვდლის ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა და აღსაზრდელად წაიყვანა ბიძამ, ყვარლის ეკლესიის მოძღვარმა გიორგი ფერაძემ. თბილ. სას. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თბილ. სას. სემინარიაში შევიდა. 1918 თბილ. უნ-ტის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტის სტუდენტი გახდა. 1918 სავალდებულო სამხ. სამსახურში გაიწვიეს. 1921 გ. კვლავ დაუბრუნდა უნ-ტს, მაგრამ მალე, თავის ორ ძმასთან ერთად, ბოლშევიკური აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის ჩადგა, დამარცხების შემდეგ სოფ. მანავში მასწავლებლობდა.

1921 შემოდგომაზე გარეკახეთის სამღვდელოებამ გ. გელათის III საეკლ. კრებაზე მიავლინა. აქ პროფ. კ. *კეკელიძემ* და მიტროპოლიტმა *ნაზარმა* გ-ის ევროპაში სასწავლებლად გაგზავნის საკითხი წამოჭრეს, რასაც მაშინვე გამოეხმაურნენ საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქი *ამბროსი* და ცნობილი გერმ. მოღვაწე ა. *ლაისტი*, რ-მაც სარეკომენდაციო წერილით მიმართა ცნობილ გერმ. თეოლოგს ი. ლეფსიუსს. მისი დახმარებით გ. 1922 იანვარში ბერლინის უნ-ტის სტუდენტი გახდა. 1925, კვლავ ლეფსიუსის დახმარებით, გ. ბონის უნ-ტში ჩაირიცხა, სადაც 1927 მიენიჭა ფილოს. დოქტორის ხარისხი დისერტაციისათვის: ,,ქართული ბერ-მონაზვნობის ისტორია მისი დასაწყისიდან 1064 წლამდე''. ამ დროისათვის იგი შესანიშნავად ფლობდა ძვ. ებრაულ, სირიულ, არაბულ, კოპტურ, ძვ. ბერძნულ, ლათინურ, ძვ. სომხურ, სლავურ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებს.

მიუხედავად იმისა, რომ გ-ის ავტორიტეტი დასავლეთში დღითი დღე იზრდებოდა, მას მაინც გული სამშობლოსაკენ მოუწევდა. სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ გ-მა საქართველოში დაბრუნების თხოვნით მიმართა საბჭ.



გრიგოლი (გ. ფერაძე).

საელჩოს, მაგრამ უარი მიიღო.

1927 გ-ს დაენიშნა ერთწლიანი სტიპენდია ინგლისში, სადაც ბრიტანეთის მუზეუმსა და ოქსფორდის უნ-ტის ბ-კაში დაცული ქართ. ხელნაწერების შესწავლას შეუდგა, მაგრამ მალე ბონში დაბრუნება მოუხდა, სადაც პრივატ-დოცენტის წოდებით კითხულობდა ძვ. ქართულ და ძვ. სომხურ ლიტ-რათა კურსებს. 1929 მან პარიზში წმ. ნინოს ეკლესია დააარსა, 1931 მღვდლად ეკურთხა. იმავე წელს პარიზში დაიწყო სამეცნ. ჟურნალის (,,ჯვარი ვაზისა'') გამოცემა, რ-შიც სისტემატურად ბეჭდავდა საკუთარ სტატიებსაც. 1932 მან საბოლოოდ დატოვა ბონის უნ-ტი და 1933 ვარშავის უნ-ტის მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკ-ტზე პატროლოგიის პროფესორად და კათედრის ხელმძღვანელად დაიწყო მუშაობა.

1934 ლონდონის წმ. სოფიის საკათედრო ტაძარში გ. არქიმანდრიტად აკურთხეს. ამ დროიდანვე დაიწყო მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტული ქართ. ხელნაწერების მოსაძიებლად. 1935 იგი ათონის მთაზე გაემგზავრა, გზად რუმინეთსა და ბულგარეთში არაერთი ქართ. ხელნაწერი გამოავლინა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფიის საჯარო ბ-კაში მიკვლეული *გრიგოლ ბაკურიანის ძის* მიერ შედგენილი *პეტრიწონის მონასტრის* ტიპიკონის ქართ. ვარიანტი. ათონზე მან შეიძინა 15 ქართ. ხელნაწერი. 1936 გ-მა იმოგზაურა იერუსალიმსა და სირიაში, რათა იქ გასცნობოდა ქართ. სიძველეებს. მოგზაურობის შედეგები მან გამოაქვეყნა პოლ. ჟურნალში ,,სლოვო''. სხვადასხვა საცავებში გ-მა გამოავლინა ასობით ქართ. ხელნაწერი, ისტ., პალეოგრ. და არქეოლ. მასალა. იგი ეხმარებოდა ე. *თაყაიშვილს* საფრანგეთში გატანილი ქართ. განძეულის დაცვაში.

მამა გ-მა დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა უცხოეთის სამეცნ. წრეებში, მაგრამ სსრ კავშირში არა თუ მისი ნაშრომების დაბეჭდვა, ხსენება და თუნდაც სქოლიოში მითითებაც კი აკრძალული იყო.

1939, გერმანიის მიერ პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ, გ-მა გადაწყვიტა არ დაეტოვებინა პოლონეთი. იგი ეხმარებოდა დაჭრილებს, ცდილობდა შეძლებისდაგვარად ეხსნა პოლონელები და ებრაელები. 1942 მაისში გ. ვარშავაში გესტაპომ დააპატიმრა. მისი ბინა გაჩხრიკეს. დაიკარგა ხელნაწერები, რ-ებზედაც იგი მუშაობდა და ისტ. ღირებულების ის საეკლესიო ნივთები, რ-ებსაც მოგზაურობისას იძენდა საქართველოში დასაბრუნებლად. გ. თავდაპირ-

ველად პავიაკის ციხეში ჩასვეს, შემდეგ – მაუთჰაუზენის, ბოლოს კი ოსვენციმის ბანაკში გადაიყვანეს, სადაც იგი მალე დაიღუპა. არსებობს მისი დაღუპვის ორი ვერსია: ერთის მიხედვით, გერმანელი ოფიცრის მკვლელობის გამო ბანაკის ადმინისტრაციამ გაშიშვლებული ტუსაღები, ყინვაში დააყენა, ვიდრე მკვლელს არ დაასახელებდნენ. მაშინ გ. გამოეყო მწკრივს. იგი ჯერ ძაღლებს დააგლეჯინეს, შემდეგ კი დაწვეს; მეორე ვერსიით, მამა გ. თავისი ნებით შესულა გაზის კამერაში მრავალშვილიანი პატიმრის ნაცვლად.

მამა გ. დღესაც ძალზე პოპულარულია უცხოეთის თეოლ. წრეებში. პოლონეთში იგი წმინდანად შერაცხეს. გ-ის ხსოვნის პატივსაცემად მისი სახელი ამოტვიფრულია უნ-ტისა და წმ. იოანე კლემაქსის მართლმადიდებელი ეკლესიის ომში დაღუპული მოღვაწეების მემორიალურ დაფებზე. პარიზში კვლავ მოქმედებს მამა გ-ის დაარსებული მართლმადიდებელი ეკლესია.

ქართვ. ხალხმა ღირსეულად დააფასა მამა გ-ის ღვაწლი: 1995 საქართვ. მართლმადიდებელმა ეკლესიამ მამა გ. წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღეა 23. XI (6. XII).

თხზ.: ქართული ელემენტის გავლენა ბალკანეთის ხალხების კულტურაზე, «საუნჯე», 1983, №4; უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერების და ქართული მონასტრების შესახებ, გ. ჯაფარიძის გამოც., თბ., 1995; ბედისწერა, თარგმ. ე. კვირიკაშვილისა, «არტანუჯი», 2003, № 11; საქართველოს ეკლესიის უძველესი ისტორიის პრობლემები, თარგმ. თ. ჭუმბურიძისა, იქვე; პატროლოგიის გაგება, ამოცანები და მეთოდები მართლმადიდებლურ თეოლოგიაში, თარგმ. ე. კვირიკაშვილისა, იქვე.

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., გრიგოლ ფერაძე, «სამშობლო», პარიზი, 1924, ოქტ., №6; ნ ო ზ ა ძ ე ვ., გრიგოლ ფერაძე, «მამული», ბუენოს-აირესი, 1952, № 5; პ ა პ რ ო ც კ ი ჰ., არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე, «ლიტერატურული საქართველო», 1987, 22 მაისი; ს ა ი თ ი ძ ე გ., წმ. მღვდელმოწამე, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე, «არტანუჯი», 2003, № 11; შ ა რ ა ძ ე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. 2, თბ., 1992.

მ. ცირეკიძე.

გრიგოლია ალექსანდრე ლუკას ძე [21. XI (3. XII). 1879, სოფ. საჭილაო, ახლანდ. სოფ. მარანი, აბაშის მუნიციპალიტეტი, – 25. XII. 1976, სოხუმი], თერაპევტ-კურორტოლოგი, საკურორტო საქმის ორგანიზატორი აფხაზეთში. პროფესორი (1946), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1957), აფხ. დამს. ექიმი (1950). 1910 დაამთავრა ტომსკის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. გ-ს თაოსნობით 1914 სოხუმში გაიხსნა ინფექციური საავადმყოფო და ქალაქის II საავადმყოფო, აფხაზეთში ჩატარდა მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებები (1924–26), შეიქმნა სამკურნ.-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ფართო ქსელი. გ. აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის მუშაობაში. 1925-იდან მისი ხელმძღვანელობით დაიწყო აფხ. კლიმ. და ბალნეოლ. რესურსების გამოვლენა და შესწავლა. 1938 სოხუმში გ-ს თაოსნობით გაიხსნა კურორტოლოგიის ინ-ტი, რ-საც 1947–70 თვითონვე ხელმძღვანელობდა. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Гульрипш, Л., 1934; Курортные богатства Абхазии, Л., 1934; Гагрская группа курортов, М., 1956.

ლიტ.: К и п и а н и Т. И., Жизнь и деятельность Александра Лукича Григолия, Тб., 1965.

გრიგოლია გურამ კონსტანტინეს ძე (დ. 13. III. 1932, თბილისი), ისტორიკოსი, არქეოლოგი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (1994). 1955 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1956–77 მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ინ-ტში, 1977–82 – საქართვ. მეცნ. აკად. არქეოლოგიური კვლევის ცენტრში. 1984-იდან არის თსუ-ის ლექტორი, 1992–2006 – ამავე უნ-ტის არქეოლოგიის კათედრის პროფესორი, ხოლო 2007-იდან – თსუ-ის ჰუმანიტარული მეცნიერების ფაკ-ტის არქეოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი.

სადაზვერვო მუშაობის შედეგად გამოავლინა მრავალი სხვადასხვა ხასიათისა და პერიოდის არქეოლ. ძეგლი. მისი მონაწილეობით გაითხარა ბრილის სამაროვანი (1952–53); ხოვლეგორა (1955–57); წოფის (1957–58), წონისა და ჯრუჭულის (1958–63), ქვაჭარისა და სვანთა სავანის (1958–65) მღვიმეები; ენგურის ხეობის ძეგლები (1963–71); ხორშის ნეოლითური ნამოსახლარი (1966–81) და სხვ. გ-ს გამოკვლევები ძირითადად ეძღვნება პირველყოფილი საზ-ბის ისტორიისა და ანტ. ხანის საისტ. გეოგრაფიის პრობლემებს.

თხზ.: ქვემო ქართლის პალეოლითი, თბ., 1963; ცენტრალური (პალური) კოლხეთის ნეოლითი, თბ., 1977; საქართველოს არქეოლოგიისა და საისტორიო გეოგრაფიის აქტუალური პრობლემები, თბ., 1992; ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1994.

ბ. ჯორბენაძე.

გრიგოლია გურამ ლუარსაბის ძე (დ. 14. X. 1938, თბილისი), ჰიდროენერგეტიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1996). 1961 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის სამშენებლო ფაკ-ტი ჰიდროტექნიკური მშენებლობის სპეციალობით. მუშაობდა ,,თბილჰიდროპროექტში'', 1965–72 – ენერგეტიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, ხოლო 1972–93 – თსუ-ის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტის ჰიდროლოგიისა და ნიადაგმცოდნეობის კათედრაზე; 1997–2006 იყო ამავე კათედრის გამგე. შეთავსებით მუშაობდა ჰიდრომეტეოროლოგიის ინ-ტში კატასტროფულ მოვლენათა სექტორის გამგედ. გ-ის სამეცნ. კვლევის სფეროა მდინარის ჩამონადენის პროცესის მათ. აღწერა და მოდელირება. პირველად *ჰიდროლოგიაში* ჩამონადენის პროცესის აღწერისათვის გამოიყენა ჯონსონის განაწილება. ეს მეთოდოლოგია შესულია ჰიდროლ. მახასიათებლების გაანგარიშების საერთაშ. მითითებებში. გ. სწავლობს გლობალური დათბობის ზეგავლენას კლიმატზე. იყო საქართვ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ექსპერტი. 2009-იდან ჰიდრომეტეოროლოგიურ ინ-ტში წამყვანი მეცნ. თანამშრომელია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).



ვ. გრიგოლია.

თხზ.: Гидрология реки Бзыбь, Тб., 1981.

გრიგოლია ვლადიმერ (ლადო) დავითის ძე [15 (28). VIII. 1903, სოფ. სეფიეთი, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 11. I. 1977, თბილისი], გრაფიკოსი და მოქანდაკე. საქართვ. სახ. მხატვარი (1969). შოთა რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი (1973). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1930), იყო ი. შარლემანისა და ი. ნიკოლაძის მოწაფე. 1933-იდან იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1947-იდან – პროფესორი). იყო *,,ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისა''* (1928–29) და მხატვართა გაერთიანება ,,სარმას'' წევრი (1930–32). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1928-იდან, 1920–30 წლებში გ. ძირითადად მუშაობდა როგორც მოქანდაკე. შექმნა კამერული ქანდაკებები: ,,სამშობლო'' (1928, გამომწვარი თიხა აღმდგენი ჭიქურით), ,,ქალიშვილის თავი'' (1928, ტონირებული თიხა), ,,ქართველი ქალი'' (1928, კერამიკა, ჭიქური), შოთა რუსთაველის ძეგლის პროექტი




კ. გრიგოლია. ,,ჭაბუკი‘‘. თაბაშირი. 1957.

(1936, სანთელი, შ. *მიქატაძესთან* ერთად).

1932-იდან მუშაობდა გრაფიკაში. გ-ს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართ. წიგნის სამკაულისა და შრიფტის შექმნაში. ძვ. ქართ. ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნის დეკორის საფუძველზე შექმნა წიგნის მორთულობის ახ. კომპოზიციები (თავსართები, ბოლოსართები, თავსამკაული ასოები და სხვ.). დაამუშავა ქართ. შრიფტის ახ. ვარიანტები. გ-ს ფუნდამენტური ნაშრომები: ,,ქართული აკადემიური შრიფტი და მისი 396 ვარიაციის სისტემა‘‘ და ,,მხატვრული შრიფტი და მისი შექმნის ხერხები‘‘ შეადგენს ქართ. თანამედროვე შრიფტის გრაფ. სახეების შექმნისა და კანონიზაციის თეორ. საფუძველს. ეს ნაშრომები საფუძვლად დაედო თბილ. სამხატვრო აკადემიაში შრიფტის სწავლების დისციპლინას. 1989 გამოვიდა გ-ს წიგნი ,,დაზგური და წიგნის გრაფიკა‘‘. გააფორმა 100-ზე მეტი წიგნი, მ. შ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (1974–87). მისი ნამუშევრები გამოირჩევა კომპოზ. სიმკაცრით, ასოების მოხაზულობის ჰარმონიულობითა და სილამაზით, შინაარსის მხატვრული შესაბამისობით. ხელმძღვანელობდა მხატვართა ჯგუფს, რ-მაც შეასრულა მოსკოვში ქართ. ხელოვნ. დეკადისთვის პლაკატები და აფიშები (1958), რ-საც ეტაპური მნიშვნელობა აქვთ ამ დარგის განვითარებისათვის. გააფორმა ,,ვეფხისტყაოსნის‘‘ (1937), ა. წერეთლის (1940), ნ. ბარათაშვილის (1945) საიუბილეო გამოცემები, ვაჟა-ფშაველას თხზულებები (1957), კ. გამსახურდიას ,,დიდოსტატის მარჯვენა‘‘ (1953), გ. ტაბიძის ლექსების კრებული (1959), ქართ. პოეზიის ანთოლოგია ინგლ. ენაზე (1958) და სხვ. შექმნილი აქვს ისტ. პირთა, მწერალთა და საზ. მოღვაწეთა (გიორგი სააკაძე, 1938; გ. ორბელიანი, 1943, ორივე საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი) პორტრეტები; საგამომცემლო გერბები, მარკები, საიუბილეო პლაკატები, აფიშები. იყო ექსლიბრისის საერთაშ. გამოფენის ლაურეატი (1934, ლოს-ანჯელესი, აშშ). მის საცხოვრებელ სახლში (კ. ქუთათელაძის ქუჩა, 4) არის მხატვრის სახელოსნო, სადაც ინახება ხელოვნის არქივი და საინტერესო შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რ-საც თავი მოუყარა მხატვრის მეუღლემ ი. *დივნოგორცევა-გრიგოლიამ.*

მ. კარბელაშვილი.



ვ. გრიგოლია. ბიბლიოგრაფიული კრებულის ფორზაცი ,,ქართული წიგნი‘‘. 1941.

გრიგოლია კარლო ბესარიონის ძე (დ. 14. V. 1927, სენაკი), მოქანდაკე. საქართვ. ავანგარდისტ მხატვართა ასოციაციის პრეზიდენტი (1996), ვაშინგტონის თანამედროვე ქანდაკების საერთაშ. ცენტრის წევრი (1992). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1956; პედაგოგები – ნ. *კანდელაკი*, შ. *მიქატაძე*). იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1991–92). გ-ის ნამუშევრებში მკაფიოდაა გამოვლენილი მისთვის დამახასიათებელი ინდივიდ. სახეობრივი აზროვნება, მისწრაფება პლასტ. ფორმის განზოგადებისაკენ. ნამუშევრები: ,,მოხუცის პორტრეტი‘‘ (1961), ,,ქალის პორტრეტი‘‘ (1962), ,,ბიჭი‘‘ (1964), ,,დიმიტრი ერისთავის პორტრეტი‘‘ (1969), ,,პლასტიკური ფორმა‘‘ (მარმარილო; ბიჭვინთა, 1970), ,,პლასტიკური ფორმა‘‘ (სპილენძი; თბილისი, 1985) და სხვ. მისი ნამუშევრები ინახება საქართვ. კულტურის სამინისტროსა და საქართვ. მხატვართა კავშირის ფონდებში.

გრიგოლია კონსტანტინე გრიგოლის ძე [27. IX (10. X). 1904, სოფ. ჭითაწყარი, ახლანდ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, – 13. V. 1982, თბილისი], ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1956), პროფესორი (1961), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). 1930 დაამთავრა თსუ-ის პედაგოგიური ფაკ-ტის ისტორიული განყ-ბა. 1936–53 მუშაობდა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერთა განყ-ბაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ – გამგედ. ამავე პერიოდში კითხულობდა საქართვ. ისტორიის ზოგად კურსს თბილ. და ბათუმის პედ. ინ-ტებში. 1942-იდან გარდაცვალებამდე ეწეოდა პედ. საქმიანობას თსუ-ში. იკვლევდა ქართ. წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის საკითხებს.

თხზ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, ნაწ. 1 – ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954; რას მოგვითხრობს ,,ქართლის ცხოვრება‘‘, გამოც. მე-2, თბ., 1971.

გრიგოლია ნოდარ გიორგის ძე (დ. 1. VI. 1945, სოფ. ჭოგნარი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (1994). 1968 დაამთავრა თსსუ. 1971-იდან მუშაობდა თსსუ-ის საფაკულტეტო ქირურგიის კათედრაზე (1994-იდან – კათედრის გამგე). 1995–2010 მოსკოვის, მიუნხენის და ევროპის სხვა წამყვან კლინიკებში მიწვეული იყო პროფესორის სტატუსით.

გ. არის თსსუ-ის სადისერტაციო საბჭოს წევრი, 1995-იდან – თბილისის გრ. მუხაძის სახ. ქირურგიული საზ-ბის თავმჯდომარის მოადგილე. საერთაშ. ევროპის ქირურგთა ასოციაციისა (1998) და საერთაშ. გასტრო-ჰეპატოლოგიური საზ-ბის წევრი (1994).

გ-ს ეკუთვნის მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. 7 მონოგრაფია, 2 გამოგონება და 4 რაციონალიზატორული წინადადება. გამოცემული აქვს 6 სახელმძღვანელო. მისი სამეცნ. ნაშრომები ეხება გასტროენტეროლოგიის აქტუალურ საკითხებს.

თხზ.: კლინიკური ქირურგია, თბ., 1998; ზოგადი ქირურგია, თბ., 2005; ქირურგიული დაავადებები, თბ., 2009.

გრიგოლისძე ასათ (ასამ), (XII ს. დასაწყისი), დიდგვაროვანი ფეოდალი, *გრიგოლისძეთა* (გიშელთა) გვარის პირველი ცნობილი წარმომადგენელი, დავით აღმაშენებლის მეფობის დროინდელი მოღვაწე. XII ს. დასაწყისში ფლობდა ციხე *გიშს.* 1117-იდან, დავით აღმაშენებლის მიერ გიშის აღების შემდეგ, მეფის ვასალი გახდა და, როგორც ჩანს, მისგან ჰერეთის ერისთავობა მიიღო. XII–XIII სს. ჰერეთის ცნობილი ერისთავები – გრიგოლისძენი – ასათის შთამომავლები იყვნენ.

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

დ. მუსხელიშვილი.

გრიგოლისძე ასათ, ჰერეთის ერისთავი XII ს. 80-იან წლებ-

ში. ერისთავობა წაართვა საღირ კოლონკელისძეს. 1186–87 იყო ,,არიშიანის ადგილის'' მფლობელი, ანუ აღმ. საქართველოს ერთ-ერთი მონაპირე (სასაზღვრო მხარის გამგებელი). გ-ის ინიციატივით მოეწყო დიდი ლაშქრობა სელჩუკიანი თურქების წინააღმდეგ რანსა (განძის ქვემოთ ბელაქნამდე) და მდ. არაქსის აუზში.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

დ. მუსხელიშვილი.

გრიგოლისძე გრიგოლ ასათის ძე (გ. 1178), ჰერეთის ერისთავი, *გრიგოლისძეთა* (გიშელთა) ფეოდ. გვარის წარმომადგენელი. მონაწილეობდა *დემნა (დემეტრე) უფლისწულის* აჯანყებაში *გიორგი III-ის* წინააღმდეგ (1177–78). დაიღუპა მეფის ლაშქართან ბრძოლაში.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

დ. მუსხელიშვილი.

გრიგოლისძენი, გიშელები, ფეოდალური საგვარეულო XII–XIII სს. საქართველოში; ჰერეთის ერისთავები და საქართველოს აღმ. ტერიტ. მონაპირენი. პირველად მოიხსენიებიან 1117, როგორც გიშის ციხის მფლობელები. აქტ. მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის პოლიტ. ცხოვრებაში [იხ. ასათ (ასამ) *გრიგოლისძე*, ა. *გრიგოლისძე*, გ. *გრიგოლისძე*].

დ. მუსხელიშვილი.

გრიგოლიში, სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის ვაკეზე, მდ. ჯუმის (ენგურის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. სათავო სოფელი. ზ. დ. 220 *მ*, ზუგდიდიდან 14 *კმ*. 797 მცხ. (2002).

გ-ის მიდამოებში XIX ს. გუმბათოვანი ეკლესიაა. შემონახულია XVIII ს. კოშკი.

გრიგოლ მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – გიორგი ალექსანდრეს ძე ცერცვაძე) (18. V. 1910, სოფ. ვაზისუბანი, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, – II. 1992), სასულიერო მოღვაწე. 1933–35 იყო სამხ. სამსახურში, რ-ის დასრულების შემდეგ 1950-მდე სწავლობდა შუამთის სამონასტრო სკოლაში. თხუთმეტი წელი იყო თელავის წმ. გიორგის ეკლესიის მედავითნე. 1948 წ. 18 თებ. თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქ *კალისტრატეს* ლოცვა-კურთხევით ხელდასხმულ იქნა დიაკვნად. იმავე წლის 24 თებ. თბილ. წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში მღვდლად აკურთხეს და თელავის წმ. გიორგის ეკლესიაში განაწესეს. 1954 წ. 1 იანვრიდან თელავის ფერისცვალების ეკლესიის მღვდელმსახური იყო. 1971 მიენიჭა დეკანოზის ხარისხი. 1976 წ. 21 მაისს კათოლიკოს-პატრიარქ *დავით VI-ის* კურთხევით აღიკვეცა ბერად და იმავე წლის 22 მაისს ეკურთხა ალავერდის ეპისკოპოსად.

1978 წ. 4 იანვ. გ. მ-ს ებოძა მიტროპოლიტის პატივი. 1980 წ. 15 ოქტ. დაჯილდოვდა სკუფიაზე ჯვრის ტარებისა და მეორე პანაღიის ტარების უფლებით.

დაკრძალულია ალავერდის ტაძარში.

ლიტ.: ჟვანია ზ., საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთ., 1994; ვარდოსანიძე ს., ქართველი მღვდელმთავრები (XX–XXI საუკუნეები), თბ., 2010. *თ. მარგველაშვილი.*

გრიგოლ მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – გურამ გრიგოლის ძე ბერბიჭაშვილი) (დ. 18. VII. 1956, თბილისი), სასულიერო მოღვაწე, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი. 1974–75 სწავლობდა კრივოი-როგის საავიაციო სასწავლებელში. 1985–88 იყო თბილ. წმ. დიდმოწამე ბარბარეს ეკლესიის მნათე. 1988–90 სწავლობდა თბილ. სას. სემინარიაში, 1990–94 – თბილისის სას. აკადემიაში. 1989 წ. 14 ოქტ. ბათუმ-შემოქმედელმა მიტროპოლიტმა კონსტანტინე სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში აკურთხა დიაკვნად, ხოლო 1990 წ. 27 მარტს ხელდასხმულ იქნა მღვდლად და სოფ. ლიხაურის ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში წინამძღვრად გაამწესეს. 1991 წ. ნოემბრიდან დაინიშნა აჭის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვრად. 1991–95 ხელმძღვანელობდა ოზურგეთის საღვთო სჯულის პედაგოგების მოსამზადებლად ერთწლიან საღვთისმეტყველო კურსებს. 1994 წ. 2 თებ. მიენიჭა დეკანოზის წოდება. 1995 წ. 30 მაისს დაინიშნა ოზურგეთის წმ. ნინოს ახლად გახსნილი გიმნაზიის რექტორად. 1996 წ. 21 მარტს აღიკვეცა ბერად და 23 მარტს მიანიჭეს არქიმანდრიტის წოდება. 1996 წ. 24 მარტს სვეტიცხოვლის ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქის *ილია II-ის* მიერ აღესრულა გ. მ-ის ხელდასხმა ფოთის ეპისკოპოსად. 1996–2003 საქართვ. საპატრიარქოში ხელმძღვანელობდა შეიარაღებულ ძალებთან და სამართალდამცავ დაწესებულებებთან ურთიერთობის განყოფილებას; 2003-იდან დღემდე არის საქართვ. სამოციქულო ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის თავმჯდომარე. 2003 წ. 7 სექტ. მიენიჭა მთავარეპისკოპოსის წოდება, 2007 წ. 3 ივნისს ებოძა მიტროპოლიტის პატივი. 2005–08 ხელმძღვანელობდა სახელმწიფოსა და საქართველოს საპატრიარქოს ურთიერთობის წარმომადგენლობით კომისიას განათლების საკითხებში.

გ. მ-ს მიღებული აქვს საქართვ. სამოციქულო ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმ. გიორგის ოქროს ორდენი (2007), სხვადასხვა საეკლ. ჯილდოები და სახელმწ. ჯილდო – ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი.

გრიგოლ ნაზიანზელი (Grēgorios Nazianzēnos), გრიგოლ ღვთისმეტყველი (Theologos) (დაახლ. 330, არიანზი, ნაზიანზის მახლობლად, კაპადოკია, – დაახლ. 390, იქვე), ბერძენი საეკლესიო მოღვაწე და მოაზროვნე, ბერძნ. პატრისტიკის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი *ბასილი დიდსა* და *გრიგოლ ნოსელთან* (კაპადოკიელი მამები) ერთად. გ. ნ. ძალზე პოპულარული იყო ძვ. ქართულ მწერლობაში. მის თხზულებებს თარგმნიდნენ ცნობილი მოღვაწეები: გრიგოლ ოშკელი, ექვთიმე მთაწმიდელი, დავით ტბელი, ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი. ეს თარგმანები ადასტურებს, რომ ძვ. ქართ. კულტურას გეზი ჰქონია აღებული რენესანსისაკენ. გ. ნ. დიდად აფასებდა მეგობრობას ადამიანთა შორის; იცავდა ფილოსოფიისა და რწმენის ურთიერთსაჭიროებას; მისთვის მთავარი იყო ზნეობრივი მოქმედება და საქმის უპირატესობა გააზრების, ანუ ,,სიტყვით ქმნის'' მიმართ. როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოში ,,კაპადოკიელთა რენესანსი'' წინ უძღოდა ,,პროკლეს რენესანსს''.

თხზ.: გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თ. ბრეგაძის გამოც., თბ., 1988; [წიგნში] Памятники византийской литературы IV—IX веков, M., 1968, с. 70–83.

ლიტ.: ბაკაშვილი ვ., გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების შესახებ, კრ.: ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, [ტ.] 4, თბ., 1973; თევზაძე გ., შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1990; კეკელიძე კ., ძველი ქართული

ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1980; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3 – ბიზანტიური პერიოდის ლიტერატურა, გამოც. მე-2, თბ., 1973; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შემდგ. სოლ. ყუბანეიშვილი, [ტ.] 1, თბ., 1946.

გ. თევზაძე.

გრიგოლ ნოსელი, გ რ ი გ ო ლ ნ ი ს ე ლ ი (Grēgorios Nyssēs) (დაახლ. 335, კესარეა კაპადოკიისა, – დაახლ. 394, ნისა), ბერძენი საეკლესიო მწერალი, ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი. ბერძნ. პატრისტიკისა და კაპადოკიელ თეოლოგთა დიდი სამეულის (გ. ნ., მისი ძმა – *ბასილი დიდი* და *გრიგოლ ნაზიანზელი*) გამოჩენილი წარმომადგენელი. გ. ნ-ის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა ორიგენესა (ქრისტიანი თეოლოგი) და ნეოპლატონიზმის გავლენით, თუმცა ამავე დროს აკრიტიკებდა ერთსაც და მეორესაც. ცდილობდა თეოლოგიისა და ბუნებისმეტყველების მორიგებას. გ. ნ-მა დიდი გავლენა იქონია ქართ. კულტურაზე, როგორც უშუალოდ, ისე *არეოპაგიტიკის* მეშვეობით. მისი შრომები თარგმნეს დავით ტბელმა, ექვთიმე მთაწმიდელმა, გიორგი მთაწმიდელმა, ეფრემ მცირემ. ქართულად ნათარგმნ შრომებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დროისა და შესაქმის მიმართების საკითხი (,,პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს''), ასევე, ყველა ადამიანის არსებითი ერთიანობისა და ცხოვრების აზრისის საკითხები (,,კაცისა შესაქმისათჳს''). გ. ნ. იბრძოდა მონობის ინსტიტუტის წინააღმდეგ.

თხზ.: Opera, v. 1–8, Leiden, 1958–64; ,,კაცისა შესაქმისათჳს'', თარგმანი გიორგი მთაწმიდელისა, რ. მიმინოშვილის გამოც., კრ.: ლიტერატურული ურთიერთობანი, [ტ.] 3, თბ., 1972; [წიგნში] უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის ,,ექუსთა დღეთაჲსა'' და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა ,,კაცისა აგებულებისათჳს'', ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1964.

ლიტ.: თ ე ვ ზ ა ძ ე გ., შუა საუკუნეების ფილოსოფია, თბ., 1966; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1980; ჭ ე ლ ი ძ ე ე., წმიდა გრიგოლ ნოსელი და მისი თხზულება ,,პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს'' [გიორგი მთაწმიდელის თარგმანი], კრ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1989.

გ. თევზაძე.

გრიგოლ ოშკელი, X ს. მწიგნობარი, მთარგმნელი. ზედწოდების მიხედვით ივარაუდება, რომ უნდა ყოფილიყო *ოშკის* ერთ-ერთი მოღვაწე. ეფრემ მცირეს ხელახლა უთარგმნია გ. ო-ის მიერ სომხურიდან თარგმნილი თხზ. ,,ევნომიანოსთა მიმართ და ღმრთისმეტყველებისათჳს'', რ-ის მინაწერში ვკითხულობთ: ,,ლოცვა ყავთ, წმიდანო და ქრისტეს მოყუარენო, ეფრემისათჳს თარგმანისა, რომლისა მიერ მეორედ ითარგმნა ესე საკითხავი, რამეთუ ნეტარისა გრიგოლ ოშკელისა მიერ სომხურისაგან თარგმნილი ესოდენ ვპოვე'' (ხელნაწ. ეროვნ. ცენტრი, A–292). ხელნაწ. ეროვნ. ცენტრის ერთერთ ნუსხაში (A–87) დაცულია თხზულება, რ-ის მთარგმნელად გ. ო. მოიხსენიება: ,,საკითხავი სამხილებელი არიანოსთა და ევნომიანოსთა ბოროტად უწესოებისაჲ, რომელნი იგი მოსწრაფე იყვნეს წვალებისაებრ თჳსისა ცთომილად ღმრთისმეტყველებად და წინაშე ურწმუნოთა საშჯელსა ჰყოფდეს მართლმადიდებელთა თანა და უღირსთა და ჭაბუკთა კაცთა მღდელად და ეპისკოპოსად ქელთა დაასხმიდეს და სხუასა მრავალსა უწესოებასა იქმოდეს, რომელთაცა ამხილა წმიდამან გრიგოლი''. კ. კეკელიძის აზრით, გ. ო-ის თარგმნილი უნდა იყოს ამავე ნუსხაში დაცული გრიგოლ ღვთისმეტყველის კიდევ ერთი თხზულება – ,,ქებაჲ და შესხმაჲ ნეტარისა კესარიოს ძმისა თჳსისაჲ, რომელი ესე თქუა ჟამსა მიცვალებისა მისისა''.

ლიტ.: ა ბ უ ლ ა ძ ე ი., ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX–X სს., თბ., 1944; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

მ. ქავთარია.

გრიგოლ როგაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. 1992 წლის 4 აგვისტოს დაარსდა, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. 1996 აპრილიდან სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მოთხოვნით, უნ-ტს მიენიჭა გ. *როგაქიძის* სახელი. უნ-ტის აკადემიური და კვლევითი შედეგები საზ. მოთხოვნებზეა ორიენტირებული.

2005-იდან გ. რ. ს. უ. თავის სასწავლო სტრატეგიას განსაზღვრავს ,,ბოლონიის პროცესის'' პრინციპების შესაბამისად. 2002-იდან უნ-ტში დაინერგა საკრედიტო სისტემის მოდელი და უნ-ტი გადავიდა ევროპის კრედიტების ტრანსფერის სისტემაზე (ეკტს). საქართვ. განათლების სააკრედიტაციო ცენტრმა მას ორჯერ მიანიჭა აკრედიტაცია.

გ. რ. ს. უ-ს აქვს იურიდიული, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოც. მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის და მედიცინის ფაკ-ტები; თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მატ.-ტექ. ბაზა და უნ-ტის საგამომცემლო ცენტრი (სტამბა), სადაც ყოველწლიურად გამოიცემა პროფესორ-მასწავლებელთა შრომები. უნ-ტში ფუნქციონირებს კრიმინალისტიკის სასწ.-კვლევითი და კრიმინოლოგიური კვლევითი ლაბორატორიები; სასამართლო ექსპერტიზისა და იურიდ. კლინიკები; ლინგვისტიკის სასწ. ცენტრი; სატელევიზიო შემოქმედებითი სტუდია; სტომატოლოგიური კლინიკა ,,ალმა-დენტი''; დევნილთა სოც. და სამედ. პრობლემების სამეცნ.-მეთოდური ცენტრი; ქსელური ადმინისტრირების ცენტრი. უნ-ტში აგრეთვე ფუნქციონირებს სამეცნ.-კვლ. ინ-ტები: ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა, კლინ. და ექსპერ. მედიცინის, შედარებითი სამართალმცოდნეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტები; ეროვნი უჯრედების კვლევის ლაბორატორია; ეკონომიკური განვითარების კლინიკა; აგრეთვე, უნ-ტის განვითარების საერთაშ. ფონდი.

უნ-ტი 2002-იდან გადავიდა ორსაფეხურიან სწავლებაზე, ხოლო 2006-იდან – ფუნქციონირებს ბაკალავრიატი (4 წელი); მაგისტრატურა (2 წელი); დოქტორანტურა (3 წელი). 2010 წ. 1 იანვ-თვის სტუდენტების საერთო რაოდენობა შეადგენს: ბაკალავრიატი – 513; დიპლომირებული მედიკოსი – 102; მაგისტრატურა – 37; დოქტორანტურა – 20.

უნ-ტში არის ბ-კა, რ-ის წიგნადი და ციფრული ფონდი შეადგენს – 17 702 ეგზემპლარს, მ. შ. – 14 454 სახელმძღვანელო.

უნ-ტს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები აქვს დამყარებული ევრ. და ამერიკულ ინ-ტებთან და ერთობლივი, ინტეგრირებული პროგრამების საფუძველზე აფართოვებს ცოდნის არეალს როგორც დისტანციური სწავლების გზით, ასევე პარტნიორ საგანმან. დაწესებულებებთან სტუდენტების მიზნობრივი გაცვლითა და საგანმან. პროგრამებში ჩართვით.

ქ. კიტოვანი.

გრიგოლ ხანძთელი (759–861), სასულიერო მოღვაწე და მწერალი, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობის ორგანიზატორი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ვრცლად აღწერა *გიორგი მერჩულემ.* გ. ხ. დაიბადა ქართლში, წარჩინებულ ოჯახში. აღიზარ-

და ქართლის ერისთავის ნერსეს კარზე (ნერსეს ცოლის ძმისწული და შვილობილი იყო). მან თავისი დროისათვის ბრწყინვალე განათლება მიიღო. აღმზრდელთა და ქართლის დიდებულთა ნებით მღვდლად აკურთხეს, ხოლო შემდეგ, როცა მისი ეპისკოპოსად კურთხევა განიზრახეს (დაახლ. 781), ფარულად დატოვა ქართლი და ტაო-კლარჯეთში დაიწყო მოღვაწეობა. თავდაპირველად ოპიზაში ცხოვრობდა, შემდეგ ხანძთაში დასახლდა და საერო ხელისუფალთა დახმარებით გააჩაღა ფართო



გრიგოლ ხანძთელი. მინიატურა. XVIII ს. კრებული. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბილისი.

სამონასტრო მშენებლობა, რ-შიც ჩაება თანამოღვაწეთა დიდი დასი. გ. ხ-მა საფუძველი ჩაუყარა სამონასტრო ცხოვრებას ტაო-კლარჯეთში, მან ხანძთასა და შატბერდში ააგო მამათა, ხოლო გუნათლესა და მერეში – დედათა სავანეები. დას. საქართველოში დააარსა უბის მონასტერი. გ. ხ-ის წაბაძვით მისმა მოწაფეებმაც იწყეს მონასტრების მშენებლობა იშხანში, ბარეთელთაში, წყაროსთავში, ნეძვში და სხვ. გ. ხ. ცხოველ მონაწილეობას იღებდა კლარჯეთის პოლიტ. ცხოვრებაში. IX ს. 30-იან წლებში იგი კლარჯეთის მონასტერთა არქიმანდრიტად დაადგინეს. მისი ენერგიული ჩარევით გადააყენეს თბილ. ამირა საჰაკის აგენტი – ანჩის ეპისკოპოსი ცქირი. გ. ხ-მა დიდი როლი ითამაშა IX ს. 50-იან წლებში ჯავახეთში მოწვეულ საეკლ. კრებაზე, რ-მაც *არსენ I-ის* კათოლიკოსად არჩევის კანონიერების საკითხი გაარჩია. მისი მხარდაჭერით არსენი დარჩა კათოლიკოსად. გ. ხ-ის ძირითადი საცხოვრ. ადგილი ხანძთა (აქედან – მისი ზედწოდება) ქართ. მწიგნობრობის მნიშვნელოვან კერად იქცა. იქ გაჩაღებულ მრავალმხრივ კულტ.-საგანმან. საქმიანობაში მონაწილეობდა თვით გ. ხ. გიორგი მერჩულის ცნობით, გ. ხ-ს საბაწმიდის მონასტრის წესის საფუძველზე თავისი ძმობის წევრთათვის შეუდგენია ქტიტორული ტიპიკონი და დაუწერია ჰიმნოგრაფიული კრებული ,,საწელიწდოჲ იადგარი'' – მთელი წლის ლიტურგიკული კრებული. გ. ხ. საქართვ. ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და უწოდა ღირსი მამა. ხსენების დღეა 5(18). X. საკუთარი ანდერძისამებრ, დაკრძალულია ხანძთის მონასტერში.

ლიტ. იხ. სტ-თან გიორგი მერჩულე. *ა. პოგვერაძე. ლ. მენაბდე.*

გრიგორასი (Grēgoras) ნიკიფორე (1290 ან 91 – 1360), ბიზანტიელი ისტორიკოსი, პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწე. მისი ძირითადი თხზულება ,,რომაული ისტორია'' მოიცავს 1204–1359 ამბებს. საქართვ. ისტორიის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობები ტრაპიზონის მეფეების: ალექსი I-ის (1204–22), იოანე II-ისა (1280–98) და ბასილ I (1333–40) კომნენოსების მეფობის, მათ დროს ტრაპიზონში სხვადასხვა პოლიტ. დაჯგუფებათა არსებობისა და ბიზანტიასთან ურთიერთობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ გ. ტრაპიზონის მეფეებს ,,კოლხების ქვეყნის მფლობელად'', ,,კოლხთა და ლაზთა ქვეყნის მფლობელად'' ან უბრალოდ ,,ლაზად'' მოიხსენიებს. ეს ფაქტი კი ტრაპიზონის სამეფოს ეთნ. და ეთნოპოლიტ. ვითარების გარკვევისთვისაა დიდად მნიშვნელოვანი. აღსანიშნავია აგრეთვე გ-ის ცნობები ტრაპიზონის მეფეთა დინასტიურ ქორწინებების, აბაზგებისა და საქართველოში თათარ-ხვარაზმელთა შემოსევის შესახებ.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 7, თბ., 1967.

ნ. ლომოური.

გრიგორაშვილი გრიგოლ მაქსიმეს ძე (18. VII. 1905, ქუთაისი, – 12. VI. 1962, თბილისი), მომღერალი (ბანი). საქართვ. სახ. არტისტი (1958). 1928 დაამთავრა თსუ-ის აგრონ. ფაკ-ტი, 1928–33 სწავლობდა თბილ. კონსერვატორიაში (პროფ. ვ. ქაშაკაშვილის კლასი). 1934-იდან თბილ. საოპერო სტუდიის, ხოლო 1936-იდან სიცოცხლის ბოლომდე თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის სოლისტი იყო. გ-ს ჰქონდა ლამაზი ტემბრის, ძლიერი, ყველა რეგისტრში თავისუფლად მჟღერი ხმა, გამოირჩეოდა მაღალი სცენური ოსტატობით. შესრულებული აქვს 50-ზე მეტი პარტია, რ-თაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მეფე გიორგი (მ. ბალანჩივაძის ,,დარეჯან ცბიერი''), ენგიჩარი, აბიო, ცანგალა (ზ. ფალიაშვილის ,,ლატავრა'', ,,აბესალომ და ეთერი'', ,,დაისი''); მახრების მეფე (ა. ბუკიას ,,დაუპატიჟებელი სტუმრები''), როსტევანი (შ. მშველიძის ,,ამბავი ტარიელისა''), მეწისქვილე (ა. დარგომიჟსკის ,,ალი''), კოჩუბეი (პ. ჩაიკოვსკის ,,მაზეპა''), მეფე ბორისი (მ. მუსორგსკის ,,ბორის გოდუნოვი''), მეფისტოფელი (შ. გუნოს ,,ფაუსტი''), დონ ბაზილიო (ჯ. როსინის ,,სევილიელი დალაქი'') და სხვ. გადაღებულია კინოფილმ ,,ჯურღაის ფარში'' (1944; სსრკ სახელმწ. პრემია, 1950). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.




გ. გრიგორაშვილი.



გ. გრიგორაშვილი. მეფე ბორისი, მ. მუსორგსკის ,,ბორის გოდუნოვი''.

გრიგორაშვილი [მაიკლ გრეგორი (Michael Gregory)] მიხეილ ლეონტის ძე (6. II. 1888, ქ. დერბენდი, დაღესტანი, – 1953, ქ. ტრენტონი, კანადა), ავიაკონსტრუქტორი, რუსეთის ავიაციის პიონერი, აშშ და კანადის საავიაციო მრეწველობის ერთ-ერთი შემქმნელი. 1913 დაამთავრა პეტერბურგის მიმოსვლის გზების ინჟინერთა ინ-ტი. სწავლის პერიოდში პრაქტიკა გაიარა საფრანგეთში, სადაც 1911 დაამთავრა ლ. ბლერიოს სასწავლებელი. იყო რუსეთის ერთ-ერთი პირველი მფრინავი სპორტსმენი, სრულიად რუსეთის საიმპერატორო აეროკლუბის ერთ-ერთი ორგანიზატორი (1908) და საავიაციო მრეწვ. ერთ-ერთი ფუძემდებელი რუსეთში. 1915–18 გ. მოღვაწეობდა პეტერბურგში, რ. მელცერის ფ-კაში, სადაც შექმნა და წარმოებაში დანერგა საკუთარი კონსტრუქციის საჰაერო ხრახნები, რ-ებიც ტექ. მონაცემებით ბევრად სჯობდა საზღვარგარეთულ ნიმუშებს. 1918 გ. დაბრუნდა დამოუკიდებელ საქართველოში და მუშაობა დაიწყო გზათა სამინისტროში ინჟინრად. 1921 გაემგზავრა აშშ-ში. თავდაპირველად მუშაობდა როდ-აილენდის შტატის ერთ-ერთ პატარა ფირმაში საჰაერო ხრახნების კონსტრუქტორად,

შემდეგ ქ. დეიტონის (აშშ) საჰაერო სამსახურის სამეცნ.-კვლ. და საფრენ-გამოსაცდელ ცენტრში ინჟინერ-კონსტრუქტორად. 1926 მან მიიღო აშშ-ის მოქალაქეობა და შეიცვალა გვარი გრეგორად. 1928–32 სხვებთან ერთად დააარსა ფირმა ,,ბერდ ეარკრაფტ კორპორეიშნი'' და მისი მთ. კონსტრუქტორი იყო. აქვე მისი კონსტრუქციით შექმნეს და სერიულად გამოუშვეს



მ. გრიგორაშვილი [მაიკლ გრეგორი (მარჯვნიდან პირველი)] თავის შექმნილ ბიპლანთან ,,გრეგორ FDB-1''.

ბიპლანების – ,,ბერდების'' რამდენიმე მოდელი. 1934 დააარსა ფირმა ,,გრეგორ ეარკრაფტ'' და ააგო თვითმფრინავი GR-1. 1936 იგი კანადაში მიიწვიეს, სადაც ააწყო FDB-1 ბიპლანი. 1940 იგი მიიწვიეს მთ. კონსტრუქტორის მოადგილედ ფირმა ,,ჩეიზ ეარკრაფტ კორპორეიშნში'', სადაც მუშაობდა გარდაცვალებამდე. აქ ცნობილ რუს ინჟინერ მ. სტრუკოვთან ერთად შექმნა მრავალი სატვირთო-სადესანტო პლანერი და თვითმფრინავი, რ-თა შორისაა სადესანტო მოიერიშე თვითმფრინავი C-123 (,,პროვაიდერი''). ბ. ავტორია მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გამანადგურებელ-ბიპლანისა ,,გრეგორ FDB-1''.

გ. ქებურია.



მ. გრიგორიანი.

გრიგორ დარანაღცი, გრიგოლ დარანაღელი (კამახელი) (1576, სოფ. კამახი, არზრუმის მახლობლად, ახლანდ. თურქეთი, – 1643, როდოსთო, ბულგარეთი), სომეხი ისტორიკოსი. განათლების მისაღებად, სამოღვაწეოდ თუ თავშესაფრის ძიებაში მოიარა ახლო აღმოსავლეთის მრავალი ქვეყანა. მის თხზულებათაგან აღსანიშნავია ,,ჟამთააღმწერლობა'', რ-იც მოიცავს 1018–1640 ამბებს. თხზულების I ნაწილში მოკლედ არის გადმოცემული სელჩუკთა და ოსმალთა ისტორია 1595-მდე, II ნაწილში დაწვრილებით არის მოთხრობილი ოსმალთა იმპერიის ისტორია (1595–1640) მეჰმედ III-იდან მურად IV-მდე. მასვე ეკუთვნის ამავე პერიოდის სომეხთა საკათოლიკოსოების ისტორია. ,,ჟამთააღმწერლობაში'' არის ცნობები საქართველოს შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ცნობა ქართლის მეფე *სიმონ I-ის* ოსმალთა ტყვეობაში ყოფნის შესახებ. ბ. დ. ამ ამბების მომსწრე

ვ. გრივი.

ყოფილა, თვითონ უნახავს სიმონ მეფე იედიყულეს ციხეში.

ზ. ალექსიძე.

გრიგორიანი მიხეილ კარაპეტის ძე (დ. 2. X. 1940, თბილისი), სომეხი რეჟისორი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1984). 1959-იდან მუშაობს თბილ. ს. შაუმიანის სახ. სომხ. სახელმწ. დრამ. თეატრში მსახიობად. საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკტის დამთავრების შემდეგ (1965) სხვადასხვა დროს მუშაობდა დამდგმელ რეჟისორად და მთ. რეჟისორად თბილისის სომხურ სახელმწ. დრამ. თეატრში. გ-ის საუკეთესო დადგმები: ნ. ზარიანის ,,მშვენიერი არა'', ა. კასონას ,,ხეები ზეზეურად კვდებიან'', გ. სუნდუკიანის ,,ხათაბალა'', ა. შირვანზადეს ,,ავი სული'', ვ. ჰიუგოს ,,ანჟელო'', ი. ჭავჭავაძის ,,კაცია-ადამიანი?!'', ნ. მაკიაველის ,,მანდრაგორა'', ნ. დუმბაძის ,,მარადისობის კანონი'', ევრიპიდეს ,,მედეა'' და სხვ. სპექტაკლები დადგა აგრეთვე თბილ. სანკულტურის (ც. სოლოდარის ,,ერთი დღე აგარაკზე''), ზუგდიდის შ. დადიანის სახ. (ე. მ. რემარკის ,,უკანასკნელი გაჩერება''), ჭიათურის ა. წერეთლის სახ. (გ. სუნდუკიანის ,,ხათაბალა'') და სხვ. თეატრებში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

შ. ცუცქირიძე.

გრიგორიანი სერგო ვართანის ძე (21. I. 1921, თეთრი წყარო, – 4. X. 1943, სოფ. ანოვკა, დნეპროპეტროვსკის ოლქი), სამედიცინო სამსახურის გვარდიის ლეიტენანტი, საბჭ. კავშირის გმირი (20. XII. 1943). იზრდებოდა საქართველოში. სწავლობდა თბილ. ა. ს. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტში. 1942-იდან საბჭ. არმიის რიგებში იყო მსროლელთა ბატალიონის სანიტარული ოცეულის მეთაური. გმირულად დაიღუპა დნეპროპეტროვსკის ოლქში, სოფ. ანოვკასთან გამართულ ბრძოლაში. მიღებული აქვს საბრძოლო ჯილდოები.

გრიგოროვიჩ-ბარსკი ვასილი გრიგოლის ძე (1701, კიევი, – 7. X. 1747, იქვე), ცნობილი რუსი მოგზაურ-მომლოცველი. სწავლობდა კიევის სას. აკადემიაში, მაგრამ ავადმყოფობის გამო სწავლას თავი დაანება. 1724 შევიდა ლვოვის იეზუიტთა აკადემიაში მოგონილი გვარით (ბარსკი), მაგრამ, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი, გარიცხეს აკადემიიდან. 1724 ფეხით წავიდა რომში, შემდეგ მოიარა საბერძნეთის წმინდა ადგილები, სირია, პალესტინა. 1735 ანტიოქიის პატრიარქმა სილვესტრმა ბერად აკურთხა ვასილის სახელით. 1747, უკვე მძიმედ დაავადებული, დაბრუნდა კიევში. აქვს მოგზაურობის დროინდელი ჩანაწერები, რ-თა ცალკეული ნაწილები რამდენჯერმე გამოიცა XVIII–XIX სს-ში. საინტერესო ცნობები აქვს იერუსალიმისა და, განსაკუთრებით, ათონის ქართ. სავანეების შესახებ. ბ.-ბ. ერთი იმათგანია, რ-საც *ჯვრის მონასტერში* უნახავს ქართვ. მეფეთა პორტრეტები. ათონის მთაზე ბ.-ბ. ორჯერ (1725, 1744) ყოფილა. თავის ჩანაწერებში განსაკუთრებული ადგილი დაუთმო *ათონის ივერთა მონასტერს*: დაწვრილებით აღწერა იგი, მიმოიხილა სავანის ისტორია და ქართველთა აღმშენებლობითი საქმიანობა, გაეცნო ძვ. საბუთებს. ბ.-ბ. აღნიშნავს, რომ ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკა უმდიდრესი ყოფილა ათონზე არსებულ ბიბლიოთეკებს შორის. ქართველთა ნაკვალევი მან ფილოთეოსის მონასტერშიც შენიშნა.

თხზ.: Первое посещение святой Афонской горы, СПб., 1886; Второе посещение святой Афонской горы, СПб., 1887.

შ. ცირეკიძე.

გრივი ვლადიმერ დიმიტრის ძე (10. X. 1959, ფოთი, – 25. II. 1999, თბილისი), ინჟინერ-მეტალურგი.

1981 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის მეტალურგიის ფაკ-ტი ლითონმცოდნეობის სპეციალობით. 1981–84 მუშაობდა ტაგანროგის მეტალ. კომბინატში, 1984-იდან გარდაცვალებამდე – საქართვ. ტექ. უნ-ტში მეტალ. ფაკ-ტის მასალათა თვისებების სამეცნ.-კვლევით ლაბორატორიაში უფროს მეცნ. თანამშრომლად. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. შრომები და მიღებული აქვს საავტორო მოწმობები მაღალმტკიცე ლეგირებული ფოლადების მიღებასა და მათგან სანავთობე მილების დამზადების ტექნოლოგიებზე. 1993 სპეციალისტების ჯგუფთან ერთად მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია ,,1975–90 წლებში ეკონომიურად ლეგირებული ფოლადებისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება-დანერგვისათვის საწარმოო ციკლში ფოლადი – მზა პროდუქცია''.

შ. ნემსაძე.

გრიგი, მარცვლეულის საწყაო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. XV ს-მდე გავრცელებული იყო საქართველოშიც. იტევს დაახლ. 100 *კგ* მარცვლეულს. იხ. აგრეთვე *მეტროლოგია* ისტორიული.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წგ. 3, ნაკვ. 3 – ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX–XIX სს.), თბ., 1973. *გ. ჯაფარიძე.*

გრილპარცერი (Grillparzer) ფრანც (15. I. 1791, ვენა, – 21. I. 1872, იქვე), ავსტრიელი მწერალი. ვენის მეცნ. აკად. წევრი 1847-იდან. ვენისა და ლაიფციგის უნ-ტების საპატიო დოქტორი (1859), ვენის საპატიო მოქალაქე (1864). ვენის მეცნ. აკადემიამ 1875 დააარსა გ-ის სახ. პრემია; 1890 შეიქმნა ,,გრილპარცერის საზოგადოება''. გ-ის მსოფლიოში გახმაურებული ტრაგედიებიდან ჩვენთვის საყურადღებოა ,,ოქროს საწმისი'' (1818–21), რ-იც შედგება 3 ნაწილისაგან: ,,კეთილი სტუმარი'', ,,არგონავტები'' და ,,მედეა''. პიესა დაწერილია თავისუფალი ლექსით. ტრილოგიაში მწერალმა წინ წამოსწია თქმულებები არგონავტებზე, მითები და ლეგენდები ოქროს საწმისზე, ისტ.-მითოლ. ამბები კოლხეთის შესახებ. პიესა მრავალჯერ დაიდგა სხვადასხვა ქვეყნის თეატრების სცენაზე. მისი პრემიერა შედგა ვენაში 1821 (25. III) და ავტორს დიდი პოპულარობა მოუტანა. XX ს. 20-იანი წლებიდან ეს პიესა ხშირად იდგმებოდა გერმანულენოვანი ქვეყნების თეატრებში.

თხზ.: საბრალო მუსიკოსი, თბ., 1983; ოქროს საწმისი, თბ., 1987.

გრიმო (Grimaud) ივეტ (დ. 1920, ალჟირი), ფრანგი კომპოზიტორი, პიანისტი და ეთნომუსიკოლოგი, ქართ. მუს. ფოლკლორის მკვლევარი. დაამთავრა პარიზის კონსერვატორია (ო. მესიანის მოწაფე). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას ლიონისა და პარიზის კონსერვატორიებში. იყო პ. ბულეზის ნაწარმოების პირველი შემსრულებელი. როგორც ეთნომუსიკოლოგი, იწერდა და იკვლევდა სხვადასხვა ხალხის (ბუშმენების, პიგმეების, კაბილიელი და ალჟირელი ბერბერების, ირანელების, იაპონელების და სხვ.) ფოლკლორს. დაინტერესებული იყო ქართ. ხალხ. მუსიკით. 1967 ჩამოვიდა საქართველოში და გრ. *ჩხიკვაძესთან* ერთად მოიარა საქართველოს მრავალი კუთხე, ჩაიწერა 350 ხალხ. სიმღერა. 1989 ამ საექსპედიციო მასალის ნაწილი პარიზში გამოსცა დისკის სახით (Géorgien. Chants de travail, chants religieux). 60–80-იან წწ. გამოაქვეყნა სტატიები პარიზის ქართველოლოგიურ ჟურნალში ,,ბედი ქართლისა'' (სვანური სიმღერების, ქართლ-კახური ,,ოროველას'', შრომის სიმღერებისა და, ზოგადად, ქართ. ხალხ. და სას. მუსიკის შესახებ).

თხზ.: Musique traditionelle de Géorgie (1969), «Bedi Kartlisa», vol. 26, P., C. N. R. S.; Musique vocale géorgienne d'Europe orientale (1977), იქვე, vol.25; Symboles d'un chant svane (Géorgie d'Europe orientale) (1978), იქვე, vol.36; Géorgie. Chants religieux (1970), იქვე, vol.37; Note sur le chant géorgien „Orovela" de Kartl-Kakhete (1980), იქვე, vol.37; Géorgie. Chants de travail (1981), იქვე, vol.37. *ნ. ნაკაშიძე.*

გრინევსკი ჰენრიკ თევდორეს ძე, იხ. *ჰრინევსკი* ჰენრიკ თევდორეს ძე.

გრიფიუსი (Gryphius) ანდრეას [ნამდვ. გვარი – გ რ ა ი ფ ი (Greif) (2. X. 1616, გლოგაუ, სილეზია, – 16. VII. 1664, იქვე)], გერმანელი პოეტი და დრამატურგი. ბაროკოს ლიტ. სკოლის წარმომადგენელი. მისი მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან (ოდები, ეპიგრამები, სას. საგალობლები, სონეტები, კომედიები და ტრაგედიები) განსაკუთრებით საყურადღებოა ტრაგედია ,,ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე'' (1646–47, გამოქვეყნდა 1657). პიესა ერთ-ერთი უდიდესი მარტვილის აპოლოგიაა; ეფუძნება საქართვ. დედოფლის – ქეთევანის, რ-იც მწერლის მორალური იდეალია, მოწამებრივი ცხოვრებისა და სიკვდილის ფაქტს. პიესა ბაროკოს სტილის ტიპობრივი ნიმუშია. მასში წარმოდგენილი არიან ისტ. პირები (კახეთის მეფე ალექსანდრე II, თეიმურაზ I, ქართლის მეფე ლუარსაბ II, დიდი მოურავი გიორგი სააკაძე და სხვ.). ,,ქეთევან ქართველი'' (,,Catharina von Georgien'') გამოქვეყნებისთანავე დაიდგა ვოლაუს თეატრის სცენაზე, მას მერე არაერთხელ წარმოადგინეს გერმ. თეატრებში. სპექტაკლმა გააღვიძა დიდი ინტერესი საქართველოსადმი. კოლხი მედეას შემდეგ ქეთევან დედოფლის წამება ყველაზე პოპულარული თემა გახდა. პიესის არსებობა ქართვ. საზ-ბისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ 1904, როდესაც გაზეთ ,,ცნობის ფურცელში'' (№2654) დაიბეჭდა ი. რამიშვილის მიერ ქ. ფრაიბურგიდან (გერმანია) გამოგზავნილი ინფორმაცია, რ-ის სათაურია ,,ქართველი ქალი გერმანულ დრამატულ ხელოვნებაში''. ამ წერილს გამოეხმაურა ი. ჯავახიშვილი («Византийский временник», 1904, ტ. XI, გვ. 775–776). პიესა ქართულად გამოიცა 1975. მას დართული აქვს შ. რევიშვილისა და ა. გელოვანის (მთარგმნელი) ნარკვევები და კომენტარები. პიესა ზაარბრიუკენელმა რეჟისორმა პროფ. ჰერმან *ვედეკინდმა* 1982 რუსთაველის თეატრში დადგა, ხოლო 1984 – ქ. ბალვეს ,,გამოქვაბულის თეატრში''. ამ დადგმას მიესალმა თვით რომის პაპი.



ფ. გრილპარცერი.



ი. გრიმო.

გ-სა და მის პიესას მიეძღვნა არაერთი გამოკვლევა და წერილი. მათგან აღსანიშნავია ა. ბიბიჩაძის, შ. რევიშვილის, თ. ნატროშვილის, ი. ტაბაღუას, ვ. კუპრავას, ზ. აბაშიძის, ჯ. ბურდულისა და სხვ. შრომები.

ლიტ.: ბ ი ბ ი ჩ ა ძ ე ა., ა. გრიფიუსი და მისი ტრაგედია ,,კათარინა ქართველი'', თბ., 1950 (ავტორეფ.); ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი თ., ათასი ელვის ნათელი, «ლიტერატურული საქართველო», 1986, 16 მაისი; ხ ა ვ თ ა ს ი გ., ნარკვევები გერმანული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1953.

ა. გელოვანი.



ა. გრიფიუსი.

გრიძუროვი ივანე სტეფანეს ძე (დ. 5. I. 1951, ცხინვალი), სპორტსმენი (ძალოსნობა), მწვრთნელი, სსრკ დამსახურებული მწვრთნელი (1992). მისი აღზრდილები არიან ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები, რეკორდსმენები კ. *კახიაშვილი* და გ. ასანიძე, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი

შიმონ კოლეცკი და ბრინჯაოს პრიზიორი ანჟეი ცოფალაკი (პოლონეთი). არის ღირსების ორდენის კავალერი (2000).

გრიშაშვილი (ნამდვ. გვარი – მამულაიშვილი) იოსებ გრიგოლის ძე [11 (23). IV. 1889, თბილისი, – 3. VIII. 1965, იქვე], პოეტი, მკვლევარი, თეატრალი, საზოგადო მოღვაწე. საქართვ. სახ. პოეტი (1959), საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), სომხ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1945), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1950).



ი. გრიშაშვილი.

სწავლობდა თბილ. ქართ. გიმნაზიაში, თუმცა სწავლების კურსი არ დაუმთავრებია. მუშაობდა სტამბაში შეგირდად, თეატრში – სუფლიორად. წერდა: ,,მე ვარ თვითგანვითარებული პოეტი, თბილისის ფოლკლორზე აღზრდილი''. აშულურ-ყარაჩოხელურმა პოეზიამ თავიდანვე ღრმა კვალი დააჩნია მის ლექსებს, რ-ებშიც ჭარბობს ქალაქური, თბილისური მოტივები, ლექსიკა, ფრაზეოლოგია. გ-ის შემოქმედებაში იმთავითვე დომინირებს სატრფიალო პოეზია (,,მაჯამა'', ,,მიმღერე, ტურფავ'', ,,გიჟო, მიყვარხარ'', ,,ოლოლ! ოლოლ!'', ,,რა კარგი ხარ, რა კარგი!'', ,,თათრის ქალი სუბსარქისში'' და მრავალი სხვა). 1906 საკუთარი და სხვათა ლექსებისაგან შეადგინა და გამოსცა კრებული ,,ვარდის კონა''. 1907 გამოსცა ლექსების მომცრო წიგნი ,,ფანტაზია''.

1907 ვ. *გუნიამ* მიიწვია ქართ. თეატრში (,,ეს ნამდვილი უნივერსიტეტი იყო ჩემთვის...'') და თან ჩააბარა ჟურნ. ,,*ნიშადური*''. გ. აქ გაეცნო ა. წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, ი. გოგებაშვილს. ამავე ჟურნალში აქვეყნებდა ფელეტონებს, სცენებს, გამოცანებს, ეპიგრამებს სხვადასხვა ფსევდონიმით (1904-იდან, მამის გარდაცვალების შემდეგ, იგი ცნობილია ფსევდონიმით ,,გრიშაშვილი''). წერდა და დგამდა პიესებს (,,ტიმოთეს ლეღვი'' და სხვ.), თავად იყო მსახიობიც, რეჟისორიც, ადმინისტრატორიც. 1909 თანამშრომლობა დაიწყო გაზ. ,,ივერიის'' რედაქციასთან. 1909–10 გამოსცა ლიტ. ალმანახები: ,,ძალა'', ,,გუშაგი'', ,,606''.

1910 გამოვიდა გ-ის სატრფიალო ლექსების კრებული ,,ოცნების კოცნა'', რ-მაც ნიჭიერი მგოსნის სახელი მოუპოვა, ხოლო 1914 სიტყვაკაზმული მწერლობის საზ-ბის მიერ ცალკე წიგნად გამოცემულმა ლექსების კრებულმა საერთო აღიარება და დიდი წარმატება მოუტანა. ამის შემდეგ მის მთ. სამოღვაწეო ასპარეზად მწერლობა იქცა. გ-ის იმდროინდელი პოეზიის ძირითადი მოტივი ინტიმურ-სატრფიალო იყო. ლექსები – ქალაქური ბოჰემური სულის გამომძახილი – გამოირჩევა პოეტურ სახეთა სიახლით, ორიგინ. რიტმული კონსტრუქციებით, რითმის მრავალფეროვნებით. გ-ის პოეტური ნიჭი სრულად გამოვლინდა თბილისური ყოფის კოლორიტული სურათებით აღსავსე ლექსებში: ,,ტრიოლეტები შეითანბაზარში'' (1918), ,,აშპაშხანისკენ'' (1920), ,,გამოთხოვება ძველ თბილისთან'' (1925). შემდეგაც არაერთი ლექსი უძღვნა თავის სათაყვანებელ ქალაქს.

1922 კ. *გამსახურდიასთან* ერთად რედაქტორობდა ჟურნ. ,,*ლომისს*''. 1922 გამოცემულმა თხზულებათა ტომმა ცხადყო, რომ გ-ის შემოქმედებაში მომძლავრდა მოქალაქეობრივი და სოც. მოტივები, განსხვავებული ჟღერადობა შეიძინა სიყვარულის თემამაც (ციკლი ,,მხოლოდ სიყვარული''). ომისდროინდელ (1941–45) ლირიკაში გამოირჩევა პატრ. ლექსები (,,ორი სიტყვა'', ,,ჩვენს დებს და დედებს'', ,,ბალადა ხელმანდილზე'', ,,გამარჯვების გაზაფხული'' და სხვ.).

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1949 გამოცემული ერთტომეული, რისთვისაც გ-ს საქართვ. სახელმწ. პრემია მიანიჭეს.

გ-მა დიდი ამაგი დასდო საბავშვო ლიტ-რას. საყოველთაოდ ცნობილია ამ ჟანრის ლექსები (,,ოთხი დრო'', ,,ონავარი'', ,,ჩემს პატარა მკითხველებს'' და სხვ.) და ზღაპრები (,,სიზმარა'', ,,მუსტაფას ვირი'', ,,ბაბაჯანას ქოშები'' და სხვ.).

გ-ის ბევრი ლექსი პოპულარულ სიმღერად იქცა (,,ქალო ნარინჯიანო'', ,,სად შენი და სად იმისი თვალები'', ,,რად არ მწყალობ'', ,,რა კარგი ხარ, რა კარგი!'' და ბევრი სხვა).

გ-ს ეკუთვნის ფრიად საყურადღებო გამოკვლევები ლიტ-რისა და თეატრის ისტ. პრობლემებზე, ქალაქურ ფოლკლორზე, აშუღურ პოეზიაზე, რ-თაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ,,საიათნოვა'' (1914–18), ,,ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა'' (1926–27), ,,ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა'' (1940). ფასდაუდებელია გ-ის მიერ შედგენილი მრავალათასსიტყვიანი ქალაქური ლექსიკონი, რ-იც დაისტამბა რ. კუსრაშვილის რედაქციით (1999).

გ-მა ქართულად თარგმნა და გამოსცა ჰ. თუმანიანის ,,რჩეული'', აგრეთვე ი. კრილოვის იგავები, შირვანზადეს, მ. ფ. ახუნდოვის, კ. ხეთაგუროვის, ა. ახმატოვას, ვ. ინბერის, ნ. ჰიქმეთის და სხვათა ცალკეული ნაწარმოებები. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

თხზ.: თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, თბ., 1961–65.

ლიტ.: აგლაძე შ., გრიგორაშვილი ნ., იოსებ გრიშაშვილი, თბ., 1989 (ბიბლიოგრაფია); ლორთქიფანიძე ი., იოსებ გრიშაშვილი, თბ., 1990; ხინთიბიძე ა. იოსებ გრიშაშვილი, თბ., 1956; ჯიბლაძე გ., კრიტიკული ეტიუდები, [ტ.] 3, თბ., 1959.

გ. გვერდწითელი.

იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-სახლ-მუზეუმი (საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფილიალი), ბეჭდური პროდუქციის უნიკალური საცავი, გაიხსნა 1969 წ. 28 აპრ. თბილისში (მის.: ალგეთის ქ. №1). ფონდი შეაგროვა გ-მა 1904–63 და უსასყიდლოდ გადასცა აკად. ბ-კას 1957. ფონდში 100 ათ. დაცვითი ერთეულია, მ. შ.: 45 ათ. წიგნი, აგრეთვე ნოტები, ფოტომასალა, პერიოდიკა და სხვ. წიგნებს შორის არის 100 იშვიათი გამოცემა (ცენზურის მიერ აკრძალული აკაკის ,,ჩემი ნაწერების'' II წიგნი, 1908 წ. ალმანახი ,,ნიავი'' და სხვ.). მთლიანად წარმოდგენილია ძვ. თბილისის ე. წ. ,,ქალაქური ლიტერატურა'', ვეფხისტყაოსნის 1712–1963 გამოცემები, რუს მწერალთა სიცოცხლეშივე გამოცემული წიგნები ავტოგრაფებით და სხვ. ფონდი დამუშავებულია (4 ტომად დაგეგმილია ბეჭდვითი კატალოგი. გამოშვებულია I ტ. – ქართ. წიგნების კატალოგი 3 ნაწილად; II ტომის პირველი ნაწილი – ქართ. ჟურნალ-გაზეთების კატალოგი, III ტომის I ნაწილი – რუს. წიგნები).

სახლ-მუზეუმი მოთავსებული იყო პოეტის ძვ. სახლში (აშენდა 1889 ხარფუხში). 1955 ეს სახლი დაინგრა და მის ადგილზე აშენდა ახ. შენობა (არქიტ. ო. კანდელაკი). წიგნსაცავს უჭირავს მეორე და მესამე სართულები. სამუზეუმო მასალა გამოფენილია მეორე სართულის ორ დარბაზში (ექსპოზიციის ავტორები არიან ა. ჯავახიშვილი, ს. *ბოლქვაძე,* ა. *ვარაზი,* გ. რუსეიშვილი). *ნ. გრიგორაშვილი.*

გრიშკევიჩი მარგარიტა ნიკონის ასული (5. VIII. 1917, პეტროგრადი, – 2003, იქვე), ბალეტის მსახიობი, პედაგოგი. საქართვ. დამს. არტისტი (1958). 1937 დაამთავრა ლენინგრადის ქორეოგრ. სასწავლებელი (პედ. ა. ვაგანოვა), 1940 – ამავე სასწავლებლის პედ. განყბა (სპეც. დისციპლინების პედაგოგის სპეციალობით). 1937–40 იყო ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის, ხოლო 1942-იდან – თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. მაღალი ოსტატობითა და არტისტიზმით შეასრულა კლასიკური რეპერტუარის მრავალი წამყვანი პარტია. 1948–92 იყო თბილ. ვ. ჭაბუკიანის სახ. ქორეოგრ. სასწავლებლის კლასიკური ცეკვის მასწავლებელი. მიწვეული იყო საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანაში ბალეტის პედაგოგად (1963–64 – კუბაში, 1966–67 – ეგვიპტეში, 1971–72 – კოლუმბიაში). *ა. ჩხეიძე.*

გრიჩი სერობ (1770–1836), სომეხი ავტორი, პირადად შეესწრო აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმას თბილისზე (1795) და თვითმხილველის შთაბეჭდილებით გადმოგვცა საქართვ. დედაქალაქში დატრიალებული ტრაგედია. მისი სიტყვებით, ,,ამ ბრძოლის ნახვა ერთ რამედ ღირდა. ხმლისა და ფარის შეჯახების ქუხილი მთებს გადასწვდა, ხმლის ჟღრიალმა იქაურობა გააყრუა, არ წყდებოდა ქვემეხთა გუგუნი, რომელიც ისართა შხუილს ახშობდა...'' და სხვ. ავტორის მიხედვით, მტრის სიმრავლემ თავისი გაიტანა. სპარსელები შეიჭრნენ ქალაქში, ,,აივსნენ ძვირფასი თვლებითა და თვალ-მარგალიტით''... მოსახლეობის ნაწილი გაწყვიტეს, ნაწილი ტყვედ წაასხეს. ქრისტიანებზე მეტად თავისივე სარწმუნოებისანი ტანჯეს. კავკასიის მთებში გაქცეულ ლტოლვილებს, ვინც განსაცდელს გადაურჩა, გზაში ავაზაკები წამოეწივნენ და გაძარცვეს. სპარსელთა საჭურისი ხანი ექვსი დღის შემდეგ გაეცალა ქალაქს.

ლიტ.: ჭ უ ბ ა ბ რ ი ა რ., ს. გრიჩის ,,აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს დედაქალაქ თბილისის გადაწვის მოკლე ისტორია'', «მაცნე». ენისა და ლიტერატურის სერია, 1991, №3. *გ. მაისურაძე.*

გრიცაი კონსტანტინე ვლადიმერის ძე (14. VII. 1901, ეკატერინოდარი, ახლანდ. ქ. კრასნოდარი, – 14. V. 1980, თბილისი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1971). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1929, ფერწერის განხრით), საქართვ. საინჟ.-სამშ. ინ-ტი (1932, არქიტ. განხრით). სხვადასხვა დროს მუშაობდა – ,,საქსახპროექტში'', ,,სოიუზგიპრომტორგის'' ამიერკავკ. თბილისის ფილიალში და სხვ. მისი ავტორობითა და მონაწილეობით შექმნილი ინდივიდ. და ტიპური პროექტებით აგებულია სამრეწველო, საცხოვრებელი, საკურორტო, სავაჭრო ნაგებობები ზუგდიდში, წყალტუბოში და სხვ. მონაწილეობდა სამრეწვ. ცენტრებისა და საბჭ. მეურნეობების დასახლებების პროექტირებასა და განაშენიანებაში. 1943–49 მუშაობდა კინოსტუდია ,,ქართულ ფილმში'' არქიტექტორ-მხატვრად, არქიტ. დეკორაციების შექმნასა და გაანგარიშებაზე (ფილმები ,,გიორგი სააკაძე'', II სერია, ,,ჯურღაის ფარი'', ,,პოეტის აკვანი'', ,,დავით გურამიშვილი'' და სხვ.). მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

ს. კინწურაშვილი.

გრიცკი ლიუდმილა ვასილის ასული (დ. 19. III. 1946, ქ. ანდრუსოვკა, ჟიტომირის ოლქი, უკრაინა), უკრაინელი ქართველოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (1993). 1969 დაამთავრა კიევის სახელმწ. უნ-ტის ფილოლ. ფაკ-ტი. სწავლის პერიოდში (1967–69) მოვლინებული იყო თსუ-ში ქართ. ენისა და ლიტრის შესასწავლად. 1973 დაამთავრა ასპირანტურა და მოიპოვა ფილოლ. მეცნ. კანდიდატის, შემდეგ კი – დოქტორის ხარისხი ქართ.-უკრაინული ლიტ. ურთიერთობის სფეროში. სხვადასხვა დროს სათავეში ედგა აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრას კიევის უნ-ტში და შედარებითი კვლევის განყბას უკრაინისმცოდნეობის ინ-ტში, სადაც ქართ. ენისა და ლიტ-რის შესწავლასა და ქართ.-უკრაინული ლიტ. ურთიერთობათა კვლევას დიდი ყურადღება ეთმობოდა. კითხულობდა ქართ. ლიტ-რის ისტორიის კურსს კიევის უნ-ტში, აქვეყნებდა შრომებს ქართ. ლიტრისა და უკრაინულ-ქართ. ლიტ. ურთიერთობების შესახებ. ნათარგმნი აქვს ქართვ. მწერლების თხზულებები უკრაინულ ენაზე. ავტორია ნაშრომებისა: ,,გრიგოლ აბაშიძის შემოქმედება'' (1975), ,,ნოდარ დუმბაძე და მისი გმირები'' (1977), ,,ირაკლი აბაშიძე'' (1979), ,,ნოდარ დუმბაძის პროზა'' (1983) და სხვ. თარგმნა გ. ფანჯიკიძის ,,მეშვიდე ცა'' (1972), ლ. მრელაშვილის ,,იყალთოელი ბიჭები'' (1975), ნ. წულეისკირის ,,თუთარჩელა'' (1977), ხალხ. ზღაპარი ,,მზის ასული'' (1977) და სხვ. დაჯილდოებულია საქართვ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელითა (1979) და ი. ჯავახიშვილის მედლით (1993).

ო. ბაქანიძე.

გროსჰეიმი ალექსანდრე ალფონსის ძე [23. II(6. III). 1888, სოფ. ლიხოვკა, ახლანდ. დნეპროპეტროვსკის ოლქი, უკრაინა, – 4. XII. 1948, ლენინგრადი], რუსი ბოტანიკოსი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), აზერბ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1945). 1912 დაამთავრა მოსკ. უნ-ტი. მუშაობდა თბილ. ბოტან. ბაღში (1913–26), თბილ. პოლიტექ. ინ-ტში (1917–30), აზერბ. უნ-ტში (1927–46), სსრკ მეცნ. აკად. ამიერკავკ. ფილიალის აზერბ. განყ-ბის ხელმძღვანელად (1932–36), მის მიერვე დაარსებული აზერბაიჯანის ბოტან. ინ-ტის დირექტორად (1936–47). 1947-იდან განაგებდა სსრკ მეცნ. აკადემიის აკად. ვ. კომაროვის სახ. ბოტან. ინ-ტის ჰერბარიუმის კავკ. სექტორს და ლენინგრადის უნ-ტის ბოტან. კათედრას. მთელი სამეცნ. მოღვაწეობა მიუძღვნა კავკ. ფლორისა და მცენარეულობის შესწავლას. გ-ის ძირითადი ნაშრომები: ,,კავკასიის ფლორა'' (ტ. 1–4, 1928–34; მეორე გამოც. ტ. 1–7, ბაქო, 1939–67), ,,კავკასიის ფლორის ანალიზი'' (ბაქო, 1936), ,,კავკასიის მცენარეული რესურსები'' (ბაქო, 1946), ,,კავკასიის მცენარეული საფარი'' (მოსკ., 1948), ,,კავკასიის მცენარეთა სარკვევი'' (მოსკ., 1949). შექმნა ყვავილოვან მცენარეთა ორიგინ. ფილოგენეზური სისტემა (1945). მნიშვნელოვანია აგრეთვე მონოგრაფიები: ,,მტკვარ-არაქსის აუზის მცენარეულობა'' (1932) და განსაკუთრებით ,,თალიშის ფლორა'' (1926). გ-ის მრავალწლოვანი საექსპედიციო მუშაობის შედეგად ამიერკავკასიაში შეგროვილი უმდიდრესი მასალა დაცულია თბილ. და ბაქოს ბოტან. ინ-ტების ჰერბარიუმებში, ხოლო მათი დუბლეტები – ლენინგრადისა და ერევნის ბოტან. ინ-ტებში. აღწერა მეცნიერებისთვის უცნობი მრავალი ახ. სახეობა. გ-ის პატივსაცემად მცენარეთა ერთ გვარსა და მრავალ სახეობას მისი სახელი უწოდეს.

ზ. ღვინიანიძე.



ა. გროსჰეიმი.

გროში (პოლ. grosz, გერმ. Groschen, ლათ. denarius grossus – მძიმე მონეტა), სხვადასხვა ქვეყნის და დროის მონეტა. გ. პირველად მოიჭრა XII ს-ში იტალიის ქ. გენუაში, მასით – 1,46 გ. თავდაპირველად ის საკმაოდ დიდი ზომის ვერცხლის მონეტა იყო. 1266 წ. გ-ის მსგავსი მონეტა გავრცელდა საფრანგეთში ,,გროტურნუას'' სახელწოდებით. შემდგომ ფრანგული მონეტის მსგავსი გ-ების მოჭრა ბევრმა ევროპულმა სახელმწიფომ დაიწყო. ყველაზე გავრცელებული მონეტა იყო პრაღული გ., რ-საც XIV ს. დასაწყისიდან XVI ს. შუა პერიოდამდე ჭრიდნენ ჩეხეთში. პრაღული გ. მიმოქცევაში იყო აგრეთვე გერმანიაში, პოლონეთსა და რუსეთში. ფრანგული ,,გროტურნუას'' მსგავსი მონეტა მოიჭრა ინგლისში 1279 და ეწოდა ,,გროუტი'', პრაღული გ-ის მსგავსი მონეტა კი მოიჭრა პოლონეთში 1367. XVI ს-ში გ. ხურდად იქცა და მრავალმა ქვეყანამ ამოიღო ხმარებიდან. რუსეთის იმპერიაში შემავალი პოლონეთის სამეფო 1832-იდან გ-ს ჭრიდა ორი ნომინალით: პოლონურითა და რუსულით. ერთი პოლონური გ. უტოლდებოდა 0,5 კაპიკს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პოლონეთმა შემოიღო საკუთარი ვალუტა – 1920-იდან დაიწყო ზლოტის მოჭრა, რ-იც უდრიდა 100 გ-ს.

რუსეთში სპილენძის გ. პირველად მოიჭრა 1654 და გათანაბრებული იყო 2 კაპიკთან, ხოლო შემდეგ – ნახევარ კაპიკთან.

საქართველოში გ. მიმოიქცეოდა ქვეყნის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს და ნახევარკაპიკიანს უტოლდებოდა.

გ-ს საუბარში ხშირად გადატანითი მნიშვნელობით ხმარობენ (გამოთქმა ,,გროშის ფასად'' ნიშნავს – ძალიან იაფად, თითქმის მუქთად). *მ. ჯიბუტი.*

გრუ, ახალგორის მუნიციპალიტეტის (მცხეთა-მთიანეთის მხარე) სოფლების *ზემო გრუსა* და *ქვემო გრუს* გავრცელებული სახელწოდება. გ. ისტ. მატიანეებში იხსენიება, როგორც გრუი, გრუა. მატიანის ,,ძეგლი ერისთავთას'' (XIV ს.) მიხედვით, VI ს-ში ცხრაძმისხეველნი იბრძოდნენ გრუელთა წინააღმდეგ, რ-ნიც ქსნის ხევში შედიოდნენ. ,,მატიანე ქართლისა'' (XI ს.) გადმოგვცემს, რომ 975 წლის მახლობლად კახელებს დაუტყვევებიათ მეფე *გურგენი*, მისი ძე ბაგრატი და დედოფალი *გურანდუხტი. დავით III* კურაპალატმა გაათავისუფლა ისინი და დაიბრუნა მიტაცებული ციხეები, გარდა წირქოლისა და გრუისა. როგორც ჩანს, ეს ციხეები კარგა ხანს დარჩა კახეთის ხელში და XI ს. დასაწყისში ბაგრატ III-ს კვლავ უხდება მათ დასაბრუნებლად ბრძოლა.

ლიტ. იხ. სტ-თან გ რ უ ი.

ჯ. გვასალია.

„გრუზინი“ (Грузин), რუსულ ენაში დამკვიდრებული ქართველების აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინი. მომდინარეობს აღმოსავლურ ენებში (კერძოდ, სპარსულში, არაბულსა და სირიულში) გავრცელებული ქართველების აღმნიშვნელი სახელწოდებისაგან – ,,*გურჯი*'' (სპარს.), ,,ჯურჯი'' (არაბ.) და ,,გურზი'' (სირ.).

მეცნიერთა აზრით, შესაბამისი აღმოსავლური სახელწოდებებიდან წარმოქმნილი და უკვე XIV ს. დასასრულს რუს. საისტორიო წყაროებში ნახსენები ქართველების აღმნიშვნელი ტერმინი ,,გურზი'' თანდათანობით ტრანსფორმირდა ,,გრუზად'' და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ტერმინებად – ,,გ.'' და ,,გრუზია'' (საქართველო).

,,გ-ის'' სპარს.-არაბულიდან მომდინარეობის შესახებ პირველად აღნიშნა პლ. *იოსელიანმა* 1844. იგივე მოსაზრება გამოთქვა ფრანგმა ქართველოლოგმა მ. *ბროსემაც* თავისსავე გამოცემულ ,,საქართველოს ისტორიის'' (1858; ფრანგულ ენაზე) შესავალში. რუს. ,,გ-ის'' აღმოსავლური (,,გურჯ'', ,,ჯურზ'', ,,გურზ'') წარმომავლობის შესახებ წერდა ნ. *მარიც* 1905 გამოქვეყნებულ ნაშრომში. საგანგებოდ ჩატარებული მეცნ. კვლევა-ძიების შედეგად იმავე დასკვნამდე მივიდნენ ს. *ჯანაშია*, გ. *წერეთელი*, კ. *წერეთელი*, იუსტ. *აბულაძე* და გ. *პაიჭაძე*. დღეისათვის არსებული მოსაზრება ზემოაღნიშნული რუს. ტერმინის (ისევე როგორც ახ. ევროპული Georgian და Georgia) სპარს.-არაბ.-სირიული წარმომავლობის შესახებ გაზიარებულია სხვა ევრ. ქართველოლოგებისა და აღმოსავლეთმცოდნეების მიერაც (გ. *დეეტერსი*, კ. თუმანოვი, დ. *ლანგი*, ჟ. *გარიტი*, შ. კანიუიე).

ტერმინი ,,გ.'' (ისევე როგორც ,,გრუზია'') რუს. ენის მეშვეობით გავრცელდა როგორც უკრაინულ და ბელორუსულ, ასევე დანარჩენ სლავურ ენებშიც. ეს ტერმინები იხმარება ყოფილ სსრკ-ის შემადგენლობაში შემავალ ზოგიერთ არასლავურ რესპუბლიკასა და მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში (იაპონია, ისრაელი და სხვ.).

ლიტ.: ა ბ უ ლ ა ძ ე იუსტ., ტერმინ ,,გურჯის'' ეტიმოლოგიისათვის, აკად. ნ. მარის სამეცნიერო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1934; ბ რ ო ს ე მ., საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, ტფ., 1895; წ ე რ ე თ ე ლ ი გ., საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიისათვის, კრ.: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური ტერმინოლოგია, თბ., 1993; წ ე რ ე თ ე ლ ი კ., ,,ქართველისა'' და ,,საქართველოს'' აღმნიშვნელი ტერმინები არამეულსა და ებრაულში, იქვე; ჯ ა ნ ა შ ი ა ს., თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, შრომები, ტ. 3, თბ., 1959; И о с е л и а н и П. И., Различные наименования грузин, «Журнал Министерства внутренних дел», Тфл., 1844, VI; М а р р Н. Я., Крещение армян, грузин и аланов святым Григорием (арабская версия), «Записки Вост. отделения императорского Русск. археол. об-ва», т. 16, СПб., 1905; П а й ч а д з е Г. Г., Название Грузии в русских письменных исторических источниках, Тб., 1989; B r o s s e t M., Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX siècle, SPb., 1858.

გ. გ. ლორთქიფანიძე.

გრუზინო, გ რ უ ზ ი ნ ს კ ა ი ა ს ლ ო ბ ო დ ა, ქართველებით დასახლებული უბანი მოსკოვში XVIII ს-ში (ახლანდ. ადმ. დაყოფით კრასნაია პრესნიას რ-ნში შედის). საფუძველი ჩაეყარა პეტრე II-ის 1729 წ. 26 დეკ. ბრძანებულებით, რ-ის მიზანი იყო რუსეთში ემიგრირებული *ვახტანგ VI-ის* ოჯახისა და მისი ამალის მოსკოვში დასახლება. 1730-იდან იქ დაიწყო ქართველებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფა, სასახლეების, დამხმარე ნაგებობების მშენებლობა. ვახტანგ VI-ის რეზიდენციად იქცა იქვე არსებული ყოფ. რიაზანის მიტროპოლიტის სასახლე. მის მახლობლად დასახლდნენ და სახლები აიშენეს მეფე *ბაქარმა*, *ვახუშტი ბატონიშვილმა*, *სიმონ ბატონიშვილმა*, დ. *გურამიშვილმა*, მიტროპოლიტმა რომანოზ ერისთავმა, დეკანოზმა გ. გარსევანიშვილმა და სხვებმა. 30-იანი წლების შუა ხანებში გ-ში ქართველთა დიდი დასახლება ჩამოყალიბდა, რ-იც დოკუმენტებში, პრესაში იხსენიებოდა როგორც ,,გრუზინსკაია სლობოდა''. საჭირო გახდა ქართველთათვის საერთო სალოცავის დაარსება. 1750 *გიორგი ბატონიშვილმა* (ვახტანგ VI-ის ძე) გ-ს ცენტრში ააგებინა მთავარმოწამე წმ. გიორგის ქართ. სალოცავი (ხისა). ამიერიდან დასახლების ცენტრს (ტაძრის წინა ტერიტორიას) ,,გიორგის მოედანი''

ეწოდა. მოგვიანებით, დასახლება დაყვეს ხაზებად (ქუჩებად).

გ-ში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ვახტანგ VI, მისი ძმა, შვილები, ქართვ. მეფის სასახლის მოხელენი. დღესასწაულების (ქრისტეს შობა, ახალი წელი, აღდგომა და ა. შ.) დროს იქ იმართებოდა საზეიმო შეხვედრები, მგოსანთა გაბაასება, ბურთაობა, მხედართა შეჯიბრი. 1730 ,,ივანობის დღეობაზე'' ვახუშტი ბატონიშვილმა მოაწყო ჯირითი, რ-საც ესწრებოდნენ რუს. იმპერატორი, საიმპერატორო კარის წარმომადგენლები, გენერალიტეტი, რუსეთში აკრედიტებული უცხოელი დიპლომატები, რუსი და უცხოელი მეცნიერები, მოგზაურები.

გ. ქართ. კულტურის ცნობილ კერად იქცა. ვახტანგ VI-მ იქ დაწერა ორიგინ. ლექსების ციკლი. ვახუშტი ბატონიშვილმა შექმნა საქართველოსა და კავკასიის რუკები, დასაბეჭდად მოამზადა ,,დაბადების'' (ბიბლიის) ტექსტი, 1745 დაასრულა ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა'', თარგმნა რამდენიმე ძეგლიც (ს. იავორსკის ,,კლდე სარწმუნოების'' და სხვ.). რომანოზ ერისთავმა დაწერა თავისი ,,წინწილი ღაღადებისა'', დ. გურამიშვილმა შეთხზა მრავალი ლირ. ლექსი, რ-ებიც შემდეგ ,,დავითიანში'' გააერთიანა. გ-ში გადაიწერა მ. ბარათაშვილის პოეტიკის სახელმძღვანელო ,,ჭაშნიკი''. იქვე გადაინუსხა თარგმნილი რომანი ,,ალექსანდრიანი'' და ისტ. თხზულება ,,ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება'', აგრეთვე მსოფლიო ისტორია – ,,ქრონოგრაფი'', მაჩაბლისეული ,,ქართლის ცხოვრება'', ულულ-ბეგის ცნობილი ,,ზიჯი'', არტილერიის სახელმძღვანელო. გ-ში ითარგმნა თ. პროკოპოვიჩის ,,პირველ სასწავლო ყრმათა'', არითმეტიკა-გეომეტრიის სახელმძღვანელო და ა. შ.

200 წელზე მეტი ხნის მანძილზე ქართველთა ამ მიდამოებში ცხოვრების მრავალი საბუთია შემორჩენილი: ბაგრატიონთა სასახლის ნაშთები, მთავარმოწამე წმ. გიორგის ქვის დიდი ტაძარი (XVIII–XIX სს.), ტოპონიმები: ,,გრუზინო'', ,,გრუზინსკაია სლობოდა'', ,,გეორგიევსკაია პლოშჩად'', ,,ბოლშაია გრუზინსკაია'', ,,მალაია გრუზინსკაია'', ,,გრუზინსკი ვალ'', ,,გრუზინსკი პერეულოკ'' და ა. შ.

მოსკ. განაშენიანების გეგმის შედგენის წინ ქალაქის ძვ. დაგეგმარების შესწავლისას გაირკვა, რომ დასახლების შუაგულში, ,,ბოლშაია გრუზინსკაიას'' ქუჩაზე არსებულ ბაღის ტერიტორიაზე, სადაც დღეს შოთა რუსთაველის ძეგლი დგას, ქართ. მოსახლეობის ეზოები იყო. ძეგლიდან დასით, ბაღის გადაღმა, კუთხის ორსართულიანი სახლი, როგორც ირკვევა, ვახუშტი ბატონიშვილის სახლის ნაწილია. მისი ქვედა სართული აგურით, ხოლო ზედა – ხის მორებითაა ნაშენი. სკვერის ჩრდით, ქუჩის გადაღმა, სიღრმეში, ოთხსართულიანი სახლის პირველ სართულში ძვ. შენობის ნაშთია ჩართული. ადგილ. მცხოვრებთა გადმოცემით, ეს არის ,,ქართველების მეფის სახლიდან'' დარჩენილი აგურის სართული, რ-საც ხის მეორე სართული მოხსნეს და აგურის სამი სართული დააშენეს. ,,ბოლშაია გრუზინსკაიაზე'', №5ბ-ში დგას აგრეთვე ქორედი (მეზონინიანი) სახლი, რ-იც ძვ. თბილისური სახლების მსგავსია (კიბის რიკულების გამართვა, ფორმა, სადარბაზოს კარის მხატვრული გაფორმება და სხვ.). შესწავლამ დაადასტურა, რომ ეს სახლი არანაკლებ 270 წლისაა და ერთერთი პირველი ნაგებობაა გ-ში. საბუთების მიხედვით იგი ვახტანგ VI-ის ძის ბაქარის ნაკვეთზე მდებარეობს.

ლიტ.: სიხარულიძე ფრ., პრესნია – ქართველთა უბანი მოსკოვში, «მნათობი», 1982, №7; მისივე, ქართველთა დასახლება მოსკოვს XVII–XVIII სს., «საბჭოთა ხელოვნება», 1982, №1; მოსკოვის ქართული კულტურის ცენტრის ისტორიიდან, თბ., 1989; ცინცაძე ვ., ,,გრუზინოს'' გეგმარების დახასიათებისათვის, «ძეგლის მეგობარი», 1984, № 65.

ფ. სიხარულიძე. ვ. ცინცაძე.

გრუზინოვები, რუსეთის სამეფო კარზე დაწინაურებულ ქართველ აზნაურთა გვარი. გ-ის მამამთავარი რომან ნამჩევაძე 1727 გადასახლდა დას. საქართველოდან დონზე. მისმა შთამომავლებმა თავი გამოიჩინეს რუს. იმპერიის სამსახურში. თავალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ე. *გრუზინოვი*, ი. *გრუზინოვი* და პ. *გრუზინოვი*.

ლიტ. იხ. სტ-თან გრუზინოვი ე. ი.

გრუზინოვი ევგრაფ იოსების ძე (1770, ნოვოჩერკასკი, – 5. IX. 1800, იქვე), რუსეთის სამეფო კარზე დაწინაურებული სამხედრო მოღვაწე, წარმოშობით ქართველი, რომან ნამჩევაძის (იხ. *გრუზინოვები*) შვილიშვილი. თავი გამოიჩინა 1788–90 რუსეთ-შვედეთის ომსა და პოლონეთის 1794–96 კამპანიაში. 1796 დაავალეს კაზაკთა ლაიბგვარდიის პოლკის დაკომპლექტება (პოლკის პირველი მეთაური თვითონ იყო). 1797 მიანიჭეს გვარდიის პოლკოვნიკის წოდება. ერთხანს იმპ. პავლე I-ის ნდობით სარგებლობდა, მაგრამ 1798 აპრ-ში იმავე იმპერატორის ბრძანებით დააპატიმრეს და რეველის ციხეში ჩასვეს, შემდეგ ჩერკასკში გადაასახლეს. 1800 წ. 5 სექტ., სპეც. სამხ. სასამართლოს განაჩენით, სიკვდილით დასჯეს. ვარაუდობენ, რომ გ-ის დევნასა და სიკვდილით დასჯას პოლიტ. მოტივი ედო საფუძვლად. ა. სუვოროვის სამხ. სკოლის ტრადიციებზე აღზრდილი გ. სხვა მოწინავე ოფიცრებთან ერთად აშკარად გამოთქვამდა უკმაყოფილებას სუვოროვის სამხ. და პოლიტ. ასპარეზიდან ჩამოცილების გამო. გ-ისა და მის თანამოაზრეთა პოლიტ. პლატფორმა მიზნად ისახავდა რუსეთში არსებული წყობილების დამხობას. მათი აზრით, მართვა-გამგეობა ,,სახალხო სენატს'' უნდა აეღო ხელში, მომავალი საზ-ბის ცხოვრებას კი საფუძვლად უნდა დასდებოდა ,,ბრძნული კანონმდებლობა'', რ-ის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორუფლებიანი იქნებოდა. გ. მაღალ შეფასებას აძლევდა ე. პუგაჩოვსა და მის მოძრაობას. დავჯილდოებული იყო უმაღლესი სამხ. ორდენებით.

ლიტ.: გვინჩიძე ო., რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიიდან, თბ., 1957; მისივე, Братья Грузиновы, Тб., 1965.

ო. გვინჩიძე.

გრუზინოვი ილია ეგორის ძე (1781—1813), რუსი ანატომი და ფიზიოლოგი, წარმოშობით ქართველი, აზნაურ რომან ნამჩევაძის (იხ. *გრუზინოვები*) შთამომავალი. 1801 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი, 1804 – პეტერბ. სამედ.-ქირურგ. აკადემია და იმავე წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე ,,გალვანიზმი და მისი გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში'' (ლათ. ენაზე). მალე იგი როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა, ანატომიაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად გააგზავნეს გერმანიაში, ინგლისსა და საფრანგეთში. რუსული წყაროს საფუძველზე ირკვევა, რომ მან რუსეთისათვის პირველმა შეაღწია ,,ინგლისური გრამატიკა''. 1809 დაბრუნდა მოსკოვში და ანატომიის კათედრაზე დაიწყო მუშაობა. კითხულობდა ლექციებს ანატომიაში, ფიზიოლოგიაში, სასამართლო მედიცინასა და კლინიკურ საგნებში. 1811-იდან მოსკ. უნ-ტის

ანატ. კათედრის ორდინარული პროფესორი იყო. 1812 სამამულო ომის დროს მოხალისედ წავიდა არმიაში, იყო მოსკ. ლაშქრის კორპუსის ექიმი და დაიმსახურა გმირი პროფესორის სახელი. შეისწავლა ადამიანსა და ცხოველებში ხმის წარმოშობის მექანიზმი, რისთვისაც ერთ-ერთმა პირველმა ჩაატარა ცდები ადამიანის გვამზე. მოსკ. უნ-ტის ანატ. მუზეუმი გაამდიდრა ანატ. პრეპარატებით, მ. შ. ალსანიშნავია ადამიანის თვალის მაკროპრეპარატი. დაკრძალულია ვილნოს გუბერნიის ბარუნის მონასტრის კედელში.

თხზ.: Слово о новооткрытом месте происхождения голоса в человеке и других животных, М., 1812.

ლიტ.: Коштоянц Х. С., Очерки по истории физиологии в России, М., 1946. *ზ. კაციტაძე.*

ბრუზინოვი პეტრე იოსების ძე (1772, ნოვოჩერკასკი, – 27. X. 1800, იქვე), რუსეთის სამეფო კარზე დაწინაურებული სამხედრო მოღვაწე, ე. *გრუზინოვის* უმცროსი ძმა. კაზაკთა ლაიბგვარდიის პოლკოვნიკი. თავი გამოიჩინა ოჩაკოვისა და რიმნიკის ბრძოლების დროს, რისთვისაც დააჯილდოვეს წმ. გიორგის ჯვრითა და ოქროს ჯვრით. მონაწილეობდა პოლონეთის 1794–96 კამპანიაში. 1798 აპრილში დააპატიმრეს და ძმასთან, ევგრაფთან, ერთად გადაასახლეს ჩერკასკში. 1800 წ. 27 ოქტ. სიკვდილით დასაჯეს რამდენიმე კაზაკ ოფიცერთან ერთად.

ლიტ. იხ. სტ-თან გრუზინოვი ე. ი. *ო. გვინჩიძე.*

ბრუზინსკაია ანა ალექსანდრეს ასული (17. VIII. 1763, მოსკოვი, – 12. X. 1842, იქვე), მეფე *ბაქარის* შვილიშვილი. გენ. ბ. გოლიცინის ცოლი. მან წარუდგინა ჭაბუკი პ. *ბაგრატიონი* თავად გ. პოტიომკინს. ბოროდინოს ველზე დაჭრილი პ. ბაგრატიონი გოლიცინების მამულში გადაიყვანეს და იქ ანას მზრუნველობით მკურნალობდნენ, გარდაცვალების შემდეგ ბ-ს დარჩა ბაგრატიონის საველე კანცელარიის დოკუმენტების ერთი ნაწილი. დაკრძალულია რუს. კულტურის ცნობილ ცენტრში – სერგის უდაბნოში (ახლანდ. ვლადიმირის ოლქი). *ფ. სიხარულიძე.*

„ბრუზინსკაია მისლ“, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი რუსულ ენაზე, ქართველ ეროვნ.-დემოკრატთა პირველი პერიოდული გამოცემა, რედაქტორ-გამომც. გ. გვაზავა (გამოვიდა ერთი ნომერი – 1907 წ. 11 მარტს თბილისში). გამოქვეყნებულია მ. *წერეთლის,* გ. გვაზავასა და სხვათა პუბლიც. წერილები. „ბ. მ.“ 1783 გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე მოითხოვდა საქართველოს ავტონ. მოწყობას, ქართ. მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, სამართალწარმოებას მშობლიურ ენაზე. გაზეთის გამოცემა აიკრძალა თბილ. გენ.-გუბერნატორის სპეც. განკარგულებით, ხოლო რედაქტორ-გამომცემელი დააპატიმრეს და გადაასახლეს.

ლიტ.: ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002. *თ. ჯოლოგუა.*

ბრუზინსკები, 1. ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის შთამომავალ ბაგრატიონთა მიერ რუსეთში მიღებული ტიტული, რ-იც შემდეგ მისი მფლობელების გვარად იქცა. ისინი სარგებლობდნენ რუს. იმპერიის თავადის („Князь“) უფლებებით; 2. რუს. იმპერიის სახელმწიფო საბჭოს 1833 წ. 25 აპრ. გადაწყვეტილებით, ქართლ-კახეთის მეფეების ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის შთამომავალი ბაგრატიონებისათვის მინიჭებული ტიტული, რ-იც მისი მფლობელების გვარად იქცა. სახელმწ. საბჭოს 1865 წ. 20 ივნ. გადაწყვეტილებით, ისინი სარგებლობდნენ რუს. იმპერიის „უგანათლებულესი თავადის“ („Светлейший князь“) უფლებებით. ეს ტიტული აღემატებოდა თავადის ტიტულს.

ლიტ.: გონიკიშვილი მ., ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 1986; Джавахишвили Н., Грузины под российским флагом (Грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703–1917 гг.), Тб., 2003. *ნ. ჯავახიშვილი.*

ბრუზინსკი (ბაგრატიონი) გიორგი ალექსანდრეს ძე (2. XI. 1762, მოსკოვი, – 15. V. 1852, სოფ. ლისკოვო), რუსეთის სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, მეცენატი, მეფე *ბაქარის* შვილიშვილი. დაწყებითი განათლება მიიღო ოჯახში. შეისწავლა უცხო ენები. 1768 იმპ. *ეკატერინე II-ის* ბრძანებით ჩარიცხეს პეტერბურგის ქვეითთა პოლკში, 1776-იდან ელიზავეტგრადის მსუბუქ ცხენოსანთა პოლკში იყო (1778-იდან – კაპიტანი, 1786-იდან – მაიორი). მის სამხ. კარიერას ხელი შეუშალა მამის, *ალექსანდრე ბატონიშვილის,* ქართლის ტახტისთვის ბრძოლამ და ამ ნიადაგზე ეკატერინე II-თან უთანხმოებამ. 1786 თავი დაანება სამხ. სამსახურს და დასახლდა ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის სოფ. ლისკოვოში. 1792 აირჩიეს ჯერ მაკარიევოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად, 1795 კი – ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად. 1798 პავლე I-მა ხისტი ხასიათის გამო გადააყენა. საქართველოს რუსეთთან შეერთების წინა წლებში ბ. შეხვდა იმპ. *ალექსანდრე I-ს* და ქართ. ეკლესიის რელიკვია – წმ. ნინოს ჯვარი – გადასცა. 1807–28 ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი იყო. სამამულო ომის (1812) დროს მეთაურობდა ნიჟნი-ნოვგოროდის მოხალისეებს. ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა მეურნეობის განვითარების საქმეში. იგი ერთ-ერთი მდიდარი მემამულე გახდა რუსეთში. თავისი შემოსავლის ნაწილი ბ-მ ნიჟნი-ნოვგოროდის ცენტრში სასახლეების გაფართოებას მოახმარა. მან დააარსა ინვალიდთა თავშესაფარი, აღსაზრდელთა სახლი; ლისკოვოში გახსნა აფთიაქი, 1800 კი ააშენა სამრეკლო, დიდი ქვის ტაძარი, თვითონვე იკისრა საეკლ. მსახურების ყველა ხარჯი. 1848 ქალაქის სასწავლებელს თავისი სასახლე აჩუქა. თვითონვე ინახავდა მოსწავლეებსაც. მფარველობდა და ეხმარებოდა დეკაბრისტებს. ჰქონდა მდიდარი ბ-კა ქართ., რუს. და ევრ. ენებზე. დაკრძალულია თავისსავე აშენებულ ტაძარში. *ფ. სიხარულიძე.*

ბრუზინსკი (ბაგრატიონი) გიორგი ვახტანგის ძე (1712–1786), იხ. *გიორგი ბატონიშვილი.*

ბრუზინსკი (ბაგრატიონი) დავით ბაგრატის ძე (30. IV. 1819, პეტერბურგი, – 24. IX. 1888, იქვე), თავადი, ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრე (1880-იდან). ვინაიდან შვილი არ დარჩა, მისი გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ლეგიტიმური უფლება გადავიდა მის ძმისწულზე – პ. ა. *გრუზინსკიზე.*

ლიტ.: ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. სამეცნიერო სტატიების კრებული გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბ., 2003; Дворянские роды Российской империи, т. 3. Князья. Руководители авторского коллектива П. Гребельский и С. Думин, под ред. С. Думина, М., 1996. *ნ. ჯავახიშვილი.*

ბრუზინსკი (ბაგრატიონი) ილია გრიგოლის ძე (20. IV. 1867 – 1947), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. 1895 დაამთავრა გენერალური შტაბის აკა-

დემია. მსახურობდა გვარდიაში, პლასტუნთა ბატალიონში, კავკასიის მსროლელთა პოლკში, კაზაკთა ჯარების მთავარ სამმართველოში არტილერიის უფროსად. 1918 მსახურობდა თეთრ არმიაში, შემდეგ – წითელ არმიაში. ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას სხვადასხვა კურსებზე. 1921-იდან იყო უმაღლესი სამხ. სკოლის მასწავლებელი.

ლიტ.: В о л к о в С., Офицеры российской гвардии, М., 2002. *მ. გოგიტიძე.*

გრუზინსკი (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) იოანე გრიგოლის ძე (24. VI. 1826, პეტერბურგი, – 15. IX. 1880, იქვე), თავადი, ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრე. დაამთავრა პეტერბურგის პაჟთა კორპუსი (1847). კამერ-პაჟის რანგით ჩაირიცხა კავალერგარდის პოლკში, სადაც ერთ წელიწადს მსახურობდა. XIX ს. 60-იან წლებში ცხოვრობდა დას. ევრ. ქვეყნებში. დაახლოებული იყო რუს მწერალ ა. გერცენთან. აქვეყნებდა სტატიებს ლონდონსა და ჟენევაში გამომავალ გაზ. ,,კოლოკოლში'', რ-ის გამოცემაში მას მატერ. წვლილი შეჰქონდა. თავი მოუყარა ძვ. ქართულ ხელნაწერებს, მხატვრული ჭედურობის ნიმუშებსა და ისტ. რელიკვიებს. იყო პეტერბურგში არსებული ,,ინგლისური კლუბის'' წევრი. მას, როგორც სამეფო სახლის უფროსს, პლატონ იოსელიანმა მიუძღვნა ,,ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა''. გ-მ თავის კოლექციაში თავმოყრილი ხელნაწერების ფონდი საჩუქრად გადასცა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკას. მფარველობდა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებს. ვინაიდან შვილი არ ჰყავდა, მისი გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ლეგიტიმური უფლება გადავიდა მის ბიძაშვილზე – დ. *გრუზინსკიზე.*

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ნ., გრიგოლ I – უკანასკნელი ქართველი მეფე, თბ., 2008; Дворянские роды Российской империи, т. 3. Князья. Руководители авторского коллектива П. Гребельский и С. Думин, под ред. С. Думина, М., 1996.

ნ. ჯავახიშვილი.

გრუზინსკი (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) პეტრე ალექსანდრეს ძე (26. IV. 1857, თბილისი, – 3. II. 1922, დაკრძალულია სვეტიცხოველში), უგანათლებულესი თავადი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, კამერჰერი, ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრე (1888-იდან). მამა პ. *გრუზინსკი-ბაგრატიონისა.*

ლიტ.: ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. სამეცნიერო სტატიების კრებული გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბ., 2003; Дворянские роды Российской империи, т. 3. Князья. Руководители авторского коллектива П. Гребельский и С. Думин, под ред. С. Думина, М., 1996. *ნ. ჯავახიშვილი.*

გრუზინსკი (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) პეტრე ნიკოლოზის ძე (1837–1892), ფერმწერი, ბატალისტი და ჟანრისტი. 1851 შევიდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში. სურათისათვის ,,ბოშათა ბანაკი'' დაიმსახურა მცირე ოქროს მედალი (1860), ხოლო – სურათისათვის ,,ღუნიბის აღება'' – დიდი ოქროს მედალი (1862). საზღვარგარეთ გაემგზავრა აკადემიის მხარდაჭერით. პარიზში დახატა სურათები ,,ზუავების პიკეტი საფრანგეთში მანევრებზე'' და ,,ბაზარი ფონტენბლოში''. 1864 ჩამოვიდა რუსეთში, რათა შეექმნა პარიზის მსოფლიო გამოფენისათვის შეკვეთილი სურათის (,,რუსის ჯარის მოახლოებისას მთიელები ტოვებენ აულს'') ესკიზები. 1872 სამუდამოდ დაბრუნდა რუსეთში და იმავე წელს პეტერბურგის საიმპერატორო



პ. ნ. გრუზინსკი. ,,ბოშათა ბანაკი''. 1860.


სამხატვრო აკადემიამ აღნიშნული სურათისათვის აკადემიკოსის წოდება მიანიჭა. გ-ს გვიანდ. (1890-მდე) ნამუშევრებია:,,სცენა სოფლის ცხოვრებიდან'', ,,გასეირნება ქალაქგარეთ'' და სხვ.

გრუზინსკი-ბაგრატიონი პეტრე პეტრეს ძე (28. III. 1920, თბილისი, – 13. VIII. 1984, იქვე), პოეტი და დრამატურგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1979). ბაგრატიონთა სამეფო გვარის პირდაპირი შთამომავალი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1941). ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1933-იდან. თავდაპირველად წერდა თამარაშვილის ფსევდონიმით. ანტისაბჭოთა ლექსებისათვის 1945 დააპატიმრეს. მისმა ლირ. ლექსებმა არაერთი კომპოზიტორის ყურადღება მიიპყრო. იგი თანამშრომლობდა კომპოზიტორებთან: ა. *ბალანჩივაძესთან*, ო. *თაქთაქიშვილთან*, რ. *ლაღიძესთან*, ბ. *კვერნაძესთან*, ო. *თევდორაძესთან*, ს. *ცინცაძესთან* და სხვ. მის ლექსებზე შესანიშნავი სიმღერები შეიქმნა, რ-თა შორის აღსანიშნავია რ. ლაღიძის ,,გვიხმობს სამშობლო'', ,,სიმღერა თბილისზე'' (დაიწერა თბილისის 1500 წლისთავისათვის), გ. ცაბაძის ,,ჰიმნი სიყვარულს'', ,,მიმღერე რამე'', ,,სადაც გინდა, იქ ილოცე'', ბ. კვერნაძის ,,გაზაფხულდა'', ო. თევდორაძის ,,ობელისკები'' და სხვ. მისი ლექსები აჟღერდა აგრეთვე ქართ. ფილმებში: ,,კეთილი ადამიანები'', ,,ბაში-აჩუკი'', ,,დღე პირველი, დღე უკანასკნელი'', ,,აბეზარა'', ,,მხიარული რომანი'', ,,რაც გინახავს, ველარ ნახავ'', ,,მიმინო'', ,,განგაში'' და სხვ. გ.-ბ-ის სცენარებზე შეიქმნა ქართ. ფილმები: ,,შეხვედრა მთაში'', ,,საქართველოს რიტმები'' და ,,საჩუქარი''. იგი არაერთი მუს. კომედიის ლიბრეტოს ავტორია, რ-თაგან აღსანიშნავია ,,შურისმაძიებელი'', ,,საყვარელი დისშვილი'' და სხვ., აგრეთვე დრამ. ნაწარმოებებისა (,,სასჯელის შიშით'', ,,შემთხვევა ზღვაში'', ,,ბრალდებული'') და საოპერო ლიბრეტოებისა.

დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში.



პ. ნ. გრუზინსკი.



პ. გრუზინსკი-ბაგრატიონი.

გრუზინსკოე-უშჩელიე (1955-მდე – ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ხ ე ო ბ ა), სოფელი გაგრის მუნიციპალიტეტის კოლხიდის თემში (აფხაზეთის არ), აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. ოლგინ-

სკის ნაპირას. ზ. დ. 320 *მ*, გაგრიდან 7 *კმ*. 518 მცხ. (1989).

გრუი, გ რ უ ა, შუა საუკუნეების ციხესიმაგრე აღმ. საქართველოში, ქსნის ხეობაში, მდ. ალეურის მარჯვ. შენაკადის გრუისხევის შუაში ამოზიდულ გორაკზე (ახლანდ. ახალგორის მუნიციპალიტეტი). შემორჩენილია ნანგრევები. გ. პირველად მოხსენიებულია თხზულება „მატიანე ქართლისაში“ (XI ს.), ხოლო შემდეგ – „ძეგლი ერისთავთაში“ (XIV ს.). VI ს. მოვლენების თხრობისას მოიხსენიება როგორც გ. და გრუელნი. X ს-ში გ. წირქოლის ციხესთან ერთად ქართლზე კახეთის სამეფოს პოლიტ. ბატონობის საყრდენი იყო. ციხეს სამი მხრიდან მდინარე უვლის. სამხრ. ნაწილში რიყისა და ფლეთილი ქვით ნაგები სათოფურებიანი მრგვალი კოშკია (დიამეტრი 6 *მ*), ჩრდ. ნაწილში – სწორკუთხა ნაგებობის ნანგრევები. ნაგებობებს შორის ადგილი გარშემორტყმული ყოფილა პარალელური კედლებით. ციხის ნაშთები XIV–XVII სს-ისაა. აქ აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტები (VI–XII სს.) წერილობით ცნობებთან ერთად სარწმუნოს ხდის, რომ გ-ს ციხე ჯერ კიდევ ადრინდ. ფეოდ. ხანაში არსებობდა.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1967, [ტ.] 3.

ჯ. გვასალია.



გრუნერის აისი.

გრუნერის აისი (Anthocharis gruneri), პეპელა თეთრულასებრთა ოჯახისა, იშვიათი სახეობა, აღმ. ხმელთაშუაზღვის ენდემი. ამიერკავკასიაში გვხვდება მისი ქვესახეობა. გ. ა-ის გავრცელების ჩრდ. საზღვარია საქართველო. გვხვდება სამხრ. მთიანეთის (ახალციხე-ახალქალაქი, თბილ. მიდამოები) და კავკასიონის (თუშეთი) ქსეროფიტულ დაჯგუფებებში მცირე პოპულაციების სახით. პეპელა ძირითადად გვხვდება ივნ.-ივლში (ზოგჯერ ადრეც), მთაში კი – უფრო გვიან. გ. ა-ის მატლი იკვებება ღორღორას (Sysimbrium) გვარის წარმომადგენლებით. დიაპაუზას გადის ჭუპრის ფაზაში.

საქართველოში დაცულია საგურამოს, ბორჯომისა და ახმეტის ნაკრძალებში. *ე. დიდმანიძე.*



გრძელთითა წყლის ბიგა.



გრძელი მცურავი.

გრუშევსკი მიხეილ სერგეის ძე [17. IX. 1866, ქ. ხოლმი (ახლანდ. ხელმი, პოლონეთი), – 25. XI. 1934, ქ. კისლოვოდსკი], უკრაინის პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი. რუს. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1910), უკრაინის სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1924), სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1929). ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი. ბავშვობა საქართველოში გაატარა, სწავლობდა თბილ. პირველ გიმნაზიაში (მემორიალური დაფა, 1996). უმაღლესი განათლება მიიღო კიევის წმ. ვლადიმირის უნ-ტში. გ. იცავდა უკრაინის ეროვნ. იდეებს, რისთვისაც მუდმივად დევნიდნენ. 1914 ნოემბ. გ. დააპატიმრეს და ქ. სიბირსკში გადაასახლეს. რუს. თებ. რევოლუციის (1917) შემდეგ იგი დაბრუნდა კიევში, აირჩიეს უკრაინის ცენტრ. რადის თავ-რედ (1917–18), იბრძოდა უკრაინისათვის ფართო პოლიტ. და ეროვნ.-კულტ. ავტონ. მოსაპოვებლად ფედერალიზმის საფუძველზე. 1919 გ. იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. 1924 საბჭ. უკრაინის მთავრობის მიწვევით გ. დაბრუნდა უკრაინაში, თუმცა 1931 დააპატიმრეს, ბრალი დასდეს ,,უკრაინის ეროვნული ცენტრის“ ხელმძღვანელობაში. განთავისუფლების შემდეგ იძულებით ცხოვრობდა მოსკოვში. დაკრძალულია კიევში.

თხზ.: Історія України–Руси, т. 1–10 (в 13 кн.), К., 1898–1936 (т. 1–11, К., 1991–98).

შ. ცირეკიძე.

გრუშეცკი კონსტანტინე სტანისლავის ძე (7. XI. 1917, თბილისი, – 2000, რუსთავი), ინჟინერი ელექტროტექნიკის დარგში. წარმოშობით უკრაინელი. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ელექტროტექ. ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ (1951) მუშაობა დაიწყო ამიერკავკ. მეტალ. ქ-ნაში მილდამამზადებელი საამქროს მორიგე ელექტრიკოსად, 1957-იდან იყო ამავე ქ-ნის საგლინი საამქროს უფროსის თანაშემწე. მილსაგლინ აგრეგატ „400“-ის მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის სპეციალისტების ჯგუფთან ერთად მიენიჭა ლენინური პრემია (1962). მიღებული აქვს სახელმწიფო, მ. შ. საბრძოლო ჯილდოები.

გრძელველები, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის დაბა სიონის ტერიტორიულ ორგანოში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, მდ. ვაშლიანის (ივრის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1100 *მ*, თიანეთიდან 42 *კმ*. 10 მცხ. (2002). სოფლის განაპირას, სამხრ.-დას-ით დგას დარბაზული ეკლესია – ადგილის დედის ხატი. მიეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. ეკლესია დაზიანებულია.

გრძელთითა წყლის ბიგა (Neomys fodiens leptodactylus), ძუძუმწოვარი ცხოველი ბიგასებრთა ოჯახისა. ტანად პატარაა, გარეგნულად სახლის თაგვს ჩამოჰგავს. სხეული დაფარულია გრძელი ბალნით. გავრცელებულია ზ. დ. 2600 *მ*-მდე. ბინადრობს ტყეებში, წყალსატევების ახლოს, კარგად ცურავს და ყვინთავს. ცხოვრობს სოროში, რ-საც თვითონ თხრის, ან სხვის მიტოვებულში სახლდება. წელიწადში შობს 3–8 ნაშიერს. იკვებება მწერებით, მათი მატლებით, კიბოსნაირებით, ლიფსიტებით, პატარა თევზებით. საქართვ. ფარგლებში გვხვდება ახალქალაქისა და ბაკურიანის მიდამოებში, ფშავში, სვანეთში. საქართველოს გარდა, გ. წ. ბ. გვხვდება ჩრდ. კავკასიაში, რუს. ევრ. ნაწილში, აზერბაიჯანში. იკვებება ქვირითითა და ლიფსიტებით, რის გამოც ზიანს აყენებს თევზის მეურნეობებს.

ვ. ფირცხელაური.

„გრძელი გუბეების“ სამაროვანი, ძვ. წ. I ათასწლ. შუა ხანის ძეგლი სოფ. ენისელში, მდინარეების ინწობისა და ალაზნის შესართავთან (ყვარლის მუნიციპალიტეტი). გათხარეს 1976 (კახეთის არქეოლ. ექსპედიცია, ხელმძღვ. – კ. ფიცხელაური). გამოვლინდა 18 ორმოსამარხი და ორმოსამარხის ნაშთი (ზომები: 1,5 *მ* × 1 *მ*; 1,4 *მ* × 1,4 *მ*; 1,9 *მ* × 1,7 *მ*). სამარხეული მასალა ძირითადად თიხის ჭურჭელია (ლანგარი, ჯამი, ქილა, დერგი, ხელადა, ტოლჩა, კათხა, ქვევრი). სამარხებში აგრეთვე აღმოჩნდა რკინის მოხრილი დანები, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, სარდიონისა და პასტის მძივები.

ლიტ.: მ ა ი ს უ რ ა ძ ე ბ., იორ-ალაზნის ზემო დინების გვიანბრინჯაო – რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993. *ც. მენაბდე.*

გრძელი მცურავი, ე ს კ უ ლ ა პ ი ს გ ვ ე ლ ი (Elaphe longissima), უშხამო გველი ანკარასებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძეა 100–150 *სმ*. გავრცელებულია სამხრ.-დას. და ცენტრ. ევროპაში, მცირე აზიაში, ჩრდ. ირანში, მოლდავეთში, სამხრ.-დას. უკრაინაში, ყირიმში, კავკასიაში. საქართველოში გვხვდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილში. ბინადრობს ტყეებში, ბუჩქნარში, მთის ფერდობზე ზ. დ. 2000 *მ*-მდე. იმალება ნაპრალებში,

ფულუროებში და ა. შ.; კარგად დაცოცავს ხეებზე. იკვებება წვრილი ხერხემლიანებით (ძირითადად თბილისისხლიანებით). ივნისსა და ივლ. დასაწყისში ფხვიერ მიწაზე ან ხმელ ფოთლებში დებს 4–10 კვერცხს. ნაშიერები იჩეკებიან აგვ.-სექტემბერში. შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“.

თ. მუსხელიშვილი.

გრძელი ტბა, ხ ა ლ ა ხ ე ლ ი, ტბა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, კახეთის კავკასიონის თხემურ ზონაში, ზ. დ. 2784 *მ* სიმაღლეზე. ზედაპირის ფართ. 0,17 *კმ*^{2}, მაქს. სიღრმე 11,9 *მ*, მოცულობა 1,1 მლნ. *მ*^{3}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. ტბა გამდინარეა. *ი. აფხაზავა.*

გრძელიშვილი კონსტანტინე იასონის ძე (21. I. 1910, ქუთაისი, – 30. VI. 1974, თბილისი), კინორეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1969). სწავლობდა თსუ-ის ლიტ-რის ფაკ-ტზე (1927–30) და სახკინმრეწვის კინომსახიობთა სკოლაში (1930–31). დაამთავრა საკავშ. კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (1939). 1930-იდან მუშაობდა სახკინმრეწვში, თავდაპირველად რეჟისორის ასისტენტად, შემდეგ კი – მეორე რეჟისორად მხატვრულ ფილმებზე: „ის კიდევ დაბრუნდება“ (1943), „ბედნიერი შეხვედრა“ (1949), „ცისკარა“ (1955) და სხვ. დამდგმელი რეჟისორია ფილმებისა: „წითელა“ (1935), „დილა მშვიდობისა“ (1941), „დახმარება ფრონტელთა ოჯახებს“ (1943), „გენერალ-პოლკოვნიკი ლესელიძე“ (1944), „მტკიცე მეგობრობა“ (1944), „შეხვედრა ამომრჩევლებთან“ (1946), „სახლი გორში“ (1953), „სასიამოვნოა და სასარგებლო“ (1958) და სხვ. გ. უცხ. ფილმების ქართ. ენაზე დუბლირების ერთ-ერთი ფუძემდებელია. 1940–74 დუბლირებული აქვს 150-მდე ფილმი. *ა. გვენცაძე.*

გრძელიძე დავით ვლადიმერის ძე (30. IX. 1921, თბილისი, – 1. X. 1992, იქვე), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1967). არქიტ. კანდიდატი (1956). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1948), მოსკ. არქიტ. ინ-ტის კვალიფიკაციის ამაღლების კურსები (1952). მუშაობდა „თბილქალაქპროექტში“ (1956–58), ტიპობრივი და ექსპერ. დაპროექტების თბილ. ზონალურ სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (1964–91), პარალელურად 1989-იდან იყო არქიტ. და ქალაქთმშენებლობის თეორიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის თბილ. ფილიალის დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში; 1979-იდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილ. სამხატვრო აკადემიაში. ნამუშევრები: თბილ. საბურთალოს რ-ნის დეტალური დაგეგმარების პროექტი (1958; ა. *ბაქრაძესთან*, ი. და შ. *ყავლაშვილებთან* ერთად); ტიპური სერია 5–9-სართულიანი მონოლითური რკინაბეტონის საცხოვრ. სახლებისა (1977; ზ. ბერუაშვილთან და გ. ხიზანიშვილთან ერთად); გვინეის რესპუბლიკაში ქ. დებელეს დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტი (1978; გ. ბერიძესთან ერთად); თბილისში 16-სართულიანი მონოლითური რკინაბეტონის საცხოვრ. სახლი (1987, მუხიანის მიკრორაიონი) და სხვ.

ს. კინწურაშვილი. მ. მაისურაძე.

გრძელიძე თეიმურაზ ივანეს ძე (დ. 5. VIII. 1956, ბათუმი), გენერალ-მაიორი (1994). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექ. ფაკ-ტი (1978). 1978–80 მუშაობდა საკავშ. სამეცნ.-კვლ. და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინ-ტში ინჟინრად. 1980–81 იყო სახელმწ. უშიშროების კომიტეტის ქ. მინსკის უმაღლესი კურსების კურსანტი. 1981 მუშაობა დაიწყო საქართვ. სახელმწ. უშიშროების ორგანოებში. საქართველოს სახელმწ. უშიშროების საპატიო თანამშრომელი (1996). 1997–2000 იყო საქართვ. დაზვერვის სახელმწ. დეპარტამენტის თავ-რის პირველი მოადგილე, 2000–01 – საქართვ. სახელმწ. უშიშროების მინისტრის მოადგილე, ხოლო 2001–04 – საქართვ. დაზვერვის სახელმწ. დეპარტამენტის თავ-რის მოადგილე. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III (1996) და II ხარისხის (2001) და ღირსების (1996) ორდენებით. *ლ. დოლიძე.*

გრძელიძე რევაზ კონსტანტინეს ძე (1. VIII. 1930, სოფ. ბარი, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 28. XII. 1998, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი (1976). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1990). 1953 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1960–64 იყო სკკპ ისტ. კათედრის უფროსი მასწავლებელი, 1965–76 – მეცნ. კომუნიზმის კათედრის დოცენტი, 1977–81 – თსუ-ის პრორექტორი, 1987–91 – თსუ-ის სკკპ ისტ. კათედრის, ხოლო 1991–98 – პოლიტიკურ პარტიათა ისტორიის კათედრის გამგე. იკვლევდა საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხებს.

გრძელი ჭალა, სოფელი ყვარლის მუნიციპალიტეტის გრემის თემში (კახეთის მხარე), კახეთის კავკასიონის მთისწინეთში, მდ. ბოლიის (ინწობის მარჯვ. შენაკადი) ზემოთში. ზ. დ. 620 *მ*, ყვარლიდან 28 *კმ*, თელავიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 26 *კმ*. 70 მცხ. (2002).

გრძელფეხა სცინკი (Eumeces schneideri), ხვლიკი სცინკისებრთა ოჯახისა. გავრცელებულია ჩრდ. აფრიკაში, ხმელთაშუა ზღვის ზოგიერთ კუნძულზე, წინა აზიაში, აღმ-ით ავღანეთამდე და ჩრდ.-დასით ინდოეთამდე; აგრეთვე სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთით და შუა აზიის სამხრ. რ-ნებში. საქართველოში გვხვდება აღმ. ნაწილში – დავითგარეჯაში, შირაქში, ქვემო ქართლში. ბინადრობს ქსეროფიტულ ადგილებში. თავს აფარებს ქვებს, კლდის ნაპრალებს, მღრღნელების სოროებს (ზოგჯერ სოროს თვითონვე თხრის). დიდი გ. ს-ის სხეულის სიგრძე 43 *სმ* აღწევს. მოზრდილი ცხოველი, განსაკუთრებით მამალი, ძლიერ იკბინება. გაზაფხულსა და ადრე ზაფხულში აქტიურია ძირითადად დღისით, შუა ზაფხულში – დილას და საღამოს, ხოლო ზაფხულის მიწურულში ეძლევა ზაფხულის ძილს. იკვებება მწერებით, ობობებით, ლოკოკინებით, ზოგჯერ წვრილ-წვრილი ხვლიკებით, უხერხემლოებით, ჭამს თუთასაც. დებს 9 კვერცხს. ძალზე იშვიათი სახეობაა და შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“.



გრძელფეხა სცინკი.

თ. მუსხელიშვილი.

გრძელფრთიანი ღამურა (Miniopterus schreibersi), ძუძუმწოვარი ცხოველი ხელფრთიანების რიგისა. გავრცელებულია სამხრ. ევროპაში, ჩრდ. აფრიკაში, აზიაში, ავსტრალიაში. საქართველოში გვხვდება ამ რიგის ერთი სახეობა. რეგისტრირებულია ბათუმში, სოხუმში, ზუგდიდში, თბილისსა და მის შემოგ არენში. ბინადრობს ტაძრებისა და სამრეკლოების გუმბათებს ქვეშ, სახლების სხვენში, გამოქვაბულებში, ხის ფულუროებში. შემოდგომით დიდ-დიდ გუნდებად მიფრინავს სამხრით (ინდოეთი, აფრ. კონტინენტი). მაისის ბოლოს – ივნისში შობს 1–2 ნაშიერს. მშობიარობის პერიოდი დამოკიდებულია გაზაფხულის ხასიათზე, ცხოველის ზამთრის



გრძელფრთიანი ღამურა.

ძილიდან გამოსვლის დროზე. გ. ღ. სასარგებლო ცხოველია, ანადგურებს მავნე მწერებს. შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში‘‘. *ს. სალაყაია.*

გუად-იხუ, გორა სოხუმის ტერიტორიაზე, სადაც სხვადასხვა პერიოდის არქეოლ. ძეგლებია აღმოჩენილი 1935, 1951–53 და მომდევნო წლებში (ვ. ბჟანია, მ. თრაფში, მ. ივაშჩენკო). გ-ს მწვერვალის ზედაპირიდან აკრეფილია მუსტიეს ეპოქის ნუკლეუსები და ანატკეცები. იქვე გაითხარა გვიანდ. ენეოლითისა და ადრინდ. ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი (ძვ. წ. IV–III ათასწლ.). აღმოჩნდა ქვისა და კაჟის იარაღი (თოხები, გაპრიალებული ცული, ისრისპირები, საჭრისები და სხვ.), ხელსაფქვავები, ბადის საწაფები, ტყვიის ზოდები. თიხის ჭურჭელი შემკულია ამოკვეთილი წიწვოვანი და სხვ. ორნამენტითა და მიძერწილი რელიეფური ლილვებით. ზედაპირი უმეტესად ანგობირებულია.

გ-ს მწვერვალის აღმ. ნაწილში აღმოჩნდა გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ცული და სპილენძის წიდები. აქვე გაითხარა ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყ. 2 საცხოვრ. სათავსი და სამარხი, რ-შიც ბრინჯაოს 2 ბრტყელი სეგმენტისებრი იარაღი აღმოჩნდა.

მნიშვნელოვანია გ-ს ანტ. ხანის (ძვ. წ. VI–III სს.) ნამოსახლარი და სამაროვანი. ნამოსახლარზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, პირამიდული საწაფები, აგრეთვე იმპორტული შავლაკიანი კერამიკისა და მცირეაზიური კულტ. ცენტრებიდან შემოტანილი ამფორების ნატეხები. კრემაციულ სამარხებში ნაპოვნია რკინის იარაღი (მახვილები, სატევრები, ცულ-ჩაქუჩები და აფთები, მასრიანი შუბისა და ხელშუბის პირები), ბრინჯაოს სამკაული (ფარაკიანი საბეჭდავი ბეჭდები, ზურგშედრეკილი სამაჯურები, რომბისებურად გაბრტყელებულბოლოიანი გვერგვები, საკინძები, მშვილდსაკინძები და სხვ.), მინის სხვადასხვანაირი მძივები, სავარცხლისეული ტალღოვანი ორნამენტით შემკული თიხის დოქები და ქოთნები, იმპორტული (ბერძნული) კერამ. ნაწარმი.

ლიტ.: ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე ა., ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI–VIII საუკუნეებში, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; В о р о н о в Ю. Н., Археологическая карта Абхазии, Сух., 1969; И в а щ е н к о М. М., Исследование архаических памятников материальной культуры в Абхазии, «Известия научно-исследовательского института кавказоведения», 1935, в. 3; Т р а п ш М. М., Некоторые итоги археологического исследования в Сухуми в 1951–53 гг., «Советская археология», 1955, в. 23.

ი. გაგოშიძე.

გუანდრა, ძვ. წ. IV ათასწლეულის II ნახ. და III ათასწლეულის ნასახლარი ახალ ათონთან, ზღვასა და აჯიკაფსარის ბორცვიან მასივებს შორის, დაბალ ტერასაზე. 1971–74 გაითხარა დაახლ. 170 მ² ფართობი. გამოვლინდა 3 კულტ. ფენა.

ქვედა ენეოლითის ფენაში აღმოჩნდა ქვიშაში ჩაჭრილი მრგვალი და ოთხკუთხა მიწურები, რ-თა მოწნული კედლები ფაცხის ტიპისა იყო, გადახურვა კი – კონუსური, ქვის იარაღი (ე. წ. სოხუმისა და სოჭ-ადლერის ტიპის თოხები, პიკის ტიპის იარაღი, კაჟის ანატკეცები), აგრეთვე ხელით ნაძერწი მურა-მოვარდისფრო და მსხვილმარცვლიანი მოშავო თიხის ჭურჭელი (ქილები, ქოთნები, ჯამები და სხვ.), შემკული ღარული, წიწვისებური, წერტილოვანი და ხაზოვანი ორნამენტით.

მომდევნო, ადრინდ. ბრინჯაოს ხანის ფენაში გამოვლინდა მრგვალი და ოთხკუთხა ფორმის ნაგებობათა თიხატკეპნილი მოედნები, სამეურნ. ორმოები და ნაცროვანი კერები. ქვის იარაღი, ისეთივეა, როგორიც ენეოლითურ ფენაში. მხოლოდ ჭარბობს კაჟის იარაღი (საფხეკები, საჭრისები, ტრაპეცია და სხვ.). კერამ. ნაწარმთაგან გვხვდება ე. წ. ხილის ვაზები, მაღალფეხიანი სასმისები და ჭურჭელი, რ-იც ფორმით ენეოლითურ ფენაში გამოვლენილის მსგავსია. ისინი შემკულია დაჭდეული სარტყლებით, სავარცხლისებური სახეებით და სხვ.

ორივე ფენაში აღმოჩნდა თიხის რქიანი სვეტები, რ-ებიც კულტთან და ზღვისპირა ნასახლარების მეურნეობასთანაა დაკავშირებული.

ზედა ფენა ძლიერ იყო დაზიანებული ყოველწლიური მიწის სამუშაოებისაგან.

ლიტ.: საქართველოს არქეოლოგია, ტ. 2, თბ., 1992; ფ ხ ა კ ა ძ ე გ., დასავლეთ ამიერკავკასია ძვ. წ. III ათასწლეულში, თბ., 1993.

გ. ფხაკაძე.

გუარამი, გ ვ ა რ ა მ ი, ქართლის პირველი ერისმთავარი (VI ს. 70–80-იანი წწ.). არსებობს მოსაზრება, რომ გ. უნდა იყოს VI ს. 70-იან წლებში ირანის წინააღმდეგ აჯანყებული ქართლის მეთაური გურგენი (იხ. *გურგენის აჯანყება*). *ჯუანშერის* ცნობით, გ. იყო ვახტანგ გორგასლის შვილიშვილი დედის მხრიდან. მას ქართლის ერისთავების თხოვნით ბიზანტ. კეისარმა კურაპალატობა უბოძა და ქართლის მეფედ დანიშნა. *„მოქცევაჲ ქართლისაჲს‘* ცნობით, გ. ქართლის ერისთავებმა აირჩიეს ერისმთავრად. *სუმბატ დავითის ძე* გ-ს ქართვ. ბაგრატიონთა მამამთავრად მიიჩნევს. წყაროების საერთო მოწმობით, გ-მა საფუძველი ჩაუყარა მცხეთის ჯვრის ტაძარს.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963; ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, იქვე.

ლიტ.: ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე ა., ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI–VIII საუკუნეებში, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973.

ა. ბოგვერაძე.

გუბაზ I, ეგრისის მეფე V ს. 50–60-იან წლებში. დაახლ. 456 აჯანყდა ბიზანტიის წინააღმდეგ ეგრისის დამოუკიდებლობისათვის. დახმარება სთხოვა ირანს, მაგრამ უშედეგოდ. ბიზანტიის იმპ. მარკიანემ აჯანყების ჩასახშობად ჯარი გამოგზავნა. ეგრისელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს. ომი გაჭიანურდა. გ. I-მა მოლაპარაკება დაიწყო მოწინააღმდეგე მხარესთან, რ-მაც მოსთხოვა, გადამდგარიყო მეფობიდან ან გადაეყენებინა თავისი ძე, რ-იც თანამმართველად ჰყავდა. გ. I-მა მეფობა თავის ვაჟს წათეს დაუთმო, თვითონ კი, ბიზანტიელთა მოთხოვნით, 465 იმპ. ლეონ I-ს ეახლა კონსტანტინოპოლში. ბიზანტ. წყაროს ცნობით, გ. I ბიზანტ. სამეფო კარზე თავდაპირველად გაუკიცხავთ განდგომისათვის, შემდეგ კი კეთილად მოპყრობიან და სამშობლოში გამოუსტუმრებიათ.

წყარო: პ რ ი ს კ ე პ ა ნ ი ო ნ ე ლ ი, გუთების ისტორია, წგ.: გეორგიკა, ალ. გამყრელიძის და ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1961.

ლიტ.: ლ ო მ ო უ რ ი ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968; მ ი ს ი ვ ე, К истории взаимоотношений Лазского (Эгрисского) царства и Византии в V в., «Византийские очерки», М., 1982.

ნ. ლომოური.

გუბაზ II (გ. 554), ეგრისის მეფე VI ს. 40–50-იან წლებში, ბიზანტიის ვასალი. იგი მოხერხებულად იყენებდა ბიზანტ. და ირან. და-

პირისპირებას და ცდილობდა დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. 541 კავშირი შეკრა ირან. მეფე ხოსრო I-თან და ბიზანტიას აუჯანყდა. მაგრამ, როდესაც 548 ირანელთა ნამდვილი ზრახვები გამომჟღავნდა (გ. II-ის მოკვლის განზრახვა, ეგრისელების აყრა თავიანთი მიწა-წყლიდან და იქ ირანელების ჩასახლება), განუდგა მათ და ისევ ბიზანტ. მხარეზე გადავიდა. 553 ირანელებმა შეძლეს ბიზანტ. და ეგრისის ჯარის დამარცხება, რაც გ. II-მ ბიზანტ. სარდლების მარტინეს, ბესასა და რუსტიკეს უნიჭობასა და ანგარებას დააბრალა. ამის გამო ბიზანტ. სარდლებმა გ. II მოკლეს (იხ. აგრეთვე სტატიები: *ეგრისის დიდი ომი 542–562, ეგრისის აჯანყებები 541, 548, 697).*

წყარო: აგათია სქოლასტიკოსი, წგ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, თბ., 1936; პროკოპი კესარიელი, იქვე, ტ. 2, თბ., 1965.

ლიტ.: გოზალიშვილი გ., ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა იბერია-ლაზიკისათვის VI საუკუნეში, «თსუ შრომები», 1944, ტ. 26 B; გუჩუა ვ., გადავხედოთ წარსულს, თბ., 1967; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1979 (თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 1).

ნ. ლომოური.

გუბაზეული, გუბაზოული, მდინარე დას. საქართველოში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სუფსის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 47 *კმ*, აუზის ფართ. 371 *კმ*^{2}. სათავე აქვს მესხეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, გომისციხის მთასთან, ზ. დ. 2210 *მ* სიმაღლეზე. მისი მთავარი შენაკადებია ხანისწყალი და კალაშა. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 13,7 *მ*^{3}*/წმ.* *ი. აფხაზავა.*



მდინარე გუბაზეული.

გუგელაძე დავით ოთარის ძე (დ. 14. X. 1959, თბილისი), ჰიდროტექნიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (1998). 1989 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის კვალიფიკაციით, 1999 კი – საქართვ. აგრარული უნ-ტი იურისტ-ეკონომისტის სპეციალობით. 1983–2005 პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა აგრ. უნ-ტის ჰიდროტექნიკისა და საინჟინრო ეკოლ. კათედრაზე, 2005–07 იყო საქართვ. სოფ. მეურნ. სამინისტროს სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის თავ-რე. 2007-იდან არის საქართვ. სახელმწ. სას.-სამ. უნ-ტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. გ-ის კვლევის მიმართულებაა: მდინარის კალაპოტური პროცესების გაანგარიშების მეთოდების შესწავლა, კალაპოტური ნაკადების ჰიდროლოგიური, ჰიდრომეტრიული და ჰიდრავლიკური კრიტერიუმების დადგენა. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და სერტიფიკატი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

თხზ.: წყლისმიერი ეროზიული პროცესების პროგნოზირება და გაანგარიშება, თბ., 2002.

გუგელაძე ვლადიმერ იასონის ძე (26. IX. 1921, სოფ. ზეკარი, ახლანდ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი, – 1945), საბჭ. კავშირის გმირი (22. II. 1944). 1939 შევიდა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტში. 1940-იდან საბჭ. არმიის რიგებში იყო. საბჭ. კავშირის გმირის წოდება მიენიჭა II მსოფლიო ომში მდ. დნეპრის გადალახვის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები.

გუბერნატორი (ლათ. gubernator – მმართველი), თანამედროვე სახელმწიფოებში ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულის უმაღლესი თანამდებობის პირი (მაგ., აშშ-ში გ. არის შტატის აღმასრ. ხელისუფლების მეთაური – ირჩევს მოსახლეობა). საქართველოში გ-ის თანამდებობა გაჩნდა რუს. იმპერატორის *ალექსანდრე I-ის* მიერ 1801 აღმ. საქართველოს რუსეთის გუბერნიად გამოცხადების შემდგომ პერიოდში (იხ. *თბილისის გუბერნია*; *ქუთაისის გუბერნია*).

საქართვ. კონსტიტუციაში (მ. 81[3]) გათვალისწინებულია ტერმინი – სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, რ-იც ქვეყნის ადმ.-ტერ. ერთეულებში უზრუნველყოფს საქართვ. პრეზიდენტისა და მთავრობის წარმომადგენლობას. იგი ახორციელებს სახელმწ. ზედამხედველობას ადგილ. თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე და კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

გუბერნია, მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ერთეული რუსეთში; შემოიღო პეტრე I-მა XVIII ს-ში.

რუს. იმპერიის მიერ ანექსირებულ საქართველოში 1840 წ. 10 აპრ. შეიქმნა საქართვ.-იმერეთის გუბერნია, რ-მაც 1846-მდე იარსება. 1846 წ. 14 დეკ. დებულებით საქართვ. ტერიტ. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად დაყვეს. 1924–29 გუბერნიები გაუქმდა.

ლიტ.: ცინცაძე ზ., აღმოსავლეთ საქართველოს გვიანი შუასაუკუნეებისა და XIX ს-ის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1974.

ზ. ცინცაძე.

გუბი, ხონის მუნიციპალიტეტის (იმერეთის მხარე) სოფლების *დიდი გუბის, პატარა გუბისა* და *შუა გუბის* გავრცელებული სახელწოდება.

გუბისწყალი, მდინარე დას. საქართველოში, იმერეთის დაბლობზე, რიონის მარჯვ. შენაკადი (ერთვის ქ. სამტრედიასთან). სიგრძე 36 *კმ*, აუზის ფართ. 442 *კმ*^{2}. წარმოიქმნება მდინარეების ყუმისა და სემის შეერთებით სოფ. დედალაურთან. საზრდოობს წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალმოვარდნა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა აგვ. და სექტ-ში. საშ. წლ. ხარჯი 16,3 *მ*^{3}*/წმ.* იყენებენ სარწყავად.

გ-ის ზემო დინებაში, სემის ხეობაში, ზ. დ. 235 *მ*-ზე არის ცარცული პერიოდის კირქვის ბრექჩიებით აგებული ბუნებრივი ხიდი.

ი. აფხაზავა.

გუბისწყალი, სოფელი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გვიშტიბის თემში, იმერეთის დაბლობზე, მდ. გუბისწყლის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 100 *მ*, წყალტუბოდან 8 *კმ*. 713 მცხ. (2002).

გუგლია გიორგი კონსტანტინეს ძე (დ. 21. V. 1928, სოფ. ყულანურხვა, ახლანდ. გუდაუთის მუნიციპალიტეტი), აფხაზი მწერალი. დ. გულიას სახ. პრემიის ლაურეატი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. მუშაობდა სოხუმის მ. გორკის სახ. პედ. ინ-ტში აფხ. ლიტ. ისტორიის კათედრის გამგედ. პირველი პოეტური კრებული გამოაქვეყნა 1956. ძირითადი კრებულები: „გზა მშვიდობისა“ (1958), „ჩემი კერის ნაპერწკლები“ (1960), „გაზაფხულის დღეები“ (1963), „მეგობრობის სიმღერა“ (1972), „მე და ზღვა“ (1975) და სხვ. მის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მშობლიური მიწის სიყვარულს, მის ისტორიასა და ბუნებას (ლექსები: „ბზა“, „ძვე-



გუგული.



გუგულისკაბა.



გუგულის სელი.



ი. გუგუნავა.

ლი კვერთხი“, „ბალადა მუხაზე“, „ორი ვაზის ბედი“ და სხვ.). აქვს პოემებიც („აფხაზეთი“, „ადგურ ბზიაბა“, „უძლეველნი“ და სხვ.).

თხზ.: მოქრის კოდორი, თბ., 1964; ლექსები, თბ., 1971; დიმიტრი გულია. შემოქმედებითი გზა, თბ., 1974; ისევ აქა ვარ, თბ., 1977; ღელავდა ზღვა: ლექსები და პოემა, თბ., 1988.

გუგავა ელდარ დავითის ძე (დ. 25. XI. 1943, ცაგერი), აგრონომი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1994), 1971 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი. 1978–85 იყო ამავე ინ-ტის ზოგადი მიწათმოქმედების კათედრის ასისტენტი, შემდეგ დოცენტი, 1985–2006 – საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ბოტანიკის კათედრის გამგე, 2006-იდან – საქართვ. სახელმწ. აგრ. უნ-ტის ბიოლოგიის დეპარტამენტის უფროსი და სრული პროფესორი. ეწევა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას. გ. მუშაობს სას.-სამ. კულტურების მოყვანის უახლესი ტექნოლოგიების შემუშავებაზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების მიზნით. 2003-იდან მონაწილეობს სამეცნ. საგრანტო პროექტებში, უმეტესად კოორდინატორად და ჯგუფის ხელმძღვანელად. გ. მრავალი სამეცნ. ნაშრომის (8 სახელმძღვანელო, 1 მონოგრაფია, 4 გამოგონება) ავტორია; მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2006).

თხზ.: მცენარეთა ეკოლოგია, თბ., 2003; სამკურნალო მცენარეთა მოყვანა, თბ., 2005; ბოტანიკა, თბ., 2010.

გუგარები, გ ო გ ა რ ე ბ ი, ქართული ტომი. მისი უძველესი პირველსაცხოვრისი უნდა ყოფილიყო მდ. დებედის ზემო დინების ხეობა, რ-საც ძვ. ქართ. და სომხ. წყაროებში კანგარი ჰქვია (ამჟამად სომხ. რესპ.). აქ ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო ტოპონიმი „გოგარანი“ (დღეს სოფ. გუგარქი). თვით სომხ. წყაროები გ-ს მიიჩნევენ არასომხურ (მოვსეს ხორენაცი, ფავსტოს ბუზანდი), კერძოდ კი – ქართულ ტომად (იოანეს დრასხანაკერტცი). გუგართა პიტიახშს არშუშას V ს. სომეხი ისტორიკოსი ლაზარ ფარპეცი და ალბანეთის ისტორიკოსი მოვსეს კალანკატვაცი ქართლის თუ ქართველთა პიტიახშს უწოდებენ. იხ. აგრეთვე სტ. *გოგარენე*.

დ. მუსხელიშვილი.

გუგარეთი, იხ. *გოგარენე*.

გუგარქი, იხ. *გოგარენე*.

გუგეშაშვილი შიო ილიას ძე [22. V (4. VI). 1908, ქ. გროზნო, ახლანდ. ჩაჩნეთის რესპ. იჩქერია, – 7. IX. 1989, თბილისი], თერაპევტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1966). პროფესორი (1968). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1980). 1934 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1934–41 და 1946–58 მუშაობდა იქვე, შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრაზე; 1958–86 იყო ამავე კათედრის გამგე, 1986-იდან – კონსულტანტი. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში (1943–46 იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედ. სამსახურში). სწავლობდა ორგანიზმში წყლისა და მკვრივ ნივთიერებათა ცვლას ნორმასა და პათოლოგიაში, კერძოდ, ბოტკინის დაავადებისა და ბაქტერიული დიზენტერიის დროს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები.

თხზ.: შინაგან დაავადებათა პროპედევტიკა, 1, თბ., 1976.

გუგუბა, დასახლებული პუნქტის ერთ-ერთი სავარაუდო სახელწოდება ისტორიულ *არტაანში* (იხ. *გოგეთა*).

გუგუთი (ყოფ. მ უ ღ ა ნ ლ ო), სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე), ლოქის ქედის ჩრდ. კალთაზე. თემის ცენტრი (სოფლები: გ., კამიშლო, ლოქჯანდარი). ზ. დ. 1410 *მ*, დმანისიდან 37 *კმ*, კაზრეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 35 *კმ*. 178 მცხ. (2002).

გუგული (Cuculus canorus), ფრინველი გუგულისნაირთა რიგისა. ზომით მტრედზე პატარაა, შორიდან ჰგავს მიმინოს. გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. საქართველოში რეგისტრირებულია როგორც მოზაფხულე გადამფრენი ფრინველი. ცხოვრობს ფოთლოვანსა და შერეულ ტყეებში, ანთროპომორფულ ლანდშაფტში (ბაღები, ველმინდვრები და მისთ.). ტიპური ბუდობრივი პარაზიტია. გაზაფხულ-ზაფხულის განმავლობაში ბელურასნაირთა ბუდეებში დებს 12–25 კვერცხს. დადებისას იტაცებს და ჭამს მასპინძლის 1–2 კვერცხს. გუგულის მართვე გამოჩეკისთანავე რეფლექსურად აგდებს ბუდიდან მასპინძლის ბარტყებსა და კვერცხებს. გ. იკვებება მწერებითა და მათი მატლებით, რითაც სარგებლობა მოაქვს. გ-ს უწოდებენ გუგულისებრთა ოჯახის (Cuculidae) სხვა წარმომადგენლებსაც (სულ მსოფლიოში 39 გვარის 129 სახეობაა). „ბუდობრივი პარაზიტიზმი“ დამახასიათებელია მხოლოდ 80 სახეობისათვის.

რ. ჟორდანია.

გუგულისკაბა (Orchis mascula), ბალახოვანი მცენარე ჯადვარისებრთა ოჯახისა, აქვს 20–50 *სმ* სიგრძის ღერო, რ-ის ძირთან თავმოყრილია მოგრძო, უკუკვერცხისებრი, მუქი მეწამულწინწკლებიანი ფოთლები, თავთავისებრ ყვავილედებად შეკრებილი მეწამული ან მკრთალი სოსანი ყვავილები, მთლიანი ტუბერები. გავრცელებულია ყველგან, გარდა უდაბნოების და პოლარული ოლქებისა, განსაკუთრებით კი – ამერიკისა და სამხრ. აზიის ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. საქართველოში გავრცელებულია ყველა რეგიონში. გვხვდება მთის შუა სარტყლამდე ფოთლოვან ტყეებსა და ტყის პირებზე, ბუჩქნარებსა და ველობებზე. ყვავის მაისში.

მ. ივანიშვილი.

გუგულის სელი (Polytrichum commune Hedw.), ღეროფოთლოვანი ხავსების კლასის ორსახლიანი მცენარე. აქვს კარგად განვითარებული და უხვად შეფოთლილი რიზოიდებიანი ღერო. ფართოდ გავრცელებული სახეობაა, ქმნის მასიურ კორდებს და ხელს უწყობს ნიადაგის დაჭაობებას. საქართველოში გვხვდება თითქმის ყველა რეგიონში, დაბლობიდან ალპური სარტყლის ჩათვლით, ტენიან ტყეებსა და მდელოებზე, ტორფიან და ისლიან ჭაობებზე.

ქ. ტიგიშვილი.

გუგულის ქედი, ლიხის ქედის სამხრ.-აღმ. გაგრძელება შიდა ქართლის ვაკეზე (ლიხის ქედს გამოეყოფა სოფ. ბრილთან). ზ. დ. 817 *მ*-მდე სიმაღლის გორაკ-ბორცვიანი სერი აგებულია მესამეული ასაკის თიხებით, მერგელებითა და ქვიშაქვებით. დას. ნაწილში ფართოფოთლოვანი ტყის კორომებია. დიდი ნაწილი გამოყენებულია სას.-სამ. სავარგულებად.

ჭ. ჯანელიძე.

გუგუნავა ივანე გიორგის ძე (24. III. 1860, სოფ. ლიტვინოვო, ბელიოვის რ-ნი, ტულის ოლქი, რუსეთი, – 8. II. 1919, მოსკოვი), ფერმწერი, პეიზაჟისტი, პორტრეტისტი. სწავლობდა მოსკ. ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელსა (1875–80) და პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1881–86). მოსკ. მხატვართა ამხანაგობისა და საზ-ბა „სრედას“ წევრი. 1865–72 და 1897–1901 ცხოვრობდა საქართველოში, 1881–91 – პეტერბურგში, 1872–80 და 1901-იდან სიკვდილამდე – მოსკოვში. გ. ერთ-ერთი პირველი ქართვ. პროფესიონალი პეიზაჟის-

ტია. დახატული აქვს საქართვ. ბუნების ამსახველი რეალისტური, პოეტური განწყობილების 100-ზე მეტი სურათი, რ-თა უმეტესი ნაწილი მიუკვლეველია. ბევრს მუშაობდა პლენერის პრობლემებზე. გ-ს პირველი პეიზაჟები 1876–77-ით თარიღდება. უმთავრესი ნამუშევრები: „შემოდგომის დილა“ (1886), „ოკაზე“ (1888), „წმიდა ეგორის დღეობა“ (1890), „გურული ოდა“, „ჩონგურზე დამკვრელი ქართველი ქალი“, „სალომეს პორტრეტი“ (ორი უკანასკნელი – 1893, სამივე – საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი), „პატარა სიმონ ჯახუტაშვილი“ (1892–93, ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი), „კარმიდამო“, „ნაადრევი თოვლი“ (1897), „შემოღამება ბახვისწყალზე“ (საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი).

ო. ფირალიშვილი.

გუგუნავა ნანი ახმედის ასული (დ. 21. III. 1937, ბათუმი), პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1998), პროფესორი (2001). 1961 დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწ. პედ. ინ-ტი. 1961–67 იმყოფებოდა სხვადასხვა პედ. და ადმ. თანამდებობებზე. 1967-იდან იქვე კითხულობს ლექციებს ბიოლოგიის კათედრაზე, 1975-იდან ეწევა საზ. მოღვაწეობას: იყო აჭარის არ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1986–93); აჭარის არ განათლების მინისტრი (1993–2004). 2004 აირჩიეს აჭარის არ პარლამენტის სენატორად და სენატის სამდივნოს თავ-რედ. 2009-იდან შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწ. უნ-ტის სრული პროფესორია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997); მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწ. პრემიით (1999).

გუგუნავა სიმონ დავითის ძე (30. VI. 1839, სოფ. ძიმითი, ოზურგეთის მაზრა, – 18. VII. 1909, ქუთაისი), პოეტი. სწავლობდა ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში (არ დაუსრულებია). 1889–98 იყო ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, 1898-იდან – ლეჩხუმის მაზრის მომრიგებელ-შუამავალი. 1888 გამოვიდა გ-ს პოემა „თამარიანი“, რ-იც გ. ი. *რჩეულიშვილის* ისტ. რომანის „თამარ ბატონიშვილის“ პოეტური გადამუშავებაა. პოემა დაწერილია ვეფხისტყაოსნის გავლენით, შეინიშნება ხალხ. სიტყვიერებასთან სიახლოვეც. „თამარიანმა“ დიდი პოპულარობა მოიპოვა (1888–1970 ათგზის გამოიცა). პოემის ზოგიერთი ადგილი სიმღერად იქცა (მაგ., „შალვა, ჩემო სიყვარულო...“). გ. ავტორია აგრეთვე რამდენიმე ლექსისა, რ-თაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „დედაენა“ („კვალი“, 1893, №14).

თხზ.: თამარიანი. ლექსად თქმული, თბ., 1973.

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., გუგუნავები, ბათ., 1987. *ნ. ალანია.*

გუგუნაჭათი, სოფელი აბაშის მუნიციპალიტეტის მარნის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 24 *მ,* აბაშიდან 8 *კმ.* 265 მცხ. (2002).

გუგუნაჭათი, სოფელი აბაშის მუნიციპალიტეტის ქოლობნის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 24 *მ,* აბაშიდან 6 *კმ,* ქოლობნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ.* 205 მცხ. (2002).

გუგუნირხვა, სოფელი გუდაუთის მუნიციპალიტეტის მუგუძირხვის თემში (აფხაზეთის არ), მიუსერის მაღლობის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, მდ. მჭიშთის (ერთვის შავ ზღვას) მარჯვ. მხარეს, სოჭი – სოხუმის სარკინიგზო და საავტ. გზაზე. ზ. დ. 70 *მ,* გუდაუთიდან 15 *კმ.* 135 მცხ. (1989).

გუგუტიანთკარი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის მერეთის თემში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. ჭარებულის (აძურის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 920 *მ,* გორიდან 27 *კმ.* 228 მცხ. (2002).

გუგუშვილი ალმასხან შოთას ძე (7. X. 1937, თბილისი, – 10. XII. 2003, იქვე), ინჟინერ-ელექტრიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1991). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექ. ფაკ-ტი (1960). 1960–63 მუშაობდა თბილ. ხელსაწყოთმშენებლობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1967-იდან იყო საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის კათედრის დოცენტი, 1977-იდან – ამავე კათედრის გამგე.

გ-ის შრომები ეხება არაწრფივი სისტემების იდენტიფიკაციას, ოპტიმალური და ადაპტური მართვის თეორიას, გამოსახულების ციფრული დამუშავებისა და კომპიუტერული გრაფიკის აქტუალურ საკითხებს, ენერგეტიკის თეორიის გამოყენებას მართვის თეორიაში. 2001 მისი ხელმძღვანელობით საქართვ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინ-ტში ჩატარდა სამუშაოები ხელოვნური კლიმატის მართვის სისტემის შესაქმნელად. ავტორია მრავალი სამეცნ. და მეთოდ. ნაშრომისა (მ. შ. 4 მონოგრაფია და 8 სახელმძღვანელო); მიღებული აქვს 4 საავტორო მოწმობა.

2004 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (გარდაცვალების შემდეგ). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

თხზ.: ოპტიმალური და ადაპტური სისტემები, ტ. 1–3, თბ., 1997; მართვის თეორია. წრფივი და არაწრფივი სისტემები, წგ. 1–2, თბ., 1999; სინერგეტიკა, თბ., 2000; ოპტიმიზაციის მეთოდები, თბ., 2002; Принцип симметрии в идентификации нелинейных объектов управления, Тб., 1998. *მ. ნემსაძე.*




ა. შ. გუგუშვილი.

გუგუშვილი ანდრია (1895, ქუთაისი, – 1970, ლონდონი), ისტორიკოსი, პუბლიცისტი, დიპლომატი, პოლიტ. და საზ. მოღვაწე, ქართ. პოლიტ. ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი. დაამთავრა ქუთაისის ქართ. სათავადაზნაურო გიმნაზია (1913). 1913–14 სწავლობდა ბერლინის უნ-ტში. 1914-იდან ინგლისში იყო, 1919 დაამთავრა ლონდონის უნ-ტი. საქართვ. დემოკრ. რესპ. გამოცხადებისთანავე ჩადგა მის სამსახურში. 1919–21 იყო ლონდონის ქართ. საპროპაგანდო ბიუროს ხელმძღვანელი. პარალელურად, 1918–21 – საქართვ. დემოკრ. რესპ. საელჩოს პირველი მდივანი. საბჭ. რუსეთის მიერ საქართვ. ოკუპაციისა და ლონდონში საქართვ. საელჩოს გაუქმების შემდეგ, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს პატრონაჟით, შეიქმნა ქართ. ბიურო, რ-საც გ. ხელმძღვანელობდა. იგი აქტ. თანამშრომლობდა როგორც ქართ. პოლიტ. ემიგრაციის პერიოდულ გამოცემებთან, ისე ინგლისურენოვან პრესასთან. იყო ,,კავკ. დამოუკიდებლობის კომიტეტის“ და ,,ანტიბოლშევიკ ერთა ბლოკის“ (გენ. მდივანი – დოქტ. ნ. ნაკაშიძე) წევრი. II მსოფლიო ომის წლებში ინგლ. საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებით გ. გაიგზავნა პარიზში, სადაც მოლაპარაკებები გამართა ქართ., აზერბ. და ჩრდ. კავკ. პოლიტ. ემიგრანტულ წრეებთან.

გ. აქტ. მოღვაწეობდა ქართველოლოგიის, საქართვ. ისტ. დარგში. იყო ინგლისურენოვანი სამეცნ. ჟურნ. ,,Georgica“-ს ერთ-ერთი დაამარსებელი და პ/მგ მდივანი, ლონდონის უნ-ტის ლექტორი, დიდი ბრიტანეთისა და ირლან-



ბ. გუგუშვილი.



გ. ბ. გუგუშვილი.



ე. გუგუშვილი.

დიის სამეფო სააზიო საზ-ბის ნამდვ. წევრი.

საქართვ. ისტ. და ქართ. ლიტ. ისტ. საკითხებზე გამოაქვეყნა არაერთი ნაშრომი. თანამშრომლობდა ენციკლოპედია ,,ბრიტანიკასთან'' და ბრიტ. ეროვნ. მუზეუმთან. გ-ის აქტ. მონაწილეობითა და კონსულტაციით ინგლისურად ითარგმნა ძვ. ქართ. მწერლობის ძეგლები. მათგან აღსანიშნავია რ. *სტივენსონთან* ერთად თარგმნილი ,,ომანიანი'' და ,,ამირანდარეჯანიანი''. იგი კონსულტაციას უწევდა დ. *ლანგს* ,,ბალავარიანის'' ინგლ. თარგმანზე მუშაობისას, იყო რ. სტივენსონის მთ. კონსულტანტი ,,ვეფხისტყაოსნის'' თარგმნის დროს (გამოიცა 1977 ნიუ-იორკში) და ჟურნალ ,,ბედი ქართლისას'' მუდმივი თანამშრომელი.

ლიტ.: უ რ უ შ ა ძ ე ლ., ევროპა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, თბ., 2005. *ლ. ურუშაძე.*

გუგუშვილი ბესარიონ პაატას ძე (დ. 6. V. 1945, თბილისი), საქართვ. რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი (დაინიშნა 1991). ეკონ. მეცნ. კანდიდატი (1971). 1962–63 სწავლობდა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტზე, 1966–67 – აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტზე თურქეთის ისტ. სპეციალობით, 1967–70 – თბილ. უცხო ენათა ინ-ტში, 1973-იდან იყო საქართვ. მეცნ. აკად. სამეცნ. ინფორმაციის ცენტრის განყ-ბის გამგე, შემდეგ – დირექტორის მოადგილე. არის რამდენიმე სამეცნ. ნაშრომის ავტორი. 1992 იანვარში, თბილისის ომის დამთავრების შემდეგ, ჩაჩნეთში გაჰყვა პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას, თან ახლდა მას სამეგრელოშიც. 1994-იდან ემიგრაციაშია.

გუგუშვილი გიორგი (გია) ბონდოს ძე (დ. 16. VIII. 1952, თბილისი), მხატვარი. საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1993). დაამთავრა თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1977, პროფ. კ. მახარაძის სახელოსნო). 1983–89 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილისის მხატვრის სახლთან არსებულ ს. ქობულაძის სახ. ნატიფი ხელოვნების სტუდიაში. 1987–96 იყო საქართვ. მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი. გამოფენებში მონაწილეობს 1980-იდან. გ-ის ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: სერია ,,ორი ფლეიტა'', ,,ჩიტებზე მონადირე'' (ორივე 1984, მხატვრის საკუთრება), ,,მუსიკოსი'' (1985), ,,უცნობი'', ,,დასაწყისი'' (ორივე 1986, საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი), ,,დაგვიანებული მგზავრის სიზმარი'' (1987, კერძო კოლექცია, მოსკოვი), ,,პური'' (1988), ,,პასტორალი'' (1991), ,,დიალოგი'' (1992), ,,თავისუფალი კაცი'' (1997) და სხვ.; ნამუშევრების სერიისათვის ,,დავით გარეჯა'', ,,ღვთისმშობელი'', ,,ნოსტალგია'' – მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია. გ. აქტიურად მონაწილეობს თბილისსა და მსოფლიოს მრავალ ქალაქში გამართულ პერსონალურ თუ ჯგუფურ გამოფენებში. 1988 ოსაკაში (იაპონია) საერთაშ. გამოფენაზე დაჯილდოვდა ოქროს მედლით. 2007 გამარჯვება მოიპოვა დუბაის საერთაშ. სიმპოზიუმზე. გ-ის ნამუშევრები დაცულია მრავალი ქვეყნის მუზეუმსა და კერძო კოლექციებში.

გუგუშვილი გუგული კოკის ასული (19. IX. 1923, სოფ. ეწერი, ახალანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 10. VIII. 2010, თბილისი), ენტომოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1996). 1945 დაამთავრა თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტი და დაიწყო მუშაობა ამავე უნ-ტის ფიზიოლ. კათედრაზე. 1946–98 მუშაობდა ს. ვირსალაძის სახ. სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში უმცროსი, უფროსი და წამყვანი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1999-იდან იყო ამავე ინ-ტის ტრანსმისიულ სნეულებათა ეპიდემიოლოგიისა და სამედ. ენტომოლოგიის განყ-ბის ხელმძღვანელი. 1950-იდან პარალელურად ეწეოდა პედ. საქმიანობას თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტში, ამზადებდა სამეცნ. კადრებს სამედიცინო პარაზიტოლოგიასა და ენტომოლოგიაში. გ. უშუალოდ ხელმძღვანელობდა მალარიის ლიკვიდაციას კოლხეთის დაბლობზე და მალარიის გადამტანების პრევენციას აფხაზეთსა და აჭარაში.

გ-ს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. ერთი მონოგრაფია – ,,ტრანსმისიულ დაავადებათა გადამტანების ეკოლოგიური თავისებურებები მალარიის განახლების პერიოდში'' (2006). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999). *ი. ჯაფარიძე.*

გუგუშვილი ეთერ ნიკოლოზის ასული (2. IX. 1925, თბილისი, – 2. II. 2005, იქვე), თეატრმცოდნე, თეატრ. კრიტიკოსი, თეატრ. ისტორიკოსი, პედაგოგი. საქართვ. (1967), აფხ. (1974) და დაღ. (1984) ხელოვნ. დამს. მოღვაწე. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1971), პროფესორი (1973). კ. მარჯანიშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1974). 1949 დაამთავრა მოსკ. ა. ლუნაჩარსკის სახ. თეატრ. ხელოვნ. სახელმწ. ინ-ტის თეატრმცოდნეობის ფაკ-ტი. იმავე წლიდან იქვე დაიწყო მუშაობა დაუსწრებელი განყ-ბის მეთოდისტ-კონსულტანტად. 1954–55 მუშაობდა საქართვ. კულტურის სამინისტროს ხელოვნ. მთ. საქმეთა სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ და თეატრების სამმართველოს უფროსად, 1955–73 – საქართვ. რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის პრორექტორად სასწ. და სამეცნ. დარგში, ხოლო 1973–92 – ამავე ინ-ტის რექტორად. გ. წლების მანძილზე იყო საქართვ. თეატრის მოღვაწეთა კავშირის მდივანი და პრეზი-



გ. ბ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი. ,,დიალოგი''. 1992.

დიუმის წევრი. 1987 აირჩიეს სსრკ თეატრის მოღვაწეთა კავშირის (მოსკოვი) მდივნად (კრიტიკისა და სოციოლოგიის დარგში) და პრეზიდიუმის წევრად, 1956 – საქართვ. მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავ-რედ. 1995-იდან იყო ვ. ჭაბუკიანის სახ. საერთაშ. ცენტრის პრეზიდენტი.

1955-იდან ბ. ფართო პედ. მოღვაწეობას ეწეოდა (კითხულობდა ლექციებს, ატარებდა სემინარებს, პრაქტ. მეცადინეობებს თეატრის ისტორიაში, თეორიასა და პრაქტიკაში). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი: გამოკვლევები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები, წერილები, რეცენზიები. მნიშვნელოვან სამეცნ. მუშაობას ეწეოდა საენციკლოპედიო სფეროში. მისი შრომები გამოირჩევა დახვეწილი სტილით, მაღალი პროფ. კულტურით.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ.შ. ღირსების ორდენი (1996).

თხზ.: კოტე მარჯანიშვილი, თბ., 1962, 1972; აკაკი ხორავა, თბ., 1962, 1979; ქართული საბჭოთა თეატრი, თბ., 1964, 1971; თეატრალური პორტრეტები, თბ., 1966; პიერ კობახიძე, თბ., 1968; ვასო გოძიაშვილი, თბ., 1972; ბესო ჟღენტი (შემდგ.), თბ., 1972; აკაკი ვასაძე, თბ., 1979; სიმართლის გზით, თბ., 1985; წარსულის ფურცლები, თბ., 1988; ვახტანგ ჭაბუკიანი, თბ., 1990; აკაკი ხორავა – 100. შემდგენელი, შესავალი წერილისა და კომენტარების ავტორი, თბ., 1997. *მ. ცუცქირიძე.*

გუგუშვილი ვლადიმერ ივანეს ძე (დ. 17. XII. 1934, თბილისი), გეოლოგი. გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1981), პროფესორი (1991). 1958 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი. 1958–60 მუშაობდა საქართვ. გეოლ. სამმართველოსა და ა. თვალჭრელიძის სახ. კავკ. მინერ. ნედლეულის ინ-ტში, 1960-იდან, დროგამოშვებით, – საქართვ. მეცნ. აკად. ა. ჯანელიძის სახ. გეოლ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1991–94 იყო საქართვ. გეოლ., გეოდ. და კარტოგრაფიის დეპარტამენტის დირექტორი, 2004–06 – სააქციო საზ-ბა ,,მადნეულის'' სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე და პერსპექტიული განვითარების სამსახურის უფროსი. მ-ის სამეცნ. შრომები ეხება ვულკანოლოგიისა და პეტროლოგიის საკითხებს, სასარგებლო წიაღისეულის, მ. შ. ფერადი ლითონების საბადოების გენეზისისა და პოსტმაგმური პროცესების როლს დედამიწის ქერქის ფორმირების პროცესში. აღმოაჩინა ორი საბადო (ახალი ბედიდსეულის ბენტონიტური თიხები და მადნეულის კერამ. ნედლეული). მ. იყო საქართვ. გეოლ. საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი და დედამიწის შემსწავლელ მეცნ. სამეცნ.-საექსპერტო საბჭოს თავ-რე.

თხზ.: Поствулканический процесс и формирование рудных и нерудных полезных ископаемых в интрадуговых палеорифтах и островных дугах. Монография, Тб., 1981; Вулканизм и поствулканический процесс на рифтовой и островодужной стадии развития Аджаро-Триалетии, Братислава, 1984. *ნ. ძოწენიძე.*

გუგუშვილი თეიმურაზ აკაკის ძე (დ. 7. III. 1951, თბილისი), მომღერალი (ტენორი). საქართვ. სახ. არტისტი (1989). საქართვ. სახელმწ. (1992), ზ. ანჯაფარიძის (1998) და ზ. ფალიაშვილის სახელობის (2003) პრემიების ლაურეატი. 1973 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი, 1976 – ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (ნ. ანდღულაძის კლასი). 1982–83 სტაჟირება გაიარა მილანის საოპერო თეატრ ,,ლა სკალაში'', 1984 – ასპირანტურა-სტაჟირება თბილ. კონსერვატორიაში (ნ. ანდღულაძის ხელმძღვანელობით). 1977-იდან თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. აქვს ლამაზი ტემბრის სრული დიაპაზონის ხმა, დახვეწილი ვოკალური კულტურა და ტექნიკა. პარტიები: აბესალომი, მალხაზი (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი'', ,,დაისი''); კოტე (ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე''); ნაცარქექია (მ. დავითაშვილის ,,ნაცარქექია''); არზაყანი, ერთაოზი, მინდია (ო. თაქთაქიშვილის ,,მთვარის მოტაცება'', ,,პირველი სიყვარული'', ,,მინდია''); ნემორინო (გ. დონიცეტის ,,სიყვარულის ნექტარი''); გრაფი ალმავივა (ჯ. როსინის ,,სევილიელი დალაქი''); ფაუსტი (შ. გუნოს ,,ფაუსტი''), დონ კარლოსი, ჰერცოგი, რადამესი (ჯ. ვერდის ,,დონ კარლოსი'', ,,რიგოლეტო'', ,,აიდა''); კავარადოსი (ჯ. პუჩინის ,,ტოსკა''); ლენსკი (პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი''); ცრუდიმიტრი (მ. მუსორგსკის ,,ბორის გოდუნოვი'', კანიო (ლეონკავალოს ,,ჯამბაზები'') და სხვ. გასტროლები გამართა ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, ავსტრალიაში, მონღოლეთში, თურქეთში, იტალიაში, აშშ-ში (1988, აშშ-ის მენის შტატის ქ. საორის საოპერო კომპანიის გუნდს ქართულად შეასწავლა ,,აბესალომ და ეთერის'' საგუნდო პარტია, რ-იც ამ გუნდმა იმავე წელს თბილ. ოპერის სცენაზე ,,აბესალომ და ეთერის'' სპექტაკლში შეასრულა). ბ. ამჟამადაც წარმატებით ეწევა სასცენო მოღვაწეობას. 2007-იდან თბილისის კონსერვატორიის პროფესორი და ვოკალური ფაკულტეტის დეკანია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999). *გ. ტორაძე.*



თ. გუგუშვილი.

გუგუშვილი იოსებ (დ. და გ. წლები უცნობია), წმინდა გიორგის ჯვრის კავალერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის I ცალკე ცხენოსანთა ასეულის რიგითი. საქართველო-სომხეთის ომის დროს სოფ. პატარა მუღანლოსთან 1918 ნოემბ. გამართულ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოდა II ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით (2. XII. 1918).

ლიტ.: ჟორდანია ო., გაბედავა მ., საქართველოს წმინდა გიორგის ჯვრის კავალრები, თბ., 2001.

ო. ჟორდანია.

გუგუშვილი ნოდარ ევგენის ძე (28. IX. 1927, სოფ. ეწერი, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 25. X. 1996, თბილისი), სპორტული ჟურნალისტი, საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1976). 1950 დაამთავრა თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტი. 1950-იდან გარდაცვალებამდე მუშაობდა გაზ. ,,ლელოში''. 1976–80 იყო საქართვ. რადიოსა და ტელევიზიის სპორტ. კომენტატორი, 1984 – ჟურნ. ,,მართვეს'' რედაქტორი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთ. სამეცნ. რედაქციის დაარსებიდან (1966) – სპორტის სამეცნ. საბჭოს წევრი, ხოლო 1983-იდან გარდაცვალებამდე – ამავე საბჭოს თავ-რე. აშუქებდა სპორტის ისტორიის, ოლიმპიური მოძრაობის, კალათბურთის, ჭიდაობისა და ალპინიზმის საკითხებს. მ. კაკაბაძის სახ. პრემიის ლაურეატი (1993). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. 1996 დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

თხზ.: ჩვენი ჩემპიონები, თბ., 1965; ოლიმპიური ემბლემით სამყაროს გარშემო, თბ., 1973; სპორტის ოქროს ზამთარი, თბ., 1976; ოლიმპიური ენციკლოპედია, თბ., 1997.



თ. გუგუშვილი ნემორინო, გ. დონიცეტის ,,სიყვარულის ნექტარი''.

გუგუშვილი პაატა ბესარიონის ძე [15 (28). IX. 1905, სოფ. კოდორი, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 27.III.1987, თბილისი], ეკონომისტი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1974; წ.-კორ. 1961). ეკონ. მეცნ. დოქტორი (1940), პროფესორი (1940), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1962). 1927 დაამთავრა თსუ-ის სოც.-ეკონ. ფაკ-ტი. 1930–67 თსუ-ში



ნ. გუგუშვილი.



პ. გუგუშვილი.



ჯ. გუგუშვილი.





გუდაბერტყა. თიხის მინიატიურული ჭურჭელი. ძვ. წ. III ათასწლეული. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

კითხულობდა სახ. მეურნ. ისტ. და პოლიტეკონომიის, ხოლო 1968–86 – სოციოლოგიის კურსს. 1940–45 განაგებდა პოლიტ. ეკონომიის კათედრას. გ. იყო პირველი მეცნ.-ეკონომისტი, რ-იც საქართვ. მეცნ. აკად. შემადგენლობაში აირჩიეს. მისი ძალისხმევით ჩამოყალიბდა საქართვ. მეცნ. აკად. სისტემაში ეკონ. ინ-ტი, რ-საც იგი სამ ათეულ წელზე (1944–76) მეტი ხნის განმავლობაში ედგა სათავეში. ინ-ტს 1991-იდან მიენიჭა გ-ის სახელი. მან, ფ. *გოგიჩაიშვილთან* ერთად, ჩაუყარა საფუძველი ქართ. ეკონ. სკოლას.

გ-ის სამეცნ. ნაშრომები ეძღვნება პოლიტეკონომიის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, სახ. მეურნ. ისტორიის, სტატისტიკის, საქართვ. და ამიერკავკ. ეკონ. განვითარების, ქართ. ეკონ. აზრის, გეგმიანობისა და პროგნოზირების პრობლემებს. აღსანიშნავია აგრეთვე გ-ის შრომები ქართ. ჟურნალისტიკისა და ბიბლიოლოგიის დარგში. მის სახელთანაა დაკავშირებული თსუ-ის ესთეტიკისა და ჟურნალისტიკის კათედრების შექმნა. ავტორია მრავალი ნაშრომისა, მ. შ. 50 მონოგრაფიისა. მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა მონოგრაფია „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX სს.“ (I–VII ტომი, 1949–84), რ-ის სამი წიგნი გამოცემულია რუს. ენაზეც (ამ ნაშრომს 2000 წ. ეკონ. მეცნ. დარგში „XX საუკუნის საუკეთესო მონოგრაფიის“ სტატუსით ჟურნ. „მაკრო-მიკროეკონომიკის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში მიენიჭა პირველი პრემია). გ-მა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახ. ქართ. ეკონ. ტერმინოლოგიის შემუშავებაში, ეკონ. წყაროების მეცნ. პუბლიკაციაში. მუშაობდა მარქსიზმის კლასიკოსების თხზულებათა ქართ. თარგმანის სარედაქციო კომისიაში.

საქართველოს მეცნ. აკად. ეკონომიკის ინ-ტში გ-ის თაოსნობით შეიქმნა სოციოლოგიისა და დემოგრაფიის განყ-ბა, რ-ის ბაზაზეც შემდგომ (1991) დაარსდა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი. გ. იყო მისივე ინიციატივით აღდგენილი ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტის“ მთ. რედაქტორი (1958–67), საქართვ. საგეგმო კომისიის (შემდგომ საგეგმო კომიტეტი) წევრი (1946–76), ქსე-ის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი (1967–87) და მისი ეკონ. სექციის თავ-რე, საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებული ხალხთმოსახლეობის (დემოგრაფიის) სოც.-ეკონ. პრობლემათა შემსწავლელი სამეცნ. საბჭოს თავ-რე, საბჭ. სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი (1958–62), საერთაშ. სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის წევრი (1959–63) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. დაკრძალულია ქართვ. მწერალთა და საზ. მოღვაწეთა საპატიოსნოს პანთეონში.

ბიბლ.: პაატა გუგუშვილი. ბიობიბლიოგრაფია, თბ., 1988 (ყდაზე: 1989).

ლ. ჩიქავა.

გუგუშვილი ჯემალ (ელგუჯა) სერგოს ძე (დ. 14. IV. 1945, აბაშა), ზოოტექნიკოსი. საქართვ. სოფ. მეურნ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (2003); სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1994), სომხეთის სას.-სამ. აკადემიის საპატიო პროფესორი (2000). საქართვ. დამს. მწვრთნელი ფეხბურთში (1981), სპორტის დამს. მუშაკი (2002). 1971 დაამთავრა საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტი, 1974–87 იყო ამავე ინ-ტის მეცხენეობა-მებოცვრეობის განყ-ბის უფროსი მეცნ. თანამშრომელი, შემდეგ ამავე ინ-ტის მეცხოველეობის კათედრის გამგე; 1998–2005 – ზოოტექ.-სავეტერინარო აკადემიის რექტორი. გ. იკვლევს მებოცვრეობის განვითარების პრობლემებს. მისი ხელმძღვანელობით გამოყვანილია ბოცვრის ახ. საზორცე-საქურქე ჯიში. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომის (2 მონოგრაფია, 2 სახელმძღვანელო), 1 გამოგონების, 2 პატენტის.

გ-ს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართ. სპორტის განვითარების საქმეშიც. 1994–96 იყო საქართვ. ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი ფეხბურთში, 2006–07 – საქართვ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2002).

თხზ.: ჯიშთაშორისი შეჯვარების ეფექტურობა მებოცვრეობაში, თბ., 1998.

გუდა, ოთხში ამოღებული თხის, ცხვრის ან ხბოს ტყავისაგან დამზადებული, ზურგზე ან მხარზე გადასაკიდებელი ჭურჭელი. თხის ტყავის გ-ს შიგნით კუპრავდნენ და საღვინედ იყენებდნენ. მას „კუპრი“, „კუპრიელი“, „ტიკი“ (ძვ. „თხიერი“) ერქვა. გ-ით გადაჭონდათ აგრეთვე წყალი, ზეთი, თაფლი, ტკბილი და სხვ. ცხვრის ტყავის გ-ს ყველის („გუდის ყველი“) გამოსაყვანად, შესანახად და გადასატანად იყენებდნენ. გურია-სამეგრელოში „გ.“ ღვინის საგადასახადო ერთეულიც იყო.

ლ. ფრუიძე.

გუდაბერტყა, ციხიაგორა, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი გორის აღმ-ით, 7 *კმ*-ზე, სოფ. სვენეთთან. გათხრა დაიწყო 1956-იდან (ხელმძღვ. – შ. ამირანაშვილი, ს. ნადიმაშვილი). განსაკუთრებით საყურადღებოა გ-ის უძველესი ფენები, რ-ებშიც *მტკვარ-არაქსის კულტურისათვის* დამახასიათებელი მასალა აღმოჩნდა. დადგინდა, რომ ძვ. წ. III ათასწლეულში გ. იყო შიდა ქართლის დიდი სამოსახლო. გარს ერტყა ალიზის გალავანი, რ-ის შიგნით გაითხარა თიხის ფიგურულკერებიანი, კარკასული ტიპის მოხატული შენობები. ნამოსახლარის ცენტრ. ნაწილში აღმოჩნდა საზ. დანიშნულების შენობა და მარცვლეულის შესანახი ხაროები. მოპოვებულ მასალათა შორის აღსანიშნავია თიხის უძველესი საბეჭდავები, რ-ებზეც ირმისა და ფრინველის სტილიზებული გამოსახულებებია ამოკვეთილი. ნამოსახლარის მახლობლად ადრინდ. ბრინჯაოს ხანის სამაროვანია, რ-ის ცენტრში გორასამარხი იყო. გ-ის ზედა ფენები ადრინდ. რკინის ხანით თარიღდება.

ლიტ.: ნადიმაშვილი ს., გუდაბერტყა-ციხიაგორა, «ლიახვი», 1963, №3; Чубинишвили Т. Н., К древней истории Южного Кавказа, [т.] 1, Тб., 1971.

ი. გაგოშიძე.

გუდავა ტოგო ესტატეს ძე (23. IX. 1922, სენაკი, – 23. XI. 1976, თბილისი), ენათმეცნიერი, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციალისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1966). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1945). სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას ეწეოდა საქართვ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინ-ტსა და თსუ-ში. გ-ის ძირითადი შრომები ეძღვნება დაღ. ენათა როგორც აღწერითს, ისე ისტ.-შედარებით შესწავლას. გ-მ პირველმა შეისწავლა მეცნიერულად დაღესტნის რამდენიმე უმწერლობო ენა. მისი სტატია «ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა „ტ“ ლატერალის გენეზისისა და ქართველურ ენებში მისი შესატყვისის შესახებ» (1954) იბერიულ-კავკასიურ ენებში ჯგუფთაშორისი კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის ძიების ერთ-ერთი პირველი ცდაა. გ-ს კვლევის სფეროში

შედიოდა აგრეთვე ქართველურ ენათა ისტ. შედარებითი შესწავლის საკითხები (მეგრული კონსონანტიზმი, გრამატიკა, ლექსის სტრუქტურა და სხვ.), რ-თა შორის ზოგი პრობლემა ახლებურადაა დასმული და ახსნილი.

თხზ.: ბოთლიხური ენა, თბ., 1962; ბაგვალური ენა, თბ., 1971; ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები, I – პოეზია, თბ., 1975 (თანაავტ. ა. ცანავა); Сравнительный анализ глагольных основ в аварском и андийских языках, Махачкала, 1959; Консонантизм андийских языков (Историко-сравнительный анализ), Тб., 1964; Историко-сравнительный анализ консонантизма дидойских языков, Тб., 1979.

ლიტ.: ტოგო გუდავა, «მაცნე», 1977, № 1; F ä h n r i c h H., In memoriam Togo Gudawa, «Zeitschrift für Phonetik, Sprachwissenschaft und Kommunikationsforschung», Bd. 30, Berlin, 1977; B o e d e r W., T. E. Gudawa, «Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie», v. 37, P., 1979.

გ. ბურჭულაძე. მ. მაჭავარიანი.

გუდავა, სოფელი გალის მუნიციპალიტეტის აჩიგვარის თემში (აფხაზეთის არ), სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ოქუმის (ერთვის შავ ზღვას) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 20 *მ*, გალიდან 12 *კმ*, აჩიგვარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ*. 933 მცხ. (1989).

ისტ. სოფელი გ. მოიცავდა ახლანდ. სოფლების: პირველი გუდავის, მეორე გუდავისა და საკუთრივ გ-ის ტერიტორიებს. სოფლის თავდაპირველი სახელწ. იყო გუდაყვა, რ-იც გვიანდ. ფეოდ. ხანაში გ-თი შეიცვალა, ხალხ. მეტყველებაში გეოგრ. სახელი გუდა ეწოდებოდა. ამ სახელწოდებით არის დატანილი არქანჯელო ლამბერტის (1654) რუკაზე. გ-ს გვიანდ. ანტ. ხანასა და ადრინდ. შუა საუკუნეებში ზიგანისი ეწოდებოდა, ხოლო ბიზანტ. წყაროებში ზიგანეოსის სახელით არის მოხსენიებული. წერილობით წყაროებში მოხსენიებულია ზიგანისის ციხე, რ-შიც IV–V სს. მიჯნაზე რომაელთა კოჰორტა (400–600-კაციანი რაზმი) მდგარა.

არქეოლ. გათხრების შედეგად აღმოჩენილია ბანაკ-ციხის ნაშთები (1970–72, პ. ზაქარაია). გამოვლინდა გეგმით მართკუთხა ფორმის ბანაკის გალავნისა და მცირე ეკლესიის ნაშთები, აგრეთვე რომაული მონეტები, რომაული მინის ჭურჭლის ნატეხები და გვიანდ. ანტ. – ადრინდ. შუა საუკ. – ადგილ. და რომაული კერამიკა. გვიანდ. ანტ. ხანაში გ. (ზიგანისი) აფსაროსთან, ფასისთან, სებასტოპოლისთან, პიტიუნტთან და სხვ. ერთად შედიოდა იმ ციხესიმაგრეთა სისტემაში, რ-იც რომის იმპერიის მცირეაზიური პროვინციების მისადგომებს იცავდა. გ-ში იყო VII–X სს-ში ლაზიკის 4 საეპისკოპოსო კათედრიდან ერთერთი (იხ. *გუდაყვის საეპისკოპოსო*). ფეოდ. ხანაში გ. ოდიშის შემადგენლობაში შედიოდა, XVII ს. მიწურულს კი ახლადშექმნილი ფეოდ. ერთეულის სამურზაყანოს შემადგენლობაში შევიდა.

გ-ში დაკრძალულია ქრისტიანობისთვის წამებული კირიაკე, რ-იც დაიღუპა III–IV სს. მიჯნაზე, პირველ ქრისტიანთა დევნის დროს.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ფეოდალურ საქართველოში, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 3, თბ., 1966; ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., ლ ე ქ ვ ი ნ ა ძ ე ვ., გუდავაში 1971 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, კრ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, წგ. 3, თბ., 1974; Л о м о у р и Н., Из исторической географии древней Колхиды, «Вестник древней истории», 1957, №4.

თ. ბერაძე. ვ. ლექვინაძე.


გუდავაძე ზაქარია (ზაქრო) ლავრენტის ძე (27. III. 1908, სოფ. ზენობანი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 8. VIII. 1974, თბილისი), კინორეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961). 1929–30 სწავლობდა საქართვ. სახკინმრეწვის კინომსახიობთა სკოლაში. 1930-იდან მუშაობდა სახკინმრეწვში რეჟისორის ასისტენტად, შემდეგ კი მეორე რეჟისორად იმუშავა ფილმებზე: „გაზაფხული საკენში“ (1950), „მწვერვალთა დამპყრობნი“ (1951), „ბაში-აჩუკი“ (1956), „ხევისბერი გოჩა“ (1964), „კაპიტნები“ (1974) და სხვ. გადაიღო საბავშვო ფილმები: „მანანა“ (1958, შ. მარტაშვილთან ერთად) და „პაპა გიგია“ (1960). გადაღებული აქვს აგრეთვე დოკუმენტური ფილმი „პამირის მწვერვალთა დამპყრობნი“ (1955; დიპლომი მონტევიდეოში დოკუმენტური და ექსპერ. ფილმების II საერთაშ. კინოფესტივალზე, 1956). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. *ა. გვენცაძე.*

გუდათუბანი, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წიფის თემში (იმერეთის მხარე), მდ. საკრაულის (ხანისწყლის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 760 *მ*, ბაღდათიდან 17 *კმ*. 40 მცხ. (2002).

გუდალეთი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის კავთისხევის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. გავაზურისწყლის (კავთურის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 980 *მ*, კასპიდან 19 *კმ*. 163 მცხ. (2002).

გ. წყაროებში პირველად XIV ს. ბოლოს იხსენიება მცხეთის საკათოლიკოსო მამულების 1392 თარხნობის გუჯარში. ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) სოფელთა სიაში მოხსენიებულია „გუდარეხის“ სახელწოდებით. 1635 გ. თავისი მონასტრითა და სასახლით მეფე როსტომმა პაატა ყორღანაშვილ-იარალისშვილს დაუმტკიცა. საბუთების მიხედვით იგი სააკაძისეულ სოფლად ითვლებოდა. გ. *სააკაძის* საქართველოდან გადახვეწის შემდეგ სოფელი სახასო იყო და მეფე როსტომმა ი. *სააკაძეს* უბოძა. XVIII ს-ში გ-ს თავადი თარხნიშვილები ფლობდნენ.

სოფელში ხუროთმოძღვრების მრავალი ძეგლია შემორჩენილი, მ. შ. მნიშვნელოვანია XIII–XIV სს. მიჯნაზე აგებული ღვთისმშობლის გუმბათოვანი ტაძარი, რ-იც გალავნით შემოზღუდულ ამაღლებულ ადგილზე დგას. ტაძარი ძლიერ დაზიანებულია, გუმბათი და კამარები ჩამოქცეულია, დანგრეულია დას. კარიბჭე, გრძივი კედლები 1–2 *მ* სიმაღლეზეა შემორჩენილი. გეგმით სწორკუთხა, აღმ-იდან დას-კენ წაგრძელებული ტაძარი სხვადასხვა ზომისა და არასწორი ფორმის ქვიშაქვის ქვითაა ნაგები. გარეთა კუთხეების შემორჩენილი ნაწილები, ლავგარდანი და კარ-სარკმლის საპირეები ღილი ქვიშაქვის კვადრებითაა ნაწყობი. გუმბათი ეყრდნობოდა საკურთხევლის კედლებსა და დას-ით ორ თავისუფლად მდგომ



გუდალეთი. ღვთისმშობლის ეკლესია. XIII–XIV სს. მიჯნა.

გეგმით რვაკუთხა ბოძს. აღმ-ით საკურთხევლის ნახევარწრიული ბემიანი აფსიდია. საკურთხევლის ორივე მხარეს ასევე აფსიდებიანი სამკვეთლო და სადიაკვნეა, რ-ებსაც აღმ-ით თითო მრგვალი სარკმელი აქვთ. ტაძარი შიგნით შელესილი და მოხატული იყო. გარედან შესასვლელები და სარკმლები აღმ. ფასადზე მორთულია სადა ლილვებით, დას. სარკმელი კი – ჩუქურთმიანი საპირით. ტაძარს გარს უვლის XVIII ს. ხუთკუთხა, რიყის ქვით ნაშენი გალავანი, რ-ის ყოველ კუთხეში საბრძოლო-საცხოვრ. დანიშნულების ცილინდრული კოშკია ჩართული (შემორჩენილია სამი სართულის დონეზე), გალავნის კედლები ორიარუსიანია – ქვედა ყრუა, ზედაში გაჭრილია სათოფურები და თახჩები. სათოფურების ქვემოთ, მთელ პერიმეტრზე, ხის საბრძოლო ბილიკის საყრდენი კოჭების ბუდეებია. სოფელში კიდევ რამდენიმე ეკლესიაა – წმ. ესტატესი, კვირაცხოვლისა, წმ. მარინესი, კაციაანთი, მთავარანგელოზის, წმ. გიორგისა და ჭოტისუბნის წმ. გიორგის.

ლიტ.: ანდღულაძე ნ., გუდალეთის ტაძარი, «ძეგლის მეგობარი», 1974, №35; მაკალათია ს., კავთურას ხეობა, თბ., 1960; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990.

ნ. ანდღულაძე. ჯ. გვასალია.

გუდამაყარი, მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, მდ. გუდამაყრის არაგვის ხეობაში. დასავლეთიდან შემოზღუდულია მთიულეთის, აღმოსავლეთიდან გუდამაყრის ქედებით. ამ უკანასკნელზე გადიოდა გვიანდ. ხანის ქართლისა და კახეთის სამეფოთა საზღვარი. გუდამაყრელებს იხსენიებს ლეონტი მროველი (XI ს.) ქართლის გაქრისტიანების ისტორიასთან (IV ს.) დაკავშირებით, ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინო სხვა მთიელებთან ერთად წობენში მათ ქრისტიანობას უქადაგებდა. **გ.**, როგორც მხარე, მოხსენიებულია VII ს. სომხ. გეოგრაფიაშიც. გ-ში მეურნეობის წამყვანი დარგი იმთავითვე იყო მეცხოველეობა. გ-ის მხარის ისტ.-ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადრინდ. ფეოდ. ხანის მახვილოს ციხე [მდებარეობს მდ. ბაკურხევის (გუდამაყრის არაგვის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს მახვილივით აზიდულ მთაზე], პირიმზის ფუძის ანგელოზის ეკლესია სოფ. ჩოხში და ზეგარდის წმ. გიორგისა სოფ. დუმაცხოში. გ-ის ხეობაზე გადიოდა საქართვ. დღევანდელი სამხ. გზის ერთ-ერთი განშტოება, რ-იც არაგვის ხეობას ხევთან აკავშირებდა. ფეოდ. ხანაში გ. არაგვის საერისთავოში შედიოდა, XIX ს-ში კი – *დუშეთის მაზრის* შემადგენლობაში. თანამედროვე აღმ. დაყოფით ეკუთვნის დუშეთის მუნიციპალიტეტის გუდამაყრის თემის საკრებულოს ტერიტორიას.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: გვასალია ჯ., არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1975, [ტ.] 5; მისივე, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, «კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული», 1971, [ტ.] 3; მაკალათია ს., მთიულეთი, ტფ., 1930.

ჯ. გვასალია.

გუდამაყრელები, გარკვეულ ტერიტორიაზე მოსახლე ქართველთა მცირე ჯგუფი მთიულეთში, ცხოვრობენ შავი არაგვის ხეობის (გუდამაყარი) ოც სოფელში. მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენენ მთიულები, აგრეთვე მეზობელი კუთხეებიდან გადმოსახლებული მოხევეები, ხევსურები, ფშავლები. მეურნეობის ხასიათით, საცხოვრ. და სამეურნ. ნაგებობებით მთიულებისაგან თითქმის არ განსხვავდებიან. გ-თა მეურნეობის ძირითადი დარგები იყო მემინდვრეობა და მესაქონლეობა. აშენებდნენ კუდიან ცხვარს. უგზოობის გამო სატრანსპორტოდ იყენებდნენ ცხენს, ჯორსა და სახედარს. როგორც ეთნოგრ. და ფოლკლორული მასალიდან ჩანს, სახელი გაითქვეს საბრძოლო იარაღისა და თოფის წამლის დამზადებით, აკეთებდნენ სამეურნ. იარაღსაც. ცხენზე ჯდომის მანერით გამოირჩეოდნენ გუდამაყრელი ქალები, რ-ებიც მაღალბალიშიან უნაგირზე მამაკაცებივით წელში გამართულნი ისხდნენ. გასული საუკუნის ავტორები წერდნენ, რომ ამ პატარა რეგიონში მრავალი რელიგ. ღვესასწაული სცოდნიათ. აგვ. მიწურულში ჩოხის ფუძის ანგელოზის ეკლესიის კარზე იხდიდნენ დიდ სათემო ღვესასწაულს – *ახოთბას.* აქედან ხევსურეთში, სოფ. უკანახოში, დროშებით გადადიოდნენ ხატის მსახურნი, რ-თაც მოსახლეობა სამზადისით ხვდებოდა.

მიწის სიმცირის გამო **გ.** საქართვ. სხვადასხვა კუთხეში სახლობენ. ერთი ნაკადი სამცხე-ჯავახეთშიც კი ცხოვრობს. წასულებს თან მიჰქონდათ თავიანთი ფუძესალოცავების ნიშები და ტრადიც. დღესასწაულებს იქაც იხდიდნენ.

ლიტ.: კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული (მთიულეთის ეთნოგრაფიის ნარკვევები), III, თბ., 1971; მაკალათია ს., მთიულეთი, თბ., 1930; ხარაძე რ., რობაქიძე ა., მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965.

მ. ჯალაბაძე.

გუდამაყრის არაგვი, შავი არაგვი, მდინარე აღმ. საქართველოში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე. სიგრძე 30 *კმ,* აუზის ფართ. 240 *კმ*². სათავეს იღებს მთა ჭაუხის დას. კალთაზე, ზ. დ. 2940 *მ* სიმაღლეზე. დაბა ფასანაურთან მარცხნიდან ერთვის მდ. მთიულეთის (თეთრ) არაგვს. მთავარი შენაკადია ბაკურხევი. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე და ზაფხულში, წყალმცირეა ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 7,96 *მ*³/*წმ.* ზამთრობით უჩნდება ყინულნაპირისი, თოში, ფსკერის ყინული.

ი. აფხაზავა.

გუდამაყრის უღელტეხილი, ბურსაჭირი, უღელტეხილი კავკასიონის მთავარ ქედზე, ჭაუხისა და სადუცის მთებს შორის, გუდამაყრის არაგვისა და სნოსწყლის (თერგის მარჯვ. შენაკადი) წყალგამყოფზე. სიმაღლე ზ. დ. 2369 *მ.* აგებულია შუაიურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. გ. უ-ზე გადადის ბილიკი სოფ. ბურსაჭირიდან (დუშეთის მუნიციპალიტეტი) სოფ. კარკუჩაში (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი). უღელტეხილზე სუბალპ. ლანდშაფტია.

ლ. მარუაშვილი.

გუდამაყრის ქედი, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. შტოქედი. მთიულეთ-გუდამაყრის არაგვისა და ფშავ-ხევსურეთის არაგვის წყალგამყოფი. მთავარ ქედს გამოეყოფა მწვერვალ ჩრდილოეთის ჭაუხთან და გრძელდება დაბა ჟინვალამდე, სიგრძე დაახლ. 40 *კმ.* გ. ქ-ზეა მწვერვალები: აღმოსავლეთის ჭაუხი, საჩალის მთა, ლაღის მთა, ლუთხუბი, საფსიტისწვერი, სახაროვნოს მთა, ხმალაისწვერი; უღელტეხილები: ფხიტური, უკანტბა და სხვ. ქედის უკიდურესი ჩრდ. ნაწილი აგებულია შუაიურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით, შუა ნაწილი – ზედაიურული კარბონატული ფლიშით, სამხრეთი – ცარცული კირქვებითა და ქვიშაქვებით. გ. ქ-ის თხემზე სუბალპ. და ალპ. მდელოებია, კალთებზე – შერეული ფოთლოვანი ტყეები (მუხა, რცხილა, წიფელი და სხვ.).

ლ. მარუაშვილი.

გუდამაყრული დიალექტი, იხ. *მთიულურ-გუდამაყრული დიალექტი.*

გუდანელები, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ღულელების თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ერწოს ქვაბულში, მდ. აძეძის (ივრის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1070 *მ,* თიანეთიდან 29 *კმ.* 61 მცხ. (2002).

გუდანი, მთა კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდინარეების აკუშოსხევისა და ლიქოკისხევის (ხევსურეთის არაგვის მარცხ. შენაკადები) წყალგამყოფზე, დუშეთის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 2090 *მ.* აგებულია შუაიურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. აღმ. კალთა ძლიერ ციცაბოა, ჩრდ., სამხრ. და დას. – დამრეცი. შემოსილია სუბალპ. მდელოებით.

გუდანი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ხევსურეთის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. გუდანისჭალის (ხევსურეთის არაგვის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს, ბარისახო – შატილის საავტ. გზაზე. ზ. დ. 1700 *მ,* დუშეთიდან 75 *კმ.* 48 მცხ. (2002).

სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, 200 *მ*-ზე მდებარეობს ყველაზე მნიშვნელოვანი სალოცავი – *გუდანის ჯვარი. მ. ბალიაური.*

გუდანის ჯვარი, ღვთაება და მისი სახელობის სამლოცველო ხევსურეთში. გადმოცემით, პირველად სანეს მთაზე დამკვიდრებულა, შემდეგ – სოფ. გუდანში. ხევსურულ სადიდებელთა ტექსტში მოიხსენიება საღვთო ბერი ბაადურის სახელით. გ. ჯ. ითვლებოდა ხევსურეთის 3 ძირითადი საგვარეულო-სათემო გაერთიანების – საარაბულოს, საჭინჭარაულოს, საგოგოჭუროს მთავარ ღვთაებად და მთელი ხევსურეთის საკულტო ცენტრად. გ. ჯ-ში ხდებოდა საერთო საქმეების განსჯა-გადაწყვეტა (გარეშე მტერზე ლაშქრობა, დაზავება, მოსისხლეთა ძნელად მოსაგვარებელი საქმის გარჩევა, ჩვეულებითი სამართლის რჯულის კოდექსების დაცვა ან შეცვლა, წლის მანძილზე მოსალოდნელ ამბავთა წინასწარ შესატყობად ქადაგის დასმა და ა. შ.). იგი ძირითადად მოლაშქრე ღვთაებად მიაჩნდათ. მიეწერებოდა თავისი საყმოს დაცვა-პატრონობის ფუნქციაც (მოუსავლიანობის, ავადმყოფობის, ხიფათისა და სხვ. დროს). მისი კულტი გავრცელებული იყო მეზობელ მთიელებშიც (თუშეთი, ჩაჩნეთი, ინგუშეთი).



გუდარეხი. სამონასტრო კომპლექსი. ღვთისმშობლის ეკლესია (1231–37) და სამრეკლო (1278).

ლიტ.: ო ჩ ი ა უ რ ი თ., მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967; ჩ ი ტ ა ი ა გ., ეთნონიმიკური ხალხური გადმოცემები, «ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები», 1955, ტ. 1; Бардавелидзе В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957. *თ. ოჩიაური.*

გუდარახი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღაროსკარის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), გუდამაყრის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ფშავის არაგვის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1240 *მ,* დუშეთიდან 41 *კმ.* 8 მცხ. (2002).

სოფლის ჩრდ-ით, მდ. კაწალხეურის მარჯვ. მხარეს, ტყით დაფარულ შემაღლებულ ადგილზე ოთხკუთხა კოშკის ნანგრევებია, კედლები თითქმის მთლიანად ჩამოშლილია და დაფარულია ნაყარი ქვით. ძეგლის თარიღი დაუდგენელია. *ი. წიკლაური.*

გუდარეხი, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ჩხიკვთის თემში (ქვემო ქართლის მხარე), ბედენის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. გუდარეხისწყლის (ალგეთის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1090 *მ,* თეთრი წყაროდან 8 *კმ.* 10 მცხ. (2002).

გ-ის მიდამოებში აღმოჩენილია ნამოსახლარი, რ-იც შედგება 2 ნაწილისაგან: თლილი ქვით ნაგები ბურჯებიანი მაღალი ზღუდით შემოფარგლული სამონასტრო კომპლექსისა და ზღუდის ჩრდ. და ჩრდ.-დას-ით მდებარე ნასოფლარისაგან. 1938–39 გაითხარა (ხელმძღვ. ლ. *მუსხელიშვილი*) სამონასტრო კომპლექსი. გამოვლინდა ნაგებობათა 2 ქრონოლ. ჯგუფი: სასახლე, სენაკები, მარანი, პილასტრებიანი ნაგებობა, საჯინიბო, ჩუქურთმიანი შენობის კომპლექსი (XII–XIII სს.) და მინაშენები პილასტრებიანი შენობის ჩრდ.-დას-ით (XVI–XVII სს.). ორ ჯგუფად იყოფა განათხარი კერამიკაც. კერამ. წარმოების ნაშთებისა და ნახევარფაბრიკატების აღმოჩენა გვიჩვენებს, რომ გ-ს საკუთარი კერამ. წარმოება გააჩნდა. აღმოჩენილია 18 ქართული (გიორგი III-ის, თამარის, რუსუდანის, ლაშა გიორგისა) და 1 მონღ. მონეტა, რაც მიგვითითებს, რომ XIII ს-ში გ-ში ინტენს. ცხოვრება იყო.

სოფლის მახლობლად, გუდარეხისხევზე, შემაღლებულ ადგილას, ხშირ ტყეში მდებარეობს სამონასტრო კომპლექსი (რესტავრირებულია 2006). სოფლიდან მონასტრისკენ მიმავალ გზაზე დგას კოშკი. კომპლექსში შედის ერთნავიანი ეკლესია, სამრეკლო, სასახლე, სენაკები და სხვ. შემოზღუდულია მაღალი, თლილი ქვით შემოსილი,



გუდარეხი. კოშკი. XVIII ს.

მრგვალბურჯებიანი გალავნით. სამონასტრო კომპლექსში ცენტრ. ადგილი უკავია ღვთისმშობლის ტაძარს, რ-იც, სამშენებლო წარწერის თანახმად, 1231–37 (რუსუდანის მეფობაში) აუგია ხუროთმოძღვარ *ჭიჭაფორისძეს.* გ-ის ეკლესია სუფთად გათლილი კვადრებით ნაგები მარტივი ერთნავიანი შენობაა. ინტერიერში შემორჩენილია კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. საკურთხეველი გამოყოფილი იყო მოჩუქურთმებული კანკელით (რესტავრირებული და დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმში). ეკლესიის ფასადები მდიდრულადაა მოჩუქურთმებული, აღმ. ფასადისათვის ოსტატს გამოუყენებია XII–XIII სს. მიჯნის გუმბათოვან ეკლესიებში გავრცელებული სქემა (დიდი მოჩუქურთმებული ჯვარი შუა სარკმლის თავზე, მასთან გადაბმული სარკმლის საპირე და ჩუქურთმიანივე რომბები სარკმლის ქვეშ). გუმბათოვანი არქიტ. თავისებურ გავლენას მოწმობს სამკუთხა ნიშების მოტივიც, რ-იც ერთნავიანი ეკლესიებისათვის უცხოა და სულ ორიოდე შემთხვევაში გვხვდება. გ-ის ტაძარი ნაგებია მაღალი პროფ. ოსტატობით და თავისი დროის ერთ-ერთი დამახასიათებელი ძეგლია. გარედან ეკლესიას ორი მინაშენი ჰქონია – სამხრ-ით კარიბჭე, ჩრდ-ით ეგვტერი. ორსართულიანი სამრეკლო აგებულია 1278 მეფე *დემეტრე II* თავდადებულის ხანაში. ეს ყველაზე ადრინდ. დათარიღებული სამრეკლოა საქართველოში. მისი ქვედა სართული არის თაღებით გახსნილი გასასვლელი, ზემოთ – რვამალიანი ფანჩატური, ხოლო მათ შორის სადგომია მოწყობილი. სამრეკლო შემოსილია სხვადასხვა ფერის კვადრებით. განსაკუთრებით დეკორატიულია მისი მდიდრულად მოჩუქურთმებული ფანჩატური. სამრეკლოს აღმ-ით შენობათა მთელი რიგია: პატარა ეკლესია, წინამძღვრის სამყოფელი საკუთარი სამლოცველოთი, საცხოვრ. ოთახები და სხვ. გალავნის შიგნით სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები იდგა. გალავნის წინ ასიოდე *მ*-ზე XIII ს. პატარა მოხდენილი ეკლესია დგას. იგი შემოსილია ყვითელი და ღვინისფერი თლილი კვადრებით და მდიდრულადაა მოჩუქურთმებული. გალავნის გარეთ ჩანს ნასახლართა ნაშთი. მთავარ ტაძარში მრავალი საფლავის ქვაა, ძირითადად *გერმანოზიშვილების* გვარისა, აქვეა დაკრძალული მონასტრის აღმდგენელი წინამძღვარი დომენტიც (რესტავრირებულია 2006).

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; მუსხელიშვილი ლ., ხიდაშელი შ., ჯაფარიძე ვ., გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში, თბ., 1954; ციციშვილი ი., მატერიალური კულტურის ძეგლები, «ძეგლის მეგობარი», 1980, №53; Такайшвили Е. С., Археологические экскурсии, разыскания и заметки, в. 2, Тфл., 1905; Чубинашвили Н. Г., Гударехи, «ქართული ხელოვნება», 1987, ტ. 9.

ნ. ანდღულაძე. ვ. ჯაფარიძე.



გუდასტვირი.

გუდასახო, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტის დეკანაშვილების თემში (აჭარის არ), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. უჩხოსწყლის (აჭარისწყლის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1160 *მ,* ხულოდან 8 *კმ.* 252 მცხ. (2002).

გუდასტვირი, ქართული ხალხური ჩასაბერი საკრავი. საქართველოში გავრცელებულია მისი რამდენიმე სახეობა: ქართლური და რაჭული გ., აჭარული და მესხური *ჭიბონი* (ჭიმონი) და ფშაური სტვირგუდა. გ. ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: თხის ან ცხვრის ტყავისაგან დამზადებული ჰაერის საცავის რეზერვუარის – გუდისა და სტვირისაგან (იხ. ნახ.). გუდას ქვემოთა მხრიდან მიმაგრებული აქვს სტვირი, ხოლო ზემოდან – ჰაერის ჩასაბერი მასრა. საკუთრივ სტვირი შედგება ნავის, დედნებისა და წივილებისაგან. ნავს რბილი ხისაგან თლიან და მასში დედნებს (მილებს) სვამენ. ბოლოზე კი ხარის ან ჯიხვის რქისაგან დამზადებულ სარეზონატორო ქარახსას ამაგრებენ. დედნები მზადდება დუდგულის ან ჭერმის ხისაგან. მასზე ამოჭრილია თვლები, თავში ჩასმული აქვს წივილები. მარჯვ. დედანს „მთქმელი'' ჰქვია, მარცხენას – „ბანი''. თვლების რაოდენობა დამოკიდებულია გ-ის სახეობაზე, მაგ., ქართლური და რაჭული გ-ის „მთქმელზე'' ამოჭრილია 6, „ბანზე'' – 3, აჭარულ ჭიბონზე – 5 და 3, მესხურზე – 5 და 5, ფშაურ სტვირგუდაზე 3 და 1 თვალი. წივილებს ლერწმისაგან თლიან. ისინი გამოსცემენ საკრავის ხმას. სტვირზე შემსრულებელს მ ე ს ტ ვ ი რ ე ჰქვია. სახალხო დღესასწაულებზე გ-ის თანხლებით სრულდება მრავალი ცეკვა და სიმღერა. აჭარაში ჭიბონს ნადის დროსაც უკრავდნენ. გ. სხვადასხვა სახელწოდებით, საქართველოს გარდა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გვხვდება.

ლიტ.: მსხალაძე ალ., ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან (ჭიბონი და მისი ტრადიცია აჭარაში), თბ., 1969; ცანავა ა., ქართული მესტვირული პოეზია, თბ., 1953; ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938; ჯანელიძე დ., ქართული თეატრის ხალხური საწყისები, წგ. 1, თბ., 1948.

კ. როსებაშვილი.

გუდაუთა, ქალაქი (1926-იდან) დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთის არ), გუდაუთის მუნიციპალიტეტის ცენტრი. მდებარეობს შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. გუდოუს შესართავთან, სარკინიგზო და საავტ. მაგისტრალზე.



გუდაუთის ცენტრი.

ზ. დ. 10 *მ*, სოხუმიდან 43 *კმ*, თბილისიდან 487 *კმ*. 14,9 ათ. მცხ. (1989).

გ. ზღვისპირა კლიმ. კურორტია. ჰავა – ზღვის ნოტიო სუბტროპიკული. იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 14,3°C, იანვ. საშ. ტემპ-რა 5,6°C, ივლ. 23,0°C. აბსოლ. მინ. –13°C; აბსოლ. მაქს. 41°C. ნალექები 1550 *მმ* წელიწადში. ფარდობითი ტენიანობა 75%. ძირითადი სამკურნ. საშუალება – კლიმატოთერაპია. სამედ. ჩვენება: გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის არასპეციფ. და ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი. სეზონი – მთელი წელი.

1991 გ-ში იყო ჩაის ფ-კა, თამბაქოს საფერმენტაციო და ღვინის ქ-ნები, ავტოსარემონტო სახელოსნოები, წვრილი საწარმოები (ამზადებდნენ კვების პროდუქტებს და ფართო მოხმარების საგნებს), საბავშვო ბაღები, საშ. ზოგადსაგანმან. სკოლები, ბ-კა, კულტსახლი, საზაფხულო თეატრი, კინოთეატრი, საავადმყოფო. მოქმედი სალოცავია წმინდა გიორგის საფარვლის ქართ. მართლმადიდებელი ეკლესია.

ვ. ჯაოშვილი. გ. უშვერიძე.

გუდაუთის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთის არ), აფხაზეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე და შავი ზღვის ვიწრო სანაპირო დაბლობ ზოლში. ჩრდ-ით ესაზღვრება რუს. ფედერაცია, აღმ-ით – სოხუმის, დას-ით – გაგრის მუნიციპალიტეტები, სამხრ-ით – შავი ზღვა. ფართ. 1640 *კმ²*. მოსახლ. 57,5 ათ. კაცი (1989). ცენტრი – ქ. *გუდაუთა*. გ. მ-ში არის 2 ქალაქი (*ახალი ათონი*, გუდაუთა), 1 დაბა (*მიუსერა*), 109 სოფელი, 20 თემი: ააცის, აბღარხუქის, აგარაკის, ანუხვის, აჭანდარის, ახალსოფლის, ბარმიშის, ბლაბურხვის, დურიფშის, ზვანდრიფშის, კალდახვარის, ლიხნის, მუგუძირხვის, მწარის (ცენტრი – ჭირუთა), ოთხარის, პრიმორსკოეს, ფსირცხის, ყულანურხვის, ხოფის, ჯირხვის.

ისტორიული ცნობა. ახლანდ. გ. მ-ის ტერიტორია ახ. წ. I ს-მდე შედიოდა *ეგრისში* და ქართველური მოდგმის ტომებით იყო დასახლებული. V–VI სს. მიჯნაზე აღნიშნული ტერიტ. გვიანდელი აღმ. აფხ. საერისთავოს უდიდეს ნაწილს მოიცავდა და *ეგრისის სამეფოს* საზღვრებში იყო. VIII ს. შუა წლებში აბაზგიის (აფხაზთა) სამთავროს ეკუთვნოდა. ეგრის-აფხ. სამეფოს შექმნის (VIII ს. დასასრ.) შემდეგ იგი ამ სამეფოს საზღვრებში მოექცა, ხოლო საქართველოს გაერთიანების (X ს.) შემდეგ ერთიანი ქართ. სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა. გ. მ-ის ტერიტ. XII–XVI სს-ში აფხ. საერისთავოში შედიოდა, ხოლო XVII– XVIII სს-ში – *აფხაზეთის სამთავროს* ცენტრ. ნაწილს შეადგენდა. ეს ტერიტ. თითქმის მთლიანად მოიცავდა აფხ. მხარეს *ზუფუს*. 1864, აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ, გ. მ-ის ტერიტ. რუს. ხელისუფლებამ ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქს მიაკუთვნა. 1917-მდე შედიოდა *სოხუმის ოკრუგში*, 1921–30 – საქართვ. ფარგლებში შექმნილ აფხ. სსრ-ში გუდაუთის მაზრის სახელწოდებით, 1931-იდან გამოიყო ცალკე რ-ნად.

სეპარატისტული და რეაქციული ძალების მიერ აფხაზეთში პროვოცირებული შეიარაღებული კონფლიქტის პოლიტ., სოც., ეკონ., დემოგრ., ეკოლ. და სხვა შედეგების შესახებ იხ. *საქართველო*.

ბუნება. გ. მ. მთაგორიანია. ჩრდ-ით აღმართულია კავკასიონის მთავარი ქედი (მთა აჟარა, 2908 *მ*), რ-საც სამხრ-ით გაუყვება აწითაქუს, ანჩხოსა და აჩიბახის გვერდითი ქედები. მდ. ბზიფის მარცხ. მხარეს გადაჭიმულია ბზიფის ქედი, რ-ზეც აღმართულია კლდოვანი მთები: ძიშრა, ჭიფშირა და სხვ. ზღვისპირა ზოლში ერთმანეთის პარალელურად მიემართება ზაშირბარისა და აქვის ქედები. ზღვის სანაპირო ზოლი გორაკ-ბორცვიანი დაბლობია. კავკასიონის თხემური ზონა აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. უფრო სამხრ-ით ზედაპირზე გამოდის ლიასური თიხაფიქლები. აწითაქუსა და ანჩხოს ქედები აგებულია ბაიოსური ტუფებითა და პორფირიტებით, აჩიბახის, ბზიფისა და ზაშირბარის ქედები – გვიანდ. იურული და ცარცული ასაკის კირქვებით, გორაკ-ბორცვიანი ზოლი და ზღვისპირა დაბლობი

გუდაუთის მუნიციპალიტეტი





ბზიფის ქედი.

– მესამეული და მეოთხეული ასაკის თიხაფიქლებით, კონგლომერატებით, ქვიშაქვებით, ქვიშებით და სხვ. წიაღისეულიდან არის ტყვიისა და თუთიის მადანი (ძიშრის საბადო), ქვანახშირი (ბზიფის საბადო), ბარიტი (აძაგა-აფშრის საბადო).

Გ. მ-ში ზღვის ნოტიო სუბტროპ. ჰავაა. დაბალ ზონაში იანვ. საშ. ტემპ-რაა 5–7°C, ივლ. 23–24°C. ნალექები – 1500 *მმ* წელიწადში. საშუალმთიან ზონაში იანვ. საშ. ტემპ-რა –3°C-იდან –6°C-მდეა, ივლ. 15–16°C. ნალექები – 2000 *მმ* წელიწადში. უფრო ზემოთ მაღალმთის ნოტიო და ნივალური ჰავაა.

მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარეა ბზიფი. მისი შენაკადია გეგა იუფშარით. ბზიფის ქედის სამხრ. კალთაზე მიედინება მჭიშთა, ხიფსთა, ააფსთა. მდინარეთა ხეობები, რ-ებიც იურულ და ცარცულ კირქვებშია გამომუშავებული, კანიონისებრია (გეგის, იუფშარის კანიონები). ზოგი მდინარე (იუფშარა, მჭიშთა და სხვ.) მიწისქვეშაც მიედინება. მდინარეები საზრდოობენ უმთავრესად წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. მყინვარებით საზრდოობს მხოლოდ ბზიფი. Გ. მ-შია საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ტბა რიწა, აქვეა პატარა რიწა და მყინვარული წარმოშობის ტბა მზი.

ზღვისპირა დაბლობზე ალუვიური კარბონატული ნიადაგია, გორაკ-ბორცვებზე – ყვითელმიწა. ბზიფის ქედის სამხრ. კალთაზე განვითარებულია კორდიან-კარბონატული ნიადაგი. ანჩხოსა და აწითაქუს ქედების კალთებზე, ქვემოთ ტყის ყომრალი, ზემოთ გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგებია. ქედების თხემზე არის კორდიანი და კორდიან-ტორფიანი მთის მდელოს ნიადაგები.

Გ. მ-ის ზღვისპირა ზოლში გავრცელებულია ქვიშნარის მცენარეულობა – რძიანა, ლურჯი ნარი, ძეძვი, ქოთანა და სხვ. დაბლობზე შემორჩენილია მურყნის, ოფის, ტირიფისა და სხვ. ლიანებიანი ტყეები. მთისწინეთისა და დაბალი მთების ქვედა სარტყელი (500 – 600 *მ*-მდე) შემოსილია მარადმწვანე ქვეტყიანი კოლხ. ტყით (ქართული მუხა, რცხილა, წიფელი, ცაცხვი, წაბლი და სხვ.). ქვეტყეში გვხვდება შქერი, ბაძგი, თაგვისარა, ბზა, წყავი და სხვ. ბევრია ლიანები. საშუალმთიან ზონაში ქვედა სარტყელი უკავია წიფლნარს, ზედა – სოჭნარ-ნაძვნარს, ვიწრო ზოლს ქმნის სუბალპ. ტყე. ტყის ზონის ზემოთ განვითარებულია ლიხი, სუბალპ. და ალპ. მდელოები, რ-ებიც გამოყენებულია საძოვრებად.

მაღალმთიან ზონაში ბინადრობს სევერცოვის ჯიხვი, არჩვი; ალპ. ზონაში – ენდემური პრომეთეს მემინდვრია; ტყის ზონაში – მურა დათვი, მგელი, გარეული ღორი, შველი, ირემი, ტურა, კვერნა და სხვ.; ქვეწარმავლები: კავკასიური გველგესლა, ხვლიკი. მდინარეებში ბევრია წვერა, ტობი, ფრიტა, კალმახი.

ძირითადი ლანდშაფტები: 1. სანაპირო ქვიშიან-ხრეშიანი დიუნები ფსამოფილური მცენარეულობით; 2. დახრილი ვაკე-დაბლობი კოლხური მცენარეულობით, ალუვიური და ეწერი ნიადაგებით; 3. ბორცვიან-ტერასული მთისწინეთი კოლხ. მცენარეულობით, ყვითელმიწა და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებით; 4. კარსტული დაბალი და საშუალო მთა-ტყის ლანდშაფტი რცხილნარ-მუხნარით, წიფლნარითა და წიფლნარ-მუქწიწვოვნებით, კორდიან-კარბონატული ნიადაგით; 5. სუბალპ. ტყეები და მდელოები მთის ტყისა და მთის მდელოს ნიადაგებით; 6. ალპ. მდელოები მთის მდელოს ნიადაგით.

Გ. მ-ის ტერიტორიაზეა *რიწის სახელმწიფო ნაკრძალი, ბიჭვინთა-მიუსერის სახელმწიფო ნაკრძა-*



რიწის ტბა.



ახალი ათონის მღვიმე.

ლის ნაწილი, კარსტული მღვიმე *„თოვლიანი უფსკრული“.*

მოსახლეობა. 1989 აღწერით გ. მ-ში ცხოვრობდნენ აფხაზები (53,1%), ქართველები (13,4%), სომხები, რუსები, უკრაინელები, ბერძნები და სხვ. განსახლების ძირითადი ზონა ზ. დ. 200 *მ*-მდეა. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვე – 35,0 კაცი 1 *კმ*²-ზე.

მეურნეობა. 1990 გ. მ-ის მთელი ფართობის 22,4% (36,7ათ. *ჰა*) ეჭირა სას.-სამ. სავარგულს. სოფ. მეურნ. ძირითადი დარგები იყო მემინდვრეობა და მრავალწლიანი კულტურების მოყვანა, მოჰყავდათ აგრეთვე სიმინდი, ბოსტნეულ-ბაღჩეული და საკვები კულტურები. მრავალწლიან კულტურათაგან – ვაზი, ჩაი, ციტრუსები და სხვ. ჩაი გაშენებული იყო ძირითადად სოფლებში დურიფშსა და ლიხნში. საკარმიდამო ნაკვეთებზე მევენახეობით გამოირჩეოდა სოფლები: ბამბორა, ლიხნი, აჭანდარა, ახალსოფელი, დურიფში. აშენებდნენ უმთავრესად მაღლარ ვაზს – „იზაბელას“, რ-ისგანაც ამზადებდნენ ღვინოებს „ფსოუს“, „აფსნს“, „ლიხნს“ და სხვ. გავრცელებული იყო დაბლარი ვაზის ჯიშებიც – ცოლიკაური, ჩხავერი და სხვ. განვითარებული იყო აგრეთვე მებაღეობა, მეციტრუსეობა, რ-ითაც გამოირჩეოდა ახალი ათონის მიმდებარე სოფლები. იყო ზეთისხილის პლანტაცია. მეცხოველეობა სოფ. მეურნეობაში მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა. მისდევდნენ მესაქონლეობას, მეღორეობას, მეცხვარეობას, აგრეთვე მეფრინველეობას, მეაბრეშუმეობასა და მეფუტკრეობას.

მრეწველობაში წამყვანი იყო კვების მრეწველობა. იყო ჩაის ფაკები (გუდაუთა, ლიხნი), თამბაქოს საფერმენტაციო და ღვინის ქ-ნები, ავტოსარემონტო სახელოსნოები (გუდაუთა).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საქართველოს რკინიგზის მაგისტრალი და შავიზღვისპირა საავტ. გზატკეცილი. შიდარაიონული მიმოსვლის მთავარი საშუალება იყო საავტ. ტრანსპორტი. საკურორტო-ტურისტულ სეზონში გარკვეულ როლს ასრულებდა ადგილ. საზღვაო ხაზი (ნავმისადგომები – ახალ ათონში, გუდაუთასა და მიუსერაში).

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. 1990 გ. მ-ში იყო 15 სკოლამდელი დაწესებულება, ყველა სახის 44 ზოგადსაგანმან. და 3 სამუსიკო სკოლა, 58 ბ-კა, საზაფხულო თეატრი, 3 კინოთეატრი, აფხ. სახელმწ. მუზეუმის ფილიალი (ახალ ათონში), 42 საკლუბო დაწესებულება.

მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურებოდა 3 საავადმყოფო, 94 ექიმი, 421 საშ. მედმუშაკი; გ. მ-შია კურორტები: გუდაუთა, ახალი ათონი, მიუსერა, *ავადჰარა, პრიმორსკოე,* ტურისტული კომპლექსი *ახალი ათონის მღვიმე.*

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. გ. მ-ის ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია: *ამბარის* ხუროთმოძღვრული კომპლექსი VIII–IX სს. სამეკლესიიანი ბაზილიკითა და ძველი სასახლით, შუა საუკ. ნამონასტრალი (VIII–IX სს.) ახალი ათონის მიდამოებში, ივერიის მთაზე (ისტ. *ანაკოფიის* ტერიტ.), სიმონ კანანელის გუმბათოვანი ეკლესია (IX–X სს., შეკეთებულია XIX ს-ში), ყულანურხვის ეკლესია, კალდახვარის ციხე (ორივე – შუა საუკ.), *ლიხნის* გუმბათოვანი ტაძარი (IX–X სს., კედლის მხატვრობა XIII–XIV სს.) და შერვაშიძეების სასახლე (X–XI სს., გადაკეთებულია XIX ს-ში).

თ. ბერაძე. შ. ლაშხია. კ. მგელაძე.

გუდაუთის უღელტეხილი, უღელტეხილი ბზიფის ქედზე, მდინარეების მწარის (ააფსთის მარცხ.



ლიხნის გუმბათოვანი ტაძარი. X–XI სს. მიჯნა.

შენაკადი) და რეშევიეს (ბზიფის მარცხ. შენაკადი) სათავეებში. სიმაღლე ზ. დ. 1565 *მ.* მიდამოები შემოსილია წიფლნარით და წიფლნარ-მუქწიწვოვნებით. ააფსთის აუზს (შავიზღვისპირეთი) სატალფეხო ბილიკით აკავშირებს ბზიფის ხეობასთან (სოფლები: რეშევიე, სერებრიანოე – ყოფ. ვერცხლოვანი).

დ. უკლება.


გუდაური, უღელტეხილი ხევის კავკასიონზე. იხ. *ჯვრის უღელტეხილი.*

გუდაური, სოფელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, ჯვრის უღელტეხილის სამხრ-ით, საქართვ. სამხ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: გ., განისი, ერეთო, საყურიანი, ფალაგყაუ, ქუმლისციხე). ზ. დ. 2200 *მ,* სტეფანწმინდიდან 33 *კმ.* 8 მცხ. (2002). დასახლება გაჩნდა XIX ს. 60-იან წლებში. 1887 გაიხსნა მეტეოროლ. სადგური.

გ. ახ. სამთო-სათხილამურო ცენტრია ცენტრალურ კავკასიონზე. მისი კლიმატი ძალზე ხელსაყრელია აქტ. დასვენებისა და სპორტისათვის. მყარი თოვლის საფარი ექვსი თვეა წელიწადში. თოვლის საშ. სიმაღლე სათხილამურო ფერდობებზე 190 *სმ* აღწევს. მზის ნათების ხანგრძლივობა 2100 *სთ* წელიწადში, ძლიერი ქარები იშვიათია. 1981–82 გ-ში დამკვიდრდა თბილ. სამთო-სათხილამურო სკოლა. აშენდა რამდენიმე ბაგირ-გზა. 1985 გ-ის სპორტ. ტრასებმა საერთაშ. სათხილამურო ფედერაციის სერტიფიკატი მიიღო. ამავე წელს გ-ში პირველად ჩატარდა საერთაშ. სამთო-სათხილამურო შეჯიბრი „გუდაურის გაზაფხული". 1989 მარტში ჩატარდა ევროპის თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი. გ-ში დღეისათვის ფუნქციონირებს რამდენიმე კეთილმოწყობილი სასტუმრო (მ. შ. *„გუდაური"*), რ-ებიც წლის მანძილზე იღებენ ქართველ და უცხოელ ტურისტებს. მიმდინარეობს საცხოვრ. და სპორტ. ინფრასტრუქტურის განვითარება, ყოველწლიურად ტარდება სპორტ. ტურნირები.



გუდაური. საბაგირო გზა.



საქართველოს სამხედრო გზა. სადგური გუდაური (XX ს. დასაწყისი).

მ. ბალიაური. ვ. მიქელაძე.

„გუდაური", სასტუმრო კომპლექსი სამთო-სათხილამურო ცენტრ *გუდაურში,* ზ. დ. 2200 *მ*-ზე. აერთიანებს ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „გ-ს", საბაგირო გზებსა და სათხილამურო ტრასებს. კომპლექსი ააშენეს ავსტრიულმა ფირმებმა. მშენებლობა დაიწყო 1986 და დასრულდა 1988 (არქიტექტორები: ავსტრ. ე. ჩაკმანი, ლ. ლორთქიფანიძე). თავდაპირველად „გ-ის" სასტუმრო კომპლექსი ეკუთვნოდა კონცერნ „საქკურორტს", ხოლო 1995-იდან – მის ბაზაზე დაფუძნებულ სააქციო საზ-ბა „გერგეთს". 1989-იდან კომპლექსი იჯარით ჰქონდა აღებული და მენეჯმენტს ახორციელებდა ქართ.-ავსტრ. ერთობლივი საწარმო შპს „ე.ს. გუდაური" (1998-მდე მისი საფირმო სახელი იყო „მარკო პოლო"). 2007 წ. სექტ-იდან კომპლექსს ფლობდა სააქციო საზ-ბა „გუდაური", ხოლო 2010 წ. 1 იანვრიდან მისი მფლობელია შპს „გუდაური სქი რესორტი".

„გ." განეკუთვნება სპორტ. და საკონფერენციო სასტუმროების კატეგორიას. შენობა ოთხსართულიანია და კარგადაა შეხამებული გარემოს. მისი არქიტექტურა დამახასიათებელია თანამედროვე ალპური ზონის ნაგებობებისთვის. სასტუმროს ფუნქციური გადაწყვეტა სრულად შეესაბამება სპორტ. და საკონფერენციო ცენტრის მოთხოვნებს. მასში განთავსებულია 121 ნომერი 250 საწოლ-ადგილზე, მ. შ. 85 ნომერი ორადგილიანია, 4 – სამადგილიანი, 24 – „ჯუნიორ სუიტი" (ორსართუ-



გუდაური. სასტუმრო „გუდაური".

ლიანი ნომერი, ორი ძირითადი და ორი დამატებითი საწოლით), 8 ლუქსი. სასტუმროს აქვს რესტორანი (220 დასაჯდომი ადგილი), ბუხრიანი ბარი, საბანკეტო დარბაზი (30 კაცზე), ღამის ბარი და სათხილამურო გასასვლელთან სპეციალურად მოთხილამურეთათვის განკუთვნილი ექსპრეს-ბარი (50 დასაჯდომი ადგილი). სასტუმროში არის აგრეთვე საცურაო აუზი ჯაკუზით, საუნებითა და სამასაჟო ოთახით, ორი გადახურული ჩოგბურთის კორტი, საბილიარდო, თხილამურების შესანახი სათავსი, სახელოსნო და გასაქირავებელი პუნქტი, სამაშველო სამსახური, სამედ. პუნქტი და სხვ. სასტუმროში 80-ადგილიანი საკონფერენციო დარბაზია სინქრონული თარგმანის აპარატურით, 3 სასემინარო ოთახი საკონფერენციო აღჭურვილობითა და ინტერნეტით.

სასტუმროს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ხუთი თანამედროვე ტიპის სათხილამურო-სააბაგირო გზა (3- და 4-ადგილიანი სავარძლებით), რ-ებსაც მოთხილამურეები აჰყავს ზ. დ. 2200-იდან 3280 *მ* სიმაღლემდე (უმაღლესი წერტილი – მთა საძელე).

სათხილამურო ტრასების საერთო სიგრძე არის 36 *კმ,* ბაგირგზების საერთო გამტარუნარიანობა – 7600 კაცი *სთ*-ში (2010).

ლ. აბრამიშვილი.

გუდაურული მემინდვრია (Chionomys gud), ძუძუმწოვარი ცხოველი მღრღნელების რიგისა. გავრცელებულია კავკასიაში, თურქეთში, ბინადრობს ტყის ზედა ზონაში, ალპ. და სუბალპ. მდელოებზე, კლდოვან და ქვანაყარ ადგილებში. ვერტიკალურად ვრცელდება ზ. დ. 2500 *მ*-მდე. მისი სხეულის სიგრძე 10–15 *სმ* აღწევს. კუდი სხეულის ნახევარია. იკვებება მცენარეულობით. ზამთრის მარაგს (თივას) სოროში ინახავს. საქართველოში რამდენიმე ქვესახეობაა. გ. მ. გავრცელებულია აღმ. საქართველოს სუბალპებში და ალპებში, რიონისა და ყვირილის სათავეთა ხეობებში, თიანეთში. *გ. ენუქიძე.*

გუდაყვის საეპისკოპოსო, ეპარქია დასავლეთ საქართველოში. ზოგიერთი წერილობითი წყაროს (*გიორგი მთაწმიდლის* ,,დიდი სვინაქსარი'') ცნობით, გუდაყვა იგივე ,,ზიღანეოსია'' (ზიღანევი, ძიღანევი). მდებარეობდა შავი ზღვის აღმ. სანაპიროზე, აფსარონსა და ბიჭვინთას შორის. ითვლება, რომ გუდაყვა იგივე თანამედროვე *გუდავაა.* იგი იყო საეპისკოპოსო ცენტრი ლაზეთში, შედიოდა ფაზისის სამიტროპოლიტოში და ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლის პატრიარქს. დაახლ. IX ს-ის ბოლოს გამოვიდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან.

საქართვ. მეფე *ბაგრატ III-მ* გ. ს. ,,მოცვალა'' და მის ნაცვლად დააარსა *ბედიის საეპისკოპოსო.* ,,მატიანე ქართლისაში'' ამის შესახებ აღნიშნულია შემდეგი: ,,ამანვე მეფემან აღაშენა საყდარი ბედიისაჲ და შექმნა საყდარად საეპისკოპოსოდ. მოცვალა მუნ გუდაყვის საეპისკოპოსოჲ''. ეს ,,მოცვლა'' დაკავშირებული იყო მეფის საეკლესიო პოლიტიკასთან, კერძოდ, დას. საქართვ. ძვ. ბიზანტ. ორიენტაციის საეპისკოპოსოების ადგილას დააარსა ახ., ქართ. საეპისკოპოსოები.

ცნობები გ. ს-ს შესახებ მეტად მწირია, რადგანაც არც ერთი ეპისკოპოსის სახელი არაა ცნობილი.


წყარო: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. კოლექცია, ტ. 1, თბ., 1973; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, ნაკვ. 2, თბ., 1952; ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 3, თბ., 1966; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973.

ვ. სილოგავა.

გუდაჭვერი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის კორინთის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ლორწომის კლდის ჩრდ. კალთაზე, მდ. ალეურის (ქსნის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1380 *მ,* ახალგორიდან 12 *კმ.* 13 მცხ. (2002).

გუდიაშვილი ლადო (ვლადიმერ) დავითის ძე [18 (30). III. 1896, თბილისი, – 19. VII. 1980, იქვე], ფერმწერი, გრაფიკოსი, მხატვარ-მონუმენტალისტი, თეატრისა და კინოს მხატვარი. საქართვ. (1958) და სსრკ (1972) სახალხო მხატვარი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1965), სოციალ. შრომის გმირი (1976), თბილისის საპატიო მოქალაქე (1979). დაამთავრა თბილისის ნატიფ ხელოვნებათა წამახალისებელი კავკასიის საზ-ბის სამხატვრო სკოლა (1914). ხატვას ასწავლიდა თბილისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში (1914–19). მისი პირველი ნახატები დაიბეჭდა ჟურნ. ,,თეატრსა და ცხოვრებაში'' (1914). ამ პერიოდში შექმნილ გრაფიკულ ნახატებს აქვეყნებდა ჟურნალებში: ,,არსი'' (,,ARS''), ,,ფენიქსი'' და სხვ. 1915 მოეწყო მხატვრის ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა. 1916 გ-მა სხვა მოღვაწეებთან ერთად დააარსა *,,ქართველ ხელოვანთა საზოგადოება'',* მონაწილეობდა ძვ. ქართ. კულტურის ძეგლების შემსწავლელ (1916–17) და 1917 ე. თაყაიშვილის მიერ ისტორიულ სამხრ. საქართველოში მოწყობილ ექსპედიციებში; გაეცნო ქართულ ძეგლებს, იღებდა ფრესკების პირებს. თბილისში მოხატა ძვ. კაფე ,,ფანტასტიკური დუქანი'' (1917). მონაწილეობდა რესტორან ,,ქიმერიონის'' (ახლანდ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრის შენობის ნაწილი) მოხატვაში (1919). 1917–19 შექმნა თბილისისადმი მიძღვნილი ციკლი: ,,სტეპკოს დუქანი'', ,,ქრისტინე'', ,,კინტოების ქეიფი ქალთან'' (სამივე 1919) და სხვ. ამ პერიოდში გ-მა გაიცნო ნ. *ფიროსმანაშვილი,* რ-საც შემდგომ მრავალი ნაწარმოები უძღვნა. მასვე ეკუთვნის 22 ილუსტრაცია პირველი ქართ.



ლ. გუდიაშვილი.



ლ. გუდიაშვილი. ,,თევზი-ცოცხალი''. 1920. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.



ლ. გუდიაშვილი. «კაფე ,,როტონდა''. ჩარლი ჩაპლინი და ბატონი იმპრესარიო». 1921. კერძო კუთვნილება.

მოდების ჟურნალისათვის. 1919 გაემგზავრა პარიზში, მეცადინეობდა ვ. რონსონის ე. წ. ,,თავისუფალ აკადემიაში''. პარიზში ყოფნისას კვლავ განაგრძო მუშაობა ძვ. თბილისის თემაზე (,,მოქეიფენი ეტლში'', ,,თევზი ცოცხალი'', ,,სადღეგრძელო გარიჟრაჟზე''; სამივე 1920, საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი). ამავე დროს, მხატვრის შემოქმედებაში გაჩნდა მთავარი პერსონაჟი – ქალი. გ-მა ქართ. ფერწერაში პირველმა შემოიტანა ,,ნიუს'' ჟანრი (ხატავდა შიშველ, უმეტესად ქალის, სხეულს). ამ პერიოდს ეკუთვნის ნაწარმოებები: ,,გაზაფხული'', ,,იდილია'', ,,ქეიფი ფაეტონზე'', ,,ცოცხალი'', ,,მონადირე'', აგრეთვე პარიზის თემაზე შექმნილი ნამუშევრები: ,,ხიდი პარიზში'', ,,პარიზელები'' და სხვ. პარიზში ყოფნისას აქტიურად მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. 1922 და 1925 გ-ის პერსონალური გამოფენები მოეწყო პარიზში. მისი ნამუშევრები შეიძინეს ცნობილმა კოლექციონერებმა და გალერეებმა (,,საშემოდგომო სალონი'', ,,გალერეა ჟოზეფ ბიე'', ,,ლიკორნი''), მადრიდის ეროვნ. მუზეუმმა ,,პრადომ''. იმდროინდელ ფრანგულ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა წერილები გ-ის შემოქმედების შესახებ. გამოიცა ფრანგი მწერლის მორის რეინალის მონოგრაფია – ,,ლადო გუდიაშვილი''. 1926 გ. დაბრუნდა თბილისში. იმავე წელს შოთა რუსთაველის სახ. დრამატული სტუდიის შენობაში მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა. 1926–31 დაუახლოვდა კ. მარჯანიშვილს, გააფორმა სპექტაკლები: ,,მზეთამზე'', ,,ლამარა'', ,,არსენა'', აგრეთვე მ. ჭიაურელის ფილმები: ,,საბა'', ,,ხაბარდა''. 1927–34 იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი. სამშობლოში დაბრუნებულ მხატვარს გაუჭირდა საბჭ. რეალობასთან შეგუება. მისთვის უცხო იყო ე. წ. სოციალ. რეალიზმის პრინციპები, ამ ჟანრში ვერ შეძლო საკუთარი ინდივიდუალობის პოვნა. ეს განწყობა აისახა მის ნამუშევრებში (,,ბოროტი ოჯახი'', ,,უმწეო'', ,,განწირული'', ,,ჩინეთი'' და სხვ.), სადაც გამუქებულია ფერწერული ტილოების კოლორიტი, ხოლო ექსპრესიულობისთვის დარღვეულია ფიგურის ანატომიური სიზუსტე. 1930 იქორწინა ნინო მგელაძეზე (შემდგომ – ნინო გუდიაშვილი), რ-იც მთელი ცხოვრების მანძილზე მხატვრის მუზა და ერთგული მეგობარი იყო. 1931–40 მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში (თბილისი, მოსკოვი, ჩიკაგო, პარიზი, მარსელი, ლონდონი და სხვ.). თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გააფორმა სპექტაკლი ,,ქეთო და კოტე''. 1946–48 თბილისში მოხატა ქაშვეთის ეკლესიის საკურთხეველი. ქართველ მხატვართაგან პირველმა დაასურათა (XVII ს. მინიატიურების შემდეგ) და გრაფიკულად გააფორმა შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი (1934). მასვე ეკუთვნის სულხან-საბა ორბელიანის წიგნის ,,სიბრძნე სიცრუისას'' ილუსტრაციები (1930). დაასურათა ასევე ქართველ და უცხოელ მწერალთა მრავალი წიგნი. 1957 თბილისში, საქართვ. სურათების გალერეაში, ხოლო 1958 მოსკოვში, მხატვართა კავშირის დარბაზში, მოეწყო გ-ის პერსონალური გამოფენა, სადაც პირველად სრულად იყო წარმოდგენილი მისი ნამუშევრები. 1960–80 მონაწილეობდა ევროპის ქალაქებში მოწყობილ გამოფენებში.

გ. ეკუთვნის ქართვ. მხატვართა იმ თაობას, რ-საც მიზნად ჰქონდა დასახული ხელოვნებაში ეროვნ. ფორმის ძიება. მხატვარს იმთავითვე ჰქონდა მიდრეკილება დეკორაციულობისა და მახვილი ექსპრესიულობისაკენ; ამაში იგი ეროვნ. თავისებურებათა გამოვლინებას ხედავდა. გ-ის ეროვნ. შემოქმედების ინდივიდუალობას დიდად შეუწყო ხელი XX ს. 20-იანი წლების ევრ. ხელოვნებაში არსებულმა მოდერნისტულმა მიმდინარეობამ. უდიდესი ზეგავლენა მოახდინა აგრეთვე ძველმა ქართულმა კედლის მხატვრობამ, მი-



ლ. გუდიაშვილი. ,,ძველი თბილისი''. 1925.

ნიატიურამ და მონუმ.-დეკორ. ხელოვნებამ. გ-ის ხელოვნების საიდუმლო მისი ხაზის ექსპრესიონისტულ გამომსახველობაშია.

შემოქმედების პირველ წლებში გ-ის თემატიკა მოიცავდა, ერთი მხრივ, ძვ. თბილისის ბოჰემური ცხოვრების სცენებს (რაშიც, შესაძლებელია, ერთგვარი როლი ითამაშა გ-ის შეხვედრამ ნ. ფიროსმანაშვილთან), მეორე მხრივ, საქართვ. წარსულით შთაგონებულ ლეგენდებსა და სიუჟეტებს (,,ნადირობა'', 1920, მხატვრის სახელოსნო; ,,იდილია'', 1920, საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი; ,,ქალი კლდეებში'', 1923, მხატვრის სახელოსნო) და სხვ. თბილისური ბოჰემისადმი მიძღვნილ საუკეთესო სურათებში მხატვარი ღრმა დრამ. გამომსახველობას აღწევს. პარიზში ყოფნის დროს საფუძველი ჩაეყარა გ-ის მორალური და სოც. თემებისადმი მიძღვნილ სატირული ხასიათის ნახატების ციკლსაც. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მხატვრის შემოქმედებაში აისახა ქართვ. ხალხის წარსული (,,ლეგენდა თბილისის დაარსებაზე'', 1946; ,,ყვენობა თბილისში'', 1937, საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი; ,,საკადრისი პასუხი'', 1945, მხატვრის სახელოსნო, და სხვ.), შექმნა



ლ. გუდიაშვილი. ,,ნიკო ფიროსმანაშვილი''. 1928. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

ისტ. პირთა და თანამედროვეთა პორტრეტები (,,ნიკო ფიროსმანაშვილი'', 1928, საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი; ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი'', 1941; ,,ბექა და ბეშქენ ოპიზრები'', 1946, ორივე მხატვრის სახელოსნო; ,,ნინო გუდიაშვილი'', 1937, მხატვრის სახელოსნო; ,,თამარ ციციშვილი'', 1940, საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი; ,,აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე'', 1945, კერძო კუთვნილება; ,,ნათელა ახვლედიანი'', 1941, კერძო კუთვნილება, და სხვ.). შექმნა ბოროტებისა და მშვენიერების დაპირისპირების ამსახველი გროტესკული ჟანრის გრაფიკული ციკლი (,,ტვინის ჭყლეტა'', ,,ცენზურა'', ,,ყასაბი'', ,,იმპერატორი'' და სხვ.). გ-ის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მშვენიერების თემას, აღბეჭდილს დიდი სითბოთი და პოეტური აღფრთოვანებით (,,მაია სატრფოს მოლოდინში'', 1940, ,,ეთერი სარკის წინ'', 1940; ,,საქორწინო განბანა'', 1942; სამივე – მხატვრის სახელოსნო; ,,გოგონები საყვარელ ნაკადულთან'', 1943, კერძო კუთვნილება, და სხვ.). აღსანიშნავია II მსოფლიო ომის ამსახველი გრაფ. სერია (,,საზიზღარი ქვეწარმავალნი''; ,,აგრესორის ულტიმატუმი'', ორივე 1942, მხატვრის სახელოსნო, და სხვ.). სხვა გრაფ. სერიაში ალეგორიული და სიმბოლური სახეებით არის გაკიცხული ადამიანის მანკიერი მხარეები (,,თავმოკვეთილი მეუღლე'', ,,ფუჭი დიდების აღსასრული'', ,,სილამაზის მსხვერპლი'', 1941; ,,მცდარი მისამართი'', ყველა – მხატვრის სახელოსნო, და სხვ.).

გ. მკაფიოდ გამოსახული ინდივიდუალობის მქონე შემოქმედია, რ-მაც მხატვრულ სახეთა საკუთარი მდიდარი სამყარო შექმნა. შინაარსის შესაბამისად, გ. თავის სურათებსა და ნახატებში ხან სადღესასწაულო, ამაღლებულ, ,,ზღაპრულ'' განწყობილებას ქმნის, ხან ფსიქოლოგიურად ღრმასა და დრამატულს, ხან თეატრ. სანახაობას, ხანაც გროტესკისას. მისი ნამუშევრები გამოირჩევა დახვეწილი და დასრულებული კომპოზიციით, დეკორაციულობითა და, ზოგჯერ, ორნამენტულობითაც.

გ-ის შემოქმედებამ საერთაშ. აღიარება მოიპოვა. მისი ნამუშევრები დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმში, მის ოჯახში, საქართვ. და უცხოეთის კერძო კოლექციებში. გ-ის სახელი ეწოდა მცირე ცთომილს (იხ. სტ. *გუდიაშვილი*). საქართველოში და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებში გამოცემულია მხატვრისადმი მიძღვნილი მრავალი ალბომი და წიგნი. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში. საფლავზე დგას



გ-ის ძეგლი (მოქანდაკე ე. ამაშუკელი, არქიტ. ნ. მგალობლიშვილი, 1985). თბილისში არის ლადო გუდიაშვილის მოედანი, გუდიაშვილის ქუჩა. ქუჩის ბოლოს, 9 აპრილის სახ. ბაღში დგას გ-ის ძეგლი (მოქანდაკე დ. მიქატაძე, არქიტ. რ. ბერიძე, 2003, ბრინჯაო).

გარდაცვალების შემდეგ გ-ის პერსონალური გამოფენები მოეწყო რომში (1991, სან-მიკელეს ტაძარი), თბილისში (1996, სურათების ეროვნული გალერეა) და პარიზში (1997, საფრ. ნაციო-

ლ. გუდიაშვილი. ,,უმწეო''. 1930. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.



ლ. გუდიაშვილი. ,,წყნეთური სერენადა''. 1958. კერძო კუთვნილება.

ნალური ასამბლეის მორნის გალერეა).

ლიტ.: ბერიძე ვ., ლადო გუდიაშვილი, თბ. – ბუდაპეშტი, 1975; Златкевич Л., Ладо Гудиашвили, Тб., 1971; Ладо Гудиашвили. Альбом. Сост. М. К. Коган. Автор текста Л. Златкевич, Л., 1983; Lado Gudiachvili. Assemblée Nationale, P., 1997; Raynal M., Lado Gudiachvili, P., 1925.

ვ. ბერიძე. ა. მელივა.


ნ. გუდიაშვილი.

გუდიაშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე (19. V. 1913, თბილისი, – 7. IV. 1998, იქვე), კომპოზიტორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961). საქართვ. სახ. არტისტი (1990). 1937 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (ს. ბარხუდარიანის საკომპოზიციო კლასი), 1941 – ასპირანტურა (პ. რიაზანოვის ხელმძღვანელობით). 1937-იდან თბილ. კონსერვ. პედაგოგი იყო, 1981-იდან – პროფესორი. გ. მუშაობდა თეატრ., სიმფ. კამერულ-საკრავიერ, კამერულ-ვოკალურ, საგუნდო და საესტრადო მუსიკის სფეროში. მისი საფორტეპიანო კვინტეტი (1948) ამ ჟანრის პირველი და საუკეთესო ნიმუშია ქართ. მუსიკაში. გ-ს ეკუთვნის ოპერები: „ელისო“ (ა. ყაზბეგის მიხედვით, 1944), „ქეთევან წამებული“ (1960); ერთმოქმედებიანი ოპერები – „სისხლიანი სუფრა“, „შურისძიება“ და „ვიძა ივერია“ (სამივე 1971); 2 ბალეტი: „დედის მანდილი“ (1951) და „ნარიყალას ციხესთან“ (1958); ოპერეტები: „შეხვედრა აგარაკზე“ (1950), „საჩუქარი“ (1951), „სალხინობელი“ (1953), „ვახშამზე“ (1959); 4 სიმფონია (1944, 1949, 1968, 1980); 5 საფორტეპიანო კონცერტი (1941, 1946, 1948, 1961, 1980); სიმებიანი კვარტეტები, საფორტეპიანო კვინტეტი (1948), საფორტეპიანო სონატინა (1950), 24 პრელუდია და ფუგა (1975), რომანსები, ხალხ. თემებზე შექმნილი საესტრადო ჟანრის „ქართული ფანტაზია“, რამაც დიდი პოპულარობა მოიპოვა 40-იანი წლებიდან ქართველ და, კერძოდ, თბილისელ მუსიკის მოყვარულთა შორის. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გუდიაშვილი (Gudiashvili), მცირე ცთომილი №2595. მზიდან საშ. მანძილი 416,9 მლნ. *კმ.* მზის ირგვლივ გარემოქცევის პერიოდი 4,65 *წ,* საშ. ვარსკვლავიერი სიდიდე 17,0. აღმოაჩინა რ. *ჯესტმა* 1979 წ. 19 მაისს ევროპის სამხრ. ობსერვატორიაში. სახელი გ. უწოდეს ლ. *გუდიაშვილის* პატივსაცემად.

გუდითა, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის წინაგრის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდინარეების ლეხურისა (მტკვრის მარცხ. შენაკადი) და მეჯუდის (ლიახვის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფი ქედის დას. კალთაზე, ლეხურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1020 *მ,* ახალგორიდან 72 *კმ.* კასპიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 44 *კმ.* 1989 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

გუდისი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის გერის თემში (შიდა ქართლის მხარე), გერმუხის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. გუდისისწყლის (ლიახვის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1800 *მ,* ერედვიდან 28 *კმ.* 10 მცხ. (1989).

გუდისის ქედი, გერმუხის ქედის სამხრ. განშტოება, მდინარეების დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის წყალგამყოფი. გამოეყოფა გერმუხის ქედს მანგაავცაგის მთასთან. სიგრძე 32 *კმ,* უმაღლესი მწვ. გუდისი (ზ. დ. 2945 *მ*). გ. ქ. რკალის ფორმისაა, მიმართულია სამხრეთისაკენ. აგებულია ზედაიურული ფიქლებით, კირქვებითა და ქვიშაქვებით, ქვედაცარცული კირქვებითა და მერგელებით, სარმატული ქვიშაქვებით, თიხებითა და კონგლომერატებით. მაღალ ადგილებში ტროგებისა და მორენების სახით შემორჩენილია ძვ. გამყინვარების კვალი. თხემსა და ჩრდ. კალთაზე სუბალპ. და ალპ. მდელოებია, დანარჩენ კალთებზე – მუხის, რცხილის, წიფლისა და წიწვოვანი ტყეები.

ს. ნემანიშვილი.

გუდისისწყალი, მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, ერედვისა და ჯავის მუნიციპალიტეტებში, ლიახვის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 24 *კმ,* აუზის ფართ. 91 *კმ*^{2}. სათავე აქვს გერმუხის ქედის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 2860 *მ* სიმაღლეზე. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა ზაფხულსა და ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 2,66 *მ*^{3}/*წმ.*

ი. აფხაზავა.

გუდოვიჩი ივანე ვასილის ძე (1741 – I. 1820, ოლგოპოლი, ბერშადის რ-ნი, ვინიცის ოლქი, უკრაინა), კავკასიის მთავარმმართველი 1806–09. რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ფელდმარშალი (1807), გრაფი (1797). 1759-იდან სამხ. სამსახურში იყო. თავი გამოიჩინა რუს.-ოსმ. 1768–74 ომში. რუს.-ოსმ. 1787–91 ომის დროს ხელმძღვანელობდა ჰაჯიბეის (ახლანდ. ოდესა) აღებას, 1791 იერიშით აიღო ანაპა, რის შემდეგ კავკასიის ხაზის სარდლად დანიშნეს. ამ პოსტზე მას ურთიერთობა ჰქონდა ერეკლე II-თან და საკმაოდ ორჭოფულ პოლიტიკას ატარებდა საქართველოს მიმართ აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობის წინა პერიოდში. მართალია, მას ერეკლე II-თვის ჯარის უნებართვოდ გამოგზავნის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ უტაქტობით, ერეკლეს შვილიშვილების ცნობით კი – ანგარებით, დასაზვერად გამოგზავნილ ირან. ელჩებს გააგებინა, რომ რუსეთი საქართველოსათვის ჯარის მიშველებას არ აპირებდა, რამაც აღა-მაჰმად-ხანს გზა გაუხსნა სამოქმედოდ. 1800 პავლე I-მა გ. სამხ. საქმეს ჩამოაშორა. 1806 ალექსანდრე I-მა გ. ჯარების მთავარსარდლად დანიშნა კავკასიაში. ცარიზმის კოლონ. პოლიტიკის გასატარებლად დაიპყრო ბაქოს, შაქისა და დარუბანდის სახანოები. 1807 ოსმალთა არმია დაამარცხა არფაჩაისთან, მაგრამ ვერ აიღო ახალქალაქი (1807) და ერევანი (1808). 1809–12 დაინიშნა მთავარსარდლად მოსკოვში, გახდა სახელმწ. საბჭოს წევრი, სენატორი. 1812 თებერვალში თანამდებობიდან გადადგა.

ნ. ნაკაშიძე.

გუდოუ, გუდაუ, მდინარე დასავლეთ საქართველოში, გუდაუთის მუნიციპალიტეტში. სიგრძე 11 *კმ,* აუზის ფართ. 45 *კმ*^{2}. ერთვის შავ ზღვას. საზრდოობს წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. დამახასიათებელია წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნები. ერთვის რამდენიმე შენაკადი, რ-თა ჯამური სიგრძეა 9 *კმ.* საშ. წლ. ხარჯი 1,3 *მ*^{3}/*წმ.*

ი. აფხაზავა.

გუდრუხი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჟინვალის ტერიტორიულ ორგანოში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ქართლის ქედის დას. კალთაზე, მდ. ფშავის არაგვის (არაგვის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 820 *მ,* დუშეთიდან 22 *კმ.* 65 მცხ. (2002). 1981 და 1986–88 არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. რამიშვილი) სოფლის მიდამოებში შეისწავლა რამდენიმე საყურადღებო ძეგლი. ძვ. გ-ის თავზე, კონცხისებური ტყიანი მთის დავაკებაზე, ე. წ. ადგილის დედაზე, დგას X ს. ღვთისმშობლის ეკლესია. ეკლესია გეგმით წაგრძელებული მართკუთხედია. აღმ-ით, კედლების სწორკუთხედში, მოქცეული ნახევარწრიული აფსიდი აქვს. სარკმელი ორია – აღმოსავლეთით და სამხრეთით. საკურთხევლის წინ ჯვრის აღსამართავი კვარცხლბეკია. აფსიდის სამხრ. კუთხეში შემორჩენილია კონქის თაღის შირიმის პროფილირებული იმპოსტი. დარბაზის გრძივ კედლებზე თითო განიერი, პილასტრია. სამხრ. კედლის დას. ნაწილში გაჭრილია კარი. კლდის ნატეხი ქვი-

თა და დულაბით ორპირად ამოყვანილ კედლებს შორის სიცარიელე წვრილი ქვითაა ამოვსებული. კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ელემენტები შირიმის ქვისაა. სამხრეთიდან ეკლესიას ეკვრის გვიანდ. ხანის გეგმით მართკუთხა უაფსიდო სათავსი, რ-საც კარი დასავლეთიდან აქვს. ეკლესია და სათავსი შიგნიდან და გარედან შელესილი ყოფილა. ეკლესიას გარს არტყია კლდის ნატეხი ქვით ნაგები გალავანი, რ-ის კარი სამხრ.-აღმ. ნაწილშია.

ეკლესიის ეზოში გამოვლენილ სამარხთაგან შესწავლილია 23 ქვის სამარხი, რ-ებიც ინვენტარის მიხედვით (მინისა და ბრინჯაოს სამაჯურები, მძივები, ბეჭდები, ჯვარი, რკინის სამაჯური და სხვ.) XII–XIII სს-ით თარიღდება.

ეკლესიის გარშემო შემორჩენილია დიდი ნასოფლარის ნაგებობათა კედლების ქვედა წყობა. ეკლესიის აღმ-ით გაითხარა კლდის მოზრდილი ქვებით ნაგები საცხოვრ. კომპლექსის 2 სათავსი. ერთ-ერთში გამოვლენილია ქვის ფილებით მოფენილი იატაკი, ხოლო მეორეში – ქვევრი, მართკუთხა ქვის კერა, კეცი, მოუჭიქავი და მრავალფერად მოჭიქული თიხის ჭურჭლის ნატეხები. ნაგებობები XII–XIII სს. მიეკუთვნება. ნასოფლარის დას-ით, ქვემოთ, ადგილ სათაოზე, პატარა ეკლესიასთან გათხრილი სამარხები ორ ქრონოლ. პერიოდს მიეკუთვნება. ქვედა ფენის ორ ორმოსამარხში მიცვალებულები მარცხ. გვერდზე იწვნენ მოკრუნჩხულ პოზაში, თავი დასავლეთისკენ ჰქონდათ. იქვე იყო III–IV სს. თიხის ხელადები, რკინის აბზინდები, დანები და სხვ. ზედა ფენაში გამოვლენილია ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები, ქვის სამარხები, ამოშენებულკედლებიანი სამარხები და აკლდამები. მათში მიცვალებულები დაკრძალული არიან ქრისტიანული წესით. საოჯახო სამარხებში აღმოჩენილი თიხის სასმისები, ბრინჯაოს სამაჯურები, საყურეები, ბეჭდები, ჯვრები, მინისა და რკინის სამაჯურები და სხვ. XI–XIII სს-ით თარიღდება.

ლიტ.: Рамишвили Р. М., Гогочури Г. К., Джорбенадзе В. А. и др., Исследования в горных районах Восточной Грузии, კრ.: Археологические открытия 1986 года, М., 1988.

ბ. ჯორბენაძე.

გუერდი, მარცვლეულისა და სითხის უძველესი ქართ. საწყაო. იტევდა საშუალოდ 9 *ლ.*

ლიტ.: ჯაფარიძე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX–XIX სს.), თბ., 1973.

გ. ჯაფარიძე.

გუზან აბულასანის ძე ტაოელი, კლარჯეთისა და შავშეთის პატრონი (ერისთავი) XII ს-ში, იგი „ძუელთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილზე“ იქნა შეწყალებული თამარის გამეფების პირველ წლებში. 1186 გუზანმა, ბოცო სამცხის სპასალარმა და რამდენიმე დიდებულმა თავისი ლაშქრით დაამარცხეს და განდევნეს შავშეთ-კლარჯეთს შემოსეული კარნუქალაქელი, შამელი და გარმიანელი თურქები და ურიცხვი ტყვეებითა და ალაფით წარდგნენ თამარის წინაშე. ჩანს, გუზანს ამის მერე უბოძეს ტაოც, თუმცა თამარის პირველი ისტორიკოსი მას ამ ბრძოლის წინ უკვე ტაოელად იხსენიებს. გუზანი ეკუთვნოდა იური ანდრიას ძის (გიორგი რუსი) გამეფების მომხრეთა დასს, რაც აშკარა გახდა 1191, დიდებულთა პირველი განდგომის დროს. იგი პირველი მიემხრო აჯანყებულებს, რის გამოც მოიაზრება ამ აჯანყების ერთ-ერთ მოთავედ. ვარდან დადიანმა გიორგი რუსის მხარდასაჭერად მთელი დას. საქართველოდან შეყარა ლაშქარი და სწორედ გუზანთან შესაერთებლად გაგზავნა. თამარის მომხრეებთან დამარცხების შემდეგ, სხვებისგან განსხვავებით, გუზანს ბრძოლა არ შეუწყვეტია – ტაოსკარი, ვაშლოვანი და სხვა მრავალი ციხე თურქებს გადასცა და დახმარებისათვის ხლათის მმართველ შაჰარმენს მიმართა. გუზანის მხარეს იყო ასევე ზოგი დიდებული. გუზანის შვილის მიერ მოწვეულ თურქთა ლაშქარს, კოლის მთასთან მიეგება თამარის ერთგული ზაქარია ფანასკერტელი და ამ მხარის სხვა დიდებულები თავიანთი მხედრობით. მიუხედავად მტრის ლაშქრის სიმრავლისა, ზაქარია ფანასკერტელმა შეძლო მისი დამარცხება და გუზანის ცოლ-შვილის შეპყრობა. თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობით, გუზანი ამის შემდეგ მთებში იმალებოდა და ავაზაკობდა, მაგრამ მთიბავებმა შეიპყრეს და დავით სოსლანს მიჰგვარეს. სოსლანმა, იცოდა რა თამარის გულმოწყალების ამბავი, მასთან შეუთანხმებლად გუზანს თვალები დასწვა (დააბრმავა).

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა თამარისი, იქვე.

ლიტ.: მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი. – მეფე თამარი, თბ., 2002.

ა. ბოგვერაძე.


გუთანი, სასოფლო-სამეურნეო იარაღი, რ-ის დანიშნულებაა ნიადაგის ძირითადი დამუშავება – ხვნა. გ-ით ხვნის ტექნოლოგიური პროცესის ძირითად ამოცანას ნიადაგის გადაბრუნება და გაფხვიერება წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია კულტურული მცენარეების ზრდა-განვითარებისათვის. გ-ს უხსოვარი დროიდან იცნობს კაცობრიობა. პრიმიტ. გ. გამოსახულია ეგვიპტისა და ბაბილონის მხატვრულ ნიმუშებზე. ძვ. წ. II ათასწლეულის გ-ის ტიპის გამოსახულებანი შემორჩენილია ჩრდ. იტალიისა და სამხრ. შვედეთის კლდეებზე. ამავე პერიოდით თარიღდება პოლონეთის ტორფნარებსა და ჩინეთში აღმოჩენილი ხის გ. დას. საქართველოში არქეოლ. გათხრების დროს აღმოაჩინეს მარტივი ტიპის ხის სახვნელი იარაღი, რ-იც ძვ. წ. II ათასწლეულით თარიღდება. ასევე, აღმ. საქართველოში არმაზის გათხრებისას აღმოჩნდა ქვის ფილა, რ-ზეც გამოსახულია გამწევძალიანი გ.

უძველესი ხანის გ-ის პრიმიტ. იარაღებს ამზადებდნენ ხისაგან (მუხა, იფანი, თელა). ხშირად ამ პრიმიტიულ იარაღებსაც (იხ. *აჩაჩა, ერქვანი, კავი, ოქოქა*) გ-ს უწოდებენ. შემდგომ პერიოდში სახნავი იარაღის წამახულ ბოლოს ლითონის ბუნიკს მოარგებდნენ ხოლმე. ძვ. წ. I ათასწლეულში უკვე ყოფილა რკინის სახნისები. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ლითონის სახნისს საქართველოში ძვ. წ. პირველ ათასწლეულში იცნობდნენ. მოგვიანებით ჩნდება დიდი ქართ. ფამფალიკიანი გ. (იხ. *დიდი გუთანი*). ეთნოგრაფიული ექსპედიციების შედეგად აღმოჩენილია საქართვ. ყველა კუთხის – რაჭული, მეგრული, სვანური, გურული, იმერული, კახური, მესხური, ფშავური, ხევსურული გ-ები თავისი დამახასიათებელი ელემენტებით.

გ-მა ძალზე დიდი სახეცვლილება განიცადა ახ. წ. II–XII და XVI–XVII სს-ში, როდესაც ძირითადი გამწევი ძალა ხარ-კამეჩი და ცხენი იყო. ცხენწევის გ-ზე პირველი პატენტი 1797 აშშ-ში ჩარლზ ნიუბოლდის (Newbold) სახელზე იქნა გაცემული. შემდგომში გ-ების გამოყენება გაფართოვდა და მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტი მოიცვა. რუსეთში გ. VIII–IX სს-ში გაჩნდა. მექანიკური

წევის მ-ების სერიული გამოშვება მხოლოდ 1925-იდან დაიწყო ოდესის ქ-ნამ.


საქართველოში თანამედროვე მ-ის წინაპარი XIX ს-ის მეორე ნახევრიდან გაჩნდა. ი. ჭავჭავაძის ძალისხმევით შემოტანილი იქნა ,,ანგლოგლობალური'' ჰოვარდის ტიპის მ., რ-ის გამწევი ძალა სამი უღელი ხარ-კამეჩი ყოფილა. თანამედროვე მ-ის კლასიფიკაცია ხდება დანიშნულების, წევის ძალის, ტრაქტორთან აგრეგატირების მეთოდის, კონსტრუქციისა და კორპუსების რაოდენობის მიხედვით.



სურ. 1. ტრაქტორის საკიდი გუთანი.

1 – წინმხვნელი; 2 – კორპუსი; 3 – ჩარჩო; 4 – დისკოსებური საკვეთელი; 5 – საყრდენი თვალი; 6 – ხვნის სიღრმის სარეგულირებელი ხრახნული მექანიზმი; 7 – საკიდი მოწყობილობა.

დანიშნულების მიხედვით სატრაქტორო მ-ები იყოფა ორ ჯგუფად: საერთო და სპეციალური. საერთო დანიშნულების მ-ებს იყენებენ მემინდვრეობაში, ძირითადად ნიადაგის დასამუშავებლად; სპეციალური დანიშნულების მ-ებს კი – ქვიანი ნიადაგის, ჯაგჭაობის, საპლანტაჟო (ყამირი და ნასვენი მიწების), ბაღის, ვენახის (მწკრივთაშორისებში სამუშაოთა კომპლექსის ჩასატარებლად), იარუსიანი ხვნისათვის და ა. შ. წევის ძალის მიხედვით არის: ცხენის, სატრაქტორო და ბაგირული მ-ები. ცხენწევის მ-ებს იყენებენ ვიწრო კვლების მქონე ნაკვეთებში, სადაც შეუძლებელია სატრაქტორო მ-ების გამოყენება; სატრაქტორო მ-ები წარმოადგენს ნიადაგის ძირითადი დამუშავების იარაღს; ბაგირული წევის მ-ებს იყენებენ იქ, სადაც სატრაქტორო მ-ების მუშაობა გაძნელებულია (მაგ., მთაში და ჭაობიან ნიადაგზე). ტრაქტორთან აგრეგატირების მეთოდის მიხედვით მ-ები იყოფა საკიდ, ნახევრად საკიდ და მისაბმელ მ-ებად (სურ. 1). კორპუსის კონსტრუქციის მიხედვით არჩევენ სახნისიან, დისკოებიან, კომბინირებულ, როტაციულ და ღრმად მაფხვიერებელ მ-ებს. კორპუსების რაოდენობის მიხედვით კი – ერთკორპუსიან და მრავალკორპუსიან მ-ებს.



სურ. 2. ტრაქტორის საკიდი საბრუნი გუთანი.

1 – საკიდ-საბრუნი მოწყობილობა; 2 – ჰიდროცილინდრი; 3 – ჩარჩო; 4 – კორპუსი; 5 – საყრდენ-სარეგულირებელი თვალი; 6 – სახნისი; 7 – ფრთა; 8 – ველის ფიცარი; 9 – ფრთის დანამატი; 10 – დგარა; 11 – დისკოსებური საკვეთელი; 12 – მაღალი წნევის მილები.

მ-ის მუშა ნაწილებია: საკვეთელი წინმხვნელი, კორპუსი (ტანი), რ-იც, თავის მხრივ, შედგება დგარაზე მალულთავიანი ჭანჭიკების მეშვეობით დამაგრებული სახნისისაგან, ფრთისა და ველის ფიცრისაგან. კორპუსი დგარას საშუალებით დამაგრებულია ჩარჩოზე.

საკვეთლის დანიშნულებაა ბელტის მოჭრა ვერტიკალურ სიბრტყეში, ხოლო სახნისისა – ბელტის მოჭრა ჰორიზონტალურ სიბრტყეში და მისი გამოყოფა მასივიდან. გუთნის ფრთა თავისი ზედაპირით იღებს სახნისისა და საკვეთლის მიერ მოჭრილ ბელტს, ნაწილობრივ აფხვიერებს და აბრუნებს მას ღია კვალში. სახნისი და ფრთა შეადგენს მ-ის ტანის სამუშაო ზედაპირს, რ-იც თანამედროვე მ-ში ოთხი ტიპისაა: ცილინდრული, კულტურული, ნახევრად ხრახნული და ხრახნული.

წინმხვნელის დანიშნულებაა ხვნის სიღრმის ნახევარზე და კორპუსის მოდების განის 2/3-ზე მოჭრას მცირე ზომის ბელტი, გადაისროლოს იგი ხნულის ფსკერზე, რ-საც ზევიდან დაეფარება ძირითადი კორპუსის მიერ მოჭრილი ბელტი, რაც მცენარეული ნარჩენების ღრმად ჩახვნის ოპერაციას წარმოადგენს. წინმხვნელიანი მ-ებით ხვნას კულტურული ხვნა ეწოდება. წინმხვნელის სამუშაო ზედაპირი არის ცილინდრული.

თანამედროვე მ-ებიდან გამოირჩევა მრავალკორპუსიანი საბრუნი მ-ები (სურ. 2), რ-თა დანიშნულებაა ნიადაგის გლუვი ხვნა. ასეთივე სახის ხვნა ხდება ფრონტალური, მაქოსებრი საბაგირო წევის ბალანსირებული მ-ებით. ჩარჩოს კონსტრუქციის მიხედვით გვხვდება მუდმივი და ცვალებადი მოდების განის მ. ეს უკანასკნელი აღჭურვილია სახსრული ჩარჩოთი და მოდების განის ცვალებადობის მექანიზმით.

საქართვ. ზოგიერთ მაღალმთიან სოფლებში შემორჩენილია და იყენებენ ძველ სახნისებიან მ-ებს.

ლიტ.: გუგუშვილი მ., სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ნაწ. 1, თბ., 1979; ჩიტაია გ., მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის, «საქართველოს მუზეუმის მოამბე», 1930, ტ. 5; მისივე, ქსნური მთის გუთანი, «ენიმკის მოამბე», 1940, ტ. 5–6; ხანთაძე ზ., სასოფლო-სამეურნეო მანქანები (თეორია, კონსტრუქცია და გაანგარიშება), ნაწ. 1, თბ., 1958; ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, წგ. 1, თბ., 1930 (თხზ., ტ. 4, თბ., 1996); ჯალაბაძე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960; მისივე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986; Горячкин В. П., Собр. соч., т. 2, М., 1968; Халанский В. М. и др.. Сельскохозяйственные машины, М., 2006.

ე. შაფაქიძე. გ. ჯალაბაძე.

გუთნეული, გამართული *დიდი გუთანი* და მასში შესაბმელი მუშა საქონლის საჭირო რაოდენობა. ზოგჯერ ,,გუთნეულში'' მხოლოდ გამწევი ძალა იგულისხმებოდა. ოჯახები, რომელთაც ჰყავდათ მ., ძლიერ მცირე იყო. ისინი უმთავრესად იყვნენ დიდი, გაუყრელი ოჯახები, რომლებიც XIX ს. ბოლოს – XX ს. დასაწყისისათვის სპორადულად იყვნენ შემორჩენილი. სოფლის კომლების ძირითადი ნაწილი (პატარა ოჯახები), როგორც წესი, ხვნის პერიოდში შრომით გაერთიანებას მიმართავდა – რამდენიმე ოჯახი აერთებდა ინვენტარს და გარკვეული ხნის განმავლობაში თავიანთ მიწებს რიგრიგობით ხნავდნენ. ყველა სოფელში კომპლექტდებოდა მ-ის გარკვეული რაოდენობა (სოფლის კომლების საშუალოდ 10–12%).

ლიტ.: ჩიტაია გ., ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1927, ტ. 4; Геладзе Т. Ш., Формы коллективного труда в земледелии Восточной Грузии, Тб., 1987.

თ. გელაძე.

გუთნისდედა, მიწის მუშა, რ-იც ხვნის დროს სახვნელს უძღვებოდა, აწესრიგებდა გუთნის მიმართულებას, ხნულის სიღრმესა და ბელტის სიგანეს, ხელმძღვანელობდა *მოდგამს,* ანაწილებდა *ალოს.* მ. *დიდ გუთანთან* არის დაკავშირებული. ხვნის ერთ სეზონში (გაზაფხული, ზაფხული ან შემოდგომა) მას შრომის საფასურად 2 ალო უწევდა. მასვე ერგებოდა ღვედისათვის 2 ალო, სახნის-საკვეთლისათვის –

3 ალო, გუთნის ხის ნაწილებში – 2 ალო (ქართლი). ბ. სოფელში სა-პატიო კაცად ითვლებოდა. ფეოდ. საქართველოში ხვნის სეზონში ბ-ს უფლება ჰქონდა თავის ნაცვლად სხვა გაეგზავნა სამხ. სამსახურში. ოჯახის გაყრის დროს გუთნის ღვედს, სახნის-საკვეთელს, გუთნის იარაღს ბ-ს აკუთვნებდნენ.

ლიტ.: გუგუშვილი პ., გუთნეულის ეკონომიური ორგანიზაცია, «საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე», 1944, ტ. 5, №3; ჩიტაია გ., ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა (წინასწარი ანგარიში), «მიმომხილველი», 1949, [ტ.] 1; ჯალაბაძე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960. *გ. ჯალაბაძე.*

„გუთნის-დედა“, პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო პროფილის ილუსტრირებული ორკვირეული ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1861 დეკ-იდან 1876 ოქტ-მდე. სხვადასხვა დროს რედაქტორები იყვნენ ი. *კერესელიძე,* ი. ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი; ფაქტობრივი ხელმძღვანელი), ა. *ფურცელაძე,* ა. ვართანოვი. 1861–72 იყო ჟურნ. „ცისკრის“ დამატება. 1873-იდან დამოუკიდებელი ჟურნალი გახდა. გამოსცემდა ,,კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“. იბეჭდებოდა აგრონ. ხასიათისა და XIX ს. 60–70-იანი წლების საქართვ. სოფ. მეურნეობის ამსახველი სტატიები; აგრეთვე იმ სას.-სამ. იარაღების სურათები, რ-თა გაყიდვასაც სთავაზობდა მკითხველს. *გ. თოდუა.*

გუთნური, ხალხური ლექს-სიმღერა, შრომის პოეზიის სახეობა; სრულდებოდა გუთნით მუშაობისას უპირატესად აღმ. საქართველოში. აღმოცენებულია კოლექტიური შრომის საფუძველზე და ასახავს ხვნა-თესვის მთელ პროცესს. ისტორიკოს ბასილი ეზოსმოძღვრის (XII–XIII სს.) ცნობით, ველზე კვალის გავლებისას მიწათმოქმედნი თამარ მეფის საქებარ ლექსებს მღეროდნენ. ბ. კოლექტიური სიმღერაა, მოიცავს საყოფაცხოვრებო, საწესჩვეულებო, სატრფიალო მოტივებს. ტექსტებში დახასიათებულია გუთნისდედა, მეხრე, ხარი, მხვნელ-მთესველთა ყოფა და სხვ. ბ. ძირითადად ერთხმიანი სოლო სიმღერაა. ზოგჯერ სრულდება ორ ხმაში გაბმული (ბურდონული) ბანის თანხლებით. პირველად ჩაწერა დ. არაყიშვილმა (1901–09). იხ. აგრეთვე *„ოროველა“.*

ლიტ.: მამალაძე თ., შრომის სიმღერები კახეთში, თბ., 1962; ოქროშიძე თ., ქართული ხალხური შრომის პოეზია, თბ., 1963. *გ. ჭელიძე.*


გუთური, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (გურიის მხარე), სუფსის დაბლობზე, მდ. სუფსის (ერთვის შავ ზღვას) მარცხ. ნაპირას. სათავო სოფელი. ზ. დ. 150 *მ,* ჩოხატაურიდან 1 *კმ,* საჯგვახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 22 *კმ.* 1,1 ათ. მცხ. (2002).

გუთურის განძები, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის კოლხური კულტურის არქეოლოგიური ძეგლები. აღმოჩენილია სოფ. გუთურში (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი): პირველი განძი აღმოჩნდა 1930, შეიცავს ბრინჯაოს 6 თოხს; მეორე – 1968, შედგება ბრინჯაოს 29 თოხისა და ბრინჯაოს ზოდებისაგან; მესამე განძი აღმოჩნდა სოფ. ჩაისუბანში და შედგება ბრინჯაოს კოლხური ცულისა და 2 თოხისაგან. დაცულია ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ლიტ.: რამიშვილი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974. *ი. სიხარულიძე.*

გულაბერისძე ნიკოლოზ, იხ. *ნიკოლოზ I* გულაბერისძე.

გულაბი, საქართველოში გავრცელებული ენდემური მსხლის ჯიში. აქვს საშ. სიდიდის ნაყოფი, მოყვითალო-ლიმონისფერი ნაზი კანი, თეთრი, ტკბილი, მდნარი, წვნიანი არომატული რბილობი. მწიფდება აგვ. დასაწყისში. არატრანსპორტაბელური მაღალხარისხოვანი სუფრის ჯიშია. საქართვ. მეხილეობის რ-ნებში ფართოდ არის გავრცელებული. ბ-ის კლონური ჯგუფებია თბილისური, კახური,



გულაბი.

ქართლური, ახალციხური, ლეკური და სხვ. სოკოვან დაავადებათაგან აზიანებს ქეცი. *დ. შარაშენიძე.*

გულაკი მიკოლა ივანეს ძე [1822, ზოლოტონოშის რ-ნი, პოლტავის გუბ., ახლანდ. ჩერკასის ოლქი, – 26. V (7. VI). 1899, ელიზავეტპოლი, ახლანდ. განჯა], უკრაინელი მეცნიერი, პედაგოგი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა დერპტის უნტის იურიდ. ფაკ-ტი. იყო ერთერთი ფუძემდებელი კირილე და მეთოდეს საზ-ბისა, რ-იც მიზნად ისახავდა ბატონყმობის დამხობას, სლავი ხალხების განთავისუფლებას ჩაგვრისა და დესპოტიზმისაგან, სლავური დემოკრ.-ფედერ. რესპ. შექმნას. ბ., როგორც საზბის ერთ-ერთი მთ. ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, 1847 დააპატიმრეს. გადაასახლეს პერმში. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას რუს. სხვადასხვა ქალაქში. 1863 მასწავლებლად გადმოიყვანეს ქუთ., ხოლო 1867 – თბილ. კლასიკურ გიმნაზიაში. გაზეთებში: „კავკაზი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „ობზორი“ და სხვ. აქვეყნებდა წერილებს ქართველოლოგიის საკითხებზე. აღსანიშნავია ბ-ის რეცენზიები ფ. ალტერის წიგნზე – „ქართული ლიტერატურის შესახებ“ (1798) (გაზ. „კავკაზი“, 1882, №271–272), ი. ჭავჭავაძისა და პ. უმიკაშვილის „ვისრამიანის“ ქართ. გამოცემის (გაზ. „კავკაზი“, 1885, №216), ვეფხისტყაოსნის ა. ლაისტისეული გერმ. თარგმანის თაობაზე (გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1891, 2. V). განსაკუთრებით საინტერესოა ბ-ის ნაშრომი ვეფხისტყაოსნის შესახებ. ამ გამოკვლევაში ორიგინალურად არის გაშუქებული პოემის იდეები და სახეები, განსაზღვრულია მისი ადგილი მსოფლიო ლიტ-რის საგანძურში და მოცემულია საინტერესო მსჯელობა ქართ. ლექსის ბუნების შესახებ. ბ. ავტორია ლინგვ. გამოკვლევისა „ქართული ენის ადგილი ინდოევროპულ ენათა ოჯახში“.

თხზ.: Древнейшие авторы (греческие и римские) о Грузии и грузинских племенах (1876), საქართვ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტი. ე. ვეიდენბაუმის არქივი, საქმე 490, ფ. 1–20; Древнейшее свидетельство о грузинском языке (1882), იქვე, საქმე 506, ფ. 1–90; О ,,Барсовой коже Руставели“, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», 1884, в. 4; О месте, занимаемом грузинским языком в семье индоевропейских языков, იქვე, 1899, в. 26.

ლიტ.: Баканидзе О. А., Из грузино-украинских связей, Тб., 1968; Из истории украинско-грузинских связей, К., 1971; Радужными мостами, К., 1968, с. 18–32. *ნ. ფორაქიშვილი.*

გულანი, ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში დამკვიდრებული კრებული, რ-იც მოიცავს თითქმის ყველა საღვთისმსახურო წიგნს. მოცულობით ბ. დიდი იყო. მისი შეძენა შეეძლოთ მხოლოდ მდიდარ ეკლესია-მონასტრებს. ის შე-

დარებით გვიანდ. წარმოშობისაა. XVII ს-ზე ადრე არ გვხვდება. დღეს ცნობილია გელათის, დავითგარეჯის, მარტვილის, შემოქმედის, ალავერდის, მცხეთისა და სხვა ეკლესია-მონასტრების კუთვნილი Გ-ები. განსაკუთრებით საინტერესოა XVIII ს. კრებულები, რ-ებშიც აისახა ქართ. სას. მწერლობაში მიმდინარე პროცესები: სვინაქსარებში შეიტანეს ქართვ. წმინდანთა სვინაქსარული საკითხავები, თთუენ-სადღესასწაულოებში – საგალობლები. Გ. ქართ. მოვლენაა, ამიტომაც გაოცებულა ანტიოქიის პატრიარქი მაკარი (XVII ს.), რ-საც ქართ. ეკლესიაში კლიროსზე დასვენებული ვეებერთელა წიგნი უნახავს. Გ-ის პარალელურად ქართ. საღვთისმსახურო პრაქტიკაში არსებობს ჟამნგულანიც – შინაარსითა და დანიშნულებით შესამჩნევად განსხვავებული კრებული. *მ. ქავთარია.*

გულაჩი, სიგრძის საზომი ერთეული ოსმალეთის იმპერიაში. გავრცელებული იყო სამხრ. საქართველოშიც. უდრიდა 213,6 *სმ.*

ლიტ.: ჯაფარიძე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX–XIX სს.), თბ., 1973.

გ. ჯაფარიძე.

გულგა, მწვერვალი სვანეთის კავკასიონის სამხრ. განშტოებაზე, გულისა და ჭალაათის მყინვარების გამყოფზე, უშბის მწვერვალების სამხრ.-აღმოსავლეთით, მესტიის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 3810 *მ.* აგებულია იურული თიხაფიქლებით, ქვიშაქვებითა და კირქვებით. დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი. *მ. უთმელიძე.*

გულგადი, გულგაათი, ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე XVI ს. 30-იან წლებში, თბილისის ციხისთავი. 1541, ირანის შაჰის – თამაზ I-ის საქართველოში პირველი ლაშქრობის დროს, Გ-მა უღალატა ქართველებს, თბილისის ციხე მტერს ჩააბარა, შაჰის მხარეზე გადავიდა და მუსლიმანობა მიიღო. შაჰმა სათანადოდ დააჯილდოვა რენეგატი ქართველი და მისი ვაჟები საკუთარ ამალაში ჩარიცხა.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1966. *ვ. გუჩუა.*

გულგადიანი, იხ. *ზედა საქარა.*

გულგათი [ნამდვ. სახელი და გვარი – ოლღა ილიას ასული გრუზინსკაია (1846–1913)], მთარგმნელი, ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შემკრები. საქართვ. მეფის გიორგი XII-ის შვილიშვილი. იყო რუს. საიმპერატორო კარის სეფექალი პეტერბურგში. შემდეგ ცხოვრობდა მოსკოვში, სადაც 1899 ცალკე წიგნად გამოაქვეყნა 23 ქართ. ლეგენდისა და ზღაპრის რუს. თარგმანი. ა. წერეთელმა რეცენზია დაწერა ამ კრებულზე და გულთბილი ლექსი უძღვნა Გ-ს.

თხზ.: Сборник грузинских легенд, М., 1899; Сказания и легенды, под ред. М. Я. Чиковани, Тб., 1963.

ლიტ.: ბარამიძე ა., თრითინოს გარშემო, «დროშა», 1971, №4; ცაიშვილი სოლ., ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1962; წერეთელი ა., თხზ. სრ. კრ., ტ. 13, თბ., 1961.

ჯ. ბარდაველიძე.

გულბალი, სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტის ხოჯორნის თემში (ქვემო ქართლის მხარე), ლოქის ქედის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. ბანოშისწყლის (დებედის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 680 *მ,* მარნეულიდან 40 *კმ,* სადახლოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 *კმ.* 273 მცხ. (2002).

გულგულა, სოფელი თელავის მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), ალაზნის ვაკეზე, მდ. თურდოს (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. სათავო სოფელი. ზ. დ. 480 *მ,* თელავიდან 6 *კმ.* 1,3 ათ. მცხ. (2002).

Გ. დასახლებული იყო ჯერ კიდევ გვიანდელი ბრინჯაოს ხანიდან. საისტორიო წყაროებში მოიხსენიება გოლგოთად, ტყეტბად. ლეონტი მროველი სოფელს კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვრად მიიჩნევს. საზღვრის მნიშვნელობითაა იგი ნახსენები ჯუანშერის თხზულებაშიც.

სოფელში შემორჩენილია სხვადასხვა დროის არქიტ. ძეგლები: დიმიაანთ კოშკი (XVIII ს.), გვიანდ. შუა საუკუნეების კვირაცხოვლისა და ყველაწმიდის (განახლებულია XIX ს-ში) ეკლესიები, წმ. გიორგის ეკლესია (XVIII–XIX სს.).

წყარო: ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, იქვე; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 8, თბ., 1975; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; ფიცხელაური კ., გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი სოფ. გულგულასთან, «მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის», 1959, ტ. 2.

კ. კახაძე.

გულგულის სამაროვანი, ოლიების ტყის სამაროვანი, გვიანდელი ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. XIV–XII სს.) ძეგლი სოფ. *გულგულის* მახლობლად, მდ. თურდოს მარცხ. ნაპირზე (თელავის მუნიციპალიტეტი). გაითხარა 1956–72. სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, ე. წ. ოლიების ტყეში, გამოვლინდა 29 ინდივიდ. ორმოსამარხი. კიდურებმოხრილი მიცვალებულები ესვენენ მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე. ჩატანებული ჰქონდათ ბრინჯაოს იარაღ-საჭურველი, სხვადასხვა სამკაული, თიხის ჭურჭელი (უყურო, ორყურა და შვერილყურიანი დერგები, ქილები, სადღვებლები, ქოთნები, კოჭებები, ბადიები, ჯამები და სხვ. ზოგ სამარხში 60-მდე) და სხვ. აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის მრავალრიცხოვნება მიგვითითებს, რომ მოსახლეობის ერთ-ერთი საარსებო წყარო თიხის ჭურჭლის წარმოება (მეთუნეობა) უნდა ყოფილიყო. ახლომდებარე



გულგულის სამაროვანი.

სოფლებში დღემდეა შემორჩენილი თიხისა და საწარმოო ქვიშის კარიერები. თიხის ჭურჭლის გარდა სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატევრები, მთლიანმასრიანი შუბისპირები მასრაზე ორი სამანჭვლე ნახვრეტით, ბრინჯაოს ხვია, სასაფეთქლე რგოლები, გვერგვები, სარდიონის მძივები და სხვ. მასალა ინახება გ. ჩუბინაშვილის სახ. თელავის სახელმწ. ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმში.

სოფლის სამხრ.-აღმოსავლეთით, ე. წ. სათვალისწყალზე, გაითხარა 20 ინდივიდ. ორმოსამარხი, რ-ებიც ზემოთ აღწერილი სამარხების ანალოგიური და სინქრონულია.

ლიტ.: მაისურაძე ბ., იორ-ალაზნის ზემო დინების გვიანბრინჯაო – რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993; ნუცუბიძე ა., ალაზნის ველის ძვ. წ. XIV–XII სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1981; ფიცხელაური კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV–VII სს.), თბ., 1973. *ც. მენაბდე. ა. ნუცუბიძე.*

გულები, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის ტერიტორიულ ორგანოში (აჭარის არ), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. აჭარისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 450 *მ,* ქედიდან 1,5 *კმ.* 291 მცხ. (2002). სოფელში არის გოგირდოვანი მინერ. წყალი.

გულეიკარი, სოფელი აბაშის მუნიციპალიტეტის კეთილარის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშ-გურიის დაბლობზე, მდ. რიონის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 16 *მ,* აბაშიდან 11 *კმ,* ჯვაპანიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ.* 408 მცხ. (2002).

სოფელს თავდაპირველად გულევლი ერქვა, გულევლის წმინდა გიორგის ეკლესიის აშენების შემდეგ გულევლისკარი უწოდეს. ბ. წყაროებში პირველად 1628 მოიხსენიება. ეკლესია აგებული უნდა იყოს ძვ. ეკლესიის ადგილზე.

თ. ბერაძე.

გულია გიორგი დიმიტრის ძე [1 (14). III. 1913, სოხუმი, – 18. X. 1989, მოსკოვი, დაკრძალულია სოხუმში], რუსი მწერალი, წარმოშობით აფხაზი, დ. *გულიას* შვილი. საქართველოს (1943) და აფხ. ასსრ (1971) ხელოვნ. დამს. მოღვაწე. პირველი ნაწარმოები გამოაქვეყნა 1930. ავტორია ტრილოგიისა „საკენელი მეგობრები'' (1954), რ-შიც შევიდა მოთხრობები: „გაზაფხული საკენში'' (1948; სახელმწ. პრემია, 1949; ქართ. თარგმ. 1950), „კეთილი ქალაქი'' (1949), „კამა'' (1951). ავტორია აგრეთვე მოთხრობებისა: „შაოსანი სტუმრები'' (1950), „მოთხრობები კოცონთან'' (1957); მოთხრობათა კრებულებისა: „თეთრი ღამე'' (1958), „წაბლისფერი სახლი'' (1961); რომანებისა: „მორევი'' (1959), „სანამ დედამიწა ბრუნავს''... (1962), „მეფე ეხნატონი'' (1968), „კაცი ათენიდან. ქრონიკა ექვს წიგნად'' (1969), „სულა'' (1971), „მიხეილ ლერმონტოვის ცხოვრება და გარდაცვალება'' (1973), „თქმულება ომარ ხაიამზე'' (1974) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Собрание сочинений в 4-х томах, М., 1974–76.

ლიტ.: Тверской А. Д., Георгий Гулиа как он есть, Тб., 1981.

გულია დიმიტრი იოსების ძე [9 (21). II. 1874, სოფ. ვარჩა, ახლანდ. გულრიფშის მუნიციპალიტეტი, – 7. IV. 1960, სოფ. აგუძერა, დაკრძალულია სოხუმში], აფხაზი მწერალი, აფხ. ლიტ-რის ფუძემდებელი. აფხ. სახ. პოეტი (1937). სწავლობდა გორის საოსტატო სემინარიაში. ერთხანს მასწავლებლობდა. 1924–26 აფხ. ენას ასწავლიდა თსუ-ში. ბ-მ დიდი ამაგი დასდო აფხ. კულტურას. მისი კულტ.-საგანმან. და სამწერლო მოღვაწეობა ფართო და მრავალმხრივი იყო. მან 1892 კ. მაჭავარიანთან ერთად რუს. გრაფიკის საფუძველზე შეადგინა აფხ. ანბანი. ბ-ს ლექსთა პირველ კრებულებში (1912, 1913) ჩანს აფხ. ხალხის ოცნება უკეთეს მერმისზე. 1919–20 ბ. პირველი აფხ. გაზ. „აფსნის'' რედაქტორი იყო. 1921 ჩამოაყალიბა პირველი აფხ. თეატრ. დასი.

ბ-ს ლექსებისა და პოემების თემა იყო აფხ. ხალხის ყოფა, ხალხთა მეგობრობა, აფხაზეთის ბუნება. პოემაში „შემოდგომა სოფელში'' და ლექსთა ციკლებში – „ჩემი ქალაქი'', „გაზაფხული აფხაზეთში'', აგრეთვე ლექსებში – „ამხანაგს'', „საახალწლო'', „რუსთაველის ძეგლი სოხუმში'', „ტარას შევჩენკო'', „ჯამბული'' და სხვ. ბ-მ ასახა ომის შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობა. მწერალმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აფხ. პროზის განვითარებაშიც (პირველი აფხ. ნოველა „უცხო ცის ქვეშ'', 1919 და რომანი „კამაჭიჭი'', 1940). მისი ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია ლაკონიზმი და ხალხ. იუმორი. აფხ. თეატრ. რეპერტუარში დამკვიდრდა ბ-ს დრამა „აჩრდილები'' (1946). მასვე ეკუთვნის გამოკვლევები აფხ. ისტ., ხალხ. ზეპირსიტყვიერების, ეთნოგრ. და ენის საკითხებზე („აფხაზეთის ისტორია'', „აფხაზთა ნადირობის ღვთაება და სამონადირო ენა'', „თხის კულტი აფხაზეთში'' და სხვ.), ქრესტომათიები და სახელმძღვანელოები, ლიტ-რისა და ენათმეცნ. ტერმინოლოგიური ლექსიკონი. ბ-მ აფხაზურად თარგმნა ვეფხისტყაოსანი, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ლექსები. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Иоымтакуа, ат. 1–4, Акуа, 1956–62; იგივე, ექვს ტომად, 1–2, სოხ., 1981–82; ლექსები, სოხ., 1937; რჩეული, თბ., 1956; რჩეული, სოხ., 1973; კამაჭიჭი, თბ., 1951; ელკანი, თბ., 1968.

ლიტ.: გუბლია გ., დიმიტრი გულია. შემოქმედებითი გზა, თბ., 1974; Бгажба Х. С., Зелинский К. А., Дмитрий Гулиа, Сух., 1965; Гулиа Г. Д., Дмитрий Гулиа. Повесть о моем отце, М., 1965.

ბ. ბლაჟბა.

დიმიტრი გულიას ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, დაარსდა 1969 პოეტის სახლში. გაიხსნა 1974 ბ-ის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილეს დღეებში. ბ-ს გარდაცვალების შემდეგ პოეტის მეუღლემ სახლი სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა. ექსპოზიცია გაშლილი იყო 240 *კვ.* მეტრზე: 8 დარბაზი, მემორიალური კაბინეტი, სააქტო დარბაზი. 6 დარბაზში განლაგებული იყო ლიტ. ექსპოზიცია („დიმიტრი გულიას ცხოვრება და შემოქმედება და თანამედროვე აფხაზური ლიტერატურა'', „აფხაზური ენისა და აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ისტორია''). ექსპონირებულია ბ-ს პირადი ნივთები, წიგნები, საჩუქრები, ხელნაწერები, ჯილდოები და სხვ. ძირითად ფონდში იყო 7 ათ. ექსპონატი, სამეცნ.-დამხმარეში – 3900. მუზეუმი ყოველწლიურად აწყობდა 4–5 გასვლით გამოფენა-ექსპოზიციას რესპ. სხვადასხვა რეგიონში. მუზეუმში დიდი მუშაობა ტარდებოდა ბ-სა და სხვ. აფხ. მწერლების შემოქმედების შესასწავლად, ეწყობოდა ექსკურსიები, შეხვედრები მწერლებსა და პოეტებთან, მეცნიერებთან (ყოველწლიურად). მუზეუმის ფილიალი იყო კონსტანტინე სიმონოვის მუზეუმ-აგარაკი აგუძერაში (ექსპოზიციის თემა – „კონსტანტინე სიმონოვი და აფხაზეთი'').

ტ. გულია.

გულიაკოვი ვასილი სიმონის ძე (1751 – 15. I. 1804), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1800), კავკასიის ომების მონაწილე. 1800 სექტემბერში მეთაურობდა საქართველოში შემოსულ რუს. ჯარის პოლკს, შემდეგ – კახეთში განლაგებულ რუს. ჯარს. 1800–04 იბრძოდა ლეკების წინააღმდეგ ჭარ-ბელაქანსა და ზაქათალაში. ბ. დაიღუპა ზაქათალის ხეობაში ყაზიყუმუხის ხანის რაზმთან შეტაკების დროს. დასაფლავებულია ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერში.



დ. გულია.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გულიანთა, სოფელი ონის მუნიციპალიტეტში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), მდ. ჯეჯორის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1480 *მ,* ონიდან 28 *კმ.* 37 მცხ. (1989).

გულიანი, სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩოჩხათის თემში (გურიის მხარე), გურიის ქედის სამხრ. მთისწინეთში, მდ. შუთის (სუფსის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 80 *მ,* ლანჩხუთიდან 17 *კმ.* 545 მცხ. (2002).

გულიდა, სოფელი ლენტეხის მუნიციპალიტეტის დაბა ლენტეხის ტერიტორიულ ორგანოში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), სვანეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 900 *მ,* ლენტეხიდან 3 *კმ.* 141 მცხ. (2002). სოფელში შემონახულია შუა საუკ. ციხის ნანგრევები.

გულიკაანთუბანი, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტის ბრეძის თემში (შიდა ქართლის მხარე), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ. დასავლეთის ფრონის (ფცის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 720 *მ,* ქარელიდან 26 *კმ.* 124 მცხ. (2002).

გულიკამი, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის კარტიკამის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალქალაქის პლატოზე, მდ. ფარავნის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1700 *მ,* ახალქალაქიდან 5 *კმ.* 2,0 ათ. მცხ. (2002).


გულისაბა.

გულისაბა (Mirabilis jalapa), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე გულისაბასებრთა ოჯახისა. სამშობლოა პერუ, მექსიკა, ჩილე. ფართოდ გავრცელებული დეკორ. მცენარეა. კულტივირებულია საქართველოშიც. კარგად ვითარდება აღმ. საქართველოში. იძლევა თვითნათესარსაც (თბილ. ბოტან. ბაღი). ერთწლიანი კულტურაა. მისი სიმაღლეა 60–100 *სმ.* აქვს თითისტარისებრი მსხვილი ხორცოვანი ფესვები. ივითარებს მრავალ საყვავილე ღეროს ნაირფერი ყვავილებით. ხშირად ერთ ყვავილედში სამი ფერის ყვავილია (თეთრი, ყვითელი, ვარდისფერი). დეკორ. მებაღეობაში ცნობილია დაბალტანიანი, ჯუჯა, ჭრელფოთოლა ფორმებიც. ზ-ის ყვავილები იშლება მხოლოდ შებინდებისას და ყვავის დილამდე. ღრუბლიან ამინდში გაშლილია დღისითაც. ყვავილობს ივნისიდან ნოემბრამდე. მრავლდება თესლით.

ლ. ასიეშვილი.

გულისაშვილი არჩილ ალექსის ძე [1(13). IV. 1888, საგარეჯო, – 30. XII. 1971, თბილისი], მეტალურგი. პროფესორი (1930), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1944). დაამთავრა პეტერბ. პოლიტექ. ინ-ტის მეტალ. ფაკ-ტი (1916). მუშაობდა ურალის მეტალ. ქ-ნაში. 1921 დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო სპეციალისტ-კონსულტანტად სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოში, პარალელურად ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. მონაწილეობდა თსუ-იდან პოლიტექ. ფაკ-ტის გამოყოფასა და პოლიტექ. ინ-ტის დაარსებაში (1928). იყო მეტალ. ფაკ-ტის დეკანი და კათედრის გამგე, ხოლო 1948–53 – საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სამეცნ. ნაწილში. ავტორია მეტალურგიის, მხაზველობითი გეომეტრიისა და მანქანათა ნაწილების სახელმძღვანელოებისა. 1930-იდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის მხაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის კათედრას. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: მხაზველობითი გეომეტრია, ტფ., 1927 (ახ. გამოც. – 1962); მეტალურგია, I, ტფ., 1928; მანქანათა ნაწილები, ნაწ. 1–2, თბ., 1937–41.

გულისაშვილი ბორის არჩილის ძე (13. V. 1912, პეტერბურგი, – 13. V. 1977, თბილისი), მუსიკისმცოდნე, პედაგოგი. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1971). საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1954). 1938–60 მუშაობდა


გ. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი. „ცხენოსნები“. 1982. ეროვნული გალერეა. თბილისი.

თბილ. სახელმწ. კონსერვატორიაში თავდაპირველად მუსიკის თეორიის კათედრაზე, ხოლო შემდეგ, 1956–58 – თეორ. საკომპოზიციო ფაკ-ტის დეკანად. 1960–63 – ტაშკენტის, 1963–65 – ალმა-ათის, 1966–77 თბილ. კონსერვატორიის პედაგოგი იყო, კითხულობდა ჰარმონიისა და მუსიკის თეორ. სისტემების კურსს.

ზ. მოღვაწეობდა ძირითადად ქართ. ხალხ. მუსიკისა და მუს. აკუსტიკის სფეროში. ძირითადი ნაშრომები: „კილოები ქართული ხალხური სიმღერების თანხლებასა და საკრავიერ მუსიკაში“ (1967), „ობერტონების რიგი და ტემბრული განვითარება“ (1971), „ნეიტრალური ინტერვალები ქართულ ხალხურ სიმღერაში“ (1972). ზ-ს ეკუთვნის გამოკვლევები შუა აზიის ხალხთა მუსიკის საკითხებზეც: „სუფთა წყობა და ხალხური მუსიკალური შემოქმედება“ (1956), „იბნ-სინა და სუფთა წყობის შექმნა“ (1964). *გ. ტორაძე.*

გულისაშვილი გივი ვახტანგის ძე (2. X. 1913, თბილისი, – 24. II. 1995, იქვე), ფერმწერი, გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1965). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1938, მ. თოიძის კლასი). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1938-იდან. ქმნიდა თანამედროვეობის ამსახველ სურათებს, პორტრეტებსა და პეიზაჟებს: „შემთხვევა საზღვარზე“ (1930), „ცხენების ბანაობა“ (1938), „მამაცთა შეჯიბრება“ (1953), „ცხენების რემის გადარეკვა“ (1957), „ქართლი“ (1978), „მეფე ერეკლე“ (1983) და სხვ. ნაყოფიერად მუშაობდა როგორც წიგნის გრაფიკოსი. ზ-ს ეკუთვნის ილუსტრაციები წიგნებისათვის: ე. გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“, ი. ევდოშვილის „საბავშვო მოთხრობები“, ა. ხახუტაშვილის „გაზაფხულის მერცხლები“ და სხვ.

გულისაშვილი ელიზბარ ზაქარიას ძე (1893, თბილისი, – 20. V. 1923, იქვე), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის (1918–1921) არმიის პოლკოვნიკი (1919), 1921–23 ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. დაამთავრა თბილ. ქართ. სათავადაზნაურო გიმნაზია (1910) და სამხ. სასწავლებელი (1914). მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. იბრძოდა კავკ. ფრონტზე. მიიღო რამდენიმე საბრძოლო ჯილდო. საქართვ. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე (1918) ჩადგა ეროვნ. არმიის სამსახურში. იყო საქართვ. დემოკრ. რესპ. გენ. შტაბის პოლკოვნიკი, 1917-იდან – სა-

ქართვ. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის წევრი. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართვ. ანექსიის (1921, თებ.-მარტი) შემდეგ აქტიურად მოღვაწეობდა იატაკქვეშეთში. 1922–24 იყო *დამოუკიდებლობის კომიტეტის* სამხ. ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. იმავდროულად, ს. *ზალდასტანიშვილთან* ერთად, ხელმძღვანელობდა საქართვ. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის არალეგ. სამხ. ცენტრს. 1923 გ. დააპატიმრეს და დახვრიტეს დამკომის სამხ. ცენტრის სხვა 14 წევრთან ერთად დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე.

ლიტ.: აჯანყება–1924. საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარტიული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა), თბ., 1994 (პირველად გამოიცა თბილისში, 1925 წ.); ჟურნ. «სამშობლო», პარიზი, 1937, №21–22.

ლ. ურუშაძე.

გულისაშვილი ვასილ ზაქარიას ძე [23. IV (6. V). 1903, თბილისი, – 19. X. 1979, იქვე], მეტყევე-ეკოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი (1935), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1955). დაამთავრა ლენინგრადის სატყეო-ტექ. აკად. სატყეო მეურნეობისა (1926) და ქიმ. ტექნოლ. (1931) ფაკ-ტები. 1927-იდან მოღვაწეობდა ლენინგრადის სატყეო-ტექ. აკადემიაში. 1931 გ. საქართველოში დაბრუნდა და მუშაობდა თბილ. სატყეო-ტექ. ინ-ტში ზოგადი მეტყევეობის კათედრის გამგედ. 1932–44 სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა ეჭირა. 1945–79 ხელმძღვანელობდა თბილ. სატყეო ინ-ტს. გ-ის სამეცნ. შრომები ეხება მცენარეთა მერქნიანი ჯიშების ბიოლოგიას, ეკოლოგიასა და ეკოლ. გეოგრაფიას, ბუნების დაცვისა და სხვა საკითხებს. შეისწავლა ტყის ნიადაგის ფიზ. თვისებები და მათი ცვალებადობა ამორჩევითი, პირწმინდა ჭრისა და სას.-სამ. სავარგულებად დროებით გამოყენებისას. გ. იყო საქართვ. მეცნ. აკად. ბუნების დაცვის კომისიის თავ-რე და საქართვ. ბუნების დაცვის საზ-ბის თავ-რის მოადგილე. 1974 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ზოგადი მეტყევეობა, თბ., 1957; მცენარეთა ეკოლოგია, თბ., 1960 (გარეკანზე: 1961); Природные зоны и естественно-исторические области Кавказа, М., 1964.

გულისაშვილი ზაქარია (შაქრო) მიხეილის ძე (1857, სოფ. ჯიმითი, ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 24. I. 1914, თბილისი), მწერალი, პუბლიცისტი. სწავლობდა სოფ. გომბორის პირველდაწყებით სასწავლებელში, თბილ. სას. სასწავლებელში, თბილ. სას. სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს მოსწავლეთა არალეგალურ წრეში მონაწილეობისათვის. ჩაება ხალხოსნურ მოძრაობაში და „გავიდა ხალხში“ – მასწავლებლობდა მეტეხში, პატარძეულში, კაკაბეთში, რუისპირში, საგარეჯოში. 1897 მღვდლად ეკურთხა. მისი პირველი თხზულება „ორიოდე სურათი მოთხრობიდან“ 1879 გამოქვეყნდა („ივერია“, №3). გ-ის მოთხრობებში გამოყენებულია საინტერესო ფოლკლორულ-ეთნოგრ. მასალები. მისი მოთხრობები („მარტიაანთ პაპა“, 1879; „მეტივე“, „ბედნიერი კუნჭული“, ორივე 1881), ნარკვევები („მგზავრის შენიშვნები“, 1882; „აწინდელ კახეთზე და ქართლზე“, 1884; „რკინიგზით განჯისაკენ“, 1900), ისტ.-ეთნოგრ. წერილები („გარდაბანისა და გაჩიანის საერისთაონი და მათნი ნაშთნი“, 1900; „ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებანი“, „ქორწილი ქვემო ქართლში“) იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში („ივერია“, „იმედი“, „დროება“, „თეატრი“ და სხვ.). გ. ხალხოსნური პოზიციებიდან აშუქებდა ეპოქის საჭირბოროტო საკითხებს. იგი ავტორია აგრეთვე წიგნებისა: „ანბანი მშობლიურ ენის“ და „საქართველოს ძველი დროის მეფეებზედ“ (1886). მისი წინასიტყვაობით გამოიცა პ. ლარაძის თხზულება „დილარიანი“ (1903).

თხზ.: მოთხრობები, ნარკვევები, თბ., 1953.

ლიტ.: ზანდუკელი მ., ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. 3, თბ., 1955; მისივე, თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1978.

ს. ხუციშვილი.
გ. ჯავახიშვილი.

გულისაშვილი იერემია დიმიტრის ძე [1 (13). V. 1863 – 20. IV. 1958], მწერალი, თეატრალური და საზ. მოღვაწე, საქართვ. დამს. მასწავლებელი. დაამთავრა ხონის საოსტატო სემინარია. 1882-იდან მუშაობდა ზუგდიდში სკოლის მასწავლებლად, 1888–1913 – თბილისში. 1915 ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზ-ბამ გააგზავნა სკოლების ზედამხედველად აჭარაში, სადაც 4 წელიწადში 40-მდე ქართ. სკოლა გახსნა (ხულოში, ქედაში, ქობულეთსა და ბათუმში). 1919-იდან ცხოვრობდა მშობლიურ საგარეჯოში, იყო სკოლის დირექტორი და რუს. ენის მასწავლებელი. პუბლიც. სტატიებს ათავსებდა „ივერიაში“, „სახალხო გაზეთში“ და სხვ. შემდეგ თვითონ დაიწყო „ორკაპიკიანი“ გაზეთის გამოცემა ღარიბი მშრომელებისათვის. იყო ერთ-ერთი ინიციატორი ქართ. წიგნების გამომცემლობის ამხანაგობისა და „ქართული კლუბის“ დაარსებისა თბილისში. 1886 ზუგდიდში პირველად დადგა გ. ერისთავის „ძუნწი“ და თვითონვე შეასრულა მთ. როლი, სისტემატურად მართავდა წარმოდგენებს; მიღებული შემოსავლით გახსნა სახ. ბ-კა. თბილისში გ. იყო ქართ. სახ. თეატრის – *ავჭალის აუდიტორიის* – ერთ-ერთი დამაარსებელი. მისი რეჟისორობით იდგმებოდა გ. ერისთავის „გაყრა“, ა. ცაგარლის „ციმბირელი“, „ხანუმა“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, „ადვოკატი მელაძე“, კ. მესხის „თამარ ბატონიშვილი“ და სხვ. ამ წარმოდგენებში თვითონაც ასრულებდა როლებს მ. დემურიასა და ნ. ნაკაშიძესთან, ნ. გოცირიძესა და ი. იმედაშვილთან, გ. ლასხიშვილსა და ი. ნაკაშიძესთან, გ. ჯაბაურთან და სხვებთან ერთად. საგარეჯოში დასახლების დღიდან სიკვდილამდე ქალაქის დრამ. დასის აქტ. წევრი და თეატრის შენობის აგების ინიციატორი იყო. დაწერა ხუთმოქმედებიანი დრამა „დრონი მეფობენ“ (1890) და პიესა „ცხოვრება ბრძოლაა“ (1892, ცალკე წიგნად დაისტამბა 1895).



ვ. გულისაშვილი.

გულისაშვილი სოლომონ თევდორეს ძე (1874, სოფ. გიორგიწმინდა, ახლანდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, – 20. III. 1952, იქვე), პედაგოგი, საქართვ. დამს. მასწავლებელი (1939). თბილ. მე-2 გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ნოვოროსიის (ოდესა) უნ-ტის ბუნებისმეტყველების ფაკ-ტზე, რ-იც 1901 დაამთავრა. მუშაობდა ბაქოს ნავთის სარეწებზე. 1907–23 საბუნებისმეტყველო საგნებს ასწავლიდა *თბილისის ქართულ გიმნაზიაში.* შემდეგ დაინიშნა საგარეჯოს ახალგახსნილი 9-წლიანი სკოლის ხელმძღვანელად და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლად. 1918-იდან ხელმძღვანელობდა საგარეჯოს განათლების განყ-ბას, პედ. კაბინეტებს და სხვადასხვა პედ.-მეთოდურ სექციას. აქტიურად მონაწილეობდა *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* მუშაობაში. მისი რედაქციით ქართ. ენაზე პირველად გამოვიდა სასწ. გეოგრ. ატლასი და ნახევარსფეროების რუკა. ჟურნ. „ნაკადულში“ განაგებდა საბუნებისმეტყველო განყ-ბას. მი-

ლებული ჰქონდა სახელმწ. ჯილდოები. *ა. სამადაშვილი.*

გულის მთა, მთა უშბის მასივის ბალის შტოქედზე, მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარეების ფუშკვერისა (მულხრის მარჯვ. შენაკადი) და გულიჭალის (დოლრის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფი. სიმაღლე ზ. დ. 2925 *მ.* აგებულია იურული თიხაფიქლებით, ქვიშაქვებითა და კირქვებით. დამახასიათებელია ალპ. ლანდშაფტი. *გ. მარგველანი.*

გულის მყინვარი, გული, ხეობის მყინვარი უშბის სამხრ. კალთაზე, მესტიის მუნიციპალიტეტში. სიგრძე 2,5 *კმ,* ფართ. 1,6 *კმ*^{2}. მყინვარის ენა ეშვება ზ. დ. 2870 *მ* სიმაღლემდე. ასაზრდოებს მდ. გულიჭალას (დოლრის მარცხ. შენაკადი; ენგურის აუზი).

რ. შენგელია.

გულისპირი, ეროვნული კოსტიუმის – *ქართული კაბის* საგული. იკეთებდნენ გულამოჭრილი ზედატანის ქვეშ ისე, რომ ნაქარგი კარგად გამოჩენილიყო. გ-ს საკისრე ოდნავ ამოღებული ჰქონდა და უკან ზონრებით ან ღილებით იკვრებოდა. გ. ქართ. კაბის აუცილებელი კომპონენტი იყო სალტიან, ტოტებდაშვებულ სარტყელსა და ყურთმაჯებთან ერთად. მაღალი წოდების ქალის კაბის გ., სარტყელი და ყურთმაჯები ოქრომკედითა და ძვირფასი თვალმარგალიტით იყო შემკული. ნაქარგობის ძირითად მოტივად იყენებდნენ მცენარეულ ორნამენტს – ვაზის მტევანს, მინდვრის ყვავილს და სხვ. გლეხის ქალის



გულისპირი. ს. ჯვანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.



ქართული კაბა გულისპირით.

კაბის სარტყელ-გ. უმთავრესად დაჩითული ქსოვილისაგან მზადდებოდა. გ-ის შემკულობას მამაკაცის ჩაცმულობაშიც დიდი ყურადღება ექცეოდა. საქართვ. ბევრ რ-ნში ბამბის ქსოვილის პერანგს გულზე, ჩვეულებრივ, წითელი აბრეშუმის ოთხკუთხა ქსოვილი ჰქონდა დაკერებული, რ-იც ფერადი ძაფით იყო ნაქარგი და ყაითნით გაწყობილი. აღსანიშნავია ხევსური ქალის სადიაცოს ფარაგი და მამაკაცის ზედა სამოსელი – პერანგი, რ-ის მდიდრული ორნამენტებითა და უმთავრესად ჯვრის გამოსახულებებით ნაქარგი გ. თითქოს ბოროტი ძალებისაგან იცავდა ადამიანს.

ც. ბეზარაშვილი.

გულისტანის საზავო ხელშეკრულება 1813, რუსეთსა და ირანს შორის დადებული ხელშეკრულება, რ-ითაც დასრულდა 1804–13 რუსეთ-ირანის ომი (იხ. *რუსეთ-ირანის ომები XVII–XIX საუკუნეებში).* დაიდო 24 ოქტ. სოფ. გულისტანში (ყარაბაღი). მას წინ უძღოდა ასლანდუზის (არაქსზე) საზავო მოლაპარაკება (1812 ოქტ.), რ-ის დროსაც ირან. მთავრობამ ინგლ. მხარდაჭერით მოითხოვა რუს. ჯარების გაყვანა ჩრდ. აზერბაიჯანიდან და საქართველოდან. ირან. არმიის შემდგომმა დამარცხებებმა, აგრეთვე რუს. წარმატებებმა 1812 სამამულო ომში აიძულა ირანი უარი ეთქვა ამ მოთხოვნებზე და განეახლებინა მოლაპარაკება, რ-იც გ. ს. ხ-ის დადებით დასრულდა. ხელშეკრულება 11 მუხლისაგან შედგებოდა. მათგან უმნიშვნელოვანესი იყო მე-2 მუხლი, რ-ის თანახმად მხარეებს რჩებოდათ ზავის დადების დროს მათ დაქვემდებარებაში მყოფი „მიწები, სახანოები და სამფლობელოები“. ამგვარად, ირანმა აღიარა აღმ. საქართველოს, დაღესტნის, ყარაბაღის, განჯის, შაქის, შირვანის, დერბენდის, ყუბის, ბაქოსა და თალიშის სახანოების შესვლა რუს. იმპერიის შემადგენლობაში. მე-5 მუხლის თანახმად, კასპიის ზღვაზე სამხ. ფლოტის ყოლის უფლება მხოლოდ რუსეთს ეძლეოდა. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო სავაჭრო შეღავათებიც, რ-იც რუსეთმა მიიღო ირანისაგან – დაბალი (ხუთპროცენტიანი) საბაჟო ტარიფი, შიდა ბაჟისაგან გათავისუფლება და სხვ. გ. ს. ხ-ით დასრულდა ამიერკავკ. რუსეთთან შეერთების პირველი ეტაპი. შაჰის მთავრობა ვერ ურიგდებოდა გ. ს. ხ-ს და არაერთხელ სცადა მისი გადასინჯვა, მაგრამ უშედეგოდ. გ. ს. ხ-ის შედეგები რუსეთმა კიდევ უფრო განიმტკიცა *თურქმანჩაის ზავით 1828.*

ლიტ.: ქორთუა ნ., საქართველო 1806–1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, თბ., 1964; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; Игамбердыев М. А., Иран в международных отношениях первой трети XIX века, Самарканд, 1961. *ზ. ანჩაბაძე.*

გულორდავა მარიკა ლერის ასული (დ. 29. VIII. 1985, სოხუმი), მომღერალი (სოპრანო), ვოკალისტთა თბილისის (I პრემია), მოსკოვის (პ. ჩაიკოვსკის სახელობის, II პრემია) და სარაგოსას (მონსერატ კაბალიეს სახელობის I პრემია) საერთაშორისო პრემიების ლაურეატი (ყველა 2007). სწავლობდა თბილისის I სამუს. სასწავლებელში (პედ. – ქ. ელიავა), 2004-იდან – თბილისის კონსერვატორიაში (პედ. – ლ. გოგლიჩიძე). მონაწილეობა მიიღო კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სპექტაკლებში, შეასრულა ტატიანასა და იოლანტას პარტიები (პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „იოლანტა“). 2009-იდან სწავლობს მილანის „ლა სკალას“ ვოკალური ხელოვნების აკადემიაში.

გ. ტორაძე.

გულრიფში (1975-მდე – ქვემო გულრიფში), დაბა (1975-იდან) დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთის არ), გულრიფშის მუნიციპალიტეტის ცენტრი. მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, სარკინიგზო და საავტ. მაგისტრალზე. ზ. დ. 20 *მ,* სოხუმიდან 13 *კმ,*



გულრიფშის ერთ-ერთი ქუჩა.

თბილისიდან 431 *კმ.* 10,7 ათ. მცხ. (1989).

გ. ზღვისპირა კლიმ. კურორტია. ჰავა – ზღვის ნოტიო სუბტროპიკული. იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 14,5^{0}C, იანვ. საშ. ტემპ-რა 6,2^{0}C,

ივლ. 22,9°C; აბსოლ. მინ. –12°C, აბსოლ. მაქს. 41°C. ზღვის ბრიზები რამდენადმე ანელებს ზაფხულის სიცხეს. ნალექები 1410 *მმ* წელიწადში. ფარდობითი ტენიანობა 72%. მზის ნათების ხანგრძლივობა 2100 *სთ* წელიწადში. სამკურნ. საშუალება – კლიმატოთერაპია. სამედ. ჩვენება: ფილტვების ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმა. სეზონი – მთელი წელი.

1991 გ-ში იყო სახლთსაშენი კომბინატი, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმო, საბავშვო ბაღები, საშ. ზოგადსაგანმან. და სამუსიკო სკოლები, სუბტროპ. კულტურების სოხუმის საცდელი სადგური, საქართვ. მცენარეთა დაცვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის აფხ. მცენარეთა დაცვის საცდელი სადგური და სხვ.

მ. ლაშხია. გ. უშვერიძე.

გულრიფშის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთის არ), აფხაზეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე და შავი ზღვის ვიწრო სანაპირო დაბლობ ზოლში. ჩრდ-ით ესაზღვრება რუს. ფედერაცია, დას-ით – სოხუმის, აღმ-ით – ოჩამჩირისა და მესტიის მუნიციპალიტეტები, სამხრ.-დას-ით – შავი ზღვა. ფართ. 1834,5 *კმ*². მოსახლ. 54,9 ათ. კაცი (1989). ცენტრი – დაბა *გულრიფში.* მუნიციპალიტეტში არის 1 დაბა, 97 სოფელი, 12 თემი: ამტყელის, აჟარის (ცენტრი – ქვემო აჟარა), ბაბუშარის, ბაღმარანის, განახლების, დრანდის, ვლადიმიროვკის, ლათის, მაჭარის, მერხეულის, ფშაფის, წებელდის.

ისტორიული ცნობა. ძველთაგანვე ახლანდ. გ. მ-ის ტერიტორია ქართ. მოდგმის ტომებით იყო დასახლებული და *ეგრისის* (კოლხეთის) სამეფოში შედიოდა. I ს-იდან წერილობით წყაროებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში მდ. კელასურსა და კოდორს შორის ტერიტ-ზე აფშილები იხსენიებიან. კოდორის ხეობის ზემო დინებაში მისიმიელები ცხოვრობდნენ. IV ს-ში აღნიშნული ტერიტ. *ეგრისის სამეფოში* შევიდა და უშუალოდ ეგრისის სამეფოს ადმინისტრაციას დაემორჩილა. VIII ს. დასასრულს აფშილეთი ცხუმის საერისთავოს სახით ეგრის-აფხაზეთის, X ს. ბოლოს კი გაერთიანებული საქართვ. სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. XIV ს. დასაწყისიდან აღნიშნული ტერიტ. ოდიშის (სამეგრელოს) შემადგენლობაშია და ეკლესიურად დრანდის ეპისკოპოსს ემორჩილება. XVII–XVIII სს. ჩრდ. კავკასიელი ტომების, ძირითადად აფსუების ექსპანსიის შედეგად ძირძველი ქართ. მოსახლეობა იძულებული გახდა დაეტოვებინა გ. მ-ის ტერიტორია. ამ დროიდან ეს ტერიტ. აფხაზური მხარის *გუმის* შემადგენლობაში მოექცა. 1864, აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ, ახლანდ. გ. მ-ის ტერიტ. სოხუმის ოლქის შემადგენელი ნაწილი გახდა და ქართვ. მოსახლეობამ თანდათანობით დაიწყო მამაპაპეულ ადგილზე დაბრუნება. 1917-მდე ახლანდ. გ. მ-ის ტერიტ. შედიოდა ქუთაისის გუბერნიის *სოხუმის ოკრუგში,* 1921–30 – საქართვ. ფარგლებში შექმნილ აფხ. სსრ გუმისთისა და სოხუმის მაზრებში, 1931-იდან – აფხ. ასსრ სოხუმის რ-ნში, 1946–59 იყო და 1966-იდან კვლავ გამოიყო ცალკე რ-ნად.



1. მესტიის მუნიციპალიტეტი

ქედი. შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ გორაკ-ბორცვიანი ზოლია, რ-ის სამხრ-ით ვრცელდება შავიზღვისპირა დაბლობი. კავკასიონის მთავარი ქედი აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებითა და კრისტალური ფიქლებით, სამხრ. კალთა – იურული და ცარცული თიხაფიქლებითა და კირქვებით. გორაკ-ბორცვიანი ზოლის აგებულებაში მონაწილეობს ნეოგენური კონგლომერატები, ქვიშაქვები, თიხები, მერგელები. შავიზღვისპირა დაბლობი აგებულია მეოთხეული ასაკის რიყნარებით, ქვიშებით, თიხებით.

წიაღისეულიდან აღსანიშნავია ტყვია (მცირე რაოდენობით),



მდინარე კოდორის ხეობა.

თუთია და ვერცხლი (ამტყელის, ხეცკვარის, გვანდრისა და საკენის აუზებში), კალა (ახუპაჭის მთაზე), დარიშხანა (სხაპაჭის ქედზე), ბარიტი (გვანდრისა და საკენის აუზებში). ჩხალთის, საკენის, ყლიჩის და სხვა მდინარეთა ხეობებში არის მინერ. წყლები.

შავიზღვისპირა დაბლობზე ზღვის ნოტიო სუბტროპ. ჰავაა. იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. იანვ. საშ. ტემპ-რა 5–6°C, ივლ. 23–24°C. ნალექები 1400 *მმ* წელიწადში. გორაკ-ბორცვიან ზონაში ნოტიო ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული. იანვ. საშ. ტემპ-რა 2–3°C, ივლ. 18–20°C. ნალექები 1800–2000 *მმ* წელიწადში. საშუალმთიან ზონაში ნოტიო ჰავაა, იცის ცივი ზამთარი და ხანმოკლე ზაფხული. იანვ. საშ. ტემპ-რა –5°C-იდან –6°C-მდეა, ივლ. 15–16°C. ნალექები 2000 *მმ* წელიწადში. ჩხალთის ქედის თხემურ ზოლში ნამდვილ ზაფხულს მოკლებული მაღალმთის ნოტიო ჰავაა, კავკასიონის მთავარ ქედზე კი – ნივალური.

მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარეა კოდორი, მისი მდგენელებია გვანდრა და საკენი, მარჯვ. შენაკადებია ჩხალთა (აწგარა) და ამტყელი (ჯამპალით). მდინარეები საზრდოობენ წვიმის, თოვლის, მყინვარებისა და მიწისქვეშა წყლებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის ამტყელის ტბა, მაღალმთიან ზონაში კი – პატარ-პატარა მყინვარული ტბები (გორაფის ტბა და სხვ.).

ზღვისპირა დაბლობზე გავრცელებულია უკარბონატო ალუვიური ნიადაგი, გორაკ-ბორცვებზე – ყვითელმიწა, კირქვიან ფერდობებზე – კორდიან-კარბონატული, მთის ტყის ქვედა სარტყელში – ყომრალი, ზედა სარტყელში – გაეწრებული ყომრალი ნიადაგი. მაღალმთიან ზონაში მთის მდელოს ნიადაგია.

ზღვისპირა ვიწრო ზოლში, დიუნებზე, იზრდება ქვიშნარის მცენარეულობა: რძიანა, გლერტა, ლურჯი ნარი, ძეძვი, ქოთანა და სხვ. დიუნების მიღმა ჭაობის მცენარეულობის კომპლექსში მნიშვნელოვანი ფართობი უჭირავს მურყნარს. შედარებით მშრალ ადგილებში ხარობს მუხნარ-რცხილნარი და რცხილნარ-წიფლნარი. უფრო ზემოთ იზრდება ტიპური კოლხური ტყე მარადმწვანე და ფოთოლმცვივანი ბუჩქებით. ფართოდაა გავრცელებული ლიანები. მთის ტყის ქვედა სარტყელში ჭარბობს წიფელი, იზრდება აგრეთვე რცხილა, ცაცხვი, ნეკერჩხალი, თელა, იფანი და სხვ. ზედა სარტყელში ხარობს უმეტესად სოჭი, ნაძვი, ფიჭვი. ტყის ზედა საზღვარზე აქა-იქ გავრცელებულია არყი, ცირცელი. ქვეტყეში ხშირია კავკასიური მოცვი, იელი და სხვ. 1900–2000 *მ* ზემოთ სუბალპ. მდელოებია. იზრდება გიგანტური ქოლგოსნები (დიყი) და სხვა მაღალბალახეულობა. ალპ. მდელოს ზონა ვრცელდება 2400-იდან 2800 *მ*-მდე. ზონის ქვედა ნაწილში მრავლადაა კავკ. დეკა.

ზღვისპირა და გორაკ-ბორცვიან ზონაში ცხოველთა სამყარო განადგურებულია ადამიანის მიერ. ტყის ზონაში ბინადრობს გარეული ღორი, შველი, მურა დათვი, მგელი, ტურა, კვერნა, წავი, დედოფალა, მაჩვი; ფრინველთაგან – ნიბლია, ჩიტბატონა, წივწივა, სტვენია, შაშვი, კოდალა, ჩხიკვი, ნისკარტმარწუხა და სხვ.; ქვეწარმავლები – კავკასიური გველგესლა, ხვლიკი და სხვ. მდინარეებში იცის კალმახი, წვერა, ფრიტა, ტობი.

ძირითადი ლანდშაფტები: 1. სანაპირო ქვიშიან-ხრეშიანი დიუნები; 2. დახრილი ვაკე-დაბლობები კოლხ. მცენარეულობით, ალუვიური და ეწერი ნიადაგებით; 3. ბორცვიან-ტერასული მთისწინეთი კოლხ. მცენარეულობით, ყვითელმიწა და კორდიან-კარბონატული ნიადაგებით; 4. მთა-ტყის ლანდშაფტი მუხნარ-რცხილნარით, წიფლნარით, წიფლნარ-მუქწიწვოვნებით; კორდიან-კარბონატული, ტიპური და გაეწრებული ყომრალი ნიადაგებით; 5. სუბალპ. ტყეები და მდელოები მთის ტყისა და მთის მდელოს ნიადაგებით; 6. ალპ. მდელოები მთის მდელოს ნიადაგით; 7. მარადიული თოვლი და მყინვარები.

მოსახლეობა. 1989 აღწერით გ. მ-ში ცხოვრობდნენ აფხაზები (2,4%), ქართველები (52,8%), სომხები, რუსები, ბერძნები და სხვ. განსახლების ძირითადი ზონა ზ. დ. 400 *მ*-მდეა. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვე – 29,0 კაცი 1 *კმ*^{2}-ზე.

მეურნეობა. სოფ. მეურნ. ძირითადი დარგი იყო მიწათმოქმედება. 1990 გ. მ-ის მთელი ფართობის დაახლ. 17,3% (31,8 ათ. *ჰა*) ეჭირა სას.-სამ. სავარგულებს. მემცენარეობიდან ძირითადი იყო მეთამბაქოეობა. მოჰყავდათ ეთერზეთოვანი კულტურები, განვითარებული იყო მებაღეობა, მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, მებოსტნეობა. მოჰყავდათ სიმინდი. მისდევდნენ მესაქონლეობას, მეფუტკრეობასა და მეაბრეშუმეობას. სოფ. ვარჩაში იყო კოდორის საყვავილე მეურნეობა.

გ. მ-ში იყო ასფალტის ქ-ნა, სახლთსაშენი და ხე-ტყის მრეწვ. კომბინატი, ჩაის ფ-კა და ხილის წვენების ქ-ნა სოფ. დრანდაში, ხის დასამუშავებელი საწარმო სოფ. ვარჩაში, ეთერზეთების მეურნ.-ქ-ნა და ხის დასამუშავებელი კომბინატი სოფ. ბაბუშარაში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საქართვ. რკინიგზის მაგისტრალი და შავიზღვისპირა საავტ. გზატკეცილი. შიდა მიმოსვლაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა საავტ. ტრანსპორტი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იყო საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი – სოხუმის (ბაბუშარის) აეროპორტი.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. 1990 გ. მ-ში იყო 16 სკოლამდელი დაწესებულება, ყველა სახის 52 ზოგადსაგანმან. სკოლა, სამუსიკო და სპორტ. სკოლები, 46 ბ-კა, 32 საკლუბო დაწესებულება.

მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურებოდა 4 საავადმყოფო, 130 ექიმი, 428 საშ. მედმუშაკი. იყო 5 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი. ზღვის სანაპირო ზონაში გათვალისწინებული იყო დიდი საკურორტო კომპლექსის მშენებლობა.

გ. მ-ის ტერიტორიაზე იყო სამეცნ.-კვლ. დაწესებულებები, სუბტროპ. კულტურების სოხუმის საცდელი სადგური (გულრიფში), ეთერზეთების სოხუმის ზონალური საცდელი სადგური (სოფ. მაჭარა), საქართვ. მცენარეთა დაცვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის აფხ. მცენარეთა დაცვის საცდელი სადგური (გულრიფში).

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. გ. მ-ის ტერიტორიაზე შემორჩენილია მატერ. კულტურის მრავალი ძეგლი: დოლმენები და სამარხები *აზანთის* მიდამოებში,



ბაღმარანის სამონასტრო კომპლექსი. შუა საუკუნეები.

შუა საუკ. სამონასტრო კომპლექსი *ბაღმარანში,* ციხეები აზანთისა და კელასურის მიდამოებში, *დრანდის* ტაძარი (VIII ს., რესტავრირებულია XIX ს. 70-იან წწ-ში, არქიტ. ვ. ცინცაძე), შუა საუკ. ხუროთმოძღვრული ძეგლების (კოშკები, ეკლესიები, ხიდები) ნანგრევები.

თ. ბერაძე. შ. ლაშხია. კ. მგელაძე.

გულ-სისხლძარღვთა ძირურგია, იხ. *კარდიოქირურგია.*

გულსუნდა, სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტის ტოლოშის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), მდ. მტკვრის ხეობაში. ზ. დ. 1200 *მ,* ასპინძიდან 18 *კმ.* 81 მცხ. (2002).

გულუა გია აბიბოს ძე (20. II. 1956, ზუგდიდი, – 20. IV. 1994, თბილისი), პოლიციის გენერალ-მაიორი (1992). დაამთავრა ხარკოვის სახანძრო ტექ. სასწავლებელი (1976), სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) აკადემია (მოსკოვი, 1986). 1992 იანვრიდან იყო შსს თბილ. სამმართველოს უფროსი, ივნ-იდან – საქართვ. რესპ. შსს კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილე, 4 დეკ-იდან – საქართვ. რესპ. შს მინისტრის მოადგილე, სატრანსპ. პოლიციის მთ. სამმართველოს უფროსი. ტრაგიკულად დაიღუპა ტერაქტის შედეგად.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1994). *ლ. დოლიძე.*

გულუა დავით დავითის ძე (დ. 11. VI. 1954, დაბა ჩხოროწყუ), გენერალ-მაიორი (1993). ვიცე-ადმირალი (2008). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ავტომატიკისა და მექანიზაციის (1978), იურიდიული (2000) ფაკ-ტები. 1992 აფხ. ცნობილი მოვლენების დროს იყო საქართველოს ეროვნ. გვარდიის საბრძოლო ნაწილის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კორპუსის მეთაურის მოადგილე, 1992 დეკ-იდან – აფხ. ავტონ. რესპ. შინაგან საქმეთა მინისტრი, 1996-იდან – საქართვ. სატრანსპ. პოლიციის მთ. სამმართველოს უფროსი. 1997 მაისიდან სატრანსპ. პოლიციის დეპარტამენტის თავ-რე. სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი (2003–08). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1994).

ლ. დოლიძე.

გულუა მიხეილ ეგნატეს ძე (3. I. 1905, ბათუმი, – 29. IV. 1967, თბილისი), ინჟინერ-არქიტექტორი. საქართვ. დამს. ინჟინერი (1960). დაამთავრა საქართვ. სა-ინჟინრო-სამშ. ინ-ტი (1932). წლების მანძილზე მუშაობდა ხელმძღვ. თანამდებობებზე სამშ. ორგანიზაციებში – სსრ კავშირის ნავთობის მრეწვ., საქართვ. სახ. მეურნ. საბჭოს ნავთობისა და ქიმ. მრეწვ. სამმართველოს სისტემებში, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დირექტორად (1959–67). იყო რამდენიმე განხორციელებული პროექტის ავტორი. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. კომუნ. მშენებლობის ტექნიკუმში, საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში. 1936–66 იყო საქართვ. არქიტექტორთა კავშირის სარევიზიო კომისიის თავ-რე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ს. კინწურაშვილი.

გულუხეთი, სოფელი აბაშის მუნიციპალიტეტის გეზათის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 40 *მ,* აბაშიდან 10 *კმ.* 409 მცხ. (2002).

გ. წყაროებში პირველად 1753 არის მოხსენიებული. *თ. ბერაძე.*

გულყვითელა, ნარგიზელა (Calendula), მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. ერთ- ან მრავალწლოვანი ბალახი, იშვიათად ბუჩქბალახებია. აქვთ ჯირკვლოვანი ბეწვებით მოფენილი ღერო, მოგრძო-ლანცეტა ფოთლები, მოზრდილ კალათებად შეკრებილი ნარინჯისფერი ან ყვითელი ყვავილები. გვარი აერთიანებს 20-ზე მეტ სახეობას, რებიც გავრცელებულია ევროპასა და აზიაში. საქართველოში ბუნებრივად იზრდება ერთწლოვანი სახეობა: C. arvensis, იშვიათად გვხვდება თბილ. სამხრ-ით მდებარე რ-ნებში, დანაგვიანებულ ადგილებზე; C. gracilis იზრდება ქიზიყში (ელდარის ველი), მშრალ ფერდობებზე. სამკურნ. გ. (C. officinalis) მოჰყავთ სამკურნ. და დეკორ. მიზნით. *მ. გურგენიძე.*



გულყვითელა. სამკურნალო გულყვითელა (Calendula officinalis).

გულშარი, გულანშარი, დედოფალი, ალექსანდრე I დიდის ვაჟის – *დიმიტრი პატონიშვილის,* „პროვინციის მეფის'' თანამეცხედრე, მეფე *კონსტანტინე II-ის* დედა. 1487 საქართველოში იაყუბ-ყაენის მეორე შემოსევისას, რ-საც ხალიღ-ბეგი ხელმძღვანელობდა, კონსტანტინე II-ის ტახტსა და *აყ-ყოიუნლუს* ამირებს შორის მოლაპარაკება გაიმართა. მეფემ ამ დიპლ. მისიის შესრულება თავის მოხუც დედას – გ-ს – დაავალა. რას ითხოვდა ეს „მანდილოსანი დიპლომატი'' და რა ხასიათის დავალებას ასრულებდა, ნათლად არ ჩანს. სავარაუდოა, რომ კონსტანტინე II თურქმანებს კონ-

ტრიბუციის მიღებასა და უკან გაბრუნებას სთავაზობდა. მოხუცი დედოფალი, რ-იც მისიის შესასრულებლად მონასტრიდან სპეციალურად გამოსულა, თურქმან ამირებს ზავის პირობებზე დათანხმებას ემუდარებოდა. გ-ის მისია წარუმატებლად დასრულდა, თუმცა ამ შემოსევისას ვერც თურქმანებმა შეძლეს თბილისის აღება (იხ. აგრეთვე *იაყუბ-ყაენის ლაშქრობანი საქართველოში*).

ლიტ.: კიკნაძე რ., საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. მეორე ნახევარში, «ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები», 1964, ტ. 7. *დ. ნინიძე.*

გულჩარა (გულჩორა), თინათინ ბატონიშვილი (ბაგრატიონი), ქართველი დიპლომატი ქალი XVI ს. უკანასკნელ მეოთხედსა და XVII ს. დამდეგს, ქართლის მეფის *გიორგი X-ის* ასული. შაჰ-თამაზ I-ის მეფობის დროს (1524–76) გ. ირანში ცხოვრობდა. 1578 იგი საქართველოში დაბრუნდა. დატყვევებული ქართლის მეფე *სიმონ I-ის* გამოსახსნელად 1600 ოსმალეთში გაიგზავნა დელეგაცია, რ-ის შემადგენლობაში იყვნენ გიორგი X-ის მცირეწლოვანი ვაჟი უფლისწული დავითი (იხ. *დავით ბატონიშვილი*) და მისი და თინათინი (ამ ცნობას გვაწვდის ქართვ. მწერალი და ისტორიკოსი ა. ფურცელაძე). ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ეს იყო სწორედ დიპლომატი თინათინი. გ. დაუახლოვდა სულთნის დედას და მისი ნდობა დაიმსახურა. 1602 დაწყებული ირან-ოსმ. ომის დროს საზავო პირობების შეთანხმების მიზნით გ. რამდენჯერმე შეხვდა სულთანსა და შაჰს. ირან-ოსმ. შორის 1612 წ. 20 ნოემბ. დადებული ზავი უმეტესწილად არის დიპლომატიური ნიჭით გამორჩეული ქართველი ქალის დამსახურება.

ლიტ.: სვანიძე მ., ქართველი ქალი–დიპლომატი, «ცისკარი», 1965, №3; მისივე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI–XVII სს., თბ., 1971. *მ. სვანიძე.*



გულწითელა. კავკასიური გულწითელა (Erithacus rubecula caucasicus).

გულწითელა (Erithacus rubecula), ფრინველი ბელურასნაირთა რიგისა. გავრცელებულია ევროპაში, სპორადულად აზიასა და ჩრდ. აფრიკაში. საქართველოში გვხვდება თითქმის ყველგან, ვრცელდება ზ. დ. 1800 *მ*-მდე. მისი სხეულის სიგრძე 150–160 *მმ,* მასა 16–18 *გ* აღწევს. ბუდეს იკეთებს მიწაზე, კუნძებზე, იშვიათად ფულუროში, წაქცეული ხეების ქვეშ. დებს 5–6 კვერცხს, კრუხობს 13–14 დღე. ფრთხილი ფრინველია, საკვებს ხტუნვა-ხტუნვით დაეძებს. იკვებება მწერებით, ლოქორებით, ჭიებითა და სხვა უხერხემლოებით. საქართველოში გვხვდება როგორც მობუდარი გადამფრენი ფორმა, ამასთან, კავკასიონისათვის დამახასიათებელია კავკ. ქვესახეობა კავკასიური გ. (E. r. caucasicus), ხოლო მცირე კავკასიონისათვის – ირანული ქვესახეობა – ჰირკანული გ. (E. r. hyrcanus).

რ. ჟორდანია.

გულხანდისი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის საყავრის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ვიცხის (თემძის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1560 *მ,* გორიდან 38 *კმ.* 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

გულჯავარასშვილი გრიგოლ, XVII ს. II ნახ. მხატვარი. 1678–88 წლებში მისი ხელმძღვანელობით მოუხატავთ მცხეთის სვეტიცხოვლის შიგნითა „სვეტის“ კედლები, რაზედაც მითითებს თვით „სვეტზე“ მინაწერი. განსაკუთრებით საყურადღებოა წმინდა ნინოს ცხოვრებისა და ქართლის მოქცევის ციკლი, რ-იც შინაარსობრივად დაკავშირებულია ძვ. ქართ. გადმოცემასა და მატიანეთა მონათხრობთან. დახატული აქვს, აგრეთვე, საღვთო წერილის ცნობილ სიუჟეტებთან დაკავშირებული სცენები. მხატვრობის სხვადასხვა მანერა და ხარისხი მოწმობს, რომ სვეტის მოხატვაში გ-ს სხვებიც ეხმარებოდნენ. ძეგლი თავისი ხასიათით გვიანდ. ფეოდ. ხანის ტიპური ნაწარმოებია: იგი მოკლებულია მონუმენტურობას, შესრულების ტექნიკა ,,მინიატიურულია‘‘, ადამიანთა ფიგურები – წვრილი და წაგრძელებული, ხუროთმოძღვრული ფონი კი დაქუცმაცებული. გ. თავისი დროის გამოცდილი და დახელოვნებული ოსტატი იყო. როგორც ჩანს, მას დამხმარეთა, შეგირდთა, თანაშემწეთა, მთელი გუნდი ჰყავდა, ხოლო მისი დამკვეთნი – უმაღლესი ფენის წარმომადგენლებიც ყოფილან.

ვ. ბერიძე.

გუმა, ისტორიული მხარე აფხაზეთში. გვიანდ. შუა საუკუნეებში აფხაზეთის საერისთავო რამდენიმე წვრილ ფეოდ. ერთეულად დაიყო. XVIII ს-ში შეიქმნა ახ. ფეოდ. ერთეული – გ., რ-იც გუმისთასა და კოდორს შორის მდებარეობდა. გ-ს აფხაზეთის ცენტრ. ნაწილი ეკავა. მას ჩრდ-ით წებელდა ესაზღვრებოდა და საზღვარი ჩხალთის ქედს მიუყვებოდა, აღმ-ით მდ. კოდორის ქვემო წელი აბჟუასგან მიჯნავდა; დას-ით შავი ზღვა ეკვროდა; ჩრდ.-დას-ით მდ. გუმისთა ბზიფის აფხაზეთისაგან საზღვრავდა. გ-ის მმართველი მხოლოდ ნომინალურად ემორჩილებოდა ბზიფის აფხაზეთის მმართველს.

1856, როდესაც ქუთაისის გენერალ-საგუბერნატორო შეიქმნა, გ., მთელ აფხაზეთთან ერთად, მისი შემადგენელი ადმ.-ტერიტორიული ნაწილი გახდა. 1864, აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ, გ-ის მხარე უკვე სოხუმის ოკრუგის შემადგენლობაში შევიდა. 1884 წ. 1 იანვ. დასრულდა სოხუმის ოლქის ადმ.-ტერ. დაყოფის რეორგანიზაცია. შეიქმნა გუმისთის საპოლიციო უბანი, რ-იც გ-ისა და წებელდისაგან შედგებოდა.

ლიტ.: Анчабадзе В. В., Из истории средневековой Абхазии (VI–XVII вв.), Сух., 1959. *ზ. ცინცაძე.*

გუმა, სოფელი სოხუმის მუნიციპალიტეტის ახალშენის თემში (აფხაზეთის არ), მდინარეების დასავლეთის გუმისთისა და აღმოსავლეთის გუმისთის წყალგამყოფზე. ზ. დ. 540 *მ,* სოხუმიდან 23 *კმ.* 104 მცხ. (1989). სოფლის მიდამოებშია *გუმის მღვიმოვანი.*

გუმათი, სოფელი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ოფურჩხეთის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის ჩრდ. ბორცვიან მთისწინეთში, გუმათის წყალსაცავის ნაპირზე. ზ. დ. 360 *მ,* წყალტუბოდან 25 *კმ.* 591 მცხ. (2002).


სოფელი აღნიშნულია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ რამდენიმე რუკაზე. მოხსენიებული აქვს ი. ა. *გიულდენშტედტს.* გვიანდ. შუა საუკუნეებში გ. ოკრიბაში შედიოდა. *თ. ბერაძე.*

გუმათის წყალსაცავი, წყალსაცავი მდ. რიონის შუა დინებაში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. გუმათთან, ზ. დ. 210 *მ* სიმაღლეზე. საექსპლუატაციოდ გადაეცა 1958. შექმნილია 30 *მ* სიმაღლის რკინაბეტონის კაშხლით. ფართ. 3,1 *კმ*^{2}, მოცულობა 42 მლნ. *მ*^{3} (მაქს. დონის დროს), მაქს. სიღრმე 24 *მ,* სიგრძე 11 *კმ,* სიგანე 60-იდან 550 *მ*-მდე. არეგულირებს მდ. რიონის ჩამონადენს გუმათჰესისათვის. გ. წ. წაგრძელებულია მდინარის ხეობის მიმართულებით. ნაპირები სუსტადაა დანაწევრებული, ადგილ-ადგილ ფლატოვანია. ზვირთცემა სუსტია. მდ. რიონს წყალსაცავში წლიურად 5 მლნ. *ტ*-ზე მეტი მყარი ჩამონადენი შეაქვს, რის გამოც სწრაფად ისილება. *ი. აფხაზავა.*

„გუმათჰესების კასკადი“ (სააქციო საზოგადოება), გუმათის ჰიდროელექტროსადგურები (გუმათჰესი I და გუმათჰესი II), მიეკუთვნება რიონის ჰესების კასკადს. მდებარეობს მდ. რიონზე, ქუთაისიდან 7 *კმ* დაშორებით (გუმათჰესების მარცხ. დასახლება). ეს ჰიდროელექტროსადგურები ერთდროულად იყენებენ როგორც მდ. რიონს (12 *კმ*-იანი მონაკვეთი სოფ. ჟონეთიდან რიონჰესის წყალსაცავამდე), ისე მასში გადაგდებულ მდ. ცხენისწყლის ნაწილს.

ორსადგურიანი კასკადის პროექტი შედგენილი იყო 1953. იგი ითვალისწინებდა ორი დერივაციული ტიპის ჰესის მშენებლობას. შემდეგ პროექტი შეიცვალა და აშენდა ერთი, ბეტონის კაშხალთან მიმდებარე ჰესი (გუმათჰესი I), მეორე კი – დერივაციული ტიპისა (გუმათჰესი II).

გუმათჰეს I-ის პირველი აგრეგატი საექსპლუატაციოდ გაუშვეს 1958 ოქტ-ში, ბოლო აგრეგატი – იმავე წლის დეკ-ში. ძირითადი ჰიდროტექ. ნაგებობებია ბეტონის გრავიტაციული ტიპის კაშხალი, ჰესის სადაწნეო შენობა, რ-იც კაშხალთან ერთად მონაწილეობს დაწნევაში, და გუმათჰეს II-ის სადერივაციო არხში გარდამავალი უბანი. ბეტონის გრავიტაციული კაშხალი (სიმაღლე – 52,5 *მ*, სიგრძე 209,5 *მ*) წყალს სწევს 30 *მ* სიმაღლეზე და ქმნის 39 მლნ. *მ*^{3} მოცულობის წყალსაცავს (აქედან სასარგებლო მოცულობაა 13 მლნ. *მ*^{3}), რ-იც საკმარისია ორივე ელექტროსადგურის დღეღამური რეგულირებისათვის.



„გუმათჰესების კასკადი“ (გუმათჰესი I).

გუმათჰეს I-ში დაყენებულია 4 ჰიდროაგრეგატი. თითოეული 11000 *კვტ* სიმძლავრისაა. ჰესის ჯამური დადგმული სიმძლავრეა 44000 *კვტ*, მაქს. დაწნევა – 26 *მ*, მინ. – 23 *მ*, დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი – 0,61, საპროექტო საშ. წლ. გამომუშავება – 256 მლნ. *კვტ·სთ*, 1 *მეგვტ*-ზე წყლის ხვ. ხარჯი – 4,864 *მ*^{3}/*წმ*. გუმათჰეს I-ში ნამუშევარი წყალი 1836 *მ* სიგრძის დერივაციული არხით მიდის გუმათჰეს II-ის ტურბინებში.

გუმათჰეს II-ის პირველი აგრეგატი გაუშვეს 1956 აპრილში, ბოლო – იმავე წლის ივნ-ში. ელექტროსადგური მუშაობს გუმათჰეს I-ის ნამუშევარი წყლით. ძირითადი ჰიდროტექ. ნაგებობებია დერივაციული არხი, სადაწნეო საკანი (არხის ბოლოს), ჰესის შენობა და ნამუშევარი წყლის გადასაგდები არხი, რ-იც რიონჰესის კაშხლის ზედა ბიეფში ჩაედინება. გუმათჰეს II-ში დადგმულია 22800 *კვტ* საერთო სიმძლავრის 3 ჰიდროაგრეგატი. მაქს. დაწნევა – 13,4 *მ*, მინ. – 11,2 *მ*, დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი – 0,62, საპროექტო საშ. წლ. გამომუშავება – 138 მლნ. *კვტ·სთ*, 1 *მეგვტ*-ზე წყლის ხვ. ხარჯი – 9,4 *მ*^{3}/*წმ*. გუმათჰეს II ავტომატიზებული და ტელემექანიზებულია და გუმათჰეს I-თან სინქრონულად მუშაობს.

ჰესებმა გამოიმუშავეს (მლნ. *კვტ·სთ*): 1956 წ. – 46,6; 1960 წ. – 314,0; 1965 წ. – 343,8; 1970 წ. – 423,3; 1975 წ. – 334,4; 1980 წ. – 330,0; 1985 წ. – 330,6; 1990 წ. – 211,7; 1995 წ. – 179,0; 2000 წ. – 176,6; 2005 წ. – 203,0; 2010 წ. – 329,7 ელექტროენერგია. 1996 წ. 22 ნოემბერს გუმათის ჰიდროელექტროსადგურების ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბა „გ. ჰ.“ სადგური ჩართულია საქართვ. ერთიან ენერგოსისტემაში. *დ. ჩომახიძე.*


გუმბა რაჟდენ ჯგუტას ძე (12. IX. 1926, სოფ. დურიფში, ახლანდ. გუდაუთის მუნიციპალიტეტი, – 17. VII. 2007, სოხუმი), აფხაზი კომპოზიტორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1958). 1957–59 სწავლობდა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორიაში (ი. ტუსკიასა და ა. ბალანჩივაძის საკომპოზიციო კლასები); 1971 დაამთავრა მოსკ. კონსერვატორია (ვ. ფერეს საკომპოზიციო კლასი). 1940–53 ხელმძღვანელობდა სხვადასხვა თვითმოქმედ საგუნდო კოლექტივს. 1954–71 (ხანგამოშვებით) იყო აფხ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, 1971–72 – აფხ. სახელმწ. საგუნდო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთ. დირიჟორი, 1972-იდან – აფხ. სახელმწ. ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელი და სამხატვრო საბჭოს თავ-რე. ნაწარმოებები: საზეიმო უვერტიურა „სიხარული“ (1974), 2 სიმფონია (1979), კანტატა გუნდის, სოლისტისა და სიმფ. ორკესტრისათვის – „მისალმება საქართველოს“ (1979) და სხვ. ავტორია 300-მდე საგუნდო ნაწარმოებისა (მ. შ. „იარუმა“, „საფსანი“, „სამშობლოსადმი“, „აფხიარცა“), დამუშავებული აქვს აფხ. ხალხ. სიმღერები. აღსანიშნავია გ-ს სადირიჟორო და საშემსრულებლო მოღვაწეობაც. მის მიერ შესრულებული 120-ზე მეტი ხალხ. სიმღერა ჩაწერილია გრამფირფიტებზე. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. არის დ. გულიას სახ. პრემიის ლაურეატი (1974).



რ. გუმბა.

ვ. ცარგუში.

გუმბათი, *კამარა,* რ-ის შიგა ზედაპირის გეომეტრიული მოყვანილობა ვერტიკალური ღერძის გარშემო რკალის მოძრაობით მიღებულ ნახევარსფეროს ან ელიფსოიდს უახლოვდება. გარე გადახურვა შეიძლება სხვადასხვა ფორმისა ჰქონდეს: სფერული, კონუსური, ქოლგისებრი, ბოლქვისებრი, პირამიდული. ქართ. საეკლესიო არქიტექტურაში გავრცელებულია პირამიდული და კონუსური გადახურვა. გ. ჩვეულებრივ საკულტო ნაგებობების (ეკლესიების, მინარეთების) თუ საზ. შენობების არქიტ. კომპოზიციის წამყვანი ელემენტია. ქართ. ეკლესიებში ყოველთვის ეყრდნობა გუმბათის ყელს.



გუმბათი. ოშკის ტაძარი. X ს. მეორე ნახევარი.

გუმბათი, მთა სამხრეთ საქართველოში, ერუშეთის ქედზე, მდ. ინჯისწყლის (ურავლის მარჯვ. შენაკადი) სათავეში, ასპინძის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 2963

მ. აგებულია ზედაპლიოცენური ანდეზიტ-ბაზალტებითა და დაციტებით. აქვს გუმბათის ფორმა, შემორჩენილია გამყინვარების კვალი. შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით. *დ. უკლება.*



გ. გუმბარიძე.

გუმბათი, სოფელი წალკის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე), წალკის ქვაბულში, მდ. გუმბათის (ქციის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. სათავო სოფელი. ზ. დ. 1610 *მ,* წალკიდან 22 *კმ.* 471 მცხ. (2002).

გ. მდებარეობს ისტ. თრიალეთში. სოფელში XX ს. ბოლომდე ცხოვრობდნენ ბერძნები, რ-თა წინაპრები XIX ს. 30-იან წლებში მოვიდნენ არზრუმის მხრიდან (თურქეთი).



ნ. გუმილიოვი.

სახელწოდების გამო ვარაუდობენ, რომ სოფელში იდგა გუმბათიანი ეკლესია. გუმბათი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გადაკეთებამდე ჩამოინგრა. 1846 ბერძნებმა გადააკეთეს თავის ეკლესიად. კედლები და შიგა განლაგება არ შეუცვლიათ, მხოლოდ აღმ-იდან მიაშენეს ნახევარწრიული საკურთხეველი. ძვ. ეკლესია შემოსილია გათლილი ქვით. შიგნით სამნავად იყოფა ორი, გეგმით რვაკუთხა ბოძის საშუალებით. გუმბათი ადრე ამ ბოძებსა და საკურთხევლის კედლებს ეყრდნობოდა. გვერდის ნავები ძალიან ვიწროა. იატაკი ქვისაა. შესასვლელი სამხ-იდან აქვს. საკურთხეველში 3 ნიშანია. დას. სარკმლის მარცხნივ, მაღლა, ბარელიეფია – დანიელი ლომთა ხაროში. აღმ. სარკმლის მარჯვნივ გამოსახულია ფრინველები. დას. კედელზე ასომთავრული წარწერებია, რ-ებშიც მკლავანი, ქობული და იოანე მოიხსენიებიან. ეკლესიას სამხრეთიდან მიშენებული ჰქონდა სამრეკლო, რომლის პირველი სართული კარიბჭეს წარმოადგენდა. 1846 წლის გადაკეთების დროს იგი დაუშლიათ და მის ნაცვლად აუგიათ თაღებით გახსნილი სამსართულიანი სამრეკლო. ხევის მარჯვ. სანაპიროზე, მთაზე შემორჩენილია ციხის ნანგრევები. ციხე ნაგებია მშრალი წყობით და გამაგრებულია ნახევარწრიული ბურჯებით. იგი მიეკუთვნება ციკლოპურ ნაგებობათა ტიპს.

ლიტ.: Такайшвили Е. С., Археологические экскурсии, разыскания и заметки, в. 4, Тфл., 1913; Цинцадзе В., К изучению архитектуры городов-крепостей древней Грузии, კრ.: ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა ანალიზის და დაცვის საკითხები, თბ., 1988.

დ. ბერძენიშვილი.

გუმბარიძე გივი გრიგოლის ძე (დ. 22. III. 1945, თბილისი), საქ. კპ ცკ-ის პირველი მდივანი (1989, აპრ.–ოქტ.), საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს თავ-რე (1989, ნოემბრ. – 1990, ოქტ.). 1966 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. 1969–77 იყო საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, ხოლო 1977–83 – საქ. კპ ცკ-ის აპარატის თანამშრომელი, 1983–85 საქ. კპ ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი, 1988-იდან – საქ. კპ თბილ. საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1988 დეკ-იდან – საქ. სსრ სახელმწ. უშიშროების კომიტეტის თავ-რე. იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს წევრი (1989). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

გუმბრა, სოფელი წყალტუბოს მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე, მდ. წყალტუბოსწყლის (გუბისწყლის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: გ., ბანოჯა, ხომული). ზ. დ. 140 *მ,* წყალტუბოდან 7 *კმ.* 2,4 ათ. მცხ. (2002). მიდამოებშია გუმბრინის, სურინჯის, ჟანგმიწისა და შპატის საბადოები.

გ-ის მახლობლად არის კარსტული მღვიმეები.

გუმბრის თიხა, გუმბრინი (სახელი ეწოდა სოფ. *გუმბრის* მიხედვით), *გუმბრის მათეთრებელი თიხის საბადოს* ტუტემიწა *ბენტონიტური თიხების* სახესხვაობა. გ. თ-ის მთავარი ქანმაშენი მინერალია მონტმორილონიტი, რ-იც წარმოიქმნა ვულკ. ფერფლისა და ვიტროკლასტური ტუფების წყალქვეშა შეცვლის შედეგად. გ. თ. შეიცავს აგრეთვე გლაუკონიტს, პლაგიოკლაზს, კრისტობალიტსა და ზოგიერთ სხვა მინერალს. გ. თ-ს სორბენტად იყენებენ ნავთობგადასამუშავებელ მრეწველობაში. გ. თ-ის კომპლ. შესწავლის შედეგად ქართვ. სპეციალისტებმა დაადგინეს მისი გამოყენების შესაძლებლობა სამსხმელო წარმოებაში და მადნეული ნარჩენების მოსაგუნდავებლად.

გ. მაჩაბელი.

გუმბრის მათეთრებელი თიხის საბადო, ტუტემიწა ბენტონიტური თიხის (გუმბრინის) საბადო წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. *გუმბრის* მიდამოებში. აღმოაჩინა ა. *თვალჭრელიძემ* 1915. საბადოს ექსპლუატაცია დაიწყო 1930. საქართველოში ბენტონიტური თიხების მოპოვებამ განაპირობა აშშ-იდან სსრკ-ში მათი (სახელდობრ, ფლორიდინის) იმპორტის შეწყვეტა. გუმბრინის 4 *მ* სისქის მომწვანო-მოყვითალო ფენა დაკავშირებულია სენომანური ასაკის ვულკანოგენურ-დანალექ წყებასთან. ფენა განლაგებულია მკვრივ ტუფოგენურ გლაუკონიტიან ქვიშაქვებზე და ზემოდან ადევს ტუფქვიშაქვები. წყების აღმავალ ჭრილში გავრცელებულია აგრეთვე დაახლ. 1 *მ* სისქის ვარდისფერი გუმბრინის ფენა.

გ. მაჩაბელი.

გუმილიოვი ნიკოლოზ სტეფანეს ძე [3 (15). IV. 1886, კრონშტადტი, – 24. VIII. 1921, პეტროგრადი], რუსი პოეტი. გუმილიოვების ოჯახი 1900 თბილისში გადმოსახლდა. გ. სწავლობდა თბილ. მე-2 ვაჟთა, ხოლო 1901-იდან – პირველ ვაჟთა გიმნაზიაში. 1911 ჩამოაყალიბა ლიტ. წრე – „ცეხ პოეტოვ“. 1913 აღიარა აკმეიზმი (მოდერნისტული მიმართულება XX ს. დასაწყისის რუსულ პოეზიაში), გახდა მისი ორგანიზატორი და თეორეტიკოსი. 1914-იდან იყო ფრონტზე. 1917 რევ. პერიოდში რუს. საექსპედიციო კორპუსს ახლდა საფრანგეთში. 1918 დაბრუნდა პეტროგრადში. რევოლუცია მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რისთვისაც ბრალად დასდეს კონტრრევ. შეთქმულებაში მონაწილეობა და დახვრიტეს.

საქართვ. ბუნება გახდა მისი შთაგონების წყარო, წერდა ლექსებს საქართველოზე, მის ბუნებაზე. გ-ის პირველი ლექსი გამოქვეყნდა თბილისში 1901 გაზ. „ტფილისსკი ლისტოკ“. გ. ავტორია ლექსთა კრებულებისა: „კონკისტადორთა გზა“ (1905), „რომანტიკული ყვავილები“ (1908), „მარგალიტი“ (1910), „კოცონი“ (1918), „კარავი და ცეცხლოვანი გოდოლი“ (1921); მოთხრობათა კრებულისა „პალმის ჩრდილი“ (1922); კრიტ. სტატიების კრებულისა „წერილები რუსული პოეზიის შესახებ“ (1923). თარგმნა ბაბილონური ეპოსი „გილგამეში“, ვოლტერის, თ. გოტიეს, ო. უაილდის, ჰ. ჰაინესა და სხვ. ნაწარმოებები.

თხზ.: Стихотворения. Посмертный сборник, 2 изд., П., 1923; Стихи. Поэмы, Тб., 1988.

ლიტ.: რუსული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1963; Блок А., „Без божества, без вдохновенья“, Собр. соч., т. 6, М.–Л., 1962.

ო. ბაქანიძე.

გუმისთა, მდინარე დასავლეთ საქართველოში, სოხუმის მუნიციპალიტეტში. სიგრძე 12 *კმ,* აუზის ფართ. 576 *კმ²*. წარმოიქმნება

მდინარეების – აღმოსავლეთის გუმისთისა და დასავლეთის გუმისთის შეერთებით. ერთვის შავ ზღვას ქ. სოხუმის დასავლეთით. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა ზაფხულსა და ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 30 *მ³/წმ.* მდინარის წყალს იყენებენ სოხუმის წყალმომარაგებისათვის. *ი. აფხაზავა.*



ხიდი მდინარე გუმისთაზე.

გუმისთა, სოფელი სოხუმის მუნიციპალიტეტის გუმისთის თემში (აფხაზეთის არ), შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. გუმისთის მარცხენა ნაპირას. ზ. დ. 30 *მ,* სოხუმიდან 6 *კმ.* 4,2 ათ. მცხ. (1989).

გ. ზღვისპირა კლიმ. კურორტია. ჰავა ზღვის ნოტიო სუბტროპიკულია; იცის რბილი უთოვლო ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა 6^0C) და თბილი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 24^0C). ნალექები – 1550 *მმ* წელიწადში, მზის ნათების ხანგრძლივობა – 2120 *სთ* წელიწადში, სამკურნ. საშუალება – თალასოთერაპია (ზღვის აბაზანებითა და მზით მკურნალობა).

გ. უშვერიძე.

გუმისთა, ადრინდელი ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. III ათასწლ. შუა წლები) ნასახლარი სოხუმის დასავლეთით 3 *კმ*-ზე, მდ. გუმისთისა და ზღვის შესართავთან, მაღალ ტერასაზე. არქეოლ. გათხრებით მოპოვებულია ქვის იარაღი: რიყის ქვის ცულები, სატეხები, სათლელები, პიკის ტიპის იარაღი, ე. წ. სოხუმის ტიპის თოხები, ბადის საწაფები, შურდულის ქვები, მოვარდისფრო-ნაცრისფერი კერამიკა (ქილები, ქოთნები, ჯამები), რ-იც უხეშადაა ნაძერწი, შემკულია პარალელური ხაზებით, დაჭდეულია რელიეფური სარტყლებით, კიბისებური ნაკაწრებით, კოპებით და სხვ.

გაითხარა სინქრონული ქვაყრილიანი, ქვით გარშემოწყობილი ყორღანი. გაიწმინდა 4 ინდივიდ. სამარხი. ყველა მიცვალებული ესვენა მიწის ზედაპირზე, გვერდზე მოკრუნჩხული; თავი დას-კენ ჰქონდათ. ინვენტარი ნასახლარის მასალის ანალოგიურია, გამოირჩევა მხოლოდ შედარებით მომცრო ზომებით. მასალა ინახება სოხუმის არქეოლ. მუზეუმში.

ლიტ.: საქართველოს არქეოლოგია, ტ. 2, თბ., 1992; Соловьев Л. Н., Новый памятник культурных связей стоянки Воронцовской пещеры, «Труды Абх. ин-та», 1958, т. 29. *გ. ფხაკაძე.*

გუმის მღვიმოვანი, კარსტული მღვიმოვანი სოხუმის მუნიციპალიტეტში, სოფ. *გუმის* მიდამოებში, დასავლეთის გუმისთის ხეობის მარცხ. ფერდობზე. გამომუშავებულია ზედაცარცულ კირქვებში. აერთიანებს ციკლგავლილ სამ მშრალ მღვიმეს. ქვედა მღვიმის შესასვლელის აბსოლ. სიმაღლეა 370 *მ,* შუისა – 380 *მ,* ზედა მღვიმისა – 450 *მ.* მღვიმეების სიგრძე, შესაბამისად, 90, 20 და 45 *მ.* ქვედა მღვიმე ერთი ვრცელი დარბაზია. მღვიმეები ერთმანეთს ვიწრო, გადაულახავი ნაპრალებით უკავშირდება. გ. მ-ში არის კალციტის ნაირფეროვანი ნაღვენთი წარმონაქმნები (სტალაქტიტები, სტალაგმიტები, ფარდები, გურები, ოოლითებისა და პიზოლითების კონკრეციები და სხვ.); ქვედა მღვიმეში რამდენიმე კულტ. ფენაა.

ლიტ.: ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიმკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009. *ზ. ტატაშიძე.*

გუმიშხა, მთა ბზიფის ქედის სამხრეთ განშტოებაზე, მდინარეების დასავლეთის გუმისთისა და ააფსთის წყალგამყოფ კლდოვან ქედზე, გუდაუთის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 1800 *მ.* აგებულია ზედაცარცული კირქვებით. გ-ის კალთებზე რცხილისა და წიფლის ტყეებია, მწვერვალზე – სუბალპ. მდელო-ბუჩქნარი.

გუნათლე, იხ. *გურნათელი.*

გუნაშვილი ვახტანგ ბესარიონის ძე (12. II. 1926, თბილისი, – 9. X. 2010, იქვე), მოცეკვავე. საქართვ. სახ. არტისტი (1974). 1949 დაამთავრა თბილ. ქორეოგრ. სასწავლებელი. 1945-იდან საქართვ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. აკად. ანსამბლის, ხოლო 1959-იდან თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის სოლისტი იყო. პარტიები: იაგო (ა. მაჭავარიანის „ოტელო“), ბაზილი (ლ. მინკუსის „დონ კიხოტი“), ჯარჯი (ა. ბალანჩივაძის „მთების გული“), მამია (დ. თორაძის „გორდა“), დავრიში (გ. კილაძის „სინათლე“), ვაცლავი (ბ. ასაფიევის „ბახჩისარაის შადრევანი“), უფლისწული (პ. ჩაიკოვსკის „მაკნატუნა“), თავადი გუდალი, დემონი (ს. ცინცაძის „დემონი“) და სხვ.



ვ. გუნაშვილი.

გ. იყო ქართ. ხალხ. ცეკვების საუკეთესო შემსრულებელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ ა. *დვალთან* ერთად შესრულებული ცეკვა „ქართული“. დაჯილდოებული იყო პლასტ. გამომსახველობის შესანიშნავი უნარით. გ-მა ქ. ზაარბრიუკენში (გერმანია) დადგა ოპერების – ზ. ფალიაშვილის „დაისისა“ და ო. თაქთაქიშვილის „მინდიას“ ცეკვები. საგასტროლო კონცერტებით მოვლილი აქვს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა.

ნ. გუნია.



ვ. გუნაშვილი. ყრმა, ქორეოგრაფიული სურათი ი. ს. ბახის „პასაკალიას“ მუსიკაზე.

გუნბა საიდა კაპასას ასული (დ. 30. VIII. 1959, სოხუმი), მძლეოსანი (შუბის ტყორცნა). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი, საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი (1979). სპორტ. საზ-ბა „ქარიშხალას“ წევრი (სოხუმი). 1981 დაამთავრა საქართვ. ფიზკულტ. ინ-ტი. სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი (1979). XXII ოლიმპიური თამაშების (1980, მოსკოვი) ვერცხლის პრიზიორი. სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი (1983). 1978–87 იყო საქართვ. ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწ. კომიტეტის ინსტრუქტორი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდო.

გუნდაეთი, სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტის ნიგოზეთის თემში (იმერეთის მხარე), ჭიათურის პლატოზე, მდ. საძალიხევის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 700 *მ,* ჭიათურიდან 10 *კმ.* 369 მცხ. (2002).

სოფელში არის კარსტული მღვიმეები.

გუნდა-ლახოსტაკი, გუნდალახუსტაკი, თმისა და წარბწამწამის შესაღები ხალხ. კოსმეტიკური საშუალება. ამზადებდნენ გუნდის ხის (კვიპაროსი) გირჩისა და მინერალ ანტიმონიტისაგან. გუნდის ხის ნედლ გირჩას ღადარში წვავდნენ, ფხვნიდნენ და შავ საღებავს იღებდნენ (ზოგჯერ მას გამხმარ შავბალახსაც ურევდნენ). ლახოსტაკის მისაღებად ანტიმონიტს სპილენძის ქვაბში წვავდნენ (ნამწვავს ლილაქვასაც უწოდებდნენ). გუნდის ფხვნილს გახსნიდნენ თბილ წყალში, შიგ გაქნიდნენ ლახოსტაკს და სადა-



ს. გუნბა ასპარეზობისას.

ფის ნიჟარაში ან ავანდასტში მოლესავდნენ. ლახოსტაკი საღებავის შემაკავშირებლის როლს თამაშობდა. საღებავი რომ კარგად მიეღო, წარბ-წამწამზე ჯერ მცენარეულ ზეთს ისვამდნენ, შემდეგ ძვლის, ლითონის ან ხის სასურმე ჩხირებით მოიხატავდნენ. ძილის წინ ზედმეტ საღებავს თბილი წყლით იშორებდნენ. გ.-ლ., როგორც კოსმეტიკური საშუალება, იხსენიება ძვ. „მზითვის წიგნებში“.

ლიტ.: Яшвили А. О., Народная медицина в Закавказском крае, Тфл., 1904. *ლ. ბესელია.*



ა. გუნია.

გუნდაური, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტის მერისის თემში (აჭარის არ), შავშეთის ქედის ჩრდ. კალთის ძირას, მდ. მერისის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 680 *მ,* ქედიდან 11 *კმ.* 254 მცხ. (2002).

გუნდაური, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის ტერიტორიულ ორგანოში, მდინარეების – სხალთისა და ჩირუხისწყლის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადები) წყალგამყოფის ჩრდ.-დას. ნაწილის სამხრ. კალთაზე, ჩირუხისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 880 *მ,* შუახევიდან 8 *კმ.* 116 მცხ. (2002).

სახელი უწოდეს გუნდაძეების საგვარეულოს მიხედვით.

გუნდე, ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირის მაღალ მთიანეთში, ტბის პირას. მის მახლობლად დგას ერთნავიანი ეკლესია. როგორც ჩანს, ძვ. ქართ. ქრისტ. წესისამებრ ამ ტბაში ხდებოდა ქრისტეს სჯულზე მოქცეულთა ნათლისღება. ძეგლის თავისებურებას წარმოადგენს აღმ. შვერილი ნახევარწრიული აფსიდი და დას. – ნართექსი. ძეგლის გართულებული სტრუქტურა უშუალოდ ერთნავიანი ეკლესიის ფუნქციის გაფართოებასთანაა დაკავშირებული. ეკლესია შიგნით და გარედან ნაგებია სწორ რიგებად ნაწყობი, საშ. ზომის, უხეშად დამუშავებული ბაზალტის ქვებით, ხოლო ფასადის კუთხეებში სუფთად გათლილი მსხვილი ბლოკებია გამოყენებული. გადახურულია კამარით. კონსტრ. ელემენტები – სატრიუმფო და საბჯენი თაღები, პილასტრები და სხვ. სუფთად გათლილი ქვიშაქვის ბლოკებითაა ამოყვანილი. შესასვლელი ორია – სამხრეთისა და დასავლეთისა. ფასადები სადაა, მოურთველი, მხოლოდ სამხრ. კარის არქიტრავს ამკობს წრეში ჩასმული ბოლოებგაფართოებული ჯვრის გამოსახულება (ბოლნური ჯვარი. ასეთივე ჯვარია *ბოლნისის სიონში*).

ძეგლი თარიღდება V ს. II ნახ. – VI ს. I ნახ-ით (ნ. ჩუბინაშვილი). არსებობს სხვა მოსაზრებაც, რ-ის თანახმად ძეგლი განეკუთვნება VIII–IX სს. (ი. ელიზბარაშვილი).

ლიტ.: ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, თბ., 2000; Тодриа Т., Чубинашвили Н., Шашианис Самеба, Тб., 1988.

გუნდი, მომღერალთა, მგალობელთა, მომღერალ-მოცეკვავეთა კოლექტივი, კრებული, ჯგუფი. ხმათა რაოდენობის მიხედვით გ. შეიძლება იყოს: ერთხმიანი და მრავალხმიანი, ხმათა შემადგენლობის მიხედვით – ერთგვაროვანი (ვაჟთა, ქალთა, ბავშვთა, ბიჭების, გოგონების) და შერეული (ქალ-ვაჟთა, ბავშვთა მონაწილეობით). არსებობს ხალხური, თვითმოქმედი, მოყვარულთა, ეთნოგრ., პროფესიული, აკად. გ-ები. მონაწილეთა მინიმუმია 12, მაქსიმუმი – 120 კაცი. სახ. დღესასწაულებზე რამდენიმე გ-ს აერთიანებენ და მომღერალთა რაოდენობა ხანდახან რამდენიმე ათასსაც აღწევს. ქართ. ხალხ. სიმღერებისათვის დამახასიათებელია ერთგვაროვანი გ-ები: ვაჟთა 2-3-, ბავშვთა 4-ხმიანი და ქალთა 2-, და ბავშვთა, 3-ხმიანი. ფუნქციის მიხედვით სხვადასხვა სიმღერაში შემდეგი ხმები მონაწილეობს: მთქმელი-დამწყები, *მოძახილი, კრინი, გამყივანი, კრა-მანჭული,* შემხმობარი (,,ნადურებში“), მაღალი ბანი, *ბანი.* სას. საგალობელს ასრულებს 3-ხმიანი გ. – მთქმელი, მოძახილი, ბანი. წერილობითი ცნობებით, არსებობდა 5- და 6-ხმიანი გალობაც (მთქმელი, მოძახილი ანუ მაღალი ბანი, ბანი, *დვრინი, ზილი, კრინი*). ძველად მგალობელ-მომღერალთა ან მგალობელ-მროკველთა ჯგუფს ძნობას (სიტყვიდან ,,ძნა“, კრებითობის აღსანიშნავად), მწყობრს, დასს უწოდებდნენ.

საგუნდო ნაწარმოები სრულდება დამოუკიდებლად (ა კაპელა) ფორტეპიანოს (უმთავრესად) ან საკრავთა ანსამბლისა და ორკესტრის თანხლებით. საგუნდო ნაწარმოები შეიძლება იყოს დიდი ფორმის ნაწარმოებთა (ოპერა, ორატორია, ოპერეტა, კანტატა, მესა) ნაწილი, რ-იც გამონაკლისის სახით გვხვდება სიმფონიასა (პირველად ბეთჰოვენის IX სიმფონიაში) და ბალეტში. ქართ. ხალხ. საგუნდო სიმღერა უპირატესად კაპელით სრულდება. ქართ. პროფ. მუსიკაში ეს სახე XX ს. 10-იან წლებში დამკვიდრდა (ნ. *სულხანიშვილის* საგუნდო ნაწარმოებები).

ლიტ.: იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, კ. კეკელიძის და ა. ბარამიძის რედ., ტ. 2, თბ., 1948; მაჩაბელი დ., ქართველთა ზნეობა, «ცისკარი», 1864, №5; ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938; ჯამბაკურ-ორბელიანი ა., ივერიანელების გალობა, სიმღერა და ღიღინი, «ცისკარი», 1861, №1.

მ. ჟორდანია.

გუნდი (საშ. სპარს. გუნდ – ჯარი, ლაშქარი, არმია), ძველ ქართულში ჯარის ნაწილი, სამხედრო ერთეული 6 ათ. მეომრის შემადგენლობით.


გუნია ავთანდილ ლევანის ძე (27. IX. 1912, თბილისი, – 2. X. 1997, იქვე), ეკონომისტი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1979; წ.-კორ. 1967). ეკონ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1966). 1939 დაამთავრა მოსკ. გ. პლეხანოვის სახ. სახალხო მეურნ. ინ-ტი. 1953 იყო საქ. კპ ცკ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყ-ბის გამგე, 1953–57 – საქართვ. კულტ. მინისტრი, 1957-იდან – საქართვ. მეცნ. აკად. ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის პოლიტეკონომიის განყ-ბის გამგე, 1960-იდან – ამავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში, 1976–91 – დირექტორი, 1991-იდან გარდაცვალებამდე – სა-პატიო დირექტორი. გ. იყო ეკონ. დარგში საკოორდინაციო საბჭოს თავ-რე, საქართვ. სახელმწ. პრემიების კომიტეტისა და სადოქტორო ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნ. საბჭოს წევრი.

გ-ს სამეცნ. შრომები ეხება პოლიტეკონომიის, მრეწვ. ეკონ. და საქართვ. ეკონ. განვითარების საკითხებს. დიდია მისი წვლილი საქართველოში რეგიონული ეკონომიკისა და სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების ეკონომიკის მეცნიერულ კვლევაში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997). დაკრძალულია ქართვ. მწერალთა და საზ. მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში.

თხზ.: საქართველოს სსრ ინდუსტრია, თბ., 1972; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, თბ., 1983; Воспроизводство рабочей силы в промышленности Грузинской ССР, Тб., 1961; К вопросу о темпах и пропорциях воспроизводства в экономике Грузии, Тб., 1969; Качественные сдвиги в формах и методах управления в сфере экономики, Тб., 1983; Научно-технический прогресс и региональная структура экономики, Тб., 1990.

ლიტ.: ავთანდილ გუნია. ბიობიბლიოგრაფია. შემდგ. ნ. აბუაშვილი და გ. მგელაძე, თბ., 2002. *მ. ჯიბუტი.*

გუნია გიორგი კონსტანტინეს ძე (19. X. 1938, თბილისი, – 30. III. 2001, იქვე), სცენოგრაფი. საქართვ. სახ. მხატვარი (1989). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1966), იქვე ეწეოდა პედ. საქმიანობას (1970–82). 1980–92 მუშაობდა საქართვ. სახელმწ. ფილარმონიის მთ. მხატვრად, ხოლო 1987–96 – საქართვ. მხატვართა კავშირის გამგეობის პირველ მდივნად. 1990-იდან გარდაცვალებამდე იყო საქართვ. კულტ. მინისტრის მოადგილე. 1991-იდან მოღვაწეობდა შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და



გ. კ. გ უ ნ ი ა. დეკორაციის ესკიზი პ. ჩაიკოვსკის ოპერისთვის ,,პიკის ქალი''. 1976.

კინოს უნ-ტში, 1992 იქვე დააარსა თეატრ.-დეკორაციული ფაკ-ტი. 1964-იდან გ-მ გააფორმა 70-ზე მეტი სპექტაკლი საქართველოსა და საზღვარგარეთის თეატრებში: ჟ. ანუის ,,ანტიგონე'' (1968), ჟ. პ. სარტრის ,,ეშმაკი და უფალი ღმერთი'' (1995, შოთა რუსთაველის სახ. აკად. თეატრი); ჟ. ანუის ,,ტროილა'' (1965), მ. მრევლიშვილის ,,წმ. შუშანიკის წამება'' (1968), ვ. რასპუტინის ,,იცოცხლე და გახსოვდეს'' (1983, კ. მარჯანიშვილის სახ. აკად. თეატრი); ვ. კოროსტილიოვის ,,კომანდორის ნაბიჯები'' (1971), ა. სუმბათაშვილ-იუჟინის ,,ღალატი'' (1983, ა. გრიბოედოვის სახ. რუს. დრამ. თეატრი); უ. შექსპირის ,,მეფე ლირი'' (1972, რუსთავის დრამ. თეატრი); რ. ლაღიძის ,,ლელა'' (1975), პ. ჩაიკოვსკის ,,პიკის ქალი'' (1977, ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი); კ. მახარაძის ,,ბაგრატიონები'' (1994) და ,,სტალინი'' (1998, ერთი მსახიობის თეატრი – ,,ვერიკო''); ბ. ბრეხტის ,,სამგროშიანი ოპერა'' (1964, პერმის პ. ჩაიკოვსკის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკად. თეატრი); გ. რობაქიძის ,,ლამარა'' (1996, ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. დრამ. თეატრი) და სხვ. გ-ს შემოქმედებამ დიდი როლი ითამაშა 60-იანი წლების ქართ. სცენოგრაფიის განახლებაში. გ. აქტიურ საზ. მოღვაწეობას ეწეოდა. იგი აქვეყნებდა ქართ. სცენოგრაფიის სკოლისადმი მიძღვნილ სტატიებს, აფორმებდა გამოფენებს, სადღესასწაულო კონცერტებს.

გუნია გიორგი ლევანის ძე (22. XI. 1908, თბილისი, – 23. VII. 1983, იქვე), კინორეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961). დაამთავრა საკავშ. კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (1934, ს. ეიზენშტეინის სახელოსნო). 20-იან წლებში მუშაობდა თბილისში, გ. პლეხანოვის სახ. თეატრში, 1928-იდან – კინოში მსახიობად, დამდგმელ რეჟისორად. გადაღებულია ფილმებში: ,,უგუბზიარა'' (1930), ,,ნამდვილი კავკასიელი'' (1931), ,,მზაღო და გელა'' (1933) და სხვ. მეორე რეჟისორად იმუშავა ქართ. მხატვრულ ფილმებზე: ,,ჭრიჭინა'' (1954), ,,ორი ოკეანის საიდუმლოება'' (1955), ,,მე ვიტყვი სიმართლეს'' (1957), ,,მაიაკოვსკი იწყებოდა ასე...'' (1958), ,,სად არის შენი ბედნიერება, მზია?'' (1959), ,,პალიასტომი'' (1963), ,,შეწყვეტილი სიმღერა'' (1960), ,,განგაში'' (1968) და სხვ. 1965 მისი რეჟისორობით გახმოვანდა და აღდგა ფილმი ,,ახალგაზრდობა იმარჯვებს''. 1947–54 თბილ. კინოსტუდიის ქრონიკის სექტორში, როგორც დამდგმელმა რეჟისორმა, გადაიღო ფილმები: ,,ბალნეოლოგიური კურორტი'' (1947), ,,კულტურის კერა'' (1948), ,,კურზუ, ლებარდე'' (1948), ,,სიჭაბუკისა და სილამაზის დღესასწაული'' (1950), ,,იალბუზზე ასვლა'' (1950), ,,ჭიათურა'' (1951), ,,სახალხო დღესასწაული რუსთავში'' (1952), ,,მეხილეობა'' (1953), ,,ქართლის ბაღებში'' (1953), აგრეთვე კინოჟურნალები.

გუნია ვალერიან ლევანის ძე [9 (21). I. 1862, სოფ. ეკი, სენაკის მაზრა, – 31. VII. 1938, თბილისი], მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, კრიტიკოსი, თეატრ. მოღვაწე. საქართვ. სახ. არტისტი (1933). 1876 შევიდა თბილ. რეალურ სასწავლებელში. 1881 პოლიტ. გამოსვლებში მონაწილეობისათვის სასწავლებლიდან გარიცხეს. სწავლა განაგრძო მოსკოვში, პეტროვსკო-რაზუმოვსკოეს სას.-სამ. აკადემიაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აქტიურად ჩაება საზ. ცხოვრებაში. 1883-იდან მოღვაწეობდა ქართ. პროფ. თეატრში. როლები: მეფე ლირი, ოტელო (უ. შექსპირის ,,მეფე ლირი'', ,,ოტელო''), კაკო (,,კაკო ყაჩაღი'', ი. ჭავჭავაძის მიხედვით), ოიდიპოსი (სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე''), ოსიპი (ნ. გოგოლის ,,რევიზორი''), ოთარ ბეგი (ა. სუმბათაშვილ-იუჟინის ,,ღალატი''), ბერსენევი (ბ. ლავრენიოვის ,,რღვევა'') და სხვ. გ. გამოირჩეოდა სცენური მომხიბვლელობით, შთამბეჭდავი გარეგნობით, შესანიშნავი ხმით, ძლიერი ტემპერამენტით. მას მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართ. თეატრში რეალისტური მიმართულების დამკვიდრებასა და ქართვ. პროფესიონალ მსახიობთა აღზრდაში. წლების განმავლობაში სათავეში ედგა ქართ. დრამ. დასებს. გ-ს ეკუთვნის მრავალი ორიგინ. და გადმოკეთებული პიესა, რ-თაგანაც აღსანიშნავია ,,და-ძმა'', ,,აღლუმი'', ,,სიძე-სიმამრი'', ,,ნაოხარზე'', ,,რაც არ მერგება, არ შემერგება'', ,,ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე''. მანვე დაწერა ლიბრეტოები ოპერებისათვის: ზ. ფალიაშვილის ,,დაისი'', დ. არაყიშვილის ,,დინარა'' და სხვ. რედაქტორობდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებს (მაგ., ჟურნ. ,,თეატრს''), 1886 დააარსა გაზ. ,,ცნობის ფურცელი'', 1888 გამოსცა ,,საქართველოს კალენდარი'', 1907 – იუმორისტული ჟურნ. ,,ნიშადური''. გ. იყო თეატრის თვალსაჩინო ისტორიკოსი და თეორეტიკოსი. თეატრ. ხელოვნების შესახებ სისტემატურად აქვეყნებდა ლიტ. წერილებს, თეორ. ხასიათის სტატიებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ისტორიული ნარკვევი ,,ქართული თეატრი 1879–1889'', 1921-იდან ხელმძღვანელობდა ქართ. თეატრებს. იყო საქართველოს ხელოვნ. მუშაკთა კავშირის გამგეობის პირველი თავ-რე. 1913-იდან მოღვაწეობდა კინოში.

თხზ.: [სერიაში] ქართული თეატრის მოღვაწენი სასცენო ხელოვნების შესახებ, წგ. 2, დ. ჯანელიძის რედ., თბ., 1953.

ლიტ.: ბ უ რ თ ი კ ა შ ვ ი ლ ი ა., რაინდი უშიშარი და გულმართალი, თბ., 1965; მადლობის დღე. საიუბილეო დასურათებული ალმანახი ვალერიან გუნიას პატივსაცემად და 35 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად, [თბ.], 1917; უ რ უ შ ა ძ ე ნ., ვალერიან გუნია, თბ.,



ვ. გუნია.



ვ. გ უ ნ ი ა. სკალოზუბი, ა. გრიბოედოვის ,,ვაი ჭკუისაგან''.



ნ. გ უ ნ ი ა. ,,აღმოსავლური ცეკვა‘‘.

1987; ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ე., ვალერიან გუნია, თბ., 1968; ხ ე თ ე რ ე ლ ი ც., ვალერიან გუნიას ლიტერატურულ-საგამომცემლო მოღვაწეობა, თბ., 1989; ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე დ., ვალერიან გუნია, თბ., 1963. *ლ. ცაგარეიშვილი.*

გუნია ნონა ვალერიანის ასული (20. XII. 1919, თბილისი, – 18. VII. 1998, იქვე), მოცეკვავე. საქართვ. დამს. არტისტი (1956), ესტრადის მსახიობთა პირველი საკავშ. კონკურსის ლაურეატი (1939). ვ. *გუნიას* ქალიშვილი. 1941 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. 1940–59 (ხანგამოშვებით) მუშაობდა საქართვ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. აკად. ანსამბლში, საქართვ. ფილარმონიის ჯაზ-ორკესტრების კოლექტივებში სოლისტ მოცეკვავედ. თანაბარი ოსტატობით განასახიერებდა ნარნარსა და დინამ. ხასიათის ცეკვებს, რ-თაგან აღსანიშნავია ხალხ. ცეკვები: ,,ქართული‘‘, ,,განდაგანა‘‘, ,,ხევსურული‘‘, ,,ქისტური‘‘ და საესტრადო – ,,რუმბა‘‘, ,,ლირიკული ცეკვა‘‘, ,,აღმოსავლური ცეკვა‘‘ და სხვ. განსაკუთრებით პოპულარული იყო მის მიერ შესრულებული ცეკვა ,,ქართული‘‘ (გ. *დარახველიძესთან* ერთად). 1937 რესპ. ოლიმპიადაზე იგი აღიარებულ იქნა ამ ცეკვის საუკეთესო შემსრულებლად (I ადგილი და ოქროს მედალი). გ-მ თავისი წვლილი შეიტანა ქართ. ხალხ. ქორეოგრაფიასა და ეროვნ. საშემსრულებლო ტრადიციების დამკვიდრებაში. 1962–99 მუშაობდა საქართვ. თეატრ. საზ-ბის (1988-იდან – თეატრ. მოღვაწეთა კავშირი) მუს. თეატრებისა და ქორეოგრაფიის შემოქმედებითი კაბინეტის გამგედ. 1991–98 იყო ქართ. ენციკლოპედიის ხელოვნ. რედაქციის კონსულტანტი ბალეტის დარგში, ქორეოგრ. სექციის თავ-რე და არაერთი სტატიის ავტორი.

გუნია სერგო უშანგის ძე [13 (26). IV. 1907, სოფ. ზანათი, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 4. V. 1977, თბილისი], გეოფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1963), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1932 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი. 1932–62 მუშაობდა თბილ. გეოფიზ. ობსერვატორიაში, მისი რეორგანიზაციის შემდეგ კი – ამიერკავკ. ჰიდრომეტეოროლ. ინ-ტში. 1962–77 იყო საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ფიზიკის კათედრის გამგე. გ. იკვლევდა ატმ. ფიზიკის საკითხებს. დაამუშავა ელჭექის პროგნოზის მეთოდი, რ-საც იყენებენ სამხრ. კავკასიის სახელმწიფოების ჰიდრომეტეოროლ. სამსახურების ოპერატიულ ქსელში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ფიზიკის სალექციო კურსი, ნაწ. 3, თბ., 1972 (თანაავტ. ბ. გურგენიძე); Грозовые процессы в условиях Закавказья, Л., 1960; Учет гор и трения в двухуровенной модели для прогноза метеорологических элементов в условиях Кавказа, « Труды Закавказского н.-и. гидрометеорологического ин-та», 1965, в.19 (25) (თანაავტ. В.П. Садоков). *ზ. ცქვიტინიძე.*

გუნიაყალა, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ *სამების* სახელწოდება 2010-მდე.

გუნიაყალას წარწერა, ხელის გამოსახულებიანი სტელა – ,,ჯელი‘‘, სამეფო მიწათმფლობელობის დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტი. აღმოჩენილია თრიალეთში (ყოფ. სოფელი *გუნიაყალა*) 1936 წელს ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. – გ. ჩიტაია). იმავე წელს გადაიტანეს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში (№173).

მოვარდისფრო ქვის ოთხკუთხად გათლილი სტელა არის ზომით 133 *სმ* × 80 *სმ* × 20 *სმ*. სტელის ზედაპირზე, შუა ნაწილში, გამოსახულია დაბალი რელიეფით შესრულებული გაშლილი ხელი (მეფის ძალაუფლების მატერიალური ნიშანი) და სამეფო ნიშანი. ორივე გამოსახულება ჩასმულია თაღოვან ლილვისებურ ჩარჩოში. მის მარცხნივ და მარჯვნივ ამოკვეთილია 10-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: ,,სახელითა ღმრთისაჲთა, ბრძანებითა ღმრთის სწორთა თამარისა და გიორგისითა, ჭყონდიდელის, ზაქარია, შალვა, ოვსიყმა, ვაჩესითა, ჯალაბაჲს მოჭირვებითა, სანობაჲს ძისა ინაჲსა ჯელითა დაჲსუა ჯელი ესე ღმრთისა სწორთა მეფეთ მეფისა გიორგისი‘‘.

სტრიქონები გადადის ჩარჩოს ერთი გვერდიდან მეორეზე. წარწერას, ხელისა და სამეფო ნიშნის გამოსახულებას, თავის მხრივ, შემოუყვება შეწყვილებული ლილვის ჩარჩო. წარწერის ფართობი: მარცხენა მხარეზე – 43,5 *სმ* × 11,5 *სმ*; მარჯვენა მხარეზე – 40 *სმ* × 9,6 *სმ*; გრაფემების სიმაღლე – 2,5–3 *სმ*; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშნად ნახმარია კლაკნილი, კიდურწერტილოვანი განივი ხაზი. დამწერლობა კიდურწერტილოვანია, თარიღდება შინაარსისა და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით.

წარწერაში მოხსენიებული არიან თამარ მეფე და მისი ძე გიორგი IV (ლაშა-გიორგი). ეს უკანასკნელიც მეფედ იხსენიება, რაც მიუთითებს, რომ წარწერა შესრულებულია თამარისა და გიორგის თანამოსაყდრეობის პერიოდში.

თამარისა და გიორგის შემდეგ დასახელებული არიან ,,დარბაზის რიგის‘‘ უმაღლესი მოხელეები, უხუცესი-ვაზირები (იერარქიული თანმიმდევრობით), რებიც მონაწილეობას იღებდნენ სამეფო დომენის გამგებლობაში: 1. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი (სახელის გარეშე); 2. ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი; 3. მანდატურთუხუცესი შალვა თორელ-ახალციხელი; 4. მეჭურჭლეთუხუცესი ოვსიყმა; 5. მსახურთუხუცესი ვაჩე. ბოლოს, წარწერაში მოხსენიებული არიან ძეგლის დადგმის მოთავე ჯალაბა (,,ჯალაბაჲს მოჭირვებითა‘‘) და ოსტატი – ინა (,,ინაჲსა ჯელითა‘‘).

ლიტ.: ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ვ., ჩიტ ა ი ა გ., ქართული ხალხური ორნამენტი, I. ხევსურული, თბ., 1939; ბ ა ქ რ ა ძ ე ა., XIII საუკუნის წარწერა გუნია-ყალადან, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1953, ტ.17 B; მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ლ., თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XII საუკუნის წარწერებთან დაკავშირებით, იქვე, 1940, ტ. 10 B; ო თ ხ მ ე ზ უ რ ი გ., XII–XIII სს-ის მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, შედგ. ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ, თბ., 1953; ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი ვ., ჯავახეთის ეპიგრაფიკა, თბ., 1959; Меликсет-Бек Л., Рельефы руки на памятниках материальной культуры феодальной Грузии, «Мaсалები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», 1957, ტ. 9.

გ. ოთხმეზური.

გუნცაძე დავით კონსტანტინეს ძე (8. IX. 1861, სოფ. შუა კვალითი, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 1922, იუგოსლავია), რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1917). დაამთავრა ელიზავეტგრადის (უკრაინა) სამხ. პროგიმნაზია, კიევის ქვეით იუნკერთა სასწავლებელი (1880). მონაწილეობდა 1904–05 რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო (1914–18) ომებში. 1914 აგვ-ში მიენიჭა გენ.-მ. წოდება. მეთაურობდა ტამანის (1890-იდან), ლაპლანდიის 97-ე ქვეით პოლკს (1912-იდან), 53-ე ქვეით დივიზიას (1915-იდან).

1917 ნოემბერ-დეკემბერში იყო მე-12 არმიის სარდალი. 1920-იდან იყო ემიგრაციაში. დაჯილდოებულია წმ. გიორგის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებითა და მედლებით. *ლ. დოლიძე.*

გუნცაძე იოსებ ალექსანდრეს ძე (1863, სოფ. კვალითი, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 1934, იქვე), აგრონომი. 1887 დაამთავრა მონპელიეს (საფრანგეთი) აგრონ. ინ-ტი, დაბრუნდა სამშობლოში, სოფ. კვალითში, და შეუდგა სას.-სამ. საქმიანობას. აღმოაჩინა ვაზის დაავადება ჭრაქი, შეიმუშავა ბორდოს ხსნარის დასამზადებელი რეცეპტი და დაიწყო ვაზის შეწამვლა. ფილოქსერის წინააღმდეგ პირველმა დაამყნო ამერ. საძირეზე ვაზი, რაც ფართოდ დაინერგა მევენახეობაში. ამ წესს ვ. *სტაროსელსკი* პირველად გ-ის სანერგეში გაეცნო. გ-მ საზღვარგარეთიდან შემოიტანა ახ. გაუმჯობესებული სას.-სამ. მანქანა-იარაღები, ხელსაწყოები და აპარატები. სას.-სამ. ცოდნის პროპაგანდის მიზნით ატარებდა საცდელ-საჩვენებელ სამუშაოებს, ექსპერიმენტებს, აჩვენებდა ახ. აგროტექნიკურ წესებს. ევრ. მოწინავე მეღვინეთა გამოცდილების საფუძველზე ატარებდა სადემონსტრაციო ცდებს ღვინის ტექნოლოგიის საკითხებზე. შეიმუშავა ქართ. ვაზის ჯიშებისაგან ღვინის დაყენების რამდენიმე ხერხი. 1908 ზესტაფონში დააარსა სამომხმარებლო-საკრედიტო ამხანაგობა ,,იმერეთი'', რომელსაც ხელმძღვანელობდა 1923-მდე. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი, სისტემატურად თანამშრომლობდა ქართ. და რუს. პერიოდულ პრესასთან.

ლიტ.: ჩხეიძე თ., იოსებ გუნცაძე, თბ., 1985. *თ. ჩხეიძე.*

გურაბანიძე ნოდარ სარდიონის ძე (დ. 16. IX. 1930, თბილისი), თეატრმცოდნე, თეატრ. კრიტიკოსი. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1997), პროფესორი (1994). საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1978), კ. მარჯანიშვილის სახ. პრემიის (1987), საქართვ. სახელმწიფო პრემიის (1998), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემიის (2011) ლაურეატი. დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის თეატრმცოდნეობის ფაკტი (1954). 1969–72 იყო გამომც. ,,ხელოვნების'' დირექტორი, 1973–81 – საქართვ. კულტ. მინისტრის პირველი მოადგილე. 1981-იდან ჟურნ. ,,საბჭოთა ხელოვნების'' (1990 წ. №4-იდან ,,ხელოვნება'') მთ. რედაქტორია. 1954-იდან გ. რეგულარულად აქვეყნებს პერიოდულ პრესაში კრიტიკულ წერილებს, რეცენზიებს, ნარკვევებს. ავტორია წიგნებისა: ,,ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი'' (შემდგენელი, შესავალი წერილი, 1955), ,,სტანისლავსკი'' (1963), ,,გიორგი შავგულიძე'' (1963, 1968), ,,სცენა, რეჟისორი, მსახიობი'' (1966), ,,აკაკი ხორავა'' (1971), ,,დიდ გზებზე'' (1971), ,,მრავალსახეობა თეატრისა'' (1972), ,,კოტე მარჯანიშვილი'' (1972), ,,გიგა ლორთქიფანიძე'' (1972), ,,გამარჯვების გზით'' (1984), ,,რევოლუციური თანამედროვეობა და თეატრი'' (1981), ,,სამყარო თეატრალის თვალით'' (1998), ,,ავსტრალიიდან – ამერიკამდე'' (1998), ,,კოტე მახარაძე'' (2001), ,,ჩემი ცხოვრების თეატრი'' (2006). 1969-იდან პედ. მოღვაწეობას ეწევა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრისა და კინოს უნ-ტში, ხოლო 1996-იდან 2004-მდე – ამავე უნ-ტის პრორექტორი სამეცნ. დარგში. 2006-იდან ამავე უნ-ტის სრული პროფესორი.

თხზ.: რეჟისორი რობერტ სტურუა, თბ., 1997; ფანტასტიკური რამაზ ჩხიკვაძე, თბ., 2004; მიხეილ თუმანიშვილის თეატრი, თბ., 2010.

შ. ცუცქირიძე.


გურამიშვილები, კახეთის თავადები. დოკუმენტური ცნობები მათ შესახებ შემონახულია XVI ს-იდან. იოანე ბაგრატიონის ცნობით, გ-ის წინაპარნი *ზედგენიძეთა* საგვარეულოს გამოეყვნენ და ცალკე სათავადო სახლი შექმნეს. XVIII ს. დასასრულისათვის გ-ის გვარი რამდენიმე განაყოფისაგან შედგებოდა. მათი მამულები უმთავრესად *ავჭალის, საგურამოსა* და *წიწამურის* მიდამოებში იყო. გ-ის საგვარეულოდან ქართ. კულტ. არაერთი მოღვაწე გამოვიდა, მ. შ. პოეტები დ. *გურამიშვილი* და მ. *გურამიშვილი,* საეკლ. მოღვაწე ქ. *გურამიშვილი. გ. აკოფაშვილი.*

გურამიშვილი გიორგი (გ. 1795), კრწანისის ბრძოლის გმირი, მეფე ერეკლეს ნათლული. ჰქონდა მაიორის ჩინი. მეთაურობდა ქართველთა არტილერიას, იდგა მახათას მთაზე. როცა ირანელებმა მის პოზიციებს შეუტიეს, გ-მა 4 მომხდური ხმლით განგმირა და ზარბაზანზე გადამხობილი დაიღუპა.

ლიტ.: თბილისის ისტორია, ტ. 1, თბ., 1990.

გურამიშვილი დავით ალექსანდრეს ძე (25. II. 1857, ქვემო ავჭალა, გურამიანთკარი, – 9. VIII. 1926, თბილისი), ფერმწერი, გრაფიკოსი, ფოტოგრაფი, კოლექციონერი, საზ. მოღვაწე. ახ. ქართული ფერწერის უფროსი თაობის წარმომადგენელი. თბილ. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1873 დასთან – ოლღასთან ერთად იმოგზაურა ციურიხსა და პარიზში. 1881–86 ცხოვრობდა პეტერბურგში. 1886–88 სწავლობდა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში. სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან (,,ფალანგა'', ,,ობზორი''). სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ეწეოდა აქტ. შემოქმედებით მოღვაწეობას, იყო ი. ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის ახლო ნათესავი და ყოველგვარ საზ. საქმიანობაში მათ გვერდით იდგა. 1912 მოეწყო გ-ის ნახატების გამოფენა თბილისში. მისი ნამუშევრები გამოირჩევა მკვეთრი კოლორიტულობით; მხატვრისთვის დამახასიათებელია მახვილი თვალი, იუმორის გრძნობა და შესრულების მაღალი ოსტატობა. ნამუშევრების [,,მოგზაურობა უდაბნოში'', 1886; ,,მოხუცის პორტრეტი'', ,,ქალიშვილის პორტრეტი'', ,,ავტოპორტრეტი'' (1924, ყველა საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი), ნ. ნიკოლაძის პორტრეტი (XIX–XX სს. მიჯნა), ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, საგურამო] ნათელი, თბილი, ფერადოვანი გამა, მზის სხივებით განათებული პეიზაჟები გ. *გაბაშვილის* შემოქმედებასთან სიახლოვეზე მიუთითებს.

ვ. ბერიძე.



ნ. გურაბანიძე.



დ. ა. გურამიშვილი. ,,ავტოპორტრეტი''. 1924.



დ. გურამიშვილი.

გურამიშვილი დავით გიორგის ძე [1705, სოფ. გორისუბანი, საგურამოს თემი, – 21. VII (1.VIII). 1792, მირგოროდი, უკრაინა], პოეტი. სიჭაბუკე თავის მამულში, საგურამოში, გაატარა. შემდეგ მისი ცხოვრება ტრაგიკულად წარიმართა. ფეოდ. შინააშლილობით დაუძლურებული საქართველო ირანისა და ოსმალეთის გამუდმებული ცილობის საგანი იყო. ლეკთა თარეშს ბოლო არ უჩანდა. გ-ის ოჯახი ქსნის ხეობაში, სოფ. ლამისყანაში, გაიხიზნა. დაახლ. 1727–28 გ. ლეკებმა შეიპყრეს და დაღესტანში, სოფ. ოსოქოლოში, ჩაიყვანეს. იგი ტყვეობიდან გაიპარა და თავი შეაფარა თერგის პირას მცხოვრებ რუს ახალმოსახლეებს. 1729 სოლაღ-ასტრახანის გზით ჩავიდა მოსკოვში, სადაც ამ დროს ვახტანგ VI თავისი მრავალრიცხოვანი ამალით იმყოფებოდა. ვახტანგმა მას ჯაბადარბაშის თანამდებობა უბოძა და იარაღის საწყობი ჩააბარა. მეფის გარშემო შემოკრებილ ქართველობასთან ერთად გ. ინტენს. კულტ. საქმიანობას ეწეოდა. ეს წლები მისთვის ნაყოფიერი გამოდგა. ფაქტობრივად აქედან იწყება გ-ის პოეტური ბიოგრაფია.

ვახტანგ VI-ის გარდაცვალების (1737) შემდეგ ქართვ. ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნების იმედი დაეკარგათ და რუს. ქვეშევრდომობა მიიღეს. 1738 მათ შექმნეს ქართვ. ჰუსართა ასეული, რ-იც შემდეგ პოლკად გადაკეთდა. ჰუსარებს დაურიგეს მამულები რუს. სხვადასხვა პროვინციაში, მეტწილად უკრაინაში. გ-ის ბედი მჭიდროდ დაუკავშირდა უკრაინასა და ქართვ. ჰუსართა პოლკს. პოეტმა ადგილ-მამული მიიღო სამხრ. უკრაინაში – მირგოროდსა და ზუბოვკაში. 1738–60 მონაწილეობდა რუს. ლაშქრობებში ოსმ., შვეციისა და პრუსიის წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში თავი ისახელა ერთგულებითა და სიმამაცით. პრუსიასთან შვიდწლიან ომში (1756–63) გ. ტყვედ ჩავარდა და 1759 დეკემბრამდე მაგდებურგის ციხეში იჯდა. 1760 მრავალჭირნახულმა და სენთაგან დაუძლურებულმა პოეტმა პორუჩიკის ჩინით თავი დაანება სამხ. სამსახურს, თავის ახალგაზრდა მეუღლესთან, ტატიანა ავალიშვილთან, ერთად საბოლოოდ დამკვიდრდა უკრაინაში და შეუდგა სახლ-კარისა და მეურნეობის აღდგენას. როგორც ჩანს, მძიმე პოლიტ. სიტუაციის გამო სამშობლოში დაბრუნება ვეღარ მოახერხა. აქტიურად მონაწილეობდა უკრაინის ქართ. ახალშენის ცხოვრებაში. სიცოცხლის დარჩენილი წლები უკრაინაში გაატარა. დაკრძალულია მირგოროდში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ეზოში.

გ-მა თავის ლიტ. მემკვიდრეობას თავი მოუყარა ერთ კრებულში და 1787 საკუთარი ხელით გადაწერილი ,,დავითიანი'' პოტიომკინის კარზე მყოფ მირიან ბატონიშვილს (ერეკლეს ძე) გამოატანა საქართველოში, რითაც ზნეობრივი ვალი მოიხადა მშობლიური ქვეყნისა და ხალხის წინაშე. მისმა პოეტურმა მემკვიდრეობამ სწორედ ამ ერთადერთი ავტოგრაფული კრებულის (ინახება ხელნაწ. ეროვნ. ცენტრში, S–1598) სახით მოაღწია ჩვენამდე.

,,დავითიანში'' ლირ. ლექსებთან ერთად ორი პოემაა: პირველი ისტ. ხასიათისაა და პირობითად ,,ქართლის ჭირი'' ეწოდება, მეორე – ,,ქაცვია მწყემსი'' ან, როგორც თვით ავტორი უწოდებს, ,,მხიარული ზაფხული'', საყოფაცხოვრებო ხასიათისაა.

,,ქართლის ჭირში'' იშვიათი პოეტური ოსტატობით არის გადმოცემული იმდროინდელი საქართვ. მდგომარეობა. ,,მართლის თქმა'' გ-ის შემოქმედებითი მეთოდია, რადგან ,,ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების''. გ. ღრმად ჩასწვდა იმ მიზეზებს, რამაც ქვეყანა უფსკრულის პირას მიიყვანა. მისი აზრით, გარეშე მტრების გარდა, ამაში ბრალი მიუძღვის ფეოდ. შინააშლილობასა და ძმათა სისხლისმღვრელ ომებს. პოეტი გვიხატავს საქართვ. ძნელბედობის შემზარავ სურათებს. საყურადღებოა, რომ პოემაში გზადაგზა ჩართულია მისი ტრაგიკული ბიოგრაფია. ,,ქართლის ჭირში'' გადმოცემულ ყოველ ცალკეულ ფაქტს, კონკრეტულობასთან ერთად, დიდი განმაზოგადებელი ძალაც გააჩნია – პირადული და საზოგადოებრივი აქ ერთ მთლიან, მხატვრულად დამაჯერებელ სურათს ქმნის. პოემის შესავალ თავებში გადმოცემულია პოეტის დიდაქტ.-განმანათლებლური იდეები. დღესაც აქტუალურია აღზრდის გურამიშვილისეული პრინციპები. ჭეშმარიტებად რჩება ,,დავითიანის'' ბრძნული შეგონება: ,,ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო: ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო''. გ-ს სწამს, რომ ქვეყნის ხსნის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება სწავლა-განათლების აღორძინებაა (,,სწავლა მოსწავლეთა'').



დ. გურამიშვილი. მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი. არქიტექტორი ვ. ალექსი-მესხიშვილი. თუჯი. 1965. თბილისი.

გ-ის ლირ. ლექსებში წამოჭრილია ღრმა ფილოს. და ზოგადსაკაცობრიო პრობლემები. ადამიანი, მისი ამქვეყნიური ხვედრი, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული მონაცვლეობა გ-ის პოეტური შედევრების უმთავრესი თემაა. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ლირ. ლექსები: ,,გოდება დავითისა, საწუთროს სოფლის გამო ტირილი'', ,,სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა'', ,,კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და პჭობა, ერთმანეთის ძვირის ხსენება'' და სხვ. გ-ის პოეზიაში დიდი ადგილი ეთმობა რელიგ. თემას. პოეტი ეხება შუა საუკ. მწერლობისათვის, კერძოდ, ჰიმნოგრაფიისათვის, დამახასიათებელ სას. მოტივებს (,,ღვთისმშობლის მიცვალების დღის შესხმა'', ,,ჯვარცმის ამბავი'', ,,სიტყვა ესე ღვთისა'' და სხვ.) და ღვთაებისა და ადამიანის მიმართების საკითხებს ქრისტ. რელიგ. პოზიციებიდან აშუქებს.

მისტიკური განწყობილებითაა გამსჭვალული სას. თუ სატრფიალო თემატიკაზე დაწერილი ლექსები. მაგრამ გ-ის პოეზიაში ქრისტ. მისტიკა თავისებურადაა წარმოჩენილი და არ არის თვითმიზნური ხა-



დ. გურამიშვილის სახლ-მუზეუმი. მირგოროდი. უკრაინა.

სიათისა. პოეტის ლექსები სავსეა ცხოვრებისეული ფაქტებით. რეალური და მისტიკური პლასტების შერწყმა გ-ის პოეზიის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა.

პოემა ,,ქაცვია მწყემსი'' პირველი საყოფაცხოვრებო ხასიათის თხზულებაა ქართ. მწერლობაში. ქრისტ. მორალზე დაფუძნებულ ამ პოემაში პერსონაჟები უბრალო, დაბალი წრის ადამიანები, ბუნების ლაღი შვილები არიან. მიმზიდველადაა დახატული მათი უშუალობა, წრფელი განცდები და ზნეობრივი სისპეტაკე. ბუნება და ადამიანი აქ წარმოსახულია მთლიანობაში, რაც მოქმედი გმირების ბედნიერების წყაროდაა მიჩნეული. პოემას უწყვეტ ნაკადად გასდევს ჭეშმარიტი ჰუმანიზმი. ,,ქაცვია მწყემსს'' თავისებურ კოლორიტს სძენს ისიც, რომ ზოგიერთი პასაჟისა თუ ბუნების სურათის აღწერისას აშკარად იგრძნობა უკრ. ყოფისა და ლანდშაფტის წარმოჩენის მცდელობა.

გ. ქართ. პოეზიის მამამთავრად რუსთაველს აღიარებდა. ე. წ. ,,აღორძინების ხანის'' სხვა მწერალთაგან განსხვავებით, მან შემოქმედებითად აითვისა რუსთაველის მემკვიდრეობა, შექმნა სრულიად ორიგინ. პოეტური სამყარო. ძვ. ქართ. პოეზიაში ქართვ. ხალხის ეროვნ. ბედ-იღბალი ისე არავის აუსახავს, როგორც გ-ს. ქართლის ჭირი რომ ასეთი სიძლიერით გამოეხატა, მან მიაგნო შესაფერ პოეტურ კილოს. მთელი ,,დავითიანი'' ამ თემის დრამ. განცდის შედეგია. გ-მა ერთ-ერთმა პირველმა უკუაგდო ,,აღორძინების ხანაში'' უკვე გაცვეთილი ,,ყვავილოვანი'' პოეტური სტილი და სადა, ბუნებრივი მეტყველება შემოიტანა, რითაც პრინციპულად დაუპირისპირდა აღმოსავლური პოეზიის ზეგავლენას. საგულისხმოა, რომ სას. ჰიმნების დამუშავებისას მან მარტივი, სასაუბრო ენა გამოიყენა და ამით ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადა ისინი. გ-მა თავის ბევრ ლექსს ხალხური (როგორც ქართ., ისე უკრაინული და რუს.) სიმღერებისა და პოეზიის კილო დაუდო საფუძვლად და ამით ხელი შეუწყო ქართ. ლექსთწყობის გამდიდრებას. შინაარსისა და ფორმის პრინციპული სიახლის მხრივ ,,დავითიანი'' ქართ. პოეზიაში ე. წ. ,,ევროპეიზმის'' დამკვიდრების სათავეებთან დგას. ამ თვალსაზრისით გ. XIX ს. ახ. ქართ. პოეზიის ერთ-ერთ წინამორბედად გვევლინება.

გ-ის პოეტური კრებული მრავალჯერაა გამოცემული. პირველად 1870 დაიბეჭდა, ხოლო შემდეგ – 1955 და 1980. ,,დავითიანი'' მთლიანადაა თარგმნილი რუს. და უკრაინულ ენებზე, ცალკეული თხზულებები კი სხვა უცხ. ენებზეც.

თხზ.: მრუდის საწუთროს ტრიალი, კიევი, თბ., 1980 (ქართ. და რუს. ენებზე).

ლიტ.: ბარამიძე ა., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 2, თბ., 1940; კეკელიძე გ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958; კეკელიძე კ., ბარამიძე ა., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V–XVIII სს.), თბ., 1969; კუსრაშვილი რ., დავით გურამიშვილის ენა და დიალექტიკა, თბ., 2000; მაღრაძე ე., დავით გურამიშვილი, თბ., 1980; მოსია ტ., დავით გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა, თბ., 1986; მისივე, ,,დავითიანის'' სახისმეტყველება, თბ., 2005; მურღულია გ., ალიბეგაშვილი გ., მაღლაფერიძე ვ., საუბრები ქართულ ლიტერატურაზე, თბ., 1992; ნატროშვილი გ., დავით გურამიშვილი, თბ., 1955; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966; ყუბანეიშვილი ს., დ. გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში, თბ., 1955; ჩოხარიძე მ., დავით გურამიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, ბათ., 2007; ცაიშვილი ს., დავით გურამიშვილი, თბ., 1985.

ს. ცაიშვილი.

გურამიშვილი ვახტანგ გურამის ძე (1821 – გ. წ. უცნობია), რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე. ვახტანგ VI-თან ერთად რუსეთს გადასახლებული გურამიშვილების შთამომავალი. 1872 მიენიჭა ნამდვილი სახელმწ. მრჩევლის წოდება, იყო ელიზავეტპოლის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორი და მრავალი საიმპერიო ჯილდოს კავალერი.

გურამიშვილი კლარა დავითის ასული (25. VIII. 1866 – 21. IX. 1956), მომღერალი (კოლორატურული სოპრანო). პირველდაწყებითი მუს. განათლება მიიღო თბილისში მოღვაწე ჩეხ მუსიკოსთან – ი. *რატილთან*, შემდეგ ერთხანს სწავლობდა პეტერბურგში. დაამთავრა ვენის კონსერვატორია (პედაგოგი პროფ. ი. ფუქსი). 1897–98 უმაღლეს სამსახიობო ხელოვნებას ეუფლებოდა პარიზში სახელმოხვეჭილ მომღერლებთან – მარკეზსა და დ. არტოსთან. პარიზის მუს. სალონებში ბრწყინვალე გამოსვლებისა და აღიარების შემდეგ, 1899 მაისში, გ. სამშობლოში დაბრუნდა და არანაკლები წარმატებით გამოდიოდა საქველმოქმედო საღამოებსა და კონცერტებზე; ჰქონდა დიდი დიაპაზონის, ლამაზი ტემბრის მოქნილი და თბილი ხმა. ასრულებდა ა. ალიაბიევის რომანსს ,,ბულბული'', არიებს ოპერებიდან: ვ. ა. მოცარტის ,,ჯადოსნური ფლეიტა'', ჯ. ვერდის ,,ტრავიატა'', ლ. დელიბის ,,ლაკმე'', ჟ. მეიერბერის ,,ჰუგენოტები'' და სხვ. საგასტროლო კონცერტებს მართავდა ბაქოში, ქუთაისში, ბათუმში.

გურამიშვილი მამუკა, XVIII ს. II ნახ. პოეტი. ცხოვრობდა მოსკოვსა და პეტერბურგში. გარდაიცვალა მოსკოვში (პრესნიაზე). დაახლოებული იყო მეფე ვახტანგ VI-ის წრესა და ემიგრანტ მწერლებთან – დიმიტრი სააკაძესა და დიმიტრი ბაგრატიონთან. დ. გურამიშვილის მიბაძვით გ-მა შეთხზა ვრცელი ლექსი ,,მზეთა-მზე''. მასვე ეკუთვნის მირიან ბატონიშვილისა და დიმიტრი ბატონიშვილისადმი მიძღვნილი ლექსები.

თხზ.: [წიგნში] ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია, ტ. 2, ტფ., 1928.


ო. გურამიშვილი-ჭავჭავაძე.


გურანდუხტი. X ს. II ნახევრის მოლვაწე. კუმურდოს ტაძრის ბარელიეფი.

ლიტ.: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966. *გ. მიქაძე.*

გურამიშვილი ქრისტეფორე (ქაიხოსრო) ნაუმის ძე (დაახლ. 1697 – 4. III. 1750), მოსკოვის ქართული ახალშენის თვალსაჩინო მოღვაწე, ქართ. შრიფტისა და რუსეთში პირველი ქართ. სტამბის პრაქტ. ორგანიზატორი, მმართველი და რედაქტორ-გამომცემელი, მისიონერი. XVIII ს. 30-იან წლებში იგი რუსეთში, *იოსებ სამებელის* (ქობულაშვილი) ამალაში იმყოფებოდა. მიიღო ნოვგოროდის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის იღუმენობა. მოსკ. ქართ. ახალშენის მოღვაწეთა დავალებით გ-მა პეტერბ. მეცნ. აკადემიაში მოამზადებინა ქართ. შრიფტისა და სტამბის მოწყობილობა. მანვე წარადგინა კალიგრაფიული ქართ. ანბანი და ასოთა რიცხვითი მნიშვნელობანი. რუსი, ქართვ. და გერმ. სპეციალისტების ერთობლივი შრომით აქვე დაიბეჭდა ,,ანბანი'' (ქართ., რუს., გერმ.) საკითხავი მასალითურთ (ტირაჟი 500 ც.). გ. იყო ამ გამოცემის ქართ. ნაწილის რედაქტორი. პირველი ქართ. სტამბა მოსკოვში მოეწყო 1737 შემოდგომაზე. გ. იყო საგამომცემლო გეგმის ერთ-ერთი თანაავტორი და შემდეგ ამ გეგმის განმახორციელებელი. *ანტონ I-თან* ერთად გ-ის ხელმძღვანელობით გამოსული წიგნები ხელს უწყობდა ქართ. კულტურის აღმავლობას. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართ. სტამბის აღდგენაში. გ-მა შემდგომში მისიონერული მოღვაწეობა გაშალა ჩრდ. კავკასიაში. იყო ,,ოსეთის სასულიერო კომისიის'' აქტ. წევრი, დიდი ენერგია შეალია ოსი და ამიერკავკასიაში მოსახლე სხვა ხალხების კულტ. აღორძინებას, მეზობელ ხალხთა დაახლოებას.

ლიტ.: კასრაძე ო., ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, თბ., 1973; სიხარულიძე ფ., რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, კრ.: მეგობრობა, თბ., 1979; შარაშიძე ქ., ქართული ანბანი XIX საუკუნემდე, წგ.: ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოგრაფია (1629–1955), თბ., 1957; Абрамишвили А. З., Из истории грузинского книгопечатания за пределами Грузии, კრ.: Книга. Исследования и материалы, сб. 3, М., 1960.

ფ. სიხარულიძე.

გურამიშვილი-ჭავჭავაძე ოღღა თადეოზის ასული [12 (24). III. 1842, ქვემო ავჭალა, – 27. IV. 1927, თბილისი], საზოგადო მოღვაწე, *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* აქტიური წევრი, ი. ჭავჭავაძის მეუღლე. 1894 იყო ამიერკავკ. ქალთა ინ-ტის მზრუნველთა საბჭოს წევრი, 1895–1906 – ქართვ. ქალთა საქველმოქმედო საზ-ბის თავ-რე. 1895 ხელმძღვანელობდა ქალთა ჭრა-კერვის სკოლას. 1907, ილიას მკვლელობის დროს ეტლში მის გვერდით იჯდა და ისიც მძიმედ დაშავდა. ილიას სიკვდილის შემდეგ გ.-ჭ-მ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ-ბას გადასცა თბილ. ილიასეული სახლი და საგურამოს მამული. 1908 მისი აქტ. მონაწილეობით გაიხსნა სკოლა საგურამოს ილიასეულ სახლში. დასაფლავებულია მთაწმინდაზე, ილიას გვერდით. ი. ჭავჭავაძემ მას მიუძღვნა პოემა ,,განდეგილი'' (1883).

გურანდუხტი, X ს. II ნახ. პოლიტიკური მოღვაწე, აფხაზთა მეფის *გიორგი II-ის* (922–957) ასული, *გურგენ* მეფეთ მეფის (994–1008) მეუღლე, *ბაგრატ III-ის* (975–1014) დედა. 975, ქართლის განმგებლად ბაგრატის დადგენის შემდეგ, საქართველოს გაერთიანების მოწინააღმდეგე ქართლის დიდებული აზნაურები დაუკავშირდნენ კახეთის დიდებულებს, რ-თაც უფლისციხეში მყოფი გ. ქმარშვილიანად შეიპყრეს და კახეთში წაიყვანეს. ამის საპასუხოდ *დავით III* დიდი კურაპალატი თრიალეთში წავიდა ლაშქრით, რათა შეჭრილიყო კახეთში, მაგრამ კახელებმა დავითს მოციქული მიუგზავნეს და ტყვეები გაათავისუფლეს. 70-იანი წწ. ბოლოსა და 80-იანი წწ. დასაწყისში, ბაგრატ III-ის დას. საქართველოში ყოფნის დროს, გ. განაგებდა ქართლს, რ-ის პოლიტ. ცენტრი უფლისციხე იყო. *ვ. გუჩუა.*

გურანდუხტი, საქართველოს მეფის *გიორგი I-ის* ასული, *ბაგრატ IV-ის* და. მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტ. ცხოვრებაში. იყო *გიორგი II-ის* აღმზრდელი.

გურანდუხტი, *დავით IV* აღმაშენებლის მეუღლე, ყივჩაყთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასული. დავით აღმაშენებლის დამოყვრებამ ათრაქა შარაღანისძესთან ხელი შეუწყო ყივჩაყებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას და გარკვეული როლი ითამაშა საქართველოში მათი ჩამოსახლების საქმეში.

ლიტ.: მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002. *რ. მეტრეველი.*

გურასპაშვილი გურამ ნიკოლოზის ძე (დ. 8. II. 1933, თბილისი), მოქანდაკე, გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1976). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1960). მისი პედაგოგები იყვნენ ნ. კანდელაკი, შ. მიქატაძე, ვ. თოფურიძე. იქვე ეწევა პედ. მოღვაწეობას (1963-იდან; 1994-იდან – პროფესორი). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა


გ. გურასპაშვილი. ,,ბრიგადირი''. თაბაშირი. 1970.

1961-იდან. შექმნილი აქვს პორტრეტები და ჟანრული ხასიათის კომპოზიციები: ,,მოკრივე'' (1961), ,,ჩემპიონი'' (1962), ,,წყაროსთან'' (1962), ,,ქალიშვილის პორტრეტი'' (1965), ,,მწველავი'' (1967), ,,მოჭიდავე'' (1970), გრაფიკული სერიები: ,,ძველი ქართული ხუროთმოძღვრება'' (1973–74), ,,შორეული აღმოსავლეთი'' (1975), ,,ბალტიისპირეთი'' (1978) და სხვ.

გურგენ I ბაგრატიონი (გ. 891), ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენელი, *ადარნასე I-ის* ძე, კურაპალატი 881–891. ფლობდა ტაოს ნაწილს და *კალმახს*. დაახლ. 881-მდე გ. I თავის ბიძაშვილთან – *ნასრა* გვარამის ძესთან ერთად აფხაზთა მეფეებს ეხმარებოდა შიდა ქართლისათვის ბრძოლაში და უპირისპირდებოდა *დავით I* კურაპალატსა და *ლიპარიტ I* კლდეკარის ერისთავს, რ-ებიც სომხებს ემხრობოდნენ. ნასრას მიერ დავით I კურაპალატის მოკვლის (881) შემდეგ გ. I-მა ისარგებლა მისი მემკვიდრის ადარნასეს მცირეწლოვნებით და კურაპალატის პატივს დაეუფლა, რაც ბაგრატიონთა სახლში უფროსობას ნიშნავდა. 888 გ. I კურა-

პალატი და მისი შვილები ადარნასე დავითის ძესთან ერთად (იხ. *ადარნასე II*) ებრძოდა მესხთა და აფხაზთა მეფის დამხმარე ჯარით მოსულ ნასრა გვარამის ძეს. ნასრას დამარცხებისა და მოკვლის (888) შემდეგ მისი სამფლობელოები გაინაწილეს **ბ.** I-მა, მისმა ძმამ სუმბატ არტანუჯელმა და ადარნასე დავითის ძემ. **ბ.** I-მა მიიღო მიწები შავშეთსა და არტაანის თემში და იქ გადაიტანა თავისი რეზიდენცია, შემდეგ საადგილმამულო საკითხზე და კურაპალატის ხელისუფლების გამო მტრობა ჩამოვარდა **ბ.** I-სა და ადარნასე დავითის ძეს შორის, რ-საც ბაგრატ სუმბატის ძე არტანუჯელი უჭერდა მხარს. სოფ. მგლინავთან (არტაანის ხევი) ზემოხსენებულ მთავრებთან ბრძოლაში **ბ.** I დაიჭრა, ტყვედ ჩავარდა და მიღებული ჭრილობებისაგან გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად, დაკრძალეს ხანძთის მონასტერში, მისი ნათლიის გრიგოლ ხანძთელის საფლავის მახლობლად.

წყარო: თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, თბ., 1949 («მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», ნაკვ. 27).

ლიტ.: ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე ა., ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლში ბრძოლის ისტორიიდან IX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, «მაცნე», 1987, № 2; ჯ ა ნ ა შ ი ა ს., კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, შრომები, ტ. 5, თბ., 1987. *ა. ბოგვერაძე.*

ბაგრატ IV (გ. 14. II. 941), ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენელი, ადარნასე II-ის ძე, *გურგენ I* კურაპალატის შვილიშვილი, ერისთავთერისთავი 918–941. ერისთავთერისთავობა მიიღო თავისი ბიძის *ამოტ კუხის* გარდაცვალების შემდეგ. ისტორიკოსი *სუმბატ დავითის ძე* **ბ.** IV-ს უწოდებს ,,დიდ ერისთავთერისთავს'' და ,,დიდ გურგენს'', რ-მაც სიმხნევითა და გადახდილი ბრძოლებით გადაამეტა თავის წინაპრებს და ,,დაიმორჩილა ყოველნი გარემოსნი''. გიორგი მერჩულის (X ს.) სიტყვით, **ბ.** IV იყო ,,დიდი ხელმწიფე ფრიადთა ნათესავთაჲ'', ხოლო სომეხი ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტცი მას უწოდებდა ,,ქართველთა დიდ მთავარს'', რ-იც ებრძოდა სომეხ ბაგრატუნებს სამშვილდის ციხისათვის. **ბ.** IV ებრძოდა სამფლობელოებისათვის საკუთარ ბიძაშვილებსაც, ცდილობდა კეისრისაგან კურაპალატობის პატივის მიღებას, მაგრამ უშედეგოდ. **ბ.** IV აქტიურად იყო ჩარეული აფხაზთა სამეფოს ტახტისათვის ბრძოლაში, რ-იც კონსტანტინე III აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ მის შვილებს – გიორგისა და ბაგრატს შორის მიმდინარეობდა (ეს უკანასკნელი **ბ.** IV-ის სიძე იყო). **ბ.** IV-მ დაასრულა ხანძთის ახ. ეკლესიის მშენებლობა.

ლიტ.: მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. 2, თბ., 1980; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2). *ა. ბოგვერაძე.*

ბაგრატიონი, ქართლის მეფე VI ს. 20-იან წლებში. მოიხსენიებს VI ს. ბიზანტ. ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი. ქართ. ისტ. წყაროებში არ იხსენიება. 523 **ბ.** მეთაურობდა ქართლის აჯანყებას ირანის წინააღმდეგ *(იხ. გურგენის აჯანყება 523).* აჯანყების დამარცხების შემდეგ მან თავისი ოჯახითა და მომხრე აზნაურებით ბიზანტიას შეაფარა თავი. პროკოპი კესარიელის ცნობით, იმავე 523 ირანელებმა ქართლში მეფობა გააუქმეს, მაგრამ სხვა ბიზანტ. წყაროებით ირკვევა, რომ **ბ.** არ ყოფილა ქართლის უკანასკნელი მეფე და ერთხანს მის შემდეგაც გრძელდებოდა მეფობა.

წყარო: პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, წგ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1979 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 1).

ა. ბოგვერაძე.

ბაგრატი (გ. 1008), ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი, მეფეთ მეფე 994–1008; ქართველთა მეფის *ბაგრატ II-ის* ძე და გაერთ. საქართვ. პირველი მეფის *ბაგრატ III-ის* მამა. ცოლად ჰყავდა აფხაზთა მეფის გიორგი II-ის ასული *გურანდუხტი*. **ბ.**-მა აქტ. მონაწილეობა მიიღო საქართვ. პოლიტ. გაერთიანებაში. 975 ქართლში მეურვედ გადმოჰყვა ბაგრატ III-ს. ქართლის აზნაურების ერთი ნაწილის ღალატის შედეგად **ბ.** შეიპყრეს კახეთის სამეფოს აზნაურებმა, რ-ებიც ქართლისათვის იბრძოდნენ. *დავით III* კურაპალატის ენერგიული ჩარევის შედეგად **ბ.** გაათავისუფლეს. 988 **ბ.** მონაწილეობდა ბაგრატ III-ის მიერ კლდეკარის ერისთავის რატის დასამორჩილებლად მოწყობილ ლაშქრობაში. მამის გარდაცვალების შემდეგ, 994, **ბ.**-მა მისი ადგილი დაიკავა, მას მეფეთ მეფე უწოდეს, რადგან ბაგრატ III უკვე მეფე იყო. **ბ.** ბაგრატ III-თან ერთად ცდილობდა მიეღო *დავით III კურაპალატის მემკვიდრეობა* – ტერიტორიები, რ-ებიც ამ დროს ბიზანტიას ჰქონდა დასაკუთრებული. იმპ. ბასილი II-მ მამა-შვილს შორის უთანხმოების ჩამოსაგდებად ბაგრატს კურაპალატობა უბოძა, **ბ.**-ს კი – მაგისტროსობა (კურაპალატობა მეტი პატივი იყო), მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. სომეხი ისტორიკოსის ასოღიკის ცნობით, იმპერატორის ამ ,,წყალობით'' შეურაცხყოფილი **ბ.** ტაოს დასაპყრობად გაეშურა. ბიზანტიელებმა **ბ.**-ის წინააღმდეგ ლაშქარი გამოგზავნეს, მაგრამ საქმე ბრძოლამდე არ მისულა და კონფლიქტი ურთიერთდათმობით მოგვარდა.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2).

ა. ბოგვერაძე.


ბაგრატიანი, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ნინიგორის თემში (კახეთის მხარე), ალაზნის ვაკეზე, მდ. ნინოსხევის (შრომისხევის მარჯვ. შენაკადი; ალაზნის აუზი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 450 *მ*, ლაგოდეხიდან 8 *კმ*. 1,1 ათ. მცხ. (2002).

ბაგრატიონთა აჯანყება 523, ქართლის აჯანყება ირანის წინააღმდეგ. მის შესახებ ცნობები დაცული აქვს VI ს. ბიზანტ. ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს. აჯანყების მიზეზი გახდა შაჰის გადაწყვეტილება – საქართველოში ძალით გაევრცელებინა მაზდეანობა. ქართლის მეფემ *გურგენმა* ფარული მოლაპარაკება გამართა იუსტინე კეისართან და მისი დახმარების იმედით აჯანყდა, მაგრამ ბიზანტიელები სათანადოდ ვერ დაეხმარნენ აჯანყებულებს, ქართლში კი ირანელების დიდძალი ჯარი შემოვიდა ვოის სარდლობით. გურგენმა დაინახა, რომ მისი და ბიზანტ. დამხმარე ძალები საკმაო არ იყო და ოჯახითა და აჯანყებაში მონაწილე დიდებულებითურთ ეგრისში გაიქცა, იქიდან კი – ბიზანტიაში. უმეთაუროდ დარჩენილი ქართველები დამარცხდნენ, ბევრი ქართლიდან გადაიხვეწა. 532 ირანელებსა და ბიზანტიელებს შორის დადებული ე. წ. ,,უვადო ზავის'' თანახმად, გაქცეულებს სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს. ბევრი დაბრუნდა, თუმცა ზოგმა ბიზანტიაში დარჩენა ამჯობინა (გურგენი და მისი შვილები პერანი და ბაკური, აგრეთვე შვილიშვილი, ბიზანტიაში დარჩნენ და ბიზანტ. სამსახურში სახელი გაითქვეს, რო-

გორც გამოჩენილმა სარდლებმა). ავჯანყების დამარცხების მიუხედავად, ირანმა ხელი აიღო საქართველოში თავის სარწმუნოებრივ პოლიტიკაზე. პროკოპი კესარიელის სიტყვით, ქართველებს ძალიან უჭირდათ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა და შესაფერის დროს ელოდნენ ახ. ავჯანყებისათვის.

ლიტ. იხ. სტ-თან გ უ რ გ ე ნ ი.

ა. ბოგვერაძე.



ბ. გურგენიძე.

გურგენის აჯანყება VI ს. 70-იანი წლებისა, ქართლის აჯანყება ირანის წინააღმდეგ გურგენის წინამძღოლობით. გურგენი მოხსენიებული ჰყავს ბიზანტიელ ჟამთააღმწერელ თეოფანეს (არის მოსაზრება, რომ გურგენი იგივე *გუარამი* უნდა იყოს). აჯანყება დაიწყო 571 სომხეთში. მალე მას ქართველებიც შეუერთდნენ. აჯანყების მეთაურებმა მფარველობა სთხოვეს კეისარ იუსტინე II-ს (565–578). კეისრის თანხმობის შემდეგ სომხებმა ქ. დვინში გაანადგურეს ირანელთა დამსჯელი ლაშქარი და მოკლეს მისი მეთაური მარზპანი სურენი. ქართველებმა დაამარცხეს ირანელთა სარდალი გოლონმიჰრანი. აჯანყება ბიზანტია-ირანის ომში გადაიზარდა და ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. 579 ირან. შაჰმა ჰორმიზდ IV-მ თავის მხარეზე გადაიბირა აჯანყების მეთაურები. მან გურგენი ირანზე დამოკიდებულ ქართლის მთავრად ცნო. მართალია, იმხანად ქართლი ირანის მორჩილებისაგან ვერ გათავისუფლდა, მაგრამ აჯანყების პერიოდში წარმოიშვა ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება, რაც ადრინდ. ფეოდ. ქართული სახელმწიფოს შექმნას ნიშნავდა.



გ. ვ. გურგენიძე.

ლიტ.: ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე ა., აღრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI–VIII საუკუნეებში, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973. *ა. ბოგვერაძე.*



დ. ა. გურგენიძე.

გურგენიძე ალექსანდრე ერმალოზის ძე (8. VII. 1916, სოფ. ხოტევი, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 20. III. 1975, თბილისი), საბჭოთა კავშირის გმირი (6. III. 1945). 1934 დაამთავრა თბილ. სას.-სამ. ტექნიკუმი, 1934–37 სწავლობდა ქ. სვერდლოვსკის სამშენებლო ინ-ტში, 1937-იდან გაიწვიეს წითელ არმიაში. 1940 დაამთავრა ქ. ჩკალოვის სამხ.-საჰაერო სასწავლებელი. 1940–42 ჩკალოვის აეროკლუბში მუშაობდა მფრინავ-ინსტრუქტორად. II მსოფლიო ომის დროს იბრძოდა ყირიმში, ლენინგრადთან, ვიბორგთან, შემდეგ – ესტონეთსა და ლატვიაში. მტრის გემების ჩაძირვისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

გურგენიძე ბუხუტი ივანეს ძე (13. XI. 1933, დაბა სურამი, – 23. V. 2008, თბილისი), მოჭადრაკე, პირველი ქართველი საერთაშ. დიდოსტატი (1970). სსრკ სპორტის ოსტატი (1955), საერთაშ. ოსტატი (1968), საქართვ. დამს. მწვრთნელი (1968), სსრკ დამს. მწვრთნელი (1969), საქართვ. თერთმეტგზის ჩემპიონი (1958–65, 1968, 1970, 1973), სსრკ ჩემპიონატების ცხრაგზის მონაწილე (საუკეთესო შედეგი – VII–VIII ადგილი, 1958), სტუდენტთა მსოფლიო გუნდური პირველობის ოთხგზის მონაწილე და ორგზის ჩემპიონი სსრკ ნაკრების შემადგენლობაში (1957, 1958). გაიმარჯვა შემდეგ საერთაშ. ტურნირებში: სოფია (1959, I–III ადგილი); თბილისი (1965, I ადგილი); ბათუმი (1966, I–IV ადგილი); თბილისი, ვ. გოგლიძის I მემორიალი (1970, I–II ადგილი მ. ტალთან ერთად); ოლომოუცი (1976, I ადგილი); თბილისი, ვ. ქარსელაძის IV მემორიალი (1976, I ადგილი); ჰრადეც-კრალოვე (1977–78, I–II ადგილი). იყო ნ. ალექსანდრიას მწვრთნელი (1966–76), საქართვ. ჭადრაკის ფედერ. ვიცე-პრეზიდენტი და ჭადრაკის სასახლის დირექტორი (1989–94). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ.შ. ღირსების ორდენი (1996).

ლიტ.: გ ი ო რ გ ა ძ ე თ., ბუხუტი გურგენიძე 60/45, თბ., 1993.

თ. შ. გიორგაძე.

გურგენიძე გიორგი გურამის ძე (დ. 14. VII. 1963, თბილისი), თერაპევტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (2000). 1985 დაამთავრა თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტის (თსსი) სამკურნალო ფაკ-ტი. 1985–97 სამეცნ.-კვლ. და პედ. საქმიანობას ეწეოდა თსსუ-ის ალერგოლოგიისა და შინაგან სნეულებათა კათედრებზე. იყო აღნიშნული კათედრების პროფესორი. 2003-იდან აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნ. სამედ. ცენტრის თერაპიული სამსახურის უფროსია, შემდეგ – ამავე ცენტრის შინაგან სნეულებათა დეპარტ. მთავარი სპეციალისტი. გ-ს კვლევის ძირითადი მიმართულებაა – კონსტიტუციური თავისებურებების (ანომალიების) შესწავლა ატოპიურ დაავადებათა დროს და მათი კორეგირების გზები, სტეროიდ-რეზისტენტული ბრონქული ასთმით დაავადებულთა კლინ.-იმუნოლოგიური თავისებურებების გამოვლენა, მათი კორექციის გზების ძიება და სხვ.

გ. არის საქართვ. ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა ასოციაციის, საქართვ. რესპირაციული საზ-ბის წევრი.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. სტატია, მ. შ. 1 სახელმძღვანელო.

გურგენიძე გურამ ვლადიმერის ძე (30. XI. 1929, თბილისი, – 7. I. 2003, იქვე), ალერგოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1996). მედ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1966), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1982), სსრკ მედ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1988), საქართვ. მედ. მეცნ. აკად. წევრი (1995). 1954 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1963–74 იყო სამედ. ინ-ტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის პროფესორი და ალერგოლოგიის კურსის ხელმძღვანელი; 1974-იდან – იყო მისივე თაოსნობით სსრკ-ში პირველად ჩამოყალიბებული ალერგოლოგიის კათედრის, ხოლო 1978-იდან – ა. ნათიშვილის სახ. ექსპერ. მორფოლოგიის ინ-ტის ალერგოლოგიის განყ-ბის გამგე და რესპ. ალერგოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი; 1975–86 – თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტის პრორექტორი სასწ. დარგში; 1970–80 – თბილ. ალერგოლოგთა ასოციაციის, ხოლო 1980-იდან – საქართვ. ალერგოლოგთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე; 1990-იდან – საქართვ. ალერგოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი.

გ. შეისწავლიდა ალერგიულ დაავადებათა ეტიოპათოგენეზის, კლინიკის, მკურნალობისა და პროფილაქტ. საკითხებს. მის შრომებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბრონქული ასთმის ცალკეული კლინიკური ფორმის იმუნოლოგიური თავისებურებების დახასიათებას, აგრეთვე მკურნალობის და პროფილაქტ. მეთოდების შემუშავებას. გ. თანაავტორია ჰავაის უნ-ტის (აშშ) მიერ გამოცემული კოლექტ. მონოგრაფიისა ,,ალერგია მსოფლიოში‘‘. გ. იყო ჩეხოსლოვაკიის პურკინეს სახ. საბუნებისმეტყველო საზ-ბის საპატიო წევრი (1979); მოსკოვის ალერგოლოგთა სამეცნ. საზ-ბის (1979) და იმუნორეაბილიტაციის საერთაშ. ასო-

ციაციის საპატიო წევრი (1994). დაჯილდოვდა ღირსების ორდენით (1998).

თხზ.: კვებითი ალერგია, თბ., 1980 (თანაავტ. კ. კაველაძე); Материалы к патогенезу бронхиальной астмы, Тб., 1960; Аллергология, Тб., 1987.

გურგენიძე დავით ანტონის ძე (დ. 26. IX. 1953, სოფ. ჩაილური, ახლანდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი), ეტიუდისტი. საჭადრაკო კომპოზიციაში საერთაშ. დიდოსტატი (1989), სსრკ სპორტის ოსტატი (1979), საერთაშ. ოსტატი (1980), საერთაშ. არბიტრი (1994). პირველი და ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ეტიუდების შედგენაში (1997, 2003), ორჯერ მოიპოვა ბრინჯაოს მედალი (2005, 2007), გახდა სსრკ ჩემპიონი (1981, 1985), ორჯერ ვერცხლისა და სამჯერ ბრინჯაოს პრიზიორი. დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1975). საქართვ. საჭადრაკო კომპოზიციის კომისიის თავ-რე (1991), საერთაშ. არბიტრი ჭადრაკში (2000); საქართვ. ქალთა ნაკრების კაპიტანი მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე (ვერცხლი; 2000). საქართვ. ჭადრაკის ფედერ. ვიცე-პრეზიდენტი (1994–2004). გამოაქვეყნა 1000-ზე მეტი ეტიუდი, მიიღო 100-ზე მეტი პირველი პრიზი.

ბ. 26 წიგნის ავტორია, მ. შ.: ,,რჩეული ეტიუდები-1'' (1993), ,,რჩეული ეტიუდები-2'' (1995; ორივე ინგლისურად); ,,ოთარ ტაბიძის საჭადრაკო ფილოსოფია'' (1999); ,,პაწია ეტიუდები'' (1999); ,,100 მინიატიურა'' (1999); ,,სისადავე, სილაღე და სილამაზე'' (1999). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

თხზ.: Best studies, Tb., v. 1–2, 1993–95.

ლიტ.: გიორგაძე თ., ჭადრაკის გზაჯვარედინებზე, თბ., 1992.

თ. შ. გიორგაძე.

გურგენიძე დიმიტრი ხარიტონის ძე (5. V. 1918, სოფ. ბუკისციხე, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 30. XI. 1991, თბილისი), პედაგოგი. პედ. მეცნ. კანდიდატი (1954), პროფესორი (1980), საქართვ. დამს. მასწავლებელი (1956), საქართვ. უმაღლესი სკოლის დამს. მუშაკი (1981). 1937 დაამთავრა სამასწავლებლო ინ-ტის (1946-იდან ა. ს. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტი; ახლანდ. ილიას უნ-ტი) ფილოლ. ფაკ-ტი. 1941-იდან მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. 1947 მუშაობა დაიწყო საქართვ. პედ. მეცნ. ინ-ტში. იყო რედაქტორი ჟურნ. ,,დაწყებითი სკოლა და სკოლამდელი აღზრდა''. 1973-იდან გარდაცვალებამდე მუშაობდა თბილ. ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. უნ-ტში. მ-ს დიდი წვლილი მიუძღვის დიდაქტიკის აქტუალური პრობლემების მეცნ.-კვლევასა და ი. გოგებაშვილის მდიდარი პედ. მემკვიდრეობის შესწავლასა და გამოქვეყნებაში. იყო ,,საქართველოს სსრ პედაგოგიური აზრის ანთოლოგიისა'' (1987, რუს. ენაზე), აგრეთვე ი. გოგებაშვილის რჩეულ თხზულებათა ხუთტომეულის რედკოლეგიის წევრი და შემდგენელი, III ტ-ის რედაქტორი (თბ., 1989–90; ი. გოგებაშვილის სახ. პრემია, 1993). თანაავტორია პედაგოგიკის ხუთი ქართ. სახელმძღვანელოსი. დაჯილდოებულია ი. გოგებაშვილის მედლით (1979).

თხზ.: კორნელი ქაცარავა, თბ., 1971; დიდაქტიკის საკითხები, თბ., 1973; მარიამ ორახელაშვილი, თბ., 1978 (თანაავტ.); ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა სახალხო განათლების დარგში და მისი პედაგოგიური შეხედულებანი, თბ., 1979.

გურგენიძე ვლადიმერ ირაკლის ძე (დ. 7. XII. 1970, თბილისი), საქართველოს პრემიერ-მინისტრი 2007–08. 1987–90 სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტში, 1990–91 – მიდლბერის კოლეჯში (აშშ). 1993 მიიღო ბიზნესის მაგისტრის ხარისხი ემორის უნ-ტის ბიზნესის სკოლაში (აშშ).

1997–2003 მუშაობდა ბანკში ,,ABN Amro'' წამყვან თანამდებობებზე. 2003–04 იყო ევროპის მიმართულების ხელმძღვანელი ბანკში ,,Putnam Lovell''. 2004 ბ. საქართველოში დაბრუნდა და ,,საქართველოს ბანკს'' ჩაუდგა სათავეში. 2004–07 იყო თავისსავე დაარსებული (2000) სააქციო საზ-ბის ,,გალთ ენდ თაგგარტ სექიურითის'' სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე, 2004–07 – საქართვ. საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2009-იდან არის ემორის უნ-ტის ალტერნატიული ინვესტიციების ცენტრის თავ-რე. 2009 სექტ. დაინიშნა რუანდის ბანკის ,,ბანკ ოფ კიგალის'' სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რედ. 2009 სექტ. რუმინელ ბიზნესმენთან ერთად დააარსა საინვესტიციო კომპანია ,,Liberty Investments''.

დაჯილდოებულია წმ. გიორგის სახელობის გამარჯვებისა (2008) და ბრწყინვალების საპრეზიდენტო (2010) ორდენებით.

გურგენიძე ვლადიმერ მიხეილის ძე [4 (16). XI. 1894, თელავი, – 15. IX. 1983, თბილისი], ინჟინერი რკინიგზების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1950), პროფესორი (1950), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1956). 1926 დაამთავრა ლენინგრადის მიმოსვლის გზათა ინჟინრების ინ-ტი. მუშაობდა თბილ. ინდუსტრ. ტექნიკუმსა და ამიერკავკ. სატყეო-ტექ. ინ-ტში (1926–30), ამიერკავკ., შემდგომ თბილ. მიმოსვლის გზათა ინჟინრების ინ-ტში (1930–59), საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში რკინიგზის სადგურებისა და კვანძების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის კათედრის გამგედ (1944–78). 1978-იდან იყო ამავე კათედრის პროფესორ-კონსულტანტი. მ-ის ძირითადი სამეცნ. შრომები ეხება რკინიგზის ექსპლუატაციის საკითხებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Улавливающие тупики. Основы проектирования и эксплуатации, М., 1953; Железнодорожные станции с сортировочными устройствами на уклонах, Тб., 1961.

გურგენიძე ვლადიმერ რობერტის ძე (დ. 31. IV. 1957, თბილისი), სპორტსმენი (აკრობატიკა). სსრკ დამსახურებული მწვრთნელი (1979), სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1975–90), საერთაშ. კატეგორიის მსაჯი. მისი აღზრდილები არიან ევრ. და მსოფლიო ჩემპიონები: ი. *გიორგობიანი*, მ. *მნათობაშვილი* და სხვ. 1992-იდან წარმატებით გააგრძელა სამწვრთნელო კარიერა რუსეთში, აღზარდა მსოფლიოს და ევრ. არაერთი ჩემპიონი.

გურგენიძე თამარ აბესალომის ასული (დ. 31. VIII. 1940, ვორონეჟი), მომღერალი (მეცო-სოპრანო), საქართვ. სახ. არტისტი (1984). 1963 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორიის ვოკალური ფაკ-ტი (პროფ. ვ. დავიდოვას კლასი). III კურსის სტუდენტმა თბილ. ოპერის სცენაზე შეასრულა ოლგას პარტია ვ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინში'' (1961), 1963-იდან ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკად. თეატრის სოლისტი იყო და წარმატებით ასრულებდა მეცო-სოპრანოს წამყვან პარტიებს, რ-თაგან აღსანიშნავია: მარინა მნიშეკი (მ. მუსორგსკის ,,ბორის გოდუნოვი''), კანიო (ლეონ კავალოს ,,ჯამბაზები'', კარმენი (ჟ. ბიზეს ,,კარმენი''), ამნერისი, აზუჩენა, ებოლი (ჯ. ვერდის ,,აიდა'', ,,ტრუბადური'', ,,დონ კარლოსი), ლოლა (პ. მასკანის ,,სოფლური ღირსება''), დედა (ო. თაქთაქი-



ვ. ი. გურგენიძე.



თ. გურგენიძე.




თ. გურგენიძე. კარმენი, ჟ. ბიზეს ოპერა ,,კარმენი''.

შვილის ,,მთვარის მოტაცება''), კატო (მ. დავითაშვილის ,,ქავჭანა''), ლუჩია (გ. ყანჩელის ,,და არს მუსიკა''), ბარბალე (ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე'').

გ. ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობასაც. აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული ვოკალური ციკლები: რ. შუმანის ,,ქალის სიყვარული და ცხოვრება'', მ. დე ფალიას ,,7 ესპანური სიმღერა'', მ. მუსორგსკის ,,უმზეოდ'' და ,,სიკვდილის სიმღერები და ცეკვები'', ვ. მოცარტისა და ჯ. ვერდის ,,რეკვიემები'', ო. თაქთაქიშვილის ,,5 ვოკალური პოემა'' და სხვ.


ო. გურგენიძე.

გურგენიძე ივანე გრიგოლის ძე (22. XI. 1941, სოფ. ზოვრეთი, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი – 10. VI. 2012, თბილისი), გენერალ-ლეიტენანტი (1993). დაამთავრა ომსკის უმაღლესი საერთო საჯარისო სამხ. სასწავლებელი (1963), მინსკის უმაღლესი საინჟინრო საზენიტო-სარაკეტო სამხ. სასწავლებელი (1971), ხარკოვის რადიოტექ. სამხ. აკადემია (1978). მსახურობდა ბელორუსიაში (1963–66), ტაჯიკეთში (1971–76), ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის ჯარებში (1978–91), იყო საქართველოს რესპ. თავდაცვის მინისტრის მოადგილე – შეიარაღების მთ. სამმართველოს უფროსი (1992–98), განსაკუთრებულ დავალებათა გენერალი (1999–2002). 2002-იდან თადარიგშია. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III (1993, 1995) და II ხარისხის (1997) ორდენებით. *ლ. დოლიძე.*


ი. გურგულია სცენაზე.

გურგენიძე მიხეილ გიორგის ძე (1842–1885), ხალხოსანი. ჟურნ. *,,იმედის''* რედაქტორი (1881–83). სწავლობდა მოსკ. სას. აკადემიაში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ინსპექტორად განაწესეს ოდიშის სას. სასწავლებელში. გ. პერიოდულ პრესაში სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს და მკაცრად აკრიტიკებდა ცარიზმის პოლიტიკას, მიუთითებდა გლეხთა მძიმე ეკონ. და სოც. მდგომარეობაზე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლიტ-რას. მისი სიტყვით, მწერლობამ უნდა ამხილოს ცხოვრებისეული ნაკლოვანებანი და უჩვენოს მათგან გათავისუფლების გზა. წერილებში მითითებულია, რომ მშრომელ ხალხში აუცილებელია განათლების შეტანა.

ლიტ.: ანთელავა ი., საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში (XIX ს. მეორე ნახევარი), თბ., 1967. *ზ. შველიძე.*

გურგენიძე ოთარ სოფრომის ძე (3. X. 1928, თბილისი, – 21. IV. 2007, იქვე), კინორეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1979). დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკტი (1955). საქართვ. სამეცნ.-პოპულ. და დოკუმენტური ფილმების სტუდია ,,მემატიანეში'' გადაღებული აქვს ფილმები: ,,სეინერები ზღვაში გადიან'' (1961), ,,დაუმთავრებელი დღიური'' (1962, ბ. კრეფსთან ერთად), ,,ალვანელი მეცხვარეები'' (1964), ,,ვარძია'' (1967), ,,კლდის ვეფხვი'' (1968), ,,სანდრო ახმეტელი'' (1969), ,,ქართული ჭიდაობა'' (1971; საპატიო დიპლომი კორტინა-დ'ამპეცოში სპორტ. ფილმების XXVIII საერთაშ. კინოფესტივალზე, 1972), ,,მონოლოგები პროფესიაზე'' (1974), ,,საგარეჯოელი ფალავანი'' (1974), ,,შემოქმედების სიმფონია'' (1975), ,,სერგო ქობულაძე'' (1977), ,,სულხან ცინცაძე'' (1979), ,,თავკაცი'' (1980), ,,ენგურის ეპოპეა'' (1982; სახელმწ. პრემია ,,ხუთწლედის მატიანე'', 1982), ,,მეორე შტურმი'' (1985), ,,ქალის პორტრეტი'' (1987) და სხვ. *ა. გვენცაძე.*

გურგენიძე რევაზ აფრიკოს ძე (დ. 11. XII. 1951, სოხუმი), გენერალ-მაიორი (1997). დაამთავრა ულიანოვსკის (სიმბირსკი) გვარდიის უმაღლესი სატანკო სასწავლებელი (1973), ჯავშან-სატანკო ჯარების სამხ. აკადემია (1988). 1979–82 იყო სატანკო ბატალიონის შტაბის უფროსი ამიერკავკ. სამხ. ოლქში. 1992-იდან დაინიშნა საქართვ. რესპ. შეიარაღებული ძალების მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურის მოადგილედ, ამავე წელს – მეთაურად (1992–94). მონაწილეობდა აფხაზეთის ბრძოლებში საქართვ. ტერიტ. მთლიანობისათვის. 1996–98 იყო ქართ.-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების უფროსი სამხ. წარმომადგენელი საქართველოს მხრიდან, სამშვიდობო ძალების სარდალი (1998–99), განსაკუთრებულ დავალებათა გენერალი (1999–2000). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III (1993) და II ხარისხის (1996) ორდენებით. *ლ. დოლიძე.*

გურგენიძე რევაზ ვლადიმერის ძე (24. X. 1931, თბილისი, – 9. III. 2005, იქვე), ოფთალმოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1969), საქართვ. მედ. მეცნ. აკადემიის წევრი (1996). 1955 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. მუშაობდა კლინ. და ექსპერ. ნევროლოგიის ინ-ტის უმცროს (1958–62) და უფროს (1962–69) მეცნ. თანამშრომლად, შემდეგ ოფთალმონევროლოგიის ლაბორ. გამგედ 1972–78, 1978–2005 კი – ოფთალმონევროლოგიის სამეცნ.-პრაქტ. ცენტრის ხელმძღვანელად.

გ-ის სამეცნ. მუშაობის ძირითადი სფეროა ოფთალმოლოგიური სიმპტომებისა და სინდრომების მნიშვნელობის შესწავლა თავის ტვინის სისხლძარღვოვანი და სიმსივნური დაზიანების დიაგნოსტიკისა და დიფერენციული დიაგნოსტიკისთვის, აღნიშნული სიმპტომოკომპლექსების პათოგენეზური მექანიზმების ახსნა, მხედველობის გზის მსვლელობის და მისი სტრუქტურის დაზუსტება და სხვ.

გ. 1982–2005 იყო საქართვ. ოფთალმოლოგთა სამეცნ. საზ-ბის გამგეობის თავმჯდომარე. ავტორია მრავალი სამეცნ. შრომისა, მ. შ. 6 მონოგრაფიის და 4 მეთოდური რეკომენდაციისა. მიღებული ჰქონდა სახელმწ. ჯილდოები, მ.შ. ღირსების ორდენი (1998).

თხზ.: მხედველობის გზის კლინიკური ანატომია, თბ., 2001 (თანაავტ. ი. ბერაძე); თვალის მამოძრავებელი აპარატი და მისი დაზიანების სემიოლოგია, თბ., 2002.

გურგულია ინოლა ლუკას ასული (25. VII. 1929, თბილისი, – 24. XI. 1977, იქვე), საესტრადო მომღერალი, ფილოლოგი, პედაგოგი. 1952 დაამთავრა თბილ. ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა პედ. ინ-ტი, ამავე წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. გ. დარახველიძესა და მ. სიხარულიძესთან ერთად ინ-ტში დააარსა ქალთა ვოკალურ-საკრავიერი ტრიო (შემდგომში ,,სამაია''), რ-იც ასრულებდა გ-ს მიერ (ხშირად მისსავე ლექსებზე) დაწერილ სიმღერებს. ტრიოს შესრულება გამოირჩეოდა ნატიფი ლირიზმით, განცდის უშუალობით. განსაკუთრებით გამორჩეული სიმღერებია: ,,ღიმილი მინდა'', ,,უშენოდ'', ,,დარჩი ჩემთან'', ,,ნურაფერს მეტყვი'', ,,თვალებს რატომ მარიდებ'', ,,მაღლობელი ვარ''; საბავშვო სიმღერები ,,გვირილა'', ,,კარუსელი'', ,,საქანელა'' და სხვ.

1986 გამოვიდა გ-ს ლექსებისა და თარგმანების კრებული ,,ღიმილი მინდა'', რ-შიც შეტანილია ჯ. ბაირონის, უ. სკოტის, პ. ბ. შელის, ტ. მურის, ე. პოს, ჰ. ლონგფელოს,

რ. კიპლინგისა და სხვ. ნაწარმოებების თარგმანები. გ-მ ღრმა კვალი დატოვა ქართ. სასიმღერო ჟანრში და ახ. ნაკადი შეიტანა აკორდული მღერის სტილის სახით, რ-იც თავისი არსით, ძირითადად, ქართ. ხალხ. და, ნაწილობრივ, ქალაქური სიმღერიდან მომდინარეობს. ამის საფუძველზე მოხდა ავთენტიკური მუს. ფოლკლორის სააზროვნო პრინციპების ერთგვარი შერწყმა საესტრადო შემსრულებლობასთან. სიმღერის ეს მანერა აიტაცეს და გაითავისეს მომდევნო თაობების მომღერლებმა. გ. მღეროდა ფილმებში: ,,დღე პირველი – დღე უკანასკნელი'', ,,დედის ხელი'', ,,რეკორდი''. გამოსულია კომპაქტდისკი ,,...პირველად იყო სიმღერა'' 1999, სიმღერების სანოტო კრებულები ,,ჩემი სიმღერები'' 2004, 2009.

ე. გარაყანიძე.

გურევიჩი ემილ (სამუილ) იაკობის ძე (9. V. 1913, კიევი, – 23. III. 1981, თბილისი), პიანისტი და პედაგოგი. პროფესორი (1968), საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967). 1935 დაამთავრა კიევის კონსერვატორია (პროფ. კ. მიხაილოვის საფორტეპიანო კლასი), აქვე გაიარა ასპირანტურის კურსი. საკონცერტო მოღვაწეობა დაიწყო 1935-იდან (ამ წელს ზედიზედ გახდა უკრაინის პიანისტთა რესპ. და II საკავშ. კონკურსების ლაურეატი). პარალელურად ეწეოდა პედ. მოღვაწეობას კიევის კონსერვატორიაში. 1936–39 რამდენჯერმე იყო საგასტროლოდ თბილისში, შემოქმედებითად თანამშრომლობდა ე. მიქელაძესა და სხვა ქართვ. დირიჟორებთან. 1952-იდან გადმოსახლდა თბილისში; მუშაობა დაიწყო ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორიაში. აღზარდა მრავალი ცნობილი მუსიკოსი (პიანისტები პ. დომიტრიადი, ნ. *ქათამაძე*, დირიჟორი ვ. *მაჭავარიანი*, კომპოზიტორი გ. ჩლაიძე და სხვ.). გ. მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგი იყო. სხვადასხვა დროს კონსულტაციას უწევდა გამოჩენილ პიანისტებს (ა. *თორაძესა* და ე. ლეონსკაიას).

გ. ტორაძე.

გურეშიძე ნოდარ ვარლამის ძე (10. III. 1927, სოფ. მარანი, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 30. X. 2004, თბილისი), პოეტი. დაამთავრა თსუ-ის ფილოს. ფაკტი (1950). იყო კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის დირექტორი (1966–67), საქართვ. მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი (1971–73), მწერალთა კავშირის ლიტფონდის დირექტორი (1987–89); საქართვ. სააგენტოროს უფლებათა სახელმწ. სააგენტოს თავ-რე (1989–2001); 2001–03 იყო საქართვ. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნ. ცენტრის გენ. დირექტორის მოადგილე.


ლექსებს აქვეყნებდა 1946-იდან. გ. ავტორია პოეტური კრებულებისა: ,,ჩემი გაზაფხული'' (1955), ,,შინ და გარეთ'' (1959), ,,მიწა და ვარსკვლავები'' (1962), ,,ლექსები'' (1965, 1967, 1974, 1984), ,,გუშინ, დღეს, ხვალ'' (1974), ,,გზა'' (1985), ,,სამადლობელი'' (1986), ,,კი და არა'' (1989) და სხვ.; პროზაული ნაწარმოებებისა: ,,მეგობრობის თვალით'' (1956), ,,დღეები და ქალაქები'' (1964). თარგმნა უცხოელ ავტორთა ნაწარმოებები, მ. შ. უნგრ. მწერლის იმრე მადაჩის დრამ. პოემა ,,ადამიანის ტრაგედია'' (1984). მისი ლექსები თარგმნილია უცხ. ენებზე. 1985 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

გურზმუცელა ნემსიყლაპია (Cordulegaster insignis), მწერი გურზმუცელასებრთა ოჯახისა. მკვეთრი შეფერილობის მოზრდილი ნემსიყლაპიაა. გავრცელებულია წინა აზიაში, პელოპონესის ნ.-კ-ზე (საბერძნეთი), ამიერკავკ. და შუა აზიის მთებში, საქართველოში – მხოლოდ ლაგოდეხში. იშვიათი სახეობაა. უფრო ხშირად გვხვდება არაქსის შუა დინების მიდამოებში და ყარაბაღის ზეგანზე. ბინადრობს მთის მდინარეებსა და ანკარა ნაკადულებთან. ფრენს მაისის ბოლოდან ივლ. ბოლომდე. მთაში ვრცელდება ზ. დ. 1300 *მ*-მდე, ეკოლ. თვალსაზრისით მეტად საინტერესო სახეობაა. ახასიათებს ინტენს. ფორმათწარმოქმნის პროცესი. შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში''.



გურზმუცელა ნემსიყლაპია.

გური (გ უ რ ი ე ლ ა შ ვ ი ლ ი) ეფრაიმ (დ. 7. IX. 1955, სოფ. კულაში, სამტრედიის მუნიციპალიტეტი), ისრაელის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა კულაშის საშ. სკოლა. 1972 მშობლებთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ისრაელში, სადაც მიიღო უმაღლესი განათლება. 1983 ასრულებდა ქ. აშდოდის მერის მოვალეობას. ორჯერ აირჩიეს ქნესეთის (ერთპალატიანი პარლამენტი) დეპუტატად (1988–92, 1992–96). გ. ალიის (რეპატრიანტთა) პირველი წარმომადგენელი იყო ისრაელის პარლამენტში საბჭოთა კავშირიდან. საპარლამენტო მოღვაწეობის რვა წლის მანძილზე ეკავა ტრანსპ. მინისტრის მოადგილის პოსტი, ასევე იყო ,,ლიკუდის'' მთავრობაში კავშირგაბმ. მინისტრის მოადგილე.



ე. გურევიჩი.

გ-მა წვლილი შეიტანა ისრაელ–საქართველოს დაახლოებაში. სათავეში ედგა საქართვ. პარლამენტთან ურთიერთობის საპარლამენტო ასოციაციას. გ. ი. გოგებაშვილის პრემიის ლაურეატია (1995).

ა. ციციაშვილი.

გურია, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე დასავლეთ საქართველოში. საქართვ. ადმ.-ტერ. დაყოფით გ. მოიცავს ახლანდ. ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას. გ-ში უძველესი საცხოვრებელი (ახ. ქვის ხანა) მიკვლეულია გურიანთის თემის სოფ. ციხისფერდში (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) (იხ. *გურიანთის ნამოსახლარი*). ციხისფერდის გორის გარშემო, სუფსა-ნატანების ორმდინარეთში დროთა განმავლობაში წარმოიქმნა ახ. სოც. ერთეული – ხევი, რ-ის ცენტრმაც მოგვიანებით ამ გორის დას-ით გადაინაცვლა (დაბა ურეკის მიდამოები).

ისტ.-გეოგრ. განვითარების შემდგომი ეტაპი აქ უკვე ,,ქვეყნის'' წარმოქმნით აღინიშნება. ეს წარმონაქმნი ტერიტორიულად დიდად აღემატებოდა იმ ხევს, რ-ის ჰეგემონიითაც მოხდა ეს გაერთიანება. წინაფეოდ. ხანაში ამ ,,ქვეყნის'' ცენტრი კვლავ ზღვისპირეთში იყო, ხოლო შემდეგ – აღმოსავლეთით. ადრინდ. ფეოდ. ურთიერთობის დამდეგიდან გ-ის პოლიტ. და ადმ. ცენტრი მდინარეების სკურდუმისა და ნატანების შესართავში მდებარეობდა (ახლანდ. *ვაშნარის* მიდამოები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).

VIII ს. 30-იან წლებში გ-ში არსებული ციხე-ქალაქი სკურდუმი



მდინარე სუფსა.

არაბებმა (იხ. *მურვან ყრუს შემოსევა*) გაანადგურეს. ამის შემდეგ გ-ის ცენტრმა სამხრეთ-აღმოსავლეთით გადაინაცვლა. ადრე გ. საერისთავთერისთავო იყო, ხოლო საქართვ. ფეოდ. მონარქიის პოლიტ. დაშლის (XV ს. II ნახ.) შემდეგ სამთავრო გახდა (იხ. *გურიის სამთავრო*).

გ-ის მცხოვრებნი გურულებად იწოდებიან. ახასიათებთ მთელი რიგი ეთნოგრ. და ლინგვისტური თავისებურებები (იხ. *გურულები*).

მეურნეობის წამყვანი დარგი მიწათმოქმედება იყო, ტრად. სამეურნ. კულტურები კი – ღომი, ლობიო და იშვიათად ქერი. ღომი, რ-იც XVIII ს. დამლევამდე ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურად ითვლებოდა, სხვა მარცვლეულთან ერთად თანდათან გამოდევნა სიმინდმა, XVIII ს-იდან კი იგი ძირითადი საკვები გახდა. მევენახეობა-მეღვინეობას გ-ში უძველესი ისტორია აქვს. გაბატონებული იყო მაღლარი ვაზი, დაბლარი გვიან შემოვიდა. გურული ღვინო დიდი რაოდენობით გაჰქონდათ საქართვ. სხვადასხვა კუთხესა და რუსეთში. XIX ს-ში გავრცელებული ვაზის დაავადების გამო გურიაში ბევრი ადგილ. ჯიში გადაშენდა.

გ-ის მთიან ნაწილში, განსაკუთრებით ჩოხატაურის მთიან სოფლებში, მისდევდნენ მესაქონლეობას, რ-იც განვითარდა აჭარლებისა და მეგრელების ზეგავლენით, თუმცა მისი ხვ. წ. მიწათმოქმედებასთან შედარებით დაბალი იყო. ფართოდ იყო გავრცელებული მეღორეობა და მეაბრეშუმეობა. მთიანი გ-ის სოფლებში (სურები, ვაკივჯვარი, ნაბეღლავი და სხვ.) მისდევდნენ მეფუტკრეობას. მეთამბაქოეობით გურიაში მხოლოდ თავადაზნაურები იყვნენ დაინტერესებული და მის მოყვანას ფართო ხასიათი არ მიუღია. XIX ს. I ნახევარში გ-ში გავრცელდა ჩაის კულტურა და ციტრუსები, შემდგომ მათი მოშენება ძირითადი საქმიანობა გახდა. განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ხელოსნობას, კერძოდ, მჭედლობას, ხისა და ქვის დამუშავებას, მეთუნეობას.

თავდაპირველად ოზურგეთში ვაჭრობა ებრაელებსა და სომხებს დაუწყიათ, შემდეგ ლაზებისა და ჭანების ხელში გადასულა, XIX ს. 70-იანი წლებიდან კი ამ საქმიანობისათვის გურულებსაც მოუკიდიათ ხელი. გ-იდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ სიმინდი, ღვინო, ხე-ტყე, ხილი, თაფლი, ნიგოზი, აბრეშუმი და სხვ. მცირემიწიანობა, მაღალი გადასახადები, სიღატაკე გურულ გლეხს აიძულებდა სამუშაო სხვაგან ეძებნა, რის გამოც უწევდა ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, რუს. ქალაქებში სიარული.

გ-ის ტერიტორიაზე შემონახულია მრავალი ისტ.-ხუროთმოძღვრული ძეგლი (იხ. სტატიები: *ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი*).

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., გურიის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 5, თბ., 1971; [გვარამაძე ი.] ვინმე მესხი, გურია (გეოგრაფიული მიმოხილვა), «მოგზაური», 1901, № 1 – 10, 90; მელიქიშვილი გ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; სახოკია თ., მოგზაურობანი, თბ., 1950; ბათ., 1985; სიხარულიძე ი., მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», ტ. 4, თბ., 1971, გვ. 74; ჯავახიშვილი ივ., თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 1–2, თბ., 1979–83; ტ. 5, თბ., 1986.

ი. სიხარულიძე.

გურიანთა, სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (გურიის მხარე), მდ. სკურდუმის (ნატანების მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე, ოზურგეთი – ნატანების სარკინიგზო და საავტ. გზაზე. რკინიგზის ბაქანი. თემის ცენტრი (სოფლები: გ., ციხისფერდი). ზ. დ. 40 *მ*, ოზურგეთიდან 4 *კმ*. 1,6 ათ. მცხ. (2002).

გ-ის მახლობლადაა *ვაშნარის* ციხისა და გურიანთის ციხის (XVII ს.) ნანგრევები.

გურიანთის ნამოსახლარი, ნეოლითური ნამოსახლარი გურიანთის თემის სოფელ ციხისფერდში, მდ. სკურდუმის მარჯვ. ნაპირას, ზ. დ. 25 *მ*-ზე. გათხარეს 1963 (ხელმძღვ. – ნ. ბერძენიშვილი). მოპოვებულია კაჟის, რიყის ქვისა და ობსიდიანისაგან დამზადებული საოჯახო, სამიწათმოქმედო, საბრძოლო და სანადირო იარაღი (საფხეკები, საჭრისები, დანები, სახვრეტები, ხელსაფქვავები, სანაყები, სახეხ-სასრესები, ცულები და სხვ.). მრავლად იყო წარმოების ნარჩენები (ნუკლეუსები, ანატკეც-ანატეხები და სხვ.), არათანაბრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები. ზოგი მათგანი შემკულია წიწვისებრი ორნამენტით. ნამოსახლარზე აღმოჩენილი მასალა ოდიშის, ანასეულისა და კისტრიკის არქეოლ. მონაპოვართა მსგავსია.

ლ. ნებიერიძე.

გურია-ოსმალეთის ხელშეკრულება 1614, გურიის სამთავროსა და ოსმალეთს შორის 13 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება. ირან-ოსმ. 1602–12 ომის დროს ოსმ. საგარეო-პოლიტ. მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით ისარგებლა გურიის მთავარმა *მამია II გურიელმა* და 1609 ოსმალები აჭარიდან განდევნა. გურიის სამთავრო ოსმალეთთან საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ამ ომში გურიის მოკავშირე ოდიშის სამთავრო იყო. 1612 ირანთან ზავის დადების შემდეგ ოსმალეთმა დას. საქართვ. სანაპიროს ბლოკადა მოაწყო და ამ მხარეში მარილისა და სხვა პროდუქტების ზღვიდან შეტანა შეწყვიტა. ამან გურიისა და ოდი-

შის მთავრები აიძულა შერიგებაზე ეზრუნათ. 1614 აგვ-ში დაიწყო მოლაპარაკება ოსმ. ელჩს ომარფაშასა და მამია II გურიელს შორის. 13 დეკ. ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულებით აღადგინეს ოსმ.-გურიის ომამდელი საზღვარი მდ. ჭოროხზე, აჭარა კვლავ ოსმალეთმა დაიბრუნა და გურიელმა სულთნის სასარგებლოდ ყოველწლიურად ხარკი იკისრა. 1615 თებ-ში ასეთივე პირობით დაიდო ზავი ოდიშსა და ოსმ. შორის.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის... ტფ., 1902; ს ვ ა ნ ი ძ ე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI–XVII სს., თბ., 1971; ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წგ. 1–2, ბათ., 1958–59.

ქ. ჩხატარაიშვილი.

გურია-სამეგრელოს ეპარქია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ეპარქია. შეიქმნა რუს. სინოდის 1885 წ. 12 ივნ. გადაწყვეტილებით, რის შედეგადაც *გურიის ეპარქია* შეუერთდა *სამეგრელოს ეპარქიას.* გ.-ს. ე-ის პირველი ეპისკოპოსი იყო *გრიგოლი* (გ. ე. დადიანი, 1886–98). კათედრად გამოცხადდა ქ. ფოთი. გ.-ს. ე-ს შემდეგ წლებში მართავდნენ *ალექსანდრე* ოქროპირიძე (1898–1903); დიმიტრი აბაშიძე (1903–05); გრიგოლ ალადაშვილი (1905–08); *ლეონიდე* ოქროპირიძე (1908–18). გ.-ს. ე. გაუქმდა 1917, საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ.

გ.-ს. ე-ის ტერიტორიაზე არსებობდა 2 სას. სასწავლებელი, 141 საეკლ.-სამრევლო და 4 სამონასტრო სკოლა. XX ს. დასაწყისში კავკასიაში ეკლესიის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით რუსეთის ცარიზმს სურდა გ.-ს. ე-იდან სვანეთის გამოყოფა და მისი შეერთება *სოხუმის ეპარქიასთან,* მაგრამ ხალხის წინააღმდეგობის გამო ეს პროექტი ვერ განხორციელდა.

ლიტ.: И о с е л и а н и П., Краткая история Грузинской церкви, СПб., 1843; [Е п и с к о п К и р и о н], Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тфл., 1901.

ე. ბუბულაშვილი.

გურიელები, *გურიის საერისთავოს* (შემდეგ გურიის სამთავროს) გამგებლები. XI ს-იდან გურიის ერისთავებად ისხდნენ *ვარდანისძეთა* წარმომადგენლები. XIII–XVI სს-ში გ. ერისთავთერისთავები გახდნენ, შემდეგ კი – დამოუკიდებელი მთავრები. XV ს. შუა წლებიდან გ. გურიის დამოუკიდებელი მთავრები ,,ხელმწიფეები'' გახდნენ და სათანადო პრეროგატივები და რეგალიებიც გააჩნდათ. გურიის გამგებელს, ფეოდ. სახლის უფროსს, გურიელი ეწოდებოდა, სახლის სხვა წევრებს – ბატონიშვილები. გ-ის ძირითადი რეზიდენცია იყო ოზურგეთში, საგვარეულო საძვალე – სოფ. შემოქმედის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიაში. გ-ის უშუალო მფლობელობაში იყო რამდენიმე სასახლე (ნაგომარში, ალამბარში, ბათუმში და სხვ.), ციხეები და ყმა-მამული, საიდანაც ფულადი და ნატურალური სახელმწ. შემოსავალი შემოდიოდა. XVIII ს. II ნახევრიდან გ-ს სამთავრო ტახტზე ოსმ. სულთანი ამტკიცებდა. XVIII ს. 70-იანი წლებიდან გ. ფაქტობრივად გათავისუფლდნენ ოსმალეთზე დამოკიდებულებისგან. გ-ის ხელისუფლება რუს. მთავრობამ ოფიციალურად 1830 გააუქმა. 1839 უძეოდ გარდაიცვალა გურიის უკანასკნელი მთავრის *მამია V გურიელის* მემკვიდრე. 1850 გურიის ბატონიშვილთა 4 ოჯახს რუს. მთავრობამ თავადთა ხარისხი დაუმტკიცა. ამის შემდეგ ,,გურიელი'' მათ გვარად იქცა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 2–3, თბ., 1897 – 1967.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წელს, ბათ., 1956; ს ო ს ე ლ ი ა ო., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან (XIII ს-ის შუა წლებიდან XIX ს-ის დამდეგამდე), «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 30; Б а к р а д з е Д. З., Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб., 1878.

ქ. ჩხატარაიშვილი.

გურიელი გიორგი ლევანის ძე (XIX ს. დასაწყ., სოფ. ჩოჩხათი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 16. XI. 1853, სოფ. შეკვეთილი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1853). მონაწილეობდა 1826–28 რუს.-ირან. და 1828–29 რუს.-ოსმ. ომებში. დაიღუპა ყირიმის ომის (1853–56) დასაწყისშივე, სოფ. შეკვეთილთან ბრძოლაში მიღებული მძიმე ჭრილობის შედეგად.

გურიელი გრიგოლ დავითის ძე (1817–1890, ოზურგეთი), საზოგადო მოღვაწე, რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1880), მეცენატი, ქველმოქმედი, გურიის მთავრის *მამია V გურიელის* შვილიშვილი, გენ.-ლ. ლ. *გურიელის* ძმა. თბილ. სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სამხ. სამსახურში შევიდა. ყირიმის ომის დროს იბრძოდა ქობულეთის მიმართულებით, მეთაურობდა გურიის მოხალისეთა რაზმს. 60-იანი წლებიდან მეთაურობდა მაშინდელი სამხრ. საზღვრის ,,კორდონის ხაზის'' სამხრ.-დას. მონაკვეთს. მისი წინადადებით, 1874 მოეწყო ექსპედიცია აჭარაში, შავშეთსა და სხვა რეგიონებში. ექსპედიციას თვითონ ხელმძღვანელობდა, თან ახლდა რუს. მთავარი შტაბის პოდპოლკოვნიკი გ. ყაზბეგი, რ-იც ესტუმრა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს (გ-ის ნათესავს) და ომის დროს თანადგომაზე შეითანხმა. 1877–78, რუს.-ოსმ. ომის პერიოდში, გ. ფართო სამხ. და დიპლ. მოღვაწეობას ეწეოდა. 1878 დაინიშნა *ბათუმის ოკრუგის* უფროსად. ჩაშალა ამ მხარის მოსახლეობის მუჰაჯირად (იხ. *მუჰაჯირობა*) წასვლა; იბრძოდა ქართვ. მოხელეების დასაწინაურებლად. საადგილმამულო ურთიერთობის შესასწავლად და გადასაჭრელად შექმნა კომისია (ხელმძღვ. დ. ზ. *ბაქრაძე*), რ-საც ევალებოდა აგრეთვე ქართ. საგვარეულოების, მათი ზნე-ჩვეულებებისა და სხვა ტრადიციების გამოკვლევა. გ-მა ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა და ხელისუფლებაც თითქოს დიდად აფასებდა მის ღვაწლს, რადგან დიდი როლი შეასრულა აჭარის, იმერხევისა და შავშეთის მშვიდობიანად შემოერთებაში. ამის მიუხედავად, იგი ბათუმის ადმინისტრაციას ჩამოაშორეს, გენერლის წოდება მიანიჭეს და პენსია დაუნიშნეს.

გ. იყო ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზ-ბის ერთ-ერთი დამაარსებელი (თავისი მდიდარი კოლექცია ამ საზ-ბას გადასცა). 1873 მისი ინიციატივითა და ხელშეწყობით გაიხსნა ოზურგეთის ქალთა საეპარქიო სასწავლებელი, რ-ის საპატიო მზრუნველი თავად იყო. ჰქონდა მდიდარი ბ-კა. მოიძია ქრისტ. ლიტ-რის, ქართ. სამართლისა და სხვა ძეგლები. იყო ცნობილი მეცენატი, აშენებდა სკოლებს და ამარაგებდა წიგნებით, თავისი ხარჯით გზავნიდა სასწავლებლად ქართვ. მაჰმადიან ახალგაზრდებს, ხელს უწყობდა სტამბების დაარსებას პროვინციებში, თავისი ხარჯით ბეჭდავდა წიგნებს, აგროვებდა ქართ. ხალხ. ზეპირ-





გურიის ერისთავების გერბები.



გურიელების გერბი.



გ. დ. გურიელი.



მ. გურიელი.

სიტყვიერების მასალებს. გარდა ამისა, თანამშრომლობდა მოსკ. არქეოლ. საზ-ბასთან, ჩაატარა რამდენიმე გათხრა და შედეგები გამოაქვეყნა საზ-ბის შრომებში. გ-ის სახლი ოზურგეთში კულტ. ცენტრის ფუნქციას ასრულებდა; აქ იმართებოდა ლიტ. საღამოები და სცენის მოყვარულთა საქველმოქმედო წარმოდგენები. ოზურგეთში გააშენა ბაღი, უცხოეთიდან გამოიწერა ვაზის ჯიშები, იღვწოდა აბრეშუმის ჭიის გასავრცელებლად. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ა. *წერეთელთან*, ნ. *ნიკოლაძესა* და ს. *მესხთან*, რ. *ერისთავსა* და დ. ზ. ბაქრაძესთან, რამდენჯერმე მოიწვია უცხოელი სპეციალისტები გურიაში ნავთობის საძიებლად. ცნობილი იყო დემოკრ. შეხედულებებით.

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ი ძ ე შ., ამაგდარი მამულიშვილი, «ლიტერატურული საქართველო», 1984, №17.

ფ. სიხარულიძე.

გურიელი დიმიტრი ქაიხოსროს ძე (1822, ოზურგეთი, – 17. VIII. 1882, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1875), მსახურობდა ლაიბგვარდიის ულანთა პოლკში, 1871-იდან – მეთაური. მონაწილეობდა 1853–56 ყირიმისა და 1877–78 რუს.-ოსმ. ომებში. 1871-იდან ირიცხებოდა იმპერატორის ამალაში.

მ. გოგიტიძე.

გურიელი ვასილ ლევანის ძე (7. X. 1861, ოზურგეთი, – 1919), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1917). გენ.-ლეიტენანტ ლ. *გურიელის* ვაჟი, 1871–81 – იმპ. *ალექსანდრე II-ის* კარის პაჟი. დაამთავრა საკავალერიო სასწავლებელი. სხვადასხვა დროს მსახურობდა 45-ე დრაგუნთა პოლკში, კავკ. სამხ. ოლქის შტაბში. 1914–17 იყო განსაკუთრებულ დავალებათა გენერალი კავკ. მეფისნაცვალთან. დაჯილდოებული იყო წმ. ვლადიმირის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

ლ. დოლიძე.

გურიელი ივანე სტეფანეს ძე (1770 ან 1772–1818, ქ. მოგილიოვი, ბელორუსია), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1803), შვილიშვილი გურიის მთავრის *ქაიხოსრო III გურიელისა*, რ-იც მეფე *ვახტანგ VI-ს* გაჰყვა რუსეთში. გენ.-მაიორ ს. *გურიელის* ვაჟი. 1780 გ. ჩაირიცხა ნაშებურგის ქვეითთა პოლკში. 1786 გადაიყვანეს უგლიჩის მუშკეტერთა პოლკში. მონაწილეობდა რუს.-ოსმ. 1787–91 ომში. ა. სუვოროვის სარდლობით იბრძოდა ბერლიტთან, გალაცთან, ტარგუსთან, რამნიკთან და სხვ. 1794 მონაწილეობდა პოლონეთის კამპანიაში, შემდეგ ფანაგორიის გრენადერთა პოლკში მსახურობდა. 1812 სამამულო ომის დაწყებისთანავე სათავეში ჩაუდგა ეკატერინბურგის პოლკს, მონაწილეობდა ბოროდინოს, ტარუტინოს, ვიაზმისა და სხვა ბრძოლებში. რუს. არმიის საზღვარგარეთ ლაშქრობის დროს (1813–14) მეთაურობდა 23-ე ქვეითი დივიზიის I ბრიგადას. თავი გამოიჩინა ნასაუს, დრეზდენის, ბაუცენის, ლაიფციგის, კობლენცისა და სხვა ბრძოლებში. ვიდრე მოკავშირეთა ჯარი პარიზს დაიკავებდა, იერიშით აიღო მონმარტრის მაღლობი. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის, წმ. ანას (ბრილიანტებით), წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხისა და წითელი არწივის (პრუსია) II ხარისხის ორდენებით.

ლიტ.: ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი ქ., გენერალი ივანე გურიელი, «ცისკარი», 1972, № 5. *ქ. ჩხატარაიშვილი.*

გურიელი ლევან დავითის ძე (29. II. 1824, ოზურგეთი, – 11. V. 1888, თბილისი), ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1879), ქველმოქმედი, გურიის უკანასკნელი მთავრის *მამია V გურიელის* შვილიშვილი, გენ.-მ. გ. დ. *გურიელის* ძმა. იზრდებოდა მთავრის კარზე. თბილ. პირველი კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჩარიცხეს ლაიბგვარდიის კავკ. ესკადრონში. 1844–51 ცალკე კავკ. კორპუსში იყო და იბრძოდა დაღესტანში (საკორდონო ხაზზე), ჩაჩნეთში, რისთვისაც კაპიტნის ჩინიც მიიღო. 1852–53 იყო ქუთ. გუბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლი. ყირიმის ომის დროს (1853–56) მეთაურობდა დას. საქართვ. მცხოვრებთაგან ჩამოყალიბებულ სახ. ლაშქარს, რ-შიც 19 ქვეითი, 10 ცხენოსანი ასეული და მხოლოდ თავად-აზნაურთაგან დამატებით დაკომპლექტებული ორი ცხენოსანი რაზმი შედიოდა. 1853–54 მიჯნაზე, სოფ. შეკვეთილთან სასაზღვრო ხაზის დაცვის დროს, გამოავლინა პარტიზ. ბრძოლის ტაქტიკის შესანიშნავი ცოდნა, განსაკუთრებული სამხ. საზრიანობა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გენ. ი. *ანდრონიკაშვილის* ბრწყინვალე გამარჯვებებს 1855 წ. 27 მაისს ნიგოითისა და 27 ივლ. ჩოლოქის ბრძოლებში. 1865 მიენიჭა გენ.-მაიორობა. გ-ის სამხ. გამოცდილება კიდევ ერთხელ გამოვლინდა 1877–78 რუს.-ოსმ. ომში. იგი მეთაურობდა იმერეთის რაზმს, რ-მაც თავი გამოიჩინა სამხრეთის მიმართულებით ბრძოლებში; 1879 დაინიშნა ბათუმის ოლქის უფროსის მოადგილედ. გ. ნაყოფიერად მონაწილეობდა სამუზეუმო გამოფენებში, მატიანეთა მოძიებაში, მატერიალურად ეხმარებოდა შემოქმედ ახალგაზრდობას. დაკრძალულია ქაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში. დაჯილდოებული იყო წმ. ანას, წმ. სტანისლავის და წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

ფ. სიხარულიძე.

გურიელი მამია დავითის ძე (16. I. 1836, სოფ. ლესა, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 25. VII. 1891, ქუთაისი), პოეტი. აღიზარდა გურიის მთავართა სასახლეში. 1851–53 სწავლობდა ქუთ. გიმნაზიაში. 1853-იდან სამხ. სამსახურში იყო. მონაწილეობდა ყირიმის ომში (1853–56). 1861 თავი დაანება სამხ. სამსახურს, თუმცა 1876–84 ხელმოკლეობის გამო დროდადრო უბრუნდებოდა მას. ლექსების წერა სიყმაწვილეში დაიწყო. პირველი გამოქვეყნებული ლექსია ,,ფარვანა'' (,,ცისკარი'', 1860, № 1). განიცადა ქართვ. რომანტიკოსებისა და თერგდალეულების გავლენა. მის პოეზიაში აისახა მოუწყობელი საზ. და პირადი ცხოვრებით, მარტოობითა და სიღარიბით გამოწვეული მძიმე სულიერი განცდები, მელანქოლია (,,ფანტაზია'', 1868; ,,მთვარე'', 1887; ,,ოცნება'', ,,ანდერძი'', ორივე 1887; ,,რჩევა და დარიგება'', 1888). იგივე განცდები იგრძნობა ბოჰემურ განწყობილებაზე, ღვინოსა და ქალის ტრფიალზე და თავდავიწყების თემაზე დაწერილ ლექსებში (,,ყმაწვილი ვარ'', ,,რა კარგია ყმაწვილობა'', ორივე 1881; ,,რათ მინდა?'' 1887). გ-ის პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი პატრიოტიზმია (,,ჩემს ძმას ჯაბას'', 1871; ,,კარჩხალის მთები'', ,,ჩემი ალავერდი'', ორივე 1879; ,,პოეტი და ჩვენება'', 1883); გლეხთა უუფლებობას ეხება ლექსი ,,ქობულეთური ყანის სიმღერა'' (1887). ჰუმანიზმითაა გამსჭვალული მისი ცნობილი ლექსი ,,ადამიანი'' (1867). გ-ს ეკუთვნის აგრეთვე რომანტ. პოემა ,,რაშიდ ვარდანოღლი'' (1872–89). თარგმნა რ. ბერნსის, ჯ. ბაირონის, ა.

პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ტ. შევჩენკოსა და სხვ. თხზულებანი. გ-ის ფსევდონიმი იყო ,,ფაზელი‘‘.

თხზ.: თხზულებანი, ქუთ., 1897.

ლიტ.: ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი მ., თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1972; მ ე უ ნ ა რ გ ი ა ი., ქართველი მწერლები, ს. ცაიშვილის გამოც., [ტ.] 1, თბ., 1954; ჟ ღ ე ნ ტ ი გ., მამია გურიელი, თბ., 1961.

ნ. ალანია.

გურიელი მამია სვიმონის ძე, იხ. *მამია V გურიელი.*

გურიელი ნინო დავითის ასული (დ. 7. XII. 1961, თბილისი), მოჭადრაკე. საერთაშ. დიდოსტატი (1979), სსრკ სპორტის ოსტატი (1976), საერთაშ. ოსტატი (1978), საქართვ. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი (2002–04). დაამთავრა თსუ (1982). საქართვ. ჩემპიონი (1976, 1992), სსრკ ჩემპიონატის ცხრაგზის მონაწილე (საუკეთესო შედეგები: 1981 – II ადგილი, 1985 – III–IV ადგილები), 1978-იდან მონაწილეობს ქალთა მსოფლიო ჩემპიონატებში. ზონალური ტურნირები: ფრუნზე (1978 – I ადგილი), ჩერნიგოვი (1985, II–IV); საზონათაშორისო ტურნირები: ალიკანტე (1979–III); თბილისი (1982, IV–VI); ჟელეზნოვოდსკი (1985 – VII); კუალა-ლუმპური (1990 – III–IV); პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში 1980 დამარცხდა ნონა გაფრინდაშვილთან; 1997 მონაწილეობდა პრეტენდენტთა ტურნირში; იყო ქალთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართვ. ნაკრების შემადგენლობაში: ოქროს მედალი (1992, 1994, 1996); ვერცხლის მედალი (2000); გამარჯვებული გუნდის კაპიტანი (2008). მოიპოვა პირველი ადგილი საერთაშ. ტურნირებში: ბიდგოშჩი (1978, 1979), ბად-კისინგენი (1981), სოფია (1983), პლოვდივი (1986), ბელგრადი (1986, 1990), ჰავანა (1988) და სხვ. დაჯილდოებულია ღირსებისა (1994) და გორგასლის III ხარისხის (2001) ორდენებით. *თ. შ. გიორგაძე.*

გურიელი სტეფანე ქაიხოსროს (ქრისტეფორეს) ძე (1730–1812, მოგილიოვი, ბელორუსია), რუსეთის იმპერიის არმიის კავალერიის გენერალ-მაიორი (დაახლ. 1800). გენ.-მ. ი. *გურიელის* მამა. გ-ის მამა, გურიის მთავარი, ქაიხოსრო III ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში და იქვე დამკვიდრდა. 1754-იდან გ. მსახურობდა ჯარში, 1758-იდან – ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუს.-ოსმ. 1768–74 და 1787–91 ომებში.

ლიტ. იხ. სტ-თან გ უ რ ი ე ლ ი ივანე.

გურიელი–ჭყონია არჩილ (18. II. 1895, ქუთაისი, – 21. XI. 1955, ნიუ-იორკი), ქართველი მრეწველი, ბიზნესმენი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. გიმნაზიის დასრულების შემდეგ (1915) ეწეოდა აქტ. პოლიტ. და საზ. საქმიანობას. 1917-იდან იყო საქართვ. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის წევრი, 1921 – თებერვლის ბრძოლების (ბოლშევიკური რუს. მე-11 არმიის წინააღმდეგ) აქტ. მონაწილე.

საქართვ. ოკუპაციის შემდეგ ცხოვრობდა საფრანგეთში (1922–37), 1937-იდან – აშშ-ში. 1937 ცოლად შეირთო ცნობილი ბიზნესმენი და კოლექციონერი ელენე რუბინშტეინი. მათ აშშ-ში დააფუძნეს პარფიუმერიის სამრეწვ. და სავაჭრო ქსელი ,,Gourielli Apothecary‘‘. გ.–ჭ. იყო, აგრეთვე, ცნობილი პარფიუმერული წარმოების ,,Prince Matchabelli‘‘ თანადამფუძნებელი.

გ.–ჭ. აქტიურად იყო ჩაბმული ქართ. პოლიტ. ემიგრაციის საზ.-პოლიტ. ცხოვრებაში. იყო აშშ-ის ქართ. ასოციაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი (1945–47 – თავ-რე).

ლ. ურუშაძე.

გურიის 159-ე ქვეითი პოლკი, დაარსდა 1863 წ. 6 ნოემბერს გურიის ქვეითი პოლკის სახელწოდებით. 1864 წ. 25 მარტს ეწოდა გ. 159-ე ძ. პ. 1879 აპრ-იდან პოლკი შედგებოდა 4 ბატალიონისაგან. მისმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა თავი ისახელეს 1877–78 რუს.-ოსმ. ომში. II და III ბატალიონებს უბოძეს გიორგის დროშა, რ-ზედაც ეწერა: ,,ყარსის აღებისათვის 1877 წლის 6 ნოემბერს‘‘.

ლიტ.: Хроника кавказских войск, в 2-х частях, сост. А. Л. Гизетти, Тфл., 1896.

ო. ჟორდანია.

გურიის აჯანყება 1841, ანტიკოლონიური და ანტიბატონყმური აჯანყება საქართველოში. აჯანყება დაიწყო 22 მაისს (3 ივნ.) სოფელ აკეთში (ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი). ხალხის მღელვარების საერთო მიზეზი იყო ფეოდ. ექსპლუატაციის ზრდა, სახელმწ. გადასახადების სიმძიმე, ხოლო უშუალო მიზეზი – კანონი, რ-ის მიხედვითაც სახელმწ. გადასახადები 1841-იდან ფულადი სახით უნდა აკრეფილიყო. აკეთის 200-მდე გლეხმა უარი განაცხადა გადასახადის შეტანაზე. მალე მათ შეუერთდნენ მეზობელი სოფლების გლეხები. ივლ.-აგვისტოში აჯანყებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო (მონაწილეობდა 7200-მდე კაცი). მღელვარებამ მოიცვა იმერეთისა და სამეგრელოს ზოგიერთი სოფლიც. 9 აგვ. აჯანყებულებმა სოფ. გოგორეთთან (ოზურგეთის მაზრა) დაამარცხეს პოლკ. ბრუსილოვის რაზმი. მალე მთლიანად დაიკავეს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, სამხრ.-დას. გურია, ოზურგეთ–ქუთ. საკომუნიკაციო ხაზი, ოზურგეთი–საკენ მიმავალი გზები და სხვ. მთავრობის ხელში მხოლოდ ადმ. ცენტრი – ოზურგეთი – დარჩა. აჯანყებულებმა დაამარცხეს გურიის თავადაზნაურობისა და მთავრობის დასახმარებლად მოსული სამეგრელოსა და იმერეთის თავად-აზნაურთა რაზმი. აჯანყებულთა წინააღმდეგ 2500 რეგულ. ჯარისკაცი გაიგზავნა პოლკ. მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვის მეთაურობით. გურიისაკენ დაიძრა ოდიშის (სამეგრელო) და იმერეთის მილიცია. 5 სექტ., დილით, მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვმა, იმ მხრიდან შეუტია აჯანყებულებს, საიდანაც ნაკლებად ელოდნენ. მოულოდნელმა თავდასხმამ საბოლოოდ გადაწყვიტა აჯანყებულთა ბედი. ამ ბრძოლაში 60-ზე მეტი გლეხი დაიღუპა.

გ. ა. მარცხით დამთავრდა. ცალკეული სოფლების გლეხებს ერთობლივი მოქმედების წინასწარ შეთანხმებული პროგრამა არ ჰქონდათ. აჯანყების ხელმძღვანელთაგან გამოირჩეოდნენ გლეხები აკეთის თემში: გოგია, ენუქა და ათანასე ვადაჭკორიები, ლიხაურში – ოთარ და ნიკოლოზ თოიძეები, გოგიჩა გორდელაძე, ასკანაში – მამუკა ანთაძე და მუხარბეგ დოლიძე, შემოქმედში – გოგია და როსტომ მამინაიშვილები და სხვ., აზნაურთაგან – აბესა ბოლქვაძე, სიმონ გოგოლიშვილი, ქაიხოსრო გუგუნავა, ათარმიზა თოიძე, ლევან, გოჯასპირ და სიმონ ჭყონიები, სიმონ და გოგია ქარცივაძეები და სხვ.; აჯანყების საერთო ხელმძღვანელები იყვნენ თავადები: ამბაკო შალიკაშვილი და დავით გუგუნავა. აჯანყების აღმავლობის პერიოდში (აგვისტო) თავადაზნაურობა მასობრივად ჩაება მოძრაობაში. აჯანყების ბოლო ეტაპზე, როდესაც აშკარა გახდა გარდაუვალი დამარცხება, ხელმძღვანელთა ნაწილი გამოეთიშა მოძრაობას (დ. გუგუნავა და სხვ.), ხოლო ნაწილი ბოლომდე დარჩა აჯანყების ერთგული (ა. შალიკაშვილი და სხვ.). გ. ა-ში გარეშე ხელიც ერია. ქობულეთის



ნ. გურიელი.

ბეგი ჰ. თავდგირიძე ვერ ურიგდებოდა გურიაში რუს. გაბატონებას და მის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ მოძრაობას აქტიურად ეხმარებოდა. იგი აჯანყებულებს შეუერთდა, მაგრამ კავკ. მმართველობის კატეგორიული მოთხოვნით იძულებული გახდა დაეტოვებინა გურია. მეფის მთავრობამ მოძრაობის 50 მეთაური ქუთ. ციხეში ჩასვა, შემდეგ კი სამხ. წესით გაასამართლა, თუმცა 1842, ხალხის მღელვარების თავიდან ასაცილებლად, ყველა გაათავისუფლა, მხოლოდ ა. შალიკაშვილი გადაასახლა ციმბირში.

ბ. ა-ის მხატვრული გამოხმაურებაა ე. ნინოშვილის ისტ. რომანი ,,ჯანყი გურიაში‘‘.

ლიტ.: კ ი კ ვ ი ძ ე ა., საქართველოს ისტორია (XIX ს.), თბ., 1954; ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წელს, ბათ., 1956; ყ ი ფ ი ა ნ ი დ., მემუარები, რედ. ს. ხუნდაძე, თბ., 1930; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970.

გ. მეტრეველი.

ბურიის ეპარქია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ეპარქია. დას. საქართვ. საკათოლიკოსოს გაუქმების შემდეგ (1814) განზრახული იყო გურიის სამთავროში საეკლ. გარდაქმნების ჩატარება, მაგრამ 1819–20 იმერეთში მიმდინარე ე. წ. ,,საეკლესიო ბუნტის‘‘ გამო რეფორმის განხორციელებაზე სინოდმა დროებით უარი განაცხადა. 1819 წ. 8 ივლ. ეგზარქოს თეოფილაქტეს (რუსანოვი) განკარგულებით ბ. ე-ს გაძღოლა დაევალა ჯუმათის სამიტროპოლიტოს მთავარეპისკოპოს ნიკოლოზ ჯუმათელს (შარვაშიძე). 1833 ბ. ე. შეუერთდა იმერეთის ეპარქიას, ხოლო 1844 წ. 1 აპრილიდან კვლავ აღდგა ბ. ე-ს სახელით. კათედრა განთავსდა ჯუმათის მონასტერში. ეპისკოპოსები იმყოფებოდნენ ჯუმათსა და ნაგომარში. ბ. ე-ს უძღვებოდნენ: ეფთვიმე წულუკიძე (1844), იოანე იოსელიანი (1853–58), გაბრიელ ტუსკია (1859–81).

XIX ს. 70-იანი წლების ბოლოს ბ. ე-ის საზღვრები გაფართოვდა. 1878 *ბერლინის კონგრესის* გადაწყვეტილებით საქართველოს შემოუერთდა მისი სამხრ.-დას. ნაწილი, ბ. ე-ს დაექვემდებარა კოლა, არტაანი, ოლთისი, ართვინი, ბათუმი. რუს. სინოდის 1885 წ. 12 ივნისის გადაწყვეტილებით ბ. ე. შეუერთდა *სამეგრელოს ეპარქიას* და *გურია-სამეგრელოს ეპარქია* ეწოდა.



გურიის მხარე. კურორტი ბახმარო.

ლიტ.: И о с е л и а н и П., Краткая история Грузинской церкви, СПб., 1843; [Е п и с к о п К и р и о н], Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тфл., 1901.

ე. ბუბულაშვილი.

ბურიის მხარე, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში. მოიცავს კოლხეთის ბარის სამხრ. პერიფერიულ ნაწილს და მესხეთის ქედის ჩრდ.-დას. განშტოებებს. ჩრდ-ით ესაზღვრება სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე, აღმ-ით – იმერეთის მხარე, სამხრ-ით – აჭარის ავტ. რესპუბლიკა, დას-ით – შავი ზღვა. ფართ. 2033,2 *კმ*². მოსახლ. 143,3 ათ. კაცი (2002). ცენტრი – ქ. *ოზურგეთი* (მანძილი თბილისიდან ოზურგეთამდე 321 *კმ*). მხარეში არის 3 მუნიციპალიტეტი (*ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი*), 2 ქალაქი (*ლანჩხუთი,* ოზურგეთი), 5 დაბა (*ლაითური, ნარუჯა, ურეკი, ქვედა ნასაკირალი, ჩოხატაური*), 186 სოფელი, 61 თემი.

ბ. მ. შეიქმნა 1994, ემთხვევა ისტ.-ეთნოგრ. მხარე *გურიას*. მოსახლ. 98,3% ქართველია, 0,7% – რუსი, 0,7% – სომეხი, 0,1% – უკრაინელი, 0,1% – ოსი. საშ. სიმჭიდროვეა 70,5 კაცი 1 *კმ*²-ზე. მოსახლ. 26,2% ცხოვრობს ქალაქში, 73,8% – სოფლად.

მოსახლ. დიდი ნაწილი დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში. მოჰყავთ სიმინდი, თხილი, ჩაი, კურკოვანი და კაკლოვანი ხილი, ციტრუსები (მ. შ. მანდარინი), ყურძენი, მსხალი და სხვ.

ხელსაყრელმა ფიზ.-გეოგრ. მდებარეობამ განაპირობა ბ. მ-ის ბუნების მრავალფეროვნება. მნიშვ-



გურიის მხარე. კურორტი ურეკი.

ნელოვანი კურორტებია: *ბახმარო, გომის მთა, გრიგოლეთი, ნაბელავი, ნასაკირალი,* ურეკი.

ე. ლოლუა.


გურიის საერისთავო, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, საერისთავო XI საუკუნეში შეიქმნა და ერისთავებად *ვარდანისძეთა* საგვარეულოს წარმომადგენლები დაინიშნენ. XIII საუკუნეში მათ ერისთავთერისთავის ტიტული მიიღეს, ხოლო XV ს. II ნახევრიდან დამოუკიდებელი სამთავროს მთავრები გახდნენ და გურიელებად იწოდებოდნენ. მკვლევართა მეორე ნაწილი თვლის, რომ ტერიტ.-ადმინ. ერთეული ,,გურიის საერისთავო'' არ არსებობდა. გურია მეფის დომენს წარმოადგენდა.


წყარო: ჟამთაღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: ბახტაძე მ., ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003; სოსელია ო., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 30; ხიდურელი ზ., სამეფო დომენის საკითხისათვის XI–XV სს. საქართველოში, «საისტორიო კრებული», VII, თბ., 1977.

მ. ბახტაძე.

გურიის სამთავრო, ფეოდალური სამთავრო დასავლეთ საქართველოში XV ს. II ნახევრიდან XIX ს. 30-იანი წლების ბოლომდე. შეიქმნა საქართვ. სამეფოს ადრინდ. გურიის საერისთავოს ტერიტორიაზე, მოიცავდა ქობულეთ-ჩაქვის ქედს, შავი ზღვის სანაპიროს, მდ. რიონის ქვემო წელსა და მდ. ჭოროხის შესართავს შორის მდებარე ტერიტორიას. XV–XVII სს-ში გ. ს-ში ზოგჯერ აჭარა (აჭარისწყლის ხეობა), ჭანეთის ჩრდ. ნაწილი (გონიოს მხარე) და მაჭახელაც შედიოდა. გ. ს-ს *გურიელები* განაგებდნენ. მათი ძირითადი რეზიდენცია იყო ოზურგეთი. მთავრის კუთვნილება იყო ძირითადი სტრატეგიული პუნქტები, ციხეები და ნაყოფიერი მიწები. საკუთარი მამულები ჰქონდათ ასევე დედოფალსა და ბატონიშვილებს. სამთავროს კარისა და ქვეყნის გამრიგე მოხელეები იყვნენ: სახლთხუცესი, სარდლები, ციხისთავები, მეჯინიბეთუხუცესი, მესტუმრეთუხუცესი, კარის მესტუმრე, მოლარეთუხუცესი, მოლარე (ხაზინადარი), ქეშიკთუხუცესი, ქალაქთუხუცესი, მელვინეთუხუცესი, ქილიფთართუხუცესი, მდივანბეგი (მსაჯულთუხუცესი), მდივნები, ბოქაულთუხუცესი, იასაულები, მოურავები, ნაცვლები, ხელოსნები (წვრილი მოხელეები), მებაჟეები, ტყისმცველები და სხვ. გ. ს-ს სოც. წყობა და ურთიერთობანი ძირითადად საქართვ. ბარის სხვა მხარეთა წყობის მსგავსი იყო. XV–XVI სს. მიჯნიდან გ. ს-ს ეკლესია, რ-იც XI ს-იდან ქუთათელის სამწყსოში შედიოდა, გურიელთაგან დასმულ მღვდელმთავრებს დაექვემდებარა. გ. ს-ში 3 ეპარქია შედიოდა: შემოქმედის, ჯუმათისა და ხინოწმინდის. საშემოქმედო მოიცავდა ტერიტორიას მდ. სუფსასა და კინტრიშს შორის. საჯუმათლო – სუფსასა და რიონს შორის, ხოლო სახინოწმინდლო – კინტრიშსა და ჭოროხს შორის. გ. ს-ში რამდენიმე მონასტერი (შემოქმედის, ჯუმათის, თეთროსნის, ხინოს და სხვ.), საწინამძღვრო და ორასზე მეტი ეკლესია იყო, რ-ებიც დიდი რაოდენობით ყმა-მამულს ფლობდნენ და სწავლა-განათლებისა და კულტურის ცენტრებს წარმოადგენდნენ. 1533 ოდიშის მთავართან ერთად ჯიქეთში მარცხიანი ლაშქრობის შედეგად გურია დროებით კვლავ იმერეთის მეფეზე დამოკიდებული გახდა. როსტომ გურიელის (1534–66) დროს გ. ს-ს შემოუერთდა აჭარა და ჭანეთი. XVI ს-ში გურიის ლაშქარი აქტიურად მონაწილეობდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე. ოსმალებმა მიიტაცეს გონიოს მხარე და გურიას უშუალოდ დაუმეზობლდნენ. ამ დროიდან რუსეთთან შეერთებამდე ოსმალეთი გამუდმებით ცდილობდა დაეპყრო გ. ს. XVI ს. II ნახევრიდან სამთავრო ოსმ. გავლენის სფეროში მოექცა, რაც განაპირობა სამხრ. საქართველოში ოსმალთა გაბატონებამ. XVII ს. დასაწყისი გ. ს-ს პოლიტ., ეკონ. და კულტ. ძლიერების ხანა იყო. *მამია II გურიელმა* გამოიყენა ხელსაყრელი პოლიტ. ვითარება და 1609 აჭარიდან განდევნა ოსმალები, მაგრამ მათთან ომის გაგრძელება ვერ შეძლო, 1614 იძულებული გახდა აჭარა დაეთმო და ოსმ. სასარგებლოდ ხარკის გადახდა ეკისრა. გურია-თურქ. საზღვრად მდ. ჭოროხი დარჩა (იხ. *გურია-ოსმალეთის ხელშეკრულება 1614*). ამ დროიდან გ. ს-მ პოლიტ. ურთიერთობა დაამყარა რუს. სახელმწიფოსთან, დონისა და ზაპოროჟიეს კაზაკებთან და პოლონეთთან. გ. ს. აქტიურად მონაწილეობდა ქართლისა





ლიხაურის ღვთისმშობლის ეკლესია. XIII ს. II ნახევარი.

და კახეთის სამეფოთა ანტიირან. ბრძოლაში. მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა XVII ს. II მეოთხედიდან. 1625-იდან გ. ს. დიდი ხნით მოექცა ოდიშის მთავრის გავლენის ქვეშ. XVII ს. შუა წლებიდან მდგომარეობა გაართულა დას. საქართველოში გაჩაღებულმა შინაომებმა, რასაც მოჰყვა *ტყვის სყიდვის* გავრცელება. სხვა ქართვ. გამგებელთან ბრძოლის დროს გურიელები დახმარებისათვის ხშირად მიმართავდნენ ოსმალეთს. ასევე იქცეოდნენ დას. საქართვ. სხვა მეფე-მთავრები, რამაც დას. საქართველოში ოსმ. ბატონობის გაძლიერებას შეუწყო ხელი. მომდევნო წლებში გურიის მთავრები, მაგ., *გიორგი III გურიელი* და *მამია III გურიელი* ზოგჯერ დადიანობასა და იმერეთში გამეფებასაც კი ახერხებდნენ. XVIII ს. დასაწყისში გურიის მთავარი დადიანთან და იმერეთის გამგებელთან ერთად, რუს. დახმარების იმედით, ოსმ. წინააღმდეგ გამოვიდა. ამის საპასუხოდ ოსმალებმა 1703 დას. საქართვ. დაარბიეს გ. ს-მ ბათუმისა და ჩაქვის მხარეები დაკარგა. თურქებმა ახლანდ. ბათუმის ადგილას ციხე ააგეს და გურიის ტერიტორიაზე ფეხი მოიკიდეს. 1723 ოსმალთა გარნიზონები ჩადგნენ გურიის ზღვისპირა ციხეებში. *მამია IV გურიელი* XVIII ს. შუა წლებში *ერეკლე II-ის* დახმარებით ცდილობდა ოსმალთა განდევნას. იმერეთში *სოლომონ I-ის* გამეფების შემდეგ გურიის მთავარი აქტიურად მონაწილეობდა იმერეთის მეფის ანტიოსმ. ღონისძიებებში. მამია IV-მ აკრძალა ტყვის სყიდვა, მოაწესრიგა ეკლესიის საქმეები და დაიწყო აშკარა ბრძოლა ოსმ. წინააღმდეგ. ამის გამო 1766 ოსმალთა ლაშქარი გურიაში შეიჭრა და *გიორგი V გურიელი* გაამთავრა. გ. ს. აქტიურად იბრძოლა ოსმ. წინააღმდეგ 1768–74 რუს.-ოსმ. ომში. 1769 გურიაში ოსმალები შეიჭრნენ, მაგრამ მომდევნო წელს იმერეთისა და გურიის ლაშქარმა მხარე კვლავ გაათავისუფლა. 1771 იანვარში გურიის ლაშქარმა გაანადგურა ფოთის მიდამოებიდან უკან გაბრუნებული ოსმალთა დიდი რაზმი. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის (1774) შემდეგ ოსმალეთი თანდათან იპყრობდა გურიის მიწა-წყალს, წაართვა ქობულეთის მხარე; დაიწყო ქვემო გურიის გამაჰმადიანების ხანგრძლივი პროცესი, რაც XIX ს. 70-იან წლებამდე გაგრძელდა. ქვემო გურიის მოსახლ. ნაწილი გურიის სხვა მხარეებში გადასახლდა. XVIII ს. 80–90-იან წლებში გურია ოსმალთა დაუსრულებელი შემოსევების ასპარეზად იქცა. იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა 1784 მარტში სცადა ქვემო გურიიდან ოსმალების განდევნა, მაგრამ ნაჭიმკრევთან (ციხისძირთან) დამარცხდა. ამის შემდეგ ეს მხარე 1878-მდე ოსმ. ხელში იყო. შედარებით გაუმჯობესდა გ. ს-ს მდგომარეობა *ქაიხოსრო ბატონიშვილის* (გიორგი IV-ის ვაჟი) რეგენტობის დროს. ქაიხოსრომ აკრძალა ტყვის სყიდვა და გაატარა მნიშვნელოვანი ეკონ.



გულსაკიდი ჯვარი. ტიხრული მინანქარი. X ს. შემოქმედი. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

ღონისძიებანი. საგარეო პოლიტიკაში ქაიხოსრო *გეორგიევსკის ტრაქტატის 1783* საფუძველზე რუსეთთან კავშირის მომხრე იყო. 1804 რუს. მთავრობამ უშედეგოდ სცადა იმერეთის სამეფოსთან ერთად გ. ს-ზე თავისი მფარველობა გაევრცელებინა. 1810 წ. 19 ივნ. *მამია V გურიელმა* რუსეთთან მფარველობითი ხელშეკრულება დადო. გურია რუს. იმპერიაში შევიდა როგორც ავტონ. სამთავრო. ამის შემდეგ ოსმალთა შემოსევები შემცირდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. მამია V გურიელის დროს გ. ს-ში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გაუმჯობესდა მმართველობის სისტემა, გაიხსნა სკოლა ქ. ოზურგეთში, დაწესდა ყოველწლიური ,,იარმარკა'' (ნაგომარში), მოწვეულ იქნენ ევრ. მუსიკოსები და მსახიობები, მოწესრიგდა სახელმწ. კანცელარიის საქმიანობა, ჩატარდა მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები, განვითარდა ვაჭრობა და შინამრეწველობა. 1819–20, იმერეთისა და გურიის აჯანყების დროს, რუს. სარდლობამ გურიაში ჯარი შეიყვანა და იმერელ აჯანყებულთა დამხმარე ქაიხოსრო ბატონიშვილის შეპყრობა სცადა. შემოქმედის ციხესთან მოკლეს რუსთა რაზმის უფროსი პოლკ. პუზირევსკი. რუსთა დამსჯელმა რაზმმა ქაიხოსროსა და მისი მომხრეების მამულები დაარბია. ქაიხოსრო ბატონიშვილი თავის მომხრეებთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. 1826 წ. 26 ოქტ. გარდაიცვალა მამია V გურიელი. რუს. სარდლობის მოთხოვნით გურიის გამგებლობა დაევალა სამმართველო საბჭოს, რ-საც დედოფალი სოფიო (წულუკიძე) თავმჯდომარეობდა. რუს.-ოსმ. 1828–29 ომის დროს გურია ომის ასპარეზად იქცა. სოფიომ სცადა ეს ვითარება თავისი ხელისუფლების გასაძლიერებლად გამოეყენებინა, მაგრამ მოსახლეობამ მხარი არ დაუჭირა. გურიაში რუს. ჯარი შევიდა და 1829 მიწურულს გ. ს. რუს. იმპერიას შეუერთდა. სოფიო თავისი შვილებით ემიგრაციაში წავიდა. რუს.-ოსმ. 1828–29 ომში გურიის მოსახლეობა აქტიურად იბრძოდა ოსმ. წინააღმდეგ; 1829–40 გურიას განაგებდა დროებითი მმართველობა, რ-შიც შედიოდნენ გურიის თავადები. 1840 გურიის დროებითი მმართველობა გაუქმდა და გურია ოზურგეთის მაზრის სახით ქუთ. გუბერნიაში შევიდა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 2–3, თბ., 1897–1967; Бакрадзе Д. З., Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб., 1878.

ლიტ.: დუმბაძე მ., გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიური ვითარება XIX საუკუნის პირველ მესამედში, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 30; სოსელია ო., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური საშინაო ისტორიიდან (XIII ს. შუა წლებიდან XIX ს-ის დამლეგამდე), იქვე; სიხარუ-

ლ ი ძ ე ი., გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წელს, ბათ., 1956; ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი ქ., გურიის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან (XVIII ს. 70–80-იანი წლები), «მაცნე», 1964, № 4; მ ი ს ი ვ ე, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1985; Б а к р а д з е Д. З., Батум и его окрестности, Батум, 1906.

ქ. ჩხატარაიშვილი.

გურიის უდაბნო, სამონასტრო კომპლექსი, მდებარეობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ შუა განახლებიდან 2 *კმ* დაშორებით, ამაღლების მთის ფერდობზე (ძველად სოფელს შუა ამაღლება ერქვა). კომპლექსის მთ. ნაგებობაა ნახევრად კლდეში ნაკვეთი, მცირე ზომის იოანე ნათლისმცემლის დარბაზული ეკლესია. ამას გარდა, ფერდობის ქვედა ნაწილში კიდევ 4 გამოქვაბულია, რ-თაც ერთი მხრიდან ხელოვნურად მიცემული აქვს აფსიდის ფორმა და, ამდენად, სავარაუდოა, რომ სალოცავის მოვალეობას ასრულებდა. მონასტრის აღმ. და სამხრ. ნაწილი კლდეშია გამოკვეთილი, მშენებლებს მხოლოდ დას. და ჩრდ. კედლის ნახევარი აუგიათ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ნაგებობა კლდის ქვეშ არის შეყუჟული. ეკლესია ნაგებია კარგად გათლილი, ღია ფერის კვადრებით და შემკულია სხვადასხვა რელიეფური გამოსახულებით. ეკლესიის დათარიღება დღემდე ვერ მოხერხდა, რასაც ართულებს ის ფაქტიც, რომ იგი მრავალჯერ გადაუკეთებიათ, ხოლო აღდგენის დროს სამშენებლოდ ძვ. ნაშთები გამოუყენებიათ. მკვლევართა ნაწილი მას VI ს. ძეგლად მიიჩნევს, ნაწილი კი IX–X სს. აკუთვნებს.

Გ. უ. ქართ. კულტ. ერთ-ერთი კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი კალიგრაფები, მ. შ. აღსანიშნავია მონასტრის წინამძღვარი იოსებ ტუსკია, რ-საც შემოქმედის გულანი გადაუწერია. უდაბნოს მონასტერს ჰქონდა მდიდარი წიგნსაცავი. უდაბნოს ხელნაწერთაგან ყველაზე თვალსაჩინო და უძველესია ,,მრავალთავი‘‘. იგი XVI ს-ში ჩამოიტანა ნიკოლოზ ჯუმათელმა კლარჯეთის მონასტრების მოლოცვის შემდეგ. აქვე იყო დაცული ბრწყინვალე ოსტატობით ნაქარგი სამღვდელმთავრო შესამოსლები. მონასტერი საკმაოდ მდიდარი იყო. საქართვ. ცენტრ. საისტ. არქივში ინახება სიგელ-გუჯართა მთელი წყება, რ-ებშიც აღნუსხულია საერო თუ სას. პირთა მიერ მონასტრისათვის გაღებული შეწირულობანი. XIX ს-ში მონასტერში პირველდაწყებით განათლებას იღებდნენ ახალგაზრდები. ათეისტური რეჟიმის ბატონობისას Გ. უ. არაერთხელ დაარბიეს და გაძარცვეს.

ამაღლების მთის ფერდობის ზედა ნაწილში, მღვიმე-ეკლესიიდან დაახლ. 200 *მ*-ზე მდებარეობს იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, რ-იც 1858 აუშენებიათ. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ღრმა ნახევარწრიული შვერილი აფსიდით. ნაგები ყოფილა კარგად დამუშავებული მოყვითალო ფერის კვადრებით. იგი 1958-მდე ხელუხლებლად იყო შემონახული, ხოლო შემდეგ ადგილობრივ ხელისუფლებას განგებიდან დაუნგრევია სამშენებლო მასალის მოპოვების მიზნით, თუმცა ეკლესიის მთლიანად დანგრევა ვერ მოუხერხებიათ.

თ. ქართველიშვილი.

გურიის ქედი, ნ ი გ ო თ ი ს ს ე რ ი, დაბალი განედური ქედი დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობის სამხრეთ კიდეზე. მესხეთის ქედის ჩრდ. განშტოება. სამხრეთიდან გამოყოფილია სუფსის ხეობით. ქედის უმაღლესი წერტილია მთა ბურნარ-საცხვარო (678 *მ*), მთები: ბურნათი (498 *მ*), ტალახა (667 *მ*), საირაო (475 *მ*), სამება (522 *მ*). ქედის შუა მონაკვეთი ცნობილია საირაოს სერის სახელწოდებით. აგებულია მესამეული ვულკანოგენური ფაციესის ნალექებით. ხასიათდება ტექტონ.-ეროზიული რელიეფით. ქედის კალთები ციცაბოა, განსაკუთრებით აღმ. ნაწილში.

დ. უკლება.

გურიის ქვეითი რაზმი (,,დ რ უ ჟ ი ნ ა‘‘), დაარსდა 1815 წ. 28 დეკემბერს როგორც გურიის მილიციის ასეული. მის რიგებში ირიცხებოდა 110 ქვეითი მეომარი. ასეულს ევალებოდა დაეცვა ოზურგეთის მაზრის საზღვარი ოსმალეთთან. 1877 გადაკეთდა გურიის I ქვეით რაზმად, რ-ის პირადი შემადგენლობა 400 კაცამდე გაიზარდა. თავი ისახელა 1877–78 რუს.-ოსმ. ომში, რისთვისაც ებოძა გიორგის დროშა, რ-ზედაც ეწერა: ,,წარჩინებისათვის 1877 და 1878 წლების ოსმალეთის ომში‘‘. Გ. ქ. რ. ომის დამთავრების შემდეგ უწოდეს. 1877 Გ. ქ. რ-ის საფუძველზე შეიქმნა კავკ. მკვიდრი მოსახლ. მესამე მსროლელთა რაზმი.

ლიტ.: Хроника кавказских войск, в 2-х частях, сост. А. Л. Гизетти, Тфл., 1896.

თ. ჟორდანია.

გურისტყე, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (გურიის მხარე), მესხეთის ქედის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. სუფსის მარჯვ. ნაპირას. დიდი ვანის თემის ცენტრი (სოფლები: Გ., გამოღმა დობირო, გაღმა დობირო). ზ. დ. 300 *მ*, ჩოხატაურიდან 14 *კმ*, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 24 *კმ*. 76 მცხ. (2002).

გურიფული, ხობის მუნიციპალიტეტის სოფლების *პირველი გურიფულისა* და *მეორე გურიფულის* გავრცელებული სახელწოდება.

გურკელი, სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტის აგარის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. წინუბნისწყლის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1020 *მ*, ახალციხიდან 24 *კმ*, აწყურიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ*. 150 მცხ. (2002). სოფლიდან 2 *კმ*-ზე, მდ. წინუბნისწყლის მარცხ. ნაპირზე, არის მინერ. წყარო.

სოფლის განაპირა ქედი ჩრდ. მხრიდან ყელგადაჭრილი გორანამოსახლარია, სადაც მოიპოვება წინაფეოდალური ხანის შავი და წითელი კერამიკა. გორის თხემი (50 *მ* × 25 *მ*) ნაციხარს უკავია. ჩრდ-ით, თხემის ბოლოს, მრგვალი კოშკისა თუ გალავნის გადაქცეული კედელია, სამხრ-ით კი შემორჩენილია ოთხკუთხა კოშკის (5 *მ* × 6 *მ*) ნანგრევი. გათლილი ლოდების წყობა რეგულარულია, ნაგებია ჰორიზონტალურად სიმაღლეზე დაყენებული ქვებითა და კირხსნარით. კედლის სისქე 2 *მ*. გალავნის შიგნით ნაგებობათა ბუდეები ჩანს, შესაძლოა აქ ეკლესიაც იყო, რ-იც სოფელში არ ჩანს. გურკლისხევზე გადიოდა ერთ-ერთი გზა იმერეთისკენ, რ-იც ციხისჯვრის გავლით ხანისწყლის ხეობაში გადადიოდა. Გ-ის ციხისა და ხევის მფლობელნი იყვნენ აზნაურები, XIII ს-ში ცნობილი პირები: ბ. *გურკლელი,* დავით VI ნარინის თანშეზრდილი, მისი კარის მოხელე ამირეჯიბი და მ. *გურკლელი.*

,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის‘‘ მიხედვით, 1595 Გ. სოფ. წინუბანთან ერთად ახალციხის ლივის აწყურის ნაჰიეში (რ-ნი) შედიოდა. აქ მაშინ ცხრა კომლი ქრისტიანი ქართვ. ცხოვრობდა: ღვინია მებოსტნის შვილი, ძმა მისი, კიდევ ძმა მისი, გოჩა ელიაძის ძე, ბადურ ძე მისი, მატია ასიმის ძე, ართაშეზ ძმა მისი, აზარგულ და ძმა მისი. მათ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, მუხუდო, ოსპი, სელის თესლი, კაკალი, ხილი. ჰქონდათ ბოსტნები; ჰყავდათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი; ჰქონიათ ერთი თვალი წისქვილი სრული წლით; იხდიდნენ წლიურ გადასახადს – 5000 ახჩას. Გ-

თან დაკავშირებული, ხევში უფრო ქვევით მდებარე წინუბანი, როგორც ჩანს, იყო ხეობის ცენტრის – ბ-ის წინა უბანი, რ-იც შემდეგ ცალკე სოფლად იქცა. იქ ახლაც მოქმედი, ცხელი გოგირდოვანი აბანოა და ამჟამადაც ქართველები სახლობენ (მათი გვარებია: მახათაძე, ჭანკოტაძე, მიქელაძე, კუხიანიძე, ხრიკაძე, მამლიკიძე, ნოზაძე, კაპანაძე, თედიაშვილი, ტაბატაძე. უმეტესობა ხაშურიდანაა გადმოსახლებული).

სოფლის მახლობლად, დაახლ. 3 *კმ*-ზე, *ბიეთის* (XIV ს. II ნახ.) ძლიერ დაზიანებული ეკლესიაა.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2, თბ., 1941.

დ. ბერძენიშვილი.

გურკლელი ბეშქენ მახუნჯაგის ძე, XIII ს. 30–50-იანი წწ. ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, *რუსუდანისა* და *დავით VI* ნარინის კარის მოხელე – ამირეჯიბი, მემკვიდრეობით სოფ. გურკელის (სამცხე) მფლობელი. ბ. დავით VI-ის თანშეზრდილი და დაახლოებული პირი იყო. დაახლ. 1243 იგი თან ახლდა მეფობის დასამტკიცებლად ოქროს ურდოში წასულ დავით VI-ს. 1259 მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებულ დავით VI-თან ერთად დას. საქართველოში გადავიდა. ამის შემდეგ, როგორც ჩანს, იმერეთში დამკვიდრდა სამეფო კარზე.

წყარო: ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ნ. შოშიაშვილი.

გურკლელი მურვან მახუნჯაგის ძე, XIII ს. 60-იანი წწ. ქართველი პოლიტიკური მოღვაწე (როგორც ჩანს *გურკლელი* ბეშქენ მახუნჯაგისძის სახლის წევრი, სავარაუდოდ – ძმა). მოღვაწეობდა *დავით VII* ულუს კარზე. 1260 იბრძოდა ახალდაბასთან მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებული მეფის მხარეზე. XIII ს. 60-იან წლებში ტყვედ ჩაუვარდა სამცხე-ჯავახეთში შემოსეულ მონღოლთა რაზმს, რ-საც ალათემური სარდლობდა. ბ-მ თავი დააღწია ტყვეობას, შეკრიბა ლაშქარი და შეებრძოლა მტერს. ამის შემდეგ გურკლელთა გვარი წყაროებში აღარ იხსენიება. როგორც ჩანს, მომძლავრებულმა ჯაყელთა სახლმა წაართვა მათ მამული. სოფ. გურკელთან ერთად გურკლელთა სახლმა დაკარგა თავისი გვარწოდებაც.

წყარო იხ. სტ-თან გ უ რ კ ლ ე ლ ი ბეშქენ მახუნჯაგის ძე.

ნ. შოშიაშვილი.

გურნა, სოფელი ტყიბულის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), ოკრიბის წვრილმთიანეთში, მდ. ჭალის (წყალწითელას მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: ბ., ანტორია, ბობოთი, კითხიჯი, კისორეთი, კორეეთი, ნაძვა, ციხია). ზ. დ. 610 *მ*, ტყიბულიდან 16 *კმ*. 750 მცხ. (2002).

ბ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია 1660.

გურნათელი, დასახლებული პუნქტი ისტორიულ *შავშეთში* (ამჟამად თურქ. ტერიტ.). პ. *ინგოროყვას* აზრით, ის უნდა იყოს იგივე გუნათლე, სადაც გრიგოლ ხანძთელმა IX ს-ის 10–20-იან წლებში აზნაურ გაბრიელ დაფანჩულის დახმარებით დააარსა დედათა მონასტერი (,,გუნათლის ვანი''). სოფლის სამხრ.-აღმ-ით, ტყიან ბორცვზე, შემორჩენილია მომცრო დარბაზული ეკლესია, რ-იც 1904 ნახა და აღწერა ნ. მარმა. ეკლესია ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვით. დეკორი არ გააჩნია. კონქი და სამხრ. კედლის დიდი ნაწილი იმ დროისათვის უკვე ჩამონგრეული იყო. ეკლესიის მიდამოებში ნ. მარმა იპოვა მოწითალო ქვის დაზიანებული სტელა, რ-ის სამ წახნაგზე გამოკვეთილი იყო ჯვრები, ხოლო მეოთხეზე – წრე. მეორე ასეთივე სტელა XIX ს-ში ბ-იდან გადაიტანეს სათლელ-რაბათის სომხ. ეკლესიის ეზოში. ამჟამად ორივე სტელა დაკარგულია.

დ. ხოშტარია.

გურო [ფსევდონიმი; ნამდვ. სახელი და გვარი – ივანე (ოვანეს) ბოგდანის ძე გ ა ს პ ა რ ი ა ნ ი] (1907, თბილისი, – 9. VIII. 1984, იქვე), მხატვარ-სატირიკოსი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1965). გრაფიკოს-პლაკატისტი, პოლიტ. კარიკატურის ოსტატი. 1924-იდან თანამშრომლობდა ჟურნ.-გაზეთებთან ,,რაბოჩაია პრავდა'', ,,ზარია ვოსტოკა'' და სხვ. 1931-იდან გაზეთ ,,პრავდისათვის'' ქმნიდა პოლიტ. კარიკატურებს. 30–70-იან წწ. თანამშრომლობდა ჟურნალებთან ,,ნიანგი'', ,,დროშა'' და სხვ. II მსოფლიო ომის წლებში მონაწილეობდა ანტიფაშისტური ფურცლებისა და პლაკატების (,,ხიშტით და კალმით'') შექმნაში. დაასურათა ქართვ. მწერალთა ნაწარმოებები: კ. ლორთქიფანიძის ,,კოლხეთის ცისკარი'', დ. ბაქრაძის ,,გმირთა სისხლით'' და სხვ. გააფორმა ბ. პასტერნაკის ლექსების კრებული საქართველოს შესახებ (,,ქართველი პოეტების საუკეთესო თარგმანები'', 1947, 1958, რუს. ენაზე). შექმნა პოეტ ს. ესენინის პორტრეტი (1925).

გურულები, ქართველების ეთნოგრაფიული ჯგუფი. ისტორიული მხარის – *გურიის* (ახლანდ. ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები) ძირითადი მოსახლეობა. ენა – ქართული, *გურული დიალექტი*. რელიგია – ქრისტიანული (მართლმადიდებლობა), მცირე ნაწილი იყო მაჰმადიანი (XVIII ს-ში დაიწყო ქვემო გურიის გამაჰმადიანების პროცესი, რ-იც XIX ს. 70 წლებამდე გაგრძელდა). ანთროპოლოგიურად მიეკუთვნებიან შავიზღვისპირულ და დასავლურქართულ ანთროპოლოგიურ ტიპს. ბ., დანარჩენ ქართველებთან ერთად, საერთო ეთნოგენეტიკური წარმომავლობისანი არიან. ეთნ.-ლინგვ. თვალსაზრისით, ბ. მიეკუთვნებიან აღმოსავლურ-ქართულ ჯგუფს, რ-იც წარმოიქმნა რთული ეთნოგენეტიკური პროცესის შედეგად უფრო მცირე ერთეულთა შერწყმით. ეთნოგენეზის ხანგრძლივ პროცესში დასაშვებად მიიჩნევენ ცალკეულ ქართვ. ტომთა მიგრაციასა და ინფილტრაციას, რ-შიც არაქართული წარმომავლობის ტომებიც მონაწილეობდნენ. ისტორიულად გურიის ტერიტორიაზე მოსახლეობა შემდიოდა გარედან, მაგრამ მიმდინარეობდა მისი გადაადგილება რეგიონის შიგნითაც. მდ. რიონის ქვემო დინებასა და მდ. ჭოროხის შესართავს შორის მდებარე ქვეყანა (ისტ. ლაზიკა, VIII ს-იდან მისი უდიდესი ნაწილი გურიის სახელით მოიხსენიება), *პროკოპი კესარიელის* (VI ს.) ცნობით, სრულიად დაუსახლებელი ყოფილა. ვარაუდობენ, რომ ადრე აქ მხოლოდ მეგრულ-ლაზური ტომები სახლობდნენ. გურიის ახ. მოსახლეობა შეიძლება გაჩენილიყო VI ს. შემდგომ, განსაკუთრებით VII–VIII სს-ში. გურიის მერმინდელი მცხოვრებნი ადგილ. მკვიდრნი არ ყოფილან. როგორც ჩანს, ბ. და იმერლები აღმ-ით ან სამხრ.-აღმ-ით მეგრელებსა და ლაზებს შორის შეჭრილან. XI–XII სს-ში უკვე ჩამოყალიბებული იყო ქართველთა ეთნოგრ. ჯგუფები, მ. შ. ბ-ც ,,...მსგავსნი იმერთა ზნითა, ქცევითა, სარწმუნოებითა, სჯულითა... ბრძოლასა შინა შემმართებელნი... უძურლალნი, უავაზაკონი... სტუმრის მოყვარულნი და კეთილად შემწყნარენი, კეთილმგალობელნი და მწიგნობარნი'' (ვახუშტი).

Გ-ის საცხოვრებლის ყველაზე მარტივი სახეობა იყო *ფაცხა* და *ჯარგვალი*. ფიცრული სახლის გაჩენის შემდეგ მათ საცხოვრებლის ფუნქცია დაკარგეს და სამეურნ. ნაგებობად იქცნენ. მოგვიანებით სამეურნ. ნაგებობებსაც (*სამზადი სახლი, ხულა, ნალია*) ფიცრისაგან აგებდნენ. გაჩნდა *ოდა* სახლი, XIX ს. II ნახევრიდან დაიწყეს ,,პალატიანი სახლის'' შენება.

მამაკაცის გურული კოსტუმი იყო ,,ჩაქურა'', რ-საც ჩოხა-ახალუხის შემოსვლის შემდეგაც ხმარობდნენ. ტანსაცმლის დასამზადებლად ძირითადად ადგილ. ქსოვილს იყენებდნენ.

გურული სიმღერები ორიგინალური მრავალხმიანობით გამოირჩევა, ახასიათებს ურთულესი პოლიფონიური ელემენტების კომპლექსი და იმპროვიზაციულობა.

Გ-ის ყოფა და რწმენა-წარმოდგენები ძირითადად არ განსხვავდება დანარჩენ ქართველთა, განსაკუთრებით მოსაზღვრე რეგიონის მოსახლეობის (იმერლები, მეგრელები, აჭარლები) ყოფისა და კულტურისაგან, ახასიათებს ლოკალური ეთნოგრ. თავისებურებებიც.


ლიტ.: ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987; გურია. კრებული, თბ., 1980; ჟღენტი ს., გურული კილო, ტფ., 1936; ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბ., 1991; Марр Н. Я., Из пиренейской Гурии, Тфл., 1927.

გ. ცეცხლაძე.

გურული ვახტანგ შალვას ძე (დ. 2. I. 1953, სოფ. ქვედა საქარა, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (1999). დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1976). 1981–2009 იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. 2009-იდან საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის სრული პროფესორია. კითხულობს საქართვ. ისტ. (XIX ს.) ზოგად და არჩევით კურსებს. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი ქართ., რუს., უკრ. და გერმ. ენებზე. მისი თანაავტორობით გამოცემულია ორი სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის: ,,საქართველოს ისტორია. XX საუკუნე'' (თბ., 2003) და ,,რუსეთის ისტორია. XIX საუკუნე'' (თბ., 2003). Გ. არის საქართვ. ისტ. VII–XI კლასების სახელმძღვანელოთა თანაავტორი.

თხზ.: ახალი ქართული სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან, თბ., 1998; საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917–18, თბ., 1998 (თანაავტ. ა. სილაგაძე); ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია. 1892–1918, თბ., 1999; რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ, თბ., 2007; მეფე – მამა იოსებ სტალინის პოლიტიკური პორტრეტის შექმნის ცდა, თბ., 2008.

გურული კობა (კუკური) ელგუჯას ძე (23. VI. 1930, სოფ. ქვედა საქარა, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 9. IV. 2010, თბილისი), მოქანდაკე, ოქრომქანდაკებელი. თანამედროვე ქართ. ჭედური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. დამს. მხატვარი (1967). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1956). მისი პედაგოგები იყვნენ შ. მიქატაძე და კ. მერაბიშვილი. Გ-ის ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია თემატიკის მრავალფეროვნება, ფორმის მოქნილობა, ძლიერი ნახატი, დახვეწილი კომპოზიცია; ლითონმქანდაკებლობაში დანერგა მრავალი ახ. ტექ.-მხატვრული ხერხი, შექმნა მოჩარჩოების რამდენიმე ორიგინ. ფორმა. სამუშაო მასალად იყენებდა სხვადასხვა სახის ლითონს, ქმნიდა რელიეფურად ამოყვანილ სამკაულებს, წიგნის ყდის მოჭედილობებს, ლითონის დაზგურ ქანდაკებებს და მონუმ.-დეკორ. ქანდაკება-პანოებს. ნამუშევართაგან აღსანიშნავია: ციკლი ქართ. სოფლის ცხოვრების თემაზე ,,მიწა და ადამიანები'' (1963–74, ავტორის კუთვნილება); მონუმ. ქანდაკება ,,ავთანდილის სიმღერა'' (1965, თბილ. მუს. თეატრისათვის); იზმირის მსოფლიო გამოფენაზე საქართვ. პავილიონის მხატვრული გაფორმებისათვის შექმნილი ფრიზი (1965); ჭედური კომპოზიციები (,,მედეას მოტაცება'', ,,რუსთაველი და ვეფხვი'', ,,თინათინის სიმღერა'', ,,სინაზე'' და სხვ.) საკეანო ლაინერის ,,შოთა რუსთაველის'' ინტერიერისათვის (1966); ლითონის ქანდაკება-პანოები (,,თამარი'', ,,ბექა და ბეშქენ ოპიზრები'', ,,სულხან-საბა ორბელიანი'', ,,რუსთაველის ფრესკა იერუსალიმში'') ქართული ენციკლოპედიის რედაქციის ინტერიერისათვის (1968), პანოები ლაინერისთვის ,,აჭარა'' (1968) და სხვ. Გ-ის პერსონალური გამოფენები მოეწყო თბილისში – ორჯერ (1970, 1973), გერმანიაში, იუგოსლავიაში, უნგრეთში, მოსკოვში, ლენინგრადში და სხვ.



კ. გურული.



კ. გ უ რ უ ლ ი.
,,ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი''.

გურული დიალექტი, ქართული ენის დიალექტი, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის – გურიის მოსახლეობის მეტყველება. Გ. დ. იყოფა ორ კილოკავად: ზემოგურულად (ჩოხატაურისა და ოზურგეთის რაიონების მთიანი ნაწილის მოსახლეობის მეტყველება) და ქვემოგურულად (ლანჩხუთისა და ოზურგეთის რაიონების მოსახლეობის მეტყველება). კილოკავებში შემავალი თქმები, თავის მხრივ, იყოფა განსხვავებულ ქცევებად, მაგ., ჩოხატაურის თქმაში განირჩევა ზემო სურების, შუა სურებისა და დიდვანის ქცევები. Გ. დ-ის ფორმირებაცა და მისი ენობრივი თავისებურებებიც ისტ.-გეოგრაფიულმა ფაქტორებმა განაპირობა. სპეციალისტების (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა და სხვ.) ვარაუდით ახ. წ. პირველ საუკუნეებში ქართულად მოლაპარაკე ერთ-ერთი ტომი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შავი ზღვის სანაპიროსკენ დაძრულა და ზანებით დასახლებულ ტერიტორიაზე დამკვიდრებულა. მათთან კონტაქტის შედეგია ზანიზმების სიუხვე Გ. დ-ში: სახელების ბრუნებისას ხმოვანთა რედუქციის სისუსტე (აკვანის, ურემით... ხმაის, რძეით...), ზმნებში ობიექტის მრავლობითობის გამოხატვა III სუბიექტური პირის -ენ სუფიქსით (შეგრჩებიენ, მოგინდებიენ...), ქვემდებარე მოთხრ. ბრუნვაში ნაცვლად სახელობითისა გარდაუვალ ზმნებთან (კაცმა დიეცა, კაცმა მევიდა...) და სხვა არაერთი ფონეტ. და გრამატ. მოვლენა. განსაკუთრებით მრავლად დასტურდება ზანიზმები ლექსიკაში (ოჭვათო, ორჩხუში, ჯარგვალი...); ტოპონიმიაში არსებული ზანიზმების (ჯუმათი, ორჩხამური...) გვერდით ტოპონიმია-ანთროპონიმიაში აფხ.-ადიღურ ენათა ანალოგიური ფორმებიც გვხვდება (სუფ-

სა, მალთაყვა... ინგოროყვა, ჭანუყვაძე...). ამავე დროს, ზანურ გარემოცვაში ხანგრძლივად ყოფნის გამო გ. დ-ს შემოუნახავს არაერთი არქაული სიტყვა და ენობრივი მოვლენა: -ავ/-ამ თემისნიშნიანი ზმნების ვნებითი გვარი მთელ რიგ შემთხვევებში არქაული წესითაა ნაწარმოები (იმალვის, იკარქვის...). გ. დ-ის ზოგ თქმაში გარდაუვალ ზმნათა III სუბიექტური პირის მრავლობითობა -ეს სუფიქსითაც გამოიხატება (ადგეს და მიეგებეს იგინმა...). არცთუ იშვიათია ადამიანის საკუთარ სახელთა გაუფორმებელი წარმოება სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებში (სამსონ მოკლენ, გირგოლ გამეიარა...) და სხვ. მრავალი არქ. სიტყვა შემორჩენილია ლექსიკაში (ზარმელი, მერე, უსხი...). შემონახული არქ. ფორმები გ. დ-ს ძვ. ქართ. სალიტ. ენასთან აახლოებს, განსაკუთრებით კი – იმ ლიტ-რული სკოლების ენასთან, რ-ებიც ქართ. ენის სამხრეთ-დასავლურ კილოებთან, ე. ი. ისტ. ქვემო ქართლის მეტყველებასთან (შავშურ-კლარჯულთან) იყო დაკავშირებული.

გ. დ-ის მრავალფეროვნების ერთ-ერთი მიზეზია მისი მეზობლობა აჭარასა და იმერეთთან, რაც თავისებურ გავლენას ახდენს ამ კუთხეთა მოსაზღვრე სოფლების მეტყველებაზე. აჭარულთან გ. დ-ს აერთიანებს მთელი რიგი ენობრივი მოვლენები: შავგრიმანი, ლაპარიკი... (ხმოვანთა შენაცვლება); ზაბუთი, ამ შიშორე... (ასიმილაცია); კალონი, ანბავი... (დისიმილაცია), გვერჩი-გვერდში, ბეძე-ბედზე... (აფრიკატიზაცია); ჩთილი-ჩრდილი, ფთა-ფრთა... (ბგერათდაკარგვა); ხესან, ძროხასან... (-თან თანდებულის ნაცვლად -ან); მიასტრა, იცნა... (სუბიექტური მესამე პირის ნიშნად წყვეტილში -ა). საერთოა ლექსიკის დიდი მარაგი (დელი, ეტოშება, კატარი)...

ბევრი ერთნაირი ფონეტ. და გრამატ. მოვლენა დასტურდება გურიისა და იმერეთის ურთიერთმოსაზღვრე სოფლების მეტყველებაშიც: ქ'არ<ქე არ, ქი არ; კ'ვერ<კი ვერ... (ხმოვანთა ელიზია); კჭირს, კყავს... (ასიმილაციური დაყრუება); ღმერც, გვერძე (აფრიკატიზაცია); იმგენმა იმღერენ... (მოთხრობითში დასმული სახელის მრავლობითობის გამოხატვა -ენ სუფიქსით); ღრიალოფს, სრიალოფს... (თემის ნიშნის შენაცვლება); დგანა, ჟდანა... (ფუძის გართულება -ან სუფიქსით); მაგენი ამბობდა... (რიცხვში შეუთანხმებლობა ქვემდებარე – შემასმენელს შორის) და სხვ. საერთოა მრავალი ლექსიკური ერთეული (თანაქა, ტარაბუა, ლორთქო...). აღსანიშნავია გ. დ-ის სიახლოვე და მსგავსება იმერხეულ კილოსთანაც. ამიტომ იმ დიალექტურ არეალში, რ-საც გურული და აჭარული ქმნიან, შედის იმერხეულიც (კლარჯული). ამ ორი კილოს ურთიერთმსგავსება არაერთი ენობრივი მოვლენით დასტურდება: მეითავა, დეიჭირა... (ნაწილობრივი ასიმილაცია), გუუხსნა, დუუბა... (სრული ასიმილაცია), ვინცხა, რაცხა... (თანხმოვანთა ასიმილაცია); შიეძლო, შიეხვეწა... (დისიმილაცია); მუა, გოგუები... (ოა<უა, ოე<უე რეგრესული დისიმილაციის შედეგად); სუნთელი... (თანხმოვანთა დისიმილაცია); იცნა (სუბიექტური III პირის ნიშნად წყვეტილში მხ. რიცხვში -ა); დაწვა კაცმა... (გარდაუვალ ზმნებთან სუბიექტი II სერიაში მოთხრ. ბრუნვაში) და სხვ. ამას ადასტურებს ლექსიკაც: გვარდა, ზორი, ალიკაპი, არტაშანი, ჭინჭი, ჭაჭვი და ა. შ.

გ. დ-ში გამოიყოფა ძვ. მესხურის ფენა: ე ხმოვნის იოტიზებული შემართვა (ჯერთი...); მრავლობითობის ორმაგად წარმოება (ძმანები...); რეგრესული ასიმილაცია როგორც ხმოვნებში (მუუტანა), ასევე თანხმოვნებში (აშჯერ = ასჯერ). ბევრი საერთოა ლექსიკაში (ფხეჭი, ზენგილი, ჭიბოშანი, ოტური...).

გ. დ-ში არაერთი სიტყვაა შესული თურქულიდან (ბალდუმი, სილაღი, ოდა...).

მრავალფეროვნებას ქმნის კილოკაური და ზოგჯერ თქმებს შორისაც არსებული ფონეტ. ან მორფოლ. ხასიათის სხვაობა, ინტონაცია, ტონი, რიტმი, მახვილი. სხვაობა ძირითადად მაინც ლექსიკაში შეიმჩნევა (ოფიჩო – ქვემოგურულში წისქვილის ჩიბოა, ზემოგურულში – ბლის ხის ქერქისაგან გაკეთებული ამოსაფარებელი ქვევრის სახურავისათვის). განსაკუთრებით საინტერესოა საკუთრივ გ. დ-ში ნაწარმოები ფორმები: ამორანქვა – წყლის ამოსხმა, ამოხაპვა; გაკოპიტება – ხის მასალის ლამაზად გათლა, გამოყვანა; გაკუჭება – გაბრაზება; ელანძე – სწრაფად; ურწყული – ნიგვზისაგან გამოხდილი ზეთი და სხვ.

გურულის დიალექტური ფორმებიდან ზოგი ქართ. ენის სხვა კილოებშიც გვხვდება, მაგრამ ერთი მთლიანი სისტემა, რ-საც ეს ფორმები ქმნიან, მხოლოდ გ. დ-სთვისაა დამახასიათებელი.

ლიტ.: გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ი., თ ო ფ უ რ ი ა ვ., ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961; ჟ ღ ე ნ ტ ი ს., გურული კილო. გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1936; მ ი ს ი ვ ე, ზანიზმები გურულ ზმნებში, «ენიმკის მოამბე», 1940, ტ. 5–6; ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე ზ., ზანიზმები გურულში, «გორის ნ. ბარათაშვილის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები», 1965, ტ. 10; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ე. ნიკოლაიშვილი.

გურული ფერხული, ძველი ქართული (გურული) ხალხური ცეკვა, ორსართულიანი ფერხული. თავდაპირველად ასრულებდნენ მხოლოდ მამაკაცები. მოგვიანებით ფერხულში შევიდნენ ქალებიც, თუმცა ამით ცეკვის არც ფორმა და არც შინაარსი არ შეცვლილა, იგი კვლავ ორსართულიანია (ქალები გარს უვლიან ორსართულიან წრეს). ფერხული ორპირულია და სამი ნაწილისაგან შედგება: ნელი, აჩქარებული და ჩქარი. იგი სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერის თანხლებით. სიმღერა, თავის მხრივ, 2 ნაწილისაგან შედგება: პირველი სრულდება ზომიერი ტემპით, მეორე – სწრაფით. აგებულია მოკლე განმეორებად ფრაზებზე. მუს. ზომა 4/4. *ა. თათარაძე.*

გურჩხი, სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის ჯგერდის თემში (აფხაზეთის არ), კოდორის ქედის სამხრ. მთისწინეთში, მდ. კაციკვარის (დღამიშის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 220 *მ*, ოჩამჩირიდან 24 *კმ*. 272 მცხ. (1989).

გურძაული, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტის სხალთის თემში (აჭარის არ), მდ. სხალთის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 780 *მ*, ხულოდან 18 *კმ*. 142 მცხ. (2002).

გურძემი, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლების *პირველი გურძემისა* და *მეორე გურძემის* გავრცელებული სახელწოდება.

გურძიევცეკი, საქართველოს გადასასვლელი, უღელტეხილი რაჭის კავკასიონზე, მდინარეების რიონისა და ურუხის წყალგამყოფ მწვერვალებს ციხვარგასა და ბურჭულას შორის. სიმაღლე ზ. დ. 3349 *მ*. გ. მდ. ნოწარულის ხეობით სოფ. ჭიორას (ონის მუნიციპალიტეტი) აკავშირებს სოფ. ძინაღთან (ჩრდ. ოსეთი). 1724 ამ უღელტეხილზე გადავიდა რუსეთს მიმავალი მეფე *ვახტანგ VI* თავისი დიდი ამალით. *ლ. მარუაშვილი.*

გურჯაანი, ქალაქი (1934-იდან) აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთის მხარე), გურჯაანის მუნიციპალიტეტის ცენტრი. მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. მთისწინეთისა და ალაზნის ვაკის მიჯნაზე, ბაკურციხე – თელავის საავტ. გზაზე. სარკინიგზო კვანძი (თბილისი – თელავის რკინიგზის ხაზს გ-ში გამოეყოფა წნორის მიმართულებით მიმავალი



ქალაქი გურჯაანი.

განშტოება). ზ. დ. 400 *მ*, თბილისიდან 111 *კმ*. 10 ათ. მცხ. (2002).

ჰავა ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულია. საშ. წლ. ტემპ-რა 12,4°C, იანვ. საშ. ტემპ-რა 0,9°C, ივლ. 23,6°C. ნალექები 800 *მმ* წელიწადში.

გ-ში არის ღვინის (მ. შ. სააქციო საზ-ბა *„გურჯაანი-1929“*), სპირტის, საკონსერვო, ყველ-კარაქის ქ-ნები, აგრეთვე ადგილ. მნიშვნელობის წვრილი საწარმოები. მოსახლ. უმთავრესად ჩაბმულია სას.-სამ. შრომაში (მევენახეობა-მებაღეობა). არის საჯარო, სამუსიკო, სამხატვრო და სპორტ. სკოლები, ბ-კები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის სახ. ქართული მხედრული ისტორიის მუზეუმი, საბრძოლო დიდების მემორ. მუზეუმი, სახალხო თეატრი, კულტ. ცენტრი „გურჯაანი“. სამედ. დაწესებულებები. ქალაქშია ტალახით სამკურნალო ბალნეოლ. კურორტი *აბტალა*.

გ-ში მოქმედებს წმ. სამების გურჯაანისა და ველისციხის ეპარქიის საკათედრო ტაძარი.

ვ. ჯაოშვილი.

გურჯაანი, სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), ალაზნის ვაკეზე, გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. მთისწინეთში. სათავო სოფელი. ზ. დ. 460 *მ*, ქ. გურჯაანიდან 2 *კმ*. 5,2 ათ. მცხ. (2002).

სოფელში არის გვიანი შუასაუკუნეების იოანე მახარებლის, კვირაცხოვლის და ღვთისმშობლის ეკლესიები, ასევე XVIII ს. მიწურულის ქაშვეთისა და მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიები.

სოფლის მახლობლად მდებარეობს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი *გურჯაანის ყველაწმინდა*.

სოფელში მოქმედებს ნ. *ჯაჩნაძის* სახლ-მუზეუმი.

„გურჯაანი“, თეთრი, მშრალი სამარკო ღვინო. ამზადებენ გურჯაანის, სიღნაღისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების მევენახეობის ზონაში მოწეული რქაწითელისა და კახური მწვანის ჯიშებისაგან მიღებული ყურძნის გადამუშავებით. ღვინომასალა მზადდება ევროპული წესით მუხის კასრებში. ღვინის ალკოჰოლის მოცულობითი შემცველობაა 10,6 – 12,5 %, ტიტრული მჟავიანობა – 4,8 – 8,0 *გ/დმ*³. „გ.“ ჩალისფერია, აქვს ჰარმონიული სასიამოვნო გემო და პიკანტური არომატი. „გ-ს“ უშვებს შემდეგი ღვინის ქ-ნები: „გურჯაანი-1929“ (სააქციო საზ-ბა), „ტიფლისსკი ვინნი პოგრებ“ (შპს), „ასკანელი ძმები“ (შპს), „ალავერდი“ (შპს), „ვაზი +“ (შპს) და სხვ. 1955–2010 სხვადასხვა საერთაშ. გამოფენაზე, დეგუსტაციასა და კონკურსზე მიღებული აქვს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

„გურჯაანი-1929“ (სააქციო საზოგადოება), გურჯაანის ღვინის ქარხანა. 1929 ქ. გურჯაანში შეიქმნა ე. წ. „წითელი მარანი“, რ-ის ბაზაზე ჩამოყალიბდა გურჯაანის ღვინის ქ-ნა. 1977 აღნიშნული საწარმო გახდა გურჯაანის რ-ნში არსებული ათი ღვინის ქარხნის გაერთიანების შედეგად შექმნილი გურჯაანის საწარმოო გაერთიანების სათავო ქ-ნა. 1990-იდან საწარმო გამოეყო გაერთიანებას და გადაკეთდა შპს-დ, 1996-იდან ჩამოყალიბდა როგორც სააქციო საზ-ბა „გურჯაანი-93“, 2006-იდან კი დაერქვა სააქციო საზ-ბა „გ.-1929“. ქ-ნას უჭირავს 12 *ჰა* ფართობი. აქვს დამოუკიდებელი ელექტრომომარაგების წყარო (ელექტროგენერატორი), წყლის ჭაბურღილი, რკინიგზის ჩიხი, საქვაბე მეურნეობა, ყურძნის მიმღები განყ-ბა (რ-საც შეუძლია სეზონზე 30 ათ. *ტ* ყურძნის გადამუშავება), სპირტის სახდელი და ღვინის ჩამომსხმელი საამქროები (საათში 3,0 ათ. ბოთლის წარმადობის, იტალ. წარმოების ხაზით). ღვინის დასაძველებლად საწარმოში მოწყობილია სამსართულიანი მიწისქვეშა საცავი, რ-იც აღჭურვილია მომინანქრებული, უჟანგავი ლითონის და ხის (მუხის ბუტები) 3 მლნ. *დკლ* ტევადობის ტარით. ღვინის დასაძველებლად მისი ტექნოლ. დამუშავება ხდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ქ-ნა აწარმოებს 12 დასახელების ადგილწარმოშობის (სამარკო) და ორდინარულ ღვინოებს: „ახაშენი“, „ქინძმარაული“, „ალაზნის ველი“, „მუკუზანი“, „საფერავი“, „გურჯაანი“, „ვაზისუბანი“, „ჰერეთი“, „გარეჯი“, „კახეთი“, „ტარიბანა“ (თეთრი), „ტარიბანა“ (წითელი), ასევე კონიაკს და საკონიაკე სპირტს. საწარმოს ნედლეულით ამარაგებს კახეთის რეგიონი. წარმოებული პროდუქცია (ათ. *დკლ*): 1990 წ. – 750; 1995 წ. – 290; 2000 წ. – 470; 2005 წ. – 150; 2010 წ. – 46. პროდუქციის რეალიზაცია ხდება როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში – აშშ, უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი, ჩინეთი და სხვ.

ქ-ნის პროდუქციას სხვადასხვა საერთაშ. სადეგუსტაციო კონკურსზე მიღებული აქვს 4 ოქროს, 3 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი.

დ. დავითულიანი.

გურჯაანისა და ველისციხის ეპარქია, მოქცეულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების შემადგენლობაში. მას აღმ-ით ეს-



გურჯაანის გერბი (2010-იდან).




„გურჯაანი“.

აზღვრება საგარეჯოსა და ნინოწმინდის, დას-ით – ბოდბის, ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქიები, სამხრ-ით მისი საზღვარი აზერბაიჯანის საზღვარს მიჰყვება. შუა საუკუნეებში ამ ტერიტორიაზე რამდენიმე საეპისკოპოსოა დაფიქსირებული. XVII–XVIII სს. ლეკთა ხშირი შემოსევების შედეგად ზოგიერთმა ეპარქიამ არსებობა შეწყვიტა. XVIII–XIX სს. მიჯნაზე ამ ტერიტორიის მოსახლეობა ბოდბელ მიტროპოლიტს ექვემდებარებოდა.

2004 წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით შეიქმნა ბ. და ვ. ე. მღვდელმთავრის რეზიდენცია მდებარეობს გურჯაანში.

ლიტ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 2005.

ე. ბუბულაშვილი.



გურჯაანის, ვაზისუბნის, ვაჩნაძიანის, ველისციხის, ვეჯინის, კალაურის, კარდანახის, კაჭრეთის, კოლაგის, მელაანის, მუკუზნის, ნანიანის, შაშიანის, ჩალაუბნის, ჩუმლაყის, ძირკოკის, ჭანდრის, ჭერმის, ჯიმითის.

გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთის მხარე). ჩრდ.-აღმ-ით მდ. ალაზნით გამოეყოფა ყვარლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებს, ჩრდ.-დას-ით ესაზღვრება თელავის, სამხრ.-დას-ით – საგარეჯოს, სამხრ-ით და სამხრ.-აღმ-ით – სიღნაღის მუნიციპალიტეტები. ფართ. 846,0 *კმ²*. მოსახლ. 72,6 ათ. კაცი (2002). ცენტრი – ქ. *გურჯაანი.* ბ. მ-ში არის 1 ქალაქი, 30 სოფელი, 22 თემი: არაშენდის, ახაშნის, ბაკურციხის,

ისტორიული ცნობა. ადრეული და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ახლანდ. ბ. მ-ის ტერიტ. დიდი ნაწილი *ჰერეთის* ფარგლებში იყო და *ვეჯინის საერისთავოში* შედიოდა. XV ს. 70-იანი წლებიდან, კახეთში საერისთავოების გაუქმების შემდეგ, აქ რამდენიმე სამოურავო იყო (ვეჯინის, ველისციხის, კალაურის, შაშიანის, ახაშნის, ჯიმითის, ჩუმლაყის და სხვ.). ეკლესიურად იგი ჭერემელ ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა. ქართლ-კახეთის სამეფოს (1762–1801) გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების (1801) შემდეგ ბ. მ-ის ტერიტ. დიდი ნაწილი *თელავის მაზრაში* შევიდა, 1930-იდან კი ცალკე რ-ნად გამოიყო.

ბუნება. ბ. მ-ის ჩრდ.-აღმ. ნაწილი უჭირავს ალაზნის აკუმულაციურ ვაკეს, ცენტრ. – გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთებს, სამხრ. – მთისწინეთს. უკიდურეს სამხრ.-დასავლეთში შემოდის ივრის ზეგნის ნაწილი. ალაზნის ვაკის ზედაპირი ძირითადად ბრტყელია, მხოლოდ აქა-იქ არის პატარა გორაკები. ვაკის სამხრ.-დას. ნაწილი ამაღლებულია გომბორის ქედის კალთებიდან ჩამოტანილი დელუვიურ-პროლუვიური ნალექების დაგროვების გამო. გომბორის ქედი სამხრ.-აღმ-ით დაბლდება, გადადის გორაკ-ბორცვებში და ივრის ზეგანს უერთდება. ქედის კალთები დანაწევრებულია ხევხეობებით. თითქმის ყველა ხეობა დამეწყრილია. მუნიციპალიტეტის ფარგლებში ივრის ზეგნის ზედაპირი მშრალი ხევებითა და ხრამებით დანაწევრებული ტალ-



კარდანახის საბაწმინდის ეკლესია. XIII ს.



ალაზნის ველი.

ღოვანი ვაკეა. ბ. მ-ის ტერიტ. უმთავრესად აგებულია მეოთხეული ნალექებით (რიყნარი, ქვიშები, თიხები), მესამეული კონგლომერატებით, ქვიშაქვებითა და თიხებით. გაბატონებულია რელიეფის ტექტონ. და ეროზიული ფორმები. წიაღისეულიდან მნიშვნელოვანია სამკურნ. ტალახი (იხ. *ანტალა*).

ბ. მ. მთლიანად მოქცეულია ზომიერად ნოტიო სუბტროპ. ჰავის ოლქში. ჰავისთვის დამახასიათებელია სიმაღლებრივი ზონალურობა, დაწყებული ზომიერად თბილი სტეპის ჰავიდან (ივრის ზეგანი), დამთავრებული ზომიერად ნოტიო ჰავით (გომბორის ქედი). საშ. წლ. ტემპ-რა 8,1°C-იდან (გომბორი) 12,4°C-მდე (გურჯაანი), იანვ. საშ. ტემპ-რა, შესაბამისად, –2,6, 0,9°C, აგვ. 18,6, 23,6°C; აბსოლ. მინ. –26, –22°C, აბსოლ. მაქს. 31, 36°C. ტერიტ. დიდ ნაწილზე 800 *მმ* ნალექი მოდის წელიწადში, უკიდურეს სამხრ.-დასავლეთში (ზეგანზე) – 500 – 600 *მმ*. ნალექების მაქსიმუმი გაზაფხულზეა. ხშირად იცის სეტყვა.

მდინარეთა ქსელს ქმნიან მდ. ალაზანი და მისი პერიოდული შენაკადები: ვაჩნაძიანისხევი, მღვრიეხევი, ჭერმისხევი, ჩალაუბნისხევი და სხვ. ზოგი მათგანი ალაზნამდე ვერ აღწევს, გზად იკარგება ნიადაგში ჩაჟონვისა და აორთქლების გამო. წყალდიდობა ახასიათებთ გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარში. მუნიციპალიტეტს სიგრძეზე კვეთს ალაზნის არხი.

ალაზნის ვაკეზე მდელოს ალუვიური კარბონატული ნიადაგია. გამოზიდვის კონუსების წვეროებში და გომბორის ქედის კალთებზე, ქვემოთ, გაბატონებულია ტყის ყავისფერი, ზემოთ – ტყის ყომრალი ნიადაგი. უკიდურეს სამხრ.-დას. ნაწილში მცირე სისქის შავმიწა ნიადაგია.

ალაზნის ვაკე თითქმის მთლიანად ათვისებულია. ალაზნისპირას შემორჩენილია ჭალის ტყის ფრაგმენტები. ნარგავ-ნათესებისაგან თავისუფალ ადგილებში გავრცელებულია ტყესტეპის მცენარეულობა, სადაც ერთმანეთს ცვლის ბუჩქნარებისა და ტყის შემდგომი ბალახეული ცენოზები. გომბორის ქედის მთისწინეთი შემოსილია ძეძვით, ჯაგრცხილით, კუნელით, ასკილით, შავჯაგათი და სხვ. ჩრდ.-აღმ. კალთებზე ფოთლოვანი ტყეა (მუხნარი, რცხილნარი, წიფლნარი და სხვ.), ივრის ზეგანზე სტეპის ბალახოვანი მცენარეები და მეჩხერი ჯაგეკლიანი ბუჩქნარია.

ტყეში ბინადრობს შველი, მურა დათვი, მგელი, მელა, ტურა, კურდღელი და სხვ.; მრავლადაა ჩვეულებრივი თაგვი, მემინდვრია, რუხი ვირთაგვა, ტყის ძილგუდა. ფრინველთაგან – კაკაბი, მწყერი და სხვ. ალაზანში არის ლოქო, ხრამული, მურწა და სხვ.

ხოხბის, კურდღლის, გარეული ღორისა და შვლის დაცვისა და მომრავლების მიზნით შექმნილია ნაკრძალის ტიპის საჩვენებელი სამონადირეო მეურნეობები.

ძირითადი ლანდშაფტები: 1. ჭალები ტყის მცენარეულობითა და ალუვიური ნიადაგით; 2. ვაკე მდელო-სტეპის მცენარეულობით და ალუვიურ-კარბონატული ნიადაგით; 3. სტეპური ვაკე ჯაგეკლიანი და ჰალოფილური მცენარეულობით, შავმიწისებრი და დამლაშებული ნიადაგებით; 4. ხევ-ხრამიანი და გამოზიდვის კონუსებიანი მთისწინეთი, ჯაგრცხილნარ-მუხნარით და ჯაგეკლიანებით, ტყის ყავისფერი ნიადაგით; 5. მთის ტყის ლანდშაფტი, მუხნარ-რცხილნარით და რცხილნარ-წიფლნარით ტყის ყავისფერ და ყომრალ ნიადაგებზე.

მოსახლეობა. ბ. მ-ის მოსახლეობის 98,4% ქართველია. ცხოვრობენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. განსახლების ძირითადი ზონა ზ. დ. 200–600 *მ*-მდეა. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 85,8 კაცი 1 *კმ²*-ზე. მოსახლ. 86,1% ცხოვრობს სოფლად.

მეურნეობა. სოფ. მეურნ. მთავარი დარგია მევენახეობა. განვითა-



სანატორიუმი ,,ანტალა‘‘.

რებულია აგრეთვე მებოსტნეობა, მებაღეობა, მეცხოველეობა. მრავალწლოვან ნარგავთაგან წამყვანია ვაზი (რქაწითელი, საფერავი, კახური მწვანე და სხვ.). ვენახის ფართობითა და ყურძნის მოსავლით **ზ. მ.** ერთ-ერთ პირველ ადგილზეა საქართველოში. დიდი ფართობი უჭირავს მზესუმზირას ნათესებს. მოჰყავთ მარცვლეული კულტურები. მეცხოველეობაში წამყვანია მესაქონლეობა. მნიშვნელოვანი დარგებია მეცხვარეობა და მეღორეობა. განვითარებულია აგრეთვე მეფრინველეობა, მეფუტკრეობა. მუნიციპალიტეტის ენერგეტ. ბაზაა ალაზანჰესი.

მრეწვ. მთავარი დარგია ღვინის წარმოება. ღვინის ქ-ნებია გურჯაანში, ვაჩნაძიანში, ახაშენში, კარდანახში, ზეგაანში, ველისციხეში, მუკუზანსა და ჭანდარში, სპირტის ქ-ნა – გურჯაანში, წისქვილკომბინატი – კაჭრეთში. არის აგრეთვე საკონსერვო, ყველკარაქის ქ-ნები და ადგილ. მნიშვნელობის წვრილი საწარმოები.

სატრანსპ. სისტემაში მთავარია რკინიგზა. **ზ. მ**-ის ტერიტორიაზე გადის თბილისი – თელავის, თბილისი – დედოფლისწყაროს და გურჯაანი – წნორის რკინიგზის ხაზები, თბილისი–გურჯაანის, სიღნაღი – თელავისა და ყვარელი – მუკუზნის საავტ. გზები.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. მუნიციპალიტეტში არის სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო, სამუსიკო (გურჯაანი, ველისციხე, ვაჩნაძიანი, კარდანახი), სამხატვრო (გურჯაანი), სპორტ. სკოლები, პროფტექ. სასწავლებლები (გურჯაანი, კაჭრეთი), სას.-სამ. ტექნიკუმი (ბაკურციხე), ბ-კები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (გურჯაანი), ი. *ბერიტაშვილის* სახლ-მუზეუმი (ვეჯინი), ნ. *ვაჩნაძის* სახლ-მუზეუმი (სოფ. გურჯაანი), ი. *ნონეშვილის* სახლ-მუზეუმი (კარდანახი), ჯონ *შალიკაშვილის* სახ. ქართული მხედრული ისტორიის მუზეუმი (ქ. გურჯაანი), საკლუბო დაწესებულებები, სახალხო თეატრი (გურჯაანი).

მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება შპს ,,გურჯაანის პოლიკლინიკურ-ამბულატორიული გაერთიანება''; მუნიციპალიტეტში არის ტალახით სამკურნ. ბალნეოლ. კურორტი ახტალა.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. **ზ. მ**-ის ისტ.-ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია *ვაზისუბნის* (ურიათუბნის) ღვთისმშობლის მიძინების ბაზილიკა (VI ს. II ნახ.), გუმბათოვანი ეკლესია *დავითიანი* ვაზისუბნის მახლობლად (VII ს.), *კარდანახის* საბაწმინდის მონასტერი (სამეკლესიიანი ბაზილიკა VI ს., გუმბათოვანი ეკლესია XIII ს.) (რესტავრირებულია 2008), ყველაწმინდის სამონასტრო კომპლექსი სოფლების ვაჩნაძიანისა და კალაურის მიდამოებში, *გურჯაანის ყველაწმინდა* (VIII–IX სს.), სამნავიანი ბაზილიკა ,,სანაგირე'' ვაზისუბნის მახლობლად (X–XI სს.) (რესტავრირებულია 2010), *ველისციხის* სამეკლესიიანი ბაზილიკა (VI ს.), *ვეჯინის ციხის* კომპლექსი, *ჭერემის* ნაქალაქარი (ორივე შუა საუკუნეები) და სხვ.

ნ. ასათიანი. მ. ბალიაური. ნ. სულხანიშვილი.

გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაარსდა 1962 თავად შალიკაშვილის ყოფ. მამულში. 1966 პირველი ექსპოზიცია გაიხსნა. 1974 მუზეუმი გადავიდა სხვა შენობაში, სადაც პირველი ექსპოზიცია 1978 გაიხსნა. 2010 წ. 1 იანვრისათვის მუზეუმის ფონდში იყო 23 ათ-მდე ექსპონატი, მ. შ. არქეოლ. მასალა (ქვის, ადრინდ. და გვიანდ. ბრინჯაოს, ანტ. და ფეოდ. ხანათა და სხვ. მასალები), ისტ. დოკუმენტები, ფოტომასალა, ფერწერული ტილოები, ლითონმქანდაკებლობის ნიმუშები, ქანდაკება. სოფ. კარდანახში საბჭ. კავშ. გმირის ვ. *ბეროშვილის* სახლში მუზეუმმა მოაწყო მისი ცხოვრებისა და საბრძოლო დიდების ამსახველი კუთხე.

გურჯაანის სახალხო თეატრი, დაარსდა 1953, როგორც გურჯაანის რკინიგზელთა კლუბის დრამატული წრე. 1956 დრამწრე გადავიდა ახლად გახსნილ სარაიონო კულტურის სახლში და დასს სათავეში ჩაუდგა საქართვ. სახ. არტისტი ი. *მებურიშვილი* (ხელმძღვანელობდა 1968-მდე). პირველ სპექტაკლად წარმოადგინეს ა. ზარდიაშვილის პიესა ,,ლევან ბატონიშვილი''. 1959 დრამ. კოლექტივს სახალხო თეატრის სტატუსი მიენიჭა. თეატრის რეპერტუარში იყო სპექტაკლები: ო. კურსელის ,,ორი ჯიბგირი'', ბ. ტომას ,,ჩარლის დეიდა'', პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი'', ს. მთვარაძის ,,სურამის ციხე'', მ. ბარათაშვილის ,,ჩემი ყვავილეთი'', ს. შანშიაშვილის ,,იმერეთის ღამეები'', შ. კაპანაძისა და ბ. მირცხულავას ,,შოთა რუსთაველი'', გ. ხუგაევის ,,ჩემი ცოლის ქმარი''. 1968–2006 თეატრის ხელმძღვანელია გ. გორხელაშვილი, მხატვარი – ნ. ბაწელაშვილი. 1991–2006 თეატრში დაიდგა სპექტაკლები: ლ. მიტროფანოვის ,,დანაშაული აღიარა'' (რეჟ. ნ. იონათამიშვილი), გ. გოგნიაშვილის ,,მეცამეტე შეხვედრა'' (რეჟ. გ. გორხელაშვილი), გ. ბერიაშვილის ,,მეხდაცემული კაკალი'' (რეჟ. გ. გორხელაშვილი), ა. აბდუმომუნოვის ,,განაჩენი აღარ გასაჩივრდება'' (რეჟ. გ. გორხელაშვილი). მ. მაზნიაშვილისა და დ. თაბორიძის ,,დედას ბიჭები'' (რეჟ. გ. გორხელაშვილი). 2007 სახალხო თეატრმა შეწყვიტა ფუნქციონირება. 2011-იდან გურჯაანის მუნიციპალურ კულტურის ცენტრში (დირექტორი ნ. მამიაშვილი, ჩამოყალიბდა თეატრალური დასი გ. გორხელაშვილის ხელმძღვანელობით.

გურჯაანის ყველაწმინდა, VIII–IX სს. ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. მდებარეობს სოფ.



გურჯაანის ყველაწმინდა. VIII–IX სს.

გურჯაანიდან 1,5–2 კმ-ზე კახთუბნის ანუ გურჯაანის ხეობაში, ტყეში, მთის კალთაზე. ნაგებია კარგად შერჩეული მსხვილი რიყის ქვის წესიერი ჰორიზ. რიგებით. შენობის გარეთა კუთხეები და დეკორ. ნაწილები გამოყვანილია შირიმით, ხოლო შუა ნავის კედლები, კამარა და გუმბათები – კვადრ. აგურით. სვეტისთავებისათვის გამოყენებულია საგანგებო ფორმის აგური. ბ. ყ. ერთადერთი ორგუმბათიანი ეკლესიაა საქართველოში. ეს არის რთული გეგმის ნაგებობა. შიგა სივრცე ბოძების ორი წყვილით დაყოფილია ნავებად. შენობის ზოგი ნაწილი განლაგებულია ორ სართულად. ორფერდა სახურავით გადახურული მაღალი შუა ნავი, აღმოსავლეთის მხარეს გეგმით ნალისებრი აფსიდით ბოლოვდება. შიგა სივრცე შედგება სამი კვადრ. ნაწილისაგან. აქედან ორ განაპირა კვადრატზე აღმართულია რვაწახნაგა დაბალი გუმბათის ყელები, რ-ებზეც 2 თითქმის ერთნაირი გუმბათია ამოყვანილი. გარედან ეკლესიას ბაზილიკის ფორმა აქვს, გამოყოფილია მაღალი შუა ნავი, რ-საც სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან კამარებით გადახურული გვერდის ნავები ეკვრის. მათ თავზე, მეორე სართულზე, მოწყობილია ფართო გარსშემოსავლელი, რ-იც ცენტრ. ნავს 3 მხრიდან ერტყმის. სამხრ. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ, მეორე სართულის გარსშემოსავლელის ოთხი თაღია გახსნილი. კარი და სარკმლები მკვეთრად გამოიყოფა ფასადის დიდ, დაუნაწევრებელ ზედაპირზე. ინტერიერში დასავლეთის კედელზე ღია თაღოვანი მალებია: ქვემოთ ერთი თაღია, მას ნავის თითქმის მთელი სიგანე უჭირავს, მის ზემოთ ორ რეგისტრად ორ-ორი ღია თაღია, მათ თავზე – კიდევ ერთი, უფრო მცირე ზომისა. ეს თაღსარკმლები მთავარ სივრცეს აკავშირებს მეორე სართულის დონეზე მოწყობილ გარსშემოსავლელთან. მიუხედავად იმისა, რომ გარედან შენობა მარტივადაა დამუშავებული, წინა ხანის ძეგლებთან შედარებით მაინც ჩანს დეკორ. ტენდენციების გაძლიერება. მაგ., აღმ. ფასადი დანაწევრებულია ჩაღრმავებული თაღოვანი სიბრტყეებით, რ-ებიც გარკვეულ რიტმს ექვემდებარება.

ბ. ყ. ქართ. ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლია. მართალია, ნაგებობის ეს ტიპი ვერ განვითარდა, მაგრამ მოგვცა ახ. კომპოზიციური ძიების სრულიად ორიგინ. შედეგი (უკანასკნელად რეაბილიტ. 2010).

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

გურჯი, ქართველის აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინი არაბულ-სპარსულ კულტურულ სამყაროში. ,,გორჯი'' (სპარსულად), ,,ქურჯი'' და ,,გურჯი'' (არაბულად) ნიშნავს ქართველს, ხოლო ტოპონიმი ,,გორჯესტან'' (სპარს.), ,,გურჯისტან'' (არაბ.) — საქართველოს. სპარს. ,,გორგ'' ნიშნავს მგელს (საკულტო-რიტუალური ცხოველი უძველესი დროიდან). აქედან მომდინარეობს მეფე ვახტანგ გორგასლის მეტსახელი — გორგასარ (მგლისთავიანი, ან მგლების მეთაური). ეს ტერმინი პირველად ფიქსირდება სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე, ისტ. ქართული პროვინციის გუგარეთის სახელწოდებაში, რ-საც ჰეროდოტე ,,ჰ(გ)ირკანიის'' ფორმით იხსენიებს. ძვ. სპარსულ წყაროებში კი ,,ვრკანა'' (,,მგელთა ქვეყანა''; აქედან მოდის სომხური ,,ვირკ'' და ,,ვრასტან'') ფორმით გვხვდება. შემდგომში ბერძნული ,,ჰ(გ)ირკანია'' სპარსულ ენაში ტრანსფორმირდა ,,გორგან''-ად, არაბულში – ,,ჯურჯან''-ად, სირიულ დიალექტში კი – ,,გურზ'', ,,გურზან''-ად. აქედან წარმოიშვა რუსული ტერმ. *,,გრუზინი''* (,,გრუზია''), ოსური ,,გიურძი'' (,,გიურძისტონ''). თავდაპირველად ეს იყო აღმ. საქართველოს (ივერიის) აღმნიშვნელი ტერმინი, მოგვიანებით კი – მთელი ისტ. საქართველოსი. რაც შეეხება ევროპაში მიღებულ ტერმინებს – გეორგია, ჯორჯია — სავარაუდოდ, ორივე იმავე სპარსულ-არაბულიდან არის წარმოქმნილი და მიწათმოქმედს ნიშნავს. ძვ. ეგვიპტეშიც ,,გრგ'' ძირის შემცველი სიტყვები მიწათმოქმედებასთან არის დაკავშირებული. ,,გ-ის'' ეტიმოლოგიით იყვნენ დაინტერესებული მ. ბროსე, ი. მარკვარტი, ა. მარიკი, ი. ჯავახიშვილი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ი. აბულაძე, გ. დეეტერსი, ვ. მინორსკი, გ. წერეთელი და სხვ.


ლიტ.: აბულაძე იუსტ., ტერმინ ,,გურჯის'' ეტიმოლოგიისათვის, აკად. ნ. მარის სამეცნიერო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1934; Пайчадзе Г. Г., Название Грузии в русских письменных исторических источниках, Тб., 1989. *წ. ბაწაში.*

გურჯიბეგი, სოფელი ახლანდელ თურქეთის ტერიტორიაზე, *არტაანის მტკვრის* ზემო წელზე, არტაანის მახლობლად. სახელწოდება დაკავშირებულია მის მფლობელ ქართვ. ბეგთან (თურქ. ,,გურჯი'' – ქართველი). პირველად იხსენიება *,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში''* (XVI ს.).

წყარო: ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 3, თბ., 1958. *დ. მუსხელიშვილი.*

გურჯი-ბოღაზი (თურქულად – საქართველოს ყელი), თურქული სახელწოდება ხეობისა და უღელტეხილისა, რ-იც კვეთს მდ. ყარასუს (მდ. ევფრატის სათავე) და მდ. ჭოროხის შენაკად თორთუმჩაის წყალგამყოფ ქედს. გ.-ბ-ზე გადიოდა არზრუმიდან საქართველოში მომავალი მაგისტრალური გზა.

საქართველოს ისტ. რუკაზე (1923, ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით) დატანილია როგორც ,,გურჯი ბოღაზი ანუ ქართლის გზა''. *დ. მუსხელიშვილი.*



გ. გურჯიევი.

გურჯიევი გიორგი ივანეს ძე [1. I. 1872, ალექსანდროპოლი (ახლანდ. გიუმრი), სომხეთი, – 29. X. 1949, პარიზი], თეოსოფი, აღმოსავლური ოკულტიზმის მიმდევარი, ქრისტიანული მისტიკურ-ანთროპოლოგისტური მოძღვრების ავტორი. წარმოშობით ბერძენი. ბავშვობა გაატარა ალექსანდროპოლში, ყარსსა და თბილისში. შეისწავლა ქართ. ენა. საქართველოდან სრულიად ახალგაზრდა გაემგზავრა აზიისა და აფრ. ქვეყნებში, ხანგრძლივად ცხოვრობდა ტიბეტში. გადმოცემით, ტიბეტ-ინგლ. ომის წლებში (XX ს. დასაწყისი) იყო დალაი-ლამას მრჩეველი. დაეუფლა იოგების მოძღვრებას, ოკულტიზმსა და სპირიტიზმს. 1913 გ-მა მოსკოვსა და პეტერბურგში შემოიკრიბა მოსწავლეთა და თანამოაზრეთა დიდი ჯგუფი. სხვადასხვა წლებში მოღვაწეობდა ესენტუკში, თბილისში, სტამბოლსა და პარიზში. 1919 გ-მა თბილისში გახსნა ,,ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტი''. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ მას გამოუყო ორსართულიანი შენობა (ნიკოლოზის ქ. №22, ახლანდ ი. ჯავახიშვილის ქ.), სადაც გ. ატარებდა საჯარო ლექციებს თავისი მოძღვრების იმ ძირითად საკითხებზე, რ-ებიც მაშინ გამოქვეყნებული არ ჰქონდა. თბილისში გ. დაუახლოვდა ქართვ. ინტელიგენციას, კერძოდ, გ. რობაქიძეს, თანამშრომლობდა კომპოზიტორ თომას ჰარტმანთან, მხატვარ ალექსანდრე ზალცმანთან; ჟაკ დალკროზის სისტემის თბილისის რიტმული ტანვარჯიშის სკოლის დამაარსებელ ჟანა მატინიონ-ზალცმანთან. 1822-იდან

გარდაცვალებამდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თავდაპირველად პარიზის მახლობლად (ფონტენბლო), ხოლო 1933-იდან კი – პარიზში. აქ შეიქმნა გ-ის ,,ყველა და ყველაფერი (ანუ ბელზებელის საუბარი თავის შვილიშვილთან)'' და სხვა თხზულებები, რ-ებსაც ავტორის გარდაცვალების შემდეგ აქვეყნებდნენ მისი მოწაფეები. გ-ის მოძღვრების თანახმად, ადამიანი არასრულქმნილი იბადება, მისი ცნობიერება მთვლემარე მდგომარეობაშია, რის გამოც ინსტინქტები სჭარბობს ცნობიერ ქცევებს. საჭიროა ჩვენი ნამდვილი ,,მე''-ს აღმოჩენა, არაცნობიერი ქცევის აღკვეთა და ცნობიერების სრული ამოქმედება. ამ პროცესს იგი ადამიანის ევოლუციას უწოდებს და სულის უკვდავყოფის გზად სახავს. გ. თვლის, რომ ადამიანი თვითგანვითარებადი სისტემაა, რ-ის სრულქმნა შესაძლებელი და აუცილებელია. გ-ს მოწაფეები და თაყვანისმცემლები უწოდებდნენ ,,კაცობრიობის სულიერი კულტურის განმაახლებელს'', ,,დიდ მოგვს'', ,,უდიდეს მოაზროვნეს'', რ-იც იღვწოდა დასავლეთის კულტურის დეკადანსისა და დაღუპვისაგან გადასარჩენად.

გ-ის ცხოვრება და შემოქმედება ფართოდ აისახა როგორც უცხოელი, ისე ქართველი ავტორების შრომებში (პ. უსპენსკი, კ. იორდანი, ო. და თ. ჰარტმანები, მ. კვესელავა, ს. ავალიანი, ლ. დადიანი, მ. ხომერიკი).

გ-ის მოწაფეთაგან განსაკუთრებით საყურადღებო პიროვნებაა რუს. წარმომავლობის ინგლ. ფილოსოფოსი პ. დ. უსპენსკი (1878–1942), რ-იც პლატონიზმისა და აღმოსავლური მისტიკურ-რელიგ. მოძღვრებების მიმდევრად ითვლება. თავის შრომებში იგი გადმოსცემს გ-ის მოძღვრების ძირითად იდეებს.

2007 თბილისში იტალიის საელჩოს ეგიდით ჩატარდა გ-სადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია.

თხზ.: All and Everything, L., 1950; Aus der wirklichen Welt, Basel, 1982; Das Leben ist nur dann wirklich, wenn ,,ich bin'', Basel, 1984; ჯემშარიტების სამყაროში, ნაწ. 1–3, თბ., 1996–2005.

ლიტ.: ავალიანი ს., გიორგი გურჯიევი, «განთიადი», 1975, №5; დადიანი ლ., გურჯიევი, იქვე, 1993, №7–12; 1996, №5–6; კვესელავა მ., ვინ იყო გიორგი გურჯიევი?, «ლიტერატურული საქართველო», 1967, №18; ხომერიკი მ., წერილები, თბ., 2006; მისივე, გიორგი გურჯიევის წარმოშობისა და საქართველოში მისი მოღვაწეობის შესახებ, «ანალები», 2007, №1; Hartmann Th. De, Our life with Mr. Gurdjieff, N.Y., 1972; Nicoll M., Psychological commentaries on the teaching of G. J. Gurdjieff and P. D. Ouspensky, v. 1–5, L., 1953–56; Walker K., A study of Gurdjieffs teaching, L., 1957.

ს. ავალიანი.
ლ. დადიანი. მ. ხომერიკი.

გურჯი იუსუფ-ფაშა (1652–1713, კ. როდოსი), ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიდი ვეზირი, მხედართმთავარი, დიპლომატი, წარმოშობით ქართველი. ბავშვობაში ტყვედ წაუყვანიათ, გაუყიდიათ და იენიჩართა კორპუსში ჩაურიცხავთ. 1702 იენიჩართა ერთ-ერთი ოდის (ნაწილის) უფროსი გახდა. მისი მოვალეობა იყო ნადირობისას სულთნის თანხლება და მომსახურება. გ. ი.-ფ. ჯერ კ. კრეტაზე გაგზავნეს იენიჩართა უფროსად, შემდეგ კი – კ. კვიპროსზე. 1707 პენსიაზე გავიდა, 1710 დააბრუნეს და იენიჩართა აღად (უფროსად) დანიშნეს. 1711 ვეზირის ხარისხი უბოძეს.

1710 წ. 9 ნოემბ. ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს, გ. ი.-ფ-მ მონაწილეობა მიიღო პრუტის ლაშქრობაში. 1711 წ. 9 ივნ. იენიჩარებმა მისი მეთაურობით იერიში მიიტანეს რუსების პოზიციაზე და ალყაში მოაქციეს რუს. არმია. 10 ივლ. გ. ი.-ფ-მ დიდ ვეზირს – ბალთაჯი მეჰმედ-ფაშას – მოსთხოვა შეტევის დაწყება, თუმცა პეტრე I-მა დიდძალი ქრთამი გაუგზავნა დიდ ვეზირს და ზავი შესთავაზა. 12 ივლ. დაიდო საზავო ხელშეკრულება. ყირიმის ხანი, შვედეთის მეფე კარლ XII (რ-იც პოლტავასთან დამარცხების შემდეგ თურქეთში ცხოვრობდა) და დიდი ვეზირის სხვა მოწინააღმდეგენი თვლიდნენ, რომ ზავის პირობები არახელსაყრელი იყო ოსმალეთისათვის და ომის განახლებას მოითხოვდნენ. 1711 წ. 9 ნოემბ. ბალთაჯი მეჰმედ-ფაშა გადააყენეს (ცოტა ხნის შემდეგ – სიკვდილით დასაჯეს) და დიდ ვეზირად გ. ი.-ფ. დანიშნეს. 20 ნოემბ. ოსმალეთა არმია გ. ი.-ფ-ს მეთაურობით საზეიმო ვითარებაში სტამბოლში დაბრუნდა. სულთანმა მას გამარჯვებულის ტიტული უბოძა.

1711 წ. 9 დეკ. ოსმალეთმა კვლავ ომი გამოუცხადა რუსეთს, თუმცა საზავო მოლაპარაკება გ. ი.-ფ-ს ხელმძღვანელობით გრძელდებოდა და 1712 წ. 9 აპრ. სტამბოლში დაიდო ახ. საზავო ხელშეკრულება. რუსეთი გარკვეულ დათმობაზე წავიდა. გ. ი.-ფ-ს წინააღმდეგობის მიუხედავად, 31 ოქტ. ოსმ. დივანმა მიიღო რუს.-ოსმ. ომის განახლების გადაწყვეტილება. გ. ი.-ფ. დიდი ვეზირობიდან გადააყენეს.

1713 წ. 24 ივნ. დაიდო ახალი ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულება, რ-იც შედგებოდა 12 მუხლისაგან, მ. შ. 7 მუხლი, შემუშავებული გ. ი.-ფ-ს მიერ, უცვლელად შევიდა სტამბოლის ხელშეკრულებიდან, რაც მის დიდ დიპლ. უნარზე მეტყველებს. გ. ი.-ფ. კ. როდოსზე გადაასახლეს, შემდეგ კი სიკვდილით დასაჯეს.

ლიტ.: Орешкова С. Ф., Русско-турецкие отношения в начале XVIII в., М., 1981; Danişmend I. H., Izahli Osmanlı Tarihi Kronolojisi, c. 4, Istanbul, 1961; Mufassal Osmanlı Tarihi, c.4, Ankara, 1963.

მ. სვანიძე.

გურჯი მეჰმედ-ფაშა (1556–1666, ბუდინი), ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიდი ვეზირი, ეროვნებით ქართველი. ახალგაზრდობისას დაუტყვევებიათ, მონად უყიდია დიდ ვეზირს კოჯა სინან-ფაშას; სინან-ფაშამ გურჯი მეჰმედი სულთნის სასახლეში მიიყვანა. იგი მალე დაწინაურდა. 1614 ივნ. იგი ჯებეჯიბაშად – ჯებეჯიების კორპუსის (სპეც. გასამხედროებული დაქირავებული სამეურნ. ორგანიზაცია) უფროსად დაუნიშნავთ. ჯებეჯიების კორპუსს, რ-შიც XVII ს. დამდეგს 5730 კაცი იყო გაერთიანებული, ევალებოდა იარაღის დამზადება, შენახვა და განაწილება. მათვე ექვემდებარებოდა იარაღის დამამზადებელი სახელოსნოები. გ. მ.-ფ. 1615–16 მონაწილეობდა ირანის წინააღმდეგ ლაშქრობაში, შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. 1621 კი მონაწილეობა მიიღო პოლონეთის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში. 1622 დაინიშნა დიდ ამირახორად – სასახლის საჯინიბოს უმაღლეს მოხელედ. 1623 იბრძოდა აჯანყებული აბაზა-ფაშას წინააღმდეგ. 1625–26 იყო დამასკის, დიარბაქირის ბეგლარბეგი, შემდეგ დააბრუნეს სტამბოლში და დივანი ჰუმაიუნის კუბე ვეზირად დანიშნეს, სადაც 30-იანი წწ. დამდეგამდე დაყო. 1631 ოქტ-იდან იყო არზრუმის ბეგლარბეგი, 1632-იდან – ანატოლიისა. 1635, როცა მურად IV-მ ირანზე გაილაშქრა, ქენან-ფაშას (წარმოშობით ქართველს) დაავალა ახალციხის აღება. 23 დღიანი ალყის შემდეგ ქალაქი აიღეს, სულთნის დავალებით გ. მ.-ფ-მ ახალციხე შეაკეთა, გაამაგრა და დამატებითი გარნიზონი ჩააყენა.

1637 გ. მ.-ფ. კვლავ არზრუმის ბეგლარბეგია, 1638-ში – მარაშის

ვალი. იმავე წელს მონაწილეობა მიიღო და თავი გამოიჩინა ბაღდადის აღებაში. 1639 დანიშნეს ანატოლიის ბეგლარბეგად, ერთი წლის შემდეგ კი სტამბოლში დააბრუნეს და კვლავ კუბე ვეზირად დანიშნეს. რამდენიმე წელიწადში ისევ აღმოსავლეთით მოუწია წასვლა. იყო დამასკის, ალეპოს, არზრუმის ვალი. 1649 სტამბოლში დაბრუნდა, 1651 წ. 17 სექტ. დანიშნეს დიდ ვეზირად. ამ დროს იმპერია მძიმე მდგომარეობაში იყო, სახელმწ. საქმეების მართვაში აქტიურად ერეოდა სულთნის დედა. უკვე 90 წელს გადაცილებულმა ბ. მ.-შ-მ თავი ვერ გაართვა საქმეს და 1652 გადააყენეს.

ამის შემდეგ იყო ოჰრის სანჯაყბეგი, თემიშვარის ბეგლარბეგი, კ. კვიპროსის მმართველი, ბოლოს – ბუდინის ბეგლარბეგი, სადაც გარდაიცვალა.

წყარო: იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ს. ჯიქიას გამოც., თბ., 1964; მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თარგმანი ნ. შენგელიასი, თბ., 1979; ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გ. ალასანიას გამოც., თბ., 1978.

ლიტ.: სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI–XVII სს., თბ., 1971.

მ. სვანიძე.

გურჯი მეჰმედ-ფაშა საჭურისი (1536 – 13. VII. 1626, სტამბოლი), ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწე, კაიმაკამი (დიდი ვეზირის მოვალეობის შემსრულებელი), დიდი ვეზირი. ეროვნებით ქართველი. ახალგაზრდობისას დაატყვევეს და ოსმალეთში მონად გაყიდეს. სულეიმან I-ის მეფობის ბოლო წლებში დიდმა ვეზირმა სემიზ ალი-ფაშამ თავისი თეთრი საჭურისი მონა ბ. მ.-შ. სასახლეში მიიყვანა. იგი მალე დაწინაურდა: ჯერ სასახლის თეთრკანიანი მონების უფროსად დანიშნეს, შემდეგ სახასო ოდაბაშის თანამდებობა უბოძეს, რითაც იგი სულთნის უახლოესი პირი გახდა. 1604 წ. 17 სექტ. მესამე ვეზირის წოდება მიიღო, რამდენიმე დღეში კი ეგვიპტის ვალად (გამგებლად) დაინიშნა, სადაც აჯანყებულების დასჯა და წესრიგის დამყარება მოუხდა; 1605–08 ბოსნიის, 1608–09 კი დამასკის ვალი იყო; 1610 წ. 24 მაისს კაიმაკამად დანიშნეს. 1612 არზრუმის ვალის თანამდებობა მიიღო, მაგრამ სტამბოლში დარჩა და 1613 სულთნის ქ. ედირნეში გამგზავრებასთან დაკავშირებით ისევ კაიმაკამობა დაევალა. სწორედ ამ პერიოდში შაჰ-აბასმა დაარღვია 1612 საზავო ხელშეკრულება და საქართველო დალაშქრა. ქართლ-კახეთის მეფეებმა დახმარებისათვის სულთანს მიმართეს, თავიანთი ელჩები სტამბოლში გაგზავნეს და სულთანს შაჰის საქართველოზე თავდასხმა შეატყობინეს. სავარაუდოა, რომ სტამბოლში ჩასულმა ქართველებმა დიდი გავლენის მქონე ბ. მ.-შ-ს დახმარება სთხოვეს. სულთანმა ირანს ზავის პირობების დარღვევა დააბრალა და 1615 ირანის წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა. დიდი ვეზირის მოვალეობის შესრულება კვლავ ბ. მ.-შ-ს დაევალა.

1617, სულთან აჰმედ I-ის სიკვდილის შემდეგ, ოსმალეთში სასახლის კარზე რამდენიმე გადატრიალება მოხდა. ბოლოს, სულთან მუსტაფა I-ის ზეობის დროს (1617–18, 1622–23), დიდ ვეზირად დაინიშნა (1622 წ. 21 სექტ.) ბ. მ.-შ., რ-საც სახელმწ. საქმეების გაძღოლის დიდი გამოცდილება ჰქონდა. მან გადამწყვეტი ზომები მიიღო სახელმწიფოში წესრიგის დასამყარებლად, ფულის კურსის განსამტკიცებლად, ალაგმა ზაპოროჟიელ კაზაკთა თავდასხმები. სწორედ მისი დიდების დროს უნდა ჩასულიყო სტამბოლში თეიმურაზ I დახმარების სათხოვნელად, მაგრამ მძიმე საშინაო პირობების გამო ოსმალეთმა ვერ შეძლო მისი დახმარება.

სასახლის დიდ მოხელეთა ერთი ნაწილისა და იენიჩართა მოთხოვნით, რ-თაც არ მოსწონდათ ბ. მ.-შ-ს მოღვაწეობა, იგი გადააყენეს და კ. როდოსზე გაგზავნეს. 14 წლის მურად IV-ის გამეფების შემდეგ კი უკან დააბრუნეს და მეორე ვეზირად დანიშნეს. მალე დიდი ვეზირი ჩერქეზ მეჰმედ-ფაშა ანატოლიაში წავიდა და მისი მოვალეობის შემსრულებლად კვლავ ბ. მ.-შ. დანიშნეს (1624 წ. 28 მაისი). სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა ქართველების აჯანყება გ. *საკაძის* მეთაურობით ირანელთა წინააღმდეგ; 1625 ქართველთა დელეგაცია სტამბოლში ჩავიდა დახმარების სათხოვნელად. ცხადია, ქართველები ბ. მ.-შ-ს მიმართავდნენ, რადგან მურად IV მცირეწლოვანი იყო. მათი თხოვნა დაკმაყოფილდა, რასაც ადასტურებს მურად IV-ის მიერ დიდი მოურავის სახელზე გაცემული სიგელი. ბ. მ.-შ-ს მოღვაწეობა არ მოსწონდათ გარკვეულ ძალებს, განსაკუთრებით იენიჩრებს, რებიც აჯანყდნენ და მისი დასჯა მოითხოვეს. 90 წლის ვეზირი სიკვდილით დასაჯეს. ოსმ. და ევრ. წყაროები ერთხმად აღიარებენ, რომ ბ. მ.-შ. იყო ჭკვიანი, ღირსეული, ენერგიული და მტკიცე ნებისყოფის ადამიანი. მუსტაფა *ნაიმა* წერს: ბ. მ.-შ. ,,კაიმაკამობისას ბედნიერების დედაქალაქს დიდხანს სრული დამოუკიდებლობით, სიძლიერით და დიდებით მართავდა. იყო გონიერი, მტკიცე ნების, ღირსეული ვეზირი‘‘. პოლ. ელჩი კ. ბრაჟევსკი წერდა: ,,საერთო აზრით იგი იყო არაჩვეულებრივად ჭკვიანი ადამიანი‘‘. ბ. მ.-შ-ს ძმა იყო არზრუმის ბეგლარბეგი გურჯი ჰუსეინ-ფაშა, მისი სიძე – *აბაზა მეჰმედ-ფაშა.*

წყარო: იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ს. ჯიქიას გამოც., თბ., 1964; მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თარგმ. ნ. შენგელიასი, თბ., 1979.

ლიტ.: სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI–XVII სს., თბ., 1971; სვანიძე ა., სვანიძე მ., ქართული წარმოშობის დიდი ვეზირები ოსმალეთში [გურჯი მეჰმედ-ფაშა (საჭურისი)], «ხიდი», 1996, 20 ივლ. და 31 აგვ.

მ. სვანიძე.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, ოსმალეთის ხელისუფალთა მიერ 1595 ფისკალური (საგადასახადო) მიზნით შედგენილი წიგნი. იგი მნიშვნელოვანი წყაროა XVI ს. უკანასკნელი მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს სოც.-ეკონ., პოლიტ. ისტორიისა და ისტ. გეოგრაფიის არაერთი საკითხის შესასწავლად. შეიცავს ეკონ. ხასიათის მდიდარ მასალას სამხრ. საქართვ. იმ ნაწილის შესახებ, რ-იც ოსმალებმა დაიპყრეს და ,,გურჯისტანის ვილაიეთი‘‘ უწოდეს. დავთრის მიხედვით, გურჯისტანის ვილაიეთი 8 ადმ. ერთეულად – ლივად იყოფოდა. ესენი იყო: ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩილდირის, ფოცხოვის, პეტრეს, ფანაკისა და დიდი არტაანის ლივები. თავის მხრივ, ლივები ნაჰიეებად (რ-ნებად) იყო დანაწილებული. დასახლ. პუნქტების საერთო რაოდენობა 1160-ს შეადგენდა. როგორც დავთრიდან ჩანს, მოსახლ. ძირითადი საქმიანობა სოფ. მეურნ. იყო. თითოეული სოფლისათვის მოცემულია გადასახადის საერთო რაოდენობა. შემდეგ ჩამოთვლილია გადასახადთა სახეები და აღნიშნულია თანხა. მოსახლ. ძირითადად სოფ. მეურნ. ერთი და იმავე პროდუქტებითაა დაბეგრილი. სხვადასხვა მიზეზის გამო გურჯისტანის ვილაიეთის 53

სოფელი საერთო აღწერის გარეშე იყო დარჩენილი და არ ექვემდებარებოდა ოსმ. საგადასახადო სისტემას. დავთარში მრავლად გვხვდება ოსმ. მიწისმფლობელობისათვის დამახასიათებელი ტერმინები: ვაკუფი, თიმარი, ზიამეთი, რაც სამცხე-საათაბაგოში ოსმალური ინ-ტების შემოღებაზე მიუთითებს. აქ წარმოდგენილი ცნობები საგვარეულო სამემკვიდრეო საკუთრების შესახებ სანდო წყაროა ოსმ. გადასახადებისა და საგადასახადო სისტემის შესასწავლადაც. გადასახადების გარდა, მასში დასახელებულია გამოსაღებელი საქონელზე, სას.-სამ. პროდუქტზე, წისქვილზე, კომლზე, აგრეთვე საქორწინო გამოსაღები და სხვ. აღნიშნულია სხვადასხვა საბეგრო ვალდებულებაც. დავთარი ყურადღებას იქცევს პალეოგრაფიული და ლინგვ. თვალსაზრისითაც. გამოსცა, თარგმნა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ (წგ. 1–3, 1941–58).

ლიტ.: გამყრელიძე გ., ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი'' როგორც დემოგრაფიულ-სტატისტიკური ძეგლი, «თსუ შრომები», 1948, ტ. 34; სვანიძე მ., სამცხე-საათაბაგოს ადმინისტრაციული დაყოფა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით, იქვე, 1967, ტ. 121. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 7; შენგელია ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით, იქვე, 1960, ტ. 91. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 2; Тверитинова А. С., Аграрный строй Османской империи XV–XVII вв., М.,1963; Fekete L., Arbeiten der grusinischen Orientalistik auf den Gebieten der türkischen und persischen Paläographie und die Frage der Formel sözűműz, «Acta orientalia Academiae scientiarum Hungaricae», 1957, t.7, fasc. 1.



ე. გუფელდი.

ნ. შენგელია.

გურჯიცკი (Gurdzicki) ბოგდან (გ. 12. I. 1700, მოსკოვი), პოლონელი დიპლომატი, პოლონეთის მეფის ელჩი და რეზიდენტი ირანის სამეფო კარზე 1676–99. წარმოშობით ქართველი. მ. თამარაშვილის მოსაზრებით გ-ის გვარი ალავერდიშვილი ყოფილა. ქართ., უცხ. წყაროებსა და სამეცნ. ლიტ-რაში ცნობილია ბუგდან, ბუღდან, ბულდან-ბეგის სახელით. გ. ქართლის აზნაურთა სოციალურ ფენას ეკუთვნოდა. XVII ს. 40–50-იანი წწ. დასაწყისში საქართველოში იმყოფებოდა და ქართლის მეფის როსტომის ქვეშევრდომი იყო. შესაძლოა, სწორედ მისი საგანგებო დავალებით პოლონეთში მოხვდა. XVII ს. 50-იანი წწ. მიწურულს მონაწილეობდა პოლონეთ-შვედეთის ომებში, როგორც პოლონეთის არმიის უცხოელთა ნაწილის ერთერთი მეთაური, მიიღო როტმისტრის სამხ. წოდება. 1668 საგანგებო მისიით გაგზავნეს ირანში. ელჩობის მიზანი იყო პოლონეთის, რუსეთის და ირანის სამხ. პოლიტ. კავშირის შექმნა ოსმ. წინააღმდეგ, აგრეთვე ვაჭრობის გაფართოება და სხვ. გ. იმავე წლის სექტ. მოსკოვში შეხვდა მეფე ალექსი მიხეილის ძეს, ქართვ. ბატონიშვილ ნიკოლოზს (შემდგომში *ერეკლე I*), მის დედას – დედოფალ ელენეს და სხვა ქართვ. წარჩინებულებს. გ-მ ირანში მისია წარმატებით შეასრულა, რისთვისაც პოლონეთის სეიმმა მას აზნაურობა (შლიახტიჩობა) უბოძა გერბითა და მამულებითურთ ლენჩიცის მაზრაში. 1675 პოლონეთში დაბრუნდა. 1676 პოლონეთის ხელისუფლებამ გ. ირანში თავის მუდმივ რეზიდენტად დანიშნა. აქ მან 23 წელი დაყო, კავშირი ჰქონდა ქართ. საზოგადოებასთან, მეფეებთან – ვახტანგ V-თან და გიორგი XI-თან, ევალებოდა პოლონეთსა და საქართველოს შორის ეკონ. კონტაქტების დამყარება. მოსკოვიდან გ-მ და მისმა ძმებმა (ფარსადანი, ნაზარი და მერაბი) საქართველოში ჩამოიტანეს საეკლ. ინვენტარი, მ. შ. ზარები. ერთ-ერთი ზარი საჩუქრად მიართვეს კათოლიკოს-პატრიარქ *დომენტი III-ს*, რ-მაც იგი ანჩისხატის ახ. სამრეკლოზე დაკიდა. მეფე გიორგი XI-მ ძმებს თბილისში სასახლე უბოძა. 1699 შაჰ ჰუსეინის დავალებით გ. პოლონეთში გაემგზავრა, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. დაკრძალულია მოსკოვში.

ლიტ.: ზედგინიძე გ., ბოგდან გურჯიცკი დიპლომატიურ ასპარეზზე, თბ., 1983; ცინცაძე ი., მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV–XVII სს.), თბ., 1966.

ფ. სიხარულიძე.

„გურჯუსტანი“ (,,საქართველო''), ყოველკვირეული დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი აზერბაიჯანულ ენაზე. დაარსდა 1921 თბილისში ,,კომუნისტის'' სახელწოდებით. რამდენჯერმე შეიცვალა სახელი: ,,იენი ფიქირი'' (,,ახალი აზრი'', 1922), ,,იენი ქენთი'' (,,ახალი სოფელი'', 1927–38), ,,სოვეტ გურჯუსტანი'' (1938-იდან). 1946–60 გაზეთი არ გამოდიოდა. იყო საქ. კპ ცკ-ის, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. 1990-იდან ,,გ.'' ჰქვია. სხვადასხვა დროს რედაქტორები იყვნენ ცნობილი საზ. მოღვაწეები, მწერლები, მეცნიერები: მ. ნასირი, მ. მურადოვი, ყ. ყულიევი, მ. რასულ-ზადე, ჰ. საბრი, მ. ჰუსეინოვი, თ. ჯაფარლი. 1972-იდან დღემდე გ-ს რედაქტორია ს. სულეიმანოვი. გაზეთი აშუქებს საქართვ. სოც.-პოლიტ. ცხოვრების, ეკონომიკის, ბიზნესის, კულტურის, აზერბ. და ქართვ. მოსახლეობის ურთიერთობის, დამოუკიდებელი სახელმწ. მშენებლობის და სხვა საკითხებს. 1972 ,,გ.'' დაჯილდოვდა ,,საპატიო ნიშნის'' ორდენით.

„გუსლი“, ყოველკვირეული მხატვრულ-იუმორისტული სურათებიანი ჟურნალი; გამოდიოდა თბილისში რუს. ენაზე 1881–82, რედ. – ი. თხორჟევსკი, მუდმივი თანამშრომლები იყვნენ პ. ოპოჩინინი, ა. თხორჟევსკაია. კარიკატურები და ნახატები ეკუთვნოდა მ. ჩემოდანოვს. ,,გ.'' აგრძელებდა ჟურნ. ,,ფალანგის'' ტრადიციებს. მიზნად ისახავდა ბრძოლას სიცრუესთან, თვითნებობასთან. ი. თხორჟევსკის თქმით, ,,გ.'' მუდამ ხალხისა და ინტელიგენციის საერთო ინტერესებს გამოხატავდა. ჟურნალი დაიხურა მთავრობის ბრძანებით. *რ. პრილიპკო.*

გუსტასიბი, ქალაქის დიდმოხელე (XI–XII სს.), მეტროლოგიური და საპოლიციო ზედამხედველი თბილისის ბაზრებში. ფუნქციურად გ-ს შეესატყვისებოდა ძვ. ქართ. *ნაცვლის* ინ-ტი. არსებული მასალის საფუძველზე საგუსტასიბო გამოსაღების კონკრეტული შინაარსის დადგენა ვერ ხერხდება.

გუფაგუ, სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), კოდორის ქედის სამხრ. მთისწინეთში, მდ. მოქვის (ერთვის შავ ზღვას) მარცხ. ნაპირას. არასაძიხის თემის ცენტრი (სოფლები: გ., არასაძიხი, მეორე არასაძიხი). ზ. დ. 280 *მ*, ოჩამჩირიდან 25 *კმ*. 457 მცხ. (1989).

გუფელდი ედუარდ ეფიმის ძე (19. III. 1936, კიევი, – 23. IX. 2002, ლოს-ანჯელესი, აშშ), მოჭადრაკე, ლიტერატორი. სსრკ სპორტის ოსტატი (1958), საერთაშ. ოსტატი (1964), საერთაშ. დიდოსტატი (1967). საქართვ. (1977) და სსრკ (1980) დამს. მწვრთნელი. 1969 დაამთავრა ქ. ჩერკასის პედ. ინტი და საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში. იყო მ. ჩიბურდანიძის მწვრთნელი და კონსულტანტი, ფიდეს ორი კომისიის თავ-რე. სსრკ ჩემპიონატის 8 ფინალის, 2 პირვე-

ლი ლიგის, 33 საერთაშ. ტურნირის მონაწილე. ორგზის (1961, 1962) სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონი (გუნდურ ჩათვლაში). საჭადრაკო ჟურნალისტთა საერთაშ. ასოციაციის (აიპე) წევრი (1982).

თხზ.: მაია, თბ., 1981 (თანაავტ. ა. ერემიანი); ჭადრაკში დახელოვნების სკოლა, თბ., 1982. *თ. მ. გაორგაძე.*

გუფთა, ჯავის მუნიციპალიტეტის სოფლების *დიდი გუფთისა* და *პატარა გუფთის* გავრცელებული სახელწოდება. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) თავის ნაშრომში ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა'' იხსენიებს დიდი ლიახვის სოფელთა სიაში. *ჯ. გვასალია.*

გუფი, სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ღალიძგის (ერთვის შავ ზღვას) მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: ბ., აგვავერა, აკვასკია, აჯამფაზრა, ზაგანი, ფადგუ, ჩაწვქითი). ზ. დ. 180 *მ*, ოჩამჩირიდან 20 *კმ*. 345 მცხ. (1989).

სოფლის მიდამოებში არის კარსტული მღვიმეები.

,,გუშაგი'' (,,Gouchagui''), ჟურნალი, ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში. გამოდიოდა 1984-იდან პარიზში, ქართულ ენაზე. რედაქტორ-დამფუძნებელი – გ. ი. *წერეთელი.* ,,ბ.'' ,,*თავისუფლების ტრიბუნის*'' გაგრძელება იყო და მის მსგავსად ემსახურებოდა საქართვ. განთავისუფლების იდეას, ქვეყანაში დამოუკიდებელი, დემოკრატიული წესწყობილების დამკვიდრებას. გამოცემის დევიზი იყო: ,,თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა ყველა რასისა და ერისა, თავისუფალ და თანასწორუფლებიან ერთა ოჯახში, თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ქართველი ერი''. პერიოდულად იცვლებოდა ჟურნალის მიმართულება. 1990-იდან იყო როგორც ქართული ეროვნული პოლიტიკური მოვლენების ამსახველი, ასევე ლიტ. ორგანო, ხოლო 1994-იდან – ქართ. პოლიტიკური ემიგრაციის ხმა.

,,ბ.'' აქვეყნებდა წერილებს არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, დისიდენტურ ლიტრას, ფრანგ. პოლიტ. თხზულებების თარგმანებს, ემიგრაციასა და საქართველოში შექმნილ თვალსაჩინო ნაწარმოებებს და სხვ. ჟურნალთან თანამშრომლობდნენ: *კ. ინასარიძე*, გ. გულბათიშვილი, გ. ყიფიანი, ი. ოთხმეზური, გ. ი. წერეთელი. ,,ბ-ში'' წერილებს აქვეყნებდნენ ეროვნ. მოძრაობის ლიდერები: ზ. *გამსახურდია*, მ. *კოსტავა*.

1984–93 დაისტამბა 30 ნომერი. 1989 სექტ-ში, 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით, გამოიცა ჟურნალის სპეც. რიგგარეშე ნომერი. გ. ი. წერეთლის გარდაცვალების (1993) შემდეგ ჟურნალმა პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა.

შემდგომ ს. თუმშალიშვილის რედაქტორობით გამოიცა ჟურნალის ორი ნომერი (№1/31–1994 და №2/32–1997).

ჟურნალის სრული კომპლექტი დაცულია თსუ-ის ქართული ემიგრაციის მუზეუმში, გ. *შარაძის* კერძო კოლექციაში. *ნ. ვადაჭკორია.*

,,გუშაგი'', იხ. *,,ქორწინება''.*

გუში, მარცვლეულის საწყაო XVIII ს. აღმოსავლეთ საქართველოში. მასა დაახლ. 7,5 *კგ* (*კოდის* 1/4).

ლიტ.: ჯაფარიძე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX–XIX სს.), თბ., 1973.

გ. ჯაფარიძე.

,,გუშინ შვიდნი გურჯანელნი'', პოპულარული ქართული (ქართლ-კახური) ხალხური ეპიკური სიმღერა. ბურდონული სამხმიანობის ტიპური ნიმუში. ასრულებენ მამაკაცები. სიმღერას ახასიათებს ამაღლებული ტონუსი, შედგება რამდენიმე მუხლისაგან. სოლისტის რეჩიტატიულად გამღერებულ პარტიას ყოველ მუხლში გამჭვირვალე, ნათელი ჰარმონიისა და გამომსახველი მელოდიის მქონე სამხმიანი გუნდი ენაცვლება. ბოლო მუხლში კი დამწყების პარტია რთულდება და კულმინაციას აღწევს. განეკუთვნება სუფრულის ტიპის სიმღერებს.

გუჩმასთა, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ვანათის თემში (შიდა ქართლის მხარე), გუდისის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. წყალწმინდის (პატარა ლიახვის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1280 *მ*, ერედვიდან 6 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 *კმ*. 19 მცხ. (1989).

გუჩუა ვიქტორ გესას ძე (12. X. 1914, სოფ. ფახულანი, ახლანდ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, – 31. VIII. 1985, თბილისი), ისტორიკოსი. ისტორიის მეცნ. დოქტორი (1983), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1982). 1933 დაამთავრა ზუგდიდის პედ. ტექნიკუმი, 1940 – თსუ-ის ისტ. ფაკტი. 1941–45 მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. 1945–60 საშ. სკოლის დირექტორად მუშაობდა წალენჯიხისა და ზუგდიდის რ-ნებში. 1960-იდან იყო ი. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1969-იდან შეთავსებით – ქსე-ის საქართვ. ისტორიის რედაქციის მეცნიერ-კონსულტანტი, შემდეგ – გამგე. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქსე-ის გამოცემაში. იკვლევდა საქართველოს სოც.-ეკონ., პოლიტ. და კულტ. ისტორიის, ისტორიოგრაფიისა და ქრონოლოგიის საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნ. სტატია და მონოგრაფია. ავტორია (შ. მესხიასთან ერთად) საშ. სკოლის სახელმძღვანელოსი ,,საქართველოს ისტორია'' (პირველი გამოცემა 1961), რ-მაც გაიმარჯვა საქართვ. განათლების სამინისტროს დახურულ კონკურსში და მიიღო პრემია (დაიბეჭდა აგრეთვე რუს., სომხ. და აზერბ. ენებზე). ბ. არის ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევების'' IV ტომის ერთ-ერთი ძირითადი ავტორი, აგრეთვე III ტომის რედაქტორი ზ. ანჩაბაძესთან ერთად (1982 ავტორთა კოლექტივთან ერთად მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია). არის ერთ-ერთი ავტორი და რედაქტორი ,,თბილისის ისტორიის'' სამტომეულის I ტომისა (1989). დაჯილდოებულია სახელმწ. მედლით ,,საბრძოლო მამაცობისათვის''.

თხზ.: საქართველოს ისტორია. მე-7–10 კლასების სახელმძღვანელო, თბ., 1961–85 (თანაავტ. შ. მესხია); გადავხედოთ წარსულს, თბ., 1967; საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1967 (თანაავტ. ი. ანთელავა); საქართველოს XVI–XVIII სს. ეკონომიური ისტორიის შესწავლა ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, კრ.: ქართული ისტორიოგრაფია, ტ . 1, თბ., 1968. *გ. ჯამბურია.*

გუცაევი ვლადიმერ გაბრიელის ძე (დ. 21. XII. 1952, თბილისი), ფეხბურთელი (თავდამსხმელი). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1981). დაამთავრა თსუ (1976). 1971–86 იყო თბილ. ,,დინამოს'' თავდამსხმელი, სსრკ ჩემპიონი (1978), საკავშ. ჩემპიონატების ვერცხლისა (1977) და 3 ბრინჯაოს (1971, 1976, 1981) მედლის, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის (1983) ვერცხლის მედლის, სსრ კავშირის თასის ორგზის (1976, 1979) და ევრ. ქვეყნების თასების მფლობელთა თასის (1981) მფლობელი (ფინალურ მატჩში გოლის ავტორი); ევრ. ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1976). ჩატარებუ-



,,გუშაგი''. ქართული ემიგრანტული ჟურნალი (1984–97).



ვ. გუცაევი.

ლი აქვს: საკავშ. ჩემპიონატებში 303 (47 გოლი), სსრ კავშირის თასის გათამაშებაში 45 (10 გოლი), საერთაშ. შეხვედრებში 89 (18 გოლი), მ.შ. ევრ. საკლუბო ტურნირებში 34 (8 გოლი) მატჩი. სსრკ ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა 11 მატჩი (1 გოლი). ექვსჯერ იყო დასახელებული სიაში ,,33 საუკეთესო‘‘. 1987–90 იყო თბილ. ,,დინამოს‘‘ (1990-იდან ,,იბერიის‘‘) გუნდის უფროსი, 1991–94 – კვიპროსის ,,ანორთოსისის‘‘ მენეჯერი და უფრ. მწვრთნელი, 1995 – ვლადიკავკაზის ,,ალანიის‘‘ გენერალური მენეჯერი, 1996–97 – საქართვ. ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელი, 1998–99 – საქართვ. ეროვნ. ნაკრების უფროსი მწვრთნელი, 1999–2000 – ვლადიკავკაზის ,,ალანიის‘‘ უფრ. მწვრთნელი. 2004–08 – საქართვ. პარლამენტის წევრი. არის ღირსების ორდენის კავალერი (2001). *ბ. გუგუშვილი.*



ბ. გუჯაბიძე.

გუცკოვი, გუცკო (Gutzkow) კარლ (17. III. 1811, ბერლინი, – 16. XII. 1878, ზაქსენჰაუზენი, მაინის ფრანკფურტის ახლოს), გერმანელი მწერალი, დრამატურგი. ავტორია ლიტ.-თეორ. ნაშრომების, რომანების, კომედიების, დრამების. დროის გამოცდას გაუძლო გ-ის დრამამ ,,ურიელ აკოსტა‘‘ (1846). XIX ს. 80-იან წწ. დასაწყისში საქართველოში საგასტროლოდ ჩამოსულმა მოსკ. მცირე თეატრმა წარმოადგინა ეს სპექტაკლი. ამავე პერიოდში პიესა თარგმნა ი. ბაქრაძემ (დაიბეჭდა ჟურნ. ,,თეატრში‘‘ 1887 წ. 29. XI), სცენაზე წარმოადგინა ქუთ. დრამ. დასმა. ურიელის როლს ასრულებდა კ. მესხი. 1901 ეს როლი განასახიერა ლ. მესხიშვილმა. ქართ. თეატრ. ხელოვნ. ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ,,ურიელ აკოსტას‘‘ კ. მარჯანიშვილისეული დადგმა (1929, პიესის მთარგმნელი ვ. გაფრინდაშვილი, რეჟ. გ. სულიაშვილი, მხატვარი პ. ოცხელი, ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი, კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი, მთ. როლებს ასრულებდნენ უ. ჩხეიძე და ვ. ანჯაფარიძე). ეს იყო საეტაპო სპექტაკლი, რ-მაც ქართ. თეატრის აღორძინებას დაუდო სათავე. 1952 კ. მარჯანიშვილის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით შედგა პიესის მე-300 წარმოდგენა. 1962 სპექტაკლი აღადგინა ვ. ანჯაფარიძემ. 1972 განახლებული წარმოდგენა მიეძღვნა კ. მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავს. *ზ. ჭარხალაშვილი.*

გუძი ნიკოლოზ კალენიკეს ძე (21. IV. 1887, მოგილიოვ-პოდოლსკი, – 29. X. 1965, მოსკოვი), უკრაინელი ლიტერატურათმცოდნე. უკრ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1945). დაამთავრა კიევის უნ-ტი (1911). იყო მოსკ. უნ-ტის პროფესორი (1922-იდან). იკვლევდა ძვ. რუს. ლიტრას (,,ამბავი იგორის ლაშქრობისა‘‘, XVI ს. პუბლიცისტიკა, აბაკუმის თხზულება), XVIII–XX სს. რუს. და უკრ. ლიტ-რას (თ. პროკოპოვიჩი, მ. ლომონოსოვი, ა. პუშკინი, ნ. გოგოლი, ლ. ტოლსტოი, თ. ტიუტჩევი, ვ. ბრიუსოვი, ტ. შევჩენკო, ი. ფრანკო), ტექსტოლოგიურ საკითხებს და ფილოლ. მეცნ. ისტორიას. მუშაობდა რუს.-ქართ. ლიტ. ურთიერთობის საკითხებზეც. დაინტერესებული იყო ძვ. რუს. ლიტ-რის ძეგლით ,,*დინარა*‘‘, მას მიუძღვნა ნაშრომი ,,ამბავი საქართველოს დედოფალ დინარას შესახებ‘‘.

გუჯაბაური, სოფელი ქურთის მუნიციპალიტეტის ქურთის თემში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. ლიახვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 850 *მ,* ქურთიდან 10 *კმ,* ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 1 *კმ.* 1,1 ათ. მცხ. (1989).

გუჯაბიძე ბიძინა სერგოს ძე (დ. 20. I. 1960, სოფ. ჩორჩხათი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი), ალპინისტი, მეკლდეური. დაამთავრა საქართვ. ტექ. უნ-ტი (1982). შესრულებული აქვს ასვლები უშბაზე (8 ასვლა, ერთი ჩქაროსნული – 9 *სთ*-ში), მყინვარწვერზე (60-მდე ასვლა, ერთი ჩქაროსნული სარეკორდო დროში – 12 *სთ* 20 *წთ*), კორჟენევსკაიას პიკზე (ორი ასვლა), კომუნიზმის (1998-იდან ისმაილ სამანის) პიკზე (ორი ასვლა), ლენინის (2006-იდან იბნ სინას) პიკზე (ორი ასვლა), ხან-თენგრიზე (11 ასვლა, 1993–2004), მთავარ ლჰოცზეზე, დჰაულაგირზე (1996), ევერესტზე (ორი ასვლა, 1999, 2004). 7-ათასიანი მწვერვალები დალაშქრა 26-ჯერ, 8-ათასიანი – 6 ჯერ. ორგზის ,,*თოვლის ჯიქი*‘‘, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის ორდენების კავალერი, დაჯილდოებულია ნეპალის სამთავრობო სიგელით.

გუჯაბიძე ვლადიმერ (ლადო) მიხეილის ძე (დ. 26. VIII. 1945, სოფ. ჯურუყვეთი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი), მხატვარი და მოქანდაკე. დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1971). მისი პედაგოგები იყვნენ თ. ნაცვლიშვილი, ვ. თოფურიძე. მხატვარგამფორმებლად მუშაობდა თბილისის კომბინატ ,,ქალაქგაფორმებაში‘‘. მხატვრულად გააფორმა საზოგადოებრივი დანიშნულების რამდენიმე ობიექტი, მათ შორის კინემატოგრაფისტთა და ჟურნალისტთა შემოქმედებითი სახლი (ბიჭვინთა). მონაწილეობდა გამოფენებში აშშ-სა და ჩილეში. 1975 მოეწყო გ-ის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა თბილისში, შემდეგ – იტალიაში. 1976 საცხოვრებლად გადავიდა აშშ-ში, სადაც მუშაობდა ქანდაკების ჩამომსხმელად, დიზაინერად. 1981 მისი სკულპტურული ნამუშევრები ერთდროულად გამოიფინა ნიუ-იორკის რამდენიმე გალერეაში. ,,კნიკერ ბოკერის‘‘ გამოფენაზე მიეკუთვნა ოქროს მედალი. 1989 ო. როდენის სახ. III საერთაშ.



ვ. გუჯაბიძე. ,,დაუოკებელნი‘‘. 1989.

კონკურსში (ტოკიო) გ-ის სკულპტურული კომპოზიცია ,,დაუოკებელნი‘‘ 15 გამარჯვებულს შორის მოხვდა და ტოკიოს ერთ-ერთ ქუჩაზე დაიდგა, ხოლო ქანდაკება ,,მუზა‘‘ დგას ჰამილტონის ტბის ნაპირას (ჩიკაგოს მახლობლად, აშშ). გ. ნაყოფიერად მუშაობს ჭედურ ხელოვნებაში, ფერწერასა და გრაფიკაში. მისი ნამუშევრები დაცულია აშშ-ის მრავალ მუზეუმსა და კერძო კოლექციაში.

პ. ნაცვლიშვილი.

გუჯაბიძე ირაკლი კირილეს ძე (დ. 14. VI. 1953, ბათუმი), მეცნიერი მიწისქვეშა ნაგებობებისა და შახტების მშენებლობის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (1994). დაამთავრა

საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის სამთო ფაკ-ტი (1975). 1975-იდან მუშაობს საქართვ. ტექ. უნ-ტის სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისა და მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის კათედრაზე (2000-იდან კათედრის გამგე). არის საქართვ. ტექ. უნ-ტის საინჟინრო კვლევებისა და დაპროექტების რესპ. ცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი, 1995-იდან – ამ ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, აგრეთვე საქართვ. სამთო-გეოლ. ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი (2000). მისი ხელმძღვანელობით შესრულდა საქართველოში კლდეში ნაკვეთი ძეგლების (დავითგარეჯა, ვარძია, უფლისციხე) რესტავრაციისა და რეაბილიტაციის პროექტები, გამაგრდა უფლისციხის ქვაბულები, შემუშავდა სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების პროექტები. გ-მ შეისწავლა ქალაქის მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობათა ურთიერთგავლენა, მათი გეომექანიკა და ტექ. თავისებურებანი, ამის საფუძველზე შეიმუშავა ნაგებობათა გაანგარიშებისა და მათი დაცვის მეთოდები და საშუალებები. გ-ის ხელმძღვანელობით შეიქმნა თბილ. მიწისქვეშა სივრცეების ათვისების კონცეფცია, რ-იც საფუძვლად დაედო ქალაქის პერსპექტიული განვითარების გეგმას. შეიმუშავა რთულ სამთო-ტექ. პირობებში მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის ახ. მეთოდები, რ-ებსაც იყენებენ როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

თხზ.: Вопросы механики подземных сооружений неглубокого заложения, Тб., 1991.

გუჯაბიძე ნოდარ აკაკის ძე (დ. 20. I. 1929, ქუთაისი), გენერალ-მაიორი (1976). დაამთავრა თბილ. ქვეითი ჯარების სასწავლებელი (1950), ფრუნზეს სახ. სამხ. აკადემია (1965), ვოროშილოვის სახ. სსრკ შეიარაღებული ძალების გენშტაბის სამხ. აკადემია (1973). ეკავა სამეთაურო თანამდებობები სსრკ შეიარაღებულ ძალებში, იყო ოდესის სამხ. ოლქის მოტომსროლელი დივიზიის მეთაური (1973–79), ბალტიისპირეთის სამხ. ოლქის შტაბის უფროსის მოადგილე (1978–82). მთავარი სამხედრო მრჩეველი ავღანეთში (1982–84). 1992–2002 მსახურობდა საქართვ. შეიარაღებულ ძალებში. იყო ეროვნული გვარდიის (1992, 1995–96), თავდაცვის სამინისტროს მთავარი შტაბის უფროსი (1993–94), თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მრჩეველი (1996–2002). დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ლ. დოლიძე.

გუჯაბიძე პლატონ (დ. და გ. წლები უცნობია), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ეკატერინენფელდის რაზმის გვარდიელი. 1918 საქართველო-სომხეთის ომში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა I ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით (20. VII. 1919).

ლიტ.: ჟორდანია ო., გაბედვა მ., საქართველოს წმინდა გიორგის ჯვრის კავალერები, თბ., 2001.

ო. ჟორდანია.

გუჯაბიძე ჯიმშერ ბათლომეს ძე (30. XI. 1930, ფოთი), ბავშვთა უროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (2002). 1955 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი; 1955–58 მუშაობდა მოსკოვის ოლქში ქირურგად. 1969–89 წლებში – საქართველოს უროლოგიისა და ნეფროლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ბავშვთა განყოფილებაში, 1990-იდან არის ამავე განყ-ბის გამგე, თსუ-ის უროლოგიის კათედრის პროფესორი (1998), თსსუ-ის პედიატრიული ფაკ-ტის უროლოგიის კურსის ხელმძღვანელი (1996). 2008-იდან მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრ. საავადმყოფოს ქირურგ. დეპარტამენტის კონსულტანტია. კითხულობს ლექციებს უროლოგიაში ი. ჯავახიშვილის სახ. თბილ. სახელმწ. უნ-ტის უროლოგიისა და თსსუ-ის ბავშვთა ქირურგიის კათედრებზე.

გ. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 4 მონოგრაფიის ავტორი. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2001).

თხზ.: თირკმელების და შარდსაწვეთების ანომალიები, თბ., 1978; უროლოგიის ცნობარი, თბ., 1978; ქვედა საშარდე გზების განვითარების ანომალიები ბავშვთა ასაკში, თბ., 1984; შარდსადენი მილი – ურეთრა და..., თბ., 2002.

გუჯარეთი, სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. გუჯარეთისწყლის ზემოთში, მდინარის ორივე ნაირას. თემის ცენტრი (სოფლები: გ., ოდეთი, ღინტური, წითელსოფელი). ზ. დ. 1600 *მ*, ბორჯომიდან 40 *კმ*. 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

სოფელი ისტ. თორში მდებარეობდა. შემდეგ იგი ადმ.-ტერიტ. ერთეული გამხდარა, რაც დადასტურებულია ძვ. სომხ. გეოგრაფიაში ,,აშხარაცუიც'' (VII ს.), სადაც იხსიენიება *თორი* და გუჯარეთისხევი. სოფლის ირგვლივ მდებარე ნოყიერი საძოვრების არსებობამ და ძამის, ტანის, თრიალეთის, ტაბაწყურ-ნარიანისა და გუჯარეთისწყლის ხეობებით მომავალი ურთიერთგადამკვეთი გზების ხელსაყრელმა თავმოყრამ განაპირობა გ-ის დაწინაურება.

ვახუშტი ბატონიშვილს მოხსენიებული აქვს ერთი **გ.,** რევოლუციამდელ რუკებზე კი აღნიშნულია 2 გ. – დიდი და პატარა. ამ რუკების მიხედვით, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ირგვლივ დიდი გუჯარეთის ნასოფლარია, თანამედროვე გ. კი პატარა გ-ის ადგილასაა. დღევანდელ გ-ში ღვთისმშობლის ძვ. ეკლესიის ბუდეღაა დარჩენილი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია სოფლის დასავლეთით, ხევგაღმა შემაღლებულ ადგილზე დგას. ძეგლი ნაგებია უხეშად გათლილი რუხი მოჟანგისფრო ქვით. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. შიგნით პილასტრების ერთი წყვილია, მასზე ამოყვანილია კამარის საბჯენი თაღი. კედლები შელესილ-შეთეთრებულია. შემორჩენილია ეკლესიის დანგრეული გალავანი, რ-ის ახლოს ნასოფლარია. ტაძარი XIX ს-შია აღდგენილ-გადაკეთებული, შენობის ქვედა ნაწილში ჩაყოლებული დიდი ზომის ქვები და გალავანი კი ყველაზე ადრინდ. ფენა უნდა იყოს. ეკლესიის პროპორციების, სარკმელთა გაფორმების და სამშენებლო ხელოვნების მიხედვით ეკლესია XVI–XVIII სს. განეკუთვნება.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., გიორგაძე მ., ჩაჩხუნაშვილი ც., ჭანიშვილი გ., გუჯარეთი, თბ., 1987.

დ. ბერძენიშვილი.

გუჯარეთი, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გიორგეთის თემში (კახეთის მხარე), ალაზნის ვაკეზე, ლაგოდეხი–ყვარლის საავტ. გზაზე. ზ. დ. 320 *მ*, ლაგოდეხიდან 20 *კმ*. 49 მცხ. (2002).

გუჯარეთისწყალი, მდინარე სამხრეთ საქართველოში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მტკვრის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 43 *კმ*, აუზის ფართ. 326 *კმ*.² სათავე აქვს მურყნევის მთის სამხრ. ფერდობზე, 2060 *მ* სიმაღლეზე. მთავარი შენაკადებია მიტარბულა და ბაკურიანისწყალი. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე,



ბ. გუჯეჯიანი.

წყალმცირეა ზაფხულსა და ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი წაღვერთან 3,24 *მ³/წმ.* ზამთარში დამახასიათებელია ყინულნაპირისი, თოში და ყინულსაფარი. *ი. აფხაზავა.*

გუჯარეთისხევი, ისტორიული *თორის* შემადგენელი ნაწილი, ძირითადად მოიცავდა მდ. *გუჯარეთისწყლის* ხეობას. აქაურ სოფელთა უმრავლესობა მთის ძირზეა შეფენილი. სახნავ-სათესი ფართობი მდინარეთა ნაპირებამდე აღწევს. სატრანსპ. და საცალფეხო გზები ადვილად სავალ ხევებს მიჰყვება. ეს გზები მოხერხებულად უკავშირდება თავდაპირველად თრიალეთსა და ნარიანს, შემდეგ კი – ჯავახეთს. გ-ის დიდი ნაწილი დაფარულია ფოთლოვანი, ნარევი და წიწვნარი ტყეებით, რ-თაც 2000 *მ* ზემოთ ალპ. საძოვრები ენაცვლება. ბუნებრივი პირობების შესაბამისად, ეს ხეობა ხასიათდება მთისთვის დამახასიათებელი მეურნეობით: მცირე მემინდვრეობა, დაწინაურებული მესაქონლეობა, მონადირეობა (ამავე დარგებს მისდევდნენ ისტორიულადაც იმ განსხვავებით, რომ მაშინ სელის ზეთსაც აწარმოებდნენ). 1904 ნასოფლარ თელოვანში აღმოაჩინეს ბრინჯაოს ცულების, მათი ჩამოსასხმელი ყალიბებისა და ბრინჯაოს ზოდებისაგან შემდგარი განძი (იხ. სტ. *თელოვანის განძი*).

გუჯარეთისწყლის ზემო წელზე, მდინარის ორივე ნაპირას არის სოფ. *გუჯარეთი,* რ-იც შემდგომ ხეობის ცენტრი გამხდარა. სავარაუდოდ, მის დაწინაურებას ხელი შეუწყო ირგვლივ მდებარე მდიდარმა საძოვრებმა და ძამის, ტანის ხეობების, თრიალეთისა და ტაბაწყურ-ნარიანიდან მომავალმა გზასაყარმა.

გ-ის მნიშვნელოვანი ციხეები იყო: თოთხამი, ალეწი, მომწვარა, სარბაელა, გვირგვინა, უზნარიანი. ეს ციხეები აკონტროლებდნენ გზებს, ასრულებდნენ აგრეთვე რეზიდენციების ფუნქციას ადგილ. ფეოდალებისათვის და ქმნიდნენ საციხისთავო ერთეულებს, სადაც ერთიანდებოდა ამ ციხეთა ირგვლივ განლაგებული სოფლები.

გ-ის თითქმის ყველა სოფელსა და ნასოფლარში შემორჩენილია ნანგრევები ეკლესიებისა, რ-თა უმეტესობა IX–XIII სს-შია აგებული. ზოგ მათგანზე, ქტიტორთა ან მშენებელ ხელოსანთა წარწერებიც არის. მაგ., გულსუნდის ,,წითელი ეკლესიის'' წარწერაში მოხსენიებულია ეკლესიის მაშენებელი ვინმე მახარობელი (X–XI სს. მიჯნა), ტყემლოვანის ეკლესიის წარწერაში – კვირიკე და გიორგი (X ს.), ხოლო თელოვნის ელიას ეკლესიის წარწერაში – თევდორე (X ს.).

გუჯარეთისწყლის მარცხ. შენაკადზეა სამძივისხევი (ახლანდ. სოფ. მზეთამზე). აქედან მომდინარეობს გვარსახელი სამძივარი, რ-იც თორელების განაყოფი უნდა იყოს. სამძივრებისა და თორელების დაწინაურებამ გააერთიანა თორისა და გუჯარეთის ტერიტორიული ერთეულები (ამ დროიდან გუჯარეთისწყალს თორისწყალი შეერქვა). ისინი 1065 დაურბევია ალფ-არსლანს სამხრ. საქართვ. სხვა კუთხეებთან ერთად.

გ-ის ყველაზე ღირსშესანიშნავი ძეგლია ტიმოთესუბნის მონასტერი. XIII ს. II ნახევრით თარიღდება ნასოფლარ დიდი თონეთის ნაეკლესიარში ნაპოვნი, ქვაჯვრის მომაღლო ბაზისზე ამოკვეთილი რელიეფური გამოსახულება და წარწერა.

შემდგომი ხანის ძეგლთაგან მნიშვნელოვანია სოფ. *დაბის* წმ. გიორგის სახ. დარბაზული ეკლესია.

XV ს-იდან გ. ძამის ხეობასთან ერთად ციციშვილთა ფეოდ. საგვარეულოს დაექვემდებარა, XVI ს. ბოლოს კი ოსმალებმა დაიპყრეს. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში'' გ-ის სოფელთაგან მხოლოდ 6 იხსენიება: დაბა (2 კომლი), წაღვერი (ცარიელი), სამზიოსხევი (3 კომლი), გოგოსუბანი (3 კომლი), კიმოთისმანი (2 კომლი), მიტარბი (ცარიელი). 1639, ირან-ოსმ. ზავის შემდეგ, თორი ქართლს შეუერთდა და გ-ს ისევ ციციშვილები დაეპატრონნენ. მოსახლეობა აქ თანდათან დაბრუნდა, რასაც ყოველნაირად ხელს უწყობდა როგორც საერო, ისე სას. ხელისუფლება.

გ. ქართლის კათოლიკოსის სამწყსო იყო და ისიც ცდილობდა გაპარტახებული სოფლების აღორძინებას. XVIII ს. 60-იანი წლებიდან ციციშვილები აქტიურად მოქმედებდნენ მოსაზღვრე ჯავახეთიდან თავიანთ მამულებში მოსახლეობის გადმოსაყვანად. ამ ნიადაგზე ხშირი იყო მცირემასშტაბიანი სამხ. შეტაკებებიც. ამ მცდელობას არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. XIX ს-ში ამ სოფლების უმეტესობა თითქმის უკაცრიელი იყო. XIX ს. 30-იან წლებში მეფის რუს. მთავრობამ პოლტავის გუბერნიიდან გადმოსახლებულთა ნაწილი წაღვერში ჩაასახლა. ახალმოსახლენი ჩამოვიდნენ იმერეთიდან, ქართლიდან. XIX ს. II ნახევარში ცხინვალის მიდამოებიდან გადმოსახლდნენ ოსები.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., გიორგაძე მ., ჩაჩხუნაშვილი ც., ჭანიშვილი გ., გუჯარეთი, თბ., 1987. *დ. ბერძენიშვილი.*

გუჯარი, უმეტესად მეფისგან ნაბოძები საბუთის ზოგადი სახელწოდება, რ-იც ქართულ დიპლომატიკაში XV ს-იდან შემოვიდა. XVIII ს-იდან **გ.** და *სიგელი* ერთობლივად ,,სიგელ-გუჯრად'' იხსენიება. *მ. კუკელია.*

გუჯეჯიანი ბორის ივანეს ძე (20. VIII. 1909, სოფ. ჭოლაში, ახლანდ. მესტიის მუნიციპალიტეტი, – 13. IV. 1993, თბილისი), ინჟინერ-გეოლოგი. III რანგის სამთო გენერალი (1945), საქართვ. დამს. ინჟინერი (1969), ქვანახშირის მრეწვ. ორგანიზატორი საქართველოში. 1931 დაამთავრა ამიერკავკ. სამთო-მეტალ. ინ-ტი. 1935–37 იყო საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის გეოლ.-საძიებო ფაკ-ტის დეკანი და საწვავი წიაღისეულის გეოლ. კათედრის გამგე, სოფ. ცანის სამთო-მეტალ. კომბინატის მშენებლობის სამმართველოს უფროსი, 1941–45 – სსრკ ქიმ. მრეწვ. სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსი, 1945–52 – კომბინატ ,,საქნახშირის'' უფროსი, 1953–56 – საკავშ. ნახშირის ინ-ტის დირექტორი, 1957–58 – საქართვ. სახ. მეურნ. საბჭოს ნახშირების, ნავთობისა და სამთამადნო მრეწვ. სამმართველოს უფროსი, 1959–62 – კავკ. მინერ. ნედლეულის ინ-ტის დირექტორის მოადგილე, 1962–76 – საქართვ. საწარმოო გეოლ. სამმართველოს უფროსი, 1956–76 – საქართვ. სამთო-ტექ. საზ-ბის თავრე.

გ-მა, როგორც პრაქტიკოსმა გეოლოგმა, მრავალი ნოვატორული პრობლემა წამოჭრა და შემდგომ უნარიანად ხელმძღვანელობდა მათ გადაწყვეტას. დიდი დამსახურება მიუძღვის საქართვ. მინერ. ნედლეულის მრავალი სახეობის სამრეწვ. მარაგის დადგენაში. იგი იყო საქართვ. ქვანახშირის საბადოების (ტყიბული, შაორა, ტყვარჩელი) პეტროგრაფიისა და ქიმიის აღიარებული მკვლევარი. მან პირველმა დაადგინა, რომ ტყიბულის ნახშირში მოიპოვება ლიპტობიოლითები, რაც სპეციალისტების მიერ საყოველთაოდ იქნა აღიარებული.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Липтобиолитовые угли и сланцы ткибульского месторождения, «საქართვ. მეცნ. აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინ-ტის შრომები», 1950, ტ. 3; Взаимосвязь петрографического состава ткибульских углей с их обогатимостью и химико-технологическими свойствами, «Труды лаборатории геологии угля АН СССР», Л., 1956, вып. 6; Атлас углей Кавказа, М., 1961 (მთ. რედ. და თანაავტ.). *ბ. ჩიჩუა. ვ. ზესაშვილი.*

გძელიშვილი იოსებ ალექსანდრეს ძე (29. XI. 1909, თბილისი, – 1968, მოსკოვი), არქეოლოგი. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნ. კანდიდატი (1946). 1932–44 მუშაობდა ინჟინრად. პირველმა შეადგინა თბილ. და მისი მიდამოების საინჟინრო-გეოლ. რუკა. 1944–65 იყო თავისივე ხელმძღვანელობით შექმნილი არქეოლ. ტექნოლ. ლაბორ. გამგე. საფუძველი ჩაუყარა ქვემო ქართლში შუა საუკ. ნასოფლარების არქეოლ. კლევევა-ძიებას. სწავლობდა გლეხთა ყოფას, მეურნ. ხასიათს; დიდი წვლილი შეიტანა უძველესი სამთამადნო და მეტალ. წარმოების გამოკვლევაში. ბოლნისის რ-ნსა და აჭარაში აღმოაჩინა და შეისწავლა შუა საუკ. რკინის მაღაროები და ლითონის სადნობი ქურები. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილ. არქეოლ. ექსპედიციას. გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან აღსანიშნავია ,,თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები'' (1961) და ,,რკინის დნობის საქმე ძველ საქართველოში'' (1964, რუს. ენაზე). ეს უკანასკნელი სადოქტორო დისერტაციად იყო წარდგენილი.

ნ. ბერძენიშვილი.

გძელიშვილი კონსტანტინე (კოტე) კონსტანტინეს ძე (13. IX. 1902, თბილისი, – 15. VII. 1970, იქვე), ფერმწერი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1962). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1927). აქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1938-იდან). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1927-იდან. მ-ის შემოქმედების ძირითადი თემაა საქართვ. ბუნება, მისი არქიტ. ძეგლები: ,,ძველი თბილისი'' (1945), ,,ქართლის პეიზაჟი'' (1950), ,,გორის ხედი'' (1938), ,,დუშეთი'' (1957), ,,ქართლი'' (1962), აქვს ისტ. და პოლიტ. თემებზე შექმნილი სურათები: ,,კრაკოვის კონფერენცია'' (1938), ,,საკუთარი კერის დაცვა'' (1943), პორტრეტები და სხვ.

გძელიძე (გ რ ძ ე ლ ი ძ ე) ვლადიმერ დავითის ძე [10 (22). V. 1894, სოფ. ბარი (ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი), – 5. VI. 1960, თბილისი], მეწარმე, ხილეულის წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების დამზადების სპეციალისტი. 1917-იდან მ-მ მუშაობა დაიწყო თბილ. ,,კომპანია ზემელის'' ლიმონათის ქ-ნაში, სადაც დაეუფლა სიროფის დამზადების ტექნოლოგიას. 20-იანი წლებიდან იგი დამოუკიდებლად ქმნის ხილეულის წყლების სიროფის რეცეპტებს. 1922–24 მუშაობდა ბაქოს ხილეულის წყლების წარმოებაში, 1924–32 კი – ამიერკავკ. რკინიგზის (ბაქო, ლენინაკანი, თბილისი) კვების ობიექტებში.

1932 თბილისში მ-ის თაოსნობით ამოქმედდა ლიმონათის ქ-ნა (ნ. +გოგოლის ქ. №52, ახლანდ. №16), სადაც იგი იყო უალკოჰოლო სასმელების დამზადების ოსტატ-სპეციალისტი და წარმოების ხელმძღვანელი. საწარმო წლების განმავლობაში ლიმონათით ამარაგებდა ამიერკავკ. რკინიგზის, აგრეთვე უკრაინის ქალაქების – დნეპროპეტროვსკისა და კიევის კვების ქსელს. ქ-ნა უშვებდა სხვადასხვა სახეობის ხილის ლიმონათს; ეტიკეტზე მითითებული იყო: ,,ხილის წყლების წარმოება ვ. გძელიძის ხელმძღვანელობით''. 1959 თბილ. რკინიგზის ვაგზლის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ლიმონათის ქ-ნის ამორტიზებული შენობა აიღეს.

1947–51 მოსკოვში, მაქსიმ გორკის ქუჩაზე, საქვაჭრობის საფირმო მაღაზიაში ფუნქციონირებდა მ-ის ხილეულის წყლების სექცია. 1950 იგი სომხ. მინერ. წყლების ტრესტში მიიწვიეს, ოსტატ-მეკუპაჟეებისათვის უალკოჰოლო სასმელების დამზადების გამოცდილების გასაზიარებლად. ამ პერიოდში ერევნის ლუდისა და ლიმონათის ქ-ნაში მისი ხელმძღვანელობით ამზადებდნენ ხილეულის წყლების უალკოჰოლო სასმელებს.

თავისი საქმიანობით მ-მ მრავალჯერ დაიმსახურა მაღალი შეფასება. 1955 სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ მას მიანიჭა ,,ხილეულის წყლებისა (ლიმონათი) და I კატეგორიის ბურახის დამზადების ოსტატის'' წოდება (იხ. აგრეთვე სტ. ,,*გძელიძის წყლები*''). *ლ. აბრამიშვილი.*

,,გძელიძის წყლები'', ხილეულის წყლების საფირმო მაღაზიები თბილისში. გაიხსნა ვ. *გძელიძის* თაოსნობით: პირველი – XX ს. 30-იან წლებში რკინიგზის ვაგზალთან, ნ. გოგოლისა და ჩელიუსკინელების (ახლანდ. თამარ მეფის გამზ.) ქუჩების კუთხეში; მეორე (მაღაზია-პავილიონი) – XX ს. 40-იან წლებში ა. ელბაქიძის (ახლანდ. მ. ჯავახიშვილის ქუჩა) დაღმართზე. აქ იყიდებოდა ვ. გძელიძის რეცეპტით დამზადებული გამაგრილებელი ხილეულის წყლები: ,,მსხლის'', ,,შინდის'', ,,პიტნის'', ,,ვაშლის'', ,,კომშის'', ,,ასკილის'', ასევე ,,შოკოლადის'', ,,ყავის'', ,,ნაღების'' და სხვ., უალკოჰოლო სასმელები – ,,ხვანჭკარა'', ,,კახური'', ,,შამპანური'', ,,სადესერტო'', ,,საგაზაფხულო'', გარდა ამისა, სუსტი ალკოჰოლიანი სასმელები – ,,საფესტივალო'', ,,საამო'', ,,ჩქეფი'', ,,თბილისი'', ,,მოსკოვი''.

XX ს. 60-იან წლებში სასტუმრო ,,ივერიისა'' და რესპ. მოედნის მშენებლობასთან დაკავშირებით ა. ელბაქიძის დაღმართზე მდებარე მაღაზია-პავილიონი დაინგრა, ამავე პერიოდში შეწყვიტა არსებობა ნ. გოგოლის ქუჩაზე არსებულმა საფირმო მაღაზიამაც.

ვ. დ. გძელიძის შვილიშვილმა, ვ. გრძელიძემ, გადაწყვიტა ბაბუის მიერ დაწყებული საქმის აღორძინება. მან 1989 თბილისში, მ. კოსტავას ქუჩის 12-ში, გამართა ხილეულის წყლების მცირე საწარმო და იქვე გახსნა საფირმო მაღაზია ,,ბ. წ.'', რ-მაც 1997-მდე იარსება. *ლ. აბრამიშვილი.*



კ. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. ნატურმორტი.



ვ. გძელიძე.







ვ. გძელიძის ხილეულის წყლების ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ეტიკეტები.



დ-ს მოხაზულობა ასომთავრულში წრისა და ხაზის კომბინაციაა, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. ადრეულ ძეგლებში იგი ყელის გარეშე გვხვდება. დ ნუსხურში მარჯვნივაა გადახრილი და ზედა სამ ხაზშია მოთავსებული. მხედრულში საყრდენი ფეხი აქვს და ქვედა სამ ხაზში იწერება.





დ, ქართული ანბანის მეოთხე ასო. მისი სახელია ,,დონი''; გრაფ. სიმბოლო წინაენისმიერი ხშულ-მსკდომი მჟღერი თანხმოვნისა. ასომთავრულში იწერებოდა **Დ**, ნუსხურში – **Დ**. ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავს ოთხს (4). მხედრული დამწერლობის ოთხხაზოვან სისტემაში მისი მოხაზულობა ქვედა სამ ხაზში თავსდება.

ცხრილში დ-ის გრაფ. განვითარება წარმოდგენილია V–XVII სს. ეპიგრაფიკული ძეგლების, ხელნაწერებისა და ისტ. საბუთების მიხედვით.

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ლ. საყვარელიძის სახელობისა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაწესებულება. ჩამოყალიბდა 1996, ყოფ. შავი ჭირის საწინააღმდეგო რესპ. სადგურის ბაზაზე. აღნიშნულმა სადგურმა (1937–91), შემდგომში – განსაკუთრებით საშიში ინფექციების საწინააღმდეგო სამეცნ. პრაქტიკულმა ცენტრმა (1992–96) – დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში ბუნებრივ-კეროვანი დაავადებების აღმოჩენაში, შავი ჭირისა და ტულარემიის ბუნებრივი კერების შესწავლაში, ქოლერასთან ბრძოლაში, სხვა საშიში და უცნობი ეტიოლოგიის ინფექციების ეპიდემიოლოგიური შესწავლისა და ლაბორ. დიაგნოსტიკის საქმეში, აგრეთვე მა-

ღალკვალიფიციური კადრების – ეპიდემიოლოგების, ბაქტერიოლოგების, ვირუსოლოგების მომზადებაში.

ცენტრი აღჭურვილია სათანადო აპარატურით, რაც საშუალებას აძლევს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად წარმართოს სამუშაოები, დაავადებების პროფილაქტიკა და კონტროლი. ცენტრი ხელმძღვანელობს ქვეყანაში ეპიდზედამხედველობის, საკარანტინო (შავი ჭირი, ქოლერა, ჰემორაგიული ვირუსული კონტაგიოზური ცხელებები), განსაკუთრებით საშიში და მათთან გათანაბრებული ინფექციების კონტროლს, სხვა გადამდები დაავადებების პროფილაქტიკასა და კოორდინაციას, გეგმიური იმუნიზაციის და მასობრივი აცრების სახელმწ. პროგრამების რეალიზაციას და სხვ.

ცენტრი ადგენს დაავადებების მოკლე და გრძელვადიან პროგნოზებს, შეიმუშავებს მეთოდურ მითითებებს, გამოსცემს ,,ეპიდემიოლოგიურ ბიულეტენს''. ცენტრში ფუნქციონირებს მრავალი განყ-ბა და ლაბორატორია, მ. შ. ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნ. კოლექციის განყ-ბა.

ცენტრს ლ. საყვარელიძის სახელი მიენიჭა 1992. ცენტრის დირექტორი იყო პ. იმნაძე (2010 წლის დეკემბრამდე), 2011-იდან ცენტრის დირექტორია – ნ. ავალიანი.

საქართველოში მოლეკულური ეპიდემიოლოგიის მეთოდების დანერგვის მიზნით ცენტრს მიღებული აქვს აშშ ჯანდაცვის ნაციონალური ინ-ტების სისტემის ,,ფოგარტის'' საერთაშ. ცენტრის გრანტი.

პ. იმნაძე.

დაავადებები სასოფლო-სამეურნეო ცხოველისა, განასხვავებენ გადამდებსა და არაგადამდებ დაავადებებს. გადამდები დაავადება ორგვარია: ინფექციური და ინვაზიური. ინფექციურ დაავადებებს იწვევენ პათოგენური მიკროორგანიზმები (მ. შ. ვირუსები, სოკოები, პრიონები, ბაქტერიები). ინვაზიურ დაავადებებში განარჩევენ პროტოზოოზებს (გამომწვევნი – *უმარტივესები*), ჰელმინთოზებს (გამომწვევნი – ჰელმინთები, იგივე პარაზიტული ჭიები), არაქნოზებს (გამომწვევნი – ობობასებრნი, მ. შ. ტკიპები) და ენტომოზებს (გამომწვევნი – *მწერები*). გადამდებ დაავადებებში გამოყოფენ ადამიანისა და ცხოველის საერთო დაავადებებს – ზოოანთროპონოზებს. არაგადამდები დაავადებები კლასიფიცირებულია პათოლ. პროცესის ლოკალიზაციის ადგილისა და ხასიათის მიხედვით. დაავადებების კლასიფიკაცია შეიძლება ცხოველთა სახეობების მიხედვითაც.

საქართველოში სას.-სამ. ცხოველთა დაავადებების მეცნ. შესწავლას საფუძველი ჩაეყარა XIX ს. 60-იან წლებში. 70-იანი წწ. შუა პერიოდში დაიწყო ორგანიზებული ბრძოლა მსხვილი რქოსანი საქონლის ჭირის წინააღმდეგ. უფრო ადრე კი თბილ. გუბერნიის საექიმო სამმართველოს 1857 ანგარიშში მოცემული იყო ცნობები ცხოველთა დაავადებების შესახებ. იმ დროს მსხვილი რქოსანი საქონლის ჭირის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციფ. საშუალებები არ არსებობდა, რის გამოც დაავადებაში ეჭვმიტანილ ცხოველს აუცილებლად კლავდნენ. ოფიც. სტატ. მასალის საფუძველზე დადგენილია, რომ 1883–1914 საქართველოში ჭირის გამო დაიკლა 102 ათ. სულზე მეტი საქონელი. მსხვილი რქოსანი საქონლის ჭირის წინააღმდეგ ჩატარებული განსაკუთრებული ვეტ. ღონისძიებების შედეგად 20-იანი წწ. ბოლოს დაავადება მოისპო. 30-იანი წწ. ბოლოს ასევე მოისპო მსხვილი რქოსანი საქონლის ფილტვების მმუსრავი ანთება, ცხვნის ქოთაო და სხვ.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო ორგანიზებული ბრძოლა ჯილეხის (ციმბირული წყლულის) წინააღმდეგ. 1899–1914 აღრიცხული იყო ამ დაავადების 1530 არაკეთილსაიმედო კერა. აღნიშნულ პერიოდში გაწყდა 5 ათ. სულზე მეტი ცხოველი, ხოლო 1923–37 – 10 ათ. სულზე მეტი. სპეციფ. ღონისძიებების გატარების შედეგად ეს დაავადება გასული საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვნად შემცირდა.

საქართველოში შემცირდა აგრეთვე მსხვილი რქოსანი საქონლის ემფიზემატოზური კარბუნკული, რ-იც, ისე როგორც ჯილეხი, ნიადაგის ინფექციას განეკუთვნება და ფართოდ იყო გავრცელებული. მეცხოველეობას დიდ ზარალს აყენებდა აგრეთვე თურქული, რ-ის შემთხვევები დღესაც გვხვდება. 1933 ქართველმა მეცნიერმა ვ. *საყვარელიძემ* პირველად შეიმუშავა თურქულის ვირუსის სპეციფ. ანტიგენის მიღებისა და მომზადების მეთოდი, რამაც საერთო აღიარება მოიპოვა და დაინერგა ამ ინფექციის სეროლოგიური დიაგნოსტიკისა და თურქულის ვირუსის ტიპობრივი დიფერენციაციისათვის. თურქულის საწინააღმდეგო აქტ. იმუნიზაციის საშუალებათა დამუშავებამ და წარმოებაში დანერგვამ, აგრეთვე ამ დაავადების მიმართ ცხოველთა იმუნური ფონის განსაზღვრის მეთოდის გამოყენებამ საქართველოში მკვეთრად შეამცირა თურქულით დაავადების საშიშროება.

მსხვილი რქოსანი საქონლისა და ფრინველის ინფექციურ დაავადებათაგან ქვეყნის სავეტერინარო სამსახურის ყურადღების ცენტრშია სას.-სამ. ცხოველთა ისეთი დაავადებების ლიკვიდაციის საკითხი, როგორიცაა ბრუცელოზი და ტუბერკულოზი. სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს აგრეთვე საქონლის პიროპლაზმიდების წინააღმდეგ ბრძოლა. საქართვ. აღმოსავლეთის დაბლობ და მთისწინა ზონაში აღრიცხულია 35 სახეობის იქსოიდური ტკიპა (ცხოველის ტრანსმისიულ დაავადებათა აღმძვრელების გადამტანები). მათი ცალკეული სახეობების განვითარებისათვის საკმაოდ ხელსაყრელი პირობებია დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, გარდაბნის, მარნეულისა და სხვ. მუნიციპალიტეტებში. ტკიპებს გადააქვთ დაავადებების აღმძვრელები, რებიც იწვევენ მსხვილი რქოსანი საქონლის პიროპლაზმოზს, ფრანსაიელოზს, თეილერიოზს, ცხვრის ბაბეზიოზს, ანაპლაზმოზს და სხვ. პიროპლაზმიდოზები დღესაც დიდ ზიანს აყენებენ საქართვ. მეცხოველეობას.

სპეციფ. კომპლ. სავეტერინარო და სამეურნ. ღონისძიებების გატარების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მსხვ. რქ. საქონლის პიროპლაზმიდოზებით დაავადების შემთხვევები. მოისპო სისხლის პარაზიტებით გამოწვეული ისეთი დაავადებები, როგორიცაა ცხვრის ბაბეზიოზი და პიროპლაზმოზი. XX ს. 50-იანი წწ. დამდეგს ყველაზე მეტად იყო გავრცელებული მსხვ. რქ. საქონლის ჰიპოდერმატოზი. მომდევნო პერიოდში მის წინააღმდეგ ქიმ.-პროფილაქტიკური ღონისძიებებისა და საქართველოში შექმნილი პრეპარატის – ჰიპოდერმაციდის დანერგვის შედეგად დაავადება მკვეთრად შემცირდა.

ქვეყნის თბილი კლიმ. პირობები ხელს უწყობს სას.-სამ. ცხოველთა ჰელმინთოზური დაავადებების გავრცელებას. რეგისტრირებულია ჰელმინთოზურ დაავადებათა გამომწვევი 240-ზე მეტი სახეობის პარაზიტული ჭია. ყველაზე გავრცელებული ჰელმინთოზური დაავადებებია ფასციოლოზი, დიკროცელიოზი, ანოპლოცეფალიდოზები, დიქტიოკაულოზი, ექინოკოკოზი და სხვ. გარდა იმისა, რომ ჰელმინთოზური დაავადებები საშიშროებას უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, ამასთანავე დიდ ეკონ. ზიანს აყენებს მეცხოველეობას. დადგენილია, რომ ფასციოლოზით დაავადებისას ფურის წველადობა 25–40%-ით კლებულობს; ცხვრის დიქტიოკაულოზის დროს სიკვდილიანობა 20–25%-ს აღწევს, ხოლო ექინოკოკოზის შემთხვევაში ცხოველის ცოცხალი მასა 8–10 *კგ* კლებულობს; ღორის ასკარიდოზის დროს ცოცხალი მასის დანაკლისი 30% შეადგენს, ხოლო ტრიქოცეფალოზისა და მაკრაკანთორინქუსის შემთხვევაში – 50–70%-ს.

ქართვ. მეცნიერებმა ი. ჭუბაბრიამ, გ. *გოდერძიშვილმა*, ნ. ლულუნიშვილმა ცხვრის მონიეზიოზის, თიზანიეზიოზის, ავიტელინოზის, ქათმის ასკარიდოზისა და ცესტოდოზების წინააღმდეგ საბრძოლველად სსრკ-ში პირველად გამოიყენეს და დანერგეს დარიშხანმჟავაკალა, როგორც ამ დაავადებათა მოსპობის ეფექტური სამკურნ. და პროფილაქტიკური საშუალება.

განხორციელებული სავეტერინარო ღონისძიებების შედეგად მეოცე საუკუნის ბოლოს საქართველოში საგრძნობლად შემცირდა ისეთი ინფექციური და ინვაზიური დაავადებები, როგორიცაა ცხვრის ყვავილი, სას.-სამ. ცხოველთა პასტერელოზი, ღორის ჭირი, კოლიბაქტერიოზი, ფრინველის ნიუკასლის დაავადება, ფსოროფტოზი (ყუთური), მსხვ. რქ. საქონლის ტრიქოფიტია (მკრეჭავი მუნი), ნეკრობაქტერიოზი და სხვ.

საქართვ. მეცხოველეობას ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ზიანს აყენებს არაგადამდები დაავადებები, რ-თა უმთავრესი მიზეზია ცხოველთა მოვლა-შენახვის დაბალი დონე, სანიტ.-ჰიგიენური თვალსაზრისით ცხოველთა უვარგისი სადგომები, სივიწროვე, საკვების უკმარისობა და ცუდი ხარისხი. მეცხოველეობის ფერმებში დახოცილი საქონლის საერთო რაოდენობიდან 90% არაგადამდებ დაავადებებზე მოდის. დიდია ფურების ბერწიანობა (უნაყოფობა), მასტიტები და მათგან გამოწვეული ზარალი. ქართვ. მეცნიერებმა მნიშვნელოვანი სამუშაო ჩაატარეს მეცხოველეობისათვის ნიშანდობლივი ისეთი დაავადებების შესასწავლად, როგორიცაა მსხვილი რქოსანი საქონლის ქრონ. ვეზიკულარული ჰემატურია, ხუთილი და სხვ.

საბჭოთა პერიოდში პირუტყვის და ფრინველის სულადობა ძირითადად თავმოყრილი იყო მსხვილ სახელმწიფო საწარმოებში, ვეტერინარული მომსახურება სახელმწ. და კერძო მეურნეობებში ტარდებოდა, ვეტ. პრეპარატებით მომარაგება ცენტრალიზირებული იყო.

1995–96 წლებიდან, სახელმწ. მეურნეობების გაუქმებასთან ერთად, იკლო პირუტყვის სულადობამ, ხოლო კერძო სექტორში მათი რაოდენობა შესამჩნევად გაიზარდა.

საზ. მეურნეობიდან პირუტყვის სულადობის ზრდის მასობრივმა გადანაცვლებამ კერძო სექტორში და ვეტ. მომსახურების გაუარესებამ (ვეტ. მომსახურების ერთიანი სისტემის მოშლამ და უმეტეს დაავადებებზე პროფილაქტიკურ-სამკურნ. ღონისძიებების პასუხისმგებლობის პირუტყვის მფლობელებზე გადასვლამ) ეპიზოოტიური სიტუაცია მკვეთრად შეცვალა. გაჩნდა დაავადებების ახ. კერები, დღეს მათ რიცხვს დაემატა პრობლემები: ფრინველის და ღორის გრიპის, ცხვრის ჩლიქების სიდამპლის, ფრინველის ინფექციური ანემიის და სხვათა სახით. 2007 წლიდან ფართოდ გავრცელდა ღორის აფრიკული ჭირი, დაიხოცა ღორების 50–60%, რამაც დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენა ქვეყანას.

საქართველოში შექმნილმა ეპიზოოტიურმა სიტუაციამ დღის წესრიგში დააყენა ვეტ. კანონმდებლობის მაღალ დონეზე შესრულება და მის შესაბამისად რადიკალური პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების აუცილებლობა, ცხოველთა მოვლა-შენახვისა და კვების ახ. თანამედროვე სისტემების დანერგვა და სხვა.

კ. კაპანაძე. თ. ყურაშვილი.

დაბა, 1. დასახლებული ადგილი ძველ ქართლში. ,,დაბ'' – ფუძის თავდაპირველი მნიშვნელობა, როგორც ვარაუდობენ, იყო მიწა, შემდეგ – დამუშავებული ადგილი. დ. ადრე გვაროვნ.-თემური ერთეული უნდა ყოფილიყო, ხოლო გვიან – სასოფლო-სამეზობლო თემი და უმცირესი ადმ.-ტერ. ერთეული. აქედან გამომდინარე, ის თავდაპირველად ცალკეული გვარის სამეურნ. და კოლექტიური მფლობელობის ობიექტი უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგ, ინდივიდ. მეურნეობისა და მიწაზე კერძო საკუთრების არსებობის პირობებში – სხვადასხვა გვარის სამეურნ. ერთობა, გარკვეული თემური ორგანიზაცია უმცირესი ტერიტ. ერთეულის ფარგლებში. დ-იდან არის ნაწარმოები ტერმ. ,,მდაბიური'' (,,მეთემეს'' მნიშვნელობით).

IX ს-იდან ,,დ-ს'' თანდათან ცვლის ,,სოფელი'', რაც სოც. განვითარების გარკვეულ საფეხურს უნდა გამოხატავდეს.

2. ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი, თვითმმართველი ერთეულის ნაწილი, სადაც იქმნება ადგილ. თვითმმართველობის ტერიტ. ორგანო. დ-ის ტერიტორიაზე არსებობს სამრეწველო საწარმოები, კომუნ. მეურნეობა, სამკურნალო და სოც.-კულტ. დაწესებულებათა ქსელი, რითაც იგი ასრულებს ადგილ. ეკონ.-კულტ. ცენტრის ფუნქციას, ამასთანავე არ გააჩნია სას.-სამ. საქმიანობისათვის საკმარისი მიწის სავარგულები. დ-ის ტერიტ. ორგანოს ხელმძღვანელი – რწმუნებული – არის ადგილ. თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რ-საც 1 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი (საქართვ. ორგ. კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'', 2008; მ. 1. პ. ,,დბ'', ,,ზა'',მ. 42).

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 8, თბ., 1975; ბოგვერაძე ა., ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV–VIII საუკუნეებში, თბ., 1979; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.

ა. ბოგვერაძე.

არტანუჯისწყლისა და იმერხევის შესართავთან, 730–740 წლებში *გრიგოლ ხანძთელის* თანამოღვაწე ბერებმა დააარსეს მონასტერი. ამ დროიდან თურქთა მფლობელობის დამყარებამდე ,,ათორმეტ'' სავანეთა შორის დ-ის სავანეც არსებობდა. თურქთა მფლობელობის პერიოდში იგი სხვა ძეგლებთან ერთად დაინგრა. 1904 ნ. მარს სავანის ნაშთები აღარ დახვედრია, იქ მხოლოდ მთ. ტაძრის საფუძვლის ნანგრევებიღა იყო შემორჩენილი.

ლიტ.: ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; M a r r H. Я., Дневник поездки в Шавшию и Кларджию, СПб., 1911.

ზ. ცინცაძე. დ. ხოშტარია.

დაბა, სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის ტერიტორიულ ორგანოში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), გვირგვინას ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, მდ. გუჯარეთისწყლის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას, ბორჯომი – ბაკურიანის სარკინიგზო და საავტ. გზაზე. რკინიგზის სადგური. ზ. დ. 1000 *მ,* ბორჯომიდან 12 *კმ.* 238 მცხ. (2002).

დ. კლიმ. საკურორტო ადგილია. შედის *ბორჯომ-ბაკურიანის კურორტების ჯგუფში.* იცის რბილი მცირეთოვლიანი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა –2°C) და თბილი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 20°C). ჰავა სასარგებლოა სასუნთქ ორგანოთა დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის (განსაკუთრებით უხდება ბავშვებს).

ბორჯომის მუნიციპალიტეტში გვხვდება აგრეთვე ტოპონიმები: დაბაძველი, ახალდაბა, ნადაბური. სოფ. დ-თან, სამანქანო გზის პირას, მცირე გორაკზე, შემორჩენილია გალავანშემორტყმული ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევი. ადგილ. მოსახლ. მას ,,მარიამწმინდას'' უწოდებს. გალავანი დიდი დაუმუშავებელი ლოდებითაა ნაგები. კირი გამოქარულია და კედელი ყორის შთაბეჭდილებას ტოვებს. შესასვლელი, რ-იც ორ მძლავრ კედელს შორის მოქცეულ ფართო კამაროვან გასასვლელს წარმოადგენს, დასავლეთიდანაა. გალავანი სამხრ.-დას. კუთხესთან ციცაბო კლდეზეა მიბჯენილი. აქ კლდის ქიმზე ასასვლელად საფეხურებია გამოკვეთილი. ძნელბედობის ჟამს ამ გალავანს მოსახლ. თავს აფარებდა. ეკლესიის ნანგრევი გალავნის ჩრდ.-აღმ. ნაწილშია. მას ჩრდილოეთიდან სამნაწილიანი მინაშენი აქვს, რ-იც შედარებით უკეთ გადარჩენილა. ეკლესიიდან შემორჩენილია მხოლოდ დას. კედელი (სიმაღლე 1,5 *მ*), რ-იც გარედან კარგად გათლილი მორუხო ფერის კვადრების შესანიშნავი წყობითაა ნაგები. ეკლესია XI–XIII სს. უნდა იყოს. გალავანი კარიბჭითურთ შესაძლებელია XIV ს. ეკუთვნოდეს.

წიწვოვანი ტყით დაფარული ფერდობის მცირე ბაქანზე აღმართული წმ. გიორგის ეკლესია XIV ს. I ნახევარშია აგებული. იგი ადგილობრივ მოსახლეობაში ,,ჩრდილოეთის წმიდა გიორგის'' სახელითაა ცნობილი. ეკლესია (7 *მ* × 11 *მ*) ერთნავიანია. გადახურულია ორფერდა სახურავით. შიგნით და გარედან მოპირკეთებულია კარგად გათლილი და სწორხაზოვან რიგებად ნაწყობი მონაცრისფრო კვადრებით. კამარით გადახურული დარბაზი აღმ-ით მთავრდება საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის შუაში ვიწრო სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო მაღალი თაღოვანი ნიშია. დარბაზის შიდა სივრცე დანაწევრებულია კამარის საბჯენი ორი თაღით, რ-ებიც კაპიტელებიან პილასტრებზეა გადაყვანილი. აღმოსავლეთის წყვილი პილასტრი იატაკის დონიდან იწყება, დასავლეთისა კი კედლის შუა სიმაღლეზე კრონშტაინებს ეყრდნობა. პილასტრებს შორის ყრუ თაღებია მოწყობილი. ეკლესიის შესასვლელები და თითო სარკმელი გაჭრილია დას. და ჩრდ. კედლებში. განსაკუთრებით გამოირჩევა დას. ფასადი, რ-ის მოჩუქურთმებულ სწორკუთხა ჩარჩოში ჩასმული შესასვლელი და მის თავზე მდებარე მოჩუქურთმებული სარკმელი ერთიან კომპოზიციას შეადგენს. ასევე უხვადაა მოჩუქურთმებული ჩრდ. და აღმ. სარკმლებიც. ეკლესიის დას. შესასვლელის თავზე არის ასომთავრული წარწერა, რ-ის მიხედვით ეკლესია აუშენებია გიორგი V ბრწყინვალის მოლარეთუხუცესს 1333. მისი სახელი უცნობია (ეკლესია რესტავრ. 2007). ეკლესიის სიახლოვეს, კლდეში, ბუნებრივი გამოქვაბულებია, რ-ებშიც ბერები ცხოვრობდნენ. გამოქვაბულების 4–5 ჯგუფში მოწყობილია მცირე და საშ. ზომის სათავსები, ერთში ქვევრიცაა, აქვეა წყარო. 1595 ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით ოსმალთაგან დაპყრობილ სამხრ. საქართველოში სოფ. დ. შედიოდა პეტრეს ნაჰიეში (რ-ნი), რ-იც პეტრეს ლივაში აღირიცხებოდა. იქ მაშინ მხოლოდ ორი კომლი ქართვ. ცხოვრობდა: ბადრია და ალექსა, ძმა მისი, რ-ებიც 4500 *ახჩას* იხდიდნენ წლიურად. დ-ში ამჟამად XIX ს-ში იმერეთიდან და ქართლიდან გადმოსახლებული ქართველები ცხოვრობენ. მათი გვარებია: ჯაფიაშვილი, თედიაშვილი, დათუნაშვილი, შატბერაშვილი, წიქარიშვილი, მესხიძე, ლომიძე, ხაჩიძე და სხვ.

წყარო: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2, ს. ჯიქიას გამოც., თბ., 1941.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ., გ ი ო რ გ ა ძ ე მ., ჩ ა ჩ ხ უ ნ ა შ ვ ი ლ ი ც., ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი გ., გუჯარეთი, თბ., 1987; Ч у б и н а ш в и л и Г. Н., К вопросу о дате в надписи на тимпане церкви близ села Даба Боржомского района 1956г., მის წგ.: Вопросы истории искусства, т. 1, Тб., 1970; Ш м е р л и н г Р.О., Постройка моларетухуцеса царя Георгия Блистательного в сел. Даба, Боржомского района, «ქართული ხელოვნების ისტორიის ინ-ტის შრომები», 1947, [ტ.] 2.

დ. ბერძენიშვილი. ვ. დოლიძე. მ. ქუჩუკაშვილი.

დაბადება, ბიბლიის დასაწყისი. მასში გადმოცემულია სამყაროს შექმნისა და ადამიანთა მოდგმის პირველსაწყისი ცხოვრება დედამიწაზე. იხ. სტ. *ბიბლია.*

დაბაკნეთი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ცხრაძმის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის დას. კალთაზე, მდ. ცხრაძმულის (ქსნის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1550 *მ,* ახალგორიდან 30 *კმ.* 29 მცხ. (2002).

დ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XV ს. I ნახევარში. სოფელში არის შუა საუკ. ქვითკირით ნაგები ერთნავიანი ეკლესია.

დაბალი ბანი, ქართული მრავალხმიანი სიმღერა-გალობის დაბალი ხმის აღმნიშვნელი ტერმინი. დ. ბ. გავრცელებული იყო XIX ს. დასაწყისამდე, ვიდრე ქართ. ეკლესიაში არსებობდა ზემრავალხმიანი (ხუთ-ექვსხმიანი) გალობის ტრადიცია (იხ. აგრეთვე სტ. *ბანი*).

დაბალი ეფერი, სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ასკანის თემში (გურიის მხარე), ნასაკირალის სერის ჩრდ. კალთაზე, მდინარეებს ყურეფასა და გულეფას შორის. ზ. დ. 220 *მ,* ოზურგეთიდან 18 *კმ.* 337 მცხ. (2002).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის მი-

ხედვით, ადამიანს აქ ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულში უცხოვრია.

დაბაძველი, ნასოფლარი ისტორიულ თორში. მდებარეობს მტკვრის მარჯვ. შენაკადის ჭობისხევის სათავეებში, კახისისა და წეროს ტბების ახლოს გაშლილ ველზე, ზღვის დონიდან 1752 *მ* სიმაღლეზე. ნასოფლარი ორია – პატარა და დიდი **დ.** პატარა **დ**-ში ეკლესია და სასაფლაო შემორჩენილი არ არის, დიდ **დ**-ში კი მოზრდილი დარბაზული ეკლესიის ნანგრევია, შენობა ნაგები ყოფილა დიდი ლოდების ჰორიზ. წყობით. საკურთხეველი უფრო მცირე, თანაბარი ზომის კვადრებით უშენებიათ. წყობა აქაც რეგულარულია. შესასვლელი სამხრ-იდან ყოფილა. შიგნით შემორჩენილია ერთსაფეხურიანი პილასტრი პროფილირებული კაპიტელით. ეკლესია განვითარებული შუა საუკუნეების ხანისა უნდა იყოს. ირგვლივ გალავნის ნაშთია, მის გადაღმა – მოზრდილი ნასახლარები. ნიშანდობლივია, რომ გვიანდ. შუა საუკუნეების მატერ. ნაშთები ნასოფლარში არ ჩანს. ეს ნასოფლარი არ იხსენიება არც ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში'' (XVI ს.), არც სხვა წყაროებსა და საბუთებში. უცნობია იგი ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) სოფლების სიებისა და რუკების მიხედვითაც. საფიქრებელია, რომ მონღოლთა ბატონობის დროიდან სოფელი გადაშენებულა. კახისის ტბის სახელწოდება შესაძლოა კახა თორელს უკავშირდებოდეს. **დ.** მნიშვნელოვან გზასაყარზე მდებარეობდა: ქიბისხევს ამოყოლილი გზა აქ იყრება: ერთი მიდის თორ-ბაკურიანით ჯვავახეთისკენ, მეორე კი – საკირით სამცხისკენ. *დ. ბერძენიშვილი.*

დაბაძველი, სოფელი ტყიბულის მუნიციპალიტეტის საწირის თემში (იმერეთის მხარე), ოკრიბის წვრილმთიანეთში, ტყიბულის წყალსაცავის ჩრდ-ით. ზ. დ. 600 *მ*, ტყიბულიდან 9 *კმ*. 538 მცხ. (2002).

დაბაძველი, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის ტერიტორიულ ორგანოში (აჭარის არ), აჭარისწყლის ხეობაში. ზ. დ. 650 *მ*, შუახევიდან 6 *კმ*. 242 მცხ. (2002).

დაბახანა, დ ა ბ ა ღ ხ ა ნ ა, ტყავის დასამუშავებელი სახელოსნო, სადაც ამუშავებდნენ საქონლის ტყავს (წმენდდნენ, თრიმლავდნენ, ბალანს აცლიდნენ, აშრობდნენ, არბილებდნენ, პოხავდნენ, ღებავდნენ და სხვ.). ტყავის გამომყვან მოხელეს დაბაღი ერქვა. ტყავის გამოსაყვანად **დ**-ებში იხმარებოდა სხვადასხვა მასალა: ნაცარი, კირი, შაბი, მარილი, ფქვილი, ქატო, წაქა, მუხის ქერქი (ბოლო წლებში – ნატრიუმი და სხვ.), ხელსაწყოიარაღთაგან – დემური (რკინის მოხრილი დანა), ვარაჩო (ტყავის გასაჭიმი ხის ნაჭერი), მავჯაგანი (ტყავის მოსაქნელი რკინა), კირის აბაზანა, *თალარი*, საზელი იასარმო და სხვ.

დ-ებს აწყობდნენ ქალაქის გარეუბნებში, მდინარის ნაპირას, ორსართულიან შენობაში. პირველ სართულზე სახელოსნო იყო, მეორეზე – საწყობი. **დ**-ში გამოყვანილი ტყავეული ბარდებოდა ტყავის სახელოსნოებსა და გამსაღებელ პუნქტებს (დუქნებს). **დ**-ები იყო თბილისსა და საქართვ. სხვა ქალაქებში.

ლიტ.: ნ ა ნ ო ბ ა შ ვ ი ლ ი ი., ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, თბ., 1973.

ნ. რეხვიაშვილი.

დაბახანა, ძვ. თბილისის უბანი, იხ. *ლელვთახევი.*

დაბახანისხევი, იხ. *წავკისისწყალი.*

დაბეჭდულნი, იხ. სტ. *კანონიკა.*

დაბლაგომი, სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე, მდ. რიონის მარცხ. მხარეს, დაფნარი–ვანის საავტ. გზაზე. გომის თემის ცენტრი (სოფლები: **დ.**, გომმუხაყრუა, გომნატეხები, დაფნარი, დობირო, ზედა ეწერი, კეთილაური, კვირიკე, მთისძირი, ქვედა ეწერი, ცივწყალა). ზ. დ. 40 *მ*, სამტრედიიდან 12 *კმ*, დაფნარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. 1,1 ათ. მცხ. (2002). სოფლის თავზე არის ძვ. ციხის ნანგრევები.

დაბლაგომის არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დროისა და კატეგორიის ძეგლები სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. დაბლაგომში. 1929 შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. IV ს. ე. წ. დაბლაგომის განძი – ვერცხლის ფიალა, რ-შიც კოლხ. მონეტები და ელექტრუმის წყვილი საყურე ეწყო. გათხრები ჩატარდა 1936 (ნ. *ბერძენიშვილი*, ბ. *კუფტინი*, ნ. *ხომტარია*). არქეოლ. ძიებანი განახლდა 1970-იდან (ვ. თოლორდავა). დაბლაგომში ნაციხვარისა და ნასაკირევის ბორცვებზე, გათხრილია აღრინდ. ბრინჯაოს ხანის ნასახლარი, ანტ. ხანის სამაროვანი და ნასახლართა ნაშთები. აღრინდ. ბრინჯაოს ხანის კერამიკა ხელით ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი და ზედაპირგაპრიალებულია. ჭურჭელი უმეტესად დიდი ზომისაა (ყურებიანი ან შვერილებიანი პითოსები და ქოთნები), ზოგს ძირზე ჭილოფის ანაბეჭდი ეტყობა, გვხვდება დისკოსებრი ხუფები, აღმოჩენილია აგრეთვე ქვის ხელსაფქვავები, კაჟის ფოთლისებრი შუბისპირი, კაჟისა და ობსიდიანის ანატკეცები. მსგავსი მასალა აღმოჩენილია როგორც დას. (ოჩამჩირე, დიხაგუძუბა), ისე აღმ. საქართველოში (კიკეთი, დიდუბე, ოზნი). ანტ. ხანის სამოსახლო წარმოდგენილია ხის წნულის ანაბეჭდიანი ბათქაშების ფენებით. დადასტურებულია ცხოვრების 2 პერიოდი: აღრინდ. ანტიკური (ძვ. წ. VI–IV სს.) და აღრინდ. ელინისტური (ძვ. წ. IV–III სს.). აღრინდ. ანტიკური ხანის ფენაში აღმოჩნდა კვეთილი და ნაკაწრი დეკორით შემკული კოლხ. კერამიკის ფრაგმენტები (სასმისები, დოქები, ჯამები, ქვევრები და სხვ.). აღრინდ. ელინისტური პერიოდისაა დაბლაგომში აღმოჩენილი ქვევრსამარხები. სამარხად იყენებდნენ ჩვეულებრივ სამეურნეო დანიშნულების კოლხურ ქვევრებს, რ-ებიც მიწაში მეტწილად პირქვე იყო ჩადგმული. თუმცა გვხვდება ჰორიზონტალურად ჩადებული ქვევრსამარხებიც. ქვევრს გადაჭერხავდნენ ან გადატეხდნენ და ჩაასვენებდნენ ხელფეხმოკეცილ მიცვალებულს მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე. სამარხეული მასალა საკმაოდ ღარიბულია (თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოსა და რკინის სამკაული, ვერცხლის მონეტები – კოლხური თეთრი), რაც გვიჩვენებს, რომ ქვევრსამარხებში კრძალავდნენ საზ-ბის რიგით წევრებს. 1972 ნაციხვარის ბორცვზე აღმოჩნდა ძვ. წ. III ს. I ნახ. წარჩინებული პირის მდიდრული სამარხი. ეს იყო სინოპური კრამიტით გადახურული სწორკუთხა ხის ნაგებობა, რ-იც კლდეში ამოკვეთილ ორმოში იდგა. მასში აღმოჩნდა ოქროს სამკაული, ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, რკინის იარაღი, სხვადასხვა მასალისგან დამზადებული მძივები და საკიდები, უამრავი ადგილ. და შემოტანილი თიხის ჭურჭელი (3 კოლხური, 2 სინოპური ამფორა). არქეოლ. მასალა მოწმობს, რომ დაბლაგომი ანტ. ხანის ქალაქური ტიპის მნიშვნელოვანი სავაჭრო და სახელოსნო ცენტრი იყო. განსაკუთრებით დაწინაურებული იყო კერამ. წარმოება, რ-ის პროდუქციასაც სასაქონლო ხასიათი უნდა ჰქონოდა.

ლიტ.: К у ф т и н Б. А., Материалы к археологии Колхиды, [т.]2, Тб., 1950.

ვ. თოლორდავა. ი. ფხაკაძე.

დაბლა კარი, შუა საუკ. თბილისის ერთ-ერთი კარიბჭე; იგივეა, რაც *წყლის კარი.*

დაბლარი, სარზე ან მავთულზე აკრული დაბალტანიანი ვაზი (საპირისპირო – *მაღლარი*). დ. შეიძლება იყოს: ცალმხრივი ქართული, ორმხრივი ქართული, იმერული – ჯგამისებრი, კორდონი და სხვ. დ-ში ვაზის შტამბის სიმაღლეა 0,5–0,8 *მ.* დ. მოსავლელად ადვილია და მაღალხარისხოვან მოსავალს გვაძლევს.

დაბლა ციხე, *თბილისის ციხის* ნაწილი. დასახელება ,,დ. ც.'' გაჩნდა როსტომ მეფის დროს XVII ს. 30–40-იან წლებში ციხისა და ქალაქის გამყოფი კედლის (კალის ციხიდან მეტეხის ხიდამდე) აგების შემდეგ: ,,მეფემან როსტომ, ჩამოზღუდა კალა ციხიდამ ჯიდის ყურამდე და მისცა სპარსთა; ...არს კუალად დაბალს ციხესა შინა ეკლესია გუმბათიანი და აწ ცარიელი, და სხუანი გუმბათიანნი არიან. ...ხოლო ჯიდის ყურს აღაშენა მეჩითი შაისმაილ'' (ვახუშტი).

დ. ც. მდებარეობდა ძვ. თბილისის სამხრ-ით ციხის უბანში. სამხრ.-აღმ-იდან ესაზღვრებოდა წავკისისწყალი, აღმ-იდან – მდ. მტკვარი (მეტეხის ხიდთან), ჩრდ-იდან – ახლად შემოზღუდული კედელი, დას-იდან – კალის ციხე. წავკისისწყლის მარცხენა ნაპირს აყოლებულ კედელში დატანებული ,,აბანოს კარით'' დ. ც. უკავშირდებოდა აბანოთუბანს. ის ქალაქს ჩრდ-იდანაც უკავშირდებოდა კალის ციხიდან ჩამოზღუდულ კედელში დატანებული ,,ციხის კარით'', რ-იც უშუალოდ ქვემო მოედანზე (დღევანდელი ვახტანგ გორგასლის მოედანი) გამოდიოდა.

1750 წ. ამბებთან დაკავშირებით პაპუნა ორბელიანი წერს: ,,ბძანა მეფემან და აღიღეს გალავანი ქალაქისა, რომელი იყო ციხესა და ქალაქს შუა და გააერთნეს ციხე და ქალაქი''. ეს იყო პოლიტიკური აქტი – კედლის აღებით სამხრ-ით არსებული მუსლიმანთა კომპაქტურად დასახლებული უბანი მოიშალა და დანარჩენ ქალაქს შეუერთდა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი პ., ამბავნი ქართლისანი, თბ., 1981.

თ. ბერიძე.

დაბლაციხე, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (გურიის მხარე), მდ. სუფსის მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: დ., საყვავისტყე). ზ. დ. 220 *მ,* ჩოხატაურიდან 4 *კმ,* საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 22 *კმ.* 369 მცხ. (2002).

დ-ს ადრე საყვავისტყე ეწოდებოდა, შემდეგ მის ერთ ნაწილს, რ-იც ბუკისციხის ქვემოთ მდებარეობს, დ. უწოდეს. სოფელში ნაპოვნია ძვ. წ. II ათასწლ. დასასრ. – I ათასწლ. დასაწყ. კოლხური ცული (დ. ქორიძისეული IV სახეობა), დაცულია ჩოხატაურის მუზეუმში.

ლიტ.: რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974; ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1971, [ტ.] 4; ქ ო რ ი ძ ე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

დაბნია, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ხავეთის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ჯავახეთის ზეგნის სამხრ. ნაწილში, მდ. ქოდალის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე, ხოზაფინის ტბის ჩრდ-ით. ზ. დ. 1680 *მ,* ახალქალაქიდან 30 *კმ.* 134 მცხ. (2002).

სოფლის სახელწოდება წყაროებში არ არის მოხსენიებული. იქაური სომხ. მოსახლეობა II მსოფლიო ომის წლებშია მოსული.

დაბრმავება (სამართ. ისტ.), 1. დამასახიჩრებელი სასჯელი მონათმფლობელურსა და ფეოდალურ სამართალში. ძვ. ქართ. ისტ. წყაროებში ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა ,,მბნელობლობა'' და ,,სიბრმით დასჯაც'', რაც ორივე თვალის დაბნელებას (ამოთხრას ან ამოწვას) გულისხმობდა. ასე სჯიდნენ დამნაშავეს ,,საპატიჟო'' ან მოსარიდებელ ადგილას (სალარო, ეკლესია) ქურდობისა და ღალატისათვის. სასჯელის აღსასრულებლად საჭირო იყო ხელისუფლის დასტური. ქართ. სამართ. წიგნებიდან დ-ს ითვალისწინებდა ბექა-აღბუღას სამართ. წიგნზე დართული კანონიკური სამართალი (მ. 167) და *ბაგრატ კურაპალატის სამართალი* (მ. 152). 2. დანაშაული. ქართ. სამართლის წიგნების მიხედვით, დამნაშავეს ეკისრებოდა ქონებრივი სასჯელი დაზარალებულის სოც.-წოდებრივი მდგომარეობის შესაბამისად. საზღაურის ოდენობა სამართ. წიგნებში ერთნაირად არ იყო განსაზღვრული. ვახტანგ VI-ის სამართლით (მმ. 44–45) ცალი თვალის დაშავებისათვის დაწესებულია ,,კაცის მესამედი სისხლი'', მხედველობის სრულიად დაკარგვისათვის კი – ,,მთელი სისხლი'' [იხ. სტ. *,,სისხლი''* (სამართლის ისტორია)].

ლიტ.: დ ო ლ ი ძ ე ი., ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 2, თბ., 1982 (იხზ. თორმეტ ტომად, ტ. 6). *მ. კვაჭანტირაძე.*

დაბღისაშვილი (დ ა ბ ღ ი შ ვ ი ლ ი) იხ. *იეთიმ გურჯი.*

დაგარახლო, დ ა ღ ა რ უ ხ ლ ო, სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტის იფნარის თემში (ქვემო ქართლის მხარე), ლუკუნის მთის დას. კალთაზე. ზ. დ. 1480 *მ,* დმანისიდან 12 *კმ.* 711 მცხ. (2002).

დაგეგმვა, ცალკეულ პირთა, ადამიანთა ჯგუფის, საწარმოთა, დაწესებულებათა, სახელმწიფო ხელისუფლების მომავალი საქმიანობის თეორიული (აზრობრივი) მოდელის შემუშავება გარკვეული პერიოდისათვის, რ-იც გულისხმობს საქმიანობის მიზნებისა (მოსალოდნელი შედეგისა) და მათი მიღწევის საშუალებათა წინასწარ განსაზღვრას, ურთიერთდაკავშირებას. დ. ადამიანთა მიზანდასახული, გაცნობიერებული საქმიანობაა.

დ-ის ელემენტები ცალკეული ადამიანებისა და მათი ჯგუფების საქმიანობაში დასაბამიდან არსებობდა. უძველესი ხანის დიდი რომაელი პოეტი ოვიდიუს ნაზონი მოიხსენიებს გეგმას, როგორც მიზანს და ნაპოვნ სამოქმედო გზას. დ. საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში – სამეურნეო (ეკონომიკურ), პოლიტ., სამხ., მეცნიერულ, კულტურულ და სხვ. – გვხვდება. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონ. საქმიანობის დ. უძველესია მ ი კ რ ო ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი ანუ ცალკეულ საწარმოთა საქმიანობის დ. იგი ვრცელდებოდა განსაკუთრებით მსხვილი მრეწველობის განვითარების კვალდაკვალ. ამჟამად საწარმოები ადგენენ ბიზნესგეგმებს, რ-ებიც განსაზღვრავენ საწარმოს (ფირმის, ორგანიზაციის) მომავალი საქმიანობის ეკონ. პარამეტრებს.

ეკონ. განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე წარმოიშვა მ ა კ რ ო ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი, ანუ ეკონ. დ. ქვეყნის მასშტაბით. იგი შეიძლება იყოს ორი სახის: სპეციალური და კომპლექსური – ერთიანი მთელი ქვეყნისათვის. სპეც. მაკროეკონომიკური დ. გულისხმობს ქვეყნის მასშტაბით ცალკეული სექტორის გეგმების ან სახელმწ. მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტის სხვა-

დასხვა სახის პროგრამის შემუშავებას. ამგვარ გეგმებს უწინარესად მიეკუთვნება სახელმწ. ბიუჯეტი – შემდგომი წლის ან წლების შემოსავლებისა და ხარჯების გეგმა. კომპლ., მაკროეკონომიკური ერთიანი დ. კი ნიშნავს მთელი ქვეყნის მასშტაბით ეკონ. და სოც. სფეროს განვითარების ყოვლისმომცველი პარამეტრების შემუშავებას. მისი ფორმებია: დ ი რ ე ქ ტ ი უ ლ ი და ი ნ დ ი კ ა ტ ი უ რ ი. დ. შეიძლება ეროვნ. ჩარჩოებსაც სცილდებოდეს, მაშინ, როცა ის ასრულებს საერთაშ. მასშტაბით საქმიანობის ორიენტირთა და საშუალებათა განმსაზღვრელ ფუნქციას. ასეთ გეგმებს შეიძლება მივაკუთვნოთ მაგ., საერთაშ. კორპორაციების, საფინანსო, საკრედიტო ორგანიზაციების პროექტები (პროგრამები) და სხვ.

დროის ხანგრძლივობის მიხედვით გამოიყოფა მოკლე (ერთ წლამდე), საშუალო (ხუთ წლამდე) და გრძელვადიანი (ხუთ წელზე მეტი) გეგმები, დანიშნულების მიხედვით კი – ოპერატიული (მიმდინარე პერიოდის, ცალკეულ ღონისძიებათა განხორციელების) და სტრატეგიული (მსხვილმასშტაბიანი, ხანგრძლივი მოქმედების).

კომპლექსური, ერთიანი მაკროეკონომიკური დ. (გეგმები) ისტორიულად პირველად საბჭ. კავშირში გაჩნდა. ეს იყო დირექტიული მაკროეკონომიკური დ., რ-ის ობიექტური საფუძველი იყო საზოგადოებრივი (საერთო-სახალხო) საკუთრების გაბატონებული მდგომარეობა. მას შეესაბამებოდა ეკონ. ცენტრალიზებული მართვა, რ-მაც საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალ. ქვეყნებში ადმ.-მბრძანებლური ხასიათი მიიღო. ეს ნიშნავდა ცენტრის დირექტივების (დიქტატის) პირობებში ეკონ. ფუნქციონირებასა და განვითარებას მართვის დარგობრივი და ტერიტ. ორგანოების მიერ. სოციალ. ქვეყნებში, მ. შ. სსრკ-ში ეკონ. მართვის (რესურსებისა და შემოსავლების განაწილების, ფასწარმოქმნის, სტიმულირების და ა. შ.) საკითხების გადაწყვეტის მთავარი რგოლი იყო სწორედ დირექტიული მაკროეკონომიკური დ. დირექტიულ გეგმებს კანონის ძალა ჰქონდა, მათი შესრულება სავალდებულო იყო, ხოლო შეუსრულებლობა იწვევდა სანქციებს – ადმ. სასჯელს, სამსახურიდან დათხოვნას, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას (ქვეყნისათვის განსაკუთრებული ზიანის შემთხვევაში).

კომპლ., მაკროეკონომიკური დირექტიული დ. სსრ კავშირში დამკვიდრდა XX ს. 20-იანი წლებიდან. შეიქმნა საგეგმო ორგანოთა სპეც. ქსელი სსრკ საგეგმო კომიტეტის (იგი ცალკეულ პერიოდებში სხვადასხვა სახელწოდებით – სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭო, საგეგმო კომისია – არსებობდა) მეთაურობით. მასში ერთიანდებოდა რესპუბლიკების, ოლქების, სამინისტროებისა და უწყებების საგეგმო ორგანოები. ყველა საწარმოს, დაწესებულებას თავისი საგეგმო სტრუქტურა (სამმართველო, განყ-ბა) ჰქონდა. სულ სსრკ-ის არსებობის მანძილზე შედგა და ძირითადად შესრულდა (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, კერძოდ, II მსოფლიო ომისა და სხვ. მიზეზით) 12 ხუთწლიანი გეგმა. ხუთწლიანი გეგმები იყოფოდა წლიურ გეგმებად (ძირეულ რგოლებში კი – კვარტალურ და თვეების გეგმებად).

ერთიანმა კომპლექსურმა დირექტიულმა გეგმებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რესურსების მობილიზებასა და სოციალ. ქვეყნების ეკონ. განვითარებაში. ამასთან მათ, ისე როგორც მთელ მაშინდელ სოც.-ეკონ. სისტემას, გააჩნდა სერიოზული მანკიერებანი: დაძალებითი ხასიათი, რაოდენობრივი მაჩვენებლების აბსოლუტიზება, საბაზრო მოთხოვნისა და ეკონ. ბერკეტების იგნორირება, რეალური სტიმულების უგულებელყოფა და სხვ., რაც საგრძნობლად ამცირებდა მათ შედეგიანობას, წარმოშობდა მათდამი უნდობლობას საზ-ბის მხრიდან. ამგვარმა დ-მ სსრ კავშირსა და სხვა ქვეყნებში არსებობა შეწყვიტა სოციალისტური ეკონომიკის დაშლის შემდეგ. ამჟამად არსებობს მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში (ჩრდ. კორეა, კუბა).

ერთიანი, კომპლექსური, მაკროეკონომიკური ინდიკატიური (indikator – ლათ. მიმთითებელი, მაჩვენებელი) დ. შემოღებულია XX ს. შუა პერიოდიდან საბაზრო ეკონ. ქვეყნებში და შეესაბამება ამგვარი ეკონ. სისტემის ბუნებას, კერძო საკუთრების დომინირებულ მდგომარეობას. იგი წარმოადგენს საბაზრო ეკონ. სახელმწ. რეგულირების ბერკეტს. ამგვარი დ. გარკვეული პერიოდისათვის (ერთი წელი, ხუთი წელი და ა. შ.) განსაზღვრავს ქვეყნის ეკონ. პოლიტიკას, მის მიმართულებებს, უმთავრეს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს (ინდიკატორები), რ-თაც საორიენტაციო ხასიათი აქვთ. ინდიკატიური მაკროეკონომიკური გეგმა დემოკრ. ხასიათისაა და არ ითვალისწინებს სახელმწ. დავალების სავალდებულო შესრულებას, რ-იც აუცილებელი იყო დირექტიული გეგმის შემთხვევაში. იგი არის ხელისუფლებისათვის და ეკონ. სუბიექტებისათვის მოქმედების მიმართულების განმსაზღვრელი ინფორმაციული დოკუმენტი, რ-იც არ დაიყვანება კონკრ. შემსრულებლებამდე. მისი როლი და მნიშვნელობა დამოკიდებულია ინდიკატორების დასაბუთებულობაზე, სარწმუნოობაზე, შესრულების ხელსაყრელობაზე (მიზანშეწონილობაზე).

ინდიკატიური დ. შემოიღო საფრანგეთმა, ინდოეთმა, კორეის რესპუბლიკამ, ჩინეთმა და ა. შ. მისი ელემენტები გვხვდება ინგლისში, სკანდინავიის ქვეყნებში, აშშ-ში და სხვ. ამასთან კომპლ. ინდიკატიური დ. საბაზრო ეკონ. ქვეყნებში ფართოდ არ გავრცელდა, რასაც ზოგიერთი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი ამ ქვეყნების ნაკლად თვლის. ბოლო პერიოდში რიგ ქვეყნებში ნეოლიბერალიზმის მიმდევარი პოლიტიკოსების ხელისუფლებაში მოსვლის შედეგად, ინდიკატიური გეგმისადმი დამოკიდებულება შეიცვალა ნეგატიური კუთხით. როგორც დირექტიული, ისე ინდიკატიური გეგმები და საწარმოთა ბიზნესგეგმები ემყარება მეცნ. საფუძველს, ობიექტური პროცესების შემეცნება-გათვალისწინებას, თეორ. ბაზას და იყენებს მეცნ. მიერ შემუშავებულ მეთოდებს, დასაბუთებებს, გაანგარიშებებს, პროგნოზებს, კვლევის შედეგებს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი სამოქმედო გეგმები, როგორც მომავალი საქმიანობის მოდელი, გარკვეული ფორმით ძველთაგანვე გამოიყენებოდა სხვადასხვა სფეროში. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას საქართველოში მოქმედებდა მაკროეკონომიკური დ-ის დირექტიული ტიპი. დირექტიული დ-ის ცენტრი იყო საგეგმო კომიტეტი (სხვადასხვა დროს – საგეგმო კომისია და ა. შ.) თავისი ქსელით. სოციალ. სისტემის დაშლის შემდეგ, ისევე როგორც სხვა პოსტსოციალ. ქვეყნებში, საქართველოში დირექტიული მაკროეკონომიკური დ. შეწყდა (გაუქმდა). XX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში შემოღებულ იქნა ქვეყნის ეკონ. და სოციალ. განვითარების პროგნოზირება. შემდგომ (1993), პოსტსაბჭ. სივრცეში, პირველად საქართველოში, მაშინდელი ეკონ. სამინისტროს ინიციატივით დაიწყო

ინდიკატიური მაკროეკონომიკური გეგმების შედგენა. მუშავდებოდა ხუთწლიანი და წლიური ინდიკატიური გეგმები. შედგა 1996–2000 და 2001–05 წლების ხუთწლიანი და შესაბამისი წლების ინდიკატიური გეგმები. ამ საქმიანობაში ჩაბმული იყო ეკონ. სამინისტრო, მის დაქვემდებარებაში მყოფი სამეცნ. ორგანიზაციები, ასევე ქვეყნის სამინისტროები და უწყებები, ამოქმედდა კანონი ინდიკატიური დ-ის შესახებ (1994). 2003-იდან საქართველოს ხელისუფლებამ უარყო ინდიკატიური დ. ამჟამად გამოიყენება გეგმიანობის ცალკეული ელემენტები (ფორმები): ეკონომიკური პროექტები, პროგრამები, საბიუჯეტო დ. და ბიზნესგეგმები (მიკროდონეზე), განისაზღვრება ეკონ. და სოც. განვითარების მიმართულებები.

ლიტ.: გუგუშვილი პ., დაგეგმვა და პროგნოზირება, თბ., 1982; კაკულია რ., საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003; მალაშხია გ., მეტაეკონომიკა – ეკონომიკის ფილოსოფია, თბ., 1995; მესხია ი., ინდიკატორული დაგეგმვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, «ეკონომიკა», 1993, №7–8; Йохансен Л., Очерки макроэкономического планирования, пер. с англ., т. 1–2, М., 1983; Индикативное планирование: теория и пути совершенствования, СПб., 2000. *გ. მალაშხია.*

დაგვა (ყოფ. ზედა დაგვა), სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტში (აჭარის არ), მესხეთის ქედის დას. მთისწინეთში, მდ. დეხვის (ერთვის შავ ზღვას) ნაპირზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 200 *მ*, ქობულეთიდან 8 *კმ*. 3,4 ათ. მცხ. (2002).

დაგისთე, ბიზანტიელი სარდალი (VI ს.). 549 *იუსტინიანე I-მა* დ. 7000 ბიზანტიელ და 1000 ჰან მეომართან ერთად გაგზავნა ეგრისში (ლაზიკაში) ლაზების დასახმარებლად და ირანელების წინააღმდეგ საბრძოლველად. დ-მ ალყა შემოარტყა ეგრისის ციხე-ქალაქ *პეტრას* (ციხისძირი), მაგრამ ვერ გამოიყენა ხელსაყრელი პირობები პეტრას ასაღებად. როგორც კი იქ ირანელთა სარდლის მერმეროეს ჯარი გამოჩნდა, ალყა მოხსნა და იქაურობას გაეცალა. შემდეგ ეგრისის მეფე *გუბაზ II-თან* ერთად გაილაშქრა მერმეროეს ჯარის წინააღმდეგ და გაიმარჯვა. ეგრისელებმა პეტრას ალყის მოხსნის გამო დ-ს ღალატსა და დაუდევრობაში დასდეს ბრალი და კეისართან დაასმინეს. 550 იუსტინიანემ დ. ციხეში ჩასვა.

წყარო: პროკოპი კესარიელი, წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1965. *დ. ლეთოდიანი.*

დაგომისის ზეთანხმება 1992, სოჭის შეთანხმება 1992, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ 24 ივნისს სოჭში დადებული შეთანხმება (შედგება შესავლისა და 6 მუხლისაგან). დ. შ. მიღწეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავ-რის – ე. შევარდნაძისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის – ბ. ელცინის დაგომისში სამუშაო შეხვედრის შედეგად. შეთანხმების დადების მომენტიდან დაპირისპირებული მხარეები კისრულობდნენ ვალდებულებას, განეხორციელებინათ ყველა ღონისძიება, რათა 1992 წ. 28 ივნისისათვის შეწყვეტილიყო შეიარაღებული შეტაკებები და ცეცხლის შეწყვეტის მომენტიდან 3 დღე-ღამის განმავლობაში გაეყვანათ თავიანთი შეიარაღებული ფორმირებანი შეხების ხაზის მიმდებარე დერეფნის შექმნის მიზნით.

კონფლიქტის რაიონის დემილიტარიზაციისა და კონფლიქტში რფ-ის შეიარაღებული ძალების ჩაბმის შესაძლებლობის გამორიცხვის მიზნით, რუსეთის მხარეს ცეცხლის შეწყვეტისა და დაპირისპირებულ მხარეთა განცალკევების მომენტიდან 20 დღის განმავლობაში უნდა გაეყვანა ცხინვალის რ-ნში დისლოცირებული 37-ე ინჟინერ-მესანგრეთა პოლკი და 292-ე ცალკე საბრძოლო ვერტმფრენთა პოლკი.

აღნიშნულ ზონაში, კონფლიქტში ჩაბმული მხარეების შემადგენლობით, უნდა შექმნილიყო შერეული საკონტროლო კომისია (ადგილსამყოფელი ქ. ცხინვალი), კომისიასთან კი – მეთვალყურეთა შერეული ჯგუფები. საკონტროლო კომისიასთან, მხარეთა შეთანხმებით, შეიქმნა შერეული ძალები მშვიდობის დამყარებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით.

დაპირისპირებულ მხარეებს შორის დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო მოლაპარაკება კონფლიქტის ზონაში არსებული რ-ნების ეკონ. აღორძინებისა და დევნილების დაბრუნებისათვის პირობების შექმნის თაობაზე, აგრეთვე მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის უზრუნველყოფის პირობებზე. დ. შ. ძალაში შევიდა ხელმოწერის მომენტიდან.

2008 რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხ. აგრესიის შედეგად იმავე წლის 1 სექტ. საქართველომ შეწყვიტა დ. შ-ის მოქმედება.

მ. ჭიჭინაძე.

დადაშენი, ისტორიული სოფელი კოლაში, მტკვრის მარჯვ. სანაპიროზე (ახლანდ. თურქ. ტერიტ.). სოფელში იყო საეპისკოპოსო კათედრა (იხ. *დადაშენის საეპისკოპოსო*). ქვიტკირის კედლით შემოზღუდულ გორაკზე, აღმართული იყო მოწითალო თლილი ქვით ნაგები დიდი გუმბათიანი ეკლესია. ზღუდის ორივე შესასვლელთან აგებული ყოფილა მაღალი ოთხკუთხა კოშკები. ზღუდის შიგნით და გარეთ მრავალი შენობის ნაშთი და საფლავის ქვაა. 1843 გერმ. ბოტანიკოს კ. *კოხის* მოგზაურობისას ეკლესია უკვე დანგრეული იყო. მისი ქვებით სოფელში ჯამე აუგიათ. 1907 დ. მოინახულა და მისი სიძველეები შეისწავლა ე. *თაყაიშვილმა*. იგი მიიჩნევს, რომ ეკლესია აშენებულია IX–X სს-ში, იმ დროს, როდესაც ბაგრატიონების რეზიდენცია ჯერ კიდევ არტანუჯი იყო.

ლიტ.: თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938.

გ. ჭეიშვილი.

დადაშენის საეპისკოპოსო, ეპარქია ფეოდალურ საქართველოში. სავარაუდოდ დაარსდა X ს-ში მაშინ, როდესაც სამხრ. საქართველოში იქმნებოდა (IX–X სს.) ქართ. საეპისკოპოსოები. დადაშნელი (დადაშის ეპისკოპოსი) პირველად მოხსენიებულია XIII ს. დოკუმენტში *„განგება დარბაზობისა“*. ეს არის საქართვ. მღვდელმთავართა ჯდომის წესი სამეფო დარბაზობის დროს. აქ მოხსენიებულ 35 მღვდელმთავარში დადაშნელს 34-ე ადგილი ეჭირა. დადაშნელის სამწყსოში შედიოდა ძვ. ქართული ისტ. თემები – *არტანი, კოლა* და *ხორტვანი*. XIV–XVI სს-ში დ. ს. შედიოდა სამცხე-საათაბაგოს სამთავროში. სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა XVI ს. სიაში, სადაც მოხსენიებულია 13 ქართული სამწყსო, დადაშნელს უჭირავს მე-13 ადგილი. თურქეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის (XVI–XVII სს.) შემდეგ დ. ს. მოიშალა. *ვახუშტი ბატონიშვილის* ცნობით, XVIII ს-ში თურქეთში, ქ. კოლის ზემოთ, მტკვრის დას. სანაპიროზე, შემორჩენილი იყო დადაშის ყოფილი კათედრალი – დიდი გუმბათიანი ეკლესია, რ-საც

თურქულად *,,დორთქილისა''* (ე. ი. ოთხთა ეკლესია) ერქვა.

წყარო: განგება დარბაზობისა, წგ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედ., ტ. 2, თბ., 1965; სამცხე-საათაბაგოს მღუდელმთავარნი და მწყემსნი, იქვე, ტ. 3, თბ., 1970; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ნ. შოშიაშვილი.

დადეში, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სულდის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალქალაქის პლატოზე, მდ. დადეშის ხევის (მურჯახეთისწყლის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1880 *მ,* ახალქალაქიდან 23 *კმ.* 902 მცხ. (2002).

დ. წყაროებში პირველად XVI ს-შია მოხსენიებული. დასახლებული ჩანს წინაფეოდ. ხანიდან (სამარხები, კერამ. ნაწარმი). დ-ის სიძველეთაგან აღსანიშნავია ადრინდ. და შუა ფეოდ. ხანის საყდრები სასაფლაოებითურთ. სოფლის სამხრეით მდებარე გალავანს წინა და ადრინდ. ფეოდ. ხანის კვალი ეტყობა. დ-ის ახლანდ. სომხური მოსახლ. წინაპრები აქ XIX ს. 30-იან წლებში მოსულან. სოფელში დგას შუა საუკ. ქართ. ეკლესია, რომლისთვისაც XIX ს-ში სომხ. ეკლესია მიუშენებიათ.

დ. ბერძენიშვილი.



ა. დადეშქელიანი.

დადეშის ხევი, დადეშის წყლის ხევი, მურჯახეთის-წყლის მარცხენა შენაკადი ისტორიულ ქვემო ჯავახეთში. სახელწოდება მოდის სოფ. *დადეშიდან,* იხსენიება ვახუშტი ბატონიშვილის ,,აღწერაში''.

ლიტ.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.



ა. დადეშქელიანი. ორიგინალური ჟანრი.

დადეშქელიანი ალექსანდრე (სანდრო) ალექსანდრეს ძე (20. XI. 1917, თბილისი, – 23. IX. 1972, ქ. ხაბაროვსკი), ცირკის მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1969). სწავლობდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში. დაბადებიდანვე უხელო იყო (ატარებდა პროთეზს). დ. საცირკო ნომრებს ხელების მაგივრად ფეხებით ასრულებდა. თავისი ორიგინ. შესრულების მანერით 35 წელზე მეტ ხანს ემსახურა საცირკო ხელოვნებას. II მსოფლიო ომის პერიოდში იგი საცირკო ბრიგადასთან ერთად ხშირად გამოდიოდა ჰოსპიტლებსა და ფრონტის ხაზზე. გადაღებულია მხატვრულ ფილმებში.

ა. გვენცაძე.

დადეშქელიანი მურზაყან ციოყის ძე (5. VI. 1891, მესტია, – 1937), მომღერალი და ლოტბარი, ქართული (ძირითადად სვანური) მუს. ფოლკლორის მცოდნე და პოპულარიზატორი. მესტიის საშ. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩამოაყალიბა ხალხ. მომღერალთა გუნდი. კრებდა და სწავლობდა ადგილ. სიმღერებს ს. გულედანთან, ი. ფალიანთან და სხვებთან ერთად. აღადგინა, ჩაწერა და დაამუშავა არაერთი ხალხ. სიმღერა. 1933 ჩამოაყალიბა ფოლკლორული ანსამბლი ,,ლილე'', რ-იც ათეული წლების მანძილზე წარმატებით ემსახურებოდა ქართ. მუს. კულტურის განვითარების საქმეს. 1937 რეპრესირებულ იქნა და უკვალოდ დაიკარგა. მისი შემოქმედებითი ტრადიციები ,,ლილეში'' განაგრძო საქართვ. დამს. არტისტმა ჯ. *მეშველიანმა.* გუნდს წლების მანძილზე მესვეურობდნენ ავგრეთვე – ი. ფალიანი, მ. ონიანი, ი. მუკბანიანი და სხვ.

ა. გელოვანი.

დადეშქელიანი ოთარ მიხეილის ძე (დ. 21. VIII. 1923, ნოვოჩერკასკი), ბალეტმაისტერი, რეჟისორი. რსფსრ დამს. (1961) და ბელორუსიის სახ. არტისტი (1977). დაამთავრა მოსკ. თეატრ. ხელოვნების სახელმწ. ინ-ტი (1956, პედაგოგი ა. შატინი). 1956–57 იყო გორკის, 1958–64 – ჩელიაბინსკის, 1965-იდან – მინსკის ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის მთ. ბალეტმაისტერი, 1971-იდან – ამავე თეატრის მთ. რეჟისორი, 1975-იდან – გორკის თეატრის მთ. რეჟისორი. დადგა ი. ლაპუტინის ,,მასკარადი'' (1956, ლიბრეტო ო. დადეშქელიანისა, სადიპლომო ნაშრომი), ე. გლებოვის ,,გულის სწორი'' (1970, ორივე ნოვოსიბირსკის თეატრი), ფ. იარულინის ,,შურალე'', გ. მუშელის ,,ბედნიერების ყვავილი'' (ორივე 1959); ს. პროკოფიევის ,,ქვის ყვავილი'' (1960), ,,რომეო და ჯულიეტა'' (1963); ს. ბალასანიანის ,,შაკუნტალა'' (1963), ა. ხაჩატურიანის ,,სპარტაკი'' (1964), ე. გლებოვის ,,ალპური ბალადა'' (1967), ,,ტილ ულენშპიგელი'' (1974, მინსკის თეატრი) და სხვ.

ა. ჩხეიძე.

დადვანი პლატონ ლაზარეს ძე (1. IV. 1913, მესტია, – 1989), ლოტბარი, პედაგოგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1958). თბილ. საგზაო-საავტ. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მესტიის პედ. სასწავლებელში ასწავლიდა ხატვასა და მუსიკას. აქვე შეადგინა მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდი, აღადგინა და დავიწყებას გადაარჩინა არაერთი ძვ. სვანური სიმღერა (ბევრი მათგანი ჩაწერილია ფირფიტაზე), განავითარა და დახვეწა სვანური ცეკვები (განსაკუთრებით ფერხული). დ. მესტიის კულტ. სახლის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი იყო. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის სვანური ფოლკლორის შენახვა-განვითარების საქმეში.

ა. გელოვანი.

დადვაძე ბონდო იონას ძე (დ. 22. III. 1934, ზესტაფონი), ფოტოჟურნალისტი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1992), საქართველოს, რუსეთისა და საერთაშ. ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი. დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის საორკესტრო ფაკტი (1960), წლების განმავლობაში უკრავდა სახელმწ. სიმფონიურ ორკესტრში. 1959–72 მუშაობდა ფოტოკორესპონდენტად სხვადასხვა მედია საშუალებებში. შემდეგ იყო გაზ. ,,თბილისის'' ილუსტრაციის განყ-ბის გამგე (1972–73), საქართვ. მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ფოტოკორესპონდენტი (1972–86), საქართვ. ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის (ფედერაცია) ფოტოსტუდიის დირექტორი, ,,თბილფოტოს'' დირექტორი (1973–75), საქართვ. დიზაინერთა ფოტოლაბორატორიის უფროსი (1988–91), ,,საქინფორმის'' ფოტოქრონიკის მთ. რედაქტორი (1991–94).

ავტორია ფოტოალბომისა ,,ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები ავტოგრაფებით'' (2007).

დ-ის პერსონალური ფოტოგამოფენები მოეწყო როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ (მოსკოვი, აშშ, რუმინეთი, მალტა, გერმანია, საბერძნეთი, იაპონია და ა. შ.).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

დადიანები, ფეოდალური საგვარეულო დასავლეთ საქართველოში. გვარსახელი ნაწარმოები უნდა იყოს სკუთარი სახელისაგან ,,დადი'' (ნ. *ბერძენიშვილი*). დ. ბაქრაძის აზრით, დ. და *ვარდანისძენი* ერთი საგვარეულოს ორი განშტოება იყო. ილ. ანთელავას მოსაზრებით დ-ის საგვარეულო საღირისძეთა ცნობილი საგვარეულოს განშტოება უნდა იყოს. ამ შემთხვევაში დ-ის საგვარეულო ეგრისის (ლაზეთის) მეფე სანაღირიდან უნდა მოდიოდეს, რ-იც ,,ქართლის ცხოვრებაში'' ვახტანგ გორგასლის ერისთავთა შორის არის მოხსენიებული. დ-ის საგვა-

რეულოს პირველი ცნობილი წარმომადგენელია ივანე *დადიანი*. XII ს. 80-იან წლებში დ. დას. საქართვ. უძლიერესი ფეოდალები იყვნენ. ამ გვარის წარმომადგენლები ბ. *დადიანი* და ვ. *დადიანი* დიდ როლს თამაშობდნენ საქართვ. პოლიტ. ცხოვრებაში. XII–XV სს-ში დ-ს ეჭირათ ოდიშის, სავარაუდოა, სამოქალაქოსა და ზოგჯერ სვანეთის ერისთავობაც. XIV ს. 20-იან წლებში დ-ის საგვარეულოს წარმომადგენელმა *გიორგი II დადიანის* შვილმა კახაბერმა საფუძველი დაუდო გურიის ერისთავთა ახალ დინასტიას. დ-ის საგვარეულოს ერთი შტო, ბედან დადიანის (XII ს. 80-იანი წწ.) დროიდან მაინც, მემკვიდრეობით ფლობდა ოდიშის ერისთავობას. ხშირად ისინი ფაქტობრივად დამოუკიდებლები იყვნენ სამეფო ხელისუფლებისაგან, მაგრამ მაინც ატარებდნენ საკარისკაცო ტიტულებს. XVI ს. შუა წლებში ამ შტოს წარმომადგენელმა *ლევან I-მა დადიანმა* სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია და საკარისკაცო ტიტულზე უარი თქვა. ამის შემდეგ ,,დადიანი'' ოდიშის მთავრის ტიტულად იქცა. XVII ს. 90-იან წლებში დადიანთა პირველი შტოს უკანასკნელი წარმომადგენელი *ლევან IV დადიანი* ოდიშიდან გააძევა ამ სამთავროს ფაქტობრივმა გამგებელმა გიორგი ლიპარტიანმა (კაცია ჩიქოვანის ძე), რ-მაც XVIII ს. დასაწყისში მიიღო ,,დადიანის'' ტიტული და საფუძველი დაუდო ,,დადიანთა'' ახ. შტოს (იხ. *გიორგი IV დადიანი*). ძვ. საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელი ლევან IV-ის ვაჟი გიორგი *დადიანი*, მოსკოვში გაჰყვა მეფე *არჩილ II-ს*. აქ მან არჩილის ვაჟის ალექსანდრეს ქალიშვილი სოფიო შეირთო ცოლად და დასაბამი მისცა ,,დადიანის'' (ან კიდევ ,,დადიანოვის'') მოსკოვურ შტოს, რ-იც ძვ. დადიანთა საგვარეულოს გაგრძელებას წარმოადგენდა. XVIII ს-ში ,,დადიანი'' ოდიშის მთავრის ტიტულთან ერთად გიორგი IV დადიანის ძის *ბეჟან დადიანის* შთამომავლების გვარსახელად იქცა. ოდიშის სამთავროს გაუქმების (1857) შემდეგ ,,დადიანი'' მხოლოდ გვარის აღმნიშვნელად დარჩა.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე, ტ. 2, თბ., 1959; ჟამთაღმწერელი, იქვე; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბერაძე თ., ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1967, [ტ.] 3; ბერძენიშვილი ნ., ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენის გამო, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1964; სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, ილ. ანთელავას რედ., თბ., 1999; სოსელია ო., სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის თარიღისათვის, «მიმომხილველი», 1951, [ტ.] 2.

თ. ბერაძე.

დადიანების სამთავრო რეზიდენციები, სამეგრელოს მთავრების სასახლეები დასავლეთ საქართველოში: 1. ზუგდიდის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რ-იც მოიცავს დადიანების კუთვნილ ორ სასახლეს, კარის ეკლესიას და ბოტანიკურ ბაღს. მთავარი – დედოფლისეული – სასახლე აშენდა (ი. *მეუნარგიას* ცნობით კი – განახლდა) XIX ს. 70-იან წლებში არქიტ. ე. რაისის პროექტით. წარმოადგენს XIX ს. ევროპაში გავრცელებული გოთური სტილიზაციის ნიმუშს. ამავე დროს გამოყენებულია ქართ., ისლამური და რუს. არქიტექტურის ცალკეული ელემენტები. მოგვიანებით, 80–90-იანი წწ., აშენდა დადიანის მეორე სასახლე. ცნობილი ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის დასასვენებლად 1830 აშენდა კარის ეკლესია (,,საბორო''). ეკლესიაში აგრეთვე დაცული იყო დადიანების საგვარეულოს უმთავრესი სიწმინდე – ღვთისმშობლის სარტყელი. კომპლექსის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ბოტან. ბაღი, რ-იც ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანმა აღადგინა (1856 ოსმალთა შემოსევის გამო ბაღი მთლიანად განადგურებული იყო). 1921 აქ გაიხსნა მუზეუმი. მას თავდაპირველად ,,სამეგრელოს მუზეუმი'', შემდგომში – ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ზუგდიდის ისტორიული, 2005 კი *დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი* ეწოდა.

2. გორდის სასახლე (ხონის მუნიციპალიტეტი), დადიანების საზაფხულო რეზიდენცია, რ-საც მნიშვნელობით მეორე ადგილი ეკავა ზუგდიდის სასახლეთა კომპლექსის შემდეგ. მისი განახლება გორდელი ჩიქოვანების გადადიანებას უკავშირდება. *ლევან V დადიანის* დროს გორდში უბრალო ოდა მდგარა, რ-შიც სამეგრელოს მთავრები მხოლოდ ნადირობის დროს ჩერდებოდნენ ხოლმე.

ი. მეუნარგიას ცნობით, XIX ს. 40-იან წლებში სამეგრელოს მთავარს *დავით დადიანს* თავისი სიმამრის ალ. ჭავჭავაძის რჩევით და არქიტ. ლ. ვასილიევის პროექტით ციხე-დარბაზის ტიპის ორსართულიანი სასახლე აუშენებია; იქვე, ტყე-პარკის გასაშენებლად ქ. ტრიესტიდან (იტალია) ცნობილი აგრონომ-დეკორატორი ჟოზეფ ბანინი და მებაღეები, ძმები გაეტანო და ჯიევანი ზამბერლეტები მოუწვევიათ. რამდენიმე წელიწადში 80 *ჰა*-ზე გაშენებულ ტყე-პარკში 15 *ჰა* ყვავილნარსა და უცხოეთიდან ჩამოტანილ დეკორ. მცენარეებს ეკავა. პარკს ირგვლივ ერტყა ეტლებისთვის განკუთვნილი სასეირნო ხეივანი, რ-იც უნიკალური ჯიშის ხეებით იყო გაშენებული.

გორდის სასახლის მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ სამეგრელოში ომარ-ფაშას შემოჭრისას (1856) სამეგრელოს დედოფალმა ეკატერინე დადიანმა სამხ. შტაბი აქ გადმოიტანა.

დავით დადიანის გარდაცვალების (1854) შემდეგ გორდის სა-



დადიანების გერბი.



დადიან-მინგრელსკების გერბი.



დადიანების სამთავრო რეზიდენცია. ზუგდიდი.

სახლესა და ბაღს მისი ვაჟი *ნიკო დადიანი* პატრონობდა. ნიკოს გარდაცვალების შემდეგ (1903) კი ტყე-პარკის ეგზოტიკური მცენარეებით გამდიდრება შეწყდა, რის გამოც იგი თანდათანობით გაპარტახდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გორდის სასახლეში წითელი არმიის ნაწილები დაბანაკდნენ, 1922–23 კი ფოსტა გაიხსნა. 1925, ადგილობრივი ხელისუფლების წაქეზებით, მთავართა კარ-მიდამო დაუნდობლად გაძარცვეს და ააოხრეს.



დადიანების სამთავრო რეზიდენცია. სოფელი გორდი. XIX ს. 40-იანი წლები.

3. ს ა ლ ხ ი ნ ო ს (მარტვილის მუნიციპალიტეტი) სასახლე. მას მნიშვნელობით მესამე ადგილი ეკავა (ზუგდიდისა და გორდის რეზიდენციების შემდეგ). მდებარეობს მდ. წაჩხურის ნაპირას. სამეგრელოს მთავრებს სალხინოში უბრალო ხის ოდა ჰქონდათ, რ-ის სანაცვლოდ ლევან V დადიანმა ქვის ორსართულიანი სასახლე ააშენა. სასახლემ საბოლოო სახე ლევანის შვილიშვილის სალომე *დადიანი-მიურატის* დროს მიიღო, როდესაც პრინცესა სალომეს დედამისის – ეკატერინე დადიანი-ჭავჭავაძის – გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით სალიპარიტიანო ერგო. სასახლის გვერდით დღესაც დგას სამეგრელოს მთავრის *კაცია II დადიანის* მიერ 1782 აშენებული ეკლესია (რესტავრირებულია).

სასახლის ქვედა სართულის შუაგულში ჩატანებული უზარმაზარი ქვევრის გარშემო, დარბაზში გამართული იყო მუხის სვეტებზე აყვანილი ფანჩატური ლამაზად მოჩუქურთმებული თაღით, რაც სავსებით ამართლებდა თავის სახელწოდებას ,,სალხინო''. ი. მეუნარგიას სიტყვებით, ,,ამგვარი სასახლის აშენების აზრი უნდა მოსვლოდა ისეთ მთავარს, რომელსაც მთელი სიცოცხლე ლხინში და სიმღერაში გაუტარებია''.



დადიანების სამთავრო რეზიდენცია. სოფელი სალხინო (რესტავრაციის შემდეგ).

ლიტ.: ზ უ ტ ნ ე რ ი ბ., ქართველებთან საქართველოში, თბ., 1996; კ ა ლ ა ნ დ ი ა გ., გაძარცული საგანძური, თბ., 2006; ლ ა მ ბ ე რ ტ ი არქანჯელო, სამეგრელოს აღწერა, თარგმ. ა. ჭყონიასი, თბ., 1938; მ ე უ ნ ა რ გ ი ა ი., სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939.

გ. გ. ლორთქიფანიძე.

დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი, მდებარეობს ქ. ზუგდიდში. დაარსდა 1854 როგორც მთავრისეული მუზეუმი, 1921-იდან – სახელმწ. მუზეუმი; 2005 ეწოდა დ. ს. ი.-ა. მ. მის შემადგენლობაშია დადიანების ორი სასახლე (XIX ს. 70–90-იანი წწ., არქიტექტორები – გ. რაისი, ლ. ვასილიევი), კარის ეკლესია და დადიანების მიერ გაშენებული ბოტან. ბაღი. მუზეუმის საერთო ფართობია 3675,2 კვ.მ, საექსპოზიციო ფართობი – 1098 კვ.მ, საფონდო – 986,8 კვ.მ. *დავით დადიანმა* სასახლეში ჯერ კიდევ XIX ს. 50-იან წლებში გახსნა მუზეუმი, სადაც განთავსებული იყო ანტ. ქალაქის არქეოპოლისის (ნაქალაქევი) არქეოლ. გათხრების შედეგად აღმოჩენილი უნიკალური ნუმიზმატიკური მასალა, შუა საუკუნეების ევროპული საბრძოლო აღჭურვილობა, ეთნოგრ. და სახვითი ხელოვნების ნიმუშების დადიანებისეული კოლექცია.

2010 წ. 1 იანვრისთვის მუზეუმში დაცული იყო 44475 ექსპონატი, მ. შ.: ძვ. წ. I ს. – ახ. წ. XIX ს. ოქრომჭედლობის ნიმუშები (ხატები და საეკლ. დანიშნულების სხვა ნივთები, ნატიფი ხელოვნების ნიმუშები), ანტ. საბერძნეთისა და ძვ. კოლხეთის კულტურის ამსახველი არქეოლ. მასალა, ქრისტ. სიწმინდეების კოლექცია, ევრ. გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები (ბულეს, როკოკოს, ამპირის სტილი); სამეგრელოს მთავართა, საფრანგეთის (მ. შ. განსაკუთრებით მრავლადაა ნაპოლეონ ბონაპარტის სახელთან დაკავშირებული ნივთები, რ-ებიც სასახლეში მოხვდა დავით დადიანის სიძის – აშილ მიურატის მეოხებით), რუსეთის, ესპანეთის, საიმპერატორო ოჯახის წევრთა რელიკვიები; XV–XIX სს. ხელნაწერი წიგნები და სიგელ-გუჯრები, ნაპოლეონ ბონაპარტისა და დადიანების ბ-კა, ევრ. და აზიის საბრძოლო იარაღების ნიმუშები, რუსი ,,პერედვიჟნიკების'', ფრანგი ბატალისტებისა და ინგლისელი ,,მარინისტების'' ფერწერული ტი-

ლოები, მდიდარი ფოტოფონდი (5000 ფოტო), ფრანგული, გერმ., ჩინური, რუს. და სხვა წარმომავლობის ბროლის, ფაიფურ-ქაშანურის ჭურჭელი და სხვ.

დ. ს. ი.-ა. მ-ის პარტნიორი ორგანიზაციებია ,,საქართველოს მუზეუმების ასოციაცია'', ,,დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდი''.

დადიანეთი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ცხრაძმის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის დას. კალთაზე, ქსნის ხეობაში. ცხრაძმის თემის ცენტრი (სოფლები: დ., დაბაკნეთი, ზოდეხი, თოხთა, მანჭიკაანი, მარტიანი, მაჭარაანი, მახიარეთი, მუჯუხი, პაპიაანი, უკანამხარი, უკანაუბანი, ყველდაბა, შიუკაანი, ჩიტიანი). ზ. დ. 1360 *მ,* ახალგორიდან 27 *კმ.* 113 მცხ. (2002).

სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XV ს-ში. თავდაპირველად შედიოდა ცხრაძმისხევში, შემდეგ – ქსნის საერისთავოში. სოფელში დგას სამებისა და წმ. გიორგის ეკლესია (ორივე IX–X სს.). სოფლის თავში გეგმით ოთხკუთხა კოშკია, რ-ის კედლებში ბუხრები, თახჩები და სათოფურებია დაყოლებული. სოფლის ქვემოთ კიდევ ორი კოშკის ნანგრევებია (ყველა შუა საუკუნეებისა).

ლიტ.: მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., ქსნის ხეობა, თბ., 1968. *ჯ. გვასალია.*

დადიანი ალექსანდრე ლეონის ძე (1801 – 1860-იანი წწ. დასაწყისი), რუსეთის იმპერიის არმიის პოლკოვნიკი (1829), იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი. დაიბადა რუსეთში, სიმბირსკის გუბერნიაში. 1817 ჩაირიცხა ლაიბგვარდიის პრეობრაჟენსკოეს პოლკში. 1821 დანიშნეს გენ. პასკევიჩის ადიუტანტად. მასთან ერთად მონაწილეობდა 1826–27 ირანთან და 1828–29 ოსმალეთთან გამართულ ომებში. სარდარ-აბადის ალყის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა ოქროს დაშნით, ერევნის აღებისათვის – წმ. ანას III ხარისხის, ყარსის აღებისათვის – წმინდა ანას II ხარისხის ორდენებით, ახალციხის აღებისათვის – ამ ორდენისათვის განკუთვნილი ალმასის ნიშნებით. 28 წლის ასაკში, 1829, იგი დანიშნეს ერევნის კარაბინერთა პოლკის მეთაურად. ბრწყინვალედ დაწყებული კარიერა დასრულდა იმით, რომ 1837 იმპ. ნიკოლოზ I-მა ერევნის პოლკის დათვალიერებისას დ. მწყობრიდან გამოიძახა და პოლკში ჩადენილი სამეურნეო დანაშაულისათვის თავის ხელით ჩამოხსნა ფლიგელ-ადიუტანტის აქსელბანდები, ამასთანავე ბრძანა გადაეგზავნათ ბობრუისკის კაზემატში, სადაც მან 1840-მდე დაყო. შემდეგ დ-ს ჩამოართვეს ჩინები, ორდენები, თავადის წოდება და საცხოვრებლად გაგზავნეს ვიატკაში. ბოლოს ნება დართეს ქალაქიდან გაუსვლელად ეცხოვრა მოსკოვში. 1856 იმპ. ალექსანდრე II-მ დ-ს დაუბრუნა თადარიგის პოლკოვნიკის ჩინი, ორდენები, თავადის წოდება. *მ. ცირეკიძე.*

დადიანი ანდრია დავითის ძე (24. X. 1850, ზუგდიდი, – 13. VI. 1910, კიევი), მოჭადრაკე და ჭადრაკის მეცნიატი. ეკატერინე ჭავჭავაძისა და სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის შვილი. 1873 დაამთავრა ჰაიდელბერგის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი. 1874-იდან მსახურობდა რუს. არმიაში. ჰქონდა გენერლის ჩინი. თამაშობდა ცნობილ მოჭადრაკეებთან პარიზში, რომში, კიევში, თბილისში (ს. როზენტალი, ს. დიუბუა, ი. შუმოვი, ი. კოლიში და სხვ.). 1881–82 მონაწილეობდა პეტერბურგის საჭადრაკო კლუბის მიერ გამართულ მოყვარულთა ორ ტურნირში და ორივეჯერ I ადგილი დაიკავა. 1899 მიიწვიეს სრულიად რუს. I ჩემპიონატში, რ-შიც მონაწილეობა არ მიუღია. 1903–04 იყო მონტე-კარლოს საერთაშ. ტურნირების პრეზიდენტი. თანამშრომლობდა იმდროინდელ უცხ. და რუს. საჭადრაკო ჟურნალებთან, აწესებდა პრიზებს ლამაზი პარტიებისათვის. ინგლ. საჭადრაკო ჟურნალმა ,,ჩესს მანსლიმ'' (,,The Chess Monthly'') 1892 ივნ.-ივლ. ნომერი მთლიანად დ-ის შემოქმედებას მიუძღვნა. 1903 ე. შიფერსის წინასიტყვაობით კიევში ფრანგ. ენაზე გამოიცა დ-ის 100 პარტიის დაბოლოება (,,Fins de Partie du Prince Dadian de Mingrélie'').

ლიტ.: გ ი ო რ გ ა ძ ე თ., თამაშობს ანდრია დადიანი, თბ., 1972; მ ი ს ი ვ ე, რაინდული სულის მოჭადრაკე, თბ., 2004. *თ. შ. გიორგაძე.*

დადიანი ანტონ, იხ. *ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი.*

დადიანი ბედან (ბედიან), ოდიშის ერისთავი XII ს. უკანასკნელ მეოთხედსა და XIII ს. დასაწყისში. მონაწილეობდა გიორგი რუსის (იხ. *იური ანდრიას ძე*) გასამეფებლად დიდგვაროვანთა მიერ მოწყობილ აჯანყებაში.

ლიტ. იხ. სტ-თან დ ა დ ი ა ნ ე ბ ი.

თ. ბერაძე.

დადიანი ბედან (ბედიან) ჯუანშერის ძე, ოდიშის ერისთავი XIII ს. შუა წლებში. მხარში ედგა ცენტრ. ხელისუფლებას მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მონაწილეობდა *კოხტასთავის შეთქმულებაში.* 1259–61 *დავით VI* ნარინს ეხმარებოდა მონღოლთა წინააღმდეგ და დას. საქართველოში მეფის ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ჰქონდა დავით VI-ის სამეფო კარის მანდატურთუხუცესის ტიტული.

ლიტ. იხ. სტ-თან დ ა დ ი ა ნ ე ბ ი.

თ. ბერაძე.

დადიანი გიორგი (ეგორ) ლევანის (ლეონტის) ძე (1683, ზუგდიდი, – 12. VI. 1765, მოსკოვი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1725). სამეგრელოს მთავრის *ლევან IV დადიანის* ვაჟი. სანქტ-პეტერბურგში ჩასული ერთ-ერთი პირველი ქართველი, რ-იც კარგად დაეუფლა რუს. ენას, ასრულებდა დიპლ. დავალებებს, მთარგმნელისა და თარჯიმნის მოვალეობას. რუს. სამეფო კარსა და მოსკოვში ემიგრირებულ ქართველთა შორის მოლაპარაკებების დროს უძღვებოდა მიმოწერას საქართველოსთან. ცოლად შეირთო რუს. არტილერიის გენ.-ფელდცოიხმაისტერის, ბატონიშვილ ალექსანდრე არჩილის ძის ქალიშვილი სოფიო (იხ. *დადიანი* ს.). დ. ,,დადიანოვების'' მოსკოვის შტოს დამფუძნებელია. თავისი სახსრებით მონაწილეობა მიიღო მოსკოვში სუხარევის კოშკის განახლებაში.



ა. დ. დადიანი.

დაკრძალულია მოსკოვში, *დონის მონასტრის* მირქმის ტაძარში.

გ. კალანდია. ნ. ჯავახიშვილი.

დადიანი გრიგოლ (გიორგი) გრიგოლის ძე (1798, ზუგდიდი, – 1851, მარტვილი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (დაახლ. 1850). სამეგრელოს მთავრის *გრიგოლ დადიანის* ვაჟიშვილი, გენ.-ლ. *ლევან V დადიანის* ძმა. მონაწილეობდა 1826–28 რუს.-ირანისა და 1828–29 რუს.-ოსმ. ომებში. 1832 მიიღო პოლკოვნიკის ჩინი, გახდა ფლიგელ-ადიუტანტი. 1836–37 მეთაურობდა ერევნის კარაბინერთა პოლკს. მონაწილეობდა დაღესტნის ბრძოლებში.



გ. დადიანი (კოლხიდელი).

დადიანი გრიგოლ კაციას ძე, იხ. *გრიგოლ დადიანი.*

დადიანი გრიგოლ ლევანის ძე (ლიტ. ფსევდონიმი – კ ო ლ ხ ი დ ე ლ ი) [6 (18). X. 1814, ზუგდიდი, – 6 (19). I. 1902, ქუთაისი], პოეტი, საზოგადო მოღვაწე. სამეგრელოს მთავრის ლევან V-ის ძე. რუს. იმპერიის არმიის ინფან-

ტერიის გენერალი (1883). 1828-იდან სწავლობდა პეტერბურგის პაჟთა კორპუსში. 1834-იდან იქვე მსახურობდა. 1844 პოლკოვნიკი გახდა. 1845 სამეგრელოში დაბრუნდა. ყირიმის ომის (1853–56) დროს ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლ რაზმს მეთაურობდა კავკ. ფრონტზე. 1854 მიენიჭა გენ.-მ-ის წოდება. ომის შემდეგ დაინიშნა გრენადერთა დივიზიის პირველი ბრიგადის მეთაურად. იბრძოდა შამილის წინააღმდეგ. რუს.-ოსმ. ომში (1853–56) მონაწილეობისათვის მიიღო გენ.-ლეიტენანტის (1860), ხოლო 1880, სამხ. სამსახურის 50-ე წლისთავზე, გენ.-ადიუტანტის წოდებები. **დ**-ს ეკუთვნის ისტ. პოემა ,,რუხის ბრძოლა'' (1836), რ-შიც აღწერილია იმერეთ-გურია-ოდიშის ერთობლივი ბრძოლა ოსმალთა და კავკ. მთიელ მომხდურთა წინააღმდეგ. ავტორია პატრ. ლექსებისა. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან (,,ცისკარი'', ,,ივერია'' და სხვ.); ,,კოლხიდელის'' გარდა, ზოგჯერ სხვა ფსევდონიმებითაც წერდა (,,იოანე გეგეჭკორი'', ,,მეგრელი'', ,,კ'', ,,გ. დ.'' და სხვ.). წვლილი მიუძღვის ი. *ბარტდინსკის* მიერ ,,ვეფხისტყაოსნის'' რუსულად თარგმნაში. თავისი ქონება და ბ-კა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ-ბას უანდერძა.

თხზ.: ლექსთა კრება კოლხიდელისა, ქუთ., 1901.

ლიტ.: მ ე უ ნ ა რ გ ი ა ი., ქართველი მწერლები, სოლ. ცაიშვილის გამოც., [ტ.] 1, თბ., 1954; ც ა ი შ ვ ი ლ ი სოლ., ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1962. *ს. ცაიშვილი.*

დადიანი გრიგოლ ლევანის ძე (1791, ზუგდიდი, – 1846, მარტვილი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1826). მონაწილეობდა რუს.-ირან. (1826–28), რუს.-ოსმალეთის (1828–29) ომებში, მეთაურობდა სხვადასხვა სამხ. ნაწილებს.

დადიანი დავით ლევანის ძე, იხ. *დავით დადიანი.*

დადიანი დიმიტრი ელიზბარის ძე (დ. წ. უცნობია – 16. VII. 1895, ოდესა), ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. ქუთ. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა ოდესის უნ-ტში, რ-იც არ დაუმთავრებია. საფუძვლიანი აგრონ. განათლება მიიღო საფრანგეთში (მონპელიე, პარიზი). საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ერთხანს ელიზავეტპოლის გუბერნიაში მსახურობდა საგანგებო მინდობილობათა მოხელედ. შემდეგ ქუთაისში დამკვიდრდა და იქ ნაყოფიერ ჟურნალისტურ, საზ. მოღვაწეობას შეუდგა: 1881–83 იყო გაზ. ,,შრომის'' რედაქტორი; ქართ. და რუს. პრესაში (,,*დროება*'', ,,შრომა'', ,,*ივერია*'', ,,ნოვოე ობოზრენიე''...) აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის პუბლიც. თხზულებებს. **დ**-ის შეხედულებით, ქართვ. ხალხის საერთო-ეროვნ. თვითშეგნების გამთლიანება-აღორძინებისთვის აუცილებელი იყო საზოგადოებრიობის ყველა ფენის კონსოლიდაცია ეროვნ. იდეოლოგიის გარშემო, ეკონ. დაწინაურება და კულტ.-საგანმან. პროცესების პერმანენტული განვითარება.

1884–90 **დ**. განაგებდა ქუთ. სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკს. თავიდან მომხრე იყო თბილ. და ქუთ. სათავადაზნაურო ბანკების შეერთებისა, რაზეც გამოქვეყნებული აქვს სპეც. წერილი ,,მუდამ ცალ-ცალკე თუ ერთად'' (,,*დროება*'', 1875, №44). სიცოცხლის ბოლო წლებში **დ**. იყო სენაკის მაზრის თავადაზნაურობის დეპუტატი. 1895 ტუბერკულოზით დაავადებული **დ**. სამკურნალოდ ავსტრიაში გაემგზავრა, მაგრამ გზაში (ოდესაში) გარდაიცვალა. დაკრძალულია სენაკში.

ლიტ.: ლ ა ლ ი [გიორგი ლასხიშვილი], «ივერია», 1895, 27 ივლისი, №159; ტ ა ბ ი ძ ე ნ., ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, თბ., 1968; მ ი ს ი ვ ე, ეტიუდები, თბ., 1986. *თ. ჯოლოგუა.*

დადიანი ვარდან, საქართველოს დიდგვაროვანი ფეოდალი XII ს. II ნახევარში. თამარ მეფის კარზე ეჭირა თავდაპირველად *ჩუხჩარხის* (სამხ. უწყების მოხელე), შემდეგ მსახურთუხუცესის თანამდებობა. **დ**-მა აქტ. მონაწილეობა მიიღო გიორგი რუსის (იხ. *იური ანდრიას ძე*) გასამეფებლად დიდგვაროვანთა მიერ მოწყობილ აჯანყებაში. მისი თაოსნობით მოიყვანეს გიორგი რუსი ტაოდან დას. საქართველოში და მეფედ აკურთხეს. აჯანყების დამარცხების შემდეგ **დ**-მა მსახურთუხუცესობა დაკარგა და აქტ. პოლიტ. ცხოვრებას ჩამოშორდა.

ლიტ. იხ. სტ-თან დ ა დ ი ა ნ ე ბ ი.

თ. ბერაძე.

დადიანი ივანე (იოვანე), ერისთავთერისთავი XI ს. შუა წლებში, დადიანების საგვარეულოს პირველი წარმომადგენელი, რაც წერილობითი წყაროებითაა დამოწმებული. **დ**. ,,ქართლის ცხოვრებაში'' მოხსენიებულია იმ დიდებულთა შორის, რ-ებიც ლიპარიტ ბაღვაშმა *ბაგრატ IV-თან* შინაომის დროს ანისიდან გამოიტყუა და შეიპყრო. **დ**. მოხსენიებულია ასევე XI ს. ერთი ხელნაწერის ანდერძმინაწერში, რ-იც თავის დროზე ნიკორწმინდის ეკლესიაში ინახებოდა. *თ. ბერაძე.*

დადიანი იოსებ იულონის ძე (1863, სენაკი, – 1937, პარიზი), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართვ. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი (1917), საქართვ. ეროვნ. საბჭოს (1917–19) და საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (1919–21) წევრი ეროვნ.-დემოკრ. პარტიიდან. 1921–37 ქართ. პოლიტ. ემიგრაციის თვალსაჩინო მოღვაწე. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და პეტერბურგის სამთო ინ-ტი (1886). იმავე წლიდან ეწეოდა აქტ. სამრეწვ. და საზ.-პოლიტ. საქმიანობას. 1901 იყო საქართვ. სოციალ.-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და წევრი (1917-მდე). 10-იან წლებში მუშაობდა ბაქოში ნობელების ნავთობ-გადამამუშავებელი ფირმის ინჟინრად. იყო ბაქოს ქართ. სათვისტომოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1917 დაბრუნდა სამშობლოში. ბოლშევიკური რუს. მიერ საქართვ. ანექსიის (1921 თებ.-მარტი) შემდეგ **დ**. იყო პოლიტ. ემიგრანტი (ცხოვრობდა პარიზში) და აქტ. იღვწოდა საქართვ. გათავისუფლებისათვის. 1921–37 იყო საქართვ. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი, არჩეული იყო ,,ანტიბოლშევიკ ერთა ბლოკის'' წევრად. 1924 **დ**-ის აქტ. მონაწილეობით პარიზში დაარსდა ქართ. ეროვნ. პოლიტ. ორგანიზაცია ,,*თეთრი გიორგი*''. თანამშრომლობდა ქართ. ემიგრანტულ პრესასთან.

ლიტ.: ა ს ა თ ი ა ნ ი ალ., თავადი იოსებ დადიანი (1863–1937), ჟურნ. «სამშობლო», პარიზი, 1937, №21–22.

ლ. ურუშაძე.

დადიანი კონსტანტინე ლევანის ძე (18. X. 1819, ზუგდიდი, – 25. IV. 1889, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1887). 1839 დაამთავრა პეტერბურგის პაჟთა კორპუსი. 1842–53 მონაწილეობდა კავკ. ომებში, ძირითადად ჩაჩნეთში. ყირიმის ომის (1853–56) დროს მეთაურობდა კავკ. ფრონტზე ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლ სამეგრელოს მილიციას. 1854 სოფ. კოკთან (იხ-

ლანდ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) გამართულ ბრძოლაში მოიგერია ოსმალთა კორპუსის შეტევა. ყარსის აღების შემდეგ დ. თავისი მილიციით გურიის რაზმის შემადგენლობაში შევიდა და წარმატებით იბრძოდა ოსმალთა წინააღმდეგ. 1858-იდან იმპ. ალექსანდრე II-ის ფლიგელ-ადიუტანტია, 1866-იდან – გენ.-მაიორი. რუს.-ოსმ. ომის (1877–78) დროს იყო მოქმედ არმიაში კავკ. შავი ზღვის სანაპიროზე. ამ ომის შემდეგ მალე თადარიგში გავიდა.

დაჯილდოებულია წმ. გიორგის, თეთრი არწივის, წმ. ანას, წმ. ვლადიმირის, წმ. ალექსანდრე ნეველისა და წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

ლიტ.: მ ე უ ნ ა რ გ ი ა ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939.

მ. გოგიტიძე.

დადიანი ლევან გრიგოლის ძე, იხ. *ლევან V დადიანი.*

დადიანი ლულუ სევერიანის ასული (დ. 14. VI. 1942, თბილისი), ფერმწერი. დაამთავრა თსუ-ის დას. ევროპის ენებისა და ლიტ-რის (1964) და ხელოვნ. (1973, პედაგოგი ჯ. ხუნდაძე) ფაკ-ტები. ამავე წლიდან მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებში. პერსონალური გამოფენები: თბილისი (1988), შტუტგარტი (გერმანია, 1989, 1991), ოიპენი (ბელგია, 1992), მაინცი (გერმანია, 1995) და სხვ. მნიშვნელოვანი ნამუშევრები: ,,კითხვის ნიშანი'' (1988, მხატვრის კუთვნილება), ,,ნიღბები'' (1990, კერძო კუთვნილება), ,,შემოდგომის ყვავი-



ლ. დ ა დ ი ა ნ ი . ,,ხიდი''. 1976.

ლი'' (1994, კერძო კუთვნილება), ,,რილკეს X ელეგია'' (1994, მხატვრის კუთვნილება), ,,ხის დაბადება'', ,,კარიატიდა'' (1990, კერძო კუთვნილება) და სხვ. თარგმნა რ. მ. რილკეს ,,დუინური ელეგიები'' (ვენა, 1998; ავსტრ. სახელმწ. კანცელარიის პრემია, 2000).

დ-ის ნამუშევრები ინახება საქართვ. ეროვნულ გალერეაში, ქ. ჰალეს მხატვართა კავშირის მუზეუმში, ბოსენის ხელოვნ. ცენტრში (გერმანია) და სხვ.

დადიანი ნიკო გიორგის ძე (დაახლ. 1764 – 25. II. 1834), ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1804). მამის გარდაცვალების (1799) შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა სამეგრელოს სამთავროს გამგებლობის საქმეში. 1804 სამეგრელოს უმაღლესი საგამგეო საბჭოს წევრად დაინიშნა. 1805 მეთაურობდა რუსეთთან სამეგრელოს შეერთების საკითხზე რუსეთში წარგზავნილ დელეგაციას. აქტიურად იბრძოდა აფხაზეთში რუს. ორიენტაციის მქონე საფარ-ბეგის დასამკვიდრებლად და ასლან-ბეგის გასადევნად. 1810–23 ლეჩხუმის სარდალ-მოურავი იყო. მონაწილეობდა რუს.-ოსმ. 1806–12, 1828–29 და რუს.-ირანის 1826–28 ომებში. რუს. მთავრობას ეხმარებოდა იმერეთის 1810 და 1819–20 აჯანყებების ჩაქრობაში. წლების განმავლობაში ეკავა მსაჯულთუხუცესის (მდივანბეგთუხუცესი) თანამდებობა სამეგრელოს მთავრის კარზე. დაკრძალულია მარტვილის მონასტერში. მას ეკუთვნის ისტ. ნაშრომი ,,ქართველთ ცხოვრება'' (1823–24), ,,დასტურლამა'' (სამეგრელოს სამთავროს მართვა-გამგეობის განწესება), ,,მიმოსვლა ნიკოლაჲ დადიანოვისა'' (დაწერილია რუსეთში ყოფნისას, ჩვენამდე არ მოუღწევია), დღიური (1824–34 წლებისა) და რამდენიმე ლექსი. ,,ქართველთა ცხოვრება'' დ-მა შეადგინა, როგორც მშობლიური ისტ. სახელმძღვანელო. იგი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ორი წარმოადგენს ,,ქართლის ცხოვრების'' და ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიის შემოკლებულ რედაქციას. მესამე ნაწილი კი ორიგინალურია, მოიცავს 1749–1823 ისტორიას და დაწვრილებით მიმოიხილავს დას. საქართველოს ამბებს.

დ. დაჯილდოებული იყო წმ. ანას I ხარისხისა და წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენებით.

თხზ.: დასტურ-ლამა, ი. მეუნარგიას გამოც., ტფ., 1897; ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962.

ლიტ.: ბ ა ხ ტ ა ძ ე გ., ისტორიკოსი ნიკო დადიანი, «ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები», 1963, ტ. 17; კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., იმერეთის მეფის დიდ სოლომონ I-ის მატიანე, შედგენილი ნიკოლოზ დადიანის ძის მიერ, მის წგ.: წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წგ. 1, ტფ., 1914.

მ. ხანთაძე.

დადიანი ნიკო დავითის ძე, იხ. *ნიკო დადიანი.*

დადიანი ნიკოლოზ ტარიელის ძე [1 (13). X. 1844, სოფ. სვირი, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 12 (24). X. 1896, სოფ. აგაიმანი, ყოფ. ტავრიდის გუბ., დასაფლავებულია სოფ. ბერთემში (ბეთლემი), ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი], მწერალი, მთარგმნელი. შ. *დადიანის* მამა. მისი ლექსები, წერილები და თარგმანები იბეჭდებოდა XIX ს. 60–90-იანი წწ. ქართ. ჟურნალ-გაზეთებში (,,დროება'', ,,ივერია'', ,,კვალი'', ,,მოამბე'', ,,მეურნე'', ,,საქართველოს კალენდარი'' და სხვ.). იზიარებდა ,,თერგდალეულების'' ლიტ.-ესთეტ. შეხედულებებს. 1881 გ. ორბელიანთან, ი. ჭავჭავაძესთან, ი. მაჩაბელსა და სხვებთან ერთად ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი პირველი კომისიის წევრი იყო. დ-ის პოეტურ ,,არჩილურ შვიდთავში'' (გამოვიდა სათაურით ,,საამდროვო გამოცანები'', 1897) დახასიათებული არიან (ლექსად) XIX ს. ქართვ. მწერლები და საზ. მოღვაწეები. იგი ავტორია ბელეტრისტული, დრამ. და ისტ. თხზულებებისა, წერდა წერილებს სოფ. მეურნ., ჭიათურის მადნის მოპოვების, ქუთ. ბანკის მუშაობის, სამეგრელოს სკოლებისა და მეგრული ენის შესახებ. თარგმნა შექსპირის პიესები, ჟ. მ. ერედიას, თ. სოლოგუბისა და სხვ. ნაწარმოებები. წერილებსა და ლექსებს აქვეყნებდა ხან ინიციალებით (,,ნ. დ.''), ხან ფსევდონიმებით (,,ნიკო მეგრი'', ,,მეგრელი'', ,,მეგრელი ნ. დ.'').



ნ. გ. დადიანი.



ნ. დ. დადიანი.

ლიტ.: დ ა დ ი ა ნ ი შ., რაც გამახსენდა, თბ., 1959; ც ა ი შ ვ ი ლ ი სოლ., ნიკოლოზ დადიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა, თბ., 1948.

ს. ხუციშვილი.

დადიანი ნინო (ცინუკი) დავითის ასული (13. V. 1916, თბილისი, – 11. XI. 1993, იქვე), ესტრადის მომღერალი. საქართვ. დამს. არტისტი (1975), ექიმი. 1950 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1951-იდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტში. ვოკალურ ხელოვნებას დაეუფლა მოსკ. კონსერვატორიაში (პედაგოგი მ. პეტროვა). 1961-იდან იყო თბილ. ფილარმონიის სოლისტი. მდიდარი იყო მისი საკონცერტო რეპერტუარი. ასრულებდა ქალაქურ (ძვ. თბილისურ) სიმღერებს, რ-თაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა: ,,გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო'', ,,სიონში შევალ'', ,,ჩემი აღმართი'', ,,შენ რომ დამტოვე'' (იეთიმ გურ-

ჯის, ი. გრიშაშვილისა და სხვათა ლექსებზე), აგრეთვე ,,მაგნოლია'' (ლექსი ა. კალანდაძისა, მუსიკა საკუთარი). სიმღერებს ასრულებდა დუდუკების თანხლებით. გამოდიოდა დასტებთან (ქსოვრელები და სხვ.) ერთად. განსაკუთრებით პოპულარული იყო XX ს. 60–90-იანი წლების თბილისში.



ქ. დადიანი.

დადიანი ოტია ელიზბარის ძე (15. III. 1838, სენაკი, – 7. VI. 1915), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1900). ახალგაზრდობიდან სამხ. სამსახურში იყო. მონაწილეობდა 1877–78 რუს.-ოსმ. ომში. 1881 პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა. მსახურობდა ალექსანდროპოლის (სომხეთი) და ქუთ. გუბერნიის ოზურგეთის მაზრების უფროსად.

დაჯილდოებულია წმ. ანას, წმ. სტანისლავის და წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.


დადიანი სამსონ პლატონის ძე (1885, სოფ. მუხური, ახლანდ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, – 1937, თბილისი), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, კრიტიკოსი, დრამატურგი. დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი და პეტერბურგის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი (1908). XX ს. 10-იანი წლებიდან იმდროინდელ პრესაში (გაზ. ,,ივერია'', ,,სახალხო გაზეთი'', ,,განათლება'', ,,ზაკავკაზიე'') იბეჭდებოდა მისი წერილები ქართ. ლიტ-რისა და ხელოვნების საკითხებზე. მათგან აღსანიშნავია: ,,ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის შესახებ'', ,,საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის სიტყვაკაზმულ მწერლობაში'', ,,აკაკი – ცისა და მიწის შვილი'', ,,სოციალური იდეა ილია ჭავჭავაძის პოეტურ თხზულებებში'', ,,ქართული თეატრი'' და სხვ. მასვე ეკუთვნის 1905 რევოლუციისადმი მიძღვნილი დრამა ,,ჯვარედინ გზაზე'' და ისტ. დრამა ,,გიორგი სააკაძე''. 1914-იდან **დ.** იყო საქართვ. სოც.-ფედერალისტთა პარტიის, ხოლო 1921–26 მემარჯვ. ფედერალისტთა არალეგ. ორგანიზაციის აქტ. წევრი. 1918 წ. 26 მაისს საქართვ. ეროვნ. საბჭოს საგანგებო სხდომაზე ხელი მოაწერა საქართვ. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. 1919–21 იყო საქართვ. დემოკრ. რესპ. დამფუძნებელი კრების წევრი. ბოლშევიკური რუს. მიერ საქართვ. ანექსიის (1921, თებ.-მარტი) შემდეგ აქტიურად ჩაება ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში. 1922–24 იყო საქართვ. ანტისაბჭ. ინტერპარტიული პარიტეტული კომიტეტის (იგივე *დამოუკიდებლობის კომიტეტის)* წევრი სოციალ-ფედერალისტთა პარტიიდან. აქტიურად მონაწილეობდა 1924 ეროვნ. აჯანყების მომზადებაში. 1922–37 არჩეული იყო საქ. სსრ დამცველთა (აღვოკატთა) კოლეგიის წევრად. მუშაობდა ბანკის იურისკონსულტად. ეროვნ. ხასიათის წერილებს აქვეყნებდა ქართ. პერიოდულ პრესაში.

ემსხვერპლა 1937 რეპრესიებს.

ლიტ.: აჯანყება – 1924. საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა), თბ., 1994 (პირველად გამოიცა თბილისში, 1925 წ.).

ვ. სიდამონიძე. ლ. ურუშაძე.

დადიანი სიმონ (პეტრე) ნიკოლოზის ძე (23. VII. 1916, სოფ. წირქოლი, ახლანდ. ჭიათურის მუნიციპალიტეტი, – 2. III. 1975, სან-ფრანცისკო, აშშ), მოქანდაკე, ფერმწერი, გრაფიკოსი. 1919 მისი ოჯახი გადასახლდა პარიზში, სადაც **დ.**-მა 1940-მდე დაყო. შემდეგ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სან-ფრანცისკოში. სამხატვრო განათლება მიიღო თავდაპირველად პარიზში, შემდეგ – სან-ფრანცისკოში. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. შემოქმედების პირველ პერიოდში მუშაობდა როგორც რეალისტი მხატვარი. განსაკუთრებული აღიარება ხვდა წილად მის აბსტრ. ქანდაკებას ,,შავი ტორსი'' (ნიუ-იორკი, 1952). **დ.**-ის ნამუშევრები ხშირად იყო ექსპონირებული ამერ. ქალაქების გამოფენებზე. სხვა ნამუშევართაგან აღსანიშნავია: ქანდაკებებიდან – ,,ტორსი'' (1953),



ს. ნ. დადიანი. ,,მჯდომარე ქალი''. 1953. პარიზი.

,,მჯდომარე ქალი'' (1953); ფერწერიდან – ,,ადამი და ევა'' (1955); გრაფიკიდან – ,,ლურჯწვერა'' (1952), ,,გუთური ნანგრევები'' (1956); **დ.**-ს არასდროს გაუწყვეტია ურთიერთობა სამშობლოსთან. მისი ძირითადი ნამუშევრები ინახება პარიზში, მხატვრის დის, ქეთევან დადიანის ოჯახში.

გ. მასხარაშვილი.

დადიანი სოფიო ალექსანდრეს ასული (ქალიშვილობის გვარი – ბაგრატიონი) (1693–1747), *ალექსანდრე ბატონიშვილის* (არჩილის ძის) ასული, *არჩილ II-ის* შვილიშვილი. ცხოვრობდა მოსკოვის ქართ. კოლონიაში. 1715 ცოლად გაჰყვა სამეგრელოს მთავრის ლევან IV-ის ვაჟს გიორგი (ეგორ) *დადიანს.* **დ.**-მა მეუღლესთან ერთად აღზარდა გამოჩენილი რუსი არქიტექტორი პ. ე. ეგოროვი. 1740 მემკვიდრეობით მიიღო მამიდამისის, დარეჯანის საკუთრებაში არსებული სოფლებისა და ვოტჩინების წილი ნიჟეგოროდის გუბერნიაში (ვახტანგ VI-ის ვაჟებთან, ბაქარ და გიორგი ბატონიშვილებთან თანაზიარობით). ამ ფაქტით საბოლოოდ გაერთიანდა არჩილ II-ისა და ვახტანგ VI-ის დროინდელი მოსკოვის ორი ქართული ახალშენი (ვსეხსვიატსკოე და პრესნია).

ლიტ.: სიხარულიძე ფ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, თბ., 1991; Ватеишвили Д. Л., Грузия и европейские страны, т. 3, кн. 2, М., 2006.

გ. გ. ლორთქიფანიძე.

დადიანი ქეთევან მიხეილის ასული (26. II. 1915, ქუთაისი, – 24. VIII. 1992, თბილისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. კანდიდატი (1948), ეკონომიკის დარგში სამეცნ. ხარისხის მქონე პირველი ეკონომისტი ქალი საქართველოში. 1937 დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკტი. 1944–55 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ეკონომიკის ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1970–89 ხელმძღვანელობდა საქ. სსრ სახელმწ. საგეგმო კომიტეტთან არსებული სახ. მეურნეობის ეკონ. და დაგეგმვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის სხვადასხვა განყოფილებას. სამეცნ. მუშაობის პარალელურად ეწეოდა პედ. საქმიანობას (1950–70).

დ. ავტორია მრავალი სამეცნ. შრომისა, რ-ებიც ეხება ქვეყნის ეკონ. სპეციალიზაციისა და კომპლ. განვითარების, მეურნეობის დაგეგმვის, მართვისა და პროგნოზირების საკითხებს. მისი ხელმძღვანელობით საქართველოში პირველად შემუშავდა რეგიონების – ავტონ. რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის,

რაიონის მეურნეობის კომპლ. განვითარების გეგმის შედგენის მეთოდიკა. იგი ითვლება საგარეო ეკონ. კავშირების კვლევის ერთ-ერთ პიონერად საქართველოში.

ლიტ.: ქეთევან დადიანი, თბ., 2006.

გ. ყუფუნია.

დადიანი შალვა ნიკოლოზის ძე [9 (21). V. 1874, ყვირილა, ახლანდ. ზესტაფონი, – 15. III. 1959, თბილისი], მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი, თეატრ. და საზ. მოღვაწე, მსახიობი, რეჟისორი, საქართვ. სახ. არტისტი (1923). დაიბადა სამეგრელოს მთავრის შთამომავლის, ცნობილი მწერლისა და საზ. მოღვაწის, ნიკოლოზ *დადიანის* ოჯახში. დედა – ლიდა წულუკიძე – განთქმული იყო მწიგნობრობით. ბავშვი არ გაუძიძავებიათ, იზრდებოდა ოჯახში. დედით ადრე დაობლებულს განათლება მიაღებინეს მამამ და შინ მოწვეულმა მასწავლებლებმა. სკოლაში არ მიუბარებიათ, რადგან, მამამისის რწმენით, იქ რუსიფიკატორული და ჩინოვნიკური რეჟიმი სუფევდა. ნ. დადიანს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ ქართვ. მწერლებსა და ეროვნ. მოღვაწეებთან. მის ოჯახში მსჯელობდნენ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე, მის აწმყოსა და მომავალზე, ეროვნ.-განმათ. მოძრაობაზე, განმანათლებლურ იდეებზე. ასეთ ვითარებაში იზრდებოდა და ყალიბდებოდა მომავალი მწერალი. 1888–92 საკუთარ ხელნაწერ ჟურნ. ,,მოზარდს'' რედაქტორობდა. ხშირად სტატიების ავტორიც თვითონვე იყო (გამოვიდა 80-მდე ნომერი).

დ-ის თეატრ. დებიუტი შედგა ქუთაისში 1893, როდესაც კ. *მესხის* მიწვევით სპექტაკლ ,,მარგარიტა გოტიეში'' ,,ქუჯის'' ფსევდონიმით გრაფ დე ჟირეს ეპიზოდური როლი შეასრულა; ქუთ. თეატრში **დ**. ინტენსიურად თანამშრომლობდა ვ. ს. *ალექსი-მესხიშვილთან*, რ-მაც 1898 თბილისში საგასტროლოდ პარტნიორად წამოიყვანა. 1903 **დ**. მოსკოვში წავიდა; სასკოლო განათლების საბუთის უქონლობის გამო, უნ-ტში არ დაუშვეს და თეატრ. ცხოვრებას დაეწაფა. წერდა რეცენზიებს სპექტაკლებზე, წერილებს თეატრ. ხელოვნებაზე და აგზავნიდა საქართველოში. 1905 თბილისში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო ვ. *გუნიას* დასში. 1907 ვ. ალექსი-მესხიშვილთან ერთად სათავეში ჩაუდგა ქუთ. თეატრს, წარმატებით დადგა სპექტაკლები ,,სამშობლო'' და ,,როს ნადიმობდნენ''. 1908 შექმნა ,,მოგზაური დასი'', რ-ის საბაზო ქალაქი ბათუმი იყო. დასმა შემოიარა მთელი საქართველო, სპექტაკლები დადგეს აგრეთვე ბაქოსა და ნოვოროსიისკში. აქტიორული მოღვაწეობის 30 წლის განმავლობაში **დ**-მა 300-მდე როლი შეასრულა, რ-თაგან აღსანიშნავია ოთარ-ბეგი და სოლეიმან-ხანი (,,ღალატი''), შაჰ-აბასი (,,ქეთევან წამებული''), სვიმონ ლიონიძე (,,სამშობლო''), კარლ მოორი (,,ყაჩაღები''), მსახიობი (,,ფსკერზე'') და სხვ.

დ-მა 1892 ,,ქუჯის'' ფსევდონიმით გამოაქვეყნა ლექსების პირველი კრებული ,,ნაპერწკალი'', 1896 გაზ. ,,ივერიაში'' დაიბეჭდა პირველი მოთხრობა ,,წმინდა ცრემლები''. აქედან დაიწყო მისი ლიტ. მოღვაწეობა. იგი აგრძელებდა ქართ. კლასიკური მწერლობის მდიდარ რეალისტურ ტრადიციებს, ეხმაურებოდა ეროვნ.-განმათ. მოძრაობის მოწოდებებს დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის დასამკვიდრებლად. პირველი დრამ. ნაწარმოები ,,მღვიმეში'' დაწერა 1905, შემდეგი – ,,როს ნადიმობდნენ'' 1906, რ-იც 1907 დაიდგა ქუთ. თეატრში, მაგრამ მეორე დღესვე აიკრძალა. პიესა გამოქვეყნდა 1909 გაზ. ,,ფონში'', ცალკე წიგნად კი გამოვიდა ბათუმში 1912 და ამავე წელს დაიდგა ბათუმის თეატრში. ორივე პიესა იმ დროის რევ. ყოფითაა შთაგონებული, აზრი გამოხატულია ალეგორიული და ფანტასტიკური ფორმით. პოლიციამ ,,როს ნადიმობდნენ'' ანტისახელმწიფოებრივ პიესად ცნო და ავტორის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, მაგრამ ამნისტიამ მოუსწრო და **დ**. სასჯელს გადაურჩა. 1913 დაწერა კომედია ,,შენი ჭირიმე'', 1915–16 – ისტ. დრამები: ,,გეგეჭკორი'' და ,,ვარამი'', 1917 – ,,გუშინდელნი'', რ-იც ქართ. კლასიკურ კომედიადაა აღიარებული და ისტორიულად განწირული წოდების ცხოვრებას ასახავს. 1972 ,,გუშინდელნი'' ახლებური ინტერპრეტაციით დაიდგა შოთა რუსთაველის თეატრის სცენაზე (რეჟ. რ. *სტურუა* და თ. *ჩხეიძე*). 1928 კ. მარჯანიშვილის დაკვეთით დაწერა კომედია ,,კაკალ გულში'', რ-იც მაშინვე დაიდგა. კომედიაში მხილებულია საბჭ. სახელმწ. აპარატში გამეფებული ბიუროკრატიზმი და მლიქვნელობა. ამგვარი მძაფრი სატირული ხედვის პიესის დაწერა და დადგმა კომუნისტური რეჟიმის დროს გაბედული და სახიფათო ნაბიჯი იყო. საბჭ. დრამატურგიაში ტრაგედიის ჟანრის აღორძინების ერთ-ერთი პირველი მცდელობა იყო **დ**-ის პიესა ,,თეთნულდი'' (1931), რ-ის შექმნის იმპულსი გამოჩენილი ქართვ. მთამსვლელების (ს. ჯაფარიძე, პ. დვალი) თეთნულდზე დაღუპვა გახდა, თუმცა პიესაში სულ სხვა, ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ყოფითი, ზნეობრივი და მოქალაქეობრივი სამყაროს დაპირისპირებაა აღწერილი. ,,თეთნულდი'' 1932 ს. ახმეტელმა დადგა შოთა რუსთაველის სახ. თეატრში. **დ**-ის პიესებიდან აღსანიშნავია რევოლუციურ თემაზე შექმნილი ,,ნაპერწკლიდან'' (1937). მასვე ეკუთვნის გადმოკეთებული და ინსცენირებული 30 პიესა, რ-თაგან გამოირჩევა ,,ჩატეხილი ხიდი'' და ,,ნინოშვილის გურია''.


შ. დადიანი.

მრავალფეროვანია **დ**-ის პროზაული მემკვიდრეობა. თავიდან წერდა მინიატიურებსა და მცირე ზომის მოთხრობებს ყოფით და რევ. თემებზე. პირველი დიდი პროზაული ნაწარმოები ,,უბედური რუსი'' (საბჭ. ცენზურის მოთხოვნით სათაური შეიცვალა და დაერქვა ,,გიორგი რუსი'') შედარებით გვიან, 1916–24 დაწერა. თამარ მეფის ეპოქის ამსახველი ეს ნაწარმოები ფაქტობრივად საბჭ. პერიოდის ქართ. მწერლობის პირველი ისტ. რომანია. წარსულის ღრმად გააზრებისა და მაღალმხატვრული წარმოსახვის წყალობით ავტორს ამ რომანმა დიდად გაუთქვა სახელი. მწერალს ჩაფიქრებული ჰქონდა შეექმნა ეპიკური ტილო, ტრილოგია ,,მენჯი რობუ'', XIX–XX სს. მიჯნისა და რევოლუციების ეპოქის საქართველოს ისტ. ყოფის ამსახველი თხზულება. დასრულებული სახით ტრილოგიის მხოლოდ პირველი წიგნი – ,,გვირგვილიანების ოჯახი'' გამოქვეყნდა 1954. დაუმთავრებელი დარჩა ისტ. რომანი ,,ურდუმი'', რ-ის თემა იყო სამეგრელოს 1857 აჯანყება. ნაწყვეტები იბეჭდებოდა ჟურნ. ,,მნათობში'' (1945–47). სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწერა მდიდარი მასალის შემცველი მოგონებათა წიგნი ,,რაც გამახსენდა'', რ-ის ცალკეული თავები ჟურნ. ,,ცისკარში'' (1958–59) დაიბეჭდა, 1959 კი მთლიანად გამოიცა ცალკე წიგნად. 1950–54 გამოვიდა **დ**-ის ლიტ.-კრიტ. და

პუბლიც. წერილების ორი ტომი. მისივე დაწერილია ფილმ ,,არსენა ჯორჯიაშვილის'' სცენარი და ოპერა ,,პატარა კახის'' ლიბრეტო. თარგმნილი აქვს უ. შექსპირის, ფ. შილერის, ჯ. ბაირონის, გ. ჰაუპტმანისა და სხვათა თხზულებები.

დ. არაერთი საზ.-ეროვნ. საქმის მოთავე იყო. 1913 მისი თაოსნობით ბათუმში დაარსდა ქართ. დრამ. საზ-ბა. 1914 მისივე ინიციატივით ჩატარდა სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა (საპატიო თავმჯდომარე – ა. წერეთელი, მდივანი – დ.). დ. იყო ქართვ. მსახიობთა კავშირის (დაარსდა 1917) პირველი თავ-რე, საქართვ. ხელოვნ. მთ. სამმართველოს უფროსი (1928), მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მუდმივი წევრი, თეატრ. საზ-ბის თავმჯდომარე (1950–59).

დ-ს მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. დაკრძალულია ქართვ. მწერალთა და საზ. მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

თხზ.: პიესები, ტ. 1– 2, ტფ., 1923–34; რჩეული თხზულებანი, ტ. 1–5, თბ., 1958–62.

ლიტ.: ბურთიკაშვილი ა., შალვა დადიანი, თბ., 1952; ციციშვილი გ., შალვა დადიანი. ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1974.

გ. გვერდწითელი.




მ. დადიანი-ანჩაბაძე.

დადიანი ცოტნე შერგილის ძე, საქართველოს დიდგვაროვანი ფეოდალი (XIII ს. I ნახევარი). უმეფობის ხანაში მონღოლებმა დ. რაჭის ერისთავთან ერთად დას. საქართვ. გამგებლად დანიშნეს. მონაწილეობდა *კოხტასთავის შეთქმულებაში*, რ-ის მიზანი იყო მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება. მონღოლებმა შეთქმულების მონაწილენი დაუპატიმრეს და ანისში მონღოლთა ნოინს მიჰგვარეს. გამოტეხის მიზნით ისინი მცხუნვარე მზეზე დასხეს. დ. შემთხვევით გადაურჩა დაპატიმრებას (აჯანყებისათვის ჯარს აგროვებდა დას. საქართველოში). ჟამთააღმწერლის ცნობით, როდესაც დ-მა შეთქმულების მონაწილეთა ამბავი შეიტყო, ანისში ჩავიდა და ნებაყოფლობით გაიზიარა თანამოძმეთა ხვედრი. დ-ის გმირულმა საქციელმა მონღოლთა ნოინი დაარწმუნა ქართველთა სიმართლეში და ყველა გაათავისუფლა. დ. საქართვ. ისტორიაში შევიდა როგორც თანამოძმეთათვის თავდადების სიმბოლო. დ., სავარაუდოდ, გამოსახულია ხობის ეკლესიის უძველეს ფრესკაზე. 1999 ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. ხსენების დღეა 30 ივლისი (12 აგვისტო).

ლიტ. იხ. სტ-თან დადიანები.

თ. ბერაძე.



,,ცოტნე დადიანი''. მოქანდაკე ე. ამაშუკელი. არქიტექტორი ვ. დავითაია. 1996. ფოთი.

დადიანი ჯოდორ მიხეილის ძე (22. VIII. 1922, სოფ. აბედათი, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 10. VII. 1998, თბილისი), პედაგოგი. პროფესორი (1991), პედ. მეცნიერებათა საზ. აკად. (ახლანდ. განათლების მეცნ. აკადემია) ნამდვ. წევრი (1995), ამავე აკადემიის ჟურნ. ,,მოამბის'' მთ. რედაქტორი (1998). 1945 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. მუშაობდა მარტვილის, დმანისის, გუდაუთის რ-ნების განათლების განყოფილებათა სასკოლო ინსპექტორად, ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად. 1961-იდან იყო ი. გოგებაშვილის სახ. პედ. ეროვნ. ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, 1989-იდან – წამყვანი მეცნ. თანამშრომელი. იკვლევდა ქართ. ენისა და ლიტ-რის სწავლების მეთოდიკის საკითხებს.

თხზ.: ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ., 1968; ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების სწავლება, თბ., 1981; აკაკი წერეთელი, თბ., 1990; ილია ჭავჭავაძე, თბ., 1997; ქართველი რომანტიკოსები, თბ., 1998.

კ. მაჭარაშვილი.

დადიანი-ანჩაბაძე მარიამ ნიკოლოზის ასული (18. II. 1870, სვირი, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 28. XII. 1958, თბილისი), საზოგადო მოღვაწე. შ. *დადიანის* და. მარიამის მამისთვის მიუღებელი იყო მაშინდელ სასწავლებლებში არსებული აღზრდისა და სწავლების რუსიფიკატორული პრინციპები და შვილს საკუთარ სახლში მიაღებინა განათლება ქართ. და ფრანგულ ენებზე. დ.-ა. ცოლად გაჰყვა რუს. არმიის ოფიცერს, თავად ტ. ანჩაბაძეს და სოხუმში დასახლდა. XIX ს. დასასრულიდან XX ს. 30-იან წლებამდე აფხ. ეროვნ. და კულტ. ცხოვრებაში არ ყოფილა ისეთი მოვლენა, რ-იც დაკავშირებული არ იყო დ.-ა-ის სახელთან. 1909 მისი თაოსნობით სოხუმში შეიქმნა ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების'' სოხუმის განყოფილება, რ-ის უცვლელი თავ-რე მის გაუქმებამდე (1926) თვითონ იყო. ამ განყოფილების ინიციატივით სოხუმში გაიხსნა ქართ. სკოლა (1910), რ-ის დირექტორად დ.-ა-ის შუამდგომლობით დანიშნეს ნ. ჯანაშია. მისივე ინიციატივით აფხ. რ-ნებშიც გაიხსნა ქართ. სკოლები და ქართ. ენის შემსწავლელი კურსები, ჩამოყალიბდა აფხ. საგანმან. საზ-ბა. დიდია აგრეთვე მისი ღვაწლი აფხ. სასცენო ხელოვნ. განვითარებაში. დ.-ა-ის თაოსნობით სოხუმის ინტელიგენცია აწყობდა საღამოებს. მისი აქტ. მონაწილეობით 1914 ჩამოყალიბდა აფხ.-ქართ. ვოკალურ-ქორეოგრ. ანსამბლი ძ. *ლოლუას* ხელმძღვანელობით. 1917–21 დ.-ა. აფხ. ეროვნ. საბჭოს წევრი იყო. მთელი ცხოვრების მანძილზე იღვწოდა ქართ.-აფხ. ურთიერთობების განსამტკიცებლად.

გ. ანჩაბაძე.

დადიანი-მიურატი სალომე დავითის ასული (1848, ზუგდიდი, – 1913, პარიზი), სამეგრელოს მთავრის *დავით დადიანისა* და *ეკატერინე დადიანის* ქალიშვილი. 1868 პარიზში ცოლად გაჰყვა ნაპოლეონ I-ის მარშლისა და სიძის, ნეაპოლის ყოფილი მეფის იოაჰიმ მიურატის შვილიშვილს, იმპერატორ ნაპოლეონ III-ის ფლიგელ-ადიუტანტს, პრინც აშილ შარლ ნაპოლეონ *მიურატს*. ჯვრის-წერა ტუილრის სასახლის კარის ეკლესიაში ნაპოლეონ III-ისა და დედოფალ ეჟენია მინტიხის თანდასწრებით აღსრულდა. ახალშეუღლებულ წყვილს საფრანგეთის იმპერატორმა პარიზში მონსოს ბაღის მახლობლად მდებარე პერეირასის სასახლე უყიდა.

1873 ნაპოლეონ III-ის გარდაცვალების შემდეგ დადიან-მიურატების ოჯახი სამეგრელოში დასახლდა, სადაც დ.-მ-მა სოფ. სალხინოსა და ჭკადუაშში დას. სა-

ქართვ. ერთ-ერთი პირველი მსხვილი რაციონალურ-კაპიტალ. ტიპის სანომუშო მეურნეობა მოაწყო. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას აქცევდა და სენაკის მაზრის დიდ ფართობებზე გაშენებულ ვენახებში ოჯალეშის ჯიშის საუკეთესო ყურძენი მოჰყავდა. წლების განმავლობაში მისი მეურნეობა თანდათან ფართოვდებოდა და სამეგრელოს სხვადასხვა სოფლებში რამისა და დაფნის ვრცელ პლანტაციებსაც მოიცავდა. აღსანიშნავია, რომ დ.-მ-ის მეურნეობა ძირითადად დაქირავებულ მუშახელს ემყარებოდა და ვალდებულ გლეხთა შრომა ნაკლებად გამოიყენებოდა. მეუღლის ტრაგიკულად დაღუპვის (1895) შემდეგ,



ს. დადიანი-მიურატი და ა. მიურატი.

პრინცესა სალომე საცხოვრებლად პარიზში გადავიდა და იქვე გარდაიცვალა.

ლიტ.: ბენდიანიშვილი ა., კაპიტალისტური მეურნეობები საქართველოს სოფელში XIX–XX სს. მიჯნაზე, «მაცნე», 1968, №3; დადიანების სასახლეების საგანძური. პროექტისა და გამოცემის ავტ. გ. კალანდია, თბ., 2003; კალანდია გ., გაძარცული საგანძური, თბ., 2006; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970.

გ. გ. ლორთქიფანიძე.

დადიაში, მთა მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, სვანეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში. სიმაღლე ზ. დ. 3536 *მ.* აგებულია ლიასური თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. მთაზე არის მცირე ზომის მყინვარი. კალთები ძლიერ დანაწევრებული და გაშიშვლებულია. შემორჩენილია რელიეფის ძველი მყინვარული ფორმები.

დადიშქელიანები, დადეშქელიანები, ფეოდალური საგვარეულო სვანეთში. იხსენიება XIII–XIV სს-იდან. XVIII ს-ში დ-მა საბოლოოდ დაძლიეს თავიანთი მეტოქე რიჩგვიანები, დაიმორჩილეს ზემო სვანეთის დასავლეთი ანუ ბალსქვემო ნაწილი და შექმნეს პატარა სამთავრო, რ-ის ფაქტობრივი ფუძემდებელი ბაბაციოყი (გ. 1812) იყო. შინააშლილობის გამო დ-ის სამთავრო XIX ს. 20-იან წლებში ორად გაიყო. 1833 დ-მა რუს. ქვეშევრდომობა მიიღეს. მეფის მთავრობამ ციოყი (მიხეილი) ჩუბეხევის, ხოლო თათარყანი (ნიკოლოზი) ეცერ-ცხუმარ-ბეჩოს მფლობელად ცნო. რუს. მფარველობაში შესული დ. თვითონ მართავდნენ თავიანთ სამფლობელოს და მეფის მოხელეებს ნაკლებად ემორჩილებოდნენ. 1841 მეფის არმიაში მყოფი ციოყი ჩრდ. კავკ. მთიელებთან ბრძოლაში დაიღუპა. თათარყანმა ციოყის მემკვიდრეების – კონსტანტინეს, ალექსანდრეს, ისლამის, თენგიზისა და ციოყის – მეურვეობის უფლება მოითხოვა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. თათარყანის გარდაცვალების (1850) შემდეგ, 1855, ისლამ და თენგიზ დ-მა მოკლეს თათარყანის მემკვიდრე ჯანსუღი. 1857 მეფის მთავრობამ სამთავრო გააუქმა და ჩუბეხევის დ. სამუდამოდ რუს. შორეულ გუბერნიებში გადაასახლა, ეცერ-ცხუმარ-ბეჩოს მფლობელ დ-ს კი ძვ. უფლებები ჩამოართვეს და რიგით მემამულეებად გამოაცხადეს.

ლიტ.: გაბლიანი ე., ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925; გასვიანი გ., სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატიანე, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1972, №2; მისივე, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973.

გ. გასვიანი.

დადიშქელიანი ალექსანდრე (ბექირბი) მიხეილის (ციოყის) ძე (1828, სოფ. ფარი, ახლანდ. მესტიის მუნიციპალიტეტი, – 1887, რუსეთი, ეკატერინოსლავის გუბ. მელიტოპოლის მაზრა), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1874), ტოპოგრაფი, გეოგრაფი. დაამთავრა პეტერბ. თავადაზნაურთა სამხ. სასწავლებელი და ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში მიიღო ოფიცრის ჩინი. 1843 დ. ხანგრძლივი შვებულებით სვანეთში დაბრუნდა და უფროს ძმასთან – კ. *დადიშქელიანთან* ერთად ჩუბეხევის სამფლობელოს სათავეში ჩაუდგა. 1857 კონსტანტინემ მოკლა ქუთ. გენ.-გუბერნატორი ა. *გაგარინი,* ამის გამო დ. ირკუტსკში გადაასახლეს. თავდაპირველად იგი ბაიკალის კაზაკთა ცხენოსან ლეგიონში მსახურობდა (1863-იდან პოლკოვნიკი), შემდეგ აღმ. ციმბირის გენ.-გუბერნატორის ნ. მურავიოვ-ამურსკის ადიუტანტი გახდა. გადასახლებაში ყოფნის დროს ეწეოდა სამეცნ. საქმიანობას. 1880–84 იყო კორეაში. მას ეკუთვნის ამურის მხარის გეოგრ. აღწერა და კორეის გეოგრ.- პოლიტ. მიმოხილვა. დ-ის მეცნ. გამოკვლევებმა მაღალი შეფასება მიიღო და დაიმსახურა მთავრობის ჯილდოები: წმ. ანას, წმ. სტანისლავისა და წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენები.

ლიტ.: ავალიანი გ., რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1967; გასვიანი გ., დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973; ზარდალიშვილი გ., გამოჩენილი ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები, თბ., 1966; Гогитидзе М., Военная элита Кавказа, I, Тб., 2007.

გ. გასვიანი.

დადიშქელიანი გიორგი (ჯანსოხ) თენგიზის (ნიკოლოზის) ძე (23. VIII. 1858, მესტია, – 1921), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1917). დაამთავრა თბილ. კლასიკური გიმნაზია და იუნკერთა სასწავლებელი. 1876-იდან მსახურობდა ერევნის ლაიბგვარდიის გრენადერთა პოლკში. მონაწილეობდა რუს.-ოსმ. ომში (1877–78), თავი გამოიჩინა არდაჰანის ციხესიმაგრის აღებისას, სადაც დაიჭრა. 1885-იდან მუშაობდა ქუთ. გუბერნიაში ოზურგეთის, ზუგდიდის, რაჭის, ქუთ. მაზრების უფროსის მოადგილედ და უფროსად, ქუთ. ვიცე-გუბერნატორად. 1906 გადაიყვანეს ყარსის ოლქის გუბერნატორად, 1908-იდან – დაღესტნის სამხ. გუბერნატორის თანაშემწედ. 1912–15 სამხ. სამსახურთან ერთად ბაქოს ოკრუგის საპატიო სამოქალაქო მოსამართლის მოვალეობასაც ასრულებდა. 1915–17 იყო დაღესტნის სამხ. გუბერნატორი. 1917 თადარიგში გავიდა. დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებითა და საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის კომანდორის ჯვრით.

ლიტ. იხ. სტ-თან დადიშქელიანი კ.

გ. გასვიანი.

დადიშქელიანი დიგორხან (გ. 1843), ჩუბეხევის (სვანეთი) მთავარი. ჩოლურის მფლობელის გარდაფხაძის ასული. მეუღლის – მოსოსტრის – გარდაცვალების შემდეგ, 1821–43, ჩუბეხევის ფაქ-



გელოვან-დადიშქელიანების გერბი.

ტობრივი გამგებელი გახდა. 1841-იდან კი მეფის არმიაში დაღუპული ვაჟის – ციოყის – ექვს მცირეწლოვან შვილს მეურვეობდა. **დ.** რუს. ორიენტაციისა იყო. 1833 მან თავისი ინიციატივით ჩუბეხევი რუს. დაუქვემდებარა. **დ.** ძლიერი ნებისყოფის ენერგიული მმართველი იყო. 1843 ეცერ-ცხუმარ-ბეჭოს მფლობელი თათარყან დადიშქელიანი თავს დაესხა **დ.**-ის რეზიდენციას. **დ.** კარგა ხანს თავს იცავდა. ბოლოს ცეცხლმოკიდებული კოშკიდან გადმოხტა და დაიღუპა.

ლიტ. იხ. სტ-თან დადიშქელიანი. *გ. გასვიანი.*



კ. დადიშქელიანი.

დადიშქელიანი კონსტანტინე (მურზაყან) მიხეილის (ციოყის) ძე (1826, სოფ. ფარი, ახლანდ. მესტიის მუნიციპალიტეტი, – 1857, ქუთაისი), სვანეთის უკანასკნელი მთავარი. ადრე დაობლებულს ბებია – დ. *დადიშქელიანი* – მეურვეობდა. მანვე შეასწავლა წერა-კითხვა და რამდენიმე ენა. **დ.**ს მტრობდნენ ეცერ-ცხუმარ-ბეჭოს დადიშქელიანები და სამეგრელოს, აფხ. და ჩრდ. კავკ. ზოგიერთი მფლობელი. 1857 ცარიზმის მიერ სვანეთის სამთავროს გაუქმებასა და მთავრის საქართველოდან გასახლების განზრახვასთან დაკავშირებით **დ.**-მა მოკლა ქუთ. გენ.-გუბერნატორი ა. *გაგარინი* და მისი სამი მსახური, ხოლო რამდენიმე ჯარისკაცი დაჭრა. 1857 შემოდგომაზე სამხ.-საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით **დ.** ქუთაისში დახვრიტეს. 1862 გუბერნიის ერთ-ერთი მოხელის ნებართვით მისი ნეშტი ქუთ. წმ. გიორგის ეკლესიაში გადაასვენეს.

წყარო: ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი კ., სამეგრელო და სვანეთი. 1854–1861, ტფ., 1934.

ლიტ.: გ ა ბ ლ ი ა ნ ი ე., ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925; გ ა ს ვ ი ა ნ ი გ., დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973. *გ. გასვიანი.*

დადუნაშვილი არჩილ სერაპიონის ძე (16. X. 1916, ქუთაისი, – 30. VIII. 1997, იქვე), ენერგეტიკოსი, ხელსაწყოთმშენებელი. საქართვ. დამს. ინჟინერი (1978), გამომგონებელი (1991). ტექ. მეცნ. კანდიდატი (1962). 1940 დაამთავრა საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტის ენერგეტიკის ფაკ-ტი. 1932 წ. 16 წლისამ მუშაობა დაიწყო რიონჰესის მშენებლობაზე. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. 1947–69 მუშაობდა ,,საქენერგოს'' დას. საქართვ. ენერგოსისტემაში. ამ პერიოდში მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა დას. საქართველოში არსებული ენერგოსისტემის რეკონსტრუქცია, აშენდა ახ. ობიექტები, მოხდა მათი ავტომატიზაცია. სისტემაში დაინერგა მისი გამოგონებები. 1969–91 მუშაობდა ქუთ. სპეც. საკონსტრუქტორო ბიუროს დირექტორად. 1958-იდან ეწეოდა პედ. საქმიანობას. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, აქვს 39 გამოგონება. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დადუნაშვილი სერგო არჩილის ძე (დ. 1. I. 1949, ქუთაისი), ინჟინერ-ელექტრიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1996), საინჟ. აკადემიის ნამდვ. წევრი (2000), ბიოენერგეტიკული ტექნოლოგიების ინ-ტის დირექტორი, გამომგონებელი. დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1971). 1971–81 მუშაობდა სპეც. საკონსტრ. ბიურო ,,ანალიზხელსაწყოში'', 1981–91 – ინფორმატიკის ინ-ტის დირექტორის მოადგილედ. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერული მეთოდებისა და ინფორმაციის გავრცელების ქსელური ტექნოლოგიების დანერგვაში. ეწევა აგრეთვე პედ. საქმიანობას.

დ.-ის სამეცნ. კვლევის ძირითადი მიმართულებაა: სისტემათა თეორია, ნანოტექნოლოგიების, მ. შ. ნანოელექტრონული მოწყობილობების მოდელირება. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომისა და პატენტის ავტორი.

თხზ.: ტექნიკური ობიექტების სისტემების განვითარების პროცესების ანალიზი კატასტროფების თეორიის გამოყენებით, კრ.: მართვის თეორია. სინერგეტიკა, წგ. 3, თბ., 2000; ნანოტექნოლოგიების შესავალი, თბ., 2002; Sensor Based on Nanomaterial of Biological Origin. – «IEEE-NANO 2002», Wash., 2002.

დავათი, დ ა ო თ ი, დ ა ვ ა ლ თ ი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ლაფანაანთკარის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ქართლის ქედის დას. კალთაზე, არაგვის მარცხ. შენაკადის – აბანოსხევის სათავეში. ზ. დ. 1160 *მ,* დუშეთიდან 24 *კმ,* მცხეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 34 *კმ.* 212 მცხ. (2002).

დ., ანუ დაოთი, ერთ-ერთი უძველესი ქართ. სოფელია. იგი მოხსენიებულია 1170 გიორგი III-ის მიერ განახლებულ სიგელში, რ-იც ადრე გაუცია კვირიკე კახთა მეფეს. სოფლის სამხრ.-აღმოსავლეთით მდებარეობს ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი *დავათის ღვთისმშობლის ეკლესია.*

დავათის სტელა, VI ს. მიწურულის ქართული საკულტო-მემორიალური ძეგლი. მიაკვლია ჟინვალის არქეოლ. ექსპედიციის მზვერავთა რაზმმა 1980 სოფ. დავათის მახლობლად (დუშეთის მუნიციპალიტეტი), მდ. არაგვის მარცხ. შენაკადის – აბანოსხევის (ძვ. ნოკორნისხევი) – სათავესთან, ღვთისმშობლის ეკლესიის (VIII–IX სს.) ინტერიერში. იგი სხვა ანალოგიური სტელების ნაწილებთან ერთად მშენებლებს შესამკობად ჩაუშენებიათ ნავების გამმიჯნავი ბურჯის კუთხეებში. ჟინვალის არქეოლ. ექსპედიციამ 1984 სტელების ნაწილები ბურჯიდან გამოიღო. ამჟამად ინახება სა-



დავათის სტელა. VI ს. დასასრული.

ქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში.

ქართ. მეცნიერებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთ-ერთი სტელათაგანი. მის ერთ წახნაგზე გამოსახული ფეხზე მდგომი ღვთისმშობელი, რ-საც ყრმა ქრისტე უჭირავს ხელში, ადრინდ. ქრისტ. სახვით ხელოვნებაში ფართოდ გავრცელებული პანაგიის იკონოგრაფიულ ტიპს მიეკუთვნება. მისი პარალელები როგორც ჩვენში (ბოლნისი, ხანდისი, ბურდაძორი), ისე ქრისტ. აღმოსავლეთის (სირია, პალესტინა, ეგვიპტე, საბერძნეთი, ყირიმი, კავკასია) რელიკვიებში მრავლად გვხვდება და ძირითადად VI ს. II ნახევრით თარიღდება. საზოგადოდ კი ღვთისმშობლის გამოსახულების ქვედა ქრონოლ. მიჯნად

მიჩნეულია 431 წელი, როდესაც ეფესოს III საეკლ. კრებამ მარიამი ოფიციალურად შერაცხა ღვთისმშობლად.

დ. ს-ის იმ წახნაგზე, რ-იც 1984-მდე უხილავი რჩებოდა, გამოსახულია ორი განცალკევებული სკულპტურული კომპოზიცია. ზედა მონაკვეთი ეთმობა ქრისტ. იკონოგრაფიაში კარგად ცნობილ განდიდების კომპოზიციას, ოღონდ ფეხზე მდგარი მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები განადიდებენ არა კანონიკურ მაცხოვარს, ჯვარს ან ღვთისმშობელს, არამედ დიდების შარავანდში ჩაწერილ ქართულ ასომთავრულ ანბანს. მთავარანგელოზებს მაღლა აღმართულ ხელში დიდების შარავანდის ზედა ნაწილი უპყრიათ, ხოლო მეორე ხელი ჩაჭიდებული აქვთ მის შუა ნაწილზე, ისე რომ შარავანდი იმავე დროს გადახსნილი გრაგნილის შთაბეჭდილებასაც ტოვებს. ქართ. ასომთავრული ანბანის (ქართ. დამწერლობა) განდიდების კომპოზიცია სემანტიკურად ზუსტად ეხმაურება *იოანე-ზოსიმეს* სახელით ჩვენამდე მოღწეულ თხზულებას ,,ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ'', რაც იმის დასტური უნდა იყოს, რომ აღნიშნული თხზულების მთავარი იდეა და სიმბოლიკა **დ. ს**-ზე უფრო ადრე თუ არა, მისი შექმნის ხანაში მაინც უკვე არსებობდა.

დ. ს. სტილისტურ-იკონოგრაფიული თვალსაზრისით, ხანდისის, ბოლნისის, მცხეთის ჯვრის, ჟალეთისა და ბურდაძორის VI ს. სტელების მსგავსია. შარავანდში ჩაწერილი ქართ. ასომთავრული ანბანი სტელის სინქრონულია როგორც ლოგიკურად და კომპოზიციურად, ისე პალეოგრაფიულად: თითქმის ყველა გრაფემა, რ-იც V–VII სს-ში თავშეკრულად იწერებოდა, აქაც თავშეკრულია. **დ. ს**-ის ასომთავრული ანბანის სამ გრაფემას (,,ჯ'', ,,ტ'', ,,კ'') თავზე დასმული აქვს ე. წ. პატივის (ქარაგმის) ნიშანი, რითაც ხაზგასმულია მათი რიცხვითი მნიშვნელობა – 5320, რაც ქართ. ქრონიკონული სათვალავით ძვ. წ. 285/4 წელს მიუთითებს. ეს არის ქართ. საისტორიო ტრადიციის მიხედვით პირველი ქართვ. მეფის ფარნავაზის მიერ ქართ. დამწერლობის შექმნის თარიღი.

ქართ. ასომთავრული ანბანის განდიდების კომპოზიციის ქვეშ, ჩარჩოთი შემოსაზღვრულ არეზე, გამოსახულია დიდებულთა სამოსში გამოწყობილი ორი მამაკაცი. მათი დგომა, ჟესტიკულაცია და მოძრაობის მიმართულება ამ სცენას აზრობრივად უქვემდებარებს ქართ. ანბანის განდიდების თემას. საერო პირები უშუალო კავშირში ჩანან ქართ. დამწერლობასთან.

დ. ს-ის განსაკუთრებულ ღირებულებას ქართ. კულტურის ისტორიისათვის ადასტურებს შემდეგი: 1. ხელთა გვაქვს უძველესი და სრული ქართული ანბანი ,,ანიდან'' ,,ჰოემდე''; 2. დადასტურდა, რომ ,,ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ'' თავისი მთავარი სიმბოლიკითა და იდეით უკვე არსებობდა VI ს-ში და იგი გულისხმობდა როგორც ქართულ ენას, ისე დამწერლობას; 3. **დ. ს**-მ ასახა სხვა წყაროებით კარგად ცნობილი ,,ყოველი ქართლის'' შეკრების, ქართ. სახელმწიფოებრიობის აღდგენის, პერიფერიებში ქართ. ენის გაბატონებისათვის ბრძოლის ხანა. სტელა თვითონ არის ამ ბრძოლის იდეოლოგიური ლოზუნგი; 4. გაირკვა, რომ VI ს. საქართველოში უკვე ცნობილი იყო ქართული 532-წლიანი ქორონიკონი და ეროვნ. დასაბამითგანი – 5604; 5. VI ს-ში ქართ. ასომთავრული ანბანი მიაჩნდათ ძვ. წ. 285/4 შექმნილად, რაც ზუსტად ემთხვევა XI ს. ავტორის ლეონტი მროველის ცნობას ფარნავაზ მეფის მიერ ქართ. დამწერლობის შექმნის შესახებ.

ლიტ.: ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი გ., ალექსიძე ზ., აღმოჩენა არაგვის ხეობაში, «კომუნისტი», 1985, 19 მაისი, № 115; მ ა ჩ ა ბ ე ლ ი კ., დავათის ქვასვეტის ადგილი ქართული პლასტიკური ხელოვნების განვითარებაში, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1991, №1; ნ ა რ ს ი ძ ე გ., დავათის ქვა-ჯვარი, «მნათობი», 1987, № 4, 8; პ ა ტ ა რ ი ძ ე რ., დავათის ქვა-ჯვრის ქართული ანბანი, იქვე, 1987, № 3; რ ა მ ი შ ვ ი ლ ი რ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, იქვე, 1986, № 8; წ ე რ ე თ ე ლ ი კ., სტელები სოფ. დავათის ღვთისმშობლის ეკლესიიდან, «ძეგლის მეგობარი», 1984, № 68.

გ. აბრამიშვილი. ზ. ალექსიძე.

დავათის ღვთისმშობლის ეკლესია, VIII–IX სს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს სოფელ *დავათის* (დუშეთის მუნიციპალიტეტი) სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლ. 300 *მ*-ზე, ტყით დაბურულ მთის წვერზე. ძეგლი ნაგებია რიყის ქვის მეტ-ნაკლებად სწორხაზოვნად ნაწყობი რიგებით. გარე კუთხეები, პილასტრები, კარ-სარკმლის წირთხლები და თაღები, აფსიდის კუთხეები და ლავგარდანი სუფთად გათლილი შირიმის ქვითაა გამოყვანილი. ეკლესია ორნავიანია. სამხრ-იდან (მთელ სიგრძეზე) ეკვრის აფსიდიანი ვიწრო ეგვტერი. ეკლესიის მთავარი და ჩრდ. ნავები ერთმანეთთან დაკავშირებულია ორი ფართო და მაღალი ნალისებრი თაღით და ერთიან სივრცეს ქმნიან. მთავარი ნავი, აღმ-ით დასრულებულია ოდნავ ნალისებრი მოხაზულობის აფსიდით. ჩრდ. ნავის აღმ. ნაწილში გეგმით სწორკუთხა სამკვეთლოა, რ-საც შესასვლელი ჩრდ. ნავიდან აქვს. ეკლესიის ერთადერთი კარი ეგვტერის დას. კედელში ყოფილა გაჭრილი. მოგვიანებით (განვითარებულ შუა საუკუნეებში) ეკლესიას დას. მხრიდან მიაშენეს პატარა სამლოცველო, შემდეგ კი – სენაკი კამაროვანი აკლდამით, რ-მაც ეკლესიის თავდაპირველი შესასვლელი დაფარა. ამიტომ ახ. კარი ეგვტერის იმხანად განახლებულ სამხრ. კედელში მოუწყვიათ.

XIV–XV სს-ში ეგვტერის სამხრ. კედლის დას. ნაწილზე ორსართუ-



დავათის ღვთისმშობლის ეკლესია. VIII–IX სს.

ლიანი კოშკი მიადგეს, რ-ის პირველი სართული ეკლესიის კარიბჭის დანიშნულებას ასრულებდა.

ეკლესიის მთავარი და ჩრდ. ნავების დამაკავშირებელი თაღები გეგმით კვადრ. ბურჯს ეყრდნობა. ბურჯის წყობაში ჩართული იყო მხატვრულად გაფორმებული და ასომთავრული წარწერებით შემკული რამდენიმე ქვასვეტის ნაწილი.

რ. რამიშვილი, რ-ის ხელმძღვანელობით 1985–88 მიმდინარეობდა ეკლესიის არქეოლოგიური გათხრები, **დ. ღ. ე**-ის ეკლესიას VI ს. II ნახევრით ათარიღებს და კახეთში იმ დროისათვის გავრცელებულ სამნავიანი ბაზილიკების ტიპს აკუთვნებს (მატანის ცხრაკარა, ახმეტის ღვთაება). მისი აზრით, ქვასვეტების ერთი ნაწილი ბოლნისის სიონის ტიპისაა, მეორე ნაწილი კი – უფრო ადრინდ. ხანისა.

ლიტ.: რ ა მ ი შ ვ ი ლ ი რ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, «მნათობი», 1986, № 8; საქარ-



ი. დავიდი.

თველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, თბ., 2004.

თ. დვალი. კ. მაჩაბელი.

დავაკრანი, მთა ჯავახეთის ქედზე, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 2820 *მ.* აგებულია პლიოცენური ანდეზიტ-ბაზალტური ლავებით. აქვს დამრეცი კალთები და გუმბათისებრი ფორმა. შემოსილია ალპ. და სუბალპ. მდელოებით.

დავბერი, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის კალის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს, ხალდეჭალის შესართავთან. ზ. დ. 1800 *მ,* მესტიიდან 35 *კმ.* 44 მცხ. (2002).

დავთარი (ბერძნ. diphtera – ტყავი, სპარს. – defteri, პერგამენტის მნიშვნელობით), თავდაპირველად აღნიშნავდა წოდებათა სიას, შემდეგ – ყოველგვარი აღწერის სიას. IX ს-იდან იწყება ქაღალდის ხმარება და ამ დროიდან მოყოლებული **დ.** აღნიშნავს ადმ. რეესტრსა და საგადასახადო წიგნს.

უცხ. დამპყრობლების მიერ საქართვ. აღწერის ყველაზე ადრინდ. ცნობა ეკუთვნის ჯუანშერს. მისი გადმოცემით, არაბთა შემოსევების დროს კავკ. და საქართვ. დატოვების წინ (VII ს. 40–50-იან წწ.) ,,დათვალნეს განძი იგი მათნი. . . შეატანინეს საგანძურისა გუჯარნი და აღწერეს ნათესავი თვისი და ქვეყანა‘‘. საქართველოს აღწერა ჩატარდა მონღოლების ბატონობის დროს. 1254 მონღოლებმა აღწერეს როგორც მოსახლეობა, ისე მეურნეობის ყველა დარგი. 1742, ყიზილბაშობის დროს, ქართლის სამეფო ისევ აღწერეს: ,,რაც ძველი ნასოფლარი სადმე იყო, ყველგან ზომეს მიწები საბლით, სრევი დასდვეს, ეგრევე ამ სახით შენობა სადმე იყო, დიდი სრევი დასდვეს‘‘ (პაპუნა ორბელიანი).

ჩვენამდე მოაღწია როგორც სამხრ. საქართველოსათვის, ისე ქართლის სამეფოსათვის შედგენილმა ოსმალურმა **დ**-ებმა (საქართველოსათვის შედგენილი მონღოლური, სპარს. და სხვ. **დ**-ები არ მოგვეპოვება, მათ შესახებ ვიცით მხოლოდ ის, რაც წერილობით წყაროებშია დაცული). არსებობს 1573/4 ,,გურჯისტანის კანუნნამე‘‘, რ-იც გამოსცა ო. ბარქანმა თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივში დაცული 1573/4 შედგენილი გურჯისტანის ლივის აღწერის დიდი **დ**-ის საფუძველზე.

საფიქრებელია, რომ სამცხე-საათაბაგოს პირველი **დ.** უნდა შედგენილიყო XVI ს. შუა წლებში, როდესაც ოსმალებმა დაიპყრეს სამცხე-საათაბაგოს დას. ნაწილი და იქ სანჯაყები დააარსეს. 1595 ოსმალებმა სამცხე-საათაბაგო აღწერეს და *,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი‘‘* შეადგინეს. 1595 შემდეგ ოსმ. მთავრობას სამცხე-საათაბაგო აღარ აუწერია. მაგრამ ფეოდალთა ლენების (მიწების) რეგისტრაციის მიზნით შეადგინეს *,,ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი‘‘.*

სულთნის ხელისუფლებამ ორჯერ სცადა ქართლის სამეფოს დაპყრობა და მისთვის **დ**-ების შედგენა (1578–1606 და 1723–32). 1578, ქართლის დაპყრობის შემდეგ, ოსმალებმა ქართლში საბეგლარბეგო დააარსეს, სანჯაყებად დაჰყვეს და შეუდგნენ **დ**-ის შედგენას, მაგრამ ქართვ. ხალხის მედგარი წინააღმდეგობის გამო ვერ შეძლეს ქვეყნის აღწერა. 1723 ოსმალებმა კვლავ დაიპყრეს თბილისი, ქართლის სხვა ციხე-ქალაქები და შეუდგნენ ქვეყნის გაოსმალებას. 1728 *,,თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი‘‘* შეადგინეს. დაახლ. ამავე დროს აღწერეს ოსმალებმა აღმ. ამიერკავკ. ქვეყნებიც და შეადგინეს **დ**-ები.

ქ ა რ თ უ ლ ი **დ**-ები. ი. ჯავახიშვილისა და ნ. ბერძენიშვილის აზრით, საქართველოში ხალხის აღწერის **დ**-ები XII ს-ში და უფრო ადრეც არსებობდა. XVII–XVIII სს. ქართ. წყაროებიდან ირკვევა, რომ ამ დროს ქართლის სამეფოში პერიოდულად ტარდებოდა ქვეყნის აღწერა, როგორც სამხედრო, ისე ფისკალური მიზნით. ამან ასახვა პოვა ვახტანგ VI-ის *დასტურლამალში.* სამეფო ხელისუფლების კანცელარიასთან არსებობდა დავთარხანე, რ-იც ამ საქმეებს განაგებდა. ქართლის სადროშოების აღწერის შედეგად ადგენდნენ 4 **დ**-ს. ქართლის სამეფოში აღწერა ყოველ 7 წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარებულიყო, ხოლო საქართვ. ტერიტორიაზე მცხოვრები მომთაბარე მოსახლეობისა – 3 წელიწადში ერთხელ. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მეწინავე სადროშოს (ქვემო ქართლი) 1721 აღწერის **დ**-მა. ცალკე ტარდებოდა ქალაქის (თბილისი, გორი, თელავი) მოსახლ. აღწერა. XVII ს-ში ხალხის აღწერის **დ**-ები კახეთის სამეფოშიც ყოფილა შემოღებული. ჯერჯერობით დას. საქართვ. ხალხის აღწერის **დ**-ები არ აღმოჩენილა. სადროშოების **დ**-ების გარდა, საქართველოში ცნობილია სათავადოების, მორიგი ჯარის, საეკლ. და სხვა **დ**-ებიც.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წგ. 1–2, თბ., 1967–74; მ ი ს ი ვ ე, ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში, «მოამბე», 1901, №4, განყ. II; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წგ. 1, გამოც. მე-2, თბ., 1930 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 4, თბ., 1996). *მ. სვანიძე.*

დავიდი იცხაკ ხაიმის ძე (ისაკ დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლი) (დ. 1946, თბილისი), ებრაელი მეცნიერი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1969). მუშაობდა თსუ-სა და ი. ჯავახიშვილის სახ. ისტ. და ეთნოლოგიის ინ-ტში მეცნ. მუშაკად. 1972 წავიდა ისრაელში. არის ისრაელის ბ. გაპონოვის სახ. კავკასიოლოგიური სამეცნ. ცენტრის დამფუძნებელი და თავმჯდომარე. 1975–76 მოაწყო ამ ცენტრისა და კავკასიიდან წასულ ებრაელთა გაერთიანების სამეცნ.-კვლ. ექსპედიცია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. 11 წელი იყო ისრაელის მთავრობის სპეც. მრჩეველი კულტ. და მეცნ. დარგში. ჩამოაყალიბა პოლიტ. ორგანიზაცია ,,ისრაელის ეროვნული მოძრაობა‘‘. არის ისრაელში დაარსებული საქართველოდან წასულ ებრ. მწერალთა კავშირის აქტ. წევრი.

ეწევა ნაყოფიერ მეცნ. მოღვაწეობას. მისი კვლევის მთ. თემაა ქართ.-ებრ., საქართვ.-პალესტინის ურთიერთობის, მცირე აზიისა და კავკ. ებრაელთა ისტ. შესწავლა-გაშუქება. ამ თემას მიუძღვნა ნაშრომი ,,კავკასიელ ებრაელთა ისტორია პალესტინაში‘‘, რ-იც 1982 გამოქვეყნდა ებრაულ ენაზე. მისი საინტერესო გამოკვლევაა ,,ქართული პალესტინიანა‘‘ და ფუნდამენტური ნაშრომი ,,კავკასიის ებრაელთა ისტორია‘‘ (ტ. 1–2, თელ-ავივი, 1989, რუს. ენაზე). ებრაულიდან ქართულად თარგმნა და კომენტარები დაურთო იეჰუდა ჰალევი ჩორნის თხზულებას ,,მოგზაურობა საქართველოში‘‘, რ-იც ძვირფასი წყაროა XIX ს. II ნახ. ქართვ. ებრაელთა ცხოვრების შესასწავლად. შრომები აქვს აგრეთვე ენათმეცნიერების, ძვ. ებრაული ფილოსოფიის, ესპანურ-არაბულ, ესპანურ-ებრ. პოეზიის შესახებ. შეისწავლა საქართველოში მოგზაური ევროპელების (ა. კონტარინი, ი. ბარბარო, ნ. ვიტსენი, ო. დაპერი) ცნობები და ჩანაწერები.

მისი მეცნ. მოღვაწეობის აღიარება იყო საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. უცხოელ წევრად არჩევა (1996). არის საქართველოს საპატიო მოქალაქე (1999).

დ. წერს ლექსებს ქართ., რუს., ინგლისურ, ესპანურ, არაბ., ებრ. ენებზე. ქართ., პოეზიას შესძინა ორიგინ. ლექსთა კრებულები. ამჟამად ცხოვრობს აშშ-ში.

თხზ.: სიონიზმის მაუწყებელნი საქართველოში, თელ-ავივი, 1976; ნაწერები, ტ. 1–2, თელ-ავივი – იერუსალიმი, 1978–80; ლანდები, თელ-ავივი, 1985; ზამთრის ყვავილები, თელ-ავივი, 1988; ლამაზი ქრისტიანი გოგო უფლის საფლავთან (პოემა), თელ-ავივი, 1993.

ლიტ.: შარაძე გ., იცხაკ დავიდი, მის წგ.: უცხოეთის ცის ქვეშ, წგ. 1, თბ., 1991. *ა. ციცაშვილი.*

დავიდოვა ვერა ალექსანდრეს ასული (17. IX. 1906, ნიჟნი-ნოვგოროდი, – 20. II. 1993, თბილისი), მომღერალი (მეცოსოპრანო) და პედაგოგი. რსფსრ (1951) და საქართვ. (1981) სახ. არტისტი, პროფესორი (1964), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1946, 1950, 1951). დ. *მჭედლიძის* მეუღლე. 1930 დაამთავრა ლენინგრადის კონსერვატორია (ე. დეგოს-სობოლევას კლასი). 1929–32 იყო ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის, ხოლო 1932–56 – სსრკ დიდი თეატრის სოლისტი.

1941–43 დიდი წარმატებით მღეროდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. 1959-იდან თბილ. კონსერვატორიის პედაგოგი იყო. მისი მოწაფეები იყვნენ მ. *ქასრაშვილი*, თ. *გურგენიძე* და სხვ. შესანიშნავი ხმისა და ბრწყინვალე სცენური გარეგნობის წყალობით **დ**-მ შექმნა ღრმა დრამატიზმითა და მასშტაბურობით გამორჩეული სახეები რუს. კლასიკურ და საზღვარგარეთულ ოპერებში, რ-თაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ლიუბაშა (ნ. რიმსკი-კორსაკოვის ,,მეფის საცოლე''), მარფა (ნ. მუსორგსკის ,,ხოვანშჩინა''), კარმენი (ჟ. ბიზეს ,,კარმენი''), ამნერისი (ჯ. ვერდის ,,აიდა'') და სხვ. პირველად თბილ. ოპერის სცენაზე შეასრულა კონჩაკოვნას (ა. ბოროდინის ,,თავადი იგორი''), დალილას (კ. სენ-სანსის ,,სამსონი და დალილა''), შარლოტას (ჟ. მასნეს ,,ვერთერი'') პარტიები. აღსანიშნავია **დ**-ს საკონცერტო მოღვაწეობაც (7 სოლო კონცერტისაგან შემდგარი ციკლი ,,რუსული რომანსის განვითარების გზა'', 1946; კლასიკური და თანამედროვე ქართ. რომანსების საღამო, თბილ., 1959). გასტროლებს მართავდა საზღვარგარეთაც.

ავტორია წიგნისა ,,მომღერლის სუნთქვა და ზოგიერთი რჩევა ხმის დაყენებისათვის'' (1966, დ. მჭედლიძესთან ერთად). მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

დავიდოვი დენის ვასილის ძე [16 (27). VII. 1784, მოსკოვი, – 22. IV (4. V). 1839, სოფ. ვერხნიაია-მაზა, ახლანდ. რადიშჩევის რ-ნი, ულიანოვსკის ოლქი], 1812 რუსეთის სამამულო ომის გმირი, სამხ. მწერალი და პოეტი, გენ.-ლეიტენანტი (1831). 1806–12 იყო პეტრე ბაგრატიონის ადიუტანტი. 1812 სამამულო ომის დროს ჰუსართა და კაზაკთა პარტიზ. რაზმებით წარმატებით იბრძოდა მტრის ზურგში. 1813–14 მონაწილეობდა საზღვარგარეთ ლაშქრობაში. მეგობრობდა დეკაბრისტებთან. 1826–27 სამხ. სამსახურში იყო კავკასიაში. 1832 თანამდებობიდან გადადგა. ავტორია სამხ.-ისტ. და პარტიზ. მოქმედებების შესახებ თეორ. ნაშრომებისა: ,,სამხედრო ჩანაწერები'' (ბოლო გამოც. 1982), ,,პარტიზანული მოქმედების თეორიის გამოცდილება'' (1821) და ა. შ. შექმნა ე. წ. ,,ჰუსარული ლირიკა'' (ლექსები: ,,ბურცოვს'', ,,ჰუსართა ქეიფი'', ,,პოეტური ქალი'' და სხვ.). დაწერა მოგონებანი ა. სუვოროვზე, მ. კუტუზოვზე, პ. ბაგრატიონზე და სხვა რუს მხედართმთავრებზე. 1826 **დ.** სამხედრო გზით საქართველოში ჩამოვიდა. თავისი შთაბეჭდილებანი აღწერა ნაწარმოებში ,,მოგონება 1826 წელზე'' და ლექსში ,,ნახევრად სალდათი'' (იხ. წგ.: ,,რუსი მწერლები საქართველოს შესახებ'', ტ. 1, თბ., 1949).

დავიდოვი (დავითაშვილი) სერგეი ივანეს ძე (1793–1878, პეტერბურგი), რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, ოფიცერი, კახეთის მეფის *ალექსანდრე I-ის* შთამომავალი (გვარი მომდინარეობს მეფე ალექსანდრე I-ის შვილიშვილის, დავითის სახელიდან). 1812 რუს. სამამულო ომისა და 1813–14 ევრ. ლაშქრობათა მონაწილე. ომის შემდეგ ეკავა მაღალი ადმ. თანამდებობანი. იყო ბელოსტოკის ოლქის მმართველი, რუს. რამდენიმე გუბერნიის ვიცე-გუბერნატორი და სამოქალაქო გუბერნატორი. მოღვაწეობდა განათლების დარგშიც: 1838-იდან იყო კიევის სასწ. ოლქის მზრუნველი, 1844-იდან – სანქტ-პეტერბ. მეცნ. აკად. საპატიო წევრი; 1845-იდან – სენატორი, 1852-იდან – სანქტ-პეტერბურგის მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი.

დავით I კურაპალატი (876–881), *ბაგრატ I კურაპალატის* უფროსი ძე. IX ს-ის 70-იანი წლების ბოლოს არგვეთელმა დიდაზნაურმა *ლიპარიტ I* ბაღვაშმა (თრიალეთის ქვეყნების დაპყრობისა და კლდეკარის ციხის აგების შემდეგ) **დ.** I თავის პატრონად ცნო. ამდენად, **დ.** I ლიპარიტთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა შიდა ქართლისათვის ბრძოლაში (სომეხთა მეფის მხარდაჭერით) აფხაზთა მეფის ადარნასე შავლიანის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელის მოკავშირეები კი იყვნენ თავისი ცოლისძმა *ნასრა* გვარამის ძე და გურგენ ადარნასეს ძე ბაგრატიონები. ეს ფაქტი უნდა მივიჩნიოთ საგარეო ასპარეზზე გადმოტანილ აშოტ I-ის შვილიშვილების შინაური მტრობისა და შუღლის გამოვლინებად, განსხვავებით მათი მამებისაგან, რ-ებიც ,,ერთსულ, ერთზრახვა და ერთნება იყვნეს''. გიორგი მერჩულის ცნობით, 881 **დ.** I ვერაგულად მოკლა *გვარამ მამფალის* ძემ ნასრამ. ი. ჯავახიშვილის აზრით, მკვლელობის მიზეზი გახდა ლიპარიტის მიერ თრიალეთის დაპყრობა და მის პატრონად **დ.** I-ის გამოცხადება, რაც ნასრამ გვარამის სახლის მფლობელობის ხელყოფად მიიჩნია და მამის შელახული უფლებების აღდგენა მოინდომა. მართალია, თრიალეთი თავის დროზე გვარამმა დაიპყრო, თუმცა სხვა ქვეყნებთან ერთად თავის ძმებსაც დაუნაწილა. ამდენად მისი ერთ-ერთი კანონიერი მფლობელი **დ.** I-იც იყო, რაც არ გვაძლევს იმის ფიქრის საფუძველს, რომ ბიძაშვილები ერთმანეთს თრიალეთის გულისათვის გადაემტერნენ. მათ დაპირისპირებას და ქართლისათვის ბრძოლაში სხვადასხვა ბანაკში ყოფნას, როგორც ჩანს, უფრო ღრმა მიზეზები ჰქონდა. ნასრას გაძლიერება მისი დის აფხაზთა მეფესთან ქორწინებით ბაგრატიონთა სახლის უფროსისათვის ისედაც საშიში ხდებოდა, ამიტომ **დ.** I ვერ დაუშვებდა ადარნასე შავლიანის მიერ შიდა ქართლის დაპყრობას. ამას ვერც ლიპარტ ბაღვაში შეეგუებოდა, რ-იც ადარნასეს გამოექცა და საყმოდ **დ.** I კურაპალატს ჩაბარდა. ჩანს, რომ **დ.** I-მა ლიპარიტი იყმო ნასრა-ადარნასეს კავშირის საპირისპიროდ.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, იქვე.



ვ. დავიდოვა.



ვ. დავიდოვა. მარფა, ნ. მუსორგსკის ,,ხოვანშჩინა''.

ლიტ.: ბოგვერაძე ა., ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლში ბრძოლის ისტორიიდან IX ს. უკანასკნელ მეოთხედში, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1987, №2; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965.

ა. ბოგვერაძე.

დავით I (გ. 21. X. 1602), კახეთის მეფე 1601–02, *ალექსანდრე II-ის* ძე, *თეიმურაზ I-ის* მამა. გამეფდა სამეფო კარზე მომხდარი გადატრიალების შემდეგ. მამა აიძულა ბერად შემდგარიყო; თავის ძმას, გიორგის, თავდაპირველად საუფლისწულო მამული მისცა, ხოლო შემდეგ დააპატიმრა, რადგან მის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობდა. შეთქმულების 17 მონაწილე კი სიკვდილით დასაჯა. არეულობით ისარგებლა ნუგზარ არაგვის ერისთავმა და მეფეს გაუდგა. დ. I-მა გამდგარი ერისთავი ისევ დაიმორჩილა და მძევლად შვილი ჩამოართვა. დ. I-ის მეფობის დროს კახეთში ჩამოვიდნენ რუსეთის სახელმწიფოს ელჩები ნაშჩოკინი და ლეონტიევი, რებმაც დ. I-ს რუს. მეფის – ბორის გოდუნოვის ერთგულების ,,ფიცის წიგნი'' მიაღებინეს. ელჩების კახეთში ყოფნის დროს იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

დ. I-ს ეკუთვნის სპარსულიდან ,,ქილილა და დამანას'' ქაშეფისეული ვერსიის დასაწყისის პროზაული ნაწილის ქართული თარგმანი. ტექსტში ჩართული ლექსები ან არ გადმოუღია, ან პროზად უთარგმნია. ვახტანგ VI-ის ცნობით, დ. I-მა ტექსტი თარგმნა ,,კუსა და მორიელის'' არაკამდე. თარგმანი შემონახულია ორი ხელნაწერით.

ლიტ.: ბარამიძე ა., ანვარი სოჰაილის ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები, მის წგ.: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 1, თბ., 1945; ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967; თოდუა მ., ,,ქილილა და დამანას'' საბასეული ვერსია, თბ., 1967; ხუბუა მ., დავითისეული ,,ქილილა და დამანა'' (A ვერსია), «საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე», 1946, ტ. 7, № 8.

ნ. ასათიანი.

დავით I, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. 947–955 წლებში. იხსენიება ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ-ში''.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილის და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

დავით II (გ. 937), ქართველთა მეფე 923–937, *ადარნასე II-ის* ძე, მაგისტროსი. ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი. მის დროს ქართველთა სამეფოში ატეხილი შინაფეოდ. შუღლით ისარგებლა ბიზანტ. იმპ. რომანოზ I-მა და არტანუჯის ციხე დაიკავა, მაგრამ დ. II-მ და გურგენ IV ერისთავთერისთავმა შეძლეს ციხის უომრად დაბრუნება.

წყარო: კონსტანტინე პორფიროგენეტი, De administrando imperio, წგ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, ნაკვ. 2, თბ., 1952. იხ. აგრეთვე სტ-თან დავით III.

მ. ლორთქიფანიძე.

დავით II (გ. XI. 1795), იმერეთის მეფე 1784–89, *გიორგი VII-ის* ძე, *სოლომონ I-ის* ბიძაშვილი. ტახტზე ავიდა მსხვილი ფეოდალებისა და *კაცია II დადიანის* მხარდაჭერით. ამავე დროს ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა სოლომონ I-ის ძმისშვილი დავით არჩილის ძე (შემდგომ *სოლომონ II*), რ-იც სოლომონ I-ს ტახტის მემკვიდრედ ჰყავდა გამოცხადებული. 1784 დ. II-მ რუსეთში ელჩები გაგზავნა და იმპერატორს ქვეშევრდომობა სთხოვა. ამით უკმაყოფილო თავადები (პაპუნა წერეთელი, ბერი წულუკიძე და სხვ.) დავით არჩილის ძეს დაუკავშირდნენ და მისი გამეფება მოინდომეს. დ. II-მ მოწინააღმდეგე თავადები გადააყენა და მათ ნაცვლად თავისი ერთგული ხალხი დააწინაურა. ამით ურთიერთობა მათ შორის უფრო გამწვავდა. მოწინააღმდეგე თავადთა პოზიცია გაძლიერდა 1788-იდან, როცა მათ ოდიშის ახ. მთავარი გრიგოლ დადიანიც შეუერთდა. დადიანმა პოლიტ. მიზნით დავით არჩილის ძე თავის დაზე დააქორწინა. *მათხოჯის ბრძოლაში* (1789) დ. II დამარცხდა და ახალციხის საფაშოში გაიქცა, დავით არჩილის ძე კი მეფედ გამოაცხადეს სოლომონ II-ის სახელით. 1790 დ. II ოსმალეკთა ჯარით იმერეთში შეიჭრა, სოლომონ II ტახტიდან ჩამოაგდო და თვითონ გამეფდა. სოლომონმა იმავე წელს დაიბრუნა ტახტი. შემდგომ დ. II ერეკლე II-ის შუამდგომლობით იმერეთში დაბრუნდა, საუფლისწულო მამული მიიღო და ერთხანს იქ ცხოვრობდა. 1792 და 1794 ლეკთა ჯარის დახმარებით კვლავ შეეცადა ტახტის დაბრუნებას, მაგრამ დამარცხდა და ისევ ახალციხის საფაშოში გადაიხვეწა (იქვე გარდაიცვალა).

წყარო: დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962.

ლიტ.: ბურჯანაძე შ., იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784–1789 წწ., «ხელნაწერთა ინ-ტის მოამბე», 1960, ტ. 2; მისივე, იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789–1802 წწ., იქვე, 1962, ტ. 4.

ო. სოსელია.

დავით II, იმამყული-ხანი (გ. 1722), კახეთის მეფე 1703–22, *ერეკლე I-ის* ძე. დაიბადა და ბავშვობა გაატარა ირანში. 1703-იდან კახეთს განაგებდა როგორც ჯანიშინი (მოადგილე). მისი მმართველობის დროს კახეთში მძვინვარებდა ,,ლეკიანობა''. 1706 ჭარბელაქანში კახელების მარცხიანი ლაშქრობის შემდეგ ლეკებმა ელისენი დაიკავეს და დ. II-მ თავისი რეზიდენცია ყარაღაჯიდან თელავსა და მანავში გადაიტანა (ზაფხულობით მაღაროში იდგა). 1711 ირანში გაემგზავრა და კახეთის მმართველად თავისი ძმა თეიმურაზი და დედა – დედოფალი ანა დატოვა. ამ პერიოდში განსაკუთრებით გაძლიერდა კახეთზე ლეკთა თავდასხმები, ფეოდალთა თვითნებობა, გლეხთა ანტიფეოდ. გამოსვლები (იხ. *პოდებისა და პოდებისხევის გლეხთა აჯანყების, 1699, 1711–16).* ირანიდან დაბრუნების შემდეგ (1715) დ. II ცდილობდა ქვეყანაში წესრიგის აღდგენას. დაუნათესავდა ქართლის მმართველს იესეს და მისი დახმარებით ცდილობდა ლეკების წინააღმდეგ გალაშქრებას, თუმცა კვლავ დამარცხდა. კახელი ფეოდალები იძულებული გახდნენ ლეკებისათვის ზოგი რამ დაეთმოთ და ქართლსა და აზერბაიჯანში სალაშქრო გზაც მიეცათ. ამავე დროს დაიწყო კახეთის რ-ნებში ლეკების ჩამოსახლება. კახელი გლეხები (განსაკუთრებით გაღმამხარში) მძიმე ფეოდ. ჩაგვრის გამო მასობრივად გადადიოდნენ ლეკების მხარეზე – ,,ლეკდებოდნენ''. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად დ. II ქართლის მეფეს ვახტანგ VI-ს დახმარებას სთხოვდა, მაგრამ მათი ერთობლივი მოქმედება, მიუხედავად ირან. შაჰის მხარდაჭერისა, ვერ მოხერხდა.

დ. II კარგად იცნობდა ქართ. მწიგნობრობას. იცოდა სპარს. ენა და ლიტ-რა, მუსლ. ფილოსოფია და კოსმოგრაფია.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, ტფ., 1973.

ნ. ასათიანი.

დავით II (გ. დაახლ. 1429), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1425–26 და 1428; საქართვ. მეფის *ალექსანდრე I* დიდის ძე. 1417–19 მამამ ბერად შეაყენა

მცხეთაში. დ. II-ის პატრიარქად მომზადება და კურთხევა დაევალა კათოლიკოს-პატრიარქ *მიქელ VI-ს.* 1426 მეფის მიერ ზედგინიძეებისადმი მიცემულ წყალობის წიგნში უკვე მოიხსენიება როგორც ქართლის კათოლიკოსი. დ. II, როგორც სამეფო სახლის წევრი, ალექსანდრე I-ის ერთგული თანამშრომელი იყო. მონაწილეობდა მტრისაგან დაძაბუნებული ქვეყნის აღდგენაში. 1429 მეფე ალექსანდრეს მიერ სვეტიცხოვლისადმი მიცემულ შეწირულობის წიგნში კათოლიკოსად უკვე თეოდორეა მოხსენიებული.

წყარო: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, თ. ჟორდანიას გამოც., წგ. 2, ტფ., 1892.

ლიტ.: ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., XV საუკუნის საქართველოს ქრონოლოგიიდან, კრ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000. *ბ. ლომინაძე.*

დავით III დ ი დ ი, კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი (გ. 1001), ტაოს მეფე, კურაპალატი 979–1001, ქართველთა მეფე 994–1001, *ადარნასე III-ის* ძე, ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი. დ. III ფლობდა სამხრეთ ანუ იმიერტაოს, ბასიანსა და მომიჯნავე სომხ. თემებს. X ს. შუა წლებში ტაოს სამეფოს საზღვარი მდ. არაქსზე გადიოდა. დ. III-ის მეთაურობით განხორციელდა მისი შვილობილისა და გაზრდილის *ბაგრატ III-ის* გამეფებისა და ერთიანი ქართ. სახელმწ. შექმნის გეგმა. როდესაც ბაგრატის გამეფებით უკმაყოფილო ქართლის აზნაურებმა, კახელთა დახმარებით, შეიპყრეს ბაგრატი, ასევე მამამისი გურგენი და დედოფალი გურანდუხტი, დ. III-მ ისინი გაათავისუფლა და უფლებები აღუდგინა.

დ. III-ის დროს ტაოს სამეფომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. გაიბა ფართო ეკონ. კავშირი აღმ. და დას. ქვეყნებთან. აღდგა საქართველოში არაბთა მფლობელობის დროს შეწყვეტილი ქართ. მონეტის გამოშვება. აიგო ოშკის, ხახულის, პარხალის ტაძრები, სადაც ფართო კულტ. საქმიანობა გაჩაღდა. ტაოს კულტ. ცენტრებში მწერლობის არაერთი ძეგლი ითარგმნა და გადაიწერა. გარდა ამისა, დ. III ათონზე მოღვაწე ქართველ მამებს (ექვთიმე ათონელი და სხვ.) საგანგებოდ უკვეთავდა ქართ. წიგნებს.

დ. III მნიშვნელოვანი პოლიტ. ფიგურა იყო იმდროინდელ ახლო აღმოსავლეთში. ის აწესრიგებდა ვითარებას მეზობელ სამეფო-სამთავროებში (მისი აქტ. ჩარევით დამყარდა მშვიდობა სომეხთა სამეფოში ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლ სმბატ ბაგრატუნსა და კარის მფლობელ მუშელს შორის).

დ. III-ის სამხ. ნაწილები ხშირად მონაწილეობდნენ ბიზანტ. იმპერიის შიდა თუ გარე ბრძოლებში. 979 დ. III დაეხმარა იმპ. ბასილ II-ს ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში. ამისათვის იმპერიის ხელისუფლებამ მას გადასცა ,,ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი'' სამმართველოდ მისი სიცოცხლის მანძილზე (იხ. *დავით III კურაპალატის მემკვიდრეობა*). ამ ტერიტორიის დიდი ნაწილი დ. III-ს თვითონ უნდა გაეთავისუფლებინა მაჰმადიანთაგან. როგორც ჩანს, მას იმედი ჰქონდა, რომ შემოერთებულ ქვეყნებს ერთიან საქართველოს სამეფოს უანდერძებდა. ალბათ, ამ სურვილით იყო განპირობებული 988 წ. დ. III-ის ბრძოლა ბასილი II-ის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას მხარეზე. აჯანყების დამარცხების გამო დ. III იძულებული გახდა პატიება ეთხოვა იმპერატორისათვის და აღუთქვა, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი სამფლობელო იმპერიას გადაეცემოდა. მიუხედავად ამ მარცხისა, დ. III განაგრძობდა ბრძოლას ქართ. და სომხ. მიწების გასათავისუფლებლად მაჰმადიან მფლობელთაგან. დ. III-თან ერთად იბრძოდნენ მისი მოკავშირეები: ქართველთა მეფე ბაგრატ II და სომეხთა მეფეები: ანისის მეფე გაგიკ I, ვანანდის მეფე აბასი. 990 დ. III-მ მანაზკერტი აიღო, 997 ალყა შემოარტყა ხლათს. 998 დ. III-ის წინააღმდეგ მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქრობა მოეწყო, მაგრამ დ. III-მ დაამარცხა მომხდურნი. მტრისგან გათავისუფლებულ მიწა-წყალზე დ. III თავის ქვეშევრდომ ქართველებსა და სომხებს ასახლებდა.

დ. III-ის გარდაცვალების შემდეგ მისი მემკვიდრეობის გამო ხანგრძლივი ომი ატყდა საქართვ. და ბიზანტ. იმპერიას შორის.

წყარო: ა რ ი ს ტ ა კ ე ს ლ ა ს ტ ი ვ ე რ ტ ც ი, ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1974; გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი, ცხორება იოვანესი და ეფთჳმესი, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 2, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1967; მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, ე. თაყაიშვილის გამოც., თბ., 1949 (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 27); Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозванию…, пер. с арм. Н. Эмина, М., 1864.

ლიტ.: კ ო პ ა ლ ი ა ნ ი ვ., საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970–1070 წლებში, თბ., 1969; ქ უ რ ც ი კ ი ძ ე ც., ათონის მონასტერში დაწერილი ერთი ხელნაწერის შესახებ, კრ.: მწიგნობარი, თბ., 1980; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2); Л о р д к и п а н и д з е М., Картвельское царство (Тао-Кларджети), წგ.: Очерки истории Грузии, т. 2, Тб., 1988; С т е п а н е н к о В. П., К датировке получения сана курапалата Давидом II Багратидом, «თსუ შრომები», 1982, ტ. 227. *მ. ლორთქიფანიძე.*

დავით III, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1435/36–1438/39 წწ. მისი პატრიარქობის დროს *ალექსანდრე I-მა* 1438–39 სვეტიცხოველს შესწირა ატენის წინაუბანი, რის სანაცვლოდაც კათოლიკოსს მისთვის ,,წირვა და ეკლესიის სამსახური'' არ უნდა დაეკლო. დ. III-ის ზეობისას ჩატარდა *ფერარა-ფლორენციის კრება*, რ-ზეც საქართვ. დელეგაციის წევრებმა – მეფის საერო წარმომადგენელმა და მიტროპოლიტმა გრიგოლმა – უნიას ხელი არ მოაწერეს.



დავით III დიდი. ოშკის რელიეფი.

წყარო: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, თ. ჟორდანიას გამოც., წგ. 2, ტფ., 1897.

ლიტ.: ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., XV საუკუნის საქართველოს ქრონოლოგიიდან, კრ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966; ჟ უ ჟ უ ნ ა ძ ე ო., XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, კრ.: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, წგ. 1, თბ., 1970. *ზ. აბამძე.*

დავით IV ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი (1073 – 24. I. 1125), საქართველოს მეფე 1089–1125, გიორგი II-ის ძე. გამეფდა 16 წლის. მემკვიდრეობად ერგო სელჩუკიანი თურქებისგან დარბეული ქვეყანა, დაცარიელებული ქალაქები და სოფლები, მთებში გახიზნული დამშეული მოსახლეობა. სამეფო იმდენად იყო დასუსტებული, რომ მისი უფლებები მხოლოდ დას. საქართველოზე ვრცელდებოდა. დ. IV-მ თავიდანვე დაიწყო ყმა-მოლაშქრეთა და მსახურეულ აზნაურთაგან მხედართა რაზმების შექმნა. ერთგული რაზმებით მეფე თავს ესხმოდა სელჩუკიან თურქებს, ავიწროებდა მათ, დევნიდა და მთებში გახიზნულ მოსახლეობას ბარად ჩამოსვლის პირობებს უქმნიდა. დ. IV ებრძოდა სახელმწ. ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე

დიდგვარიან ფეოდალებს. 1093 მან შეიპყრო გამდგარი *ლიპარიტ IV* ბაღვაში, მონანიების შემდეგ გაათავისუფლა და ძვ. ღირსებებიც შეუნარჩუნა, მაგრამ როდესაც დარწმუნდა მის ხელახალ ღალატში, 1094 კვლავ შეიპყრო და ორი წლის პატიმრობის შემდეგ საქართველოდან გააძევა. 1103, ლიპარიტის ძის, *რატი IV* ბაღვაშის, გარდაცვალების შემდეგ, დ. IV-მ ისარგებლა სელჩუკიანი თურქების ძლიერების შესუსტებით, რასაც სულთან მალიქ-შაჰის სიკვდილის (1092) შემდეგ დაედო სათავე, და 1099 მათ ხარკი შეუწყვიტა. ქვეყანამ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ დროიდან დაიწყო საქართვ. ეკონ. და კულტ. აღმავლობა. სელჩუკიან თურქთა ალაგმვის შემდეგ დ. IV შეუდგა ქართ. მიწა-წყლის სრული



დავით IV აღმაშენებელი. გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის კედლის მხატვრობა. XVI ს.

დ. IV-მ გააუქმა ლიპარიტის შემდგომ ისედაც ნომინალურად არსებული *კლდეკარის საერისთავო* და ბაღვაშთა მამულების ნაწილი სამეფო დომენად აქცია, ნაწილი (არგვეთი) კი გელათის მონასტერს გადასცა. იმავე წელს დაამარცხა სამეფო კარის მოწინააღმდეგე ფეოდალები – *ძაგანი* და *მოდისტოსი*.

გაერთიანებისათვის ბრძოლას. 1103 აიღო ზედაზნის ციხე, რასაც განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა კახეთის შემოერთებისათვის. 1104 საქართვ. გაერთიანების მომხრე ჰერეთ-კახეთის დიდებულების (ქავთარისა და მისი დისწულების – არიშიანისა და ბარამის) დახმარებით შემოერთა ჰერეთი და კახეთი. მოხარკე ქვეყნების დაკარგვა მძიმე დანაკლისი იყო სელჩუკიან თურქთათვის და სულთნის დიდმოხელემ, განძის ათაბაგმა, ლაშქრობა მოაწყო საქართვ. მეფის ჰერეთ-კახეთიდან განსადევნად. 1104 ერწუხთან ბრძოლაში (იხ. *ერწუხის ბრძოლა 1104*) საქართვ. მხედრობამ გაიმარჯვა. განსაკუთრებული ვაჟკაცობა გამოუჩენია ომში დ. IV-ს. ერწუხთან მოპოვებული გამარჯვებით ჰერეთ-კახეთი საბოლოოდ იქნა შემოერთებული, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკონ. და სამხ. ძალების შესამჩნევი ზრდის თვალსაზრისით. ამიერიდან უკვე, ერთიან, ძლიერ საქართვ. შეეძლო ფართო მასშტაბის პოლიტ. თუ ეკონ. ღონისძიებათა ქმედითად გატარება. აქედან მოყოლებული საქართვ. სამეფომ ბევრი ისეთი გრანდიოზული ნაბიჯი გადადგა, რამაც ქვეყანა იმდროინდელ წინა აზიასა და კავკასიაში ერთ-ერთ გავლენიან და მოწინავე სახელმწიფოდ აქცია.

საერო დიდგვარიანებთან ერთად მეფე ცენტრ. ხელისუფლების მოწინააღმდეგე საეკლ. ფეოდალებსაც ებრძოდა. 1104 მეფის თაოსნობით მოიწვიეს *რუის-ურბნისის საეკლესიო კრება*, რ-მაც სამეფო ხელისუფლების განსამტკიცებელი ღონისძიებები გაატარა (უღირსი თანამდებობის პირების გადაყენება და მათ ნაცვლად მეფის ერთგულთა არჩევა, სას. თანამდებობის პირთა ხელდასხმის წესის დამტკიცება, გვირგვინის კურთხევის წესის დაკანონება და სხვ.). ეს ღონისძიებანი ჩამოყალიბებულია კრების მიერ მიღებულ დოკუმენტში ,,ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ'' (იხ. *,,რუის-ურბნისის საეკლესიო კრების'' ძეგლისწერა*). ამ ღონისძიებათა წყალობით სახელმწ. ხელისუფლებამ ეკლესია თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია. ამიერიდან დიდმა ფეოდალებმა მღვდელმთავართა სახით ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ძლიერი მოკავშირეები დაკარგეს. მეფის საეკლ. პოლიტიკა, რ-იც მნიშვნელოვანი ნაწილი იყო იმ დიდი სამეფისკარო პოლიტიკისა, ქვეყნის ცენტრალიზაციას და კულტ. წინსვლას რომ ემსახურებოდა, წარმატებით ხორციელდებოდა. ჩამოყალიბდა მეფის მკაფიოდ გამოხატული საეკლ. ძალაუფლება. ამას, თავის მხრივ, ხელი შეუწყო სამეფო ხელისუფლების მიერ გატარებულმა

ქმედითმა ღონისძიებამ – ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობების გაერთიანებამ – *მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის* სახელოს შემოღებამ (სავარაუდოდ 1104–05). ამ თანამდებობის პირი ერთსა და იმავე დროს იყო მაღალი სამოქალაქო და საეკლ. მმართველი. საშინაო საქმეების მოწესრიგების შემდეგ დ. IV-მ განაახლა სელჩუკიან თურქებთან ბრძოლა. 1110 ქართველთა ლაშქარმა აიღო სამშვილდე, 1115 – რუსთავი, 1117 – გიში, 1118 – ლორე. მტრის საბოლოო დაძლევისათვის საჭირო იყო ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა გარდაქმნა. ფეოდ. ლაშქრის პრინციპზე აგებული ჯარი შინაგან ერთობას მოკლებული იყო. დ. IV-მ გაატარა სამხ. რეფორმები – საგანგებოდ გაწვრთნა ჯარი და დაამყარა მტკიცე დისციპლინა, გარდაქმნა ბრძოლის ტაქტიკა. ამასთან, 1118–20 ჩრდ. კავკასიიდან გადმოიყვანა და საქართველოში (სავარაუდოდ ქართლში) დაასახლა ყივჩაყთა 40 ათ. ოჯახი. მათგან მეფემ შექმნა ორმოციათასიანი მუდმივი ჯარი, ერთგულ მოლაშქრეთაგან კი შეადგინა ხუთიათასიანი პირადი გვარდია –,,მონა-სპა‘‘. ამ სამხ. რეფორმებმა ქვეყანა გაამაგრა და გააძლიერა. სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტი განუზომლად გაიზარდა და ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარე მეფის ძალაუფლებას დაემორჩილა. ამასთან, მოხდა ხელისუფლების სრული კონცენტრირება: საქართველოს მეფე თვითმპყრობელი გახდა.

1121 აგვისტოში დ. IV-ის მეთაურობით ქართველებმა ძლევამოსილი ომი გადაიხადეს მუსლიმთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ დიდგორთან (იხ. *დიდგორის ბრძოლა 1121*) და ამ გამარჯვებით კიდევ უფრო განამტკიცეს საქართველოს ავტორიტეტი მთელ ახლო აღმოსავლეთში. დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, 1122, დ. IV-მ თბილისიც შემოუერთა საქართვ. სამეფოს. ამით ფაქტობრივად დასრულდა საქართვ. სამეფო ხელისუფლების მიერ წამოწყებული ქვეყნის გაერთიანების პროცესი. ამიერიდან თბილისი კვლავ სატახტო ქალაქად იქცა, სადაც მალე საქალაქო თვითმმართველობაც გაუქმდა. 1123 დ. IV-მ სომხეთის მრავალი ქალაქი აიღო. ამავე წელს სომეხი მოსახლეობის დახმარებით აიღო ანისიც. დ. IV-ის ბრძოლებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შირვანისთვისაც. ქართველებისა და შირვანელების ერთობლივი ბრძოლის შედეგად



დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ჯვარი. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

შირვანი გათავისუფლდა სელჩუკი დამპყრობლებისაგან. 1124 დ. IV-მ შირვანი თავისი გავლენის სფეროში მოაქცია. შირვანისა და ანისის სელჩუკიანი თურქებისაგან გათავისუფლება დიდგორის ბრძოლის ერთ-ერთი შედეგი იყო. დ. IV-ის მიერ მოპოვებულმა დიდმა წარმატებებმა, ამიერკავკასიიდან სელჩუკიან თურქთა განდევნამ



დავით აღმაშენებლის საალმო ჯვარი. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

გააფართოვა საქართვ. სამეფოს პოლიტ. საზღვრები ნიკოფსიიდან (ადგილი თანამედროვე სოჭსა და ტუაფსეს შორის) დარუბანდამდე (დერბენდამდე) და ოსეთიდან არაგაწამდე (სომხეთი). განუზომლად გაიზარდა საქართვ. საერთაშ. მნიშვნელობა. იგი უძლეველ ქვეყნად მიიჩნიეს იმდროინდელმა მახლობელი აღმ. მუსლიმანურმა სახელმწიფოებმა.

დ. IV-ის საგარეო პოლიტიკის თვალსაწიერში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩრდ. ქვეყნებსა და ხალხებს. ამიტომ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მათთან ურთიერთობა ინტენსიურად წარიმართა. ჩრდ. კავკასიის ხალხებში დ. IV ხედავდა იმ ფრიად ანგარიშგასაწევ ძალას, რ-საც სელჩუკიან თურქთა წინააღმდეგ ბრძოლასა და ამიერკავკ. ხალხთა კონსოლიდაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო. დ. IV-ის აქტიურმა საგარეო პოლიტიკამ მრავალთა შორის ბიზანტ. ურთიერთობის პრობლემებიც მოიცვა. დ. IV ერთიანი საქართველოს მეფეთაგან პირველი იყო, რმაც უარყო ბიზანტ. საკარისკაცო ტიტულები. ამის მიუხედავად, დ. IV, რ-იც სელჩუკიან თურქთა განდევნისათვის იბრძოდა, კარგად გრძნობდა, რომ ბიზანტ. იმპერიასთან ურთიერთობა თანაბარ ვითარებაში აუცილებელი იყო. სწორედ ბიზანტიასთან ურთიერთობის განმტკიცების ინტერესმა გადაადგმევინა საქართვ. მეფეს ნაბიჯი დინასტიური ქორწინებისაკენ, რაც იმით გამოიხატა, რომ 1116 თავისი ქალიშვილი კატა ,,გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად‘‘. ბიზანტიასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის პოლიტიკა არ შეცვლილა დ. IV-ის მეფობის ბოლო წლებამდე, რითაც საქართვ. სამეფომ თავისი სამხრ.-დას. საზღვრების უსაფრთხოება უზრუნველყო.

დ. IV-ის დროინდელ საქართველოს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა ჯვაროსნებთან, რ-ებმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ევრ. და წინა აზიის ქვეყნებსა და ხალხებზე, საერთოდ მთელ მსოფლიოზე. დიდგორის ბრძოლაში დ. IV-ის ლაშქარში ევრ. რაინდებიც (სავარაუდოა ჯვაროსნები) იღებდნენ მონაწილეობას.

ზემოთქმულის გარდა, დ. IV-ის დროს საქართვ. ფართომასშტაბიანი პოლიტ.-კულტ. ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან. ასეთი აქტ. საგარეო პოლიტიკა ფეოდ. საქართველოს პროგრესს – პოლიტ., ეკონ. და კულტ. წინსვლის საქმეს ემსახურებოდა.

დ. IV დიდად უწყობდა ხელს ვაჭრობისა და ხელოსნობის გან-

ვითარებას. მან შეღავათიანი პირობები შეუქმნა ვაჭრებს, ააგო ხიდები, გზები, ააშენა ფუნდუკები, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრებს უფასოდ შეეძლოთ ღამისთევა. ამის შედეგად XII ს. I მეოთხედში საქართველოში საქალაქო ცხოვრება განსაკუთრებით დაწინაურდა. დ. IV-მ გაატარა ღონისძიებები სამონეტო საქმის მოსაწესრიგებლად. მოჭრა მონეტები როგორც ქართ., ისე არაბ. ზედწერილით



დავით აღმაშენებლის საფლავის ქვა. გელათის მონასტერი.

და რამდენადმე შეცვალა მონეტის ტიპი. რეფორმის შედეგად განმტკიცდა ფულის კურსი. მის დროს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა განსაკუთრებულ სასამართლო დაწესებულებას – *საჯო კარს.* ახ. სამართლის ინ-ტის შექმნა და სამართალწარმოების მაღალ დონეზე აყვანა იმ დროს მეტად მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ის გარემოება, რომ სასამართლო უმაღლეს საფეხურზედაც კი სახელმწ. მართვა-გამგეობისაგან განცალკევებული იყო და განსაკუთრებულ დაწესებულებად იქცა, ქართ. სამართლის დიდ წვარმატებად და ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

დ. IV-ის თაოსნობით დაიწყო *გელათის მონასტრის* მშენებლობა (1106). მანვე დააარსა ქართ. კულტ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა – *გელათის აკადემია.* დ. IV-ის განკარგულებით აიგო ღვთისმშობლის ეკლესია შიომღვიმეში. დ. IV-ის კულტ.-საგანმან. მოღვაწეობის შესახებ, ქართვ. ისტორიკოსების გარდა, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან სომეხი მემატიანეები და მაჰმადიანი მწერლები. ისინი გვამცნობენ, რომ მეფე ზრუნავდა ახალგაზრდების განათლებაზე და ცოდნის მისაღებად ბიზანტიაში აგზავნიდა. ცალკე სახლი აუგო მაჰმადიან მეცნიერებს, ფილოსოფოსებს და პოეტებს, რ-თაც მატერიალურადაც ეხმარებოდა და ხანგამოშვებით საზეიმო დარბაზობასაც უმართავდა. დ. IV-მ თავისი წვლილი შეიტანა ქართ. ჰიმნოგრაფიის განვითარებაშიც. მას ეკუთვნის ორიგინ. პოეტური ნაწარმოები ,,გალობანი სინანულისანი'', რ-იც შუა საუკ. ქართ. კულტ. იდეოლოგიური და ესთეტ. მრწამსის გამოხატულებაა. იგი ეძღვნება სას. ლირიკაში ღრმად დამუშავებულ (ეფრემ ასურის, იოსებ და თეოდორე სტუდიტების, ანდრია კრეტელის, იოანე დამასკელისა და სხვათა საგალობლები) სინანულის მოტივს. საგალობელში გადმოცემულია ზოგადსაკაცობრიო სევდა. დ. IV თავს ადარებს უმძიმესი ცოდვის ჩამდენთ და გამოთქვამს აზრს, რომ არ არსებობს დანაშაული, რ-იც მის სულს არ ამძიმებდეს. ასეთი თავმდაბლობით ვლინდება ზნესრული ადამიანის მაღალი ეთიკური მრწამსი. დ. IV-ის საგალობელში შეცოდებათა შეგნებით უკვე დაძლეულია ცოდვა, ადამიანის დაცემით გამოწვეულ სევდას კი ახლავს ნათელი ტონები ადამიანის სრულქმნის ღრმა რწმენისა.

დ. IV იყო მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მეფე და მხედართმთავარი, კულტურისა და განათლების დიდი მოამაგე, რ-იც მთელი მისი მოღვაწეობის განმავლობაში ემსახურებოდა ფეოდ. საქართველოს გაძლიერება-ცენტრალიზაციას.

დ. IV დაკრძალულია თავისსავე აგებულ და სამეფო საძვალედ დადგენილ გელათის მონასტერში. საფლავის ქვაზე, რ-იც მონასტრის ჩრდ. შესასვლელის იატაკზეა დაგებული, დატანილია წარწერა: ,,ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე; ესე მთნავს: აქა დავემკვიდრო მე''.

სამშობლოსათვის გაწეული ღვაწლისათვის ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დ. IV აღმაშენებელი წმინდანად შერაცხა, ხსენების დღეა 8 თებერვალი (ძვ. სტ. 26 იანვარი), თსუ-ის ეზოში აიგო დ. IV-ის ეკლესია (1995). საქართველოს ხელისუფლებამ 1992 დააწესა დავით აღმაშენებლის ორდენი, როგორც უმაღლესი სახელმწ. ჯილდო. მის სახელს ატარებს ხეივანი თბილისში, გამზირი, უნივერსიტეტი, საზ-ბა. ქუთაისსა (1995, მოქანდაკე ე. ამაშუკელი, არქიტ. ვ. დავითაია) და თბილისში (1997, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი, არქიტ. ო. კალანდარიშვილი) დაიდგა დ. IV-ის ძეგლები.

თხზ.: გალობანი სინანულისანი, წგ.: ჩვენი საუნჯე, ტ. 1, თბ., 1961.

წყარო: ცხოვრება მეფეთა-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: გ რ ი გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., დავით აღმაშენებლის ,,გალობანი სინანულისანის'' კონცეფციისათვის, კრ.: ქართული ლიტერატურის საკითხები, ტ. 2, თბ., 1971; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., დავით

IV, მეფე თამარი, თბ., 2002; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2). *რ. მეტრეველი.*

დავით IV (ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1443/47–59. დ. IV მოიხსენიება 1447 დეკემბერში მეფე *გიორგი VIII-ის* მიერ შედგენილ ქართლ-კახეთის საკათოლიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში, სადაც მეფე ამტკიცებს *ალექსანდრე I-ის* მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ სიგელს, რ-ის თანახმად სვეტიცხოვლის კუთვნილი მამულები კახეთსა და ქართლში თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან. დ. IV-ის პატრიარქობის დროს მეფე გიორგი VIII-მ სვეტიცხოველს შესწირა ნიაბის ბოლოს მდებარე სოფ. გობნი და დაიწესა 6 აღაპი თავისთვის და თავის ძმის დიმიტრისათვის. 1454 დ. IV-მ კულუხის გამოსაღების წიგნი გადასცა და საწყაოს ოდენობა განუსაზღვრა ჯვარში მცხოვრებ მეკულუხეებს.

დ. IV-ის ზეობის დროს დაიწყო ერთიანი საქართვ. რღვევის პროცესი, რასაც თან დაერთო საეკლ. სეპარატიზმი. კუმურდოელი მღვდელმთავრის იოანესა და ანჩელი არქიმანდრიტის ქერობინის დ. IV-სადმი მიცემული ფიცის წიგნებიდან ირკვევა, რომ მაწყვერელი და სამცხის სხვა ეპისკოპოსები კათოლიკოსისგან ,,უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარის თავზედა'' და ისინი მომავალში მცხეთის საყდრისადმი ერთგულების ფიცს სდებენ. პატრიარქის მტკიცე პოზიციამ აგრეთვე უკან დაახევინა ვარძიელ და საფარელ ბერებს, რომლებიც ბერძნ. ეკლესიის მღვდელმთავრების წაქეზებით, ლოცვებში პატრიარქებს აღარ მოიხსენიებდნენ, თუმცა საბოლოოდ, ისევ მცხეთის საყდრის წიაღს დაუბრუნდნენ.

წყარო და *ლიტ.* იხ. სტ-თან დ ა ვ ი თ V, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. *ზ. აბაშიძე.*

დავით V, საქართველოს მეფე 1155, *დემეტრე I-ის* უფროსი ძე. უფლისწულობაში დიდებულ აზნაურთა ერთი ჯგუფის მხარდაჭერით შეთქმულება მოაწყო დემეტრე I-ის წინააღმდეგ, რ-საც უმცროსი ვაჟის – გიორგის გამეფება სურდა. თავდაპირველად დავითის ცდა მარცხით დამთავრდა, მაგრამ ბოლოს მაინც მიაღწია საწადელს. დემეტრე I იძულებული გახდა ბერად შემდგარიყო. 6 თვის მეფობის შემდეგ დ. V გარდაიცვალა და ტახტზე კვლავ დემეტრე I ავიდა, რ-მაც ტახტის მემკვიდრე გიორგი (შემდგომ *გიორგი III*) თანამოსაყდრედ დაისვა.

ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; მ ი ს ი ვ ე, დავით IV, მეფე თამარი, თბ., 2002; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2).

დავით V, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1466–79. გაერთიანებული ქართ. სახელმწიფოს ბოლო კათოლიკოს-პატრიარქი. იბრძოდა ეკლესიური ერთიანობის შენარჩუნებისა და მცხეთის საპატრიარქო მფლობელობის აღდგენისათვის. მისი კათოლიკოსობის დროს ბაგრატ მეფემ შესწირა სვეტიცხოველს სოფ. დიღომში მცხოვრები გლეხები თავთავიანთი მამულებით, კახეთის მეფე ალექსანდრემ კი 1479 – ვეჟინისპირა სოფლები (ახალშენი და თორღიანი), ხოლო დავით ქაჩიბაძემ განუახლა სვეტიცხოველს სოფ. ყორანთის 1428 წლის შეწირულობა.

დ. V-ის პატრიარქობის დროს დას. საქართველოში მყოფმა ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქმა მიქაელმა აფხაზეთის (დას. საქართველო) კათოლიკოსად აკურთხა ცაიშელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსი იოაკიმე და შექმნა ე. წ. ,,მცნებაჲ სასჯულოჲ'', რაც ხელს უწყობდა პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს ეკლესიურ გათიშვასაც. საეკლ. სეპარატიზმმა, როგორც ჩანს, თავი იჩინა კახეთშიც, ვინაიდან პატრიარქს ერთგულების წიგნს აძლევენ ალავერდელი ეპისკოპოსი გაბრიელი და სხვა უცნობი პირები, რ-ებიც პირობას დებენ, რომ არ უორგულებენ მას და არც სხვა ბერსა თუ მონაზონს ინდომებენ კათოლიკოსად.

წყარო: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, თ. ჟორდანიას გამოც., წგ. 2, ტფ., 1897; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970.

ლიტ.: ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., XV საუკუნის საქართველოს ქრონოლოგიიდან, კრ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3). *ზ. აბაშიძე.*

დავით VI ნ ა რ ი ნ ი (დაახლ. 1225–1293), საქართველოს მეფე 1245/1247–93, რუსუდან მეფის ძე. დაახლ. 1230, როცა აღმ. საქართველო ხვარაზმელებს ჰქონდათ დაპყრობილი და სამეფო კარი ქუთაისში იყო გახიზნული, მცირეწლოვანი დავითი დედამ თანამოსაყდრედ დაისვა. მონღოლებთან რუსუდანის შეთანხმების შემდეგ, დაახლ. 1242–43, დედა-შვილი თბილისში დაბრუნდა. იმავე წლებში მონღოლთა ადგილ. ხელისუფლებამ ტახტის მემკვიდრე სამეფოდ გაამზადა და დასამტკიცებლად ქართვ. დიდებულ ფეოდალთა ერთი ჯგუფის თანხლებით ოქროს ურდოში ბათო-ყაენთან გაგზავნა. აქედან ქართველები ყარაყორუმში დიდ ყაენთან წარავლინეს. დ. VI მონღოლეთში რამდენიმე წელი-



დავით VI ნარინი. გელათის მონასტრის სამხრეთი ეგვტერის კედლის მხატვრობა. XIII ს.

წადს დარჩა. საქართველოში მის შესახებ არაფერი იცოდნენ. 1246 ყარაყორუმში ჩავიდა ტახტის ახ. მემკვიდრე დავით გიორგის ძე (იხ. *დავით VII*). ყაენმა გუიუქმა სადავო საკითხი მონღოლური სამართლის მიხედვით გადაწყვიტა და ორივე მეფედ დაამტკიცა. 1248 (1249) დ. VI და დავით VII თბილისში დაბრუნდნენ. 1259-მდე ორივე მეფე თანხმობით განაგებდა სამეფოს. 1256-იდან საქართვ. ილხანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა. მონღოლთა ბატონობის სიმძიმით შექმნილი აუტანელი გაჭირვების (იხ. *მონღოლთა ბატონობა საქართველოში*) გამო 1259 დაიწყო აჯანყება დ. VI-ის მეთაურობით. ყაენმა ჰულაგუმ დ. VI-ის წინააღმდეგ დიდძალი ჯარი გაგზავნა არღუნ-ნოინის სარდლობით. დ. VI-მ ბრძოლის გაგრძელება შეუძლებლად მიიჩნია, ლაშქარი დაშალა, თვითონ დას. საქართველოში გადავიდა და ქუთაისში გამაგრდა. არღუნმა დას. საქართველოში გადასვლა ვერ გაბედა, მაგრამ ახლა აჯანყებულ დავით VII ულუს წინააღმდეგ მოუხდა ბრძოლა (1260). ეს უკანასკნელი იძულებული გახდა 1261 დ. VI-თან გადასულიყო. 1262, როცა დავით VII მონღოლებს შეუთანხმდა და აღმ. საქართველოში დაბრუნდა, დ. VI ფაქტობრივად დას. საქართვ. (იმერეთის) მეფედ დარჩა. დას. საქართველოზე მონღოლების ბატონობა არ ვრცელდებოდა და დ. VI დამოუკიდებლად განაგებდა ქვეყანას. მისი საგარეო

პოლიტიკა იქით იყო მიმართული, რომ განემტკიცებინა კავშირი ილხანების მტერ-მეტოქე ქვეყნებთან, აღედგინა და შეენარჩუნებინა საქართვ. პოლიტ. გავლენა ტრაპიზონის სამეფოში. ამ მიზნით ჯერ 1264–65, ხოლო შემდეგ 1268 დ. VI-მ ელჩები გაგზავნა ეგვიპტის სულთანთან. მეორე მხრით, დ. VI-ს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ოქროს ურდოსთან. ამასთან, დ. VI ცდილობდა ილხანთა სამეფოში ატეხილი შინაომები თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. 1269 (1270) დ. VI-მ შეიხიზნა მონღოლი ბატონიშვილი თეგუდარი (ნიკუდარი), რ-იც ბარახა-ყაენთან (შავერანაჰრის, შვიდმდინარეთისა და აღმ. თურქესტანის ყაენი 1266–71) ერთად აბაღა-ყაენის (ილხანი 1265–82) წინააღმდეგ იბრძოდა. მაგრამ როცა თეგუდარის ლაშქარმა ყაჩაღური ძარცვა-რბევა დაიწყო, დ. VI წინ აღუდგა მას აბაღას სარდალ სირმონთან ერთად. 70-იან წლებში დ. VI-ს გადაუდგა რაჭის ერისთავი კახაბერ *კახაბერისძე*, რ-იც აბაღას ეახლა და დ. VI-ის წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი სამსახური შესთავაზა. აბაღას სარდლები ორჯერ შეიჭრნენ იმერეთში, მაგრამ დ. VI ხელში ვერ ჩაიგდეს.



დავით VI. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

მონღოლთა ბატონობის შედეგად საქართვ. ძლიერების შესუსტებას ტრაპიზონის სამეფოში ქართ. ორიენტაციის მქონე დასის განადგურება და ბიზანტ. მომხრე პოლიტ. დაჯგუფების გაძლიერება მოჰყვა. განსაკუთრებით გააქტიურდა ბიზანტ. მთავრობა ტრაპიზონის მეფის იოანე II-ის (1266–97) დროს. 1282 აპრილში დ. VI-მ გაილაშქრა ტრაპიზონის სამეფოზე. საკეისროს დიდი ნაწილი დაიპყრო, თუმცა ტრაპიზონის აღება ვერ შეძლო. 1284 ტრაპიზონის მეფის იოანე II-ის და თეოდორა, რ-იც საქართველოში იყო გათხოვილი, დ. VI-ის ჯარის დახმარებით ტრაპიზონში შეიჭრა და კეისარი გახდა. საკეისროში საქართვ. პოლიტ. გავლენა დამყარდა, მაგრამ შემდგომ ვითარება შეიცვალა და იოანე II-მ ხელისუფლება დაიბრუნა. დ. VI-ისა და დავით VII-ის დროიდან საქართველო ფაქტობრივად დაყოფილი იყო სამ პოლიტ. ერთეულად (აღმ. საქართველო, სამცხე და დას. საქართველო).

ლიტ. იხ. სტ-თან დ ა ვ ი თ VIII.

ვ. გუჩუა.

დავით VI (ერისკაცობაში – ხარიტონ ჯიბოს ძე დ ე ვ დ ა რ ი ა ნ ი) (24. III. 1903, სოფ. მირონწმინდა, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, – 9. X. 1977, თბილისი. დაკრძალულია სიონის საკათედრო ტაძარში), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1972–77). პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფ. სარგვეშის არასრულ სკოლაში. სწავლა განაგრძო ჭიათურის მღვიმევის დედათა მინასტერში. 1918 ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის ანტონის ლოცვა-კურთხევით განაწესეს სოფ. მირონწმინდის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მედავითნედ. 1927 აკურთხეს საჩხერის ფერისცვალების ტაძრის მთავარ დიაკვნად, იმავე წელს – მღვდლად და განაწესეს სარგვეშის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვრად. 1930-იდან ღვთისმსახურებას ეწეოდა თბილ. სიონის საპატრიარქო ტაძარში, 1932–45 – ქაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში, 1945–47 – წმინდა ნინოს ეკლესიაში, შემდეგ ისევ ქაშვეთის ტაძარში. 1956 ბერად აღიკვეცა და აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის პატივში. იმავე წელს, ღვთისმშობლის მიძინების დღეს ხელდასმულ იქნა ეპისკოპოსად და ჩაბარდა მარგვეთისა და ურბნისის ეპარქია, 1959 წელს კი დაინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქის *მელქისედეკ III-ის* გარდაცვალების შემდეგ მან უარი განაცხადა კათოლიკოს-პატრიარქის მესაყდრეობაზე. 1962 წ. 12 თებერვალს იგი აყვანილი იქნა მიტროპოლიტის ხარისხში, ხოლო 1972 წ. 1 ივნისს საქართველოს მე-11 საეკლესიო კრებამ საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია. ინტრონიზაცია შედგა 2 ივლისს მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.

დ. VI-ს მიღებული აქვს საეკლესიო ჯილდოები: სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება, წმ. ნინოს ორდენი, მთავარმოწამე გიორგის I ხარისხის ორდენი, მეორე პანაღეა პედ. მოღვაწეობისათვის. *ე. ბუბულაშვილი.*

დავით VII უ ლ უ (გ. 1270), საქართველოს მეფე 1247–70, *გიორგი IV* ლაშას უკანონო შვილი. დაახლ. 1236 (1237) *რუსუდან* მეფემ ტახტის შესაძლებელი პრეტენდენტის თავიდან მოცილების მიზნით იგი თავის სიძესთან (რუსუდანის ასულ თამარის ქმართან), რუმის სულთან ყიას ად-დინ ქეი ხუსრევ II-თან გაგზავნა. სულთანმა ბორკილებგაყრილი დავით გიორგის ძე ციხეში დაამწყვდია. მონღოლთა მიერ ყიას ად-დინის დამარცხების შემდეგ (დაახლ. 1242–43) დ. განთავისუფლდა. უმეფობის ხანაში ქართვ. დიდებულთა მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა ტახტის მემკვიდრედ დავით გიორგის ძე წამოაყენა, რადგან დავით რუსუდანის ძე ცოცხალი აღარ ეგულებოდათ. მონღოლთა ადგილ. ხელისუფლებასთან შეთანხმებით დაახლ. 1245 (1246) ტახტის ახ. კანდიდატი რუმის სასულთნოდან საქართველოში ჩამოიყვანეს და ყაენთან გაგზავნეს. 1246 ყარაყორუმში ჩასულ დავით გიორგის ძეს იქ დახვდა დავით რუსუდანის ძე. ამრიგად, დიდი ყაენის კარზე ერთდროულად საქართვ. სამეფო ტახტის ორი პრეტენდენტი (მამიდაშვილ-ბიძაშვილი) აღმოჩნდა და, შესაბამისად ამისა, ქართვ. დიდმოხელე ფეოდალთა ორი დაჯგუფებაც შეიქმნა. დავით გიორგის ძის მომხრეებმა იცოდნენ, რომ ქართ. სახელმწ. სამართლის ძალით ვერ გაიმარჯვებდნენ (ქართ. სამართალი უკანონო შვილის უფლებებს არ ცნობდა) და ამიტომ ყაენს სთხოვეს ეს საკითხი მონღოლური სამართლის მიხედვით გადაეწყვიტა (მონღ. სამართალი არ განარჩევდა კანონიერსა და უკანონო შვილებს, უპირატესობას უფროს შვილს ანიჭებდა). 1247 გუიუქ-ყაენმა ორივე დავითი მეფედ დაამტკიცა. 1248 (1249) დ. VII *დავით VI-თან* ერთად თბილისში დაბრუნდა. ორივე მეფე 1259-მდე თანხმობით განაგებდა ქვეყანას.

1256-იდან საქართველო ილხანთა, ანუ ჰულაგუიანების სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა. ილხანთა ბატონობის ხანაში კიდევ უფრო დამძიმდა გადასახად-გამოსაღებელი, რის შედეგადაც 1259 აჯანყებამ იფეთქა. მას სათავეში დავით VI ჩაუდგა (იხ. *მონღოლთა ბატონობა საქართველოში*). ამ აჯანყების დროს ჰულაგუ-ყაენმა დ. VII-ს ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობა მოსთხოვა. მეფემ არ შეასრულა ყაენის მოთხოვნა და 1260, როდესაც 1259 აჯანყება უკვე დამცხრალი იყო, აჯანყდა. აჯანყებულთა მთავარი დასაყრდენი სამცხე იყო. ახალდაბასთან ბრძოლაში ყაენის სარდალმა არღუნ-ნოინმა დაამარცხა დ. VII-ისა და სამცხის სპასალარის *სარგის I* ჯაყელის მცირერიცხოვანი ჯარი. აჯანყება მაინც

გრძელდებოდა: 1261 მაისში ყაენის ბრძანებით არღუნი დიდძალი ჯარით კვლავ შევიდა სამცხეში, მაგრამ **დ.** VII-ის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა, ვერც ჯაყელთა რეზიდენცია – ციხისჯვარი აიღო და ივნისში უკან გაბრუნდა. მიუხედავად ამისა, **დ.** VII იძულებული გახდა ბრძოლა შეეწყვიტა და ქუთაისში დავით VI-თან გადასულიყო. მონღოლებმა ლიხთ-იმერეთში გადასვლა ვერ გაბედეს და ბრძოლა შეწყვიტეს. დას. საქართვ. დიდებული ფეოდალები **დ.** VII-ისა და დავით VI-ის მომხრეებად გაიყვნენ. ამასობაში მონღოლებმა აღმ. საქართველოში მეთვალყურედ დასვეს ვინმე შადინი და მას მმართველად დანიშვნასაც უპირებდნენ, რაც აღმ. საქართვ. სრული დაპყრობის მომასწავებელი იქნებოდა. ასეთ პირობებში **დ.** VII მონღოლებს შეურიგდა, თბილისში დაბრუნდა და 1262 სარგის ჯაყელთან ერთად ჰულაგუსთან გაემგზავრა. **დ.** VII-ის საქმის გამოძიების დროს ყაენს აცნობეს, რომ მის წინააღმდეგ დაძრულიყო ოქროს ურდოს ყაენი *ბერქა.* ჰულაგუმ გამოძიება შეწყვიტა, **დ.** VII საქართველოში დააბრუნა და ჯარით ხლება უბრძანა. 1263 ბერქასთან ბრძოლაში დამარცხებულმა ჰულაგუმ შირვანში *სიბა* ააგო ოქროს ურდოს შემოსევათა შესაკავებლად. ამ დროიდან აღმ. საქართვ. მეფე ყოველ შემოდგომა-გაზაფხულზე ლაშქრით სიბაზე გადიოდა. 1265 **დ.** VII საქართვ. ჯარით აბაღა-ყაენის ლაშქარში იბრძოდა ბერქას წინააღმდეგ.

დ. VII-ის დროს ქვეყანა ეკონ. კრიზისმა მოიცვა. მეფისა და მწიგნობართუხუცეს ბასილი უჯარმელ-ჭყონდიდელის აგრარულმა პოლიტიკამ – საეკლ. მამულების ფეოდალებისათვის გადაცემამ – ვერ აღადგინა ფეოდალთა მიწათმფლობელობის ადრინდ. სიმტკიცე. საქართველოში ფეხს იკიდებდა მონღოლური წესები. 1266 საქართვ. სამეფოს გამოეყო სამცხე, რ-იც უშუალოდ ყაენს დაექვემდებარა. ამრიგად, XIII ს. 60-იანი წლებისათვის საქართველო ფაქტობრივად დაყოფილი იყო სამ პოლიტ. ერთეულად (აღმ. საქართველო, სამცხე და დას. საქართველო).

ლიტ. იხ. სტ-თან დ ა ვ ი თ VIII.

ვ. გუჩუა.

დავით VIII (დაახლ. 1273/74–1310), საქართველოს მეფე 1293–1310, *დემეტრე II* თავდადებულის ძე. 1284-იდან იზრდებოდა ტარსაიჭ ორბელის სახლში. 1289 დემეტრე II-მ ილხანთა ურდოში წაიყვანა. 1291 ათაბაგი *ხუტლუბუღა* შეეცადა ვახტანგ II-ის (დავით VI-ის ძე) მაგიერ დავით უფლისწული გაემეფებინა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. 1291/92 მონაწილეობდა ქეღათუ-ყაენის მიერ რუმის (მცირე აზია) აჯანყების ჩასაქრობად მოწყობილ ლაშქრობაში. ამის შემდეგ ყაენმა **დ.** VIII მეფედ დაამტკიცა. **დ.** VIII ფაქტობრივად აღმ. საქართვ. მეფე იყო, დას. საქართვ. კი *კონსტანტინე I*, დავით VI ნარინის ძე, განაგებდა. **დ.** VIII ცდილობდა ილხანსა და ნოინებს შორის ბრძოლა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. 1295 მან კავშირი შეკრა ქეღათუ-ყაენის მოწინააღმდეგე თუქალ-ნოინთან. იმავე წელს ბაიდუსა (ილხანი 1295) და ყაზანს (ილხანი 1295–1304) შორის ბრძოლაში თუქალი ბაიდუს მხარეზე იბრძოდა. 1297 **დ.** VIII ყაზან-ყაენმა ურდოში იხმო. ვაზირთა რჩევის მიუხედავად, მეფე არ ეახლა მას, აჯანყდა და მომხრე ფეოდალებთან ერთად მთიულეთში გამაგრდა. **დ.** VIII-მ ყაზანის წინააღმდეგ პოლიტ. კავშირი შესთავაზა ოქროს ურდოს ყაენს – მას თავისი უმცროსი ძმა ვახტანგი გაუგზავნა ელჩად და ირანში შესასვლელი უმოკლესი გზის (დარიალი) მიცემას დაპირდა. ამ კავშირის ჩაშლის მიზნით, ყაზან-ყაენი შეეცადა დაზავებოდა **დ.** VIII-ს, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ ყაზანმა ჯარები გამოგზავნა ურჩი ვასალის დასამორჩილებლად. როცა ამ გზითაც ვერაფერს გახდა, 1299 მეფედ დაამტკიცა **დ.** VIII-ის უმცროსი ძმა გიორგი (შემდგომ *გიორგი V* ბრწყინვალე).

მონღოლთა განუწყვეტელი შემოსევები ქვეყანას ანადგურებდა. **დ.** VIII-ის მომხრე მსხვილ ფეოდალთა ნაწილი დარწმუნდა, რომ ბრძოლის გაგრძელება უაზრო იყო და ყაენს დამორჩილდა. **დ.** VIII კვლავ მთიულეთში გამაგრდა და საქართვ. იმ მხარეებს არბევდა, რ-ებიც ყაენის ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ. მალე **დ.** VIII თავის ძმას ვახტანგსაც გადაემტერა. ვახტანგი იძულებული გახდა ყაენს ხლებოდა. 1302 ყაენმა იგი საქართვ. მეფედ დაამტკიცა (იხ. *ვახტანგ III*) დიდი სამხ. ძალის მიუხედავად, მონღოლებმა ვერ შეძლეს მთიულეთში შესვლა, რამაც მათ ძლევამოსილებას სახელი გაუტეხა. მაგრამ მონღოლთა ლაშქრის ყოველწლიურმა თარეშმა აღმ. საქართველო ააოხრა. ბრძოლებს შიმშილი მოჰყვა, რამაც ქართლის მოსახლეობა იძულებული გახადა სამცხეში გახიზნულიყო.

წყარო: ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3).

ვ. გუჩუა.

დავით IX, საქართველოს მეფე 1346–60, *გიორგი V* ბრწყინვალის ძე. მისი მეფობის პირველი წლები აღინიშნა ,,შფოთით'', ანუ შინაფეოდ. ბრძოლებითა და ,,დიდი სიგლახაკით'' – ეკონ. კრიზისით. 1349–50 საქართველო იძულებული შეიქნა ირანის მონღოლთა ყაენისათვის ანუშირვანისათვის გადაეხადა ხარკი – 400000 დინარი. ამას დაერთო შავი ჭირის ეპიდემიით გამოწვეული ,,დიდი სიკვდილობა'' (1348). **დ.** IX-ის მეფობის დროს, 1356, საქართველო დალაშქრა თავრიზის მმართველმა მელიქ აშრაფმა. მტერმა დაარბია და დაანგრია ქ. ბიჯნისი. ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ცნობით, **დ.** IX-ს მნიშვნელოვანი სამშენებლო საქმიანობა წამოუწყია, აღუდგენია მონღოლთა მიერ დანგრეული მრავალი ეკლესია და ციხესიმაგრე. **დ.** IX გარდაიცვალა გეგუთის სასახლეში, დაკრძალულია გელათის მონასტერში.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3). *გ. ჯამბურია.*

დავით X (გ. 1526), ქართლის მეფე 1505–25, *კონსტანტინე II-ის* ძე. მისი მეფობის დროს საქართვ. მეფე-მთავრებს შორის გრძელდებოდა შინაფეოდ. ბრძოლა. 1509 აგვ-ში იმერეთის მეფე, ალექსანდრე II-მ დაიპყრო ქ. გორი და ქართლის ჩრდ.-დას. ნაწილი, რ-იც **დ.** X-მ 1510 დაიბრუნა. **დ.** X-ს ებრძოლა და ქართლს არბევდა კახეთის მეფე *გიორგი II* (ავგიორგი). 1513, როცა ბაგრატ მუხრანბატონმა გიორგი II შეიპყრო, **დ.** X-მ კახეთი დაიპყრო. კახეთის მეფის მემკვიდრე, მცირეწლოვანი ლევანი, მისმა მომხრე თავადებმა დამალეს. 1518 ქართლს შაჰ-ისმაილ I-ის მეთაურობით ირანელები შემოე-

სივნენ (იხ. *ისმაილ I-ის ლაშქრობანი საქართველოში 1522*). დ. X-მ შაჰს მორჩილება აღუთქვა და ყოველწლიურად 300 საპალნე აბრეშუმის გადახდა დაიწესა. კახეთის თავადებმა უფლისწული ლევანი მეფედ დასვეს. დ. X-მ კვლავ დაიპყრო კახეთი. ლევანი მაღნარის ციხეში გამაგრდა. დ. X-მ ალყა შემოარტყა ციხეს, მაგრამ ქართლში ოსმალთა რაზმის შემოსევის გამო იძულებული გახდა ალყა მოეხსნა და ქართლში დაბრუნებულიყო. ოსმალების განდევნის შემდეგ ლევანმა გაიმარჯვა. დ. X-მ ლევანი კახეთის მეფედ ცნო და მასთან მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის კავშირი შეკრა. 1522 დ. X ისმაილ I-ის წინააღმდეგ *თელეთის ბრძოლაში* დამარცხდა. თბილისის ციხეში ყიზილბაშები ჩადგნენ. 1524, ისმაილ I-ის გარდაცვალების შემდეგ, დ. X-მ თბილისი აიღო და ქართლის საზღვრებში შემოსახლებული თურქმანები განდევნა. 1525 ტახტი თავის ძმას – გიორგის გადასცა, თავად კი ბერად აღიკვეცა დამიანეს სახელით.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967; გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII–XIV სს.), თბ., 1962; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967; ჯამბურია გ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955. *გ. ჯამბურია.*

დავით XI, დაუთ-ხანი, ქართლის ხანი (ზოგიერთი ქართ. წყაროს მიხედვით, ქართლის მეფე) 1569–78, ლუარსაბ I-ის ძე. დ. XI-მ უღალატა ძმას – სიმონ I-ს და თავის მომხრე ქვემო ქართლის თავადებთან (ბარათაშვილებთან) ერთად 1561 ირანს გაემგზავრა და შაჰ-თამაზ I-ს ეახლა ყაზვინს. იგი გაამაჰმადიანეს, ვასალობის რაყამი უბოძეს, ქართლის ხანად დანიშნეს (1562) და ყიზილბაშთა ჯარით საქართველოში გამოგზავნეს. დ. XI განაგებდა მხოლოდ თბილისსა და ქვემო ქართლს, რ-იც ამ დროს ირანს ეპყრა. დანარჩენი ქართლი სიმონ I-ს ემორჩილებოდა. მას ფეოდალთა დიდი ნაწილი ერთგულობდა. ქართლში ,,ორიანობა'' (ორმეფობა) დამყარდა. დ. XI-მ 1569 *ფარცხისის ბრძოლაში* ყიზილბაშთა დახმარებით სიმონი დაამარცხა და ქართლის ერთადერთი მმართველი გახდა. დატყვევებული სიმონი ირანში გაგზავნეს, მაგრამ თავადთა უმეტესობა, საჩინო *ბარათაშვილის* მეთაურობით, კვლავ განაგრძობდა დ. XI-ისა და ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლას. დ. XI წელიწადში 20000 დუკატს უხდიდა ირანს ხარკად. 1578, როცა ოსმალეთის დიდი არმია მუსტაფა ლალა-ფაშას მეთაურობით საქართველოში შემოიჭრა, დ. XI-მ თბილისი გადაწვა და თავი ლორეს შეაფარა. ოსმალებმა ქართლი საფაშოდ გამოაცხადეს და თბილისში ფაშა დასვეს. 1578 ირან. მთავრობამ სიმონ I ტყვეობიდან გაათავისუფლა და ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად ქართლში დააბრუნა. დ. XI-მ ციხეები ოსმალთა სარდალს გადასცა, თვითონ კი სტამბოლში წავიდა, სადაც პატივით მიიღეს და სარჩოდ ორი სანჯაყი უბოძეს. დ. XI-ის ვაჟებმაც, ბაგრატმა და ხოსრომ, კახეთს შეაფარეს თავი, შემდეგ კი ირანში წავიდნენ. დ. XI-მ ოსმალეთში რამდენიმე წელი დაყო და იქვე გარდაიცვალა. ოსმალეთში ყოფნის დროს ორი ოსმალური კარაბადინისგან შეადგინა ერთი ქართ. საქიმო წიგნი – ,,იადიგარ დაუდი'' და საქართველოში გამოგზავნა.

თხზ.: იადიგარ დაუდი, ლ. კოტეტიშვილის გამოც., თბ., 1985.

წყარო: გორგიჯანიძე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2; ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1966.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 6, თბ., 1973; გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI–XVII საუკუნეებში, თბ., 1958; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967. *გ. ჯამბურია.*

დავითაია გურამ შალვას ძე (დ. 20. IX. 1939, ხონი), ბავშვთა ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (1992). 1966 დაამთავრა თსსი-ის პედიატრიის ფაკ-ტი; 1969 – სოხუმის სახელმწ. პედ. ინ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი. 1966–69 იყო ყაზახეთის სსრ-ში ცელინოგრადის ოლქის, მაკინსკის რ-ნის მთ. ექიმის მოადგილე; 1969–74 – თსსი-ის ბავშვთა ქირურგიის კათედრის თანამშრომელი, 1989–92 – თსსი-ის სასწ.-მეთოდური განყ-ბის გამგე, 1991-იდან – ბავშვთა ქირურგ. კათედრის პროფესორი, 2005–06 – თსსუ-ის პედიატრიული ფაკ-ტის დეკანი. ამჟამად მიმართულების ასოცირებული პროფესორია. დ-ს სამეცნ. შრომები ეხება ბავშვთა ქირურგ. აქტუალურ საკითხებს.

დ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი (მ. შ. 16 სასწ. და მეთოდური სახელმძღვანელო, 7 რაციონალური წინადადება და 1 გამოგონება).

დავითაია დავით შოთას ძე (დ. 11. VIII. 1938, სენაკი), სპორტსმენი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). სსრკ დამსახურებული მწვრთნელი (1990), საქართვ. ნაკრების (1976–86), ჭაბუკთა და ახალგაზრდული გუნდების (1986–92) მთავარი მწვრთნელი, სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1976–86), საქართვ. მრავალგზის ჩემპიონი. იტალიის, რუმინეთის, თბილისის საერთაშ. ტურნირების გამარჯვებული. ღირსების ორდენის კავალერი. მისი აღზრდილები არიან ი. ბერიშვილი, გ. წურწუმია, ბ. ხასაია.

დავითაია ვასილ ვალერიანის ძე (დ. 2. VIII. 1951, სოფ. ჭალადიდი, ფოთის მახლობლად), პოლიციის გენერალ-მაიორი (1999). 1973 დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი, 1990 – ისტ.-იურიდ. ფაკ-ტი. 1973 შრომითი საქმიანობა დაიწყო ეკონომისტად. 1979–93 მუშაობდა აფხაზეთის არ შინაგან საქმეთა ორგანოებში ხელმძღვ. თანამდებობებზე. 1993–94 იყო საქართვ. შს სამინისტროს ეკონ. დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს განყ-ბის უფროსი, 1994–95 – ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილე, შემდეგ – სამმართველოს უფროსი, 1995–97 – საქართვ. შს სამინისტროს ზურგის მთ. სამმართველოს უფროსი, 1997–2002 – საქართვ. შს სამინისტროს მატერ.-ტექ. და ფინანს. უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარე. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1997). *ლ. დოლიძე.*

დავითაია ვახტანგ ვლადიმერის ძე (დ. 22. XII. 1934, სოფ. ძველი სენაკი, ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი), არქიტექტორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1990), შოთა რუსთაველის სახ. ეროვნ. პრემიის ლაურეატი (1995), საქართვ. არქიტ. კავშირის თავმჯდომარე (1995–2000), არქიტ. საერთაშ. აკად. ნამდვ. წევრი (1994), რუს. არქიტ. და სამშ. მეცნ. აკად. საზღვარგარეთე-

ლი წევრი (1994), უკრაინის არქიტ. აკად. საპატიო წევრი (2000). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინტი (1958). მუშაობდა არქიტექტორად ,,საქქალაქმშენსახპროექტში'' (1958–62), 1964-იდან პედ. მოღვაწეობას ეწევა საქართვ. ტექ. უნტში (1992-იდან – პროფესორი), 1992–2005 იყო არქიტ. გეგმარების კათედრის გამგე, 2005-იდან – არქიტ. გეგმარების მიმართულების ხელმძღვანელი, 1970–91 – არ-



ვ. დავითაია. ,,ალგეთის ბაზილიკა'' (მემორიალი). 1983. სოფელი ტბისი.

ქიტ. ინ-ტის საპროექტო ბიუროს სტუდიის ხელმძღვანელი. ნამუშევრები: კავკასიის დამცველთა მემორიალი ყარაჩაი-ჩერქეზეთში (1968, ა. ჩიქოვანთან ერთად, მოქანდაკე გ. კალაძე; საქართვ. კომკავშირის პრემია, 1972); საერთაშ. ახალგაზრდული ცენტრი ,,მზიური ველი'' ბაკურიანში (1982, გ. გეგელიასთან ერთად); მემორიალი ,,გამარჯვება'' გორში და მემორიალი ,,გმირ მეზღვაურებს'' ფოთში (1979; ორივე ობიექტისათვის მოქანდაკე ე. ამაშუკელთან ერთად მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია, 1982); მემორიალი ,,დიდება შრომას'' ქუთაისში (1979, შ. ბოსტანაშვილთან ერთად, საქართვ. მინისტრთა საბჭოს, სახელმწ. პრემია ,,ხუთწლედის მატიანე'', 1983); მემორიალი ,,ხსოვნის ტაძარი'' სოფ. მუხრანში (1981, შ. ბოსტანაშვილთან ერთად, მხატვარი ე. ბურჯანაძე); ,,ხსოვნის კუბი'' (1984, მოქანდაკე ვ. მელიქიშვილი) და სამხატვრო გალერეა (1977; ორივე შ. ბოსტანაშვილსა და გ. გეგელიასთან ერთად) სენაკში; ,,ალგეთის ბაზილიკა'' სოფ. ტბისში (1983, მოქანდაკე გ. ჯაფარიძის მონაწილეობით); ხელოვნ. ცენტრი გულრიფშში (რეკონსტრუქცია-რეგენერაცია, 1988, შ. ბოსტანაშვილთან ერთად); პურის ქარხნები ვაზისუბანში (1989), თბილისის ზღვის უბანში (1988; ორივე შ. ბოსტანაშვილთან ერთად); საქართვ. კულტურის ფონდის საგამოფენო დარბაზი თბილისში (1992); დავით აღმაშენებლის ძეგლი ქუთაისში (1995; მოქანდაკე ე. ამაშუკელი, საქართვ. სახელმწ. პრემია, 1996) და სხვ. დ. არის სოფიის მსოფლიო არქიტ. ბიენალეს ,,ინტერარქ-83-ის'' და ,,ინტერარქ-85-ის'' ლაურეატი, 1984, 1987 და 1990 წწ. საუკეთესო პროექტისა და 1986, 1989 წწ. საუკეთესო ნაგებობის საკავშ. კონკურსების ლაურეატი, საქართველოში არქიტ. პირველი ბიენალეს (1988) ლაურეატი. პერსონალური გამოფენები ჰქონდა თბილისში, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს რამდენიმე ქალაქში. არის რიგი ქვეყნების არქიტ. ინ-ტების საპატიო წევრი და პროფესორი.


დ-ს შემოქმედებისათ ვის დამახასიათებელია ეროვნ. თავისებურებების ძიება და ხაზგასმა, თანამედროვე ორიგინ. კომპოზიციისა და ფორმის გამოყენება, არქიტ. ხერხებით მემორიალის იდეურ-აზრობრივი არსის მხატვრული განზოგადება. ავტორია თანამედროვე არქიტ. საკითხებზე დაწერილი შრომებისა.

თხზ.: არქიტექტურა. ოცნება და სინამდვილე, თბ., 2000; მონუმენტები. მემორიალები. მცირე არქიტექტურა, თბ., 2004; პროცესი, თბ., 2009.

ს. კინწურაშვილი. მ. მაისურაძე.

დავითაია თეოფანე ფარნას ძე [2 (15). IX. 1911, სოფ. ეკი, ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი, – 29. VII. 1979, თბილისი], გეოგრაფი, აგრომეტეოროლოგი და კლიმატოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960), სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1951), პროფესორი (1961), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966), საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმის წევრი და დედამიწის შემსწავლელ მეცნ. განყ-ბის თავ-რე (1963-იდან), ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრ. ინ-ტის დირექტორი (1962-იდან), საქართვ გეოგრ. საზ-ბის პრეზიდენტი (1970-იდან), საერთაშ. გეოგრ. კავშირის ვიცე-პრეზიდენტი (1972-იდან). 1932 დაამთავრა სუბტროპ. კულტურების საკავშ. ინ-ტი თბილისში. 1932–41 და 1945–51 მუშაობდა ლენინგრადის (სანქტ-პეტერბურგი) მემცენარეობის ინ-ტში. 1941–45 იყო საავიაციო მეტეოროლ. სამსახურის უფროსი, 1951–59 – სსრკ ჰიდრომეტეოროლ. სამსახურის მთ. სამმართველოს უფროსის მოადგილე სამეცნ. ნაწილში. სხვადასხვა დროს იყო ლენინგრადის, მოსკ., თბილ. და უისკონსინის (აშშ) უნ-ტების პროფესორი, სამეცნ.-ტექ. ჟურნ. ,,მეტეოროლოგია და ჰიდროლოგიის'' მთ. რედაქტორი (1955–62), ,,სსრკ კლიმატური ატლასის'' 3-ტომიანი გამოცემის მთ. რედაქტორი (1960–64). არჩეული იყო უცხოეთის მრავალი ქვეყნის სამეცნ. საზ-ბის წევრად.

დ-ს შრომები ეხება ზოგად და სას.-სამ. კლიმატოლოგიას, აგრომეტეოროლოგიას, სოფ. მეურნ. გეოგრაფიას, ბუნების დაცვისა და გარდაქმნის პრობლემებს. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის კლიმატისა და ამინდის არახელსაყრელ პირობებთან (გვალვა, ხორშაკი, წაყინვა) ბრძოლის მეთოდების თეორ. დასაბუთებაში; დაამუშავა აგროკლიმ. დარაიონებისა და კლიმატის სას.-სამ. შეფასების მეთოდები; შექმნა კლიმატის საწარმოო შეფასების ახ. მეცნ. მიმართულება. შეისწავლიდა თანამედროვე ცივილიზაციის ზეგავლენით ბუნებაში თავისუფალი ჟანგბადის სისტემ. კლების პრობლემებს.



ვ. დავითაია (დ. 1934).

დ-ს მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, სსრკ (1973) და საქართვ. (1971) სახელმწ. პრემიები, ა. ვოეიკოვის სახ. პრემიები (1956 და 1966), სსრკ გეოგრ. საზ-ბის დიდი ოქროს მედალი (1976), კუბის გეოგრ. ინ-ტის თანადამაარსებლის დიპლომი (1965, კუბა), კუბის მეცნ. აკად. დიდი ოქროს მედალი (1972). 1980 დაარსდა დ-ს სახ. პრემია ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების დარგში თვალსაჩინო სამეცნ. შრომებისათვის. მის სახელს ატარებდა სანაოსნო თბომავალი ,,აკადემიკოსი დავითაია''.



თ. დავითაია.

თხზ.: Климатические зоны винограда в СССР, 2 изд., М., 1948; Исследование климатов винограда в СССР и обоснование их практического использования, М.–Л., 1952; Прогноз обеспеченности теплом и некоторые проблемы сезонного развития природы, М., 1964; Климатические ресурсы Кубы и их использование в народном хозяйстве, Тб.,1966 (თანაავტ. И. И. Трусов); Проблема прогноза испаряемости и оросительных норм, Л.,1970 (თანაავტ. Ю. С. Мельник); Атмосфера и биосфера – прошлое, настоящее, будущее, Л.,1975; Проблемы борьбы с градобитием, морозами в субтропиках и некоторыми другими

стихийными процессами. Новые аспекты, ч. 1–2, Тб., 1981 (თანაავტ. К. А. Таварткиладзе); ჰავა და სოფლის მეურნეობა, პეკინი, 1959 (ჩინ. ენაზე); აგრომეტეოროლოგია, პეკინი, 1960 (ჩინ. ენაზე).

ლიტ.: თეოფანე დავითაია. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. ე. ელიოზიშვილი, თბ., 1984; კვერენჩხილაძე რ., გაგუა გ., აკადემიკოსი თეოფანე დავითაია, თბ., 1984; მედვედევი ი., აკადემიკოსი თეოფანე დავითაია, თბ., 1987; მისივე, В первом приближении, М., 1975; ხარაძე კ., კაცი ლეგენდა. აკადემიკოსი თეოფანე დავითაია, თბ., 2011. *გ. დონდუა.*

თეოფანე დავითაიას სახლ-მუზეუმი, დაარსდა 1986 სოფ. ეკში. განთავსებულია მამაპაპისეულ ოდასახლში, სადაც დაიბადა და მომავალი დიდი მეცნიერი. სახლი და მთელი რიგი ექსპონატები მუზეუმს გადასცა მისმა ძმამ ს. დავითაიამ და მეუღლემ მ. კეკუამ. სახლ-მუზეუმის კეთილმოწყობისა და გამოფენის პროექტის ავტორია არქიტ. ვ. *დავითაია.* ექსპოზიციის მასალები შეაგროვა და ქრონოლოგიურად განალაგა კ. ხარაძემ. სახლ-მუზეუმის განკარგულებაშია ცალკე მდგარი მეგრული სამზარეულო, ნალია, მარანი, ჭა, ეზო და სხვ.

სახლ-მუზეუმში გამოფენილია 1600-ზე მეტი ფოტოსურათი, დოკუმენტი, სქემა და ნივთი, რ-ებიც ნათლად ასახავენ მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო გზას. ექსპონირებულია მეცნიერის კუთვნილი რელიკვიური ნივთები (მ. შ. ანტიკვარული საწერი მაგიდა), უნიკალური საბუთების დედნები და სხვ.

სახლ-მუზეუმის ექსპონატები განთავსებულია 3 ოთახში.

პირველ ოთახში გამოფენილია დავითაიას ბავშვობისა და ყრმობის, სკოლაში სწავლისა და სტუდენტობის პერიოდის ამსახველი მასალა. აქვეა გენეალოგიური ნუსხა და ახლობლების ფოტოსურათები.

მეორე ოთახში წარმოდგენილი ექსპონატები ასახავს მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ლენინგრადში, მოსკოვში და ფრონტზე. აქვეა გამოფენილი დ-ს შექმნილი მეტეოროლ. ხელსაწყო – საველე წვიმასაზომი, რ-ზეც დიდი მოთხოვნა იყო არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც.

მესამე, დიდი ოთახის ექსპოზიცია ასახავს მეცნიერის საქართველოში მოღვაწეობის 17-წლიან, ყველაზე ნაყოფიერ, პერიოდს. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ასევე დ-ს სამეცნ. კავშირების ამსახველ მასალას, კერძოდ, მის მოღვაწეობას კუბასა და ჩინეთში. გამოფენილია ათეულობით ჯილდოს ფოტოასლი და ბ. ყურაშვილის მიერ სვანეთის ფონზე გადაღებული განათებული ფერადი სლაიდების კოლაჟი. მუზეუმისათვის სპეციალურად შეიქმნა დ-ს პორტრეტი (ავტ. დ. ვ. *ერისთავი*). ექსპოზიცია შევსებულია 30 ქვეყნიდან ჩამოტანილი სუვენირებითა და მუზეუმისათვის გადაცემული საჩუქრებით.

კ. ხარაძე.

დავითაია პაატა ოთარის ძე (დ. 16. II. 1974, გულრიფში), იუსტიციის გენერალ-მაიორი (2003), იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (2005), პროფესორი (2006). 1994 დაამთავრა თსუ-ის სოხუმის ფილიალის სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი, იყო აფხაზეთის ავტონ. რესპ. უმაღლესი საბჭოს მთ. სახელმწ. მრჩეველი (1996–2001), საქართვ. საკონსტიტუციო სასამართლოს თავ-რის მოადგილის თანაშემწე, აპარატის უფროსი (2001–02), აფხაზეთის ავტონ. რესპ. იუსტიციის მინისტრი (2002–03), აფხაზეთის ავტონ. რესპ. მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე და I მოადგილე (2003–04). 2008 წ. 26 დეკემბრიდან არის საქართვ. პარლამენტის თავჯდომარის მოადგილე. ავტორია 15 სამეცნ. ნაშრომის და 2 მონოგრაფიისა.

დავით ანაღთი, დავით ძლევამოსილი (V ს. დასასრ. – VI ს. I ნახ.), სომეხი ფილოსოფოსი და ლოგიკოსი. ალექსანდრიის ნეოპლატონური სკოლის წარმომადგენელი. მოღვაწეობდა ალექსანდრიაში, შემდეგ – სომხეთში. შრომებში: ,,ფილოსოფიის განსაზღვრებანი'', ,,არისტოტელეს ანალიტიკის განმარტება'' (უკანასკნელის მხოლოდ სომხ. თარგმანია შემორჩენილი) და სხვ. იცავდა ნეოპლატონური სკოლის პრინციპებს. გადმოცემით, სიცოცხლის ბოლო წლები საქართველოში გაუტარებია. განსხვავებით ლ. მელიქსეთ-ბეგისაგან, რ-იც დ. ა-ს დავით გარეჯელთან აიგივებდა, შ. ნუცუბიძე თვლიდა, რომ იგი იყო მე-14 სირიელი მამა, პეტრე იბერის ერთ-ერთი მოწაფე, რ-ის ნაშრომების ქართულად თარგმნა XVIII ს-ში პეტრე იბერის იდეების გავლენით აიხსნება (სომხურიდან მეფე ერეკლეს ბრძანებით გადაიღეს დოსითეოს ნეკრესელმა და ფილიპე ყაითმაზაშვილმა). უცნობ წყაროზე დაყრდნობით დავით რექტორი დ. ა-ს ათონში მოღვაწე პეტრიწის ,,თანამოწაფედ'' თვლიდა. მ. რაფავამ დაასაბუთა, რომ დ. ა-ის ფილოს. განსაზღვრებათა წყაროა ამონიოს ჰერმიას (ბერძენი ფილოსოფოსი, V ს.) შეხედულებანი.

ლიტ.: ამონიოს ერმიასი თხზულებები ქართულ მწერლობაში, ნ. კეჭაღმაძის და მ. რაფავას გამოც., თბ., 1983; მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის (XVI–XIX სს.), ივ. ლოლაშვილის გამოც., თბ., 1982; თევზაძე გ., შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1996; კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1980; ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1–2, თბ., 1956–58. *გ. თევზაძე.*

დავით აღმაშენებელი, იხ. *დავით IV* აღმაშენებელი.

დავით აღმაშენებლის ანდერძი გელათის დმ., დიპლომატიკური ძეგლი. ანდერძი დათარიღებული არ არის. მეცნიერები ნ. შოშიაშვილი, ვ. სილოგავა, თ. ენუქიძე ამ საბუთს ათარიღებენ 1125-ის მომდევნო წლებით.

ანდერძის მიხედვით, იგი დაწერილია დავით აღმაშენებლის ბრძანებით მეფის მოძღვრის – არსენის მიერ დავითის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ *არსენ ბერი* საბუთის შემდგენლად მოხსენიებულია მხოლოდ სათაურში, ხოლო სათაური გვიანდელია. რაც შეეხება ანდერძის შემდგენლის ვინაობას, საბუთში მოხსენიებულია მხოლოდ მეფის ,,მლოცველი ბერი'', რ-ის ვინაობაც უცნობია.

ანდერძით დავით აღმაშენებელი თავის ძეს დემეტრეს ტახტის მემკვიდრედ აცხადებს და უბარებს რიგი საქმეების აღსრულებას. საქმე ეხება თავისი ოჯახის, დედოფლის და შვილების პატრონობას, გელათისა და იქ არსებული საგვარეულო საძვალის კურთხევას. ამავე დროს მეფე თავის მემკვიდრეს ანდერძად უბარებს სხვა მონასტრებისა და მამულებისათვის სამეფო ხაზინიდან შესაწირავების გაცემას.

დავითი თავის ანდერძში უფალს შესთხოვს მიწიერი ცოდვების მოანიებას და შენდობას, ხოლო დემეტრესათვის ამ დანაბარების შესრულებაში თანადგომას სთხოვს თავის მოძღვარს არსენ ბერსა და ქართლის კათოლიკოსს.

აღნიშნული ანდერძის შესახებ ქართ. ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, თითქოს იგი ნაყალბევია და დავით აღმაშენებლის ბრძანებით არ არის შედგენილი. ამ მოსაზრების ავტორები ძირითადად ეყრდნობიან საბუთის დასაწყის ფრაგმენტს, სადაც, მათი

აზრით, ჩანს, რომ ანდერძი დაწერილია მეფის გარდაცვალების შემდეგ: ,,...დამიტევა მე საწუთრომან და, დამძიმებული ცოდუათა სიმრავლითა, მწუხარედ განმიყუანა წინაშე მსაჯულისა‘‘. თუ დავითი გარდაცვლილია, მაშინ ვინ არის მისი შემდგენელი – არსენ ბერი თუ მეფის უცნობი მლოცველი ბერი? ავტორთა აზრით, ასეთ საბუთს, რა თქმა უნდა, იურიდ. ძალა არ ექნებოდა. ამავე დროს მას არა აქვს მეფის ხელრთვა, რაც ახლავს დავით აღმაშენებლის ანდერძს შიომღვიმისადმი. ეჭვს განსაკუთრებით აძლიერებს ის გარემოება, რომ დავითი ამ ანდერძით დემეტრეს უბარებს ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლას. კერძოდ, მეფე სთხოვს შვილს, რომ თუ ,,ვარგ იყოს ცუატაცა (აქ ლაპარაკია დემეტრეს უმცროს ნახევარძმაზე – ვახტანგზე) შემდგომად მისსა მეფე ყოს მამულსა ზედა‘‘. ეს, რა თქმა უნდა, მემკვიდრეობის პრინციპის დარღვევა იყო, რადგან, გაბატონებული ტრადიციის მიხედვით, ტახტი გადადიოდა მამიდან უფროს ვაჟზე და არა ძმაზე და ასეთ კანონდარღვევას დავით აღმაშენებელი არ დაუშვებდა, მით უმეტეს მეფისათვის ადვილი წარმოსადგენი უნდა ყოფილიყო, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა შემდგომში ამ პრეცედენტის დაშვებას. ამ მოსაზრებების ავტორთა ვარაუდით ეს ანდერძი ნაყალბევია. ისიც უნდა ითქვას, რომ ვახტანგმა მართლაც სცადა ტახტიდან დემეტრეს ჩამოგდება, რაც მისთვის სავალალოდ დასრულდა – იგი ძმამ სასტიკად დასაჯა.

მიუხედავად ამისა, საბუთი მაინც მნიშვნელოვანია იმ ეპოქის საქართვ. ისტ. რიგი საკითხების შესასწავლად. ანდერძში ვხვდებით ქვეყნის პოლიტ.-გეოგრ. საზღვრების დახასიათებას: ,,ნიკოფსიითგან დარუბანდისა საზღურადმდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე‘‘, რაც იმის მანიშნებელია, რომ დავით აღმაშენებლის მეფობის ბოლოს საქართველოს სახელმწიფო კავკასიური იმპერია იყო, რ-ის საზღვრები თითქმის მთელ კავკასიას მოიცავდა და დავით აღმაშენებელსაც ისტორიულ წყაროებში ,,ზღვიდან ზღვამდე‘‘ მპყრობელის სტატუსი ჰქონდა.

დ. ა. ა-ის დედანი დაკარგულია. არსებობს XIX ს. 4 პირი. არსებულ პირებზე დაყრდნობით ანდერძი გამოსცეს მ. ბროსემ, მ. საბინინმა, თ. ჟორდანიამ, დ. ბაქრაძემ, ი. დოლიძემ. ბოლოს ეს ანდერძი შევიდა ,,ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის‘‘ I ტომში (თბ., 1984; რედაქტორი – ნ. შოშიაშვილი). *ა. გოგოლაძე.*

დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი, დიპლომატიკური ძეგლი. ანდერძი შედგენილია 1123–24 დავით აღმაშენებლის შირვანზე ლაშქრობის წინ, როდესაც მეფე შიომღვიმის ლავრაში მისულა და წმინდა მამა შიოს გამარჯვებას შევედრებია. დავით აღმაშენებელს და *არსენ ბერს* უზრუნიათ მონასტრის მომავალზე და მეფის ბრძანებით არსენს ეს ანდერძი შეუდგენია. **დ. ა. ა.** შესრულებულია ნუსხაურული დამწერლობით, ხოლო პირველი და ბოლო სტრიქონები – მხედრულით, სავარაუდოდ, დავით აღმაშენებლის ხელით.

დავით IV აღმაშენებელს მრავალწლიანი ბრძოლა ჰქონდა ქართლის ფეოდალებთან, მუხრანისა და ზედაზნის მფლობელებთან *ძაგანთან* და მის ძმასთან *მოდისტოსთან* (დოკუმენტიდან არ ჩანს, თუ რომელი საგვარეულოს წარმომადგენლები არიან). 1103, როდესაც დავითმა ზედაზნის ციხე აიღო, მამა-მემღვიმეებმა (ბერები) ძაგანი შეიპყრეს და მეფეს გადასცეს.

მადლიერმა მეფემ შიომღვიმის მონასტერს ამ ანდერძით დიდძალი ქონება და მრავალი ყმა-მამული უბოძა. არსენ ბერისა და მოძღვარ *იოვანეს* რჩევით დავითმა მონასტერს საგანგებო ტიპიკონი დაუწესა, ხოლო ძველი განუახლა და დაუმტკიცა. მისი ბრძანებით მონასტრის შუა ადგილას ააშენეს ღვთისმშობლის დიდი გუმბათოვანი ეკლესია (მოგვიანებით გივი ამილახვარმა ეს ტაძარი ხელახლა ააშენებინა, XIX ს-ში ეპისკოპოსმა ალექსანდრე ოქროპირიძემ იგი შეაკეთა და მოახატვინა). ამ დროს მონასტრის წინამძღვარი იყო მთავარი მამა-მემღვიმე მიქაელი.

დ. ა. ა-ის მიხედვით შიომღვიმის მონასტერს სასამართლო შეუვალობა ადრე ჰქონდა მინიჭებული. დავითმა კი ეს შეუვალობა აღუდგინა. მეფემ ასევე განაახლა დროთა განმავლობაში დარღვეული შიომღვიმის სოფლებისათვის ნაბოძები ძვ. შეუვალობა-შეწირულობანი; დაამტკიცა და გადასახადებისაგან გაათავისუფლა შიომღვიმის მფლობელობა თბილისში.

აღსანიშნავია, რომ დავითმა შიომღვიმე სამეფო მონასტრად აქცია და უშუალო მფარველად და პატრონად მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი დაუნიშნა, რითაც მის ხელშეუხებლობას მეტი სიმტკიცე შესძინა. ამიერიდან მონასტრის უზენაესი პატრონი საქართვ. მეფე იყო. იგი მეფეთა სალოცავ მონასტერს წარმოადგენდა, თუმცა ეპარქიულად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქს ემორჩილებოდა. ანდერძის მიხედვით, მონასტერს მეფის სათანადო პატივისცემით შეხვედრაც ევალებოდა სიმბოლური ძღვნით.

დავითი თავის ანდერძში მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს, არსენ ბერს და თავის ძეს დემეტრეს უბარებს შიომღვიმეში სამშენებლო საქმეების დასრულებას, იოანე (VI) კათოლიკოსის მიერ მის კურთხევას და სთხოვს მათ იზრუნონ ამ ანდერძის შესრულებაზე.

დ. ა. ა. მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის მეფის მიერ ბედიელ-ალავერდელის ინ-ტის დაარსების შესახებ. იგი ერთადერთი ისტ. საბუთია, საიდანაც ვგებულობთ ურჩი ფეოდალების – ძაგანისა და მოდისტოსის – მეფის წინააღმდეგ ამბოხის ამბავს. ანდერძში ვხვდებით ცნობებს სამონასტრო წესწყობილების, გამგებლობის, წესდება-ტიპიკონისა და მეურნეობის შესახებ. იგი მნიშვნელოვანი წყაროა სოც.-ეკონ., პოლიტ.-სახელისუფლო ტერმინების შესასწავლად. დაცულია ცნობები ისტ. გეოგრაფიაზე; დამოწმებულია მეფეთა, კათოლიკოსთა, ეპისკოპოსთა, დიდ თუ მცირე ფეოდალთა მონასტრისადმი შეწირულობების 40-ზე მეტი ძვ. შიომღვიმური საბუთი.

პირველად ამ ანდერძის შესახებ ცნობა საზოგადოებას პ. იოსელიანმა მიაწოდა წიგნში ,,Описание Шиомгвимской пустыни в Грузии‘‘ (Тфл., 1845). ჩვენამდე მოღწეულია **დ. ა. ა**-ის დედნის მხოლოდ მცირე ფრაგმენტი. 1919 მისი ძირითადი ნაწილი დაიწვა. ეს ფრაგმენტი 1923 დაუბრუნდა საქართვ. ცენტრ. არქივს. თუმცა არსებობს სრულ დედანზე დამყარებული გამოცემები, ასევე მისი ფოტოპირები (ამ ფოტოპირების დამზადებაში დიდი ღვაწლი ცნობილ ფოტოგრაფს ა. როინაშვილს მიუძღვის). ანდერძი რამდენჯერმეა გამოცემული.

პუბლ.: ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ., ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და ,,ძეგლი ვახანის ქვაბთა‘‘, ტფ., 1896; კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისათვის დაწერილი, ტფ., 1912; დ ო ლ ი ძ ე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, თბ., 1965; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IX–XIII სს., ტ. 1,

რედ. ნ. შოშიაშვილი, თბ., 1984; ს ი ლ ო გ ა ვ ა ვ., ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი, თბ., 2003; Ж о р д а н и я Ф., Завещание царя Давида Возобновителя, Тфл., 1895.

ლიტ.: გ ო გ ო ლ ა ძ ე ა., დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი, თბ., 2001; ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., შიომღვიმე, თბ., 1953; ს ი ლ ო გ ა ვ ა ვ., დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი, «ჯვარი ვაზისა», თბ., 1989; ჭ უ მ ბ ურ ი ძ ე ზ., დავით აღმაშენებლის ანდერძი, კრ.: მწიგნობარი, თბ., 1992; П у р ц е л а д з е Д., Грузинские церковные гуджары (грамоты), «Материалы для V археологического съезда»,Тфл., 1881. *ა. გოგოლაძე.*

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა ,,ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი'', რ-იც ძველი ქართული ისტორიოგრაფიის მწვერვალადაა მიჩნეული. დაწერილი უნდა იყოს XII ს. 30-იან წლებში. შესულია ,,ქართლის ცხოვრების'' კრებულში. დ. ა. ი-ს *გიორგი II-ის* მეფობაც ჰქონდა მოკლედ აღწერილი, რათა მკითხველს ამ ორი მეფის (დავით აღმაშენებლისა და გიორგი II-ის) მოღვაწეობის დაპირისპირებისა და შედარების საშუალება ჰქონოდა. როგორც ჩანს, დ. ა. ი. დავითის მოღვაწეობის თვითმხილველი, თანამედროვე და მასთან დაახლოებული პირი ყოფილა. მკვლევართა ნაწილის (ს. *კაკაბაძე, კ. კეკელიძე, კ. გრიგოლია,* ჯ. ოდიშელი) აზრით, ის უნდა იყოს *არსენ ბერი*, რ-იც დავითის ანდერძებში მეფის სულიერ და ხორციელ საქმეთა წარმმართველად იხსენიება (ნ. შოშიაშვილს დავითის სულიერ მოძღვრად იოანე მიაჩნია).

დ. ა. ი-ს ჩამოყალიბებული იდეები აქვს. მისი მსოფლმხედველობა პროვიდენციულია – ისტ. მოვლენები ახსნილი და განმარტებულია არა მათი შინაგანი კანონზომიერებით, არამედ განგების, ღმერთის ნებით.

ისტორიკოსი ჭეშმარიტად მეცნიერულ დონეზე აშუქებს დავით მეფის საზოგადოებრივ როლსა და მოღვაწეობის ხასიათს. განსხვავებით შუა საუკ. სხვა ისტორიკოსებისაგან, იგი მეფეს აკისრებს რთულსა და მძიმე მოვალეობას. მან კარგად იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოღვაწის პირად ღირსებას და საქმისადმი პასუხისმგებლობით მიდგომას. ამ მხრივ მეფენიც ერთნაირად ღირსეულნი როდი არიან: ზოგი ,,უმდაბლესია'' და ზოგი – ,,უმაღლესი''. მან იცის, რომ თვით უძლიერესი პიროვნებაც კი ყოვლისშემძლე არ არის და მისი მოქმედების სარგებლიანობა ქვეყნისა და ხალხის თანადროული მდგომარეობითა და საზ. პირობებით არის შეზღუდული (ი. ჯავახიშვილი). თუ დავითის ლაშქრობებს ისეთივე მსოფლიო რეზონანსი არ ჰქონია, როგორიც ალექსანდრე მაკედონელისას, ეს მხოლოდ ქართველების სიმცირით აიხსნებაო, თორემ ,,ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა''. ამავე დროს ისტორიკოსი მხოლოდ დავითის მოღვაწეობის მადიდებელი როდია, იგი მეფის უახლოეს გარემოცვაშია და აქტ. პოლიტ. მოღვაწეცაა.

დ. ა. ი. ეკუთვნოდა ქართ. საზ-ბის იმ იდეურ-პოლიტ. დასს, რ-ის საშინაო სამოქმედო პროგრამა იყო მთავრების პოლიტ. უფლებების შეზღუდვა, სახელმწ. და სამოქალაქო სამართლის მოწესრიგება, ქვეყნის ეკონ. და პოლიტ. წინსვლისათვის ხელის შეწყობა.

დ. ა. ი-ის თხზულება პოლემიკური ხასიათის ნაწარმოებია, რ-იც ფართო საზ. აზრს გამოხატავს. მისი გაღიზიანებული კილო, მეთოდი და გეგმა მოწმობს, რომ დავითის ისტორია პასუხს სცემს ,,მაბრალობელთა'' – მეფის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მოწინააღმდეგეებს. მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ მათი ბრალდებების გაბათილებას თხზულების უკანასკნელი გვერდები ეძღვნება, მთელი ისტორია მაინც ისეა აგებული, რომ ავტორი თავიდანვე ამზადებს მკითხველს საამისოდ.

დ. ა. ი. იყენებს ისტ.-შედარებით მეთოდს როგორც მეფის დასახასიათებლად, ასევე ეპოქათა შესაფასებლადაც. განსაკუთრებით უხვად სარგებლობს იგი ამ მეთოდით თავისი გმირის სიდიადის წარმოსაჩენად. მაშინ, როდესაც დიდებულები ამცირებდნენ დავითის პიროვნებას, ისტორიკოსი არა მარტო იცავს მეფეს, არამედ აღმერთებს, მის სწორსა და ღირს ისტორიაში ვერ პოულობს. სომეხ-ქართველთა საეკლ. პაექრობისას თვით ღმერთი ალაპარაკებულა დავითის პირით. ,,არსად აქამდე ქართულ საისტორიო მწერლობაში მეფის ხელისუფლება, მეფის უფლება, მეფის მოქმედება და მისი პიროვნება არ ყოფილა ღვთაებამდე ატანილი'' (ნ. *ბერძენიშვილი*).

დ. ა. ი. მეფის ხელისუფლების შეუზღუდველობისა და ქვეყნის ცენტრალიზაციის მომხრეა. ძველ ქართ. ისტორიოგრაფიაში არავის გამოუმჟღავნებია ისეთი სიძულვილი მეფისა და ქვეყნის ორგული დიდებულებისადმი, როგორც მას. ამის სამაგალითოდ მეფეთა ორგული კლდეკარის ერისთავთა სახლის წარმომადგენლების მიმართ გამოვლენილი ზიზღიც იკმარებდა. ისტორიკოსი ყოველმხრივ ამართლებს დავითს, მაშინაც კი, როდესაც იგი უსასტიკეს ზომებს იყენებს ქვეშევრდომთა დასასჯელად, რადგან მისი აზრით, თურქთაგან სამშობლოს გამოხსნის დიდ საქმეს შეჭიდებული მეფის პოლიტიკა გამორიცხავდა რაიმე კომპრომისს, თუმცა მას მაინც ერთგვარ უხერხულობაში აყენებდა მეფის მიერ გატარებული რეპრესიული ღონისძიებები და შეგნებულად ცდილობდა მკითხველს ბოლომდე არ ჩაეხედა მათ მექანიზმში.

როგორც ჩანს, დ. ა. ი. სას. პირი, მონაზონია. იგი მაღალი სოც. წარმომავლობის არ უნდა იყოს, რასაც გვაფიქრებინებს მისი სიძულვილი მთავართა მიმართ. ეს ყველაზე საჩინოა მაშინ, როცა ისტორიკოსი *რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე* მოგვითხრობს. ის აღტაცებას ვერ ფარავს, რომ მეფემ დიდგვაროვან აზნაურთა ნაცვლად მაღალი ზნეობრივი თვისებებით, ნიჭითა და უნარით დაჯილდოებულ პირებს გაუხსნა გზა მაღალი საეკლ. თანამდებობებისკენ (ისტორიკოსი გიორგი ათონელის საეკლ. რეფორმების მიმდევარი ყოფილა) და ეკლესია ცენტრ. ხელისუფლების საიმედო დასაყრდენად აქცია. დ. ა. ი. თვალს არ ხუჭავს იმ განუკითხაობასა და უსამართლობაზე, რ-იც დამახასიათებელი იყო ფეოდ.-ბატონყმური საზოგადოებისათვის. ის ,,დაჭირვებულთა'' და ,,მიმძლავრებულთა'' მიმართ ,,განკითხვასა'' და ,,შეწევნას'' დიდ საქებარ საქმედ უთვლის მეფეს. საგანგებოდ აღნიშნავს მეფის უხვი ქველმოქმედების ფაქტებს ,,გლახაკთა'' მიმართ.

ისტორიკოსი დავითის საგარეო-პოლიტ. კურსის, ანუ ქართვ. ხალხის განმათ. ომის აქტ. დამცველი და მხარდამჭერია. მისი სიტყვებით: დავითმა ,,ყოველი სოფელი მოსტაცა ეშმაკს და შეასაკუთრა ღმერთსა''.

დ. ა. ი-ის მიერ მოთხრობილი ამბები ნდობას იმსახურებს, თუმცა ზოგჯერ (როცა სარწმუნოებრივი პოზიციებიდან აშუქებს ფაქტებს) ტენდენციურია. მაგ., უკიდურეს კონფესიურობას ამჟღავნებს ქართველ-სომეხთა სარწმუნოებრივი პაექრობის გადმოცემისას. სომხებს გამარჯვების შემთხვევაშიც ერთი

სათხოვარი ჰქონიათ: ,,არღარა გვწოდდეთო მწვალებლად და არცა შეგუაჩუენებდეთ''. ისტორიკოსი თვალს არ ხუჭავს ,,ქართველთა ნათესავის'', მისი აზრით, თანდაყოლილ ეროვნ. ნაკლზე, რაც მისი წიაღიდან გამოსულ ,,განდიდებულთა'' და ,,განსუქებულთა'' ,,ბოროტ განზრახვათა'' წადილში გამოიხატებოდა ,,თავხ-თა უფალთა'' მიმართ. ცხადია, ისტორიკოსი ცდება, როცა ,,მთავართა'' განკერძოებულობისა და პარტიკულარიზმის ცდებს, რაც დამახასიათებელია საერთოდ ფეოდალთა ბუნებისათვის, მხოლოდ ,,ქართველთა ნათესავის'' ეროვნ. ნიშნად მიიჩნევს. მაგრამ, მეორე მხრივ, საყურადღებოა, რომ ისტორიკოსს ,,ქართველთა ნათესავის'' ორგ. წევრებად ყველა ქართველური ტომი ჰყავს წარმოდგენილი. ამდენად **დ. ა. ი**-თან ,,ქართველთა ნათესავის'' ცნება და შინაარსი ფართო აზრით იხმარება და ეს არა მარტო მისი, არამედ მაშინდელი ქართვ. პოლიტ. და საეკლ.-კულტ. ასპარეზზე მოღვაწეთა შეხედულებად უნდა მივიჩნიოთ.

ისტორიკოსს მიზნად სიმართლის წერა აქვს დასახული, რისთვისაც მისი აზრით, საჭიროა მწერალს ხელთ ჰქონდეს საკმაო ოდენობით ნამდვილი, რეალური ფაქტები და საბუთები და ფლობდეს ,,რიტორობის ხელოვნებას''. ამრიგად, **დ. ა. ი.** საისტ. ნაშრომების შინაარსისა და ფორმის შესატყვისობას მოითხოვს. მისი თხზულების მაღალ შინაარსობრივ-იდეურ მხარეს ეთანადება მისივე შესაფერი მხატვრული ფორმა, ყოველგვარი ზედმეტი დეტალისაგან თავისუფალი და გეგმის მხრივ მარჯვედ და თანმიმდევრულად გამართული.

გარდა მშობლიურ კულტ. ტრადიციებში განსწავლულობისა, ავტორი ჩინებულად იცნობს აღმოსავლურ და ელინურ-ბიზანტ. კულტურას, რაც ნათლად ჩანს თხზულებაში მოცემული პოეტური შედარებებიდან და მხატვრული სახეებიდან.

დ. ა. ი. მწიგნობრობის დიდი მოყვარული და პატივისმცემელი ყოფილა. ამიტომ იგი საგანგებოდ უსვამს ხაზს თავისი გმირის მწიგნობრობით გატაცებას. ისტორიკოსის განათლებისა და ღრმა აზროვნების დასტურია მისი შეხედულება ისტ. მეცნიერებაზე. მას კარგად ესმის წარსული მიღწევებისა და გამოცდილების მნიშვნელობა, კერძოდ, მეცნიერების უდიდესი დანიშნულება აწმყოს შესწავლისა და მომავლის გათვალისწინების საქმეში.

ისტორიკოსი აღტაცებულია იმით, რომ დავითმა გელათის მონასტერი როგორც სას. ცხოვრების, ისე სასწ.-სამეცნ. ცხოვრების ცენტრად ,,სხუად ათინად'' აქცია. როგორც ჩანს, ავტორს განსაკუთრებით მოსწონდა ანტ.-ბერძნ. კულტურა. ამასვე მოწმობს თხზულებაში მოხსენიებული ელინელი ფილოსოფოსების, პოეტების, ისტორიკოსების, ,,ილიადისა'' და ,,ოდისეის'' გმირთა სახელები.

თანახმად მაშინდელი ქართ.-ეროვნ. თვითშეგნებისა, ისტორიკოსმა მეფე დავითი მსოფლიო-ისტ. ასპარეზზე გამოიყვანა. მას კარგად აქვს წარმოდგენილი, რომ საქართვ. ძლიერი სახელმწიფოს შექმნა მსოფლიო-ისტ. აქტს წარმოადგენდა. მაშინ, როდესაც ,,ძალი ბერძენთა შემცირებულ იყო'', ძლიერი საქართველო გამოვიდა ქრისტიანობისა და ქრისტ. კულტურის მედროშედ ახლო აღმოსავლეთში.

დ. ა. ი-ის თხზულებას ღირსებას მატებს მასში დაცული უხვი და სანდო ქრონოლ. ცნობები. ისტორიკოსს კარგად ესმის, რომ ყოველი ისტ. ფაქტი და მოვლენა ზუსტად უნდა იყოს დათარიღებული, რათა მკითხველმა სწორი ინფორმაცია მიიღოს და მთლიანობაში გააზრებით წარმოიდგინოს დავით მეფის მოღვაწეობის საბოლოო მიზანი.

დ. ა. ი-ის სახით წარმოგვიდგება არა მარტო ერთ-ერთი თვალსაჩინო პიროვნება დავით აღმაშენებლის გარშემო დარაზმულ მოღვაწეთა შორის, არამედ თავისი დროის ნიჭიერი ისტორიკოსიც. მან დასახულ მიზანს დიდი წარმატებით გაართვა თავი; თუ ქართვ. ხალხმა დავითი სამშობლოს აღმაშენებლის სახელით უკვდავყო, ამაში თავისი წვლილი მას დიდ საქმეთა ღირსეულ წარმომჩენ და შემფასებელ ისტორიკოსსაც მიუძღვის. ამ მაღალი საზოგადოებრივი იდეების შემცველი საუცხოო ფორმის თხზულებით დასრულდა ფაქტობრივად ძვ. ქართული საისტ. მწერლობის საუკუნოვანი განვითარება. შემდგომში ამ მხრივ ახალი ბევრი აღარაფერი შექმნილა. გვიანდ. ისტორიკოსები, პირიქით, თვითონ განიცდიდნენ **დ. ა. ი**-ის ზეგავლენას.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ბოგვერაძე ა., დავით აღმაშენებლის ისტორიის თარიღისა და ხასიათის შესახებ, «ქართული ისტორიოგრაფია», 1971, ტ. 2; კეკელიძე კ., ბარამიძე ა., ძველი ქართული ლიტერატურა (V–XVIII სს.), თბ., 1954 (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1); მეტრეველი რ., დავით IV. – მეფე თამარი, თბ., 2002; ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V–XVIII სს.), თბ., 1977 (იხზ. თორმეტ ტომად, ტ. 8).

ა. ბოგვერაძე.






დავით აღმაშენებლის მონეტა. სპილენძი. XII ს. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი. ბრიტანეთის მუზეუმი. ლონდონი.

დავით აღმაშენებლის მონეტა, მეფე *დავით IV* აღმაშენებლის სპილენძის მონეტა. მასა 10,73 გ. მონეტის შუბლზე წერტილოვან რკალში გამოსახულია წვეროსანი მამაკაცის ფიგურა ჯვრიანი სტემით (სამეფო თავსაბურავით), რომლიდანაც სახის ორივე მხარეს მარგალიტებიანი საკიდები — პენდილიები ეშვება; ყელს შემოუყვება მსხვილი მძივების წყება; სამხრეებიც და კაბაც თვლებით არის შემკული; მარჯვენა ხელში სკიპტრა (გრძელტარიანი ჯვარი) უპყრია, მარცხენაში კი – ჯვრიანი სფერო. ფიგურის ორივე მხარეს განთავსებულია ქართ. ასომთავრული წარწერა: დთ – მფ (დავით მეფე).

ხაზოვანი რკალით შემოსაზღვრული ზურგის ცენტრში, ოთხფურცლიან ბუდეში მოთავსებულია ტოლმკლავა ჯვარი, რ-ის მკლავების შემსხვილებულ ბოლოებზე თითო წერტილია დასმული. ჯვრის ბუდეს გარს შემოუყვება ქართ. ასომთავრული წარწერა: დთ–მფ–აფთ–ქ–რნ–კხთ–სხთ (დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა).

მონეტა მოჭრილი უნდა იყოს 1118 შემდეგ, როდესაც დავით აღმაშენებელმა ლორე აიღო და ტაშირის (სომეხთა) სამეფო საქართველოს შემოუერთა.

დ. ა. მ-ის ცნობილი ერთადერთი ეგზემპლარი დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში (ლონდონი). იგი 1857 ენისკილენის ჰერცოგმა უილიამ კოულმა ოსმალეთში ყოფნის დროს შეგროვილ სხვა აღმოსავლურ მონეტებთან ერთად გადასცა მუზეუმს.



დავით აღმაშენებლის ორდენი.

ლიტ.: დუნდუა გ., დუნდუა თ., ქართული ნუმიზმატიკა, I, თბ., 2006; კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; საყვარელიძე თ., XII საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან, თბ., 1980; Lang D., Notes of Caucasian numismatics, «Numismatic Chronicle», 1957, vol. 17.

თ. ქუთელია.

დავით აღმაშენებლის ორდენი, საქართველოს სახელმწიფო ჯილდო. დააწესა საქართვ. პარლამენტმა 1992 წ. 24 დეკ. (ავტორი – ე. *ბურჯანაძე*) ავჯილდოებენ



გ. მ. დავითაშვილი.



გ. მ. დავითაშვილი. ანზორი, ს. შანშიაშვილის ,,ანზორი''.



გ. ი. დავითაშვილი.

სამოქალაქო, სამხ. და სას. პირებს, გამოჩენილ სახელმწ. მოღვაწეებს ქართვ. ერის წინაშე გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის, საქართვ. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და აღორძინების, საზ-ბის კონსოლიდაციის, დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის. დ. ა. ო-ის პირველი კავალერია საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II (1998). იხ. აგრეთვე სტ. *ორდენები* საქართველოსი.

ლიტ.: ჯავახიშვილი ნ., ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა), თბ., 1995. *ნ. ჯავახიშვილი.*

დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი საქართველოსი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ), დაარსდა 1991. უნ-ტში წარმოდგენილია უმაღლესი აკად. განათლების სამივე საფეხური – ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა. უნ-ტს აქვს 5 ფაკ-ტი: იურიდიული, ეკონ. და ბიზნესის, მედიცინის, სოც. მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა. უნ-ტში სტუდენტები ირიცხებიან ერთიანი ეროვნ. გამოცდების შედეგად; 2010 წ. 1 იანვრისათვის მათი 75% დაფინანსებული იყო სხვადასხვა სახის სახელმწ. გრანტით. უნ-ტში მუშაობს კონკურსის გზით არჩეული 45 სრული და 97 ასოცირებული პროფესორი. მიმდინარეობს სამეცნ.-კვლ. მუშაობა. ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნ. კონფერენცია.

უნ-ტს აქვს ქართ.-ინგლისური სტომატოლოგიური ინ-ტი.

უნ-ტის ბ-კის წიგნადი ფონდი მოიცავს 23571 ერთეულს, აქედან 13157 სახელმძღვანელოა. გამოსცემს გაზეთ ,,სდასუს''.

წარჩინებული სტუდენტებისათვის უნ-ტში დაწესებულია წმ. მეფე დავით აღმაშენებლისა და სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სახელობის სტიპენდიები.

უნ-ტი გაწევრიანებულია ევრ. ბიზნესასამბლეაში. ურთიერთობა აქვს ევრ. წამყვან უნ-ტებთან.

ი. ჭუმბურიძე.

დავითაშვილი გიორგი მიხეილის ძე [15(27). II. 1893, ბათუმი, – 4. VII. 1966, თბილისი], მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1934). დაამთავრა ბათუმის გიმნაზია (1913) და პეტერბ. ა. პეტროვსკის სასცენო ხელოვნ. სკოლა (1915). 1915–20 დავიდოვის გვარით გამოდიოდა რუს. სცენაზე (ტაგანროგი, მოსკოვი, ორიოლი, ბაქო, ბათუმი). შეასრულა როლები: რასკოლნიკოვი (,,დანაშაული და სასჯელი'' თ. დოსტოევსკის მიხედვით), ჟადოვი (ა. ოსტროვსკის ,,შემოსავლიანი ადგილი''), არმანი (ა. დიუმას ,,ქალი კამელიებით''), ნაპოლეონი (ვ. სარდუს ,,მადამ სან-ჟენი'') და სხვ. 1920-იდან ქართ. დრამ. თეატრის (ამჟამად შოთა რუსთაველის სახ. თეატრი) სცენაზე შეასრულა 100-მდე როლი. მ. შ. აღსანიშნავია: ფრონდოსო (ლოპე დე ვეგას ,,ცხვრის წყარო''), ჰამლეტი (უ. შექსპირის ,,ჰამლეტი''), ანზორი და ონისე (ს. შანშიაშვილის ,,ანზორი'' და ,,ხევისბერი გოჩა''), პლატონ კრეჩეტი და ბოგდან ხმელნიცკი (ა. კორნეიჩუკის ,,პლატონ კრეჩეტი'' და ,,ბოგდან ხმელნიცკი''), ფრანც მოორი (ფ. შილერის ,,ყაჩაღები''), ნეზნამოვი (ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავენი''), ოთარ-ბეგი (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი''), პროფესორი მამლოკი (კ. ვოლფის ,,პროფესორი მამლოკი''), გენერალი ბრუსილოვი (ი. სელვინსკის ,,გენერალი ბრუსილოვი''), ბორის გოდუნოვი (ვ. სოლოვიოვის ,,დიდი ხელმწიფე'', სსრკ სახელმწ. პრემია, 1946), ფონ შტუბე (ბ. ლავრენიოვის ,,რღვევა''), ლევან ხიმშიაშვილი (დ. ერისთავის ,,სამშობლო'') და სხვ. 1921-იდან იღებდნენ კინოში. როლები: ციხის მწერალი (,,არსენა ჯორჯიაშვილი'', 1921), ონისე (,,მოძღვარი'', 1922), გრუშნიცკი (,,თავადის ასული მერი'', 1927), კათოლიკოსი (,,გიორგი სააკაძე'', 1942–43), სულხან-საბა ორბელიანი (,,დავით გურამიშვილი'', 1946) და სხვ. დ. გამოირჩეოდა სცენური კულტურით, ხავერდოვანი ხმითა და ძლიერი ტემპერამენტით. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. *ა. გვენცაძე.*

დავითაშვილი გულბაათ ივანეს ძე (29. VII. 1902, ქუთაისი, – 3. II. 1982, თბილისი), ბალეტის სოლისტი, ბალეტმაისტერი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1960). 1919–22 სწავლობდა თბილ. კონსერვატორიაში. საბალეტო ხელოვნებას ეუფლებოდა ბერლინში (1922–24 ე. ნიკოლაევთან), პარიზში (1926–31 ო. პრეობრაჟენსკაიასთან). უცხოეთში ყოფნისას მოცეკვავედ და ბალეტმაისტერად მუშაობდა მონტე-კარლოს, ,,გრანდ ოპერისა'' და ევრ. სხვადასხვა თეატრებსა და დასებში. როლები: მაკნატუნა (პ. ჩაიკოვსკის ,,მაკნატუნა''), მოცეკვავე (მ. რაველის ,,ბოლერო'', ნ. რიმსკი-კორსაკოვის ,,ესპანური კაპრიჩიო'') და სხვ. 1954–55 ტაჯიკეთის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთ. ბალეტმაისტერი იყო. იქვე დადგა ყარა ყარაევის ,,შვიდი მზეთუნახავი'' (1954); ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის მცირე თეატრში – მ. რაველის ,,ბოლერო'', ,,ვალსი'', ,,დაფნისი და ქლოე'' (1959); თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში – ი. მოროზოვის ,,ექიმი აიბოლიტი'' (1949), პ. სოგეს ,,მოხეტიალე კომედიანტები'' (1968), ყარა ყარაევის ,,ჭექა-ქუხილის ბილიკით'' (1972) და სხვ. ცეკვები დადგა აგრეთვე კინოფილმებში ,,მამლუქი'', ,,ბაშიაჩუკი'', ,,ფიროსმანი''. *ა. ჩხეიძე.*

დავითაშვილი ზურაბ ვახტანგის ძე (დ. 24. VII. 1953, თელავი), პოლიტოლოგი, გეოგრაფი. პოლიტ. მეცნიერებათა დოქტორი (2003), პროფესორი (2004). დაამთავრა თსუ-ის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი სოც.-ეკონ. გეოგრაფიის სპეციალობით (1976). სხვადასხვა პერიოდში სწავლობდა და მოღვაწეობდა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის, რაბატის (მაროკო), ჯონზ ჰოპკინზის და ტაფტის (აშშ) უნ-ტებში. 1979-იდან მუშაობს თსუ-ში. იყო საერთაშ. ურთიერთობების კათედრის გამგე (1996–2005). 2005-იდან არის სოც.-პოლიტ. მეცნიერებათა ფაკ-ტის საერთაშ. ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი და უნ-ტის აკადემიური საბჭოს წევრი. 1987–2004 პარალელურად მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ეროვნ. ურთიერთობების კვლევების ცენტრის ეთნოსოციოლოგიის განყ-ბის გამგედ (1991–96) და პოლიტოლოგიის ინ-ტის გეოპოლიტიკის განყ-ბის ხელმძღვანელად (2000–04). იყო საქართვ. პარლამენტის წევრი (2004–08).

დ-ის შრომები ეხება საერთაშ. ურთიერთობების თეორიის, გეოპოლიტიკის, გლობალიზაციის, ნაციონალიზმის, ეთნ. გეოგრაფიისა და ეთნოსოციოლოგიის პრობლემებს. არის რამდენიმე საუნივერსიტეტო და სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორი.

დავითაშვილი თეიმურაზ პავლეს ძე (დ. 16. II. 1949, სოფ. სიონი, ახლანდ. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (2001). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი

(1972). 1974–96 მუშაობდა თსუ-ის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათ. ინ-ტში, 1994–2006 – თბილ. ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტში. 2007-იდან ჰიდრომეტეო-როლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის თანამშრომელია. კვლევის თემაა: ატმოსფეროს ფიზიკის ამოცანების რიცხვითი მოდელირება.

დავითაშვილი იოსებ სიმონის ძე [1(13). VII. 1850, სოფ. გარ-დატენი, ახლანდ. გორის მუნიცი-პალიტეტი, – 13 (25). III. 1887, თელავი], პოეტი. ლექსების პირვე-ლი კრებ. ,,სტვირი'' გამოქვეყნდა 1880. დ-ის პატრ. ლირიკა (,,წუთი-სოფელში ცხოვრება'', ,,ახალ მოლექსეს'', ,,მოხუცის სინანული'') ,,თერგდალეულთა'' ზეგავლენას განიცდიდა. სიმღერად იქცა პოე-ტის ზოგიერთი ლექსი (,,სამშობ-ლო''). დ-ის ლექსების ცოცხალი სასაუბრო მეტყველება, გულწრფე-ლობა და უშუალობა (,,მუშის სიმ-ღერა'', ,,გლეხი და თავადი'', ,,ბე-დის წყარო'', ,,თუნდ ვკვდებოდე'') პოეტის შემოქმედებას ხალხურ პოეზიასთან აახლოებს. დ-ს დი-დად აფასებდნენ ილია და აკაკი.

თხზ.: თხზულებათა სრული კრებუ-ლი, თბ., 1951.

ლიტ.: ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი მ., ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. 3, თბ., 1955; კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი ვ., რჩეული წერილები, წგ. 1 – ქართული ლიტერა-ტურის ისტორია (XIX ს.), თბ., 1965; ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ი., თხზ. სრ. კრ. ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედ., ტ. 3, თბ., 1953. *ლ. მისაშვილი.*

დავითაშვილი ლეო შიოს ძე (25. V. 1895, თბილისი, – 3. IX. 1977, იქვე), პალეობიოლოგ-ევო-ლუციონისტი, გეოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944). გეოლ.-მინერალოგიის მეცნ. დოქ-ტორი (1935), პროფესორი (1936), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1925 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტის სა-ბუნებისმეტყველო განყ-ბა. 1926–50 მუშაობდა მოსკ. და თბილ. სამეცნ.-კვლ. დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. 1951 საქართვ. მეცნ აკად. პრეზიდიუმ-თან დააარსა პალეობიოლ. სექ-ტორი, რ-საც ხელმძღვანელობდა (1951–58). 1958–77 მუშაობდა პა-ლეობიოლ. ინ-ტის დირექტორად. მისი ნაშრომები ეხება პალეონ-ტოლ. და მესამეული პერიოდის სტრატიგრაფიის საკითხებსა და ბიოლ. ძირითად თეორ. პრობლე-მებს. აღმ. საქართველოში გამო-ყო საყარაულოსა და კოწახუ-რის ჰორიზონტები, რ-ებიც საბჭ. კავშირის ნეოგენური სისტემის რეგიონულ სართულებადაა მიჩ-ნეული. დიდი ღვაწლი მიუძღვის ევოლ. მოძღვრების ისეთი მნიშვნე-ლოვანი პრობლემების შესწავლა-ში, როგორიცაა ევოლ. პროგრესი, სქესობრივი გადარჩევა, სახეობათა ამოწყდომა და სხვ. აღსანიშნავია დ-ის კაპიტ. გამოკვლევები მეცნ. ისტორიის დარგშიც. მისი სახელმ-ძღვანელო ,,პალეონტოლოგიის კურსი'' (1949) თარგმნილია უცხო ენებზე. ნაშრომს ,,ევოლუციური პალეონტოლოგიის ისტორია დარ-ვინიდან დღემდე'' (1948) მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1949). დ. იყო ბულგარეთის გეოლ. საზ-ბის საპატიო წევრი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: В. О. Ковалевский , 2 изд., М., 1951; Теория полового отбора, М., 1961; Причины вымирания организмов, М., 1969; Изменчивость организмов в геологическом прошлом, Тб., 1970; Учение об эволюционном прогрессе, Тб., 1972; Эволюционное учение, т. 1–2, Тб., 1977–79.

ლიტ.: ლეო დავითაშვილი, ბიობიბ-ლიოგრაფია, შემდგ. ვ. გოგილაშვილი, თბ., 1986. *ი. თაქთაქიშვილი.*

დავითაშვილი მარიამ (მერი) პეტრეს ასული [1 (14). XI. 1907, სოფ. მელაანი, ახლანდ. გურჯაა-ნის მუნიციპალიტეტი, – 4. VIII. 1975, თბილისი], მსახიობი. სა-ქართვ. სახ. არტისტი (1960). 1921-იდან მონაწილეობდა სცე-ნისმოყვარეთა წარმოდგენებში. 1926 დაამთავრა ა. ფაღავას დრამ. სტუდია და მცირე ხნით მუშაობ-და თბილ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრში, 1927-იდან მოღვაწეობ-და თბილ. მუშათა თეატრში, ხო-ლო 1928-იდან გარდაცვალებამდე – კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრ-ში. სცენაზე მნიშვნელოვანი ად-გილი დაიმკვიდრა თავისი ხალასი არტისტიზმით, უშუალობით, სი-სადავითა და გულწრფელობით. ძირითადად ასრულებდა სახასი-ათო როლებს: ხორეშანი (,,კაცია-ადამიანი?!'' ი. ჭავჭავაძის მიხედ-ვით), ანა (ლ. ლეონოვის ,,შემო-სევა''), ტუანეტა (მოლიერის ,,ეჭ-ვით ავადმყოფი''), ჯავარა (ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი''), ნიმფა (მ. ბარათაშვილის ,,ჩემი ყვავილე-თი''), კატინა და ქაბატო (ა. ცაგარ-ლის ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ'' და ,,ხანუმა''), პეპელა (გ. მდივნის ,,ვარდო''), ქარმიანა (უ. შექსპირის ,,ანტონიოს და კლეოპატრა''), ეფემია (ლ. არდაზიანის ,,სოლო-მონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი''), ჰორტენზია (კ. გოლდონის ,,სას-ტუმროს დიასახლისი''). საოცარი სიმსუბუქით ქმნიდა ერთმანეთი-საგან მკვეთრად განსხვავებულ სახეებს. კინოში შესრულებული აქვს როლები: ქაბატო (,,ქეთო და კოტე'', 1948), თიმსალ-მაკო (,,ბა-ში-აჩუკი'', 1956), არჩილის გამზ-რდელი (,,ოთარაანთ ქვრივი'', 1957), მარო (,,ნინო'', 1959) და სხვ. *ა. გვენცაძე.*


დავითაშვილი მერი შალვას ასუ-ლი (დ. 13. III. 1924, თბილისი), კომპოზიტორი. საქართვ. სახ. არ-ტისტი (1979). შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1981). 1946 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონ-სერვატორია (ა. ბალანჩივაძის სა-კომპოზიციო კლასი). 1968–92 იყო საქართვ. კომპოზიტორთა კავში-რის მდივანი. 1973–2007 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. კონსერ-ვატორიაში. დ-ის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბავშვო მუსიკას. მას ეკუთვნის საბავშვო ოპერები: ,,ქაჯანა'' (ნ. ლომოურის მოთხრობის მიხედვით, 1965, დაიდგა თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში, 1966), ,,ნა-ცარქექია'' (1972, დაიდგა იქვე, 1979), საბავშვო ბალეტი ,,მზის ქორწილი'' (1953), ასზე მეტი სა-ბავშვო სიმღერა და სიმღერათა ციკლები (მ. შ. ,,დილა მშვიდო-ბისა'', 1952; ,,სათამაშოების სიმ-ღერები'', 1955; ,,ანა-ბანა'', 1976; ,,საქართველოს მზე'', 1983). დ-ის სიმღერები გამოირჩევა მელოდიუ-რობით, ბავშვის სამყაროს ღრმა ცოდნით.

დ-ს შექმნილი აქვს მუსიკა 50-ზე მეტი დრამ. სპექტაკლისათვის, 40-ზე მეტი კინოფილმისა (მ. შ. ,,მა-ნანა'', 1958; ,,პაპა გიგია'', 1960) და მულტფილმებისათვის: ,,ჩხიკვ-თა ქორწილი'', 1958; ,,წუნა და წრუწუნა'', 1960. დაჯილდოებუ-ლია ღირსების ორდენით (1997). თბილისის საპატიო მოქალაქე (2010). *გ. ტორაძე.*

დავითაშვილი მიხეილ დანიე-ლის ძე (15. VI. 1914, ქუთაისი, – 5. IX. 1991, თბილისი), პუბ-ლიცისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე. საქართვ. დამს. ჟურ-ნალისტი (1965). ჟურნალისტთა საერთაშ. ასოციაციის წევრი, სა-ქართვ. ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი 60-იანი წლე-ბიდან სიცოცხლის ბოლომდე. II მსოფლიო ომის მონაწილე. დაამ-თავრა თბილ. პედ. ინ-ტის რუს. ენისა და ლიტ-რის ფაკ-ტი (1953). მუშაობდა გაზ. ,,ზარია ვოსტო-კას'' სოფლის მეურნეობის განყო-ფილების გამგედ (1938–60), გაზ. ,,სოფლის ცხოვრების'' რედაქტო-



ი. დავითაშვილი.



ლ. დავითაშვილი.



მ. პ. დავითაშვილი.



მ. პ. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი-ლ ი. ქაბატო, კადრი ფილმიდან ,,ქეთო და კოტე''.



მ. შ. დავითაშვილი.



მ. დ. დავითაშვილი.



ნ. შ. დავითაშვილი.



ნ. შ. დავითაშვილი ი. თამარი, ა. წერეთლის ,,თამარ ცბიერი''.

რად (1960–85). 1985–88 დ. მუშაობდა სამეცნ.-პოპულარული ჟურნ. ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის'' მთ. რედაქტორად. მის კალამს ეკუთვნის მრავალი წიგნი სოფლის მეურნ. თემაზე, მათ შორის: ,,საქართველოს გზებსა და სოფლებში'', ,,რეპორტაჟი საქართველოდან'', ,,ოქროს თაროები'', ,,საქართველოს ცის ქვეშ'', ,,ჩაი ჩვენი ქართული'' (1967, საკავშირო ჟურნალისტთა კავშირის პრემია). დ-ის წიგნები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ და სლოვაკურ ენებზე. ,,კონსტანტინე ლესელიძის'' მიხედვით კი გადაღებულია დოკუმენტური ტელეფილმი.

დ-ის ინიციატივით თბილისში აშენდა ,,ჩაის სახლი''.

დ. საერთაშ. ჟურნალისტთა ფედერაციამ 1984 დააჯილდოვა ი. ფუჩიკის სახ. მედლით.

ლიტ.: მოგონებები მიხეილ დავითაშვილზე. საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია, თბ., 1994; მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი გ., ი ა კ ო ბ ა შ ვ ი ლ ი ს., საქართველოში მოღვაწე ებრაელები, ქუთ., 1994.

დავითაშვილი მიხეილ ილიას ძე, XVIII ს. I ნახ. მოღვაწე. ნიკოლოზ ბატონიშვილის (იხ. *ერეკლე I*) ამალაში მყოფ დავითაშვილთა შთამომავალი, ალექსანდრე არჩილის ძის ცოლისძმა. განათლება მიიღო მოსკოვში. დაეუფლა სამხ. საქმეს. მოსკოველ ქართველთა რაზმთან ერთად მონაწილეობდა რუს. ჯარის კასპიის-პირეთის ლაშქრობაში (1722). პეტერბურგში პირველი ჩასვლის დროს (1725) ეახლა ვახტანგ VI-ს. დ-მა მეფე ბაქარის წინადადებით თარგმნა ,,ვაკაფა'' – რუს.-ქართ. სასაუბრო. იმავე 1725 მან რუს. და უცხოური ლიტ-რის საფუძველზე შეადგინა მეორე სასწავლო წიგნი – ,,მცირე რამ გამოკრებილი ანგარიშის ცოდნისა'', რ-იც გაასწორა და განავრცო ვახტანგ VI-მ. ეს იყო ქართ. ენაზე შედგენილი ევროპული ტიპის სახელმძღვანელო მათემატიკაში (პრაქტ. არითმეტიკაში). მოღწეულია დ-ის რამდენიმე ხელნაწერი (დაცულია თბილისში, საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ეკონ. ცენტრის ფონდი S–167, ფონდი H–2204: სანქტ-პეტერბურგში, სალტიკოვ-შჩედრინის სახ. სახელმწ. საჯარო ბ-კის იოანე ბატონიშვილის პირველი კოლექცია, ხელნაწ. № 313).

დაკრძალულია მოსკოვში, დონის მონასტერში.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ფ., ქართველი მეომრები კასპიისპირეთის ლაშქრობაში, კრ.: საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1968; ჩ ა გ უ ნ ა ვ ა რ., ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო სამეცნიერო მოღვაწეობა, თბ., 1986; ც ხ ა კ ა ი ა დ., მათემატიკის ისტორია XVII საუკუნიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, თბ., 1965. *ფ. სიხარულიძე.*

დავითაშვილი ნინო შიოს ასული [18(30). XI. 1882, გორი, – 22. X. 1958, თბილისი], მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1943). სცენაზე პირველად გამოვიდა 1902 (ავჭალის აუდიტორიაში). 1903-იდან მოღვაწეობდა ქართ. დრამ. დასში. შეასრულა ტურფას (ა. წერეთლის ,,პატარა კახი''), სონიას (ა. ჩეხოვის ,,ძია ვანო''), გაიანეს (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი'') და სხვ. როლები. ქუთ. თეატრში მუშაობდა 1904-იდან, განასახიერა კრუჩინინას (ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავენი''), ივდითის (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა''), ოფელიას (უ. შექსპირის ,,ჰამლეტი''), ქეთევანის (დ. ერისთავის ,,სამშობლო''), მარია ანტონოვნას (ნ. გოგოლის ,,რევიზორი''), ამალიას (ფ. შილერის ,,ყაჩაღები'') და სხვ. როლები. 1910-იდან თბილ. ქართ. დრამ. დასში იყო; აქ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ნატო (ი. გედევანიშვილის ,,მსხვერპლი''), მარია სტიუარტი (ფ. შილერის ,,მარია სტიუარტი''), ანტიგონე (სოფოკლეს ,,ანტიგონე'') და სხვ. 1920-იდან შოთა რუსთაველის სახ. თეატრში მუშაობდა; როლები: დედოფალი თამარი (ა. წერეთლის ,,თამარ ცბიერი''), მადამ სან-ჟენი (ვ. სარდუს ,,მადამ სან-ჟენი''), პრასკოვია (ვ. დარასელის ,,კიკვიძე''), ეფემია (მ. მრევლიშვილის ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი''), ზეინაბი და მაიკო (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი''), ფატმა (ი. მოსაშვილის ,,ჩაძირული ქვები''), სალომე (გ. წერეთლის ,,პირველი ნაბიჯი'') და სხვ. დ. გამოირჩეოდა შესანიშნავი სცენური გარეგნობით, უნაკლო მეტყველებით. გადაღებულია ფილმებში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

დავითაშვილი ნოდარ სუმბათის ძე (დ. 23.VI. 1939, სოფ. ახალქალაქი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი), ინჟინერ-ტექნოლოგი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (1991), საქართვ. საინჟ. აკად. ნამდვ. წევრი (2000). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1964). 1965–77 მუშაობდა მეტროლოგიის საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის თბილისის ფილიალში, 1973-იდან მუშაობს საქართვ. ტექ. უნ-ტის მექანიზმებისა და მანქანების თეორიის კათედრაზე. დ-ის შრომები ეხება ერთ და ორ თავისუფლებისხარისხიანი სივრცითი, სფერული და ბრტყელსახსროვანი მექანიზმების ანალიზის, სინთეზის, დინამიკისა და სიზუსტის საკითხებს. მან დაამუშავა სფერული პანტოგრაფების მექანიზმების თეორია, გამოიკვლია სფერული და სივრცითი მექანიზმების დინამიკა. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა, მ. შ. 14 მონოგრაფიის. ნაშრომისათვის ,,სახსროვან-ბერკეტული მექანიზმების ცდომილებისა და სიზუსტის თეორიის საფუძვლები'' მიენიჭა გ. ნიკოლაძის სახ. პრემია (2002). მანქანებისა და მექანიზმების მეცნ. განვითარების საერთაშ. ფედერაციის გენერალურმა ასამბლეამ დ. აირჩია ამავე ორგანიზაციის საქართვ. კომიტეტის თავმჯდომარედ (1999). იგი დამფუძნებელი (2000) და მთ. რედაქტორია სამეცნ. ჟურნალისა ,,გამოყენებითი მექანიკის პრობლემები'' (2003-იდან – საერთაშ. სამეცნ. ჟურნალი ,,მექანიკის პრობლემები'').

თხზ.: ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული სტანდარტული ტერმინოლოგიური ლექსიკონი მექანიზმებისა და მანქანების მეცნიერებაში, თბ., 2008; Динамика сферических механизмов, М., 1992; Основы теории погрешности и точности шарнирно-рычажных механизмов, Тб., 1999; Динамика шарнирных механизмов с упругими звеньями, Тб., 2010.

დავითაშვილი შალვა გიორგის ძე (27. V. 1916, თბილისი, – 5. VIII. 1995, იქვე), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1967). დაამთავრა საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტი (1941). სხვადასხვა დროს მუშაობდა ,,საქსახპროექტში'', ,,კომუნპროექტში'', საცხოვრ. სახლებისა და საზ. შენობათა თბილ. ზონალურ ტიპობრივი და ექსპერ. დაპროექტების სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, ,,საქქალაქმშენ-სახპროექტში'' არქიტ. სახელოსნოების ხელმძღვანელად. ნაყოფიერად მუშაობდა ტიპურ პროექტირებაში (პირველი მსხვილბლოკიანი საცხოვრ. სახლები თბილისში – ვ. ბარნოვის, ზ. ფალიაშვილის, მ. კოსტავას ქუჩებზე და სხვ.). ძირითადი ნამუშევრები: კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებითი სახლი სოხუმში (1966), კინემატოგრაფისტთა და ჟურნალისტთა კავშირების შემოქმედებითი სახლი ბიჭვინთაში (1966; ორივე გ. ჯაბუასთან ერთად), საქართვ.

პროფკავშირების სახლი (ყოფ. შრომის სასახლე, ახლანდ. თბილისის მერია) თბილისში (1975; მ. ლორთქიფანიძესა და თ. ნაცვლიშვილთან ერთად), კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებითი სახლი ბორჯომში (1975; საავტორო ჯგუფის ხელმძღვ.) და სხვ. დ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი იყო ნაგებობების სადა, მაგრამ მახვილ ფორმათა აქცენტირება, მათი ორგ. ჩაწერა გარემოში, ტრად. ეროვნ. არქიტ. ხერხების ახლებურად გააზრება.

ს. კინწურაშვილი. მ. მაისურაძე.



შ. დავითაშვილი. თბილისის მერია (მ. ლორთქიფანიძესა და თ. ნაცვლიშვილთან ერთად). 1975.

დავითაშვილი შალვა გრიგოლის ძე (1. I. 1934, თელავი, – 1. XI. 2011, თბილისი), კომპოზიტორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1983), საქართვ. კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი (1979-იდან). 1962 დაამთავრა თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის საკომპოზიტორო ფაკ-ტი (ხელმძღვანელი პროფ. ა. მაჭავარიანი). 1961-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. 1966–68 იყო ახალქალაქის სამუსიკო სკოლის დირექტორი, 1969-იდან – თბილისის II სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი (თეორიული დისციპლინები, კომპოზიცია); 1993–2011 – თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. მუზეუმის დირექტორი.

დ-ის ნაწარმოებებია: 2 ბალეტი –,,ვეფხი და მოყმე'' (1978, დაიდგა ქუთ. ოპერისა და ბალეტის თეატრში), ,,ზვიადაური'' (1985, დაიდგა იქვე), 2 სიმფონია – ,,უშბა'' (1963, 1991), 3 სიმფონიური პოემა – ,,ვეფხი და მოყმე'' (1960), ,,9 აპრილი'' (1992), ,,დავით აღმაშენებელი'' (1994), კლარნეტისა (4) და ფლეიტის კონცერტები (1981–2001), 3 კანტატა, ვოკალურ-სიმფ. ციკლები ი. ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას ლექსებზე (1992–95), რომანსები ქართვ. პოეტების ლექსებზე (2002–08), გუნდები, სიმღერები, მუსიკა სპექტაკლების, დოკუმენტური და თოჯინური ფილმებისათვის და სხვა.

დაჯილდოებულია ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიით (2001). თბილისის საპატიო მოქალაქე (2010). *გ. ტორაძე.*

დავითაშვილი შიო (1857, სოფ. ბრეთი, ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი, – 1933), რევოლუციონერ-ხალხოსანი. სწავლობდა თბილ. სას. სემინარიაში, საიდანაც აკრძალული ლიტ-რის კითხვის გამო გარიცხეს. თბილისში ჩაება ე. იოსელიანის ხალხოსნურ წრეში. 1876 რევ. პროპაგანდას ეწეოდა თბილ. მუშა-ხელოსნებში. 80-იან წლებში გორში დააარსა ხალხოსნური წრე ,,საიდუმლო კომიტეტი'', რ-საც კავშირი ჰქონდა ,,ნაროდნაია ვოლიას'' აღმასკომთან. რევ. პარტიის საჭიროებისათვის მონაწილეობა მიიღო გორის ხაზინიდან ფულის გატაცებაში. 1883 წ. 14 მარტს დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ცხოვრობდა გორში პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ, შემდეგ ჩამოშორდა რევ. საქმიანობას.

თხზ.: ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, ტფ., 1933.

ლიტ.: ა ნ თ ე ლ ა ვ ა ი., საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში (XIX ს. II ნახ.), თბ., 1967; მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი ს., მოგონებანი, თბ., 1938; შ ვ ე ლ ი ძ ე ზ., რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960.

ზ. შველიძე.

დავითაძე მურმან იუსუფის ძე (დ. 1. IX. 1943, სოფ. ტბეთი, ახლანდ. შუახევის მუნიციპალიტეტი), ბიოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (2000). დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტის ბიოლ.-გეოგრაფიული ფაკ-ტი (1968). 1968–85 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, 1985–89 – ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნ.-კვლევით ინ-ტში ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სექტორის გამგედ. 1995–2006 იყო შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის უნ-ტის ბოტანიკის კათედრის გამგე, 2006-იდან არის ამავე უნ-ტის ბიოლ. დეპარტ. სრული პროფესორი. დ-ის კვლევის საგანია აჭარის ადვენტურ მცენარეთა ფლორისტიკული და ბიომორფოლ. ანალიზი, ადაპტაციისა და განსახლების თავისებურებანი; სამხრ. კოლხეთის – აჭარის ბუნების ღირსშესანიშნაობის პოპულარიზაცია. *ი. ჯაფარიძე.*

დავით (დათუნა) ბატონიშვილი (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (დაახლ. 1618/19–1648), *თეიმურაზ I-ის* ძე; დედა ხორეშანი, მეფე თეიმურაზის მეორე ცოლი, ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის და იყო. დ. ბ-ს ცოლად ჰყავდა ქართლის კათოლიკოსის ევდემოზ დიასამიძის ძმისშვილი ელენე, რ-ისგანაც შეეძინა ოთხი შვილი: გიორგი, ერეკლე, ლუარსაბი და ქეთევანი. 1626 დ. ბ-ს საუფლისწულოდ მუხრანი გადაეცა, მაგრამ 1638, თეიმურაზის ქართლიდან განდევნის შემდეგ, ეს სამფლობელო კვლავ მუხრანბატონებმა დაიბრუნეს. დ. ბ. მამასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა კახეთის სამეფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვაში. ზოგჯერ იგი მამას, თეიმურაზ I-ს, ოპოზიციაში ედგა. მაგ., დიდებულთა ერთ ჯგუფთან ერთად მას არ სურდა კახეთის სამეფოში ჩამოსული *ვოლკონსკის ელჩობის* დროს რუს. ფიცის წიგნზე დაფიცება. მიუხედავად ამისა, რუსი ელჩების დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, 1639 წ. 25 აპრ., სხვა კახელ დიდებულებთან ერთად ჯვარზე მთხვევით დაიფიცა რუს. მეფის ერთგულებასა და კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლაზე.

დ. ბ. დაიღუპა ქიზიყში, სოფ. ძველ ანაგასთან, როსტომ მეფისა და ყიზილბაშის ხანების ჯარის წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

წყარო: გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2; ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *ნ. ასათიანი.*

დავით ბატონიშვილი (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (1. VII. 1767, თბილისი, – 13. V. 1819, სანქტ-პეტერბურგი), გიორგი XII-ის უფროსი ძე, ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი (1801 იანვ.–ივნისი), პეტერბურგის ქართველთა ახალშენის მეთაური, მეცნიერი, მწე-



შ. დავითაშვილი (1934–2011).

რალი, მხედართმთავარი, რუს. არმიის გენ.-ლეიტენანტი (1800). იზრდებოდა თბილისში, თელავში. შეისწავლა ქართ. საერო და სას. მწერლობა, სომხ., სპარს., რუს. ენები. დაუფლებული იყო საბუნებისმეტყველო მეცნ. დარგებს, სამხ. ხელოვნებას. მისი ერთ-ერთი აღმზრდელი (1787–89) იყო *დავით რექტორი.* ცოდნა გაიღრმავა რუსეთში, ადრევე გაეცნო ევრ. ფილოსოფიას, განიცადა ფრანგი განმანათლებლების გავლენა. ახალგაზრდობაშივე ჩაება სამხ. და სახელმწ. მოღვაწეობაში. საბრძოლო ნათლობა მიიღო 1790 ჯავახეთში, თურქთა წინააღმდეგ შეტაკებებში. 1795 მამაცურად იბრძოდა კრწანისის ველზე. სარდლობდა კრწანისის მარჯვ. მხარეს, სეიდაბადის ბაღებთან დაბანაკებულ ლაშქარს, იცავდა თბილისში შემოსავლელ გზაჯვარედინს. შემდგომ ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად სარდლობდა განჯის ალყას, 1799 ყარსის მიდამოებში მისივე ხელმძღვანელობით დაამარცხეს მაჰმად-ფაშა.



დავით ბატონიშვილი.

1795–98 მსახურობდა რუს. არმიის პრეობრაჟენსკოეს პოლკში, სადაც მიიღო გენ.-მაიორობა (1795). 1796 იბრძოდა იბრაჰიმ-ხანის წინააღმდეგ. 1799 წ. 11 ივნ. გიორგი XII-ის წარდგინებით იმპ. პავლე I-მა **დ. ბ.** ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტის მემკვიდრედ დაამტკიცა (1799 წ. 11 ოქტ.) და წმ. ანას ორდენით დააჯილდოვა. ამ დროიდან ის უფრო აქტიურად ჩაება ქართლ-კახეთის სამეფოს საქმიანობაში. სპარსეთის შაჰმა ბაბა-ხანმა გიორგი XII-ს მძევლად მოსთხოვა **დ. ბ.**, მაგრამ, როგორც ტახტის მემკვიდრე და რუს. არმიის გენერალი, იგი სპარსეთში არ გაუშვეს. **დ. ბ.** შეუდგა სამეფოს სამართლებრივ მოწესრიგებას. შეაგროვა ქართ. სამართლის ძეგლები, 1800 შექმნა ქართ. სამართლის კოდიფიკაცია და შეადგინა კრებული ,,ქართული სამართალი და კანონმდებლობა'', რ-იც ცნობილია სახელწოდებით *,,სამართალი ბატონისშვილის დავითისა''* (1964 გამოსცა დ. ფურცელაძემ, ითარგმნა რუსულადაც). გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ **დ. ბ.** 1801 იანვრიდან ივნ-მდე ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი იყო. მან ცვლილებები შეიტანა სამეფოს ადმ. დაყოფაში, შეეცადა აღედგინა არაგვისა და ქსნის საერისთავოები, გადაახალისა საადგილმამულო ურთიერთობანი, ზოგიერთი ცვლილება შეიტანა საეკლ. მართვა-გამგებლობაშიც. მისი გამგებლობის დროს მოიჭრა სპილენძის მონეტა (იხ. *დავით ბატონიშვილის მონეტა*). ასეთმა ღონისძიებებმა **დ. ბ.**-სა და ტახტისათვის მებრძოლ ჯგუფებს შორის წინააღმდეგობა კიდევ უფრო გაამწვავა. **დ. ბ.** იძულებული გახდა ხელი აეღო გამგებლობაზე და 1801 ოქტ. *იულონ ბატონიშვილს* მოუწოდა განეგრძო ბრძოლა ქართლ-კახეთში მეფობის შესანარჩუნებლად. რუს. იმპერიის წარმომადგენლებმა სამეფო სახლის წევრებს შორის წინააღმდეგობა კიდევ უფრო გაამწვავეს, რამაც უფრო დააჩქარა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება. 1801 წ. 12 სექტ. მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთმა შეიერთა. **დ. ბ.** შეეცადა სამშობლოში დარჩენას და მმართველობაში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ 1803 სამეფო ოჯახის სხვა წევრებთან ერთად იგი პეტერბურგში გადაასახლეს. ალექსანდრე I-მა მას წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი გადასცა, შემდეგში სენატორადაც დანიშნეს. რუსეთში უბოძეს სასახლე, ვრცელი მამულები, სახნავ-სათესი და სანადირო ადგილები. **დ. ბ.** გახდა საქართვ. სამეფო-სამთავროებიდან ჩასულ თუ იქ ადრიდანვე მცხოვრებ ქართველთა ახალშენის მეთაური და ქართ. საზ. მოძრაობის წარმართველი. იღვწოდა განათლების, მეცნიერების, მწერლობის განვითარებისათვის; საქართვ. პოლიტ. ცხოვრების მართვა-გამგებლობის გაუმჯობესებისათვის, კავკასიოლოგიის განვითარებისათვის, თავმჯდომარეობდა კომიტეტს, რ-საც დაევალა ვახტანგ VI-ის სამართლის განხილვა-რედაქტირება და რუსულად თარგმნა.

დ. ბ.-ის ეპისტოლური მემკვიდრეობა ნათლად წარმოგვიჩენს დავითის ბიოგრაფიის ბევრ საინტერესო მომენტს, გვიხატავს იმდროინდელი საქართვ. პოლიტ. სიტუაციას (№–609; 607; 2300; 2830; 3254; S–1532; Sd–1719; სანქტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკა, იოანე ბატონიშვილის არქივი; საქართველოს სიძველენი, III, Акты –I).

დ. ბ. ავტორია ჩვენამდე რამდენიმე ხელნაწერის სახით მოღწეული გრამატიკისა (1790). *თეიმურაზ ბატონიშვილი* (ბაგრატიონი) ამ ნაშრომს ,,საგრამატიკო ხელოვნების'' სახელით იხსენიებს, სანქტ-პეტერბურგში დაცულ ერთერთი ხელნაწერის სატიტულო ფურცელს კი ,,ფილოსოფსკაია გრამმატიკა'' აწერია. წიგნი **დ. ბ.**-ს თავისი პაპის, ერეკლე II-ისათვის, მიუძღვნია. წინასიტყვაობაში ნათქვამია: ქართველებს ესაჭიროებათ სიბრძნე და ცოდნა, რ-ის კარსაც გრამატიკა წარმოადგენს. გრამატ. საკითხების გადმოცემისას **დ. ბ.** მიჰყვება *ანტონ I-ის* გრამატიკის (1753) დანართს, ე. წ. ,,სიმეტნეს'', რ-იც აგრეთვე კითხვა-მიგების წესითაა დაწერილი, მრავლადაა აღებული დებულებები ანტონ I-ის გრამატიკიდანაც (1767). **დ. ბ.**-ის გრამატიკა დაწერილი უნდა იყოს სასკოლო სახელმძღვანელოდ. ამ გრამატიკის აშკარა გავლენითა და გამოყენებით დაიწერა *იოანე ბატონიშვილის* (ბაგრატიონის) ორივე გრამატიკა. სხვა ქართვ. გრამატიკოსების შრომებში მისი კვალი არა ჩანს. **დ. ბ.**-მა რამდენიმე რედაქციად დაამუშავა საქართვ. ისტორია, რ-იც შეადგინა ევრ. მეცნიერთა შრომების გათვალისწინებით. კრებდა საქართვ. საისტორიო წყაროებს. 1812 იმპ. ალექსანდრე I-ს მიართვა ნაშრომი ,,საქართველოს უკეთესად მართვის შესახებ'', რ-შიც მოითხოვდა კავკასიის მთავარმართებლად ქართველის დანიშვნას. ეწეოდა ფართო მთარგმნელობით მოღვაწეობას: გადმოიღო ,,ნაბუქოდონოსორისაგან წარტყვევნა იერუსალიმისა'', ,,საქმეთათვის ნადირ ავშარელისა დიდისა ხელმწიფისა სპარსეთისათა'' (აღმოსავლეთმცოდნეობის ინტის სანქტ-პეტერბურგის განყ-ბის ქართ. ხელნაწერთა კოლექცია, M–15), ვოლტერის ,,შობისათვის'', ,,ხილვა ბაბუკაისი'', შ. მონტესკიეს ,,გულისხმისყოფისათვის სჯულთასა'' (იქვე, H–26), ჟ. ფ. ანსილონის ,,ესტეტიკებრი განსჯანი'' (იქვე, M–35) და სხვ., რ-თაც ურთავდა თავის კომენტარებს. განმარტებებით შეავსო ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონი და მიუწერა შესატყვისები რამდენიმე ენაზე. მას ეკუთვნის რუს. ენაზე დაწერილი ,,საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა'' (1811–16, 1959 გამოსცა მ. როგავამ). 1814 ქართ. ენაზე გამოცემული მისი ისტ. ნაშრომი დაწერილია ქართლის ცხოვრების სქემის მიხედვით, მოიცავს 1744 წლამდე პერიოდს და წარმოადგენს ვახუშტის ისტორიის გაგრძელებას.

დ. ბ-მა შეისწავლა საბუნებისმეტყველო მეცნიერებანიც. 1818 დაასრულა ,,შემოკლებული ფისიკა'' და საქართველოში გამოგზავნა გასამრავლებლად. იგი ძირითადად იზიარებდა სითბოს კინეტიკური თეორიის იდეებს. თეორ. მასალას მან თვალსაჩინო ცდების აღწერილობანიც დაურთო. დ. ბ-მა თარგმნა ვოლტერის ,,ტაქტიკა'' (იგივე ნაწარმოები თარგმნილი აქვს ა. ჭავჭავაძესაც). 1795 თარგმნა ,,საარტილერიო წიგნი'', მ. ჩულიკოვის ,,მითოლოგიური ლექსიკონი'', გადმოიღო შვედი ექიმის ირნესტა პერენესტის ,,ელექსირი''. საქართველოზე დაწერა სტატიები რუს. ენციკლოპედიისათვის. შეადგინა განმარტება ,,ჯელხება სიმვოლი'' ანუ ,,აღსარებაჲ წმიდისა აღმოსავლეთისა ეკლესიისა''. თავისი საგანმან. პოლიტიკით დ. ბ. იღვწოდა ევრ. კულტურის, ევრ. სახელმწიფოთა წესწყობილების ქართველთათვის, ხოლო ყოველივე ქართულისა – ევროპელთათვის გასაცნობად.

დ. ბ-ის სამწერლო მოღვაწეობიდან აღსანიშნავია მიმოწერის ფორმით დაწერილი ,,ახალი შიხი'', რ-შიც აისახა ფრანგ განმანათლებელთა იდეები. მის ლექსებს (მაგ., ,,გამიფრინდა სიყვარულის ფრინველი'', დაიბეჭდა ჟურნ. ,,მოგზაურში'' 1901, №82) დიდხანს მღეროდნენ. დაკრძალულია პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

თხზ.: ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოც., თბ., 1941; საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, თბ., 1959; Краткая история Грузии, Тфл., 1893; История Грузии, изд. А. А. Рогава, Тб., 1971.

ლიტ.: ასათიანი ლ., ვოლტერიანობა საქართველოში, თბ., 1975; ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; რუხაძე ტ., დავით ბატონიშვილი და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, «ლიტერატურული ძიებანი», 1943, [ტ.] 1; მისივე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI–XVIII სს.), თბ., 1960; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966; ქუთათელაძე ლ., დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., 1967.

ფ. სიხარულიძე. ა. ფოცხიშვილი.

დავით ბატონიშვილის მონეტა, სპილენძის უნიკალური ანონიმური მონეტა, მოჭრილი ერეკლე II-ის შვილიშვილის *დავით ბატონიშვილის* გამგებლობის დროს. შუბლზე გამოსახულია მარცხნივ მიმართული ფარშევანგი, ქვემოთ კი – თარიღი ჰიჯრით 1215 (1800/1); ზურგზე – ჩარჩოში მოთავსებულია 4 ქართული ასო ,,ტფლს'' (ტფილისი). მ. პ. *ბარათაშვილის* კოლექციასთან ერთად დაცულია ბერლინის მუზეუმში.

ლიტ.: კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969. *გ. დუნდუა.*

დავით ბატონიშვილის სამართალი, ქართული სამართლის კოდიფიკაციის პროექტი, რ-იც შეადგინა დავით ბატონიშვილმა XIX ს. დასაწყისში. იხ. ,,*სამართალი ბატონისშვილის დავითისა*''.

დავით ბატონიშვილის სასახლე, მდებარეობდა გარეთუბანში, მტკვრის მარჯვენა ნაპირთან ახლოს (გადაჰყურებდა მტკვარს), ახლანდ. მარი ბროსეს ქუჩის მარცხ. მხარეს. სიონსა და ანჩისხატს შორის მდგარი XVII–XVIII სს. სამეფო სასახლე აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას შეეწირა. მისი აღდგენა ვერ შეძლეს ვერც ერეკლე II-მ და ვერც გიორგი XII-მ. რუს. იმპერიის მიერ აღმ. საქართვ. სამეფოს გაუქმების (1801) შემდეგ, დანგრეული სასახლის სამშ. მასალა რუსულმა ხელისუფლებამ თბილისში მშენებარე სხვადასხვა საუწყებო შენობის აგებას მოახმარა. ამის გამო *დავით ბატონიშვილმა* რუს. ხელისუფლებას პროტესტი განუცხადა, მაგრამ უშედეგოდ. როგორც ჩანს, ამან გადააწყვეტინა მას ახ. სასახლის აგება. მშენებლობა, სამშ. ხარჯის ნუსხის მიხედვით, 1801 წ. 8 მაისს დაუწყიათ: ,,ქ. ღ~თით. გარეთ, ბატონისშვილის ბრძანებით სასახლის მუშაობას ხელი მიეყო და იმისი ხარჯი ამას ქვეით სწერია...'' (სცსია, ფ. 1448, საქ. № 5964). კავკასიის მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა 1803 ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრები და მათი თანმხლები ქართვ. თავადაზნაურობა რუსეთში ძალდატანებით გადაასახლა, მ. შ. იყო დავით ბატონიშვილიც, რის გამოც მის მიერ დაწყებული სასახლის მშენებლობა დაუსრულებელი დარჩა. დ. ბ. ს. დატანილია თბილისის 1809 ე. წ. ბანოვის გეგმაზე № 9-ით: ,,Дворецъ Царевича Давида Георгиевича (Незаконченной стройкой)''. 1838 წ. 20 ივნ. თბილისის გარეთუბნის ნაწილის გეგმაზე, რ-საც ეწოდება ,,Часть плана города Тифлиса называемого Гаретубанью, с показаниемъ на...'' №59-ით დატანილია მართკუთხა ფორმის ვიწრო შენობა (1809 წ. გეგმაზეც დ. ბ. ს. მართკუთხა ფორმითაა დატანილი). თანდართულ განმარტებაში აქვს წარწერა: ,,Каменный двухъэтажный домъ бывшего Царевича Давида'', № 60-ით დატანილია სასახლის კუთვნილი ქვით ნაგები სამზარეულო, ხოლო № 61-ით წარმოდგენილ განმარტებაში მოხსენიებულია მეჩეთი, რაც ერთადერთი ცნობაა გარეთუბანში XIX ს-ში მუსლ. სალოცავის არსებობის შესახებ. გეგმაზე უკვე ამ დროისათვის დ. ბ. ს-ის მიმდებარე ტერიტორია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებს ეკავათ (მესანგრეთა ყაზარმები და სხვ.). XIX ს. II ნახევარში გარეთუბნის ინტენს. განაშენიანებამ აღნიშნულ ადგილს მთლიანად შეუცვალა გარეგანი სახე.

ლიტ.: გეგია ლ., გარეთუბანში მდგარი დავით ბატონიშვილის სასახლის ისტორიისათვის, «ხელოვნება», 1998, №2. *თ. ბერიძე.*

დავით-ბეგი (გ. 1728), სომეხი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის წინამძღოლი XVIII ს. I მესამედში. ვახტანგ VI-ის უფროსი ვაჟის – ბაქარის – პირადი გვარდიის ასისთავი. დ.-ბ-ის წინაპრები საქართველოში XVII ს. II ნახ-ში უნდა გადმოსახლებულიყვნენ აღმ. სომხეთიდან ლტოლვილთა დიდ ჯგუფთან ერთად. ერთ-ერთი სომხ. წყაროს მიხედვით, დ.-ბ-მა, წარმოშობით სომეხმა, მთელი სიცოცხლე გაატარა საქართველოში, სადაც ,,მოიპოვა დიდება, პატივი და მხედართმთავრის სახელი''. XVIII ს. 20-იან წლებში ირან., ოსმ. და რუსეთის პოლიტ. ინტერესები ამიერკავკასიაში ერთმანეთს დაუპირისპირდა, რის გამოც ქართლის სამეფო, როგორც ერთადერთი რეალური ძალა, დიდ პოლიტ. ჭიდილში აღმოჩნდა ჩათრეული და ადგილობრივი ქრისტიანი ხალხების განმათ. ბრძოლის მეთაურობაც მასვე დაეკისრა. ირანელთა წინააღმდეგ მებრძოლმა აღმ. სომხეთის მოსახლეობამ, რ-ის მდგომარეობა ოსმ. აგრესიამ უფრო დაამძიმა, დახმარება ქართ. სამეფო კარს სთხოვა. 1724 ბაქარმა, რ-იც იმ დროს უკვე ამიერკავკ. განმათ. ბრძოლის მეთაურად იყო აღიარებული, ღაფანში თურქთა შეტევის მოსაგერიებლად მცირე რაზმით გაგზავნა დ.-ბ., რ-ის მეთაურობით 1724–25 ღაფანელმა სომხებმა ცალკეულ ბრძოლებში მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს. ამ ფაქტმა ხელი შეუწყო სომეხი ხალხის განმათ. ბრძოლის შემდგომ აღმავლობას. დ.-ბ. დაიღუპა თურქების წინააღმდეგ ბრძოლისას.

ლიტ.: მაისურაძე გ., ბაქარი და ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფ-



დავით ბატონიშვილის მონეტა. სპილენძი. XIX ს. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი. ბერლინის მუზეუმი.

ლებელი მოძრაობა XVIII ს. პირველი მეოთხედის დასასრულს, კრ.: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976. *გ. მაისურაძე.*

დავით გოდგელი (ვაჩნაძე) (გ. 27. VII. 1790), დავითგარეჯის მონასტრის არქიმანდრიტი 1751–62, 1764-იდან ბოდბის ეპისკოპოსი მიტროპოლიტის წოდებით, საეკლ. მწერალი, მწიგნობარი. განათლება მიიღო დავითგარეჯის მონასტერში. მისი მასწავლებლები იყვნენ იოსები (ვაჩნაძე) და იოანე (ჯორჯაძე). არაერთი ხელნაწერი წიგნი შემატა მან დავითგარეჯისა და ბოდბის ბ-კებს – ზოგი თვითონ გადაწერა, ზოგი საკუთარი ხარჯით გადააწერინა ან იყიდა. 1790 მხედრულით გადააწერინა ,,*დიდი სჯულის კანონი*‘‘ და დაურთო რამდენიმე ტერმინის განმარტება.

ლიტ.: ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966.

ბ. ლომინაძე.

დავითგარეჯა, გამოქვაბული მონასტრების კომპლექსი, ადრინდელი შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრი და კულტურულ-საგანმანათლებლო კერა. მდებარეობს გარეჯის კლდოვან მთებში (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი), თბილისიდან სამხრ.-აღმ-ით, 60–70 *კმ*-ზე, ისტ. კუხეთში. ეს მონასტრები ,,გარეჯის მრავალმთის ათორმეტ მონასტერთა‘‘ სახელითაც არის ცნობილი, თუმცა კლდეში ნაკვეთი მონასტრებისა და სადაყუდებულოების რაოდენობა მეტია. დღეისათვის მრავალმთაში 20-ზე მეტი ასეთი სავანეა აღრიცხული.



დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი. VI–XVIII სს.

დ. VI ს. I ნახევარში დააარსა ერთ-ერთმა ასურელმა მამამ დავითმა (იხ. *დავით გარეჯელი*), რ-მაც გარეჯაში თან მოიყვანა თავისი მოწაფე, ადგილ. მკვიდრი ლუკიანე. მათ დაისადგურეს ბუნებრივ მღვიმე-გამოქვაბულში, რამაც საფუძველი დაუდო პირველი მონასტრის – *დავითის ლავრის* დაარსებას; დროთა განმავლობაში იმატა ბერმონაზვნების რიცხვმა. ბუნებრივ გამოქვაბულთა უკმარისობის გამო ინტენსიურად მიმდინარეობდა საცხოვრ. სენაკების კლდეში გამოქვაბვა, გამოიკვეთა ფერისცვალების ეკლესიაც. დავით გარეჯელის სიცოცხლეშივე ლავრას გამოეყო ორი სამონასტრო განშტოება: *დოდორქა* (რ-იც დააარსა დავითის მოწაფემ, *დოდომ*) და *ნათლისმცემელი*. ამავე ხანაში ჩაეყარა საფუძველი სას. ცხოვრებას *ბერთუბნის მონასტერში*. პირველწყაროს მიხედვით ცნობილია ქ. რუსთავის მკვიდრის, წარჩინებული ბუბაქარის ზრუნვა დ-ის მატერ. კეთილდღეობაზე. დავითის დროს დ. ადმინისტრაციულად ეკუთვნოდა რუსთავის საერისთავოს, ეპარქიულად ემორჩილებოდა რუსთავის ეპისკოპოსს. შემდეგ პერიოდში ამ სამ სავანესთან თანდათან ყალიბდებოდა ახალ-ახალი გამოქვაბული მონასტრები და სადაყუდებულოები, რ-ებიც ქმნიდნენ თავისებურ გაერთიანებას ,,გარეჯის უდაბნოების‘‘ ან ,,გარეჯის ათორმეტთა უდაბნოთა‘‘ სახელწოდებით. გვიანდ. ფეოდ. ხანაში ცალკეული სამონასტრო კომპლექსები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო საგუშაგო და სასიგნალო კოშკებით, რ-ებმაც ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. დასახლება გრძელდებოდა კილომეტრების მანძილზე. ცენტრი იყო დავითის მონასტერი, რ-საც აღნიშნული სახელწოდების გარდა, ,,ლავრას‘‘ და ,,დიდ უდაბნოსაც‘‘ უწოდებდნენ.

ილარიონ ქართველის (822–875) მოღვაწეობის დროიდან დ-ში დაიწყო დიდი სამონასტრო აღმშენებლობა, წარმოიქმნა მონასტრები და სადაყუდებულოები: თეთრი უდაბნო, მრავალწყარო (თეთრი სენაკები), შავი სენაკები, წამებული (ნათლისმცემლის წამებული), ბერთა მთა, დაყუდებული, ჩიჩხიტური, უდაბნო (აღდგომისა წამებული), განსაშორი (ვერან-გარეჯა, წითელი უდაბნო), წინწყარო, საბერეები (ზემო მაღაზანა), ბერების სერი (ქვემო მაღაზანა), პირუკუღმარი, სატორგე, დიდი ქვაბები, პატარა ქვაბები, კოწახურა და სხვ.; გაფართოვდა და გამშვენდა ძვ. ეკლესიები; გამოიკვეთა ახ. ტაძრები; შეიქმნა კეთილმოწყობილი საცხოვრ. და სამეურნ. სათავსები; გაძლიერდა მეურნეობა და სხვ. XI ს. დასაწყისში დ. საქართვ. სამეფო კარის საკუთრება გახდა. *ბაგრატ III-მ* დიდი სამშენებლო სამუშაოები ჩაატარა ნათლისმცემელში.

XI ს. II ნახევარში დ-ს დიდი ზიანი მიაყენა მომთაბარე სელჩუკიან თურქთა შემოსევებმა, რებმაც მდ. ივრის სანაპირო კუხეთი, მ. შ. დ-ის სანახები, საძოვრებად გადააქციეს. *დავით IV* აღმაშენებელმა იხსნა ეს მხარე გაუდაბურების საფრთხისაგან. 1115 მან თურქებისაგან გაათავისუფლა ქ. რუსთავი, ხოლო კახეთის სამეფოს შემოერთების (1104) შემდეგ დ. კვლავ სამეფო საკუთრებად აქცია. ამიერიდან მისი ქტიტორები გახდნენ საქართვ. მეფეები, რ-ებიც დ-ს პრივილეგიას ანიჭებდნენ (ათავისუფლებდნენ სახელმწ. გადასახადებისაგან და სხვ.). 1265 დ. და მისი მიმდებარე სოფლები *ბერქა* ყაენის მონღოლთა ლაშქარმა მოაოხრა. მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა *დემეტრე II* თავდადებულის ზეობისას მიღებული საგანგებო ზომების შედეგად. XIV ს. I ნახევარში, *გიორგი V* ბრწყინვალის დროს, დ. მძლავრ პოლიტ. და ეკონ. ძალად იქცა; უფროსი ბერმონაზვნები, მონასტრების წინამძღვრები მონაწილეობდნენ სამეფო დარბაზის მუშაობასა და ქვეყნის საეკლ. საქმეთა მართვაში. XIV ს. უკანასკნელ მეოთხედში *თემურლენგის* მრა-

ვალგზის შემოსევის შედეგად დ-ში სამონასტრო ცხოვრება მოიშალა. 1424 *ალექსანდრე I-მა* მოშლილი დავითის ლავრა და დოდორქა, კუთვნილ ყმა-მამულთან ერთად, მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო საყდარს შესწირა. ამის შემდეგ მონასტრებში სას. ცხოვრება მცირე მასშტაბით აღდგა. 1616–17 წლებში შაჰ-აბას I-ის მოლაშქრეებმა დაარბიეს დ-ის მოქმედი მონასტრები, რასაც მოჰყვა მათი გაუქმება. 1639 *თეიმურაზ I-მა* დ. ისევ აღადგინა, თუმცა შემდგომ კვლავ გაუქმდა. 1664–75 *არჩილ II-მ* აღადგინა დავითის ლავრა და ნათლისმცემელი. 1692 დავითის ლავრა ლეკებმა დაარბიეს და ბერები ამოხოცეს.

XVII ს. დასასრულიდან დაიწყო დ-ის პოლიტ. და კულტ.-ეკონ. აღორძინება, რ-იც უკავშირდება ენერგიული პიროვნების ონოფრე მაჭუტაძის წინამძღვრობის პერიოდს (1690–1736). ამ დროს დ-ის მონასტერმა შეიძინა მრავალი ახალი და დაიბრუნა ძვ. დაკარგული მამულები; გამოიკვეთა ეკლესიები, სატრაპეზოები, სენაკები, მარნები, სამეურნეო ქვაბები, აშენდა პალატები და კოშკები, თავდაცვისათვის – გალავანი და სხვ., განახლდა ლიტ. მუშაობა, გამდიდრდა ბ-კა. XVIII ს-ში დ-ის მონასტერი აღარ იყო საპატრიარქოს საკუთრება, იგი კვლავ სამეფო მონასტერი გახდა. 1772, 1791, 1851 და 1857 დ-ის მონასტერი ლეკებმა გაძარცვეს, ბერების ნაწილი ტყვედ წაიყვანეს, ნაწილი კი ამოხოცეს.

დ-ის მონასტრის სენიორიის ტერიტორია, ,,საგარეჯოდ'' წოდებული, კალაური, ნაპირა, ჯიმითი, ქვემო ხოდაშენი და ვეძისხევი. XVIII ს. დასასრულს დ-ის შემცირებულ სამფლობელოებში შედიოდა სოფლები: აკურა, ჟატი, ოსიაური (ერთი მეათედი ნაწილი), ცალკეული ყმა-გლეხები თვალზე – პატარძეულში, თბილისში და სხვ.



უდაბნოს მონასტერი. სატრაპეზო. დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი. VI–XVIII სს.

დებული, ძველთაგანვე მოიცავდა უშუალოდ მონასტრის ირგვლივ და მის მახლობელ რუსთავ-ყარაიის სანახებში მდებარე სოფლებს, რ-ებსაც უწყვეტად ებმოდა მდ. ივრის სანაპიროსა და ცივ-გომბორის მთის გადაღმა მხარეზე მდებარე სოფლები. გარეშე მტრების განუწყვეტელი შემოსევების შედეგად დ-ის სამფლობელო თანდათან შემცირდა. მაგ., როდესაც ალექსანდრე I-მა მონასტერი მცხეთას შესწირა, მისი მამულები მონასტრის ირგვლივ და მის მახლობელ რუსთავ-ყარაიის სანახებში უკვე გაველურებულ-გაუდაბურებული იყო. ამ დროს მონასტერს ეკუთვნოდა მხოლოდ მისგან საკმაოდ დაშორებული ცივ-გომბორის ,,მთას აქეთი და მთას იქეთი'' ანუ ,,წინა-უკანა საგარეჯოს'' ტერიტორია, რ-შიც შედიოდა შემდეგი სამფლობელო სოფლები: ორკოშინი, ბერთუბანი, თუალნი, გიორგიწმინდა, ტაზრები, არივლი, ვერონა, კეხთა, თოლეჯი, ხოდაშენი, ვანთა, აკურა, აკურის მონასტერი, კალაური, ნაპირა, ჯიმითი, ქვემო ხოდაშენი და ვეძისხევი. XVIII ს. დასასრულს დ-ის შემცირებულ სამფლობელოებში შედიოდა სოფლები: აკურა, ჟატი, ოსიაური (ერთი მეათედი ნაწილი), ცალკეული ყმა-გლეხები თვალზე – პატარძეულში, თბილისში და სხვ.

დ-ის მონასტერში ინტენსიურად მიმდინარეობდა კულტ.-საგანმან. საქმიანობა. საუკუნეთა განმავლობაში იგი მძლავრი სალიტ.-საგანმან. და სამწიგნობრე კერა იყო. XII ს-ში იქ მოღვაწეობდნენ ონოფრე გარეჯელი (მისი ბრძანებით შეადგინეს დავით გარეჯელის ცხოვრების I მეტაფრასული რედაქცია), *დემეტრე I*, კალიგრაფი ნიკოლოზ ნიკრაი (გადაწერა და ილუსტრაციებით შეამკო ორი ხელნაწერი). დ., როგორც სალიტ. კერა განსაკუთრებით დაწინაურდა XVII ს-იდან. დიდ წარმატებას მიაღწია XVIII ს-ში, იმ დროს, როდესაც იქ მოღვაწეობდნენ ს.-ს. *ორბელიანი*, *ბესარიონი* (ბარათაშვილ-ორბელიშვილი), ნ. ჩერქეზიშვილი, გ. ვახვახიშვილი, *ანტონ I*, რ. *ერისთავი*, ტ. *გაბაშვილი*, ა. მიქაძე, *გაბრიელ მცირე* და სხვ. გარეჯელი მწიგნობრები თხზავდნენ ორიგინ. ძეგლებს, ამრავლებდნენ ხელნაწერებს, აღგენდნენ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების, ასკეტურ-მისტიკურ და

ჰომილეტიკურ თხზულებათა კრებულებს და ა. შ. დ-ის მონასტრებში დაცული იყო ხელნაწერთა უმდიდრესი კოლექცია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დ-ის სამხატვრო სკოლა, რ-ის შემოქმედებითი ცხოვრების ქრონოლ. დიაპაზონი IX–XVII სს. მოიცავს. გარეჯის სამხატვრო სკოლის მოხატულობის ნიმუშები უწყვეტად გვხვდება IX ს-იდან მოყოლებული XIII ს. ჩათვლით. ესენია: უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიისა (X–XI სს. მიჯნა) და სადიაკვნეს (X, XIII სს.), თეთრი უდაბნოს (სავარაუდოდ, IX ს.), ბერთუბნის სამარტვილეს (IX ს.), საბერეების (IX–X სს.), დოდორქის (IX, X, XIII სს.), უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოსა (XI ს. დასაწყისი, XIII ს. ბოლო) და ორმოცმოწამეთა ეკლესიის (XI, XIII სს.), ქოლაგირის (XIII ს.), ნათლისმცემლის მონასტრის დიდი და მცირე ეკლესიებისა და სამარტომყოფელოების (XI–XIII სს.), უდაბნოს მონასტრის სამარტომყოფელოთა (XII–XIII სს. მიჯნა), წმ. ნიკოლოზის (XIII ს.), ამაღლების (XIII ს. შუა ხანა), ხარების (XIII ს. ბოლო) ეკლესიების, ბერთუბნის მთავარი ეკლესიისა და სატრაპეზოს (XIII ს. I მეოთხ.) მოხატულობანი.



შავი სენაკები. დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი.

დ-ის სამხატვრო სკოლაში შექმნილ მოხატულობათა მაღალმხატვრულ ღირებულებასთან ერთად ყურადსაღებია მათი, ლიტერატურულ პირველწყაროს დაფუძნებული, ღრმა საღვთისმეტყველო იდეის მქონე პროგრამები, რ-ებიც სათავსთა ფუნქციის გათვალისწინებით (დიდი და მცირე ეკლესიები, სატრაპეზოები, სამარტომყოფელოები) იქმნებოდა და სახარებისეული, საუფლო დღესასწაულების სცენების, წმინდანთა ცხოვრების ვრცელი ციკლებისა და წმინდანთა, მოწამეთა, მეუდაბნოეთა ტრად. გამოსახულებების გარდა, მრავალ, იშვიათ იკონოგრაფიულ თემას შეიცავდა.

განსაკუთრებით ყურადსაღებია სამონასტრო მოხატულობებში წარმოდგენილი ადგილობრივ და ეროვნ. წმინდანთა ცხოვრების ამსახველი ვრცელი ციკლები – მონასტერთა დამაარსებლის, წმ. დავით გარეჯელის ციკლი [უდაბნოს მთავარი ტაძრის სადიაკვნე (X ს.) და ძირითადი სივრცე (X–XI სს. მიჯნა); მოწამეთა (XI ს. დასაწყისი)] და საქართვ. განმანათლებლის, მოციქულთა სწორის წმ. ნინოს ციკლი [უდაბნოს მთავარი ტაძრის სადიაკვნე (XIII ს.)]. ეს იკონოგრაფიული პროგრამა წმ. ნინოს ჩვენამდე მოღწეულ ციკლთა შორის ყველაზე ადრეული ხანისაა.

სამონასტრო მოხატულობებმა ისტ. პირთა მრავალი საქტიტორო პორტრეტი შემოგვინახა, მათ შორისაა საეკლ. მოღვაწენი [საბერეები (IX, X სს.); უდაბნოს მთავარი ტაძარი (X–XI სს. მიჯნა)], მსხვილი ფეოდალები [უდაბნოს მთავარი ტაძარი (X–XI სს. მიჯნა), ქოლაგირი (XIII ს.)] და გაერთიანებული საქართველოს მეფეები: ბაგრატ III, დემეტრე I, დავით აღმაშენებელი, გიორგი III [ნათლისმცემლის მთავარი ტაძარი (XIII ს. დასაწყისი)], თამარ მეფე და ძე მისი გიორგი ლაშა [ნათლისმცემლის მთავარი ტაძარი (XIII ს. დასაწყისი), ბერთუბანი (XIII ს. დასაწყისი)], დემეტრე II თავდადებული [უდაბნოს ხარების ეკლესია (XIII ს. ბოლო)].

საქართველოს რუსეთთან შეერთების (1801) შემდეგ საეკლ. რეფორმების შედეგად დ-ის სენიორია გაუქმდა, იგი ჩვეულებრივი შტატის დაწესებულებად იქცა. მონასტრის უძრავი ქონება XIX ს. შუა წლებიდან სახაზინო საკუთრებაში გადავიდა. ბერმონაზვნებს დარჩათ ადრე დანიშნული ხელფასი. XIX ს-ში დ-ს დიდი პატივი მიაგო მ. *საბინინმა*, რამაც შესწირა ძვირად ღირებული საეკლ. ინვენტარი და მარმარილოთი გაამშვენიერა წმ. დავითის, დოდოსა და 1851 წ. ლეკთა შემოსევის დროს დაღუპულ ბერმონაზონთა საფლავები. XX ს. 20-იან წლებში დ-ში სასულიერო ცხოვრება შეწყდა.

1924 დ-ის ტერიტორიის სამხრ. ნაწილი აზერბაიჯანის სსრ-ს გადაეცა, რის შედეგადაც უდაბნო, ბერთუბანი, წინწყარო და ჩიჩხიტურის სამხრ. ნახევარი საქართველოს სსრ-ის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა. 1948 დ-ის ტერიტორიაზე სსრკ-ის ამიერკავკასიის სამხ. ოლქის სასწ.-საარტილერიო პოლიგონი ამოქმედდა, რამაც ადგილობრივ მონასტრებსა და სადაყუდებულოებს დიდი ზიანი მიაყენა. 1988 საზოგადოების პროტესტის შედეგად დ-ში სამხ. სწავლების მასშტაბები შემცირდა, ხოლო 1991 საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ სასწ.-საარტილერიო პოლიგონი საბოლოოდ გააუქმა. XX ს. 80-იანი წწ. ბოლოს დავითის ლავრაში სამონასტრო ცხოვრება აღდგა, 2000-იდან კი სას. მოღვაწეობა ნათლისმცემელსა და დოდორქაშიც განახლდა.

ლიტ.: ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი გ., დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, თბ., 1972; დავითგარეჯის მონასტრები, ლავრა, უდაბნო, თბ., 2008; დავითგარეჯის მონასტრები, ნათლისმცემელი, ბერთუბანი, თბ., 2010; ვ ო ლ ს კ ა ი ა ა., დავით გარეჯის გამოქვაბული მონასტრების მოხატულობა, კრ.: კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VIII. გარეჯი, თბ., 1988; თ ო დ უ ა თ., გარეჯა (მონასტერთა ლოკალიზაციისათვის), «ძეგლის მეგობარი», 1973, №31–32; ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966; ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე ზ., სამეფო კტიტორული პორტრეტი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში, «საბჭოთა ხელოვნება», 1983, №11; А м и р а н а ш в и л и Ш. Я., История грузинской монументальной живописи, т. 1, Тб., 1957; В о л ь с к а я

А. И., Росписи средневековых трапезных Грузии, Тб., 1974; Чубинашвили Г. Н., Пещерные монастыри Давид-Гареджи, Тб., 1948; Шевякова Т. С., Монументальная живопись раннего средневековья Грузии. Альбом, Тб., 1983.

გ. აბრამიშვილი. ბ. ლომინაძე. ლ. მენაბდე. დ. მუსხელიშვილი.

დავით გარეჯელი, ერთ-ერთი ასურელი მამა (იხ. *ასურელი მამები*). საქართველოში მოვიდა ქ. ანტიოქიიდან VI ს. შუა წლებში და გარეჯის კლდოვან მთებში დააარსა მონასტერი (იხ. *დავითგარეჯა*). თავდაპირველად დ. გ. და მისი მოწაფე ლუკიანე ბუნებრივ გამოქვაბულში დაბინავდნენ, მინდვრის ნაყოფითა და ირმის რძით საზრდოობდნენ. ირმის მოწველის ეპიზოდი შემდგომში გავრცელებული სიუჟეტი გახდა



წმინდა დავით გარეჯელი. უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოს მოხატულობა. XI ს. დასაწყისი.

ქართ. იკონოგრაფიაში (*დავითის ლავრა, ბერთუბნის მონასტერი, უდაბნოს მონასტერი* და სხვ.). დ. გ. იყო მონასტრის პირველი წინამძღვარი. რუსთავის წარჩინებული მკვიდრის ბუბაქარის მატერ. დახმარებით ააგო ეკლესია, რომელიც შემდგომში ფერისცვალების ეკლესიად იწოდებოდა და სადაც დასაფლავებულია დ. გ. ზეპირი გადმოცემით დავითის სახელი უკავშირდება თბილ. მამადავითისა და ქაშვეთის ეკლესიათა ადგილებს, სადაც დავითს უცხოვრია გარეჯაში წასვლამდე. დ. გ-ის მოღვაწეობამ ხელი შეუწყო ქრისტ. რელიგიის დაცვასა და განმტკიცებას, ამასთან ჯერ კიდევ შემორჩენილი წარმართი მოსახლეობის გაქრისტიანებას. დ. გ-ის ინიციატივით გარეჯის სანახებში მისმა მოწაფეებმა *დოდომ* და *ლუკიანემ* დააარსეს ახ. მონასტრები. დ. გ. შერაცხულია წმინდანად და მისი ხსენების დღეა ამაღლების შემდგომი ხუთშაბათი.

დ. გ-ის ცხოვრება და მოღვაწეობა აღუწერიათ მისი გარდაცვალებიდან ახლო პერიოდში, VI–VII სს-ში, მაგრამ ამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია. მოგვიანებით დ. გ-ის ცხოვრება ხელახლა შეადგინეს. ცნობილია მისი ორი რედაქცია. პირველი, მოკლე რედაქცია, ეკუთვნის X ს. მეორე, მეტაფრასული, ვრცელი – XII ს.

წყარო: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1955; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 3, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1971.

ლიტ.: ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966; საბინინი მ., საქართველოს სამოთხე, სპბ., 1882; Иоселиани П., Гора св. Давида в Тифлисе, Тфл., 1858.

ბ. ლომინაძე.

„დავით გარეჯელის ცხოვრება“, ჰაგიოგრაფიული თხზულება, რ-შიც აღწერილია გარეჯის მონასტრის დამაარსებლის – დავითის – ცხოვრება და ღვაწლი. თხზულება უძველესია დავით გარეჯელზე შექმნილ ნაშრომთა შორის; მოგვითხრობს სირიიდან აღმ. საქართველოში VI ს. შუა წლებში ჩამოსულ ცამეტ მონაზონთაგან ერთ-ერთის – დავითის და მისი მოწაფის – ლუკიანეს დამკვიდრების შესახებ გარეჯის უდაბნოს გამოქვაბულში. დროთა განმავლობაში მათ რამდენიმე მონასტერი დაუარსებიათ და ხალხმრავალი სამონასტრო ცხოვრება გაუშლიათ, რამაც მომდევნო საუკუნეებში *დავითგარეჯა* უმნიშვნელოვანეს მწიგნობრულ-საგანმან. კერად აქცია. თხზულებას X ს. I ნახევრით ათარიღებენ და ანონიმ ავტორს მიაწერენ. ბოლო დროს გამოითქვა აზრი, რომ „დ. გ. ც-ის“ უძველესი ვერსია დამოუკიდებელი თხზულება არ არის, იგი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია არსენ II კათოლიკოსის (955–980) ჰაგიოგრაფიული თხზულებისა „ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ ... იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთაჲ...“ ამ თხზულების საფუძველზე XII ს. უცნობ ავტორს დაუწერია დავით გარეჯელის ვრცელი მეტაფრასული „ცხოვრება“ „დიდი ბერისა და მოძღუარის ონოფრე გარეჯელის“ დავალებით. XIII ს. შუა წლებში „ცხოვრება“ დაწერა დავითგარეჯის მონასტრის ბერმა, შემდგომ თბილისის მიტროპოლიტმა რომანოზ ერისთავმა. ასევე გვიანდელია სვინაქსარული ცხოვრებაც, რ-ის ერთადერთი ნუსხა 1726 ხელნაწერს (A-222) შემოუნახავს.

წყარო: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1955, გვ. 144–187 (კიმენური და მეტაფრასული); ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., I (კიმენური), თბ., 1963, გვ. 229–240; III (მეტაფრასული), თბ., 1971, გვ. 170–207; (რომანოზისეული), იქვე, გვ. 291–311; IV (სვინაქსარული), თბ., 1968, გვ.407–415.

ლიტ.: გაბიძაშვილი ე., ასურელი მოღვაწეების „ცხოვრებათა“ ე. წ. არქეტიპების ურთიერთმიმართებისათვის, «მაცნე». ენისა და ლიტ. სერია, 1982, № 4; კეკელიძე კ., საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, მის წგ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 1, თბ., 1956. *ე. გაბიძაშვილი.*

დავითგარეჯის მოწამეები, აღდგომას მოწყუეტილი მოწამეები, აღდგომის დღესასწაულზე მაჰმადიანთა მიერ გარეჯის უდაბნოს მონასტრის აღდგომის ეკლესიასთან დახოცილი მოწესეები.

შუა საუკუნეებში გარეჯის სამონასტრო გაერთიანებაში არსებობდა ტრადიცია, რ-ის თანახმადაც დიდმარხვის შაბათს გარეჯის სხვადასხვა მონასტერში მოღვაწე ბერები უდაბნოს მონასტრის აღდგომის ეკლესიაში იკრიბებოდნენ და ერთად აღასრულებდნენ საღდგომო ღმრთისმსახურებას, ერთ-ერთი ასეთი შეკრების დროს გარეჯელ მოწესეთა კრებულს თავს დაესხა მაჰმადიანთა რაზმი. თავდამსხმელებმა მოწესეებს ქრისტიანობის დათმობა მოსთხოვეს, რაზედაც უარი მიიღეს. მაჰმადიანებმა ისინი ერთიანად ამოხოცეს. ერთი ნაწილი ეკლესიაში, მეორე კი – ეკლესიის გარეთ. შესაბამისი მასალის უქონლობის გამო დღეისათვის უცნობია, კონკრეტულად როდის მოხდა გარეჯელი მოწესეების მოწყუეტის (მოკვლის) ფაქტი, ვინ იყვნენ ის მაჰმადიანები, რ-ებიც თავს დაესხნენ გარეჯელ ბერებს, რამდენი მათგანი აღესრულა მაჰმადიანთა ხელით და სხვ. აღდგომას მოწყუეტილი მოწამეები საქართვ. სამოციქულო

მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანებად არიან შერაცხილნი. ხსენების დღედ დაწესებულია ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი.

1692 წლის მოწამეები, ლეკების მიერ წმ. დავით გარეჯელის ლავრაში მოწყვეტილი მოწესეები.

1692 დავით გარეჯელის ლავრას თავს დაესხა შეიარაღებული ლეკების რაზმი. თავდასხმის დროს წინამძღვარი ონოფრე მაჭუტაძე მონასტერში არ იმყოფებოდა, მის მაგივრად კი სამონასტრო საქმეებს შიო მღვდელმონაზონი განაგებდა. ლეკებმა შიო მღვდელმონაზონი, დავით მწირი, პავლე და, სავარაუდოდ, მონასტერში მყოფი სხვა ბერები წამებით დახოცეს. ერთ-ერთმა მოწესემ, გაბრიელმა გაქცევა სცადა, თუმცა ლეკებმა ისიც შეიპყრეს და მოკლეს. ისინი საქართვ. სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანებად არიან შერაცხილნი. ხსენების დღედ დაწესებულია 1(14) ივნისი.



დავით დადიანი.

1851 წლის მოწამეები, ლეკების მიერ წმ. დავით გარეჯელის ლავრაში მოწყვეტილი მოწესეები.

1851 წ. 18 ივლისს წმ. დავით გარეჯელის ლავრას თავს დაესხა თექვსმეტი შეიარაღებული ლეკისაგან შემდგარი რაზმი. ლეკებმა მონასტერში მყოფი ჩვიდმეტი მოწესე ტყვედ შეიპყრეს და შვიდი მათგანი – გერონტი მღვდელმონაზონი, გერმანე მონაზონი, ბესარიონ მონაზონი, დიაკვანი სვიმონ ლომიძე, სერაპიონ მღვდელმონაზონი, მორჩილი მიხეილ ქართველიშვილი, დიაკვანი ოთარ ელიოზიშვილი წამებით დახოცეს. ისინი საქართვ. სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმიდანებად არიან შერაცხილნი. ხსენების დღედ დაწესებულია 12(25) აგვისტო.

წყარო: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 4, თბ., 1968, წგ. 6, თბ., 1980; მღვდელმონაზონი ისაკ. წამება წმიდათა მამათა, შემოკლებული ისტორია. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ქართულ ხელნაწერთა H კოლექცია, №649; სპირიდონ გრძელიშვილი. აოხრება წმიდის დავით გარეჯის უდაბნოსა, ჟურნ.: ,,საქართველოს სასულიერო მახარებელი'', I, ტფ., 1868.

ლიტ.: ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1966; მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, თბ., 1962; მირიანაშვილი ლ., აღდგომას წამებულ გარეჯელ ბერთა უცნობი ტიპის სამარტვილე (წმ. ელია წინასწარმეტყველის ეკლესიად ცნობილი ნაგებობის რეალური ფუნქციის დადგენისათვის), «ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები», VIII, თბ., 2008; ქავთარია მ., დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ., 1965; ჯოჯუა თ., აღდგომას მოწყვედილ გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ მიხეილ საბინინის უცნობი რუსული რედაქცია, კრ.: საქართველოს სიძველენი, ტ. 9, თბ., 2006.

თ. ჯოჯუა.

დავითგარეჯის მუზეუმ-ნაკრძალი, დაფუძნდა 1976; 1975 დავითგარეჯის კომპლექსი შევიდა საქართვ. ისტ. და კულტ. ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნ.-საწარმოო სამმართველოს გამგებლობაში, ხოლო 1979 სახელმწ. მუზეუმ-ნაკრძალად გამოცხადდა. დ. მ.-ნ-ის გეოგრ. საზღვრები: ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – თეთრსენაკებისა (თეთრი უდაბნო) და დოდორქის ჩრდ.-აღმ. კალთები; სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – საქართვ. საზღვარი; სამხრეთ-დასავლეთიდან – წამებულის, ნათლისმცემლის მონასტრები, ბერების სერიდან – 2 *კმ*-ით დაშორებული უსახელო ხევი; ჩრდილო-დასავლეთიდან – თეთრსენაკების (თეთრი უდაბნოს) სერის უკიდურესი ჩრდ.-დას. მხარე. ამ ტერიტ. სამოქმედო რადიუსი დავითის ლავრიდან არის 23 *კმ*. მუზეუმ-ნაკრძალი მეურვეობას უწევს შემდეგ ძეგლებს: *დავითის ლავრას, დოდორქას, ნათლისმცემელს*, ჩიჩხიტურს, *უდაბნოს, ბერთუბანს*, ქოლაგირს, ვერანგარეჯას, ბერების სერს, თეთრ ქვაბებს, პირუკუღმას, წამებულს და მღვიმე მაღაზანს.

XX ს. 70-იან წლებში დავითგარეჯის ტერიტ. ახლოს აშენდა საბჭ. არმიის დიდი სამხ. პოლიგონი (მოიცავდა საქართვ. და აზერბ. ტერიტორიას), რ-მაც საფრთხე შეუქმნა ამ ისტ.-არქიტ. ძეგლს. 1997 ქართ. არმიას მიეცა რუს. სამხ. პოლიგონით სარგებლობის უფლება (პოლიგონს დაერქვა ,,ალგეთის საწვრთნელი ბაზა''). საქართვ. მთავრობამ გაითვალისწინა ჰააგის საერთაშ. კონვენციის რეკომენდაცია, იმის შესახებ, რომ ისტ.-არქიტ. ძეგლებთან დაუშვებელია სამხ. ბაზების – პოლიგონების – არსებობა და ქართ. არმიას მისცა მითითება (1997) მხოლოდ ვიწრომასშტაბიანი მანევრების ჩატარებისა 3 წლის ვადით.

დ. მ.-ნ. არის დაწესებულება, რ-იც ახორციელებს ისტ. და კულტ. ძეგლთა აღრიცხვა-ფიქსაციას, შესწავლა-პოპულარიზაციასა და დაცვას. დ. მ.-ნ-ში დაცული ყველა ექსპონატი: ეთნოგრაფიული, დეკორატიული ხელოვნებისა და კედლის მხატვრობის ნიმუშები, ქვისა და ხეზე ნაკვეთი ჩუქურთმები, მის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლ. ნივთები და სხვა წარმოადგენს მუზეუმ-ნაკრძალის ძირითად ფონდს (1097 საფონდო ერთეული). დ. მ.-ნ. უზრუნველყოფს მათ აღრიცხვას, დაცვასა და გამოყენებას.

დ. მ.-ნ-ის ძირითადი მიზანია მის სამოქმედო ზონაში არსებული მატერ. კულტ. ძეგლების მოვლა-პატრონობა, შესწავლა და პოპულარიზაცია.

მუზეუმ-ნაკრძალი აწყობს ექსპედიციებს, მონაწილეობს არქეოლ. გათხრებში და ძეგლების შესწავლასთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობაში. გამოსაცემად ამზადებს ბუკლეტებს, ფოტო-ალბომებს, სამუზეუმო ექსპონატების კატალოგებს და სხვ. საინფორმაციო და სამეცნ. მასალებს.

დავით დადიანი (26. I. 1812, სოფ. ჭაქვინჯი, ახლანდ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, – 30.VIII. 1853, გორდი), სამეგრელოს მთავარი 1846–53, რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1845). მამამ – *ლევან V დადიანმა* – თავის სიცოცხლეშივე (1840-იდან) ჩააბარა სამთავროს გამგებლობა. დ. დ-ს მიღებული ჰქონდა ევრ. აღზრდა-განათლება. 1829–40 მსახურობდა ლაიბგვარდიის კაზაკთა პოლკში, სადაც პოლკოვნიკის წოდება მიიღო. სამთავროს სათავეში ჩადგომიდანვე ცდილობდა მმართველობის ახ. სისტემის შემოღებას. ამ მიზნით სამთავრო 8 მაზრად (ოლქად) დაყო და თითოეულ მათგანს სათავეში მდივანბეგი ჩაუყენა. მოხელეთა თანამდებობის მემკვიდრეობით გადაცემის ნაცვლად მათი დანიშვნა შემოიღო. მთავრის ტახტთან შექმნა სამდივნო მოხელეთა შტატით. თავადაზნაურების ყმობისაგან გაათავისუფლა დაბალი სამღვდელოება. ზრუნავდა ვაჭრობისა და მრეწვ. განვითარებაზე. მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით 1848 სამეგრელოში მიიწვია ფრანგი როზმორდიუკი, რ-მაც ზუგდიდში გამართა აბრეშუმის საწარმო. მის დროსვე მოეწყო არყის სახდელი ქნები ზუგდიდსა და სალხინოში. დ. დ. მწიგნობრობის დიდი მოყვარული იყო. შეაგროვა ქართ. ხელნა-

წერ წიგნთა მდიდარი კოლექცია, რ-იც შემდეგ მისმა შვილმა ნ. დადიანმა ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზ-ბას გადასცა. **დ. დ**-ს ახლო ურთიერთობა ჰქონდა პ. *იოსელიანსა* და მ. *ბროსესთან.* დაჯილდოებული იყო წმ. ანას, წმ. ვლადიმირის, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით. დაკრძალულია მარტვილის მონასტერში, საგვარეულო აკლდამაში.

წყარო: ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი კ., სამეგრელო და სვანეთი. 1854–1861, ტფ., 1934.

ლიტ.: მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941; მ ე უ ნ ა რ გ ი ა ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939.

გ. კალანდია.

დავით და კონსტანტინე, *არგვეთის* (ზემო იმერეთი) მთავრები VIII ს. I ნახევარში (მხეიძეთა ფეოდ. გვარიდან). გმირულად იბრძოდნენ საქართველოში შემოჭრილი არაბი სარდლის, მურვან ყრუს წინააღმდეგ. არგვეთის ბრძოლის დროს არაბებმა შეიპყრეს ისინი და მოწამებრივი სიკვდილით დასაჯეს. ქართველებმა მათი გვამები დაკრძალეს მდ. წყალწითელას ნაპირას, სადაც ახლა მოწამეთის მონასტერია (ტყიბულის მუნიციპალიტეტი). ქართ. ეკლესიამ **დ. და კ.** წმინდანებად შერაცხა და დიდმოწამენი უწოდა. მათი ხსენების დღეა 2 (15) ოქტომბერი. იხ. აგრეთვე *„დავით და კონსტანტინეს მარტვილობა“.*

ო. სოსელია.

„დავით და კონსტანტინეს მარტვილობა“, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ძეგლი, რ-შიც აღწერილია არგვეთის მთავრების – *დავით და კონსტანტინეს* – გმირული ბრძოლა არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ და თავდადება ქრისტ. სარწმუნოებისათვის. მურვან ყრუს სარდლების მიერ ტყვედ შეპყრობილ დავითსა და კონსტანტინეს რწმენის გამოცვლა მოსთხოვეს, მათ მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიეს. მომხდურებმა ისინი სიკვდილით დასაჯეს.

დავითისა და კონსტანტინეს ღვაწლი ადრევე ყოფილა აღწერილი, მაგრამ მათი წამების კიმენური ტექსტი დაკარგულია. ნაწარმოები ჩვენამდე მოღწეულია უცნობი ავტორის მიერ XII ს-ში გადამეტაფრასებული რედაქციით. XVIII ს. ხელნაწერის მიხედვით ტექსტი პირველად გამოსცა მ. *საბინინმა* (1882, კრებული „საქართველოს სამოთხე“); მეორედ – ს. *ყუბანეიშვილმა* XIII ს. ხელნაწერის მიხედვით (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია; ტ. 1, თბ., 1946).

ტექსტი: წამებაჲ და ღუაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კონსტანტინესი..., წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 3, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1971.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960. *რ. ბარამიძე.*

„დავით და ტირიჭანის ფამება“, ჰაგიოგრაფიული თხზულება, რ-შიც აღწერილია სომხეთში, ბასიანის ხევში, VII ს. I ნახევარში მომხდარი ტრაგედია: წარმართი ბიძის მიერ მცირეწლოვანი ქრისტიანი დისწულების, ძმების – დავითისა და ტირიჭანის – წამებისა და დახოცვის ამბავი. თხზულება მიჩნეულია IX ს. ქალკედონელი სომეხი ანონიმი ავტორის მიერ ქართულად დაწერილ ძეგლად.

წყარო: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.

ლიტ.: ა ბ უ ლ ა ძ ე ილ., ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი IX–X საუკუნეებში, თბ., 1944.

დავითი, კახეთის მთავარი 976–1009, *კვირიკე II-ის* ძე. კახეთის უკანასკნელი მთავარი, რ-იც *ქორეპისკოპოსის* ტიტულს ატარებდა. **დ**-ს მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეები ჰქონდა ქართლშიც. ებრძოდა გაერთ. საქართვ. მეფე *ბაგრატ III-ს,* რ-იც კახეთ-ჰერეთის შემოერთებას ცდილობდა. 1008 **დ.** იძულებული გახდა მრავალრიცხოვანი ჯარით კახეთზე გამოლაშქრებულ ბაგრატ III-თვის დაებრუნებინა ქართლის ციხეები (წირქვალი, გრუი). ამავე ლაშქრობის დროს ბაგრატ III-მ მოახერხა ჰერეთის დაპყრობა, მაგრამ როგორც კი მეფე გაბრუნდა, ჰერეთი განუდგა და **დ**-მა იგი კვლავ კახეთს შეუერთა.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ., ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი თ., რანთა და კახთა სამეფო (VIII–XI სს.), თბ., 1982; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2). *თ. პაპუაშვილი.*

დავითი, *„პროვინციის მეფე“* 1354–82, ანდრონიკე „პროვინციის მეფის“ ძე, დავით VIII-ის შვილიშვილი. **დ**-მა 1382 სიგელით მამულები უბოძა ოქროს საყდარს, მასში აღნიშნულია **დ**-ის ზეობის 28-ე ინდიქტიონი, რ-ის მიხედვითაც **დ**-ის „მეფობა“ 1354-იდან უნდა იწყებოდეს. ამავე სიგელში დასახელებული არიან მისი შვილები – გიორგი და ალექსანდრე ბაგრატიონები. ანდრონიკე „მეფეს“ ორი ვაჟი ჰყავდა: **დ.** და *გიორგი ალასტანელი,* ორივეს „პროვინციის მეფობაზე“ ჰქონდა პრეტენზია, ამიტომ სამფლობელო მამულები განაწილდა. გიორგის, როგორც უფროსს, მიუღია სამფლობელოების ძირითადი ტერიტორიები – სამხრ. რეგიონი ცენტრ. ალასტანითურთ. აქედან გამომდინარე, მიიღო მან ზედწოდება „ალასტანელი“, **დ.** თავისი მამის სამფლობელოებსაც დაეუფლა შიდა ქართლში. 1382 შემდეგ მის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

ლიტ.: ნ ი ნ ი ძ ე დ., „პროვინციის მეფეები“ XIV–XV საუკუნეების საქართველოში, თბ., 1995. *დ. ნინიძე.*

დავითი (ნ ე მ ს ა ძ ე) (გ. 1696), აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქი 1673–96. **დ**-მა აღადგინა ოდიშის სამთავროში დას. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უმაღლესი საეკლ. უფლებები, რ-ის ხელყოფა სცადა ოდიშის მთავარმა – *ლევან III დადიანმა.* 1675 **დ**-მა ლევან III-ს პირობა დაადებინა კათოლიკოსის საქმეში ჩაურევლობაზე. მისგანვე საკათოლიკოსო მამულად მიიღო ოდიშში ხოფი (ახლანდ. ხობი), ხოლო სადგომად და საძვალედ – ორი სასახლე და ხოფის ღვთისმშობლის ეკლესია. **დ.** მტკიცედ იცავდა საკათოლიკოსო საკითხებს. მისი კათოლიკოსობის პერიოდში აფხ. სამთავროში გაძლიერდა ქრისტ. მოსახლეობის შევიწროება ჩამოსახლებული „აფხაზების“ (აფსუების) მიერ, საკათოლიკოსო ყმების გაყიდვა. **დ**-მა აფხ. მთავარს ყვაპუ შარვაშიძეს ფიცის წიგნი დაადებინა, რომ შეწყვეტდა საკათოლიკოსო ყმების შევიწროებას.

ლიტ.: ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., მასალები დასავლეთ საქართველოს XVII–XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 31; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

ბ. ლომინაძე.

დავითი (წ ე რ ე თ ე ლ ი) (1781–14. II. 1853), საეკლესიო მოღვაწე, გენ.-მ. ზ. ქ. *წერეთლის* ვაჟი. 1796 ბერად აღიკვეცა გელათის მონასტერში. 1804 ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტი (წინამძღვარი) გახდა. დიდი ამაგი დასდო ჯრუჭის ქართ. კულტ. კერას. 1804 არქიეპისკოპოსად აკურთხეს, მალე მიტროპოლიტის ხარისხი მიიღო. 1829 დანიშნეს მიტროპოლიტად სამეგრელოში, სადაც რამდენიმე

ეკლესია ააშენა. თავადაზნაურობის მოთხოვნით, 1843 დ. იმერეთის საეკლ. საქმეებს ჩაუყენეს სათავეში, იქვე მოღვაწეობდა სიკვდილამდე. დასაფლავებულია ჯრუჭის მონასტერში – წერეთელთა საგვარეულო სასაფლაოზე.

ფ. სიხარულიძე.

დავითი (ღამბაშიძე) [1842, ყვირილა (ახლანდ. ზესტაფონი), – 21. XII. 1910, იქვე], დეკანოზი, საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, პუბლიცისტი, რედაქტორ-გამომცემელი. დაამთავრა ქუთ. სას. სასწავლებელი და თბილ. სას. სემინარია. იყო *გაბრიელ* ეპისკოპოსის (ქიქოძის) თანამებრძოლი. ზემო იმერეთის მოსახლეობა მას სიყვარულის ნიშნად ,,დიდ დეკანოზს'' ეძახდა. 1883–1910 მისი რედაქტორობით დაბა ყვირილაში გამოდიოდა რუს. დამატებით (1886–1903) სას. ორკვირეული ჟურნ. ,,მწყემსი'', რ-იც, სარწმუნოების განმტკიცებასთან ერთად, ხელს უწყობდა ეროვნ. თვითშეგნების ამაღლებას. დ. იბრძოდა რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ. როცა მას კატეგორიულად მოსთხოვეს საღმრთო რჯულის რუს. ენაზე სწავლება, პროტესტის ნიშნად პედაგოგობას თავი დაანება. დ. პუბლიც. წერილებში იცავდა ავტოკეფალიაწართმეული საქართვ. ეკლესიის უფლებებს, პრაქტ. მოღვაწეობით კი ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის იბრძოდა. მის შრომებს შორის აღსანიშნავია ,,ექიმი იოანე გომართელი და მისი მსჯელობა, თუ ,,რა გზას უნდა დაადგეს სამღვდელოება''?, ,,სახალხო სააქიმო წიგნი კარაბადინი'' და სხვ.

ლიტ.: კ. გ-ლი [კონსტანტინე ანთაია-ძე], დეკანოზი დავით ღამბაშიძე, «სახალხო გაზეთი», 1910, № 193; მიუდგომელი დეკანოზი დავით ღამბაშიძე, გაზ. «თემი», 1911, №4.

ე. ბუბულაშვილი.

დავითიანი აკაკი ალექსის ძე (26. VI. 1924, სოფ. ლახამულა, ახლანდ. მესტიის მუნიციპალიტეტი, – 15. III. 1980, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1971). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკტი (1947). იყო საქართვ. მეცნ. აკად. ენის, ისტ. და მატერ. კულტურის ინ-ტის (ენიმკი) ქართველურ ენათა განყ-ბის უმცროსი მეცნ. თანამშრომელი (1947–48), მასწავლებელი მესტიის რ-ნისა და თბილ. სკოლებში (1948–54), ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედ. ინ-ტის ქართ. ენის კათედრის უფრ. მასწავლებელი (1954–56), საქართვ. ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნ.–კვლ. ინ-ტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი (1955–60). 1960-იდან სამეცნ. და პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. ა. პუშკინის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტის ქართ. ენის კათედრაზე. დ-ის გამოკვლევები ეხება ქართ. ენის სტრუქტურისა და სკოლაში მისი სწავლების მეთოდიკის საკითხებს. იყო სახელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი წვლილი ქართ. ენის სინტაქსის საკითხების კვლევაში.

თხზ.: ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1966; ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973; პრაქტიკული ვარჯიშობა ქართულ ენაში, თბ., 1977.

დავითიანი არჩილ ივანეს ძე (27. XII. 1917, სურამი, – 30. I. 1987, თბილისი), სომეხი მთარგმნელი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში. მისი პირველი წერილი 1937 ჟურნ. ,,ოქტომბერში'' გამოქვეყნდა. დ-მა ქართ. ენაზე თარგმნა ა. შირვანზადეს, მურაცანის, რაფის, ნარ-დოსის, ჰ. თუმანიანის, ს. ზორიანის, რ. ქოჩარის, გ. მაჰარის, ს. ხანზადიანის, ბ. სეირანიანის და სხვა სომეხი კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლების თხზულებანი. სომხ. ენაზე თარგმნა (ბ. სეირანიანთან ერთად) ნ. დუმბაძის ნაწარმოებები.

ჯ. თითმერია.

დავითიანი, სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოქტომბრის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ჩხოუშის (ენგურის აუზი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 40 *მ*, ზუგდიდიდან 6 *კმ*, ინგირიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ*. 812 მცხ. (2002).

დავითიანი, ორმოცმოწამეთა ეკლესია, VII ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სოფ. *ვაზისუბნის* (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) მახლობლად, მდ. წილიანას (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ეკლესია დაზიანებულია. გეგმას საფუძვლად უდევს ჯვარი, რ-იც გარედან კედლებით შექმნილ რვაკუთხედშია მოქცეული, მხოლოდ აღმოსავლეთის მკლავია დასრულებული საკურთხევლის აფსიდით. ცენტრ. კვადრატიდან რვაწახნაგა, ოდნავ დაგრძელებული გუმბათის ყელზე გადასვლა განხორციელებული იყო ტრომპების მეშვეობით. ძეგლი ნაგებია რიყის ქვით. კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ელემენტები – კუთხეები – შირიმის ქვითაა ამოყვანილი. ინტერიერში ეკლესიის ოთხივე თაღი შირიმისავე ქვის კაპიტელებს ეყრდნობა. შესასვლელი ორია – სამხრეთისა და ჩრდილოეთისა. აღმ. აფსიდში სარკმელია გაჭრილი. გადახურული იყო კრამიტით. გეგმითა და პროპორციებით ახლოს დგას *ვაჩნაძიანის ყველაწმინდის* პატარა გუმბათოვან ეკლესიასთან. ორივე ეს ძეგლი, ისევე როგორც ზეგნის წმ. მარინეს, იყალთოს სამების ეკლესიები, გეგმით *ტეტრაკონქის* ტიპს ენათესავება, მაგრამ წარმოდგენილია უფრო გამარტივებული სახით და გაცილებით მცირე ზომისანი არიან. ამავე დროს ამ ძეგლებში ჩანს კახეთის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი სწრაფვა ზემოთ დაგრძელებული მოხდენილი ფორმებისადმი.

რესტავრირებულია XX ს. 80-იან წლებში.

ლიტ.: Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

დავითის ლავრა, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მონასტერი *დავითგარეჯის* სამონასტრო კომპლექსში. დააარსა *დავით გარეჯელმა* VI ს. 20-იან წლებში. თავდაპირველად დავითი თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად უდაბნოს უკაცრიელი მთების ერთი ნაპრალის პატარა ბუნებრივ გამოქვაბულში დასახლდა. მალე მის ირგვლივ თავი მოიყარა მრავალმა ბერმა; დაიწყო ახ. ქვაბსადგომებისა და სხვადასხვა დანიშნულების სათავსების კლდეში კვეთა. ასე დაედო საფუძველი იმ მონასტერს, რ-იც შემდეგ ცნობილი გახდა დ. ლ-ის სახელწოდებით და რ-მაც საფუძველი ჩაუყარა უდაბნოს მრავალმთის მონასტრების – დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის – მშენებლობას (VI–XVIII სს.). VI ს-შივე რუსთავის ერისთავის, ბუბაქარის, დახმარებით კლდეში გამოკვეთეს ფერისცვალების ეკლესია, რ-იც შემდეგ დავითისა და ლუკიანეს განსასვენებელი გახდა. VII–VIII სს-ში დ. ლ-ის შესახებ არაფერია ცნობილი. 837–848 აქ მოღვაწეობდა *ილარიონ ქართველი*, რ-მაც საფუძველი ჩაუყარა ილარიონ ქართველის ფილიალის სახელით ცნობილ ,,სააზროვნო'' (თეოლ.-ფილოს.) სკოლას. მისივე თაოსნობით შეიქმნა კლდეში ნა-

კვეთი ეკლესია-სატრაპეზოების ორიგინ. ხუროთმოძღვრული ტიპი, რ-იც კანონიკურად იქცა გარეჯის მონასტერთათვის და ხასიათდება ,,გარდამავალი ხანის'' ხუროთმოძღვრების ნიშნებით. ასეთებია ილარიონის მიერ გაფართოებული ფერისცვალების ეკლესია და იოანე ღვთისმეტყველის XII ს. ეკლესია-სატრაპეზოები, რ-თა ერთი ნაწილი 1652 მოუხატავთ დავით გარეჯელის ცხოვრების ამსახველი სიუჟეტებით: ,,ლუკიანე წველის ირმებს'', ,,გველეშაპის დაწვა'' (მხატვრობა აღარ არსებობს). XVII–XVIII სს-ით თარიღდება ლავრის რამდენიმე ეკლესია, საჭამნო, სენაკი და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობანი, მ. შ. აღსანიშნავია XVII ს-ში კახთა მეფე ალექსანდრე II-ის მიერ აგებული გეგმით მრგვალი 2 კოშკი, რ-თაგან ზედა, უფრო დიდი, ორსართულიანია; მეორე სართულზე, ბუხრიან ოთახში, მოხატულობის ნაშთია შემორჩენილი. მაღალი, ქვით ნაგები გალავნის მიმდებარე კლდოვან დამრეც ფერდობზე გამოკვეთილია წვიმის წყლის შესაკრები რთული სისტემა (არხები, წყალსატევები). არსებობს ,,დავითის ცრემლის'' სახელით ცნობილი წყაროც. XVIII ს-ში, მას შემდეგ, რაც დავითგარეჯის წინამძღვრად ონოფრე მაჭუტაძე განაწესეს, დ. ლ-ში ბევრად გაუმჯობესდა სამონასტრო საქმიანობა. მან თავისი 40-წლიანი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ლავრისა და საერთოდ გარეჯის ცალკეული სამონასტრო კომპლექსების განაშენიანებაში: ლავრას გალავანი შემოავლო ლეკთა თარეშისაგან თავდასაცავად; მასვე აუგია მონასტერში შესასვლელი – თაღებით გახსნილი ნაგებობა – სამრეკლო. იქვე, კლდის თავზე, აღმართულია სათვალთვალო კოშკი. დ. ლ. XVIII ს. მიწურულამდე მოქმედი მონასტერი იყო. XIX ს. შემდეგ კი მხოლოდ პილიგრიმთა მოსალოც ადგილად იქცა. დ. ლ. დღეს ისევ მოქმედია.

ლიტ.: Чубинашвили Г. Н., Пещерные монастыри Давид Гареджи, Тб., 1948. *გ. აბრამიშვილი.*



დავითის ლავრა. VI–XVIII სს.

დავითისმთა, მთა მცხეთის მუნიციპალიტეტში, სათოვლის ქედზე (თრიალეთის ქედის ჩრდ.-აღმ. განშტოება), მდ. სათოვლეხევის (ხეკორძულის მარჯვ. შენაკადი) სათავეში. სიმაღლე ზ. დ. 1463 *მ.* აგებულია შუაეოცენური ანდეზიტური ტუფ-ბრექჩიებით. მწვერვალი მობრტყელებულია, ჩრდ. კალთა ციცაბოა, დანარჩენი – დამრეცი. შემოსილია მდელოს ბალახეულით. *დ. უკლება.*

დავითის ციხე, საქართველოს სამეფოს სასაზღვრო ციხე მის ჩრდილო მონაკვეთზე, *ხევში* (ახლანდ. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი). ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) მიხედვით, ეს ციხე აგებული უნდა იყოს დავით აღმაშენებლის მიერ და მდებარეობდა სოფ. *გველეთის* ჩრდ-ით მდ. ქისტის წყლის (ქისტურის, ახლანდ. ხდისწყლის) ნაპირზე, დარიალის კარის სამხრეთით. XIX ს. II ნახევარში დ. ც-ის მხოლოდ ნანგრევები იყო შემორჩენილი.

ზ. ცინცაძე.

დავითიშვილ-ბაგრატიონები, ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოება, რ-იც XVI ს-იდან ფეოდ. სათავადოდ ჩამოყალიბდა. *იოანე ბატონიშვილის* მიხედვით, ცხინვალში ,,წყლის ხეობასა შინა'' ცხოვრობენ თავადი დავითიშვილნი და ,,არიან გუარით ბაგრატოანნი'', ხოლო *გახუშტი ბატონიშვილის* სიტყვებით, ,,რამაზიშვილი და დავითისშვილი არიან *აგვიორგის* ძმის დიმიტრისაგან, რომელ არჩინა მეფემან, და არიან მიერითაგან აქა'' (ე. ი. ქართლში). კახეთის მეფე *ალექსანდრე I-ის* უმცროს ძეს, დიმიტრი ბატონიშვილს კახეთის ფეოდალთა ძლიერი ოპოზიცია დაუპირისპირდა უფროსი ძის, გიორგი ბატონიშვილის (იხ. *გიორგი II*) მეთაურობით. 1511 გიორგი ბატონიშვილმა მოკლა მამა – ალექსანდრე I, ხოლო ძმას – დიმიტრის – თვალები დასთხარა (,,აღმოქადა მასცა თუალნი'') და ცოლშვილიანად გააძევა. ქართლში გადასვლის შემდეგ დიმიტრის შთამომავლებისაგან დაიწყო ბაგრატიონთა სახლის საგვარეულო განშტოება, რ-თაც ,,თვალდამწვრიანები'' უწოდეს. საქართვ. სამეფოს დაშლის (XV ს.) შემდეგ ბაგრატიონთა სამეფო სახლში გვერდითი შტოები მნიშვნელოვნად მრავლდებიან, თუმცა სტატუსის შესაბამისი პირობები მათთვის აღარ არსებობს. სათავადოების წარმოსაქმნელად სამეფო საგვარეულოს ზოგიერთი წევრი ხელსაყრელ ვითარებაში ბაგრატიონობასაც კი კარგავს, რასაც მათი ,,გაღარიბება'' (გათავადება) მოსდევს. XVI ს-იდან მძიმე შინაპოლიტიკური მდგომარეობისა და ურთულესი საგარეო ვითარების ურთიერთგადაჯაჭვა ხელს უწყობს საგვარეულო განშტოებათა წარმოშობას. კერძოდ, დიმიტრი ,,თვალდამწვრის'' ჩამომავალ დავით ,,თვალდამწვრიანიდან'' ისინი დავითიშვილებად იწოდნენ. ამდენად, სახელწოდებანი – ,,თვალდამწვრიანები'' და დავითიშვილები სინონიმებია. დავითიშვილთა თავადურ სახლში დიმიტრის ძის – დავით თვალდამწვრიანის შვილის – რამაზ დავითიშვილის შთამომავლობით კი, კიდევ ერთი საგვარეულო განშტოება (რამაზიშვილები) – დაფუძნდა. XVI–XVIII სს. ისტ. საბუთებში არაერთხელ ფიქსირდება დავის ფაქტი ბაგრატიონთა



დავითიშვილ-ბაგრატიონების გერბი.

სამეფო სახლის გათავადებულ ამ ორ განშტოებას შორის: რამაზიშვილები თავიანთ განაყოფს მამულებს ედავებიან, ხოლო დავითიშვილები მათ ,,სახლიკაცობას'' არ ცნობენ. ისტ. წყაროებით, დავითიშვილების სამფლობელო ყოფილა შიდა ქართლის შემდეგი სოფლები: თავდაპირველად – დირბი, ბრეთი, ბებნისი, შემდეგ – ნული, ფცა, აბანო, თორმანეული, ღვერთეთი, თიხვევი, ბროწლეთი, ტკოცა. ნულში ჰქონდათ სასახლე, კოშკი, საყდარი და ა. შ. დ. *ბაქრაძის* აზრით, ბაგრატიონთა საგვარეულოს ამ განშტოების საძვალე რუისის ტაძარში უნდა ყოფილიყო. მოგვიანებით საგვარეულოს თავისი გერბიც გაუჩნდა. XVIII ს. ბოლოსა და XIX ს-ში თავადურ გვართა ერთმა ნაწილმა თავისი ძველი, ძირითადი გვარი დაიბრუნა. ეს დავითიშვილებმაც შეძლეს – 1783 ტრაქტატის პერიოდის ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურების ნუსხაში მათი წარმომადგენელი მოხსენიებულია როგორც ,,თავადი დავითისშვილი – ბაგრატოვანი''. ამისათვის იბრძოდნენ რამაზიშვილებიც, რომლებმაც, როგორც დავითიშვილთა განშტოებამ, ძვ. გვარი და, შესაბამისად, ბაგრატიონობაც დაიბრუნეს.

წყარო: გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, წგ. 1; ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება. მეორე ტექსტი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973. *დ. ნინიძე.*

დავითიშვილი ელიზბარ, XVII ს. შუა წლების პოლიტიკური მოღვაწე. ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოების – დავითიშვილების – სათავადოს ერთ-ერთი აქტ. წარმომადგენელი; ფლობდა ქართლის სამეფოს ბოქაულთუხუცესის სახელოს. დავით დავითიშვილის გარდაცვალების (1635–37) შემდეგ იყო დავითიშვილების ფეოდ. სახლის მეთაური, როსტომ მეფის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყებების მტკიცე მოწინააღმდეგე, მეფის ელჩი ირანის შაჰის კარზე (ნ. ციციშვილის აჯანყების შემდეგ დატყვევებული ჩხეიძეები ირანში მისი მეშვეობით გაიგზავნა). ლ-მა მეფის უშვილობის გამო ლუარსაბ ბატონიშვილი ირანიდან ჩამოიყვანა და ქართლის ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. ამ მისიის დროს როსტომ შაჰის მიერ ბოძებული ხალათიც ჩამოუტანა. *თეიმურაზ I-ის* დამარცხებისა და მისი ძის *დავით (დათუნა) ბატონიშვილის* დაღუპვის შემდეგ ბატონიშვილისა და სხვა დახოცილ თავად-აზნაურთა თავები, თეიმურაზ მეფის დროშასთან ერთად, ირან. შაჰს მიართვა. ლ-ს ირანში მოღვაწეობის გამო სათანადო პატივიც მოუპოვებია: ირან. შაჰმა ლ-ს განჯაში სამფლობელოდ სამი სოფელი უბოძა.

წყარო და *ლიტ.*: გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2; ცხოვრება საქართველოჲსა (პარიზის ქრონიკა), გ. ალასანიას გამოც., თბ., 1980. *დ. ნინიძე.*

დავით III კურაპალატის მემკვიდრეობა, მიწა-წყალი, რომელიც ტაოს მეფის დავით III-ის ანდერძის თანახმად ბიზანტიის იმპერიას უნდა გადასცემოდა და რ-ის გამოც შემდგომ ხანგრძლივი ომი ატყდა საქართველოსა და ბიზანტიას შორის. დავით III-ის სამემკვიდრეო სამფლობელოს შეადგენდა იმიერტაო ჩრდ. ბასიანითურთ. 979 აჯანყებული ბარდა *სკლიაროსის* წინააღმდეგ გაწეული დახმარებისათვის ბიზანტ. ხელისუფლებამ დავით III-ს გადასცა ,,ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი, რაჲთა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ'' (გიორგი მთაწმიდელი). XI ს. სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ტარონეცის (ასოღიკი) ცნობით, ეს ქვეყნები იყო: ციხე ხალტო-არიჭი და მასთან მდებარე კლისურა დას. ევფრატის ხეობაში, ჩორმაირის თემი მდ. ჭოროხის სათავეებთან, კარინი ანუ თეოდოსიოპოლი თავისი თემით, ციხე სევუკი მარდალიის კანტონში, მდ. არაქსის სათავეებთან, ჰარქისა და აპაუნიქის პროვინციები, აღმ. ევფრატის ხეობაში. ფიქრობენ, რომ ამ ქვეყნების სამემკვიდრეოდ შენარჩუნების მიზნით დავით III დაუკავშირდა იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას, მაგრამ მისი დამარცხების შემდეგ (989) იძულებული გახდა ბასილი კეისრისათვის პატიება ეთხოვა და დათანხმებულიყო, რომ სიკვდილის შემდეგ მისი სამფლობელოები ბიზანტიის იმპერიას შეერთებოდა. მკვლევართა შორის არ არის თანხმობა იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყნები უნდა გადასცემოდა იმპერიას ამ დათმობის შედეგად. ერთნი ფიქრობენ, რომ აქ მხოლოდ ,,ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი'' უნდა იგულისხმებოდეს. სხვების აზრით, დავით III-მ მთელი თავისი სამფლობელო იმპერატორს უანდერძა. ამ ვერსიებიდან მეორე მოსაზრება უფრო სწორი უნდა იყოს, რადგან ,,ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი'' მას ისედაც დროებით, მხოლოდ სიცოცხლის განმავლობაში გადაეცა სამფლობელოდ.

წყარო: გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 2, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1967; Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозванию..., пер. с арм. Н. Эмина, М., 1864.

ლიტ.: კ ო პ ა ლ ი ა ნ ი გ., საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970–1070 წლებში, თბ., 1969. *ა. ბოგვერაძე.*

დავით მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – ექვთიმე ოქროპირის ძე კ ა ჭ ა ხ ი ძ ე) (15. X. 1872 – 19. III. 1935, ქუთაისი), სასულიერო მოღვაწე. დაამთავრა სამეგრელოს სას. სასწავლებელი და თბილისის სას. სემინარია, 1899 – ყაზანის სას. აკადემია. იმავე წელს დაინიშნა ,,კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების'' სკოლების ინსპექტორად. 1900–02 თელავისა და სამეგრელოს სას. სასწავლებლების ზედამხედველი იყო. 1903-იდან მოღვაწეობდა რუსეთში, იყო ვიტებსკისა და დონის სას. სემინარიების რექტორი. 1907 საქართველოში დაბრუნდა, ხელდასხმულ იქნა ალავერდის ეპისკოპოსად. აქტიურად იბრძოდა საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ამის გამო იგი 1912 გადააყენეს, დანიშნეს თავდაპირველად პიატიგორსკის, 1914-იდან კი ვინიცის ეპისკოპოსად. 1917, ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, საქართველოში დაბრუნდა. 1917 წ. 17 სექტ. საქართვ. ეკლესიის პირველმა საეკლ. კრებამ დ. მ. ურბნისის ეპისკოპოსად დაადგინა, არჩეულ იქნა საკათოლიკოსო საბჭოს წევრად. 1921–35 იყო ჭყონდიდის, ბათუმ-შემოქმედის, ქუთაის-გაენათის მმართველი. 1926 აიყვანეს მიტროპოლიტის ხარისხში. მისი შრომებიდან აღსანიშნავია ,,К вопросу об автокефалии Иверской церкви'' (1912).

ლიტ.: ჟ ვ ა ნ ი ა ზ., საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთ., 1994.

ე. ბუბულაშვილი.

დავით მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – ირაკლი რომანის ძე მ ა ხ ა რ ა ძ ე) (დ. 3. II. 1960, ქ. თბილისი), სასულიერო მოღვაწე. 1981 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის არქიტექტურის ფაკ-ტი. 1981–83 მუშაობდა ,,ქართულ ფილმში'' და ძეგლთა

დაცვის სამმართველოში. 1984-იდან გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1986–87 წწ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დ. მ-მა მოამზადა მაკეტი და დაიწყო სახარების ნუსხურად გადაწერა ეტრატზე (ხბოს ტყავზე, ზომა 150 *სმ* × 80 *სმ*). მისი ხელნაწერია თბილისის სამების საპატრიარქო ტაძარში დაბრძანებული ოქროჭედური ოთხთავის მათეს სახარება და მარკოზის სახარების ნაწილი.

1988 წ. 23 ნოემბერს დ. მ. დიაკვნად აკურთხეს, ამავე წლის 25 დეკემბერს კი – მღვდლად, რის შემდეგაც დაინიშნა გარეჯის მონასტრისა და ფერისცვალების ეკლესიის წინამძღვრად. 1991 წ. 28 ოქტომბერს ბერად აღიკვეცა. 1992 წ. 24 მაისს წმ. სინოდის განჩინებით ხელდასხმულ იქნა ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად. 1992-იდან 1993 წ. 28 აგვისტომდე ბოდბის ეპარქიას განაგებდა. 1992–93 ხელმძღვანელობდა საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილებას, ხოლო 1993 სექტემბრიდან ალავერდის ეპარქიის მღვდელმთავრად დაადგინეს.

1996 წ. 25 დეკემბერს დ. მ-ს მიენიჭა მთავარეპისკოპოსის, ხოლო 2000 წ. 28 ნოემბერს – მიტროპოლიტის ხარისხი. 1988-იდან არის საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების საბჭოს თავმჯდომარე, 2003 თებერვლიდან – საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე, 2006-იდან – გალობის ცენტრის თავმჯდომარე, ხოლო 2009-იდან – საპატრიარქოს სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრის თავმჯდომარე.

2010 წ. 24 ოქტომბერს კონკურსის ,,არქიტექტურული პრემია 2010-ის'' ნომინაციაში ,,რესტავრაცია-რეკონსტრუქცია'' გაიმარჯვა პროექტმა ,,ალავერდის მონასტრის მარანი'', რ-იც დ. მ-ს უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა.

დაჯილდოებულია წმ. გიორგის ორდენით (2008).

დავით მიძნაძორელი, IX ს. I ნახ. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მიძნაძორის მონასტრის (კლარჯეთი) აღმშენებელი და პირველი წინამძღვარი. მისი მოწაფეები იყვნენ *ილარიონი* და ბარეთელთას მონასტრის (კლარჯეთი) აღმშენებელი და წინამძღვარი *ზაქარია. გიორგი მერჩულე* (X ს.) დ. მ-ს დიდს და მონასტერთა მაშენებელს უწოდებს.


დ. მ. შერაცხულია წმინდანად და მოიხსენიება 5(18) ოქტომბერს კლარჯეთის უდაბნოს ღირს მამათა და დედათა შორის.

ლიტ.: ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., გიორგი მერჩული, თბ., 1954. *ა. პოგვერაძე.*

დავითნი, იხ. *ფსალმუნი.*

დავით რექტორი (დავით ალექსის ძე მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი) (1745–1824), მეცნიერი, მწიგნობარი, პედაგოგი, კალიგრაფი. დაახლ. 1764–65 დაამთავრა თბილ. სემინარია. 70-იანი წწ. ბოლოსა და 80-იანი წწ. დასაწყისში ერეკლე II-ის კარზე მდივან-მწიგნობარი იყო და *გაიოზ რექტორთან* ერთად ხელმძღვანელობდა განათლების საქმეს. 1783 გაიოზ რექტორის რუსეთში გამგზავრების შემდეგ თელავის სემინარიაში რექტორის მოვალეობის შემსრულებელი იყო, 1790-იდან სემინარიის გაუქმებამდე (1801) კი – რექტორი. ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას. სემინარიაში ასწავლიდა გრამატიკას, თეორ. ფიზიკას, ეთიკას, მაგრამ ოფიც. სასწ. გეგმები არ აკმაყოფილებდა და ფართოდ გაშალა საგანმან. მუშაობა – სემინარიაში დააარსა ლიტ.-შემოქმედებითი წრე. დ. რ. ავტორია მრავალი სახელმძღვანელოსი (,,არითმეტიკა'', ,,სწავლანი ოთხნაწილედნი'', აგრეთვე ქართული წერის დედნები და სხვ.). მეფე გიორგი XII-ის დავალებით დ. რ-ს შეუმოწმებია ნათლისმცემლის, კალოუბნის, სიონის, ქაშვეთის, მცხეთისა და ანჩისხატის სკოლები. მან შეადგინა ხელნაწერთა სია, რ-იც ცნობილია 1810 წლის კატალოგის სახელწოდებით. მასვე ეკუთვნის მეორე ბიბლიოგრაფიული ნაშრომი ,,ძველთა ქართველთა მთარგმნელთათვის'', სადაც თავმოყრილია ცნობები ძვ. ქართვ. მწერლებსა და მთარგმნელებზე. დ. რ. ეწეოდა ლექსიკოგრაფიულ მუშაობასაც; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონის კომენტარები (დაზუსტებულია ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა, ზოგჯერ კი დამატებულია ახ. სიტყვები და მათი განმარტება). დ. რ-ის პოეტურ მემკვიდრეობაში შეიმჩნევა ფრანგ განმანათლებელთა იდეების კვალი და ანტონ I-ის სქოლასტიკური სკოლის გავლენა. დ. რ. დახვეწილი კალიგრაფი იყო. მის მიერ გადაწერილ მრავალრიცხოვან ხელნაწერთაგან აღსანიშნავია ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ორტომიანი ანთოლოგია (ხელნაწერი S–1511, 1512, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი).

ლიტ.: მ ი ქ ა ძ ე გ., მასალები დავით რექტორის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, «ლიტერატურული ძიებანი», 1961, [ტ.] 13; რ ო გ ა ვ ა ა., სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბ., 1950; რ უ ხ ა ძ ე ტ., ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954; ს ა ნ ი კ ი ძ ე ქ., თელავის სემინარია და დავით რექტორი, «ქუთაისის სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები», 1946, ტ. 6; ქართული პედაგოგიკის ისტორია, თბ., 1974; P o r a v a A. A., Zачатки капитализма в Грузии и политика Ираклия II, Тб., 1974. *ა. როგავა.*



დავით რექტორი. ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ორტომიანი ანთოლოგია. ხელნაწერი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბილისი.

დავითსაგარეჯო, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მდ. მაშავრის მარჯვ. ნაპირას, მთის ფერდობზე, სოფ. კიანეთიდან სამხრ.-აღმ-ით დაახლ. 3 *კმ*-ზე. როგორც ჩანს, აქ იყო მონასტერი, რ-ისგანაც, ორი ეკლესიის გარდა, კიდევ რამდენიმე ქვის შენობის ნაშთია დარჩენილი. მთავარი ტაძარი (XIII–XIV სს.) სამ. ზომის ერთნავიანი შენობაა. მისგან მხოლოდ აღმ. და ჩრდ. კედლებია დაცული. კედლები შემოსილი იყო სუფთად გათლილი მომწვანო ქვით. ტაძარი გადახურული იყო ლორფინებით. შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონდა. ტაძარს ამკობდა ბარელიეფები და ჩუქურთმები. აღმ. კედელზე გამოსახულია ჯვრები, არწივები; კალატოზები თავიანთი იარაღებით. უხვად ყო-

ფილა მოჩუქურთმებული შესასვლელიც. მეორე, მცირე ეკლესია, რ-იც მთავარი ტაძრის სამხრ.-დასავლეთ დგას, მხოლოდ გარედანაა შემოსილი იმავე ქანის თლილი ქვით; იგი უფრო გვიან უნდა იყოს აშენებული, მის კედლებში ძვ. ტაძრის ქვებია ჩატანებული.

ლიტ.: მუსხელიშვილი ლ., არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, თბ., 1941.

,,დავით სარაჯიშვილი და ენისელი“ (სააქციო საზოგადოება), იხ. *,,სარაჯიშვილი“*.

დავით სოსლანი (გ. დაახლ. 1205), სახელმწიფო მოღვაწე, თამარ მეფის მეორე ქმარი. თამარმა იქორწინა მასზე 1187 (სხვა მოსაზრებით 1189) დიდუბის სასახლეში. წყაროს ცნობით, დ. ს. იყო თამარის მამიდის, რუსუდანის, ,,გაზრდილი“ და ,,თვისი“ (,,თვისი“ ერთი თვალსაზრისით, აღნიშნავს ნათესავს, სხვა მოსაზრებით – ქვეშევრდომს, ვასალს. ასევე ,,გაზრდილს“ ჰქონდა ორი მნიშვნელობა: გაზრდილისა და ვასალის). მემატიანე ახასიათებს, როგორც ზნეობრივი და რაინდული თვისებებით შემკულ, სასიამოვნო გარეგნობის კაცს. დ. ს. სარდლობდა ქართველთა ლაშქარს თითქმის ყველა დიდ ბრძოლაში [ლაშქრობა XII ს. 90-იანი წწ. დასაწყისში ბარდავის მხარეში, არზრუმში, კარნუ-ქალაქში, გელაქუნში, ბელაქანში, განძის მიდამოებში, *შამქორის ბრძოლაში* (1195), *ბასიანის ბრძოლაში* (*1203*)]. როგორც თანამეფე, სოსლანი სახელმწიფოს გამგებლობაშიც მონაწილეობდა. მის წარმომავლობაზე არ არსებობს ერთიანი აზრი. ქართ. სამეცნ. ლიტერაში განმტკიცებულია მოსაზრება, რომ დ. ს. იყო ოსეთში დამკვიდრებულ ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი. მკვლევართა აზრით, ეს შტო მომდინარეობს გიორგი I-ისა და *ალდე დედოფლის* (ტომით ალანის) ვაჟის დემეტრესაგან (იხ. *დემეტრე უფლისწული*). ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ცნობით, დემეტრეს დარჩა ძე, რ-იც თავის ბებია ალდესთან ერთად ოსეთში გაიქცა, იქ იქორწინა ოსთა მეფის ასულზე და თვითონაც ოსთა მეფედ იწოდა. დ. ს. მისი შთამომავალი იყო. მას ბაგრატიონად მიიჩნევს ,,ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანეც“. ზოგი მკვლევრის მოსაზრებით, დ. ს. ცარაზონთა ოსურ საგვარეულოს ეკუთვნოდა, მაგრამ ამის დამადასტურებელი ცნობები საისტორიო წყაროებში არა ჩანს და ეს თვალსაზრისი ზეპირ ვარაუდად რჩება.

წყარო: ბასილი ეზოსმოძღუარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე; გიორგი კედრენე, წგ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 5, თბ., 1963.

ლიტ.: ლოლაშვილი ი., დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება, თბ., 1971; მეტრეველი რ., დავით IV, მეფე თამარი, თბ., 2002; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ.2). *ნ. შოშიაშვილი.*

დავით ტბელი, X ს. II ნახ. ქართველი მთარგმნელი და სასულიერო მოღვაწე, ტბეთის ეპისკოპოსი. ბერძნულიდან თარგმნა კიმენური [,,ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ნეტარისა მართაჲსი, წმიდისა სჳმონის დედისაჲ“ (ხელნაწერი Ath. 55, A–97); ,,ცხორებაჲ გრიგოლ აკრაკანტელისაჲ“ (ხელნაწერი S–384) და სხვ.] და მეტაფრასული [,,წამებაჲ წმიდისა დიდისა მოწამისა არტემისი“ (ხელნაწერი ქუთ. 4); ,,წამებაჲ წმიდათა და ყოვლადქებულთა ათთა ქრისტეს მოწამეთა“ (ხელნაწერი A–90) და სხვ.] ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ეფრემ მცირის ცნობით, მას უთარგმნია სიმეონ ლოგოთეტის მეტაფრასები. მასვე ეკუთვნის გრიგოლ ღვთისმეტყველის რამდენიმე თხზულების თარგმანი. ძვ. წყაროებში დ. ტ. იხსენიება ეპისკოპოს სტეფანე სანანოიძესთან ერთად.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; მაჭავარიანი მ., დავით ტბელის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურება, კრ.: მრავალთავი, XVII, თბ., 1992; მისივე, გრიგოლ ნაზიანზელის რიტორიკული ხელოვნების თავისებურებანი დავით ტბელის თარგმანებში, წგ.: ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბ., 1997. *მ. ონიანი.*

დავითუბნი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის ტერიტორიულ ორგანოში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1600 *მ*, დუშეთიდან 57 *კმ*. 2 მცხ. (2002).

სოფლის ძველ, მიტოვებულ ნაწილში, მდ. ხანდოსხევის ერთერთი განშტოების შუა წელზე კლდოვან კონცხზე მდებარეობს ე. წ. ციხის მთავარმოწამის კომპლექსი, რ-შიც შედის ზურგიანი კოშკი, სალოცავი, ჭურჭლის შესანახი სათავსი, დარბაზი, ორსართულიანი კოშკი და ნანგრევებად ქცეული რამდენიმე საცხოვრ. ნაგებობა. სოფლის ჩრდ-ით 0,5 *კმ*-ზე, მთის წვერზე, დგას მცირე ზომის სამლოცველო – ლომისის ხატი.

დავით უფლისწული (1595–1609), ქართლის მეფის *გიორგი X-ის* ძე. 1600 ოსმალების მიერ სიმონ I-ის დატყვევების შემდეგ გიორგი X-მ სიმონის გასათავისუფლებლად ძვირფასი გამოსასყიდით ელჩობა გაგზავნა სტამბოლში. მის შემადგენლობაში იყვნენ მცირეწლოვანი დ. უ. და მისი და *გულჩარა*. იმ დროს, როდესაც ქართველები სტამბოლში ჩავიდნენ, მდგომარეობა მეტად გართულდა: 1603 დაიწყო ირან-ოსმ. ომი, ქართლი და კახეთი ირან. მოკავშირეები იყვნენ. გულჩარამ სცადა ირან-ოსმალეთს შორის შუამავლობა გაეწია და ამით მიეღწია საწადელისთვის. ამავე დროს ქართველები შეეცადნენ დიდი გავლენის მქონე საფრანგეთის ელჩის დე სალენიაკის დახმარებით გაეთავისუფლებინათ სიმონი. 1609 წ. 2 ნოემბ. დე სალენიაკმა საფრანგეთის მეფეს აცნობა ეს ამბავი და ასე დაახასიათა ქართვ. უფლისწული: ,,ეს ახალგაზრდა ვაჟი ჯერ კიდევ არ არის 14 წლისა, მაგრამ მეტად ჭკვიანი და კეთილი ბუნებისაა“. შემდეგ ელჩი იუწყებოდა, რომ იმ ხანებში ოსმალებმა ტყვედ ჩაიგდეს ესპანელი უფლისწული და როცა მას გამაჰმადიანება შესთავაზეს, იგი ადვილად დათანხმდა. ამით წახალისებულმა სულთანმა დ. უ-ის გამაჰმადიანებაც გადაწყვიტა, ძვირფასი ტანსაცმელი და საჩუქრები მიართვა მას, მაგრამ დ. უ-მა განაცხადა, რომ თავს მოიკლავდა და არ გამაჰმადიანდებოდა. დ. უ-ის შემდგომი ბედი უცნობია.

ლიტ.: სვანიძე მ., ერთი ფურცელი საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს.), «ცისკარი», 1967, №3; მისივე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის XIV–XVII სს. ნარკვევები, თბ., 1990. *მ. სვანიძე.*

დავითფერული, სწორი, პირბასრი, დრეკადი, სამღარიანი ხმალი. ამზადებდნენ საუკეთესო ფოლადისაგან. ფერად ,,ლიბრი“ (მოლურჯო) იყო. *გორდასთან* ერთად ერთ-ერთი საუკეთესო, ,,ძვალთა და რკინათა მკვეთელ და თვით უნებელ“ ხმლად ითვლებოდა მთელ საქართველოში და ძვირადაც ფასობდა.

ზოგიერთი მოსაზრებით, დ-ის სახელწოდება მომდინარეობს შუა საუკუნეებში ქ. ფერარაში (იტალია) დამზადებული საუკეთესო ხმლების ოსტატების, ანდრია და დავით ფერარების, გვარიდან. აქ

დამზადებულ ხმლებს ჰქონდა ლათ. წარწერები: ,,Andria Ferara'' და ,,David Ferara''. ასეთსავე წარწერებს უკეთებდნენ ქ. ზოლინგენში (გერმანია) დამზადებულ ხმლებს.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, [ტ.] 3–4, თბ., 1962. *კ. ჩოლოყაშვილი.*



დავითფერული.

დავით ძოგაირეცი, ქ ო ბ ე რ ე ლ ი (გ. 1205, ახპატი), შუა საუკუნეების სომეხი მოძღვარი, სასულიერო შინაარსის თხზულებათა ავტორი, ე. წ. ,,ჩრდილო მხარეთა სომეხ მოძღვართა'' ერთ-ერთი მეთაური. იგი დაბადებულა სოფ. ქობერში (აქედან მომდინარეობს მისი გვარი), ახპატში მოღვაწეობის გამო მას ა ხ პ ა ტ ე ლ ი ც უწოდეს. 1951 მატენადარანის ხელნაწერთა ფონდში მიაკვლიეს საისტ. თხზულების შემცველ დ. ქ-ის მოსახსენებელს (სომხ. ჰიშატაკარანს), რ-შიც გადმოცემულია გიორგი III-ის წინააღმდეგ ორბელთა აჯანყების ამბავი. განსხვავებით სხვა სომეხი ისტორიკოსებისაგან (*სტეფანოს ორბელიანი, ვარდან არეველცი* და სხვ.), რ-ებიც თითქმის მთელი საუკუნითა და მეტით არიან დაცილებული ამ ნაშრომში აღწერილ ხანას, დ. ქ. ამბების თანამედროვე და თვითმხილველია, რამდენადაც ლორე-ახპატის რ-ნი აჯანყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იყო და მოვლენები სომეხი ბერის თვალწინ ვითარდებოდა, მისი ცნობები ორბელთა აჯანყების შესახებ უფრო სარწმუნოა და საინტერესო დეტალებითაც ავსებს სხვა ავტორთა ინფორმაციას.

დ. ქ. საქართვ. მთლიანობისა და ხელისუფლების ცენტრალისტური პოლიტიკის დაცვის მომხრეთა დასს უნდა ეკუთვნოდეს. იგი ქართვ. დიდებულთა განზრახვას მეფის დამხობასა და სამეფოს გაყოფაზე, ,,ბოროტებას'' უწოდებს, ხოლო სტეფანოს ორბელიანის მტკიცებას, თითქოს ორბელნი დემნა-დემეტრეს კანონიერი უფლების დასაცავად იყვნენ გამოსული, არ აზიარებს. პირიქით, მისი რწმენით, დიდებულებმა გადაიბირეს უფლისწული და იგი თავიანთ მედროშედ აქციეს. პოლიტ. მოვლენების ეს ჯანსაღი შეფასება განპირობებული უნდა იყოს არა მარტო სომეხი ბერის სოც. წარმომავლობით (ამ ნიშნის მიხედვით, იგი აჯანყებულებში თანამოძმეებს ვერ ხედავდა), არამედ საერთო კულტ.-პოლიტ. ინტერესებითაც. მხოლოდ ერთიანი და ძლიერი საქართველოს პირობებში იქნებოდა შესაძლებელი ქვემო ქართლში აღმოცენებული სომხ. სწავლა-განათლების, სამეცნ., ლიტ. და სამონასტრო ცენტრების შენარჩუნება და მათი შემდგომი განვითარება.

ლიტ.: მ ა ი ს უ რ ა ძ ე გ., ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ, კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966; მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი ლ., ,,ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი'' და მათი ვინაობა. სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით, ტფ., 1928. *გ. მაისურაძე.*

დავით ძნის ერისთავი (გ. 1700), ერისთავი 1696 – 1700. დანიშნა ერეკლე I-მა მისი ბიძაშვილის, დათუნა ქსნის ერისთავის გადაყენების შემდეგ. დათუნას დედის წაქეზებით მოკლეს აჯანყებულმა ქსნისხეველებმა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973. *გ. ჯამბურია.*

დავით ძნის ერისთავი (გ. 1774), ერისთავი 1753–74. მხარს უჭერდა თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს. თავი გამოიჩინა ხუნძახის ბატონის ნურსალ-ბეგის წინააღმდეგ მჭადივჯვრის (1754) და ყვარლის (1755) ბრძოლებში. 1755 მონაწილეობდა ერეკლე II-ის ლაშქრობაში გამდგარი ხევსურეთის წინააღმდეგ. შემდეგ, როგორც ჩანს, თანაუგრძნობდა ერეკლე II-ის ოპოზიციას. 1770 მეფესთან დააბეზღეს. ამხილეს როგორც მოღალატე, მაგრამ თავი გაიმართლა.

წყარო: ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი პ., ჰამბავნი ქართლისანი, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1981. *გ. ჯამბურია.*

დავლიანიძე ლიანა სევერიანის ასული (დ. 26. XII. 1930, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1992). 1952 დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი. 1954–55 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალში. შეისწავლა და გამოაქვეყნა თმოგვის ციხის მიდამოების სომხ. ეპიგრაფიკული ძეგლები (1959). 1956–90 მუშაობდა ი. ჯავახიშვილის სახ. ისტ. და ეთნოლოგიის ინ-ტში. თარგმნილი და გამოქვეყნებული აქვს სომხ. საისტ. მწერლობის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი შესავალი წერილითა და შენიშვნებით: მხითარ გოშის ,,ალვანეთის ქრონიკა'' (1968), ზაქარია აგულეცის ,,დღიური'' (1979), იაკობ შემახელის ,,თამაზ ყულიხანის ლაშქრობანი'' (1978), აბრაჰამ ერევანცის ,,ომების ისტორია'' (1976). ეს ნაწარმოებები მოიცავს მდიდარ მასალას საქართვ. ისტორიის შესახებ. აქვს მხატვრული თარგმანიც. 1990–2006 მუშაობდა საქართვ. ტექ. უნ-ტში. კითხულობდა საქართველოს ისტ. კურსს (უძველესი დროიდან XIX ს-მდე). დაჯილდოებულია ი. ჯავახიშვილის საიუბილეო მედლით (1976).

თარგმ. (გარდა ტექსტში მოხსენიებულისა): მოსე კალანკატუელის ,,ალვანთა ქვეყნის ისტორია'', თბ., 1985; მხითარ აირივანელის ,,ქრონოგრაფიული ისტორია'', თბ., 1990.

თხზ.: Значение армянских источников XVIII века для истории Грузии, Тб., 1985.

დავლიანიძე სერგი სიმონის ძე (15. VI. 1905, სოფ. სხვავა, ახ-

ლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 25. VIII. 1967, მორდვეთი, რუსეთი), საბჭოთა გენერალ-მაიორი (1945), სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომისარი (1943), 1928-იდან იყო საქ. სსრ შს სახალხო კომისარიატის კონტრდაზვერვის I განყ-ბის უფროსი, 1940-იდან – შს სახალხო კომისრის მოადგილე, 1940–44 – სსრკ შს სახ. კომისარიატის საგზაო ტრანსპორტის განყ-ბის უფროსი ამიერკავკ. რკინიგზაზე, 1944–48 – სსრკ შს და სახელმწ. უშიშროების ორგანოების უფროსი ჩრდ. კავკასიაში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები.

ლ. დოლიძე.

დავლური, ქართული ხალხური ჯგუფური (მასობრივი) ცეკვა. სრულდება ნელი დავლით, ნარნარი მიხრა-მოხრით, საზეიმო განწყობილებით. მისი კომპოზ. აგებულება (მწკრივების შექმნა, დაშლა, წყვილებად დაყოფა, წრეზე წინსვლა) დამახასიათებელია ბევრი სხვა ქართ. ჯგუფური ცეკვისთვისაც. დასასრულ, გადადის წყვილთა ცეკვა ,,ქართულში''. სრულდება დუდუკის ან გარმონისა და დოლის თანხლებით. **დ.**-ის მუს. ზომაა 6/8. გამოყენებულია ქართვ. კომპოზიტორთა ნაწარმოებებში (მ. ბალანჩივაძის ,,დარეჯან ცბიერი'', დ. არაყიშვილის ,,თხზულება შოთა რუსთაველზე'' და სხვ.).

ლ. გვარამაძე.

დავრიშვილი გიორგი დავითის ძე (1810–1875), ექიმი. 1830 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის სამედ. ფაკტი. 1830–36 მუშაობდა საოლქო გიმნაზიის ექიმად მოსკოვში, ხოლო შემდეგ – შაქის (ნუხის) მაზრაში (აზერბაიჯანი), 1836 – თბილ. ქალაქის საავადმყოფოში, 1837 კი – თელავის მაზრაში. იმავე წელს მიავლინეს ქოლერის ეპიდემიის სალიკვიდაციოდ ხევსურეთში. 1846-იდან თბილ., ხოლო 1866-იდან ალექსანდროპოლის (ახლანდ. გიუმრი) სამხ. ჰოსპიტალში მუშაობდა. იყო კავკ. სამედ. საზ-ბის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი აქტ. წევრი.

ლიტ.: საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. 4, წგ. 1, თბ., 1960; შ ე ნ გ ე ლ ი ა მ., ქართული მედიცინის ისტორია, თბ., 1970.

მ. შენგელია.

დაზგური ხელოვნება, ტერმინი, რ-ითაც აღინიშნება დამოუკიდებელი ხასიათისა და მნიშვნელობის ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნაწარმოებები (განსხვავებით მონუმ. ხელოვნების, წიგნის გრაფიკის, გამოყენებითი ხელოვნებისა და სპეციალურად რაიმე ნაგებობის, ნაკეთობის ან ბეჭდური გამოცემისათვის შექმნილი ნაწარმოებებისაგან). **დ.** ხ-ის ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული მნიშვნელობა არ არის დამოკიდებული განთავსების ადგილზე, მათი მხატვრული ჟღერადობა მეტ-ნაკლებად განპირობებულია ექსპონირების პირობებით. ტერმ. ,,**დ. ხ.**'' წარმოდგება სიტყვა ,,დაზგისგან'', რ-ზეც იქმნება ნაწარმოები (მაგ., ფერწერაში – მოლბერტი). ევროპაში **დ. ხ.** გავრცელდა აღორძინების ეპოქაში.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი დაზგური ფერწერის ფორმები ჩაისახა XVIII–XIX სს. მიჯნაზე, როდესაც შეიქმნა მეფის ოჯახის წევრთა და დიდებულთა, აგრეთვე თბილ. მოქალაქეთა პორტრეტები. XIX ს. II ნახევრიდან განვითარდა დაზგური ფერწერის ყველა ჟანრი: პორტრეტი, ყოფითი ჟანრი, ნატურმორტი, ისტ.-ბატალური ჟანრი და სხვ. პირველი პროფესიონალი მხატვრები, რ-ებიც მუშაობდნენ დაზგურ ფერწერაში, იყვნენ გ. *მაისურაძე* (1817–85), რ. *გველესიანი* (1859–84), ა. *ბერიძე* (1858–1917), გ. *გაბაშვილი* (1862–1936), ა. *მრევლიშვილი* (1866–1933), მ. *თოიძე* (1871–1951). დაზგური ქანდაკება, ი. *ნიკოლაძის* (1876–1951) ძალისხმევით, ვითარდება XX ს. დასაწყისიდან, დაზგური გრაფიკა კი – XX ს. 10-იანი წლებიდან. მისი საწყისები უკავშირდება გ. *ტატიშვილის* (1848–1911), ა. ბერიძის, გ. გაბაშვილის, მ. თოიძისა და სხვათა სახელებს.

თ. ფერაძე.

დაზღვევა, ხელშეკრულება (გარიგება) ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის მათი პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად, გარკვეული გარემოებების (სადაზღვევო შემთხვევების) დადგომისას სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე. **დ.**-ს ახორციელებს სადაზღვევო ორგანიზაცია (იურიდ. პირი) – მ ზ ღ ვ ე ვ ე ლ ი, რ-საც აქვს სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ლიცენზია. ხელშეკრულების მეორე მხარეა დ ა მ ზ ღ ვ ე ვ ი (ფიზ. ან იურიდ. პირი). მზღვეველის მოვალეობაა დამზღვევს აუნაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანი – გადაუხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული ქმედება, ხოლო დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შენატანი (პრემია).

დ. ხორციელდება ნებაყოფლობითი და სავალდებულო ფორმით. ნ ე ბ ა ყ ო ფ ო ბ ი თ ი **დ.**-ის დროს **დ.** დამოკიდებულია დამზღვევის პირად სურვილზე. ამ დროს **დ.**-ის პირობები დგინდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულებით, რ-იც ფორმდება სპეც. დოკუმენტით (სადაზღვევო პოლისით). ნებაყოფლობითი **დ.**-ის განხორციელების უფლება აქვს ქვეყანაში არსებულ ნებისმიერ სადაზღვევო კომპანიას, რ-საც აქვს სათანადო ლიცენზია. ნებაყოფლობით **დ.**-ში შედის სიცოცხლის **დ.**, საპენსიო **დ.**, უბედური შემთხვევებისა და ავადმყოფობისაგან **დ.**, სამედიცინო **დ.**, სხვადასხვა სახის სატრანსპ. საშუალებათა **დ.**, ტვირთების **დ.**, ფინანსური რისკების **დ.**, სხვადასხვა სახის ქონების **დ.**, სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობის (პროფესიული, გადამზიდველის, სამოქალაქო, ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე და სხვ.) **დ.** ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო **დ.**-ის დროს **დ.**-ის ობიექტი, პირობები და განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით და მათი გათვალისწინება სავალდებულოა მზღვეველსა და დამზღვევს შორის სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისას. სავალდებულო **დ.**-ის სახეებია: ავტომოტოტრანსპორტის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის **დ.** (თუ სატრანსპ. საშუალების მფლობელი ექსპლუატაციისას ზიანს მიაყენებს მესამე პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, დაზარალებულს მიყენებულ ზიანს აუნაზღაურებს სადაზღვევო ორგანიზაცია და არა ტრანსპ. მფლობელი), საწარმოს ხანძარსაწინააღმდეგო **დ.**, პარლამენტის წევრის სიცოცხლის და ჯანმრთელობის სავალდებულო **დ.** და საპენსიო უზრუნველყოფა.

დ.-ის ობიექტის ხასიათის მიხედვით გამოიყოფა **დ.**-ის სამი სახე: პირადი **დ.**, ქონების **დ.**, პასუხისმგებლობის **დ.** პ ი რ ა დ ი **დ.** დაკავშირებულია დაზღვეულის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საპენსიო უზრუნველყოფასა და სხვა პირად ინტერესებთან; ქ ო ნ ე ბ ი ს **დ.** – ქონების ფლობასთან, განკარგვასა და ქონებით სარგებლობასთან; პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ი ს **დ.**

კი – დაზღვეულის მიერ მესამე პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებულ ზიანთან.

დ-ში გამოიყენება აგრეთვე გადაზღვევის ფორმაც, რ-საც მიმართავს სადაზღვევო კომპანია, მყარი ფინანს. მდგომარეობის შესანარჩუნებლად. გადაზღვევა არის ოპერაცია ორ სადაზღვევო კომპანიას შორის, რ-ის დროსაც დ-ის (გადაზღვევის) ხელშეკრულებით ერთ-ერთი მხარე თავის თავზე იღებს რისკის ნაწილს მისთვის სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ. მზღვეველი სადაზღვევო საქმიანობას ეწევა დ-ის აგენტისა და სადაზღვევო ბროკერის მეშვეობით. დ-ის აგენტი შეიძლება იყოს როგორც იურიდ., ასევე ფიზ. პირი, რ-იც მოქმედებს მზღვეველის (სადაზღვევო კომპანია) დავალებითა და სახელით მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. სადაზღვევო ბროკერი არის აგრეთვე იურიდ. ან ფიზ. პირი, რ-იც დ-ის სფეროში ასრულებს საშუამავლო ფუნქციას სათანადო ლიცენზიის შესაბამისად.

დ-ის ჩანასახოვანი ფორმები ასახულია ძვ. მსოფლიოს კანონმდებლობაში – ბაბილონის, ხეთური, ასირიული სამართლის დღემდე მოღწეულ წყაროებში, მეზოამერიკის – მაიას ხალხთა ცივილიზაციის ისტორიიდან შემონახულ ძეგლებში.

საქართველოში, საბჭ. პერიოდში, ისე როგორც მთლიანად საბჭ. კავშირში, ყველა სადაზღვევო ოპერაციას ასრულებდა ერთადერთი ორგანიზაცია – სსრკ სახელმწიფო დაზღვევა – ,,სახდაზღვევა'' („Госстрах'', დაარსდა 1924), რ-საც სახელმწ. დ-ის მთ. სამმართველოები ჰქონდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, საქალაქო და რ-ნული სახელმწ. დ-ის ინსპექციების ქსელით, ხოლო უცხოეთთან დაკავშირებულ დ-ის ოპერაციებს ახორციელებდა აქციონერული საზ-ბა ,,ინგოსსტრახი'' („Ингосстрах''). სსრკ-ის დაშლის შემდეგ, 1997 წ. მაისში საქართვ. პარლამენტმა მიიღო კანონი ,,დაზღვევის შესახებ'', რ-იც საქართველოში სადაზღვევო საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტია. ამ პერიოდიდან დაიწყო რეფორმა სადაზღვევო სფეროში, შეიქმნა საქართვ. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რ-მაც საფუძველი ჩაუყარა ქვეყანაში სადაზღვევო სფეროს სახელმწიფოებრივ ზედამხედველობას. 2009-იდან ამ ფუნქციას ასრულებს საქართვ. ეროვნული ბანკი. 2011 წ. 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოში მოქმედებდა 16 ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანია (ამათგან 7 უცხოურ კომპანიებთან ერთობლივადაა შექმნილი), მ. შ. ,,ალდაგი ბისიაი'', ,,იმედი L. International'', ,,ჯი პი აი ჰოლდინგი'', ,,ირაო'', ,,აი სი ჯგუფი'' და სხვ. ისინი მომხმარებელს სთავაზობენ მომსახურებას დ-ის მრავალ სახეობაში საერთაშ. სტანდარტების შესაბამისად.

დ-ის, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფინანსო დარგის მეცნ. შესწავლის მიზნით, პირველად საქართველოში ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ ფინანსების სამეცნ.-კვლ. ინ-ტში შეიქმნა ,,საბანკო საქმისა და დაზღვევის პრობლემების განყოფილება'' (1996). დ-ის აქტუალურ საკითხებს აგრეთვე სწავლობენ ეკონ. პროფილის სამეცნ.-კვლ. ინ-ტები. დ-ის პრობლემების მეცნ. კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართვ. მეცნიერებმა და სპეციალისტებმა რ. გველესიანმა, ვ. კეკუამ, ა. კვარაცხელიამ, ი. *მესხიამ*, რ. ფაჩულიამ, ა. ცერცვაძემ და სხვ.

ლიტ.: სიცოცხლის დაზღვევის სახელმწიფოებრივი რეგულირება, თბ., 1999; ფაჩულია რ., დაზღვევა: პრობლემები და მოსაზრებები, თბ., 1998; ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2001; Балабанов И. Т., Балабанов Л. И., Страхование, СПб., 2003; Шахов В. В., Страхование, М., 1997; Dickson G. C. A., Steele J. T., Introduction to insurance, Glasgow, 1997; Birds J., Modern insurance law, L., 1997.


რ. ფაჩულია. მ. ცისკაძე.

დათვა-ბოყვა, ხის საკეტი აჭარაში. შემადგენელი ნაწილებია: ფიცარი, ურდული, კბილები და გასაღები. დ.-ბ. სასიმინდის საკეტად იხმარება. კარის ბოყვზე მოჭედილი ფიცარი ორ წყებადაა ამოღარული. პირველი, ზემოთა ღარი, განკუთვნილია ,,კბილების'' სამოძრაოდ, მეორე, ქვემოთა ღარი – ურდულის შესაყრელად. ამავე ტიპისაა გურიაში დამოწმებული ,,დათვი'' და სამეგრელოში გავრცელებული ,,ბორქომი'', აღმ. საქართველოში (ქართლი) – ,,ვეხახის ურდული'' და ,,საფშველი'' (შიდა ქართლი), ასეთივე სამკბილიანი საკეტი ცნობილი იყო სომხეთსა და ჩრდ. ოსეთში, ძვ. ეგვიპტესა და ბაბილონში, რომში, საბერძნეთში და შუა საუკუნეებში – ხმელთაშუა ზღვის აღმ. აუზში.

დ.-ბ. და მისი მსგავსი საკეტები წარმოშობით წინააზიურია (შუმერი-ბაბილონი).

ლიტ.: ჩიტაია გ., აჭარული დათვა-ბოყვა, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1940, ტ. 10 B.

ჯ. რუხაძე.



დათვა-ბოყვა.

დათვი (Ursus), ძუძუმწოვრების გვარი დათვისებრთა ოჯახისა. ზოგიერთი წარმომადგენლის სხეულის სიგრძეა 3 *მ*, მასა 700 *კგ*-მდე. აქვს ხშირი ბალნით შემოსილი სხეული, მძლავრი, ხუთთითა კიდურები, დიდი თავი, მოკლე კუდი. ძირითადად ტყის ბინადარია. სამხრეთის სახეობები შერეული საკვებით იკვებებიან. მრავლდებიან 3–4 წლის ასაკში. მაკეობა 7 თვემდე გრძელდება. სიცოცხლის ხანგრძლივობა 30–40 წელია. გვარში 4 სახეობაა. საქართველოში ბინადრობს მურა დათვის სამი ქვესახეობა: სირიული მურა დ., ჩვეულებრივი მურა დ. და კავკასიური მურა დ.

ი. ელიავა.



მურა დათვი.

დათვისთხილა, ქართული თხილი (Corylus iberica), მაღალი (15–50 *მ*), სწორტანიანი ხე თხილისებრთა ოჯახისა. კავკ. ენდემი და მესამეული პერიოდის რელიქტია. მისი ღერო დაფარულია მუქი რუხი კორპიანი ქერქით, რ-იც სკდება და ფირფიტებად ცვივა. აქვს გრძელყუნწიანი ფოთლები. გავრცელდა ბალკანეთის ნ. კ-ზე, ირანსა და მცირე აზიაში; საქართველოში – აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, ქართლში, კახეთსა და თრიალეთში. ჩვენში უფრო ხშირად მთის შუა სარტყლის შერეულ ფართოფოთლოვან ტყეებში გვხვდება წიფელასა და რცხილასთან, ნეკერჩხალთან, იშვიათად მუხასთან ერთად. ჩრდილის ამტანი, სითბოს მოყვარული და ქარგამძლეა. იზრდება ტყის ჰუმუსიან ყომრალ ნიადაგზე, თუმცა ხირხატიან და კირიან ნიადაგებზეც კარგად ხარობს. შედარებით სწრაფმზარდია. ინტენს. ზრდა 20–46 წლის ასაკში ემჩნევა. ცოცხლობს 200 წლამდე. ბუნებრივ პირობებში მრავლდება თესლითა და ძირკვის ამონაყარით. აქვს წვრილშრიანი, მოწითალო ლამაზი მერ-



დათვისთხილა. ყლორტი ნაყოფით

ქანი. ნაყოფის გული გემრიელია, მაგრამ კირკიტია და ამის გამო ნაკლებად იყენებენ. შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში''.

ლ. ხინთიბიძე.

დათვისი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ხევსურეთის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), გუდამაყრის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. დათვისისხევის (ხევსურეთის არაგვის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1620 *მ,* დუშეთიდან 56 *კმ.* 19 მცხ. (2002).



დათვის კენკრა.

დათვის კენკრა (Arctostaphylos), მცენარეთა გვარი მანანასებრთა ოჯახისა, პატარა, მიწაზე გართხმული ბუჩქია. 50-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ და არქტიკულ ზონაში, ძირითადად ჩრდ. ამერიკაში. საქართველოში გვხვდება მხოლოდ ერთი სახეობა – კავკასიური დ. კ. (A.caucasica), რ-იც ასევე მიწაზე გართხმული ბუჩქია. ღეროები მუქი ქერქით აქვს დაფარული; ფოთლები ტყავისებრია, ზედა მხარე მუქია, ქვედა – მკრთალი. ვარდისფერი ყვავილები შეკრებილია კენწრულ, თავდახრილ მტევნებად, ნაყოფი წითელი კენკრაა. იზრდება დას. საქართვ. ფიჭვნარებში, სუბალპ. და ალპ. სარტყლის ღორღიან ადგილებზე. ყვავილობს მაის-ივლისში, ნაყოფი მწიფდება ივლ.-აგვისტოში. ფოთოლი შეიცავს გლიკოზიდ არბუთინს, მთრომლავ და საღებავ ნივთიერებებს. გამხმარი ფოთლის ნახარშს ხმარობენ მედიცინაში.

მ. გურგენიძე.



დათვის სოკო.

დათვის სოკო, მირბუკა (Boletus edulis), ქუდიანი სოკო ბოლეტუსისებრთა ოჯახისა. მისი ქუდის დიამეტრი 20 *სმ,* ზოგჯერ მეტიცაა. თავდაპირველად ნახევარსფეროსებრია, შემდეგ რამდენადმე გაშლილია; ფერად – მოთეთროდან მუქ მურამდე. ქუდის ქვედა მხარეს განვითარებულია წვრილნასვრეტებიანი მილების შრე. ფეხის სიგრძე 12 *სმ*-მდეა, სისქე – 6 *სმ*-მდე. ძირში ბოლქვისებრია, შემდეგ კი თითქმის ცილინდრული, თეთრი ან ღია მურა; ზედაპირზე ახასიათებს თეთრი ბადისებური გამოსახულება. რბილობი თეთრია და სასიამოვნო სუნი აქვს. ზაფხულ-შემოდგომით იზრდება წიწვოვან და ფოთლოვან ტყეში. საქართველოში ყველგანაა გავრცელებული. საჭმელი სოკოა.

ი. ნახუცრიშვილი.



დათუნას ეკლესია. X–XI სს. დაღესტანი.

დათვისჯვარი, უღელტეხილი თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონზე, დუშეთის მუნიციპალიტეტში. ზ. დ. 2677 *მ.* აგებულია იურული თიხაფიქლებით. დაფარულია ალპ. მდელოებით. საავტ. გზით აკავშირებს ხევსურეთის არაგვის ხეობას (პირაქეთა ხევსურეთი) არღუნის ხეობასთან (პირიქითა ხევსურეთი).

დათვოზანა, პანტომიმური ხასიათის სანახაობა სიმღერის თანხლებით, მისნური ცეკვის გადმონაშთი. წარსულში მართავდნენ ხოლმე ქალები. ყველიერის დროს დათვად შენიღბული ბერიკა ქალი ჩადგებოდა ფერხულში და ბაძავდა დათვის იმ მოძრაობებს, რებიც სიმღერაში იხსენიებოდა.

დათუაშვილი პაატა ნასყიდას ძე (5. VIII. 1954, ყვარელი, – 25. I. 1995, მოსკოვი, დაკრძალულია თბილისში), გენერალ-მაიორი (1992). დაამთავრა თბილ. უმაღლესი სამხ.–საარტ. სამეთაურო სასწავლებელი (1975), მოსკ. მ. კალინინის სახ. სამხ.-საარტ. აკადემია (1988). 1975–85 მსახურობდა ბელორუსიის სამხ. ოლქში, გერმანიაში საბჭ. ჯარების ჯგუფში, თურქმენეთის სამხ. ოლქში, ავღანეთში. 1988–90 ბაიკალის-პირეთის სამხ. ოლქში მეთაურობდა რეაქტიულ დივიზიონს. 90-იანი წლების დამდეგს დ. თანამებრძოლებთან ერთად სათავეში ედგა საქართვ. შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების პროცესს. 1991 დაინიშნა საქართვ. რესპ. ეროვნ. გვარდიის არტილერიის უფროსად. 1992-იდან იყო საქართვ. რესპ. შეიარაღებული ძალების მთ. შტაბის უფროსის მოადგილე, 1992–93 მე-2 მექანიზებული კორპუსის მეთაური. 1993–94 იყო საქართვ. რესპ. თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე. შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის გენშტაბის აკადემიაში. დაიღუპა იქვე ტერორისტული აქტის დროს. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1993).

ლ. დოლიძე.

დათუკიშვილი ვალერიან იოსების ძე (15. VI. 1922, სოფ. არბოშიკი, ახლანდ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, – 21. V. 2011, თბილისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1970). 1946 დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი. 1953–60 ხელმძღვანელობდა საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტის, ხოლო 1983–91 – საქართვ. პოლიტექნიკური ინ-ტის პოლიტეკონომიის კათედრებს; 1960–83 იყო თსუ-ის პოლიტეკონომიის კათედრის დოცენტი, პროფესორი. შეთავსებით მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინ-ტში მთ. მეცნ. თანამშრომლად, განყ-ბის გამგედ (1991–2005). მისი სამეცნ. შრომები ეხება პოლიტეკონომიისა და მრეწველობის ეკონ. პრობლემებს. არის II მსოფლიო ომის მონაწილე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2000).

მ. ჯიბუტი.

დათუნა არაგვის ერისთავი, ერისთავი 1632–34. ნუგზარ ერისთავის ძე. არაგვის ერისთავი მას შემდეგ გახდა, რაც *თეიმურაზ I-ის* ბრძანებით დათუნას უფროსი ძმა ზურაბი მოკლეს. დათუნამ თავიდანვე ქართლში მოსული როსტომხანის (იხ. *როსტომი*) საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა. არაგვის ერისთავს ქართლის ვალის შურისძიების ეშინოდა, რადგან თავის დროზე დათუნას ძმამ, ზურაბმა როსტომის ძმისშვილი, სიმონხანი მოკლა. მიუხედავად ამისა, როსტომ-ხანმა დათუნასთან კარგი ურთიერთობის დამყარება სცადა, მაგრამ დათუნა მაინც მის მოწინააღმდეგედ და თეიმურაზ I-ის მოკავშირედ რჩებოდა. როსტომ-ხანმა დათუნა მუხრანში მიიპატიჟა და ნადიმის დროს მოაკვლევინა, რის შემდეგაც არაგვის ერისთავი გახდა მისი უმცროსი ძმა ზაალი.

წყარო: გორგიჯანიძე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი, იქვე, ტ. 2, თბ., 1959; ცხოვრება საქართველოჲსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.

მ. ბახტაძე.

დათუნას ეკლესია, ხუროთმოძღვრების ძეგლი, X–XI სს. მიჯნის ქრისტიანული ეკლესია დაღესტანში, სოფ. დათუნას მახლობლად (თლიარატის რ-ნი), მდ. ავარიის ყოისუს მარცხ. ნაპირზე, ვიწრო, კლდოვან ხეობაში. წარმოადგენს გეგმით სწორკუთხა ერთნავიან შენობას. შემოსილია სუფთად გათლილი ქვის კვადრებით. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდი აქვს. ნაგებობა მაღალი და მოხდენილია, პროპორციები – დახვეწილი. ინტერიერში კედლები დანაწევრებულია საფეხურებიანი პილასტრებით, რ-ებზედაც დაყრდნობილია კედლების მიმდებარე ყრუ თაღები და კამარის საბჯენი თაღები. ეკლესიას 3 შესასვლელი აქვს, რ-თაგან მთავარია დასავლეთისა. ძეგლის დეტალური არქიტ. შესწავლის შედეგად გამოვლინდა

მთელი რიგი ნიშნები, რ-ებიც მიუთითებს მის ორგ. კავშირზე შუა საუკ. ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებასთან. დ. ე. საქართველოსა და დაღესტანს შორის ისტ. და კულტ. ურთიერთობის დამადასტურებელი ერთადერთი ძეგლი როდია. ავარიის ტერიტორიაზე მრავალი ქრისტ. ძეგლია, რ-ებზედაც ამოკვეთილია ქართული ან ქართ. ასოებით შესრულებული ორენოვანი წარწერები. ასევე აღმოჩენილია წარწერიანი ქვაჯვრებიც.

ლიტ.: Ш м е р л и н г Р. О., Церковь в с. Датуна в Дагестане, «მაცნე», 1968, №2.

დათუნა ფშიძარი, ერეკლე II-ის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების გამცემი (იხ. *პაატა პატონიშვილის შეთქმულება 1765*). დ. ფ-ს, რ-ის ცოლი ძიძად იყო მეფის სასახლეში, დავალებული ჰქონდა მეფისა და სამეფო ოჯახის ამოწყვეტის მიზნით შეთქმულნი სასახლეში შეეყვანა. შეთქმულთა განზრახვა დ. ფ-მა მეფის კარის ეკლესიის მღვდელს გაანდო აღსარებაში, რ-მაც შეთქმულების ამბავი მეფეს შეატყობინა. გადმოცემით, გაწეული სამსახურისათვის ერეკლე II-მ დ. ფ-ს აზნაურობა და ყორჩის (მცველის) სახელო უბოძა.

გ. აკოფაშვილი.

დათუნა (დავით) ქსნის ერისთავი (გ. 1717), ერისთავი 1675–96, 1700 – 17, შალვა ქსნის ერისთავის ძე. ცოლად ჰყავდა ქართლის მეფის, *გიორგი XI-ის,* ასული. 1675 გიორგი XI-მ, რ-იც იმ დროს ქართლს განაგებდა, გააძევა აჯანყებული იესე ქსნის ერისთავი და მის ადგილზე დათუნა დანიშნა. 1688 დ. ძ. ე. არ დაეხმარა გიორგი XI-ს აჯანყებული გიორგი არაგვის ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლაში. არაგვის ერისთავი მაინც დამარცხდა და მეფის კარზე მივიდა პატიების სათხოვნელად, მაგრამ დ. ძ. ე-ის წაქეზებით მეფესთან არ შესულა, ისე გაიპარა. ქართლში ერეკლე I-ის გამეფებიდან (1688) დ. ძ. ე. ხან ერეკლე I-ს ემხრობოდა და ხან გიორგი XI-ს. 1696 ერეკლე I-მა დ. ძ. ე. გადააყენა და გიორგი XI-ის სხვა მომხრეებთან ერთად ირანში გაგზავნა. ერისთავად დ. ძ. ე-ის ბიძაშვილი დავითი (*იხ. დავით ქსნის ერისთავი*) დანიშნა. 1700 დათუნას დედის წაქეზებით ქსნისხეველები აჯანყდნენ და დავით ქსნის ერისთავი მოკლეს. ერეკლე I-მა აჯანყება ჩააქრო, ირანიდან გამოიწვია დათუნა და კვლავ ერისთავად დანიშნა (1700). *ვახტანგ VI-ის* ქართლის გამგებლად დანიშვნის შემდეგ, როგორც ჩანს, დ. ძ. ე. ერთხანს ვახტანგის ერთგული იყო, შემდეგ მას გადაუდგა და გიორგი არაგვის ერისთავთან ერთად შაჰს ვახტანგის გადაყენება და *იესეს* მეფედ დანიშვნა სთხოვა. იესეს მეფობაში (1714–16) დ. ძ. ე. ქართლის მეფის სახლთუხუცესი იყო. 1717 მეფე *ბაქარმა* სახლთუხუცესობა ჩამოართვა. დ. ძ. ე. მეფეს გადაუდგა. ბაქარმა თავისი ძმა ვახუშტი ბატონიშვილი გაგზავნა ჯარით მის წინააღმდეგ, მაგრამ დ. ძ. ე. ბრძოლის დაწყებამდე გარდაიცვალა, მისი შვილები გადაიხვეწნენ და ქსნის საერისთავო ვახუშტიმ დაიკავა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.

გ. ჯამბურია.

დათუნაშვილი ილია ილიას ძე (დ. 1. IX. 1937, ბათუმი), სპორტსმენი (ფეხბურთი), სსრკ სპორტის ოსტატი. 1959–67 იყო თბილისის ,,დინამოს'' თავდამსხმელი. უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 220 მატჩი (47 გოლი), 1964 თბილისის ,,დინამოს'' შემადგენლობაში მოიპოვა სსრკ ჩემპიონის ოქროს მედალი (ფინალურ მატჩში გაიტანა 2 გოლი), ორჯერ იყო სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1962, 1967). 1966 წელს გახდა სსრკ ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორი (20 გოლი). იმავე წელს დაამყარა საფეხბურთო რეკორდი – ერევნის ,,არარატთან'' მატჩის დროს 23 წუთის განმავლობაში გაიტანა 5 გოლი, რისთვისაც გაზეთ ,,თბილისის'' სპეც. პრიზი, ,,ოქროს ბუცი'' დაიმსახურა. ორჯერ იყო დასახელებული სსრკ 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში.

დაიაენი, იხ. *დიაუხი.*

დაირა, აღმოსავლური დასარტყამი საკრავი, ამიერკავკასიაში გავრცელებულია უძველესი დროიდან. წარმოადგენს ხის ვიწრო რკალს, რ-საც ცალ მხარეს თხის ტყავი ან თევზის ბუშტის აპკი აქვს გადაკრული. საკრავის ასაჟღერებლად რკალის შიდა მხარეს ჩამოკიდებულია სპილენძის ან ვერცხლის ეჟვნები, პატარა რგოლები, მონეტები ან ბალთები. დ-ის რკალის დიამეტრია 350–490 *მმ,* სიმაღლე – 40–60 *მმ,* სისქე – 8–9 *მმ.* დ. ხალხ. ცეკვებისა და სიმღერების თანმხლები რიტმული საკრავია. იყენებენ პროფ. საკრავიერ და ვოკალურ-საკრავიერ ანსამბლებშიც. უჭირავთ ორი ხელით და უკრავენ თითებითა და ხელისგულით. სუფთა და მკაფიო ხმოვანებისათვის დაკვრის წინ შეათბობენ ხოლმე. დ. გვხვდება როგორც საისტ. ცნობებში, ისე მხატვრულ ლიტ-რაში, ,,დაფის'' სახელწოდებითაც.

დაისელი ვანლერ [ნამდვ. სახელი და გვარი – ივანე სერგოს ძე ბ ა ბ უ ა ძ ე (1901–1937)], პოეტი. 1927-იდან სწავლობდა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტზე. წერდა პატრ. ლექსებს. ავტორია პოეტური კრებულებისა: ,,მზის სისხლი'' (1926); ,,გული და დღეები'' (1927); ,,გუშინ და ხვალ'' (1928). ცალკე წიგნად გამოვიდა მისი მოთხრობა ,,ლივილა'' (1927). დ. იმსხვერპლა პოლიტიკურმა რეპრესიებმა.

ლიტ.: ც ი ც ი შ ვ ი ლ ი გ., მისი საფიქრალი იყო საქართველოს თავისუფლება, «სახალხო განათლება», 1990 წ. 17 ივლ.

რ. კვერენჩხილაძე.



ი. დათუნაშვილი.

დაიხმანი (Deichmann) ფრიდრიხ ვილჰელმ (17. XII. 1909, იენა, – 13. IX. 1993, რომი), გერმანელი ხელოვნების ისტორიკოსი, ადრინდელი ქრისტიანული ხანის ხელოვნების, უმთავრესად ხუროთმოძღვრების, თვალსაჩინო მკვლევარი. ქრისტ. არქიტ. ჩამოყალიბებისა და განვითარების შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამ პროცესის თავისებურებებსა და განსხვავებულ ხასიათს სხვადასხვა საქრისტიანო ქვეყანაში. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღმოსავლეთქრისტიანული რეგიონების – ეგვიპტის, სირიის, მესოპოტამიის – მხატვრულ მემკვიდრეობას. აქვს საგანგებო ნაშრომები ქართ. ხუროთმოძღვრების შესახებაც. აღსანიშნავია დ-ის ბოლნისის სიონისადმი მიძღვნილი ნარკვევი. ბაზილიკური თემის განვითარებაში სიონის სტრუქტურას (ჯვარულ-ბურჯებიანი კამაროვანი სამნავიანი ნაგებობა) იგი მიიჩნევს აღმ. საქართველოს შემოქმედებით წვლილად. დაწერილი აქვს აგრეთვე საგულისხმო წერილი VI–XI სს. საქართველოში ფასადთა მორთულობის შესახებ.



დაირა.

თხზ.: Frühchristliche Kirchen in Rom, Basel,1948; Ravenna. Hauptstadt des spätantiken Abendlandes, Bd. 1–3, Wiesbaden, 1969–89; Zur Entwicklung der Pfeilerbasilika: die Basilika von Bolnisi (473–493), «Bedi Kartlisa», vol.36, Paris, 1978; Einführung in die christliche Archäologie, Darmstadt, 1983.

ვ. ბერიძე.

დაიჯესტი (ინგლ. digest – მოკლე მონათხრობი, რეზიუმე < ლათ. digerere – დაყოფა), პუბლიკაცია, კონ-

კრეტული ტექსტიდან ადაპტირებული ან ამოკრებილი მასალების შენარჩევი, რ-შიც მოკლედაა გადმოცემული ამ ტექსტის შინაარსი; კრებული, რ-იც შეიცავს სხვა გამოცემებიდან გადმობეჭდილ (ხშირად შემოკლებული სახით) საინტერესო მასალას. ფორმატი მოხერხებულია ამა თუ იმ თემატიკის ირგვლივ გაერთიანებულ მთავარ სიახლეთა გასაცნობად.

უფრო ფართო მნიშვნელობით **დ.** სხვადასხვა წყაროდან განსაზღვრული თემატიკის ამონარიდთა ნაკრებია. მაგალითად, ჟურნალ ,,ტაბულას'' ტექნოლოგიური **დ.**; ,,რადიო თავისუფლების'' ორკვირეული **დ.**, რ-შიც თავმოყრილია რადიოგადაცემებიდან და ვებსაიტიდან შერჩეული მასალები; საქართველოს რესპუბლიკური პარტიის **დ.** – ,,საქართველო უცხოურ მასმედიაში''; ,,სამედიცინო მედიის დაიჯესტი'' და ა. შ.

სიტყვა ,,დაიჯესტი'' გვხდება მთელი რიგი გამოცემების დასათაურებაში, რ-ებიც სხვა წყაროებიდან მასალების (როგორც წესი, შემცირებული და სისტემატიზებული სახით) გადმობეჭდვაზე სპეციალიზდება. ამგვარ გამოცემათა რიგს მიეკუთვნება ამერიკული ყოველთვიური ლიტ.-პოლიტ. ჟურნალი ,,რიდერს დაიჯესტი'' (,,Reader's Digest''). განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ამ ტიპის გამოცემები ქართულ ინტერნეტსივრცეში, მაგალითად: ,,პრეს დაიჯესტი'' (ქართული ინტერნეტ და ბეჭდური მედია), სამხედრო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის ,,უცხოური პრესის დაიჯესტი'', ,,ინფო-დაიჯესტი'', ,,ავტო-დაიჯესტი'' და ა. შ. ქართული და უცხოური პრესის დაიჯესტებს გვთავაზობენ ცალკეული საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალები (მაგ., opinion.ge. netgazeti.ge., ,,ფინანსური საქართველო''), აგრეთვე საქართველოს პარლამენტისა და სხვადასხვა სამინისტროს საინფორმაციო ინტერნეტ-გამოშვებები.

თანამედროვე დაიჯესტების მსგავსი პერიოდული გამოცემები ჯერ კიდევ XVII–XVIII სს. ბოლოს გავრცელდა, თუმცა სიტყვა ,,დაიჯესტის'' ნაცვლად გვხვდება ამ ყაიდის სახელდებები: Extract (ამონარიდები), Anmerkungen (შენიშვნები) და სხვ. ქართულ ენაში ტერმინი **დ.** XX ს. 80-იანი წლებიდან დამკვიდრდა და დღემდე ფართოდ გამოიყენება. სხვა ენებში მისი მნიშვნელობა უტოლდება ,,პრესის მიმოხილვის'' ცნებას (ინგლ. ,,World Press Review''; პოლონ. ,,Przeglad Prasy'' და სხვა).

მ. შამილიშვილი.

დაკრძალვა, დ ა მ ა რ ხ ვ ა, მიცვალებულის დამარხვის წეს-ჩვეულება, რ-იც ასახავს ადამიანის დამოკიდებულებას გარდაცვალებისა და სიკვდილისადმი. ამ წეს-ჩვეულებათა მრავალფეროვნება სხვადასხვა ხალხში გაპირობებულია ყოფით, ტრადიციებით, რწმენა-წარმოდგენებით. მიცვალებულის **დ.** ორმოებსა და გამოქვაბულებში, რაც გარდაცვლილზე ზრუნვის გარკვეულ გამოხატულებად და რელიგ. წარმოდგენების საწყისადაა მიჩნეული, ჯერ კიდევ შუა პალეოლითიდან არის ცნობილი. საიქიოს რწმენის საფუძველზე წარმოიშვა მიცვალებულისადმი ორგვარი დამოკიდებულება: ერთი მხრით, მიცვალებულზე ზრუნვა (საფლავში სამკაულების, ტანსაცმლის და სხვ. ჩატანება. საქართველოში ამის გამოხატულება იყო ცხენის სიმბოლური შეწირვის ჩვეულება, აგრეთვე ქელეხის, დოღის და სხვ. რიტუალების შესრულება); მეორე მხრით, მიცვალებულის გაუვნებლება – ზრუნვა იმაზე, რომ მიცვალებული უკან არ დაბრუნებულიყო. ამ რიგის გადმონაშთებს წარმოადგენდა საქართვ. სხვადასხვა კუთხეში სახლის კედლისა და ღობის გარღვევა და შემდეგ ამოშენება, ხის მოჭრა და სხვ.

არქეოლ. გათხრების შედეგად საქართვ. ტერიტორიაზე დადასტურებულია მიცვალებულთა მიწაში **დ.**-ის სხვადასხვა წესი: ორმოსამარხებში, ქვაყუთებში, კრამიტსამარხებში. განსაკუთრებით საყურადღებოა მიცვალებულის ეტლზე, კევრზე და ქვევრში **დ.**-ის წესები (მიწაში ჩადგმული სამარხის ერთ-ერთი უძველესი სახეობა – ქვაყუთი – აღმ. საქართვ. მთიანეთში ეთნოგრ. ყოფამ ბოლო დრომდე შემოინახა). ანტ. ხანიდან გვხვდება მთლიანკვეთილი სარკოფაგები, მავზოლეუმის ტიპის აკლდამები (ბაგინეთი, არმაზისხევი და სხვ.), სადაც სამეფო დიდგაცობასა და მათი ოჯახის წევრებს მარხავდნენ. აკლდამებში **დ.**-ის წესი აღმ. საქართვ. მთამ (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, ხევი) გვიანობამდე შემოინახა. კოლხეთში გავრცელებული ყოფილა ჰაერზე დაკრძალვა (ხეზე, ფიცარნაგზე **დ.**). გვხვდება აგრეთვე მეორეული **დ.**-ის წესიც (დაკრძალულის გადასვენება სხვა ადგილას). თანამედროვე ხალხებში გავრცელებულია **დ.**-ის ორი წესი – მიცვალებულის მიწაში დამარხვა და კრემაცია. იხ. აგრეთვე *სამარხი.*

ლიტ.: ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. 1–ფშავი, თბ., 1974; საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970. *დ. გიორგაძე.*

დალაი, ქართული ხალხური სამგლოვიარო ლექს-სიმღერა. სახელწოდება მომდინარეობს რეფრენიდან (,,დალაჲ''...), რ-იც ლექსის ყოველ ტაეპს ერთვის. შემორჩენილია თუშურ ზეპირსიტყვიერებაში, დაკავშირებულია გარდაცვლილის წლისთავზე გამართულ სამგლოვიარო რიტუალთან. **დ.**-ს შესრულების წესს დალაობა ეწოდება. ის მითოლ. წარმოშობისაა, ტექსტი მიცვალებულის კულტთან არის დაკავშირებული. დალაობა დღესაც დაცულია თუშეთში. **დ.** სრულიად განცალკევებით დგას მთელ ქართ. ხალხ. მუსიკალურ შემოქმედებაში – სრულდება მთქმელისა და უნისონური გუნდის მონაცვლეობით, მხედარ-მოდალავე (**დ.**-ს წარმომთქმელი) სევდიანი კილოთი იწყებს: ,,დალაჲ თქვით, დალაჲ, მხედრებო'', გუნდი უპასუხებს: ,,დალაჲ ჰე, დალაჲ ჰე''. არის მოსაზრება, რომ თუშეთში **დ.** შევიდა ჩაჩნეთ-ინგუშეთიდან და დაღესტნიდან (დარგუულ მუს. ფოლკლორში **დ.** სიმღერას ნიშნავს). დაღესტანში **დ.**-ს სამგლოვიარო შინაარსი არა აქვს, ჩაჩნეთ-ინგუშეთში კი გლოვასთან არის დაკავშირებული.

ლიტ.: ა ს ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი შ., ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, [ნაწ.] 2, თბ., 1956; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., თუშეთი, ტფ., 1933; ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე გ., ქართული ხალხური სიმღერა, ტ. 1, თბ., 1960.

ფ. ზანდუკელი. ი. ჟორდანია.

,,დალა კოჯას ხელღვაჭალე'' (,,დალი კლდეში მშობიაროს''), უძველესი ქართული (სვანური) ფერხული და მისი თანმხლები სიმღერა. შექმნილია ნადირობის ქალღმერთ დალის პატივსაცემად. ფერხულში მონაწილეობენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები. შინაარსობრივად განეკუთვნება ამირანიანის სიმღერების ციკლს. მასში გადმოცემულია ამირანის დაბადების ეპიზოდი [კლდეში მშობიარე დალის დიდი სიმაღლიდან გადმოუვარდა ახალშობილი ამირანი, იგი მონადირე გერგეტმა (გიორგიმ) გამოსტაცა კლდის ძირში დაბუდებულ მგლის ხროვას

და დედას დაუბრუნა. დალიმ დალოცა მონადირე და წარმატება უსურვა]. სიმღერა სრულდება *ჯუნირის* თანხლებით (ან მის გარეშე) სამ ხმაში. დ. კ. ხ. ერთ-ერთი უძველესი საკულტო საფერხულო სიმღერაა, რ-საც ვრცელი ბალადური ტექსტი ახლავს. როგორც ლექსი, ისე სიმღერა წარმართულ პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს. სიმღერა სრულდებოდა რიტუალის სახით, ნადირობის წინ; იგი სვანურისათვის დამახასიათებელი კომპლ. მრავალხმიანობის ერთ-ერთი ცნობილი ნიმუშია. სრულდება ორგუნდღვანად (ანტიფონურად). მღერიან ქალებიც. მუს. ზომაა 2/8.

ა. თათარაძე.

დალარი, მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. დალარის (ნენსკრის მარჯვ. შენაკადი) სათავეში. სიმაღლე ზ. დ. 3988 *მ.* აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი.

ს. ნემანიშვილი.

დალარი, უღელტეხილი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდინარეების დალარისა (ნენსკრის მარჯვ. შენაკადი) და უზუნკოლის (ყუბანის სისტემა) სათავეებში. სიმაღლე ზ. დ. 3291 *მ.* აგებულია კრისტალური ქანებით. დამახასიათებელია ალპ. და სუბნივალური ლანდშაფტი. საცალფეხო ბილიკით აკავშირებს ზემო სვანეთს ყარაჩაი-ჩერქეზეთთან.

დალარი, სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტის ქვემო ოროზმანის თემში (ქვემო ქართლის მხარე), დმანისის პლატოზე, მდ. მაშავრის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1150 *მ,* დმანისიდან 4 *კმ.* 313 მცხ. (2002).

დალაქიშვილი თამაზ არქიფოს ძე (დ. 22. IX. 1937, თბილისი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (2005). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1961). მუშაობდა ,,საქქალაქმშენსახპროექტში'' (1961–64), თბილ. ზონალურ საპროექტო-ექსპერ. ინ-ტში (1964–65; 1969–81), ,,თბილქალაქპროექტში'' (1982–90). 1991–97 იყო საქართვ. არქიტექტორთა კავშირის შემოქმედებით-საწარმოო გაერთიანება ,,არქფონდის'' მთავარი მხატვარ-დიზაინერი. ძირითადი ნამუშევრები: დასახლება დებელე გვინეის რესპუბლიკაში (გ. ბერიძესთან, დ. გრძელიძესა და კ. ხატიაშვილთან ერთად; 1971–74), ენგურჰესის მშენებელთა საცხოვრ. სახლი თბილისში, ჭავჭავაძის პროსპექტზე (გ. ბიჭიაშვილთან, ზ. კოპალაძესა და ო. დარჩიევთან ერთად; 70-იანი წწ.), ჰიდრომშენებელთა დასახლება ვიეტნამში მდ. დაზე (ა. ღოღობერიძესთან, ა. ჯაფარიძესა და ა. ქურდიანთან ერთად; 1976–81); ბავშვთა საგანმ.-კულტ. ცენტრი ნასოფლარ ავენისში (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი; ბ. გოცირიძესთან, ი. ვაჩეიშვილთან, დ. თოფურიძესა და ა. ჯაფარიძესთან ერთად, 1987; საქართვ. არქიტექტურის I საერთაშ. ბიენალე, გრანპრი, 1988); საქართვ.-ბულგ. საზ.-კულტ. ცენტრი ქ. სოფიაში (თანაავტორი ა. ჯაფარიძე, 1988); არტ-ბიზნესცენტრი თბილისში, კ. აფხაზის ქუჩაზე (თანაავტორი ა. ბახტაძე, 1997).

ს. კინწურაშვილი.

დალაქიშვილი მიხეილ სიმონის ძე [15(28). VIII. 1904, სოფ. ჭელიაღელე, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 24. I. 1983, თბილისი], აგრონომი. სოფ. მეურნ. მეცნ. კანდიდატი (1939), დოცენტი (1940). დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის აგრონ. ფაკ-ტი (1931). 1956–74 იყო საქართვ. ი. ლომოურის სახ. მიწათმოქმედების სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი. 1949–50 დას. საქართვ. დაბლობ რ-ნებში საშემოდგომო ხორბლის შესწავლასა და წარმოებაში მათი შედეგების დანერგვასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სამეცნ. ნაშრომებისათვის 1951 მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია. აქვს 3 გამოგონება სასათბურე მეურნეობაში თერმული წყლების გამოყენების დარგში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

გ. თოდუა.

დალაქიშვილი ნარიმან ვარლამის ძე (25. X. 1906, სოფ. ჭელიაღელე, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 20 III. 1982, თბილისი), საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი (1954). 1936 დაამთავრა ვ. პოდბელსკის სახ. კავშირგაბმულობის აკად. სამხ. ფაკ-ტი მოსკოვში. 1940–45 იყო 24-ე, მე-3 შორსმჭრელი ავიადივიზიის (შემდეგ გვარდიული კორპუსის) კავშირგაბმულობის უფროსი. II მსოფლიო ომის დროს იბრძოდა მოსკოვთან, სტალინგრადთან, ლენინგრადთან და სხვ. 1945–64 მსახურობდა სსრკ შეიარაღებულ ძალებში. 1964-იდან თადარიგში იყო. დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით.

ლ. დოლიძე.

დალაქიშვილი ნოდარ ოთარის ძე (დ. 18. III. 1950, გორი), პოლიციის გენერალ-მაიორი (2001). 1972 დაამთავრა გორის პედ. ინ-ტი, 1992 – სსრკ შს სამინისტროს მოსკ. მილიციის უმაღლესი სკოლა. 1994–96 მუშაობდა გორის შს სამმართველოს უფროსად, 1996–2002 იყო საქართვ. შს სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეოს მთ. სამმართველოს უფროსი. საქართველოს შსს დამსახურებული მუშაკი (2001), დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1999).

ლ. დოლიძე.

დალაქიშვილი ცარუ მიხეილის ასული (10. II. 1937, თბილისი, – 21. III. 1996, იქვე), ფარმაკოქიმიკოსი. ფარმაც. მეცნ. დოქტორი (1993), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2004). 1960 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1960-იდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმ. ინ-ტის ფიტოქიმიის განყოფილებაში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1986–96 იყო წამყვანი მეცნიერი-თანამშრომელი (ფიტოქიმიის განყ-ბის, ლიპიდების ლაბორატორიის გამგე).

დ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი, მ. შ. 2 მონოგრაფიისა.

თხზ.: Фитохимическое исследование морозника абхазского, Тб., 1978 (თანაავტ. Э. Кемертелидзе); Биологически активные липиды некоторых растений, произрастающих в Грузии, Тб., 1996 (თანაავტ. Э. Кемертелидзе).

დალაყორის ძედი, დალაბორა, სვანეთის კავკასიონის სამხრეთი შტოქედი, ლეხზირ–ჭალაათის მყინვარებს შორის. უმაღლესი მწვ. დალაყორა (ზ. დ. 3430 *მ*). აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. დ. ძ-ის სამხრ. ბოლოზე მთატყის ლანდშაფტია, უფრო მაღლა – მთა-მდელოსა და გლაციალურ-ნივალური.

ლ. მარუაშვილი.

დალეჯიო დ'ალესიო (Dalegio d'Alessio) ევგენი (7. X. 1888, სტამბოლი, – გ. წ. უცნობია), იტალიელი მკვლევარი, წარმოშობით წარჩინებულ ვენეციელთა საგვარეულოდან. განათლება სტამბოლში მიიღო. ოცი წლისა იყო, როდესაც ისტ. გამოკვლევებს ბეჭდავდა სტამბოლის ცნობილ გაზ. ,,ლა ტიურკი''-ში (,,La Turquie''). მუშაობდა არქეოლოგიაშიც. 1918, როდესაც სტამბოლში საქართვ. დიპლ. მისია ჩავიდა, გაიცნო მისი წევრე-



თ. დალაქიშვილი (ავტორთა ჯგუფთან ერთად). ჰიდრომშენებელთა საცხოვრებელი სახლი. ვიეტნამი. 1977.



მ. დალაქიშვილი.



ც. დალაქიშვილი.

ბი და მდივნად დაიწყო მუშაობა. შემდეგ ამავე თანამდებობაზე მუშაობდა საქართვ. საკონსულოში. საქართველოთი დაინტერესებულმა იმოგზაურა ჩვენს ქვეყანაში, ისწავლა ქართ. ენა, გაეცნო ქართვ. საზ-ბას, ქართ. ერის კულტურასა და ცხოვრებას. სტამბოლში დაბრუნების შემდეგ შეუდგა აქ გადმოხვეწილი ქართველების წარსულის შესახებ ცნობების შეგროვებას. ფრანგულ ენაზე დაწერა ნარკვევი ,,ქართველები კონსტანტინოპოლში'' (სტამბოლი, 1921). ამ ნაშრომში განხილულია საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა, მოცემულია ოსმალეთში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა, მათი პოლიტ. და ეკონ. მდგომარეობა, ქართ. ენა და ქართ. წესები, აღწერილია აგრეთვე ქართველების ახალშენი სტამბოლში, სასაფლაო, ფერი-კვეის ქართ. სავანე და სხვ.

თხზ.: ქართველები კონსტანტინოპოლში და სპარსეთში, თბ., 1990.

ც. ყიფიანი.

დალი, ქართული მითოლოგიური პერსონაჟი; ნადირობის ქალღვთაება, ნადირთ პატრონი. მიეწერებოდა ,,წმინდა'' ნადირთა (ჯიხვი, არჩვი, ირემი და სხვ.) გამრავლებისა და მფარველობის ფუნქცია, დახოცილი ნადირის აღდგენა-გაცოცხლების უნარი; შეეძლო მონადირისათვის ხელის მომართვაც და ზიანის მიყენებაც. მისი სამოჯნურო კავშირი რჩეულ მონადირეებთან, რაც მონადირეთა ღალატის შემთხვევაში მათი დალუპვით მთავრდებოდა, ხელს უწყობდა ნადირთა ნაყოფიერება-გამრავლებას და მონადირის წარმატებას უზრუნველყოფდა.

რწმენა-წარმოდგენები დ-ის შესახებ განსაკუთრებით ცოცხლად იყო შემონახული სვანურ მითებში, რ-თა მიხედვით იგი ოქროსთმიანი ქალის სახით მიუვალ კლდეებში ბინადრობს. სვანთა წარმოდგენით, არსებობს როგორც ერთი ღვთაება დ., ისე მრავალი დ., რ-თაც იგივე ფუნქცია აკისრიათ. დ-ის კულტი გავრცელებული იყო კავკ. სხვა ხალხებშიც. ვეინახების უმაღლეს ღვთაებას, საერთოდ ღმერთს, საკულტო ობიექტს თუ მის სამლოცველოს ,,დელა'', ,,დესლა'' ანუ ,,დსალი'' ეწოდებოდა. ვარაუდობენ, რომ რელიგიის განვითარების ასტრალურ საფეხურზე დ. მთიებს, კერძოდ, ცისკრის ვარსკვლავს დაუკავშირდა. დ-ის სახე გვხვდება ქართ. ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრში. ქართულ ფოლკლორისტიკაში არსებობს მოსაზრება, რომ დ. მატრიარქატის ეპოქის ღვთაება იყო, შემდეგ კი ბოროტი *ალის* თვისებები შეიძინა.

ლიტ.: ბარდაველიძე ვ., ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953; ვირსალაძე ე., ქართული სამონადირეო ეპოსი, თბ., 1964; სურგულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1986. *თ. ოჩიაური.*

დალი, ისტორიული მხარე აფხაზეთში, მდ. კოდორის ზემო წელში. დ., რ-საც აფხაზეთის სვანეთსაც უწოდებენ, გეოგრაფიულად მკაფიოდ შემოსაზღვრული მხარეა. მას ჩრდილოეთიდან კავკასიონის მთავარი ქედის მონაკვეთი საზღვრავს, რ-საც გეოგრაფები პირობითად აფხაზეთის კავკასიონს ეძახიან. დ. ჩრდ.-დას-ით კავკასიონის მთავარი ქედის გვერდით შტოს – ჩხალთის ქედს, ხოლო აღმ-ით – სვანეთ-აფხაზეთის ქედს ემიჯნება. საკუთრივ კოდორის ხეობაში დ. ბაგადას ვიწროებამდე ვრცელდება.

დ-ის სოფლები მდ. კოდორის და მისი სათავეების – საკენისა და გვანდრის ნაპირებზეა განლაგებული. საკენის ხეობის ყველაზე მაღალი სოფელია *საკენი,* მის ქვემოთ მდებარეობს სოფ. *ომარიშარა.* მდ. გვანდრის ხეობაში გაშენებულია სოფ. *გვანდრა,* საკუთრივ მდ. კოდორის ნაპირებზე კი – სოფლები: *მარჯვენა გენწვიში* და *მარცხენა გენწვიში, ზემო აჟარა* და *ქვემო აჟარა, ჩხალთა, მარჯვენა პტიში* და *მარცხენა პტიში, შაბათკვარა, ქვაბჩარა, ლათა* და *ზემო ლათა.*

დ. არქეოლ. მონაცემებით ჯერ კიდევ ადრინდ. ბრინჯაოს ხანაში იყო დასახლებული. ამ დროიდან მის მოსახლეობას ქართველური მოდგმის ტომები (სვანები) შეადგენდნენ. ანტ. ხანაში იგი ეგრისის (კოლხიდის, ლაზიკის) სვანეთის საერისთავოში შედიოდა. VI–VII სს-ში დ. მისიმიანეთის სახელწოდებით ცალკე ადმ.-ტერ. ერთეულს წარმოადგენდა, რ-საც უშუალოდ ეგრისის (ლაზიკის) სამეფო კარი მართავდა. VIII–X სს-ში დ., როგორც სვანეთის საერისთავოს ნაწილი, აფხაზთა, ხოლო XI–XII სს-ში ერთიანი საქართვ. სამეფოში შედიოდა. დ-ის ხეობა მარუშიანთა საგვარეულოს ეკუთვნოდა.

XV ს. II ნახ-ში, ჩრდილოეთიდან განხორციელებული შემოსევების შემდეგ, დ. ქართ. მოსახლეობისაგან ნელ-ნელა დაიცალა და მათი ადგილი თანდათანობით ჩრდ. კავკასიიდან გადმოსულმა მთიელებმა დაიკავეს. ამის მიუხედავად მარუშიანთა საგვარეულომ დ-ში ხელისუფლება შეინარჩუნა, თუმცა თანდათანობით გააფხაზდა და მარშანიას (აფხაზურად – მაანის) გვარსახელი მიიღო.

XVII–XVIII სს-ში დ. მარშანიების საგვარეულოს გამგებლობაში და, ფაქტობრივად, სამთავრო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი იყო. ასეთი ვითარება XIX ს-ის დასაწყისში რუს. მიერ დას. საქართვ. დაპყრობის შემდეგაც დაახლოებით სამი ათეული წელი გაგრძელდა.

1837 მაისში რუს. ხელისუფლებამ დ. და წებელი (წებელდა) იარაღის ძალით დაიმორჩილა და იქ უშუალოდ რუსული მმართველობა შემოიღო. შეიქმნა წებელდის საბოქაულო, რ-შიც დ. გააერთიანეს. 1840–41 იფეთქა ავჯანყებამ. რუს. ხელისუფლებამ ავჯანყება ჩააქრო და დ-ის მოსახლეობა – 500 კომლი – წებელდაში გადაასახლა, თუმცა მათი ერთი ნაწილი მალევე უკან დაბრუნდა. დარჩენილ ტერიტორიებზე ჩრდ. კავკასიის მთიელები გადმოსახლდნენ. 1867, აფხაზთა ანტირუსული ავჯანყების ჩაქრობის შემდეგ, რუს. ხელისუფლებამ დაიწყო ოსმ. იმპერიაში აფხაზების მასობრივი გასახლება (იხ. *მუჰაჯირობა*), რის შემდეგაც დ. მოსახლეობიდან მთლიანად დაიცალა. XX ს-ის დასაწყისში დ-ში ხუთი საუკუნის წინ გამოძევებული ქართ. მოსახლეობა დაბრუნდა.

1921–91 დ. აფხ. ავტონ. რესპ. საზღვრებში იყო და თავდაპირველად სოხუმის, შემდეგ კი გულრიფშის რ-ნში შედიოდა. 1993-იდან, აფხაზეთში სამხედრო კონფლიქტის დასრულების შემდეგ, 15 წლის მანძილზე დ. აფხაზეთის ერთადერთი რეგიონი იყო, რ-იც საქართვ. ხელისუფლების იურისდიქციას ემორჩილებოდა. რუსეთის აგრესიის შედეგად 2008 აგვდან დ. ოკუპირებულია რუს. ჯარების მიერ.

ლიტ.: Лаврентьев, Статистическое описание Кутаисского генерал-губернаторства, СПб., 1858; Маевский В. Т., Кутаисская губерния. Военно-статистическое описание, Тфл., 1896. *თ. ბერაძე.*

დალიდალი, მთა ჯავახეთის ქედის ცენტრალურ ნაწილში, სიმაღლე ზ. დ. 2914 *მ.* აგებულია პლიოცენური ანდეზიტ-დაციტური ლავებით. წვერი გუმბათისებრია, კალთები – დანაწევრებული და სამი მხრივ (გარდა სამხრეთისა) საკმაოდ ციცაბო. შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

დ. უკლება.

დალოცვა, ხალხური პოეტური შემოქმედების ერთ-ერთი უძველესი ჟანრი. უკავშირდება საწესჩვეულებო, საკულტო-რიტუალურ ტექსტებს. მოგვიანებით ფართოდ გავრცელდა საქორწინო და სუფრული დ-ები, რ-ებსაც განსაკუთრებული ადგილი ეკავა მესტვირეთა რეპერტუარში. მესტვირული დ. უმთავრესად შაირის სალექსო საზომზეა აგებული. მაგ.:

,,უფალმა ღმერთმა შენ მოგცეს
ოჯახი საძირკვლიანი,
ხარი-კამეჩი გუთნებით,
ურმები სავსე ძნიანი.
იმყოფებოდე ხალხმრავლად,
დედ-მამა-რძლიან-მძიანი,
ლამაზი შემოგეყვანოს–
მშვენიერი და ჭკვიანი''.

ლიტ.: ქართული ხალხური პოეზია თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1979.

ჯ. ბარდაველიძე.

დამალა, სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ჭობარეთის ქედის (თრიალეთის ქედის სამხრ. განშტოება) სამხრ.-დას. კალთაზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 1380 *მ,* ასპინძიდან 4 *კმ.* 2,0 ათ. მცხ. (2002).

დამატებული ღირებულება, ღირებულების ნამატი, რომელიც იქმნება საქონლის, სამუშაოს და მომსახურების წარმოების ყოველ კონკრეტულ პროცესში. დ. ღ-ის გაანგარიშება ხდება ფირმის, დარგის და მთელი ქვეყნის მასშტაბით. ფირმის დონეზე დ. ღ-ის სიდიდე უდრის გაყიდული პროდუქციის ღირებულებას გამოკლებული მისი წარმოებისათვის ნაყიდი და გამოყენებული მასალების ღირებულება. დარგის დონეზე დ. ღ. ტოლია დარგის მიერ გაყიდული პროდუქციისა და ყველა შუალედური (საქონლის წარმოების ყველა წინა ეტაპზე შექმნილი ღირებულება) საქონლის ღირებულებათა სხვაობისა. ყველა საწარმოს მიერ შექმნილი დ. ღ-ის ჯამი შეადგენს ქვეყნის მასშტაბით შექმნილ დ. ღ-ს, რ-საც უწოდებენ ეროვნ. შემოსავალს. დ. ღ., როგორც საწარმოს (ფირმის) ამონაგები, მოიცავს შრომის ანაზღაურების, ამორტიზაციის, საარენდო გადასახდელის, პროცენტისა და მოგების ეკვივალენტის ღირებულებას.

დ. ღ., პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ხშირად ასოცირდება კ. მარქსის ღირებულების თეორიაში ცნობილ ზედმეტ ღირებულებასთან.

დ. ღ-ის გაანგარიშება იძლევა საშუალებას, თავიდან იქნეს აცილებული საწარმოთა მთლიანი გამოშვების (პროდუქციისა და მომსახურების) ღირებულებაში ორმაგი აღრიცხვა. გამომდინარე აქედან, დაბეგვრის ბაზად იყენებენ დ. ღ-ის მოცულობას.

საქართველოში დ. ღ-ის გაანგარიშება და პრაქტ. გამოყენება დაიწყო 1992-იდან, როდესაც შემოიღეს დ. ღ-ის გადასახადი. დ. ღ-ის წარმომქმნელი ძირითადი დარგებია მრეწველობა, სოფ. მეურნეობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ვაჭრობა და მომსახურების სხვა დარგები.

ლიტ.: ბასარია რ., მესხია ი., ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, თბ., 1996; ეკონომიკური თეორია, გ. ადეიშვილისა და რ. ასათიანის რედ., თბ., 1998; ჩიქავა ლ., ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბ., 1997.

ი. მესხია.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), არაპირდაპირი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი, რომელიც იკრიბება საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) წარმოებისა და რეალიზაციის ყველა სტადიაზე. დღგ-ით იბეგრება აგრეთვე საქონლის და მომსახურების იმპორტი. საქონლის ფასში დღგ შეაქვს მწარმოებელს ან გამყიდველს და მას იხდის მყიდველი. დღგ ყველაზე ახალი და მაღალშემოსავლიანი გადასახადია იმ გადასახადებს შორის (აქციზი, ქონების გადასახადი), რითაც ივსება ბიუჯეტი. დღგ-ით დაბეგვრის მექანიზმი პირველად შეიმუშავა ფრანგმა ეკონომისტმა მ. ლორემ (1954). 1970-იანი წლებიდან იგი სავალდებულო გახდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის. მისი ყველაზე დაბალი (5%-იანი) განაკვეთი დაწესებულია იაპონიაში, მალაიზიასა და სინგაპურში, ხოლო ყველაზე მაღალი (25%) – შვედეთში, დანიასა და ნორვეგიაში (2009). 2009-თვის დღგ 137–მდე ქვეყანაში იყო შემოღებული. დღგ-ის სისტემა სხვადასხვა ქვეყანაში არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგიერთ მოწინავე ქვეყანაში (მაგ., აშშ და ავსტრალია) დღგ საერთოდ არ იკრიბება.

საქართველოში დღგ შემოიღეს 1992 წ. 15 მარტიდან. იგი წარმოადგენს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ერთ-ერთ ძირითად წყაროს. უკანასკნელ წლებში მისი მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება და 2010 წ. 2,2 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც მთლიანი საგადასახადო შემოსავლების თითქმის 50%-ია. მან შეცვალა ადრე არსებული ბრუნვის გადასახადი. თავდაპირველად დღგ-ის განაკვეთი შეადგენდა დასაბეგრი ბრუნვისა და დასაბეგრი იმპორტის 28%-ს, რ-იც შემდეგ 14%-იანი (1993) და 20%-იანი (1994) განაკვეთით შეიცვალა. 2005-იდან კი დღგ-ის 18%-იანი განაკვეთი მოქმედებს. მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს დღგ-ის გადამხდელთა სავალდებულო და ნებაყოფლობით რეგისტრაციას, რასაც გადამხდელი პირი იმ შემთხვევაში გაივლის: ა) თუ ის ეწევა ეკონ. საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 200000 ლარს; ბ) ეკონ. საქმიანობის ფარგლებში აწარმოებს აქციზურ საქონელს (ან იმპორტს); გ) ეკონ. საქმიანობისას მოსალოდნელი ერთჯერადი ოპერაციის შედეგად (ან ერთ დღეში) დღგ-ით დასაბეგრი თანხა აღემატება 200000 ლარს. პირი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს მიწოდების განხორციელებამდე. ყველა ქვეყანაში, მ. შ. საქართველოშიც, დღგ-ისაგან გათავისუფლებულია ფინანს. მომსახურება, პრივატიზაციის დროს სახელმწ. ქონების მიწოდება, საგანმან. მომსახურება, ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების და ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება (იმპორტი), ჟურნალ-გაზეთების, მხატვრული ლიტ-რის ბეჭდვა, მიწოდება, იმპორტი და რეალიზაციის მომსახურება, საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების იმპორტი და სხვ. საქართვ. საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით დასაბეგრ ოპერაციებსაც, რ-საც განეკუთვნება: საქონლის ექსპორტი; საქართვ. ეროვნ. ბანკისათვის ოქროს მიწოდება; საქონლის (მომსახურების) მიწოდება, რ-იც განკუთვნილია უცხოეთის დიპლ. წარმომადგენლობათა ოფიც. სარგებლობისათვის; საერთაშ. გადაზიდვები; ტურისტული მომსახურების გაწევა; ძირითადი საშუალებების სარემონტო მომსახურება; ელექტროენერგიის გადაცემა, დისპეტჩერიზაცია, წარმოება და მიწოდება.

ლიტ.: მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო., გადასახადები და დაბეგვრა, თბ., 2002; საგადასახადო დაბეგვრა, თბ., 2006; საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2008.

ი. მესხია. ლ. ჭუმბურიძე.



დამბაჩა.

დამბაჩა, მოგრძოლულიანი პატარა ცეცხლსასროლი იარაღი, ძველებურად ,,ხელმეხი'' (გურულად – ,,ფიშტო''). მოწინააღმდეგეს აზიანებდა მოკლე მანძილზე (50–70 *მ*-მდე). დ-ის ჩახმახს კაჟს უკეთებდნენ – ,,ხრეისის ქვეით, ითხრების კაჟი ჩახმახისა ფრიად კარგი'' (ვახუშტი ბატონიშვილი). საქართველოში დ-ს ამზადებდნენ ერეკლე I-ის მიერ დაარსებულ თოფხანაში (არსენალში) და სოფ. ტყვიავში – ქართვ. მეფეთა თოფხანაში. მაჭახელაში (აჭარა) დამზადებულმა საუკეთესო დ-მ სახელი გაითქვა მთელ საქართველოსა და თურქეთში. რევოლვერის გამოგონებისთანავე დ. ჩოხა-ახალუხისა და ოჯახის სამკაულად იქცა.

ლიტ.: კახაძე ნ., მაჭახელის ხეობა, თბ., 1974. *კ. ჩოლოყაშვილი.*



ზ. დამენია.

დამენია ზაზა გრიგოლის ძე (22. X. 1972, ოზურგეთი, – 16. VIII. 2004, სოფ. ერედვთან, გორის მუნიციპალიტეტი), საქართველოს ეროვნული გმირი (2004). 1989 დაამთავრა ოზურგეთის საშ. სკოლა. 1990–92 სწავლობდა ქ. ყაზანის სამშ. ინ-ტში. 1992-იდან მსახურობდა საქართვ. შეიარაღებული ძალების სადაზვერვო ბატალიონში. 1993 იანვრიდან სექტ-მდე იბრძოდა აფხაზეთში. 1995 იყო გურიის სამხარეო შს სამმართველოს განსაკუთრებულ დავალებათა სამსახურის უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსი. 2002-იდან მსახურობდა ვაზიანის XI კომანდოს ბატალიონის მე-3 ასეულში. 2003 დაუსწრებლად დაამთავრა საქართვ. ტექ. უნ-ტის ბათუმის ფილიალი სამრეწვ. და სამოქალაქო მშენელობის სპეციალობით. 2004 ვაზიანის XI ბატალიონი გადაიყვანეს ცხინვალის რ-ნში ქართ. სოფლების დასაცავად. 16 აგვ. დაიღუპა მოწინააღმდეგე მხარის ერთ-ერთი შეტევის დროს: გადაეფარა ხელყუმბარას და თანამებრძოლებს გასასვლელი გზა მისცა. დაჯილდოებულია ეროვნული გმირის ორდენით (2004, სიკვდილის შემდეგ). ოზურგეთის სკოლას, სადაც დ. სწავლობდა, მისი სახელი ეწოდა.

დამია, სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტის დამია-გიაურარხის თემში (ქვემო ქართლის მხარე), ლოქის ქედის ჩრდ. ბორცვიან მთისწინეთში. ზ. დ. 620 *მ,* მარნეულიდან 25 *კმ,* სადახლოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 7 *კმ.* 334 მცხ. (2002).

სოფლის ტერიტ. წინა ფეოდ. ხანიდანაა დასახლებული (გორანამოსახლარი, კერამ. ნაწარმი). შემორჩენილია გვიანდ. ფეოდ. ხანის ეკლესია, რ-ის კედლების წყობაში ჩანს ადრინდ. და შუა ფეოდ. ხანის არქიტ. დეტალები. დ-ის ახლანდ. სომხ. მოსახლეობის წინაპრები აქ XIX ს. I ნახევარში დასახლდნენ. *დ. ბერძენიშვილი.*

დამია-გიაურარხი, სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე), მარნეულის ვაკეზე, მდ. დებედის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს, მარნეული–სადახლოს საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: დ.-გ., ახალი ლალალო, დამია, კიროვკა). ზ. დ. 420 *მ,* მარნეულიდან 20 *კმ,* სადახლოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 *კმ.* 1,8 ათ. მცხ. (2002).

დამიანე, XIV ს. საეკლესიო მოღვაწე. მიიჩნეოდა *უბისის* ტაძრის მომხატველად.

დამიანე, დიპლომატი, XV ს. II ნახევრის მოღვაწე. მონაწილეობდა ალექსანდრე I კახთა მეფის მიერ 1483 მოსკოვში გაგზავნილ ელჩობაში. იგი იყო კახეთის სამეფოს პირველი ოფიც. დესპანი მოსკოვში, რ-ის მიზანი იყო რუსეთთან დიპლ. ურთიერთობის დამყარება.

გ. საითიძე.

დამი-გაია, დამირგაია, ნეოლით-ბრინჯაოს ხანის პირველყოფილი ადამიანის ხელოვნების უნიკალური ძეგლი. მდებარეობს სოფ. კასუმლოს (მარნეულის მუნიციპალიტეტი) სამხრ-ით, 1,2 *კმ*-ზე – კლდის მოზრდილ მონაკვეთზე (ზომა 6,5 × 3 *მ*) დადასტურებულია კლდის მხატვრობა. ღია ნაცრისფერი კლდის შიდა მხარე გამოქარულია, აქვს ნახევარსფერული თაღისებრი ფორმა და მთლიანად მოხატულია მუქი წითელი საღებავით (ოქრით). ნახატები (ზომა 10 × 15 *სმ*) შესრულებულია სტილიზებულად და სქემატურად. დიდი ნაწილი წაშლილია, ზოგი კარგადაა შემორჩენილი. თვალსაჩინოა ირმის, თხის, გველისა და სხვ. გამოსახულებანი, რ-ებიც ერთმანეთთან სიუჟეტურად დაკავშირებული არ ჩანს.

ლიტ.: მენაბდე მ., კიღურაძე თ., ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1980–81 წლების მუშაობის შედეგები, წგ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, XIII, თბ., 1986.

თ. კიღურაძე.

დამმუშავებელი მრეწველობა, მრეწველობის დარგები, რომლებიც ამუშავებენ და/ან გადამუშავებენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს. დ. მ-ს განეკუთვნება საკვები პროდუქტებისა და სასმელების, ტექსტილის, ტანსაცმლის, ტყავის, ფეხსაცმლის, მერქნისა და ხის ნაწარმის, ქაღალდის, ქიმიური, ლითონის, მანქანებისა და მოწყობილობების, მეტალურგიული და სხვათა წარმოება. მისი წილი მთლიანად საქართვ. მრეწველობაში შეადგენს საწარმოთა რაოდენობის 94,5%-ს, წარმოებული პროდუქციის ღირებულების 76,8%-ს, დასაქმებულთა რიცხოვნობის 73,4%-ს და ძირითადი კაპიტალის 41,0%-ს (2010 წ.).

საქართველოს დ. მ-ის შიდა დარგობრივ სტრუქტურაში წამყვანია საკვები პროდუქტებისა (სასმელების ჩათვლით) და თამბაქოს წარმოება. 2010 მონაცემებით, მასზე მოდის დ. მ-ის პროდუქციის 41,8%, მეტალურგიულ მრეწველობაზე – 24,1%, ქიმიურ წარმოებაზე – 8,9%, არალითონური მინერ. ნაკეთობების წარმოებაზე – 9,0%, ქაღალდის მრეწველობასა და საგამომცემლო საქმიანობაზე – 4,1% და ა. შ. დ. მ-ის ჩამოყალიბებული სტრუქტურა არ არის რაციონალური და მოითხოვს სრულყოფას. ამ თვალსაზრისით საჭიროა ამაღლდეს იმ დარგების ხვ. წილი, რ-ებიც ადგილ. რესურსების უკეთ გამოყენების საფუძველზე უზრუნველყოფენ ეროვნ. მეურნეობის ტექ. გადაიარაღებას, გამოიმუშავებენ და მოსახლეობას მიაწვდიან სხვადასხვა დანიშნულების სამომხმარებლო საქონელს, ხოლო საგარეო ბაზარს – საექსპორტო პროდუქციის დიდ ნაწილს. მიზანშეწონილია აგრეთვე თანამედროვე მაღალშემოსავლიანი და მეცნიერებატევადი წარმოებების განვითარება, რებიც მსოფლიო ბაზარზე საქართვ. კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფენ.

2004–10 წლებში დ. მ-ის პროდუქციის წარმოება გაიზარდა 224,3%-ით, რაც მნიშვნელოვნად მეტია მთელი მრეწვ. საშ. ანალოგიურ მაჩვენებელზე (176,5%). დ. მ-ის ცალკეული ქვედარგებიდან ზრდის შედარებით მაღალი ტემპით გამოირჩევა საკვები პროდუქტებისა და თამბაქოს, არალითონური მინერალური ნაკეთობების, ქიმ. პროდუქციის, რეზინისა და პლასტმასის და სხვათა წარმოება. შემცირდა კოქსისა და ნავთობპროდუქტების წარმოება,

არადამაკმაყოფილებელია ტყავის, ტყავის ნაწარმისა და ფეხსაცმლის წარმოების მასშტაბები და სხვ.

დ. მ-ის პროდუქციის ძირითად ნაწილს აწარმოებენ თბილისში, მისი უმეტესი ნაწილი მოდის კერძო სექტორზე. *დ. ჩომახიძე.*

დამნაზე, ლაზთა (ეგრისის) მეფე (Vს. II ნახ.–523), *გუბაზ I-ის* შვილი და წათე I-ის მამა. ბიზანტიის საპირისპიროდ, ირანს ემხრობოდა. დ-ს გარდაცვალების შემდეგ მისმა ძემ, წათემ, უარყო მაზდეანობა, ქრისტიანობას ეზიარა და იუსტინე კეისრისაგან ხელდასმული დაჯდა ეგრისის სამეფო ტახტზე.

წყარო: ი ო ა ნ ე მ ა ლ ა ლ ა, ქრონოგრაფია, წგ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, ტფ., 1936.

დ. ლეთოდიანი.

დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტია, დაარსდა 1918 სექტემბერში *ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას* ჩამოშორებული ჯგუფის (მ. *მაჩაბელი,* დ. ვაჩნაძე, რ. *გაბაშვილი,* გ. *ვეშაპელი,* ვ. *წერეთელი,* შ. ქარუმიძე, ი. ელიაშვილი, დ. ჯავახიშვილი) ძალისხმევით. ორგანიზაციის ხელმძღვანელად გ. ვეშაპელი აირჩიეს, მასვე მიანდეს ახალდაარსებული გაზ. ,,კლდის'' გაძღოლაც. გ. ვეშაპელი იყო რედაქტორი პარტიის ყველა პერიოდული გამოცემისა – ,,სალი კლდე'', ,,პიტალო კლდე'', ,,ნაციონალისტი'', ,,მიწა'', რ-ებიც ერთმანეთის მონაცვლეობით 1918–21 წლებში გამოდიოდა.

ეროვნ.-დემოკრატთაგან გამოყოფის მიზეზი გახდა საქართვ. ეროვნ. საბჭოში ედპ-ის საპარლამენტო ფრაქციის რეორგანიზაცია. მსოფლმხედველობრივად როგორც ედპ, ისე მისგან გამოყოფილი ნაციონალ-დემოკრატები ერთსა და იმავე საფუძველზე იდგნენ, სხვაობა უმთავრესად ტაქტიკურ საკითხებში შეიმჩნეოდა. დ. ნ.-დ. პ. იცავდა ქართვ. მიწათმოქმედთა – სოფლის მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა – ინტერესებს. პარტიის პირველადი ორგანიზაციები საქართვ. თითქმის ყველა კუთხეში მოქმედებდა.

საქართვ. დამფუძნებელი კრების 1919 არჩევნებში დ. ნ.-დ. პ-მ ცალკე მიიღო მონაწილეობა ეროვნ. პარტიის სახელწოდებით, მაგრამ სადეპუტატო მანდატის მოპოვება ვერ შეძლო. დამატებითი არჩევნების შედეგად უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრები გახდნენ გ. ვეშაპელი და შ. ქარუმიძე.

1920 ოქტ-ში მოიწვიეს პარტიის პირველი კონფერენცია, მიიღეს პროგრამა და აირჩიეს მთ. კომიტეტი (გ. ვეშაპელი, შ. ქარუმიძე, მ. იშხნელი, გ. წინამძღვრიშვილი, ნ. მაღალაშვილი, ს. კაკაბაძე და სხვ.). თბილ. ორგანიზაციას სათავეში ედგა პოეტი გ. *ლეონიძე,* ქუთაისისას – მწერალი ნ. *ლორთქიფანიძე.* კონფერენციის შემდეგ პარტიას სახელი შეუცვალეს და მიწის მესაკუთრეთა ეროვნ. პარტია უწოდეს.

1921 წ. იანვარში მიწის მესაკუთრეთა ეროვნ. პარტია რადიკალ-დემოკრ. გლეხთა, ედპ-სა და უპარტიოთა კავშირთან ერთად საქართვ. დემოკრ. პარტიაში გაერთიანდა. *ო. ჯანელიძე.*

,,დამოუკიდებელი საქართველო'' (,,La Géorgie Indépendante''), ყოველთვიური ქართულენოვანი გაზეთი, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებული ფრონტის ორგანო. გამოდიოდა პარიზში 1926–39 (№1–159) წლებში. იბეჭდებოდა გაზეთის ფორმატზე 4 გვერდად (ზოგჯერ 8 გვერდადაც), 1928-იდან 1939-



გაზეთი ,,დამოუკიდებელი საქართველო''. 1926–39. პარიზი.

მდე კი (№25–159) გამოდიოდა 16-გვერდიანი ჟურნალის სახით. გაზეთის რედაქტორები იყვნენ ცნობილი ქართვ. პოლიტიკური და ეროვნული მოღვაწეები: ი. *გობეჩია,* გ. *ურატაძე* და ს. *ფირცხალავა.* გაზეთთან თანამშრომლობდნენ ქართვ. და უცხოელი ავტორები: ნ. *ჟორდანია,* გ. *გვაზავა,* ი. გობეჩია, შ. *ამირეჯიბი,* ს. ფირცხალავა, ნ. რამიშვილი, ალ. *ასათიანი,* მიხ. *წერეთელი,* ი. კეჭაყმაძე, ნ. ჭუმბურიძე, ე. შტრაუსი, რ. მაკდონალდი, ე. ბერშტეინი, ა. რენბერგი და სხვ.

,,დ. ს-ს'' პროგრამა, მიზანი და მიმართულება ასახულია 1926 წლის №1-ში გამოქვეყნებულ მოწინავე წერილში – ,,დამოუკიდებლობისაკენ''. ,,მთლიანი ფრონტით დამოუკიდებლობისაკენ!'' – ამ სამი სიტყვით ამოიწურება გაზეთის დანიშნულება და მიზანი. გაზეთში გამოქვეყნებული მასალები თემატურად შემდეგნაირად იყოფა: მოწინავე სტატიები, წერილები, საქართველოს საკითხის გარშემო, კავკასია, კორესპონდენციები, ქართველები უცხოეთში, საქართველოს ამბები, უცხოეთი, ბიბლიოგრაფია და სხვადასხვა. გაზეთს ჰქონდა მუდმივი რუბრიკები: ,,საქართველოს საკითხი უცხოეთში'', ,,რუსთაველიანა'', ,,ქართველები პარიზში'' და სხვ.

,,დ. ს-ში'' ქვეყნდებოდა ისტ. დოკუმენტები, უნიკალური პუბლიკაციები და ფოტოილუსტრაციები. ქართ. ემიგრანტულ ლიტერატურასა და ჟურნალისტიკაში ბევრი დაწერილა 1918 წლის 26 მაისზე, საქართვ. დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტ. დღეზე, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გაზ. ,,დ. ს-ს'' 1927 №17-ის პუბლიკაცია, სადაც გამოქვეყნებულია ამ დღესთან დაკავშირებული უცნობი დეტალები.

,,დ. ს-ში'' 1933 წელს (№86–92) გამოქვეყნებულია წერილების სერია ,,აფხაზეთი უახლოეს წარსულში და დღეს'', რ-შიც სკრუპულოზურობითა და პროფ. სიღრმით დახატულია XX ს. 20 – 30-იანი წლების აფხაზეთში შექმნილი სოც.-ეკონ. თუ კულტ.-პოლიტ. მდგომარეობის სურათი, ნაწინასწარმეტყველებია XX ს-ის ბოლოს მომხდარი ტრაგიკული მოვლენები.

,,დ. ს-ს'' ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს 20–30-იანი წლების საქართვ. ისტ., პუბლიცისტიკის, ქართ. სოც. და პოლიტ. აზრისა და ემიგრაციის ისტ. შესასწავლად.

ლიტ.: შ ა რ ა ძ ე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 2, თბ., 2001.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ), რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაცია – სსრ კავშირის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფოთაშორისი გაერთიანება. დაფუძნდა 1991 წ. 8 დეკ. ბელორუსიის რესპ., რსფსრ-ისა და

უკრ. რესპ. უმაღლესი თანამდებობის პირთა ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე. 1991 წ. 21 დეკ. 11 სუვერენული სახელმწიფოს – აზერბაიჯანის, ბელორუსიის, თურქმენეთის, მოლდავეთის, რუსეთის ფედერაციის, სომხეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, უკრაინის, ყაზახეთის, ყირგიზეთის რესპუბლიკების მეთაურებმა (გარდა ბალტიის სახელმწიფოებისა და საქართველოსი) ალმა-ათაში ხელი მოაწერეს ზემოხსენებული შეთანხმების დამატებით ოქმს, რ-შიც აღინიშნა, რომ 11 სახელმწიფო თანასწორუფლებიან საწყისებზე აფუძნებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას – **დსთ**-ს. ასევე ერთსულოვნად იქნა მიღებული ალმა-ათის დეკლარაცია, რ-ის თანახმად სახელმწიფოებმა დაადასტურეს თავიანთი სურვილი, ითანამშრომლონ სხვადასხვა სფეროებში. **დსთ**-ის წესდების თანახმად, ორგანიზაცია მოქმედებს საერთაშ. სამართ. საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების მიხედვით. გაერთიანების ძირითადი მიზნებია: თანამშრომლობის განხორციელება პოლიტ., ეკონ., ეკოლ., ჰუმანიტარულ, კულტ. და სხვა სფეროებში; საერთო ეკონ. სივრცის, სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ფარგლებში მონაწილე სახელმწიფოების ყოველმხრივი და დაბალანსებული ეკონომიკური და სოციალური განვითარება; ადამიანის ძირითადი უფლებისა და თავისუფლების უზრუნველყოფა საერთაშ. სამართ. საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად და სხვა.

წესდების თანახმად, თანამეგობრობის მიზნების მისაღწევად, მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ ურთიერთობებს აგებენ ურთიერთდაკავშირებული და თანაბარი პრინციპების შესაბამისად. ეს პრინციპებია: მონაწილე სახელმწიფოების სუვერენიტეტი, ერთა თვითგამორკვევის განუყოფელი უფლება და გარედან ჩარევის გარეშე თავიანთი ბედის განკარგვის უფლების პატივისცემა; სახელმწ. საზღვრების ურღვევობა, არსებული საზღვრების აღიარება და უკანონო ტერიტ. პრეტენზიების უარყოფა; სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობისა და სხვისი ტერიტორიის დანაწევრებაზე მიმართულ რაიმე ქმედებაზე უარის თქმა; დავის განხილვა იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას საერთაშ. მშვიდობას, უსაფრთხოებასა და სამართლიანობას; საერთაშ. სამართლის უზენაესობა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში; ერთმანეთის საშინაო და საგარეო საქმეებში ჩაურევლობა და ა.შ.

ძირითადი ორგანოებია: **დსთ**-ის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო, მთავრობების მეთაურთა საბჭო, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო და ეკონომიკური საბჭო. საბჭოების სხდომებს რიგ-რიგობით თავმჯდომარეობენ (რუს. ანბანის შესაბამისი თანამიმდევრობით) წევრი სახელმწიფოები. ორგანიზაციის სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს მუდმივმოქმედი სამდივნო – აღმასკომი, შტაბბინა განლაგებულია მინსკში; აღმასკომის წარმომადგენლობა ფუნქციონირებს ასევე მოსკოვში.

მიუხედავად დეკლარირებული მიზნებისა, თავიდანვე თანამეგობრობა **დსთ**-ის წევრ სახელმწიფოებში აღქმული იყო, ერთი მხრივ, სსრკ-ის აღდგენის გარკვეულ მცდელობად, ხოლო, მეორე მხრივ, ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკების ცივილიზებული ,,გაყრის'' მექანიზმად. ამიტომაც, თავდაპირველად, საქართველო არ მიისწრაფოდა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებისაკენ, მაგრამ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში არსებული ისტ. ვითარების (მარცხი აფხაზეთის ომში, სამოქალაქო დაპირისპირების შედეგად საქართველოში არსებული უმძიმესი ეკონ.-სოც. პირობები) და რუსეთის გამუდმებული ზეწოლის პირობებში, 1993 წ. 8 ოქტ. საქართველომ მიმართა **დსთ**-ის მონაწილე სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს **დსთ**-ში საქართველოს გაწევრიანების წინადადებით, რაც ძალაში შევიდა 1993 წ. 3 დეკემბერს.

აღსანიშნავია, რომ **დსთ**-ის ფარგლებში, საქართველომ მოახერხა მიღება ისეთი დოკუმენტებისა, სადაც ხაზგასმულია საქართველოს ტერიტ. მთლიანობა და საზღვრების ურღვევობა (კერძოდ, 1996 წ. 31 იანვრის **დსთ**-ის სამიტის დადგენილება).

2008 აგვისტოში რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ განახორციელა სამხ. აგრესია, საქართვ. ტერიტ. განუყოფელი ნაწილების ოკუპაცია, *ეთნიკური წმენდა* და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მის მიერვე შექმნილი მარიონეტული რეჟიმების ე.წ. ,,დამოუკიდებლობის'' აღიარება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს აფხაზეთში (საქართველო) **დსთ**-ის ე.წ. ,,კოლექტიური სამშვიდობო ძალების'' (დაკომპლექტებული იყო მხოლოდ რუს. ფედერაციის სამხ. მოსამსახურეებით) საფარქვეშ რუს. სამხ. ქვედანაყოფების მონაწილეობა საქართველოს წინააღმდეგ სამხ. აგრესიის მომზადებასა და განხორციელებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართვ. პრეზიდენტმა – მ. სააკაშვილმა 2008 წ. 12 აგვ. გააკეთა განცხადება **დსთ**-იდან საქართვ. გამოსვლის თაობაზე. 2008 წ. 14 აგვ. საქართვ. პარლამენტმა ერთხმად (117 ხმით) მიიღო დადგენილებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

2008 წ. 18 აგვ. საქართვ. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნოტით აცნობა **დსთ**-ის აღმასკ. კომიტეტს საქართვ. პარლამენტის აღნიშნული დადგენილებებისა და **დსთ**-იდან საქართვ. გამოსვლის შესახებ. შესაბამისად, 2008 წ. 18 აგვისტოდან საქართველომ თავიდან მოიხსნა **დსთ**-ის წევრობიდან გამომდინარე ყველა ვალდებულება. **დსთ**-ის წესდების (მ.9) თანახმად, 2009 წ. 18 აგვისტოსათვის დასრულდა **დსთ**-იდან საქართვ. გამოსვლის ფორმალური პროცედურა. ამავე დროს, სახელშეკრულებო სამართ. შესახებ ვენის 1969 წ. კონვენციის თანახმად, საქართველოსთვის ძალაში დარჩა **დსთ**-ის ფარგლებში დადებული რიგი საერთაშ. მრავალმხრივი შეთანხმება, რ-ებშიც მონაწილეობა არ არის შეზღუდული **დსთ**-ის წევრობით. მათ შორის, შეთანხმება **დსთ**-ის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეების უვიზო მიმოსვლის შესახებ, შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ, კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართ. საქმეებზე სამართ. დახმარებისა და სამართ. ურთიერთობის შესახებ და ა.შ.

დამოუკიდებლობის აქტი, იხ. სტ-ები: *საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 1918*; *საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი 1991*.

დამოუკიდებლობის კომიტეტი (დამკომი), საქართველოს დამოუკიდებლობის

კომიტეტი, პარიტეტული კომიტეტი, ეროვნულ-პოლიტიკური ძალების მიერ საბჭოთა რუსეთის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლების მიზნით შექმნილი საიდუმლო ორგანიზაცია. საბჭ. რუსეთის მიერ საქართვ. დაპყრობის (1921 თებ.–მარტი) შემდეგ ქვეყნის წამყვანი პოლიტ. პარტიები (სოციალ-დემოკრატიული, გაერთიანებული ეროვნ.-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური, სოციალისტ-რევოლუციური, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული), გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად, 1922 მაისში შეთანხმდნენ და პარიტეტულ პრინციპებზე შექმნეს პოლიტ. პარტიათა გამაერთიანებელი, ანუ ინტერპარტიული (პარტიათაშორისი) ორგანიზაცია – **დ. კ.**, რ-ის მიზანი იყო საქართვ. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. გაერთიანება ეფუძნებოდა შემდეგ პრინციპებს: **დ. კ.** იქმნებოდა პარიტეტულ საწყისებზე – კომიტეტში ყველა პარტიას თითო წარმომადგენელი უნდა ჰყოლოდა, კომიტეტის თავმჯდომარე კი მუდმივად ს.-დ. პარტიის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო; **დ. კ.** თავის ზემდგომ ორგანოდ მიიჩნევდა ემიგრაციაში მოქმედ კანონიერ მთავრობას; გარდამავალ პერიოდში მთავრობის ფუნქციებს შეასრულებდა დროებითი მმართველობა, რ-საც შექმნიდა **დ. კ.** კოალიციურ საფუძველზე; დროებითი მმართველობა აღადგენდა დემოკრ. რესპუბლიკას და 1921 წ. კონსტიტუციას; დამფუძნებელი კრება უნდა შეკრებილიყო პირველი შესაძლებლობისთანავე და დაედასტურებინა დროებითი მმართველობის კანონიერება; ემიგრაციაში მყოფი მთავრობა ქვეყანაში დაბრუნებისთანავე თავისი მოღვაწეობის შესახებ ანგარიშს წარუდგენდა დამფუძნებელ კრებას და გადადგებოდა; დამფუძნებელი კრება შეიმუშავებდა კანონს ერთიანი სამხ. სისტემის შესახებ, შექმნიდა საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის დაცემის მიზეზების შემსწავლელ კომისიას; პარიტეტულ საწყისებზე შექმნიდა საარჩევნო კომისიას, რის შემდეგაც მოიხსნიდა უფლებამოსილებას; დამფუძნებელი კრების მიერ უფლებამოსილების მოხსნიდან არა უადრეს ორი და არა უგვიანეს ოთხი თვისა ჩატარდებოდა საქართვ. პარლამენტის არჩევნები. **დ. კ**-ის შექმნის მიზნით შეთანხმებას ხელი მოაწერეს: გ. ფაღავამ (სოციალ-დემოკრატები), ი. ჯავახიშვილმა (ეროვნ.-დემოკრატები), მ. ხოჭოლავამ (სოციალ-დემოკრატი ,,სხიველებისაგან''), გ. ს. *რცხილაძემ* (სოციალისტ-ფედერალისტები), ი. *გოძეჩიამ* (სოციალისტ-რევოლუციონერები). ხელშეკრულების ტექსტი **დ. კ**-ის შექმნის შესახებ გაეგზავნა პარიზში მყოფ საქართვ. მთავრობის თავმჯდომარეს ნ. *ჟორდანიას*. კავშირს დამკომსა და მთავრობას შორის ახორციელებდა ე. წ. ,,კონსტანტინოპოლის ბიურო'', რ-საც დაევალა აგრეთვე ფარული მოლაპარაკებების წარმოება თურქეთის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების მთავრობებთან შესაძლო დახმარების თაობაზე, თუმცა ამ მოლაპარაკებებს რაიმე შედეგი არ მოჰყოლია. **დ. კ**-ის თავ-რეები 1922 მაისიდან 1924 აგვისტომდე იყვნენ სოციალ-დემოკრატები: გ. ფაღავა, ნ. ქარცივაძე და კ. ანდრონიკაშვილი, მდივანი – ეროვნ.-დემოკრატი ი. ჯავახიშვილი. მოგვიანებით ,,სხიველებისაგან'' მ. ხოჭოლავას ნაცვლად **დ. კ**-ის წევრი გახდა ნ. იმნაიშვილი, რ-იც გ. ტ. *გიორგაძემ* შეცვალა. შემდგომში ამ უკანასკნელის ნაცვლად კომიტეტში შევიდა კ. ნინიძე, ხოლო სოციალისტ-ფედერალისტ გ. ს. რცხილაძის ნაცვლად – ს. პ. *დადიანი*. **დ. კ.** იქცა აჯანყებისათვის მზადების პოლიტ. ცენტრად, სამხ.-ტექ. თვალსაზრისით კი მას ამზადებდა სამხედრო ცენტრი, რ-საც უნდა მოეხდინა საქართვ. ტერიტორიაზე მოქმედი შეიარაღებული ფორმირებების მობილიზება და მათი ქმედების კოორდინაცია. მას სათავეში ჩაუდგა ეროვნ.-დემოკრ. პარტიის თავ-რე გენ. კ. *აფხაზი*. ცენტრის ჩავარდნის შემდეგ მის ფუნქციას ასრულებდა სამხედრო კომისია. აჯანყების მზადების ბოლო ეტაპზე **დ. კ.** წარმოადგენდა როგორც პოლიტ., ისე სამხ. ცენტრს. მიუხედავად მკაცრი კონსპირაციისა, **დ. კ**-ის შექმნა და მოღვაწეობა ცნობილი გახდა საქართვ. და ამიერკავკ. საგანგებო კომისიებისათვის. შედეგად **დ. კ**-ის ზოგიერთი წევრი დააპატიმრეს და მოგვიანებით სიკვდილით დასაჯეს. მიუხედავად ამისა, **დ. კ.** ცდილობდა შეუფერხებლად გაეგრძელებინა აჯანყებისათვის მზადება. იგი პოლიტ. ხელმძღვანელობას უწევდა სამხ. კომისიას, ხოლო ამ უკანასკნელის ჩავარდნის შემდეგ თავის თავზე აიღო აჯანყების სამხ.-ტექ. ხელმძღვანელობაც.

დ. კ. ცდილობდა აჯანყებისათვის მიეცა საერთოკავკასიური ხასიათი. ამ მიზნით მოლაპარაკება დაიწყეს ჩრდილო კავკ. ხალხების პოლიტ. ლიდერებთან, სომხებთან და აზერბაიჯანელებთან. **დ. კ**-ს მუდმივი კავშირი ჰქონდა პარიზში მყოფ საქართვ. ემიგრანტულ მთავრობასთან, საიდანაც დირექტივებს ღებულობდა.

1924 წ. 18 აგვისტოს **დ. კ**-ის საგანგებო სხდომამ აჯანყების თარიღის დანიშვნა მიანდო კ. ანდრონიკაშვილს (დამკომის თავმჯდომარე), დ. ონიაშვილს (სოციალ-დემოკრატი), შ. ამირაჯიბს (ეროვნ.-დემოკრატი), ს. *ზალდასტანიშვილსა* და ს. ჭავჭავაძეს (აჯანყების მთავარსარდალი). ხუთეულმა 24 აგვ. სხდომაზე აჯანყების დღედ 29 აგვ. ღამის 2 საათი დანიშნა, თუმცა იგი ნაადრევად, 28 აგვ. ღამის 2 საათზე დაიწყო და ისიც არა მთელ საქართველოში, არამედ მხოლოდ ჭიათურაში (იხ. აგრეთვე *აგვისტოს აჯანყება 1924*). აჯანყების წარუმატებლობის შემდეგ დაიწყო ფართომასშტაბიანი უმკაცრესი რეპრესიები, რასაც უამრავი პატრიოტის სიცოცხლე შეეწირა. 1924 წ. 4 სექტ. მცხეთასთან შეიპყრეს **დ. კ**-ის თავმჯდომარე კ. ანდრონიკაშვილი და მდივანი ი. ჯავახიშვილი. საპყრობილეში მყოფ **დ. კ**-ის წევრებს 1924 წ. 5 სექტ. იძულებით მოაწერინეს ხელი განცხადებაზე, რითაც ისინი მოსახლეობას აჯანყების შეწყვეტისა და ხელისუფლების მორჩილებისაკენ მოუწოდებდნენ. ამ განცხადებით **დ. კ.** დაშლილად გამოცხადდა. 1925 თბილისში გაიმართა **დ. კ**-ის წევრთა სასამართლო პროცესი. კ. ანდრონიკაშვილსა და მის თანამოაზრეებს ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მიუსაჯეს და რუსეთში გადაასახლეს.

ლიტ.: საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ. საბრალდებო დასკვნა, ტფ., 1925; ბენიძე ვ., 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბ., 1991; დიუგე რ., მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ., 1994; ზალდასტანიშვილი ს., საქართველოს 1924 წლის ამბოხება, მიუნხენი, 1956 (გამოც. მე-2, თბ., 1995); სულხანიშვილი ა., ჩემი მოგონებანი, თბ., 2007; Lang D. M., A Modern History of Georgia, L., 1962.

ვ. გურული.

დამპალა, აღგილი ქართლში, მუხრანის ველზე. ქართულ დოკუმენტურ წყაროებში XVI ს-იდან იხსენიება. 1669 დოკუმენტით

(,,წილკნის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელი'') სამუხრანბატონოში არსებული **დ.** წილკნის ეპარქიის სარგო ყოფილა. სამუხრანბატონოს **დ**-ს ვახუშტი ბატონიშვილი დამპალეთად იხსენიებს. 1945 **დ**-ს ვაზიანი ეწოდა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970; ტ. 8, თბ., 1973. *ზ. ცინცაძე.*

დამპალა, ისტორიული პუნქტი კახეთის სამეფოში. *ვახუშტი ბატონიშვილი* **დ**-ს ,,იორის მდინარისათჳს და მის ქვეყანათა'' აღწერისას ახსენებს. იორის პირას მდებარე **დ**-ში ყოფილა კახეთის მეფეთა სასახლე ,,საზამთროდ ნადირობისათჳს, არჩილ ა~მეფისამდე, კეთილს ადგილს, შუენიერს, წყაროიანსა''. ვახუშტი ბატონიშვილს **დ.** კახეთის სოფლების სიაში, როგორც დასახლ. პუნქტი, შეტანილი არა აქვს.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973. *ზ. ცინცაძე.*

დამპალეთი, სოფელი ქურთის მუნიციპალიტეტის ქურთის თემში (შიდა ქართლის მხარე), ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 1120 *მ.* ქურთიდან 9 *კმ,* ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 10 *კმ.* 106 მცხ. (1989).

დამპალო, დ ა მ პ ა ლ ო ს ხ ე ვ ი, თბილისსა და სამგორს შორის საავტომობილო მაგისტრალის დასაწყისში მდებარე ადგილის ადრინდ. პირობითი სახელწოდება. ამ ტერიტორიაზე ადრე პირუტყვის სასაკლაოები იყო და ანტისანიტარიის გამო მის მიდამოებში გახრწნილი ხორცისა და სისხლის მძაფრი სუნი იდგა (სახელწოდებაც აქედან მიიღო). სასაკლაოების მოშლის შემდეგ ეს ადგილები კეთილმოეწყო.



დამღა. ვერცხლის სასმისი ერეკლე II-ის გამოსახულებით.

დამფუძნებელი კრება ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი, იხ. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება.*

დამღა, 1. ხელოსნურ ნაწარმზე აღბეჭდილი ხელოსნის, სახელოსნოს მფლობელის ან ხელისუფლების წარმომადგენლის ნიშანი. ძვ. საბერძნეთში განსაკუთრებული ტვიფრით გამოწვამდე იდამღებოდა კერამ. ნაწარმი: კრამიტი, პითოსები და ამფორები. **დ.** ადასტურებდა, რომ ნაწარმი შეესაბამებოდა სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტს. ძვ. რომში იდამღებოდა კრამიტი, აგური, იშვიათად ამფორები და მაღალხარისხოვანი წითელლაკიანი კერამიკა. საქართველოში გათხრების დროს აღმოჩენილია ძვ. საბერძნ. სხვადასხვა ცენტრის (სინოპი, როდოსი და სხვ.) დამღიანი ამფორები და კრამიტი (ვანი, ფიჭვნარი, სოხუმი და სხვ.), აგრეთვე რომაული ლეგიონების დამღიანი აგური (ციხისძირი, ბიჭვინთა).

კერამ. ნაწარმზე გამოწვამდე დატანილი სხვადასხვა სახის ნიშნები საქართველოში გაჩნდა ანტ. ხანიდან. ასეთი ნიშნები აღმოჩენილია ძვ. წ. IV–III სს. კოლხურ ქვევრებზე (დაბლაგომი), ელინისტურ და გვიანდ. ანტ. ხანის კრამიტზე (ვანი, სამადლო, მცხეთა და სხვ.). ცალკეულ შემთხვევებში გვხვდება ბერძნულწარწერიანი ტვიფრით აღბეჭდილი **დ**-ებიც. ცნობილია ქ. დიოსკურიის დამღიანი ამფორა (ძვ. წ. II ს.) და ელინისტური ხანის სამეფო სახელოსნოს დამღიანი კრამიტი (ვანი). კრამიტის დადამღვა ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეებშიც. **დ**-ებზე, ჩვეულებრივ, დაქარაგმებული ასომთავრული წარწერებია. დამღიანი თიხის ჭურჭელი საქართველოში იშვიათია. შუა საუკუნეებში შედარებით ხშირად იდამღებოდა ქვევრები. ეს წესი შემორჩა ეთნოგრ. ყოფაშიც. ლითონის ნაწარმის დადამღვაც ძვ. დროიდანაა ცნობილი. ადრინდ. შუა საუკუნეებში ბიზანტიაში ლითონის სინჯის გარანტირების მიზნით იდამღებოდა ოქროსა და ვერცხლის ნივთები. XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დასაწყისში თბილისში არსებობდა სამეფო კარის საწარმო სახელოსნო, რ-ის ნაწარმზე საგანგებო **დ.** იყო დაკრული. საქართვ. მუზეუმებში დიდი რაოდენობითაა დაცული XIX ს. და უფრო გვიანდ. დამღიანი ლითონის ნივთები: ვერცხლის სარტყლები და ჭურჭელი, მოვერცხლილ-მოოქრული იარაღი (თოფები, ხმლები, სატევრები), რკინის ნამგლები, ცულები, წალდები, თოხები და სხვ. საქართველოში გავრცელებულ იარაღზე (თოფები, ხმლები) გვხვდება აგრეთვე სპარს., თურქ. და ევრ. **დ**-ებიც. სას.-სამ. იარაღს ჰქონდა მჭედლის გვარისა და სახელის ინიციალებიანი **დ.** ზოგიერთ მათგანზე გამოსახული იყო ცხოველის ან ფრინველის სხეულის ცალკეული ნაწილები (კურდღლის ფეხი და სხვ.), მზე და მთვარე. მჭედლის **დ.** თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

XIX ს-ში ხელოსნური ნაწარმის **დ.** ეკუთვნოდა თბილ. სადამღო პალატას და ,,საოქრომჭედლო სახელოსნოს''. ვერცხლისა და ოქროს ნაკეთობებზე, ჩვეულებრივ, აღბეჭდილი იყო ორი **დ.**: ერთზე ლითონის სინჯი იყო აღნიშნული, მეორეზე კი – ოსტატის ან საამქროს ნიშანი. ზოგჯერ სინჯიც და ოსტატის ნიშანიც ერთ **დ**-ზე იყო. 1804–32 თბილისში არსებობდა ოფიც. სადამღო დაწესებულება. 1848–86 სადამღო საქმეს განაგებდა ,,თბილისის საოლქო სინჯის პალატა'', 1886–96 – ,,თბილისის სინჯის პალატა'', ხოლო 1899–1917 – ამიერკავკ. საოლქო სამმართველო (იხ. აგრეთვე *სინჯი*). ოფიც. **დ**-თან ერთად არსებობდა ცალკეულ ოსტატთა **დ.**

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, [ტ.] 3–4, თბ., 1962; Русское золотое и серебряное дело XV–XX веков, М., 1967.

გ. გავრშიძე. გ. კიკნაძე. მ. მაკალათია.

2. მრგვალი ან ოთხკუთხა ფორმის პატარა ტვიფრი, რ-იც მონეტის რომელიმე მხარეს ისმება. ძვ. დროიდან დადამღვა სხვადასხვა მიზანს ემსახურებოდა: უცხო ფულის გადაქცევა სახელმწ. მონეტად, ლითონის ხარისხის გარანტირება, წინამორბედ მმართველთა ფულის გადაქცევა მოქმედ მონეტად და სხვ. საქართველოში მონეტების დადამღვის წესი გაჩნდა თამარ მეფის დროიდან (XII ს. ბოლო) და მოქმედებდა ლაშა-გიორგისა და რუსუდანის მეფობის დროსაც (XIII ს. 30-იანი წწ.). შემდეგ კვლავ განახლდა XVIII ს. დასაწყისში.

ლიტ.: ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი თ., საქართველოს მუზეუმის ქართულ და ბიზანტიურ მონეტებზე მოთავსებული დამღები, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1961, ტ. 22 B; П а х о м о в Е. А., Монеты Грузии, Тб., 1970. *ი. ჯალაღანია.*

დამღა, იხ. სტ. *თამღა.*

დამჩხრეულა, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ცხრამუხის თემში (შიდა ქართლის მხარე), მტკვრის შუა ხეობის ვაკეზე, მტკვრის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 700 *მ,* ხაშურიდან 6 *კმ.* 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

დამწვრლობა, მეტყველების ფიქსაცია გრაფიკულ ნიშანთა სისტემის საშუალებით. **დ**-ში გრაფ. ნიშნები მეტყველების ამა თუ იმ ელემენტის (მთელი გამონათქვამი, სიტყვა, მარცვალი, ბგერა) სიმბოლოებია. **დ**-ის ისტორიაში გამოყოფილია 5 ძირითადი საფეხური: 1. ხატოვანი ანუ პიქტოგრაფიული;

2. იდეოგრაფიული; 3. სიტყვიერ-მარცვლოვანი (ლოგოგრაფიულ-სილაბური); 4. მარცვლოვანი (სილაბური); 5. ანბანური.

პ ი ქ ტ ო გ რ ა ფ ი ა – ხატოვანი დ. – აზრის ფიქსაციის უძველესი საშუალებაა, იგი გულისხმობს აზრის გადმოცემას ნახატების საშუალებით. პიქტოგრამა აღნიშნავს კონკრეტულ საგანს, ხოლო მათი ჯგუფი – გამონათქვამის ზოგად აზრს. სისტემაში არ აისახება ენის ბგერითი სახე. მას დ-ს პირობითად უწოდებენ. პიქტოგრაფიული დ-ის ნიმუშები ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში: მესოპოტამიაში, სამხრ.-დას. ევროპაში, ამერიკასა და ციმბირის მკვიდრ მოსახლეობაში. მას იყენებდნენ ცენტრ. აფრიკისა და ავსტრალიის თანამედროვე ტომებიც.

ი დ ე ო გ რ ა ფ ი ა პიქტოგრაფიის მომდევნო საფეხურია. ამ სახის დ-ში ნიშანი (სახვითი ელემენტი) აღნიშნავს როგორც უშუალოდ საგანს, ასევე იდეებს. იდეოგრაფიულ დ-ში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გრაფ. სიმბოლოებიც.

იდეოგრაფიული დ-ის ნიმუშები დადასტურებულია ძვ. შუმერში (ძვ. წ. III ათასწლ.), ამერ. ინდიელთა ტომებში.

ლ ო გ ო გ რ ა ფ ი უ ლ - ს ი ლ ა ბ უ რ ი, ანუ სიტყვიერ-მარცვლოვანი დ. ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული სისტემა იყო. იგი ახლაც იხმარება ჩინეთში. მისი საფუძველია მრავალი მნიშვნელობის იდეოგრამა. სიტყვას უკავშირდება დეტერმინატივებითა და დამატებითი გრაფ. ნიშნებით, რებიც აღნიშნავენ ბგერით ერთეულებს. სიტყვასთან დაკავშირებულ იდეოგრაფიულ ნიშანს ლოგოგრამა ეწოდება. ლოგოგრაფიულ – სილაბურ დ-თაგან ცნობილია ძვ. ეგვიპტური (ძვ.წ. IV ათასწლ.), შუმერული (ძვ.წ. III ათასწლ.), პროტოელამური (ძვ.წ. III ათასწლ.), პროტოინდური (ძვ.წ. III ათასწლ.), ხეთური (ძვ.წ. II ათასწლ. შუა ხანებიდან).

ს ი ლ ა ბ უ რ ი, ანუ მ ა რ ც ვ ლ ო ვ ა ნ ი დ. ეწოდება ისეთ სისტემას, სადაც გრაფ. ნიშანი აღნიშნავს არა მთელ სიტყვას, არამედ ბგერით თანამიმდევრობას (მარცვალს). სილაბური დ. ორგვარი წარმოშობისაა. მათი ერთი ნაწილი ლოგოგრაფიულ-სილაბური სისტემის გამარტივების შედეგია, მეორე კი მიღებულია ე.წ. კონსონანტურ დ-ში გახმოვანების მეორეული სისტემის შემოტანით. სილაბური დ-ის სისტემები განსაკუთრებით გავრცელდა ინდოეთსა და სამხრ.-აღმ. აზიაში.

დ-ის ა ნ ბ ა ნ უ რ ი ს ი ს ტ ე მ ე ბ ი შეიცავს ბგერების (ფონემები, ალოფონები) აღმნიშვნელ ნიშნებს (ასოები). იგი სათავეს იღებს ძვ. სემიტური, ე. წ. კონსონანტური დ-იდან, რ-იც გავრცელებული იყო ძვ. წ. II ათასწლეულიდან ფინიკიაში, სირიასა და პალესტინაში. ფინიკიური დ-ის სათავეა ბიბლოსის სილაბური დ.; ფინიკიური დ. დაედო საფუძვლად წინააზიურსა (იხ. სტ. *არამეული დამწერლობა*) და ბერძნ. დ-ებს (ძვ. წ. IX ს.). ბერძნ. დ-ში გამოიყოფა 2 შტო: დასავლური და აღმოსავლური. დასავლურბერძნულმა დასაბამი მისცა ეტრუსკულ, ლათინურსა და ძვ. გერმანულ რუნულს. ლათ. დ. საფუძვლად დაედო ევრ. ხალხთა დ-ებს. აღმოსავლურბერძნულიდან განვითარდა კლასიკური, მოგვიანებით კი – ბიზანტ. ბერძნული.

ქართ. დ. წერის დამოუკიდებელი, ორიგინ. სისტემაა, რ-იც გადმოსცემს ქართ. მეტყველების ბგერით შემადგენლობას და ქმნის ეროვნ. ქართ. ენის წერილობითსა და ბეჭდვით ფორმას (იხ. სტ. *ქართული დამწერლობა*).

ლიტ.: გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე თ., წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, გამოც. მე-2, თბ., 1990; Д и р и н г е р Д., Алфавит, пер. с англ., М., 1963; И с т р и н В.А., Возникновение и развитие письма, М., 1965; Л о у к о т к а Ч., Развитие письма, пер.с чеш., М., 1950; G e l b I.J., A study of writing, rev.ed., Chi., 1963; J e n s e n H., Die Schrift in Vergangenheit und Gegenwart, 3. Aufl., B., 1969.

ვ. ახვლედიანი.

დამხმარე სკოლა, იხ. *სპეციალური სასწავლო დაწესებულებები ანომალიური ბავშვებისათვის.*

„დანამა“, ქართული ხალხური სიმღერა, ქალაქური მუს. ფოლკლორის დასავლური შტოს ერთ-ერთი ტიპური ნიმუში. გავრცელებული იყო ძვ. თბილისში. სრულდებოდა სამ ხმაში. მუს. ენა მაჟორულ-მინორული ჰარმონიის საფუძველზეა აგებული. XX ს. 20–30-იან წლებში კვლავ დიდი პოპულარობა მოიპოვა და დამკვიდრდა როგორც ყოფაში, ისე ესტრადაზე (სახელწ. „ჟუჟუნა წვიმა“). ჩაწერილი აქვს დ. არაყიშვილს კრებულში „ერთხმიანი და გუნდური ქალაქური სიმღერა“, 1946 (რუს. ენაზე).

ლიტ.: ქალაქური ქართული ხალხური სიმღერა, შემდგ. ა. მშველიძე, თბ., 1970.

ი. ჟორდანია.

დანამასტაკი (Pistacia lentiscus), მარადმწვანე ორსახლიანი პატარა ხე ან ბუჩქი თუთუბოსებრთა ოჯახისა. აქვს ორმაგფრთართული ფოთლები და მტევნებად შეკრებილი ყვავილები. გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთის მშრალსა და ქვიან ფერდობებზე, მაკვისში. საქართველოში ბუნებრივად არ იზრდება. მოშენებულია და კარგად ხარობს თბილისის, ბათუმის და სოხუმის ბოტან. ბაღებში. ნაყოფისაგან ხდიან ზეთს, რ-საც იყენებენ საკვებად და ტექნიკაში.

დანაშაული, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება (საქართვ. სისხლის სამართ. კოდ., მ. 7). დ-ის **პ ი რ ვ ე ლ ი** ნიშანია ისეთი ქმედება, რ- იც სისხლის სამართ. კანონით დანაშაულად იყო გამოცხადებული, ვიდრე მას ადამიანი ჩაიდენდა. დ-ის მ ე ო რ ე ნიშანია მართლწინააღმდეგობა. დ-ად გამოცხადებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება ზოგჯერ შეიძლება ისეთ ვითარებაში იყოს ჩადენილი, რ-იც მის მართლწინააღმდეგობას გამორიცხავს (მაგ., აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა). დ-ის მ ე ს ა მ ე ნიშანია *ბრალი,* რ-იც გულისხმობს ადამიანის გაკიცხვას ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო, მაგრამ კანონით აღწერილი ზოგიერთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მართლწინააღმდეგობის მსგავსად, გამორიცხავს ბრალს, ე. ი. გაკიცხვის შესაძლებლობას. ასეთია მაგ., შეურაცხაობა ასაკისა თუ ფსიქიკური დაავადების გამო (საქართვ. სისხლის სამართ. კოდ., მმ. 33, 34).

დ. იყოფა სამ კატეგორიად: 1. ნ ა კ ლ ე ბ ა დ მ ძ ი მ ე დ. ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დ., რისთვისაც კოდექსით დაწესებული სასჯელი არ აღემატება 5 წლით თავისუფლების აღკვეთას. 2. მ ძ ი მ ე დ. – ისეთი განზრახი დანაშაული, რისთვისაც კოდექსით დაწესებული სასჯელი არ აღემატება 10 წლით თავისუფლების აღკვეთას; აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რისთვისაც დაწესებულია 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა. 3. გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ მ ძ ი მ ე დ. – ისეთი განზრახი დ., რისთვისაც დაწესებულია 10 წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა (საქართვ. სისხლის სამართ. კოდ., მ. 12).

ძვ. ქართ. სამართალში დანაშაულებრივ ქმედებას სხვადა-



ა. ნ. დანელია.

სხვა ტერმინით გამოხატავდნენ. ნებადართული მოქმედების საზღვრის დარღვევა კანონისა თუ წესის ,,გარდასვლად'' და ,,გარდაჭდომად'' იყო მიჩნეული. თვით საქციელს, რ-იც კანონ-წესების ,,გარდალახვას'' წარმოადგენდა, ზოგადად ,,გარდამავლობითი მოქმედება'' ერქვა. დ-ის მნიშვნელობით დიდი ხნის განმავლობაში იხმარებოდა ,,ბრალი'', ,,შეცოდება'' და ,,ცოდვა'', რ-ებიც დანაშაულებრივ ქმედებას უფრო ზნეობრივ-სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ახასიათებდა. საკუთრივ ტერმ. ,,დ.'' XVII–XVIII სს-ში დამკვიდრდა. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, ,,დ.'' არის ,,შეცოდება, ესე იგი... შავად ქმნა საქმისა''. იმ უკანონო საქციელის გამოსახატავად, რ-იც უმოქმედობას მოყვებოდა, მიღებული იყო ,,უდებებაჲ'', უგულებელყოფაჲ საქმისაჲ'' და ,,მიშვება''. დადგენილი წესრიგის დამრღვევს ერქვა კანონისა და წესების ,,გარდამავალი''. დამნაშავის აღსანიშნავად იხმარებოდა ,,შეცოდებული'', ,,ბოროტის მოქმედი'' და ,,ძჯრისმოქმედი''.

დ-ის სირთულესა და მრავალსახეობაზე ჯერ კიდევ *ექვთიმე მთაწმიდელი* მიუთითებდა (მცირე სჯულისკანონი, ე. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1972, გვ. 82). დანაშაულებრივ ქმედებათა კლასიფიკაციის აღმნიშვნელი ტერმინი იყო ,,განყოფილებაჲ ბრალთაჲ''. ქართ. იურიდ. მწერლობას შეთვისებული ჰქონდა დანაშაულობათა სამ ჯგუფად დანაწილების ჩანასახოვანი სისტემა. ცალკეული ჯგუფებისათვის განსაკუთრებული ტერმინი არ არსებობდა. ჯგუფებად დანაწილება ემყარებოდა ბრალეულობის შედარებით სიმძიმე-სიმსუბუქეს. ექვთიმე მთაწმიდელის დებულებანი ისეთ რთულ და მძიმე დ-ზე, როგორიცაა მკვლელობა, მიჩნეულია ზოგად მოძღვრებად არა მარტო საკუთრივ ამ ბოროტმოქმედების, არამედ საერთოდ დანაშაულებრივი ქმედების შესახებ.

ლიტ.: ა ბ უ ლ ა ძ ე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973; გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე ო., სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989; წ ე რ ე თ ე ლ ი თ., ტ ყ ე შ ე ლ ი ა ძ ე გ., მოძღვრება დანაშაულზე, [ტ.]1, თბ., 1969; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 2, თბ., 1984 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 7).

ო. გამყრელიძე. ი. ფუტკარაძე.

დანახვისი, წმ. გიორგის ეკლესია ქართლში, ატენის ხეობაში. ამ ეკლესიაზე ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ცნობით: ,,დანახვისი დგას მაღალს მთასა ზედა, ეკლესია წმიდის გიორგისა, მჭურეტი ქართლისა''. ეკლესია თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით, დარბაზულია (6 *მ* × 3,6 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: მთლიანად ჩამონგრეულია კამარა და კონქი, ჩამორეცხილია შელესილობა. სამხრეთიდან აქვს გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელი. ნალისებრი აფსიდის ღერძზე არის შიგნიდან თაღოვანი და გარედან ოთხკუთხა სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. ერთი ოთხკუთხა სარკმელი სამხრ. კედლის ზედა ნაწილშიცაა. ეკლესიას სამხრ-იდან, მთელ სიგრძეზე, ეკვრის მინაშენი, რ-საც კამარა მთლიანად ჩამოქცეული აქვს. ეკლესიას სამხრ-ით და აღმ-ით მცირე ზომის ბაქანი აქვს. დას. ფასადზე კედლის გასამაგრებლად მიშენებულია ოვალური კონტრფორსი.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973. *ზ. ცინცაძე.*

დანგი (არამეულად – მარცვალი), შუა საუკუნეებში ფულისა და მასის ერთეული ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებსა და საქართველოში. ქართ. წყაროებში დ., როგორც ფულის ერთეული, ცნობილია IX ს-იდან, ხოლო როგორც მასის ერთეული – XI ს-იდან. ქართ. ზომათა სისტემაში დ. უდრიდა *დრამის* მეოთხედს, XVII ს-მდე – 0,74 *გ*, ხოლო XVII–XVIII სს-ში – 0,77 *გ*.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგ. 3, ნაკვ. 3–ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, თბ., 1996 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ.9); ჯ ა ფ ა რ ი ძ ე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX–XIX სს.), თბ., 1973.

გ. ჯაფარიძე.

დანდალო, დ ო ნ დ ა ლ ო, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტში (აჭარის არ), აჭარის ქვაბულში, მდ. აჭარისწყლის მარცხ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: დ., ბალაძეები, გოგიაშვილები, მოსიაშვილები, ტაკიძეები, ხარაულა, ჯალაბაშვილები). ზ. დ. 720 *მ*, ქედიდან 19 *კმ*. 485 მცხ. (2002).

დ. პირველად მოხსენიებულია სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სამრევლოების აღწერილობათა წიგნში (XVI ს.). სოფლის მახლობლად, მდ. აჭარისწყალზე, შემონახულია ძვ. ქვის თაღოვანი ხიდი, რ-იც სამშ. ხელოვნების მიხედვით, XI–XII სს. ხიდების ტიპისაა. მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროდან ახალციხეში მიმავალ ძველ დიდ მაგისტრალზე. რუს. ხელისუფლებამ აქ ბათუმი – ახალციხის გზატკეცილი გაიყვანა და ძვ. ხიდის გვერდით ააშენა დიდი რკინის ხიდი (ამჟამად გაუქმებულია და მის ქვემოთ, 300 *მ*-ში, აგებულია ახ. ხიდი). დ-ს ძვ. ხიდი ქართ. სახიდე-სამშ. ხელოვნების უნიკალური ძეგლია. მდინარეზე გადასული მსუბუქი და თხელი მალის სიგრძეა დაახლ. 20 *მ*, სიგანე – 3,3 *მ*, ხიდის სიმაღლე თაღის ზედამდე – 14 *მ*. ნაგებია ადგილ. კირქვითა და კირის დუღაბით. ორივე ბურჯი დადგმულია კლდეზე, რაც მას ძირის გამორეცხვისაგან იცავს. ხიდი მოქმედია. მის აღმ-ით, მაღალ კლდეზე, შუა საუკ. ციხის ნანგრევებია. მოსახლეობა მას კავიანის ციხეს ეძახის.

ლიტ.: კ ვ ე ზ ე რ ე ლ ი-კ ო პ ა ძ ე ნ., საქართველოს ძველი ხიდები, თბ., 1972.

ი. სიხარულიძე.

დანდური (Portulaca), ბალახოვან მცენარეთა გვარი დანდურისებრთა ოჯახისა, აერთიანებს 240-ზე მეტ სახეობას, რ-ებიც გავრცელებულია დედამიწის ორივე ნახევარსფეროს ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. საქართველოში გვხვდება 1 სახეობა – P. oleracea, რ-იც გავრცელებულია უმთავრესად მთის ქვედა სარტყლის დანაგვიანებულ ადგილებსა და მდინარეთა ნაპირებზე. დ. ერთწლოვანი მცენარეა, აქვს მიწაზე გართხმული, იშვიათად წამოწეული, ხშირად ძირიდანვე დატოტვილი ხორცოვანი ღერო და ფოთლები, წვრილი ყვითელი ყვავილები. აბეზარი სარეველაა. ნორჩი ღეროსა და ფოთლებისგან ამზადებენ მხალსა და მწნილს.

მ. გურგენიძე.

დანდუროვი მესროპ ივანეს ძე [29. V(11. VI). 1900, სოფ. ახალქალაქი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 2. V. 1964, თბილისი], სპეციალისტი მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის დარგში. სსრკ მშენებლობისა და არქიტ. აკად. წ.-კორ. (1957), ტექ. მეცნ. დოქტორი (1947), პროფესორი (1948), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1955). 1928 დაამთავრა კიევის პოლიტექ. ინ-ტი. 1944–59 ხელმძღვანელობდა თბილ. რკინიგზის ტრანსპ. ინჟინერთა ინ-ტს, 1959–64 – საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის გვირაბების კათედრას. II მსოფლიო ომისა და მის შემდგომ პერიოდში მონაწილეობდა გვირაბების აღდგენით სამუშაოებში. მისი სახელმძღვანელო ,,გვირაბე-

ბი‘‘ თარგმნილია რამდენიმე უცხო ენაზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: მეტროპოლიტენები, ტ. 1–2, თბ., 1954–60; Тоннели на путях сообщения, 2-е изд., М., 1947; Тоннели, М., 1952. *ზ. წილოსანი.*

დანელია ამირან იოსების ძე (15. III. 1923, ფოთი, – 6. II. 1979, იქვე), საბჭოთა კავშირის გმირი (10. IV. 1945). გვარდიის უფროსი სერჟანტი (მსროლელი-მეტყვიამფრქვევე). 1939 დაამთავრა ფოთის საზღვ. სასწავლებელი. 1942 ივნისიდან მოქმედ არმიაში იყო. ბერლინის შტურმის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. დემობილიზაციის (1947) შემდეგ მუშაობდა ფოთში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

დანელია ანა ნიაზის ასული (დ. 13. X. 1975, სოფ. ლეხაინდრავო, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (2002). დ-მ ადრევე გამოავლინა განსაკუთრებული მათ. ნიჭი, უკვე 18 წლის ასაკში ჰქონდა მიღებული სამეცნ. შედეგი რიცხვთა თეორიაში, ხოლო ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორის ხარისხი მიენიჭა 27 წლის ასაკში. 1997 დაამთავრა თბილისის სახელმწ. უნ-ტის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი. 1999–2006 იყო საქართველოს ტექ. უნ-ტის თანამშრომელი, 2006-იდან თბილისის სახელმწ. უნ-ტის ასისტენტ-პროფესორია. მისი სამეცნ. შრომები ეძღვნება ჰარმონიული ანალიზის პრობლემებს, კერძოდ, შეუღლებულ ფუნქციებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს.

დანელია ბათუ (ბართლომე) ბარნაბას ძე (დ. 20. VIII. 1950, სოფ. ზანათი, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი), პოეტი, მთარგმნელი. დაამთავრა მოსკ. მ. გორკის სახ. ლიტ-რის ინ-ტი (1987). პირველი კრებული ,,ქალაქი ფრთებქვეშ‘‘ 1982 გამოიცა. დ. ავტორია ლექსთა კრებულებისა: ,,წყნარი ქუჩა‘‘ (1986), ,,ტიხარი‘‘ (1987), ,,მარტოობის ზამთარი‘‘ (1997), ,,მთვარის დღესასწაული‘‘ (2003), ,,შეშლილი ვარსკვლავები‘‘ (2006), ,,მერვე ბგერა‘‘ (2008). დ-ს პოეზია გამოირჩევა ინტონაციური მრავალფეროვნებით, იცავს პოეტური ფიქრისა და ლექსის ნოვაციური ფორმების ერთიანობას. თარგმნა ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ა. ახმატოვას, გ. აპოლინერის, გ. ბენის, ე. პოსა და სხვათა ლექსები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თარგმანები ცნობილი რუსი პოეტის ი. ბროდსკის ლექსების კრებულებისა: ,,მოგესალმებით არსაიდან‘‘ (1993), ,,ბროლის კუნძული‘‘ (2010) და ბ. პასტერნაკის პოეტური ციკლისა ,,იური ჟივაგოს ლექსები‘‘ (2009).

დ-ს ლექსები თარგმნილია უცხოურ ენებზე. 2005 დ-ს მიენიჭა ვაჟა-ფშაველას პრემია. 2009 პოეტური კრებულისათვის ,,Mirabilis Vita‘‘ მიღებული აქვს პრემია ,,საბა‘‘. 2011 მიენიჭა გ. ტაბიძის სახ. პრემია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).

ნ. კუპრეიშვილი.

დანელია გიორგი (გია) ნიკოლოზის ძე (დ. 25. VIII. 1930, თბილისი), კინორეჟისორი. სსრკ სახ. არტისტი (1989). დაამთავრა მოსკ. არქიტ. ინ-ტი (1955) და ,,მოსფილმთან‘‘ არსებული უმაღლესი სარეჟისორო კურსები (1958). 1958-იდან დ. ,,მოსფილმის‘‘ წამყვანი რეჟისორია, იქ გადაიღო მხატვრული ფილმები: ,,სერიოჟა‘‘ (1960, ი. ტალანკინთან ერთად. ფილმმა და მისმა რეჟისორმა დ-მ 40-მდე პრემია მოიპოვა სხვადასხვა საერთაშ. კინოფესტივალზე, მ.შ. კანში პირველი პრემია – ,,ოქროს დაფნის რტო‘‘; კარლოვი-ვარში – დიდი პრიზი ,,ბროლის გლობუსი‘‘; მექსიკაში – პრიზი ,,პალენეკეს ოქროს თავი‘‘; ინგლისში, კანადასა და საფრანგეთში – სპატიო დიპლომები; ამერ. პრესის სპეც. პრიზი და სხვ.), ,,გზა ნავსაყუდელისაკენ‘‘ (1962), ,,დავდივარ მოსკოვის ქუჩებში‘‘ (1963; სპეც. პრიზი კანის XVII საერთაშ. კინოფესტივალზე; I პრემია მილანში, პრიზები ედინბურგსა და ჩეხოსლოვაკიაში გამართულ საერთაშ. კინოფესტივალებზე), ,,ოცდაცამეტი‘‘ (1965), ,,არ იდარდო!‘‘ (1969; კინოსტუდია ,,ქართულ ფილმთან‘‘ ერთად, სპეც. პრიზი ,,კონდორი‘‘ მარ-დელ-პლატის X საერთაშ. კინოფესტივალზე; პრემია კარტახენის X საერთაშ. კინოფესტივალზე), ,,მთლად წყალწაღებული‘‘ (1973; პრიზი ,,ოქროს პალმის შტო‘‘ კანის საერთაშ. კინოფესტივალზე და პრიზი ესპანეთში საერთაშ. კინოფესტივალზე), ,,აფონია‘‘ (1975), ,,მიმინო‘‘ (1977; სსრკ სახელმწ. პრემია, 1978; ოქროს დიდი პრიზი მოსკ. X საერთაშ. კინოფესტივალზე; ოქროს პრიზი იტალიაში XIX საერთაშ. კინოფესტივალზე), ,,საშემოდგომო მარათონი‘‘ (1979; მთავარი პრიზი ,,ოქროს დიდი ნიჟარა‘‘ სან-სებასტიანის XXVII საერთაშ. კინოფესტივალზე; რსფსრ სახელმწ. პრემია, 1981), ,,ცრემლის ღვარი‘‘ (1982), ,,ქინ-ძა-ძა‘‘ (1986), ,,პასპორტი‘‘ (1991), ,,ფორტუნა‘‘ (2000) და სხვ.

დ-ს შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ლირიზმი, პოეტურობა, დახვეწილი იუმორი. იგი თითქმის ყველა თავისი ფილმის სცენარის ავტორი ან თანაავტორია. მასვე ეკუთვნის ,,იღბლიანი ჯენტლმენების‘‘ სცენარი. დ.



გ. ნ. დანელია.



გ. ნ. დანელია. კადრი ფილმიდან ,,არ იდარდო‘‘.

წლების მანძილზე რექისურის ხელოვნებას ასწავლიდა საკავშ. კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტში. იყო ,,მოსფილმის'' კომედიური და მუს. ფილმების შემოქმედებითი გაერთიანების სამხატვრო ხელმძღვანელი, საკავშ. სახკინოსთან არსებული უმაღლესი სარეჟისორო კურსების პედ. საბჭოს თავ-რე.

თხზ.: Безбилетный пассажир, М., 2003; Тостуемый пьет до дна, М., 2005.

ა. გვენცაძე.



გ. ს. დანელია.

დანელია გიორგი სერგის ძე (დ. 25. IV. 1923, თბილისი), პათოლოგანატომი. სამეანო-გინეკოლოგიური მორფოლოგიის და პერინატალური პათოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი (1978), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1990). 1946 დაამთავრა თბილ. სამედ. ინ-ტი და ჩაირიცხა ასპირანტურაში. 1947-იდან მუშაობს კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, სადაც 1950-იდან განაგებს პათომორფოლოგიის განყ-ბას. იმავდროულად 1969–90 ხელმძღვანელობდა ქ. თბილისის ცენტრ. პათომორფოლოგიის ლაბორატორიას; 1970–85 საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მთ. სპეციალისტია (ნეონატოლოგ-პათოანატომი). შეისწავლის ნაყოფისა და ახალშობილის ცენტრ. ნერვული სისტემისა და ფილტვების პათოლოგიას, ქალის ჰორმონულ პათოლოგიასა და ორსულთა სიკვდილის მიზეზებს.

1962–88 გამოქვეყნებულ ნაშრომთა ციკლისათვის –,,თრომბოჰემორაგიული სინდრომის თეორიის შექმნა, აღნიშნული სინდრომის პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდების შემუშავება და მათი კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვა'' მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1990). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

თხზ.: Некоторые количественные морфологические характеристики структурных перестроек в органах плодов и новорожденных, Сборник материалов симпозиума морфологического и математического моделирования патологических процессов, Кутаиси, 1980.

დანელია კორნელი დავითის ძე (15. VI. 1934, სოფ. ნაჯახავო, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 28. IX. 1997, თბილისი), ფილოლოგი, ენათმეცნიერი, ტექსტოლოგი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1979), პროფესორი (1981). დაამთავრა ქუთ. სახელმწ. პედ. ინ-ტის ფილოლ. ფაკ-ტი. 1958–59 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინ-ტში. 1963-იდან სამეცნ. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თსუ-ის ძველი ქართული ენის კათედრაზე (1987-იდან ამ კათედრის გამგე). 1988-იდან იყო თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტის დეკანი. დ-ს გამოკვლევები ეხება ძველი ქართული ენის, მეგრულ-ჭანურის, ქართ. სალიტ. ენის ისტორიის, ბიბლიური წიგნთა ქართ. თარგმანების რაობის, გენეზისის, მათში უცხოენოვანი ელემენტების გამოვლენის საკითხებს. აღსანიშნავია მისი წვლილი ძველი ქართული ენის ძეგლების კრიტიკულად გამოცემასა და შესწავლაში. მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. *ყიფშიძის* თხზულებათა ერთტომეულს (1994).

თხზ.: ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983; იოსებ ყიფშიძე – ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა, თბ., 1985; აკაკი შანიძე. ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1987 (თანაავტ. ზ. სარჯველაძე).

გამოც.: პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული ვერსიები, თბ., 1974 (თანაავტ. ქ. ძოწენიძე); ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი. ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები (ტექსტი, ლექსიკონი, გამოკვლევა), ტ. 1, ნაწ. 1–2, თბ., 1987–92; ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები ქართული თარგმანითურთ, ტ. 2, თბ., 1991 (თანაავტ. ა. ცანავა); იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები (ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი), თბ., 1992. *ზ. სარჯველაძე.*

დანელია ნიკოლოზ დიმიტრის ძე [1(14). X. 1912, ფოთი, – 27. IV. 1982, მოსკოვი], ინჟინერი, მოსკოვის მეტროს მშენებლობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, რსფსრ დამს. მშენებელი (1977), საპატიო რკინიგზელი (1972). ცნობილი კინორეჟისორის გ. *დანელიას* მამა. 1928 დაამთავრა მოსკ. რკინიგზის ტრანსპ. ინჟინერთა ინ-ტი. 1932 მუშაობა დაიწყო მოსკ. მეტროს მშენებლობაზე შახტის უფროსად. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. 1951-იდან იყო მოსკ. მეტროს მშენებლობის მთ. ინჟინერი, მშენებლობის უფროსის მოადგილე. მუშაობდა აგრეთვე სსრკ სატრანსპ. მშენებლობის სამინისტროში. დიდი წვლილი მიუძღვის თბილ. მეტროს მშენებლობაში. მისი ხელმძღვანელობით წამყვანი სპეციალისტების ჯგუფმა დაადგინა თბილისში მეტროს მშენებლობის მიზანშეწონილობა. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

გ. ჯავრიშვილი.

დანელია ნიკოლოზ თედორეს ძე [15(28). IX. 1905, სოფ. ლეხაინდრავო, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 27. IX. 1977, თბილისი], ჰიდროტექნიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1960), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1967). 1931 დაამთავრა ამიერკავკ. საინჟ.-მელიორ. ინ-ტი თბილისში და იქვე დაიწყო მუშაობა. 1932–38 მუშაობდა მოსკოვში ჰიდროტექ. და მელიორ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში უფრ. მეცნ. თანამშრომლად, 1938–45 – ნორილსკის სამთო მეტალ. კომბინატში (1942-იდან ამ კომბინატის წყალმომარაგების პროექტის ავტორი და მთ. ინჟინერი), 1945–48 იყო ბულაჩაურის წყალსადენის სისტემის მშენებლობის მთ. ინჟინერი. 1948–61 ხელმძღვანელობდა საქართვ. ჰიდროტექ. და მელიორ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ჰიდროტექ. ლაბორატორიას. 1962–76 იყო საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ჰიდრავლიკურ და ჰიდროტექ. ნაგებობათა კათედრის გამგე, ხოლო 1976-იდან გარდაცვალებამდე – ამავე ინ-ტის ჰიდრავლიკის და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის კათედრის გამგე. მისი შრომები უმთავრესად ეხება წყალმიმღებ ნაგებობათა მშენებლობის საკითხებს. საქართველოში სარწყავი სისტემების მშენებლობის ინდუსტრიალიზაციისათვის სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1971). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ჰიდრავლიკა (სახელმძღვანელო), თბ., 1972; Водозаборные сооружения на реках с обильными донными наносами, М., 1964; Новые водозаборные сооружения и водохранилища на горных и предгорных участках рек, М., 1975 (თანაავტ.).

დანელია რევაზ ვალერიანის ძე (5. V. 1947, სოფ. ლეხაინდრავო, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 3. III. 2008, თბილისი), მათემატიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2001). 1968 დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი მათემატიკის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო თსუ-ის ი. ვეკუას სახ. მათ. ინ-ტში მეცნ. თანამშრომლად. 1971–96 პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა საქართვ. ტექ. უნ-ტის მათემატიკის კათედრაზე. 1981–84 მივლინებული იყო მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწ. უნ-ტში დრეკადობის თეორიის კათედრაზე. 1996-იდან პედაგოგიური საქმიანობა გააგრძელა საქართვ. აგრარულ უნ-ტში. იყო უმაღლესი მათ. და თეორ. მექანიკის კათედრის გამგე.

დ-ს მეცნ. კვლევის ძირითადი სფეროა ჰიდროტექნიკა, კერძოდ, მელიორაცია. მან დაადგინა სამელიორაციო ჰიდროკვანძების კაშხლის ზედაპირზე მიწისძვრით წარმოქმნილი ჰიდროდინამიკური წნევები, წყალსაცავის ფსკერზე გრუნტში გავრცელებული სეისმური ტალღის გათვალისწინებით. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სახელმძღვანელო და მონოგრაფია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

დანელია სერგი იოსების ძე [15(27). X. 1888, სოფ. ნაჯახავო, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 20. III. 1963, თბილისი], ფილოსოფოსი და ლიტერატურათმცოდნე. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1927), პროფესორი (1930), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1944). დაამთავრა მოსკ. უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტის ფილოს. განყ-ბა (1911). პედ. მოღვაწეობას ეწეოდა ხერსონის (1911–12), ფოთის (1912–14), მიხაილოვოს (ახლანდ. ხაშური) (1914–15), ახალციხის (1915–17) გიმნაზიებში. ასწავლიდა რუს. ენასა და ლიტ-რას, ლათინურსა და ისტორიას. 1927 თსუ-ში შემოიღეს რუს. ლიტ-რის ისტორიის კურსი, რ-ის წაკითხვა დ-ს დაევალა. მან პირველმა წაიკითხა ასევე პედ. და პედ. მოძღვრებათა ისტ. კურსები. 1922 თსუ-ის ფილოს. ისტ. კათედრაზე მიიწვიეს ფილოს. დისციპლინათა მასწავლებლად. 1933–47 ხელმძღვანელობდა თსუ-ის რუს. ლიტ-რის ისტორიის კათედრას. 1949 ბრალად დასდეს კოსმოპოლიტობა და უნ-ტიდან დაითხოვეს. 1954 მუშაობა დაიწყო ფილოს. ინ-ტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ – უნ-ტში რუს. ენის მასწავლებლად. მისი ფილოს. კვლევის ძირითადი სფერო იყო ანტ. ფილოს. წინასოკრატული ხანა. ანტ. ფილოსოფიის ისტორიას იგი ყოფს კოსმოლოგიურ და ანთროპოლოგიურ პერიოდებად. კოსმოლოგიურ პერიოდში დასმული იყო ყოფიერების, ბუნებისა და სუბსტანციის საკითხები, ანთროპოლოგიურში – ადამიანის ღირებულების საკითხი.

დ-ს მსოფლმხედველობა ორიენტირებულია ღირებულების ფილოსოფიაზე. ახ. ფილოსოფიაში ამ ხაზით განიხილავდა ჟ.-ჟ. რუსოს, კ. ა. ჰელვეციუსისა და ი. კანტის მოძღვრებებს. მას შემუშავებული ჰქონდა მეცნ. ფილოს. ისტორიის აგების პრინციპები: განხილვის ობიექტურობა, ისტ. მასალის იმ თავისთავად ღირებულებათა შემეცნება, რ-ებიც ამოძრავებდნენ განსახილველ ეპოქას და ამ ეპოქის მოაზროვნეებს; მემკვიდრეობითობის დადგენა ისტ. სისტემებს შორის; ფილოს. ისტორიის განხილვა იმანენტურ კანონზომიერებათა შუქზე და წინასოკრატული ფილოს. წყაროთა კრიტიკის მიმართ ისტ.-ფილოლ. მეთოდის გამოყენება. დ-ს ნაშრომი ,,ნარკვევები XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიიდან'' (1936) გასული საუკუნის რუს. ლიტ-რის ისტ. პირველი სისტემ. კურსია ქართ. ენაზე (4 გამოცემა). ცალკეული გამოკვლევები მიუძღვნა ა. პუშკინის, ა. გრიბოედოვის, მ. ლერმონტოვის, ნ. გოგოლის, ი. ტურგენევის, ლ. ტოლსტოისა და სხვა რუსი მწერლების შემოქმედებას. მის შრომებში მოცემულია რუს. ლიტ-რის ზოგიერთი თვალსაჩინო ძეგლის ორიგინ. ფილოს.-სოციოლოგიური ინტერპრეტაცია. თარგმნა გ. ლაიბნიცის ,,მონადოლოგია'' (1940), არისტოტელეს ,,პოეტიკა'' (1944), დეკარტის ,,მეტაფიზიკური განაზრებანი'' (1955), დაუმთავრებელი დარჩა ბ. სპინოზას ,,ეთიკა'' (ინახება მისსავე არქივში) და სხვ. დასაფლავებულია ქართვ. მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში (დემოკრიტე), ტფ., 1925 (მე-2 გამოც., თბ., 1933); ქსენოფანე კოლოფონელის მსოფლმხედველობა, ტფ., 1925 (გარეკანზე: 1926); ანტიკური ფილოსოფია სოკრატის წინ, ტფ., 1926; ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი, თბ., 1927; სოკრატეს ფილოსოფია, ტფ., 1935 (გარეკანზე: 1936); ნარკვევები XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1936; კანტის ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა, თბ., 1977; ნარკვევები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში, თბ., 1978; ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები, თბ., 1983; Философские исследования, Тб., 1977; Очерки из истории античной и новой философии,Тб., 1986.

ლიტ.: კ ა რ ტ ო ზ ი ა ბ., სერგი დანელია, თბ., 1970 (გამოც. მე-2, თბ., 1989); კ ა რ ტ ო ზ ი ა ბ., კ ე კ ე ლ ი ა ი., სერგი დანელიას ეროვნული მრწამსი, თბ., 2008; კ ო დ უ ა ე., სერგი დანელია, თბ., 1975; უ რ ი დ ი ა ბ., მეოცე საუკუნის ქართული ფილოსოფიის ისტორიიდან, თბ., 1986. *ე. კოდუა.*

დანიბეგაშვილი ალექსანდრე იაკობის ძე (XIX ს. 20-იანი წწ. – 90-იანი წწ.), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1882). ირიცხებოდა კავკ. არმიაში. 1871 მიენიჭა გენ.-მ. წოდება. 1874–78 იყო თერგის კაზაკთა ჯარის მე-2 სამხ. განყ-ბის ატამანი. კაზაკთა ჯარის სხვადასხვა ბრიგადის მეთაური. მონაწილეობდა ყირიმისა (1853–56) და რუს.-ოსმ. ომებში (1877–78).


დაჯილდოებულია წმ. გიორგის, წმ. ანას, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით, ოქროს ხმლით ,,მამაცობისათვის''.

დანიბეგაშვილი რაფიელ იოსების ძე (1778, თბილისი, – XIX ს. 30-იანი წწ.), მოგზაური, გავლენიან ვაჭარ-დიპლომატთა გვარეულობის შთამომავალი. დ-ის პაპა (რაფიელი) ქართლის მეფე თეიმურაზ II-ს ემსახურებოდა, მამა (იოსები) ერეკლე II-ის საიდუმლო დიპლ. მისიას ასრულებდა ინდოეთში (მადრასში) მცხოვრებ სომეხ ვაჭარ შაამირიანთან. ერეკლე II-მ მას დიდი დამსახურებისათვის აზნაურის წოდება და სახელმწ. ჯამაგირი უბოძა, რაც მემკვიდრეობით რაფიელზე გადავიდა (1799). პირველად იგი 17–18 წლის ასაკში გაჰყვა მამას. მომავალმა მოგზაურმა შეისწავლა თურქ., სომხ. და სხვა ენები. დ-ების ოჯახს სახლები და მამულები ჰქონდა თბილისსა და მის მიდამოებში, კერძოდ ახლანდ. ვერის ტერიტორიაზე, ლურჯი მონასტრის შემოგარენში.



ს. დანელია.

დ-მა სხვადასხვა მისიით ხუთჯერ (1795–96, 1797–98, 1799–1814, 1815–20, 1822–27) იმოგზაურა აზიის ქვეყნებში: ინდოეთში (რამდენჯერმე), ბირმაში, ოსმალეთში, ერაყში, ჩინეთში, ავღანეთში, ირანში და სხვ., აქედან ორჯერ – მეფე ერეკლე II-ის, ერთხელ – მეფე გიორგი XII-ის დავალებით. 1815 მოსკოვში რუს. ენაზე გამოიცა მესამე, 15-წლიანი მოგზაურობის ამსახველი წიგნი („Путешествие в Индию грузинского дворянина Рафаила Данибегова''), რ-ის ქართ. დედანი დაკარგულია. ტექსტი თარგმნილია დ-ის უშუალო მონაწილეობით, ამას იგი თვითონვე გვამცნობს რუს. იმპ. ალექსანდრე I-ის სახელზე წამძღვარებულ მიმართვაში. ნაშრომში გამოვლენილია ავტორის დიდი დაკვირვების უნარი და აღსაწერი ობიექტების ღრმა ცოდნა; მოცემულია გეოგრ. და ისტ. ცნობები ინდოეთის შესახებ (ბუნება, მოსახლ. ზნე-ჩვეულებანი, ინდოელთა ბრძოლა ინგლ. დამპყრობთა წინააღმდეგ). იგი დეტალურად აღწერს აზიის ხალხთა ხუროთმოძღვრულ ძეგლებს – საცხოვრ. სახლებს, სასახლეებს, ტაძრებს, ციხესიმაგრეებს. მოგზაურობის დროს დ-მა სამჯერ გადაკვეთა ჰი-





ჰ. დანიელიანი.



ჰ. დანიელიანი. ანუში, ა. ტიგრანიანის ოპერა ,,ანუში‘‘.

მალაისა და ყარაყორუმის უმაღლესი ქედები, ტიბეტის ზეგანი, კაშგარის ვაკე. რუსეთის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის მას ,,გუბერნსკი სეკრეტარის‘‘ ჩინი უბოძეს.

დ-მა მოგზაურობაში გაატარა 30 წელზე მეტი, გაიარა დაახლ. 70 ათ. *კმ*, აღწერა 10-ზე მეტი სახელმწიფო. მოგზაურობაში გატარებული დროის მიხედვით იგი უტოლდება ისეთ გამოჩენილ მოგზაურებს, როგორებიც იყვნენ ევლია ჩელები, დ. ლივინგსტონი და იბნ ბატუტა.

გამოც.: მოგზაურობა ინდოეთში, ს. იორდანიშვილის გამოც., თბ., 1950; თვრამეტი წელი აზიის ქვეყნებში, ლ. მარუაშვილის გამოც., თბ., 1963; ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში, გ. ზარდალიშვილის გამოც., თბ., 1971; Путешествие Рафаила Данибегашвили, изд. Л. Маруашвили, М., 1961; Путешествие Рафаила Данибегашвили в Индию, Бирму и другие страны Азии 1795–1827, изд. Л. Маруашвили, М., 1969 (რუს., ჰინდი და ინგლ. ენებზე).

ლიტ.: ხ ა რ ა ძ ე კ., ოცდათორმეტი წელი აზიის ქვეყნებში. რ. დანიბეგაშვილის უჩვეულო მოგზაურობანი (1795–1827), თბ., 2008.

გ. ზარდალიშვილი. კ. ხარაძე.

„დანიელა ურია“, ქართული ხალხური სიმღერა, ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის დასავლური შტოს ერთ-ერთი ტიპური ნიმუში. სიმღერის ადრესატი – დანიელა ურია, იგივე დანიელ იოსების ძე ჯანაშვილი დაიბადა 1876 კულაშელი ღარიბი ვაჭრის ოჯახში. მამამისი მას აღებ-მიცემობის საიდუმლოს ასწავლიდა, მაგრამ ბუნებრივმა მონაცემებმა – შესანიშნავმა ხმამ და მიმზიდველმა გარეგნობამ – განსაზღვრა მისი მომავალი. იგი მამის დუქანში თავისი სიმღერით, შესანიშნავი ხმით (ლირიკული ტენორი) მრავალ მომხმარებელს იზიდავდა. მისი სიმღერები თანდათან გასცდა კულაშს, გავრცელდა თავდაპირველად ქუთაისსა და საერთოდ იმერეთში, შემდეგ კი გურია-სამეგრელოშიც და ლხინის აუცილებელი ატრიბუტი გახდა. დ. უ. გარდაიცვალა 1926. ეს სიმღერა კი განაგრძობს არსებობას და გადაეცემა თაობიდან თაობას.

ა. თელია.

დანიელი, აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათოლიკოსი XIV ს. 80-იან წლებში. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში XIV ს. 80–90-იან წლებში შეტანილია ,,დანიელ აფხაზთა კათალიკოსისა‘‘ და მისი შვილის, გიორგი ჭყონდიდლის (რ-იც აქვე მოღვაწეობდა) საერთო აღაპი და მოსახსენიებელი.

ლიტ.: კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., აფხაზეთის კათალიკოზი დანიელი, მის წგ.: წვრილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, ტფ., 1914; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI–XVII სს.), თბ., 1962.

დანიელიანი ჰაიკანუშ ბაღდასარის ასული [3 (15). XII. 1893, თბილისი, – 19. IV. 1958, ერევანი], სომეხი მომღერალი (ლირ. კოლორატურული სოპრანო). სსრკ (1939) და საქართველოს სახალხო არტისტი. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1946). 1920 დაამთავრა პეტროგრადის კონსერვატორია. 1922–32 იყო თბილ., 1933–43 – ერევნის ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრების სოლისტი. 1943–51 ერევნის კონსერვ. პედაგოგი (1949-იდან – პროფესორი). შესრულებული აქვს პარტიები: ეთერი, ლატავრა (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი‘‘, ,,ლატავრა‘‘; ამ უკანასკნელის პირველი შემსრულებელია, 1928); ანუში (ა. ტიგრანიანის ,,ანუში‘‘); ოლიმპია (ტ. ჩუხაჭიანის ,,არშაკ II‘‘); ანტონიდა (მ. გლინკას ,,სიცოცხლე მეფისათვის‘‘) და სხვ. გამოდიოდა როგორც საკონცერტო მომღერალი. დ. არაყიშვილის რომანსების ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი იყო. გამოირჩეოდა ლამაზი ტემბრის ხმით, მაღალი ვოკალურ-სცენური ოსტატობით, მკაფიო არტისტული ინდივიდუალობით. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

დანიელ მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – დავით გრიგოლის ძე დ ა თ უ ა შ ვ ი ლ ი) (დ. 29. V. 1955, თბილისი), სასულიერო მოღვაწე. 1977 დაამთავრა თბილისის თეატრალური ინ-ტის კინომცოდნეობის ფაკ-ტი, რის შემდეგაც გაიარა სტაჟირება მოსკ. კინოს თეორიისა და ისტ. ინ-ტში. 1983 აკურთხეს დიაკვნად, ხოლო 1985 წ. 28 აგვისტოს – მღვდლად. დაინიშნა სიონის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად. პარალელურად გახდა სამთავროს დედათა მონასტრის მოძღვარი. 1990 მიიღო დეკანოზის წოდება. 1990 წ. 1 ნოემბერს აღიკვეცა ბერად სიონის საკათედრო ტაძარში. მალევე

გახდა არქიმანდრიტი და დაინიშნა სვეტიცხოვლის წინამძღვრად. 1991 საპატრიარქოსთან შეიქმნა მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილება, რ-ის თავმჯდომარედ **დ. მ.** დამტკიცდა. ამავე წელს დაინიშნა ხულოს სასულიერო სასწავლებლის რექტორად. 1992 წ. 22 მაისს ხელდასხმულ იქნა ბოდბელ ეპისკოპოსად, ამავე წლის 25 დეკემბერს – ცხუმ-აფხაზეთის მღვდელმთავრად, ხოლო 1993 – ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსად. 1995-იდან **დ. მ.** შეთავსებით მართავს ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიას. 1999 მარგვეთის მთავარეპისკოპოსად დაადგინეს. 2000 ცხუმ-აფხაზეთის, 2002 – ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტია. 2010 დეკემბრიდან ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია გადავიდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის გამგებლობაში და **დ. მ.** დაინიშნა ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის მოქმედ მღვდელმთავრად.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და **დ. მ**-ის ხელმძღვანელობით მოეწყო (1989) წმ. ნინოს მოლოცვითი გზა ფარავნიდან მცხეთამდე, რ-იც დღემდე გრძელდება. დროდადრო სწირავს დმანისში, წყნეთსა და სხვა ახლად გახსნილ ეკლესიებში; ხელმძღვანელობს მრევლის შეკრებებს, წმინდა ადგილების მოლოცვას (გელათი, ახალი ათონი, კამანი და სხვ.) და სამრევლო ჯგუფებს, რ-ებიც უვლიან უპატრონო მოხუცებულებსა და ავადმყოფებს. დაჯილდოებულია წმ. გიორგის ორდენით (2007).

დანილოვის ელჩობა კახეთში 1585, რუსეთის სამეფოს ელჩობა კახეთის სამეფოში. 1585 ასტრახანის ვოევოდამ რუს. მთავრობის მითითებით კავკასიაში გამოგზავნა ელჩობა, რ-საც მეთაურობდა რუსი დიპლომატი, ასტრახანელ მეთოფურთა ასისთავი, თარჯიმანი რუსინ დანილოვი. **დ. ე**-ს ევალებოდა შეესწავლა საქართველოსაკენ მომავალი გზები და თვით ქვეყანა. ელჩებმა კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს გადასცეს რუს. მეფის თედორე ივანეს ძის წერილი, რ-ითაც იგი მეფეს პოლიტ. კავშირსა და მფარველობას სთავაზობდა. ალექსანდრემ, ელჩების რჩევით, რუსეთში საპასუხო ელჩობა გაგზავნა იოაკიმე მღვდლის, კირილე ბერისა და ჩერქეზ ხურშიტას შემადგენლობით.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967. *ვ. მაჭარაძე.*

დანიმი (სპარს.–დაჰნიმ), ქალაქში გაყიდული უძრავი ქონების მთელი თანხიდან მეფის სასარგებლოდ დაწესებული გამოსაღები – ამ თანხის ერთი მეოცედი ანუ ქონების ფასის 5%. გვიანდ. შუა საუკ. საქართველოში **დ**-ის ერთი მეათედი ქალაქის მოურავს ეძლეოდა. **დ**-ის დავთრის მეშვეობით შეიძლებოდა უძრავი ქონების ნასყიდობის დაკარგული საბუთის აღდგენა.

ლიტ.: ბერძენიშვილი მ., ქალაქური ეკონომიკის ტერმინოლოგია დან. დანიმი, წგ.: ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. 4, თბ., 1973.

გ. ნადარეიშვილი.

დანინა, დანანა, დანა, ქართული წარმართული პანთეონის ღვთაება, რ-ის კერპთმსახურება ლეონტი მროველის მიხედვით მეფე საურმაგმა, ხოლო ,,მოქცევაჲს ქართლისაჲს'' თანახმად, მეფე მირიანმა შემოიღო. *აინინას* მსგავსად, მისი კერპიც აღუმართავთ ,,გზასა ზედა მცხეთისასა''. ქართ. საისტ. წყაროებში **დ**-ს სქესისა თუ საკულტო ფუნქციის შესახებ რაიმე მინიშნება არ შემონახულა. ამ სამეფო კერპის შემოღების მიზეზების და ქართლის მთავარ ღვთაებებთან (*არმაზთან, ზადენთან*) დამოკიდებულების გარკვევა არ ხერხდება. შესაძლოა, იგი ქართვ. ტომთა უძველეს ღვთაებებს განეკუთვნებოდა. თუმცა მისი კავშირი არც არაქართ. სამყაროსთანაა გამორიცხული. სახელწ. ,,დ''. მსგავსებას ავლენს მცირეაზიულ ტომობრივ და გეოგრ. სახელწოდებებთან: ,,დანუნა'' (dan), ,,ადანა'' (adn), ,,დანაი'' (dny), მაგრამ **დ**-ს დაკავშირება მათთან არ ხერხდება (ნ. მარის აზრით, ,,დანანა'' განსახილველია როგორც კავშირი ,,და'', შეზრდილი არაირანული ღვთაების ,,ნანას'' სახელთან, რაც ი. ჯავახიშვილს სარწმუნოდ არ მიაჩნდა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; ჯავახიშვილი ივ., თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 1, თბ., 1979. *გ. გიორგაძე.*

დანისპარაული, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის თემში (აჭარის არ), არსიანის ქედის დას. კალთაზე, მდ. აჭარისწყლის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1520 *მ,* ხულოდან 22 *კმ.* 640 მცხ. (2002).

დანკალი, ნასოფლარი ისტორიულ ზემო ჯავახეთში; მდებარეობდა ჯავახეთის პლატოზე, კუმურდოს სამხრ. დას-ით, მტკვრის კანიონის ნაპირას. დასახლება წინაფეოდ. ხანაში გაჩენილა, რასაც მოწმობს გამაგრებული გორანამოსახლარი და კერამ. ფრაგმენტები გვიანდ. ბრინჯაოს – ადრინდ. რკინის ხანისა.

სოფელში დგას X–XI სს. დარბაზული ეკლესია. იგი ნაგებია გათლილი ქვებით და კირხსნარით. შესასვლელები ჩრდ-იდან და დას-იდან ჰქონია, სამხრ-იდან მინაშენია, რ-შიც გასვლა შეიძლება მთავარი ნავიდან. სახურავი ჩაქცეულია. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა.

ეკლესიაში აღმოჩნდა ადრინდ. ფეოდ. ხანის სტელათა ფრაგმენტები, აგრეთვე სტელის კუბური ბაზისი, რ-ზედაც წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარია ამოკვეთილი. ერთ სტელაზე ადამიანის ფიგურა, ტოლმკლავა ჯვარი და ყვავილის რელიეფური გამოსახულებანი ყოფილა, რ-იც V–VI სს. მიჯნით თარიღდება.

,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით (XVI ს. ბოლო), ახალქალაქის ლივის აქშეჰირის ნაჰიეში (რ-ნი) შემავალი სოფ. **დ.** მოსახლეობისაგან დაცლილია. 1972 იქ ჯერ კიდევ იყო შერჩენილი სამი კომლი.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი: თორი, ჯავახეთი, თბ., 1985; საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები, თბ., 1959; ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 3, თბ., 1958; Чубинашвили Н.Г., Хандиси, Тб., 1972. *დ. ბერძენიშვილი.*



ე. დ'ანკოსი.

დ'ანკოსი (d' Encausse) ელენ კარერ (ქალიშვილობაში – ელენე გიორგის ასული ზურაბიშვილი) (დ. 1929, პარიზი), პოლიტოლოგი, სოვეტოლოგი, პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორი, საფრანგეთის აკადემიის [ე. წ. უკვდავთა აკადემია, რ-ის შემადგენლობაში დაარსების დღიდან (1635) მუდმივად 40 ,,უკვდავია'', მათგან სულ სამი ქალია] წევრი (1989) და მისი მდივანი. ნ. *ნიკოლაძის* შვილიშვილის შვილი. წარჩინებით დაამთავრა პარიზის პოლიტ. მეცნიერებათა ინ-ტი. 1976 სორბონის უნ-ტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – ,,ბოლშევიკები და ეროვნებები 1929 წლამდე'', სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს. პარიზის უნ-ტში ლექციებს კითხულობდა სსრ კავშირის პოლიტ. და სოც. ისტორიაზე. საერთაშ. ურთიერთობათა კვლევით ცენტრში ხელმძღვანელობ-

და სსრკ სექციას. იყო კვლევის უფროსი პოლიტ. მეცნიერებათა ეროვნ. ინ-ტში (საფრანგეთი). 1971-იდან მონაწილეობდა ჩიკაგოს უნ-ტის სლავური კომიტეტის სლავურ ჯგუფში. 1972 პარიზში გამოვიდა მისი კაპიტ. ნაშრომი ,,საბჭოთა კავშირი – ლენინიდან სტალინამდე. 1917–1953 წლები''. 1978 გამოიცა მისი განთქმული ნაშრომი ,,დამსხვრეული იმპერია'', რ-შიც იწინასწარმეტყველა საბჭ. კავშირის დაშლა და მეცნიერულად უჩვენა, რომ საბჭოეთში სრულებითაც არ არის მოგვარებული ეროვნ. საკითხი, მწვავედ დგას ეროვნ. უმცირესობათა პრობლემა, რაც ეროვნ. ერთეულებად დაშლის საფრთხეს უქადის მას. 1986 გამოქვეყნდა მისი ნაშრომი ,,არც ომი, არც ზავი'', რ-იც ეხება ლ. ბრეჟნევის დროინდელ სსრ კავშირსა და მის პოლიტიკას. მიღებული აქვს საფრ. უმაღლესი ჯილდოები, მ. შ. ,,საპატიო ლეგიონის'' რაინდის ორდენი და საფრ. ,,ღირსების ორდენი''. 2003 მაისში დ. იყო თბილისში. თსუ-ის რექტორმა იგი დააჯილდოვა ი. ჯავახიშვილის მედლით.

ლიტ.: უ რ უ შ ა ძ ე ლ., ევროპა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, თბ., 2005; შ ა რ ა ძ ე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წგ. 3, თბ., 1993. *ლ. ურუშაძე.*



დანტე ალიგიერი.

დანო, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტის ომალოს თემში (კახეთის მხარე), თუშეთში, პირიქითის ქედის სამხრ. კალთაზე. მდ. პირიქითის ალაზნის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 2040 *მ,* ახმეტიდან 102 *კმ.* 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

დანოს მთა, მთა თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის გვერდით (პირიქითის) ქედზე, ახმეტის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 4174 *მ.* აგებულია იურული თიხაფიქლებით. დ. მ-ის სამხრ. კალთაზე, ქვემოთ, სუბალპ. და ალპ. მდელოებია, ზემოთ – ნივალური ლანდშაფტი.

დანჟუას ინტეგრალი, ლებეგის ინტეგრალის განზოგადება. დ. ი-ის ცნების წარმოქმნა განაპირობა ისეთი უწყვეტი ფუნქციის $F:[a,b]\to R$ არსებობამ, რ-საც $[a,b]$ სეგმენტის ყოველ წერტილში აქვს სასრული წარმოებული, მაგრამ იგი არ არის ინტეგრებადი ლებეგის აზრით და, მაშასადამე, ლებეგის ინტეგრალის საშუალებით ვერ აღდგება პირველადი ფუნქცია მისი სასრული წარმოებულით. ფრანგმა მათემატიკოსმა ა. დანჟუამ (1884–1974) 1912 შემოიღო ინტეგრალის ცნება, რ-იც წყვეტს პირველადის აღდგენის პრობლემას მისი სასრული წარმოებულით. დ. ი-ის ცნება შემდგომში სხვადასხვა მიმართულებით განზოგადდა (ო. პერონი, ა. დანჟუა, ა. ხინჩინი, გ. ტოლსტოვი, ვ. *ჭელიძე* და სხვ.). ვ. ჭელიძემ 1947 შემოიღო დანჟუას ორჯერადი ინტეგრალის ცნება, რ-საც ზოგჯერ დ ა ნ ჟ უ ა – ჭ ე ლ ი ძ ი ს ინტეგრალს უწოდებენ.

ლიტ.: Л о з и н с к и й С. М., Н а т а н с о н И. П., Метрическая и конструктивная теория функций вещественной переменной, წგ.: Математика в СССР за 40 лет (1917–1957), М., 1959; С а к с С., Теория интеграла, М., 1949; Ч е л и д з е В. Г., Д ж в а р ш е и ш в и л и А. Г., Теория интеграла Данжуа и некоторые ее приложения, Тб., 1978.

დანტე ალიგიერი (Dante Alighieri) (V. 1265, ფლორენცია, – 14. IX. 1321, რავენა), იტალიელი პოეტი, რომაელ მოქალაქეთა მაღალი ფენის წარმომადგენელი. სწავლობდა ბოლონიის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე. სავარაუდოა, რომ იცნობდა არისტოტელეს ეთიკას, ციცერონის რიტორიკას, ჰორაციუსის პოეტიკას, ანტ. მწერლობას. გატაცებული იყო ასტრონომიითა და კაბალისტიკით, ფილოსოფიითა და რიტორიკით, ოვიდიუსითა და ვერგილიუსით, რ-საც სულიერ მასწავლებლად მიიჩნევდა. დ. ა-ს სცოდნია რამდენიმე ენა. დაუფლებული ყოფილა თეოლოგიასა და მეცნ. სხვადასხვა დარგს. ეწეოდა პოლიტ. მოღვაწეობასაც, იყო გველფების პარტიის წევრი. 1302-იდან მას დევნიდა ამავე პარტიის ერთ-ერთი ფრთა. რომში მყოფ დ. ა-ს დაუსწრებლად მიუსაჯეს კოცონზე დაწვა და ქონების კონფისკაცია. ამის შემდეგ დაიწყო მოხეტიალე ცხოვრება. საბოლოო თავშესაფარი კი რავენაში (იტალია) პოვა.

აღსანიშნავია დ.ა-ს ტრაქტატები: ,,ხალხური ენისათვის'' (ლათ. ენაზე, 1303–04), ,,ნადიმი'' (იტალ. ენაზე, 1303–04), ,,მონარქიისათვის'' (ლათ. ენაზე, 1312–13) და სხვ.

დ. ა-ს ახალგაზრდობაში დაუწყია ლექსების წერა. მისი პირველი კრებულია ,,ლექსები''. ალეგორიული ხასიათის ლირ. კრებულით ,,ახალი ცხოვრება'' (1291) დ. ა-მ ახ. ეტაპი დაიწყო იტალ. ლიტ-რაში. კრებულის მთლიან სტრუქტურაში პროზა და ლექსი ერთმანეთთან ჰარმონიულადაა დაკავშირებული. აქ პირველად გამოჩნდა პოეტის მიჯნურის – ბეატრიჩეს სახე, რ-იც ბოლომდე გაჰყვა მწერლის შემოქმედებას. გრძნობათა სიღრმით, ადამიანის შინაგანი სამყაროს ფსიქოლ. წვდომით, პოეტურ სახეთა სრულყოფილებით ,,ახალი ცხოვრება'' პირველი ფსიქოლ. რომანია ევრ. ლიტ-რაში.

მიწიერი და ზეცაური ცხოვრების შეპირისპირება, სიყვარულის ამაღლებული იდეა, დანტესეული სიმბოლიკა და ალეგორია სრულად გამოვლინდა პოემაში ,,ღვთაებრივი კომედია'' (1307–21). ავტორმა თავის ქმნილებას ,,კომედია'' უწოდა, ,,ღვთაებრივი'' მას პოეტის სიკვდილის შემდეგ დაუმატეს ეპითეტად. პოემას ლაიტმოტივად გასდევს მისტიკური პრინციპი, რ-ის მიხედვით იმიერ სამყაროს ჭვრეტა და ხილვა სულის გადარჩენის გზაა. პოემა სამი ნაწილისგან შედგება: ,,ჯოჯოხეთი'', ,,სალხინებელი'' და ,,სამოთხე''.

,,ღვთაებრივი კომედია'' მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა. ქართულად ერთი ნაწილი (,,ჯოჯოხეთი'') 1933 თარგმნეს კ. გამსახურდიამ და კ. ჭიჭინაძემ. 1941 თარგმანი დაასრულა (,,სალხინებელი'' და ,,სამოთხე'') და გამოსცა კ. გამსახურდიამ. ამ გამოცემას უძღვის მთარგმნელის ვრცელი შესავალი წერილი – ,,დანტე ალიგჰიერი''. დ. ა-ს ,,ახალი ცხოვრება'' ქართულად თარგმნეს ბ. ბრეგვაძემ და თ. ჩხენკელმა (1967, წინასიტყვაობა ო. ჯინორიასი). თარგმანი შეიცავს ოცდაოთხ სონეტს, ხუთ კანცონასა და ერთ ბალადას.

ერთ-ერთი პირველი ქართვ. ავტორი, რ-იც თავის ნარკვევებში შეეხო დ. ა-ს შემოქმედებას, იყო პლ. იოსელიანი. ,,ქართველების დანტე'' უწოდა რუსთაველს ისტორიკოსმა მ. ჯანაშვილმა. თემას ,,რუსთაველი და დანტე'' სპეც. გამოკვლევები უძღვნეს ცნობილმა ქართვ. მეცნიერებმა: კ. კაპანელმა, ზ. ავალიშვილმა, ა. მანველიშვილმა, შ. ნუცუბიძემ, ა. ბარამიძემ; მწერლებმა: გ. ნატროშვილმა, კ. ჭიჭინაძემ, ს. ჩიქოვანმა, ა. გაწერელიამ, გ. ასათიანმა. 1983 გამოქვეყნდა დ. ინწკირველის ნაშრომი ,,დანტე ქართულ ლიტერატურაში''.

გამოცემათა სერიაში ,,გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება'' დაიბეჭდა ცნობილი რუსი მეცნიერის ა. ჯივილეგოვის მონოგრაფია ,,დანტე ალიგიერი'' (1968, მთარგმნელი ლ. ტიტვინიძე, რედ. ო. ჯინორია).

დ. ა-ს ,,ღვთაებრივი კომედიისა''

და ,,ახალი ცხოვრების'' ცალკეულ რემინისცენციებსა და პერსონაჟთა სახელებს ვხვდებით ქართ. სიმბოლისტი პოეტების (ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი და სხვ.) ლირ. ლექსებში. გ. ტაბიძემ დანტესადმი თავისი თაყვანისცემა გამოხატა ლექსში ,,კოსმიური ორკესტრები''.

თხზ.: Tutte le opere, a cura di F. Chiapelli, Mil., 1965; ღვთაებრივი კომედია, წგ.: გამსახურდია კ., რჩ. თხზ., ტ. 8, თბ., 1967.

ლიტ.: ჯიველეგოვი ა., დანტე ალიგიერი, თბ., 1968; Гаспари А., История итальянской литературы, пер. с итал., т.1, М.,1895; Голенищев-Кутузов И. Н., Творчество Данте и мировая культура, М., 1971; Де Санктис Ф., История итальянской литературы, пер.с итал., т.1, М., 1963; Оветт А., Итальянская литература, М., 1922. *ზ. სტურუა.*

დანტე ალიგიერის საზოგადოება – თბილისის კომიტეტი (SOCIETA ,,DANTE ALIGHIERI'' – COMITATO DI TBILISI), საერთაშორისო იტალიური ასოციაცია, რ-ის ძირითად მიზანს წარმოადგენს მსოფლიოში იტალიური ენისა და კულტურის პოპულარიზაცია. დ. ა. ს. დაარსდა 1988 იტალ. მწერლის და საზ. მოღვაწის ჯოზუე კარდუჩის ინიციატივით. ახლად დაარსებულ საზ-ბას *დანტე ალიგიერის* სახელი ეწოდა. 1993 წ. 18 ივლ. ONLUS-ის (Organizzazione non lucrativa di utilità sociale) №347 დებულების თანახმად, დ. ა. ს-ის საქმიანობა გასცდა იტალიის ფარგლებს და მიენიჭა არასამთავრობო-არაკომერციული საერთაშ. ასოციაციის სტატუსი. იტალ. ენისა და კულტ. დაცვისა და გავრცელების თვალსაზრისით დედამიწის ხუთ კონტინენტზე გახსნილია 500-მდე საზღვარგარეთის კომიტეტი. დ. ა. ს-ის სათავო ოფისი მდებარეობს იტალიაში, ქ. რომში. საზ-ბის პრეზიდენტი, 2010 წ. 1 იანვ. მონაცემებით, არის ბრუნო ბოტაი.

დ. ა. ს-ის საზღვარგარეთის კომიტეტები დიდ შრომას ეწევიან, რათა სხვადასხვა ერისა და კულტურის წარმომადგენლებს საშუალება მიეცეთ პირდაპირი გზით ეზიარონ იტალ. ენას, კულტურას, ცივილიზაციას, ხელოვნებას, სპორტს, მოდასა და სხვ.

იტალ. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან 1993 წ. 4 ნოემბ. დადებული № 1903 ხელშეკრულების საფუძველზე, დ. ა. ს. გასცემს იტალ. ენის კომპეტენციის დამადასტურებელ საერთაშ. სერტიფიკატს ,,PLIDA'' (Progetto Lingua Italiana Dante Alighieri),

დ. ა. ს-ის თბილისის კომიტეტი დაარსდა 2007 კავშირის იურიდ. პირის სტატუსით და რატიფიცირებულია რომის სათავო ოფისის მიერ. მისი გახსნის ინიციატორები იყვნენ საქართვ. სრულუფლებიანი ელჩი რომის პაპის წმინდა საყდართან, ქეთევან ბაგრატიონ-ორსინი, საქართვ. ყოფ. ელჩი იტალიაში ზ. გოგსაძე და პროფ. ნ. ცერცვაძე (დ. ა. ს-ის თბილისის კომიტეტის პრეზიდენტი).

დ. ა. ს-ის თბილისის კომიტეტთან ფუნქციონირებს აგრეთვე PLIDA-ს (Progetto Lingua Italiana Dante Alighieri) სასერტიფიკაციო ცენტრი (2007). აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში მოქმედი 500-მდე საზღვარგარეთის კომიტეტიდან მხოლოდ 200-ს გააჩნია PLIDA-ს სასერტიფიკაციო ცენტრი, რაც ამ ცენტრში მომუშავე ქართვ. იტალიანისტების მაღალ კვალიფიკაციაზე მეტყველებს. თბილისის PLIDA-ს საგამოცდო ცენტრში, კანდიდატს შეუძლია მოიპოვოს ევროსაბჭოს მიერ დადგენილი იტალ. ენის კომპეტენციის PLIDA-ს 6 (A1, A2, B1, B2, C1, C2) დონის, აგრეთვე PLIDA COMMERCIALE (ბიზნეს იტალიურის) და PLIDA JUNIORS (ე. წ. იუნიორის) საერთაშ. სერტიფიკატები.

,,PLIDA''-ს დამადასტურებელი B2 დონის სერტიფიკატის ნებისმიერ მფლობელს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს იტალ. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო C2 დონის ზემოხსენებული სერტიფიკატით შესაძლებელია ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში იტალიური ენის მასწავლებლად მუშაობა.

დ. ა. ს-ის თბილისის კომიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს განათლებისა და კულტ. სფეროში მოღვაწე ადგილობრივ და ევრ. ინსტიტუტებთან.

დ. ა. ს-ის თბილისის კომიტეტმა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში იტალ. საელჩოს დახმარებით ,,ქართულ-ევროპული უნივერსიტეტის'' ბაზაზე ,,იტალიური ენისა და კულტურის კათედრის'' გახსნასა და ფუნქციონირებაში.

დ. ა. ს-ის თბილისის კომიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა იტალ. ინსტიტუციებთან, მ. შ. 23 იტალ. უნივერსიტეტისგან შემდგარ კონსორციუმთან ICON. დ. ა. ს-ის თბილ. კომიტეტთან დაარსდა კონსორციუმის საგამოცდო ცენტრი, სადაც დისტანციური სწავლების მეშვეობით საქართვ. მოქალაქეებს იტალიაში წაუსვლელად შეუძლიათ მიიღონ კონსორციუმ ICON-ის ბაკალავრის დიპლომი.

ნ. ცერცვაძე.

დანღისი, ადგილი იორ-ალაზნის შესართავთან, რ-იც *შაქის სახანოს* ტერიტორიაზე იყო. აქ მოხდა ბრძოლა ერეკლე II-ის ჯარსა და დაღესტნელებს შორის (იხ. *დანღისის ბრძოლა 1750*).

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *ზ. ცინცაძე.*

დანღისის ბრძოლა 1750, ბრძოლა ქართლ-კახეთის სამეფოსა და დაღესტნელ ფეოდალთა ლაშქარს შორის. დაღესტნელთა ცხენოსანი ჯარი თავს დაესხა ყაზახს (ამჟამად აზერბაიჯანი) და შემდეგ მდ. იორზე ჩამოდგა. ქართლ-კახეთის გაერთ. ლაშქარმა *თეიმურაზ II-ისა* და *ერეკლე II-ის* წინამძღოლობით მტერს გამოსასვლელი გზები შეუკრა. მოწინააღმდეგე მდ. იორს დაჰყვა და დანღისში, იორ-ალაზნის შესართავთან დადგა. ქართველები მტერს წამოეწივნენ და მძიმე ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს. თვით ერეკლე II მეწინავე ჯარში იბრძოდა. დაღესტნელთა გადარჩენილმა ნაწილმა ფლატიან გორას შეაფარა თავი, მაგრამ ფლატე მოსკდა და ლტოლვილნიც დაიღუპნენ. ქართველებმა ხელთ იგდეს მრავალი ტყვე და ნადავლი. დ. ბ-ის შემდეგ დაღ. ფეოდალები კარგა ხანს ვეღარ ბედავდნენ საქართველოში ლაშქრობას, მხოლოდ პატარ-პატარა რაზმები დათარეშობდნენ ქურდულად.

წყარო: ორბელიანი პ., ჰამბავნი ქართლისანი, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1981; [ხერხეულიძე ო.] ომან მდივანბეგი, მეფობა ირაკლი მეორისა, მეფის თეიმურაზის ძისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ნაწ. 2, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1854.

დ. მეგრელაძე.

დაპერი (Dapper) ოლფერტ (გ. 1690), ჰოლანდიელი ექიმი, მწერალი და გეოგრაფი. იმოგზაურა მრავალ ქვეყანაში და გამოაქვეყნა ამ მოგზაურობათა აღწერა. ჩვენთვის საინტერესოა 1681 ნიურნბერგში დაბეჭდილი დ-ის ნაშრომის იოჰან ბეერნისეული გერმ. თარგმანი სათაურით: „აზიის უშუალო და დაწვრილებითი აღწერა'', რ-შიც სხვა ქვეყნებთან ერთად სპარსეთის სამეფოცაა წარმოდგენილი. ნაშრომის წყაროა ანტ. ხანის მწერალთა ცნობები და მოგზაურობათა აღწერილობანი. ნაშრომს ახლავს ესტამპები, რუკები, მ. შ. სამეგრელოს რუკა, უმნიშვნელოვანესი ქალაქების სქემები, ქართ. ანბანის ნიმუში, რ-იც დ-ს ორიგინალურად მიაჩნია და ა. შ.

დ. ახასიათებს საქართვ. კუთხეებს, მის საზღვრებს, ბუნებას, ისტო-

რიას, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს და სამეურნეო საქმიანობას, ენას და დამწერლობას, რელიგიას, მმართველობის სისტემას და სხვ.

დ. ქართველებს ახასიათებს ზრდილ, მეგობრულ და მეომარ ხალხად, რ-საც იარაღით ხელში განუწყვეტლივ უწევს ბრძოლა სამშობლოსა და ქრისტ. სარწმუნოების დასაცავად. ქართველები გამოირჩევიან კარგი აღნაგობითა და შესახედაობით, ხოლო მათი ქალები აზიის უმშვენიერესი ქმნილებები არიანო. საქართვ. კუთხეებიდან **დ.** განსაკუთრებით ვრცლად აღწერს სამეგრელოსა და ქართლ-კახეთს, ხოლო მეზობელი ქვეყნებიდან – ჩერქეზეთს და სხვ.

დ. შენიშნავს, რომ XVII ს. დასაწყისში ოსმალეთსა და ირანს შორის ძალზე დაიძაბა ურთიერთობა – ორივეს ქართლ-კახეთზე ბატონობის პრეტენზია ჰქონდა. *თეიმურაზ I-ისა* და *ლუარსაბ II-ის* დამოყვრება შაჰ აბას I-მა საბაბად გამოიყენა და ქართლ-კახეთში შემოიჭრა (1613).

დ. აღნიშნავს შაჰის გულქვაობას, რ-მაც მეფე ლუარსაბ II ციხეში მოაშთობინა, თეიმურაზ I-ის ორივე ვაჟი – ლევანი და ალექსანდრე – დაასაჭურისებინა, ხოლო დედა – ქეთევანი სარწმუნოებისადმი ერთგულების გამო წამებით მოაკვლევინა.

დ. გულისტკივილით აღწერს საშინელ სურათს, რ-იც შაჰმა თავს დაატეხა კახეთს – მშობლიური მიწიდან აყრილი მოსახლეობის დიდი ნაწილი გზაში დაიხოცა, ირანისაკენ მიმავალი გზა მოხუცებისა და ბავშვების გვამებით მოიფინა, ირანში კი ოჯახი არ დარჩა, სადაც ქართვ. კაცი თუ ქალი მონად არ ჰყოლოდათ.

დ. ეხება ოსმალეთის ჯარის 1618 ლაშქრობას ირანში, აგრეთვე თეიმურაზ I-ის მოკავშირე სომეხ დელი მელიქს, აღნიშნავს დას. საქართველოში ტყვის სყიდვის სამწუხარო ფაქტებს და სხვ.

ლიტ.: დავითაშვილი ი., ოლფერტ დაპერის ცნობები საქართველოს შესახებ, «ცისკარი», 1972, №6; Орловская Н. К., Грузия в литературах Западной Европы XVII–XVIII вв., Тб., 1965.

ნ. გიოშვილი.

დაპროგრამება, კომპიუტერული პროგრამების შექმნა და დამუშავება განსაზღვრულ ფორმალურ ნიშანთა სისტემების, ანუ დაპროგრამების ენების საშუალებით.

დ-ის ძირითადი ეტაპებია: პროგრამული ტექსტის შედგენა შესაბამისი ალგორითმის საფუძველზე, მისი წარმოდგენა შესრულებადი სახით (ტრანსლაცია და კომპილაცია), გამართვა (შესაძლო შეცდომების გამოვლენა და აღმოფხვრა), საბოლოო შედეგის მიღება.

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა **დ**-ის მეთოდოლოგია და ენები. პირველ ეტაპზე **დ.** მიმდინარეობდა უშუალოდ მანქანური კოდების გამოყენებით. XX ს. 40-იან წლებში შემუშავებული იქნა დაბალი დონის ენები – ავტოკოდი და ასემბლერი – მანქანაზე ორიენტირებული **დ**-ის ენა, რ-ის სტრუქტურა მანქანური ბრძანებებისა და დასამუშავებელი მონაცემების მსგავსია ყოველი კონკრეტული გამოთვლითი მანქანისათვის. **დ**-ის ენების შემდგომი განვითარება წარიმართა მანქანურ მახასიათებლებზე დამოკიდებულებისაგან პროგრამის განთავისუფლების მიმართულებით. ჩამოყალიბდა ახალი ცნებები და კონსტრუქციები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდა მონაცემთა დამუშავების ნებისმიერი პროცესის აღწერა. შეიქმნა მაღალი დონის ენები. მათზე დაწერილი პროგრამის კომპიუტერზე შესრულება მოითხოვს პროგრამის გადაყვანას მანქანურ კოდებში, რაც ხორციელდება სპეციალურად ამ მიზნით შედგენილი პროგრამა-ტრანსლატორის საშუალებით. 50-ანი წლების დასაწყისში აშშ-ში მაღალი დონის ენებიდან პირველად შეიქმნა BASIC, შემდგომ – FORTRAN. 50-იანი წლების ბოლოს ევროპაში გამოჩნდა ALGOL-60. 60-იან წლებში შეიქმნა უნივერსალური ენები PL/1, Pascal, COBOL, Modula, C, ALGOL-68, ADA. სპეციალური კლასის ამოცანების სარეალიზაციოდ პარალელურად იქმნებოდა და ვითარდებოდა **დ**-ის ენები – Lisp, Refal, Prolog და სხვ.

დ-ის ტრადიციული მიმართულებებისა და პარადიგმების განხილვისას შეიძლება გამოიყოს სტრუქტურული (ALGOL, Pascal, C), ობიექტზე ორიენტირებული (C++, Delphy, Java) და ლოგიკური (Prolog) დაპროგრამება. შედარებით ახალი მიმართულებებიდან აღსანიშნავია პარალელური და ვებ-დაპროგრამება. პარალელური **დ.** შეისწავლის მრავალპროცესორიანი გამოთვლითი კომპლექსებისათვის პარალელური ალგორითმებისა და პროგრამების აგება-დამუშავების ხერხებსა და მეთოდებს. ვებ-დაპროგრამება გამოიყენება ნებისმიერი ფუნქციონალური დატვირთვის მქონე ვებ-გვერდებისა და სხვა ინტერნეტ-კომპონენტების შესაქმნელად. ამ მიმართულების ენებიდან პოპულარობით სარგებლობს HTML, JavaScript, Perl, XML/XSL, PHP, MySQL.

თანამედროვე აპარატურული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება ზემაღალი დონის პროგრამული ენების შემუშავება, რებიც მზა პროგრამული კონსტრუქციების დახმარებით სხვადასხვა სირთულის ამოცანების გადაწყვეტის საშუალებას იძლევა **დ**-ის დამატებითი ინსტრუმენტების გამოყენების გარეშე.

საქართველოში დაპროგრამების განვითარება XX ს. 50-იანი წლების პირველი ნახევრიდან იწყება. დარგის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართვ. მეცნ. აკად. გამოთვლითი ცენტრის (ახლანდ. ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათ. ინ-ტის) დაარსებას (1956). პირველ წლებში ცენტრი ორიენტირებული იყო კონკრეტული გამომთვლელი მანქანებისთვის სხვადასხვა სახის მათ. ამოცანების პროგრამების შემუშავებაზე. 50-იანი წლების დასასრულს აქტ. მუშაობა დაიწყო **დ**-ის ავტომატიზაციის, საბიბლიოთეკო, შემდგენელი და მაინტერპრეტირებელი სისტემების აგების მიმართულებით (ე. დეკანოსიძე). 60-იან წლებში მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღებული გამოთვლით მანქანათა მეხსიერების განაწილებისა და ორგანიზაციის საკითხებზე (მ. წულაძე). ამავე პერიოდში შუამავალი ენის მეშვეობით ფართოდ გაიშალა კვლევითი მუშაობა სხვადასხვა სახის მატრანსლირებელი სისტემების შექმნის მიმართულებით; შემდგომ აქტ. მუშაობა დაიწყეს სხვა ორგანიზაციებმაც (თსუ-ის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათ. ინ-ტი, კიბერნეტიკის ინ-ტი, საქართვ. ტექ. უნ-ტი და სხვ.). **დ**-ის ძირითად საკითხებთან ერთად წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა საინფორმაციო-საძიებელი სისტემების, მონაცემთა ბაზების მართვისა და ორგანიზაციის, ბუნებრივ ენასთან დაახლოებული ენის მეშვეობით გამოთვლით მანქანასთან დიალოგური სისტემების, სისტემ. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის მიმართულებით.

ლიტ.: Ершов А. П., Введение в теоретическое программирование, М.,1977; Турски В., Методология программирования, М., 1981; Sebesta R.W.,

Concepts of Programming Languages, Boston, 2004. *მ. წულაძე.*

დარაია, შინამრეწველური წესით დამზადებული აბრეშუმის ქსოვილი (აღმ. საქართველოში – თ ა ვ თ ა, მ ე რ დ ი ნ ი). ქსოვდნენ ჰორიზ. საქსოვ დაზგაზე 2 ან 4 *დგიმით,* ქსოვილის ხლართის შესაბამისად. მას ფართოდ იყენებდნენ ყოფაში, განსაკუთრებით სამზითვოდ. საქართვ. შიდა ბაზრებზე დიდი გასავალი ჰქონდა. დ-ის თავშალი (,,ქიცი'') გავრცელებული იყო დას. საქართველოში, უმთავრესად სამეგრელოში.

ნ. აბესაძე.

დარანი, მიწისქვეშა ნაგებობა. გავრცელებული იყო შუა საუკ. საქართველოში. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, დ. არის ,,კლდეში ანუ მიწას ქვეშ შესასვლელი. დარანად ითქმის სახლი მიწას ქვეშ ნაგები, გინა მიწა და კლდე შეთხრილი უჩინრად''. წარმოადგენს ლოდებით ამოყვანილ, ქვის სქელი ფილებით გადახურულ უქვითკირო ნაგებობათა სისტემას, რ-იც შედგება დახლართული გასასვლელ-გამოსასვლელებისა და სხვადასხვა ზომის სათავსებისგან. დ-ს სხვადასხვა მიმართულებით მრავალი განშტოება აქვს. ერთი შტო აუცილებლად წყალთან არის დაკავშირებული, დანარჩენები, რ-თა სიგრძე ზოგჯერ რამდენიმე *კმ* აღწევს – ციხესიმაგრეებთან, მეზობელ სოფლებთან, ტყესთან ან გზებთან შეერთებული. დ-ის შესასვლელი მოფარებულ, ძნელად მისადგომ ადგილებშია მოწყობილი და, ჩვეულებრივ, აღმოსავლეთისკენაა მიმართული. საფრთხის დროს დ-ს თავს აფარებდა მოსახლეობა, მისი საშუალებით შეიძლებოდა ფარულად გადაადგილება, მებრძოლების გადაყვანა, მოულოდნელი თავდასხმა მტერზე, ჩასაფრება, დაზვერვა-თვალთვალი. ნიმუშად გამოდგება ნასოფლარ დუმეილის (სოფ. აგარის მახლობლად, ახალციხის მუნიციპალიტეტი) დ-ები მესხეთში. იგი 60-მდე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნაგებობისაგან შედგება და მიწის ქვეშ ნაგები სოფლის შთაბეჭდილებას ტოვებს. მესხეთ-ჯავახეთში დ-ები მიკვლეულია აგრეთვე ზედა თმოგვისა და ვარძიის მახლობლად, ბერთყანაში, ხიზაბავრაში, აწყვიტაში და სხვაგან (ყველა ასპინძის მუნიციპალიტეტი).

ლიტ.: ი ვ ა ნ ი ძ ე ნ., დარნები აწყვიტაში, «ძეგლის მეგობარი», 1986, № 2; ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი თ., მიწისქვეშა ნაგებობანი მტკვრის ხეობის ზემო წელზე, იქვე, 1970, № 21.

დარასელი ვანიონ ალექსის ძე [25. V(7. VI). 1909, სოფ. კახათი, ახლანდ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, – 13. IV. 1954, თბილისი], მწერალი. დაამთავრა ბათუმის ჰუმანიტარული ტექნიკუმი. 1928 საცხოვრებლად ქუთაისში გადავიდა. XX ს. 20-იან წლებში მისი ლექსები და მოთხრობები იბეჭდებოდა ქართ. პრესაში. პირველი კრებ. ,,ჩემი ტყვია და ჩემი ლექსები'' 1934 გამოაქვეყნა. 1935-მდე მსახურობდა წითელ არმიაში. ჯარიდან დაბრუნებულმა დაამთავრა როსტოვის პედ. ინ-ტი (1940). მისი შემოქმედების მთ. თემაა სამოქალაქო და II მსოფლიო ომების ჰეროიკა, რ-თაც მიუძღვნა მოთხრობები: ,,მაშინ'', ,,მეკვლე'', ,,ქარი'', ,,ნავარდი'', ,,ბალადა უცხოელ ჯარისკაცებზე''; რომანი ,,ჩემი შვილი''; პოემა ,,რუსული გული''. დ-ს ეკუთვნის აგრეთვე პოემა ,,კიკვიძე'' (1939) და დრამა ,,კიკვიძე'' (1953), რ-იც დაიდგა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. და თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრებში. იდგმებოდა მისი სხვა პიესებიც: ,,გამახარე'', ,,უფროსი ძმა'', ,,ოცნება...''. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: რჩეული, თბ., 1956; ომისა და მშვიდობის დღეებში, თბ., 1964; კოკვიძე. – გამახარე. პიესები, თბ., 1976.

დარასელი ზაზა ვანიონის ძე (20. VI. 1950, თბილისი, – 1. VII. 2001, იქვე), ჟურნალისტი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკულტეტი (1972). იმავე წლიდან დ-მ მუშაობა დაიწყო საქართვ. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწ. კომიტეტში, საქართვ. რადიოს სამეცნ. გადაცემების რედაქტორად, შემდგომ – ლიტერატურისა და ხელოვნების რედაქციაში ახალგაზრდული პროგრამების მთ. რედაქტორად (1980–83). 1985 დაინიშნა საქტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ (გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებდა). 1992-იდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ტელეკომპანია ,,მეორე არხს'' (გენ. დირექტორი). ცნობილია აგრეთვე მისი მოთხრობები და ნოველები, მაგ. ნოველა ,,უჩინარი'' (თბ., 1984); თარგმნიდა გ. მარკესის ნაწარმოებებს.

დ-ს გარდაცვალებისთანავე დაარსდა მისი სახელობის საქველმოქმედო ფონდი ,,სიცოცხლე მშვენიერია'', რ-იც აფინანსებს კულტურულ, სპორტულ, ხელოვნებისა და განათლების პროექტებს.

დარასელია ვიტალი კუხინის ძე (9. X. 1957, ოჩამჩირე, – 13.XII. 1982, თბილისი), ფეხბურთელი. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1981). ფეხბურთის თამაში დაიწყო 1967 ოჩამჩირის ბავშვთა სპორტ. სკოლაში, შემდეგ თამაშობდა ადგილ. ,,ამირანში'', 1975-იდან – თბილ. ,,დინამოში''. იყო სსრკ ჩემპიონი (1978), ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედლის პრიზიორი, სსრკ თასისა (1976, 1979) და ევრ. ქვეყნების თასების მფლობელთა თასის (1981) მფლობელი (ფინალურ მატჩში გამარჯვების გოლის ავტორი), ევრ. ჩემპიონი ახალგაზრდათა შორის (1980). 1982 მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. ჩატარებული აქვს სსრკ ჩემპიონატებში 192 მატჩი (გაიტანა 26 გოლი), თასზე – 25 (4), საერთაშ. – 50(10), მ.შ. ევრ. საკლუბო ტურნირებში – 25(3). 4-ჯერ იყო დასახელებული სსრკ ფეხბურთელთა სიაში: ,,33 საუკეთესო''. დაიღუპა საავტომობილო კატასტროფაში.



ვ. დარასელია.

ლიტ.: ლ ო ლ ა ძ ე დ., ვიტალი დარასელია, თბ., 1983. *ნ. გუგუშვილი.*

დარასელია მიხეილ კონსტანტინეს ძე [15(28). VI. 1902, ზუგდიდი, – 22. II. 1997, თბილისი], აგრონომი, ნიადაგმცოდნე. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1955), გეოლ.- მინერალოგიის მეცნ. დოქტორი (1947), პროფესორი (1949), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1928 დაამთავრა თბილ. პოლიტექ. ინ-ტის სას.-სამ. ფაკ-ტი. 1928–29 მუშაობდა ოზურგეთის სუბტროპ. კულტურების ცენტრ. საცდელ სადგურში დირექტორად, 1930–74 – ანასეულის ჩაისა და სუბტროპ. კულტურების საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ნიადაგმცოდნეობისა და მელიორაციის განყ-ბის გამგედ. 1976–88 საქართვ. მეცნ. აკად. სოფ. მეურნ. მეცნ. პრობლემების განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი იყო. დაამუშავა ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები, ჩამორეცხილი ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის საკითხები, შეისწავლა საქართვ. ეწერი და წითელმიწა ნიადაგები. დ. იყო ნიადაგმცოდნეთა საერთაშ. საზ-ბის წევრი და საქართვ. ნიადაგმცოდნეობის საზ-ბის პრეზიდენტი (1979–97). მიღებული აქვს სსრკ სახელმწ. პრემია (1951).



მ. დარასელია.

თხზ.: Краснозёмные и подзолистые почвы Грузии и их использование под суб-

тропические культуры, Тб., 1949; Динамика почвенных растворов красноземных почв Грузии, Тб., 1974.

დარას ზავი 562, დაიდო ბიზანტიასა და ირანს შორის მათი სახელმწიფოების სასაზღვრო პუნქტში – ქ. დარაში. ირან. და ბიზანტ. ელჩებს შორის საზავო მოლაპარაკებისას ერთ-ერთი მთავარი ეგრისის (ლაზიკის) საკითხის გადაწყვეტა იყო. სადავო საგნად იქცა სვანეთის საკითხიც. მოლაპარაკებისას გადაწყდა, რომ ირანელები გაიყვანდნენ ჯარს ეგრისის (ლაზიკის) ტერიტორიიდან და ამ ქვეყანას დაუთმობდნენ ბიზანტიელებს, მაგრამ ირანელებმა უარი განაცხადეს ლაზიკის სამეფოში შემავალი სვანეთის საერისთავოს დათმობაზე. ბიზანტ. ელჩმა, პეტრემ, ამ სადავო საკითხზე მოლაპარაკება გააგრძელა ქ. ბითარმაისში ირან. შაჰ ხოსრო I ანუშირვანთან, მაგრამ უშედეგოდ, სვანეთი ირან. გავლენის ქვეშ დარჩა 590-მდე.

წყარო: მ ე ნ ა ნ დ რ ე, წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, თბ., 1936.

დ. ლეთოდიანი.

დარაქოი, სოფელი წალკის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე), წალკის ქვაბულში, მდ. ქციის მარცხ. ნაპირას, იმ ადგილას, სადაც მდინარე ერთვის წალკის წყალსაცავს. სათავო სოფელი. ზ. დ. 1540 *მ,* წალკიდან 12 *კმ.* 814 მცხ. (2002).

სოფლის ტერიტ. დასახლებული იყო ადრინდ. შუა და გვიანდ. ფეოდ. ხანაში, რაზეც მიუთითებს გვიან გადაკეთებული ეკლესიის არქიტ. დეტალები და სასაფლაო. ეკლესიაზე იყო ქართ. წარწერა, რ-ის კვალი აღარ ჩანს. სოფლის ახლანდ. მცხოვრებნი სომხები არიან, მათი წინაპრები აქ XIX ს-ში დასახლდნენ.

დ. ბერძენიშვილი.



გ. დარახველიძე.

დარახველიძე გიორგი (ბუხუტი) ვიქტორის ძე (15. VII. 1914, სოფ. ლეხიდრისთავი, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 25. XI. 1982, თბილისი), მოცეკვავე, ქორეოგრაფი და პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1962). დ. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI, VII,VIII და X მსოფლიო ფესტივალების (მოსკოვი, 1957; ვენა, 1959; ჰელსინკი, 1962; ბერლინი, 1973) ლაურეატია. 1940 დაამთავრა საქართვ. ფიზკულტ. ინ-ტი. ცეკვა დაიწყო 1937-იდან თსუ-ის თვითმოქმედ ქორეოგრ. ანსამბლში. 1937–38 ცეკვავდა აღმ. საქართვ. ეთნოგრ. გუნდში (ხელმძღვ. რ. *შელეგია),* 1938–39 – საკოლმეურნეო გუნდში, პარალელურად, 1937–41 – თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში და საქართვ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლშიც. 1940–41 ამ ანსამბლის წამყვანი სოლისტი გახდა. მის მიერ მაღალი ოსტატობით, დარბაისლური მანერით შესრულებულ ცეკვებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ,,ქართული'', ,,ხევსურული ფარიკაობა''. 1946–49 კვლავ სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლში დაბრუნდა. ქორეოგრაფობა დაიწყო 1939-იდან. 1951 მიიწვიეს საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის სტუდენტთა



გ. დ ა რ ა ხ ვ ე ლ ი ძ ე. ცეკვა ,,ქართული'' (ნ. გუნიასთან ერთად).

ქორეოგრ. ანსამბლის ხელმძღვანელად. 1957-იდან აყალიბებდა სხვადასხვა ქორეოგრ. ანსამბლს [ამიერკავკ. რკინიგზის კულტურის სახლის, ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ანსამბლები, რუსთავის ,,სალხინო'' (1965–69), ,,ქუთაისი'' (1970–75) და სხვ.]. დ-ის დადგმული ცეკვებიდან აღსანიშნავია: ,,სალხინო'', ,,ფარიკაობა'', ,,ზემოხეური'', ,,ახალგაზრდული'', ,,აწკიპულა'', ,,ალალმე'', ,,გოგმანი'', ,,შურდულა'', სადარბაზო'', ,,ძველი თბილისი'' და სხვ. ცეკვებს დგამდა დრამ. თეატრებსა და საოპერო წარმოდგენებში, კინოფილმებში. 1977 წარმატებით გააფორმა ო. თაქთაქიშვილის ,,მთვარის მოტაცების'' საცეკვაო სცენები მოსკ. დიდ თეატრში. 1976–82 იყო საქართვ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი. ანსამბლთან ერთად საგასტროლოდ დადიოდა სსრკ ქალაქებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში.

დარბაზი (<სპარს. დარვაზე – კარი, ალაყაფის კარი, სასახლის კარი), მეფესთან არსებული არამუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო – სამეფო საბჭო XI–XVIII სს. საქართველოში. ი. ჯავახიშვილის თვალსაზრისით, დ. ეწოდებოდა როგორც სამეფო სასახლეს, ისე სამეფო საბჭოს, დ-ის წევრებს ერქვათ ,,*დარბაზის ერნი*'', დ-ის სხდომას – ,,დარბაზობა''. დარბაზობა ორნაირი იყო ,,უმცროსითა წესითა'' და ,,დიდის წესითა''. დარბაზობა ,,უმცროსითა წესითა'' დ-ის საქმიანი სხდომა იყო, რ-საც მხოლოდ ,,დარბაზის ერნი'' ესწრებოდნენ. ,,დიდი დარბაზობა'' კი დ-ის საზეიმო სხდომას წარმოადგენდა, რ-საც ,,დარბაზის ერთა'' გარდა, მრავალრიცხოვანი ,,ხელშინაური'' მოხელეები და ,,დარბაზის ყმანიც'' ესწრებოდნენ. ამგვარ დარბაზობაზე ისეთი საქმეები ირჩეოდა, რ-თა შესახებ საჯაროდ მსჯელობა უხერხული და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით სახიფათო არ იყო. დარბაზობას ჰქონდა თავისი დადგენილი ,,დარბაზობის წესი''. დარბაზობის გამართვის ბრძანებას გასცემდა მეფე, რ-იც თვითონ საზღვრავდა, თუ როგორი წესით უნდა გამართულიყო დ. და თვითონვე თავმჯდომარეობდა სხდომებს. მეფესთან სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლის სტუმრობას ,,დარბაზობად მოსვლა'' ერქვა. მას წინ უძღოდა ,,თხოვა დარბაზობისაჲ'', ე. ი. აუდიენციის თხოვნა. თუ მეფე თავად მოიწვევდა სხვა სახელმწიფოს მეთაურს, ამას ,,დარბაზობად მოყვანა'' ერქვა. მტკიცედ იყო განსაზღვრული დ-ის წევრთა დასხდომის წესი, თუმცა ის სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარი იყო. *ბაგრატ IV-ის* დროს დ-ის წევრები მეფის პირდაპირ სხდებოდნენ, *თამარ* მეფის დროს ეს წესი შეუცვლიათ და დ-ის წევრები მეფის ორივე მხარეს მსხდარან. დ-ის წევრი, რაც უფრო ახლოს იჯდა მეფესთან, მით უფრო საპატიო იყო. სკამებიც განსხვავებული იყო: ყველაზე საპატიო პირებისთვის (ვაზირებისა და ერისთავთერისთავებს) ედგათ ოქროჭედილი სელები (სავარძლები), რ-ებზეც გადაფენილი იყო ნატი და სასთაული (ხალიჩა და ბალიში). ნაკლებად საპატიო წევრებს სკამზე ედოთ მხოლოდ ნატი, უბალიშოდ, ხოლო უფრო დაბალი რანგის პირებს ედგათ უნატო და უბალიშო სკამები. დარბაზობის ზოგი

მონაწილე ფეხზე იდგა. ისინი დ-ის წევრები არ იყვნენ, მხოლოდ დარბაზობისათვის საჭირო წესრიგის, ცერემონიალის დამცველი ან საქმის წარმოებისათვის აუცილებელი მოხელეების ფუნქციებს ასრულებდნენ (მაგ. მწიგნობარნი). დ-ის დროს ფეხზე მდგომ თითოეულ მოხელესაც თავისი ადგილი ჰქონდა მიჩნეული ,,წესისაებრ სიახლოისა'' (სამეფო ტახტთან). დ-ის ყოველი წევრის დაწინაურებას მისთვის კუთვნილი დასაჯდომი ადგილის შეცვლაც მოსდევდა. ამისათვის საჭირო იყო აჯა (თხოვნა) უკეთესი (მაგ., სასთაულიანი დასაჯდომი) ადგილის ბოძების შესახებ. დ. იკრიბებოდა როგორც მნიშვნელოვანი სახელმწ. საქმეების განსახილველად, ისე სადღესასწაულოდ და საზეიმოდ. დ-ზე განიხილებოდა კანონმდებლობისა და უზენაესი მართლმსაჯულების, ომის გამოცხადების, დიდ ხელისუფალთა არჩევა-დანიშვნის, მათი ,,დალოცვა-ჯელდასხმის'' საკითხები და სხვ.

ნ. *ბერძენიშვილის* აზრით, დ-ის როლი სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი იყო: დავით აღმაშენებლის დროს დ. მეფეს ემორჩილებოდა, გიორგი II-ის დროს კი მეფე – დ-ს. მისივე აზრით, დავით აღმაშენებლის დროიდან დ-ს დაუპირისპირდა *სავაზირო*, რ-იც უფრო პროგრ. დაწესებულება იყო, რადგან ხელს უწყობდა ქვეყნის ცენტრალიზაციას, მმართველობის მოწყობას ცენტრ. საუწყებო პრინციპით; დ. კი ერისთავთა, ადგილ. გამგებელ მოხელეთა დაწესებულება იყო. მეფე ცდილობდა სავაზიროს გზით ,,მოუხეშავი დარბაზის, ამ ნახევარ-ხელმწიფეთა კრებულის დამორჩილებას''. ამ მიზნით სამეფო ხელისუფლებამ XII ს. მიწურულს ვაზირს ერისთავთერისთავობა შეუთავსა. ეს იყო პირველი კონსტ. ხასიათის შეტევა ერისთავებისა და დ-ის წინააღმდეგ. ი. ჯავახიშვილის აზრით, რ-საც სხვა მკვლევრებიც იზიარებენ, თამარის მეფობაში ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლას მოჰყვა დ-ის უფლებათა გაფართოება და სახელმწ. მმართველობაში ,,ერთნებობა თანადგომის'' (ე. ი. მეფის მიერ დიდებულებთან ერთად სახელმწიფოს მართვის) პრინციპის დაკანონება. შ. *მესხიას* აზრით, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა მიზნად ისახავდა ახ. ტიპის დ-ის დაარსებას, რ-იც დაიცავდა არა მარტო დიდგვარიანი ფეოდალების, არამედ მესამე წოდების (დიდვაჭართა, მოქალაქეთა ზედა ფენა) ინტერესებსაც. ეს გამოსვლა მარცხით დამთავრდა, მაგრამ მას მაინც მოჰყვა გარკვეული შედეგი: დ-ის შემადგენლობაში შევიდნენ დიდვაჭართა, მოქალაქეთა ზედა ფენის წარმომადგენლები.

დ-ის შესახებ არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც (ნ. *შოშიაშვილი*), რ-ის მიხედვით, დ. არ წარმოადგენდა სახელმწ. ორგანოს თავისი მუდმივი შემადგენლობით და სამუშაო წესდებით. ეს იყო მეფის სასახლისა და სამეფო კარზე არსებულ სახელმწ. დაწესებულებათა (*საჭურჭლე, საავჯო კარი*, სამწიგნობრო და სხვ.) ერთობლიობა.

ლიტ.: ა ნ თ ე ლ ა ვ ა ი., ,,დარბაზი'' XI–XIII საუკუნეთა საქართველოში, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1976, № 4; ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველო XI–XVIII საუკუნეებში, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 6, თბ., 1973; დ ო ლ ი ძ ე ი., გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957; კ ი კ ვ ი ძ ე ა., ქართული სახელმწიფო დარბაზი და მისი ადგილი ,,ვეფხისტყაოსანში'', კრ.: XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968 («თსუ შრომები», ტ. 125); მ ე ს ხ ი ა შ., საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962; ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, [ტ]. 1, თბ., 1952; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 2, თბ., 1984 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ.7).

ნ. შოშიაშვილი.

დარბაზი, სოფელი ბოლნისის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე), შუა ხრამის მთისწინეთში, მდ. გეტისწყლის (მაშავრის აუზი) მარცხ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: დ., წიფორი, ჭრეში, ხახალაჯვარი). ზ. დ. 900 *მ*, ბოლნისიდან 21 *კმ*. 3,7 ათ. მცხ. (2002).

სოფლის ჩრდ.-დას-ით, გორაკზე, ძვ. დარბაზული ეკლესიის ნანგრევია. ნაგებია დაუმუშავებელი ქვებით, ხოლო პროფილირებული ლავგარდანები დამუშავებული ქვისა ყოფილა. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, აღმ. და დას. კედლებში კი თითო სარკმელია. საკურთხევლის თაღი ისრულია, შერჩენილია კანკელის ძირი. შიგნითა ეკლესია შელესილი და მოხატული იყო. ეკლესია გვიანდ. შუა საუკ. ეკუთვნის, ამავე პერიოდის უნდა იყოს ეკლესიის ირგვლივ არსებული სასაფლაოც.

დ. იხსენიება ლუარსაბ მეფის განჩინებაში 1537–38 იოთამ და ორბელ ბარათაშვილთა გაყრის საქმესთან დაკავშირებით. საბუთის მიხედვით, იოთამს რგებია ,,დარბასქალას თავდარბაზი'', დარბასქალის ნახევარი და საუხუცესო. ბარათაშვილებს შორის ამ მამულებზე დავა XVII ს-შიც გრძელდებოდა. XVII ს. II ნახ. საყაფლანიშვილოს ძღვენისა და სამასპინძლოს გარიგების დავთარში, დარბაზელ გლეხებს გამოსაღებად შეწერილი ჰქონდათ სხვადასხვა სახის სამეურნ. და ფულადი გადასახადი. ამჟამად დ-ში თურქულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს.

ლიტ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 4–6, თბ., 1972–77; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წგ. 2, თბ., 1974.

დ. ბერძენიშვილი.

დარბაზი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტალავრის (ყოფ. ფახრალოს) თემში შემავალი სოფლის *პატარა დარბაზის* ადრინდ. სახელწოდება.

დარბაზის ერნი, სამეფო საბჭოს – *დარბაზის* წევრები XI–XVIII სს. საქართველოში. დ. ე. იყოფოდნენ 2 ჯგუფად: ერთ ჯგუფს შეადგენდნენ ,,ჴელოსანნი'', ე. ი. სახელმწ. მოხელეები, ხოლო მეორეს – ,,უჴელონი'', ე. ი. ისინი, ვისაც სახელმწ. თანამდებობა არ ეკავა (დ. ე-იდან შემდეგ წარმოდგა სიტყვა ,,დარბაისელი'', რაც თავდაპირველად დარბაზის წევრს აღნიშნავდა, ხოლო შემდეგ მას დინჯი ადამიანის მნიშვნელობაც მიენიჭა).

არსებობს სხვა თვალსაზრისიც (ნ. *შოშიაშვილი*), რ-ის მიხედვითაც დ. ე. ეწოდებოდა არა სამეფო საბჭოს – დარბაზის წევრებს, არამედ დარბაზის – სამეფო სასახლის, სამეფო კარის მსახურ-მოხელეებს (საწოლის მწიგნობარი, ეჯიბები, ამირეჯიბი, მეჭურჭლე, საჭურჭლის ნაცვალი და სხვ.), ე. ი. კარისკაცებს და სასახლის მცველთა რაზმს, სასახლის გვარდიას (მესაწოლეები, მესაწოლთუხუცესი და სხვ.). XI ს-მდე დ. ე-ის შესატყვისი იყო ,,ტაძრეულნი''.

ლიტ. იხ. სტ-თან დ ა რ ბ ა ზ ი.

ნ. შოშიაშვილი.

დარბაზის რიგის მოხელე, იხ. სტ. *მოხელე.*

დარბაზობა, 1. ოფიციალური სტუმრობა, მიღება; 2. *დარბაზის* (სამეფო საბჭოს) სხდომა შუა საუკ. საქართველოში.

დარბაზული ეკლესია, საეკლესიო ნაგებობის ერთ-ერთი სახეობა. ჩვეულებრივ შედგება საკურთხევლისა და ერთი ნავისაგან, რ-იც გადახურულია ორკალთიანი

სახურავით და ზოგჯერ ეგვტერები და გარშემოსავლელიც აქვს. არის ისეთი დ. ე-ებიც, რ-ებსაც თანაბარი სიმაღლის ნავები ან რამდენიმე მაღალი უსარკმლო შუა ნავი აქვთ. აღორძინების ეპოქიდან ევროპაში დ. ე-ებს თითქმის აღარ აშენებდნენ. საქართველოში გავრცელებული დ. ე. ერთნავიანია. იხ. *ერთნავიანი ეკლესია.*

დარბაზული სახლი, დარბაზი, ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებელი სახლი. ჰქონდა ძელური გადახურვა და მიწური სახურავი. კედლებს ქვითა და ლამკირით აშენებდნენ. ,,დარბაზი'', როგორც გლეხის საცხოვრებლის სახელწოდება, წერილობით წყაროებში პირველად XVIII ს-იდან გვხვდება. ეთნოგრ. ყოფაში დამოწმებულია ორნაირი დ. ს.: ერთთვალიანი (დიდი ზომის, წინ დერეფნით) – გავრცელებული იყო ქართლ-კახეთში; კომპლექსური, ,,მოდარბაზული'' კი – სამცხე-ჯავახეთსა და თრიალეთში, სადაც ყველა საცხოვრ. და სამეურნ. სათავსი (დარბაზი, ოდა, ბოსელი, საბძელი, სათონე, ბეღელი, მარანი და სხვ.) ჰორიზონტალურად იყო განლაგებული ერთ ჭერქვეშ. ქსნის ხეობაში დ. ს-ის ტიპის საცხოვრებელს ,,ერთობის სახლი'' ერქვა, ფშავში – ,,მოქცეული სახლი''. დ. ს-ის მთავარი თავისებურება გვირგვინიანი გადახურვა იყო. გვირგვინი ხის მრავალსაფეხურიანი გუმბათი იყო, რ-იც საშუქე და ბოლის ასასვლელი პატარა ერდოთი მთავრდებოდა. დ. ს-ის შუაში კერა იყო გამართული, მის თავზე კი – აყარი (მოგვიანებით, სამხრ. რ-ნებში კერა კედლის ბუხარმა შეცვალა). ქართლ-კახეთში გავრცელებული დ. ს-ის შიდა სივრცის სტრუქტურა გეგმით სიღრმეში წაგრძელებული იყო (შუა კერა, 2-, 3- ან 4-ჩუქურთმიანი ხის ბოძი, ზუსტად საცხოვრებლის შუა ნაწილში აღმართული გვირგვინი, კედლებში დატანებული წალოები, განჯინები, თაროები და ქილები); სამცხე-ჯავახეთის დ. ს-ის კი – გეგმით კვადრატული (8–12-მდე კედლისპირა ხისავე ბოძი, მთელ საცხოვრ. ფართობზე გადაჭიმული გვირგვინი და მდიდრულად მოჩუქურთმებული ბუხარი). დ. ს-ის ინტერიერის ხუროთმოძღვრული მხატვრული თავისებურების მთავარი კომპონენტია შინაგანი სივრცის მდიდარი, პლასტ. სტრუქტურა, კოჭების (ნიყურების) პარალელური ან კუთხური წყობით ნაგები 4-, 8-, 12-კუთხიანი საფეხუროვანი გვირგვინი, ორიგინ. ბოძ-ბალავარი, მდიდრულად მოჩუქურთმებული *დედაბოძი* და ბალიში. ხალხ. გადმოცემით, ძველად დედაბოძად ცოცხალ, ფესვებიან ხეს იყენებდნენ.

კონსტრ. თავისებურების გამო ამგვარი ერდოიან-გვირგვინიანი ნაგებობა კარგად უძლებდა სეისმურ მოვლენებს. საქართვ. გარდა დ. ს. ფართოდ იყო გავრცელებული სომხეთსა და აზერბაიჯანში, ტაჯიკეთში, ჩრდ.-აღმ. თურქეთში, ფერეიდანში (სპარსეთი) ავღანეთსა და ინდოეთში. გვირგვინული გადახურვა (ხე, ქვა) გავრცელებული იყო ძვ. სამყაროში, კორეიდან მოკიდებული ეგეოსის ზღვის სანაპირომდე, მაგრამ ისეთი მრავალნაირი და მხატვრულად დამუშავებული გვირგვინი, როგორიც საქართველოში იყო, არსად ჰქონიათ. ვარაუდობენ, რომ გვირგვინი უნდა ჰქონოდა აგრეთვე ეგეოსურ (ძვ. ბერძნ.) ერდოიან, მიწურიან, დერეფნიან საცხოვრებელს – მეგარონს.



დარბაზული სახლი.

გვირგვინული კონსტრ. უძველესი აღწერა მოცემულია რომაელი არქიტექტორის ვიტრუვიუსის ტრაქტატში ,,ათი წიგნი არქიტექტურაზე'' (ძვ. წ. I ს.), იქ აღწერილი ოთხკუთხოვანი გვირგვინით გადახურული კოლხური სახლი დარბაზული საცხოვრებელი იყო. საქართველოში დ. ს-ის უძველეს ტრადიციაზე მიუთითებს ურბნისის (ქვაცხელების) არქეოლ. გათხრების დროს აღმოჩენილი უძველესი ფორმის ერდოიან-ბანიანი მეგარონი, რ-საც ზოგიერთი მკვლევარი ხევსურულ საბერო დ. ს-ს უკავშირებს, ხოლო ფშავის სანაწვთებიან ტაძარ-ბეღელს (ძვ. წ. IV–III სს.) – მცირეაზიურ ანალოგიურ ძეგლებსა და ჩრდ. კავკ. მიწისზედა აკლდამებს (II–III სს.). დ. ს-ის უძველესი ფორმა უნდა იყოს შემორჩენილი სწორკუთხოვანი გეგმის დერეფნიან, ერთბოძიან, მიწურბანიან, ერდოიან სახლებში. ფეოდ. საქართველოში მის გავრცელებაზე მიუთითებს დ. ს-ის ნაშთების სიმრავლე ქართლის რ-ნებში, მარტივი სახის ქვის გვირგვინების გამოყენება მონუმ. ხუროთმოძღვრების ძეგლებში. დ. ს. იყო ხალხ. საფუძველი, საიდანაც განვითარდა ქართ. ცენტრალურგუმბათოვანი ტაძრის სტრუქტურა. XIX ს. შუა წლებში დ. ს. ჯერ ბანიან-ბუხრიან-სარკმლიანი, შემდეგ კი – ორსართულიანი, სხვენიან-აივნიან-ფანჯრიანი სახლით შეიცვალა.

ლიტ.: ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. 1 – ფშავი, თბ., 1974; ჩიტაია გ., გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში, «მიმომხილველი», 1926, ტ.1; ჩიქოვანი თ., ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბ., 1967; ჩუბინაშვილი გ., ქართლის დარბაზი, [ნაკვ.] 1–4, ტფ., 1926–27; Сумбадзе Л. З., Грузинские дарбази, Тб., 1960; მისივე, Дарбази, древнейший тип грузинского народного жилища и его место в истории архитектуры, Тб., 1964.

ლ. სუმბაძე.

დარბევა (ისტ.), შუა საუკ. საქართველოში: 1. სამხედრო მოქმედების სახეობა საგარეო თუ შინაომებში, ხშირად რეპრესიის მიზნით. 2. დანაშაული – ფეოდა-

ლების მიხდომა-თავდასხმა და ძარცვა; უფლების თვითნებურად განხორციელება და მტერთან ანგარიშის გასწორება. 3. ქონებრივი სასჯელი (ეგზეკუციური ხასიათისა) – ერთგვარი ჯარიმა, იძულებითი გადახდევინება (იგივე *აკლება*).

დ. თავდაპირველად თემის რეაქცია იყო მისი წესების დარღვევისათვის, შემდგომში მას მებატონეები მიმართავდნენ ყმებთან ურთიერთობაში, ზოგი ქმედებისათვის **დ**-ს სანქციად სახელმწ. და ეკლესიაც კი აკანონებდა. მიუხედავად ამისა, ხალხურობის ელემენტი მასში ბოლომდე (XIX ს.) არ წაშლილა. მაგ., **დ**-ით ისჯებოდა ის, ვინც წყლით სარგებლობის რიგს დაარღვევდა, გზას გადახნავდა და მიისაკუთრებდა, მდევარსა და ლაშქარს დააკლდებოდა. თავდაპირველად ჯარიმის სახით პირუტყვსა თუ სხვა საოჯახო ქონებას ართმევდნენ, შემდეგ კი თანდათან ,,თეთრით'' **დ**., ე. ი. ფულადი **დ**-ც შემოვიდა. საერო და სას. ხელისუფლება **დ**-ს, ჩვეულებრივ, *ათასულსა* და ,,მეჯვარუმეს'' ანუ მეჯვარიმეს ავალებდა (იხ. სტ. *ჯვრუმი).*

ლიტ.: ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, [ტ.] 1, თბ., 1973.

დ. ფურცელაძე.

დარგინიანი ლეონ ოჰანეზის ძე (10. IV. 1905, სოფ. ალასტანი, ახლანდ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, – 28. XII. 1943, ქ. ჟიტომირი), საბჭ. კავშირის გმირი (10. I. 1944, სიკვდილის შემდეგ). პოლკოვნიკი. 1924-იდან მსახურობდა საბჭოთა არმიაში. II მსოფლიო ომის დროს მეთაურობდა გვარდიის სატანკო არმიის მექანიზებულ ბრიგადას. კიევის, ჟიტომირის, შევჩენკოს და სხვა ქალაქებისა და დასახლ. პუნქტების განთავისუფლებისათვის გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. გარდაიცვალა ბრძოლის დროს მიღებული მძიმე ჭრილობისაგან. დაკრძალულია ქ. ჟიტომირში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

დარგთაშორისი ბალანსი, ეკონომიკური მაჩვენებლებისა და მათემატიკური მოდელების სისტემა, რომელიც გამოიყენება ეკონომიკურ ანალიზსა და პროგნოზირებაში. დარგთაშორისი კავშირების საბალანსო ცხრილები პირველად შეიმუშავა ამერ. ეკონომისტმა ვ. ლეონტიევმა, რ-მაც მიიღო სახელწოდება ,,დანახარჯი-გამოშვება'' (Input-Output). ამასთან ერთად, ვ. ლეონტიევმა დარგთაშორისი კავშირების ანალიზისას შემოგვთავაზა გამოკვლევის მათ. მეთოდების (წრფივი ალგებრის) ფართოდ გამოყენება. მის მიერ შემუშავებული ცხრილების მეთოდოლ. პრინციპები დაფუძნებულია წონასწორობის თეორიაზე, რ-ის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო ცნობილი შვეიცარიელი ეკონომისტი ლ. ვალრასი (1834–1910). **დ. ბ**-ების შემუშავებაში, მათი ეკონ. ანალიზისა და პროგნოზირების საკითხების შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანეს საბჭ. კავშირის გამოჩენილმა მეცნიერებმა: ვ. ნემჩინოვმა, მ. ეიდელმანმა, ა. აგანბეგიანმა, ა. გრანბერგმა, ვ. კოსოვმა, ე. ბარანოვმა, ფ. კლოცვოგმა და სხვ.

საქართველოში საგეგმო **დ. ბ.** ნატურალურ გამოსახულებაში პირველად შეიმუშავეს 1964-თვის საქ. სსრ სახელმწ. საგეგმო კომიტეტში. ამ კომიტეტთან არსებულ სახ. მეურნ. ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ჩატარდა მოკავშირე რესპუბლიკების საგეგმო **დ. ბ**-ების სისტემის აგების ექსპერ. სამუშაოები (1963–80). ინ-ტში დამუშავდა აგრეთვე საგეგმო **დ. ბ**-ები 1970 და 1975 წლებისათვის. საქართვ. ცენტრ. სტატისტ. სამმართველომ შეადგინა საანგარიშგებო **დ. ბ**-ები 1966, 1972 და 1977 წლებისათვის. გარდა ამისა, შემდგომ საქართვ. სტატისტ. სახელმწ. დეპარტამენტმა შეიმუშავა რესურსებისა და მათი გამოყენების ცხრილები 1999, 2000 და 2001 წლებისათვის. ვ. მელქაძის სახ. სოც.-ეკონ. და რეგიონული პრობლემების სამეცნ.-კვლ. ინ-ტში სისტემატურად სრულდებოდა საანგარიშგებო და საპროგნოზო გაანგარიშებები ღირებულებითი ,,დანახარჯი-გამოშვების'' მოდელის საფუძველზე. ინ-ტში ღირებულებით **დ. ბ**-თან ერთად ჩატარებულია გაანგარიშებები ნატურალურ-ღირებულებითი დარგთაშორისი მოდელის საფუძველზე 1975, 1980, 1985 და 1990 წლებისათვის. 2003 დასრულდა 1998 წლის **დ. ბ**-ის საანგარიშგებო ნატურალურ-ღირებულებითი სტრუქტურული მოდელით გაანგარიშება. ამჟამად **დ. ბ**-ის პრობლემებზე მხოლოდ თეორიული კვლევა მიმდინარეობს, ხოლო პრაქტიკულად ბალანსები აღარ დგება.

საქართველოში **დ. ბ**-ების შემუშავებისა და გამოყენების პრობლემების შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ი. ანანიაშვილმა, კ. აჩელაშვილმა, ჯ. ოსავამ, მ. კეკელიძემ, თ. მთიულიშვილმა, ი. *მესხიამ,* ვ. *პაპავამ,* ს. სანაძემ, ნ. სულავამ და სხვებმა.

ლიტ.: სულავა ნ., საქართველოს სსრ საზოგადოებრივი პროდუქტის დარგთაშორისი ბალანსი, თბ., 1973; Аганбегян А. Г., Гранберг А. Г., Экономико-математический анализ межотраслевого баланса СССР, М., 1968; Леонтьев В. В., Исследования структуры американской экономики, М., 1958; Эйдельман М. Р., Межотраслевой баланс общественного продукта, М.., 1966.

თ. მთიულიშვილი.

დარგუული ენა, იბერიულ-კავკასიურ ენათა დაღესტნური ჯგუფის ერთ-ერთი სამწერლობო ენა. გავრცელებულია დაღ. ცენტრ. ნაწილში, ახუშის, ლევაშის, სერგოყალის, დახადაევის, ხაიდაყის რ-ნებში. **დ.** ე-ზე ლაპარაკობს 965 ათ. კაცი (1989). გამოიყოფა დიალექტები: ახუშური (რ-საც ეფუძნება სალიტ. ენა), ურახული, მეჰებური, წუდახარული, მუირული, სირხისა, ხაიდაყური, კუბაჩური. ისინი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, კუბაჩური იმდენად განსხვავებულია სხვა დიალექტებისაგან, რომ ზოგიერთი მკვლევარი ცალკე ენადაც კი მიიჩნევს. **დ.** ე-ში გარჩეულია ა, ე, ი, უ მარტივი ხმოვნები, ფარინგალიზებული ა. გრძელი ხმოვნები, როგორც მეორეული ფონემები, გვხვდება მხოლოდ კუბაჩურ დიალექტში. თანხმოვანთა სისტემა დიალექტებში ორნაირია: 1. ხშულთა ოთხეულები და სპირანტთა სამეულები; 2. ხშულთა სამეულები და სპირანტთა წყვილეულები (აკლია ინტენსიური თანხმოვნები). მორფოლოგიაში გარჩეულია გრამატ. კლასის კატეგორია – სამი (ძირითადად) ან ოთხი (მეჰებურ დიალექტში) კლასი. ძირითადი ბრუნვებია სახ., ერგატივი, მიც., ნათესაობითი. ადგილობრივი ბრუნვები დიალექტების მიხედვით წარმოდგენილია ორი ორბრუნვიანი სერიიდან ხუთ-ექვს სამ- ან ექვსბრუნვიან (ურახულ დიალექტში) სერიამდე. პირის ნაცვალსახელები ზოგ დიალექტში არჩევს ინკლუზივ-ექსკლუზივს. ზმნა იცვლება გრამატ. კლასებისა და პირთა მიხედვით (ე. წ. კლასოვან-პიროვანი უღვლილება). გარდამავალი ზმნა პოლიპერსონალურია. პრეფიქსული კლასის ნიშანი გამოხატავს უახლოეს ობიექტს, სუფიქსური პირის ნიშანი (ან კლა-



დარეჯანი. ქართლ-კახეთის დედოფალი.



დარეჯანი. თეიმურაზ I-ის ასული. კასტელის ალბომი. XVII ს.

სის ნიშანი III პირში) – სუბიექტს. უღვლილება სუბიექტურ-ობიექტურია. კუბაჩურში შეიმჩნევა გვარის დიფერენციაციის ჩანასახი. ზმნა დაირთავს მიმართულებისა და ადგილის პრევერბებს (პრევერბთა სისტემა უკეთაა წარმოდგენილი კუბაჩურში). გარდაუვალი ზმნა ნომინატიური კონსტრუქციისაა, გარდამავალი – ერგატიულისა, გრძნობა-აღქმის ზმნები – დატიურისა.

დ. ე-ის დამწერლობა შეიქმნა ოქტ. რევ. შემდეგ. 1928-მდე წერდნენ არაბ. შრიფტით, 1928 შემოიღეს ლათ. ანბანი, ხოლო 1938-იდან დამწერლობა ეფუძნება რუს. გრაფიკას.

ლიტ.: Абдуллаев С. Н., Грамматика даргинского языка, Махачкала, 1954; Гаприндашвили Ш. Г., Фонетика даргинского языка, Тб., 1964; Жирков Л. И., Грамматика даргинского языка, М., 1926; Магометов А. А., Кубачинский язык, Тб., 1963; მისივე, Мегебский диалект даргинского языка, Тб., 1982; Услар П. К., Этнография Кавказа. Языкознание, [т.]5 – Хюркилинский язык, Тфл., 1892; Bouda K., Beiträge zur kaukasischen und sibirischen Sprachwissenschaft, I. Die darginische Schriftsprache, Lpz., 1937 (Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes, XXII, 4). *ა. მაჰომეტოვი.*

დარეჯანაშვილი არჩილ სტეფანეს ძე (1861, სოფ. ყორაღანი, ახლანდ. კახის რ-ნი, აზერბაიჯანი, – 16. XII. 1921, თბილისი), ერთ-ერთი პირველი ქართველი (ინგილო) აგრონომი. 1880 დაამთავრა ნიკიტის (დაბა ყირიმში, იალტის მახლობლად) მებაღეობა-მევენახეობის სასწავლებლის მელვინეობის უმაღლესი პრაქტ. კურსები. მუშაობდა სიმფეროპოლსა (1880–82) და მუხრანში (1882–86) უფროს მებაღედ, შემდეგ – სოფ. საცხენისის (თელავის მაზრა) და ახალციხის სკოლებში, სადაც ხელმძღვანელობდა სას.-სამ. განყ-ბებს და სკოლების სასწ. მეურნეობებს. 1890–96 იყო ნაფარეულის საუფლისწულო მამულში ჩაის პლანტაციის უფროსი მებაღე. ექსპერიმენტებს ატარებდა საქართველოში ახ. გაუმჯობესებული სას.-სამ. კულტურების გასავრცელებლად.

თხზ.: როგორ უნდა მოშენდეს აბრეშუმი, ტფ., 1882; მოკლე დარიგება ხეხილის დარგვაზე, ტფ., 1889; საბოსტნე მცენარეების თესვა-მოყვანა და მოხმარება-შენახვა, ტფ., 1895; ფუტკრის გონიერი მოვლა-მოშენება, ტფ., 1896; ვაზის მოვლა-მოშენება და ღვინის დაყენება, ტფ., 1910.

ლიტ.: თოდუა გ., არჩილ დარეჯანაშვილი, თბ., 1964. *გ. თოდუა.*

დარეჯან ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1670–1740), მწიგნობარი, დიპლომატი, მეფე არჩილ II-ის ასული. 1685-იდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მოსკოვში. არჩილ II-ის გარდაცვალების შემდეგ მოსკ. ქართ. ახალშენის მეთაური გახდა. დ. ბ. დიდად იღვწოდა საქართვ. 1721–23 სამხ.-პოლიტ. კავშირის ჩამოსაყალიბებლად, ბოლომდე ერთგულად იბრძოდა რუს.-საქართვ. ურთიერთობის გამყარებისათვის. დ. ბ-ის მოსკ. სასახლეში ქართველები ეცნობოდნენ რუს. მოწინავე საზ-ბის აზრს. მისი ინიციატივით 1733–36 სოფ. ვსეხსვიატსკოეში ძვ. კარის ეკლესიის ნაცვლად ააგეს ახ. ტაძარი, რ-იც ქართველთა კულტ.-რელიგ. ცენტრი გახდა.

ლიტ.: რუხაძე ტ., ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI–XVIII სს.), თბ., 1960; სიხარულიძე ფ., მოსკოვის ქართული ახალშენის როლი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში (მე-18 ს. I მეოთხედი), კრ.: საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, [ტ. 1], თბ., 1968; მისივე, ქართული კულტურის კერის შექმნა მოსკოვში, «ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში», 1968, № 2. *ფ. სიხარულიძე.*

დარეჯან ბატონიშვილი, ბაგრატიონი (1756–1821), იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, *სოლომონ I-ის* ასული. იმერეთის გავლენიანი თავადის ქაიხოსრო აბაშიძის მეუღლე. აქტ. მონაწილეობას იღებდა დას. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1819–20, იმერეთის ავჯანყების დროს, მეფის მთავრობამ გადაასახლა რუსეთში. გარდაიცვალა მოსკოვში. *ო. სოსელია.*

დარეჯანი (1726 – 8. XI. 1807), ქართლ-კახეთის დედოფალი, *ერეკლე II-ის* მესამე ცოლი (1750-იდან), კაცია I დადიანის ასული. დ. ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ სამეფო ტახტზე თავისი შვილები დაემკვიდრებინა. ამ მიზნით ერეკლე II-ს კანონიც კი მიაღებინა, რ-ის ძალითაც, გიორგის (ერეკლეს უფროსი ვაჟი II ცოლისაგან) შემდეგ მეფობა მის უფროს ვაჟზე კი არა, ძმაზე – დარეჯანის შვილზე – იულონზე უნდა გადასულიყო (ეს წესი ერეკლე II-მ თვითონვე გააუქმა).

დ-მა ისანში, სირაჯხანის მახლობლად ააგო სასახლე (საზაფხულო რეზიდენცია) (იხ. სტ. *დარეჯანის სასახლე*) და ეკლესია. თბილისში ჰყავდა 248 კომლი ყმა, ჰქონდა ბაღები, სასტუმროები, რ-თაც იჯარით გასცემდა ხოლმე, აგრეთვე ყასაბხანა და აბანო. მარტო სამღებროები დედოფალს 700 *თუმნამდე* შემოსავალს აძლევდა წელიწადში.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, 1803 დ. ოჯახის წევრებთან ერთად რუსეთში გადაასახლეს. გარდაიცვალა პეტერბურგში. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ტაძარში.

ლიტ.: იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას გამოც., თბ., 1936; Дубровин Н., Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ее к России, 2 изд., СПб., 1897. *გ. აკოფაშვილი.*

დარეჯანი (გ. 1668), მეფე *თეიმურაზ I-ის* ასული, ზურაბ არაგვის ერისთავის მეუღლე. ზურაბის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზ I-მა დ. იმერეთის მეფე *ალექსანდრე III-ს* მიათხოვა. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ (1660) დ-მა შეთქმულება მოაწყო, ტახტიდან ჩამოაგდო *ბაგრატ IV*, ცოლად გაჰყვა იმერეთის ბაგრატიონთა შორეულ ნათესავს ვახტანგს (ჭუჭუნასშვილად წოდებული) და იგი მეფედ გამოაცხადა, თუმცა ფაქტობრივად სამეფოს გამგებელი თავად იყო. მოკლეს ფეოდალებმა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: კაკაბაძე ს., საქართველოს ისტორია (1500–1810), ტფ., 1922.

გ. აკოფაშვილი.

დარეჯანის სასახლე, სახინო, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი თბილისში, მეფე ერეკლე II-ის მეუღლის – დარეჯან დედოფლის სასახლე. აშენებულია 1776, ნაწილობრივ გადაკეთებულია XIX ს-ში. მდებარეობს ძვ. უბანში – *ისანში*. დაშენებულია ქალაქის გალავნის ბურჯზე ღვინის აღმართის (სირაჯხანის) თავში. კოშკის ქვედა ნაწილი ნაგებია ნატეხი ქვით. წყობაში ფენებად კვადრ. აგურია დატანებული. ზემოთ კოშკს გარს უვლის ხის მოხდენილი აივანი. ამავე პერიოდშია აშენებული სასახლის კარის ეკლესიაც. მას შემდეგ, რაც დედოფალი პეტერბურგში გადასახლდა, აქ განთავსდა თავდაპირველად ფერისცვალების მონასტერი, ხოლო შემდეგ (1862) – სას. პირთა შვილებისათვის განკუთვნილი სემინარია. დროთა განმავლობაში ნაგებობა დაზიანდა, ბევრი რამ გადაკეთდა, გაჩნდა ახ. მინაშენები. 1978–80 ჩატარდა ისტ. რ-ნის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რის შედეგადაც ძეგლი გაიწმინდა გვიანდ. მინაშენებისაგან, აღდგა მისი პირვანდელი

სახე. 1987–88 დ. ს-ში მოქმედებდა ერთი მსახიობის თეატრი. ამჟამად აქ ფერისცვალების დედათა მონასტერია.

ლიტ.: ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრული ძეგლები, «ძეგლის მეგობარი», 1971, №25; კვირკველია თ., ძველთბილისური დასახელებანი, თბ., 1985.



დარეჯანის სასახლე.


დარვინი (Darwin) ჩარლზ რობერტ (12.II. 1809, შრუზბერი, – 19. IV. 1882, დაუნი, ლონდონის მახლობლად), ინგლისელი ბუნებისმეტყველი, რ-მაც შექმნა მოძღვრება ცოცხალი ბუნების ისტ. განვითარების (ევოლუციის) შესახებ. დ. თავდაპირველად სწავლობდა მედიცინას, შემდეგ – თეოლოგიას. გატაცებული იყო ცოცხალი ბუნების შესწავლით. 1831–36 იმოგზაურა დედამიწის გარშემო გემ ,,ბიგლით''. დააგროვა დიდძალი ბოტან., ზოოლ., პალეონტოლ., გეოლ., ანთროპოლ., ეთნოგრ. მასალა, რ-იც შეისწავლა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თანამედროვე ცოცხალი სამყაროს წარმომადგენელთა ნაირგვაროვნება ბუნების კანონების საფუძველზე მიმდინარე ხანგრძლივი განვითარების პროცესის შედეგია. დ-მა ისტ. განვითარების იდეა გაავრცელა ადამიანზეც. მისი ძირითადი ნაშრომია ,,სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი გადარჩევის გზით, ანუ უკეთ შეგუებული ჯიშების გადარჩენა სიცოცხლისათვის ბრძოლაში'' (1859). სხვა ნაშრომებში: ,,შინაურ ცხოველთა და კულტურულ მცენარეთა ცვალებადობა'' (1869), ,,ადამიანის წარმოშობა და სქესობრივი გადარჩევა'' (1871) და სხვ. ძირითადად გადმოცემულია ფაქტობრივი მასალა, რ-იც ,,სახეობათა წარმოშობაში'' ჩამოყალიბებულ დებულებებს ასაბუთებს.

დ-ის ევოლ. თეორიის საფუძველია მოძღვრება ხელოვნური და ბუნებრივი გადარჩევის შესახებ. ხელოვნური გადარჩევა ის ფაქტორია, რ-ითაც ადამიანს შეუქმნია კულტ. მცენარეთა და მოშინაურებულ ცხოველთა მრავალნაირი ჯიში; ბუნებრივი გადარჩევა კი განაპირობებს ახ. სახეობების წარმოქმნას ბუნებაში. იგი მიმდინარეობს ორგანიზმთა ინტენს. გამრავლებისა და სიჭარბის გამო არსებობისათვის გამოწვეული ბრძოლის ფონზე, რის შედეგადაც გადარჩებიან მოცემულ პირობებს უკეთ შეგუებული ორგანიზმები, რ-ებიც დასაბამს აძლევენ ახ. სახეობებს.

დ-ის ევოლ. თეორიას თავიდანვე გაუჩნდნენ მოწინააღმდეგეები, წარმოიქმნა ანტიდარვინიზმი – ცალკეულ კონცეფციათა ერთობლიობა, რ-ებიც უარყოფენ ბუნებრივი გადარჩევის წამყვან როლს ორგანული სამყაროს ევოლუციაში. ანტიდარვინიზმის ძირითადი მიმდინარეობები ჩამოყალიბდა XIX ს. II ნახ-ში – XX ს. დასაწყისში. მათ მიეკუთვნება: ნეოლამარკიზმის სხვადასხვა ფორმები, ნეოკატასტროფიზმი, ტრანსფორმიზმი, ასევე გენეტიკური ანტიდარვინიზმი – მუტაციონიზმი. ანტიდარვინიზმს ასევე მიაკუთვნებენ ანტიევოლუციონიზმს ანუ კრეაციონიზმს.

XX ს-ში გენეტიკის ზეგავლენით კლასიკური დარვინიზმის რიგი შეხედულებების გადახედვის შედეგად განვითარდა ნეოდარვინიზმი. ევოლუციურმა თეორიამ განიცადა ტრანსფორმაცია, შეიქმნა სინთეზური ევოლ. თეორია, რ-იც თანამედროვე სახით ჩამოყალიბდა XX ს. 20–40-იან წლებში (ჯ. ჰაქსლი, ე. მაირი, თ. დობჟანსკი, ჯ. ჰოლდეინი, რ. ფიშერი, ს. რაიტი და სხვ.). დარვინიზმის განვითარების უახლესი ეტაპი ხასიათდება მოლეკულური ბიოლ. მონაცემების გამოყენებით დამემკვიდრების და ცვალებადობის მექანიზმების უფრო ღრმა შესწავლით – ყურადღება გამახვილებულია მიკროევოლუციურ და სახეობათა წარმოქმნის პროცესებზე. თანამედროვე დარვინიზმი აგრძელებს განვითარებას ევოლ. ბიოლოგიის ყველა უახლესი მიღწევის გამოყენებით.

დ-ის თეორიამ უდიდესი გავლენა იქონია ბუნებისმეტყველებისა და, კერძოდ, ბიოლ. შემდგომ განვითარებაზე. ამ თეორიას, როგორც კაცობრიობის ინტელექტუალური განვითარების ერთ-ერთ დიდ მიღწევას, იმთავითვე გამოეხმაურნენ საქართველოშიც. პირველი სტატიები დ-ის შესახებ გამოუქვეყნებელი აქვს მწერალ გიორგი წერეთელს გაზ. ,,დროებაში'' (1868). შემდგომ წლებში ქართ. ჟურნალ-გაზეთებში (,,მნათობი'', ,,ივერია'', ,,კვალი'', ,,ნაკადული'', ,,ახალი ცხოვრება'', ,,განათლება'' და სხვ.) ხშირად იბეჭდებოდა პოპულ. სტატიები დ-სა და მის თეორიაზე. 1896 ფრანგულიდან ქართულად უთარგმნიათ ე. ფერიერის წიგნი ,,დარვინიზმი'', რ-იც მეორედ გამოუცია 1912. პირველი ქართვ. ავტორი, რ-მაც დ-ზე ცალკე წიგნი გამოსცა, არის დ. ახვლედიანი (,,ჩ. დარვინი, მისი ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა'', 1914). დ-ის თეორია საქართველოში ბიოლ. და მისი მონათესავე პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში თითქმის მათი დაარსებიდანვე ისწავლება; ასწავლიან საჯარო სკოლებშიც.



ჩ. დარვინი.

თხზ.: Сочинения, т. 1–9, М. –Л., 1935–59.

ლიტ.: ჯოხაძე დ., დარვინიზმის გამოძახილი საქართველოში, «მეცნიერება და ტექნიკა», 1954, №1; მისივე, დარვინიზმის გავრცელება საქართველოში, თბ., 1957; Биологический энциклопедический словарь, гл. ред. М. С. Гиляров, 2-е испр. изд., М., 1986; Майр Э., Зоологический вид и эволюция, М., 1968; Некрасов А. Д., Чарлз Дарвин, М., 1957; Четвериков С. С., О некоторых моментах эволюционного процесса с точки зрения современной генетики, წგ.:

Классики современной генетики, M., 1968; Fisher R. A., The genetical theory of natural selection, 2nd ed., N. Y., 1958; Huxley J., Evolution. The modern synthesis, 2nd ed., L., 1963; Simpson G. G., The major features of evolution, 3-rd ed., N.Y., 1953. *დ. ჯოხაძე.*

დართლო, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტის ომალოს თემში



სოფელი დართლო.

(კახეთის მხარე), თუშეთში, პირიქითის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. დიდხევის (პირიქითის ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 2000 *მ*, ახმეტიდან 102 *კმ.* 9 მცხ. (2002).

სოფელში შემონახულია შუა საუკ. კოშკები . გარეგნულად ისინი ბევრად არ განსხვავდება თუშეთის სხვა სიმაგრეებისაგან, მათაც აქვთ სარკმლების ნაცვლად ვიწრო სამზერები, სათოფურები. ერთ-ერთი კოშკის ფასადში ჩაყოლებულია სამი, განსხვავებული ფერის მოზრდილი ქვა. ისინი ერთ ჰორიზ. ზოლს ქმნიან ისე, რომ შუა ქვა კედლის ღერძს ემთხვევა, დანარჩენი ორი ნაპირებზეა. ქვებზე გამოსახულია წრეებში ჩასმული კვადრები, ზოგს გარშემო სხივები აქვს შემოყოლებული. დ-ში სხვა ნაგებობებზეც არის მსგავსი გამოსახულებანი. წრე არის გამოსახული დ-ს განაპირას მდებარე აკლდამის დას. კედელზეც, როგორც ჩანს, მიცვალებულთა მზის სიმბოლოდ. ეს გამოსახულებანი, ცხადია, ასტრალურ შინაარს ატარებს და ქართველთა უძველეს რწმენა-წარმოდგენებთანაა დაკავშირებული. სოფლის სამხრ-ით დგას XIX ს. დარბაზული ეკლესია. ბოლო წლებში სოფელში გაიხსნა სასტუმროები ტურისტებისათვის.







დართლოს სამაროვანი. 1 – მძივები; 2 – ჯაჭვის ფრაგმენტები; 3 – სარკე. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, თბ., 2004; სურგულაძე ი., მთა-თუშეთის ციხე-ნაგებობათა ორნამენტები, «ძეგლის მეგობარი», 1966, № 7.

დართლოს სამაროვანი, ადრინდელი შუა საუკ. არქეოლოგიური ძეგლი სოფ. *დართლოში* (ახმეტის მუნიციპალიტეტი), იახსრის მთაზე. სამარხების ჯგუფი გათხარეს 1932 (ხელმძღვ. გ. ჩიტაია); ქვის ერთ სამარხში მიცვალებულის ჩონჩხთან ერთად აღმოჩნდა ორნამენტირებული ბალთა. აღნიშნული სამარხის ქვეშ, მიწაში, ნაპოვნია სასანური ხანის სარდიონის ინტალიო საბეჭდავი, ბრინჯაოს საყურე, ბეჭედი, სამაჯურის ფრაგმენტები, ბალთები, აბზინდა, ჯაჭვის ფრაგმენტები, ქვისა და მინის მძივები და სხვ.

სოფელში გათხრილია აგრეთვე გვიანდ. შუა საუკ. ქვის სამარხი, რ-შიც აღმოჩნდა მიცვალებულისათვის ჩატანებული საყურეები, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, ბალთები, სარკეები, სარდიონისა და მინის მრავალგვარი მძივები.

მასალა ინახება საქართველოს ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

რ. დოლაბერიძე.

დარიალანი, იხ. *დარიალის ხეობა.*

„დარიალი“, მხატვრულ-ლიტერატურული ალმანახი, გამოდიოდა თბილისში 1925 (№1 ოქტ.-ნოემბ.). „დ-ში“ იბეჭდებოდა დ. გაჩეჩილაძის, კ. ლორთქიფანიძის, ნ. ჩაჩავას, ს. ჩიქოვანის, გ. მდივნის, შ. რადიანისა და სხვათა ლექსები, მოთხრობები, თარგმანები და ლიტ.-კრიტ. წერილები. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ ვ. ბახტაძე, კ. კალაძე, ვ. ჟურული, ბ. ჟღენტი, დ. ცაგარელი, გამომცემელი – ჟურნ. „მნათობი“.

ი. ლორთქიფანიძე.

დარიალის ციხე, ციხესიმაგრე მდინარე თერგის ხეობაში, საქართველოს ჩრდ. საზღვარზე, თერგის მარცხ. ნაპირის მაღალ კლდოვან მთაზე, დაბა სტეფანწმინდის ჩრდ-ით მე-15 *კმ*-ზე. მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, რ-იც კეტავდა ჩრდილოეთიდან საქართველოსაკენ მიმავალ გზას. საქართვ. მეფეები ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ მას. დ. ც. ჯერ კიდევ ძვ. წ. I ს-ში იყო გადაკეტილი და გამაგრებული კოშკებიანი კედლებით. რომაელი ისტორიკოსის – პლინიუს უფროსის (I ს.) ცნობით, ურიცხვი მომთაბარის შესაკავებლად ამ ხეობაში აგებული იყო ციხესიმაგრე კუმანია. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, დ. ც. და კუმანია ერთი და იგივე უნდა იყოს. ვახტანგ გორგასალმა (V ს.) თავისი გამეფების პირველსავე წლებში საგანგებო ლაშქრობა მოაწყო ჩრდილოეთში, დაამარცხა იმ დროის მომძლავრებული ჰუნები და სხვა ჩრდილოელი ხალხები, ააგო ციხესიმაგრე და მცველებად ადგილ. მთიელები ჩააყენა. ციხე ჩრდ-იდან და აღმ-იდან მიუდგომელია. იგი სალი კლდეებითაა გამაგრებული, დას-იდან კი მთის ყელი მძლავრი კედლებით არის გადაკეტილი. ციხეს 1 *ჰა*-მდე ფართობი ეჭირა. დ. ც-ში ვხვდებით ქრონოლოგიურად განსხვავებულ მრავალ სამშ. ფენას.



დარიალის ციხე. XIX ს. 90-იანი წწ.

ძირითადი ფენა ანტ. და ადრინდ. ფეოდ. ხანისაა. შემორჩენილია გვიანდ. ფეოდ. ხანის ნაშთიც, რაც იმას მოწმობს, რომ ციხეს მნიშვნელობა დიდხანს არ დაუკარგავს და გვიანდ. შუა საუკუნეებშიც მოქმედებდა. ციხეში შესასვლელი სამხრ-იდან უნდა ყოფილიყო, ამავე მხარეს ყოფილა მდინარეზე ჩასასვლელი საიდუმლო გვირაბიც. მოგვიანებით კი ციხის სასმელი წყლით მოსამარაგებლად დას. მხრიდან წყალსადენი გამოუყვანიათ. გალავნისა და კოშკების გარდა მრავლადაა შემორჩენილი სხვადასხვა დანიშნულების შენობათა ნაშთები. რაც შეეხება **დ. ც**-ის მდებარეობის სტრატეგიულ მნიშვნელობას, ამას ისიც ადასტურებს, რომ XIX ს. დასაწყისში რუსებმა ამიერკავკასიისაკენ მომავალ მთავარ გზაზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ციხე სწორედ ძვ. ციხის ადგილას ააგეს.

დ. ც-ზე XX ს. 30-იან წლებში (ა. კრუგლოვი) ჩატარდა მცირე მასშტაბის არქეოლ. გათხრები. 1962 გათხრების დროს (ხელმძღვ. ლ. წითლანაძე) გამოვლინდა ძვ. წ. I ათასწლ. II ნახ. არქეოლ. მასალა (თიხისა და მინის ჭურჭლის ნატეხები, სკვითური ისრისპირი, წყვილი ცხოველის გამოსახულებიანი საკინძი, აქატის მძივი). 1963 გათხარეს (ხელმძღვ. გ. *გომეჯი-შვილი*) **დ. ც**-ის სამხრეთით მდებარე მინდორი, სადაც გამოვლინდა ქვით მშრალად ნაგები ოთხკუთხა შენობის კედლები, ალბათ, ციხის დამხმარე ნაგებობა. ნაპოვნია ადრინდ. და შუა საუკ. კერამ. მასალა, რ-იც შიდა ქართლის თიხის ნაწარმის მსგავსია, მცირე ნაწილი კი ჩრდილოკავკასიურ კერამიკას წააგავს. გათხრილია აგრეთვე ბრტყელი ლოდებითა და ფიქალი ქვით ნაგები რამდენიმე სამარხი, ერთ მათგანში აღმოჩნდა გვიანდ. ანტიკური და ადრინდ. შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მასალა.

1988 ციხის ჩრდ.-დას. ფერდობის ძირში, კირხსნარით ნაგები ზღუდის კედლის ქვეშ 6 *მ* სიღრმეზე გათხრებით გამოვლინდა (ხელმძღვ. დ. მინდორაშვილი) ადრინდ. ანტ. ხანის მშრალი წყობით აშენებული კედელი. ციხის დას. ფერდობის ძირას აღმოჩნდა ანტ. ხანის შავბრიალა თიხის ჭურჭლის ნატეხები, რაც ადასტურებს მოსაზრებას, რომ **დ. ც.** ერთ-ერთი ყველაზე ადრეულია ხევის ტერიტორიაზე არსებულ სიმაგრეთა შორის. გათხრების დროს ნაპოვნია ადრინდ. განვითარებული და გვიანდ. შუა საუკ. კერამ. მასალაც.

დ. ც-ის სამაროვანზე გათხარეს ინდივიდ. ქვის სამარხები, რ-ებშიც მიცვალებულები ქრისტ. წესით იყვნენ დაკრძალული. მხოლოდ რამდენიმე სამარხში გვხვდება გვერდზე, ფეხმოკეცილად დაკრძალული ადამიანების ძვლები.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988; წ ი თ ლ ა ნ ა ძ ე ლ., დარიალის ციხე (არქეოლოგიური კვლევა), «ძეგლის მეგობარი», 1971, № 27–28; მ ი ს ი ვ ე, ხევში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგები, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1977, № 1.

პ. ზაქარაია. ლ. წითლანაძე.

დარიალის ხეობა, მდინარე თერგის ხეობის ანტეცედენტური (გამკვეთი) მონაკვეთი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. ხეობა 1000 *მ* სიღრმეზეა ჩაჭრილი კავკასიონის ღერძულ ზონაში და კლდოვანი დერეფნით გადის გვერდით ქედში. იწყება მდ. ჩხერის (თერგის მარცხ. შენაკადი) შესართავთან და მთავრდება ზემო ლარსთან (სიგრძე 11 *კმ*). ყველაზე ვიწრო და კლდოვანია მდინარეების ყაბახისა (თერგის მარცხ. შენაკადი) და ხდის (თერგის მარჯვ. შენაკადი) შესართავებს შორის მდებარე ნაწილი. ხეობა აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით, გნაისებით, კრისტ. ფიქლებით. ციცაბო ფლატეები დიდ ნაწილზე მოკლებულია ნიადაგს და ერთიან მცენარეულ საფარს. **დ. ხ**-ზე გადის *საქართველოს სამხედრო გზა.*

სახელწ. ,,დარიალი'' წარმოდგება სპარს. დარ-ი ალანისაგან (ალანთა კარი). ძველ ქართულ და უცხ. წყაროებში იგი იხსენიება როგორც დარიალანი, დარიელა, არაგვის კარი, იბერიის კარი, კავკასიის კარი, სარმატიის კარი, ოვსთა კარი და სხვ.

ხეობაზე უძველესი დროიდანვე გადიოდა ჩრდ. და სამხრ. კავკასიის დამაკავშირებელი სავაჭრო და სამხ. მნიშვნელობის გზა. საქართვ., რომის იმპერიის, არაბთა სახალიფოსა და ბიზანტ. საგარეო პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დარიალზე ბატონობას. იგი იცავდა სამხრ. კავკასიას ჩრდ. კავკასიაში მოსახლე მომთაბარე მეომარ ტომთა თავდასხმებისაგან. გადმოცემით, **დ. ხ**-ში პირველი სიმაგრე აუშენებია იბერიის მეფე მირიან I-ს (ძვ. წ. II ს. I ნახ.). საქართველოში რომაელების პირველი ლაშქრობის დროს (ძვ. წ. I ს.) **დ. ხ**-ს კონტროლს უწევდა იბერიის სამეფო. V ს-ში ვახტანგ გორგასალმა აღადგინა ძვ. სიმაგრე. სამხრ. კავკასიაში არაბთა ბატონობის ხანაში (VII–X სს.) **დ. ხ.** სიმაგრესთან ერთად მათ ხელში იყო. X–XIII სს-ში **დ. ხ**-ის როლი



დარიალის ხეობა.

გაიზარდა. ამ გზით საქართველოს პოლიტ., ეკონ. და კულტ. ურთიერთობა ჰქონდა კავკასიონის ჩრდ-ით მდებარე ქვეყნებთან. დარიალის გზით ჩამოასახლა (1118–20) საქართველოში ყივჩაყები დავით IV აღმაშენებელმა, მანვე გაანახლა დარიალის სიმაგრე. XIII ს-ში, მონღოლთა ლაშქრობების შემდეგ, დარიალის გზის ეკონ. მნიშვნელობა დაეცა. XVIII ს. II ნახევარში რუს.-საქართვ. ურთიერთობის გაცხოველებამ კვლავ გამოაცოცხლა დარიალის გზა. **დ.** ხ-ით მიმოდიოდნენ პოლიტ.-დიპლ. და სამხ. მისიები. ვიწრო გზა აძნელებდა ხეობაში მიმოსვლას, ზამთარში კი სახიფათოც იყო. საქართვ. სამხ. გზის გაყვანის შემდეგ მოძრაობა **დ.** ხ-ში რეგულარული და ინტენსიური გახდა.



გ. დარისპანაშვილი.



გ. დარისპანაშვილი. ლადო კეცხოველი, გ. ნახუცრიშვილის ,,ლადო კეცხოველი''.

დ. ხ-ში მდ. თერგის მარცხ. ნაპირის მაღალ კლდოვან მთაზე, რ-ის ჩრდ. და აღმ. მხარე მიუდგომელია, ხოლო დას-ით მთის ყელი კედლებით არის გადაკეტილი, მოჩანს ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – *დარიალის ციხე.* ნანგრევებში სხვადასხვა დროის სამშ. ფენები გაირჩევა. ძირითადი ფენა ანტ. და ადრინდ. ფეოდ. ხანისაა. შემორჩენილია გვიანდ. ფეოდ. ხანის ნაშთიც. როგორც ჩანს, ციხეს შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონია. ამავე მხარეს ყოფილა მდინარეზე ჩასასვლელი საიდუმლო გვირაბიც. მოგვიანებით დას-იდან წყალსადენი გაუყვანიათ. გალავნისა და კოშკების გარდა, ციხის ტერიტორიაზე მრავლადაა შემორჩენილი სხვადასხვა შენობის ნანგრევები. **დ.** ხ-ში, მდ. თერგის მარჯვ. მხარეს, რუსეთ–საქართველოს საზღვრის მახლობლად, შენდება სამონასტრო კომპლექსი. 2011 წ. სექტემბერში სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საზეიმო წირვა აღასრულა მშენებარე კომპლექსის წმინდა მთავარანგელოზთა მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ტაძარში.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966; გვასალია ჯ., არაგვის კარი (დარიალანი), კრ.: ძიებანი საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976; ზაქარაია პ., არაგვისა და თერგის ხეობა, თბ., 1972; მაკალათია ს., ხევი, ტფ., 1934.

ჯ. გვასალია. პ. ზაქარაია. ქ. ჯაყელი.

დარიოს I, სპარსეთის მეფე (ძვ. წ. 522–486), აქემენიდების გვერდითი შტოს დამფუძნებელი. აგრძელებდა კიროს II-ის საგარეო პოლიტიკას. გააფართოვა სპარს. საზღვრები. გაატარა მრავალი რეფორმა, მოაწესრიგა დაპყრობილ ხალხებთან ურთიერთობის საკითხი, დამორჩილებული ქვეყნები დაყო სატრაპიებად (სამხ.-აღმ. ოლქები). ისტ. კოლხეთის სამხრ. რაიონებში – სამხრ.-აღმ. შავიზღვისპირეთში – მცხოვრები ქართველური ტომები (სასპერები, მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მარები) შედიოდნენ XVIII და XIX სატრაპიებში. ხოლო ჩრდილოეთით მცხოვრები კოლხები სატრაპიებში არ შედიოდნენ, მაგრამ მათ გარკვეული ვალდებულება ჰქონდათ სპარს. მეფეების მიმართ – ყოველ მეხუთე წელს უწევდათ 100 ბიჭისა და 100 გოგოს გაგზავნა (*ჰეროდოტე*).

დარისპანაშვილი გიორგი (ნიკოლოზის ძე [11 (24). VI. 1905, თბილისი, – 4. IV. 1985, იქვე], მსახიობი, რეჟისორი. საქართვ. სახ. არტისტი (1955). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1920. 1927–28 იყო თბილ. მუშათა თეატრის, 1928–33 კი – თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრის მსახიობი. 1933–36 იყო ველისციხისა და ჭიათურის თეატრების, ხოლო 1936–60 – თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრის მსახიობი და რეჟისორი. შეასრულა როლები: შამილი (ი. ვაკელის ,,შამილი''), ლადო კეცხოველი (გ. ნახუცრიშვილის ,,ლადო კეცხოველი''), ბიძინა ჩოლოყაშვილი (ა. წერეთლის ,,ბაში-აჩუკი'') და სხვ. მოზარდ მაყურებელთა თეატრში დადგა ს. მთვარაძის ,,აურიე რგოლი'', ა. კაჭკაჭიშვილის ,,პარტიზანები'', ნ. ლომოურის ,,ქაჯანა'' (ინსცენირება) და სხვ. **დ.** ათამდე პიესის ავტორია, მ. შ. აღსანიშნავია ,,ხიდქვეშ'', ,,ძმები'', ,,ტყის მეგობარი'' და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

დარიშხანა (ლათ. Arsenicum), As – ელემენტთა პერიოდული სისტემის V ჯგუფის ქიმიური ელემენტი. ატ. ნომერი 33, ატ. მასა 74,9216, რუხი-ფოლადისფერი კრისტალები. სიმკვრივე 5720 *კგ/მ*^{3}. ატმ. წნევაზე, თუ ტემპ-რაა 615 °C, **დ.** ღლობის გარეშე აქროლდება. როცა ტემპ-რა 800 °C-მდეა, მისი ორთქლი შედგება As_4 მოლეკულებისაგან, 1700 °C-ზე მეტი ტემპ-რის დროს კი – მხოლოდ As_2-გან. **დ.**-ის შედგენილობაში შედის მხოლოდ ერთი მდგრადი იზოტოპი ^{75}As.

დ.-ის ბუნებრივი ნაერთები (იხ. *დარიშხანის მადნები*) გოგირდთან ცნობილია უძველესი დროიდან. მათ იყენებენ, როგორც წამალსა და საღებავს. თავისუფალ მდგომარეობაში **დ.**-ის მიღებას გერმ. ალქიმიკოსს ალბერტ დიდს (გონბოლშტედს) მიაწერენ (დაახლ. 1250). ფრანგმა ქიმიკოსმა ა. ლავუაზიემ 1789 **დ.** ქიმ. ელემენტთა სიაში შეიტანა (იხ. აგრეთვე *არაორგანული ქიმია*). **დ.** მიკროელემენტის სახით გავრცელებულია ცოცხალ ბუნებაში. დედამიწის ქერქში **დ.**-ის შემცველობა (კლარკი) $1{,}7 \cdot 10^{-4}$ % (მასისა). **დ.** რამდენიმე ალოტროპიულ სახესხვაობას წარმოქმნის.

ნაერთებში **დ.**-ის ჟანგვითი ხარისხი შესაბამისად უდრის +5, +3 და –3. ჰაერზე გახურებისას 400 °C ზევით **დ.** იწვის და მიიღება ოქსიდი As_2O_3. **დ.** ჰალოგენებთან უშუალოდ ურთიერთქმედებს, შედეგად წარმოიქმნება AsF_5 – აირი, AsF_3, $AsCl_3$, AsB_3 – ადვილად აქროლადი სითხეები, AsI_3 და AsI_4 – წითელი კრისტალები. **დ.**-ის გოგირდთან გახურებისას მიიღება სულფიდები As_4S_4 და As_2S_3, ჟანგბადთან **დ.** წარმოქმნის ოქსიდებს: **დ.**-ის (III) ოქსიდს As_2O_3 – დარიშხანოვან ანჰიდრიდს და **დ.**-ის (V) ოქსიდს As_2O_5 – დარიშხანის ანჰიდრიდს. ცნობილია **დ.**-ის მარილები – არსენატები და არსენიტები.

მრეწველობაში **დ.** მიიღება არსენოპირიტის გახურებით: FeAsS= =FeS+As ან (იშვიათად) As_2O_3 ნახშირით აღდგენისას. ზესუფთა ლითონური **დ.**-ის მიღება რთულ ტექნოლ. პროცესებთანაა დაკავშირებული და ამიტომ იგი ძალზე ძვირია. მსოფლიოში ამზადებენ და იყენებენ 200-მდე (1998 მონაცემები) დასახელების დარიშხან-შემცველ პრეპარატს (საქართველოში XX ს. 30-იან წლებამდე ამზადებდნენ 10-მდე დასახელების პროდუქციას). მედიცინაში **დ.**-ის ორგ. ნაერთებს ათაშანგისა და პროტოზოული დაავადებების სამკურნალოდ იყენებენ, ხოლო არაორგ. პრეპარატებს – სტომატოლოგიაში და ფსორიაზის სამკურნალოდ. ზესუფთა **დ.**-ს იყენებენ ნახევრადგამტარებში. იგი ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია გალიუმისა და ინდიუმის არსენიდებისა, რ-ებსაც ფართოდ იყენებენ თანამედროვე ტექნიკაში.

დ. საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი წიაღისეული სიმდიდრეა. ამ ელემენტის ქართ. სახელწ. გაიგივებულია საწამლავთან, შხამთან (,,დარი შხამისა'', ანუ შხამის მსგავსი). ალქიმიკოსები ამ ელემენტს გველის სახით გამოსა-

ხავდნენ. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ მათ ეს სიმბოლო დ-ის ქართ. სახელწოდებიდან აიღეს. დარიშხანიანი ბრინჯაოს ძირითად შემადგენელ კომპონენტს – სპილენძს – ევროპელები კ. კვიპროსზე გაეცნენ (ამიტომ მას Cuprum უწოდეს). სავარაუდოა, რომ მეორე შემადგენელი კომპონენტის – დ-ის – ლათ. სახელწოდება მომდინარეობს საქართვ. ძვ. ტერიტორიის – არსიანის სახელწოდებიდან. ანტ. ხანის ავტორები ამტკიცებენ, რომ ქართველურმა ტომებმა (ხალიბებმა, მოსინიკებმა და თუბალებმა) პირველებმა შექმნეს და გამოიყენეს დარიშხანიანი ბრინჯაო საოჯახო, შრომისა და საბრძოლო იარაღების დასამზადებლად (იხ. სტ. *მეტალურგია*).

თსუ-ის არაორგ. ქიმ. კათედრის მიერ XX ს. ბოლოს დამუშავდა ზესუფთა ლითონური დ-ის წარმოების სრულიად ახ. ორიგინ. ხერხი, რ-საც მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება. მიღებული და აპრობირებულია ფარმაკოპეული ,,თეთრი დარიშხანის'', მანგანუმის ჰიდროარსენატის, რკინისა (III) და ქრომის (III) არსენატების, დარიშხოვანმჟავას, დ-ის (III, V) ქალკოგენიდების, ტუტე და ტუტემიწათა ლითონების არსენატების, ტყვიის (II) ჰიდროარსენატისა და სხვა პრეპარატების ფრიად პერსპექტიული ხერხები. დარიშხანის ქიმია-ტექნოლოგიაში ქართვ. ქიმიკოსებს ეკუთვნოდათ 80-ზე მეტი საავტორო უფლება სსრ კავშირში, ხოლო ოცდაათამდე გამოგონებამ საქართველოს პატენტი დაიმსახურა. *რ. გიგაური.*

დარიშხანის მადნები, ბუნებრივი მინერალური წარმონაქმნები, რ-ებიც დარიშხანას ისეთი რაოდენობით შეიცავენ, რომ მათგან დარიშხანისა და მისი ნაერთების ამოღება ეკონომიკურად მიზანშეწონილია. დ. მ-ის ძირითადი მადნეული მინერალებია: არსენოპირიტი, ლელინგიტი, რეალგარი და აურიპიგმენტი. დ. მ. უმთავრესად ჰიდროთერმული წარმოშობისაა. ცნობილია აფხაზეთის, სვანეთის (*ცანის დარიშხანის საბადო*), მთიანი რაჭის [*ლუხუნის (ლუხუმის) დარიშხანის საბადო*], აგრეთვე შიდა ქართლისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საბადოები.

დარიჯელი, ციხე თბილისში, იხსენიება XI ს. ცნობაში, როდესაც ბაგრატ IV 1046 დაეუფლა თბილისის ბასტიონებს – დ-ის, წყალყინისისა და თაბორის ციხეებს.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ზ. ცინცაძე.

დარკვეთი, სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტის ზოდის თემში (იმერეთის მხარე), ჭიათურის პლატოზე, მდ. ჯრუჭულის (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 580 *მ*, ჭიათურიდან 8 *კმ*. 1,1 ათ. მცხ. (2002). სოფლის მახლობლად არის დარკვეთის, სამგლეკლდის, ორმოების (კოჟების), სამელეკლდის, ძუძუანის მღვიმეები. სოფელს პირველად იხსენიებს ი. *გიულდენშტედტი* (XVIII ს.).

დ-ში არის X–XI სს. მიჯნის ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი წმ. გიორგის ეკლესია. თავდაპირველად იგი ერთნავიანი ყოფილა, შემდეგ გარსშემოსავლელი მიუშენებიათ. ეკლესია მაღალია და ფართო, პროპორციები – მოხდენილი. შიგნით შელესილია. ეკლესიის შიგა სივრცე დანაწევრებულია ორი წყვილი პილასტრითა და მათზე დაყრდნობილი კამარის საბჯენი თაღების მეშვეობით. ინტერიერში მორთულობა არ გვხვდება, ჩუქურთმა ძირითადად ფასადებზე, სარკმელთან და შესასვლელებთანაა თავმოყრილი. ფასადის დეკორ. მორთულობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რელიეფურ, ასომთავრულ წარწერებს. ერთ-ერთ მათგანში მოხსენიებული არიან ეკლესიის მშენებლებიც (ვინმე გოლიათის შვილები): გოდალბრი, ლიპარიტ და კ-ე. აღსანიშნავია აღმ. ფასადის სარკმელი, რ-ის სასინათლო ხვრელი პატარა ბოძით ორად იყოფა (ორმაგი სარკმელი).



დარკვეთი. წმინდა გიორგის ეკლესია. X–XI სს. მიჯნა.

ლიტ.: Ш м е р л и н г Р. О., Церковь в селении Даркветн, «ქართული ხელოვნება», 1963, №6. *ვ. დოლიძე.*

დარკვეთის ეხი, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი მდინარე ყვირილის მარცხენა ნაპირას, სოფელ ითხვისის ჩრდილოეთით (ჭიათურის მუნიციპალიტეტი). 1968–72 გათხარეს (ხელმძღ. ლ. ნებიერიძე) 5 კულტ. ფენა. I ფენა, შეიცავდა მეზოლითის ხანის კაჟის მიკროლითურ საფხეკებს, ასიმეტრულ სამკუთხედებს, თხელ და ვიწრო ლამელებს, რიყის ქვის საწაფებს, შურდულის ქვებს. II ფენაში აღმოჩნდა ადრინდ. (უკერამიკო) ნეოლითისათვის დამახასიათებელი მასალა: რიყის გახეხილ-გაპრიალებული სატეხ-სათლელები, კაჟის გეომ. ფორმის ჩასართები (ტრაპეციები), ლამელები, პირამიდული და პრიზმული ნუკლეუსები. III, IV და V ფენებში ყვირილის ხეობის ენეოლითური კულტურის სხვადასხვა ეტაპია წარმოდგენილი. III და IV ფენებში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით კაჟის შუბები და ისრისპირები, ფიქლის სამაჯურები და კვირისტავები, ბაზალტის გახეხილ-გაპრიალებული ცულები და სათლელ-სატეხები, ხელსაფქვავები, ძვლის სადგისები, სახვრეტები, მახათები; მცირე რაოდენობით გეომ. ფორმის ჩასართები. კერამიკა მოვარდისფრო-მონაცრისფროდაა გამომწვარი და გაპრიალებული. გვხვდება წითლად გაპრიალებული თხელკედლიანი ჭურჭლის ნატეხებიც. მსგავსი მასალა აღმოჩენილია ყვირილის ხეობის მღვიმეებში (სამერცხლეკლდე, სამელეკლდე, ძუძუანა). V ფენაში აღმოჩნდა კაჟის შუბისპირები, მასიური საფხეკები, ფიქლის სამაჯურები, მრავალი ანატკეც-ანატეხი (წარმოების ნარჩენები). თიხის ჭურჭელი ორნამენტით ემსგავსება ახშტირისა და ოქუმის მღვიმეების ენეოლითურ კერამიკას. V ფენა დაზიანებულია ადრინდ. ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტ. ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელი სამარხებით.



დარკვეთის ეხი. ქვის იარაღი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

დ. ე-ში გამოვლენილი ენეოლითური კულტურა გარკვეულ სიახლოვეს იჩენს *მაიკოპის კულტურასთან.*

ლიტ.: ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე ლ., დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972.

ლ. ნებიერიძე.

დარსაველიძე ამირან შალვას ძე (დ. 29. XII. 1932, ქუთაისი), კინორეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1983). დაამთავრა თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტი (1957). მუშაობდა კინოსტუდია ,,ქართულ ფილმში'' რეჟისორის ასისტენტად. მეორე რეჟისორად იმუშავა ფილმებზე: ,,წუთისოფელი'' (1971), ,,თეთრი ქვები'' (1972), ,,მზე შემოდგომისა'' (1973) და სხვ. რ. *გაბრიაძესთან* ერთად დამდგმელ რეჟისორად მუშაობდა ფილმებზე: ,,კავკასიური რომანსი'' (1975), ,,ლიმონის ტორტი'', ,,მწვერვალთა დამპყრობნი'' (ორივე 1977). დამოუკიდებლად გადაიღო სატელევიზიო მხატვრული ფილმები: ,,სათადარიგო ბორბალი'' (1978), ,,ყვითელი ჩიტი'' (1983) და სხვ. *ა. გვენცაძე.*

დარსაველიძე გიორგი შოთას ძე (დ. 6. V. 1939, ხონი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (2001). დაამთავრა თბილ. ა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინ-ტი (1963). 1968-იდან მუშაობს საქართვ. მეცნ. აკად. ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინ-ტის ნახევარგამტარული მასალებისა და ფერადი ლითონების ლაბორატორიის ხელმძღვანელად. კვლევის თემაა: სტრუქტურული დეფექტები და შინაგანი ხახუნი ბორსა და მის ფუძეზე არსებულ მასალებში.

დარსალია ვლადიმერ (ძაძ) ხარიტონის ძე [29. VIII (10. IX). 1898, სოფ. გუფი, ახლანდ. ონჩამჩირის მუნიციპალიტეტი, – 17. XII. 1977, სოხუმი], აფხაზი მწერალი. 1923 დაამთავრა სოხუმის პედ. ტექნიკუმი, 1928 – ყუბანის სახელმწ. პედ. ინ-ტი. 1928–59 მუშაობდა გაზ. ,,აფსნი ყაფშის'' რედაქციაში, იყო გაზეთის პ/მგ მდივანი. პირველი ლექსი 1919 გამოაქვეყნა, პირველი პიესა ,,ხატი და ვნებანი'' – 1928. 1954 გამოვიდა მისი მოთხრობების კრებული. დ-ს მნიშვნელოვანი კრებულებია ,,მოთხრობები და პიესები'' (1954, 1959), ,,წყაროსთან'' (1967), ,,რჩეული'' (1970), ,,მოთხრობები'' (1977); აგრეთვე მოგონებების წიგნი ,,ცხოვრებიდან'', ვრცელი ისტ. მოთხრობა ,,მორევი'' და სხვ.

თხზ.: მძევალი, თბ., 1968.

ლიტ.: აფხაზური ლიტერატურა, თბ., 1975; აფხაზური ლიტერატურა. ქრესტომათია, თბ., 1978.

დარუბანდი, იხ. *დერბენდი.*

დარუბანდის სახანო, იხ. *დერბენდის სახანო.*

დარჭა, სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტის ჭალის თემში (იმერეთის მხარე), ზემო იმერეთის პლატოზე, მდ. ყვირილის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 590 *მ,* საჩხერიდან 13 *კმ.* 540 მცხ. (2002).

დარჩეთი, სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტის არაშენდის თემში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე. ზ. დ. 800 *მ,* ქ. გურჯაანიდან 37 *კმ,* კაჭრეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 7 *კმ.* 537 მცხ. (2002).

დარჩეთის არქეოლოგიური ძეგლები, სოფელ დარჩეთის (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) დას. ნაწილში, ,,გიოაანთ ხოდაბუნზე'' (ამ ადგილს ,,საბურესაც'' უწოდებენ) 1974 გამოვლინდა სამაროვანი. გაითხარა ძვ. წ. I – ახ. წ. I სს. ინჰუმაციური ორმოსამარხი. მასში აღმოჩნდა მოვარდისფროდ გამომწვარი 2 სასმისი, ნახევარსფერული ფიალა, ბრინჯაოს გვერგვი, რკალშეზნექილი სამაჯური და რკინის ორთითი.

სამაროვნის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 10 *მ*-ზე, გამოვლინდა ძვ. წ. I ს. – ახ. წ. II ს. ნამოსახლარი. გადმოცემით აქ ეკლესია მდგარა, რ-იც დაუნგრევიათ. ეკლესიის საძირკვლის გამოსავლენად გაჭრილ სადაზვერვო თხრილში (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) აღმოჩნდა VI–VIII სს. აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ დამხრობილი ქვის კოლექტ. სამარხი (2,2 *მ* × 0,9 *მ* × 0,7 *მ*), რ-შიც 6 ადამიანის ჩონჩხი იყო. ერთ ჩონჩხს ჰქონდა პირვანდელი მდგომარეობა – დაკრძალული იყო გულაღმა, გულხელდაკრეფილი, თავით დასავლეთისკენ. სამარხში აღმოჩნდა რკინის მშვილდსაკინძის ფრაგმენტები, სარდიონის მძივი, რკინის სამაჯურის ფრაგმენტები, ბრინჯაოს მშვილდსაკინძი, ბრინჯაოს ბეჭდის ნატეხები, ოქროს ცალი საყურე და სხვ. ბრინჯაოს ბეჭდის ფარაკზე გამოსახულია პირდაპირ მდგომი ხელებგაშლილი მამაკაცის ფიგურა, თავზე ადგას ბიზანტ. იმპერატორთა მსგავსი გვირგვინი, რ-იც ჯვრით ბოლოვდება.

მასალა დაცულია კახეთის არქეოლ. ექსპედიციის ბაზაში.

ნ. მამიაშვილი.

დარჩელი, სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ჯუმის (ენგურის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: დ., კიროვი). ზ. დ. 10 *მ,* ზუგდიდიდან 20 *კმ.* 4,9 ათ. მცხ. (2002).

დ. წყაროებში პირველად XVII ს-ში მოიხსენიება. ამ დროს აქ აფხ. კათოლიკოსის ერთ-ერთი სასახლე იდგა. *თ. ბერაძე.*

დარჩი, ო რ მ ე ლ ე თ ი, მდინარე მესტიის მუნიციპალიტეტში, ნენსკრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 30 *კმ,* აუზის ფართ. 148 *კმ*². სათავე აქვს კოდორის ქედის აღმ. კალთაზე, ხოჯალის მთაზე, 3000 *მ* სიმაღლეზე. შერეული საზრდოობის მდინარეა. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 6,41 *მ*³/*წმ.*

დარჩია გივი ილიას ძე (26. III. 1926, ოზურგეთი, – 17. V. 1990, თბილისი), ინჟინერ-მშენებელი. პროფესორი (1976), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1985). 1949 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის სამშენებლო ფაკ-ტი. 1949–50 მუშაობდა თბილ. საქალაქო საბჭოს საჰაერო თავდაცვის შტაბში, 1950–52 – საპროექტო ინ-ტ ,,თბილქალაქპროექტში'' სექტორის უფროსად, 1952–56 – მოსკოვის სამრეწვ. ნაგებობათა ცენტრ. კვლევით ინ-ტში, 1956–62 – საქართვ. მეცნ. აკად. სამშენებლო საქმის ინ-ტში უფროს მეცნ. თანამშრომლად. 1958-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში. 1962-იდან მისი ინიციატივით ამ ინ-ტში ჩამოყალიბდა ამიერკავკასიაში პირველი თბოაირმომარაგებისა და ვენტილაციის კათედრა, რ-საც დ. დაარსებიდან ხელმძღვანელობდა. დ-ს კვლევის საგანი იყო რესპუბლიკაში გაზიფიკაციის, თბოფიკაციის, გათბობის, ვენტილაციისა და ჰაერის კონდიცირების სისტემათა დანერგვა და შემდგომი განვითარება.

თხზ.: გათბობა და ვენტილაცია, ნაწ. 1–2, თბ., 1967–71; თბოაირმომარაგება და ვენტილაცია, თბ., 1977.

დარჩია მამია დომენტის ძე (დ. 2. II. 1929, თბილისი), პედაგოგი. პროფესორი (1985), საქართვ. პედ. საზ-ბის თავ-რე (1993-იდან). 1954 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკტი. იმავე წლიდან მუშაობდა შემდეგ თანამდებობებზე: იყო თსუ-ის კადრების განყ-ბის გამგე (1967–71), პრორექტორი ადმ. დარგში (1971–75), გორის პედ. ინ-ტის პედაგოგიკა-ფსიქოლ. კათედრის გამგე (1976–80), საქართვ. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრ. ინ-ტის დირექტორი (1981–85), რესპ. განათლების მინისტრის მოადგილე (1985–93). 1993-იდან საქართვ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზ. აზრის ინ-ტის რექტორი და სამინისტროს კოლეგიის წევრი, ხოლო 1994-იდან საქართვ. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრ. ინ-ტის პედ. კათედრის პროფესორი.

თხზ.: გაითზ რექტორი, თბ., 1961; პედაგოგიკის სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1971 (თანაავტ.); საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, თბ., 1987 (თანაავტ.).

დარჩიაშვილი დავით შანშეს ძე (16. XII. 1960, თბილისი), ისტორიკოსი, ისტ. მეცნ. დოქტორი (2002). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (1987), ჯორჯ მარშალის უსაფრთხოების კვლევის ცენტრი (გერმანია, 2001). 1990–91 იყო ქართვ. ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი და გაზ. ,,ქართველი ერის'' (ტრადიციონალისტთა კავშირის ორგანო) რედაქტორი. 1991–2004 იყო თსუ-ის რუს. ისტ. კათედრის მეცნ. თანამშრომელი, საქართვ. პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფონდის – ,,ღია საზოგადოება – საქართველო'' აღმასრ. დირექტორი (2004–08). არის სამხ.-სამოქ. ურთიერთობების და უსაფრთხოების კვლევის ცენტრის (კავკასიური ინ-ტი) დირექტორი (1997 წლიდან), ილიას სახელმწ. უნ-ტის პროფესორი (2006-იდან), საქართველოს პარლამენტის წევრი. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე (2008). ავტორი მონოგრაფიისა: ,,ჯვარისკაცები, პოლიტიკოსები, მოქალაქენი'' (2000).

დარჩიაშვილი ვლადიმერ (ლადო) ივანეს ძე (1872, სოფ. ანაგა, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 7. V. 1916, სოფ. შოხა, გერმანია), პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, პუბლიცისტი. სწავლობდა თბილ. სას. სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს აკრძალული ლიტერატურის კითხვისათვის. 1898–1905 სწავლობდა საზღვარგარეთ (პარიზი, ბრიუსელი). დაამთავრა ბრიუსელის უნივერსიტეტი. იყო იურიდიულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ,,მესამე დასის'' წევრი და პირველი კონფერენციის მონაწილე. აქტიურად თანამშრომლობდა გაზ. ,,კვალთან''. იყო სოც. – დემოკრ. გაზეთების ,,სხივისა'' და ,,სიმართლის'' ფაქტობრივი რედაქტორი.

დ. იზიარებდა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფორმით ქართული სახელმწიფოს აღდგენის იდეას, რის გამოც უთანხმოება ჰქონდა თავის თანაპარტიელებთან. 1908 წელს გამოსცა ჟურნ. ,,ალიონი''. პირველი მსოფლიო ომის დროს იმყოფებოდა გერმანიაში, სადაც ინტერნირებულ იქნა. გარდაიცვალა ტყვეობაში.

დ. შველიძე.

დარჩიძეები, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტის შუბანის თემში (აჭარის არ), არსიანის ქედის განშტოებაზე, მდ. ჭირუხისწყლის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1580 *მ*, შუახევიდან 31 *კმ*. 449 მცხ. (2002).


სოფლის სახელწოდება მოდის მკვიდრი მოსახლეობის გვარ-სახელისაგან დარჩი (დაჩი). დ-ში შემორჩენილია შუა საუკ. ნამოსახლარი (გოგლაურის უბანი) და გვიანდ. შუა საუკ. დაზიანებული ციხე მთისუბნის ციხის სახელწოდებით.

ი. სიხარულიძე.

დარჯაკი, დარჯაგი, ლითონის ჩამოსასხმელი ყალიბი, ოქრომჭედლის ხელჯურჯელი. იხმარებოდა გამდნარი, დახალასებული ვერცხლის ,,გადასამუშავებლად'' (გადასასხმელად) და დასაყალიბებლად.

ნ. რეხვიაშვილი.

დარჯანია შალვა ელიზბარის ძე (დ. 31. V. 1928, ქუთაისი), ინჟინერ-მექანიზატორი. 1957 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის მექანიზაციის ფაკ-ტი. 1976–95 იყო სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპ. კულტურების სამეცნ.-კვლ. და საკონსტრუქტორო-ტექნოლ. ინ-ტის ჩაის საკრეფი მანქანების განყ-ბის უფროსი. 1995–2000 იყო – საქართვ. სას.-სამ. მანქანათმშენებლობის სამეცნ.-კვლ. და საკონსტრუქტორო-ტექნოლ. ინ-ტის ,,საქაგრომანქანის'' პროექტის მთ. კონსტრუქტორი. ჩაის საკრეფი მანქანის – ,,საქართველოს'' შექმნისათვის მიენიჭა ლენინური პრემია (1967, სხვებთან ერთად), დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).



შ. დარჯანია.

დასაბმელი, საბმურა, გამოცანის აჭარული სახელწოდება. ძირითადად გავრცელებულია ზემო აჭარაში, ზოგჯერ იხმარება ზმნური ფორმითაც (დაბმა, აბამს). ტერმინს პირველად ყურადღება მიაქცია ჯ. ნოღაიდელმა.

ლიტ.: ნოღაიდელი ჯ., აჭარული გამოცანები, თბ., 1962; ქართული ანდაზები და გამოცანები. შეადგინეს და შენიშვნები დაურთეს ზ. თანდილავამ, ე. ზოიძემ, ე. დავითაძემ, ბათ., 1976.

ფ. ზანდუკელი.

დასავლეთ ევროპის ეპარქია, დაფუძნდა საქართვ. მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის 2002 წ. 17 ოქტ. გადაწყვეტილებით. დ. ე. ე. თავის გარშემო აერთიანებს ევრ. ქვეყნებში არსებულ ქართულ ეკლესიებს და დროებით ან მუდმივად მცხოვრებ ქართველ მრევლს. მღვდელმთავრის რეზიდენცია განთავსებულია ქ. ბრიუსელში.

ლიტ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 2005.

ე. ბუბულაშვილი.

დასავლეთი კავკასიონი, კავკასიონის მთათა სისტემის დასავლეთი ნაწილი, იალბუზის დასავლეთით. უმაღლესი მწვ. დომბაიულგენი (4046 *მ*). დ. კ-ის ღერძულ ნაწილში *კავკასიონის მთავარი ქედი* აგებულია პალეოზოური კრისტ. ქანებით, *გვერდითი ქედი* – ძირითადად პალეოზოური დანალექი ქანებით. მთავარ ქედზე მნიშვნელოვანი მყინვარებია (ზოგიერთი მყინვარის სიგრძე 3,1 *კმ* აღწევს); დამახასიათებელია აგრეთვე რელიეფის ძველმყინვარული ფორმები. დ. კ-ის ჩრდ. ნაწილში განვითარებულია კუესტები, სამხრეთში ინტენსიურად დაკარსტული იურული და ცარცული კირქვებით აგებული ქედებია (*გაგრის ქედი, ბზიფის ქედი* და სხვ.). დას. მონაკვეთი აგებულია ცარცული და პალეოგენური კარბონატული ფლიშით. დ. კ-ზე უმეტესად მთა-ტყისა და მთა-მდელოს, სამხრ. კალთის ქვედა ზონაში კი ხმელთაშუა ზღვის ტიპისა და კოლხ. სუბტროპ. ლანდშაფტებია.

დ. უკლება.

დასავლეთ საქართველოს ონკოლოგიური მედიცინის ეროვნული ცენტრი აკად. ზ. ცხაკაიას სახელობისა (შპს), თანამედროვე დონის მრავალპროფილიანი კლინიკა. დაარსდა ქუთაისში 2005. 2005–11 ცენტრის დირექტორი იყო კ. ნურალიძე, 2011-იდან მისი ხელმძღვანელია გ. გიორგაძე.

დ. ს. ო. მ. ე. ც-ში შედის შემდეგი დეპარტამენტები: 1. დიაგნოსტიკის, 2. ქირურგიის, 3. თერაპიის, 4. ანესთეზიოლოგიის, ინტენს. თერაპიისა და კრიტიკული მედიცინის, 5. ცენტრალური ლაბორატორიისა და საწარმოო ტრანსფუზიოლოგიის; ასევე – ადმ.-მმართველობითი აპარატი.

ცენტრი აღჭურვილია ულტრათანამედროვე აპარატურით (მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი ,,SIGNA'' – 1,5 T, 64-შრიანი კომპიუტერული ტომოგრაფი – ,,Somatom Sensation Cardiac'', ანგიოგრაფი ,,INOVA'', სანარკოზო-სარეანიმაციო აპარატურა და უახ-



დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი. ქუთაისი.



დასავლური მახრჩობელა.

ლესი მონიტორული სისტემები).

ცენტრში ტარდება უნიკალური მაღალტექნოლოგიური პროცედურები და ოპერაციები: კარდიოლოგიური კვლევები მაგნიტურ-რეზონანსული და კომპიუტერული ტომოგრაფიით, ფილტვების, სანაღვლე გზების და ნაწლავების ვირტუალური რეკონსტრუქციები (MRI-Real time, Live); თავის ტვინის პერფუზიული და ფუნქციური გამოკვლევები, კომპიუტერული ნავიგაციით მუხლის სახსრის ენდოპროთეზირება, მეზენტერიალური და კორონარული არტერიების სტენტირება და სხვა. პირველად კავკასიის რეგიონში ჩამოყალიბდა ტრანსლუმინალური ქირურგიის დეპარტამენტი, კერძოდ, 2007 ქუთაისში ჩატარდა ტრანსვაგინალური ოვარ- და ქოლეცისტექტომია (ერთდროულად). შეიქმნა ჰემოდიალიზის და ექსტრაკორპორული დეტოქსიკაციის, კარდიოქირურგიის დეპარტამენტი, კატასტროფის მედ. სამსახური (ემსახურება მთელ დას. საქართველოს), სამედ. სერვისი სამაჩაბლოსა და ზემო აფხაზეთში.

სტაციონარი გათვლილია 110 ავადმყოფზე.

ცენტრი თანამშრომლობს ემორის (აშშ), ჰუმბოლდტის (გერმანია), პლზენის (ჩეხეთი) და გრაცის (ავსტრია) საუნივერსიტეტო ჰოსპიტლებთან. ცენტრში შეიქმნა საქართველოში პირველი სამედ. ტურიზმის სამსახური. უცხოურ სადაზღვევო კომპანიებთან თანამშრომლობით ქუთაისში მკურნალობენ პაციენტები აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, გერმანიიდან, შოტლანდიიდან, ესტონეთიდან, უკრაინიდან და ფილიპინებიდან.

ცენტრში 576 თანამშრომელია.

დასავლური მახრჩობელა (Eryx jaculus), უშხამო გველი მახრჩობელასებრთა ოჯახისა. სიგრძე 70 *სმ* აღწევს. გავრცელებულია ჩრდ.-აღმ. აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, წინა და მცირე აზიაში, აღმ-ით – ირანამდე, ჩრდ-ით – ბალკანეთის ნ.-კ-მდე, ცენტრ. და აღმ. ამიერკავკასიაში, დაღესტანში. გვხვდება საქართველოს აღმ. ნაწილში – ქვემო ქართლში, გარეკახეთში, შირაქში. თბილ. მიდამოებში ბინადრობს ქსეროფიტულ ბიოტოპებში – ველებსა და ნახევრად უდაბნოში, სადაც ქვები და მღრღნელთა სოროებია. იკვებება ძირითადად წვრილი ხერხემლიანებით (პატარა-პატარა მღრღნელებით, ფრინველებით, ხვლიკებით), რ-თაც სხეულზე შემოეხვევა და ახრჩობს. ცოცხალმშობიაა, შობს 10 – 20 ნაშიერს ივლ.-აგვ-ში. მათი სიგრძე 14 *სმ* აღწევს. საქართველოში ამჟამად უმნიშვნელო რაოდენობითაა. შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში''. *თ. მუსხელიშვილი.*

დასავლურკასპიური ანთროპოლოგიური ტიპი, კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი ანთროპოლოგიური ტიპი. შედის სამხრეთ ევროპეიდული რასის შემადგენლობაში და წარმოადგენს ინდო-პამირული ანთროპოლოგიური ტიპის ერთ-ერთ (კასპიურ) ვარიანტს. გვხვდება ძირითადად აზერბ. და ქურთულიეზიდურ ჯგუფებს შორის. ეს ტიპი განსაკუთრებით მკვეთრად არის გამოხატული აქსტაფის, ქედაბეკის, დალმამედლის, გერანბოის, გეოქჩაის, მარაზის, შუშის, ნახიჩევანისა და დერბენდის აზერბ. მოსახლეობაში, შემახის, აფშერონის, კონახტენდის ტატ-აზერბაიჯანელებს შორის, თბილისის, აპარანისა და ლაჩინის ქურთებისა და იეზიდების, აგრეთვე შავიზღვისპირელი შაფსულების ჯგუფებში. დამახასიათებელია თვალებისა და თმის მუქი პიგმენტაცია, ვიწრო თავი და სახე, საშუალოზე მკვეთრად გამოხატული ყვრიმალები, შედარებით სწორი ცხვირი, მათი უმეტესობა საშუალო სიმაღლის ან დაბალია. იხ. აგრეთვე *კავკასიის ანთროპოლოგიური ტიპები.*

ლიტ.: Абдушелишвили М. Г., Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964; Бунак В. В., Антропологический состав населения Кавказа, Тб., 1946; Касимова Р. М., Антропологические исследования современного населения Азербайджанской ССР, Баку, 1975. *მ. აბდუშელიშვილი.*

დასავლურქართული ანთროპოლოგიური ტიპი, საქართველოს თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი ანთროპოლოგიური ტიპი. წარმოადგენს სამხრეთ ევროპეოიდული რასის *წინააზიური ანთროპოლოგიური ტიპის* კოლხური ვარიანტის რეგიონულ ნაირსახეობას. გვხვდება: ბაღდათის, ხარაგაულის, თერჯოლის, ზესტაფონის, ჭიათურის, ვანის (იმერეთი), ხაშურის (ქართლი), ჩოხატაურის (გურია), სამხრ. საქართვ. (მესხეთ-ჯავახეთი), გუდაუთისა და გაგრის (აფხაზეთი), ხაშურისა და სამტრედიის ებრაულ და სხვ. ჯგუფებში. ამ ტიპისათვის დამახასიათებელია სწორი შუბლი, მკვეთრად პროფილირებული სახე, ცხვირის მაღალი უნაგირი, ძლიერ განვითარებული მესამეული თმოვანი საფარველი, დახვეწილი ყვრიმალები, ქუთუთოს ჰორიზონტალური ნაპრალი, ორთოხელური ზედა ტუჩი, უმრავლეს შემთხვევაში ღია ფერის თვალები, მცირე სიმაღლისა და მაღალი ზურგის მქონე ცხვირი, დაბალი და ვიწრო სახე, საშუალოზე მცირე სახის მორფოლოგიური სიმაღლე და სხვ. იხ. *საქართველოს ანთროპოლოგიური ტიპები.*

მ. აბდუშელიშვილი.

დასაქმება, მოქალაქეთა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომითი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია მათ პირად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან, არ ეწი-

ნააღმდეგება ქვეყნის კანონმდებლობას და, როგორც წესი, მოაქვს შრომითი შემოსავალი. დ. რთული სოც.-ეკონ., დემოგრ. და ფსიქოლ. მოვლენაა, რ-ის დარეგულირება შესაძლებელია სისტემური მიდგომით და კომპლ. ღონისძიებების გატარებით. დიდია დ-ის პოლიტ. მნიშვნელობაც, რის გამოც განვითარებულ ქვეყნებში მას სახელმწ. პოლიტიკის რანგში განიხილავენ. მსოფლიო პრაქტიკაში არაერთი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც დ-ის სფეროში გადაუწყვეტელი პრობლემების გამო მთელი რიგი ქვეყნების მთავრობები შეიცვალა. დ. უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია, რ-შიც ფოკუსირებულია ქვეყნის სოც.-ეკონ. განვითარებაში არსებული მიღწევებიცა და ნეგატიური შედეგებიც.

შრომის საერთაშ. სტანდარტებით განსაზღვრულია დ-ის პრინციპები: მოქალაქის უფლება, სრულად განაგებდეს თავის შესაძლებლობებს მწარმოებლური და შემოქმედებითი შრომის სფეროში; მნიშვნელოვანი ზოგადსაკაცობრიო ფასეულობის – შრომის ნებაყოფლობითობის ცხოვრებაში დამკვიდრება, უმუშევრობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაუშვებლობა; ადამიანის უფლება, იმუშაოს იქ და იმდენხანს, რამდენიც მას სურს; თითოეულის უფლება დამოუკიდებლად აირჩიოს მუშაობისა და სწავლის მისთვის მოსახერხებელი რეჟიმი; სახელმწიფოს გაძლიერებული პასუხისმგებლობა მოქალაქეთა შრომის უფლების რეალიზაციის მიზნით; სახელმწიფოს ვალდებულება, განახორციელოს ეკონ., საკანონმდებლო და სოც. ხასიათის ღონისძიებები დ-ის სფეროში მოქალაქეთა უფლებების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე უზრუნველყოს ყველა დონის სახელმწ. ორგანოსა და საბაზრო სტრუქტურების საქმიანობის რაციონალური კოორდინაცია და ყველა სახის რესურსის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება.

დ-თან დაკავშირებულია ცნებები: ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, დასაქმებულნი, უმუშევრები, დაქირავებულნი, თვითდასაქმებულნი, *შრომის ბაზარი*, სრული და ეფექტიანი დასაქმება და ა. შ.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მოიცავს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში ჩაბმულ პირებს და უმუშევრებს. იგი რაოდენობრივად დასაქმებულებისა და უმუშევრების ჯამის ტოლია.

საერთაშ. სტანდარტებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ასაკობრივი ზღვარი (იგულისხმება სამუშაო ასაკი) მკაცრად განსაზღვრული არ არის. აქედან გამომდინარე, ამ კატეგორიის მოსახლ. მინ. ასაკობრივი ზღვარი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, ზოგან 6 წელსაც კი უდრის (ეგვიპტე), ბრაზილიაში – 10-ს, აშშ-სა და შვედეთში – 16, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგი 14–15 წლით განისაზღვრება, ხოლო საქართველოში – 15 წელია. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მინ. ასაკობრივ ზღვართან ერთად ზოგიერთ ქვეყანაში დადგენილია მისი მაქს. ზღვარიც (საერთაშ. სტანდარტებით ასეთი სავალდებულო ზღვარი განსაზღვრული არ არის). მაგ., დანიაში, შვედეთში, ნორვეგიასა და ფინეთში იგი 74 წელია, ეგვიპტეში, მალაიზიასა და მექსიკაში – 65. საქართველოში ასეთი ზღვარი 65 წელია (ეს მას არ ართმევს უფლებას შესაძლებლობისა და სურვილის შემთხვევაში შემდეგაც იმუშაოს).

დასაქმებულნი – საერთაშ. სტანდარტებით ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან ყველა სფეროში დასაქმებული პირები, მ. შ. ისინიც, რ-ებიც საანგარიშგებო პერიოდის (1 კვირის) განმავლობაში 1 საათით მაინც იყვნენ დასაქმებული ანაზღაურებადი სამუშაოთი. დ-ის ერთსაათიანი კრიტერიუმი საქართველოშიც გამოიყენება, რაც საგრძნობლად ცვლის დ-ის რეალურ სურათს, რადგან ასეთ შემთხვევაში ის, ვინც თვეში – 4, წელიწადში კი 48 საათის განმავლობაში იმუშავა, დასაქმებულად ითვლება.

შრომისა და სტატისტიკის საერთაშ. ორგანიზაციები განასხვავებენ დასაქმებულთა რამდენიმე სახეობას: დაქირავებული მუშაკები, დამსაქმებლები, თვითდასაქმებულნი, სამხ. მოსამსახურეები (როგორც რეგულარულ, ისე დროებით 3 თვეზე მეტი ხნით სამსახურში მყოფნი), ოჯახის ის წევრები, რებიც ფაქტობრივად მუშაობენ, მაგრამ შესრულებული სამუშაოსათვის გასამრჯელოს არ იღებენ, სტუდენტები და მოსწავლეები, რ-ებიც ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობენ შრომით პროცესში და ა. შ.; გარდა ამისა, ზოგიერთი შეიძლება დასაქმებული იყოს რეგულარულად, მაგრამ სრული ან არასრული სამუშაო დროით, ზოგიერთი კი არარეგულარულად, პერიოდულად, სეზონურად და ა. შ. დასაქმებულად ითვლებიან სტუდენტები (რებიც წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლობენ), დიასახლისები ან პენსიონერები, რ-ებიც თავისუფალ დროს ასრულებენ განსაზღვრულ სამუშაოს – უვლიან ბავშვებს ან ატარებენ კერძო გაკვეთილებს და ა.შ.; აგრეთვე სამხ. მოსამსახურეები ან საკუთარი სახლის მშენებლობაზე დასაქმებულნი, რ-ებიც ანაზღაურების გარეშე მუშაობენ, ქმნიან პროდუქციას საკუთარი მოხმარებისათვის (ე. წ. არასაბაზრო წარმოება). დასაქმებულთა შორის გამოიყოფიან დაქირავებული პირები და თვითდასაქმებულნი.

დაქირავებულად ითვლება პირი, რ-იც მუშაობს სახელმწიფო ან კერძო დამქირავებელთან და ასრულებს განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების (ფულით ან ნატურით) მისაღებად, აგრეთვე ის პირები, რ-თაც აქვთ სამუშაო ადგილი, მაგრამ დროებით არ მუშაობენ (შვებულება, ავადმყოფობა, დროებითი დათხოვნა სამსახურიდან და სხვ.).

თვითდასაქმებულნი არიან საკუთარ საწარმოში ან საკუთარ მეურნეობაში მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით მომუშავე პირები. დამსაქმებლად ითვლება საქართვ. ტერიტორიაზე მოქმედი ნებისმიერი ფიზ. ან იურიდ. პირი, რ-იც დაქირავებულ შრომას იყენებს.

საერთაშ. სტანდარტებით უმუშევრად ითვლება 15 წლის და მეტი ასაკის პირი, რ-იც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში არ არის დასაქმებული, ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებს სამუშაოს და მზად არის შეუდგეს მუშაობას უახლოეს ორ კვირაში. რეგისტრირებული უმუშევარია პირი, რ-იც რეგისტრირებულია დასაქმების სახელმწ. სამსახურში. სამუშაოს მაძიებელია სამუშაო ასაკის შრომისუნარიანი პირი (უმუშევარი ან დასაქმებული), რ-იც რეგისტრირებულია დ-ის სამსახურში და მისი მეშვეობით ეძებს სამუშაოს.

დ-თან მჭიდროდ დაკავშირებულია ცნება შრომის ბაზარი – საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთული რგოლი, სადაც სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და მიწოდების კანონის მოქმედების საფუძველზე რე-

ალიზდება დამქირავებელთა და დაქირავებულთა ინტერესები. სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად, მცირდება უმუშევრობა და პირიქით.

დ-ის სისრულეზე მიუთითებს ცნებები სრული და არასრული დ. საბჭ. კავშირში ს რ უ ლ ი დ. მიღწეულად ითვლებოდა, თუ სამუშაო ასაკის შრომისუნარიანი მოსახლ. 94–96% ჩაბმული იქნებოდა საზ. მეურნეობაში. საბაზრო ეკონ. პირობებში სრული დ. ეკონომიკის ის მდგომარეობაა, რ-ის დროსაც მუშაობის ყველა მსურველი უზრუნველყოფილია მათი პროფ.-კვალიფიციური სტრუქტურის შესაფერისი სამუშაოთი. სრული დ. შეიძლება მიღწეულ იქნეს მოსახლ. შრომაში ჩაბმის როგორც მაღალი, ისე შედარებით დაბალი დონის შემთხვევაში. აქ იგულისხმება შრომაში არა მაქს. ჩაბმა, არამედ დროის მოცემულ მონაკვეთში სამუშაოს მსურველთა უზრუნველყოფა შესაფერისი სამუშაოთი.

საბაზრო ეკონ. პირობებში ეფექტიანად ითვლება მოსახლ. ისეთი დ., რ-ისაგან მიღებული შემოსავალი საკმარისი იქნება მათი ნორმალური კვლავწარმოებისათვის, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საზ-ბის თითოეული წევრის საგანმან. და პროფ. დონის ასამაღლებლად. დ-ის ეფექტიანობის მაჩვენებლებია: მოსახლეობის პროფესიული დ-ის დონე; დაქირავებით დასაქმებულთა ხვედრითი წონა ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში; სწავლაში ჩაბმულთა წილი მთელ მოსახლეობაში; მომუშავეთა პროფ.-საკვალიფიკაციო სტრუქტურის სამუშაო ადგილების სტრუქტურისადმი შესაბამისობა; ეკონ. თანამედროვე მოთხოვნებისადმი კადრების მომზადების სისტემის შესაბამისობა და ა. შ.

დ-ის დონისა და ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი პირობაა დ-ის სხვადასხვა სახის პროგრამების (სახელმწიფო, რეგიონული და ა. შ.) შედგენა და რეალიზება.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი მოსახლ. დ-ის სფეროში შექმნილი მდგომარეობა არასახარბიელოა (იხ. ცხრ.). მონაცემებიდან ჩანს, რომ მსოფლიო კრიზისის ფონზე გამოიკვეთა ეკონომიკურად აქტ. მოსახლეობის შემცირების ტენდენცია, იგივე შეიძლება ითქვას დასაქმებულთა შესახებაც. დასაქმებულთა რაოდენობაში დაქირავებულთა რიცხვი კლებულობს, უმნიშვნელოდ მცირდება თვითდასაქმებულთა რაოდენობა და წილი სამუშაო ძალის საერთო რაოდენობაში. მაღალია უმუშევრობის მაჩვენებლები, კვლავ დიდია სამუშაოს შოვნის იმედდაკარგულთა რაოდენობა. დ-ის სფეროში არსებული მძიმე მდგომარეობა განპირობებულია გლობალურ ეკონომიკურ კრიზისთან და რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებული პოლიტ. და ეკონ. ფაქტორებით, აგრეთვე ადგილობრივი გარემოებებით.

საქართვ. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მონაცემებით ქვეყანაში დაფიქსირებული უმუშევრობის დონის მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სოფლად, ვინაიდან სოფლის მაცხოვრებლებს გადაეცათ მიწის ფართობები, თუმცა წარმოების საშუალებების დეფიციტის გამო ისინი ვერ ან ნაწილობრივ ამუშავებენ მიწის ნაკვეთებს.

ქვეყანაში შრომის ბაზრის მდგომარეობა არასტაბილურია. შრომით რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის თანაფარდობა დარღვეულია, მაღალია არასრული დ-ის მაჩვენებელი, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის შემოსავლების დონე ჩამორჩება საარსებო მინიმუმს, ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში დაქირავებულებთან შედარებით მაღალია თვითდასაქმებულთა წილი და ა. შ.

საქართველოში დ-ის სფეროში გაწეული მთელი საქმიანობის კოორდინაციას სხვადასხვა დროს ,,შრომის კომიტეტი'', ,,შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო'' ახორციელებდა დასაქმების შესაბამისი სამსახურით (თავდაპირველად შრომის სახელმწიფო ბირჟისა და მისი რეგიონული სამსახურებით, შემდეგ – სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო), ამჟამად კი აღნიშნულ სფეროს ,,შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო'' კურირებს.

საქართველოს მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებლები 1998–2010 წლებში
(ათ. კაცი, პროცენტი)

მაჩვენებლები	1998 წ.	2000 წ.	2005 წ.	2008 წ.	2009 წ.	2010 წ.
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა	1972,8	2049,2	2023,9	1917,8	1991,8	1944,9
დასაქმებულია სულ	1728,5	1837,2	1744,6	1601,9	1656,1	1628,1
აქედან: დაქირავებული	724,4	683,9	600,5	572,4	596,0	618,6
თვითდასაქმებული	987,1	1041,2	1143,3	1028,5	1059,0	1007,1
გაურკვეველი	17,0	112,1	0,8	1,0	1,1	2,4
უმუშევარი	244,3	212,0	279,3	315,9	335,6	316,9
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ*	1044,0	1092,3	1136,1	1145,2	1139,3	1083,3
უმუშევრობის დონე, % **	12,4	10,3	13,8	16,5	16,9	16,3
აქტიურობის დონე, %	65,4	65,2	64,0	62,6	63,6	64,2
დასაქმების დონე, % ***	57,3	58,5	55,2	52,3	52,9	53,8
თვითდასაქმებულთა წილი მთლიან სამუშაო ძალაში, %	50,0	50,8	56,5	53,6	53,2	51,8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის (ახლანდ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) სამუშაო ძალის გამოკვლევის მასალები.

* 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა, რ-იც არ მუშაობს და არ ეძებს სამუშაოს.

** გაანგარიშებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის მიმართ.

*** გაანგარიშებულია 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის მიმართ. *მ. ტულუში.*

„დასაწყისი“, სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მიმართულების ყოველდღიური პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1908. რედაქტორ-გამომცემელი – გ. მაჭავარიანი. გაზეთის მუდმივი მნიშვნელოვანი რუბრიკები: „მუშათა შორის“, „ახალი ამბები“, „პროვინცია“, „რუსეთის ამბები“, „მიმოხილვა“, „სახელმწიფო დუმა“, „უცხოეთი“, „დეპეშები“, „საზღვარგარეთ“, „წერილები რედაქციის მიმართ“. პერიოდულად იყო სხვა რუბრიკებიც: „ადგილობრივი პრესა“, „ბიბლიოგრაფია“ და სხვ.; გაზეთთან თანამშრომლობდნენ ა. ჩხენკელი, ს. ჭელიძე, რაჟდენ კალაძე (ფსევდ. „რაჟდენიძე“). წერილების ნაწილი გამოქვეყნებულია ფსევდონიმებით („ვალია“, „ბანკო“, „კნიაზი“, „ლომანსო“, „პარნასი“, „შეკბენილი“, „ფოთელი ბზიკი“, მუშა გლურჯიძე და სხვ.). გაზეთში ხშირად იბეჭდებოდა მშრომელთა ცხოვრების, მათი სოც. და პოლიტ. მოთხოვნების ამსახველი წერილები. დაიხურა თბილ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით. მის ნაცვლად 1908 გამოვიდა გაზ. „*მერცხალი*“.

ლიტ.: გ ა გ ო შ ი ძ ე შ., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ნაკვ. 1, თბ., 2004. *ც. ნოზაძე.*

დასახლება, სოფელი ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე. ზ. დ. 13 *მ*, ხობიდან 3 *კმ*. 729 მცხ. (2002).

დასდებელი, დ ა ს ა დ ე ბ ე ლ ი, საეკლესიო საგალობლის აღმნიშვნელი უძველესი ქართული ტერმინი, რ-ის შემოღება დაკავშირებულია სას. პოეზიის განვითარების ადრეულ ხანასთან, არა უგვიანეს VII ს. ტერმინი დ. მომდინარეობს სიტყვიდან „დებაად“, „დადებაად“, რაც მიმატებას, დართვას ნიშნავს. თავდაპირველად იგი ნიშნავდა ისეთ პოეტურ სტროფს, რ-იც ამა თუ იმ *ფსალმუნის* მისამღერად, რეფრენად შემოიღეს; მაშინ ქრისტ. გალობის ძირითადი ელემენტი ჯერ კიდევ ფსალმუნი იყო. უძველესი ქართ. ძეგლი, სადაც დ. ამ მნიშვნელობით გვხვდება, არის ბერძნულიდან თარგმნილი VII ს. „იერუსალიმური ლექციონარი“. შემდეგ, როცა მრავალსტროფიანი საგალობლები შემოიღეს, დ-ის მნიშვნელობა გაფართოვდა, ის სტიქარონებისა და ჰიმნოგრაფიული კანონის, ანუ გალობათა ცალკეული სტროფის თუ ტროპარის აღსანიშნავად გამოიყენეს. მრავლობითი ფორმით გამოყენებულ ტერმინს (დ-ნი) განზოგადებული მნიშვნელობა აქვს – ხშირად ამა თუ იმ დღესასწაულის მთელ საგალობელ მასალას გულისხმობს.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე, Иерусалимский канонарь VII века. Грузинская версия, Тфл., 1912; L e e b H., Die Gesänge im Gemeindegottesdienst von Jerusalem, W., 1970.

ლ. ხევსურიანი.

დასთანი (სპარს. – ამბავი, მოთხრობა, რომანი), სპარსული მწერლობისათვის დამახასიათებელი ჟანრი, რ-იც შემდგომ გავრცელდა მახლობელი და შორეული აღმოსავლეთის ხალხთა ლიტ-რაში. დ. თავდაპირველად ცალკეულ ვრცელ საგმირო თუ რომანულ ეპიზოდებს, ზოგჯერ მთელ პოემებს, ფოლკლორულ ლეგენდებს ეწოდებოდა. მოგვიანებით მოხდა მისი დაკონკრეტება: ხალხური დ. გულისხმობს კლასიკური მწერლობის ნიმუშების ანონიმურ დამუშავებას და ხალხში გავრცელებას. დ-ის პირველი ნიმუშები (ძირითადად ვრცელი ისტ. ხასიათის საფალავნო რომანები) ირანში გაჩნდა XI–XIII სს-ში, რასაც ხელი შეუწყო საქალაქო ცხოვრების აღორძინებამ. ცნობილია სპარს. ხალხ. დ-ების აზერბ., უზბ., ტაჯ., ქურთული, ქართ. ვერსიები.

ლიტ.: გ ვ ა ხ ა რ ი ა ა., სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან (დასთანები), თბ., 1973. *ა. გვახარია.*

დასი, მესაკრავეთა და მომღერალ-მგალობელთა ჯგუფის ძვ. ქართული სახელწოდება. იხმარებოდა გუნდისა და მწყობრის პარალელურად: „გუნდ მწყობრი დასი მას ბევრ ათასი ჰყავს დიდებულთა დიდთა თავადთა“ (შავთელი).

დასტა, აღმოსავლური მუსიკალური საკრავების დამკვრელთა მცირე ანსამბლი სამხრეთ კავკასიაში. საქართველოში გავრცელდა XVII ს-ში აღმოსავლური რეპერტუარით. ანსამბლის შემადგენლობაში იყო ორი ზურნა ან ორი დუდუკი და დოლი. მელოდიას ასრულებს ერთი მეზურნე „უსტა“ – ოსტატი, მეორე მეზურნე – „დამქაში“ – მელოდიას ბურდონული (გაბმული) ბანით მიჰყვება კილოს ძირითად საფეხურებზე. მედოლე დახელოვნებული მომღერალიცაა. დ-ის რეპერტუარი მრავალფეროვანია, უმთავრესად ასრულებენ საყოფაცხოვრებო, ლირ.-სატრფიალო, სალაღობო, საცეკვაო მუსიკას. იგი ყარაჩოხელებისა და თავადიშვილების ქალაქური ლხინის აუცილებელი თანმხლები იყო. დროთა ვითარებაში დ-ის რეპერტუარი თან-



დასტა.

დათან გამდიდრდა ქართ. ხალხ. სიმღერებით. ანსამბლმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია XX ს. 30-იან წლებში, როდესაც ცნობილი მომღერლის, ა. *გარდიაშვილის*, წინადადებით დ-ს მესამე დუდუკი დაუმატეს. ამიერიდან დ-მ იწყო სამხმიანი ქართ. სიმღერების შესრულება და დიდი პოპულარობაც მოიპოვა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. თბილისში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ხ. ტალგაუკოვის და ქსოვრელების დასტები, ანსამბლი „სოინარი“. დ-ის თანხლებით მღეროდნენ ა. ვარდიაშვილი და ნ. დ. *დადიანი.* *გ. ჩხიკვაძე.*

დასტური, ჯვარ-ხატთა კულტის მსახური აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, „ჯვართ ენაზე“ მუჯირი ეწოდებოდა (ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, მ უ ჯ ი რ ი „ხვარბლის მნეს“ ნიშნავს). ევალებოდა ჯვრის (ხატის) სამეურნ.

საქმეების გაძღოლა – მამულების დამუშავება-დათესვა, მოსავლის აღება-დაბინავება, სადღეობო ლუდის მოდუღება, დღეობის უზრუნველყოფა სარიტუალო ქადა-პურებით, ხევისბერისათვის (დეკანოზი, ხუცესი) დახმარება სამსხვერპლო საკლავის დაკვლაში და სხვ.

დ-ად დგებოდნენ უნჯ ხატებში ერთი ან ორი (იშვიათად სამი) წლით საყმოს წევრი მამაკაცები. ზოგიერთ მთავარ სალოცავში მათ ქადაგი ასახელებდა, ზოგან კი რიგის მიხედვით დგებოდნენ. დ. იცავდა სიწმინდეს – ერიდებოდა აკრძალული საკვების (ღორი, ქათამი), ჭამას, ახლად მოლოგინებული ქალების სამყოფსა და საქონლის სადგომში შესვლას, ცოლქმრულ ურთიერთობას და სხვ.

ხატის მსახურთა იერარქიაში, ხევისბერის შემდეგ, იგი ძირითადი ფიგურა იყო, რ-იც უნჯ სალოცავს (იხ. *უნჯი ყმა*) ქონებრივ საფუძველს უქმნიდა და უნარჩუნებდა. *თ. ოჩიაური.*

დასტურლამა, დასტურლამალი (არაბ.-სპარს. დასთურ ალ-ამალ – ინსტრუქცია, გარიგება, მოქმედების წესი), სახელმწიფო სამართლის ძეგლის ზოგადი სახელწოდება გვიანდ. ფეოდ. საქართველოში. დ-მ დაიკავა ძვ. ქართ. ,,გარიგების წიგნის'' ადგილი (იხ. *დასტურლამალი* მეფის ვახტანგისა). დ. შედგება ცალკეული, ზოგჯერ სხვადასხვა დროის გარიგების წიგნებისგან, რ-ებშიც აღწერილია მოხელეთა უფლება-მოვალეობანი, სახელმწ. დაწესებულებათა აგებულება, საქალაქო წყობილება, გადასახადების რაოდენობა-სახეობანი და სხვ.

ი. ი. სურგულაძე.

დასტურლამალი მეფის ვახტანგისა, ძვ. ქართული სახელმწიფო-ადმინისტრაციული სამართლის ძეგლი. იგი სხვადასხვა დროს შედგენილი დ-ების ანუ გარიგების წიგნთა თუ დებულებათა კრებულია, რ-იც ვახტანგ VI-მ 1707–09 სისტემურად დაალაგა, ზოგი თავისი დებულებითაც შეავსო და ერთიან სჯულდებად აქცია. ძეგლი შედგება ორი მთავარი ნაწილისაგან – სამეფო დ. და სადედოფლო დ. სადედოფლო დ. თავდაპირველად გიორგი XI-ს შეუდგენია 1683–89. დ. განკუთვნილი იყო ქართლის სამეფოსათვის. დ-ის შედგენით ქართლის მეფე ცდილობდა თავისი ხელისუფლების განმტკიცებას – ერთიანი სამართ. პოლიტიკის გატარებას და ფეოდალთა თვითნებობის ალაგმვას.

დ-ში აღწერილია სასახლეში მიღებისა და ნადიმობის წესები. მოპატიჟების წესი და მაგიდასთან მტკიცედ განსაზღვრული ადგილი გამოხატავდა მოპატიჟებულის მდგომარეობას ფეოდ. იერარქიაში. სასახლის მთავარი განმკარგულებელი იყო *სახლთუხუცესი,* რ-საც მოხელეთა მთელი შტატი ექვემდებარებოდა. რადგან ნადიმობას საქმიანი მხარეც ახლდა, ამიტომ მას მდივანიც უნდა დასწრებოდა.

ძეგლში დახასიათებული არიან ცენტრ. და ადგილ. მმართველობის მოხელეები. დ-ის მიხედვით, ცენტრ. მმართველობა შემდეგი სახით წარმოგვიდგება: სამეურნეო-ადმ. (სახლთუხუცესი, *ნაზირი, მოლარე* და სხვ.), საპოლიციო (*ეშიკაღასბაში, ბოქაულთუხუცესი,* ბოქაული, *იასაული* და სხვ.), სასამართლო (*მდივანბეგი, მდივანი,* სასამართლოს იასაული და სხვ.), სამდივნო (მდივნები, *მორდალი,* მწერალი და სხვ.), სამონადირეო (*მონადირეთუხუცესი,* ბაზიერთუხუცესი, *ბაზიერი* და სხვ.), სამეჯინიბეო (*მეჯინიბეთუხუცესი,* მეჯინიბეები, ზინდრები ანუ ცხენის შემკაზმველები და სხვ.), მეფის დაცვა (*ყულარაღასი, ყორჩიბაში, უზბაშები* და სხვ.). ადგილ. მოხელეობის ფუნქციები ჰქონდათ სარდლებს, არაგვისა და ქსნის ერისთავებს, მოურავებს, ნაცვლებს, მამასახლისებსა და ხევისთავებს (ხევისთავი წელიწადში ერთხელ ჩამოივლიდა მისდამი რწმუნებულ სოფლებს ქურდების გამოსავლენად).

ქალაქის მმართველობის სათავეში იდგა *მოურავი,* რ-საც ჰქონდა ადმ. და სასამართლო ფუნქციები. მას ჰყავდა მოადგილე – მოურავის ნაცვალი. ქალაქის მოხელეები იყვნენ აგრეთვე *მელიქი* და *მამასახლისი.*

განსაკუთრებით დიდია დ-ის მნიშვნელობა მაშინდელი საქართვ. ეკონ. მდგომარეობის შესასწავლად. მასში დაწვრილებით არის გათვალისწინებული საგლეხო გადასახადები მეფისა და დედოფლის მამულებში. სამეფო და სადედოფლო გლეხებისათვის ერთიანი გადასახადების დაწესება საკანონმდებლო გზით პროგრ. ნაბიჯი იყო. დ. კრძალავდა სამეფო და სადედოფლო სოფლებში მოხელეების თვითნებობას და მაგალითსაც აძლევდა ფეოდალებს გადასახადების დაწესებაში. დ-ის მიხედვით, გლეხებს ევალებოდათ სახელმწიფო, სამოხელეო, საფეოდალო, ექსტრაორდინარული ანუ ფეოდალის ოჯახში მომხდარ რამე შემთხვევასთან (ქორწილი, სიკვდილი და სხვ.) დაკავშირებული და საეკლ. გადასახადების გადახდა.

დ. ერთადერთი ძეგლია, რ-იც შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს ქართლში ჩამოსახლებული თურქული მოდგმის ტომების – ელების ისტ. და ეკონ. წყობის შესახებ. ძეგლში დასახელებულია ქართლისა და კახეთის საზღვრები, ცალკე (203-ე) პარაგრაფია მიძღვნილი მეფის დასაფლავების ცერემონიისადმი და სხვ.

დ. პირველად პ. *უმიკაშვილმა* გამოსცა (1886), შემდეგ – ი. *დოლიძემ* (1965), ი. *სურგულაძემ* (1970). 1725 შედგენილი სპარს. დ. ინგლ. თარგმანითურთ გამოსცა რუსმა აღმოსავლეთმცოდნემ ვ. *მინორსკიმ* (1943). მისი აზრით, ქართ. დ. შინაარსით სპარსულის იდენტურია. ქართ. და სპარს. დ-ები ერთმანეთს შეადარა ვ. ნ. *გაბაშვილმა* (1949) და დაასაბუთა, რომ დ. ქართული სახელმწ. სამართლის ორიგინ. ძეგლია.

ლიტ.: ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის გამოც., თბ., 1970.

ი. ი. სურგულაძე.

დატერასება, ფერდობის ზედაპირის ხელოვნური შეცვლა სასოფლო-სამეურნეო და ტყის კულტურების უკეთ გამოსაყენებლად და ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. არის ბექობისებრი, საფეხურისებრი, ტრანშეისებრი ტერასები და ტერასათხრილი.

ბექობისებრ დ-ს მაშინ მიმართავენ, როცა ფართობის ქანობი 0,12-ს არ აღემატება. ბუნებრივი ქანობის შეუცვლელად აკეთებენ 18–50 *მ* სიგანის ტერასებს, რ-თა ბოლოებში თხრილია, მასში გროვდება ზედაპირული ჩამონადენი წყალი და ჩადის წყალმიმღებში. ასეთი დ. ფართოდაა გავრცელებული საქართველოში, განსაკუთრებით პატარა მდინარეთა ხეობებში (მდ. ატენის ხეობა, გორის მუნიციპალიტეტი).

საფეხურისებრი დ-ის დროს იცვლება ფართობის ქანობი. მას იყენებენ 0,12–0,25 ქანობიან ფერდობებზე ციტრუსების, ვენახისა და ხეხილის გასაშენებლად. საქართველოში საფეხურისებრ

დ-ს უძველესი დროიდან იყენებენ (მესხეთი).

ტრანშეისებრ დ-ს მიმართავენ ძლიერ დაქანებულ ფერდობებზე მრავალწლოვანი კულტურების გასაშენებლად.

ტერასა-თხრილს აკეთებენ იმ რ-ნებში, სადაც ხშირი კოკისპირული წვიმა იცის და ძლიერი ქანობის (0,3–1) ფერდობებზე მცირე სისქის ნიადაგებია. დ-ის დროს მთავარი ყურადღება ექცევა ტერასის სიგანეს, გვერდებს, ქანობსა და ტერასებს შორის ადგილს – ბერმას. დ-ისთვის იყენებენ ბულდოზერებსა და სხვა მიწასათხრელ მანქანებს, აგრეთვე სპეც. დამტერასებელ მანქანებს – ტერასორებს. *ო. ცუცანაშვილი.*

დატირება, ქართული ზეპირსიტყვიერების ჟანრი, მიცვალებულის ტირილით გლოვა, მოთქმა-გოდება; გამოხატავს ჭირისუფალთა მწუხარებას. დ. შეიძლება იყოს ინდივიდ. და ჯგუფური, ასრულებენ ქალებიც და მამაკაცებიც. ის იმპროვიზებულია, შემსრულებლები ხშირად იყენებენ ტრად. ლექსებს, აფორიზმებსა და ფრთიან გამონათქვამებს; დ-ს უკავშირდება ფოლკლორული ჟანრები – საგმირო, სატრფიალო, სახოტბო ლექსები და სხვ. მისი სახეობებია: მოთქმა, ხმით ტირილი, ძახილით ტირილი, მოხსენიება.

ლიტ.: სიხარულიძე ქ., სამგლოვიარო ლექსები, წგ.: ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, [ტ.] 1, თბ., 1960; წერეთელი ა., მოთქმით ტირილი, «დროება», 1875, № 85. *ნ. შამანაძე.*

დაუდ-ფაშა გურჯი (1767 ან დაახლ. 1774, ქვემო ქართლი, – 1851, მედინა), ერაყის უკანასკნელი მამლუქი გამგებელი 1817–31. წარმომავლობით ქართველი, მანველაშვილი. დ. გ. ბავშვობაში გაიტაცეს და ოსმალეთში გაყიდეს. მოხვდა ბაღდადის ფაშა სულეიმან ბუიუქთან. დაამთავრა მამლუქთა სასწავლებელი. შემდეგ ეკავა სხვადასხვა თანამდებობა (საფაშოს ბეჭდის მცველი, ხაზინადარი, დავთარდარი და სხვ.). ერაყის მმართველად დანიშვნისთანავე განუდგა ოსმ. სულთანს. ატარებდა დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, გააფართოვა საირიგაციო სისტემა, შექმნა საზღვაო და სამდინარო ფლოტი, გახსნა ქაღალდის პირველი ფ-კა. არმია გარდაქმნა ევრ. ყაიდაზე, ერაყში გახსნა პირველი სტამბა, შემოიღო სავაჭრო მონოპოლია სას.-სამ. პროდუქტებზე. ცდილობდა რუს.-ოსმ. 1828–29 ომი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და ერაყის დამოუკიდებლობა განემტკიცებინა. 1830 სულთანმა მის წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა. დ. გ. დამარცხდა და 1831 სექტ-ში ოსმალებს დანებდა. 1834 ბოსნიის გამგებლად დანიშნეს, ორი წლის შემდეგ კი სტამბოლში გადაიყვანეს, სადაც ეკავა სხვადასხვა თანამდებობა. 1839–41 ანკარის ვილაიეთს განაგებდა. 1841 სახელმწ. სამსახურიდან გადადგა. 1846 მედინაში დასახლდა და პირადი თხოვნით მუჰამადის საფლავის ზედამხედველად (შაიხ ალ-ჰარამ) დაინიშნა. მედინის ერთ-ერთ გარეუბანში გააშენა მშვენიერი ბაღი, რ-საც შემდგომ ,,დაუდიე'' უწოდეს. დ. გ-ის ოჯახის წევრები საქართველოში ორბელიანების ყმები იყვნენ. საქართ. მთავარმართებელ გენ. ერმოლოვთან მიმოწერის შედეგად დ. გ-მ ისინი ყმობიდან გაათავისუფლა, უნდოდა მათი გააზნაურებაც, თუმცა ვერ მოახერხა. ა. გრიბოედოვის 1824 ცნობით, დ. გ-ს საქართველოში გამოუგზავნია თავისი რწმუნებული პეტრე იოსებაშვილი (იუსუფ-აღა), რ-საც დ. გ-ს დედა ბაღდადში უნდა წაეყვანა, მაგრამ დედამ მართლმადიდებლურ სამშობლოში დარჩენა ამჯობინა. დ. გ. დაკრძალულია ხალიფა ოსმანის საფლავის მახლობლად.

ლიტ.: ბეი-მამიკონიანი გ., ქართველ მამლუკთა მბრძანებლობა ერაყში XVIII და XIX საუკუნეებში, «საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე», 1944, ტ. 5, №7; ჯანელიძე დ., სილაგაძე ბ., ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში, თბ., 1967.

ბ. სილაგაძე.

დაუდ-ხანი (XVI ს. II ნახ. – XVII ს. I ნახ.), განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი 1625–33, წარმომავლობით ქართველი, უნდილაძე, *ალავერდი-ხანის* ძე. ცოლად ჰყავდა თეიმურაზ I-ის და ელენე. დ. ნიჭიერი მხედართმთავარი იყო. მისი ხელმძღვანელობით ირან. ჯარმა 1614 დაიჭყრო გამბრუნი, 1618 არდებილთან შეაკავა ოსმალები და შემდეგ უკუაქცია ისინი. ეწეოდა დიდ სააღმშენებლო საქმიანობას – ააგო ბაზრები, ქარვასლები და სხვ. დ-ს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გიორგი სააკაძესთან და გარეული იყო მარტყოფის აჯანყების მომზადებაში. დ. შაჰის ბრძანებით აჯანყებულ ქართველთა წინააღმდეგ უნდა გამოსულიყო, თუმცა, ავადმყოფობის საბაბით, უარი თქვა ამ ბრძანების შესრულებაზე. 1625, როგორც შაჰის მოციქული, მონაწილეობდა თბილ. მახლობლად თეიმურაზ I-თან გამართულ მოლაპარაკებაში. დ-ის მცდელობით შემუშავდა საქართველოს მიმართ შაჰ–აბას I-ის კომპრომისული პოლიტიკა. 1629 ირანში შაჰ-სეფი I-ის კარზე დაწინაურებულმა ქართვ. ბატონიშვილმა ხოსრო-მირზამ (შემდგომ ქართლის მეფე როსტომი) მოახერხა დ-ის ჩამოქვეითება. 1630–31 სეფი I-მა დ. მეჯლისიდან გააძევა. 1633 დ. აქტიურად მონაწილეობდა თეიმურაზ I-ის მეთაურობით სეფიანთა წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში. დ-მა ყაჯართა ერთი ჯგუფი წაიყვანა საქართველოში, შემდეგ აჯანყებულებმა ყაჯართა თავკაცები დახოცეს და განჯა-ყარაბაღი დაარბიეს. სეფი I-მა თეიმურაზს მოსთხოვა დ-ის გაცემა, სანაცვლოდ




დაუდ-ხანი. კასტელის ალბომი. XVII ს.

პატიებას შეჰპირდა, მაგრამ თეიმურაზმა შაჰს უარი შეუთვალა. დ-მა ოსმალეთს შეაფარა თავი.

წყარო: გორგიჯანიძე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2; დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), ბ. გიორგაძის გამოც., თბ., 1977; ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1969.

ლიტ.: გაბაშვილი ვ., უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI–XVII სს. ირანში (ქართული წყაროების მიხედვით), კრ.: მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, [ტ.] 2, თბ., 1972; კუცია კ., კავკასიური ელემენტი სეფიანთა ირანის პოლიტიკურ სარბიელზე, იქვე, [ტ.] 1, თბ., 1963; ფათემი მ. მ., სპარსული მასალები XVI–XVII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა შესახებ, თბ., 1982.

დ. კაციტაძე.



კ. დაუშვილი.

დაუსწრებელი განათლება, წარმოებისაგან მოუწყვეტლად საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება დაუსწრებელი სწავლების სისტემის საშ. და უმაღლეს სასწავლებლებში ან მათ დაუსწრებელ განყ-ბებსა და ფაკ-ტებზე. სსრკ-ში 1938-მდე დ. გ-ის ქსელი ვითარდებოდა ერთიანი გეგმის გარეშე, არ იყო დადგენილი მსმენელთა მიღების რაოდენობა, სწავლების ვადა და სასწ. რეჟიმი. დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმული მსმენელები არ იყვნენ უზრუნველყოფილი სათანადო სახელმძღვანელოებით, მეთოდური ხასიათის დამხმარე ლიტ-რითა და სასწ. პროგრამებით. 1938 წ. 29 აგვ. დადგენილებით დაწესდა დაუსწრებელი სწავლების შემდეგი ორგანიზებული ფორმები: 1. დაუსწრებელი განყ-ბები სტაციონარულ უმაღლეს სასწავლებლებთან; 2. დაუსწრებელ ინ-ტებში უმაღლესი განათლების მიღება დაუსწრებლად სხვადასხვა ფაკ-ტსა და სპეციალობაზე. უნ-ტებში, პედ. და სამასწავლებლო ინ-ტებში, სოც.-ეკონ. უმაღლეს სასწავლებლებში, ტექ. უმაღლეს სასწავლებლებში, სას.-სამ. უმაღლეს სასწავლებლებში, ტრანსპ. და კავშირგაბმ. უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარდა ბევრი საორიენტაციო ღონისძიება, მსმენელები განთავისუფლდნენ სწავლის ქირისაგან. ჩამოყალიბდა დაუსწრებელი პედ. ინ-ტი (შემდეგ შეუერთდა თსუ-ის დაუსწრებელ განყ-ბას). დროთა განმავლობაში დ. გ-ის ხვ. წ. განათლების სისტემაში იცვლებოდა. დაუსწრებელი სწავლების ზოგიერთი უმაღლესი ინ-ტი, განყ-ბა და ფაკ-ტი დაიხურა.

1996 დაუსწრებელი სწავლების განყ-ბა ჰქონდა შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებს: თსუ-ს, საქართვ. ტექ. ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. საქართვ. აგრარ. უნ-ტებს, საქართვ. ზოოტექ. სავეტერინარო სასწ. კვლევით ინ-ტს, საქართვ. ფიზ. აღზრდისა და სპორტის აკადემიას, თბილ. ეკონ. ურთიერთობათა ინ-ტს, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის, ქუთ. და ი. მუსხელიშვილის სახ. ქუთ. ტექ. უნ-ტებს, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის პედ. ინ-ტს, ცხინვალის პედ. ინ-ტის ქართ. სექტორს (გორი), საქართვ. სუბტროპ. მეურნ. (ქუთაისი), საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს ინ-ტებს. დაუსწრებელი სწავლების განყ-ბა მოქმედებდა აგრეთვე ჰუმანიტარული პროფილის ზოგიერთ კერძო სასწავლებელში.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის (2004) თანახმად, დ. გ-ის ქსელი საქართველოში გაუქმდა.

ნ. გორელაშვილი.

დაუშვილი ავთანდილ პარმენის ძე (1. IX. 1920, ჭიათურა, – 20. VII. 1984, თბილისი), ინჟინერი მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1973), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1984). 1947 დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპ. ინჟინერთა ინ-ტის ხიდებისა და გვირაბების ფაკ-ტი. 1948–59 მუშაობდა თბილ. რკინიგზის ტრანსპ. ინჟინერთა ინ-ტში, 1959–64 – საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში. გვირაბებისა და მეტროპოლიტენების კათედრაზე, 1964-იდან გარდაცვალებამდე ამ კათედრას ხელმძღვანელობდა. დ-მა შექმნა სხვადასხვა დანიშნულების გვირაბების ჰიდროიზოლაციის ახ. ხერხები და კონსტრუქციები, მან პირველმა ჩამოაყალიბა გვირაბების მუდმივი სამაგრის გაანგარიშების მატრიცული ხერხი. მისი შრომები გამოქვეყნებულია პოლონეთში, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: გვირაბები, თბ., 1972; Гидроизоляция тоннелей, сооружаемых закрытым способом, Тб., 1971; Расчет тоннельных обделок в матричной форме, М., 1972.

დაუშვილი კონსტანტინე (კოტე) დავითის ძე [6 (19). III. 1909, ბაქო, – 6. VII. 1980, თბილისი], მსახიობი. საქართვ. (1958) და სომხ. (1979) სახ. არტისტი. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1927-იდან. 1928–30 მუშაობდა თბილ. წითელი არმიისა და ნაძალადევის თეატრებში, 1934–35 იყო ბაქოს ქართ. თეატრის, 1935–38 – თბილ. კინოსტუდიის, 1930–34 და 1942–59 – კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობი. თეატრში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ბეგლარი (კ. კალაძის ,,როგორ‘‘), კვეჟენაძე (შ. დადიანის ,,კაკალ გულში‘‘), გოდუნი (ბ. ლავრენიოვის ,,რღვევა‘‘), იაგო (უ. შექსპირის ,,ოტელო‘‘), კნუროვი (ა. ოსტროვსკის ,,უმზითვო‘‘), ჯიბილო (პ. კაკაბაძის ,,კოლმეურნის ქორწინება‘‘), გიჟუა (ა. ცაგარლის ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ?!‘‘), კოხტა (მ. ბარათაშვილის ,,მარინე‘‘), ზაალ ერისთავი (უ. ჩხეიძის ,,გიორგი სააკაძე‘‘), პაატა ბატონიშვილი (ლ. გოთუას ,,მეფე ერეკლე‘‘), სოლეიმან-ხანი (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი‘‘) და სხვ. კინოში შესრულებული აქვს ასამდე როლი, მ. შ.: კოტე (,,უდაბნო‘‘, 1932), მღვდელი ტრიფილი (,,გიორგი სააკაძე‘‘, 1942–43), სელიმ-ხანი (,,ბაში-აჩუკი‘‘, 1956), პაპა გიგია (,,პაპა გიგია‘‘, 1960), მგელიკა ზვიადაური (,,ხევსურული ბალადა‘‘, 1965), ზვიადა (,,შეხვედრა მთაში‘‘, 1966), მღვდელი გერმოგინი (,,არ იდარდო!‘‘, 1969), გოლა (,,ბებერი მეზურნეები‘‘, 1973), ციციკორე (,,ნატვრის ხე‘‘, 1976). დ. გამოირჩეოდა მაღალი საშემსრულებლო კულტურით და ოსტატობით. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

ა. გვენცაძე.



კ. დაუშვილი. მღვდელი გერმოგინი, კადრი ფილმიდან ,,არ იდარდო‘‘.

დაუჯდომელი, აკათისტო (ბერძნ. akathistos), საგალობელი; თავდაპირველად იყო მხოლოდ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი სამადლობელი საგალობელი. გადმოცემით, ღვთისმშობელს მიეწერება ბიზანტ. დედაქალაქ კონსტანტინოპოლის სასწაულებრივი გადარჩენა შემოსეული მტრისაგან. ამ მოვლენის აღსანიშნავად შეიქმნა საგალობელი დ., რ-იც მუხლმოუდრეკლად, დაუჯდომლად, ფეხზე მდგომთ (აქედან არის სახელწოდებაც) უნდა წარმოეთქვათ.

დ-ის ტექსტი ქართულად ადრე ითარგმნა. ის მარხვანის შემადგენელი ნაწილი იყო და დიდმარხვის მეხუთე კვირის შაბათ დღეს გალობდნენ. მოგვიანებით მისი ტექსტი შეიტანეს ჟამნებში და ჟამნგულანებში.

ყველაზე ადრინდ. ხელნაწერები, რ-შიც დ-ის ქართ. ტექსტია დამოწმებული, არის 1052-ით დათარიღე-

ბული სინური ხელნაწერი, ნუსხა № 5 (,,იბაკონი წმიდისა ღმრთისმშობლისანი, რომელსაც დაუჯდომელი ეწოდების, ბერძნულად აკათისტო'') და XI ს. – პარიზი-5 (,,იბაკონი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისანი'').

დ-ის ტექსტი ქართულად პირველად XVIII ს. ბოლოს დაიბეჭდა. მეცნ.-კრიტ. გამოცემა არა გვაქვს. მოგვიანებით დ-ის ცნება გაფართოვდა და ჰიმნოგრაფიაში ერთგვარ ჟანრადაც ჩამოყალიბდა. ასე შეიქმნა ჯვრის, გაბრიელ მთავარანგელოზის, იოანე ნათლისმცემლის, წმ. ბარბარეს, აგრეთვე, სვეტიცხოვლის (ავტორი ნიკოლოზ გულაბერისძე), წმ. ნინოს და სხვ. ორიგინ. დ-ები.

ლიტ.: ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1963. *მ. ქავთარია.*

დაფდაფი, დ ა ბ დ ა ბ ი, დიდი ზომის დასარტყამი (საცემელი) საკრავი, რომლის რკალზე მარჯვნივ და მარცხნივ ტყავია გადაკრული. ,,დაფი – ესე არს გრკალი, ცალთა მხარეთა ეტრატი აკრავს საცემლად მროკავთათვის, ხოლო დაფდაფსა ორსავე მხარეს ეტრატი აქვს...'' (ს.-ს. ორბელიანი). დ. გარკვეული სიმაღლის ბგერას არ იძლევა. მას აქვს სავსე, მძიმე, რბილი ხმა. დ-ის ლითონის ცილინდრი დადგმულია სპეც. სადგომზე. ,,იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი'' (რუსთაველი), იხ. *დოლი.*

დაფი, დასარტყმელი (საცემელი) საკრავი. იხ. *დაირა.*

დაფნა (Laurus), ყვავილოვან მცენარეთა გვარი დაფნისებრთა ოჯახისა. მარადმწვანე ხეშეშფოთლოვანი ხეები ან ბუჩქებია, აქვს ქოლგისებრ ყვავილებად შეკრებილი მომწვანო-ყვითელი ყვავილები, მოლურჯო-შავი კურკიანა ნაყოფი. გვარში 2 სახეობაა, რ-ებიც გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში. საქართველოში კულტივირებულია დ-ის 1 სახეობა – კ ე თ ი ლ შ ო ბ ი ლ ი (ჩვეულებრივი) დ. (L. nobilis). მისი სიმაღლე 2–12 *მ* (ზოგჯერ მეტიც) აღწევს. გაველურებული სახით გვხვდება კოლხეთის ბუნებრივ მცენარეულობაში, ზ. დ. 300 *მ*-მდე, სუბტროპ. ტენიანი და მშრალი ჰავის პირობებში, ჩვეულებრივ, კირქვიან ნიადაგზე. ზოგჯერ ქმნის წმინდა კორომს. კულტივირებულია ძირითადად კოლხეთში, სადაც გაშენებულია დ-ის პლანტაციები. მრავლდება თესლით, კალმით (სათბურებში) და გადაწვენით (ზაფხულში). უხვად იკეთებს ძირკვიდან ამონაყარს. ფოთოლს ხმარობენ სუნელ-სანელებლად, ნაყოფის ზეთი სამკურნალოა, მერქანი მძიმე, გამძლე და დრეკადია. მისგან აკეთებენ ძვირფას ავეჯს, სხვადასხვა სახის წვრილმან ნივთებს. დ. დეკორატიულია, კარგად იტანს გაკრეჭას, იყენებენ აგრეთვე ცოცხალ ღობედ, ბორდიურად. საქართვ. ზოგიერთ ბაღ-პარკში მოშენებულია ა ზ ო რ ი ს ა ნ უ კ ა ნ ა რ ი ს დ. (L. azorica, L. canariensis), რ-იც ნაკლებ ყინვაგამძლეა. *მ. სახოკია.*



დაფნა. კეთილშობილი დაფნა (Laurus nobilis).



დაფნა. აზორის დაფნა (Laurus azorica).

დაფნარი, სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე, მდ. რიონის მარცხ. მხარეს. რკინიგზის სადგური, საავტ. გზების კვანძი. ზ. დ. 40 *მ,* სამტრედიიდან 7 *კმ.* 677 მცხ. (2002).

სოფლის მახლობლად, მდ. რიონის მარცხ. ნაპირას, აღმოჩენილია ძვ. წ. V–II სს. ნასოფლარი და სამაროვანი. 1966–73 გათხარეს (ხელმძღვ. ნ. კიღურაძე) ბუნებრივ და ხელოვნურ ტერასებზე აგებული ბათქაშით შელესილი წნული ოთხკუთხა ფაცხები. სამჯახო სამაროვნები განლაგებული იყო ცალკეულ ბუდეებად. როგორც ჩანს, საკარმიდამო ნაკვეთებზე სამარხებად გამოყენებულია ორმოებში ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად ჩადგმული საღვინე ქვევრები. იყო როგორც შედარებით მდიდრული, ისე ღარიბული სამარხები. არქეოლ. მასალა (თიხის ჭურჭელი, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაული, მონეტები) ადასტურებს ქონებრივ დიფერენციაციას სასოფლო თემის შიგნით. დ. ანტ. ხანის ქალაქ ვანის სას.-სამ. გარეუბანს წარმოადგენდა. მოსახლ. მისდევდა მევენახეობა-მეღვინეობას და ჩაბმული იყო სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში, რასაც ხელს უწყობდა მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონ. კომუნიკაციათა სიახლოვე. *ნ. კიღურაძე.*

დაფქვიაშვილი თამარ ვლადიმერის ასული (21. XII. 1908, თბილისი, – 5. II. 1994, იქვე), პიანისტი და პედაგოგი. პროფესორი (1966), საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1966). 1929 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია საფორტეპიანო (ხელმძღვ. ა. თულაშვილი) და კამერული ანსამბლის (ხელმძღვ. ს. ბეზროდნი) სპეციალობით. 1932–35 ოსტატობას სრულყოფდა ლენინგრადის კონსერვატორიაში ლ. ნიკოლაევისა (ფორტეპიანო) და ე. ბრიკ-ირადოვას (კამერული ანსამბლი) კლასებში. 1929-იდან სიცოცხლის ბოლომდე პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. კონსერვატორიაში (1935–37 გამოკლებით). მის მოწაფეთაგან აღსანიშნავი არიან ვ. *ჩაჩავა,* ნ. კვირკველია, ლ. ნიჟარაძე, ლ. ქადაგიძე და სხვ., ეწეოდა აქტ. საშემსრულებლო საქმიანობასაც. მან პირველმა ჩაატარა საქართველოში სონატური კონცერტების ციკლი (ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის ი. ცხომელიძესთან ერთად). დ-ის შესრულებას ახასიათებდა ნაწარმოების სტილისტურ თავისებურებათა ღრმა ცოდნა, მუს. სიფაქიზე. შეადგინა ,,უცხოურ-ქართული მუსიკალური ტერმინოლოგია'' (1948), ,,მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი'' (1955), ავტორია ნაშრომისა ,,კამერულ-საკრავიერი ანსამბლები და საანსამბლო შესრულების ძირითადი პრინციპები'' (1988, რუს. ენაზე), გამოაქვეყნა მოგონებები გამოჩენილ ქართვ. მუსიკოსებზე და სხვ. როგორც საზოგადოება ,,ცოდნის'' წევრი, საშემსრულებლო მეთოდიკის საკითხებზე ლექციებს კითხულობდა თბილისსა და საქართვ. სხვა ქალაქებში.



თ. დაფქვიაშვილი.

დაჩირავებული ჯარი, შეიარაღებული ძალები, რ-ებსაც აკომპლექტებენ საკუთარი და სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა დაქირავების წესით. საქართველოში დ. ჯ-ს *როქის სპა* ეწოდებოდა.

დაჩუეხი, მყინვარი თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონზე, თებულოს მთის სამხრ. კალთაზე, ახმეტის მუნიციპალიტეტში. სიგრძე 1,7 *კმ.* ფართ. 0,8 *კმ².* მყინვარის ენა ეშვება ზ. დ. 3350 *მ* სიმაღლემდე. ასაზრდოებს მდ. მადნისხევისწყალს (პირიქითის აღაზნის სისტემა).

დაღალულა, მინდორი ქართლში, გაღმამხარში. ვახუშტი ბატონიშვილი საციციანოს აღწერისას დ-ს შესახებ წერს: ,,ხოლო კუალად წრომის ჩდილოს, მტკურის კიდესა ზედა, არს დ ა ღ ა ლ უ ლ ა მ ი ნ დ ო რ ი და, ნაშენი და ფრიად ნაყოფიერი''. დ-ს ვახუშტი იხსენიებს აგრეთვე XVIII ს. დასაწყისში დას. საქართველოში ფეოდ. ანარქიის ეპიზოდების გადმოცემისას. 1701, როდესაც ერეკლე I-მა გ.-მ. *აბაშიძის* წინააღმდეგ გაილაშქრა, რათა მისთვის ხეფინისხევი წაერთმია, მან ქართლ-კახეთის მხედრობას დ-ს მინდორზე მოუყარა თავი.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ზ. ცინცაძე.

დაღარუხლო, იხ. *დაგარახლო.*

დაღეთი, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართ-

ლის მხარე), ქვემო ქართლის პლატოზე, მდ. ჭივჭავის (ხრამის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: დ., სამშვილდე). ზ. დ. 860 *მ*, თეთრი წყაროდან 10 *კმ*. 235 მცხ. (2002).

დ. პირველად 1556 საბუთში მოიხსენიება, საიდანაც ირკვევა, რომ დონდარა მამადელაშვილს დ-ის მამასახლისობა უბოძა დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა. XVII ს. საბუთების მიხედვით, დ-ს ორბელიშვილები ფლობდნენ.

სოფლის სამხრ. უბანში შემორჩენილია ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევები. მის ირგვლივ სასაფლაოზე მრავალი ქვაჯვარია. ზედაპირზე ნაპოვნი მოჭიქული და წითელი კერამიკის ნიმუშები XI–XIII სს. მიეკუთვნება.

სოფლის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 1,5 *კმ*-ზე, ქვიან ბორცვზე აღმოჩენილია ნანგრევთა ნაშთები. მას ახლა ყალაჩას უწოდებენ, ძვ. რუკებზე კი აქ ყალაჩის მონასტერია აღნიშნული. კირხსნარიანი ლოდების გროვათა გარდა, არის მშრალად ნაწყობი განიერი კედლებიც.

დ-ის დას-ით, დაახლ. 1 *კმ*-ზე, თეთრი წყაროსკენ მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს, ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევია. პერანგშემოძარცული შენობის კედლები რეგულარული წყობით იყო ნაგები. სამხრ. შესასვლელზე ჯვრებით, კოპებითა და წარწერით შემკული დიდი არქიტრავის ქვა იდო, რ-ის ასომთავრული წარწერა X ს-ისაა და ასე იკითხება: ,,ქრისტე, შეიწყალე ქობულ ჴევისუფალი, ესე და კარკნალი წყაროჲ მან ქმნა''. წარწერაში ნახსენები კარკნალი (,,დიდი ქვავნარი'' – საბა) ზემოაღწერილ ყალაჩას უნდა გულისხმობდეს. ამავე ეკლესიის ქვებში ნაპოვნია წნული ჩარჩოთი შემკული ასომთავრული წარწერის ნაშთი – ,,თამარის!''; ვარაუდობენ, რომ აქ თამარ მეფე იგულისხმება.

დ-ის მახლობლად შემორჩენილია უკანდაღეთის ნასოფლარი და გადაკეთებული ეკლესიის ნაშთი XI ს. წარწერებით, ჩრდ.-აღმ-ით კი – ნასოფლარი ორთაშუა. ყველა წარწერიანი ქვა ამჟამად საქართვ. ეროვნ. მუზეუმშია.

წყარო: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, [ტ.] 2, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1953; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; ლაპიდარული წარწერები, [ტ.] 1, ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1980; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წგ. 1, ზ. ალექსიძისა და შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1964.

ლიტ.: ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ა., რუსთაველის ეპოქის ძეგლები ქვემო ქართლში, «ძეგლის მეგობარი», 1966, №8.

დ. ბერძენიშვილი.

დაღეთის არქეოლოგიური ძეგლი, ბრინჯაოსა და ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრებისა და არქეოლოგიური ძეგლი ქვემო ქართლში, სოფ. დაღეთის (თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი) სამხრ.-აღმ-ით 3 *კმ*-ზე, მდ. ხრამისა და მისი შენაკადის ხეობებში. ხელოვნური გამოქვაბულების 2 დიდი კომპლექსი გამოკვეთილია ერთმანეთის პირდაპირ მდ. ხრამის მარცხ. შენაკადის, ღელეს, კანიონისებურ ბაზალტის კალთებში. კომპლექსის ახლოს ტაფობი მოფენილია ნასახლარების, ციხე-კოშკების, ეკლესიებისა და სამეურნეო ტერასების ნაშთებით. ძეგლის მკვლევარი არქეოლოგები ამ კომპლექსს აიგივებენ ვახუშტი ბაგრატიონისა და პაპუნა ორბელიანის მიერ მოხსენიებულ ,,მუგუთის ქვაბებთან''.

ხეობის მარცხ. კალთაში განლაგებული, 3 იარუსად გამოკვეთილი კომპლექსი 26 გამოქვაბულისა და რამდენიმე ნაშთისაგან შედგება. მარჯვ. კომპლექსში 19 გამოქვაბულია, რომელთა ირიბი იარუსი მარჯვ. ნაპირზე ერწყმის ერთმანეთს. გამოქვაბულები კანიონის შუა და ქვედა რეგისტრში, კლდის ბუნებრივ ან ხელოვნურად გაფართოებული ტერასების გასწვრივაა გამოკვეთილი ბაზალტის ქანების გახურება-გაცივებით, ბზარებში სოლების ჩაჭედებისა და გამონგრევის ხერხით, ლითონის იარაღის გამოუყენებლად. ქვაბები ოთხკუთხა ან დაახლ. ოვალური ფორმისაა. არქეოლ. გათხრები ჩატარდა 1985, განახლდა 1997-იდან (აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ქვემო ქართლის კლდის ძეგლთა შემსწავლელი ექსპედიცია, ხელმძღვ. ნ. ბახტაძე და ოქსფორდის არქეოლ. კვლევის ლაბორატორია). სტრატიგრაფიულ ჭრილში ნაპოვნია შუა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი. გაირკვა, აგრეთვე, რომ გამოქვაბულთა დიდი ნაწილი გვიანდ. ბრინჯაოს ხანაში უკვე ათვისებული იყო. აღმოჩენილია შავბრიალა და რუხი მქრქალზედაპირიანი მოშავო და ნაცრისფერი, მოყვითალო და ჩალისფერზედაპირიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ზოგიერთის ზედაპირი შემკულია გეომ. ფორმებით (კლაკნილი და ტეხილი ხაზები, სამკუთხედები, რომბები და გრეხილი ორნამენტი).

მოპოვებული არქეოლ. მასალის მიხედვით ჩანს, რომ ეს კომპლექსები განვითარებულ შუა საუკუნეებში საბოლოოდ აუთვისებიათ. გამოქვაბულს ეტყობა საფუძვლიანი აღდგენა-რეკონსტრუქცია. მარჯვ. კომპლექსის 6 გამოქვაბული მოიცავს ზლუდეებს, ნახევარწრიულ კოშკს და ჭის ტიპის ასასვლელს. ამავე ჯგუფის ერთ გამოქვაბულში ქვითკირის მინაშენებით ერთნავიანი ეკლესიაა მოწყობილი. ეკლესიის სამხრ-ით 2 გამოქვაბულის ნაშთია. ისინი სატრაპეზოს მოვალეობას ასრულებდნენ, პატარა ქვაბი კი სამარტვილეს წარმოადგენდა. სავარაუდოა, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში აქ მონასტერი იყო. ორივე კომპლექსის გამოქვაბულებში დასტურდება ამ ხანის თიხით მოტკეპნილი ან მოკირწყლული იატაკი, ალიზის კერები, გამომწვარი თიხის თონეები, კირით მოლესილი წყლის რეზერვუარები, სამეურნ. დანიშნულების ორმოები. თითქმის ყველა გამოქვაბულის იატაკისზედა მიწის ფენა XI–XIV სს. დამახასიათებელ ნივთიერ მასალას შეიცავდა (თიხა, მიწა, ლითონი, ძვალი, ტყავის ნაწარმი, ქსოვილებისა და ხალიჩა-ფარდაგების ფრაგმენტები და სხვ. ნაკეთობები). აქვე აღმოჩნდა XIII – XIV სს. სპილენძის მონეტები, პერგამენტზე ნუსხურად ნაწერი ოთხთავის ფრაგმენტები, ქაღალდზე მელნით შესრულებული ეპისტოლარული ხასიათის ხელნაწერი.

მოპოვებული მასალის ანალიზით ირკვევა, რომ XIII–XIV სსში ქვაბთა კომპლექსებში დედათა მონასტერი ყოფილა. XV ს. დასაწყისში, თემურ-ლენგის ერთ-ერთი შემოსევის შედეგად, მონასტერში ცხოვრება უცვრად, ტრაგიკულად შეწყვეტილა. XVII ს-ში მონასტერში ღვთისმსახურება შეკვეცილი სახით აღდგენილა. XVIII ს. ბოლოს ქვაბთა კომპლექსები საბოლოოდ გაუკაცრიელდა.

არქეოლ. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: ბ ა ხ ტ ა ძ ე ნ., ქვემო ქართლის კლდის ძირები, თბ., 1991; მ ი ს ი ვ ე, მუგუთის ქვაბები, «ძეგლის მეგობარი», 1988, №2; მ ი ს ი ვ ე, ქვემო ქართლის კლდის ძეგლთა შესწავლისათვის, «მაცნე». ისტორიის სერია, 1988, №4.

ნ. ბახტაძე.

დაღესტანი, დ ა ღ ი ს ტ ა ნ ი (თურქ. დაღ – მთა და სპარს. სტან – ქვეყანა), რესპუბლიკა რუსეთის

ფედერაციის შემადგენლობაში (სამხრეთი ფედერალური ოკრუგი), მოიცავს კავკასიონის ჩრდ. მთიანეთსა და კასპიისპირეთის დაბლობს, სადაც უძველესი დროიდანვე იბერიულ-კავკასიური ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ხალხები (ანტ. წყაროების მიხედვით – ლეგები, გელები, უტიები და სხვ.) ცხოვრობდნენ. ისტ. დ. (ძვ. ქართ. წყაროებით – ლეკეთი, დიდოეთი) უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. თანამედროვე საზღვრებში იგი 1860 ჩამოყალიბდა, როგორც რუს. იმპერიაში შემავალი ოლქი. დ-ის სახელწოდებით X–XVI სს-იდან მოიხსენიება.

დაღესტნელთა კულტურა იმთავითვე მეზობელი ხალხების კულტურასთან მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა. ძვ. წ. III ათასწლეულში მისი ტერიტ. მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების სფეროში შედიოდა. ძვ. ქართული წყაროები ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნის (ძვ. წ. IV–III სს.) დროიდანვე მიუთითებენ უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველთა და ლეკ-დიდოელთა ერთობლივ ბრძოლაზე. ძვ. წ. III ს. დამდეგს ქართლის მეფე ფარნავაზს გარეშე მტრებთან ბრძოლაში ლეკებიც ეხმარებოდნენ. ლეკები და დიდოელები შემდეგაც არაერთხელ გამოვიდნენ ქართლის მეფის მოკავშირედ. ახ. წ. III ს. შუა ხანებში სასანიანთა ირანის წინააღმდეგ მებრძოლ ქართლის მეფეს ასფაგურს ჩრდ. კავკასიიდან ლეკები გადმოუყვანია. აღმ. ამიერკავკ. ქვეყნების დაპყრობის შემდეგ სასანიანებმა ჩრდ. კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმოსასვლელი გზა დარუბანდის კედლით ჩაკეტეს, რის შედეგადაც სამხრ. დ. სასანიანთა მფლობელობაში მოექცა.

IV ს. შუახანებიდან ჩრდ. დ-ში ჰუნები გამოჩნდნენ. VI ს. დამდეგს დ-ის ტერიტორიაზე ჰუნი-საბირების გაერთიანება შეიქმნა. უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ დაღესტნელი და ქართვ. ხალხები ამის შემდეგაც ერთად იბრძოდნენ. 589 დიდოელები ეხმარებოდნენ ქართლის ერისმთავარ გუარამს, რ-იც ირანის წინააღმდეგ იბრძოდა. VII ს. 50–60-იან წლებში დ-ის ჩრდ. ნაწილში ხაზარები გაბატონდნენ, სამხრ-ში კი – არაბები. არაბებმა დ-ის მოსახლეობაში დაიწყეს ისლამის ძალით გავრცელება, დევნიდნენ ქრისტიანობას, რ-იც აქ IV ს. დამდეგიდან გავრცელდა.

ერთიანი საქართველოს ჩამოყალიბების (XI–XII სს.) შემდეგ, დ-ის ზოგიერთი თემი (მაგ. დარუბანდი და მისი სამხრ. ტერიტ.) საქართვ. სახელმწიფოს საზღვრებში მოექცა. გაფართოვდა სავაჭრო ურთიერთობა. საქართველოდან დ-ში შეჰქონდათ აბრეშუმი, შალი, ტანსაცმელი, მარცვლეული, მარილი, კერამ. და ხელოსნური ნაწარმი. დ-ში მრავლადაა აღმოჩენილი XII–XIII სს. ქართ. მონეტები. საქართვ. ხელისუფალნი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დ-ში ქრისტ. რწმენის აღდგენას. ამ მიზნით აგზავნიდნენ მისიონერებს, აგებდნენ ეკლესიებს (დღემდეა შემორჩენილი XI–XII სს-ში აგებული ეკლესიები ანწუხში, წახურში, გინუხში, ხუნძახის ახლოს სოფ. დათუნაში) და სხვ. დ-ში გავრცელდა ქართ. დამწერლობა. საქართველოსთან ეკონ. და კულტ. კონტაქტები აისახა დ-ის არქიტექტურაში, ტოპონიმიკასა და ლეგენდებში. XII ს. დასასრულიდან დ-ში ჩამოყალიბდა შედარებით მსხვილი სახელმწ. გაერთიანებანი: ავარიის სახანო, ყაზიყუმუხის საშამხლო, ხაიდაყის საუწმიო, ასევე რამდენიმე მცირე პოლიტ. გაერთიანება.

XIII ს-იდან საქართვ. პოლიტ. დასუსტებამ, შემდგომმა პოლიტ. დაშლამ დ-თან კავშირიც შეასუსტა. XV–XVI სს-იდან დამპყრობლებთან ბრძოლამ დ. ეკონომიკურად დააქვეითა. დაღესტნელებმა დაიწყეს აღმ. საქართველოზე თავდასხმა. იტაცებდნენ ადამიანებს, ქონებას, საქონელს. დაიწყო ე. წ. ,,ლეკიანობა''. 1754, 1755 და 1785 მათ აღმ. საქართველოს დაპყრობაც სცადეს.

XVI ს. დამდეგიდან დ-ით რუს. იმპერიაც დაინტერესდა. XVII ს. I ნახევარში რუს. მფარველობაში შევიდნენ ტარკის საშამხლო და ხაიდაყის საუწმიო. ირანის წინააღმდეგ ლაშქრობისას (1722) პეტრე I-მა რუს. შეუერთა დ-ის ზღვისპირეთი, მაგრამ 1735 განჯის ტრაქტატით ეს რ-ნი კვლავ ირანს დაუთმო. ამავე ხანებში დაღესტნელები, როგორც მოქირავენი, ხშირად იბრძოდნენ ქართველთა მხარეზე. საქართველო ცდილობდა დ-თან მშვიდობიანი ურთიერთობა დინასტიური ქორწინებით დაემყარებინა. დაღესტნელთა თავდასხმის შედეგად საქართვ. არაერთი სოფელი და მხარე გაუკაცრიელდა. კახეთის უკიდურესი ჩრდ.-აღმ. ნაწილი, ე. წ. ჭარ-ბელაქანი დ-ის მფლობელობაში მოექცა. ამ ტერიტორიაზე შეიქმნა ,,უბატონო თემები'', იქ მცხოვრები ქართვ. გლეხები კი დაღესტნელებმა დაიმონეს. აღმ. საქართველოს რუს. მფლობელობაში შესვლის (1801) შემდეგ დაღესტნელთა თავდასხმებმა იკლო.

1813 ირანთან დადებული გულისტანის საზავო ხელშეკრულებით რუსეთმა აზერბაიჯანთან ერთად დ-ც შეიერთა. XIX ს. 20-იანი წლებიდან სხვა მთიელ ხალხთან ერთად დაღესტნელებმაც დაიწყეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა (იმამ *შამილის* მეთაურობით შეიქმნა სამხ. თეოკრატიული სახელმწ. იმამატი). 1859 წ. 25 აგვ. რუს. არმიამ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა უკანასკნელი გამაგრებული აული ღუნიბი აიღო, შამილი კი დაატყვევეს. მთიელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მარცხით დამთავრდა.

1917 თებ. რევოლუციის შემდეგ დ-ში შეიქმნა დროებითი მთავრობა, ე. წ. განსაკუთრებული კომისარიატი, რ-იც ამიერკავკ. განსაკუთრებულ კომიტეტს ექვემდებარებოდა. სამოქალაქო ომის წლებში მთავრობა ბევრჯერ შეიცვალა. 1920 დ-ში დამყარდა საბჭ. ხელისუფლება. დ-ის სახ. საგანგებო ყრილობამ, რ-საც გ. (ს.) ორჯონიკიძე და ი. *სტალინი* ხელმძღვანელობდნენ, დ. საბჭ. ავტონომიად გამოაცხადა. 1921 ოფიციალურად შეიქმნა დ-ის ასსრ რსფსრ შემადგენლობაში. 1991 მაისიდან ეწოდება დ-ის რესპუბლიკა.

ლიტ.: ანჩაბაძე ზ., ბოცვაძე თ., თოგოშვილი გ., ცინცაძე მ., ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვ. 1, თბ., 1968; იხ. აგრეთვე სტ-თან ლეკიანობა.

ვ. გოლაძე.

დაღესტნური ენები, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შემავალი მონათესავე ენების ჯგუფი. გავრცელებულია დაღესტანსა და აზერბ. ჩრდ. ზოლში. გამოიყოფა 3 ქვეჯგუფი: ხუნძურ-ანდიურ-დიდოური, ლაკურ-დარგუული და ლეზგიური (სულ 26 ენა).

ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენები (14 ენა) გავრცელებულია დაღ. მთიანეთის ცენტრ. და დას. ნაწილში, აგრეთვე ზაქათალის რ-ნში (აზერბ. რესპ.). *ხუნძური ენა* სამწერლობო ენაა, ანდიური (იხ. *ანდიური ენები*) და დიდოური (იხ. *დიდოური ენები*) – უმწერლობო. ამ ენებზე მოლაპარაკეთათვის სალიტ. ენაა ხუნძური (ანუ ავარიული).

ლაკური და დარგუული გავრცელებულია დაღ. ცენტრ. ნაწილში. ორივე ენა სამწერლობოა. *ლეზგიურ ენათა* უმეტესობა სამხრ. დაღესტანშია გავრცელებული, ზოგი კი (კრიწული, ბუდუხური, ხინალულური, უდიური, ნაწილობრივ

წახური) – აზერბაიჯანში (უდიების ერთი სოფელი არის საქართველოში, ყვარლის რ-ნში). ლეზგიურ ენათაგან (სულ 10 ენა) სამწერლობოა ლეზგიური და თაბასარანული. ახლახან შეიქმნა დამწერლობა აღულურისა და წახურისათვის.

დ. ე-თა ბგერითი სისტემა სხვადასხვანაირია. ენათა უმეტესობაში 4–5 მარტივი ხმოვანია, ზოგ ენაში კი ხმოვანთა რიცხვი ორ ათეულამდე აღწევს (მაგ., ტინდიურში, ბაგვალალურში). ზოგან დასტურდება გრძელი (ლაკურ, ანდიურსა და დიდოურ ენებში) და ნაზალიზებული ხმოვნები (ანდიურ ენებში, ბეჟიტურსა და ხვარშიულში, ხინალუღურში), ფარინგალიზებული (არჩიბულში, რუთულურში, უდიურში) და ლაბიალიზებული ხმოვნები (დიდოურ ენებში). თანხმოვანთა სისტემა რთულია. ხშულ თანხმოვანთა სამეულები (მჟღერი-ფშვინიერი-მკვეთრი) გვხვდება ყველა ენაში. ხშირია დაპირისპირება ყრუ თანხმოვნებში ინტენსივობის ხარისხით (ინტენსიურისადა: ხუნძურში, დარგუღულში, ლეზგიურში...). პრერუპტიული თანხმოვნები (ლაკურში, ლეზგიურში...) ქმნიან ოთხეულთა რიგს [მჟღერი, ყრუ-ფშვინვიერი, ყრუ-უფშვინვო (მინიმალური ფშვინვით), ყრუ-მკვეთრი]. სხვადასხვა ენაშია ლატერალური, პალატალიზებული, ლაბიალიზებული და ფარინგალიზებული თანხმოვნები.

მორფოლოგიაში აღსანიშნავია გრამატ. კლასის სემანტიკური კატეგორია. ზოგ ენაში ეს კატეგორია გამქრალია. კლასებად დაყოფისას, ჩვეულებრივ, ერთმანეთს უპირისპირდება ადამიანისა და ნივთის კლასები, რ-ებიც ზოგჯერ დიფერენცირებულია მამაკაცთა და ქალთა, ნივთთა და ცხოველთა კლასებად. ბრუნება განვითარებულია. გამოიყოფა 4–5 ძირითადი ბრუნვა, ორი-სამი ათეული თანდებულიანი, ანუ ადგილობითი ბრუნვა. ყველა ენაში დასტურდება ერგატივი (ზოგჯერ საზიარო: ერგატივ-ინსტრუმენტალისტი, ერგატიულ-გენეტიური, ერგატიულ-ლოკატიური...), რ-იც გამოყენებულია გარდამავალი ზმნის ქვემდებარის აღსანიშნავად (ბრუნვათა შედგენილობისათვის ნიშანდობლივია, ერთი მხრივ, ერგატივის არსებობა, მეორე მხრივ, აკუზატივის უქონლობა). გაუფორმებელია სახ. ბრუნვა, რ-ის ფუძე უპირისპირდება სხვა ბრუნვათა ფუძეს. ბრუნება ერთ- და ორფუძიანია. ნაცვალსახელებში ბევრგან გარჩეულია ინკლუზივი და ექსკლუზივი.

ზმნა იცვლება გრამატ. კლასების, რიცხვისა და დრო-კილოთა მიხედვით. ზმნაში აღინიშნება სახელობითში დასმული სახელის კლასი. პირის კატეგორია დადასტურებულია ზოგ ენაში. მაგ., დარგუღულსა და ლაკურში ზმნა იცვლება როგორც კლასის, ისე პირის მიხედვით, უდიურში – მხოლოდ პირის მიხედვით. მესამე პირი ხშირად უნიშნოა, ლეზგიურში ზმნა არ იცვლება არც კლასისა და რიცხვის, არც პირის მიხედვით: პირველი დაიკარგა, მეორე არ განვითარდა. მორფოლოგიაში ბატონობს აგლუტინაცია.

სინტაქსში გარდამავალ ზმნას ერგატიული კონსტრუქცია აქვს, გარდაუვალს – ნომინატიური; გრძნობა-აღქმის ზმნებს – დატიური ან ლოკატიური. რთული დამოკიდებული წინადადების ნაცვლად ჩვეულებრივია მიმღეობიანი, აბსოლუტივიანი და მსგავსი კონსტრუქციები. საკუთარი ლექსიკა საკმაოდ კარგადაა დაცული; მრავლად არის როგორც მეზობელი ენებიდან, ისე არაბულიდან, სპარსულიდან, თურქულიდან შემოსული სიტყვები. ბოლო წლებში მეტად მნიშვნელოვანია რუსულიდან ნასესხები ლექსიკის როლი.

დაღ. სალიტ. ენებში ამჟამად რუს. გრაფიკის საფუძველზე შექმნილ ანბანს იყენებენ. ადრე (XVIII ს-იდან) არაბ. ანბანი გამოიყენებოდა (ლაკურში, ხუნძურში). დაღესტანში შემორჩენილია ქართ. წარწერები (არა უგვიანეს XIV ს.). ზოგი მათგანი ქართ.-ხუნძურია.

ლიტ.: ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; მ ი ს ი ვ ე, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 10 – ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1992; Б о к а р е в Е. А., Дагестанские языки, წგ.: Языки народов СССР, т. 4, М., 1967; Вопросы словообразования дагестанских языков, Махачкала, 1986; Г и г и н е и ш в и л и Б. К., Сравнительная фонетика дагестанских языков, Тб., 1977; м о с и в е, Морфологическая структура дагестанских языков, Махачкала, 1981; м о с и в е, Местоимения в языках Дагестана, Махачкала, 1983; Сравнительно-историческая лексика дагестанских языков, М., 1971; Т о п у р и я Г. В., Морфология склонения в дагестанских языках, Тб., 1995; Х а й д а к о в С. М., Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских языков, М., 1973.


ტ. გუდავა. გ. ბურჭულაძე.

დაღესტნური ჯიხვი, იხ. სტ. *ჯიხვი.*

დაღვერილა, მთა საჩხერის მუნიციპალიტეტში, რაჭის ქედზე, მდ. თედელეთისწყლის სათავეში (ყვირილის აუზი). სიმაღლე ზ. დ. 2723 *მ.* აგებულია ბაიოსური ტუფოგენური ქანებით. ქვედა კალთებზე წიფლნარი და მუქწიწვოვანი ტყეებია, ზემოთ – სუბალპ. და ალპ. მდელოები.

დაღი, დ ა დ ა ღ ვ ა, გახურებული რკინის იარაღით – შანთით ამომწვარი საკუთრების ნიშანი მსხვილფეხა საქონლის ბეჭზე, გავაზე ან თავკისერზე (წვრილფეხა საქონელზე საკუთრების ნიშანი ცნობილია ს ე რ ი ს სახელწოდებით). ცხენის დადაღვა გავრცელებული იყო მთელ საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში. ფეოდ. ხანაში მხოლოდ მაღალი წოდების კუთვნილი საქონელი იდაღებოდა. ყმას შეეძლო ბატონისათვის დ. გამოეთხოვა და სამაგიეროდ ,,დაღის გადასახადი'' მიერთმია. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ შეძლებულმა გლეხებმა დაიწყეს ცხენის დადაღვა თავისი ნიშნებით ან თავისი გვარის პირველი ასოთი. დ-ს წინასწარ ნახშირით ან ცარცით გამოსახავდნენ და შემდეგ შანთით ამოწვავდნენ. დ-ის მზა ყალიბიც არსებობდა.

ლიტ.: მ ა კ ა ლ ა თ ი ა მ., მესაქონლეობა მესხეთში (სამცხე-ჯავახეთი), კრ.: მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1972; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941; შ ა მ ი ლ ა ძ ე ვ., ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969. *მ. მაკალათია.*



დაღი ცხენისა.

დაშბაში, ტ ა შ ბ ა შ ი, სოფელი წალკის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე), ჭოჭიანის პლატოზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 1500 *მ*, წალკიდან 2,5 *კმ*. 367 მცხ. (2002). სოფლის ძვ. სახელია ახალქალაქი (იხ. *ახალქალაქი* თრიალეთისა).

სოფელში ორი ეკლესიაა, ერთი – წმ. გიორგისა – ,,თავისუფალი ჯვრის'' ტიპის გუმბათოვანი ნაგებობა (წარწერის მიხედვით X–XI

სს.), მეორე ეკლესია – თლილი ქვით ნაგები უგუმბათო შენობა.

დ-ის მიდამოებში არის ლავებში ღრმად ჩაჭრილი კანიონი, რ-ის მარჯვ. ქარაფოვან გვერდში გამოქვაბულთა ჯგუფია. ეს გამოქვაბულები ძირითადად ადამიანის მიერ არის გამოკვეთილი, მაგრამ ზოგიერთ მათგანს აშკარად ემჩნევა, რომ ბუნებრივი სიღრუისგან გაჩნდა (არის ლავური ნაღვენთები). დაშბაშის კანიონი შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში‘‘.

დაშთაფა, სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტის ყულარის თემში (ქვემო ქართლის მხარე), მარნეულიდან 16 *კმ,* შულავრიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 1 *კმ.* 1,5 ათ. მცხ. (2002).

დაშნა, მოკლე, დანასავით ცალმხრივ გალესილი სწორი საკიდარი ხმალი.

დაშნაკები, დაშნაკცაკანები, სომხეთის პოლიტიკური პარტიის ,,*დაშნაკცუთიუნის*‘‘წევრები.

„დაშნაკცუთიუნი“ (,,სომეხთა რევოლუციური ფედერაცია‘‘), პოლიტიკური პარტია. ჩამოყალიბდა 1890 თბილისში. 1892 „დ-ის“ პირველმა ყრილობამ მიიღო პროგრამა და წესდება, რ-იც მიზნად ისახავდა სომეხი ხალხის კონსოლიდაციას და სახელმწიფოებრიობის აღდგენას დემოკრატიზმის საფუძვლებზე. I მსოფლიო ომის წლებში „დ-ს“ ეკავა რუს. მთავრობის პოზიცია. შექმნა შეიარაღებული რაზმები ოსმ. იმპერიის ქვეშევრდომ სომეხთა დასაცავად და ე. წ. ,,დიდი სომხეთის‘‘ აღსადგენად ,,ისტ. საზღვრებში‘‘.

1917–18 წლებში მონაწილეობდა ამიერკავკ. კომისარიატის და ამიერკავკ. სეიმის საქმიანობაში. 1918 მაისში ,,დ-მა‘‘ ითავა სომხ. დამოუკიდებელი დემოკრ. რესპ. ჩამოყალიბება და 1918–20 წარმოადგენდა მმართველ პარტიას. სახელმწიფოს სათავეში ყოფნისას ,,დ-მა‘‘ დღის წესრიგში დააყენა ტერიტორიული პრეტენზიები მეზობელ ქვეყნებთან. საქართველოსაგან იგი მოითხოვდა ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებს, პრეტენზია ჰქონდა საზღვაო გასასვლელზე ბათუმის ოლქში, ერთხანს თბილისსაც კი სომხეთის საკუთრებად მიიჩნევდა. ასეთ პოლიტიკას შედეგად მოჰყვა საქართველო-სომხეთის შეიარაღებული კონფლიქტი (იხ. *საქართველო-სომხეთის ომი 1918).* 1920 ნოემბერში, სომხეთში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ,,დ-მა‘‘ შექმნა კოალიციური მთავრობა სომხეთის კომპარტიასთან ერთად, მაგრამ 1921-იდან ,,დ.‘‘ აიკრძალა. მას თავისი ორგანიზაციები აქვს აშშ-ში, საფრანგეთში, საბერძნეთში, ირანსა და სხვა ქვეყნებში. „დ-ს“ არასდროს შეუწყვეტია ბრძოლა სომხ. დამოუკიდებლობისათვის. სსრკ დაშლის შემდეგ „დ.“ ლეგალური და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტია გახდა. 2007–09 შედიოდა სამთავრობო კოალიციაში. 2009-იდან ოპოზიციაში უდგას ოფიც. ხელისუფლებას. *ა. სურგულაძე.*

დაშრობა, *მელიორაციის* ერთ-ერთი სახე, ღონისძიებათა კომპლექსი, რ-იც უზრუნველყოფს ადამიანის სამეურნეო საქმიანობაზე წყლის არაკეთილსასურველი ზემოქმედების თავიდან აცილებას ან ლიკვიდაციას. დ. საშუალებას აძლევს სოფ. მეურნეობას, აითვისოს ახ. მიწები, აამაღლოს მათი ნაყოფიერება, რაციონალურად გამოიყენოს მექანიზაციისა და ქიმიზაციის საშუალებები. მას მიმართავენ აგრეთვე მშენებლობაზე, ტორფის მოპოვებისას, წიაღისეულის ათვისების დროს, სატყეო მეურნეობაში, დასახლ. პუნქტებისა და სამრეწვ. ობიექტების შეტბორვისაგან დასაცავად. დ-ის ძირითადი ობიექტებია დაჭაობებული და ჭარბტენიანი სავარგულები, მინერალიზებული მიწები. მათზე დამშრობი სისტემების მოწყობით ხდება ნიადაგის ფესვთსამყოფელ ფენაში მცენარისათვის ოპტიმალური წყლის რეჟიმის აქტ. და ნორმირებული რეგულირება, რაც, თავის მხრივ, აუმჯობესებს ნიადაგის აერაციას, თბურ და კვებით რეჟიმს.

დამშრობი სისტემა, თავის მხრივ, განეკუთვნება მელიორაციულ სისტემებს. მათი დანიშნულებაა დაჭაობებული და ჭარბტენიანი მიწების დაშრობა-გაუმჯობესება. არჩევენ დ-ის ექსტენსიურ და ინტენსიურ სისტემებს. ექსტენსიური დ-ისთვის გამოიყენება არხების ღია ქსელი, ხოლო ინტენსიურისათვის – სისტემატური დრენაჟი. დამშრობი სისტემის ძირითადი ელემენტებია: დასაშრობი ტერიტორია, წყალმიმღები (მდინარე, ტბა, ზღვა), დამშრობი ქსელი (მარეგულირებელი, გამტარი, გადამღობი), ჰიდროტექ. ნაგებობები (რაბი, სათვალთვალე ჭა, არხის შესართავი და სხვ.), საგზაო ქსელი (გზები, ხიდები, მილხიდები), საექსპლუატაციო და ბუნების დამცველი ნაგებობები და მოწყობილობები. მარეგულირებელი ქსელი (დრენები, ღია დამშრობები, შემკრებები) აგროვებს და დასაშრობი ტერიტორიიდან განარინებს ზედაპირულ და ნიადაგქვეშა ჭარბ წყლებს. გამტარი ქსელი (მაგისტრალური არხი, კოლექტორი) წყალს ღებულობს მარეგულირებელი ქსელიდან და აგდებს წყალმიმღებში. გადამღობი ქსელი (სამთო და გადამჭერი არხები) იცავს დასაშრობ ფართობს მომიჯნავე ტერიტორიიდან მოდენილი ზედაპირული და გრუნტის წყლებისაგან. დასაშრობ ტერიტორიას მდინარეთა გადადენილი წყლებისაგან დამბების (ზვინულების) მოწყობით იცავენ. წყლის დაშრობა ხდება თვითდინებითი და მექან. სისტემებით, რ-ებშიც მაგისტრალური არხიდან კანალიზირებული წყლები იტუმბება წყალმიმღებში. დამშრობი სისტემა დასაშრობი ტერიტ. წყლის რეჟიმზე ზემოქმედების მიხედვით ორგვარია: ცალმხრივი მოქმედების, როდესაც უზრუნველყოფილია დ., და ორმხრივი მოქმედების – დამშრობ-გამატენიანებელი. დამშრობი სისტემის კონსტრუქცია დამოკიდებულია ტერიტ. ბუნებრივ ფაქტორებზე და სამეურნ.-ეკონ. პირობებზე. ტერიტორიის დ-მ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს გარემოზე. ამიტომ, პროექტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს ბუნების დაცვის ღონისძიებანი, რ-ებიც დასაბუთებულ გონივრულ მინიმუმამდე დაიყვანს არასასურველ ეკოლ. ცვლილებებს.

დ. მიწები ს (მშენებლობაში), გრუნტისა და ზედაპირული წყლის არინება შენობების, ნაგებობების, ქვაბულების, აეროდრომებისა და სხვა ობიექტებისაგან. დ-ის სამუშაოებს ხშირად თან სდევს ნაგებობების ან მიწის ფართობის წყლისაგან დაცვის ღონისძიებები (კერძოდ, ჯებირების, თხრილების, დამცავი დრენაჟების, ჰიდროიზოლაციის მოწყობა). წყლის ასაარინებლად აგებენ ამოსაშრობ და სარინ არხებს, საგდებ დრენაჟებს, წყალდასაწევ დანადგარებს. როცა გრუნტის წყლის დონე მაღალია, შენობათა სარდაფებს ჰიდროიზოლაციით იცავენ, ხოლო გრუნტის წყლის დონეს დრენაჟების სისტემით სწევენ დაბლა. სამშ. სამუშაოთა შესრულების დროს ქვაბულების დასაშრობად მიმართავენ გრუნტის წყლის დონის ხელოვნურ (ღრმა) დაწევას.



დაჩითული ქსოვილი.

საქართველოში ჭაობებისა და ჭარბტენიანი მიწების საერთო ფართ. 255 ათ. ჰა-ს აღემატება, აქედან 30 ათ. ჰა აღმ. ნაწილშია (წითელი გორა, ლაკბე, ერწოთიანეთი, ხელთუბანი, ხვედურეთი, ქცია-ნარიანი და სხვ.), დანარჩენი 225 ათ. ჰა კი მდებარეობს დას. რ-ნებში, კოლხეთის დაბლობზე, ტენიანი სუბტროპიკების ზონაში, რ-იც ჩაის, ციტრუსების და სხვა სუბტროპ. და ტექ. კულტურების სამრეწვ. წარმოების მხრივ ერთ-ერთი ძირითადი რეგიონი იყო საბჭ. კავშირში. მის ათვისებას და მელიორაციას დიდი მნიშვნელობა აქვს შავი ზღვის საკურორტო ზონის განვითარებისათვის. 1987 წლამდე დამშრალი იყო 150 ათ. ჰა, სადაც შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობა, აღიკვეთა ტროპ. მალარია.

კოლხეთი სამელიორაციო ობიექტია. აქ იყენებენ მსოფლიო პრაქტიკაში ნაცად დ-ის ყველა მეთოდსა და ხერხს – ღია და დახურულ დრენაჟს, გადამჭერ არხებს, წყლის გადატუმბვას, მდინარეთა შემოზვინვას, დადაბლებული ტერიტორიების ამაღლებას კოლმატაჟით და რეგულირებით, მიწის ზედაპირის მოშანდაკებასა და პროფილირებას, კულტ.-ტექ. ღონისძიებებს.

გ. გავარდაშვილი.

დაჩა (ყოფ. ა გ ა რ ა კ ი), სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის არაკიჩის თემში (აფხაზეთის არ), სამურზაყანოს დაბლობზე. ზ. დ. 30 მ, ოჩამჩირიდან 28 კმ. 465 მცხ. (1989).

დაჩი უ ჯ ა რ მ ე ლ ი, ქართლის მეფე VI ს. დამდეგს, *ვახტანგ I* გორგასალის ძე. იზრდებოდა უჯარმაში და ცნობილია ამ ზედწოდებით. ჯუანშერის ცნობით, დ-მ დაასრულა ვახტანგ გორგასლის დროს დაწყებული თბილისის ზღუდის მშენებლობა და მამის ანდერძის თანახმად, სატახტო ქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანა, მცხეთა დარჩა საკათოლიკოსო ცენტრად. მის დროს თბილისში მოსახლეობა მომრავლდა, აშენდა მარიამწმიდის ეკლესია (იხ. სტ. *ანჩისხატი*).

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963; ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955. *ლ. ფარცხალაძე.*

დაჩი, X ს. ქართველი მწიგნობარი, მთარგმნელი. ქართულად თარგმნა ეპიფანე კვიპრელის ფსალმუნთა თარგმანების, ანუ კომენტარის X ნაწილი (შედის 973–976 გადაწერილ *შატბერდის კრებულში*, ხელნაწერი S-1141). თარგმანს წინ უძღვის *სტეფანე მტბევრისადმი* მიწერილი წერილი, რომლიდანაც ირკვევა, რომ დ-ს ბერძნულის უცოდინრობის გამო ფსალმუნი სომხურიდან გადმოუღია. წერილის თანახმად, მას უთარგმნია მხოლოდ 7 ფსალმუნის კომენტარი, ქართ. ტექსტი კი 15 ფსალმუნის თარგმანებას შეიცავს. ვარაუდობენ, რომ დანარჩენი ფსალმუნების კომენტარებიც დ-მ თარგმნა.

ლიტ.: ა ბ უ ლ ა ძ ე ი., ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX–X საუკუნეებში, თბ., 1944; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

მ. შანიძე.

დაჩითვა, ქსოვილზე მხატვრული სახეების გადატანა ხის საბეჭდების (საჩითავი ყალიბების) მეშვეობით. აღმოსავლეთის ქვეყნების მსგავსად ხელოსნობის ეს დარგი ძველად საქართველოშიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ამას ადასტურებს წერილობითი წყაროები, XII–XVIII სს. ქართ. ხელნაწერი წიგნების ყდებზე გადაკრული დაჩითული ქსოვილების იშვიათი ნიმუშები და ეთნ. კოლექციები. გვიანდ. ფეოდ. ხანის წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ საქართვ. ზოგიერთ ქალაქში ქსოვილების დასაჩითი საგანგებო სახელოსნოები იყო, რომელთა მოხელეს მ ჩ ი თ ა ვ ი ეწოდებოდა. XIX ს-ში ასეთი სამღებრო სახელოსნოები ყოფილა თბილისში, გორში, თელავში, ახალციხეში, ბათუმსა და სხვ. ქალაქებში. ამ სახელოსნოებში სელის, ბამბისა და აბრეშუმის სადა ქსოვილებს პოზიტიური და ნეგატიური წესით ჩითავდნენ. პ ო ზ ი ტ ი ურ ი წ ე ს ი თ დ-ი ს ა ს გამოსაყვანი სახეები სადა ქსოვილის მთელ ზედაპირზე დაჰქონდათ; დ-ის ეს წესი ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში. ნ ე გ ა ტ ი ურ ი წ ე ს ი თ დ-ი ს დროს (ბ ა ტ ი კ ა) ქსოვილის ზედაპირს საბეჭდავით უშუალოდ საღებავს კი არ უსვამდნენ, არამედ ცხიმნარევი ცვილის თხელ ფენას, რ-იც გამოსაყვან სახეებს ფარავდა. ამის შემდეგ ქსოვილს მთლიანად საღებავში ჩადებდნენ. საღებავი ქსოვილს ყველგან გაუჯდებოდა, გარდა ცვილით დაფარული ადგილებისა, რ-ებიც ცვილის გაცლის შემდეგ ქსოვილზე თეთრად ჩანდა. რუს. და ევრ. ქვეყნებისაგან განსხვავებით, დ-ის ნეგატიურ წესს საქართველოში *ლურჯი სუფრის* დამზადების დროს იყენებდნენ.

ქართლსა და ლეჩხუმში სახიანი ქსოვილის დასამზადებლად იყენებდნენ ნეგატიური მხატვრული მღებრობის ერთ-ერთ უძველეს და უმარტივეს წესს, ე. წ. კვანძებით დ-ს. სოფ. ბაზალეთში დასაჩითად ,,სამღებრო ქვებს'', ანუ ,,სამღებრო კენჭებს'' ხმარობდნენ. ამ კენჭებს სადა ქსოვილში ერთმანეთის მოშორებით გამოახვევდნენ, ზედ ,,ტყლაპებს'' (ქსოვილის ნაჭრებს) შემოახვევდნენ, ძაფს მოუჭერდნენ და მთლიანად ჩადებდნენ საღებავში. კენჭგამოკრული ადგილები შეუღებავი რჩებოდა და ქსოვილის ზედაპირი ჭრელი გამოდიოდა. ანალოგიური წესით ქსოვილის დ-ს ლეჩხუმში ,,ჭრელის მიცემა'' ეწოდებოდა.

ლიტ.: ბ რ ა ი ლ ა შ ვ ი ლ ი ნ., დაჩითული ქსოვილები (ალბომი), თბ., 1964; ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი გ., საქართველოს მუზეუმის საჩითავების კატალოგი, თბ., 1962. *გ. ჩაჩაშვილი.*

„დაცვის სიგელი“, არაბი სარდლის ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ 654–655 (ზოგი ვარაუდით 645) გაცემული დოკუმენტი, რ-იც განსაზღვრავდა დამპყრობელი არაბებისა და ქართლის (საკუთრივ შიდა და ქვემო ქართლის) მოსახლეობის ურთიერთობას. ,,დ. ს-ს'' არაბები აძლევდნენ ნებით დამორჩილებულ მოსახლეობას. ქართლის დასაპყრობად გამოლაშქრებულ ჰაბიბ იბნ მასლამას სტეფანოზ ერისმთავარმა საზღვართან შეაგება ელჩი ძღვნით და მორჩილება აღუთქვა. არაბები თბილისში შემოვიდნენ. მასლამამ მიღებული ძღვენი მომავალი ხარკის ანგარიშში ჩათვალა და ქვეყანას ,,დ. ს.'' მისცა. სიგელის ძალით: 1. დამპყრობლები ხელუხლებლად ტოვებდნენ მოსახლ. სარწმუნოებას; 2. დამორჩილებულ მოსახლეობას ეკისრებოდა ხარკი – *ჯიზია*, კომლზე თითო დინარი; 3. ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობდა, არ შეეცვალა კომლთა რიცხვი გადასახადის შემცირების ან გადიდების მიზნით; 4. ქართვ. მოსახლეობას დაევალა სამხ. სამსახური; 5. თავისი ნებით გამაჰმადიანებული ცხადდებოდა დამპყრობელთა ძმად და თავისუფლდებოდა ჯიზიისაგან. არაბებს ქართლის მტერთაგან დაცვა ევალებოდათ.

როგორც ჩანს, ქართლის მოსახლეობა შემდეგ აღარ იცავდა სიგელით ნაკისრ ვალდებულებას. 724–725 ქართლში ილაშქრა არაბმა სარდალმა ჯარაჰმა, რ-მაც განაახლა ,,დ. ს.'' ზოგიერთი ცვლილებით

და დამატებით. ჯიზიასთან ერთად, რ-იც ამ დროისათვის სულადი გადასახადი იყო, მოსახლეობას დაეკისრა საადგილმამულო გადასახდელიც – *ბარაჟგა.*

,,**დ.** ს-ის'' ტექსტი დაცულია IX–X სს. არაბი ისტორიკოსების ტაბარის, ბალაძურის, XIII ს. გეოგრაფის და ისტორიკოსის იაკუთის თხზულებებში, სიგელის ტექსტი თარგმნილია გერმ., რუს., ქართ. ენებზე.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ., ჰაბიბ იბნ მასლამას ,,დაცვის სიგელი'', «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1951, ნაკვ. 29; მ ი ს ი ვ ე, არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში, იქვე, 1963, ნაკვ. 35; ს ი ლ ა გ ა ძ ე ბ., ჰაბიბ იბნ მასლამას ,,დაცვის სიგელის'' დათარიღებისათვის, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1971, № 1; ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ე., არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, «თსუ შრომები», 1959, ტ. 73; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2); ჯ ა ნ ა შ ი ა ს., არაბობა საქართველოში, შრომები, [ტ.] 2, თბ., 1952.

მ. ლორთქიფანიძე.

დაძმობილება, ძმად გაფიცვა, ორ პიროვნებას შორის ძმური კავშირის განმტკიცება ხელოვნური ნათესაობის დამყარებით. გავრცელებული იყო სხვადასხვა ქვეყნის ხალხებში. გვხვდებოდა ძვ. საქართველოშიც, განსაკუთრებით მთაში. დამოწმებულია **დ**-ის რამდენიმე წესი: ს ა კ ლ ა ვ ი თ **დ.** – ძმადგაფიცვის მსურველები რომელიმე დღეობაზე ხატში (სალოცავში) გამოვიდოდნენ ნათესავებთან ერთად, ხევისბერი მათ დალოცავდა და საკლავის სისხლს ორივეს აპკურებდა; ს ი ს ხ ლ ი ს გ ა ზ ი ა რ ე ბ ი თ **დ.** – შინ ან რომელიმე სადღესასწაულო შეკრებაზე (*ქორწილი, საღვთო*) თითებს გაიჭრიდნენ, ჭრილობებს ერთმანეთზე მიადებდნენ; ფ ი ც ვ ე რ ც ხ ლ ი ს ჭ ა მ ი თ **დ.** – არყით ან ღვინით სავსე თასებში ვერცხლს ჩაფხეკდნენ, თასებს გაცვლიდნენ და გამოცლიდნენ; ტ ყ ვ ი ე ბ ი ს გ ა ც ვ ლ ი თ **დ.** – ერთმანეთში ტყვიებს გაცვლიდნენ. **დ**-ის ყველა ამ წესის შესრულებისას აუცილებელი იყო ერთგულების ფიცის დადება. აღნიშნული წესები ასახულია მხატვრულ ლიტ-რაშიც (ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა). ქალ-ვაჟს შორის და-ძმად გაფიცვაც სათანადო რიტუალის შესრულებით აღინიშნებოდა. რძით სავსე თასებში ვერცხლს ჩაფხეკდნენ, თასებს გაცვლიდნენ და შესვამდნენ. და-ძმად უფრო ხშირად დედისერთა ქალები და ვაჟები იფიცებოდნენ.

ლიტ.: ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ვ., მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში (მომმეობის ინსტიტუტი), «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1971, № 3; ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ., ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., თუშეთი, ტფ., 1933.

ვ. ითონიშვილი.

დაწინდვა, იხ. *ნიშნობა.*

დაწყებითი სკოლა, ქართული საეკლესიო-სამრევლო სკოლები (სიონის, ქაშვეთის, მეტეხის, ანჩისხატისა და სხვ.). 1778, *გაიოზ რექტორის* ხელმძღვანელობით, თბილისში დაარსდა რუს. ენის შემსწავლელი სკოლა, რ-მაც იარსება 1795-მდე (გაანადგურა აღა-მაჰმად-ხანმა თბილისის დარბევის დროს). საერო **დ. ს.** საქართველოში იხსენიება 1801 შემდეგ. 1801–40 თბილ. გუბერნიაში მხოლოდ 4 **დ. ს.** გაიხსნა. მეფის რუსეთში კაპიტალ. ურთიერთობათა ზრდამ მის განაპირა მხარეებში **დ. ს**-ის რიცხვის მატება განაპირობა. 1900 **დ. ს.** უკვე ორი რიგისა იყო: დაბალი და მაღალი ტიპის. 1921 შემდეგ სახ. განათლების სისტემის გარდაქმნის შედეგად საქალაქო **დ. ს.** გამოიყო სწავლების ცალკე საფეხურად – ოთხწლედად და განისაზღვრა მისი შინაარსი, ამოცანები, საყოველთაო-სავალდებულო ხასიათი. **დ. ს.**, როგორც სახ. განათლების დამოუკიდებელი საფეხური, 1958 გაუქმდა და დარჩა განათლების დაწყებით კონცენტრად (სწავლების ვადა – 4 წელი). საქართვ. ეროვნ. სასწავლო გეგმა **დ. ს**-ს განიხილავს როგორც ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურს; სწავლების ვადა – 6 წელი.

დგებუაძე ბესარიონ ტატაშის ძე (1835, მარტვილი, – 1882, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (დაახლ. 1880). ახალგაზრდობიდან მსახურობდა კავკ. სამხ. ოლქის ჯარებში. მონაწილეობდა 1877–78 რუს.-ოსმ. ომში. იყო მეგრული რაზმის მეთაური. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

დგებუაძე გივი ანდროს ძე (21. IX. 1929, თერჯოლა, – 15. IX. 2011, თბილისი), მეტალურგი. ტექ. მეცნ. კანდიდატი (1968). 1954 დაამთავრა მოსკოვის ფოლადის ინ-ტი. 1954–57 მუშაობდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში სხვადასხვა თანამდებობაზე, 1957-იდან – ფ. თავაძის სახ. მეტალურგიის ინ-ტში (1973-იდან იყო ელექტროთერმიის ლაბორატორიის გამგე). **დ**-ის ძირითადი სამეცნ. ნაშრომები ეხება დახურული ელექტრული მადანაღმდგენი ღუმლების კონსტრუქციებს. 1980–84 მისი ხელმძღვანელობით შემუშავებული დახურული ღუმლის ახ. გეომ. პარამეტრები დაინერგა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ყველა მძლავრ ელექტროღუმელში, აგრეთვე შეტანილ იქნა ინდოეთის ერთ-ერთი მეტალ. საწარმოს ორი ღუმლის პროექტში. **დ**-ის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით დამუშავდა და წარმოებაში დაინერგა საწარმოო ნარჩენებისაგან ფოლადის ეფექტური განმჟანგველის (ფეროსილიკოალუმინი) მიღების ტექნოლოგია ალუმინთერმული პროცესით. 1994 ამ სამუშაოს შესრულებისათვის **დ**-ს მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა და გამოგონებისა.



გ. დგებუაძე.

დგებუაძე ვლადიმერ რევაზის ძე (დ. 2. X. 1970, თბილისი), სპორტსმენი (ძიუდო). ევროპის ჩემპიონი (1993), ევროპის თასის მფლობელი (1989), მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1991), კეთილი ნების თამაშების მესამე პრიზიორი (1990), ატლანტის ოლიმპიური თამაშების (1996) მონაწილე. საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი ძიუდოში.

დგებუაძე ლევან ნიკოლოზის ძე (1896, სოფ. ღანირი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 1924, თბილისი), საქართველოს 1921–24 ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე. ამავე მოძრაობის ცნობილი წარმომადგენლის ნ. *დგებუაძის* ძმა. დაამთავრა ქუთაისის ქართ. სათავადაზნაურო გიმნაზია (1916). სწავლობდა თბილისის სახელმწ. უნ-ტის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტზე. 1917-იდან იყო საქართვ. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის წევრი. 1918–21 – საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის ეროვნ. არმიის ოფიცერი; საქართვ.-სომხ. ომის (1918), 1921 თებ. კოჯორ-ტაბახმელასთან რუს. მე-11 წითელი არმიის წინააღმდეგ გამართული ბრძოლების, საბჭ. რუსეთის მიერ საქართვ. ანექსიის (1921) შემდეგ 1921–24 ეროვნ.-განმათ. მოძრაობის აქტ. მონაწილე. 1922–24 იყო საქართვ. *დამოუკიდებლობის კომიტეტის* რწმუნებული. მონაწილეობდა 1924 აგვ. საერთო-ეროვნ. აჯანყების (იხ. *აგვისტოს აჯანყება 1924)* მომზადებაში. 1924

სექტ. დააპატიმრეს და დახვრიტეს თბილისში. *ლ. ურუშაძე.*

დგებუაძე მაია ამბროსის ასული (დ. 10. XI. 1954, ხობი), მორფოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1997). 1977 დაამთავრა თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტის სამკურნ. ფაკ-ტი; 1978-იდან მუშაობდა ამავე ინ-ტის ადამიანის ნორმალური ანატ. კათედრაზე (შემდგომში დეპარტამენტი). 2006-იდან ამავე დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორია.

დ-ის სამეცნ. შრომები ძირითადად ეხება სხვადასხვა ორგანოების ფუნქციური მორფოლოგიის აქტუალურ საკითხებს. დ. მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 2 მონოგრაფიის, ავტორია. არის ინტეგრაციული ანთროპოლოგიის საერთაშ. აკადემიის წევრი (1998), აგრეთვე საქართვ. ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა ასოციაციის წევრი (1978-იდან), 2006-იდან კი – გამგეობის წევრი; 2000-იდან – მორფოლოგთა საერთაშ. ასოციაციის საკოორდინაციო საბჭოს წევრი.



მ. დგებუაძე-ფულარია.

თხზ.: თირკმლის ორგანოსშიდა სისხლძარღვთა კალაპოტის ფუნქციური მორფოლოგიის თავისებურებანი მრავლობითი არტერიებით მისი სისხლმომარაგებისას, თბ., 1995; სქესის გავლენა ინტაქტური თირკმლის მორფოლოგიურ სურათზე სხვადასხვა ასაკობრივ პერიოდში, თბ., 1996.

დგებუაძე მამია ილიას ძე (4. VIII. 1927, სოფ. დიდი ჭყონი, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 16. VII. 2011, თბილისი), ფიზიოთერაპევტი, კურორტოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი (1974), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1976). 1952 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. მუშაობა დაიწყო ამავე ინ-ტის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კათედრაზე (1974–98 იყო კათედრის გამგე, 1998-იდან კათედრის პროფესორი). იყო პროფილაქტიკური მედ. და ადამიანის ეკოლ. მეცნ. აკად. წევრი (1994). დ. შეისწავლიდა რევმატიულ და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებათა ფიზიოთერაპიული მეთოდებით მკურნალობის საკითხებს და სხვ. სამედ. უნ-ტის სტუდენტებისათვის გამოსცა სახელმძღვანელო ,,ფიზიოთერაპია და კურორტოლოგია'' (1994). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

დგებუაძე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1900, სოფ. ღანირი, ქუთაისის მაზრა, – IX. 1924, თბილისი), საქართველოს 1921–24 ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე. დაამთავრა ქუთაისის ქართ. სათავადაზნაურო გიმნაზია (1918). 1920-იდან სწავლობდა თბილისის სახელმწ. უნ-ტის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტზე (ისტ. განხრით). 1918–21 დ. იყო საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის ეროვნ. არმიის ოფიცერი – საქართვ.-სომხ. ომის (1918), წითელ ხიდთან საბჭ. ჯარისა (1920) და კოჯორ-ტაბახმელასთან რუს. მე-11 წითელი არმიის წინააღმდეგ გამართული ბრძოლების (1921, თებ.), ამასთანავე ბათუმის ომის (1921, მარტი) აქტ. მონაწილე. მხედრული წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის ჯვრით. 1917-იდან დ. იყო საქართვ. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის წევრი და მისი ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი. საბჭ. რუს. მიერ საქართვ. ანექსიის (1921 თებ.-მარტი) შემდეგ, 1921–24 იყო ეროვნ.-დემოკრ. პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის იატაკქვეშა ცენტრ. კომიტეტის და პარტიის სამხ. კომისიის წევრი. დ. აქტ. მონაწილეობდა საქართვ. 1924 აგვ. აჯანყების (იხ. *აგვისტოს აჯანყება 1924*) მომზადებაში. 1922–24 იყო საქართვ. *დამოუკიდებლობის კომიტეტის* რწმუნებული. აჯანყების ჩახშობის შემდეგ დახვრიტეს ძმასთან ლ. *დგებუაძესთან* ერთად 1924 სექტ. თბილისში. *ლ. ურუშაძე.*

დგებუაძე ორდე სოლომონის ძე [5 (18). IX. 1905, სოფ. ანაკლია, ახლანდ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, – 22. XI. 1963, თბილისი], მწერალი. დაამთავრა პროლეტკულტის კინოსტუდია. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1938-იდან. მისი ნაწარმოებები უმთავრესად დეტექტიური ჟანრისაა. მათგან აღსანიშნავია მოთხრობების კრებულები: ,,დამნაშავენი'' (1945), ,,უცნობი მეგობარი'' (1955), ,,მოთხრობები'' (1974), ორი ვრცელი მოთხრობა – ,,მეორედ დაბადება'' (1954) და ,,განთიადის დედოფალი'' (1962); რომანი ,,ჩაძირული თოლია'' (1964). მასვე ეკუთვნის კინოსცენარი ფილმისა ,,მე ვიტყვი სიმართლეს'' (1957, ლ. ხოტივარის თანაავტორობით). დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

დგებუაძე ქუჩუ ანდროს ძე (16. IV. 1911, თბილისი, – 12. III. 1963, ქუთაისი), არქიტექტორი. დაამთავრა საქართვ. ინდუსტრ. ინ-ტი (1931). მუშაობდა ,,თბილქალაქპროექტში'' (1936–52), ქუთ. პირველი საპროექტო ორგანიზაციის ,,ქუთოლქპროექტის'', შემდგომ ,,საქქალაქმშენსახპროექტის'' ფილიალის დირექტორად (1952–63). ავტორია საქართვ. სხვადასხვა ქალაქში აშენებული საცხოვრ. (თბილისი, ბელინსკის ქ., №1, ა. თევზაძესთან ერთად, 50-იანი წწ.), საზ. და სამრეწვ. ნაგებობებისა. ძირითადი ნამუშევრებია: თბილისში – ვაკის პარკის დაგეგმარება და განაშენიანება (1945–55; დენდროლოგი ე. ციციშვილი), სტადიონი ,,ქარიშხალა'' (1956) და სხვ.

ს. კინწურაშვილი.

დგებუაძე-ფულარია მარიამ (ფუცუ) დავითის ასული [15 (27). VIII. 1887, სოფ. ჩუნეში, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 23. VII. 1969, თბილისი], მწერალი. დაამთავრა ქუთ. წმინდა ნინოს სასწავლებელი (1906). მუშაობდა მასწავლებლად საქართვ. სხვადასხვა რ-ნში. პირველი მოთხრობა 1907 გამოაქვეყნა. თანამშრომლობდა უმთავრესად ჟურნ. ,,ნაკადულსა'' და ,,ჯეჯილში''. 1926–27 ქუთაისში ცალკე წიგნად გამოიცა მოთხრობები: ,,გრძნობათა ნანგრევებზე'', ,,მოჩხუბარიძის სიკვდილი'', ,,ჩაის მკრეფავები'', ,,რუსუდანი'', ,,ქალის გული'' და სხვ. 1951 გამოქვეყნდა მისი მოთხრობების კრებული, შემდეგ წლებში რომანები: ,,ოქროს ბეჭედი'' (1952) და ,,ტყვარჩელის ლამპიონები'' (1954); ნარკვევი ,,მოღვაწე ქალები რევოლუციამდელ საქართველოში'' (1957) და ,,მოგონებები'' (1959). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: თხზულებანი, სოხ., 1962; ოქროს ბეჭედი. რომანი. – მოგონებები. – ქართველი მოღვაწე ქალები, თბ., 1968.

დგვარი, სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტაძრისის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ.-დას. კალთაზე, ბორჯომის ხეობაში, მდ. დვირულის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1320 *მ*, ბორჯომიდან 28 *კმ*. 348 მცხ. (2002).

დგიმი, ჰორიზონტალური საქსოვი დაზგის მუშა ნაწილი, ქსლის ძაფების ამწევ-დამწევი. ქართულ ხალხ. ჰორიზონტალურ ანუ დგიმსავარცხლიან საქსოვ დაზგებში ქსოვის პროცესში უმთავრესად ორ (წინა და უკანა) დ-ს იყენებდნენ. დ-ებს სოფლად თვითონ მქსოველი ქალები ,,ამოასხამდნენ'' ე. წ. სადგიმე ფიცარზე კანაფის მკედით. საქსოვ დაზგაზე ჩამოკიდებული წყვილი

დ-ის თვლებში მქსოველი გაატარებდა: წინა დ-ში – კენტ, უკანაში კი – ლუწ ძაფებს, რითაც ჰორიზონტალურად დაგებული ქსელი ორ ფენად იყოფოდა. ქსოვის დროს მქსოველს ფეხები დ-ზე გამობმულ საფეხურებში ჰქონდა გაყოფილი. ფეხის დაწევით დ. ძირს დაიწევდა და ქსელი ორად გაიყოფოდა. ხალხ. ფეიქრობაში ამას ქსლის ,,უბის'' (რაჭა), ,,ქირცის'' (ხევსურეთი) ან ,,ხიფხას'' (ხევი) მოყვანა ეწოდებოდა. ქსოვის დროს ასეთი დ. მალე ცვდებოდა და ქსლის 2–3 ამოჭრის შემდეგ მქსოველს ახლით უნდა შეეცვალა. *გ. ჩაჩანიძე.*

დგნალი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ანანურის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1050 *მ,* დუშეთიდან 31 *კმ.* 83 მცხ. (2002).

დებედა, მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში. სიგრძე 178 *კმ,* აუზის ფართ. 4,1 ათ. *კმ*^{2}. სათავეს იღებს სომხეთში, ჯავახეთის ქედის სამხრ.-აღმ. კალთაზე, 2090 *მ* სიმაღლეზე. საქართვ. ტერიტორიაზე სოფ. სადახლოს (მარნეულის მუნიციპალიტეტი) მიდამოებში გამოდის და მარჯვნიდან ერთვის მდ. ხრამს. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა ზამთარსა და შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი სოფ. სადახლოსთან 29,7*მ*^{3}/*წმ.* იყენებენ სარწყავად. დ-იდან გაყვანილია *ლამბალოს არხი, სადახლოს არხი* და სხვა არხები.

დებეცი გიორგი ფრანცის ძე [24. XI (7. XII). 1905, ტომსკი, – 19. I. 1969, მოსკოვი], რუსი ანთროპოლოგი. საბჭ. პალეოანთროპოლოგიისა და ისტ. ანთროპოლ. ერთ-ერთი ფუძემდებელი. ანთროპოლოგიისა და ტოპოგრაფიის მეცნიერების საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი (1968). მისი შრომები შეეხება უმთავრესად ეთნ. ანთროპოლ. და პალეოანთროპოლოგიის საკითხებს. დ-ის უშუალო მონაწილეობით ანთროპოლოგიურად იქნა შესწავლილი საქართველოს (1950–54), აზერბაიჯანის (1951–52), დაღესტნის (1954) და ნაწილობრივ სომხეთის თანამედროვე მოსახლეობა.

თხზ.: Палеоантропология СССР, Труды Ин-та этнографии, М.–Л., 1948; Антропологические типы населения СССР и некоторые проблемы этногенеза, М.–Л., 1956; Антропологические исследования в Дагестане, Труды Ин-та этнографии, М., 1956.

ლიტ.: Абдушелишвили М. Г., Быть кому-то нужным (Г. Ф. Дебец и антропология Кавказа), «Литературная Грузия», 1980; «Советская этнография», 1969, №1 (ბიბლ.). *მ. აბდუშელიშვილი.*

დე ბუა (de Boyx), XIII ს. ფრანგი ჯვაროსანი რაინდი. ვატიკანის ფონდში დაცულია დ. ბ-ს საინტერესო წერილი საფრანგეთის ქ. ბეზანსონის არქიეპისკოპოსის ამადე დეტრემლესადმი. დაწერილი უნდა იყოს 1220–22 წლებში (შ. ლომსაძე). წერილის ლათ. ტექსტი პირველად 1893 გამოაქვეყნა რ. რეინხტმა. საქართველოში წერილის ლათ. ტექსტიც და მისი თარგმანიც (ა. ურუშაძე) პირველად დაიბეჭდა 1974 ვ. ჩაჩანიძის წიგნში ,,პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში''. ფრანგი რაინდი წერს, რომ ვიღაც ქრისტიანები იბერიიდან, რთაც გეორგენებს (ქართველებს) უწოდებენ, ღვთის შემწეობით შეგონებულნი, უთვალავი მეომრით უშიშრად აღსდგნენ ურწმუნოთა წინააღმდეგ, აიღეს მათი 300 ციხესიმაგრე და 9 დიდი ქალაქი... სახელგანთქმული მათი თექვსმეტი წლის მეფე, ,,მსგავსია ალექსანდრესი (მაკედონელისა) შემართებითა და მოკრძალებულობით, რწმენით კი – არა. ამ ახალგაზრდას მოაქვს დედამისის – უძლიერესი დედოფლის თამარის ძვლები, ვინაიდან (თამარს) მისთვის სიცოცხლეში ანდერძად დაუტოვებია, როცა მოკვდებოდა, იერუსალიმში წასულიყო და მისი ძვლები უფლის საფლავის ახლოს დაეკრძალა. დედის სურვილის ღრმად პატივისმცემელს, მას გადაუწყვეტია დანაბარების აღსრულება და დედის ნეშტის წმინდა ქალაქში დამარხვა ურწმუნოთა ნება-სურვილის მიუხედავად''.

ზოგიერთი მეცნიერის (ს. კაკაბაძე, შ. ამირანაშვილი) მოსაზრებით, ეს ახალგაზრდა მეფე ლაშა-გიორგია და შესაძლოა თამარ მეფის ნეშტი მართლაც იერუსალიმში იყოს დაკრძალული. ვატიკანის ფონდებში დაცულმა ცნობამ დიდად შეუწყო ხელი არქეოლ. გათხრების დაწყებას 1946 იერუსალიმში, იორდანის უდაბნოში ვ. *კორბოს* ხელმძღვანელობით, რ-საც შედეგად მოჰყვა V ს. ქართ. ტაძრის უძვ. ქართული წარწერის და კულტურის უძვირფასესი ძეგლების აღმოჩენა (1952).

ლიტ.: ჩაჩანიძე ვ., პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბ., 1974.

დეგეულა, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ატენის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ტანის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 680 *მ,* გორიდან 11 *კმ.* 197 მცხ. (2002).

დე გრაი დე ფუა (De Grailly de Fois) შარლ (დ. და გ. თარიღი უცნობია), ფრანგი ოფიცერი. რუსეთ-ოსმალეთის (1768–74) ომის დროს გენ. ტოტლებენის ადიუტანტი იყო. მასთან ერთად 1770 სექტემბერში შემოვიდა საქართველოში. მოგვიანებით (1777–83 წლებში) დაწერა მემუარული ხასიათის რელაცია, რ-იც ინახებოდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში. პირველად გამოსცა (1954) ინგლისელმა ქართველოლოგმა პროფ. დ. *ლანგმა.* რელაციაში აღწერილია იმდროინდელი საქართველო, გადმოცემულია ცნობები საქართვ. სოც.-პოლიტ. და ეკონ. ისტ. შესახებ. დ. გ. დ. ფ. აღწერს ტოტლებენის ჯარის შემოსვლას საქართვ. სამხ. გზით სტეფანწმინდაში, მეფე ერეკლე II-ისა და ტოტლებენის შეხვედრას, ერეკლეს სასახლეს თბილისში, მეფე სოლომონ I-თან ტოტლებენის შეხვედრას და სხვ. დ. გ. დ. ფ. მომსწრე იყო ქართვ.-რუსთა ჯარის ოსმალებთან ბრძოლისა აწყურის ციხის აღების დროს. იგი დეტალურად აღწერს საომარი კამპანიის მსვლელობას და, როგორც სამხ. საქმის მცოდნე, სწორ შეფასებას აძლევს ერეკლე II-ის ტაქტიკას და სტრატეგიას. რელაცია ადასტურებს, რომ საქართვ. პოლიტ. წრეები მტკიცედ ადგნენ რუს. პოლიტ. ორიენტაციის გზას. დ. გ. დ. ფ. აღნიშნავს ქართველებისა და ზოგიერთი სხვა კავკ. ხალხების ყოფის დეტალებს. მაგ., მას შეუნიშნავს საქართველოში დამკვიდრებული ჩვევა, რ-ის მიხედვითაც მამაკაცი მამაკაცს სახეზე არ კოცნის. რელაციაში იგრძნობა მისი სიმპათიები ერეკლე II-ის მიმართ. დ. გ. დ. ფ. თავდაპირველად ტოტლებენის ნდობით აღჭურვილი პირი იყო, შემდეგ იგი ტოტლებენის წინააღმდეგ განზრახულ ოფიცრების შეთქმულებას მიემხრო და თბილისში დარჩა ერეკლე II-ის კარზე. 1771 წ. 22 აპრ. შეთქმულების სხვა მონაწილეებთან ერთად ყაზანში გაასამართლეს, დიდ დამნაშავედ ვერ ცნეს და უნტერ-ოფიცრად ჩამოაქვეითეს.

თხზ.: დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1985. *ჯ. ოდიშელი.*

დედაბერა, გუმბათისებრი მთა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, მესხეთის ქედის აღმ. ნაწილში, მდ.

ვახანისწყლის (ჩხერიმელის მარცხ. შენაკადი) სათავეში. სიმაღლე 1839 *მ.* აგებულია მესამეულის ვულკანოგენური წყებებით. ქვედა კალთები შემოსილია კოლხ. ტყეებით, ზედა – მეორეული მდელოებით.

დედაბერა, უელტეხილი საჩხერის, ხაშურისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებში, ლიხის ქედზე. სიმაღლე ზ. დ. 1100 *მ.* აგებულია ბაიოსური ტუფოგენური წყებებით. შემოსილია ნატყეური მდელოებით. აკავშირებს მდინარეების ძირულისა (ყვირილის მარცხ. შენაკადი) და ჭერათხევის (სურამულის მარცხ. შენაკადი) აუზებს.


დედაბერი, ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟი. ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში ცნობილია დ-ის ორი ტიპი: კეთილი და ბოროტი. კეთილი დ. კაცთა მოდგმის მოსარჩლეა, ექომაგება ზღაპრის დადებით გმირებს; ბოროტი კი ფიზიკურად მახინჯი, ავსული, კაციჭამია, ირეალური არსებაა. ცხოვრობს უმთავრესად ქვესკნელში, მიუვალ ტყეში; მას ახასიათებს მითური ნიშნები, განაგებს სტიქიურ მოვლენებს, არის ტყის ბინადართა პატრონ-მფარველი, აქვს ჯადოსნური, სასწაულმოქმედი საგნები. ზღაპრებში მას კუდიანს უწოდებენ (სამეგრელოში – მზაკვარს). ბოროტი დ-ის ფუნქციაა დადებითი პერსონაჟისთვის წინააღმდეგობის შექმნა.

ლიტ.: ო ქ რ ო შ ი ძ ე თ., ქართული ფანტასტიკური ზღაპრის მხატვრული სახეები (დედაბერი), კრ.: ქართული ფოლკლორი. მასალები და გამოკვლევები, [ტ.] 1–2, თბ., 1964; ღ ლ ო ნ ტ ი ა., ქართული ხალხური ნოველა, თბ., 1963.

ფ. ზანდუკელი.

დედაბოძი, მთლიანი ხისაგან გამოთლილი დიდი, თავფართო სვეტი, ქართული *დარბაზული სახლის* ცენტრალური ბოძი, რ-საც ეყრდნობოდა გვირგვინიანი გადახურვა. დ-ზე იყო გადებული სახლის განივი კოჭი, თავხე. ბოძსა და თავხეს შორის სიმძიმის გასანაწილებლად დებდნენ ე. წ. ,,ბუღაურას'', ანუ ,,დათვას'' – ხის გრძელ ბალიშს, რ-იც დ-თან ერთად მთლიან ელემენტს ქმნიდა. დ-ზე გამოსახავდნენ გეომ. ორნამენტებს, ფრინველებს, ცხოველებს, ადამიანის ხელს, სხვადასხვა ტიპის ჯვარს, რადიალურად განსხვავებულ მზეს, ბორჯღალას, კონცენტრულ წრეებს, ვარსკვლავებს და სხვ.

ხალხის წარმოდგენით, დარბაზული სახლის კერა, დ. და გვირგვინი ერთ კომპლექსს შეადგენდა და ოჯახის სიწმინდედ იყო მიჩნეული. ყველა რიტუალი სახლში დ-ისა და კერის გარშემო სრულდება. დ-ის წარმოშობაზე არსებული ხალხ. თქმულებები მიუთითებენ, რომ დ-ის თაყვანისცემა უკავშირდება ჩვენში ოდესღაც გავრცელებულ ხის კულტს (ერთ-ერთი თქმულების თანახმად, ღვთაება კერაში ამოსული, გველშემოხვეული ხის სახით გამოეცხადებოდა თავის საყმოს) და სიცოცხლის ხის მოტივს. ძვ. ქვეყნებში, კერძოდ კავკასიაში, სიცოცხლის ხე წარმოდგენილი ჰქონდათ ცის საყრდენად, მნათობთა სადგურად და ღვთაებათა მშობლად. სწორედ ასეთი ხის ყველაზე სრულყოფილი სიმბოლო ჩვენში დ. იყო. ხალხ. წარმოდგენით, იგი ისე ებჯინებოდა გვირგვინს, როგორც სიცოცხლის ხე – ცას. არქეოლ. მონაცემებით, საცხოვრებლის წმინდა



ქართული დარბაზული სახლის დედაბოძი.

სვეტების თაყვანისცემა საქართვ. ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ადრინდ. სამიწათმოქმედო ხანაში ყოფილა გავრცელებული.

ლიტ.: ჩ ი ტ ა ი ა გ., გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში, «მიმომხილველი», 1926, ტ. 1; ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი გ., ქართლის დარბაზი, [ნაკვ.] 1–4, ტფ., 1926–27; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, [ტ.] 1 – მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946.

ი. კ. სურგულაძე.

დედაბრიშვილი შიო შოთას ძე (30. VII. 1932, ქ. ბორჯომი, – 15. X. 1977, თბილისი), არქეოლოგი. ისტ. მეცნ. კანდიდატი (1970). 1957 დაამთავრა სოხუმის პედ. ინტი. 1960-იდან მონაწილეობდა ი. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის არქეოლ. ექსპედიციებში. 1961-იდან ამავე ინ-ტის თანამშრომელი იყო, 1977-იდან – არქეოლ. კვლევის ცენტრის კახეთის №2 არქეოლ. ექსპედიციის ხელმძღვანელი.

დ-ის სახელთანაა დაკავშირებული იორ-ალაზნის აუზის ადრინდ. და შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლების გეგმაზომიერი არქეოლ. გათხრების დაწყება.

დ-მა ცენტრ. ამიერკავკასიაში გამოყო მტკვარ-არაქსის კულტურის ლოკალური ვარიანტები, გამოიკვლია ამ კულტურის კავშირი შუა ბრინჯაოს ხანის მასალასთან.

თხზ.: ზემო ალვანის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხი, კრ.: კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, IV, თბ., 1980 (თანაავტ. რ. რუსიშვილი); საღუღას ველის შუა ბრინჯაოს ხანის №2 გორასამარხი, იქვე, VI, თბ., 1984 (თანაავტ. რ. რუსიშვილი); Памятники эпохи ранней и средней бронзы, კრ.: Труды Кахетской археологической экспедиции I, Тб., 1969; Курганы алазанской долины, იქვე, II, Тб., 1979; Археологические исследования на новостройках Кахетии, კრ.: Археологические исследования на новостройках ГССР, Тб., 1976 (თანაავტ.: К. Н. Пицхелаури).

რ. რუსიშვილი.

დედაენა, მ შ ო ბ ლ ი უ რ ი ე ნ ა, ენა, რ-საც დედ-მამისა და ახლობლებისაგან ითვისებს ბავშვი; ადამიანისათვის ყველაზე მახლობელი, გასაგები, ბუნებრივი ენა, რ-ის მეშვეობითაც იგი ლაღად და შესატყვისად გამოხატავს აზრს, წარმოდგენასა და გრძნობას. დ. არის ადამიანის მშობლიური ქვეყნის ენა, იმ ხალხის, ერის, კულტურის ენა, რ-საც იგი მიეკუთვნება და რ-ის მეშვეობითაც მათთან ურთიერთობას ამყარებს. დ. ადამიანს აზიარებს თავისი მშობლიური ხალხის ისტ. სიმდიდრეს, რ-შიც დაცულია ერის გონებრივი და სულიერი საუნჯე. იგი ერთმანეთთან აკავშირებს არა მარტო ცოცხალ თაობებს, არამედ ქვეყნის წარსულს, აწმყოსა და მომავალს. დ. ეროვნულობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი და უმთავრესი ძალაა, ეროვნების ბურჯია, რ-ითაც ერი კაცობრიობის წინაშე წარსდგება და მის კულტ. ცხოვრებაში მონაწილეობს. დ-ის დღეგრძელობით განისაზღვრება ერის სიცოცხლე. დ. ცოდნის ზარია, ამიტომაც ამ სახელით ,,დედაენა ცოდნის ზარი'' ქართველმა ხალხმა მას ძეგლი დაუდგა (1983, მოქანდაკე ე. ამაშუკელი, არქიტ. ნ. მგალობლიშვილი).

გ. კვარაცხელია.

„დედა ენა“ ანუ „ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისათვის“, ქართული ენის ორიგინალური სახელმძღვანელო დაწყებითი სკოლებისათვის, შექმნილი ი. *გოგებაშვილის* მიერ. გამოვიდა 1876. „დ. ე-ში“ წარმოდგენილია ორი წლის კურსის მასალა. წერა-კითხვა ისწავლება ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდით. 1906-იდან „დ. ე.“ 2 წიგნად გამოდის: პირველში თავმოყრილია წერა-კითხვის შესასწავლი მასალა, მეორეში – საყმაწვილო მხატვრული თხზულებები, ხალხ. შემოქმედების ნიმუშები და საბუნებისმეტყველო, გეოგრ., ისტ. და ეთნოგრ. შინაარსის მეცნ.-პოპულ. სტატიები. ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში ი. გოგებაშვილის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება რელიგიასთან მიმართებით მის სახელმძღვანელოებშიც აისახა. „დ. ე-ის“ გამოსვლის შემდეგ რელიგ. მასალა ყოველ ახ. გამოცემაში მატულობდა და 90-იან წლებში მთელი სახელმძღვანელოს მესამედი შეადგინა. წიგნში შედიოდა ორი ვრცელი განყ-ბა – „სასულიერო-ზნეობრივი“ და „მოთხრობანი საღმრთო ისტორიიდან“, აგრეთვე ლოცვები და ხუცური ანბანი, ნუსხურ-მხედრული შრიფტით დაწერილი ტექსტები.



„დედაენა – ცოდნის ზარი“. მოქანდაკე ე. ამაშუკელი. არქიტექტორი ნ. მგალობლიშვილი. ბრინჯაო. 1983. თბილისი.

ცალკე თავებად შედიოდა მასალა ი. გოგებაშვილის საღმრთო ისტორიის სახელმძღვანელოდან, რ-იც ცალკე წიგნად არ გამოსულა.

„დ. ე-ს“ საფუძვლად უდევს მაღალი დიდაქტ.-მეთოდიკური პრინციპები, გამსჭვალული ხალხურობის სულისკვეთებით. მან დიდი როლი ითამაშა ქართვ. ახალგაზრდობის თაობათა აღზრდა-განათლებაში. ავტორის სიცოცხლეში (1912-მდე) იგი 33-ჯერ გამოიცა (1 ნაწ. – 27-ჯერ), ი. გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგ „დ. ე-ის“ გამოცემა მიენდო სპეც. კომისიას, რ-საც ლ. *პოცვაძე* ხელმძღვანელობდა. 1876–1925 „დ. ე.“ 45-ჯერ გამოიცა. ვ. ძიძიგურისა და ა. გვახარიას „დედა ენის“ 1935–43 გამოცემებში ძირითადად ი. გოგებაშვილის ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდია გამოყენებული.

ი. გოგებაშვილის „დ. ე-ის“ საფუძველზეა შედგენილი ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის „დ. ე.“ (2 წიგნად) I და II კლასებისათვის (1944-იდან სისტემატურად გამოდიოდა) და ვ. რამიშვილის მიერ შედგენილი „დ. ე.“ (პირველად გამოიცა 1973). 1976 ზეიმით აღინიშნა „დ. ე-ის“ მე-100 წლისთავი. საიუბილეოდ დაისტამბა 1876 და 1912 გამოცემები. 1994 თბილ. შოთა რუსთაველის სახ. აკად. თეატრში დაიდგა „დ. ე-ის“ მოტივზე აგებული სპექტაკლი „იაკობის სახარება“ (რეჟ. რ. სტურუა). *ვ. რამიშვილი.*

დედაკაცების ფერხული, უძველესი ქართული ხალხური ცეკვა, ქალთა ფერხული, რ-იც სრულდებოდა სამხმიანი სიმღერის თანხლებით. დათვის სამოსელში გამოწყობილი „დათო-ბერიკა“ ქალთა ფერხულში ჩადგებოდა და ასრულებდა სიმღერის შინაარსის ადეკვატურ მოძრაობებს. მეფერხულე დედაკაცები წრეში იმწყვდევდნენ დათვისნიღბიან მამაკაცს, უმღეროდნენ მას და აიძულებდნენ განესახიერებინა სიმღერის ტექსტი. ბერიკა ხშირად ტექსტისაგან დამოუკიდებელ, იმპროვიზებულ მოძრაობებსაც აკეთებდა, რის გამოც დედაკაცები დაირცხვენდნენ და წივილ-კივილით დაიშლებოდნენ. ცეკვას ზოგჯერ დათოსაც უწოდებდნენ. *ა. თათარაძე.*

დედალაური, სოფელი ხონის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე, მდ. სემის (გუბისწყლის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: დ., ბესიაური, ჩუნეში, ხარაბაული). ზ. დ. 120 *მ*, ხონიდან 10 *კმ*. 1,6 ათ. მცხ. (2002).


დედამიწა, მზიდან დაშორების მიხედვით მესამე პლანეტა. დიამეტრით, მასითა და სიმკვრივით ე. წ. დედამიწის ჯგუფის პლანეტებს (მერკური, ვენერა, დედამიწა და მარსი) შორის – უდიდესი. დ-ის მასა – $5{,}98 \cdot 10^{24}$ *კგ* – მზის მასაზე 330000-ჯერ ნაკლებია და დიდ პლანეტათა (იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი) საერთო მასის 1/448 ნაწილს შეადგენს. დ. მოძრაობს მზის გარშემო (საშ. სიჩქარე 29,76 *კმ/წმ*). საშ. მანძილი დ-იდან მზემდე 149,6 მლნ. *კმ*. მზის გარშემო დ-ის გარემიმოქცევის პერიოდს წელიწადი ეწოდება. იგი დაახლ. 365,242 მზისიერ დღე-ღამეს შეიცავს და საფუძვლად უდევს თანამედროვე კალენდარს. დ. ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო, რაც იწვევს დღისა და ღამის მონაცვლეობას. დღე-ღამის ხანგრძლივობა საშუალოდ 24 *სთ*-ია. დ-ის ერთადერთი ბუნებრივი თანამგზავრია მთვარე.

დ-ის ფიგურას ყველაზე კარგად ასახავს ე.წ. გეოიდი. საშ. რადიუსი უდრის 6371,0 *კმ*, პოლარული – 6356,8 *კმ*. ეკვატორის სიგრძეა 40075,7 *კმ*, მერიდიანისა (ჩრდ. პოლუსიდან სამხრ. პოლუსამდე) – 20004,3 *კმ*. დ-ის ეკვატორის სიბრტყე ეკლიპტიკასთან (დ-ის ორბიტის სიბრტყესთან) ადგენს 23°27′ კუთხეს, რაც განაპირობებს სეზონურ ცვლილებებს დ-ის ზედაპირზე: დაახლ. 21 მარტიდან 23 სექტემბრამდე დ. მობრუნებულია მზისკენ უპირატესად ჩრდ. ნახევარსფეროთი, ხოლო 23 სექტემბრიდან 21 მარტამდე – სამხრ. ნახევარსფეროთი. ამგვარად, როდესაც ჩრდ. ნახევარსფეროში ზაფხულია, სამხრეთში ზამთარია და პირიქით.

თანამედროვე კოსმოგონიური წარმოდგენით, დ. წარმოიქმნა კოსმოსში გაფანტული აირულ-მტვერულ ნივთიერებათა გუნდების ურთიერთმიზიდვისა და შემკვრივების შედეგად დაახლ. 4,54 მლრდ. წლის წინათ. დ-ს კონცენტრული აგებულება აქვს. მის ბირთვს გარს აკრავს დ-ის მანტია, შემდეგ – დ-ის ქერქი. ეს სამი ე. წ. შიგა გეოსფერო ერთად შეადგენს „მყარ“ დ-ს. დადგენილია, რომ დ-ის ქერქი მკვეთრადაა გამოყოფილი მის ქვეშ მდებარე მანტიისაგან ე. წ. მოხოროვიჩიჩის ზედაპირით. დ-ის გარე არამყარი გეოსფეროებია: წყლისა – ჰიდროსფერო, ჰაერისა – ატმოსფერო. გარდა ამ გეოსფეროებისა,

დედამიწის მოსახლეობა (მლნ.კაცი)

ახ. წ. დამდეგს	230
1000 წლისთვის	300
1500	500
1800	1100
1900	1750
2000	6067
2011	7000



პლანეტა დედამიწა. დასავლეთი და აღმოსავლეთი ნახევარსფეროები (ფოტო კოსმოსიდან).

გამოიყოფა მაგნიტოსფერო – დ-ის ახლომდებარე კოსმ. სივრცის ნაწილი, რ-ის შიგნითაც მ ზ ი ს ი ე რ ი ქ ა რ ი ს (მზის ზედაპირიდან ამოფრქვეული სწრაფი დამუხტული ნაწილაკების ნაკადი) შეღწევას შეუძლებელს ხდის დ-ის მაგნიტური ველი.

დ-ის წიაღში სიღრმესთან ერთად მატულობს ტემპ-რა: კონტინენტური ქერქის ქვეშ იგი 600–700°C ტოლია, მანტიაში – 1500–1800°C, ბირთვში – სავარაუდოდ 4000–5000°C. წნევა უწყვეტად მატულობს სიღრმესთან ერთად და დ-ის ბირთვის ცენტრში აღწევს $3{,}5 \cdot 10^{11}$ პა, რაც 3,5 მლნ-ჯერ აღემატება ნორმალურ ატმ. წნევას.

დ-ის განვითარებას განსაზღვრავს ,,მყარი'' დ-ის გეოსფეროებში ნელა მიმდინარე პროცესები. განასხვავებენ შინაგან (ენდოგენურ) და გარეგან (ეგზოგენურ) პროცესებს. პირველის მამოძრავებელი საწყისია დ-ის შინაგანი ენერგია, მეორესი – მზის გამოსხივება.


დ-ის ზედაპირის ფართობია 510,1 მლნ. კმ^2, აქედან ხმელეთს უჭირავს 148,9 მლნ. კმ^2 (29,2%), წყალს – 361,1 მლნ. კმ^2 (70,8%). თანამედროვე გეოლ. ეპოქაში ხმელეთი დანაწევრებულია ექვს კონტინენტად. ესენია: ევრაზია, აფრიკა, ჩრდ. ამერიკა, სამხრ. ამერიკა, ანტარქტიდა და ავსტრალია. ქვეყნის ნაწილებია: ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა, ანტარქტიკა და ავსტრალია (ოკეანეთით). კონტინენტები მსოფლიო ოკეანეს ყოფენ წყნარ, ატლანტის, ინდოეთის, ჩრდილოეთის ყინულოვან (არქტიკულ) და სამხრეთის (ანტარქტიკულ) ოკეანეებად. დ-ის უმაღლესი მწვერვალია ევერესტი (ჯ ო მ ო ლ უ ნ გ მ ა; 8848 მ; ჩინეთი/ნეპალი); 1995 მონაცემით ოკეანის უღრმესი წერტილის – მარიანას ღრმულის (წყნარი ოკ.) სიღრმეა 10920 მ (,,ჩელენჯერის უფსკრული''); მიწისპირა ჰაერის ფიქსირებული მაქს. ტემპრაა 56,7°C (სიკვდილის ველი, კალიფორნია, ჩრდ. ამერიკა), მინ. –89,2°C (ანტარქტიდა, სადგ. ,,ვოსტოკი'').

ჰიდროსფეროს, დ-ის ქერქის ზედა და ატმოსფეროს ქვედა ფენებს ერთად ლანდშაფტურ ანუ გეოგრაფიულ გარსს უწოდებენ. მისი უმეტესი ნაწილი სიცოცხლის არეს (ბიოსფეროს) წარმოადგენს. სხვა პლანეტებთან შედარებით, დ-ის თავისებურებაა მასზე სიცოცხლის არსებობა და განვითარება. სიცოცხლე დედამიწაზე გაჩნდა დაახლ. 3,5 მლრდ. წლის წინათ. მეცნიერებმა აღმოაჩინეს დ-ზე მცენარეებისა და ცხოველების მხოლოდ 2 მლნ-მდე სახეობა, მაგრამ ვარაუდობენ, რომ მათი რიცხვი 14 მლნ-ით განისაზღვრება, აქედან დაახლ. 8 მლნ. მწერია, მხოლოდ 5000 მიეკუთვნება ძუძუმწოვართა კლასს.


აფრიკაში მოპოვებული ანთროპოლ. მასალა მოწმობს, რომ კაცობრიობის ისტორია სულ ცოტა 2–3 მლნ. წელს მოიცავს. საკითხი, თუ რომელ რეგიონში წარმოიშვა ადამიანი, პრობლემატურია. თანამედროვე ტიპის ადამიანი (Homo sapiens – ,,გონიერი ადამიანი'') ჩამოყალიბდა გვიანდ. პალეოლითის ხანაში. ამ ეპოქაში მოხდა ადამიანის მოდგმის ფართოდ განსახლება დ-ის ზედაპირზე (იხ. *დმანისის ჰომინიდი*). 2011 დ-ის მოსახლეობამ 7 მლრდ. კაცს გადააჭარბა. ჩვენს პლანეტაზე ყოველ 5 დღეში დაახლ. 1 მლნ. კაცი იბადება. მოსახლ. 60% აზიაში ცხოვრობს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო მდებარეობს დ-ის აღმ. ნახევარსფეროში, ევრაზიის კონტინენტზე, ევროპისა და აზიის მიჯნაზე.


დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი (დხთ), კოსმოსური აპარატი, რ-იც გაჰყავთ დედამიწის გარშემო ორბიტაზე სამეცნიერო და პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად. საერთაშ. შეთანხმების თანახმად, კოსმ. აპარატს უწოდებენ თანამგზავრს, თუ მან შეასრულა არანაკლებ ერთი სრული გარემოქცევა დედამიწის გარშემო, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ჩაითვლება რაკეტულ ზონდად. დასახული ამოცანების მიხედვით, დ. ხ. თ. შეიძლება იყოს სამეცნ.-



დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი. 4. X. 1957 (სსრკ).



ორბიტული ტელესკოპი ,,ჰაბლი''.



საერთაშორისო კოსმოსური ორბიტული სადგური.

კვლ. ან გამოყენებითი. თუ დ. ხ. თ-ზე დადგმულია რადიოგადამცემი, რაიმე გამზომი აპარატურა, იმპულსური ნათურა სინათლის სიგნალების გადმოსაცემად და ა. შ., მას ა ქ ტ ი უ რ ს უწოდებენ, ხოლო თუ დ. ხ. თ-ზე არ არის ხელსაწყო-იარაღები და მას აკვირდებიან დედამიწიდან ამა თუ იმ ამოცანის გადასაწყვეტად – პ ა ს ი უ რ ს.

ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო - კ ვ ლ ე ვ ი თ დ. ხ. თ-ს იყენებენ დედამიწის, ციური სხეულებისა და კოსმ. სივრცის გამოსაკვლევად. ასეთებია გეოფიზ., გეოდეზიური თანამგზავრები, ორბიტული ასტრონ. ობსერვატორიები და სხვ.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი თ ი დ. ხ. თ-ებია: კავშირგაბმულობის, მეტეოროლოგიური, დედამიწის ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი, სანავიგაციო, საავარიო და სხვ. კოსმოსში ადამიანის გასაფრენ დ. ხ. თ-ს კ ო ს მ ო ს უ რ ხ ო მ ა ლ დ ს უწოდებენ, დედამიწის ეკვატორის გასწვრივ გაშვებულს – ე კ ვ ა ტ ო რ უ ლ ს, მერიდიანის გასწვრივ გაშვებულს – პ ო ლ ა რ უ ლ ს, ხოლო დედამიწის ბრუნვის თანხვედრილად ეკვატორის გასწვრივ 35800 *კმ* სიმაღლეზე წრიულ ორბიტაზე მოძრავს – გ ე ო ს ტ ა ც ი ო ნ ა რ უ ლ ს, ვინაიდან ის ყოველთვის დედამიწის ერთი და იმავე წერტილის ზენიტის მახლობლადაა.

პირველი დ. ხ. თ. საბჭ. კავშირიდან გაუშვეს (4. X. 1957), შემდეგ – აშშ-დან (1. II. 1958), ინგლისიდან (26. IV. 1962), კანადიდან (29. IX. 1962), იტალიიდან (15. VII. 1964), საფრანგეთიდან (26. XI. 1965), ავსტრალიიდან (29. XI. 1967), გფრ-იდან (7. II. 1969), იაპონიიდან (11. II. 1970), ჩინეთიდან (24. IV. 1970) და ა. შ.


კოსმ. აპარატების რეგისტრაციის საერთაშ. სისტემის შესაბამისად, საერთაშ. ორგანიზაცია ,,კოსპარი'' (,,Cospar'', კოსმ. კვლევის ცენტრი) 1957–62 დ. ხ. თ-ებს აღნიშნავდა მათი გაშვების წლით, ბერძნ. ანბანის ასოთი, რ-იც შეესაბამებოდა იმავე წელს გაშვებული თანამგზავრის რიგით ნომერს, და არაბული ციფრით (სიკაშკაშის ან სამეცნ. მნიშვნელობის საჩვენებლად) (მაგ., 1957 λ_2 პირველი საბჭ. დ. ხ. თ-ის აღმნიშვნელია, ხოლო 1957 λ_1 – მისი რაკეტა-მატარებლისა; რაკეტა-მატარებელი უფრო კაშკაშა იყო). 1963 წ. 1 იანვრიდან კოსმ. ობიექტებს აღნიშნავენ გაშვების წლით, ამ წელში გაშვებული რიგითი ნომრით და ლათ. ანბანის მთავრული ასოთი.

პირველი ცოცხალი არსება, რ-იც კოსმოსში გაუშვეს, იყო ძაღლი სახელად ლაიკა (1957 წ. 3 ნოემბ.), პირველი ადამიანი კი – საბჭ. კოსმონავტი ი. *გაგარინი* (1961 წ. 12 აპრ.).

დ. ხ. თ-ზე დასაკვირვებლად 1957-იდან შექმნილია დაკვირვების სპეც. ოპტ. სადგურები. თავდაპირველად საქართველოში სამი ასეთი სადგური შეიქმნა – აბასთუმნის ასტროფიზ. ობსერვატორიასთან (ხელმძღვ. ი. ალანია), თბილ. სახელმწიფო უნ-ტსა (ხელმძღვ. გ. კვირკველია) და ბათუმის პედ. ინტთან (ხელმძღვ. ნ. კალანდაძე). ოპტ. სადგურები არსებობდა 1968-მდე. განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი ორი სადგურის მუშაობა. სადგურების თანამშრომლები მრავალჯერ დაჯილდოვდნენ, მ. შ. ერთ-ერთს – რ. *კილაძეს* – სსრკ სახელმწ. პრემია მიენიჭა (1971). საქართველოში (რ. კილაძის მიერ) მიმდინარეობდა 900-ზე მეტი გეოსტაციონარული თანამგზავრის მოძრაობის თეორიულად შესწავლა და მათი ორბიტების კატალოგის შედგენა. *გ. კვირკველია.*



მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდი.



ქართული კოსმოსური ანტენის გაშლა კოსმონავტების მიერ.

დედას ლევანა (ნამდვ. სახელი და გვარი – ლევან ივანეს ძე ა ს ა ბ ა შ ვ ი ლი) (1856, სოფ. შილდა, ახლანდ. ყვარლის მუნიციპალიტეტი, – 1934, იქვე), სახალხო მომღერალი, ქართლ-კახური სასიმღერო შემოქმედების უბადლო მცოდნე და შემსრულებელი. ჰქონდა ფართო დიაპაზონის, ძლიერი, მოქნილი, მომხიბლავი ტენორი. სხვა ჭარმაგ მომღერლებთან [ოსტატი ალექსა (ალექსი ელოშვილი), ლაზარე კოკილაშვილი, მიხა ავგაროზაშვილი, მიხო ჯიღაური] ერთად დიდი ოსტატობით ასრულებდა კახური სიმღერების კლასიკურ ნიმუშებს (,,ჩაკრულო'', ,,ხეურო'', ,,გუშინ შვიდნი გურჯანელნი'', ,,სუფრული'', ,,შავლეგო'', ,,ბერიკაცი'', ,,მაყრულები'', განსაკუთრებით ,,გრძელი მრავალჟამიერი''). 1908 ზ. ფალიაშვილმა იმოგზაურა კახეთში, კერძოდ სოფ.



დედას ლევანა.

შილდაში, სადაც მოისმინა და ჩაიწერა დ. ლ-სა და მისი მეგობრების მიერ შესრულებული 15 სიმღერა. დ. ლ-თან მეგობრობდნენ ტ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, იოსებ მჭედლიშვილი. სწორედ ამ უკანასკნელის ინიციატივითა და მეცადინეობით მოეწყო 1927 დ. ლ-ს საჯარო გამოსვლა შილდელ მომღერლებთან ერთად თბილისის შოთა რუსთაველის სახ. თეატრის სცენაზე (კონცერტის მოწყობაში აქტ. მონაწილეობა მიუღია ს. ახმეტელს).

ლიტ.: მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი ს., დედას ლევანა, «საბჭოთა ხელოვნება», 1963, №1. *გ. ჩხიკვაძე.*



დედაფუტკარა.

დედაფუტკარა (Stachys), მცენარეთა გვარი ტუჩოსანთა ოჯახისა, ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახები, ზოგჯერ ბუჩქები და ნახევრად ბუჩქები. აქვთ მორიგეობით განლაგებული ფოთლები, ჩხროებად შეკრებილი ყვითელი, თეთრი, წითელი ან ვარდისფერი ყვავილები, რ-ებიც თავთავისებურ ყვავილედს ქმნიან. 300-მდე სახეობა გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ზომიერ და სუბტროპ. სარტყლებში, ტროპიკების მთებში. საქართველოში დ-ს 19 სახეობაა. ზოგი მათგანი თითქმის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზეა გავრცელებული, რამდენიმე – ცალკეულ რეგიონში. სახეობათა უმეტესობა, მთის ქვედა და ზედა სარტყლიდან მოკიდებული, ხშირად სუბალპ. სარტყელსაც აღწევს. დ. იზრდება ტყისპირას, ველობსა და მშრალ ფერდობზე, ბუჩქნარში, ღორღიანზე, ჭაობში და მდინარეთა ნაპირას, კლდეზე, დამლაშებულ თიხნარ და თაბაშირიან ნიადაგზე, ზღვის სანაპირო ქვიშნარზე. დ. თაფლოვანი, ეთერზეთოვანი და დეკორატიული მცენარეა. *მ. გურგენიძე.*



დედოფალა.

დედაციხე, მთავარი ციხის აღმნიშვნელი ზოგადი ქართული ტერმინი. ლეონტი მროველი იხსენიებს კახეთისა და სამშვილდის დ-ებს. ვახუშტი ბატონიშვილი კახეთის დ-დ *ბოჭორმას* მიიჩნევდა. ქართ. წყაროებში დ-ის სინონიმად გვხვდება აგრეთვე ტერმ. ,,თავადი ციხე''. *დ. ბერძენიშვილი.*

დედაციხე, ადრინდელი შუა საუკუნეების ხანის ციხესიმაგრე კასპის მუნიციპალიტეტში, ისტორიულ თემმის ხევში, მდ. თემმის მარჯვ. სანაპიროზე. ციხე აღმართულია მაღალ, კლდოვან მწვერვალზე. ოთხკუთხა გალავნის შიგნით არის კოშკი, თონე, წყალსაცავები, ციხის ძირში კი – ნასოფლარი და დარბაზული საყდრის ნანგრევი. VII ს. სომხ. გეოგრაფიაში თანამიმდევრულადაა ჩამოთვლილი საქართვ. ადმ.-ტერიტ. ერთეულები, მ. შ. იხსენიება ტანის ხევი (აქ იგულისხმება თეძამ-ატენის ხეობები და მ. შ. მოქცეული ტერიტ.), რ-ის სათავეშია ,,დევციხე''; ქართ. წყაროებში დევციხე არ არის მოხსენიებული. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) ამ ადგილას ასახელებს დედაციხეს (ასე უწოდებდნენ ძველად დიდი მნიშველობის ციხეებს). დ-ის ასეთი მნიშვნელობა განპირობებული უნდა იყოს თეძმისა და ატენის ხეობებით, ქართლიდან თრიალეთში მიმავალი გზებით, რ-ებიც სწორედ აქ გადიოდა. მათ როლზე მეტყველებს ნახიდურები თეძამზე და იქაური ტოპონიმები: ,,სვანეთი'', ,,ნადარბაზევი'', ,,ბოგირი''. IX ს-ში, კლდეკარის ციხის აგების შემდეგ, დ-ის მნიშვნელობა ეცემა – აქ სხვა სააღმშენებლო ფენა აღარ ჩანს.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ციხეთა შესწავლის ზოგიერთი საკითხი, «ძეგლის მეგობარი», 1968, № 14.

დ. ბერძენიშვილი.

დედისიმედი, XVI ს. II ნახ. სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური მოღვაწე, *ქაიხოსრო II* ჯაყელის მეუღლე, ბაგრატ მუხრანბატონის ასული. 1573, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, დებორას სახელით მონაზვნად შედგა, მაგრამ შვილის, ჯერ კიდევ ყმაწვილი და გამოუცდელი ყვარყვარეს ათაბაგად გახდომისთანავე ისევ დაუბრუნდა პოლიტ. ცხოვრებას და სამთავროს ფაქტობრივი მმართველი გახდა. 1576–79 სამცხეში შინაფეოდ. ომის დროს ხშირად პირადად ხელმძღვანელობდა სამხ. ოპერაციებს და დიპლ. მოლაპარაკებებს. ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის (1578) შემდეგ ისევ მესხეთში დარჩა, საკანაფის ციხეში გამაგრდა და იქიდან ხელმძღვანელობდა თურქთა წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას.

დ. მიჩნეულია ,,მესხური დავითნის ქრონიკის'' ერთ-ერთ ავტორად, ცოცხალი ჩანს 1595.

წყარო: ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), ქრ. შარაშიძის გამოც., თბ., 1961. *მ. ლომსაძე.*

დედისფერული, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტის საკობიანოს თემში (კახეთის მხარე), პანკისის ხეობაში, მდ. ალაზნის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 800 *მ,* ახმეტიდან 19 *კმ.* 43 მცხ. (2002).

დ. წყაროებში პირველად XVIII ს-შია მოხსენიებული. სოფლის მახლობლად შემორჩენილია ფეოდ. ხანის ნასოფლარი, კოშკი, ეკლესია და მარნის ნაშთი. *დ. მუსხელიშვილი.*

დედოფალა (Mustela nivalis), ძუძუმწოვარი ცხოველი მტაცებელთა რიგისა. გავრცელებულია ევროპაში, ჩრდ. აფრიკაში, აზიის უდიდეს ნაწილში, ჩრდ. ამერიკაში და სხვ. საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება. ვერტიკალურად ვრცელდება ზ. დ. 3800 *მ*-მდე. ბუდეს იკეთებს მღრღნელების სოროში, შეშისა და ფიჩხების გროვაში, ქვანაყარში, ქვის ყორეში, ფესვებში, შენობათა ნანგრევებში, ნაპრალებში. მისი სხეულის სიგრძე აღწევს 13–28 *სმ,* კუდი – 1,3–4 *სმ* (იშვიათად 8 *სმ*), სხეულის მასა 30–250 *გ.* ზაფხულში ბეწვი მუქი წაბლისფერია. ბეწვს იცვლის შემოდგომაზე. ზამთარში ზოგს თეთრი ბეწვი აქვს (ბეწვი მდარე ხარისხისაა).

დ-ს ძირითადი საკვებია პატარა-პატარა მღრღნელები, გარეული და შინაური ფრინველები, ამფიბიები, ქვეწარმავლები. იშვიათად – მწერები. მძუნაობს ადრე გაზაფხულზე. მაკეობა ორ თვემდე გრძელდება. შობს 4–9 ნაშიერს. ნაშიერები გვხვდებიან მაისიდან იანვ-მდე. გვარში 17 ქვესახეობაა, საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ორი: დ ი დ ი კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი დ. (M. n. dinniki), ბინადრობს უფრო მთიან ადგილებსა და ტყეებში, და მ ც ი რ ე კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი დ. (M. n. caucasica), ბინადრობს მეტწილად ღია ადგილებში. ხშირად ორივე ქვესახეობა ერთსა და იმავე ადგილზე გვხვდება.

დ-ს სარგებლობა მოაქვს მავნე მღრღნელების განადგურებით.

გ. ენუქიძე.

დედოფალ მარიამის დაწესებულებათა უწყება, რევოლუციამდელ რუსეთში უწყება, რ-საც ექვემდებარებოდა კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტები, ქალთა გიმნაზიები, ბავშვთა თავშესაფრები, უსინათლო და ყრუ-მუნჯ ბავშვთა სასწავლო დაწესებულებები, ზოგიერთი საავადმყოფო. რუს. იმპ. ეკატერინე II-ის ვაჟმა პავლემ შეირთო ვიურტემბერგის ჰერცოგის ქალიშვილი სოფია-დოროთეა-ავგუსტა-ლუიზა, რ-იც მართლმადიდებლობის მიღების შემდეგ იწოდებოდა მარიამ თევდორეს ასულად. მარიამს ჩააბა-

რეს რუსეთში ქალთა განათლების ხელმძღვანელობა. ეკატერინე II-მ შეარბილა სოც. ცენზი და კეთილშობილ ქალთა ინ-ტებში მეშჩანთა ქალიშვილებიც დაუშვა. დედოფალმა მარიამმა აღკვეთა ეს ვითარება. 1796, უკვე იმპ. პავლე I-ის ბრძანებულებით, დედოფალი მარიამი ჩაუდგა სათავეში კეთილშობილ ქალთა სააღმზრდელო საზ-ბას; მის ბაზაზე შემდგომ წლებში ჩამოყალიბდა უწყება, რ-საც ეწოდა დ. მ. დ. უ. მარიამ თევდორეს ასულის სახელი ასევე მიიღო რუს. იმპ. ალექსანდრე III-ის მეუღლემ (დანიის მეფის ქრისტიან IX-ის ქალიშვილი მარია-სოფია-ფრედერიკა-დაგმარა), რ-მაც შემოიტანა დ. მ. დ. უ-ის უმაღლესი მმართველობა. XX ს. დასაწყისისთვის ამ უწყების გამგებლობაში იყო: 70 ქალთა ინ-ტი და გიმნაზია, 176 ბავშვთა თავშესაფარი, 21 სასწავლებელი უსინათლო და ყრუ-მუნჯი ბავშვებისათვის, 21 უპოვართა თავშესაფარი, 40 საავადმყოფო, მრავალი უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი და სხვ.; მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კეთილშობილ ქალთა ინ-ტებს. მაღალჩინოსან მოხელეთა ოჯახებს ამ ინ-ტებში საგვარეულო ადგილები ჰქონდათ. სწავლაში წარჩინებული მოსწავლე ქალებისათვის დაწესებული იყო ოქროსა და ვერცხლის მედლები, ხოლო უმაღლესი ჯილდო იყო შავი ხავერდის დიდ ბანტზე მიმაგრებული, უმაღლესი სინჯის ოქროსაგან ჩამოსხმული რუს. ინიციალების მონოგრამა, რ-საც დაჯილდოებული მარცხენა ბეჭზე იკეთებდა. თბილისში იყო დედოფალ მარიამის უწყების სასწავლებლები, მ. შ. კეთილშობილ ქალთა ინ-ტი, რ-საც *ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი* ერქვა.

დ. მ. დ. უ-მ იარსება 1917-მდე.

დედოფლის მინდვრის არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დროისა და სახის არქეოლოგიური ძეგლები შიდა ქართლში, ე. წ. დედოფლის მინდორზე, მდინარეებს აღმ. და დას. ფრონეს შორის (ქარელის მუნიციპალიტეტი). გამოვლენილია გვიანდ. ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ხანის 2 სამაროვანი, ანტ. ხანის და შუა საუკ. რამდენიმე ნამოსახლარი და სამაროვანი, მდ. ფციდან გამოყვანილი სარწყავი რუს ნაშთები. ზედაპირულად აკრეფილია აშელისა და მუსტიეს ხანის ქვის იარაღი. დედოფლის მინდვრის სამხრ. ნაწილში ადგილ ორგორაზე დადასტურებულია ენეოლითის, ადრინდ., შუა და გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის, ანტ. და ადრინდ. ფეოდ. ხანის ნამოსახლარი ფენები და სამაროვნები (იხ. *არადეთის ორგორა*).

1972–82 გათხრების შედეგად (ხელმძღვ. ი. გაგოშიძე) დედოფლის მინდვრის ცენტრში აღმოჩნდა ძვ. წ. II–I სს. ერთიანი გეგმით აგებული სატაძრო კომპლექსი, რ-საც 4,6 *ჰა* ფართ. უკავია. გაითხარა ცენტრ. კვადრატული ეზოს (ფართ. 105 *მ* ×103 *მ*) გარშემო ერთ სისტემად გაერთიანებული 8 ტაძარი, აღმ. და დას. სვეტებიანი კარიბჭეები და რამდენიმე სხვა ნაგებობა. კომპლექსი ორიენტირებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. შენობები ნაგებია ალიზით რიყის ქვის საფუძველზე, გადახურული ყოფილა კრამიტით (მთავარი ტაძრის გარდა). ტაძრებისა და კარიბჭეების ხის სვეტებს აგვირგვინებდა თლილი ქვის ჩუქურთმიანი კაპიტელები. კომპლექსის სამხრ. ნაწილში მდებარე მთავარი ტაძარი ძველაღმოსავლური (ირანული) ცეცხლის ტაძრების ტიპისაა. სამხრ-კენ გახსნილ ვრცელ, სვეტებიან პორტიკს და კვადრ. ნაოსს (300 *მ*^{2}) 3 მხრიდან დერეფნების სისტემა შემოუყვება. ჩრდ-იდან მიდგმულია ორსვეტიანი ღია პორტიკი – აივანი. ნაოსის ცენტრში, 4 სვეტზე დაყრდნობილი გვირგვინის ქვეშ, მოწყობილი იყო საკურთხეველი; შემორჩენილია 20 *სმ* სიმაღლის ალიზის პოდიუმი (1,60 *მ* ×1,60 *მ*). ტაძრის კედლები შელესილი და შიგნიდან მოხატული იყო. შიდა ეზოს ჩრდ-იდან ეკვრის ზოგადად ამავე ტიპის მცირე ტაძარი, რ-საც ორმხრივ გარშემოსავლელი და კრამიტის ორფერდა სახურავი ჰქონდა. მისი საკურთხეველი ნაოსის სამხრ.-აღმ. კუთხეში იყო მოწყობილი. კომპლექსის ჩრდ. ნაწილში, ფართო გასავლელით გამოყოფილ ფართობზე განლაგებულია 6 ერთნაირი, უფრო მარტივი გეგმარების ტაძარი. თითოეულ მათგანს აქვს სამხრ-კენ გახსნილი პორტიკი, საიდანაც კარი გადის კვადრ. ნაოსში და მის გვერდით მოწყობილ დერეფნისებურ სათავსში. ტაძრები დგას ეზოებში, რ-ებიც ერთმანეთისგან კედლებითაა გამოყოფილი.

ტაძრების მიდამოებში აღმოჩენილია მათი თანადროული ნასოფლარები, სადაც, ალბათ, ტაძრის მსახურნი სახლობდნენ. კომპლექსის ჩრდ.-დას-ით 400 *მ*-ზე გათხრებით გამოვლინდა კერამ. სახელოსნო. აღმოჩნდა თიხის ჭურჭლისა და კრამიტის გამოსაწვავი ქურები, ტაძრის მშენებელთა და ხელოსანთა დროებით საცხოვრ. ქოხები, თიხის კარიერი, რ-შიც მრავლად იყო წუნდებული და დამტვრეული ხელოსნური ნაწარმი. იქვე მდებარეობს სამჭედლო და ქვის დამამუშავებელი სახელოსნო.

I ს-ში ტაძრები ხანძრის შედეგად დანგრეულა. როგორც ირკვევა დედოფლის მინდორი ანტ. ხანის ქართლის სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმართული სატაძრო ცენტრი იყო, არის მოსაზრება, რომ ეს ტაძრები ქართლის მეფეთა მთავარი საგვარეულო სალოცავი უნდა ყოფილიყო.

ი. გაგოშიძე.

დედოფლისწყარო (1926–91 – წ ი თ ე ლ წ ყ ა რ ო), ქალაქი (1963-იდან) აღმ. საქართველოში, კახეთის მხარეში. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ცენტრი. მდებარეობს შირაქის ვაკეზე. ზ. დ. 800 *მ*, თბილისიდან 124 *კმ*, თბილისი – დ-ს სარკინიგზო ხაზის ბოლო პუნქტი. 7,7 ათ. მცხ. (2002).

XIX ს. დამდეგიდან დ. ყარაღაჯთან ერთად რუს. ჯარის კავალერიის დივიზიის შტაბ-ბინა, ანუ სამხ. სადგომი იყო. შეუცვალეს სახელწოდება და ,,ცარსკიე კოლოდცი'' უწოდეს.

დ-ში ზომიერად ნოტიო სუბტროპ. ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 10,1°C, იანვ. –1,5°C, ივლ. 21,7°C; აბსოლ. მინ. –26°C, აბსოლ. მაქს. 35°C. ნალექები 650 *მმ* წელიწადში.




დედოფლისწყაროს გერბი. 2011.

ქალაქში არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადასამუშავებელი, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო სკოლები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. დ-ს მახლობლად დგას ხორნაბუჯის ციხე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის მხარეში, ივრის ზეგანზე. დას-ით და ჩრდ-ით ესაზღვრება სიღნაღის მუნიციპალიტეტი, აღმ-ით და სამხრ-ით – აზერბაიჯანი. ფართ. 2529,2 *კმ*^{2}. მოსახლ. 30,8 ათ. კაცი (2002). ცენტრი – ქ. *დედოფლისწყარო*. მუნიციპალიტეტში არის 1 ქალაქი, 15 სოფელი, 11 თემი: არბოშიკის, არხილოსკალოს, გამარჯვების, ზემო მაჩხაანის, ზემო ქედის, ოზაანის, საბათლოს,

სამთაწყაროს, სამრეკლოს, ქვემო ქედის, ხორნაბუჯის.

ისტორიული ცნობა. უძველესი დროიდან დღევანდელი დ. მ-ის ტერიტ. შედიოდა საქართვ. ერთ-ერთი ისტ. პროვინციის – *კამბეჩოვანის* შემადგენლობაში. ის თავიდანვე მჭიდროდ დაუკავშირდა ქართ. სახელმწიფოებრიობის ისტორიას და ხან *ჰერეთის* და ხანაც *კახეთის სამეფოს* განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების (1801) შემდეგ დ. მ-ის ტერიტ. თბილ. გუბ. სიღნაღის მაზრაში მოექცა. ყარაღაჯ-დედოფლისწყაროს დიდი გულისწყრომა გამოიწვია და მათ ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაიწყეს შირაქში ჩამოსახლება და დამკვიდრება. ამ გაბედული გადაწყვეტილების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ვაჟა-ფშაველა, რ-ის ძალისხმევითაც აღმ. საქართვ. მთიანეთის მოსახლ. ჯერ კიდევ 1917 ოქტ. რევოლუციამდე სამუდამოდ დასახლდა შირაქში. შეიქმნა სოფლები: ზემო ქედი, ქვემო ქედი და არხილოსკალო. XX ს-ის დასაწყისში *ნიკოლოზ II-მ* შირაქის ველის აღმ. ნაწილში ჩამოასახლა ზაპოროჟიელი ურჩი კაზაკები, რ-ებმაც ახ. დასახლებას გლეხი მუდმივ საცხოვრებლად სახლდებოდა ამავე სოფლის უზუნდარის მთის კალთებზე. სოფელი თანდათანობით იზრდებოდა და დაერქვა სახელი უზუნდარა (დღევანდელი სოფ. გამარჯვება). 1921 საქ. სსრ აღმ.-ტერ. დაყოფით ახლანდ. დ. მ-ის ტერიტ. სიღნაღის მაზრას მიეკუთვნა, 1929 – კახეთის ოლქს, 1930–37 – სიღნაღის რაიონს. 1938 ჩამოყალიბდა ცალკე რაიონად. 1963–64 ისევ სიღნაღის რაიონთან გააერთიანეს, 1965-იდან კი კვლავ ცალკე რაიონად გამოიყო. 2005-იდან რაიონს მუნიციპალიტეტი ეწოდა.



მიმართულებას („ლეკეთის საკორდონე ხაზს“) იმ პერიოდში დიდი სამხ.-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა დაღესტან-ლეკეთისა და *ჭარ-ბელაქნის* მხრიდან შემოსეულ მოთარეშე-მარბიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. დედოფლისწყაროში მუდმივად იდგა მეფის რუს. ჯარის ნაწილები. სამხ. სამსახურის ვადის გასვლის შემდეგაც ოფიცერთა და ჯარისკაცთა უმეტესი ნაწილი აქ რჩებოდა მუდმივ საცხოვრებლად. 1889 მეფის მთავრობამ გადაწყვიტა შირაქში გადმოესახლებინა რუსები. განზრახვამ ქართვ. მთიელთა სეჩენოვკა უწოდეს. 1921 შემდეგ აქ ჩამოსახლდნენ ზემო მაჩხაანისა და მირზაანის მაცხოვრებლები. ამ სოფელს შემდეგ რევოლუციონერ ა. ჯაფარიძის სახელი ეწოდა. 1918 მუსავატელებმა აზერბ. რესპუბლიკაში 36 სოფლის სომხ. მოსახლ. აყარეს და ბედის ანაბარა დატოვეს. ლტოლვილ სომეხთა ნაწილი 1922 მდ. ალაზნის მარჯვ. მხარეს ჩამოსახლდა და სოფელს თავიანთი მშობლიური სოფლის სახელი, საბათლო უწოდეს, ხოლო შემდეგ წითელი საბათლო დაარქვეს. 1924-იდან ზოგიერთი მირზაანელი

ბუნება. მუნიციპალიტეტის ტერიტ. გაშლილია ძირითადად ივრის ზეგანზე, უჭირავს აგრეთვე გომბორის ქედის მცირე მონაკვეთი და ალაზნის ხეობის უკიდურესი სამხრ.-აღმ. ნაწილი. ივრის ზეგანი ნეოგენური და მეოთხეული ნალექებითაა აგებული, შედგება მონოკლინური და ანტიკლინური მაღლობებისა და სინკლინური ვაკეფსკერიანი ტაფობებისაგან. ამავე დროს ტექტოგენურ რელიეფზე განვითარებულია ეროზიული ხეობები, ხრამები, მდინარეული ტერასები, ბედლენდები, ფსევდოკარსტე-

ბი, ტალახის ვულკანები და სხვ. მუნიციპალიტეტის მთავარი ოროგრ. ერთეულებია: შირაქის ვაკე, პატარა შირაქის ტაფობი, ტარიბანა, პატარა ტარიბანა, ჭაჭუნის ვაკე, ნაგომრებისთავის, ნაზარლების, ყალადარის, ჩობანდაღის, ზილჩის სერები; მთები – ზილჩა, უზუნდარა, ქვაბები, ბილენთა, ორი ძმა, ნიკორაციხე და სხვ. შირაქის ვაკე აღმ-ით უერთდება კასრისწყლის ტაფობს, რ-იც აღმ-ით ჯეირანთველის ეროზიულ ტაფობში გადადის. მუნიციპალიტეტის უკიდურეს სამხრ.-აღმ. ნაწილშია მეოთხეული ნალექებით აგებული ელდარის დაბლობი, მისი უკიდურესი სამხრ.-აღმ. ნაწილი ცნობილია ბუღამოედნის სახელწოდებით.

მნიშვნელოვანი წიაღისეულია ნავთობი (პატარა შირაქის, მირზაანის, ტარიბანის საბადოები) და კირქვა (დედოფლისწყაროს საბადო).

მუნიციპალიტეტის ტერიტ. ზომიერად ნოტიო სუბტროპ. ჰავის ოლქში მდებარეობს. ჭარბობს ძირითადად ორი ტიპის ჰავა. სამხრეთით – ცხელზაფხულიანი ზომიერად თბილი სტეპისა; ჩრდ. ზოლში – ზომიერად ნოტიო. იცის ზომიერად ცივი ზამთარი, ზაფხული – ხანგრძლივად თბილი. საშ. წლ. ტემპ-რა 10–10,3°C-მდეა, ივლ. 22–22,6°C, იანვ. –1,5, –2,3°C; აბსოლ. მინ. –32°C, აბსოლ. მაქს. 38°C. ნალექები 500–600 *მმ* წელიწადში. მცირე ნალექი მოდის ელდარის დაბლობზე (250–300 *მმ*). ნალექების მაქს. მაისსა და ივნ. დასაწყისშია, მინ. – ზამთარსა და ზაფხულში.

მუნიციპალიტეტი ღარიბია შიგა წყლებით. აღმ. საზღვართან ჩამოუდის მდ. ალაზანი, დას. ნაწილს კვეთს მდ. იორი. ტერიტ. უდიდესი ნაწილი მოკლებულია მუდმივ მდინარეებს. პერიოდული მდინარეებია: მლაშეწყალი, ლეკისწყალი, ყუმურისხევი, პანტიშარისხევი, მწარე ოლე და სხვ. არის ტბები (ქოჩები, პატარა ტბა) და წყალსაცავი (დალისმთის), მდინარეთა წყალდიდობა გაზაფხულზეა, წყალმცირობა – ზაფხულსა და ზამთარში. მდინარეები გამოყენებულია სარწყავად.

ნიადაგი საკმაოდ მრავალფეროვანია. ელდარის დაბლობსა და მის მიმდებარე სამხრ. ზონაში ღია მურა ნიადაგია, არიდული ნათელი ტყის ზონაში – ტყის ყავისფერი. ვრცელი ფართობი უჭირავს წაბლა ნიადაგს დამლაშებული და



ხორნაბუჯის ციხე (ადრინდელი შუა საუკუნეები).

ბიცობიანი ნიადაგების კომპლექსით. ტერიტ. დიდი ნაწილი უკავია მცირე და საშ. სისქის შავმიწებს. ივრის პირას ალუვიური კარბონატული ნიადაგია, ქალაქის მახლობლად კი – კორდიან-კარბონატული.

მცენარეულობის ძირითად ფონს დაბლობზე ქმნის ნახევარუდაბნოს ბუჩქნარი. ივრის ზეგნის სამხრ. ნაწილში შემორჩენილია არიდული მეჩხერი ტყე (საკმლის ხე, აკაკი, ღვია, ქართული ნეკერჩხალი, ბერყენა, თელა, ელდარის ფიჭვი), მუნიციპალიტეტის ბალახსაფარს ქმნის ნახევარუდაბნოს ან სტეპებისათვის დამახასიათებელი ელემენტები. ბუჩქებიდან გავრცელებულია ძეძვი, გრაკლა, შავჯაგა, თრიმლი, ჩიტავაშლა, კოწახური, ღვიის რამდენიმე სახეობა. ვაშლოვნის ნაკრძალში არიდული ნათელი ტყეა. მუნიციპალიტეტის ვაკე-ტაფობებში არის უროიანი და ვაციწვერიანი სტეპის მცენარეები. ტაფობების კალთებზე გვხვდება გლერძი, ჭარელა, სტეპის წივანა, კუტი ბალახი, მუზარადა და სხვ. გომბორის ქედის კალთებზე მუხნარი და რცხილნარია, ივრისპირეთში – ტუგაის (ჭალის) ტყე.

ცხოველთაგან გვხვდება მგელი, მელა, ტურა, მაჩვი, დედოფალა, ფართოდაა გავრცელებული მღრღნელები: მემინდვრია, მექვიშია, ტყის თაგვი; ფრინველთაგან – კაკაბი, მწყერი, გნოლი, ბევრია ყვავი, კაჭკაჭი, ქორი, ბელურა, შაშვი, კვირიონი და სხვ. მდინარეებში იორსა და ალაზანში არის ქაშაპი, მტკვრის ტობი, ხრამული, მტკვრის წვერა და სხვ.

ძირითადი ლანდშაფტები: 1. ნახევარუდაბნო ვაკე-დაბლობი ღია მურა და დამლაშებული ნია-



წმინდა ელიას სამლოცველო (ნამონასტრალი). ადრინდელი შუა საუკუნეები.

დაგებით; 2. სტეპური წვრილმთიანეთი შავმიწა და წაბლა ნიადაგებით; 3. წვრილმთიანეთი და ხევ-ხრამებიან-ბედლენდებიანი მთისწინეთი არიდული ტყით, რუხი ყავისფერი ნიადაგით; 4. ვაკე-ტაფობი სტეპის ბალახმცენარეულობით, შავმიწა და წაბლა ნიადაგებით; 5. დაბალმთიანეთი და მთისწინეთი რცხილნარ-მუხნარით, ჯაგრცხილნარით და ჯაგეკლიანებით, ტყის ყავისფერი ნიადაგებით; 6. ჭალები ტუგაის მცენარეულობით და ალუვიური ნიადაგით; 7. ვაკე ჯაგეკლიანი სტეპით და ჰალოფილური მცენარეულობით შავმიწისებრი და დამლაშებული ნიადაგებით.



ოზაანის ამაღლება. კანკელის ფრაგმენტი. X–XII სს. მიჯნა.

მუნიციპალიტეტში არის ვაშლოვნის სახელმწ. ნაკრძალი და ჭაჭუნის აღკვეთილი.

მოსახლეობა. მოსახლ. 89% ქართველია, მცირე რაოდენობით ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები და სხვ. განსახლების ძირითადი ზონა ზ. დ.



ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმი. სოფელი მირზაანი.

500–800 *მ* ფარგლებშია. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 12,2 კაცი 1 *კმ*^{2}-ზე. მოსახლ. 74,9% ცხოვრობს სოფლად.

მეურნეობა. მუნიციპალიტეტის როგორც მრეწვ., ისე სოფლის მეურნეობის დარგები ორიენტირებულია ადგილ. მინერ. და სას.-სამ. რესურსებზე. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მეცხოველეობა, მარცვლეულისა და მზესუმზირას წარმოება, მევენახეობა. ნათესი ფართობის 50%-ზე მეტი უჭირავს მარცვლოვან და პარკოსან კულტურებს. მნიშვნელოვან ფართობზეა გაშენებული ვენახისა და ხეხილის ნარგავები, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები. მეცხოველეობაში წამყვანია მესაქონლეობა. განვითარებულია მეღორეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა.

მრეწვ. ძირითადი დარგია კვების მრეწველობა. დედოფლისწყაროში არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადასამუშავებელი, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები. მირზაანსა და პატარა შირაქში იღებენ ნავთობს. მოიპოვებენ კირქვას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის თბილისი – კაჭრეთი – დედოფლისწყაროს სარკინიგზო ხაზი.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. დ. მ-ში არის სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო სკოლები, ბ-კები, საკლუბო დაწესებულებები. დედოფლისწყაროში არის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სოფ. მირზაანში – ნიკო *ფიროსმანაშვილის* სახლ-მუზეუმი.

მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება სამედ. დაწესებულება, მათ შორის ფუნქციონირებს შპს ,,ადითი‘‘.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. სოფ. ოზაანის მახლობლად დგას ამაღლების გუმბათოვანი ტაძარი (IX ს.) და სამების ეკლესია (შუა საუკ.), დედოფლისწყაროს მახლობლად – ხორნაბუჯის ციხე (ადრინდ. შუა საუკ.), წმ. ელიას სამლოცველო (ნამონასტრალი), სოფ. სამრეკლოს მახლობლად ელიას მთაზე (VI–IX სს.) და სხვ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე არაერთი მნიშვნელოვანი არქეოლ. გათხრები ჩატარდა (გოხების სამლოცველო, აკაკიანთხევის, მწარეწყლის, ფურცელწყლის სამაროვნები და სხვ.).

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ქართლ-კახეთის აღწერა, თ. ენუქიძის და გ. ბედოშვილის გამოც., თბ., 1986.

ლიტ.: პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები (უძველესი დროიდან XII ს. I მეოთხედამდე), თბ., 1976; მ ი ს ი ვ ე, რანთა და კახთა სამეფო (VIII–IX სს.), თბ., 1982.

დ. უკლება. ნ. დორეული. ც. ვაშაკიძე. თ. პაპუაშვილი.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაარსდა 1975. მუზეუმში ძირითადად დაცულია დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი თიხისა და ბრინჯაოს მასალა (ძვ. წ. VI–I სს-იდან გვიანფეოდალურ ხანამდე): საბეჭდავები, სამკაული, სამედიცინო დანიშნულების თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს პინცეტი, საკულტო სკულპტურები, კამეჩის ნიღბები, სკვითური ისრისპირები; ნუმიზმატიკა: VI ს. ვერცხლისა და ოქროს სასანური მონეტები, ქართ., ჰულაგუიდური, რუს., გერმ. მონეტები; ეთნოგრაფიული მასალა: ქიზიყური ფარდაგები, ხურჯინები, ჯეჯიმები; ფიანდაზი, ოქრომკედით ნაქარგი ყაჯარი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები. მუზეუმში ინახება აგრეთვე XX ს. ქართვ. მხატვართა ფერწერული ნამუშევრები (რ. სტურუა, ა. პოპიაშვილი, ჯ. გვიმრაძე, რ. თორდია, ვ. ალბიროვი). დ. მ. მ-ში დაცულია დაახლ. 10 ათ. ექსპონატი. მუზეუმის პარტნიორი ორგანიზაციებია ბერლინისა და ჰალეს არქეოლ. ინ-ტები.

დედული (სამართ. ისტ.), შუა საუკუნეების საქართველოში დედის უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც მემკვიდრეობის უფლებით მის შვილებს გადაეცემოდა. დ. შედგებოდა დედის *მზითევისა* და მონაგებისაგან, ანუ პირადი შრომა-გარჯილობით შეძენილი

ქონებისაგან (მონაგებში ხშირად ნაყიდი ან ომში ,,ხმლით ნაშოები'' ქონებაც იგულისხმებოდა). მემკვიდრეობით მიღებული დ. ემატებოდა მამულს და მის შემადგენელ ნაწილად იქცეოდა.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 7, თბ., 1984. *ი. ფუტკარაძე.*

დეეტერსი (Deeters) გერჰარდ ულრიხ ვოლდემარ (8. VIII. 1892, ლემბურგი, – 19. X. 1961, ბონი), გერმანელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი და კავკასიოლოგი. ლაიფციგის უნ-ტის ასისტენტი (1927–32), ბონის უნ-ტის პროფესორი (1935–60). 1922–25 სწავლობდა შედარებით ენათმეცნიერებას იენასა და მიუნხენში. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე ,,ქართველური ზმნა''. 1930–34 იყო ა. *დირის* მიერ დაარსებული ჟურნ. ,,კაუკაზიკას'' (,,Caucasica'') გამომცემელი, ხოლო 1937–60 გამოსცემდა ჟურნ. ,,Indogermanische Forschungen'' (,,ინდოგერმანული ძიებანი''). დ-ს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი ქართ. და სხვა ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტ. საკითხებზე, მ. შ. აღსანიშნავია მონოგრაფია ,,ქართველური ზმნა'' (1930), რ-შიც საფუძვლიანად არის გაანალიზებული ქართველურ ენათა შედარებითი მორფოლ. მრავალი საკვანძო საკითხი, ახლებურად არის დასმული საერთო-ქართველური ფუძეენის დიფერენციაციის პრობლემა. დ-მა არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ქართ. (ქართველური) ენისა და სომხურის ურთიერთმიმართების საკითხებს. მას ეკუთვნის გამოკვლევა ქართ. დამწერლობის ისტორიის შესახებ. მისი აზრით, ქართ. დამწერლობა ბერძნულიდან მომდინარეობს და ის საქართვ. გაქრისტიანების შემდეგ არის შექმნილი. დ-მა გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი ქართ. ლიტრის შესახებ. მისი წიგნი ,,ქართული ლიტერატურა'' არის ქართ. მწერლობის ისტორიის (V–XX სს.) მოკლე მიმოხილვა. დაბეჭდა რამდენიმე სტატია შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსნის'' შესახებ. დ. იყო კავკ. ენების ცნობილი სპეციალისტი. აღზარდა ქართველური ენების არაერთი გამოჩენილი მკვლევარი (ფ. *ნაისერი*, კ. ჰ. *შმიდტი* და სხვ.).

თხზ.: Armenisch und Südkaukasisch, «Caucasica», fasc. 3–4, Lpz., 1926–27; Eine Tscherkesische Grammatik, იქვე, fasc. 9, Lpz., 1931; Die Abchasische Sprachbau, «Nachrichten der Gesellschaft der Wissenschaften», Gött., 1931; Die Kaukasische Sprachen, «Handbuch der Orientalistik», hrsg. von B. Spuler, I Abt., Bd. 7, Leiden–Köln, 1963; Georgische Literatur, იქვე.

ლიტ.: რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი შ., გერჰარდ დეეტერსი და ქართული ლიტერატურა, «უცხო ენები სკოლაში», 1973, № 3; L a n g D. M., Professor Gerhard Deeters, «Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie», v. 11–12, P., 1961. *ზ. სარჯველაძე.*

დევდარაკი, ხეობის მყინვარი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, მყინვარწვერის მასივის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, მდ. ყაბახის (თერგის მარცხ. შენაკადი) სათავეში. სიგრძე 7,0 *კმ*, ფართ. 7,5 *კმ*². მყინვარის ენა ეშვება ზ. დ. 2260 *მ* სიმაღლემდე.

დ. ტურიზმის ობიექტია. დ-ის ბოლოსა და ბართქორთის ქედზე გადის მყინვარწვერზე ასასვლელი ერთ-ერთი მოხერხებული გზა.

ცნობილია მყინვარის ინტენს. მოძრაობით გამოწვეული ნგრევები (XVIII ს. 70-იანი წლებიდან XIX ს. 70-იანი წლების ბოლომდე), რაც იწვევდა წყლის შეგუბებას და კატასტროფულ წყალმოვარდნებს დარიალის ხეობაში, ზიანდებოდა საქართველოს სამხედრო გზა.

დევდარაკი, მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, მყინვარწვერის მასივის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, მდ. ამალის (თერგის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 4,5 *კმ*, აუზის ფართ. 17,8 *კმ*². სათავეს იღებს დევდარაკის მყინვარიდან, ზ. დ. 2260 *მ* სიმაღლეზე. *ა. ჯავახიშვილი.*

დევდარიანი ზაქარია (შაქრო) დავითის ძე (1836 – XX ს. დასაწყისი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1901). მონაწილეობდა ყირიმის (1853–56), რუს.-ოსმ. (1877–78) ომებში. 1859-იდან მსახურობდა მე-13 ლაიბგრენადერთა პოლკში, შემდეგ – კავკ. სამხ. ოლქის შტაბში საინტენდანტო თანამდებობებზე. 1901 დაითხოვეს კავკ. სამხ. საოლქო ეგზეკუტორის თანამდებობიდან.

დაჯილდოებულია წმ. სტანისლავის, წმ. ანას და წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით. *ლ. დოლიძე.*

დევდარიანი თამაზ ლევანის ძე (17. VI. 1937, თბილისი, – 27. VI. 1989, იქვე), მოქანდაკე. საქართვ. დამს. მხატვარი (1979). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1961, პედაგოგები – ს. კაკაბაძე, კ. მერაბიშვილი) და თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (1966). 1961-იდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. 1978–86 იყო თბილ. ქანდაკების კომბინატის მთ. მხატვარი. მნიშვნელოვანი ნამუშევრები: ,,ახალგაზრდა მეცნიერი'' (1961), ,,ქალიშვილის პორტრეტი'' (1962), ,,ძმათა სასაფლაოზე'' (1964; სამივე საქართველოს ეროვნ. გალერეა, თბილისი), ,,კოლმეურნე'' (1976), ,,მამა'' (1980; ორივე ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი), ,,წერილი ფრონტიდან'' (1986), ,,ალპინისტი'' (1987; ორივე სურათების გალერეა, მოსკოვი), არის ვეფხისტყაოსნისადმი მიძღვნილი სერიის ავტორი (1966–67, ჭედურობა) და სხვ. მხატვრულად



თ. დ ე ვ დ ა რ ი ა ნ ი. ქანდაკება ,,მამა''. ტონირებული თაბაშირი. 1980. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.

გააფორმა ზ. ფალიაშვილის სახლმუზეუმის მუდმივი ექსპოზიცია (1962). შექმნა ქართვ. მუსიკოსთა ბარელიეფები. 1962–88 აქტიურად მონაწილეობდა საზღვარგარეთის ქვეყნებში მოწყობილ სამხატვრო გამოფენებში.

დევდარიანი იური სეითის ძე [4 (17). VIII. 1909, ქ. ვოლოგდა, – 15. VI. 1989, თბილისი], ჰიდროტექნიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1965), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1974). დაამთავრა ლენინგრადის წყლის ტრანსპ. ინჟინერთა ინ-ტი (1930). 1930–41 მუშაობდა თბილისში ,,ჰიდროენერგოპროექტში'', 1941-იდან – საქართვ. ენერგეტ. და ჰიდროტექ. ნაგებობათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (1971-იდან საქართვ. მეცნ. აკად. ა. დიდებულიძის სახ. ენერგეტიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი). 1958–79 იყო ამ ინ-ტის ჰიდროტექ. განყ-

ბის გამგე, 1979–86 – სექტორის გამგე, 1986–89 – წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი. მისი შრომები ეხება უმთავრესად ენერგოსისტემების განვითარების საკითხებს.

თხზ.: Вопросы определения параметров ГЭС..., კრ.: Оптимизация параметров и режимов компонентов водохозяйственного комплекса, М., 1973.



კ. დევდარიანი.


დევდარიანი კლავდია მანუილის ასული [20. IX. 1910, სოფ. მირონწმინდა (ახლანდ. წითელხევი), ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, – 21. III. 2003, თბილისი], მწერალი. საქართვ. დამს. მასწავლებელი (1970). დაამთავრა ქუთ. ქალთა სასწავლებელი (1926), შემდეგ თსუ-ის ენისა და ლიტ-რის ფაკ-ტი (1930). სხვადასხვა დროს მუშაობდა ხარაგაულში – მასწავლებლად, თბილისში – საქართვ. მწერალთა კავშირში (საბავშვო სექციის მდივანი), საქართვ. განათლების სამინისტროში, მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრში (სამხატვრო საბჭოს წევრი). 1932-იდან თანამშრომლობდა ქართ. ჟურნალ-გაზეთებთან; 1934 ჟურნ. ,,პიონერში'' გამოაქვეყნა პირველი საბავშვო მოთხრობა ,,აღარ დაბრუნდა''. საბავშვო მოთხრობების კრებ. ,,ნიას ქოჩორა'' 1941 გამოსცა. დ-ს ეკუთვნის: ,,მოთხრობები'' (1950), ,,დიდ გზაზე'' (1951); ბიოგრ. რომანები: ,,სიჭაბუკე პოეტისა'' (1957; ცალკე წიგნად, 1960), ,,სიცოცხლე და უკვდავება'' (1964, 1988), ,,ყმაწვილკაცობა მემატიანისა'' (1980); რომანები: ,,ძველი ფუძე'' (1966), ,,ორი რომანი'' (1988); მოთხრობა ,,დრო და სივრცე'' (1970, 1975, 1989); მხატვრული ნარკვევი ,,ცრემლი ვაზისა'' (1988); პიესა ,,დღეს ჩვენ ვფიქრობთ ბარათაშვილზე'' (დაიდგა თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრში 1970) და სხვ. დავჯილდოებულია ი. გოგებაშვილის სახ. მედლით (1970), შიო მღვიმელის სახ. პრემიით (1989), ღირსების ორდენით (1999).

დევდარიანი სეით სარდიონის ძე (1879 – 21. IX. 1937), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, საქართვ. ს.-დ. პარტიის წევრი (1900-იდან) და ერთ-ერთი ლიდერი. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია (1898) და ხარკოვის უნ-ტი. XX ს. 10-იან წლებში იყო ს.-დ. ერთ-ერთი ლიდერი ხარკოვში. 1917 დაბრუნდა სამშობლოში. 1917–19 – იყო საქართვ. ეროვნ. საბჭოს, ხოლო 1919–21 – საქართვ. დემოკრ. რესპ. დამფუძნებელი კრების წევრი. ბოლშევიკური რუს. მიერ საქართვ. ანექსიის (1921, თებ.–მარტი) შემდეგ აქტ. ჩაება საქართვ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში. 1921–24 იყო საქართვ. ს.-დ. პარტიის არალეგ. ცენტრ. კომიტეტის თავ-რე. 1922–24 საქართვ. ანტისაბჭ. ინტერპარტ. პარიტეტული კომიტეტის (იგივე *დამოუკიდებლობის კომიტეტის*) წევრი. გარდა პოლიტიკურისა, დ. ეწეოდა აქტ. საზოგადოებრივ და პუბლიც. მოღვაწეობას. 1937 რეპრესიების დროს დახვრიტეს.

თხზ.: საქართველოს ეკონომიკური ვითარებისათვის, ტფ., 1920; ილია ჭავჭავაძე (ფილოსოფია, სოციოლოგია, ესთეტიკა), გაზ. «ლიტერატურული საქართველო», 1936, №13–15.

ლიტ.: ჩ უ ბ ი ნ ი ძ ე ვ., მოგონება. წიგნი მეორე, პარიზი, 1953; ავჯანყება–1924. საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ, თბ., 1994 (პირველად გამოიცა 1925 წ.). *ლ. ურუმაძე.*

დევეგიანის ნამოსახლარი, XII–XIII სს. ძეგლი მდ. ფშავის არაგვის მარჯვ. ნაპირზე, დევეგიანად წოდებულ ადგილზე (დუშეთის მუნიციპალიტეტი). 1974 ნამოსახლარი გათხარა ჟინვალის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. რამიშვილი). იგი განლაგებული იყო ხელოვნურ ტერასებზე. თითოეული სამოსახლო კომპლექსი შედგებოდა 3 ძირითადი და 1 ან 2 დამხმარე სათავსისაგან. ტერასის ზედა საფეხურზე განლაგებული იყო საცხოვრებელი და მარანი. კედლები ნაგებია კლდის ნატეხი ქვით ტალახზე. საცხოვრ. ოთახების იატაკი თიხატკეპნილია, შუა ნაწილში კერაა, კედლების გასწვრივ – ქვის ,,ტახტები''. მარანში ქვიტკირის საწნახლები და ქვევრებია. ქვედა საფეხურზე განლაგებულია გომური, რ-ის სახურავი საცხოვრებლისა და მარნისათვის ერთგვარ აივანს წარმოადგენს. დამხმარე სათავსები საჯინიბოებად ან წვრილფეხა პირუტყვის სადგომად გამოიყენებოდა. ერთი კომპლექსი შედარებით დიდია. შემოზღუდულია კლდის ლოდებისაგან მშრალად ნაგები გალავნით, სამხრ. ნაწილს კარიბჭე და ქვისსაფეხურებიანი კიბე აქვს. სავარაუდოა, რომ მასში დიდი ოჯახი ცხოვრობდა, ხოლო დანარჩენი კომპლექსები მისგან ახ. საოჯახო ერთეულების გამოყოფის შედეგადაა შექმნილი. ნამოსახლარზე აღმოჩენილია ერთფრად და ნაირფრად მოჭიქული თიხის ჯამები, ჩალისფერი სასმისები, ხელადები, წითელკეციანი დოქები, ქილები, ქვევრები, სადღვებლები, შავკეციანი სამზარეულო ჭურჭელი, ქვის ხელსაფქვავები, მინის სასმისები, რკინის ისრისპირები, დანები, ნამგლის ფრაგმენტები, სასხლავები, ცხენის ნალები, რუსულად დედოფლის სპილენძის მონეტა და სხვ. სათავსებს გარეთ მოპოვებული კერამ.



დევეგიანის ნამოსახლარი. XII–XIII სს.

მასალის მიხედვით, შესაძლოა ამ ტერასაზე ცხოვრება X–XI სს-შიც დაიწყო. სამოსახლო განადგურებულია ძლიერი ხანძრის შედეგად, რაც ქრონოლოგიურად არაგვის ხეობაში მონღოლთა ურდოების შემოსევებს ემთხვევა. ამის შემდეგ ცხოვრება აღარ განახლებულა. 1985-იდან მოქცეულია ჟინვალ-ჰესის წყალსაცავით დატბორილ ზონაში.

ლიტ.: რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი გ., ,,დევებიანისა'' და ,,დიდრუვის'' ნასოფლარები, კრ.: ჟინვალის ექსპედიცია, თბ., 1981. *გ. რჩეულიშვილი.*

დეველოპერი (ინგლ. Developer <develop – შექმნა, სრულყოფა, განვითარება), მეწარმე, რომელიც უძრავი ქონების ობიექტის მშენებლობიდან იღებს მოგებას. მისი საქმიანობა მდგომარეობს შემდეგში: უკვეთავს პროექტს, ყიდულობს ან არენდით იღებს მიწის ნაკვეთს, უზრუნველყოფს კომუნიკაციების გაყვანას, ობიექტის მშენებლობას ან შეკეთებას, აფინანსებს სამუშაოთა შესრულებას, არენდით გასცემს ან ყიდის შექმნილ ობიექტს. დ-ის საქმიანობას ეწოდება დ ე ვ ე ლ ო პ მ ე ნ ტ ი (Development). ესაა ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა, რ-იც დაკავშირებულია არსებული შენობის ან მიწის ნაკვეთის რეკონსტრუქციასთან ან ცვლილებასთან, რ-ითაც მიიღწევა მათი ღირებულების ზრდა. დეველოპმენტი გულისხმობს აგრეთვე შენობისა და ნაგებობის რემონტსაც – იმ შემთხვევაში, თუ იგი ზრდის გაყიდვის ფასს ან საარენდო განაკვეთს. ასეთ დეველოპმენტს ეწოდება რ ე ნ ო ვ ა ც ი ა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი მოქმედი დეველოპერული კომპანიები ძირითადად გაიგივებულია სამშენებლო კომპანიებთან. ფუნქციონირებს 200-ზე მეტი დეველოპერული კომპანია, რ-თა შორის სამუშაოთა მოცულობისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის მიხედვით ლიდერობენ შემდეგი კომპანიები: ,,აქსისი'', ,,არსი'', ,,ახალი სტილი'', ,,თბილისი'', ,,იბერია-ვარსკვლავი'', ,,სასკო'' და ა. შ.

შ. კერესელიძე.

დევენაანთხევი, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ხევსურთ-სოფლის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ერწოს ქვაბულში, თბილისი – თიანეთის საავტ. გზაზე. ზ. დ. 1080 *მ,* თიანეთიდან 24 *კმ.* 177 მცხ. (2002).

სოფელი ზოგიერთ წყაროში დევენაანთკარადაც იხსენიება. მან ეს სახელწ. აქ მოსახლე გვარის მიხედვით მიიღო. XVIII ს. პირველ მეოთხედში ერწოს მოსახლ. აღწერაში მართლაც მოიხსენიებიან დევნაშვილები.

მნიშვნელოვან გზაზე მდებარეობამ ადრევე შეუწყო ხელი ამ ტერიტორიაზე ადამიანთა სამოსახლოს გაჩენას, რასაც ჟალეთის მხარის დაწინაურებასთან ერთად უნდა ჩაჰყროდა საფუძველი. მას შემდეგ, რაც წმ. ნინომ IV ს-ში ერწო-ჟალეთში ქრისტიანობა იქადაგა და ერწოელები მონათლა, ერწოს ქვაბულის რიგ დასახლ. პუნქტებთან ერთად ეს სოფელიც ქრისტ. რელიგ. და კულტ. საყრდენად იქცა როგორც საქართვ. მთიანეთში, ისე კახეთის სიღრმეში შესაღწევად. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს სოფელში შემორჩენილი ძვ. ეკლესია-სალოცავები. დ-ის მარცხ. ფერდობზე მდებარეობს ძვ. ეკლესია. მისი საკურთხეველი სწორკუთხაა, შემორჩენილია რიყის ქვით და დუღაბით ნაგები აღმ. და ჩრდ. კედლები. აღმ. კედელში დატანებულია სარკმელი, ხოლო სამხრ. და ჩრდ. კედლის კუთხეებში თითო ნიშია.

სამეფო ხელისუფლება და ეკლესია ყოველთვის გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ ტერიტორიებს. XI–XVI სს-ში დ-ის ადგილმამული, ერწოს დიდ ნაწილთან ერთად სვეტიცხოვლის საკუთრებად განიხილებოდა, ხოლო XVII ს-იდან, განსაკუთრებით შაჰ-აბასის დამანგრეველი ლაშქრობების შემდეგ, იგი უფრო კახეთის მეფეთა სახასო საკუთრებად გადაიქცა და მას მეფის მოხელეები მართავდნენ. ამავე დროიდან უნდა ხდებოდეს სოფლის მოსახლ. შევსება ქართვ. მთიელებით, თუმცა ეს პროცესი XVIII–XIX სს-შიც გრძელდებოდა. XVIII ს-იდან სახასო საკუთრებასთან ერთად ჩნდება სათავადო საკუთრებაც. იმდროინდელი სამხ. ტერიტ. დაყოფით, სოფელი გვიანდ. შუა საუკუნეებში რუსთაველი ეპისკოპოსის სადროშოში შედიოდა, როგორც სხვა ,,ერწონი სრულად კომლნი და სახლისა შემძლე მეომარნი''.

XIX ს-იდან დ-ში აქტიურად სახლდებოდნენ ხევსურები. სოფელში მისდევდნენ მესაქონლეობასა და მემინდვრეობას. საბჭ. პერიოდში სოფელი ერწოს მეხორცეობა-მერძევეობის მეურნეობაში იყო გაერთიანებული. ამჟამად მცირე, ინდივიდ. მეურნეობებია.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965; ტ. 3, თბ., 1970.

ლიტ.: თ ო ფ ჩ ი შ ვ ი ლ ი რ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII–XX სს., თბ., 1984; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წგ. 1, თბ., 1967; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, კრ. 4 – ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში, თბ., 1982. *კ. კახაძე.*

დევი, ზღაპრის პერსონაჟი, ბოროტი საწყისი, ეშმაკი, დემონი; უხეში ფიზიკური ძალის განსახიერება, გოლიათი. ქართ. ფოლკლორში დ. ავსულის, ეშმაკის მსგავსია. დ-ის, როგორც პერსონაჟის, სახე შედარებით გვიან ჩამოყალიბდა. ზღაპრული დ. მავნე, ბოროტი არსებაა, ითავსებს *გველეშაპის* ფუნქციებსაც, მრავალთავიანია, შეიძლება იყოს თეთრი, წითელი ან შავი; შთანთქავს მზეს, იტაცებს და ქვესკნელში მალავს მზეთუნახავებს, რ-ებთანაც სამიჯნურო ურთიერთობას ამყარებს. დ. გამოირჩევა გიგანტური გარეგნობით, განუზომელი სიმაღლით. ცხოვრობს ადამიანური ყოფით, ჰყავს ძმები, დედა. სახლობს ქვესკნელში, ზოგჯერ – გამოქვაბულსა ან ჩვეულებრივ სახლში. ხშირად დიდი სიმდიდრის მფლობელია. დ-ის მოკვლა ძნელია მისი სულის მრავალსაფეხურიანი საფარის გამო. აქვს კანიბალური თვისებები: ადამიანის სუნის შეგრძნება და მისი შეჭმის სურვილი. დ-ის საზარელი გარეგნობა ზოგიერთ ქართ. ზღაპარში სატირულ ელფერს იღებს. სიბრიყვითა და უგუნურობით ის ბევრჯერ კომიკურ მდგომარეობაში ვარდება.

ლიტ.: ო ჩ ი ა უ რ ი თ., მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967; ჩ ა ჩ ა ვ ა მ., სპარსულ-ქართული ფოლკლორული ურთიერთობიდან, კრ.: ლიტერატურული ურთიერთობანი, [ტ.] 3, თბ., 1972; ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი მ., მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947. *მ. ჩაჩავა.*

დევის ნამუხლარი, დ ე ვ ი ს ნ ა მ უ ხ ლ ი, ადგილი მუხათგვერდის ქვემოთ; კლდე, რ-იც კეტავდა თბილისიდან ძეგვისკენ მიმავალ გზას. 1561 აპრილში ქართლის მეფე *სიმონ I* თბილისის გასათავისუფლებლად ემზადებოდა და ციხედიდთან ქართლ-კახეთის ლაშქარი შეკრიბა. ბანაკის დასაცავად დ. ნ-თან იდგნენ გუშაგები, რ-თაც ფარეშა გერმანოზიშვილი მეთაურობდა. 6 აპრ., აღდგომის ღამეს, ქართვ. გუშაგები მუხათგვერდში ავიდნენ წირვაზე. ამით ისარგებლეს ყიზილბაშებმა და მოულოდნელად დაეცნენ სიმონის ლაშქარს. ქართველები დამარცხდნენ. იხ. აგრეთვე *ციხედიდის ბრძოლა 1561.*

ლიტ.: თბილისის ისტორია, ტ. 1, თბ., 1990.

დევის პინები, ადრინდელი შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლი (საკულტო ტაძრის ნაშთი და სამაროვანი) მდ. შავი არაგვის ხეობაში, ფასანაურიდან 8 *კმ*-ზე, სოფ. ბახანთან. შეისწავლეს 1959 (ხელმძღვ. ს. ბედუკაძე). ქვის პინა

წარმოადგენს კუბური ფორმის შირიმის ქვას (60 *სმ* × 60 *სმ* × 25 *სმ*), რ-ის შუა ნაწილი კიდეების პარალელურად კვადრატულად (20 *სმ* × 20 *სმ*) არის ამოკვეთილი 18 *სმ* სიღრმეზე. გადმოცემით, ტაძარში, პინებთან, მეწველი ძროხები უნდა მიეყვანათ და რძე პინებში ჩაეწველათ, რაც დაკავშირებული იყო ნაყოფიერების კულტთან. შემორჩენილია ერთი ქვის პინა. იგი დაცულია ფასანაურის რესტორნის ეზოში და გამოყენებულია დეკორაციად.

ლიტ.: მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., მთიულეთი, ტფ., 1930; ხ ო რ ნ ა უ ლ ი გ., მთები და სახელები, თბ., 1983.

ს. კალანდაძე.



დევისხვრელი. კაჟისა და ობსიდიანის იარაღი. ს. ჯვანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

დევის ტბა, ტბა საჩხერის მუნიციპალიტეტში, რაჭის ქედის სამხრ. კალთის ძირში, ზ. დ. 1370 *მ* სიმაღლეზე. უჭირავს ორი კარსტული ძაბრი. ზედაპირის ფართ. 0,018 *კმ*^{2}, მაქს. სიღრმე 10,7 *მ*, მოცულობა 72 ათ. *მ*^{3}. ტბიდან წყალი მიწისქვეშა გზით გადის.

დევისხვრელი, ზედა პალეოლითის ხანის ადამიანის მღვიმენამოსახლარი მდ. ჩხერიმელის მარჯვენა ნაპირას, სოფ. ლაშესა და ხარაგაულს შორის, ხანდების კლდეში, მდინარის დონიდან 80 *მ* სიმაღლეზე (ზ. დ. 280 *მ*). მღვიმე კარსტული წარმოშობისაა (სიღრმე 40 *მ*, შესასვლელის სიმაღლე 5 *მ*, სიგანე 4 *მ*). 1926–31 გათხარეს (გ. ნიორაძე) 1,20 *მ* საერთო სიმძლავრის 4 ფენა, რ-თაგანაც ადამიანის ცხოვრების ნაშთები იყო ზევიდან მესამე ფენაში. აღმოჩნდა კაჟისა და მცირე რაოდენობით ობსიდიანის იარაღი (მოგრძო ლამელებზე ნაკეთები საჭრისები და საფხეკები, მიკროლითური სახვრეტები, გრავეტისა და შატელპერონის ტიპის დანები, მაღალი ფორმის საფხეკები, ხელშუბისპირები), ლამელები, ნუკლეუსები და ანამტვრევ-ანატკეცები, რიყის ქვის ხელჩაქუჩი, აგრეთვე კაჟის იარაღის წარმოებასთან დაკავშირებული ხელსაწყოები (გრდემლი, რქისა და კაჟის კომპრესორები). საყურადღებოა ამავე ფენაში განათხარი ადამიანის ქვედა ყბის მარჯვ. ნახევრის (ზედა ორი კბილით) აღმოჩენა. გ. ნიორაძემ **დ.** ასაკობრივად ევროპის ზედა ორინიაკს და ჩრდ. აფრიკის ძვ. კაფსიის კულტურას დაუკავშირა, ს. ზამიატნინმა კი ამიერკავკ. ზედა პალეოლითური კულტ. მეორე ქრონოლ. ჯგუფში გააერთიანა.

დ.-ის შესწავლამ დასაბამი მისცა საქართველოში ქვის ხანის ძეგლების სისტემ. არქეოლ. კვლევა-ძიებას.

ლიტ.: ნ ი ო რ ა ძ ე გ., პალეოლითის ადამიანი დევისხვრელში, ტფ., 1933 (საქართველოს მუზეუმის შრომები, ტ. 6).

ნ. ბერძენიშვილი.



დეზურა. შესანიშნავი დეზურა (Delphinium speciosum).

დევიძე ალექსანდრე დავითის ძე (1886, სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 5. II. 1940, თბილისი), მათემატიკოსი, პედაგოგი, მათემატიკური განათლების ერთ-ერთი ორგანიზატორი საქართველოში. დაამთავრა ქუთ. რეალური სასწავლებელი (1906), შემდეგ ნოვოროსიის (ოდესის) უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი (1910). 1917 დაინიშნა სამტრედიის ახალგახსნილი გიმნაზიის დირექტორად. 1930–40 იყო საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის მათ. კათედრის გამგე, პარალელურად მუშაობდა თსუ-ში.

დ.-მ სხვებთან თანაავტორობით შექმნა მათ. 20-მდე სახელმძღვანელო, რ-ებიც 1923–40 ქართ. სკოლებისათვის ძირითადი ლიტ-რა იყო მათემატიკაში.

თხზ.: სწორხაზოვანი ტრიგონომეტრია, თბ., 1923 (თანაავტ. ა. ხარაბაძე); ალგებრა. პროგრესიები, ლოგარითმები, რთული პროცენტები, შეერთებანი და ნიუტონის ბინომი, თბ., 1926.

ვ. პარკაძე.

დევრა, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის ჭუბერის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), კოდორის ქედის აღმ. კალთაზე, მდინარეების დევრისა და ნენსკრის შესართავთან. ზ. დ. 1020 *მ*, მესტიიდან 87 *კმ*. 58 მცხ. (2002).

დეზურა (Delphinium), მცენარეთა გვარი ხარისძირასებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახებია. აქვთ თათისებრ განკვეთილი ფოთლები და ლურჯი, ცისფერი, იისფერი, იშვიათად მოყვითალო ყვავილები, რ-ებიც შეკრებილია საგველა ან მტევნისებრ ყვავილედებად. ყვავილსაფრის ზედა ფოთოლი დეზიანია, ნაყოფი – ფოთლურა. გვარში 300-ზე მეტი სახეობაა; გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროში, აგრეთვე ტროპ. აფრიკის მთებში. საქართველოში 18 სახეობაა, მ. შ. ელისაბედის **დ.** (D. elisabethae) საქართვ. ენდემია, ხოლო სამი (კავკასიური **დ.** – D. caucasicum, შესანიშნავი **დ.** – D. speciosum; ნაზი **დ.** – D. bracteosum) კავკასიის ენდემი. **დ.**-ს უმეტესობა მთის სახეობებია; იზრდება მაღალბალახეულობაში, სუბალპ. ტყეებში, ტყეების პირებზე, მდელოებზე, აგრეთვე, ღორღიან და ქვიან ადგილებზე. ზოგ სახეობას, რ-იც ალკალოიდებს შეიცავს, იყენებენ მედიცინაში, ზოგს – საღებავად, ზოგიც თაფლოვანია.

რ. გაგნიძე.

დეიზმი (ლათ. Deus – ღმერთი), რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა, უარყოფს რელიგიებს (დაფუძნებულს წმინდა წიგნებზე, რ-ებშიც ღმერთის სიტყვაა გამოცხადებული), რელიგ. სასწაულებს, წინასწარმეტყველებსა და საიდუმლოს, თუმცა აღიარებს იმ უზენაესი არსების ან ღმერთის არსებობას, რ-მაც შექმნა სამყარო და ადამიანებს მისცა მისი შემეცნების უნარი – გონება, რაც, ამავე დროს, არის რელიგ. ჭეშმარიტების ერთადერთი საზომი. **დ.**-ის მიხედვით ჭეშმარიტი რელიგია არის ბუნებრივი რელიგია, რ-იც კაცობრიობის ჩასახვის დროიდან არსებობს ყველა ხალხში, როგორც წარმოდგენათა ერთობლიობა უზენაესი ძალის, პირველი მიზეზის, ღმერთის შესახებ. დეისტებს მიაჩნიათ, რომ ტრად. რელიგიების (ქრისტიანობის, ისლამისა და სხვ.) შექმნას საფუძვლად ედო პოლიტიკური ტირანიისა და საეკლ. ძალაუფლების ინტერესებთან შერწყმული ადამიანთა მიმნდობლობა. **დ.** განსაკუთრებით გავლენიანი ხდება XVII–XVIII სს. ინგლისში, საფრანგეთსა და აშშ-ში. ინგლისში **დ.**-ის ფუძემდებლად ითვლება ე. ჰერბერტ ჩერბერიელი (1583–1648, ინგლისელი ფილოსოფოსი, პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე). იგი თვლის, რომ ბუნებრივი რელიგ. პრინციპით არსებობს უზენაესი არსება, რ-საც თაყვანი უნდა ვცეთ; ღმერთის თაყვანისცემა სათნო და ღვთისმოსავი ცხოვრებაა; დანაშაული და უზნეო ქცევა მხოლოდ სინანულით გამოისყიდება, მიზღვა ხდება საიქიო ცხოვრებაში. დეისტებს შორის გამორჩეულები იყვნენ: ინგლისში – ჯ. ლოკი (1632–1704), ჯ. ტოლანდი (1670–1722), ჯ. ა. კოლინზი (1676–1733), დ. ჰიუმი (1711–76); საფრანგეთში – შ. მონტესკიე (1689–1755), ვოლტერი (1694–1778), ჟ.-ჟ. რუსო (1712–78), მ. რობესპიერი (1758–94); გერმანიაში – ჰ. ს. რეიმარუსი (1694–1768); აშშ-ში – ბ. ფრანკლინი (1706–90), ტ. პეინი (1737–1809), თ. ჯეფერსონი (1743–1826), ე. პალმერი (1764–1806). XIX ს. დასაწყისიდან **დ.** თანდათან კარგავს გავლენას, თუმცა ის დღესაც საკმაოდ პოპულარულია – არსებობს დეისტთა საერო გაერთიანებები

(კლუბების მსგავსი), მ. შ. დეისტთა მსოფლიო კავშირი.

XVIII ს. ბოლოდან ტერმინმა დ. მიიღო მეორე მნიშვნელობაც – ის აღნიშნავს თვალსაზრისს, რ-ის თანახმადაც სამყაროს შექმნის შემდეგ ღმერთი მის ,,ცხოვრებაში'', ე. ი. მოვლენათა მსვლელობაში, აღარ ერევა, არ ახდენს გავლენას მასზე (შესაბამისად, ადამიანის ლოცვა-ვედრება და იმედები არის არაფრის მომტანი, უნაყოფო). ამის გამო ამ თვალსაზრისს ,,უფლის თანამხლების'' კონცეფციას უწოდებენ.

დ. საქართველოში ვრცელდებოდა ქართველი ვოლტერიანელების მიერ. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა იოანე და დავით ბატონიშვილების შრომები; კერძოდ, იოანე ბატონიშვილის ,,კალმასობა'' აშკარად ატარებს ვოლტერის დეისტური რელიგიის გავლენის კვალს. იგივე ითქმის დავით ბატონიშვილის რომანის ,,ახალი შიხის'' შესახებაც. მათ გარდა ვოლტერის მოძღვრების დეისტური ასპექტის გამოვლინებაში გარკვეული წვლილი მიუძღვით ა. ჭავჭავაძეს, ი. გარსევანიშვილს, პ. ყიფიანს, ჯ. ჯორჯიკიას, ზ. ჭიჭინაძეს, ი. მანსვეტაშვილსა და სხვ.

საქართველოში ვოლტერიანელობის გავრცელებასა და მისი დეისტური იდეოლოგიური შინაარსის კვლევის ისტორიას გულმოდგინედ სწავლობდნენ რ. დოდაშვილი და ლ. ნ. *ასათიანი.*

ლიტ.: ასათიანი ლ., ვოლტერიანელობა საქართველოში, ტფ., 1933.

ლ. მჭედლიშვილი.

დეისი, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოლითის თემში (იმერეთის მხარე), მესხეთის ქედის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. ჩხერიმელის (ძირულის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 700 *მ,* ხარაგაულიდან 20 *კმ,* მოლითიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ.* 265 მცხ. (2002).

დ. წყაროებში პირველად XVIII ს-შია მოხსენიებული გდეისის სახელწოდებით, თუმცა ი. *გიულდენშტედტი* სოფელს ,,დ-ს'' უწოდებს. 1711 **დ.** ქართლის სააბაშიოს შემადგენლობაში შევიდა, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან ძალადობრივი შეერთების შემდეგ – გორის მაზრაში, ხოლო ქუთაისის გუბ. შექმნის შემდეგ – შორაპნის მაზრაში. სოფელში დგას XIX ს. წმ. კვირიკეს ეკლესია. ნაგებია ჭალის თლილი ქვის სწორი რიგებით. *თ. ბერაძე.*

დეკა (Rhododendron caucasicum), რელიქტური მცენარე მანანასებრთა ოჯახისა, როდოდენდრონის გვარისა. მარადმწვანე დაბალი (1–1,5 *მ*) ბუჩქია. მიწაზე გაწოლილი ღეროები და რკალისებრ წამოწეული ტოტები აქვს. მისი მოგრძო ფოთლების ზედა მხარე შიშველია, ქვედა კი – ქეჩისებრ ბუსუსიანი. თეთრ ან მოყვითალო მეტად ლამაზ ზარისებრ ყვავილებს დაყვავილებისას ზოგჯერ ვარდისფერი გადაჰკრავს. ნაყოფი ხუთბუდიანი კოლოფია. გავრცელებულია კავკ. სუბალპ. და ალპ. სარტყელში ზ. დ. 1600–3000 *მ*-მდე. გვხვდება აგრეთვე თურქეთში – პონტოს მთებში, კავკ. დას. ნაწილში. ხარობს ყველანაირ ფერდობზე, აღმ. რ-ნებში ჩრდ. კალთებს ეტანება. ჩვენს სუბალპ. ტყეებში (არყნარები, წიფლნარები) იზრდება ძალზე შეკრულ ქვეტყედ, ალპ. სარტყელში კი ქმნის ასევე ხშირ რაყას – *დეკიანს.* ყვავილობს ივნ.-ივლისში, ნაყოფი მწიფდება აგვ.-სექტემბერში. ფოთოლი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს.



დეკა კავკასიური (Rhododendron caucasicum).

მ. სახოკია.

დეკაბრისტები, რუსი რევოლუციონერები, რ-ებიც 1825 დეკემბერს აჯანყდნენ თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ დეკაბრისტული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში (1816–25), განსაკუთრებით კი მისი დამარცხების შემდეგ, მეფის მთავრობა კავკასიაში ასახლებდა ოპოზიციურად განწყობილ ახალგაზრდებს. საქართველოში მსახურობდნენ პოეტი ვ. *კიუხელბეკერი,* ლიტერატორები ე. ლაჩინოვი და პ. მუხანოვი, აგრეთვე ფარული საზ-ბის წევრები ან აჯანყების მონაწილეები: ა. იაკუბოვიჩი, თ. ბაშმაკოვი, ა. ავენარიუსი, დეკაბრისტულ წრეებთან დაახლოებული ა. *გრიბოედოვი* და სხვ. ისინი ხშირად იკრიბებოდნენ თბილისში და მსჯელობდნენ აქტუალურ პოლიტ. და ლიტ. საკითხებზე. როგორც ჩანს, ეს იყო არა ორგანიზაციულად გაფორმებული ფარული საზ-ბა, არამედ თანამოაზრე მეგობართა გარკვეული წრე, რ-ებიც დიდი ინტერესით სწავლობდნენ საქართველოს ცხოვრებას. მაგ., ვ. კიუხელბეკერი 1821 მიწურულიდან თბილისში მსახურობდა და ხშირად ხვდებოდა თავის მეგობარ ა. გრიბოედოვს. მან არაერთ ნაწარმოებში გამოხატა სიყვარული ,,მშვენიერი გურჯისტანისადმი'' (ლექსი ,,ბედმა ალერსი მე არ მარგუნა'', პოემა ,,იური და ქსენია'' და სხვ.). რუს.-ირან. 1826–28 და რუს.-ოსმ. 1828–29 ომების დროს კავკასიაში გადაიყვანეს 65-მდე დეკაბრისტი ოფიცერი, აჯანყების მონაწილე 2 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ამ მოძრაობასთან დაკავშირებული მრავალი მოღვაწე. **დ.** საქართველოში ავრცელებდნენ რევ. იდეებს. **დ**-ის გარკვეული გავლენა განიცადეს 1832 შეთქმულების რადიკალურად განწყობილმა მონაწილეებმა, კერძოდ, ს. დოდაშვილმა და გ. ორბელიანმა. ამ უკანასკნელმა კ. რილეევის ,,ნალივაიკოს აღსარება'' ქართულად გადმოაკეთა და ფარული საზ-ბის კრებაზე წაიკითხა. გადმოსახლებულთა შორის იყვნენ ლიტერატორები და ჟურნალისტები, მაგ., ვ. სუხორუკოვი, ა. ვედენიაპინი, გ. ორჟიცკი, ი. ბურცოვი, ნ. ცებრიკოვი, ძმები ბესტუჟევები. 30-იან წლებში მათ შეუერთდათ ს. კრივცოვი, ვ. ნოროვი, ა. კორნილოვიჩი, ა. ოდოევსკი და სხვ. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ა. *ბესტუჟევი* (მარლინსკი) და ა. ოდოევსკი, რ-ებმაც მრავალი აღფრთოვანებული ფურცელი უძღვნეს საქართვ. და კავკასიას.

ლიტ.: ბარამია ლ., დეკაბრისტები საქართველოში, თბ., 1955; რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, შემდგ. ვ. შადური, ტ. 1, თბ., 1949; სურგულაძე ა., ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, თბ., 1968.

ვ. შადური.

დეკადენტობა (ფრანგ. decadence<გვიანდ. ლათ. decadentia – დაცემა), XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისის ევროპულ კულტურაში უიმედობისა და ცხოვრებისაგან განდგომის, ინდივიდუალიზმის განწყობილებათა გამოხატულება. **დ.** ქადაგებს სამოქალაქო მოტივებისა და პოლიტიკისაგან თავისუფალ ხელოვნებას – ,,ხელოვნებას ხელოვნებისათვის''. მისთვის დამახასიათებელია უკიდურესი ინდივიდუალიზმი, მისტიციზმი.

დეკადენტური განწყობილების გამომხატველი ლიტ. მიმდინარეობანია სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, იმპრესიონიზმი, სიურრეალიზმი და სხვ. დეკადენტური ხელოვნების ზოგიერთი თავისებურება გაერთიანებულია ტერმინით *მოდერნიზმი.* **დ**-ის მოტივები მრავალი გამოჩენილი ხელოვნის შემოქმედებაში აისახა, თუმცა ყველას შემოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს დეკადენტურად.

დეკადენტური მოტივები ლიტ-

რაში პირველად ფრანგ სიმბოლისტებთან გაჩნდა (პ. ვერლენი, ა. რემბო, ს. მალარმე), რ-თა იდეები და განწყობილებანი შემდგომ განავითარეს საფრანგეთში – პ. ვალერიმ, პ. კლოდელმა, ა. ჟიდმა, მ. პრუსტმა და სხვ.; ინგლისში – დ. გ. როსეტიმ, ო. უაილდმა; გერმანიაში – შ. გეორგემ; იტალიაში – გ. დ'ანუნციომ; ბელგიაში – მ. მეტერლინკმა; ავსტრიაში – ჰ. ჰოფმანსთალმა, რ. მ. რილკემ; რუსეთში – სიმბოლისტმა პოეტებმა (ნ. მინსკი, დ. მერეჟკოვსკი, ზ. გიპიუსი, თ. სოლოგუბი, ვ. ბრიუსოვი, კ. *ბალმონტი*, ა. *ბელი*) და ნატურალისტმა პროზაიკოსებმა (მ. არციბაშევი, ა. კამენსკი და სხვ.).

XX ს. დასაწყისის ქართ. ლიტ-რაში მეტ-ნაკლებად შეიმჩნევა დეკადენტური მოტივები. სასოწარკვეთილებისა და უიმედობის, დაცემულობისა და სულიერი მარტოობის განცდამ თავი იჩინა იმ ქართვ. პოეტთა შემოქმედებაში (ა. *აბაშელი*, გ. *ტაბიძე* და სხვ.), რ-ებისთვისაც უცხო იყო დეკადენტური მსოფლაღქმა. დ-ის ესთეტ. პოზიციებს ნაწილობრივ იზიარებდნენ ,,ცისფერყანწელები'' (პ. *იაშვილი*, ტ. *ტაბიძე*, ვ. *გაფრინდაშვილი*, გ. *ლეონიძე*, კ. *ნადირაძე*, შ. *აფხაიძე*, რ. *გვეტაძე*). 20-იანი წწ. დასაწყისში დ-ს მნიშვნელოვანი ხარკი გადაუხადა ტ. *გრანელმა*. გ. *როგაქიძემ* თავისი ლექციებით და მხატვრული შემოქმედებით ხელი შეუწყო მის გავრცელებას. დ-ის გავლენა განიცადეს კ. *გამსახურდიამ* და ,,აკადემიური მწერლობის კავშირის'' ზოგიერთმა სხვა წარმომადგენელმა. *თ. ბარბაქაძე.*

დეკანაშვილები, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტში, მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. აჭარისწყლის მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: დ., განახლება, გოდგაძეები, გუდასახო, დიაკონიძეები, დუაძეები, ელელიძეები, კურცხალი, ოქრუაშვილები, უჩხო, ქედლები, ძირკვაძეები). ზ. დ. 1000 *მ*, ხულოდან 1 *კმ*. 908 მცხ. (2002).

სახელი ეწოდა დეკანაძეების საგვარეულოს მიხედვით.

დეკანოზი, 1. მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა იერარქიის მეორე ხარისხის მღვდლის საპატიო წოდება. დ-ის წოდება ეძლევათ მხოლოდ თეთრი სამღვდელოების წარმომადგენლებს. ტერმინი შეიძლება მომდინარეობდეს ბერძნ. სიტყვიდან ,,დეკა'' (ათი). დეკანოზი შეიძლება იყოს საეკლ. ოლქის ზედამხედველი და რამდენიმე ტაძრის წინამძღვარი; 2. აღმ. საქართველოს მთაში ხატის მსახური, რ-იც სახატო რიტუალს (დროშებისა და ხატების გამოსვენება, დალოცვა, მსხვერპლის შეწირვის წესი) ასრულებდა და ხატის ქონებას განაგებდა. *ვ. კობახიძე.*

დეკანოზიშვილი ანდრია გაბრიელის ძე (1867, სოფ. რუისი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 1955, ქ. დრავეილი, საფრანგეთი), მწერალი, პუბლიცისტი, საზ. მოღვაწე. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია (1891), ნოვოროსიის (ოდესა) უნივერსიტეტის იურიდ. ფაკ-ტი (1897). XIX ს. 90-იანი წლების ბოლოს იმყოფებოდა ევროპაში, პოლონეთსა და საფრანგეთში. იმავე წლებში დაბრუნდა საქართველოში, თანამშრომლობდა ,,ცნობის ფურცელსა'' და სხვა ქართულ გაზეთებთან. გამოქვეყნებული აქვს 5 ნოველა ,,კვალში'' (,,პეპელა'', 1893; ,,დაღუპული'', 1893; ,,სულერთია, ხომ ვეღარ გამობრუნდება'', 1895; ,,ის კი მიდიოდა'', 1896; ,,სხვისია, სხვისი!'' 1897). ნოველები ითარგმნა რუსულად.

დ. 1901 წლიდან დაუახლოვდა გაზ. ,,ცნობის ფურცლის'' ეროვნულ-რადიკალურ ჯგუფს. შემდგომში იგი აირჩიეს საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საინიციატივო ჯგუფის მთავარ კომიტეტში ა. ჯორჯაძესთან, გ. *დეკანოზიშვილთან*, გ. *ლასხიშვილთან* და ვ. *ლორთქიფანიძესთან* ერთად. ამ კომიტეტის ბაზაზე და მისი ძალისხმევით შეიქმნა პირველი ეროვნული მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაცია საქართველოში – სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია.

დ. მონაწილეობას იღებდა პარტიის პროგრამის შემუშავებასა და, საერთოდ, მის საქმიანობაში.

დ. იყო საზოგადოება ,,ჩემო-ს'' წარმომადგენელი ჰააგაში (1920). 1921-იდან იმყოფებოდა ემიგრაციაში.

ლიტ.: ლასხიშვილი გ., მემუარები, თბ., 1934, 1992; შველიძე დ., პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ფედერალისტები, თბ., 1993; წოწელია ვ., მოთხრობები, თბ., 1965. *დ. შველიძე.*

დეკანოზიშვილი გიორგი გაბრიელის ძე [1868, პეტროვსკი (ახლანდ. მაჰაჩყალა, დაღესტნის ავტ. რესპ.), – 19. XI. 1910, კანი, საფრანგეთი], პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართვ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი (1901) და ლიდერი, 1890-იდან საქართვ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის აქტ. მონაწილე. დაამთავრა თბილისის რეალური სასწავლებელი (1887) და პეტერბურგის სამთო ინ-ტი (1892). 1890 პეტერბურგში შექმნა ქართვ. და სომეხ სტუდენტთა კავშირი, რ-იც მალე დაიშალა. 1889–92 იყო პეტერბურგის ქართვ. სტუდენტთა წრის ლიდერი და რუს. იმპერიის უმაღლ. სასწავლებლების სტუდენტთა პოლიტ. მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. 1892 დ-ის აქტ. მონაწილეობით ქუთაისში დაფუძნდა რუს. იმპერიის ქართვ. სტუდენტთა გაერთ. პოლიტ. ორგანიზაცია ,,საქართველოს თავისუფლების ლიგა''.

1892–95 დ. მუშაობდა ჭიათურაში, ნ. ღოღობერიძის მანგანუმის სამრეწვ. ფირმის ინჟინრად და საბადოს გამგედ, 1895–98 – ბაქოს ნობელების ნავთობგადამამუშავებელი ფირმის კონტროლიორ-ინსპექტორად. 1899 მივლინებულ იქნა ევროპაში (ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი). პარიზში ცოლად შეირთო ფრანგი ქალი ანრიეტა ფრენუა. 1900 სამშობლოში დაბრუნდა. 1902 გ. ზდანოვიჩის (მაიაშვილი) დავალებით, მანგანუმის წარმოების იქაური მეთოდების შესასწავლად, იმოგზაურა ბრაზილიასა და კუბაში. დაბრუნების შემდეგ დაწერა მონოგრაფია აღნიშნულ ქვეყნებში მანგანუმის მრეწვ. შესახებ (გამოიცა 1905 ქუთაისში, ქართვ. და რუს. ენებზე).

1900 ქართვ. სოციალისტ-ფედერალისტთა პირველმა ჯგუფმა დ-ის თაოსნობით თბილისში გამოსცა გაზ. ,,ცნობის ფურცელი'' (მანამდე, 1896–1900, იგი თანამშრომლობდა გაზ. ,,ივერიასთან''). 1901 დ-ის, ა. ჯორჯაძის, თ. სახოკიას, კ. აბაშიძის, ა. დეკანოზიშვილის, გ. ლასხიშვილისა და სხვათა თაოსნობით თბილისში, ფარულ კრებაზე, დაარსდა საქართვ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია; დ. ცკ-ის წევრად აირჩიეს, უძღვებოდა პარტიის საორგ. საქმიანობას. 1901 მისი თაოსნობით პარიზში დაარსდა პარტიის პერიოდული გამოცემა – გაზ. ,,საქართველო'', რ-იც ფრანგულენოვან ვარიანტთან (,,La Géorgie'') ერთად გამოდიოდა 1905 დამლევამდე. 1904 დ. იყო ჟენევაში ქართვ. სოციალისტ-ფედერალისტთა კონგრესის ჩატარების ერთ-ერთი მოთავე. 1904 პარიზში გამოსცა ამ კონგრესის ოქმები.

რუს. პირველი რევ. დროს, 1905, დ-ის თაოსნობით, გემ ,,სირიუსით'' საქართველოში გამოიგზავნა იარაღი და ტყვია-წამალი.

1900-იდან დ. იყო ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის გამგეობის წევრი და აქტ. პოლიტ. მოღვაწე. მისი პუბლიც. წერილები ეხება საქართვ. ეროვნ.-პოლიტ. საკითხებს, მანგანუმის წარმოებასა და მის მნიშვნელობას საქართველოსათვის.

1906-იდან დ. იძულებული გახდა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ჩამოშორებოდა აქტ. პოლიტ. მოღვაწეობას. გარდაიცვალა საფრანგეთში. 1911 ფარულად გადმოასვენეს საქართველოში.

ლიტ.: სახოკია თ., ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969; ტუღუში მ., გიორგი დეკანოზიშვილი (ცხოვრება და მოქმედება). – ჟურნ. «კავკასიონი», X, პარიზი, 1965; ურუშაძე ლ., გიორგი დეკანოზიშვილის პოლიტიკური ბიოგრაფიისათვის (,,საქართველოს თავისუფლების ლიგა'' და ,,ქართველ სოციალ-ფედერალისტთა პარტია'' – 1890–1906), «საისტორიო ვერტიკალები», 2007, №13.

ლ. ურუშაძე.

დეკანოზიშვილი ვასილ (ვასო) (გ. 1878), რევოლუციონერ-ხალხოსანი, გორის ხალხოსნური წრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. პროპაგანდას ეწეოდა გორის მაზრის სოფლებში. 1876 წ. 6 ოქტ., ქართვ. ხალხოსანთა მასობრივი დაპატიმრების დროს, ახალციხეს შეაფარა თავი. 1877 თბილისში დაბრუნდა და განაგრძო არალეგალური საქმიანობა. 1878 დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს, სადაც პატიმრებში ავრცელებდა თავისსავე დაწერილ რევ. შინაარსის ლექსებსა და პროკლამაციებს. ტუბერკულოზით დაავადებული დ. ციხიდან გამოუშვეს. მისი დაკრძალვა გორში საპროტესტო მანიფესტაციად გადაიქცა.

ლიტ.: გიორგაძე გ., თვითმყრობელობა და რევოლუცია. საბუთები რევოლუციური მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში (1870–1902), წგ. 1, ტფ., 1929; დავითაშვილი შ., ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, ტფ., 1933; შველიძე ზ., რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960.

ზ. შველიძე.

დეკანოზოვი ვლადიმერ გიორგის ძე (15. VI. 1898, ბაქო, – 23. XII. 1953), დიპლომატი, საბჭოთა გენერალ-ლეიტენანტი (1945), საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (1943). 1916 დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია, შემდეგ სწავლობდა სარატოვის, ბაქოს უნ-ტებში. ეკავა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა საქართველოში [1927 – საქ. კპ(ბ) ცკ-ის პასუხისმგებელი ინსტრუქტორი, 1931–34 იყო საქ. კპ(ბ) ცკის მდივანი, 1934–36 – განყ-ბის გამგე]. 1938 მიენიჭა სახელმწ. უშიშროების III რანგის კომისრის წოდება. 1940 ნოემბ. – 1941 ივნ. იყო სსრკ ელჩი გერმანიაში. 1946–47 მუშაობდა სსრკ მინისტრთა საბჭოში ხელმძღვანელ თანამდებობაზე. 1953 წ. 10 აპრილიდან დაინიშნა საქ. სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად. იმავე წლის ივნისში რეპრესირებულ იქნა ლ. ბერიას საქმესთან დაკავშირებით.

ლ. დოლიძე.

დეკანოზიძე გივი ილარიონის ძე (3. IV. 1927, სოფ. მერჯევი, ახლანდ. საჩხერის მუნიციპალიტეტი, – 24.V. 1984, თბილისი), ენტომოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1978), საქართვ. ენტომოლოგიური საზ-ბის თავ-რე (1978–84). 1949 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის მეაბრეშუმეობის ფაკ-ტი. 1952-იდან მუშაობდა ამავე ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1979–84 იყო აგრონ. ფაკ-ტის დეკანი და ენტომოლოგიის კათედრის გამგე (1981–84). გამოიკვლია ვაზისა და თუთის კულტურების ენტომო- და აკაროფაუნა. შეისწავლა უმთავრესი სახეობების ბიოეკოლოგია, დაადგინა საქართველოში გავრცელებული ჭიჭინობელების ტაქსონომიური შედგენილობა, აღმოაჩინა და აღწერა ახ. სახეობა – ვაზის ჭიჭინობელა [Erythroneura imeretina (Dekanoidze)]. ენტომოლოგიის საერთაშ. კატალოგში შეტანილია ქერცლფრთიანთა ერთ-ერთი წარმომადგენელი, რ-იც დ-ის გვარს ატარებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ვაზის კულტურის მავნებელი, თბ., 1964; თუთის ხის მავნებელ-დაავადებანი და მათთან ბრძოლა, თბ., 1972; ენტომოლოგია, თბ., 1974 (თანაავტ. ირ. ბათიაშვილი); ფიტოაკაროლოგია, თბ., 1981; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ტკიპები და მათთან ბრძოლის თანამედროვე ღონისძიებები, თბ., 1982.

დეკანოსიძე გენრი ევგენის ძე (15. IX. 1935, გორი), ფარმაკოქიმიკოსი. მედ. მეცნ. დოქტორი (2003), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2004). 1959 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი; 1959–63 იყო ცხინვალის №1 აფთიაქის მმართველის მოადგილე; 1963-იდან ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინ-ტის ტრიტერპენული შენაერთების ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომელია, 1983-იდან – ამავე ლაბორ. გამგე.

დ-მ შექმნა ბრონქოსპაზმოლიზური პრეპარატი ,,კავსურონი'' და ერთ-ერთი პირველი მცენარეული არასტეროიდული, ანტირევმატიული პრეპარატი – ,,ფაციფლოგონი''. დ. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 3 მონოგრაფიის ავტორი.

თხზ.: წამალთმცოდნეობის მეცნიერული მოსაზრებანი, თბ., 2009 (თანაავტ.: ბ. რაჭველიშვილი, დ. ცინცაძე); Исследование тритерпеновых гликозидов, Тб., 1982 (თანაავტ.); Биологическая роль, распространение и химическое строение тритерпеновых гликозидов, Тб., 1984 (თანაავტ.).



გ. ე. დეკანოსიძე.

დეკანოსიძე თამარ ივანეს ასული (3. XI. 1922, ხარაგაული, – 23. VII. 2008, თბილისი), პათოლოგ-ანატომი. საქართვ. მეცნ. აკადემიის წ.-კორ. (1983), საქართვ. მედ. მეცნ. აკადემიის წევრი (1973). მედ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1966), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1976).



თ. დეკანოსიძე.

1943 დაამთავრა თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტი (თსსი); 1943–69 იყო ამავე ინ-ტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი, 1969–73 – ჰისტოლოგიის და ემბრიოლოგიის კათედრის გამგე; 1973–96 – პათოლოგიური ანატომიის კათედრის გამგე; 1943–90 მუშაობდა თბილ. სხვადასხვა დაწესებულებებში პროზექტორად. 1980–2000 იყო საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მთ. პათოლოგ-ანატომი, 1984–99 – საქართვ. პათოლოგანატომთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე. მონაწილეობდა თბილისში 1989 წ. 9 აპრილის მოვლენების შემსწავლელი სამთავრობო კომისიის მუშაობაში.

დ-ის სამეცნ. შრომები ეხება საქართველოში სექციური მასალის ანალიზს ნოზოლოგიური პროფილის დადგენის მიზნით, ნერვულქსოვილოვან ურთიერთობებს ნორმალური და პათოლ. ზრდის პირობებში, გეროგენული ცვლილებების მორფოლ. საფუძვლებს, სამედ.-ბიოლ. პროცესების შეფასების აუცილებლობას სინერგეტიკის პოზიციებიდან (მოლეკულური ბიოლოგია, ბიოფიზიკა).

დ-ს გამოქვეყნებული აქვს 6 მონოგრაფია, მ. შ. ,,შეგუებისა და კომპენსაციური პროცესების მორფოფუნქციური საფუძვლები'' (მიენიჭა ი. თარხნიშვილის სახ. პრემია, 1962). მის სახელს უკავშირდება საქართველოში პათოლოგიური ანატომიის სამსახურის

(1968), ჰისტოლოგიის და ემბრიოლოგიის სწავლების (1969), პათოლოგიური ანატომიის სწავლების რეორგანიზაცია (1973), იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სარედაქციო საბჭოს და ჟურნ. ,,Архив патологии‘‘-ს რედ. კოლეგიის წევრი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997). იყო თბილისის საპატიო მოქალაქე (2002).



ლ. დეკაპრელევიჩი.



რ. დეკარტი.

დეკანოსიძე ოთარ ქაიხოსროს ძე (28. XII. 1915, სოფ. ღარიხევი, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, – 16. II. 1967, თბილისი), კინოოპერატორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1966). დაამთავრა საქართვ. სახკინმრეწვთან არსებული კინოსაოპერატორო კურსები. 1942-იდან მუშაობდა დამდგმელ ოპერატორად დოკუმენტურ და სამეცნ.-პოპულ. ფილმებზე. ძირითადი ნამუშევრები: ,,სახლი მწვერვალზე‘‘ (1947), ,,სამგორი‘‘ (1948), ,,ქართლის ბაღებში‘‘ (1952), ,,უძველესი ქალაქის გაზაფხული‘‘ (1958), ,,ამბავი ერთი ცდისა‘‘ (1959; მიღებული აქვს საპატიო დიპლომი ვარშავაში სამეცნ.-პოპულ. ფილმების V საერთაშ. კინოფესტივალზე, 1962), ,,მეგობრების შეხვედრა‘‘ (1960), ,,ალვანელი მეცხვარეები‘‘ (1964), ,,თბილისი – 15 საუკუნე და ერთი დღე‘‘ (1966) და სხვ. II მსოფლიო ომის პერიოდის ფილმები: ,,სევასტოპოლისათვის ბრძოლაში‘‘ (1944), ,,ბრძოლა კავკასიისათვის‘‘ (1944) და სხვ. ფილმები ქართვ. ალპინისტებზე (ბ. კრეპსთან ერთად) ,,უშბა‘‘ (1946; დიპლომი ვენეციის VIII საერთაშ. კინოფესტივალზე, 1947), ,,გმირული ტრავერსი‘‘ (1950), ,,პამირის მწვერვალებზე‘‘ (1954; საპატიო დიპლომი ვენეციის XVII საერთაშ. კინოფესტივალზე, 1956), ,,მთები და წლები‘‘ (1963) და სხვ. გ. ასათიანთან ერთად გადაიღო ფილმები: ,,ნადირობა ჯუნგლებში‘‘, ,,მოგზაურობა ნეპალში‘‘ (ორივე 1959), ,,ალჟირის დღიური‘‘ (1961), ,,საჰარა‘‘, ,,მაროკო‘‘ (ორივე 1962), ,,უძველესი კულტურის ქვეყანა‘‘ (1963) და სხვ.

ა. გვენცაძე.

დეკაპრელევიჩი ლეონარდ ლეონარდის ძე [13 (25). VII. 1886, თბილისი, – 7. XI. 1981, იქვე], გენეტიკოს-სელექციონერი, ბოტანიკოსი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1944). სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1943), პროფესორი (1930). 1912 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტის საბუნებისმეტყველო-ისტ. განყ-ბა და მუშაობა დაიწყო თბილ. ბოტან. ბაღის სელექციის განყ-ბაში თავდაპირველად უმცროს სპეციალისტად (1914), შემდეგ – გამგედ (1916). 1929-იდან იყო საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ლექტორი, 1937–73 – ამავე ინ-ტის გენეტიკა-სელექციის კათედრის გამგე, შემდეგ – მისი საპატიო გამგე და კონსულტანტი. დ. მეცნიერულად იკვლევდა ძირითადად ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართვ. კულტ. ფლორას. მან ნ. *ვავილოვთან* და პ. ჟუკოვსკისთან ერთად დაადგინა, რომ საქართველო ხორბლის წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი კერაა მსოფლიოში, განსაზღვრა ხალხური სელექციის როლი ამ მცენარის გაუმჯობესებაში. გამოიყვანა ხორბლის, სიმინდის, ქერისა და ლობიოს ახ. ჯიშები. აქვს 8 საავტორო მოწმობა. არის ნ. ვავილოვის სახ. პრემიის ლაურეატი (1973). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Роль Грузии в происхождении пшеницы, Тб., 1942; Виды, разновидности и сорта пшеницы Грузии, Тб., 1954.

ბიბლ.: ლეონარდ დეკაპრელევიჩი. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. მ. ბარკავა, თბ., 1987. *გ. თოდუა.*

დეკარტი (Descartes) რენე (ლათინიზებული სახელი – კ ა რ ტ ე ზ ი უ ს ი, Renatus Cartesius) [31. III. 1596, ლაე (ტურენი), – 11. II. 1650, სტოკჰოლმი], ფრანგი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი. ახ. დროის ფილოს. და მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, ანალიზური გეომ. შემქმნელი. დ-ის აზრით, ღმერთმა შექმნა სამყარო და ბუნების კანონები, მაგრამ სამყაროს განვითარებაში და ბუნებაში მიმდინარე მოვლენებში აღარ ერევა. მისი მთავარი შრომებია ,,ბჭობა მეთოდზე‘‘, ,,მეტაფიზიკური განაზრებანი‘‘ (ქართ. თარგმ. ს. დანელიასი, 1955), ,,ფილოსოფიის პრინციპები‘‘, ,,წესები გონების სახელმძღვანელოდ‘‘. ს. დანელიას გარდა, დ-ის მოძღვრების შესწავლასა და საქართველოში მისი პოპულარიზაციის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის კ. *ბაქრაძესა* და ლ. *გოკიელს*. დ-ის აზრით, მეცნ. ცოდნის სისტემის აგების სარწმუნო და სანდო მეთოდია მისი აგება აქსიომატურად, გეომ. ნიმუშის მიხედვით. ცოდნის ცხადი და მკაფიო წანამძღვრების მოსაპოვებლად ყველაფერში შეეჭვება უეჭველად ,,დაგვანახვებს‘‘ მოეჭვის, როგორც მოაზროვნის, არსებობას (,,ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ‘‘, cogito, ergo sum). დ-თვის ასეთივე უეჭველი რეალობაა ღმერთი. დ-ის შეხედულებით, აზროვნება და მატერია (განფენილობა) ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სუბსტანციებია; მატერ. სამყარო არის მექანიზმი, რ-იც, მიუხედავად იმისა, რომ ღმერთმა შექმნა, ავტომატურად მუშაობს. ლ. გოკიელის თანახმად, cogito გარკვეული დასკვნაა, ოღონდაც მას აქვს არა სილოგისტიკური გამოყვანის, არამედ უსასრულო რეგრესის სახე (ის, ვინც ეჭვობს საკუთარ არსებობაში, უფრო ადრე უნდა დაეჭვდეს ამ ეჭვის მთქმელის არსებობაში და ა. შ. უსასრულოდ), რ-იც ,,მეს‘‘ არსებობის უარყოფით ადასტურებს ამ უარყოფის შეუძლებლობას.

,,გეომეტრიაში‘‘ (1637) დ-მა პირველად შემოიტანა ცვლადი სიდიდისა და ფუნქციის ცნებები. *ანალიზურ გეომეტრიაში* დ-ის ძირითადი მიღწევაა მის მიერ შემოტანილი კოორდინატთა მეთოდი, რ-მაც უდიდესი გავლენა მოახდინა მათ. განვითარებაზე. მანვე საფუძველი ჩაუყარა განტოლებათა რიგი თვისებების შესწავლას, გადაწყვიტა ციკლოიდისადმი მხების გავლების, ციკლოიდის ფართობის გამოთვლის ამოცანები და სხვ., მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მათ. აღნიშვნების არსებული სისტემა.

დ-ს ეკუთვნის მნიშვნელოვანი შედეგები ბუნებისმეტყველებაში. მან ჩამოაყალიბა ციური სხეულების წარმოშობის გრიგალური ჰიპოთეზა, სინათლის სიჩქარეზე წარმოდგენის საფუძველზე დაადგინა სინათლის გარდატეხის კანონი და სხვ.

თხზ.: Œuvres, t. 1–12 et suppl., P., 1897–1913; Геометрия, М.–Л., 1938.

ლიტ.: ბ ა ქ რ ა ძ ე კ., ახალი ფილოსოფიის ისტორია, ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. 6, თბ., 1972; Г о к и е л и Л. П., О природе логического, Тб., 1958. *ლ. მჭედლიშვილი.*

დეკემბერი (ლათ. december), კალენდარული წლის უკანასკნელი, მეთორმეტე თვე (31 *დღ-ლ*), ჩრდ. ნახევარსფეროში კალენდარული ზამთრის დასაწყისი. ქართ. წარმართული კალენდრით – ტ ი რ ი ს დ ე ნ ი, ქრისტიანობიდან მომდინარე ძვ. ხალხური სახელწოდებაა ქ რ ი ს ტ ე შ ო ბ ი ს თ ვ ე.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში 1905, საყოველთაო-სახალხო ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ. 1905 ნოემ-

ბერში რსდმპ კავკ. კავშირის კონფერენციამ ადგილ. პარტ. ორგანიზაციებს საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადება დაავალა და მისი ხელმძღვანელობისათვის შექმნა სპეც. ორგანო – კავკ. ბიურო, მებრძოლი რაზმების შეიარაღებისა და გაწვრთნისათვის კი – სამხ.-ტექ. კომისია. 7–8 დეკ. მოსკ. შეიარაღებულმა აჯანყებამ ბიძგი მისცა საქართველოში დაეწყოთ შეიარაღებული აჯანყება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. საყოველთაო პოლიტ. გაფიცვის ხელმძღვანელობისათვის რსდმპ. კავკ. კავშირის კომიტეტმა შექმნა ცენტრ. საგაფიცვო კომიტეტი 31 კაცის შემადგენლობით. რკინიგზაზე პოლიტ. გაფიცვის უშუალო ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა რკინიგზის თბილ. საგაფიცვო ბიურო 14 კაცის შემადგენლობით. საგაფიცვო ბიუროები შეიქმნა აგრეთვე რკინიგზის დიდსა და საკვანძო სადგურებზე. 12 დეკემბრიდან საგაფიცვო კომიტეტმა ამიერკავკ. მთელ რკინიგზაზე პოლიტ. გაფიცვა გამოაცხადა. ამ დღეს თბილისში გაიფიცნენ რკინიგზის მუშა-მოსამსახურეები, ფაბრიკა-ქარხნების, სავაჭრო-სამრეწვ. დაწესებულებათა და სტამბების მუშები. თბილისის სადგური და ამიერკავკ. მთელი რკინიგზა გაფიცულთა ხელში აღმოჩნდა. საგაფიცვო კომიტეტმა ხელში ჩაიგდო რკინიგზის სამმართველო და ტელეგრაფი. ამიერკავკ. რკინიგზების უფროსად ს. დოლიძე დაინიშნა. რკინიგზის შემოსავალი საგაფიცვო კომიტეტის განკარგულებაში გადავიდა. საგაფიცვო კომიტეტმა თბილ. სადგურზე მოაწყო სასამართლო, ნაძალადევში საპატიმროებიც გამოყვეს. 14 დეკ. კომიტეტმა ქუჩებში გამოაკრა პირველი მოთხოვნილების პროდუქტებისა და სამრეწვ. საქონლის დაკლებული ფასები და სხვ. საგაფიცვო კომიტეტი იძენდა მუშებისათვის იარაღს, ქმნიდა მუშათა წითელ რაზმებს, იცავდა წესრიგს ქალაქსა და სადგურებში, ხელმძღვანელობდა გაფიცვებს მთელ ამიერკავკასიაში, გაფიცვებისა და აჯანყების მიმდინარეობის შესახებ ცნობებს აქვეყნებდა საგანგებო ,,ბიულეტენში‘‘, მატერ. დახმარებას უწევდა გაფიცულთ და ა. შ., შეიარაღებულმა აჯანყებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. თუმცა, მთავრობაც ძალას იკრებდა. 14 დეკ. კავკ. ოლქის შტაბში შემუშავდა აჯანყების ლიკვიდაციის გეგმა. რკინიგზა გადაეცა სამხ. უწყებას. იმავე დღეს სამხ.-საალყო წესები შემოიღეს თბილისში, თბილ. გუბერნიასა და ამიერკავკ. რკინიგზაზე. შემოტევას აჯანყებულები სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდნენ; ცენტრ. საგაფიცვო კომიტეტმა უარი თქვა განჯიდან რევოლუციურად განწყობილი ჯარის ნაწილების გამოწვევაზე და 150 შეიარაღებული წითელი რაზმელი დას. საქართველოში დააბრუნა. ხელისუფლების ჯარმა 15 დეკ. ალყა შემოარტყა თბილ. სადგურს და უბრძოლველად დაიკავა იგი. ასევე აიღეს სადგ. ნავთლუღიც. ცენტრ. საგაფიცვო კომიტეტი ანდრიას (ახლანდ. თევდორე მღვდლის) ქუჩიდან ნაძალადევში გადავიდა, რ-იც მთლიანად აჯანყებულთა ხელში იყო. 18 დეკ. კაზაკები და ,,პატრიოტული საზოგადოების‘‘ წევრები თავს დაესხნენ ნაძალადევს, ბრძოლაში მუშები დამარცხდნენ. შეტაკების დროს დაიღუპნენ რევოლუციონერი მუშები: გ. ელიავა, ვ. თვარაძე, მ. კალაძე, ტ. ლაზიშვილი, გ. ჯაში, პეტრე (იასე) ცინცაძე, ი. ნინიძე, ვ. ხუცურაშვილი, ვ. თავაძე, გ. დვალი და სხვ. 23 დეკ. მთავრობის ჯარები თავს დაესხა დიდუბეში გამაგრებულ მუშათა შეიარაღებულ რაზმებს. მუშები წინააღმდეგობას უწევდნენ და ისროდნენ სახლის სახურავებიდან, სარდაფებიდან, ფანჯრებიდან, მრავლად იყო მოკლული და დაჭრილი, განსაკუთრებით კაზაკების მხრიდან. ცალკეული შეტაკებანი კაზაკებთან, ჯარის ნაწილებსა და პოლიციასთან არ შეწყვეტილა დეკ. ბოლომდე. შეიარაღებული ბრძოლები გაიმართა აგრეთვე ჭიათურაში, ბორჯომში, შორაპანში, ტყიბულში და სხვ. აჯანყებულები იბრძოდნენ გორის, დუშეთის, თელავის, სენაკის, შორაპნის, რაჭისა და სხვ. მაზრებში. უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო გურიის გლეხთა აჯანყებამ. მთავრობამ მხოლოდ თვენახევრის შემდეგ შეძლო აჯანყების ლიკვიდაცია. აჯანყებული გლეხობა ებრძოდა მეფის ჯარს, პოლიციელებსა და შავრაზმელებს. გლეხთა რევ. კომიტეტები გადაიქცნენ რევ. ხელისუფლების ორგანოებად (იხ. *გლეხთა კომიტეტები*). ისე როგორც მთელ რუსეთში, კონტრრევოლუციამ საბოლოოდ საქართველოშიც გაიმარჯვა. დაიწყო რეპრესიები რევოლუციონერთა წინააღმდეგ. 1906 ამიერკავკ. რკინიგზიდან დაითხოვეს 2700 მუშა, თბილ. მთ. სახელოსნოებიდან – 680-მდე კაცი, დააპატიმრეს 300-ზე მეტი რევოლუციონერი. მიუხედავად მარცხისა, ბრძოლები ერთხანს გრძელდებოდა.

ლიტ.: კ ა ჭ ა რ ა ვ ა ი., პირველი სახალხო რევოლუცია საქართველოში, თბ., 1975; მ ა ხ ა რ ა ძ ე ფ., 1905 წელი ამიერკავკასიაში, გამოც. მე-2, ტფ., 1932; ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე გ., 1905–1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955; ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი ი., 1905–1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955. *ი. კაჭარავა.*

დეკიანი, მაღალმთის მცენარეული დაჯგუფება. ალპ. სარტყელში დ. პირველადია, სუბალპურში კი უმეტესად ტყის მოსპობის შედეგად განვითარებული ქვეტყის ნაშთია (მეორეული დ.), ვრცელი დ-ები უმთავრესად კავკასიონის ქედზე, სუბალპ. მდელოებისა და ტყეების ზოლშია გავრცელებული, ასეთივე დ-ები გვხვდება აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდ. ფერდობებზე, თრიალეთზე და სხვ.; ფლორისტული შემადგენლობით დ. საერთოდ ღარიბია, 30–40-მდე სახეობით განისაზღვრება, თუმცა მეორეულ დ-ებში სახეობათა რაოდენობა 2–3-ჯერ მეტია. უფრო ხშირია გვიმრიანი, ნაირბალახიანი, მარცვლოვნიანი, მოცვიანი, კენწერიანი და სხვა დ-ები. დ-ების ქვეშ ტორფიანი ნიადაგი ვითარდება. ყინვის, ადამიანისა თუ ცხოველთა ზემოქმედების შედეგად დ. შეიძლება გადაშენდეს და მისი ადგილი დაიკავოს ნაირბალახიანმა მდელომ, ძიგვიანმა, მოცვიანმა, ბრძამიანმა და სხვა ფორმაციებმა. დ. ძალიან ხშირი დაჯგუფებაა და დიდი ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა აქვს. *მ. სახოკია.*

დეკლარაცია და ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ 1922, დოკუმენტები, რომლებითაც იურიდიულად გაფორმდა 1917 წ. 25 ოქტომბრის (7 ნოემბ.) ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ რუსეთის ყოფილი იმპერიის ნანგრევებზე წარმოქმნილი გასაბჭოებული რესპუბლიკების გაერთიანება და ახ. იმპერიის – საბჭოთა კავშირის – დაარსება. საქართველო ამ გაერთიანებაში შევიდა არა როგორც ცალკე სუბიექტი (მოკავშირე რესპუბლიკა), არამედ როგორც ამიერკავკ. ფედერაციის წევრი სახელმწიფო (მოკავშირე რესპ. სტატუსი საქართველომ მიიღო ამიერკავკ. ფედერაციის დაშლის შემდეგ, 1936). დეკლარაციით გამოცხადდა და ხელშეკრულებით განმტკიცდა,

რომ ერთ საკავშ. სახელმწიფოდ – საბჭ. სოციალ. რესპუბლიკების კავშირად – გაერთიანდა 4 მოკავშირე რესპუბლიკა: რსფსრ, უკრ. სსრ, ბელორ. სსრ და ამიერკავკ. სფსრ (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი). დეკლარაციისა და ხელშეკრულების პროექტები 1922 წ. 29 დეკ. განიხილა და მიიღო რსფსრ, უკრ. სსრ, ბელორ. სსრ და ამიერკავკ. სფსრ ,,სრულუფლებიანი დელეგაციების'' კონფერენციამ, 30 დეკ. კი დაამტკიცა სსრკ საბჭოების I-მა ყრილობამ. დეკლარაციამ და ხელშეკრულებამ (მნიშვნელოვნად გაფართოებული სახით) შეადგინა სსრკ პირველი კონსტიტუცია.

დეკლარაციისა და ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა 1991 წ. დეკემბერში, როდესაც სსრ კავშირში შემავალი რესპუბლიკების ძალისხმევით მოხდა ხელშეკრულების დენონსაცია და სსრკ-ის ლიკვიდაცია. ბელორ. სსრ-ის, რსფსრ-ისა და უკრ. სსრ-ის ხელმძღვანელებმა 1991 წ. 8 დეკ. ხელი მოაწერეს ბელოვეჟის შეთანხმებებს, რითაც დაადასტურეს სსრკ-ის დაშლა და განაცხადეს *დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის* (დსთ) შექმნის შესახებ. შეთანხმებას დსთ-ის შექმნის შესახებ 1991 წ. 21 დეკ. შეუერთდნენ აზერბაიჯანი, თურქმენეთი, მოლდოვა, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი (მოგვიანებით დსთ-ს საქართველოც შეუერთდა). 1991 წ. 25 დეკ. სსრ კავშირმა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა, შეწყვიტა თავისი არსებობა.

საბჭ. იმპერიის დაშლის შედეგად საქართველომ, ისევე როგორც სხვა ყოფ. მოკავშირე რესპუბლიკებმა, მიიღო დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი (საქართვ. კონსტ., მ. 1, მ. 2, პუნქტი 1).

წყარო: დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ; ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ, წგ.: ს ტ ა ლ ი ნ ი ა. ბ., თხზ., ტ. 5, თბ., 1949, გვ. 432–441 (დანართი № 1–2). *ი. ფუტკარაძე.*

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, დეკორატიული ხელოვნების დარგი, რ-იც ქმნის საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობებს: ჭურჭელს, ავეჯს, ქსოვილს, სამეურნეო თუ საომარ იარაღს, ტანსაცმლისა და ყველა სახის მორთულობას. XIX ს. II ნახევრიდან მოხდა დ.-გ. ხ-ის ნაწარმის კლასიფიკაცია როგორც დანიშნულების, ისე მასალისა (ლითონი, კერამიკა, ხე) და შესრულების ტექ. (კვეთილობა, მოხატულობა, ჭედურობა, ნაქარგობა, ჩამოსხმა, ინტარსია, მინანქარი) მიხედვით. დ.-გ. ხ-ის ნაწარმი მჭიდროდ არის დაკავშირებული ყოფა-ცხოვრებასთან, ამა თუ იმ ადგილ. ეთნ. და ეროვნ. თავისებურებებთან. იგი დიდ გავლენას ახდენს ადამიანის სულიერ განწყობაზე, ამიტომაც მას უდიდესი ესთეტ. და აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება. დ.-გ. ხ. იქმნებოდა და არსებობდა ხალხის ცხოვრების წიაღში. ყოველი საჭირო ნივთი წმინდა პრაქტ.



ოქროს ჭურჭელი. XVII ს. ჩხოროწყუ. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

თვისებებთან ერთად აუცილებლად უნდა ყოფილიყო ესთეტიკურადაც სრულყოფილი, რათა დაეკმაყოფილებინა ადამიანის მისწრაფება



დოქი. გვიანანტიკური ხანა. სამთავროს ველი. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

სილამაზისა და მშვენიერებისაკენ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ოდითგანვე არსებობდა დ.-გ. ხ-ის მრავალი დარგი, რ-თა მხატვრული სახე საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა და ყალიბდებოდა. საქართვ. ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლ. მასალებით დასტურდება მხატვრული ხელოსნობის ბრწყინვალე ნიმუშების არსებობა.

საქართველოში ლითონის მხატვრული დამუშავება ხელოვნ. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენდა. ქართ. ლითონმქანდაკებლობისა და ოქრომჭედლობის განვითარება ძვ. წ. III ათასწლეულიდან უნდა ვივარაუდოთ. ლითონის მხატვრული დამუშავება ჭეშმარიტად ეროვნ. ხელოვნება იყო. საქართველომ უდიდესი როლი ითამაშა ამ დარგის განვითარებაში მთელ კავკასიაში. მსოფლიო ხელოვნ. შედევრებია: ალაზნის ერთ-ერთ გორასამარხში აღმოჩენილი ლომის მინიატიურული ოქროს ქანდაკება, თრიალეთის ოქროს თასი, ვერცხლის კათხა და სარწყული (ძვ. წ. II ათასწლეული). თრიალეთის ოქროსა და ვერცხლის ნივთების თავისებური ხასიათი, მხატვრული სტილი მჭიდროდ უკავშირდება წინა აზიის უძველეს ხელოვნებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ანტ. ხანის ოქრომქანდაკებლობის ნიმუშებს [ყაზბეგი (ახლანდელი სტეფანწმინდა), ახალგორი, კლდეეთი, ურეკი, არმაზი, ვანი და სხვ.). ძვ. ქართვ. ოქრომჭედელთა ნახელავი (ყელსაბამები, საყურეები, დიადემები, გულსაკიდები, საზეიმო იარაღი) გამოირჩევა მაღალი ტექ. ოსტატობით, დახვეწილი ფერადოვნებით, თავისებური დეკორატიულობით. სამკაულთა შესაქმნელად გამოყენებულია მრავალფეროვანი ტექ. ხერხები: ჩამოსხმა, რჩილვა, გავარსი, ფილიგრანი. პატიოსანი ქვების გამოყენება ოქროს სამკაულებს განსაკუთრებულ პოლიქრომიულობას ანიჭებს.

მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია საქართვ. ანტ. ტორევტიკის ძეგლები. ორიგინალურად დეკორირებული ვერცხლის ჭურჭელი (სტეფანწმინდა, ახალგორი, ვანი) დახვეწილი გემოვნებით, უზადო ტექნიკით გამოირჩევა.

ქართ. ოქრომჭედლობის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია გვიანანტ. ხანა (I–III სს.). ოქროს ნაირგვარი სამკაული, ვერცხლის მხატვრული ნაკეთობანი ძვ. ხელოვანთა მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს. არმაზისხევის, ბაგინეთის, ბორის, ზღუდრის, ერწოს (აღმ. საქართველო), ციხისძირის, სარგვეშის, თაგილონის, ურეკის,

ხაიშის, კვაშხიეთის (დას. საქართველო) სამარხებში აღმოჩენილი ვერცხლის ნაკეთობანი (თასები, სურები, ლანგრები, ტახტისა და სარეცლის ფიგურული ფეხები) თავისი მხატვრული მნიშვნელობით ანტ. ხელოვნ. მნიშვნელოვანი საგანძურია.

ქართ. დ.-გ. ხ-ის მნიშვნელოვანი დარგია *კერამიკა*, რ-ის ნიმუშები შემონახულია უძველესი ეპოქიდან (ნეოლითი, ენეოლითი, ბრინჯაოს ხანა). დიდი და რთული განვითარების გზა განვლო ამ უძველესმა ხელოვნებამ – ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის მრავალფეროვანი ფორმის შავად და ლეგად გამომწვარი ნაკეთობებიდან ძვ. წ. I ათასწლ. ჩარხზე დამზადებულ მოჭიქულ და წითლად გამომწვარ კერამ. ჭურჭლამდე. მრავალგვარია კერამ. ნაკეთობათა ფორმები, მათი ფერადოვნება, ორნამენტული შემკულობა (პლასტ., გრაფ., ფერწერული).

ქართ. დ.-გ. ხ-ის მნიშვნელოვანი დარგია *გლიპტიკა*. ეს დარგი საქართველოში ვითარდებოდა გარე სამყაროსთან – აქემენიდთა ირანის, მესოპოტამიის, გვიანბაბილონურ, ანტ. გლიპტიკის ხელოვნებასთან კავშირში. ადგილ. სახელოსნოთა ნაკეთობანია ოქროს საბეჭდავები (სოფ. საძეგური, *ახალგორის განძი*), ვერცხლის ინტალიოები (ალგეთის სამარხი), ბრინჯაოს საბეჭდავები.

ელინისტურ ეპოქას განეკუთვნება სარდიონზე ამოკვეთილი ინტალიო მამაკაცის (შესაძლოა, ადგილ. დიდებულის) პორტრეტით (კლდეეთი), ქალცედონის კამეა (სვანეთი) და სხვ. გვიანანტიკური გლიპტიკის უნიკალური ძეგლებია აღმოჩენილი არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანში (I–III სს.), რომელთა შორის გამოირჩევა ასპარუგ ერისთავის პორტრეტიანი საბეჭდავი, ზევახისა და კარპაკის პორტრეტებიანი გემა.

შუა საუკუნეებში მძლავრად განვითარდა ქართ. დ.-გ. ხ-ის ყველა დარგი. განსაკუთრებულ მხატვრულ სრულყოფას მიაღწია ქართ. ოქრომჭედლობამ. ქართ. ჭედური ხელოვნ. ძეგლების 2500-ზე მეტი ნიმუში მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი მხატვრული საგანძურის კუთვნილებაა. ლითონის მხატვრული დამუშავება თავისი სრულყოფით გასცდა საკუთრივ დ.-გ. ხ-ის ფარგლებს და პლასტ. ხელოვნ. პრობლემების გადაწყვეტაში წამყვანი ადგილი დაიკავა. ჭედური ხელოვნ. ძეგლები უპირატესად ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული ნივთებია: ხატები, ჯვრები, სანაწილეები, საეკლ. წიგნების ყდის მოჭედილობანი, საცეცხლურები, სამწერობელნი და სხვ. საქართველოში მრავლად იყო საერო დანიშნულების ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი, რ-თა შესახებ გვამცნობენ ქართ. და უცხ. საისტ. წყაროები, მაგრამ ჩვენამდე მათ მცირე რაოდენობით მოაღწიეს (გიორგი III-ის ვერცხლის სურა, მესტიის მუზეუმი; ვანის ქვაბში აღმოჩენილი ვერცხლის თასები). ჭედურობის ძეგლები და ისტ. საბუთები საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ შუა საუკ. ქართ. მელითონეობის დაწინაურებული კერები: საფარისა და ზარზმის მონასტრების საოქრომჭედლო სახელოსნოები, ცაგერი, ზემო სვანეთი, რაჭა, სამეგრელო და სხვ.

შუა საუკ. ქართ. ტიხრული მინანქარი დ.-გ. ხ-ის უმნიშვნელოვანესი და მეტად განვითარებული დარგია არა მხოლოდ თავისი მასშტაბით, არამედ მხატვრული ღირსებით და ტექ. სრულყოფითაც.

თვითმყოფადი ხასიათი აქვს შუა საუკ. კერამიკას. სხვადასხვაგვარი იყო კერამ. ჭურჭლის ფორმები (სურა, ლანგარი, კათხა, ბადია, ქვევრი, ჭინჭილა, მარანი), მრავალგვარი იყო მათი შემკობის ხერხებიც: მოხატვა თეთრი ანგობით, გამჭვირვალე ფერადი ჭიქურების გამოყენება, მონოქრომიული და პოლიქრომიული



კრეტსაბმელი. XVII ს. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

ჭიქურები, ჭურჭლის შემკობა გრაფ. ორნამენტით. XII–XIII სს-ში ქართ. ხელოვნებაში, დეკორატიულობის ზრდასთან დაკავშირებით, გავრცელდა პოლიქრომიული მოჭიქული კერამიკა, შემკული გეომ. და მცენარეული მოტივებით, ფრინველების, ცხოველების, ადამიანთა გამოსახულებებით. ფართოდ გამოიყენებოდა ჭიქურთა მრავალფეროვნება (მწვანე, ცისფერი, სოსანი, ლურჯი), მზადდებოდა მოუჭიქავი ქაშანურის ჭურჭელიც.

მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს ხეზე კვეთის უძველეს ხალხ. ხელოვნებას. ძვ. წ. III–II ათასწლეულების ყორღანებში აღმოჩენილია ხის ნაგებობებისა და ურმის ნაშთები. მცხეთაში (არმაზისხევსა და ბაგინეთში) აღმოჩნდა ახ. წ. პირველი საუკუნეების ხის მოხარატებული, პლასტიკურად გამოყვანილი სარეცლისა და ტახტის ფეხები, რაც ხის დამუშავების უმაღლეს ოსტატობაზე

მიუთითებს. ამასვე მოწმობს ძვ. ქართ. საცხოვრებლის – დარბაზის – ტრადიცია, დედაბოძის მხატვრული დამუშავების უნიკალური ოსტატობა. ჩვენამდე მოღწეულია ხის მოჩუქურთმებული კარის, ხის ავეჯისა და ორნამენტით შემკული არქიტ. ნაწილები. მათი უძველესი



წალენჯიხის მაცხოვრის ხატის მედალიონები. ტიხრული მინანქარი. XII ს. I ნახევარი. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

ნიმუშები X–XI სს. განეკუთვნება (ოცინდალე, ჯვახუნდერი, ჩუკული, ფხოტრერი, სიუფი-ფარი, ლაშესვანი და სხვ.).

ძვ. საქართველო ქსოვილების დამზადების მაღალი კულტურით გამოირჩეოდა. დღეისათვის ფრაგმენტებად არის შემონახული შუა საუკ. ქართ. ქსოვილის ნიმუშები (ხატებსა და ჯვრებზე, ხელნაწერთა ყდების სარჩულებზე). ქართ. ქსოვილების ყველაზე ძვ. ნიმუშები (X–XIII სს.) შემოგვინახა სვანეთმა (იფხი, ლატალი, ჩაჟაში). საქართველოში გავრცელე-



ხის სამფეხა სკამი. XIX ს. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

ბული იყო აბრეშუმის, სელისა და ტილოს ქსოვილების წარმოება, დაჩითული ქსოვილების დამზადება. დაჩითული ქსოვილების დიდი სახელოსნო იყო ახალციხეში.

დღემდეა შემონახული ძვ. ქართ. ნაქარგობის მრავალფეროვანი ნიმუშები, საერო (ტანსაცმლის სამკაული, სარტყლები, ქისები) და საეკლესიო (გარდამოხსნები, კრეტსაბმელები, ომოფორები) დანიშნულებისა. ქართ. ქარგვის უძველესმა ხელოვნებამ XIX ს-შიც შეინარჩუნა თავისი ტრადიციები.

შუა საუკუნეების განმავლობაში განაგრძობდა არსებობას ქართ. გლიპტიკის ხელოვნება. ადრინდ. ნიმუშთაგან აღსანიშნავია გიორგი III-ის საბეჭდავი. გვიანფეოდ. ხანაში ფართოდ გავრცელდა საგერბო გამოსახულებანი და წმ. მხედრების გამოსახულებიანი საბეჭდავები. XIX ს. საბეჭდავთა უმეტესობა წარწერიანია. ქართ. საბეჭდავების შესახებ მრავალფეროვან ცნობებს გვაწვდის იოანე ბატონიშვილის ,,კალმასობა‘‘.

ძვ. ქართ. დ.-გ. ხ-ის ნიმუშები კარგად შემოგვინახა საქართვ. მთამ – სვანეთმა, რაჭამ, თუშეთმა, ხევსურეთმა: ხის მოჩუქურთმებული ავეჯი, ნატიფი სახეებით შემკული მრავალფეროვანი თიხის ჭურჭელი, სევადითა და გავარსით დამშვენებული ვერცხლის ჭედური სამკაული, ბრინჯაოს ჭურჭელი და შანდლები, შესანიშნავი ხალიჩები, უდიდესი ოსტატობით მოქარგული ეროვნ. ტანსაცმელი.

ქართ. დ.-გ. ხ-ის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა თბილ. სამხატვრო აკადემიის დაარსებამ. აქ დასაბამი მიეცა პროფ. კერამიკის აღმავლობის საქმეს, რ-ის სათავეებთან იდგნენ მხატვრები: ზ. *მაისურაძე*, ნ. ვ. *გომელაური* და სხვ.; ამ დარგის შემოქმედებით ცენტრად იქცა სამხატვრო აკად. კერამიკის ლაბორატორია. ისტ. კერამიკა და ხალხ. ხელოვნება იქცა იმ წყაროდ, რ-მაც გაამდიდრა პროფ. კერამ. მხატვრული საშუალებები. შავპრიალა კერამ. ლაკონიური მეტყველება, შუა საუკ. კერამ. ფერადოვნება ქართვ. მხატვართა შემოქმედებაში ორიგინ. ეროვნ. მხატვრულ სახეებად იქცა.

განვითარდა ქართ. მონუმ. კერამიკა. ქართვ. კერამიკოსთა თაობების დამსახურებაა ამ დარგის მსოფლიო წარმატება (მ. *აბაშიძე*, ე. *ბაბლიძე*, ნ. *ბოტკოველი*, ი. *გაჩეჩილაძე*, რ. ი. *იაშვილი*, ა. გ. *კაკაბაძე*, ნ. *კიკნაძე*, რ. მ. *მეტრეველი*, შ. *ნარიმანაშვილი*, ს. *სულხანიშვილი*, ჟ. *ფორჩხიძე*, გ. *ქართველიშვილი*, მ. *ჩიხლაძე* და სხვ.). დეკორ. პანოებმა დაამშვენა ახ. არქიტ. ნაგებობანი, მათი ფასადები და ინტერიერები (ზ. *წერეთელი*, ა. ხარებავა, რ. მელიქიძე, რ. ცუხიშვილი, ი. გაბაშვილი და სხვ.).

დ.-გ. ხ-ის წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჭედური ხელოვნ. ოსტატებმა. 50–60-იან წლებში დაიწყო ხელოვნ. ამ უძველესი ეროვნ. დარგის აღორძინება. მოკლე დროში ქართ. ჭედურობამ საინტერესო ევოლუცია განიცადა ვერცხლის ჭედური სამკაულებიდან დეკორ. ხასიათის კედლის რელიეფებამდე და მონუმ. პანოებამდე, რ-თაც ფართო გამოყენება პოვეს ახ. ქართ. არქიტექტურაში.

ქართ. ჭედური ხელოვნ. პირველი წარმატებები დაკავშირებულია ი. *ოჩიაურის*, კ. *გურულის*, გ. *გაბაშვილის* სახელებთან. ჭედურობის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანეს ა. *გორგაძემ*, ნ. შავგულიძემ, ლ. ცომაიამ, დ. ქობალიამ, თ. *დევდარიანმა*, ა. ჭაბუკიანმა, ი. *ქოიავამ*, დ. ყიფშიძემ და სხვ.

ლითონის პლასტიკის განვითარებასთან ერთად იხვეწება საიუველირო ხელოვნება. ლითონის ჭურჭლისა და სამკაულის შექმნაში იგრძნობა ტრად. ეროვნ. ოსტატობის შენარჩუნების სურვილი; ვირტუოზულ ოსტატობას თან ახლავს მხატვრული ამოცანის ორიგინ. გადაწყვეტა (მ. *ქუთათელაძე*, მ. *მაჰმედოვა*).

გაძლიერდა მხატვართა ინტერესი მინისადმი (თ. გრიგოლია). მხატვრული მინა ქართ. დ.-გ. ხ-ში თანდათან იმკვიდრებს ადგილს. გრძელდება ხეზე კვეთის ხალხ. ხელოვნ. ტრადიციები. კაკლის ხისაგან გამოჭრილი სასმისები – ფიალები, კათხები, კულები, აზარფეშები – არის ტრად. ფორმების ორიგინ. ტრანსფორმაციის ნიმუში.

ქართ. *გობელენმა* განსაკუთრებული აღიარება პოვა საერთაშ. ასპარეზზე. ა. და გ. გახარიების, გ. *ყანდარელის*, თ. *ჯაფარიძის*, თ. ნუცუბიძისა და სხვათა ნამუშევრები ყურადღებას იპყრობს ორიგინ. მხატვრული მეტყველებით, კომპოზიციური ოსტატობით, თავისებური ფერადოვნებით, ტექ. სრულყოფით.

თანამედროვე ქართ. დ.-გ. ხ-ის განვითარებას უდიდესი ამაგი დასდო დ. *ციციშვილმა*, რ-ის თეორ. და პრაქტ. საქმიანობამ, პედ. მოღვაწეობამ მნიშვნელოვნად განაპირობა ხელოვნ. ამ დარგის მიღწევები.

50-იან წლებში თბილ. სამხატვრო აკადემიაშივე საფუძველი ჩაეყარა ქართ. ფაიფურის ხელოვნებას (ამ ეპოქისთვის დამახასიათებელი პომპეზური საუბილეო ლარნაკები, მოგვიანებით – მცირე ზომის ფაიფურის სკულპტურები, ლიტ. და ფოლკლორული პერსონაჟები, ანიმალისტური ფიგურები); განვითარდა ფაიფურის ჭურჭლის (ლარნაკები, ჩაის, ყავის, ხილის ნაკრებები) ადგილობრივი წარმოება.

XX ს. 80–90-იან წლებში მოვიდა ქართვ. კერამიკოსთა ახ. თაობა (გ. იაშვილი, ლ. ქუთათელაძე, მ. შველიძე, ა. კაკაბაძე, ნ. ციციშვილი, ო. შარაბიძე, ო. ვეფხვაძე, მ. იზორია და სხვ.), რ-თაც ქართ. კერამიკის ტრადიციები შეუხამეს მსოფლიო კერამიკის ისტორიიდან მომდინარე იმპულსებს, ავანგარდულ ტენდენციებს, დანერგეს ახ. ტექნოლოგიები, აქტიურად ჩაებნენ საერთაშ. კონტაქტებში (სიმპოზიუმები, გამოფენები). ჭურჭლის გარდა ბევრი მათგანი ქმნის კერამ. ქანდაკებებს.

80-იან წლებში კლებულობს საზ-ბის და მხატვართა ინტერესი ჭედური ხელოვნ. ნიმუშების მიმართ. მხოლოდ ცალკეული მხატვრები განაგრძობენ მუშაობას ამ სფეროში (გ. სადაღაშვილი). ბოლო წლებში საეკლ. ხელოვნ. განვითარებამ ხელი შეუწყო მის ხელახალ აღორძინებას (თ. გოზალიშვილის ჭედური ხატები). ლითონის დამუშავების ხელოვნების განვითარებაში განსაკუთრებულია საფრანგეთში მცხოვრები ელგუჯა (გუჯი) *ამაშუკელის* წვლილი, რ-იც ქმნის აკად. მხატვრულ დაშნებს, საეკლ. რიტუალურ ჭურჭელს და სხვ. ჰოლანდიაში მრავალი წლის განმავლობაში მცხოვრებმა ქართვ. ოსტატმა გ. ლაღიძემ აღორძინა სამხ. აღჭურვილობის შექმნის ხელოვნება ძვ. ტექნოლოგიების გამოყენებით. XX ს. 60–80-იან წლებში მოპოვებული წარმატებების შემდეგ ქართ. მხატვრული მინის და ბროლის (მისი ერთ-ერთი პიონერი შ. ციციშვილი; მ. მიზანდარი, გ. ჭუმბურიძე, ნ. ფარულავა და სხვ.) ვიტრაჟის ხელოვნება (გ. იუსტინსკაია, ვ. ქოქიაშვილი) 90-იან წლებში ეკონ. კრიზისის, სამუშაო ბაზის არქონის (მხატვრული ნიმუშები უმთავრესად რუსეთსა და უკრაინაში იქმნებოდა) გამო ფაქტობრივად წყვეტს არსებობას. მხოლოდ ცალკეულმა მხატვრებმა (თ. გრიგოლია) შეძლეს მუშაობის გაგრძელება.

XX ს. დამლევსა და XXI საუკუნის დასაწყისში ქართ. დ.-გ. ხ-ის წამყვან დარგად მინანქრის ხელოვნება იქცა. ქართვ. ოსტატებმა შეძლეს ტიხრული მინანქრის უძველესი ტექნოლ. საფუძველზე მრავალფეროვანი თემატიკისა და დანიშნულების (საერო და საეკლ.) ნამუშევრების შექმნა. განსაკუთრებული ელფერი შემატა ამ დარგს ფერმწერთა, მოქანდაკეთა, არქიტექტორთა ჩართვამ. ერთდროულად მოხდა ორი ძვ. ტექნოლოგიის გამოყენებით, ტრად. ხედვის, იკონოგრაფიის, განსაკუთრებით საეკლ. რიტუალური დანიშნულების, რელიგ. მოტივებზე დაფუძნებული ნიმუშების (ა. სპარსიაშვილი, მ. და ც. ცალქალამანიძეები, ლ. შენგელია) და ახ. მხატვრული ენის, თემატიკის, იუმორის, ტექნოლ. სიახლეების შემცველი მიმართულების განვითარება (გ. კუპრაძე, ს. ლოდია, ს. ალავიძე, მ. ჩხეიძე, დ. კაკაბაძე უმცრ. და სხვ.). მინანქრის ხელოვნებამ დიდი ადგილი დაიკავა საიუველირო ხელოვნებაში (პ. პაატაშვილი, თ. გურგენიძე).

XX ს. ბოლო მეოთხედში დაიწყო მჭედლობის აღორძინება; საზ. და კერძო ინტერიერებში მხატვრული ნაწარმის (მოაჯირები, კარიბჭეები, აივნები) ჩართვა (თ. სულხანიშვილი, ს. ასათიანი). აღორძინდა ინტერესი მხატვრული იარაღისადმი. მრავალი წლის განმავლობაში ქართვ. ოსტატებთან ერთად ამ სფეროში მუშაობდნენ დაღესტნელები (მაჰომედოვები და სხვ.). ახალგაზრდა ქართვ. ოსტატებმა რთული ტექნოლოგიების დახმარებით შექმნეს მხატვრული იარაღის (დანები, ხმლები) საინტერესო ნიმუშები, რ-შიც შერწყმული იყო ქართ. და აღმოსავლური მოტივები, ფორმები (კ. ზარნაძე, რ. ოდიშელიძე და სხვ.).

ამავე პერიოდში გაძლიერდა ინტერესი მხატვრული თექისადმი (ძმები ტ. და ა. სისაურები, თ. კლდიაშვილი, თ. შათირიშვილი, თ. ჯაფარიძე). 70-იან წლებში ქსოვილებისგან შესრულებული აპლიკაციით იქმნებოდა სხვადასხვა ჟანრის მარტივი კომპოზიციის ნაწარმოებები (მ. თავაძე), 90-იანი წლებიდან კი – უფრო რთული კომპოზიციები (ო. მეგრელიძე და სხვ.).

თანამედროვე ქართ. გამოყენებითი ხელოვნ. ერთ-ერთ პოპულარულ დარგს ბატიკის ხელოვნება წარმოადგენს. მ. ჩიხლაძის მიერ აღზრდილი პირველი თაობის (ქ. ასპინძელაშვილი, ე. ერისთავი, ი. არსენიშვილი) გვერდით მუშაობას აგრძელებენ ახალგაზრდები, რ-ებიც სხვადასხვა ტექნოლოგიით (ცივი და ცხელი მოხატვა) ქმნიან მრავალფეროვანი ჟანრის, თემატიკის, მიმართულების ნამუშევრებს.

ქართ. ტექსტილის ხელოვნების



ღვთისმშობლის ხატი. XVI ს. ახალი შუამთა. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

განვითარებაში დიდი როლი ითამაშა თბილ. სამხატვრო აკადემიამ, მოგვიანებით – ქართ. ტექსტილის ჯგუფმა (1993), ჯგუფმა ,,La Maison Bleue'' (მ. თოიძე, მ. ხალვაში, ნ. ოჩიაური, ქ. ციციშვილი, ი. და ნ. ხოფერიები, ქ. ქავთარაძე, ნ. ყვავილაშვილი, ე. სირაძე, მ. და ი. ძიძიკაშვილები, ი. და მ. წინამძღვრიშვილები, ხ. რაზმაძე-მებადური). გა ნვითარდა მოცულობითი ტექსტილის ხელოვნებაც (თ. ნუცუბიძე, მ. ჩიხლაძე), ქვილთის ხელოვნება (ნ. ყიფშიძე, ნ. კუპრავა).

მხატვრული ავეჯის წამყვანი ოსტატი გ. კოტეტიშვილი სხვადასხვა მასალით (ლითონი, ხე, გობელენი, ზოგჯერ მეორეული მოხმარებისა) ქმნის საზ. (სასტუმ-



ბეჭდები ლალისა და ქარვის თვლებით (გრეხილი ბურთულებით). ვერცხლი. მხატვარი მ. ქუთათელაძე.

როები, რესტორნები) და კერძო ინტერიერისათვის განკუთვნილ ორიგინ. ფორმის ავეჯს.

თანამედროვე ქართ. გამოყენებითი ხელოვნ. საინტერესო დარგად იქცა თოჯინების შექმნა. 50-იან წლებში ბავშვებისთვის განკუთვნილ მექან. თოჯინა-სათამაშოებს (ნ. ბელიაევა, ლ. გილჩევსკაია, ლ. ბეგთაბეგიშვილი,

გ. ალექსანდროვი) უფრო მეტად შემეცნებითი დანიშნულება ჰქონდათ. დიდი ზომის, სამუზეუმო ექსპოზიციისთვის განკუთვნილ, ორიგინ. კონსტრუქციის თოჯინებს ქმნის თ. კვესიტაძე (მოძრავი, ტრანსფორმებადი თოჯინები), თოჯინებს ქმნიან აგრეთვე ა. კალატოზიშვილი, ე. წითლანაძე, ი. ქააძე, ბ. დვალიშვილი და სხვ.

ვითარდება საიუველირო ხელოვნება (ი. დოლიძე, ა. გიგოლაშვილი), გლიპტიკა (ა. ზელენცოვი).

XX ს. 80-იანი წლებიდან საქართველოში აღორძინებას იწყებს საეკლ. ხელოვნება. გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს (ჭედური და ფერწერული ხატები, საეკლ. ინვენტარი, ხის ნაწარმი, მინანქარი, საეკლ. სამოსი, ნაქარგობა და სხვ.) ქმნიან თბილ. სამხატვრო აკადემიის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო-სასწავლო ცენტრის კურსდამთავრებულები ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სახელოსნოებში.

ლიტ.: მაჩაბელი კ., ქართული საბჭოთა ჭედური ხელოვნება, თბ., 1976; საყვარელიძე თ., XII საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან, თბ., 1980; ჩუბინაშვილი გ., ქართული ოქრომჭედლობა. VIII–XVIII სს., ალბომი, თბ., 1957; ჩხარტიშვილი ა., მამნე ოქრომჭედელი, თბ., 1978; Современная грузинская керамика, М., 1984; Чубинашвили Н. Г., Грузинская средневековая резьба по дереву, Тб., 1958.

კ. მაჩაბელი. მ. ხერხეულიძე.

დეკორატიული დაბალბალახოვანი ადგილობრივი მცენარეები, ბალახოვან მცენარეთა ჯგუფი, რომლებიც ხასიათდებიან ვეგეტაციური ორგანოების სპეციფიკური აგებულებით, ტანდაბალი იერით (გართხმული და მცოცავი ფორმები), ბიოეკოლოგიური თავისებურებებით და დეკორატიული ნიშან-თვისებებით (ხანგრძლივი ყვავილობა, ფერთა დინამიკური ცვალებადობა).

საქართველოს დაბალბალახოვანი მცენარეები მონათესავე ჯგუფის სხვა მცენარეებთან შედარებით მკვეთრად გამორჩეულია. მათ მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გამწვანება-კეთილმოწყობაში. ესთეტ. ღირებულებასთან ერთად ისინი პრაქტიკულადაც აქტიურად გამოიყენება სანიტ.-ჰიგიენური და საწარმოსამეურნეო მიმართულებით.

ადგილობრივი დაბალბალახოვანი მცენარეების (კლდისდუმა, ია სურნელოვანი, კესანე, მიხაკი, კლდისვაშლა, სურო, ფურისულა, ფხიჯა და სხვ.). გამოყენების ხარისხი და ნიშან-თვისებები ჩამოყალიბებულია შემდეგი სპეციფ. მახასიათებლებით: ისინი ქმნიან მტკიცე დეკორ. საფარს, რ-იც სწრაფად ვითარდება; ვეგეტაციური მასის სიმჭიდროვე ამცირებს მოვლის ღირებულებას და გამწვანების ფართობის მჭიდრო საბურველიანობასთან ერთად ქმნის მასობრივ დეკორ. ეფექტს; რაც განპირობებულია ვრცელი ჯგუფების გეგმარებით, მასობრივი დარგვით და აღბეჭდილია მდელოსა და მინდვრის მცენარეულობაში; დ. დ. ა. მ-ს გააჩნიათ ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა (ბიოლ. სიბერის უქონლობა), უხვი ყვავილობის უნარი, ასევე ნაყოფმსხმოიარობა; ადგილობრივი დაბალბალახოვანი მცენარეების მჭიდრო საფარი და ვეგეტაციური მასა აფერხებს სარეველების აღმოცენებას; ისინი უძლებენ მკაცრ ზამთარსა და მცხუნვარე ზაფხულს, ეგუებიან ტენის უკმარისობას და ნიადაგის სიმწირეს (ამტანუნარიანობა), ავლენენ გამძლეობას დაავადებების და ავადმყოფობების მიმართ (იმუნიტეტი). დაბალბალახოვან მცენარეებში გამომუშავებული ბიოფიზიოლოგიური ნიშან-თვისებები საშუალებას იძლევა, ადამიანის ჩაურევლად წარიმართოს აღდგენის პროცესი (თვითაღდგენის უნარიანობა); ეს მცენარეები წლობით ინარჩუნებენ დეკორ. ეფექტს.



დაბალბალახოვანი მცენარეების დეკორატიული ფორმები საცდელ-საკოლექციო ნაკვეთზე.

ლიტ.: ისაკაძე შ., დეკორატიული დაბალბალახოვანი ადგილობრივი მცენარეები, წგ. 1, თბ., 2005; ისაკაძე შ., ისაკაძე ლ., დეკორატიული დაბალბალახოვანი ინტროდუცირებული მცენარეები, წგ. 2, თბ., 2009.

შ. ისაკაძე.

დეკორატიული მებაღეობა, *მებაღეობის* დარგი, რომლის მიზანია ადამიანის ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მოიცავს როგორც დეკორ. მცენარეთა ნერგებისა და ჩითილების გამოყვანას სპეციალიზებულ მეურნეობებსა და გამწვანების სამსახურში, ასევე სამეცნ.-კვლ. მუშაობას ბოტან. და დენდროლოგიურ ბაღებში. დ. მ-ს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ის ჩაისახა შორეულ წარსულში და გააერთიანა ისეთი დარგები, როგორიცაა: მებაღეობა, *მეხილეობა*, *მეყვავილეობა*, *მეტყეობა*, *მიწათმოქმედება*, ბაღ-პარკების ხელოვნება და *სასათბურე მეურნეობა*. მასვე დაუკავშირდა მონათესავე მეცნიერებები და ხელოვნ. დარგები, კერძოდ, *ბოტანიკა*, ზოგადი ბიოლოგია, *დენდროლოგია*, *გეობოტანიკა*, ქალაქებისა და სხვა დასახლ. ადგილების გამწვანება, ლანდშაფტური მებაღეობა და არქიტექტურა, პარკმშენებლობა, მწვანე მშენებლობა, *ეკოლოგია*, ფიტოდიზაინი და სხვ.

ისტ. და ლიტ. წყაროები მოწმობენ, რომ ადრინდ. საუკუნეებში მებაღეობას გამოყენებითი დანიშნულება ჰქონდა. ცხოვრების საჭიროებით შეიქმნა ხეხილის ბაღი, ბოსტანი, ბაღჩა, სამკურნ. მცენარეების ბაღი, ქარსაფარი ზოლი და სხვ. მოგვიანებით სას.-სამ. მცენარეულობა უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა ადამიანის მოთხოვნილებებსა და ესთეტ. თვალსაზრისით აუცილებელი გახდა დამატებითი დეკორატიული ელემენტების მიღება ხე-ბუჩქებისა და ყვავილების ახალი ჯიშების გამოყვანით.

საქართველოში, როგორც სამხრეთის ქვეყანაში, მზის მცხუნვარე სხივებისაგან დასაცავად პრაქტ. დანიშნულების მცენარეებთან ერთად ხალხი ფართოვარჯიან და ჩრდილის მომცემ მცენარეებსაც რგავდა. საამისოდ იყენებდნენ ველური ბუნების სხვადასხვა ფორმას და ხელოვნურად გამოყვანილ მცენარეებს.

აღრეულ საუკუნეებში დ. მ-ისა და გამწვანების ნიშანდობლივი მხარე იყო სწორხაზოვნება, სიმეტრიულობა, რასაც ექვემდებარებოდა ხუროთმოძღვრული ფორმებით და დეკორატიულ მცენარეთა განლაგებით გაშენებული გზა-ბილიკები და მოედნები. მო-

გვიანებით სამეურნ. ნაკვეთებს ფუნქციური თვალსაზრისით გარკვეული პრაქტ. დანიშნულებაც დაეკისრა, ხოლო გამწვანების უბნებმა სპეც. სახელწოდებები მიიღო: ,,მტილ-სამოთხე'', ,,წალკოტი'', ,,სამოთხე'', ,,სავარდე'', ,,ედემი'', ,,სამოთხეველი'' და სხვ.

IV ს-ში მეფე მირიანს მცხეთაში შესანიშნავი დეკორ. ბაღი ჰქონია, სახელად ,,სამოთხე სამეუფო'', რ-ის ძირითადი ნაწილი ყვავილნარს ეკავა, მათ შორის გამოირჩეოდა სავარდეები. ვარდებს შორის კი ყურადღებას იქცევდა წითელი ვარდი – ,,ვარდ-მეწამულა''.

შუა საუკუნეების დ. მ-ის ნიმუშებს, საეკლ. და სამონასტრო ბაღებს, სამკურნ. მცენარეთა ,,მტილ-სამოთხეებსა'' და საკარმიდამო ნაკვეთებს ჩვენამდე არ მოუღწევია. XVII ს. პოეტი ფეშანგი ფაშვიბერტყაძე ,,შაჰნავაზიანში'' აღწერს ვახტანგ V-ის სასახლესთან გაშენებულ დეკორ. ბაღს. საყურადღებოა აგრეთვე ვახტანგ VI-ის სავარდე, რ-საც, ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით, ველური ყვავილებიც ამშვენებდა. XVIII ს-ში თბილ. გარეუბანში ყვავილნარი ჰქონია ერეკლე II-ის ასულს – თეკლე ბატონიშვილს.

საქართველოში პირველი საზ. ბაღი – საქალაქო ბაღი გაშენდა 1821–58 ქუთაისში. მოგვიანებით ასეთივე ბაღი გაშენდა თბილისშიც – სოლოლაკში, კათოლიკეთა ბაღის სახელწოდებით. XIX ს. შუა წლებში თბილისში საყოველთაო აღიარება მოიპოვა ორთაჭალის ბაღებმა. იქ ისვენებდნენ და ერთობოდნენ ქალაქის მცხოვრებნი. ამავე საუკუნის II ნახევარში თბილ. გარეუბანს ამშვენებდა პოეტი ქალის მართა სოლოღაშვილის დეკორ. ბაღი. მოგვიანებით თბილისს შეემატა ალექსანდრეს (ახლანდ. 9 აპრილის და გ. ლეონიძის სახ.) და მუშთაიდის ბაღები.

1917 საქართველოში დ. მ-ისა და საბაღე-საპარკე ხელოვნ. 20-მდე ძეგლი იყო ცნობილი, კერძოდ, წინანდლის, ზუგდიდის, გორაბერეჟოულის, გორდის, დიდი ჯიხაიშის, ლიკანის, ქუთაისის, ფოთის, ბათუმისა და სხვ. 1921-მდე თბილისში იყო 2 პარკი (ბოტანიკური და მეფისნაცვლის), 2 საზ. ბაღი (ალექსანდრესი და მუშთაიდის), 6 სკვერი (ოპერის, ვერის, პუშკინის, ნაძალადევის, ავლაბრის, ორთაჭალის), 1 მერქნიან მცენარეთა დიღმის სანერგე



თბილისი. ვერის ბაღი. ორნამენტული ყვავილნარი (გელათის მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესიის ჩუქურთმის მიხედვით). 1975. ავტორი შ. ისაკაძე.

(სასათბურო მეურნეობითურთ) და კერძო ბაღები.

1930 დიღომში 200 ჰა-ზე მოეწყო დ. მ-ის სანერგე, რ-მაც საფუძველი დაუდო დედაქალაქის ქუჩა-მოედნების გამწვანებას და მოსახლ. უზრუნველყო აჭრილი ყვავილებითა და ქოთნის კულტურებით.

90-იან წლებში ქვეყანაში იყო დ. მ-ის 700-მდე უბანი, ხოლო თბილისში 400-მდე, მ. შ. 6 საქალაქო, 7 რაიონული, 5 სპეციალიზებული პარკი, 21 ბაღი, 320 სკვერი, 3 ხეივანი, 2 საქალაქო დასასვენებელი ზონა და მწვანე მასივი.

საქართველოში დ. მ-ისა და გამწვანების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით: ნ. *კეცხოველს*, ვ. *გულისაშვილს*, ლ. *ყანჩაველს*, მ. *მამულაშვილს*, ვ. ბეჟანიშვილს, ა. კერესელიძეს, ა. მიქელაძეს, ი. ხმალაძეს, ს. კვახაძეს, ა. ფხაკაძეს, გ. ჟორდანიას, ი. ნაკაშიძესა და სხვ.

საქართვ. დ. მ-ის სანერგე-სასათბურო მეურნეობებში გამოჰყავთ მაღალხარისხოვანი დეკორ. ფოთლოვანი მცენარეები: ნეკერჩხალი, იფანი, ჭადარი, ცაცხვი, ცხენის წაბლი, ვერხვი, ძეწნა, მტირალა ტირიფი, სოფორა, კაკალი, აკაკი; წ ი წ ვ ი ა ნ ე ბ ი: ჰიმალაის კედარი, ელდარის ფიჭვი, ტუია, კვიპაროზი; ბ უ ჩ ქ ე ბ ი: კვიდო, მაჰონია, იაპონური კომში, ცხრატყავა, ჟასმინი, კურდღლის ცოცხა, სპირეა, ჭანჭყატი, ბროწეული, თრიმლი, ხეტუხტი, წყავი. თბილ. დ. მ-ისა და გამწვანების უბნებში გეხვდება უცხ. წარმოშობის, მაგრამ ადგილ. პირობებთან კარგად შეგუებული ხ ე - ბ უ ჩ ქ ე ბ ი: მჩხვლეტავი ნაძვი, ირმის რქა, ლუზიტანური კვიპაროზი, ესპანური და ევროპული სოჭი, ჰიმალაის ფიჭვი, ჩვეულებრივი უთხოვარი, იაპონური კრიპტომერია, მშვენიერი იუკა, იაპონური კვიდო, სოფორა, მსხვილყვავილა მაგნოლია, მაცუდას ტირიფი, საპნის ხე, ევკომია, იაპონური აუკუბა და სხვ.

მძლავრი სანერგე მეურნეობებია თბილისში (ნატახტარი), გორში (კარალეთი), ბათუმში (ბობოყვათი), სასათბურე მეურნეობები კი – თბილისის, მწვანე კონცხის დენდროპარკის, კრწანისის გამწვანების სამსახურის სახით, სადაც წელიწადში რამდენიმე ათასი დეკორ. ხე-ბუჩქი და ჩითილი გამოჰყავთ. *შ. ისაკაძე.*

დეკორატიული მცენარეები (ლათ. decoro – ვრთავ, ვალამაზებ), ხელოვნურად გამოყვანილი თუ ბუნებაში არსებული მერქნიანი ხე-ბუჩქების და ბალახოვან მცენარეთა ჯგუფი, რ-ებიც გამოიყენება გამწვანების დარგში (ლანდშაფტური არქიტექტურა, დეკორ. მებაღეობა, ფიტოდიზაინი) და სახალხო მეურნეობაში (კულინარია, სამკურნ. მედიცინა, პარფიუმერია და სხვა).

კულტ. და ველური მერქნიანი ხეები, ბუჩქები და ბალახოვანი მცენარეები გამოირჩევიან დეკორატიულობით, რითაც განპირობებულია მათი გარეგანი ნიშან-თვისებები: ღეროს და ტოტების აგებულება, ფორმა, აღნაგობა, შეფერადება, ყვავილობა, ნაყოფ-

დეკორატიული მცენარეები



დიდყვავილა მაგნოლია (Magnolia grandiflora).



ვერცხლისფერი ნაძვი (Picea pungens).



ციკასი (Cycas revoluta).



იაპონური ნეკერჩხალი (Acer palmatum).

მსხმოიარობა და ასაკი. ამ ბიოლ. თავისებურებით მცენარეულობა დაყოფილია რამდენიმე ჯგუფად: ხემერქნიანები, ბუჩქები, წყალმცენარეები, მრავალწლიანები, ორწლიანები, ერთწლიანები, მაღალი და დაბალბალახოვანი მცენარეები.

დ. მ-ის ვარჯის მრავალსახოვანი ფორმები მხატვრული ეფექტების შექმნის დამატებით საშუალებას იძლევა საბაღო-საპარკო კომპოზიციებში. ეს მცენარეული ფორმებია: პირამიდული, სფერული, ქოლგისებრი, მტირალა, ჯუჯა, გართხმული და ა. შ. რეგულ. სტილის ბაღ-პარკებში გამოიყენება **დ. მ.** ვარჯის სწორი, გეომ. მოყვანილობით; მათ ეს ფორმა ბუნებრივად აქვთ თანდაყოლილი და ხელოვნურ ფორმირებას ნაკლებად მოითხოვენ. ამ ჯგუფს ეკუთვნის: უთხოვარი, ტუია, კვიდო (ლიგუსტრუმი), ბზა და სხვა. ამავე დანიშნულებით გამოდგება სქელი და ხშირფოთლიანი ბუჩქნარი: სპირეა (გრაკლა), აბელია, თოვლის გუნდა და სხვა.

ხე-ბუჩქები იყოფა ფოთლოვანებად და წიწვოვანებად, ბიოლ. თვისებით – ფოთოლმცვივანებად და მარადმწვანეებად. მათ დეკორატიულობას განსაზღვრავს ფოთლების შეფერადება, რ-იც ცვალებადობს გაზაფხულიდან ზამთრის პირველი ყინვების დადგომამდე.

დ. მ. ვარჯის მოყვანილობით სხვადასხვა სიდიდის (ჯუჯა, საშუალო და ტანმაღალი) მცენარეებად იყოფა. გაშლილი და მაღალი ვარჯით ხასიათდება: მუხა, ჭადარი, ვერხვი, კედარი, ფიჭვი, იფანი, მაგნოლია. ეს მცენარეები გვხვდება ბაღ-პარკებში, სკვერებში, გამოიყენება ხეივნების შესაქმნელად, ტყე-პარკებში დიდი მასივებისა და ქარსაფარი ზოლების მოსაწყობად. ხემერქნიანი მცენარეები გამოიყენება ცალკეულად მდგომი (სილიტერი), როგორიცაა: ვერცხლისფერი ნაძვი, პირამიდული უთხოვარი, კვიპაროსი, საბაღო კედარი, ციკასი, გართხმული ღვია და სხვა. ვერტიკალური გამწვანებისათვის – სურო, კატაბარდა, ვაზი სამქაცვიანი, ტეკომა, გლიცინია და სხვ.

დ. მ-ის ბუჩქებს იყენებენ ბაღ-პარკებში, სკვერებში, ტყე-პარკებსა და გამწვანების სხვა ელემენტებში, ასევე ფერდობებზე – ეროზიული ჩამონაშლების შესაკავებლად – ქვის ბაღებში, გორაკებზე, ხეივნებში და ა.შ. პერსპექტიული ჯიშებია: გრაკლა, კოწახური, ბროწეული, ჩიტავაშლა, ქაცვი, იასამანი, ძახველი, იაპ. ნეკერჩხალი და სხვა.

მრავალწლოვანი ბალახოვანი ყვავილოვანი მცენარეები ფართოდ გამოიყენება საბაღო პერსპექტივების და გახსნილი მოცულობითი ხედების შესაქმნელად. მრავალწლოვანი ყვავილნარები (გაშენებული ჯგუფებად და ცალკეული ლაქების სახით) დამკვიდრებულია ბაღ-პარკების თუ გარემო ბუნების კომპოზიციებში. ყვავილების ფორმა და ფერთა შეხამება ჰარმონიული თანაფარდობით ერწყმის შემოგარენის კომპონენტებს (ლანდშაფტი, შენობა-ნაგებობა, მცირე არქიტ. ფორმები, ხე-ბუჩქები), სადაც იგრძნობა ეფექტური დეკორ. დინამიკა წელიწადის თუ სეზონური მონაკვეთების მკვეთრი ცვალებადობით. ამ ჯგუფებს და სახეობებს შორის გამოირჩევა: ვარდი, იორდასალამი, მიხაკი, ხმალა, ასტრა, ზამბახი, წყალიკრეფია, შრომანი, ფლოქსი.

ორწლოვანი დეკორატიული ყვავილების (ია სამფერი, კესანე, ზიზილა, ლომის ყბა, ალისუმი, მიხაკი თურქული, მაჩიტა, ყაყაჩო) სავეგეტაციო პერიოდი 2 წელია. პირველ წელს ვითარდება ვეგეტაციური ნაწილები (ფოთოლი, კვირტები), მეორე წელს – ყვავილები და თესლი. ზოგიერთი მათგანი ყვავილობას აგრძელებს მესამე წელსაც, თუმცა ყვავილები მცირდება და დეკორატიულობა ქვეითდება. ორწლოვანები თესლით მრავლდებიან ღია და დახურული გრუნტის პირობებში.

ერთწლოვანი მცენარეები ეწოდება ყვავილოვანთა ჯგუფს, რ-ებიც გასაფორმებელ დეკორ. ნაკვეთში იმყოფებიან ერთი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. ამიტომ მათ ამრავლებენ ყოველ წელს ღია ან დახურულ (სათბური) გრუნტში. გამოიყენება გამწვანების ცალკეულ ფრაგმენტებად, ბორდიურებში ან ფართო ლაქებად. ეფექტურია ქვის ბაღებში და ორნამენტულ ყვავილნარებში. ველურ სახეობებთან მრავლადაა მათი საბაღო ფორმები: ია სამფერი, ვერბენა, პეტუნია, ალისუმი, ხავერდულა, ციცინო და სხვა, ეფექტურია რაბატის, კლუმბის, არშიის გასაფორმებლად და თაიგულების ორანჟირებისთვის.

ტენიანი და დაჭაობებული ადგილების გასამწვანებლად იყენებენ გვიმრას, აუზების გასაფორმებლად – თეთრსა და ყვითელ დუმფარას, ბაღ-პარკების მოლის შესაქმნელად – ინგლისურ კოინდარს. *შ. ისაკაძე.*

დეკორატიული ქსოვილი, იხ. *მხატვრული ქსოვილი.*

დეკრეტული დრო, *ადგილობრივ დროსთან* შედარებით ერთი საათით წინ გადაწეული ზოლური დრო. შემოღებულია საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით (1930) დღის სინათლისა და ელექტროენერგიის რაციონალურად გამოყენების მიზნით. 1990 წ. 20 ივნ. საქართვ. უზენაესი საბჭოს სესიამ საქართვ. ტერიტორიაზე **დ. დ.** გააუქმა. **დ. დ.** III სასაათო ზოლისა, რ-შიც მოქცეულია მთელი საქართველო, 4 საათით უსწრებს *მსოფლიო დროს.*

დე ლა ტორე ბოტარო (De la Torre Botarro) გუსტავო ალფრედო, თანამედროვე ჩილელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ეკუთვნის ნარკვევები საქართველოს ისტორიის, კულტურისა და მწერლობის შესახებ. 1964 სანტიაგო-დე-ჩილეში ესპ. ენაზე გამოსცა ,,ვეფხისტყაოსნის'' სრული პროზაული თარგმანი. თარგმანს დართული აქვს ვრცელი ნარკვევი, რ-შიც ავტორი, თავის სხვა ნაშრომების მსგავსად, ავითარებს აზრს, რომ პოემა ემყარება ძველ ქართულ მდიდარ კულტურას და გამოხატავს ეროვნ., სახელმწიფოებრივ და სოც.-პოლიტ. იდეალებს. მისმა სტატიებმა ხელი შეუწყო ქართ. კულტ. პოპულარიზაციას ესპ. ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ქვეყნებში. 1966 სანტიაგოში ჩატარდა შოთა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი, სადაც **დე ლა ტ. ბ.** მოხსენებით გამოვიდა.

თხზ.: შოთა რუსთაველის შემოქმედების შესახებ, «კომუნისტი», 1965, 27 ივნ., № 150; რაინდული ეპოსი, იქვე, 1966, 30 სექტ., № 223.

დელგერი (Dölger) ფრანც (4. X. 1891, კლაინვალშტადტი, – 5. XI. 1968, მიუნხენი), გერმანელი ბიზანტინოლოგი. 1931–59 მიუნხენის უნ-ტის პროფესორი, მიუნხენის ბიზანტინოლოგიური საზბის ხელმძღვანელი, ,,Byzantinische Zeitschrift''-ის (,,ბიზანტინოლოგიური ჟურნალის'') რედაქტორი (1928–63). გამოსცა ბიზანტ. ისტ. ძეგლები, იკვლევდა ბიზანტ. დიპლომატიკას, ფინანსურ სისტემას, აგრ. ურთიერთობის, ფილოლ. და სხვა საკითხებს, ასევე ევრ. ქვეყნებთან ბიზანტიის პოლიტ. დამოკიდებულებას. **დ.** ბიზანტინოლოგიაში ფილოლ.-იურიდ.

მიმართულების მკვლევარია. მას ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რ-შიც განხილულია ,,ვარლაამი და იოსაფატის'' ბერძნ. რედაქციის ავტორობის საკითხი. იგი არ იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ ,,ვარლაამი და იოსაფატი'' ქართ. ,,ბალავარიანიდანაა'' თარგმნილი ექვთიმე მთაწმინდელის მიერ. ამ პოპულარული ბიზანტ. რომანის ავტორად, თანახმად ბერძნ. ტრადიციისა, იგი იოანე დამასკელს მიიჩნევს.

დელი დილავერ-ფაშა (თურქ. დელი – შმაგი, ფიცხი), XVII ს. ოსმალეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, წარმოშობით ქართველი. ბავშვობისას იმერეთიდან ტყვედ წაუყვანიათ და გაუყიდიათ. დ. დ. მამლუქი გამხდარა, მსახურობდა ყარა მუსტაფა-ფაშასთან; როდესაც ფაშა დიდი ვეზირი გახდა, მან დ. დ. თორთუმის სანჯაყბეგად დანიშნა (1639). დ. დ-მ მონაწილეობა მიიღო გონიოსთან გამართულ ბრძოლებსა და სამეგრელოზე თავდასხმაში (1647). შემდეგ ილაშქრა ბასრაზე. 1667 მისი კვალი დაიკარგა. თურქი მოგზაურის ევლია ჩელების ცნობით, დ. დ. ყოფილა გამორჩეული ადამიანი, შეუდრეკელი და უშიშარი მებრძოლი, უებრო ცხენოსანი, მეთოფე და მექამანდე.

ლიტ.: ევლია ჩელების ,,მოგზაურობის წიგნი''. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. 1–2, თბ., 1971–73. *მ. სვანიძე.*

დელილე (Delisle) ჟოზეფ (იოსებ) (4. IV. 1688, პარიზი, – 11. IX. 1768, იქვე), ასტრონომი, გეოგრაფი, კავკასიოლოგი. პარიზის მეცნ. აკად. წევრი (1714), პეტერბურგის მეცნ. აკად. აკადემიკოსი, ამავე აკად. გეოგრ. დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 1727–47 მოღვაწეობდა რუსეთში. დ. შეხვდა პეტერბურგში ჩასულ *ვახტანგ VI-ს*, მეფე *ბაქარს*. მისი წინადადებით, რუს. საგარეო კოლეგიის პროფ. გ. კერმა ლათინურად თარგმნა ულუღ-ბეგის ასტრონ. თხზულება ,,ზიჯი''. ამასთან დაკავშირებით შეისწავლა აღნიშნული ძეგლის ვახტანგისეული თარგმანის ხელნაწერი. 1736 დ. გაეცნო პეტერბურგში დიპლ. მისიით ჩასულ კახეთის სამეფოს წარმომადგენელს როსებს, რ-ის დახმარებითაც შეადგინა კახეთის სამეფოს სქემატური რუკა (დაცულია სანქტ-პეტერბურგში, რუს. მეცნ. აკად. ბ-კის ხელნაწერთა განყ-ბაში ,,დელილის პორტფელი''). 1738 ბაქარმა დ-ს გადასცა *ვახუშტი ბატონიშვილის* მიერ შედგენილი რუკები, რ-ებიც გეოგრ. დეპარტამენტში თარგმნეს და გაამრავლეს. 1740 პეტერბურგში ჩასული ვახუშტი დაინტერესდა საქართვ.-კავკ. იმ ქართული რუკების მდგომარეობით, რ-ებიც ამ დეპარტამენტში ითარგმნებოდა. 1747 დ. სამშობლოში დაბრუნდა. სხვა მონაპოვართან ერთად მან თან წაიღო საქართვ.-კავკ. რუკები. გამოსცა ვახუშტისეული თბილისის გეგმა. 1766 პარიზში გამოაქვეყნა რუსეთიდან წაღებული სხვა რუკები შესავალ წერილთან ერთად. მეცნიერის ფონდი დაცულია საფრანგეთის საზღვაო სამინისტროს არქივში.

ფ. სიხარულიძე.

დელისი, თბილისის ერთ-ერთი ახალი უბანი მის ჩრდ.-დას. ნაწილში. თავდაპირველი სახელი იყო ,,გდელისი''. ეს ტოპონიმი დადასტურებულია XVIII ს. მოღვაწის იესე ოსეს ძის (ბარათაშვილის) თხზულებასა და ვახუშტი ბატონიშვილის ,,პეტერბურგულ ატლასში'' (1745), სადაც №10 რუკაზე დატანილია მდ. ვერის მარცხ. მხარეს და მოიცავს ტერიტ. მოზრდილ ნაწილს.

სიტყვა ,,გდელისი'' ორი ცნებისაგან შედგება – ,,გდელი'' და ,,ლისი''. გდელი ძვ. ქართულში გრძელის შესატყვისად იხმარებოდა, ხოლო ლისი დაჭაობებულ ფართობს ეწოდებოდა. გდელისის თავდაპირველი სახელწოდება ,,გდელი ლისი'' უნდა ყოფილიყო. შემდგომში ორი ერთნაირი მარცვლიდან ერთ-ერთი დაიკარგა და მივიღეთ გდელისი. გდელისი ცოცხალი ტოპონიმია XIX ს-ში და XX ს. დასაწყისში (ხუთვერსიანი რუკა, დ. დ. პაგირევი).

XIX ს. ბოლოს მდ. ვერის ხეობის ნაწილში და ლისის ტბის მიდამოებში გაჩნდა აზერბ. (თურქულენოვანი) მოსახლეობა. სავარაუდოა, რომ ამ მოსახლ. ენობრივი თავისებურებების გამო სიტყვაში ,,გდელისი'' დაიკარგა თავკიდური ბგერა ,,გ'' და მივიღეთ ტოპონიმი ,,დ.''

დ-ის ტერიტორიაზე დადასტურებულია ენეოლითური ხანის (ძვ. წ. V ათასწლ. II ნახ. – IV ათასწლ. დასაწყ.) ადრინდ. სამიწათმოქმედო კულტურის არქეოლ. ძეგლი. გათხრები მიმდინარეობდა 1972, 1976–78 (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი). გამოვლენილია ოთხკუთხა და წრიული ნაგებობანი. აღმოჩენილია თიხის ჭურჭლის ნატეხები, ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები, ბაზალტის იარაღი, ძვლის კვირისტავი, ირმის რქის ნაწილი. ძეგლის მასალას საერთო აქვს, ერთი მხრით, ქვემო ქართლისა და აზერბ. ტერიტორიაზე გავრცელებულ ე. წ. შულავერ-შომუთეფეს კულტურასთან, ხოლო, მეორე მხრით – ზემო იმერეთის თანადროულ ძეგლებთან. კერამიკის მცირე ნაწილი კი მტკვარ-არაქსის არქეოლ. კულტ. იერს ატარებს. ეს საინტერესოა როგორც მტკვარ-არაქსის კულტ. თავდაპირველი კერის დასადგენად, ისე მტკვარ-არაქსისა და ადრესამიწათმოქმედო კულტურათა ურთიერთმონაცვლეობის საკითხის გასარკვევად. დ-ის მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებას, მეთუნეობას, ქვის წარმოებას, მესაქონლეობას. ოსტეოლოგიური მასალის მიხედვით, ძირითადად მოშენებული ჰყოლიათ მსხვილფეხა საქონელი, აგრეთვე ღორი, ცხვარი და თხა. აქ აღმოჩენილი სპილენძ-ბრინჯაოს



ლომის ქანდაკება. ბრინჯაო. I ს. დელისი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

ნივთები ადგილ. წარმოებისაა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ თბილისი და მისი მიმდებარე რეგიონი ბრინჯაოს დამზადების ერთ-ერთი უძველესი კერა ყოფილა.

ლიტ.: აბრამიშვილი რ., დელისის ნასახლარი, წგ.: თბილისი. არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1978; მეგრელაძე დ., თბილისის ტოპონიმიკიდან (დელისი), კრ.: ვახუშტი ბაგრატიონი – ისტორიკოსი და ეთნოგრაფოსი–300, თბ., 1997.

რ. აბრამიშვილი. დ. მეგრელაძე.

დელიტეს ეკლესია, ხუროთმოძღვრული ძეგლი მთიან ინგუშეთში, ცეი-ლამის ქედის ძირში, ნასოფლარ ქართის ნანგრევებთან გამავალი ისტ. გზის მახლობლად. ეს გზა ოდითგანვე აკავშირებდა მდ. ასისა და დარიალის ხეობებს. ინგუშურ ენაზე დელიტე (დოლტე) ნიშნავს ,,ღმერთისკენ'' (მიმავალ გზას). საკულტო ნაგებობა ქვითა და დუღაბით ნაგები შენობაა, გადახურული ფიქლის საფეხურებიანი ორფერდა სახურავით. სამხრეთიდან აქვს თაღოვანი შესასვლელი. შიგა სივრცე თაღით ორ მონაკვეთად არის გაყოფილი. კედლებს შემოუყვება ქვისავე დაბალი საფეხურები. აღმ. კედელზე შიგნიდან მიშენებულია სვეტი-სა-

კურთხეველი, რ-შიც სიმაღლეზე 3 ნიშია განლაგებული. შუა ნიშის სიღრმეში ჯვარია გამოკვეთილი. დიდი ზომის გოლგოთიანი ჯვრებია გამოყვანილი აგრეთვე დას. და აღმ. ფასადების ქვის წყობაში. წყაროების მიხედვით, ნაგებობაზე ჯერ კიდევ XIX ს-ში აღმართული იყო რკინის ჯვრები. მდ. ასის ზემო წელზე, დ. ე-ის მახლობლად შემორჩენილია ვაინახთა (ჩაჩნები და ინგუშები) რამდენიმე ციხესიმაგრე, რ-თა საბრძოლო კოშკებზე გოლგოთიანი ჯვრებია გამოსახული (გოლგოთიანი ჯვრების გამოსახულებანი საქართველოში ეკლესიებისა და ციხესიმაგრეების ფასადებზე XVI ს-იდან გაჩნდა). ისინი XVII–XVIII სს-ით თარიღდება. მსგავს გამოსახულებათა მოტივი შემონახულია ინგუშეთის სხვა ძეგლებზეც (მიატარ-დელა, მაგო-ერდა და სხვ.). მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, მკვლევართა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ დ. ე. სწორედ ქრისტ. ეკლესიაა და ქართველთა და ვაინახთა პოლიტ. და კულტ. ურთიერთობის დამადასტურებელი მაგალითია.



ა. დემეტრაშვილი.

ლიტ.: ვ ი ნ ო გ რ ა დ ო ვ ი ვ., XVII საუკუნის საქართველო-ინგუშეთის ურთიერთობის ძეგლები, «ძეგლის მეგობარი», 1982, № 60.

დელკანი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის სალბიერის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის დას. კალთაზე. ზ. დ. 1250 *მ,* ახალგორიდან 9 *კმ.* 5 მცხ. (2002).

დ. მოხსენიებული აქვს ი. *გიულდენშტედტს* (1772) სოფელთა სიაში. *ჯ. გვასალია.*

„დელტა“, სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი. 1965 სსრკ სახ. მეურნ. საბჭოსთან შეიქმნა საბაზისო იზოტოპების ლაბორატორიები, რ-თა დანიშნულება იყო სახ. მეურნეობაში ,,მშვიდობიანი ატომის“ დანერგვა.

1966-იდან თბილისის იზოტოპების ლაბორ. დაექვემდებარა სსრკ თავდაცვის მრეწვ. სამინისტროს. 1968-იდან ჩამოყალიბდა როგორც სსრკ თავდაცვის მრეწვ. სამინისტროს სახელმწ. სამეცნ.-საწარმოო გაერთიანების ,,დელტას“ თბილისის ფილიალი. 1989-იდან უწოდეს ზუსტი ხელსაწყოების სამეცნ.-კვლ. და საკონსტრუქტორო ინ-ტი ,,დელტა“. 1998-იდან საქართვ. თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. 1998-იდან მის ბაზაზე შეიქმნა სახელმწ. სამხ. სამეცნ.-ტექ. ცენტრი ,,დ.“.

ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: სპეც დანიშნულების აღჭურვილობის და მასალების შექმნა და სერიული გამოშვება; საბრძოლო მასალების ფეთქებადი ნივთიერებით უტილიზაცია; ოპტ. ხელსაწყოები, ლოკაციური სისტემები, პროგრესული ტექნოლოგიების დამუშავება და სხვ. ცენტრის თანამშრომელთა გამოგონებებს მიღებული აქვს 150-ზე მეტი საავტორო მოწმობა.

დელტასუბანი, სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ზედა საზანოს თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. ძუსის (ჩოლაბურის მდგენელი) მარჯ. მხარეს. ზ. დ. 280 *მ,* თერჯოლიდან 12 *კმ,* ზესტაფონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 18 *კმ.* 606 მცხ. (2002).

დემავენდი, ჩამქრალი ვულკანი ელბურსის ქედზე, ირანის უმაღლესი მწვერვალი, სიმაღლე 5604 *მ.* დამრეცი კონუსის სიმაღლე ქედის თხემიდან 1,5 *კმ.* აგებულია ძირითადად ანდეზიტური ლავებით. არის თანამედროვე მყინვარები. კალთებზე ცხელი აირებისა და გოგირდოვანი წყაროების გამოსასვლელებია.

1944 დ-ზე ჩატარდა პირველი მასობრივი ასვლა, რ-საც ქართვ. მთამსვლელები კ. *ჯავრიშვილი* (საერთო ხელმძღვანელი), კ. ასტახიშვილი, ი. ივანიშვილი, რ. ჩხეიძე ხელმძღვანელობდნენ.

დემენტიან მესუკეველი, *იხ. მესუკეველი მოწამენი.*

დემერჩენცი, სოფელი გაგრის მუნიციპალიტეტის მიქელრიფშის თემში (აფხაზეთის არ), მდ. ფსოუს მარცხ. მხარეს. ზ. დ. 360 *მ,* გაგრიდან 40 *კმ.* 326 მცხ. (1989).

დემეტრა (Dēmētēr), ბერძნული მითოლოგიით, ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების მფარველი ქალღმერთი, მოგვიანებით – კანონმდებლობის, ოჯახისა და ქორწინების მფარველიც. კრონოსისა და რეას შვილი, ზევსის და, პერსეფონეს დედა. დ-ს მთავარ საკულტო ცენტრად ქალაქი ელევსინი ითვლებოდა, სადაც სექტემბერში იმართებოდა ცხრადღიანი მისტერიები – დ-სა და პერსეფონესადმი მიძღვნილი დღესასწაულები. დ-ს უძველესი ტაძრები გამოვლენილია ბერძნ. სამყაროს მრავალ ადგილზე.

უძველეს ხანაში დ-ს ანალოგიური ფუნქციების მქონე ნაყოფიერების მფარველი ქალღმერთის კულტის არსებობა საქართვ. ტერიტორიაზეც დასტურდება. ელინისტურ ეპოქაში ახლო აღმოსავლეთში ბერძნ. კულტების ფართოდ გავრცელების შემდეგ, როგორც ჩანს, მან კოლხ. სამყაროშიც შემოაღწია და ფუნქციური სიახლოვის გამო, მოხდა დ-ს ასიმილაცია ადგილ. ნაყოფიერების ქალღმერთთან. ამგვარ შესაძლებლობას ადასტურებს ვანის ნაქალაქარში აღმოჩენილი, პოსტამენტზე ამოკაწრული გრაფიტო, რ-შიც ქალღმერთი მოხსენიებულია ელევსინის დ-ს ეპიკლიზით – ანასას სახელით. ვანის ნაქალაქარშივე გათხრილ დიდ სატაძრო კომპლექსში აღმოჩენილ საკურთხეველს დ-ს სამლოცველოში დადასტურებულ ე. წ. მიწის საკურთხეველთან ეძებნება ანალოგი. საკურთხეველთან აღმოჩენილ შესაწირავში განსაკუთრებით მრავლად დასტურდება დ-ს საკრალური ცხოველის – ღორის ძვლები. ვანის ნაქალაქარში აღმოჩენილი ერთადერთი ტერაკოტა, რ-იც ზოგადად დ-ს წრის ქალღმერთად მოიაზრება, იმის საფუძველს იძლევა, რომ ელინისტურ ხანაში დ-ს გამოსახულება ბერძნ. იკონოგრაფიული მოდელის მიხედვით მზადდებოდა. წინარეელინისტურ ხანაში კი გამოსახულების დანიშნულებას, როგორც ჩანს, მისი სიმბოლო ასრულებდა. ეთნოგრ. მონაცემების გათვალისწინებით, შესაძლებელია, ამ ქალღმერთის სიმბოლო სამი თითით დატანილ ანაბეჭდადაც მოიაზრებოდა. სვანური ლამარიას სიმბოლოდ, რ-იც რიტუალის მიხედვით, მიწის ნაყოფიერების წარმართული ქალღმერთის საფუძველზე ჩანს აღმოცენებული, სწორედ ამგვარი სიმბოლოა მიჩნეული.

ლიტ.: ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941; ხ ი დ ა შ ე ლ ი მ., ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში, თბ., 1942; The Oxford Classical Dictionary, Oxf., 1970. *ნ. მათიაშვილი.*

დემეტრაშვილი ავთანდილ ვლადიმერის ძე (დ. 21. XI. 1941, სოფ. პატარა თონეთი, ახლანდ. თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი), იურისტი, საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტი, საქართვ. საკონსტიტუციო სასამართლოს თავ-რე (1996–2001), საქართვ. სახელმწ. საკონსტიტუციო კომისიის თავ-რე (2009-იდან). 2001–04 იყო იუსტიციის საბჭოს წევრი. დაამთავრა ქ. პერმის სახელმწ. უნ-ტის **იურიდ. ფაკ-ტი (1967), მოსკოვის**

მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტის ასპირანტურა (1975). 1986-იდან მუშაობს თბილ. ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტში (კათედრის გამგე, პროფესორი), არის მრავალი სამეცნ. შრომის (მ. შ. 3 მონოგრაფია) ავტორი, კონსტ. სამართლის 2 სახელმძღვანელოს თანაავტორი. მინიჭებული აქვს მოსამართლის უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის სპეც. წოდება და იუსტიციის სახელმწ. მრჩევლის საკლასო ჩინი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

დემეტრაშვილი ივანე გაბრიელის ძე (2. XI. 1910, სოფ. დიდი თონეთი, ახლანდ. თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი, – 16. IV. 1945, ბერლინის მისადგომებთან), საბჭ. კავშირის გმირი (31. V. 1945, სიკვდილის შემდეგ), კაპიტანი. 1931 დაამთავრა თბილ. კავშირგაბმ. ტექნიკუმი. II მსოფლიო ომის დროს იბრძოდა ბელორ. I ფრონტის ჯარების შემადგენლობაში. ბერლინის მისადგომებთან გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. დაკრძალულია ქ. კიუსტრინში (ახლანდ. კოსტშინი, პოლონეთი). მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები. *ტ. ჩიხჩილაკაშვილი.*

დემეტრაშვილი ნანა (ნათელა) ალექსანდრეს ასული (19. IV. 1939, თეთრი წყარო, – 15. VIII. 2011), რეჟისორი. საქართვ. სახ. არტისტი (1983). 1963 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი. 1963–64 რეჟისორად მუშაობდა თბილ. სანკულტურის თეატრში, 1964–67 – გორის გ. ერისთავის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრში. 1967–87 – სათავეში ედგა მესხეთის (ქ. ახალციხე) განახლებულ დრამ. თეატრს (1967–76 – მთ. რეჟისორი; 1976–87 – დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი). სპექტაკლები დადგა თბილ. ა. გრიბოედოვის სახ., ქუთ. ლ. მესხიშვილის სახ., ჭიათურის სახელმწ. დრამ. და რუსთავის დრამ. თეატრებში. დ-ის საუკეთესო ნამუშევრებია: კ. ვიტლინგერის ,,ვარსკვლავიდან ჩამოსული კაცი'', ნ. დუმბაძის ,,მზიანი ღამე'', ო. ჩხეიძის ,,თედორე'', ა. გეწაძის ,,პაემანი ცაში'' (სპექტაკლის ჩვენებამ წარმატებით ჩაიარა მოსკოვში 1976), ფ. შილერის ,,ყაჩაღები'', კ. ბუაჩიძის ,,ეზოში ავი ძაღლია'', მოლიერის ,,ტარტიუფი'', ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი''. დ-ის სპექტაკლები (ა. გეწაძის ,,გზა, ყარამანს ქალი მოჰყავს'', ,,წმინდანები ჯოჯოხეთში'') წარმატებით დაიდგა კირჯალის (ბულგარეთი) დრამ. თეატრში. 1987–2007 დ. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტში. მიღებული აქვს ს. ახმეტელის სახ. პრემია (2010) და სახელმწ. ჯილდოები. *მ. ცუცქირიძე.*

დემეტრაძე ბორის დავითის ძე (5. I. 1934, თბილისი, – 17. VII. 2000, იქვე), სამთო ინჟინერი. პროფესორი (1985), საქართვ. საინჟ. აკად. ნამდვ. წევრი (2000). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1957). 1957–59 მუშაობდა დონბასის შახტებში, 1960–72 – სხვადასხვა პარტ.-სამეურნეო სამუშაოზე საქართველოში. 1984–89 იყო საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის სამთო ფაკ-ტის დეკანი, 1989-იდან გარდაცვალებამდე – სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების კათედრის გამგე.საქართვ. სამთო საზ-ბის თავ-რე (1998), ,,სამთო ჟურნალის'' დამაარსებელი და მთ. რედაქტორი (1998). 1993 საქართვ. ტექ. უნ-ტში სასწავლო შახტი-ლაბორატორიის შექმნისათვის ავტორთა ჯგუფს, რ-საც იგი ხელმძღვანელობდა, მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (ამჟამად – შახტი-ლაბორატორია მისი სახელობისაა). ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა და 5 სახელმძღვანელოსი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

თხზ.: მარგი წიაღისეულის მოპოვება, თბ., 1980; ქანების მასივის მდგრადობის მართვა, ნაწ. 1, თბ., 1982.

დემეტრაძე ნიკოლოზ ივანეს ძე [6 (18). XII. 1888, სოფ. წითელი ხევი, ახლანდ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი, – 7. IV. 1954, თბილისი], ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1937). 1919 დაამთავრა კიევის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1924–29 მუშაობდა თბილ. სხვადასხვა საავადმყოფოში ქირურგად. 1937–47 იყო თბილ. სამედ. ინ-ტის (ახლანდ. უნ-ტი) ტოპოგრ. ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის კათედრის პროფესორი, 1947-იდან გარდაცვალებამდე – ამავე კათედრის გამგე. წლების მანძილზე იყო სამედ. ინ-ტის სანჰიგიენური ფაკ-ტის დეკანი. დ. იკვლევდა ოპერაციული ქირურგიის და ტოპოგრ. ანატომიის ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა ბარძაყის არხის თიაქარკვეთის ანატ. საფუძვლები, ნერვებისა და სისხლძარღვების ცვალებადობა, ოსტეომიელიტის მკურნალობა, კანის პლასტიკა და სხვ.

თხზ.: ტოპოგრაფიული ანატომიის სახელმძღვანელო, ნაწ. 1–2, თბ., 1942–47; ოპერაციული ქირურგიის სახელმძღვანელო, თბ., 1947; მუცლის ღრუს ოპერაციული ქირურგია, თბ., 1951; ტოპოგრაფიული ანატომია (სახელმძღვანელო სამედ. ინ-ტის სტუდენტებისათვის), გამოც. მე-2, თბ., 1968.

დემეტრე I, საქართველოს მეფე 1125–56, დავით აღმაშენებლის მემკვიდრე. მამის სიცოცხლეშივე აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. დიდგორისა (1121) და შირვანის (1120–24) ბრძოლებში ქართველთა ლაშქრის გამარჯვება მისი დამსახურებაც იყო. დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ იძულებული გახდა ქ. ანისი (სომხეთი) ყმადნაფიცობის პირობით თურქებისათვის დაეთმო. 1138 დ. I-ის სარდლობით ქართველებმა განძა (ახლანდ. ქ. განჯა, აზერბაიჯანი) აიღეს და გამარჯვების ნიშნად ქალაქის კარი საქართველოში მოიტანეს (დაცულია გელათში), მაგრამ დ. I-მა ვერ შეძლო განძის შენარჩუნება. ქალაქი კვლავ მაჰმადიანთა ხელში გადავიდა და დიდხანს დარჩა მათ საყრდენ პუნქტად საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში. 1130 დ. I-ის უფროსმა შვილმა დავითმა იმის შიშით, რომ დ. I-ს უმცროსი ძე გიორგი არ გაემეფებინა, შეთქმულება მოაწყო



მამის წინააღმდეგ. მეფემ შეიპყრო შეთქმულების მოთავეები – დავით დემეტრეს ძე და ივანე აბულეთის ძე. შემდგომ (სომეხი მემატიანის ვარდანის ცნობით 1132, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობით 1145) დ. I-მა ივანე აბულეთის ძე მოაკვლევინა, ხოლო მისი შვილი თირქაში (ქირქიში) საპყრობილეში დაამწყვდია. 1154



ნ. დემეტრაშვილი.



ბ. დემეტრაძე.

დემეტრე I. საქართველოს მეფე. მაცხვარიშის კედლის მხატვრობა. XI ს.

(1155) დავითმა კვლავ მოაწყო შეთქმულება თავისი ერთგული და მეფის მოწინააღმდეგე დიდებულების შემწეობით, **დ.** I აძულებით ბერად შეაყენა და სამეფო ტახტი თვითონ დაიკავა (იმეფა მხოლოდ 6 თვე). დავითის გარდაცვალების შემდეგ **დ.** I-მა ბერის ჩოხა გაიხადა და ტახტი დაიბრუნა, თანაც შეამზადა პირობები თავისი უმცროსი ძის – გიორგის – გასამეფებლად. მწვავე შინაპოლიტიკური ბრძოლების გამო **დ.** I-ის მეფობის დროს საქართვ. პოლიტ. ზრდა ერთგვარად შეფერხდა.

საყურადღებოა **დ.** I-ის პოეტური შემოქმედება. ჩვენამდე მოაღწია მისმა რამდენიმე იამბიკომ. განსაკუთრებით გამოირჩევა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი იამბიკოები. **დ.** I-ის თხზულებათა პოეტური სახეები ქრისტ. სიმბოლიკაზეა დაფუძნებული, ზოგ მათგანს რითმაც ეტყობა. მისი ,,შენ ხარ ვენახი'' დღესაც ცოცხალი პოეტური საგალობელია.

თხზ.: [წიგნში] ჩვენი საუნჯე, [ტ.] 1, თბ., 1960.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე, ცხოვრება დემეტრე მეფისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955; ჯორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, [წგ. 1], ტფ., 1892.

ლიტ.: კაკაბაძე მ., დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის ლირიკა, «მნათობი», 1962, №4; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; მეტრეველი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; მისივე, მეფე თამარი, თბ., 1991; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2).

რ. მეტრეველი.

დემეტრე (დიმიტრი) **I,** აფხაზთა მთავარი VII ს. II ნახევარში. ,,მეფეთა დივანის'' (XI ს. ქრონიკა) მიხედვით, აფხაზთა მე-6 მეფე (ერისთავი), ბარუკის ძე.

დემეტრე (დიმიტრი) **II** თავდადებული (დაახლ. 1259 – 12. III. 1289), საქართველოს მეფე 1271–89, *დავით VII-ისა* და გვანცა დედოფლის ძე. მონღოლების მიერ გვანცას სიკვდილით დასჯის (დაახლ. 1262) შემდეგ ტარსაიჭ ორბელის სახლში იზრდებოდა. ტახტის მემკვიდრე გახდა 1268-იდან, როცა უფროსი ძმა გიორგი გარდაიცვალა. 1270, დავით VII-ის გარდაცვალების შემდეგ, **დ.** II ყაენთან წაიყვანეს ილხანთა სახელმწიფოში, რადგან არსებული წესის თანახმად, იგი მეფედ მას უნდა დაემტკიცებინა. ყაენმა აბაღამ **დ.** II საქართველოს მეფედ დაამტკიცა და მეურვე-მეთვალყურედ დაუნიშნა ყაენის სამსახურში დაწინაურებული მედროვე *სადუნ მანკაბერდელი*, რ-იც, აბაღას სურვილის თანახმად, **დ.** II-მ ათაბაგად დანიშნა. მცირეწლოვანი **დ.** II-ის მეფობაში ქვეყნის ფაქტობრივი გამგებელი სადუნი იყო. როგორც ილხანთა ვასალი, **დ.** II საქართვ. ლაშქრით მონღოლთა ყველა ლაშქრობაში მონაწილეობდა. 1277, 1280 და 1281 აბაღას მიერ ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობებს რამდენიმე ათასი ქართვ. მეომარი შეეწირა. ორ უკანასკნელ



დემეტრე II. საქართველოს მეფე. უდაბნოს მონასტრის კედლის მხატვრობა. XIII ს.

ლაშქრობაში საქართვ. ლაშქარს **დ.** II სარდლობდა.

დ. II-ის დროს ქვეყანა ეკონომიკურად კიდევ უფრო დაქვეითდა, გაიზარდა მონღოლური გადასახადები, მომრავლდნენ მათხოვარ-დავრდომილები და ქვრივობლები, შეთხელდა მწარმოებელი მოსახლეობა, გართულდა აგრარული ურთიერთობა და ამ ნიადაგზე – სოც. ბრძოლა. განსაკუთრებით აოხრდა კახეთი და ჰერეთი. საერთო გაჭირვებას ზედ დაერთო მიწისძვრა, რ-იც მთელი თვე გაგრძელდა. მოსახლეობაში, განსაკუთრებით ფეოდ. ზედაფენებში, ფეხს იკიდებდა მონღოლური წეს-ჩვეულებები (მრავალცოლიანობა და სხვ.). **დ.** II-ის სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი (უკაცური ადგილების ხელახლა დასახლება, ეკლესიისათვის უძრავი ქონების ჩამორთმევა და სხვ.) სასურველ შედეგებს ვერ იძლეოდა.

დ. II იძულებული იყო მონაწილეობა მიეღო ილხანთა სახელმწიფოში ატეხილ დინასტიურ ბრძოლებში. 1282 საქართვ. ლაშქრით ხორასანში იბრძოდა აჰმად-ყაენის (1282–84) მხარეზე აბაღას ძის არღუნის წინააღმდეგ; 1284-იდან ახ. ყაენის არღუნის (1284–91) მხარეს იყო. ყაენის პირველ ვაზირ ბუღასთან მეგობრობისა და მოყვრობის წყალობით (ბუღას შვილს ცოლად ჰყავდა **დ.** II-ის ასული რუსუდანი) გაძლიერდა **დ.** II-ის გავლენა საილხანოში. 1288 გამომჟღავნდა არღუნის წინააღმდეგ შეთქმულება. მისი მეთაურობა ბუღას დააბრალეს. ბუღა, მისი ძე და მისი ნათესავ-მეგობრები სიკვდილით დასაჯეს. **დ.** II, როგორც ბუღას მეგობარი, ყაენმა დაიბარა. მეფემ დარბაზი (სამეფო საბჭო) მოიწვია, რ-მაც ურჩია, ურდოში არ წასულიყო და მთებში გახიზნულიყო. **დ.** II დარბაზს არ დაეთანხმა, იმ მიზეზით, რომ ურდოში წაუსვლელობას მონღოლების მიერ ხალხის გაჟლეტა და ქვეყნის აოხრება მოჰყვებოდა. მემატიანე ასე გადმოგვცემს მის სიტყვებს: ,,რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკვდეს და მე ტკივრთმძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისაგან? ...მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა...''. ურდოში **დ.** II-მ სცადა თავის მართლება. რადგან შეთქმულებაში **დ.** II-ის მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთები არ გააჩნდა, ყაენს ვერ გადაეწყვიტა მისი სიკვდილით დასჯა. მეფის სიკვდილით დასჯაში გადამწყვეტი როლი ითამაშა სადუნ მანკაბერდელის ძემ *ხუტლუბუღამ*, რ-იც განაწყენებული იყო იმით, რომ სადუნის გარდაცვალების (1281) შემდეგ მეფემ ათაბაგობა ტარსაიჭ ორბელს უწყალობა. ყაენის ბრძანებით **დ.** II-ს თავი მოჰკვეთეს. მისი ნეშტი ფარულად ჩამოასვენეს და მცხეთაში დაკრძალეს. შთამომავლობამ მას თავდადებული უწოდა. შერაცხულია წმინდანად. წმინდა მოწამე **დ.** II-ის ხსენების დღეა 12(25) მარტი.

წყარო: ჯამთაღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3).

ვ. გუჩუა.

დემეტრე (დიმიტრი) **II,** აფხაზთა სამეფოს (დას. საქართველოს) მეფე (დაახლ. 825–861), *ლეონ II-ის* ძე. ენერგიულად იბრძოდა ახალშექმნილი სამეფოს დამოუკიდებლობის დასაცავად. IX ს. 40-იან წლებში არაერთხელ დაამარცხა დას. საქართველოში შემოსული ბიზანტიელთა ლაშქარი. 853 წინ აღუდგა საქართველოში შემოჭრილ არაბთა სარდალ ბუღა თურქს. იგი შემდეგაც განაგრძობდა ბრძოლას ქართლიდან არაბთა განდევნისა და საქართველოს გაერთიანებისათვის. დ. II-ის საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი მთ. ამოცანა იყო აღმ. საქართველოს ეკლესიის გავლენის განმტკიცება დას. საქართველოში. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი ხელშეწყობით IX ს. I ნახევარში დას. საქართველოში *გრიგოლ ხანძთელის* მიერ ქართ. მონასტრის დაარსება.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.), Сух., 1959. *ზ. ანჩაბაძე.*

დემეტრე (დიმიტრი) **III,** აფხაზეთის სამეფოს (დას. საქართველოს) მეფე დაახლ. 967–975, *გიორგი II-ის* ძე, *ლეონ III-ის* ძმა და მემკვიდრე. აქტიურად იბრძოდა საქართველოში ჰეგემონიის მოსაპოვებლად. ფეოდ. ოპოზიციამ დაუპირისპირა საკუთარი ძმა თეოდოსი (იხ. *თეოდოს III*), რ-საც მხარს უჭერდა მესხეთის, ქართლისა და კახეთის აზნაურთა ნაწილი. დ. III-მ დაამარცხა ძმის მომხრე აზნაურები, შემდეგ მოტყუებით შეიპყრო თეოდოსი, თვალები დასთხარა და შეძლო დროებით აღედგინა აფხ. სამეფოს ჰეგემონია საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში. მაშინ მეამბოხე ფეოდალებმა მის წინააღმდეგ აამხედრეს მეორე ძმა, მაგრამ დ. III-მ მათი ეს ცდაც ჩაახშო.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ლორთქიფანიძე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX–X სს.), თბ., 1963; Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.), Сух., 1959. *ზ. ანჩაბაძე.*

დემეტრე გურიელი, გურიის სამთავროს ფაქტობრივი გამგებელი 1659–60, იმერეთის მეფე 1660. დ. გ. ახალგაზრდობიდანვე ბერად იყო შემდგარი. 1658 იმერეთის მეფე *ალექსანდრე III-მ* და *გამეფ III დადიანმა* ბანძის ბრძოლაში დაამარცხეს *ლიპარიტ II დადიანი* და *ქაიხოსრო I გურიელი.* გურიის სამთავრო ტახტზე ბრმა სიმონ გურიელი (სიმონ II) აიყვანეს და აშვილებინეს მონასტრიდან გამოყვანილი დ. გ., რ-იც ფაქტობრივად განაგებდა გურიის სამთავროს. 1659 ქაიხოსრო I ოსმალების დახმარებით გურიაში დაბრუნდა. დ. გ. იმერეთში გაიხიზნა. 1660, ქაიხოსროს მოკვლის შემდეგ, დ. გ. კვლავ გურიელად დაჯდა. 1660 იმერეთის ფეოდალებმა მოკლეს თურქთა მიერ გამეფებული ვახტანგ ბაგრატიონი (ჯუჯუნაშვილი) და დ. გ. იმერეთში დასვეს მეფედ. იმავე წელს დ. გ. ფეოდალებმა ტახტიდან ჩამოაგდეს, თვალები დათხარეს და გააძევეს. მისი შემდგომი ბედი უცნობია.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: კაკაბაძე ს., საქართველოს ისტორია (1500–1810), ტფ., 1922.

ქ. ჩხატარაიშვილი.

დემეტრე ვიპატოსი, ქართლის ერისმთავრის, *გუარამის* უმცროსი ძე, *სტეფანოზ I* პატრიკიოსის ძმა. ვიპატოსის ბიზანტ. საკარისკაცო ტიტული მინიჭებული უნდა ჰქონდეს მავრიკიოს კეისრის მიერ VI ს. 90-იან წლებში. დ. ვ. იყო მცხეთის ჯვრის ტაძრის ერთ-ერთი აღმშენებელი. ტაძრის აღმ. კედელზე, სამი ქტიტორის კომპოზიციაში შემონახულია მისი რელიეფური გამოსახულება, წარწერით.

წყარო: სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, იქვე.

ლიტ.: Чубинашвили Г. Н., Памятники типа Джвари, Тб., 1948.

ა. ბოგვერაძე.

დემეტრე თავდადებულის ფელსი, მეფე *დემეტრე II-ის* სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტა. შუბლზე, ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში, არის დაქარაგმებული ასომთავრული წარწერა – ,,დემეტრე'', ჩარჩოს გარეთ – ,,მეფეთა მეფე'', ზურგზე (ცენტრში) მოთავსებული ორნამენტული ნიშნის ირგვლივ წარწერაა: ,,გუწამს მამაჲ ძეჲ და სული წმიდაჲ'' (ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში).

ლიტ.: კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969. *ი. ჯალაღანია.*

დემეტრე მგალობელი, XVII ს. II ნახ. და XVIII ს. I ნახ. ქართველი მგალობელი, მწიგნობარი, კალიგრაფი, პედაგოგი. მოღვაწეობდა კახეთში. ჩვენამდე ხელნაწერის სახით მოღწეულია ,,გულანი'' სამ მონაკვეთად. I მონაკვეთი (A–366) დ. მ-ს 1714–16 გადაუწერია კახეთში ერეკლე I-ის ასულის, მარიამის (ცნობილი პოეტი ქალი, ჰიმნოგრაფი) დახმარებით. ანდერძში ვკითხულობთ: ,,უფალო, შემიწყალე მე, დემეტრე. მგ [ალობელი]'' (10. V).

დემეტრე უფლისწული, საქართველოს მეფის *გიორგი I-ისა* და *ალდე* დედოფლის ვაჟი. მამის გარდაცვალების შემდეგ დ. უ. დედასთან ერთად საუფლისწულო მამულში ანაკოფიაში (აფხაზეთი) ცხოვრობდა. მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდგვაროვანმა აზნაურებმა დ. უ. დაუპირისპირეს ბაგრატ IV-ს და მისი გამეფება სცადეს, მაგრამ დამარცხდნენ. ვერც ბაგრატ IV-მ და მისმა მომხრეებმა შეძლეს დ. უ-ის შემორიგება. 1032 დ. უ-მა და ალდემ სტრატეგიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი ანაკოფიის ციხე ბიზანტიას გადასცეს. დ. უ. კონსტანტინოპოლში გაიქცა. XI ს. 40-იანი წწ. დასაწყისში დ. უ-ის გამეფების საბაბით ბაგრატ IV-ის მოწინააღმდეგე ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიელთა დამხმარე ჯარით ქართლს შემოესია. მას თან მოჰყვა დ. უ., მაგრამ ბაგრატ IV-მ მოკავშირეები დაამარცხა. 1046 ლიპარიტ ბაღვაშმა კვლავ სცადა დ. უ-ის გამეფება. ამ მიზნით იგი ბიზანტიელთა და სხვათა დამხმარე ჯარით ქართლში შემოიჭრა. გადამწყვეტი ბრძოლის წინ დ. უ. გარდაიცვალა, მაგრამ ბრძოლა გაგრძელდა, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დ. უ. მხოლოდ იარაღი იყო ცენტრ. ხელისუფლების გაძლიერების წინააღმდეგ მებრძოლთა ხელში. როგორც ვარაუდობენ, დ. უ-ის შთამომავალი უნდა იყოს თამარ მეფის მეუღლე *დავით სოსლანი.*

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970–1070 წლებში, თბ., 1969; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2).

მ. ლორთქიფანიძე.

დემირელი (Demirel) სულეიმან (დ. 1. XI. 1924, სოფ. ისლამქოი, ისპარტის ვილაიეთი), თურქეთის პრეზიდენტი 1993–2000; პრემიერ-მინისტრი 1965–71; 1975 მარტი – 1977 დეკ. (ინტერვალებით), 1979



დემეტრე თავდადებულის ფელსი. სპილენძი. XIII ს. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

ნოემბ. – 1980 სექტ. და 1991–93. 1964–80 სამართლიანობის პარტიის გენ. თავ-რე. 1987–93 სწორი გზის (დაარსდა 1983) პარტიის გენ. თავ-რე.

დ. არის თურქ. ეკონ. მოდერნიზაციისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონ. თანამშრომლობის ორგანიზაციის (ბისეკის) შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი, ბაქო–ჯეიჰანის ნავთობსადენის გაყვანის, ,,ტრასეკას'' პროექტის განხორციელების აქტ. მხარდამჭერი. დ. პირველი უცხოელი სახელმწ. მოღვაწეა, რ-იც პრემიერ-მინისტრის რანგით 1992 წ. 30 ივლ. საქართველოს ოფიც. ვიზიტით ეწვია. ხელი მოეწერა საქართ.-თურქ. პირველ სრულმასშტაბიან ხელშეკრულებას, აგრეთვე სხვა დოკუმენტებს.

დ. როგორც თურქეთის პრეზიდენტი, ოფიც. ვიზიტით – ორჯერ, ხოლო სამუშაო ვიზიტით ერთხელ იყო საქართველოში (ბორჯომში 1995 წ. 31 ივლ. ვალეს საკონტროლო-გამშვები პუნქტის გახსნის ცერემონიის შემდეგ). 1992-იდან თურქეთსა და საქართველოს შორის ნაყოფიერი ურთიერთობა დამყარდა. დ. არჩეულია თსუ-ის საპატიო დოქტორად (1997), თბილისსა და ბათუმში გაიხსნა დ-ის სახ. კერძო კოლეჯები. დაჯილდოებულია ოქროს საწმისის ორდენით (2000).

ა. იმედაშვილი.



რ. დემირხანოვი.

დემირხანოვი რაჩია არამის ძე (24. XII. 1914, თბილისი, – 29. X. 1986, სოხუმი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1968). დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპ. ინჟინერთა ინ-ტი (1938). მუშაობდა ბაქოს ნავთობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტსა (1938–42) და თბილ. ამიერკავკ. საინჟინრო-სამშ. ინ-ტში (1942–46), 1946 მივლინებულ იქნა სოხუმის ,,ობიექტზე'' (1956-იდან *სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი*). ურანის იზოტოპების განცალკევების ელექტრომაგნ. მეთოდის დამუშავებისათვის მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1951, სხვებთან ერთად). იყო მნიშვნელოვანი შრომების ავტორი პლაზმისა და ამჭარებლების ფიზიკაში. დაამუშავა პლაზმური გაწმენდისა და რექტიფიკაციის მეთოდები, რ-ებმაც საფუძველი ჩაუყარა ზესუფთა აირების მიღების ეფექტურ ტექნოლოგიებს ბირთვული რეაქტორებისათვის. მართვადი თერმობირთვული რეაქციის პრობლემის კვლევის პროცესში პლაზმაში დამატებითი ენერგიის შესაყვანად პირველმა გამოიყენა მაღალსიხშირული ელექტრომაგნ. ველი, რ-ის შედეგად დანადგარზე TOKAMAK P-05 მიღებულ იქნა იმ დროისათვის (1984) რეკორდული 50-მილიონგრადუსიანი D-D–პლაზმა 0,1 *წმ* განმავლობაში.

რ. სალუქვაძე.

დემნა (დემეტრე) უფლისწული (გ. 1178), საქართველოს მეფის *დავით V-ის* ძე. დავით V-ის გარდაცვალების შემდეგ მამამისმა, დემეტრე I-მა, თავისი უმცროსი ვაჟი გიორგი (შემდგომ *გიორგი III*) გამოაცხადა თანამოსაყდრედ, რითაც დ. უ-მა ტახტის მემკვიდრის უფლება დაკარგა. დ. უ-ის კანონიერი უფლების დაცვის საბაბით მეფის ცენტრ. ხელისუფლების გაძლიერების მოწინააღმდეგე დიდგვაროვანმა ფეოდალებმა ამირსპასალარ ივანე *ორბელის* (დ. უ-ის სიმამრი) მეთაურობით 1177 აჯანყება მოაწყვეს გიორგი III-ის წინააღმდეგ. აჯანყებულებს მეფემ ალყა შემოარტყა ლორის ციხეში. როცა აჯანყების დამარცხება ცხადი გახდა, დ. უ. გიორგი III-ს დანებდა და პატიება სთხოვა. ტახტის მაძიებელ უფლისწულთა მიმართ მოქმედი კანონის საფუძველზე მას თვალები დასთხარეს და დაასაჭურისეს. ჩანს, უფლისწულმა ვერ გაუძლო სასჯელს და გარდაიცვალა.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე, ცხოვრება დემეტრე მეფისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955; სტეფანოს ორბელიანის ,,ცხოვრება ორბელიანთას'' ძველი ქართული თარგმანები, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1978.

ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2).

მ. ლორთქიფანიძე.

დემოგრაფია (ბერძნ. dēmos – ხალხი და graphō – ვწერ), მეცნიერება მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შესახებ. ტერმ. ,,დ.'' შემოიღო ფრანგმა მეცნიერმა აშილ გიაარმა 1855.

დ., როგორც საზ. მეცნიერება, მნიშვნელოვანწილად, დემოგრაფიულ კატეგორიებსა და კანონებს იკვლევს. ცალკეული დემოგრაფიული მოვლენისა თუ ურთიერთობის ამსახველი ჩვეულებრივი ცნებისგან განსხვავებით, დემოგრ. კატეგორია მასობრივი, განმეორებადი, დემოგრ. შემთხვევებისა და პროცესების, საერთოდ დემოგრ. ურთიერთობათა განზოგადებული, აბსტრაქტული (თეორიული) გამოხატულებაა. დემოგრ. კატეგორიებია: მოსახლეობა, ეთნოსი, კოჰორტა, შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება, ოჯახი, დეპოპულაცია და სხვ. დემოგრ. მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზშედეგობრივ, აუცილებელ, მყარ, მუდმივ-განმეორებად არსებით კავშირსა და ურთიერთგანპირობებულობას დემოგრაფიული კანონი ეწოდება. დემოგრ. კანონებია: თაობათა განახლების, მოსახლეობის გაფართოებული (ასევე, მარტივი და შეკვეცილი) აღწარმოების, დემოგრაფიული კომპენსაციის, დემოგრ. გადასვლის, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის, მოსახლეობის დემოგრ. დაბერების და სხვა კანონები.

დემოგრ. განვითარება აისახება ისეთ ძირითად მაჩვენებელთა დინამიკაში, როგორებიცაა: შობადობის ჯამური და ასაკობრივი კოეფიციენტები; შობადობისა და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები; მოკვდაობის ასაკობრივი და ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტები; მოსახლეობის ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი; მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტები; მოსახლეობის დემოგრ. დაბერების კოეფიციენტი; მოსახლეობის მიგრაციის მაჩვენებლები და სხვ.

დ-ის, როგორც მეცნიერების, ისტორია იწყება 1662-იდან. ამ წელს ლონდონში გამოქვეყნდა ინგლისელი მეცნიერის ჯონ გრაუნტის მოსახლეობის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი პირველი ფუძემდებლური გამოკვლევა – ,,ბუნებრივი და პოლიტიკური დაკვირვებანი მოკვდაობის ბიულეტენთა საფუძველზე'', ხოლო მისი მეცნ. აღიარება დაიწყო 1882–83-იდან, ჰიგიენისა და დემოგრაფიის საერთაშ. კონგრესების ჩატარების შემდეგ. XX ს. 70-იან წლებამდე ამ მეცნიერების არსი რამდენადმე სხვაგვარად ესმოდათ, ვიდრე დღეს. იგი ძირითადად მოსახლ. (დემოგრაფიული) სტატისტიკის სინონიმად იხმარებოდა.

დ-ის, როგორც მეცნიერების, დაფუძნებასა და განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით უ. პეტის, გ. კინგს, ა. დეპარსიეს, ი. ზიუსმილხს, ჟ. ბერტილიონს, თ.

მალთუსს, ა. კეტლეს, გ. მაირს, ა. სოვს, ლ. რაბინოვიჩს, ა. ლანდრის; რუს მეცნიერებს: მ. ლომონოსოვს, კ. გერმანს, ვ. გრებენშიკოვს, ვ. ბუნიაკოვსკის, ი. იანსონს, ს. სტრუმილინს, ტ. რიაბუშკინს, ა. ბოიარსკის, ბ. ურლანისს და სხვ.

თუ ადრინდ. ეტაპებზე მოსახლ. განვითარების კანონზომიერებათა შესახებ მეცნ. ცოდნის სისტემას ძირითადად აღწერილობითი ხასიათი ჰქონდა, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ამ მეცნ. დისციპლინის კვლევის საკითხთა წრე მნიშვნელოვნად შეივსო, გაფართოვდა და გაღრმავდა. ამიერიდან იგი უკვე აღარ კმაყოფილდება შობადობის, მოკვდაობის, ქორწინების, განქორწინების, მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა და ანალოგიური ხასიათის სხვა პროცესების თაობაზე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვებითა და არსებული მდგომარეობის აღწერა-წარმოსახვით. მის მთავარ ამოცანებში შედის: დიდძალი ფაქტობრივი მასალის ღრმამეცნიერული ანალიზი მაღალპროფესიულ დონეზე, მოსახლ. სქესობრივ-ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით, და მის საფუძველზე მეცნ.-თეორ. და პრაგმატული მნიშვნელობის მქონე საგულისხმო დასკვნების გაკეთება; დემოგრ. მოვლენებსა და პროცესებს შორის რთული მიზეზშედეგობრივი, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი კორელაციური კავშირების წარმოჩენა; დემოგრ. განვითარების ამა თუ იმ ტენდენციის გამომწვევ მიზეზებთან ერთად, იმ ფაქტორთა დადგენა, რ-ებიც ზემოქმედებას ახდენენ შობადობასა და მოკვდაობაზე; მოსახლ. აღწარმოების ძირითადი ტიპების თანმიმდევრული მონაცვლეობის კანონზომიერებათა საფუძვლიანი ანალიზი; რეპროდუქციული ქცევისა და ოჯახში ბავშვებზე მოთხოვნილების განმსაზღვრელ ფაქტორთა სისტემური ანალიზი; დემოგრ. დაბერების განმსაზღვრელ ფაქტორთა დადგენა და მასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა; გარკვევა იმისა, თუ რა გავლენას ახდენს დემოგრ. პროცესებზე ქალთა განათლება და დასაქმება, აგრეთვე მოსახლეობის მიგრაცია (განსაკუთრებით გარე მიგრაცია), მატერ. კეთილდღეობა, უმუშევრობა, ლტოლვილის მდგომარეობაში ყოფნა და სხვ.; დემოგრ. მოდელირება და პროგნოზირება; კონკრეტული ვითარების შესაბამისი სახელმწ. სოც.-დემოგრ. და საოჯახო პოლიტიკის საფუძვლების შემუშავება რეგიონულ თავისებურებათა გათვალისწინებით და ა.შ.

დ. უკანასკნელ პერიოდში იმდენად სწრაფად განვითარდა, რომ ჩამოყალიბდა და დღეისთვის უკვე სახეზეა დემოგრ. მეცნიერებათა სისტემა. იგი **დ**-ის ზოგად თეორიასთან ერთად მოიცავს: ეკონომიკურ, ისტ., სამედ., სოციოლოგიურ, ეთნიკურ, პოტენციურ, ეკოლოგიურ, რეგიონულ, მათ., სამხ., გამოყენებით, აღწერილობით **დ**-ებს; დემოგრაფიულ მოძღვრებათა ისტორიას, დემოგრაფიულ სტატისტიკას. სავარაუდოა მომავალშიც გამოიკვეთოს ახ. მიმართულებები.

დ. მჭიდროდაა დაკავშირებული მომიჯნავე მეცნიერებებთან: ეკონ. თეორიასთან, სოციოლოგიასთან, ისტორიასთან, გეოგრაფიასთან, სტატისტიკასთან, ეთნოლოგიასთან, სოც. ჰიგიენასთან, ასევე რიგ საბუნებისმეტყველო მეცნიერებასთან.

ტერმინ ,,**დ**-ს'' არ ძალუძს ამ ფართომასშტაბიანი მეცნიერების შინაარსობრივი დატვირთვის სრულად ასახვა. ამიტომ მიზანშეწონილია (,,ეთნოლოგიის'' ანალოგიურად) მის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს ტერმინი ,,დემოლოგია'' (წარმოსდგება ორი ბერძნ. სიტყვისგან dēmos – ხალხი, logos – მოძღვრება), რ-იც პირდაპირი გაგებით მოსახლეობის გამრავლების კანონზომიერებათა შესახებ მეცნიერებას ნიშნავს.

საქართველოში მოსახლ. საყოველთაო აღწერების დაწყებამდე (1897), სტატისტ. მონაცემები ზუსტ დემოგრ. მაჩვენებელთა გაანგარიშების საშუალებას არ იძლეოდა. მოსახლ. რიცხოვნობის (ისიც მაახლოებით) განსაზღვრის ერთადერთი წყარო მოსახლეობისა და მისი ქონების პერიოდული აღწერები იყო, რ-თა უშუალო მიზანს საგადასახადო პოლიტიკის გატარება და ლაშქარში გასაწვევთა რაოდენობის დადგენა წარმოადგენდა.

XX ს. 20-იანი წლებიდან მოსახლ. აღწერამ საქართველოში (ისე, როგორც მთლიანად ყოფ. სსრ კავშირში) რეგულარული ხასიათი მიიღო (1926, 1939, 1959, 1970, 1979, 1989 წწ.). 2002 წ. ჩატარდა საქართვ. მოსახლ. პირველი საყოველთაო ეროვნ. აღწერა.

დემოგრ. კვლევის თვალსაზრისით, პირველი ნაბიჯები საქართველოში ჯერ კიდევ XX ს. 30-იან წლებში გადაიდგა. ამ მხრივ აღსანიშნავია, ე. ჯანდიერისა [,,ქალაქ ტფილისის მოსახლეობა (1922 და 1926 წ. წ. აღწერით)'', ტფ., 1930] და ა. ჯიჯაძის („შობადობა და ბავშვთა სიკვდილიანობა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ჩვენში'', ტფ., 1935) მეცნ. გამოკვლევები. უმაღლეს სასწავლებლებში იკითხებოდა ,,მოსახლეობის სტატისტიკა'' და ,,სოციალური ჰიგიენა'', რ-თა სასწ. პროგრამა გარკვეულწილად მოიცავდა დემოგრ. მეცნიერების პრობლემატიკასაც. 30-იანი წლების II ნახევრიდან საქართველოში (ისე, როგორც სსრ კავშირში მთლიანად) ტაბუ დაედო **დ**-ის საკითხების მეცნ. კვლევასა და სწავლებას. ამ სფეროში მდგომარეობა გამოსწორდა II მსოფლიო ომის (1939–45) შემდეგ, როდესაც თსუ-ის სტუდენტებთან „დემოგრაფიული სტატისტიკის'' კურსის წაკითხვას შეუდგა ცნობილი მეცნიერი გ. გამყრელიძე. მან ლექციების ეს კურსი სახელმძღვანელოდ გამოსცა 1955 წ.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან თსუ-ში ცალკეულ სპეციალობებზე სხვადასხვა დროს ისწავლებოდა „დემოგრაფიის საფუძვლები'' და „მოსახლეობის სტატისტიკა დემოგრაფიის საფუძვლებით''.

საქართველოში დემოგრ. მეცნიერების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა აკად. პ. *გუგუშვილმა.* მან ამ პრობლემისადმი მიძღვნილ სპეც. გამოკვლევებში გაკეთებული დასკვნებითა და შემოთავაზებული რეკომენდაციებით არა მარტო გაამდიდრა ქართ. დემოგრ. მეცნიერება, არამედ მაღალ დონეზე აიყვანა ამ დარგის კვლევა-ძიება. მისივე ძალისხმევით XX ს. 60-იანი წლების II ნახევარში საქართვ. მეცნ. აკად. ეკონ. ინ-ტში შეიქმნა სოციოლოგიისა და დემოგრაფიის განყ-ბა, რ-ის ბაზაზე 1990 ცალკე ერთეულად გამოიყო **დ**-ის სოც.-ეკონ. პრობლემების კვლევის ცენტრი. ამ უკანასკნელისა და სოციოლოგიური კვლევის ცენტრის შეერთების საფუძველზე საქართვ. მეცნ. აკად. სისტემაში 1991 დაარსდა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი (2006-იდან – *დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი,* ექვემდებარებოდა საქართვ. განათლებისა და მეცნ. სამინისტროს). მან სამეცნ. მუშაობა იმთავითვე წარმართა მოსახლ.

აღწარმოების, ოჯახის კვლევის, ისტ. დ-ის, მოსახლ. დასაქმების დემოგრ. პრობლემების, მოსახლ. მიგრაციისა და განსახლების სოც.-ეკონ. პრობლემების, სოც. და ეთნოდემოგრაფიული კვლევის, სოც. და პოლიტ. ცვლილებების სოციოლოგიური კვლევის, საბაზრო ურთიერთობათა სოციოლოგიის მიმართულებებით.

1973–87 საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებობდა დ-ის სოც.-ეკონ. პრობლემების შემსწავლელი საბჭო, რ-მაც სამეცნ. ექსპედიციების უნიკალურ მასალებს მოუყარა თავი საქართვ. რეგიონებში არსებული დემოგრაფიული ვითარების თაობაზე. პრაგმატული ხასიათის დემოგრაფიულ პრობლემებს იკვლევდა საქართვ. ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონ. და სოც. პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინ-ტის დ-ის განყ-ბა. თსუ-ში 2000–06 ფუნქციონირებდა დ-ის კათედრა, რ-იც ამ სპეციალობის მაგისტრებს ამზადებდა. 1999-იდან გამოდის რეფერირებული სამეცნ. ჟურნ. ,,დემოგრაფია‘‘, რ-იც სისტემატურად აშუქებს ჩვენს ქვეყანაში (რიგ შემთხვევაში, მის ფარგლებს გარეთაც) დემოგრაფიული კვლევის შედეგებს.

საქართველოში, მოსახლეობის გეოგრ. საკითხების შესწავლასთან ერთად, დემოგრაფიული პრობლემების კვლევაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. ვ. *ჯაოშვილმა,* რ-იც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მოსახლეობის გეოგრაფიის ლაბორატორიას ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინ-ტში.

საქართველოში დემოგრ. მეცნიერების განვითარებაში კ. ანთაძესთან, მ. ბექაიასთან, გ. გამყრელიძესთან, ფ. *გოგიჩაიშვილთან,* პ. გუგუშვილთან, ა. კაცაძესთან, ვ. ჯაოშვილთან, ა. ჯიჯგაძესთან ერთად, თავიანთი გამოკვლევებით დიდი წვლილი შეიტანეს ამჟამად მოღვაწე ქართველმა დემოგრაფებმა: ი. აბაშიძემ, ლ. ბერიძემ, ა. *თოთაძემ,* ვ. ლორთქიფანიძემ, ნ. მაღლაფერიძემ, გ. მელაძემ, ე. მენაბდიშვილმა, ა. სახვაძემ, ა. სულაბერიძემ, მ. ტუხაშვილმა, გ. ფირცხალავამ, მ. შელიამ, ო. შურღაიამ, ლ. *ჩიქავამ,* გ. წულაძემ, მ. ხმალაძემ და სხვ.

თანამედროვე ეტაპზე ქართვ. დემოგრაფთა მეცნიერული კვლევა-ძიების მთავარი საგანი საქართველოში არსებული მწვავე დემოგრ. ვითარებაა. ამჟამად საქართველო მსოფლიოს იმ მცირერიცხოვან სახელმწიფოთა რიგს განეკუთვნება, რ-თაც რეალური დემოგრ. საშიშროება ემუქრებათ. აღსანიშნავია, რომ ფერტილური ასაკის ყოველ 100 ქალზე მოდის 140-მდე ბავშვი, მაშინ როცა მოსახლეობის თუნდაც მარტივი აღწარმოებისათვის აუცილებელია არანაკლებ 210 ბავშვისა (2009).

დემოგრ. კრიზისის შემადგენელი კომპონენტია მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება. საქართველოში 2009 წ. მონაცემებით 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვ. წ. 15%-ს აღემატება, მაშინ როცა დემოგრ. დაბერების ზღვრად ამ ასაკის მოსახლეობის 7% ითვლება.

დემოგრ. ვითარების გამწვავებას, რიგ სხვა ფაქტორებთან ერთად, აღრმავებს მოსახლეობის გარე მიგრაცია.

დაძაბული დემოგრ. ვითარების ნორმალიზება და ამ მიმართულებით არსებული რეალური რეზერვების ამოქმედება შეუძლია, რეგიონულ თავისებურებათა გათვალისწინებით, მეცნიერულად დასაბუთებული სახელმწ. დემოგრ. პოლიტიკის შემუშავებასა და პრაქტ. განხორციელებას.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა საყოველთაო აღწერების მიხედვით* (ათ. კაცი)

	სულ მ. შ.	ქართველი	(%)
1897 წ.	2109,3	1336,4	63,4
1926 წ.	2677,2	1788,2	66,8
1939 წ.	3540,0	2173,9	61,4
1959 წ.	4044,0	2600,6	64,3
1970 წ.	4686,4	3130,7	66,8
1979 წ.	4993,2	3433,0	68,8
1989 წ.	5400,8	3787,4	70,1
2002 წ.	4371,5**	3661,2	83,8

*1926, 1939, 1959, 1970 წლების მონაცემები მოყვანილია სახეზე მყოფი, ხოლო 1979, 1989, 2002 წლებისა – მუდმივი მოსახლეობის მიხედვით.
**მოსახლეობა საქართვ. ცენტრ. ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

ლიტ.: გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ., საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები, თბ., 1973; მ ი ს ი ვ ე, მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა, თბ., 1985; თ ო თ ა ძ ე ა., საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე, თბ., 1999; ჩ ი ქ ა ვ ა ლ., დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა, თბ., 2008; წ უ ლ ა ძ ე გ., ს უ ლ ა ბ ე რ ი ძ ე ა., მ ა ღ ლ ა ფ ე რ ი ძ ე ნ., მ ა მ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი გ., საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ, დღეს, ხვალ, თბ., 2008; ჯ ა ო შ ვ ი ლ ი ვ., საქართველოს მოსახლეობა XVIII–XX საუკუნეებში, თბ., 1984; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს მოსახლეობა (ისტორიულ–დემოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1996; L o r d k i p a n i d z e V., T o t a d z e A., The population of the Caucasus, N. Y., 2010.

ლ. ჩიქავა.

დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი. დაარსდა 1991 საქართვ. მეცნ. აკადემიის სისტემაში დემოგრაფიის სოც.-ეკონ. პრობლემების კვლევისა (შეიქმნა 1990 ეკონომიკის ინ-ტის სოციოლოგიისა და დემოგრაფიის განყ-ბის ბაზაზე) და სოციოლოგიური კვლევის (შეიქმნა 1989 საქართვ. მეცნ. აკადემიასთან) ცენტრების შეერთების საფუძველზე, როგორც დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინ-ტი. 2006-იდან ეწოდა დ. და ს. ი. პ. *გუგუშვილის* იდეა ინ-ტის შექმნის თაობაზე განახორციელა მისმა დამფუძნებელმა დირექტორმა ლ. *ჩიქავამ.* 2006-იდან ინ-ტს ხელმძღვანელობს ა. *სულაბერიძე.* ინ-ტის შექმნის მიზანშეწონილობა და აუცილებლობა განაპირობა საქართველოში არსებულმა რთულმა დემოგრ. ვითარებამ და მასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი პრობლემატიკის მეცნ. კვლევის განსაკუთრებულმა აქტუალობამ.

ინ-ტში არის 3 განყ-ბა (დემოგრაფიის, სოციოლოგიის, ინფორმაციისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის), რ-თა პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებებია: 1. თეორიული, ეთნიკური, სოციალური, ეკონომიკური და მათემატიკური დემოგრაფიის; 2. სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და ოჯახის სოციოლოგიის; 3. სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და პროგრამირების საკითხები. როგორც დემოგრ., ისე სოციოლოგიის მიმართულებით თეორ.-მეთოდოლ. საკითხების კვლევა შეხამებულია გამოყენებითი (პრაქტიკული) ხასიათის კვლევა-ძიებასთან.

ინ-ტში დაამუშავეს დემოგრ. და სოციოლოგიის აქტუალური პრობლემები, რ-თა შორის აღსანიშნავია დემოგრაფიული გადასვლის თეორიის, მოსახლ. აღწარმოების, დემოგრ. დაბერების და დეპოპულაციის ასპექტები; მსოფლიოს მოსახლეობის აღწარმოების რე-

გიონული თავისებურებანი; კრიტიკული დემოგრ. სიტუაცია საქართველოში – არსი, მიზეზები, დაძლევის გზები, დემოგრ. პროგნოზი; ოჯახის კრიზისი და საოჯახო პოლიტიკა; ქალთა დასაქმება და რეპროდუქციული ქცევა; მოსახლ. გარე მიგრაცია და მისი ნეგატიური გავლენა დემოგრ. პროცესებზე; ეთნოკონფლიქტები და ძალისმიერი მიგრაცია; ეთნოდემოგრ. პროცესები საქართველოში; ეროვნ. უმცირესობათა (რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, ქურთები და ა. შ.) დემოგრ. ქცევის თავისებურებანი; მოსახლ. სოც., კულტურული და პოლიტ. ტრანსფორმაციის პროცესები და სხვ. სამეცნ.-კვლ. შრომები გამოცემულია მონოგრაფიებისა და სტატიების სახით. ინ-ტი გამოსცემს შრომების კრებულს – ,,დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები'' (1998-იდან). ჩატარებული მეცნ. კვლევა-ძიების საფუძველზე შემუშავებული პრაქტ. ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები სისტემატურად წარედგინება შესაბამის ორგანოებს. 1999 ინ-ტში შემუშავდა და ხელისუფლებას განსახილველად წარედგინა ,,საქართველოს სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის კონცეფცია-პროგრამა''. *ა. სულაბერიძე.*

დემოთი, ისტორიული ციხესიმაგრე სამცხეში, სოფ. ქვაბისხევთან (ბორჯომიდან დაახლ. 20 *კმ*), ფერსათის მთის ძირას, ციცაბო კლდეზე. წყაროებში დამოწმებულ ციხეთაგან ერთ-ერთი უძველესია საქართვ. ტერიტორიაზე. დ. ქართ. წყაროებში (,,ქართლის ცხოვრება'', ვახუშტი, ,,მესხური მატიანე'') იხსენიება ზოგიერთ ისტ. მოვლენებთან დაკავშირებით. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში'' (1595) შეტანილია სოფ. დემოთი. გადმოცემით დ-ის ციხე სომეხი სარდლის სუმბატ ბივრიტიანის აშენებულად ითვლება (ძვ. წ. II–I სს.). დ-ის ზუსტი მდებარეობა არც ქართ. წყაროებსა და არც თურქ. დავთარში მითითებული არ არის. ციხის ნანგრევი (მდებარეობა შეესაბამება ქართ. წყაროებისა და ზემოხსენებული დავთრის ჩვენებას) 1948 აღმოაჩინა ნ. ბერძენიშვილმა. დ. მდებარეობს სამცხიდან იმერეთისკენ მიმავალ გზაზე (ქვაბისხევი – დემოთი – ლომის მთა – მარელისი – ვახანი). ქართლის ცხოვრების (XIII ს.) ერთ ეპიზოდში დ. იხსენიება ამ გზის ერთ-ერთ პუნქტად. ქართ. წყაროების მიხედვით, იგი XVI ს-შიც ფუნქციონირებს, შემდგომ კი აღარ იხსენიება. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში'' ციხის ნაცვლად მარტოოდენ პუნქტის მოხსენიება შეიძლება იმით აიხსნას, რომ სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა ბატონობის დამყარების შემდგომ დ-ის ციხემ თავისი ფუნქცია დაკარგა. ამჟამად შემორჩენილია ციხის ნანგრევი, რ-საც წარსულში სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა და სამცხიდან იმერეთში მიმავალ გზას დარაჯობდა. ქვაბისხევისა და ახლო მდებარე სოფლების ახლანდ. მოსახლეები დ-ს ,,ზემოთს'' უწოდებენ (ალბათ, ციხის მაღლივი მდებარეობის გამო).

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1–2, თბ., 1955–59; ტ. 4, თბ., 1973; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVI სს.), ქრ. შარაშიძის გამოც., თბ., 1961.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1964. *დ. აბამიძე.*

დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია (სუამი), საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვის საერთაშორისო სამთავრობათაშორისი ორგანიზაცია. 1996 მაისში ვენაში (ავსტრია) ,,ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შემცირების თაობაზე'' ჩატარებული კონფერენციის ფარგლებში შედგა პირველი ოთხმხრივი შეხვედრა საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვის დელეგაციათა ხელმძღვანელებს შორის. ეს შეხვედრა საფუძვლად დაედო ზემოხსენებული ქვეყნების სუამის ფარგლებში გაერთიანებასა და შემდგომ თანამშრომლობას. 1997 წ. 10 ოქტ. სტრასბურგში, ევროპის საბჭოს სამიტის მსვლელობისას, პრეზიდენტების გადაწყვეტილებით დაფუძნდა სუამის გაერთიანება, როგორც საკონსულტაციო ფორუმი. 1999 წ. 24 აპრ. ვაშინგტონში ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს შეხვედრის ფარგლებში შედგა სუამის წევრ სახელმწიფოთა და უზბეკეთის სახელმწიფოს მეთაურების შეხვედრა, რის შედეგადაც უზბეკეთი გახდა გაერთიანების წევრი და სახელწოდება სუამი შეიცვალა სუუამით, თუმცა 2005 წ. მაისში უზბეკეთმა დატოვა გაერთიანება.

2005 კიშინიოვის (კიშინიოვის) სამიტზე სახელმწ. მეთაურებმა მიიღეს გადაწყვეტილება სუამის გაერთიანების ბაზაზე სრულფასოვანი საერთაშ. რეგიონული ორგანიზაციის შექმნის თაობაზე.

2006 მაისში კიევში გამართული სუამის სამიტის დროს ხელი მოეწერა სუამის წესდებასა და სხვა დოკუმენტებს. შეიქმნა ახ. ორგანიზაცია **დ. და ე. გ. ო.** – სუამი. ახ. ორგანიზაციის დასახელებაში შენარჩუნდა გაერთიანების ადრე არსებული აბრევიატურა – სუამი, რაც ორგანიზაციის დამფუძნებელ ქვეყნებზე (საქართვ., უკრ., აზერბ., მოლდ.) მიანიშნებს. წევრი ქვეყნები როტაციის პრინციპით ახორციელებენ ორგანიზაციის თავ-რე ქვეყნის ფუნქციებს, როგორც წესი, ერთი წლის ვადით. ორგანიზაცია ღიაა სხვა სახელმწიფოს წევრად მიღებისთვის, თუ იგი იზიარებს მის მიზნებსა და პრინციპებს. ახ. ორგანიზაციის წესდების თანახმად, სუამის ძირითადი მიზნები და პრინციპებია: დემოკრ. ღირებულებათა განმტკიცება, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა და ადამიანის უფლებების პატივისცემა, საერთაშ. და რეგიონ. უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცება; ევროპული ინტეგრაციის გაღრმავება უსაფრთხოების ერთიანი სივრცის შესაქმნელად, ასევე ეკონ. და ჰუმანიტარული თანამშრომლობის გაფართოება; მხარეთა სოც., ეკონ., სატრანსპორტო, ენერგეტიკული, სამეცნ.-ტექ. და ჰუმანიტარული პოტენციალის განვითარება და სხვ.

ორგანიზაციის მთავარი ორგანოა **საბჭო**, რ-იც წარმოდგენილია სახელმწიფოთა მეთაურების (სამიტი), საგარეო საქმეთა მინისტრების, ეროვნ. კოორდინატორებისა და მუდმივი წარმომადგენლების დონეზე. 2007 წ. 1 ივნისს კიევში დაფუძნდა ორგანიზაციის **მუდმივმოქმედი სამდივნო**, რ-იც გენ. მდივნის ხელმძღვანელობით სუამის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექ. ფუნქციებს ახორციელებს.

სუამის პირველი გენ. მდივანი გახდა ქართვ. დიპლომატი ვ. ჩეჩელაშვილი.

სუამის წევრ ქვეყნებს შორის პარლამენტთაშორისი თანამშრომლობა ხორციელდება სუამის **საპარლამენტო ასამბლეის** ფარგლებში, რ-იც 2004 შეიქმნა. პოლიტ. თანამშრომლობის მნიშვნელოვანი მიმართულებებია: ეკონომიკა, დემოკრატია, უსაფრთხოება, კონფლიქტების დარეგულირება.

წევრ ქვეყნებს შორის დარგობრივი თანამშრომლობა ხორციელდება 8 სამუშაო ჯგუფის ფარგლებში: 1. ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის; 2. ვაჭრობისა და ეკონომიკის; 3. ენერგეტიკის; 4. საგანგებო სიტუაციების; 5. საინფორმაციო ტექნოლოგიების; 6. კულტურის, განათლებისა და მეცნიერების; 7. ტრანსპორტის და 8. ტურიზმის საკითხებზე.

სუამს გააჩნია სხვა ქვეყნებთან და საერთაშ. ორგანიზაციებთან პარტნიორული თანამშრომლობის ინსტიტუციონალური მექანიზმი. ორგანიზაციის პარტნიორები არიან: აშშ, იაპონია, პოლონეთი, ჩეხეთი, ბალტიის ქვეყნები (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი), ვიშეგრადის ჯგუფი (ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი). პარტნიორ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებებია: ენერგეტიკა, ვაჭრობა და ეკონომიკა, სამართალდაცვის სფერო, ტურიზმი, ეკოლოგია, განათლება და მეცნიერება.



მ. დემურია.

დემოკრიტე (Dēmokritos) აბდერელი [დაახლ. ძვ. წ. 460, აბდერა (თრაკია), – ძვ. წ. 370], ანტიკური ეპოქის ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონის იდეალიზმისადმი დაპირისპირებული მატერიალისტური მსოფლმხედველობის დამფუძნებელი. სწავლული-ენციკლოპედისტი, ატომისტური მატერიალიზმის მამამთავარი. დიოგენე ლაერტელის ცნობით არის 70-მდე თხზულების ავტორი (ჩვენამდე მოღწეულია 300-მდე ფრაგმენტი).

ქართ. ფილოს.-ისტ. კვლევაში საეტაპო მნიშვნელობისაა ს. *დანელიას* გამოკვლევები დ-ს ატომისტიკის შესახებ. მასვე ეკუთვნის მნიშვნელოვანი სპეც. გამოკვლევა დ-ს შემეცნების თეორიის შესახებ.

დ-ს მოძღვრების ანალიზი მოცემული აქვთ აგრეთვე ს. *წერეთელს* (,,ანტიკური ფილოსოფია'', თავი ,,დემოკრიტე'', 1968), მ. *გოგიბერიძეს* (,,ფილოსოფიის ისტორია, 1941), ავტორთა კოლექტივს (ერთობლივი ნაშრომი ,,ფილოსოფიის ისტორია'', 1962). დ-ს შემეცნების თეორიას ეხება თ. *კუკავას* ნაშრომი ,,შემეცნების თეორიის პრობლემები ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში'' (თბ., 1965).

თხზ.: [წიგნში] დემოკრიტე, ეპიკურე. ფრაგმენტები, წერილები. თარგმ. და გამოც. თ. კუკავასი, თბ., 1959.

ლიტ.: დანელია ს., ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში (დემოკრიტე), [ტფ.], 1925 (მე-2 გამოც. 1933); მისივე, ანტიკური ფილოსოფია სოკრატის წინ, ტფ., 1926; მისივე, Научное знание в представлении Демокрита, Тфл., 1935.

დემურდაღი, მთა ივრის ზეგანზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში. სიმაღლე 991 *მ.* აგებულია მესამეული კონგლომერატებით, ქვიშაქვებითა და თიხებით. ჩრდ. და სამხრ. კალთები ციცაბოა, აღმ. და დას. – დამრეცი. სამხრ. კალთა დასერილია ხრამებით. შემოსილია სტეპური ბალახეულით.

დემურია (ქალიშვილობის გვარი – **ივანიშვილი**) მარიამ ივანეს ასული [21. III (2. IV). 1860, გორი, – 21. I (3. II). 1910, თბილისი], საზოგადო მოღვაწე, საბავშვო მწერალი, დრამატურგი, ჟურნალისტი. სწავლობდა გორის სამრევლო სკოლაში, 1877-იდან – თბილ. საბებიო ინ-ტში, რ-ის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისში, ოზურგეთსა და საჩხერეში. 1893 საბოლოოდ დასახლდა თბილისში. მალე გაითქვა სახელი როგორც ნიჭიერმა სცენისმოყვარემ, მწერალმა, ჟურნალისტმა და განათლების მუშაკმა. დ. იყო არაერთი სახალხო სახლის, თეატრის, ბ-კა-სამკითხველოსა და სხვა კულტ.-საგანმან. დაწესებულების ორგანიზატორი. 1904 მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაარსდა საყმაწვილო ჟურნ. *,,ნაკადული''*, რ-ის რედაქტორი 1906-იდან თვითონ იყო. დ-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართ. საბავშვო ლიტ-რისა და ჟურნალისტიკის განვითარებაში.

ლიტ.: გოგოხია ლ., მარიამ დემურია, თბ., 1964; «ნაკადული», 1910, №2; ღვინიაშვილი ა., ქართული საბავშვო ლიტერატურის მიმოხილვა (1883–1917), ტფ., 1934; ცაიშვილი ს., მ. ი. დემურია, კრ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრ. 3, თბ., 1968. *ლ. გოგოხია.*

დემურლო, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფ. *ხახალაჯვარის* სახელწ. 1992-მდე.

დემჩინელი, დემჩინსკი, სერგო ვასილის ძე (24. IX. 1906, ჭიათურა, – 12. XII. 1968, თბილისი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1967). დაამთავრა ამიერკავკ. ინდუსტრ. ინ-ტი (1933). 1936-იდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ,,თბილქალაქპროექტში''. დ-ის ძირითადი ნამუშევრებია: საცხოვრ. სახლები თბილისში – დავით აღმაშენებლის პროსპექტზე (1936), ბარათაშვილის ქუჩაზე (თანაავტორი, 1939), თამარ მეფის პროსპექტზე (1945), მელიქიშვილის ქუჩაზე (1949); მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის რეკონსტრუქცია (თანაავტორი, 1938–39), მეტეხის ხიდი (კონსტრუქტორი გ. ჩომახიძე, 1951), ადგილ. მრეწვ. სამინისტროს ადმ. შენობა (1953), კინოთეატრები – ,,საქართველო'' (1955) და ,,გაზაფხული'' (1956).

ს. კინწურაშვილი.



ს. დემჩინელი. საცხოვრებელი სახლი. ნ. ბარათაშვილის ქუჩა №6.

დენარი (ლათ. denarius – ათნაწილიანი), ვერცხლის მონეტა, რომაული სამონეტო სისტემის ძირითადი ნომინალი. ემისია დაიწყო ძვ. წ. 269. ადრეულ ხანაში შუბლზე უმთავრესად გამოსახული იყო სხვადასხვა ღვთაება, შემდგომ კი – იმპერატორის ან დედოფლის დაფნისგვირგვინიანი პროფილი; ზურგზე – სხვადასხვა მითოლ. სცენა, სიუჟეტი რომის იმპერიის ცხოვრებიდან და სხვ. თავდაპირველი მასა – 4,55 *გ.* დროთა განმავლობაში ჩატარებული რეფორმების შედეგად დ-ის მასა და სინჯი თანდათან შემცირდა. II ს. ბოლოს კი დ-ის შემადგენლობაში 50% სპილენძი იყო. დ-ის დანაყოფებია კვინარიუსი (2,275 *გ*) და სესტერციუსი (1,137 *გ*). III ს-ში იმპ. კარაკალამ ახ. სამონეტო რეფორმა ჩაატარა და დ-ის ნაცვლად მოჭრა ანტონინიანი. საქართველოში რომის რესპუბლიკის დროინდელი დ. მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი (თბილისი, აბისი, კავთისხევი, ნაზოდელავო და სხვ.). I–II სს-ში მოჭრილი დ. კი წამყვან როლს თამაშობდა საქართვ. ეკონ. ცხოვრებაში და ამიტომაც უხვადაა აღმოჩენილი

მცხეთაში, ზღუდერში, სეფიეთში, ეკში და სხვ.

ლიტ.: კ ა პ ა ნ ა ძ ე დ., მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937–1951 წწ. ნუმიზმატიკური მონაპოვარი, «მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის», 1955, ტ. 1; З о г р а ф А. Н., Античные монеты, «Материалы и исследования по археологии СССР», 1951, в. 16; К а з а м а н о в а Л. Н., Введение в античную нумизматику, М., 1969.

გ. დუნდუა.

დენგი, თოფისწამლის დასანაყი ხელსაწყო (ხევსურეთში). შედგებოდა მიწაში ჩაფლული ქვის ან ხის როდინის, ხისავე ტარში პერპენდიკულარულად ჩასმული ქვის სანაყისა და ხეში ამოკვეთილი ან ქვით ნაშენი საყრდენისაგან. კედი ისე იყო გადაბმული საყრდენზე, რომ სანაყი როდინის ღრმულს ხვდებოდა. საყრდენზე კაცის სიმაღლეზე 2 სარი იყო ამართული. კედის ბოლოზე შედგებოდნენ, სარებს ჩასჭიდებდნენ ხელს და ფეხის რიტმული მონაცვლეობით ნაყსწამლის მასას (გვარჯილა, გოგირდი, ნახშირი).

ა. რობაქიძე.

დენდრარიუმი, დ ე ნ დ რ ო ლ ო გ ი უ რ ი ბ ა ღ ი (ბერძნ. dendron – ხე), ღია ცის ქვეშ დარგული ხებუჩქების კოლექცია. დ. ბოტან. ბაღის შემადგენელი ნაწილი ან საგანგებოდ გაშენებული დეკორ. ბაღია. აქ თავმოყრილია მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტის ხე-



ორნამენტული ყვავილნარი ვერის ბაღში (სამთავროს ტაძრის ჩუქურთმის მიხედვით). 1975. ავტორი შ. ისაკაძე.

ბუჩქების სახეობითი და საბაღო ფორმები, რ-ებიც ექსპოზიციაში განლაგებულია სისტემატიკური, მორფოლ., ეკოლ., გეოგრ., დეკორ. და სხვ. პრინციპებით. დ-ში ტარდება სამეცნ.-კვლ., საცდელ-საწარმოო, კულტ.-აღმზრდელობითი და საგანმან. მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გამოყენებითი ბოტან. პრობლემებს. სანერგე მეურნეობებში გამოჰყავთ იშვიათი და გადაშენების გზაზე დამდგარი ხე-ბუჩქები, ამრავლებენ დეკორ. ჯიშებს, ამზადებენ თესლსა და კალმებს. სოხუმის, ბათუმისა და თბილ. ბოტან. ბაღებში თავმოყრილია მერქნიანი ჯიშების მდიდარი კოლექციები. დ-ის ტიპური მაგალითია ,,თბილისის ზღვის'' სანაპირო ზოლში გაშენებული საქართველოს დენდროლოგიური პარკი, რ-იც 1956 დაარსდა.

შ. ისაკაძე.

დენდროლოგია (ბერძნ. dendron – ხე და logos – სიტყვა, მოძღვრება), *ბოტანიკის* დარგი, რ-იც შეისწავლის მერქნიან მცენარეებს. ტერმინი შემოიღო უ. ალდროვანდიმ 1668. დ-ის ძირითადი მიმართულებებია: ს ა ტ ყ ე ო დ., რ-იც შეისწავლის ტყის შემქმნელი მერქნიანი მცენარეების გავრცელებას, მათ ეკოლ. თავისებურებებსა და ტყის კულტურების გაშენების შესაძლებლობას; დ ე კ ო რ ა ტ ი უ ლ ი დ. სწავლობს მერქნიან მცენარეთა დეკორ. ნიშან-თვისებებს და ადგენს მწვანე ნარგავებში ხეებისა და ბუჩქების გამოყენების პერსპექტივას; ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი დ. განსაზღვრავს ეკონ. მნიშვნელობის (სამასალე, ნაყოფის მომცემი, სამკურნ., თაფლოვანი, ეთერზეთოვანი, მთრიმლავი და სხვ.) მერქნიან მცენარეთა სასარგებლო თვისებებს და იძლევა მათი კულტივირების დასაბუთებას. მერქნიან მცენარეებს (ადგილ. თუ შემოტანილი სახეობები და ფორმები) შეისწავლიან როგორც მათი ბუნებრივი გავრცელების პირობებში, ისე ბოტან. ბაღებსა და დენდრარიუმებში. შესწავლის შედეგებს იყენებენ ტყეების აღდგენა-გაშენებებისა და ქალაქების გამწვანებისას.

პირველი ცნობები მერქნიან მცენარეთა შესახებ, რ-ებიც შორეულ წარსულს განეკუთვნება, მათ საკვებად გამოყენებას ეხება. მუდმივ საცხოვრ. ადგილას დასახლებისთანავე ადამიანმა ხელი მიჰყო საკვები მცენარეების, მ. შ. ხეებისა და ბუჩქების, მოშენებას. ასე ჩაეყარა საფუძველი პირველ ბაღებს.

მცენარეთა კლასიფიკაციის პირველი ცდა ეკუთვნის ბერძენ ფილოსოფოსსა და ბუნებისმეტყველს თეოფრასტეს (ძვ. წ. IV ს.). მან მცენარეები დაყო ხეებად, ბუჩქებად, ნახევარბუჩქებად და ბალახებად. მ. შ. გამოყო მარადმწვანე და ყოველწლიურად ფოთოლმცვივანი მცენარეები. შუა საუკუნეებში გაჩნდა სამონასტრო ბაღები, ბოტან. ბაღების წინამორბედები. მერქნიან მცენარეთა შესახებ ცნობები ქვეყნდებოდა ჯერ კიდევ XVIII და XIX სს-ში.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი მერქნიან მცენარეთა შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ძვ. ქართ. ხელნაწერებში არის ცნობები საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ხეებისა და ბუჩქების შესახებ. ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ,,საქართველოს სამეფოს აღწერაში'' მოცემულია მრავალმხრივი ინფორმაცია საქართვ. მცენარეული სამყაროს, მ. შ. მერქნიანი, ველური და კულტ. მცენარეების შესახებ. XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში ტყის მერქნიანი მცენარეების შესწავლას დიდი ამაგი დასდეს პირველმა ქართვ. მეტყევე-მკვლევარებმა – ა. გამრეკელმა და ს. *ქურდიანმა.* 900-იანი წწ. დასაწყისში ს. ქურდიანმა პეტერბ. სხვადასხვა ჟურნალში დასტამბა სტატიები საქართვ. მერქნიანი მცენარეებისა და ტყეების შესახებ. 1921 მისივე თაოსნობით თბილ. სახელმწ. უნ-ტის აგრონ. ფაკ-ტთან შეიქმნა სატყეო განყ-ბა, სადაც პირველად იქნა შემოღებული დ-ის ქართ. ენაზე სწავლება, ხოლო 1922 ქართ. ენაზე გამოცემული ს. ქურდიანის ,,სატყეო ენციკლოპედია'' დ-ის პირველ ქართ. სახელმძღვანელოდ ითვლება. 1931 დაისტამბა ამ წიგნის შესწორებული და შევსებული გამოცემა ,,დენდროლოგიის'' სახელწოდებით, ხოლო შემდეგ მისმა მოწაფეებმა ვ. მირზაშვილმა და ი. ლ. *აბაშიძემ* დ-ის სახელმძღვანელოები გამოაქვეყნეს ორ წიგნად ქართ. ენაზე. სატყეო განყ-ბის ბაზაზე დაარსდა სას.-სამ. და სატყეო-ტექ. ინ-ტები, სადაც დ-ის კათედრებს 1937-მდე განაგებდა ს. ქურდიანი (1937-იდან სას.-სამ. ინ-ტის დ-ის კათედრას ხელმძღვანელობდა ი. აბაშიძე), დ-ის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი საქართველოში დენდროლოგიური პარკების გაშენებამ. ჯერ კიდევ 30-იანი წწ. დასაწყისში ს. ქურდიანმა თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე, საფუძველი ჩაუყარა დენდრარიუმს, სადაც მიმდინარეობდა კვლევითი მუშაობა მერქნიან მცენარეთა აკლიმატიზაციასა

და სელექციაში. თბილ. სამთო-მეტყევეობის ინ-ტის თაოსნობით დენდროლოგიური პარკები გაშენდა ოჩამჩირის სატყეო-საცდელ სადგურში (აქ თავმოყრილი იყო ძირითადად ინტროდუცირებულ ხემცენარეთა 350-მდე სახეობა) და თბილისის ზღვასთან (იხ. *თბილისის დენდროლოგიური პარკი*). დენდროლოგიური კვლევა განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა თბილ. სატყეო ინ-ტის დაარსების (1945) შემდეგ, სადაც სწავლობენ მცენარეთა გავრცელების კანონზომიერებებს, ბიოეკოლოგიას და სხვ. მერქნიან მცენარეთა შესწავლას დიდად უწყობს ხელს სას.-სამ. ინ-ტის დენდროლოგიური მუზეუმი, სადაც გამოფენილია მრავალი ადგილ. და შემოტანილი მერქნიანი მცენარის ნიმუში. ცალკეულ მერქნიან მცენარეთა ბიოლ., ეკოლ., აგრეთვე მეტყევეობის საკითხები და დენდროლოგიური გამოკვლევების შედეგები ქვეყნდება როგორც საქართვ. მეცნ. აკად. ბოტან. ინ-ტის მიერ გამოცემულ ,,საქართველოს ფლორაში'' (I გამოც., 1941–52; II გამოც., 1970-იდან), ისე სამთო-მეტყევეობის ინ-ტის შრომათა კრებულებსა და სხვადასხვა სპეც. გამოცემაში. საქართვ. სამთო-მეტყევეობის ინ-ტმა, ვ. *გულისაშვილის* საერთო რედაქციით, რუს. ენაზე გამოაქვეყნა ექვსტომიანი ,,კავკასიის დენდროფლორა'' (1959–86). თბილისის, ბათუმის და სხვ. დენდროპარკებში იკვლევენ როგორც ადგილ., ისე უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი ხეებისა და ბუჩქების ბიოეკოლოგიის, ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის საკითხებს. თბილისისა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღებში (დენდროპარკებში), თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, გაშენებულია მცენარეთა კოლექციები, როგორიცაა: კავკასიის ფლორის, სამედიცინო მცენარეების, საქართველოს იშვიათი, გადაშენებადი, ენდემური და რელიქტური, ბალახოვან ყვავილოვან-დეკორატიულ მცენარეთა კოლექციები. ხეებისა და ბუჩქების კოლექციებიდან აღსანიშნავია: ხმელთაშუაზღვისპირეთის მარადმწვანე ხეშეშფოთლიანი ტყეების, წიწვოვანი ხეების, კოლხეთის ტყეების, საქართვ. ნათელი ტყეების, ჩრდილოეთ ამერიკის, ჩინეთ-იაპონიის და ევროპის ქვეყნების კოლექციები.

დ. სარაჯიშვილი. მ. ლორია.

დენიკინი ანტონ ივანეს ძე (16. XII. 1872, ვარშავის მახლობლად, – 8. VIII. 1947, ან-არბორი, მიჩიგანის შტატი, აშშ), რუსეთის იმპერიის არმიის გენ.-ლეიტენანტი (1916). რუს. სამოქალაქო ომის (1918–20) დროს თეთრი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი, მონარქისტი. დაამთავრა კიევის ქვეით იუნკერთა სასწავლებელი (1892), გენშტაბის აკადემია (1899). I მსოფლიო ომის (1914–18) დროს მეთაურობდა ბრიგადას, დივიზიას, მე-8 საარმიო კორპუსს, 1917 აპრ.-მაისში იყო უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროსი, შემდეგ – დას. და სამხრ.-დას. ფრონტების სარდალი. 1917 დამლევს ლ. კორნილოვთან ერთად მონაწილეობდა მოხალისეთა არმიის შექმნაში, რ-საც 1918 აპრ-იდან თვითონ ჩაუდგა სათავეში. 1918 შემოდგომაზე გახდა ,,სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების'' მთავარსარდალი და რუს. უმაღლესი მმართველის ადმ. ა. კოლჩაკის მოადგილე. დ. იცავდა ,,მთლიანი და განუყოფელი'' რუსეთის პრინციპებს და არ ცნობდა ცარიზმის დამხობის შემდეგ აღმოცენებულ დამოუკიდებელ ერთეულებს, მ. შ. საქართველოს; პრეტენზიას აცხადებდა მთელ სამხ. ქონებაზე, რ-იც ომის დროს ამიერკავკასიაში დაგროვდა. მოითხოვდა დაუყოვნებლივ გადაეცათ რუსეთისთვის თვით აფხაზეთი. ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირეს აფხ. რეაქციულმა წრეებმა და ,,აფხაზი ხალხის სახელით'' დ-ს მიმართეს აფხაზეთის რუსეთთან შეერთების თაობაზე. ამ საკითხებზე 1918 სექტემბერში საქართვ. მთავრობასა და დ-ის წარმომადგენლებს შორის გაიმართა მოლაპარაკება. მხარეები ვერ შეთანხმდნენ. ბრიტანეთის მთავრობამ, რ-ის აზრით, ამ მომენტში საქართველოსა და დ-ის წაკიდება ზიანის მეტს არაფერს მოიტანდა, სადემარკაციო ხაზი დააწესა.

დ-ის სამხ. დასაყრდენი ამიერკავკასიაში ე. წ. ,,რუსთა ეროვნული საბჭო'' იყო. საკუთარი შესაკრები ბიუროების მეშვეობით დ-მა მოხალისეთა არმიაში გასაწვევად მარტო თბილისში 4000-ზე მეტი ოფიცერი აღრიცხა. დ-ის დამარცხების შემდეგ (1920) მოხალისეთა არმიის ცალკეული ნაწილები საქართველოზე გავლით ყირიმში გადაიყვანეს, თავად კი საზღვარგარეთ წავიდა. დ-ს ეკუთვნის სამოქალაქო ომზე დაწერილი მემუარები.

შ. ცირეკიძე.

დეპეგინძე, სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის ათარა-არმიანსკაიას თემში (აფხაზეთის არ), კოდორის ქედის სამხრ. ბორცვიან მთისწინეთში, მდ. თოუმიშის (ერთვის შავ ზღვას) ნაპირას. ზ. დ. 200 *მ,* ოჩამჩირიდან 38 *კმ.* 73 მცხ. (1989).

დეპო (ფრანგ. dépôt, სიტყვასიტყვით – საწყობი, საცავი), საწარმო, რომელიც უზრუნველყოფს მოძრავი შედგენილობის (ლოკომოტივების, ვაგონების, რკინიგზისა და მეტროპოლიტენის მოტორვაგონიანი სექციების, ტრამვაების, ტროლეიბუსების და სხვ.) ექსპლუატაციასა და რემონტს.

მოძრავი შედგენილობის ტიპის მიხედვით დ. შეიძლება იყოს: სპეციალიზებული (სალოკომოტივო, სავაგონო, მოტორსავაგონო და სხვ.) და შერეული – ერთდროულად სხვადასხვა სახის მოძრავი შედგენილობისათვის.

სალოკომოტივო დ-ს დანიშნულებაა ლოკომოტივების (ელმავლები, თბომავლები, აირტურბომავლები და სხვ.) ტექ. და პროფილაქტ. დათვალიერება, მათი პერიოდული, აწევითი რემონტი და შემდგომი ექსპლუატაცია. სალოკომოტივო დ-ს სარემონტო საამქროები, როგორც წესი, განთავსებულია ერთსართულიან შენობაში, სადაც გამოყოფილია ლოკომოტივების სადგომი ნაწილი.

სალოკომოტივო დ. არის ორი სახის: ძირითადი და საბრუნი. ძირითად სალოკომოტივო დ-ს აქვს სალოკომოტივო პარკი, საწარმოო შენობა, აღჭურვილი ტექ. დათვალიერების, ყველა სახის შეკეთების და ეკიპირებისათვის აუცილებელი სადგომებით და შესაბამისი ტექ. მოწყობილობებით. საბრუნი დ. წარმოადგენს ლოკომოტივების მოსაბრუნებელ პუნქტს, რ-იც განკუთვნილია ლოკომოტივების მოსამზადებლად უკუმიმართულებით მოძრავი მატარებლების მომსახურებისათვის.

სავაგონო დ. ემსახურება სამგზავრო და სატვირთო (მ. შ. ცისტერნების, იზოთერმული, რეფრიჟერატორიანი) ვაგონების მიმდინარე და სადეპოო რემონტს. სავაგონო დ-ები სამმალიანი ერთსართულიანი შენობებია, რ-თა ორ სექციაში განთავსებულია ხიდური ამწეებით აღჭურვილი მიმდინარე და სადეპოო სარემონტო საამქროები.

მოტორსავაგონო დ. უზრუნველყოფს მოტორვაგონიანი

(თვითმავალი) შედგენილობის რემონტს, მომსახურებას და ექსპლუატაციას. მოტორსავაგონო დ-ში არის ვაგონების სადგომებით და შესაბამისი სახელოსნოებით აღჭურვილი საამქროები და სამოსამსახურო-საყოფაცხოვრებო შენობები.

მ ე ტ რ ო პ ო ლ ი ტ ე ნ ი ს ელექტრული მოძრავი შედგენილობის მომსახურებისათვის მის ყველა ძირითად ხაზზე აშენებულია ელექტროდეპოები. მეტროპოლიტენის დ-ში ლიანდაგები გამოყენებულია მოძრავი შედგენილობის სადგომად და ყველა სახის რემონტის, აგრეთვე მათი ტექ. დათვალიერებისა და სხვა ოპერაციების ჩასატარებლად.

ტ რ ა მ ვ ა ი ს ა და ტ რ ო ლ ე ი ბ უ ს ე ბ ი ს დ-ებში ხდება მოძრავი ერთეულების (ტრამვაი, ტროლეიბუსი) ტექ. დათვალიერება, შეკეთება, ექსპლუატაცია და შენახვა. მათ აქვთ დიდი სადგომი პარკები, დასათვალიერებელი თხრილებითა და სათანადო სახელოსნოებით აღჭურვილი საამქროები.

ს ა ხ ა ნ ძ რ ო დ-ები ახორციელებენ სახანძრო მანქანების პარკის მოვლა-პატრონობასა და ექსპლუატაციას.

ყოველ დ-ს ნორმალური ფუნქციონირებისათვის გააჩნია თავისი ინფრასტრუქტურა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი რკინიგზის მომსახურებისათვის საჭირო პირველი ნაგებობები გაჩნდა XIX ს. II ნახ-ში მისი ექსპლუატაციის დაწყებასთან დაკავშირებით. პირველი საორთქლმავლო დ. სამტრედიაში დაარსდა 1872, რაც ფოთი–თბილისის სარკინიგზო ხაზის გახსნამ განაპირობა. შემდგომში საორთქლმავლო დ-ები აშენდა თბილისში, ხაშურში, შორაპანსა და ბათუმში. XX ს. 30-იანი წლებიდან ორთქლმავლები შეიცვალა ელმავლებით. საბჭ. კავშირში ერთ-ერთი პირველი საელმავლო დ. ხაშურში აიგო 1932, რაც ხაშური–ზესტაფონის უბანზე მაგისტრალური ელექტროფიცირებული ხაზის (სსრკ-ში პირველი) გახსნასთან იყო დაკავშირებული. მოგვიანებით სალოკომოტივო დ-ები გაიხსნა სხვა ქალაქებშიც. ამჟამად საქართვ. რკინიგზას ემსახურება 8 სალოკომოტივო დ.: თბილისის, თბილის-მახარისხებლის, ქუთაისის, სამტრედიის, ბათუმის, სოხუმის, ხაშურისა და გურჯაანის (2010).

საქართვ. რკინიგზას ექვემდებარება სხვადასხვა ტიპის ვაგონების შეკეთებაზე სპეციალიზებული 4 სავაგონო დ.: ბათუმის (1886), ხაშურის (1934), სამტრედიის (1934) და თბილისის (1964). აქედან პირველი ძირითადად სპეციალიზებულია ნავთობსაზიდი ცისტერნების, შემდეგი ორი – ხორბალმზიდი, დახურული და ნახევრადღია პლატფორმიანი ვაგონების, ხოლო ბოლო – სამგზავრო და რეფრიჟერატორული ვაგონების შეკეთებაზე.

1904 თბილისში გაიხსნა ტრამვაის, ხოლო 1937 – ტროლეიბუსების დ-ები. 2006 წლის ბოლოს თბილისში არსებული ტრამვაისა და ტროლეიბუსების დ-ები ქალაქის მერიის დადგენილებით დაიხურა. ასევე გაუქმდა საქართვ. სხვა ქალაქებში (გორში, რუსთავში, ქუთაისში, ჭიათურაში, ფოთში, საჩხერეში, ზუგდიდში, ოზურგეთსა და სხვ.) არსებული ტროლეიბუსების დ-ები.

თბილ. მეტროპოლიტენს აქვს ორი დ.: „ნაძალადევი“ (1965) და „გლდანი“ (1985). პირველი ემსახურება საბურთალოს, მეორე – ვარკეთილ–ახმეტელის ხაზს.

პირველი სახანძრო დ. დაარსდა თბილისში 1825. ამჟამად ქვეყნის მასშტაბით არის 104 სახანძრო დ., მათგან 18 – დედაქალაქში (2010 წ.). *ჯ. სანიკიძე.*

დეპოზიტარი, 1. პირი ან დაწესებულება, რომელიც შესანახად იღებს ფულს, ფასიან ქაღალდებს, დოკუმენტებსა და ფასეულობებს; 2. ფასეულობების შესანახავი. იმისდა მიხედვით, თუ რა ფასეულობებს ვინახავთ, არსებობს რამდენიმე სახის დ.

ფასიანი ქაღალდების დ. საფონდო ბაზრის ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი ცენტრ. რგოლია. ტერმინი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში სხვადასხვანაირადაა განმარტებული და ამასთან განსხვავებულ ფუნქციებსაც ასრულებს. მაგ., აშშ-ის უდიდესი დ-ის – დეპოზიტარულისატრასტო კომპანიის (DTC) ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების სერტიფიკატების შენახვა, იმობილიზაცია, მათზე საკუთრების უფლების აღრიცხვა, ნომინალური მფლობელის მოვალეობის შესრულება და სხვ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი, როგორც სხვა ქვეყნებში, ფასიანი ქაღალდების ცენტრ. დ. *კასტოდიანისა* და საკლირინგო ორგანიზაციის (იხ. *კლირინგი*) ფუნქციებს აერთიანებს. საქართვ. კანონმდებლობით, ცენტრ. დ. ნომინალური მფლობელის დავალებით უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების ცენტრ. კლირინგსა და ანგარიშსწორებას, ან ეწევა კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მომსახურებას (ნომინალური მფლობელის მოვალეობის შესრულების მიზნით ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების ანგარიშების წარმოება, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის განხორციელება, არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და მისი უზრუნველყოფის სფეროს, ასევე საინვესტიციო ფონდების მომსახურება და დეპოზიტური ხელწერილების გამოშვება). საქართველოში მოქმედებს ერთი დ. – საქართველოს *ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი.*

ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ა მ ა რ თ ა ლ შ ი დ. არის სახელმწიფო ან საერთაშ. ორგანიზაცია, რ-საც შესანახად ბარდება მრავალმხრივი საერთაშ. ხელშეკრულების ავთენტიკური ტექსტი და მისი რატიფიკაციის სიგელები.

წყარო: საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, თბ., 1999.


ლიტ.: საბირჟო საქმე და ფასიანი ქაღალდების ბაზარი, თბ., 1998; П е т р о в В. С., Депозитарий на рынке ценных бумаг, М., 1999; Clearance and Settlement Systems in the World`s Securities. Markets-Group of Thirty, 1989.

ვ. სვანაძე. თ. ხიზანიშვილი.

დერბენდი, ძვ. დ ა რ უ ბ ა ნ დ ი (სპარს. დარ – კარი, ბანდ – ზღუდე), ჩ ო რ ი, ქალაქი დაღესტანში, კასპიის ზღვის სანაპიროზე. დ. VII–IX სს-ში არაბთა სახალიფოში შედიოდა, X ს-იდან ფეოდ. სამთავროს ცენტრია. სტრატეგიული მნიშვნელობის გამო (კეტავდა ჩრდ. კავკ. შემოსასვლელს) დ. მუდამ იყო გაერთ. საქართვ. ხე-




დერბენდის ციხე.



დერგი.

ლისუფალთა ყურადღების ცენტრში. არაბი ისტორიკოსის ალ-ფარიკის ცნობით, დ-ის მელიქი *დემეტრე I-ის* ქვეშევრდომი იყო. 1167 *გიორგი III-მ* დაამარცხა შირვანში იმიერკავკასიიდან შემოჭრილი მაჰმადიანი მფლობელები და ,,მივიდა კართამდის დარუბანდისათა, მოაოხრა ქუეყანა მუსკურისა და შარაბამისა, და აიღო ქალაქი შაბურანი...“. XIII ს-ში, მონღოლთა დაპყრობის შემდეგ, დ-ის სტრატეგიული მნიშვნელობა დაქვეითდა. XVI ს-ში და XVIII ს. დამდეგს დ. ირან. სამფლობელო იყო. 1722 შეუერთდა რუსეთს, მაგრამ 1735 განჯის ხელშეკრულებით ისევ ირანს დაუბრუნდა. 1747 დაარსდა *დერბენდის სახანო.* 1813 *გულისტანის საზავო ხელშეკრულებით* დ. საბოლოოდ შეუერთდა რუსეთს. *მ. ცირეკიძე.*



ნ. დერიუგინი.

დერბენდის სახანო, დარუბანდის სახანო, ფეოდალური სამფლობელო სამხრეთ დაღესტნის სანაპირო რაიონში; შეიქმნა ნადირ-შაჰის სიკვდილის (1747) შემდეგ მისი სახელმწიფოს დაშლის შედეგად. ცენტრი ქ. დერბენდი. ირან. შემადგენლობაში დ. ს. შედიოდა როგორც დამოუკიდებელი ადმ. ერთეული (,,ოლქი“). დ. ს-ს ეჭირა მცირე ტერიტ. თაბასარანის, ყარახაიდაყისა და ყუბის სახანოთა შორის. 1759 ყუბის მფლობელმა ფათალი-ხანმა ტახტიდან ჩამოაგდო დერბენდის ხანი მუჰამედ ჰუსეინი და მისი ტიტული მიითვისა, შეიერთა სხვა სახანოები და აზერბ. ერთერთი უძლიერესი მფლობელი გახდა. მას რთული ურთიერთობა ჰქონდა ერეკლე II-თან. 1778 ქართლ-კახეთისა და ყარაბაღის ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა ფათალი-ხანი. 1787 ფათალი-ხანმა და ერეკლე II-მ კავშირი შეკრეს ირანის წინააღმდეგ. შემდგომ დ. ს-ს განაგებდნენ ფათალი-ხანის შვილები: აჰმედ-ხანი (1789–91) და შეიხ-ალი-ხანი (1791–1806). ეს უკანასკნელი 1793 რუს. ქვეშევრდომი გახდა. მიუხედავად ამისა, 1796 შეიხ-ალი-ხანმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია რუს. ჯარებს. 1806 რუსებმა საბოლოოდ დაიკავეს ქ. დერბენდი და იქ თავიანთი მმართველობა დაამყარეს. დ. ს-ს დანარჩენი ტერიტორია კი რუს. ქვეშევრდომს – ტარკის საშამხლოს – გადაეცა. 1813 *გულისტანის საზავო ხელშეკრულებით* დ. ს. საბოლოოდ შეუერთდა რუსეთს.

ლიტ.: История Дагестана, т. 1, М., 1967. *ზ. ანჩაბაძე.*

დერგი, ხალამი, ქილა, თიხის მოზრდილი ჭურჭელი. აქვს ქვევრის მოყვანილობა; მრგვალი, ფართოდ გადაშლილი, ბრტყელზედაპირიანი, ქობიანი, პირი; დაბალი (ზოგ შემთხვევაში – მომაღლო) ყელი; ზომიერად განიერი და ძირისაკენ შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი. გვხვდება უყურო (იშვიათად ყურიანი), მოჭიქული და მოუჭიქავი, წერნაქიანი და უწერნაქო. ზოგიერთი შემკულია გეომ. და მცენარეული ორნამენტით. იყენებენ უმთავრესად ყველისა და მწნილის ჩასადებად, აგრეთვე მარცვლეულისა და ფქვილის შესანახად (პროდუქტების უკეთ შენახვის მიზნით დ-ს გარკვეული ხნით მიწაში ფლავდნენ), ზოგან – კარაქის სადღვებლადაც.

საქართველოში დ. ენეოლითის ხანიდანაა ცნობილი. გვხვდება ბრინჯაოს ხანის სამარხებშიც (ხშირად ორნამენტით შემკული). არქეოლ. გათხრებით ირკვევა, რომ დ-ს ზოგან ჩვილი ბავშვების სამარხადაც იყენებდნენ (დერგ-სამარხი). *რ. თოდუა. გ. ფხაკაძე.*

დ'ერელი (d'Herelle) ფელიქს (25. IV. 1873, მონრეალი, – 22. II. 1949, პარიზი), კანადელი ბაქტერიოლოგი. მუშაობდა გვატემალის, მექსიკის, საფრანგეთისა და ნიდერლანდის ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიებში. 1917 შეისწავლა და დაწვრილებით აღწერა ნ. გამალეას მიერ 1898 აღმოჩენილი მოვლენა, რ-საც ბაქტერიოფაგია უწოდა. 1923–27 ბაქტერიოლოგიურ ლაბორ. დირექტორი იყო ალექსანდრიაში (ეგვიპტე), 1928-იდან კი – იელის უნ-ტში ნიუ-ჰეივენში (აშშ). დ. ორჯერ (1933–34, 1934–35) იყო საქართველოში. მუშაობდა თბილ. ბაქტერიოლოგიურ ინ-ტში. გ. *ელიავასთან* ერთად შეიმუშავა სპეციალიზებული ბაქტერიოფაგიის ინ-ტის შექმნის პროგრამა. დ-ის წინადადებით, ბაქტერიოფაგს იყენებენ ზოგიერთი ინფექციური დაავადების სამკურნალოდ.

თხზ.: Le bactériophage et son comportement, 2 éd., P., 1926; Бактериофаг и его значение для иммунитета, М. – Л., 1926; Бактериофаг и феномен выздоровления, Тфл., 1935.

დერთუფა, ძველი ქართული კულტურის კერა პალესტინაში. დედათა სავანე, რ-ის წიგნსაცავიდან ჩვენამდე მოღწეულია ერთადერთი ხელნაწერი – მაკარი ეგვიპტელის თხზულებათა შემცველი კრებული გადამწერ გრიგოლის ანდერძთან ერთად (XI ს.).

ლიტ.: მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 2, თბ., 1980. *ლ. მენაბდე.*

დერიკვარაძიში, მყინვარული ტბა დასავლეთ საქართველოში, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, კოდორის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 2548 *მ.* ზედაპირის ფართ. 0,08 *კმ*², მაქს. სიღრმე 22 *მ.* საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. ტბა გამდინარეა.

დერიუგინი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (დ. 30. IV. 1959, ქუთაისი), სპორტსმენი (კალათბურთი). 1980 დაამთავრა საქართვ. ფიზკულტ. ინ-ტი, 1985 – თსუ-ის იურიდ. ფაკტი. კალათბურთის თამაში დაიწყო ქუთაისში. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1982). თამაშობდა თბილ. ,,დინამოს“ (1975–87), სსრკ ჭაბუკთა ნაკრების (1975–78), სსრკ ნაკრების (1978–85), თბილისის ,,თბილისის“ (1991–92), უნგრეთის ,,მაფცის“ (1992–93), თბილისის ,,ვითას“ (1993–94), სლოვაკეთის ,,სოვაკო ფარმას“ (1994–95) და თბილისის ,,სდასუს“ შემადგენლობაში. ევრ. ჩემპიონი იუნიორებში (1978), ევროპის ჩემპიონი (1981), XXII ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი (1980, მოსკოვი) და მსოფლიოს ჩემპიონი (1982, კოლუმბია). იყო საქართველოს ნაკრების წევრი (1995–96). საკონტინენტთაშორისო თასის ორგზის მფლობელი (1977, 1979), ღირსების ორდენის კავალერი (1996). *ნ. გუგუშვილი.*

დერმანოვსკი გიორგი დიმიტრის ძე (11. III. 1924, ქ. სოხუმი, – 26. III. 1944), საბჭოთა კავშირის გმირი (19. IV. 1945, სიკვდილის შემდეგ), მატროსი. საბჭ. არმიაში მსახურობდა 1942-იდან. მონაწილეობდა ბრძოლაში ქ. ნიკოლაევის განთავისუფლებისათვის, რისთვისაც მიენიჭა გმირის წოდება.

ტ. ჩიხჩილაკაშვილი.

დერმატო-ვენეროლოგია, *დერმატოლოგიისა* და *ვენეროლოგიის* ერთიანი სამეცნიერო-კვლევითი დისციპლინა. საქართველოში დ.-ვ-ის განვითარება იწყება XX ს. 20-იანი წლებიდან.

დერმატოლოგია (ბერძნ. derma, dermat (os) – კანი; logos – სიტყვა, მოძღვრება), კლინიკური მედიცინის ნაწილი, რ-იც შეისწავლის კანის აგებულებას ნორმასა და პათოლოგიაში.

თანამედროვე დ. სწავლობს კანის დაავადებების ეტიოლოგიას,

პათოგენეზს, დიაგნოსტიკას, მათი მკურნალობის მეთოდებს და პროფილაქტიკას. აგრეთვე კანის დაავადებათა ურთიერთკავშირს ორგანიზმის სხვა პათოლოგიებთან. ევროპის დერმატო-ვენეროლოგთა აკადემიის პრაღის მე-11 კონგრესის 2002 წლის მემორანდუმით დადგინდა დ-ის ქვედისციპლინები: ანდროლოგია, ფლებოლოგია, მიკოლოგია, ჰისტოპათოლოგია, ალერგოლოგია, იმუნოლოგია, პედიატრიული დერმატოლოგია, დერმატოლოგიური ქირურგია, ესთეტიკური მედიცინა, კოსმეტოლოგია. კანის დაავადებების კვლევის კლინ. მეთოდებთან ერთად, გამოიყენება ჰისტოლოგიური, მიკრობიოლოგიური, ვირუსოლოგიური, ბიოქიმიური, ჰისტოქიმიური, ელექტრონულ-მიკროსკოპული, ექსპერიმენტული, სტატისტიკური და სხვა მეთოდები.

დ. მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთ დარგებთან, როგორიცაა: *ვენეროლოგია, ინფექციური დაავადებები, თერაპია, პედიატრია, ენდოკრინოლოგია, მეანობა, გინეკოლოგია, ქირურგია, ნევროლოგია, ფსიქიატრია, ოფთალმოლოგია* და სხვ.

კანის დაავადებები უძველესი დროიდანაა ცნობილი. ისინი აღწერილია ჩინურ მანუსკრიპტებში და ეგვიპტურ პაპირუსებში, სადაც ჩამოთვლილია მათი სხვადასხვა სახეობა და მოყვანილია მკურნალობის მეთოდები.

ჰიპოკრატემ (ძვ. წ. V–IV სს.) აღწერა კანის მრავალი დაავადება და მათი გამომწვევი მიზეზი, რომაელმა ექიმმა ა. ცელსიუსმა (ძვ. წ. I ს.) კი – კანის მთელი რიგი დაავადებები: კარბუნკული, ფლეგმონა, წვეტიანი კონდილომები, წითელი ქარი, სიკოზი, ფსორიაზი და სხვ. რომაელმა ექიმმა კ. გალენოსმა (129–201) დაიწყო კანის აგებულების შესწავლა; X–XI საუკუნეებში მოღვაწე ექიმმა და ფილოსოფოსმა ავიცენამ წიგნში ,,კანონე მედიცინი'' შეაგროვა და სისტემაში მოიყვანა მედიცინაში არსებული იმდროინდელი ცნობები (ბერძნული, ჩინური და ინდური). მასში აღწერილია პემფიგუსი, ჭინჭარა, იმპეტიგინოზური ეგზემა, ქავანა. იტალიელმა ექიმმა ი. მერკურიალისმა პირველმა (1572) დასტამბა კანის სნეულებათა სახელმძღვანელო; მ. მალპიგიმ (XVI ს.) შეისწავლა კანის შრეები; ა. ფატერმა (XVIII ს.) კანში აღმოაჩინა ნერვული დაბოლოებები. მეცნიერული დ-ის საწყისად XVIII ს. ითვლება. ეს არის ემპირიულად დაგროვებული მასალის სისტემაში მოყვანის პირველი მცდელობა. 1760 ფრანგმა დერმატოლოგმა ფ. ბ. დე სოვაჟმა გამოსცა წიგნი, სადაც კანის დაავადებები დაყოფილია 5 ძირითად ჯგუფად და 39 სახედ. 1776 ავსტრიელმა ექიმმა ი. პლენკმა (ვენა) წიგნში ,,Doctrina de morbis Cutaneis'' დერმატოზები მორფოლოგიური ნიშნით დაყო 14 ჯგუფად. 1777 ა. ლორი თავის წიგნში ,,Tractatus de morbis Cutaneis'' ეხება კანის ფიზიოლოგიას, პათოლოგიას; კანის დაავადებებს იხილავდა ორგანიზმთან მთლიანობაში.

დ., როგორც დამოუკიდებელი დარგი, ჩამოყალიბდა XVIII ს. ბოლოს და XIX ს. დასაწყისში.

რუსეთში **დ**-ის ფუძემდებელი იყო ა. პოლოტებნოვი, რ-იც კანის დაავადებებს განიხილავდა შინაგან ორგანოებსა და ნერვულ სისტემასთან კავშირში. ა. პოსპელოვმა 1861 დააარსა მოსკოვის დერმატო-ვენეროლოგიური საზ-ბა, შეადგინა კანის დაავადებათა პირველი სახელმძღვანელო.

საქართველოში ცნობები კანის დაავადებათა შესახებ უძველესი დროიდან გვხვდება. იაკობ ცურტაველის ,,შუშანიკის წამებაში'' (V ს.) აღწერილია მუნი, სირსველი, მჭამელი, კეთრი. ფეოდ. ხანის სამედ.-ფილოს. ტრაქტატებში [ს. ქანანელის ,,უსწორო კარაბიდინი'' (XI ს.) და ხოჯაყოფილის ,,წიგნი სააქიმოჲ'' (XIII ს.)] განხილულია კანის სხვადასხვა დაავადება (მ. შ. – სოკოვანი) და მათი მოვლის საკითხები. ამავე ხასიათისაა ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ,,სამკურნალო წიგნი'' (XV ს.), დავით ბატონიშვილის ,,იადიგარ დაუდი'' (XVI ს.) და სხვ.

1869 დაარსდა კავკასიის სამედ. საზ-ბა. იმ დროისათვის ეს იყო ერთადერთი ორგანიზაცია, რ-საც ევალებოდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა.

XX ს. დასაწყისში საქართველოში არსებობდა ერთადერთი სპეციალიზებული დაწესებულება – ,,თბილისის ქალთა სიფილისის სავადმყოფო''.

საქართველოში კანის დაავადებათა მეცნ. კვლევა დაიწყო XX ს. დასაწყისში. თსუ-ის სამედ. ფაკ-ტთან კანისა და ვენერულ სნეულებათა კათედრა გაიხსნა 1920 ქალაქის მესამე (ვენერული) საავადმყოფოს ბაზაზე (კათედრის გამგე – პროფ. გრ. *მუხაძე*; 1922 – მედ. მეცნ. დოქტორი ი. ღულაძე; 1925 – პროფ. ვ. ბურგსდორფი; 1931 – დოც. ალ. ჯავრიშვილი; 1932 – პროფ. პ. ბუაჩიძე; 1969 – პროფ. დ. საყვარელიძე, 1999-იდან – პროფ. ა. კაციტაძე).

კანისა და ვენსნეულებათა პირველი დისპანსერი თბილისში 1925 გაიხსნა, ხოლო 1928 უკვე არსებობდა 12 ვენდისპანსერი და 2 სტაციონარი. 1928 თბილისში გაიმართა საქართვ. დერმატოლოგ-ვენეროლოგთა I კონფერენცია, რ-მაც დიდი როლი ითამაშა საქართველოში კანის გადამდებ და ვენდაავადებათა გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1935 თბილისში, ექიმთა დახელოვნების ინ-ტში გაიხსნა კანისა და ვენსნეულებათა მეორე კათედრა, რ-საც 1947-მდე შეთავსებით განაგებდა პროფ. პ. *ბუაჩიძე*, 1947–74 – პროფ. გ. *ფხალაძე*, 1974–81 – დოც. გ. სარალიძე, 1981–2001 – პროფ. რ. ჩუბინიძე, 2001-იდან განაგებს მედ. მეცნ. კანდ. მ. თევზაძე. 1935 წ. 3 ნოემბერს თბილისის კანისა და ვენსნეულებათა ინ-ტის ბაზაზე დაარსდა საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტი; დირექტორად დაინიშნა ექიმი ვ. იაშვილი, შემდგომ ინ-ტს ხელმძღვანელობდნენ: მედ. მეცნ. კანდ. ს. მაჭავარიანი, პროფ. ი. შველიძე, პროფ. ლ. *შენგელია* (1970–89), მედ. მეცნ. კანდ. ბ. ჩლაიძე (1989–2000). 2000-იდან სტრუქტურაში მოხდა ცვლილებები: სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე გახდა ბ. ჩლაიძე (2000–04), 2004-იდან ინ-ტს ხელმძღვანელობს პროფ. გ. გალდავა.

1946 ჩამოყალიბდა საქართვ. დერმატოლოგ-ვენეროლოგთა საზ-ბა, რ-საც ჰქონდა სამი ფილიალი (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი). 2004 გ. გალდავას, ა. კაციტაძის და მ. თევზაძის მიერ დაფუძნდა თბილისის დერმატო-ვენეროლოგთა სამეცნიერო-პროფესიული საზ-ბა (თავ-რე – გ. გალდავა), რ-ის მიზანს წარმოადგენდა თბილ. დერმატო-ვენერ. სამსახურის გაუმჯობესება, დერმატო-ვენეროლოგთა პროფესიული დონის ამაღლება, კანის და სქესობრივი გზით დაავადებათა პრევენციასა და მკურნალობაში საერთაშ. სტანდარტების დამკვიდრება და სხვ. 2006-იდან საზ-ბას ეწოდა საქართველოს დერმატო-ვენეროლოგთა ასოციაცია, რ-იც აქტიურად არის ჩაბმული საერთაშ. კონგრესებისა და კონფერენციების მუშაობაში.

საქართველოში **დ**-ის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს: ა.

დიასამიძემ, მ. ბერიძემ, ა. ჯავრიშვილმა, პ. ბუაჩიძემ, ს. მაჭავარიანმა, ი. თოფურიძემ, პ. მგალობლიშვილმა, გ. ფხალაძემ, ა. *ყართაპეტოვმა*, დ. საყვარელიძემ, ი. შველიძემ, ლ. ფირცხალავამ, დ. ჭოჭუამ, ლ. შეწირულმა და სხვ.

დეროკი, დერუკი, ქართული წყაროებით, ქართლის მეფე ორმეფობის დროს (ძვ. წ. II–I სს.). იხ. *ორმეფობა ქართლში.*

ლიტ.: Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.


დერტავის დედათა მონასტერი, იერუსალიმში არსებული დედათა სავანე. უცნობია ამ მონასტრის ზუსტი მდებარეობა და დაარსების დრო. მონასტრის შესახებ რამდენიმე საინტერესო ცნობას მიაკვლიეს იერუსალიმში. ბერძნ. მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცული ქართ. ხელნაწერების კოლექციის №65 ნუსხაში არსებობს XIII ს. მონასტერში მოღვაწე ქართვ. მონაზვნის, დუდა აბაზაისძე ტბელის ასულის ანდერძი, საიდანაც ირკვევა, რომ მონასტერი იერუსალიმში მდებარეობდა და იოანე ნათლისმცემლის სახელზე იყო აშენებული. დერტაველი მონაზვნები მნიშვნელოვან ლიტ. საქმიანობას ეწეოდნენ, ისინი დაინტერესებული იყვნენ ლიტერატურული ძეგლების გადაწერით, იმავე დროს უკვეთავდნენ და იძენდნენ ხელნაწერებს. ჩვენამდე მოღწეულია მონაზონთა დაკვეთით გადაწერილი სას. კრებული (XIII ს., გადამწერი ბასილი მჩხრეკელი), რ-საც აქვს საინტერესო ანდერძ-მინაწერი (დაცულია იერუსალიმში).

ლიტ.: კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957; ცერაძე თ., ახალი მონაცემები იერუსალიმის ქართული სამონასტრო კოლონიის შესახებ, «Academia», 5, 2003.

ე. მამისთვალიშვილი.

დერჩი, სოფელი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მექვენის თემში (იმერეთის მხარე), მდ. რიონის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 500 *მ*, წყალტუბოდან 55 *კმ*. 330 მცხ. (2002).

სოფ. დ. იხსენიება XII ს. საბუთში, საიდანაც ჩანს, რომ იგი მეფე გიორგი III-ს გელათის სამეფო სამწირველოსთვის შეუწირავს. სოფელი გვიანდ. ფეოდ. ხანაში ლეჩხუმის შემადგენლობაში იყო. სოფლის შუაგულში, შემაღლებულ ადგილზე, დგას იოანე ნათლისმცემლის ეკლესია (მოქმედია), რ-იც სავარაუდოდ XIV ს. მიეკუთვნება. მისი საბოლოო სახე რამდენიმე ეტაპად მიმდინარე მშენებლობის შედეგადაა ჩამოყალიბებული. ეკლესიის ცენტრ. სივრცე აღმ-ით ღრმა, ნალისებრი აფსიდითაა დასრულებული (იგი გარედან შვერილია). გვერდის მინაშენებთან დაკავშირებულია კედლებში გახსნილი თითო ფართო თაღით. ჩრდილოეთის და სამხრეთის ნავები ასევე აფსიდითაა დასრულებული. ეკლესიის ძირითადი სივრცე, ისე როგორც მინაშენებისა, გადახურულია კამარით. შესასვლელი დას-იდან და სამხრ-იდანაა. დას. მხარეს ნართექსია, რ-იც სამივე ნავთან არის დაკავშირებული. ეკლესია ორსაფეხურიან ბაქანზე დგას. ნაგებია მოყვითალო-მომწვანო ქვიშაქვის სხვადასხვა ზომის თლილი კვადრებით. დაგვირგვინებულია კარნიზით. ფასადები სადაა, მხოლოდ დას. სარკმლის თავზეა ცხოველთა რელიეფური გამოსახულება. შიგნით კედლები მთლიანად მოხატული იყო (ნაწილობრივ ჩამონგრეულია), როგორც რელიგ. სცენების, ისე წმინდანთა გამოსახულებებით. საკურთხევლის წინ XVII ს-ის კანკელი დგას, ამავე დროისაა საკურთხევლის ზედა ნაწილში მოთავსებული ვრცელი ორსტრიქონიანი წარწერაც (დაზიანებულია). სოფელში არის გვიანდ. შუა საუკ. რამდენიმე კოშკის ნანგრევი.



დერჩი. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია. XIV ს.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ბანძელაძე ი., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ლ., ლეჩხუმი, თბ., 1983.

თ. ბერაძე.

დერცელი, სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტის მოხის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ღაღვისწყლის (ქვაბლიანის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1580 *მ*, ადიგენიდან 17 *კმ*. 326 მცხ. (2002).

დესეტინა (რუს. десятина, ლათ. decima – მეათედი), მიწის ფართობის საზომი ერთეული რუსეთში. ცნობილია XV ს. ბოლოდან. თავდაპირველად წარმოადგენდა ისეთი კვადრატის ფართობს, რ-ის გვერდები 1/10 ვერსს უდრიდა (2500 კვ. საჟენი). 1753 სამიჯნო ინსტრუქციით სახაზინო დ. 2400 კვ. საჟენით (1,0925 *ჰა*) განისაზღვრა; სამეურნ. ანუ ირიბი დ. 3200 კვ. საჟენი იყო, სამეურნეო წრიული – 3600 კვ. საჟენი, ასობითი დ. – 10000 კვ. საჟენი და სხვ.

XIX ს-იდან, კავკასიაში რუს. გაბატონების შემდეგ, დ. საქართველოშიც იხმარებოდა. ზომის მეტრულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რსფსრ სახკომსაბჭოს 1918 წ. 14 სექტ. დეკრეტით დ-ის გამოყენების სფერო შეიზღუდა, 1927 წ. 1 სექტ. კი მთლიანად აიკრძალა.

გ. ჯაფარიძე.

დესი, სოფელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კობის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), თრუსოს ხეობაში. ზ. დ. 2250 *მ*, სტეფანწმინდიდან 38 *კმ*. 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

სოფლის განაპირას, პატარა მდინარის პირას, დგას XIX ს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – წმ. გიორგის პატარა ეკლესია. ძეგლის ჩრდ.-აღმ-ით ქვაჯვარია აღმართული. გეგმით მართკუთხა ეკლესიას აღმოსავლეთით ერთადერთი კარი აქვს გაჭრილი. ინტერიერის დას. კედელში ორი პატარა ნიშია. ჭერი ბრტყელია და შეფიცრული, ფასადები – მარტივი. ეკლესია შიგნით

და გარეთ შელესილი და შეთეთრებულია, გადახურულია თუნუქის ორქანობიანი სახურავით.

გ. ბაგრატიონი.

დესპანი, ერთი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი მეორე სახელმწიფოში. ვენის 1961 კონვენციით დიპლ. ურთიერთობათა შესახებ, რ-ითაც დაწესებულია დიპლ. წარმომადგენელთა კლასები, დ. II კლასის დიპლ. წარმომადგენელია (დ-ის კლასს მიეკუთვნება ინტერნუნციუსი – ვატიკანის II კლასის დიპლ. წარმომადგენელი). დ. აკრედიტებულია სახელმწიფოს მეთაურთან (გზავნის სახელმწ. მეთაური უცხო სახელმწ. მეთაურთან).

დ-ის რანგი, ისევე როგორც სხვა დიპლ. რანგები (წოდებანი, რ-ებიც ენიჭებათ დიპლ. თანამდებობის პირებს), განისაზღვრება შინასახელმწიფოებრივი სამართლით. საქართვ. 2007 წ. 7 დეკ. კანონით ,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ'', დ-ს ეწოდება ,,საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი''. დ. საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან ერთად წარმოადგენს უმაღლეს დიპლ. რანგს საქართვ. დიპლ. სამსახურში. დ-ის რანგს საქართვ. მოქალაქეებს ანიჭებს საქართვ. პრეზიდენტი (ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სასამართლო განაჩენით).

მუდმივი დიპლ. წარმომადგენლობის ინ-ტის ჩამოყალიბებამდე ტერმ. ,,დ.'' აღნიშნავდა სხვა ქვეყანაში სპეც. მისიით, რაიმე გარკვეული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალების შესასრულებლად (დიპლ. მოლაპარაკების, ხელშეკრულების დადების მიზნით) წარგზავნილ საგანგებო პირს. ძველად საქართველოში დ-ის მნიშვნელობით იხმარებოდა აგრეთვე ტერმინები ,,ელჩი'' და ,,მოციქული''. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, დ. (,,დიასპანი'') ,,ელჩია თუ რაღაც გასაგზავნელი კაცი'', ,,მსგავსი მოციქულისა'', ,,მეფისაგან მეფესთან მიგზავნილი მოციქულად საქმესა რასმე ზედა''. ხანგრძლივად, დიდი ხნით წარგზავნილ დ-ს ო მ ი რ ა – ,,დიდი დესპანი'' – ერქვა (,,ომირა არს დესპანი ხანგრძლივად მყოფი''). ომირა დროებითიდან მუდმივ საწყისებზე გარდამავალ დიპლ. წარმომადგენლად ივარაუდება.

დ. სხვადასხვა წყაროში იხსენიება, მაგ., ოშკის ბიბლიაში (გადაწერილია 978), ჯუანშერის თხზულებაში ,,ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა'' (XI ს.), გეორგიევსკის ტრაქტატში (1783), დ. გურამიშვილის ,,დავითიანში'' (XVIII ს.) და სხვ. ,,შუშანიკის წამებაში'' (V ს.) ნახსენებია ს ა დ ი ა ს პ ა ნ ო ც ხ ე ნ ი (,,წარმოჰმართა სადიასპანოჲთა ცხენითა მონაჲ თჳსი''). დ-ს დანიშნულებისამებრ ,,წასაყენებელნი აზრი-მოხსენებანი'' როგორც სიტყვიერად, ისე წერილობითაც მიეცემოდა. დავით ბატონიშვილის საკოდიფიკაციო პროექტით (შედგენილია XVIII–XIX სს. მიჯნაზე), მეფის დ-ის ,,ნებსით'' გამმარცველისა და მკვლელისათვის გათვალისწინებულია ჩამოხრჩობა (,,თჳნიერ ყოვლისა შეწყალებისა მოეკიდოს ძელსა''). ასეთი სასჯელი პროექტში დასაბუთებულია იმით, რომ დ. ,,სახე არს წარმომგზავნელისა თჳსისა და ...ჯერ არს მეზობელთა პატივის-ცემაჲ მეზობელთაგან''. დ-ად წარგზავნილი კაცი კი ,,მცბიერობით'' მოქცევისათვის ,,მსგავსად ორგულთა'' დაისჯებოდა.

წყარო და ლიტ.: ა ბ უ ლ ა ძ ე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., ზოგიერთი ქართული დიპლომატიური ტერმინის შესახებ (მოციქული, დესპანი, ელჩი), წგ-ში: ქართული დიპლომატია. წელიწდეული, ტ. 2, თბ., 1995; ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს.-ს., თხზ. ოთხ ტომად, ტ. 4, ნაკვ. 1–2, თბ., 1965–66; სამართალი ბატონისშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის გამოც., თბ., 1964; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

ი. ფუტკარაძე.

დეტონირება (<ფრანგ. détonner – არასწორად, ყალბად მღერა), ტონის დარღვევა, არასწორი სიმღერა, მომღერლის მიერ ბგერების სიმაღლებრივი შეფარდების დარღვევა. დ. შეიძლება იყოს შინაგანი სმენის შედეგი, როდესაც მომღერალი შინაგანად სწორად აღიქვამს მუს. მელოდიას, მაგრამ არ შეუძლია ინტონაციურად სუფთა ბგერის წარმოთქმა (ცნობილია, რომ კომპოზიტორი რიხარდ ვაგნერი დეტონირებით მღეროდა). ხალხ. მუსიკაში კილოური სისტემა არაა ისე ზუსტად ტემპერირებული, როგორც ევრ. პროფ. (განსაკუთრებით კლასიკურ) მუს. სისტემაში. შესაბამისად, დ-ის შემთხვევა ყოველთვის განხილული უნდა იყოს კონკრეტული მუს. სისტემის კონტექსტში (ევროპული, ინდური, ქართ. ხალხ. და ა. შ.). ქართ. ხალხ. სიმღერის ანსამბლებში (განსაკუთრებით პროფესიული დონის) ხშირად ხალხ. სიმღერის არატემპერირებული ბუნება დარღვეულია და მიახლოებულია ევრ. ტემპერირებულ სისტემასთან, რაც ქართ. ხალხ. სიმღერის შინაგან ბუნებას ეწინააღმდეგება.

ი. ჟორდანია.

დეფექტოლოგია (ლათ. defectus – ნაკლი და logos – სიტყვა, მოძღვრება), მეცნიერება, რ-იც შეისწავლიდა ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლის მქონე ბავშვთა განვითარების კანონზომიერებებს, მათი სწავლებისა და აღზრდის საკითხებს, დეფექტის კომპენსაციისა და კორექციის პრობლემებს. დ. მოიცავდა ოლიგოფრენოპედაგოგიკას, სურდოპედაგოგიკას, ტიფლოპედაგოგიკას, *ლოგოპედიას,* ოლიგოფრენოფსიქოლოგიას, სურდოფსიქოლოგიას, ტიფლოფსიქოლოგიას. დ. ამუშავებდა აგრეთვე რთული დეფექტის მქონე ბავშვთა (უსინათლო, ყრუ-მუნჯი, გონებრივად ჩამორჩენილი – ყრუ, გონებრივად ჩამორჩენილი – უსინათლო და ა.შ.) სწავლებისა და აღზრდის საკითხებს. მის კომპეტენციაში შედიოდა სურდოტექნიკური და ტიფლოფსიქოლოგიური საკითხების დამუშავება, მხედველობისა და სმენის დეფექტების მქონე მოზრდილთა ზოგად განათლებასა და პროფ. მომზადებაზე ზრუნვა. დ. შეისწავლიდა ფსიქ. განვითარება-შეზღუდულ ბავშვთა სწავლებისა და მეორეული დეფექტების კორექციის საკითხებს.

ტერმინი დეფექტი – დეფექტოლოგია მხოლოდ საბჭოთა კავშირში იხმარებოდა, უცხოეთში იყენებდნენ ტერმინს – უნარშეზღუდვა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დეფექტის ნაცვლად გამოიყენება ტერმინი უნარშეზღუდვა და, შესაბამისად, უნარშეზღუდული ბავშვი. დეფექტოლოგია, როგორც მეცნიერება, დაიშალა ორ ნაწილად: სპეციალურ ფსიქოლოგიად და სპეციალურ პედაგოგიკად. პირველი სწავლობს უნარშეზღუდულ ბავშვთა ფსიქ. განვითარებას, ხოლო მეორე – მათი სწავლების შესაძლებლობებს.

მ. ყოლბაია.

დეში (Desy) მორიც (1851–1917), უნგრელი მოგზაურ-მკვლევარი, ალპინისტი, უნგრეთის მეცნ. აკად. წევრი, უნგრეთის გეოგრ. საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი. XIX ს. 80-იან წლებში იმოგზაურა ალპებში, ბალკანეთის ნ.-კ-ის ქვეყნებში, ჩრდ. აფრიკაში, შპიცბერგენსა და ჰიმალაიში. დიდი წვლილი მიუძღვის კავკ. მაღალმთიანი რ-ნების შესწავლაში. 1884–1902 მან 7-ჯერ იმოგზაურა კავკასიაში. მოიარა

საქართველო (აფხაზეთი, სვანეთი, თუშეთი, ხევსურეთი), ოსეთი, ბალყარეთი, ყარაჩაი, ჩაჩნეთი, დაღესტანი; იმოგზაურა კავკასიონის ცენტრ. ნაწილის გაყოლებით, ავიდა ასმაშზე, ქომიტოზე, მყინვარწვერზე, იალბუზზე, თეთნულდზე (დ. *ფრეშფილდთან* ერთად) და სხვა მწვერვალებზე. მშვენიერ ფოტოსურათებთან ერთად, რ-ებიც მან კავკ. სხვადასხვა კუთხეში გადაიღო, შეაგროვა მდიდარი ბოტან. და მინერალოგიური კოლექციები. 1905–07 ბერლინში გამოიცა დ-ს 3-ტომიანი ილუსტრირებული ნაშრომი ,,კავკასია'' (გერმ. და უნგრულ ენებზე). იგი უხვ ცნობებს იძლევა კავკასიონის, კერძოდ, დას. კავკასიონის მყინვარებზე, რ-ებიც XIX ს. ბოლომდე ნაკლებად იყო შესწავლილი. ნაშრომს ერთვის კავკასიონის რუკა (მასშტაბი 1:400000). დ-მ იალბუზის მყინვარზე ჩატარებული დაკვირვებების შედეგად გამოთქვა მოსაზრება, რომ კავკასიონის მყინვარები, ისევე როგორც ალპებისა, უკანდახევას განიცდიან. ეს შეხედულება საფუძვლად დაედო კავკ. მყინვართა შემდგომ კვლევას და მთლიანად დადასტურდა.

თხზ.: Kaukasus. Reisen und Forschungen im Kaukasischen Hochgebirge, Bd. 2, B., 1906.

ე. ლოლუა.

დეხვირი, სოფელი ცაგერის მუნიციპალიტეტის ლასურიაშის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), მდინარეების ცხენისწყლისა და რიონის წყალგამყოფ ქედზე, ცხენისწყლის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 640 *მ*, ცაგერიდან 3 *კმ*. 262 მცხ. (2002).

დ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს. I ნახევარში. სოფლის ახლოს დგას ფეოდ. ხანის *დეხვირის ციხე.*

დეხვირის ციხე, ციხესიმაგრე ლეჩხუმში, სოფ. დეხვირის მახლობლად (ახლანდ. ცაგერის მუნიციპალიტეტი). წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება XVII ს. II ნახევარში.

ციხე იდგა მდინარე ცხენისწყლისა და ლავჯანურის წყალგამყოფ ქედზე და კონტროლს უწევდა ამ მდინარეთა ხეობების მნიშვნელოვან ნაწილს. XVI–XVIII სს-ში დ. ც. ლეჩხუმთან ერთად იმერეთის სამეფოში შედიოდა და იმერეთის მეფეებს ეკუთვნოდა. XVIII ს-ში ლეჩხუმი და დ. ც. სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შევიდა. 1802 იმერეთის მეფე სოლომონ II-მ დ. ც. დაიკავა და შიგ 17 მეციხოვნე ჩააყენა, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ იგი რუს. ხელისუფლებამ სამეგრელოს მთავარს დაუბრუნა. ამჟამად ციხის ნანგრევებიღაა შემორჩენილი. მისი გეგმა დას. საქართვ. სხვა მნიშვნელოვან ციხეებთან ერთად აღნიშნულია დას. საქართვ. რუკაზე (1737). გეგმის მიხედვით, იგი ორი სხვადასხვა ზომის ერთმანეთისაგან დაშორებული რამდენიმესართულიანი კოშკისაგან შედგებოდა და შემოსაზღვრული იყო მაღალი გალავნით. დ. ც-ს ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) დას. საქართვ. ადრინდ. და შუა ფეოდ. ხანის ერთ-ერთი მხარის თაკვერის თავად (ცენტრად) მიიჩნევდა. ამიტომ ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, დ. ც. შუა ფეოდ. ხანით შეიძლება დათარიღდეს.

თ. ბერაძე.

დვაბზუ, სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (გურიის მხარე), მდ. ნატანების მარცხ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: დ., გაღმა დვაბზუ). ზ. დ. 130 *მ*, ოზურგეთიდან 5 *კმ*. 1,6 ათ. მცხ. (2002). სოფელშია შ. *რადიანის* სახლ-მუზეუმი.

მოქმედებს წმინდა გიორგის ეკლესია.

დვალები, კალიგრაფები. უმეტესობა, როგორც ჩანს, მოღვაწეობდა უცხოეთის ქართულ სავანეებში – იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, სინას მთაზე და სხვ., ზოგიერთი კი – საქართველოში.

XI ს. მოღვაწეობდნენ იოანე და მიქელ დ. იოანეს გადაუწერია ,,თვენი'' (ა. ცაგარელის კატალოგი, № 36); 1055 მანვე გადაწერა ,,წმინდა ბასილის ცხოვრება'' (ა. ცაგარელის კატალოგი, № 105), რ-იც დაწერილია ნუსხურით, ლამაზი ხელით, შემკულია მშვენიერი თავსამკაულებითა და საზედაო ასოებით. სავარაუდოდ, ამავე იოანეს ხელითაა ნაწერი ავგაროზ მეფის აპოკრიფული ამბავი *ალავერდის ოთხთავში* (ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი A–484). არსებობს მოსაზრება (რ. შმერლინგი), რომ მთელი სახარების გადამწერნი მიქელი და გიორგი დ-ები იყვნენ. მიქელის გადაწერილია ნუსხური ,,ჟამნი'' (ა. ცაგარელის კატალოგი, № 23). იგი აგრეთვე მოხსენიებულია იოანე ოქროპირისეულ იოანეს სახარების თარგმანების ანდერძში (ა. ცაგარელის კატალოგი, № 145); შესაძლოა მისივე იყოს 1049 წ. სვინაქსარიც (ა. ცაგარელის კატალოგი, № 142). სტეფანე დვალმა გადაწერა ჟამისწირვათა კრებული (ნ. მარის კატალოგი, № 89), გიორგიმ – სინას მთის მონასტრის მეორე კრებული (ი. ჯავახიშვილის კატალოგი, № 36). კატალოგთა შემდგენლები არაფერს ამბობენ ამ ხელნაწერთა თარიღის შესახებ.

გიორგი დვალმა (სავარაუდოდ – სხვა) გადაწერა ლაბეჭინის ოთხთავი (ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი A–1563), რ-საც XIII ს-ს მიაკუთვნებენ. იგი ნუსხურით ნაწერი მომცრო წიგნია; საზედაო ასოები სინგურითა და მელნითაა შესრულებული, ზოგი ასო ასოშია ჩასმული, ნაწერი მკაფიოა, ნაკლებად გადაბმული.



დ ვ ა ლ ე ბ ი. ალავერდის ოთხთავი. მათეს სახარების პირველი გვერდი. XI ს. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბილისი.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.

დვალები, საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის – *დვალეთის* – მცხოვრებნი. ზოგიერთი სხვა ქართვ. მთიელების მსგავსად (თუშები, მოხევეები, პირიქითელი ხევსურები), **დ.** ძირითადად კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მკვიდრობდნენ. **დ.** განსახლებული იყვნენ აგრეთვე აღმ. საქართვ. მთიანეთში, მდ. დიდი ლიახვის ხეობის უკიდურეს ზემო წელში, რ-საც *მაღრან-დვალეთი* ეწოდებოდა. მაღრან-დვალეთში, რ-იც მთის ცხრა სოფლის ერთობლიობას წარმოადგენდა, **დ.** იყვნენ გადმოსახლებული არაუადრეს X–XI სს. XIV ს-იდან **დ.** სპორადულად იყვნენ განსახლებული დიდი ლიახვის ხეობის მაღრან-დვალეთთან მოსაზღვრე რამდენიმე მთის სოფელსა და თერგის ხეობის სათავეში – თრუსოში (ისტ. წანარეთის ნაწილი). XV ს. დასასრულიდან და ძირითადად XVI ს-ში **დ**-მა განიცადეს ჩრდილოეთიდან ირანულენოვანი ოსური ტომების ზეწოლა. **დ.**, რ-ებიც ალაგირის ხეობიდან დვალეთში შემოჭრილმა ოსებმა დაჭაბნეს, იძულებული გახდნენ აყრილიყვნენ მამა-პაპათა საცხოვრისიდან და განსახლებულიყვნენ საქართვ. სხვა რეგიონებში (რაჭა, ზემო იმერეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე), სადაც მტერთა ხშირი თავდასხმების გამო ბევრი ნასოფლარ-ნაოხარი იყო. დვალეთში დარჩენილი **დ.** მიგრანტი ოსების ენობრივ-ეთნ. გარემოში გაოსდნენ. როგორც ხშირად ხდებოდა, მოსულმა ოსურმა ეთნ. ერთეულმა **დ**-ის სახელწოდება მიიღო. **დ**-ის გაოსების პროცესი ერთდროული აქტი არ ყოფილა. მათი ეთნ. ასიმილაცია რამდენიმე თაობის განმავლობაში მიმდინარეობდა და ძირითადად XVII ს. ბოლოს დასრულდა, თუმცა XVIII ს. პირველ მეოთხედში **დ**-ის გარკვეულ ნაწილს თვითმყოფადობა კვლავ შენარჩუნებული ჰქონდა.

დ. პირველად მოხსენიებული არიან ანტ. საისტ. წყაროებში ახ. წ. I და II სს-ში (პლინიუს უფროსი, პტოლემაიოსი) თალის, ვალის, უალის სახელწოდებით. ქართ. წყაროებში (ქართლის ცხოვრება) **დ**-ით დასახლ. ,,ქვეყანა'' – დვალეთი – პირველად ნახსენებია III ს. შუა ხანებში მეფე *ამაზასპის* დროს. მეცნიერებაში **დ**-ის ეთნ. წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ქართ. წყაროების მიხედვით, ისინი ჩვეულებრივი ქართვ. მთიელები იყვნენ, ისევე როგორც ფხოველები, თუშები, წანარები, გუდამაყრელები, ხადელები, ცხავატელები, ჭართლელები, ცხრაზმელები... ოღონდ შენარჩუნებული ჰქონდათ მთიანი პროვინციებისათვის დამახასიათებელი სოც., რელიგ. თავისთავადობა. ოსი მეცნიერები (ვ. აბაევი და გ. თოგოშვილი) **დ**-ს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ ირანული წარმომავლობის ტომად. მოსაზრება, რომ **დ.** ოსურ ეთნ. სამყაროს განეკუთვნებიან, პირველად მეცნიერმა დ. გვრიტიშვილმა უარყო. ასევე უარყოფდა ამ შეხედულებას რუსი ეთნოგრაფი ნ. ვოლკოვა. მან **დ.** ერთ-ერთ იბერიულ-კავკ. ტომად წარმოადგინა. **დ**-ის შესახებ ფუნდამენტურ გამოკვლევაში ვ. გამრეკელმა ისინი დაუკავშირა ნახურ (ინგუშურ-ჩაჩნურ) სამყაროს, რ-ებიც ადრეფეოდ. ეპოქიდანვე გაქართებული იყვნენ, თუმცა შემდგომი კვლევა-ძიებით მან ეს შეხედულება უარყო და დვალთა ენა ქართველურ (ზანურ) ენას დაუკავშირა. მეცნიერებაში არის შეხედულება **დ**-ის სვანური წარმომავლობის შესახებაც. უკანასკნელი გამოკვლევით, რ-იც ემყარება საისტ. წყაროების, საბუთების, ტოპონიმების, ანთროპონიმების კომპლ. შესწავლას, ცხადი შეიქმნა, რომ დვალეთი ეთნიკურად ქართ.-ქართველური ქვეყანა იყო, **დ.** კი – ზანებთან ახლოს მდგომი ტომი, თუმცა ზანების (მეგრელების) სრულ ასლს არ წარმოადგენდნენ. **დ.** ზანებსა და სვანებს შორის მდგომი ქართული ტომი იყო და ლაპარაკობდნენ ერთ-ერთ დამოუკიდებელ (აწ გადაშენებულ) ქართველურ ენაზე, რ-საც ყველაზე მეტი საერთო ზანურთან ჰქონდა. საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე **დ**-ს ისეთივე წვლილი აქვთ შეტანილი საერთო ქართ. კულტურაში, როგორც საქართვ. სხვა პროვინციის წარმომადგენლებს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: გვრიტიშვილი დ., დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, მის წგ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII–XIV სს.), თბ., 1962; თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997; Гамрекели В. Н., Двалы и Двалетия в I–XV вв. н.э., Тб., 1961. *რ. თოფჩიშვილი.*

დვალეთი, ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე საქართველოში (ამჟამად ჩრდ. ოსეთშია). 1859 ცარიზმმა **დ.** თბილ. გუბერნიას ჩამოაჭრა და თერგის ოლქს გადასცა. **დ.**, როგორც საქართვ. უკიდურესი ჩრდ. მოსაზღვრე მხარე, დანარჩენ საქართველოსთან ბუნებრივ-გეოგრაფიულად ორგანულად იყო დაკავშირებული 11 გადასასვლელით და მათ შორის მიმოსვლა (შიდა ქართლისა და რაჭის გავლით) ზამთარშიც კი არ წყდებოდა. შიდა ქართლიდან **დ**-ში (დვალთგორაზე) მთავარი გადასასვლელი იყო ზეკარა, ჩრდ. კავკასიას კი **დ.** უკავშირდებოდა მხოლოდ ერთი გადასასვლელით – კასრის კარით, რ-იც მხოლოდ ზაფხულის პერიოდში (სამ-ოთხ თვეს) ფუნქციონირებდა. ჩრდ. კავკასიიდან კასრის კარით საქართველოში შემოსასვლელ გზას ქართ. წყაროებში ,,გზა დვალეთისა'' ეწოდებოდა. ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII ს.) მიხედვით, **დ.** წარმოადგენდა ექვსი ხევის – თემის (კასრისხევი, ზრამაგა, ჟღელე, ნარა, ზროგო, ზახა) ერთობლიობას. დღევანდელი ნომენკლატურით **დ.** მოიცავს ჩრდ. ოსეთის მდინარეების – არდონის, ფიაგდონისა და გიზელდონის – აუზების ზემო ნაწილებს. შეცდომით **დ**-ს მიათვლიან მდ. თერგის სათავეს – თრუსოსა და მდ. დიდი ლიახვის სათავეს – მაღრან-დვალეთს, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ამ ორ პროვინციაშიც ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში მოხდა *დვალების* მიგრაცია. თრუსო ისტ. წანარეთის ერთი ნაწილია.

ისევე როგორც შიდა ქართლის მთიანეთის სხვა ხეობებში, **დ**-შიც ქრისტიანობა ადრიდანვე (VI ს-იდან) გავრცელდა და ნიქოზის ეპარქიაში (სამწყსოში) შედიოდა. ერთიანი საქართვ. სამეფოს დაშლის შემდეგ ქართვ. ხელისუფალთა გავლენა **დ**-ზე დროებით შესუსტდა, რითაც ისარგებლეს ჩრდ. კავკასიის მთიან ხეობებში ჩაკეტილმა ოსებმა და **დ**-ზე ხშირი თავდასხმების, მეკობრეობისა და ლაშქრობების შედეგად აიძულეს ადგილ. ქართვ. მოსახლეობა – დვალები – მიეტოვებინათ წინაპართა საცხოვრისი და საქართვ. სხვადასხვა პროვინციაში განსახლებულიყვნენ. ოსთა მიგრაცია და დასახლკარება **დ**-ში ძირითადად XVI ს-ში განხორციელდა; ადგილზე დარჩენილი მოსახლეობის მცირე ნაწილი მიგრანტთა ოსურ ენობრივ-ეთნ. სამყაროს გავლენით გაოსდა. ერ-

თიანი საქართვ. სამეფოს დაშლის შემდეგ (XV ს.) დ. ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. დ-ს, ჩვეულებრივ, როგორც სამეფო ქვეყანას, სამეფო კარის მიერ დანიშნული მოურავები განაგებდნენ. მაგ., XVII ს. დასაწყისში დ-ის მოურავი იყო გიორგი სააკაძე, რ-იც ამ თანამდებობას თბილისისა და ცხინვალის მოურავობასთან ათავსებდა. მოგვიანებით დ-ის ზოგიერთი ხევი რაჭის ერისთავთა გამგებლობაში გადასულა. XVIII ს. ბოლოს მხოლოდ ზახა და ნარა იყო ქართლ-კახეთის მეფეთა გამგებლობაში, მაღლა დვალეთი, ჟღელე (იოანე ბაგრატიონის მიხედვით – ,,ჯღერე''), ლესრე, თებე, ლეთა, კასარა და სხვა პატარა სოფლები რაჭის ერისთავებს ეკუთვნოდათ. ვარაუდობენ, რომ დ-ში დასახლებული ოსები ქართლის სამეფო კარის მორჩილებაზე ხანდახან უარს ამბობდნენ, მაგრამ ქართვ. მეფეები მაინც ახერხებდნენ მათ დამორჩილებას. მაგ., დ-ში განსახლებული ოსების წინააღმდეგ ძალა გამოუყენებია მეფე ვახტანგ VI-ს. მან 1711 ჯართან ერთად შემოიარა ეს კუთხე: ,,ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ჟღელის ხევი და გადმოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდან ქართლს გამარჯვებული'' (ვახუშტი). ოს ისტორიკოსებს აქვთ ტენდენცია და სურვილი დ-ად მიიჩნიონ საბჭ. პერიოდის ე. წ. სამხრ. ოსეთის ტერიტორია, რაც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ, დიდი ლიახვის უკიდურეს სათავეში არსებობდა მხოლოდ მაღრან-დვალეთის რეგიონი (თემი), რ-იც მთის ცხრა სოფლის ერთობლიობას წარმოადგენდა. იგი შეიქმნა შედარებით გვიან (X–XI სს. შემდეგ) დ-იდან დვალების გადმოსახლების შედეგად.



ა. დ ვ ა ლ ი. ცეკვა ,,ქართული'' (ვ. გუნაშვილთან ერთად).



გ. დვალი.

დ-იდან გამოსულ ქართვ. მოღვაწეთაგან ცნობილი არიან XI ს. სას. პირნი: მიქელ დვალი, იოანე დვალი და სვიმონ დვალი.

დ-ში ქართ. მატერ. კულტურის ბევრი ძეგლი იყო, რ-თაგან მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე. კასრის კარი იყო ,,კლდისაგან და ქვიტკირით ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თუნიერ მათსა ოვსნი''; ზრამაგაში იყო ,,ციხე დიდი, ფრიად მაგარი, იტყვიან აღშენებულსა თამარ მეფისაგან, და დაბა კოშკოვანი'' (ვახუშტი). ვახუშტი ზახაში ეკლესიის არსებობაზე მიუთითებდა. დ. წარსულში, ისევე როგორც საქართვ. მთის სხვა პროვინციები, კოშკებით იყო დაფარული.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997; ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ქართლ-კახეთის აღწერა, თ. ენუქიძის და გ. ბედოშვილის გამოც., თბ., 1986.

ლიტ.: თ ო ფ ჩ ი შ ვ ი ლ ი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1998 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 12).

რ. თოფჩიშვილი.

დვალი ალა ვლადიმერის ასული (9. XI. 1925, თბილისი, – 23. VIII. 2003, იერუსალიმი), მოცეკვავე. საქართვ. დამს. არტისტი (1961). 1949 დაამთავრა თბილ. სახელმწ. ქორეოგრ. სტუდია და იმავე წელს ჩაირიცხა თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკად. თეატრში მოცეკვავედ (1949–73). ოსტატობას სრულყოფდა ხალხ. ცეკვების განხრით დ. *ჯავრიშვილისა* და ვ. *გუნაშვილის* ხელმძღვანელობით. წარმატებით ასრულებდა ქართ. ცეკვებს ეროვნ. ოპერებში (ზ. ფალიაშვილის ,,დაისი'', ,,აბესალომ და ეთერი''; შ. მშველიძის ,,დიდოსტატის მარჯვენა''; დ. არაყიშვილის ,,თქმულება შოთა რუსთაველზე'' და სხვ.). განსაკუთრებული აღიარება მოუტანა ცეკვა ,,ქართულმა'' (მისი უცვლელი პარტნიორი იყო საქართვ. სახ. არტისტი ვ. გუნაშვილი). არაერთი საინტერესო სახე შექმნა ბალეტებში: ,,გედების ტბა'', ,,ლაურენსია'', ,,მთების გული'', ,,ოტელო'', ,,გორდა'' და სხვ. მონაწილეობდა მსოფლიო ახალგაზრდობის ვარშავის ფესტივალში (1955). ვ. გუნაშვილთან ერთად 1956 იგი სსრკ წამყვანი თეატრების ბალეტის სოლისტთა ნაკრების შემადგენლობაში ჩაირიცხა და მონაწილეობდა ისლანდიასა და დანიაში გამართულ საგასტროლო ტურნეში თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო ჯგუფთან ერთად (ხელმძღვ. ვ. *ჭაბუკიანი*) გასტროლებზე იყო აგრეთვე საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში (სკანდინავია, ლათ. ამერიკის ქვეყნები, საფრანგეთი, ავსტრია და სხვ.).

დვალი გიორგი როლანდის ძე (დ. 30. V. 1964, თბილისი), ფიზიკოსი. დაამთავრა თსუ (1985). 1985–92 მუშაობდა საქართვ. მეცნიერებათა აკადემიის ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინ-ტში. 1992–93 იყო თეორიული ფიზიკის საერთაშ. ცენტრის (ICTP, ტრიესტი, იტალია), ხოლო 1993–95 – პიზის უნ-ტის პოსტდოქტორანტი, 1995–97 – ბირთვული კვლევის ევრ. ცენტრის (CERN) მკვლევარი, 1997–98 – ICTP-ს პროფესორი, 1998-იდან – ნიუ-იორკის უნ-ტის პროფესორი. დ-ის კვლევის სფეროა ელემენტარული ნაწილაკების თეორია, კოსმოლოგია, კვანტური გრავიტაცია, ადრეული სამყაროს ევოლუცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგები, რ-ებიც დ-მა მიიღო კოლეგებთან ერთად (ნ. არკანი-ჰამედი, ირანი, ს. დიმოპოულოსი, საბერძნეთი), ეხება *სამყაროს ფარული განზომილებების* თეორიას (1998). ამ თეორიის თანახმად, სუბმილიმეტრულ მანძილებზე საჭირო ხდება ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონის შეცვლა, რადგან სხეულთა შორის მოქმედი მიზიდულობის ძალის დამოკიდებულება მათ შორის მანძილზე ხდება უფრო ძლიერი (და ფარული განზომილებების რაოდენობაზე დამოკიდებული), ვიდრე ნაწინასწარმეტყველებია ნიუტონის თეორიით. ამჟამად მიმდინარეობს ამ ჰიპოთეზის ექსპერიმენტული შემოწმება. დ-ს მიღებული აქვს დ. და ლ. პაკარდების (1999), ა. სლოუნის (2000), ნიუ-იორკის მერის (2001) ჯილდოები მეცნ. და ტექნოლოგიაში მიღწეული წარმატებისათვის. 2007 მიიღო ნიუ-იორკის უნ-ტის ,,ვერცხლის პროფესორის'' წოდება, ხოლო 2008 მიენიჭა ჰუმბოლდტის პრემია. მონაწილეობს *დიდი ჰადრონული კოლაიდერის* ექსპერიმენტში. იწინასწარმეტყველა, რომ ამ ექსპერიმენტში შესაძლებელია მიკროსკოპული *შავი ხვრელების* წარმოქმნა და გააანალიზა ამ მოვლენის შესაძლო დაკვირვებითი შედეგები. 2010-იდან არის მაქს პლანკის ინ-ტის (მიუნხენი, გერმანია) დირექტორი.

დ. ეწევა აქტიურ პედ. მოღვაწეობას.

თხზ.: The Hierarchy Problem and New Dimensions at a Millimeter, «Phys. Lett.», B. 429, 1998 (თანაავტ.: N. Arkani-Hamed, S. Dimopoulos).

დვალი დავით ირაკლის ძე (დ. 5. IV. 1950, სოფ. საბუე, ახლანდ. ყვარლის მუნიციპალიტეტი), ელექტროტექნიკოსი, ტექ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1995). 1972 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის კავშირგაბმულობისა და ელექტრონიკის ფაკ-

ტი, სამრეწველო ელექტრონიკის სპეციალობით. 1975-იდან მუშაობს ამავე ინ-ტში (ახლანდ. საქართვ. ტექ. უნ-ტი) სამრეწველო ელექტრონიკის კათედრაზე. პედ. მოღვაწეობასთან ერთად ეწევა სამეცნ.-კვლ. საქმიანობას. 1987 ჩამოაყალიბა ელექტრონული ტექნიკის სამეცნ.-კვლ. ლაბორატორია. არის მრავალი დანერგილი პროექტის ავტორი. დ-ის სამეცნ. კვლევის თემაა – შეუფერხებელი და ხარისხიანი ელექტროკვების ტექნოლოგიები, არატრადიციული ენერგოტექნოლოგიები და სხვ. 1994–97 ჩაატარა სამუშაოები ტექნიკური ელექტრონიკის კათედრის ლაბორატორიული ბაზის მოდერნიზაციისა და ტექ. გადაიარაღების მიმართულებით.

თხზ.: ნახევრადგამტარული გარდამქმნელების ესკიზური დაპროექტება, თბ., 1993 (თანაავტ.: გ. დგებუაძე, ა. კერესელიძე).

დვალი თამაზ პიმენის ძე (დ. 3. I. 1949, თბილისი), არქიტექტორი. საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1993). 1971 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო საქართვ. მეცნ. აკად. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნ. ისტ. ინ-ტში არქიტექტორად, 1976-იდან ამავე ინ-ტის მეცნ. თანამშრომელია, ხოლო 1986-იდან 2006-მდე – ძეგლთა აღნუსხვის განყ-ბის გამგე, 1987-იდან პარალელურად მუშაობს ქართ. ენციკლოპედიის მთავარ სამეცნ. რედაქციაში. 1997-იდან საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქციის გამგეა. მიაკვლია, აზომა და შეისწავლა მრავალი ხუროთმოძღვრული ძეგლი. არის რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლის რესტავრაციის პროექტის თანაავტორი, ,,საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის'' მე-2 წიგნის (თბ., 2004) რედკოლეგიის ხელმძღვანელი, გამოცემა ,,ქართული ხუროთმოძღვრების'' (ძველი ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლთა დოკუმენტური ასახვა მიკროფილმებზე – 47000 ფოტოსურათით, ტ. 1–8, ლეიდენი, 1994–2011, ინგლ. ენაზე) მოთავე და ხელმძღვანელი. კრებულის I-მა ტომმა მიიღო საქართვ. სახელმწ. პრემია (1996). სამეცნ. გამოკვლევები მიუძღვნა ცხვარიჭამიას, ბენისის, ვაჩნაძიანის ტაძრებს. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. სტატია.

თხზ.: ოშკი, თბ., 2009; იშხანი, თბ., 2010; ოთხთა ეკლესია, თბ., 2011.

დვალი ირაკლი კონდრატეს ძე (დ. 14. VIII. 1928, ამბროლაური), ინჟინერ-მექანიზატორი. ტექ. მეცნ. დოქტორი (2004), პროფესორი (1995), საქართვ. დამს. მექანიზატორი (1969). 1949 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი. 1949–81 მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე. 1981 დ-ის ინიციატივით დაარსდა სამეცნ.-ტექ. ინფორმაციისა და პრესის რესპ. ცენტრი, რ-ის დირექტორი იყო 1997-მდე. 1997–2001 იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი. კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. დ. ავტორია სამეცნ. ნაშრომების, გამოგონებისა და მრავალი პუბლიკაციის. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998).

თხზ.: მოსავლის აღების კომპლექსური მექანიზაცია, თბ., 1955; მცირე მექანიზაციის საშუალებები სოფლის მეურნეობაში, თბ., 1985. *შ. ნემსაძე.*

დვალი ლევან გრიგოლის ძე (9. V. 1927, თბილისი, – 30. I. 1983, იქვე), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1967). 1949 დაამთავრა თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1951–52 იყო მოსკოვის I სახელმწ. სამედ. ინ-ტის ფაკულტატური ქირურგ. კათედრის თანამშრომელი. 1952–56 მუშაობდა მოსკოვის II, ხოლო 1957–58 – მოსკოვის I კლინ. საავადმყოფოს ქირურგ. განყოფილებაში. 1958–61 იყო საქართვ. ექსპერ. და კლინ. ქირურგიის კვლ. ინ-ტის უფრ. მეცნ. მუშაკი, 1961–67 – თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტის ჰოსპიტალური ქირურგ. კათედრის დოცენტი, ხოლო 1967–83 – ზოგადი ქირურგ. კათედრის პროფესორი. 1970-იდან იყო თბილისის მთ. ქირურგი და აქტიურ მონაწილეობას იღებდა თბილ. ქირურგთა საზ-ბის მუშაობაში.

დ-ის სამეცნ. შრომები ეხება ქირურგიის აქტუალურ საკითხებს.

დ. მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 5 მონოგრაფიის ავტორია.

თხზ.: Особенности ухода за лёгочными больными до и после операции, Тб., 1959; К вопросу о лечении вентральных грыж передней брюшной стенки аллопластическим материалом (капрон), Тб., 1960; Диафрагмальные грыжи, Тб., 1966; Грыжи пищеводного отверстия диафрагмы, Тб., 1974; Особенности язвенной болезни желудка и двенадцатиперстной кишки у лиц пожилого и старческого возраста, Тб., 1978.

დვალი მალაქია კონსტანტინეს ძე (დ. 10. VIII. 1925, სოფ. ზედა შავრა, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი), არქიტექტორ-რესტავრატორი, ხელოვნებათმცოდნე. ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი (1963). საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1980). დაამთავრა საქართვ. ინდუსტრ. ინ-ტი (1943). 1949–52 მუშაობდა ამიერკავკ. გეოლ. სამმართველოს სამშენებლო უბნის უფრ. ინჟინრად, 1958-იდან სპეც. სამეცნ.-სარესტავრაციო სახელოსნოში (1968-იდან გაერთიანება) – არქიტ.-რესტავრატორად; 1968-იდან კი – მთ. არქიტექტორად (იქვე). 1989–2004 იყო ძეგლთა დაცვის მთ. სამმართველოს (შემდეგ – დეპარტამენტი) მთ. არქიტექტორი, პარალელურად 1958–2006 მუშაობდა საქართ. მეცნ. აკად. ქართული ხელოვნების ისტორიის ინ-ტში. მისი ავტორობით არის რესტავრირებული ძეგლები: მანგლისის ტაძარი (1959), სოფ. პატარა ონის ეკლესია (1974), ნიკორწმინდის ტაძარი (1980) და ძველი გავაზი (1987, ორი უკანასკნელი გ. ნიკოლაძესთან ერთად), თბილ. მეტეხის ტაძარი (1969, ვ. ცინცაძესთან ერთად), ძველი გაგრის ეკლესია (1957) და სხვ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1997).

თხზ.: მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი, თბ., 1974.

ს. კინწურაშვილი.

დვალი მერაბ ლეონიდეს ძე (დ. 1. I. 1950, თბილისი), ოფთალმოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (1997). 1972 დაამთავრა თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1973–75 – მოსკოვის პირველი სამედ. ინ-ტის თვალის სნეულებათა კათედრის ორდინატორი; 1978–89 – მოსკოვის თვალის სნეულებათა საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მიკროქირურგიისა და რეკონსტრუქციული ქირურგ. განყ-ბის უმცროსი, შემდეგ – უფროსი მეცნ. მუშაკი. 1973–89 მოღვაწეობის პერიოდში 10 საავტორო მოწმობის და 12 რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. დ-მა 1974, ქართვ. ექიმთა შორის პირველმა გააკეთა კატარაქტის ფაკოემულსიფიკაცია.

1981 დ-მა სსრკ-ში პირველმა დანერგა, რაც დღემდე წარმატებით გამოიყენება, სხვადასხვა მოდელის ე. წ. ,,ფაკიური'' ლინზები მაღალი ხარისხის რეფრაქციის მანკების კორექციისთვის. 1985 მიენიჭა ,,მოსკოვის საუკეთესო რაციონალიზატორის'' წოდება. 1989–97 ხელმძღვანელობდა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინ-ტის თვალის მიკროქირურგი-



თ. დვალი.



მ. კ. დვალი.



მ. ლ. დვალი.

ის ლაბორატორიას. 1992–93 დ. მიიწვიეს ჩინეთის სახ. რესპუბლიკაში, სადაც წარმატებული საქმიანობისთვის დაჯილდოებულია ,,ხალხთა მეგობრობის საერთაშორისო ორდენით‘‘.

1999 დააარსა ამიერკავკასიაში პირველი ექსიმერული ლაზერის ცენტრი. მან მსოფლიოში პირველმა გამოიყენა ექსიმერული ლაზერი ბავშვებში, ერთდროულად – რეფრაქციის კორექციისა, ამბლიოპიისა (,,ზარმაცი თვალი‘‘) და სიელმის მკურნალობისთვის. 1995-იდან არის საქართვ. ოფთალმოლოგთა ასოციაციის დამფუძნებელი და პირველი თავმჯდომარე, 1999-იდან – შპს თვალის კლინიკა ,,ახალი მზერის‘‘ დამფუძნებელი და გენ. დირექტორი.



რ. დვალი.

საქართველოში თვალის მიკროქირურგიის დანერგვა-განვითარებისთვის 2002 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

1997–2005 თსსუ-ის თვალის სნეულებათა კათედრის პროფესორია, 2005-იდან – თსსუ-ის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის სრული პროფესორი. **დ.** არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი, გამოცემული აქვს სახელმძღვანელო ,,ოფთალმოლოგიის საფუძვლები‘‘ (თბ., 2010).

დვალი მიხეილ თევდორეს ძე [1 (14). X. 1900, ქ. დერბენდი, დაღესტანი, – 20. V. 1982, ლენინგრადი (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი)], გეოლოგი. გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1951), პროფესორი (1951). 1918-იდან მუშაობდა ნავთობის მრეწველობაში. 1926 დაამთავრა გროზნოს ნავთობის უმაღლესი ტექნიკუმი. 1926–30 მუშაობდა გეოლ. კომიტეტში (ლენინგრადი), 1930–73 – ნავთობის საკავშ. სამეცნ.-კვლ. გეოლ.-საძიებო ინ-ტში. იყო II მსოფლიო ომის მონაწილე. იკვლევდა ნავთობის გეოქიმ. და ნავთობის წარმოშობის საკითხებს. მნიშვნელოვანი ნავთობგეოლ. სამუშაოები აქვს ჩატარებული კავკასიაში, ქერჩის ნ.-კ-ზე, თურქმენეთში, დას. ციმბირსა და კამჩატკაზე. სსრკ მეცნ. აკად. ა. კარპინსკის სახ. პრემიის ლაურეატი (1952). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.



ა. დვალიშვილი.

თხზ.: Геологическое строение и нефтеносность Восточной Камчатки, Л., 1950; Нефтематеринские свиты и принципы их диагностики, Л., 1963; Перспективы поисков нефти и газа на больших глубинах на территории СССР, Л., 1965 (თანაავტ. M. D. Белонин). *ვ. ჯავრიშვილი.*

დვალი რაფიელ რაფიელის ძე [22. III (4. IV). 1909, ზესტაფონი, – 8. IX. 1985, თბილისი], მეცნიერი მანქანათმცოდნეობის დარგში. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1955). ტექ. მეცნ. დოქტორი (1948), პროფესორი (1948), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). საქართვ. მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი (1958–72), ქსეის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. დაამთავრა ამიერკავკ. ენერგეტ. ინ-ტის მექან. ფაკ-ტი (1931). იყო საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ავტომობილების, ტრაქტორებისა და ავტოსატრაქტორო ძრავების კათედრის დამაარსებელი და გამგე (1946–66), ამავე ინ-ტის დირექტორი (1956–58), საქართვ. მეცნ. აკად. მანქანათა მექან. ინ-ტის შექმნის (1960) ერთ-ერთი ინიციატორი და მისი დირექტორი (1962, 1972–85). 1994-იდან ინ-ტი **დ.**-ის სახელობისაა. **დ.**-ის ძირითადი შრომები ეხება ავტომობილისა და ტრაქტორის თეორიას, მანქანების დინამიკის, აგრეთვე მთის ფერდობებზე ტრაქტორის მუშაობისა და სამთო გზებზე ავტომობილის მოძრაობის კვლევის საკითხებს. ავტორია ავტომობილისა და ტრაქტორის თეორიის ქართ. სახელმძღვანელოებისა. მუშაობდა მობილური მანქანების დინამიკის საკითხებზე. მონოგრაფიისათვის ,,ტრაქტორის თეორია‘‘ (1970) მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1973). იყო საქ. სსრ VII და VIII მოწვევის უმაღლესი საბჭოს თავ-რე (1963–71), გდრ-ის მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1971) და დრეზდენის (გერმანია) ტექ. უნ-ტის საპატიო დოქტორი (1972). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ავტომობილის თეორიის საფუძვლები, თბ., 1973; К вопросу механизации горного земледелия, Тб., 1964; Механическая тяга в горной местности, М., 1970 (თანაავტ. В. Махалдиани).

ლიტ.: მ ა ხ ა ლ დ ი ა ნ ი ვ., გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, «მეცნიერება და ტექნიკა», 1969, № 4; К о р н е е в С. Г., Советские ученые – почетные члены иностранных научных учреждений, М., 1973 (თანაავტ. В. Махалдиани).

ბიბლ.: რაფიელ დვალი. ბიობიბლიოგრაფია. შემდგ.: ნ. ბაღათურია, ი. დუდუჩავა, თბ., 1979. *ვ. მახალდიანი.*

დვალიანთკარი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ბიყარის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდინარეების პატარა ლიახვისა და მეჯუდის წყალგამყოფის სამხრ.-აღმ. კალთაზე, მეჯუდის ხეობაში. ზ. დ. 1360 *მ,* ერედვიდან 48 *კმ.* 19 მცხ. (1989).

დვალიშვილი აკაკი არჩილის ძე (23. I. 1922, თბილისი, – 1. V. 2008, იქვე), რეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1958). 1944 დაამთავრა საქართვ. ინდუსტრ. ინ-ტის ელექტროტექ. ფაკ-ტი, ხოლო 1949 – საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (გ. ტოვსტონოგოვის სახელოსნო). იქვე დადგა ა. აფინოგენოვის ,,შიში‘‘ და ა. ოსტროვსკის ,,შემოსავლიანი ადგილი‘‘. 1949 თბილ. შოთა რუსთაველის სახ. აკად. თეატრში დადგა სადიპლომო სპექტაკლი თ. დონჟაშვილის ,,გამარჯვებულთა ღიმილი‘‘ და დაინიშნა ამავე თეატრში რეჟისორის ასისტენტად (1955 მიენიჭა დამდგმელი რეჟისორის პირველი კატეგორია). **დ.**-ის დადგმულ სპექტაკლთა შორის აღსანიშნავია: ი. ჭავჭანიძის ,,თბილისელი ქალიშვილი‘‘ (1951), ნ. გოგოლის ,,ბანქოს მოთამაშენი‘‘ (1952), ს. კლდიაშვილის ,,დღესასწაული საკრაულაში‘‘ (1953), ვ. კანდელაკის ,,სარეველა‘‘ (1953), ვ. როზოვის ,,გზა მშვიდობისა‘‘ (1955), მ. ჯაფარიძის ,,ჩვენებურები‘‘ (1956) და სხვ. 1959 დაინიშნა კ. მარჯანიშვილის სახ. აკად. თეატრის დირექტორად და სარეჟისორო კოლეგიის თავ-რედ. 1961 – კულტურის მინისტრის პირველ მოადგილედ, პარალელურად ასრულებდა კ. მარჯანიშვილის სახ. აკად. თეატრის (1967) და ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის (1973) დირექტორის მოვალეობას. 1973–90 იყო რესპ. კინემატოგრაფიის სახელმწ. კომიტეტის თავ-რე. მისი ინიციატივით შეიქმნა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტში კინოსარეჟისორო ფაკ-ტი, დაარსდა კინომსახიობთა თეატრ-სტუდია, ჟურნ. ,,ალმანახი‘‘. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

მ. გოგოლაშვილი.

დვალიშვილი ბადრი პავლეს ძე (დ. 15. V. 1950, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1995). დაამთავრა თსუ (1972). 1976–2006 მუშაობდა იქვე სხვადასხვა თანამდებობაზე, ხოლო 2009-იდან – საქართვ. საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართულ უნ-ტში. კვლევის ძირითადი მიმართულებაა: ბი-ტოპოლოგიების შესწავლა და მათი გამოყენება. გამოქვეყნებული აქვს

რამდენიმე მონოგრაფია, მათ შორის უცხოეთში (აშშ, ჰოლანდია).

თხზ.: Generalized Lattices. Nova Sciences Publishers, Inc., N. Y., 2005; Bitopological Spaces: Theory Relations with Generalized Algebraic Structures, and Applications, «North-Holland Mathematics Studies», 199. Elsevier Science B. V., Amst., 2005.

დვალიშვილი გივი ერასტის ძე (20. X. 1929, თბილისი, – 3. XII. 1999, იქვე), ჟურნალისტი, კინოსცენარისტი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1979). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1953). 1954–68 იყო საქართვ. სახტელერადიო კომიტეტის ლიტ.-დრამ. გადაცემათა მთ. რედაქტორი. 1968–79 მუშაობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის'' მთ. რედაქტორად. 1979–95 იყო საქართვ. კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანი. დაწერილი აქვს რამდენიმე სცენარი სატელევიზიო და დოკუმენტური ფილმებისათვის, მ. შ. აღსანიშნავია „მინდვრის ყვავილი'' (1974), „მადლი მიწისა'' (1982). ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას. ქართ. ენაზე თარგმნიდა მხატვრული ფილმების სადუბლიაჟო ტექსტს. აქვეყნებდა კრიტ. წერილებს კინოს შესახებ.

გ. გვენცაძე.

დვალიშვილი დავით ალექსანდრეს ძე (დ. 1. V. 1948, ქ. ტყიბული), მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1979). 1970 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრალური ინ-ტი. 1970–80 იყო ქ. ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრის მსახიობი, სადაც წარმატებით შეასრულა როლები: ვახუშტი (გ. ნახუცრიშვილის ,,ნაცარქექია''), შოშიაშვილი (შ. ჩხაიძის ,,მკვლელობა სადგურზე''),



დ. დვალიშვილი ლუარსაბი, ი. ჭავჭავაძის ,,კაცია – ადამიანი?!''

ილარიონი (ნ. დუმბაძის ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი'') და სხვ.

1980–83 იყო თბილისის ს. ახმეტელის სახ. თეატრის მსახიობი. 1983-იდან მოღვაწეობს თბილისის კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში. შესრულებული აქვს როლები: ივანე (მ. ჯავახიშვილის ,,ჯაყოს ხიზნები''), დე სილვა (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა''), ყვარყვარე (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი''), ნოე ჟორდანია (გ. ქართველიშვილის ,,ქაქუცა ჩოლოყაშვილი''), ლუარსაბი (ი. ჭავჭავაძის ,,კაცია-ადამიანი?!'') და სხვ. გადაღებულია ფილმებში, მ. შ.: კობერიძე (,,არმია – ჩემი სიყვარული'', გორკის სახ. კინოსტუდია, 1979), მიხო (,,ზოგი ჭირი მარგებელია'', 1982), მოსამართლე (,,მოწანიება'', 1984), ობობა (,,ჯადოქრის ბეჭედი'', უკრაინფილმი, 1992) და სხვ.

დვალიშვილი მანუელ სამუელის ძე (დ. 23. XII. 1928, სოფ. სულორი, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი), თერაპევტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1984), პროფესორი (1999). 1953 დაამთავრა თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტი, 1953–78 მუშაობდა ბორჯომში, სანატორიუმ ,,ლიკანში'' სხვადასხვა თანამდებობაზე. 1978 – კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ბორჯომის ჯგუფის უფრ. მეცნ. მუშაკი; 1979–93, 1995–97 იყო სანატორიუმ ,,ლიკანის'' მთ. ექიმი; 1997–2008 – სააქციო საზ-ბა სანატორიუმ ,,ლიკანის'' დირექტორი; 2008-იდან კონსულტანტია.

დ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი, მ.შ. 9 სახელმძღვანელოსი და 4 მონოგრაფიისა. 1979 მიენიჭა საქართვ. დამს. ექიმის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია რუს. სამედ.-ტექნიკურ მეცნ. აკადემიის ოქროს მედლით.

დვალიშვილი (ქალიშვილობის გვარი – ხნიკინა) ნადეჟდა პავლეს ასული (დ. 24. VI. 1933, ბაქო), სპორტსმენი, მძლეოსანი. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1953). 1967 დაამთავრა საქართვ. ფიზკულტ. სახელმწ. ინ-ტი. საზ-ბა „დინამოს'' წევრი (თბილისი). სსრკ ჩემპიონი 100 (1951, 1953) და 200 *მ* (1951, 1953) რბენაში. სსრკ-ის მრავალგზის რეკორდსმენი სპრინტსა და ესტაფეტებში (სხვადასხვა მანძილზე). მსოფლიოს სამგზის რეკორდსმენი [1952 — ესტაფეტა 4 × 100 *მ*, ესტაფეტა 4 × 200 *მ* (1953, 1956)]. XV ოლიმპიური თამაშების (1952, ჰელსინკი) ბრინჯაოს პრიზიორი 200 *მ* რბენაში. XVI ოლიმპიური თამაშების (1956, მელბურნი) ბრინჯაოს პრიზიორი სიგრძეზე ხტომაში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენები.

ნ. გუგუშვილი.

დვალიშვილი პავლე (იოველ) ნესტორის ძე (1895, სოფ. დვალიშვილები, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 1937, თბილისი), საზოგადო და პოლიტ. მოღვაწე, 1921–24 ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დას. საქართველოში. 1917-იდან საქართვ. ს.-დ. პარტიის წევრი. საზ.-პოლიტ. საქმიანობაში ჩაერთო გიმნაზიის დასრულების შემდეგ. 1918–21 მსახურობდა საქართვ. დემოკრ. რესპ. სახალხო გვარდიაში. 1922–24 იყო საქართვ. *დამოუკიდებლობის კომიტეტის* ვანის რაიონული ორგანიზაციის წევრი. აქტიურად მონაწილეობდა საქართვ. 1924 აგვ. საერთო-ეროვნ. აჯანყებაში, რ-ის ჩახშობის შემდეგ, 1924 სექტ. დააპატიმრა ,,ჩეკამ''. განთავისუფლების შემდეგ, 1925–34 ეწეოდა აქტ. იატაკქვეშა პოლიტ. საქმიანობას. 1937 კვლავ დააპატიმრეს, მოათავსეს მეტეხის ციხეში. შინსახკომის ე. წ. ,,დიდი სამეულის'' გადაწყვეტილებით დახვრიტეს.



ნ. დვალიშვილი.

ლიტ.: დვალიშვილი ო., ქართული ეროვნული სულის უკვდავება, ქუთ., 2005.

ლ. ურუშაძე.

დვალიშვილი რევაზ ვალერიანის ძე (30. III. 1928, ქუთაისი, – 6. V. 1987, თბილისი), ჟურნალისტი. საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1979). დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი (1950), მოსკოვის უმაღლესი პარტსკოლა (1967). მუშაობდა გაზ. ,,ნორჩი ლენინელის'' (1954–57) და გაზ. ,,თბილისის'' ლიტმუშაკად (1957–60), გაზ. ,,კომუნისტის'' განყ-ბის გამგედ (1961–65, 1967–68, 1983–87). იყო საქართვ. ტელევიზიის პროპაგანდის რედაქციის მთ. რედაქტორი (1968–72), ტელევიზიის პროგრამების რედაქციის დირექტორი (1980–82), სოციოლოგიური კვლევისა და სამეცნ. პროგრამების მთ. რედაქციის მთ. რედაქტორი (1980–83), გაზ. ,,სახალხო განათლების'' რედაქტორი (1987).

დ. არის პიესები ს – ,,იკარუსის მოსვლამდე'', ,,ჩვენს პატარა სავარძლებში'' – ავტორი.

საქართვ. ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის (ფედერაციის) წევრი (1957). მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

თხზ.: ტელევიზიის ხელოვნება, თბ., 1976; ვიზუალური პუბლიცისტიკა, თბ., 1978.

ლიტ.: საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 2000.

დვალიშვილი შალვა თეოფილეს ძე (1903, სოფ. ზედა ბზვანი, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 31. I. 1943, ქ. უხტა, ახლანდ. რუს. ფედერაციის კომის ავტონ. რესპ.), პოლიტიკური მოღვაწე, 1921–24 საქართვ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის აქტ. მონაწილე. 1921-იდან საქართვ. ს.-დ. (მენშევიკური) პარტიის ვანის რაიონული იატაკქვეშა ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი. აქტიურად მონაწილეობდა საქართვ. 1924 აგვისტოს აჯანყებაში, რ-ის ჩახშობის შემდეგ, 1924–34 ეწეოდა არალეგალურ პოლიტ. საქმიანობას. 1934 დაპატიმრებულ იქნა საქ. სსრ შინსახკომის მიერ და აქტ. ანტისაბჭ. მოღვაწეობისათვის მიესაჯა 10 წლით გადასახლება. 1943 წ. 31 იანვ. გადასახლების ადგილზე დახვრიტეს ადმინისტრ. წესით. დაკრძალვის ადგილი უცნობია.

ლიტ.: დ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ო., ქართული ეროვნული სულის უკვდავება, ქუთ., 2005. *ლ. ურუშაძე.*

დვალიძე ბააკა, XVII ს. I ნახევრის სახალხო მელექსე. მოხსენიებული ჰყავს არჩილ მეფეს „თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასებაში“ (მწერლობას უწუნებს, შოთას ვერ წაჰბაძავო). ზ. ჭიჭინაძის ცნობით, დ-ს უნდა ეკუთვნოდეს „ცხენის ლექსი“.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1981.

დვალურა (Polygonum carneum), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე მატიტელასებრთა ოჯახისა, აქვს 15–100 *სმ*-მდე სიმაღლის ღერო, ტუბერისებრ გამსხვილებულ-გახევებული, ზოგჯერ – დაკლაკნილი ფესურა და კენწრულ მტევნისებრ ყვავილედად შეკრებილი მოწითალო, ვარდისფერი ან ხორცისფერი წვრილი ყვავილები. გავრცელებულია ევროპისა და აზიის ჩრდ. ნაწილის ტორფიან ჭაობებსა და ტენიან მდელოებზე. გვხვდება საქართვ. ყველა რ-ნში, ალპ. და სუბალპ. მდელოებზე. ფესურა შეიცავს მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს, სახამებელს, C ვიტამინს, გლუკოზას. აჭარაში დანერგილია ბოსტნის კულტურად (რძეში მოხარშულს საჭმელად ხმარობენ). ფესურას იყენებენ კუჭნაწლავის სამკურნალოდ და გველის ნაკბენის საწინააღმდეგოდ. კარგი თაფლოვანი მცენარეა.



დვალურა.

მ. გურგენიძე.

დვანაძე გიორგი სვიმონის ძე (1829, სოფ. ჭალა, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 1886, ხარკოვის მახლობლად), მსახიობი, გიორგი ერისთავის დასის ერთ-ერთი პირველი წევრი. სწავლობდა გორის სამაზრო სასწავლებელში. თეატრის დაშლის (1856) შემდეგ სოფელში დაბრუნდა და მეურნეობას მოჰკიდა ხელი. პარალელურად მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში. ცილისწამების შედეგად (დააბრალეს კაცის მოკვლა) 10 წლით კატორღა და სამუდამოდ ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. 1886 შეიწყალეს და გაათავისუფლეს, მაგრამ სამშობლოში ვეღარ ჩამოაღწია.

გ. ერისთავის თეატრში დ-მ შეასრულა როლები: დავით სერაშიძე, აზნაური გვერდელაძე (ზ. ანტონოვის „მინდა კნეინა გავხდე“ და „ქმარი ხუთი ცოლისა“), მარტირუზა, ხარაზი ასანა (გ. ერისთავის „უჩინმაჩინის ქუდი“ და „თილისმის ხანი“). ეწეოდა ლიტ. მოღვაწეობას, ჟურნ. „ცისკარში“ ბეჭდავდა ლექსებს, ითვლებოდა პოპულ. ხალხურ პოეტად (მის ლექსებზე სიმღერებს ქმნიდნენ), წერდა პიესებს; დ-ის პიესა „სახლი კუკიაში“ დაიდგა 1852–53, პოემა „ყარაბაღელი ყაჩაღი ასლან ბეგი“ გამოიცა 1878. საინტერესოა დ-ის მიერ ციხეში ლექსად დაწერილი ავტობიოგრაფია „სიყმაწვილიდან ჩემი ცხოვრება“, რ-იც საინტერესო ფაქტობრივ მასალას შეიცავს.

დვანი, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ. აღმოსავლეთის ფრონის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: დ., ტახტისძირი). ზ. დ. 750 *მ*, ქარელიდან 18 *კმ*. 1,0 ათ. მცხ. (2002).

სოფელმა მისცა სახელი მდ. აღმოსავლეთის ფრონის ქვემო დინებას, რ-საც ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) მიხედვით დვანისწყალი ეწოდება. სოფელში გაითხარა ძვ. წ. VII–VI სს. ნეკროპოლი, სადაც აღმოჩნდა მნიშვნელოვანი არქეოლ. მასალა. რამდენადაც VII ს. სომხ. გეოგრაფია ფრონეებს იცნობს „დვანის ველის“ სახელწოდებით, ამდენად ადრინდ. ფეოდ. ხანაში დ. ფრონისპირეთის ცენტრი იყო.


სოფლის ჩრდ.-დას-ით, კონუსებრ მთაზე, დგას VI ს. III მეოთხედის მცირე ზომის გუმბათოვანი ეკლესია – „წმ. გიორგი კვართისა“. ხალხი მას „კოხი ჯვარსაც“ უწოდებს. აქ იმართებოდა რიტუალური დღესასწაული – ხატობა, ე. წ. „კვართობა“. საუკუნეთა მანძილზე, მტერთაგან დაცვის მიზნით, მის ირგვლივ შენდებოდა (ძირითადად რიყის ქვით) სასიმაგრო ნაგებობები და დროთა განმავლობაში მან ციხესიმაგრის სახე მიიღო. ეკლესია ნაგებია ღია მომწვანო-მორუხო ფერის, სადად გათლილი და სწორად ნაწყობი ნატეხი ქვიშაქვით; კომპოზიციურად ცენტრალურ-გუმბათოვანი, „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის ნაგებობაა. გეგმას საფუძვლად უდევს ჯვრის გამოსახულება, რ-იც მოქცეულია კედლებით შექმნილ წაგრძელებულ მართკუთხედში, ხოლო გარედან მკაფიოდ არის გამოვლენილი გუმბათის ყელის გარშემო განლაგებული ჯვრის ოთხივე მკლავის ფასადების დამაგვირგვინებელი ფრონტონებისა და ორფერდა სახურავების მეშვეობით. გუმბათის ყელის გარშემო მკაფიოდ არის გამოსახული ჯვრის ფორმა. ნაგებობას სამხრ-იდან ეგვტერი აქვს, აქედანვეა მოწყობილი მთავარი შესასვლელი, მეორე შესასვლელი დას-იდან – ნართექსიდანაა. აღმოთ საკურთხევლის ღრმა აფსიდია, რ-იც უშუალოდაა დაკავშირებული გუმბათქვეშა სივრცესთან, ამიტომ შენობის ინტერიერში, რ-შიც გარკვევითაა გამჟღავნებული სიგრძივი (აღმ-იდან დას-ით) ღერძი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნართექსს, რ-იც აწონასწორებს მთელ შიგა სივრცეს და ხაზს უსვამს გუმბათის, როგორც კომპოზ. ცენტრის, მნიშვნელობას. ინტერიერში კამარას, თაღებსა და ტრომპის თაღებს ნალისებრი ფორმა აქვს. დაბალი გუმბათის ყელი უშუალოდ ნაგებობის კედელს ეყრდნობა. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის სფეროზე გადასვლა ხდება ორ საფეხურად. პირველ საფეხურზე 4 ტრომპის მეშვეობით მიღებულია არაწესიერი რვაწახნაგა, ხოლო მეორე საფეხურზე – ჰორიზონტალურად და განივად ნაწყობი ქვებით და მცირე ტრომპებით–თექვსმეტწახნაგა, რ-საც აგვირგვინებს ნახევარსფერული გუმბათი. სარკმელი ორია, ერთი სამხრ. ფასადზეა. აღმ. ფასადის სარკმლის ნალისებრი მოხაზულობის ზემო ნაწილი გამოყვანილია სუფთად გათლილი ქვებით. მთელი კედლის სისქეში ჩადგმულია მუქი წითელი ფერის ვიწრო ჩამკეტი ქვა. ძეგლმა ჩვენამდე თავდაპირველი სახით მოაღწია. ტაძარი მიეკუთვნება იმ ძეგლთა ჯგუფს, რ-თა შემდგომმა განვითარებამ ნიადაგი მოამზადა

VII ს. მეორე მესამედში უფრო რთული კომპოზ. ჩანაფიქრის განხორციელებისათვის – ეს არის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის ტიპი, რ-შიც გუმბათი ოთხ თავისუფლად მდგარ ბოძს ეყრდნობა. არსებობს მეორე მოსაზრებაც, რ-ის თანახმად ეკლესია VIII ს. მიეკუთვნება (ნ. განგიური).

ლიტ.: გ ა ნ გ ი უ რ ი ნ., კუპელჰალე, თბ., 2005; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990; Ч у б и н а ш в и л и Н. Г., Двани. Храмы Грузии типа ,,Croix Libre'' и ,,вписанного в прямоугольник креста'' в VI и VII вв., წგ.: Средневековое искусство – Русь, Грузия, М., 1978.

ჯ. გვასალია. შ. საღარაძე.

დვანის სამაროვანი, ადრინდ. რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლი სოფ. დვანთან (ქარელის მუნიციპალიტეტი), მდ. აღმოსავლეთის ფრონის მარცხ. ნაპირას, მთის ფერდობზე. 1944–45 გაითხარა (ხელმძღვ. ს. *მაკალათია*) 14 სამარხი. 0,90–1,40 *მ* სიღრმის ორმოსამარხების ნაწილს რიყის ქვის წრეები ჰქონდა შემორტყმული, ზოგიერთის იატაკიც რიყის ქვით იყო მოფენილი. სამარხები ინდივიდუალური იყო. მხოლოდ ერთში აღმოჩნდა ერთად დაკრძალული 2 მიცვალებული. მიცვალებულები



დვანის სამაროვანი. გამომწვარი თიხის ჭურჭელი. ძვ. წ. VII–VI სს.

იწვნენ ხელფეხმოკეცილნი, მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, თავით – სამხრ-კენ. სამარხებში აღმოჩნდა მაღალხარისხოვანი შავპრიალა, აგრეთვე რამდენიმე წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭელი (დოქები, ლანგრები, კოჭბები, დერგები, სადღვებელი), ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები და საკინძები, ბრინჯაოს საკინძები, ბეჭედი, ფიბულა, შუბისპირი, სატევრის ქარქაშის ბოლო, სკვითური ტიპის დეზიანი ორ- და სამფრთიანი ისრისპირები, რკინის აკინაკის ტიპის სატევრები, მოხრილი დანები, საბრძოლო ცულ-ჩაქუჩები, ლაგამი, სარდიონის, გიშრის, ქარვისა და მინის მძივები. ერთ-ერთ ორმოსამარხში დადასტურდა ცხენის თავ-ფეხის ჩატანების ფაქტი, რაც დაკრძალვის სკვითურ წესად არის მიჩნეული.

სამარხთა აღნაგობით და არქეოლ. მასალით **დ. ს.** ემსგავსება სამთავროს სამაროვნის ზედა ფენის ორმოსამარხებს და თარიღდება ძვ. წ. VII–VI სს-ით.

ლიტ.: მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., დვანის ნეკროპოლი, თბ., 1948; მ ი ს ი ვ ე, Раскопки Дванского могильника, «Советская археология», 1949, [т.]11. *ი. გაგოშიძე.*

დვინი, ვ ო ს ტ ა ნ დ ვ ი ნ ი, მსხვილი სავაჭრო და ხელოსნობის ცენტრი IV–XIII სს. სომხეთში (ერევნის სამხრეთით 35 *კმ*). IV ს. 30-იან წლებში არშაკუნიანებმა აქ ციხე ააგეს და სამეფო რეზიდენციაც გადაიტანეს. სომხეთის სამეფოს დაცემის (428) შემდეგ სომხეთის სპარსელ მმართველთა რეზიდენცია გახდა, 640-იდან არაბთა საამიროს (არმინიის) – ცენტრი. საქართვ. სამეფოს ძლიერების ხანაში დაიწყო ბრძოლა ჩრდ. სომხეთის, კერძოდ, **დ.**-ის შემოერთებისათვის. 1162 გიორგი III-მ აიღო **დ.**, მაგრამ შემდეგ ქალაქი კვლავ თურქებს დარჩათ. 1203, თამარის დროს, **დ.** საქართვ. შემოუერთდა. 1236 მონღოლებმა დაანგრიეს.

დვინის საეკლესიო კრება 506, ბიზანტიის ინიციატივით მოწვეული ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიების საერთო კრება, ჩატარდა სომხ. საკათოლიკოსო რეზიდენციაში – ქ. დვინში (ზოგიერთი, შედარებით გვიანდ. წყაროს მიხედვით – ქ. ვაღარშაპატში). ქართ. ეკლესიის დელეგაცია შედგებოდა 24 ეპისკოპოსისაგან, ხელმძღვანელობდა ქართლის კათოლიკოსი *გაბრიელი,* სომხ. დელეგაციას – ბაბგენ კათოლიკოსი. **დ. ს. კ-მ** დაგმო *ნესტორიანობა* და მიიღო ზენონ კეისრის დიოფიზიტ-მონოფიზიტთა შემარიგებელი „ჰენოტიკონი'' („ერთობა''). აქტები შედგა ქართ., სომხ., ალბ. და ბერძნ. ენებზე.

დ. ს. კ-ის მონაწილე ეკლესიებმა ირანიდან ჩამოსულ დელეგაციას ირან. ქვეშევრდომ ქვეყნებში მცხოვრებ მართლმადიდებლებთან თავიანთ ენაზე შედგენილი ეპისტოლეები გაატანეს ნესტორიანებისაგან თავის დასაცავად. ეპისტოლეებში გადმოცემული იყო ამიერკავკ. ეკლესიების მრწამსი და მათი რელიგ. პოლიტიკა. ჩვენამდე მოაღწია სომხ. დელეგაციის ეპისტოლემ, რ-იც შესულია *ეპისტოლეთა წიგნისა* (სრულად) და „სარწმუნოების ბეჭდის'' (ფრაგმენტი) სახელებით ცნობილ კრებულებში.

წყარო: ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1968.

ლიტ.: ა ლ ე ქ ს ი ძ ე ზ., მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1973, №3. *ზ. ალექსიძე.*

დვირი, სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ბორჯომის ხეობაში, მდინარეების მტკვრისა და მის მარჯვ. შენაკად დვირულის შესართავთან. თემის ცენტრი (სოფლები: **დ.**, ქვაბისხევი, ჩითახევი, ჭობისხევი). რკინიგზის სადგური. ზ. დ. 880 *მ,* ბორჯომიდან 15 *კმ.* 937 მცხ. (2002).

დ. ქართლის ერთ-ერთი უძველესი სოფელია. იხსენიება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში'' (1595). აქ თავს იყრიდა რამდენიმე ისტ. გზა. ამიტომ შუა საუკუნეებში ამ პუნქტის დასაცავად აუგიათ ციხე. იგი მდებარეობს სოფლის მახლობლად, მის სამხრ.-დას-ით, მთის ფერდობზე. ძირითადად იცავდა ისტ. თორიდან მომავალ გზას. ეს იყო ადგილ. კლდის ქვით ნაშენი რთული გეგმის ნაგებობა. ჩანს რამდენიმე გადაკეთების კვალი. I სამშ. ფენა XIII–XIV სს. მიეკუთვნება. სოფელში და მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს IX–X სს. მიქელ მთავარანგელოზის ეკლესია; X ს. კვირაცხოვლის ეკლესია; IX ს. საკვირიკეს (წმ. კვირიკეს) ბაზილიკა; გორათის წმ. გიორგის ნაეკლესიარი.

სოფ. **დ.**-ის ტერიტორიას ეკუთვნის ნასოფლარი საკვირიკე.

დ. ბერძენიშვილი. პ. ზაქარაია.

დვირის განძი, XI ს. ბიზანტიური ოქროს მონეტების განძი. აღმოჩნდა სოფ. დვირში (ბორჯომის მუნიციპალიტეტი) XX ს. 20-იან წლებში. მონეტები (სულ 45) მოთავსებული იყო დოქში. 22 ბრტყელი ტიპის მონეტაა. ეკუთვნის ბიზანტ. იმპ. კონსტანტინე VIII-ს (1025–28), 23 ჩაღრმავებული ტიპის მონეტიდან 22 მიეკუთვნება ბიზანტ. იმპ. კონსტანტინე X დუკას (1059–67), ხოლო 1 – რომანოზ IV დიოგენეს (1067–71).

განძში არის აგრეთვე 1 არაბული ვერცხლის დირჰემი. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ განძი ჩამარხული უნდა იყოს XI ს. 70–80-იან წლებში. XI ს. ბიზანტ. ოქროს მონეტები აღმოჩენილია გურჯაანის მიდამოებშიც (7 ოქროს სოლიდი). დ. გ. დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი თ., დვირის განძი, «ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის მოამბ ე», 1956, ტ. 19 B.

ი. ცუხიშვილი.

დვირის ციხე, ციხესიმაგრის ნანგრევები სოფ. დვირის (ბორჯომის მუნიციპალიტეტი) დასავლეთით, მტკვრის მარჯვ. ნაპირის გორაზე. ციხე ორ იარუსად ყოფილა განლაგებული. კედლების წყობა შერეულია: არის მეტ-ნაკლებად დამუშავებული ქვების რეგულ. მწკრივები და მოგვიანებით გადაკეთების კვალიც – ნაგლეჯი ქვების ნარევი წყობა. ციხის ზოგიერთ ნაწილში ჩანს მცირე ნაგებობათა კვალი. ქვედა იარუსის კედელი ფართო ღიობით მტკვარს გადაჰყურებს, შესაძლოა აქ ხის აივანიც იყო.

წერილობით წყაროებში ეს ციხე არ იხსენიება, მაგრამ ის, რომ აქ გამავალი მნიშვნელოვანი გზის მაკონტროლებელი სიმაგრე იყო, ამას ნათელყოფს XX ს. 20-იან წლებში დვირში აღმოჩენილი XI ს. ბიზანტ. მონეტების განძი. მაშასადამე, დვირი იყო ერთ-ერთი დაწინაურებული პუნქტი აღმ. საქართველოდან სამხრ. საქართველოს გავლით ბიზანტიაში მიმავალ გზაზე.

ციხის მახლობლად არის ნახიდურის ბურჯები მტკვარზე, მცირე ნასოფლარი და ორნავიანი ეკლესია – საკვირიკე, რ-იც IX–X სს. მიჯნაზეა აგებული. ეს ნასოფლარი ახლა სოფ. დვირის ტერიტორიაზეა, ადრე ცალკე სოფელი ყოფილა: „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ (1595) დვირი მოხსენიებულია როგორც სოფელი, საკვირიკე კი – როგორც ნასოფლარი.

ლიტ.: ხ ო შ ტ ა რ ი ა დ., X ს. სამონასტრო ეკლესიები ტაძრის – საკირეს მიდამოებში, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1986, № 3; ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 3, თბ., 1958; А б р а м и ш в и л и Т., Клад монет из Двири, «Византийский временник», 1961, т. 18.

დ. ბერძენიშვილი.

დვირულა, მდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარჯვ. შენაკადი (ერთვის სოფ. დვირთან). სიგრძე 12 *კმ,* აუზის ფართ. 56 *კმ*^{2}. სათავე აქვს თრიალეთის ქედის ჩრდ.-დას. კალთაზე. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა ზამთარსა და ზაფხულში. საშ. წლ. ხარჯი 0,98 *მ*^{3}*/წმ.*

დვრინი, 1. მატყლის საპენტის ლარი და მის მიერ გამოცემული დაბალი, გაბმული ბგერა. 2. დაბალი (მეორე) ბანი, მამაკაცის განსაკუთრებით დაბალი ხმა. ეს ტერმინი გვხვდება საისტ. ლიტ-რაში, პოეზიასა და ხალხ. შემოქმედებაში (იხ. *ზემრავალხმიანობა*).

როცა იოანე ბატონიშვილი და დ. მაჩაბელი აღწერენ ქართულ საეკლ. გალობაში XVIII ს. დასასრულამდე შემორჩენილ ექვსხმიანობის ტრადიციას, დ-ს ექვსხმიანი საგალობლის ყველაზე დაბალ, მეექვსე ხმას უწოდებენ.

ი. ჟორდანია.

დია, პლანეტა იუპიტერის ძველი ქართული სახელწოდება.

დიაგნოსტიკა (ბერძნ. diagnōstikos – გამოცნობის უნარის მქონე), კლინიკური მედიცინის დარგი. შეისწავლის დიაგნოზის დადგენის მეთოდებს; დ. ემყარება ავადმყოფის ყოველმხრივ და სისტემ. შესწავლას და მოიცავს: ანამნეზის შეკრებას; სხეულის გამოკვლევის ფიზიკურ მეთოდებს – პალპაციასა და პერკუსიას, აუსკულტაციას, მხედველობისა და სმენის შეფასებას, ნევროლოგიურ გამოკვლევას, ბიოქიმიურ (სისხლის, შარდის, სხვა ბიოლოგიური მასალის) ანალიზს, ელექტროდიაგნისტიკურ (ელექტროკარდიოგრაფია, ელექტროენცეფალოგრაფია, ჰოლტერ-მონიტორირება, ტრანსეზოფაგური, ელექტროფიზიოლოგიური გამოკვლევა, ველოერგომეტრია, ტრედმილ-ტესტი) გამოკვლევას, რადიოიმუნურ, იმუნოფერმენტულ, რადიოლოგიურ (რენტგენოლოგიური, რადიოიზოტოპური, კომპიუტერული, მაგნიტურ-რეზონანსული, პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფია, კორონაროგრაფია), ულტრაბგერით, დოპლერ-ულტრაბგერით გამოკვლევებს; ბიოფსიას, მორფოლოგიურ (სინათლის და ელექტრონულ მიკროსკოპიას, იმუნოჰისტოქიმიურ) გამოკვლევას; ენდოსკოპიას; ბაქტერიოლოგიურ, სეროლოგიურ, იმუნოლოგიურ გამოკვლევებს, პოლიმერაზულ-ჯაჭვურ რეაქციას და სხვ. დიაგნოზის დასადგენად მიმართავენ დიფერენციულ დიაგნოზს, რ-ის დროსაც სხვადასხვა დაავადებების კლინ. და ლაბორ.-ინსტრუმენტული მონაცემების შედარებითი ანალიზისა და გამორიცხვის საფუძველზე ხდება საბოლოო დიაგნოზის დასმა. ძირითადი დაავადების დიაგნოზის დადგენის გარდა, არკვევენ მის გამომწვევ მიზეზებს (თუ ეს შესაძლებელია), ადგენენ თანმხლებ დაავადებებს და გართულებებს, განსაზღვრავენ, თუ რა ხარისხით არის დარღვეული ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის ორგანოების მდგომარეობა (ფუნქციური დ.), ითვალისწინებენ ავადმყოფის ორგანიზმის ცალკეული სისტემებისა და ორგანოების ფიზიოლ. თავისებურებებს. ადრეული და ზუსტი დიაგნოზი რაციონალური და ეფექტური მკურნალობის ჩატარების საშუალებას იძლევა და შესაძლებელს ხდის დაავადების პროგრესირების შენელებას ან თავიდან აცილებას.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი კლინ. დიაგნოსტიკას საფუძველი 1919-იდან დაედო, როცა თსუ-ის სამკურნალო ფაკ-ტზე დაარსდა შინაგანი დაავადებების დიაგნოსტიკის კათედრა. კათედრის პირველი გამგე იყო ა. *ალადაშვილი.* შემდგომში კათედრის ხელმძღვანელები იყვნენ: მ. *წინამძღვრიშვილი,* შ. *მიქელაძე,* ნ. *მახვილაძე,* გ. *დიდებულიძე,* ვ. *ანდღულაძე,* შ. *გუგუშაშვილი,* თ. დიდებულიძე. 1935-იდან თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტის დიაგნოსტიკის კათედრა შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრად გადაკეთდა. ამჟამად, კათედრას ხელმძღვანელობს – თბილ. სახელმწიფო სამედიცინო უნ-ტის პროფ. რ. თაბუკაშვილი.

გ. სიმონია.

დიაკონი (ბერძნ. diakonos – მსახური), მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა მესამე და ყველაზე დაბალი ხარისხი. დ-ის ძირითადი მოვალეობაა წირვის დროს ეპისკოპოსისა და მღვდლების თანამსახურება. პირველი დ-ების ხელდასხმა თვით მოციქულებმა აღასრულეს, რაც აღწერილია „ახალ აღთქმაში“ („საქმე მოციქულთა“, თავი VI). ცნობილია პირველი დ-ების სახელები: სტეფანე, ფილიპე, პროხორონ, ნიკანორ, ტიმონა, პარმენ და ნიკოლაოზ ანტიოქიელი.

ადრეული ქრისტიანობის ხანაში დ. ეკლესიის სამეურნ. და საქველმოქმედო საქმიანობას უძღვებოდა. მოგვიანებით *ეპარქიის* მართვაში მღვდელმთავრის თანაშემწის ფუნქცია დაეკისრა.

შავი სამღვდელოების წარმომადგენელ დ-ს იეროდიაკონი ანუ ბერ-

დიაკონი ეწოდება. დ-ის ხარისხის საპატიო წოდებებია *არქიდიაკონი* და *პროტოდიაკონი.*

დ-ები არასაღმრთისმსახურო პერიოდში ატარებენ კაბას, ანაფორასა და სკუფიას, ხოლო ღმრთისმსახურებისას – სტიქარს, სამაჯურებსა და ოლარს. დიაკონისადმი მიმართვის ფორმაა „მამაო“.

ვ. კობახიძე.

დიაკონიძეები, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტის დეკანაშვილების თემში (აჭარის არ), საფილეთის მთის (მესხეთის ქედი) აღმ. კალთაზე. ზ. დ. 800 *მ,* ხულოდან 4 *კმ.* 348 მცხ. (2002).

დიაკონოვი იგორ მიხეილის ძე (12. I. 1915, პეტროგრადი, – 2. V. 1999, იქვე), რუსი აღმოსავლეთმცოდნე. ძვ. აღმოსავლეთის ხალხთა ენების, ისტორიის, რელიგიის, კულტურის მკვლევარი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1959). რუს. მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის სანქტ-პეტერბურგის განყ-ბის მთ. მეცნ. თანამშრომელი, პროფესორი. სამეფო აზიური საზ-ბის საპატიო წევრი (ინგლისი, 1962), აშშ-ის აღმოსავლეთის საზ-ბის საპატიო წევრი (1973), საფრანგეთის აზიური საზ-ბის საპატიო წევრი (1976), ბრიტანეთის აკად. საპატიო წ.-კორ. (1975). მრავალი საერთაშ. კონგრესისა და სიმპოზიუმის მონაწილე. ავტორი მონოგრაფიებისა და სამეცნ. სტატიებისა. დ-ის ნაშრომთა ნაწილი ეხება ძველაღმოსავლურ (შუმერულ, აქადურ, ხურიტულ, ხათურ, ურარტულ და სხვ.) ენებს, მათ დამოკიდებულებას სხვა ენებისადმი (მ. შ. ქართულისადმი), ძველაღმოსავლურ საზ-ბათა სოც.-ეკონ. წყობას, რ-იც, დ-ის აზრით, მონათმფლობელური იყო, რელიგ. და კულტ. ისტორიის საკითხებს. აღსანიშნავია მისი რუს. თარგმანები ხამურაბის კანონებისა, გილგამეშის ეპოსისა და ა. შ. აქტიურად თანამშრომლობდა ქართვ. მეცნიერებთან.

თხზ.: Общественный и государственный строй Древнего Двуречья. Шумер, М., 1959; Урартские письма и документы, М.–Л., 1963; Языки древней Передней Азии, М., 1967; Архаические мифы Востока и Запада, М., 1990; Afrasian languages, M., 1988; Hurro-Urartian as an Eastern Caucasian language, Münch., 1986 (თანაავტ. S. Starostin). *გ. გოთრგაძე.*

დიალექტი (ბერძნ. dialektos – ლაპარაკი, თქმა, კილო), ერთი საერთო ენის დიფერენციაციის შედეგად მიღებული განშტოების სახელწოდება. ჩვეულებრივ, ამ ტერმინით აღინიშნება ტერიტორიული დ. დ-ის, ანუ კილოს განშტოებებია კილოკავები, კილოკავისა – თქმები, ხოლო თქმებისა – ქცევები. ამა თუ იმ ენის დ. უპირისპირდება იმავე ენის სხვა დ-ს ან დ-ებს ბგერითი შედგენილობით, გრამატიკით, ლექსიკით.

საზ-ბის სოც. ნაირგვარობა განაპირობებს ენის სოც. დიფერენციაციას. სოც. დ. საერთო-სახალხო ენისგან მხოლოდ ლექსიკით განსხვავდება, მაგ., პროფესიული წრეების მეტყველება, ჟარგონი, არგო, სლენგი, სატელიტი, პირობითი (საიდუმლო) ენები და სხვ.

დიალექტიზმი (ბერძნ. < *დიალექტი*), ამა თუ იმ კუთხის მეტყველებისთვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები. დ. (ფონეტ., მორფოლ., სინტაქსური, ლექსიკური, ეთნოგრ.) სალიტ. ენაში განიხილება როგორც ნორმიდან გადახრა.

მხატვრულ ლიტ-რაში დ. სტილისტიკური ხერხია – მას მხატვრულ-გამომსახველობითი ფუნქცია აკისრია. იყენებენ პერსონაჟთა მეტყველების დასახასიათებლად, ადგილ. კოლორიტის, ზნე-ჩვეულებების გადმოსაცემად. მაგ.: ა. ყაზბეგის, დ. კლდიაშვილის, ნ. დუმბაძის ნაწარმოებებში გვხვდება (შესაბამისად) მთიულური, იმერული, გურული დ. ეფექტურად იყენებს მოხეურ დიალექტს ი. ჭავჭავაძე „მგზავრის წერილებში“: „ადრი-და ავად თუ კარგად ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს. მით იყვის უკეთ“. *ა. ხინთიბიძე.*

დიალექტიკა (ბერძნ. dialektikē – საუბრის ან კამათის წარმართვის ხელოვნება), ჰეგელისა და მარქსიზმისათვის ესაა მოძღვრება სინამდვილის ე. ი. ბუნების, საზოგადოების და აზროვნების განვითარების უზოგადესი კავშირებისა და კანონების შესახებ. დ-ის მიხედვით საგანთა და მოვლენათა განვითარების შინაგანი წყაროა დაპირისპირებულთა ერთიანობა და ბრძოლა. თვით ტერმ. „დ.“ განვითარების (მოძრაობის, ცვალებადობის) სინონიმად არის მიჩნეული და კულტურის ისტორიაში სხვადასხვა აზრით იხმარება. დიალექტიკური აზროვნების ნიმუშები გვხვდება ჰერაკლიტესთან, პლატონთან, ნეოპლატონიკოსებთან, მათ შორის ქართ. ნეოპლატონიზმში (*პეტრე იბერი, იოანე პეტრიწი*). ხშირად დ-ის ცნებაში იგულისხმებოდა არისტოტელეს ლოგიკური მოძღვრება, რ-იც როგორც უშუალოდ, ისე გადამუშავებული სახით (*იოანე დამასკელი* და სხვ.) ქართ. სააზროვნო არეალში შემოდიოდა. დ-ის ელემენტები მოცემულია გ. წერეთლისა და სხვა ქართვ. სამოციანელთა ნაშრომებში. საქართველოში დ-ის პრობლემებზე ფართოდ გაიშალა მუშაობა XX ს. 20-იანი წლების მეორე ნახევარში. ამის მიზეზი იყო არა ფილოსოფიური კულტურის მაშინდელი დონის მოთხოვნილება, არამედ შექმნილი სოციალ-პოლიტიკური ვითარება: 1921 რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალი დაპყრობის შემდეგ აზრის გამოთქმის თავისუფლება თანდათან შეიზღუდა. გზა გაეხსნა მხოლოდ მარქსისტული ფილოსოფიის, ე. ი. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის დასაცავად დაწერილ შრომებს. ქართველი ფილოსოფოსები, რომელთაგან მრავალს დასავლეთში ჰქონდა განათლება მიღებული და მაღალ შეფასებასაც იმსახურებდნენ (*შ. ნუცუბიძე,* მ. *გოგიბერიძე,* კ. *მეგრელიძე,* კ. *ბაქრაძე* და სხვ.), იძულებული გახდნენ შერიგებოდნენ ტოტალიტარულ წესრიგს და საკუთარი შეხედულებებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებში დაეძებნათ ციტატები. ხშირად მათი ჭეშმარიტი პოზიციის ამოკითხვა მხოლოდ ციტატებითა და სტრიქონებს შორის ნაგულისხმევი აზრით არის შესაძლებელი.

საქართველოში ფილოსოფიური კულტურის განვითარების ობიექტური შეფასებისათვის აუცილებელია ამ ვითარების გათვალისწინება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. *წერეთელი,* რომლის „დიალექტიკური ლოგიკა“ (1965) შემეცნების პროცესის ავტონომიური კანონების დადგენის სერიოზული მცდელობა იყო, მაგრამ იმდენად, რამდენადაც აზროვნების კანონების ს. წერეთლისეული გაგება ვერ ეტეოდა ასახვის თეორიის ოფიციალურად დადგენილ ჩარჩოებში, მას იდეალისტობას აბრალებდნენ.

1928 მ. გოგიბერიძემ გამოაქვეყნა წიგნი „მატერიალიზმისა და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე“, 1929 კ. ბაქრაძემ – „დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში“ და სხვ.

დ., როგორც სინამდვილის შემეცნების მეთოდი და აზროვნების წესი, ქართულ ფილოს. ლიტ-რაში ყველაზე სრულქმნილად დაამუშავა ს. წერეთელმა. მეტა-

ფიზიკურისაგან განსხვავებით, აზროვნების დიალექტ. წესი მოითხოვს სინამდვილის განხილვას ისე, როგორც თავისთავად არსებობს; დ. განვითარებას განიხილავს, როგორც რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივ ცვლილებებში ნახტომისებურად გადასვლას. თვისებრივი ცვალებადობა რევ. გარდაქმნებთან ერთად ევოლ. პროცესებსაც გულისხმობს, რაზეც მიუთითებს უარყოფის უარყოფის კანონი როგორც მოხსნა-შენახვის, განუწყვეტელი ცვალებადობისა და მემკვიდრეობითი მონაცემების შენარჩუნების კანონზომიერების გამოხატულება. ს. წერეთელი ემხრობა იმათ, ვისთვისაც დ-ის ნიშანთაგან უძირითადესია შინაგანი წინააღმდეგობა, როგორც განვითარების წყარო და მისი არსება. ამიტომ დიალექტ. განვითარება არის თვითგანვითარება. წინააღმდეგობის ხასიათის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება დადებითი და უარყოფითი დ. პირველ შემთხვევაში დაპირისპირებულნი არა მხოლოდ უარყოფენ, არამედ ავსებენ კიდეც ერთმანეთს. დადგენა ხდება უარყოფით, რასაც დაპირისპირებული მხარეების მოხსნით ახ. საფეხურზე ავყავართ. სინთეზი, როგორც თვისებრივი ნახტომი, არის მოხსნა-შენახვა, რაც უარყოფის უარყოფით ხორციელდება. დიალექტ. წინააღმდეგობის ეს ფორმა გამოყენებულია ს. წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკურ თეორიაში. ზოგიერთი ქართვ. მოაზროვნის თვალსაზრისით, ობიექტური დ-ის აზრობრივი ასახვა უკვე აღარ არის დიალექტიკური, ე. ი. იგი ემყარება არა დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის, არამედ ფორმალური ლოგიკის კანონებს. სხვათა, მ. შ. ს. წერეთლის, შეხედულებით დიალექტიკურია არა მხოლოდ ობიექტური სინამდვილე, არამედ მისი აზრობრივი ასახვაც. აქედან გამომდინარეობს შემეცნებისა და ლოგიკური აზროვნების დიალექტ. გაგება, სახელდობრ, დიალექტ. ლოგიკა როგორც აზროვნების წესი. ამავე საფუძველზე ჭეშმარიტება გაგებულია როგორც სუბიექტურისა და ობიექტურის, რელატიურისა და აბსოლუტურის, ზოგადისა და ერთეულის, კონკრეტულისა და აბსტრაქტულის დაპირისპირებული მომენტების ერთიანობა. დ-ის უნივერსალურობის მტკიცებიდან გამომდინარეობს აგრეთვე მისი ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა, რაც ნიშნავს არა რომელიმე მათგანის გაუქმებას, არამედ ისეთი ახ. მეცნიერების შექმნის მოთხოვნას, რ-იც ერთსა და იმავე დროს არის ლოგიკაც, დ-ც და შემეცნების თეორიაც. ასეთი ახ. მეცნიერება იქნება შემეცნების თეორიის დიალექტიკური ლოგიკა. ქართველმა მკვლევრებმა დაამუშავეს აგრეთვე დ-ის კატეგორიების, როგორც შინაარსეული ლოგიკის პრობლემა, დიალექტ. მეთოდის სხვადასხვა ასპექტი, ასევე შეეცადნენ დაედგინათ მათი მეთოდოლ. ფუნქცია და პრაქტ. მნიშვნელობა. დ-ის, როგორც სისტემის, ელემენტებს უწოდებენ დიალექტიკის კანონებსა და კატეგორიებს (კ. ბაქრაძე, მ. გოგიბერიძე, ს. წერეთელი). კანონი გამოხატავს კავშირის გარკვეულ ფორმას. იგი ობიექტური, ზოგადი, აუცილებელი, შინაგანი და არსებითი ხასიათისაა. დ-ის კატეგორიები არის დ-ის ელემენტების შინაარსის აზრითი რეპროდუქცია, ასახვა (კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი, მ. გოგიბერიძე, მ. *ბაკურია,* გ. მაჩიტაძე, ბ. ურიდია, გ. *ცინცაძე*).

დ-ის ბირთვი არის დაპირისპირებულთა ერთიანობა და ბრძოლა. იგი არის განვითარების, მოძრაობა-ცვალებადობის წყარო. ამ კანონის შინაარსს ასახავენ იგივეობის, განსხვავების, დაპირისპირების, წინააღმდეგობის, ერთიანობისა და „ბრძოლის“ კატეგორიები. კანონი ორ ურთიერთსაპირისპირო ქვესისტემას შეიცავს: 1. საპირისპირო განსაზღვრულობათა ურთიერთგანპირობება, დადგენა („ერთიანობა“); 2. მათი ურთიერთგამორიცხვა, ურთიერთუარყოფა („ბრძოლა“), რაც ვლინდება წინააღმდეგობის განსხვავებული ფორმების მეშვეობით (კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი, თ. მშვიდობაძე, გ. *კალანდარიშვილი,* ვ. *გაგოძე,* ვ. კობახიძე, მ. *ჭელიძე).* დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი ლოგიკური აზროვნების ძირითადი კანონიცაა. იგი არ უპირისპირდება წინააღმდეგობის შეუძლებლობის ფორმალურ ლოგიკურ კანონს (მ. ბაკურია, გ. ბაჩულაშვილი, ს. წერეთელი). ლოგიკურ წინააღმდეგობათა ერთიანობა შეუძლებელია. რეალურ დაპირისპირებულთა ერთიანობა აისახება ლოგიკურად არაწინააღმდეგობრივი სახით (კ. ბაქრაძე, ზ. *კაკაბაძე).*

განვითარების მექანიზმს გამოხატავს რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში და პირუკუგადასვლის კანონი. განვითარების პროცესში განსაზღვრულობის რაოდენობრივი და თვისებრივი მხარეების ცვალებადობა და ურთიერთდეტერმინაცია იწვევს მათი ცალსახა კავშირის („ზომის“) დარღვევას და ერთი ზომიდან ნახტომისებურ გადასვლას მეორეში. ასეთი ცვლილება სტრუქტურული ხასიათისაა.

განვითარების ზეაღმავალ მიმართულებას – ძველსა და ახალს შორის მემკვიდრეობითობისა და შინაარსით გამდიდრების დამოკიდებულებას გამოხატავს უარყოფის უარყოფის კანონი. დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის, რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში და პირუკუ გადასვლისა და უარყოფის უარყოფის კანონები აუცილებელი და საკმარისია განვითარების, როგორც ახლის წარმოშობის პროცესის ასახსნელად, ამიტომ მათ განვითარების ძირითად კანონებს უწოდებენ (კ. ბაქრაძე, მ. გოგიბერიძე, ს. წერეთელი).

დიალექტიკის ძირითადი კანონების გარდა, არსებობს სინამდვილის უზოგადესი კავშირებისა და ურთიერთგანპირობებულობის ფორმები, რ-ებიც კავშირის სპეციფ. სახეებია. მათ პოლარული დაპირისპირებულობის ხასიათი აქვთ.

დ-ის ძირითადი და არაძირითადი კანონები აისახება კატეგორიების მეშვეობით. კატეგორია არის უზოგადესი ცნება, რ-იც ასახავს სინამდვილის ობიექტური კანონზომიერების საკვანძო პუნქტს და აზროვნების ლოგიკური იარაღია. მათი ბუნება ზოგჯერ მოითხოვს საპირისპირო კატეგორიათა ურთიერთკავშირში განხილვას. მათ კორელატური კატეგორიები ეწოდებათ. მაგ., ზოგადი და ერთეული ასახავს სინამდვილის ერთგვაროვნობისა და მრავალსახეობის კანონზომიერებას. ზოგადი არის სიმრავლის, მრავალფეროვნების საერთო ნიშანი, ერთეული კი – განსაზღვრულობის განუმეორებელი ნიშანი (კ. ბაქრაძე, ვ. *ერქომაიშვილი,* გ. შუშანაშვილი); ზოგადი რისამე როგორობის წესს გამოხატავს და შინაარსეული ხასიათისაა (გ. ბაჩულაშვილი, ს. წერეთელი).

მიზეზი და შედეგი ავლენს სინამდვილის გენეტიკური კავშირის ბუნებას, სადაც ერთი ვითარება განსაზღვრავს სხვა ვითარების წარმოშობასა და ფუნქციონირებას (ს. *აჟალიანი,* გ. *ვეკუა).* აუცილებლო-

ბა და შემთხვევითობა გამოხატავს დეტერმინაციის დიალექტ. ბუნებას, რ-ის მიხედვით რაიმე მოვლენა ან საკუთარი შინაგანი ობიექტური კანონზომიერებითაა განსაზღვრული, ან წარმოიშობა განსხვავებულ კანონზომიერებათა გადაკვეთის წერტილში და აუცილებლობის გამოვლენის ფორმაა (კ. ბაქრაძე, ვ. ერქომაიშვილი). აუცილებელი საკუთარი კანონებითაა განსაზღვრული, თვითმიზეზის ბუნებისაა; ლოგიკურად აუცილებელია ის, რ-ის უარყოფა მასვე ემყარება და ამტკიცებს (ს. წერეთელი, გ. ბაჩულაშვილი), რომ შინაარსი არის რისამე ელემენტების კანონზომიერი კავშირი, ხოლო ფორმა – ამ კავშირის წესი (კ. ბაქრაძე, გ. მაჩიტაძე). ის, რაც სინამდვილის განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარეობს და გარკვეული პირობების შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს, არის შესაძლებელი, ხოლო განხორციელებულ შესაძლებლობას ნამდვილი ეწოდება. რისამე შინაგან კანონზომიერებათა ერთობლიობას არსებას უწოდებენ, ხოლო არსების განხორციელების სახეს – მოვლენას.

ქართვ. ფილოსოფოსები იკვლევდნენ აგრეთვე დ-ის კანონებისა და კატეგორიების ისტ.-ფილოს. განვითარების საკითხს, რ-ის შესახებ ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი ჰქონდათ ჰერაკლიტეს, პლატონს, არისტოტელეს, სპინოზას, კანტს, ფიხტეს, შელინგს, ჰეგელს, ნ. ჰარტმანს (მ. ბაკურია, კ. ბაქრაძე, თ. *კუკავა,* გ. მაჩიტაძე, ვ. მეიფარიანი, ს. წერეთელი, მ. ჭელიძე).

ლიტ.: ბაკურია მ., დიალექტიკის ძირითადი კანონები, თბ., 1982; ბაქრაძე კ., ლოგიკა, თბ., 1955; ბაჩულაშვილი გ., კატეგორიების დიალექტიკა როგორც გნოსეოლოგიური ლოგიკა, თბ., 1979; გოგიბერიძე მ., მატერიალიზმის და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე, ტფ., 1928; წერეთელი ს., მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ, თბ., 1955; მისივე, დიალექტიკური ლოგიკა, თბ., 1965.

ს. ავალიანი. მ. ბაკურია.

დიალექტიკური ლოგიკა, მარქსიზმის რუსული (ლენინური) ინტერპრეტაციის გავლენის არეალში არსებული მოძღვრება აზრის მოძრაობა-განვითარების ობიექტური, აუცილებელი, ზოგადი ლოგიკური ფორმების შესახებ, რ-იც სრულად აისახება ლოგიკურის კატეგორიებსა და მათ კავშირებში. დ. ლ-ის მიხედვით აზრთა ლოგიკური კავშირი დიალექტიკურია. დიალექტ.-ლოგიკური არის: 1. სინთეზურ-ლოგიკური, შინაგანი შეფარდებითი უარყოფის შემცველი განსხვავებულთა კავშირი, სადაც უარყოფა ქმნის უარმყოფელისა და უარსაყოფელის ლოგიკურ ერთიანობას; 2. შინაარსეული ზოგადი; სინთეზურ-ლოგიკურში ზოგადის როლს ასრულებს ერთიანობა, რ-ის უარყოფა მასვე ადგენს. დ. ლ. სრულად ვლინდება კატეგორიალური ლოგიკურის დონეზე. დ. ლ. შეისწავლის მხოლოდ ლოგიკურის კატეგორიებს (იგივეობა, აუცილებლობა, მსჯელობა, დასკვნა და ა. შ.) და მათ მიმართებებს; 3. ლოგიკურად რეფლექსური, სადაც თვითუარყოფით თვითდადგენა ხდება; 4. უსასრულო ლოგიკური; იგი მომენტად შეიცავს „ორმნიშვნელიანობას'' („უარყოფით დიალექტიკურს''), რ-საც ხსნის „სამმნიშვნელიანობა'' (დადებით დიალექტიკური, სასრულ კერძოთა სრული ლოგიკური გაშუალების შედეგი); 5. დაპირისპირებულთა ერთიანობა, რ-საც ქმნის სრული სასრული კერძოების ლოგიკური დადგენა-უარყოფა; 6. დიალექტიკურის, გნოსეოლოგიურისა და ლოგიკურის იგივეობა. ლოგიკურის კატეგორია არის აზრის ისეთი შინაარსი, რ-იც პიროვნების ევოლუციური განვითარების ხანგრძლივ პროცესში უსასრულო განმეორების საფუძველზე იქცა აზროვნების საყრდენ პუნქტად, აზრის ლოგიკურ ფორმად. მას ამის გამო აზრის შინაარსეულ ფორმას უწოდებენ.

ლოგიკურის დიალექტიკურობა სრულად ვლინდება უსასრულო დასკვნაში, ეს დასკვნა კი თვითდადგენაა თვითუარყოფით. მისი ცალმხრივი ელემენტებია მსჯელობა, უშუალო, სასრული შუალობითი, ძირეული დასკვნები და ცნება. უსასრულო დასკვნა დასაბუთებაცაა და დასაბუთების საწყისიც მისი არსების, პრინციპის აზრით და გამოხატავს ლოგიკურის ბუნებას.

ფილოს. ისტორიაში ასეთი ლოგიკურის ბუნების შესახებ ბჭობდნენ პლატონი, არისტოტელე, რ. დეკარტი, ი. კანტი, ი. ფიხტე, ფ. შელინგი, გ. ვ. ჰეგელი, ე. ჰუსერლი, ნ. ჰარტმანი და სხვ. არსებობს დ. ლ-ის პრინციპების ორი ძირითადი ინტერპრეტაცია: 1. დ. ლ. არის მარქსიზმის შემეცნების თეორია; ლოგიკური კავშირის დიალექტიკურობა შეუძლებელია; 2. დ. ლ. ლოგიკური კავშირის არსებაა და შეადგენს აზრის ლოგიკური ფორმების შინაარსს. იგი სრულად გამოიხატება ძირეული დასკვნით, რ-იც კატეგორიის საწინააღმდეგოს დაშვების შეუძლებლობით მიიღება (ლ. *გოკიელი*). დ. ლ-ის გამოხატვის ლოგიკური ფორმა უსასრულო დასკვნაა, რ-იც ლოგიკური კატეგორიის მომენტების სრული ლოგიკური გაშუალების, დადგენა-უარყოფის პროდუქტია; მის უარყოფით-დიალექტ. მომენტს გამოხატავს ძირეული დასკვნა (ს. *წერეთელი*). დიალექტ.-ლოგიკური ზოგადკატეგორიალური ბუნებისაა და ვლინდება კატეგორიათა კავშირის ისეთი ფორმებით, როგორიცაა გადასვლა, წრებრუნვა (რეფლექსია), განვითარება, კოორდინაცია, პოლარიზაცია, სუბორდინაცია (გ. ბაჩულაშვილი, მ. *ბაკურია*).

ლიტ.: ბაკურია მ., დიალექტიკური ლოგიკა, თბ., 1984; ბაქრაძე კ., ლოგიკა, თბ., 1955; ბაჩულაშვილი გ., კატეგორიების დიალექტიკა როგორც გნოსეოლოგიური ლოგიკა, თბ., 1979; წერეთელი ს., ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ, თბ., 1956; მისივე, დასაბუთების საწყისი, თბ., 1963; მისივე, დიალექტიკური ლოგიკა, თბ., 1965 (რუს. ენაზე – 1971); Гокиели Л. П., Логика, т.1–2, Тб., 1965. *მ. ბაკურია.*

დიალექტიკური მატერიალიზმი, მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების მოძრაობა-განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ, რ-იც სამყაროს შემეცნების დიალექტ. მეთოდისა და მატერიალ. თეორიის გაერთიანების მოთხოვნაზეა დაფუძნებული. მისი იდეოლოგიურ-მონოპოლისტური სულისკვეთება განსაკუთრებით ნათლად ვლინდება მარქსიზმის სოციალურ ფილოსოფიაში (იხ. *ისტორიული მატერიალიზმი*).

დ. მ-ის ძირითადი პრინციპები ქართ. ენაზე პირველად გამოსცა ი. სტალინმა ნაშრომში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?'' (1906–07). ოქტ. რევ. წინა პერიოდში მახიზმი და საერთოდ სუბიექტური იდეალიზმი გააკრიტიკა მ. დავითაშვილმა, რ-იც დიალექტ.-მატერიალისტურად წყვეტდა ფილოს. ძირითად საკითხს. საქართველოში მარქსისტული ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე საფუძვლიანი კრიტიკოსო იყო ქართული ანარ-

ქიზმის მამამთავარი ვ. ჩერქეზიშვილი.

დ. მ-ის პრობლემების კვლევა საქართველოში ფართოდ გაიშალა XX ს. 20–30-იან წლებში. მ. *გოგიბერიძემ* გამოსცა წიგნები: „მატერიალიზმისა და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე“ (1928), „ლენინი, როგორც ფილოსოფოსი“ (1930). მისივე თაოსნობით გამოიცა ქრესტომათია „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი“ (1932) და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა, ვინც კი ოფიციალურად მუშაობდა ფილოსოფიაში და სურდა თავისი კვლევის შედეგების გამოქვეყნება, ვალდებული იყო, ეღიარებინა დ. მ-ის უდავო უპირატესობა სხვა (ე. წ. ბურჟუაზიული) თეორიებთან შედარებით.

გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსები, ღრმადმორწმუნე მარქსისტებისაგან თავის დასაცავად, უფრო ზუსტად, არსებობის შესანარჩუნებლად, ცდილობდნენ შეძლებისდაგვარად დაეახლოებინათ მარქსისტული პოზიცია დასავლეთის წამყვანი მოაზროვნეების (ჰეგელიანელები, ნეოკანტიანელები, ეგზისტენციალისტები და ფენომენოლოგიური მეთოდის სხვა წარმომადგენლები) კვლევის შედეგებთან. საზღვარგარეთის ფილოსოფიაში კარგად გათვითცნობიერებული მეცნიერები (შ. *ნუცუბიძე*, მ. გოგიბერიძე, კ. *ბაქრაძე*, ს. *წერეთელი* და სხვ.) ამტკიცებდნენ, რომ დასავლეთის ფილოსოფიაში გაჩენილი სიახლეები უკვე ასახული იყო მარქსიზმის კლასიკოსთა (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ვ. ლენინი) შრომებში, რაც სათანადოდ ვერ გაიგეს ბურჟუაზიული ფილოსოფიის წარმომადგენლებმა. კამათი ორთოდოქს მარქსისტებთან ძირითადად ამ პოზიციიდან იმართებოდა. ამისთვის დაისაჯნენ ბ. რამიშვილი, მ. გოგიბერიძე, კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი და სხვები. საქართველოში დ. მ-ის პრობლემატიკის შესახებ გამოცემული შრომები სასურველია ამ მოვლენების გათვალისწინებით შეფასდეს. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ დ. მ-ის ღირსებას თავად დასავლეთშიც იცავდნენ (ფრანკფურტის სკოლა, ჟ. პ. სარტრი), მაგრამ არ აღიარებდნენ მის უდავო უპირატესობას და შეუმცდარობას.

დ. მ-ის პრობლემათა კვლევის სფერო განსაკუთრებით გაფართოვდა საბჭოთა საქართვ. უმაღლეს სასწავლებლებში, განსაკუთრებით თსუ-ში, დ. მ-ის კათედრების და საქართვ. მეცნ. აკადემიის ფილოს. ინ-ტში დ. მ-ის განყ-ბის დაარსების შემდეგ. ამ პერიოდიდან იწყება დ. მ-ის ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური და კატეგორ. პრობლემების და შემეცნების თეორიის ინტენს. კვლევა. გამოქვეყნდა ნაშრომები მატერიის, სივრცის, დროის, მოძრაობის აუცილებლობისა და შემთხვევითობის, მიზეზისა და შედეგის, არსებისა და მოვლენის, სასრულისა და უსასრულოს, შესაძლებლობისა და სინამდვილის, ობიექტურისა და სუბიექტურის, ფორმისა და შინაარსის, აბსოლუტურისა და რელატიურის, თავისუფლებისა და აუცილებლობის, ზოგადისა და ერთეულის და სხვა კატეგორიების შესახებ. გამოკვლეულ იქნა შემეცნების დიალექტ. კანონზომიერება, დიალექტ. მეთოდის თავისებურებანი, დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის სხვადასხვა ასპექტი და ა. შ. კლასიკური (მექანისტური) დეტერმინიზმის კრიტიკისა და თანამედროვე ბუნებისმეცნიერების ფილოს. ანალიზის საფუძველზე შემუშავდა ალბათური მიზეზობრიობისა და აუცილებლობის ცნებები როგორც აუცილებლობისა და შემთხვევითობის დიალექტ. სინთეზის გამოხატულება. წამოყენებულ იქნა თვალსაზრისი სპეც. და უკანასკნელი ინსტანციის არსების (სუბსტანციის) განსხვავების შესახებ.

გარდა აღნიშნულისა, გამოკვლეულია ზომის უსასრულობა, როგორც რაოდენობრივი და თვისებრივი უსასრულობის დიალექტ. ერთიანობა. შესწავლილია ობიექტურობის ცნების ონტოლოგიური სტატუსი. დამუშავებულია კატეგორიების დიალექტიკა, როგორც გნოსეოლოგიური ლოგიკა. დ. *უზნაძის* განწყობის თეორიაზე დაყრდნობით გამოკვლეულია ცნობიერებისა და არაცნობიერი ფსიქიკურის პრობლემა. დ. მ-ის, როგორც ზოგადის მეთოდოლოგიის საფუძველზე, დამუშავებულია ღირებულების, კულტურის, ფილოს. ანთროპოლოგიის, ეთიკის, ესთეტიკისა და სხვა პრობლემები. ეს მეთოდოლოგია საფუძვლად დაედო ქართვ. მეცნიერთა მიერ ჩატარებულ კვლევას ბუნებისმეცნიერების ფილოსოფიის პრობლემათა სფეროში. გამოქვეყნდა ნაშრომები ფიზ., ქიმ., მათ., ბიოლ., მედ., კიბერნ. და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფილოს. პრობლემებზე. ქართვ. მკვლევრებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს დ. მ-ის ონტოლოგიური ასპექტების კვლევას. ამ საკითხებზე დაიბეჭდა რამდენიმე კრებული და მონოგრაფია (მაგ., კრებ.: „ფილოსოფიის საგნის შესახებ“, რუს. ენაზე, თბ., 1973; „დიალექტიკური მატერიალიზმის ონტოლოგიური ასპექტები“, თბ., 1986 და სხვ.). ონტოლოგიის პრობლემებს მიეძღვნა ცალკეული მონოგრაფიული გამოკვლევებიც.

ლიტ.: ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე ფ., ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XX საუკუნის საქართველოში. 1900–1921 წლები, თბ., 1980; ჭ ე ლ ი ძ ე მ., ფილოსოფიური აზრის განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1971; О предмете философии, под ред. С. Ш. Авалиани, Тб., 1973; Ш е р о з и я А. Е., Философская мысль в Грузии в первой четверти XX века, Тб., 1963.

ს. ავალიანი.

დიალექტოლოგია (ბერძნ. dialektos – ლაპარაკი, თქმა, კილო, დიალექტი და logos – სიტყვა, მოძღვრება), ენათმეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის დიალექტურ მეტყველებასა და დიალექტებს. იგი შეიძლება იყოს აღწერითი ან ისტორიული.

ა ღ წ ე რ ი თ ი დ. სწავლობს საერთო სახალხო ენას მის სივრცით განფენილობაში. ნებისმიერი თანამედროვე ეროვნული ენა არის რთული ერთიანობა, მოიცავს სახესხვაობათა მთელ კომპლექსს – სალიტ. ენას სოც. და სტილური, დიალექტურ მეტყველებას კი – ტერიტ. ვარიანტებით. სწორედ ეს ტერიტ. და სოც. ვარიანტები მათ ინდივიდუალობასა და ერთიანობაში არის დ-ის შესწავლის ძირითადი ობიექტი.

დ., როგორც მეცნ. დისციპლინა, ჩაისახა ეთნოგრაფიის წიაღში და გამოიკვეთა ხალხის სულიერი და მატერ. კულტურის შესწავლასთან ერთად. ადგილ. ენობრივი თავისებურებებიც განიხილებოდა როგორც ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებთა ეთნოგრ. ნიშნები. როგორც ენათმეცნ. დისციპლინა, დ. ჩამოყალიბდა XIX ს. შუა წლებისათვის და გაღრმავდა საუკუნის ბოლოსა და XX ს. დასაწყისში. დ-ის განვითარებასთან ერთად იცვლება და სრულყოფილი ხდება მისი კვლევის გზები და მეთოდები. თავდაპირველად დ. შეისწავლიდა მეტყველების ცალკეულ, ძირითადად ლექსიკურ, თავისებურებებს, შემდეგ კი ენის ტერიტ. თავისებურებებს მისი სტრუქტურის ყვე-

ლა დონეზე, მაგრამ ეს მიდგომა მაინც ატომისტური იყო – ენობრივი მოვლენები განიხილებოდა და შეისწავლებოდა იზოლირებულად, საერთო სისტემისაგან მოწყვეტით, რაც იმდროინდელი ლინგვისტიკის ზოგადი დამახასიათებელი ნიშანი იყო. XIX ს. ბოლოსთვის დიალექტოლოგიურ კვლევაში შემოვიდა კარტოგრაფირების მეთოდი – ცალკეულ ენობრივ მოვლენათა გადატანა გეოგრ. რუკებზე ერთი ენის (ზოგჯერ მონათესავე ენების) გავრცელების მთელ ტერიტორიაზე და ერთგვაროვანი ენობრივი მოვლენების შეერთება ხაზებით – *იზოგლოსებით*, შემდეგ კი მათი თავმოყრა კრებულებად ატლასის სახით. დაინერგა აღწერითი დ-ის ახ. მიმართულება – ლინგვისტური გეოგრაფია, რ-იც გაბატონებულ მიმართულებად დამკვიდრდა. XX ს. II ნახ-იდან ამერიკის ლინგვისტურ წრეებში (უ. ვაინრაიხი) დაინერგა კიდევ ერთი დ ი ა ს ი ს ტ ე მ უ რ ი მეთოდი.

ი ს ტ ო რ ი უ ლ ი დ. სწავლობს დიალექტური მეტყველების სტრუქტურას ისტ. პერსპექტივაში – ენობრივ თავისებურებათა წარმოშობის მიზეზებს, იზოგლოსების დროით და ტერიტ. ასპექტებს, დიალექტურ ერთეულთა ჩამოყალიბების პირობებს და დიალექტებისაგან ახლო მონათესავე ენების წარმოშობას.

ა ღ წ ე რ ი თ ი და ისტ. დ-ის გარდა, გამოყოფენ აგრეთვე ს ო ც ი ა ლ უ რ დ-ს, რ-იც შეისწავლის სოც.-კლასობრივ, პროფესიულ, ასაკობრივ, სქესთა და სხვ. ნიშნების მიხედვით მეტყველების დიფერენციაციას. სოც. დ-ის საგანია აგრეთვე ჟარგონული მეტყველებაც, რ-ის თავისებურებებიც ძირითადად ლექსიკით, იშვიათად ფრაზეოლოგიით შემოიფარგლება.

დ. ცდილობს ცნება ,,დიალექტის'' ცალსახა, არაწინააღმდეგობრივი დეფინიციისა და იმ კრიტერიუმის დადგენას, რ-ითაც მოხერხდება ენისა და დიალექტის გამიჯვნა: სად თავდება დიალექტი და სად იწყება ენა?

ითვლება, რომ ქართ. დ. ჩაისახა XX ს. დასაწყისში, თუმცა ფრაგმენტული ცნობები ქართ. დიალექტების შესახებ XVII ს. 80-იანი წლებიდან მოგვეპოვება. თურქმა მოგზაურმა *ევლია ჩელებიმ* მესხეთში ჩაიწერა ორი ქართ. ზღაპარი, რაც პირველ დიალექტოლოგიურ ჩანაწერად ითვლება. ცალკეული დიალექტოლოგიური ცნობები გვხვდება ს.-ს. *ორბელიანთან* (XVIII ს. დასაწყისი), *ვახუშტი ბატონიშვილთან*, მ. *ბროსესთან* (1834), გ. *როზენთან* (1846), რ. *ერკერტთან* (1895).

ქართ. ენის დიალექტების სისტემატური მეცნ. შესწავლა XX ს. 10-იანი წლებიდან დაიწყო. 1911 ნ. *მარმა* გამოაქვეყნა იმერხეული ტექსტები მოკლე ფონეტ.-გრამატ. მიმოხილვითურთ; გამოქვეყნდა მ. *ჯანაშვილის* შრომა საინგილოს შესახებ (1911–19); ამავე პერიოდში ქართ. დიალექტების აქტ. შესწავლა დაიწყეს ა. *შანიძემ* (,,ქართული კილოები მთაში'', 1915) და ვ. *ბერიძემ*. ოციანი წლებიდან უკვე ფართოდ გაიშალა დიალექტოლოგიური მუშაობა, რ-შიც ებმებიან ქართვ. ენათმეცნიერთა უფროსი თაობის წარმომადგენლები: ა. შანიძე, გ. *ახვლედიანი*, ა. *ჩიქობავა*, ვ. *თოფურია* და მათი მოწაფეების მთელი პლეადა. დიალექტოლოგიური კვლევის ორ ძირითად ცენტრთან (თსუ-ის ქართ. ენის კათედრა და ენათმეცნ. ინ-ტის ქართველურ ენათა განყ-ბა) ერთად მუშაობდნენ საქართვ. სხვა უმაღლესი სასწავლებლების ქართ. ენის კათედრებიც.

საქართველოში დიალექტოლოგიური კვლევა მიმდინარეობს ეთნოგრ. კუთხეებისა და გეოგრ. რეგიონების მიხედვით. შეკრებილი ტექსტობრივი და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მასალის საფუძველზე აღიწერება დიალექტის ყველა დონის ენობრივი თავისებურებანი; მზადდება და გამოიცემა მონოგრაფიები თითოეული დიალექტის შესახებ. მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლილია ქართ. ენის ყველა დიალექტი, გამოქვეყნებულია ტექსტობრივი და ლექსიკური მასალები. ამ მასალების საფუძველზე გამოქვეყნებულია მონოგრაფიები: ,,გურული კილო'' (ს. ჟღენტი, 1936); ,,ხევსურულის თავისებურებანი'' (ა. ჭინჭარაული, 1960); ,,თუშური კილო'' (თ. უთურგაიძე, 1960); ,,ქართული ენის კახური დიალექტი'' (ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, 1956); ,,ქართული ენის მოხევური დიალექტი'' (ი. ქავთარაძე, 1982); ,,ფშავური დიალექტი'' (გ. ცოცანიძე, 1978); ,,აჭარული დიალექტი'' (შ. ნიჟარაძე, 1971); ,,ჩვენებურების ქართული'' (შ. ფუტკარაძე, 1985) და სხვ. გამოცემულია განმაზოგადებელი შრომები: ქართული დიალექტოლოგია (ბ. ჯორბენაძე, I, II 1989, 1997), ქართველურ ენათა დიალექტები (მისივე, 1995). ლინგვისტური ატლასის შესაქმნელად შედგენილია კითხვარი, ეწყობა ექსპედიციები სათანადო მასალების მოსაპოვებლად.

ლიტ.: გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე თ., მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965; გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ი., თ ო ფ უ რ ი ა ვ., ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ი., ქართული დიალექტოლოგია, I. ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1961; თ ო ფ უ რ ი ა ვ., ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, კრ.: «ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები», III, თბ., 1963; ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989; Л е р н е р К. Б., Социальная природа языка и процесс языкового взаимодействия, Тб., 1989.

გ. ცოცანიძე.

„დიამბეგო“, ქართული (კახური) ხალხური ლირიკული სიმღერა. მიმართვის ობიექტი, მართალია, ოფიც. მოხელე – დიამბეგია, მაგრამ არსებითად სიმღერა სილამაზით განთქმულ მის ქალიშვილს ეძღვნება. სიმღერა სამხმიანია და რამდენიმე მუხლისაგან შედგება. ახლოსაა სუფრულ სიმღერებთან (გაბმული, ბურდონული ბანი, მოდულაციური გეგმა, მელოდიური განვითარების ხერხები).


ო. ჩიჯავაძე.

დიასამიძე ანზორ ოსმანის ძე (დ. 15. VI. 1939, სოფ. ცინარეთი, ახლანდ. შუახევის მუნიციპალიტეტი), ბიოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1996). დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტის ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკ-ტი (1964). 1969-იდან მუშაობს იქვე სხვადასხვა თანამდებობაზე. 2006-იდან უნ-ტის ბიოლ. დეპარტ. სრული პროფ. და იმუნოგენეტიკის სამეცნ. კვლევითი ლაბორატორიის გამგეა. დ-ის კვლევის ძირითადი სფეროა ციტრუსების, ჩაისა და ზოგიერთი ხეხილოვანი მცენარის სელექციისა და გენეტიკის პრობლემები. მისი ბოლო პერიოდის გამოკვლევა ეხება სისხლის ერითროციტული ჯგუფური ანტიგენების გენოგეოგრაფიას აჭარის მოსახლეობის პოპულაციაში და მათ ასოცირებას სხვადასხვა სახის პათოლოგიასთან.

თხზ.: ბუნებრივი და ქიმიური მუტაგენეზი ციტრუსების სელექციაში, ბათ., 1994; მემკვიდრეობის და ცვალებადობის ბალანსის ბიოლოგიური რეგულა-

ცია და ევოლუციური მნიშვნელობა, ბათ., 1999. *ი. ჯაფარიძე.*

დიასამიძე ბიჭიკო რაფიელის ძე (დ. 25. XII. 1940, სოფ. კვიახიძეები, ახლანდ. შუახევის მუნიციპალიტეტი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2000). 1969 დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტი. 1970–92 მუშაობდა ამავე ინ-ტში, 1992–97 – უნივერსიტეტში სხვადასხვა სამეცნ. და საზ. თანამდებობებზე; 2009-იდან არის იმავე უნ-ტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის სრული პროფესორი, 2010-იდან – პროფესორ-ემერიტუსი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. მონოგრაფია ,,ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I–Xსს.)''. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).



გ. დიასამიძე.

დიასამიძე გრიგოლ ნიკოლოზის ძე [25. I (6. II). 1870, სოფ. საქაშეთი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 14. III. 1960, ნიუ-იორკი], მწერალი, იურისტი, პოლიტიკური მოღვაწე. 1881–88 სწავლობდა თბილ. I ვაჟთა გიმნაზიაში, 1888 ჩაირიცხა ნოვოროსიის (ოდესა) უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე. 1892 დაბრუნდა თბილისში. მალე გახდა ნაფიცი მსაჯული. 1894–95 ასწავლიდა ქართ. ენასა და ლიტ-რას ამიერკავკ. ქალთა ინ-ტში. 1901–10 იყო თბილ. სათავადაზნაურო საკრებულოს დეპუტატი, აირჩიეს გორის მაზრის თავად-აზნაურებმა. იყო აგრეთვე საქართველოში „წითელი ჯვრის'' ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი მუდმივი წევრი. 1902–04 დააარსა საკრედიტო ამხანაგობანი სოფლებში: ჭრებალოში, საქაშეთსა და ალში, ხოლო 1915 თბილისში – შემნახველი სალარო და მებაღეობა-მევენახეობის ამხანაგობა „ალექსანდროული''. თბილისში მას ეკუთვნოდა პირველი ელექტროსაბეჭდი „გუტენბერგი''.

დ. იყო 1912 ზაფხულში რაჭა-ლეჩხუმში მოწყობილი აკაკი წერეთლის მოგზაურობის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი. მან დიდი ამაგი დასდო ქართ. ჟურნალისტიკას: 1911–15 რედაქტორობდა და გამოსცემდა საკუთარ ყოველკვირეულ გაზეთს *„თემი''* ა. წერეთლის თანამშრომლობითა და მონაწილეობით. 1917–18 რედაქტორობდა რუს. გაზეთ „რესპუბლიკას'', ხოლო 1920 დაიწყო ყოველთვიური კულტ.-პოლიტ. დასურათებული ჟურნალის – „ბრატსტვოს'' („ძმობა'') გამოცემა (მონაწილეობდნენ ევგ. *ლანსერე*, ი. *შარლემანი*, ს. *სუდეიკინი*; დაიბეჭდა მხოლოდ 2 ნომერი).

1921 წ. 24–25 თებ. ღამეს დ-მ თავის ქალიშვილთან ერთად დატოვა თბილისი და ემიგრაციაში წავიდა. იგი ბერლინში დასახლდა. დააარსა საგამომცემლო საზ-ბა „ნაერ ოსტენი'' („ახლო აღმოსავლეთი'') გერმ. ენაზე. ცნობილ ქართველოლოგ რიხარდ *მეკელაინთან* ერთად რედაქტორობდა ყოველთვიურ გერმ. ჟურნ. „მორგენლანდს'' (1922). 1936 ბერლინის უნ-ტმა დ. აირჩია აღმ. ევროპის შემსწავლელი ინ-ტის ნამდვილ წევრად. დ. აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნ. „კავკასიაში'', რ-იც ქართ. და რუს. ენებზე გამოდიოდა. ეხმარებოდა კ. *ბალმონტს* ვეფხისტყაოსნის თარგმნაში (რუს. ენაზე გამოიცა პარიზში, პირველად – 1933).

1952 დ. საცხოვრებლად გადავიდა ნიუ-იორკში, სადაც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, არ შეუწყვეტია ლიტ. საქმიანობა. ბეჭდავდა საყურადღებო წერილებსა და მოგონებებს იქაურ ქართ. პრესაში („ჩვენი გზა'', „კრებული''), იყო ნიუ-იორკის ქართ. სათვისტომოს საპატიო თავ-რე, „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს'' გამგეობის წევრი და უხუცესი მრჩეველი. დაკრძალულია ნიუ-იორკის ერთ-ერთი მართლმადიდებელი ეკლესიის ეზოში.

ლიტ.: შ ა რ ა ძ ე გ., გრიგოლ დიასამიძე, მის წგ.: უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. 2, თბ., 1993, გვ. 186–200.

გ. შარაძე.

დიასამიძე ვახუშტი, XVI ს. შუა წლების სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური მოღვაწე. მხარს უჭერდა ქართლის მეფის *ლუარსაბ I-ის* პოლიტიკას. დ-მ თავის ძმასთან, შ. *დიასამიძესთან* ერთად XVI ს. 30–40-იან წლებში ჯავახეთისა და სამცხის მნიშვნელოვანი პროვინციები ლუარსაბ I-ს დაუმორჩილა, ლუარსაბმა კი იგი ლორის ბატონად დანიშნა. ათაბაგ *ქაიხოსრო II-ის* წაქეზებით ირან. შაჰმა თამაზ I-მა 1553 მესხეთისა და სამცხე-საათაბაგოს სოფლები და ქალაქები დაარბია, სხვა დიდებულებთან ერთად დ-ც დაატყვევა და სიკვდილით დასაჯა.

წყარო: გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

შ. ლომსაძე.

დიასამიძე ლევან ნიკოლოზის ძე [19. IX (1. X). 1882, თბილისი, – 19. XI. 1969, იქვე], ინჟინერ-ჰიდრავლიკოსი. პროფესორი (1930), მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1946). 1912 დაამთავრა ლოზანის (შვეიცარია) საინჟ. ინ-ტი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ უმთავრესად წყალსადენის სისტემაში მუშაობდა. იყო ნატახტრის წყალსადენის პროექტის ავტორი და მშენებლობის მთ. ინჟინერი (1929–35), 1945-იდან გარდაცვალებამდე – საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის კათედრის გამგე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: სამრეწველო წარმოების და დასახლებული ადგილების კანალიზაცია, ნაწ. 1–2, თბ., 1949–50 (თანაავტ. გ. ქურდიანი); წყალმომარაგება, ნაწ. 1 – ქსელი და მისი ნაგებობანი, თბ., 1962 (თანაავტ.: ქ. ქუთათელაძე, ი. გეგელაშვილი).

დიასამიძე მიხეილ სტეფანეს ძე (11. IV. 1913, სოფ. გაღმა ვანი, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 3. VI. 1992, ქ. კურსკი), საბჭოთა კავშირის გმირი (22. XII. 1942), გვარდიის პოლკოვნიკი. 1933 დაამთავრა სამხ. მეთაურთა სკოლა ბაქოში და ქ. ნოვოროსიისკში დაინიშნა 22-ე წითელდროშოვანი მსროლელი დივიზიის 65-ე პოლკის ოცეულის მეთაურად. 1937-იდან მსახურობდა შორეულ აღმოსავლეთში, სადაც მეთაურობდა პოლკის სკოლასა და ბატალიონს. 1938 მონაწილეობდა იაპონელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ხასანის ტბასთან. II მსოფლიო ომის დროს სტალინგრადის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. 1958 ოფიცერ დ-ის ხელმძღვანელობით მეომრებმა ქ. კურსკის მახლობლად გააუვნებელყვეს ომის წლებში გერმ. ფაშისტების მიერ დანაღმული ველი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

დიასამიძე ნიკოლოზ დავითის ძე (1845 – 13. VIII. 1897), საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, პუბლიცისტი. გ. *დიასამიძის* მამა. 1877 ა. თუთაევთან ერთად გორში თავისი ხარჯით გადააკეთა ძვ. როტონდა და იქ თეატრი დააარსა. დ-ს საკუთარ სახლებში (თბილისი, სოფლები: საქაშეთი, ბრილი) მოწყობილი ჰქონდა სალონები, სადაც მართავდა ლიტ. შეხვედრებს (ე. წ.

„ორშაბათები“), თეატრ. წარმოდგენებს. დ-ის აქტ. მონაწილეობით 1877 სოფ. რუისში (ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი) საქველმოქმედო მიზნით დაარსდა საზ. ბანკი, რ-საც ერთხანს დ. ხელმძღვანელობდა (კ. *მამაცაშვილთან* ერთად). 1892 ბრილში, დ-ის სახლში მისივე მონაწილეობით ჩატარდა გაზ. *„კვალის“* დამფუძნებელი კრება. გაზ. *„დროებაში“* აქვეყნებდა პუბლიც. წერილებს სოც. და განათლების საკითხებზე. მოკლეს რევოლუციურად განწყობილმა გლეხებმა. ამ ფაქტს ა. წერეთელმა, რ-საც ახლო მეგობრობა აკავშირებდა დ-თან, უძღვნა ლექსი „ნიკო დიასამიძის სახსოვრად“.

ლიტ.: ბ ა ლ ა ხ ა შ ვ ი ლ ი ი., ლიტერატურული და რევოლუციური წრეები და სალონები საქართველოში (XIX საუკუნის 70–80–90-იანი წლები). დოკუმენტური ნარკვევი, თბ., 1940; ე ნ ი კ ო ლ ო ფ ა შ ვ ი ლ ი ი., საქაშეთსა და ბრილში (შ. ბარამიძის პუბლ.), «საისტორიო მოამბე», 1990, № 59–60; მ ა მ ა ც ო ვ ი კ., ბატონო რედაქტორო!, «დროება», 1882, № 3; მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი ს., მოგონებანი, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, ტფ., 1938.

თ. ჯოლოგუა.

დიასამიძე ჟუჟუნა მემედის ასული (დ. 26. II. 1945, ბათუმი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (1999). დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტი (1966). 1967-იდან მუშაობდა ამავე ინ-ტის ფიზიკის კათედრაზე. 1983–2006 იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. უნ-ტის თეორ. ფიზიკის კათედრის გამგე, ხოლო 2006-იდან არის თეორ. ფიზიკის მიმართულების ხელმძღვანელი. კვლევის თემაა: ტურბულენტურ ფენაში ტალღური პროცესების გამოკვლევა.

დიასამიძე სულეიმან ეიუბის ძე (22. XI. 1893 – 18. III. 1962, თბილისი), საზოგადო მოღვაწე. 1921 დაამთავრა თსუ, 1932 – საქართვ. ინდუსტრ. ინ-ტი. ახალგაზრდობაშივე ჩაება რევ. მოძრაობაში. დაინტერესებული იყო ქართვ. მუჰაჯირების ბედით. ამ მიზნით მოინახულა ტრაპიზონი, სამსუნი, სტამბოლი და სხვა ადგილები. 1918, როცა ოსმ. ჯარმა ბათუმი დაიკავა, დ. სხვა აჭარელ პატრიოტებთან ერთად თბილისში ჩამოვიდა და *„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“* მდივანი გახდა. 1921 საქ. კპ აჭარის საოლქო კომიტეტის დავალებით დიდი მუშაობა გასწია ღარიბ გლეხთა კომიტეტების ჩამოსაყალიბებლად, არჩეული იყო ღარიბთა კომიტეტის ცენტრ. ბიუროს შემადგენლობაში. ებრძოდა პანისლამიზმის მიმდევრებს. 1921 მუშაობდა აჭარის ფინანსთა სახალხო კომისრად, 1922–23 – აჭარის სახკომსაბჭოს თავ-რედ, 1929-იდან – მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავ-რედ. ამის შემდეგ პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილისში. სხვადასხვა დროს არჩეული იყო აჭარის ასსრ, საქ. სსრ და ამიერკავკ. სფსრ ცაკის წევრად.

ლიტ.: ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ხ., საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში (1917–1921 წწ.), ბათ., 1971; მ ი ს ი ვ ე, სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, ბათ., 1972.

დიასამიძე შალვა მიხეილის ძე (10. VII. 1912, თბილისი, – 6. V. 1974, იქვე), ქართული კალათბურთის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სსრკ (1957) და საქართვ. (1966) დამს. მწვრთნელი. დ. 1929-იდან თსუ-ის გუნდში თამაშობდა. უნ-ტის დამთავრების შემდეგ (1934) მუშაობა განაგრძო იქვე, ფიზ. აღზრდის და სპორტის კათედრაზე. 1941–45 იყო ამავე კათედრის გამგე. 1944 ჩამოაყალიბა თსუ-ის კალათბურთელ ქალთა გუნდი, რ-იც 1948 საქართვ. ჩემპიონი გახდა. 1947–49 მიიწვიეს თბილ. „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდის მწვრთნელად (1947 სსრკ პირველობაზე II ადგილი; ხოლო 1949 სსრკ თასი მოიპოვა). 1948–52 დ. ავარჯიშებდა თბილ. განათლების განყ-ბის ბავშვთა გუნდს. 1949–53 იყო თსუ-ის ფიზ. აღზრდისა და სპორტის კათედრის მასწავლებელი და ქალთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი. 1953-იდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა საქართვ. ფიზიკური კულტურის ინ-ტის პედაგოგად და ვაჟთა გუნდის მწვრთნელად. აღზარდა არაერთი ცნობილი კალათბურთელი.

დიასამიძე შერმაზან, XVI ს. შუა წლების სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური მოღვაწე. ძმასთან, ვ. *დიასამიძესთან* ერთად მხარს უჭერდა ქართლის მეფის *ლუარსაბ I-ის* პოლიტიკას. ლუარსაბმა იგი ლორე-ბამბაკის ბატონად დასვა. ათაბაგ *ქაიხოსრო II-ის* თხოვნით ირან. შაჰი თამაზ I 1553 სამცხე-საათაბაგოში შეიჭრა. დ. სხვა დიდებულებთან ერთად დაატყვევეს და ძმასთან ერთად სიკვდილით დასაჯეს. დ-ის მამული ქაიხოსროს გადაეცა.

წყარო იხ. სტ-თან დ ი ა ს ა მ ი ძ ე ვ.

შ. ლომსაძე.

დიასამიძეები, ფეოდალური საგვარეულო სამცხე-საათაბაგოში. წერილობით წყაროებში 1443-იდან იხსენიებიან. ამ დროს სამფლობელო ჰქონდათ ჩრდ.-აღმ. სამცხეში. XVI ს. დასაწყისში დაეუფლნენ თავდაპირველად *აპუსერისძეთა* მამულს მტბევარის სამწყსოში, შემდეგ – ხურსიძეთა მამულს ღობიეთს – წურწყაბლის სამწყსოში. XVI ს. I ნახევარში დ-ის სახლი მხარს უჭერდა და ქართლის მეფეთა მხარეს იბრძოდა სამცხე-საათაბაგოს ქართლთან შეერთებისათვის. 1548 დ-ისა და სხვა მესხი დიდებულების დახმარებით *ლუარსაბ I-მა* დაიპყრო ჯავახეთი და მდ. მტკვრის აღმ. მხარე. საპასუხოდ 1553 ირან. შაჰი თამაზ I თავს დაესხა დ-ს და ზოგიერთი მათგანი ტყვედ წაიყვანა. 1576–78 დ. აქტიურად მონაწილეობდნენ ჯაყელთა წინააღმდეგ შეთქმულებაში. 1578, ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ, დ-ის სახლის ერთმა ნაწილმა ქართლს შეაფარა თავი. XVI–XVIII სს-ში დ-ის გვარიდან იყვნენ ქართლის კათოლიკოსები, მცხეთის ბოქაულთუხუცესები, ჯვრის მონასტრის წინამძღვრები და სხვ.; კახეთში – ბოდბელები. XVII ს. 30-იან წლებში დ-მა მონაწილეობა მიიღეს ქართლის მეფე *როსტომის* წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში, რასაც მოჰყვა მათი დასჯა და სათავადო სახლის დამდაბლება.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 2, ტფ., 1897; წგ. 3, თბ., 1967; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVI სს.), ქრ. შარაშიძის გამოც., თბ., 1961; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3–4, თბ., 1970–72.

შ. ლომსაძე.

დიატომა (Diatoma), კაჟოვანი წყალმცენარეების (Bacillariophyta) გვარი. ლენტისებრი ან ზიგზაგისმაგვარი კოლონიებია, უჯრედები ხაზოვანიდან ელიფსურამდე, მომრგვალებული, იშვიათად თავაკიანი ან ოდნავ ნისკარტისებრ წაგრძელებული ბოლოებით. განივი შტრიხები პუნქტირებულია, განივი ქედები მრავალია. ღერძული ველი ვიწრო ხაზოვანია. გვხვდება მხოლოდ მტკნარ წყლებში. საქარ-



შ. მ. დიასამიძე.



ბ. დიაჩკოვი.

თველოში ცნობილია დიატომას გვარის 14 წარმომადგენელი (1 სახეობა, 12 სახესხვაობა, 1 ფორმა). განსაკუთრებით ხშირად გვხვდება: Diatoma hiemale, D. elongatem, D. vulgare სახესხვაობები.

ლ. კუხალეიშვილი.

დიატომიტი, კიზელგური, ინფუზორიული მიწა, თეთრი, ღია ნაცრისფერი, მოყვითალო ან მომწვანო, ცარცისმაგვარი, ფოროვანი მსუბუქი დანალექი ქანი. უმთავრესად შედგება ოპალისაგან ($SiO_2 \cdot nH_2O$), შეიცავს აგრეთვე კვარცის, გლაუკონიტის და თიხის მინარევებს. წარმოიქმნება ზღვებსა და ტბებში დალექილი დიატომეებიანი შლამისაგან. დ-ს ახასიათებს დიდი ფორიანობა (50–90%), SiO_2-ის მაღალი შემცველობა (60–95%), მცირე სიმკვრივე (350–950 *კგ/მ*^{3}), დაბალი ბგერაგამტარობა. იყენებენ ადსორბენტად და ფილტრად (კვებისა და ნავთობქიმ. მრეწველობაში), შემვსებად (საფეიქრო, ქაღალდისა და რეზინის წარმოებაში), აბრაზიულ და საშენ მასალად. რეკომენდებულია დ-ის გამოყენება სასუქების წარმოებაში. საქართველოში სამრეწვ. მნიშვნელობა აქვს *ქისათიბის დიატომიტის საბადოს.*

გ. მაჩაბელი.

დიატომიტი, ყოფილი სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში.

დიატონიკა (ბერძნ. diatonikos – გაწელილი, ტონიდან ტონში გარდამავალი <dia – აქეთ, გასწვრივ და tonos – ტონი), მუსიკალურ ბგერათა სისტემა, რ-იც წარმოიშობა კილოს ბგერების მთელი და ნახევარტონური გამისებური მიმდევრობის შედეგად. დიატონური კილოებია – ბუნებრივი მაჟორი და ბუნებრივი მინორი, აგრეთვე ე. წ. ძველბერძნ. ან შუა საუკ. საეკლესიო კილოები (იონიური, დორიული, ფრიგიული და ა. შ.). არსებობს ოქტავური და არაოქტავური კილოები. დ. ქართული ხალხ. მუსიკის საფუძველს წარმოადგენს. აქ ძირითადად ვხვდებით არაოქტავურ კილოებს, კერძოდ, ე. წ. კვარტულს – აღმ. საქართველოში და კვინტურს – უმთავრესად დას. საქართველოში. ქართ. ხალხ. მუს. სისტემის საფუძველს წარმოადგენს მიქსოლიდური (დაბალი დეციმით), ეოლიური, დორიული (დაბალი სუბკვარტული საფეხურით) და სხვა კილოები, გარდა დიატონური კილოებისა, საქართველოს მთიან რეგიონებში (ხევსურეთი, ფშავი) ვხვდებით აგრეთვე ანჰემიტონურ კილოებს, ხოლო აღმ. საქართველოს ბარში – ალტერირებულ კილოებს. დ. ხალხური და პროფ. ევრ. მუსიკის კილოური წყობის საფუძველია.

ლიტ.: ასლანიშვილი შ., ქართლ-კახეთის ხალხური საგუნდო სიმღერის პარმონია, გამოც. მე-2, თბ., 1970; მისივე, დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერის კილოები, ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, ნაწ. 1, თბ., 1954.

ი. ჟორდანია.

დიაუხი, დიაოხი, დაიაენი, ადრინდელი სახელმწიფო გაერთიანება ძვ. წ. XII–VIII სს-ში სამხრეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. ამ სახელწოდებიდან მომდინარეობს საქართვ. ერთ-ერთი ოლქის, კერძოდ, ტაოს სახელი [დიაო(ხი) > ტაო(ხი) > ტაო]. ძვ. წ. XII ს. ბოლოს დ. მოთავეობდა ევფრატის ზემოთში მცხოვრები ტომების დიდ გაერთიანებას, რ-იც ასურელების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შეიქმნა. ძვ. წ. IX ს-ში დ-ის წინააღმდეგ შეტევა დაიწყო ურარტუმ. ურარტუს მეფეებმა – მენუამ და არგიშთი I-მა – მრავალგზის დაამარცხეს და ბოლოს გაანადგურეს დ. (ძვ. წ. IX ს. ბოლო – VIII ს. დასაწყ.). დ-ში განვითარებული ყოფილა ლითონების (განსაკუთრებით სპილენძის, აგრეთვე ოქრო-ვერცხლის) მოპოვება-დამუშავება და მესაქონლეობა. ცნობილი არიან დ-ის მეფეები სენი (ძვ. წ. XII ს. ბოლო), ასია (ძვ. წ. IX ს. შუა წლები), უტუფურსი (ძვ. წ. IX–VIII სს. მიჯნა). დ-ის მკვიდრთა შთამომავლობას ძვ. წ. V ს. დასასრ. ბერძენი მწერალი ქსენოფონტი ტაოხების სახელწოდებით იხსენიებს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; Меликишвили Г. А., Урартские клинообразные надписи, М., 1960.

გ. მელიქიშვილი.

დიაჩკოვი ბორის მიხეილის ძე (23. VIII. 1903, თბილისი, – 17. XII. 1986, იქვე), სპორტსმენი (მძლეოსნობა), მწვრთნელი. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1940), სსრკ დამს. მწვრთნელი (1952). საკავშ. კატეგორიის მსაჯი (1939), სსრკ ფიზკულტ. და სპორტის დამს. მოღვაწე (1966). 1934 დაამთავრა მოსკოვის ფიზკულტ. სახელმწ. ინტი, 1938 – ამიერკავკ. მიმოსვლის გზათა ინჟინერების ინ-ტი. სსრკ ჩემპიონი სამხტომში (1924) და 4 × 100 *მ* ესტაფეტაში (1927), სსრკ მრავალგზის ჩემპიონი სიმაღლეზე და ჭოკით ხტომაში. მწვრთნელად მუშაობა დაიწყო 1921. აღზარდა ქართვ. სახელოვან მძლეოსანთა მთელი პლეადა: ნ. *დუმბაძე* (დ-ის მეუღლე), ე. *გოკიელი,* ლ. *სანაძე,* რ. *შავლაყაძე,* ი. დიაჩკოვი (ვაჟიშვილი, სსრკ ორგზის ჩემპიონი ათჭიდში) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ნ. გუგუშვილი.

დიგაშენის არქეოლოგიური ძეგლები, ადრინდ. და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ძეგლი სოფ. ჯიგრაშენსა და ხორენიას შორის (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი). ნასოფლარ დიგაშენთან არქეოლ. ექსპედიციამ აღმოაჩინა შემდეგი გორანამოსახლარები: დიგაშენი I და II (1970; ხელმძღვ. ო. ჯაფარიძე), დიგაშენი III, IV, V და 3 სამაროვანი (1987–90; ხელმძღვ. ა. ორჯონიკიძე).

დიგაშენი I – ნამოსახლარი მდებარეობს მდ. ფარავნის მარჯვ. ნაპირზე. უკავია ბუნებრივი გორის თხემი და ჩრდ. და დას. ფერდები. გაითხარა ადრინდ. და გვიანად. ბრინჯაოს ხანის ფენები. ორივე ფენაში აღმოჩნდა ფლეთილი და თლილი ქვით ნაგები სწორკუთხა შენობათა ნაშთები. იატაკი თიხატკეპნილია ან ბრტყელი ქვებითაა მოფენილი, გადახურვა სავარაუდოდ ბანური იყო. ადრინდ. და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის კერამიკა მტკვარ-არაქსული ნაწარმია. შავი და მოვარდისფრო პრიალა დერგები, ქოთნები, კათხები და სხვ. რელიეფური და ნაკაწრი ორნამენტითაა შემკული. აქვე აღმოჩნდა თიხის ორნამენტირებული ოთხკუთხა ფორმის სანათური, სპირალური ორნამენტით შემკული თიხის ფილის ფრაგმენტები და ნალისებური კერის ზესადგრის ნატეხები. ნაპოვნია აგრეთვე ბრინჯაოს პატარა რგოლი, ქვის ხელსაფქვავები, სანაყები და სხვ.; ადრინდ. ბრინჯაოს ხანის მასალა აღმ. საქართვ. ძვ. წ. III ათასწლ. მასალის მსგავსია, გვიანდ. ბრინჯაოს ხანის კერამ. მასალა კი უკავშირდება აღმ. საქართველოში აღმოჩენილ ძვ. წ. XIV–XIII სს. მასალას. ნასახლარზე გამოვლინდა ფლეთილი ქვით ნაგები, ოვალური ფორმის სამარხი, რ-იც შევსებული იყო ნაცრიანი მიწით. მცირე რაოდენობით შერეული ჰქონდა კერამ. ფრაგმენტები და ობსიდიანის ანატკეცები. მიცვალებულის ძვლები არ აღმოჩნდა. სამარხის გარეთ, მის ძირში, ჩადგმული იყო გვიანდ. ბრინჯაოს ხანის რუხი ფერის ცალყურა ქოთანი.

დიგაშენი II – ნამოსახლარი განლაგებულია პირველისაგან ჩრდ.-აღმ-ით 600 *მ*-ის დაშორებით, მდებარე მოზრდილი გორის თხემ-

სა და ფერდებზე. ზედაპირულად აკრეფილია ადრინდ. და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის კერამიკა. შეიმჩნევა სწორკუთხა ნაგებობათა ქვის საძირკვლები. გორის ჩრდ. ფერდის ძირში სამაროვანია (ქვაწრიანი სამარხები და მცირე ზომის ყორღანები). 1987 გაითხარა ძვ. წ. XIV–XIII სს. ქვა-მიწაყრილიანი ყორღანი (სიმაღლე 0,5 *მ,* დიამ. 10 *მ).* ჩრდ. ნაწილში აღმოჩნდა სანაცრე ორმო, რ-შიც პატარა ჭურჭელი იდო. ყორღანის ქვაყრილის ქვეშ გამოვლინდა ფლეთილი ქვის მშრალი წყობით ნაგები ოთხკუთხა ფორმის დასაკრძალავი კამერა (სიმაღლე 1,7 *მ,* ფართ. 5 *მ*^{2}), შევსებული ნაცრიანი მიწით, პემზითა და ქვით. მასში არეული იყო მიცვალებულთა ძვლები და კერამ. ნაშთები (შავი და მოყვითალო რუხი ფერის გეომ. ჭრილი ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭელი). ნაპოვნია აგრეთვე ქვისა და პასტის მძივები, ბრინჯაოს სამკაული და იარაღი (ქედიანი სატევრისპირი, ისრისპირი, რგოლები და სხვ.).

დ ი გ ა შ ე ნ ი III – ნამოსახლარი პირველისაგან დას-ით 1,5 *კმ*-ზე, მდ. ფარავნის მარჯვ. ნაპირას მდებარე დაბალ ბორცვზეა. ზედაპირულად აკრეფილია ადრინდ. და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის არქეოლ. მასალა. ნამოსახლარს გარს აკრავს სამაროვანი (მცირე ზომის ყორღანები და ქვაწრიანი სამარხები).

დ ი გ ა შ ე ნ ი IV – ნამოსახლარი მდებარეობს პატარა ხორენიას დას. ნაწილში, მდ. ფარავნის მარცხ. ნაპირას, შემაღლებულ კონცხზე. აღმ-იდან და სამხრ.-აღმ. მხრიდან აკრავს გვიანდ. ბრინჯაოს ხანის სამაროვანი. 1989 გაითხარა ძვ. წ. XIV–XIII სს. ერთი ყორღანი და 4 ორმოსამარხი. ყორღანი ოთხკუთხა ფორმის იყო (9 *მ* ×10 *მ).* დაბალი ქვაყრილის ქვეშ აღმოჩნდა დიდი ლოდებით შემოზღუდული და დიდი ლოდებითვე გადახურული დასაკრძალავი კამერა (3 *მ* × 1 *მ* × 0,9 *მ).* მიცვალებულთა ძვლები და არქეოლ. მასალა (თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს იარაღი, სამკაული, ქვისა და პასტის მძივები, პასტის მძივსაკიდი) ერთმანეთში იყო არეული. ორმოსამარხები ოთხკუთხა ან წრიული ფორმისაა, რ-ებიც დამხრობილია ჩრდილოეთისა და სამხრეთის ხაზზე და განკუთვნილია თითო მიცვალებულისათვის. გადახურული იყო დიდი ზომის ბრტყელი ქვებით. მიცვალებულები ესვენენ თავით ჩრდ-კენ, გვერდზე, მოკუნტულ მდგომარეობაში. თავთან ედგათ 2 ან 3 თიხის ჭურჭელი.

დ ი გ ა შ ე ნ ი V – ნამოსახლარი მდებარეობს პატარა ხორენიას აღმ. ნაწილში, ვაკეზე. ზედაპირულად აკრეფილია მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა.

მასალა დაცულია საქართველოს ეროვნ. მუზეუმის ს. ჯვანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ო., ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976; О р д ж о н и к и д з е А., Работы Джавахетской экспедиции на памятниках бронзового века, კრ.: Полевые археологические исследования в 1987 г., Тб., 1995. *ა. ორჯონიკიძე.*

დიგორი, მხარე თანამედროვე ჩრდ. ოსეთის რესპუბლიკაში (რუსეთის ფედერაცია). მოიცავს მდ. ურუხის აუზს. VII ს. სომხ. ანონიმურ გეოგრაფიაში იგი მოხსენიებულია „აშტიგორის'' სახელწოდებით. XII–XIII სს-ში დ-ის ტერიტ. დანარჩენ ალან-ოსეთთან ერთად საქართვ. სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) მიხედვით, დ-ის თემი იყოფოდა ორად: ჩერქეზიძედ და ბაზალიძედ. ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი (XVIII ს.) იმერეთის სამეფოს ჩრდ. საზღვრად ასახელებს დიგორის მთას. დ-ზე გადიოდა დას. საქართველოს ჩრდ. კავკასიასთან დამაკავშირებელი გზა. ეს გზა გაიარეს რუსეთში მიმავალმა მეფეებმა – *თეიმურაზ I-მა* (1659) და *ვახტანგ VI–მ* (1724). ი. *გიულდენშტედტი* (1772) დ-ში ასახელებს 50 ოსურ სოფელს.

წყარო და *ლიტ.:* ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს მოგზაურობა საქართველოში, გ. გელასშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1964; საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედ., ნაწ. 1, თბ., 1948; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959. *ჯ. გვასალია.*

დიდავა გიორგი კუკურის ძე (დ. 7. VIII. 1958, ქუთაისი), პათოლოგანატომი. მედ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2004). 1981 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი; 1986–99 იყო თბილ. ცენტრ. პათოლოგიური ლაბორ. ხელმძღვანელი, 1999-იდან – შპს მოზრდილთა და ბავშვთა პათოლოგიის პათოლოგანატომიური სამეცნ.-პრაქტიკული ცენტრის დირექტორი.

2008-იდან არის შპს ,,ავერსის'' კლინიკის პათოლოგანატომი, 1993-იდან – გ. ჟვანიას სახ. პედიატრიული კლინიკის პათოლოგანატომი.

დ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი. სამეცნ. მუშაობის ძირითადი სფეროა რეანიმაციული პათოლოგიის სტრუქტურული საფუძვლები.

„დიდა ვოი ნანა“, ქართული (მეგრული) ხალხური ლირიკული სიმღერის თვალსაჩინო ნიმუში. ძირითადად იმღერება ჩონგურის თანხლებით. სიმღერა სამხმიანია, აგებულია მრავალხმიანობის ბურდონულ და კომპლ. ტიპებზე. ძირითადად ასრულებენ ქალები. მოითხოვს მელოდიის კანტილენურ გამღერებას, დინჯ და აუღელვებელ შესრულებას. *ი. ყორდანია.*

დიდაქტიკა (ბერძნ. didaktikos – დამრიგებლობითი), *პედაგოგიკის* დარგი, რ-იც მეცნიერულად ამუშავებს *სწავლებისა* და *განათლების* თეორიას. ტერმ. ,,დ.'' პირველად შემოიღო გერმ. პედაგოგმა ვ. რატკემ (1571–1635), რ-იც თავის თავს დიდაქტიკოსს უწოდებდა. სწავლებისა და განათლების თეორიის პირველი მწყობრი მეცნ. სისტემის შემქმნელად აღიარებულია ჩეხი მეცნიერი იან *კომენსკი,* რ-ის შეხედულებებიც შემდგომ განავითარეს პროგრესულმა პედაგოგებმა ი. ჰ. პესტალოციმ (შვეიცარია), ა. დისტერვეგმა (გერმანია), კ. უშინსკიმ (რუსეთი), ი. *გოგებაშვილმა.*

ს კ ო ლ ა მ დ ე ლ ი დ. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შემეცნებითი უნარისა და ჩვევის ფორმირება-განვითარების თეორიაა. იგი მოიცავს სკოლამდელთა ქცევის ძირითადი ფორმის – თამაშის – მეცნ. მეთოდიკის საკითხებს, აგრეთვე სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ყოველმხრივი (გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტ., ფიზ.) განვითარების კონკრეტულ გზებსა და საშუალებებს.

ს ა ს კ ო ლ ო დ-ის სფერო მეტად ფართოა. ისტორიულად დ. სასკოლო ასაკის ბავშვთა სწავლების თეორიას წარმოადგენდა. სასკოლო დ. შეისწავლის ამ ასაკის მოსწავლეთა ქცევის ძირითადი ფორმის – სწავლის, აგრეთვე სწავლების კანონზომიერებებს ასაკობრივი საფეხურების (უმცროსი, საშ. და უფროსი) მიხედვით, განსაზღვრავს სწავლებისა და განათლების შინაარსს, პრინციპებს, მეთოდებს, ორგანიზაციის ფორმებს და ა. შ.

უ მ ა ღ ლ ე ს ი ს კ ო ლ ი ს დ. შედარებით ახ. დარგია. იგი მო-

წოდებულია შეისწავლოს უმაღლ. განათლების ზოგადი ხასიათის საკითხები: სასწ. გეგმების, პროგრამების, სახელმძღვანელოების აგების პრინციპები; სასწ. მუშაობის ფორმები (ლექცია, სემინარი, პრაქტ.-ლაბორ. მუშაობა, დამოუკიდებელი მუშაობა, სტუდენტთა სამეცნ.-კვლ. მუშაობა და სხვ.) და მეთოდები.

სწავლებისა და განათლების საკითხების დამუშავებისას დ. ემყარება სწავლებისა და აღზრდის განუყოფლობის ზოგად პედ. პრინციპს. სწავლებისა და განათლების დიდაქტ. პრინციპებია: ცოდნის სისტემატურობა და სწავლების თანამიმდევრობა, შეგნებულობა და აქტიურობა, თვალსაჩინოება, მისაწვდომობა და მოსწავლისადმი ინდივიდ. მიდგომა, ცოდნა-ჩვევების მტკიცედ შეთვისება. სწავლების პროცესში ეს პრინციპები ურთიერთს განაპირობებენ. დიდაქტ. პრობლემათა კვლევის მეთოდები მრავალფეროვანია, მათი შერჩევა დამოკიდებულია შესასწავლი პრობლემის ხასიათსა და თავისებურებაზე.



დიდბაია. დიდყვავილოვანი დიდბაია (Caltha palustris).

დ. მჭიდროდ უკავშირდება პედაგოგიკასა და ბავშვის ფსიქოლოგიას, უმაღლ. ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიას, სოციოლოგიას, ცალკეული სასწავლო საგნის სწავლების მეთოდიკას. მეტად ნაყოფიერია დიდაქტ., ფსიქოლ. და ფიზიოლ. ექსპერიმენტების ურთიერთშეხამებით მოპოვებული კვლევის შედეგები. სწორედ ამ გზით მოწმდება სკოლებში ახ. სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები, რ-ებიც საფუძვლად ედება სწავლების ახ. შინაარსს სკოლაში.

ლიტ.: ბურჭულაძე მ., მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება და შეფასება საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, თბ., 1974; გურგენიძე დ., მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების საკითხები, თბ., 1957; თავზიშვილი გ., პოლიტექნიკური სწავლების საკითხისათვის, თბ., 1955; ლორთქიფანიძე დ., სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია და მეთოდები, თბ., 1954; მისივე, დიდაქტიკა, თბ., 1983; პატარაია ბ., პროექტების მეთოდისათვის, ტფ., 1931; სიხარულიძე შ., დიდაქტიკა, თბ., 1939; მისივე, საწარმოო სწავლების სისტემა, თბ., 1962; მისივე, Проблемы дидактики и методики преподавания учебных предметов в школе, М., 1982.

დ. გურგენიძე.

დიდაქტიკური ლიტერატურა, დამრიგებლური ხასიათის ლიტერატურა, რ-იც მხატვრული ფორმით გადმოსცემს მეცნ., ფილოს., რელიგ., მორალურ პრინციპებსა და იდეებს, მიზნად ისახავს ადამიანის ზნეობრივ აღზრდას, სულიერ ამაღლებას. დ. ლ. ჟანრობრივად მრავალფეროვანია: დიდაქტ. ეპოსი, ლირიკა, დრამა. განსაკუთრებით გავრცელებულია ალეგორიული ეპოსი, იგავ-არაკი, აფორიზმი, არაკი, მორალიტე, სასკოლო დრამა და სხვ.

ისტ. განვითარების პროცესში დ. ლ. გამოხატავდა ამა თუ იმ ეპოქის კლასობრივ-პოლიტ. სულისკვეთებას. შუა საუკუნეებში დიდაქტ. ხასიათი ჰქონდა რელიგ. ლიტ-რას (მ. ლუთერის „საუბრები სუფრასთან'', ე. როტერდამელის „საოჯახო საუბრები'', იოანე ბოლნელის ქადაგებანი და სხვ.). დიდაქტ. მოტივებმა არაერთი მწერლის შემოქმედებაში დაიკავა ძირითადი ადგილი (ლაფონტენის, ლესინგის, ს.-ს. ორბელიანის იგავ-არაკები, ჯ. ლილოს პიესები, რიჩარდსონის რომანები და სხვ.). დ. ლ. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფართოდ გავრცელდა ევროპაში; დადასტურებულია აგრეთვე ბერძნ.-რომაულ ლიტერატურაშიც. დ. ლ-ის ნიმუშებია: „პანჩატანტრა'', „კონფუციური ტრაქტატები'', „ქილილა და დამანა'' და სხვ. დიდაქტ. მოტივებს შეიცავს ჰესიოდეს „საშუაონი და დღენი'', მარკუს ავრელიუსის „ფიქრები'', საადის „ბუსთანი'', ომარ ხაიამის რობაიები და სხვ.

ქართ. ლიტერატურიდან აღსანიშნავია იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბე'', არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანი'', ს.-ს. ორბელიანის „წიგნი სიბრძნესიცრუისა'' და „სწავლანი ანუ ქადაგებანი'', დ. გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა'' და სხვ.

გ. ლომძიძე.

დიდაჭარა, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტში (აჭარის არ), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. აჭარისწყლის მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: დ., ბოღაური, ირემაძეები). ზ. დ. 1000 *მ*, ხულოდან 5 *კმ*. 1,4 ათ. მცხ. (2002).

დ. ზემო აჭარის უძველესი სოფელია. შუა საუკუნეებში სახელწ. ,,დიდაჭარა'' ქვეყანას აღნიშნავდა, ასეთი მნიშვნელობითაა ის დადასტურებული გიორგი მთაწმიდლის ,,ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლაში'' (XI ს.): ,,...შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგებად სახარებისა''.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, [წგ.] 1, ბათ., 1958.

ი. სიხარულიძე.

დიდაჭარის განძი, ძვ. წ. XIV–XIII სს. ბრინჯაოს კოლხური ცულების განძი. აღმოაჩინეს 1964 სოფ. დიდაჭარაში (ხულოს მუნიციპალიტეტი); ქორიძისეული I ტიპის 20 კოლხური ცული ჩალაგებული იყო ხელით გამოძერწილ თიხის ჭურჭელში.

განძი დაცულია ხ. ახვლედიანის სახ. აჭარის სახელმწ. მუზეუმში.

ლიტ.: ინაიშვილი ა., დიდაჭარის განძი და კოლხური ნივთიერი კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, წგ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. 5, თბ., 1975; რამიშვილი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974.

ა. რამიშვილი.

დიდბაია, ჭყანტა (Caltha), მცენარეთა გვარი ბაიასებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახებია. აქვთ მორიგეობით განლაგებული ფართო, გულისებრი პრიალა ფოთლები, დიდი, კაშკაშა ყვითელი ყვავილები, ფოთლურა ნაყოფი. მისი 20-მდე სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერსა და ცივ სარტყელში. საქართველოში გვხვდება 2 სახეობა: დიდყვავილოვანი C. palustris და პატარაყვავილიანი C. polypetala, რ-ებიც იზრდებიან დაჭაობებულ ან ტენიან მდელოებზე, სუბალპ. და ალპ. სარტყელში, იშვიათად – უფრო დაბლაც. *ლ. ხინთიბიძე.*

დიდგვარიანი, ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული ტერმინი ფეოდალთა ზედა ფენის წარმომადგენლის აღსანიშნავად. დ. იყო ყმა-მრავალი, დიდი ადგილ-მამულის პატრონი, რაიმე საპატიო „ხელის'' (თანამდებობის) მქონე აზნაური ან თავადი, რ-იც თავისი წარმოშობით უპირისპირდებოდა პირადი სამსახურით აღზევებულ პირებს.

დიდგვერდი, მთა ახმეტის მუნიციპალიტეტში, კახეთის კავკასიონზე, მდ. ალაზნის მარცხ. შენაკადების – სამყურისწყლისა და სტორის წყალგამყოფ დიდგვერდის ქედზე. სიმაღლე ზ. დ. 3334 *მ*. აგებულია იურული თიხაფიქლებით. კალთები ციცაბოა. ზემო ნაწილში შემონახულია რელიეფის მყინვარული ფორმები. შემოსილია ალპ. მდელოებით.

დიდგორი, მთა თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში, დიდგორის ქედზე (თრიალეთის ქედის განშტოე-

ბა), დაბა მანგლისის ჩრდ.-აღმ-ით, მდ. მტკვრის მარჯვ. შენაკადების – ვერისა და ნიჩბისისწყლის სათავეში. სიმაღლე ზ. დ. 1631 *მ.* აგებულია ზედა- და შუაეოცენური თიხებით, ქვიშაქვებით, ტუფ-ბრექჩიებითა და ტუფებით. კალთები დამრეცია, დანაწევრებულია ეროზიული ხეობებით. შემოსილია წიფლის ტყით. მწვერვალზე მეორეული სუბალპ. მდელოა.

დიდგორი, მთა ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, თრიალეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, სოფ. დიღმის ჩრდ.-დას-ით. სიმაღლე ზ. დ. 1275 *მ.* აგებულია ზედაეოცენური დანალექი ქანებით. კალთები საშუალოდ დახრილია და შემოსილია ფოთლოვანი ტყით. ჩრდ. კალთის ზემო ნაწილში განვითარებულია ბედლენდი. მთის წვერზე შემორჩენილია წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები.

დიდგორი, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ორბეთის თემში (ქვემო ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 1240 *მ,* თეთრი წყაროდან 35 *კმ.* 129 მცხ. (2002).

დიდგორი, სოფელი ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში (ვაკე-საბურთალოს რ-ნი), მდ. დიღმისწყლის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში, საწკეპელას ქედის სამხრ.-აღმ. კალთაზე. ზ. დ. 900 *მ.*

1069 მეფე *ბაგრატ IV* დ-ში დაბანაკდა და სათავეში ჩაუდგა საქართველოში შემოჭრილ განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებს. ბაგრატ IV-მ მტრის წინააღმდეგ გაგზავნა მესხთა რჩეული ლაშქარი. ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს ფადლონის 30-ათასიანი ლაშქარი.

XVII–XVIII სს-ში დ. ლეკთა მარბიელი ლაშქრობების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტად იქცა. 1729 ქართვ. მეთოფეთა ლაშქარი დ-ის კოშკში ჩაუსაფრდა დიდგორ–გელიყარა–სამადლოს გზით ჯავახეთში გადასულ ლეკთა მარბიელ რაზმებს, უკან მობრუნებული მტერი ქართვ. მეთოფეებმა გაანადგურეს და ნადავლი დაატოვებინეს.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, 4, თბ., 1955, 1973. *ჯ. კახძე.*

დიდგორის არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დროის ძეგლები დიდგორის ველზე. გათხარეს 1975. ყველაზე ადრეულია გვიანდ. ნეოლითის ხანის ნასახლარი. ადგილ გრძელ ველზე, დიდგორიდან სოფ. ღვევისაკენ (თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი) მიმავალი გზის პირას გაითხარა 3 ყორღანი. სავარაუდოა, რომ სამივე ძვ. წ. III ათასწლ. ბოლო საუკუნეებისაა. სოფ. ტაბარუკიდან (მცხეთის მუნიციპალიტეტი) დიდგორზე მიმავალი გზის პირას გაითხარა ქვაყრილიანი ყორღანი, რ-იც აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის მიხედვით, ძვ. წ. XV–XIV სს-ით თარიღდება. ძეგლი გვიანდ. ბრინჯაოს ხანის იმ არქეოლ. კულტურის წრეს მიეკუთვნება, რ-იც ძირითადად გავრცელებული იყო ქვემო ქართლში, კახეთში, დას. აზერბაიჯანსა და სომხეთში.

საკუთრივ დიდგორის ბორცვი ბუნებრივი წარმოშობისაა. მის ძირზე არის ფეოდ. ხანის ნასახლარი, თხემზე კი – სალოცავი ხატი. 1990 აქ აღიმართა დიდგორის ბრძოლის მემორიალი (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი, არქიტექტორი თ. გუნია). *მ. დათაშვილი.*

დიდგორის ბრძოლა 1121, ქართველთა ბრძოლა *დავით IV* აღმაშენებლის მეთაურობით სელჩუკიან თურქთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ, დიდგორის ველზე (მანგლისის მახლობლად, თბილისის მისადგომებთან). XII ს. დამდეგს სამეფო ხელისუფლების მიერ გატარებული სახელმწიფოებრივი რეფორმების შედეგად ფეოდ. საქართველო გაძლიერდა. დავით აღმაშენებელი მკაცრად გაუსწორდა შინაურ მტრებს, სამეფო ხელისუფლებისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ დიდგვაროვან ფეოდალებს, შემდეგ კი საქართველოში მოკალათებულ სელჩუკიან თურქთა განდევნასა და ქვეყნის შემომტკიცებას მიჰყო ხელი. 1099 მათ ხარკის მიცემა შეუწყვიტა. ქართვ. ხალხმა ბრძოლით დაიბრუნა ზედაზენი (1103), სამშვილდე (1110), რუსთავი (1115), გიში (1117), ლორე (1118), საქართვ. შემოუერთა ჰერეთი და კახეთი (1104). საქართვ. სამეფო კარმა ფართო მასშტაბის ენერგიული ღონისძიებების გატარების შემდეგ (ლაშქრის კარდინალური რეორგანიზაცია, ყივჩაყთა ჩამოსახლება და მუდმივი რეგულარული ჯარის შექმნა) აქტ. ბრძოლის ტაქტიკა აირჩია. 1120-იდან დავით აღმაშენებელმა საბრძოლო მოქმედება საქართვ. ფარგლებს გარეთ (ბორტია, ყაბალა, აშორნია, ბარდავი, ხუნანი და სხვ.) გადაიტანა. ქართველებმა განდევნეს სელჩუკიანი დამპყრობლები არა მარტო საკუთარი, არამედ მეზობელი ქვეყნებიდანაც. საქართველოსთან ერთად სელჩუკიანი თურქები ამიერკავკასიაში და საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის სხვა დაპყრობილ ქვეყნებშიც კარგავდნენ პირველობას. ამიტომ მათ წინაშე წამოიჭრა საქართველოს გზიდან ჩამოცილების საკითხი.

ძვ. ისტორიკოსთა (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, მათეოს ურჰაეცი, აჰმად ალ-ფარიკი) მოწმობით, საქართველოდან განდევნილმა სელჩუკიანმა თურქებმა და თბილისის, დმანისისა და განძის მმართველთა წარმომადგენლებმა სხვა მუსლიმან მფლობელებს მიმართეს დახმარებისათვის. მუსლიმანთა გაერთ. ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის წამომწყები და ხელმძღვანელი ჩანს ერაყის სელჩუკიანთა გამგებელი სულთანი მაჰმუდ მოჰამედის ძე (1117–31) – როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გვამცნობს, მაჰმუდმა მუსლიმანებს მიმართა, „სადაღაცა ვინ იყო, დამასკო და ჰალაბიდან ამოღმართ, ყოველსა მხედრობად შემძლებელსა'' მონაწილეობა მიეღო საქართველოსთან ომში. საომრად შეიკრიბნენ აღმოსავლეთის ცნობილი და გავლენიანი პირები. კოალიციურ ლაშქარს სულთნის სახელით სათავეში ჩაუდგა ანტიჯვაროსნული ომის მთავარსარდალი, ბაღდადის გამგებელი ნაჯმ ად-დინ ილღაზი, რ-იც სელჩუკ მფლობელთა შორის უძლიერესი, „ზვიადი და ძლიერი'' (მათეოს ურჰაეცი), ამასთან „დაჰმანი (მარჯვე) და მრავალღონე'' იყო. 1121 აგვ. პირველ ნახევარში მუსლიმანთა ურიცხვი ლაშქარი „ვითარცა ქვიშა ზღუსა'' თრიალეთ-მანგლისსა და დიდგორში განლაგდა და ხელთ იგდო ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული მისადგომი.

თრიალეთისა და დიდგორის შეკრების ადგილად შერჩევა არ იყო შემთხვევითი. აქედან მტერი ადვილად წამოვიდოდა თბილისისაკენ. დიდგორი თბილისის ერთ-ერთი კარი იყო, საიდანაც მცხეთის შემოვლით შეიძლებოდა შიდა ქართლში შესვლა. ი. ჯავახიშვილის ვარაუდით, სელჩუკიან თურქთა კოალიციური ჯარი 300 000 მეომრისაგან შედგებოდა (ფრანგი ისტორიკოსი გოტიე 600 000 ასახელებს) და ბევრად აღემატებოდა საქართველოს ლაშქარს. მათეოს

ურჰაეცის ცნობით, ქართველთა ლაშქარში შედიოდა 40 000 ქართველი, 15 000 ყივჩაყი, 500 ალანი და 100 „ფრანგი“ (ე. ი. ევროპელი) მეომარი.

დავით აღმაშენებლის სარდლობით საქართვ. ლაშქარი დიდგორის ველს ნიჩბისის ხევიდან მიუახლოვდა. როგორც გოტიე წერს, დავითის ლაშქარი დაბანაკებულა ორ მთას შორის მდებარე დაბურულ ტყეში, სადაც მტერი აპირებდა გავლას. ბრძოლის წინ მეფეს სიტყვით მიუმართავს ლაშქრისათვის. დაბანაკებულ ქართველთა ლაშქარს ხევის ვიწრო შესასვლელი ხეთა ხორგებით შეუკრავს და თავისთვის უკანდასახევი ერთადერთი გზაც გადაუკეტავს. მებრძოლებს ან უნდა გაემარჯვათ, ანდა მტრისთვის ზურგშეუქცევლი სიკვდილით დაემტკიცებინათ თავიანთი თავდადება. დ. ბ. 1121 წ. 12 აგვ. დაწყებულა. ბრძოლის დაწყების წინ დავით აღმაშენებელმა ტაქტიკურ ხერხს მიმართა: როცა ორივე მოწინააღმდეგე ლაშქარი საომრად გამწკრივდა, საქართვ. მხედრობას 200 ცხენოსანი გამოეყო და მტრის რაზმისაკენ გაიჭრა. მუსლიმანთა ლაშქრის სარდლობას ისინი მეფის მოღალატეები ეგონა და დაუბრკოლებლად შეუშვა თავის განლაგებაში. მოულოდნელად მხედრებმა იარაღი აშიშვლეს და მტრის მეომრებს დაერივნენ; გაბედულმა ხერხმა მტერი დააბნია და საქართველოს ლაშქარმა მტრის ფლანგებს ორი მხრიდან შეუტია. ლაშქრის მთავარი ძალა დავით აღმაშენებლის სარდლობით ნიჩბისის ხევით დას-იდან უტევდა მტერს, ხოლო დიდგორის ერთ-ერთი მთიდან დემეტრე დავითის ძე დაეშვა თავისი ჯარით და მთის ძირში საომრად დაწყობილ ლაშქარს ეკვეთა. მტრის ლაშქრის დიდმა ნაწილმა ბრძოლის ველს ზურგი შეაქცია. თვით დაჭრილმა ილღაზმა ძლივს დააღწია თავი ტყვეობას. 8 დღე სდიეს ქართველებმა გაქცეულ მტერს, სელჩუკიან თურქთა დამარცხებულმა ჯარმა დიდი ზარალი ნახა. ბუნებრივია, დ. ბ-მ საქართვ. მოლაშქრეც ბევრი შეიწირა, მაგრამ ეს მტრის ჯარის დანაკლისთან შედარებით ისე მცირე ყოფილა, რომ არც ერთი ისტორიკოსი ამაზე არ ლაპარაკობს. პირიქით, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აცხადებს, რომ საქართვ. მეფემ „თავისნი სპანი დაიცვნა უვნებლად“. ამ გამარჯვებას მან „ძლევაჲ საკჳრველი“ უწოდა. გამარჯვებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დავით აღმაშენებლის გააზრებულ მოქმედებას, სწორ სტრატეგიულ ჩანაფიქრსა და ტაქტიკური სიახლეების გამოყენებას. სელჩუკიანთა დამარცხებას ხელი შეუწყო დიდგორ-მანგლისის მიდამოების სწორად გამოყენებამ. მუსლ. კოალიციის ძალები ადგილის სივიწროვის გამო ვრცელ ტერიტორიაზე (თრიალეთიდან მანგლისამდე) გაიშალნენ, მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა ვერ მოახერხა საბრძოლო წყობად შეკვრა. შეცდომები დაუშვა მტრის ლაშქრის სარდლობამაც. იგი თავისი ლაშქრის სიმრავლის გამო ზედმეტად თავდაჯერებული და გამარჯვებაში დარწმუნებული იყო. დავით აღმაშენებელმა მტერს არ მისცა რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების საშუალება. დ. ბ-ში ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ 1122 დავით აღმაშენებელმა საქართვ. სამეფოს თბილისი შემოუერთა და სატახტო ქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა.

დ. ბ. და თბილისის შემოერთება – უდიდესი ისტ. მნიშვნელობის მოვლენა – არსებითად ერთგვარი დასასრული იყო იმ მრავალწლიანი სამართლიანი ომებისა, რ-თა გადატანა მოუხდა საქართველოს XI ს. მიწურულსა და XII ს. პირველ მეოთხედში. დ. ბ-ში გამარჯვებამ ბოლო მოუღო სელჩუკიან თურქთა ბატონობას საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში, დაამტკიცა ქართ. ფეოდ. საზ-ბის სოც.-ეკონ. წყობისა და პოლიტ. სისტემის უპირატესობა, მისი პროგრესულობა და სიცოცხლისუნარიანობა იმ ძალებთან შედარებით, რ-ებიც წინ აღუდგნენ მის შემდგომ ზრდასა და განმტკიცებას.

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: მესხია შ., ძლევაჲ საკვირველი, თბ., 1972; მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990; ჩხატარაიშვილი ქ., შაიშმელაშვილი ი., დიდგორის ბრძოლა, თბ., 1973.

რ. მეტრეველი.

დიდგორმაღალი, მთა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, მდინარეების ასკისწყლისა და ლაჯანურის (რიონის მარჯვ. შენაკადები) წყალგამყოფ ხარიშის ქედზე. სიმაღლე ზ. დ. 2241 *მ.* აგებულია ზედალიასური ქვიშა-ქვებითა და თიხაფიქლებით. რელიეფის ფორმები ნაზკონტურებიანია. კალთები შემოსილია სუბალპ. მდელოებით.

დიდგორობა, ხალხური რელიგიური დღეობა ქართლში, იმართებოდა 7 (20) მაისს დიდგორის ველზე, სოფ. დიღომთან, დღეობაზე მოდიოდნენ დიღმის ხეობის, ქართლკახეთის ზოგიერთი სოფლისა და თბილისის მცხოვრებნი. მოსულთა შორის იყვნენ ხელოსნები და ვაჭრები, რ-ებიც ჩამოტანილი საქონლით ვაჭრობდნენ. აქვე კლავდნენ შესაწირს, ნათლავდნენ ბავშვებს და მართავდნენ პურობას. აქ შემორჩენილია წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები, რ-ის საკურთხეველთან ადრე აღმართული ყოფილა ფალოსის გამოსახულება (ამჟამად დაცულია საქართვ. ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში). დღეობაზე იმართებოდა ჯირითი. ყველა მოჯირითეს ერთხელ მაინც უნდა შეეჯენებინა ცხენი „მოვიდა გორაზე“ (ასე ეწოდებოდა პატარა გორას). ქართლის გარდა, დ. ხევსურეთშიც აღინიშნებოდა.

ჯ. სონღულაშვილი.



დიდგულა. ყლორტი ნაყოფით.

დიდგულა (Sambucus nigra), ტოტებგაშლილი ბუჩქი ან პატარა ხე ცხრატყავასებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლეა 3–6 *მ.* აქვს მწვანე ყლორტები. ტოტები და ღერო დაფარულია მონაცრისფერო-ჩალისფერი ქერქით. დ-ს ღეროსა და ყლორტების გული თეთრი და რბილია. თეთრი ან მოყვითალო-მოთეთრო წვრილი ყვავილები შეკრებილია მსხვილ კენწრულ ფარისებრ-საგველა ყვავილედში. მოშავო-მოიისფრო კენკრასებრი ნაყოფი წვნიანია. გავრცელებულია ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში, მცირე აზიასა და კავკასიაში. საქართველოში თითქმის ყველგან არის გავრცელებული. ჩრდილის ამტანია. იზრდება ტყეში, ტყის პირებსა და ხევებში მთის შუა სარტყლამდე, უმთავრესად ტენიან ფერდობებზე. დ-ს ქერქს, ყვავილსა და ნაყოფს იყენებენ მედიცინაში. ნაყოფს ხმარობენ აბრეშუმის ქსოვილების საღებავად. დ. დეკორ. ბუჩქია.

ლ. ხინთიბიძე.

„დიდება“, ხატის, ღვთაების სადიდებელი სიმღერა-გალობა, ხშირად ასრულებენ ფერხულთან ერთად საეკლ. დღესასწაულებზე, სახ. დღეობებში (ალავერდობა, კვირიკობა, მარიამობა, თეთრი გიორგობა, იახსარობა, ლაშაროობა, კოპალობა, პირქუშობა). სიმღერა-გალობას ასრულებდა როგორც ვაჟთა, ისე ქალთა ორ-სამხმიანი

გუნდი (ანტიფონურად). განსაკუთრებით დამახასიათებელია აღმ. საქართველოსათვის.

დ. ერქვა აგრეთვე თეთრი გიორგის სადიდებელ ძველთაძველ, პანტომიმური ხასიათის ქალთა ფერხულს, რ-იც ხშირად ერთვოდა გუნდურ სიმღერა-გალობას.

გავრცელებული რელიგ. რიტუალი იყო დ-ზე ს ი ა რ უ ლ ი. გამუდმებული გვალვის ან ავდრის დროს ფეხშიშველა ქალები კარდაკარ დადიოდნენ, „დ-ს“ გალობდნენ და ამინდის ღვთაებას ლაზარეს (იხ. *ლაზაროба)* გვალვაში წვიმას შესთხოვდნენ, ავდარში – გამოდარებას. შეგროვილი თანხით ნაყიდ „საღვთოს“ კი ელიას სწირავდნენ იმ იმედით, რომ იგი მათ თხოვნას შეისმენდა.

ლიტ.: ქართული ხალხური პოეზია, ტ. 1, თბ., 1972; ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე გ., ქართული ხალხური სიმღერა, ტ. 1, თბ., 1960; А р а к ч и е в Д. И., Краткий очерк развития грузинской карталино-кахетинской народной песни ..., М., 1905.

გ. ჩხიკვაძე. ლ. გვარამაძე.

„დიდება“, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–21) ჰიმნი. მუსიკისა და ტექსტის ავტორია კ. *ფოცხვერაშვილი.* ჰიმნი პირველად ოფიციალურად აჟღერდა საქართვ. დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს (1918 წ. 26. V). ამის შემდგომ იგი ნაწილობრივ გადაამუშავა სპეც. კომისიამ და საბოლოო სახით დიდი გუნდისა და ორკესტრის მიერ შესრულდა რესპუბლიკის შექმნის წლისთავზე (1919 წ. 26. V). ოფიც. ჰიმნად „დ.“ გამოცხადდა სპეც. კონკურსის გარეშე. ჰიმნის მუს. ენაში (განსაკუთრებით კადანსებში) შეინიშნება ქართ. მუს. სისტემის კანონზომიერებები. 1990–2004 „დ.“ კვლავ დამოუკიდებელი საქართველოს რესპ. ჰიმნი იყო.

ლიტ.: ჟ ო რ დ ა ნ ი ა ი., „დიდება“ – ქართული ეროვნული ჰიმნი, «სამშობლო», 1989, 26 მაისი. *ი. ჟორდანია.*

დიდება, სოფელი ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში (დიდგორის რ-ნი), კოჯრის ქედზე. ზ. დ. 1150 *მ.*

„დიდებათა“, უძველესი ქართული (სვანური) ხალხური ცეკვა, რიტუალურ-რელიგიური ხასიათის ფერხული. სრულდება საეკლ. დღესასწაულებზე (კერძოდ წმ. გიორგობაზე) და ლხინის დროსაც. ასრულებენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერის თანხლებით. სიმღერა იწყება დინჯად და თანდათანობით ჩქარდება. მუს. ზომა 4/4. *ო. ჩიჯავაძე.*

დიდებანი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის გუდამაყრის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მთიულეთის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, გუდამაყრის ხეობაში. ზ. დ. 1420 *მ,* დუშეთიდან 55 *კმ.* 50 მცხ. (2002).

დიდების ტაძარი, კავკასიის ოლქის შტაბთან არსებული სამხედრო-ისტორიული მუზეუმი (1888-იდან) გოლოვინის (ახლანდ. რუსთაველის) პროსპექტზე. აიგო 1877–78 რუსეთ-ოსმ. ომში რუს. გამარჯვების აღსანიშნავად (არქიტ. ა. *ზალცმანი*), იმპერატორ ალექსანდრე III-ის თანხმობით და ა. დონდუკოვ-კორსაკოვის ბრძანებით. 1885 დამტკიცდა არქიტ. ა. ზალცმანის პროექტი (რ-საც საფუძვლად დაედო არქიტ. პიო პიაჩენტინის პროექტით აგებული რომის საგამოფენო სასახლის ფასადი) და გამოიცა ბრძანება სამხ. უწყებისათვის ალექსანდრეს ბაღის ზედა ნაწილის გადაცემის თაობაზე. 1888 დამთავრდა შენობის მშენებლობა და შეგროვდა ექსპოზიციისათვის საჭირო ექსპონატები: საიმპერატორო გვარეულობის წევრთა და მხედართმთავართა პორტრეტები, ბატალური სცენების ამსახველი ტილოები, რუს. და სპარს.-თურქ. სამხედრო საჭურველი; სურათები საგანგებო შეკვეთით შეასრულეს იმ დროის ცნობილმა მხატვრებმა – ი. აივაზოვსკიმ, ფ. რუბომ, ნ. სამოკიშმა, პ. კოლჩინმა და სხვ. ექსპოზიცია რუსეთის მიერ წარმოებულ რუს.-კავკ. ომების ისტორიას ასახავდა. ექსპონატების შერჩევა და მათი დაცვისათვის თვალყურის დევნება სპეციალურად დანიშნულ კომისიას ევალებოდა. შენობის ფასადზე მიმაგრებული იყო 12 დაფა, რ-ებზეც ამოტვიფრული იყო კავკასიის ომების მნიშვნელოვანი თარიღები და მოვლენები. შენობის გარშემო იდგა 38 ზარბაზანი – ომის ნადავლი. 1914 გალერეის ექსპოზიცია დაიხურა. ნაწილი ექსპონატებისა გაიტანეს საქართველოდან. ფერწერული ტილოების საქართველოში დარჩენილი ნაწილი ამჟამად დაცულია შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში. ამჟამად დ. ტ-ის შენობა ეკუთვნის საქართველოს ეროვნულ გალერეას.



დიდების ტაძარი. XIX ს. დასასრული. თბილისი.

დიდებული, აზნაურთა უმაღლესი ფენის წარმომადგენელი ფეოდალური ხანის საქართველოში. დ. წარმოიშვა ცნება „დიდებისაგან“. „დიდება“ ერქვა მეფის მიერ აზნაურისათვის დიდი სახელოსა (თანამდებობა) და ამ სახელოსათვის შესაფერისი ყმა-მამულის ბოძებას. არის მოსაზრება, რომ დიდება არ იყო თანამდებობა, იგი გულისხმობდა ფეოდალის განდიდება-გაძლიერებას (ნ. შოშიაშვილი). შესაძლებელი იყო ამ დიდების როგორც მინიჭება, ისე ჩამორთმევა. დიდებამინიჭებულ აზნაურს თავდაპირველად „დიდებული აზნაური“ ეწოდებოდა, საბოლოოდ კი – მხოლოდ „დიდებული“. დ. იმთავითვე ცდილობდა მისთვის მინიჭებული დიდება-დიდმოხელეობა სათანადო ყმა-მამულითურთ სამემკვიდრეოდ ექცია. XI ს. ბოლოდან და განსაკუთრებით XII ს-ში აშკარად შეიმჩნევა „დიდების“ ცალკეულ საგვარეულოებზე დამკვიდრება. XI–XIII სს. საქართველოში დიდებულთა ცნობილი საგვარეულოებია კალმახელი, *ჯაყელები, სურამელები, ვარდანისძენი, კახაბერისძენი* და სხვ. ამ საგვარეულოთა წარმომადგენლები დიდმოხელეობას ფლობდნენ თაობიდან თაობამდე. მაგ., ქართლის ერისთავთერისთაობა XII ს. II ნახევრიდან XIII ს. ბოლომდე



ა. ი. დიდებულიძე.



ა. კ. დიდებულიძე.



გ. დიდებულიძე.

სურამელების ხელში იყო, რაჭა-არგვეთ-თაკვერის ერისთავთერისთავობა XI ს. დასაწყისიდან XIII ს. 80-იან წლებამდე კახაბერისძეებს ეპყრათ, სამცხის ერისთავთერისთავად და სპასალარად XI–XIII სს-ში ჯაყელთა სახლის წევრები ჩანან. ზოგი დ. მხარის გამგებლობასთან ერთად სამეფო კარის მოხელეც იყო, მაგ., სვანთა ერისთავი ვარდანისძე და ახალქალაქის ერისთავი კახა თორელი მეჭურჭლეთუხუცესებიც იყვნენ, ხოლო ქართლის ერისთავები, სურამელები – მსახურთუხუცესები.

დ-ები მეფის სიძლიერის წინააღმდეგი იყვნენ. ისინი მთელი XI—XIII სს. მანძილზე ებრძოდნენ მეფეს სხვადასხვა ხერხით. ითვლება, რომ თამარის ხანაში დ-ებმა მიაღწიეს მეფესთან „თანადგომის და ერთნებაობის'' უფლებას, ისინი მეფობის „თანაზიარნი'' გახდნენ (ი. ჯავახიშვილი). გამოთქმულია საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ თამარის დროს არ მომხდარა დ-თა სასარგებლოდ მეფის ხელისუფლების შეზღუდვა (შ. მესხია). მონღოლებმა ცენტრ. ხელისუფლების დასუსტების მიზნით ხელი შეუწყვეს დ-თა პარტიკულარისტულ მისწრაფებებს. მათი შემწეობით დ-ებმა საბოლოოდ დაიმკვიდრეს მოხელეობა, ერისთავთერისთავი უკვე მთავრად იწოდებოდა. ზოგმა დ-მა მეფისაგან სრულ ან ნაწილობრივ დამოუკიდებლობას მიაღწია (ათაბაგი, გურიელი, დადიანი). ფეოდალთა კლასის შემადგენლობაში დ-თა უპირატესობა თვალნათლივ აისახა ბექას სამართალში, რის მიხედვითაც, დიდებული აზნაურის სისხლი 40 ათ. თეთრი ღირდა, ტაძრეული აზნაურისა — 20 ათ., ხოლო უციხო-უმონასტრო აზნაურისა — 12 ათასი.

გვიანდ. შუა საუკუნეებში დ-თა საფუძველზე შეიქმნა თავადთა სოც. წოდება. ამ წოდების უფრო პრივილეგირებულ ნაწილს დიდებული თავადები შეადგენდნენ. XVII—XVIII სს. ქართლის სამეფოში დიდებულ თავადად ითვლებოდა ექვსი გაუყრელი საგვარეულოს მეთაური, რ-იც დიდ ყმა-მამულსა და სამოხელეო თანამდებობას ფლობდა. ესენი იყვნენ: ქსნის ერისთავი, არაგვის ერისთავი, ციციშვილი, ამილახვარი, ორბელიშვილი და სომხითის მელიქის სახლის უფროსი. ვახტანგის სამართლის მიხედვით, დიდებული თავადის სისხლი შეფასებული იყო 1536 თუმნად.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დიდებული თავადი ყველა სხვა თავადსა და აზნაურთან ერთად თავად-აზნაურთა წოდებაში გაერთიანდა.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII–XVI вв.), მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; ბერძენიშვილი ნ., საქართველო XI–XII საუკუნეებში (სოციალურ-ეკონომიკური ნარკვევი), თბ., 1970; მესხია შ., საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 1, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 6); Лордкипанидзе М., История Грузии XI – начала XIII века, Тб., 1974.

მ. ბერძნიშვილი.

დიდებულიძე ალექსანდრე იოსების ძე [14 (26). XII. 1882, თბილისი, – 18. IV. 1951, იქვე], ენერგეტიკოსი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944). ტექ. მეცნ. დოქტორი (1943), პროფესორი (1918), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1941). ფერადი ფოტოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი რუსეთში. დაამთავრა რიგის პოლიტექ. ინ-ტი (1911). 1910–16 სამეცნ.-პედ. მუშაობას ეწეოდა რიგის პოლიტექ. ინ-ტში, ხოლო 1916–17 – ოდესაში, სადაც აქტიურად მონაწილეობდა პოლიტექ. ინ-ტის შექმნაში. 1918 დაბრუნდა საქართველოში. იყო თბილ. პოლიტექნიკური ინ-ტის პროფესორი (1919–26) და რექტორი (1920–21), თსუ-ის ფიზ. კათედრის გამგე (1919–33), თსუ-ის პოლიტექ. ფაკტის პირველი დეკანი (1922–26), საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ერთერთი დამაარსებელი (1928). 1922-იდან მუშაობდა თსუ-ში, შემდეგ კი (1928-იდან გარდაცვალებამდე) საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში ზოგადი და თეორ. ელექტროტექ. კათედრის გამგედ. 1923-25 პარალელურად ხელმძღვანელობდა თბილ. გეოფიზ. ობსერვატორიას, 1932-38 - ამიერკავკ. ელექტროკავშირგაბმულობის ინჟინერთა ინ-ტის ელექტროტექ. კათედრას, 1936-45 - საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის სოფ. მეურნ. ელექტრიფიკაციის კათედრას, ხოლო 1948-51 – საქართვ. მეცნ. აკად. ენერგეტ. ინსტიტუტს. დ-მ კ. *ამირაჯიბთან* ერთად შექმნა სსრ კავშირში პირველი ელექტროტრაქტორი (1930), აგრეთვე ნათესების მოსარწყავი პირველი გრძელჭავლიანი საწვიმარი აპარატი (1932). ავტორია მნიშვნელოვანი გამოგონებებისა ტექ. დარგში.

დ-ის ხელმძღვანელობით 1923 წ. 3 სექტ. მყინვარწვერზე ავიდა საქართვ. გეოფიზ. ობსერვატორიის პირველი სამეცნ. ექსპედიცია, რმაც გ. *ნიკოლაძის* ექსპედიციასთან ერთად სათავე დაუდო საბჭ. ალპინიზმის ისტორიას. პირველად ჩატარდა დევდარაკის მყინვარისა და მყინვარწვერის გეოფიზ. კვლევა-ძიება.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლები (სახელმძღვანელო), ნაწ. 1, ტფ., 1927; ელექტრო- და მაგნიტომეტრია (სახელმძღვანელო), ტფ., 1929; Цветная фотография на солях серебра, Рига, 1915; Фоторепродукция невидимого, Тб., 1948 (თანაავტ. Г. А. Дидебулидзе).

ბიბლ.: ალექსანდრე დიდებულიძე. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. გ. მგელაძე, თბ., 1985.

დიდებულიძე ალექსანდრე კონსტანტინეს ძე (დ. 30. IX. 1944, თბილისი), ელექტრომექანიკოსი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1997). ტექ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1992). საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (1995). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1966). 1967–68 მუშაობდა იქვე, 1968–74 – საქართვ. სოფ. მეურნ. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1974-იდან მუშაობს საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში (ახლანდ. საქართვ. აგრარული უნ-ტი), 1989-იდან ელექტროტექნიკისა და ელექტრომძრავის კათედრის გამგეა. 2004–08 იყო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე.

დ-ის სამეცნ. შრომები ეხება სოფ. მეურნ. და ელექტრომექანიკის პრობლემებს – სპეც. ელექტრიფიცირებულ სატრანსპ.-ტექნოლ. მოწყობილობებს, ელექტროდანადგარების ექსპლუატაციას. მონაწილეობდა (ვ. *მეტრეველსა* და რ. ქსოვრელთან ერთად) ელექტრომაგნ. ვიბროამძრავის, პნევმოსატრანსპ. დანადგარის დამუშავებაში, რისთვისაც მიღებული აქვს სხვადასხვა ქვეყნის 40 პატენტი და საავტორო მოწმობა.

თხზ.: ავტომატიზებული ელექტროამძრავი სოფლის მეურნეობაში, ნაწ. 2, თბ., 1982 (თანაავტ.: ვ. მეტრეველი, შ. ჭელიძე); ელექტრომოწყობილობის ექსპლუატაცია, თბ., 1991 (თანაავტ. ი. წულაძე); სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები, თბ., 1997; ენერგეტიკის სექტორი საქართველოში, თბ., 1998.

ვ. მეტრეველი.

დიდებულიძე გრიგოლ ივანეს ძე [25. IV(7.V). 1898, სოფ. იგოეთი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი,

– 9. IX. 1954, თბილისი], თერაპევტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1945), პროფესორი (1945). 1916 შევიდა ვარშავის უნ-ტის სამკურნ. ფაკ-ტზე. 1919-იდან სწავლა განაგრძო თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტზე, რ-იც 1924 დაამთავრა. 1938–40 იყო თბილ. სამედ. ინ-ტის პედიატრიული ფაკ-ტის პროპედევტიკული თერაპიის კათედრის გამგე, 1940–45 – ამავე ფაკ-ტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგე. 1945-იდან განაგებდა სამკურნ. ფაკ-ტის შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრას, 1943–47 – თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის თერაპიის კათედრას, ერთდროულად, 1947–50, ხელმძღვანელობდა საქართვ. მეცნ. აკად. კარდიოლოგიის ინ-ტის კლინიკურ განყ-ბას. სტუდენტობის პერიოდში (1923) *ნ. მახვილაძესთან* ერთად აღმოაჩინა და შეისწავლა ანკილოსტომიდოზი საქართველოში. დ-მ შეისწავლა და აღწერა ბორჯომის მინერ. წყლების გავლენა თორმეტგოჯა ნაწლავის სეკრეციაზე, შემაერთებელი ქსოვილის როლი წყლის ცვლის პროცესში, კანქვეშა ქსოვილში შეყვანილი ნივთიერებების შეწოვის საკითხი და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა, კლინიკური დიაგნოსტიკის და სემიოლოგიის კურსი, გამოც. მე-3, თბ., 1960 (თანაავტ. შ. მიქელაძე).

დიდებულიძე მარიამ თეიმურაზის ასული (დ. 28. V. 1952), ხელოვნების ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (2006). 1974 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია. ამავე წლიდან იყო გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართ. ხელოვნების ისტორიის ინ-ტის (2005-იდან გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართ. ხელოვნების ისტ. და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნ. ცენტრი) მეცნიერი თანამშრომელი, 2009-იდან კი დირექტორია. 1988-იდან პედ. საქმიანობას ეწევა თბილ. სასულიერო აკადემიაში. დ-ის სამეცნ. მოღვაწეობის ძირითადი სფეროა შუა საუკუნეების ფერწერა; ავტორია მრავალი სამეცნ. პუბლიკაციისა. მონაწილეობდა საერთაშ. სიმპოზიუმებსა და კონკურსებში.

1997-იდან დ. არის საქართვ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ფონდის სარეაბილიტაციო პროექტების კოორდინატორი, აგრეთვე საქართვ. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის, სამეცნ. მეთოდური საბჭოსა (ფერწერა) და საქართვ. სატრიარქოს საეკლ. ხელოვნების საბჭოს წევრი.

თხზ.: Ancient Georgian Art, Tb., 2008 (თანაავტ. D. Tumanishvili).

დიდვაკე, სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჭახათის თემში (აჭარის არ), მდ. კინტრიშის (ერთვის შავ ზღვას) ზემოთში. ზ. დ. 1110 *მ,* ქობულეთიდან 42 *კმ.* 8 მცხ. (2002).

დიდვაკე, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ლელვანის თემში (იმერეთის მხარე), მდ. ჩხერიმელის (ძირულის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 400 *მ,* ხარაგაულიდან 7*კმ,* მარელისიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ.* 236 მცხ. (2002).

დიდვაკის ნასოფლარი, მდებარეობს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. *ჩინთის* ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. ფშავის არაგვის მარცხნივ, მაღალი ქედის თხემზე. ტყით დაფარულ ნასოფლარში შემორჩენილია რამდენიმე საცხოვრ. კომპლექსის ნაშთი, გალავნით შემოზღუდული ეკლესიისა და 2 კოშკის ნანგრევები. ზედაპირულად მიკვლეული მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტების მიხედვით, საცხოვრ. კომპლექსი შუა საუკ. უნდა მიეკუთვნოს. გადმოცემის თანახმად, ეს სოფელი ყელის (თამარის) ციხეს ეკუთვნოდა და მის მომარაგებასა და დაცვას ემსახურებოდა. აქედან ნაგზაური ახლაც ჩადის ამ ციხესთან, რ-იც ჟინვალის ნაქალაქარის აღმ-ით, მაღალ კლდოვან კონცხზე დგას. ნასოფლარი საინტერესო მასალას იძლევა მთის დავაკებაზე დაფუძნებულ დასახლებათა არქიტ. სახისა და მეურნეობრივი საქმიანობის შესასწავლად.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1975, [ტ.] 5.

გ. რჩეულიშვილი.

დიდვაჭარი, ვაჭართა დაწინაურებული ფენის წარმომადგენელი განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოში; პირადად თავისუფალი, დიდი ქონების პატრონი ვაჭარი, რ-იც უმთავრესად სხვა ქვეყნებთან საქარავნო ვაჭრობას ეწეოდა. დ. აზნაურის პატივით სარგებლობდა. ბექა-აღბუღას სამართლით, მისი სისხლი 12 ათ. თეთრი ღირდა, ე. ი. მე-3 ხარისხის აზნაურის სისხლის ტოლფასი იყო.

დ. სახელმწ. საქმეებშიც მონაწილეობდა. მეფე მას დესპანად გზავნიდა უცხო ქვეყნებში, აძლევდა პოლიტ. და დიპლ. დავალებებს, იმსახურებდა როგორც ინფორმატორს, მისი წრიდან ნიშნავდა ბჭეს (მოსამართლეს). დ. მოვალე იყო მეფისათვის ძღვენი მიერთმია.

დ. იყო თბილ. მკვიდრი ზანქან (ზანქელ) ზორაბაბელი, რ-საც დარბაზმა თამარ მეფისათვის საქმროს ჩამოყვანა დაავალა. XVII–XVIII სს-ში დ. „დიდებულ ვაჭრად'' იწოდებოდა. ვახტანგის სამართლის მიხედვით, ვაჭრები 4 ჯგუფად იყოფოდნენ, ამათგან პირველი ჯგუფის წარმომადგენლები – დიდებული ვაჭრები – II ხარისხის აზნაურს უტოლდებოდნენ და მათი სისხლი 96 თუმანი ღირდა.

XIX ს. დასაწყისისათვის დიდებული ვაჭარი – პირველხარისხოვანი მოქალაქე – ცდილობდა „აზნაურული'' უფლებების შენარჩუნებას. 60-იანი წლებიდან, ბურჟ. რეფორმების გატარების შემდეგ, დიდებული ვაჭარი შეცვალა I გილდიის ვაჭარმა, რ-საც აღარ აინტერესებდა წოდებრივი პრივილეგიები. იგი ბურჟ. კლასის წარმომადგენელი იყო და, ეკონ. შეძლებიდან გამომდინარე, გარკვეული უფლებებით სარგებლობდა – აარსებდა საკრედიტო და სამრეწვ. დაწესებულებებს, აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის თვითმმართველობაში.

მ. ბერძნიშვილი.

დიდველა, სოფელი ბაღდათის მუნიციპალიტეტის როკითის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე, მდ. ხანისწყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 120 *მ,* ბაღდათიდან 12 *კმ,* რიონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 *კმ.* 913 მცხ. (2002).

დიდთავი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის საყავრის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ვიცხის (თეძმის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1340 *მ,* გორიდან 30 *კმ.* 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

დიდი აბული, მთა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სამსრის ქედზე. სიმაღლე ზ. დ. 3301 *მ.* აგებულია ძირითადად ნეოგენური ჰიალოდაციტებით. ჩამქრალი ვულკანია. ვულკანის კონუსს, სიძველისა და დიდი სიმაღლის გამო, დაკარგული აქვს ფორმა. კალთებზე გამომუშავებულია ძველმყინვარული ცირკები და მორენული ზვინულები. მთის უმეტესი ნაწილი შემოსილია ალპ.

მდელოებით. მოფენილია პერიგლაციალური ღოდებითა და ღორღით. *ლ. მარუაშვილი.*

დიდი აგარაკი, იხ. სოფ. *არაკიჩი.*

დიდი ალია, 1969–72 წლებში ქართველ ებრაელთა ისრაელის სახელმწიფოში მასობრივი მიგრაციის პირობითი სახელი.

ისრაელი სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებს მაქსიმალური რაოდენობის ებრაელ რეპატრიანტთა მოზიდვას. ეს პრობლემა ისრაელის სახელმწიფოს დაარსებამდეც იდგა. II მსოფლიო ომის შემდეგ ებრაული იმიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი რეზერვუარი იყო საბჭოთა კავშირი. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ეწინააღმდეგებოდა ქვეყნიდან მოსახლეობის გაშვებას, მით უმეტეს ეთნორელიგ. ნიშნით, რადგან ეს არღვევდა მითს ,,საბჭოთა ხალხების ურღვევი ერთიანობის შესახებ''. გარდა ამისა, გაუხმაურებელი არგუმენტით ებრაელთა მიგრაცია იკრძალებოდა იმ მიზეზითაც, რომ თითქოს ებრაული წარმოშობის მეცნიერები და ტექნიკოსები ფლობდნენ საბჭოთა კავშირისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სამხ.-ტექნიკურ ინფორმაციას. ამავე დროს, დას. ქვეყნები, უპირველესად აშშ, განუწვეტლივ აკრიტიკებდა საბჭოთა კავშირს ადამიანის უფლებათა დარღვევაში, რაც საცხოვრებლის თავისუფლად არჩევასაც გულისხმობს.

საბჭოთა კავშირიდან ებრაელთა მასობრივი მიგრაცია შესაძლებელი გახდა მხოლოდ XX ს. 60-იანი წლების მიწურულიდან. პირველი მოკავშირე რესპუბლიკა, საიდანაც ეს პროცესი დაიწყო, იყო საქართველოს სსრ, თუმცა ანტისემიტიზმის ნიშნები აქ არასდროს გამოვლენილა. პირიქით, ებრაელ მოსახლეობას საშუალება ჰქონდა უპრობლემოდ შეენარჩუნებინა მამა-პაპათა რელიგია და ტრადიციები. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედი სინაგოგების ნახევარი საქართველოში მდებარეობდა.

სამშობლოში დაბრუნების გაძლიერებული სურვილი განაპირობა 1967 ისრაელის სახელმწიფოს გამარჯვებამ მეზობელ არაბულ ქვეყნებთან ,,ექვსდღიან ომში'', რის შედეგადაც ებრაული დიასპორისათვის ნათელი გახდა ამ სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა.

1968 წ. 18 ქართველმა ებრაელმა, თემის პატივსაცემმა პირებმა, გაეროს გენერალურ მდივანს მიაწვდინეს წერილი, სადაც ისინი უჩიოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს, რ-იც ზღუდავდა სამშობლოში მათი დაბრუნების უფლებას. წერილი გახმაურდა. ქართველი ებრაელების ემიგრაციის საკითხი ფორმალურად საქართველოს ხელმძღვანელობას უნდა გადაეწყვიტა. კრემლში მიიჩნიეს, რომ ეს ნაბიჯი არ დააზარალებდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებას, რადგანაც ქართველი ებრაელები იმ დროს ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი საბჭოთა მეცნიერებაში (განსხვავებით აშკენაზი ებრაელებისაგან) და არ ფლობდნენ სამხედრო საიდუმლოებას, რ-ის გამოაშკარავებაც კრემლს ძალიან აშინებდა. ამდენად კრემლმა უფლება მისცა საქართველოს, დამოუკიდებლად გადაეწყვიტა ებრაული ემიგრაციის საკითხი. საქართველოს სსრ-ის ხელმძღვანელობაც პოზიტიურად იყო განწყობილი ამ პროცესის მიმართ. 1969–72 საქართველოდან 40 ათასამდე ებრაელი დაბრუნდა ისრაელში. ამის გამო ებრაელებისაგან თითქმის დაიცალა ისეთი ქალაქები და დაბები, როგორიცაა კულაში, სურამი, ონი, სენაკი, ცხინვალი და სხვ., სადაც ისინი მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს, ზოგან უმრავლესობასაც კი შეადგენდნენ. დ. ა-მ საქართველოს დემოგრაფიულ და ეკონომიკურ პოტენციალზე უარყოფითად იმოქმედა.

1959 იანვრის მოსახლეობის აღწერის თანახმად საქართველოში აღირიცხა 55,4 ათასი ებრაელი. 1970 იანვარში, როდესაც დ. ა. უკვე დაწყებული იყო, – 28,3 ათასი, ხოლო 1979 იანვარში – 24,8 ათასი. ისრაელის ,,დაბრუნების კანონის'' თანახმად, რ-იც ებრაელობას დედით განსაზღვრავს, საქართველოში 25 ათასზე მეტი ,,პოტენციური ებრაელი'' იყო, რაც დაადასტურა კიდეც 90-იანი წლების მიჯნაზე მომხდარმა მომდევნო ალიამ.

დ. ა. ძირითადად განაპირობა რელიგიურმა ფაქტორმა, ზოგ შემთხვევაში – ოჯახის გავლენიანი წევრების ან მეზობლების ზეგავლენამ. თემის წევრთა რაოდენობა საქართველოში სწრაფად კლებულობდა. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი იმდენად დახურული სახელმწიფო იყო, რომ ბევრი ჩქარობდა ესარგებლა მიგრაციის შესაძლებლობით, რადგანაც გამორიცხული არ იყო დ. ა-ის მოულოდნელი შეწყვეტა. ამ შემთხვევით ისარგებლეს ებრაული ოჯახების არაებრაელმა წევრებმაც, რ-ებმაც სასწრაფოდ გააფორმეს (ზოგიერთ შემთხვევაში ფიქტიური) ქორწინება ებრაული წარმომავლობის პირთან. იყო შემთხვევები, როდესაც საქართველოს მოქალაქეობას იღებდნენ სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული ებრაელებიც, რადგანაც მათ იქიდან მიგრაციის უფლება არ ჰქონდათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ თუკი მოქალაქეს გაუჭირდებოდა მათთვის უწვეულო ცხოვრების წესთან შეგუება, საბჭოთა მთავრობა მას უკან დაბრუნების უფლებას არ აძლევდა. ეს სერიოზულ პრობლემას უქმნიდა ბევრ მიგრანტს, რის გამოც დიდი ქალაქებიდან განათლებული და ეკონომიკურად წარმატებული ქართველი ებრაელების უდიდესი ნაწილი 60–70-იანი წლების მიჯნაზე ისრაელში არ წავიდა.

ისრაელში ჩასული ქართველი ებრაელებისათვის ძნელი აღმოჩნდა ახ. პირობებთან ადაპტაცია. ახალი ოლიმები (იმიგრანტები, მხ. რ. – ოლე) ძირითადად საქართველოს დაბა-სოფლების ყოფილი მცხოვრებნი იყვნენ, რებიც მხოლოდ ქართულად მეტყველებდნენ (მათი მცირე ნაწილი თუ ფლობდა სხვა ენას, ძირითადად რუსულს). ოლიმების პირველი თაობისათვის ებრ. ენის შესწავლა და ,,კაპიტალისტური ცხოვრების წესთან'' შეგუება ადვილი არ იყო, თუმცა ათიოდე წელიწადში მათი აბსორბცია ისრაელის საზ-ბასთან ძირითადად დასრულდა. დ. ა-ის უშუალო მონაწილეთა და მათი შთამომავლების წვლილი ისრაელის სახელმწიფოს განვითარებაში თვალსაჩინოა.

ლიტ.: გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბ., 2008. *რ. გაჩეჩილაძე.*

დიდი არაქალი, სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სათხის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალქალაქის პლატოზე, მდ. ფარავნის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1910 *მ,* ნინოწმინდიდან 8 *კმ.* 934 მცხ. (2002).

დიდი არტაანის სანჯაყი (ლივა), ჩილდირის (ახალციხის) ეიალეთის ერთ-ერთი სანჯაყი, ადმ. ცენტრი – ფარავნის ციხის რაბათი. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' (1595) მიხედვით დ. ა. ს-ის ფართ. 1958 *კმ*^{2} უდრიდა. ცხოვრობდა 3507 კომლი. სანჯაყში ყოფილა სამი *ნა-*

ჰექ (მზვარე, ჩრდილი და ტყიანი), 209 სოფელი და დასახლ. პუნქტი. აქედან 38 სოფელი დაცარიელებულია – მოსახლეობა საქართვ. სხვადასხვა კუთხეში გადასახლებულა. მოჰყავდათ მარცვლეული: ხორბალი, ქერი, ფეტვი, რ-თა სამ. წლ. მოსავალი 11392 *ც* შეადგენდა, ერთ კომლზე საშუალოდ – 32 *ც*. აღწუსხულია 224 წისქვილი, აქედან 28 დანგრეული იყო, 14 მუშაობდა მთელი წლის განმავლობაში, დანარჩენი – სეზონურად. შესანიშნავი იალაღები და საძოვრები მეცხოველეობისათვის, განსაკუთრებით მეცხვარეობისათვის, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ჰყავდათ 60 ათ-ზე მეტი ცხვარი და 14 ათ. ღორი. თითქმის ყველა სოფელში მეფუტკრეობას მისდევდნენ. რეგისტრირებულია 8705 სკა (საშუალოდ ერთ კომლზე – 2,4 სკა), განვითარებული იყო აგრეთვე მებაღეობა-მებოსტნეობა.

დიდ სანჯაყში ოსმალებმა დანერგეს თიმარული მიწათმფლობელობა და თავიანთი საგადასახადო სისტემა. ამავე დროს 53 სოფელი არ იყო აღწერილი და დავთარში გატარებული. მათზე არ ვრცელდებოდა ოსმ. საგადასახადო სისტემა და მათი წესები. ქართვ. ფეოდალთა ნაწილი გამაჰმადიანდა, ოსმალთა სამსახურში ჩადგა და თიმარული სისტემის საფუძველზე შეინარჩუნა მიწები. აღსანიშნავია, რომ დავთარში მოხსენიებული იყვნენ ქრისტიანები, რებიც ფლობდნენ მიწის ნაკვეთებს და ომის დროს ლაშქრობაში მონაწილეობა ევალებოდათ.

XVII ს. პირველი ნახ. ოსმ. წყაროების (აინი ალი, კოჩიბეი გორიჯელი, ალი ჩაუში სოფიიდან) მიხედვით, დ. ა. ს-ში იყო 9 *ზეამეთი* და 86 *თიმარი,* სანჯაყბეგის *ხასი* კი 300 ათ. ახჩას შეადგენდა.

„ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთრის'' (1694–1732) მონაცემებით, სანჯაყში იყო 10 ზეამეთი, რ-თა წლ. შემოსავალი შეადგენდა 252127 ახჩას, 95 თიმარისა – 652313 ახჩას, სანჯაყბეგის ხასისა – 240 ათ. ახჩას, ხოლო მთლიანად სანჯაყისა – 1144440 ახჩას. 1829, როდესაც რუს.-ოსმ. ომის შედეგად ახალციხის ეიალეთის სანჯაყების ნაწილი რუსეთს შეუერთდა, დ. ა. ს. გაუქმდა. იგი ოსმ. შემადგენლობაში დარჩა არტაანის სანჯაყის სახელწოდებით.

წყარო: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოც., წგ. 1–3, თბ., 1941–58; ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. 1694–1732 წწ., ც. აბულაძის და მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979.

ლიტ.: გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე გ., „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი'' როგორც დემოგრაფიულ-სტატისტიკური ძეგლი, «თსუ შრომები», 1948, ტ. 34; ს ვ ა ნ ი ძ ე მ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს-ში, თბ., 1984; მ ი ს ი ვ ე, ფეოდალური მიწათმფლობელობის ზოგიერთი საკითხი სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა ბატონობის დროს, კრ.: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, თბ., 1991.


მ. სვანიძე.

დიდი ატენი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ატენის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. ტანის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 730 *მ,* გორიდან 10 *კმ.* 181 მცხ. (2002).

სოფელში დგას ღვთისმშობლის პატარა გუმბათოვანი ეკლესია. იგი გეგმით ,,თავისუფალი ჯვრის'' ტიპს მიეკუთვნება. ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. გუმბათის ყელი მოპირკეთებულია მომწვანო ფერის ტუფის კვადრებით. მოქცეულია ერისთავთა სასახლის ეზოში. გადახურულია ქვის ლორფინებით. შესასვლელი სამხრ-იდან და დას-იდან აქვს. დას. შესასვლელის ტიმპანზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა, რ-იც ზის წნულით გამოყვანილ ჩარჩოში. წარწერაში მოხსენიებულია ეკლესიის მშენებელი რატი ერისთავი, ძე ლიპარიტ ერისთავისა. ლ. რჩეულიშვილის აზრით, ეკლესია აგებულია VII ს. II ნახევრიდან IX ს. დამლევამდე. აღდგენილი და გადაკეთებული ყოფილა X ს. II ნახევარში ლიპარიტის ძის რატის მიერ, რ-საც შენობა შეუმკია ახ. ყაიდაზე და ლაპიდარულ წარწერაში თავისი თავი „ღვთისსახლის'' აღმშენებელ ქტიტორად გამოუცხადებია. ამავე დროსაა მოპირკეთებული გუმბათის ყელი. ტაძარი მცირე მოცულობისა იყო, იგი ვერ იტევდა მლოცველებს და 1870 მას დას-ით მიუშენეს მოგრძო დარბაზული ტიპის ეკლესია (ამჟამად აღარ არსებობს).

დ. ა-ის ძვ. უბანში დგას წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია. დას. ფასადის წყობაში ჩასმულ ქვაზე არსებული საკმაოდ დაზიანებული წარწერიდან ირკვევა, რომ იგი 1060–72 წლებში აუგია *ბაგრატ IV-ს.* სოფლის დას. ნაწილში, სასაფლაოზე, აღმართულია კვირაცხოვლის ერთნავიანი ეკლესია (განვითარებული შუა საუკუნეები), რ-ის აღმ. ფრონტონზე დაშენებულია სამრეკლო. სოფლის გარეთ, მთის ტყიან ფერდობზე, ნათლისმცემლის ერთნავიანი ეკლესიაა (განვითარებული შუა საუკუნეები).

დ. ა-ის ჩრდ.-დას-ით, მაღალ მთაზე, არის წმ. ბარბარეს დარბაზული ეკლესია (განვითარებული შუა საუკუნეები). სოფლის სამხრ-ით, მდ. ტანის მარცხ. ნაპირზე, კლდეზე აღმართულია XVI–XVII სს. კოშკი, სოფლის მახლობლად კი – *ატენის სიონის* ტაძარი და *ატენის ციხე.* ატენის სიონის ტაძრის ჩრდ.-დას-ით, კლდის ქიმზე დგას ოქროიანთ საყდარი, რ-იც შედგება ორი ერთმანეთზე მიდგმული ეკლესიისგან. მიეკუთვნება გვიანდ. ფეოდ. ხანას.



დიდი ატენი. ღვთისმშობლის ეკლესია. VII–IX სს.

ლიტ.: რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი ლ., ატენის მცირე გუმბათიანი ეკლესია, «ქართული ხელოვნება», 1942, ტ.1; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990.

ჯ. გვასალია. მ. საღარაძე.

დიდი ბეგლარი, სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტის წერეთლის თემში (ქვემო ქართლის მხარე), მარნეულის ვაკეზე, მდ. ხრამის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 360 *მ,* მარნეულიდან 7 *კმ.* 200 მცხ. (2002).

დიდი ბეკაში, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის ტერიტორიულ ორგანოში (შიდა ქართლის მხარე), ლიხის ქედის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 820 *მ,* ხაშურიდან 6 *კმ.* 308 მცხ. (2002).

სოფ. ბეკამი იხსენიება ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) სურამის წყლის სოფელთა სიაში. სოფლის ჩრდ.-აღმ-ით დგას წმ.

გიორგის („კვართის“) დარბაზული ეკლესია (განვითარებული ფეოდ. ხანა). სოფლის სამხრ.-აღმ-ით, სასაფლაოზე, დგას სავანეთის წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია (XVIII ს.). *ჯ. გვასალია.*

დიდი ბორბალო, მთა თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონზე. იხ. *ბორბალო.*

დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქია, მოიცავს დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოსა და ჩრდ. ირლანდიას. შეიქმნა 2010 წ. 21 დეკემბერს, მანამდე *დასავლეთ ევროპის ეპარქიას* მიეკუთვნებოდა. დ. ბ. და ი. ე-ის მღვდელმთავარი დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა ასამბლეის წევრია, რ-იც ფუნქციონირებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ხელმძღვანელობით.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში ამ ეტაპზე (2011) მოქმედებს დ. ბ. და ი. ე-ის ორი – ლონდონისა და დუბლინის სამრევლო. ეპარქიის მრევლს, ქართველების გარდა, შეადგენენ მართლმადიდებლური წესით მონათლული თურქები, იტალიელები, ინგლისელები, აფრიკული რასის წარმომადგენლები, ირანელები და სხვ.

გ. გუგუშვილი.

დიდი განთიადი, სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ძირულის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის მაღლობზე, მდ. ძირულის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 400 *მ,* ზესტაფონიდან 16 *კმ,* ძირულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ.* 427 მცხ. (2002).

დიდი გარეჯვარი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის კარალეთის თემში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. აძურის (მეჯუდის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 660 *მ,* გორიდან 7,5 *კმ.* 768 მცხ. (2002).

სოფლის შუაგულში დგას გვიან. შუა საუკ. ღვთისმშობლის ეკლესია; ნაგებია რიყის ქვით, კუთხეები და კარ-სარკმელი გამოყვანილია აგურით. აღმ-ით აქვს ნახევარწრიული აფსიდი, გადახურული იყო კამარით. სამხრ. ფასადზე, აგურის წყობით გამოსახულია მაღალი ჯვარი, გვერდებზე განლაგებული ჩაღრმავებული რომბებით.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990. *ჯ. გვასალია.*

დიდი გოლისი, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ნადაბურის თემში (იმერეთის მხარე), ლიხის ქედის დას. კალთაზე, მდ. ძირულის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 800 *მ,* ხარაგაულიდან 56 *კმ.* 35 მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *გოლისი.*

დიდი გომარეთი, ყოფილი სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტში. დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დ. გ. და *პატარა გომარეთი* გაერთიანდა (იხ. სტ. *გომარეთი*).

დ. გ. მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) შრომაში ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ზურტაკეტის აღწერის დროს: ,,აქა არს დაბა დიდი გომარეთი, ვითარცა დიდი ქალაქი“.

დიდი გორივჯვარი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის სკრის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. მტკვრის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 640 *მ,* გორიდან 2 *კმ.* 64 მცხ. (2002). გოგირდოვანი მინერ. წყლის ბაზაზე ფუნქციონირებს კურ. *გორივჯვარი* (იხ. აგრეთვე სტატიები *გორივჯვრის ეკლესია* და *გორივჯვრობა*).

დიდი გუბი, სოფელი ხონის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე, მდ. გუბის-წყლის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას, ქუთაისი–ხონის საავტ. გზაზე. გუბის თემის ცენტრი (სოფლები: დ. გ., პატარა გუბი, შუა გუბი). ზ. დ. 80 *მ,* ხონიდან 8 *კმ.* 816 მცხ. (2002).

დიდი გუთანი, მიწის სახვნელი იარაღი. იგი რამდენიმე სახელით არის ცნობილი: დიდი ქართ. გუთანი, პაპას გუთანი, ქართ. გუთანი, შავი გუთანი, ხის გუთანი. ყველა ეს სახეობა მეტ-ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან ან კონსტრუქციით, ან მასალით, მუშაობის პრინციპი კი ყველა მათგანისათვის ერთია (იხ. ნახ.).

ქართ. დ. გ-ს, ისევე როგორც საერთოდ ქართ. სახვნელ იარაღებს, ჰქონდა მრუდე რვილი (მხარი). გუთნის ტიპის შუა საუკ. ევროპული სახვნელი იარაღები კი ხასიათდებოდა პირდაპირი რვილით. რვილის სიმრუდე ერთხელ კიდევ ადასტურებს ქართ. გუთნის თვითმყოფად ხასიათს.

ფრთა და სხვადასხვა ზომის გოგორებიანი (ველის გოგორა და კვალის გოგორა) ფამფალაკი არის დ. გ-ის ის ნაწილები, რ-ებიც მარტივ სახვნელ იარაღებს არ გააჩნიათ. საქართველოში დადასტურებულია ორი ტიპის ფამფალაკი – ტოლგოგორებიანი და არათანატოლგოგორებიანი. ეს უკანასკნელი დამახასიათებელი იყო ღრმად მხვნელი დ. გ-ისთვის. ფამფალაკის განვითარებული სახეობის წინამორბედად მიჩნეულია მესხური ჯვილღის ტოლგოგორებიანი ფამფალაკი. საგულისხმოა, რომ დასავლეთევროპული გუთნები გვიანობამდე სწორი რვილითა და თანატოლი გოგორებით ხასიათდებოდა.

დ. გ-ის არსებობა დასტურდება XI–XII სს-ში. იგი ღრმად ხნავდა (35 *სმ* სიღრმეზე), ბელტს (50–60 *სმ*) ჭრიდა, აბრუნებდა და შლიდა. სწორედ ეს იყო მისი უპირატესობა სხვა სახის სახვნელ იარაღებთან შედარებით. XIX ს-ის II ნახევრიდან აღმ. საქართვ. ზოგიერთ რაიონში ჩნდება ქართ. გუთნის გაუმჯობესებული სახეობები. ასეთებია ე. წ. მუხრანული და კაკაბური გუთნები.

დ. გ. დაკავშირებული იყო მიწათმოქმედების საანეულო სისტემასთან (იხ. *ანეული*). დ. გ. კარგად ეგუებოდა ვაკის ნიადაგს, რელიეფსა და მეურნეობის სპეციფიკურ პირობებს. იგი საყოველთაოდ იყო გავრცელებული ქართლ-კახეთის ბარში, ნაწილობრივ – ქართლის მთისწინა ზოლში, იშვიათად – ზემო იმერეთის ვაკე ადგილებში. მესხეთში დ. გ. მხოლოდ ყამირის მოსახნავად გამოიყენებოდა.

საქართვ. სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ხის გუთნები განსხვავებული ზომის იყო. მაგალითად, გარე კახეთსა და ივრის ხეობაში უფრო დიდი გუთნები გამოიყენებოდა, ვიდრე ქართლში, შიდა კახეთსა და ქიზიყში. ქართლის მთის წინა ზოლში კი უფრო პატარა ზომის გუთნებით სარგებლობდნენ.

გამართული ხის გუთანი საკმაოდ ძვირადღირებული სახვნელი იარაღი იყო. ალბათ, ამიტომ საბუთებში გლეხის ოჯახის სას.-სამ. ინვენტარის ჩამონათვალში უმეტესად მოხსენიებულია გუთნის მხოლოდ ნაწილები და არა გამართული გუთანი. ქართლ-კახეთის სოფლებში გამართული გუთანი, საშუალოდ, კომლების 10–12% ჰქონდა. შედარებით იაფი ჯდებოდა გუთნის ხის ნაწილი, რ-საც ხშირად გლეხები თვითონ თლიდნენ მაგარი ჯიშის ხისგან (მუხა, იფანი, თელა და სხვ.). დიდ სოფლებში იყვნენ ამ საქმის ოსტატებიც. ისინი რამდენიმე სოფელს ემსახურებოდნენ, მიწას კი აღარ

ამუშავებდნენ, რადგანაც ძირითადად ამ საქმიანობით იყვნენ დაკავებული.

შედარებით ძვირი ჯდებოდა გუთნის რკინის ნაწილები: სახნისისათვის საშუალოდ ერთი ფუთი რკინა იყო საჭირო, საკვეთლისათვის კი – ნახევარი.

გუთნის აუცილებელ ნაწილს შეადგენდა *ჯამბარა* – ტყავისაგან დაწნული ღვედი, რ-ითაც გუთანი მიბმული იყო უღელზე. XIX ს. II ნახევარში ქართლ-კახეთის ზოგიერთ კუთხეში ჯამბარა რკინის ჯაჭვმა შეცვალა. გამწევი ძალის გუთანში შესაბმელად გამოიყენებოდა უღელი ტაბიკებითა და აპეურებით.


გუთნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ღვედი, რ-იც რამდენიმე (3–4) უღელს აკავშირებდა ერთმანეთთან. ღვედს სჭირდებოდა 2 კამეჩის ან 3 ხარის ტყავი. ღვედები ძირითადად ქართლისათვის იყო დამახასიათებელი და, საშარაუდოდ, 25–30 წელი ძლებდა. კახეთში ზოგჯერ ღვედების ნაცვლად საყევარ-უღლებს (საყევარი – ძელი, რ-იც 2 უღელს აერთებდა) და ჯაჭვებს იყენებდნენ.

მიწის მოხვნა საკუთარი ძალებით შეეძლო საგლეხო კომლთა უმნიშვნელო ნაწილს. ამას უმთავრესად დიდი, გაუყრელი ოჯახები ახერხებდნენ. პატარა ოჯახები, როგორც წესი, ხვნის დროს ერთიანდებოდნენ დ. გ-ის გარშემო (იხ. *მოდგამი*).

დ. გ-ში აბამდნენ 6–12 უღელ გამწევ ძალას. გამართული გუთანი და მუშა საქონელი შეადგენდა *გუთნეულს*. დ. გ-ის მუშაობას სჭირდებოდა *გუთნისდედა* და 3–6 მეხრე.

ხვნასთან დაკავშირებული იყო გარკვეული რწმენა-წარმოდგენები და ადათ-ჩვეულებები. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ხვნა-თესვის დაწყებასა და დამთავრებასთან დაკავშირებულ რიტუალს. ქართლ-კახეთის ბარში ანეულის წინ იმართებოდა ,,სასოფლო საღმრთო'', ,,გუთნის საღმრთო''. ქართლის ზოგიერთ სოფელში ამას ამაღლებას უკავშირებდნენ. კახეთის იმ სოფლებში, სადაც სათემო მიწათმფლობელობა იყო შემორჩენილი, სას. საღმრთო განსაკუთრებული ორგანიზებულობით ხასიათდებოდა.

ხვნის დაწყების პირველ დღეს გარკვეული წესები სრულდებოდა – პირველად ,,გაიტანდნენ გუთანს''



დიდი გუთანი. 1 – რვილი, მოხრილი გრძელი (დაახლოებით 3,2 *მ* – 3,4 *მ* სიგრძის) ძელი, რომელზედაც მიმაგრებულია საკვეთელი, სახნისი, ფრთა და სხვა ნაწილები; 2 – საკვეთელი, რვილში გაყრილი რკინისაგან ან ფოლადისაგან დამზადებული მიწის ვერტიკალური საჭრელი სახნისის წინ (ჭრის შემხვედრ ფესვებს და გზიდან ყრის ქვებს); 3 – სახნისი, გუთნის ნაწილი, რომელიც ბელტს ჭრის და იღებს; 4 – ფრთა, ბელტის გადასაბრუნებელი ხის ან რკინის ფიცარი; 5 – კაკაბა, ხის სადგარი, რომელზედაც დამაგრებულია ფრთა; 6 – ხმალა, რვილისა და დედნის (ქუსლის) შემაერთებელი შვეული ნაწილი (დედანი გუთნის ნაწილია, რომელზედაც დაყრდნობილია ფრთა და წამოცმულია სახნისი); 7 – ხელკუდი (იგივე – ერქვანი, მანჭო), გუთნის სახელური; 8 – კორა, ხის კოჭი, რითაც მიმაგრებულია ფრთა რვილთან; 9, 10 – კვალის გოგორა (9) და ველის გოგორა (10) ფამფალაკში (ღერძში) გაყრილი დიდი და მცირე ბორბლები (არონას სახელწოდებით ევროპაში ცნობილ სახვნელ იარაღს ორი ტოლი თვალი ჰქონდა. საქართველოში მას დიდხანს არ იყენებდნენ, რადგან გუთანი იმ მხრისკენ იყო დახრილი, საითკენაც იარაღს კვალი გაჰქონდა, ამის გამო სახნისისა და წინალის დონე განსხვავებული იყო. XII საუკუნეში შემოღებულ დიდ ქართულ გუთანს უკვე განსხვავებული დიამეტრის მქონე ორი თვალი ჰქონდა); 11 – ჭინჭილაკი, ღერძის ჭილიბი (რკინის ან ხის ჩხირი), რომელიც ღერძის ბოლოშია ჩარჭობილი, რათა ღირღიტა (ბორბალი) გარეთ არ გამოვარდეს; 12 – შოლტა, ფამფალაკში გაყრილი ხე, რომლის ერთი (ყბიანი) მხარე უღელშია (რვილის მეორე მხარე ამ ფამფალაკზე ძევს); 13 – სახელური; 14 – წნელი; 15 – ხმალას ჭანჭიკი; 16 – რჩხა (კავებიანი ჯოხი); 17 – ბაყაყი.

მინდორში, ხვნის დაწყებამდე წინა ხარს გუთნისდედა კვერცხს დაკრავდა თავში და შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამდა: ,,ასე გასკდეს იმისი თვალი, ვინც შენ ავი თვალით შემოგხედოსო''. ეს წესი აღმ. საქართვ. ბარში ყველგან დასტურდება.

ქართლის ზოგიერთ სოფელში, ხვნის პირველ დღეს, წინა უღლის შუაში პატარა ბაირაღი კეთდებოდა, აუცილებლად წითელი. ზოგჯერ ამ დღეს წინა ხარებს ზარებს აბამდნენ, რქაზე ,,ფუნჯებისაგან'' (ბალახია ერთგვარი) დაწნულ გვირგვინს ჩამოაცვამდნენ. ყველა გუთნეული ცდილობდა, სხვაზე უკეთესად გამოსულიყო. ამ შეჯიბრს ,,განგაშს'' ეძახდნენ. ხვნა რომ დამთავრდებოდა, წინა უღელს ბაირაღს გაუკეთებდნენ და სოფელში ისე ბრუნდებოდნენ.

ლიტ.: ჩიტაია გ., ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, «მიმომხილველი», 1949, ტ. 1; ჯალაბაძე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960; Читая Г. С., Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, კრ.: Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1952.

თ. გელაძე.

დიდი გუფთა, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის მსხლების თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. ლიახვის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1040 *მ*, ჯავიდან 5 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 *კმ*. 138 მცხ. (1989).

დიდი დმანისი, სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე), მდ. მაშავრის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას, დმანისი–ბოლნისის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: დ. დ., ბოსლები, ვარდისუბანი, პატარა დმანისი). ზ. დ. 860 *მ*, დმანისიდან 15 *კმ*, კაზრეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 10 *კმ*. 871 მცხ. (2002).

დიდი დურნუკი, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე), ქვემო ქართლის პლატოზე, მდ. ალგეთის მარჯვ. მხარეს. დურნუკის თემის ცენტრი (სოფლები: დ. დ., პატარა დურნუკი). ზ. დ. 750 *მ*, თეთრი წყაროდან 22 *კმ*, მარნეულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 11 *კმ*. 129 მცხ. (2002). იხ. აგრეთვე სტ. *დურნუკი.*

დიდი ვანის განძი, ძვ. წ. XIII ს. ბრინჯაოს ნივთების განძი, აღმოჩენილია 1985 სოფ. დიდ ვანში (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), ე. წ. რცხილის გორაზე. აღნიშნული განძიდან საყურადღებოა ბრინჯაოს თოხი, რ-საც აქვს ფართო მორკალული პირი და ტანისგან გამოყოფილი სატარე. დაცულია ნ. ბერძენიშვილის სახ. ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ლიტ.: რამიშვილი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974; ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

ა. რამიშვილი.

დიდი თონეთი, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის სამხრ. კალთაზე, თბილისი–მანგლისის საავტ. გზაზე. თონეთის თემის ცენტრი (სოფლები: დ. თ., მოხისი, პატარა თონეთი). ზ. დ. 1280 *მ,* თეთრი წყაროდან 42 *კმ.* 715 მცხ. (2002). 1882–84 დ. თ-ის სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა ვაჟა-ფშაველა.

დ. თ. პირველად მოხსენიებულია XVII ს. ისტ. წყაროებში როგორც სათვანეთი, სათონეთი, სათორნეთი, თორნეთი და თონეთი.

დ. თ. ეწოდა XIX ს-ში, მას შემდეგ, რაც მის მეზობლად მდებარე სოფ. დვალთას პატარა თონეთი უწოდეს. დასახლებული ყოფილა წინაფეოდ. ხანიდან (გორანამოსახლარი, კერამ. ნაწარმი). დ. თ. მოიცავს ხორბუკისა და მოლავის ნასოფლარების ტერიტორიებსაც. სოფლის მკვიდრი მოსახლ. გვერდით XIX ს-ში აქ ქართვ. მთიელი მოახალშენენიც დასახლდნენ.

სოფელში დგას წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია (XVIII ს.), გადაკეთებულია ძვ. ეკლესიისგან. ნაგებია უხეშად დამუშავებული და ნატეხი ქვით. დასავლეთის კედელში ჩატანებულია კვეთილი გამოსახულებებით შემკული საფლავის ქვა. ამავე კედლის თავზე დადგმულია ოთხმალიანი კოშკისებური სამრეკლო. სოფლის სამხრ-ით 1,5 *კმ*-ზე, სიონის სახელობის ერთნავიანი ეკლესიაა, რ-საც სამხრ-იდან და დას-იდან მინაშენები ეკვრის. საბჭენი თაღები ინტერიერში კრონშტეინებს ეყრდნობა, მინაშენებში – პილასტრებს. შემონახულია XI ს. რამდენიმე წარწერა. შეიმჩნევა გვიანდ. გადაკეთების კვალიც. დ. თ-ის სამხრ.-დას-ით 500 *მ*-ზე ნასოფლარის კვალი და კვირაცხოვლის ეკლესიის (XI ს.) ნანგრევებია, ხოლო სამხრ-ით 1 *კმ*-ზე – ღვთისმშობლის ეკლესია, რ-იც ჩუქურთმებიანი ფრაგმენტების მიხედვით XI–XIII სს. მიეკუთვნება. *თ. თოდრია. ი. ციციშვილი.*

„დიდი თურძობა“, ამ ტერმინით ცნობილია სელჩუკიან თურქთა განუწყვეტელი შემოსევები საქართველოში XI ს. 80-იან წლებში. მცირე აზიაში სელჩუკთა სახელმწიფოს შექმნამ უარყოფითი ზეგავლენა იქონია საქართველოსა და ამიერკავკ. ქვეყნებზე. საქართვ. მეზობლად დამკვიდრდნენ მომთაბარე-მეჯოგე ტომები, რ-ებიც სხვადასხვა მხრიდან სისტემატურად ესხმოდნენ თავს საქართველოს. მეფე *გიორგი II-მ* მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა ქვეყნის შინაგანი ძალების შემომტკიცებისა და საზღვრების გაფართოების მიზნით, მაგრამ ეს წარმატებანი ხანმოკლე აღმოჩნდა. სელჩუკიან თურქთა სულთნის მალიქ-შაჰის საგანგებო ლაშქარმა დაამარცხა ყველისციხეში მდგომი მეფე გიორგი. ამას მალე უფრო დიდი ლაშქრობა მოჰყვა იასისა და ბუჟღობის მეთაურობით. სელჩუკები მთელ საქართველოს მოედვნენ. მემატიანის გადმოცემით, „ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი და არტანუჯი და უდაბნონი კლარჯეთისანი“. ეს იყო სელჩუკიან თურქთა დიდი შემოსევა (1080).

ამიერიდან სელჩუკები საქართველოში საძარცვავად ყოველი წლის გაზაფხულზე მოდიოდნენ და დაზამთრებამდე რჩებოდნენ. ასეთ ვითარებაში მწარმოებელი ფენა ინტენს. მეურნეობას ველარ უძღვებოდა. ამის გარდა, საქართვ. ტერიტორიაზე მომთაბარეთა ჩამოსახლება ყოველწლიურად მატულობდა. ქვეყანა გადაშენების საფრთხის წინაშე იდგა. გიორგი II ისპაანში ეახლა მალიქ-შაჰს და ყოველწლიური გადასახადი აღუთქვა (დაახლ. 1081–82). ამ გზით ქვეყანამ დროებით მოისვენა „ზედამარბეველთაგან“. ასევე მოიქცა კახთა მეფე აღსართანიც, რ-იც სულთანს ეახლა, მორჩილება გამოუცხადა და ქრისტიანობა დათმო. მაგრამ სელჩუკები მაინც თავისუფლად დათარეშობდნენ მთელ საქართველოში – შემოდგომის დადგომისთანავე მთელი თავისი ავლა-დიდებით და საქონლით გაჩიანს ჩამოდგებოდნენ, თბილისიდან ბარდავამდე მთელი მტკვრის სანაპირო და ივრის პირის საუკეთესო საზამთრო საძოვრები ეჭირათ, ხოლო საზაფხულო საძოვრებზე სომხ. მთებში მიდიოდნენ. შინაომებმა, რ-საც სულთანიც უწყობდა ხელს, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყანა. რუსთავი, დმანისი, სამშვილდე და სხვა ქალაქები მტრის ხელში გადავიდა. ასევე საქართვ. ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა ხორნაბუჯი, არადეთი, აგარანი, გავაზნი, გაგი და სხვა ციხეები. სელჩუკიან თურქთა მომთაბარულ-მეჯოგური ექსტენსიური მეურნეობა უპირისპირდებოდა განვითარებული ფეოდ. ქვეყნის კულტ. ინტენს. მეურნეობას, ანგრევდა და ანადგურებდა ქალაქებს და დაცემის პირამდე მიჰყავდა საქალაქო ცხოვრება, ვაჭრობა-ხელოსნობა. დიდი მსხვერპლის ფასად ქართვ. ხალხმა მაინც შეძლო თავისი თვითმყოფობის, პროგრ. ფეოდ. მეურნეობის შენარჩუნება. სელჩუკიან თურქთა სოც.-პოლიტ. სისტემას მზარდი ქართ. ფეოდ. წყობილების საფუძვლები არ დაურღვევია.

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; მ ი ს ი ვ ე, დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002; შ ე ნ გ ე ლ ი ა ნ., სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2).

ნ. შენგელია.

დიდი თხინალა, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ხცისის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1080 *მ,* ხაშურიდან 14 *კმ.* 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

დიდი ინჩხური, სოფელი მარტვილის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ასხის მასივის სამხრ.-დას. ნაწილში, მდ. აბაშის მარცხ. მხარეს, მარტვილი–დიდი ჭყონის საავტ. გზაზე. ინჩხურის თემის ცენტრი (სოფლები: დ. ი., ლებაჩე, პატარა ინჩხური). ზ. დ. 250 *მ,* მარტვილიდან 3 *კმ.* 699 მცხ. (2002). სოფლის ტერიტორიაზეა მღვიმეები: ინჩხური და ინჩხურის ეხი.

დიდი ირაგა, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ირაგის თემში (ქვემო ქართლის მხარე), ირაგის ქვაბულში, მდ. ასლანკის (ხრამის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1190 *მ,* თეთრი წყაროდან 13 *კმ.* 69 მცხ. (2002).

სოფლის აღმ. ნაწილში ნასოფლარის ნაშთი და გვიანდ. ფეოდ. ხანის მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია დგას. შეკეთებულია XX ს-ში. სოფლის სამხრ-ით, მდ. თორნისწყლის მარჯვ. ნაპირას, მცირე ბორცვზე, XX ს. დასაწყისში აუშენებიათ წმ. გიორგის ეკლესია. ბორცვის ფერდობზე ნასოფლარია.

დიდი კაცხი, სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტის კაცხის თემში (იმერეთის მხარე), ჭიათურის პლატოზე, მდ. კაცხურის (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 560 *მ,* ჭიათურიდან 12 *კმ.* 802 მცხ. (2002).

დიდი კლდეისი, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში (ქვემო

ქართლის მხარე), ბედენის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. კლდეისის-წყლის (ხრამის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. კლდეისის თემის ცენტრი (სოფლები: **დ. ქ.**, პატარა კლდეისი). ზ. დ. 1340 *მ*, თეთრი წყაროდან 32 *კმ*. 90 მცხ. (2002). სოფლის ჩრდ-ით, 2 *კმ*-ზე, არის კლდეისის საყინულე გამოქვაბულები.

სოფელში და მის ირგვლივ ძვ. ნასახლარები და ეკლესიების ნანგრევებია. სოფლის შუაში შემორჩენილია ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები. როგორც ჩანს, აქ თავდაპირველად საკმაოდ მოზრდილი, თლილი ქვით ნაგები ერთნავიანი ეკლესია მდგარა (X–XI სს.), რ-ისთვისაც მოგვიანებით სამხრ-იდან და შემდეგ კი ჩრდ-იდან სამლოცველოები მიუშენებიათ. ნანგრევებში აღმოჩენილია კარ-სარკმელთა მორთულობისა და ლავგარდნის, აგრეთვე ასომთავრულწარწერიანი ქვების ფრაგმენტები. *პ. ზაქარაია.*

დიდი კონდური, ყოფ. დიდი გონდრიო, იხ. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი *კონდური.*

დიდი კოჭობა (Carpodacus rubicilla), ფრინველი მთიულასებრთა ოჯახისა. სხეულის სიგრძე 20 *სმ*, გავრცელებულია კავკასიის, შუა და ცენტრ. აზიის მთიანეთში, ტიბეტში, ჰიმალაიზე, ალთაიში. საქართველოში ბინადრობს ზამთარში, დიდთოვლობისას მომთაბარეობს ვერტ. მიმართულებით ალპ. მდელოებზე, ზ. დ. 2000 *მ* ზევით. ზამთარში კენკროვანი ბუჩქნარით დაფარულ მთის მდინარისპირა ველებზე ჩამოფრინდებიან. გაზაფხულზე წყვილდებიან, სხვა დროს გუნდებად ცხოვრობენ. დებენ 3–4 (6-მდე) ცისფერ, მუქწინწკლებიან კვერცხს. იკვებებიან მარცვლეულითა და, შესაძლოა, მწერებითაც. სიმცირის გამო შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“.

ცნობილია **დ. კ**-ს რამდენიმე ქვესახეობა, რ-თაგან საქართველოში გვხვდება კავკასიის დიდი კოჭობა (C. R. rubicilla).

რ. ჟორდანია.

დიდი კუხი, სოფელი ხონის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე, მდ. კუხის (გუბისწყლის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს, ქუთაისი–ხონის საავტ. გზაზე. კუხის თემის ცენტრი (სოფლები: **დ. კ.**, ახალშენი, პატარა კუხი). ზ. დ. 90 *მ*, ხონიდან 4 *კმ*. 1,5 ათ. მცხ. (2002).

დიდი ლამაზტანა (Calosoma sycophanta), მწერი ბზუალა ხოჭოების ოჯახისა. მისი სიგრძეა 24–33 *მმ*. თავი, წინაზურგი და სხეულის ქვედა მხარის მეტი წილი მუქი ლურჯია, ზედა ფრთები – ოქროსფერი, რ-საც ახასიათებს მომწვანო-ბრინჯაოსფერ-მოწითალო ნათება. ულვაშები, წვივები და მუცელი შავია. იზამთრებს ნიადაგსა და ფოთლოვან საფარში. კვერცხებს დებს გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში. ახალგაზრდა ხოჭოები გამოდიან აგვ.-სექტ-ში. გავრცელებულია შუა და სამხრ. ევროპაში, აფრიკის ჩრდ.-დას. რ-ნებში, თურქეთში, ირანში, შუა აზიის მთებში, კავკასიონზე. საქართველოში გვხვდება ყველგან ფოთლოვან, ზოგჯერ შერეულ, იშვიათად წიწვოვან ტყეებში, პარკებსა და ბაღებში, მინდორსაცავ ზოლებში. მთებში ადის ზ. დ. 1200–1500 *მ*-მდე. აქტ. მტაცებელია. ხოჭო და მისი მატლები იკვებებიან ტყის ისეთი მავნებლებით, როგორიცაა არაფარდი აბრეშუმმხვევი, მოლოზანა, რგოლური აბრეშუმმხვევი, ქოჩოლა და ა. შ., რითაც არეგულირებენ მავნე მწერთა რიცხოვნობას. სახეობა თანდათან მცირდება ტყეების გაკაფვისა და პესტიციდებით დამუშავების გამო. შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“. *ნ. რეკი.*

დიდი ლიახვი, იხ. *ლიახვი.*


დიდი ლიახვის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალი, დაარსდა 2005 სოფელ ქურთაში; მუზეუმ-ნაკრძალის სამოქმედო არეალი მოიცავდა დიდი და პატარა ლიახვის აუზში არსებულ ისტ. და მატერ. კულტურის ძეგლებს: ქაშუეთი, მინდიაანთ კოშკი (ქემერტი), გორა სამოსახლო, ხეთაგაანთ კოშკი (სვერი), საბაწმიდა, ძელიცხოველი (ხეითი), კეხვის ციხე, წმ. კვირიკეს, აბოწმინდას, წმ. ნიკოლოზის ეკლესიები (ზემო აჩაბეთი), პარსეთის წმ. გიორგის ეკლესია (ძარწემი), მაჩაბლის სასახლე, გორა სამოსახლო (ქურთა), გერის ნიში (თამარაშენი) და სხვ. მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომელთა მიერ ხორციელდებოდა რეგიონის ტერიტორიაზე არსებული კულტ. მემკვიდრეობის ძეგლების პასპორტიზაციის პროცესი. 2008 აგვისტოში რუს. მიერ საქართვ. მიმართ განხორციელებული აგრესიისა და რეგიონის ოკუპაციის შედეგად **დ. ლ. ხ. მ.**-ნ-ის ტერიტორია დროებით აღარ კონტროლდება საქართვ. ხელისუფლების მიერ.

დიდი ლილო, დაბა ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში (ისანი-სამგორის რ-ნი), ივრის ზეგნის ჩრდ.-დას. ნაწილში. ზ. დ. 800 *მ*. დაბაში არის ღვთისმშობლის ეკლესია, წმ. გიორგის სალოცავი, „ერეკლეს წყარო“. ტერიტორიაზე გადის ისტ. სარწყავი არხი.

დიდი ლოგოროტი, მთა ბაღდათისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდ. განშტოება ლობოროტის ქედზე, მდინარეების წაბლარასწყლისა და სუფსის სათავეებში. სიმაღლე ზ. დ. 2730 *მ*. აგებულია შუაეოცენური ასაკის ვულკანოგენური ქანებით. კალთებზე ზემოთ სუბალპ. და ალპ. მდელოებია, ქვემოთ – წიფლნარ-მუქწიწვოვანი ტყე.

ქ. ჯაყელი.

დიდი მარხვა, მართლმადიდებელ სამყაროში დაწესებული ყველაზე ხანგრძლივი მარხვა, იხ. *მარხვა.*



დიდი კოჭობა.

დიდი მეჯვრისხევი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. მეჯუდის (ლიახვის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას, ტირიფონის არხის მარჯვ. მხარეს. მეჯვრისხევის თემის ცენტრი (სოფლები: **დ. მ.**, ზერტი, კვარხითი, მეჯუდისპირი, პატარა მეჯვრისხევი). ზ. დ. 800 *მ*, გორიდან 19 *კმ*. 3,2 ათ. მცხ. (2002). სოფელში არის ა. *ერისთავ-ხოშტარიას* სახლ-მუზეუმი.

დ. მ-ში შემონახულია მრავალი ხუროთმოძღვრული ძეგლი, მ. შ. ერისთავების ორსართულიანი საცხოვრ. სახლი (თავდაპირველი ფენა თარიღდება XVII–XVIII სს-ით; გვიანდ. – XIX ს-ით) და დიდი მარანი. სოფლის შუაში მირმანოზ ერისთავის (მანანა *ორბელიანის* მამა) ციხე-სასახლის კომპლექსია, რ-ის პირველი ნაგებობები: ციხე-გალავანი, კარიბჭე და კოშკები XVII–XVIII სს-შია აგებული. XVIII ს-ში ციხის კარიბჭეზე ორსართულიანი სასახლე მიუშენებიათ, ხოლო XVIII–XIX სს-ში სასახლე გაუფართოებია და გადაუკეთებია მირმანოზ ერისთავს. სოფლის განაპირას დგას გვიანდ. შუა საუკ. კვირაცხოვლის ერთნავიანი ეკლესია.

დ. მ-ის შუაში აგურითა და რიყის ქვით ნაგები უსანეთის ეკლესიაა. დას. ფასადზე, მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილი წარწერიდან ჩანს, რომ იგი აუშენებია ივანე ხახუტაშვილს 1851.

სოფლის აღმ-ით, ძვ. სასაფლაოზე, IX–X სს. ღვთისმშობლის ეკლესია დგას, ხოლო ჩრდ-ით, სასაფლაოზე – გვიანდ. შუა საუკ. კიდევ ერთი ღვთისმშობლის ეკლესია. სოფლის სამხრ.-აღმ-ით, მთის ფერდობზე, ადგილ ლომისაში, გვიანდ. შუა საუკ. წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესიაა, რ-საც წმ. გიორგის ნიშს უწოდებენ.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990. *ჯ. გვასალია.*

დიდი მინდორი, იხ. *ასპარეზი.*

დიდი მიტარბი, სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანის ტერიტორიულ ორგანოში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. მიტარბულის (გუჯარეთის-წყლის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1480 *მ*, ბორჯომიდან 36 *კმ*. 48 მცხ. (2002).

სოფლის განაპირას, მდინარის პირზე, დგას X ს. წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია, რ-ის კედლები შიგნით და გარეთ შემოსილია სწორ რიგებად ნაწყობი, სუფთად გათლილი რუხ-მოღვინისფრო ქვის სხვადასხვა ზომის კვადრებით. სამხრეთის შესასვლელის თავზე დიდი გლუვი არქიტრავის ქვა დევს. მეორე, უფრო პატარა ზომის შესასვლელი ჩრდ-იდან აქვს. როგორც ჩანს, ამ მხარეს მინაშენი იყო. ინტერიერში კედლები დანაწევრებულია პილასტრებითა და თაღებით. საკურთხევლის ნახევარწრიული ღრმა აფსიდი ორი საფეხურით არის შემაღლებული იატაკის დონიდან. ფასადები სადაა, მორთულობის გარეშე, თუმცა მაღალოსტატურად და გეომ. სიზუსტით გამოყვანილი არქიტ. დეტალები თავისთავად მხატვრულობას სძენს ძეგლს. სოფლის ქვემო უბანში, მოქმედ სასაფლაოზე ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევებია. შემორჩენილ საფლავის ქვათაგან გამოირჩევა ყოჩის ქანდაკება, რ-საც ზურგზე ეკლესია ადგას. სოფლის სამხრ.-აღმ-ით, ტაბაწყურისკენ მიმავალი გზის პირას, კიდევ ერთი ნაეკლესიარის – „მაცხოვრის“ – ბუდეა. ეს ნაეკლესიარები დ. მ-ის უბნებად დაყოფაზე მიუთითებს.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., გიორგაძე მ., ჩაჩხუნაშვილი ც., ჭანიშვილი გ., გუჯარეთი, თბ., 1987. *მ. საღარაძე.*

დიდი მოურავი, თბილისის მოურავის – გ. *საკაძის* ზედწოდება.

დიდი მუღანლო, სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტის ქურთლარის თემში (ქვემო ქართლის მხარე), მარნეულის ვაკეზე, მდ. ხრამის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 310 *მ*, მარნეულიდან 23 *კმ*. 1,7 ათ. მცხ. (2002).

დიდი მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი, დაარსდა მცხეთაში 1985. 1940 პიტიახშთა არმაზისხევის (ქართლის ხევის) არქეოლ.-ხუროთმოძღვრული კომპლექსი და მისი მიმდებარე ტერიტორია საქართვ. სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით გამოცხადდა არქეოლ. ნაკრძალად, 1957 კი საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შეიქმნა მცხეთის არქეოლ. ნაკრძალი, რ-იც მოიცავდა ტერიტორიას მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის შესართავის ხერთვისიდან (ნახევარკუნძული) ბებრის ციხემდე. 1977 წ. 14 სექტ. საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბაზაზე დაფუძნდა მცხეთის ხელოვნებისა და ისტ.-არქიტ. ნაკრძალი, 2001-იდან – დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი. საქართვ. პრეზიდენტის 2006 წლის ბრძანებულებით შეიქმნა სსიპ დ. მ. ა. მ.-ნ. 2008 წ. ნოემბერში საქართვ. პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე დ. მ. ა. მ.-ნ. ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს“ სტრუქტურული ერთეული გახდა.

დ. მ. ა. მ.-ნ-ის ფონდებში დაცულია სხვადასხვა ეპოქისა (ძვ. წ. IV ათასწლეული – ახ. წ. XI–XII სს.) და ეთნოკულტურული წრის არქეოლ. ეთნოლოგიური ძეგლები (XVIII–XIX სს.) და ფოტოარქივი (XIX–XX სს.). სულ 30 ათასამდე საკოლექციო ერთეული.

დ. მ. ა. მ.-ნ-ის არეალში შედის ისეთი ძეგლები, როგორიცაა პიტიახშთა არმაზისხევის კომპლექსი, სამეფო აკლდამა, სამთავროს ძვ. წ. VI ს-ის ნამოსახლარი და მრავალფენიანი სამაროვანი, იუნესკოს მიერ 1997 მსოფლ. მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი არმაზციხის (ბაგინეთი) აკროპოლისი და სხვ.

დ. მ. ა. მ.-ნ-ში დღიდან და-



არმაზციხე (ბაგინეთი). ძვ. წ. II–I სს.

ფუძნებისა მოქმედებდა მუდმივი ექსპოზიცია; 2001 შეიქმნა რამდენიმე მიმართულების საგამოფენო პროგრამა (დიდი მცხეთა და ქვეყანა მისი, საქართვ. სამუზეუმო კოლექციების გამოფენა მცხეთაში, თემატური ხასიათის საგაზაფხულო-საშემოდგომო ექსპოზიციები).

დ. მ. ა. მ.-ნ-მა საქართვ. ტექნიკურ უნ-ტთან, ო. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლ. კვლევის ცენტრთან, თბილ. სამხატვრო აკად. რესტავრაციის ფაკ-ტთან ერთად განახორციელა რამდენიმე პროექტი: დ. მ. ა. მ.-ნ-ის ფონდში დაცული კეთილშობილი ლითონებისგან დამზადებული I–IV სს. არქეოლ. ძეგლების ქიმიურ-ტექნოლ. ანალიზი (2001–03), ლითონმქანდაკებლობის 360 ძეგლისა (2004–05) და მინისა და თიხის ნაწარმის აღდგენა-გამაგრება (2003–08).

საფონდო კოლექციების შესწავლის საფუძველზე მომზადდა 7 სამაგისტრო ნაშრომი. XX ს. 60–70-იან წლებში მცხეთის არქეოლ.

ექსპედიციასთან ერთად, ხოლო 2003–08 დამოუკიდებლად, დ. მ. ა. მ.-ნ-ის ინიციატივით ჩატარდა სადაზვერვო-სტაციონარული არქეოლ. გათხრები ისტ. დიდი მცხეთის სხვადასხვა უბანზე.

თ. ბიბილური.

დიდი ნეძი, სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ჯუმის (ენგურის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: დ. ნ., დიდი ნეძის კახათი, დიხაგუთუბა). ზ. დ. 12 *მ,* ზუგდიდიდან 16 *კმ,* ცაცხვიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 *კმ.* 435 მცხ. (2002).

დიდი ნეძის კახათი, სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დიდი ნეძის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ჯუმის (ენგურის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 12 *მ,* ზუგდიდიდან 18 *კმ,* ცაცხვიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 7 *კმ.* 503 მცხ. (2002).

დიდი ოფეთი, სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის სამხრ. მთისწინეთში, მდ. ხევისწყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ოფეთის თემის ცენტრი (სოფლები: დ. ო., თხილაგანი, მტერჩვეული, ნაწილოფეთი, პატარა ოფეთი, წიაღუბანი). ზ. დ. 240 *მ,* სამტრედიიდან 16 *კმ,* დაფნარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 9 *კმ.* 160 მცხ. (2002).

დიდი ოყარი, დიდი თეთრი ყანჩა (Egretta alba), ფრინველი ლაკლაკისნაირთა რიგისა. გავრცელებულია სამხრ.-აღმ. ევროპაში, აზიაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, სამხრ. აფრიკაში, მადაგასკარზე, ჩრდ. ამერიკის სამხრ. ნაწილში, სამხრ. ამერიკაში. საქართველოში მეტად იშვიათია, გვხვდება ცალკეული წყვილების სახით მესხეთ-ჯავახეთში, სამეგრელოში, როგორც მობუდარი გადამფრენი ფორმა. ადის ზ. დ. 1800 *მ*-მდე. ბატზე ოდნავ დიდია. აქვს თეთრი ბუმბული, თვალების ირგვლივ – ყვითელი რგოლი, შავი ფეხები, შავი ნისკარტი ყვითელი ფუძით. ბინადრობს მთის ტბებზე, რ-ებიც ლელქაშითა და ლერწმითაა გარშემორტყმული, დაჭაობებულ ადგილებში. იკვებება თევზებით, წყლის მწერებით, იშვიათად ბაყაყებით, მღრღნელებით. ბუდეს იკეთებს მიწაზე – ნაყარ ლერწამზე, იშვიათად – ხეზე (ტირიფზე). ბუდეს შებრუნებული კონუსის ფორმა აქვს. დებს 3–4 (იშვიათად 5) მომწვანო-ცისფერ კვერცხს. მორიგეობით კრუხობს ორივე მშობელი. XIX ს-ში და XX ს. დასაწყისში დიდი მოთხოვნილება იყო მის ლამაზ თეთრ ბუმბულზე (ეგრეტკებზე), რის გამოც დიდი რაოდენობით ფრინველი ნადგურდებოდა. ამჟამად დ. ო. დაცულია, შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“. ცნობილია დ. ო-ის რამდენიმე ქვესახეობა, რ-თაგან საქართველოში გვხვდება ჩრდილოური დიდი თეთრი ყანჩა (E. alba). *რ. ჟორდანია.*

დიდი ოჯახი, პატრიარქალური ოჯახი, გვაროვნული ოჯახი, გაუყრელი ოჯახი, საოჯახო თემი, ოჯახის ერთ-ერთი უძველესი ფორმა. წარმოიქმნა გვაროვნული წყობილების დაშლის საფეხურზე. გვაროვნ. თემი (გვარი – გენსი), რ-იც ახლო ნათესავთა გაერთიანებას წარმოადგენდა, დაიშალა და ამის შემდეგ ძირითადად სოც.-ეკონ. უჯრედად – დ. ო-ად იქცა. გვარის დაშლა სხვადასხვა ხალხში სხვადასხვა დროს მოხდა. საქართველოში გვაროვნ. წყობილების დაშლა, კლასების აღმოცენება და სახელმწიფოს წარმოქმნა ქრისტ. წელთაღრიცხვამდე განხორციელდა. ამ დროიდან დ. ო-მა უმცირესი სოც.-ეკონ. ერთეულის ადგილი დაიჭირა.

ფეოდ. ეპოქის წერილობითი წყაროებისა და XIX–XX სს. ეთნოგრ. მასალის მიხედვით, ქართ. კლასობრივი საზ-ბისათვის დამახასიათებელი იყო დიდი და პატარა ოჯახების თანაარსებობა. მიმდინარეობდა დ. ო-ების დაშლა და უმთავრესად ორთაობიანი ინდივიდ. ოჯახების მატება. ყოველი სოც.-ეკონ. ფორმაციის ზემოქმედების შედეგად გაუჟოფელი ოჯახი ტრანსფორმაციას განიცდიდა, რის გამოც XIX ს. ბოლომდე შემორჩენილ დ. ო-ს საოჯახო თემის ნიშნები შენარჩუნებული ჰქონდა სახეშეცვლილი ფორმით.

ქართული დ. ო-ის სტრუქტურა ყველაზე უფრო ნათლად ჩანს XIX ს. ეთნოგრ. მონაცემების მიხედვით. საქართვ. კუთხეების შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ მრავალრიცხოვანი გაუყრელი ოჯახი აერთიანებდა 3–5 თაობას. ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ ძმები, ბიძაშვილები, ძმათა შვილები, ბიძაშვილისშვილები, სხვადასხვა თაობის რძლები და გასათხოვარი ქალები. ზოგ შემთხვევაში ოჯახში იმყოფებოდა გარეშე პირიც – უპატრონო ნათესავი ან სახლისშვილი (მომსახურე). დ. ო-ის საარსებო საშუალება იყო მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, შინამრეწველობა, ხელოსნობა, ვაჭრობა თუ ქირით ტვირთის ზიდვა. საარსებო წყაროს ხვედრითი წილის საფუძველი კი კუთხის თუ სოფლის სამეურნ.-ეკონ. პირობები იყო. ამის შესაბამისად, ბარის მკვიდრთა საოჯახო მეურნეობაში წამყვან როლს ასრულებდა მიწათმოქმედება, ხოლო მთიელთა მეურნეობაში – მესაქონლეობა. საოჯახო მეურნეობის თავისებურება განსაზღვრავდა შრომის ორგანიზაციის ხასიათსაც. რაც უფრო მრავალდარგოვანი იყო მეურნეობა, მით უფრო დიფერენცირებულ ხასიათს ატარებდა ფუნქციების განაწილება ოჯახის წევრებს შორის. ასაკისა და ცოდნა-გამოცდილების შესაბამისად, მამაკაცები ამუშავებდნენ მიწას, უვლიდნენ ბაღ-ვენახს, ამთაბარებდნენ საქონელს, მართავდნენ წისქვილს, ხელოსნობდნენ და ა. შ. საშინაო და საგარეო საქმიანობის კვალობაზე გამოყოფდნენ შინაკაცებსა და გარემხრის კაცებს. შრომა-საქმიანობის სპეციფიკის მიხედვით ცნობილია აგრეთვე გუთნისდედა, მეხრე, თოხის კაცი, ცულის კაცი, მემთიური, მეცხვარე, სარქალი და ა. შ. მათ შორის ფუნქციების განაწილება და საოჯახო შრომის ორგანიზაცია ოჯახის უფროსის – უხუცესი და გონიერი მამაკაცის – უფლებამოსილება იყო. ასაკობრივი პრინციპი ირღვეოდა იმ შემთხვევაში, როდესაც უხუცესის უუნარობის გამო ოჯახის ხელმძღვანელობა ასაკით უმცროსს, მაგრამ ენერგიულ მამაკაცს დაეკისრებოდა. ოჯახის უფროსის მეუღლე ან საოჯახო საქმიანობის ცოდნით გამორჩეული სხვა რომელიმე უფროსი რძალი ხელმძღვანელობდა ქალთა შრომა-საქმიანობას, რ-ის განაწილებაც ასევე ასაკობრივი პრინციპით ხდებოდა: თუ პურის ცხობა საუფროსო საქმედ ითვლებოდა, წყლის მოტანა ყველაზე უმცროსი რძლის მოვალეობას შეადგენდა. საქართვ. ზოგ კუთხეში უფროსი ქალი მუდმივად დიასახლისის როლში იყო, ზოგან კი ეს ფუნქცია ყოველწლიური მორიგეობის წესს ექვემდებარებოდა.

მრავალთაობიანი და მრავალსულიანი ოჯახის ერთობის შენარჩუნების რეალურ საფუძველს შეადგენდა საოჯახო ეტიკეტის მტკიცედ დაცვა, რაც,



დიდი ოყარი.

თავის მხრივ, განპირობებული იყო უფროს-უმცროსობის ნორმებზე დამყარებული ურთიერთობის აუცილებლობით. მორიდება თავს იჩენდა სხვადასხვა თაობის მამაკაცებისა და ქალების ურთიერთობაში, მიმართვის ფორმებში, განსაკუთრებით კი მამამთილის, დედამთილისა და მაზლების მიმართ რძლების მოკრძალებულ დამოკიდებულებაში. საქართვ. სხვადასხვა კუთხეში ამ მხრივ განსხვავებული ვითარება შეინიშნებოდა, მაგრამ ძვ. ქართ. ტრადიცია, რ-იც უფროს-უმცროსობის ნორმების შესრულებას გულისხმობდა, უფრო დიდხანს და მკაფიოდ შეინარჩუნეს ქართვ. მთიელებმა, რ-თა საოჯახო ცხოვრებაში უმძრახობა განსაკუთრებით რძალ-მამამთილს შორის თითქმის XIX ს. ბოლომდე სავალდებულო წესად ითვლებოდა.

გაუყოფელი ოჯახის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება საკუთრების ფორმა იყო. არსებობდა საერთო-საოჯახო საკუთრება. ოჯახის არცერთი სრულწლოვანი მამაკაცი არ სარგებლობდა განკერძოებული საკუთრების უფლებით. სახლი, სამეურნ. ნაგებობანი, მამული თუ საქონელი ყველა წევრის საერთო საკუთრებას შეადგენდა. ქალებისათვის განკუთვნილი იყო მხოლოდ მეტ-ნაკლები ღირებულების *მზითევი.*

აღნიშნული ნიშნების მატარებელი დიდი ქართ. ოჯახი სპორადული სახით არსებობდა XX ს. 20-იან წლებამდე. შემდეგ კი ინდივიდ. ოჯახებად ცხოვრების წესი დამკვიდრდა.

ლიტ.: ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, ნაწ. 1, თბ., 1969; მ ი ს ი ვ ე, მოხევეების საოჯახო ყოფა, თბ., 1970; მ ი ს ი ვ ე, ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1974; ხ ა რ ა ძ ე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939; მ ი ს ი ვ ე, Грузинская семейная община, ч.1–2, Тб., 1960–61.

ვ. ითონიშვილი.

დიდი პამაჯი, სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტის პამაჯის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალციხის ქვაბულში, მდ. ფოცხოვისწყლის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1180 *მ,* ახალციხიდან 11 *კმ,* ვალედან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5,5 *კმ.* 591 მცხ. (2002). დ. პ-იდან 3 *კმ*-ზე არის აქატის საბადო.

დიდი სამამულო ომი 1941–45, იხ. სტ. *მეორე მსოფლიო ომი 1939–45.*

დიდი სამსარი, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბარალეთის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), სამსრის ქედის დას. კალთაზე, მდ. სამსრისწყლის (ბარალეთისწყლის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 2000 *მ,* ახალქალაქიდან 29 *კმ.* 379 მცხ. (2002).

დ. ს. მდებარეობს ისტ. ჯავახეთში. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ (1595) მიხედვით უკვე გაუკაცრიელებული ნასოფლარი ყოფილა, რ-საც მდინარის დინების მიმართულების გათვალისწინებით, ზემო სამსარი ერქვა. როგორც ჩანს, შემდგომ ხანებში მოსულმა მოსახლეობამ ზემო და ქვემო სამსარს დიდი და პატარა შეარქვა. ამჟამად დ. ს-ში სომხ. მოსახლეობაა, რ-იც XIX ს. 30-იან წლებშია მოსული ერზურუმის მხრიდან. სოფელში 1899 აუშენებიათ სომხ. ეკლესია ძვ. ქართ. ნაეკლესიარის საფუძველზე. იქიდან გადარჩენილია ჩრდილოეთის კედელში ჩაშენებული ორი პატარა ქვა, რ-ებზეც გამოსახულია წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი. ერთ მათგანს მკლავებს შორის კოპები უზის. ეკლესიის გალავნის შიგნით ძვ. სასაფლაოა. საფლავის დამუშავებულ ქვებს შორის არის ყოჩებისა და ცხენის ქანდაკებებიც. ეკლესიის მახლობლად გადის კლდეში გაჭრილი საურმე გზა, რ-იც ამ კლდეკარით მდინარის ვიწრო კანიონში ჩადის და პატარა სამსარში მიდის. მდინარის მარცხ. ნაპირზე, დ. ს-ის ჩრდ.-აღმ-ით, ერთმანეთთან ვიწრო გვირაბებით დაკავშირებული გამოქვაბულებია. არის მოზრდილი დარბაზებიც, რ-თაგან ერთში კედელზე რელიეფური ჯვარია გამოსახული, მის მარჯვნივ და მარცხნივ ასომთავრულით შესრულებული ორორი ასო-ნიშანი იკითხება: წ ჲ გი, ე. ი. „წმიდაჲ გიორგი“. წარწერა განგებაა დაზიანებული.

წყარო: ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 3, თბ., 1958.

დ. ბერძენიშვილი.

დიდი სატივე, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის გომის თემში (შიდა ქართლის მხარე), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ. ტილიანას (სურამულის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 680 *მ,* ხაშურიდან 17 *კმ,* გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ.* 374 მცხ. (2002).

დიდი სერების გორასამარხი, ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის დასასრულის – II ათასწლეულის დასაწყისის არქეოლოგიური ძეგლი სოფელ ნუკრიანთან (სიღნაღის მუნიციპალიტეტი). გათხარეს 1975 (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გორასამარხი დაზიანებული იყო (შემორჩენილი მიწაყრილის სიმაღლე – 1 *მ,* დიამეტრი – 20 *მ*). ცენტრ. ნაწილში 0,10 *მ* სიღრმეზე გამოვლინდა 2 *მ* სიგრძისა და 1,90 *მ* სიგანის ოთხკუთხა სამარხი, ორმო, რ-იც დამხრობილი იყო აღმ-იდან დასკენ. მიცვალებული დაკრძალული იყო კიდურებმოხრილი, თავით– დასავლეთისკენ. მარცხ. ხელი ზურგისკენ ჰქონდა გაშვერილი. ორმოს ჩრდ.-აღმ. და სამხრ.-აღმ. კუთხეებში ეწყო მსხვილფეხა საქონლის თავის ქალები. სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ყუნწმოტეხილი სატევარი, ოთხწახნაგა ისრისპირი, თეთრი კირქვის ლახტისთავი, თიხის ჭურჭელი (9 ც.), წვრილფეხა საქონლის ძვლები, სამეურნ. დანიშნულების 2 ქილა, 2 ქოთანი, კოჭობი, ცალყურა სასმისი და სხვ.

მასალა ინახება ქ. სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ლიტ.: П и ц х е л а у р и К. Н. и др., Краткий отчет кахетской археологической экспедиции в 1975 г., კრ.: Полевые археологические исследования в 1975 г., Тб., 1979.

რ. რუსიშვილი.

დიდი სმადა, სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტის ჩორჩანის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალციხის ქვაბულში, მდ. ქვაბლიანის (ფოცხოვისწყლის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1200 *მ,* ადიგენიდან 5 *კმ,* ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 25 *კმ.* 379 მცხ. (2002).

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ (1595) მიხედვით, სოფ. დ. ს. შედიოდა ახალციხის ლივაში ალთუნყალას (ოქროს ციხე) რ-ში. აქ მაშინ 14 კომლი ცხოვრობდა: სიმონ ბაღრიასძე, ვარძელ, ძმა მისი, გიორგი ფოცხვერისძე, ქრისტესა, ძე მისი; გოგიჩა კვირიკასძე, ვარძელ, ძმა მისი, გრიგოლ მახარაძე, ბასილა ვარძელისძე, შვილიშვილი ენუქა დავითგულისძე, მახარას შვილიშვილი, იორდანე ჯანიასძე, ივანეს შვილიშვილი, ელია, ძე მისი. მათ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, მუხუდო, ოსპი; ჰყავდათ ცხვრები, ღორები, ფუტკარი; ჰქონდათ ბოსტნები და წისქვილი (ერთი თვალი). ყოველივე ამისთვის იხდიდნენ 16000 *ახჩას* წლიურად. 1704–05 სოფ. სმადა ისევ ალთუნყალას რ-ში შედიოდა და წარმოადგენდა ზეა-

მეთს ვინმე ალის სახელზე. მაშინ ამ სოფლის გადასახადი უკვე 21000 ახჩა ყოფილა. 1944-მდე დ. ს-ში გამაჰმადიანებულ ქართველებს უცხოვრიათ. შემორჩენილია მათი მეჩეთი. მაჰმადიანი ქართველების შუა აზიაში გასახლების შემდეგ აქ დაასახლეს საჩხერის რ-ნის მკვიდრნი (100-მდე კომლი).

სოფლის ჩრდ-ით, მუხნარის მთაზე დგას დარბაზული ეკლესია (ფართ. 4 *მ* × 8 *მ*), შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. ნაგებია თლილი ქვების რეგულ. წყობით. სწორკუთხა საკურთხეველში ორი ნიშაა, რ-თა სიმაღლე სარკმლის თავამდე აღწევს.

წყარო: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოც., წგ. 2, თბ., 1941; ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. 1694–1732 წწ., ც. აბულაძის და მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979.

დ. ბერძენიშვილი.

დიდი სომხეთი, ძველი სომხეთის სახელმწიფო; მოიცავდა სომხ. ზეგანის ძირითად ნაწილს მდ. ევფრატის სათავეებში. ძვ. წ. 220 სელევკიდური სირიის მეფემ ანტიოქე III-მ დაიპყრო არარატის სამეფო მდ. ტიგროსის ზემო წელზე და ვანის ტბის გარშემო მდებარე ადრე დაპყრობილი სომხ. მიწები ერთ ადმ. ერთეულად გააერთიანა. ამ ოლქს ეწოდა დ. ს.; მის გამგებლად („სტრატეგოსად") ანტიოქე III-მ დანიშნა ადგილ. დიდკაცობის წარმომადგენელი *არტაშეს I,* რ-მაც ძვ. წ. 189 რომთან სელევკიდების დამარცხების შემდეგ დ. ს. დამოუკიდებელ სამეფოდ გამოაცხადა და სათავე დაუდო არტაშესიანთა დინასტიას, დააარსა მისი ახ. დედაქალაქი არტაშატი. არტაშეს I-მა მეზობელი ქვეყნების ხარჯზე გააფართოვა სამეფო; ქართლს ჩამოაჭრა 3 ოლქი: ქორზენე (კლარჯეთი), გოგარენე (გუგარეთი) და პარიადრის მთიანეთი (პარხლის ანუ ლაზისტანის ქედი).

დ. ს-მა თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია მეფე *ტიგრან II-ის* (ძვ. წ. 95–56) დროს. ტიგრანმა დაიპყრო სოფენა (წოფქი), ალბანეთის კუთვნილი რამდენიმე ოლქი, მიდიის ატროპატენა, სირია, ფინიკია, კილიკია და სხვ. მის დროს დ. ს-ის ტერიტ. კასპიის ზღვის სამხრ.-დას. სანაპიროდან ხმელთაშუა ზღვის აღმ. სანაპირომდე გადაიჭიმა. ტიგრანმა დააარსა ახ. დედაქალაქი ტიგრანაკერტი, მაგრამ ძვ. წ. I ს. 60-იან წლებში მოკავშირე პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორთან ერთად რომაელებთან ბრძოლაში დამარცხდა და თითქმის ყველა დაპყრობილი ტერიტორია დაკარგა. ამის შემდეგ დ. ს. რომსა და პართიას შორის მუდმივი ქიშპობის ასპარეზად იქცა. ახ. წ. I ს. არტაშესიანთა დინასტია დაეცა. რომაელმა სარდალმა მარკუს ანტონიუსმა ტყვედ წაიყვანა უკანასკნელი მეფე არტავაზდი და სიკვდილით დასჯა. დ. ს-ს მორიგეობით მართავდნენ რომისა და პართიის მიერ დანიშნული პირები. ახ. წ. 30-იან წლებში რომის მოთხოვნითა და ხელშეწყობით დ. ს-ის ტახტი დაიკავა იბერიის მეფის ფარსმან I-ის ძმამ, *მითრიდატე* იბერიელმა. ქართლის ჯარებმა დაამარცხეს პართიის მეფის არტაბან III-ის ვაჟის ოროდის სამხ. ძალები. მითრიდატე მრავალი წლის მანძილზე წარმატებით მართავდა დ. ს-ს. 50-იან წლებში ფარსმან I-ის დახმარებით მისმა ვაჟმა *რადამისტმა* ღალატით მოკლა თავისი ბიძა და ტახტი დაისაკუთრა, მაგრამ მისი მმართველობით უკმაყოფილო სომხები აჯანყდნენ და რადამისტი გააძევეს. ამით ისარგებლა პართიამ და დ. ს-ს დაეპატრონა, სადაც პართელი არშაკიდები გამეფდნენ. 301 თრდატ III-მ დ. ს-ში ქრისტიანობა სახელმწ. რელიგიად გამოაცხადა. 387 დ. ს. გაიყვეს ბიზანტიამ და სასანიანთა ირანმა.

ლიტ.: История армянского народа, ч.1, Ер., 1951; Ломоури Н. Ю., Грузино-римские взаимоотношения, Тб., 1981.

ნ. ლომოური. ლ.-ნ. ჯანაშია.

დიდი სჯიზმა (ბერძნ. schisma, სიტყვასიტყვით – დაყოფა, გაყოფა), ქრისტიანული ეკლესიის გაყოფა კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიებად. გაყოფის ძირითადი მიზეზი იყო ზემდგომობისათვის ბრძოლა რომის პაპსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს შორის. ამას ხელი შეუწყო დას. და აღმ. ეკლესიებს შორის ადრევე წარმოშობილმა განხეთქილებამ დოგმატიკის, ორგანიზაციისა და ლიტურგიკის საკითხების შესახებ. დ. ს-ის თარიღად მიღებულია 1054 წ. 16 ივლისი.

დ. ს-ს საფუძველი ჩაეყარა რომის იმპერიის გაყოფისთანავე, როცა IV ს. დასასრულს და V ს. დასაწყისში შეიქმნა ახ. რელიგ. ცენტრი – კონსტანტინოპოლი. უთანხმოებამ რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიებს შორის თავი იჩინა დაახლ. 867 პაპ ნიკოლოზ I-ისა და პატრიარქ ფოტიოსის დროს (უმთავრესად ბულგარეთის ეკლესიაზე ზემდგომობის საკითხთან დაკავშირებით). დავა შეწყდა X ს. დასაწყისში, თუმცა უთანხმოება კვლავ გრძელდებოდა. გაყოფის საბაბად იქცა კონფლიქტი რომის ეკლესიის კარდინალ უმბერტსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქ მიქაელ კერულარიოსს შორის სამხრ. იტალიის მიწების გამო – პაპის ბრძანებით იქიდან გააძევეს ბერძნები, რ-იც უარს ამბობდნენ რელიგ. ცხოვრების ლათ. წესზე. პასუხად კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ლათ. ტიპის ეკლესიები დახურა. 1054 წ. 16 ივლ. პაპის ლეგატებმა წმ. სოფიოს ტაძრის საკურთხეველზე დადეს ბულა, რ-ის თანახმად კონსტანტინოპოლის პატრიარქს კერულარიოსს ბრალად ედებოდა მრავალი ერესი, კერძოდ მსოფლიო საეკლ. კრებების აბუჩად აგდება. ოთხი დღის შემდეგ შედგა საპასუხო კრება თორმეტი მიტროპოლიტის და რამდენიმე ეპისკოპოსის შემადგენლობით და ანათემა შეუთვალა პაპსა და მის მომხრეებს.

ამრიგად, რომის პაპმა და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ერთმანეთი შეაჩვენეს, მოხდა დ. ს., თუმცა კავშირი აღმ. და დას. ეკლესიებს შორის ერთბაშად არ შეწყვეტილა. სრული და საბოლოო გაყოფა მოხდა 1204, ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ.

შ. ცირეკიძე.

დიდი სჯულისკანონი, ბიზანტიურ-ბერძნული წარმოშობის კანონიკური კრებულის, ნომოკანონის (883 წ. რედაქცია) ქართული თარგმანი, რ-საც დამატებული ჰქონდა ქართ. საეკლ. სამართლის ნორმები. იგი ბერძნულიდან ქართულად თარგმნა *არსენ იყალთოელმა* XI ს. ბოლოს ან XII ს. დასაწყისში. დ. ს. სისტემურ-ქრონოლ. კრებულს წარმოადგენდა და აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ძირითადი კანონიკური ძეგლი იყო. დ. ს. შეიცავს მოციქულთა, მსოფლიო საეკლ. კრებათა და წმიდა მამათა კანონებს. გარდა ამისა, მას თან ერთვის ქართ. ორიგინ. კანონიკური მწერლობის ძეგლი *რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა.* ქართ. ეკლესიისათვის დ. ს. ქართ. კანონიკური „ძეგლისწერითურთ" ერთიან მოქმედ სამართ. წიგნად იყო წარმოდგენილი. მან ხელი შეუწყო ქართ. საერო და ორიგინ. კანონიკური სამართ. განვითარებას, კანონიკური მწერლობის ჩამოყალიბებას ძვ. ქართული ლიტრის დამოუკიდებელ და მნიშვნელოვან დარგად. დ. ს-ისა და

მცირე სჯულისკანონის გავლენით ქართ. ფეოდ. სამართალმა მრავალი რთული და შინაარსით მდიდარი იურიდ. ცნება შეიმუშავა.

ლიტ.: დიდი სჯულისკანონი, ე. გაბიძაშვილის, ე. გიუნაშვილის, მ. დოლაქიძის, გ. ნინუას გამოც., თბ., 1975.

გ. ნადარეიშვილი.

დიდი ფლევი, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი). ფლევის თემის ცენტრი (სოფლები: დ. ფ., ნაცარგორა, პატარა ფლევი, ტკოცა). ზ. დ. 820 *მ,* ხაშურიდან 22 *კმ,* გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 9 *კმ.* 530 მცხ. (2002).

იხსენიება ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ფცისწყლის სოფელთა სიაში. სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, სასაფლაოზე, ორი ეკლესიაა: წმ. გიორგის მცირე ეკლესია (განვით. შუა საუკ.) და წმ. გიორგის დიდი ეკლესია (XIX ს.).

ჯ. გვასალია.

დიდი ღრომი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. მეჯუდის (ლიახვის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ღრომის თემის ცენტრი (სოფლები: დ. ღ., ანდორეთი, ახსარგინა, ბიეთი, ზემო გორეთი, ზემო ქლივანა, თელაგინა, ივრეთი, ნიში, პატარა ღრომი, საკვირეთი, ქვემო გორეთი, ქვემო ქლივანა, წყლები, ჯვარეთი). ზ. დ. 860 *მ,* ერედვიდან 23 *კმ.* 185 მცხ. (1989).

სოფელი იხსენიება ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) მეჯუდის ხეობის სოფელთა სიაში.

ჯ. გვასალია.



დიდი ყარაულა.

დიდი ყარაულა, წ ყ ლ ი ს ბ უ ღ ა (Botaurus stellaris), ფრინველი ლაკლაკისნაირთა რიგისა. შეფერილობით მოწითურო-მურაა, მუქი გასწვრივი და გარდიგარდმო ზოლები დასდევს. სხვა ყანჩებისაგან განსხვავდება სქელი კისრითა და წითური შეფერილობით. არის გადამფრენი ფრინველი. გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. საქართველოში ბინადრობს დაჭაობებულ მინდვრებში, ტბებზე, აგრეთვე ჭაობებში, სადაც ხშირი ლერწამი ხარობს. აპრ.-მაისში კორდზე დებს 3–5 კვერცხს, ინკუბაცია გრძელდება 25–26 *დღ-ღ.* საშიშროებისას თავს მაღლა სწევს და ინაბება ლერწნარში (აქედან მოდის სახელწ. ყარაულა). გაზაფხულზე, გამრავლების პერიოდში, მამალი ბუღის მსგავს ხმას გამოსცემს (აქედან მომდინარეობს სახელწ. წყლის ბუღა). იკვებება წყლის მწერებით, ლოკოკინებით, ჭიებით, უფრო იშვიათად – თევზით, ბაყაყებით, მღრღნელებით.

რ. ყორდანია.

დიდი ყელეთი, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის წრომის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 890 *მ,* ხაშურიდან 16 *კმ.* 60 მცხ. (2002).

დიდი ჩაილური, სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), ივრის ზეგანზე, მდ. ჩაილურის (ივრის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ჩაილურის თემის ცენტრი (სოფლები: დ. ჩ., პატარა ჩაილური). ზ. დ. 680 *მ,* საგარეჯოდან 15 *კმ.* 1,0 ათ. მცხ. (2002).

დიდი ჩორჯო, სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხვანჭკარის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), ლეჩხუმის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. რიონის ხეობაში. ზ. დ. 800 *მ,* ამბროლაურიდან 13 *კმ.* 175 მცხ. (2002).

დიდი ციხიათა, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის ყორნისის თემში (შიდა ქართლის მხარე), ლიხის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. აღმოსავლეთის ფრონის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 960 *მ,* ყორნისიდან 11 *კმ,* ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 18 *კმ.* 8 მცხ. (1989). სოფლის ტერიტორიაზე შემორჩენილია ხერხულიძეების კოშკის ნანგრევები.

დიდი ფერეთი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის მღებრიანის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. თხინვალის (ტანის მარჯვ. შენაკადი) სათავეში. ზ. დ. 1540 *მ,* გორიდან 48 *კმ.* 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

შუა სოფელში XIV–XV სს. ღვთისმშობლის ერთნავიანი დაზიანებული ეკლესიაა. კედლები გარედან ნაგებია თლილი, ხოლო შიგნით – ნატეხი ქვით. კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები შირიმის ქვისაა. გადამხურავი კამარა პილასტრებზე ამოყვანილ საბჯენ თაღს ეყრდნობა. ჩანს მოხატულობის კვალი. სოფლის მახლობლად, ნასოფლარის ტერიტორიაზე ნატეხი ქვით ნაგები, ამავე ხანის 2 კოშკისა და ეკლესიის ნანგრევებია. ერთი ცილინდრული კოშკი 5-სართულიანი ყოფილა, მეორე (პირამიდული, გეგმით კვადრატული) – სამსართულიანი.

პ. ზაქარაია.

დიდი ჭვარები, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის მღებრიანის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. თემძის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1530 *მ,* გორიდან 54 *კმ.* 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

შემორჩენილია წმ. გიორგის სალოცავის ნანგრევები.

დიდი ჭყონი, სოფელი მარტვილის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის ვაკეზე, მდ. ტეხურის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს, თემის ცენტრი (სოფლები: დ. ჭ., ლედგებე, ნამიკოლავო მეორე, ოჩე, ჟინოთა). ზ. დ. 200 *მ,* მარტვილიდან 15 *კმ.* 774 მცხ. (2002).

დიდი ხავლეთი, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის წრომის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 910 *მ,* ხაშურიდან 15 *კმ.* 35 მცხ. (2002).

დიდი ხალეგი, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, ხალების თემის ცენტრი (სოფლები: დ. ხ., ალექსანდრესწყარო, პატარა ხალები, სარტყელა, ღართა, ღვრიაწყალი). ზ. დ. 790 *მ,* ხაშურიდან 12 *კმ.* 28 მცხ. (2002).

დიდი ხანჩალი, სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ჯავახეთის ზეგანზე, ხანჩალის ტბის აღმ-ით. თემის ცენტრი (სოფლები: დ. ხ., კათნატუ, პატარა ხანჩალი). ზ. დ. 1950 *მ,* ნინოწმინდიდან 3 *კმ.* 1,6 ათ. მცხ. (2002).

დიდი ხორში, სოფელი სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე. ზ. დ. 80 *მ,* სენაკიდან 13 *კმ.* 342 მცხ. (2002).

დიდი ხურვალეთი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის შავშვების თემში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), ტირიფონის არხის ნაპირას. ზ. დ. 810 *მ,* გორიდან 21 *კმ.* 379 მცხ. (2002).

დიდი ჯიხაიში, სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე, სამტრედია – ხონის საავტ. გზაზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 55 *მ,* სამტრედიიდან 14 *კმ,* იანეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ.* 1,6 ათ. მცხ. (2002). ნ. *ნიკოლაძის* სახლ-მუზეუმი. დ. ჯ-ში

დაიბადნენ: მ. *გამსკიძე*, გ. *კაჭახიძე*, კ. *ლორთქიფანიძე*, გ. *ნიკოლაძე* და სხვ.

დ. ჯ. წყაროებში პირველად ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) რუკებზეა აღნიშნული. შემორჩენილია რამდენიმე გორანამოსახლარი, ე. წ. „გორიკა“.

დიდი ჰადრონული კოლაიდერი (Large Hadron Collider – LHC), პროტონების შემხვედრი კონების ამჩქარებელი. ამ ტიპის უდიდესი დანადგარი მსოფლიოში (2012). დ. ჰ. კ. აჩქარებს პროტონების შემხვედრ კონებს $7_{ტევ}=7\cdot10^{12}_{ევ}=1{,}12\cdot10^{-6}$ ჯ ენერგიამდე (ერთ პროტონზე გადაანგარიშებით). შესაძლებელია ტყვიის (Pb) ატომბირთვების აჩქარება 574 *ტევ*=92,0·10⁻⁶ჯ ენერგიამდე (ერთ ბირთვზე გადაანგარიშებით). განლაგებულია 27 *კმ* სიგრძის წრიულ გვირაბში, რ-იც გაყვანილია 175 *მ* სიღრმეზე შვეიცარიისა და საფრანგეთის საზღვარზე. დ. ჰ. კ. აიგო ბირთვული გამოკვლევების ევროპული ცენტრის (CERN) მიერ და მიზნად ისახავს ფიზიკის ფუნდამენტური საკითხებისა და ბუნების უზოგადესი კანონების შესახებ არსებული შეხედულებების ექსპერიმენტულ შემოწმებას. კერძოდ, ამ დანადგარის გამოყენებით ელოდებიან სუპერსიმეტრიის თეორიით ნაწინასწარმეტყველები ახალი ელემენტარული ნაწილაკების ექსპერ. აღმოჩენას. დ. ჰ. კ-ზე დამონტაჟებული სამეცნიერო-კვლევითი დეტექტორების დაპროექტებაში, აწყობასა და ტესტირებაში მონაწილეობდა 10 000-ზე მეტი მეცნიერი და ინჟინერი მსოფლიოს 100-მდე ქვეყნიდან, მ. შ. საქართველოდან.

დ. ჰ. კ-ის გაშვება პირველად შედგა 10. IX. 2008. შემდგომ, ორი ზეგამტარი მაგნიტის დაზიანების გამო, ამჩქარებელი გააჩერეს და დაზიანების აღმოფხვრის შემდეგ, 20. XI. 2009 ხელმეორედ გაუშვეს. 2010 მარტის ბოლოს დამზერილ იქნა პირველი შეჯახებები 3.5 *ტევ* ენერგიის მქონე პროტონების ორ კონას შორის.

ქართველი ფიზიკოსების და ინჟინრების დიდი ჯგუფი მონაწილეობდა დ. ჰ. კ-ზე დაგეგმილი 4 ექსპერიმენტული დანადგარის სამეცნიერო აპარატურის – ATLAS, CMS, LHCb, ALICE შექმნაში და დამონტაჟებაში. თითოეულ დანადგარში ყოველ წამს აღირიცხება 800 მლნ. წყვილი პროტონის შეჯახება.

დანადგარზე ATLAS (A Toroidal LHC Apparatus) დაგეგმილ ექსპერიმენტებსა და მათ მომზადებაში, აგრეთვე ამ დანადგარის დეტექტორების დამზადებაში მონაწილეობდა ბგგ ინ-ტში (დუბნა) მომუშავე ქართვ. მეცნიერთა ჯგუფი. ე. *ცხადაძემ* სხვებთან ერთად შეიმუშავა და დაამზადა დანადგარის მიუონური სპექტრომეტრის ე. წ. დრეიფული კამერები, რ-თა საერთო ფართობი რამდენიმე ათას *მ*² აღწევს. ATLAS-ის ჰადრონულ კალორიმეტრზე მუშაობს ექსპერიმენტატორთა ჯგუფი ი. *მინაშვილის* ხელმძღვანელობით. გ. სეხნიაიძე, რ-იც ამჟამად (2012) ნეაპოლში (იტალია) მუშაობს, პასუხისმგებელია პირველი დონის მიუონური ტრიგერის კამერების დამზადებაზე, ტესტირებაზე და ATLAS დანადგარში ჩაყენებაზე. დანადგარის მონტაჟში მონაწილეობდა ქართვ. ინჟინერთა ჯგუფი ა. *შარმაზანაშვილის* ხელმძღვანელობით. ATLAS-ზე დაგეგმილ ექსპერიმენტებში ახ. მოვლენების [რ-ებიც ვერ აიწერება ელემენტარული ნაწილაკების (ენ) ე. წ. სტანდარტული მოდელით] აღმოჩენის შესაძლებლობას კომპიუტერული მოდელირების მეთოდებით იკვლევენ თსუ-ის მეფი-ში (თ. ჯობავა და სხვ.) და ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინ-ტში (ლ. ჩიქოვანი და სხვ.). პროექტში ATLAS წლების მანძილზე მონაწილეობენ ზ. ბერეჟიანი, გ. *დვალი*, ვ. *ქართველიშვილი*, ჯ. *ჩარეული* და სხვები. ამ პროექტში საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელია ჯ. *ხუბუა*. 2010 ი. მინაშვილს, ა. შარმაზანაშვილს, ე. ცხადაძეს და ჯ. ხუბუას მიენიჭათ საქართვ. ეროვნული პრემია ნაშრომთა ციკლისათვის „დიდ ჰადრონულ კოლაიდერზე დაგეგმილ ექსპერიმენტ ATLAS-ში ჰადრონული კალორიმეტრისა და მიუონური სისტემის ცენტრალური ნაწილების და დანადგარის მაკონტროლირებელი სისტემის შექმნა“.

კომპაქტური მიუონური სოლენოიდის (Compact Muon Solenoid, CMS) შექმნასა და მასზე მიმდინარე გამოკვლევებში (ჰიგსის ბოზონის, ენ-თა სუპერსიმეტრიული პარტნიორების, დიდი გაერთიანების თეორიების დამადასტურებელი მოვლენების ძებნა) მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ: თ. ლომთაძე, ირ. მანჯავიძე, ა. მესტვირიშვილი, ექსპერიმენტატორთა ჯგუფი დ. მჟავიას ხელმძღვანელობით; ასევე თეორეტიკოსები ვ. ქართველიშვილი, რ. ქვათაძე, ე. ჩიქოვანი და სხვ. ექსპერიმენტში CMS საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელია ზ. წამალაიძე. 2012 დანადგარებზე ATLAS და CMS დადასტურდა 125 *გევ* მასის ბოზონის არსებობა, რ-იც ,სავარაუდოდ, 1964 ინგლ. მეცნ. პ. ჰიგსის მიერ ნაწინასწარმეტყველებ ნაწილაკს წარმოადგენს.

დანადგარზე LHC-ს დაგეგმილია ნაწილაკთა და ანტინაწილაკთა შორის სიმეტრიის შესაძლო დარღვევის გამოკვლევა b კვარკის მონაწილეობით მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვებით. ამ ექსპერიმენტებში მონაწილეობს ი. ბაღათურია (ილიას სახ. უნ-ტი).



დიდი ჰადრონული კოლაიდერის გვირაბი.

დანადგარზე ALICE (A Large Ion Collider Experiment) იკვლევენ ე. წ. კვარკ-გლუონურ პლაზმას – ნივთიერების იმ მდგომარეობას, რ-იც უნდა არსებულიყო სამყაროს წარმოქმნისას, უშუალოდ დიდი აფეთქების შემდეგ – და კვარკების ერთმანეთთან და გლუონებთან ურთიერთქმედების თავისებურებებს, კერძოდ კი – ,,ფერადი“ ნაწილაკების კონფაინმენტს (იხ. სტ. *ელემენტარული ნაწილაკებისა და ბირთვის ფიზიკა*). ამისათვის ერთმანეთს

შეაჯახებენ მაღალ ენერგიამდე აჩქარებულ ტყვიის ბირთვების (და სხვა მძიმე იონების) კონებს. ამ ექსპერიმენტის მომზადებაში მონაწილეობდნენ ი. *თევზაძე*, მ. *ნიორაძე*, გ. *ხარაძე*. *ი. ლომიძე*.

დიდმაღალი, მთა მესხეთის ქედზე, ბაღდათისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, მდ. წაბლარასწყლის (ხანისწყლის მარცხ. შენაკადი) სათავეებში, ზეკარის უღელტ. დას-ით. სიმაღლე ზ. დ. 2588 *მ*. აგებულია შუაეოცენური ანდეზიტებით და მისი პიროკლასთოლითებით. კალთების ზემო ნაწილი შემოსილია ალპ. და სუბალპ. მდელოებით, ქვემოთ – წიწვოვანი ტყით.

დიდმუხა, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის ავნევის თემში (შიდა ქართლის მხარე), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. აღმოსავლეთის ფრონის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 800 *მ*, ყორნისიდან 22 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 *კმ*. 224 მცხ. (1989).

დიდოეთი, დიდოელებით დასახლებული ისტორიული მხარე დაღესტანში, მდ. ანდის ყოისუს ზემო დინებაზე, ხევსურეთის, თუშეთისა და შტორის ხევის აღმ-ით.

ლეონტი მროველი (XI ს.) **დ**-ს იხსენიებს ძვ. წ. II ს. მოვლენებთან დაკავშირებით. დიდოელებს იხსენიებენ პლინიუსი (I ს.), პტოლემაიოსი (II ს.) და სომეხი ანონიმი გეოგრაფი (VII ს.) როგორც კავკასიაში მცხოვრებ ერთ-ერთ ტომს. **დ**. ხუნძახსა და შაკიხთან ერთად შეადგენდა ჰერეთის მთიანეთს. ქართლის სამეფოსთან **დ**-ის პოლიტ. და კულტ. ურთიერთობა რეალური ჩანს V ს-იდან. იგი გაღმამხრითურთ *ნეკრესის საეპისკოპოსოში* შედიოდა. *კვირიკე III-მ* (1010–37) **დ**. ადმინისტრაციულად შტორის საერისთავოში მოაქცია. XII–XIII სს-ში **დ**. საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა ყოფილა. თამარის მეფობის დროს ფხოვთან ერთად აჯანყდა ცენტრ. ხელისუფლების წინააღმდეგ. აჯანყება ჩააქრო ივანე ათაბაგმა. ერთიანი საქართვ. სამეფოს დაშლის (XV ს. II ნახ.) შემდეგ **დ**. კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. მეფე გიორგი VIII-მ (1446–76) **დ**-ში სამოურავო დააწესა. XVII ს-ში **დ**. განუდგა კახეთის სამეფოს. 1639, როდესაც ურთიერთობის გზას ეძებდა რუსეთისაკენ, მეფე თეიმურაზ I შევიდა **დ**-ში, შემუსრა მათი კოშკები და დაიმორჩილა დიდოელები. XVIII ს. I მეოთხედში ეკონ. დაინტერესების გამო **დ**-ის ნახევარი პოლიტიკურად კვლავ კახეთის სამეფოს ემორჩილებოდა. XVIII ს. II ნახევრიდან **დ**. საქართველოს გამოეყო.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., თ ო დ რ ი ა თ., გვიანფეოდალური ხანის კახეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1971, [ტ.] 4; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002.

ჯ. გვასალია.

დიდოელები, ც ე ზ ე ბ ი, დაღესტანში მცხოვრები ხალხი. ძირითადად დასახლებული არიან წუნტის რ-ნის აულ ბეჟიტაში. ენა განეკუთვნება ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ჯგუფს. უმწერლობო ენაა. სალიტ. ენა – ხუნძური. ყოფითა და კულტურით *ხუნძებს* ენათესავებიან. მატერ. კულტურაში ქართ. გავლენა შეინიშნება. საოჯახო მოხმარების ბევრი ნივთი ქართ. წარმომავლობისაა. სახლებსაც ქართვ. მთიელთა მიბაძვით აშენებდნენ. დიდოელი ქალები, ყველა სხვა კავკასიელისაგან განსხვავებით, მხრებამდე დაშვებულ საყურეებს ატარებდნენ. ძირითადი საქმიანობაა მესაქონლეობა, ნაწილობრივ – მიწათმოქმედება. *თ. ჩიქოვანი*.

დიდოური ენა, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ენების ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენათა ჯგუფის დიდოური ქვეჯგუფის ერთ-ერთი უმწერლობო ენა. გავრცელებულია დაღ. რესპ. წუნტის რ-ნში (რ-ნის ცენტრი სოფ. ბეჟიტა). **დ**. ე-ზე ლაპარაკობს დაახლ. 7000 კაცი; სალიტ. ენად იყენებენ ხუნძურს და ეროვნებითაც ხუნძებად აღირიცხებიან.

დ. ე-ში გამოიყოფა ორი დიალექტი: საკუთრივ დიდოური და საჰადური. საჰადურ დიალექტზე ლაპარაკობენ აულების – საჰადის, მითლუდისა და თლაცუდის მცხოვრებნი. სხვა დიდოური აულების მცხოვრებნი მეტყველებენ საკუთრივ დიდოურ დიალექტზე, რ-იც იყოფა კილოკავებად: ქიდიროული, შაიტლური, ასახური, შაფიხური, ელბოყური.

დ. ე-ის ფონეტიკაში თავისებურებას ქმნის სადა ხმოვნებისა (ა, ე, ი, ო, უ) და მათი გრძელი სახეობის (აᲔᲔ იᲔ ოᲔ უᲔ გვერდით წარმოდგენილი ვიწრო ხმოვნების (აᲨ ეᲨ იᲨ ოᲨ უᲫ– თავისი გრძელი ვარიანტებით: აᲨ ეᲨ იᲨ ოᲨ უᲫ), ნუნისმიერი ლატერალებისა (ლᲥ ლV ტᲥ) და ე. წ. ფარინგალიზებული თანხმოვნების (ღᲥ, ხᲥ, პᲥ ყᲥ) არსებობა. ხმოვანთა შერწყმაში ნათლად ჩანს დიალექტური სხვაობანი. სახელთა მორფოლოგიაში ძირითად ბრუნვებს (სახ., ერგატივი, მიც., ნათ.) შორის აღსანიშნავია ინსტრუმენტალისი (რ-იც ადამიანთა სახელებთან არ დასტურდება). **დ**. ე-ში, ძირითად ბრუნვათა გარდა, წარმოდგენილია ერთ- და რამდენიმეთანდებულიანი ბრუნვა, ერთ- და ორფუძიანი ბრუნება, განსაზღვრული და განუსაზღვრელი ფორმების გარჩევა ბრუნებაში. ზმნის ინფინიტივი ორი სახისაა: – ა და – დ – ა მორფემიანი. ზმნის უღვლილებაში დროთა ძირითადი ფორმებისა და კითხვითობა-უარყოფითობის წარმოება დიალექტურ სხვაობათა მტკიცე სისტემას იძლევა. **დ**. ე-ში წინადადების შემდეგი კონსტრუქციებია: ნომინატიური, ერგატიული, დატიური, ლოკატიური და პოსესიური. **დ**. ე-ში მრავლადაა ზმნის საგარემოებო ფორმები, რაც რთული დამოკიდებული წინადადების გადმოცემის ძვ. საშუალებაა. ლექსიკაში ბევრია ხუნძურიდან შეთვისებული სიტყვები. შეიმჩნევა ქართ. ენის გავლენაც.

ლიტ. იხ. სტ-თან დ ი დ ო უ რ ი ე ნ ე ბ ი.

გ. ბურჭულაძე. დ. იმნაიშვილი.

დიდოური ენები, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ენების ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის ენები. ცნობები დიდოელებისა და დიდოეთის შესახებ მოიპოვება „ქართლის ცხოვრებაში“. **დ**. ე-ზე მოლაპარაკენი (12000 კაცზე მეტი) ცხოვრობენ სამხრ.-დას. დაღესტანში და მდ. სულაკის ხეობის მიმდებარე რაიონებში. **დ**. ე-ია დიდოური (ანუ ცეზური), ჰინუხური, ხვარშიული, კაპუჭური (ანუ ბეჟიტური) და ჰუნზიბური. ზოგ მკვლევარს ჰინუხური ენა დიდოურის დიალექტად მიაჩნია; ხოლო კაპუჭურ-ჰუნზიბური – ერთ ენად (ე. ლომთაძე).

დ. ე-ის ხმოვანთა სისტემისათვის საერთოა მარტივი (ა, ე, ი, ო, უ) ხმოვნები. რთულ ხმოვანთაგან ყველგანაა სათანადო გრძელი ხეობანი; ზოგ ენაში დასტურდება ვიწრო, ლაბიალიზებული, უმლაუტიანი და ნაზალიზებული ხმოვნები. თანხმოვანთა სისტემაში თავისებურებას ქმნიან ნუნისმიერი ლატერალები (ლ, ლᲥ, ტ) და ფარინგალიზებული თანხმოვნები (ღᲥ, ხᲥ, პᲥ, ყᲥ). ხუნძურ-ანდიური ენებისაგან განსხვავებით, აქ დაკარგულია კორელაცია „ინტენსიური-არაინტენსიური“.

სახელთა მორფოლოგიაში აღსანიშნავია ძირითად ბრუნვებში ინსტრუმენტალისი; გვაქვს ერთ- და რამდენიმეთანდებულიანი ბრუნვა, ერთ- და ორფუძიანი ბრუნება. გრამატ. კლასთა სისტემა ოთხწევრაა; მხ. და მრ. რიცხვების ფორმათა შეხამება ქმნის ექვსწევრა სისტემასაც (ჰუნზიბურში). ზმნური კატეგორიები ძირითადად ერთი და იგივეა: საერთო ინფინიტივი და დრო-კილოთა ერთი წყება, ზმნის კლასოვანი უღვლილება; ზმნაში შეიმჩნევა გვარის ჩანასახი [მაგ., დიდოურში – ჭარა-კა (გარდამავალი), ჭარა-ლ-ა (გარდაუვალი) – „გამოღვიძება“].

დ. ე-ში წინადადება შეიძლება იყოს ნომინატიური, ერგატიული, დატიური, ლოკატიური ან პოსესიური კონსტრუქციისა. არა აქვს რთული ქვეწყობილი წინადადება, მის მაგივრობას ზმნის საგარემოებო ფორმები ეწევა.

დ. ე-ში ისტორიულად მახვილი მოძრავი და დინამიკური იყო, თანაც ინტენსიური. ამჟამად სიძლიერის მხრივ საკმაოდ დასუსტებულია, მოძრავი ხასიათი კი შენარჩუნებული აქვს.

ლექსიკაში ბევრია ხუნძურიდან შეთვისებული სიტყვები. შეიმჩნევა ქართ. ენის გავლენაც.

დ. ე. უმწერლობო ენებია. ამ ენებზე მოლაპარაკე ტომები სამწერლობო ენად ხუნძურს იყენებენ და ეროვნებითაც ხუნძებად აღირიცხებიან.

ლიტ.: ლომთაძე ე., სიტყვათმახვილი დიდოურ ენებში, თბ., 1984; მისივე, დიდოურ ენათა ვოკალიზმის დიაქრონიული ანალიზი, თბ., 1994; Бокарев Е.А., Цезские языки, კრ.: Языки народов СССР, т. 4. Иберийско-кавказские языки, М., 1967; Гудава Т. Е., Историко-сравнительный анализ консонантизма дидойских языков, Тб., 1979; Дирр А. М., Материалы для изучения языков и наречий андо-дидойской группы, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», 1909, в. 40; Имнаишвили Д. С., Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршийским языками, Тб., 1963. *გ. ბურჭულაძე.*

დიდრუვის ნამოსახლარი, XI–XIII სს. ნამოსახლარი დაბა ჟინვალის ჩრდილოეთით, ფშავის არაგვის ხეობის მარჯვ. ფერდობზე, დიდრუვის მშრალი ხევის მარცხ. ნაპირზე (დუშეთის მუნიციპალიტეტი). 1974–76 გათხარეს (ხელმძღვ. – რ. რამიშვილი) ტერასაზე (66 *მ* × 11 *მ*) განლაგებული 4 საცხოვრ. კომპლექსი. ტერასა 2 საფეხურადაა გაყოფილი. ზედა საფეხურზე საცხოვრ. სათავსები და მარნებია მოთავსებული, ქვედაზე – გომურები. სათავსები აგებულია კლდის ნატეხი ქვით (კირხსნარსა და ტალახზე), კლდოვან ქანში საგანგებოდ ამოღებულ ქვაბულებში. საცხოვრ. კომპლექსი შედგება 3 ძირითადი (ოთახები – კერითა და ქვის ტახტებით, მარანი – ქვევრებითა და ქვითკირის საწნახლებით) და თითო დამხმარე სათავსისაგან (გომური), რ-საც ქვაფენილიანი იატაკი აქვს. გამორჩეულია ერთი კომპლექსი, რ-შიც საჯინიბოცაა გამართული და შემოზღუდულია ქვითკირის კედლით. იქვეა მარცვლეულის შესანახი ქვითკირის ხარო. ნამოსახლარის აღმ. კუთხესთან დადასტურდა ძვ. კალო და გზა. ჩრდ.-აღმ. ფერდობზე ძვ. ტერასებისა და ახოს კვალია, სადაც, ალბათ, ვაზი იყო გაშენებული. ნამოსახლარზე აღმოჩნდა ერთ და მრავალფრად მოჭიქული, მოუჭიქავი, წითელკეციანი, შავკეციანი თიხის საოჯახო და სამზარეულო ჭურჭელი, მინის სამკაულისა და სასმისების ნატეხები, რკინის შრომისა და საბრძოლო იარაღი, ცხენის აღკაზმულობის ნაწილები, XIII ს. 30-იანი წწ. სელჩუკური ვერცხლის მონეტები და სხვ. ქვედა კულტ. ფენებში აღმოჩენილია ანგობით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები, რ-ის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ტერასაზე ცხოვრება XI ს-იდან დაწყებულა. ნამოსახლარი XIII ს. შუა წლებში ხანძრის შედეგად განადგურებულა, რაც მონღოლთა ურდოების შემოსევის შედეგი უნდა იყოს.

ლიტ.: რჩეულიშვილი გ., „დევებიანისა“ და „დიდრუვის“ ნასოფლარები, კრ.: ჟინვალის ექსპედიცია, თბ., 1981. *გ. რჩეულიშვილი.*

დიდუბე, ქალაქ თბილისის ერთ-ერთი ძვ. უბანი მტკვრის მარცხენა მხარეს, ქალაქის ჩრდ.-დას. ნაწილში, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნის ნაწილი. ქალაქის ფარგლებში მოექცა XIX ს. 70-იანი წლებიდან. ტერმ. „დ.“ მომდინარეობს სახელწოდებისგან „დიდი დუბე“, ე. ი. დიდი ვაკე, დაცემული ადგილი. ამ მიდამოების უძველესი სახელწოდებაა „ცხენის ტერფი“ (V ს.). თბილ. განაპირა ადგილს დ-ის სახელწოდებით პირველად XII ს-ში მოიხსენიებს მემატიანე, რ-იც მეფე თამარისა და დავით სოსლანის ქორწინებისა და შამქორის ბრძოლის (1195) შემდეგ აქ გამართულ სახალხო ზეიმს აგვიწერს. XII ს-ში დ. სამეფო დომენი იყო. აქ იდგა მეფის ერთ-ერთი სასახლე და კარის ეკლესია. დ-ში არაგვიდან გამოყვანილი იყო რუ, რ-იც წყალს აწვდიდა მეფის ხოდაბუნებსა და ზვრებს. შემდგომ საუკუნეებში დ. გაუკაცრიელდა. XVII ს-ში, *ვახტანგ V-ის* მეფობის დროს, დ-ში კვლავ გაჩნდა მოსახლეობა. ამავე პერიოდში აქ ავჭალიდან რუ გაიყვანეს. XVII–XVIII სს-ში იგი ქალაქისპირა სოფელი იყო და თბილისს სას.-სამ. პროდუქციას აწვდიდა. გერმ. მეცნიერისა და მოგზაურის ი. ა. *გიულდენშტედტის* მიერ შედგენილ რუკაზე (1772) აღნიშნულია დ-ის ციხე-გალავნის ნანგრევები. XIX ს. დასაწყისში შედგენილი თბილ. გეგმის მიხედვით, დ-ში ორი სარწყავი არხი ყოფილა – ავჭალიდან გამოყვანილი რუ და მტკვრიდან გამოყვანილი ე. წ. „ბაღის არხი“. 1818 დ-ის ჩრდ. ნაწილში დაასახლეს გერმ. კოლონისტები. ამ დროიდან დ-ის ამ ნაწილს ალექსანდერსდორ-



დიდუბე.

ფი უწოდეს. 1872 გაყვანილმა თბილისი–ფოთის რკინიგზამ დ-ის ტერიტ. ორად გაყო: რკინიგზის მუშები უნებართვოდ სახლდებოდნენ რკინიგზის გადაღმა მდებარე დ-ის მიწებზე, ამიტომ ამ ტერიტორიას ნაძალადევი (რუს. ნახალოვკა) დაერქვა. 1905 დეკ. მუშათა შეიარაღებულმა ავჯანყებამ დ-შიც პოვა გამოძახილი. 23 დეკ. მეფის ჯარი დ-ში შეიჭრა. მუშათა შეიარაღებულმა რაზმებმა მას წინააღმდეგობა გაუწიეს და უკან დაახევინეს. ჯარმა მთელ უბანს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა, რამაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

დ-ის ტერიტორიაზე არქეოლ. გათხრების შედეგად აღმოჩენილია ენეოლითის დასასრ. და ადრინდ. ბრინჯაოს ხანის დასაწყ. (ძვ. წ. IV ათასწლ. ბოლო) ნამოსახლარი, მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ძეგლი (გაითხარა 1930, ხელმძღვ. გ. ყ. *ნიორაძე*). აქ ნაპოვნია ხელით ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი თიხის ჯამები, მაღალი ცილინდრულყელიანი ქოთნები, კოჭობები, სამყურა ჭურჭელი. კერამიკა სადაა, მოვარდისფრო-ნაცრისფერზედაპირიანი, შემკულია მიძერწილი კოპებითა და შვერილებით. ნაპოვნია აგრეთვე ობსიდიანის ანატკეცები, ისრისპირი, დანისებრი იარაღი, ძვლის სადგისები, კვირისტავები და სხვ. მსგავსი მასალა აღმოჩენილია ბეშთაშენში, კიკეთში, კოდაში, სამშვილდეში.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე თ., ძველი თბილისის მიკროტოპონიმიკიდან (დიდუბე), «მნათობი», 1971, №8; ქ ო რ ი ძ ე დ., თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, [ტ.] 1, თბ., 1955.

თ. ბერიძე. გ. ფხაკაძე.

დიდუბის პანთეონი, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონი, გამოჩენილ ადამიანთა განსასვენებელი ადგილი თბილისში.

დ. პ. დაარსდა 1915–16 *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* ინიციატივით. თავდაპირველად იგი დიდუბის სასაფლაოდ იწოდებოდა. მისი პანთეონად გადაკეთების საფუძველი გახდა 1915 წ. 26 მაისს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში პანთეონის მოწყობის შესახებ; დაიწყო პანთეონის შემოღობვა-კეთილმოწყობა, 1918 წ. 2 ივლ. კი გადაწყდა, რომ: ,,პანთეონში დაიკრძალება მეცნიერების, ხელოვნების და საზოგადოებრივ სარბიელზე გამოჩენილ მოღვაწეთა ნეშტნი, აგრეთვე იმ ქველმოქმედ პირთა ნეშტნიც, რომელნიც შესწირავენ ეროვნულ საქმეს არა ნაკლებ 10 000 მანეთსა, და აღიმართება ძეგლი იმ ქართველ მეომართა სახსოვრად, რომელნიც დაიღუპნენ ბრძოლის ველზე განმანთავისუფლებელი ომის 1914 წ. განმავლობაში'' (საქართველოს სახელმწიფო არქივი; ფონდი 481, საქმე 1667, გვ. 104), შემდგომში იქ კრძალავდნენ ნაკლებად ცნობილ პირებსაც, რის გამოც პანთეონმა თანდათან დაკარგა თავისი პირვანდელი დანიშნულება. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, თბილისის საქალაქო საბჭოს 1938 წ. 22 ივლ. გადაწყვეტილებით დ. პ. საერთოდ გაუქმდა. ამან გამოიწვია ქართვ. ინტელიგენციის უკმაყოფილება და პროტესტი, რამაც შედეგი გამოიღო: ქალაქის ხელმძღვანელები იძულებული გახდნენ, უარი ეთქვათ ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე. 1938 სასაფლაოს ნაწილი, სადაც გამოჩენილ პირთა საფლავები იყო, შემოფარგლეს და 1939 გაიხსნა დ. პ.

პანთეონში დაკრძალული არიან მწერლები, ხელოვანები, მეცნიერები, საზ. და პოლიტ. მოღვაწენი.

პანთეონში დაკრძალული პირების საფლავის ძეგლთა ავტორები არიან ცნობილი მოქანდაკეები და არქიტექტორები.

ლიტ.: ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი ზ., ნ ო ზ ა ძ ე თ., მამულიშვილთა სავანე (დიდუბის პანთეონი), თბ., 1994.

გ. კაჭარავა.

დიდუბის ღვთისმშობლის შობის ეკლესია, ხუროთმოძღვრების ძეგლი თბილისში. დგას წერეთლის გამზირზე (დიდუბის პანთეონის ჩრდ-ით). სავარაუდოდ იმ ადგილას, სადაც მდებარეობდა თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ეკლესია, რ-იც თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ბევრჯერ დაინგრა და აღადგინეს. ერთადერთი ადრეული წყარო, რ-იც ამ ფაქტის შესახებ მიგვანიშნებს, არის ,,ისტორი-



დიდუბის ღვთისმშობლის შობის ეკლესია. 1884.

ანი და აზმანი შარავანდედთანის'' ავტორთან შემორჩენილი ცნობა თამარ მეფის ქორწილის შესახებ: ,,და წარვიდეს დიდებულნი იმერნი და ამერნი, და წამოიყვანნეს დედოფალი და გაზრდილი მისი დავით რჩეული ღმრთისა მის, და მოვიდეს სრასა დიდუბისასა, სანახებსა ტფილისისასა, და მუნ ქმნეს ქორწილი...'' (თამარ მეფის ქორწილზე ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარიც მოგვითხრობს). მართალია, მემატიანენი უშუალოდ დიდუბის ეკლესიაზე არაფერს ამბობენ, მაგრამ თვით უტყუარი ფაქტი დიდუბეში მეფის სრა-სასახლის არსებობისა და აქ ქორწილის გადახდისა გვაფიქრებინებს, რომ სასახლესთან კარის ეკლესიაც უნდა მდგარიყო. პორუჩიკ ჩუიკოს მიერ 1800 წლის თბილისის გეგმაზე სოფ. კუკიის იქით, დიდუბესთან, დატანილი აქვს წარწერა ,,დანგრეული ეკლესია'', რ-იც, ეჭვგარეშეა, დ. ღ. შ. ე-ა. მისი აღდგენითი სამუშაოები დაიწყო სოფ. დიდუბის ქალაქთან შემოერთების (XIX ს. 50-იანი წწ.) შემდეგ. XIX ს. 60-იან წლებში დიდუბის ეკლესიას კამარები ჰქონია ჩამოქცეული. 1882 მ. ჯანაშვილი წერდა: ,,... ეკლესია, ის შესანიშნავი დიდუბის ეკლესია, რომელშიაც... მეფე თამარმა ჯვარი დაიწერა... ეხლა სამწუხარო მდგომარეობაშია: რამდენიმე წელიწადია ამის განახლება დაიწყეს, მაგრამ ეხლაც სანახევროდ გაუთავებელი უგდიად'' (,,დროება'', 1882 წ. № 39). ეკლესიის ისტორიას უფრო ვრცლად ეხება დეკანოზი დავით ღამბაშიძე: ,,... დიდუბის ეკლესია აგებული იყო აგურით ღვთისმშობლის სახელობაზედ. მოთხრობა არის, რომ თამარის დედა დედოფალი ბურდუხან მძიმედ შეიქმნა, გიორგი მეფემ აღთქმა მისცა ღმერთს, დიდუბეში ეკლესია აეშენებია, თუ დედოფალი მშვიდობით მორჩებოდა. მშვიდობით მორჩა დედოფალი და აი გიორგი მეფემ ამ ადგილს ააგო სასახლე და ეკკლესია... საქართველოს ექსარხოსის პავლეს დროს აღიძრა კითხვა დიდუბის ეკკლესიის განახლების შესახებ. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის განსვენებულ დეკანოზს ბესარიონ ზედგენიძეს, რომელმაც დიდი შრომა მიიღო ამ ეკკლესიის აშენების საქმეში. ეკკლესია სხვა გეგმაზედ აშენდა და მართლაც კარგი ეკკლესია აშენდა. პირველად იგი უგუმბათო იყო, მაგრამ ეხლა მშვენიერი გუმბათი აქვს და მთლად ამშვენებს დიდუბის არემარეს...'' (დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია, ,,მწყემსი'', 1893 წ. №18).

დიდუბის ტაძარში დღეს შემორჩენილი სამარხების წარწერებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რ-იც გვამცნობს ახ. საყდრის აღმშენებელის ვინაობას. წარწერა შესრულებულია ქართულ და რუსულ ენებზე, ეკლესიის სამხრ. კედელზე, შესასვლელის მარჯვ. მხარეს, საკურთხევლის ახლოს. უფრო ადრეული ჩანს იატაკის ერთ-ერთ მარმარილოს ფილაზე ქართ. ენაზე შესრულებული წარწერა: ,,აქა მდებარეობს გვამი დეკანოზ ბესარიონ სიმონის ძის ზედგენიძისა, აღმშენებლისა ამა ტაძრისა...'' ეკლესიის გარშემო სასაფლაო ყოფილა. ამჟამად მხოლოდ რამდენიმე საფლავიღაა გადარჩენილი. ეპიტაფიები XIX–XX სს. განეკუთვნება.

დღევანდელი ეკლესია აშენებულია 1884 (არქიტ. ა. ჩიჟოვი), იმ სახით, როგორიც მაშინ მთელი რუს. ეკლესიებისათვის შემუშავდა და მოკლებული იყო მხატვრულ ღირებულებას. 1979–88 ეკლესია მოხატა ა. *ბანძელაძემ* (რესტავრ. 2007). *თ. ბერიძე.*

დიდღალიდუდი, მთა ეგრისის ქედზე, მესტიის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 3169 *მ.* აგებულია ბაიოსური პორფირიტებით, ტუფებით, ტუფ-ბრექჩიებითა და ტუფ-ქვიშაქვებით. მეოთხეული გამყინვარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი, საიდანაც მყინვარები ეშვებოდნენ ძირითადად მდ. ენგურის აუზში. რელიეფი ძლიერ დანაწევრებულია. კალთებზე ალპ. და სუბალპ. მდელოებია.

დიდღელე, კარსტული მღვიმე წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ყუმისთავის ჩრდ.-აღმ-ით 5 *კმ.* ზ. დ. 400 *მ.* გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში. დერეფნული ტიპისაა, დაღმავალი. ფსკერის ფართ. 750 $მ^2$. საერთო მოცულობა 6000 $მ^3$. მაქს. სიმაღლე 5 *მ,* სიგანე 3 *მ.* ჯამური სიგრძე 250 *მ.* მღვიმე ქიმ. ნაღვენთებით ღარიბია. ფსკერზე გვხვდება ჭერიდან და კედლებიდან მორღვეული ლოდნარი. დ-ში გაედინება ნაკადი, რ-იც აჩენს ჭორომებს. წყლის საშ. ტემპ-რა 11,5°C. მღვიმის ბოლოში სიფონური ტბაა. ძლიერი წვიმების დროს ნაწილობრივ იტბორება. მიწისქვეშა ნაკადული ყუმის ვოკლუზს უერთდება.

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე ზ., წ ი ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი ჯ., ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

ჯ. ჯიშკარიანი.

დიდღვაბუნის ციხე, ადრინდელი ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრების ძეგლი, ციხე მდ. ცხენისწყლის ხეობაში (ხონის მუნიციპალიტეტი). მდებარეობს მდინარეების ოხვირისა და ცხენისწყლის შესაყარში. მის ჩრდ.-დას-ით პატარა ბორცვზე შემორჩენილია მომცრო ციხის ნაშთი, როგორც ჩანს, იგი დ. Ც-ის მისადგომებს იცავდა. დ. Ც. კონტროლს უწევდა ცხენისწყლის ხეობაზე გამავალ გზას, რ-იც ლეჩხუმსა და სვანეთს ბართან აკავშირებდა. ზოგი მკვლევარი (ი. სიხარულიძე) მას *უქიმერიონის* ციხესთან აიგივებს.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., „უხეიმერიონის'' ადგილმდებარეობა (წინასწარი ცნობა), «ძეგლის მეგობარი», 1970, №21.

დიდჭიფელა, სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბოსლევის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის მაღლობზე, მდ. ბუჯის (ყვირილის აუზი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 520 *მ,* ზესტაფონიდან 21 *კმ,* რკვიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ.* 128 მცხ. (2002).

დიდხევი, მდინარე აღმ. საქართველოში, ლოპოტის მარჯვ. შენაკადი. სათავე აქვს კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მთა დიდ ანდარაზანთან, ზ. დ. 2350 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე 19 *კმ,* აუზის ფართ. 94,6 $კმ^2$. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე. წყალმცირეა ზამთარსა და ზაფხულში. შემოდგომაზე იცის მცირე წყალმოვარდნები. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან – 2,84 $მ^3/წმ$.

თ. კიკილაშვილი.

დიდხევი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ვანათის თემში (შიდა ქართლის მხარე), გუდისის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. პატარა ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 1220 *მ,* ერედვიდან 8 *კმ,* ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 20 *კმ.* 84 მცხ. (1989).

„დიელო'', ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი. ჩამოყალიბდა 1961 ა. *ებრალიძის* ხელმძღვანელობით, როგორც ვოკალური კვარტეტი. მის შემადგენლობაში იყვნენ: ა. ებრალიძე, ვ. *კიკაბიძე,* გ. ლეონიძე, ს. *ებრალიძე.* 1966 კვარტეტი გადაკეთდა ვოკალურ-საკრავიერ ანსამბლად და შეივსო მუს. შემსრულებელთა ახ. ნაკადით (ა. მამაცაშვილი, გ. გაბუნია, გ. *ჭირაქაძე,* ა. რაქვიაშვილი, ლ. ტურაშვილი, ი. ფერაძე, ვ. კუცია და სხვ.). ანსამბლი მღეროდა პოლიფონიური ჯაზის სტილში.

მის რეპერტუარში იყო ქართვ. (ა. *ბუკიას*, გ. *ცაბაძის*, რ. *ლაღიძის*, შ. *მილორავას* და სხვ.) და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა სიმღერები. ანსამბლმა მაღალოსტატური შესრულებით დიდი პოპულარობა და აღიარება მოიპოვა. შემოიარა საბჭ. კავშირისა და მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, პოპულარობას უწევდა ქართ. მუსიკას, ხალხურსა და საესტრადო სიმღერებს, მონაწილეობდა ქართ. ფილმებში: „წარსული ზაფხული“ და „შეხვედრა მთაში“. გამოშვებული აქვს ათი ფირფიტა „გიგანტი“. არის ესტრადის მსახიობთა IV საკავშ. კონკურსის ლაურეატი (1970). 1981 ანსამბლმა არსებობა შეწყვიტა. 1993-იდან კვლავ ფუნქციონირებს *ვ. გოგოლაშვილი.*



ანსამბლი ,,დიელო“.

დივანი (სპარს. – სახელმწ. კრება, კანცელარია, დაწესებულება), 1. სახელმწიფო რეესტრი, სახელმწიფო შემოსავლის გასანაწილებლად შედგენილი ნუსხა და ამ ნუსხის შესანახი ადგილი პირველი ხალიფების დროს, დაწყებული ომარ I-ის მმართველობიდან (634–644). 2. დივან ალ-ხარაჯი – საგადასახადო-საფინანსო უწყება ომაიანებისა და აბასიანების დროს. 3. საბჭო ოსმ. სულთნის კარზე. 4. სახელმწ. საბჭო, უმაღლესი სათათბირო და აღმასრ. ორგანო მოლდავეთსა და ვლახეთში. 5. ადმ. და სასამართლო საქმეების სამთავრობო დაწესებულება მუსლ. აღმოსავლეთის ზოგიერთ თანამედროვე ქვეყანაში.

ფეოდ. საქართველოში ტერმ. „დ.“ უმთავრესად სასამართლო დაწესებულების აღსანიშნავად გავრცელდა. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა „სამდივნო სახლიც“. დ-გან წარმოდგა ცენტრ. ხელისუფლების მოსამართლის – *მდივანბეგისა* და *მდივნის* – სახელწოდება. ვახტანგ VI-ის დროს „სამდივნო სახლში“ (სასამართლოში) ოთხშაბათობით და პარასკეობით სამართალს მეფე (უზენაესი მსაჯული) განაგებდა, ხოლო დანარჩენ დღეებში მდივანბეგი (უმაღლესი მსაჯული).

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, «ენიმკის მოამბე», 1942, ტ. 13; ს ურ გ უ ლ ა ძ ე ივ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, [ტ.] 1 – ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში, თბ., 1952.

დ. კაციტაძე.

დივიდენდი (ლათ. dividendum – გასაყოფი), განაწილებას დაქვემდებარებული შემოსავალი, რომელსაც იღებს კაპიტალის მესაკუთრე სააქციო საზოგადოების წმინდა მოგებიდან საკუთარი კაპიტალის ინვესტირებული წილის პროპორციულად კაპიტალის კლასის მიხედვით. სააქციო საზ-ბაში ჩვეულებრივი აქციებიდან მიღებული დ-ის ოდენობა დამოკიდებულია საზ-ბის წმინდა მოგებაზე. პრივილეგირებულ აქციებზე დ., აქციის ნომინალური ღირებულებიდან გამომდინარე, წინასწარ დადგენილი პროცენტის მიხედვით გაიცემა.

გავრცელებულია დ-ის გადახდის რამდენიმე ფორმა: ნაღდი ანგარიშსწორება; ანგარიშსწორება აქციებით, ოფციონით და მატერ. ღირებულებით.

დ-ების გადახდის წესი და პერიოდულობა შეიძლება განსხვავებული იყოს ქვეყნებისა და კომპანიების მიხედვით. დ-ების მოცულობა განისაზღვრება პარტნიორების წილის შესაბამისად.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი არსებული საბჭ. წყობის პირობებში (1921–90) კონკურენტული საბაზრო ურთიერთობები არ არსებობდა, ცხადია, დ-იც არ გაიცემოდა. საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში, საწარმოთა პრივატიზებისას, ჩამოყალიბდა სხვადასხვა იურიდ. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები, რ-ებიც თავიანთი მოგების გარკვეულ ნაწილს დ-ის სახით გასცემენ. *ლ. ჭუმბურიძე.*

დივნოგორცევა-გრიგოლია ინა დიმიტრის ასული (6.XI.1916, ქ. ენოტაევკა, ასტრახანის ოლქი, – 13.X. 2004, თბილისი), მხატვარი, გრაფიკოსი, პოეტი. საქართვ. დამს. მხატვარი (1967). ვ. (ლ.) *გრიგოლიას* მეუღლე. დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1940). მისი პედაგოგები იყვნენ ი. *შარლემანი*, ვ. (ლ.) გრიგოლია. სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1940-იდან. თანამშრომლობდა გამომცემლობებთან, ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. მხატვარმა თავი მოუყარა მეუღლის, ვ. (ლ.) გრიგოლიას არქივსა და მის შემოქმედებით მემკვიდრეობას, მოამზადა და გამოსცა წიგნები: „ლ. გრიგოლია, დაზგური და წიგნის გრაფიკა“ (ტ.1, 1989), „ლ. გრიგოლია და ქართული შრიფტის ხელოვნების საფუძვლები“ (2004). ნაყოფიერად მოღვაწეობდა წიგნის გრაფიკის დარგში. გააფორმა შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი (ტრიპტიქი, 1968), რ. როლანის „მიქელანჯელო ბუონაროტის



ო. დ ი ვ ნ ო გ ო რ ც ე ვ ა-გ რ ი გ ო ლ ი ა. წიგნის გარეკანი. 1964.

ცხოვრება“ (1940), უ. თეკერეის „ამაოების ბაზარი“ (1951), უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ (1961), მ. სერვანტესის „დონ კიხოტი“ (1950), ბ. პრუსის „ფარაონი“ (1958), ა. ფრანსის „ღმერთებს სწყურიათ“ (1958). ავტორია სხვადასხვა კომპოზიციებისა („თამარი და შოთა რუსთაველი“, „აკაკი მეუღლესთან ერთად“, „ილია და აკაკი გრიბოედოვის საფლავთან“) და პლაკატებისა. სხვა ნამუშევრებია: „ქართლის პეიზაში“ (1943), „აკაკი წერეთლის სახლი სხვიტორში“ (1953), „გაზაფხულის პორტრეტი“ (1964), „თინა წავკისელი“ (1967), „ვარდები თებერვალში“ (1972) და სხვა. დ.-გ-ს ეკუთვნის ლექსების კრებ. „ფრესკა“ (გაფორმება და ილუსტრაციები ავტორისა, თბ., 1986, რუს. ენაზე). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

დიზაინერთა კავშირი საქართველოს, დიზაინერთა შემოქმედებითი კავშირი. ნებაყოფლობითი საზოგადოებრივ-შემოქმედებითი გაერთიანება. დაარსდა 1987 თბილისში საქართვ. სახ. მხატვრის ზ. წერეთლის ინიციატივით. აერთიანებს მხატვარ-დიზაინერებს, არქიტექტორებს, მეცნიერებს, პედაგოგებს. კავშირის მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყოს თანამედროვე დიზაინის მიღწევების პროპაგანდას, დიზაინერთა საავტორო უფლებების დაცვას, სხვადასხვა ქვეყნის დ. კ-ებთან და საერთაშ. ორგანიზაციებთან შემოქმედებით და პრაქტ. კონტაქტებს. კავშირი ზრუნავს დიზაინერთა პროფ. დაოსტატებაზე, მათი შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამომჟღავნებაზე. დ. კ-ის უმაღლესი ორგანოა საქართვ. დიზაინერთა ყრილობა (იწვევენ 5 წელიწადში ერთხელ), რ-იც ირჩევს აღმასრ. ორგანოს – გამგეობას, აგრეთვე სარევიზიო კომისიას. გამგეობა, თავის მხრივ, ირჩევს კავშირის სამდივნოს, თავრეს და პ/მგ. მდივანს. კავშირის პირველმა ყრილობამ (1987 წ. 3 სექტ.) აირჩია გამგეობა 50 წევრის, ხოლო სარევიზიო კომისია – 5 წევრის შემადგენლობით. საქართვ. დ. კ-ის პირველმა საორგანიზაციო პლენუმმა აირჩია სამდივნო (7 წევრი) და თავმჯდომარე (ზ. წერეთელი). 1988 წ. 15 მაისს საქართვ. სახ. მეურნ. მიღწევათა გამოფენაზე მოეწყო საქართვ. დიზაინერთა I რესპ. გამოფენა დევიზით ,,დიზაინი – ტრადიციები და თანამედროვეობა‘‘. დ. კ-ში ეწყობა გამოფენები, ტარდება კონკურსები, სემინარები და კონსულტაციები ახალგაზრდა დიზაინერებთან.

დიზაინი (ინგლ. design – ესკიზი, ნახაზი, პროექტი, კონსტრუქცია, გეგმა, ჩანაფიქრი; დაპროექტება, ხაზვა), ადამიანის საპროექტო საქმიანობა, რ-ის ძირითადი მიზანია საგნობრივ-სივრცული გარემოს ფუნქციურ-ესთეტ. ორგანიზება და ამ პროცესისადმი ახ ლებური მიდგომა. მკვლევართა ნაწილი დ-ის განვითარების ისტორიას ხალხური რეწვის, ხელსანობის პროცესს უკავშირებს, როდესაც ნაკეთობა სრულად გამოხატავდა თავის ფუნქციას და დანიშნულებას; ხოლო თანამედროვე დ-ის ფენომენს, ადამიანის გარემომცველი საგნების რაოდენობა განსაზღვრავს. დ. სინთეზური, სრულიად ახ. ტიპის საქმიანობაა, რ-იც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა: თეორია და მეთოდიკა, ორგანიზაცია და მართვა, ექსპერტიზა, სტანდარტიზაცია, ეტალონირება და თვით პროექტირება. დ. უკვე გასცდა ტექ. ესთეტიკისა და ,,მხატვრული კონსტრუირების‘‘ ფარგლებს და იგი წარმოუდგენელია სხვა მეცნ. დისციპლინებთან (ერგონომიკა, სოც. ფსიქოლოგია, ეთნოფსიქოლოგია, ინფორმატიკა და სხვ.) მჭიდრო კავშირის გარეშე. დ-ის მიზანია ადამიანისათვის ჰარმონიული, სრულყოფილი საგნობრივი გარემოს შექმნა.

საქართველოში დ. როგორც დარგი აღმოცენდა XX ს. დასაწყისში. მის განვითარებას ხელი შეუწყო კუსტარულმა მრეწველობამ, სასაქონლო წარმოებამ, ვაჭრობამ, კულტურის მიღწევებმა. შეიქმნა კონკურენტული გარემო, დღის წესრიგში დადგა მხატვრულ-ესთეტიკურად სრულყოფილი საყოფაცხოვრებო საგნების წარმოება. 1899 თბილისში დაფუძნდა ,,კავკასიის კუსტარული კომიტეტი‘‘, ხოლო 1910 დაარსდა საზ-ბა ,,განათლების‘‘ სამხატვრო სკოლა-სახელოსნო. ამ სკოლის კურსდამთავრებულთა მოღვაწეობამ, რ-იც ხალხ. ტრადიციებს ეფუძნებოდა, ერთგვარი ბიძგი მისცა სამრეწვ. დ-ის განვითარებას. 20-იანი წლებიდან კუსტარულმა ტექნიკუმმა (ყოფ. სამხატვრო სკოლა-სახელოსნო) და საქართვ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის კუსტარული მრეწვ. განყ-ბამ (ყოფ. ,,კავკ. კუსტარული კომიტეტი‘‘) აღზარდა მხატვრები, რ-თა ნაწილმა სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში. 1927-30 მოხდა სასწავლო სისტემის რეორგანიზაცია, რ-იც მიზნად ისახავდა ხელოვნებისა და მრეწველობის დაახლოებას. XX ს. 20-იანი წლების ქართ. დ-ის საკუთარი სახის ჩამოყალიბებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის დ. *კაკაბაძის* შემოქმედებას. II მსოფლიო ომისწინა წლებში მზარდმა მრეწველობამ უხვად გამოუშვა საფაბრიკო პროდუქცია, მაგრამ მანქანა-დანადგარების დაბალი დონის გამო ის საკმაოდ უხარისხო იყო. პროდუქციის დაბალ მხატვრულ დონეს ამ დარგში მომუშავე მხატვრების სიმცირეც განაპირობებდა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად შეიქმნა მხატვართა და არქიტექტორთა ჯგუფები (თბილ. საბჭოს არქიტ.-საკონსტრუქტორო ჯგუფი და სხვ.). 1936 ხალხ. შემოქმედების რესპ. სახლთან დაარსდა ქართ. ხალხური ხელოვნების სასწ.-ექსპერ. სახელოსნო, რ-შიც შედიოდა ქსოვილის (შემდგომ – დაჩითვის), ხის და ლითონის მხატვრულად დამუშავების განყ-ბები. 1946-იდან სახელოსნომ განაახლა მუშაობა და იარსება 1951-მდე. 1944 საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არქიტ. სამმართველოში შეიქმნა საცხოვრ. და სამოქალაქო ნაგებობათა ინტერიერის მოწყობისა და მოპირკეთების, აგრეთვე მრეწვ. მხატვრულ ნაკეთობათა დაპროექტების განყ-ბა. 1946 საპროექტო ტრესტში (,,საქსახპროექტი‘‘) გაიხსნა ამავე პროფილის ექსპერ. სახელოსნო. აქ მოღვაწე არქიტექტორთა, მხატვართა, ინჟინერ-ტექნოლოგთა, კონსტრუქტორთა საქმიანობა საყურადღებოა როგორც საორგანიზაციო, ისე მეთოდოლ. თვალსაზრისით (კომპლ. დაპროექტება, ნიმუშებისა და მათი კომპლექსების მოდელირება და შესრულება). ამ ორგანიზაციამ განსაზღვრა საქართველოში დ-ის შემდგომი განვითარება და აღმავლობა, მან საფუძველი ჩაუყარა 1962 თბილ. სპეც. სამხატვრო-საკონსტრუქტორო ბიუროს დაარსებას, რ-იც 1966 გადაკეთდა ტექ. ესთეტიკის საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის საქართვ. ფილიალად. აღნიშნული ფილიალი 1990-იდან საქართვ. დიზაინისა და ერგონომიკის დამოუკიდებელი ინ-ტია, რ-ის საპროექტო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებია: გრაფიკული დ. (ადრე-სამრეწველო გრაფიკა); სამრეწველო და საზ. დანიშნულების ნაგებობათა კომპლ. მოწყობა (საწარმოო ინტერიერის, საწარმოო გარემოს კეთილმოწყობა); ავეჯის, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის საგნების პროექტირება; ერგონომიული კვლევები. ინ-ტში XX ს. 70–80-იან წლებში მუშავდებოდა აგრეთვე საქართვ. ქალაქების დიზაინ-პროგრამები. 1980 ინ-ტმა უმასპინძლა დ-ის საერთაშ. ორგანიზაციის (ICSID-ის) მიერ გამართულ საერთაშ. სემინარს ,,ინტერდიზაინი-80‘‘. 1990-იდან ინ-ტთან შეიქმნა სპეციალიზებული უმაღლესი სასწავლებელი – თბილისის დ.-კოლეჯი (შემდეგ – დიზაინის აკადემია). სასწავლებლის საგნობრივი პროგრამები და სასწ. გეგმა ითვალისწინებს მოწინავე ქვეყნების უახლეს გამოცდილებას ამ სფეროში; სასწ. პროცესი მიახლოებულია რეა-



დიკა. დიკას ძირითადი სახესხვაობები: 1 – შავთავთავიანი დიკა (Triticum carthlicum var. fuliginesum); 2 – წითელთავთავიანი დიკა (Triticum carthlicum var. rubiginesum); 3 – თეთრთავთავიანი დიკა (Triticum carthlicum var. stramineum).

ლურ საპროექტო საქმიანობასთან. საქართვ. სხვადასხვა რეგიონში შექმნილია დ-ის ბიუროები, რ-თა საქმიანობას კურირებს საქართვ. დ-ისა და ერგონომიკის ინ-ტთან არსებული სამეცნ.-მეთოდური ცენტრი. 60-იანი წწ. დასაწყისიდან თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემიის დეკორატიულ-გამოყენებითი (დღეს დ-ის) ფაკ-ტი ამზადებს დ-ის სფეროს თითქმის ყველა პროფილის სპეციალისტებს. ფუნქციონირებს კათედრები: მხატვრული კერამიკისა და მინის; გობელენისა და მხატვრული ქსოვილების; ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების; გრაფიკული დ-ისა და ვიზუალური კომუნიკაციების; სამრეწველო დ-ის; ავეჯის დაპროექტების; ლითონის, ხის და სხვა მასალების მხატვრულ ნაკეთობათა კათედრა. საქართვ. ტექ. უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს დ-ის კათედრა (ინტერიერი, მოწყობილობა). 1987 შეიქმნა დიზაინერთა შემოქმედებითი კავშირი (იხ. *დიზაინერთა კავშირი*).

ლიტ.: ციციშვილი ე., ქართული ხალხური ტრადიციები დიზაინის სამსახურში, თბ., 1998; მისივე, Дизайновое проектирование в Грузии, Тб., 1985.

გ. ნადარეიშვილი.

დიზი, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის ლახამულის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), შდავლერის ქედის სამხრ.-აღმ. კალთაზე, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს, ზუგდიდი – მესტიის საავტ. გზაზე. ზ. დ. 1000 *მ*, მესტიიდან 48 *კმ.* 105 მცხ. (2002).

დიზის მარმარილოს საბადო, მდებარეობს მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიზთან. მარმარილოს ლინზები განლაგებულია პალეოზოურ-ტრიასული ასაკის დიზის წყებაში. სულ გამოვლენილია 6 ლინზა, მათი საშ. სიგრძე 150–200 *მ*, სისქე 25–30 *მ*. შემცველ ქანებთან კონტაქტურ ნაწილში მარმარილო ნაცრისფერია და ზოლიანი, ბუდობის ცენტრ. ნაწილში – ნაცრისფერი, მასიური. სიმკვრივე – 2600–2800 *კგ/მ*^{3}, ფორიანობა – 0–3%, სიმტკიცე კუმშვისას – 48–98 *მეგპა*. ბლოკების გამოსავალი სამთო მასიდან – 20,3%, ფილების გამოსავალი 1 *მ*^{3} ბლოკიდან – 12–14 *მ*^{2}. მუშავდება ღია წესით. გამოყენება შენობების შესამოსად და ინტერიერებისათვის (მაგ. დიზის მარმარილოთი არის მოპირკეთებული რკინიგზელთა კულტურის სახლის სვეტები თბილისში).

ვ. ჯავრიშვილი.

დიკა (Triticum carthlicum Nevskyi), კულტურული, ტეტრაპლოიდური, საგაზაფხულო ხორბლის სახეობის ძვ. ქართ. სახელწოდება, რ-იც V საუკუნიდან მოიხსენიება. დ. ენდემური სახეობაა. საქართველოში გავრცელებული იყო მისი მრავალი სახესხვაობა, ფორმა და რასა, აბორიგენული და სელექციური ჯიში. მისი სახეობრივი ნიშანია თავთუნისა და ყვავილის კილებზე ფხების განვითარება. დ. იმუნური და სიცივისადმი გამძლეა. მის გენოტიპში ძვირფასი ნიშან-თვისებების გენებია. დ. საუკეთესო საწყისი მასალაა სელექციისათვის, გვხვდება საქართვ. ფარგლებს გარეთაც.

პ. ნასყიდაშვილი.

დიკასტერია (ბერძნ. dikasterion – სამსჯავრო, მსაჯულნი), 1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ძვ. ათენში, იგივე ჰელიეა. 2. ქართლ-კახეთის სამეფოში საკათოლიკოსოსთან არსებული უმაღლესი ადმ.-სასამართლო ორგანო. დააარსა *ანტონ I-მა* XVIII ს. 70-იან წლებში. განაგებდა საეკლ. ხასიათის ყველა საქმეს. სას. მმართველობასთან ერთად სასამართლო ფუნქციებსაც ასრულებდა. დ. კოლეგიური ორგანო იყო და ზოგჯერ „დიკასტერიის შეკრებულობადაც'' იწოდებოდა. წევრთა რაოდენობა არ აღემატებოდა 11 კაცს, რ-ებიც პერიოდულად მონაწილეობდნენ დ-ის საქმიანობაში. სადავო საქმეებს დ. ძირითადად 3, ზოგჯერ 5 წევრის შემადგენლობით არჩევდა. ჰყავდა მდივანიც, ე. წ. „მწიგნობარ-წინამძღვარი''. დ-ის მთავარი საზრუნავი იყო სარწმუნოების შეურყვნელად დაცვა. იგი ავლენდა და ებრძოდა „სჯულგარდამავალ'' დარღვევებს და მათ გამომწვევ მიზეზებს, განიხილავდა განქორწინების, ჯვარდაუწერელი მეუღლეებისა და შვილად აყვანის საქმეებს, ეკლესია-მონასტრების ქონებაზე დავას და სხვ. საქმეთა განხილვისას ხელმძღვანელობდა საეკლ. კანონ-წესებითა და *ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულით.* დ-ის სამოქმედო ტერიტორია კათოლიკოსის სამწყსოთი შემოიფარგლებოდა.

ლიტ.: კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წგ. 1 (ქართლ-კახეთის სამეფო), თბ., 1970.

მ. კეკელია.

დიკლო, აღმოსავლეთი დიკლო და დასავლეთი დიკლო, კარული მყინვარები თუშეთში, პირიქითის (თუშეთის) ქედის სამხრ. კალთაზე, ახმეტის მუნიციპალიტეტში. აღმ. დ-ს სიგრძეა 1,4 *კმ*, ფართ. – 0,20 *მ*^{2}, მყინვარის ენა ეშვება ზ. დ. 3150 *მ* სიმაღლემდე. დას. დ-ს სიგრძეა 0,8 *კმ*, ფართ. – 0,3 *კმ*^{2}, მყინვარის ენა ეშვება ზ. დ. 3440 *მ* სიმაღლემდე. ორივე მყინვარი ასაზრდოებს მდ. დიკლოსწყალს (პირიქითის ალაზნის მარცხ. შენაკადი).

დიკლო, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტის ომალოს თემში (კახეთის მხარე), თუშეთში, პირიქითის (თუშეთის) ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 2150 *მ*, ახმეტიდან 100 *კმ.* 16 მცხ. (2002).

დიკლოსმთა, მწვერვალი პირიქითის (თუშეთის) ქედის აღმ. დაბოლოებაზე, ახმეტის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 4285 *მ.* აგებულია შუალიასური თიხაფიქლებით, ქვიშაქვებით, დიაბაზებით. აქვს რელიეფის მყინვარული და ეროზიულფორმებიანი ციცაბო კალთები. ჩრდ.



დიკლოსმთა.

და სამხრ. კალთებზე მყინვარებია. დამახასიათებელია სუბალპ., ალპ., სუბნივალური და ნივალური ლანდშაფტები.

გ. ჩანგაშვილი.

„დილა“, 1. ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი ს.-დ. (მენშევიკური) მიმართულებისა. გამოდიოდა თბილისში 1907 (რედაქტორ-გამომცემელი – ს. ვადაჭკორია). სულ გამოვიდა 20 ნომერი. დაიხურა თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით. 2. ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა 1911 თბილისში (რედაქტორ-გამომცემელი – ა. ღულაძე), გამოვიდა 31 ნომერი. 3. ყოველდღიური პოლიტ. და ლიტ. გაზეთი ს.-დ. მიმართულებისა, გამოდიოდა 1912–13 ქუთაისში (რედაქტორ-გამომცემელი – ი. რუხაძე). 1912 სექტ-იდან 1913 წ. 4 მარტამდე „დ-ის'' ნაცვლად დროებით გამოდიოდა გაზ. „მერცხალი''. „დ.'' დაიხურა 1913 აპრ. ბოლოს მთავრობის განკარგულებით.

„დილა“, ყოველთვიური საბავშვო (ილუსტრირებული) ჟურნალი, დაარსდა 1904 თბილისში. თავდაპირველად გამოდიოდა *„ნაკადულის“* (დამაარსებელი – მ. *დემურია*), 1928-იდან კი – „ოქტომბრელის“ სახელწოდებით. 1948-იდან კი, „დ.“ დაერქვა. სხვადასხვა დროს ჟურნალის რედაქტორები იყვნენ: მ. დემურია (1904–09), ნ. *ნაკაშიძე* (1910–26), ი. *აბაშიძე* (1933–34), გ. *კაჭახიძე* (1934–36), ბ. ჭაჭიაშვილი (1936–37), ლ. ჭიჭინაძე (1937–41), რ. *მარგიანი* (1945–52), ი. *ნონეშვილი* (1952–63), ჯ. *ჩარკვიანი* (1963–67), მ. ი. *მაჭავარიანი* (1967–82), ე. ნიჟარაძე (1982–89), რ. *ინანიშვილი* (1989–91), თ. ჩალაური (1992–94), დ. წივწივაძე (1995-იდან დღემდე).

„დ-ის ავტორები იყვნენ: ი. ევდოშვილი (ხოსიტაშვილი), ბაჩანა და თედო რაზიკაშვილები, გ. ქუჩიშვილი (ჩხეიძე) და მისი ძმა დ. თურდოსპირელი, დუტუ მეგრელი (დ. ხოშტარია), ცქვიტი (ა. ხახუტაშვილი), მიმქრალი (ლ. მეგრელიძე), მ. გარიყული (რატიანი), განდეგილი (დ. ერისთავი), ე. გაბაშვილი, ნ. ლომოური, შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი (შენგელაია), გ. შატბერაშვილი, ი. სიხარულიძე, ნ. ჩაჩავა, გ. ჭიჭინაძე, გ. ძნელაძე, ა. სულაკაური, დ. ხიმშიაშვილვადაჭკორია, ქ. ჭილაშვილი, ნ. ბეზარაშვილი, ც. ქიტიაშვილი, მ. ბოლქვაძე, ნ. თარგამაძე, ვ. ასლამაზაშვილი, მ. ჩხეტიანი, ვ. ჩხიკვაძე, ლ. ჯაფარაშვილი, დ. მაზმიშვილი და სხვ.

2004 გამოვიდა ჟურნალის გამოცემიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ნომერი.

1984–90 გამოდიოდა ჟურნალის დამატება „აი ია“ (სკოლამდელთათვის), 1970–83 – „დილის ბიბლიოთეკა“, 1996–2000 – გაზეთი „საოჯახო საკითხავი“. „დ-ის“ ბაზაზე, 2007 დაარსდა საბავშვო გამომცემლობა **„დილა“** (შპს; გენ. დირექტორი – დ. წივწივაძე). გამომცემლობა ბეჭდავს გამოჩენილი მხატვრების მიერ დასურათებულ ქართულ კლასიკურ და თანამედროვე მწერალთა საბავშვო ნაწარმოებებს, სხვადასხვა გასართობ ლიტერატურას და სერიულ გამოცემებს.

„დილა“ (სააქციო საზოგადოება), ხელსაწყოთმშენებელი ქარხანა ქ. გორში. დაარსდა 1958 „გორიხელსაწყოს“ სახელწოდებით. 1971 იგი, როგორც საცდელი ქ-ნა, გადაეცა საქართვ. მრეწვ. საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტს (მრეწვავტომატსაკი) და ეწოდა გორის ანალიზური ხელსაწყოების საცდელი ქარხანა. 1974–85 ქარხანა, სამეცნ.–კვლ. ინ-ტთან ერთად, შედიოდა თბილ. სამეცნ.–საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოში“. 1985 ისინი გამოეყვნენ „ანალიზხელსაწყოს“ და მათ საფუძველზე შეიქმნა გორის საწარმოო გაერთიანება „დილა“ (ექვემდებარებოდა სსრკ ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების სამინისტროს).

ქ-ნას ეკავა 5 ჰა მიწის ფართობი, ჰქონდა გალვანური, საიარაღო, ამწყობი, მექანიკური, სამღებრო, პლასტმასების, ბეჭდვითი ფირების საამქროები. მისი ძირითადი პროდუქცია იყო ანალიზური და მაკონტროლებელი ზუსტი ხელსაწყოები: აკუმულატორის უნივერს. დასამუხტავი მოწყობილობა, ავტოინვენტორი (მუდმივი ძაბვის ცვლად ძაბვად გარდამქმნელი), ძაბვის სტაბილიზატორი, ელექტრონერგიით უწყვეტად კვების მოწყობილობა, სხვადასხვა სახის სას.-სამ. დანიშნულების ტექ. ნიმუშები, ანალიზური მოწყობილობები (ტენმზომი, კონდუქტომეტრული კონცენტრატომეტრი, ავტომ. თერმოჰიგრომეტრი, ლამის დონის განმსაზღვრელი სიგნალიზატორი და ა.შ.) და სხვ. ქ-ნამ თავისი არსებობის მანძილზე გამოუშვა 100-ზე მეტი დასახელების სხვადასხვა ხელსაწყო. პროდუქცია გადიოდა რუსეთში, უკრაინასა და ყაზახეთში. გაერთიანების მიერ წარმოებულ პროდუქციას მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მ.შ. აღსანიშნავია 1990 ესპანეთში მოწყობილი გამოფენის სპეც. ჯილდო, რ-იც მიეკუთვნა ხელსაწყოს – ნარჩენი ქლორის ანალიზატორი (AXC-203).

1994 გორის ანალიზური ხელსაწყოების საცდელი ქ-ნის ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო სა-ზა „დ.“ ამჟამად ქ-ნა ძირითადად ასრულებს კერძო დაკვეთებს.

ლ. აბრამიშვილი.

„დილარიანი“, „დ ი ლ ა რ გ ე თ ი ა ნ ი“, ძველი ქართული მწერლობის ჩვენამდე მოუღწეველი ძეგლი, რ-ის მთავარი გმირი დილარგეთი მოხსენიებულია ჩახრუხაძის „თამარიანსა“ და შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანში. საფიქრებელია, რომ „დ.“ იყო საგმირო-საფალავნო ან სამიჯნურო თხზულება. ვეფხისტყაოსნის ეპილოგის მიხედვით, „დ-ის“ ავტორობა მიეწერება *სარგის თმოგველს*. ზ. ჭიჭინაძემ შეცდომით მიიჩნია „დად“ „ამირანდარეჯანიანის“ (XI–XII სს.) გაგრძელებათა ციკლი (1896). XIX ს. დასაწყისში პეტრე *ლარაძემ* „დილარიანი“ უწოდა ლექსნარევი პროზით დაწერილ თავის ვრცელ თხზულებას, რ-შიც აღწერილია აბაშეთის მეფის დილარის ხიფათით აღსავსე თავგადასავალი.

ლიტ.: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966. *ა. გვახარია.*

დილგარიანი ალბერტ მიხეილის ძე (2. XII. 1928, თბილისი, – 17. IV. 1991, იქვე), ფერმწერი. საქართვ. დამს. მხატვარი (1967). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1952, უ. *ჯაფარიძის* კლასი). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1952-იდან. დ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია კოლორიტის გრძნობა, კომპოზიციური მთლიანობა, ზუსტი ნახატი. შესრულებული აქვს პეიზაჟური და ჟანრული ხასიათის სურათები, პორტრეტები, ნატურმორტები: „ბოტანიკურ ბაღში“ (1953), „ნორჩი ნატურალისტები“ (1957), „მერცხლები“ (1958), „სამუშაოდან დაბრუნება“ (1960), „ზეიმის წინ“ (1962), „საჩუქრები ფრონტისათვის“ (1964), „რთველი“ (1969), „მსხლები“ (1969), „ძველი თბილისი“ (1965, 1972), „თბილისის ეზო“ (1977), „მხატვრის სამყარო“ (1980), „ნატურმორტი“ (1983), „ოჯახი“ (1985) და სხვ. მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო პარიზში (1963), მონაწილეობდა საქართველოსა თუ მსოფლიოს მრავალ ქალაქში მოწყობილ გამოფენებში. დ-ის პერსონალური გამოფენა მოეწყო თბილისში (2007, გალერეა „ვერნისაჟი“).



ჟურნალი „დილა“ (100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ნომერი).



ა. დ ი ლ ბ ა რ ი ა ნ ი. „ნატურმორტი“ . 1983.

დილეგი, საპყრობილე, სატუსაღო, ტყვეთა დასამწყვდევი, უკარფანჯრო ადგილი ციხე-კოშკის პირვე-

ლი სართულის ქვეშ. ჩასასვლელი პირველი სართულიდან ჰქონდა, ზემოდან აფარებდნენ ფიქალ ქვას ან ხის სახურავს, რ-იც ურდულით იკეტებოდა. დილეგიანი ციხე-სახლები და კოშკები გავრცელებული იყო ძვ. საქართველოში. *მ. ჩართოლანი.*

დილერი (ინგლ. dealer – მოვაჭრე, აგენტი), შუამავალი (იურიდიული ან ფიზიკური პირი), რომელიც სასაქონლო ბირჟაზე მოქმედებს თავისი სახელითა და ხარჯით. ეს განასხვავებს მას *ბროკერისაგან,* რ-იც თანამშრომლობს თავის კლიენტებთან მათივე სახელით და დავალებით. დ-თა ინ-ტი სავაჭრო-საშუამავლო სტრუქტურების ფართოდ გავრცელებული ნაირსახეობაა. დ-ები თვითონ არჩევენ მომწოდებლებს და მყიდველებს, რ-ებსაც შუამავლის მეშვეობით საქონლის გაყიდვის ან ყიდვის სურვილი აქვთ. დ-თა შემოსავალს წარმოადგენს საქონლის ნასყიდობასა და გასაყიდ ფასებს შორის სხვაობა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი სადილერო საქმიანობა ექვემდებარება საქართვ. კანონს სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ (1999 წ., 23 ივნ., მუხლი 2). დილერული ოპერაციების ჩატარების უფლებამოსილება ქვეყნის საფონდო ბირჟაზე აქვს ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრე საბროკერო კომპანიებს. ამდენად, დილერული ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა ჩვენში ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა.

ა. გაგნიძე.

დილიკაური, სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის მაღლობზე, მდ. ბუჯის (ყვირილის აუზი) მარცხ. მხარეს, ზესტაფონი – საჩხერის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: დ., ქველეთუბანი). ზ. დ. 440 *მ,* ზესტაფონიდან 9 *კმ.* 2,5 ათ. მცხ. (2002).

„დილის გაზეთი“, ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი (1996–2004). მთ. რედაქტორი – თ. მეტრეველი, გამომცემელი – ტ. შავერდაშვილი. 1997-იდან მთ. რედაქტორი გახდა მ. კარტოზია. „დ. გ“-ის სლოგანი იყო – „მზე ჩვენთან ერთად ამოდის“.

„დ. გ.“ ყოველწლიურად გამოსცემდა საიმიჯო-თემატურ კალენდრებს, მათ შორის აღსანიშნავია: „ქართული ენის მარგალიტები“ (2002), „ექვთიმე თაყაიშვილი“ (2003), „ანა კალანდაძე“ (2004); 2002 გამოსცა წიგნი „ერთი პუბლიკაციის ანთოლოგია“ (ასახულია თავიანთი ავტორების მუშაობა), პ. ნაცვლიშვილის „პუბლიცისტური წერილები“ (2002) და ერ. ახვლედიანის ესეების კრებული.

2001 გამართულ ბეჭდური პრესის ფესტივალზე „ოქროს კალამი“ საუკეთესო ყოველდღიურ გაზეთებად დასახელდა „დილის გაზეთი“ და გაზ. *„რეზონანსი“,* ხოლო პ. *ნაცვლიშვილის* რეპორტაჟი – წლის საუკეთესო რეპორტაჟად.

2003 რედაქციას გადაეცა საქართვ. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მთავარი ჯილდო სპორტული და ოლიმპიური თემატიკის საუკეთესო გაშუქებისათვის. იმავე წელს გაზეთი და მისი რედაქტორი დაჯილდოვდნენ „ოქროს ფრთით“.

დილისკა, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალქალაქის პლატოზე, მდ. ფარავნის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. სათავო სოფელი. ზ. დ. 1700 *მ,* ახალქალაქიდან 4 *კმ.* 2,9 ათ. მცხ. (2002).

დილის საარი (სპარს. საჰარ – დილა, აგრეთვე მომაჯადოებელი, მომხიბვლელი, ჯადოსნური, გრძნეული), ცისკრის ჰანგი, რ-საც მხოლოდ გათენებისას უკრავდნენ და წინადღით დაწყებული დროსტარების დასასრულის მაუწყებელი იყო. ირიჟრაჟებდა თუ არა, ღამენათევი, სუფრიდან აშლილი მოქეიფენი შინიდან გარეთ გამოდიოდნენ და ეზოში ან ქუჩაში აგრძელებდნენ ქეიფს. ეს იყო შინ დაწყებული ლხინის თეატრალიზებული დასასრული. საარის დაკვრა იწყებოდა ზურნით, რ-საც მეორე ხმით (დამი) მოჰყვებოდა დუდუკი, მცირე პაუზის შემდეგ მათ უერთდებოდა დოლის ხმა. მედოლე დოლს საგანგებოდ დამზადებულ ორ ოდნავ მოხრილ ბოლოებიან (დაახლ. 40 *სმ* სიგრძის) ჯოხს ურტყამდა. დ. ს. იყო ღამეზე, სიბნელეზე გამარჯვებული დღის სინათლის, მზის ამოსვლის, ალიონის ჰიმნი. სად და როდის უნდა წარმოშობილიყო დ. ს. დღეს არავინ იცის. უდავოა, რომ მისი გაჩენა მზის კულტთან არის დაკავშირებული. დ. ს., ი. *გრიშაშვილის* თქმით, სრულდებოდა დუდუკზე, ხოლო ძველი თბილისელი დამკვრელების ქომაგის, ალექსანდრე ბარნოვის თქმით – ზურნაზე.

ლიტ.: ბ ა რ ნ ო ვ ი ა., ძველი თბილისის მუსიკოსები, თბ., 1974; გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ი., ქალაქური ლექსიკონი, თბ., 1997. *თ. ბერიძე.*

დილიფი, დ ი ლ ი თ ი, სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის კონდურის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ჯავახეთის ზეგანზე, ხანჩალის ტბის დას-ით. ზ. დ. 1850 *მ,* ნინოწმინდიდან 16 *კმ.* 1,5 ათ. მცხ. (2002). დ-ის მიდამოებში არის მძლავრი მინერ. წყაროები და პემზის დიდი მარაგი.

სოფლის ძვ. ქართ. სახელწოდებაა დ ლ ი ვ ი. X–XI სს-ში იგი ქართვ. მეფეთა ერთ-ერთი სადგომი იყო. 988, *ბაგრატ III-ის* თავდასხმის მოლოდინში, დ-ში დაბანაკდა *დავით III* კურაპალატი. აქვე, პერიოდულად, სადგომი ჰქონდათ ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლების მტრებს – კლდეკარის ერისთავებს – ბაღვაშებს. 1058 დ-ში შეიპყრეს ლიპარიტ ბაღვაში და მისი ძე ივანე. დ-ის მახლობლად შემორჩენილია ადრინდ. შუა საუკ. საყდრის ნანგრევები.

დ. ბერძენიშვილი.

დილიფის განძი, VII–IX სს. ვერცხლის მონეტების განძი, აღმოჩენილი 1949 სოფ. დილიფში (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი). შემორჩენილია 14 მონეტა და 19 ნატეხი. განძის დიდი ნაწილი დაკარგულია. 1 მონეტა სასანური დრაქმაა, 1 – არაბულ-სასანური, ხოლო დანარჩენი ომაიანთა და აბასიანთა დირჰემებია. მონეტების ქრონოლ. ჩარჩოა 620–833 წწ. (ჰიჯრით).

ლიტ.: ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში, თბ., 1972; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს სამონეტო განძები, [ტ.] 1, თბ., 1976.

გ. დუნდუა.

დიმი, სოფელი ბაღდათის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე, მდ. ხანისწყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას, ბაღდათი – ქუთაისისა და ბაღდათი – ზესტაფონის საავტ. გზებზე. თემის ცენტრი (სოფლები: დ., საამედო). ზ. დ. 180 *მ,* ბაღდათიდან 4 *კმ,* რიონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 16 *კმ.* 4,3 ათ. მცხ. (2002). სოფლის მიდამოებშია *აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალი.*

სოფლის სახელი უნდა მომდინარეობდეს ციხე *„დიმნიდან“,* რ-იც მოხსენიებული აქვს *ლეონტი მროველს* (XI ს.). სოფელი „დიმის“ სახელწოდებით შედარებით გვიან იხსენიება (1583). ამჟამად არსებობს დ. და *ზედა დიმი.* ორივე სოფელში აღმოჩენილია ძვ. ნასახლართა ნაშთები.

არსებული მასალების მიხედვით დ-ის რეგიონი უძველესი ხანიდან მნიშვნელოვან დასახლებას ანუ „ქვეყანას“ წარმოადგენდა. იგი დაწინაურებული უნდა ყოფილიყო მეურნეობითაც. დ-ის დაწინაურებას და ციხის საჭიროებას განაპირობებდა მისი მნიშვნელოვან გზათა შესაყარზე მდებარეობა. წინარეანტიკურ და ადრინდ. ანტ. ხანის დ-ის დასახლება კოლხური კულტურის გავრცელების არეალში ექცევა. დ-ში ბუნებრივ ბორცვსა და მის შემოგარენში უკანასკნელ ხანებში გამოვლენილი მასალებისგან გამოირჩევა ძვ. წ. II ათასწლ. შუა და მომდევნო ხანის კოლხ. ნასახლარებისათვის დამახასიათებელი კერამიკა. ასევე კოლხური კულტურის გავრცელების არეალს უკავშირდება ზედა დიმში ზედაპირულად დადასტურებული ძვ. სამოსახლოთა ნაშთები ხის ნაგებობათა თიხის ანაბეჭდების სახით. შემთხვევით ნაპოვნი ელინისტური ხანის თიხის ჭურჭელზე უკვე ქართლის კულტურის გავლენა იგრძნობა.

სოფელში არის მთავარანგელოზის ეკლესია, რესტავრირებულია 2009.

ლიტ. იხ. სტ-თან დ ი მ ნ ა .

ვ. ჯაფარიძე.

დიმიტრი, *,,პროვინციის მეფე“* XIV ს. დასაწყისში, *ვახტანგ III-ის* ძე. ვახტანგ III-ს ,,დარჩეს შვილნი ორნი: დიმიტრი და გიორგი. დიმიტრის დმანისი აქუნდა, და გიორგის – სამშვილდე“. გიორგის შესახებ აღარაფერი ვიცით, დ-ს კი, ზოგი მკვლევრის მოსაზრებით, მცირე ხნით აღმ. საქართვ. ტახტი ეპყრა [პეტრიწონის მონასტრის ღვთისმშობლის ხატის 1311 წ. წარწერის მიხედვით, ამ დროს (1311) აღმ. საქართველოში მეფობს დ.], მაგრამ როგორც ჩანს, *დავით VIII-ის* გარდაცვალების შემდეგ დ-მ დმანისში თავისი უფლებამოსილება ,,მეფის“ რანგში აიყვანა და რეალურად მხოლოდ დმანისის მხარის ,,პროვინციის მეფე“ იყო.

წყარო: ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: კ ი კ ნ ა ძ ე ვ., საქართველო XIV საუკუნეში, თბ., 1989; ნ ი ნ ი ძ ე დ., ,,პროვინციის მეფეები“ XIV – XV საუკუნეების საქართველოში, თბ., 1995.

მ. ზალდასტანიშვილი.

დიმიტრი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახლ. 1080–90. მოიხსენიება ნიკორწმინდის კათოლიკოსთა სულთა მატიანესა და შიომღვიმის 1270 ხელნაწერის კათოლიკოსთა ნუსხაში.


წყარო: ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წგ. 1, ტფ., 1892.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რ. მეტრეველის რედ., თბ., 2000. *ზ. აბამძე.*

დიმიტრი II თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი, იხ. *დემეტრე II* თავდადებული.

დიმიტრიადი ოდისეი აქილევსის ძე [24. VI (7.VII). 1908, ბათუმი, – 27. IV. 2005, თბილისი, დაკრძალულია თბილისის ოპერის ბაღში], დირიჟორი და პედაგოგი. საქართვ. (1950) და სსრკ (1958) სახ. არტისტი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1989). თბილ. საპატიო მოქალაქე (1980). 1930 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია საკომპოზიციო განხრით (მ. ბაგრინოვსკისა და ს. *ბარხუდარიანის* ხელმძღვანელობით). კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სოხუმში, წერდა მუსიკას სოხუმის ბერძნ. დრამის თეატრისათვის, ასევე საფორტეპიანო და საორკესტრო პიესებს. 1933–36 ლენინგრადის კონსერვატორიაში გაიარა სადირიჟორო კურსი (ა. *გაუკისა* და ი. მუსინის ხელმძღვანელობით). 1937–47 დ. მუშაობდა თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორად (ე. *მიქელაძის* მიწვევით), 1952–65 და 1973–75 კი – მთ. დირიჟორად. 1965–73 სსრკ დიდი თეატრის დირიჟორი, 1937–41 და 1957 – 95 თბილ. კონსერვ. პედაგოგი იყო (1937-იდან – პროფესორი). ხელმძღვანელობდა სადირიჟორო კლასს. მისი მოწაფეები იყვნენ: ჯ. *კახიძე,* თ. ჯაფარიძე, რ. *ტაკიძე,* ა. მამაცაშვილი, გ. *მუნჯიშვილი,* ტ. დუგლაძე, ი. დადიანი, ნ. დავითაშვილი, დ. *მუქერია,* ა. ხაკბა, თ. ჭუმბურიძე, ვ. გურევიჩი და სხვ. 1947–52 იყო საქართვ. სახელმწ. სიმფონიური ორკესტრის მთ. დირიჟორი, 1968-იდან – მოსკ. კონსერვ. პედაგოგი, 1987-იდან – ქუთაისის საოპერო თეატრის დირიჟორ-კონსულტანტი.

დ. იყო დიდი არტისტული დიაპაზონისა და ტემპერამენტის დირიჟორი. ვრცელია მისი საოპერო და სიმფ. რეპერტუარი (კლასიკური რუს. და დასავლეთ ევროპული, აგრეთვე თანამედროვე რუს. და საზღვარგარეთული მუს. ნაწარმოებები). დ-ს განსაკუთრებული ამაგი მიუძღვის ქართვ. კომპოზიტორთა ქმნილებების პროპაგანდაში. მისი დირიჟორობით პირველად აჟღერდა ქართ. ოპერები: ა. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი“ (1940), დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი“ (1957), შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“ (1961), ო. თაქთაქიშვილის „მინდია“ (1961), აგრეთვე ა. მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“ (1958) და მრავალი სიმფ. ნაწარმოები – ა. ბალანჩივაძის I (1944), II (1959), III (1980) და IV (1984) სიმფონიები; ა. მაჭავარიანის I სიმფონია (1947) და სავიოლინო კონცერტი (1950); ო. თაქთაქიშვილის I (1949), II (1954) სიმფონიები და I საფორტეპიანო კონცერტი (1951); შ. მშველიძის III სიმფონია „სამგორი“ (1952); ორატორია „კავკასიონი“ (1949); ამ ნაწარმოებებიდან ზოგიერთი შესრულდა საზღვარგარეთ, მ.შ. სსრკ მრავალ ქალაქში.



ო. დიმიტრიადი.

დ-ის ხელმძღვანელობით თბილ. ოპერის სცენაზე დადგმულია არაერთი სპექტაკლი – ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ (1953), ა. კერესელიძის „ბაში აჩუკი“ (1956), ნ. რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლე“ (1939), პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“ (1953) და „ორლეანელი ქალწული“ (1957), ჯ. პუჩინის „ბოჰემა“ (1945) და „ჩიო-ჩიო-სანი“ (1956), პ. მასკანის „სოფლური ღირსება“ (1959), გ. დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“ (1963), ე. სუხონის „კრუტნიავა“ (1959), ს. პროკოფიევის „სემიონ კოტკო“ (1964), კ. დანკევიჩის „ბოგდან ხმელნიცკი“ (1954) და სხვ. დ. გასტროლებს მართავდა სსრკ ქალაქებსა და საზღვარგარეთის (ევრ. და ამერიკის) ქვეყნებში. 1958 თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასთან ერთად გამოდიოდა ლათ. ამერიკის ქვეყნებში. 1960-იდან დ. ოპერების დირიჟორად და მუს. ხელმძღვანელად არაერთხელ იყო მიწვეული მექსიკაში, არგენტინაში, საბერძნეთში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, ბულგარეთში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1996). *ა. წულუკიძე.*



ო. დიმიტრიადი სადირიჟორო პულტთან.

დიმიტრი ბატონიშვილი (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (გ. 1452), XV ს. სახელმწიფო მოღვაწე, *ალექსანდრე I* დიდის (1412–42) ძე. იგი გარკვეული პერიოდი ქართლის გაღმა მხარეში („წყალს-იქითი“-სათარხნო, საჯავახიანო, საციციანო) „მეფის“ ტიტულით მოღვაწეობდა. ქართლის ამ ნაწილში მართვის უფლებამოსილება დ. ბ-მა მამის სიცოცხლეშივე მოიპოვა – ,,წყალს-იქითი“ მისი საუფლისწულო მამული იყო. ალექსანდრე I დიდის გარდაცვალების შემდეგ მისმა ძმამ, სა-

ქართვ. მეფე *ვახტანგ IV-მ* (1442–46), ცნო არსებული ვითარება. დიმიტრის ბატონიშვილობა „პროვინციის მეფობაში“ გადაიზარდა.

1433 ალექსანდრე I-მა დ. ბ. „დიდი ძღუენით“ წარგზავნა შემოსული დამჰყრობლის „შარუხის“ (შაჰრუხის) კარზე მშვიდობის დამყარების მიზნით ზავის დასადებად. დ. ბ-მა ეს მისია წარმატებით შეასრულა.

არაერთ ისტ. დოკუმენტში დ. ბ. „მეფედ“ არის მოხსენიებული ან თავად ამტკიცებს დოკუმენტებს ამ ტიტულით. ასევე იხსენიება დ. ბ. გარდაცვალების შემდეგაც. კათოლიკოს ნიკოლოზ ამილახვრის (XVII ს.) გუჯარით ალექსანდრე I-ის ვაჟს, გიორგი VIII-ს „წყალს-იქითი მამული დიდი ნაქონი დიმიტრი ბაგრატიონისა“ – სამთავისის ეკლესიისათვის შეუწირავს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ნინიძე დ., „პროვინციის მეფეები“ XIV–XV საუკუნეების საქართველოში, თბ., 1995. *დ. ნინიძე.*

დიმიტრი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (XV ს. ბოლო – XVI ს. I ნახ.), კახეთის მეფე *ალექსანდრე I-ის* უმცროსი ძე და მისი პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერი. ალექსანდრე I-ის შვილები – *გიორგი II* (ავგიორგი) და დ. ბ. პირველობისთვის ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. კონფლიქტი იმანაც გააღრმავა, რომ გიორგისაგან განსხვავებით, ალექსანდრე I და დ. ბ. ქართლის სამეფოს მიმართ მშვიდობიანი პოლიტიკის მომხრეები იყვნენ: „რამეთუ ძმანი არიან და არა ჯერ არს შენგან ცილობა და დაპყრობა ქართლისა“. ამასთან ალექსანდრე, სამეფო პოლიტიკის გატარებისას, უმეტესად დ. ბ-ს ეყრდნობოდა და შესაბამის დავალებებსაც მას აკისრებდა. მაგ., მეფემ დ. ბ. შირვანს შაჰ ისმაილთან წარგზავნა, სადაც იგი პატივით მიიღეს. ელჩობა წარმატებით დასრულდა და დ. ბ. სამშობლოში „ნიჭითა და ზავითა მშვიდობისათა“ დაბრუნდა.

დაპირისპირება ძმებს შორის აშკარა კონფლიქტში გადაიზარდა, გიორგიმ მამა მოკლა, ხოლო „ძმასა თუალები დასწვა“. გამეფებულმა ავგიორგიმ (1511–13) თვალდათხრილი დ. ბ. კახეთში არ დააყენა, დ. ბ. ცოლ-შვილით ქართლში გადავიდა და გარკვეული დროით მცხეთაში სვეტიცხოველს „შემოეხუეწა“. მას თვალდამწვარი უწოდეს, მის შთამომავლებს კი – თვალდამწვრიანები (ამას ეხება ფარსადან გორგიჯანიძის „აქა ანბავი თვალდამწვრიანთა“). მეფემ იგი „არჩინა“, რასაც მისი შვილების ამ კუთხეში დამკვიდრება და რანგით ჩამოქვეითება მოჰყვა. დ. ბ-ის შთამომავალნი დავით თვალდამწვრიანისაგან დავითიშვილებად იწოდებოდნენ, მათგან მომდინარეობს ბაგრატიონთა სამეფო სახლის *დავითიშვილ-ბაგრატიონების* განშტოება.

წყარო: გორგიჯანიძე ფ., ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, წგ. 2; ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება. მეორე ტექსტი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973. *დ. ნინიძე.*

დიმიტრი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (XVIII ს. ბოლო – XIX ს. 40-იანი წწ.), იულონ ბატონიშვილის ძე, ერეკლე II-ის შვილიშვილი. 1832 შეთქმულების აქტიური მონაწილე. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ მშობლებთან ერთად რუსეთს გადაასახლეს. ცხოვრობდა პეტერბურგსა და მოსკოვში. XIX ს. 20-იან წლებში დ. ბ-ის სახლში თავს იყრიდნენ ქართვ. ოფიცრები. მის სალონში აღმოცენდა 1832 შეთქმულების მომზადების იდეა (იხ. *შეთქმულება 1832 წლისა*). დ. ბ-ის აზრით, ცარიზმმა დაარღვია საერთაშ. სამართლის ნორმები, გააუქმა გეორგიევსკის 1783 ტრაქტატი და ცალმხრივი აქტით (მანიფესტი) თვითნებურად შეიერთა ქართლ-კახეთის სამეფო; მიაჩნდა, რომ გარეშე ძალის გამოყენებით (ინგლისი, საფრანგეთი და სხვ.) შესაძლებელი იყო ზეგავლენის მოხდენა ცარიზმზე, რათა აეძულებინათ იგი, აღედგინა ქართლ-კახეთის სამეფო 1783 ტრაქტატის უფლებრივ ნორმათა საფუძველზე. დ. ბ. ოქროპირ და თამარ ბატონიშვილებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა შეთქმულთა საზ-ბის საქმიანობაში. შეთქმულების დამარცხების შემდეგ ბატონიშვილის (რუს. ცარევიჩის) ტიტული ჩამოართვეს.

ლიტ.: გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1–3, თბ., 1935–76. *ა. ბენდიანიშვილი.*

დიმიტრი მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – დავით ილარიონის ძე იაშვილი) (15. XII. 1872, სოფ. საქობო, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 22. VII. 1961), სასულიერო მოღვაწე. 1888–96 სწავლობდა თბილ. სას. სემინარიაში, 1896–98 მსახურობდა მართლმადიდებლური აღმსარებლობის უწყებათა სკოლების მასწავლებლად, 1898 ხელდასხმულ იქნა მღვდლად და დაინიშნა სოფ. საქობოს ეკლესიის წინამძღვრად. პარალელურად ასრულებდა სიღნაღის ეპარქიული სასწავლებლის საბჭოს თავ-რის მოვალეობას. 1912 გადაიყვანეს თბილ. მიქაელ მთავარანგელოზის ტაძრის წინამძღვრად და აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში. 1952 აღიკვეცა ბერად. იმავე წელს ხელდასხმულ იქნა ნინოწმინდის ეპისკოპოსად და კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. 1958-იდან ბოდბისა და ალავერდის მიტროპოლიტი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა კათოლიკოს-პატრიარქის, *მელქისედეკ III-ის* წერილობითი განკარგულება საქართვ. მართლმადიდებელი ეკლესიის მოსაყდრედ ურბნელი მიტროპოლიტის დავითის (დევდარიანი) გამოცხადების შესახებ, დ. მ-მა მელქისედეკ III-ის გარდაცვალების შემდეგ წმ. სინოდის სხდომაზე კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ ბათუმშემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის ეფრემის (სიდამონიძე) კანდიდატურა წამოაყენა, რასაც მხარი დაუჭირა სინოდის წევრთა უმრავლესობამ.

დ. მ-ს ეკუთვნის ისტ. ჟანრის მოთხრობები, ნოველები, ქადაგებები, რომელთა უმრავლესობა დაცულია ი. გრიშაშვილის არქივსა და გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმში.

მიღებული აქვს სხვადასხვა სას. ჯილდოები. დაკრძალულია თბილ. პეტრე-პავლეს ეკლესიაში.

ლიტ.: ვარდოსანიძე ს., ქართველი მღვდელმთავრები (XX–XXI საუკუნეები), თბ., 2010; ჟვანია ზ., საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთ., 1994; Журнал Московской Патриархии, 11, М., 1961.

თ. მარგველაშვილი.

დიმიტრი მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – ნოდარ შოთას ძე შიოლაშვილი) (დ. 16. II. 1961, ქ. მცხეთა), სასულიერო მოღვაწე. 1979 ჩაირიცხა მცხეთის სას. სემინარიაში, რ-ის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის ზაგორსკის სას. აკადემიაში. 1985 დიაკვნად ეკურთხა, 1986 კი – მღვდლად. 1989 აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში და დაადგინეს ბათუმის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად. 1991 ბათუმის წმ.

ანდრია პირველწოდებულის გიმნაზიის რექტორად დაინიშნა. წლების განმავლობაში წმ. იოანე ღვთისმეტყველის სას. სემინარიის რექტორი იყო. 1996 წმ. სინოდმა **დ. მ.** გამოარჩია ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსად. 2003 აგვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის, 2007 კი – მიტროპოლიტის ხარისხში. 2007 წ. 21 დეკემბერს გაიყო ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქია, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი, ბათუმისა და ქობულეთის ეპარქიას დაემატა, 2007 **დ. მ.** დამტკიცდა ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მმართველად. 2009 მას ჩააბარეს აშშ-ისა და კანადის ქართ. სამრევლოების წინამძღოლობაც.

დ. მ. არის ,,წმინდა მიწის'' შემსწავლელი სამეცნ. საზ-ბის თავმჯდომარე. ეპარქიის წინამძღოლობის პარალელურად ხელმძღვანელობს საქართვ. საპატრიარქოს საინფორმაციო სამსახურს. დაჯილდოებულია წმ. გიორგის ორდენით (2007).

დიმიტრიოსი (IX ს.), სასულიერო პირი, წმინდანი, *გრიგოლ ხანძთელის* მოწაფე, რ-იც ,,შერაცხულ იყო პირველთა თანა მოწაფეთა მისთა''. **დ.** იხსენიება იმ წმ. მამების გვერდით, ,,რომელთაგან მრავალნი უდიდესსა საზომსა მონაზონებისასა მიწევნულ იყვნენ და სასწაულნი დიდნი მათ მიერ იქმნებოდეს ხორცთა შინა ყოფასა მათსა და შემდგომად სიკვდილისა მათისა''. **დ.** მოიხსენიება კლარჯეთის უდაბნოს ღირს მამათა და დედათა (VII–IX სს.) შორის 5 (18) ოქტომბერს.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბ. – ათენი, 2003.

დიმიტრის მონასტერი, ქართული მონასტერი *იერუსალიმში*, მდებარეობს იაფოს ჭიშკარსა და წმ. მხსნელის მონასტერს შორის. აგებული უნდა იყოს XIV ს. პირველ ნახევარში მეფე გიორგი ბრწყინვალის დროს. აუშენებიათ ,,ქსნის ერისთავს შალვას, ვირშელს ივანეს და მათი მოკსენებაც მუნ არის'' – წერდა ტიმოთე გაბაშვილი. მისი ,,მიმოსლვის'' ხელნაწერში მონასტრის აღმშენებლად მოხსენიებულია მხოლოდ ვირშელი შალვა. ამავე ერისთავის სახელზე ჯვრის მონასტერში შედგენილია ორი აღაპიც. *გიორგი V-ის* მიერ ეგვიპტესა და იერუსალიმში გაგზავნილმა შალვა ერისთავის ძე პიპამ, სავარაუდოდ, გამგზავრებისას თავისი მამა-ბიძის მიერ გატანებული შესაწირავიც წაიღო, რ-თაც ახ. მონასტერი ააგეს და, შესაბამისად, სამშენებლო წარწერაში მათი სახელები უკვდავყვეს.

XVII ს. ბოლოდან **დ. მ.** ბერძენთა საპატრიარქოს მონასტერთა სისტემაშია.

წყარო: გაბაშვილი ტ., მიმოსლვა, ე. მეტრეველის გამოც., თბ., 1956; მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI–XVII სს.), თბ., 1962.

ლიტ.: მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, გორი, 1998. *ე. მამისთვალიშვილი.*

დიმნა, ანტიკური და შუა საუკუნეების ციხესიმაგრე დასავლეთ საქართველოში, ახლანდ. სოფ. დიმის მახლობლად (ბაღდათის მუნიციპალიტეტი). ლეონტი მროველის (XI ს.) ცნობით, **დ.** აუშენებია მეფე ფარნავაზს შორაპნის ციხესთან ერთად. მასვე უკავშირებს **დ**-ის აგებას ვახუშტი ბატონიშვილიც (XVIII ს.). **დ.** უნდა ყოფილიყო რეგიონის („ქვეყნის'') ცენტრი და სტრატეგიული პუნქტი, რ-იც მდებარეობდა მნიშვნელოვან გზათა შესაყართან. იგი აკონტროლებდა, ერთი მხრივ, ხანისწყლის ხეობას, რ-იც „რკინისჯვრის'' გზის მეშვეობით ფაზის-რიონის ხეობას უკავშირდებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, „ციხის ყელზე'' გავლით, ქართლთან დამაკავშირებელ გზას. **დ.** მცირე ზომის ნაგებობაა (40 *მ* ×20 *მ*). შემორჩენილია ოთხკუთხა კოშკი და ზღუდის ნაშთები, რ-ებიც წყობის მიხედვით ადრინდ. შუა საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს, ხოლო ციხის გარეთ გათხრებით გამოვლენილი რიყის ქვის კედელი ელინისტური ხანის მიწურულს (ძვ. წ. II–I სს.) მიეკუთვნება. ბორცვი, რ-ზედაც ციხეა აშენებული, ძვ. ნამოსახლარს წარმოადგენს. იგი ხელოვნური თხრილით არის გამოყოფილი ფერსათის კალთისაგან და დატერასებულია. ბორცვზე მოპოვებული არქეოლ. მასალები წინარეანტიკურ ხანას განეკუთვნება. **დ**-ის მიდამოებში 1974 ჩატარდა მცირე მასშტაბის დაზვერვითი არქეოლ. სამუშაოები (ხელმძღვ. ვ. ჯაფარიძე).

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 8, თბ., 1975; მელიქიშვილი გ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965; ცქიტიშვილი გ., ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1964, [ტ.] 2. *ვ. ჯაფარიძე.*

„დინამო", სპორტული კლუბი. შეიქმნა 1992 ფიზკულტურულ-სპორტული საზ-ბა „დინამოს" ბაზაზე (არსებობდა 1925-იდან). თბილ. „დ-ს" პირველი სპორტ. ბაზა, სადაც ტარდებოდა მეცადინეობა კალათბურთში, სპორტ. ტანვარჯიშში, ტყვიის სროლაში, ჭადრაკში და ა. შ., მდებარეობდა ბესიკის ქ. 4-ში.

„დ-ს" საქართვ. რესპ. საბჭოს ჰქონდა 4 სტადიონი, მ. შ. *ეროვნული სტადიონი*, დახურული საცურაო აუზი თბილისში, 15 სპორტ. დარბაზი, სანიჩბოსნო ბაზები სოხუმში, ფოთსა და სოფ. გუდავაში, სამთო-სათხილამურო ბაზა ბაკურიანში, ჩოგბურთის სტადიონი თბილისში და 3 სასწ.-სავარჯიშო ბაზა.

საზ-ბა „დ-ს" არსებობის მანძილზე აღიზარდა 19 მსოფლიო ჩემპიონი (მ. შ. მ. *ჩიბურდანიძე*), 8 ოლიმპიური ჩემპიონი (მძლეოსნები – რ. *შავლაყაძე*, ვ. *სანეევი*; კალათბურთელები – ზ. *საკანდელიძე*, მ. *ქორქია;* ძალოსანი რ. *ჩიმიშკიანი*; მოფარიკავე ნ. *ასათიანი;* ტანმოვარჯიშე გ. *შარაბიძე* და მოჭიდავე ვ. *ბლაგიძე*). საზ-ბის საკლუბო გუნდებს არაერთხელ გაუმარჯვიათ საერთაშ. შეჯიბრებებში (იხ. სტ-ები: *თბილისის ,,დინამოს'' კალათბურთელთა გუნდი, თბილისის ,,დინამოს'' ფეხბურთელთა გუნდი, თბილისის ,,დინამოს'' წყალბურთელთა გუნდი*). *ნ. გვახარია.*

„დინარა", „მოთხრობა დინარაზე", ძველი რუსული ლიტერატურული ძეგლი. ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით. ავტორი უცნობია. ვარაუდობენ, რომ იგი მოსკოველ მწიგნობარ-დიპლომატთა წრიდან იყო. მოთხრობა დაწერილია XV ს. ბოლოს ან XVI ს. I ნახევარში (ძეგლის უძველესი რუს. ნუსხაა 1564–65). „დ." პირველი რუს. ძეგლია საქართვ. შესახებ. მოქმედება ხდება საქართველოში (ივერია). მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ რა კონკრეტული მოვლენები და პერსონაჟები არიან წარმოდგენილი ძეგლში. უმრავლესობის აზრით, დინარაში იგულისხმება თამარ მეფე. მოთხრობის გმირი დინარა ტახტზე ადის მამის სიკვდილის შემდეგ. მამამისს „ძე არ ესვა" (მსგავსად გიორგი III-ისა, რ-მაც თავისი ასული თამარი გაამეფა). ძეგლი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ მოსთხოვა სპარსთა მეფემ დინარას ხარკი და როგორ მიიღო მისგან ღირსეული პასუხი. ყოველივე ეს ძალიან

ჰგავს თამარ მეფისა და სულთან რუქნადინის მიმოწერას, რ-იც „ქართლის ცხოვრებაშია“ შეტანილი. რუსულ თხზულებაში აღწერილი სპარს.-საქართვ. ომი, დინარას გამარჯვება და სპარსეთიდან ნადავლის წამოღება მოგვაგონებს თამარის დროინდელ ამბებს. ძეგლში ვხვდებით ისეთ ეპიზოდებს, რ-ებიც საქართველოში არ მომხდარა და, როგორც ჩანს, ავტორის ფანტაზიის ნაყოფია. „დ.“ პოპულარული იყო XVI–XVII სს. რუსეთში, რასაც მოწმობს მისი ნუსხების დიდი რაოდენობა, აგრეთვე მემატიანის ცნობა, რომლის თანახმად ივანე IV (მრისხანე) ყაზანის აღების დროს, 1552, თავის ჯარს დინარას ბრძოლის მაგალითით ამხნევებდა. ამ ეპიზოდზეა ლაპარაკი ი. ჭავჭავაძის „აჩრდილის“ პირველი ვარიანტის (1859) ერთ-ერთ თავშიც („იოანემა, რუსთ ხელმწიფემა, თვისი ლაშქარი, დასუსტებული“ თამარ მეფის მიერ შამქორის ველზე მოპოვებული გამარჯვების მაგალითით „გაამამაცა“).

პუბლ.: რუსი მწერლები საქართველოს შესახებ (შემდგ. ვ. შადური), თბ., 1949.

ლიტ.: ბუაჩიძე თ., ლიტერატურული წერილები, წგ. 2, თბ., 1970; რუსული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; შადური ვ., ერთი რუსული მოთხრობა საქართველოზე, «ლიტერატურული საქართველო», 1986, 21 მარტი; ცინცაძე ი., რუსული თქმულების „დინარას“ საკითხისათვის, «თსუ შრომები», 1939, ტ. 10.

ვ. შადური.

დინარი, ჰერეთის დედოფალი (დაახლ. X ს. 40–60-იანი წწ.), *ადარნასე პატრიკის* ცოლი, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა (კლარჯეთის შტო) სახლის წარმომადგენელი, *ადარნასე II-ის* ასული. მისი ძმა იყო *გურგენ IV,* დიდი ერისთავთერისთავი, მაგისტროსი (გ. 941). როდესაც ჰერეთის სამეფო ტახტზე დ-ის შვილი იშხანიკი ავიდა, დ. მისი თანამმართველი გახდა. დ-ს მოღვაწეობის ხანა ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია ჰერეთის ისტორიაში. ქართ.-სომხ. საისტორიო წყაროები დ-ის ჰერეთში მმართველობის პერიოდს უკავშირებენ ჰერთა საბოლოო „მოქცევას“ მონოფიზიტობიდან დიოფიზიტობაზე (ქალკედონური მრწამსი). ამ დიდმნიშვნელოვანი აქტის განხორციელება დ-ის მიერ წარმოებული ბრძნული და შორსმჭვრეტელური პოლიტიკის შედეგი იყო. სამსაუკუნოვანი ბრძოლის შემდეგ ჰერეთში დიოფიზიტობის გამარჯვება იმას მოასწავებდა, რომ ეს ქვეყანა კულტ.-პოლიტიკურად, ორგანულად და მტკიცედ იყო დაკავშირებული ქართლთან.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მატიანე ქართლისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

თ. პაპუაშვილი.

დინარი (ლათ. Denarius – დენარი), ოქროს მონეტა არაბულ სამონეტო სისტემაში. თავდაპირველად დ. ბიზანტიის იმპ. ჰერაკლეს ოქროს მონეტის ასლი იყო. არაბი ხალიფას აბდ-ალ-მალიქის სამონეტო რეფორმის (695–697) შემდეგ დ-მა სახე იცვალა და მუსლ. იერი მიიღო. შუბლსა და ზურგზე გამოსახულია რელიგ. ფორმულები და მოჭრის თარიღი. VII ს. ბოლოსათვის დ-ის მასა იყო 4,25 *გ.*

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგ. 3, ნაკვ. 3 – ქართული საფას-საზომმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, თბ., 1996 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 9); Schrötter F., Wörterbuch der Münzkunde, B., 1930.

ი. ჯალაღანია.

დინიკი ნიკოლოზ იაკობის ძე (გ. 1917), რუსი მოგზაური, კავკასიის მკვლევარი. დაამთავრა მოსკ. უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკულტის საბუნებისმეტყველო განყ-ბა. ასწავლიდა სტავროპოლის ქალთა გიმნაზიაში. მოგზაურობდა კავკ. სხვადასხვა რ-ნში. 30 წლის განმავლობაში დ-მა შეისწავლა ჩერქეზეთი, ყარაჩაი, აფხაზეთი, სვანეთი, ბალყარეთი, დიგორის ქვაბული (ჩრდ. ოსეთი), დვალეთი, ყელის ზეგანი, ფშავი, თუშეთი, დაღესტანი და მცირე კავკასიონის დიდი ნაწილი. მოგზაურობის ამსახველი მასალა ქვეყნდებოდა რუს. საიმპერატორო გეოგრ. საზ-ბის კავკ. განყ-ბის პერიოდულ გამოცემებში. მათგან აღსანიშნავია შრომები: „ოსეთი და რიონის ზემოთი“ (1884), ,,მოგზაურობა ფშავსა და თუშეთში“ (1893), ,,კოდორის ხეობა“ (1903) და სხვ. კავკასიონის მაღალმთიან რ-ნებში ჩატარებული გლაციოლოგიური დაკვირვებების საფუძველზე გამოაქვეყნა შრომა „კავკასიონის თანამედროვე და ძველი მყინვარები“ (1890), რ-შიც აღწერილია მარუხი, აზაუ, შხელდა, მიჟირგი, ბეზენგი, დიხსუ, ფიტნარგინი, ყარაუგომი, ტანა, ხარვესი, წეა, დევდარაკი, ზოფხიტო, ადიში, ტვიბერი, წანერი და სხვ.

დ-ს დიდი წვლილი მიუძღვის კავკ. ზოოგეოგრ. კვლევაში. შეისწავლა და მონოგრაფიულად აღწერა კავკასიის ბინადარი ცხოველები (ირემი, ჯიხვი, გარეული ღორი, დომბა). ნაშრომი „კავკასიის ნადირნი“ (2 ტ., რუს. მეცნ. აკად. „ახმატოვისეული პრემია“) ეხება კავკ. ვეშაპისნაირებს, ჩლიქოსნებს, მტაცებლებს და მნიშვნელოვანია როგორც ზოოლ.-სისტემატიკური, ისე ეკოლ. და გეოგრ. თვალსაზრისით. დ-ის მიერ დაგროვილი მასალა ცხოველთა გეოგრ. გავრცელების შესახებ, აგრეთვე რიგი წარმომადგენლის არეალის საზღვრების დადგენა, საფუძველი გახდა კავკ. ზოოგეოგრ. სქემისა. დ-მა აღმოაჩინა ძუძუმწოვრების რამდენიმე ახ. სახეობა. აქვს საყურადღებო შეხედულებები კავკასიაზე ფრინველთა გადაფრენის შესახებ. მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი კავკ. ცხოველთა დაცვაში.

თხზ. (გარდა ტექსტში დასახელებულისა): Горы и ущелья Терской области, Тфл., 1884; Верховья Большого Зеленчука и хребта Абишира-Ахуба, Тфл., 1889; Путешествие по Дигории, Тфл., 1886.

ე. ლოლუა. რ. წერეთელი.

დინოზავრების ნაკვალევი სათაფლიაში, ცარცული პერიოდის ქვეწარმავლების – დინოზავრების ნაკვალევი, რ-იც სათაფლიის ნაკრძალში 1933 აღმოაჩინა მხარეთმცოდნემ და პედაგოგმა პ. ჭაბუკიანმა. სათაფლიის მერგელოვანი კირქვების შრეებზე მიკვლეული ნაფეხურები ადრეცარცულ პერიოდს ეკუთვნის და მისი ასაკი განისაზღვრება დაახლ. 135 *მლნ.* წლით. დ. ნ. აღმოჩენილია ორ შრეზე. ქვედა შრეზე წარმოდგენილი ნაფეხურების ფორმის მიხედვით მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ისინი შედარებით მცირე ზომის (სხეულის სიგრძე დაახლ. 2–3 *მ*) მტაცებელ და ბალახისმჭამელ ორფეხა და უმეტესად სამთითა (იშვიათად ოთხთითა) დინოზავრებს ეკუთვნის. ზედა შრეზე აღბეჭდილ ნაკვალევს მიაკუთვნებენ დიდი ზომის (სიგრძე 5–6 *მ*) ბალახისმჭამელ ცხოველებს, რ-ებიც სიარულის დროს მხოლოდ უკანა კიდურებს ეყრდნობოდნენ. დ. ნ. აღმ. ევროპაში სხვაგან არსადაა ცნობილი.

ლ. გაბუნია.

„დიოგენე“, გამომცემლობა (შპს). დაარსდა 1995 წელს თბილისში (დამფუძნებელი და დირექტორი – თ. ლებანიძე). ,,დ“-ს გამოცემული აქვს როგორც სხვადასხვა ჟანრის ორიგინ. ქართული და უცხოურიდან თარგმნილი მხატვრული, ისე სამეცნ. და სასწ.-შემეცნებითი



გამომცემლობა ,,დიოგენე“.

თი ლიტ-რა (საქართვ. ატლასი მოზარდთათვის, მუსიკის, რელიგ. და სპორტის საყმაწვილო ენციკლოპედიები).

,,დ‘‘-თვის პრიორიტეტულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოების, სასკოლო თვალსაჩინოებების, პლაკატების, ლექსიკონების, ალმანახ ,,ახალი თარგმანების‘‘ (პერიოდულად) და სხვ. გამოცემა.

,,დ.‘‘ ხშირად აწყობს ლიტერატურულ კონკურსებს – საბავშვო პროზაიკოსებისთვის (1996), ,,პენ მარათონს‘‘ (2002, 2003, 2004, 2005, 2007), ახალგაზრდა მთარგმნელი პოეტებისათვის (2010); სასკოლო კონკურსებს, საქველმოქმედო აქციებს.

დ-ს გამოცემები გამოირჩევა თანამედროვე დიზაინით, სამგანზომილებიანი ილუსტრაციებით, ახლავს აუდიოდისკები. არის მრავალი პრემირებული ნაწარმოების გამომცემელი. *ა. ჭაბაშვილი.*

დიოგიძე ოთარ შუქრის ძე (დ. 13. IV. 1954, ბათუმი), ქიმიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (2003), პროფესორი (2004). 1977 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ქიმიის ფაკ-ტი. 1977–86 მუშაობდა სოფ. ურავის (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) სამთო-ქიმიურ ქ-ნაში მთ. ტექნოლოგად. 1986–96 ეწეოდა პედ. საქმიანობას ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. უნ-ტში. 1996–2005 იყო ბათუმის საზღვაო აკად. რექტორი, 2004-იდან კი – ამავე აკადემიის პროფესორი. დ-ის სამეცნ. კვლევები ეძღვნება ზესუფთა დარიშხანისა და მისი ნაერთების მიღების ტექნოლოგიას. აქვს პატენტი ,,დარიშხანმჟავა ეთერების მიღების ხერხის შესახებ‘‘.

დიოდორე სიცილიელი (Diodōros ho Sikeliōtēs) [დაახლ. ძვ. წ. 90/80, ქ. აგირიონი (კ. სიცილია), – ძვ. წ. 29/21], ბერძენი ისტორიკოსი, ცხოვრობდა ძირითადად რომში. მოვლილი ჰქონდა ევროპისა და აზიის ქვეყნები. ავტორია 40 წიგნისაგან შემდგარი „ისტორიული ბიბლიოთეკისა‘‘. I–V, XI–XX წიგნებმა სრულად მოაღწია, დანარჩენმა – ფრაგმენტების სახით. დ. ს-ის ცნობათაგან საქართვ. შესახებ საინტერესოა ის მასალა, რ-შიც ნაჩვენებია *მედეას* ხასიათის ევოლუცია, რაც გამოწვეული იყო გარეშე მიზეზებით (მედეას საუბარი ტავრულ ენაზე; მისი ლოცვა კოლხური ღვთაების, მთვარის მიმართ წარმოთქმული „კოლხურ‘‘ ენაზე). საყურადღებოა ცნობები ნინოს ასირიელის მიერ პონტოს-პირეთის ტომების დაპყრობის შესახებ. კოლხი ტომების ურთიერთობა ეგვიპტელებთან ჰეროდოტეს ცნობების სიტყვასიტყვით გადმოცემას არ წარმოადგენს. კიროსის ლაშქრობა და სამხრ.-აღმ. შავიზღვისპირეთის ტომები აღწერილია ძირითადად ქსენოფონტის „ანაბასისის‘‘ მიხედვით, თუმცა მოცემულია ახ. მასალაც. დ. ს-ის „ბიბლიოთეკის‘‘ მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელს საქართველო არ დაულაშქრავს.

თხზ.: Diodori Bibliotheca historica..., v. 1–5, ed. J. Teubner, Lipsiae, 1888–1906; Diodorus of Sicily, Works, Camb. (Mass.) – L., 1968.

პუბლ.: ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, [ტ.] 3, თბ., 1976 (გარეკანზე: 1977). *თ. ყაუხჩიშვილი.*

დიოკლეტიანე (Diocletianus) გაიუს ავრელიუს ვალერიუს [243, დიოკლეა, – 313 და 316 წლებს შორის, სალონა (დალმაცია)], რომის იმპერატორი (284–305). დ-ს სახელთანაა დაკავშირებული ახ. განსაკუთრებული პოლიტ. სისტემის – დომინატის – დამკვიდრება. გაატარა არაერთი რეფორმა სახელმწ. სამეურნეო, პოლიტ. და სამხ. ძალიერების განსამტკიცებლად. დ. შეუბრალებლად უსწორდებოდა ყოველგვარ სახალხო გამოსვლას და სეპარატისტულ მოძრაობას პროვინციებში. 298 ნისიბინის ზავით განამტკიცა თავისი ძალაუფლება სომხეთსა და იბერიაში, რ-ის მეფეს ამიერიდან სამეფო ნიშნები რომაელთაგან უნდა მიეღო. 303–304 ედიქტებით სასტიკად დევნიდა ქრისტიანებს. დ-ს უკავშირებენ *წმინდა გიორგის* წამებას.

ნ. ლომოური.

დიოკნისი, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტში (აჭარის არ), არსიანის ქედის დას. კალთაზე, მდ. აჭარისწყლის მარცხ. მხარეს, ბათუმი – ახალციხის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: დ., ბელღეთი, გელაძეები, იაკობაძეები, კორტოხი, მანიაკეთი, პაქსაძეები, ტაბახმელა, ღორჯომელაძეები, ღურტა, ჯვარიქეთი). ზ. დ. 1180 *მ*, ხულოდან 10 *კმ*. 440 მცხ. (2002).

დიონისე (Dionysos), ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში მცენარეულობის, ღვინისა და მევენახეობის ღვთაება, მხიარულებისა და განცხრომის მომნიჭებელი, მუზების მეგობარი და მფარველი (მისი კულტის განვითარებასთან არის დაკავშირებული დრამისა და დითირამბების წარმოშობა). თავდაპირველად პოპულარული იყო დაბალ ფენებში, მაგრამ უკვე ძვ. წ. VIII–VI სს-ში დ-ს კულტი მთელ საბერძნეთში დამკვიდრდა და მის ფარგლებს გარეთაც გავრცელდა. დ-ს გამოსახულებებს (ტერაკოტული ნიღბები, მოზაიკა, ქანდაკება) ვხვდებით საქართველოში, კერძოდ, ვანის, სარკინის, ძალისის ნაქალაქარებში.

დიონისე, ბიზანტიელი ელჩი (V ს. II ნახევარი), იმპერატორის დავალებით ჩამოვიდა ეგრისში (დაახლ. 464–465), რათა მოლაპარაკებოდა ბიზანტიის ხელისუფლებისაგან გამდგარ ეგრისის მეფე *გუბაზ I-ს.* მან გუბაზს აუწყა იმპერატორის გადაწყვეტილება, რ-ის თანახმადაც მეფე იმპერატორს კონსტანტინოპოლში უნდა ხლებოდა. გუბაზმა დ-გან უშიშროების დაცვის გარანტია მიიღო და ბიზანტიის დედაქალაქში მასთან ერთად ჩავიდა (465).

წყარო: პ რ ი ს კ ე პ ა ნ ი ო ნ ე ლ ი, წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის და ალ. გამყრელიძის გამოც., ტ. 1, თბ., 1961.

დ. ლეთოდიანი.

დიონისე არეოპაგელი (Dionysios ho Areopagitēs), I ს. მოღვაწე, ათენის არეოპაგის წევრი. პავლე მოციქულის გავლენით ქრისტიანობის მიღების შემდეგ – ათენის ეპისკოპოსი. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მას შემდეგ, რაც V ს. II ნახევარში არეოპაგიტული კორპუსის სახელწოდებით ცნობილი თეოლ.-ფილოს. თხზულებების ავტორობა მიაწერეს (იხ. *არეოპაგიტიკა*).

დ. ა-ის სახელთან დაკავშირებული თხზულებანი და მათზე დართული უძველესი კომენტარები ქართულად თარგმნა *ეფრემ მცირემ* და თავისივე კომენტარებიც დაურთო. „ბრძენი დიონისეს‘‘ გავლენის კვალს ადასტურებს რუსთაველის მიერ სიკეთის საკითხის მონისტური გადაწყვეტა. არეოპაგიტული კორპუსის გავლენა გასდევს მთელ ქართულ კულტურას.



დიონისეს ნიღაბი. ტერაკოტა. ძვ. წ. II–I სს. ვანი.

ლიტ.: არეოპაგიტული კრებული. დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ძველ ქართულ მწერლობაში, ი. ლოლაშვილის გამოც., თბ., 1983; ნ უ ც უ ბ ი ძ ე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, თბ., 1956; ქართული ფილოსოფიის ისტორია (IV–XIII სს.), თბ., 1988; ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ.1, თბ., 1996; ხ ი დ ა შ ე ლ ი შ., ესთეტიკური შეხედულებანი ქართულ ნეოპლატონიზმში (არეოპაგიტიკა და პეტრიწი), კრ.: ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები, [ტ.] 1, თბ., 1969; Н у ц у б и д з е Ш. И., Руставели и Восточный Ренессанс, 2 изд., Тб., 1967. *შ. ხიდაშელი.*

დიონისე პერიეგეტე (Dionysios ho Periēgētēs), II ს. I ნახევრის ბერძენი პოეტი, გეოგრაფი. წარმოშობით ქ. ალექსანდრიიდან (ეგვიპტე). სრულად არის მოღწეული მისი 1187 ტაეპისაგან შემდგარი ჰექზამეტრით დაწერილი პოემა „მსოფლიოს აღწერილობა“, რ-იც რომაულ და ბიზანტ. ხანაში მიჩნეული იყო გეოგრაფიის ძირითად სახელმძღვანელოდ. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ისტორიის თვალსაზრისით, მის ნაშრომში საყურადღებოა ის გარემოება, რომ იგი იცნობს ქართველ და მათ მეზობელ ტომებს და დაინტერესებულია მათი წარმომავლობით. გვაწვდის შემდეგი სახის ცნობებს: კოლხიდაში კირკეს დაბლობზე მოედინება მდ. ფასისი; აფსირტეს კუნძულებს შეაფარეს თავი არგონავტებს დადევნებულმა კოლხებმა; მიდიელები მედეას შთამომავლები არიან, რის გამოც მათ ქვეყანაში მედიცინა დიდად განვითარდა; კოლხებისა და ფასისის დას-ით ცხოვრობენ პონტოელი ტომები, რ-თა შორის ჩამოთვლილი არიან ბიძერები, ბექირები, მაკრონები, ფილირები, ტიბარენები, ხალიბები ... (დ. პ-ს დროისათვის ადრინდ. წყაროებში მოხსენიებულ ამ ტომთაგან ზოგი აღარ არსებობს, ზოგიც სხვა სახელით არის ცნობილი); შავი ზღვის ჩრდ.-აღმ. სანაპიროზე სახლობენ სინდები (ზიკხები), კერკეტიები, აქაველები (დ. პ-ს მიხედვით მოსული ბერძნები არიან), ჰენიოხები, ძიგიები (პელაზგიდების ქვეყნიდან მოსულან); ტინდარიდების ქვეყანა (ანუ დიოსკურია თავისი სანახებით – ეს სახელწ. დიოსკურების სინონიმია) კოლხების ქვეყნის საზღვარზეა, კოლხები კი ეგვიპტიდან არიან მოსული; კასპიისა და ევქსინის ზღვებს შორის მდებარე ყელზე ცხოვრობს იბერთა აღმოსავლური ტომი, რ-იც ოდესღაც პირენედან მოვიდა აღმოსავლეთში და დამხვდურ ჰირკანიელებთან სასტიკი ბრძოლა გამართა. ამ ცნობაში საინტერესოა ვერსია აღმ. იბერთა წარმომავლობის შესახებ. შესაძლოა იბერთა და ჰირკანიელთა ბრძოლა სრულიად რეალური ისტ. ამბავი იყოს. იბერთა მეზობელ, აღმ-ით მცხოვრებ ტომს დ. პ. კამარიტებს უწოდებს, ამ მხარეს კი – ღვინის ქვეყანას. ამ ტერიტორიაზე კამარიტები მხოლოდ დ. პ-ს თხზულებაში გვხდება, მაგრამ იბერიის აღმ-ით მდებარე მხარე რომ ღვინის ქვეყანაა, ეს რეალობაა. დ. პ. იცნობს „მამაც ალბანებს“ (კასპიის ზღვის დას-ით) და სარმატებს (მეოტისის ტბის აღმ-ით, თუ სარმატიის დაბლობზე). აღსანიშნავია ისიც, რომ „სკვითია“ და „სკვითები“ დ. პ-თვის ფართო ცნებაა: პონტოელი ტომები „სკვითიის რჩეული ტომები“ არიან. საფიქრებელია, რომ დ. პ-სა და მისი კომენტატორებისათვის „სკვითები“ კრებითი ცნებაა, „ბარბაროსების“ ერთგვარი სინონიმია.

პუბლ.: ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, [ტ.] 1, თბ., 1967; B e r n h a r d y G., Dionysius Periegetes graece et latine..., Lipsiae, 1828; Geographi Graeci minores, ed. C. Müller, v. 2, P.,1861.

თ. ყაუხჩიშვილი.

დიონისე ჰალიკარნასელი (Dionysios ho Halikarnasseus), ძვ. წ. I საუკუნის ბერძენი რიტორი და ისტორიკოსი. ძვ. წ. 30-იდან ცხოვრობდა რომში, სადაც რიტორიკას ასწავლიდა. იყო პატრიციული რომის აპოლოგეტი. მისი მთავარი ნაშრომია „რომის სიძველეთა მცოდნეობა“, რ-იც 20 წიგნისაგან შედგება: I–X სრულადაა ჩვენამდე მოღწეული, XI ნაკლულია, XII–XX მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა დაცული.

დ. ჰ. ცნობილი იყო თეიმურაზ ბატონიშვილისთვის („განმარტება ვეფხისტყაოსნისა“). დ. ჰ-ის შემოქმედებაში საქართველოს ისტ. თვალსაზრისით საინტერესოა ბერძნ. მითოლოგიის პერსონაჟ გრძნეულ კირკესთან დაკავშირებული ეპიზოდები, რ-თა თანახმადაც კირკეს შთამომავლები რომაული ქალაქების დამაარსებლები და ეპონიმები არიან (ავტორისათვის ცნობილ ხალხთა ურთიერთობანი ასახულია ნათესაური კავშირების საშუალებით). საყურადღებოა, რომ ნახსენები და დახასიათებული არიან მოსინიკები და აქაველები. დ. ჰ-ის ცნობით, ადგილ. მოსახლეობა საცხოვრებელს „მოსინს“ უწოდებს და თვით ტომსაც ამის მიხედვით „მოსინიკი“ ჰქვია. „მოსინი“ არის კოშკის მსგავსი ნაგებობა, მაღალი ხის ძელებით გარშემორტყმული ადგილი, სადგომი, გალავანშემოვლებული ნაგებობების კომპლექსი. ცნობას მნიშვნელობა აქვს ანტ. ხანის სამოსახლოს ტიპის შესასწავლად. დ. ჰ-ის აზრით, პონტოსპირეთში მცხოვრები აქაველები ბარბაროსულ გარემოში მოხვედრილი და ზნეგამოცვლილი ელინები არიან. როგორც ჩანს, ავტორმა მისთვის კარგად ცნობილი ბერძნების სახელს – აქაიოის (Achaioi) დაუკავშირა ბერძნ.-რომაული წყაროს მიხედვით პონტოსპირეთში ცნობილი ტომის სახელი აქაიოი (Achaioi).

პუბლ.: ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, [ტ.] 3, თბ., 1976 (გარეკანზე: 1977); Dionysius of Halicarnasseus Roman Antiquities, Camb., 1947–56 (Loeb Classical Library).

თ. ყაუხჩიშვილი.

დიონიჯო კარლი და პიაჩენცა (Dionigio Carli da Piacenza), XVII ს. იტალიელი მისიონერი, კაპუცინთა ორდენის წევრი. 1681 ჩამოვიდა თბილისში და 6 თვეს დარჩა. შემდეგ წინამძღვრად იყო გორის კათოლიკეთა ჰოსპიტალში. მისი რელაციონი (დაიბეჭდა 1687) მრავალმხრივ საყურადღებო წყაროა XVII ს. უკანასკნელი მეოთხედის ქართლისა და კახეთის საზ.-პოლიტ. ცხოვრების შესასწავლად. მასში საკმაოდ ვრცლადაა აღწერილი თბილისელთა და, საერთოდ, ქართველთა ყოფა (ჩაცმადახურვა, ქორწილი, გლოვის წესი, ყაბახი, ჩოგანბურთი და სხვ.), აგრეთვე აღმ. საქართველოსა და ირანის ურთიერთობა.

თხზ.: Bassano – Le Quattro Parti del Mondo, Libro 2. Della Città di Tiflis, 1687, cap. 19.

ბ. გიორგაძე.

დიონ კასიოსი (კოკეიანოსი) (ბერძნ. Dion Kassios Cocceianos; ლათ. Dio Cassius Cocceianus) (დაახლ. 153–235), რომაელი ისტორიკოსი. წარმოშობით ბერძენი, ბითინიის ქალაქ ნიკეადან. ეკავა მაღალი სამოხელეო თანამდებობები, ეკუთვნოდა სენატორთა უმაღლეს წოდებას. ავტორია რამდენიმე ისტ. თხზულებისა. ჩვენამდე (ნაწილობრივ დაზიანებულმა) მოაღწია „რომის ისტორიამ“ 80 წიგნად, რ-იც მოიცავს ხანას რომის დაარსებიდან 229-მდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თხზულების ის ნაწილი, სადაც ავტორი თავის თანამედროვე მოვლენებს აღწერს ოფიც. დოკუმენტების გამოყენებით. დ. კ-ის თხზულება რომის ისტ. სხვა პერიოდებისთვისაც ძვირფას წყაროს წარმოადგენს, რამდენადაც აქ ძველ ისტორიკოსთა ნაშრომების გვერდით გამოყენებულია მხედართმთავართა, მოხელეთა ანგარიშები, მოგზაურთა აღწერილობები, დოკუმენტური მასალა. „რომის ისტორია“ უპირატესად პოლიტ.-ისტ. ფაქტებს განიხილავს. ნაშრომში მოიპოვება უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები საქართვ.-რომის ურთიერთობის შესახებ (პომპეუსის ლაშქრობა იბერია-კოლხეთში, შემდეგდროინდელი მოვლენები, რომთან იბერიის დამოკიდებულება ახ. წ. II ს-ში, *ფარსმან II-ის*

დროს და სხვ.). ამ ცნობათაგან ზოგი სრული ან უნიკალურია.

ტექ.: Dio`s Roman History with an English translastion by E. Cary, L.– Camb. (Mass.), 1954–55; დიონ კასიოსის (კოკეიანოსის) ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნ. ტექსტი ქართ. თარგმანით გამოსცა და შესავალი და კომენტ. დაურთო ნ. ლომოურმა, თბ., 1966.

ნ. ლომოური.

დიონოსი, დ ი ო ნ ი ს ე, აღმ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახლ. 1510–11. 1511 კახეთის მეფე *გიორგი II-ს* (ავგიორგი) ახ. სიგელით დაამტკიცებინა და გადასახადებისაგან გაათავისუფლებინა მცხეთის საპატრიარქო მამულები, კახეთში შეაწირვინა ახ. სოფლები. *ბ. ლომინაძე.*

დიოსკორეა (Dioscorea), მცენარეთა გვარი დიოსკორეასებრთა ოჯახისა. საქართველოში იზრდება ამ გვარის ერთი სახეობა – კავკასიური დ. (D. caucasica). ორსახლიანი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს ძალიან გამსხვილებული ფესურა, ხვიარა ღერო, მორიგეობით, ზოგჯერ თითქმის საპირისპიროდ განლაგებული ბადეძარღვიანი ფოთლები. უძველესი კოლხური ფლორის რელიქტი და ენდემია.

გავრცელების ვიწრო არეალი აქვს. იზრდება მხოლოდ აფხაზეთში, ზ. დ. 1600 *მ*-მდე, უფრო სამხრ. კალთებზე, დას. და აღმ. კალთების კარგად განათებულ ადგილებში. ფესურა შეიცავს საპონინს. სამკურნალოა. იყენებენ დეკორ. მებაღეობაში. შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“.

მ. გურგენიძე.

დიოსკურები (ბერძn. Dioskuroi, სიტყვასიტყვით – ზევსის ვაჟიშვილები), კასტორი და პოლიდევკი (რომაულად პოლუქსი) – ლაკონიაში შობილი ტყუპი ძმა, ზევსის და ლედას შვილები, ელენეს და კლიტემნესტრას ძმები. ჰომეროსის და ზოგიერთი მითის მიხედვით, დ. ტინდარევსის შვილები იყვნენ. ამიტომ მათ ტინდარიდებსაც უწოდებდნენ. ცნობილია ძმათა რამდენიმე საგმირო საქმე. ერთ-ერთი გმირობა იყო არგონავტების ლაშქრობაში მათი მონაწილეობა. მითოლ. გადმოცემათა ერთ-ერთი ვერსიით, ძმები ერთად კვდებიან და ერთადვე ცოცხლდებიან. დ. ერთ დღეს ოლიმპოზე ატარებენ, მეორეს – ქვესკნელში (ჰადესში). გვიანდ. სპარტანული თქმულების თანახმად, დ. სახელმწ. მფარველები და ტანვარჯიშის მამამთავრები არიან, კიდევ უფრო გვიანდელი ვერსიით – ზღვაოსანთა და ვაჭართა დამცველნი. თეთრ ცხენებზე ამხედრებული ძმები მფარველობდნენ ავრეთვე მეომრებს.

ძმური სიყვარულისათვის ზევსმა დ. ვარსკვლავებად აქცია (თანავარსკვლავედი „ტყუპი“). თქმულებიდან ჩანს, რომ ძმები სინათლის, შუქის, გემის ანძის, ცეცხლის განმასახიერებელი ღვთაებებიც იყვნენ.

ხელოვნებაში დ-ს გამოხატავდნენ ახოვან ჭაბუკებად, რ-თაც თავზე ეხურათ წვერზე მოციმციმე ვარსკვლავით შემკული მრგვალი ქუდები. ექვს- თუ რვაქიმიანი ვარსკვლავით დამშვენებული დ-ის ასეთი ქუდები გამოსახულია იმ მონეტის ავერსზეც, რ-იც ქალაქ *დიოსკურიის* (ახლანდ. სოხუმი) სახელით არის მოჭრილი ძვ. წ. II ს. დასასრულს, *მითრიდატე VI* ევპატორის მიერ კოლხეთის დამორჩილების ხანაში.

როგორც ჩანს, აღნიშნული ქუდების გამოსახულება წარმოადგენდა დიოსკურიის ემბლემას, ხოლო ტყუპი ძმა, რ-თაც მიიჩნევდნენ ამ ქალაქის ეპონიმებად და ოფიც. მთავარ ღვთაებებად, აქ გვიანდ. ანტ. ხანამდე სარგებლობდა განსაკუთრებული თაყვანისცემით.

სამეცნ. ლიტ-რაში შენიშნულია, რომ, თუმცა ტყუპი ძმის კულტს თაყვანს სცემდნენ მილეტის მიერ შავიზღვისპირეთში დაარსებულ არაერთ ახალშენში, მაგრამ დ., როგორც ეპონიმები, აღიარებული იქნენ მხოლოდ ახლანდ. სოხუმის ყურის ტერიტორიაზე დაარსებულ ახალშენში. ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ ადგილ. ტომებში გავრცელებულ ლოკალურ კულტებსა და მითოლ. ანალოგიებში. ესენი უნდა იყვნენ „ამირანიანის“ პერსონაჟები, ტყუპი ძმა – ბადრი და უსუპი.

ლიტ.: И н а д з е М. П., Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968; Ш е н г е л и я И. Г., К вопросу о топониме Диоскуриады, «Сообщения АН ГССР», 1963, т. 30, №6; Lexikon der Antike, Lpz., 1982.

მ. ინაძე.

დიოსკურია (ბერძნ. Dioskurias), ანტიკური ქალაქი კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროზე (სოხუმის ადგილას). უძველესი წერილობითი ცნობა დ-ის შესახებ დამოწმებულია ძვ. წ. IV ს. II ნახ. ბერძენი ავტორის ფსევდოსკილაქს კარიანდელის „პერიპლუსში“, რ-იც ძირითადად ძვ. წ. VI ს. გეოგრ. ნაშრომების საფუძველზეა შედგენილი. „პერიპლუსის“ მიხედვით, ქალაქი დიოსკურისი მდებარეობდა კოლხთა ქვეყანაში. ახ. წ. II ს. ავტორის ფლავიუს *არიანეს* ცნობით, დ. მილეტელთა მიერ დაარსებული აპოიკია (ახალშენი) იყო. სოხუმის მიდამოებში, მის დას-ით, სოფ. ქვემო ეშერის სანაპირო ზოლში განლაგებულ ერთ-ერთ ბორცვზე მოპოვებული ძვ. წ. VI ს. როდოსულ-იონიური ჯგუფის კერამ. მასალით სავსებით დადასტურდა ის მოსაზრება, რომ ახალშენ დ-ს ძვ. წ. VI ს-ში საფუძველი ჩაუყარეს იონიელებმა (მილეტელებმა). როგორც ჩანს, პირველ ბერძენ კოლონისტებს თანამედროვე სოხუმის უბის ის სანაპირო ზოლი ეჭირათ, რ-იც ამჟამად წყლითაა დაფარული.

მკვლევართა ვარაუდით, სახელწ. „დ.“ წარმოიქმნა რომელიღაც ადგილ. სახელის ბერძნულად გააზრების ან მისი ბერძნულად თარგმნის შედეგად. პ. ინგოროყვას აზრით, „დიოსკუროი“, რ-იც ბერძნულად ტყუპ ძმებს (ქალაქის მფარველ ღვთაებებს) ნიშნავს, ქართ. „ტყუბუნის“ (ტყუპების) თარგმანი უნდა იყოს. ს. ჯანაშიას მოსაზრებით, სახელწ. „დ-ის“ მეორე ნაწილში ჩანს ცნობილი მეგრ. ტოპონიმიკური ტერმ. „სკური“ („წყალი“, „მდინარე“, „დასახლებული ადგილი“).

სოფ. ქვემო ეშერაში არქეოლ. კვლევა-ძიებით გამოვლენილი ინტენს. ცხოვრების კვალი (დიდი რაოდენობის იმპორტ. კერამიკა და სხვ.) იმასაც მოწმობს, რომ აქ ფუნქციონირებდა იონიელთა მცირე დასახლება, როგორც დ-ის გვერდით იმავე ხანებში (ძვ. წ. VI ს.) წარმოქმნილი ერთ-ერთი დამხმარე სავაჭრო ფაქტორია.

დ-ის იონიური დასახლება ცარიელ ადგილზე არ წარმოქმნილა. სოხუმის არქეოლ. ძეგლების შესწავლით ირკვევა, რომ ახალშენი სოხუმის უბეში დაარსდა ადგილ. მსხვილ სამოსახლოსთან, სადაც თავმოყრილი იყო მრავალდარგობრივი ხელოსნური წარმოება. ამასთან, სოხუმის მიდამოების მოსახლ. ძვ. წ. VIII–VII სს-ში წარმოგვიდგება მშვიდობიან საზ-ბად საკმაოდ დაწინაურებული ინტენს. მიწათმოქმედებით. ადგილ. მსხვილი დასახლება ამავე დროს საკმაოდ ჩამოყალიბებული სამეურნ.-ეკონ. ცენტრი იყო, რ-საც იმთავითვე მჭიდრო სააღებმიცემო კავშირი ჰქონდა მახლობლად მცხოვრებ ტომებთან. ამ პროცესს დიდად შეუწყო ხელი მეტალ. წარმოებისა და მეთუნეობის განვითარებამ. ქვემო ეშერისა და მის მახლობლად მდებარე ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით იონიურ იმპორტ. კერამიკასთან ერთად კიდევ უფრო მეტი ადგილ. ბრინჯაოსა და რკინის იარაღის, სამკაუ-



დიოსკორეა. კავკასიური დიოსკორეა (Dioscorea caucasica).

ლის, სამეთუნეო ნაწარმის, აბორიგენთა სამარხების, კრომლეხების გამოვლენა მოწმობს ამ ტერიტორიაზე ადრიდანვე ბერძნ. ეთნოსის მშვიდობიან თანაარსებობას ადგილ. მოსახლეობასთან. ურთიერთდამოკიდებულების ასეთი ფორმა ბერძნ. და მკვიდრ მოსახლეობას შორის დამახასიათებელი იყო განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომ საზ-ბებში სავაჭრო მიზნით დაარსებული ახალშენებისათვის. ამ მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იონიელთა უმთავრესი ამოცანა იყო სოხუმის მიდამოებსა და მის ჩრდ-ით მდებარე მთიან მხარეში ლითონის, უმთავრესად რკინის, მოსაპოვებელი ბაზრების გაფართოება. ეს ბაზრები ერთდროულად იონიელთა კერამ. ნაწარმის გამსაღებელი ცენტრებიც ყოფილა. რკინასთან ერთად ჩრდ. კოლხეთიდან უთუოდ გაჰქონდათ ოქრო და ვერცხლი.

მომდევნო ხანაში, როცა კოლხეთის სანაპიროს მოსახლეობასთან ეკონ. ურთიერთობას იონიის გარდა ბერძნ. სამყაროს სხვა ცენტრებიც ამყარებენ, საექსპორტო დანიშნულების საქონლის შემადგენლობა მნიშვნელოვნად იზრდება და მრავალფეროვანი ხდება. ლითონს ემატება სელი, სელის ნაწარმი და სხვ.

იონიელ კოლონისტებთან სავაჭრო ურთიერთობის დამადასტურებელი მასალა – იმპორტ. ნივთები – თანამედროვე სოხუმის მიდამოებში ჩნდება მხოლოდ ძვ. წ. VI ს. დასასრულიდან, მაგრამ ადგილ. მკვიდრთა დაინტერესებას მათთან ურთიერთობით უცილობლად მოწმობს ამ საუკუნის დასაწყისისათვის აბორიგენთა თავმოყრა სოხუმის უბის გარშემო. ამავე დროს ადრე არსებულ ადგილ. სამაროვანთა რიცხვს ემატება ახ. ნეკროპოლები: ბორცვი *გუად-იხუ*, სადაც ჩნდება დამარხვის ახ. წესი – კრემაცია. იმავდროულად კრემაციული სამარხები ჩნდება სოხუმის მთაზეც. გრძელდება ინჰუმაციური წესით დაკრძლვა სანაპირო ზოლში „წითელი შუქურის'' – სამაროვანზე.

იონიური დასახლების გარშემო ადგილ. სამოსახლოთა თავმოყრის პროცესი გრძელდება მომდევნო საუკუნეებშიც. ძვ. წ. V ს. პირველი ნახევრიდან შეინიშნება მთელი იმ ტერიტ. ათვისება, რ-იც გარს ეკრა სოხუმის უბეს.

ძვ. წ. V–IV სს-ში Დ-ის ირგვლივ მდებარე ადგილ. დასახლებებში – მთის ფერდობებზე, დაბლობებზე ინტენსიურად ვითარდება სოფ. მეურნეობა: მიწათმოქმედება, მევენახეობა, რაზედაც მიუთითებს აქ აღმოჩენილი რკინის სახნისი, რკინის თოხები, ნამგლები, ვენახის სასხლავი მოლუნული დანები. ამრიგად, ბერძნ. ახალშენის გარშემო მცხოვრები ადგილ. მოსახლეობა საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქალაქის სამეურნ. ცხოვრებაში. ამავე ტერიტორიაზე ადგილ. მოსახლ. ნეკროპოლებზე დიდი რაოდენობით საომარი იარაღის აღმოჩენა იმაზედაც მეტყველებს, რომ ეს საზ-ბა მონაწილეობდა ქალაქის დაცვაში, იგერიებდა მეკობრეთა და ზოგიერთ მომთაბარე ტომთა თავდასხმებს.

ადრეანტიკურ ხანაში იონიელი მოახალშენენი აქ ჯერ კიდევ არ ფლობდნენ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან სამეურნ. ტერიტორიას; ბუნებრივი რესურსებისა და ნედლეულის ათვისება ხორციელდებოდა ადგილ. მოსახლეობასთან აღებ-მიცემობის გზით. *სტრაბონის* გადმოცემით, Დ. იყო მის ზემოთ და მახლობლად მცხოვრებ ტომთა სავაჭრო ადგილი, სადაც თავს იყრიდა 70 ენაზე მოლაპარაკე ტომი, ხოლო ძვ. წ. III ს. ავტორის ტიმოსთენეს ცნობით, ეს რიცხვი 300-მდე აღწევდა. აბორიგენები თავისი საქონლის სანაცვლოდ Დ-ში იძენდნენ მარილს. საქალაქო ცხოვრების შემდგომი განვითარება მოწმობს, რომ ბერძნ. და ადგილ. ეთნოსის დიოფიზისის შედეგად აქ განვითარდა შერეულ-მოსახლეობიანი ქალაქი, სადაც აღნიშნული ეთნ. ჯგუფები ცალ-ცალკე უბნებად ცხოვრობდნენ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ერთიან საქალაქო ორგანიზმს შეადგენდნენ.

ძვ. წ. V ს. შუახანებიდან პონტოს აღმ. ნაპირს მოადგა ათენის მოახალშენეთა ახ. ტალღა, რ-საც კოლხეთის მიმართ ამოძრავებდა სავაჭრო-ეკონ. და პოლიტ. (სტრატეგიული) ინტერესები. ათენის ფაქტორიები დაარსდა გემთსაშენი მასალით, რკინით, სპილენძითა და სხვა რესურსებით მდიდარ კოლხეთის რ-ნებში, მ. შ. სოხუმისა და ეშერის სანახებშიც.

კოლხეთიდან, კერძოდ, Დ-იდან ათენის მიერ საჭირო რესურსების (უმთავრესად გემთსაშენი მასალა, ძვირფასი ჯიშის ხე-ტყე, ცვილი, ფისი, კანაფი და სხვ.) გატანის ფართო მასშტაბებს ამ ხანაში განაპირობებდა ატიკის მზადება სპარტასთან ომისათვის, შემდგომ კი ამ ომის მსვლელობა. იმდროინდელ საერთაშ. სავაჭრო ურთიერთობებში ჩაბმის შედეგად Დ-ისა და მისი მიდამოების მოსახლ. ეკონ. ცხოვრებამ მანამდე არნახულ აღმავლობას მიაღწია.

სოხუმის უბისა და ეშერის ტერიტორიაზე ატიკური დასახლებების შექმნის პროცესში მთავარი დასაყრდენი იყო Დ-ის იონიური ახალშენი, რ-ის გარშემო თავს იყრიდნენ ატიკელი კოლონისტები. სოხუმის უბესთან ატიკელ მოახალშენეთა ახ. უბნის შექმნასთან ერთად აქვე ჩნდება ახ. ნეკროპოლი, რ-იც მდ. ბესლეთის შესართავთან აღმოჩენილი სოხუმის ცნობილი სტელის მიხედვით, ათენელ მოახალშენეთა საკმაოდ შეძლებულ ფენას ეკუთვნოდა.

ელინისტური ხანის დასაწყისიდან პონტოს ბაზრებზე ათენის ჰეგემონიის დაცემის შემდეგ მის ადგილს კოლხეთის ქალაქებთან, მ. შ. Დ-თან ვაჭრობაში იკავებენ სამხრ. შავიზღვისპირეთის უდიდესი ცენტრები: ჰერაკლეა, ამისოსი, განსაკუთრებით სინოპი. ისინი წარმართავდნენ Დ-ის სააღებმიცემო ურთიერთობებს მთელ ელინისტურ სამყაროსთან და ამავე დროს მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდნენ ქალაქის სამეურნ. ცხოვრების ყველა სფეროზე (მეთუნეობა, კრამიტისა და ამფორების დამზადება, სამშ. ტექნიკა, წყალსადენების გაყვანა, მონეტის მოჭრა და სხვ.). ყველაფერი ეს შედეგად მოჰყვა სამხრ. შავიზღვისპირეთის ცენტრებიდან Დ-სა და ეშერაში ოსტატ-ხელოსნების გადმოსახლებას და აქ სინოპის სავაჭრო ფაქტორიის დაარსებას.

სოხუმის მიდამოების მრავალ ადგილას აღმოჩენილი სინოპური კრამიტი, ამფორები მოწმობს Დ-ში მეურნეობის შემდგომი განვითარების შესაბამისად მოთხოვნილების ზრდას სატარე და სამეურნ. ჭურჭელზე, სამშ. მასალაზე და სხვ.

სოხუმიდან 16–18 *კმ* დაშორებით, ადგილ გვანდრაში, სხვა კერამ. ნაწარმსა და საწარმოო წუნთან ერთად აღმოჩენილია ამფორის ყურების ერთი ჯგუფი (9 ცალი), რ-ებზედაც აღბეჭდილია დამღა ბერძნ. რელიეფური წარწერით დიოსკუ („დიოსკურია''). ადრეელინისტურ ხანაში, გარდა გვანდრის ტერიტორიისა, Დ-ის კერამ. სახელოსნოები უნდა ყოფილიყო ეშერაშიც, სადაც აღმოჩნდა ზუსტად ისეთივე დამღიანი

ამფორის ყური (წარწერით „დიოსკურია“). აღნიშნული გარემოება აიხსნება Დ-ის საქალაქო თემის კონტროლით გვანდრისა და ეშერის კერამ. სახელოსნოებზე. ამავე ხანებში შეინიშნება კრამიტისა და სხვა სამშ. მასალის დამამზადებელი ახ. სახელოსნო უბნის წარმოქმნა სოხუმის უბეში (თანამედროვე „წითელ შუქურასთან“). მთელი ეს მასალა ნათლად მოწმობს ელინისტური ხანისათვის Დ-ის გავლენის სფეროში საკმაოდ დიდი სამეურნ. მიწების (ხორას) მოქცევას. ეს ტერიტ. მოიცავდა ქალაქის ჩრდ.-დას-ით მდებარე სანაპირო ზოლს (თანამედროვე გვანდრამდე). Დ-საგან დაქვემდებარებული მიწები ვრცელდებოდა მის აღმ-ითაც (აგუძერა-კელასური, გუადიხუ, სოხუმის მთა და სხვ.).

ძვ. წ. II ს. დასასრულიდან, მითრიდატე ევპატორის მეფობის დროს, როდესაც კოლხეთში უქმდება სამეფო ხელისუფლება, Დ. იღებს გარკვეულ ავტონ. უფლებებს; Დ-ის სახელით იჭრება მონეტები (ხალკები, დიხალკები), რ-ზედაც გამოსახულია ქალაქის მფარველ ღვთაებათა, ტყუპი ძმების – დიოსკურების – ვარსკვლავიანი ქუდები. მიუხედავად ამისა, Დ. ამ ხანებშიც არ სარგებლობს სრული ავტონომიით, რადგან პოლიტიკურად იგი მითრიდატეს ექვემდებარება და მისი პოლიტიკის გამტარებელი ერთერთი დასაყრდენი პუნქტია კოლხეთში. პონტოს მბრძანებლისადმი დაქვემდებარების ეს ნიშნები თავს იჩენს ქალაქის სახელოსნოების კერამ. ნაწარმში: ეშერაში აღმოჩენილ ერთ-ერთ კრამიტზე გაკეთებულია ოთხკუთხა დამღა, რ-ზეც გამოსახულია მითრიდატეს მბრძანებლობის სიმბოლო – დიონისეს თირსის გამოსახულება. ასეთივე თირსი გამოსახულია Დ-ის სახელით მოჭრილ მონეტებზეც.

ძვ. წ. I ს. II ნახევრისათვის, რომაელთა მიერ Დ-ის აღების შემდეგ, პლინიუს უფროსის გადმოცემით, რომაელი ვაჭრები ქალაქში თავიანთ საქმეებს 130 თარჯიმნის საშუალებით აგვარებდნენ, მაგრამ იმავე პლინიუსის ცნობით, მის დროს (ახ. წ. I ს. I ნახ.) Დ. დაცარიელებული ყოფილა. ქალაქის დაცემა გამოიწვია, ერთი მხრივ, მის მიწებზე სამეურნ. ცხოვრების და მოსახლეობაში მიმდინარე სოც. კრიზისმა, მეორე მხრივ, ქალაქის ირგვლივ და მის ზემოთ მდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებთან ადრე არსებული მშვიდობიანი სააღებმიცემო ურთიერთობის დარღვევამ.

ლიტ.: ი ნ ა ძ ე მ., აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1982; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ო., ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966; К в и р к в е л и я Г. Т., Местное население в районе Сухумской бухты в период греческой колонизации, კრ.: Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья. Материалы симпозиума (1977 г.), т. 1, Тб., 1979; Т р а п ш М. М., Диоскурия. Культура местного населения в раннеантичное время, Труды, Сух., 1969.

მ. ინაძე.

„დიოსკურია“, ლიმონის მალსეკო- და ყინვაგამძლე ჯიში. გამოყვანილია ქართ. ლიმონისა და ტრიფოლიატის შეჯვარებით საქართვ. სუბტროპ. მეურნეობის ინ-ტის გენეტიკისა და სელექციის კათედრაზე. ჯიშის გამომყვან ავტორებს (ფ. მამფორია, შ. სურგულაძე, ნ. ქარქაშაძე) 1984 მიენიჭათ საქართვ. მინისტრთა საბჭოს სახელმწ. პრემია. „Დ.“ ფოთლებისა და ნაყოფის აგებულებით ჰგავს ქართულ ლიმონს. საშ. სიდიდის ხეებია, მსხმოიაროს მე-4–მე-5 წელს, ნაყოფი საშ. ზომისაა, თხელკანიანი. მჟავიანობა 4%-მდეა. საქართველოში „Დ-ის“ პლანტაციები გაშენებული იყო 300 ჰა-ზე. *ი. ლეკვეიშვილი.*

დიოსკურიული მონეტა, ძვ. წ. II ს. ბოლოს დიოსკურიაში (ახლანდ. სოხუმი) მოჭრილი სპილენძის საქალაქო მონეტები. მონეტა იჭრებოდა იმ დროს, როცა კოლხეთის სანაპირო შედიოდა პონტოს სამეფოში. მონეტის შუბლზე გამოსახულია ორი ქუდი ექვს- და რვაქიმიანი ვარსკვლავებით (მითოლ. ტყუპი ძმების – პოლიდევკესა და კასტორის ემბლემა), ხოლო ზურგზე – კვერთხი და ბერძნ. ზედწერილი: „დიოსკურიადოს“. მასა 1,37–4,43 *გ.*

დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში (თბილისი), ერმიტაჟში (სანქტ-პეტერბურგი).

ლიტ.: კ ა პ ა ნ ა ძ ე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; Л о р д к и п а н и д з е Г.А., К истории древней Колхиды, Тб., 1970.

გ. დუნდუა.

დიოფიზიტობა (ბერძნ. dyo – ორი და physis – ბუნება), მიმდინარეობა ქრისტიანულ რელიგიაში. როგორც დოქტრინა გაფორმდა ქალკედონის საეკლ. კრებაზე 451 (აქედან Დ-ის მეორე სახელწოდებაა ქალკედონელობა), სადაც ნიკეის საეკლ. კრების (325) და კონსტანტინოპოლის საეკლ. კრების (381) სარწმუნოების სიმბოლომ ახ. ქრისტოლოგიური განსაზღვრა მიიღო: ქრისტეში მოცემულია ერთმანეთისაგან განსხვავებული და თანაბარი, შეურეველი და განუყოფელი ორი ბუნება – ღვთაებრივი და ადამიანური, ამ უკანასკნელი ბუნებით ქრისტე ადამიანთა თანაარსია, ცოდვათა გარეშე. Დ. ყალიბდებოდა ევტიქელობასთან ბრძოლაში, რ-ის მიმდევრებს ქალკედონელებმა მათთვის შერქმეული დიოფიზიტების საპირისპიროდ მონოფიზიტები („ერთბუნებიანები“) უწოდეს (იხ. *მონოფიზიტობა*).

ქართ. ეკლესია *დვინის საეკლესიო კრებაზე* (506) ჩაება მსოფლიო ეკლესიაში მიმდინარე ქრისტოლოგიურ პოლემიკაში და მონოფიზიტებთან შემრიგებლური პოზიცია დაიკავა იმპ. ზენონის (474–491) „ჰენოტიკონის“ (482) (ბერძნ. „ერთობის ფორმულა“) საფუძველზე. VII ს. დამდეგიდან ქართ. ეკლესიის მრწამსი უკვე დიოფიზიტურია. *ზ. ალექსიძე.*

დიპლიპიტო, სამხრეთ კავკასიაში ფართოდ გავრცელებული აღმოსავლური წარმოშობის დასარტყამი საკრავი. შედგება გამომწვარი თიხისგან დამზადებული სხვადასხვა სიგანისა და ერთი სიმაღლის ორი პატარა ქოთნისაგან (ქილა), რ-ებზეც გადაკრულია თიკნის ტყავი ან ხარის ფაშვის ბუშტი. ქოთნები ერთმანეთზე თასმითაა გადაბმული. მათი სიმაღლეა 200 – 250 *მმ*, დიამეტრი პატარისა – 90 *მმ*, დიდისა – 170 *მმ*. შევიწროებული ძირის დიამეტრია 25 – 50 *მმ*. გარედან ნაირფერადაა მოხატული. Დ-ს უკრავენ ხის ორი პატარა ჯოხით, „თხის ფეხუნებით“. Დ-ს რაკრაკა ხმოვანება ახასიათებს. თუ ჟღერადობის გასაძლიერებლად ტყავის დაჭიმვა უნდათ, ქოთნებს მაყალზე ათბობენ, მოსაშვებად კი ტყავებს ოდნავ ასველებენ. Დ. უმთავრესად საანსამბლო საკრავია. პროფესიულ ორკესტრში პირველად შეიტანა მ. იპოლიტოვ-ივანოვმა („კავკასიურ ესკიზებში“, 1894). Დ. გამოიყენა არაყიშვილმა ოპერაში „თქმულება შოთა რუსთაველზე“, რ. გლიერმა – „შაჰ-სენემში“ და სხვ. *გ. ჩხიკვაძე.*





დიოსკურიული მონეტა. სპილენძი. ძვ. წ. II ს. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.



დიპლიპიტო.

„დიპლიპიტო“, დასურათებული იუმორისტული და ლიტერატურული ალმანახი. გამოვიდა 2 თორმეტგვერდიანი ნომერი 1909 თბილისში. გამომც. – ე. გორდელაძე. კარიკატურები ეკუთვნის კ. როტერს.

დიპლომატიკა (<დიპლომიდან; ფრანგ. diplôme<ბერძნ. diplōma – ორად მოკეცილი საბუთი), დამხმა-

რე საისტორიო დისციპლინა, წყაროთმცოდნეობის ნაწილი, რ-იც იკვლევს საბუთების (აქტების) ფორმასა და შინაარსს.

დ-თან დაკავშირებულია არქივთმცოდნეობითი დისციპლინები და ისტ. სხვა დამხმარე დისციპლინებში გამოყოფილი განხრები (საბუთების პალეოგრაფია, სფრაგისტიკა, ქრონოლოგია და სხვ.). დ. კვლევისათვის იყენებს აგრეთვე ისტ. ენათმეცნიერებას, ისტ. გეოგრაფიას, ონომასტიკას, მეტროლოგიას, გენეალოგიას, ნუმიზმატიკას და სხვ.

ქართ. პრაქტიკული დ. შუა საუკუნეებში წარმოიქმნა. როგორც ჩანს, უკვე XII ს-ში საქართველოში არსებობდა სახელმძღვანელოები, რ-თა მიხედვითაც ადგენდნენ საბუთებს (XVII–XVIII სს-ში მათ სამდივნო წიგნებს უწოდებდნენ). კახეთის მეფის *ალექსანდრე I-ის* (1476–1511) ერთ-ერთი სიგელის ცნობით, ამ დროს საქართველოში არსებობდა ნატყუარი საბუთები და სათანადო პირებს სცოდნიათ კიდეც მათი გამოცნობა: „ჭავჭავაძესა ფრიდონს ზეკნელისძისა პროკოპისათვის ნატყუარი სიგელი დაეწერინა და რაგვარცა ტყუილი იყო, აგრე გავაცუდეთ“. *ვახტანგ VI-ის* სამართლის წიგნში მითითებულია, თუ როგორ უნდა შემოწმდეს საბუთის ნამდვილობა, ხოლო 1782 სასამართლოს გადაწყვეტილების წიგნი გვამცნობს, რომ დავის განხილვის დროს მოსამართლეები ამოწმებდნენ წარმოდგენილი საბუთების ნამდვილობას.

XVI–XVIII სს. ქართ. სამეფო სიგელ-გუჯართა („მეფეთა წერილთა“) ზოგადი დახასიათება მოგვცა ვახუშტი ბატონიშვილმა ნაშრომში: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ეს იყო საქართველოში მეცნ. დ-ის შექმნის პირველი ცდა. XIX ს. II ნახევარში და XX ს. დასაწყისში ქართ. საბუთების კრებულთა გამოცემამ (დ. ფურცელაძის, ა. *ბახანაშვილის*, დ. *ბაქრაძის*, თ. *ჟორდანიას*, ე. *თაყაიშვილის*, ს. *კაკაბაძის* მიერ) ნიადაგი მოუმზადა ძვ. ქართ. საბუთების კვლევას და ქართ. მეცნ. დ-ის განვითარებას. ქართ. მეცნ. დ-ს საფუძველი ჩაუყარა ი. ჯავახიშვილის ნაშრომმა: „ქართული სიგელთამცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა“ (1926), სადაც მოცემულია ქართ. და უცხ. (ბიზანტ., სპარს., სომხ., ფრანგული, იტალ., გერმ.) დ-ის ზოგადი მიმოხილვა, ძვ. ქართ. საბუთებიდან კი უმთავრესად გამოკვლეულია ერთიანი საქართვ. მეფეთა სიგელები. ნ. ბერძენიშვილმა შეისწავლა რამდენიმე ძვ. ქართ. დიპლომატიკური ტერმინი („სიგელი“, „დაწერილი“, „წიგნი“) და ეპიგრაფიკული საბუთების ერთი სახე – „ჴელი“. XVI–XVIII სს. დას. საქართვ. საბუთების აგებულება შეისწავლა კ. გრიგოლიამ. ქართვ. მკვლევრებმა ნაწილობრივ შეავსეს და გააღრმავეს ი. ჯავახიშვილის მიერ დაწყებული კვლევა, შეისწავლეს ძვ. ქართ. დ-ის ტერმინოლოგია.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 3, თბ., 1966; გრიგოლია კ., იმერული სიგელების შედგენილობის საკითხისათვის XVI–XVIII საუკუნეებში, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1940, ტ. 10 B; ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგ. 3, ნაკვ. 2 – ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თბ., 1996 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 9). *ნ. შოშიაშვილი.*

დიპლომატიური რანგები და დიპლომატიურ წარმომადგენელთა კლასები, დიპლომატიური რანგი – წოდება, რ-იც ენიჭება დიპლ. თანამდებობის პირებს (საელჩოებისა და სხვა წარმომადგენლობათა დიპლომატიურ პერსონალს, აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლ. მუშაკს). სახელმწიფოთაშორისო პრაქტიკამ შეიმუშავა დიპლ. აგენტთა წოდებების, ანუ რანგების გარკვეული ტაბულა. ამ პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შემოღებულია შემდეგი დიპლ. რანგები: საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი (უმაღლესი დიპლ. რანგის კატეგორია); უფროსი მრჩეველი, მრჩეველი, უმცროსი მრჩეველი (უფროსი დიპლ. რანგის კატეგორია); პირველი მდივანი, მეორე მდივანი, მესამე მდივანი, ატაშე (უმცროსი დიპლ. რანგის კატეგორია); პირველ ორ რანგს (უმაღლეს დიპლ. რანგს) ანიჭებს საქართვ. პრეზიდენტი.

საერთაშ. სამართ. მიხედვით, დაწესებულია აგრეთვე დიპლომატიურ წარმომადგენელთა კლასები. ვენის 1961 კონვენციის მიხედვით (მ.14), არსებობს *დიპლომატიურ წარმომადგენლობათა* მეთაურების 3 კლასი: ელჩებისა და ნუნციუსების, დესპანებისა და ინტერნუნციუსებისა და საქმეთა რწმუნებულების კლასები. პირველი ორი კლასის წარმომადგენლებს გზავნის სახელმწ. მეთაური უცხო სახელმწ. მეთაურთან, ხოლო საქმეთა რწმუნებულს – საგარეო საქმეთა მინისტრი შესაბამის მინისტრთან. კათოლ. სახელმწიფოთა დიპლ. წარმომადგენელი ვატიკანში არის ან ნუნციუსი, ან ინტერნუნციუსი.

დიპლომატიური წარმომადგენლობა, ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოში დაარსებული მუდმივი საზღვარგარეთული ორგანო, რ-ის ამოცანაა ამ სახელმწიფოებს შორის არსებული პოლიტ. ურთიერთობის განმტკიცება და თავისი სახელმწიფოსა და მოქალაქეების ინტერესების დაცვა. დ. წ. XV ს-იდან გაჩნდა, მანამდე მხოლოდ ელჩები და დესპანები იგზავნებოდნენ უცხოეთის ქვეყნებში ამა თუ იმ საკითხის (მაგ., ხელშეკრულების დადება, დიპლ. მოლაპარაკება) მოსაგვარებლად. წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიების ჩამოყალიბების პერიოდში დროებითი მისიები მუდმივ საწყისებზე გადავიდა. პირველი ასეთი საელჩო შექმნა მილანის ჰერცოგმა ფრანჩესკო სფორცამ ვენეციაში 1455. ამ ინ-ტის ფართოდ შემოსვლა მხოლოდ XVI ს-იდან დაიწყო.

საქართველოში თავისებური ხასიათი ჰქონდა ელჩობას; ელჩებს XVI–XVII სს-ში ერთმანეთთან აგზავნიდნენ ქართლისა (ქართლ-კახეთი) და რუსეთის მეფეები. პრაქტიკულად ეს წარმოადგენდა დ. წ-ს, რ-იც თვეობით იმყოფებოდა მეფის კარზე.

თანამედროვე ეტაპზე დ. წ. ადგილსამყოფელ სახელმწიფოში თავის სახელმწიფოს წარმოადგენს. იგი მართავს მოლაპარაკებას ამ სახელმწიფოსთან, თავის ქვეყანას აწვდის ინფორმაციას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს პოლიტ., ეკონ., კულტ. და სამხ. სფეროებში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ხელს უწყობს ორ სახელმწიფოს შორის მრავალმხრივი ურთიერთობის განვითარებას. დ. წ. უფლებამოსილია შეასრულოს საკონსულო ფუნქციებიც. დ. წ-ის პირადი შემადგენლობა 3 ჯგუფად იყოფა: დიპლ. პერსონალი (დიპლ. აგენტები), ტექ. პერსონალი და მომსახურე პერსონალი. დიპლ. აგენტები სარგებლობენ სრული დიპლ. პრივილეგიებითა და იმუნიტეტით. დ. წ-ის სამართ. სტატუსს განსაზღვრავს ვენის 1961 წ. კონვენცია დიპლ. ურთიერთობათა შესახებ (საქართვ. შეუერთდა 1994). დ. წ. განსხვავდება საერ-

თაშ. ორგანიზაციებთან (გაერო, იუნესკო და ა.შ.) არსებული მუდმივი წარმომადგენლობისაგან. ორ სახელმწიფოს შორის დიპლ. ურთიერთობის დამყარება არ იწვევს ავტომატურად დ. წ-ის გახსნის აუცილებლობას, მას ხსნიან მხოლოდ ადგილსამყოფელი ქვეყნის პოლიტ. და ეკონ. ინტერესების გათვალისწინებით.

საქართვ. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წლებში (1918–21), საქართვ. დ. წ-ები გაიხსნა და ფუნქციონირებდა უცხოეთის მთელ რიგ ქვეყნებში, მ. შ. საბჭოთა რუსეთში, რომელმაც 1920 წ. 7 მაისს ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. 1921 წ. თებ.-მარტში საბჭ. რუს. მიერ შეიარაღებული ინტერვენციისა და საქართველოს ფაქტობრივი ანექსიის გამო, საქართვ. დ. წ-ებმა შეწყვიტეს ფუნქციონირება.

2011-თვის საქართველოს 168 სახელმწიფოსთან აქვს დამყარებული დიპლ. ურთიერთობა, მაგრამ დ. წ-თა რაოდენობა თბილისში 46-ს არ აღემატება. მ. შ. არის გერმანიის, აშშ-ის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ისრაელის, თურქეთის, ირანის, საბერძნეთის და სხვ. დ. წ-ები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების დ. წ-ები.

საქართვ. დ. წ. არის 56 ქვეყანაში. ზოგიერთ შემთხვევაში ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული საქართვ. დ. წ. ფარავს 2 ან მეტ სახელმწიფოს, ასევე საერთ. ორგანიზაციას. მაგ., პარიზში განლაგებული საქართვ. დ. წ. აკრედიტებულია როგორც საფრანგეთში, ისე მონაკოს სამთავროში; ვაშინგტონისა – აშშ-სა და კანადაში, ხოლო ბრიუსელისა – ბელგიასა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში. *ლ. ალექსიძე.*

დ(ი)რბი, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ. აღმოსავლეთის ფრონის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. სათავო სოფელი. ზ. დ. 750 *მ,* ქარელიდან 14 *კმ.* 3,0 ათ. მცხ. (2002). დ-ში დაიბადა მწერალი ს. *მგალობლიშვილი.*

დ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. შემონახულია ხუროთმოძღვრების ძეგლი – შუა საუკ. მონასტერი და ციხე. ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) გადმოცემით, მონასტერი ეკუთვნოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერს და მას უხდიდა ღალას (შეუწყვეტიათ 1917). სოფლის განაპირას, მთის ფერდობზე, მდებარეობს ქვითკირით ნაგები X ს. ღვთისმშობლის ეკლესია. თავდაპირველად ეს იყო პატარა დარბაზული ეკლესია, რ-იც შემდეგ სამნავიან ბაზილიკად გადაუკეთებიათ. შიგნით და გარედან შემოსილია თლილი ქვით, გადახურულია ქვაფიქლით. მოგვიანებით მიუშენებიათ აგურის ეგვტერი. საკურთხეველი ძირითადი სივრცისაგან გამოყოფილია ქვის კანკელით. ეკლესიაც და კანკელიც მოხატული ყოფილა. აღმ. კედელზე რელიეფები და ასომთავრული წარწერებია. ეკლესიის სამხრ-ით დგას ახ. სამრეკლო. მონასტრის დას-ით, გორაზე, რიყის ქვით ნაგები დ-ის ციხეა, რ-იც, გადმოცემით, თამარ მეფეს აუშენებია. შესაძლებელია მშენებლობის 2 ფენის გარჩევა. ახლანდ. ნაგებობა ძვ. ციხის ადგილზე XVII ს. მიწურულსა და XVIII ს. დასაწყისშია აგებული. გეგმით წაგრძელებული ციხის ორივე ბოლოში თითო კოშკი დგას. ჩრდილოეთის კოშკი გეგმით თითქმის კვადრატული, ხუთსართულიანი ნაგებობაა, სამხრეთისა – ოთხსართულიანი იყო. კოშკები განკუთვნილია როგორც საცხოვრებლად, ისე თავდაცვისათვის. სართულებზე შემორჩენილია ბუხრების, თახჩებისა და სხვ. ნაშთები. კედლებში სათოფურებია. სოფელში დგას აგრეთვე X ს. ერთნავიანი, ქვითკირით ნაგები წმ. გიორგის ზედაჯვრის ეკლესია. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები და ასომთავრული წარწერა. სოფლის შუაში წმ. თევდორეს ერთნავიანი ეკლესიაა (XIX ს. II ნახ.).

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., ფრონის ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, კრ.: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. 7, თბ., 1989; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., ფრონის ხეობა, თბ., 1963. *ჯ. გვასალია.*

დირექტიული ეკონომიკა, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკა, გეგმიანი ეკონომიკა – ეკონომიკის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც ძირითადად XX ს. დასაწყისში ჩამოყალიბდა. სახელწოდება წარმოდგება სიტყვიდან „დირექტივა“ (ინგლ. directive – სახელმძღვანელო მითითება), რაც ეძლევა ზემდგომი (ცენტრალური) მმართველობითი ორგანოსადმი დაქვემდებარებულებს. **დ. ე.** იმართება ცენტრალიზებულად, ადმ.-მბრძანებლური მეთოდებით, ცენტრ. მთავრობის დირექტივებისა (გადაწყვეტილებების) და ღონისძიებათა საფუძველზე. ამგვარი ეკონომიკის ყველაზე ტიპურ ფორმად წარმოგვიდგება ყოფ. სოციალ. ქვეყნების, პირველ რიგში სსრკ ე.წ. ერთიანი სახ.-სამეურნ. კომპლექსი.

დ. ე. საბაზრო, დეცენტრალიზებული, ძირითადად საბაზრო მექანიზმით რეგულირებადი ეკონომიკის ანტიპოდია. ამასთან, დირექტიული მეთოდების შეზღუდული გამოყენება უცხო არაა საბაზრო ეკონომიკის დროსაც. ასევე საბაზრო ეკონ. ბერკეტები გარკვეული მასშტაბით გამოიყენება **დ. ე.**-ის პირობებში. ამრიგად, წმინდა სახით არც დირექტიული, არც საბაზრო ეკონ. არ არსებობს.

დ. ე.-ის ძირითადი ნიშნებია:

1. წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დომინირება, უმთავრესად სახელმწ. საკუთრების ფორმით. ფორმალურად არსებობს საკუთრების პლურალიზმი – სახელმწიფო, კოოპერაციული (საკოლმეურნეო) და პროფკავშირული საკუთრება, მაგრამ ეს უკანასკნელნი სახელმწ. საკუთრების შინაარსს ატარებენ. მოქალაქეებს წარმოების საშუალებები საკუთრებაში არ გააჩნიათ, გარდა მცირე ინვენტარისა. მათი ქონება და შემოსავლები განიხილება პირად საკუთრებად.

2. ერთიანი დირექტიული, ყოვლისმომცველი გეგმიანობის, როგორც დირექტიული მართვის ცენტრ. რგოლის, არსებობა. ამგვარი დაგეგმვა (გეგმა) ატარებს სავალდებულო ხასიათს ქვეყნის ეკონ. ყველა რგოლისათვის, გარდა საოჯახო მეურნეობისა. გეგმები წარმოადგენს დავალებას, დირექტივას, რ-თაც კანონის ძალა აქვს მინიჭებული. მათი შესრულება ყველა ეკონ. სუბიექტის მოვალეობაა.

3. ფასები, ე. წ. საკოლმეურნეო ბაზრების გამოკლებით, დგინდება სახელმწ. მიერ არა საბაზრო კანონების, არამედ დანახარჯების წესით (თვითღირებულება პლუს მოგება), ასევე ხელისუფლების იმპერატივების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში საერთოდ, უგულებელყოფილია ეკონ. კანონები და ეკონ. ბერკეტები. ისინი გამოიყენება შეზღუდულად, სახელმწიფოს ძალადობრივი ზეგავლენის პირობებში.

4. სახელმწიფოსა და მისი ორგანოების მიერ ხორციელდება ეკო-

ნომიკის როგორც ერთიანი სისტემის მართვის ფუნქცია. არსებობს ეკონომიკის მართვის იერარქიული სისტემა, დაწყებული ძირეული რგოლიდან – საწარმოდან – დამთავრებული მთელი ქვეყნის ეკონომიკით. ზედა რგოლის დირექტივა უნდა შეასრულოს ქვედა რგოლმა. მათი საქმიანობა მკაცრად რეგლამენტირებულია.

5. ეკონ. ფუნქციონირება და განვითარება ექვემდებარება უწინარესად სახელმწიფოს პოლიტიკურ (იდეოლოგიურ) მიზნებს, – სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას, საპირისპირო სისტემასთან – კაპიტალიზმთან ეკონ. შეჯიბრებაში წარმატების მიღწევას, სოციალურ ურთიერთობათა სრულყოფისა და სხვა ამოცანათა გადაწყვეტას. ეკონომიკა და სახელმწიფო შერწყმულია, სახელმწიფოს ეკონომიკური როლი კი – შეუზღუდავი.





დირჰემი. ვერცხლი. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი. ს. ჯვანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

დ. ე-ს გააჩნდა დაუძლეველი ხარვეზები, რის გამოც ის ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. კერძოდ, ის გამორიცხავდა თავისუფალ ეკონ. საქმიანობას, ზღუდავდა კერძო ინიციატივას, სათანადოდ არ უწყობდა ხელს ინოვაციებს, ეფექტიანობას, ნაკლებად ემყარებოდა ეკონომიკის ობიექტურ კანონებს, იყენებდა ძალადობრივ და მართვის ზღვარგადასულ ფორმალურ-ბიუროკრატიულ მეთოდებს, სუბიექტივიზმს და ვოლუნტარიზმს; უგულებელყოფდა ფულის, კრედიტის, დაზღვევის და სხვა ეკონ. ბერკეტების გამოყენებას და ა. შ.

დ. ე-მ თავისი არსებობისა და განვითარების შედარებით მოკლე ისტორიულ პერიოდში ამოწურა შესაძლებლობები და შევიდა სტაგნაციის ხანაში. მან ვერ მოიპოვა წარმატება საბაზრო ეკონომიკასთან ისტორიულ მეტოქეობაში. დ. ე-ის რეფორმირების, გააქტიურების, ეფექტიანობის ამაღლების მიზნით სსრ კავშირში რიგი ღონისძიებები განხორციელდა მისი არსებობის ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით XX ს. 50-იანი წლებიდან, უფრო ინტენსიურად კი 60-იან, 70-იან და 80-იან წლებში. ეს რეფორმები ფაქტობრივად ატარებდა ზედაპირულ, ფორმალურ, ზოგჯერ ავანტიურისტულ ხასიათს (მაგ., ნ. ხრუშჩოვის, მ. გორბაჩოვის ,,რეფორმები'') და, შესაბამისად უშედეგო აღმოჩნდა. ანალოგიური სიტუაცია იყო სხვა სოციალისტურ ქვეყნებშიც.

საქართველოს ეკონომიკა, ისე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისა, წარმოადგენდა რა სსრკ-ის ერთიანი სახ.-სამ. კომპლექსის შემადგენელ ნაწილს, ემორჩილებოდა დირექტიულ რეჟიმს. ყველა საკვანძო საკითხი წყდებოდა ცენტრში, კერძოდ, პროდუქციის ძირითადი სახეების წარმოების, გასაღების, კადრების გამოყენების, დოვლათისა და შემოსავლების განაწილების, ფინანს. რესურსების ფორმირების, სოც. ღონისძიებებისა და სხვ. უკიდურესად შეზღუდული იყო რესპუბლიკის უფლებები. იგი განაგებდა მხოლოდ ე. წ. ადგილობრივ მეურნეობას. დ. ე-ის პირობებში საქართვ. ეკონომიკა ფუნქციონირებდა ათეული წლების განმავლობაში. მან გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. მაგ., ეროვნ. შემოსავალი 1990 წ. 1913 წელთან შედარებით გაიზარდა დაახლოებით 30-ჯერ, მრეწველობის პროდუქცია – 287-ჯერ, სოფლის მეურნ. პროდუქცია – 12-ჯერ. ყოველივე ეს აისახა ხალხის ცხოვრების დონეზე, განათლებაზე, კულტურის, მეცნიერების პროგრესზე და ა. შ.

ერთგვარი დეცენტრალიზაციის კურსი, რ-იც სსრკ-ში ხორციელდებოდა 50-იანი წლების II ნახევარში, 60-იან წლებში ისევ შეიცვალა მკაცრი ცენტრალიზაციით. ამგვარ ვითარებაში საქართვ. ეკონომიკა, ცხადია, ვერ ვითარდებოდა სრული შესაძლებლობის შესაბამისად. ეს იყო წინაპირობა იმ ძირეული სოც.-ეკონ. და პოლიტ. ცვლილებებისა, რ-იც 90-იანი წლების დასაწყისში განხორციელდა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლით და ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებით. *გ. მალაშხია.*

დირი (Dirr) ადოლფ (17. XII. 1867, აუგსბურგი, – 9. IV. 1930, მიუნხენი), გერმანელი ეთნოგრაფი და ენათმეცნიერი. მიუნხენის უნტის საპატიო დოქტორი (1908), პროფესორი (1920), ბოლონიის (იტალია) აკად. წ.-კორ. (1924); 1913-იდან გარდაცვალებამდე – მიუნხენის ეთნოგრ. მუზეუმის დირექტორი. 1902–13 ცხოვრობდა კავკასიაში, თავდაპირველად მასწავლებლობდა თემირ-ხან-შურაში (დაღესტანი), შემდეგ – თბილისში (ასწავლიდა გერმ. ენას). სწავლობდა კავკ. ხალხების ყოფასა და ენებს. დ-ის ნარკვევებში, რ-თა დიდი ნაწილი თბილისში რუს. ენაზე გამოიცა, წარმოდგენილია დაღესტნური [უდიური (1903), თაბასარანული (1905), აღულური (1907), არჩიბული (1908), რუთულური (1912), წახური (1913) და სხვ.] ენების გრამ. მიმოხილვა, ტექსტები (რუს. თარგმანითურთ), ლექსიკონი. მანვე შეადგინა „თეორიულ-პრაქტიკული გრამატიკა თანამედროვე ქართული ენისა'' (1904, გერმ. ენაზე). დ-ის ნაშრომი „კავკასიურ ენათა შესწავლის შესავალი'' (1928) იმ დროისათვის კავკ. ენების ყველაზე ვრცელი შემაჯამებელი გამოკვლევაა. დ-ის ნაშრომებს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა. 1909 მიენიჭა პეტერბ. მეცნ. აკად. პრემია. დ-ის მიერ დაარსებული ჟურნ. „Caucasica'' პირველი საენათმეცნიერო-კავკასიისმცოდნეობითი ჟურნალია (1924-იდან გამოდიოდა ლაიფციგში. გამოიცა 11 ნაკვეთი).

ლიტ.: ჩიქობავა ა., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; Немировский М. Я., Адольф Дирр и кавказская лингвистика, Владикавказ, 1930. *გ. თოფურია.*

დირჰემი, დირჰამი, ვერცხლის მონეტა არაბულ სამონეტო სისტემაში. ტერმინი მომდინარეობს ბერძნულიდან (იხ. *დრაქმა*). VII ს. ბოლოსათვის არაბი ხალიფა აბდ ალ-მალიქის სამონეტო რეფორმის (695–697) შემდეგ მისი მასა იყო 2,7–2,9 *გ.* დ-ის შუბლზე ქუფური შრიფტით გამოსახული იყო რელიგ. ფორმულა და ცნობები ზარაფხანისა და მოჭრის დროის შესახებ, ზურგზე – ყურანის სურები. ამგვარი დ. იჭრებოდა არაბთა სახალიფოს ყველა ზარაფხანაში ბაქტრიიდან ესპანეთამდე. ჰიჯრის 85 (704–705) დ. თბილ. ზარაფხანაშიც მოიჭრა. VIII ს-იდან არაბულმა (ქუფურმა) დ-მა მტკიცედ მოიკიდა ფეხი აღმ. საქართვ. სამონეტო მიმოქცევაში (იგი მრავლადაა აღმოჩენილი გათხრების შედეგად). ძვ. ქართ. მწერლობაში ვერცხლის ფულის, მ. შ. არაბული დ-ის აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმ. *დრამა.*

ლიტ.: კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგ. 3, ნაკვ. 3 – ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, თბ., 1996 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 9); Лордкипанидзе Г. А., К истории древней Колхиды, Тб., 1970; Schrötter F., Wörterbuch der Münzkunde, B., 1930. *ი. ჯალაღანია.*

დისევი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ქსუისის თემში, მდინარეების პატარა ლიახვისა და მეჯუდის წყალგამყოფი ქედის დას. მთისწინეთში, მდ. ჭარებულის (ლიახვის აუზი) მარცხ. მხა-

რეს. ზ. დ. 1000 *მ,* ერედვიდან 7 *კმ,* ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 *კმ.* 805 მცხ. (2002).

ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) სოფელს დიცევის სახელით მოიხსენიებს. სოფლის აღმ. ნაწილში, გორაკზე, დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – X ს. ძელიცხოვლის დარბაზული ეკლესია. მოგვიანებით დას. მხრიდან მიუერთეს გარშემოსავლელის დას. ნაწილი და ამით გაზარდეს მისი მოცულობა. ჩრდ-ით გარშემოსავლელის მხოლოდ მცირე ნაწილიღაა დარჩენილი. ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. კუთხეები და კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები ამოყვანილია ღვინისფერი ტუფის კვადრებითა და შირიმის ქვით. ეკლესია შიგნით და გარედან შელესილი იყო. შესასვლელი ჩრდ-იდან აქვს. ინტერიერში გრძივი კედლები ორ ნაწილადაა დანაწევრებული პილასტრების ერთი წყვილით, რებზეც ამოყვანილ კედლის თაღებზე დაყრდნობილია კამარის საბჯენი თაღი. ფასადები სადაა. აღმოსავლეთის ფასადზე სარკმელი დაგვირგვინებულია რელიეფური კომპოზიციით, რ-ის შუაში ამოკვეთილია განედლებული ჯვარი, ბურთულები, ხოლო ნაპირებზე – მედალიონებში ჩასმული ცხოველთა ფიგურები და ადამიანის გამოსახულება (მკერდის ზემოთ). ქვის მარჯვ. კიდეს ჩამოსდევს ასომთავრული წარწერა **(რესტავრ. 2007).**



დისევი. ძელიცხოვლის დარბაზული ეკლესია. X ს.

ლიტ.: Меписашвили Р. С., Цинцадзе В. Г., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли, Тб., 1975.

რ. მეფისაშვილი. ვ. ცინცაძე.

დისიდენტი [ლათ. Dissidens (ნათ. ბრ. dissidentis – ვინც არ ეთანხმება, არ იზიარებს); სხვაგვარად მოაზროვნე], შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში კათოლიკობიდან განდგომილი პირი, რომელიც ეკლესიას მწვალებლად მიაჩნდა, ხოლო რეფორმაციის დროიდან (XVI ს.) – მორწმუნე ქრისტიანი, რომელიც არ მისდევდა თავის ქვეყანაში გაბატონებულ კათოლიკურ ან პროტესტანტულ სარწმუნოებას. დ-ების მოქალაქეობრივ უფლებათა შესახებ საკითხი მწვავედ იდგა XVI–XVII სს. ინგლისსა და საფრანგეთში (ე. წ. ჰუგენოტების ბრძოლა კათოლიკობის წინააღმდეგ), აგრეთვე XVII–XVIII საუკუნეების პოლონეთში.

XX ს. 60-იანი წლებიდან ტერმინი ,,დ.'' მკვიდრდება სსრ კავშირსა და აღმ. ევროპის ქვეყნებში იმ ოპოზიციური მოძრაობის აღსანიშნავად, რ-იც (წინა პერიოდის ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური მოძრაობის საპირისპიროდ) არ ცდილობდა ძალისმიერი მეთოდებით ბრძოლას საბჭოთა და კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ, მაგრამ აპროტესტებდა საბჭოთა დიქტატურას და ოფიციალურად აღიარებულ ღირებულებათა დარღვევის ფაქტებს. აქედან მოყოლებული დ-ებს უწოდებდნენ ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმების მოწინააღმდეგე ადამიანებს.

XX ს. 70–80-იან წლებში, სსრ კავშირსა და ევრ. კომუნისტურ ქვეყნებში დ-ები იყვნენ ამავე ქვეყნის მოქალაქენი, რ-თა პოლიტ. შეხედულებები არსებითად განსხვავდებოდა საზ-ბაში გაბატონებული სახელმწ. (კომუნისტური) იდეოლოგიისაგან და რ-ებიც ღიად გამოთქვამდნენ თავიანთ შეხედულებებს, რის გამოც იდევნებოდნენ ხელისუფლებისაგან. საბჭოთა ოფიც. დოკუმენტებში დ-ის მიმართ გამოიყენებოდა ტერმინები: ,,ეგრეთ წოდებული დ-ები'', ,,ანტისაბჭოთა ელემენტები'', ,,განდგომილები''.

ერთადერთი სახელი, რ-იც დ-ებს გარედან, სხვათაგან არ მიუღიათ იყო თვითწოდებული ტერმინი ,,უფლებადამცველი''. ,,უფლებადამცველთა'' ყურადღების მთავარი საგანი იყო კომუნისტურ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა და ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დაცვა.

დ-ები კატეგორიულად ემიჯნებოდნენ ტერორიზმის ნებისმიერ გამოვლინებას. *ლ. მურადაშვილი.*

დისიდენტური მოძრაობა, მოქალაქეობრივი უფლებებისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვის მიზნით შექმნილი მოძრაობა, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებრივი იდეალების ჩამოყალიბებას, მათ დაცვასა და სახელმწიფოსაგან რეპრესირებული ადამიანების დახმარებას. კომუნისტურ ქვეყნებში დ. მ-ის გააქტიურება და ლეგალური მოღვაწეობა უშუალოდ უკავშირდება ე. წ. ჰელსინკის ხელშეკრულებას – ,,ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტს'' (იხ. *ჰელსინკის პროცესი 1973–75*). 1976-იდან ჩეხოსლოვაკიიდან საქართველომდე – მთელ საბჭოთა ბლოკში – ერთიმეორის მიყოლებით გამოჩნდა დისიდენტური ორგანიზაციები, რ-ებიც თავს სწორედ ჰელსინკის ხელშეკრულების ორგანიზაციებს უწოდებდნენ.

სსრ კავშირში დ. მ-ის დაწყების თარიღად მიჩნეულია 1965 წ. 5 დეკემბერი, როდესაც მოსკოვში, პუშკინის მოედანზე ჩატარდა პირველი საპროტესტო დემონსტრაცია, რაც გამოწვეული იყო იმავე წლის შემოდგომაზე მოსკოველი მწერლების – ა. სინიავსკისა და ი. დანიელის დაპატიმრებით.

საქართველოში დ. მ. *ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის* ერთ-ერთი ეტაპი იყო. მის საწყის ხანად ზოგიერთი მკვლევარი 1956 წ. 9 მარტს თბილისში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებს მიიჩნევს. მართალია, თავიდან ეს მოვლენები უფრო იმპულსური, გრძნობისმიერი, შეურაცხყოფილი ეროვნ. თავმოყვარეობის აღდგენის მცდელობა იყო. ახალგაზრდობის ქუჩაში გამოსვლის მიზეზი არა ეროვნ. დამოუკიდებლობის, სინდისის თავისუფლების და იმპერიიდან გამოყოფის მოთხოვნები იყო, არამედ ერთი პიროვნების, ერთი ადამიანის – ,,დიდი ბელადისა'' და ,,დიდი ქართველის'' – სტალინის, ასე ვთქვათ, ,,ავტორიტეტის დაცვა''. თუმცა 9 მარტს უკვე ხმამაღლა გაისმა მოწოდება საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით.

XX ს. 70-იან წლებში ნათლად გამოვლინდა საბჭოთა სისტემის კრიზისი – დაქვეითდა ქვეყნის ეკონომიკა, დაეცა სამრეწველო პროდუქციის ხარისხი, სერიოზულ პრობლემებს განიცდიდა სამოქალაქო მეურნეობა. კრიზისის ფონზე სსრ კავშირში ფეხს იკიდებდა და ნელ-ნელა ძლიერდებოდა დ. მ., სერიოზულ სახეს იღებდა საზოგადოების დემოკრატიზაციისა და ადამიანის უფლებების დაცვისათვის

ბრძოლა. ამიტომაც კრემლმა განსაკუთრებით გაამკაცრა დაკვირვებებისა და მეთვალყურეობის რეჟიმი ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, მ. შ. საქართველოშიც. შეიქმნა ე. წ. ,,ჩეკისტური მეთვალყურეობის'' ახ. სამსახურები. ცალკე ჩამოაყალიბეს თეატრების, მწერალთა კავშირის, მეცნიერებათა აკადემიის, სასწ.-სამეცნ. კვლევითი ინსტიტუტების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ტექნიკუმების ოპერატიული სამსახურები.

1974 წ. *გამსახურდიას* მიერ დაარსებული ,,ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი'', რ-იც თანამშრომლობდა სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქში არსებულ ანალოგიურ ჯგუფებთან, აქვეყნებდა სხვადასხვა ინფორმაციას რუსულ არალეგალურ გამოცემებში (,,მიმდინარე ამბების ქრონიკა'', მოსკოვი). 1975 ქართველმა დისიდენტებმა არალეგალური ლიტ.-პუბლიც. ჟურნ. ,,ოქროს საწმისის'' გამოცემა დაიწყეს, რ-შიც ცენზურის მიერ აკრძალული ანტისაბჭოური ხასიათის ნაწარმოებები იბეჭდებოდა.

1976 წ. გამსახურდიას, მ. *კოსტავას*, ვ. *რცხილაძის*, ბ. ბეჟუაშვილისა და სხვათა თაოსნობით შეიქმნა ადამიანის უფლებათა ჰელსინკის შეთანხმების ხელშემწყობი ორგანიზაცია – ,,*საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი*'' (1989-იდან ეწოდა ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი''). ჯგუფის მიზანი იყო ჰელსინკის შეთანხმების დასკვნითი აქტის პოპულარიზაცია და მისი ცხოვრებაში გატარება. ჯგუფი ფაქტობრივად არალეგალურად არსებობდა. მისი პრაქტ. მოქმედება (ჟურნალების გამოცემა, მასალათა გამრავლება და ინფორმაციის გაგზავნა საზღვარგარეთ) უშიშროების მხრიდან მეთვალყურეობისა და თვალთვალის პირობებში ხდებოდა.

1976 დეკემბერში დაიწყო საზ.-პოლიტ. ჟურნალის ,,საქართველოს მოამბის'' გამოცემა, რ-შიც ,,საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის'' წევრები აქვეყნებდნენ დიდძალ ინფორმაციას ეროვნ. და სოც. საჭირბოროტო პრობლემების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირი შეუერთდა ჰელსინკის ხელშეკრულებას და აიღო ვალდებულება, დაეცვა და ცხოვრებაში გაეტარებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრინციპები, იგი მაინც რჩებოდა ტოტალიტარულ სახელმწიფოდ, სადაც თვალყურს ადევნებდნენ მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს; იზღუდებოდა სიტყვის, გადაადგილების, რელიგიის და სხვა სახის თავისუფლება.

,,ჰელსინკის ჯგუფის'' გააქტიურების შემდეგ კომუნისტურ პრესაში გაჩაღდა კამპანია ჯგუფის წევრების წინააღმდეგ. 1977 წ. 7 აპრ. ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა დააპატიმრეს (მოგვიანებით – ვ. რცხილაძეც). ამ ფაქტს გამოეხმაურნენ ცნობილი საბჭოთა დისიდენტები ა. ამალრიკი და პ. გრიგორენკო.

,,საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის'' წევრების დაპატიმრებამ საქართვ. მოსახლეობაშიც გამოიწვია უკმაყოფილება, განსაკუთრებით აქტიურობდნენ თსუ-ის სტუდენტები თ. ჩხეიძის მეთაურობით. 1977-იდან თბილისში ვრცელდებოდა პროკლამაციები პოლიტ. პატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით. მოგვიანებით პროკლამაციის გამავრცელებლები უშიშროების სამსახურმა დააპატიმრა (ა. იმნაძე, გ. ნიკოლაიშვილი და სხვ.).

პოლიტ. აზრის დევნა საგრძნობლად შერბილდა სსრ კავშირის სათავეში მ. ს. *გორბაჩოვის* მოსვლის (1985) შემდეგ. იგი ქვეყნის ღრმა კრიზისიდან გამოყვანას გარდაქმნის პოლიტიკით შეეცადა. ეკონომიკურად დასუსტებული ქვეყანა დასავლეთის სამყაროსთან გაჩაღებულ ,,ცივ ომსა'' და გაზრდილ სამხედრო ხარჯებს ვეღარ უძლებდა. შექმნილი ვითარება კრემლს აშშ-თან და დას. ევროპასთან ურთიერთობის დათბობისკენ უბიძგებდა. დასავლეთი, თავის მხრივ, მოსკოვისაგან ქვეყანაში დემოკრ. ცვლილებების გატარებას მოითხოვდა, მოთხოვნებში ერთერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს პოლიტპატიმართა გათავისუფლება წარმოადგენდა. სწორედ ამის შემდეგ, 1987-იდან დაიწყო ცნობილი დისიდენტების საპატიმროებიდან გათავისუფლება. მათ შორის იყო მ. კოსტავაც (ზ. გამსახურდია გათავისუფლდა უფრო ადრე, 1979).

ამ პერიოდიდან მოყოლებული ქართ. დ. მ. ნელ-ნელა გამოდიოდა არალეგალური მდგომარეობიდან, იგი გასცდა ვიწრო წრეს და კომუნისტური რეჟიმის საწინააღმდეგო პროპაგანდას საზოგადოების ფართო ფენებში ეწეოდა. ქვეყანაში ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა ძლიერდებოდა, რ-ის ბრძოლის ძირითად მიმართულებას საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა.

ლიტ.: კვესელავა ი., საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970–1990), ტ. 1, თბ., 2004; «საქართველოს მოამბე», 1976, №1; ფოცხვერია ჯ., შავი სათვალე ეკეთა (ჩეკისტის ჩანაწერები), თბ., 2008; Ратьковский И. С., Ходяков М. В., История Советской России, СПб., 2001.

ლ. მურადაშვილი.

დისკრეტული მათემატიკა, მათემატიკის დარგი, რ-იც სხვადასხვა ტიპის დისკრეტული ხასიათის სტრუქტურებს შეისწავლის. ტერმ. „დ. მ-ის'' (ლათ. discretus – განცალკევებული, წყვეტილი) მაგივრად ხშირად იხმარება ტერმინები „სასრული მათემატიკა'' და „კომბინატორული მათემატიკა''. ცნება „კომბინატორული'' დღევანდელი გაგებით პირველად გამოიყენა გერმ. მათემატიკოსმა და ფილოსოფოსმა გ. ვ. *ლაიბნიცმა* თავის ცნობილ ნაშრომში „Dissertatio de Arte Combinatoria'' (გამოქვეყნდა 1666), რ-იც ზოგიერთ კონკრეტულ მათ. კომბინატორულ შედეგს და მრავალ ახალ, ძალზე მნიშვნელოვან იდეას შეიცავდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული დისკრეტული, ანუ კომბინატორული ხასიათის მათ. შედეგი ლაიბნიცამდე გაცილებით უფრო ადრე იყო მიღებული. მაგ., ჯერ კიდევ ძვ. საბერძნეთში მთელ (ნატურალურ) რიცხვთა ამა თუ იმ თვისებასთან დაკავშირებით შემუშავებული იყო ალგორითმული ხასიათის სხვადასხვა სასრული პროცედურა, რ-თა მეშვეობით შესაძლებელი იყო წინასწარ მოცემული ნატურალური რიცხვებიდან გამომდინარე, სათანადო ნატურალური რიცხვის მიღება. ერთ-ერთი ასეთი პროცედურაა ე. წ. ევკლიდეს ალგორითმი, რ-ის საშუალებით ნებისმიერი ორი ნატურალური რიცხვისათვის მოიძებნება მათი უდიდესი საერთო გამყოფი. XVII ს-ში, სხვადასხვა გვარის აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით, წარმოიშვა *ალბათობის თეორიის* ელემენტები. ამ თეორიის მრავალი ამოცანის ამოხსნისას საჭირო იყო გარკვეულ კომბინატორულ თანაფარდობათა დადგენა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფრანგი მათემატიკოსების (ბ. პასკალი, პ. ფერმა და სხვ.) შრომებმა. მათ დაამტკიცეს ძირითადი კომბინატორული დამოკიდებულებები, რ-ებიც ასე თუ ისე დაკავშირებული იყო ნიუტონის ბინომის კოეფიციენტებთან. მსგავს დამოკიდებულებათა მოძებნა და დადგენა

იმდროინდელი სასრული კომბინატორიკის ან კომბინატორული ანალიზის კვლევის ძირითადი საგანი იყო. ანალოგიური კომბინატორული ხასიათის დამოკიდებულებები ბუნებრივად მიიღება რიცხვთა კლასიკური თეორიის ზოგიერთი პრობლემის კვლევის დროსაც (განსაკუთრებით იმ საკითხების კვლევისას, რ-ებიც რიცხვთა ადიტიურ თეორიას განეკუთვნება).

დ. მ-ის არე თანდათანობით ფართოვდებოდა, იზრდებოდა მისი გამოყენების სფეროც. ყველაფერი ეს ხდებოდა ტრად. მათ. დისციპლინებისა და დარგების განვითარების ფონზე. სწორედ ძვ. ტრად. მათ. დარგებში წარმოიქმნებოდა ახ. ცნებები და ყალიბდებოდა ახ. მეთოდები, რ-ებმაც შემდგომ ძირითადი ადგილი დაიკავა დ. მ-ში. მაგ., ნებისმიერი ხარისხის განტოლების რადიკალებში ამოხსნის წმინდა ალგებრულმა კლასიკურმა ამოცანამ წარმოშვა კომბინატორული მათემატიკისათვის ისეთი მნიშვნელოვანი კონცეფცია, როგორიცაა ჯგუფის ცნება (იხ. *ჯგუფთა თეორია*). თავდაპირველად შემოღებულ იქნა სასრული სიმრავლის გადანაცვლებათა ჯგუფის ცნება. შემდგომ გაირკვა, რომ დ. მ-ში უმთავრესად სასრული ან სასრულად წარმოქმნილი ჯგუფები გამოიყენება. დ. მ-ის ზოგიერთი საკითხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სხვა ტიპის ალგებრულ სტრუქტურებს, მაგ., სასრულ ველებს, სასრულად ან თვლადად წარმოქმნილ ნახევარჯგუფებს, სასრული ბაზისის მქონე ვექტორულ სივრცეებს, მატრიცების სხვადასხვა რგოლებს, ბულის ალგებრებს და ა.შ. მათ. ანალიზის, კერძოდ, უსასრულო ხარისხოვანი მწკრივების თეორიის განვითარებამ საშუალება მისცა ლ. *ეილერს* ჩამოეყალიბებინა კომბინატორული მათემატიკისათვის კვლევის ისეთი მძლავრი მეთოდი, როგორიცაა წარმომქმნელი ფუნქციების მეთოდი. ამ მიდგომის საშუალებით წარმატებით ამოიხსნა კომბინატორიკისა და კომბინატორული ანალიზის მრავალი რთული ამოცანა. აღსანიშნავია, რომ ამავე მეთოდის მეშვეობით ბევრ კონკრეტულ შემსთხვევაში შესაძლებელია მოიძებნოს რეკურსიულად (ანუ რეკურენტულად) რიცხვთა მოცემული მიმდევრობის ზოგადი წევრის ერთიანი ფორმულა, რაც საგრძნობლად აადვილებს ასეთ მიმდევრობასთან დაკავშირებული კომბინატორული საკითხების გამოკვლევას (საკმარისია გავიხსენოთ ე. წ. ფიბონაჩის რიცხვთა მიმდევრობა). გეომეტრიაში თვალსაჩინო კომბინატორული ხასიათის სტრუქტურების განხილვამ და შესწავლამ დასაბამი მისცა გრაფთა თეორიას, რ-იც ამჟამად დ. მ-ის ერთ-ერთი ძირითადი დარგია. გრაფთა თეორიაში პირველი ნაშრომი ლ. ეილერს ეკუთვნის (1736). ამოცანა, რ-საც ეილერი განიხილავდა, სასრულ გრაფებში გარკვეული თვისების მქონე მარშრუტების მოძებნას ეხებოდა. ეილერის შრომა მრავალწახნაგების შესახებ ფუნდამენტურ როლს ასრულებს მათ. სხვადასხვა დარგში. ამ შრომაში მიღებულმა ფორმულამ მისცა დასაბამი კომბინატორულ (ალგებრულ) ტოპოლოგიას, კომბინატორულ გეომეტრიას, მრავალწახნაგათა თანამედროვე თეორიას (მაგ., უფრო ზოგად ეილერ-პუანკარეს ფორმულას მაღალგანზომილებიანი ევკლიდური სივრცის ამოზნექილი მრავალწახნაგებისათვის). გრაფთა თეორია რამდენიმე მიმართულებით ვითარდებოდა: განიხილებოდა სასრულ გრაფთა გადათვლის ამოცანები (მაგ., პოიას გრაფთა გადათვლის თეორემა); იკვლევდნენ სასრული გრაფების პლანარობის პირობებს (მაგ., კურატოვსკი–პონტრიაგინის გრაფის პლანარობის კრიტერიუმი); შეისწავლეს გრაფების სხვადასხვა მახასიათებელი და ინვარიანტი; განიხილეს გრაფების გაფერადების ამოცანები, გრაფების დანაწილებისა და ამორჩევის ამოცანები (მაგ., ფ. რამზის ცნობილი თეორემა); გრაფების სხვადასხვა ტიპის რეალიზაციის ამოცანები; ექსტრემალური პრობლემები, დაკავშირებული სასრული გრაფების ამა თუ იმ თვისებასთან და ა. შ. სიმრავლეთა ზოგადი თეორიის განვითარებამ დააკავშირა გრაფთა თეორია აბსტრაქტული ბინარული დამოკიდებულებების თეორიასთან, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა გრაფებზე მრავალნაირი ოპერაციების შესწავლა (მაგ., გრაფების სუპერპოზიციის ოპერაციის განხილვა). ამავე დროს, სიმრავლურ-თეორიულმა მეთოდებმა ბიძგი მისცა უსასრულო გრაფების თეორიის წარმოქმნას და მის უაღრესად სწრაფ განვითარებას. ამ პროცესში ჩამოყალიბდა კომბინატორული მათ. სრულიად ახ. თანამედროვე დარგი, ე. წ. უსასრულო (ინფინიტური) კომბინატორიკა. აღსანიშნავია, რომ წმინდა სიმრავლურ-თეორიული მიდგომა და უსასრულო კომბინატორიკის მეთოდები წარმატებით გამოიყენება სასრული კომბინატორიკის რთული ამოცანების ამოსახსნელად.

დ. მ-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონცეფციაა ალგორითმის ცნება. მათემატიკაში სხვადასხვა გვარის ალგორითმული პროცედურა დიდი ხნის წინ იყო ცნობილი, მაგრამ ალგორითმის მათემატიკურად ზუსტი ცნება მხოლოდ ახლო წარსულში ჩამოყალიბდა, უპირველეს ყოვლისა, მათ. ლოგიკის მძლავრი განვითარების შედეგად. რამდენიმე ავტორმა (ა. ტიურინგი, ე. პოსტი, კ. გედელი, ა. მარკოვი, ა. *კოლმოგოროვი* და სხვ.) მოგვცა ალგორითმის ზუსტი განსაზღვრება. მათ მიერ შემოღებული განსაზღვრებები ეკვივალენტური აღმოჩნდა, ასე რომ, ამჟამად ალგორითმის ცნებაში იგულისხმება როგორც ტიურინგის მანქანა, ასევე პოსტის მანქანა, გედელის ნაწილობრივი რეკურსიული ფუნქცია, მარკოვის ნორმალური ალგორითმი, აგრეთვე ალგორითმი (კომპლექსი) კოლმოგოროვის აზრით. მათ. თითქმის ყველა სფეროში განიხილება ამა თუ იმ ტიპის ზოგადი ხასიათის ამოცანები, რ-თვისაც ბუნებრივად დაისმის კითხვა: არსებობს თუ არა ისეთი ალგორითმი, რ-ის საშუალებით მოცემული ზოგადი ამოცანა ბოლომდე ამოიხსნება? ამჟამად ცნობილია, რომ პასუხი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი.

დ. მ. ფაქტობრივად მოიცავს ისეთ დარგებს, როგორიცაა: ინფორმაციის თეორია, თამაშთა მათ. თეორია, დისკრეტული გეომეტრია, სასრულგანზომილებიანი ამოზნექილი ანალიზი, ფორმალური სისტემების თეორია და სხვ.

საქართველოში დ. მ-ის მიმართულებით ძირითადი სამუშაოები სრულდება თსუ-ის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინ-ტსა და კიბერნეტიკის ინ-ტში. კვლევის მთავარი მიმართულებებია: გრაფთა თეორია (როგორც სასრული, ასევე უსასრულო გრაფები), კომბინატორული და დისკრეტული გეომეტრია, ალგორითმთა (რეკურსიულ ფუნქციათა) თეორია, მათ. კიბერნეტიკისა

და მათ. ლოგიკის სხვადასხვა საკითხი. საყურადღებოა რეკურსიულ ფუნქციათა თეორიასა (რ. ომანაძე) და კომბინატორულ გეომეტრიაში მიღებული შედეგები სასრულგანზომილებიანი ევკლიდური სივრცის ამოზნექილი სხეულებისა და დისკრეტული წერტილოვანი სისტემების შესახებ (ა. *ხარაზიშვილი*, გ. ნიჟარაძე, თ. საჭინიკი, ე. ბალაძე, ტ. ჭაბუკიანი). მიღებულია აგრეთვე ზოგიერთი შედეგი სიმრავლეთა უსასრულო კომბინატორიკაში (ა. ხარაზიშვილი, ა. ყიფიანი). ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია აგრეთვე ქართვ. მათემატიკოსთა გამოკვლევები მათ. ლოგიკისა და ალგორითმების თეორიის სხვადასხვა მიმართულებით.

ლიტ.: Бурбаки Н., Теория множеств, пер. с франц., М., 1965; Кемени Дж., Снелл Дж., Томпсон Дж., Введение в конечную математику, пер. с англ., 2 изд., М., 1964; Риордан Дж., Введение в комбинаторный анализ, пер. с англ., М., 1963; Харазишвили А. Б., Элементы комбинаторной теории бесконечных множеств, Тб., 1981; მისივე, Введение в комбинаторную геометрию, Тб., 1985; Харари Ф., Теория графов, пер. с англ., М., 1973; Яблонский С. В., Введение в дискретную математику, М., 1979.

ა. ხარაზიშვილი.

დისონანსი (ფრანგ. dissonance <ლათ. dissono – შეუთანხმებელი ჟღერადობა), არაზუსტი რითმის ისეთი სახეობა, რ-შიც ხმოვნებისა და თანხმოვნების დიდი ნაწილი შეუთანხმებელია. მაგ.: დალანდი-მანდილი გ. ტაბიძის ლექსში ,,გემი დალანდი‘‘. ქართ. პოეზიაში დისონანსური რითმა ფეხს იკიდებს XX ს. დასაწყისში. მუსიკაში – კეთილხმოვანების დარღვევა, ბგერათა არაჰარმონიული შეთანხმება (დ-ის საპირისპირო მოვლენაა კონსონანსი).

ა. ხინთიბიძე.

დისპანსერი (ფრანგ. dispensaire < ლათ. dispenso – ვანაწილებ), სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, რ-ის ამოცანაა მოსახლეობაში დაავადების გამოვლენა ადრეულ სტადიაზე, ავადმყოფთა აღრიცხვა, მკურნალობა და მეთვალყურეობა. XVIII ს-ში ჩამოყალიბებულ საქველმოქმედო აფთიაქებსა (dispensaire – საფრანგეთში) და ღარიბებისთვის განკუთვნილ სამკურნალოებში (dispensary – ინგლისში) არიგებდნენ წამლებს, რითაც ცდილობდნენ დახმარება აღმოეჩინათ ავადმყოფებისთვის. მოგვიანებით, 1887, ედინბურგში (შოტლანდია) ჩამოყალიბდა სპეციალიზებული დ., რ-იც განკუთვნილი იყო ტუბერკულოზით დაავადებულთათვის. XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში მსგავსი დისპანსერები (დაწესებულებები) ამოქმედდა დას. ევროპაში (საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, მოგვიანებით, 1910 – რუსეთშიც). შემდგომ სსრკ-ში თანდათან გაფართოვდა დისპანსერული ქსელი და მას განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ჯანდაცვის სისტემაში.

თანამედროვე გაგებით, დ. სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებაა, რ-იც ახორციელებს მოსახლეობის განსაზღვრულ კონტინგენტზე დინამიკურ მეთვალყურეობასა და კომპლექსურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

საქართველოში, პროფილის მიხედვით, არსებობდა სხვადასხვა ტიპის დისპანსერები: ტუბერკულოზის, კანისა და ვენ. სნეულებათა, ფსიქო-ნევროლოგიური, ნარკოლოგიური, ენდოკრინოლოგიური, ონკოლოგიური და სხვ.

დისტანცია (ლათ. distantia – მანძილი), სამხედრო-ადმ. ერთეული რუსეთის იმპერიაში (ამიერკავკასიაში), მცირე ოლქი ან რამდენიმე სოფლის გაერთიანება. მართავდა ადგილ. ხელისუფლების მიერ დანიშნული მოხელე, რ-იც მაზრის უფროსს ექვემდებარებოდა. საქართველოში დ. შემოღებულ იქნა ქვემო ქართლის იმ რ-ნებში, სადაც თურქმანული მოდგმის ხალხი ცხოვრობდა.

გ. ჯაფარიძე.

დისტრიბუტორი (ინგლ. distribution – განაწილება), ფირმა, მეწარმე, რომელსაც მინიჭებული აქვს გარკვეული სახის საქონლის შესყიდვისა და გასაღების უფლება წინასწარ განსაზღვრული ბაზრის ან ცალკე ტერიტორიის მონაკვეთზე. დ-ებს აქვთ უპირატესი უფლება და საშუალებაც შეიძინონ და გაასაღონ სხვადასხვა სახის მოწყობილობა, კომპიუტერული ტექნიკა, ტექ. სიახლეები და სხვ. დ-ის ფუნქციაში მოიაზრება შუამავლის ყველა ვალდებულება, რ-იც უკავშირდება მარკეტინგულ საქმიანობას – ბაზრის მოთხოვნას, ლოგისტიკას, ფასის დადგენას, რეკლამის ორგანიზაციას, მომხმარებელზე კრედიტის გაცემას და სხვ.

დ-ის წარმოშობა უკავშირდება საბაზრო ეკონ. ფორმირების პროცესს; ამიტომ მან უპირატესი განვითარება პოვა აშშ-ში, იაპონიაში, ინგლისში, სადაც ასეულობით ასოციაცია არსებობს, რ-ებიც დარგობრივი კუთვნილების პრინციპით ფუნქციონირებენ; თითოეული მათგანი ამუშავებს საკუთარ სასწ. პროგრამას მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის მიხედვით. დ. განსაზღვრავს სარეალიზაციო საქონლისა და მომსახურების ღირებულებას, საქონლის შესყიდვის, შენახვისა და გაყიდვის პროცესში მომხმარებლისათვის მოსახერხებელ დროს ქმნის საჭირო ასორტიმენტისა და ოდენობის დამატებით ღირებულებას, მიდის ფინანსურ რისკზე, როდესაც საქონელში აბანდებს კაპიტალს, ინახავს ან ყიდის საქონელს, აკრედიტებს საქონელმწარმოებლებს. დ-მა უნდა დაფაროს აგრეთვე ოპერატიული ხარჯები და მიიღოს მოგება ინვესტირებულ კაპიტალზე.

საზ. პროდუქტის განაწილების სფეროში დ-ები მოქმედებენ ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, იკვლევენ და აფართოებენ პროდუქციის შეძენის ახ. და ალტერნატიულ წყაროებს, აღრმავებენ კავშირს მომწოდებლებთან, ხელს უწყობენ საქონლის წარმოების გადიდებას და ასორტიმენტის გაფართოებას; მეორე მხრივ, დ-ები თავიანთ მომწოდებლებს რეალურ ინფორმაციას აწვდიან სამომხმარებლო მოთხოვნის შესახებ, რითაც ფაქტობრივად მომხმარებელთა ინტერესების დამცველად გვევლინებიან.

საქართველოში სადისტრიბუციო (სადისტრიბუტორო) საქმიანობის ფორმირების საწყის ეტაპად ითვლება გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი, როცა ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა და აირჩია სამეურნეო განვითარების საბაზრო სისტემა. ამჟამად დ-ების მეშვეობით ხორციელდება მსოფლიოში ცნობილი ფირმების მიერ წარმოებული ისეთი საქონლის რეალიზაცია, როგორიცაა სატრანსპ. საშუალებები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ავეჯი, პარფიუმერია-კოსმეტიკის საქონელი, სარეცხი საშუალებები, სამშ. მასალები, კომპიუტერული ტექნიკა, ტელე-აუდიო-ვიდეო აპარატურა და სხვ.

საქართველოში მრავალი სამრეწვ. ფირმა თავისი პროდუქციის რეალიზაციას ახდენს საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის საშუალებით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ (მაგ.: ღვინის, არყის ნაწარმის, ლუდის, უალკოჰო-

ლო სასმელების, მინერ. წყლების, ხორცის პროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების საწარმოები და სხვ.). *ა. გაგნიძე.*

დიუბუა დე მონპერე (Dubois de Montpéreux) ფრედერიკ (1798, მოტიე, შვეიცარია, – 1850, იქვე), შვეიცარიელი მოგზაური, ბუნებისმეტყველი და სიძველეთა მკვლევარი. ნევშატელის აკად. პროფესორი. 1831–34 რუს. მთავრობის ხელშეწყობით იმოგზაურა შავი ზღვის ჩრდ. სანაპიროზე, უკრაინასა და კავკასიაში. მოგზაურობის შედეგები თავმოყრილია ფრანგ. ენაზე გამოცემულ ექვსტომიან ნაშრომში ,,მოგზაურობა კავკასიონის გარშემო, ჩერქეზებსა და აფხაზებთან, კოლხიდაში, საქართველოში, სომხეთსა და ყირიმში'' (1839–45). საფრანგეთის გეოგრ. საზ-ბამ დ. დე მ. ზემოხსენებული ნაშრომისათვის დიდი ოქროს მედლით დააჯილდოვა. ნაშრომი შეიცავს მდიდარ ფაქტობრივ მასალას ჩამოთვლილი კუთხეებისა და ქვეყნების ბუნებისა და სიძველეთა შესახებ. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ცალკეულ ხალხთა ისტ. საკითხებს, ქართ. და სომხ. ხუროთმოძღვრების ძეგლებს. გამოთქმული აქვს მოსაზრებანი ძვ. ქართ. ხუროთმოძღვრების თავისებურებათა და ისტ. განვითარების შესახებ. ხელოვნ. ისტორია, როგორც მეცნიერება, იმ დროს თავის პირველ ნაბიჯებს დგამდა, ხოლო ქართ. ნივთიერ კულტ. ძეგლებთან დაკავშირებული ბევრი ფაქტი და ძეგლთა თარიღები დაუდგენელი იყო. ამისა და აგრეთვე მცდარი მეთოდოლ. წანამძღვრების გამო, დ. დე მ-ს მიერ შემუშავებული კონცეფცია სრულიად ამახინჯებდა ნამდვილ ვითარებას. მისი აზრით, ქართ. ხუროთმოძღვრება წარმოადგენდა ბიზანტ. და სომხ. განშტოებას ან ანარეკლს. რაკი მომდევნო ხანის მეცნიერები თვითონ არ იცნობდნენ ქართ. ძეგლებს და მექანიკურად იმეორებდნენ დ. დე მ-ს დასკვნებს, მისმა ნააზრევმა დიდი ხნით მოიკიდა ფეხი. არსებითად ამ მცდარი ,,თეორიის'' დარღვევა მხოლოდ თანამედროვე ქართვ. ხელოვნ. ისტორიკოსებმა შეძლეს. თუმცა დ. დე მ-ს თხზულება გარკვეულ მნიშვნელობას მაინც ინარჩუნებს, რამდენადაც ავტორს მოცემული აქვს მას შემდეგ განადგურებული ან სახეშეცვლილი ზოგიერთი ძეგლის აღწერა და ჩანახატები.

დ. დე მ. საქართვ. და მთელი კავკ. გეოლ. აგებულების პირველი დასავლეთევროპელი მკვლევარია. მიუხედავად იმისა, რომ დ. დე მ-ს დაკვირვებებს სისტემ. ხასიათი არა აქვს (გეოლ. საკითხებს იგი გზადაგზა სხვა საკითხებთან ერთად აშუქებს), მის შრომაში მაინც ბევრი საყურადღებო საკითხია გაშუქებული. მან პირველმა შეისწავლა საქართვ. სტრატიგრაფიის საკითხები. კავკასიონის კრისტალური გული, რ-იც დარიალის ხეობასა და აფხაზეთში აქვს გამოკვლეული, მისი დაკვირვებით, გრანიტების, დიორიტებისა და პორფირიტებისაგან შედგება და აქეთ-იქით მოჰყვება მეტამორფიზებული ფიქლები. ამრიგად, დ. დე მ-მ დაადგინა აღნიშნული ქედის სიმეტრიულობა. სამხრ-ით ფიქლების შემდეგ დ. დე მ. გამოყოფს ზედა იურულ – ქვედა ცარცული კირქვების უწყვეტ ზოლს აფხაზეთიდან ზემო იმერეთ-რაჭამდე, ხოლო შემდეგ – მესამეულ ნალექებს. მეზოზოურ და მესამეულ ნალექებში გამოყოფილი აქვს რამდენიმე წყება და ჰორიზონტი. დ. დე მ. მთების წარმოშობის ვულკ. თეორიის მიმდევარია, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა შრომაში მოცემული ტექტონ. საკითხების განხილვაზე. ამავე დროს სწორად აქვს აღნიშნული კავკასიონის ნაოჭა სისტემის წარმოქმნის ახალგაზრდა (გვიანდ. მესამეული) ასაკი. დ. დე მ-მ აღწერა საქართვ. დანალექი წყებების განამარხებული ფაუნა. იგი კავკასიის გეოლ. კარტოგრაფირების ფუძემდებელია. შეადგინა კავკასიის პირველი გეოლ. რუკა, რ-იც მოთავსებულია მისი შრომის თანდართულ ატლასში. საყურადღებო დაკვირვებები აქვს გეომორფოლოგიაშიც.

თხზ.: Voyage autour du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée, v. 1–6, P., 1839–45.

ლიტ.: ჯანელიძე ა., ნარკვევები გეოლოგიის ისტორიიდან, თბ., 1959; Беридзе В. В., Против искажения истории грузинского искусства (Древнегрузинское искусство в свете зарубежной науки), Тб., 1949. *ვ. ბერიძე. ვ. ჯავრიშვილი.*

დიუგე (Duguet) რემონ (დ. და გ. წწ. უცნობია), ფრანგი სამხედრო მოღვაწე (პოლკოვნიკი), დიპლომატი. მსახურობდა საფრანგეთის ჯარში. XX ს. 10-იანი წწ. ბოლოს აქტ. სამსახურს თავი დაანება და დასახლდა პარიზის გარეუბან შატუში. 20–30-იანი წწ. მიჯნაზე საცხოვრებლად ლუქსემბურგში გადავიდა. ამის შემდგომ მისი კვალი იკარგება. 20-იანი წწ. დამდეგს დ. დაუახლოვდა შატუში მეზობლად მცხოვრებ საქართვ. ერთვნ. ჯარის უკანასკნელ მთავარსარდალს, გენ. გ. *კვინიტაძეს,* რ-მაც გააცნო მას საქართვ. ისტორია, დააკავშირა ქართ. ემიგრანტულ წრეებთან. ფრანგ პოლკოვნიკს ჩვენი ქვეყანა იმდენად შეუყვარდა, რომ 1926 გამოსცა წიგნი ,,მოსკოვი და წამებული საქართველო'', რ-შიც დეტალურად მოგვითხრობს 1917–25 საქართველოში დატრიალებულ ამბებს და მოვლენებსაც თავისებურად აფასებს. წიგნი დაწერილია საქართველოსა და ქართვ. ხალხის უდიდესი სიყვარულით. წიგნის დაწერისას უსარგებლია მრავალი ზეპირი თუ წერილობითი წყაროთი, გასცნობია საქართველოში არსებულ ყველა პარტიის მოღვაწეთა შეხედულებებს. დ. დაწვრილებით მოგვითხრობს საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ, მის დამოკიდებულებაზე მეზობელ სახელმწიფოებთან – სომხეთსა და აზერბაიჯანთან, ეხება აგრეთვე საბჭ. რუსეთთან 1920 წ. 7 მაისს დადებულ მეგობრობისა და მშვიდობის იმ ხელშეკრულებას, რ-იც საბჭ. რუსეთმა ვერაგულად დაარღვია 1921 თებ-ში; აღწერს ქართვ. ხალხის გმირულ ბრძოლას ოკუპანტების წინააღმდეგ 1921–25, 1924 აჯანყებას, გვიხატავს გამოჩენილი ქართვ. პატრიოტების (შ. ამირეჯიბი, კ. აფხაზი, ქ. ჩოლოყაშვილი, ვ. გოგუაძე, გ. კვინიტაძე, გ. მაზნიაშვილი, კათოლიკოსი ამბროსი, მიტროპოლიტი ნაზარი და სხვ.) პორტრეტებს. დ-ს ნაშრომი საქართვ. ისტ. მნიშვნელოვანი წყაროა.



ა. დიუმა.

თხზ.: Moscou et la Géorgie Martyre, P., 1926; მოსკოვი და წამებული საქართველო, მ. ბაქრაძის და ა. ბაქრაძის თარგმ. და გამოც., თბ., 1994. *გ. სათიძე.*

დიუმა (Dumas) ალექსანდრ (მამა) (24. VII. 1802, ვილერ-კოტრე, ენის დეპარტ., – 5. XII. 1870, პიუი, ქვემო სენის დეპარტ.), ფრანგი მწერალი, დრამატურგი და პროზაიკოსი (,,მომხიბლავი მთხრობელი'', ასე უწოდებდა მას ო. ბალზაკი). დ-ს პიესებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფრანგული რომანტ. თეატრის ისტორიაში, ხოლო სათავგადასავლო და ისტ. რომანებს: ,,სამი მუშკეტერი'' (1844), ,,ოცი წლის შემდეგ'' (1845), ,,ვიკონტ დე ბრაჟელო-

ნი'' (1848–50), ,,გრაფი მონტე-კრისტო'' (1845–46), ,,დედოფალი მარგო'' (1845) და სხვ. მსოფლიო აღიარება ხვდა წილად.

საქართველოში დ. სიცოცხლეშივე გახდა ცნობილი, მნიშვნელოვანწილად იმ ფაქტის გამოც, რომ მან საქართველოში იმოგზაურა და უშუალო ურთიერთობა ჰქონდა აქაურ საზოგადოებასთან. ჯერ კიდევ კავკასიისკენ გამომგზავრებამდე, 1858, თავის გაზ. ,,მონტე-კრისტოში'' გამოაქვეყნა ე. წ. ,,საუბრები'', რითაც მკითხველს აცნობდა თავის განზრახვას, ნახოს კლდე კავკასიაში, სადაც მიჯაჭვული იყო პრომეთე, და პირადად შეხვდეს შამილს. განზრახვა იმავე წელს შეასრულა, 23 ნოემბ. ჩამოვიდა საქართველოში და 1859 წ. 11 იანვრამდე დარჩა. საქართველოში ნანახი, განცდილი და გაგონილი შთამბეჭდავად აღწერა თავის ცნობილ წიგნში ,,კავკასია, მოგზაურობის შთაბეჭდილებანი''. დ-ს ჩამოსვლისთანავე ჟურნ. ,,ცისკარში'' გამოქვეყნდა ფრანგი ,,უწარჩინებულესი მწერლის'', ,,მთელს ხმელეთზე გამოჩენილი მწერლის'' ჩამოსვლის ცნობა. ამასთან, რედაქცია მკითხველს აღუთქვამდა მისი ,,გრაფი მონტე-კრისტოს'' თარგმანის დაბეჭდვას უახლოეს დროში. დ-მ თითქმის მთელი საქართველო მოიარა: იყო ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, დიდხანს გაჩერდა თბილისში, ქუთაისსა და ფოთში. შეხვდა იმ დროის გამოჩენილ მოღვაწეებს, მწერლებს, უშუალოდ გაეცნო ხალხს, მის ადათ-წესებს, ჩვეულებებს. დ. წერდა, რომ მოხვდა ნამდვილ ,,ქართულ სამოთხეში''. თუმცა მწერალი თავიდანვე აფრთხილებდა მკითხველს, რომ მისი წიგნი მოგზაურის შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ მას ჰქონდა სათანადო ისტ.-გეოგრ.-ეთნოგრ. ცოდნა, იცნობდა როგორც ანტ. ხანის, ისე ევრ. მოგზაურებისა და მწერლების თხზულებებს საქართვ. შესახებ. კავკასიაში მოგზაურობისას იგი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა საქართვ. გმირული წარსულის, ომების, ერის რჩეული პიროვნებებისა თუ ისტ. ძეგლების მიმართ და მათ შესახებ მკითხველს წიგნში ვრცლად და დაწვრილებით მოუთხრობდა. თამარ მეფის შესახებ მისი ნაამბობი ბუნდოვანია და ლეგენდის საზღვრებს არ სცილდება. წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი თბილისს. ალბათ, არ მოიძებნება მაშინდელი თბილისის თეატრის უკეთესი აღწერა, ვიდრე დ-მ დაგვიტოვა: ,,ეს თეატრი ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ დედამიწის ზურგზე'', – წერს იგი და დაწვრილებით აღწერს შენობას, სცენას, მსახიობთა ჩაცმულობას. მეტად საყურადღებოა მისი აზრი ქართ. სიმღერების შესახებაც. დ. აღფრთოვანებულია ქართველების, მამაკაცებისა და, განსაკუთრებით, ქალების სილამაზით. ნაწარმოებში წარმოდგენილია მდიდარი გალერეა ცოცხალი პორტრეტებისა. დ. ამტკიცებს – ქართველები რაინდული ბუნების, გულუხვი და ხელგაშლილი ხალხიაო, და საამისოდ მრავალი ფაქტი მოჰყავს. მის თვალს არ გამოჰპარვია არათუ რაიმე მნიშვნელოვანი, არამედ წვრილმანი ამბებიც კი. წიგნში საუკეთესოა ბუნების უშუალო და ემოციური აღწერა. დ-ს განსაკუთრებით ხიბლავს უჩვეულო, ეგზოტიკური ამბები, სურს ევრ. მკითხველი გააკვირვოს ფანტასტიკური ეპიზოდებით. დ. საგანგებოდ მიიწვიეს ჟურნ. ,,ცისკრის'' რედაქციაში და გაუმართეს ვახშამი, რ-საც ესწრებოდა იმ დროის რჩეული საზ-ბა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ დ-ს სტუმრობასთან დაკავშირებით ჟურნალის რედაქტორის ი. კერესელიძის ნაამბობი ა. წერეთელმა ჩართო თავის ,,ჩემს თავგადასავალში''. წიგნში დ. ხშირად იყენებს ქართ. სიტყვებს, გამოთქმებს, სახელებს ფრანგულადაც განმარტავს. ერთიანად ,,კავკასია'' დიდი ინტერესით იკითხება და შეიცავს ბევრ ფრიად საყურადღებო ცნობას. წიგნი ქართულად რამდენჯერმე გამოიცა. საქართველოში დ-ს ნაწარმოებების თარგმნა მწერლის სიცოცხლეშივე დაიწყო. დღეს ქართულად თარგმნილია მისი თითქმის ყველა საუკეთესო რომანი.

რუსეთსა და კავკასიაში მოგზაურობის დროს დ-ს თან ახლდა ფრანგი მხატვარი მუანე, რ-მაც მრავალი საინტერესო ჩანახატი გააკეთა. თბილისში ყოფნისას დ. ცხოვრობდა ახლანდელი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მახლობლად მდებარე ზუბალაშვილის სახლში.

თხზ.: Œuvres complètes, v. 1–301, P., [1846–68]; Théâtre complet, v. 1–15, P., 1863–74; Избр. соч., т. 1–8, Л., 1928–29; სამი მუშკეტერი, თბ., 1960; გრაფი მონტე კრისტო, ნაწ. 1–2, თბ., 1962; კავკასია (წინასიტყვ. ა. გაწერელიასი), თბ., 1964.

ლიტ.: ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე დ., ალექსანდრე დიუმა საქართველოში, მის წგ.: ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1969.

გ. ბუაჩიძე.

დიუმას ცენტრი, თ ბ ი ლ ი ს ი ს ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ დ ი უ მ ა ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ფ რ ა ნ გ უ ლ ი კ უ ლ ტ უ რ ი ს ც ე ნ ტ რ ი (Centre culturel français Alexandre Dumas de Tbilissi), ფრანგული კულტურის ცენტრების, ფრანგული ინ-ტებისა და ,,ალიანს ფრანსეზის'' სახელწოდებით შექმნილი დაწესებულებები; განთავსებულია მსოფლიოს დაახლ. 150 ქვეყანაში და სხვადასხვა გამოჩენილი პიროვნების სახელს ატარებს. მათი მისიაა ფრანგული ცივილიზაციის, განსაკუთრებით კი, თანამედროვე ფრანგული კულტ. პროპაგანდა.

საქართველოში (თბილისში) დ. ც. დაარსდა 1998 ოქტ. ,,ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგულ-ქართული კულტურის ცენტრის'' სახელწოდებით. თავდაპირველად ის ფაქტობრივად წარმოადგენდა მედიათეკას, რ-იც კულტ. ღონისძიებებს მხოლოდ ლიტ-რის სფეროში აწყობდა. 2002-იდან მას შეუერთდა თბილისის ,,ალიანს ფრანსეზი'' (ფრანგული ენის კურსები) და გაიხსნა ,,ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი'', რ-მაც, მედიათეკისა და ენის კურსების გარდა, იტვირთა უფრო მასშტაბური ფუნქცია, კერძოდ, მრავალმხრივი კულტ. თანამშრომლობა საქართველოსთან.

2010 წ. 1 იანვ-თვის დ. ც. განთავსებული იყო ორ შენობაში: საქართვ. პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკის მე-3 კორპუსში მდებარეობდა მედიათეკა 21 ათ. ბეჭდური და აუდიოვიზუალური დოკუმენტური მასალით, 60 დასახელების ფრანგულენოვანი ჟურნალ-გაზეთით, საბავშვო განყ-ბით, ფრანგული ტელეარხებით, საფრანგეთში სწავლების მსურველთათვის გახსნილი ,,კამპუს ფრანსეს'' სააგენტოთი და საინფორმაციო ცენტრით თანამედროვე საფრანგეთის შესახებ. დ. ც-ში შემოღებულია ბ-კების ფრანგული მოდელი – დაშვებულია ღია თაროებთან მკითხველის თავისუფალი მისვლა; ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის შენობაში მდებარეობდა დ. ც-ის ადმინისტრაცია, კულტ. პროგრამების განყ-ბა, ფრანგული ენის შესასწავლი კურსები.

დ. ც-ის მიერ მოწყობილი კულტ. ღონისძიებები ძირითადად თანამედროვე ფრანგული ხელოვნების პოპულარიზაციას ემსახურება, თუმცა არც ძვ. კულტ. მემკვიდრეობას ტოვებს უყურადღებოდ. ქართ. საზ-ბას იგი ყოველწლიურად მრავალფეროვან პროგრამას სთავაზობს: ფილმების ჩვენება, თემატური გამოფენები (მხატვრობა, არქიტექტურა, ფოტოგრაფია), კონცერტები და სხვ. ხელს უწყობს ფრანგ და ქართვ. ხელოვანთა ურთიერთთანამშრომლობას, ერთობლივი ნაშრომების შექმნას, ასრულებს შუამავლის როლს საფრანგეთსა და საქართვ. შორის კულტ. უთიერთობების განვითარებაში.

კულტ. ღონისძიებების გარდა, დ. ც-ში ტარდება მრავალი შეხვედრა, პრეზენტაცია, კონკურსი, სემინარი, დებატები განათლებისა და მეცნ. სფეროში. დ. ც. მჭიდროდ თანამშრომლობს ქართ. ორგანიზაციებთან, პროფესიულ ასოციაციებთან, უნ-ტებთან.

დ. ც-ს აქვს მოძრავი ბ-კა – ბიბლიობუსი, რ-იც სტუმრობს ფრანგულენოვან სკოლებს თბილისსა და რეგიონებში. ასევე სისტემატურად ამარაგებს წიგნებით ქართვ. 5 ბ-კის ფრანგულენოვან განყ-ბებს.

დ. ც-ში მოქმედებს მ. მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამა, რ-ის მეშვეობითაც, 1998-იდან მოყოლებული, 85 ფრანგი და ფრანკოფონი ავტორის ნაწარმოებები ითარგმნა და გამოიცა ქართ. ენაზე (როგორც კლასიკოსები, ისე თანამედროვე ავტორები). ყოველი გამოცემული წიგნის 50–100 ეგზემპლარი რეგულ. ეგზავნება საქართვ. ბ-კებს.

დ. ც-ში ყოველ სასწ. წელს 400 სტუდენტი სწავლობს. სწავლება მიმდინარეობს ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. სასწ. წელი მოიცავს 5 ორთვიან სესიას; ცენტრში ასწავლის 12 მაღალკვალიფიციური ფრანგული ენის მასწავლებელი. არის აგრეთვე რუს. და ქართ. ენების შესასწავლი კურსები. წელიწადში ორჯერ დ. ც. ატარებს საერთაშ. გამოცდებს ფრანგული ენის მცოდნის დიპლომების გასაცემად (DELF, DALF, TCF).

დიუმეზილი (Dumézil) ჟორჟ (4. III. 1898, პარიზი, – 11. X. 1986, იქვე), ფრანგი ენათმეცნიერი. კავკასიოლოგი, რელიგიის ისტორიის, ეპოსისა და შედარებითი მითოლოგიის სპეციალისტი. მეცნ. დოქტორი (1924), სტამბოლისა (1925–31) და უფსალის უნ-ტების პროფესორი (1931–33). 1935-იდან მუშაობდა პარიზის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. ავტორია მონოგრაფიებისა: ,,შედარებითი ნარკვევები ჩრდილო-დასავლურ კავკასიურ ენათა შესახებ; მორფოლოგია'' (1932), ,,შედარებითი ძიებანი კავკასიური ზმნის შესახებ'' [(1933), გაანალიზებულია ჩრდ.-კავკ. ენათა ზმნის ზოგიერთი მორფოლ. კატეგორია]; ,,უბიხური ზმნა'' (1975). ცნობილია დ-ის გამოკვლევები აფხ., ადიღეური და უბიხური ენების შესახებ. გამოსცა აფხაზური, ადიღეური, უბიხური და ზანური ფოლკლორული ტექსტები. აქვს აგრეთვე გამოკვლევა კავკ. ალბანელთა შესახებ.

თხზ.: Documents anatoliens sur les langues et les traditions du Caucase, t. 1–5, P., 1960–67; Осетинский эпос и мифология, M., 1976.

ლიტ.: ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; А б а е в В. И., Ж. Дюмезиль – исследователь осетинского эпоса и мифологии, M., 1976. *გ. თოფურია.*


დიუპრე (Dupré) ადრიან [გ. 1831, სმირნა (იზმირი), თურქეთი], ფრანგი მოგზაური, დიპლომატი, დიპლ. სამსახურს ეწეოდა უმთავრესად აღმ. ქვეყნებში. ფრანგი პოლკოვნიკის *როტიეს* ცნობით, 1799–1822 საფრანგეთის კონსულად იყო ტრაპიზონში, სადაც ერთხანს რუს. ვიცე-კონსულის მოვალეობასაც ასრულებდა. დ-ს თხზულებები ძირითადად მის დიპლ. მოღვაწეობას ეხება; თხზულებაში ,,მოგზაურობა სპარსეთში'' კავკასიაც იხსენიება. ნაწყვეტში ,,შავი ზღვის ზოგიერთი ქალაქისა და პორტის აღწერა'' მოცემულია ბათუმის, ახალციხისა და მიმდებარე მხარეების – რიზეს, არზრუმის, ტრაპიზონის, თოქათისა და სინოპის გეოგრაფია, სავაჭრო-ეკონ. აღწერილობა. ზოგან დართულია ისტ. მიმოხილვაც.

ლიტ.: П о л и е в к т о в М. А., Европейские путешественники по Кавказу 1800–1830 гг. Тб., 1946. *ბ. გიორგაძე.*

დიფერენციალური აღრიცხვა, *მათემატიკის* დარგი, რ-იც შეისწავლის ფუნქციის წარმოებულებს, დიფერენციალებსა და მათი გამოყენების ხერხებს. დ. ა. ემყარება მათემატიკის უმნიშვნელოვანეს ცნებებს (ნამდვილი რიცხვი, ფუნქცია, ზღვარი, უწყვეტობა). დ. ა-ის ცენტრ. ცნებებია წ ა რ მ ო ე ბ უ ლ ი და დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ლ ი.

$y = f(x)$ ფუნქციის წარმოებული x წერტილში [აღინიშნება y', $f'(x)$ ან dy/dx სიმბოლოებით] ეწოდება ფუნქციის ნაზრდისა და არგუმენტის ნაზრდის შეფარდების ზღვარს (თუ კი ის არსებობს), როცა არგუმენტის ნაზრდი ნებისმიერად მიისწრაფვის ნულისაკენ. წარმოებულის მოძებნის ოპერაციას გ ა წ ა რ მ ო ე ბ ა ეწოდება. თუ $f'(x)$ ფუნქციას, თავის მხრივ, აქვს წარმოებული, მაშინ ამ უკანასკნელს $y=f(x)$ ფუნქციის მეორე რიგის წარმოებულს უწოდებენ და მას y'', $f''(x)$ ან d^2y/dx^2 სიმბოლოებით აღნიშნავენ. ანალოგიურად განსაზღვრავენ უფრო მაღალი რიგის წარმოებულებსაც. $dy = f'(x_0)\Delta x$ წრფივ ფუნქციას უწოდებენ $y = f(x)$ ფუნქციის დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ლ ს x_0 წერტილში. დამოუკიდებელი x ცვლადის დიფერენციალი ემთხვევა მის ნაზრდს, $dx = \Delta x$, ამიტომ $dy = f'(x)dx$, ე. ი. $f'(x) = dy/dx$.

წარმოებულის ცნება წარმოიშვა ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის მრავალი ამოცანიდან. მ. შ. უმნიშვნელოვანესია წერტილის მოძრაობის მყისი სიჩქარის განსაზღვრა და წირის მხების აგება.



დიფერენციალური აღრიცხვა

წარმოებულის გეომეტრიული შინაარსი. $y = f(x)$ ფუნქციის გრაფიკზე ირჩევენ აბსცისას x_0 და გამოითვლიან შესაბამის ორდინატას $y = f(x_0)$. x_0 წერტილის მიდამოში ირჩევენ ნებისმიერ წერტილს $x_0 + \Delta x$ და ფუნქციის გრაფიკის შესაბამის A და B წერტილებზე გაავლებენ AB მკვეთს. როცა აბსცისის ნაზრდი $\Delta x = x - x_0$ მისწრაფვის ნულისკენ (ანუ როცა x წერტილი მიისწრაფვის x_0 წერტილისკენ), AB მკვეთი მიისწრაფვის AC მხებისკენ. AC მხების დახრის კუთხის ტანგენსი არის $y = f(x)$ ფუნქციის წარმოებული x_0 წერტილში.

დ. ა-ის ჩამოყალიბება დამოუკიდებელ მათ. დისციპლინად დაკავშირებულია ინგლ. მეცნიერის ი. *ნიუტონისა* და გერმ. მეცნიერის გ. *ლაიბნიცის* სახელებთან (XVII ს. II ნახ.). მათ ჩამოაყალიბეს დ. ა-ის ძირითადი დებულებები და მიუთითეს დიფერენცირებისა და ინტეგრების ურთიერთდამოკიდებულებაზე. იმ დროიდან დ. ა. ვითარდება *ინტეგრალურ აღრიცხვასთან* ერთად და ორივე შეადგენს *მათემატიკური ანალიზის* (უსასრულოდ მცირეთა აღრიცხვის) ძირითად ნაწილს. დ. ა-ის შემდგომ განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ლ. *ეილერისა* და ჟ. ლაგრანჟის შრომებმა (XVIII ს.). ეილერმა პირველმა ჩამოაყალიბა დ. ა., როგორც გეომეტრიისა და მექანიკისაგან დამოუკიდებელი ანალიზური დისციპლინა. XIX ს-ში ზღვართა თეორიის საფუძველზე გადაწყდა დ. ა-ის დაფუძნების ამოცანა. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით ფრანგ, ჩეხ და გერმ. მათემატიკოსებს: ო. კოშის, ბ. ბოლცანოს, კ. ფ. გაუსს, კ. ვაიერშტრასს. დ. ა-ის საწყისი ცნებების უფრო ღრმა ანალიზი დაკავშირებულია სიმრავლეთა თეორიისა და ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიის განვითარებასთან (XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყ.).

დ. ა-ის პირველი სახელმძღვანელო ქართ. ენაზე შეადგინა

ა. *რაზმაძემ* (დაიბეჭდა თბილისში 1920).

ლიტ.: გოკიელი ლ., დიფერენციალური აღრიცხვა, ტფ., 1932; რაზმაძე ა., მათემატიკური ანალიზის კურსი, ტ. 1 – შესავალი, ტფ., 1920; ქარცივაძე ი., მათემატიკური ანალიზი, ტ. 1, თბ., 1981; ხარაძე ა., ჭელიძე ვ., ხვედელიძე ბ., ქარცივაძე ი., მათემატიკური ანალიზის კურსი, ტ. 1–2, თბ., 1963–68.

დიფერენციალური განტოლებები, თანაფარდობები, რ-ებიც ერთმანეთთან აკავშირებს ერთ ან რამდენიმე საძიებელ ფუნქციას, მათ სხვადასხვა რიგის წარმოებულებსა და დამოუკიდებელ ცვლადებს. მექან. და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მოთხოვნილებებმა განაპირობა **დ.** გ-თა თეორიის ჩასახვა XVII ს. დამლევს *დიფერენციალურ აღრიცხვასა* და *ინტეგრალურ აღრიცხვასთან* ერთად. ტერმ. ,,**დ. გ.**'' პირველად იხმარა გერმ. მეცნ. გ. *ლაიბნიცმა.* ამ დარგის განვითარება იხ. სტატიებში *კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებები* და *ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებები.*



ა. დიღმელოვი.

დიფერენციალური გეომეტრია, *გეომეტრიის* დარგი, რომელშიც გეომეტრიული ობიექტები შეისწავლება *დიფერენციალური აღრიცხვის* მეთოდებით. **დ.** გ-ის კვლევის უმნიშვნელოვანესი ობიექტებია ევკლიდური სივრცის წირები და ზედაპირები, აგრეთვე წირთა და ზედაპირთა ოჯახები. **დ.** გ., პირველ რიგში, იკვლევს გეომ. სახეობათა (წირების, ზედაპირებისა და მათი ოჯახების) ისეთ თვისებებს (ე. წ. დიფერენციალურ თვისებებს), რ-ებიც გააჩნია მათ რაგინდ მცირე მიდამოებს. ამასთან, ელემენტარული და *ანალიზური გეომეტრიისგან* განსხვავებით, რ-ებიც, ძირითადად, ალგებრის მეთოდებით სწავლობს ცალკეულ წირებსა და ზედაპირებს ან წირთა და ზედაპირთა სპეც. კლასებს, საზოგადოდ, **დ.** გ. განიხილავს წირებსა და ზედაპირებს, თუკი ისინი მოცემულია ისეთი განტოლებებით, რ-თა შესწავლა შესაძლებელია მათემატიკური ანალიზის მეთოდებით.

დ. გ-ის ძირითადი იდეები ჩამოაყალიბეს ლ. *ეილერმა* და ფრანგმა მათემატიკოსმა გ. მონჟმა XVIII ს. II ნახევარში. **დ.** გ-ის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმ. მათემატიკოსების კ. გაუსის, ბ. რიმანის, ფ. კლაინის, ჰ. ვაილის, რუსი მათემატიკოსის კ. პეტერსონის, იტალ. მათემატიკოსების ე. ბელტრამის, ლ. ბიანკის, ტ. ლევი-ჩივიტას, გ. რიჩის, ფრანგი მათემატიკოსების ჟ. დარბუს, ე. კარტანისა და სხვ. შრომებს. მნიშვნელოვანი შედეგები მიიღეს **დ.** გ-ში რუსმა მეცნიერებმა დ. ეგოროვმა, ნ. ლუზინმა, ს. ფინიკოვმა, ა. ალექსანდროვმა, ა. პოგორელოვმა და სხვ.

საქართველოში **დ.** გ-ზე (ტენზორული პროექციულ-დიფერენც. გეომეტრია და აფინურ-დიფერენც. გეომეტრია) მუშაობა დაიწყო XX ს. 30-იან წლებიდან, კერძოდ, ა. *ჩხტაურის* შრომებში აგებული იყო ბრტყელი ბადეების შინაგანი გეომ. ინვარიანტული თეორია, რ-იც ზედაპირთა თეორიაში გამოიყენეს.

ლიტ.: ჩახტაური ა., დიფერენციალური გეომეტრია, გამოც. მე-3, თბ., 1976.

დიფერენციალური ფსიქოლოგია, *ფსიქოლოგიის* დარგი, რ-იც შეისწავლის ადამიანთა ქცევისა და განცდების ინტერ- და ინტრაინდივიდუალურ განსხვავებებს, აღწერს და იკვლევს მათი წარმოშობის მიზეზებს. მეცნიერული **დ.** ფ-ის ფუძემდებლად ითვლება გერმ. ფსიქოლოგი ვილიამ შტერნი, რ-მაც თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში (1900) პირველმა ჩამოაყალიბა დარგის მეთოდოლოგიური მოძღვრება. შტერნმა გამოყო პიროვნების კვლევის ოთხი მიდგომა (ვარიაციის, კორელაციის, კომპარაციისა და ფსიქოგრაფიის), რ-საც უნდა ემყარებოდეს პიროვნების კვლევა და რ-იც დღესაც წარმატებით გამოიყენება ფსიქოლოგიაში. იმავე პერიოდში ა. ბინეს (1903) მიერ დაწყებული ტესტირება აღმოჩნდა **დ.** ფ-თვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი ინტელექტის მიხედვით განსხვავებათა საკვლევად. 1917, როდესაც ამერიკა ჩაერთო პირველ მსოფლიო ომში, შეიქმნა სპეციალური კომიტეტი (იერკსი, ოტისი), სადაც დაიწყო სპეციალური ტესტების შემუშავება და გამოყენება წვევამდელების ინტელექტუალური უნარების შესამოწმებლად. შემდგომში **დ.** ფ. მნიშვნელოვანი ემპირიული მონაცემებით შეივსო ბიოლოგიის, გენეტიკის, კულტურის ანთროპოლოგიისა და სტატისტიკის სფეროდან. ამ მონაცემების სისტემატიზირება მოხდა ა. ანასტაზისა (1958) და ჰოფშტეტერის (1971) მონოგრაფიებში.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში **დ.** ფ-ს ხშირად პიროვნების ფსიქოლოგიას, ზოგჯერ კი ინდივიდუალურ ფსიქოლოგიას უწოდებენ. ამის შესახებ აზრთა სხვაობა არსებობს: ავტორთა დიდი ნაწილი თვლის, რომ **დ.** ფ. შეისწავლის მხოლოდ იმ ნიშნებს (თვისებებს), რ-ითაც ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან (Fisseni, 1998), ხოლო პიროვნების ფსიქოლოგიას კი საქმე აქვს პიროვნების საფუძვლად მდებარე სტრუქტურებთან და პროცესებთან. თუმცა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ პიროვნების შესახებ თავისი კონცეფციის ჩამოყალიბების დროს პიროვნების ფსიქოლოგია ითვალისწინებდეს **დ.** ფ-ის მონაცემებსაც.

საქართველოში **დ.** ფ-ის კვლევას საფუძველი ჩაუყარა დ. *უზნაძემ,* რ-მაც დაადგინა, რომ განწყობის შემუშავება, ფიქსირება და გამოვლენა ინდივიდუალურად განსხვავებულ ხასიათს ატარებს. შემუშავდა განწყობის ძირითადი დიფერენციალურ-ფსიქოლ. ცნებები და განწყობის ტიპოლოგიური ერთეულები. განწყობის განსხვავებული ტიპების ქარაქტეროლოგიური ღირებულება გამოიკვლია ვ. *ნორაკიძემ,* რ-მაც განწყობის ტიპოლოგიის საფუძველზე გამოყო ხასიათის განსხვავებული ტიპები.

ლიტ.: Asendorf J. B., Psychologie der Persönlichkeit, B., 2004; Salevski Chr., Renner B., Differentielle und Persönlichkeitspsychologie, Münch., 2009.

დ. ფარჯანაძე.

დიღმელოვი (დიღმელაშვილი) ალექსანდრე დავითის ძე (22. X. 1884, სოფ. ჭოპორტი, ახლანდ. დუშეთის მუნიციპალიტეტი, – 31. III. 1958, თბილისი), კინოოპერატორი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1945). ქართ. საოპერატორო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1899–1900 მამის ფოტოატელიეში მუშაობდა ლაბორანტად და რეტუშორად. 1910-იდან **დ.**-მა დამოუკიდებლად დაიწყო კინოსიუჟეტებისა და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების გადაღება, მ. შ. ,,ვასილიევის, უტოჩკინისა და ქებურიას გაფრენა'', ,,მცხეთობა'', ,,ბორჯომის მინერალური წყალი'', ,,თბილისის ბოტანიკური ბაღი'', ,,ქართული ჭიდაობა'', ,,ყარაჩოხელთა ქეიფი მცურავ ტივებზე'', ,,ლადო მესხიშვილის იუბილე ქუთაისში 1912 წელს'', ,,დღე'' და სხვ. მისივე გადაღებულია პირველი ქართ. მხატვრული ფილმი ,,ქრისტინე'' (1916–18, რეჟ. ა. *წუწუნავა*), აგრეთვე რეჟისორ ვ. *პარსკის* მხატვრული ფილმები ,,თავმოკვეთილი გვამი'' (1919), ,,ცეცხლთაყვანისმცემლები'' (1920) და სხვ.

დ. აქტიურად მონაწილეობდა კინემატოგრაფიულ საქმიანობაში, იყო ,,სახკინმრეწვის'' წამყვანი ოპერატორი. მისი საუკეთესო ფილმებია: ,,არსენა ჯორჯიაშვილი'' (1921), ,,წითელი ეშმაკუნები'' (1923), ,,სამი სიცოცხლე'' (1924), ,,ჯანყი გურიაში'' (1928), ,,უკანასკნელი ჯვაროსნები'' (1934), ,,არსენა'' (1937), ,,გიორგი სააკაძე'' I და II სერია (1942–43; სსრკ სახელმწ. პრემია, 1946), ,,მაგდანას ლურჯა'' (1955, ლ. *სუხოვთან* ერთად) და სხვ. დ. ფლობდა გადაღების ბრწყინვალე ტექნიკას, შესანიშნავად გრძნობდა მხატვრულ-ფოტოგრაფიულ ფორმასა და შუქჩრდილებს, ითვლება კომბინირებული გადაღების პიონერად ქართ. კინოში [,,ქაჯეთი'' (1936), ,,ქეთო და კოტე'' (1948), ,,ორი ოკეანის საიდუმლოება'' (I და II სერია, 1955–56) და სხვ.]. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ა. გვენცაძე.

დიღმის ბრძოლა 1567, ყიზილბაშ დამპყრობლებთან ქართველი ხალხის ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი. ირანის შაჰის, თამაზ I-ის, მიერ ქართლის მეფედ დანიშნული გამაჰმადიანებული *დავით XI* (დაუთ-ხანი) ყიზილბაშთა ძალებით თბილისის ციხეში იყო გამაგრებული. 1567 ქართლის მეფე *სიმონ I-მა* თბილისის გასათავისუფლებლად ლაშქარი შეკრიბა და დიღმის ველზე დაბანაკდა. დავით XI ქალაქის ციხიდან გამოვიდა ყიზილბაშების, თბილისელი მოლაშქრეებისა და სომხით-საბარათიანოს ლაშქრით და სიმონ I-ის ლაშქარს შეება. ამ ბრძოლაში დავით XI დამარცხდა. ერთი ცნობით, მას 2000 მეომარი დაელუპა. ბრძოლის ველიდან გაქცეულმა დავით XI-მ თბილისის ციხეს შეაფარა თავი. სიმონ I-მა ქალაქს ალყა შემოარტყა, თუმცა მისი გათავისუფლება ვერ შეძლო (იხ. *აგრეთვე სამადლოს ბრძოლა 1568, ფარცხისის ბრძოლა 1569).*

წყარო: ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; გორგიჯანიძე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2.

ლიტ.: გუჩუა ვ., სვანიძე მ., ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის XVI საუკუნეში, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

ვ. გუჩუა.

დიღმის განძი, XII–XIII სს. სპილენძის ქართული მონეტების განძი, აღმოჩენილი 1955 სოფელ დიღომში. განძი შეიცავდა *გიორგი III-ის* სახელით მოჭრილ 67 მონეტას, გიორგისა და თამარის 1 მონეტას, თამარის 203 მონეტას, *გიორგი IV* ლაშას 170 მონეტას. მცირე რაოდენობით იყო აგრეთვე ილდეგიზიდური და სელჩუკური მონეტები. განძი ჩამარხულია XIII ს. 20–30-იანი წწ. მიჯნაზე.

ლიტ.: Джалагания И. Л., Иноземная монета в денежном обращении Грузии V–XIII вв., Тб., 1979.

გ. დუნდუა.

დიღმის კარი, შუა საუკუნეების თბილისის ერთ-ერთი კარიბჭე. დატანებული იყო კალის გალავნის ჩრდ.-დას. კედელში, დაახლ. ახლანდ. ა. პუშკინისა და ნ. ბარათაშვილის ქუჩების გადაკვეთის ადგილზე, იქ, სადაც ვერცხლის ქუჩა პუშკინის ქუჩას უერთდება. აქ იწყებოდა სოფ. დიღმისკენ მიმავალი გზა – ,,დიღმის გზა'' (აქედანვეა სახელწ. ,,დ. ჯ.'').

ცნობილია კარიბჭის მეორე სახელწ. – ,,შუა კარი'' ზემო კარსა (იგივე – მაღლა კარი, *კოჯრის კარი)* და ქვემო კარს (იგივე – დაბლა კარი, *წყლის კარი*) შორის მდებარეობის გამო. *თ. ბერიძე.*


დიღმისწყალი, დიღმულა, მდინარე აღმ. საქართველოში, მცხეთის მუნიციპალიტეტისა და ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში. მტკვრის მარჯვ. შენაკადი. სათავე აქვს საწკეპელას ქედის სამხრ.-აღმ. კალთაზე, ზ. დ. 1400 *მ* სიმაღლეზე. მტკვარს ერთვის თბილისში, შ. შალიკაშვილის (ყოფ. დიდუბის) ხიდის მახლობლად. სიგრძე 22 *კმ,* აუზის ფართ. 72,7 *კმ*^{2}.

დ-ის მდგენელებია ტაბარუკისხევი და ბევრეთისწყალი, შენაკადები – კვარათხევი, ძალანთხევი, წოდორეთისწყალი და სხვ. საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმოვარდნა – შემოდგომაზე, წყალმცირეა ზამთარსა და ზაფხულში. გვალვების დროს მისი წყალი მტკვრამდე ვერ აღწევს. საშ. წლ. ხარჯი 0,25 *მ*^{3}*/წმ.*

დიღმისხევი, ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი, ადმ.-ტერ. ერთეული შუა საუკ. აღმ. საქართველოში. ცენტრი – დიღომი. მოიცავდა დიღმის ტერიტორიას და უკიდურეს სამხრ.-დას. მხარეს. დ. ხ-ში ინტენსიურად იყო განვითარებული სოფლის მეურნეობა, კერძოდ, მევენახეობა. ხევის ქვედა ნაწილი – დიღმის ველი – მეფეთა სანადირო ადგილი იყო. იყენებდნენ საძოვრადაც. დ. ხ-ის მიწებზე სახლობდნენ სამეფო კარის, საეკლ. და სათავადო გლეხები. სამხრ.-დას. მხრიდან თბილისს მომდგარ მტერს ჩვეულებრივ დ. ხ-ის მიდამოებში უხდებოდა დაბანაკება. IX–XI სს-ში დ. ხ. თბილისის საამიროს ნაწილი იყო. ამ ტერიტორიაზე მიკვლეულია მრავალი არქეოლ. ძეგლი (იხ. აგრეთვე სტ. *დიღმის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები).*

დ. მუსხელიშვილი.

დიღმის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დროის ნამოსახლარები და სამაროვნები, ეკლესიის, საკულტო და სამეურნეო ნაგებობათა ნანგრევები, აღმოჩენილი დიღმის ხეობის სხვადასხვა ადგილას. ხეობა დასახლებული ყოფილა უძველესი



დიღმის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები (გრაფიკული გამოსახულება): 1, 2 – თიხის ჭურჭელი. წითლად გამომწვარი თიხა. მტკვარ-არაქსის კულტურა. ძვ. წ. IV– III ათასწლ.; 3, 4 – თიხის ჭურჭელი. მონაცრისფროდ გამომწვარი თიხა. გვიანდელი ბრინჯაო – ადრინდ. რკინის ხანა (ძვ. წ. XIV– XI სს.); 5 – სამტუჩა ხელადა. წითლად გამომწვარი თიხა. გვიანდ. ანტ. ხანა I– III სს.; 6 – ჯამი. წითლად გამომწვარი თიხა. ძვ. წ. I ს.

დროიდან. ხეობის ქვედა წელზე, თრელიგორებად წოდებული ბორცვების მახლობლად, ზედაპირულად აკრეფილია მუსტიეს ხანის კაჟის იარაღი. არქეოლ. გათხრებით (1969-იდან, ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი) დიღმისწყლის მარცხ. ნაპირას, საქართვ. სამხ.

გზასთან, გამოვლინდა ენეოლითადრინდ. ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი (ძვ. წ. IV–III ათასწლ. მიჯნა). ოთხკუთხა შენობები ნაგებია რიყის ქვით. თიხატკეპნილ იატაკზე შუაში თიხის ან რიყის ქვის ოვალური კერებია. იატაკში ჩაჭრილია მსხლისებური მოყვანილობის ორმოები, რ-ებიც ბათქაშითა და თიხის ჭურჭლის ნატეხებით იყო ამოვსებული. მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის ფორმებთან ერთად გვხვდება ბზენარევი კერამიკაც.

თრელიგორებზე გაითხარა მრავალფენიანი ნამოსახლარი, რ-ის ძირითადი ფენები გვიანდ. ბრინჯაოს და ადრინდ. რკინის ხანისაა (ძვ. წ. XV–VI სს.). დასახლება არსებობდა გვიანდ. ანტიკურსა და ადრინდ. ფეოდ. ხანაშიც. იგი ტერასებადაა განლაგებული. ნახევრად მიწური სახლების კედლები რიყისა და ფლეთილი ქვითაა ნაგები და თიხით შელესილი. გადახურვა ბანური იყო. იატაკი თიხატკეპნილია, ზოგჯერ ფილაქვით მოფენილი. ყველა საცხოვრ. კომპლექსში აღმოჩნდა ღუმლები, თიხით შელესილი ბაქნები, სხვადასხვა ფორმის საკურთხევლები.

თრელიგორების აღმ-ით, დიღმის ველზე, აღმოჩნდა ადრინდ. ფეოდ. ნამოსახლარი და სხვადასხვა დროის სამაროვნები. განსაკუთრებით მდიდრული იყო ძვ. წ. VIII–VII სს. გორასამარხები, სადაც ოქროს, ბრინჯაოს, რკინის ნივთები და დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭელია ნაპოვნი. აღსანიშნავია თიხის შავპრიალა ზოომორფული რიტონები. ძვ. წ. III–I სს. ორმოსამარხებსა და ქვევრსამარხებში ბრინჯაოსა და ვერცხლის სამკაული აღმოჩნდა, I–III სს. სამარხებში, ადგილ. წარმოშობის ნივთებთან ერთად, რომაული გემები და მონეტებიც იყო. ამავე ხანის სამარხები გაითხარა სოფ. დიღომში, ხოლო დიღმის ველზე, ვაშლივაკარში, თელოვანში, დიდგორაზე, ჯოიანში, ბაჭყალაზე, ლელობში და აგრეთვე დიღომში – ადრინდ. ფეოდ. ხანის (IV–VIII სს.) სამაროვნები. ქვაყუთებში და ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხებში მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ ქრისტ. წესით. ჩატანებული ჰქონდათ სამკაული და ტანსაცმლის მოსართავი ლითონის ნივთები.

დიღმის ხეობის სათავეში, სოფ. ლელობთან, აღმოჩნდა XIII–XIV სს. ნამოსახლარი, რ-საც ,,ნაქალაქარს'' უწოდებდნენ. მიწის ზედაპირზე შემორჩენილია ეკლესიის, საკულტო და სამეურნ. ნაგებობათა ნანგრევები. შენობები მშრალი წყობითაა ნაგები. გვხვდება ორ- და სამოთახიანი კომპლექსები. საცხოვრ. ნაგებობებს ეკვრის სამეურნ. დანიშნულების სათავსები (მარანი, ფარეხი და სხვ.). შენობათა იატაკში ჩაჭრილია ხაროები. არქეოლ. მასალიდან აღსანიშნავია მოჭიქული თიხის ჭურჭელი, ქართულ-ჰულაგუიდური მონეტა, მინის ჭურჭლის და სამაჯურის ნატეხები და სხვ.

ფეოდ. ხანას განეკუთვნება დიღმის ხეობაში შემორჩენილი სარწყავი სისტემის ნაშთები – კაშხლები, აკვედუკები და კლდეში ნაკვეთი არხები. დიღმის ხეობაში ხელსაყრელი პირობები იყო მეცხოველეობის განვითარებისათვის. ხეობას ჰქონდა საკუთარი საზამთრო და საზაფხულო საძოვრები და მასზე გადიოდა თრიალეთისკენ მიმავალი ე. წ. ცხვრის გზა. ანტ. ხანაში დიღომი და დიღმის ხეობა თავდაპირველად მცხეთის, ხოლო V ს-იდან თბილისის სას.-სამ. შემოგარენი იყო.

ლიტ.: აბრამიშვილი რ., ნიკოლაიშვილი ვ., რამიშვილი ა., არქეოლოგიური გათხრები დიღმის ხეობაში, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნების ისტორიის სერია, 1971, №2.

თ. ნიკოლაიშვილი.

დიღომი, სოფელი ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში (ვაკე-საბურთალოს რ-ნი), დ. იხსენიება *ლეონტი მროველთან* (XI ს.). ისტ. წყაროებში სოფელი დიღუამისა და დიღვამის სახელითაც გვხვდება. დ-ის ისტორია მჭიდროდ უკავშირდება თბილისის ისტორიას [მეფე ვახტანგ გორგასალმა (V ს.) სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლის მოლოდინში დ-თან დაიბანაკა]. არაბთა ბატონობის დროს დ. და მისი ხეობა თბილისის საამიროში შედიოდა. X ს. დასაწყისისათვის თბილისის საამიროს საზღვარი *დიღმისხევამდე* აღწევდა.

ფეოდ. ხანაში დ. ცალკე ადმ. ერთეულის – დიღმისხევის – ცენტრი იყო.

დიდგორის ომში ქართველთა გამარჯვებამ და თბილისის შემოერთებამ დ. სეფე მაშულად აქცია. ქართლის მეფე *სიმონ I-მა* XVI ს. II ნახევარში დ. თავის რეზიდენციად გადააქცია და წლების განმავლობაში იბრძოდა სპარსელებისა და თურქებისაგან თბილისის გასათავისუფლებლად. მან დ-თან ბრძოლაში დაამარცხა მოღალატე დაუთ-ხანი (იხ. *დიღმის ბრძოლა 1567).* 1580 დ-ში სიმონ I-ს თავს დაესხა კახეთის მეფე ალექსანდრე II. დ. სახელმწ., ანუ სახასო სოფელი იყო როგორც ქართვ. მეფეების დროს, ასევე ცარიზმის ხელისუფლების დამყარების შემდეგაც. 1811 რუს. იმპ. ალექსანდრე I-მა დ. საჩუქრად გადასცა ერეკლე II-ის ასულს – ქეთევან ბაგრატიონს, რ-იც ივანე მუხრანბატონზე იყო



დიღომი. წმინდა გიორგის ეკლესია. X–XI სს.

საწკეპელას ქედის სამხრ.-აღმ. მთისწინეთსა და დიღმის ვაკეზე, მდ. დიღმისწყლის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 520 *მ* გათხოვილი. ამ დროიდან დ. მუხრანბატონთა სამემკვიდრეოდ იქცა, ხოლო ნაწილი საეკლ. და საბატონო მამულად დარჩა.

საქართვ. დემოკრ. რესპ. არსებობის პერიოდში დ. ახალშექმნილ ადმ. ერთეულში – თბილისის გარეუბნის რ-ნში – შევიდა. 1921 თებ. დღეებში რუს. წითელი არმიის ნაწილების თავდასხმის ერთერთი ობიექტი დ-ც გახდა. 1924 აგვ. აჯანყების დროს დიღმელებმა სპეც. რაზმი შემოიყვანეს აჯანყებულთა დასახმარებლად.

გადმოცემით, დ-სა და მის მიდამოებში წმ. გიორგის 7 ეკლესია მდგარა. აქედან ორი დ-შია, ერთი მათგანი – ერთნავიანი ეკლესია – სოფლის შესასვლელში დგას. დარბაზის კამარა ჩამოქცეულა და აღდგენის შემდეგ ისრული ფორმა მიუციათ. აღდგენის კვალი ფასადებსაც ეტყობა, მორთულობისა და წარწერების ნაწილი თავის ადგილზეა, ნაწილი კი დაზიანებულია და სხვადასხვა ადგილას არის ჩასმული. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. სამხრ. და აღმ. ფასადებზე გამოსახულია ლომები, ფრინველები, ჯვრები და ასომთავრული წარწერები. სტილისტიკური ნიშნებით ეკლესია X ს. დასასრ. ან XI ს. დასაწყისშია აგებული. რესტავრირებულია XVI–XVII სს-ში. იმავე ხანებში დას-იდან მიუშენებიათ მცირე ზომის სადგომი, რ-ზედაც XIX ს. ბოლოს სამრეკლოს ფანჩატური დაუდგამთ (მოიხსნა 1980 ჩატარებული რესტავრაციის დროს, ბოლოს რესტავრ. 2009). მეორე – ,,თეთრი გიორგის'' ერთნავიანი ეკლესია – სოფლის სამხრ.-დას-ით, გორაკზე დგას. წარწერის თანახმად, იგი 1863 აუშენებია ვინმე ზაქარიას. ეკლესიაში არის რელიეფი, რ-ზედაც გამოსახულია წმ. გიორგის მიერ გველეშაპის განგმირვის სცენა. დ-ის მიდამოებშია აგრეთვე *ონადირისა* და *ზეგარდის* წმ. გიორგის ეკლესიები. წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევებია დიდგორის მთაზე. სოფლის განაპირას, სამხრ-ით, წმ. გიორგის კიდევ ერთი ეკლესიაა (XIX ს.).

სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში, სასაფლაოზე, დგას ღვთისმშობლის ეკლესია (არაუგვიანეს X ს.). ერთნავიან ნაგებობას აღმ-ით აფსიდი აქვს. ნაგებია დაუმუშავებელი ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს, რ-ის თავზეც არქიტრავის უზარმაზარი სუფთად გათლილი ქვაა მოთავსებული. არქიტრავის შუაში ამოკვეთილია ორიგინალურად შესრულებული წრეში ჩასმული ჯვარი. ეკლესია ბევრჯერ არის შეკეთებული (აგურით) და მნიშვნელოვნად სახეშეცვლილია.

სოფლის სამხრ.-დას-ით, მთის ფერდობზე დგას მაჩხანის ეკლესია, აგებული IX ს. შუა ხანებში. ეკლესია დარბაზულია. კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის კვალი.

სოფელში დგას გვიანდ. შუა საუკ. აგურით ნაგები, წმ. მარინეს ერთნავიანი ეკლესია. გადაკეთებულია XIX ს-ში. ერთიანად შელესილია. კარი სამხრ-იდან აქვს. იგი გარედან არქიტრავით არის გადახურული, შიგნიდან – თაღით. გრძივ კედლებზე პილასტრებია, რ-ებსაც ეყრდნობა კამარის საბჯენი და პილასტრებს შორის გადაყვანილი კედლის თაღები. სოფელში დგას აგრეთვე კვირაცხოვლის ეკლესია (XIX ს.).

დ-ში შემონახულია ადრინდ. შუა საუკ. სარწყავი სისტემა.

ლიტ.: Шмерлинг Р. О., Долидзе В. Г., Барнавели Т. В., Окрестности Тбилиси, Тб., 1960. *პ. ზაქარაია. დ. მუსხელიშვილი. ა. სონღულაშვილი.*

დიჟი (Heracleum), მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა. მაღალი, ორ- და მრავალწლოვანი ბალახები. აქვთ დიდი დანაკვთული ან მთლიანი ფოთლები, რთულ ქოლგად შეკრებილი თეთრი, იშვიათად მომწვანო-ყვითელი ან კაშკაშა ვარდისფერი ყვავილები. 70-მდე სახეობა ძირითადად გავრცელებულია აღმ. ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში. საქართველოში 21 სახეობაა, მათგან 6 საქართვ. ენდემია, 8 – კავკასიისა. იზრდება უმეტესად ტყესა და სუბალპურ სარტყელში. სუბალპურ მაღალბალახეულში ფართოდაა გავრცელებული სოსნოვსკის დ. (H. sosnowskyi) და მანტეგაციის დ. (H. mantegazzianum). დ. სასიღოსე და დეკორ. მცენარეა, მის ნორჩ ყლორტებს მთის მოსახლეობა საჭმელად იყენებს. ფოთოლი და ნაყოფი მდიდარია ეთერზეთებით. ფოთლები და ღერო შეხებისას კანს აღიზიანებს და წყლულს აჩენს. *რ. გაგნიძე.*

დიცი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. პატარა ლიახვის (ლიახვის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: დ., არბო, ქორდი). ზ. დ. 880 *მ,* გორიდან 27 *კმ,* ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 7 *კმ.* 1,3 ათ. მცხ. (2002).

დ. იხსენიება ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) იმ სოფლების სიაში, რ-თა სავარგულები მდ. პატარა ლიახვით ირწყვება. სოფლის განაპირას დგას გვიანდ. ფეოდ. ხანის ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია. *ჯ. გვასალია.*

დიხაგუძბა, სოფელი გალის მუნიციპალიტეტის განახლების თემში (აფხაზეთის არ), სამურზაყანოს დაბლობზე, შავი ზღვის ნაპირას. ზ. დ. 4 *მ,* გალიდან 30 *კმ.* 271 მცხ. (1989).

დიხაგუძუბა (ყოფ. ნაკალევი), სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დიდი ნეძის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ჯუმის (ენგურის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 8 *მ,* ზუგდიდიდან 17 *კმ,* ცაცხვიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ.* 645 მცხ. (2002).

დიხაგუძუბა, ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი ბორცვი კოლხეთის დაბლობზე, ანაკლიის მახლობლად, მდ. ენგურის შესართავთან. გაითხარა 1934–36. შეისწავლა ბ. *კუფტინმა.* დ-ზე დადგენილია 4 კულტ. ფენა. I-ში აღმოჩნდა ხელით ნაძერწი კერამიკა და მეტალ. წარმოების ნაშთები (ბრინჯაოს ჩამოსასხმელი ყალიბები, წიდა). ეს ფენა თარიღდება ადრინდ. ბრინჯაოს ხანის დასასრულით (ძვ. წ. III–II ათასწლეულთა მიჯნა). II–III ფენები შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება (ძვ. წ. XVIII–XV სს.). ამ ფენებში აღმოჩნდა ხის ძელურ ნაგებობათა ნაშთები, მდიდრულად ორნამენტირებული თიხის ჭურჭელი, მახას და ფეტვის მარცვალი და სხვ. IV ფენაში აღმოჩენილი კერამიკა ჩარხზე ნაკეთებია და განსხვავდება ქვედა ფენის კერამიკისაგან. ეს ფენა ეკუთვნის გვიანდ. ბრინჯაოს ხანას. მასალა დაცულია დადიანების სასახლეთა ისტ.-არქიტექტურულ მუზეუმში.

ლიტ.: ხოშტარია ნ., დიხა გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, «საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე», 1944, ტ. 5, №4; Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, т. 2, Тб., 1950. *ე. გოგაძე.*

დიხაგუძუბა, არქეოლოგიური ძეგლების ერთ-ერთი კატეგორია, ნამოსახლარი გორა კოლხეთის დაბლობზე. იხ. *გორა.*

დიხაზურგა, სოფელი გალის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), აფხ. მთისწინეთის სამხრ.-აღმ. ნაწილში, მდ. ენგურის მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: დ., ზენი, ოცარცე). ზ. დ. 200 *მ,* გალიდან 15 *კმ.* 616 მცხ. (1989).



დიჟი. სოსნოვსკის დიჟი (Heracleum sosnowskyi).



დიჟი. მანტეგაცის დიჟი (Heracleum mantegazzianum).







დიხაგუძუბა. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

სოფელს 1952-მდე ეწოდებოდა დიდი წიფური. დ-ის ეკლესიის ნანგრევებზე აღმოჩნდა გრიგოლ გალატოზთუხუცესის (კალატოზთუხუცესი) წარწერა, რ-იც X–XI სს-ით თარიღდება. დ-ის მახლობლად არის გვიანდ. შუა საუკ. სათანჯოს კოშკი.

დიხაზურგა, არქეოლოგიური ძეგლების ერთ-ერთი კატეგორია, ნამოსახლარი გორა კოლხეთის დაბლობზე. იხ. *გორა.*

დიხამინჯია კალენიკე სიკოს ძე (15. VII. 1902, სოფ. ლეძაძამე, ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი, – 25. II. 1978, თბილისი), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1957), პროფესორი (1966). 1931 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტის სამკურნ. ფაკ-ტი; 1931–35 იყო იქვე ქირურგიის კათედრის კლინ. ორდინატორი; 1936–41 – ამავე კათედრის ასისტენტი; მეორე მსოფლიო ომის დროს – ფრონტის წამყვანი ქირურგი (ამ პერიოდში გამოაქვეყნა 8 სამეცნ. ნაშრომი). 1945–48 დაინიშნა ერთ-ერთი ჰოსპიტლის (ქ. დრეზდენი) და საქსონიის (გერმანია) მთ. ქირურგად; დემობილიზაციის შემდეგ, 1948-იდან თსსუ-ის კათედრის თანამშრომელი იყო.

დ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი, მ. შ. 3 მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოსი.

დიხამინჯია ოთარ ბუხუტის ძე (15. IX. 1911, ქუთაისი, – 9. XI. 1997, იქვე), ლოტბარი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1986). 1935 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი, იმავდროულად სწავლობდა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორიასა და ხალხ. შემოქმედების რესპ. სახლთან არსებულ საგუნდო-სადირიჟორო კურსებზე. ინ-ტში სწავლის დროს ხელმძღვანელობდა მომღერალ სტუდენტთა გუნდს, 1948-იდან – მარტვილის რ-ნში მოქმედ სხვადასხვა გუნდს (სოფლების ბანძის, მუხურჩის, გაჭედილისა და სხვ. კულტ. სახლებს). დ. სიმღერების (,,მერცხალი'', ,,მდინარე'', ,,ბულბული'', ,,სულის ყვავილო'', ,,გახსოვს, მერი'', ,,თერგი რბის'') ტექსტების ავტორიცაა, შემსრულებლები იყვნენ დები *იმხნელები,* რესპ. მხატვრული კოლექტივები. აღადგინა და დაამუშავა მრავალი ხალხ. სიმღერა.



დმანისის გერბი 2007-იდან.

ლიტ.: გეგეჭკორი ლ., ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები, თბ., 1969; Мшвелидзе А. С., Грузинская народная музыка, М., 1969.

დიხაშხო, სოფელი ვანის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე, მდ. სულორის (რიონის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. თემის ცენტრი (სოფლები: დ., ისრითი, ციხისუბანი). ზ. დ. 180 *მ,* ვანიდან 5 *კმ.* 1,5 ათ. მცხ. (2002).

სახელწ. ,,დ.'' მეგრული წარმოშობისაა და კარგმოსავლიან მიწას ნიშნავს.

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში ი. *გიულდენშტედტთან.* სოფელში შემორჩენილია სამების ერთნავიანი ეკლესია (ინტერიერში არის მოხატულობა და წარწერა), რ-იც, ერთ-ერთი წყაროს ცნობით, 1721 წელსაა აგებული. იმავე წყაროში ნათქვამია, რომ XIX ს. 20-იან წლებში დ-ში თავად ლორთქიფანიძეების კუთვნილი ხის ორი ეკლესია იდგა, რთაგან ერთი 1744 იყო აგებული, მეორე – 1812. *თ. ბერაძე.*

დიხჩო, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის გუდამაყრის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), გუდამაყრის ქედის დას. კალთაზე. ზ. დ. 1550 *მ,* დუშეთიდან 48 *კმ.* 21 მცხ. (2002).

სოფლის აღმ-ით მდებარეობს განვითარებული შუა საუკ. დარბაზული ეკლესია. იგი დანგრეულია. იქვეა წმ. გიორგის ნიში.

დლივი, სოფელ *დილიფის* ძველი სახელწოდება. მოხსენიებულია ,,ქართლის ცხოვრებასა'' და სომეხი ისტორიკოსის ასოღიკის (X–XI სს.) თხზულებაში ,,მსოფლიო ისტორია''.

დმანისი, ქალაქი (1981-იდან) საქართველოს სამხრ. მთიანეთში, ქვემო ქართლის მხარეში. მუნიციპალიტეტის ცენტრი. 1947-მდე ეწოდებოდა ბაშკიჩეთი (ამ სახელწოდებითაა დატანილი თბილისის გუბერნიის 1870 წ. რუკაზე). მდებარეობს დმანისის ვულკ. პლატოზე, მდ. მაშავრის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) ორივე ნაპირზე. ზ. დ. 1250 *მ,* თბილისიდან 102 *კმ,* კაზრეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 30 *კმ.* 3,4 ათ. მცხ. (2002).

დ-ში ზომიერად ნოტიო ჰავაა. საშ. წლ. ტემპ-რა 7,8°C, იანვ. –2,7°C, ივლ. 18,2°C. ნალექები – 800 *მმ* წელიწადში.

ქალაქში არის სოფ. მეურნ. პროდუქციის გადასამუშავებელი და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო სკოლები, სამედ. დაწესებულებები.

ვ. ჯაოშვილი.

დმანისი, დუმანისი, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ჭივჭავის თემში, ირაგის ქვაბულში, მდ. ასლანკის (ხრამის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1140 *მ,* თეთრი წყაროდან 15 *კმ.* 201 მცხ. (2002).

სოფლის შუაში შემორჩენილია IX–X სს. ერთნავიანი ეკლესია. სამხრ. და ჩრდ. ფასადებს მთელ სიგრძეზე გვიანდ. ხანის მინაშენები აქვს. სამხრ. მინაშენი სწორკუთხაა და შესასვლელიც აქედან ჰქონდა. ჩრდ. აფსიდიანი მინაშენი კარით მხოლოდ ეკლესიასთან იყო დაკავშირებული. ძეგლი ნაშენია უხეშად დამუშავებული ქვით, კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები თლილი ქვითაა გამოყვანილი, ხოლო კარნიზი კბილანებითაა დამუშავებული. ტრაპეზის ქვაზე დიდი ზომის ჯვარია გამოსახული. სოფლის განაპირას, სამხრ-ით, XVI–XVII სს. წმ. გიორგის ეკლესია დგას. ნაგებია მქისედ დამუშავებული ქვით. კარი მხოლოდ სამხრეთიდანაა. სოფლის აღმ-ით, დაახლ. 1 *კმ*-ზე, დგას მცირე ზომის XVI–XVII სს. მოხდენილი ერთნავიანი ეკლესია. შესასვლელი სამხრეთიდანაა. შიგნით და გარეთ შემოსილია სუფთად გათლილი ქვით. აღმ. ფასადზე ამოკვეთილია წარწერა: ,,ქრისტე შეიწყალე სული მიქელასი''.

პ. ზაქარაია.

დმანისი, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლების *დიდი დმანისისა* და *პატარა დმანისის* გავრცელებული სახელწოდება.

დმანისის ეპარქია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ეპარქია, მოიცავს ქვემო ქართლს. აღმ-ით ესაზღვრება ბოლნისის, ჩრდ-ით – მანგლისისა და წალკის, დას-ით – ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიები. ქვემო ქართლის ეს ტერიტორია უძველესი დროიდან ქრისტ. კულტურის ძლიერი ცენტრი იყო. თავისი გეოგრ. მდებარეობის გამო დმანისი და მისი მიმდებარე ტერიტორია გარეშე მტრის შემოსევების შედეგად თანდათან განადგურდა. 1995 წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით აღდგა ბოლნისისა და დმანისის ეპარქიები, ხოლო 2003 დ. ე. ცალკე ჩამოყალიბდა.

ლიტ.: ეპისკოპოსი ზენონი, სამხრეთის კარიბჭე. დმანისისა და ლორე-ტაშირის მხარის და მისი საეპისკოპოსოს ისტორიული ნარკვევები, თბ., 2005; საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 2005. *ე. ბუბულაშვილი.*

დმანისის ზარაფხანა, სახელოსნო, სადაც XIII ს. შუა წლებში მეფე დავით VI ნარინის (1225–93) სახელით სპილენძის მონეტები იჭრებოდა (იხ. *დმანური ფელსი*).

დმანისში დავით ნარინის მონეტის მოჭრა იმის მაუწყებელია, რომ მონღოლთა ბატონობის დროს ეს ქალაქი მნიშვნელოვანი პოლიტ.-ეკონ. ცენტრი ყოფილა, ხოლო ერთხანს – საქართვ. მეფის რეზიდენციაც.

ლიტ.: კ ა პ ა ნ ა ძ ე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; წ ე რ ე თ ე ლ ი გ., დმანისის მონეტის გამო, «ლიტერატურული ძიებანი», 1944, [ტ.] 2; Джалагания И. Л., Из истории монетного дела в Грузии XIII века, Тб., 1958; К а п а н а д з е Д. Г., Грузинская нумизматика, М., 1955.

გ. დუნდუა.

დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი საქართველოს ეროვნული მუზეუმისა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი (თავდაპირველი სახელწოდება – დმანისის ისტ.-არქიტ. მუზეუმ-ნაკრძალი) დაარსდა 1989 წლის 14 ივნისს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებით. მუზეუმის დაცვისა და საექსკურსიო მარშრუტების ზონას წარმოადგენდა *დმანისის ნაქალაქარი*, ასევე ნაქალაქარის სამაროვანი; სამუზეუმო კოლექციების ბაზას ქმნიდა დმანისის ნაქალაქარში მოპოვებული არქეოლ. მასალა.

2005 წლის 4 ოქტომბერს, საქართვ. პრეზიდენტის განკარგულებით დმანისის ისტ.-არქიტ. მუზეუმ-ნაკრძალი შეუერთდა საქართვ. ეროვნ. მუზეუმს და ეწოდა საქართვ. ეროვნ. მუზეუმის დ. მ.-ნ.

დ. მ.-ნ. მდებარეობს ქვემო ქართლში, თბილისიდან სამხრეთ დასავლეთით 85-ე კილომეტრზე. იგი განთავსებულია სოფ. პატარა დმანისის (დმანისის მუნიციპალიტეტი) მახლობლად, მდინარეების მაშავრისა და ფინეზაურის შესართავთან მდებარე კონცხზე.

2010 წ. 1 იანვრისთვის დმანისი სამუზეუმო-სამეცნ. კომპლექსს წარმოადგენს. მისი შემადგენელი სეგმენტებია: მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორია (დმანისის ნაქალაქარი და სამაროვანი), ნაქალაქარზე განთავსებული საველე-არქეოლ. მუზეუმი, მუზეუმის ადმინისტრაციული შენობა, დმანისის არქეოლ. ექსპედიციის საველე ლაბორატორია და ბაზა, მუზეუმის საფონდო საცავი.

სეზონურად დმანისში მიმდინარეობს საველე-არქეოლ. გათხრები. ინტერდისციპლინარულად იკვლევს საქართვ. ეროვნ. მუზეუმის დმანისის ჯგუფი, რ-შიც ქართვ. სპეციალისტების გარდა, შედიან სპეციალისტები მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი სამეცნ. ცენტრებიდან.

საქართვ. ეროვნ. მუზეუმის საგანმან. პროგრამის ფარგლებში, 2005-იდან დმანისში ფუნქციონირებს საზაფხულო სკოლა-ბანაკი, რ-იც გათვლილია საბაზო და საშუალო სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტზე. სწავლება წარმოებს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მიმართულებით.

2009 შეიქმნა საერთაშ. საგანმან.-სამეცნ. სეგმენტი – დმანისის პალეოანთროპოლოგიური საველე სკოლა; ამ სკოლის კურსი ითვალისწინებს თეორიულ და პრაქტ. დატვირთვას შემდეგ საგნებში: არქეოლოგია, გეოლოგია, ტაფონომია, პალეოანთროპოლოგია, პალეონტოლოგია. სკოლის კურსდამთავრებულებს ეძლევათ აკად. კრედიტი და სერტიფიკატი.


დ. მ.-ნ-ში წარმოდგენილია სამი ძირითადი ეპოქის: შუა საუკუნეების, გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და ქვის ხანის ძეგლები.

2009 წ. სექტემბერში დმანისის ნაქალაქარზე გაიხსნა საველე-არქეოლ. მუზეუმი. ნაგებობა უშუალოდ გათხრების ტერიტორიაზეა და სამივე ეპოქის: ქვის, ბრინჯაოს ხანისა და შუა საუკუნეების ფენებზეა გამართული, რ-ის არქიტ. გადაწყვეტა ითვალისწინებს მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლ. ფენების დაცვას, მეცნიერთათვის თანამედროვე სამუშაო პირობების შექმნასა და ფართო საზ-ბის ინტერესის დაკმაყოფილებას. საველე მუზეუმში შესაძლებელია ერთდროულად არქეოლ. სამუშაოების ჩატარებაც და დამთვალიერებელთა მიღებაც. მისი სამუზეუმო და საგანმან. კონცეფცია სრულად ასახავს დმანისის არქეოლ. ძეგლის უნიკალურობას.

ლიტ.: დმანისი (კრებული), ტ. 1–5, თბ., 1998–2006; კ ო პ ა ლ ი ა ნ ი ჯ., დმანისის ციხე, თბ., 1996; მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ლ., დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), კრ.: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938; საქართველო – „პირველი ევროპელის სამშობლო", თბ., 2000; Dmanisi Archaeological Site, Georgian National Museum. Studio Milou architecture, 2009.

კ. კახიანი. დ. ლორთქიფანიძე. თ. შელია. ჯ. ჩხვიმიანი.

დმანისის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სამხრეთ საქართველოში, ქვემო ქართლის მხარეში. ჩრდით ესაზღვრება წალკის, აღმ-ით



– თეთრი წყაროსა და ბოლნისის, დას-ით – ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები, სამხრ-ით – სომხე-

თი. ფართ. 1198,8 *კმ²*. მოსახლ. 28,0 ათ. კაცი (2002). ცენტრი – ქ. *დმანისი*. დ. მ-ში არის 1 ქალაქი, 59 სოფელი, 15 თემი: ამამლოს, განთიადის, გომარეთის, გუგუთის, დიდი დმანისის, დმანისის (ცენტრი იაყუბლო), ირგანის, იფნარის, კამარლოს, მაშავრის, საკირის, სარკინეთის, ქვემო ოროზმანის, ყარაბულაღის (ცენტრი – ზემო ყარაბულაღი), ყიზილქილისის.

ისტორიული ცნობა. დ. მ. მოიცავს ისტ. რეგიონების – ზურტაკეტისა და დმანისხევის ტერიტორიებს. ადრინდ. ფეოდ. ხანის ადმ.-ტერიტ. დანაწილებით მა-



ბოსლების სამების ეკლესია. XIII ს.

შავრის ზემო დინება *ქვემის* ხევის ერთეულში შედიოდა, ზურტაკეტი კი (შავწყალას აუზი) თრიალეთს ეკუთვნოდა. X ს. ბოლოდან XI ს. I ნახევრამდე დ. მ-ის სამხრ. ნაწილი კვირიკიანთა სამეფოში შედიოდა, ჩრდ. ნაწილი კი – კლდეკარის საერისთავოში. შემდგომ, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, დმანისიც და ზურტაკეტიც სამეფო საკუთრება გახდა, ამ მხარის სოფლების უმეტესობა საყაფლანიშვილოს სათავადოში ერთიანდებოდა. 1930-მდე ახლანდ. დ. მ-ის ტერიტორია შედიოდა *ბორჩალოს მაზრაში*, 1930-იდან – წალკის რ-ნში, 1933-იდან გამოიყო ცალკე რ-ნად. 1963–64 ეკუთვნოდა ბოლნისის რ-ნს, 1965-იდან კვლავ გამოიყო ახლანდ. საზღვრებით. 2005-იდან მუნიციპალიტეტია.

ბუნება. მუნიციპალიტეტის დას. ნაწილი მოიცავს ჯავახეთის მერიდიანულ ქედს, რ-იც აგებულია ახალგაზრდა ეფუზიური ქანებით (ბაზალტური, ანდეზიტ-ბაზალტური, ლიპარიტ-დაციტური ლავები). ქედის მოვაკებულ თხემზე აღმართულია მწვერვალები: დავაკრანი, შამბიანი, აღრიქარი და ემლიქლი. აღმ. დამრეცი კალთა დასერილია კანიონისებრი ხეობებით. მუნიციპალიტეტის შუა ნაწილი უჭირავს ძირითადად ახალგაზრდა დოლერიტული ლავებით აგებულ ჭოჭიანის, გომარეთისა და დმანისის ვულკ. პლატოებს. დ. მ-ის აღმ. ნაწილში არის პალეოზოური გრანიტოიდებით აგებული კვირიკეთის მთა და შუაეოცენური ვულკანოგენური ქანებით აგებული ლუკუნის მთა, რ-ებიც დასერილია მდინარეების ხრამისა და მა-

შავრის შენაკადთა ხევ-ხეობებით. დ. მ-ის სამხრ.-აღმ. ნაწილი უჭირავს ლოქის ქედის ჩრდ. კალთის ეროზიულ შტოქედებს და მათ შორის მოქცეულ ხეობებს. მათ აგებულებაში ჭარბობს შუაეოცენური ვულკანოგენური წყებები, რ-ებსაც აღმ-ით იურული (პორფირიტული) და ცარცული (კარბონატული) ქანები ენაცვლება.

დ. მ-ში ჰავა ზომიერად ნოტიოა. იცის ცივი, ხანგრძლივი ზამთარი და თბილი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა დას. ნაწილში 3°C, აღმ. ნაწილში 12°C, შესაბამისად, იანვ. საშ. ტემპ-რა –10°C-იდან –2°C-მდე, ივლ. 13°C, 23°C; აბსოლ. მინ. –28°C-მდე ეცემა (მთებში), აბსოლ. მაქს. 30°C აღწევს (აღმ. ნაწილში). ნალექები – 650–1000 *მმ* წელიწადში. ნალექების მაქს. რაოდენობა მაისში მოდის, მინ. – დეკ-ში. თოვლის საფრის ხანგრძლივობა 2–4 თვეს გრძელდება.

მუნიციპალიტეტის ჩრდ. ნაწილში მიედინება მდ. ხრამი და მისი შენაკადები: ჭოჭიანი და შავწყაროსწყალი. სამხრ. ნაწილს კვეთს მდ. მაშავერა და მისი შენაკადები: ფინეზაური, შახმარლო და სხვ. მდინარეები უმთავრესად საზრდოობენ წვიმის, აგრეთვე თოვლის წყლითა და დიდდებიტიანი ვოკლუზური წყაროებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულსა და ზაფხულის პირველ ნახევარში, წყალმცირობა – ზამთარში. მუნიციპალიტეტში მცირე ზომის ვულკ. ტბებია, მ. შ. აღსანიშნავია ოროზმანის ტბა, სარკინეთ-გომარეთისა და კამარლოს მიდამოების ტბები. სოფლების – ველისპირისა და ირგანის მიდამოებში არის ჭაობები.

დ. მ-ის აღმ. ნაწილში ჭარბობს ტყის ყომრალი ნიადაგი; შუა ნაწილში, პლატოებზე განვითარებულია მთის შავმიწა ნიადაგი, მიმდებარე ქედების კალთებზე – მთის მდელოს შავმიწისებრი კორდიანი და კორდიან-ტორფიანი, ხოლო თხემებსა და მწვერვალებზე ალპ. ზონის მცირე სისქის პრიმიტ. ნიადაგებია. ზოგან გვხვდება კორდიან-კარბონატული, ალუვიური, ტენიანი მდელოს და დაჭაობებული ნიადაგები. ბევრგან ნიადაგს მოკლებული კარკალები და ჩამორეცხილი კალთებია.

დ. მ-ის აღმ. ნაწილი უჭირავს მთის შერეულ ტყეებს, სადაც აღმოსავლური წიფელია გაბატონებული, იზრდება აგრეთვე მუხა და ფიჭვი. მუნიციპალიტეტის შუა ნაწილში, პლატოებზე, ხეობების ძნელად მისადგომ უბნებში, შემორჩენილია ნეკერჩხლის, ცირცელის, ტირიფის, მუხის მცირე დაკნინებული დერივატები, ტყის ადგილას ამჟამად მთის სტეპის ბალახეულობაა, სადაც ნაირბალახოვანი მცენარეულობა ჭარბობს. 2000-იდან 2500 *მ* მდე სუბალპ. მდელოებია სტეპის ელემენტებით, ხოლო 2500 *მ*-ზე მაღლა – ალპ. მდელოები. ტბის-პირებთან წყლის მცენარეებია, კანიონის ფერდობებზე – კლდის ქსეროფიტები. დ. მ-ში ბინადრობს შველი, გარეული ღორი, მგელი, დათვი, ციყვი და სხვ. ბევრია მღრღნელი და ფრინველი, მდინარეებში – თევზი, მ. შ. კალმახი.

ძირითადი ლანდშაფტები: 1. საშუალმთის მთა-ხეობები წიფლნარ-მუხნარითა და ტყის ყომრალი ნიადაგით; 2. ლავური პლატოები მთის სტეპის მცენარეულობითა და მთის შავმიწა ნიადაგით; 3. მთის გასტეპებული მდელოები შავმიწისებრი ნიადაგით; 4. სუბალპ.

და ალპ. მდელოები კორდიანი და ტორფიან-კორდიანი ნიადაგებით.

მოსახლეობა. მოსახლ. უმეტესობა აზერბაიჯანელები და ქართველები არიან. ცხოვრობენ აგრეთვე ბერძნები, სომხები, რუსები და სხვ. განსახლების ძირითადი ზონა ზ. დ. 800–1400 *მ* ფარგლებში მერყეობს. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 23,4 კაცი 1 *კმ*²-ზე (2002). მუნიციპალიტეტის მოსახლ. 87,7% ცხოვრობს სოფლად. უკანასკნელ ხანს აქ გაჩნდა სტიქიით დაზარალებული სვანების დასახლებები.

მეურნეობა. სოფ. მეურნ. ძირითადი დარგებია მეცხოველეობა და მეკარტოფილეობა. ნათესი ფართობის თითქმის 50% უჭირავს მარცვლოვან და პარკოსან კულტურებს, მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი, ბოსტნეული. განვითარებულია სარძეო მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მეფუტკრეობა.

დ. მ-ის ენერგეტ. ბაზაა დმანისის ჰესი მდ. მაშავერაზე. წამყვანი დარგია კვების მრეწვ., არის ყველ-კარაქის, ხეტყის სახერხი და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები.

ერთიან სატრანსპ. სისტემაში მთავარ როლს ასრულებს ავტოტრანსპორტი. მუნიციპალიტეტში რკინიგზის ხაზი არ არის (უახლოესი რკინიგზის სადგურია კაზრეთი, დმანისიდან 30 *კმ*). დმანისი ბოლნისსა და სომხეთს უკავშირდება საავტ. გზებით.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. დ. მ-ში არის სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო სკოლები, ბ-კები. მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება სამედ. დაწესებულებები, მათ შორის ფუნქციონირებს შპს ,,მედიქალ პარკი საქართველო'', შპს ,,დმანისის წმინდა ნინოს ჰოსპიტალი''.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. დ. მ-ის ტერიტორიაზე შემონახულია ქართ. ხუროთმოძღვრების მრავალი ღირსშესანიშნავი ძეგლი, რ-თაგან აღსანიშნავია: *დმანისის ნაქალაქარი* სახელგანთქმული *დმანისის სიონის* ტაძრით (VI–XIII სს.), *უკანგორის* (V–VI სს.), *განთიადის, ზემო ყარაბულაღის,* წმ. დემეტრეს (ყველა X–XI სს.), *პახჩალარის* (XI ს.), ამბარლოს (XI ს.), *ამამლოს* (XII ს.), *პოსლების* სამების (XIII ს.), *გომარეთის* (განვითარებული შუა საუკ.) ეკლესიები, სამონასტრო კომპლექსი ,,*ლამაზი საყდარი*'' (XIII ს.), შუა საუკ. ქარვასლა, ციხე-ქვაბი, მუსის ციხე და სხვ. *დ. ბერძენიშვილი.*

დ. სვანიძე. ქ. ჯაყელი.

დმანისის ნაქალაქარი, ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი დიდი და მდიდარი ქალაქის ნაშთი ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, თბილისის სამხრ.-დას-ით 85 *კმ*-ზე (დმანისის მუნიციპალიტეტი).

ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ცნობით, ქალაქის სახელწოდება წარმომდგარი უნდა იყოს სიტყვისაგან დაბა, დაბანისი. დმანისი VIII ს-ში მცირე დასახლება იყო. აქ იყო *დმანისის საეპისკოპოსოს* კათედრალი, რ-იც VI ს-იდან იხსენიება. მის სამწყსოში შედიოდა



დმანისის ნაქალაქარი.

დმანისხევი (აქედანვე მომდინარეობს საეპისკოპოსოს სახელწოდება), ტაშირი და ქციის ხეობის ნაწილი.

დმანისი ქართ. წყაროებში პირველად IX ს-ში მოიხსენიება. მისი ქალაქად ჩამოყალიბება სავარაუდოა X ს-იდან. ამ დროს აქ არაბები ბატონობდნენ. აქვე იყო ამირას რეზიდენცია. XI ს-ში ცნობილია ამირა სითლ-არაბი, ხოლო XIII ს-ში – ეროვნებით ქართვ. ამირა იოხ მიხრიკის ძე (მოხსენიებულია XIII ს. წარწერაში). XI ს. 80-იანი წლებიდან დმანისი სელჩუკთა ხელში ყოფილა. 1123 მეფე *დავით IV* აღმაშენებელმა გაათავისუფლა. ამის შემდეგ იგი სამეფო ქალაქი იყო. მცირე ხნით მტერმა კვლავ დაიპყრო. 1125 მეფე *დემეტრე I-მა* დაიბრუნა. ამიერიდან იგი უშუალოდ მეფის ხელისუფლებას ემორჩილებოდა. XII–XIII სს-ში დმანისი განსაკუთრებით დაწინაურდა, განვითარდა ვაჭრობა და ხელოსნობა; აქედან მიმავალი საქარავნო გზებით ჩაერთო საერთაშ. ვაჭრობაში – გაჰქონდათ აბრეშუმი. ქალაქში მოქმედებდა ზარაფხანა. ჟამთააღმწერლის (XIV ს.) ცნობით, დმანისშია დასაფლავებული მეფე *ვახტანგ III.* XIV ს. ბოლოს დმანისი თემურლენგმა დაარბია, 1486 კი – იაყუბ-ყაენის ჯარმა. XVI ს-ში ცოტა ხნით ოსმალებმა დაიპყრეს და ციხეც გაამაგრეს. ქალაქში მოიშალა ეკონ. ცხოვრება. 1536 ბარათაანთ გაყრის წიგნის მიხედვით, დმანისის ციხე, თავად ქალაქი, ღვთისმშობლის ეკლესიის სასაფლაო, კარიბჭე და სა-

ბაჟო შუაზე გაუყვიათ იოთამ და ორბელ ბარათაშვილებს. დმანისი, როგორც ციხე-ქალაქი, XVI ს. ბოლოს გაპარტახების გზაზეა. XVII ს. დასაწყისში კვლავ სპარსელებმა დაიპყრეს. XVIII ს. შუა წლებში დმანისის საეპისკოპოსო კათედრალიც მოიშალა და იქაურობა საბოლოოდ გაუკაცრიელდა.

დმანისით და მისი ისტ. ძეგლებით მეცნიერები XIX ს-იდან დაინტერესდნენ. იგი პირველად 1853 მოინახულეს მ. ბართოლომეიმ და დ. ორბელიანმა. მათ მოკლედ აღწერეს ნაქალაქარი და ზოგიერთი წარწერა გადმოიღეს, რ-თა ნაწილი შემდეგ მ. *ბროსემ* გამოსცა. 1894 ე. *თაყაიშვილმა* რამდენიმე საფლავი გათხარა, შეავსო დმანისის წარწერები და მეორედ გამოსცა. დმანისის არქეოლ. შესწავლა დაიწყო 1936 აკად.

ი. ჯავახიშვილის ინიციატივითა და საერთო ხელმძღვანელობით. გათხრები გაგრძელდა 1937-მდე (ხელმძღვ. ლ. მუსხელიშვილი). ექსპედიციამ გაშიფრა და დააზუსტა დმანისის ქართ. წარწერები. გამოვლინდა ქალაქის ჭიშკარი, მოკირწყლული ქუჩები, აბანოები, მდინარეზე გასასვლელი გვირაბი, ნასახლარები, სამეთუნეო, ზეთსახდელი და სხვ. სახელოსნოები, ქულბაქები, ბეღელი, მარნები, მინარეთიანი მეჩეთი და მედრესე.



დმანისის ნაქალაქარი (შიდა ციხე).

დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი IX—X სს., განსაკუთრებით კი XI—XIII სს. ადგილ. კერამიკა, XI—XIII სს. მონეტები (უმეტესად ქართული), შრომისა და საბრძოლო იარაღი, XII—XIII სს. ოქროსა და ვერცხლის სამკაულები და სხვ.





დმანისის ნამარხი. 1 – თიხის დოქი; 2 – მოჭიქული ჯამი.

გათხრები განახლდა 1960 (ხელმძღვანელები ვ. ჯაფარიძე (1960–93), ჯ. კოპალიანი (1993–98), დ. *ლორთქიფანიძე* (1998-იდან დღემდე), რის შედეგადაც დადასტურდა, რომ ნაქალაქარის ტერიტორია დასახლებული ყოფილა ადრინდ. ბრინჯაოს ხანიდან (კერამიკა, ლითონის ჩამოსასხმელი ყალიბები და სხვ.). მრავლად გამოვლინდა გვიანდ. რკინის ხანის კერამ. ნიმუშები, სამარხები და სხვ.

1983 ამავე ექსპედიციამ შუა საუკ. პერიოდის ერთ-ერთი სამეურნეო ორმოს კედელში აღმოაჩინა ადრეპლეისტოცენის განამარხებული ცხოველების ძვლები. ცხადი გახდა, რომ შუა საუკ. ნაქალაქარის ქვეშ დაფარული იყო ადრეული პლეისტოცენის დროის ადგილსაპოვებელი. 1984 ნამარხი ძვლების შემცველ ფენებში აღმოჩნდა პირველი ქვის იარაღები, ხოლო 1991 გამოვლინდა უძველესი ადამიანის პირველი ნაშთი – ქვედა ყბა. კვლევის დღევანდელ ეტაპზე დმანისის პალეოანთროპოლოგიური აღმოჩენები ერთ-ერთი მდიდარი და სრული კოლექციაა მსოფლიოში. იგი წარმოდგენილია ჰომინიდის 5 თავის ქალით, 4 ქვედა ყბით, 15 იზოლირებული კბილით და ჩონჩხების სხვადასხვა ნაწილის 35 ფრაგმენტით. დმანისში ქვის ხანაში ევრაზიის მასშტაბით ყველაზე ადრინდელი ადამიანები ცხოვრობდნენ და მათი ასაკი 1 მილიონ 760 ათასი წელია.

დმანისი უნიკალური ძეგლია ჰომინიდების და მათი არტეფაქტების, პრეისტორიული ცხოველების ნაშთების სიუხვით, დაცულობით, ასაკით და სტრატიგრაფიით. საერთაშ. სამეცნ. საზოგადოებამ დმანისი პირველი ევრაზიელის აღგილსამყოფელად აღიარა.

დ. ნ. შედგება ორი ნაწილისაგან: საკუთრივ ქალაქისა (ფართ. 13 *ჰა*), რ-იც მდებარეობდა მდების მაშავრისა და ფინეზაურის შესართავთან მდებარე 100 *მ* სიმაღლის კონცხზე, და ფინეზაურის ნაპირებზე გაშლილი გარეუბნისაგან (ფართ. 12 *ჰა*). ქალაქს აღმ-ით ოდნავ დამუშავებული ბაზალტის ქვით ნაგები და ნახევარწრიული ბურჯებით (კონტრფორსებით) გამაგრებული მაღალი კოშკებიანი გალავანი ერტყა, ჩრდ-იდან და ჩრდ-დას-იდან მას იცავდა მდ. მაშავრის ხეობა, რ-ის სიღრმე აქ 90 *მ* აღწევს. კონცხის სამხრ. ნაწილში შიდაციხის (ფართ. 3550 *მ*²) ნანგრევებია. იგი ქალაქის გალავნის შიგნითაა, ქალაქიდან გამოყოფილია სპეციალურად აგებული გალავნის კედლით და ერთადერთი კარიბჭეც აქედან აქვს. შიდაციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია სასახლის, მისი აბანოსა და შენობათა ნანგრევები. კონცხს დას. მხრიდან, მდ. მაშავრის ნაპირებთან, ჩაუყვება საიდუმლო გვირაბი, რ-იც შენიღბული და დაცული იყო. შემორჩენილია გვირაბის დიდი ნაწილი. იგი განიერი და მაღალია, შიგ კაციც გაიმართებოდა და შესაძლებელია სახედრით და ცხენით წყლის თავისუფლად ამოტანა.

სამხრ-იდან ქალაქთან მოდის ძვ. გზა, რ-იც ჭიშკრის გავლით უკვე ქუჩის სახით გრძელდება ქალაქში. 2,5 *მ* სიგანის ქუჩებს გასდევს ქვის დაბალი კედლები, ქუჩები დაფარული ყოფილა ქვის დიდი ფილებით. ქალაქის ცენტრში, შიდა ციხის ქვემოთ, დგას მთავარი ტაძარი, სამეკლესიიანი ბაზილიკა *დმანისის სიონი* (VI ს.), რ-თვისაც XIII ს. I მეოთხედში დას-იდან მდიდრულად მორთული კარიბჭე მიუშენებიათ. მის ჩრდ-ით დგას წმ. მარინეს პატარა ერთნავიანი ეკლესია. წარწერის თანახმად, განახლებულია 1702. ნაქალაქარის ჩრდ.-აღმ. ნაწილში 2 პატარა ეკლესიის ნანგრევები და სასაფლაოა. ნაქალაქარის მთელ ტერიტორიაზე სხვადასხვა შენობების ნანგრევებია. დ. ნ-ის ყველა შენობა აგებულია უხეშად დამუშავებული ბაზალტის ქვის უსწორმასწორო რიგებით. აგური გამოყენებულია ბუხრებისა და თაბჩების გამოსაყვანად. შიგნით შენობები შელესილია. შეძლებულთა სახლებში კედლები შემოსილია მწვანე ფერის შორენკეცით. ქვითა და ბრტყელი აგურით ნაგები აბანოც შიგნით შელესილია, შედგება სამი სათავსისაგან. თითოეული მათგანი გადახურულია შეისრულ ტრომპებზე ამოყვანილი გუმბათით, რ-თა შუაში გაჭრილია სასინათლო ხვრელები.

ქ. დმანისს ეკუთვნოდა აგრეთვე გარეუბნის დიდი სასაფლაო, რ-იც ქალაქს სამხრ. მხრიდან აკრავს. სასაფლაოს ერთი ნაწილი უჭირავს ქრისტიანთა, ხოლო მეორე (ჩრდ-ის) ნაწილი – მუსლიმანთა საფლავებს. აღმოჩენილია მუსლიმანური აკლდამები და XIII ს. ბოლო და XIV ს. არაბულწარწერებიანი საფლავის ქვები. გარეუბანში მდ. ფინეზაურის მარჯვ. ნაპირას შერჩენილია 3 აბანოს ნანგრევები.

ქ. დმანისს გაცხოველებული ეკონ. ურთიერთობა ჰქონდა როგორც ახლო აღმ. ქვეყნებთან, ისე ჩინეთთან. ამის დამადასტურებელია მრავალრიცხოვანი განათხარი მონეტები (დღემდე 800-ზე მეტია აღმოჩენილი), რ-თაგან

უმრავლესი უცხოურია, და განათხარი იმპორტული კერამიკა (სპარსული ქაშანურის და ჩინური სელადონების ფრაგმენტები). დმანისს ჰქონია საკუთარი კერამ. და მინის წარმოება. აქ მზადდებოდა ადგილ. ქაშანურის ჭურჭელი; ძვლის, ქვის და აგრეთვე რკინის სხვადასხვა ნივთები და იარაღი; ოქროსა და ვერცხლის სამკაული, ნახევრადძვირფასი ქვებისა და მინის მძივები და სხვ.

მნიშვნელოვანია დმანისის მიდამოებში ადრექრისტიანული ძეგლების – ქვის სტელების აღმოჩენა, რ-ებიც არქაული ჩუქურთმებით, რელიეფებით და უძველესი ქართ. ასომთავრული წარწერებითაა შემკული.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ქვემო ქართლი), ნაკვ. 1, თბ., 1979; მ ი ს ი ვ ე, დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზაურის ხეობიდან, «საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე», 1964, ტ. 33, №3; კ ო პ ა ლ ი ა ნ ი ჯ., დმანისის ციხე, თბ., 1996; ლ ო მ თ ა თ ი ძ ე გ., შუაფეოდალური ხანის ძეგლები, წგ.: საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959; მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ლ., დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), კრ.: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938; საქართველო – ,,პირველი ევროპელის სამშობლო'', თბ., 2000; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1–2, თბ., 1960–65; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ვ., შოთა რუსთაველის ეპოქის ნაქალაქარი დმანისი და მისი არქეოლოგიური შესწავლა, «ძეგლის მეგობარი», 1966, №8; М е с х и я Ш. А., Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959; L o r d k i p a n i d z e D., V e k u a A., R i g h t m i r e G. P. and M a r g v e l a s h v i l i A., Hominid fossils from Dmanisi and their place among the Early Hominids. In: «Bulletin of the Georgian National Academy of Sciences», 175 (1), Tb., 2007.

დ. ბერძენიშვილი. ჯ. კოპალიანი. დ. ლორთქიფანიძე. ვ. ჯაფარიძე.

დმანისის პლატო, პლატო საქართველოს სამხრეთ მთიანეთში, მდ. *მაშავრის* ზემო დინების აუზში. აგებულია მეოთხეული ასაკის დოლერიტული ლავებით. გვხვდება ტბიურ-ტუფოგენური ქვიშების გამოსავლებიც. მაღლდება აღმ-იდან (900 *მ*-იდან) დას-კენ (1800 *მ*-მდე). დასერილია მდ. მაშავრისა და მისი შენაკადების კანიონისებრი ხეობებით. დ. პ-ზე ზომიერად ნოტიო ჰავაა. იცის ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა 5–10°C შორის მერყეობს, იანვ. საშ. ტემპრა –2°C-იდან –7°C-მდე, ივლ. 13–21°C. ნალექები 570–700 *მმ* წელიწადში.

დ. პ-ს მთ. მდინარეა მაშავერა. მრავლადაა პატარა ტბები, მ. შ. უდიდესია ოროზმანის ტბა. გაბატონებულია მთის შავმიწა ნიადაგი, არის მთის მდელოს ნიადაგიც. დ. პ-ზე ჭარბობს მთის სტეპები, რ-ებიც ზემოთ (დას-ით) მდელოს ფორმაციებში გადადის. ხეობებში აქა-იქ შემორჩენილია წიფლნარი და მუხნარ-რცხილნარი. ტერიტ. დიდი ნაწილი მთის სტეპურ ლანდშაფტს უჭირავს. ფრაგმენტების სახით გავრცელებულია დაჭაობებული მდელოს და ხევ-ხრამების ლანდშაფტები. *ქ. ჯაყელი.*

დმანისის საეპისკოპოსო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ეპარქია ისტორიულ ქვემო ქართლში. მოიცავდა ძირითადად *დმანისხევს.* იგი პირველად მოიხსენიება სომხ. ,,*ეპისტოლეთა წიგნში*'', სადაც ჩამოთვლილია *დვინის საკლესიო კრების* (506) მონაწილე 24 ქართველი მღვდელმთავარი. იქ მეოთხე ადგილზეა ,,სამუელ ეპისკოპოსი ტუმასუელი'', რ-იც მკვლევრებმა გააიგივეს სამუელ დმანისის ეპისკოპოსთან.

VI ს-ში დმანისში უკვე ყოფილა ეკლესია, რ-ის კვალი გათხრების დროს აღმოჩნდა. შემდგომში იგი, როგორც ჩანს, დანგრეულა და მის ადგილზე IX ს-ში ახ. ტაძარი აღუმართავთ. ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ცნობით დმანელი ეპისკოპოსის სამწყსო იყო დმანისხევი და ტაშირი; ეს უკანასკნელი სამხრ-იდან ეკვროდა დმანისხევს. დმანისხევი მაშავრის აუზია მის შენაკად ფინეზაურის, ქვეშის, კაზრეთისა და სხვა ხევებზე განლაგებული სოფლებით. დმანისის გაქალაქების შემდეგ (IX ს.) საეპისკოპოსო ტაძარი ციხე-ქალაქის ცენტრში მოექცა და მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა. დმანელ ეპისკოპოსთაგან ცნობილია თევდოსი მამაი კალნაპეტის ძე, რ-საც 1214–22 დმანისის სიონისათვის მდიდრულად შემკული კარიბჭე მიუშენებია დასიდან, რაზედაც იქვე ამოჭრილი წარწერა მოგვითხრობს. მეორე, იმავე საუკუნის ცოტა მოგვიანო წარწერაში, დმანელი მღვდელმთავარი გვამცნობს, რომ მას მოუსპია იქ მანამდე შემოღებული უმართებულო წესი, რ-ის მიხედვითაც კანონიერი ქორწინებისათვის მღვდლები ოქროს თხოულობდნენ. დმანელი ეპისკოპოსი ელისე XIII–XIV სს. ერთ ხელნაწერში ჯვრის მონასტრის წმ. დავითნის შემკვრელადაა მოხსენიებული.

დმანისის საყდრის მამულები უფრო ხშირად დმანისხევში იყო. XVI ს. 80-იან წწ. ერთი საბუთის მიხედვით, მას ეკუთვნოდა სოფლები: ჩინჩხური, მუთავისი, ვარდისუბანი; ყმა-მამული დიდ დმანისში, დმანისის ხეობის *თამლის* ნახევარი და გუდარეხის ღვთისმშობლის მონასტერი ქციის ხეობაში თავისი ყმა-მამულით. ამ საბუთის განმაახლებლად დასახელებულია დმანელ-მტბევარი მიტროპოლიტი ელისე. XVII–XVIII სს. საბუთებიდან ჩანს, რომ დმანელს ცალკეული ყმა-მამული ჰქონია დმანისხევის თაგუთსა და ოროზმანში, სომხითის შუა ბოლნისში, ტაშირის ხანძორის სოფელში, ზურტაკეტის სარკინეთს, ქციის ხრამის ნახიდურში და სხვ. დმანისში ყოფილა მონასტერიც თავისი მეურნეობით. აქვეა შემორჩენილი წმ. მარინეს ეკლესია, რ-იც, წარწერის თანახმად, განახლებულია 1702. დმანისისავე ტაძართან იყო ორბელიშვილ-ყაფლანიშვილთა მთ. სასაფლაო, სადაც წარწერიანი საფლავის ქვებია შემორჩენილი.

წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ თავისი არსებობის ბოლო ასწლეულშიც კი დმანისის მრევლი მხოლოდ დმანისხევის მოსახლეობით არ იფარგლებოდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მისი თანადროული ტაშირის სომხური (სარწმუნოებით) მოსახლეობა დმანისის სამწყსო ყოფილა, ე. ი. დმანისში აღნიშნული მოსახლეობის წინამძღვარი, როგორც ჩანს, იყო სომხურ-მართლმადიდებელი ეკლესია. დმანელ ეპისკოპოსს ხელი მიუწვდებოდა ქციის ხეობის სოფლებზეც, ამიტომ აქაური მრევლის გამო მას ცილობა ჰქონია მანგლელ და ტფილელ ეპისკოპოსებთან. XVIII ს. შუა წლებიდან დმანისის საეპისკოპოსო მოიშალა. წყაროებში დმანელი მღვდელმთავრებიდან ჩვენთვის ცნობილია: სამუელ დმანელი (506); თევდოსი კალნაპეტის ძე (1214–22); ელისე დმანელი (XIII–XIV სს.); იოსებ დმანელი სააკაძე (1595); იოსებ თარხნიშვილი (1662-მდე); ქრისტეფორე ბარათაშვილ-ბეგაშვილი (1698-მდე); ელისე დმანელი მტბევარი მიტროპოლიტი (1698–1748).

წყარო: ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1968.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ქვემო ქართლი), ნაკვ. 1, თბ., 1979; ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში, ნაწ. 3–4, თბ., 1938; მუსხელიშვილი ლ., დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), კრ.: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938.

დ. ბერძენიშვილი.

დმანისის სიონი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპისა. მდებარეობს სოფ. *პატარა დმანისის* მახლობლად, ნაქალაქარ დმანისში. თავდაპირველი სახით მოაღწია მხოლოდ შუა ნავმა, რ-იც აღმ-ით დასრულებულია შვერილი ნახევარწრიული აფსიდით, ხოლო შიგნით დანაწევრებულია კედლებიდან მძლავრად გამოშვერილი პილასტრებით – მათ შორის შექმნილია ღრმა, ნახევარწრიული თაღით დასრულებული უბეები. ეკლესია ნაგებია მცირე ზომის, რუხი ფერის, მქისედ დამუშავებული ქვით, გამოყენებულია აგური და რიყის ქვაც, კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები ამოყვანილია სუფთად გათლილი კვადრებით. გადახურულია ბრტყელი ქვის ფილებით. სამხრიდან ტაძარს მიშენებული აქვს კარიბჭე და სანათლავი, ჩრდიდან – სამკვეთლო. ტაძარი შიგნით მოხატული იყო. საკურთხეველში შემორჩენილია წმინდანთა გამოსახულებანი და წარწერები. გ. ჩუბინაშვილი, ლ. მუსხელიშვილი და ვ. ბერიძე ძეგლს VI ს-ით ათარიღებენ. ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ **დ. ს.** IX ს-ში უნდა იყოს აშენებული (ე. არჯევანიძე). მოგვიანებით, 1213–23 შორის, ლაშა გიორგის მეფობის დროს, დას-იდან ტაძარს მდიდრულად მოჩუქურთმებული კარიბჭე მიაშენეს. იგი ძირითადი ნაგებობებისაგან განსხვავდება სტილითა და მორთულობის ხასიათით. კარიბჭის სამივე ფასადი, ყველა სვეტი და თაღი შემოსილია ღია მწვანე თლილი ქვის ფილებით, გადახურულია ოთხ ბოძზე ამოყვანილი, თაღებზე დაყრდნობილი კამარით. კარიბჭის ერთერთ წარწერაში მოხსენიებულია ლაშა გიორგი, ეკლესიის აღმ-ით აღმართულია გეგმით ოთხკუთხა სამრეკლო, რ-იც მრავალჯერ არის გადაკეთებული. დღეს **დ. ს.** მოქმედი ქართ. მართლმადიდებელი ეკლესიაა (რესტავრ. 2009). ჩრდ.-აღმ-ით მდებარეობს XVII ს. წმ. მარინეს პატარა, ერთნავიანი ეკლესია, რ-ის სამხრ. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ წყობაში ჩასმულ მოზრდილ ქვაზე ამოკვეთილი მხედრული წარწერის თანახმად, 1702 იგი განუახლებია ბატონიშვილი მარიამის გამდელს – ისახარს.



დმანისის სიონი. VI ს.



დმანისის ჰომინიდი (Homo ergaster – ,,მშრომელი ადამიანი''). თავის ქალა. ხედი გვერდიდან.

ლიტ.: მუსხელიშვილი ლ., დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), კრ.: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938; ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1, ტფ., 1936.

შ. სალარაძე.

დმანისის ფაუნა, პლიოცენის დასასრულისა და მეოთხეული პერიოდის დასაწყისის (ეოპლეისტოცენი) ხერხემლიანთა ფაუნა, აღმოჩენილია ქვემო ქართლში, დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე. **დ. ფ.**-ის შემადგენლობაში დადგენილია გიგანტური სირაქლემა, მაჩვზღარბა, ეტრუსკის მგელი, ფოცხვერი, ჯიქი, დათვი, ხმალკბილა ვეფხვი, ეტრუსკის მარტორქა, სტენონის ცხენი, გიგანტური ირემი, ჟირაფი, ირემლაღი, ზორგელია, პირველყოფილი ძროხა და სხვ., **დ. ფ.**-ს განსაკუთრებულ მეცნიერულ მნიშვნელობას ანიჭებს ფაუნის ნაშთებთან ერთად აღმოჩენილი აფრიკული წარმოშობის ადრეული ჰომინიდის Homo ergaster-ის (,,მშრომელი ადამიანი'') თავის ქალა და ქვედა ყბა. დმანისელი ჰომინიდი უძველესია ევროპაში და მისი აბსოლუტური ასაკი ერთი მილიონ რვაასი ათასი წელია. დმანისში აღრეული ჰომინიდისა და ვილაფრანგული ფაუნის აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს უძველესი ადამიანისა და ფაუნის ისტორიის, მიგრაციის დროისა და გზების დასადგენად.

ფაუნისა და პალინოლოგიური ნაშთების გამოკვლევით ირკვევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში (ქვემო ქართლი) 1,8 მლნ. წლის წინ, სავარაუდოდ, ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ეკავა სავანური ტიპის ლანდშაფტს თბილი და ზომიერად ტენიანი ჰავით. *ა. ვეკუა.*

დმანისის ჰომინიდი, უძველესი ადამიანი, რომლის ნაშთები აღმოჩენილია *დმანისის ნაქალაქარში.*

დმანისხევი, ისტორიული სახელწოდება მაშავრის ხეობისა, რ-იც თანამედროვე ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში მდებარეობს. **დ.** დასახლებული ყოფილა უძველესი დროიდან, რაზედაც მეტყველებს არქეოლ. მონაპოვარი ქვის ხანიდან მოყოლებული ფეოდ. ეპოქის ჩათვლით.

მდ. მაშავრის აუზი (თავისი შენაკადებით: ფინეზაური, კაზრეთი, გეტისწყალი და სხვ.) ძვ. დროიდანვე ცალკე ისტ.-გეოგრ. ერთეულს ქმნიდა. ეს ტერიტ.-ადმ. გაერთიანება (,,ხევი'') უკვე ადრინდ. ფეოდ. ხანაში არსებობდა. VII ს. სომხ. გეოგრაფის მიხედვით, მას ,,ქვეშაფორ'' (,,ქვეშის ხევი'') ერქვა. ეს სახელწ. ამ ერთეულს მისი ადმ. ცენტრის – ქვეშის ციხის – მიხედვით უწოდეს. იგი მდებარეობდა გეტის ხევისა და მაშავრის შესაყარში ამოზიდულ კლდოვან მასივზე, სადაც, როგორც ჩანს, წინაფეოდ. ხანიდანვე დიდი მნიშვნელობის სტრატეგიული პუნქტი ყოფილა. ძვ. ქართ. გადმოცემის თანახმად ტრადიციულად იგი ,,ქვეშის ხევი'' გაჩიანის ანუ სამშვილდის საერისთავოში შედიოდა (ამ დროს ქალაქი დმანისი ჯერ კიდევ არ არსებობდა, მის ადგილას მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი ყოფილა).

ადრინდ. შუა საუკუნეებში ქვეშის ხევი ისე დაწინაურებულა, რომ იქვე დაუარსებიათ საეპისკოპოსო კათედრა, ეპარქიული ცენტრი ამ ერთეულისა. საეპისკოპოსოში გაერთიანებული ყოფილა ტაშირიც. VI ს-ში მოიხსენიება დმანელი ეპისკოპოსი სამუელი. აქედანვეა ცნობილი VI–VII სს. ბიზანტ. მონეტების ცალები. VI ს-ში ააგეს დმანისის სიონის ტაძარი. ,,ქვეშის ხევის'' შემადგენელ მცირე ხევებში რელიგ. ცენტრების არსებობაზე მიუთითებს შემდეგი ისტ. ძეგლები: გეტის ხევში – აკაურთის V–VI სს. ეკლესია, სტელები, დამბლუტის ხევში – უკანგორის ეკლესია (V ს.), კაზრეთის ხევში – VI ს. სტელები და სხვ. საყურადღებოა რელიეფური წარწერები უკანგორიდან (V ს.) და ბალიჭიდან (VI–VII სს.), ასევე VII–IX სს. ბერძნ. წარწერა კაზრეთის ხეობიდან.

IX ს-იდან დმანისი იწყებს გაქალაქებას და, როგორც ჩანს, მთელი ხეობის ეკონ. ცენტრი ხდება. IX ს-ში ამ ერთეულს მისი ცენტრის მიხედვით ,,დმანისხევი'' უწოდეს (ეს სახელი დარჩა XIX ს-მდე). დმანისის გაქალაქება მჭიდროდ იყო დაკავშირებული დიდი მნიშვნელობის სავაჭრო-საქარავნო გზებთან, რ-ებიც აქ იყრებოდნენ: ფინეზაურის ხეობით ერთი გზა ტაშირსა და სომხეთში გადიოდა, მეორე – მაშავრის აყოლებით ჯავახეთისკენ, შემდეგ კი – ტაოსა და ბიზანტიისაკენ მიემართებოდა.

დმანისში, გარდა ქართველებისა, ცხოვრობდა ვაჭრობა-ხელოსნობის მიმდევარი სომხ. და მუსლ. მოსახლეობაც, რასაც მოწმობს საფლავის ქვები, რ-ებზედაც სომხ. და არაბ. წარწერებია. არაბობის დროიდან მოკიდებული დმანისს ჰყავდა ამირაც – ქალაქის გამგებელი. ზოგიერთი ამირას სახელი შემორჩა ნარატიულ წყაროებსა და ეპიგრაფიკას.

გარდა საერთაშ. მნიშვნელობის მაგისტრალებისა, დ. დასერილი იყო ადგილ. მნიშვნელობის სხვა გზებითაც: გეტის ხევით – ზურტაკეტ-თრიალეთისკენ და სამშვილდისაკენ; კაზრეთის ხევით – ბოლნისისაკენ, მაშავრის დაყოლებით კი – კახეთისა და ხუნანისაკენ. ამ გზების არსებობაზე მეტყველებს ხიდები, თუ ნახიდურთა ბურჯები დმანისთან, სატრედოსთან, გოჩულუსთან; ციხეები ბუჩურაშენისა, ბერიქალისა, ასევე გეტის, ფინეზაურისა და კაზრეთის ხევებში.

შუა ფეოდ. ხანაში ქალაქი დმანისი და დ-ის უდიდესი ნაწილი სამეფო მამული იყო, რ-საც მეფის მოხელენი განაგებდნენ. ამაზე მიუთითებს იქაურ ეკლესია-მონასტრებში შემორჩენილი მრავალი წარწერა.

გვიანდ. ფეოდალურ ხანაში დ. ,,საორბელოდ'' ანუ ბარათაშვილების საგვარეულოდან გამოყოფილი ორბელიშვილების სათავადოდ იქცა. ამ სათავადოს რეზიდენცია იყო ტანძიაში (გეტისხევი), ხოლო საძვალე – დმანისის რ-ნში. ამ პერიოდში დ. შედიოდა ,,მეწინავე სადროშოში'' (სამხ.-აღმ. ერთეული), რ-საც ორბელიშვილები სარდლობდნენ.

XVII ს-ში საორბელოში ცალკე სათავადოდ გამოიყო საზურაბიშვილო, რ-იც კაზრეთის ხეობაში დამკვიდრდა. ორბელიშვილთა და ზურაბიშვილთა სააღმშენებლო მოღვაწეობა კარგად ჩანს ტანძიის, ქვეშის, დავითგარეჯისა და კაზრეთის ხეობის ტაძართა წარწერებიდან.

გვიანდ. ფეოდ. ხანის უკანასკნელი საუკუნეების ძნელბედობამ დ-ის მკვიდრი მოსახლეობა იძულებული გახადა მიეტოვებინა იქაურობა. თითქმის მთლიანად დაცარიელებულ დ-ში შემდგომ დასახლდა ჯავახეთიდან და შიდა ქართლიდან ჩამოსული ქართული, აგრეთვე სომხური და თურქულენოვანი მოსახლეობა.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1–2; 4, თბ., 1955–59; 1973.

ლიტ.: მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ლ., არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერის ხეობაში, თბ., 1941.

დ. ბერძენიშვილი.

დმანური ფელსი, მეფე დავით VI ნარინის მიერ დმანისში 1245 მოჭრილი სპილენძის მონეტა. შუბლზე, ცენტრში, ასომთავრული მონოგრამაა – მეფის სახელი (დავით), გარშემო გასდევს სპარს. წარწერა: ,,მონა ყაანისა, ქვეყნის მპყრობელისა, დავით მეფე''. ზოგიერთ ეგზემპლარზე აღნიშნულია აგრეთვე მოჭრის თარიღი ქართ. ქორონიკონით (465). ზურგზე ხუთსტრიქონიანი არაბ. ზედწერილია: ,,ქალაქსა დმანისს ხანგრძლივ ჰყოს იგი ღმერთმან (წელსა) ექვსას ორმოცდაორსა (ჰიჯრით)'', ე. ი. 1244/45 წელი.

ლიტ.: ლ ო მ ო უ რ ი თ., XIII საუკუნის ქართული ფულის საკითხთა გამო, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1940, ტ. 10 B; წ ე რ ე თ ე ლ ი გ., დმანისის მონეტის გამო, «ლიტერატურული ძიებანი», 1944, [ტ.] 2; П а х о м о в Е. А., Монеты Грузии, Тб., 1970.

ი. ჯალაღანია.

დმენისი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ქსუისის თემში (შიდა ქართლის მხარე), შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილში, მდ. პატარა ლიახვის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1000 *მ,* ერედვიდან 6 *კმ,* ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 14 *კმ.* 1,3 ათ. მცხ. (1989).

სოფლის განაპირას დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – X ს. I ნახ. ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია. სამხრ-იდან და დას-იდან მინაშენები ჰქონდა. ფასადები შემოსილია მუქი წითელი და რუხი ფერის ქვის დიდი კვადრებით. აღმოსავლეთის ფასადის სარკმლის თავზე მოთავსებულ დიდ ფილაზე გამოსახულია ვაზით გარშემოვლებული ჯვარი.

ლიტ.: М е п и с а ш в и л и Р. С., Ц и н ц а д з е В. Г., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли, Тб., 1975.

დმბერაზენი, სოფელი მარტვილის მუნიციპალიტეტის კურზუს თემში (სამეგრელო–ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის ვაკეზე, მდ. ტეხურის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 380 *მ,* მარტვილიდან 30 *კმ.* 283 მცხ. (2002).

დმბილნი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა რწმენით, ჯვარ-ხატის დამხმარე ზებუნებრივი არსებანი, რ-თაც ღვთაება შემოცდეთა დასასჯელად იყენებდა. წარმოდგენილი ჰყავდათ პატარა ბავშვების სახით, რ-ნიც უთვალავი რაოდენობით დილის მზის სხივებს მოჰყვებოდნენ და სოფელს მოეფინებოდნენ, საღამოს კი ჩამავალ მზის სხივებთან ერთად გაიკრიფებოდნენ. გადმოცემით, ალმაცერი სხივებით განათებულ ადგილებში საშიში იყო ქალებისა და ბავშვების სიარული. დ. მათ აავადებდნენ, მამაკაცებს კი, რადგან მათ ძლიერი ანგელოზი მფარველობდა, ვერ ერეოდნენ. ჯვარ-ხატების მიდამოებში აგებული იყო მათი სახელობის ნიშები, ე. წ. ,,დობილთ კოშკები'', სადაც სრულდებოდა ლოცვა და შეწირვა – ,,აშალის'' (პატარა ზომის თხელი მრგვალი პურის კვერები) გადაყრა ბავშვებისათვის. ავადმყოფობის გართულების შემთხვევაში მათ თიკანსაც სწირავდნენ. ვ. ბარდაველიძის შეხედულებით, ასტრალურ ღვთაებათა პანთეონში დ. დღის მნათობის სხივებს განასახიერებდნენ.





დმანური ფელსი. სპილენძი. XIII ს. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

ლიტ.: ო ჩ ი ა უ რ ი ა., ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988; Б а р д а в е л и д з е В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племён, Тб., 1957. *თ. ოჩიაური.*

დოგირო, სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის სამხრ. მთისწინეთში. ზ. დ. 160 *მ,* სამტრედიიდან 16 *კმ,* დაფნარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 9 *კმ.* 257 მცხ. (2002).

დოგორჯგინიძე ალექსანდრე მათეს ძე (15. VIII. 1902, ფოთი, – 20. VII. 1950, ბორჯომი), საჭადრაკო კომპოზიტორი. მისი პირველი ნაწარმოები დაიბეჭდა 1928. გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი კომპოზიცია. საკავშ. და საერთაშ. კონკურსების რამდენიმე პირველი პრიზის მფლობელი. აღზარდა ქართვ. საჭადრაკო კომპოზიტორთა მთელი თაობა. მისი თაოსნობით საქართველოში პირველად მოეწყო საჭადრაკო კომპოზიტორთა საკავშ. კონკურსები (1930, 1933).

ლიტ.: ტ ა ბ ი ძ ე ო., გამოჩენილი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორი, «მერანი», 1986, №12.

თ. შ. გიორგაძე.



ბ. დობრინინი.

დობჟინსკი კონსტანტინე ანდრიას ძე [25. XII. 1889 (6. I. 1890) – 24. IV. 1967, თბილისი], რუსი მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1954). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1906 ქ. ნიკოლაევში. იყო რუსეთის სხვადასხვა თეატრის მსახიობი. 1936-იდან დ. თბილ. ა. გრიბოედოვის სახ. თეატრში მუშაობდა. მისი საუკეთესო როლები იყო: ფროლ ფედულიჩი, ჩუგუნოვი (ა. ოსტროვსკის ,,უკანასკნელი მსხვერპლი'', ,,მგლები და ცხვრები''), ბერესტი (ა. კორნეიჩუკის ,,პლატონ კრეჩეტი''), ჟელეზნოვი (მ. გორკის ,,ვასა ჟელეზნოვა''), სტოროჟევი (ნ. ვირტას ,,მიწა''), კრასავინი (ს. ნაიდენოვის ,,ვანიუშინის ოჯახი''), დუბასოვი (ი. ბეხტერევისა და ა. რაზუმოვსკის ,,მხედართმთავარი სუვოროვი''), რომან კოშკინი (კ. ტრენიოვის ,,ლიუბოვ იაროვაია''), ვასინი, პროფ. ვორონცოვი (კ. სიმონოვის ,,რუსი ადამიანები'', ,,ასეც იქნება'') და სხვ. *მ. ცუცქირიძე.*

დობრინინი ბორის თედორეს ძე [14 (26). V. 1885, მინსკი, – 4. IX. 1951, კიევი], რუსი გეოგრაფი. გეოგრ. მეცნ. დოქტორი (1935). 1909 დაამთავრა მოსკოვის უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყ-ბა. 1916-იდან მოსკოვის უნ-ტის პრივატდოცენტი იყო, 1931-იდან – პროფესორი, 1938–41 – მისი ინიციატივით შექმნილი საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზ. გეოგრ. კათედრის გამგე, 1934–39 – სსრკ მეცნ. აკად. გეოგრაფიის ინსტიტუტის განყ-ბის გამგე, 1942–50 – თსუ-ის პროფესორი და ფიზ. ქვეყანათმცოდნეობის კათედრის გამგე, 1950–51 – კიევის უნ-ტის ფიზ. გეოგრაფიის კათედრის გამგე. იმოგზაურა დას. ევრ. ქვეყნებსა (1908–11) და მექსიკაში (1925). ძირითადი საველე გამოკვლევები ჩაატარა ყირიმში, კავკასიასა და აღმ. ევრ. ვაკის ზოგიერთ რ-ნში. 2 შრომა მიუძღვნა დაღესტნის გეოგრ. დახასიათებას, მის ლანდშაფტურ რაიონებსა და მცენარეულობას. შეისწავლა კავკ. შავი ზღვის სანაპიროს რელიეფის ფორმები და სამხრ. კავკ. ლანდშაფტები. მონაწილეობდა კავკ., ყირიმისა და რუს. ვაკის ფიზ.-გეოგრ. დარაიონებისა და გეომორფოლ. რუკების შედგენაში. 1940 გამოვიდა დ-ის თხზ. ,,ამიერკავკასია. ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათების ცდა'', რ-შიც მთავარი ადგილი უჭირავს სამხრ. კავკ. გეომორფოლ. აღწერას. თანდართულ რუკაზე აღნიშნულია სამხრ. კავკ. ცალკეული სტრუქტურული და მორფოლ. ერთეულები. დ-მა თსუ-ში გამოზარდა ლანდშაფტმცოდნე სპეციალისტები და ხელი შეუწყო ამ დარგის განვითარებას საქართველოში. დ-ის სახელს ატარებდა ერთერთი საბჭ. ყინულმჭრელი.

თხზ.: Закавказье. Опыт физико-географической характеристики, «Труды Ин-та географии АН СССР», 1940, т. 34; Физическая география Западной Европы, М., 1948; Физическая география СССР. Европейская часть и Кавказ, 2 изд., М., 1948; დასავლეთ ევროპის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1953. *დ. უკლება.*

დობროლიუბოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე [24. I (5. II). 1836, ნიჟნი-ნოვგოროდი, – 17(29). XI. 1861, პეტერბურგი], რუსი კრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოეტი, რევოლუციონერ-დემოკრატი. დ-ს ურთიერთობა ჰქონდა და მეგობრობდა ქართვ. მოღვაწეებთან. 1859 ,,სოვრემენნიკში'' დაიბეჭდა დ-ის რეცენზია გაბრიელ ქიქოძის (არქიმანდრიტი *გაბრიელი*) წიგნზე ,,ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები''. მას შემდეგ, რაც ი. *ჭავჭავაძე* პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდა და თერგდალეულებს სათავეში ჩაუდგა, მან თავისი ჟურნალის – ,,საქართველოს მოამბის'' პირველსავე ნომერში (1863) დაბეჭდა საკუთარი თარგმანი დ-ის სტატიისა ,,მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგება'', რ-შიც აღწერილია იტალიის ეროვნ.-განმათ. ბრძოლა ჯ. *გარიბალდის* მეთაურობით. 1866 დაიბეჭდა დ-ის ლექსი ,,ყოველთვის და ყოველგან'', რ-იც ა. წერეთელმა ,,მატლის'' სათაურით გადმოთარგმნა (გაზ. ,,დროება'', №22). ქართ. პრესაში გამოქვეყნდა დ-ის სხვა ლექსებიც, რ-თა თარგმანები ეკუთვნის რ. *ერისთავს,* ს. *მესხს,* კ. *ლორთქიფანიძეს,* ა. *ცაგარელსა* და ნ. *ლომოურს.* თავის წერილებსა და მოგონებებში დ-ს მაღალ შეფასებას აძლევდნენ ნ. *ნიკოლაძე,* ი. *გოგებაშვილი,* ნ. ლომოური, ს. ჭრელაშვილი, გ. მაიაშვილი, ა. ნანეიშვილი და სხვ. მოწინავე ქართვ. მოღვაწეები.

ლიტ.: ნ ი კ ო ლ ა ძ ე ა., რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები და ქართული ლიტერატურა, თბ., 1954; შ ა დ უ რ ი ვ., რევოლუციამდელი ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ, თბ., 1983.

ვ. შადური.

დობრჟანსკი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (19. IV. 1873, თბილისის გუბ., – 15. XI. 1937, პარიზი), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1917). დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი (1891), კონსტანტინეს სამხედრო სასწავლებელი (1893). მსახურობდა 149-ე ქვეითთა შავიზღვისპირა პოლკში, კავკასიის პირველ მსროლელთა ბატალიონში, ლაიბგვარდიის ეგერთა პოლკში. 1900 დაამთავრა საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლური ენების კურსები. 1914 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. 1916 იყო საავტომობილო დივიზიონის მეთაური. 1916 დაავჯილდოვეს ოქროს იარაღით, 1917 – წმ. გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენით. *მ. გოგიტიძე.*

დოგი, ძვ. ქართული დასარტყამი საკრავი (XI ს.). საისტ. და ლიტ. წყაროებში იშვიათად გვხვდება. მოიხსენიება *დუმბულთან* ერთად. დღესდღეობით საკრავი დაკარგულია. მისი აგებულება და ზუსტი დანიშნულებაც უცნობია.

ს. ყორდანია.

დოგმატი რ ე ლ ი გ ი უ რ ი (ბერძნ. dogma, ნათ. ბრ. dogmatos – აზრი, მოძღვრება, დადგენილება), უმაღლესი საეკლესიო ინსტანციების მიერ დამტკიცებული, უდავო ჭეშმარიტებად მიჩნეული სარწმუნოებრივი დებულება, რ-იც არ ექვემდებარება კრიტიკას. დ-ების მიღების აუცილებლობა განპირობებულია კონკრეტული ისტ. ვითარებით. მაგ., ქრისტიანობაში, განსაკუთრებით IV ს-იდან, როდესაც იგი სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადდა, თავი იჩინა *მწვალებლობამ* და *სექტანტობამ,* რაც დიდ საფრთხეს უქმნი-

და ოფიც. მოძღვრებას. ამ გარემოებამ და სარწმუნოებაში მეტი გარკვეულობის შეტანის სურვილმა აიძულა *,,ეკლესიის მამები''* მოეხდინათ ქრისტიანობის უმთავრესი დებულებების ფორმულირება, რ-საც **დ.** უწოდეს. **დ**-ების სისტემა, გარდა ქრისტიანობისა, არსებობს აგრეთვე *იუდაიზმში, ისლამში,* ბუდიზმში და ა. შ. სიტყვა **დ.** ქრისტ. ეკლესიის ისეთი დადგენილების მნიშვნელობით, რ-საც უცილობელი ავტორიტეტი აქვს მისი თითოეული წევრისათვის, პირველად მოიხსენიება ,,საქმე წმიდათა მოციქულთაში''. ქრისტიანობის ძირითადი **დ**-ები (ღმერთის მიერ სამყაროს შექმნისა, წმ. სამებისა, ღმერთკაც ქრისტესი, საიქიო ცხოვრებისა და ცოდვილთა მისაგებელისა) ჩამოყალიბდა პირველ შვიდ *მსოფლიო საეკლესიო კრებაზე* (IV–VIII სს.). მართლმადიდებლობაში **დ**-ების მიღება დამთავრდა 787, ხოლო კათოლიციზმში ახ. **დ**-ების (სალხინებელი და სხვ.) მიღება შემდგომშიც გრძელდებოდა. XVI ს-ში კათოლ. ეკლესიის ზოგიერთი **დ.** ეჭვქვეშ დააყენა რეფორმაციამ. ლუთერანობის **დ**-ები (აუგსბურგის რწმენის აღიარება) მიიღეს 1530, კალვინიზმისა – 1551, ანგლიკანობისა (ე. წ. აღსარების 39 მუხლი) – 1571. იუდაიზმში **დ**-ები (მაგ., ერთი ღმერთის – იაჰვეს – მარადიულობა, *თალმუდისა* და *ძველი აღთქმის* სიწმინდე, მესიის გამოცხადება და სხვ.) ღვთისმეტყველებმა იუდაისტურ წმიდა წიგნებზე დაყრდნობით გამოიმუშავეს XI–XIII სს-ში, ისლამის **დ**-ები (მაგ., **დ**-ები ერთი ღმერთის – *ალაჰის,* წინასწარმეტყველებისა და მათი მეშვეობით ღვთის ნების გამოცხადებისა, მაჰმადის წინასწარმეტყველური მისიის შესახებ) ღვთისმეტყველებმა ყურანზე დაყრდნობით ჩამოაყალიბეს IX–X სს-ში. ბუდიზმის **დ**-ები (მაგ., გარდასახვის შესახებ და სხვ.) ლიტერატურულად გაფორმდა ჰინაიანაში ძვ. წ. I ს-თვის, მაჰაიანაში – ახ. წ. I ს-ში. ინდუიზმის დოგმატური საფუძვლები შეიქმნა ადრინდ. შუა საუკუნეებში ბუდისტების მუსლიმანებთან ბრძოლის ფონზე, ამიტომ ზუსტად ფორმირებულ სისტემად ვერ ჩამოყალიბდა. **დ**-ების გამომუშავებისას ეკლესია ცდილობდა ხელი შეეშალა თავისი მოძღვრების საფუძვლის კრიტიკისათვის. **დ**-ების უარმყოფელთ მკაცრად დევნიდნენ. XX ს. II ნახევარში, განსაკუთრებით ვატიკანის მეორე საეკლ. კრების (1962–65) შემდეგ, ქრისტ. ეკლესიებში შეიმჩნევა ტენდენცია, გადალახონ ურთიერთშორის არსებული დოგმატური წინააღმდეგობანი.

დიაკონი ზ. თევზაძე.

დოგმატიკა, ქრისტიანული სასულიერო მწერლობის დარგი, მოძღვრება საღვთისმეტყველო დოგმების შესახებ. მასში გადმოცემულია ქრისტიანობის ფილოს.-თეოლ. არსი. **დ.** წარმოიშვა წარმართობის, იუდაიზმისა და მწვალებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ქრისტ. სარწმუნოების დაცვისა და განმტკიცებისათვის.

დ. ქართ. სას. მწერლობის მნიშვნელოვანი დარგია. დოგმატიკური თხზულებების ქართულად თარგმნა დაიწყო ადრინდ. შუა საუკუნეებში. X–XII სს-ში დოგმატიკური მწერლობა თავიანთი შემოქმედებით გაამდიდრეს ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებმა, თეოფილე ხუცესმონაზონმა, ეფრემ მცირემ. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის *არსენ იყალთოელს.* მან თარგმნა ბიზანტ. **დ**-ის საუკეთესო ნიმუშები და შეადგინა ორიგინ. კრებ. ,,დოგმატიკონი'', რ-მაც დიდი გავლენა იქონია შემდგომი ხანის ქართ. მწერლობაზე. XVII–XVIII სს-ში საქართველოში იწერებოდა ,,კატეხიზმოს'' ტიპის სახელმძღვანელოები, მნიშვნელოვანია ს.-ს. ორბელიანის ,,საქრისტიანო მოძღვრება'' (,,სამოთხის კარი'').

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960. *ი. ლოლაშვილი.*

დოგუზაანი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ლარგვისის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ხარულის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ჭურთის (ქსნის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1070 *მ,* ახალგორიდან 27 *კმ.* 1989 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

დოგუზოვი გიორგი ვასილის ძე (8. X. 1923, ქ. ხარბინი, ჩინეთი, – 1991, ცხინვალი), ფერმწერი. საქართვ. დამს. მხატვარი (1967), დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1953). **დ**-ის ნამუშევრებში ასახულია ოსი ხალხის ყოფა-ცხოვრება, საქართვ. ბუნების თავისებურებები. მნიშვნელოვანი ნამუშევრები: ,,ძველი ცხინვალი'' (1965), პოეტ კოსტა ხეთაგუროვის პორტრეტი (1966), ,,გაზაფხული მთებში'', ,,ძველი ხიდი'' (ორივე 1969), ,,გუფთის ხეობა'' (1970), სერია ,,ოსური პეიზაჟები'' [,,ზაფხული'' (1958), ,,გაზაფხული'' (1971), ,,შემოდგომა'' (1971)], **დ**-ის მიერ შესრულებული ილუსტრაციები გამოირჩევა მაღალი ოსტატობით.

დოდაშვილი კოტე ივანეს ძე (დ. წ. უცნობია, – გ. XI. 1919, თბილისი), ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე, ს. *დოდაშვილის* შვილთაშვილი. მოღვაწეობდა XIX ს. 80-იან – XX ს. 10-იან წლებში. ავტორია გრამატიკისა და ქართ. ლექსთწყობის საკითხებისადმი მიძღვნილი რამდენიმე წერილისა (,,საგრამატიკო ესკიზი, ზოგიერთი მოსაზრებანი ზმნაზე და ზმნის გამო'', ,,ქართული ლექსთწყობა'', ,,საგრამატიკო კვლევა'', ,,ახალი გზა-კვალი ქართული გრამატიკის კვლევა-ძიებისა'', ,,სხვადასხვა წერილები'', ,,ივერიულის ფონეტიკისათვის'' და სხვ.), რ-ებიც იბეჭდებოდა ,,ივერიაში'', ,,კვალსა'' და ,,მოამბეში''. ამ წერილებში **დ.** განიხილავს სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღვლილების საკვანძო საკითხებს ქართულში. მაგ., სახელთა ბრუნების დახასიათებისას ძირითადად მართებულად არის განსაზღვრული სახ. ბრუნვის ნიშნის (**0**) ნაცვალსახელური წარმომავლობა; **დ**-ს ეკუთვნის უღვლილებაში ფორმათა წარმოების მიხედვით ზმნების დაჯგუფების პირველი მცდელობა, ქართ. გრამატიკების მიხედვით მანვე დაწვრილებით გააანალიზა ამ საკითხის ისტორია; **დ**-მა შეადგინა ქართ. ენის თანხმოვანთა კლასიფიკაციის ცხრილი, ქართ. ბგერების ლათ. და რუს. სატრანსკრიფციო ნიშნები და სხვ.

დ. ეხება სალიტ. ქართულის სიწმინდის საკითხებსაც. ქართველურ (ივერიულ) ენათა გენეტ. ურთიერთობის კვლევა მას წინა აზიის მკვდარ და ცოცხალ კავკ. ენებთან კავშირში ესახებოდა. მან დაასაბუთა ქართ. ლექსთწყობის სილაბურ-ტონურობა, განსაზღვრა ქართ. პროსოდიის თავისებურებანი და სწორად მიუთითა მისი აქცენტუაციის სპეც. ხასიათზე.

დ. კარგად იცნობდა თავისი დროის ენათმეცნიერების (ფერდინანდ დე სოსიურის, ბოდუენ დე კურტენეს, ო. კორშის, ი. გროტის) ნაშრომებს. იყო პოლიგლოტ-ლინგვისტი, კვლევისას იყენებდა როგორც ქართველურ, ისე ევრ. ენების, ასევე ძვ. ბერძნულ, სომხურ, არაბულ თუ სპარსულ მასალებს.

ლიტ.: ა ბ ე ს ა ძ ე ნ., გრამატიკის საკითხები XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემებში, თბ., 1960; გ ა წ ე რ ე ლ ი ა ა., ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953; ქართული პოე-



ს. დოდაშვილი.

ტიკის ქრესტომათია (XVIII–XIX სს.), გ. მიქაძის რედ., თბ., 1954.

ა. გაწერელია. მ. სუხიშვილი.

დოდაშვილი (დოდა ევ-მა-გარსკი), სოლომონ ივანეს ძე [15. V. 1805, სოფ. მაღარო, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 20. VIII (1. IX). 1836, ქ. ვიატკა], ფილოსოფოს-ლოგიკოსი, განმანათლებელი და საზოგადო მოღვაწე. 1817 მიაბარეს ბოდბის მონასტერთან არსებულ სკოლაში, 1818 შევიდა სიღნაღის სას.-სამრევლო სკოლაში, შემდეგ იქვე – სას. სასწავლებელში, ხოლო 1820 – თბილ. სას. სემინარიაში რიტორიკული განყ-ბის I კურსზე, რ-იც 1822 დაამთავრა. სემინარიის გამგეობის დადგენილებით იმავე წლის 30 მარტს დაინიშნა სას.-სამრევლო სკოლის უფროსი კლასის მასწავლებლად. 1823 ივლ. დ-მა თავი დაანება სას. სასწავლებელში მუშაობას და პეტერბურგში გაემგზავრა. 1824 დ. პეტერბურგის ფილოს.-იურიდ. ფაკ-ტის თავისუფალი მსმენელი გახდა, რ-იც 1827 დაამთავრა. პეტერბურგში ცხოვრობდა ბაგრატ (გიორგის ძე) ბატონიშვილის სახლში და მის მცირეწლოვან ვაჟებს ასწავლიდა ქართ. ენას. ამ სახლში იგი გაეცნო იქ მცხოვრებ ბაგრატიონებს (იოანე და თეიმურაზ გიორგის ძეთ, ანა დედოფალსა და სხვ.). დ-ზე, როგორც მოქალაქეზე, მეცნიერსა და პოლიტ. მოღვაწეზე, დიდი გავლენა იქონია პეტერბურგმა; იგი მოწმე გახდა 1825 დეკემბრის აჯანყებისა და დეკაბრისტების დასჯისა. მის ქაღალდებში შემდეგ აღმოჩნდა კ. რილეევის იმ წერილის პირი, რ-იც მან სიკვდილით დასჯის წინა დღეს გაუგზავნა მეუღლეს. 1827 თბილისში დაბრუნების შემდეგ მიიწვიეს კეთილშობილთა სასწავლებელში (1830-იდან გიმნაზია) ქართ. ენის, ლოგიკისა და გეოგრ. მასწავლებლად. მისი ერთ-ერთი საყვარელი მოწაფე იყო ნ. *ბარათაშვილი*. 1828 ივლისში მიიწვიეს გაზ. *„ტფილისის უწყებათანის“* ქართ. გამოცემის რედაქტორად. 1832 იანვრიდან შეუდგა პირველი ქართ. ლიტ. ორგანოს – ორკვირეული ჟურნალის «*სალიტერატურონი ნაწილნი „ტფილისის უწყებათანის“*» გამოცემას (დაიბეჭდა მხოლოდ ხუთი ნომერი). 1832 დეკ-ში დააპატიმრეს, როგორც მთავრობის საწინააღმდეგო პოლიტ. შეთქმულების ერთ-ერთი იდეური მეთაური. 1834 მიუსაჯეს სამუდამო გადასახლება რუს. ჩრდ. გუბერნიაში, ქ. ვიატკაში, სადაც გაემგზავრა ცოლსა და პატარა შვილებთან ერთად. ვიატკის გუბერნატორის კანცელარიაში ერთხანს ა. *გერცენთან* ერთად მუშაობდა. გარდაიცვალა ჭლექით. დასაფლავებული იყო იქვე. 1994 მისი ნეშტი გადმოასვენეს და დაკრძალეს მთაწმინდაზე.

დ-ის მნიშვნელოვანი ფილოს. შრომებია ,,ფილოსოფიის კურსი. ნაწილი პირველი. ლოგიკა“ (პეტერბურგი, 1827, რუს. ენაზე; გამოსაცემად იყო წარდგენილი ქართ. ვარიანტიც, მაგრამ იგი დაკარგულია; 1949 ქართულად თარგმნა პ. იაშვილმა), რ-საც გამოეხმაურა პეტერბურგისა და მოსკოვის პრესა და აგრეთვე მის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი ,,ლოგიკური მეთოდოლოგია“ და ,,რიტორიკა“. დ-ის ფილოს. შეხედულებათა საფუძველია გერმ. კლასიკური იდეალიზმი, სახელდობრ, ი. კანტისა (ე. წ. კანტ-იეშეს ლოგიკა) და ფ. შელინგის მიმდევრის ი. შადის მიერ განვითარებული თვალსაზრისი ფილოსოფიის, ლოგიკისა და მათი ურთიერთმიმართების საკითხებზე. დ-ის შრომებში ფორმალური ლოგიკის ტრად. სისტემური დალაგება შეცვლილია აზროვნების ფორმების არატრადიციული მიმდევრობით – მსჯელობა, ცნება, დასკვნა. დ. ყოველ ლოგიკურ აქტს, ცნებასა და კანონს განიხილავს როგორც დიალექტ. ტრიადის რეალიზაციას. მის შრომებში განხილულია აგრეთვე შემეცნების მეთოდების სრულყოფისა და ხელოვნ. თეორიის საკითხები. მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვს ქართ. ლიტრის ისტორიის საკითხებზეც.

დ-ს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართ. ენის გრამატიკისა და ლიტრის განვითარების საქმეში. 1830 დაიბეჭდა დ-ის სასკოლო გრამატიკა – ,,შემოკლებული ქართული ღრამმატიკა“. მასში შეტანილია შემდეგი დისციპლინები: მორფოლოგია, სინტაქსი, ორთოგრაფია. დ-ის გრამატიკა გამოირჩევა მასალის მწყობრი და თანამიმდევრული განხილვით, ნათელი მსჯელობით, მკაფიო დებულებებით. დახასიათებულია ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები.

დ. იყო ბელეტრისტი, ლიტ-რის ისტორიკოსი და თეორეტიკოსი. მის თხზულებაში ,,რიტორიკა“ განხილულია ე. წ. ,,აღმკობლის პროზის“ (მხატვრული პროზის) თეორიის საკითხები. აქვე ეხება იგი გრამატ. სტილისტიკისა და მეტყველების კულტ. საკითხებსაც. დ-ის ნაშრომი ,,მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“, რ-იც დაიბეჭდა ჟურნალში «სალიტერატურონი ნაწილნი ,,ტფილისის უწყებათანი“» (1832, №1, 2), ძვ. ქართ. ლიტრის პერიოდიზაციის პირველი ცდაა. ავტორი ასაბუთებს ქართ. მწერლობის თვითმყოფობას, მიმოიხილავს ქართვ. მწერალთა, მთარგმნელთა და ფილოსოფოსთა მოღვაწეობას. აღნიშნულ ჟურნალშივე გამოქვეყნდა დ-ის მოთხრობა ,,ელენა“ (№4, 5). დ-მა დატოვა აგრეთვე მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობა (წერილები ი. ხელაშვილისადმი, ფ. კიკნაძისადმი, ანა დედოფლისადმი, ოქროპირ ბატონიშვილისადმი და სხვ.).

დ. ილაშქრებდა ყოველგვარი ცრურწმენის წინააღმდეგ, ქადაგებდა განმანათლებლობის ფართოდ დანერგვას. მისი განმანათლებლური იდეები სამშობლოს სიყვარულით იყო ნაკარნახევი. დ-ის იდეებმა საფუძველი ჩაუყარა და ხელი შეუწყო თერგდალეულთა მოღვაწეობას. ქართ. კულტურის გადარჩენისათვის ბრძოლას ხიფათით აღსავსე იმ დროში დ. ღირსეულად აგრძელებდა. იგი იყო დიდი სულიერი ძალის პიროვნება და ეროვნ. კულტ. იდეური ლიდერი. ილია აღნიშნავდა, რომ ეროვნულ განმათავისუფლებელი დროშა მემკვიდრეობით ჰქონდათ გადმოცემული ს. დოდაშვილისა და გ. ერისთავისაგან.

თხზ.: თხზულებანი, თბ., 1964; თხზულებანი (შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო თ. კუკავამ), თბ., 1989; Курс философии, ч. 1 – Логика, СПб., 1827 (ქართ. ენაზე – 1949).

ლიტ.: გაბიძაშვილი ო., სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1985; გაგოიძე ვ., ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XIX ს. საქართველოში, თბ., 1964; გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1–2, თბ., 1935–70; გოცაძე მ., სოლომონ დოდაშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1955; თევზაძე გ., სოლომონ დოდაშვილი, თბ., 2005; კუკავა თ., სოლომონ დოდაშვილი და მისი მსოფლმხედველობა, თბ., 1975; ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 2, თბ., 1958; სოლომონ დოდაშვილი. ბიობიბლიოგრაფია (1825–1966). შემდგ.: ნ. დოლიძე, ნ. ფირცხალავა; ს. ხუციშვილის რედ. და წინასიტყვაობით, თბ., 1967; სოლომონ დოდაშვილი (საიუბილეო კრებული), თბ., 1986.

ლ. მჭედლიშვილი. ი. ქავთარაძე.

დოდლანი, სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის ბესლახუბის თემში (აფხაზეთის არ), სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ღალიძგის (ერთვის შავ ზღვას) მარჯვ. ნაპირას, ოჩამჩირე – ტყვარჩელის სარკინიგზო და საავტ. გზაზე. ზ. დ. 20 *მ*, ოჩამჩირიდან 7 *კმ*. 1,1 ათ. მცხ. (1989).

დოდო, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების ცნობით, *დავით*

გარეჯელის უახლოესი მოწაფე და თანამშრომელი, კახეთის მკვიდრი. VI ს. I ნახევარში გარეჯის მრავალმთის სანახებში დაუარსებია მონასტერი (იხ. *დოდორქა*). დ-ს ცხოვრების შესახებ ცნობები ჩართულია დავით გარეჯელის ცხოვრებაში.

წყარო: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის გამოც., წგ. 3, თბ., 1971.

ბ. ლომინაძე.

დოდოთი, ქართის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზემო დოდოთისა* და *ქვემო დოდოთის* გავრცელებული სახელწოდება.

დოდოთი, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის წონის თემში (შიდა ქართლის მხარე), რაჭის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ყვირილის (რიონის მარცხ. შენაკადი) ზემოთში. ზ. დ. 1800 *მ,* ჯავიდან 38 *კმ.* 17 მცხ. (1989).

დოდოთის ცხრაკარა, X ს. დასაწყ. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს ისტ. შიდა ქართლში, მდ. ფრონის ხეობაში, სოფ. ზემო დოდოთის მახლობლად. ძლიერ დაზიანებულია. ნაგებობა წარმოადგენს დარბაზულ ეკლესიას გარშემოსავლელით. ნაგებია სუფთად გათლილი ღვინისფერი ქვის კვადრების სწორი რიგებით, ურევია უხეშად დამუშავებული სხვადასხვა ზომის ქვებიც. სამხრეთის კარი შემკულია მოჩუქურთმებული სათაურით. კარის გვერდზე ამოკვეთილი წარწერიდან ჩანს, რომ ეკლესია X ს. დასაწყისში აუგია ტბელ ერისთავს ივანეს. X ს. დასასრ. ან XI ს. დასაწყისში კი მისთვის ქავთარ ტბელს გარშემოსავლელი მიუშენებია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დოდოთი ტბელ ფეოდალთა სამფლობელოს შემადგენლობაში შედიოდა. განსაკუთრებითაა გამოყოფილი გარშე-



დოდოთის ცხრაკარა. X ს. დასაწყისი.

მოსავლელის სამხრ. ნაწილში არსებული ორმალიანი თაღოვანი შესასვლელი. თაღებს შორის მრგვალი სვეტია, რ-იც მოჩუქურთმებული კაპიტელითაა დასრულებული. შესასვლელი შიგნითაც და გარედანაც უხვადაა მოჩუქურთმებული გეომ. და სტილიზებული მცენარეული ორნამენტით. ასევე იყო მორთული დას. შესასვლელიც. დოდოთის ეკლესიის გარშემოსავლელის ჩუქურთმები შესრულების ხარისხითა და სირთულით გამოირჩევა მთლიანი ეკლესიის მორთულობისაგან.

ლიტ.: Меписашвили Р. С., Цинцадзе В. Г., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли, Тб., 1975.

რ. მეფისაშვილი. ვ. ცინცაძე.

დოდორქა, მონასტერი, ფეოდალური სენიორია, განათლებისა და კულტურის კერა შუა საუკ. საქართველოში; ქართ. ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი *დავითგარეჯის* სამონასტრო კომპლექსში. VI ს. I ნახევარში დააარსა *დავით გარეჯელის* ერთერთმა მოწაფე *დოდომ.* შედგება VI – XVIII სს. რამდენიმე იარუსად განლაგებული გამოქვაბულის კომპლექსებისგან. დ. ყველაზე დიდ სიგრძეზე გაშენებული მონასტერია დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში. მთავარი დარბაზული ეკლესია და სატრაპეზო გარეჯის საერთო აღმავლობის პერიოდს – XI–XIII სს. განეკუთვნება. განსაკუთრებით საყურადღებოა წმ. დოდოს მცირე ეკლესია, რ-ისგანაც შემორჩენილია საკურთხევლის აფსიდის კონქი, კლდეში გამოკვეთილი უყელო გუმბათი, ჩრდ. კედელი და დას. ნართექსის კედლის ნაწილი. კონქში შემონახულა საქართველოში ერთ-ერთი ადრინდ. (VIII–IX სს.) და მნიშვნელოვანი მხატვრობის ნიმუში. მოხატულობის მთავარი ფიგურაა ტახტზე მჯდომი ქრისტე მაკურთხებელი მარჯვენით. მარცხ. ხელში უჭირავს გადაშლილი წიგნი, რ-ზეც ქართ. წარწერის კვალია შერჩენილი. მაცხოვრის ორივე მხარეს თითო მედალიონია. ერთში გამოსახულია ქალის ფიგურა მკერდამდე, მის თავს ზემოთ ქიმებიანი მთვარეა, მეორეში ასევე მკერდამდეა გამოსახული ჭაბუკი ფრიგიული ქუდით, რ-საც მარჯვ. ხელში აგიზგიზებული ჩირაღდანი უჭირავს. როგორც ჩანს, პირველი ფიგურა მთვარეს განასახიერებდა,



დოდორქა. წმინდა დოდოს მცირე ეკლესია. VI ს. I ნახევარი.

მეორე – მზეს. ამგვარი გამოსახულებანი ადრინდ. ქრისტ. სარკოფაგებში გვხვდება. ქრისტეს ქვემოთ გამოსახული არიან მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი, აგრეთვე ტეტრამორფი (ოთხი მახარებლის სიმბოლური გამოსახულება) და ქერუბიმი. დ-ის მონასტრის ისტორია დაკავშირებულია დავითგარეჯის მონასტრის ისტორიასთან. XII–XV სს-ში დ. სამეფო მონასტერი იყო და ეპარქიულად *რუსთავის საეპისკოპოსოში* შედიოდა. 1424 *ალექსანდრე I-მა* იგი დავითგარეჯთან ერთად შესწირა მცხეთის საკათოლიკოსო ტახტს – სვეტიცხოვლის ეკლესიას და XV–XVII სს-მდე კათოლიკოს-პატრიარქს ემორჩილებოდა, ხოლო შემდეგ, 1760-მდე – ნინოწმინდელ ეპისკოპოსს. XIII–XVIII სს-ში გარეშე მტრების (მონღოლები, თემურლენგი, თურქები, ირანელები და ლეკები) შემოსევებისა და

ბატონობის შედეგად დ. ბევრჯერ დაცარიელდა. დ-ის მდგომარეობა გაუმჯობესდა XVII ს. დასასრულიდან, მაგრამ ხშირი ლეკიანობის გამო იგი კვლავ გაუკაცრიელდა. 1760 დ. დავითგარეჯას შეუერთეს. ამჟამად მონასტერი მოქმედია.

ლიტ.: ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966; Вольская А., Росписи пещерных монастырей Давида-Гареджи, კრ.: კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. 8, თბ., 1988.

ბ. ლომინაძე. თ. საყვარელიძე.

დოესი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), მტკვრის შუა ხეობის ვაკეზე, მეტეხი – გორის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: დ., გრაკალი). ზ. დ. 580 *მ,* კასპიდან 25 *კმ,* გრაკლიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 *კმ.* 2,8 ათ. მცხ. (2002).

1957 ხოვლის არქეოლ. ექსპედიციამ დ-ის მინდორში გათხარა ბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხი.

სოფ. დ. თავდაპირველად თავად ჯავახიშვილებს ეკუთვნოდა, 1615 კი მეფე ლუარსაბ II-მ იგი მერაბ და ქაიხოსრო ციციშვილებს უბოძა.

დოესელთა მთავარი სამეურნეო ბაზაა დ-ის მინდორი, რ-იც ყარაღაჯიდან ხიდისთავ–ქვახვრელ–ხოვლემდე ვრცელდება. უწინ მინდვრის მხოლოდ ქვედა ნაწილი ირწყვებოდა თემძისა და მტკვრის (გორის) არხებით. თემძის არხი ,,მამაპაპური'' იყო, სოფ. ახალქალაქიდან მოდიოდა და დურსუ ერქვა. მას სათავე ედო სოფ. თემძისხევზე (ქონდარიანი). გორის არხი გაიყვანეს 1917–18 წლებში.

დ-ში ღვთისმშობლის დანგრეული ეკლესიაა (შუა საუკ.). დ-იდან 2,5 *კმ*-ზეა წეროაანთ წმ. გიორგის ეკლესიის (გვიანდ. შუა საუკ.) ნანგრევები.

ლიტ.: გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.

ჯ. გვასალია.



დ. დოიაშვილი.

დოიაშვილი დავით თეიმურაზის ძე (დ. 7. X. 1971, თბილისი), რეჟისორი. 1993 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს ინ-ტის თეატრის სარეჟისორო ფაკ-ტი (მ. თუმანიშვილის სახელოსნო). 1998–2001 იყო თბილისის კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მთ. რეჟისორი, 2004-იდან ვ. აბაშიძის სახ. მუს. კომედიისა და დრამის სახელმწ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, 2005-იდან – დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ხოლო 2006-იდან თეატრის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი. დადგა: რ. აკუტაგავას ,,ცხოვრება იდიოტისა'' (კინომსახიობთა თეატრი, 1994), უ. შექსპირის ,,მეფე ლირი'' (1995; კ. მარჯანიშვილის სახ. პრემია; 1995), ა. ჩეხოვის ,,სამი და'' (1997), ო. უაილდის ,,სალომეა'' (1998) და ჟ. მარსინის ,,მაყურებლისთვის ამის ნახვა აკრძალულია'' (1999, ს. ახმეტელის სახ. პრემია, 1999, ოთხივე მარჯანიშვილის სახ. თეატრი), დ. ტურაშვილის და დ. დოიაშვილის ,,ჯინსების თაობა'' (თავისუფალი თეატრი, 2001), ვ. დოლიძის ოპერა ,,ქეთო და კოტე'' (ბათუმის საოპერო სტუდია, 2005 და ამ ოპერის



დ. დოიაშვილი. სცენა სპექტაკლიდან ,,ვერისუბნის მელოდიები''.

ახ. ვერსია – მიუზიკლი ,,ქეთო და კოტე'', ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრი, 2011), ,,მარლენ დიტრიხი'' (დიტრიხის ცხოვრების მიხედვით, 2006), უ. შექსპირის ,,მაკბეთი'' (2009), ,,ვერისუბნის მელოდიები'' (გ. შენგელაიასა და გ. ცაბაძის მიუზიკლის მიხედვით, 2010), ,,მუსიკის ჰანგები'' (რ. უაიდის მიხედვით, 2010), ,,სირანო დე ბერჟერაკი'' (ე. როსტანის ,,სირანო დე ბერჟერაკი'', 2011); ყველა მუს. და დრამის თეატრი) და სხვ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2005).

დოიაშვილი თეიმურაზ იოსების ძე (დ. 29. XII. 1948, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1995). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1970). სხვადასხვა დროს იყო ჟურნალების – ,,კრიტიკის'', ,,ქართული მწერლობის'', ,,ცისკრის'', ,,ლაშარის'' მთ. რედაქტორი; ხელმძღვანელობდა კრიტიკის ბიუროს საქართვ. მწერალთა კავშირში. 1973-იდან მუშაობს შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ინ-ტში. 1999–2004 იყო ამავე ინ-ტის ლიტერატურის თეორიისა და ლექსთმცოდნეობის განყ-ბის გამგე. 2004-იდან ხელმძღვანელობს ,,გალაკტიონის კვლევის ცენტრს'', არის რედაქტორი ლიტ.-თეორ. და ლიტ.-სამეცნ. ყოველწლიური ლიტ. კრებულისა ,,გალაკტიონოლოგია''. პირველი წერილი ,,სერგი გორგაძე და ქართული ვერსიფიკაციის საკითხები'' 1972 გამოაქვეყნა, პირველი წიგნი ,,ლექსის ევფონია'' – 1981. ავტორია წიგნებისა: ,,ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები'' (1982), ,,დაკარგული გასაღების ძიებაში'' (1985), ,,გუშინ, დღეს, ხვალ'' (1989), ,,ვერსიფიკაციული პორტრეტები'' (1999), ,,Enjambement'' (2000), ,,პოლემიკას რა უნდა'' (2001), ,,დაბრუნება'' (2003), ,,ორნი ერთ ნავში'' (2006), ,,ანდერძი ტარიელისა'' (2007). გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული სტატია ლიტ. ისტორიის, ლიტ. თეორიის, ლექსთმცოდნეობისა და კრიტიკის პრობლემებზე.

მიღებული აქვს ვაჟა-ფშაველას სახ. პრემია (1994), ლიტ. პრემია ,,საბა'', მ. ჯავახიშვილის პრემია (ორივე 2004), ი. ჭავჭავაძის პრემია ,,საგურამო'' (2009), გ. კიკნაძის სახ. პრემია (2010).

დოიჯაშვილი მანანა ლევანის ასული (დ. 5. XI. 1947, თბილისი), პიანისტი და პედაგოგი, საქართვ. სახ. არტისტი (1989). ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიის (2003), აგრეთვე ჯ. ენესკუს სახ. V საერთაშ. (ბუქარესტი, 1970), ბ. სმეტანას სახ. საერთაშ. (ჰრადეც-კრალოვე, 1974), ავსტრალიის I საერთაშ. (სიდნეი, 1977) კონკურსების ლაურეატი. თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის რექტორი (2000–11). 1971 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. თ. ამირეჯიბების კლასი), 1973 – ასპირანტურა (მისივე ხელმძღვანელობით). ამავე წლიდან არის კონსერვატორიის პედაგოგი (1994-იდან – პროფესორი), 1965-იდან – საქართვ. სახელმწ. ფილარმონიის



მ. დოიჯაშვილი ფორტეპიანოსთან.

სოლისტი. დ-ის შესრულებისათვის დამახასიათებელია მასშტაბურობა, ნატიფი მუს. გემოვნება, არტისტული ტემპერამენტი. მის საშემსრულებლო რეპერტუარში მრავალადაა წარმოდგენილი სხვადასხვა ეპოქისა და განსხვავებული სტილის მუს. ნაწარმოებები. იგი არაერთი ქართვ. კომპოზიტორის ნაწარმოებთა პირველი შემსრულებელია (ს. ნასიძის III საფორტეპიანო კონცერტი, ა. ბალანჩივაძის საფორტ. სონატა №2).

დ. 1997-იდან არის თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის დიდი და მცირე დარბაზების სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართვ. მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშ. კონკურსების ორგანიზატორი და დამფუძნებელი (1997). დაჯილდოებულია ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით (2010).

„დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის“, XVI–XIX სს. დოკუმენტების კრებული, შედგენილი ნ. *ბერძენიშვილისა* და მ. *ბერძნიშვილის* მიერ. I წიგნი გამოვიდა 1962. დოკუმენტები შეეხება ფეოდ. თბილისს, ქრონოლოგიურად 1505-იდან XIX ს-მდე. ტექ. მიზეზების გამო გამოცემისას მასალა მექანიკურად გაიყო ორ ნაწილად. პირველ წიგნში შესული საბუთები 1771-ით წყდება.

კრებულში შესულია ნასყიდობის, წყალობის, შეწირულობის, პირობის, გარიგებისა და სხვ. წიგნები, გასამყრელოები, არზები, ოქმები, განჩინებები და სხვა სახის დოკუმენტები (სულ 274 საბუთი). ისინი ამოკრეფილია საქართვ. ცენტრ. საისტორიო არქივისა და ხელნაწერთა ინ-ტის ფონდებიდან.

დოკუმენტები ასახავენ ფეოდ. თბილისის სოც. და ეკონ. მდგომარეობას, თბილისურ ყოფა-ცხოვრებას, სამოხელეო და საქალაქო წყობას, მეურნეობას თბილისში და მის გარეთ, ვაჭრობას, ხელოსნობას, საქალაქო მეურნეობას, საცხოვრ. და სამეურნ. ნაგებობებს, ქალაქის გარეგან სახეს.

კრებულს დართული აქვს პირთა და გეოგრ. სახელთა საძიებელი და თბილისური ტოპონიმიკა.

მ. ბერძნიშვილი.

„დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის“, დოკუმენტთა კრებული, შედგენილი და გამოცემული ნ. *ბერძენიშვილის* რედაქციით, ორ წიგნად. I წიგნი გამოვიდა 1940 წ., II – 1953. ესაა დოკუმენტთა პირველი კრებული, რ-იც შედგენილია მანამდე გამოცემული დოკუმენტებისაგან განსხვავებული წესით: აქ წარმოდგენილი მასალა შერჩეულ-დალაგებულია თემატურ-ბუდობრივ-ქრონოლოგიურად. თემატურად კრებულში შესულ საბუთებში ასახულია ბატონყმური ურთიერთობა XV–XIX სს-ში. ამ ურთიერთობათა წარმოსაჩენად გამოყენებულია წყალობის, შეწირულობის, აზატობის, ნასყიდობის, სითარხნის, პირობის, ბატონყმობისა და სხვა საბუთები, ოქმები, არზები, სამართლის წიგნები, განჩინებები. საქართვ. სხვადასხვა კუთხიდან წარმომავალი საბუთები მოცემულია ცალ-ცალკე. დოკუმენტთა I წიგნში შესულია 676 საბუთი, აქედან ნომერი 1–501 ქართლისაა, 502–597 – კახეთის, 598–676 – იმერეთის. II წიგნში 479 საბუთია, რ-თაგან ნომერი 1–409 ქართლისაა, 410–434 – კახეთის, 435–466 – იმერეთის, ხოლო 467–479 – გურიის. დოკუმენტთა ორივე წიგნს ახლავს პირთა და გეოგრ. სახელთა საძიებელი.

მ. ბერძნიშვილი.

დოკუჩაევი ვასილი ვასილის ძე [17. II (1. III). 1846, სოფ. მილიუკოვო, ახლანდ. სიჩოვსკის რ-ნი, სმოლენსკის ოლქი, – 26. X (8. XI). 1903, პეტერბურგი], რუსი ბუნებისმეტყველი, გენეზისური ნიადაგმცოდნეობის ფუძემდებელი. 1871 დაამთავრა პეტერბ. უნ-ტის საბუნებისმეტყველო განყ-ბა. ცნობილია მისი მონოგრაფია „რუსეთის შავმიწა ნიადაგები“ (სადოქტორო დისერტაცია, 1883).

დ-მა 1898–99 იმოგზაურა კავკასიაში, გამოიკვლია სამხრ. კავკასიის, მ. შ. საქართველოს მრავალი რ-ნი (აჭარის სანაპირო, ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოები, ჯავახეთი, კახეთი, საქართვ. სამხ. გზის ზოლი). კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს მაგალითზე დაადგინა ნიადაგების გეოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი კანონი მათი ვერტიკალური გავრცელების შესახებ. შექმნა მოძღვრება ნიადაგის ევოლუციაზე. 1946 მარტში მეცნიერის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, ნიადაგმცოდნეობაში საუკეთესო სამეცნ. ნაშრომისათვის სსრკ-ში დაწესდა დ-ის სახ. პრემია და ოქროს მედალი.



მ. დოიჯაშვილი.

თხზ.: Соч., т. 1–9, М., 1949–61.

თ. ურუშაძე.

დოლაბერიძე იამზე ვლადიმერის ასული (დ. 7. XII. 1939, თბილისი), ბალეტის მსახიობი, მოცეკვავე. საქართვ. სახ. არტისტი (1971). 1958 დაამთავრა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებული ქორეოგრ. სასწავლებელი და იმავე წელს ჩაირიცხა ამავე თეატრის საბალეტო დასში, სადაც ცეკვავდა 1960-მდე. 1960–75 დ. ქართ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. აკად. ანსამბლის წამყვანი მოცეკვავე იყო (ხელმძღვ. ი. სუხიშვილი და ნ. რამიშვილი).



ი. დოლაბერიძე.



ი. დოლაბერიძე. ცეკვა „ქართული“.

ამ ანსამბლში წარმატებით შეასრულა სოლო პარტიები ცეკვებში: ,,აჭარული'', ,,ხევსურული'', ,,ყარაჩოხელი''. განსაკუთრებით აღსანიშნავია დ-ს მიერ ფ. *სულაბერიძესთან* ერთად შესრულებული ცეკვა ,,ქართული'', რისთვისაც ქართ. ხალხ. ცეკვის ინდივიდ. შემსრულებელთა რესპ. კონკურსზე პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა (1962, 1968). დ-ის ცეკვა გამოირჩეოდა დახვეწილი პლასტიკით, განსაკუთრებული სიმსუბუქითა და არტისტიზმით. ოპერისა და ბალეტის თეატრში ასრულებდა ქართ. ცეკვებს ოპერებში: ,,აბესალომ და ეთერი'', ,,დაისი'', ,,ქეთო და კოტე''; აგრეთვე ცეკვავდა ბალეტებში: ,,ექიმი აიბოლიტი'', ,,ოტელო'', ,,მშვიდობისათვის'', ,,გორდა''. 1972 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკად. მოდელირების ფაკ-ტი; ერთხანს იყო ანსამბლ ,,რუსთავის'' სოლისტი და მხატვარი, ქმნიდა მოცეკვავეთა სამოსის ესკიზებს. დ. 1979–2010 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას სხვადასხვა ქორეოგრაფიულ სტუდიებში, მისივე დაარსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,იამზეში'' (ანსამბლის კოსტიუმების მხატვარიც თავად იყო). მის მრავალრიცხოვან მოსწავლეთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია თ. დარჩია, ნ. ჯოხაძე და სხვ.დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996). *ა. თათარაძე.*

დოლაბერიძე ნანული მიხეილის ასული (დ. 8. XI. 1942, ქუთაისი), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნ. დოქტორი (1999). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ქიმიისა და კვების ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1964). მუშაობდა ავღანეთში, ქ. მაზარი-შერიფის აზოტოვანი სასუქების საწარმოში კონსულტანტად (1979–81). 2006-იდან მუშაობს პ. მელიქიშვილის სახ. ფიზ. და ორგანული ქიმიის ინ-ტში. კვლევის ძირითადი თემაა: ალუმინსილიკატურ სისტემებში მიმდინარე ცეოლითწარმოქმნის და იონმიმოცვლითი პროცესები. მიღებული აქვს ალ. თვალჭრელიძის პრემია (2005).

დოლაბი, ბუნებრივი ან ხელოვნური მრგვალი, გათლილი ქვა, რ-იც ასეთსავე უძრავ ქვაზე ბრუნავს, წისქვილის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი. იყენებენ მარცვლოვანი კულტურებისათვის ჩენჩოს შემოსაცლელად, მარცვლეულისა და სხვა მასალის დასაღერღად, დასაფქვავად. ბუნებრივ დ-ს ამზადებენ მყარი ქანების (კვარციტი, ქვიშაქვა, გრანიტი) ერთი ან რამდენიმე ნატეხისაგან, ხელოვნურს – მსხვრეული კაჟის, კვარციტისა და ზუმფარისაგან ან ზუმფარისა და კაჟის ნარევისაგან (ნაწილაკებს ერთმანეთთან აცემენტებენ მაგნიუმქლორიდით ან კაუსტიკური მაგნეზიტით). დ-ის პირზე, დასაფქვავი მასალის უკეთ დასანაწევრებლად ნაჭდევებს აკეთებენ (,,მოკოდვა''). რაჭასა და ხევსურეთში ,,დ.'' წისქვილს ერქვა. *ლ. მოლოდინი.*

დოლარი (ინგლ. dollar <გერმ. Taler), თავდაპირველად აშშ-ის, შემდგომ მრავალი ქვეყნის ვალუტის დასახელება (ვალუტის ნიშანი – $ ან USD). იყოფა 100 ცენტად. წარმოიშვა სიტყვა ,,ტალერისაგან'', რ-იც ეწოდებოდა შუა საუკუნეების გერმანიაში (1519 წ.) გამოშვებულ მონეტას. შემდგომ ეს დასახელება მიიღო ვერცხლის მონეტებმა ევროპაში. თავდაპირველად ამ ტიპის ყველაზე გავრცელებული მონეტა იყო პესო, რ-საც ჭრიდნენ ესპანეთის ამერიკულ კოლონიებში. პესოს ხშირად უწოდებდნენ ,,ესპანურ დოლარს''. ევროპაში ვერცხლის ტალერის მონეტები მიმოიქცეოდა ყოველდღიურ ვაჭრობაში, ხოლო ოქროს ფულს ინახავდნენ მხოლოდ მსხვილი სავაჭრო გარიგებებისათვის.

არსებობს მრავალი ვერსია დ-ის ნიშნის წარმოშობასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ვერსიით ამ სიმბოლოს წარმოშობა უკავშირდება პესოს. ეს ნიშანი პირველად გამოყენებულ იქნა 1732 წ. ფულის ერთეულის გასაფორმებლად. იგი პირველად გამოჩნდა ესპანურ პესოზე, რ-იც მოიჭრა მეხიკოში და მიმოიქცეოდა ესპანეთის ჩრდილოამერიკულ კოლონიებში.

აშშ-ის კონგრესმა 1786 წ. ოფიციალური ვალუტის მიმოქცევაში შემოღებისას გადაწყვიტა დაეტოვებინა კარგად ცნობილი და გავრცელებული დ-ის სიმბოლო. აშშ-ში მიღებულ იქნა ბიმეტალისტური ფულადი სისტემა (ოქროს დ. და ვერცხლის დ.), იგი შენარჩუნებულ იქნა დიდი ხნის მანძილზე და გაუქმდა ,,ოქროს სტანდარტის შესახებ'' კანონის თანახმად 1900 წ.

ამჟამად ,,დოლარი'' ეწოდება მრავალი ქვეყნის: კანადის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ლიბერიის, ზიმბაბვეს, ბრუნეის, სინგაპურის, ბარბადოსის, გაიანის, ტრინიდადის და ტობაგოს, იამაიკის, დასავლეთ სამოას, ბელიზის, სიანგანის, აგრეთვე ბაჰამის და ბერმუდის კუნძულების და სხვ. ფულად ერთეულს. 1907–49 წლებში დ. ეწოდებოდა მონეტას ჩინეთში.

დ-ში ძირითადად მოიაზრება აშშ-ის დ., რ-იც დღეისათვის მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი სარეზერვო ვალუტაა. აშშ-ში 1786 შემოღებული დ. (ვერცხლის დ.) წარმოადგენს აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის (ფსს) სავალო ვალდებულებებს. აშშ-ში სახელმწ. ცენტრ. ბანკის არარსებობის გამო მის ფუნქციას ასრულებს ფსს, რ-იც ექვემდებარება აშშ-ის კონგრესს. დ-ის ემისიის უფლება აქვს 12 კერძო ბანკს (ფსს-ის წევრებს). აშშ-ის დ. ოფიციალურად გამოიყენება ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

1961-იდან გამოშვებული აშშ-ის დ-ის ყველა ბანკნოტი დღემდე წარმოადგენს კანონიერ საგადამხდელო საშუალებას. 1971-იდან მოხსნილია აშშ-ის დ-ის ოქროს რეზერვით უზრუნველყოფა. თავისუფალ მიმოქცევაშია 1-, 2-, 5-, 10-, 20-, 50-, 100-დოლარიანი ბანკნოტები და 1, 5, 10, 25, 50 ცენტისა და 1 დ-ის ნომინალის მონეტები. 500, 1000, 5000, 10 000 და 100000 ნომინალის ბანკნოტების ბეჭდვა, რ-ებიც გამოიყენებოდა ფსს-ის, აშშ-ის ხაზინის და ბანკთაშორის ანგარიშსწორებებში, შეწყვეტილია 1936-იდან და 1969-იდან ამოღებულია ბრუნვიდან ელექტრონული საგადამხდელო ანგარიშსწორებების შემოღების გამო.

აშშ-ის დ-ის ბანკნოტების საბაზო დიზაინი დამტკიცდა 1928. ბანკნოტებზე გამოსახულია აშშ-ის სახელმწიფო მოღვაწეთა პორტრეტები: 1- დ-იანზე – აშშ-ის პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი; 2- დ-იანზე – მე-3 პრეზიდენტი თომას ჯეფერსონი; 5- დ-იანზე – მე-16 პრეზიდენტი აბრამ ლინკოლნი; 10- დ-იანზე – პირველი ფინანსთა მინისტრი ალექსანდრე ჰამილტონი; 20- დ-იანზე – მე-7 პრეზიდენტი ენდრუ ჯექსონი; 50- დ-იანზე – მე-18 პრეზიდენტი ულის გრანტი, 100- დ-იანზე – მეცნიერი, პუბლიცისტი და დიპლომატი ბენჯამინ ფრანკლინი. დ-ის კუპიურების მეორე მხარეს გამოსახულია აშშ-ის ისტორიის ამსახველი ილუსტრაციები. აშშ-ის დ. მწვანე ფერისაა, იგი დაცულია გაყალბებისაგან. მის დასაბეჭდ ქაღალდს უშვებს მხოლოდ ერთი კომპანია, რ-საც აკრძალული აქვს მისი გაყიდვა, გარდა აშშ-ის ფსს-ისა. საღებავის ფორმულა გასაი-

დუმლოებულია. დ. მზადდება ორ ფაბრიკაში, რ-ებიც განლაგებულია დედაქალაქ ვაშინგტონში და ტეხასის შტატის ქ. ფორტ-ვარტში. ყოველდღიურად დ-ის დასამზადებლად იხარჯება 18 *ტ* სალებავი. ნომინალის მიუხედავად, დ-ის თითოეული ბანკნოტის მასაა 1 *გ*, მის დასამზადებლად გამოიყენება სელის, ბამბისა და სინთეზური ბოჭკოს ძაფი, რის გამოც არ ყვითლდება. დ-ის დახევისათვის საჭიროა ბანკნოტის 4 ათასჯერ გადაღუნვა. 1-დ-იანი ბანკნოტის გამოყენების ვადაა დაახლოებით 22 თვე, 100-დ-იანის – 60 თვე.

დადგინდა, რომ 1792 წ. აშშ-ში ერთი უნცია ოქროს ფასი უტოლდებოდა 19,3 დ-ს, 1834 წ. – 20,67 დ-ს. შემდგომში ოქროს დეფიციტის გამო დ-ის კურსი ეცემოდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მისი დევალვაცია გაღრმავდა. 1934 წ. 1 უნცია ოქრო ღირდა 35 დ. 1944 წ. ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებით შემოღებულ იქნა ოქროდევიზური სტანდარტი, რ-იც ეფუძნებოდა ოქროს და ორ ვალუტას – აშშ-ის დ-ს და დიდი ბრიტანეთის სტერლინგს, რითაც დამთავრდა ოქროს სტანდარტის მონოპოლია. 1976 შეიქმნა იამაიკის სავალუტო სისტემა და ოფიციალურად გაუქმდა დ-ის მიბმა ოქროსთან. დ. გახდა მსოფლიოს სარეზერვო ვალუტა. ევროს შემოღებამდე მსოფლიოს ქვეყნების სარეზერვო ვალუტის დაახლოებით 50% დ-ზე მოდიოდა.

საქართველოს ეროვნული ვალუტის – ლარის კურსის ფორმირება ხდება აშშ დ-თან მიმართებით. დ. წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ მთავარ სახელმწ. სარეზერვო ვალუტას, რ-იც ეროვნ. ბანკის მიერ გროვდება და ინახება საერთაშ. ანგარიშსწორებისათვის. საქართველოს სახელმწ. სარეზერვო ვალუტის მოცულობაში დ-ის წილი განისაზღვრება 55,1 %-ით. 2011 წელს 1 აშშ-ის დ-ის კურსი ლართან მიმართებით მერყეობდა 1,64–1,81-ის ფარგლებში. *ი. მესხია.*

დოლასვიფი, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), უშბის მასივის სამხრ. კალთაზე, მდ. დოლრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ბეჩოს თემის ცენტრი (სოფლები: დ., ბაგვდანარი, დოლი, მაზერი, ლანხვრი, ნაშთქოლი, ტვებიში, უშხვანარი, ქართვანი, ჭკიდანარი, ჭოხულდი). ზ. დ. 1320 *მ*, მესტიიდან 18 *კმ*. 174 მცხ. (2002). სოფელში არის მინერ. წყარო.

დოლასძედი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭართლის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), გუდამაყრის ქედის დას. კალთაზე, მდ. არაგვის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1100 *მ*, დუშეთიდან 34 *კმ*. 109 მცხ. (2002).

დოლგანდი (სპარს.–დულბანდ), 1. თეთრი, თხელი, რბილი ქსოვილი; 2. ასეთივე ქსოვილის მრგვლად დახვეული თავსაბურავი მაჰმადიანი მამაკაცებისა, ჩალმა; 3. დას. საქართველოში თეთრი მარმაშის ოთხკუთხა თავსაფარი, რ-საც გურული და იმერელი ქალები თავზე მოიხვევდნენ და წინ სამკუთხედად გაკეცავდნენ ხოლმე; 4. ქიზიყში – ქალის გრძელი ჩასაცმელი, სახელოგახსნილი და მაჯაშეხსნილი. *ლ. მოლოდინი.*

დოლენკო ვასილი ვასილის ძე (13. I. 1902, ერევანი, – 2. II. 1998, მოსკოვი), მონტაჟის რეჟისორი, სამონტაჟო საქმის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. საქართვ. სახ. არტისტი (1969). 1923 მუშაობა დაიწყო თბილისში,




ვ. დოლენკო. კადრი კინოფილმიდან ,,ელისო‘‘.

საქართვ. განათლების სახ. კომისარიატთან არსებულ კომიტეტში კინომექანიკოსად; შემდეგ მემონტაჟე გახდა. დამონტაჟებული აქვს 200-მდე ფილმი, მ. შ. მხატვრული ფილმები: ,,ელისო‘‘ (1928), ,,უკანასკნელი ჯვაროსნები‘‘, ,,უკანასკნელი მასკარადი‘‘ (ორივე 1934), ,,არსენა‘‘ (1937), ,,გიორგი სააკაძე‘‘ (I და II სერია, 1942–43), ,,ჯურღაის ფარი‘‘ (1944), ,,ჭრიჭინა‘‘ (1954), ,,მაგდანას ლურჯა‘‘ (1955), ,,ბაში-აჩუკი‘‘, ,,აბეზარა‘‘ (ორივე 1956), ,,ოთარაანთ ქვრივი‘‘ (1957), ,,სხვისი შვილები‘‘ (1958), ,,შეწყვეტილი სიმღერა‘‘ (1960), ,,ჯარისკაცის მამა‘‘ (1964), ,,ღიმილის ბიჭები‘‘ (1969), ,,პირველი მერცხალი‘‘ (1975), ,,დათა თუთაშხია‘‘ (1977), ,,მშობლიურო ჩემო მიწავ‘‘ (1980) და სხვ.; როგორც ოპერატორმა გადაიღო რამდენიმე დოკუმენტური ფილმი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. *ა. გვენცაძე.*

დოლენჯაშვილი ანზორ მიხეილის ძე (დ. 5. X. 1954, სოფ. კარდანახი, ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი), რეჟისორი. საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1988). დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. 1975–76 იყო მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის რეჟისორის თანაშემწე, 1977–78 – ფოთის ვ. გუნიას სახ. სახელმწ. თეატრის მსახიობი. 1981 დააარსა ი. ჭავჭავაძის სახ. ალიბეგლოს (საინგილო) ქართული სახალხო თეატრი. ამავე წლიდან იყო მისი სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი. თეატრის საუკეთესო დადგმები: გ. ერისთავის ,,უჩინმაჩინის ქუდი‘‘, ლ. ასათიანის ,,ბასიანის ბრძოლა‘‘, დ. აწყურელის ,,ბერბიჭები‘‘ (ინგილოურ დიალექტსა და აზერბ. ენაზე), ლ. უსტინოვის ,,პატარა მეარღნე‘‘, ა. გეწაძის ,,შუაზე გაყოფილი ცრემლი‘‘, ა. ჩხაიძის ,,თავისუფალი თემა‘‘, ბ. ლავრენიოვის ,,ორმოცდამეერთე‘‘, ნ. დუმბაძის ,,საბრალდებო დასკვნა‘‘, დ-ის ,,ალაზანს აქეთ ანუ მარტივი სიუჟეტები საინგილოს ცხოვრებიდან‘‘ (ისტ.-დოკუმენტური ქრონიკები და მასალები), ლ. თაბუკაშვილის ,,მაგრამ უფლება არ მიუცია‘‘, რ. გაბრიაძის ,,უცხო ჩიტი‘‘, უ. გიბსონის ,,ორნი საქანელაზე‘‘ (თარგმნა პ. ჭილაძემ), ბ. ბრეხტის ,,შიში და სიღატაკე მესამე იმპერიისა‘‘ (თარგმნა ლ. ბრეგაძემ), ო. იოსელიანის ,,სანამ ურემი გადაბრუნდება‘‘ და სხვ.; საკონცერტო პროგრამა: ,,ქართული სიმღერის საღამო‘‘, ლიტ. თეატრი ,,ჩვენი ილია‘‘ (ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებების მიხედვით). დაჯილდოებულია ი. ჯავახიშვილის სახ. მედლით.



ვ. დოლენკო.



ა. დოლენჯაშვილი.

დოლენჯაშვილი გურამ ნიკოლოზის ძე (დ. 9. III. 1943, ქუთაისი), გრაფიკოსი, ფერმწერი. საქართვ. დამს. მხატვარი (1985). რუსეთის სამხატვრო აკადემიის წ.-კორ. (2004). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1968, ვ. გრიგოლიას კლასი). 1969-იდან მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებში. დ-ის თემატურ ციკლებად გაერთ. ნამუშევართაგან აღსანიშნავია ,,იმერეთის პეიზაჟი‘‘ (1983), ,,ჩემი სამშობლო‘‘ (1985), ომისა და მშვიდობისადმი მიძღვნილი სერიები

,,გაფრთხილება'' (1982), ,,განგაშის ზარები'' (1987). ავტორია საინტერესო სერიებისა (,,არქტიკა'', ,,ჩუკოტკა'', ,,თეთრი ზღვა'', 1976–78). დაზგური გრაფიკის ბიენალეზე **დ**-ის ,,ვერცხლისფერი პლაკატი'' დაჯილდოვდა I პრემი-



გ. დოლენჯაშვილი. ,,იმერეთის ღამე''. 1983.

ით (1985, ვარნა, ბულგარეთი). მისი ნახატები გამოფენილი იყო აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, შვედეთში, გფრ-ში, ავსტრიაში და სხვ. **დ**-ის ნამუშევრები ინახება საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა მუზეუმებსა და კერძო პირთა კოლექციებში.



დოლი.

დოლენჯაშვილი თეონა გურამის ასული (დ. 25. II. 1975, ქუთაისი), მწერალი. დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1998). სხვადასხვა დროს მუშაობდა ქართ. ჟურნალ-გაზეთებში. 2010-იდან არის გაზ. ,,24 საათი – Weekend-ის'' ლიტ. დამატება ,,წიგნების'' რედაქტორი. 2011 იყო ქართ.-ლიტ. ჟურნ. ,,თავისუფალი დროს'' რედაქტორი. ნაწარმოებების გამოქვეყნება დაიწყო 2003-იდან. მოთხრობა ,,ფიდაი, ანუ ამინა სამიდან ხუთამდე'' დაჯილდოვდა გაზ. ,,პარნასის'' პრიზით ,,2004 წლის საუკეთესო მოთხრობა'', მოთხრობების კრებული ,,იანვრის მდინარე'' (2005) – ლიტ. პრემიით ,,საბა'' (წლის საუკეთესო დებიუტი). 2009 ლიტ. პრემია ,,საბა'' (წლის საუკეთესო რომანი) მიენიჭა **დ**-ის რომანს ,,მემფისი'', რ-ის თარგმნის უფლება 2010 შეიძინა იტალიურმა გამომცემლობა ,,ნიკიტამ''. მოთხრობა ,,რეალური არსებები'' 2010 დაჯილდოვდა პრემიით ,,წლის საუკეთესო მოთხრობა''. **დ**-ის ნაწარმოებები თარგმნილია სხვადასხვა უცხოურ ენაზე.



დოლის პური. ახალციხის წითელი დოლის პური (Triticum aestivum var. ferrigineum).

დოლი, დ ა ლ ა ბ ა ნ დ ი, ცილინდრული ფორმის დასარტყმელი საკრავი. ხის რკალზე ორივე მხარეს გადაკრული აქვს საგანგებოდ გამოყვანილი ტყავი ან აპკი. უკრავენ ორი ხელით ან ორი (წვრილი და მომსხო) ჯოხით – ხელით მხოლოდ ზემოთა მხარეზე, ჯოხებით კი – ორსავე მხარეზე (წვრილი ჯოხით და მარცხ. ხელით – ქვემოდან, მომსხოთი და მარჯვ. ხელით – ზემოდან). ჟღერადობის გასაძლიერებლად დაკვრის წინ **დ**-ს შეათბობენ და ტყავს დაჭიმავენ. **დ.** არის როგორც საანსამბლო, ისე სოლო საკრავი.

გ. ჩხიკვაძე.

დოლი ც ხ ვ რ ი ს ა, ბატკნის მოგების დრო. აღმ. საქართვ. მთიანეთში (თუშეთ-ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი), სამცხე-ჯავახეთი. ბაგურ კვებაზე მყოფ დედალი ცხვრის ფარაში შემოდგომაზე [გიორგობიდან 10 (23) ნოემბ.] ერკემლებს შეურევენ, რათა **დ.** ძვ. სტილით აპრ. დასაწყისში, ,,ოცობაში'' (ოცი კვირის გასვლის შემდეგ) დაიწყოს. ეთნოგრ. მონაცემებით ,,ოცობა'' გაზაფხულის ბუნიობაა (,,ოცობასა, ორობასა, დღე და ღამე სწორობასა'').

მომთაბარე ცხვარში (იგულისხმება საძოვარზე გაშვებული დედალი ცხვრის ფარა) ერკემლებს ოქტ-ში უშვებენ, რადგან ზამთრის საძოვარზე **დ**-ის ადრე დასაწყებად ხელსაყრელი პირობები იქმნება.

დ-ის დაწყების დროს გაჩენილ პირველ ბატკანს ,,დოლის თავი'' ეწოდება. იგი აღმ. საქართვ. მთიანეთსა და ქსნის ხეობაში სამსხვერპლო პირუტყვად მიაჩნდათ და ანთროპომორფულ, მამაკაცური ბუნების მქონე ღვთაებებს სწირავდნენ.

მ. მაკალათია.

დოლი, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის ბეჩოს თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), უშბის მასივის სამხრ. კალთაზე, მდ. დოლრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1280 *მ,* მესტიიდან 18 *კმ.* 162 მცხ. (2002).

დოლიანი, ყოფილი სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტში. გაუქმდა 1990.

დოლის პური, საქართველოში საუკუნეთა მანძილზე ხალხური სელექციით შექმნილი რბილი ხორბლის საშემოდგომო ჯიშ-პოპულაცია. **დ.** პ. ჰქვია მხოლოდ წითელმარცვლიან, თეთრ და წითელთავთავიან ფხიან ჯიშ-პოპულაციებს. სელექცია მიმდინარეობდა სხვადასხვა გარემო პირობებში. შეიქმნა **დ.** პ. აგროეკოტიპების შემდეგი ჯიშები: ახალციხის, ქართლის, თიანეთის, კახური, კორბოულის და სხვ. ქართლის **დ.** პ-იდან მიღებულ იქნა სელექციური ჯიშები: **დ.** პ. 35–4, **დ.** პ. 18–46, ძალისურა 35–3. **დ.** პ. გამოირჩევა კარგი ადაპტაციის უნარით, სტაბილური მოსავლიანობით, გამოიყენება მაღალი ხარისხის პურის დასამზადებლად, არის ძვირფასი საწყისი სასელექციო მასალა.

პ. ნასყიდაშვილი.

დოლისჭანა (ახლანდ. ჰ ა მ ა მ ლ ი), სოფელი და მონასტერი ისტორიულ *კლარჯეთში.* როგორც დასახლ. პუნქტი, **დ.** წყაროებში იხსენიება აშოტ კურაპალატის მკვლელობასთან (826) დაკავშირებით. გიორგი მერჩულის ცნობით, **დ.** VIII–IX სს-ში სამონასტრო მოძრაობის მიღმა დარჩენილა. **დ**-ის მონასტერი დააარსეს ბაგრატ



დოლისყანა. X ს. I ნახევარი.

და სუმბატ ადარნასეს ძეებმა X ს. I ნახევარში. მათი სახელები იკითხება დ-ის ტაძრის სამშენებლო-ქტიტორულ წარწერებსა და მოსახსენიებლებში. ტაძრის გუმბათის ყელზე არის რელიეფური ქანდაკება სუმბატისა, რ-საც ხელში უჭირავს გუმბათოვანი ეკლესიის მოდელი. ტაძრის სამხრ. ფასადის სარკმლის თავზე და სამხრ.-დასავლეთის ეგვტერის აღმ. კედელზე ამოკვეთილი წარწერების მიხედვით, ეკლესიის არქიტ.-ამშენებელი ყოფილა გაბრიელ მოძღვარი. ნ. მარის დ-ში მოგზაურობის დროს სამონასტრო კომპლექსისაგან შემორჩენილი იყო მთავარი ტაძარი – ჯვარგუმბათოვანი ეკლესია, ჯამედ გადაკეთებული, მაგრამ უკვე გაუკაცრიელებული და მიტოვებული. აფსიდით დასრულებული საკურთხევლის ორივე მხარეს სამკვეთლო და სადიაკვნეა. გარედან კედლები ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვით. სარკმლები და მთელი გუმბათის ყელი თლილი ქვისაა. შიგნიდან კედლებს ამკობდა მოხატულობა, რ-ებზეც ქართ. ასომთავრულით შესრულებული წარწერები იყო. ძეგლის აღწერა და წარწერები გამოაქვეყნა ნ. მარმა.

ლიტ.: ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, I), ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1980; ჯ ო ბ ა ძ ე ვ., აღრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბ., 2007; Б е р и д з е В. В., Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тб., 1981; З а к а р а я П. П., Зодчество Тао-Кларджети, Тб., 1992; М а р р Н. Я., Георгий Мерчул, Житие Григория Хандзтийского, «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», кн. 7, СПб., 1911.

გ. ბერიძე. გ. ჭეიშვილი.

დოლიძე ავთანდილ ვახტანგის ძე (დ. 18. VI. 1941, თბილისი), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნ. დოქტორი (1988), პროფესორი (1990). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1963). 1964-იდან მუშაობს პ. მელიქიშვილის სახ. ფიზ. და ორგანული ქიმიის ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2004-იდან ევრ. უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) საერთაშ. ტექ. ექსპერტია. კვლევის ძირითადი მიმართულებაა: ნატიფი ორგანული სინთეზის, ქიმ. ეკოლ. სახიფათო ნარჩენების უტილიზაციისა და დაბინძურებული ტერიტორიების რეაბილიტაციის ტექნოლოგიების მეცნ. საფუძვლების შექმნა და პრაქტ. გამოყენება. მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის პრემია (2007). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (2002).

დოლიძე გიორგი (გოგი) გალაქტიონის ძე (დ. 20. IV. 1934, ქ. ქუთაისი), კინომცოდნე, კინორეჟისორი, ლიტერატორი, ჟურნალისტი. პროფესორი (1992). ნ. ნიკოლაძის სახ. პრემიის ლაურეატი (2002). 1959 დაამთავრა თბილ. უცხო ენათა პედ. ინ-ტის ინგლ. და ფრანგული ენების ფაკტი. 1961–70 მუშაობდა სხვადასხვა გამომცემლობაში. 1970-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტში. 1992–2005 ამავე ინ-ტის პრორექტორი იყო. მისი რეჟისორობით 1981–87 აღდგენილია 18 მჯ. ქართ. მხატვრული ფილმი, მ. შ. ა. წუწუნავას ,,ორი მონადირე'', ,,ხანუმა'', კ. მარჯანიშვილის ,,ამოკი'', ,,კრაზანა'', ,,კომუნარის ჩიბუხი''; მ. ჭიაურელის ,,საბა''; დ. რონდელის ,,უგუბზიარა''; მ. გელოვანის ,,ნამდვილი კავკასიელი''; ორად ორი შემორჩენილი ფილმი ლ. მესხიშვილის მონაწილეობით: ,,შურისმაძიებელი ღმერთი'' და ,,ორლოვების ოჯახის სირცხვილი''. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. და კრიტიკული წერილები ქართ. კინოს ისტორიის საკითხებზე. ნათარგმნი აქვს მარკ ტვენის ,,იუმორისტული მოთხრობები და პამფლეტები'', მაინ რიდის ,,ოკეანეში დაკარგული'' და სხვ. 2005-იდან ქ-ქუცა ჩოლოყაშვილის სახ. სრულიად საქ. ,,ჩოხოსან რაინდთა დასის'' გამგეობის თავ-რე და საზოგადოების ჟურნალ ,,რაინდის'' გამომცემელი და მთ. რედაქტორია.

თხზ.: მაიაკოვსკი და კინო, თბ., 1968; ქართული კინო გუშინ და დღეს, თბ., 1986; აკაკის მოგზაურობა-90. ,,ფილმი, ეპოქა, ადამიანები'', თბ., 2002; ორი წელი ერთ გაზეთთან – გოგი დოლიძე და ,,რეზონანსი'', თბ., 2004 (წერილების კრებული).

ზ. მანაგაძე.

დოლიძე გიორგი (გოგი) ლეონიდეს ძე (5. IX. 1954, თბილისი, – 8. III. 1996, იქვე), მომღერალი, ხალხ. და საესტრადო სიმღერების შემსრულებელი. 1976 დაამთავრა თბილ. ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა პედ. ინ-ტი. სტუდენტობის წლებში მღეროდა ინ-ტის თვითმოქმედ კოლექტივთან ერთად. 1979–96 მუშაობდა საქართვ. ტელევიზიის ხალხ. შემოქმედების რედაქციაში. როგორც საესტრადო მომღერალი, დ. პოპულარული გახდა 80–90-იან წლებში. ხმის შესანიშნავი ტემბრი, დიდი დიაპაზონი, დახვეწილი ტექნიკა მდიდარ რეპერტუარსა და აქტ. საკონცერტო მოღვაწეობასთან ერთად მისი წარმატების საწინდარი გახდა. იგი ქართვ. კომპოზიტორთა მრავალი ახ. სიმღერის პირველი შემსრულებელი, შესანიშნავი სოლისტი და პარტნიორი იყო. მღეროდა ანსამბლ ,,ფაზისსა'' (1976–83) და ,,ქართულ ხმებში'' (1986-მდე). ნებისმიერ ხმაზე ასრულებდა ნებისმიერი კუთხის სიმღერებს, განსაკუთრებით ძლიერი იყო როგორც შუა ხმის (დამწყები) შემსრულებელი. ესტრადით გატაცებამ ხალხ. სიმღერების მისეულ ინტერპრეტაციას ერთგვარი ,,თბილისური'' იერი შესძინა. დ. ანსამბლებთან ერთად საგასტროლოდ იყო საქართვ. ქალაქებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში (გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ინგლისი, ესპანეთი, ბელგია, იტალია, შვეიცარია, ავსტრია და სხვ.).



გ. ლ. დოლიძე ესტრადაზე.

1999 საქართველოში დასახელებული იყო მამაკაცთა შორის XX ს-ის საუკეთესო საესტრადო მომღერლად. დ-მ გამორჩეული კვალი დატოვა ქართ. საესტრადო მუსიკის ისტორიაში. *ე. გარაყანიძე.*

დოლიძე გურამ მილოსის ძე (28. IV. 1930, ოზურგეთი, – 19. IV. 1998, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (1990). დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-ტექ. ფაკ-ტი (1953). 1953–58 მუშაობდა სოხუმის ფიზიკა-ტექ. ინ-ტში, 1958–69 – საქართვ. მეცნ. აკად. ფიზიკის ინ-ტში, 1969-იდან გარდაცვალებამდე – ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტში. სამეცნიერო კვლევების მიმართულებაა დიელექტრიკების ფიზიკა.



დ. ი. დოლიძე.

დოლიძე დავით იაგორის ძე (3. II. 1908, სოფ. ბუკნარი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 9. IX. 1960, თბილისი), მათემატიკოსი და მექანიკოსი, საქართველოში ჰიდროაერომექანიკის დარგის მეცნ. კვლევის ფუძემდებელი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1945), პროფესორი (1945). 1928 დაამთავრა თსუ. 1934–38



ვ. ს. დოლიძე. ერემია, გ. წერეთლის ,,პირველი ნაბიჯი''.



ვ. ი. დოლიძე.

იყო თბილ. სატყეო ინ-ტის, ხოლო 1939–47 – საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის მათ. კათედრის გამგე, 1941–45 – საქართვ. მეცნ. აკად. მათ. და საბუნებისმეტყველო მეცნ. განყ-ბის სწავლული მდივანი, 1947–54 – თსუ-ის პრორექტორი სასწავლო ნაწილში, 1949–54 – ტექ. მექან. კათედრის გამგე, 1954–60 – ჰიდროაერომექან. კათედრის გამგე, სწავლობდა ბლანტი სითხის არასტაციონარულ სასაზღვრო ამოცანათა ამონახსნების ეფექტური აგების, არსებობისა და ერთადერთობის საკითხებს. 1960 სახელმძღვანელოს შედგენისათვის ,,ჰიდროაერომექანიკა'' მიენიჭა თბილ. სახელმწ. უნ-ტის ი. ჯავახიშვილის სახ. პირველი პრემია.

თხზ.: დეფორმად სხეულთა მექანიკის შესავალი, თბ., 1951; თეორიული მექანიკის მოკლე კურსი, თბ., 1956; ჰიდროაერომექანიკა, თბ., 1960; Некоторые вопросы нестационарного течения вязкой жидкости, Тб., 1960.

ლიტ.: შარიქაძე ჯ., დავით დოლიძე, თბ., 1978. *ჯ. შარიქაძე.*

დოლიძე დიმიტრი ევსევის ძე [5(18). IX. 1908, სოფ. ასკანა, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 1. VI. 1976, თბილისი], ინჟინერი სამშენებლო კონსტრუქციების დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1962), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1967). დაამთავრა საქართვ. საინჟ.-სამშ. ინ-ტი (1931) და იქვე დაიწყო მუშაობა. 1938-იდან გარდაცვალებამდე იყო საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის სამშ. კონსტრუქციების კათედრის გამგე. მისი სამეცნ. შრომები ეხება სამშ. კონსტრუქციების გაანგარიშებისა და დაპროექტების საკითხებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ხის კონსტრუქციები (სახელმძღვანელო), ნაწ. 1, თბ., 1957 (თანაავტ. ი. ბერიშვილი); ნაგებობათა გამოცდა (სახელმძღვანელო), თბ., 1962; ხისა და სინთეზური მასალების კონსტრუქციები (სახელმძღვანელო), ნაწ. 2, თბ., 1971; Строительные свойства бамбука и его использование в строительных конструкциях, Тб., 1959; Испытание конструкций и сооружений, М., 1975. *ზ. წოლოსანი.*

დოლიძე ვალერიან სერგოს ძე (14. V. 1916, ბათუმი, – 14. IV. 1993, თბილისი), მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1959). 1935 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრთან არსებული სტუდია, პარალელურად (1931–35) იყო რუსთაველის სახ. თეატრის მსახიობი, 1937–39 – სოხუმის თეატრის მსახიობი, სადაც შეასრულა რომეოს როლი (უ. შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტა''). აქვე ითამაშა ურიელი (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა''), ფერდინანდი (ფ. შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული'') და სხვ. 1940–59 დ. კვლავ დაუბრუნდა რუსთაველის სახ. თეატრს და შეასრულა შემდეგი როლები: მეფე ლუარსაბი (ს. შანშიაშვილის ,,გიორგი სააკაძე''), ერეკლე (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი''), ოლეკო დუნდიჩი (მ. კაცისა და ა. რჟეშევსკის ,,ოლეკო დუნდიჩი''), ჯემალი (ი. მოსაშვილის ,,ჩაძირული ქვები'', სსრკ სახელმწ. პრემია, 1951), ელიშუქი (შ. დადიანის ,,ნაპერწკლიდან''), კასიო, რომეო (უ. შექსპირის ,,ოტელო'', ,, რომეო და ჯულიეტა''), ერემია (გ. წერეთლის ,,პირველი ნაბიჯი''), ლევანი (ლ. ქიაჩელის ,,ტარიელ გოლუა''), კრეონი (სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე''), ლეგა (ა. აფხაიძის ,,არაგველები'') და სხვ. 1959-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა. გადაღებულია ფილმებში; შეასრულა შემდეგი როლები: არჩილი (,,მეგობრობა'', 1940), პოეტი (,,დავით გურამიშვილი'', 1946), ილიკო ახატნელი (,,ქალის ტვირთი'', 1957), ბეგლარი (,,წუთისოფელი'', 1971), ფანცხავა (,,გაქცევა გათენებისას'', 1975) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. მისი შემოქმედება გამოირჩეოდა სცენური კულტურით, მაღალი სამსახიობო ოსტატობით. *ა. გვენცაძე.*

დოლიძე ვახტანგ ონისიმეს ძე (20. X. 1918, ქუთაისი, – 17. VIII. 1986, თბილისი), არქიტექტორი, ხელოვნებათმცოდნე. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1982). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1993, გარდაცვალების შემდეგ). დაამთავრა საქართვ. ინდუსტრ. ინ-ტი (1941). მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. 1946-იდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნ. ისტორიის ინ-ტში (ასპირანტი, მეცნ. თანამშრომელი, 1971-იდან კულტურის ძეგლთა აღწერილობის განყ-ბის გამგე). დ-ის მეცნ. ძიების ძირითადი მიმართულებებია: შუა საუკ. არქიტ. ძეგლების, კომპლექსების, მთიანი საქართველოს საცხოვრ. სახლების არქიტექტურა, ჩრდ. კავკ. და საქართვ. კულტ. კავშირები, მატერ. კულტურის ძეგლების მეცნ. აღწერა და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები.

თხზ.: გარბანი. ქართული ხუროთმოძღვრების IX–X სს. ძეგლი ხევში, თბ., 1958; ხევის ხალხური საცხოვრებელი სახლები, «ქართული ხელოვნება», 1959, ტ. 5; კაზრეთის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, იქვე, 1987, ტ. 9 A; Окрестности Тбилиси, Тб., 1960 (თანაავტ.: Р. Шмерлинг, Т. Барнавели); Военно-грузинская дорога. Путеводитель по архитектурным памятникам, Тб., 1956 (თანაავტ.: Р. Шмерлинг); Рустави, Тб., 1962. *ს. კინწურაშვილი.*

დოლიძე ვიქტორ ისიდორეს ძე [18(30). VII. 1890, ოზურგეთი, – 24. V. 1933, თბილისი], კომპოზიტორი, ქართული კომიკური ოპერის ფუძემდებელი. სწავლობდა თბილ. კომერც. სასწავლებელში, სადაც ჩამოაყალიბა მემანდოლინეებისა და გიტარისტების ორკესტრი. 1910 თბილისში გამართულ მემანდოლინეთა კონკურსზე დაიმსახურა პირველი პრემია. 1917 დაამთავრა კიევის კომერც. ინ-ტი. პარალელურად სწავლობდა კიევის სამუს. სასწავლებელში ვიოლინოსა და კომპოზიციის კლასში. აქვე მოისმინა მუსიკის თეორ. დისციპლინების კურსი. 1917 საქართველოში დაბრუნდა. დ-ის ნაწარმოებებია: ოპერები – ,,ქეთო და კოტე'' (ა. ცაგარლის ,,ხანუმას'' მიხედვით, 1919 წ., 11. XII), ,,ლეილა'' (ა. ცაგარლის პიესის ,,ლეკის ქალი გულჯავარის'' მიხედვით, 1922), ,,ცისანა'' (ს. ერთაწმინდელის სიუჟეტზე, 1929), ,,ზამირა'' (ოსურ ხალხ. თემებზე, დაუმთავრებელი, 1931); სიმფ. ფანტაზია ,,ივერიადა'' (1925); სიმფონია ,,აზერბაიჯანი'' (1932); საფორტეპიანო კონცერტი (1932): რამდენიმე რომანსი. დაამუშავა სამაჩაბლოში მოგზაურობის დროს (1926) ჩაწერილი ოსური ხალხ. სიმღერები.

დ-ის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ოპერა ,,ქეთო და კოტეს'', რ-იც ქართ. კომიკური ოპერის კლასიკური ნიმუშია. 1937 ნაჩვენები იყო მოსკოვში საქართვ. ხელოვნ. და ლიტ-რის I დეკადაზე. სხვადასხვა დროს იდგმებოდა სსრკ არაერთი საოპერო თეატრის სცენაზე, აგრეთვე საზღვარგარეთ – ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, პოლონეთში. ოპერის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი კომედიურმა სიუჟეტმა, მახვილმა სატირამ და სახოვანებამ, ადვილად დასამახსოვრებელმა მელოდიურმა მუსიკამ. კომპოზიტორს გამოყენებული აქვს ძვ. თბილ. ქალაქური ფოლკლორის ინტონაციები და ყოფითი მუს. ფორმები. ოპერის მუს.-დრამ. კომპოზიციაში ერთმანეთს ენაცვლება დიალოგებით დაკავშირებული მუს. ფორმები (არიები, რომანსები, კუპლეტური სიმღერები). ოპე-

რის მიხედვით შექმნილია კინოფილმი ,,ქეთო და კოტე'' (1947, რეჟ. ვ. ტაბლიაშვილი).

ლიტ.: დონაძე ლ., ვიქტორ დოლიძე, წგ.: ქართული მუსიკის ისტორია, ტ. 1, თბ., 1990; ფიჩხაძე მ., ვიქტორ დოლიძე, თბ., 1991; ჩხიკვაძე გ., საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორები, თბ., 1956; Вачнадзе М. А., Виктор Долидзе, Тб., 1961; Кореев С. И., ,,Кето и Котэ'' В. Долидзе, М.– Л., 1951.

გ. ტორაძე.

დოლიძე ვლადიმერ ალექსანდრეს ძე (დ. 25. IV. 1932, თბილისი), მეცნიერი ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის, ხელსაწყოთმშენებლობისა და სენსორების დარგში. pH-მეტრიისა და იონომეტრიის ერთ-ერთი ფუძემდებელი სსრკ-ში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1989), საქართვ. საინჟ. აკად. ნამდვილი წევრი და მისი პრეზიდიუმის წევრი (1996; წ.-კორ. 1992), საერთაშ. საინჟ. აკად. წევრი (2002). დაამთავრა მოსკოვის დ. ი. მენდელეევის სახ. ქიმიურ-ტექნოლ. ინ-ტი (1956). 1956–93 მუშაობდა თბილისის სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება ,,ანალიზხელსაწყოში'' (1972–93 იყო ამ გაერთიანების გენ. დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში). 1981–93 იყო სსრკ ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს ელექტროქიმ. ხელსაწყოთმშენებლობის მთ. კონსტრუქტორი. 1994-იდან დ. არის სამედ. უნ-ტთან არსებული ექსპერ. და კლინ. მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე, ამავე დროს 1996-იდან – ჟურნალ ,,Georgian Engineering News'' დამაარსებელი და მთ. რედაქტორი. 2006-იდან დღემდე საქართვ. ტექ. უნ-ტის სრული პროფესორია. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. შრომა. მიღებული აქვს ასზე მეტი პატენტი და საავტორო მოწმობა გამოგონებებზე. მინის ელექტროდის თეორიისა და მასალების ელექტროდული თვისებების დარგში ჩატარებულ სამუშაოთა ციკლისათვის, სპეციალისტების ჯგუფთან ერთად, მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1973); მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1999).

თხზ.: მათემატიკური სტატისტიკის და მეტროლოგიის ელემენტები ქიმიაში თბ., 2002 (თანაავტ.: თ. მანჯგალაძე, ნ. თელია, მ. გვერდწითელი); Electrodes for Potentiometric High-Temperature Determination of pH. Conference on Ion Selective Electrodes, Budapest, 1977.

დოლიძე ვლადიმერ ბესარიონის ძე (15. III. 1908, ოზურგეთი, – 17. II. 1989, თბილისი), ხმის ოპერატორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1931). 1932–37 იყო სახკინმრეწვის ხმის ჩამწერი საამქროს უფროსი. 1937-იდან მუშაობდა კინოსტუდია ,,ქართულ ფილმში''. არის მრავალი ფილმის ხმის ოპერატორი, მ. შ. მხატვრული ფილმებისა: ,,დიადი განთიადი'' (1938), ,,გიორგი საააკაძე'' (1942–43), ,,ჯურღაის ფარი'' (1944; სსრკ სახელმწ. პრემია, 1950), ,,ჭრიჭინა'' (1954), ,,ბაში-აჩუკი'' (1956), ,,შეხვედრა წარსულთან'' (1966), ,,წუთისოფელი'' (1971), ,,ვერის უბნის მელოდიები'', ,,შერეკილები'' (ორივე 1973), ,,კუკარაჩა'' (1982), ,,მევლუდი'' (1985) და სხვ.; მულტფილმები: ,,რწყილი და ჭიანჭველა'' (1938), ,,ისევ მოდაზე'' (1969), ,,ნაცარქექია'' (1970), ,,იყო ერთი თაგუნა'' (1977). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ა. გვენცაძე.

დოლიძე ზია კადირის ძე (დ. 20. IX. 1937, ბათუმი), შორეული ნაოსნობის კაპიტანი (1972). დაამთავრა ბათუმის საზღვაო სასწავლებელი შორეული ნაოსნობის შტურმანის სპეციალობით (1964) და ნოვოროსიისკის საზღვაო ინ-ტის ინჟინერ-გემთწამყვანის ფაკტი (1980). მუშაობა დაიწყო შავი ზღვის სანაოსნოს (ოდესა) მეზღვაურად. წვრთნები გაიარა ცნობილი კაპიტნის ა. *კაჭარავას* ხელმძღვანელობით. 1965–72 მუშაობდა შორეული ნაოსნობის კაპიტნის მეოთხე, მესამე და მეორე თანაშემწედ. იყო სხვადასხვა ტანკერის, მ. შ. ,,ანაპის'' კაპიტანი. 1968-იდან ბათუმის სანაოსნოშია. გადაჰქონდა თხევადი საწვავი ანტარქტიდასა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 1997–2004 იყო საქართვ. საზღვ. ადმინისტრაციაში სამაშველო-საკორდინაციო ცენტრის სამმართველოს უფროსი.

დოლიძე თამარ (თათული) ნარიმანის ასული (დ. 24. II. 1952, თბილისი), მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1981), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1999). 1972 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. საქართვ. თეატრალური ინ-ტის სამსახიობო ფაკტი. 1973-იდან შოთა რუსთაველის სახ. თეატრის მსახიობია. გამოირჩევა სცენური მომხიბვლელობით, საშემსრულებლო კულტურით, ფაქიზი გემოვნებით. შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ქეთევან ახატნელი (მ. ჯავახიშვილის ,,ქალის ტვირთი''), მერი (ნ. დუმბაძის ,,მე, ბებია ილიკო და ილარიონი''), დარეჯანი (ი. ჭავჭავაძის ,,კაცია – ადამიანი?!''), ანო (თ. ჭილაძის ,,როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის'' (აღინიშნა ჯილდოთი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის), გრუშე ვაჩნაძე (ბ. ბრეხტის ,,კავკასიური ცარცის წრე''), ადელა (გ. ლორკას ,,ბერნარდა ალბას სახლი''), ნატაშა, მარია (მ. შატროვის ,,ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე''), ჰერტრუდა, გონერელი [უ. შექსპირის ,,ჰამლეტი'' (საქართვ. სახელმწ. პრემია), ,,მეფე ლირი''] და სხვ. გადაღებულია არაერთ მხატვრულ თუ სატელევიზიო ფილმში.



თ. დოლიძე დარეჯანი, ი. ჭავჭავაძის ,,კაცია – ადამიანი?!''.

დოლიძე იოსებ მალაქიას ძე [24. II (9. III). 1903, სოფ. ნიგოითი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 23. XI. 1985, თბილისი], სპეციალისტი აბრეშუმის ტექნოლ. დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1960), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1963). რესპ. დამს. გამომგონებელი. 1964-იდან გარდაცვალებამდე იყო საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის აბრეშუმის ტექნოლ. კათედრის გამგე. **დ**-ის შრომები ეხება აბრეშუმის პარკის პირველადი დამუშავების ტექნოლოგიასა და აბრეშუმმცოდნეობას.

თხზ.: აბრეშუმის პარკის დამზადებისა და პირველადი დამუშავების ტექნოლოგია, თბ., 1964; Консервация сырых коконов тутового шелкопряда при холоде, Тб., 1959.

დოლიძე ისიდორე სამსონის ძე [23. III(5. IV). 1915, სოფ. ხვარბეთი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 17. VII. 1982, თბილისი], მეცნიერი, იურისტი, სამართლის ისტორიკოსი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1965). იურიდ. მეცნ. დოქტორი (1957), პროფესორი (1958). 1933–36 სწავლობდა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტზე. 1938 დაამ-



ვ. ა. დოლიძე.



ზ. დოლიძე.



თ. დოლიძე.



ი. ს. დოლიძე.



ნ. დოლიძე.



ო. დოლიძე.



ს. დოლიძე.

თავრა სვერდლოვსკის (ეკატერინბურგი) იურიდ. ინ-ტი, 1941 – მოსკ. იურიდ. ინ-ტის ასპირანტურა. 1941-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტზე. 1946–47 იყო საბჭ. საელჩოს თანამშრომელი ლონდონში, 1947–48 – თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტის დეკანი და სახელმწ. სამართ. კათედრის გამგე, 1949–52 – საქართვ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნ. საქმეთა სამმართველოს უფროსი, 1954–57 – საქართვ. უმაღლესი სასამართლოს თავ-რე, 1957–60 – საქ. კპ ცკ-ის მდივანი, 1960–66 – საქართვ. მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი, 1967-იდან – საქართვ. მეცნ. აკად. ეკონომიკისა და სამართ. ინ-ტის ქართ. სამართ. ისტორიის განყ-ბის გამგე. **დ.** მუშაობდა ქართ. სამართ. ისტ. და სამართ. ზოგადი ისტ. დარგში. იკვლევდა ქართ. სამართ. ისტ. და წყაროთმცოდნეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. მთავარი ნაშრომები: ,,ძველი ქართული სამართალი'' (1953), ,,გიორგი ბრწყინვალის სამართალი'' (1957), ,,საქართველოს ჩვეულებითი სჯული'' (1960), სამართალი ვახტანგ მეექვსისა (1981; ნ. ბერძენიშვილის სახ. პრემია, 1982). გამოსცა ქართ. სამართ. წერილობითი წყაროების რვატომეული – ,,ქართული სამართლის ძეგლები'' (1963–85, ტექსტები, გამოკვლევები, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები); შეკრიბა, რედაქცია გაუკეთა და გამოაქვეყნა ნ. *ხიზანაშვილის* ,,რჩეული იურიდიული ნაწერები'' (1982). სსრკ V მოწვევის უმაღლესი საბჭოსა და საქ. სსრ III–IV მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ბიბლ.: ისიდორე დოლიძე. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ.: ი. დუდუჩავა, ლ. ქორია, თბ., 1986.

დოლიძე ლევან გიორგის ძე (დ. 30. XI. 1939, თბილისი), სამხედრო ჟურნალისტი და მკვლევარი, საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1989). დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1968). მისი მასალები 1959-იდან იბეჭდებოდა სსრკ ცენტრ., რესპუბლიკურ და უცხოეთის ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებში; რეპორტაჟები გადაიცემოდა ტელევიზიით და რადიოთი. აფხაზეთში კონფლიქტის დაწყებისთანავე დაინიშნა სახელმწ. საბჭოს თავმჯდომარის პირად წარმომადგენლად ინფორმაციის დარგში. ერთ-ერთმა პირველმა გააშუქა მოვლენები აფხ. ცხელი წერტილებიდან. ავტორია 5000-ზე მეტი სტატიის, ბუკლეტების, წიგნების – ,,მხედართუფროსები საქართველოდან'' (1986), «Генералами не рождаются» (1993), «Рядом и на всю жизнь» (1997), ,,70 წელი სცენაზე'' (1999), ,,გენერალისიმუსი, მარშლები, გენერლები, ადმირალები – ჩვენი თანამემამულენი'' (2000). 2003 გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი ,,გენერლები საქართველოდან'', რ-იც მოიცავს საქართვ. გენერალიტეტის 300-წლოვან პერიოდს და ასახავს 1000-ზე მეტ გენერლის ბიოგრაფიას. 1975 მიენიჭა საქართვ. ჟურნალისტთა კავშირის პრემია. საქართვ. დამოუკიდებლობის წლებში მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსად, საქართვ. სახელმწ. საბჭოს თავ-რის სახელმწ. მრჩევლად. 1993-იდან არის ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნ. რედაქციის სამხ. სექციის თავ-რე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

დოლიძე ნოდარ გიორგის ძე (12. II. 1928, თბილისი, – 5. VIII. 2001, იქვე), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1979), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1987), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1985). 1952 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი და დაიწყო მუშაობა სანატორიუმ ,,ბორჯომ-ლიკანის'' ქირურგად. 1962–68 მუშაობდა ნ. ყიფშიძის სახ. რესპ. ცენტრ. კლინიკურ საავადმყოფოში. 1979-იდან იყო თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტის სამკურნ. ფაკ-ტის ჰოსპიტალური ქირურგ. კათედრის პროფესორი, იმავდროულად – საქართვ. სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრის ქირურგ. სტაციონარის ხელმძღვანელი, 1995-იდან – თბილ. სამედ. ინ-ტის ,,საქართველოს'' ქირურგ. სნეულებათა კათედრის გამგე. **დ.**-ის თაოსნობით შემუშავებული და დანერგილია ჩირქოვანი სეფსისის მკურნალობის ახ. მეთოდები: ავადმყოფის სისხლის გაფილტვრა ღორის ცოცხალ ელენთაში გავლით; ავადმყოფის სისხლის ულტრაიისფერი სხივებით დასხივება; ჰემო- და იმუნოსორბცია; პლაზმოფორეზი; ანტიბიოტიკების ენდოლიმფურად შეყვანა და სხვ.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998) და ზაზა ფანასკერტელის მედლით (1998).

თხზ.: ჩირქოვანი ქირურგიის აქტუალური საკითხები, თბ., 1985; Этиопатогенез поздних осложнений и заболеваний после резекции желудка у больных язвенной болезнью, Тб., 1973; Вопросы хирургической гериатрии острых заболеваний органов брюшной полости,Тб., 1976. *ა. გვენცაძე.*

დოლიძე ოლღა იასონის ასული (24. III. 1904, თბილისი, – 24. V. 1990, იქვე), ესტრადისა და თეატრის მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1955). ესტრადის მსახიობთა I საკავშ. კონკურსის ლაურეატი (1939, ვ. გოძიაშვილთან და ა. რაიკინთან ერთად). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1920 დიდუბის რკინიგზის კლუბში. გამოდიოდა აგრეთვე ავჭალის აუდიტორიისა და თბილ. მუშათა ცენტრ. კლუბის წარმოდგენებში. 1921–23 **დ.** ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახ. თეატრის დასში, სადაც მთელი სისრულით გამოვლინდა მისი მსახიობური შესაძლებლობები. 1932–36 კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობი იყო, ხოლო 1936–44 – კვლავ რუსთაველის სახ. თეატრისა. დიდი ოსტატობით განასახიერებდა მკვეთრად სახასიათო და კომიკურ როლებს, მ. შ. აღსანიშნავია: ფოფოდია, მარიკა, პარასკევა (შ. დადიანის ,,გუშინდელნი'', ,,ნინოშვილის გურია'', ,,ნაპერწკლიდან''), მიქაელა (გ. მდივნის ,,ალკაზარი''), ბიჭუნა (ნ. ნაკაშიძის ,,ვინ არის დამნაშავე?''), კაროჟნა (ს. კლდიაშვილის ,,შემოდგომის აზნაურები''), გალჩიხა (ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავენი''), ნადეჟდა (ნ. პოგოდინის ,,თოფიანი კაცი'') და სხვ. თითოეულ როლს იგი ასრულებდა ბუნებრივი სისადავით, ჰქონდა გამორჩეული მკაფიო მეტყველება. ესტრადაზე გამოდიოდა 1931-იდან. კონცერტებს მართავდა როგორც საქართველოში, ისე სსრკ სხვა ქალაქებში. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართ. საესტრადო ხელოვნ. განვითარებაში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

შ. ცუცქირიძე.

დოლიძე სიმონ (სიკო) ბესარიონის ძე (6. II. 1903, ოზურგეთი, – 17. VI. 1983, თბილისი), კინორეჟისორი და კინოდრამატურგი, ქართ. კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სსრკ სახ. არტისტი (1965). დაამთავრა თსუ-ის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი (1925). იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო ,,სახკინმრეწვში'' თავდაპირველად რეჟისორის ასისტენტად, შემდეგ – მხატვრული და დოკუმენტური ფილმების დამდგმელ რეჟისორად. 1928 კინოსტუდიაში ჩამოაყალი-

ბა კინოქრონიკის სექტორი, რ-საც თვითონვე ხელმძღვანელობდა. გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმები: ,,მიურსალის გარღვევა'', ,,ოქტომბრის მე-12 წელი'', ,,დღე ყარაჩაიში'', ,,მიწის ძახილი'' (ყველა 1929), ,,საბჭოთა ცეილონი'' (1930), ,,ფშავეთი'' (1932), ,,სახელოვანი გზა'' (1946), ,,საბჭოთა საქართველო'' (1952, რ. კარმენთან ერთად), ,,აყვავებული საქართველო'' (1957) და სხვ. საინტერესოა დ-ის მიერ შექმნილი მხატვრული ფილმები: ,,ზვავთა მხარეში'' (1931); ,,უკანასკნელი ჯვაროსნები'' (მუნჯი – 1934, ხმოვანი – 1935); ,,დარიკო'' (1936); ,,მეგობრობა'' (1940); ,,ჯურღაის ფარი'' (1944, დ. რონდელთან ერთად, სსრკ სახელმწ. პრემია, 1950), ,,ჭრიჭინა'' (1954), ,,ეთერის სიმღერა'' (1956), ,,ფატიმა'' (1958), ,,დღე უკანასკნელი, დღე პირველი'' (1959), ,,პალიასტომი'' (1963), ,,შეხვედრა წარსულთან'' (1966), ,,ქალაქი ადრე იღვიძებს'' (1967), ,,სემირამიდას ბაღები'' (1970), ,,გაქცევა გათენებისას'' (1975), ,,კაცია-ადამიანი?!'' (1979, ქ. დოლიძესთან ერთად); ,,კუკარაჩა'' (1983, ქ. დოლიძესთან ერთად. საკავშირო კინოფესტივალის პრიზი საუკეთესო ეკრანიზაციისათვის) და სხვ. დ-ის შემოქმედება გამოირჩეოდა იდეური მიზანდასახულობითა და მხატვრული ოსტატობით. დაწერა სცენარები მულტფილმებისათვის: ,,ჩხიკვთა ქორწილი'' (1957), ,,სათაგური'' (1965), ,,ბულბულის იუბილე'' (1978) და სხვ. 1957–76 იყო საქართვ. კინემატოგრაფისტთა კავშირის თავ-რე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.



ს. დ ო ლ ი ძ ე. კადრი ფილმიდან ,,დარიკო''.

თხზ.: მოგონებები, თბ., 1984.

ლიტ.: Сико Долидзе. Рассказы о творческом пути (Лит. запись К. Церетели), М., 1968. *ა. გვენცაძე.*

დოლიძე ქეთევან (ქეთი) სიმონის ასული (დ. 4. XII. 1945, თბილისი), რეჟისორი, მსახიობი. 1967 დაამთავრა თსუ-ის დას. ევრ. ენებისა და ლიტ-რის ფაკ-ტი, 1975 – საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი. იყო საქართვ. ტელევიზიის რეჟისორი (1973–85, 1989–98). 1975-იდან არის კინოსტუდია ,,ქართული ფილმის'' დამდგმელი რეჟისორი და მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის რეჟისორი, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი თვითონ იყო. თეატრში დადგმული აქვს სპექტაკლები: ფ. გარსია ლორკას ,,სისხლიანი ქორწილი'' (1974), მ. შიზგალის ,,ვეფხვი'' (1980), ე. ბრილის ,,სერობა'' (1996), ჯ. ბ. შოუს ,,პიგმალიონი'' და სხვ. სატელევიზიო დადგმებია: ,,დღესასწაული'' (1973), ,,გაკვეთილები'' (1975), ,,ჩემი ოჯახი'', ,,ლეილა'' (ორივე 1976), ,,შენ და მე'' (1977), ,,თეთრი მანდილი'' (1993) და სხვ. დ-ის რეჟისორული ნიჭი განსაკუთრებით გამოვლინდა მხატვრულ ფილმებში: ,,კაცია-ადამიანი?!'' (1979, ს. დოლიძესთან ერთად); ,,კუკარაჩა'' (1983, ს. დოლიძესთან ერთად; ლენინგრადის საკავშირო კინოფესტივალის პრიზი საუკეთესო ეკრანიზაციისათვის), ,,ძველი ვალსი'' (1985), ,,მარტოხელა მონადირე'' (1989), ,,ევრიდიკე'' (1991), ,,და სასახლეში ვნახავ სიხარულს'' (1993). გადაიღო დოკუმენტური ფილმები: ,,ლეილა აშიანი'' (1978), ,,თეთრი მანდილი'' (1993). შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: ,,სისხლიანი ქორწილი'' (1974), ,,შენსკენ სავალი გზები'' (1984), ,,მედეა – გახლეჩილი სამყარო'' (1997), ,,ჩემი თაობის ავტოპორტრეტი'' (2000) და სხვ. არის ქალთა საერთაშორისო მოძრაობის ,,თეთრი მანდილი'' დამფუძნებელი (1993); მისი ინიციატივით დამკვიდრდა მ. თუმანიშვილის სახ. საერთაშ. თეატრალური ფესტივალი ,,საჩუქარი'' (1996). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996).

დოლოგანი, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტის მახუნცეთის თემში (აჭარის არ), მდ. აჭარისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 200 *მ*, ქედიდან 20 *კმ*, მახინჯაურიდან (უახლესი რკინიგზის სადგ.) 25 *კმ*. 460 მცხ. (2002).

დოლომისისწვერი, მწვერვალი ონის მუნიციპალიტეტში, მდ. რიონის მარცხ. შენაკადების – ჭანჭახისა და ღარულის აუზების წყალგამყოფ – კედელას ქედზე, მდ. გომრულის (რიონის მარცხ. შენაკადი) სათავეში. სიმაღლე ზ. დ. 3260 *მ*. აგებულია ზედაიურული და ქვედაცარცული ფლიშური წყებებით, ჭარბობს ქვიშაქვები და ფიქლები. კალთები შემოსილია ალპ. მდელოებით.

დოლომიტი, კარბონატების კლასის მინერალ დოლომიტისაგან [$CaMg(CO_3)_2$] შემდგარი ქანი. გვხვდება კრისტალების და მარცვლოვანი, თირკმლისებრი, მკვრივი აგრეგატების სახით. წარმოიქმნება ქიმ. დალექვის, აგრეთვე ჰიდროთერმული პროცესების შედეგად. გამოიყენება მეტალურგიაში ცეცხლგამძლე აგურისა და ლითონური Mg მისაღებად, სოფ. მეურნეობაში – მჟავე ნიადაგების გასანეიტრალებლად და სხვ. საქართველოში სამრეწვ. მნიშვნელობა აქვს აბანოსა (ქარელის მუნიციპალიტეტი) და ტყვარჩელის საბადოებს; ცნობილია აგრეთვე მოწამეთის, კვახჭირის, ჭოგნარის, გელათისა და ქვილიშორის საბადოები. *ვ. ჯავრიშვილი.*

დოლოშა, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ხეობის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ქართლის ქედის დას. კალთაზე. ზ. დ. 1280 *მ*, დუშეთიდან 34 *კმ*. 38 მცხ. (2002).

დოლრა, მყინვარი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, დოლრასწვერზე. სიგრძე 5,5 *კმ*, ფართ. 8,8 *კმ*^{2}. მყინვარის ენა ეშვება ზ. დ. 2530 *მ*-მდე. ფირნის ხაზის სიმაღლე – 3310 *მ*. მყინვარი ასაზრდოებს მდ. დოლრას.



ქ. დოლიძე.

დოლრა, დ ო ლ რ ა ჭ ა ლ ა, მდინარე დასავლეთ საქართველოში, მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე. ენგურის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 24 *კმ*, აუზის ფართ. 191 *კმ*^{2}. სათავე აქვს დოლრის მყინვარზე. უმთავრესად საზრდოობს მყინვარული წყლით. წყალდიდობა იცის გვიან გაზაფხულზე, წყალმცირეა ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 9,30 *მ*^{3}/წმ.

ნ. უკლება.

დოლრასწვერი, მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ. დოლრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) სათავეში. სიმაღლე ზ. დ. 3700 *მ*. აგებულია პალეოზოური კრისტ. ფიქლებითა და გრანიტოიდებით. დაფარულია მუდმივი თოვლით. დ-ის სამხრ.-აღმ. კალთაზე არის მყინვარი დოლრა.



დომბა.

დომბა (Bison bonasus), ძუძუმწოვარი ცხოველი ძროხისებრთა ოჯახისა. ხარის სხეულის სიგრძე 3,5 *მ*, სიმაღლე *მიწდაოში* 1,9 *მ*, მასა

700–1000 *კგ* აღწევს, ფური მომცროა. ყელსა და მკერდზე გრძელი ბალანი აქვს. სქესობრივად 3 წლის ასაკში მწიფდება. წელიწადში შობს 1 ხბოს. იკვებება ბალახითა და ნეკერით. **დ.** ბინადრობს ჯოგებად. საქართველოში მისი ქვესახეობა – კავკასიური დ. – გავრცელებული იყო აფხაზეთისა და სამეგრელოს ტყეებიდან თერგის სათავეებამდე. 1927 ბზიფის ხეობაში მოკლეს უკანასკნელი დ. კავკ. ნაკრძალში გადარჩა ერთი სახარე ხბო, რ-იც შეაჯვარეს ბელოვეჟიური **დ**-ის ფურთან და მიიღეს კავკ.-ბელოვეჟიური **დ**.; ჰიბრიდს კარგად აქვს გამოვლენილი ჰეტეროზისი, ზომით მშობლებზე დიდია და იძლევა ჯანსაღ შთამომავლობას. მათ გასამრავლებლად მსოფლიოს 28 ქვეყანაში შეიქმნა საშენები. **დ**-ების თავისუფლად გაშვებული ახ. ჯოგებია ბელოვეჟის ტევრში, კარპატებსა და კავკასიაში. *ა. არაბული.*

დღმგაიულგენი, მწვერვალი გულრიფშის მუნიციპალიტეტში, აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე (საქართველოსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის საზღვარზე), მდინარე სამხრ. პტიშის (ჩხალთის მარცხ. შენაკადი) სათავესთან. სიმაღლე ზ. დ. 4046 *მ.* აგებულია პალეოზოური გნაისებით, კრისტ. ფიქლებითა და გრანიტებით. დაფარულია მუდმივი თოვლითა და ყინულით. *დ. უკლება.*

დღმგაიულგენი, უღელტეხილი გულრიფშის მუნიციპალიტეტში, აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. სამხრ. პტიშის (ჩხალთის მარცხ. შენაკადი) სათავესთან. სიმაღლე ზ. დ. 3085 *მ.* აგებულია პალეოზოური გნაისებითა და კრისტალური ფიქლებით. უღელტეხილი თოვლ-ყინულიანია, საცალფეხო გზით აკავშირებს მდინარეების ჩხალთისა (კოდორის მარჯვ. შენაკადი) და თებერდის (ყუბანის მარცხ. შენაკადი) აუზებს. *დ. უკლება.*

დღმენტი (ჯ ა ნ დ ი ე რ ი შ ვ ი ლ ი), არქიმანდრიტი, კალიგრაფი, მოსკოვის ქართული ახალშენის აქტიური მოღვაწე XVIII ს. I მესამედში, დარეჯან ბატონიშვილის (*არჩილ II-ის* ასული) კარის წინამძღვარი. 1726 მოსკოვში დაასრულა ,,სადღესასწაულოს'' სლავურთან შეჯერება და აღწერა იგი სრული თვენით, გალობებით, სვინაქსარით, ,,სადღესასწაულოს მეტაფრასით, ოთხითა და იბაკოთი (სადღესასწაულო სათქმელები)''. მისი გადაწერილი ჩანს ,,ქრონოგრაფის'' ერთი ნუსხაც. გასწორებული და გამრავლებული აქვს საღვთისმეტყველო ლიტ-რის მრავალი ძეგლი. *ფ. სიხარულიძე.*

დღმენტი I, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1556–60. კათოლიკოსად დაადგინა ქართლის მეფე სიმონ I-მა. **დ.** I ხელდასხმიდანვე ენერგიულად შეუდგა მცხეთის საპატრიარქოს ეკონ. მდგომარეობის მოწესრიგებას, გააფართოვა მისი მამულები. **დ.** I-ის სახელთან არის დაკავშირებული კახეთის სამეფოს ეკლესიური სეპარატიზმის მორიგი მცდელობის აღკვეთა, რასაც ადასტურებს 1556–60 წწ-ით დათარიღებული ამბა-ალავერდელისა და კახი ეპისკოპოსების ერთგულების წიგნები.

ლიტ.: გ უ ჩ უ ა ვ., საქართველო XVI ს. 50–70-იან წლებში, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; კ ა ჭ ა რ ა ვ ა ე., ალავერდის საეპისკოპოსო (ეპარქია) სრულიად საქართველოს საპატრიარქოს შემადგენელი ნაწილი, კრ.: სვეტიცხოვლისადმი მიძღვნილი პირველი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 1998.

დღმენტი II, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახლ. 1595–1610. მისი ინიციატივით 1595 მცხეთის საპატრიარქოს დაუბრუნდა დიდი მამულები, რებიც ადრე საერო ფეოდალებს ჰქონდათ მიტაცებული.

დ. II-ის კათოლიკოსობის დროს ქართლის მეფე ლუარსაბ II-ს სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს სოფ. არბო გლეხებითურთ, კახთა მეფე ალექსანდრე II-ს – გარსევან ანდრონიკაშვილისათვის ჩამორთმეული სოფლები – ჯიბათი და ღანუხი გლეხებითურთ.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970.

დღმენტი III (გ. IX. 1676, მცხეთა), აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1660–76, ქაიხოსრო მუხრანბატონის ძე. იყო ქართლის მეფის *ვახტანგ V-ის* ცენტრალისტური პოლიტიკის მომდევარი. ენერგიულად იბრძოდა ტყვეებით მოვაჭრე თავადთა წინააღმდეგ. მაჰმადიანურ წეს-ჩვეულებათა საპირისპიროდ, ცდილობდა ქართ. ქრისტ. ჩვეულებების აღდგენას, 1664 თბილისელი ვაჭრისაგან შეიძინა სამცხიდან ჩამოტანილი *ანჩის კარედი ხატი* და თბილ. საპატრიარქო ეკლესიაში *ანჩისხატში* დაასვენა, რ-იც შემდგომ შეაკეთა და განაახლა. 1675 ააგო ახ. სამრეკლოც. მის სახელს უკავშირდება მჭადიჯვრის ცენტრალურ-გუმბათოვანი ეკლესიის აგება. სვეტიცხოვლისათვის შეიძინა ყმა-მამული და შესწირა მას.

ლიტ.: ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., მასალები საქართველოს XVII–XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1951, ნაკვ. 29.

ბ. ლომინაძე.

დღმენტი IV (ერისკაცობაში – დამიანე ლევანის ძე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (გ. 1741), აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1705–41. მწიგნობარი, *ვახტანგ VI-ის* ძმა. 1705–08 ვახტანგ VI-თან ერთად მონაწილეობდა კანონების შედგენაში. 1707 ირანის შაჰს ეწვია და დაამტკიცებინა საკათოლიკოსო მამულები, მ. შ. კახეთის ხელისუფალთა მიერ იმჟამად მისაკუთრებული საკათოლიკოსო კახური სამფლობელოებიც. 1710 კახეთის მეფე *დავით II-ს* (იმამყულიხანი) დააწერინა საკათოლიკოსო მამულების მფლობელობის სიმტკიცის სიგელი. 1712–14 მხარს უჭერდა ირანში მყოფი ვახტანგ VI-ის გამეფებას. ერთ პერიოდში სცადა სამეფო ტახტის დაკავება, მაგრამ არ გაუმართლა. 1723, თბილისში ოსმალების შემოჭრის დროს, გაიხიზნა ლორის ციხეში, იქიდან კი – ქსნის საერისთავოში. თბილ. გამგებელმა იესემ (ალიყული-ხანი) კათოლიკოსად *ბესარიონი* დანიშნა. **დ.** IV 1725 ოსმ. სულთანმა სტამბოლში გაიწვია. აქ დაუმტკიცეს საკათოლიკოსო მამულები, მაგრამ სამშობლოში აღარ გამოუშვეს. 1727 დეკ-ში დააპატიმრეს როგორც ოსმალთა ბატონობის მოწინააღმდეგე და სტამბოლის მახლობლად კუნძულზე გადაასახლეს (აქ იგი 1736 დამლეგამდე იყო). შემდეგ კვლავ სტამბოლშია. 1737 გარდაიცვალა ბესარიონ კათოლიკოსი. 1739 ნოემბ-ში **დ.** IV ქართლში დაბრუნდა და კვლავ კათოლიკოსად ჩანს.

დ. IV-ის ლიტ.-მწიგნობრული მოღვაწეობა ემსახურებოდა ქართ. კულტურისა და ქრისტიანობის დაცვა-განმტკიცების საქმეს. **დ.** IV-მ შეკრიბა ქართ. საერო და საეკლ. მოღვაწეთა ცხოვრება-წამების აღწერილობანი, მ. შ. ზოგიერთი სვინაქსარული სახისა და შეადგინა ქართ. ჰაგიოგრაფიული კრებული (მოღწეულია 1713 გადანაწერი ნუსხით); საეკლ. პრაქტიკისათვის გადააწერინა პარაკლიტონი, ასკეტიკონი და სხვ. ბერძნულიდან ათარგმნინა კურთხევანი და 1719 საკუთარი ხარჯით დააბეჭდვინა თბილისში. შეადგინა ,,სადღესასწაულოს'' ახ. რედაქცია (მოღწეუ-

ლია 1718 წუსხით). გადასახლებაში ყოფნისას შეკრიბა ილარიონ ქართველისა და სხვათა საგალობლები, გადააწერინა საეკლ. მამათა თხზულების II ნაწილი. დ. IV-მ საკუთარი ხარჯით შეასრულა მცხეთის სვეტიცხოვლის, თბილ. ანჩისხატის, მეტეხისა და სხვ. ეკლესიების სარემონტო და სამშ. სამუშაოები.

ლიტ. იხ. სტ-თან დ ო მ ე ნ ტ ი III.

ბ. ლომინაძე.

დღმესტიკოსი (ლათ. domesticus – სახლის მსახური), ბიზანტიური არმიის მაღალი თანამდებობა IX ს-იდან. თავდაპირველად დ. უბრალო მოხელე, სასახლის გამგებლის რწმუნებული იყო და იმპერატორის დაცვას განაგებდა, შემდეგ კი კონსტანტინოპოლში, თრაკიაში, მაკედონიასა და მცირე აზიის თემებში მდგომი გვარდიის (სქოლების) უმაღლესი სარდალი გახდა. X ს-ში მას ექვემდებარებოდა მხოლოდ აღმ. პროვინციების ანუ თემების ჯარი და ეწოდებოდა ,,აღმოსავლეთის დიდი დომესტიკოსი''. იმავე საუკუნის II ნახევრიდან შეიქმნა ,,დასავლეთის დიდი დომესტიკოსის'' თანამდებობაც. როცა ბიზანტ. იმპერიის აღმოსავლეთის თემების უმეტესობა თურქ-სელჩუკებმა დაიკავეს, გაუქმდა აღმოსავლეთის დიდი დ-ის თანამდებობა და ბიზანტ. ჯარის უმაღლესი მთავარსარდალი გახდა დასავლეთის დიდი დ. დ-ის თანამდებობებზე ინიშნებოდნენ უწარჩინებულესი ფეოდ. საგვარეულოების – ფოკათა, კურკუასთა, არგიროსთა, დუკათა წარმომადგენლები. XI ს. 70-იანი წლებიდან აღმოსავლეთის დიდი დ. გახდა ქართვ. ერისთავთერისთავის ვაჟი *გრიგოლ ბაკურიანის ძე,* რ-იც 80-იანი წლებიდან დასავლეთის დიდი დ-ის ტიტულს ატარებდა.

ლიტ.: ნ ო დ ი ა ი., დიდი დომესტიკოსის თანამდებობა XI ს. ბიზანტიური მასალების მიხედვით, «თსუ შრომები. არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა», 1984, ტ. 249; G u i l l a n d R., Études sur l'histoire administrative de Byzance, «Revue des Études Byzantines», 1951, t.8.

ნ. ლომოური.

დღმინიკე (მ უ ღ ა შ ა შ ვ ი ლ ი, პ ა წ ა ძ ე) (გ. 28. X. 1911, გორი), კათოლიკე სასულიერო მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი, რედაქტორ-გამომცემელი. მისი წინაპრები მართლმადიდებლები იყვნენ, ატარებდნენ პაწაძეების გვარს და ცხოვრობდნენ ახალციხეში, რაბათის მიდამოებში. XVII ს-ში თურქების მხრიდან დევნის გამო ისინი სოფ. ხიზაბავრაში დამკვიდრდნენ. იძულებით (გადარჩენის მიზნით) გვართან ერთად სარწმუნოებაც გამოიცვალეს და კათოლიკობა მიიღეს. დ-მ პირველდაწყებითი განათლება ცნობილ საზ. მოღვაწესთან, ი. *გვარამაძესთან* მიიღო. 1890 დაამთავრა კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერთან პ. *ხარისჭარაშვილის* მიერ დაარსებული სას. სემინარია. სას. მოღვაწეობას ეწეოდა თბილისში, გორში. იბრძოდა მესხეთის ქართვ. კათოლიკეთა ეროვნულობის შესანარჩუნებლად. 1906 თბილისში მისი რედაქტორობით გამოდიოდა ქართვ. კათოლიკეთა ჟურნ. ,,ჯვარი ვაზისა''. მან საკუთარი სახსრებით 25 ოჯახი მესხეთიდან გორის მაზრის სოფ. სკრასთან დაასახლა. ახალშენს უწოდეს ბეთლემი (ახლანდ. სოფ. ახალხიზა). დ. 1911 მოკლეს. არის ავტორი ნაშრომისა ,,შემოკლებული საღმრთო ისტორია კათოლიკეთათვის დომინიკე მუღაშაშვილის მიერ'' (ტფ., 1904). დაკრძალულია გორის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ეზოში.

ლიტ.: ვ ე ლ ი ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ., ხიზაბავრას მეგზური, თბ., 1974; მ ი ს ი ვ ე, ხიზაბავრას განთიადი, თბ., 1982; ლ ო მ ს ა ძ ე შ., მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1984.

ე. ბუბულაშვილი.

დღმინიკელები (გვიანდ. ლათ. dominicani ან fratres praedicatores – ძმანი მქადაგებელნი), კათოლიკური ,,მათხოვრული'' მონაზვნური ორდენი. დააარსა ესპანელმა მონაზონმა დომინიკუსმა მწვალებლებთან საბრძოლველად 1215 ტულუზაში. 1216 ორდენი დაამტკიცა პაპმა ჰონორიუს III-მ. 1227-იდან დ-მა მიიღეს საყოველთაო ქადაგებისა და აღსარების უფლება. 1232 პაპმა გრიგოლ IX-მ მათ გადასცა ინკვიზიციის ვალდებულება. დ. გახდნენ პაპების მთავარი დასაყრდენი მწვალებლობასა და საიმპერატორო ხელისუფლებასთან, ადგილ. საეკლ. იერარქიასთან, ქალაქებთან, უნ-ტებთან ბრძოლაში. დ-მა აღზრდისა და განათლების საქმე კათოლ. ეკლესიის კონტროლს დაუქვემდებარეს. დ. იყვნენ ალბერტ დიდი, თომა აკვინელი, რამდენიმე პაპი და სხვ. XIII ს-იდან (იეზუიტების ორდენის დაარსების შემდეგ) დ-მა თანდათანობით დაკარგეს ადრინდ. მნიშვნელობა.

XIII ს. I ნახევარში რუსუდან მეფემ პაპ გრიგოლ IX-ს დახმარება სთხოვა მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რასაც მოჰყვა კათოლიკე მისიონერთა, კერძოდ, დ-ის შემოსვლა საქართველოში. მათ თბილისში დააარსეს თავიანთი მონასტერი. 1329 საქართველოში პირველი კათოლ. საეპისკოპოსოს ეპისკოპოსად დაინიშნა საქართველოში დიდხანს ნამყოფი და ქართ. ენის კარგად მცოდნე დომინიკელი ბერი იოანე ფლორენციელი. საეპისკოპოსო სპარსეთში შექმნილ ე. წ. ,,სულთანიეს საარქიეპისკოპოსოს'' ემორჩილებოდა. XVI ს. დასაწყისში ოსმალეთის მიერ სრუტეების ჩაკეტვის გამო, თბილ. კათოლ. საეპისკოპოსო გაუქმდა. დ. და ფრანცისკელები საქართველოში შემოსვლას ვეღარ ახერხებდნენ.

XX ს. II ნახ-ში დ-ის ორდენში შედიოდა 9 ათასზე მეტი მონაზონი კაცი და დაახლ. 6 ათასი მონაზონი ქალი.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902.

დიაკონი ზაზა (თევზაძე).

დღმიციანე ტიტუს ფლავიუს (Titus Flavius Domitianus) (51, რომი, – 96, იქვე), რომის იმპერატორი 81-იდან, ფლავიუსების დინასტიის წარმომადგენელი, *ვესპასიანეს* მეორე ვაჟი. დ. ანგარიშს არ უწევდა სენატს. მოითხოვდა, რომ მისთვის ეწოდებინათ ,,დომინუს'' (ბატონი) და ,,დეუს'' (ღმერთი). ეყრდნობოდა ძირითადად სამხ. წრეებს, პრეტორიანულ გვარდიას. ცდილობდა პოპულარობის მოპოვებას მოსახლ. დაბალ ფენებში, მათთვის უხვად გასცემდა ფულსა და საჩუქრებს, ხოლო მდიდარი ზედაფენების წარმომადგენლებისათვის ზრდიდა გადასახადების რაოდენობას. დ-ს საგარეო პოლიტიკა აგრესიული იყო. იგი აქტ. სამხ. ქმედებებს ახორციელებდა ევროპაში, მდინარეების რაინისა და დუნაის სანაპირო ოლქებში, მაგრამ 89 დაკებისა და გერმ. ტომების გაერთ. ლაშქართან სასტიკად დამარცხდა. დ. იძულებული გახდა დაკებისათვის ყოველწლიური გადასახადი ეძლია. რომაული არმიები მხედართმთავარ აგრიკოლას მეთაურობით აქტიურად მოქმედებდნენ ბრიტანეთში, აღმ. ფრონტზე კი დ-ს პოლიტიკა უფრო პასიური იყო, იგი მშვიდობიან ურთიერთობას ინარჩუნებდა პართიასთან. საშინაო პოლიტიკით უკმაყოფილებისა და წარუმატებელი საგარეო პოლიტიკის გამო დ-ს წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება, რაც იგი შეეწირა.

ერთ-ერთი ეპიგრაფიკული ძეგლის, კერძოდ, აზერბ. ტერიტო-

რიაზე, ბეიუქ-დაშის მთასთან აღმოჩენილი წარწერის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ დ-მ დახმარება აღმოუჩინა იბერიის მეფეს ალბანეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

წყარო: Светоний Транквилл, Жизнь двенадцати цезарей, М., 1990.

ლიტ.: Ломоури Н. Ю., Грузино-римские взаимоотношения, Тб., 1981.

ნ. ლომოური.



ე. დონაური.



ე. დონაური. ოთარაანთ ქვრივი, შ. დადიანის ,,ჩატეხილი ხიდი''.

„დონ პოდ ჩინარამი“ (,,Дом под чинарами'' – ,,სახლი ჭადრების ქვეშ''), ლიტერატურული ალმანახი რუსულ ენაზე, საქართვ. მწერალთა კავშირის რუსული სექციის ორგანო. დაარსდა თბილისში 1969, 1974-იდან გამოდიოდა ყოველწლიურად. ალმანახში იბეჭდებოდა საქართველოში მცხოვრები როგორც ცნობილი რუსულენოვანი მწერლების, ასევე დამწყებ ავტორთა ნაწარმოებები (პროზა, პოეზია, დრამატურგია, კრიტიკა, პუბლიცისტიკა და სხვ.), შუქდებოდა თანამედროვეობის საჭირბოროტო პრობლემები. აღსანიშნავია მ. ზლატკინის, ბ. ბებუთოვისა და სხვ. მოგონებები, სტატიები მხატვრული თარგმანის პრობლემებზე. სარედაქციო კოლეგიაში სხვადასხვა დროს შედიოდნენ მ. ზლატკინი, ლ. კალანდაძე, მ. ლორვიცკი (შემდგენელი), ე. ფეიგინი, გ. ციციშვილი, ხ. ბერულავა, ი. ბოგომოლოვი, გ. ონანიანი, უ. რიჟინაშვილი. ალმანახის ბოლო ნომერი გამოვიდა 1989.

დონა, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ფონის თემში (კახეთის მხარე), ალაზნის ვაკეზე, მდ. კაბალის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 310 *მ,* ლაგოდეხიდან 16 *კმ.* 84 მცხ. (2002).

დონაურები, ფეოდალური საგვარეულო კახეთში. IX ს-ში ცნობილია ამ გვარის ორი მთავარი (ქორეპისკოპოსი) – ძმები *სამოელი* და *გაბრიელი.*

დონაური ალექსი პეტრეს ძე (12. II. 1830, სანქტ-პეტერბურგი, – 3. IV. 1897, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1888). გენ.-მ. პ. პ. *დონაურის* უფროსი ძმა. 1853–56 ყირიმისა და 1877–78 რუს.-ოსმ. ომების მონაწილე.

დონაური (ფსევდ.; ქალიშვილობის გვარი – ვაჩნაძე; ქორწინებისა – მარჯანიშვილი) ელენე იოსების ასული [15(27). III. 1890, სოფ. ბაკურციხე, ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 16. X. 1955, თბილისი], მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1950). კ. მარჯანიშვილის მეუღლე. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1906) სწავლობდა დრამ. კურსებზე თავდაპირველად თბილისში, შემდეგ – პეტერბურგში. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1908 ლ. იავორსკაიას საგასტროლო დასში. 1908–20 იყო რუსეთის თეატრების [პეტერბურგი (ვ. კომისარჟევსკაიას თეატრი), უმანი, ტაგანროგი და სხვ.], 1920–26 – თბილ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრის, 1926–28 – თბილ. მუშათა თეატრის, 1928–55 – კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობი. თამაშობდა ჰეროიკულ-დრამ., აგრეთვე სახასიათო როლებს. გამოირჩეოდა სცენური მომხიბვლელობით, ტემპერამენტით. მნიშვნელოვანი როლებია: ქეთევანი (დ. ერისთავის ,,სამშობლო''), ბაბულია (ს. შანშიაშვილის ,,ჰერეთის გმირები''), ხასინტა (ლოპე დე ვეგას ,,ცხვრის წყარო''), დედოფალი ჰერტრუდა (უ. შექსპირის ,,ჰამლეტი''), ოთარაანთ ქვრივი (შ. დადიანის ,,ჩატეხილი ხიდი'', ი. ჭავჭავაძის მიხედვით), ქალბატონი ჰიგინზი (ბ. შოუს ,,პიგმალიონი'') და სხვ. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. *შ. ცუცქირიძე.*

დონაური ზაქარია პეტრეს ძე (1830, სანქტ-პეტერბურგი, – 15. XI. 1875, იქვე), რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. პ. მ. *დონაურის* ვაჟი. იყო რუს. იმპერიის გენერალური კონსული პარიზში.

დონაური ივანე მიხეილის ძე (1806, სანქტ-პეტერბურგი, – 1849, იქვე), რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოდან გადასახლებულ ქართვ. აზნაურთა შთამომავალი, გენ.-მ. მ. *დონაურის* ვაჟი. ახალგაზრდობისას კამერიუნკერი იყო. თავდაპირველად მსახურობდა საგარეო საქმეთა, შემდეგ სახელმწ. ქონების სამინისტროში. 1843 დანიშნეს იაროსლავის ვიცე-გუბერნატორად, 1846 მიენიჭა სახელმწ. მრჩევლის წოდება.

დონაური მიხეილ ივანეს ძე (1757, სანქტ-პეტერბურგი, – 21. X. 1817, იქვე), რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე, გენ.-მაიორი (1796). მეფე ვახტანგ VI-თან ერთად რუსეთს გადასახლებული კახელი აზნაურის ი. დონაურის ვაჟი. ახალგაზრდობისას განაწესეს სამხ. სამსახურში, 1780 კი სამოქალაქო უწყებაში გადაიყვანეს. იმპ. ეკატერინე II-ის კარზე ასრულებდა ტახტის მემკვიდრის – პავლე პეტრეს ძის მდივნისა და ბიბლიოთეკარის მოვალეობას. პავლე I-ის გამეფებასთან დაკავშირებით დააჯილდოეს წმ. ალექსანდრე ნეველის, წმ. ანას I ხარისხის ორდენებითა და 2000 გლეხით. 1797 დაინიშნა საიმპერატორო კაბინეტის მმართველად. იმავე წელს მიენიჭა საიდუმლო მრჩევლის, 1799 კი – ნამდვილი საიდუმლო მრჩევლის წოდება და სენატორობა. პავლე I-მა დაუმტკიცა მას გერბი წარწერით ,,მხოლოდ შენ'' და მიანიჭა რუსეთის აზნაურობა. მალე იგი ყველა პოსტიდან დაითხოვეს. 1801 ალექსანდრე I-მა კვლავ აღადგინა სამსახურში და სენატის III დეპარტამენტში სენატორად დანიშნა. დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

ლიტ.: Гогитидзе М., Военная элита Кавказа, Тб., 2007; Джавахишвили Н., Грузины под Российским флагом, Тб., 2003. *მ. გოგიტიძე.*

დონაური პეტრე მიხეილის ძე (1802, სანქტ-პეტერბურგი, – 1863, იქვე), რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე. საქართველოდან რუსეთს გადასახლებულ ქართვ. აზნაურთა შთამომავალი, გენ.-მ. მ. *დონაურის* ვაჟი. სხვადასხვა დროს ეჭირა ვლადიმირის (1842–51) და სანქტ-პეტერბურგის (1851–62) გუბერნატორის პოსტი. 1851-იდან იყო საიდუმლო მრჩეველი, 1855–63 – სენატორი და სახელმწ. კონტროლიორის ამხანაგი (მოადგილე).

დონაური პეტრე პეტრეს ძე (1842, სანქტ-პეტერბურგი, – 1906, რუსეთი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1902). რუსეთ-იაპონიის ომის (1904–05) მონაწილე, 1902-იდან – უსურიის კაზაკთა დივიზიის უფროსი.

დონაძე ვარლამ ბარნაბის ძე (15. V. 1908, სოფ. ლიხაური, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 6. IX. 1989, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1965), თსუ-ის პროფესორი (1966), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). 1929 დაამთავრა თსუ-ის პედ. ფაკ-ტი. დ. იკვლევდა დას. ევრ. და სამხრ.-აღმ. აზიის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემებს, აგრეთვე XIX ს. II ნახ. ქართ. საზ. აზრის დამოკიდებულებას ახ. დროის მსოფლიო ისტ. აქტუალური პრობლემებისადმი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: სუნ იატ-სენი, თბ., 1955; ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები

და XIX ს. II ნახ. ქართული საზოგადოებრივი აზრი, თბ., 1973; ინდოელი ხალხის დიდი შვილი მაჰათმა განდი, თბ., 1974; ბოსფორი და დარდანელი (საკითხის ისტორიის ნარკვევები), თბ., 1983; ნიკო ნიკოლაძის სოციოლოგიური და ისტორიული შეხედულებები, თბ., 1987; ილია ჭავჭავაძე და მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდის აქტუალური პრობლემები, თბ., 1987.

დონაძე ვლადიმერ (ლადო) გრიგოლის ძე [5(18). III. 1905, ოზურგეთი, – 10. XII. 1986, თბილისი], მუსიკათმცოდნე და პედაგოგი. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1958), პროფესორი (1956), საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1958). ქართ. საისტორიო მუს. მეცნიერებისა და პროფესიული მუს. კრიტიკის ფუძემდებელი. 1934 დაამთავრა თბილ. კონსერვ. მუსიკათმცოდნეობის ფაკ-ტი (ხელმძღვ. ა. რაბინოვიჩი), 1937 – ლენინგრადის კონსერვ. ასპირანტურა (ხელმძღვ. რ. გრუბერი). 1937–86 მუშაობდა თბილ. კონსერვატორიაში, სადაც დააარსა (1937) მუსიკის ისტ. კათედრა (1937–76 – კათედრის გამგე), პირველმა დაამუშავა და შემოიღო, როგორც სასწ. საგანი, ქართ. მუსიკის ისტორიის სპეც. კურსი. დ-ის შრომებიდან აღსანიშნავია ცნობილი მონოგრაფია ,,ზაქარია ფალიაშვილი'' (ზ. ფალიაშვილის სახ. პრემია, 1972) და მონოგრაფიული ნარკვევები ქართვ. კომპოზიტორებზე (მ. ბალანჩივაძე, დ. არაყიშვილი, ვ. დოლიძე, ნ. სულხანიშვილი, ა. ბალანჩივაძე, ა. მაჭავარიანი, შ. მშველიძე, ო. თაქთაქიშვილი და სხვ.).

ფართო აღიარება მოიპოვა დ-ის შრომებმა ფ. შუბერტის სიმფ. შემოქმედების შესახებ. რომანტიკული სიმფონიზმის მისეული კონცეფცია დამკვიდრდა მუსიკათმცოდნეობაში. დ-მ ღრმა კვალი დაამჩნია ქართ. მუსიკათმცოდნეობის შემდგომ განვითარებას. მისი მოწაფეები არიან: ა. *წულუკიძე*, გ. *ორჯონიკიძე*, ვ. *გვახარია*, გ. *ტორაძე*, რ. წურწუმია, დ. გოგუა, მ. ქავთარაძე, ლ. კაკაბაძე, რ. ქუთათელაძე, მ. ხვთისიაშვილი და სხვ.

თხზ.: შალვა მშველიძე (მონოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1946; Симфония си минор Шуберта, წგ.: Очерки по истории и теории музыки, Л., 1940; Музыкальное наследие Грузии (классический период), კრ.: Грузинская музыкальная культура, М., 1957; Захарий Палиашвили, М., 1958 (2 изд., М., 1971); Очерки по истории грузинской советской музыки, ч. 1, Тб., 1975; Симфонии Шуберта, კრ.: Музыка Австрии и Германии XIX века, кн. 1, М., 1975.

ლიტ.: ტ ო რ ა ძ ე გ., გამოჩენილი ქართველი მუსიკათმცოდნე, «საბჭოთა ხელოვნება», 1985, №9; А с л а н и ш в и л и Ш. С., Проблемы музыкального наследия в Грузии, კრ.: Музыковедение и музыкальная критика в республиках Закавказья, М., 1956; К а к у л и я Л., Ч к о н и я С., Композиторы и музыковеды Грузии, Тб., 1984.

გ. ტორაძე.

დონაძე მერაბ გენადის ძე (17. VII. 1937, თბილისი, – 16. XII. 2010, იქვე), მომღერალი (ბარიტონი). საქართვ. დამს. არტისტი (1978), ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VIII საერთაშ. ფესტივალის ლაურეატი (ჰელსინკი, 1962, I პრემია – ოქროს მედალი). 1961 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (ვ. ქაშაკაშვილისა და გ. მარგიევის კლასები), პარალელურად – თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი.

1962–81 თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის სოლისტი იყო. შესრულებული აქვს ონეგინისა და ელეცკის (პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი'' და ,,პიკის ქალი''), ლევანისა და საქოს (ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე''), ქალუნდაურის (შ. მშველიძის ,,დიდოსტატის მარჯვენა''), სილვიოს (რ. ლეონკავალოს ,,ჯამბაზები''), ოიდიპოსის (ა. შავერზაშვილის ,,ოიდიპოს მეფე'', საკონცერტო შესრულება) და სხვ. პარტიები. 1975–77 იყო კიევის საოპერო თეატრის სოლისტი. 1993–2006 მუშაობდა საქართვ. ფილარმონიის გენერალურ დირექტორად. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრალურ ინ-ტში. სიცოცხლის ბოლომდე თანამშრომლობდა ვ. *აზარაშვილთან* (კონცერტებით შემოიარეს საქართვ. ქალაქები). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998). *გ. ტორაძე.*

დონდუა გურამ დავითის ძე (17. III. 1922, თბილისი, – 12. III. 1986, იქვე), გეოგრაფი. 1950 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი. 1953–75 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკადემიის ვახუშტის სახ. გეოგრ. ინ-ტში სწავლულ მდივნად, 1975-იდან გარდაცვალებამდე – ქსე-ის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა რედაქციის გამგედ. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. იყო ფართო პროფილის გეოგრაფი. იკვლევდა საქართვ. სხვადასხვა რ-ნის გეომორფოლოგიას, შეისწავლა მდინარეების ჯვეჯორისა და ღარულის (რიონის მარცხ. შენაკადები) აუზების ძველმყინვარული რელიეფის ფორმები. მისი ავტორობით გამოიცა დაწყებითი კლასების გეოგრაფიისა და ბუნებისმცოდნეობის სახელმძღვანელოები (დ. *დონდუასთან* ერთად) და სასწ. გეოგრ. რუკები. მისი აქტიური მონაწილეობითა და რედაქტორობით გამოიცა ,,გეოგრაფიის ტერმინოლოგია'' (1967). დ-მ გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული ენციკლოპედიის გამოცემის საქმეში – დაადგინა ენციკლოპედიური ტერმინოლოგია, მოამზადა სხვადასხვა სახის გეოგრ. ლექსიკონები.

დ. იყო ბუნების გარდაქმნის კომპლ. კვლევის პრობლემათა საქართვ. სექციის სწავლული მდივანი (1961–74), საქართველოს გეოგრაფიული საზ-ბის სამეცნ. საბჭოსა და საკავშირო ჟურნალ ,,გეოგრაფია სკოლაში'' სარედაქციო კოლეგიის წევრი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ე. ლოლუა.



ვ. გ. დონაძე.


დონდუა დავით დარისპანის ძე [3(15). X. 1898, ქუთაისი, – 1. V. 1958, თბილისი], პედაგოგი, გეოგრაფი. საქართვ. დამს. მასწავლებელი (1945). პედ. მეცნ. კანდიდატი (1956). 1917 დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია, 1943 – თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი. ასწავლიდა ქუთაისის და თბილისის სკოლებში (მ. შ. 14 წელი – თბილ. I საშ. სკოლაში). აქტიურად მონაწილეობდა სრულიად საქართვ. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საზ-ბის მუშაობაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართვ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტსა და მასწავლებელთა დახელოვნების ინ-ტში, ხელმძღვანელობდა გეოგრაფიის მასწავლებელთა გადასამზადებელ რესპ. კურსებს. კითხულობდა გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის კურსს თსუ-ში, თელავისა და გორის პედ. ინ-ტებში. იყო საქართვ. გეოგრ. საზ-ბის თავ-რის მოადგილე (1940–54). გამოქვეყნებული აქვს ბუნებისმეტყველებისა და გეოგრ. სახელმძღვანელოები, მეთოდ. წერილები, სასწავლო პროგრამები, სამეცნ. და სამეცნ.-პოპულ. შრომები. ხელმძღვანელობდა სასწ. გეოგრ. რუკების ქართ. ენაზე გამოცემას, გეოგრ. ნომენკლატურის ქართ. ტრანსკრიფციის დადგენას. 1926–32 მისი სახელმძღვანელოთი (,,წყარო'') ისწავლებოდა გეოგრაფია და ბუნებისმეტყველება ქართ. სკოლის დაწყ. კლასებში. 1916–24 ს. ჯაფარიძესთან ერთად გამოსცა საბავშვო ზღაპრების სერია ,,სურათები – ზღაპრები''. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.



მ. დონაძე. სილვიო, რ. ლეონკავალოს ,,ჯამბაზები''.



გ. დონდუა.



ვ. დონდუა.



კ. დონდუა.

თხზ.: საქართველოს დედაქალაქი ტფილისი, ტფ., 1923; ჩვენი მხარე ქართლი. მხარეთმცოდნეობითი ნარკვევი, ტფ., 1925; სამხედრო გეოგრაფია, მისი არსი და თემატიკა, თბ., 1942; როგორ ავგეგმოთ გარემო, თბ., 1943.

ლიტ.: გ ა რ ს ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ე., დავით დონდუა, თბ., 1978; დავით დონდუა. [ბიობიბლიოგრაფია], შემდგ. ც. ცინაძე, თბ., 1978. *ე. ლოლუა.*

დონდუა ვარლამ დარისპანის ძე [21. IX(3.X). 1895, ქუთაისი, – 21. II. 1969, თბილისი], ისტორიკოსი, ფილოლოგი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1963), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1965). 1915 დაამთავრა ქუთ. ქართ. გიმნაზია, ხოლო 1927 – ლენინგრადის სახელმწ. უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი. 1929-იდან ლენინგრადის უნ-ტში კითხულობდა კავკ. ხალხთა ისტორიას, ქართ. ლიტ. ენისა და ქართ. პალეოგრაფიის კურსს. მუშაობდა აგრეთვე სსრკ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტსა (1934–42) და ენისა და აზროვნების ინ-ტში (1934–36), 1942-იდან – საქართვ. მეცნ. აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტში, 1954–69 ხელმძღვანელობდა წყაროთმცოდნეობის განყ-ბას. 1929–42, 1946–50 ლექციებს კითხულობდა ლენინგრადის, ხოლო 1942–54 – თბილ. უნ-ტებსა და სოხუმის პედ. ინ-ტში.

დ-ს ნაშრომები ეხება საქართვ. სოც.-ეკონ., პოლიტ. და კულტ. ისტორიის პრობლემებს ანტ. ხანიდან XVIII ს-მდე. რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა რუს.-საქართვ. ურთიერთობის საკითხებს. დ. იყო საქართველოს ისტორიის სასკოლო და დამხმარე სახელმძღვანელოების ერთ-ერთი ავტორი, საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრი. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში სპეც. წყაროთმცოდნეობითი დისციპლინების – არქეოგრაფიის, ეპიგრაფიკის, პალეოგრაფიისა და ტექსტოლოგიის – განვითარებაში. დ. ქართ. საისტ. წყაროების კვლევის დროს ყურადღებას აქცევდა ენობრივ საკითხებსაც. სპეციალურად შეისწავლა ქართ. სახელების -ეთ სუფიქსი. ,,ლიპარიტეთისა'' და ანალოგიური ფორმის გვარ-სახელების ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ -ეთ სუფიქსიანი სახელების ხმარება ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებას. მანვე დააზუსტა ,,ძე'' სიტყვის ტერმინოლოგიური თავისებურება შოთა რუსთაველის ლექსიკაში (რუს. ენაზე). ცალკე სტატია მიუძღვნა ,,სტამბოლ'' სახელის განმარტებას. გამოაქვეყნა ი. ჯავახიშვილის ერთი უცნობი წერილი (რ-შიც განმარტებულია ,,გლეხი'', ,,ყაზახი'', ,,კრესტიანსტვო'', ,,მუჟიკი'') და გაამდიდრა თავისი შენიშვნებით.

დ-მ რუსულად თარგმნა ზოგიერთი ქართ. ისტ. წყარო (იაკობ ხუცესის ,,წამებაჲ შუშანიკისი'', თამარის მეორე ისტორიკოსის ,,ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი'', რკონის ,,დაწერილი'', იოანე ბაგრატიონის ,,კალმასობა'' და სხვ.). დ-ს მდიდარი ბ-კა დაცულია ი. ჯავახიშვილის სახ. ისტ. და ეთნოლოგიის ინ-ტში, სადაც შეიქმნა მისი სახელობის კაბინეტი სამკითხველო დარბაზითურთ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: საისტორიო ძიებანი, ტ. 1–3, თბ., 1967–85; შრომების სრული ბიბლიოგრაფია და ლიტ-რა მასზე, იხ. «ქართული წყაროთმცოდნეობა», 1971, ტ. 3.

გ. იმნაიშვილი. რ. კიკნაძე.

დონდუა კარპეზ დარისპანის ძე [13. X. 1891, ქუთაისი, – 3. XI. 1951, ლენინგრადი (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი)], ფილოლოგი, ენათმეცნიერი, საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1944). ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1935), ლენინგრადისა და თბილ. უნ-ტების პროფესორი (1940-იდან). პეტროგრადის უნ-ტის დამთავრების შემდეგ (1922) იქვე ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას. 1941–45 მუშაობდა თბილისში, საქართვ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტსა და თსუ-ში. იკვლევდა ქართველურ და მთის იბერიულ-კავკ. ენებს, ზოგადი ენათმეცნ. პრობლემებს. მის საენათმეცნიერო შრომათაგან აღსანიშნავია ,,ემფატიკური ნათესაობითის საკითხისათვის ძველ სალიტერატურო ქართულში'' (1930, რუს. ენაზე), ,,ქართული ბრუნების აგლუტინაციური ხასიათის შესახებ'' (1931, რუს. ენაზე), ,,მრავლობითობის ორი სუფიქსის შესახებ ქართულში'' (1932, რუს. ენაზე), ,,მაფემინიზებელი ხმოვანი ქართულში (1935, რუს. ენაზე), ,,ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის შესახებ სვანურში და მისი კვალი ძველ ქართულში'' (1938, რუს. ენაზე), ,,მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში'' (1940), ,,შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმის გენეზისისათვის ქართველურ ენებში'' (1940, რუს. ენაზე), ,,ადიღეური ტიპის მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის სვანურში'' (1943), ,,გრამატიკული უარყოფა როგორც ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემა'' (1948, რუს. ენაზე), ,,დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიდან ძველ ქართულში'' (1949), ,,ქართული ენის მესხური კილო'' (1967, რუს. ენაზე). ყურადღებას იმსახურებს დ-ს კვლევები რუსთველოლოგიაში. მის ნაშრომებში – ,,ამირანდარეჯანიანი'' (1937, რუს. ენაზე), ,,შოთა რუსთაველი და ქართული ლიტერატურა'' (1938, რუს. ენაზე), ,,მეტაფორა ფართო გაგებით და პოეტური მეტაფორა'' (1938, რუს. ენაზე), ,,საშინელი უმეცრება'' – დ. დანდუროვის წიგნის ,,შოთა რუსთაველის'' შესახებ (1937, რუს. ენაზე; 1938, ქართ. ენაზე), ,,კიდევ ერთხელ რუსთაველის ცხოვრებისადმი მიძღვნილი წიგნის შესახებ'' (1940, რუს. ენაზე), ,,ვეფხისტყაოსნის ერთი შესავალი სტროფის ლინგვისტური ანალიზისათვის'' (1943) და სხვ. გაშუქებულია შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისა და შემოქმედების, აგრეთვე მისი ეპოქის ქართული კულტ. საკითხები.

თხზ.: რჩეული ნაშრომები, [ტ.] 1, თბ., 1967; Статьи по общему и кавказскому языкознанию, Л., 1975.

ლიტ.: А б а е в В. И., Памяти Карпеза Дариспановича Дондуа (к годовщине со дня смерти),«Известия АН СССР. Отделение лит. и языка», 1952, XI, в. 6 (გადაბეჭდილია დ-ს ,,რჩეული შრომები'', გვ. 15–19); Т у р ч а н и н о в Г.Ф., К. Д. Дондуа – ученый и человек, წგ.: Статьи по общему языкознанию, Л., 1975.

გ. იმნაიშვილი. ი. მგრელიძე.

დონდუკოვ-კორსაკოვი ალექსანდრე მიხეილის ძე [12(24). IX. 1820, სანქტ-პეტერბურგი, – 15(27). IV. 1893, სოფ. პოლონაია, ფსკოვის გუბ.], კავკასიის მთავარმართებელი 1882–90. თავადი, გენ.-ადიუტანტი (1869), კავალერიის გენერალი (1878). დაამთავრა სანქტ-პეტერბურგის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი, რის შემდეგაც სამხ. სამსახური დაიწყო. მონაწილეობდა კავკასიის (1845–51), ყირიმის (1853–56), რუს.-ოსმ. (1877–78) ომებში. 1869–76 იყო კიევის, ვოლინის, პოდოლსკის გუბერნიების გენ.-გუბერნატორი, 1878–79 – უზენაესი კომისარი ბულგარეთში, 1880–82 – ხარკოვის გენ.-გუბერნატორი. 1881 ალექსანდრე III-ის ტახტზე ასვლის შემდეგ მთელ იმპერიას და განსაკუთრებით მის კოლონიებს რეაქციის ხანა დაუდგათ. 1882 გააუქმეს კავკასიის სამეფისნაცვლო. კავკასია კარგავდა იმ შეკვეცილ ადმ. ავტონომიას, რ-იც მას მანამდე ჰქონდა. 1882 ცარიზმის ერთგული დ.-კ. კავკ. სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლად და

კავკ. სამხ. ოლქის ჯარების სარდლად დანიშნეს. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა კავკ. მმართველობის ახ. დებულება, რ-იც 1883 შევიდა ძალაში. იგი ატარებდა რეაქციულ კოლონ. პოლიტიკას: კ. იანოვსკის ინიციატივით სკოლებში ჯერ შეიზღუდა, 1885-იდან კი საერთოდ აიკრძალა ქართ. ენის სწავლება; ქართვ. ერის დაშლა-დანაწილების მიზნით რეაქციონერებმა მეგრელები, სვანები, აჭარლები არაქართველებად გამოაცხადეს და შეუდგნენ მეგრული და სვანური უმწერლობო ენებისათვის რუს. ანბანზე დაყრდნობით ანბანისა და სახელმძღვანელოების შედგენას; სდევნიდნენ და ავიწროებდნენ ქართ. ეკლესიას; მკაცრი ცენზურა დაუწესეს ქართ. პრესას; იდევნებოდნენ ქართვ. ეროვნ. მოღვაწენი. დ.-ჰ-ის დასმენითა და მითითებით გადაასახლეს სტავროპოლში დ. *ყიფიანი.* 1890 დ.-ჰ. კავკასიიდან გადაიყვანეს და სახელმწ. საბჭოს წევრად დანიშნეს.

თხზ.: Записки о положении Закаспийской области, СПб., 1887; Мои воспоминания, ч. 1–2, СПб., 1902–03.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970.

დონი (ფსევდ.; ნამდვ. სახელი და გვარი – დავით ვლადიმერის ძე ნ ა ც ვ ლ ი შ ვ ი ლ ი) (20. VI. 1899, სოფ. ტობანიერი, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 26. XI. 1971, თბილისი), მხატვარ-სატირიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1962). დაამთავრა თსუ-ის



დ ო ნ ი (დ. ნაცვლიშვილი). ,,ფეხბურთის მატჩის დაწყებამდე''. 1968.

ისტ. ფაკ-ტი (1925). იმავდროულად თბილ. სამხატვრო აკადემიაში ეუფლებოდა გრაფ. ხელოვნებას (ი. შარლემანის კლასი). დ-ის სახელთან არის დაკავშირებული XX ს. 30-იან წლებში სატირული გრაფიკის განვითარება. მისი ნამუშევრები გამოცემულია ორ წიგნად – ,,ხუმრობის გარეშე'' (1951) და ,,ფანქრის წვერზე'' (1957). დასურათებული აქვს სატირულ-იუმორისტული წიგნები. ავტორია გრაფ. ნახატებისა: ,,ბაკურიანის გზა'' (1940), ,,ბაგრატის ტაძრის ნანგრევები'' (1944), ,,რუსთავის პარკი'' (1953; ყველა ნამუშევარი მხატვრის კუთვნილებაა) და სხვ.

დონის მონასტერი მ ო ს კ ო ვ შ ი, რუსული კულტურის ძეგლი მოსკოვის ცენტრის სამხრეთ-დასავლეთით, ძვ. კალუგის გზატკეცილთან. დაარსდა 1591 ივლისში გამარჯვების აღსანიშნავად იმ ადგილზე, სადაც რუსეთის ჯარმა ყირიმის ხანის ყაზი-გირეის ლაშქარი დაამარცხა და სადაც რუს მეომართა მფარველი დონის (ივერიის) ღვთისმშობლის ხატი იყო დასვენებული. დ. მ. სტავროპიგიალური (ადგილობრივი ეპარქიული ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი) იყო. 1591–93 მონასტერში მცირე ტაძარი ააშენეს, რ-საც შესწირეს სოფლები. 1675–78 აშენდა სატრაპეზო, 1679 – სამრეკლო, 1684–93 – დიდი ტაძარი. ჩამოყალიბდა შესანიშნავი არქიტ. ანსამბლი. 1686–1711 ქვის გალავანი შემოავლეს. 1801–27 აქ განთავსებული იყო სასულიერო ცენზურის მოსკ. განყ-ბა, პატრიარქის რეზიდენცია. იგი ადრიდანვე იქცა რუს არისტოკრატთა განსასვენებლად.

დ. მ-თან ქართველთა ურთიერთობის შესახებ დოკუმენტები XVII ს-იდან მოგვეპოვება. 1685-იდან რუს. აღმოსავლურ პოლიტიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული ამ იდეური ცენტრით დაინტერესდა მეფე *არჩილ II.* აქედან დაწყებული დ. მ-მა მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა მოსკ. ქართ. ახალშენის ცხოვრებაში. XVIII ს. დასაწყისიდან დ. მ-ში კრძალავდნენ მოსკოვში გარდაცვლილ ქართველებს. 1705 დ. მ-ში არქიმანდრიტად დაინიშნა ცნობილი საეკლ. მოღვაწე და დიპლომატი ლავრენტი (გაბაშვილი). მის დროს მოწესრიგდა დ. მ-ის მეურნეობა, განმტკიცდა სამონასტრო ცხოვრების წესი, გაფართოვდა კულტ. საქმიანობა. 1711 დ. მ-ის მთავარი ტაძრის ქვედა სართული მან არჩილ II-ს გადასცა და იქ შვედეთიდან გადმოსვენებული მისი ვაჟი *ალექსანდრე ბატონიშვილი* დააკრძალვინა; ნოვოდევიჩის მონასტრიდან დ. მ-ში გადაასვენებინა არჩილის ვაჟები – დავითი და მამუკა, აგრეთვე რძალი ფ. მილოსლავსკაია. 1712 სექტ-ში არჩილმა უფლის მირქმის საყდარი ააშენებინა და აკურთხებინა, ასევე საფუძველი ჩაუყარა პანთეონს, სადაც შემდგომში დაიკრძალნენ თავად მეფე არჩილი, *ქეთევან დედოფალი, დარეჯან ბატონიშვილი* (არჩილ II-ის ასული). იმავე საყდარში არქიმანდრიტ ლავრენტის დაკრძალვის შემდეგ (1720) მთავარი ტაძრის ქვედა სართულზე



დონის მონასტერი. მოსკოვი.

არსებული ქართველთა პანთეონი გაფართოვდა. 1730 საყდრის კედლებთან დამარხეს არჩილ II-ის თანამებრძოლი, მწერალი მათე. მონასტერში დარეჯან ბატონიშვილის აღმშენებლობითი სამუშაოების ჩატარების შედეგად მირქმის ტაძარი კიდევ უფრო გაფართოვდა. 1750 აქ დაკრძალეს მეფისწული *ბაქარი.* აქვე მიუჩინეს განსასვენებელი *ვახტანგ VI-ის* ამალის წევრებს: ამილახვრებს, დადიანებს, დავითაშვილებს და სხვ. აქ არიან დაკრძალული მ. ი. *დავითაშვილი* (არითმეტიკის სასწ. წიგნის შემდგენელი), გიორგი ბატონიშვილი (ვახტანგ VI-ის ძე). გაფართოებულ პანთეონსა და მონასტრის ეზოში XIX ს-ში და შემდეგაც რუსეთში მცხოვრები მრავალი ქართველი საერო და სას. მოღვაწე დაკრძალეს, მ. შ. სენატორი, გენ.-მ. მ. კ. ბაგრატიონი.

დ. მ-ის შესწავლა XVIII ს-იდან დაიწყო. 1792 ლ. მაქსიმოვიჩმა გამოაქვეყნა მისი აღწერილობა. ქართვ. მოღვაწეთა ეპიტაფიები გამოსცა მ. ბროსემ. ი. ზაბელინმა, რ-იც სარესტავრაციო სამუშაოებსაც ხელმძღვანელობდა, მონასტერს მიუძღვნა ვრცელი გამოკვლევა. ქართვ. საზ-ბა დ. მ-ით XX ს. დამდეგს დაინტერესდა.

ქართ. პრესაში წამოიჭრა საკითხი პანთეონის დაცვის, ვახუშტის საფლავის ქვის განახლების, ეპიტაფიების ახ. წარწერებით შეცვლის შესახებ. 1912 მწერალმა კ. თათარაშვილმა მონასტერში მოაწყო ექსპედიცია. ამავე თემას გამოეხმაურნენ ი. ტატიშვილი, ს. კაკაბაძე, ბ. ესაძე.

XX ს. 20-იან წლებში დ. მ-ში გაიშალა სარესტავრაციო სამუშაოები. 30-იანი წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მოსკოვში არსებულ ქართ. ძეგლებს (ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ა. სვანიძე). II მსოფლიო ომის შემდეგ დ. მ-ში ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაო და მოეწყო გამოფენა ,,ქართველთა კოლონია მოსკოვში''. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმის წინადადებით, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინტის არქეოლ. ცენტრისა და ხალხთა მეგობრობის მუზეუმის გაერთ. ექსპედიციამ დ. მ-ის მირქმის ტაძარში 1983 აპრ-იდან ნოემბრამდე რამდენიმე ათეული აკლდამა გახსნა. მათი შესწავლის შემდეგ ყველა ნეშტი ხელახლა დაკრძალეს. აქ მოპოვებული სამარხეული მასალა ინახება საქართველოს ეროვნ. მუზეუმის ძველ და მიმდინარე ფონდში.

ლიტ.: სიხარულიძე ფრ., მოსკოვში ქართველ მოღვაწეთა პანთეონის ისტორიისათვის, «საბჭოთა ხელოვნება», 1981, №12; ტატიშვილი ვ., ქართველები მოსკოვში, გამოც. მე-2, თბ., 1959; Забелин И., Историческое описание Московского ставропигиального Донского монастыря, М., 1893; Эсадзе Б., Летопись Грузии, в. 1,Тфл., 1913. *ფ. სიხარულიძე.*



თ. დონჟაშვილი.

დონჟაშვილი თინა გიორგის ასული (21. IX. 1916, თბილისი, – 17. III. 1993, იქვე), მწერალი. 1941 დაამთავრა მოსკ. I სამედ. ინტი. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. 1947 დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრ. ,,ვერ მიგატოვებ'', რ-შიც მწერალმა ასახა ფრონტელ ექიმთა ცხოვრება. ომის თემაზეა შექმნილი რომანი ,,განთიადი'' (1950) და მოთხრობა ,,ჩემი მეგობარი'' (1963). ყურადღებას იპყრობს ასევე რომანები – ,,ალაზანზე'' (1956) და ,,გონჯაურა'' (,,მნათობი'', 1987, №10–12, ცალკე წიგნად, 1988), რ-შიც ასახულია 1951 წ. რეპრესიები; აგრეთვე კრებულები: ,,ვერ მიგატოვებ'' (1971), ,,შორ გზაზე'' (1976), ,,მოთხრობები. რომანი'' (1980); ნარკვევების კრებულები: ,,შრიალებდეს ტყე'' (1961), ,,მთებში'' (1967), ,,ალისფერი ვარდები'' (1971), ,,მთა და ბარი'' (1974), ,,თუშეთის ალპებში'' (1974), ,,ჩემი ნაკრძალი'' (1975) და სხვ. დ. ავტორია პიესებისა: ,,ახალი ქართლი'' (1948), ,,გამარჯვებულთა ღიმილი'' (1949, დაიდგა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრში) და სხვ. მისი ნაწარმოებები თარგმნილია სხვადასხვა ენაზე. მიღებული აქვს სახელმწ., მ. შ. საბრძოლო ჯილდოები.

დონცოვა ევგენია პავლეს ასული (19. XII. 1924, დონის როსტოვი, – 11. VIII. 2006, თბილისი), სცენოგრაფი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1960). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1950). ამავე წლიდან თბილ. ა. გრიბოედოვის სახ. რუს. დრამ. თეატრის მხატვარი იყო, 1964-იდან – მთ. მხატვარი. გააფორმა სპექტაკლები: ა. სერაფიმოვიჩის ,,რკინის ნიალვარი'' (1964), ედუარდო დე ფილიპოს ,,ცილინდრი'' (1970), ვ. შუქშინის ,,ენერგიული ადამიანები'' (1974), ა. ფადეევის ,,ახალგაზრდა გვარდია'' (1975), ა. ოსტროვსკის ,,უმზითვო'' (1982), პ. ჩაიკოვსკის ,,პიკის ქალი'' (1974; ოდესის ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკად. თეატრი); ა. არუთინიანის ,,საიათნოვა'' (1973; აზერბ. მ. ფ. ახუნდოვის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკად. თეატრი) და სხვ. დ. არქიტ. და ყოფითი დეტალების, ბუნებრივი გარემოს პირობით-დეკორ. გააზრებით ქმნიდა მსუბუქ, ჰაეროვან სცენოგრაფიულ გარემოს.



ე. დონცოვა. დეკორაციის ესკიზი (ი. ერკენის სპექტაკლისათვის ,,კატა-თაგვობანა''). 1975.

ქ. კინწურაშვილი.

დონ ხუან სპარსელი (Don Juan de Persia; ნამდვ. სახელი – ურუჯბეგი, ულუგ-ბეგ ბაიათი) (დაახლ. 1560 – 15. X. 1605, ვალიადოლიდი), ირანელი დიპლომატი. შაჰ *აბას I-ის* თანამებრძოლი. 1598 შაჰ-აბას I-მა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით ინგლ. ე. შერლის მეთაურობით ევრ. სახელმწიფოებში გააგზავნა ელჩობა, რ-ის მდივანი დ. ხ. ს. იყო. ესპანეთში მან ქრისტიანობა მიიღო და სამოღოდ იქ დარჩენის სურვილი გამოთქვა. ესპანეთში შეადგინა რელაციონი (1602–03), რ-იც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა XVI ს. ბოლო მეოთხედის ირან.-ოსმ. ომისა (1578–90) და საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდის შესასწავლად. ამ ომის მთავარი ასპარეზი აღმ. ამიერკავკასია, კერძოდ, ქართლი და სამცხე-საათაბაგო იყო. რელაციონში არის საქართველოს პოლიტ.-გეოგრ. აღწერილობა, ცნობები ოსმალების შემოსევის, *სიმონ I-ის* საგმირო საქმეების, ათაბაგ *მანუჩარ II-ის* (მუსტაფა ფაშა) გამაჰმადიანების, ოსმალეთის წინააღმდეგ სიმონისა და მანუჩარის ერთობლივი ბრძოლის, ალავერდი-ხან უნდილაძის შესახებ და სხვ.

თხზ.: Relations de Don Juan de Persia, dirigidas a la Majestad Chatolica de Don Philippe III, Rey de las Españos, Valladolid, 1604.

ლიტ.: გიორგაძე ბ., ულუგ-ბეგ ბაიათი და მისი რელაციონი XVI საუკუნის საქართველოზე, კრ.: ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, [ტ.] 1, თბ., 1975; ზედგინიძე გ., დონ ხუან დე პერსიას ცნობები საქართველოს შესახებ, კრ.: ქართული დიპლომატია. წელიწდეული, [ტ.] 4, თბ., 1997; მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბ., 1981.

ე. მამისთვალიშვილი.

დოპოუქითი, სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის აძიუბჟის თემ-

ში (აფხაზეთის არ), შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. კოდორის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 60 *მ*, ოჩამჩირიდან 34 *კმ*. 199 მცხ. (1989).

დღრა, ქვევრისებრი ან კოკისებრი თიხის ჭურჭელი, მოუჭიქავი. იხმარებოდა მარცვლეულის, მწნილის და სხვ. შესანახად, აგრეთვე სითხის საწყაოდ. საქართვ. სხვადასხვა კუთხეში მისი ფორმა და ტევადობა სხვადასხვანაირი იყო. მეგრული **დ.** ქვევრისებური მოყვანილობისა იყო და 1,5–12 ფუთს იტევდა. ქვევრისაგან გამოირჩეოდა უფრო გადაშლილი პირით, ბრტყელი ძირითა და ყურებით. გარედან შემოვლებული ჰქონდა თიხისავე სადა ან დაკბილული სარტყლები. ლეჩხუმური **დ.** კოკას ჩამოჰგავდა და 30 ლიტრს იტევდა. მას ჰქონდა ქობიანი პირი, მომაღლო ყელი, დაქანებული მხრები, განიერი, ქვემოთ მოვიწროებული მუცელი, ყურები და სწორი ძირი; შემკული იყო გეომ. და მცენარეული ორნამენტით. იყო აგრეთვე ტუჩიანი, 15-ლიტრიანი დორაკი (**დ**-ს ნახევარი). XVIII ს. საბუთების მიხედვით, **დ.** კოკის ნახევარს უდრიდა (დაახლ. 15–18 *ლ*). **დ.** ქართ. წერილობით წყაროებში დამოწმებულია XVI ს-იდან. იხ. აგრეთვე *მეტროლოგია* ისტორიული. *რ. თოდუა.*

დღრეთკარი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ლარგვისის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ხარულის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ჭურთის (ქსნის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1400 *მ*, ახალგორიდან 27 *კმ*. 70 მცხ. (2002).

დ. შუა საუკუნეებში შედიოდა ქსნის საერისთავოში; მოხსენიებულია ი. გიულდენშტედტის (1772) სოფელთა სიაში და 1781 ქსნის საერისთავოს სტატისტ. აღწერილობაში. 1865 **დ.** თავისი 7 ქართ. კომლით ქსნის უბნის მეწყერის სასოფლო თემის შემადგენლობაში შედიოდა.

ლიტ.: მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., ქსნის ხეობა, თბ., 1968. *ჯ. გვასალია.*

დღრეულები, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ნაქალაქარის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ერწოს ქვაბულის სამხრ.-აღმ. ნაწილში, მდ. აძეძის (ივრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 940 *მ*, თიანეთიდან 27 *კმ*. 83 მცხ. (2002).

სოფელი ძვ. საბუთებში წიაბეთად, ხოლო შემდეგ ჭუჭულიანთკარადაც იხსენიება. **დ.** მოსახლ. მიგრაციის შედეგად XIX ს. დასაწყისში შექმნილი ტოპონიმია. აქ ქსნის ხეობიდან გადმოსახლებულან დორეულები, ზამთარაშვილები, სისოშვილები და ზაზაშვილები. ქსნის ხეობიდან ერწო-თიანეთში მოსახლ. მიგრაცია XVII–XIX სს-ში მიმდინარეობდა. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, ,,ქსნის ხეობის საგეოგრაფიო სახელები კახეთში მეორდება''.

სოფ. ქვემო ნაქალაქარზე მიბმული **დ.**, ანუ ისტ. წიაბეთი, უძველესი დროიდანვე იყო დასახლებული. იგი ერწოს ქვაბულის იმ მჭიდროდ დასახლ. ტერიტორიას ეკუთვნოდა, სადაც წმ. ნინომ IV ს-ში ქრისტიანობა იქადაგა და ისტ. ჟალეთის მიმდებარე ეს მხარეც ერთ-ერთი პირველი მოექცა ქრისტეს რჯულზე. ამიტომაც ითვლებოდა აღნიშნული ტერიტორიები ადრინდ. შუა საუკუნეებიდანვე ქართ. ეკლესიის მიერ ხელდებულად.

თავდაპირველად სოფ. წიაბეთი კახეთის სამთავროში შედიოდა. XI–XV სს-ში მასზე სვეტიცხოვლის მონასტრის გავლენა ვრცელდებოდა, რაც კახეთის სამეფოს წარმოქმნის შემდეგაც (XVI–XVII სს.) არ უნდა შეცვლილიყო. სოფლის ჩრდ.-აღმ-ით დგას გვიანდ. შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია ვანათის ხატი. იგი ძლიერ დაზიანებულია.

XVII ს. დასაწყისში ერწოზე, მ. შ. წიაბეთზე (**დ**-ზე), დამანგრეველად იმოქმედა შაჰ-აბასის ლაშქრობებმა; სოფლის მოსახლ. ნაწილი გაწყდა, ნაწილი კი გადასახლდა. ამის შემდეგ იწყება სოფელში ქსნის ხეობელთა და სხვა ქართველ მთიელთა ჩამოსახლება.

XVII ს. მიწურულსა და XVIII ს. დასაწყისისათვის სოფ. წიაბეთის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩოლოყაშვილების გავლენის ქვეშ (როგორც მესაკუთრე თავადები) იყო მოქცეული. აქ მათ ყმა-მამული ჰქონიათ შესყიდული, თუმცა ამ დროს სოფელი კომლთა მოსახლეობის სიმრავლით არ გამოირჩეოდა. გვიანდ. შუა საუკ. სამხ.-აღმ. დაყოფით, სოფელი კახეთის სამეფოს რუსთველი ეპისკოპოსის სადროშოში შედიოდა, რუს. შემადგენლობაში შეყვანის (1801) შემდეგ კი – თიანეთის მაზრაში. სოფლის მოსახლ. თავიდანვე მისდევდა მესაქონლეობასა და მემინდვრეობას. ამჟამად **დ**-ში უფრო ცალკეული, მცირე ინდივიდ. მეურნეობებია.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 8, თბ., 1975; იხ. აგრეთვე სტ-თან დ ე ვ ე ნ ა ნ თ ხ ე ვ ი. *კ. კახაძე.*

დღრეულების არქეოლოგიური ძეგლები, III–IV სს. ნამოსახლარი და სამაროვანი სოფ. დორეულების (ახლანდ. თიანეთის მუნიციპალიტეტი) ჩრდ.-დას-ით, ადგილ გრძელნაკვეთზე. 1968 არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. რ. რამიშვილი) აღმოჩნდა ნამოსახლარისათვის დამახასიათებელი ქვევრების, დერგების, ხელადების, ჯამებისა და ალიზის ნატეხები. გამოვლინდა აგრეთვე სამეურნ. ორმოები, ცხოველთა ძვლები, რკინის წიდები. ნამოსახლარი მდებარეობს მნიშვნელოვანი გზის გასწვრივ, რ-იც ივრის ხეობის შუა წელზე გადიოდა. შეგროვებულია სამარხეული მასალაც (ბრინჯაოს ძეწკვი, ბეჭედი, რგოლი, სხვადასხვაგვარი მძივი და სხვ.).

სოფლის ჩრდ-ით შემორჩენილია ვანათის წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები.

ლიტ.: რ ა მ ი შ ვ ი ლ ი რ., ერწოს ველი გვიანბრინჯაოს ხანაში, «ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები», 1979, ტ. 3; რ ა მ ი შ ვ ი ლ ი რ., ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1978, №1.

რ. რამიშვილი. ბ. ჯორბენაძე.



დორა.

დღრთაძილისა, სოფელი, ისტ. პროვინცია კოლაში (მტკვრის სათავეები, არდაჰანის რ-ნი, ამჟამად თურქ. ტერიტ.). ახლანდ. სახელწ. თურქულად ,,ოთხ ეკლესიას'' ნიშნავს. ძვ. ქართ. სახელი უცნობია. 1902 ე. თაყაიშვილმა აქ ნახა რამდენიმე ეკლესიის ნანგრევი. საინტერესოა დიდი, გუმბათიანი ეკლესია – *ტრიკონქის* ტიპის ნაგებობა (სამივე აფსიდი გარედან სამ-სამწახნაგაა). დასავლეთის მკლავი დასრულებულია განივი ეგვტერით და აქედანვეა ერთადერთი შესასვლელი ეკლესიაში. დაბალი გუმბათის ყელი, სავარაუდოდ, ეყრდნობოდა კედლებს ტრომპების მეშვეობით. კედლები შემოსილი იყო კვადრ. ფორმის პატარ-პატარა გათლილი ქვებით. ფასადებს არ ამკობდა დეკორი. ინტერიერში მოხატულობის კვალია. ე. თაყაიშვილი ძეგლს ათარიღებდა IX ს-ით. სავსებით მისაღებია, რომ იგი გარდამავალი ხანის, ანუ VIII–IX სს. ძეგლი იყო. სხვა ნაგებობათაგან აღსანიშნავია ,,ორმაგი'' ეკლესია, ერთმანეთზე მიჯრით მიშენებული პატარა ერთნავიანი სამლოცველო და იმავე სიდიდის, გეგმით ჯვარისებრი გუმბათიანი ეკლესია (ბოძების გარეშე), რ-საც აღმ-ით და დას-ით ორი შვერილი,



დორთქილისა. ,,ორმაგი'' ეკლესია (გარდამავალი ხანა).

ნახევრად წრიული აფსიდი ჰქონდა. ეკლესიაში საძვალე (კრიპტა) ყოფილა.

ლიტ.: Беридзе В. В., Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тб., 1981. *ვ. ბერიძე.*

დოროთეოზ I, დოროთეოს I, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XIV ს. 60-იან წლებში. ბერი *ევნატაშვილისა* და *ვახუშტი ბატონიშვილის* მიხედვით, დ. I-მა საპატრიარქო ტახტი დაიკავა პატრიარქ *ბასილის* (ბასილი V) შემდეგ. დ. I მოხსენიებულია კათოლიკოს *ბასილის* (ბასილი VI) მიერ 1516–35 გაცემულ წყალობის სიგელში.

წყარო: ევნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970. *ზ. აბაშიძე.*

დოროთეოზ II, დოროთეოს II, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1503–05; 1511–16. დ. II-მ ეკონომიკურად დაძაბუნებულ მცხეთის საპატრიარქოს დაუბრუნა ფეოდალების მიერ მითვისებული სოფლები, შეიძინა ახ. მამულები; კახეთისა და ქართლის მეფეებს ახ. სიგელებით დაამტკიცებინა (1503–05) და გადასახადებისაგან გაათავისუფლებინა საპატრიარქოს მამულები.

წყარო: ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 2, ტფ., 1897.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1948. *ბ. ლომინაძე.*

დოროთეოზ III, დოროთეოს III, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1589 – XVI ს. დასასრული, *სიმონ I-ის* მეფობის პერიოდში. დ. III-მ სოფ. ნიტრიაში (ახლანდ. ხაშურის მუნიციპალიტეტი) ააშენა საძვალე მონასტერი. მშენებლობაში მატერიალურ დახმარებას უწევდნენ ქართლის მეფეები სიმონ I, გიორგი X და კახეთის მეფე ლევანი. ცნობილია დ. III-ის მიერ დაწერილი გუჯარი, სადაც აღწერილია ნიტრიის მონასტრის მშენებლობის ამბავი. გუჯარი მნიშვნელოვან მასალას იძლევა საქართველოს ეკონ., პოლიტ. და მატერ. კულტურის შესასწავლად. *ბ. ლომინაძე.*

დორტელი დ'ასკოლი (Dortelli d'Ascoli) ემიდიო, XVII ს. დომინიკელთა ორდენის იტალიელი ბერი. 1624–34 დომინიკელთა მისიის პრეფექტი იყო კაფისა და ყირიმის თათრებთან. მას ეკუთვნის შავიზღვისპირეთის თათრებისა და ჩერქეზეთის დაწვრილებითი აღწერილობა, აგრეთვე სამეგრელოს მოკლე მიმოხილვა.

ლიტ.: Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII–XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935. *ბ. გიორგაძე.*

დოსითეოს (Dositheos) II ნოტარა (1 ან 31. V. 1641, პელოპონესის სოფ. არახოვო, – 7. II. 1707, კონსტანტინოპოლი), იერუსალიმის ბერძენი პატრიარქი (1669–1707), იყო პატრიარქ *პაისიოსის* დიაკვანი (1657), პატრიარქ ნექტარიოსის არქიდიაკვანი (1661) და მისი უახლოესი და სანდო ადამიანი. 1666 წ. 23 ოქტ-იდან იყო პალესტინის კესარიის მიტროპოლიტი, 1669 წ. 23 იანვ-იდან – იერუსალიმის პატრიარქი. მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით 1672 მარტში მოწვეული იქნა იერუსალიმის საეკლესიო კრება. იერუსალიმის სიწმინდეების დასაცავად და შესანახად, ლათინებისა და სომხების წინააღმდეგ საბრძოლველად გამუდმებით უხდებოდა აუცილებელი თანხების მოპოვება, რისთვისაც მოგზაურობდა აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ქვეყნებში. 25 წლის განმავლობაში ებრძოდა სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვას. იყო ფრიად განსწავლული თეოლოგი, ლიტერატორი და ისტორიკოსი, კათოლიციზმის წინააღმდეგ დაწერილი მრავალი წიგნისა და სტატიის ავტორი, ქ. იასში ბერძნული სტამბის დამაარსებელი და გამომცემელი.

დ. II ორჯერ (1658 პატრიარქ პაისიოსთან ერთად და 1681, როგორც პატრიარქი) იმყოფებოდა საქართველოში მოწყალების მოსაკრებად და იერუსალიმის ქართ. მონასტრების ვალებიდან დასახსნელად აუცილებელი თანხის მოსაპოვებლად. გიორგი XI-სთან და ქართლის საერო და სას. დიდებულებთან გააფორმა ,,პირობის წიგნი'', რ-ითაც ქართ. მხარე უზრუნველყოფდა იერუსალიმის დავალიანებული ქართ. ეკლესია-მონასტრების თანხის გადახდას. დ. II-მ საბოლოოდ მართლაც დაიხსნა ქართ. მონასტრები, მაგრამ იმდენი მოახერხა, რომ ისინი იერუსალიმის ბერძნ.-მართლმადიდებლური საპატრიარქოს საკუთრებად აქცია.

ფრიად საინტერესოა დ II-ის, როგორც ისტორიკოსის შემოქმედება. მას ეკუთვნის რამდენიმე საისტ. თხზულება. საქართვ. ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ,,იერუსალიმის პატრიარქების ისტორიას'', რ-იც გამოქვეყნდა ბერძნ. ენაზე 1717, მისი გარდაცვალებიდან 10 წლისთავზე.

XVII ს. საქართვ. პოლიტ. და კულტ. ისტორიის უძვირფასესი წყაროა მისი ეპისტოლეები საქართვ. მეფეებისა (არჩილ II, ერეკლე I, ვახტანგ VI) და იმერეთის კათოლიკოს გრიგოლისადმი.

თხზ.: Περί τών έν Ἱεροσολύμοις πατριαρχεισάντων, Bucarest, 1715.

ლიტ.: მამისთვალიშვილი ე., საქართველო–იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI–XVII სს.), თბ., 2008. *ე. მამისთვალიშვილი.*

დოსითეოსი მთავარეპისკოპოსი (ერისკაცობაში – დიმიტრი არჯევანის ძე ფიცხელაური) (1774–19. XI. 1830, თბილისი), საეკლესიო მოღვაწე, ქსნის საერისთავოს აზნაურთა შთამომავალი. 1791 ბერად აღიკვეცა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში. თავდაპირველად დიაკვნად ეკურთხა, შემდეგ – მღვდელმონაზვნად. 1795 ერეკლე II-ის სურ-

ვილით და *ანტონ II-ის* კურთხევით ქართლში ხოფის მონასტრის არქიმანდრიტად გაამწესეს. 1801-იდან *ქვათახევის* მონასტრის წინამძღვარია. 1810 რუსეთში გაჰყვა ანტონ II-ს. პეტერბურგში მას ავტოკეფალიაწართმეული საქართვ. ეკლესიის ერთ-ერთ მმართველად ამზადებდნენ. *ვარლამის* ეგზარქოსად დანიშვნის შემდეგ იგი გორის ქორეპისკოპოსად გაამწესეს. 1814 წ. 15 სექტ. აღდგენილი *ოსეთის სასულიერო კომისიის* თავრედ აირჩიეს და საქართველო-კავკასიის არქიეპისკოპოსობა უბოძეს. 1815 მარტში **დ.** საქართველოში დაბრუნდა. მან მრავალი ათასი მთიელი ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია. მალე მისი ურთიერთობა ვარლამ ეგზარქოსთან გართულდა. თავდაპირველად ვარლამი, შემდეგ კი **დ.**-იც რუსეთში გაიწვიეს და მოსკოვში პეტრეს მონასტერში გაამწესეს. ჯანმოშლილმა **დ.**-მა სამშობლოში დაბრუნება ითხოვა. იმპერატორმა დამსახურების გამო პენსია გაუდიდა. 1830 **დ.** თბილისში დაბრუნდა და იმავე წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია ავლაბრის წმ. დარიასა და ერეკლეს ეკლესიაში.

ლიტ.: ბერძნიშვილი მაქს., XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, [ტ.] 1–2, თბ., 1983; История грузинской иерархии, с присовокуплением обращения в христианство Осетии и других народов, М., 1826.

ე. ბუბულაშვილი.

დოსითეოს მიტროპოლიტი, სასულიერო მოღვაწე, 1795 წ. 11 სექტ., აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის დარბევისას, ყიზილბაშები განსაკუთრებული სისასტიკით ხოცავდნენ სას. პირებს. ისტორიამ ვერ შემოგვინახა ყველა წამებულის სახელი, თუმცა მათ შორის კარგადაა ცნობილი **დ. მ.**, რ-მაც არ მიატოვა თავისი სამწყსო. სხვა დატყვევებულ ღვთისმსახურებთან ერთად **დ. მ.** მიიყვანეს მტკვრის პირას და მოსთხოვეს რჯულის უარყოფა, მაგრამ ვერანაირი სატანჯველით ვერ გატეხეს. ყიზილბაშები ხელფეხშეკრულ ეკლესიის მსახურთ სათითაოდ ყრიდნენ ადიდებულ მტკვარში. წამებისაგან ისედაც სიკვდილის პირას მისულ **დ. მ.**-ს ,,სამღვდელმთავრო შეღავათი'' მისცეს – ხელფეხშეუკვრელად გადააგდეს მტკვარში. ქართ. ეკლესიის მიერ **დ. მ.** შერაცხულია წმინდანად. ხსენების დღეა 12 (25) სექტემბერი.

თ. მარგველაშვილი.

დოსითეოს ნეკრესელი, იხ. *ჩერქეზიშვილი* დოსითეოს.

დოსითეოს ჟუთათელი (წერეთელი) (გ. II. 1820), აფხაზეთის (დას. საქართველო) საკათოლიკოსოს გამგებელი 1792–1814, ქუთ. ეპისკოპოსი მიტროპოლიტის წოდებით 1781–1820. **დ. ქ.**-ს კათოლიკოსობა უბოძა *სოლომონ II-მ,* მაგრამ კურთხევა არ მომხდარა. იწოდებოდა – ,,ყოვლადსამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზ და განმგე საკათალიკოსოსი''. **დ. ქ.** დიდ მზრუნველობას იჩენდა ქუთ. საეპისკოპოსო და საკათოლიკოსო ეკლესიების სამეურნ. საქმიანობის მიმართ, მხარს უჭერდა ცენტრ. ხელისუფლების გაძლიერებას. 1789 შედიოდა იმერეთის საერო და საეკლ. თავკაცთა ჯგუფში, რ-მაც ერეკლე II-ს წინადადებით მიმართა, გაეერთიანებინა და თავისი ძალაუფლებისათვის დაექვემდებარებინა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები. 1814 რუსეთის ხელისუფლებამ გააუქმა დას. საქართვ. საკათოლიკოსო და უშუალოდ შეუერთა იმპერიის ეკლესიას. 1819, იმერეთის ავჯანყების დროს, **დ. ქ.** რუს. ხელისუფლებამ დააპატიმრა (1820), როგორც ავჯანყების ერთ-ერთი მოთავე და რუსეთში გადაასახლა. **დ. ქ.** გზაში მოკლეს. დაკრძალულია ანანურის ეკლესიაში.

წყარო: დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962; იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას გამოც., ტფ., 1936.

ლიტ.: კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია (XIX ს.), თბ., 1954; ლომინაძე ბ., მასალები დასავლეთ საქართველოს XVII–XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 31; მეტრეველი რ., საქართველოს მეფეები და კათოლიკოსები, თბ., 2010.

ბ. ლომინაძე.

დოტაცია (ლათ. dotatio – საჩუქარი, შეწირულობა), დამატებითი ანაზღაურება, მატერიალური ან ფინანსური დახმარება: ა) იმ საწარმოებისა და დარგებისათვის, რ-თა შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან ნაკლებია მის საწარმოებლად გაღებულ ხარჯებზე, მ. შ. დანაკარგების დასაფარავად; ბ) ზოგადად მთელი ქვეყნის ან მისი ცალკეული რეგიონების სხვადასხვა საჭიროებების დასაფარავად; გ) მუშაკისათვის კვებაზე, ტრანსპორტზე (სამსახურებრივი გადაადგილებისათვის), სოც. დახმარების სახით დაბალშემოსავლიან ოჯახებზე.

დ. ახდენს ზარალის დასაფარავად დამატებითი ხარჯების კომპენსაციას. საწარმოებისაკენ მიმართული **დ.** ეხმარება მათ, რათა თავი აარიდონ გაკოტრებას, მეორეს მხრივ კი, არ დაუშვან ფასების მნიშვნელოვანი ზრდა შესაბამის საქონელსა და მომსახურებაზე. **დ.**-ის გარეშე წარმოების ხარჯების დაფარვა მოუწევდათ უშუალო მყიდველებს, რაც გამოიწვევდა ფასების სწრაფ ზრდას. ამასთან, გრძელვადიან პერსპექტივაში **დ.**, რ-იც იფარება ბიუჯეტიდან, მძიმე ტვირთად აწვება ამ უკანასკნელს, წარმოქმნის მის დეფიციტს, რის გამოც საჭირო ხდება ფულის დამატებითი ემისია. **დ.**-ით, ფაქტობრივად, ხდება მიმდინარე ინფლაციის ნეგატიური შედეგების დროში გადავადება.

დ. ფართოდ გამოიყენება, უმეტესად, ეკონომიკის სახელმწ.-მბრძანებლურ, ადმ. მართვაზე დაფუძნებულ ქვეყნებში; საბაზრო ეკონ. მქონე ქვეყნებში თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების მოთხოვნები საკმაოდ მკაცრია, რის გამოც **დ.**-ის მასშტაბები ამგვარ სახელმწიფოებში ეკონომიკურზე მეტად ინსტიტუციურია. **დ.**-ის სახეობებია *სუბსიდია, გრანტი, ტრანსფერი.*

საქართველოში **დ.** გამოიყენებოდა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამდე, სახელმწ. მბრძანებლური ეკონომიკის დროს, იმ ზარალიან საწარმოთა დასაფინანსებლად, რ-თა პროდუქციის წარმოებაზე გაწეული გეგმური დანახარჯები აღემატებოდა მათ შემოსავალს. გარდა ამისა, **დ.** გაიცემოდა ზემდგომი (რესპუბლიკური) ბიუჯეტიდან (დაუბრუნებლად) ქვემდგომი ბიუჯეტების დასაბალანსებლად იმ შემთხვევაში, როცა მათი ხარჯები აღემატებოდა შემოსავლებს. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში, როდესაც მოხდა საწარმოთა პრივატიზება, **დ.** ბიუჯეტიდან აღარ გაიცემა და, როგორც საბიუჯეტო რეგულირების მეთოდი, საქართველოში აღარ გამოიყენება. საბიუჯეტო რეგულირება ხდება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის სახელმწ. შემოსულობების წყაროების განაწილებით და აგრეთვე სახელმწ. და ავტონ. რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან ტერიტ. ერთეულების ბიუჯეტების ფორმირებისათვის ტრანსფერების გამოყოფით.

ს. არჩვაძე.

დოუ, უელელტეხილი სოხუმის მუნიციპალიტეტში, ბზიფის ქედზე. სიმაღლე ზ. დ. 1390 *მ*. აგებულია იურული კირქვებით. უელელტეხილი მდ. დასავლეთის გუმისთის ხეობას სოფლების რეშევიესა და ბითაგის გავლით აკავშირებს ბზიფის ხეობაში მდებარე ფსხუს ქვაბულთან.

დოქი, 1. ყელვიწრო, ცალყურა, მრგვალმუცლიანი და სწორძირიანი თიხის ჭურჭელი. დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ საწყლე და საღვინე დ-ებს. პირველისათვის დამახასიათებელია მრგვალი პირი, შედარებით დაბალი და ოდნავ ფართო ყელი, მეორისთვის კი – აჭრილი, ნისკარტიანი ტუჩი, მაღალი, ვიწრო ყელი და დაშვებული ყური. საღვინე დ. გამოირჩევა დახვეწილი ფორმითა და მდიდარი დეკორით. გვხვდება საქართვ. სხვადასხვა კერამ. ცენტრში დამზადებული წერნაქით მოხატული და უწერნაქო, მოჭიქული და მოუჭიქავი, ზოგჯერ ზეთის საღებავებით მოხატული დ-ები. შემკულია გეომ. და მცენარეული, უფრო იშვიათად კი ანთროპომორფული და ზოომორფული გამოსახულებებით. გვიანდ. ხანის ქართ. წერილობით ძეგლებში მოხსენებულია ლითონის, მეტწილად ვერცხლის დ-ები, რ-ებიც საზ-ბის მაღალ ფენებში იხმარებოდა. ფუნქციის, ტევადობისა და ფორმის მიხედვით საქართვ. სხვადასხვა კუთხეში დ-ს სხვადასხვა სახელი ერქვა (თუნგიანი, ხელადა, თუნგიანი ხელადა, ხარა დოქი და სხვ.). დ. ქართ. წერილობით წყაროებში დამოწმებულია XVIII ს-იდან, ხოლო არქეოლოგიაში – ბრინჯაოს ხანიდან.



დოქი საღვინე. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

2. სითხისა და მარცვლეულის საწყაო საქართველოში. მისი ტევადობა ერთგვაროვანი არ იყო და შეადგენდა დაახლ. 3,7 *ლ* (გურიაში) ან 6 *ლ* (იმერეთსა და აღმ. საქართველოში). წყაროებში გვხვდება XVIII ს-იდან, თუმცა მისი საწყაოდ გამოყენება გაცილებით ადრეა სავარაუდო.

რ. თოდუა. გ. ჯაფარიძე.

დოღი, *ცხენოსნობის* ერთ-ერთი სახე, ჯიშიანი ცხენების გამოცდა მათი უნარის (სისწრაფე, გამძლეობა, ხტომა) გამოვლენისა და განვითარების მიზნით. შეჯიბრება იპოდრომზე ან სწორ ადგილზე დისტანციის სწრაფად გავლაში. დ-ის სახეობებია: სადა დ. – ტარდება 1000–4200 *მ* დისტანციაზე ცხენის ასაკის მიხედვით (2-იდან 4 წლამდე და მეტი), ეროვნული სადა დ. – 8000–10000 *მ*-მდე დისტანციაზე (იხ. *მარულა*), დაბრკოლებიანი დ. – 2000–4000 *მ* დისტანციის საჭენებელ ბილიკებზე 5–12 მსუბუქი დაბრკოლებით, სტიპლ-ჩეიზი – მასიური, უძრავი დაბრკოლებებით (8–30 დაბრკოლება) 3200–7000 *მ* დისტანციაზე (არანაკლებ 4 წლის ასაკის ცხენებისათვის).

დ-ში ჟოკეის (მხედრის) მასა (უნაგირიანად) მკაცრადაა რეგლამენტირებული (52–71 *კგ* დ-ის სახეობის, ცხენის სქესის, ასაკისა და კლასის გათვალისწინებით).

საერთაშორისო საჭენებელი გამოცდებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ტრიუმფული თაღის, გეორგ VI-ისა და ელისაბედ II-ის პრიზების გათამაშება, აგრეთვე ლივერპულისა და პარდუბიცეს დიდი სტიპლ-ჩეიზები.

ქართველი ჟოკეებიდან ცნობილია კ. ავალიშვილი, რ-მაც რუს. წყაროების მიხედვით, 1912 გაიმარჯვა ლივერპულის სტიპლ-ჩეიზში. საერთაშორისო კლასის ჟოკეის კ. ყოჩიაშვილს მოგებული აქვს არაერთი პრიზი საერთაშორისო ასპარეზობაზე, გაიმარჯვა დიდ საკავშ. დერბიში (ულაყი ,,სუნგური'', 1952; ფაშატი ,,არაგვა'', 1954). მისი აღზრდილია მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ჟოკეი, ჩვენი თანამემამულე ნ. ნასიბოვი, რ-იც 1965–67 იყო ევრ. პრიზის მფლობელი (ულაყი ,,ანილინი''). კარგი შედეგებით გამოირჩეოდნენ აგრეთვე ა. ხაინდრავა, გ. ქიქავა და ს. ვაჩნაძე. მოგვიანებით ქართველი მხედრები (ზ. გონჯილაშვილი, ვ. შელია, მ. სამუშია) მონაწილეობდნენ პარდუბიცეს სტიპლ-ჩეიზში. საუკეთესო შედეგი მათ შორის აჩვენა ზ. გონჯილაშვილმა.

საქართველოში დ. (ხევსურეთში ,,ცხენნი'', ,,ცხენდოღვი'', თუშეთში ,,სადგინი'' და სხვ.), მიცვალებულის ხსოვნის პატივსაცემად გამართული ცხენმხედართა შეჯიბრება, გავრცელებული იყო ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, მთიულეთში, გუდამაყარში, ხევში, სამეგრელოში, აფხაზეთში და სხვ. ხევსურეთში დ. იმართებოდა გვიან გაზაფხულსა და ზაფხულში; მონაწილე ცხენების რიცხვი კენტი იყო (5-იდან 35-მდე). მათ საგანგებოდ უვლიდნენ და კვებავდნენ; ძუაფაფარი დაწნული და ფერადი ძაფებით შეკრული ჰქონდათ, თავკისერზე მძივღილით გამართული საფაფრე და საშუბლე ეკეთათ. უნაგირით მხოლოდ ,,სულის ცხენი'' (მიცვალებულისათვის დაკურთხებული) იყო შეკაზმული. დ-ის ანუ ,,ცხენრბოლების'' დღეს ტაბლის დალოცვის შემდეგ რიგში დაწყობილი მხედრები ,,სულის ცხენის'' წინამძღოლობით სამჯერ შემოუვლიდნენ ფარდაგზე გაშლილ მიცვალებულის ,,ტალავართ'' (სამოსელი) და გაემართებოდნენ მიცვალებულის ნათესავების სოფლებისაკენ. ,,ჭირის პატრონის'' ნათესავი მხედრებს ტაბლას უდგამდა. ბოლო ტაბლიდან მხედრები ,,ჭირის პატრონის'' სოფელში ბრუნდებოდნენ. აქედან იწყებოდა ნამდვილი შეჯიბრება. თუ შორი გზა ჰქონდათ გამოსავლელი, მათ ,,მგებრები'' – სხვა მხედრები ცვლიდნენ. გამარჯვებულ მხედრებს ,,ჭირის პატრონის'' სოფელში ჯილდოს (საქონელი, იარაღი, ტანსაცმელი და სხვ.) ურიგებდნენ.



დოღი.

ლიტ.: ბალიაური მ., მაკალათია ნ., მიცვალებულის კულტი არხოტის თემში, «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», 1940, [ტ.] 3; ოჩიაური ა., მიცვალებულის კულტი როშკასა და უკენახადუს თემებში, იქვე; ხიზანაშვილი (ურბნელი) ნ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940 (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, [ტ.] 2); Элашвили В. И., Традиции грузинской народной физической культуры и современность, Тб.,1973.

დ. გიორგაძე. ვ. ელაშვილი. ჯ. ზალდასტანიშვილი.

დოღლაური, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტის ბრეთის თემში (შიდა ქართლის მხარე), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), აღმოსავლეთის ფრონისა და ფცის მტკვართან შეერთების ადგილას. ზ. დ. 645 *მ*, ქარელიდან 8 *კმ*, აგარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ*. 118 მცხ. (2002).

დოღლაურის ვაკე, შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი, მდ. ლიახვის დას-ით. აკუმულაციური ვაკეა, აგებულია მეოთხეული ფხვიერი ნა-

ლექებით, შექმნილია ძირითადად ჭალისზედა ტერასით. დას-ით ლიხის ქედის მთისწინეთამდე აღწევს, სამხრ-ით – მდ. მტკვრამდე. ვაკე დასერილია მდ. ფრონის სისტემის ხეობებითა და ხელოვნური არხებით. დ. 3-ზე გაბატონებულია კულტ. ლანდშაფტი.

დოღონაძე ანა ალექსანდრეს ასული (დ. 15. II. 1973, მცხეთა), სპორტსმენი (ბატუტზე ხტომა), ოლიმპიური ჩემპიონი (ათენი, 2004), მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1990 – გუნდური, 1998 – სინქრონული, 2001 – პირადი), სამგზის მეორე (სინქრონული – 1999, 2001, გუნდური – 2001) და ექვსგზის მესამე (1998, 1999, 2003, 2005 – პირადი, 2003, 2005 – სინქრონული) პრიზიორი; მსოფლიო თასის ორგზის მფლობელი (სინქრონი – 1993, პირადი – 2000), ევრ. სამგზის ჩემპიონი (1997, 1998 – სინქრონული, 1998 – პირადი), სსრკ ჩემპიონი (1990 – პირადი), ევრ. ორგზის აბსოლუტური ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1988, 1990). 1998-იდან ასპარეზობს გერმანიის სახელით.

დოღონაძე ნათელა რევაზის ასული (დ. 13.V.1954, მოსკოვი), პედაგოგი, ინგლისური და ფრანგული ენების მასწავლებელი. პედ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (2000), საქართვ. პედ. მეცნ. აკადემიის წევრი (2000), საქართვ. განათლების მეცნ. აკადემიის წევრი (2001), ევრომეცნიერთა (Euroscience) აკადემიის წევრი (2000–07), საქართვ. ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის (ETAG) პრეზიდენტი (1995–97). 1978 დაამთავრა თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. უცხოურ ენათა სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტი. 1978–83 და 1999–2006 მუშაობდა ამავე ინ-ტში, 1983–2009 – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, 1998-იდან მუშაობს შავი ზღვის საერთაშ. უნ-ტში (2006-იდან – პრორექტორის თანამდებობაზე), არის ამავე უნ-ტის ჰუმანიტარული ფაკ-ტის სრული პროფესორი.

დ-ის კვლევის თემაა უცხოური ენების სასწ.-მეთოდიკური კომპლექსის შედგენისა და გამოყენების პრობლემა მოზრდილთა სწავლებაში (ინგლისური ენის მაგალითზე). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. 6 სახელმძღვანელო (4 – თანაავტორთან ერთად), 1 მონოგრაფია (თანაავტორთან ერთად), ლექსიკონი.

დოღონაძე რევაზ რომანის ძე (21. XI. 1931, თბილისი, – 13. V. 1985, იქვე), ფიზიკოსი, საქართველოში თანამედროვე ელექტროქიმიური ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1983). ფიზიკა-მათ. მეცნიერებათა დოქტორი (1966), პროფესორი (1978). დაამთავრა მოსკოვის საინჟ.-ფიზ. ინ-ტი (1955). 1958–79 იყო სსრკ მეცნ. აკად. ელექტროქიმიური ინ-ტის თეორ. განყოფილების უფრ. მეცნიერ თანამშრომელი და ჯგუფის ხელმძღვანელი, 1970–73 – მოსკ. სახელმწ. უნ-ტის პროფესორი, 1983–85 – საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ზოგადი და თეორ. ფიზ. კათედრის გამგე. იყო საქართვ. მეცნ. აკად. არაორგანული ქიმ. და ელექტროქიმიის ინ-ტის თეორ. კვლევათა განყ-ბის დამაარსებელი და გამგე (1985-იდან ეს განყ-ბა მისი სახელობისაა), ელექტროქიმ. საერთაშ. საზ-ბის პრეზიდიუმის წევრი და ელექტროქიმიური ფიზ. განყ-ბის თავ-რე (1976–85). დ-ის ძირითადი შრომები ეძღვნება ქიმ., ელექტროქიმიისა და ბიოქიმ. პროცესებში მუხტის გადატანისა და ფოტოგადატანის კვანტურმექან. თეორიის დამუშავებას. მან შექმნა ამ მიმართულების თეორეტიკოსთა სამეცნ. სკოლა. აქტ. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა საზ. საწყისებზე.

თხზ.: Кинетика химических реакций в полярных растворителях, კრ.: Итоги науки и техники. Физическая химия. Кинетика, т. 2, M., 1973 (თანაავტ. A. M. Кузнецов); Кинетика гетерогенных химических реакций в растворах, კრ.: Итоги науки и техники. Кинетика и катализ, т. 5, M., 1978.

ლიტ.: Kuznetsov A. M., Schultze I. W., Ulstrul P. W., Revaz R. Dogonadze (1931—85), «Journal of Electroanalytical Chemistry», 1986, v.204.

რ. ჩაგუნავა.

დოღონაძე რომან ისიდორეს ძე [22. XII. 1905 (4. I. 1906), სოფ. ნახშირღელე, ახლანდ. თერჯოლის მუნიციპალიტეტი, – 20. XII. 1970, თბილისი], აგრონომი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1962), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). 1927 დაამთავრა თსუ-ის აგრონ. ფაკ-ტი. 1946–70 სამეცნ. მუშაობას ეწეოდა საკავშ. და რესპუბლიკურ სამეცნ.-კვლევით ინ-ტებში. 1952–56 მივლინებული იყო ალბანეთში სოფ. მეურნ. სამინისტროს უფროს მრჩევლად. დ-მ საქართვ. პირობებში დაამუშავა ჩაისა და ზოგიერთი სხვა სუბტროპ. კულტურის (ევკალიპტი, დაფნა, ტუნგი) აგროტექნიკის საკითხები, აქტიური მონაწილეობა მიიღო კოლხეთის დაბლობის ათვისების საქმეში. თანაავტორია სახელმძღვანელოსი ,,სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები''. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: კეთილშობილი დაფნა, თბ., 1963; Культура эвкалипта в СССР, M., 1952.

გ. თოდუა.




ა. დოღონაძე.

დოღურაში, სოფელი ცაგერის მუნიციპალიტეტის ჩხუტელის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), მდ. ცხენისწყლის ხეობაში. ზ. დ. 560 *მ*, ცაგერიდან 2 *კმ*. 22 მცხ. (2002).

დოშაძე, სოფელი მარტვილის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის ვაკეზე, მდ. ცივის (რიონის მარჯვ. შენაკადი) ზემოთში. თემის ცენტრი (სოფლები: დ., ლეჟვანიე, ლექობალე). ზ. დ. 320 *მ*, მარტვილიდან 28 *კმ*. 494 მცხ. (2002).

სოფელში არის დ-ის გამოქვაბული, რ-იც აქედან გამომავალ ნაკადულს შეუქმნია. შესასვლელი ქვითკირითაა ამოშენებულ-გამაგრებული და სახიზარს წარმოადგენს. გამოქვაბულში მიკვლეულია ადამიანის ცხოვრების დამადასტურებელი მდიდარი კულტ. ფენა (კერამ. ჭურჭლის ნატეხები, ქვის ტლანქი იარაღი და სხვ.).

ლიტ.: ელიავა გ., აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, თბ., 1971.



რ. რ. დოღონაძე.

დოჩანაშვილი გურამ პეტრეს ძე (დ. 26. III. 1939, თბილისი), მწერალი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2003). 1962 დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი. 1957 ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის 3-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, რაც მალე პირობითი სასჯელით შეუცვალეს. პირველი მოთხრობები – ,,პირველი კონცერტი'' და ,,თანამგზავრი'' დაბეჭდა ჟურნ. ,,ცისკარში'' (1961). მოთხრობების პირველი კრებ. – ,,მთის გადაღმა'' გამოსცა 1966. დ-ის მოთხრობათაგან აღსანიშნავია ,,ნაბიჯი'' (1969), ,,მხიარული ბორცვი'' (1969), ,,იგი სიყვარულისათვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი'' (1971), ,,ჩემი ბუჭუტა, ჩვენი ტერეზა'' (1972), ,,საქმე'' (1972), ,,კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა'' (1973), ,,ვატერ(პო)ლოო, ანუ აღდგენითი სამუშაოები'' (1981), ,,განსმდგომი შუაკაცი'' (1982), ,,იქამდე'' (1987), ,,ლუბა-გ, ჩემო სიყვარულო'' (2005), ,,გივიზე'' (2005) და სხვ. მისი ნაწარმოებების მიხედვით დადგმულია სპექტაკლები, მ. შ.: ,,თავ-



გ. დოჩანაშვილი.

ფარავნელი ჭაბუკი'' (ქართ. ფოლკლორის თეატრი, 1981, რეჟ. ა. ქანთარია); ,,კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა'' (სატირის თეატრი, 1973, რეჟ. ზ. კანდელაკი); პიესა ,,ხორუმი ქართული ცეკვაა'' (სატირის თეატრი, 1982, რეჟ. მ. კახაბრიშვილი) და სხვ. გადაღებულია მხატვრული ფილმები: ,,გამსვლელი პაიკი'' (1972, რეჟ. ო. კობერიძე), ,,ბესამე'' [,,ვატერ(პო)ლოოს'' მიხედვით, 1989, რეჟ. ნ. ახვლედიანი].

დ-ის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია ენობრივ-სტილური ძიებანი და არტისტიზმი, სატირა, ირონია, იუმორი; გარეგნულად უცნაური, ექსცენტრული პერსონაჟები. მისი მოთხრობების ძირითადი თემებია ხელოვნების სიყვარული და სიკეთე – ხან უკიდურესობამდე გამჟღავნებული, ხანაც – ძნელად ამოსაცნობი, დაფარული. 1978 დ-მა დაასრულა სამწიგნიანი რომანი ,,სამოსელი პირველი'', რ-შიც სახარების იგავზე, ,,ძე შეცთომილი'', დაყრდნობითა და სიმბოლურ-ალეგორიული ხერხებით ოსტატურადაა წარმოსახული დიქტატურის არსი, ატმოსფერო და მის წიაღში თავისუფლებისაკენ სწრაფვის წყურვილი.



ა. დოხტურიშვილი.

1983 დ-მა მიიღო თბილ. სახელმწ. უნ-ტის უმაღლესი ჯილდო – ი. ჯავახიშვილის სახ. მედალი მოთხრობისათვის ,,მერომელიღაც მიხეილ და კიდევ სხვანი, ორ-ორნი'' (,,ლიტერატურული საქართველო'', 1993). შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის 1994 მწერალს მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია, 1997 – ღირსების ორდენი.

2002 გამოიცა დ-ის ნაწარმოებები: ,,დაეძებდა'' და ,,ძმისავ''. 2003 მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობისა და რომანისათვის ,,ლოდი ნასაყდრალი'' დ-ს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემია. ამავე წელს გამოვიდა მწერლის ნაწარმოებთა ოთხტომეული. 2005 დაიბეჭდა რომანი – ,,ისედაც დასავლეთელები ომარა და გივია და პლანეტა ჰოლივუდი''. 2007 დაიბეჭდა მწერლის ავტობიოგრაფიული რომანი ,,რაც მეტად მახსოვს და უფრო მაგონდება'' (წიგნი I), ხოლო 2009 – რომანი ,,არის და იყოც უცნაური ადამიანიც, წუთისოფელიც''.

2006 დ-ს მიენიჭა საგურამოს პრემია, 2010 – ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი და ლიტ. პრემია ,,საბა''.

ლიტ.: გელაშვილი ნ., აფრედერიკი და განაბულჯადოქრიანი საკრავი, მის წგ.: ტრაგიკული გრადაცია, თბ., 1991; ჩხეიძე რ., დომენიკო, მის წგ.: როცა შვიდნი ვართ, თბ., 1995.

რ. ჩხეიძე.

დოჯვირი ბესარიონ მიხეილის ძე (დ. 28. IX. 1938, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1997), აფხაზეთის მეცნ. აკად. წევრი (2007). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი (1964). მუშაობდა უმაღლეს ეკონ. სკოლაში (ბერლინი, გერმანია, 1972–73), ფ. შილერის უნ-ტში (ქ. იენა, გერმანია, 1992–95), 1968-იდან მუშაობს თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტზე, 2006-იდან – თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნ. ფაკ-ტზე. კვლევის სფეროა: შემთხვევით პროცესთა ოპტიმალური გაჩერება, ფინანსური მათემატიკა. დაჯილდოებულია ი. ჯავახიშვილის მედლით (1999).

დოჯვირი ჯუმბერ ნიკოლოზის ძე (დ. 25. VII. 1946, ქუთაისი), ენერგეტიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (2001), პროფესორი (2002). 1969 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ენერგეტიკის ფაკ-ტი. მუშაობა დაიწყო იქვე, სამრეწვ. საწარმოთა ელექტრომოწყობილობების კათედრაზე. 1974–77 სწავლობდა ლენინგრადის ელექტროტექ. ინ-ტში. 1978-იდან ეწევა პედ. საქმიანობას სტუ-ის ელექტრომოწყობილობათა კათედრაზე. დ-ის სამეცნ. კვლევის თემაა: მრავალლილვიანი მექანიზმებისათვის შედგენილი მრავალძრავიან ამძრავთა სისტემების შესწავლა, დანერგვა და გამოყენება. გამოქვეყნებული აქვს 2 მონოგრაფია და 4 სახელმძღვანელო.

თხზ.: მრავალძრავიანი ელექტროამძრავების დინამიკა, თბ., 2004 (თანაავტ. რ. ადამია).

დოჯუ, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტის ომალოს თემში (კახეთის მხარე), თუშეთში, მდინარეების თუშეთის ალაზნისა და პირიქითის ალაზნის წყალგამყოფ მაკრატელას ქედის სამხრ. კალთაზე, გომეწრის ხეობაში. ზ. დ. 2050 *მ,* ახმეტიდან 102 *კმ.* 1 მცხ. (2002).

დოხვართა, მდინარე დასავლეთ საქართველოში, გუდაუთის მუნიციპალიტეტში, მდ. ააფსთის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 16 *კმ,* აუზის ფართ. 35 *კმ²*. სათავე აქვს ბზიფის ქედის სამხრ. კალთაზე. საზრდოობს წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. იცის წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნა. აქვს მრავალი შენაკადი, რ-თა ჯამური სიგრძეა 41 *კმ.* საშ. წლ. ხარჯი 1,1 *მ³/წმ.*

ი. აფხაზავა.

დოხტურიშვილი ალექსანდრე ქიშვარდის ძე (დ. 22. III. 1980, სართიჭალა, გარდაბნის მუნიციპალიტეტი), სპორტსმენი (ბერძნ.-რომაული ჭიდაობა). ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (2004, ათენი), ევრ. ჩემპიონი (2001), აზიის თამაშების ჩემპიონი (2003), ევრ. ჩემპიონი ახალგაზრდებში (2000). მსოფლიო (2000) და ევრ. (1999) ჩემპიონატების მესამე პრიზიორი. 2003 წლიდან ასპარეზობდა უზბეკეთის სახელით.

დრაკონციუსი ბლოსიუს ემილიუს (Dracontius Blossius Aemilius) (V ს. მიწურული), რომაელი მწერალი, იურისტი. მოღვაწეობდა კართაგენში. ქრისტ. პოეტური თხზულებების გარდა მას ეკუთვნის წარმართული შინაარსის ნაწარმოებებიც, მ. შ. არგონავტების თქმულების თავისებური ვერსია – დაახლ. 600-სტრიქონიანი ეპილიონი ,,მედეა''. მოქმედების დიდი ნაწილი (იასონისა და მედეას ქორწინება, ბავშვების დაბადება და სხვ.) ხდება კოლხეთში, რ-იც უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარე ყინულოვან სკვითიასთან არის გაიგივებული. ნაწარმოებში მედეა ყოვლისშემძლე ჯადოქარი და, ოფიგენიას მსგავსად, დიანას ტაძრის ქურუმია, იასონის სახე კი ზერელე და სქემატურია. ოქროს საწმისის გამტაცებლები საბერძნეთში გაიქცევიან, მაგრამ კორინთის მაგივრად თებეს გამგებელ კრეონტთან ჩადიან. თხზულების ბოლოს გლავკეს, კრეონტისა და შვილების გარდა, მედეას შურისძიების მსხვერპლი ხდება იასონიც.

ა. მიქაბერიძე.

დრამა (ბერძნ. drama), ლიტერატურული ნაწარმოების გვარი (შდრ. ეპოსი, ლირიკა), რ-ის თავისებურებაა სინამდვილის მხატვრული ასახვა უშუალო მოქმედებით, დიალოგისა და მონოლოგის ფორმით. დ-ს საფუძვლად უდევს მძაფრი ცხოვრებისეული კონფლიქტი, რ-ის გარშემო კონცენტრირებულია მთელი მოქმედება. იგი იყოფა ჟანრებად (კომედია, ტრაგედია, საკუთრივ **დ.**, ვოდევილი, ფარსი და სხვ.). **დ.** ვიწრო გაგებით დრამ. გვარის ერთ-ერთი ჟანრია. ტერმინი ,,**დ.**'' დღეს ფართოდ იხმარება *,,დრამატურგიის''* გაგებით.

ქართული **დ.**-ის გენეზისი უკავშირდება ქართ. თეატრის ხალხ. საწყისებს, თეატრ.-სანახაობით ტრადიციებს, რ-თა ფესვები შორეულ წარსულშია. ქართ. ლიტ-რაში დრამატურგია XVIII

ს. მიწურულს გაჩნდა. ამ დროს თბილისსა და თელავში იმართებოდა კერძო წარმოდგენები, ჩამოყალიბდა ე. წ. ,,ირაკლის თეატრი'' – სასახლის თეატრი, რ-ის რეპერტუარშიც, უცხ. პიესებთან ერთად, უნდა ყოფილიყო ორიგინ. დრამ. თხზულებანიც. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ე. წ. ,,სასკოლო დრამებმა''. ეროვნ. დრამატურგიის ინტენს. განვითარება ფაქტობრივად XIX ს. II ნახ-იდან დაიწყო.

ქართ. დრამატურგიის განვითარების ახ. ეტაპია XIX ს. 40–50-იანი წლები. თარგმნილ დრამ. ნაწარმოებთა გვერდით 40-იან წლებში შეიქმნა ორიგინ. პიესები, რ-ებიც უფრო საკითხავი დ-ის სახით გავრცელდა, რადგანაც ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ქართ. პროფ. თეატრი, მაგრამ უკვე აშკარად მზადდებოდა ნიადაგი მის დასაარსებლად. ამ პერიოდში ვითარდებოდა კომედიური ჟანრები (ო. წერეთლის, გ. ავალიშვილის, ა. თუმანიშვილისა და სხვათა პიესები), რ-ებშიც დომინირებს გარეგანი კომიკური ეფექტი. რაც შეეხება ტრაგედიასა და საკუთრივ დ-ს, მათი ნიმუშები გაცილებით იშვიათად გვხვდება. ამ მხრივ გამოირჩევა ო. ბაგრატიონის რომანტ. დრამა ,,ვეფხისტყაოსანი'', ა. *ორბელიანის* ისტ. დრამა ,,დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოში'', თ. ბაგრატიონის ,,სამსახეობა რაინდისა'' და სხვ.

პოეტიკის თვალსაზრისით, ეროვნ. დ-ის პირველი ცდები არსებითად კლასიცისტურ პრინციპებს იცავდა. ეს განპირობებული იყო იმ ცხოველი ინტერესით, რასაც მაშინდელი ქართვ. დრამატურგები იჩენდნენ დას. ევროპისა და რუს. კლასიცისტური დრამ. მწერლობის, კერძოდ, კორნელის, რასინის, სუმაროკოვის, ხერასკოვისა და სხვ. მიმართ, თუმცა იმდროინდელ ქართ. დ-ში შეინიშნებოდა ამ პრინციპებიდან გადახვევის მაგალითებიც (ეს უმთავრესად შეეხება ადგილისა და დროის რეგლამენტაციის საკითხებს).

ქართ. დრამატურგიის წამყვანი ჟანრი იმთავითვე გახდა კომედია. აღსანიშნავია გ. ერისთავის კომედიები: ,,გაყრა'', ,,დავა'', ,,ძუნწი''; ზ. ანტონოვის ,,მზის დაბნელება საქართველოში'' და სხვ. გ. ერისთავმა არამარტო საფუძველი ჩაუყარა ორიგინ. კომედიოგრაფიას, არამედ შექმნა მისი მდიდარი ტრადიციებიც, რამაც განაპირობა XIX ს. ქართ. მწერლობაში ამ ჟანრის შემდგომი განვითარება და რამაც ახლებური გამოხატულება პოვა ა. ცაგარლის შემოქმედებაში (,,ხანუმა'', ,,რაც გინახავს, ველარ ნახავ''). 60-იანი წწ. დასაწყისში ქართ. დ. ძირითადად ძვ. ჩარჩოებში ვითარდებოდა. შემდეგ მასში ჭარბად შეიჭრა რეალისტური ნაკადი (ა. ორბელიანის ,,ჟამნი მეფობენ'', ბ. ჯორჯაძის ,,შური'' და სხვ.), რაც გამოვლინდა მაშინდელი ყოფის ასახვით.

60-იანი წლებისათვის აღმავლობა განიცადა ლირიკულმა და ეპიკურმა ჟანრებმა. დრამ. ჟანრები, კერძოდ, საკუთრივ დ. და ტრაგედია, აშკარად ჩამორჩა ლიტ-რის საერთო განვითარებას. დ-ის ახ. სახეობის შექმნა პირველად ი. ჭავჭავაძემ სცადა. სიახლის ერთ-ერთი მანიშნებელი იყო დ-ში პოლიტ. პათოსის გაძლიერება, სოც. მდგომარეობის წინა პლანზე წამოწევა და თანამედროვე პრობლემატიკის გაბედულად შემოტანა.

80-იანი წლებიდან კომედიების ერთ ნაწილში (ფრანგული კომედიოგრაფიის გავლენით) შეინიშნება მამხილებელი პათოსის შესუსტება. ფართო ასპარეზი დაიკავა ვოდევილებმა (რ. ერისთავის ვოდევილები, მ. ჯაფარიძის ,,ეჭვიანი ქმრები'', ა. მეიფარიანის ,,ქმრები გავაბათ მახეში'', ი. კერესელიძის ,,მკითხაობა ტფილისში'' და ,,ნება მიბოძეთ'', დ. კასრაძის ,,იმერლების ახალი წელი'' და სხვ.).

ამავე პერიოდში, კომედიასთან ერთად, შეიქმნა ორიგინ. დ-ის ნიმუშები. ამ მხრივ გამოირჩევა ა. ყაზბეგის ,,არსენა'' და ,,კონსტანტინე ბატონიშვილი''; ა. წერეთლის ,,პატარა კახი'' და ,,თამარ ცბიერი''; გ. ე. წერეთლის ,,ოჯახის ასული''; დ. გ. ერისთავის ,,სამშობლო''; ა. ცაგარლის ,,მათიკო'' და სხვ. საუკუნის ბოლოს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვაჟა-ფშაველას ტრაგედია ,,მოკვეთილი'', რ-იც ზოგადადამიანურ კონფლიქტზეა აგებული. აღსანიშნავია აგრეთვე დ. კლდიაშვილის ფსიქოლ. დრამები: ,,უბედურება'' და ,,ირინეს ბედნიერება''.

XX ს. დასაწყისში ქართ. დრამატურგია ერთხანს ჩიხში მოექცა. ახ. ისტ. პროცესებს დრამატურგებმა თავდაპირველად ალღო ვერ აუღეს, რის გამოც ხელახლა ამუშავებდნენ ძვ. თემებსა და პრობლემებს, ინტენსიურად თარგმნიდნენ დას. ევრ. დრამატურგთა ნაწარმოებებს. შემდეგ საზ. და პოლიტ. პროცესებით დაინტერესდნენ შ. დადიანი, ტ. რამიშვილი, ნ. შიუკაშვილი, დ. ნახუცრიშვილი, ი. კ. გედევანიშვილი და სხვ. მწერლები. გარკვეული სიახლე იყო ს. შანშიაშვილის ,,ბერდო ზმანია'', როგორც ექსპრესიონისტული დ-ის შექმნის ცდა. თემატურ-მხატვრული ღირებულებით საინტერესოა შ. დადიანის კომედიები: ,,შენი ჭირიმე'' და ,,გუშინდელნი''.

20-იან წლებში ახ. კომედიის შექმნის პირველი სერიოზული მცდელობა იყო შ. დადიანის ,,კაკალ გულში''. თანდათან გამოიკვეთა განვითარების ახ. ხაზი, რაც სატირული ნაკადის მტკიცე დაფუძნებით გამოიხატა. ამ ფონზე განსაკუთრებით გამოირჩევა პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი'', რ-მაც საგრძნობლად აამაღლა ქართ. კომედიის დონე. მისი შემოქმედება სრულიად ახ. ეტაპია ქართ. დრამატურგიის ისტორიაში. მოგვიანებით დაიწერა მისივე ,,კახაბერის ხმალი'', ,,კოლმეურნის ქორწინება'', კ. ბუაჩიძის ,,ეზოში ავი ძაღლია'', ვ. პატარაიას ,,სანაპიროზე'', ი. ვაკელის ,,საქმიანი კაცი'', რ. თაბუკაშვილის ,,რას იტყვის ხალხი'', კ. გოგიაშვილის ,,ვიღაცამ დარეკა'' და სხვ.

დ-ის, როგორც ჟანრის, განვითარების ტემპი XX ს. 20-იანი წწ-იდან შესუსტდა, საგრძნობი გახდა ექსპრესიონიზმით გატაცება (გ. რობაქიძე, ს. შანშიაშვილი), თუმცა ძირითადად მაინც რეალისტური ნაკადი ვითარდებოდა, რაც 20-იანი წწ. II ნახევრიდან კიდევ უფრო განმტკიცდა. რეალისტური დ-ის განვითარებაში ამ დროისათვის აშკარად გამოიყო ორი ეტაპი: პირველი ეტაპის დ. უმთავრესად აგებულია ან ისტ. წარსულის თემაზე (ს. შანშიაშვილის ,,სპარტაკი'', ტ. რამიშვილის ,,ფრთამოტეხილი ყორანი'', ი. მჭედლიშვილის ,,ალექსანდრე ბატონიშვილი'' და სხვ.), ან ოჯახური ყოფის ყოველდღიურ წვრილმანებზე. თვალში საცემია თემატურ-სიუჟეტური მრავალფეროვნება და კომპოზიციურ-მხატვრული სიახლე. იმდროინდელი მძაფრი სოც. პრობლემატიკითაა აღსავსე გ. ბააზოვის ,,დილლეამარი'', ნ. შიუკაშვილის ,,დირექტორი სურმაძე'', დ. ჩიანელის ,,ბაილი'', დ. შენგელაიას ,,თეთრები'', კ. კალაძის ,,ხატიჯვე'' და სხვ. თანამედროვე ტრაგედიის შექმნის პირველი ცდაა შ. დადიანის ,,თეთნულდი'' (1931).

30-იანი წწ. დ-ში კიდევ უფრო აქტიურადაა წარმოდგენილი თა-

ნამედროვეობის თემატიკა (ა. მირცხულავას ,,განგაში'', პ. სამსონიძის ,,სალტე'', ი. ვაკელის ,,შური'', გ. ბერძენიშვილის ,,ჩვენი მიწა'' და სხვ.), ყურადღების გარეშე არც ისტ. თემატიკა დარჩენილა (ს. შანშიაშვილის ,,არსენა'', ი. ვაკელის ,,გიორგი სააკაძე'', ვ. დარასელის ,,კიკვიძე'').

მეორე მსოფლიო ომის წლებში წამყვანი ადგილი დაიკავა ჰეროიკულმა დ-მ (ი. მოსაშვილის ,,სადგურის უფროსი'', ს. შანშიაშვილის ,,კრწანისის გმირები'', ს. კლდიაშვილის ,,ირმის ხევი'', გ. მდივნის ,,ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ'', გ. შატბერაშვილის ,,რკინის პერანგი'', ლ. გოთუას ,,მეფე ერეკლე'', ა. სამსონიას ,,ბაგრატიონი'' და სხვ.). ომის შემდეგ დ. ძირითადად მშვიდობიანი ცხოვრების თემებს ასახავს (პ. კაკაბაძის ,,შეხვედრა მშენებლობაზე'', მ. მრევლიშვილის ,,ხარატაანთ კერა'', ,,ზვავი'', თ. დონჭაშვილის ,,ახალი ქართლი'', ვ. პატარაიას ,,უჩა უჩარდია'', კ. კალაძის ,,ლალი'' და სხვ.). მომდევნო წლების პიესებში ჭარბადაა გამოყენებული პირობით-გროტესკული ხერხები (გ. ნახუცრიშვილის ,,ჭინჭრაქა''), ასევე ყურადღების ცენტრში მოექცა ადამიანის ფსიქოლ. მდგომარეობა: კ. ბუაჩიძის ,,ამბავი სიყვარულისა'', ვ. კანდელაკის ,,მაია წყნეთელი'', ნ. დუმბაძის მოთხრობების მიხედვით შექმნილი პიესები: ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი'', ,,მე ვხედავ მზეს'', ,,საბრალდებო დასკვნა'', ო. მამფორიას ,,მეტეხის ჩრდილში'', ,,იეთიმ გურჯი'', გ. ხუხაშვილის ,,ზღვის შვილები'', ო. იოსელიანის ,,სანამ ურემი გადაბრუნდება'', ,,ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი'', თ. ჭილაძის ,,ბუდე მეცხრე სართულზე'', ,,როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის'', რ. ებრალიძის ,,თანამედროვე ტრაგედია'', ო. ჩხეიძის ,,ვისია, ვისი?'', მ. ბარათაშვილის ,,ჭრიჭინა'', გ. ქელბაქიანის ,,ახალგაზრდა მასწავლებელი'', ა. ჩხაიძის ,,დღის წესრიგშია ერთი საკითხი'', ა. გეწაძის ,,წმინდანები ჯოჯოხეთში'', ლ. თაბუკაშვილის ,,ძველი ვალსი'', ,,მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი'', რ. კლდიაშვილის ,,საპოვნელა'', ,,იადონას თეატრი'', ლ. როსებას ,,პროვინციული ამბავი'', შ. შამანაძის ,,ღია შუშაბანდი''.

XX ს. ბოლოს ქართ. მწერლობას შეემატა დრამატურგთა ახ. თაობა, რ-თაგან გამოირჩევიან დ. ტურაშვილი, ლ. ბულაძე, ბ. ჯანიკაშვილი, მ. დოიაშვილი და სხვ. ისინი თავიანთი შემოქმედებით ხელს უწყობენ ეროვნ. დრამატურგიის განვითარებას.

ლიტ.: აბრამიშვილი მ., ძველი ქართული თეატრი, ქუთ., 1925; გაჩეჩილაძე ა., ნარკვევები XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, [ნაწ.] 1–2, თბ., 1957–63; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1958; ციციშვილი გ., ქართული საბჭოთა დრამატურგია, ნაწ. 1, თბ., 1962. *გ. ლომიძე.*

დრამა, დრამი, ფულისა და მასის ერთეულის სახელწოდება ფეოდალურ საქართველოში. ტერმინი შემოსულია სასანიანთა ირანიდან, ირანში კი ბერძნულიდან შევიდა (იხ. *დრაქმა*). დ. ეწოდებოდა სხვადასხვა ქართ. და უცხოურ მონეტებს (სასანურ, ქართ.-სასანურ, არაბ. და XI–XII სს. ქართ. ვერცხლის სრულნომინალიან მონეტებს). XII ს. 30-იანი წლებიდან 1230-მდე, ,,ვერცხლის კრიზისის'' წლებში, დ. ეწოდებოდა იძულებითი კურსის სწორი ჭედვის სპილენძის მონეტებს, 1230-იდან XVI ს-მდე კი კვლავ ვერცხლის მონეტებს აღნიშნავდა. დ-ს საქართველოში მასის ერთეულად რუს. საზომი სისტემის დამკვიდრებამდე (XIX ს. 30–50-იანი წწ.) იყენებდნენ – შეიცავდა 4 *დანგს.* XVII ს-მდე დ-ს მასა უდრიდა დაახლ. 2,97 *გ*, XVII–XVIII სს-ში – 3,07 *გ*. დ-ისა და მეფე ერეკლე II-ის აბაზიანების წონა ტოლი იყო.


ლიტ.: კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგ. 3, ნაკვ. 3 – ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 9, თბ., 1996); ჯაფარიძე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX–XIX სს.), თბ., 1973.

გ. ჯაფარიძე.

დრამა, საეკლესიო ფულადი გადასახადი თბილისში. იკრიბებოდა თბილელი ეპისკოპოსის სასარგებლოდ.

დრამატურგია (ბერძნ. dramaturgia), 1. რომელიმე მწერლის, ხალხის ან ეპოქის დრამატულ ნაწარმოებთა ერთობლიობა (მაგ., პ. *კაკაბაძის* დ., ინგლ. დ., ანტ. დ.). 2. სპექტაკლის ან კინოფილმის სიუჟეტურ-სახოვანი კონცეფცია. თეატრ. დ-ის საფუძველია ლიტ. *დრამა*, რ-ის მიხედვითაც თანამედროვე თეატრში იქმნება სარეჟისორო სცენარი. კინოხელოვნებისათვის დამახასიათებელია სცენარის ფორმის დ. ვ. დრამ. ნაწარმოებთა აგების თეორია.

დრანდა, სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. პატარა კოდორის ნაპირას, საქართვ. რკინიგზის მაგისტრალსა და შავიზღვისპირა გზატკეცილ-



დრანდის ეკლესია (რესტავრაციამდე). VIII ს. აღდგენილია XX ს. 70-იან წწ.

ზე. თემის ცენტრი (სოფლები: დ., ათარბეკოვკა, ზემო ფშაფი, ქვემო ფშაფი, შაუმიანოვკა). ზ. დ. 40 *მ*, გულრიფშიდან 9 *კმ*. 2,7 ათ. მცხ. (1989). დატანილია არქანჯელო ლამბერტის რუკაზე (XVII ს.).

დ-ში დგას VIII ს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – ჯვარგუმბათოვანი ეკლესია. ,,არს ეკლე-

სია დრანდას, მთაში, გუმბათიანი, შუენიერი, დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა'' (ვახუშტი ბაგრატიონი). ეკლესია ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. ზოგიერთი ელემენტით უახლოვდება მცხეთის ჯვარს. გეგმაში ჯვრის სამი მკლავი სწორკუთხედის ფორმისაა. კუთხის ოთახები გეგმით წრიულია. ამ სათავსებში შესასვლელი სამხრ. და ჩრდ. მკლავიდანაა. გარედან ჯვარი სწორკუთხედშია ჩასმული. აღმ. მხარეს წახნაგოვანი აფსიდი აქვს. ეკლესია რამდენჯერმეა გადაკეთებული. აღდგენილია თავდაპირველი სახით XX ს. 70-იან წლებში (არქიტ. ვ. ცინცაძე). რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციის პირობებში დ-ის ეკლესიას, ისევე როგორც ამ ტერიტორიაზე განლაგებულ სხვა ეკლესია-მონასტრებს, საფრთხე ექმნებათ.

დრანდის კონცხი, კონცხი შავი ზღვის ნაპირზე, გულრიფშის მუნიციპალიტეტში, მდ. პატარა კოდორის შესართავთან. აგებულია მეოთხეული ალუვიონით. შემოსილია მეორეული ბუჩქნარით. დ. კ-ზე გაშენებულია სუბტროპ. კულტურები.

დრანდის საეპისკოპოსო, აფხაზეთის (დას. საქართველო) საკათოლიკოსოს ერთ-ერთი ეპარქია. დაარსდა X ს. II ნახევარში *სებასტოპოლისის* (სოხუმი) ძველი ბერძნ. კათედრის ნაცვლად, რ-ის ცენტრი დრანდის ღვთისმშობლის ტაძარში (VIII ს.) იყო. დ. ს. მოიცავდა ტერიტორიას მდ. კოდორსა და ანაკოფიას (ახალი ათონი) შორის. დ. ს-ს მღვდელმთავარი ცნობილია დრანდელის სახელით. დღეისათვის ცნობილი პირველი დრანდელია საბა (XI ს. I მესამედი), რ-იც იხსენიება იოანე მახარებლის ხატის (XI ს.) წარწერაში. შემდეგი დრანდელია არსენი (XI ს. შუა წწ.), იგი მონაწილეობდა *გიორგი მთაწმიდელის* ,,თთუენის'' (XI–XII სს.) სექტემბრის მასალის შედგენაში. ზოგადად XI–XIII სს-ით განისაზღვრება იერუსალიმის *ჯვრის მონასტრის* მომხატველის გრიგოლ დრანდელის მოღვაწეობა. XIV ს. II ნახევრის მოღვაწე ნიკოლოზ დრანდელი მოხსენიებულია სინას მთის სულთა მატიანეში. XIV–XV სს. მიჯნის მოღვაწე ჩანს თევდორე დრანდელი, რ-იც თოფურიძეთა სასისხლო სიგელში (დაახლ. 1484–1510) იხსენიება. XVI ს. პირველი მესამედის მოღვაწეა მთავარეპისკოპოსი ელია, რ-იც მოქვის კათედრასაც განაგებდა. იგი იხსენიება მოქვის ომოფორის წარწერაში. XVI ს. 40-იანი წლების მოღვაწეა მიტროპოლიტი ფილიპე დრანდელი. იგი მონაწილეობდა იმერეთის მეფის *ბაგრატ III-ის* (1510–65) ინიციატივით მოწვეულ დას. საქართვ. საეკლ. კრებაში, რ-მაც საეკლ. და ზნეობრივი ნორმების დასაცავად შეიმუშავა *,,კათალიკოსთა სამართალი''.* XVII ს. დასაწყისში აფხაზებმა მიიტაცეს ოდიშის სამთავროს მიწა-წყალი ანაკოფიიდან მდ. კელასურამდე, რის შედეგადაც შემცირდა დ. ს-ს ტერიტორია. 1634 წ. 18 მაისს ოსმალებმა ააოხრეს დრანდის ტაძარი და მისი შემოგარენი. XVII ს. 30–40-იან წლებში დრანდის კათედრაზე მოღვაწეობდა ევდემონ ჯაიანი. XVII ს. 60-იან წლებში ოდიშის სამთავროს ჩრდ.-დას. ნაწილში აფხაზთა გამუდმებული შემოსევების გამო ამ მხარის ეკლესია-მონასტრებიდან, მ. შ. დრანდიდან, ქვეყნის შიდა რ-ნებში გადაიტანეს საეკლ. წიგნები, ჯვარ-ხატები და სხვა საეკლ. ინვენტარი. XVII ს. 60-იან წლებში დრანდაში მღვდელმთავარი არ ჩანს, თუმცა დრანდის კათედრა ჯერ კიდევ არსებობდა. 1681 აფხაზების მიერ ოდიშის სამთავროს ჩრდ.-დას. ნაწილის, მდ. კელასურიდან მდ. ეგრისწყლამდე (ღალიძგა), დაპყრობის შემდეგ, დ. ს. გაუქმდა, რადგან აფხაზთა მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე შეუძლებელი გახდა ქრისტიანული ეკლესიის მოქმედება.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მაკარი ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ, კრ.: არმაღანი, III, თბ., 1982.

ლიტ.: მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI–XVII სს.), თბ., 1962; ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, III, თბ., 1987; ჯავახიშვილი ივ., სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947; Белокуров С. А., Материалы для русской истории, М., 1888.

ბ. ხორავა.

დრაპარნალდია (Draparnaldia), მწვანე წყალმცენარეების (Chlorophyta) გვარი. ბუჩქისებრ დატოტვილი წყალმცენარეა. აქვს მთავარი ღერძი, რ-ზეც განლაგებულია გვერდითი ტოტები. სუბსტრატს ემაგრება ბაზალური უჯრედით ან დატოტვილი რიზოიდებით. მთავარი ღერძი შედგება ერთრიგად განლაგებული მსხვილი ცილინდრული ან ოდნავ კასრისმაგვარი უჯრედებისაგან; გვერდითი ტოტების უჯრედები მსგავსია, მაგრამ განსხვავებულია ზომებით. მათი ბოლო უჯრედები წაწვეტებულია ან მთავრდება მრავალუჯრედიანი გრძელი ბეწვისმაგვარი წარმონაქმნით. ცხოვრობენ უპირატესად ცივ გამდინარე, იშვიათად მდგარ წყლებში, სახლდებიან ქვებზე, ხის საგნებზე, წყლის ყვავილოვან მცენარეებზე, მოლუსკების ნიჟარებზე და ა. შ. საქართველოში გვხვდება დ-ის 4 სახეობა. *ლ. კუხალეიშვილი.*

დრაძმა (ბერძნ. – Drachmē), ძვ. ბერძნული მასისა და ფულის ერთეული (მასა – 4,366 *გ*), ვერცხლის მონომეტალიზმზე დამყარებული სამონეტო სისტემების ძირითადი ნომინალი. იჭრებოდა ძვ. წ. VI ს-იდან. აქვს დანაყოფები: ტრიობოლი ანუ ჰემიდრაქმა (დ-ის 1/2), დიობოლი (დ-ის 1/3) და სხვ. აგრეთვე დიდი ნომინალებიც: დეკადრაქმა (10-დრაქმიანი), ტეტრადრაქმა (4-დრაქმიანი), დიდრაქმა (2-დრაქმიანი). დ. ფართოდ იყო გავრცელებული მიმოქცევაში, დიდი რაოდენობით გვხვდება არქეოლ. გათხრების დროს საქართვ. სხვადასხვა კუთხეში.

ლიტ.: Зограф А. Н., Античные монеты, М.–Л., 1951 (Материалы и исследования по археологии СССР, в. 16).

გ. დუნდუა.

დრაჰკანი, ოქროს ფულის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი XI–XVI სს. ქართულ წყაროებში. იმის მიხედვით, თუ რომელი მმართველისა იყო, იხმარებოდა ტერმინები: ,,დ. კონსტანტინატი'' (ბიზანტ. კეისრის კონსტანტინე X-ის ოქროს მონეტა), ,,დ. დუკატი'' (მიქაელ VII დუკას ოქროს მონეტა) და ა. შ.

ლიტ.: აბრამიშვილი თ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1966; კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, წინათ და ახლა, წგ. 3, ნაკვ. 3 – ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 9, თბ., 1996).

გ. დუნდუა.

დრბო, სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტის ჭალის თემში (იმერეთის მხარე), მდ. ყვირილის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 600 *მ,* საჩხერიდან 12 *კმ.* 148 მცხ. (2002).

სოფელში არის ბეთლემის ღვთისმშობლის ეკლესია (XVI ს.).

დრე, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ატენის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1420

მ, გორიდან 28 *კმ.* 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

პირველად **დ.** მოიხსენიება ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ტანის ხეობის სოფელთა სიაში. იგი გარკვეულ როლს ასრულებდა ქართვ. ხალხის მიერ გარეშე მტრის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში, იცავდა ატენს მტრის შემოსევისაგან. XIX ს. 40-იან წლებში **დ**-ში მოქმედებდა ანდრეევსკის ტყავის ქ-ნა. 1863 მაისში მებატონე ერისთავებმა **დ**-ის გლეხებს გადასახადი გაუდიდეს (შეაწერეს 2000 მან. და 45 კაპ.). გლეხებმა უარი განაცხადეს გადასახადის გადახდაზე, რისთვისაც მთავრობამ სოფელში ეგზეკუცია ჩააყენა, მოსახლეობა ააწიოკა და აიძულა ისინი დამორჩილებოდნენ მებატონეს.

დრე, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ორბეთის თემში (ქვემო ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის სამხრ. კალთაზე, ვერის ხეობაში. ზ. დ. 1220 *მ,* თეთრი წყაროდან 30 *კმ.* 72 მცხ. (2002).

სოფელი წყაროებში XVI ს-იდან მოიხსენიება. XIX ს-ში **დ**-ში ქართვ. მთიელი მოახალშენენი ჩამოსახლდნენ. სოფლის სიძველეთაგან აღსანიშნავია ფეოდ. ხანის ეკლესია და მინის საწარმოს ნაშთები.

დრეკადობის თეორია, მექანიკის დარგი, რ-იც შეისწავლის მყარ დრეკად სხეულზე გარე ძალების, გათბობის და სხვ. ზემოქმედების შედეგად მასში წარმოქმნილ დეფორმაციებსა და ძაბვებს. დრეკადი მყარი სხეული აღიდგენს თავის პირვანდელ ფორმასა და მოცულობას გარე ზემოქმედების შეწყვეტის შემდეგ. ეს თვისება ახასიათებს ყველა მყარ სხეულს დეფორმაციის მხოლოდ გარკვეულ საზღვრებში, რ-ებიც სხვადასხვა სხეულისათვის სხვადასხვაა. თუ გარე ზემოქმედებით გამოწვეული დეფორმაცია ამ საზღვრებს სცილდება, სხეული ვერ აღიდგენს თავდაპირველ ფორმას და მასში წარმოიქმნება ე. წ. ნარჩენი დეფორმაცია. თითქმის იდეალური დრეკადი სხეულის მაგალითია საათის ზამბარა, რ-საც შეუძლია მრავალჯერ განიცადოს დეფორმაცია და თითქმის მთლიანად აღიდგინოს პირვანდელი ფორმა.

დეფორმირებულ სხეულში წარმოიქმნება შიგა ძალები, რ-ებიც ცდილობენ დააბრუნონ იგი თავდაპირველ მდგომარეობაში. ეს ძალები მოლეკულური (ელექტრომაგნიტური) ბუნებისაა და მოქმედების მცირე რადიუსით ხასიათდება. ამიტომ თვლიან, რომ შიგა ძალები, რ-ებითაც სხეულის რომელიმე ნაწილზე დანარჩენი ნაწილები მოქმედებს, მხოლოდ ამ ნაწილების გამყოფი ზედაპირის ფართობზეა დამოკიდებული.

გარდა შიგა ძალებისა, განიხილავენ ზედაპირულსა და მასურ გარე ძალებს. მაგ., როცა სხეული თანაშეხებაშია სხვა სხეულებთან, მაშინ მათი ურთიერთქმედება ახლომოქმედი ზედაპირული ძალებით ხასიათდება, ხოლო, მაგ., დედამიწის მიზიდულობა აიწერება მასური ძალებით.

დ. თ-ს საფუძვლად უდევს განზოგადებული ჰუკის კანონი, რ-ის თანახმად დეფორმაციისა და მისი გამომწვევი ძაბვის კომპონენტებს შორის არსებობს წრფივი ერთგვაროვანი დამოკიდებულება. სხეულის დრეკადი დეფორმაცია მის ნებისმიერ წერტილში ხასიათდება ექვსი სიდიდით, რ-თაგან სამი გამოსახავს ამ წერტილზე გავლებული სამი ურთიერთპერპენდიკულარული ვექტორის ფარდობით წაგრძელებებს დეფორმაციის შედეგად, ხოლო დანარჩენი სამი – მათ შორის კუთხეების ცვლილებებს.

დრეკადი სხეულის ნებისმიერ წერტილზე მოქმედი ძალების წონასწორობის პირობები, ჰუკის კანონთან ერთად, ქმნის განტოლებათა სისტემას, რ-იც ცნობილია **დ.** თ-ის ძირითად განტოლებათა სისტემის სახელწოდებით. ეს განტოლებები საშუალებას იძლევა დაძაბული მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების მიხედვით დადგენილ იქნეს სხეულში წარმოქმნილი დეფორმაციები და ძაბვები.

დ. თ-ის შექმნას დიდად შეუწყო ხელი *ლეონარდო და ვინჩის,* გ. *გალილეის* (იტალია), დ. ბერნულის (შვეიცარია), ლ. *ეილერის* (რუსეთი) ნაშრომებმა, რ-ებიც მიეძღვნა ძელების სიმტკიცის, გრეხის, ღუნვისა და რხევის ამოცანების გაანგარიშებას. ამ თეორიის განვითარებისათვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისელი მეცნიერის რ. ჰუკისა (1660) და ფრანგი ფიზიკოსის ე. მარიოტის (1680) ექსპერ. გამოკვლევებს, რ-თა შედეგად დადგინდა კავშირი ძალასა და ამ ძალის მიერ გამოწვეულ დეფორმაციას შორის. დრეკადობის კლასიკური თეორია შექმნეს ფრანგმა მეცნიერებმა ა. ნავიემ (1821) და ო. ლ. კოშიმ (1822). შემდეგ ეს თეორია განავითარა მრავალმა გამოჩენილმა მეცნიერმა: ჯ. გრინმა, უ. ტომსონმა (ლორდი კელვინი, ინგლისი), ე. ბეტიმ (იტალია), გ. ლამემ, ჟ. კ. სენ-ვენანმა (საფრანგეთი), ე. ი. ფრედჰოლმმა (შვეცია) და სხვ. **დ.** თ-ის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით მეცნიერებს: ბ. გალიორკინს, გ. გროდსკის, გ. კოლოსოვს, პ. პაპკოვიჩს (რუსეთი), ნ. *მუსხელიშვილს* (საქართველო).

საქართველოში დ. თ-ის განვითარება დაკავშირებულია ნ. მუსხელიშვილის სახელთან. კოლოსოვ–მუსხელიშვილის ფორმულების გამოყენებით ნ. მუსხელიშვილმა შექმნა და განავითარა დრეკადობის ბრტყელი თეორიის ამოცანების გამოკვლევის ზოგადი ეფექტური მეთოდები, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა მრავალი მნიშვნელოვანი ამოცანის ამოხსნა.

დრეკადობის ბრტყელი თეორიის ამოცანებს მიუძღვნეს გამოკვლევები ი. *ვეკუამ,* ა. *რუხაძემ,* ა. *გორგიძემ,* ა. კალანდიამ, გ. *მანჯავიძემ,* ე. *ობოლაშვილმა,* ი. *ქარცივაძემ,* გ. ხატიაშვილმა, მ. *პაშელიშვილმა,* რ. ბანცურმა, შ. *ზაზაშვილმა,* ი. *ზონენაშვილმა,* რ. *დუდუჩავამ,* ნ. შავლაყაძემ, გ. კაპანაძემ და სხვ.

ი. ვეკუამ შექმნა გარსთა თეორიის ახ. მოდელები, რ-ებიც გამოკვლეულია თავისსავე შექმნილ განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდებით (იხ. *ვეკუას მოდელი* გარსთა თეორიისა). გარსთა თეორიას მიუძღვნეს გამოკვლევები ო. *ონიაშვილმა,* მ. მიქელაძემ, ი. ლუდუშაურმა, ე. ობოლაშვილმა, ვ. ჟლენტმა, დ. *გორდეზიანმა,* თ. მეუნარგიამ, თ. *ვაშყმაძემ,* გ. *ჯაიანმა,* ს. კუკუჯანოვმა.

სამგანზომილებიანი **დ.** თ-ის როგორც კლასიკური, ასევე მომენტური თეორიის, თერმოდრეკადობის, ელექტროდრეკადობის, დრეკად ნარევთა თეორიის ამოცანები შესწავლილია ვ. *კუპრაძის,* თ. *გეგელიას,* თ. *ბურჭულაძის,* მ. ბაშელეიშვილის, დ. ნატროშვილის, ნ. *კახნიაშვილის,* ლ. *გიორგაშვილის,* მ. სვანიძის, ო. ჭკადუას და სხვათა მიერ.

სხეულის დრეკადი თვისებების შესწავლა საფუძვლად დაედო მასალათა გამძლეობის და კონსტრუქციათა მდგრადობის თეორიებს, რ-ებსაც ფართოდ იყენებენ სამშენებლო მექანიკასა და მანქანათმშენებლობაში, სეისმოლოგიაში, გეოფიზიკაში, საფრენი აპარატებისა და ჰიდროტექ. ნაგებობათა გაანგარიშებისას.

ლიტ.: Векуа И. Н., Теория тонких пологих оболочек переменной толщины, Тб., 1965; Купрадзе В.Д., Гегелиа Т. Г., Башелейшвили М. О., Бурчуладзе Т. В., Трехмерные задачи математической теории упругости и термоупругости, М., 1976; Мусхелишвили Н.И., Некоторые основные задачи математической теории упругости, М., 1966.

თ. გეგელია. რ. ბანცური.

დრეპანიუსი პაკატუს (Drepanius Pacatus, Latinus), IV ს. რომაელი ორატორი და პოეტი. ავტორი ვრცელი ,,პანეგირიკისა'' (389), რ-იც მიუძღვნა იმპ. თეოდოსიუს I-ს (379–395) უზურპატორ მაქსიმუსის დამარცხების შემდეგ. ამ თხზულებაში დ. ეხება რომაელთა სამფლობელოებს აღმოსავლეთში და გვაწვდის საყურადღებო ცნობას, რომ კოლხეთი იმყოფება ,,რომაელთა ხელისუფლების ფარგლებს გარეთ''.

ლიტ.: Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959; Encyclopaedia Britannica. Micropaedia, v. 7, 1973–74.

დრიანეთი, დრანეთი, გვიანდელი ფეოდალური ხანის ნასოფლარი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. *ალექსეევკის* სამხრ-ით 500 *მ*-ზე. მდ. ტორნის მარჯვ. ნაპირას. ნასოფლარის აღმ. ნაწილში დგას XI ს. დასაწყ. ერთნავიანი ეკლესია. აქვს ერთი მინაშენი.

ლიტ.: ციციშვილი ი., მატერიალური კულტურის ძეგლები ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მასალების მიხედვით. ირაგის ხეობა (ტორნე), «ძეგლის მეგობარი», 1979, №50–51.

დრილები, ძველი დასავლური ქართული (მეგრულ-ჭანური) ტომი. *არიანე* (ახ. წ. II ს.) და V ს. ანონიმი მწერალი მიუთითებენ, რომ დ. იგივე სანები არიან; *პროკოპი კესარიელის* (VI ს.) ცნობით, დ-ს მის დროს *ჭანები* ეწოდებოდათ. ცხოვრობდნენ სამხრ.-აღმ. შავიზღვისპირეთის მთიანეთში, მდ. ხარშუტის ხეობაში. დ. ძირითადად მეცხოველეობას მისდევდნენ. განვითარებული იყო სამშ. საქმეც. ძვ. წ. 401 მათ ქვეყანაში ილაშქრა ბერძენმა სარდალმა და ისტორიკოსმა ქსენოფონტმა, რ-იც დ-ს ახასიათებს, როგორც ყველაზე მამაც და მეომარ ხალხს პონტოსპირელებს შორის. ბინადრობდნენ მთიან, გამაგრებულ და მიუვალ ადგილებში. მათ ქვეყნის დედაქალაქი ისე ძლიერ ჰქონდათ გამაგრებული, რომ ბერძენთა მრავალნაცადმა ლაშქარმა მისი აღება ვერ შეძლო.

წყარო და *ლიტ.:* მიქელაძე თ., ქსენოფონტის ,,ანაბასისი'' (ცნობები ქართველი ტომების შესახებ), თბ., 1967; Максимова М. И., Античные города Юго-восточного Причерноморья, М.–Л., 1956; Вессель, Местное население Юго-восточного Причерноморья по ,,Анабасису'' Ксенофонта: дрилы и моссиники, «Вестник древней истории», 1951, №1.

თ. მიქელაძე.

დრის მაუდის ფაბრიკა, მაუდის საწარმო თბილისში XIX ს. შუა წლებში. 1852 ვერის გარეუბანში, დრის სახელით ცნობილ ადგილზე, მდ. ვერის ნაპირას (მოგვიანებით აქ იყო აბრეშუმის საფეიქრო ფ-კა) პრუსიელმა ვაჭარმა კ. მაიცნერმა ხაზინიდან მიღებული სესხით ააგო კომბინირებული საწარმო, სადაც ადგილ. მატყლისაგან უხეშ მაუდს აწარმოებდნენ ჯარის ნაწილებისა და ჰოსპიტლებისათვის. აქვე მზადდებოდა საუკეთესო მატყლი საექსპორტოდ (დას. ევრ. და რუს. ბაზრებისათვის). ფ-კისათვის საჭირო დაზგა-ხელსაწყოები მოსკოვიდან ჩამოიტანეს; ჩამოიყვანეს ოსტატებიც – უმთავრესად მრთველები და ფეიქრები. კავკ. მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის შუამდგომლობით, რუს. ხელისუფლებამ ფ-კასთან დადო ხელშეკრულება, რ-ის თანახმადაც მას კავკ. სამხ. უწყებისათვის 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად უნდა მიეწოდებინა 90 ათ. არშინი (64000 *მ*) მწვანე, რუხი და შავი მაუდი. ფ-კა ერთხანს აწყობილად მუშაობდა, მაგრამ რუს. იმპერიის ფინანსთა სამინისტრომ არამიზანშეწონილად მიიჩნია მისი არსებობა. გადაწყდა, კავკასიის სამხ. უწყებას შეკვეთები რუს. ცენტრ. რ-ნების საწარმოებისათვის მიეცა. ამის შედეგად ფ-კაში იკლო პროდუქციის წარმოებამ და რეალიზაციამ. 1858 მან გამოუშვა მხოლოდ 4000 მან. საქონელი. 1860 დრის საწარმო დაიხურა. დ. მ. ფ. იყო მანუფაქტურულიდან ფაბრიკულ წარმოებაზე გარდამავალი ტიპის სამრეწვ. საწარმო, სადაც არსებითად ხელის იარაღები და ხელით შრომა ბატონობდა.

ლიტ.: გუგუშვილი პ., მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკასიაში, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1938, ნაკვ. 3; Вессель, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX – XX вв., т. 1, Тб., 1957.

პ. გუგუშვილი.

დრის ციხე, ჯავახათი ციხე, განვითარებული შუა საუკ. საქართველოს ხუროთმოძღვრების ძეგლი. საბუთებში იხსენიება ქვენადრისის ციხის სახელწოდებითაც, რადგან მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტის ყოფ. სოფ. ქვენადრისის მახლობლად, მდ. თეძმის მარცხ. ნაპირის კლდოვან მთაზე. XVII ს-ში ეს ,,ციხე და ნახევარი ჭალა'' ეკუთვნოდათ ზურაბ და შერმაზან ჯავახიშვილებს. 1624 ზაქარია და იესე ჯავახიშვილებმა გიორგი სააკაძეს გაერთიანების პირობა დაუდეს, რ-ის თანახმად დიდ მოურავს სხვა მამულებთან ერთად მიართვეს ,,ქვენადრის სახასო ციხე და სასახლე მისის ქვევრითა და გარეშემოთი''. ქვენადრისში მანგლისის ღვთისმშობლის ეკლესიის საკუთარი ყმები სახლობდნენ, რ-ებიც თავისუფალი იყვნენ სამეფო გადასახადებისაგან; 1721 მანგლელმა ეპისკოპოსმა ძამუტაშვილებს განუახლა საყდრის ყმების სამ-



დრის ციხე. შუა საუკუნეები.

კვიდროდ ნაქონი მოურავობა სა-ჯავახიანოს სოფლებში, მ. შ. ქვე-ნადრისშიც. XVIII ს. II ნახევარში სოფ. ქვენადრისი აოხრებულა. ამჟამად მხოლოდ სოფ. ზენადრი-სია შემორჩენილი. ყორე და რიყის ქვით ნაგები ციხე რთულ რელიეფ-ზეა განლაგებული, ჩანს სხვა-დასხვა სამშ. ფენა. ციხის გეგმა რამდენიმე მონაკვეთისაგან შედგე-ბა. გალავანში ჩართულ კოშკთა-გან ყველაზე მაღლა ფეოდალის საცხოვრ. კოშკი (დონჟონი) დგას. ციხის ტერიტორიაზე შემორჩენი-ლია პატარა დარბაზული ეკლე-სია.

წყარო და ლიტ.: ბერძენიშვი-ლი ნ., დოკუმენტები საქართველოს სო-ციალური ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1940; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, ზ. ალექსიძისა და შ. ბურჯანაძის გა-მოც., წგ. 1, თბ., 1964; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღ-წერილობა, წგ. 5, თბ., 1990; საქართვე-ლოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., ტ. 2, ტფ., 1909; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., წგ. 3, თბ., 1970.

დ. ბერძენიშვილი. პ. ზაქარაია.

„დრო“, ყოველდღიური პოლი-ტიკური და ლიტერატურული ლეგალური ბოლშევიკური გაზე-თი. გამოდიოდა თბილისში გაზ. „ჩვენი ცხოვრების“ შემდეგ 1907 წ. 11(24) მარტიდან 15(28) აპრილამდე ი. სტალინის (ფსევდ. – კო) ხელმძღვანელობით (რედ.-გამომც. – ი. წივწივაძე). გამოვიდა 31 ნომერი. „დ.“ აშუქებდა პეტერ-ბურგის, მოსკ., რუსეთის სხვა სამ-რეწვ. ცენტრების, ამიერკავკ. პრო-ლეტარიატისა და გლეხობის რევ. ბრძოლებს, ცხარე კამათი ჰქონდა მენშევიკებთან და ანარქისტებთან. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდ-ნენ მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მ. დავითაშვილი, გ. თელია და სხვ. დაიბეჭდა თბილ. გუბერნატორის განკარგულებით. *გ. ჟვანია.*



გაზეთი ,,დროება“ (1908–10).

„დროება“, პოლიტიკური და ლი-ტერატურული გაზეთი. დაარსდა 1866 წ. 4 მარტს თბილისში. და-მაარსებელი და პირველი რედაქ-ტორი იყო გ. ე. *წერეთელი.* 1866–74 გამოდიოდა კვირაში ერთხელ, 1875–77 – კვირაში სამჯერ, 1877-იდან – ყოველდღიურად. „დ-მ“ გა-ნაგრძო ,,საქართველოს მოამბის“ საუკეთესო ტრადიციები. გაზეთის რედაქცია იქცა ეროვნ.-განმათ. მოძრაობისა და ეროვნ. კულტურის ერთ-ერთ ცენტრად. მან უდიდესი როლი ითამაშა საზ. აზროვნების განვითარებასა და ქართვ. ხალხის ინტელექტუალურ აღმავლობაში. იგი აშუქებდა ისტ., ფილოს., ენათ-მეცნ., ეთნ., სახ. განათლების, ხე-ლოვნ., ლიტერატურათმცოდნეობის, სოფ. მეურნ., მრეწვ. და სხვა საკითხებს. „დ-მ“ ახ. ეტაპი შექმნა ეროვნ. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში. გაზეთი ყურადღებას ამახვილებდა ევრო-პის საზ.-პოლიტ. ცხოვრებასა და მსოფლიო მნიშვნელობის მოვლე-ნებზე. „დ-მ“ დიდად შეუწყო ხელი ქართ. ჟურნალისტიკის, მწერლო-ბისა და ლიტ. კრიტიკის განვითა-რებას, კრიტ. რეალიზმის დამკვიდ-რებას, მოზარდი თაობის აღზრდას, საბავშვო მწერლობისა და პედ. აზ-როვნების განვითარებას.

„დ-მ“ ღრმა კვალი დატოვა ქართვ. ხალხის საზ. ცხოვრებაში და XIX ს. II ნახ. ქართ. აზრის შესა-ნიშნავ მატიანედ დარჩა. გაზეთთან თანამშრომლობდნენ გამოჩენილი ქართვ. მწერლები და საზ. მოღ-ვაწეები: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი, პ. მელიქიშვილი, პ. უმიკა-შვილი, ი. მაჩაბელი, დ. მიქელაძე, ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე, ა. ყაზბეგი, ა. ფურცელაძე და სხვანი. რედაქტორები: გ. წერეთელი (1866–69), ს. მესხი (1869 წ. 17 აპრ-იდან 1873 ივლ-მდე, 1874 ოქტ-იდან 1883-მდე), კ. ლორთქიფანიძე (1873 ივლ-იდან 1874 ოქტ-მდე), ი. ჭავჭავაძე და ს. მესხი (1880–81), ი. მაჩაბელი (1883-იდან). გამომცემლები – ს. მელიქიშვილი (1866–82), გ. ქარ-თველიშვილი (1883-იდან). აშკარა რადიკალური მიმართულებისა და საცენზურო წესდების დარღვევის გამო ადგილ. ხელისუფლების გან-კარგულებით 1885 წ. 16 სექტ. „დ.“ დაიხურა.

ლიტ.: ბერძენიშვილი ლ., XIX საუკუნის ქართული დემოკრატი-ული პრესა (გაზეთობის საკითხი გაზეთ ,,დროების“ მიხედვით – 1866–1885 წწ.), თბ., 1981; ბოცვაძე ი., სერგეი მესხი და 70–80-იანი წლების ქართული პრესა, თბ., 1968; გაზეთ ,,დროების“ 50 წლისთავი, «სახალხო ფურცელი», 1916, №518; გამეზარდაშვილი დ., ქარ-თული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, [ტ.] 2, თბ., 1974; ვარ-თაგავა ი., XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქ-ტორები, თბ., 1957; კალანდაძე ა., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, [ტ.] 5, თბ., 1987; ქინქლაძე ო., ,,დროება“ და აღზრდის საკითხები, თბ., 1963; ხუნდაძე ს., სოციალიზ-მის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. 2, ტფ., 1927. *ი. ბოცვაძე.*

„დროება“, ყოველდღიური პოლი-ტიკური და ლიტერატურული გა-ზეთი სოციალისტ-ფედერალისტუ-რი მიმართულებისა. გამოდიოდა თბილისში 1908–10. რედ.-გამომ-ცემლები – ი. სოზიაშვილი (№1–24), ი. აგლაძე (№25-იდან), შემ-დგენელი – ი. მჭედლიშვილი. გაზეთში იბეჭდებოდა პოლიტ.-ეკონ., საერთაშ. მიმოხილვები, წე-რილები, აგრეთვე ა. ჯორჯაძის, კ. აბაშიძის, დ. ახვლედიანის, ს. შანშიაშვილის, ი. გრიშაშვილის, დ. მეტრეველის, დუტუ მეგრე-ლის, ნ. ლორთქიფანიძის და სხვა ქართვ. მწერალთა თხზულებები, საზღვარგარეთელი და რუსი მწერ-ლების ნაწარმოებთა თარგმანები. გაზეთი გამოსცემდა ,,დროების“ ყოველკვირეულ სურათებიან და-მატებას. 1908 გამოვიდა ,,დრო-ების კალენდარი“.

ლიტ.: კაკიაშვილი გ., მხატვრუ-ლი ლიტერატურა გაზეთ ,,დროებაში“ (1908–1910 წწ.), კრ.: ნარკვევები მეოცე საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, თბ., 1974.

ი. ლორთქიფანიძე.

დროებითვალდებული გლეხე-ბი, კატეგორია ყოფილი საბატონო გლეხებისა, რ-ებიც 1861 წ. 19 თებ. დებულებით გათავისუფლდნენ ბა-ტონყმური დამოკიდებულებისა-გან, თუმცა თავდაპირველად არ ჰქონდათ მიწის გამოსყიდვის უფ-ლება. დ. ბ. მემამულის მიწით სარგებლობისათვის იხდიდნენ ფეოდ. გადასახადებს (ღალას ან ბეგარას). გამოსყიდვის ვადა არ იყო დადგენილი, მემამულეს მათ მიმართ დიდი უფლებები რჩებო-და.

დ. ბ-ის კატეგორია საქარ-თველოში გაჩნდა 1864–71 რე-ფორმების შედეგად. დროებით-ვალდებულებაში მოექცა დაახლ. 64 ათ. კომლი გლეხი. აღმ. სა-ქართვ. დ. ბ. კომლზე საშუალოდ 3,7 ჰა მიწას ფლობდნენ, დას. სა-ქართველოში – 2 ჰა-ს. XIX–XX სს. მიჯნაზე მთელი შემოსავლის 25%-ს გლეხი მემამულეს აძლევდა.

გამოსასყიდი ფასი მეტად მაღა-ლი იყო, რაც აფერხებდა დ. ბ-ის მესაკუთრეთა კატეგორიაში გა-დასვლის პროცესს. რეფორმიდან 1904-მდე მესაკუთრეთა კატეგო-რიაში გადავიდა 39 ათ. კომლი გლეხი, რ-თაც 165 ათ. ჰა მიწის გამოსყიდვა 9 მლნ. მან. დაუჯ-დათ. 1910-თვის დროებითვალდე-ბულად ითვლებოდა 32 ათ. კომლი გლეხი. 1912 წ. 20 დეკ. გამოიცა კანონი დროებითვალდებულების გაუქმების შესახებ, რ-ის თანახ-მად – გლეხებს შეეძლოთ მიწის გამოსყიდვა. გამოსასყიდი თანხა მემამულეებს სახელმწ. ხაზინამ გადაუხადა და იგი სესხად გლეხო-ბას დააწერა. მართალია, გლეხები გათავისუფლდნენ მემამულეებისა-თვის მისაცემი ღალა-კულუხისა-

გან, მაგრამ, სამაგიეროდ, ხაზინის მოვალეები გახდნენ. სესხისა და მისი სარგებლის დასაფარავად ყოველწლიურად უნდა გაეღოთ გარკვეული რაოდენობის თანხა, რ-იც ძვ. ვალდებულებაზე არანაკლებ მძიმე გადასახდელი იყო.

ლიტ.: ავალიანი ს., დროებითვალდებულ გლეხთა განთავისუფლება საქართველოში, «ცხოვრება და მეცნიერება», 1914, №1; ანთელავა ი., გუჩუა ვ., საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (რეფორმის შემდეგდროინდელი ხანა). ნარკვევები, თბ., 1967; ბენდიანიშვილი ა., აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890–1917 წწ., თბ., 1965; Гугушвили П. В. (сост.), Сельское хозяйство и аграрные отношения. Источники и материалы, т. 4, Тб., 1955.

ა. ბენდიანიშვილი.

დროებითი გენერალ-გუბერნატორი, თანამდებობა დაწესდა 1905 რევოლუციურ მოძრაობასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით. გაუქმდა 1917.

დროზერა (Drosera), ცვრიანა, მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი მწერიჭამია მცენარეების გვარი დროზერასებრთა ოჯახისა. მისი ფესვთანური ფოთლები მოფენილია წითელთავიანი ჯირკვლოვანი ბუსუსებით. მათგან გამოყოფილი წებოვანი სითხის (შეიცავს ორგ. მჟავებსა და საჭმლის მომნელებელ ფერმენტებს) საშუალებით მცენარე იჭერს და ინელებს მწერს. დ-ს 100-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია დედამიწის ორივე ნახევარსფეროს ტროპ. და ზომიერ სარტყლებში, განსაკუთრებით ბევრი სახეობაა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. საქართველოში 3 სახეობა გვხვდება: მრგვალფოთოლა დ. (D. rotundifolia), ინგლისური დ. (D. anglica) და შუალედური დ. (D. intermedia). უძველესი ბორეალური ფლორის სახეობებია. იზრდება მხოლოდ აჭარაში, მთის ქვედა და ალპ. სარტყლის ტორფიან ჭაობებში. გვხვდება ერთეულებად ან ჯგუფებად. სამივე სახეობა შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში‘‘.

დროზოფილა (Drosophila), ორფრთიანების რიგის 3,5 *მმ*-მდე სიგრძის მწერი. აქვს გამობურცული სხეული, წითელი თვალები. გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. გვხვდება ყველგან, განსაკუთრებით ბოსტნეულისა და ხილის საწყობებში. მატლი ვითარდება ლპობად, ხმირად ნახევრადთხიერ მცენარეულ ნარჩენებში. ლაბორ. პირობებში ადვილად მრავლდება და სწრაფად ვითარდება. მთელ რიგ სახეობებს (უმთავრესად ჩვეულებრივ ხილის ბუზს – D. melanogaster) ახასიათებს შთამომავლობაში ნიშანთვისებათა მკაფიო დათიშვა, რის გამოც დ. გენეტ. გამოკვლევების ერთ-ერთი ძირითადი ობიექტია. დ-ზე დაკვირვებით შესწავლილია მუტაგენეზის პროცესები და მიღებულია პირველი ექსპერ. მუტაციები. ექსპერ. პირობებში ხელოვნ. არეზე დ-ის მატლი სწრაფად ვითარდება და 7–10 დღის შემდეგ უკვე გვაძლევს შედეგს. ზრდასრულ დ-ზე ან მის მატლზე რენტგენის სხივების ან რადიოაქტიური გამოსხივების მოქმედებით შთამომავლობაში მიიღება მრავალი მუტაცია – თვალის პიგმენტები ქრება, ფრთები განუვითარებელი რჩება, ერთ-ერთი ანტენის ნაცვლად შეიძლება განვითარდეს მახინჯი კიდური, მიიღება დიდი ზომის ბუზი ან მახინჯი ეგზემპლარები და სხვ. ცდების შედეგი საფუძვლად დაედო მრავალ მნიშვნელოვან მეცნ. კანონზომიერებას. ბუნებრივ პირობებში დ. საფუარი სოკოების სპორების გადამტანია.

„დრონი“, ყოველკვირეული დამოუკიდებელი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1991–2001 წლებში. ,,დ.‘‘ აშუქებდა საქართვ., რუსეთისა და საზღვარგარეთის პოლიტ., ეკონ., სოც. და კულტურულ საკითხებს. ,,დ.‘‘ 16-გვერდიანი იყო. 1991 წელს გამოდიოდა კვირაში ერთხელ, 1992 წლიდან – კვირაში ორჯერ.

,,დ-ის‘‘ რედაქტორები იყვნენ: ა. გოგელია, თ. ქორიძე, თ. ჩიქოვანი, ს. სიმონიშვილი, გ. ჩოჩიშვილი. ,,დ-ში‘‘ სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ჟურნალისტები: თ. მეტრეველი, მ. რატიშვილი, ს. ჩხაიძე, ი. ალავიძე, ე. ხოფერია, თ. გოგოტიშვილი, თ. კინწურაშვილი, ნ. ვადაჭკორია და სხვ.

დაიხურა ფინანს. პრობლემების გამო. ,,დ-ის‘‘ გამოცემა განახლდა 2011 წ-იდან (მთ. რედ. ა. გოგელია), რედაქტორები: თ. ქორიძე, პ. ნაცვლიშვილი, თ. ჩიქოვანი. 24-გვერდიანი გაზეთი გამოდიოდა კვირაში ერთხელ. იმავე წლის სექტემბერში გაზეთმა კვლავ შეწყვიტა არსებობა. *თ. ჩიქოვანი.*

„დროული“, ორკვირეული ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1925–26 (№2-იდან ,,მემარცხენე ფრონტის‘‘ ყოველკვირეული ლიტ. ორგანო). გამოვიდა 3 ნომერი 1925 – №1; 1926 – №2, 3. გამომც. – სარედაქციო კოლეგია. *ი. ლორთქიფანიძე.*

დროშა [ავესტურ ენაზე (ძვ. ირან.) – ,,სინათლე‘‘, ,,ნათელი‘‘, ,,თვალსაჩინო‘‘], ერთი ან სხვადასხვა ფერის გარკვეული ზომის ქსოვილი, რ-ის ერთი მხარე ხის ტარზეა დამაგრებული. ჩვეულებრივ დროშაზე გამოსახულია რაიმე ემბლემა: სახელმწიფოს, ჯარის, კორპორაციის ან საკულტო სიმბოლო. ამ მნიშვნელობით შევიდა ძვ. ირანულიდან ქართულში, ძვ. ინდურში, საშუალო ირანულში, სომხურსა და სირიულ ენებში. საგარაუდოა, რომ ქართ. ენაში ტერმინი ,,დ.‘‘ აქემენიდური ირანის ხანაში შემოვიდა (ძვ. წ. VI–IV სს.), მაგრამ ქართ. წერილობით ძეგლებში ის მხოლოდ IX ს-იდან გვხვდება (,,მოქცევაჲ ქართლისაჲ‘‘ და ,,ნინოს ცხოვრება‘‘). დ-ის აღსანიშნავად ძვ. ქართ. წერილობით წყაროებში გვხვდება აგრეთვე ,,დრაუჟი‘‘, ,,ბაირაღი‘‘ და ,,ბავრაყი‘‘ (,,ბაირაღისაგან‘‘ ნაწარმოები). ,,დრაუჟი‘‘ საშ. ირან. ტერმინია, პირველად გვხვდება XIII ს. წერილობით ძეგლებში, შემდგომ იგი ფართოდ გავრცელდა (ს.-ს. ორბელიანი მას განმარტავს როგორც დ-ის სინონიმს). ,,ბაიარაღი‘‘ თურქ. ტერმინია, ,,ბავრაყთან‘‘ ერთად ქართ. ტექსტებში გვხვდება XVIII ს-იდან.

დ-ის ტარს ძვ. ქართულში ,,ძელი‘‘ ან ,,ბუნი‘‘ (ირანულად – ,,ძირი‘‘, ,,საფუძველი‘‘) ერქვა, ტარზე შებმულ ტილოს – ,,ალამი‘‘ (არაბ.). ზოგჯერ ,,ალამი‘‘ დ-ის სინონიმადაც იხმარებოდა. ალამი ბუნს ან ლურსმნით ჰქონდა მიკრული, ან მიბმული იყო.

ქართ. დ-ის თავს უმთავრესად ჯვრის ან შუბისპირის ფორმა ჰქონდა, ზოგჯერ კი – ვაშლის. გვიანდ. შუა საუკუნეების ისტ. წყაროებში ძვ. ქართ. დ-ებზე არსებული ძუნწი ცნობები მცირე რაოდენობით შემოგვრჩა. სავარაუდოა, რომ საქართველოში დ. უკვე პირველყოფილი თემური წყობილების ხანაში გაჩნდა (სატომო, საკულტო დ-ები). რაც შეეხება დ-ის იერსახეს, მონაცემები მის შესახებ მხოლოდ XII–XIII სს-იდან გვაქვს.

XII–XIII და მომდევნო საუკუნეების წყაროებიდან ჩანს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში სხვადასხვა დანიშნულების დ-ები იყო: სახელმწ.-სამეფო (სეფედროშა), საეკლ.-საკათოლიკოსო, სალაშქრო დანაყოფების (საქართველოს სამეფო, ხოლო XV ს-იდან ქართლის, კახეთისა და იმერეთის



დროზერა. მრგვალფოთოლა დროზერა (Drosera rotundifolia).



დროზერა. ინგლისური დროზერა (Drosera anglica).



დროზერა. შუალედური დროზერა (Drosera intermedia).



დროზოფილა.




გაზეთი ,,დრონი‘‘ (1991–2011).



დროშის ტიპი ლაბარუმი რუსუდან დედოფლისა. XIII ს. I ნახევარი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.



სვანური დროშა ,,ლემის'' ბუნი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.



სვანური დროშა ,,ლემი''. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

სამეფოები, დაყოფილი იყო ოთხ სალაშქრო-ადმ. ერთეულად – ოთხ სადროშოდ. თითოეულ სადროშოს თავისი განსხვავებული დ. ჰქონდა), უფლისწულ-ბატონიშვილების, დედოფლის, მთავრების, დიდი მოხელეების (ამირსპასალარი, ერისთავები, სახლთუხუცესი, მოურავები...), დიდი ფეოდალების (დიდებულები, თავადები) დ-ები.

XI–XV სს-ში საქართველოს ჰქონდა ერთი სახელმწ. დ. – საქართველოს ერთიანი სამეფოს სიმბოლო, ხოლო XVI–XVIII სს-ში – უკვე რამდენიმე: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებისა და სამცხე-საათაბაგოს, ოდიშის, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის (XVII ს-იდან) სამთავროების დ-ები.

ერთიანი საქართვ. სახელმწ. დ-ს ისტ. წყაროებში ეწოდება ,,გორგასლიანი და დავითიანი'' (,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი''), აგრეთვე ,,ბაგრატოანური და უფროსლა გორგასლიანური'' (იქვე). ქართ. დ-ის სახელწოდება, როგორც ჩანს, იმაზე მიუთითებს, რომ ერთიანი საქართვ. დ. ვახტანგ გორგასლის დროინდელი იყო. რაც შეეხება ,,დავითიანს'' და ,,ბაგრატოანურს'', ი. ჯავახიშვილის აზრით, აქ იგულისხმებიან საქართვ. მეფეები ბაგრატ III და დავით აღმაშენებელი. თუმცა, შესაძლოა, მოიაზრებოდეს საქართვ. სამეფო დინასტიის წოდება ,,დავითიან-ბაგრატოვანი'', რ-შიც აისახება გვარსახელი (,,ბაგრატოვანი'') და ბაგრატოანთა წარმომავლობა დავით ებრაელთა მეფისაგან (,,დავითიანი'').

საქართველოს სამეფო დ-ის იერსახისა და ფერის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა: ი. ჯავახიშვილი, XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის სტეფანოზ ორბელიანის ცნობის საფუძველზე მიიჩნევს, რომ ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დ-ის ბუნი თეთრი იყო, ხოლო ალამი – წითელი, შენახული ალმის მიხედვით – მუქი შვინდისფერი. შუა საუკუნეების პოლონელი მოგზაურის ი. *კოტოვიჩის* (კოტოვიუსის) ცნობით კი, საქართველოს დ-ის ალამზე გამოსახული ყოფილა წმ. გიორგი, დ-ის თავზე კი ჯვარი ჰქონია გაკეთებული (ი. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. 7, თბ., 1984, გვ. 160–161). თეიმურაზ ბატონიშვილის აზრითაც, საქართვ. დ-ზე წმ. გიორგი ყოფილა. ამასვე ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილის რუკებისათვის დართულ საქართვ. გერბზე წმ. გიორგის გამოსახვა. წმ. გიორგის დ-ს ქართვ. პილიგრიმებთან ადასტურებენ მარინო სანუდო (XIV ს.), ი. ფონ ჰილდესჰაიმი (XIV ს.), აგრეთვე ქვემო რაინული აღმოსავლეთის აღწერა. არ არის გამორიცხული სხვადასხვა ქართ. დ-ზე გამოსახული ყოფილიყო იესო ქრისტე, ღვთისმშობელი, მთავარანგელოზი ან რომელიმე სხვა წმინდანი, როგორც ეს ზოგ გვიანდელი ხანის დ-ზე და გერბზეა წარმოდგენილი. სტეფანოს ორბელიანის ცნობით, საქართველოს ამირსპასალარის დ-ს ჰქონდა წითელი ალამი, რ-ზეც გამოსახული იყო თეთრი ნიშანი, ამ პერიოდის (XI–XV სს.) ალმის ფორმაზე ცნობები არაა შემორჩენილი. გვიანდ. ანალოგიის მიხედვით სავარაუდოა, რომ ალამი იყო სწორკუთხედის ფორმისა ან სწორკუთხედი, დაბოლოებული ორი სამკუთხა კალთით.

დ-ების შესახებ ცნობები შუა საუკუნეების ევროპულ *პორტოლანებზეც* გვხვდება. ზოგიერთ მათგანზე (პ. *ვესკონტეს* 1320 შავი ზღვის ატლასი, ა. *დულჩერტის*, ფ. და დ. *პიციგანოების* 1367, გ. *ვალსეკას* 1439 და 1447 პორტოლანები, *კატალონური ატლასი 1375* და სხვ.) საქართველოსთან დატანილია თეთრი დ. ხუთი წითელი ჯვრით.

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის ხანიდან (XV–XVIII სს.) შემორჩენილია XVII–XVIII სს. რამდენიმე დ. მათგან აღსანიშნავია ორი სამეფო დ.: ქართლის მეფის ვახტანგ VI-ისა და იმერეთის მეფის სოლომონ I-ისა.

ვახტანგ VI-ის დ-ის ალამი მუქი შინდისფერია, გამჭვირვალე აბრეშუმისა, სწორკუთხა ფორმის, ტარზე ჩამოსაცმელი. მოხატულია ორსავე მხარეს. ერთ მხარეზე, ცენტრში, მედალიონისებურ ჩარჩოში გამოსახულია სვეტიცხოვლის აღმართვა: სვეტი, უჭირავს ორ ანგელოზს, სვეტის კვარცხლბეკთან დგანან მირიან მეფე და წმ. ნინო, ჯვრის კვარცხლბეკის ქვემოთ ქრისტეს კვართია. ალმის მეორე მხარეს ისეთსავე ჩარჩოში გამოსახულია დავით წინასწარმეტყველი (ბაგრატიონთა ლეგენდარული წინაპარი), იქვე – ბაგრატიონთა გერბის ემბლემები: სასწორი, სფერო, კვერთხი, შურდული. დავითის ზემოთ გამოსახულია ხმალი, სკიპტრა და გვირგვინი. ორივე მხარეზე, მედალიონის აქეთ-იქით, ადამიანის სახის მზისა და მთვარის დისკოებია. ალმის არე მოფენილია ვარსკვლავებით. ალამს ოთხსავე კიდეზე გასდევს ასომთავრულით შესრულებული ტექსტი დავითის ფსალმუნიდან, რ-იც ბოლოვდება თარიღით – 1711. დ. ვახტანგს რუსეთში წაუღია. ბაქარ ბატონიშვილის შთამომავლისაგან ის მემკვიდრეობით მიუღია გოლიცინს. 1922 დ. საქართველოში დააბრუნეს. ამჟამად ინახება საქართვ. ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.


სოლომონ I-ის დ-ის ალამი ვარდისფერია, სამკალთიანი. მის ერთ მხარეზე გამოსახულია ამხედრებული წმ. გიორგი, რ-იც კლავს გველეშაპს, მეორეზე – ხმალაწვდილი მთავარანგელოზი. დ-ის თავზე ჯვარია, ზედ ქვეითი წმ. გიორგია გამოსახული. ჯვრის ქვემოთ ბუშტია, რ-ზეც მხედრულად წერია: ,,მეფე სოლომონ''. დ. ინახება ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტ.-ეთნ. მუზეუმში.

გარდა ამ ორი სამეფო დ-ისა, შემოგვრჩა ამ პერიოდის ორი საუფლისწულო დ.: გიორგი XII-ისა (ინახება იოსელიანების ოჯახში) და იულონ ბატონიშვილის დ-ის ნაწილი (საქართვ. ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმი); რამდენიმე სათავადო დ.: მუხრანბატონისა (დაკარგულია, შემოგვრჩა ამ დ-ის ე. თაყაიშვილისეული აღწერილობა), პაპუა მოურავის (ენდრონიკაშვილის), გურიის ერისთავის (საქართვ. ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმი); ეკლესიისათვის შეწირული რამდენიმე დ.: 1616 მაღალაძის მიერ კავთის წმ. გიორგის ეკლესიისთვის შეწირული, სოფ. გერის ეკლესიის (ორივე – საქართვ. ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმი), ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის (ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი), მჭადიჯვრის ორი დ.


ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ საქართველოს რუკაზე



ვახტანგ VI-ის დროშა. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.



სოლომონ I-ის დროშა. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა (1918–21).




საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროშა (1922–37).



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროშა (1937–51).



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროშა (1951–90).



საქართველოს რესპუბლიკის დროშა (1990–2004).



საქართველოს სახელმწიფო დროშა (2004-იდან).



კონსტანტინე მუხრანბატონის დროშის თავი. XVIII ს. ს. ჯვანშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.



ჟურნალი ,,დროშა'' (1911–2003).

გამოსახულია თავადების, ერისთავებისა და მოურავების დ-ები, მაგრამ ძნელი სათქმელია რამდენად რეალურია ისინი.

1917 რუს. თებერვლის რევ. შემდეგ გაჩნდა ეროვნ. დ-ის აუცილებლობა. საქართველოს ინტერპარტიულმა საბჭომ ეროვნ. დ-ის პროექტის შესამუშავებლად მიიწვია ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, დ. შევარდნაძე, ი. ნიკოლაძე. შედგა დ-ის პროექტი, ავტორი იყო ი. ნიკოლაძე. საქართველოს ეროვნ. დ. პირველად გამოფინეს 1917 წ. 19–22 ნოემბ. სახაზინო თეატრში (ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ეროვნ. თეატრი) საქართვ. ეროვნ. ყრილობაზე და თეატრის აივანზე. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს – 1918 წ. 26 მაისს – ეროვნ. დ. აღმართეს მთავრობის სასახლეზე (ახლანდ. თბილისის ახალგაზრდობის სასახლე). 1918 სექტ. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ეროვნ. დ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწ. დ-ად გამოაცხადა. მიიღეს კანონი ,,საქართველოს რესპუბლიკის დროშის'' შესახებ. მასში მოცემულია დ-ის აღწერილობა: ,,დროშა შეადგენს: თეთრი ბუნი თავში ბირთვითა და შუბის წვერით, ალამი წითელი (შვინდის ელფერისა), შავი და თეთრი თანასწორი ზოლები ზემო კუთხეში ბუნთან; შავი და თეთრი ზოლები შეადგენენ ალმის განის ნახევარსა და სიგრძის ორ მეხუთედს''.

საქართვ. დამფუძნებელმა კრებამ 1921 წ. 21 თებერვალს მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რ-შიც ნათქვამია: ,,საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის შვინდისფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა'' (მუხლი მეოთხე). საბჭ. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1922 დამტკიცდა საბჭ. საქართვ. დ. და გერბი. დ-ის ალამი წითელი ფერის ქსოვილის იყო: მარცხენა ზედა კუთხეში ოქროსფერი ასოებით ქართულად ეწერა: ,,სსსრ''. 1937 მიღებულ იქნა დროშის ახალი ვარიანტი – წითელი ფერის ალამზე მარცხენა ზედა კუთხეში ოქროსფერი ასოებით ქართულად ეწერა: ,,საქართველოს სსრ''. საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წ. 11 აპრილის ბრძანებულებით დამტკიცდა საქ. სსრ ახალი სახელმწ. დ. ესკიზი შეადგინა ს. მაისაშვილმა. დ-ის ალამი იყო მართკუთხედის ფორმის წითელი ქსოვილი (სიგანისა და სიგრძის შეფარდება – 1:2); ზემო კუთხეში, ტართან ჰქონდა ცისფერი კვადრატი, მის შუაგულში – წრე, წრეში – ნამგალი და ურო, მათ თავზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი. წრიდან კვადრატის გვერდებს ეფინებოდა 24 სხივი. კვადრატის მარჯვ. გვერდის შუაგულიდან დ-ს მთელ სიგრძეზე გასდევდა ცისფერი ზოლი.

1990 წ. 14 ნოემბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგად არჩეულმა საქართვ. რესპ. უზენაესმა საბჭომ აღადგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დ.

2004 შემოღებულ იქნა ახალი დ. იხ. *სახელმწიფო დროშა.*

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ჯამთააღმწერელი, იქვე; სტეფანოს ორბელიანის ,,ცხოვრება ორბელიანთა''-ს ძველი ქართული თარგმანები, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1978.

ლიტ.: ბარნაველი ს., ქართული დროშები, თბ., 1953; ბიჭიკაშვილი ი., ჩაგუნავა რ., ისტორიული ცნობები ქართული ხუთჯვრიანი დროშის შესახებ, «24 საათი», 2004, №15; გამსახურდია ს., შოშიაშვილი ნ., ხიდურელი ზ., საქართველოს სახელმწიფო დროშები და გერბები, თბ., 1990; თვარაძე ა., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, თბ., 2004; მუსხელიშვილი დ., საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ, «პარლამენტის უწყებანი», 1997, №27, 28; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 2, თბ., 1984 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 7); Брун Ф., Перипл Каспийского моря, Од., 1872.

უ. სიდამონიძე. ნ. შოშიაშვილი.

,,დროშა'', პირველი ქართული არალეგალური სოციალისტური მიმართულების ყოველდღიური ჰექტოგრაფიული გაზეთი, გამოდიოდა პარიზში 1873 (რედ. ნ. ნიკოლაძე). გამოვიდა გაზეთის 10 ნომერი [1873 წლის 1 (13) აპრილიდან 10 (23) აპრილამდე]. ამის შემდეგ ,,დ-მ'' არსებობა შეწყვიტა. გაზეთის დამფუძნებლები, თანამშრომლები და ავტორები იყვნენ: ნ. ნიკოლაძე, დ. მიქელაძე (მეველე) და პ. იზმაილოვი. ,,დ-ის'' შექმნის იდეა წარმოიშვა პარიზში ნ. ნიკოლაძის მიერ ქართ. შრიფტის გამარტივებასა და ქართ. სტამბის მოწყობაზე მუშაობისას. დაბეჭდილი 10 ნომერი (თითოეული 100 ეგზემპლარად), უფასოდ ეგზავნებოდათ ციურიხში, ჟენევასა და ვენაში მცხოვრებ ქართველებს. გაზეთზე გამოხატული იყო გაშლილი დროშა, რ-საც ახლდა ი. ჭავჭავაძის სიტყვები: ,,თუმცა აწმყო არ გვწყალობს, მომავალი ჩვენია''. ჩვენამდე მოაღწია გაზეთის მხოლოდ სამმა ნომერმა, რ-ებიც თავად ნ. ნიკოლაძემ ლონდონში ყოფნისას (1926 წ. დეკემბერში) ბრიტანეთის მუზეუმში აღმოაჩინა. გაზეთში გამოქვეყნებული მასალები თემატურად ასე იყოფა: საგარეო პოლიტიკა, ნაციონალური საკითხები, მუშათა მოძრაობის საკითხები, სოციალიზმის პრობლემა, სოც. და ისტ. ხასიათის საკითხები. რაც შეეხება ,,დ-ის'' პოლიტ. მიმართულებას, შეიძლება ითქვას, რომ ის არის პირველი ქართ. არალეგალური სოციალ. გაზეთი, რ-იც ცდილობდა პროგრ. ევრ. აზროვნების გადმოტანას საქართველოში. რუსული ნაროდნიკობიდან ევროპული სოციალიზმისაკენ! – ასე შეიძლება შეფასდეს გაზეთ ,,დ-ის'' იდეურ-პოლიტ. მრწამსი.

,,დ-ს'' ეგზემპლარები ინახება ბრიტანეთის მუზეუმში (ლონდონი), ფოტოასლები კი – საქართვ. ეროვნ. ბ-კასა და ნ. ნიკოლაძის პირად საარქივო ფონდში (თბილისი).

ლიტ.: შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 1, თბ., 2001; ხუნდაძე ს., სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. 2, ტფ., 1927.

,,დროშა'', ჟურნალი. მის წინამორბედად მიიჩნევენ ნ. ნიკოლაძის მიერ პარიზში დაარსებულ გაზეთ ,,დ-ს'', რ-ის პირველი ნომერი 1873 დაიბეჭდა. 1911 თბილისში ამხანაგობა ,,სორაპანის'' სტამბაში დაიწყო ,,დ-დ'' წოდებული პოლიტ. და ლიტერატურული გამოცემის ბეჭდვა, რ-იც სარეკლამო გამოცემა იყო (რედ. გ. გაჩეჩილაძე). მალე მან შეწყვიტა არსებობა და 1923 გამოვიდა ორკვირეული, სამხატვრო-სალიტერატურო, დასურათებული ჟურნ. ,,დ.'' (რედ. მ. კახიანი). 1950 ჟურნალი კვლავ დაიხურა და მხოლოდ 1951 განაახლა მუშაობა გ. აბაშიძის რედაქტორობით. ამ წლიდან მოყოლებული ჟურნალი საზ.-პოლიტ. და ლიტ.-პუბლიცისტური ილუსტრირებული გამოცემაა. 1951-იდან ჟურნალის რედაქტორები სხვადასხვა დროს იყვნენ: ა. მირცხულავა, ა. ძიძიგური, გ. ნატროშვილი, რ. მარგიანი, ხ. ბერულავა, ო. ქინქლაძე, ჯ. ჩარკვიანი. იმდროინდელი ,,დ-ის'' რედაქციასთან თანამშრომლობდნენ: კ. გამსახურდია, ს. კლდიაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, კ. კალაძე, რ. ინანიშვილი, ბ. ოკუჯავა და სხვანი. ,,დ-თან'' ასევე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი: ი. აბაშიძე, შ. ნუცუბიძე, შ. ამირანაშვილი, ვ. კუპრაძე, ე. ხარაძე, ვ. ბერიძე, ე. ახვლედიანი და სხვ.

1998 ჟურნალმა თავისი არსებობის 125-ე წელი აღნიშნა. ბოლო წლებში ,,დ-ის'' მუდმივი თანამშრომლები იყვნენ: ჯ. ჩარკვიანი (რედ.), გ. ბახტაძე, დ. ნოდია, ი. შარიქაძე, ვ. გვეტაძე, ც. არდაშელია, თ. სამსონაძე, მ. ცეცხლაძე, ჯ. მეხრიშვილი, ნ. კუპრეიშვილი, ე. ჩილაჩავა, ც. სიჭინავა, ნ. შარიქაძე და სხვ. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: ნ. თათარაშვილი, ზ. კვანტრიშვილი, თ. ნინიძე, ე. შენგელაია, ზ. წერეთელი, თ. ჭილაძე.

2003-იდან ჟურნალმა შეწყვიტა არსებობა, თუმცა მალევე, ჯ. ჩარკვიანის პროექტით თ. ჩარკვიანმა საკუთარი სახსრებით გამოსცა განახლებული ჟურნალი ,,ქართული დროშის'' სახელწოდებით. გამოიცა ჟურნალის 4 ნომერი. ,,ქართული დროშა'' უსახსრობის გამო იმავე წელს კვლავ დაიხურა. *ე. ჩილაჩავა.*

„დროშა“, ისრაელში გამომავალი ქართულენოვანი ჟურნალი. გამომცემელი – ,,საქართველოდან ამოსულთა საერთაშორისო ცენტრი''. ჟურნალი გამოდიოდა ორ თვეში ერთხელ 1980–2003 წლებში. დამფუძნებელი და მთ. რედაქტორი ხ. ხუბელაშვილი (1980–97). მისი გარდაცვალების შემდეგ 1997–2003 ,,დ-ს'' რედაქტორობდა რუვენ ენოხი (რუბენ ენუქაშვილი).

ჟურნალის მთავარი ამოცანა იყო ისრაელში დაბრუნებული ქართველი ებრაელობის ახალ რეალობასთან ადაპტაციის გაიოლება, ქართულ სამყაროსთან კავშირის შენარჩუნება. ჟურნალში გამოქვეყნებული წერილები უმეტესწილად ეძღვნებოდა: ისრაელის ისტორიას, მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გმირულ წარსულს, ისრაელის გამოჩენილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, ქართველ ებრაელთა ისტორიას, მრავალსაუკუნოვან ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს. ასეთივე იყო მისი სტატიების თემატიკაც – ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების, საკუთარ ძირებთან მიბრუნების სიხარული და ტკივილი საქართველოსთან განშორების გამო.

,,დ-ის'' სარედაქციო კოლეგია, თანამშრომლები და ავტორები საქართველოდან ისრაელში ჩასული უმეტესწილად არაპროფესიონალი მწერლები (პოეტები, პროზაიკოსები) იყვნენ.

1990 თბილისში გამოიცა ჟურნალ ,,დ-ის'' დაარსების 10 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული ,,სამშობლოდან სამშობლოში'' (შემდგენლები: გ. გვერდწითელი, გ. ბათიაშვილი; რედ. გ. ფანჯიკიძე). *გ. ბათიაშვილი.*

დუაბი, მდინარე ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, მოქვის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 26 *კმ,* აუზის ფართ. 114 *კმ².* სათავე აქვს კოდორის ქედზე. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე. საშ. წლ. ხარჯი 5,6 *მ³/წმ.*

დუაბის ნამარხი ფლორა, ნაპოვნია ქ. ოჩამჩირის მიდამოებში, მდ. მოქვისა და დუაბის შესართავთან, მდ. დუაბის მარცხენა ნაპირზე – დუაბის შრეებში, რ-ებიც მოლუსკური ფაუნის მიხედვით კიმერიულადაა დათარიღებული. აქ წარმოდგენილია მდიდარი და მეტად თავისებური ფლორის კარგად დაცული ნაშთები, სანაპირო ზოლის ტყის დამახასიათებელი ფორმებით და სითბოს მოყვარული ფოთლოვანი ტყეების ელემენტებით, ხშირად გვხვდება წიწვოვანი მცენარეების ნაშთებიც. საქართველოს ტყეებში კიმერიულ დროში დაფნისებრნი (დუაბის ფლორის მონაცემებით) რელიქტს წარმოადგენდნენ და მათი გავრცელება აშკარად შეზღუდული იყო.


ი. რამიშვილი. ა. ვეკუა.

დუალიზმი (ლათ. duo – ორი, dualis – ორმაგი), მოძღვრება ორი საწყისის შესახებ. მოიცავს იმ ფილოსოფიურ და რელიგიურ მოძღვრებებს, რ-ებშიც აღიარებულია ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პრინციპი, მდგომარეობა, მსოფლხედვა, აზროვნების (შემეცნების) წესი, ძალა, სუბსტანცია და ყოფიერების სფერო. დ-ის საპირისპირო მიმართულებებია *მონიზმი* და *პლურალიზმი.* დ-ის ცნება პირველად 1700 გვხვდება თ. ჰიდთან (1636–1703) ნაშრომში „ძველ სპარსელთა რელიგიის ისტორია“. გერმ. ფილოსოფოსის კ. ვოლფის (1676–1754) აზრით, დუალისტი ჰქვია მას, ვინც მატერ. და არამატერ. სუბსტანციების არსებობას აღიარებს.

ფილოს. ისტორიიდან ცნობილია მრავალი ცნებობრივი წყვილი, რ-იც დუალისტურია: მაგ., *პლატონის* მოძღვრებაში – იდეების სამყარო და გრძნობადად აღქმადი, წარმავალი საგნების სამყარო; *არისტოტელესთან* – ფორმა და მატერია, პოტენცია და აქტი; *დეკარტთან* – აზროვნება და განფენილობა, სხეული და სული; *კანტის* ფილოსოფიაში კი – თავისთავადი ნივთი და მოვლენა. შეიძლება დავასახელოთ დუალისტური ცნებობრივი წყვილების სხვა მაგალითებიც: სული და მატერია, სული და ბუნება, ღმერთი და სამყარო, ღმერთი და ეშმაკი, სუბიექტი და ობიექტი, გრძნობადობა და გონება, თავისუფლება და აუცილებლობა, რწმენა და ცოდნა, სიკეთე და ბოროტება, ყოფიერება და ყოფიერი, ამქვეყნიური და იმქვეყნიური, სინათლის სამყარო და სიბნელის სამყარო, ბუნებისმეტყველება და სულის მეცნიერება. ერთმანეთისაგან განასხვავებენ: მეტაფიზიკურ (იდეების სამყარო და გრძნობადად აღქმადი, წარმავალი საგნების სამყარო), რელიგიურ (ღმერთი და ეშმაკი), შემეცნებისთეორიულ (გრძნობადობა და გონება), ბუნებისმეცნიერულ (სხეული და სული), ეთიკურ (კეთილი და ბოროტი) და მეთოდოლოგიურ (ბუნებისმეცნიერება და სულის მეცნიერება) დ-ს.

პლატონის მიერ წარმოდგენილი სამყაროს დუალისტური სურათის შეცვლას შეეცადა *ნეოპლატონიზმი* თავისი მონისტური მსოფლხედვით. ქართ. აზროვნებაში ამის თვალსაჩინო ნიმუშია *იოანე პეტრიწის* (XII ს.) თარგმანი და კომენტარი *პროკლე* დიადოქოსის (V ს.) „თეოლოგიის საწყისებისა“. თავისი კომენტარის წინათქმაში პეტრიწი გადმოსცემს საკუთარ ფილოს. პროგრამას და იქვე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ყოველივეს საწყისი არის „წმინდა და უზადო ერთი“, რ-საც სიმრავლე ეზიარება. სწორედ ამ ერთთან ზიარების წყალობით იძენს სამყაროს ყოველი არსებული თავის ნამდვილ არსსა და არსებობას. პეტრიწის აზრით, პროკლეს „თეოლოგიის საწყისების“ მთავარი მიზანი ამ ერთის დასაბუთებაა. მაშასადამე, ქართ. ნეოპლატონიზმში დ-ისა და პლურალიზმის საწინააღმდეგოდ, წინა პლანზე მონისტური პრინციპია წამოწეული.

„შემეცნების ორადობის“, კერძოდ კი, „აზროვნების პრინციპთა დუალობის“ შესახებ საგანგებოდ მსჯელობს შ. *ნუცუბიძე* თავის ადრინდელ გერმანულენოვან ნაშრომში „ჭეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა“ (1926, გერმ.). მისი აზრით, შემეცნების დუალობასთან დაკავშირებული პრობლემები აზროვნების ძირითადი კანონებისა და მეთოდების პრობლემებია. ამ პრობლემების გადაჭ-



ვ. დუგლაძე.

რას იგი მისივე შექმნილი ახ. ფილოს. დისციპლინის, ალეთიოლოგიის ფარგლებში ცდილობდა.

დ-ის პრობლემაზე საქართველოში, უწინარეს ყოვლისა, ის მოაზროვნეები საუბრობდნენ, რ-ებიც ფილოს. ისტორიის საკითხებს განიხილავდნენ. 1941 თბილისში გამოვიდა მ. *გოგიბერიძის* წიგნი „ფილოსოფიის ისტორია“ (ტ. I). ავტორი დეკარტის ფილოსოფიაზე მსჯელობისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს „დეკარტის პრინციპულ დუალიზმს“, რ-მაც ფრანგ ფილოსოფოსს შესაძლებლობა მისცა, შეემუშავებინა სუბსტანციის ორიგინ. განმარტება. ეს პრინციპული დ. დეკარტმა თავის ფსიქოლოგიაში გადაიტანა და სულისა და სხეულის პრინციპული დ-ის გზას დაადგა: ადამიანის სული და სხეული ერთმანეთთან შემთხვევით კავშირში იმყოფება, სინამდვილეში კი ისინი სრულიად დამოუკიდებელნი არიან. გოგიბერიძის აზრით, დეკარტის მოძღვრებაც შემდეგში სწორედ ამ პრინციპული დ-ის სხვადასხვა ინტერპრეტაციის სახით წარმოადგინეს მისმა მიმდევრებმა: ზოგიერთი სულიერ საწყისზე აკეთებდა აქცენტს, ზოგიერთი კი – სხეულებრივ საწყისზე. აქედან წარმოიშვა დეკარტის ფილოს. სპირიტუალისტური და მატერიალ. ინტერპრეტაციები.

დეკარტის დ-ის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს *კ. ბაქრაძე* წიგნში „ახალი ფილოსოფიის ისტორია“ (1969). მისი აზრით, დეკარტთან ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სუბსტანციაა დადგენილი: სულიერი და მატერიალური. პირველის ატრიბუტი აზროვნებაა, ხოლო მეორისა კი – განფენილობა. ამ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სუბსტანციის აღიარებით დეკარტი დ-ის თვალსაზრისზე დგას. კ. ბაქრაძის აზრით, სულიერისა და მატერიალ. დამოკიდებულების პრობლემა ფილოს. ძირითადი საკითხია, დ. კი ამ პრობლემას ვერ წყვეტს. ეს საკითხი ამ ორი საწყისიდან ერთ-ერთის უპირატესობის აღიარებით შეიძლება გადაწყდეს. დეკარტის მიმდევრები და მისი მოწინააღმდეგეები სწორედ ამ გზით წავიდნენ: მათ ამ ორიდან ერთ-ერთ სუბსტანციას მიანიჭეს უპირატესობა.

დეკარტის დ-ის შესახებ საუბრობს ს. *წერეთელიც*. მისი აზრით, იგი ტიპური დუალისტია, სახელდობრ კი – „სუბსტანციური დუალისტი“. მართალია, დეკარტი დ-ის გადალახვას ღმერთის ცნების დახმარებით შეეცადა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მასთან მაინც ორი სუბსტანცია (სული და სხეული) დარჩა, რადგან ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. დეკარტის დ-ის გადალახვა სცადეს ბ. *სპინოზამ* და გ. ვ. *ლაიბნიცმა*.

წყარო: იოანე პეტრიწი, განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს, შრომები, ტ. 2. ქართული ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, ტფ., 1937.

ლიტ.: ბაქრაძე კ., რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. 6, თბ., 1972; გოგიბერიძე მ., ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, თბ., 1941; გორდეზიანი რ., თევზაძე გ., ნემსაძე მ., ჭელიძე მ., ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, თბ., 1993; ნუცუბიძე შ., შრომები, ტ. 2, თბ., 1979; წერეთელი ს., ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, ტ. 2, თბ., 1986; Iremadze T., Der Aletheiologischer Realismus. Schalwa Nuzubidse und seine neue Denkansätze, Tb., 2008.

თ. ორემაძე.

დუაძეები, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტის დეკანაშვილების თემში (აჭარის არ), მდ. აჭარისწყლის მარჯვ. მხარეს, ხულო – ადიგენის საავტ. გზაზე. ზ. დ. 1050 *მ*, ხულოდან 4 *კმ*. 602 მცხ. (2002).

სოფელს სახელი ეწოდა დუაძეების საგვარეულოს მიხედვით.

დუბის მონასტერი, იხ. სტ-ში *ყვარელი*.

დუბროვინი ნიკოლოზ თედორეს ძე [26. XI (8.XII). 1837, სოფ. კორიტოვო, ახლანდ. ფსკოვის ოლქის ველიკიე-ლუკის რ-ნი, – 12 (25). VI. 1904, პეტერბურგი], რუსი სამხედრო ისტორიკოსი. პეტერბ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1890), არტილერიის გენერალი (1893). 1882-იდან მთ. შტაბთან არსებულ სამხ.-სამეცნ. კომიტეტის წევრი. ოფიციალური ისტორიოგრაფის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ცდილობდა გაემართლებინა ცარიზმის კოლონ. პოლიტიკა. 1869 წ. 4 თვით მივლინებული იყო თბილისში. ავტორია ექვსტომიანი ნაშრომისა ,,კავკასიაში რუსების ომისა და მფლობელობის ისტორია'', რ-იც კავკასიაში რუსეთის გაბატონებას ეხება და შეიცავს მნიშვნელოვან მასალას კავკასიის, კერძოდ საქართველოს საშინაო ვითარების შესახებ. სპეც. ნარკვევები მიუძღვნა საქართვ. და ამიერკავკ. საკითხებს XVIII–XIX სს. მიჯნაზე. დ-ს ეკუთვნის გამოკვლევები რუს. 1812 სამამულო ომის შესახებ, სადაც გაშუქებულია პ. ბაგრატიონის მოღვაწეობაც.

თხზ.: Закавказье от 1803 г. по 1806 год, СПб., 1866; История войны и владычества русских на Кавказе, т. 1–6, СПб., 1871–88; Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ея к России, СПб., 1897.

დუბროვსკი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (16. V. 1874, ახალციხე, – 16. XII. 1943, თბილისი), ისტორიკოსი. 1901 დაამთავრა ვარშავის უნ-ტის ისტ.-ფილოს. ფაკ-ტის ისტ. განყ-ბა. 1902–12 მუშაობდა ვარშავაში. 1914–19 თბილ. ქალთა კომერც. სასწავლებლის დირექტორი იყო, 1919–22 – აზერბ. სახელმწ. უნ-ტის (ბაქო) ზოგადი ისტ. კათედრის პროფესორი, 1919–20 – ისტ. ფაკ-ტის დეკანი (იქვე), 1920–22 – აზერბ. პოლიტექ. ინ-ტის რექტორი. 1923–32 მოსკ. გ. პლეხანოვის სახ. სახალხო მეურნ. ინ-ტში ასწავლიდა დას. ევროპის სახალხო მეურნ. ისტორიას. 1932-იდან გარდაცვალებამდე იყო თსუ-ის, 1933-იდან კი, იმავდროულად ქუთ. პედ. ინ-ტის პროფესორი. იკვლევდა XIX ს. დას. ევროპის ისტორიას. წერილები აქვს პოლონეთის ისტორიაზეც.

თხზ.: Очерки по истории 30 и 40 годов XIX столетия в Западной Европе. Франция, июль 1830 г., Ростов-на-Дону, 1905.

ვ. ბერიძე.

დუგლაძე ვახტანგ ვალერიანის ძე (დ. 23. VII. 1916, სოფ. კლდეეთი, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი), ფერმწერი. საქართვ. სახ. მხატვარი (1985). 1943 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია. იყო ა. ციმაკურიძის, უ. ჯაფარიძის, ს. ქობულაძისა და ა. ქუთათელაძის მოწაფე. სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობს ამავე წლიდან. 1946–48 მუშაობდა მოსკოვში ა. ქუთათელაძის სახელოსნოში. 1954–59 იყო საკავშ. სას.-სამ. გამოფენის, 1959–64 – თავდაპირველად სახ. მეურნეობის მიღწევათა საკავშ. გამოფენის საქართვ. პავილიონის, შემდეგ – რესპუბლიკების პავილიონების მთ. მხატვარი, 1964–79 – საკავშ. საზ-ბა ,,ზნანიეს'' საცდელი ექსპერ. ფ-კის მთ. მხატვარი და დირექტორის მოადგილე. ამ პერიოდში მისი ნახატების მთ. თემატიკა იყო ,,მეცნიერული ცნობირი'' და ,,კოსმოსის ათვისება საბჭოთა კავშირში''. დ. აპროექტებდა ამ გამოფენებს, აწყობდა ექსპოზიციებს (ნახატები-ექსპონირებული იყო ავსტრიაში, დანიაში, ინდოეთში, იტალიაში, აშშ-ში, გფრ-ში, შვეიცარიაში, იაპონიასა და სხვ.). დ. ძირითადად მოღვაწეობს პეიზაჟისა და პორტრეტის ჟანრში. ნამუშევრები: ,,ახალგაზრდა



ვ. დ უ გ ლ ა ძ ე. ,,ფლორენცია. ძველი ხიდი‘‘. 1979. სერიიდან ,,იტალია‘‘.

პარტიზანის დაკითხვა‘‘ (1943), ,,გენერალი ლესელიძე ფრონტზე‘‘ (1945); სერიები: ,,შვეიცია‘‘ (1972), ,,ამერიკის შეერთებული შტატები‘‘ (1976–77), ,,იტალია‘‘ (1979) და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია დ-ის ნამუშევართა ვრცელი სერია ,,საქართველო‘‘ (1977–86).

დუგლაძე ჟუჟუნა იოსების ასული (დ. 4. X. 1928, ყვარელი), მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1967). 1946–48 სწავლობდა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტზე. 1950 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. ამავე წლიდან 1970-მდე იყო თბილ. რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის მსახიობი. დ-ის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ქსენია (ბ. ლავრენიოვის ,,რღვევა‘‘), გაიანე (პ. კაკაბაძის ,,ბედნიერი სამჭედლო‘‘), თამრო (ი. ჭავჭავაძის ,,გლახის ნაამბობი‘‘, ინსცენირება გ. ნახუცრიშვილისა), ლიუდა (მაქსიმ გორკის ,,ვასა ჟელეზნოვა‘‘), ლუსი (ბ. ბრეხტის ,,სამგროშიანი ოპერა‘‘), კლარა (ბ. ნუშიცის ,,ფილოსოფიის დოქტორი‘‘), ამარანტა (ჯ. ფლეჩერის ,,ესპანელი მღვდელი‘‘), ქეთო (ნ. როზოვის ,,ხალისიანი მეგობრები‘‘, ქართულად გადმოკეთებულია ს. კლდიაშვილის მიერ), კეკე (გ. სუნდუკიანის ,,პეპო‘‘), ბაბულო (ნ. კანდელაკის ,,სარეველა‘‘) და სხვ. 1955-იდან იღებენ კინოში. როლები: თამარი (,,აბეზარა‘‘), ჩიტო (,,ორი ოჯახი‘‘), მასწავლებელი ქალი (,,ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება‘‘) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

დუდაევი ჯოჰარ (15. II. 1944, იალხორი, – 22. IV. 1996, სოფ. გეხი-ჩუ, ურუს-მარტანის რ-ნი), ჩაჩნეთის (იჩქერიის) რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, საბჭოთა არმიის ავიაციის გენერალ-მაიორი (1989). 1944 მისი ოჯახი გადაასახლეს ყაზახეთში. 1957 დაბრუნდა სამშობლოში. 1966 დაამთავრა ტამბოვის შორეული ავიაციის მფრინავთა უმაღლესი სამხ. სასწავლებელი (სპეციალობა – მფრინავი-ინჟინერი), 1974 – ი. გაგარინის სახ. სამხ.-საჰაერო აკადემია. მსახურობდა პოლტავისა და ტარტუს გარნიზონებში. 1990 დაბრუნდა გროზნოში. დაინიშნა ჩაჩანი ხალხის კონგრესის ორგანიზაციის აღმასკომის თავ-რედ. 1991 წ. 27 ოქტ. ხმების დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ადგილობრივ საპრეზიდენტო არჩევნებში. ჩაჩნეთის ომის დროს ხელმძღვანელობდა შეიარაღებულ ჯგუფებს რუს. ფედერალური არმიის წინააღმდეგ. რუს. სპეცსამსახურებმა მასზე არაერთხელ მოაწყვეს თავდასხმა. დაიღუპა ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის დროს. დ-ს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს ყოფ. პრეზიდენტთან – ზ. გამსახურდიასთან. მხარს უჭერდა საერთო კავკასიური სახლის შექმნის იდეას. თბილისში მომხდარი 1991–92 მოვლენების შემდეგ დ-მა თავის ქვეყანაში შეიფარა ზ. გამსახურდია და მისი მომხრეები.

დუდაითი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ზახორის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. ლეხურის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 830 *მ*, ახალგორიდან 60 *კმ*, კასპიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 20 *კმ*. 59 მცხ. (1989).

დუდაურები, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭონქაძის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1180 *მ*, დუშეთიდან 4 *კმ*. 19 მცხ. (2002).

სოფელში გზის პირას, დამრეც ფერდობზე მდებარეობს შუა საუკ. ღვთისმშობლის ეკლესია, რ-იც ამჟამად დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ ნატეხი ქვით ნაგები დას. და ჩრდ. კედლები. ძიბაანების უბნის თავზე, მდგარა აგრეთვე კვირაცხოვლის ეკლესია, რ-იც XX ს. 30-იან წლებში დაუნგრევიათ. დღეისათვის ამ ადგილზე ეკლესიის არსებობას მხოლოდ აქა-იქ მიმობნეული დამუშავებული შირიმის ქვები მიგვანიშნებს.

ი. წიკლაური.

დუდაური ოთარ ზაქარიას ძე (დ. 23. IX. 1932, დუშეთი), გეოლოგი. გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (2003). 1955 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი. იმავე წლიდან მუშაობს ა. ჯანელიძის სახ. გეოლ. ინ-ტში. 1978–2005 ხელმძღვანელობდა ახლანდ. იზოტოპური გეოქრონოლოგიის განყ-ბას. 1995–2000 იყო გეოლ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში, 2005-იდან ამავე ინ-ტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელია.



ჟ. დ უ გ ლ ა ძ ე. არქიტექტორის საცოლე, კადრი ფილმიდან ,,აბეზარა‘‘.

დ-ის სამეცნ. მოღვაწეობის ძირითადი სფეროა საქართვ. ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელებული მეზოზოური და კაინოზოური ინტრუზიული მაგმური წარმონაქმნების პეტროლოგიური თავისებურებების შესწავლა და მათი დათარიღება იზოტოპური გეოქრონოლოგიის მეთოდებით.

დ. წლების განმავლობაში იყო საკავშირო მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებული იზოტოპური გეოქრონოლოგიის კომისიის წევრი, მონაწილეობდა საერთაშ. გეოქრონოლოგიურ ექსპედიციებში მონღოლეთსა (1986) და რუმინეთში (1989), ხელმძღვანელობდა 1988 აფხაზეთში მოწყობილ საერთაშ. გეოქრონოლოგიურ ექსპედიციას.

დ. არის საქართვ. ტექ. უნ-ტის მიწვეული პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. შრომა (მ. შ. 1 მონოგრაფია), რ-თა ნაწილი დაბეჭდილია საზღვარგარეთ.



დუდუკი.

დუდუკი, აღმოსავლური წარმოშობის ხის ჩასაბერი მუსიკალური საკრავი. შედგება ლულის, მილა-

კის, ხუფისა და რეგულატორისაგან. ამზადებენ უმთავრესად ჭერმის, აგრეთვე თუთისა და ბზის ხისაგან. ლულაზე ზემოდან ამოჭრილია 8, ხოლო ქვემოდან 1 ნახვრეტი (თვალი). ლულაში ჩადგმულია ლულის ან ლელქაშის ბრტყელი ორმაგი მილაკი. დ-ის ბგერათა რიგი დიატონურია. ნახვრეტების ნაწილობრივ დახშვისას მიიღება ქრომატული ბგერათრიგიც. დ. არის როგორც საანსამბლო, ისე სოლო საკრავი (იხ. *დასტა*). აქვს ნაზი, რბილი ხმოვანება. XIX ს-იდან ძალზე გავრცელებული იყო ძვ. თბილისში. დროთა განმავლობაში მას რამდენადმე შეუცვლია პირვანდელი სახე და ორიგ. თბილისური იერი მიუღია (რამაც ვერსიაც კი გააჩინა მისი ქართ. წარმომავლობის შესახებ). დ-ს უკრავდნენ გლოვის (მასრაფი, ხატუხრა) და ლხინის (დილის საარი) დროს. მედუდუკეებს იწვევდნენ ,,ბატონებით'' დაავადებული ბავშვების სამკურნალოდაც (იავნანას ჰანგის შესასრულებლად). სახელგანთქმული მედუდუკეები იყვნენ: არტემ კუპრიაშვილი (კუპრია, 1830–1916), პავლე მაისურაძე (1848–1917), დათა ზუბიაშვილი (1874–1933), ხაჩიკ ტალგაუკოვი (1907–1962), ქსოვრელები და სხვ.

გ. ჩხიკვაძე.



მ. დუდუჩავა.

დუდუნა, სოფელი ისტორიულ არტაანში. მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ქ. არტაანის ჩრდ.-აღმ-ით, დაახლ. 18 *კმ*-ზე. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' (1595) მიხედვით, ამ სოფელში სახლობდა 69 კომლი, ძირითადად ქართველები: ელიაზარ იმარინდოსძე, გიორგი ცისკარასძე, იოსებ გიორგისძე, შავთვალასძე, ფერა მახარებლისძე, გოგიჩა მჭედლიშვილი, მახარებელ ზაქარასძე, გოგინა იოსებისძე, დავით სალმანისძე, ელია წამალასძე, მახარა სულასძე, ხახუტა სორაზანისძე, მანველ გოგიჩასძე, იასონ იორდანისძე, მაცაცა გრიგოლისძე და სხვ. 5–6 არაქართული სახელიც გვხვდება: შაჰყული, გრიქორ მინასისძე, ტერაკოფ, ხაჩიკ ქორჩიკასძე და სხვ. ყველა ქრისტიანი იყო, რისთვისაც იხდიდნენ სპეც. გადასახადს 1725 ახჩის ოდენობით. სოფელში მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი; ჰქონდათ ბოსტანი; ჰყავდათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი; ჰქონიათ 3 თვალი წისქვილი. ყველაფერ ამისათვის სოფელი იხდიდა სულ 22600 ახჩას.

დ-ში ყოფილან თიმარის მფლობელი მაჰმადიანებიც – რამაზანი, დაუდი და ბუნიანდი, რ-თა მიწაზე 5 კომლი ქართვ. ქრისტიანი ცხოვრობდა. მათი გამოსაღები 1000 ახჩას შეადგენდა. სოფელთან ყოფილა სათესი ,,მრგვალი ტყე''. ,,ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთრის'' მიხედვით, 1718–19 წლებში სოფ. დ. შედიოდა დიდი არტაანის ლივის ტყე-ნაჰიეში, ექვემდებარებოდა იაჰია აჰმედის ძეს და იხდიდა გამოსაღებს – 7500 ახჩას. 1878 იქ მხოლოდ 8 კომლი ცხოვრობდა, 1882 კი – 4. სოფელი ამჟამად თურქეთის შემადგენლობაშია.

წყარო: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოც., წგ. 2, თბ., 1941, წგ. 3, თბ., 1958; ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, ც. აბულაძის და მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979.

დ. ბერძენიშვილი.

დუდუჩავა ალექსანდრე ივანეს ძე (1901, სოფ. საჭამიასერი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 1937), კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, ლიტერატურათმცოდნე. იყო ჟურნ. ,,საბჭოთა ხელოვნების'' რედაქტორი, 1927–30 – თბილ. სამხატვრო აკად. რექტორი, 1928–30 – ,,სახკინმრეწვის'' სამხატვრო-პოლიტ. საბჭოს თავ-რე, 1933 – საქართვ. მხატვართა კავშირის თავ-რე, შემდეგ – თბილ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის დირექტორი, თბილ. კონსერვ. რექტორი, ხოლო 1935–36 – შოთა რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინ-ტის დირექტორი. მის ნაშრომებში განხილულია ქართ. მწერლობის, ხელოვნ., ხუროთმოძღვრებისა და სხვ. საკითხები, ფორმალისტური სკოლების მხატვრულ-ესთეტ. პრინციპები. ნაშრომებიდან აღსანიშნავია ,,ქართული საბჭოთა დრამატურგია'', ,,თანამედროვე ქართული მხატვრობა'', ,,ესთეტიკური იდეალი ხელოვნებაში'', ,,ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერის შესახებ'', ,,ფორმალიზმი ხელოვნებაში'', ,,ცოტა რამ საოპერო ხელოვნების შესახებ'' და სხვ. საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი.

თხზ.: თეატრი და დრამატურგია, თბ., 1933; რჩეული წერილები, თბ., 1966.

დ. თევზაძე.

დუდუჩავა მამია იოსების ძე (14. VIII. 1911, სოფ. ქვემო ხეთი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 8. V. 1980, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნე. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1965). ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1963), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1969). დაამთავრა თბილ. ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1931). 1944–47 იყო თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის დირექტორი, 1948–52 – თბილ. სამხატვრო აკად. რექტორი, 1952-იდან – შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო 1954-იდან – ლიტ. თეორიის განყ-ბის ხელმძღვანელი. წერდა კრიტ. წერილებს, მონოგრაფიებსა და ნარკვევებს ახ. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის, ესთეტიკის, ქართული ესთეტ. აზროვნების ისტორიის საკითხებზე. ნაშრომები: ,,ქართული საბჭოთა ფერწერა'' (1939), ,,გიგო გაბაშვილი'' (1946), ,,წერილები ხელოვნებაზე'' (1948), ,,ახალი ქართული ხელოვნება'' (1950), ,,ხელოვნების პრობლემები'' (1959), ,,ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა'' (1960), ,,ხელოვნების მარადიულობის პრობლემა'' (1962), ,,შოთა რუსთაველის ესთეტიკური ნააზრევი'' (1966) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ხელოვნების თავისებურების პრობლემები, წგ. 1, თბ., 1970; სახვითი ხელოვნება. ლიტერატურა. ესთეტიკა, წგ. 1–2, თბ., 1973–74; К вопросу о сущности художественного стиля, Тб., 1969; Вопросы эстетики, Тб., 1977.

დუდუჩავა როლანდ ვალერიანის ძე (დ. 12. II. 1945, თბილისი), მათემატიკოსი. მათ. მეცნ. დოქტორი (1983), პროფესორი (1989). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი (1968), 1970-იდან მუშაობდა ა. რაზმაძის სახ. მათ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე, 1973–2004 – თსუ-ის გამოყენებითი მათ. და მექანიკა-მათ. ფაკ-ტებზე, 2002-იდან – ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინ-ტში მათ. ფიზიკის განყ-ბის გამგეა. 1993–2004 იყო მიწვეული პროფესორი გერმანიის სხვადასხვა უნ-ტში, 2004–07 დიფერენციალური გეომეტრიის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელია ზაარლანდის (ზაარბრიუკენი, გერმანია) უნ-ტში. 2007–09 მუშაობდა ევრო-კავკასიურ ქართ.-გერმ. უნ-ტში. თანამშრომლობს რენეს (საფრანგეთი), ავეიროს (პორტუგალია), ამსტერდამის (ჰოლანდია), სანქტ-პეტერბურგის (რუსეთი) და სხვ. უნ-ტებთან. 2000–02 სამეცნ. კონტრაქტით მუშაობდა აეროკოსმოსურ ფირმასთან ,,დორნიე'' (დაიმლერ-კრაისლერი). მინიჭებული აქვს საპატიო პროფესორი-მერკატორის წოდება და გერმანიის სამეცნ. საზ-ბის ჰუმბოლდტის

პრიზი (2002). არის რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი. 1997–2001 და 2009-იდან აირჩიეს საქართვ. მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტად. დ-ს სამეცნ. ინტერესების სფეროებია: სასაზღვრო ამოცანები კერძოწარმოებულიანი დიფერენც. განტოლებებისათვის, ინტეგრალური განტოლებები, დრეკადობის თეორიის და ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელების ამოცანები, ბოლცმანის არაწრფივი განტოლებები.

თხზ.: Integral equations with fixed singularities, Lpz., 1979; On multidimensional singular integral operators, «Journal of Operator Theory», 11, 1984: I. The half-space case, pp. 41–76; II. The case of manifolds, pp. 199–214; Asymptotics without logarithmic terms for crack problems, «Communications in Partial Differential Equations», 28, 2003, (თანაავტ.: M. Costabel, M. Dauge).

დუზაგრამა, სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), ივრის ზეგანზე, მდ. ივრის მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: დ., პალდო, წიწმატიანი). ზ. დ. 470 *მ*, საგარეჯოდან 38 *კმ*, ბადიაურიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 10 *კმ*. 1,3 ათ. მცხ. (2002).

დუისი, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), პანკისის ხეობაში, მდ. ალაზნის მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: დ., წინუბანი). ზ. დ. 640 *მ*, ახმეტიდან 16 *კმ*. 4,1 ათ. მცხ. (2002). დ-ის ტერიტორიაზეა *ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის* სათავე ნაგებობა.

სოფლის ტერიტ. ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა პანკისის ხეობაში. მოსახლეობისაგან დაიცალა XVIII ს. II ნახევარში, ლეკიანობის დროს. კვლავ მოშენდა დაახლ. XIX ს. შუა წლებში. გადმოცემით, აქ ჩასახლებულა ქისტეთიდან გადმოსული ვინმე დუი (აქედან მოდის სოფლის სახელწოდებაც). დასახლებულია ქისტებით. მისდევენ სოფ. მეურნეობას. რუს. გენ. შტაბის ხუთვერსიანი რუკისა და XIX ს. კამერალური აღწერის მიხედვით, დ-ის მეორე სახელწოდება იყო პანკისი.

სოფლის აღმ-ით დგას გვიანდ. შუა სს. ორი დარბაზული ეკლესია.

დ. მუსხელიშვილი.

დუკა (Dukas) (დაახლ. 1400–1470), ბიზანტიელი ისტორიკოსი. მისი თხზულება ,,ისტორია'' მოიცავს პერიოდს ქვეყნის დასაბამიდან 1462-მდე. მასში დაცულია მნიშვნელოვანი ცნობები XIV–XV სს. საქართველოს შესახებ: თურქმანების და შემდეგ თურქ-ოსმალთა შემოსევები, ურთიერთობა უზუნჰასანთან, მისი შეჭრა დას. საქართველოში.

თხზ.: [წიგნში] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 8, თბ., 1970. *ნ. ლომოური.*

დუკატი (ლათ. ducatus), XII–XIX სს. ევროპული მონეტა. ტერმ. ,,დ.'' ამ სახელწოდების მონეტის მოჭრამდეც იხმარებოდა. არსებულ მონეტებზე ბიზანტ. იმპერატორები თავიანთ გვარ-სახელებს აწერდნენ. ასე გაჩნდა ,,დრაჰკანი-დ.'' (მიქაელ VII დუკას ოქროს მონეტა). დ. მოხსენიებულია ქართ. წყაროებშიც. ვერცხლის დ. პირველად მოჭრა სიცილიის მეფე – როჯერ II-მ (1140). ვენეციაში 1283–84 დოჟმა ჯოვანი დანდოლომ დაიწყო ოქროს დ-ის მოჭრა. ვენეციური მონეტის მასაა 3,559 *გ*. დ-ის შუბლზე გამოსახულია ვენეციის რესპ. მფარველი წმ. მარკოზი, რ-იც მუხლმოყრილ დოჟს გადასცემს ალამს. გარშემო ლათ. ზედწერილია: მარცხნივ – ,,წმინდა მარკოზი ვენეციისა'', მარჯვნივ – დოჟის სახელი და გვარი, ალმის ტარის გასწვრივ – ,,ჰერცოგი'', ზურგზე გამოსახულია ვარსკვლავებით გარშემოვლებული ქრისტე და წრიული ზედწერილი: ,,ქრისტეს საჰერცოგო, რომელსაც განაგებ, დეე გებოძოს შენ'' (XV–XVIII სს.).

საქართველოში მიმოქცევაში იყო ვენეციური, ჰოლანდიური და უნგრული დ-ები, რ-თაც უწოდებდნენ ფლურს, ჰოლანდიურ დ-ებს – ასლანსაც. დ. აღმოჩენილია მდ. ლეხურის ხეობაში, ქუთაისში, ანანურში (დუშეთის მუნიციპალიტეტი), ახალსოფელსა (სოხუმის მუნიციპალიტეტი) და სოფ. ირაგაში (თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი). ინახება სხვადასხვა მუზეუმში.

ლიტ.: ქებულაძე რ., ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV–XVIII სს., თბ., 1971; Розанов С., Золотые „Лобанчики", «Труды отдела нумизматики Гос. Эрмитажа», т. 1, Л., 1945. *რ. ქებულაძე.*

დულუზაურები, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის არტნის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), თიანეთის ქვაბულში, მდ. ივრის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1180 *მ*, თიანეთიდან 7 *კმ*. 101 მცხ. (2002).

სოფლის განაპირას, მაღალ კლდოვან ქედზე, მდებარეობს გალავნით გარშემორტყმული განვითარებული შუა საუკ. ხუროთმოძღვრული კომპლექსი. ნაგებობათაგან აღსანიშნავია კვირიას დარბაზული ეკლესია. ეკლესიისათვის სამხრ-იდან და დას-იდან მოგვიანებით კარიბჭეები მიუშენებიათ. ეკლესიის გარშემო აკლდამებია. იქვეა კლდის ქვითა და დუღაბით ნაგები კოშკი. ქედის ცენტრ. ნაწილში საცხოვრ. ნაგებობის ნანგრევებია. შემორჩენილია წყალსადენის ტრასა.

ეკლესიასთან, ხეზე ჩამოკიდებულ პარკუჭში, ნაპოვნია ავგუსტუსის დინარი, რაც მიუთითებს აქ მისი თანადროული სამარხის არსებობაზე.

ლიტ.: ლომთათიძე გ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთისა და ივრის ხეობებში, თბ., 1989; რამიშვილი რ., ჯორბენაძე ბ., ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1978, №1; ჯორბენაძე ბ., ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, წგ. 4 – ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში, თბ., 1982.

რ. რამიშვილი. ბ. ჯორბენაძე.





დუკატი. ოქრო. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

დულჩერტი, დულჩერი (Dulcerti) ანჟელინო, XIV ს. გენუელი კარტოგრაფი, მუშაობდა კატალონიელებთან. მისი *პორტოლანი* 1339 თარიღდება და უხვ მასალას შეიცავს მსოფლიოს ქვეყნების დროშების შესახებ. დ-ს პორტოლანზე გამოსახული ფაქტობრივად ყველა დროშა აღნიშნავს რომელიმე ქვეყანას, მხარეს ან ქალაქს. დროშების მეშვეობით ზუსტად არის შემოსაზღვრული ცალკეული ქვეყნების ტერიტორიები და კონკრეტული ქვეყნების თუ ქალაქების მიერ დაპყრობილი ან თავისი გავლენის ქვეშ მოქცეული მიწები. საქართვ. სახელმწიფოსთან დატანილია ორი ხუთჯვრიანი დროშა. სებასტოპოლისთან ანუ სოხუმთან აღმართულია ერთი ხუთჯვრიანი დროშა, რ-ის მეორე ნახევარზე ემატება თეთრ- და მოლურჯოზოლებიანი ალამი. გიორგი ბრწყინვალეს ამ დროისათვის დას. საქართველო უკვე შემოერთებული ჰქონდა. მაგრამ არ არის გამორიცხული, დროშის ეს მეორე ნაწილი ერთიანი საქართველოს შიგნით დას. საქართვ. გარკვეულ ავტონომიურობაზე მიუთითებდეს. მეორე ხუთჯვრიანი დროშა აღმართულია ქ. თბილისის აღმნიშვნელი მოზრდილი ციხესიმაგრის გამოსახულებაზე. დროშების მეშვეობით მოხაზულია საქართვ. სახელმწ. საზღვრები. ამ ხუთჯვრიან დროშებს ჩრდ-იდან ემიჯნებიან ოქროს ურდოს სახელმწ. წითელი სამბოლიკის მქონე დროშები. სამხრ.-დას-იდან ხუთჯვრიან წითელ დროშებს საზღვრავს ტრაპიზონის ორთავიანი არწივი, ხოლო სამხრ-

იდან – ილხანთა სახელმწ. დროშები. ვერტიკალურად დატანილი ლიხის ან კავკასიონის მთის დასით, მარცხნივ, ქვემოთ, გაკეთებულია წარწერა: ,,Georgiania'' (საქართველო). ეს წარწერა გულისხმობს საქართველოს მთელ ტერიტორიას. მესამე წითელი ხუთჯვრიანი დროშა მცირე აზიაში, ქალაქ სევასტიის თავზეა და ერთგვარად სოლივით არის შეჭრილი ტრაპიზონის იმპერიის და ილხანთა სახელმწ. საზღვრებს შორის, შემდეგ კი ემიჯნება თურქეთს. ეს დროშები მონღოლთა და ქართველთა, ჩობან ნოინის და გიორგი ბრწყინვალის მიერ მცირე აზიაზე მოწყობილი ერთობლივი ლაშქრობის გამოძახილი უნდა იყოს.

ლიტ.: თ ვ ა რ ა ძ ე ა., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (XII–XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე), თბ., 2004; მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა შუა საუკუნეებში, «ლიტერატურული საქართველო», 1998, 13–20 მარტი; Portulane, Seekarten vom 13. bis zum 17. Jahrhundert, hrsg. von Monique de la Ronciere und Michel Mollat du Jourdin, Münch., 1984.

ა. თვარაძე.



დუმასკოკ.

დუმალა, მდინარე დას. საქართველოში, იმერეთის მაღლობზე, ძირულის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 38 *კმ*, აუზის ფართ. 124 *კმ²*. სათავეს იღებს ჭიათურის პლატოზე, სოფ. კორბოულის მიდამოებში. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და გრუნტის წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა ზაფხულსა და ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 2,70 *მ³/წმ*.

თ. კიკილაშვილი.

დუმანი (თურქ.-მონღოლური თუმენ – ათი ათასი), სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული XIII–XV სს. მონღოლეთსა და მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში. დ. მონღოლთა ფეოდ. ლაშქრის ძირითადი შენაერთი იყო, შედგებოდა 10 ათ. მეომრისაგან და ათასეულებად, ასეულებად და ათეულებად იყოფოდა. დ. აღნიშნავდა აგრეთვე ტერიტორიას, რ-ის მოსახლეობას 10 ათასი მოლაშქრის გამოყვანა შეეძლო.

ქართვ. ანონიმი ისტორიკოსის, ე. წ. *ჟამთააღმწერლის* ცნობით, XIII ს. 40-იან წლებში, უმეფობის ხანაში, მონღოლებმა საქართველო დ-ებად დაყვეს, რასაც საფუძვლად დაუდეს ადგილ. ტრადიციული პოლიტ. და ადმ. სისტემა. დ-ის სათავეში ქართვ. ერისთავები დააყენეს: ეგარსლან ბაკურციხელი (კახეთი და ჰერეთი), ვარამ გაგელი (ქვემო ქართლი), შანშე მხარგრძელი (ქვემო ქართლი), გრიგოლ სურამელი (შიდა ქართლი), გამრეკელ-თორელი (ჯავახეთი), ცოტნე დადიანი და რაჭის ერისთავი (დას. საქართველო). სამეცნ. ლიტ-რაში გამოთქმული ვარაუდის მიხედვით, დუმნისთავები უნდა ყოფილიყვნენ აგრეთვე შოთა კუპრი (ჰერეთი) და ყვარყვარე ჯაყელი (მესხეთი). ამგვარად, საქართველო ცხრა დ-ად იყო დანაწილებული, მას ,,დოღუზ თუმან გურჯისტან'' (,,საქართველოს ცხრა დუმანი'') ეწოდებოდა და 50-იან წლებში ჩატარებული აღწერის შედეგად 90 ათ. მოლაშქრის გამოყვანა ეკისრებოდა. საქართველოს დ-ებად დაყოფა 1247-იდან გაუქმდა.

წყარო: ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ასწლოვანი მატიანე, რ. კიკნაძის გამოც., თბ., 1987.

ლიტ.: კ ი კ ნ ა ძ ე რ., საქართველოში მონღოლთა მფლობელობის ისტორიიდან, «ახლოაღმოსავლური კრებული», თბ., 1983; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3).

რ. კიკნაძე.

დუმასოკო (Suillus luteus), ქუდიანი სოკო. ქუდის დიამეტრი 10 *სმ*-ს აღწევს, ზრდის პროცესში ამობურცულია, შემდეგ კი თითქმის ბრტყელდება, შუაში რჩება პატარა ბორცვაკი. ქუდის ზედაპირი ლორწოიანია, თავდაპირველად მუქი ყავისფერი, ზოგჯერ იისფერი გადაჰკრავს, შემდეგ უფერულდება. ქუდის ქვედა მხარე მოყვითალო ან მომწვანო-ყვითელი მილებიანი შრეა. ფეხის სიგრძე 10 *სმ*-მდეა, ცილინდრული, ღია ყვითელი, აპკისებურსაფეხოიანი. რბილობს ხილის სასიამოვნო სუნი აქვს. საქართველოში ყველგანაა გავრცელებული. იზრდება ნიადაგზე, მხოლოდ ფიჭვნარში, უფრო ხშირად ტყის ზედა ზონაში ზაფხულის დასაწყისიდან შემოდგომამდე. დ-ს ძალიან ჰგავს ხორკლებიანი დ. (Suillus granulatus), რ-იც თავდაპირველად მოწითალოა, შემდეგ კი – ყვითელი, ფეხზე საყელო არა აქვს. იზრდება ასევე ფიჭვნარში, განსაკუთრებით ახალგაზრდა ნარგავებში. ორივე სახეობა გამოიყენება საკვებად. *ი. ნახუცრიშვილი.*

დუმასტური, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტის ზემო ხალაწნის თემში (კახეთის მხარე), მდ. ალაზნის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 680 მ, ახმეტიდან 24 კმ. 231 მცხ. (2002).

სოფელი ისტ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. XX ს. დასაწყისში აქ ოსი მოახალშენენი ჩამოსახლდნენ. დ-ის მახლობლად შემორჩენილია ფეოდ. ხანის თავდაცვითი კომპლექსის (კოშკი, გალავანი და მთავარანგელოზის ეკლესია) ნანგრევები.

სოფლის დას-ით დგას დარბაზული ეკლესია, რ-იც თითქმის მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია საკურთხევლის ნაშთი და ჩრდ. კედლის მცირე ნაწილი. ეკლესიას სამხრ-იდან და ჩრდ-იდან გვიანდელი მინაშენები ეკვროდა. ნაწილობრივ შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. მინაშენი. სოფლის აღმ-ით 400 *მ*-ზე მდებარეობს მთავარანგელოზთა ეკლესიის კომპლექსი.

დ. მუსხელიშვილი.

დუმასუბანი, ისტორიული სოფელი კახეთში. მოიხსენიება კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის მიერ სვეტიცხოვლის მამულების მფლობელობის განახლების წიგნში (1579), ვარცასა და შენოანთუბნის გვერდით.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

ზ. ცინცაძე.

დუმაცხო, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის გუდამაყრის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მთიულეთის ქედის აღმ. კალთაზე, გუდამაყრის ხეობაში. ზ. დ. 1600 *მ*, დუშეთიდან 60 *კმ*. 21 მცხ. (2002).

ი. *გიულდენშტედტი* (1772) დ-ს იხსენიებს გუდამაყრის სოფლებთან. სოფლის თავში მდებარეობს ადრინდ. შუა საუკ. ნასოფლარი, გვიანდ. ხანაში აქ მშრალად ნაწყობი კლდის ქვით აუშენებიათ ზეგარდის წმ. გიორგის საქვაბე – თუნუქით გადახურული, სამ. სიდიდის, გეგმით ოთხკუთხა ნაგებობა. ძვ. ნასოფლარის შენობები ნაგებია მსხვილი ლოდებით, მშრალი წყობით, არის როგორც ტერასული, ისე ციხე-სახლები. შემორჩენილია დიდი მოცულობის დარბაზი და ზურგიანი კოშკის ნაშთი. ნასოფლარის აღმ-ით, ბურსაჭირისაკენ მიმავალ გზაზე, დაახლ. 400 *მ* დაცილებით, ზურგიანი კოშკის ნანგრევებია. ზურგიანი კოშკის ნაშთია აგრეთვე ნასოფლარის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 500 *მ*-ზე. დ-ს ჩრდ.-დას-ით, 1,5 *კმ* დაშორებით, მდებარეობს გვიანდ. შუა საუკ. ზეგარდის წმ. გიორგის ეკლესია. დარბაზული ტიპის, გეგმით ოთხკუთხა უაფსიდო ნაგებობას აღმ. კედელში ვიწრო სარკმელი აქვს დატანებული. ეკლესიის შესასვლელი სამხრ-იდანაა. შიგნით და გარედან შელესილია.

ჯ. გვასალია. ი. წიკლაური.

დუმაცხოვი, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ალის თემში (შიდა ქართლის მხარე), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ. ჭერათხევის (სურამულის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 780 *მ*, ხაშურიდან 20 *კმ*, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 10 *კმ*. 176 მცხ. (2002).

სოფელი იხსენიება ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ალისწყლის სოფელთა სიაში ,,დუმაცხოს'' სახელწოდებით.

სოფლის სასაფლაოზე დგას კვირიკეს სახ. IX–X სს. პატარა, ერთნავიანი ეკლესია (ზაფხულში იმართება კვირიკობა). სოფლიდან 2 *კმ*-ზე, მაღალი მთის ზეგანზე, არის ადგილი ,,სამყვირალო'' (დაახლ. 60 *ჰა*), საიდანაც ჩანს ალის, ფცისა და დვანის ფრონის ხეობები. წინათ აქ მუხის და ფიჭვის ტყე იყო, რ-იც 1924 გაჩეხეს და დღეს სახნავ-სათესებს უკავია. დარჩენილია ნასოფლარის ნაშთი, წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები. ეკლესია ნაგები იყო დიდი ლოდებით და დუღაბით. რამე საგანგებო ან საგანგაშო (მტრის შემოსევა, ლეკიანობა) მდგომარეობას აქედან ამცნობდნენ ხალხს საყვირით და თავს უყრიდნენ (როგორც ჩანს, ამიტომ ეწოდა ამ ადგილს ,,სამყვირალო'').

სოფლის განაპირას, სამხრ-ით, დედაღვთისას ეკლესიათა კომპლექსია, რ-შიც შედის XVI–XVII სს. 2 ეკლესია და სათავდაცვო ნაგებობა; ასევე სამხრ-ით, სასაფლაოზე დგას გვიანდ. შუა საუკ. ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესია, რ-იც დაზიანებულია. ჩრდ.-აღმ-ით, მდ. ჭერათხევის მარცხ. ნაპირზე, გვიანდ. შუა საუკ. წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესიაა, ხოლო სამხრ-ით, სოფლიდან 1,5 *კმ*-ზე – XIX ს. სომანეთის ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესიის (აგებულია უფრო ძვ. ეკლესიის ადგილზე) ნანგრევები.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990.

ჯ. გვასალია. შ. საღარაძე.

დუმბაძე აკაკი აბდულას ძე (დ. 16. VIII. 1940, სოფ. გეგელიძეები, ახლანდ. ქედის მუნიციპალიტეტი), მექანიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1997), საქართვ. საინჟინრო აკად. ნამდვ. წევრი (2005). 1966 დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი – მექანიკის სპეციალობით. 1966–71 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. მანქანათა მექანიკის ინ-ტში (პოლიმერების განყ-ბაში), 1972–94 – საქართვ. კ. ზავრიევის სახ. სამშ. მექანიკისა და სეისმომედეგობის ინ-ტის პოლიმერების ცოცვადობისა და ხანგრძლივი სიმტკიცის განყ-ბაში, 1994-იდან კი საქართვ. საავიაციო უნ-ტის სრული პროფესორია; იყო ამავე უნ-ტში თვითმფრინავმშენებლობის კათედრის გამგე (1995–2005). დ-ის სამეცნ. კვლევები ეხება დრეკადბლანტი (კომპოზიტური) სხეულების მექანიკას, კერძოდ, თხელკედლიანი გარსული კომპოზიტური კონსტრუქციების ცოცვადობაზე და ხანგრძლივ სიმტკიცეზე გაანგარიშებას ცვლადი გარემო პირობების ზემოქმედების გათვალისწინებით. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

თხზ.: კომპოზიტური მასალების ცოცვადობა და რელაქსაცია, თბ., 2007.

დუმბაძე ანტონ თეოფილეს ძე (7. I. 1933, სოფ. შემოქმედი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 25. XI. 1998, თბილისი), მხატვარ-გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1984). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1960). მისი პედაგოგები იყვნენ ვ. გრიგოლია, ს. ქობულაძე, ვ. ჯაფარიძე, ვ. ქუთათელაძე. 1960-იდან მხატვრად მუშაობდა შრიფტის ექსპერ. ლაბორატორიაში (1972-იდან – გამგე), სადაც ბ. გორდეზიანის ხელმძღვანელობით დაეუფლა ქართ. სასტამბო შრიფტის პროექტირების ხელოვნებას. 1960–88 შექმნა და წარმოებაში დანერგა 18 სატექსტე და 30 სატიტულო, საწერი მანქანებისა და საოფიშო შრიფტი. დ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მაღალი პროფ. და მხატვრული გემოვნება. მის მიერ შექმნილი საშრიფტო გარნიტურები თანამედროვე ქართ. საშრიფტო ხელოვნ. მნიშვნელოვანი შენაძენია, მ. შ. აღსანიშნავია: ,,უნივერსიტეტი'', ,,ლიტერატურული'', ,,ენციკლოპედიური'' (ამ შრიფტით დაიბეჭდა ,,ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის'' ტომები), ,,ნაკადული'', ,,გორდა'', ,,აკადემიური'', ,,ილია'', ,,ილია II'' და სხვ. (ყველა საშრიფტო გარნიტური პრემირებულია და დანერგილია წარმოებაში). დ. მუშაობდა დაზგურ გრაფიკაშიც. 1990-იდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

დუმბაძე ანტონ ნიკოლოზის ძე (1824–1907), ქართული საეკლესიო გალობის ერთ-ერთი უბადლო მცოდნე და მასწავლებელი. სამგალობლო ტრადიციების მქონე დუმბაძეების საგვარეულო ოჯახის წარმომადგენელი მოღვაწეობდა გურიაში, შემოქმედის მონასტერში. მასთანაა დაკავშირებული გალობის განსაკუთრებული კილოს შემოღება, შესწავლა, დაცვა და განვითარება. დ. ამ საგვარეულოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო XIX ს. დას. საქართველოში. თანამედროვეთა შეფასებით იგი არის ,,თვით პაპა გურულის გალობისა, აღმდგენელი და განმამტკიცებელი მისი მთელს გურია-სამეგრელოში''. ის ,,სრული მგალობელია'', რ-ის გარშემოც თავს იყრიან ცნობილი შემსრულებლები: მელქისედეკ ნაკაშიძე, რაჟდენ ხუნდაძე, ნესტორ კონტრიძე, დავით დუმბაძე და სხვ. დ-ის საგვარეულოს მიერ დამკვიდრებულ კილოს შემდგომში *დუმბაძის კილო* ეწოდა. ცნობილმა მუსიკოსმა, მომღერალმა და ფოლკლორისტმა ფილიმონ ქორიძემ დ-ისაგან გურიაში ჩაიწერა, ნოტებზე გადაიტანა და კრებულების სახით გამოსცა ასობით საგალობელი, რ-თა მცოდნე იმ დროს სხვა აღარავინ იყო. ესენია: პარტიტურა №1 ,,ქართული გალობა-ლიტურგია იოანე ოქროპირისა, მღვდლისა და მღვდელ-მთავრისათვის'' (ტფილისი, 1895); პარტიტურა №2 – საგალობელნი პირველშეწირულისა ვასილი დიდისა, მღვდლად კურთხევისა და ქორწინებისა და სხვ. დიდი ნაწილი დ-ის მიერ გადმოცემული საგალობლებისა დღემდე გამოუქვეყნებელია.

დ. შუღლიაშვილი.



ა. თ. დუმბაძე.



ა. ნ. დუმბაძე.

დუმბაძე გივი გრიგოლის ძე (16. II. 1925, ოზურგეთი, – 11. V. 1999, თბილისი), პათოფიზიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი (1979), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1985). საქართვ. მედ. მეცნ. აკად. წევრი და ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1994). 1952 დაამთავრა ლენინგრადის სამხ.-სამედ. აკადემია. იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. 1965–69 ხელმძღვანელობდა ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის პათოფიზიოლ. და ექსპერ. თერაპიის განყ-ბას, 1969–74 იყო ანალოგიური განყ-ბის გამგე თბილ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში.

1974–99 იყო თბილ. სახელმწ. სამედიცინო ინ-ტის ცენტრალური სამეცნ.-კვლევითი ლაბორატორიის (1994-იდან – თსსუ-ის ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი) დირექტორი. იმავდროულად (1986–91) – ამავე ინ-ტის პრორექტორი სამეცნ. დარგში; დ. სწავლობდა ექსტრემალური მდგომარეობის პათოფიზიოლ. და ექსპერ. თერაპიას, აგრეთვე კორუნდოკერამიკული მასალის გამოყენებას ტრავმატოლოგიასა და ორთოპედიაში და სხვ. აქვს ორი გამოგონება: ,,კარდიოპოლიგრაფი'' და ,,ცილიარული სხეულიდან ბიოპოტენციალების რეგისტრაციის მეთოდი''. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. 1990-იდან არჩეულია სრულიად საქართვ. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა ასოციაციის პრეზიდენტად.

მონოგრაფიისთვის (,,ექსპერიმენტული სეფსისის პათოგენეზის საკვანძო საკითხები'') დ. თანაავტორებთან ერთად დაჯილდოებულია თსსუ-ს მიერ დაწესებული ,,ილარიონ ქართველის'' მედლით (1999).

თხზ.: ფსიქოფიზიოლოგიური სისტემურ-ანალიზური გამოკვლევის მეთოდი მედიცინაში, თბ., 1986 (თანაავტ.: გ. ვასაძე, ი. მიხელი).

დუმბაძე გიორგი მიხეილის ძე (1866, თბილისი, – XX ს. 20-იანი წწ.), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (დაახლ. 1913). რუს. იმპერატორის საზაფხულო რეზიდენციის კომენდანტი ლივადიაში (ყირიმი). იმპერატორის ამალის გენ.-მაიორი, ნიკოლოზ II-სთან დაახლოებული პირი.

დუმბაძე ვასილ (ვასო) დავითის ძე (1880, სოფ. შემოქმედი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 1943, ნიუ-იორკი), ეკონომისტი, ბიზნესმენი. დაიბადა მღვდლის ოჯახში. 1906 დაამთავრა ლაიფციგის უნ-ტი, მიიღო ფილოს. დოქტორის დიპლომი. მუშაობდა კავკ. მეფისნაცვლის ი. ვორონცოვ-დაშკოვის მამულების მმართველად. მისი დავალებით დ-მ შეადგინა ვორონცოვის მამულებში მდებარე დნეპრის ჭორომების ელექტრიფიკაციისათვის გამოყენების გეგმა, რ-ის განსახორციელებლად დაუკავშირდა ამერ. ფინანსისტებს. დაამუშავა და მთავრობას წარუდგინა პეტროგრადის კანალიზაციის გეგმა, რ-საც უმაღლესმა სამეცნ.-ტექ. კომიტეტმა ,,იდეალურად დამუშავებული'' უწოდა და ავტორთან ხელშეკრულება დადო სამუშაოს დაწყების თაობაზე.

დ-ს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა იმპერიის გავლენიან პირებთან, განსაკუთრებით სამხ. წრეებთან, კერძოდ კი სამხ. მინისტრ ვ. სუხომლინოვთან. I მსოფლიო ომის (1914–18) დროს ხელში ჩაიგდო უმსხვილესი სამხ. დაკვეთები. იმავდროულად სამეფო კარის საიდუმლო დიპლ. მისიასაც ასრულებდა – ორჯერ კონფიდენციალურად იყო საზღვარგარეთ, რათა ნიადაგი მოესინჯა გერმანიასთან ზავის დასადებად.

აქტიურად მონაწილეობდა ქართულ საქმეებშიც, იყო I მსოფლიო ომის (1914–18) დროს დაჭრილ ქართვ. ჯარისკაცთა დახმარების საზ-ბის ერთ-ერთი ორგანიზატორი პეტროგრადში, მისი გამგეობის წევრი. თავისი წვლილი შეიტანა პეტროგრადის ქართ. ეკლესიის გახსნაში. მეგობრობდა ცნობილ პოლიტ. მოღვაწესთან – გ. მაჩაბელთან, რ-იც ომში რუს. დამარცხების შემდეგ გერმანიის დახმარებით საქართვ. დამოუკიდებლობის მოპოვებას იმედოვნებდა, ასრულებდა მის საიდუმლო დავალებებს.

1915 ზაფხულში დ. და ვ. სუხომლინოვი დააპატიმრეს, ბრალად დასდეს ჯაშუშობა. სასამართლომ ორივეს ჩამოხრჩობა მიუსაჯა, რაც მეფემ 20-წლიანი კატორღით შეუცვლა. 1917 თებ. რევოლუციის შემდეგ დ-ის საქმე გადასინჯეს და თავდებით გაათავისუფლეს. 1919 ზაფხულში მორიგი აფერისათვის კიევში დააპატიმრეს წითელმა კომისრებმა, მაგრამ ქართველებმა სიკვდილს გადაარჩინეს. შემდეგ ამერიკაში წავიდა და წარმატებით ჩაერთო ბიზნესში. 1934, ამერიკის ქართ. სათვისტომოს თავ-რის გ. მაჩაბლის გადადგომის შემდეგ, დ. თავ-რედ აირჩიეს. დ. მ. ჯავახიშვილის პერსონაჟის კვაჭი კვაჭანტირაძის ერთ-ერთი პროტოტიპია.

თხზ.: Генерал-адъютант Владимир Александрович Сухомлинов, Петроград, 1914.

ლიტ.: ჩხატარაიშვილი ქ., ლეგენდად დარჩენილი, «მნათობი», 1991, №8. *ა. ასლანიშვილი.*

დუმბაძე თამაზ სევერიანის ძე (დ. 1. I. 1936, თბილისი), გენერალ-ლეიტენანტი (1999). დაუსწრებლად დაამთავრა მოსკ. ვაჭრობის ინ-ტი (1979). შრომითი საქმიანობა დაიწყო თბილისის №1 სამკერვალო ფ-კაში, შემდეგ იყო მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მონაწილეობდა ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში (1989–90), ეროვნ. გვარდიის შექმნასა და მისი შემდგომი ფორმირების საქმეში.

დ. იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოადგილე (1992), საქართვ. რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე (1992–98), საქართვ. თავდაცვის მინისტრის განსაკუთრებულ დავალებათა ჯგუფის უფროსი (1998–2004). არის ვახტანგ გორგასლის ორდენის სრული კავალერი (1998). *ლ. დოლიძე.*

დუმბაძე ივანე ანტონის ძე (19. I. 1851, სოფ. შემოქმედი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 1. X. 1916), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1907), ა. ნ. *დუმბაძის* შვილი. დაამთავრა ქუთ. კლასიკური გიმნაზია და თბილ. იუნკერთა სასწავლებელი. 1869-იდან სამხ. სამსახურში იყო. მონაწილეობდა 1877–78 რუს.-ოსმ. ომში, სადაც დაიჭრა. შემდეგ მსახურობდა ფოთის სარეზერვო პოლკში. 1903–07 მეთაურობდა მე-16 მსროლელთა პოლკს და 34-ე ქვეითთა დივიზიის მე-2 ბრიგადას. მონაწილეობდა 1904–05 რუს.-იაპონიის ომში, სადაც კონტუზია მიიღო.

სიჭაბუკეში ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართვ. ნაციონალისტებთან, მაგრამ 1900-იანი წწ. დამდეგს ჩამოშორდა მათ, მიემხრო შავრაზმულ ,,რუსი ხალხის კავშირს'', გახდა რუს. იმპერიის უერთგულესი მსახური და უმოკლეს დროში დაწინაურდა. რუსი დემოკრატები მას ნიკოლოზ II-ის ყველაზე სისხლიან ოპრიჩნიკად მიიჩნევდნენ. 1907-იდან დ-მ ქ. იალტის უფროსის პოსტი დაიკავა. 1914-ში კი ერთგული სამსახურისათვის იმპერატორმა მისთვის საკანონმდებლო გზით დააწესა ქ. იალტის ქალაქისთავის (,,გრადონაჩალნიკის'') სპეც. პოსტი, რ-იც დ-ს 1916-მდე ეკავა. ,,დუმბაზიაში'' (ასე უწოდებდნენ ყირიმს ლიბერალები) იმპერიის ფრთამოკვეცილი კანონებიც კი არ მოქმედებდა. იქ ყველაფერი ისე კეთდებოდა, როგორც მეფის ამ უერთგულეს მსახურს სურდა. 1907, როცა ესერებმა დ-ზე თავდასხმა მოაწყვეს, გენერალმა ბადრაგს უბრძანა, ალყა შემოერტყათ იმ სახლისათვის, საიდანაც ბომბი ისროლეს, და ყველა დაეწვათ.

დ-ის მოღვაწეობამ ისეთი სკანდალური ხასიათი მიიღო, რომ თვით ოქტიაბრისტებიც კი იძულებული გახდნენ დაინტერესებულიყვნენ მისი საქმიანობით და დაესვათ მისთვის შეკითხვა სათათბიროში. გენერალმა დაადასტურა წაყენებული ფაქტების სისწორე და დაუმატა: საჭიროდ არ ვთვლი ველოლიავო ლიბერალებსა და მე-

მარცხენეებსო. 1912 დ-ს იმპერატორის ამალის გენ.-ადიუტანტობა ებოძა.

რომანოვების ტახტის გადასარჩენად **დ.** საჭიროდ მიიჩნევდა გ. რასპუტინის თავიდან მოშორებას და ამის თაობაზე ნიკოლოზ II-ს მოახსენა. მას სთხოვეს არ ჩარეულიყო იმპერატორის ოჯახის საქმეებში. ამის გამო **დ**-მ გადაწყვიტა დამოუკიდებლად ემოქმედა და პოლიციის დეპარტამენტის უფროსს ს. ბელეცკის შესთავაზა, მოეკლა რასპუტინი იალტიდან კატარღით გადასვლის დროს. წინადადებას შედეგი არ მოჰყოლია. 1916 **დ.** ავადმყოფობის გამო სამსახურიდან დაითხოვეს.

დ. დაჯილდოებული იყო წმ. სტანისლავის, წმ. ანას და წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

ჰყავდა ძმები – გენერლები იოსებ, მიხეილ, ნიკოლოზ და სამსონ დუმბაძეები.

მ. გოგიტიძე. შ. ცირეკიძე.

დუმბაძე ივანე ტარიელის ძე (XIX ს. 50-იანი წწ. – 1912, სანქტ-პეტერბურგი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1906). მონაწილეობდა რუს.-ოსმ. (1877–78) ომში. შემდეგ იყო ქ. ოდესის პოლიციის უფროსი. მოკლა რევოლუციონერმა ტერორისტმა.

დუმბაძე იოსებ ანტონის ძე (3. I. 1865, სოფ. შემოქმედი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – XX ს. 20-იანი წწ.), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1914). გენ.-მ. ი. ა. *დუმბაძის* ძმა. სამხ. სამსახური ადრე დაიწყო. მონაწილეობდა 1904–05 რუს.-იაპონიის ომში. 1912-იდან მეთაურობდა ვლადივოსტოკის ციხესიმაგრის I საარტ. ბრიგადას.

დაჯილდოებულია წმ. ანას და წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

დუმბაძე მამია ქიშვარდის ძე [3(16). VI. 1915, სოფ. ზენობანი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 25. III. 1990, თბილისი], ისტორიკოსი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1980). ისტ. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1960), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1974). 1938 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1942-იდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტში. 1958–89 საქართველოს შუა საუკ. ისტორიის განყ-ბის გამგე იყო. იკვლევდა საქართვ. ფეოდ. ხანის სოც.-ეკონ., პოლიტიკურ და კულტ. ისტორიის საკითხებს. არის რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი და კოლექტიური გამოკვლევების – ,,თბილისის ისტორიის'', საქართვ. ისტ. რამდენიმე სახელმძღვანელოს (ქართ. და რუს. ენებზე) თანაავტორი, აგრეთვე ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევების'' რვატომეულის რედკოლეგიის წევრი, IV ტომის (1973) რედაქტორი და თანაავტორი (საქართვ. სახელმწ. პრემია, 1982).

თხზ.: ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათ., 1950; აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან (XIX ს. რეფორმამდელი პერიოდი), თბ., 1953; დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1957; ნიკო ბერძენიშვილი, თბ., 1964; რუსთაველის საქართველო, თბ., 1966.

ქ. ჩხატარაიშვილი.

დუმბაძე მიხეილ ანტონის ძე (16. II. 1858, სოფ. შემოქმედი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – XX ს. 20-იანი წწ.), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1913). გენ.-მ. ი. ა. *დუმბაძის* ძმა. მსახურობდა იმპერიის სხვადასხვა სამხ. ოლქში. მეთაურობდა პოლკს, ბრიგადას. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914–18).

დუმბაძე ნაზი (ნათელა) ივანეს



ნ. დ უ მ ბ ა ძ ე სცენაზე.

ასული (21. VI. 1938, თბილისი, – 27. XII. 2006, იქვე), ესტრადის მომღერალი. საქართვ. დამს. არტისტი (1967). სტუდენტი ახალგაზრდობის საერთაშ. ფესტივალის ლაურეატი (მოსკოვი, 1956). 1955 დაამთავრა თბილ. ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა პედაგოგიური ინ-ტი, ფრანგული და ესპანური ენების განხრით. სიმღერა დაიწყო ინ-ტის თვითმოქმედ კოლექტივში. 1956-იდან იყო საქართვ. სახელმწ. ფილარმონიის სოლისტი. მღეროდა სხვადასხვა საესტრადო კოლექტივში: ,,ლალე'' (1956–57, ხელმძღვ. ე. სეფაშვილი), ,,რერო'' (1957–69, ხელმძღვ. კ. პევზნერი), ,,დიელო'' (1969–71, ხელმძღვ. ა. ებრალიძე), ,,ჯაზ-ქორალი'' (1971–72, ხელმძღვ. ა. კილაძე). **დ**-ის რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართვ. კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, რ-თაგან აღსანიშნავია: დ. არაყიშვილის ,,ურმული'', გ. ცაბაძის ,,ჯარისკაცის დედა'', ,,ლალე'', ,,პაემანზე'', ო. თევდორაძის ,,სიყვარული მოგვრევია'' და სხვ. ფართო დიაპაზონის ხმა (ალტი) და შესრულების თავისებური მანერა საშუალებას აძლევდა დიდი ოსტატობით მიეტანა მსმენელამდე ქართ. და მსოფლიო ხალხთა სიმღერები.

ვ. გოგოლაშვილი.

დუმბაძე ნიკოლოზ ანტონის ძე (10. VII. 1854, სოფ. შემოქმედი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – XX ს. 20-იანი წწ.), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1906). გენ.-მ. ი. ა. *დუმბაძის* ძმა. დაამთავრა ქუთ. კლასიკური გიმნაზია და თბილ. სამხ. სასწავლებელი. 1876-იდან არმიაში იყო. მონაწილეობდა რუს.-ოსმ. 1877–78 ომში. 1902–04 მეთაურობდა ხოჯენტის სარეზერვო ბატალიონს, 1904–07 – 49-ე ბრესტის ქვეით პოლკს, 1907–11 – მე-3 გრენადერთა დივიზიის I ბრიგადას.



ნ. ი. დუმბაძე.

დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

დუმბაძე ნინო იაკობის ასული (23. V. 1919, ოდესა, – 14. IV. 1983, თბილისი), სპორტსმენი (მძლეოსნობა, ბადროს ტყორცნა). პირველი ქართველი მსოფლიო რეკორდსმენი მძლეოსანი ქალი, სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1944), საქართვ. ფიზკულტ. და სპორტის დამს. მუშაკი (1972). თბილ. ,,დინამოს'' (1938–52) წევრი. დაამთავრა საქართვ. ფიზკულტ. სახელმწ. ინ-ტი (1955). იყო სსრკ ათეზის (მ. შ. ორეზის – ხელყუმბარის ტყორცნაში), ევრ. ორეზის (1946, 1950) ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში, XV ოლიმპი-

ური თამაშების (ჰელსინკი, 1952) ბრინჯაოს პრიზიორი. 12 წელი მსოფლიო რეკორდსმენი იყო ბადროს ტყორცნაში. პირველი ოფიც. მსოფლიო რეკორდი (53,25 *მ*) დაამყარა მოსკოვში (1948), მეორე (53,37*მ*) – გორში (1951), მესამე (57,04*მ*) – თბილისში (1952). ნომინაციაში ,,საუკუნის 3 საუკეთესო სპორტსმენი ქალი'' დ. დასახელდა ნ. გაფრინდაშვილისა და ნ. სალუქვაძის შემდეგ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ნ. გუგუშვილი.



ნ. ვ. დუმბაძე.

დუმბაძე ნოდარ ვლადიმერის ძე (14. VII. 1928, თბილისი, – 14. IX. 1984, იქვე), მწერალი, საზოგადო მოღვაწე. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1975). მამა XX ს. 30-იანი წწ. ბოლშევიკურ რეპრესიებს ემსხვერპლა, დედა რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლეს. დ. თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ (1950) მუშაობდა ამავე ფაკ-ტის კათედრის ლაბორანტად, ხოლო 1957-იდან ჟურნ. ,,ცისკარში'' თანამშრომლობდა. 1962–64 იყო კინოსტუდია ,,ქართული ფილმის'' სასცენარო კოლეგიის წევრი; 1967–72 – ჟურნ. ,,ნიანგის'' რედაქტორის მოადგილე, მთ. რედაქტორი, 1972-იდან – საქართვ. მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, 1981-იდან გარდაცვალებამდე – თავ-რე.

დ-მ მწერლობა ლირ. ლექსებით დაიწყო, ბევრი მისი ლექსი სიმღერადაც იქცა. წერდა მახვილგონივრულ იუმორისტულ მოთხრობებსაც და ,,ნიანგში'' აქვეყნებდა. მაგრამ ის, რასაც დ-ის განუმეორებელი სამყარო ჰქვია, რამაც მიიპყრო ქართვ. და მსოფლიო მკითხველის ყურადღება, გამოხატულია მის მხატვრულ პროზაში – ექვს რომანსა და მოთხრობების კრებულებში, რ-ებიც შეიქმნა მეოთხედი საუკუნის მანძილზე (1959–84). მწერალს აღიარება მოუპოვა პირველივე რომანებმა: ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი'' (1960) და ,,მე ვხედავ მზეს'' (1962). ორივე რომანისათვის მიენიჭა კომკავშირის პრემია (1966).

,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი'' იმთავითვე შეიყვარა მკითხველმა. რომანი გამოირჩევა ხალასი იუმორით, რ-იც დ-ის ყველა თხზულებას განუმეორებელ ხიბლს ანიჭებს. თავისი გმირების პროტოტიპებს მწერალი პირადად იცნობდა, რამაც ხელი შეუწყო ცოცხალი და დამაჯერებელი სახეების შექმნაში. ამ ერთდროულად ყოფითსა და ლირ. ნაწარმოებში გამომჟღავნდა მწერლის დიდი ნიჭი და ოსტატობა, ჰუმანიზმით განმსჭვალული შემოქმედების ძალა. დ-მ ქართ. მწერლობაში, თავისი თაობის სხვა მწერლებთან ერთად, ახ. ტენდენციებს დაუდო სათავე – უარყო პარტიულობის პრინციპზე დაფუძნებული ლიტ-რისათვის დამახასიათებელი პომპეზურობა, ცხოვრებისეული ვითარების შელამაზების მიზნით რეალურის გაყალბება და სასურველით შეცვლა. დ-ის ნაწარმოებთა მთ. გმირები მდიდარი სულიერი სამყაროს მქონე უბრალო ადამიანები არიან.

პირველ ორ რომანს მოჰყვა ,,მზიანი ღამე'' (1967), ,,ნუ გეშინია, დედა!'' (1971), ,,თეთრი ბაირალები'' (1973), ,,მარადისობის კანონი'' (1973, ლენინური პრემია, 1980) და მთელი ციკლი მოთხრობებისა. ,,თეთრი ბაირალებისა'' და მოთხრობებისათვის მწერალს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემია.

დ-ის თხზულებების გმირი ერთგვარად რომანიდან რომანში გადადის და მკითხველის თვალწინ ყალიბდება: თუ ჭაბუკობისას ,,მზიან ღამეში'' იგი შემწყნარებელია და მიტევების უნარი გააჩნია, ,,მარადისობის კანონში'' მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბოროტებას ამოძირკვა უნდა და არა მიტევება.

დ-ის ყოველი ნაწარმოები თანამედროვე ქართ. ცხოვრების უტყუარი მხატვრული მატიანეა, ადამიანური სიკეთისა და სიქველის, სამართლიანობისა და სიყვარულის ქადაგებაა. მწერალი ახალგაზრდა კაცის ზნეობრივი ფორმირების პრობლემებს ეხება. მისი ნაწარმოებების გმირს სწორედ უზნეობის ფონზე უხდება საკუთარი სულის წრთობა.

დ. უმთავრესად წერს იმის შესახებ, რაც საკუთარი თვალით უნახავს და თავად განუცდია [მოთხრობები: ,,დიდრო'', ,,ძაღლი'' (1973), ,,მზე'', ,,კორიდა'' (1974), ,,კუკარაჩა'' (1980), ,,ხაზარულა'' (1981) და სხვ.]. მათი პრობლემურ-სტილური მრავალფეროვნების მიუხედავად, ყოველ ნაწარმოებში იკვეთება დუმბაძისეული პროზის საერთო და განმსაზღვრელი ნიშნები. ყოველ მათგანს იმედიანი ფინალი აქვს, რადგან ავტორს სწამს, რომ ადამიანი, მზე და სიცოცხლე მარადიულია.

დ-ის შემოქმედება უაღრესად ქართულია არა მარტო იქ გამოხატული გარემოთი და ხასიათებით, ცხოვრების წესითა და ჩვევებით, არამედ იმ ფესვებით, რითაც იგი წარსულის ეროვნ. კულტურას უკავშირდება და მომავლის მწერლობასაც ეხმიანება.

დ. ავტორია შესანიშნავი საბავშვო ლექსებისა, რ-ებიც არაერთხელ გამოიცა ცალკე წიგნებად. მწერლის იდეა იყო საბავშვო ქალაქ ,,მზიურის'' დაარსება მდ. ვერის ხეობაში, თბილისსა და ბეთანიას შუა. ქალაქის მშენებლობის პირველი ეტაპი მისივე ძალისხმევით კიდეც განხორციელდა. მწერალი სწორედ ამ საბავშვო ქალაქში იყო დაკრძალული. 2009 გადაასვენეს მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დ-ის რომანებისა და მოთხრობების მიხედვით გადაღებულია ფილმები: ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი'' (1962, რეჟ. თ. აბულაძე), ,,მე ვხედავ მზეს'' (1965, რეჟ. ლ. ღოღობერიძე), ,,გზა მშვიდობისა, ჯაყო!'' (1972, რეჟ. მ. კოკოჩაშვილი), ,,კუკარაჩა'' (1983, რეჟ. ქ. დოლიძე) და სხვ.

დ-ის ნაწარმოებები დაიდგა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრში: ,,მზიანი ღამე'' (1966, რეჟ. რ. სტურუა), ,,საბრალდებო დასკვნა'' (1973, რეჟ. რ. სტურუა), ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი'' (1977, რეჟ. რ. სტურუა); მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრში – ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი'' (1958, რეჟ. გ. ლორთქიფანიძე), ,,მე ვხედავ მზეს'' (1960, რეჟ. გ. ლორთქიფანიძე); ,,კუკარაჩასა'' და ,,მარადისობის კანონის'' მიხედვით რეჟ. თ. ჩხეიძემ დადგა სატელევიზიო სპექტაკლები. ნაწარმოებები ინსცენირებულია საზღვარგარეთაც.

დ-ის თხზულებები თარგმნილია უცხ. ენებზე. იყო აქტ. საზ. მოღვაწე, საქ. სსრ VIII და IX, სსრკ X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

1987 თბილისში დაარსდა დ-ის სახლ-მუზეუმი.

თხზ.: თხზულებანი ოთხ ტომად, თბ., 1988–92.

ლიტ.: ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი კ., მიჯნა, თბ., 1987. *გ. გვერდწითელი.*

დუმბაძე რომან ნოდარის ძე (17. III. 1964, სოფ. ფუშრუკაული, ახლანდ. ხულოს მუნიციპალიტეტი – 21. 05. 2012, მოსკოვი), გენერალმაიორი (1998), 1987 დაამთავრა თბილ. უმაღლესი სამხ. საარტ. სასწავლებელი, 1999 – თსუ-ის ბათუმის სამართლის ინ-ტის იურიდ. ფაკ-ტი. 1987–91 მსახურობდა გდრ-ში განლაგებულ საბჭ. ჯარებში, შემდეგ შორეული აღმოსავლეთის,

ციმბირის სამხედრო ოლქებში თავდაპირველად ტანკსაწინააღმდეგო ოცეულის, შემდეგ ნაღმტყორცნელთა ბატარეის მეთაურად. 1992 დაბრუნდა საქართველოში და 1993-იდან მონაწილეობდა აფხაზეთის ბრძოლებში, იყო საქართვ. თავდაცვის სამინისტროს პოლკის შტაბის უფროსი, 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაური (1993–94).

2004 დააპატიმრეს სამშობლოს ღალატის ბრალდებით. მიესაჯა 17 წელი. 2008 აგვ. პოლიტ. გადაწყვეტილების საფუძველზე გაიცვალა რუსების მიერ დაპატიმრებულ 12 ქართველ სამხედრო პირზე. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1994). *ლ. დოლიძე.*

დუმბაძე სამსონ ანტონის ძე (2. II. 1866, სოფ. შემოქმედი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 1938, გორი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1915). გენ.-მ. ი. ა. *დუმბაძის* ძმა. დაამთავრა თბილ. კადეტთა კორპუსი და გენ. შტაბის აკადემია. მსახურობდა კავკასიის სამხ. ოლქის შტაბში. 1915-იდან მუშაობდა ქ. ომსკის სამხ. ოლქის მთ. ინჟინრად.

XX ს. 30-იან წლებში დააპატიმრეს. 8 წელიწადი სასჯელს იხდიდა ბუტირკის ციხეში (მოსკოვი).

დაჯილდოებულია წმ. ანას და წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

დუმბაძის კილო, ქართული გალობის კილო (გავრცელებული უპირატესად გურიაში), რომლის შემონახვა და დაცვა დაკავშირებულია შემოქმედის მონასტერში მოღვაწე, სამგალობლო ტრადიციების მქონე დუმბაძეების საგვარეულოსთან. განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა მგალობელი ა. ნ. *დუმბაძე.*

დ. შუღლიაშვილი.

დუმგული, ძვ. საქართველოში გავრცელებული დასარტყმელი საკრავი. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით – მცირე ნაღარა. გამოირჩეოდა ძლიერი ხმოვანებით და გამოიყენებოდა ,,ზეიმისა და ზარის მოსამატებლად'' (ი. ჯავახიშვილი). მოიხსენიება XI ს. საისტორიო და ლიტ. ძეგლებში. დღეისათვის დაკარგულია.

ს. ყორდანია.

დუმფარა (Nymphaea), წყლის მცენარეთა გვარი დუმფარასებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ფესურიანი მცენარეები, აქვთ გრძელყუნწიანი, წყალზე მოტივტივე ფოთლები და ნაირფერი (უფრო ხშირად ყვითელი, თეთრი) დიდი ყვავილები. 40-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია მთელ დედამიწაზე. საქართველოში 2 სახეობაა: თეთრი დ. (N. alba), რ-იც გვხვდება ქართლსა და თრიალეთში, კოლხური დ. (N. colchica) – გავრცელებულია აფხაზეთში. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე ჭაობებში, ტბებსა და მდორე მდინარეებში. დ-ს ნაყოფი კენკრაა, ხორცოვანი, წყლის ქვეშ მწიფდება. ფესურა ვარგისია საკვებად. ძირითადად დეკორ. მცენარეა. *მ. გურგენიძე.*

დუნდუა გიორგი თევდორეს ძე (დ. 12. VII. 1932, თბილისი), ისტორიკოსი, ნუმიზმატი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1982), პროფესორი (1996). 1957 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1958–68 მუშაობდა ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ-ბაში, 1968-იდან – ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტში, შემდეგ – არქეოლ. კვლევის ცენტრში. დ. კითხულობს ლექციების კურსს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. იკვლევს ანტ. და ფეოდ. ხანის ქართული ნუმიზმატიკის საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი ნუმიზმატიკის დარგში ქართ., რუს., გერმ., ფრანგ., ინგლ. ენებზე.

თხზ.: სამონეტო მიმოქცევის საკითხებისათვის XV საუკუნის საქართველოში, თბ., 1964; სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინთაში ძვ. წ. II – ახ. წ. IV სს., წგ.: დიდი პიტიუნტი, [წგ.] 1, თბ., 1975; საქართველოს სამონეტო განძები, თბ., 1979; ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 2006 (თანაავტ. თ. დუნდუა); ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009 (თანაავტ. ირ. ჯალაღანია); Денежное обращение центральной Колхиды в V–I вв. до н. э., Тб., 1983 (თანაავტ. Г. Лордкипанидзе); Нумизматика античной Грузии, Тб., 1987.

დუნდუა თედო გიორგის ძე (დ. 1. IX. 1961, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1996). 1983 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1984–2006 მუშაობდა თსუ-ის საქართველოს ისტ. კათედრაზე, 1997–2002 იყო საქართვ. ისტ. მასწავლებელთა ასოციაციის (თსუ) პრეზიდენტი. 2006–09 – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკ-ტის საქართვ. ისტორიის ინ-ტის ასოცირებული, 2010-იდან კი სრული პროფესორია. 2006-იდან დღემდე არის ამავე ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ლექტორი ევროპული კვლევების ინ-ტში.

დ-ს კვლევა ციკლური განვითარების ოდესღაც პოპულ. თეორიის რეანიმაციის ცდაა. ეს არის ახ. კონცეფცია – ციკლური დიალექტიკა, ამავე დროს დედუქციური მეთოდი, რ-ის საშუალებითაც ისტორიკოსი ცდილობს სოც.-ეკონ. ფორმაციის ნებისმიერი გამოვლენის ზუსტ ფიქსაციას. აღნიშნული მეთოდი პრინციპულად განსხვავებული თეზების ჩამოყალიბების ბაზისად იქცა. მისი ნაშრომი ისტ.-ნუმიზმატიკური ტიპისაა; ნუმიზმატური მასალა მისთვის ერთ-ერთი წყაროა.

თხზ.: კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თბ., 1993; საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, წგ. 1–2, თბ., 1995; ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (ძვ. წ. VI ს. – 1453), თბ., 1997; ფული საქართველოში, თბ., 2003 (ავტორთა კოლექტივი); ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 2006 (თანაავტ. გ. დუნდუა); Митрас საქართველოში, თბ., 2010 (თანაავტ. ნ. სილაგაძე); The Cyclic Dialectics, Tb., 1996; The Black Sea – a History of Interactions, Oslo, 2004 (ავტორთა კოლექტივი).

დუნდუა პეტრე ბესარიონის ძე (დ. 20. VIII. 1931, ბორჯომი), მეტყევე ინჟინერი, ტექ. მეცნ. დოქტორი (2003), პროფესორი (2006), საქართვ. დამს. ინჟინერი (1982), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1990). 1954 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის სატყეო-საინჟინრო ფაკ-ტი. მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე: იყო თბილ. ავეჯის საწარმოო გაერთიანება ,,განთიადის'' (შემდგომში გაერთიანება ,,მერქანის'') გენ. დირექტორი; სატყეო მრეწველობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი. ამჟამად ეწევა პედ. საქმიანობას საქართვ. ტექ. უნ-ტში. დ-ის კვლევის მიმართულებაა მერქნის დამზადების და უნარჩენო გადამუშავების ახ. ტექნოლ. პროცესების შემუშავება. გამოქვეყნებული აქვს 4 მონოგრაფია, 3 სახელმძღვანელო; მიღებული აქვს 25 საავტორო მოწმობა და პატენტი გამოგონებაზე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).

დუნენკო ტატიანა გრიგოლის ასული (17. II. 1912, ქუთაისი, – 18. X. 1999, თბილისი), პიანისტი, კონცერტმაისტერი, პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1984). 1949 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (ვ. კუფტინასა და ა. იოხელესის კლასები). 1930-იდან დ. იყო თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ.



დუმფარა. თეთრი დუმფარა (Nymphaea alba).



დუმფარა. კოლხური დუმფარა (Nymphaea colchica).



ტ. დუნენკო როიალთან.

აკად. თეატრის კონცერტმაისტერი. 1940–88 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. კონსერვატორიის საკონცერტმაისტერო ხელოვნების კათედრაზე. როგორც კონცერტმაისტერი თანამშრომლობდა არაერთ გამოჩენილ ქართვ. მომღერალთან (ს. ინაშვილი, ნ. ქუმსიაშვილი, დ. ბადრიძე, ბ. კრავეიშვილი, პ. და მ. ამირანაშვილები, ნ. ცომაია, ნ. ხარაძე, მ. ნაკაშიძე, დ. გამრეკელი, დ. და ნ. ანდღულაძეები, ზ. სოტკილავა, ზ. ანჯაფარიძე, ც. ტატიშვილი, ლ. ჭყონია, პ. ბურჭულაძე, მ. თომაძე, თ. გუგუშვილი და სხვ.) და მათი შემოქმედებითი წარმატების თანამონაწილე იყო.

XX ს. 30-იან წლებში პროფ. მ. *კამოევასთან* ერთად შექმნა პირველი ქართ. საფორტეპიანო დუეტი. დ. ფლობდა ვრცელ საოპერო-საკონცერტმაისტერო რეპერტუარს, იყო კლასიკოსთა თუ თანამედროვე საოპერო კომპოზიტორთა შემოქმედების შესანიშნავი ინტერპრეტატორი. ფართო იყო მისი კამერული და სოლო საფორტეპიანო რეპერტუარიც. დ-მ შექმნა ქართვ. პიანისტ-აკომპანიატორთა მთელი სკოლა. *ლ. ესაძე.*

დუნთა, სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტის ჩიხის თემში (იმერეთის მხარე), რაჭის ქედის სამხრ. მთისწინეთში. ზ. დ. 600 *მ,* საჩხერიდან 3 *კმ.* 211 მცხ. (2002). დ-ში არის მარმარილოს საბადო.



დურაჯი.

სოფელი პირველად იხსენიება XV ს. შუა წლებში დამოწმებულ გიორგი მეფის სიგელში.

დ-ში შემორჩენილია მთავარანგელოზის ერთნავიანი ეკლესია. XIX ს-ში იგი გადაუკეთებიათ და გაუდიდებიათ. სოფლის ჩრდ-ით მაღალ გორაკზე, გორიჯვრის შუა საუკ. ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევებია, ეკლესია ნაშენია თლილი ქვითა და კირით. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები.

დუნკელ-ველინგი, XIX ს. რუსი მწერალი, ჟურნალისტი. 1860 იყო თბილისში. აღწერს თბილისის, როგორც გაევროპელებული ბურჟ. ქალაქის ცხოვრებას. იძლევა 1864 სტატისტ. მონაცემებს თბილისის მოედნების, ქუჩების, მიწისქვეშა არხების, ბაღების შესახებ. დ.-ვ-ის ცნობით, იმ დროისათვის თბილისში იყო 212 ქუჩა და 10 მოედანი, აქედან მოკირწყლული ყოფილა 56 ქუჩა და 5 მოედანი. ავტორი წერს გაზის ფარნების შემოღების შესახებ: ,,თბილისის ხიდები, ქუჩები და მოედნები ნათდება ამჟამად 302 ფარნით, რომელსაც აქვს კაშკაშა სინათლე... გაზს ღებულობენ სითხის (ნავთობის) წვის შედეგად...'' აქვს ცნობები მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, მათ მიერ ხილის, ბოსტნეულის წარმოების, რძის ყოველწლიური მოხმარების, ამქრების, ხელოსნების, სავაჭრო საქონლის თაობაზე.

დუოდონასტო, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის ქეშელთის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. ქეშელთის (ფაწის მარცხ. შენაკადი; ლიახვის აუზი) ხეობაში. ზ. დ. 1760 *მ,* ჯავიდან 26 *კმ,* ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 40 *კმ.* 16 მცხ. (1989).

დურაში, სოფელი ლენტეხის მუნიციპალიტეტის ჩოლურის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), სვანეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ჩოლურის (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1140 *მ,* ლენტეხიდან 14 *კმ.* 74 მცხ. (2002).

დურაჯი (Francolinus francolinus), ფრინველი ქათმისნაირთა რიგისა. მასა 400–500 *გ.* ტანად მომცროა, შეფერილობით ჭრელი, დაყვება მომწვანო-მორუხო ზოლები; მამლის მუცლის მხარე შავია, გვერდებზე აქვს თეთრი კოპლები, ყელზე – ჟანგისფერი ,,რგოლი'', ,,ლოყები'' – თეთრი. გავრცელებულია კ. კვიპროსიდან ინდოსტანამდე, სამხრ.-აღმ. ამიერკავკასიასა და სამხრ.-დას. თურქმენეთში. საქართველოში ბინადრობდა ივრისა და ალაზნის ნაპირას. ამჟამად მცირე რაოდენობითაა ივრისპირებში. ცხოვრობს მდინარისპირა ბუჩქნარში, ველ-მინდვრებში, ყანებსა და ნაყანევებში. მონოგამია. ბუდეს მიწაზე იკეთებს: აპრილში დებს 12-მდე (უფრო ხშირად 7–9) კვერცხს, კრუხად ზის 20 *დღ-ღ* განმავლობაში, მამალი კი დარაჯობს. იკვებება როგორც მცენარეული (კვირტები, თესლი, ხილ-კენკრა), ისე ცხოველური (მწერები, ლოკოკინები, პატარ-პატარა ხვლიკები და სხვ.) საკვებით. დ-ის რაოდენობა მთელი არეალის ფარგლებში მკვეთრად კლებულობს დიდთოვლობის შემდეგ, ბალახეულისა და ბუჩქნარის გადაწვის, შხამქიმიკატების განუკითხავად ხმარების შედეგად. შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში''.

რ. ჟორდანია.

დურგლიშვილი მერაბ გიორგის ძე (6. IX. 1928, თბილისი, – 18. IV. 1993, იქვე), ფერმწერი, დიზაინერი. საქართვ. დამს. მხატვარი (1966). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1959; პედაგოგები: უ. ჯაფარიძე, კ. სანაძე). 1954–56 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელში. 1958–62 იყო სამხატვრო ფონდის მთ. მხატვარი. 1962-იდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. მნიშვნელოვანი ნამუშევრები: ,,სახურავები'' (1962, საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი), ,,წითელი მთები'' (1964, მხატვრის კუთვნილება) და სხვ.

დური ეფენდი, XVIII ს. თურქი სახელმწიფო მოხელე. მას ეკუთვნის სპარსულად დაწერილი თხზულება ,,ისტორია მოგზაურობისა ავღანეთსა და სეფიანთა სახელმწიფოში'' (,,თარიხი სეიაჰ დერ ბეიანი ზუჰური ავღანიან ვე ინჰიდამი დევლეთი სეფევიან'', 1731), რ-იც XVIII ს. 30-იან წლებში გამოაქვეყნა იბრაჰიმ მუთეფერიკამ. თხზულება საუკეთესო წყაროა XVIII ს. II მეოთხედის ირან-ოსმ. და საქართვ. ისტორიისათვის. მასში უხვადაა მოცემული ცნობები ამ პერიოდში ირანში მოღვაწე ქართველებზე (გიორგი XI, ქაიხოსრო ბატონიშვილი და სხვ.). საყურადღებო ცნობებია ვახტანგ VI-ზე. თხზულებაში მოთხრობილია სეფიანთა ირანში ავღანელთა შემოსევებისა და მათ წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში ქართველთა მონაწილეობის შესახებ.

ლიტ.: შენგელია ნ., XV–XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974.


ნ. შენგელია.

დურიფში, სოფელი გუდაუთის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), დურიფშის პლატოზე, მდ. ხიფსთის (ერთვის შავ ზღვას) მარცხ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: დ., აბგარა, ათარჰაბლა, არუთა, ტვანაარხუ). ზ. დ. 260 *მ,* გუდაუთიდან 12 *კმ.* 577 მცხ. (1989).

სოფლის მიდამოებში არის კარსტული მღვიმეები.

დურმიშიძე ომარ ბიძინას ძე (18. VI. 1949, თბილისი, – 13. VI. 1994, იქვე), ფერმწერი, გრაფიკოსი. დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1973). 1974-იდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. 1976, 1978, 1984, 1999, 2006, 2009 წლებში მოეწყო მხატვრის პერსონალური გამოფენები თბილისში, აგრეთვე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (1977), მოსკოვში (1979), იტალიაში (1980). მიღებული აქვს

მონაწილეობა ქართული სახვითი ხელოვნებისადმი მიძღვნილ რეტროსპექტულ გამოფენაში (თბილისი, მხატვრის სახლი, 1987). დ-ის



ო. დ უ რ მ ი შ ი ძ ე. ,,ლერმონტოვის ქუჩა‘‘. 1973.

შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მაღალი პროფ. ოსტატობა, კომპოზიციური მთლიანობა, ფერწერულობა, პოეტური განწყობილება, ნახატის მსუბუქი დეფორმაცია. საინტერესოა დ-ის მიერ შექმნილი ძვ. თბილისის ხედები, ნატურმორტები, განსაკუთრებით კი – ძვ. თბილისის ღამის პეიზაჟები. ძირითადი ნამუშევრები: ,,ბესიკის ქუჩა‘‘, ,,სოლოლაკი‘‘, ,,კლდიაშვილის ქუჩა‘‘, ,,ჩვენი ეზო‘‘, ,,ნატურმორტი იებით‘‘, ,,თევზები‘‘, ,,მსხლები‘‘, ,,ნატურმორტი ლიმონით‘‘ (ყველა 1983, მხატვრის კუთვნილება). წარმატებით მუშაობდა პორტრეტის ჟანრშიც (,,ავტოპორტრეტი‘‘, 1981, ,,ნინიკო‘‘, ,,ნუნუ‘‘, 1983, ,,გ. დოჩანაშვილი‘‘, 1985, ,,ლ. ბოიახჩევი‘‘, 1991); ავტორია გრაფ. ნამუშევრებისა: ,,დაბადება‘‘, ,,ბებია შვილიშვილთან ერთად‘‘, ,,ცხენი‘‘, სერია ,,მხატვრის გახსენება‘‘ (1986) და სხვ.

დურმიშიძე სერგი ვასილის ძე (27. II. 1910, საჩხერე, – 29. V. 1989, თბილისი), ბიოქიმიკოსი, მცენარეთა ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1955). ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1952), პროფესორი (1952), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1931 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკ-ტი. 1935–60 მუშაობდა ამავე ინ-ტის ბიოქიმიის კათედრაზე (კათედრის გამგე). 1943–54 იყო საქართვ. მეცნ. აკად. მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი, 1954–55 – საქართვ. სოფ. მეურნ. მინისტრი, 1955–71 – საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოს-მდივანი, ამავე დროს 1957-იდან – თსუ-ის პროფესორი, 1971-იდან – საქართვ. მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი და მეცნ. აკად. მცენარეთა ბიოქიმ. ინ-ტის დირექტორი (ამ ინ-ტის დამაარსებელი). დ. სსრკ მეცნ. აკადემიის აკად. ა. ოპარინისა და ა. კურსანოვის სკოლის წარმომადგენელია. მუშაობდა მეორეულ ნაერთთა ბიოქიმ. დარგში. დაადგინა სპირტის დუღილის ძირითადი, მეორეული და გარეშე პროდუქტების გარდაქმნის ბიოქიმ. გზები; საფუძველი ჩაუყარა ვაზისა და ღვინის ფენოლურ ნაერთთა ბიოქიმიას; დაამუშავა არომატული ნაერთების ცვლის თეორ. საფუძვლები მცენარეულ უჯრედში; წამოაყენა ჰიპოთეზა უჯრედში ფენოლურ და უცხო ნაერთთა ღრმა ჟანგვითი გარდაქმნებისა და დეტოქსიკაციის შესახებ; გამოავლინა ატმოსფეროს, ნიადაგისა და წყლების ბიოლ. გასუფთავების ახ. გზები. ეკუთვნის მრავალი მონოგრაფია, მ. შ. გამოჩენილ საბჭ. ბიოქიმიკოსებზე, ნარკვევები ქართვ. მეცნიერებსა და საზ. მოღვაწეებზე. იყო სამეცნ. საზ.-პოლიტ. და მხატვრული ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი. მიღებული აქვს საქართვ. სახელმწ. პრემია (1985), სახელმწ. ჯილდოები, არჩეული იყო თბილ. საპატიო მოქალაქედ (1987).

თხზ.: ზოგი რამ წარსულიდან, თბ., 1985; Генезис молочной кислоты при естественном алкогольном брожении, «Биохимия», 1938, №8; Дубильные вещества и антоцианы виноградной лозы и вина, М., 1955; Пути превращений основных и вторичных продуктов спиртового брожения, Тб., 1962; Вопросы биохимии переработки винограда, Тб., 1967; Расщепление ароматического кольца некоторых экзогенных соединений в растениях, Тб., 1975; Метаболизм некоторых загрязнителей атмосферного воздуха в растениях, Тб., 1977.

ო. კვესიტაძე.

დურნუკი, თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების *დიდი დურნუკისა* და *პატარა დურნუკის* ძველი სახელწოდება. დ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში, როგორც სამეფო სოფელი. სოფლის ისტ. ტერიტორია დასახლებული ყოფილა ადრინდ. ფეოდ. ხანიდან. აღმოჩენილია ციკლოპური ტიპის ლოდოვანი და გვიანდ. ანტ. ხანის სამაროვანი ქვაყუთები, ფეოდ. ხანის ქვაჯვრები, გვიანდ. შუა საუკ. ეკლესია, კერამ. ნაწარმი. დ. მნიშვნელოვანი პუნქტი იყო თბილისიდან სამშვილდისაკენ მიმავალ გზაზე (კლდეკარი, ნახიდური მდ. ალგეთის ნაპირას). დ. (როგორც ერთი სოფელი) მოიხსენიება ძვ. ქართლის 1718 სტატისტიკურ აღწერილობაში და ვახუშტი ბაგრატიონის შრომაში ,,საქართველოს გეოგრაფია‘‘. 1718 აქ მოსახლეობდა 37 კომლი, მ. შ. 29 კომლი ქართველი და 8 კომლი სომეხი (სომეხთა სალაპარაკო ენა XVIII ს-ში როგორც აქ, ისე ქვ. ქართლის ჩრდ. რაიონებში ქართული იყო). მოგვიანებით იგი ორ სოფლად გაიყო.

თ. თოდრია.



ს. დურმიშიძე.

პ. ინგოროყვა.

დურუჯი, მდინარე აღმ. საქართველოში, ალაზნის მარცხ. შენაკადი, ჩამოუდის ქ. ყვარელს (ვახუშტი ბაგრატიონი მოიხსენიებს როგორც ყვარელისწყალს). სიგრძე 27 *კმ*, აუზის ფართ. 103 *კმ²*. დ. წარმოიქმნება შავი და თეთრი დურუჯის



მდინარე დურუჯის ხეობა.

შეერთებით. სათავეს იღებს კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე. ზემო დინებაში აუზი მარაოსებრია. ხეობის ძლიერ დახრილი ფერდობების ქვედა ნაწილსა და ფსკერზე თიხაფიქლების დაქუცმაცებული პროდუქტების სქელი ნაყარია, რ-შიც კალაპოტია ჩაჭრილი. შუაწელზე ხეობა ვიწროა და ტყით არის შემოსილი, კალაპოტი კლდოვანი, ჩანჩქერიანი და ჭორომიანი აქვს. ქვემო დინებაში ხეობა შედარებით ფართოა. ყვარლის მიდამოებში ხეობის ფსკერი მთლიანად უკავია გამოზიდვის კონუსს, რ-ზეც მდინარე იტოტება. ყვარელს ქვემოთ დ. რამდენიმე ღელის სახით მიემართება ალაზნისაკენ. დ. ძირითადად საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით, წყალმცირეა. საშ. წლ. ხარჯი 1,06 *მ³/წმ*. იცის წყალმოვარდნა. დ-ის ზემო დინებაში პერიოდულად იქმნება ტიპური სტრუქტურული ღვარცოფი, რ-ის დროსაც მდინარის ხარჯმა შეიძლება 200 *მ³/წმ* და მეტს მიაღწიოს. მთებიდან ჩამოაქვს დიდი რაოდენობით ტალახად ქცეული მყარი მასალა. მრავალჯერ მიაყენა ზარალი ყვარელსა და მის მიდამოებს. სისტემატურად ტარდება ღონისძიებები ღვარცოფის გასაუვნებლად.



დურუჯის ღვარცოფული ლოდი.



კორპორაცია ,,დურუჯის'' ჟურნალი. 1926.

დ-ის რიყეზე, ყვარლის თავში, ზ. დ. 430 *მ* სიმაღლეზე, არის კატასტროფული ღვარცოფის მიერ 1899 ჩამოტანილი გაფიქლებული ქვიშაქვის ლოდი, რ-ის სიდიდეა (5,8×4,2×4) *მ³*. ლოდი გადაადგილებულია 6–8 *კმ* მანძილზე. მასა დაახლ. 224 *ტ*. ხსენებული ღვარცოფის შედეგად წაილეკა ყვარელი, დაიღუპა 6 ადამიანი. ლოდის მახლობლად 1907 ი. ჭავჭავაძის თაოსნობით აშენდა ღვარცოფსაწინააღმდეგო ჯებირი. დურუჯის ლოდი შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში''.

თ. კოკილაშვილი.

„დურუჯი“, თბილისის შოთა რუსთაველის სახ. თეატრის მსახიობთა კორპორაცია. შეიქმნა 1924 კ. მარჯანიშვილის თაოსნობით. სახელწ. მომდინარეობს მდ. დურუჯიდან (ყვარლის მუნიციპალიტეტი). თავისი არსებობის პირველ ეტაპზე დ. პროგრესული მოვლენა იყო. თავდაპირველად კორპორაციამ წამოაყენა სავსებით ლოიალური საკითხები: კოლექტივის შემოქმედებითი და ორგანიზაციული ერთობა, თეატრის მხატვრული დონის ამაღლება. ,,დ.'' პროტესტს უცხადებდა მდარე პიესებს, იღვწოდა კოლექტივის გასამთლიანებლად და შემოქმედებითი დისციპლინის ასამაღლებლად, რაც სავსებით შეესაბამებოდა კ. მარჯანიშვილის შემოქმედებით-ეთიკურ პრინციპებს, მის პოზიციას. მაგრამ კორპორანტებმა გადააჭარბეს თავიანთ რწმუნებებს და საჯაროდ გამოაცხადეს, რომ ,,დ.'' ახ. მიმართულებაა თეატრში და მისგან იწყება თანამედროვე ქართ. თეატრი. სპექტაკლ ,,ინტერესთა თამაშის'' მსვლელობის დროს მანიფესტთან ერთად მათ მოულოდნელ საჯარო განცხადებას: ,,ძველი თეატრი დაინგრეს!'', მოჰყვა მაყურებლის უარყოფითი რეაქცია. ზოგიერთმა მსახიობმა პროტესტის ნიშნად თეატრი დატოვა. დასში განხეთქილება მოხდა. უკვე არსებულ კოლექტივში შეიქმნა მეორე კოლექტივი, რაც თეატრს არც სიმშვიდეს მოუტანდა და არც კეთილდღეობას. კორპორანტების საქმიანობაში დაარსებისთანავე იჩინა თავი ადმინისტრირების უარყოფითმა ფორმებმა; მათ დაიწყეს მესვეურთა (კ. მარჯანიშვილი) მოქმედების გაკონტროლება და მათ ფუნქციებში ჩარევა. დაპირისპირების შედეგად კი, კ. მარჯანიშვილის აზრით, ,,კორპორაციამ დაკარგა თავისი პირველსაწყისი და კოლექტიურ დირექტორად იქცა''. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი კორპორანტებისადმი დაქვემდებარებული და ანგარიშვალდებული აღმოჩნდა. მათი მისწრაფება ძალაუფლებისაკენ ეწინააღმდეგებოდა იმ ნორმებს, რ-ებსაც თეატრის ცხოვრებაში კ. მარჯანიშვილი ამკვიდრებდა. შექმნილმა ვითარებამ აიძულა კ. მარჯანიშვილი დაეტოვებინა თეატრი (1926), ხოლო კორპორაცია დაიშალა. ,,დურუჯელებმა'' წერილობით მიმართეს მარჯანიშვილს და დაბრუნება სთხოვეს, თუმცა უშედეგოდ.

ე. გუგუშვილი.

„დურუჯი“, შოთა რუსთაველის სახ. თეატრის მსახიობთა კორპორაცია ,,დურუჯის'' ერთდროული ჟურნალი, რ-ის ერთადერთი ილუსტრირებული, 20-გვერდიანი სადღესასწაულო ნომერი გამოვიდა 1926 წ. 19 იანვ. კ. *მარჯანიშვილის* პატივსაცემად.

დურუჯის უღელტეხილი, უღელტეხილი კახეთის კავკასიონის თხემზე, მდ. დურუჯის სათავეში. სიმაღლე ზ. დ. 2884 *მ*. აგებულია იურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. კალთები შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით. დ. უ. ყვარლის მუნიციპალიტეტს (ფორხალისთავის თხემისა და ჩელთის ხეობის გავლით) საცალფეხო გზით აკავშირებს მდ. სამურის აუზთან (დაღესტანი).

დურღენა, სოფელი ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე. ზ. დ. 10 *მ*, ხობიდან 12 *კმ*, ქვალონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 1 *კმ*. 876 მცხ. (2002).

დურძუკები, დურძუკები, დროზკიტები, თანამედროვე ვეინახთა წინაპრების საერთო სახელწოდება შუა საუკ. წყაროთა (ქართ., არაბ. და სხვ.) მიხედვით. ეტიმოლოგია უცნობია. არსებობს რამდენიმე მო-

საზრება. ლეონტი მროველის (XI ს.) ცნობით, **დ.** პირველად ცენტრ. კავკასიონის ჩრდ. კალთებზე სახლობდნენ (იხ. *დურძუკეთი*), მაგრამ შემდეგ მათი გარკვეული ნაწილი სხვა ტომებთან ერთად კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ-ით, ქართლის მთიანეთში გადმოსახლებულა. ისტორიულად **დ.** მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული საქართველოსთან (იხ. სტ-ები *ჩაჩნეთი, ინგუშეთი*).

ლიტ.: Гамрекели В. Н., Двалы и Двалетия в I–XV вв. н. э., Тб., 1961; Шавхелишвили А. И., Из истории взаимоотношений между грузинским и чечено-ингушским народами (с древнейших времен до XV века), Грозный, 1963.

ზ. ანჩაბაძე.

დურძუკეთი, ძურძუკეთი, *დურძუკებით* დასახლებული მხარე. ლეონტი მროველის (XI ს.) მიხედვით, დურძუკი კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრ. ნაწილის ჩრდ. კალთებზე მოსახლე ტომის ეპონიმია. შემდგომში **დ.** ქართ. წყაროებში იხსენიება თერგსა და დაღესტანს შორის [ვახუშტის (XVIII ს.) მიხედვით – ხევიდან დიდოეთამდე]. **დ**-ს საქართველოსთან მჭიდრო ისტ. კავშირი ჰქონდა. ანტ. ხანაში **დ.** საქართველოზე დამოკიდებული ქვეყანა იყო. ლეონტი მროველის ცნობით, ქართლის მეორე მეფე საურმაგი დედით დურძუკი ყოფილა. როდესაც საურმაგს ქართლის ერისთავები აუჯანყდნენ, იგი დურძუკებთან გაიხიზნა და სამეფო ტახტი მათი დახმარებით დაიბრუნა. **დ.** შუა საუკუნეებშიც საქართველოზე იყო დამოკიდებული, იქ ქრისტიანობაც საქართველოდან გავრცელდა (იხ. სტ-ები *ჩაჩნეთი, ინგუშეთი*).

ზ. ანჩაბაძე.

დუძანი (<სპარს. დოქან), მცირე სავაჭრო და სახელოსნო (ზოგჯერ სასადილოც) სახლები თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში XVII ს-იდან 1921-მდე. XVII ს-იდან ამ ტერმინმა შეცვალა სპარდული (სიტყვიდან ,,ფრდა'' – სყიდვა) ქულბაქი. XVII–XVIII სს-ში ქულბაქი და **დ.** სინონიმები იყო. დას. საქართველოში ტერმინი ,,**დ.**'' XIX ს-იდან დამკვიდრდა. XVII–XVIII სს-ში კი აქ ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა ,,ხულა''. რადგანაც **დ.** ერთდროულად სახელოსნოც იყო და სავაჭროც, ამიტომ **დ**-ები ისტ. დოკუმენტებში იხსენიება იქ მოსაქმე ხელოსანთა თუ ვაჭართა სპეციალობის მიხედვით: ,,მეჩუსტეების **დ.**'', ,,მექვაბეების **დ.**'', ,,ბაჰყლების **დ.**'', ,,სამღებრო **დ.**'', ,,თოლაჩის **დ.**'', ,,ჭონის **დ.**'', ,,ბაზაზების **დ.**'' XVIII ს. ბოლოს თბილისში 50 საფეიქრო ნაწარმის **დ.** ყოფილა.

დ-ები სხვადასხვა სიდიდის იყო. XVIII ს-ში მათი ფართ. საშუალოდ 15–30 *კვ/მ* აღწევდა, აგებული იყო ან ქვითკირისგან ან ხისგან (თბილისში უმთავრესად ქვითკირისა იყო). მათი ფასი XVIII ს. II ნახევარში 100–350 მანეთს აღწევდა. **დ**-ები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით, იყო თაღიანი **დ**-ები – ,,თაღბანდ დუქანი'', ზოგი **დ**-ის ქვეშ ოთახები ან დარაბები იყო გამართული.

თბილისში **დ**-ები ეკუთვნოდათ მოქალაქეებს, თავად-აზნაურებს (მაგ., სამეფო აზნაურს დიმიტრი ხიმშიაშვილს XVIII ს. ბოლოს თბილისში 9 **დ.** ჰქონია) და ეკლესიას. თავად-აზნაურები **დ**-ებს ხშირად ქირით აძლევდნენ მოქალაქეებს. **დ**-ები ჰქონიათ ყმებსაც, თუმცა ბატონის ნებართვის გარეშე **დ**-ის გაყიდვა არ შეეძლოთ, ხოლო თუ უშვილოდ გადაეგებოდნენ, **დ.** ბატონს რჩებოდა. **დ**-ის პატრონები იხდიდნენ სახელმწ. და სამოხელეო გადასახადებს. მაგ., XVIII ს-ში თითოეულ ხორცის **დ**-ზე ყასაბი ქალაქის მოურავს უხდიდა წელიწადში 3 ლიტრა ქონს. პატრონი **დ**-ს ხშირად გირაოდ აძლევდა მევალეს, რ-იც მრავალი წლის განმავლობაში იღებდა ამ დაგირავებული **დ**-იდან შემოსავალს. XVII–XVIII სს-ში სადუქნე ადგილზე **დ**-ის აშენებას მეფის ნებართვა სჭირდებოდა.

აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის დარბევის დროს (1795) **დ**-ების უმრავლესობა დამწვარა. ერეკლე II-ს მიუღია ღონისძიებები მათ აღსადგენად და ეს საქმე მათი პატრონებისათვის ან მოგირავეებისათვის დაუვალებია, მათ წასახალისებლად ზოგიერთი შეღავათიც დაუწესებია. ამის შემდეგ ისტ. დოკუმენტებში იხსენიება ,,ახალი დუქნები''. XIX ს. თბილისში **დ**-ების რაოდენობა დიდად გაიზარდა, **დ**-ები აშენდა დას. საქართველოშიც. ამ პერიოდში **დ.** უკვე არა მარტო სავაჭრო-სახელოსნო სახლს ერქვა, არამედ მცირე სასაუზმესაც. ამ დროიდანვე იხსენიება დუქანხანებიც – **დ**-თან არსებული მცირე სასტუმროები.

ნ. შომშიაშვილი.

დუქნისწყაროს მღვიმე, ხომულის მღვიმე, სპელეოლოგიური და არქეოლოგიური ძეგლი სოფ. ხომულის მიდამოებში (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), ზ. დ. 100 *მ*-ზე. მღვიმე კარსტული წარმოშობისაა, გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში. მღვიმის ქვედა იარუსებში მიედინება მიწისქვეშა მდინარე, რ-იც 1 *კმ* გავლის შემდეგ ფატრისთავთან (ცივი ტბა) ზედაპირზე ამოედინება და წყალტუბოსწყლის (წყალტუბულას) სახელით გუბისწყლისკენ მიედინება. **დ.** მ-ს შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. შესასვლელის სიგანეა 18 *მ*, სიმაღლე – 6 *მ*, სიღრმეში სიმაღლე – 1 *მ*. საერთო სიგრძეა 70 *მ*. ფართობი 1370 $მ^2$. წინა ნაწილი ვრცელია, ფსკერზე სხვადასხვა ზომის კარსტული ძაბრებია, მღვიმის ბოლო ვიწრო და დატოტვილია. მღვიმეში არის სტალაქტიტები, სტალაგმიტები, კალციტის გურები. ტემპ-რა 14°C. მღვიმე პირველად აღწერა ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოექსპედიციამ 1959. 1974 ჩატარდა არქეოლ. კვლევა (ხელმძღვ. ა. კალანდაძე). დადგინდა, რომ **დ.** მ-ს სხვადასხვა დროს იყენებდნენ საცხოვრებლად, სამალავად, თავშესაფრად. ნაპოვნია ენეოლითის, ბრინჯაოსა და შუა საუკ. დროის თიხის ჭურჭლის ნატეხები. ქვედა ფენაში გამოვლინდა გადაშენებულ ცხოველთა ნაშთები, რ-თა შორის მღვიმური დათვის მთლიანი ქალაც იყო.

ლიტ.: ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009; Каландадзе А., Археологическое обследование карстовых пещер Цхалтубского района в 1974, იქვე. *ც. გაშაკიძე. კ. კალანდაძე.*

დუღაფვილი ირაკლი ფარნაოზის ძე (დ. 27. VII. 1957, ქ. ოზურგეთი), გენერალ-მაიორი (2000). 1979 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის არქიტ. ფაკ-ტი, 1995 – საქართვ. ეკონ. აღორძინების კავშირის თბილ. ბიზნესის ინ-ტი, 1998 – საქართვ. დიპლ. აკადემია. არის არქიტ. მეცნ. კანდიდატი. 1985–96 მუშაობდა საქართვ. სახ. კონტროლის კომიტეტში, შემდეგ – საქართვ. კონტროლის პალატაში, თავდაცვის, სამართალდამცავ ორგანოთა და დიპლ. დაწესებულებათა კონტროლის დეპარტამენტის უფროსად. 1996–98 იყო საქართვ. სახელმწ. დაცვის სპეც. სამსახურის უფროსის მოადგილე, 1998–2001 – საქართვ. სახელმწ. უშიშროების მინისტრის მოადგილე. 2001-იდან არის საქართვ. ნავთობის საერთაშ. კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

ლ. დოლიძე.

დუღაშვილი ნუნუ (ნინო) ირო-დიონის ასული (დ. 7. II. 1934, თბილისი), კომპოზიტორი და მომღერალი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1983). ა. წერეთ-ლის სახ. პრემიის ლაურეატი



ნ. დ უ ღ ა შ ვ ი ლ ი სცე-ნაზე.

(1997). 1959 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონ-სერვატორია (ა. ბალანჩივაძის სა-კომპოზიციო კლასი). 1959–62 მუ-შაობდა კინოსტუდია ,,ქართული ფილმის'' დოკუმენტური ფილმების სტუდიაში მუს. რედაქტორად. 1962-იდან ეწევა პედ. მოღვაწეო-ბას ზ. ფალიაშვილის სახ. მუს. ათწლედში. 1965–2002 საქართვ. ტელევიზიის მუს. გაფორმების განყ-ბის უფროსი იყო. დ. ძირითა-დად სიმღერის ჟანრში მუშაობს. დ. თავისი სიმღერების საუკეთესო ინტერპრეტატორიცაა. აქვს ძლიე-რი, სასიამოვნო ტემბრის ხმა, პო-პულარობა მოიპოვეს სიმღერებმა: ,,ქუთაისო'', ,,იმერეთის ნიავო'', ,,ღმერთი სიყვარულისა'', ,,ბათუმი რად ღირს, მარტო'', ,,ჩემი სიმღე-რა'', ,,ო, არა გაზაფხულზე'', ,,კახე-თო'', ,,გადამრიე'', ,,გამიფრთხილ-დი'', ,,სამშობლო'', ,,გიყვარდეს საქართველო'', ,,ფიროსმანის ქა-ლაქი'', ,,თბილისო, სიყვარულო'' და სხვ. (ი. ნონეშვილის, ი. აბა-შიძის, მ. ქვლივიძის, ჯ. ჩარკვია-ნის, დ. გვიშიანის, ნ. დიასამიძისა და სხვ. ლექსებზე). დ-ს დაწერი-ლი აქვს აგრეთვე საფორტეპიანო კონცერტი, საფორტეპიანო სონა-ტა, მუსიკა დოკუმენტური და სატელევიზიო, აგრეთვე თოჯი-ნური ფილმებისათვის. დაჯილ-დოებულია ღირსების ორდენით (1998). თბილისის საპატიო მოქა-ლაქე (2004). თბილისის დიდი სა-კონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა დ-ის ვარსკვლავი (2012).



დუშეთის ,,ზაშტატნი'' გერბი. 1875.

დუშეთი, ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთა-მთიანე-თის მხარეში. დუშეთის მუნიცი-პალიტეტის ცენტრი. მდებარეობს დუშეთის ქვაბულში, მდ. დუშე-თისხევის (არაგვის მარჯვ. შენაკა-დი) ორივე მხარეს. ზ. დ. 880 *მ*, თბილისიდან 54 *კმ*, მცხეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 33 *კმ*. 7,3 ათ. მცხ. (2002).

დ-ში ზომიერად ნოტიო ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 9,7°C, იანვ. საშ. ტემპ-რა –1,4°C, ივლ. 20,4°C. ნალე-ქები 740 *მმ* წელიწადში.

მოსახლ. მნიშვნელოვანი ნაწი-ლი სას.-სამ. საქმიანობას ეწევა. დ-ში არის საკონსერვო, რძის, სამკერვალო, ქართ. ხალიჩების საქსოვი საწარმოები, სკოლამდე-ლი დაწესებულებები, საჯარო, სა-მუსიკო და სპორტ. სკოლები, მოს-წავლე ახალგაზრდობის სახლი, კულტსახლი, ბიბლიოთეკა, სახალ-ხო თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სამედ. დაწესებულებები, *დუშეთის გეოფიზიკური ობსერვა-ტორია*.

დ-ის ტერიტორიაზე გათხრილი სამაროვანი ადასტურებს, რომ ადამიანს აქ ჯერ კიდევ ადრინდ. ანტ. ხანაში უცხოვრია. დ. წყაროებში პირველად 1215 იხსენიება. XVII ს. დასაწყისში დ-ში არაგ-ვის ერისთავთა რეზიდენცია იყო; იდგა ნუგზარ ერისთავის სასახლე. არაგვის ერისთავთა რეზიდენცია-ში მნიშვნელოვანი კულტ.-საგან-მან. ტრადიციები დამკვიდრდა. აქ მოღვაწეობდნენ მწერლები



დუშეთი. საერთო ხედი. XX ს. დასაწყისი.

და კალიგრაფები კვიპრიანე სამ-თავნელი (XVII–XVIII სს.), ოთარ ერისთავი, რომანოზ ერისთავი, იოსები (სამივე XVIII ს.), სოფ-რონიოსი (XIX ს.) და სხვ. სხვა-დასხვა დროს დუშეთში იყვნენ *თეიმურაზ I* (1626), იესე ბარათა-შვილი (1747), *თეიმურაზ II* (1760), იოანე რუსთველი (1760), იოანე ქართველიშვილი (1795) და სხვ. XIX ს. 50-იან წლებში დუ-შეთში ცხოვრობდა და სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა ისტორიკოსი პლ. *იოსელიანი*, ხოლო 1863–74 მომრიგებელ მოსამართლედ მო-ღვაწეობდა ი. *ჭავჭავაძე*.

1635 ქართლის მეფე როსტომმა არაგვის საერისთავოს დასამორ-ჩილებლად მოწყობილი ლაშქრო-ბის დროს დ. გადაწვა. 1688 დ. კვლავ დაარბია ქართლის მეფე გიორგი XI-მ. 1743 არაგვის საერის-თავოს გაუქმების შემდეგ დ. მნიშ-ვნელოვნად დაკნინდა. 1756 დ-მა ქალაქის სტატუსი მიიღო. 1802 იგი ახლად წარმოქმნილი დუშე-თის მაზრის ცენტრი გახდა. 1918 წ. 18 ივნ. მაზრაში იფეთქა გლეხ-თა შეიარაღებულმა აჯანყებამ (იხ. *დუშეთის აჯანყება 1918*). 1921 წ. 25 ივნ. შეიქმნა დუშეთის მაზრის რევკომი, დ-ში საბჭ. ხელისუფლება დამყარდა.

დღევანდელი დ-ის ტერიტო-რიაზე საკმაოდ ინტენს. ცხოვრება ყოფილა ჯერ კიდევ მანამდე, ვიდ-რე დ. არაგვის საერისთავო ცენ-ტრად იქცეოდა. კერძოდ, ამის უტყუარი საბუთია ყარანგოზიშვი-ლების კოშკის უბანში წმ. გიორგის დარბაზული ეკლესიის არსებობა (რესტავრირებულია 1983–84), რ-იც გეგმისა და მხატვრულ-სტილის-ტური ნიშნების მიხედვით IX–X სს-ით-აა დათარიღებული. გადაკეთე-ბულია გვიანდ. შუა საუკუნეებში. სავარაუდოა, რომ დ-ის ადგილას მდებარე სამოსახლოს მთავარი უბანი IX ს-ში ამ ეკლესიის გარშე-



დუშეთი. ყარანგოზიშვილების კოშკი. გვიანდელი შუა საუკუნეები.

მო იყო განფენილი, ხოლო განვითარებული შუა საუკ. ნამოსახლარი შეფენილი იყო ფერდობზე ბატონის წყაროსა და საავადმყოფოს შორის. ერთ-ერთი ეზოს არქეოლ. გამოკვლევისას გამოვლინდა საკმაოდ საყურადღებო მასალა – თიხის საოჯახო ჭურჭლის ნატეხები, მოჭიქული ჯამ-ჭურჭლის მრავალფეროვანი ნიმუშები, რ-თა შორის ჭარბობს XII–XIII სს-თვის დამახასიათებელი პოლიქრომული ჯამები, შემკული გეომ., მცენარეული და ანთროპომორფული სახეებით. იქვე ნაპოვნია შუა საუკ. სპილენძის მონეტები, რ-თა შორის არის თამარისა და ლაშას სახელით მოჭრილი ცალები. მოპოვებული მასალის ნაწილი ინახება Დ-ის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, დანარჩენი – კერძო კოლექციაში. მომდევნო საუკუნეებში Დ-ის ადგილას მდებარე სამოსახლო დას-ით გავრცელებულა. როგორც ჩანს, ნამოსახლარის ამ უბნის დაცვას ემსახურებოდა მანგიანთხევის ნაპირზე აღმართული დიდი, გეგმით ოთხკუთხა კოშკი, რ-ისგანაც მხოლოდ საძირკვლის ნაშთია შემორჩენილი.

თანამედროვე Დ-ის ტერიტორიაზე აღრიცხულია გვიანდ. შუა საუკ. რამდენიმე ძეგლი, რ-თაგან ერთ-ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი, XVIII ს-ში აგებული (გეგმით სწორკუთხა) დუშეთის ციხე, დღეისათვის განადგურებულია.

გვიანდ. შუა საუკ. ხუროთმოძღვრული კომპლექსია შემონახული Დ-ის ჩრდ.-აღმ. განაპირას. შედარებით უკეთაა დაცული გეგმით ოთხკუთხა ოთხსართულიანი, ე. წ. ყარანგოზიშვილების კოშკი, მისივე თანამედროვე სასახლის ნაშთებითურთ. სავარაუდოა, რომ არაგვის ერისთავების გვიანდ. შუა საუკ. სასახლის კომპლექსი ამ მიდამოებში იყო განლაგებული. გვიანდ. შუა საუკ. ისტ. ძეგლებს შორის დღევანდელი Დ-ის ტერიტორიაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მილახვრიანთკარის ციხე-დარბაზი ანუ ჭილაშვილების ციხე-დარბაზი, რ-იც დუშეთისხევის მარჯვ. ნაპირზე მდებარეობს.

გარკვეულ წილად საინტერესოა ასევე, XIX ს. რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, რომელიც დღემდეა შემონახული.

არქეოლ. ძიებით (1982–83, ხელმძღვ. რ. რამიშვილი) გაირკვა, რომ მილახვრიანთკარის სასახლის ადგილას მდგარა შედარებით უფრო ძველი, რიყის ქვით ნაგები დიდი შენობა. სასახლის აღმ-ით ღია ცის ქვეშ არქეოლ. მუზეუმის მშენებლობის დროს აღმოჩნდა ძლიერი ხანძრით გადაბუგული XVII–XVIII სს. ნასახლარის ნაშთი. სასახლის ცალკეულ ნაგებობათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს უაღრესად დახვეწილი ხელოვნებით ნაგები მრგვალი საცხოვრებელ-თავდაცვითი კოშკი.



დუშეთი. სახლი, სადაც 1868–73 ცხოვრობდა ი. ჭავჭავაძე.

მილახვრიანთკარის სამხრ.-დასით, სოფლის წარჩინებულთა სასაფლაოზე დგას XVIII ს. ბოლოს აგურით და ქვით აგებული პატარა ერთნავიანი ეკლესია, აზნაურ ჭილაშვილების საგვარეულო საძვალე. ამჟამად მილახვრიანთკარის სასახლეში მოთავსებულია არქეოლ. კვლევის ცენტრის აღმ. საქართველოს მთიანეთის არქეოლ. ექსპედიციის ბაზა (ფონდსაცავები, ბ-კა, სარესტავრაციო და სხვა ლაბორატორიები, ლექტორიუმი, საწყობები და სხვ.).



დუშეთი. ჭილაშვილების ციხე-დარბაზი. XVII–XIX სს.

ლიტ.: ბერიძე ვ., XVI–XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. 1, თბ., 1983; გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983; Иоселиани П. И., Описание города Душети, Тифлисской губернии, Тфл., 1860; Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Чиковани Т. Ч. и др., Археологические исследования в Душетском районе, კრ.: Полевые археологические исследования в 1982 году, Тб., 1985.

ჯ. გვასალია. ლ. მენაბდე. რ. რამიშვილი. ვ. ჯაოშვილი.

დუშეთის აჯანყება 1918, შეიარაღებული გამოსვლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. შოვინიზმის მსოფლმხედველობით გამსჭვალული და მსოფლიო სოციალ. რევ. იდეოლოგიით შენიღბული საბჭ. რუსეთის ხელმძღვანელები ვერ ურიგდებოდნენ პოზიციების დაკარგვას კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში. რსფსრ ხელმძღვანელობის მითითებით, რკპ (ბ) კავკ. სამხარეო კომიტეტმა და კავკ. წითელი არმიის სამხ.-რევ. საბჭომ საქართველოსადმი მტრულად განწყობილ ძალებზე დაყრდნობით (ქართვ. ბოლშევიკები, აფხაზი და ოსი

სეპარატისტები, რუს. ეროვნული საბჭო, ,,დაშნაკცუთიუნი'' და სხვ.) 1918 გაზაფხულსა და ზაფხულში მოამზადა და განახორციელა შეიარაღებული გამოსვლები მთელ საქართველოში. დ. ა. ფართომასშტაბიანი და შორს გამიზნული სამხ.-პოლიტ. აქციის საბაბი უნდა გამხდარიყო. ავჯანყების დაწყებისთანავე ჩრდ. კავკასიიდან საქართველოში წითელი არმიის სპეც. რაზმი უნდა შემოსულიყო და თბილისი აეღო. მასვე ევალებოდა საქართვ. დემოკრ. რესპ. მთავრობის დაპატიმრება და საბჭ. ხელისუფლების გამოცხადება. ავჯანყების მზადების პერიოდში ძირითად პროპაგანდისტულ ძალას ქართვ. ბოლშევიკები წარმოადგენდნენ. მათ დემაგოგიური გამოსვლებით, პირველ რიგში, თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს I მსოფლიო ომის ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა ნაწილი. ბოლშევიკები ერთმანეთს უპირისპირებდნენ საბჭ. რუს. აგრარულ პოლიტიკასა და საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის აგრარულ რეფორმას; გლეხებს არწმუნებდნენ, რომ საქართვ. მთავრობა ბურჟუაზიული იყო და მათ მიწას არ მისცემდა. სიღარიბისა და დიდი სიძნელეების ვითარებაში სოფლის მოსახლეობა ძნელად აღიქვამდა მიმდინარე რეფორმის პროგრ. ხასიათს. ბოლშევიკების გამყიდველური პროპაგანდა დიდ ზეგავლენას ახდენდა დუშეთის მაზრის სომეხი და ოსი ეროვნების მოსახლეობაზე. ავჯანყების დაწყების წინ დუშეთის მაზრაში ჩრდ. კავკასიიდან დიდი რაოდენობით შეიტანეს საბრძოლო იარაღი, გამოყვეს სამხ. ინსტრუქტორები. ავჯანყების მომზადებას სამხ.-ტექ. თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა კავკ. წითელი არმიის სამხ.-რევ. საბჭო, საერთო ხელმძღვანელობას კი რკპ(ბ) კავკ. სამხარეო კომიტეტი ახორციელებდა.

შეიარაღებული გამოსვლა დაიწყო სოფ. წილკანში, სადაც ავჯანყებულებმა დახოცეს სახ. გვარდიის წევრები და სოფლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. გვარდიელები და საქართვ. სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის წევრები დახოცეს სხვა ადგილებშიც. კარგად შეიარაღებულმა ავჯანყებულებმა სწრაფად დაიკავეს დუშეთი. შეიქმნა ავჯანყების სამხ.-რევ. შტაბი. 25 ივნ. დუშეთში მოიწვიეს მაზრის გლეხთა დეპუტატების ყრილობა, რ-მაც დუშეთის მაზრაში საბჭ. წყობილება გამოაცხადა. რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტმა არ დააყოვნა და, ადრევე შემუშავებული გეგმის თანახმად, დუშეთში გამოგზავნა შეიარაღებული რაზმი ა. (საშა) გეგეჭკორის მეთაურობით. სახ. გვარდიის უნარიანი მოქმედების შედეგად ა. გეგეჭკორის რაზმი დამარცხდა, ავჯანყების გავრცელებისა და თბილ. დაკავების გეგმა ჩაიშალა. ავჯანყებულებმა შედარებით ორგანიზებული წინააღმდეგობა გაუწიეს სახ. გვარდიის რაზმებს მცხეთასთან ბრძოლის დროს, თუმცა აქაც სასტიკი მარცხი იწვნიეს. სახ. გვარდია დუშეთში შევიდა და ავჯანყების სამხ.-რევ. შტაბის წევრები დააპატიმრა. დუშეთის მაზრის სოფლებში სახალხო გვარდია ორგანიზებულ წინააღმდეგობას არ შეხვედრია. ავჯანყების ხელმძღვანელთა ნაწილმა, ბოლშევიკმა აგიტატორებმა და კავკასიის წითელი არმიის სამხ. ინსტრუქტორებმა ჩრდ. კავკასიას შეაფარეს თავი. საქართვ. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მოტყუებული გლეხობა დაუჭირა მხარი. მოქმედი კანონების საფუძველზე დაისაჯნენ ავჯანყების მოთავეები, ბოლშევიკი პროპაგანდისტები და სახალხო გვარდიის წევრთა ხოცვა-ჟლეტის მონაწილენი (ერთი ნაწილი დახვრიტეს).

ლიტ.: ლ ა ფ ა ნ ა შ ვ ი ლ ი გ., დუშეთის ავჯანყება 1918 წ., ტფ., 1927; მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ ი გ., მოგონებანი. 1917–1925, ბათ., 1990; ს ურ გ უ ლ ა ძ ე ა., ს ურ გ უ ლ ა ძ ე პ., საქართველოს ისტორია, თბ., 1991. *გ. გურული.*

დუშეთის განძი, V–VI სს. სასანური ვერცხლის მონეტების – დრაქმების განძი, აღმოჩენილი 1940–44 დუშეთის მუნიციპალიტეტში. ჩვენამდე მოღწეულია 13 ც.: პეროზ I-ის (459–484) 1 ც., კავად I-ის (488–531) 9 ც. და ხოსრო I-ის (531–579) 3 ც. მონეტები დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: Ц о ц е л и я М. В., Каталог сасанидских монет Грузии, Тб., 1981.

გ. დუნდუა.

დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორია, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის შემადგენლობაში. ჩართულია მსოფლიოს ობსერვატორიების საერთაშ. ქსელში, კოდით TFS λ=44^{0}42/ φ=42^{0}5'. მისი მთავარი ფუნქციაა დედამიწის მაგნიტური ველის ცვლილებების უწყვეტი რეგისტრაცია. XIX ს. 30-იან წლებში მსოფლიოში ფუნქციონირებდა 30-მდე მაგნიტური ობსერვატორია, აქედან 5 – რუსეთის იმპერიაში, რ-თაგან ერთ-ერთი იყო თბილისში. იგი დაარსდა 1836 მაგნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორიის სახელით. ფაქტობრივად მუშაობა დაიწყო 1844.

1904 თბილისში ელექტროტრანსპორტის ამუშავებასთან დაკავშირებით ობსერვატორია გადაიტანეს



დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორია.

მცხეთის მახლობლად, სოფ. კარსანში, ხოლო 1935-იდან, თბილისი – ხაშურის რკინიგზის ხაზის ელექტრიფიცირების შემდეგ – ქ. დუშეთში, სადაც ის დღემდე ფუნქციონირებს.

დ. გ. ო. მონაწილეა მრავალი საერთაშ. გეოფიზ. ღონისძიებებისა: I და II საერთაშ. პოლარული წელი (1882–83, 1932–33); საერთაშ. გეოფიზ. წელი (1957–59); წყნარი მზის საერთაშ. წელი (1964–65). სსრკ ტერიტ. გენერალური მაგნიტური აგეგმვა (1930–32).

დ. გ. ო-ის ფუნქციონირების პერიოდში დაგროვილია 120 წელზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტი ინფორმაცია დედამიწის მაგნიტური ველის ცვლილებების შესახებ, რაც უდიდეს ფასეულობას წარმოადგენს, როგორც ჩვენი პლანეტის შესწავლის ერთ-ერთი ინსტრუმენ-

ტი. ამავე დროს ეს ინფორმაცია არის უნიკალური და ერთადერთი კავკასიის ტერიტორიაზე. ის არის როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე მსოფლიო მეცნ. საკუთრება. მის საფუძველზე შედგენილია მონაცემთა 2 კომპიუტერული ბაზა.

დ. გ. ო. არის პირველი სამეცნ. დაწესებულება საქართველოში, სადაც რაოდენობრივი ფიზ. გაზომვები ჩატარდა. მის ბაზაზე წარმოიშვა გეოფიზ. პროფილის მრავალი დაწესებულება. მან დიდი როლი ითამაშა გეოფიზ. მეცნ. განვითარებაში არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიაშიც.


დღეისათვის **დ. გ. ო.** აღჭურვილია თანამედროვე მაგნიტური და სეისმური ციფრული აპარატურით. ინფორმაცია დედამიწის მაგნიტური ველის ცვლილებების შესახებ რეგულარულად გადაეცემა მონაცემთა მსოფლიო ცენტრს ქ. კიოტოში (იაპონია). ამ ეროვნულ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის საქართვ. მეცნ. აკადემიის წ.-კორ. თ. *ჭელიძეს.* იხ. აგრეთვე სტ. *თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია.* *რ. გოგუა.*

დუშეთის მაზრა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიის თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში. შეიქმნა 1801 წ. 12 სექტ. დებულებით, რ-იც ქართლ-კახეთის მაზრებად დაყოფას ეხებოდა. ალექსანდრე I-ის 1803 წ. 25 ნოემბ. რესკრიპტით დუშეთიდან სამაზრო ცენტრი ანანურში გადაიტანეს და **დ. მ-ს** ანანურის მაზრა უწოდეს. შემდგომ იმპერატორის 1921 წ. 24 თებ. ბრძანებით დუშეთი კვლავ სამაზრო ცენტრად აქციეს და ძველი სახელწოდება დაუბრუნეს.

1840, როდესაც შეიქმნა საქართვ.-იმერეთის გუბერნია, ქვეყნის ადმ.-ტერიტ. დანაწილებისათვის მოხდა დიდი რეორგანიზაცია. 1840 წ. 10 აპრ. დებულებით **დ. მ.** გააუქმეს, მაზრის სოფლები თბილ. და გორის მაზრებმა გაინაწილეს; პირველში დუშეთის საპოლიციო უბნის ბირთვი შეადგინეს, მეორეში კი – ქსნის საპოლიციო უბნისა. 1867 წ. 9 დეკ. ბრძანების თანახმად, **დ. მ.** კვლავ აღადგინეს, მის შემადგენლობაში შევიდა თბილ. მაზრის და დუშეთის უბანი, გორის მაზრის ქსნის საპოლიციო უბანი, გაუქმებული მთის ოკრუგი და გაუქმებული თიანეთის ოკრუგის ნაწილი. 1874 **დ. მ-ის** შემადგენლობაში შევიდა ახ. ადმ.-ტერიტ. ერთეული – ,,ქვეშეთის საპრისტავო'', რ-მაც 1888-

დუშეთის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში. ჩრდ-ით ესაზღვრება ჩაჩნეთი, ინგუშეთი და ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დას-ით – ახალგორისა და კასპის, სამხრ-ით – მცხეთის, აღმ-ით – თიანეთისა და ახმეტის მუნიციპალიტეტები. ფართ. 2981,5 *კმ²*. მოსახლ. 33,6 ათ. კაცი (2002). ცენტრი – ქ. *დუშეთი.* **დ. მ-**ში არის 1 ქალაქი, 2 დაბა (ჟინვალი, ფასანაური), 288 სოფელი, 2 დაბის ტერიტ. ორგანო, 15 თემი: ანანურის, ბაზალეთის, გრემისხევის (ცენტრი – ციხისუბანი), გუდამაყრის (ცენტრი – კიტოხი), ლაფანაანთკარის, მაღაროსკარის, მჭადიჯვრის, უკანაფშავის (ცენტრი – შუაფხო), ქვეშეთის, შატილის, ჭართლის, ჭონქაძის (ცენტრი – ყვავილი), ჭოპორტის, ხევსურეთის (ცენტრი – ბარისახო), ხეობის.

ისტორიული ცნობა. დ. მ-ის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან გადიოდა სამიმოსვლო გზები, რ-თა მნიშვნელობა ხშირად სცილდებოდა კავკასიის ფარგლებს. ამათგან უმთავრესია დარიალის ანუ არაგ-



1. კასპის მუნიციპალიტეტი

ვის გზა (XVIII ს. მიწურულიდან *საქართველოს სამხედრო გზა*). ტერიტორია მრავალ ისტ.-გეოგრ. თუ ისტ.-ეთნოგრ. თემს მოიცავდა: მთიულეთს (ხადა, ცხავატი), გუდამაყარს, ხანდოს, ჭართალს, ბაზალეთს, ხორხს, ფხოვს (გვიანდ. ფშავსა და ხევსურეთს), წობენს. **დ. მ-ის** ტერიტორიაზე, კერძოდ არაგვის ხეობაში ადამიანთა ნა-



ანანურის ციხის ხუროთმოძღვრული ანსამბლი. XVII–XVIII სს.

მოსახლარზე საუბარი შეიძლება ნეოლითის ხანიდან. აღმოჩენილია პალეოლითის ხანის იერის მქონე ცალკეული იარაღები. ამ პერიოდში საცხოვრებლად ათვისებული იყო, როგორც ბაზალეთის პლატო და ჟინვალის მიდამოები, ისე მთაც (დიდველი). ძვ. წ. III ს-ში, მას შემდეგ, რაც ფარნავაზმა ქართლის სამეფო საერისთავოებად დაყო, ახლანდ. დ. მ-ის ტერიტ. შევიდა შიდა ქართლის ანუ სასპასპეტოს და კახეთ-კუხეთის საერისთავოებში, დ. მ-ის ტერიტორიაზე, კერძოდ ჟინვალში, აღმოჩენილი არქეოლ. მასალა მოწმობს, რომ არაგვის ხეობის შუა წელზე ახ. წ. პირველ საუკუნეებში აღმოცენებული იყო ქალაქური ტიპის ძლიერი დასახლება. IV ს. 30-იან წლებში მთიელთა გასაქრისტიანებლად წმ. ნინო მოვიდა *წობენს*, ჟინვალის მისადგომებთან. დ. მ-ის ტერიტ. შედიოდა როგორც ქართლის, ისე კახეთის შემადგენლობაში. IX–XI სს-ში კახეთის სამთავროს (შემდგომში სამეფოს) გაძლიერებასთან დაკავშირებით, იგი პოლიტიკურად მთლიანად კახეთის შემადგენლობაში მოექცა, მონღოლთა შემოსევების შემდეგ მის ტერიტორიას გამოეყო არაგვის საერისთავო, მისი ბირთვი იყო ბაზალეთი ანუ ,,დაბალი საერისთავო''. დ. მ-ის ტერიტ., ეკლესიური მმართველობის თვალსაზრისით, განაწილებული იყო მცხეთის საპატრიარქოს, წილკნისა და ხარჭაშოს საეპისკოპოსოებზე. 1930-მდე ახლანდ. დ. მ-ის ტერიტ. შედიოდა *დუშეთის მაზრაში*, 1930-იდან გამოიყო ცალკე რ-ნად. 2005-იდან მუნიციპალიტეტია.

ბუნება. დ. მ-ის ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს კავკასიონის მთავარ ქედს (საკოხის მთიდან დიდი ბორბალოს მთამდე), მის სამხრ. შტოქედებს – ალევის, მთიულეთის, გუდამაყრის, ქართლის (დას. კალთა) ქედებს და მათ შორის მდებარე ხეობებს. მუნიციპალიტეტის სამხრ. ნაწილი უკავია გორაკ-ბორცვიან მთისწინეთს (სადაც ვაკე რელიეფით გამოირჩევა ბაზალეთის პლატო და დუშეთის ქვაბული) და შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. პერიფერიას. მუნიციპალიტეტის ჩრდ.-აღმ. ნაწილი აგებულია იურული თიხაფიქლებით, ქვიშაქვებით, მერგელებითა და კირქვებით. უფრო სამხრ-ით გავრცელებულია ცარცული კირქვები, მერგელები და ქვიშაქვები. ბაზალეთის პლატო აგებულია მეოთხეული კონგლომერატებითა და თიხებით. მდ. არაგვის ხეობის ძირზე გვხვდება თანამედროვე კენჭნარი. ახალგაზრდა პლიოცენ-მეოთხეული ანდეზიტები და ბაზალტები არის დ. მ-ის უკიდურეს ჩრდ.-დას. ნაწილში.

დ. მ-ის მთავარი წიაღისეულია მინერ. წყლები, მ. შ. აღსანიშნავია ,,ვაჟას წყარო'' და ,,ხადა''. მინერ. წყლების გამოსასვლელებია ფასანაურის, კიტოხის, ლულის, ხახმატის, ხახაბოს და ლიქოკის მიდამოებში. მოიპოვება საშენი მასალა.

დაბალ ნაწილში ჰავა ზომიერად ნოტიოა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 11°C, იანვ. საშ. ტემპ-რა 0°C-ზე რამდენადმე დაბალია, ივლ. 22,5°C; აბსოლ. მინ. –30°C, აბსოლ. მაქს. 39°C. მთაში ნამდვილ ზაფხულს მოკლებული მაღალმთის ზომიერად ნოტიო ჰავაა, ხოლო 3300–3400 *მ* ზემოთ – მაღალმთის ჰავა მარადი თოვლითა და მყინვარებით. იანვ. საშ. ტემპ-რა მაღალმთიან ნაწილში –15°C-ზე დაბლა ეცემა, ივლ. 4°C არ აღემატება; აბსოლ. მინ. –30°C, აბსოლ. მაქს. 17°C. ნალექები დაბალ ზონაში 700 *მმ* წელიწადში, მთაში – 1500–1700 *მმ*. ნალექების მაქს. გაზაფხულზეა (მაისი). ზამთრობით თოვლის საბურვლის სიმაღლე დაბალ ზონაში უმნიშვნელოა, მაღალმთიან ნაწილში კი ცალკეულ წლებში 3,5 *მ* აღწევს.

კავკასიონის სამხრ. კალთის მდინარეები – არაგვის სისტემა – მტკვრის აუზს მიეკუთვნება, ჩრდ. კალთისა – არხოტისწყალი და არღუნი – თერგის აუზს. არაგვის სისტემას ქმნის მთიულეთის, გუდამაყრის, ხევსურეთისა და ფშავის არაგვი. მდინარეები საზრდოობენ თოვლის, წვიმისა და



მჭადიჯვრის ეკლესია. 1668.

მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა გაზაფხულზე და ზაფხულის პირველ ნახევარში იცის, წყალმცირობა – ზამთარში. დ. მ-ში 30-მდე ტბაა, მ. შ. სიდიდით აღსანიშნავია *ბაზალეთის ტბა*. მუნიციპალიტეტის ფარგლებშია *ჟინვალის წყალსაცავი*.

მუნიციპალიტეტის დაბალ ნაწილში გავრცელებულია ტყის ყავისფერი ნიადაგი. ბაზალეთის პლატოზე მცირე ფართობი უკავია შავმიწისებრ ნიადაგს, უფრო მაღლა ტყის ყომრალი ნიადაგია, რ-საც ზემოთ მოსდევს ტყის ზედა სარტყლის ღია და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგები. ამ ზონაში ალაგ-ალაგ გვხვდება კორდიან-კარბონატული ხირხატიანი ნიადაგიც. ტყის ზონის ნიადაგებს ზემოთ ცვლის თავდაპირველად კორდიანი და კორდიან-ტორფიანი, ხოლო შემდეგ – ალპ. ზონის მცირე სისქის კორდიან-ტორფიანი მთის მდელოს ნიადაგები.

მდ. არაგვის ხეობაში შემორჩენილია ჭალის ტყის კორომები. ბორცვიანი მთისწინეთი უკავია ჯაგეკლიან სტეპებს, რ-შიც შერეულია ტყის ელემენტები. მთის ტყის ზონის ქვემო ნაწილში მუხისა და რცხილის ტყეებია, ზემოთ – წიფლნარი. გვხვდება წიწვოვნებიც. მდინარეების არხოტისწყლისა და არღუნის ხეობებში გავრცელებულია ფიჭვნარი. მთის ტყის ზონის ზემოთ სუბალპ. და ალპ. მდელოებია, ქედების ჩრდ. კალთაზე – დეკიანები.

მაღალმთიან ზონაში გვხვდება დაღესტნური ჯიხვი და არჩვი. ნიამორი მხოლოდ პირიქითა ხევსურეთშია. მთის ტყის ზონის ქვემო ნაწილში შემორჩენილია ირემი, შველი, მტაცებლებიდან



მერეს ციხე. განვითარებული და გვიანდელი შუა საუკუნეები.



მუცო. შუა საუკუნეები.

– მურა დათვი, მგელი, მელა, მაჩვი, კვერნა, დედოფალა, ირვიათად – ფოცხვერი, მთისწინეთის ტყეში ბინადრობს ტურა, კურდღელი, ციყვი, სტეპში ბევრია მემინდვრია. ფრინველებიდან ალპ. მდელოებზე ბინადრობს კავკასიური შურთხი, ტყის ზედა ნაწილში – კავკასიური როჭო, მაღალმთიან ზონაში გვხვდება ბატკანძერი, მთის არწივი, მაღრანი; ტყეში – ძერა, ქორი, ჩხიკვი და სხვ. არაგვის ქვემო დინებაში გავრცელებულია ქაშაპი, მტკვრის ტობი, ხრამული, მტკვრის წვერა, მურწა; კალმახი გვხვდება არაგვის შუა და ზემო დინებაში, აგრეთვე მის შენაკადებსა და მდინარეებში არხოტისწყალსა და არღუნში.

ძირითადი ლანდშაფტები: 1. ჭალები (უმეტესად ტუგაის მცენარეულობა და ალუვიური ნიადაგი); 2. მთისწინეთი (ჯაგრცხილნარ-მუხნარი და ტყის ყავისფერი ნიადაგი); 3. პლატოსებრი მაღლობი (ჯაგეკლიანები და ჯაგრცხილნარ-მუხნარი, ტყის ყავისფერი და შავმიწისებრი ნიადაგები); 4. დაბალი და საშუალო მთა-ტყის (მუხნარი, მუხნარ-რცხილნარი და წიფლნარი; ტყის ყავისფერი, ყომრალი და კორდიან-კარბონატული ნიადაგები); 5. საშუალო მთები (ფიჭვნარი და არყნარი, ტყის ღია ყომრალი ნიადაგი); 6. მთა-მდელოს (სუბალპ. და ალპ. ლანდშაფტი, მთის მდელოს ნიადაგი); 7. სუბნივალური და ნივალური ლანდშაფტების ფრაგმენტები.

მოსახლეობა. მოსახლ. 94,6% ქართველია. ცხოვრობენ აგრეთვე სხვა ეროვნების წარმომადგენლები. განსახლების ძირითადი ზონა ზ. დ. 500–1500 *მ* ფარგლებშია. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 11,3 კაცი 1 *კმ*^{2}-ზე. მოსახლ. 67,6% ცხოვრობს სოფლად.

მეურნეობა. სოფ. მეურნ. მთავარი დარგია მეცხოველეობა. მისდევენ აგრეთვე მებაღეობას, მევენახეობას, მებოსტნეობას. ნათესი ფართობის 80%-ზე მეტი უჭირავს მარცვლოვან და პარკოსან კულტურებს. მეცხოველეობაში წამყვანია მესაქონლეობა, განვითარებულია მეღორეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა.

დ. მ-ის ენერგეტ. ბაზაა ჟინვალჰესი, მუნიციპალიტეტში არის: საკონსერვო, რძის, კერამ., ქართ. ხალიჩების საქსოვი, სამკერვალო, მინერ. წყლის ჩამომსხმელი, კულტ.-საყოფაცხოვრებო დანიშნულების (მ. შ. სუვენირების) საწარმოები.

სატრანსპ. სისტემაში მთავარ როლს თამაშობს საავტ. ტრანსპორტი. დ. მ-ის ტერიტორიაზე გადის საქართველოს სამხედრო გზა, რ-ის სიგრძე მუნიციპალიტეტის ფარგლებში 47 *კმ*-მდეა.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. მუნიციპალიტეტში არის სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო სკოლები, სკოლა-ინტერნატი, სამუსიკო (ჟინვალი, ფასანაური) და სპორტ. (დუშეთი) სკოლები, ბიბლიოთეკები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, არქიტ.



ფუძნარის ღვთისმშობლის ეკლესია. XIII ს. I ნახევარი.



ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია. გვიანდელი შუა საუკუნეები.

ნაკრძალი ,,შატილი‘‘, ვაჟა-ფშაველას (ჩარგალი), გიორგი და დავით ერისთავების (ობისი), დ. ჭონქაძის (ყვავილი) სახლ-მუზეუმები, კულტსახლები (დუშეთი, ჟინვალი), სახალხო თეატრი.

მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება სამედ. დაწესებულებები, მათ შორის ფუნქციონირებს შპს ,,ჯეო ჰოსპიტალი‘‘. ადგილ. მნიშვნელობის კურორტია ფასანაური, ჩარგალში და ბაზალეთის ტბის ნაპირზე არის ტურისტული ბაზები, გუდაურში – სამთო-სათხილამურო კომპლექსი.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. მუნიციპალიტეტის ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია: ქოროღოს ეკლესია (X–XI სს.) და კოშკი (X ს.), ცეცხლისჯვრის ეკლესია (IX–X სს.), კოშკი (X–XI სს.) და სასახლე (გვიანდ. შუა საუკ.); მჭადიჯვრის ეკლესია (1668) და ციხე (1746), *ჟინვალის* კომპლექსი, *ბოდორნის* (განვითარებული შუა საუკ.) გუმბათოვანი ეკლესია, ახატნის ნათლისმცემლის ეკლესია (შუა საუკ.), *ანანურის ციხის* ხუროთმოძღვრული ანსამბლი (XVII–XVIII სს.), *მუცოს, შატილის,* დუშეთის (ყველა შუა საუკ.) ხუროთმოძღვრული ძეგლები, *ლებაისკარისა* (შუა საუკ.) და *ახიელის* (გვიანდ. შუა საუკ.) და სხვ. კოშკები და ძვ. ციხე-სახლები.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983; რ ა მ ი შ ვ ი ლ ი რ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, «მნათობი», 1986, №8.

ი. აფხაზავა. მ. ბალიაური. ჯ. გვასალია. რ. კვერენჩხილაძე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, არასამეწარმეო იურიდიული პირი. დაფუძნდა 2007 წ. 27 მარტს, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით.

დ. მ. კ.-ს. ც-ის მიზანია დუშეთის მუნიციპალიტეტში ქართ. კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განვითარების ხელშეწყობა, მოსახლეობის ჩართვა ეროვნ.-კულტ. მემკვიდრეობის შესწავლის, მოვლა-პატრონობისა და პოპულარიზაციის საქმეში.

დ. მ. კ.-ს. ც. აგროვებს, იცავს, შეისწავლის და პოპულარიზაციას უწევს ეროვნ.-კულტ. ფასეულობებს; ახორციელებს სხვადასხვა კულტ. პროგრამებს, აწყობს შემოქმედებით საღამოებს, კონცერტებს, თეატრ. წარმოდგენებს, კინო-ჩვენებებს, ლიტ. საღამოებს, გამოფენებს, სამეცნ. შეხვედრებს; ქმნის და იძენს საბიბლიოთეკო რესურსების ფონდებს – ერთჯერადი და პერიოდული სამეცნ. და ტექ. გამოცემების, მხატვრ. ლიტ-რის, ტექ. დოკუმენტების, მონაცემთა ბაზების, ელექტრონული, მულტიმედიის ან ნებისმიერი სხვა ფორმით; ხელს უწყობს მკითხველის სამეცნ., მხატვრ., ტექ. და სხვ. ინტელექტუალური პროდუქციით უზრუნველყოფას; დახმარებას უწევს მეცნიერებს, სამეცნ.-კვლ. დაწესებულებებს, კულტ. მოღვაწეებს და სხვა. სამუზეუმო ფონდის შესავსებად იძენს ან შემოწირულობა-საჩუქრის სახით კრებს ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს, ისტ.-კულტ. ექსპონატებს. ცენტრი ხელს უწყობს დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტ.-კულტ. ძეგლების დაცვას, მოვლა-პატრონობასა და აღდგენას, კულტ. ტურიზმის განვითარებას; თანამშრომლობს საქართვ. და უცხოეთის კულტ.-საგანმან. ორგანიზაციებთან.

დ. მ. კ.-ს. ც-ში გაერთიანებულია ფილიალები: დუშეთის სახელოვნებო, ჟინვალის სამუსიკო, ფასანაურის სამუსიკო სკოლები; დუშეთისა და ჟინვალის კულტურის სახლები, *დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;* დანიელ ჭონქაძის სახლ-მუზეუმი; დუშეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა.

მ. სავაძე.



ბაზალეთის ტბა.

დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაარსდა 1949, საჯარო დათვალიერებისათვის გაიხსნა 1953 წ. 30 ნოემბ. 1949-იდან დაიწყო მუზეუმისთვის განკუთვნილი იმ ძვ. საფოსტო შენობის რეკონსტრუქცია, რ-იც მდებარეობს დუშეთზე გამავალი ძვ. სამხედრო გზის ნაპირას. ცნობილია, რომ აქ გაჩერებულან ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ა. გრიბოედოვი, ა. დიუმა (მამა) და სხვა ცნობილი მოღვაწეები. დ. მ. მ-ში თავმოყრილია მრავალი საინტერესო ექსპონატი ფშავ-ხევსურეთის, მთიულეთ-გუდამაყრისა და არაგვის, ქართლის ისტ.-ეთნოგრ. წარსულიდან; ადგილობრივი წარმოების საომარი თუ სამეურნეო იარაღები. დ. მ. მ. შედგება 2 განყ-ბისაგან.

ი ს ტ ო რ ი ულ - ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ურ განყოფილებაში თავმოყრილია ქ. დუშეთისა და მდ. არაგვის აუზის ტერიტორიაზე მოპოვებული მასალები უძველესი დროიდან, ქვის ხანიდან – გვიან

შუა საუკუნეებამდე. არქეოლ. მასალა ასახავს მდ. არაგვის აუზში მცხოვრები მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობას, მატერ. და ნივთიერ კულტურას, რწმენა-წარმოდგენათა თავისებურებებს სხვადასხვა ეპოქაში; განსაკუთრებით სრულადაა წარმოდგენილი ადრე, შუა და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის მასალები.

ეთნოგრაფიულ განყოფილებაში დაცულია ეთნოგრ. ყოფის ამსახველი მასალები (ქსოვილების ნიმუშები, აღმ. საქართველოს მთიანეთის XIX ს. ფარდაგები, ხალხ. სამოსი და აქსესუარები, მინის და კერამ. ჭურჭელი, მ. შ. მოჭიქული კერამიკა); აგრეთვე დ. ერმაკოვისა და ა. როინაშვილის მიერ გადაღებული XIX ს. ფოტომასალა და სხვ.

მუზეუმის საერთო ფართობია 402 *მ²*, მ. შ. საექსპოზიციო-საგამოფენო –159 *მ²*. საფონდო – 105 *მ²*. მუზეუმში დაცულია დაახლ. 6,5 ათ. ექსპონატი. *თ. პატაშური.*

დუშეთის სახალხო თეატრი, დაარსდა 1880 წ. 20 იანვარს. გაზ. ,,დროება'' იუწყებოდა, რომ დუშეთში დასაბამი მიეცა თეატრის დაფუძნებას, ამავე წელს ,,დროება'' მკითხველს ახ. ცნობას აწვდიდა, რომ დუშეთის სცენისმოყვარეებს გაუმართავთ სპექტაკლი ,,ბიძიასთან გამოხუმრება'', რ-შიც მონაწილეობა მიუღია სახელგანთქმულ მსახიობ ნ. მ. *გაპუნიას;* შემდგომ მასვე უთამაშია გ. ერისთავის ,,გაყრაში''. თეატრის სპექტაკლებში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ ქართ. სცენის დიდოსტატები: ვ. *აბაშიძე,* ე. *ჩერქეზიშვილი,* ვ. *გუნია.* პირველი სპექტაკლების დადგმის ინიციატორი თ. კვალიშვილი იყო. მრავალფეროვანია თეატრის რეპერტუარი. მისი დაარსებიდან დაიდგა გ. ერისთავის ,,გაყრა'', ა. ცაგარლის ,,ხანუმა'', ა. ყაზბეგის ,,არსენა'', ვ. გუნიას ,,და-ძმა'', ა. გრიბოედოვის ,,ვაი ჭკუისაგან'', ფ. შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული'', დ. ჭონქაძის ,,სურამის ციხე'', ა. წერეთლის ,,პატარა კახი'', პ. კაკაბაძის ,,კოლმეურნის ქორწინება'', ,,ყვარყვარე თუთაბერი'', კ. კალაძის ,,როგორ?'', ,,ხატიჯე'', ს. კლდიაშვილის ,,გმირთა თაობა'', ა. ყაზბეგის ,,მოძღვარი'', ს. შანშიაშვილის პიესა ,,ხევისბერი გოჩა'' (ა. ყაზბეგის მიხედვით), ს. მთვარაძის ,,სახსოვარი'', გ. შატბერაშვილის ,,ფიქრის გორა'' და სხვ.

1956 თვითმოქმედ დრამ. თეატრს მიენიჭა სახ. თეატრის წოდება; რეჟისორად მიიწვიეს შ. ჩერქეზიშვილი, მხატვარი იყო ტ. ოთარაშვილი. თეატრმა დადგა ა. ყაზბეგის ,,ციცია'', ,,ელგუჯა'', ლ. მილორავას ,,სად იყო ჭკუა?'', ა. ჩხაიძის ,,შთამომავლობა'', გ. ხუხაშვილის ,,მოსამართლე'' და სხვ. 1988 დ. ს. თ. მუშაობს რაიონული კულტ. სახლის ბაზაზე (თეატრის რეჟისორი – ზ. კახიანი). თეატრის მიმდინარე რეპერტუარში იყო ნ. არეშიძის ,,მე, ცოლი და სიდედრი'', ო. იოსელიანის ,,ადამიანი იბადება ერთხელ'', ა. ჩხაიძის ,,სამიდან ექვსამდე''. 2008-იდან დ. ს. თ-ის რეჟისორია ლ. ლიქოკელი, მხატვარი – ა. ჭინჭარაული. 2011 წ. 1 იანვ. თეატრის რეპერტუარში იყო გ. მარგველაშვილის ,,მოწმენი სარკეში'' (2009), რ. ერისთავის ,,ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს'' (2010), ,,ტყის ამბები'' (ვაჟა-ფშაველას მიხ., 2011), გ. ჩოხელის ,,შემინახე დედაო მიწავ!'' (გ. ჩოხელის ნაწარმოების პირველი სასცენო დადგმა, 2011).

თ. მოზდოკელი. კ. სეფიაშვილი.

დუცი (Agasyllis), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა. მაღალი (100–150 *სმ*) ბალახია. აქვს დიდი, რთული ფოთლები, რთულ ქოლგა ყვავილედებში თავმოყრილი თეთრი ყვავილები. კავკ. ენდემური მონოტიპური გვარია. მისი ერთადერთი სახეობა (A. caucasica) თითქმის მთელ საქართველოშია გავრცელებული. იზრდება სუბალპ. სარტყლის მდელოებზე, მთის მდინარეების ნაპირებზე, ღარტაფებში, ტენიან ადგილებზე.

რ. გაგნიძე.

დუცხუნი, სოფელი ვანის მუნიციპალიტეტის ყუმურის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის სამხრ. მთისწინეთში, მდ. ყუმურის (რიონის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 250 *მ,* ვანიდან 18 *კმ.* 280 მცხ. (2002).

დუხობორები (რუს. духоборы – სულისათვის მებრძოლნი), უკიდურესად პროტესტანტული სექტა, ჩამოყალიბდა XVIII ს. II ნახევარში ვორონეჟის, ტამბოვის, ეკატერინოსლავის გუბერნიებში. დამაარსებლები: ს. კოლესნიკოვი და ი. პობიროხინი. მათი მოძღვრების საფუძველი იყო ბრძოლა სულსა და სხეულს, ანუ სიკეთესა და ბოროტებას შორის. დ. უარყოფენ საღვთო წერილს, ქრისტ. საიდუმლოებებს, ბავშვების მონათვლას, ჯვრისწერისა და დაკრძალვის განსაკუთრებულ წესებს, სახელმწ. ხელისუფლებას. მათი აზრით, ღვთაებრივი სამება განუყოფელია, ხოლო იესო ქრისტე არის ღვთიური გონი, რ-იც სახლობს ხან ერთ, ხან მეორე რჩეულ ადამიანში და მემკვიდრეობით გადადის. დ. ქადაგებენ ქონების ერთობას, თანასწორუფლებიანობას, სულიერ თავისუფლებას, კოლექტიურ მეურნეობას. დ. აქტიურად ეხმიანებოდნენ ლ. ტოლსტოის იდეებს და მუდამ გრძნობდნენ მის მხარდაჭერას. რუს. მართლმადიდებელ ეკლესიასთან უთანხმოების მიზეზით ხელისუფლებამ დ. 1804 მელიტოპოლის მაზრაში გადაასახლა, ხოლო 1841 – ამიერკავკასიაში, ძირითადად ახალქალაქის მაზრაში. 1898–1900 წწ. დ-ის ნაწილი გაასახლეს კანადაში.

საქართველოში დ-მა პირველად შექმნეს სახელოსნო და მიწის დამუშავების არტელები, აღადგინეს კომუნური სათემო მეურნეობა, გაანადგურეს ყოველგვარი სამხ. იარაღი, არ იხდიდნენ სამხ. ბეგარას. 1877–78, რუს.-ოსმ. ომის დროს, მთავრობის თხოვნით, დ-მა გამოიყვანეს 4000 ოთხცხენასაზიდარი, რის გამოც გათავისუფლდნენ არმიაში სამსახურისაგან. მათვე ჰქონდათ შექმნილი საფრონტო ლაზარეთები.



დუცი. კავკასიური დუცი (Agasyllis caucasica).

საქართველოში მცხოვრები დ-ის შესახებ ლ. ტოლსტოის მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას ქართვ. საზ. მოღვაწე ი. *ნაკაშიძე,* რ-საც თავისი საქმიანობის გამო დაატოვებინეს სამშობლო. ლ. ტოლსტოიმ იგი მოაწყო მოსკოვში, საიდანაც აქტიურად განაგებდა დ-ის საქმეებს.

ამჟამად დ-ის ყველაზე მრავალრიცხოვანი გაერთიანება არსებობს კანადაში. აქ მოქმედებს ,,ქრისტეს სულიერ თემთა კავშირი'', რ-საც გახსნილი აქვს რუსულენოვანი სკოლები, გამოსცემს გაზეთებს და მჭიდრო კონტაქტი აქვს რუსეთსა და საქართველოში მცირე რაოდენობით დარჩენილ დ-თან. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ დ-ის ნაწილი საქართველოდან კვლავ რუსეთში გადასახლდა.

ლიტ.: Клибанов А. И., История религиозного сектантства в России, М., 1965; Поракишвили З. И., Духоборы в Грузии, Тб., 1970.

რ. წიქვაძე.

დღამში, დ ღ ა მ ი შ ი, მდინარე დას. საქართველოში, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში. სიგრძე 31 *კმ,* აუზის ფართ. 120 *კმ²*. სათავე აქვს კოდორის ქედის სამხრ. კალ-

თაზე, 1003 *მ* სიმაღლეზე. ერთვის შავ ზღვას სოფ. წკრიშთან. საზრდოობს წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 4,37 *მ*^{3}*/წმ*.

დღამში, დ ღ ა მ ი შ ი, სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის ჯგერდის თემში (აფხაზეთის არ), მდ. დღამშის ნაპირზე. ზ. დ. 160 *მ*, ოჩამჩირიდან 28 *კმ*. 85 მცხ. (1989).

დღე-ღამე, დედამიწის ღერძული ბრუნვის პერიოდი; დროის ერთ-ერთი ძირითადი საზომი ერთეული. ქართ. აღნიშვნაა **დ.-ღ.** განასხვავებენ ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი ე რ **დ.-ღ-ს** – გაზაფხულის დღეღამტოლობის წერტილის მიმართ დახრილობა დადებითია (21 მარტიდან 23 სექტ-მდე), ხოლო 12 *სთ*-ზე ნაკლებია, როცა მზის დახრილობა უარყოფითია (23 სექტ-იდან 21 მარტამდე). ჩრდ. ნახევარსფეროში დხ მაქსიმალურია ზაფხულის მზებუდობის დღეს (22 ივნ.) და მინიმალურია ზამთრის მზებუდობის დღეს (22 დეკ.). სამხრ. ნახევარსფეროში ეს მოვლენები დიამეტრულად შებრუნებულია. საკუთრივ ეკვატორზე დხ უცვლელია და უდრის 12 *სთ*, 21 მარტსა და 23 სექტ. (ბუნიობისას) დხ დედამიწაზე ყველგან (პოლუსების გარდა) ერთნაირია და დაახლ. 12 *სთ* ტოლია; პოლარულ წრეებზე უფრო მაღალ განედებზე ზაფხულობით დხ 24 *სთ* აჭარბებს, პოდღეში მოხნავდა. **დ**-ის სიდიდეს განაპირობებდა სამუშაო დღის ხანგრძლივობა, გამწევი ძალა და ნიადაგის ხარისხი. ქართ. წყაროებში გვხვდება XVI ს-იდან. XIX ს-ში **დ.** 0,39–0,5 *ჰა*-ს უდრიდა. **დ**-ის ეკვივალენტური საზომი იყო ,,დღის მიწა'', რ-იც წყაროებში XIII ს-იდანაა დადასტურებული.

გ. ჯაფარიძე.

დღიური, ერთი ან რამდენიმე ავტორის ყოველდღიური ან პერიოდული ჩანაწერი (შდრ. *მემუარები*). **დ**-თვის დამახასიათებელია ჩაწერის თარიღის აღნიშვნა, ჩაწერილი ამბისა და ამ თარიღის სინქრონულობა. **დ**-ები ისტ., ისტ.-კულტ. და ისტ.-ბიოგრ. დოკუმენტებია (მაგ. – ჯ. კუკის ხომალდის **დ.**, ვ. კიუხელ-

დ ღ ი ს ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ო ბ ა თ ბ ი ლ ი ს ი ში.

თვე	რიცხვი						თვე	რიცხვი					
	1		11		21			1		11		21	
	სთ	წთ	სთ	წთ	სთ	წთ		სთ	წთ	სთ	წთ	სთ	წთ
იანვარი	9	12	9	22	9	39	ივლისი	15	12	15	01	14	45
თებერვალი	10	02	10	26	10	51	აგვისტო	14	23	14	00	13	36
მარტი	11	15	11	42	12	11	სექტემბერი	13	08	12	41	12	14
აპრილი	12	42	13	10	13	38	ოქტომბერი	11	46	11	17	10	51
მაისი	14	01	14	25	14	45	ნოემბერი	10	23	9	59	9	37
ივნისი	15	00	15	11	15	13	დეკემბერი	9	22	9	11	9	08

ათვლილ დედამიწის ბრუნვის პერიოდს და მ ზ ი ს ი ე რ **დ.-ღ-ს** (მზის მიმართ ათვლილს). ვარსკვლავიერი **დ.-ღ.** არ შეესაბამება დღისა და ღამის მონაცვლეობას და საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში ამ ერთეულით დროის გაზომვა მოუხერხებელია. ამ მიზნით იყენებენ მზისიერ **დ.-ღ-ს**, რ-იც ტოლია საშ. მზის ცენტრის ზედა ან ქვედა ორ თანმიმდევრულ კულმინაციას შორის დროის შუალედისა. 1 *დღ-ღ* = 24 *სთ* = 1440 *წთ* = = 86400 *წმ*. მზის დისკოს ზედა კიდის ამოსვლისა და ჩასვლის მომენტებს შორის **დ.-ღ-ის** ნაწილს დ ღ ი ს ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ო ბ ა (დხ) ეწოდება. იგი დამოკიდებულია ადგილის გეოგრ. განედსა და მზის დახრილობაზე. თბილისის განედისათვის (φ=41°42′) ცხრილში მოცემულია დხ დამოკიდებულება წელიწადის დროზე (ანუ მზის დახრილობაზე) ყოველი თვის 1, 11, 21 რიცხვებისთვის. ცხრილის სიზუსტე საქართვ. მთელი ტერიტორიისათვის შეადგენს 2–3 *წთ* და ვარგისია უახლოესი 50 წლის განმავლობაში. დედამიწის ჩრდ. ნახევარსფეროში დხ 12 *სთ*-ზე მეტია მაშინ, როდესაც მზის ლუსებზე კი ნახევარ წელიწადს აღწევს.

დღვაბა, სოფელი ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-დღვაბის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. დღვაბის (ჭურიის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 6 *მ*, ხობიდან 13 *კმ*, ხეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 7 *კმ*. 382 მცხ. (2002).

დღვანა, სოფელი მარტვილის მუნიციპალიტეტის კურზუს თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის ვაკეზე, მდ. ჭოლის (ოჩხომურის მარცხ. შენაკადი) ზემოთში. ზ. დ. 360 *მ*, მარტვილიდან 27 *კმ*. 346 მცხ. (2002).

XVII ს. ეკლესიის ნანგრევები.

დღვანი, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტში (აჭარის არ), შავშეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ჩირუხისწყლის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: **დ.**, გოგინაური, კვიახიძეები, ლომანაური, ქიძინიძეები). ზ. დ. 1120 *მ*, შუახევიდან 16 *კმ*. 439 მცხ. (2002).

დღიური, ფართობის საზომი ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში; გულისხმობდა მიწის იმ რაოდენობას, რ-საც *გუთნეული* ერთ ბეკერის ლიცეუმის **დ**-ები, ი. პ. ეკერმანის ,,საუბრები გოეთესთან'' და სხვ.). ვარაუდობენ, რომ **დ.** XVII ს. ინგლისში ჩაისახა. მის გავრცელებას უკავშირებენ სანტიმენტალიზმს, უფრო კონკრეტულად – ლ. სტერნის ,,სანტიმენტალურ მოგზაურობას''. მწერალთა **დ**-ები გვაწვდის ცნობებს არა მარტო მათი თანამედროვე კულტ.-საზ. ვითარების, არამედ თავად ავტორის, როგორც პიროვნების, შემოქმედი ინდივიდის, შესახებაც (ე. და ჟ. გონკურების ,,დღიურები'', ,,ანა ფრანკის დღიური'').

დ., როგორც ლიტ. ჟანრი, განსაკუთრებით გავრცელდა XVIII–XIX სს. რუსეთში. ამ ჟანრის მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შექმნეს ა. პუშკინმა, ლ. ტოლსტოიმ, ვ. ბრიუსოვმა, ა. ბლოკმა, მ. ცვეტაევამ და სხვ.

ქ ა რ თ უ ლ ლიტ-რაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ს.-ს. *ორბელიანის* ,,მოგზაურობა ევროპაში'', გ. *ავალიშვილის* ,,მგზავრობა თბილისით იერუსალიმისადმი...'', გ. *ორბელიანის* ,,მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურლამდის'' და ,,დღიურები''. თანამედროვე ქართ. ლიტ-რიდან აღსანიშნავია ი. *აბა-*

შიძის ,,პალესტინის დღიური'' და სხვ. დ-ის ფორმა ხშირად არის გამოყენებული სხვა ჟანრის მხატვრულ ნაწარმოებებში პერსონაჟის სულიერი სამყაროს უკეთ გადმოსაცემად (ი. ვ. გოეთეს ,,ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი'', მ. ლერმონტოვის ,,ჩვენი დროის გმირი'', კ. გამსახურდიას ,,მთვარის მოტაცება'', ჭ. ლომთათიძის ,,ჩემი დღიური'', შ. არაგვისპირელის ,,მელოს დღიურიდან'' და სხვ.).

გ. ზაუტაშვილი.

დღნორისა, სოფელი წყალტუბოს მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), რაჭის ქედის სამხრ. კალთაზე. თემის ცენტრი (სოფლები: დ., ლეხიდრისთავი, საჩხეური, ჭაშლეთი). ზ. დ. 800 *მ,* წყალტუბოდან 63 *კმ.* 570 მცხ. (2002).

წყაროებში დ. XVII ს. 60-იანი წლებიდან იხსენიება. გვიანდ. შუა საუკუნეებში იგი ლეჩხუმის შემადგენლობაში იყო. სოფლის ჩრდ.-დას-ით მდებარეობს ადრინდ. შუა საუკ. ,,ნაციხვარის გორა'', შემორჩენილია ციხე-გალავნის კედლის ფრაგმენტები (იხ. *დღნორისის ციხე).* სოფელსა და მის მიდამოებში აღმოჩენილია ძვ. წ. X–VIII სს. ბრინჯაოს კოლხური ცული, თოხები და სპილენძის ზოდები. 1958 სოფლის მახლობლად, ადგილ ,,კორვაშის მთაზე'', აღმოჩნდა ძვ. წ. IV ს. დასასრ. კოლხური მონეტების განძი. აღმოჩენილი ნივთები და განძი დაცულია ქუთაისში ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმში. 1989–91 ,,კორვაშის მინდორზე'' არქეოლ. გათხრების შედეგად (ხელმძღვ. გ. გაბიძაშვილი) გამოვლინდა ძვ. წ. VIII–V სს. ნამოსახლარი. აღმოჩენილია მშრალი წყობით ნაგები შენობების კვალი, კერამ. ნაწარმის ფრაგმენტები, კაჟისა და ობსიდიანის იარაღი, წიდები, ქვისა და თიხის საბეგველები და სხვ.

ლიტ.: ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965; წიტაიშვილი ზ., ქუთაისის მუზეუმის ნუმიზმატიკური ფონდი, «ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები», ტ. 3, თბ., 1978.

გ. გაბიძაშვილი. ნ. სულავა.


დღნორისის ციხე, გვიანდელი შუა საუკუნეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ციხესიმაგრე დასავლეთ საქართველოში. აგებული იყო სოფ. დღნორისის (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი) მაღლა, ჩრდ.-დას-ით. დ. ც. კონტროლს უწევდა მდ. რიონის მარცხ. ნაპირის გაყოლებით, იმერეთის დაბლობიდან, რაჭისა და ლეჩხუმისაკენ მიმავალ გზებს. წერილობით წყაროებში პირველად იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.), დამოწმებულია რუკებზე. გადმოცემით, XVIII ს-ში ციხე ინასარიძეების საგვარეულოს ეკუთვნოდა. ვახუშტი ბატონიშვილი დ. ც-ს იმერეთის ერთ-ერთი კუთხის (ოკრიბის) საზღვრებში აქცევს. XVII–XVIII სს-ში დ. ც. ლეჩხუმთან ერთად იმერეთის მეფეს ემორჩილებოდა, ხოლო შემდეგ ლეჩხუმი და დ. ც. სამეგრელოს საზღვრებში მოექცა; მას სამეგრელოს მთავარი განაგებდა.


ციხის მიდამოებში აღმოჩენილია ბრინჯაოს ნივთები და კოლხური თეთრის განძები.

თ. ბერაძე.



Ე-ს მოხაზულობა ასომთავრულში ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების კომბინაციაა, რომელიც კვადრატის ნახევარს იკავებს. Ე ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. მხედრულში იგი ქვედა სამ ხაზში იწერება.





ე, ქართული ანბანის მეხუთე ასო. მისი სახელია „ენი“; გრაფიკული სიმბოლო წინა რიგის საშ. აწეულობის არალაბიალიზებული ხმოვანი ბგერისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴡ, ნუსხურში – ჷ. ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავს ხუთს (5). მხედრული დამწერლობის ოთხხაზოვან სისტემაში მისი მოხაზულობა ქვედა სამ ხაზში თავსდება. Ე-ის გრაფ. განვითარება წარმოდგენილია V–XVII სს. ეპიგრაფიკული ძეგლების, ხელნაწერებისა და ისტ. საბუთების მიხედვით.

ებანი, უძველესი ქართული სამუსიკო საკრავი. ი. ჯავახიშვილისა და გ. ჩხიკვაძის გამოკვლევებით, Ე. ჯერ კიდევ წარმართული დროიდან მომდინარე სიმებიანი (ძალებიანი) საკრავი იყო. ს.-ს. ორბელიანის ცნობით, XVII ს-ში Ე. დასარტყამ საკრავად მიაჩნდათ. სახელწ. „Ე.“ პირველად „დაბადების“ ქართ. რედაქციაში გვხვდება. Ე-ის დანიშნულება საკრავთა მწყობრში მონაწილეობა და სიმღერა-გალობის თანხლება იყო. ი. ჯავახიშვილს Ე., ჩანგი და ქნარი სინონიმებად მიაჩნდა. მისივე გამოკვლევით, ძვ. ქართ. Ე-ს 6–13 (მეტწილად–6) სიმი ჰქონდა და ძირითადად ორ ბგერაზე იყო აწყობილი (სამ-სამი სიმი თითოეულზე), ტერმინი დაკავშირებულია „ბანთან“, Ე-სა და „ბანის“ ბგერითი და სემანტიკური მსგავსება ი. ჯავახიშვილს კანონზომიერად მიაჩნია, რამდენადაც „ბანი“ ზოგადად, აკომპანემენტის,

შებანების აღმნიშვნელია. იგივე ფუნქცია აკისრია „ე-საც“. „ე.“ გარკვეულწილად უკავშირდება და ემსგავსება ძვ. ეგვიპტურ საკრავს – ტებუნის. ტერმინ „ე-ით“ აღნიშნული საკრავის პროტოტიპი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში არსებობს (არფა), ხოლო საქართველოში ამ საკრავის საკმაოდ განვითარებული ფორმა არქეოლოგიური მასალით ცნობილია უკვე ძვ. წ. VI ს-ში (ყაზბეგის განძი, უფლისციხე). ე. განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში XI–XIII სს. შემდეგ მისი გავრცელების ინტენსივობამ თანდათან იკლო და XIX ს. დასაწყისიდან საერთოდ გაქრა. ტერმინი ე. ხშირადაა მოხსენიებული ძვ. ლიტ. წყაროებში (რუსთაველი, შავთელი, ჩახრუხაძე, არსენ ბერი, ბასილი ეზოსმოძღვარი, დ. გურამიშვილი და სხვ.).

ლიტ.: შ ი ლ ა კ ა ძ ე მ., მუსიკალური ტერმინი „ებანი“, «ლოგოსი», II, თბ., 2004; ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე გ., სამუსიკო საკრავი ებანი და მისი რაობა, «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», 1955, ტ. 7; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938.

ს. ჟორდანია. მ. შილაკაძე.

ებანოიძე ზაალ აგაბოს ძე (დ. 7. I. 1939, სოფ. დიმი, ბაღდათის მუნიციპალიტეტი), პოეტი. 1971 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1957. პირველი გამოცემა ,,ლექსები“ დაისტამბა 1973. ავტორია პოეტური კრებულებისა: ,,მთვარის კელაპტარი“ (1977), ,,წვიმის შვილი“ (1979), ,,იწყება აღმართი“ (1981), ,,ხატი მამული“ (1985), ,,ციდან დასარეკი ზარები“ (1986), ,,მარადიული რთველი“ (1989), ,,პოემები“ (1990), ,,დედამუხა ლექსები“ (1997), ,,თვალჩავარდნილი სამყარო“ (2006), ,,ერთტომეული“ (2006), ,,რჩეული“ (2008), ,,70 ლექსი“ (2009). ე-ს ეკუთვნის წერილების კრებული ,,ფიქრები პოეზიაზე“ (1998), ავტორია აგრეთვე საბავშვო ლექსებისა. მისი პოეზია გამოირჩევა ვერსიფიკაციული მრავალფეროვნებით, თუმცა ძირითადად ქართ. კლასიკური პოეზიის ტრადიციებს ემყარება.

ე-ს 2006 მიენიჭა ლადო ასათიანის პრემია, ხოლო 2010 – გალაკტიონ ტაბიძის პრემია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

ებანოიძე ნუგზარ ერმალოს ძე (დ. 1. I. 1944, დაბა ხობი, ხობის მუნიციპალიტეტი), ინჟინერ-მექანიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (2001), პროფესორი (2003), საქართვ. საინჟინრო მეცნიერებათა აკად. ნამდვ. წევრი (2007). 1965 დაამთავრა საქართვ. სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტი. 1969–71 მუშაობდა საქართვ. სუბტროპიკული მეურნ. ინ-ტში ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრაზე, 1971–77 – სოფლის მეურნეობის სამეცნ.-კვლ. და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ინ-ტში. იყო საქართვ. სუბტროპიკული მეურნ. ინ-ტის მექანიზაციის ფაკ-ტის დეკანი. 2005-იდან არჩეული იქნა საქართვ. სუბტროპიკული მეურნ. სახელმწიფო უნ-ტის რექტორად. ე-ის სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებაა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მ. შ. სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები და მანქანათა კომპლექსის დამუშავება. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი. მიღებული აქვს 14 საავტორო მოწმობა და პატენტი. დაჯილდოებულია სახელმწ. ჯილდოებით, მ. შ. ღირსების ორდენით (2008).

თხზ.: კეთილშობილი დაფნის წარმოების უნარჩენო ტექნოლოგია და მანქანათა კომპლექსი, თბ., 1999; ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაცია და გადამუშავება, თბ., 2008; ხეხილის მოსავლის აღების მექანიზაცია, ქუთ., 2008.

ებნისი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის მჭადიჯვრის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ნარეკვავის (არაგვის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1000 *მ,* დუშეთიდან 12 *კმ.* 229 მცხ. (2002).


სოფელი დასახლებულია ადრინდ. შუა საუკუნეებიდან. ე. შედიოდა გრემისხევში. XVI ს-ში ეკუთვნოდა მუხრანბატონებს. 1865-იდან დუშეთის უბნის ჭილურტის სასოფლო თემში შედიოდა. ცხოვრობდა 68 კომლი.

სოფელში დგას XIX ს. დარბაზული ეკლესია, ხოლო სოფლის აღმით ტყეში – IX–X სს. მაცხოვრის ეკლესია.

ებრაელები (თვითდასახელება – „ივრიმ“), ენობრივად სემიტური ჩამომავლობის ხალხი. უძველესი დროიდან ცხოვრობენ თანამედროვე ისრაელისა და პალესტინის ტერიტორიაზე. დაახლ. 13,5 (2010) მლნ. ებრაელი გაფანტულია მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე. ისრაელში ცხოვრობს 7 მლნ-მდე ე.

გადმოცემით, თანამედროვე ე-ის საერთო წინაპრად ითვლება იაკობი. ეგვიპტიდან გამოსვლისა და სინას უდაბნოში 40-წლიანი ხეტიალის შემდეგ ე. გადავიდნენ მდ. იორდანეზე და დასახლდნენ ქანაანში. მოსემ ე-ის სარწმუნოება სისტემაში მოიყვანა და საზ-ბას ცხოვრების მკაცრი წესები დაუკანონა. ე. ერთი ღმერთის აღმსარებელ „რჩეულ“ ერად ჩამოყალიბდნენ.

თეოკრატიული მმართველობის ხანის (მსაჯულთა ხანა) შემდეგ



ებრაული წარწერა. მცხეთა. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

ე. ქმნიან სამეფოს, რ-ის დედაქალაქია იერუსალიმი. მეფე დავითმა აქ დაასვენა ე-ის უმთავრესი სიწმინდე – უფლის კიდობანი. მისი მემკვიდრის, სოლომონის დროს ე-ის სამეფო ორ ნაწილად გაიყო: ჩრდ-ში მცხოვრებმა ათმა ტომმა შექმნა სახელმწიფო ისრაელი, რ-ის გარეთ დარჩნენ იეჰუდასა და შიმონის ტომები.

ე-ის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ისინი გაიფანტნენ თავდაპირველად მეზობელ ქვეყნებში, შემდეგ – დანარჩენ მსოფლიოში. პირველი დიდი გადასახლება მოჰყვა ასურეთის მეფის სარგონ II-ის ლაშქრობას (ძვ. წ. 722); მან დაიპყრო ჩრდ-ის სამეფო და ე-ის 10 ტომი ასურეთში გადაასახლა. ძვ. წ. 586 ბაბილონის მეფემ, ნაბუქოდონოსორმა, დაანგრია იერუსალიმი, ხოლო ხალხი და მეფე ტყვედ წაიყვანა. ბაბილონის დაცემის შემდეგ ისინი უკან დაბრუნდნენ. ე-ის მესამე დიდი გაფანტვა მოხდა ვესპასიანეს მიერ (ახ. წ. 70 წ.) იერუსალიმის აღების შემდეგ. ე. რომის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე გაიბნენ, თუმცა ეთნ. თვითმყოფადობა და სარწმუნოება არ დაუკარგავთ.

საქართველოში რეპატრიაციამდე ცხოვრობდა დაახლოებით 50–60 ათასი ებრაელი. *დიდი ალიის* შემდეგ (1972-იდან) Ე-ის რაოდ. საქართველოში შემცირდა (2002 წ. აღწერით – 3772 კაცი). მათი შემოსვლის დრო ზუსტად არ არის დადგენილი. სავარაუდოა, რომ ისინი პირველად ძვ. წ. VIII ს. მიწურულს მოვიდნენ (ვახუშტი ბატონიშვილი), მეორედ



ებრაული წარწერა. სამთავროს სამაროვანი. ს. ჯვანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

– ძვ. წ. VI ს. 80-იანი წწ. დასასრულს (ლეონტი მროველი). Ე-ის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა შემოსულიყო ახ. წ. 70-იან წლებში, იუდეველთა ომის შემდგომ. მათი შემოსვლა შუა საუკუნეებშიც გაგრძელდა (VIII ს-ში ბიზანტიიდან შემოვიდნენ). ვარაუდობენ, რომ X ს-ში, ხაზართა სამეფოს დაცემის შემდეგ, სლავი ტომებისაგან დევნილი ხაზარი Ე. კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში მოვიდნენ. XIX ს. დასაწყისში არამეელი Ე. (ლახლუხები) შემოვიდნენ თურქეთიდან, შემდგომ კი (ამავე საუკუნეში) – ირანიდან, ერაყიდან, ქურთისტანიდან და სხვა ქვეყნებიდან; ევროპელი Ე. (აშკენაზები) საქართველოში პირველად 1804-იდან გამოჩნდნენ. ქართველ ებრაელთა გვარები ქართველთა გვარების მსგავსად არის წარმოებული.

ანტ. და ადრეფეოდალურ საქართველოში Ე. უმთავრესად ქართლში ცხოვრობდნენ. ებრაულ და არამეულ ენებზე შედგენილი მათი ეპიგრაფიკული ძეგლები (III–V სს.) აღმოჩენილია ურბნისსა და მცხეთაში. ებრაული ეპიტაფიები, არქეოლ. მასალა და წერილობითი წყაროები ელინისტური ხანის მცხეთაში Ე-ის დიდი კოლონიის არსებობაზე მიუთითებს. გვიანფეოდ. ხანაში კი ისინი აღარ ჩანან ანტ. და ადრეფეოდალური ხანის განსახლების ადგილებში. შემორჩენილია მხოლოდ ტოპონიმები („უბანი ურიათა“, „ურიათუბანი“, „ნაურიები“, „ურია“).

ქართ. საისტ. ტრადიცია ქრისტიანობის უდიდესი სიწმინდის – ქრისტეს კვართის – მცხეთაში მოტანას ქართლის Ე-ს მიაწერს. მათ დიდი აქტიურობა გამოუჩენიათ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების დროს, გარკვეული წვლილი შეუტანიათ ქრისტ. ლიტრის გავრცელებაში. გადმოცემის თანახმად, ისინი დაესწრნენ ქრისტეს გასამართლებას, მაგრამ ჯვარცმაში მონაწილეობა არ მიუღიათ, დაეხმარნენ წმ. ნინოს საქართველოში ქრისტიანობის სახელმწ. რელიგიად გამოცხადებაში.

დროთა განმავლობაში Ე. აღმ. და დას. საქართველოს სხვადასხვა რაიონში, უმთავრესად სავაჭრო-სახელოსნო ადგილებში დასახლდნენ (სამაჩაბლო, ცხინვალი, რაჭა, ონი, სურამი, მძოვრეთი, ახალდაბა, ატენი, წილკანი, გრემი, ენისელი, ხოვლე, საჩხერე, ჩიხორი, ჭალატყე, ქუთაისი, სენაკი და სხვ. მრავლად იყნენ Ე. სამცხე-საათაბაგოშიც). ფეოდალიზმის ხანაში Ე. სარგებლობდნენ ყველა იმ ორიდ. უფლებით, რითაც სარგებლობდა ქრისტ. მოსახლეობა. ქართ. სახელმწიფოებრივი სამართლის გვერდით მოქმედებდა ებრ. „სამართალი მოსესი“; ქართ. ფეოდ. სამართალი ისევე იცავდა Ე-ის საკუთრებას, როგორც ქართვ. მემამულეებისას, მათ სრული უფლება ჰქონდათ შეეძინათ და გაესხვისებინათ უძრავი ქონება. Ე-თა დიდი უმრავლესობა უძველესი დროიდან სოფლის მეურნეობას მისდევდა და ყმის გადასახადს სოფლის მეურნეობის პროდუქტითა და ბეგარით იხდიდა. XVIII ს. და XIX ს. I ნახ-ში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებისას Ე. ვაჭრობაში ჩაებნენ.

უნდა აღინიშნოს ის თვისებები, რითაც განსხვავდებოდნენ ქართვ. ებრაელები დანარჩენი მსოფლიოს ებრაელებისგან: 1. ფეოდალიზმის ეპოქაში ქართვ. Ე. ძირითადად სოფლის მოსახლეობას წარმოადგენდნენ და გადასახადსაც სოფლის პროდუქტებით იხდიდნენ; 2. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო საეკლესიო ყმა და ყოველთვის მიიღტვოდნენ ამ სტატუსის მოპოვებისაკენ; 3. ქრისტ. ეკლესია მფარველობდა და იცავდა მათ უფლებებს; 4. Ე. იყვნენ ყმა-მამულის მფლობელნი; 5. მათ ჰყავდათ არაებრაელი ყმები; 6. იყო როგორც იუდეველის გაქრისტიანების, ისე ქრისტიანის იუდაიზმზე გადასვლის შემთხვევები, რასაც არასოდეს ახლდა ძალადობა არც ერთი და არც მეორე მხრიდან; 7. საქართველოში არასოდეს ყოფილა ანტისემიტიზმის გამოვლინებები. ცარიზმმა, მიუხედავად მრავალი მცდელობისა, დაეპირისპირებინა Ე. და ქართვ. მოსახლეობა (სურამის პროცესი – 1850, ქუთაისის პროცესი – 1879), საქართველოში ანტისემიტიზმი ვერ დანერგა.

XIX ს. 90-იან წლებში პირველი სიონისტური ჯგუფები გაჩნდა თბილისში, ფოთში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში. 1905 რევ. დროს შეიქმნა Ე-ის ეროვნ. კომიტეტი. მან 1919 ივნისში თავი გამოაცხადა საქართვ. სიონისტურ კომიტეტად, რ-მაც აგვისტოში მოიწვია პირველი სიონისტური კონფერენცია. 1920 აგვ. კი შედგა საქართვ. მეორე სიონისტური კონფერენცია. 1918 წ. 20 იანვარს დაარსდა ნაციონალური საქმეების ებრ. კომისარიატი. 1918 ქუთაისში გამოვიდა გაზ. „ხმა ებრაელისა“ (18 ნომერი), თბილისში გაიხსნა 5-კლასიანი ებრ. დაწყებითი სკოლა. ებრ. დაწყებითი სკოლები გაიხსნა ქუთაისში, ონში, ცხინვალში და სხვ. დამოუკიდებელი საქართვ. პარლამენტში შედიოდა სამი ებრ. დეპუტატი (ი. *ელიგულაშვილი*, მ. დავარაშვილი და ი. გოლდმანი), რ-თაგან პირველმა ორმა 1918 წ. 26 მაისს ხელი მოაწერა საქართვ. დამოუკიდებლობის აქტს. Ე. წარმოდგენილი იყვნენ სახელმწ. სისტემაშიც.

საქართვ. გასაბჭოების პირველ წლებში ხელისუფლება არ კრძალავდა სიონისტებისა და სინაგოგების საქმიანობას, ხელს უწყობდა Ე-ის კულტ. თვითგამორკვევას. გაიხსნა Ე-ის შრომითი სკოლები, სადაც ისწავლებოდა ებრ. ენა, გამოვიდა გაზ. „მაკავეელი“, მოქმედებდა ნახევრად ლეგალური ორგანიზაცია „ავოდა“, ახალგაზრდული დრამ. დასი „კადიმა“. 1924 აჯანყების შემდეგ ხელისუფლების დამოკიდებულება Ე-ის თვითმყოფადობის შენარჩუნებისადმი მკვეთრად შეიცვალა, რის გამოც



ბ. გაპონოვის მიერ ივრითზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ გარეკანი.

დ. ბააზოვმა და ნ. ელიაშვილმა ხელისუფლებას სთხოვეს, პალესტინაში გაეშვათ 200-მდე კაცი. ნება დართეს მხოლოდ 18-ს.

ქართვ. ე-ის ისტ. და კულტ. შესწავლას დიდად შეეწყო ხელი 1933 დაარსებულმა საქართვ. ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა (იხ. *ებრაელთა ისტორიის მუზეუმი*). XX ს. 50-იან წწ. სსრ კავშირში შექმნილმა პოლიტ. ვითარებამ, რ-იც გარკვეულწილად ანტიებრაული მიმართულებისაც იყო, გამოიწვია თავდაპირველად მუზეუმის შრომების გამოცემის შეწყვეტა, შემდეგ კი – თვით მუზეუმის გაუქმება.

ქართვ. ე-ის კულტ. ცხოვრების განსაკუთრებულ მოვლენად აღიქმება ბ. გაპონოვის მიერ ,,ვეფხისტყაოსნის“ ძვ. ებრ. ენაზე – ივრითზე თარგმნა (1969); 1977 ჯ. აჯიაშვილის მიერ თარგმნილი „შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის“ გამოცემა და 1979 ქუთაისის დრამ. თეატრის სცენაზე გ. ბათიაშვილის პიესის „ვალის“ დადგმა.

1985-იდან გააქტიურდა საქართვ. ე-ის კულტ.-საგანმან. საქმიანობა: თავისუფლად ისწავლება ებრ. ენა, დაფუძნდა საქართვ. ებრაელთა კულტურის ცენტრი (1987, პრეზიდენტი – გ. პაატაშვილი); საქართვ. „მაქაბის“ საზ-ბა (1990, პრეზიდენტი – გ. პაატაშვილი); შეიქმნა ებრ. ქალთა ორგანიზაცია „მირიამი“ (1990, პრეზიდენტი – რ. კრუპნიკი), ებრაელთა ასოციაცია „დერეხ იეჰუდი“ (1991, თავ-რე – ვ. ფიჩხაძე), ებრაელ ქალთა ფონდი (1997, პრეზიდენტი – მ. სოლომონიშვილი). ფუნქციონირებს საქართველო – ისრაელის მეგობრობის საზოგადოება (თავ-რე – რ. მეტრეველი). 1992 აღადგინეს საქართვ. ებრაელთა ისტ.-ეთნ. მუზეუმი. ებრ. ენა (ივრითი) ისწავლება ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ში (1944-იდან), ილიას სახელმწ. უნივერსიტეტში, „სხნუთის“ ულფანში (დირექტორი – ლ. ნამთალაშვილი), თბილისის 67-ე საჯარო სკოლაში. მოქმედებს ებრ. სკოლა „თიფერეთ ცვი“ (დირექტორი – ავ. როზენბლატი) და ებრ. ენის, ისტ. და ტრადიციების შემსწავლელი საკვირაო სკოლა (დირექტორი – რ. კრუპნიკი). აღსანიშნავია, ებრ. სააგენტოსა („სოხნუთი“) და ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული კომიტეტის („ჯოინთი“) მრავალმხრივი მოღვაწეობა. საქართვ. მთავარი რაბინი 1994 წლიდან არის ა. ლევინი. ფუნქციონირებს სინაგოგები და საქართვ. მორწმუნე ებრაელთა საზ-ბა (თავ-რე შ. ქოსაშვილი). თბილისში ქართ. და რუს. ენებზე გამოდის ებრ. გაზეთები: „შალომი“ (რედ. – ლ. სამოვსკი), „მენორა“ (რედ. – გ. ბათიაშვილი) და „26 საუკუნე“ (რედ. – გ. ნამთალაშვილი). სისტემატურად იმართება ებრ. დღესასწაულების აღსანიშნავი შეხვედრები და ებრ. პოეზიისა და ქართვ.-ებრაელ ხალხთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის საღამოები (1998 წლიდან კლუბი „26 საუკუნე“, ხელმძღვ. – ზ. დავარაშვილი). 1998 დაარსდა ,,ებრაული მემკვიდრეობის საერთაშორისო ბააზოვ-ფონდი (თავმჯდომარე – ნ. ბააზოვი). 2002 შეიქმნა ქართვ. და ებრ. ქალთა მეგობრობის ასოციაცია (პრეზიდენტი – ე. ბაბალაშვილ-ხუხაშვილი). 2003 წ. 1 აგვისტოს თბილისში დაარსდა ებრ. სათემო სახლი, რ-შიც „ჯოინთის“ ეგიდით ფუნქციონირებს რამდენიმე ორგანიზაცია: საქართვ. ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი „ხესედ ელიაჰუ“ (დირექტორი – რ. შათაშვილი), ებრ. კულტ.-საგანმან. ფონდი (დირექტორი – ელ. ბერკოვიჩი), ცოდნისა და ინფორმაციის ცენტრი (დირექტორი – ნ. იოსებაშვილი), ახალგაზრდული ებრ. ორგანიზაცია „ჰილელი თბილისი“ (დირექტორი – მ. კრიხელი).

ხაბად ლიუბავიჩის ორგანიზაციის ეგიდით ფუნქციონირებს ებრ. სკოლა (დირექტორი – მ. ოზლოვსკი) და საბავშვო ბაღი „ორ ავნერი“. ებრ. ორგანიზაციები ფუნქციონირებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებშიც: ქუთაისი, გორი, ბათუმი, რუსთავი და სხვა.

წყარო: ბიბლია (ძველი აღთქმა); მოქცევაჲ ქართლისაჲ (შატბერდის კრებული), თბ., 1979.

ლიტ.: ბ ა თ ო შ ვ ი ლ ი ა., ებრაელი ხალხის ისტორიიდან, თბ., 1991; კ ი კ ნ ა ძ ე ზ., მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი თ., კარსა ზედა ბაგინისასა, თბ., 1989; მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია (ანტიკური და ფეოდალური ხანა), თბ., 1995; მ ი ს ი ვ ე, ქრისტეს კვართის ისტორია, გორი, 2003; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., ებრაელები საქართველოში, მის წგ.: საისტორიო ნარკვევები, თბ., 2009; საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. 1–3, თბ., 1940–45; ტ. 4–6, თბ., 2006–10.

ზ. დავარაშვილი. ზ. კიკნაძე. ე. მამისთვალიშვილი. შ. წიწუაშვილი.

ებრაელთა ისტორიის მუზეუმი დ. ბ ა ა ზ ო ვ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ა (საქართველოსი), საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ). 1933 წ. 5 ნოემბ. საქართვ. განათლების სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაამტკიცა მუზეუმის დებულება, ხოლო იმავე წლის 23 ნოემბ. გამოსცა ბრძანება ამ მუზეუმის ოფიციალური დაარსების შესახებ. ტერიტორიულად მუზეუმი თავდაპირველად მდებარეობდა პირველი მაისის (ამჟამად გ. აბესაძის) ქუჩაზე არსებულ ებრაელთა კულტბაზის შენობაში, ხოლო 1940-იდან – ანტონ კათოლიკოსის ქუჩაზე არსებულ სინაგოგის შენობაში. თავისი მოღვაწეობა მუზეუმმა თავიდანვე ძირითადად სამი (საველე, საექსპოზიციო და მეცნ. გამოკვლევათა გამოცემის) მიმართულებით წარმართა. მუზეუმთან სათანამშრომლოდ მიიწვიეს ცნობილი მეცნიერები: ნ. *ბერძენიშვილი*, გ. *ჩიტაია*, შ. *ჩხეტია*, ს. *იორდანიშვილი*, ლ. *მელიქსეთ-ბეგი*; მათი კვალიფიციური დახმარების შედეგად მუზეუმში შეიქმნა მეცნიერთა ჯგუფი, რ-მაც იტვირთა მუზეუმის ძირითადი სამეცნ. და მოძიებითი სამუშაოების შესრულება. ფონდე-


ა. ებრალიძე სცენაზე.


ა. ს. ებრალიძე.


მ. ებრალიძე.


რ. ებრალიძე.

ბის შესაქმნელად 1933–36 მუზეუმმა ჩაატარა 4 ეთნოგრ.-კომპლ. ექსპედიცია ებრაელებით კომპაქტურად დასახლებულ ქალაქებსა და რაიონებში. შედეგადაც შეგროვდა მრავალფეროვანი საერო და საკულტო ხასიათის მასალა, რ-იც შემდეგ საფუძვლად დაედო მუზეუმის ექსპოზიციას. 1951-ში მუზეუმი დაიხურა. გაუქმებული მუზეუმის საფონდო, საარქივო და სხვა მასალები განაწილდა და გადაეცა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს (ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმი), ი. გრიშაშვილის სახ. თბილ. ისტორიის მუზეუმს და საისტორიო არქივს.

საქართვ. მთავრობის 1992 წ. 30 ნოემბ. №1017 დადგენილებით მუზეუმი აღდგა და მას ეწოდა დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი. დადგენილების მე-4 მუხლი ითვალისწინებს ებრაელთა მუზეუმის მასალების დაბრუნებას მისი სამართალმემკვიდრეებისთვის. მუზეუმი შევიდა საქართვ. კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში. იმავე დროს საქართვ. მეცნიერებათა აკადემიას დაევალა მუზეუმის სამეცნ. ხელმძღვანელობა. 2000–04 მუზეუმის გამგებლობა დაევალა საქართვ. კულტურის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიას. ახ. მუზეუმმა ბინა დაიდო ადრინდ. მუზეუმის შენობაში (ყოფ. სინაგოგა, აშენდა 1914), რ-ის ინტერიერიც მრავალგზის გადაკეთდა იქ განთავსებული ორგანიზაციების საჭიროების მიხედვით. ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ისტ. ნაგებობის გადარჩენისთვის მუზეუმისა და ქართ.-ებრ. ურთიერთობათა ასოციაციის მოთხოვნის საფუძველზე, საქართვ. პრეზიდენტის 2004 წ. 25 ივლ. განკარგულებით (№654) დაისახა მუზეუმის ფუნქციონირებისა და რეკონსტრ. ღონისძიებები.

საქართვ. პრეზიდენტის 2006 წ. 17 აგვ. ბრძანებულებით (№493) განისაზღვრა მუზეუმის ახ. სამართლებრივი სტატუსი და სახელწოდება – ,,სსიპ დავით ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი‘‘. მასზე სახელმწიფოებრივი ზედამხედველობა დაევალა საქართვ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს.

მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლები ასრულებენ სამეცნ. წლიურ თემებს საქართვ. ებრაელთა ისტორიის, ეთნოგრაფიის, დემოგრაფიისა და სხვა საკითხებზე. მუზეუმის მიერ გამოცემულია ებრაისტიკა-ქართველოლოგიის თვის მნიშვნელოვანი სამეცნ. ,,შრომების‘‘ 6 ტომი (1940–2010). საქართვ. სხვადასხვა მხარეში ჩატარებულია ექსპედიციები, გამოფენები, საერთაშ. კონფერენციები, მიძღვნილი საქართვ. ებრაელთა, ქართ.-ებრ. ურთიერთობათა ისტ. საკითხებისადმი.

მუზეუმის დირექტორები: შ. წიწუაშვილი (1992–2000), გ. ღამბაშიძე (2000-იდან). *გ. ღამბაშიძე.*

ებრალიძე ამირან სევერიანის ძე (დ. 8. IV. 1941, თბილისი), ესტრადის მომღერალი. საქართვ. დამს. არტისტი (1972). 1963 დაამთავრა I სამუს. სასწავლებელი, 1969 – ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწ. კონსერვატორია (საყვირის განხრით). 1957-იდან მუშაობდა საქართველოს სახელმწ. ფილარმონიაში, მღეროდა სხვადასხვა საესტრადო კოლექტივებთან ერთად. 1961–81 იყო ვოკალურ-საკრავიერ ანსამბლ *,,დიელოს‘‘* სამხატვრო ხელმძღვანელი და სოლისტი, 1979–82 – საესტრადო ორკესტრ ,,რეროს‘‘ სამხატვრო ხელმძღვანელი. 1983–91 მუშაობდა კულტ.-საგანმან. სექტორში (ხელმძღვანელ თანამდებობებზე), 1993-იდან კვლავ განახლებული ანსამბლის ,,დიელოს‘‘ ხელმძღვანელია.

ე. არის არაერთი საესტრადო სიმღერის, მუსიკისა და ჯაზური არანჟირების ავტორი და შემსრულებელი, რამდენიმე საკავშირო კონკურსის ლაურეატი. გასტროლებით მოვლილი აქვს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, გადაღებულია კინოფილმებში ,,წარსული ზაფხული‘‘, ,,შეხვედრა მთაში‘‘. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

ებრალიძე არჩილ ევგენის ძე (12. X. 1916, ქუთაისი, – 15. XII. 1991, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1973), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1988). 1940 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1940–41 საბჭოთა არმიის რიგებში იყო. 1952–60 მუშაობდა ქუთაისის პედ. ინ-ტში მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგედ, 1958-იდან – ამავე ინ-ტის პრორექტორად. 1960-იდან თსუ-ის სკკპ ისტ. კათედრის დოცენტი იყო, 1973–88 – კათედრის გამგე. მუშაობდა ეროვნულ ურთიერთობათა საკითხებზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ებრალიძე არჩილ სილოვანის ძე (21. III. 1908, ფოთი, – 15. VIII. 1960, თბილისი), მოჭადრაკე. ვ. გოგლიძესთან ერთად ქართული საჭადრაკო სკოლის ფუძემდებელი. სსრკ სპორტის ოსტატი (1941). სწავლობდა თბილისის (1924–26) და მოსკოვის (1926–28) სამხატვრო აკადემიებში ქანდაკების ფაკ-ტზე. 1935 დაამთავრა თბილ. ინდუსტრიული ინ-ტის ჰიდროტექნიკური ფაკ-ტი. იყო საქართვ. (1938, 1939, 1941, 1946) და თბილ. (1934, 1935, 1937) ჩემპიონი. ამიერკავკ. პირველობაში (1935) მე-2 ადგილი დაიკავა, ამიერკავკ. ტურნირში (1948) – მე-3 ადგილი. რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა სსრკ ჩემპიონატის ნახევარფინალში, ერთხელ – ფინალში (1937). იყო ტ. *პეტროსიანის* პირველი მწვრთნელი. ქართ. ენაზე თარგმნა ე. ლასკერის, ხ. კაპაბლანკას, მ. ეივეს და ი. ავერბახის შრომები.

ებრალიძე მირიან სილოვანის ძე [14 (27). IX. 1905, ლანჩხუთი, – 22. XII. 1987, თბილისი], ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი. საქართვ. დამს. ინჟინერი (1960), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1951). დაამთავრა საქართვ. საინჟინრო-სამშენებლო ინ-ტი (1932). 1933–73 მუშაობდა ხრამჰესის, სამგორჰესის, გუმათჰესის, ბჟუჟჰესის, ენგურჰესის მშენებლობებზე, „საქჰიდროენერგომშენისა‘‘ და „თბილმშენის‘‘ ტრესტებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1973-იდან გარდაცვალებამდე იყო საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის სამეცნ.-კვლ. სამუშაოების განყ-ბის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ებრალიძე რევაზ სიმონის ძე (3. VIII. 1921, თბილისი, – 11. VIII. 1980, იქვე), დრამატურგი, კინოსცენარისტი. საქართვ. და აფხაზეთის ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1977). სწავლობდა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში (1940–42). 1945 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. მუშაობდა უცხოეთთან კულტ. ურთიერთობის საქართვ. საზ-ბის კულტ. განყ-ბის მთ. რედაქტორად (1946–48), ვოლგა-დონის არხის მშენებლობის ერთ-ერთი მონაკვეთის მთავარ ინჟინრად (1950–57), კინოსტუდია „ქართული ფილმის‘‘ შემოქმედებით გაერთიანებაში (1971-იდან გარდაცვალებამდე). 1959-იდან იყო სსრკ-ისა და საქართვ. კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობების წევრი.

ე-მ ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო როგორც თეატრ. დრამატურგმა. მისი პირველი კომედია „მეგობ-

რები'' დაიდგა თბილ. ვ. აბაშიძის სახ. მუს. კომედიის თეატრში (1950, თანაავტორი და რეჟ. – ლ. ჭუბაბრია). მისი პიესები დაიდგა თბილ. კ მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. აკად. თეატრში („ნანა'', 1955, რეჟ. – თ. წეროძე), თელავის სახელმწ. თეატრში („ჩამოდით ჩვენთან'', 1947, რეჟ. – ა. მაღლაკელიძე), თბილ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკად. თეატრში (ლიტ.-დრამ. კომპოზიცია „ვეფხისტყაოსანი'', 1966, რეჟ. – ა. ჩხარტიშვილი), თბილ. მოზარდ მაყურებელთა თეატრში („მე გაზაფხულზე მომკლეს'', რეჟ. – ვ. ანდრონიკაშვილი) და სხვ. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად პიესას „თანამედროვე ტრაგედია'', რ-იც 1960 დადგა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრმა (რეჟ. – ა. ჩხარტიშვილი). 1961 ეს პიესა დაიდგა მოსკოვის სტანისლავსკის სახ. სახელმწიფო თეატრში (რეჟ. – მ. იანშინი), ხოლო 1974 სათაურით „გზა მზისკენ'' – გერმანიაში, ქ. ზაარბრიუკენში (რეჟ. – ჰ. ვედეკინდი).

ე. აქტიურად მოღვაწეობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში''. მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია მხატვრული, დოკუმენტური, სამეცნ. და მულტიპლიკაციური ფილმები. მხატვრული ფილმებიდან აღსანიშნავია: „ამბავი ერთი ქალიშვილისა'' (1959, რეჟ. მ. ჭიაურელი), „უდიპლომო სასიძო'' (1961, რეჟ. ლ. ხოტივარი), „ქალაქი ადრე იღვიძებს'' (1968, რეჟ. ს. დოლიძე); დოკუმენტური ფილმებიდან: „კოტე მარჯანიშვილი'' (1962, რეჟ. ს. ჭელიძე), „ზაქარია ფალიაშვილი'' (1971, რეჟ. ვ. ვალიშვილი); მულტიპლიკაციური ფილმებიდან: „მტრობა'' (1956, რეჟ. ა. ხინთიბიძე), „წუნა და წრუწუნა'' (1958, რეჟ. ა. ხინთიბიძე). ე-ის პიესები თარგმნილია რუს. ენაზე.

თხზ.: მოგზაურობა ზღაპარში, «საბჭოთა ხელოვნება», 1970, №6; Куда плывут облака, М., 1961; Современная трагедия, М., 1961.

ებრალიძე სოსო სევერიანის ძე (დ. 7. XI. 1936, თბილისი), ესტრადის მომღერალი. საქართვ. დამს. არტისტი (1972). 1960 დაამთავრა თბილისის II სამუსიკო სასწავლებელი, 1966 – ხარკოვის ხელოვნ. ინ-ტის დაუსწრებელი განყ-ბა საგუნდო დირიჟორის სპეციალობით. 1955-იდან მუშაობს საქართველოს სახელმწ. ფილარმონიაში. სხვადასხვა მუს. კოლექტივებთან ერთად (ვოკალური ტრიო, სახელმწ. საესტრადო ორკესტრი ,,რერო'') მონაწილეობდა საგასტროლო კონცერტებში სსრკ-ის რესპუბლიკებსა თუ საზღვარგარეთის ქვეყნებში. ერთხანს მღეროდა (1960–61) მოსკოვში ო. ლუნდსტრემის ჯაზ-ორკესტრშიც. 1961 ძმასთან, ა. *ებრალიძესთან* ერთად დააარსა ვაჟთა ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი ,,*დიელო*'', 1967 (ისევ ა. ებრალიძესთან ერთად) – ანსამბლი ,,ციცინათელა''. ორივე ანსამბლი გამოირჩეოდა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით, ეროვნული რეპერტუარით, რის გამოც დიდი პოპულარობა და მაყურებლის სიყვარული დაიმსახურა. ე. 50-მდე სიმღერის ავტორი და შემსრულებელია (,,რა დაგიშავე ქალო'', ,,ოციოდე წლის წინ'', ,,რა ყოფილა გურია'' – ვ. გოგოლაშვილის ლექსებზე და სხვ.). ე. არაერთი საკავშირო კონკურსის გამარჯვებულია. მის სიმღერებს ასრულებდა სხვადასხვა საესტრადო კოლექტივი (,,რერო'', ,,ფლეში'' და სხვ.). გადაღებულია კინოფილმებში ,,წარსული ზაფხული'', ,,შეხვედრა მთაში''. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).



ს. ებრალიძე სცენაზე.

ებსტორფის მსოფლიოს რუკა (Die Ebstorfer Weltkarte) (XIII ს.), შეიცავს ბევრ საინტერესო ცნობას კავკასიისა და საქართველოს შესახებ. სახელი ეწოდა გერმანიის ქვემო საქსონიის მხარეში მდებარე ებსტორფის მონასტრის მიხედვით, რ-იც XII ს-ში დაარსდა. 1235 (სხვა მოსაზრებით 1300 წლისათვის) აქ შეიქმნა მსოფლიოს რუკა, რ-იც შუა საუკუნეების დასავლეთევროპული კარტოგრაფიის შედევრად ითვლება. ავტორი უცნობია. მისი სიმაღლეა – 3,58 *მ*, ხოლო სიგანე – 3,56 *მ*. რუკაზე დატანილია 1200-მდე ლეგენდა. 1832 რუკა გადაიტანეს ქალაქ ჰანოვერში, ე. წ. ,,სამშობლოს არქივში'', განადგურდა II მსოფლიო ომის დროს 1943 წ. 8–9 ოქტ. ჰანოვერის დაბომბვისას. რუკის ორიგინალური ზომის ასლი დაცულია იმავე ებსტორფის მონასტერში.

ე. მ. რ-ის ზედა კიდეში მოთავსებულია მაცხოვრის თავი. მარჯვ. და მარცხ. მხარეს – ხელები, ქვედა ბოლოში – ფეხები. ქვეყნიერება მოიაზრება მაცხოვრის ჯვარცმულ სხეულად. რუკის განლაგება ტრადიციულად მისდევს შუა საუკუნეების მსოფლიოს რუკების მოდელს. ქვეყნიერებას შემორკალავს მსოფლიო ოკეანე ცალკეული კუნძულებით. რუკის ქვედა მარცხ. კუთხეში მოთავსებულია ევროპა; ქვემოთ, მარჯვნივ – აფრიკა; ზედა ნახ-ში – აზია.

მთელ ჩრდ. აზიას ე. მ. რ-ზე შემოსაზღვრავს კავკასიის მთა. წარწერის მიხედვით, კავკასიონი აღმოსავლეთში იწყება სერების (ჩინეთის) ზღვასთან და თითქმის ევროპამდე გრძელდება. კავკასიის მთაზე ცხოვრობენ ამორძალები, მასაგეტები, კოლხები და სარდები (სარმატები). კავკასიონის გადაღმა ვხედავთ კასპიის ზღვას, რ-იც ჩრდილოეთის ოკეანიდან იჭრება ხმელეთში. ჩრდილოეთით სახლობენ გოგის და მაგოგის ხალხები, რ-ებიც წარწერის თანახმად, კავკასიონის გადაღმა ჩაკეტა ალექსანდრე მაკედონელმა, ისინი ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, ჯვებირებს გადმოანგრევენ ანტიქრისტეს მოსვლისას. კავკასიონის გადაღმა მთელი სივრცე სკვითიად მოიხსენიება. იქვეა დატანილი ჰირკანია, კავკასიონს გადმოღმა კი – არარატის მთა ნოეს კიდობნით. მათ ქვემოთ მიედინება მდინარე, სავარაუდოდ, მტკვარი, რ-იც ჩადის ჩრდილოეთის ოკეანეში. აღნიშნულ მდინარესა და კავკასიის მთას შორის რუკაზე დატანილია ორი შეიარაღებული ქალის სურათი. ესენი არიან ამორძალთა დედოფლები – მარპესია და ლამპეტა. ამორძალთა დედოფლების ქვემოთ ჩანს ასევე ციხესიმაგრის აღმნიშვნელი გამოსახულება. ეს არის კასპიის კარი, ანუ დერბენდი. იქვეა ორი შეიარაღებული მეომარი. დერბენდის მცველ მეომრებში ქართველები შეიძლება იგულისხმებოდნენ. დერბენდის მცველთა ქართველობას ადასტურებს მათი სამოსიც. რუკაზე დატანილია აგრეთვე კოლხეთის სამეფო, კოლხების, ოქროს საწმისის, მეფე აიეტის, ქალაქ დიოსკურიის, მდინარე ფასისის გამოსახულებით. სამი ლეგენდა მოკლედ ეხება აღნიშნულ თემებს. პირველის მიხედვით ვარაუდობენ, რომ იასონის მიერ კოლხეთში მოპოვებული ოქროს საწმისი ტროას ომის დაწყების მიზეზი გახდა. მეორე ლეგენდა ახასიათებს თავად ოქროს საწმისს, რ-იც არგონავტებმა იასონის მეთაურობით მოსტაცეს მეფე აიეტს. მესამე ლეგენდაში კი ლაპარაკია ქალაქ დიოსკურიის დაარსებაზე.

ლიტ.: თ ვ ა რ ა ძ ე ა., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (XII–XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე), თბ., 2004; M i l l e r K., Mappaemundi: Die ältesten Weltkarten, Bd. 5 – Die Ebstorfkarte, Stuttg., 1896; მ ი ს ი ვ ე, Die Ebstorfkarte, Stuttg. – Wien, 1903; R o s i e n W., Die Ebstorfer Weltkarte, Hannover, 1952.

ა. თვარაძე.

ებსტორფის მსოფლიოს რუკა. XIII ს.



ეგარსლან ბაკურციხელი, XIII ს. ქართველი პოლიტიკური მოღვაწე. მონღოლებმა ის აღმ. საქართველოს ერთ-ერთი დუმნის (ჰერეთ-კახეთი და მის აღმ-ით მდებარე თემები შემახის მთებამდე) უფროსად დანიშნეს. მონაწილეობდა *კოხტასთავის შეთქმულებაში.* ჟამთააღმწერლის დახასიათებით, ე. ბ. იყო „არა ნიჭთა მქონებელი სამ3[ედ]როთა“ და „მჭედრობის წესთაგან ცარიელი“, ამავე დროს „ღრმად მოუბარი“, რის წყალობითაც მალე დაწინაურდა და დიდი გავლენა მოიპოვა. მეფე რუსუდანის გარდაცვალების (1245) შემდეგ, როცა დავით რუსუდანის ძე მონღოლეთში დიდი ყაენის კარზე იმყოფებოდა, ხოლო დავით ლაშას ძე მცირე აზიაში იყო დატყვევებული, ე. ბ-მა მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოინდომა. ამის გამო მის წინააღმდეგ ამხედრდნენ ქართველი დიდებულები, რ-ებმაც ე. ბ. პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოაშორეს.

წყარო: ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ასწლოვანი მატიანე, რ. კიკნაძის გამოც., თბ., 1987.

ლიტ.: კ ი კ ნ ა ძ ე რ., რამდენიმე დაკვირვება ჟამთააღმწერლის თხზულების ტექსტზე, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნების ისტ. სერია, 1976, № 2; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3).


რ. კიკნაძე.

ეგაძე ოთარ ნიკოლოზის ძე (8. XI. 1913, სოფ. ტირძნისი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 7. XI. 1995, თბილისი), ჟურ-

ნალისტი, დრამატურგი, მწერალი, ხელოვნების კრიტიკოსი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1963). დაამთავრა ლენინგრადის ჟურნალისტიკის ინ-ტი (1939). იყო გაზ. „კომუნისტისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი ლენინგრადში. 1940 სწავლობდა მოსკოვში. 1941–43 მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. 1943 იყო საქ. კპ ცკ-ის ბეჭდვითი სიტყვის სექტორის გამგე, 1944 – საქართვ. სახ. კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნ. მთავარი სამმართველოს უფროსი, 1945-იდან – მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის მარქსიზმის კლასიკოსების თარგმნის სექტორის გამგე, 1949–51 – გაზ. „პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში, 1951–53 – საქართვ. კინემატოგრაფიის მინისტრი, 1953 – გაზ. „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი, 1953–73 – ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნების“ მთ. რედაქტორი, 1973-იდან – გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი, 1981–82 – საქართვ. თეატრ. საზ-ბის გამგეობის თავ-რის პირველი მოადგილე, 1982-იდან – საქ. კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტ. ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი. Ე-ის გამოკვლევებისათვის დამახასიათებელია აქტუალურობა და მასალის სიუხვე. ძირითადი ნაშრომები: „ქართული ბალეტი“ (1961), „თეატრში და თეატრს მიღმა“ (1969), ,,გასტროლები, შეხვედრები, შთაბეჭდილებები“ (1975), „მხატვართა შორის“ (1976) და სხვ. ავტორია ბალეტის ლიბრეტოებისა („სინათლე“, 1947; „გორდა“, 1949 და სხვ.), დოკუმენტური პიესისა „გარიჟრაჟი“ (1970); კრებულისა „მოთხრობები, ნოველები, ესეები“ (1986); რომანისა „დღენი ჩვენი ბრძოლებისა“ (ტრილოგიის I ნაწ., 1988).

ეგაძე ომარ იღიას ძე (დ. 28. VII. 1939, თბილისი), სპორტსმენი, მოჭიდავე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი (1971), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. დაამთავრა თბილ. ფიზკულტურის ინ-ტი (1963), სტუ-ის ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1973), თსუ-ის ეკონომიკური ფაკ-ტი (1982). იყო მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1962), სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1962–64, 1967) და მესამე პრიზიორი (1960), ივან პოდდუბნის სახ. საერთაშ. ტურნირის ორგზის გამარჯვებული (1963, 1967), სსრკ ხალხთა III და IV სპარტაკიადების ჩემპიონი (1963, 1967), სსრკ ჩემპიონი ჭაბუკებში (1957), სსრკ ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ჭაბუკებში (თავისუფალი ჭიდაობა, 1956), მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, სსრკ ნაკრების მწვრთნელი მსოფლიო უნივერსიადაზე (1973), საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, ღირსების ორდენის კავალერი.

ეგეოსური კულტურა, ეგეოსის ზღვის აუზში *ბრინჯაოს ხანაში* გავრცელებული კულტურების ერთობლიობის ზოგადი სახელწოდება. ძირითადად მოიცავდა კონტინენტურ საბერძნეთს, კ. კრეტას, კიკლადებსა და ეგეიდის სხვა კუნძულებს, ასევე გარკვეულწილად სწვდებოდა ანატოლიის დას. სანაპირო ზოლს. ბერძნ. მითოლოგიაში, რ-საც სისტემატურად მიმართავდა როგორც ლიტერატურა, ასევე სახვითი ხელოვნება, უხვად იყო შემონახული ინფორმაცია ეგეიდაში ისტორიულად ცნობილ ცივილიზაციამდე დიდი კულტურების არსებობის შესახებ, მაგრამ ახალ ევროპაში მითები მინოსის კრეტის, ე. წ. დევკალიონის წარღვნის, თებეს გაშმემო განვითარებული მოვლენების, არგონავტების ლაშქრობის, *ტროას* ომისა და სხვათა შესახებ დიდხანს მიაჩდათ ბერძნ. ფანტაზიის ნაყოფად. მხოლოდ XIX ს. მეორე ნახევრიდან, როდესაც ჰ. შლიმანმა ჩრდ.-დას. ანატოლიაში მდებარე ჰისარლიქის მაღლობზე ლეგენდარული ტროა, შემდეგ კი კონტინენტურ საბერძნეთში მიკენური ეპოქის უმნიშვნელოვანესი ცენტრები აღმოაჩინა, ხოლო ა. ევანსმა კ. კრეტაზე ბრინჯაოს ხანის ბრწყინვალე მინოსური ცივილიზაცია გამოავლინა, საფუძველი ჩაეყარა ეგეოსურ არქეოლოგიას, რ-იც დღემდე გვაოცებს ახალ-ახალი უნიკალური აღმოჩენებით. მართალია, ტერმინი Ე. ჰ. ძირითადად მოიცავს ბრინჯაოს ხანის კულტურებს, მაგრამ ეგეოსური კულტურის ერთიანობას (ეგეოსურ კოინეს) საფუძველი ნეოლითიდან ეყრება, როდესაც სამხრ.-აღმ. ანატოლიის ცნობილი ნეოლითური ჩათალ-ჰუიუქის კულტურის დიფუზიის შედეგად ხმელთაშუაზღვისპირეთში გარკვეულწილად ერთიანი კულტურული სივრცე იქმნება. ადრინდ. ბრინჯაოს ხანაში, რ-იც ძირითადად ძვ. წ. III ათასწლეულს მოიცავს, ეგეიდაში ოთხი კულტურული წრე ჩამოყალიბდა: ა) აღმოსავლეთეგეოსური, რ-იც აერთიანებს ანატოლიის დას. სანაპიროს ტროადის ჩათვლით და მიმდებარე კუნძულებს (ლემნოსი, ლესბოსი, სამოსი); ბ) ადრეელადური — სამხრ. და ცენტრ. საბერძნეთში; გ) ადრეკიკლადური, რ-იც აერთიანებს კონტინენტური საბერძნეთის სამხრ.-აღმ. წრიულად განლაგებულ 220-მდე კუნძულს; დ) ადრემინოსური კრეტა. თითოეული ეს წრე გამოირჩევა ლოკალური თავისებურებებით, თუმცა მათ შორის შეინიშნება ინტენსიური ურთიერთობები, იდეებისა და მიღწევების ურთიერთგაცვლა (განსაკუთრებით მეტალურგიაში, ზღვაოსნობასა და ოქრომჭედლობაში), რომ აქ უკვე შეიძლება ეგეოსურ კოინეზე მსჯელობა, რ-იც არა მარტო კულტურულ, არამედ, გარკვეული თვალსაზრისით, ენობრივ ერთიანობასაც გულისხმობს. ამ პერიოდში Ე. ჰ-ის გავლენის არეალში ექცევა ცენტრ. და დას. ხმელთაშუაზღვისპირეთის არაერთი რეგიონი, თვით იბერიის ნახევარკუნძულის ჩათვლით. საკმაოდ წინწასული ჩანს კიკლადური კულტურა თავისი აბსტრაქტული პლასტიკით და აღმ. ეგეიდა ტროა II-ის ე. წ. ,,პრიამოსის“ საგანძურით. ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულისათვის Ე. ჰ-ის ფარგლებში შეინიშნება დიდი ნგრევა, რისი მიზეზიც შეიძლება სხვადასხვა ფაქტორი იყოს: დას. ანატოლიიდან და მიმდებარე კუნძულებიდან ხალხთა მოძრაობა, სოც.-ეკონ. კრიზისი, კლიმ. ცვლილებები და გეოლ. კატასტროფები. როგორც ჩანს, ამ ცვლილებებმა Ე. ჰ. განვითარების ახ. ფაზაზე გადაიყვანა, რამაც განსაკუთრებით მინოსური კრეტა დააწინაურა. აქ შუამინოსურ პერიოდში, რ-იც შუა ბრინჯაოს ხანასა და გვიანდ. ბრინჯაოს დასაწყისს ემთხვევა (ძვ. წ. 2160–1600), შეიქმნა ბრწყინვალე მინოსური კულტურა; იგი ეგეიდაში პირველ მაღალგანვითარებულ ცივილიზაციად შეიძლება მივიჩნიოთ. მინოსური კულტურის არეალში მოექცა კიკლადები, მისი ძლიერი გავლენა იგრძნობა კონტინენტურ საბერძნეთსა და აღმ. ეგეიდაში. ძლიერი ფლოტის წყალობით მინოსელებმა საზღვაო გზები შექმნეს რამდენიმე მიმართულებით: სამხრ. პელოპონესი (კ. კითერის გავლით), ანატოლიის სამხრ.-დას. და ცენტრ. რეგიონები



ო. ნ. ეგაძე.

(კ. კარპათოსის, როდოსის, სამოსისა და კნიდოსის, ასევე კარიული იასოსის გავლით). როგორც უკანასკნელი აღმოჩენები მოწმობს, საზღვაო გზა თვით ეგეიდის ჩრდ.-აღმ-ით მდებარე სამოთრაკიამდე აღწევდა. კონტინენტური საბერძნეთის ისეთ მნიშვნელოვან რეგიონებთან, როგორიც იყო არგოლისი, ატიკა, თესალია, მინოსელები იყენებდნენ აკროტირის კ. თერაზე, ფილაკოპის კ. მელოსზე და აგია ირინის კ. კეოსზე გამავალ გზას. მინოსური კულტურა მალე პარადიგმატული ხდება ეგეიდისათვის, მისი გავლენა შეიმჩნევა აღმ. ხმელთაშუაზღვისპირეთში (ალალახი, თელ კაბრი), კვიპროსზე, ეგვიპტეში. შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ თავად ეგეიდაში უკვე ე. წ. მინოსური კოინეს პერიოდია დამყარებული, რადგან ამ რეგიონის მკვიდრნი ძირითად კულტურულ იმპულსებს სწორედ მინოსური კრეტიდან იღებენ. გაცებას იწვევს კრეტელთა მიღწევები ადამიანური შემოქმედების მრავალ სფეროში. ყურადღებას იქცევს შენობების არქიტექტონიკა (კომფორტული, ლაბირინთისებური სასახლეები), შესანიშნავი ფრესკული და კერამიკული ფერწერა, მცირე პლასტიკისა და ოქრომჭედლობის დახვეწილი ტექნიკა, ქალაქმშენებლობის მაღალი კულტურა, დამწერლობის განვითარებული სისტემა, საზ. ცხოვრების ორგანიზაციის საშური დონე; ყოველივე ეს და ძლიერი ფლოტი კრეტას ეგეიდაში წამყვან პოლიტ. და კულტ. ძალის პოზიციებს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უნარჩუნებდა. ისევე როგორც ეგეიდის სხვა უძველესი მკვიდრნი: პელასგები, ლელეგები..., მინოსელები წინაბერძნული მოსახლეობის ორგ. ნაწილს წარმოადგენდნენ და მათი ენა ბერძნების გამოჩენამდე აქ არსებულ ენათა ეგეოსური ოჯახის წევრი უნდა ყოფილიყო. დაახლოებით ძვ. წ. 1600-იდან მინოსური კულტურა მოულოდნელ დაქვეითებას იწყებს. ამის მიზეზად თანამედროვე მეცნიერები ასახელებენ კ. თერაზე მომხდარ, ცივილიზებული სამყაროს არსებობის განმავლობაში ყველაზე გამანადგურებელ და ძლიერ ვულკანურ ამოფრქვევას. იგი, მკვლევართა აზრით, ძვ. წ. XVII ს. მეორე ნახევარში უნდა მომხდარიყო, თუმცა მეცნიერთა ერთი ნაწილი, ძირითადად არქეოლ. მასალაზე დაყრდნობით, ამოფრქვევას დაახლ. 1500 წლით ათარიღებს. ვულკანური ამოფრქვევით გამოწვეული მიწისძვრა, ცუნამი, ფერფლი, საკმარისი ფაქტორები იყო თერიდან 100 *კმ* დაშორებული მინოსური კრეტის პოლიტ. და ეკონ. ცხოვრების სტრესულ მდგომარეობაში ჩასაგდებად, ხოლო დროთა განმავლობაში სრული კოლაფსის მდგომარეობაში შესაყვანად. დაახლოებით ძვ. წ. XVII ს-ში კონტინენტურ საბერძნეთში ასპარეზზე გამოდიან მიკენელები ანუ ბრინჯაოს ხანაში ეგეიდაში შემოსული ბერძნები, რ-თაც ჰომეროსი სამი ტერმინით აღნიშნავს: აქაველები, არგოსელები, დანაელები. მიკენური ეპოქის ცენტრებიდან კონტინენტურ საბერძნეთში აღსანიშნავია: მიკენე, პილოსი, თებე, იოლკოსი, ხოლო კრეტაზე კნოსოსი. თუკი თავდაპირველად მიკენელები კრეტელ მმართველთა ძალაუფლებას ემორჩილებოდნენ, რასაც, შესაძლოა, თესევსის და ლაბირინთიის მითიც ეხმიანება, და თუკი მიკენური ელიტა ხელოვნებაში მინოსური სტილისადმი ძლიერ ლტოლვას ამჟღავნებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, მიკენურ საბერძნეთში აღმოჩენილ ოქროს ნაკეთობებში შეინიშნება, დაახლოებით ძვ. წ. XV ს. მიწურულიდან მიკენელები თავად იქცნენ ეგეიდაში წამყვან პოლიტ. და კულტ. ძალად და მათ მთლიანად ჩაანაცვლეს მინოსელები. მართალია, მიკენურ კულტურაში კვლავ საგრძნობია მინოსური ტრადიციის გავლენა, მაგრამ აქ უკვე რელიეფურად იკვეთება განმასხვავებელი ნიშნებიც: ამაღლებულ ადგილებზე აშენებული გამაგრებული ნაგებობები და საომარი მოქმედებებისაკენ სწრაფვა, საბრძოლო იარაღი და ოქროს ნივთების სიუხვე, მიცვალებულთა სახეებზე ოქროს ნიღბების დაფარება, ე. წ. შახტისებური სამარხების შთამბეჭდავი სიდიდის გუმბათოვანი სამარხებით შეცვლა და ა. შ. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან აღმ. ხმელთაშუაზღვისპირეთში ე. წ. ზღვის ხალხთა ინტენს. გადაადგილება შეინიშნება, რ-საც ვეებერთელა ეთნიკური და სოციალურ-ეკონომიკური ძვრები მოჰყვა. სავარაუდოდ, ამ პროცესის მსხვერპლი სხვა ცნობილ ძვ. კულტურებთან ერთად (ხეთები, უგარიტი) მიკენური საბერძნეთის ცენტრებიც აღმოჩნდა, რამაც ბიძგი მისცა მათ დაქვეითებას და საბერძნეთის ისტორიაში ე. წ. ,,ბნელი წლების'' დაწყებას. დღეს ე. ჰ-ის სამი უმთავრესი რეგიონის პერიოდიზაცია ამგვარად გამოიყურება: კონტინენტური საბერძნეთი: ადრეელადური – ძვ. წ. 2800–2100, შუაელადური – ძვ. წ. 2100–1500, გვიანელადური – ძვ. წ. 1500–1100; კრეტა: ადრემინოსური – ძვ. წ. 3650–2160, შუამინოსური – ძვ. წ. 2160–1600, გვიანმინოსური – ძვ. წ. 1600–1170; კიკლადები: ადრეკიკლადური – ძვ. წ. 3300–2000 (2500–2100 წწ. ე. წ. კასტრის კულტურა მიმართებას გვიჩვენებს ადრეელადური კულტურის II და III ფაზებთან); ძვ. წ. 2000-იდან მოყოლებული კიკლადები მინოსური კოინეს ორგანული ნაწილი ხდება.

ე. ჰ. ცნობილია თავისი დამწერლობის სისტემებით: კრეტული იეროგლიფური, რომლისგანაც უნდა განვითარებულიყო მარცვლოვანი A-ხაზოვანი დამწერლობა, ამ უკანასკნელისგან კი B-ხაზოვანი და C-ხაზოვანი, რ-ის საფუძველზეც ძვ. წ. XII ს-იდან უნდა აღმოცენებულიყო ე. წ. კვიპროსული მარცვლოვანი დამწერლობა. მას იყენებდნენ კვიპროსზე დამკვიდრებული ბერძნები – არკადოკვიპროსელები. ეგეოსური დამწერლობებიდან 1952 მ. ვენტრისმა მოახერხა B-ხაზოვანის გაშიფვრა, რ-საც ეგეიდაში დამკვიდრებული ბერძნები იყენებდნენ. რაც შეეხება გაუშიფრავ სისტემებს, ისინი აქაველი ბერძნების ეგეიდაში ამოსვლამდე აქ დამკვიდრებული წინაბერძნული ენის თუ ენების წერილობითი ფიქსაციისათვის გამოიყენებოდა. წინაბერძნული მოსახლეობის (ეტეოკრეტელები, პელასგები, ლელეგები) ენების მიმართ ინტერესი მეცნიერებაში XIX ს. მიწურულიდან გაძლიერდა, როდესაც გამოქვეყნდა პ. კრეჩმერის ცნობილი წიგნი ,,ბერძნული ენის ისტორიის შესავალი'' (1896), რ-შიც იგი ბერძნ. ენაში შემონახული არაინდოევროპული წარმომავლობის ელემენტებს გამოყოფდა, როგორც სიტყვათმაწარმოებელი აფიქსების, ასევე ლექსიკური ფორმატივების დონეზე. მას ბევრი მიმდევარი გაუჩნდა საბერძნეთის უძველესი მოსახლეობის ენის არაინდოევროპულად გამოცხადების საკითხში (ა. ფიკი, ი. ჰუბერი, ა. მეიე, ა. დებრუნერი და სხვ.). XX ს. დასაწყისში (1906) ანატოლიაში სოლისებრი (ლურსმული) წარწერების უმდიდრესი არქივის აღმოჩენამ და მისი დიდი ნაწილის გაშიფვრამ

(1915) ნათელი გახადა, რომ ინდოევროპული ენები (ხეთური, ლუვიური, ფალაური) ანატოლიაში უკვე ძვ. წ. II ათასწლეულში იყო გავრცელებული. ამან ინდოევროპელთა ხმელთაშუაზღვისპირეთში შემოსვლის თარიღი სულ ცოტა ერთი ათასწლეულით უკან გადაწია. აქედან მოყოლებული მეცნიერებაში გაჩნდა სხვადასხვა თეორიები, რ-ებიც ელინების ეგეიდაში დამკვიდრებამდე არსებულ წინაბერძნულ ენად (თუ ენებად) რომელიღაც არაბერძნულ ინდოევროპულ (პელასგურ, ლუვიურ) ენას მიიჩნევდნენ. B-ხაზოვანი წარწერების გაშიფვრის შემდეგ აშკარა გახდა, რომ გვიანბრინჯაოს ხანის საბერძნეთში ძირითადი მოსახლეობა ბერძნულენოვანი იყო, ხოლო როგორც A-ხაზოვანი დამწერლობის ტექსტებისა და თავად ბერძნულში უხვად არსებული დაუდგენელი ეტიმოლოგიის ფორმატივების ანალიზი გვიჩვენებს, დღეს მეტი საფუძველი გვაქვს, წინაბერძნული ენობრივი სამყარო ძირითადად არაინდოევროპულად მივიჩნიოთ. ჯერ კიდევ 1972 ჰოლანდიელმა მეცნიერმა ე. ი. ფურნეემ თავის წიგნში ,,უმნიშვნელოვანესი კონსონანტური მოვლენები წინაბერძნულში'' სცადა ჩამოეყალიბებინა ის ძირითადი კრიტერიუმები, რ-თა საფუძველზე შესაძლებელია წინაბერძნული არაინდოევროპული ენობრივი შრის გამოყოფა. მისი თვალსაზრისი ამჟამად იმდენად დამაჯერებლად არის მიჩნეული, რომ რ. ბეეკესის ბერძნულის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში (2010) ძველი ბერძნულის ლექსიკის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ფურნეე-ბეეკესის კრიტერიუმებით არაინდოევროპულ წინაბერძნულ ენობრივ შრეს განეკუთვნება. რაც შეეხება თავად ამ შრის ენობრივი კუთვნილების საკითხს, უკანასკნელ ხანებში ერთგვარი რეგენერაცია განიცადა ე. წ. კავკასიურმა, კერძოდ, ქართველურმა ჰიპოთეზამ, რ-საც არაერთი ქართვ. თუ უცხოელი მეცნიერი უჭერდა მხარს (ნ. მარი, ს. ყაუხჩიშვილი, პ. ბერაძე, ი. ჯუბშმიდი, ა. ურუშაძე და სხვ.). თუკი თავდაპირველად წინაბერძნულ-ქართველური ენობრივი პარალელები სავარაუდო უძველესი მედიტერანული ერთიანობის მემკვიდრეობად მიიჩნეოდა, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ პარალელების უმეტესობა ძვ. წ. III–II ათასწლეულთა მიჯნაზე ქართველურ ტომთა ერთი ნაწილის ეგეიდაში მიგრაციის შედეგია (რ. გორდეზიანი). წინაბერძნულ-ქართველური ჰიპოთეზა ამჟამად არსებული ყველა არგუმენტის გათვალისწინებით ,,მედიტერანულ-ქართველური მიმართებების'' ოთხტომეულში ამგვარად ჩამოყალიბდა: ნეოლითიდან მოყოლებული სამხრ.-აღმ. ანატოლიიდან ე. წ. ჩათალ-ჰუიუქის კულტურის თანდათანობითი დიფუზიის შედეგად ხმელთაშუაზღვისპირეთში ერთგვარი ენობრივ-კულტ. კოინე შეიქმნა, რ-იც დას-ით პირინეის ნახევარკუნძულს, ხოლო აღმ-ით კავკასიას სწვდებოდა. ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულისათვის იწყება კავკასიიდან ეგეიდისა და დას. ხმელთაშუაზღვისპირეთისაკენ კავკასიურ, უპირატესად ქართველურ ტომთა მძლავრი მიგრაციები, რ-ებიც ორი მარშრუტით მიმდინარეობდა – სამხრ. და ჩრდ. შავიზღვისპირეთის გაყოლებით. ქართველური კომპონენტი აღწევს ევროპის გვიანინდოევროპულ ენობრივ სივრცეს, ხოლო ეგეიდისა და დასავლეთ ანატოლიის რეგიონში ყალიბდება მინოსურ-დასავლეთანატოლიურ-პელასგური ერთიანობა, რ-შიც დომინანტური არის ქართველური ენობრივი კომპონენტი (რ. გორდეზიანი, ე. ი. ფურნეე). ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ამ ერთიანობის დიფერენციაციის პროცესის კვალდაკვალ თანდათანობით წარმოიშვა არაინდოევროპული, შესაძლოა, კვაზიქართველური ენები: მინოსური, ლელეგური, პელასგური, დას. ანატოლიური, მოგვიანებით ტირსენიული, ეტრუსკული და სხვ. ეს ენები, მკვლევართა უმეტესობის აზრით, ერთმანეთის მონათესავეა და ისინი წინაბერძნული ენობრივი სამყაროსათვის დამახასიათებელ ნიშნებს გვიჩვენებენ. თავის მხრივ, წინაბერძნულ (პირობითად, პელასგურ)-ქართველური ენობრივი შეხვედრები ამგვარადაა კლასიფიცირებული: ა) ფონოლოგიის დონეზე – როგორც ხმოვნებში, ასევე თანხმოვნებში ე. ი. ფურნეეს, რ. ბეეკესისა და რ. ა. ბრაუნის რეკონსტრუქციების გათვალისწინებით იკვეთება შორსმიმავალი პარალელები; განსაკუთრებით საყურადღებოა მიმართებები სიბილანტებში (ე. ი. ფურნეე, რ. გორდეზიანი). რ. ბეეკესის მიერ გამოყოფილი წინაბერძნულისათვის დამახასიათებელი და პროტო- თუ საერთოინდოევროპულისათვის იშვიათი თითქმის ყველა ბგერათა ჯგუფი დასტურდება ასევე ქართველურში; წინაბერძნულისათვის დამახასიათებელი ბგერათმონაცვლეობის თითქმის ყველა ტიპი (ე. ი. ფურნეე) პარალელს პოულობს ქართველურ ენებში (რ. გორდეზიანი), ბ) მორფოლოგიის დონეზე – წინაბერძნული და ქართველური დეიქტური პრეფიქსები/პროთეტული ხმოვნები a, i, u; სავარაუდო s¸a-, s¸e- და s¸i-, ასევე la-, le-, li- პრეფიქსები; n-ს შემცველი პრეფიქსები (ე. ი. ფურნეე, რ. გორდეზიანი) ag- პრეფიქსი; რ. ბეეკესის მიერ გამოყოფილი 132 წინაბერძნული სუფიქსის აბსოლუტური უმეტესობა დასტურდება ქართველურ ენობრივ სამყაროში, მათ შორის – is(a) და –nth. გ) ლექსიკის დონეზე – ბერძნულში შემონახულ დაახლოებით 800-მდე წინაბერძნულ ფორმატივს, ქართველური ჰიპოთეზის მომხრეთა აზრით, უკვე შეიძლება მოენახოს მიმართება იმ ქართველურ ფუძეებთან, რ-ებიც ქართველური ენების ერთიანობის დონეზე აღდგება. მათ შორისაა სულ სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფის ერთეულები. უკანასკნელ ხანებში ქართ. მეცნიერებაში ქართველური ენების მონაცემთა გათვალისწინებით წინაბერძნული ჯერ გაუშიფრავი წერილობითი დოკუმენტების ინტერპრეტაციის ცდა შეინიშნება, მაგ.: ფესტოსის დისკოს (გ. კვაშილავა), ვრცელი A-ხაზოვანი ტექსტების, ასევე ბერძნ. ფონეტ. გრაფემებით შესრულებული ეტეოკრეტული და ლემნოსის სტელის ტექსტებისა (რ. გორდეზიანი).

Ე. ჰ-ის არეალიდან ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მოყოლებული შეინიშნება ხალხთა მოძრაობის დაწყება სხვადასხვა, მ. შ. კავკასიის მიმართულებით, რაც ათასწლეულის ბოლოსათვის ე. წ. ,,ზღვის ხალხების'' დამანგრეველი შემოსევების სახეს იღებს. ანტ. წყაროებმა შემოგვინახეს ცნობები, რ-თა თანახმად კავკასიისკენ არაერთგზის მომხდარა აღმ. ხმელთაშუაზღვისპირეთიდან გადმოსახლება: 1. აიეტი კოლხიდაში ეფირადან გადმოსახლდა (*ევმელოს კორინთელი*); 2. კავკასიელი იბერიელები და ალბანები თესალიელებისგან არიან წარმოშობილნი არგონავტთა ლაშქრობის შედეგად (ტაციტუსი); 3. კავკასიელი აქეველები ორქომენელი კოლონისტები არიან, რ-ებიც აქ

ტროას ომის შემდეგ გადმოსახლდნენ (სტრაბონი); 4. არგონავტ დიოსკურების მეტტლეებმა (ჰენიოხებმა) დაასახლეს ჰენიოხია (სტრაბონი); 5. მაკრონები ანუ მაკრიტელები პელასგური ტომია, რადგან ისინი ევბეელთაგან არიან გადმოსახლებულნი (აპოლონიოს როდოსელი, სქოლ.); 6. ხალიბები ევბეადან გადასახლდნენ (ვერგილიუსის ,,გეორგიკების'' 1,58 განმარტებები); 7. კრეტელმა კოლონისტებმა კავკასოსთან დააარსეს ქალაქი ტარრა (სტ. ბიზანტიონელი); 8. ჰეროდოტეს მიხედვით, კოლხები ეგვიპტელი სესოსტრისის ლაშქრის აღმ. შავიზღვისპირეთში დარჩენილი ერთი ნაწილიდან არიან წარმოშობილნი. ის, რომ ეს ცნობები გვიანბრინჯაოს ხანის ეგეიდიდან კავკასიის მიმართულებით რეალურად მომხდარ გადმოსახლებებს ეხმიანება, უკვე დიფერენცირებულ ქართველურ ენებში ე. წ. აღმოსავლეთმედიტერანული ლექსიკური ფორმატივებითაც დასტურდება: აბლაკი, აკვანი, ალი, ბაგა, ბავშვი, გალია, მაღარო, ომი, ოფიჩო, პარკი, სელაპი, ურო და სხვ. (ე. ი. ფურნეე, რ. გორდეზიანი).



ეგვიპტური კალია.

Ე. ჰ-ისა და საქართველოს ურთიერთობების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა მრავალრიცხოვანი ანტ. წერილობითი ტექსტითა თუ სახვითი ხელოვნების ნიმუშებით გადმოცემული არგონავტების თქმულება. ის ასახავს ე. წ. გმირთა ეპოქის ამბებს, რ-ებიც მითოლ. ქრონოლოგიის მიხედვით, დაახლ. ძვ. წ. XIV ან XIII ს-ში ანუ მიკენურ ეპოქაში უნდა მომხდარიყო. თანამედროვე მეცნიერებაში არ არის აზრთა ერთიანობა იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა უკვე თქმულების უძველეს ვერსიებში არგონავტების ექსპედიციის მიზანი აღმ. შავიზღვისპირეთში მდებარე კოლხიდა. რამდენადაც ჰომეროსი და არქაული ხანის პოეტები ოქროს საწმისის ადგილსამყოფლად აიას და არა კოლხიდას ასახელებენ, ამასთანავე მიკენურ ეპოქაში ესოდენ შორეული საზღვაო ექსპედიცია ნაკლებად სავარაუდოა, მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ თავდაპირველად თქმულებაში ფიგურირებდა მხოლოდ ზღაპრული აია, რ-იც, შესაძლოა, სულაც არ მოიაზრებოდა (ა. ლესკი, მ. კ. ასტური, ჰ. დრეგერი) ან მოიაზრებოდა შავიზღვისპირეთში, მაგრამ არა კოლხიდაში (ვ. ჰაასი, მ. ვესტი). აიას გაიგივება კოლხიდასთან მხოლოდ ძვ. წ. VIII საუკუნის ანუ ჰომეროსის ეპოქის შემდგომ უნდა მომხდარიყო, როდესაც დიდი კოლონიზაციის შედეგად ბერძნებმა კოლხიდას მიაღწიეს. მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვარაუდობს, რომ არგონავტების ლაშქრობის მიზანი, თქმულების მიხედვით, თავიდანვე კოლხიდა უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს შემდეგი ფაქტები: ა) ჰომეროსი, რ-იც იცნობს არგონავტთა თქმულების ლემნოსის ეპიზოდს, შეიძლება გულისხმობდეს, რომ არგო მოძრაობს მხოლოდ შავიზღვისპირეთისკენ; ბ) როგორც ტ. სევერინის (1984) და ვოლოსელი ბერძნების (2009) მიკენური გემთმშენებლობის პრინციპით აგებული ხომალდების ექსპერიმენტულმა ექსპედიციებმა დაადასტურა, გვიანბრინჯაოს ხანაში ბერძნებს შეეძლოთ მოეღწიათ შავი ზღვის სანაპიროებამდე; ამასთანავე უკანასკნელი არქეოლ. გათხრები ადასტურებს, რომ იმ ეპოქაში ტროა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ეგეიდასა და შავ ზღვას შორის ხომალდებით მიმოსვლის საქმეში; გ) ბერძენი არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ვოლოსის (ისტორიული იოლკოსი) რეგიონში წარმოებული არქეოლ. გათხრები მიგვითითებენ გვიანბრინჯაოს ხანაში მიკენურ საბერძნეთსა და კოლხიდას შორის არსებული კონტაქტების კვალზე, ამასვე უნდა ადასტურებდეს B-ხაზოვან დოკუმენტებში ეთნონიმ კოლხიდელის მოხსენიების ორი ფაქტი; დ) თქმულების უძველეს ვერსიებში დადასტურებული ოქროს საწმისის ქვეყანასა და მის მკვიდრებთან დაკავშირებული ის საკუთარი სახელები და ტერმინები, რ-ებიც არ განეკუთვნებიან ე. წ. მეტყველ ბერძნ. ფორმატივთა ჯგუფს და გვიჩვენებენ ქართველურ ეტიმოლოგიას: Φᾶσις (*ფათი → ფოთი), Πόλα (←*რბ-ოლ-ა), Μήδεια (←*მეზდია ←*მზდია ←*მზია), Κίρκη (←*კარ-/კირ-/კრ-), κῶας (←*ტყაუ), μῶλυ (←*მოლ- ან *ბოლ-) და სხვ. ყოველივე ამასთან ერთად, თუკი გავითვალისწინებთ გვიანბრინჯაოს ხანაში კოლხიდის ტერიტორიაზე ბრწყინვალე კოლხური კულტურის არსებობის ფაქტს, Ე. ჰ-ის მიკენურ ,,სეგმენტსა'' და დას. საქართველოს შორის შესაძლებელი კონტაქტების არსებობას რეალური საფუძველი ექნება.



ეგვიპტური ყანჩა.

ლიტ.: გორდეზიანი ლ., მიკენური საბერძნეთი B-ხაზოვანი წარწერების შუქზე, თბ., 1998; გორდეზიანი რ., ეგეოსური კულტურა ბრინჯაოს ხანაში, «მიმომხილველი», 1968, ტ. 4–5; მისივე, წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985; მისივე, ბერძნული ცივილიზაცია, ტ. 1, თბ., 1988; მისივე, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები, ტ. 2 – წინარებერძნული, ტ. 3 – ეტრუსკული. დასკვნითი კომენტარები, თბ., 2007; ჩოთლოშვილი ლ., ეგეოსური დამწერლობათა სისტემები, თბ., 2003; Beekes R., Etymological Dictionary of Greek, vols. 1–2, Leiden, 2010; Buchholz H. G., Karageorghis V., Altägäis und Altkypros, Lpz., 1972; Deger-Jalkotzy S., Ägäische Koine, DNP 1, 143–156, 1996; Furnée E. J., Die wichtigsten konsonantischen Erscheinungen des Vorgriechischen, Den Haag, 1972; მისივე, Vorgriechisch–Kartvelisches, Leuven, 1979; მისივე, Beiträge zur georgischen Etymologie, Fasz. 1, Leuven, 1982; მისივე, Paläokartvelisch-Pelasgische Einflüsse in den indogermanischen Sprachen, Leiden, 1986; The Argonautica and World Culture, I, II, «Phasis», 10(I), 10(II), 2007. *რ. ბ. გორდეზიანი.*

ეგვიპტური კალია (Anacridum aegyptium), პოლიფაგური მწერი სწორფრთიანების რიგისა. გავრცელებულია დას. ევროპის სამხრ. ნაწილში, ჩრდ. აფრიკაში, წინა აზიაში, ირანში, ავღანეთში, სამხრ. ყაზახეთში, შუა აზიაში, ევროპ. ნაწილის სამხრეთში, ყირიმში, ჩრდ. და სამხრ. კავკასიაში.

საქართველოში, ისე როგორც მთელი არეალის ფარგლებში, Ე. ჰ. ბინადრობს ბუჩქნარით დაფარულ ბიოტოპებში. ერიდება ტყიან ადგილებს. იზამთრებს ზრდასრული ფორმა და ბოლო ასაკის ნიმფები. საქართველოში გავრცელებულ კალიებს შორის ყველაზე დიდი ზომისაა (დედლის სიგრძე 6,5 *სმ*, მამლისა – 4–5 *სმ*), ძირითადად რუხი ან მორუხო-მუქია, უკანა წვივები მოცისფრო ან მორუხო-იისფერი აქვს.

აზიანებს მრავალ კულტურულ, ტექნიკურ მცენარეს, ციტრუსებს, ბოსტნეულ, ხეხილოვან, დეკორ. კულტურებსა და ტყის ჯიშებს.

ე. აბაშიძე. მ. სტოლიაროვი.

ეგვიპტური ყანჩა (Bubulcus ibis), ფრინველი ლაკლაკისნაირთა რიგისა. ზომით იხვისოდენაა, თეთრი ფერის; თავზე, მკერდსა და ზურგზე მურა ყვითელი ბუმბული აქვს; ნისკარტი ყვითელია (ფუძეში – წითელი), ფეხები – მოწითალო. გავრცელებულია პირენეს ნ.-კ-ზე, აზიაში, აფრიკაში, მადაგასკარზე. საქართველოში გვხვდება მიმოფრენისას. ბინადრობს ჭაობების, წყალსატევების ნაპირებზე, დაჭაობებულ ანთროპო-

მორფულ ლანდშაფტებში. იკვებება მწერებით, პატარა-პატარა უხერხემლო ცხოველებით, თევზების ლიფსიტებით, ბაყაყებით და სხვ. საკმაოდ იშვიათი ფრინველია.

რ. ჟორდანია.

ეგვტერი, ეკვდერი (ბერძნ. euktērion – სამლოცველო), 1. მცირე სამლოცველო სახლი; კერძო, კარის სამლოცველო. 2. ეკლესიაზე მიშენებული მცირე სამლოცველო; ეკლესიაზე მინაშენი ან მის მახლობლად ცალკე აგებული მცირე ეკლესია – სამწირველო. შუა საუკ. საქართველოში ეკლესიებზე მიშენებული ე-ები უმთავრესად დიდ ფეოდალთა კერძო სამწირველო-ეკლესიები და იმავე დროს ამ ფეოდალთა საგვარეულო სასაფლაო იყო.

აღმ-ის ქრისტ. ქვეყნებში საეკლ. კანონმდებლობა კრძალავდა სალოცავ ე-ში წირვის (ლიტურგიის) შესრულებას. მთავარი მიზეზი ამ აკრძალვისა იყო იმ ეკონ. კონკურენციის თავიდან აცილება, რ-საც ამ შემთხვევაში ე-ები უწევდნენ საერთო-კათოლიკე ეკლესიებს (ეკლესიას აკლდებოდა მწირველზე დაკისრებული შესატანი). VI მსოფლიო საეკლ. კრების (680–681) გადაწყვეტილებით ე-ში წირვის შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ მას ადგილ. ეპისკოპოსი ეკლესიად აკურთხებდა. საქართველოში ეს აკრძალვა IX–X სს-შიც იყო ძალაში. მაგ., ხანძთის მონასტერში წინამძღვარმა ბერებს წესად დაუდო, რომ სენაკებთან აეგოთ ე-ები მხოლოდ სამლოცველოდ და არა საწირავად (ეკლესიად). XI ს-იდან საქართველოში ფართოდ ვრცელდება ე-ები, როგორც სამწირველო-ეკლესიები, რასაც უკავშირდება ქართ. ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი საეკვტერო-საწინამძღვრო ფეოდ. მიწისმფლობელობის თავისებური ფორმის წარმოშობა. XV ს-იდან დიდ საეკლ. სამონასტრო ცენტრებში (მცხეთა, ალავერდი, შიომღვიმე, გელათი, ბიჭვინთა და სხვ.) შეიქმნა რამდენიმე საეკვტერო ფეოდ. ორგანიზაცია მცირე სენიორიების სახით. თითოეულ ე-ს მთავარი დიდი ეკლესიისაგან დამოუკიდებლად ჰყავდა საკუთარი წინამძღვარი და სხვა მსახური. ე-ში პატრონის, დიდი ფეოდალის – შემწირველის სახელზე სრულდებოდა სხვადასხვა სახის რიტუალი (წირვა-ლოცვა და სხვ.). მას დამოუკიდებლად ჰქონდა შეწირულება (გლეხებისა და მამულების სახით), რ-საც მხოლოდ მისი საჭიროების მიხედვით იხმარდა. XV ს-იდან ე-ს „საწინამძღვროსაც“ უწოდებენ.

ლიტ.: ლომინაძე ბ., სამწირველო XIII საუკუნეში, «მიმომხილველი», 1949, [ტ.] 1; მისივე, ფეოდალური მიწისმფლობელობის ისტორიიდან. „საწინამძღვრო“, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 31. *ბ. ლომინაძე.*

ეგზარძოსი (ბერძნ. exarchos – ხელმძღვანელი, დამოუკიდებელი ხელისუფლების მქონე), 1. ძვ. საბერძნეთში – თანამდებობა ქურუმთა წოდებაში. 2. ბიზანტიაში – იმპერატორის მოადგილე იტალიის სამფლობელოებში (რეზიდენცია – ქ. რავენაში); დიოცეზის მმართველი ეპისკოპოსი (რეზიდენცია – დიოცეზის მთავარ ქალაქში), შემდეგში ე. პატრიარქად იწოდებოდა; XI ს-იდან კონსტანტინოპოლის პატრიარქის მოხელე, რ-იც მართავდა და მეთვალყურეობდა კონსტანტინოპოლის ეპარქიის გარეთ, იმპერიის სხვა ადგილებში მდებარე საპატრიარქო და სხვათა კუთვნილ მონასტრებს; პატრიარქის მოადგილედ წარგზავნილი მაღალი წოდების იერარქი, რ-საც ევალებოდა პატრიარქის სახელით საეკლ. საქმეების მოგვარება. 3. სახელმწიფოში მაღალი წოდების იერარქი, მართავს აღმ.-ეთნიკურად განსხვავებულ დიდ საეკლ. ეპარქიას. რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიას (1801) მოჰყვა ქართ. ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და 1811 საქართვ. საეგზარქოსოს დაარსება, რ-საც მართავდა რუსეთის *სინოდის* მიერ დანიშნული ე. საქართვ. ე-ს მინიჭებული ჰქონდა ქართლისა და კახეთის მიტროპოლიტის წოდება, შემდეგში კი – არქიეპისკოპოსისა. საქართვ. ე. იყო რუსეთის სინოდის წევრი და *დიკასტერიის* უფროსი, შემდეგ – დიკასტერიის მაგიერ 1814 დაარსებული „საქართველო – იმერეთის სინოდალური კანტორის“ (გაიხსნა 1815) უფროსი და იწოდებოდა „ქართლისა და იმერეთის ეგზარქოსად“ ან მოკლედ „საქართველოს ეგზარქოსად“. 1814 თბილისში დაარსდა ე-ის კანცელარია. საქართვ. პირველი ე. იყო *ვარლაამი* (ერისთავი, 1811–17), შემდეგ – რუსეთიდან მოვლინებული არქიერები. საქართვ. საეგზარქოსოს კომპეტენციაში შემავალი ტერიტორია უფრო და უფრო ფართოვდებოდა და XIX ს. დასასრულს მასში შედიოდა მთლიანად ამიერკავკასია, ჩრდ. კავკასია და კასპიის ზღვის აღმ. მხარეც. ე-ის თანამდებობა გაუქმდა 1917 მარტში, ქართველი სამღვდელოების მიერ საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ.

ლიტ.: [Епископ Кирион], Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тфл., 1901 (კრიპტ.: Е. К.). *ბ. ლომინაძე.*

ეგზარძოსის საზაფხულო სასახლე, მდებარეობდა თბილისში, ხარფუხში, განჯის კარისა და ბერძნების დასახლების მახლობლად, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ჩრდ.-აღმ-ით. სასახლე ააგეს XIX ს. 20–30-იანი წლების მიჯნაზე. იქვე იდგა ღვთისმშობლის კარის ეკლესია (1835). ე. ს. ს. რამდენჯერმე იხსენიება მთავარმართებელ გენ. ა. ნეიდგარდტის (1842–44) 1843 „გამოცხადებაში“, რ-ის მიხედვითაც იგი ადგენდა მდ. მტკვრის სანაპიროს გამოყენების წესს და რიგს. დღეს სასახლისა და ღვთისმშობლის კარის ეკლესიის ადგილი უკავია 300 არაგველის სახ. ბაღის ნაწილს.

ეგზეგეზა (ბერძნ. exēgēsis – განმარტება, თარგმანება), 1. ფილოლოგიური განმარტება ლიტერატურული ტექსტებისა, მეტწილად ანტიკურისა; 2. ბიბლიის ტექსტთა ღვთისმეტყველებითი თარგმანება, განმარტება.

ეგზეგეტიკა (ბერძნ. exēgētika), 1. მოძღვრება *ეგზეგეზის* შესახებ. 2. ქრისტიანული მწერლობის დარგი, ბიბლიურ ტექსტთა ახსნა, თარგმანება; ალექსანდრიულმა სკოლამ დანერგა თარგმანების ალეგორიული მეთოდი, ანტიოქიური სკოლა კი ბიბლიის ტექსტთა სიტყვა-სიტყვით განმარტებას ისახავდა მიზნად. ზოგ ეგზეგეტიკოსთა შრომებში ამ ორი მეთოდის შერწყმა ხდებოდა. სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ერის ქრისტ. მწერლობაში ე. შესაბამის სპეციფ. ნიშნებს იძენდა. ბერძნ.-ბიზანტ. ე-მ განვითარების სამი პერიოდი განვლო: დასაწყისი (I–III სს.), კლასიკური (IV–V სს.) და დაქვეითების ხანა (VI–XV სს.).

ე. ქართ. სას. მწერლობის მნიშვნელოვანი დარგია. მისი განვითარება განაპირობებდა ქრისტ. რელიგიის არსისა და ქრისტ. ზნეობის საფუძვლიან ათვისებას. ქართ. ე-ის უძველეს ნიმუშად მიჩნეულია *„ექსტათა მცხეთელის მარტვილობაში“* ჩართული სამოელ არქიდიაკვნის თარგმანება საღვთო წერილისა. ეგზეგეტიკური მწერლობის ძეგლთა ადრეული თარგმანები დაცულია შატბერდის კრე-

ბულში (ხელნაწერი S – 1141). ძვ. ქართ. მწერლობის I პერიოდში ბერძნ. და სომხ. ენებიდან ითარგმნებოდა იპოლიტე რომაელის, ეპიფანე კვიპრელის, ათანასე ალექსანდრიელის, ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელისა და სხვათა ეგზეგეტიკური თხზულებები.

ეგზეგეტიკური მწერლობის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ექვთიმე (ეფთჳმე) და გიორგი მთაწმიდელებს. მათ თარგმნეს ანდრია კრეტელის, იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, მაქსიმე აღმსარებლისა და სხვათა ეგზეგეტიკური თხზულებები. ეფრემ მცირემ იოანე ოქროპირის შრომის მიხედვით შეადგინა პავლეს ეპისტოლეთა განმარტება, მანვე შექმნა დავითნის კატენების ორიგინ. რედაქცია, რისთვისაც გამოიყენა ცნობილ ეგზეგეტიკოსთა მიერ შესრულებული „ფსალმუნთა“ განმარტებანი.

XII ს-იდან საქართველოში Ე-ის შემდგომი განვითარება შეფერხდა. XVIII ს-ში *ანტონ I-მა* დაწერა 50-ე ფსალმუნის თარგმანება. XIX ს. I მეოთხედში იონა ხელაშვილს უთარგმნია (საფიქრებელია, რუსულიდან) ძველი აღთქმის განმარტება, რ-საც ჩვენამდე არ მოუღწევია.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.1, თბ., 1960. *მ. გიგინეიშვილი.*

ეგზისტენციალიზმი, ე ქ ს ი ს ტ ე ნ ც ი ა ლ ი ზ მ ი (<ლათ. existentia – არსებობა), არსებობის ფილოსოფია, ირაციონალისტური მიმდინარეობა, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოძღვრება თანამედროვე დასავლურ ფილოსოფიაში. წარმოიშვა XX ს. 20-იან წლებში გერმანიაში და ფართოდ გავრცელდა ევროპის, ამერიკისა და აზიის მრავალ ქვეყანაში. Ე. ფართოდ აისახა აგრეთვე ხელოვნებასა და ლიტერატურაში. Ე-ის წარმომადგენლები არიან მ. ჰაიდეგერი, კ. იასპერსი, მ. ბუბერი (გერმანია), ჟ. პ. სარტრი და გ. მარსელი (საფრანგეთი); რუსი მოაზროვნეები – ნ. ბერდიაევი და ლ. შესტოვი; იტალიელი ნ. აბანიანო; ფრანგი მწერლები და ესეისტები – ა. კამიუ და ს. დე ბოვუარი. XX ს. ქართვ. ფილოსოფოსები (შ. *ნუცუბიძე*, დ. *უზნაძე*, ს. *დანელია*, კ. *ბაქრაძე*, კ. *კაპანელი* და სხვ.) დიდ ყურადღებას უთმობდნენ ეგზისტენციალისტური მსოფლმხედველობის სხვადასხვა ასპექტს.

შ. ნუცუბიძე მიუთითებდა თავისსავე ჩამოყალიბებულ ,,ალეთოლოგიური რეალიზმის“ ორგ. მსგავსებაზე მ. ჰაიდეგერის ფუნდამენტურ ონტოლოგიასთან და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჭეშმარიტების ეგზისტენციალურ გაგებასა და ალეთოლოგიას შორის არსებობს ორგ. კავშირი. ს. დანელია და დ. უზნაძე ყურადღებას ამახვილებდნენ სიკვდილის, შიშის, ადამიანის ცხოვრების საზრისის ზოგიერთ ეგზისტენციალურ პრობლემაზე. კ. ბაქრაძეს ეკუთვნის ამ მიმდინარეობის პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა საქართველოში (,,ექსისტენციალიზმი“, 1962), სადაც იგი Ე-ის ძირითადი პრინციპების ანალიზთან ერთად იძლევა მისი, როგორც ,,ალოგიკური“ და ,,ანტისციენტისტური“ მოძღვრების კრიტიკას.

ეგზისტენციალისტური ფილოსოფია შემდგომი შესწავლისა და კრიტიკის საგნად აქცია მრავალმა ქართვ. მკვლევარმა (ა. *ბოჭორიშვილი*, თ. *პუაჩიძე*, ვ. გოგობერიშვილი, ზ. *კაკაბაძე*, ე. *კოდუა*, ა. *ბეგიაშვილი*, გ. *თევზაძე*, მ. *ჭელიძე*, გ. *ცინცაძე*, ა. ბრეგაძე, რ. *პალანჩივაძე*, გ. მარგველაშვილი, ა. ბაქრაძე, ა. პოპიაშვილი, რ. *ჩანტლაძე*, ხ. გოგოჭური, რ. შ. გორდეზიანი, ნ. კვარაცხელია, ვ. ნიბლაძე, ზ. ხასაია და სხვ.). ა. ბოჭორიშვილი იკვლევდა Ე-ის ანთროპოლოგიურ და ონტოლოგიურ ასპექტებს. ეგზისტენციალური ანთროპოლოგიის კვლევის საქმეში განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის ზ. კაკაბაძეს, რ-იც აანალიზებდა მის კავშირს სხვა თანამედროვე დასავლურ ფილოს. მიმდინარეობებთან, მას განიხილავდა აგრეთვე ესთეტიკისა და ხელოვნ. ისტ. ფონზე. მნიშვნელოვანია ის ანთროპოლოგიური და აქსიოლოგიური ძიებანი, რებიც Ე-ის კრიტიკის ფონზე ადამიანის ყოფის სპეციფ. შესასწავლად ტარდებოდა საქართვ. მეცნ. აკად. ფილოს. ინ-ტში. ქართ. ფილოს. ლიტერატურაში Ე-ის დადებით მხარეებთან ერთად მითითებულია მისი ნაკლოვანი მხარეებიც – ნიჰილიზმი, ინდივიდუალიზმი, ანტისციენტიზმი, ირაციონალიზმი და სხვ.

ლიტ.: ბ ა ქ რ ა ძ ე კ., ექსისტენციალიზმი, თბ., 1962; ბ უ ა ჩ ი ძ ე თ., ფილოსოფიური ანთროპოლოგია, თბ., 2003; გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი რ., ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური ძიებები გერმანულ ექსისტენციალიზმსა და აღმოსავლეთში (ძენ-ბუდიზმი), თბ., 2009; თ ე ვ ზ ა ძ ე გ., XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, თბ., 2002; კ ო დ უ ა ე., ექსისტენციალიზმი ფილოსოფიის არსების შესახებ, თბ., 1984; XX ს. ბურჟუაზიული ფილოსოფია, თბ., 1970; ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, თბ., 1993; ნ ი ბ ლ ა ძ ე ვ., ა. კამიუ ფილოსოფიის როლის შესახებ აბსურდის ადამიანის ცხოვრებაში, «მაცნე», 1998, №2; Б е г и а ш в и л и А., Неопозитивизм и экзистенциализм, Тб., 1975; К а к а б а д з е З., Проблема «экзистенциального кризиса» и трансцендентальная феноменология Эдмунда Гуссерля, Тб., 1966.

რ. შ. გორდეზიანი.

ეგზოელექტრონული ემისიის მოვლენა, ელექტრონების ამოფრქვევა (ემისია) მყარი სხეულის ზედაპირიდან მასზე რაიმე საშუალებით (ხახუნი, გაჭიმვა, შეკუმშვა, წრთობა, გაქლიბვა, დაკაწვრა, რადიაციული დასხივება და სხვ.) ზემოქმედებისას ე. ი. ,,გაღიზიანებისას“. აღმოაჩინა გერმ. ფიზიკოსმა ჯ. კრამერმა (1949). საწყისი ემისიის გაქრობის შემდეგ შესაძლებელია მისი აღდგენა სათანადო სტიმულირების მეშვეობით (გახურებით, ქიმ. რეაქციებით, განათებით და სხვ.). Ე. Ე. მ-ის დროს ამოფრქვეული ელექტრონების რაოდენობა და, რაც მთავარია, მათი ენერგია ბევრად აღემატება მოცემულ ტემპერატურაზე წონასწორულ პირობებში სხეულიდან ამოფრქვეული ელექტრონების რაოდენობას და მათ ენერგიას, სტიმულირებაზე დახარჯული ენერგია კი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ამოფრქვეული ელექტრონების ენერგია. ამის გამო უწოდეს ამ მოვლენას Ე. Ე. მ. (ენერგიის გამოყოფით მიმდინარე პროცესი). დაახლოებით 25 წლის მანძილზე ამ მოვლენას ვერ ხსნიდნენ ატომურ დონეზე. 1975 ა. გერასიმოვმა, ა. *ცერცვაძემ* და მ. მერკინმა შემოგვთავაზეს Ე. Ე. მ-ის ფიზიკური მექანიზმი. შემდგომ მათ თეორ. და ექსპერ. შრომებში დაამტკიცეს ამ მექანიზმის სისწორე, რამაც საყოველთაო აღიარება პოვა [სამეცნ. აღმოჩენათა ავტორების საერთაშ. ასოციაციამ დაადასტურა, როგორც მეცნ. აღმოჩენა (დიპლომი №142, 1998)]. მოცემული მექანიზმის თანახმად, მყარი სხეულის ზედაპირის ,,გაღიზიანების“ შედეგად ყოველთვის წარმოიქმნება სხვადასხვა სტრუქტურული დეფექტი, რაზეც სათანადო ენერგია იხარჯება. თუ ამ დეფექტების დონეები დიელექტრიკისა ან ნახევარგამტარის აკრძალული ზონის ფარგლებშია, მაშინ გარკვეულ პირობებში მათზე შეიძლება იყოს ელექტრონი. ყველა ტიპის დეფექტი არსებობს

განსაზღვრულ (ტემპ-რა, წნევა, განათება) პირობებში. ამ პირობების სათანადო ცვლილების შედეგად დეფექტი იწყებს მოძრაობას – ან ქრება (აღდგება მყარი სხეულის დარღვეული სტრუქტურა), ან გარდაიქმნება სხვა სტრუქტურულ დეფექტებად. ორივე შემთხვევაში ატომები ისეთნაირად გადაადგილდება, რომ სისტემა გადადის უფრო დაბალი პოტენციური ენერგიის მდგომარეობაში. გამოყოფილი ენერგია შეიძლება გადაეცეს მესერის რხევებს, გამოსხივდეს ფოტონის სახით ან გადაეცეს ელექტრონს, რ-იც შეიძლება იყოს დეფექტის ლოკალურ ენერგეტ. დონეზე. თუ ელექტრონისთვის გადაცემული ენერგია მეტია, ვიდრე მყარი სხეულიდან მისი გამოსვლის მუშაობა, ელექტრონი ამოიფრქვევა სათანადო კინეტიკური ენერგიით. ა. გერასიმოვმა და ა. ცერცვაძემ აჩვენეს, რომ Ე. Ე. მ-ის დროს დეფექტების გაქრობის ან გარდაქმნისას გამოყოფილი ენერგია ყოველთვის მეტია, ვიდრე ელექტრონის გამოსვლის მუშაობა და Ე. Ე. მ-ის სტიმულირებისათვის დახარჯული ენერგია. ამით აიხსნება მოვლენის ეგზოენერგეტიკული ხასიათი. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ Ე. Ე. მ-ის განსახორციელებლად აუცილებელია შემდეგი პირობები: 1) დეფექტების წარმოქმნა, ანუ ენერგიის აკუმულირება, რაც ,,გაღიზიანებით'' ხდება; 2) დეფექტს უნდა ჰქონდეს ლოკალური ენერგეტ. დონე და მასზე უნდა იყოს ელექტრონი, რ-საც გადაეცემა დეფექტის გაქრობის ან გარდაქმნის დროს გამოყოფილი ენერგია. სწორედ მეორე პირობა ხსნის იმ ფაქტს, რომ ლითონების სუფთა (არადაჟანგული) ზედაპირებიდან Ე. Ე. მ. არ ხდება, როგორი გაღიზიანებისა და სტიმულირების მეთოდიც არ უნდა იყოს გამოყენებული. ეს ხდება იმის გამო, რომ ლითონებში ენერგეტ. დონეები არ არის ლოკალიზებული, რადგან დეფექტის შესაბამისი დონე გარშემორტყმულია უამრავი ენერგეტ. დონით, მათზე არსებული ელექტრონებით და დეფექტის გარდაქმნით წარმოქმნილი ენერგია ნაწილდება უამრავ ელექტრონზე, რის გამოც ვერც ერთი ელექტრონი ვერ იძენს ემისიისათვის საკმარის ენერგიას. ის ფაქტი, რომ ,,გაღიზიანების'' შემდეგ გარკვეულ დროში Ე. Ე. მ. ქრება, ხოლო შემდეგი სტიმულირებით შესაძლებელია მისი აღდგენა, აიხსნება ,,გაღიზიანების'' შედეგად სხვადასხვა ტიპის იმ დეფექტების წარმოქმნით, რ-ებიც სხვადასხვა პირობებში (ტემპ-რა, წნევა, სინათლე და ა. შ.) იწყებს მოძრაობას. იმ ტიპის დეფექტები, რ-ებიც ,,გაღიზიანებისას'' წარმოქმნილ პირობებში იწყებს მოძრაობას, თანდათან გარდაიქმნება ენერგიის გამოყოფით და ქრება, რაც განაპირობებს Ე. Ე. მ-ის თანდათან შესუსტებას. სხვა ტიპის დეფექტი, რ-იც სტიმულირებით გამოწვეულ სხვა პირობებში იწყებს მოძრაობას, განაპირობებს სტიმულირებულ Ე. Ე. მ-ს. მოცემული მექანიზმი მართებულია ცდებზე დამზერილი Ე. Ე. მ-ის ყველა შემთხვევისათვის; ერთ-ერთი პირობის არარსებობა გამორიცხავს ამ მოვლენას.

ლიტ.: Герасимов А. Б., Церцвадзе А. А., Физическая модель экзоэлектронной эмиссии с поверхности твердых тел, «Сообщения АН Грузинской ССР», 1975, т. 80; Gerasimov A. B., Merkin M. M., Tsertsvadze A. A., Calculation of energy spectrum of exoelectrons, «Physica Status Solidi (a)», 1983, v. 120.

ა. გერასიმოვი.

ეგნატაშვილი ალექსანდრე იაკობის ძე (28. V. 1887, გორი, – 31. XII. 1948, მოსკოვი, დაკრძალულია გორში), საბჭოთა გენერალ-ლეიტენანტი (1945). 1930 დაამთავრა მოსკ. ბაუმანის უმაღლესი ტექ. სასწავლებელი და მუშაობდა სსრკ შინსახკომის ორგანოებში, ეკავა განყ-ბის, სამმართველოს უფროსის პოსტები. მიენიჭა სახელმწ. უშიშროების მე-3 რანგის კომისრის წოდება (1942). მონაწილეობდა თეირანის (1943) და იალტის (1945) კონფერენციების მომზადებასა და ჩატარებაში. 1944-იდან ხელმძღვანელობდა ყირიმის ძვ. სასახლეების და არქიტ. ანსამბლების აღდგენას. იყო სსრკ შინსახკომის სპეცობიექტების სამმართველოს უფროსი ყირიმში (1945–47). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები.


ლ. დოლიძე.

ეგნატაშვილი ბერი (გ. დაახლ. XVIII ს. 60-იანი წლების დასაწყისში), ისტორიკოსი, ჩამომავლობით აზნაური. *ვახტანგ VI-ის* მიერ „ქართლის ცხოვრების'' გაგრძელების დასაწერად შედგენილი კომისიის ერთ-ერთი მონაწილე (იხ. *სწავლულ კაცთა კომისია*), შესაძლოა ხელმძღვანელიც. „ახალი ქართლის ცხოვრების'' ხელნაწერის არშიაზე გაკეთებული ორი მინაწერი (1779) მოწმობს, რომ Ე. ამ თხზულების ერთ-ერთი ავტორი იყო. Ე-ის ავტორობის კვალი თხზულების ტექსტშიც ჩანს. ვარაუდობენ, რომ Ე. მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერეკლე II-ის მოწინააღმდეგე პირებთან, რ-ებიც შემდეგ 1765 წ. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ.

თხზ.: ახალი ქართლის ცხოვრება. XVIII ს. დამდეგი. I ტექსტი, ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვ. და რედ., თბ., 1940.

ლიტ.: ცინცაძე ი., ბერი ეგნატაშვილის ვინაობის საკითხისათვის, «მნათობი», 1968, № 1.

გ. აკოფაშვილი.



გ. ეგნატაშვილი.

ეგნატაშვილი გიორგი სიმონის ძე [12 (24). III. 1885, თბილისი, – 16. I. 1962, იქვე], სპორტსმენი (ტანვარჯიშში), პედაგოგი. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1936), სსრკ დამს. მწვრთნელი (1954), საქართვ. დამს. მასწავლებელი (1945). Ე. იყო ტანმოვარჯიშეთა საზ-ბა ,,შევარდენის'' ერთ-ერთი დამაარსებელი (1918). პრაღის უმაღლესი სატანვარჯიშო კურსების დამთავრების (1909) შემდეგ მუშაობდა ტანვარჯიშის მასწავლებლად თბილ. სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც მისი ხელმძღვანელობით 1912 მოეწყო ტანმოვარჯიშეთა პირველი საჯარო გამოსვლა. იმავე წელს Ე-ის ხელმძღვანელობით თბილ. ,,სოკოლის'' ტანმოვარჯიშეთა გუნდმა ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშეთა საზ-ბის ,,სოკოლის'' VI საიუბილეო შეკრებაზე (პრაღა) დაბალ ჯგუფში I ადგილი დაიკავა, ხოლო Ე. ტანვარჯიშული მრავალჭიდის პირად შეჯიბრებაში III ადგილზე გავიდა. 1918–37 Ე. ხელმძღვანელობდა მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზალზრდას თბილისის სკოლებსა და ტექნიკუმებში. 1937–41 განაგებდა ტანვარჯიშის კათედრას საქართვ. ფიზკულტურის სახელმწ. ინ-ტში, 1941-იდან მუშაობდა ფიზალზრდის უფროს მასწავლებლად თავდაპირველად თსუ-ში, შემდეგ საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. Ე-ის სახელი მიეკუთვნა თბილ. განათლების განყ-ბის ბავშვთა და მოზარდთა ცენტრ. სატანვარჯიშო სკოლას. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ეგნატაშვილი (იგნატიევი) სიმონ იაგორის ძე, XVIII ს. II ნახ. მწიგნობარი, მთარგმნელი, მოსკოვ-პეტერბურგის ქართული კოლონიის ერთ-ერთი წარმომადგენელი. იყო მოსკ. უნ-ტის ინფორმატორი. როგორც თარჯიმანი მონაწილეობდა რუს.-საქართვ. დიპლომატიური

მისიების საქმიანობაში. 1773 პეტერბურგში გამოქვეყნდა მის მიერ ქართულიდან რუსულად თარგმნილი *„ბარამგულანდამიანი“*. ეს არის თავისუფალი თარგმანი, რშიც ტექსტი გავრცობილია ლიტ. თუ ხალხ. ზეპირსიტყვიერების მასალით. მანვე თარგმნა „ბრმა მემუსიკის სიმღერა“ (ეკატერინე II-ისადმი მიძღვნილი სტილიზებული ხალხ. ლექსი), შეადგინა ქართ.-რუს. ლექსიკონი, რ-საც ჩვენამდე არ მოუღწევია.

ლიტ.: ბარამიძე ა., ბესიკის გარშემო (ახალი ტექსტური და საარქივო მასალები), «თსუ შრომები», 1936, ტ. 1; მახათაძე ნ., ქართული კულტურის კერა პეტერბურგში XVIII–XIX სს., თბ., 1967; რუხაძე ტ., ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI–XVIII სს.), თბ., 1960. *ა. გვახარია.*

ეგნატე ანტიოქიელი (Ignatius ho Antiocheia) (I–III სს.), ანტიოქიის მეორე ეპისკოპოსი, მღვდელმოწამე. მისი ცხოვრებისა და მარტვილობის შესახებ ცნობებს გვაწვდიან *ევსებუს კესარიელი*, ნეტარი იერონიმე და სხვ. ე. ა. ქრისტიანული აღმსარებლობის გამო სხვა მორწმუნეებთან ერთად ანტიოქიაში შეიპყრეს, რომში გადაიყვანეს და იმპ. ტრაიანეს ზეობისას (95–117) მხეცებს დააგლეჯინეს. მსოფლიო ეკლესიის მიერ წმ. ეგნატეს ხსენების დღედ დაწესებულია 20 დეკემბერი.

ეკლესიის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი საგანძურია ე. ა-ის ეპისტოლარული მემკვიდრეობა. უკვე IV ს-ში ევსები კესარიელისთვის ცნობილი იყო 7 წერილი, რ-ებიც, მკვლევართა აზრით, უშუალოდ ე. ა-ს ეკუთვნის. ძვ. დროიდან ასევე ცნობილია წმ. ეგნატეს უფრო ვრცელი კრებული, რ-შიც 13 წერილია შესული. ე. ა-ს წერილები ძველთაგანვე ითარგმნა სხვადასხვა ენაზე. არსებობს წერილების სირიული, კოპტური, სომხ. თარგმანები. ქართ. ენაზე მოგვეპოვება წმ. ეგნატეს ერთადერთი, გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი, რ-მაც დღემდე 6 ხელნაწერის სახით მოაღწია.

ეგოროვი მიხეილ ალექსის ძე (5. V. 1923, სოფ. ერმონშეკი, რუდნიის რ-ნი, სმოლენსკის ოლქი, – 30. VI. 1975, ქ. სმოლენსკი), საბჭოთა კავშირის გმირი (8. V. 1946). სერჟანტი, ბერლინისა და სმოლენსკის საპატიო მოქალაქე. II მსოფლიო ომის დროს იბრძოდა პარტიზანთა რაზმებში, 1944-იდან – ბელორუსიის I ფრონტზე 150-ე მსროლელთა დივიზიის 756-ე პოლკში. 1945 წ. 1 მაისს მ. *ქანთარიასთან* ერთად რაიხსტაგის გუმბათზე აღმართა გამარჯვების დროშა. დაიღუპა საავტომობილო კატასტროფაში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები, აგრეთვე უცხოური ჯილდოები.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

ეგრი, დასავლეთ საქართველოს უძველესი ქართული სახელმწიფოს *ეგრისის* ერთ-ერთი სახელწოდება.

ეგრის-აფხაზეთის სამეფო, იხ. *„აფხაზთა სამეფო“*.

ეგრისელი (ნამდვ. გვარი – დოლბაია) ვაჟა ევგენის ძე (დ. 15. V. 1941, სოფ. ხორგა, ხობის მუნიციპალიტეტი), პოეტი. 1967 დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი, 1983 კი – მოსკოვის მაქსიმ გორკის სახ. მსოფლიო ლიტ-რის ინ-ტი. 1984–92 იყო ჟურნ. ,,პირიმზის“ მთ. რედაქტორის მოადგილე, 1993–2000 – გამომც. ,,მოლოდინის“ გენ. დირექტორი და გაზ. ,,ამაღლების“ გენ. რედაქტორი. 2001-იდან არის აფხაზეთის მეცნ. აკად. გამომც. დირექტორი და ამავე აკადემიასთან არსებული გაზ. ,,დიოსკურიის“ რედაქტორ-გამომცემელი. ე. არაერთი პოეტური კრებულის ავტორია, მ. შ. აღსანიშნავია ,,ამაღლება“ (1973), ,,საგალობლები“ (1976), ,,მოლოდინი“ (1988), ,,შეიბნ მახვილი“ (1989), ,,იქმენ ნათელი“ (1993), ,,კოლხური ფსალმუნები“ 5 ტომად (2001–08). ე-ის ლექსები გამოირჩევა ფილოს. და მეტაფორული აზროვნებით.

2008 ე-ს მიენიჭა ვაჟა-ფშაველას სახ. პრემია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).

თხზ.: ნათელხილვა, თბ., 1975; ჰორიზონტები, თბ., 1983.

ეგრისი, ეგრი, ეგური, 1. ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის, *ეგროსის* წილხვედრი ქვეყანა, რ-იც აღმ. შავიზღვისპირეთის ნაწილს (ლიხის ქედიდან მდ. ყუბანის ძველ შესართავამდე) მოიცავდა. 2. დას. საქართველოს და უძველესი დასავლური ქართ. სახელმწიფოს სახელწოდება ძვ. წ. XV–XIV ს-იდან ახ. წ. VIII ს. ჩათვლით. იგივეა, რაც „კულხა“, „კოლხა“, „კოლხიდა“ და „ლაზიკე“.

ე. მომდინარეობს ქართ. მოდგმის ტომის სახელწოდებიდან „ეგრი“, რ-საც თავდაპირველად მდინარეებს – რიონსა და ღალიძგას შორის მდებარე ტერიტორია ეკავა. ხალხურ მეტყველებაში თავდაპირველად უფრო „ეგური“ უნდა ყოფილიყო გავრცელებული. 3. ე., ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის, ეგროსის მიერ დაარსებული ქალაქი, რ-საც ის შემდეგდროინდელ ბედიასთან აიგივებდა. 4. ე., უფრო ზუსტად „შიდა ეგრისი“, ეწოდებოდა საკუთრივ „ეგერი“ ტომით დასახლებულ ტერიტორიას მდ. ენგურსა და ღალიძგას შორის.

წყარო: ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973. *თ. ბერაძე.*

ეგრისი, ნასოფლარი დმანისის მუნიციპალიტეტში, ისტორიულ ზურტაკეტში, სოფ. გომარეთის სამხრეთით, დაახლ. 3 *კმ*-ზე, მდ. ყარაბულაღის მარცხ. ნაპირზე. სოფლის სახელწოდება მომდინარეობს სამეგრელოდან გადმოსახლებული ლარაძეებისაგან, რებმაც აქაურ ძველ ნასოფლარს სამეგრელოს ადრინდ. სახელი – ე. დაარქვეს. ლარაძეების წინაპართა გადმოცემით მათი გადმოსახლება ლუარსაბ მეფის (XVI ს.) დროს მოხდა; მართლაც, 1590 წლის ერთ საბუთში ლარაძე იხსენიება სიმონ მეფის (1537–1611) მიერ დანიშნული მეკობრის მძებნელთა შორის.

აზნაურ ლარაძეებს, ერთიმეორის სიახლოვეს ორი სოფელი – დიდი და პატარა ე. – გაუშენებიათ. ამ ნასოფლარებში ახლა 3 დარბაზული ეკლესიის, ლარაძეთა სასახლისა და სხვა შენობათა ნანგრევებია. ყველაზე დიდი ეკლესია, რომელიც დროთა განმავლობაში გადაკეთებულა, ძირითადად საშუალო ზომის კვადრებითა და კირხსნარითაა ნაგები. სამხრ. შესასვლელის მარჯვნივ, ერთ ქვაზე, ჯვარია გამოსახული. სახურავი ჩაქცეულია. სატრაპეზო ლოდი, რ-ზედაც ჯვარი ყოფილა გამოსახული, დაფარულია ნანგრევებით. ეკლესიას ეტყობა შელესვისა და მოხატვის კვალი.

განვითარებული ფეოდ. ხანისაა მეორე, ღვთისმშობლის ეკლესიაც. იგი კარგად გათლილი, ერთმანეთზე მჭიდროდ მორგებული დიდი ქვებითაა ნაგები. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს, თითო სარკმელია აღმ., სამხრ. და დას. კედლებში. ეკლესიას შერჩენილი აქვს სახურავი, შეიმჩნევა მოხატულობის კვალიც.

მესამე, ნათლისმცემლის ეკლესიას (XVIII ს.), სამხრ-ით, მთელ სიგრძეზე, აქვს მინაშენი. სამხრ.

კედელზე ამოკვეთილ ასომთავრულ წარწერაში იხსენიება ეკლესიის მაშენებელი გიორგი ხუცესი (ლარაძე). ეკლესიის ირგვლივ სასაფლაო და გალავანია.

1687 ერთი საბუთის მიხედვით, უშვილოდ გარდაცვლილ ასიტა ლარაძის მამული ე-ში მეფეს დიასამ დიასამიძისთვის მიუცია, მას კი ისევ ლარაძეებისათვის მიუყიდია. 1727 საბუთიდან ჩანს, რომ მაშინ ე-ში ცხოვრობდნენ: როსაფაშვილები, ვარდიაშვილები, ბეჟიტაშვილები, შიშნიაშვილები, ფელიშვილები, ბუჟუაშვილები, ბერაშვილები, ვანიაშვილები, ცერცვაძეები, ამირანაშვილები. 1742 საბუთის მიხედვით, „ორსავ ეგრისებში'' სახასო მამული ჰქონია დედოფალ ანახანუმს. XVIII ს-ში დიდ ე-ში ლარაძეებს ჰყოლიათ 100-ზე მეტი კომლი გლეხი, ჰქონიათ სასახლე და სასაფლაო, ჭალაში ზვარი, ორი დოლაბი წისქვილი, ერთი სამეხრეო და 3 ხოდაბუნი. XIX ს. მიწურულს იქ ცხოვრობდა მხოლოდ მარიამ ლარაძე-შალიკაშვილისა, რ-იც ერთი მოურავის დახმარებით უძღვებოდა მამულსა და მეურნეობას.

წყარო და *ლიტ.*: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ.1, თბ., 1940; თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., რჩეული ნაშრომები, ტ. 1, თბ., 1968; საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., თბ., 1899; საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები, თბ., 1959; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლაძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

დ. ბერძენიშვილი.

ეგრისის აჯანყებები 541, 548, 697, ეგრისის აჯანყებები ბიზანტიისა და ირანის წინააღმდეგ.

ე. ა. 541. 532 ირანსა და ბიზანტიას შორის ,,საუკუნო ზავის'' დადების (იხ. *ეგრისის სამეფო*) შემდეგ იმპ. იუსტინიანე I-მა ეგრისში ააგო ციხე-ქალაქი *პეტრა* (ბიზანტიის ადმინისტრაციის დასაყრდენი), დააწესა ვაჭრობის მონოპოლია და ეგრისის ციხე-ქალაქებში ბიზანტ. გარნიზონები ჩააყენა. ყოველივე ამან და ბიზანტ. მოხელეთა თვითნებობამ გამოიწვია მოსახლეობის უკმაყოფილება, რაც 541 აჯანყებაში გადაიზარდა. აჯანყებულებმა დახმარება სთხოვეს ირანს. 542 ირანის ლაშქარი ეგრისში შემოვიდა და ბიზანტიასა და ირანს შორის დაიწყო ოცწლიანი (542–562) ომი ეგრისში გაბატონებისათვის.

ე. ა. 548. 542 ირანის ჯარმა ეგრისი დაიკავა, რ-იც ქვეყანას მძიმე ტვირთად დააწვა. მალე გამომჟღავნდა, რომ მათ ეგრისის დაპყრობა ჰქონდათ განზრახული. გარდა ამისა, ბიზანტიასთან ვაჭრობის შეწყვეტა ეგრისისათვის ეკონომიკურად ძალზე საზიანო აღმოჩნდა. ეგრისელთა უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა. შაჰი ხოსრო I შეეცადა მტკიცედ მოეკიდებინა ფეხი ეგრისში. ამ მიზნით *გუბაზ II-ის* მოშუღლე ეგრისელ დიდებულს, ფარსმანს, მეფის მოკვლა დაავალა. ფარსმანმა ეს ამბავი მეფეს შეატყობინა. ამას კი 548 ეგრისელთა აჯანყება მოჰყვა (იხ. *ეგრისის დიდი ომი 542–562).*

ე. ა. 697. VII ს. ბოლოს ეგრისი ბიზანტიის პროვინციად იქცა: ბიზანტიელებმა გააუქმეს მეფის ხელისუფლება, ხოლო ეგრისის მმართველს ბიზანტ. იმპერატორის მოხელის – პატრიკიოსის ტიტული უბოძეს. 697 ეგრისის უკმაყოფილო მოსახლეობა და მმართველი წრეები პატრიკიოს სერგი ბარნუკის ძის ხელმძღვანელობით ბიზანტიელებს აუჯანყდნენ და დახმარებისათვის არაბებს მიმართეს. არაბებმა ეგრისის ციხეები დაიკავეს. მათი ჯარი ციხეგოჯსა და კოდორის ხეობის ზოგიერთ ციხეში 705–711-მდე იდგა.

წყარო: თ ე ო ფ ა ნ ე, ქრონოგრაფია, წგ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, ნაკვ. 1, თბ., 1941; პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, იქვე, ტ. 2, თბ., 1965.

ლიტ.: გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი გ., ლაზიკის საგარეო ურთიერთობა მეექვსე საუკუნეში, თბ., 1973; ჯ ა ნ ა შ ი ა ს., ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, [ტ.] 1, თბ., 1949; მ ი ს ი ვ ე, არაბობა საქართველოში, იქვე, [ტ.] 2, თბ., 1952.

ნ. ლომოური.

ეგრისის დიდი ომი 542–562, ომი ბიზანტიასა და ირანს შორის, რ-იც ეგრისის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ეგრისში გაბატონებისათვის. 541 ეგრისის სამეფო ბიზანტიას აუჯანყდა და ირანელებს მოუხმო დასახმარებლად (იხ. *ეგრისის აჯანყებები 541, 548, 697*). 542 ირანის მეფე ხოსრო I დიდძალი ჯარით შევიდა ეგრისში. ირანელთა და ეგრისელთა ჯარმა ბიზანტიელთა მთავარი დასაყრდენი – ქ. პეტრა აიღო (იხ. *პეტრის ბრძოლები*). მალე ეგრისელებს ირანელთა ბატონობაც მძიმე ტვირთად დააწვათ და 548 აჯანყდნენ. იმპ. იუსტინიანე I-მა ეგრისის მეფეს 8000 მეომარი (აქედან 1000 ჭანი იყო) გამოუგზავნა დაგისთეს სარდლობით. ბიზანტიელები, ეგრისელები და ჭანები 549 გარს შემოერტყნენ ქ. პეტრას, მაგრამ ვერ აიღეს. ხოსრო I-მა ეგრისში ძლიერი ჯარი გამოგზავნა მერმეროეს სარდლობით. *გუბაზ II-მ* ეგრისელთა ჯარით ქართლიდან გადმოსასვლელი ვიწროები ჩაკეტა, ხოლო დაგისთეს ურჩია, დაეცვა სამხრ-იდან ეგრისში შესასვლელი გზები. დაგისთემ მხოლოდ ასი კაცი გამოუგზავნა, რ-ებიც მერმეროემ ადვილად დაამარცხა და პეტრისკენ გაემართა. დაგისთემ ალყა მოხსნა პეტრას და მდ. რიონისაკენ გაიქცა. მერმეროემ პეტრაში 3000 კაცი ჩააყენა, 5000 მეომარი ეგრისში ქვეყნის სარბევად დატოვა, თვითონ კი პერსარმენიაში (სომხეთის ნაწილი, სადაც ირანი ბატონობდა) წავიდა. 550 ეგრის-ბიზანტიის ჯარმა ირანელთა 5000-იანი რაზმი გაანადგურა (იხ. *რიონის ბრძოლა 550*). ირანელი სარდალი ხურიანე ახ. ლაშქრით შეიჭრა ეგრისში, მაგრამ ცხენისწყლის ნაპირას გამართულ ბრძოლაში დამარცხდა. ამასობაში დაგისთე ბიზანტიაში გაიწვიეს და მის ნაცვლად ბესა გამოგზავნეს. მას ეგრისში ირან. სარდალი ნაბედი დახვდა, რ-იც ბიზანტიელთა წინააღმდეგ აჯანყებულმა აბაზგებმა მოიწვიეს (იხ. *აბაზგების აჯანყება 550*). ბესამ თავდაპირველად აჯანყებული აბაზგები დაიმორჩილა, ხოლო 551 ქ. პეტრა აიღო. პეტრის დასახმარებლად მომავალმა მერმეროემ გეზი იცვალა და ციხეგოჯს (არქეოპოლისს) მიადგა, მაგრამ დამარცხდა (იხ. *არქეოპოლისის ბრძოლა 551*) და უკან დაიხია, თუმცა შეძლო ქუთაისისა და უქიმერიონის ციხეთა აღება, რითაც ეგრისს ლეჩხუმისა და სვანეთისკენ მიმავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა გადაუკეტა. 553 ზაფხულში მერმეროე ახ. ჯარით შევიდა ეგრისში და ტელეფსისის ციხესთან დაამარცხა ეგრის-ბიზანტიის ჯარი (იხ. *ტელეფსისის ბრძოლა 553*). ამ მარცხს გუბაზი ბიზანტ. სარდლებს აბრალებდა და მისი დასმენით იმპერატორმა ბესა დასჯა. ამით უკმაყოფილო სარდლებმა, რუსტიკემ და იოანემ, 554 გუბაზ II ვერაგულად მოკლეს, რამაც ეგრისელთა აღშფოთება გამოიწვია. სახალხო კრებაზე ეგრისელთა ნაწილი ირანელების მხარეზე გადასვლასაც კი მოითხოვდა, მაგრამ უმეტესობა მაინც ბიზანტიასთან კავშირს მიემხრო (იხ. *ეგრისის სახალხო კრება 555*). ეგრისელებმა იმპერატორს მკვლელთა დასჯა და გუბაზის ძმის, წათეს გამეფება მოსთხოვეს. იუსტინიანე I-მა ეს

მოთხოვნა შეასრულა, მეფედ *ბათე II* დაამტკიცა. 555 ხოსრო I-მა ეგრისში ირან. ჯარის მეთაურად გამოცდილი სარდალი ნახორაგანი გამოგზავნა. ეგრისელებმა და ბიზანტიელებმა ნახორაგანი დაამარცხეს ციხეგოჯთან (არქეოპოლისთან) და ფასისთან [იხ. *ფოთის (ფასისის) ბრძოლა 555*]. ამ გამარჯვების შემდეგ ბიზანტიელებმა ადრევე გამოგზავნილ სენატორ ანასტასის თავმჯდომარეობით გაასამართლეს გუბაზ მეფის მკვლელები (რუსტიკე და იოანე) და სიკვდილით დასაჯეს. ბიზანტიელებს მოუხდათ მათი მოხელეების თვითნებობის შედეგად აჯანყებული მისიმიელების, აბაზგებისა და აფსილების დამორჩილება. 556 ირანელები კვლავ დამარცხდნენ ეგრისში. 558 ირანი და ბიზანტია დაზავდნენ და ეგრისში საომარი მოქმედება შეწყდა. 562 ბიზანტიასა და ირანს შორის დაიდო 50-წლიანი ზავი, რ-ის თანახმადაც ეგრისი ბიზანტ. ვასალურ ქვეყნად დარჩა.

წყარო: აგათია სქოლასტიკოსი, წგ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, თბ., 1936; პროკოპი კესარიელი, იქვე, ტ. 2, თბ., 1965.

ლიტ.: გოზალიშვილი გ., ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა იბერია-ლაზიკისათვის VI საუკუნეში, «თსუ შრომები», 1944, ტ. 26 B; მისივე, ლაზიკის საგარეო ურთიერთობა მე-IV საუკუნეში, თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1979 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ.1); ჯანაშია ს., ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, ტ. 2, თბ., 1952.

ნ. ლომოური.


ეგრისის საეპისკოპოსო, ქართლის სამეფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული დასავლეთ საქართველოში („ქართლის ცხოვრება“). შეიქმნა ძვ. წ. III საუკუნეში ფარნავაზ მეფის მიერ, რ-მაც ეგრისის პირველ ერისთავად *ქუჯი* დანიშნა. ამ დროიდან მოყოლებული (ქართ. წყაროს მიხედვით), სავარაუდოდ V ს. 30-იანი წლების ბოლომდე, ე. ს. გარკვეული სახეცვლილებით მუდმივად არსებობდა. ვახტანგ გორგასლის დროს ერთ საერისთავოდ იყო გაერთიანებული შიდა ეგრისი და სვანეთი (ერისთავი – სამნაღირი). ქართ. წყაროს ცნობებს ეწინააღმდეგება უცხ. წყაროების (უმთავრესად რომაულ-ბიზანტიური) მონაცემები. ამ წყაროთა მიხედვით, ის ტერიტორია, რ-ზეც ე. ს. მოიაზრება, თავდაპირველად პონტოს სახელმწიფოს, შემდეგ რომის იმპერიის და, ბოლოს, ლაზიკის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. სავარაუდოდ, ე. ს. მართლაც ფარნავაზ მეფემ შექმნა, თუმცა ძვ. წ. I ს. უკვე აღარ არსებობდა. რაც შეეხება V ს. II ნახ. ვითარებას, სვანეთი და ეგრისის ტერიტორიის რაღაც ნაწილი, ალბათ, მართლაც შედიოდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში ცალკე საერისთავოს სტატუსით.

წყარო: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ბახტაძე მ., ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003.

მ. ბახტაძე.

ეგრისის სამეფო, ლაზიკის სამეფო, ძველი ქართული სამეფო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. წარმოიქმნა *კოლხეთის სამეფოს* დაშლისა და მასში შემავალ ტომობრივ-ტერიტ. ერთეულთა მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგად (დაახლ. ახ. წ. I ს.). ანტ. წყაროებში ე. ს-ს ლაზიკა ეწოდებოდა. თავდაპირველად მცირე სამეფო იყო, ეკავა მდ. რიონის ორივე ნაპირი (დაახლ. ქობულეთიდან მდ. ეგრისწყლამდე). რომის იმპერია მასზე ფორმალურ სიუზერენობას ინარჩუნებდა. II ს. 30-იან წლებში ეგრისის მეფე *მალასა* რომის იმპერატორმა დანიშნა, ხოლო მის ზღვისპირა ციხე-ქალაქ *ფასისში* (ფაზისი) რომაული გარნიზონი იდგა. III ს. 50-იან წლებში ე. ს-ს შემოესივნენ გუთები, 90-იან წლებში კი – სარმატები. IV ს-ში ე. ს. გაძლიერდა და მთელი დას. საქართველო გააერთიანა. სამხრეთ მისმა ტერიტორიამ მიაღწია მდ. ჭოროხის ქვემო დინებას, ხოლო ჩრდ-ით მას დამორჩილდა აფსილების, აბაზგებისა და სანიგების სამთავროები, აგრეთვე სვანები (მისიმიელები) და ლეჩხუმის (სკვიმნიის) მცხოვრებნი. ეგრისის მეფის დამოკიდებულება რომის (ბიზანტიის) იმპერატორზე უფრო ფორმალური გახდა: ეგრისის გარდაცვლილი მეფის მემკვიდრეს, რ-იც უნდა გამეფებულიყო ადგილ. წესისა და ადათის მიხედვით, ბიზანტ. იმპერატორი უგზავნიდა სამეფო ნიშნებს. ეგრისელების მოვალეობა მხოლოდ თავიანთი ქვეყნის ჩრდ. საზღვრების დაცვა იყო, რათა მომთაბარეები ამ გზით არ შეჭრილიყვნენ იმპერიის მიწა-წყალზე. ეგრისის ზღვისპირა პუნქტებში აღარ იდგნენ ბიზანტიელთა გარნიზონები. ეგრისის



მეფეს ჰყავდა თავისი ვასალები აბაზგების, სანიგების, სვანებისა და სხვა ტომთა მთავრების სახით. ძლიერდებოდა ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესი. IV ს. I ნახევარში ე. ს-ში ქრისტიანობა სახელმწ. რელიგიად გამოცხადდა და ეგრისი ეკლესიურად კონსტანტინოპოლის პატრიარქს დაექვემდებარა. VI–IX სს-ში ე. ს-ს ჰყავდა თავისი მიტროპოლიტი (სამიტროპოლიტოს ცენტრი – ფასისი), რ-საც 4 ეპისკოპოსი ექვემდებარებოდა – პეტრის (ციხისძირი), გუდაყვის (ზიგანევი), ცაიშისა და ვარდციხის (როდოპოლისი). V ს. შუა წლებში მეფე გუბაზ I-მა სცადა განთავისუფლებულიყო ბიზანტიაზე ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ბიზანტიასთან კონფლიქტით ისარგებლეს სვანებმა და სანიგებმა და V ს. 70-იან წლებში დამოუკიდებლობა მოიპოვეს. VI ს. დასაწყისში ე. ს. დროებით ირანის ქვეშევრდომი გახდა. 523 კი ეგრისის მეფე *წათე I-მა* გვირგვინი ბიზანტ. იმპერატორისაგან მიიღო. VI ს-ში ე. ს. ბიზანტიასა და ირანს შორის გამუდმებული ომების ასპარეზი გახდა. მას შემდეგ, რაც ირანმა აღმ. ამიერკავკასიაში (იბერია, ალბანეთი, პერსარმენია) მტკიცედ მოიკიდა ფეხი, ე. ს-ს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა მიენიჭა. 528 ირანის ჯარმა დას. საქართველოში დაიკავა ციხე-ქალაქი შორაპანი და სკანდის ციხე. ეგრისის მეფეს ბიზანტიის დამხმარე ჯარი მოუვიდა, ირანელები დამარცხდნენ და 532 დაიდო ,,საუკუნო ზავი'', რ-ითაც უნდა აღდგენილიყო ომამდელი ვითარება. იმპ. იუსტინიანე I-მა გააძლიერა თავისი ხელისუფლება ეგრისში (დააარსა ციხე-ქალაქი *პეტრა*, დაიწესა სავაჭრო მონოპოლია და ეგრისის ციხე-ქალაქებში თავისი ჯარი ჩააყენა). ამან გამოიწვია 541 აჯანყება მეფე გუბაზ II-ის მეთაურობით (იხ. *ეგრისის აჯანყებები 541, 548, 697*). 542 ირანის ჯარი შევიდა ეგრისში და დაიწყო 20-წლიანი ომი ბიზანტიასა და ირანს შორის (იხ. *ეგრისის დიდი ომი 542–562*). 562 დაიდო 50-წლიანი ზავი. ირანმა დათმო ეგრისი, რ-იც ბიზანტიის ვასალურ სამეფოდ დარჩა. VII ს. 20-იან წლებში ეგრისელები აბაზგებთან ერთად მონაწილეობდნენ იმპ. ჰერაკლეს ლაშქრობებში ირანის წინააღმდეგ. VII ს. ბოლოს ე. ს. ბიზანტიის პროვინციად იქცა, მისი მმართველი ,,ლაზიკის მეფედ'' კი არა, ,,პატრიკიოსის'' ტიტულით იხსენიებოდა. ეგრისის სამეფოს გამოეყო აბაზგია და უშუალოდ ბიზანტიას დაემორჩილა. 697 ეგრისის მმართველმა პატრიკიოსმა სერგიმ ბიზანტიისაგან გათავისუფლება არაბების დახმარებით სცადა, თუმცა უშედეგოდ. 736–738 ეგრისში შეიჭრა არაბთა სარდალი მურვან ყრუ, ააოხრა ქვეყანა, დაარბია დედაქალაქი ციხეგოჯი, ცხუმი (ახლანდ. სოხუმი) და ანაკოფიას მიადგა, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლო. მურვან ყრუს შემოსევამ დიდად შეაფერხა ქვეყნის განვითარება. VIII ს. ბოლოს ეგრისის უკანასკნელი მთავრების – იოანესა და ჯუანშერის ხელისუფლება მთლიანად შეირყა და დას. საქართვ. გაერთიანების ინიციატივა აფხაზთა სამთავროს ხელში გადავიდა.

ე. ს-ში განვითარებული იყო მეძინდვრეობა, მევენახეობა და მეცხოველეობა; ამუშავებდნენ სელს, ცვილს, გემთსაშენებელ ხე-ტყეს. ეგრისს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან, ბიზანტიის მცირეაზიულ და სხვა პროვინციებთან, პონტოსპირა ქალაქებთან, სომხეთთან და მისი მეშვეობით ირანსა და შუა აზიასთან; შემოდიოდა დიდძალი იმპორტ. საქონელი (ძვირფასი კერამიკა, მინის ნაწარმი, ფუფუნების საგნები და სამკაულები), მიმოქცევაში იყო ბიზანტ. და აღმოსავლური მონეტები. III ს-იდან დაიწყო საქალაქო ცხოვრების აღმავლობა, მსხვილ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებად იქცა ზღვისპირა ქალაქები (ფასისი, სებასტოპოლისი, ბიჭვინთა), წარმოიქმნა ახ. ქალაქები (შორაპანი, ვარდციხე, მოხორისი და სხვ.), აღორძინდა ძვ. ქალაქები, ვრცელი და ძლიერი იყო სამეფოს დედაქალაქი ციხეგოჯი (არქეოპოლისი).

ე. ს-ს კულტურამ, ერთი მხრივ, გააგრძელა მდიდარი ადგილ. ტრადიციები, რ-ებიც ძვ. კოლხური სამყაროდან მომდინარეობდა, მეორე მხრივ, შეითვისა ელინისტურ-რომაული კულტ. ელემენტები. უცხო კულტ. გავლენა ეტყობა ამ ხანის დას. საქართველოს სააღმშენებლო საქმეს, სახვით ხელოვნებას, მაღალი წრეების ყოფას, ჩაცმა-მორთულობას, მაგრამ ეს გავლენა ზედაპირული იყო. მას არ განუსაზღვრავს დას. საქართველოს მოსახლეობის კულტურის განვითარება. ე. ს-ს კულტ. ცხოვრების მნიშვნელოვანი ცენტრი იყო კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა (III–IV სს.).

წყარო: აგათია სქოლასტიკოსი, წგ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, თბ., 1936; პრისკე პანიონელი, გუთების ისტორია, იქვე, ტ. 1, თბ., 1961; პროკოპი კესარიელი, იქვე, ტ. 2, თბ., 1965; ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეჭაღმაძის გამოც., თბ., 1961.

ლიტ.: ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1979 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 1); ჯანაშია ს., ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, ტ. 1, თბ., 1949; მისივე, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრომები, ტ. 2, თბ., 1952. *ნ. ლომოური.*

ეგრისის სახალხო კრება 555, შეიკრიბა ბიზანტიელი სარდლების მარტინეს, ბესასა და რუსტიკეს მიერ ეგრისის მეფის *გუბაზ II-ის* ვერაგულად მოკვლის გამო (იხ. *ეგრისის დიდი ომი 542–562*). კრებაზე ქვეყნის პოლიტ. ორიენტაციის საკითხი წყდებოდა. ეგრისის დიდებულთა ერთი ჯგუფი, რ-თაც *აიეტი* მეთაურობდა, მოითხოვდა ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტას და ირანის მხარეზე გადასვლას; მეორე, *ფარტაზის* ჯგუფი, ირანთან კავშირის მოწინააღმდეგე იყო და საჭიროდ მიაჩნდა იმპ. იუსტინიანე I-თვის მოეთხოვათ გუბაზის მკვლელთა სასტიკი დასჯა და ეგრისის მეფედ გუბაზის უმცროსი ძმის წათეს დამტკიცება. ცხარე კამათის შემდეგ მეორე აზრმა გაიმარჯვა და კრებამ აირჩია დიდებულთა დეპუტაცია კონსტანტინოპოლში გასაგზავნად. იუსტინიანე I იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა ეგრისელთა მოთხოვნა. ისტორიკოსმა *აგათია სქოლასტიკოსმა* შემოგვინახა ე. ს. კ-ზე აიეტისა და ფარტაზის სიტყვების ტექსტი. ეს გამოსვლები ქართ. ორატორული ხელოვნების უძველეს ნიმუშებად ითვლება.

წყარო: აგათია სქოლასტიკოსი, წგ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, თბ., 1936.

ლიტ.: გოზალიშვილი გ., ლაზიკის საგარეო ურთიერთობა მეექვსე საუკუნეში, თბ., 1973; კანდელაკი ნ., ქართული მჭევრმეტყველება, ტ. 1, თბ., 1975; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1979 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ.1).

ნ. ლომოური.

ეგრისის ძეძი, სამეგრელოს ქედი, ოდიშის ქედი, კავკასიონის სისტემის სამხრეთი კალთის გასწვრივი გვერდითი ქედი, მდინარეების ენგურისა და

ცხენისწყლის წყალგამყოფი. სიგრძე 62 *კმ,* სიგანე 37 *კმ.* უმაღლესი მწვერვალია ჭითაგვალა (3225 *მ*). 3000 *მ*-ზე მაღალი მწვერვალებია: წიქური, ტეხურიშდუდი, ლაკუმურაშდუდი, დიდღალიდუდი, ოთეფურა, თხეიშიშდუდი და სხვ. ე. ძ-ის უმეტესი ნაწილი აგებულია შუაიურული პორფირიტული წყებით, რ-იც ქმნის ქედის დაკბილულ თხემს. ქედის სამხრ. პერიფერიულ ზოლში გავრცელებული ცარცული კირქვებით აგებულია კარსტული მთის მასივები: წულიში, ყვირა, გაუჩა, მიგარია და ასხი. თხემზე შემორჩენილია პატარა მყინვარები და ძვ. გამყინვარების კვალი. ე. ძ-იდან სამხრეთისაკენ ჩამოედინება მდ-ები: მაგანა, ჭანისწყალი, ხობი, ტეხური, ჩრდილოეთისაკენ – თხეიში, კასლეთი და ხელედულის მარჯვ. შენაკადები. მაგანის სათავეებში, ზ. დ. 2643 *მ* სიმაღლეზე, არის მყინვარული ტბა ტობავარჩხილი. სხვა ტბათა შორის აღსანიშნავია დიდი ტობავარჩხილი. ე. ძ-ის კალთები 1200 *მ*-მდე შემოსილია კოლხური ფართოფოთლოვანი ტყით (მუხა, რცხილა, წაბლი, წიფელი), 2100 *მ* სიმაღლემდე – წიწვოვნებით (სოჭი, ნაძვი), უფრო ზემოთ სუბალპ. და ალპ. მდელოებია.

ლ. მარუაშვილი.



ეგრისის ქედი.

ეგრისწყალი, ე გ რ ი ს ი ს წ ყ ა ლ ი, ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, მდინარე დასავლეთ საქართველოში. ე. მოხსენიებულია ძველი ქართველი ისტორიკოსების ლეონტი მროველის, ჯუანშერის თხზულებებში და „მოქცევაჲ ქართლისაჲში“.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ე-ის ლოკალიზაციის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაა. ისტორიკოსთა ნაწილი ეყრდნობა ლეონტი მროველის მოსაზრებას ქალაქ ეგრისისა და შემდეგდროინდელი ბედიის იგივეობის შესახებ და ე-ს აიგივებენ მდინარეებთან: ოხოჯასა და ღალიძგასთან. ე-ს მდ. ღალიძგად მიიჩნევენ ის ისტორიკოსებიც, რ-ებიც თვლიან, რომ ძვ. ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენიებული ე. საზღვრო მდინარეს წარმოადგენდა შიდა ეგრისსა (იხ. *ეგრისი*) და *აფშილეთს* შორის. რიგი ისტორიკოსებისა ყურადღებას აქცევს იმ ფაქტსაც, რომ „ეგრისწყლის“ ფუძე ეგერი თუ ეგური შემორჩენილია მდ. ენგურის სახელწოდებაში.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955; „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის გამოც., წგ. 1, თბ., 1963.

ლიტ.: ბ ე რ ა ძ ე თ., ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1967, [ტ.] 3; მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, [ტ.] 1, თბ., 1977.

თ. ბერაძე.

ეგროსი, ქართველთა ლეგენდარული ეთნარქი, იხ. *ქართველთა ეთნარქები.*

ეგური, დასავლეთ საქართველოს უძველესი ქართული სახელმწიფოს *ეგრისის* ერთ-ერთი სახელწოდება.

ედემი (ძვ. ებრ. ედენ, წარმოდგება შუმერულიდან; ნიშნავს ველს), მითიური ადგილი, სადაც ძველი აღთქმის თანახმად (დაბ. 3,8) ღმერთმა გააშენა ბაღი (,,სამოთხე‘‘) და დაასახლა ადამი. აკრძალული ნაყოფის ჭამის მიზეზით კაცთა მოდგმის წინაპარმა დაკარგა ე. და უკვდავება. ამდენად, ე. მიჩნეულია კაცობრიობის დაკარგული სამშობლოს ხატად. ე-ში იღებდა სათავეს ოთხი მდინარე, მათ შორის ტიგროსი და ევფრატი. რეალურად ე-ის, როგორც გეოგრ. პუნქტის, ლოკალიზაცია შეუძლებელია.

ქართველ კლასიკოს მწერლებთან (შოთა, ილია, აკაკი და სხვ.) ე. ხშირად გამოიყენება მეტაფორის, ეპითეტის სახით; ზოგჯერ კი – საქართველოს სინონიმადაც (,,სად დაუკარგავს მშვენიერ ხალხს იმ თვით ედემში თვისი ედემი?‘‘, ილია; ,,ჩემი ედემი სხვის კარზე როგორ ავაგო, ვაშენო?‘‘, აკაკი).

ედენა, მწვერვალი რაჭის კავკასიონის მთავარ ქედზე, ონის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 3878 *მ.* აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. კალთები შემოსილია ალპ. და სუბალპ. მდელოებით.

ედენა, დ ი დ ი ე დ ე ნ ა, ხეობის მყინვარი რაჭის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, ონის მუნიციპალიტეტში, მდ. რიონის ზემოთში. სიგრძე 4,2 *კმ,* ფართ. 4,6 *კმ*^{2}. მყინვარის ენა ეშვება ზ. დ. 2460 *მ* სიმაღლემდე.

ედესის ქართული კოლონია, ერთ-ერთი უძველესი კულტურული კერა საზღვარგარეთ. ქ. ედესა [იგივე ა ნ ტ ი ო ქ ი ა (არ უნდა გავაიგივოთ ძვ. სირიის ანტიოქიასთან), ურჰა, ახლანდ. ქ. ურფა სამხრ.-აღმ. თურქეთში] ჩრდ. შუამდინარეთის მნიშვნელოვან კულტ., რელიგ. (ქალაქსა და მის შემოგარენში 300-მდე ეკლესია-მონასტერი იყო), საგანმანათლებლო და სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. საქარავნო გზათა თავშესაყარზე მდებარეობის გამო, იგი შუამდინარეთისა და ახლო აღმოსავლეთის კულტ. ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ედესის ბაზრობა ვაჭრებს იზიდავდა აზიისა და ევროპის შორეული ქვეყნებიდან, მ. შ. იბერიიდან და ლაზიკიდან.

ქ. ედესის მოსახლეობა II ს. შუაწლებში უკვე ძირითადად ქრისტიანული იყო. III ს-იდან არამეული ენის ედესის დიალექტზე იქმნებოდა კლასიკური ქრისტ. ლიტ-რა. ედესაში იყო *ეფრემ ასურის* მიერ დაარსებული, მთელ ჩრდ. შუამდინარეთში ცნობილი საღვთისმეტყველო სკოლა, სადაც მოსწავლეები ცოდნას ეუფლებოდნენ როგორც სას., ისე საერო დისციპლინებში. ედე-

საში სასწავლებლად ჩადიოდნენ მეზობელი ოლქებიდან და ქვეყნებიდან, ალბათ, ქართლიდან და ეგრისიდანაც.

ედესაში ქართ. კულტ. კერა, სავარაუდოდ, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწ. რელიგიად გამოცხადების შემდეგ შეიქმნა. მცხეთასთან ერთად სწორედ ედესა იყო ის ადგილი, სადაც წმინდა წიგნები ქართულად ითარგმნებოდა [ამაზე უნდა მიგვითითებდეს იერემია ურჰაელის (მას IV ს. მოღვაწე იერემია იბერიელთან აიგივებენ) მიერ „დიდაქეს'' ქართულად თარგმნა]. ედესაში მძლავრი ქართული კულტ. კერის არსებობით იყო განპირობებული ის, რომ ვახტანგ გორგასლის დედამ – დედოფალმა საგდუხტმა და ვახტანგის დამ – ხვარანძემ ამ ქალაქში 8 წელიწადი (460–468) გაატარეს. **ე. ძ. პ**-ის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ დაახლ. 534 ქართლში მოსული *ასურელი მამები*. **ე. ძ. პ**-სთან *პეტრე იბერის* კავშირზე მიუთითებს კოპტურ წყაროებში მისი „ურჰაელად'' მოხსენიება.

ედესიდან მამა ანტონის (იხ. *ანტონ მარტყოფელი*) წამოსვლის შემდეგაც **ე. ძ. პ.**, რ-შიც, საქართველოდან ჩასულთა გარდა, ჩრდ. შუამდინარეთისა და პონტო-კაპადოკიის ქართველური მოსახლეობის წარმომადგენლებიც ცხოვრობდნენ, არსებობას განაგრძობდა. მაგრამ, როდესაც VII ს-ში ჩრდ. შუამდინარეთში არაბები გაბატონდნენ, აღმ.-ქრისტ. კულტურისა და განათლების ცენტრში – ქ. ედესაში ქართ. კულტურის კერამ არსებობა შეწყვიტა.

ლიტ.: გოლაძე ვ., ქართული კოლონია IV–V სს. ქ. ედესაში. მისი მასაზრდოებელი ქართველური სამყარო, «მნათობი», 2000, №5–6; მისივე, ადრექრისტიანული ქართული კულტურის ფესვები, კრ: ქრისტიანობა საქართველოში, თბ., 2000; მისივე, ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ., 2002; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; Пулевская Н., Культура сирийцев в средние века, 1889.

ვ. გოლაძე.

ედიბერიძე ალექსანდრე გიორგის ძე (დ. 13. III. 1937, თბილისი), ინჟინერი გამოთვლითი ტექნიკის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1987), საქართვ. საინჟინრო აკად. წევრ-კორესპონდენტი (2003). 1962 დაამთავრა საქართვ. პოლიტექნიკური ინ-ტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი. 1965 მუშაობა დაიწყო ელექტრონიკის, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1986-იდან ეწევა პედ. საქმიანობას საქართვ. ტექნიკურ უნ-ტში გამოთვლითი ტექნიკის კათედრაზე. არის ბიზნესის ხელშემწყობი საკონსულტაციო-ანალიტიკური სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი.

ე-ის სამეცნ. კვლევები ეხება მათ. მოდელირების, ალგორითმული ენებისა და პროგრამირების კომპიუტერული მოდელირების დამუშავებას საქართველოში.

თხზ.: ბიზნესის მართვა, თბ., 2009.

ედიბერიძე ალექსანდრე იოსების ძე (8. VIII. 1898, თბილისი, – 18. V. 1985, იქვე), ქირურგ-სტომატოლოგი, ქირურგიული სტომატოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1943), პროფესორი (1943), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1924 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1929–33 ხელმძღვანელობდა ამავე ფაკ-ტის თერაპიული და ქირურგ. სტომატოლოგიის კათედრებს, 1935–74 – თბილ. სახელმწ. სტომატოლოგიურ და ექიმთა დახელოვნების ინ-ტების ქირურგ. სტომატოლოგიის კათედრებს. 1974-იდან იყო ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ქირურგ. სტომატოლოგიის კათედრის პროფესორ-კონსულტანტი. შეისწავლა ალვეოლური პიორეის ეტიოლოგია და მკურნალობა, ოდონტოგენური და არაოდონტოგენური სიმსივნეებისა და პირისახის თანდაყოლილი სიმახინჯეების კლინიკა და მკურნალობა, საქართველოში დანერგა პირისახის აღდგენითი ოპერაციები, შეადგინა ქირურგ. სტომატოლოგიის პირველი სახელმძღვანელო ქართ. ენაზე (,,ქირურგიული სტომატოლოგია'',1966). 1932–74 იყო საქართვ. სტომატოლოგთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე, 1974-იდან – საპატიო თავ-რე, 1968-იდან – სსრკ სტომატოლოგთა სამეცნ. საზ-ბის საპატიო წევრი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: პირისახის აღდგენითი ქირურგია, თბ., 1968; ქირურგიული სტომატოლოგია და პირისახის აღდგენითი ოპერაციები, თბ., 1973.

ედიბერიძე გივი კონსტანტინეს ძე (12. V. 1924, თბილისი, – 16. XI. 1997, იქვე), ინჟინერ-მექანიკოსი. 1949 დაამთავრა საქართვ. პოლიტექნიკური ინ-ტის მექანიკის ფაკ-ტი. 1949–64 მუშაობდა სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპ. კულტურების სამეცნ.-კვლ. და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ინ-ტში ინჟინერ-კონსტრუქტორად, უფრ. ინჟინრად, ჯგუფის ხელმძღვანელად, ხოლო 1966–86 – ამავე ინ-ტის ავტომატიკის განყ-ბის უფროსის მოადგილედ. 1991-იდან იყო აღნიშნული ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი. ჩაის საკრეფი მანქანის ,,საქართველოს'' შექმნაში მონაწილეობისათვის 1967 მიენიჭა ლენინური პრემია.



ა. ი. ედიბერიძე.

ედილაშვილი ვახტანგ იასონის ძე (18. XII. 1909, სოფ. ბრეთი, ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი, – 13. IV. 1985, თბილისი), გეოლოგი. გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1965), საქართვ. დამს. გეოლოგი (1984). დაამთავრა ამიერკავკ. ინდუსტრ. ინ-ტი (1934). საქართვ. გეოლ. სამმართველოს სისტემაში ხელმძღვანელობდა აგეგმვითსა და სასარგებლო წიაღისეულის ძებნა-ძიებით სამუშაოებს. არის სხვადასხვა მასშტაბის მრავალი სახელმწ. გეოლ. რუკის ავტორი. იყო საკავშ. გეოლ. სამინისტროს კურატორი კავკ. გეოლ. აგეგმვის საკითხებში. მისმა გამოკვლევებმა დიდად შეუწყო ხელი შაორის ქვანახშირის საბადოს, აგრეთვე თბილისისა და ცაიშის თერმული წყლების ახ. საბადოების აღმოჩენას. 1949–54, როგორც კავკ. ნახშირძიების ტრესტის მთავარი გეოლოგი, ხელმძღვანელობდა გეოლ.-აგეგმვითსა და ძებნა-ძიებით სამუშაოებს იურული ნახშირიანი ნალექების გავრცელების რაიონებში. 1954–65 იყო კავკ. მინერ. ნედლეულის ინ-ტის სექტორის გამგე, 1969–70 – საკავშ. ტრესტ ,,სპეცგეოფიზიკის'' ამიერკავკ. გეოფიზ. ექსპედიციის მთ. გეოლოგი; შეისწავლა ტიტანშემცველობა კავკასიაში, საქართვ. მანგანუმის საბადოები, გეოლ. სუბსტრატის ზედაპირის ხასიათი აჭარა-თრიალეთსა და სამხრ. კახეთში. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.



გ. ედიბერიძე.

თხზ.: Геология районов развития среднеюрских угленосных и олигоценовых марганценосных отложений Грузии и смежных с ней областей, Тб., 1965; О возрасте верхнеюрской пестроцветной свиты Грузии, «Труды КИМС», 1971, в. 9(11) (თანაავტ. Р. Леквинадзе); Геологическое районирование Кавказа и проблемы крупномасштабной геологической съемки, Тб., 1975 (თანაავტ.).

ვ. ზესაშვილი.

ედილაშვილი (ედილი) ზაქარია ერმალოზის ძე (1873, სოფ. ბრეთი, გორის მაზრა, – VIII. 1956, გორი), საზოგადო მოღვაწე,

პუბლიცისტი, ექიმი ვეტერინარი. დაამთავრა გორის სას. სასწავლებელი (1849) და თბილისის სას. სემინარია. მუშაობა დაიწყო ქ. კავკავში დ. სარაჯიშვილის ქარხანაში. მისივე დახმარებით მოეწყო ქ. ტარტუს ვეტერინალურ ინ-ტში. 1901 სამუშაოდ კავკასიაში განაწესეს. სხვადასხვა დროს მუშაობდა ნახიჩევანში, საინგილოში, გორში. 1925–27 რედაქტორობდა გორის რაიონულ გაზ. „წითელ ქართლს''. საინგილოში მოღვაწეობის დროს მან დიდი ინტერესი გამოიჩინა ირგვლივ მიმოფანტული უამრავი ქართ. ძეგლის მიმართ. შეუდგა აღნიშნული მხარის წარსულის ძიებას, შეაგროვა მეტად მდიდარი და უნიკალური მასალა საქართვ. ამ კუთხის შესახებ. პროფესიულმა საქმიანობამ ე-ს ხელი შეუწყო ახლოს გასცნობოდა ხალხის ადათ-წესებსა და საქმიანობას. ამით გააგრძელა და გააფართოვა დიმიტრი და მოსე ჯანაშვილების მიერ დაწყებული საქმიანობა. ე. ქართ. პრესაში ხშირად აქვეყნებდა მასალებსა და ფოტოილუსტრაციებს მრავალ საჭირბოროტო საკითხზე. ამ თემაზე მიმოწერა ჰქონდა გამოჩენილ ქართვ. მოღვაწეებთანაც. მისი მონოგრაფია საინგილოს შესახებ 1940 პირველად დაიბეჭდა ჟურნ. „მნათობში'' (№5–12). მთლიანად მის გამოქვეყნებას ხელი შეუშალა მეორე მსოფლიო ომმა, საბოლოოდ წიგნად გამოიცა 1947. ნაშრომში აღწერილია ამ მხარის ბუნება, ისტ. წარსული, ხალხის ყოფა-ცხოვრება, ისტ. ნაშთები, მოსახლეობის, ქალაქებისა და სოფლების ისტორია. დაინტერესებული იყო რუს.-საქართვ. ურთიერთობათა ისტორიით, რ-საც მრავალი გამოკვლევა და წერილი მიუძღვნა. ე-მა კახში მუშაობის დროს დააარსა „სახალხო კოოპერატივი''. მან ადგილობრივ მკვიდრთა – ინგილოთა და სხვა ეროვნების ხალხთა – დიდი სიყვარული დაიმსახურა. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

თხზ.: ერეკლე მეფე და გრაფი ტოტლებენი, «საქართველო», 1916, №№ 134, 136, 139, 140; ვახტანგ მეფე და პეტრე დიდი, იქვე, 1915, №№ 133 – 137, 140, 155–158; მეფე თეიმურაზ I-ის დამოკიდებულება რუსეთთან, იქვე, №№ 78, 101, 103; საინგილო (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1947. *გ. ნარსია.*

ედილაშვილი ირაკლი ლევანის ძე (10. VII. 1935, თბილისი, – 27. X. 2007, იქვე), ქიმიკოსი. ქიმ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1987). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ქიმ. ფაკ-ტი (1958). 1958–2007 მუშაობდა საქართვ. ტექნიკურ უნ-ტში, პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკისა და ორგანული ქიმიის ინ-ტის ნავთობქიმიის ლაბორატორიაში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1987-იდან იყო ლაბორ. გამგე. მცენარეთა დაცვის ინ-ტთან ერთად შეიმუშავა პრეპარატი ,,კეიმი'' სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველად, რისთვისაც მიენიჭა საქართვ. მინისტრთა საბჭოს სიგელი და პრემია. ე-ის კვლევის ძირითადი მიმართულება იყო ნავთობის ზეთების ფოტოქიმიური ჟანგვის ეფექტური ინჰიბიტორების გამოვლენა.

ედისა, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), ხარულის ქედის დას. კალთაზე, მდ. დიდი ლიახვის ზემოთში. ჯავა – ედისის საავტ. გზის ბოლო პუნქტი. თემის ცენტრი (სოფლები: ე., ბრითათა, კაბუზთა, ქვემო ერმანი, შუა ერმანი, ჩელიათა, ხოძი). ზ. დ. 1960 *მ,* ჯავიდან 40 *კმ.* 52 მცხ. (1989). ე-ის მიდამოებში არის მინერ. წყაროები.

ე. მდებარეობს ისტ. თემში – მაღრან-დვალეთში. განვითარებულ შუა საუკუნეებში იგი ამ მხარის ცენტრი იყო. ე-ს ქალაქსაც (,,ქალაქა'') უწოდებდნენ – ასე მოიხსენიებს მას გერმ. მოგზაური ი. *გიულდენშტედტი* (XVIII ს.). ე-ის სამხრ.-აღმ-ით მდებარეობს ,,ცარციათების'' ნაქალაქარი, რ-საც დაახლ. 3 *ჰა* ფართ. უჭირავს. მასზე განლაგებული შენობების ნანგრევებში განირჩეოდა ვიწრო ქუჩის ნაკვალევი. ნაგებობების გარდა გაითხარა სამაროვანი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ,,ცარციათების'' ქალაქი განადგურდა XIII–XIV სს-ში, ქსნის ერისთავებისა და დვალების ბრძოლების დროს. შემორჩენილია ადრინდ. შუა საუკუნეების *ზურგიანი კომკის* ნანგრევები.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1982, [ტ.] 6. *ჯ. გვასალია.*

ედიძილისა, ძვ. *ანდრაპი,* 2010-იდან – *საყდრიონი,* სოფელი წალკის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე).

ევა (ძვ. ებრ. ხავა – სიცოცხლე), ძვ. აღთქმის მიხედვით, ადამიანთა მოდგმის წინაპრის, ადამის, ცოლი, პირველი ქალი და ,,ყველა სულიერის დედა''. იხ. *ადამ და ევა.*

ევაგრე, VI ს. II ნახევრის ქართველი საეკლ. მოღვაწე, შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარი, ერისკაცობაში – ქართლის სპასპეტი, ციხედიდის მთავარი. ბერად აღიკვეცა *შიო მღვიმელის* ზეგავლენით და მისგანვე მიიღო წინამძღვრობა. ე-მ მონასტერს საკუთარი სახსრებით უყიდა მამულები (სოფ. სხალტბა მიმდებარე გოროვანითურთ). ე. შიო მღვიმელთან ერთად გამოსახულია ამავე მონასტრის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის (VI ს. II ნახ.) ქვის კანკელის რელიეფებზე (XI ს.), მოხსენიებულია ღვთისმშობლის ეკლესიის (XII ს.) გვიანდ. წარწერაში. შემონახულია შიო მღვიმელისა და ე-ს ცხოვრების ამსახველი თხზულების ორი რედაქცია. პირველი, უფრო ძველი და მოკლე, ეკუთვნის კათოლიკოს არსენ II-ს (XI ს.), მეორე (XI–XII სს-ში შედგენილი) აქედან გადაკაზმული მეტაფრასია. ცნობები ე-ს შესახებ დაცულია აგრეთვე ბასილი კათოლიკოსის მიერ შიო მღვიმელის ,,სასწაულთა'' შესახებ შედგენილ ნაშრომში (XII ს.) და გიორგი III-ის 1170 წ. სიგელში. საქართვ. მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად და მოიხსენიება ღირს ევაგრედ. მისი ხსენების დღეა 4 (17). II.

წყარო: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1955; გიორგი III-ის 1170 წლის სიგელი, წგ.: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. 1, ნ. შოშიაშვილის რედ., თბ., 1984.

ლიტ.: ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., შიომღვიმე, თბ., 1953. *ბ. ლომინაძე.*

ევაგრე, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1488–92). შემორჩენილია მისი კათოლიკოსობის დამადასტურებელი ორი საბუთი. ერთია *კონსტანტინე II-ის* 1488-ით დათარიღებული შეუვალობის სიმტკიცის წიგნი, რ-ითაც მეფე ათარხნებს ,,საცა... მცხეთისა... მამულნი არიან''; მეორეა კუმურდოს ეპისკოპოსის გერასიმეს ფიცის წიგნი, რ-ის მიხედვითაც *მზეჭაბუკი* მას მცხეთაში გზავნის კურთხევის მისაღებად: ,,მას ჟამსა, ოდეს პატრონმა მზეჭაბუკ შემიწყალა და კუმურდოსა საყდარი და ჯელი მიბოძა და თქუენს წინაშე საკურთხევლად გამოგუზავნნა...''. ამ დროს სამცხის ათაბაგი *ყვარყვარე II* იყო, თუმცა მზეჭაბუკს, სავარაუდოდ, მამის მმართველობის დროსაც ჰქონდა ეპისკოპოსის წარდგენის უფლება.

ე-ს კათოლიკოსობა ემთხვევა პერიოდს, როდესაც კონსტანტინე

II ცდილობდა ქართული სახელმწიფოს გაერთიანებას. ამისათვის მეფემ 1490 დარბაზი მოიწვია: ,,შემოიკრიბნა კათალიკოზი, ეპისკოპოზნი, და წარჩინებულნი თჳსნი და განიზრახვიდა, თუ რაჲ ჰყონ განდგომილებისათჳს ქუეყანათა და ვითარ მოაგონ კუალად მეფობისავე თჳსსა'' (იხ. *თბილისის დარბაზობა 1490*). სათათბიროდ მოწვეული კათოლიკოსი, მოღვაწეობის დროის მიხედვით, სწორედ Ე. უნდა იყოს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 2, ტფ., 1897; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970.

ლიტ.: ლომინაძე ბ., XV საუკუნის საქართველოს ქრონოლოგიიდან, კრ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVI სს.), ქ. შარაშიძის გამოც., თბ., 1961; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

მ. ზალდასტანიშვილი.

ევაგრიოს პონტოელი (Euagrios Ponticus) (დაახლ. 345–400), ბიზანტიელი მწერალი, ღვთისმეტყველი. *ბასილი დიდმა* (კესარიელმა) მედავითნედ აკურთხა, *გრიგოლ ნაზიანზელმა* (სხვა ცნობით – *გრიგოლ ნოსელმა*) – დიაკვნად. 381 მოღვაწეობდა კონსტანტინოპოლში, სადაც ორატორობით გაითქვა სახელი. შემდეგ გადავიდა ეგვიპტეში. მის სახელთანაა დაკავშირებული ნიტრიის უდაბნოში სამონასტრო ცხოვრების გაცხოველება. Ე. პ-ის შესახებ ცნობებს გვაწვდიან პალადიოს ჰელენოპოლელი, სოზომენე და V–XIV სს. ბიზანტ. საეკლ. ისტორიკოსები. მისი შრომები V ს. II ნახ-ში ლათინურად თარგმნა ორიგენეს მიმდევარმა, საეკლესიო ისტორიკოსმა რუფინუსმა. კონსტანტინოპოლის V საეკლ. კრებაზე (553) მწვალებლობისადმი მიდრეკილება დასწამეს და ეკლესიიდან განკვეთეს. ამის მიუხედავად, ეკლესიამ შეიწყნარა Ე. პ-ის ნაშრომები, სადაც მართებული თეოლ. აზრებია გადმოცემული.

Ე. პ-ს ეკუთვნის მრავალი პოლემიკური თუ ასკეტური ხასიათის თზულება, რ-ებიც ფართოდ გავრცელდა ქრისტ. სამყაროში. არსებობს მისი ნაშრომების თარგმანები ლათინურ, სირიულ, კოპტურ ენებზე. ქართ. ენაზე შემოგვრჩა Ე. პ-ის რამდენიმე ტრაქტატი, რ-თა მთარგმნელად კ. კეკელიძე ექვთიმე ათონელს (მთაწმიდელს) მიიჩნევდა.

ზოგიერთი ბიზანტ. ავტორის (პალადიოს ჰელენოპოლელი, სოზომენე, ნიკიფორე ქსანთოპულოსი, ნიკიფორე კალისტე) ცნობებზე დაყრდნობით ქართ. სამეცნ. ლიტერატურაში გამოითქვა აზრი (კ. კეკელიძე, ს. ყაუხჩიშვილი) Ე. პ-ის ქართ. წარმომავლობის შესახებ. არსებობს სხვა შეხედულებაც, რ-ის თანახმად ის იყო პონტოს ქალაქ იბორადან, რაც მის ქართველობას (იბერიელობა) ეჭვქვეშ აყენებს.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 7, თბ., 1967.

ლიტ.: კეკელიძე კ., მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე, მის წგ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 6, თბ., 1960; მახარაშვილი ს., ევაგრე პონტოელის ცხოვრება-მოღვაწეობა და მის თხზულებათა ქართული თარგმანი, კრ.: ძველი ქართული მწერლობის მატიანე, I, თბ., 1984.

ევაგრიოს სქოლასტიკოსი (Euagrios Scholasticos) (535 ან 536, სირიის ეპიფანია, – VI ს. დასასრული, ანტიოქია), ბიზანტიელი ისტორიკოსი, ღვთისმეტყველი, იურისტი და ლიტერატორი. მისი მთავარი თხზულებაა ,,საეკლესიო ისტორია'', რ-იც მოიცავს 431–593 წწ. საყურადღებო ცნობები აქვს *პეტრე იბერის* ცხოვრებისა და მოღვაწეობის, აფხაზეთში ქრისტიანობის განმტკიცების, 572 სპარსელების წინააღმდეგ სომეხთა და ქართველთა აჯანყების შესახებ. Ე. ს. წყაროებს კეთილსინდისიერად და კრიტიკულად ეკიდება და მისი ცნობები ავსებს და აზუსტებს სხვა ბიზანტ. მწერალთა ცნობებს.

თხზ.: [წიგნში] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, თბ., 1936.

ნ. ლომოური.

ევანგელე, იხ. *სახარება.*

ევანგელისტური ეკლესია, პროტესტანტული, ძირითადად ლუთერანული ეკლესიების საერთო სახელწოდება. საქართველოში Ე. Ე. 1914 დააფუძნა მცირე აზიიდან შემოსულმა მისიონერმა დევიდ ურშანმა, რ-იც შემდეგ ევროპაში გადავიდა. 1999 Ე. Ე. ხელმეორედ დააარსა პასტორმა ზ. ტყეშელაშვილმა. იგი აცხადებს, რომ ეკლესია შეიძლება მოიხსენიებოდეს როგორც ევანგელისტური (მახარებლური) და არა ევანგელური (სახარებისეული).

Ე. Ე. აღიარებს რწმენის მთავარ ფუნდამენტს: წმ. სამებას და ქრისტეს ღვთაებრიობას. აღესრულება ზეციდან შობის, ნათლობის, ევქარისტიის, ქორწინების, ხელდასხმისა და ზეთისცხების, სულიწმიდით ნათლობის საიდუმლოებები. საზოგადოდ, Ე. Ე. აღიარებს ნათლობის ორ ფორმას: ნათლობას წყლით და ნათლობას სულიწმიდით. Ე. Ე-ს საქართველოში დაახლ. 150 მიმდევარი (2008) ჰყავს.

ლიტ.: რელიგიები საქართველოში, თბ., 2008.

ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული პროტესტანტული ეკლესია, რ-იც ემსახურება ბაპტიზმის მიმდევრებს. ბაპტიზმი წარმოიშვა XVII ს. დამდეგს ინგლისსა და ჰოლანდიაში (კონკრეტულად ამსტერდამში). XX ს. დამდეგს ლონდონში შეიქმნა ბაპტისტების მსოფლიო ალიანსი, ხოლო 1950 – ბაპტისტების მსოფლიო კავშირი. 2010 ბაპტისტების რაოდენობა მსოფლიოში 75 მილიონს აღემატებოდა. მათი ეკლესიები დამკვიდრებულია მრავალ ქვეყანაში. სახელწოდების ძირი (ბაპტიძო) ბერძნულია და ნიშნავს წყლით ნათლობას, კონკრეტულად წყალში ჩაყვინთვით ნათლობას. ბაპტისტები ეთანხმებიან ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსს, ანუ პატრისტიკის ძირითად დებულებებს (აღიარებენ ყოვლადწმინდა სამებას, იესო ქრისტეს ორბუნებოვნებას, ქალწულისაგან შობას), უარყოფენ ახალშობილისა და ბავშვის მონათვლის პრაქტიკას და აღიარებენ ზრდასრული ადამიანის ნათლობას მისი ცნობიერი გადაწყვეტილების საფუძველზე, იზიარებენ საყოველთაო მღვდლობის პრინციპებს, რის მიხედვითაც სამღვდელო პირი არ ფლობს რაიმე საკრალურ ძალაუფლებას. ბაპტიზმი რწმენის ერთადერთ წყაროდ იესო ქრისტეს სახარებისეულ მოძღვრებას აცხადებს. ბაპტისტური ეკლესია არ არის მკაცრად ცენტრალიზებული, ადგილობრივი ეკლესიები სარგებლობენ თვითმმართველობის უფლებით, ასევე ლიტურგიაც შემოქმედებითი ხასიათისაა და ქვეყნების მიხედვით სხვადასხვანაირია.

საქართველოში ბაპტისტური ეკლესია შეიქმნა 1867 წ. 20 აგვისტოს და უკავშირდება რუსეთიდან მოლოკნების გადმოსახლებას. მოგვიანებით ბაპტისტთა ოსური და სომხ. თემებიც ჩამოყალიბდა. თავდაპირველად ბაპ-



ლუთერანთა ეკლესია (,,კირხე''). არქიტექტორი ო. ი. სიმონსონი. 1897. თბილისი.

ტიზმის მიმდევარ ქართველთა რაოდენობა იმდენად მცირე იყო, რომ ქადაგება მხოლოდ რუს. ენაზე მიმდინარეობდა. შემდგომში ვითარება შეიცვალა და 1919 ქართულენოვანი ეკლესიაც დაარსდა.

1944 თბილისის ბაპტისტთა თემს ,,სახარებისეული ქრისტიანები'' შეუერთდნენ და დღეს იწოდება როგორც საქართვ. ე.-ბ. ე. (სებე).

სებე ორგანიზაციულად დემოკრ. პრინციპზეა აგებული. მისი უმაღლესი მმართველობითი ორგანოა საეკლ. კრება, რ-იც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება და ირჩევს მთავარეპისკოპოსს, აგრეთვე ეპისკოპოს-პრეზიდენტს, რ-იც სინოდის თავმჯდომარეცაა. სინოდი წარმართავს ეკლესიის ცხოვრებას. რეგიონული პრინციპის მიხედვით სებე ოთხ რეგიონადაა დაყოფილი (თბილისი, კახეთი, ქართლი, დას. საქართველო). თითოეულ რეგიონს ეპისკოპოსი მეთაურობს.

სებეს ცენტრს თბილისში ეწოდება ბეთელი, რ-ის შექმნა ჩაჩან ლტოლვილებთან არის დაკავშირებული. მან დიდი დახმარება გაუწია ლტოლვილებს სამედ. მომსახურებით, ტანსაცმლით და სხვ. საერთოდ სებე აქტ. საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოც. პროგრამების განხორციელებას, ეხმარება მზრუნველობამოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს, მაუსაფარ მოხუცებს და სხვ. სებეს ეგიდით მოქმედებს წმ. ნინოს ორდენი, რ-ის მსახური დები რამდენიმე ასეულ უმწეო ადამიანს უვლიან. სებეს წევრთა რიცხვი 5000 (2008) აღემატება. ისინი ცხოვრობენ საქართვ. ყველა რეგიონში.

ლიტ.: რელიგიები საქართველოში, თბ., 2008.

ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია, ერთ-ერთი უდიდესი პროტესტანტული ეკლესია. აღმოცენდა გვიანი შუა საუკუნეების კათოლიკური ეკლესიის წიაღში, სახელი უწოდა XVI ს. გერმ. თეოლოგმა მარტინ ლუთერმა. ლუთერანულ მოძღვრებაში ძირითადია გამართლების დოქტრინა. ქრისტეში სულის ხსნა წმინდა წერილის ცენტრალურ ნაწილადაა მიჩნეული. წმინდა საიდუმლოთაგან აღიარებენ ნათლობას და ზიარებას.

ე.-ლ. ე-ის ორგანიზაციული სტრუქტურა ნაკლებად იერარქიულია, ყოველი მორწმუნე სასულიერო პირია. შესაბამისად, ორდინაცია არის არა წმინდა საიდუმლო, რ-ითაც მღვდლად კურთხევა ხდება, არამედ მღვდლის დასახელება მრევლის მიერ.

საქართველოში ე.-ლ. ე-ის დაარსება უკავშირდება კავკასიაში გერმანელი (შვაბი) კოლონისტების გადმოსახლებას. 1818 ბოლოს საქართველოში ექვსი გერმ. კოლონია დაარსდა, მათ შორის ალექსანდერსდორფი (დიდუბე), ელიზაბეთტალი (ასურეთი) ეკატერინენფელდი (ბოლნისი) და სხვა. პირველ ხანებში კოლონისტებმა სამლოცველო სახლები ააშენეს, შემდგომში კი ნეოგოთიკის სტილის ეკლესიები ააგეს, მათ შორის – ცნობილი კირხე (არქიტექტორი – ო. ი. სიმონსონი) დღევანდელ მარჯანიშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე. თუმცა მათი მშვიდობიანი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა – 1929 სახელმწიფოს ხელში გადავიდა მთელი საეკლ. ქონება, 1941 წ. (15 ოქტომბრიდან 12 ნოემბრამდე) შუა აზიაში გადაასახლეს 23580 გერმანული წარმოშობის მოქალაქე, 1945 კი გერმანელ სამხ. ტყვეებს დაანგრევინეს კირხე.

საქართველოში შემორჩენილ გერმანელებს მხოლოდ 1991-იდან მიეცათ თავისუფლად შეკრების უფლება. მცირერიცხოვანი მრევლი თანდათან გაიზარდა და ჩამოყალიბდა საქართვ. ე.-ლ. ე., რ-იც რამდენიმე – თბილისის, რუსთავის, ბორჯომის და სხვა – სამრევლოს აერთიანებს.

ეკლესიას მეთაურობს ეპისკოპოსი. ეკლესია ჩაბმულია საგანმან. საქმიანობაში. მისი ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა ქველმოქმედება. ამ მიზნით 1999 დაარსდა ევანგელურ-ლუთერანული დიაკონური საზ-ბა, რ-ის განკარგულებაშია მოხუცთა თავშესაფარი, უფასო სასადილოები; ტარდება უფასო სამედ. კონსულტაციები.

ლიტ.: რელიგიები საქართველოში, თბ., 2008.

ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია თბილისში, მდებარეობს მტკვრის მარცხ. მხარეს (ლუთერანთა ძვ. სასაფლაოს ტერიტორიაზე, ძვ. თბილისის რ-ნი). კომპლექსი აშენებულია 1996–97 (არქიტექტორები: უ. კრეპტი, გ. მეტრეველი) საქართველოში მცხოვრებ გერმანელ თანამოქალაქეთა ეროვნ. და რელიგ. ტრადიციების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით. აქვეა გერმ. თემის სახლი. საკრალურ დარბაზს შენობის საზ. და საცხოვრ. ნაწილებთან აერთიანებს ორსართულიანი ვესტიბიული. ეკლესიის ტერიტ. კეთილმოწყობილია, ხეივნის დასაწყისში აგებულია საქართველოში მცხოვრები გერმ. კოლონისტების ხსოვნის მემორიალი.



ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია. არქიტექტორები: უ. კრეპტი, გ. მეტრეველი. 1996–97. თბილისი.

ევგენი (ერისკაცობაში – ალექსანდრე ფილიპეს ძე ბაჟენოვი) (1784, ტულა, – 1862, ფსკოვი), საქართველოს ეგზარქოსი 1834–44 წლებში, მანამდე მინსკის ეპისკოპოსი. დაამთავრა მოსკ. სას. აკადემია. 1829 ე. ეპისკოპოსად აკურთხეს. საქართველოში ჩამოსვლისთანავე დაინტერესდა ქართ. ეკლესიების, განსაკუთრებით უმნიშვნელოვანესი ისტორიული ტაძრების მდგომარეობით. მისი ინიციატივით შეკეთდა მცხეთის

საპატრიარქო ტაძრის – სვეტიცხოვლის პერანგი, რისთვისაც 30000 მანეთზე მეტი გაიღო. მისივე გადაწყვეტილებით, საქართვ. საეკლ. ხაზინის ხარჯით, სას. სემინარიისთვის შეიძინეს ახალი, გაცილებით ფართო შენობა (ახლანდ. საქართვ. ხელოვნების მუზეუმი), სადაც იგი 1909-მდე იყო განთავსებული. 1837 რუს. იმპ. ნიკოლოზ I-ის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით ,,სანიტარიული'' მიზნით ე-ის განკარგულებით შეთეთრდა საქართველოს ეკლესია-მონასტრები. 1844 ე. ასტრახანის არქიეპისკოპოსად გადაიყვანეს.

.: ფ ე რ ა ძ ე ი., საქართველოს ეგზარქოსები, «მოგზაური», 1901, №4; [Епископ Кирион], Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XX столетие, Тфл.,1901; Православная богословская энциклопедия, т.4, СПб., 1903.

ე. ბუბულაშვილი.

ევგენიძე დათო (დავით) ნუგზარის ძე (დ. 2. XII. 1958, თბილისი), კომპოზიტორი, პიანისტი. დაამთავრა მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახ. კონსერვატორია (1982). მუშაობდა ესპანეთში, საფრანგეთსა და აშშ-ში. ე. ავტორია საფორტეპიანო, კამერულ-ინსტრუმენტული და კამერულ-ვოკალური ნაწარმოებებისა. მოსკოვის საერთაშ. კონკურსზე ,,იმპროვიზაცია მოცემულ თემაზე'' (1979) და ბალეტის მე-5 საერთაშ. კონკურსზე საბალეტო დივერტისმენტისათვის ,,როდენის მოაზროვნე'' (1982) მიიღო პირველი პრემიები, სსრკ ახალგაზრდა კომპოზიტორების კონკურსზე კი ვოკალურ-ინსტრუმენტული ციკლისათვის ,,ვარდი სილაში'' – ,,გრან-პრი'' (1983). მისი საბალეტო დივერტისმენტები დაიდგა ნიუ-იორკსა (1983) და მოსკოვში (1986). ჩატარებული აქვს საავტორო კონცერტები ესპანეთში (1988), საფრანგეთსა (1988; 1998) და თბილისში (1998; წლის საუკეთესო მუსიკოსი). 1994 კანარის კუნძულებზე (ესპანეთი) საფუძველი ჩაუყარა ფესტივალს ,,დექსი-ტენერიფე''. ე. ავტორია 3 დრამ. სპექტაკლის და 42 ფილმის მუსიკისა, მ. შ. შექმნა საუკეთესო მუსიკა ფილმებისათვის: ,,ბალეტმაისტერი'' (პირველი პრემია, 1995; თბილ. საერთაშ. ფესტივალი ,,მანა''), ,,როცა ოთარი წავიდა'' (პრემია ,,ცეზარი''; 2004); ,,მე-9 ასეული'' (პრემიები: ,,ოქროს ვერძი'', 2005; ,,ოქროს არწივი'', 2005 და ,,ნიკა'', 2006).

პარიზში გამოუშვა ალბომები ,,პიანო ინტერვიუ'' (1999) და ,,ჰოროსკოპი'' (2002). ჯ. ბალანჩინის 100 წლის იუბილეს მიუძღვნა მუსიკა ბალეტისათვის ,,საფირონები'' (2004).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

ევგენიძე იუზა თედორეს ძე (დ. 24. II. 1943, სოფ. ახალსოფელი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი), ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1997). 1965 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი, 1969-იდან მოღვაწეობს თსუ-ში. 2009-იდან თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკ-ტის ასოცირებული პროფესორია. გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი, მ. შ. მონოგრაფიები: ,,ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისათვის'' (1977), ,,ვაჟა-ფშაველა'' (ცხოვრებისა და შემოქმედებითი ისტორიის საკითხები, 1982), ,,ქართული რომანტიზმის საკითხები'' (1982), ,,გრიგოლ ორბელიანი'' (1995), ,,ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან'' ორ ტომად (I ტ. 2000, II ტ. 2003). ე-ის თანაავტორობითა და მონაწილეობით გამოცემულია არაერთი წიგნი და კრებული, მ. შ. ,,ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის'' (ტ. II, 2003) სახელმძღვანელო.

1996 გერმანიაში, ჟურნ. ,,გეორგიკაში'' დაიბეჭდა ე-ის ნარკვევი ,,ვაჟა-ფშაველას მრწამსის საკითხი გრიგოლ რობაქიძის ნააზრევში'', ხოლო ვატიკანში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა ნაშრომები ,,ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების თემატიკა'' (2006) და ,,ვაჟა-ფშაველას პოეზიის რაინდული სული'' (2008).

1993–2006 ე. თსუ-ში იყო აკაკი წერეთლის კაბინეტის გამგე. 1999-იდან არის ჰუმანიტარულ მეცნ. აკად. წევრი. დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის სახ. მედლით (2003).

ევგლენა (Euglena), ევგლენოვან წყალმცენარეთა გვარი, მეტაბოლური, ერთშოლტიანი ორგანიზმები. მათი უჯრედები ელიფსური, კვერცხისებრი, ცილინდრული, თითისტარისებრი და სხვა ფორმისაა. ხარობს პატარა მტკნარ წყალსატევებში, ჭუმუსიან და მომლაშო ტბებსა და მდინარეებში, ჭაობებში, ნესტიან გრუნტზე. E. sanguinea და E. viridis მასობრივი გამრავლებისას იწვევს ,,წყლის აყვავებას'' (წყლის ზედაპირის წითლად და მწვანედ შეფერვას). საქართველოში ცნობილია ე-ს 39 სახეობა და სახესხვაობა. უფრო გავრცელებულია E. acus, E. proxima, E. spirogyra, მწვანე ე. E. viridis.

ქ. ყანჩაველი.

ევდემოზ I (დიასამიძე) (გ. 1643), აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1632, ე. I-ის კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრების დროს, ქართლ-კახეთის ერთიანი სამეფოს მეფე იყო *თეიმურაზ I*. ე I-ს თეიმურაზთან ნათესაობაც აკავშირებდა (თეიმურაზის ვაჟს – დავითს ცოლად ჰყავდა ე. I-ის დისწული). ამდენად ადვილი ასახსნელია ე. I-ის აქტიური მონაწილეობა ქართლის მეფის, *როსტომის* წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში. გარდა ამისა, კათოლიკოსს უმთავრესად ეროვნ. ინტერესები ამოძრავებდა. მიუხედავად როსტომის ქრისტ. სარწმუნოებისადმი ლოიალური დამოკიდებულებისა, კათოლიკოსისათვის მიუღებელი იყო ყიზილბაშური ტრადიციების გაბატონება-დამკვიდრების ტენდენცია. შეთქმულების მიზანი იყო როსტომის გადაყენება და გაერთ. ქართლ-კახეთის ტახტზე კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის მოწვევა. შეთქმულების დამარცხების შემდეგ ე. I სხვებთან ერთად დააპატიმრეს, ციხეშივე დაახრჩვეს და მისი გვამი ნარიყალას ციხიდან გადააგდეს. დაკრძალულია ანჩისხატის ტაძარში. ე. I საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღეა 4 (17). X.



დ. ევგენიძე.

ლიტ.: ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., მასალები დასავლეთ საქართველოს XVII–XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 31; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., საქართველოს მეფეები და პატრიარქები, თბ., 2010; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რ. მეტრეველის რედ., თბ., 2000.

ბ. ლომინაძე.

ევდემოზ II (დიასამიძე), აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1701–05. კათოლიკოსად ქართლის მეფემ *ერეკლე I-მა* დააყენა, როგორც თავისი ნათესავი და პოლიტიკის მომხრე. 1705, *ვახტანგ VI-ის* ინიციატივით, რ-საც თავისი ეროვნ. პოლიტიკის თანამოაზრე ეკლესიის მესაჭე ესაჭიროებოდა, საეკლ. კრებამ ე. II გადააყენა და მის ნაცვლად აირჩია ვახტანგ VI-ის ძმა – დამიანე ბაგრატიონი (საეკლესიო ტახტზე – *დომენტი IV*).

ლიტ. იხ. სტ-თან ე ვ დ ე მ ო ზ I.

ბ. ლომინაძე.

ევდემონ I (ჩხეტიძე) (გ. 1578), აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქი 1557–78 (1543–57 გაეწანთელი ეპისკოპოსი). იმერეთის მეფეების



ი. ევდოშვილი.

ბაგრატ III-ისა და *გიორგი II-ის* აქტიური თანამოღვაწე დას. საქართველოს პოლიტ. გაერთიანებასა და კულტ.-ეკონ. მშენებლობაში. ე. I-ის სახელს უკავშირდება ბიჭვინთიდან საკათოლიკოსო რეზიდენციის გელათში გადატანა (იხ. *აფხაზეთის საკათალიკოსო*). ე. I აღმ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მალაქიასთან ერთად ხელმძღვანელობდა ბაგრატ III-ის ინიციატივით მოწვეულ აფხაზეთის საკათოლიკოსო საეკლ. კრებას, რ-მაც სიკვდილით დასჯა დაუწესა ტყვეთა გამყიდველებს და მოაწესრიგა საეკლ. მმართველობის დარღვეული წესები (იხ. *„კათალიკოსთა სამართალი“*). ე. I-მა აღადგინა და მოახატვინა თურქების მიერ გადამწვარი გელათის წმ. გიორგისა და ღვთისმშობლის ეკლესიები, რ-შიც შემორჩენილია ე. I-ის ფრესკული გამოსახულებანი. შეაკეთა და მოახატვინა მოქვისა და ბიჭვინთის ეკლესიების ნაწილი, რ-თა კედლის წარწერებში მოხსენიებულია; 1568 მოაჭედვინა ბიჭვინთის ღვთისმშობლის ოქროს ხატი. ცნობილია ე. I-ის დაკვეთით გადაწერილი გელათის ხელნაწერები. ბიჭვინთის საკათოლიკოსოს საკუთარი ხარჯით შეუძინა მამულები და ძვირფასი ინვენტარი. დაკრძალულია გელათის წმ. გიორგის ეკლესიაში.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1970.

ლიტ.: ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., აფხაზეთის საკათალიკოსოს სინოდის მიერ მიღებული კანონები (XVI ს.), «გელათის მეცნიერებათა აკადემიის უწყებანი», 1996, №2; მ ი ს ი ვ ე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., საქართველოს მეფეები და პატრიარქები, თბ., 2010; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

ბ. ლომინაძე.



ევერსმანია. ნახევრად ეკლებიანი ევერსმანია (Ewersmannia subspinosa).

ევდემონ II (ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე), აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქი 1666–69. მის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. ე. თაყაიშვილის ვარაუდით, ხობის მონასტრის *გულანში* მოხსენიებული „აფხაზთა პატრიარქი ბატონი ევდემო“, რ-ის ბრძანებითაც გადაიწერა აღნიშნული გულანი, ე. II უნდა იყოს.

ლიტ.: თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, «ძველი საქართველო», ტ. 3, ტფ., 1913–14; ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., მასალები დასავლეთ საქართველოს XVII–XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 31; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., საქართველოს მეფეები და პატრიარქები, თბ., 2010.

ბ. ლომინაძე.

ევდოშვილი (ნამდვ. გვარი – ხ ო ს ი ტ ა შ ვ ი ლ ი) იროდიონ ისაკის ძე [7 (19). V. 1873, სოფ. ბოდბისხევი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 2 (15). V. 1916, თბილისი], მწერალი. თელავის სას. სასწავლებლის დამთავრების (1890) შემდეგ სწავლობდა თბილ. სას. სემინარიაში, საიდანაც 1893 გარიცხეს. 1896-იდან იყო „მესამე დასის“ წევრი. მონაწილეობდა 1905–07 რევოლუციაში. 1909 დააპატიმრეს, 1910 გადაასახლეს სოლვიჩეგოდსკში, შემდეგ – ჩორნი-იარში. 1912 მძიმედ დაავადებული დაბრუნდა თბილისში.

ე-ის პირველი ლექსი „გუბე“ 1893 დაიბეჭდა „კვალში“. 1895–96 თანამშრომლობდა ი. ჭავჭავაძის გაზ. „ივერიასთან“, რ-შიც გამოაქვეყნა პოემა „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა“, მოთხრობები: „მიხა დალაქი“, „სასუნელი ენოქი“ და სხვ. ე. თავის ლექსებში [„ქარაშხალი“, „ჩვენება“, „მეგობრებს“ (1895), „სიმღერა“ (1900), „ჩემს მტერს“ (1906) და მრავალი სხვ.] გამოხატავს გულისტკივილს სოც. უთანასწორობის გამო. ე-მა თარგმნა მუშათა საერთაშ. სიმღერები „ვარშავიანკა“ და „მარსელიეზა“. აქვეყნებდა პუბლიც.-სატირულ ფელეტონებსაც. პოემაში „მუზა და მუშა“ (1905) ე-მა ხელოვნებას ხალხის სამსახური დაუსახა მიზნად. მშრომელთა ინტერესებისათვის ბრძოლა განსაზღვრავდა მისი პროზაული ნაწარმოებების („შადრევანი“, 1898; „დანგრეული კერპი“, „ციხეში“, „გველების ყორე“, სამივე 1905 და სხვ.) ხასიათს. ე-ის პოეზიაში („ღამე“, „სიმღერა“, „მსაჯულს“, სამივე 1906; „ბრძოლის სიმღერა“, 1907; „გასწი, იარე ეკლიანის გზით!“, 1908 და სხვ.) იგრძნობა მომავლის რწმენა, თუმცა ზოგიერთ ლექსში („ისევ გოლგოთა“, „მოღლილს“, ორივე 1908; „გოლგოთაზე“, 1909; „გატეხილი ჩანგი“, 1915 და სხვ.) სევდიანი განწყობილებაც შეინიშნება. ე-მა დიდი ამაგი დასდო ქართ. საყმაწვილო ლიტ-რას, მისი მოთხრობები („ორი ობოლი“, 1893; „კაკანათი“, 1907; „უბედური ქორბუდა“, 1911; „პირველი ყვავილი“, 1914 და სხვ.) მოზარდ თაობას სამშობლოს სიყვარულსა და კაცთმოყვარეობას უნერგავდა.

ე. კრიტ. რეალიზმის წარმომადგენელია. იგი ცხოვრების კრიტ. ასახვასთან ერთად მისი გარდაქმნის გზებსაც ეძებდა. შექმნა რევ.-დემოკრ. მწერლობის სკოლა და დიდი გავლენაც მოახდინა რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდა მწერლებზე. ი. ჭავჭავაძის მკვლელობამ ე-ს რწმენა შეურყია ქართვ. სოც.-დემოკრ. პარტიის მიმართ. იგი თავის ერთ-ერთ პირად წერილში (1911) წერს: „როდესაც ილიას მოხუც ნაჭირნახულევ გულს ტყვია დაახალეს, ეს ტყვია მეც მომხვდა... და აქ გაწყდა ჩემსა და მათ შორის შემაერთებელი ძაფი“.

თხზ.: თხზულებანი, ტ. 1–3, თბ., 1935–37; რჩეული, თბ., 1974.

ლიტ.: გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი შ., დიადი განთიადის მომღერალი იროდიონ ევდოშვილი, თბ., 1974; ჭ ი ლ ა ი ა ს., უახლესი ქართული მწერლობა, თბ., 1972.

შ. გოზალიშვილი.

ევერნია (Evernia), ლიქენების გვარი უსნეასებრთა ოჯახისა. აქვს ბრტყელ-ფირფიტისებრ ნაკვეთებიანი ბუჩქის ფორმის რბილი, მომრგვალებული ან დიქოტომიურად დატოტვილი თალუსი, რ-იც სუბსტრატს ემაგრება სქელი, მოკლე ფეხით – გომფით. მრავლდება სორალებით ან აპოთეციუმებში მოთავსებული სპორებით. იზრდება მერქნიან მცენარეებზე, იშვიათად – ხავსიან ნაადაგზე. საქართველოში ცნობილია 3 სახეობა. იყენებენ პარფიუმერიაში. *ც. ინაშვილი.*

ევერსმანია (Ewersmannia), მცენარეთა გვარი პარკოსანთა ოჯახისა. საქართველოში იზრდება ამ გვარის მხოლოდ ერთი სახეობა – ნ ა ხ ე ვ რ ა დ ე კ ლ ე ბ ი ა ნ ი ე. (E. subspinosa). იგი დაბალი, ეკლიანი ბუჩქია, აქვს განზე გადაშლილი ტოტები, კენტფრთართული ფოთლები და მრავალყვავილიანი მტევანი ქმნის ყვავილედს. გვხვდება მხოლოდ შირაქში და ისიც იშვიათად (საქონლის ინტენს. ძოვების შედეგად ძალიან შემცირებულია). იზრდება თიხაქვიშიან, გაშიშვლებულ ფერდობებზე, ველებსა და ნახევრად უდაბნოებში. საქონლის საკვები და დეკორ. მცენარეა. შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“. გავრცელებულია აგრეთვე აზერბაიჯანში (აფშერონი), შუა აზიასა და ჩრდ. ირანში.

ევკალიპტი (Eucalyptus), მცენარის გვარი მირტისებრთა ოჯახისა. აერთიანებს 600-ზე მეტ სახეობას. მის სამშობლოდ ითვლება ავსტრალია. საქართველოში ე-ს მასობრივი გაშენება 1931-იდან დაიწყო. იგი სწრაფმზარდი ხე ან ბუჩქია, მარადმწვანე, სინათ-

ლის მოყვარული მცენარე, უხვად ყვავილობს, ქმნის მეჩხერ კორომს. ნაყოფი კოლოფია, თესლი – მრავალწახნაგა და წვრილი. კარგად ხარობს ზომიერად ტენიან ან ოდნავ მშრალ ყველა ტიპის ნიადაგზე. გავრცელებულია შავი ზღვის სანაპირო სუბტროპ. ზონაში. საქართველოში ე-ის 40-მდე სახეობაა ცნობილი. მათგან საუკეთესოა ყინვაგამძლე ფორმები: ტირიფისებრი, მაკარტურის, ლეგა, სფერული, გიგანტური და სხვ. სუბტროპ. ზონაში აშენებენ ქარსაცავ ზოლებად, აგრეთვე ზეთის მისაღებად. მისი ფოთლისგან მიღებულ ეთერზეთს იყენებენ მედიცინაში, პარფიუმერიაში, ტექნიკაში და სხვ. *ი. ლუკვეიშვილი.*

ევკლიდე (Eukleidēs), ძველი ბერძენი მათემატიკოსი. მის შესახებ მწირი ბიოგრაფიული ცნობები მოგვეპოვება. სარწმუნოა მხოლოდ ის, რომ იგი მოღვაწეობდა ალექსანდრიაში ძვ. წ. III ს-ში. იყო ალექსანდრიის სკოლის პირველი მათემატიკოსი.

ე-ის მთავარი თხზულება ,,საწყისები'' (13 წიგნი) შეიცავს პლანიმეტრიის, სტერეომეტრიისა და რიცხვთა თეორიის მრავალ საკითხს. ამ თხზულებაში მან შეაჯამა ძვ. ბერძნ. მათ. განვითარების ადრინდ. პერიოდში მიღებული შედეგები და საფუძველი ჩაუყარა მათ შემდგომ განვითარებას. ე-ს ,,საწყისები'' 2000 წელზე უფრო მეტი ხნის განმავლობაში ითვლებოდა დედუქციური სისტემისა და მათ. სიზუსტის ნიმუშად. მხოლოდ XIX ს. დასასრულს დ. *ჰილბერტის* შრომების შედეგად გამოვლინდა მისი თხზულების ლოგიკური ნაკლოვანებები. უფრო ადრე, XIX ს. პირველ ნახევარში, ნ. ლობაჩევსკის, ი. ბოლიაის, კ. გაუსის, გ. რიმანის, ა. კელის, ე. ბელტრამის და სხვ. შრომებით დადგინდა, რომ ე-ს აქსიომათა სისტემა არ არის ერთადერთი და შესაძლებელია ლოგიკურად თანმიმდევრული, არაწინააღმდეგობრივი გეომეტრიების სისტემების აგება აქსიომათა განსხვავებულ სისტემაზე. ამან ბიძგი მისცა არაევკლიდური, რიმანული გეომეტრიების განვითარებას. ე-ს სხვა მათ. ნაშრომთაგან აღსანიშნავია 4 წიგნი: ,,კონუსური კვეთები'' [მასალა შევიდა ძვ. ბერძენი მათემატიკოსის აპოლონიოს პერგელის (ძვ. წ. III ს.) ამავე სახელწოდების თხზულებაში], ,,ფიგურათა დაყოფის შესახებ'' (შემონახულია არაბ. თარგმანი), ,,პორიზმები'' (ამ ნაშრომზე წარმოდგენას იძლევა პაპ ალექსანდრეს ,,მათემატიკური კრებული'') და პედ. ხასიათის ნაშრომი ,,Pseudaria'' – ,,მცდარი დასკვნების შესახებ'' (მათემატიკაში). ე-ს აქვს შრომები აგრეთვე ასტრონომიაში (,,Phaenomena'' – ,,მოვლენები''), მუსიკასა (,,Sectio canonis'') და ოპტიკაში (,,Optika'' – შეიცავს მოძღვრებას პერსპექტივის შესახებ; ,,Catoptrica'' – გადმოცემულია დამახინჯებათა თეორია სარკეებში). ე-ს თხზულებები თავმოყრილია გამოცემაში ,,Euclidis opera omnia'', eds. L. Heibert et H. Menge, v. 1–9, 1883–1916, რ-შიც მოცემულია ბერძნ. დედნები, გვიანდ. ავტორების ლათ. თარგმანები და კომენტარები.

თხზ.: ,,ევკლიდეს საწყისები''-ს ქართ. თარგმანი ბერძნულიდან შეასრულა დ. ცხაკაიამ (რედ. გ. ჭოღოშვილი, თბ., 1990).

ევლალე I (ე ვ ლ ა თ ი, ე ვ ლ ა ვ ი ო ს ი), ქართლის კათოლიკოსი VI ს. 30-იან წლებში. ,,მოქცევაჲ ქართლისაჲს'' ქრონიკისა და ჯუანშერის მიხედვით მისი კათოლიკოსობის ჟამს საქართველოში *იოანე ზედაზნელის* მეთაურობით მოვიდნენ *ასურელი მამები*, რ-თაც ე. დახმარებას უწევდა. ურთიერთობა ჰქონდა ზედაზნის მონასტერთან. მხითარ აირივანეცის ,,ქრონოგრაფიულ ისტორიაში'' მოიხსენიება როგორც ელთა.

წყარო: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1955; მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963; მ ხ ი თ ა რ ა ი რ ი ვ ა ნ ე ც ი, ქრონოგრაფიული ისტორია, ლ. დავლიანიძე-ტატიშვილის გამოც., თბ., 1990.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

ევლალე II, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. 664–668.

ევლახიშვილი სერგო ივანეს ძე (1872, თბილისი, – 1946, იქვე), მომღერალი (ბარიტონი), საქართვ. დამს. არტისტი (1925). მოსკოვის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ოსტატობის დასახვეწად გაემგზავრა იტალიაში (მილანში, მეცადინეობდა პროფ. ვიდალთან). 1897-იდან ,,ბრუნეტის'' ფსევდონიმით შემოიარა იტალიის ქალაქები, მღეროდა ოპერებში: ,,ფაუსტი'', ,,ტრუბადური'', ,,ერნანი'' და სხვ. 1899-იდან გამოდიოდა რუსეთში, შემოიარა რუსეთის ქალაქები, ციმბირი, ეწვია აზერბაიჯანსაც (ბაქო). მღეროდა კერძო თეატრებში, სახალხო სახლებში. 1900-იდან 6 სეზონი იმღერა თბილისში. თავისი რბილი, ხავერდოვანი ბარიტონით, შესრულების დახვეწილი მანერით ღირსეული პარტნიორობა გაუწია 1912 თბილისში იტალიიდან სპეციალურად ჩამოსულ სახელგანთქმულ მომღერალ ე. *თარხნიშვილს* ოპერა ,,ფაუსტში''. 1913 ხელმძღვანელობდა კავკასიის მოგზაურ საოპერო დასს. 1914–28 თბილ. სახელმწ. ოპერის დირექტორი და საოპერო დასის ხელმძღვანელი იყო (ამ პერიოდში დაიდგა პირველი ქართ. ორიგინალური ოპერები: რ. გოგნიაშვილის ,,ქრისტინე'', ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი'', დ. არაყიშვილის ,,თქმულება შოთა რუსთაველზე'', ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე'').

ლიტ.: ც ა მ ც ი შ ვ ი ლ ი ა., უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანნი, თბ., 1962.



ევკალიპტი. სფერული ევკალიპტი (Eucalyptus globulus).

ევლახიშვილი სერგო სერგოს ძე (6. XI. 1924, თბილისი, – 2004, მოსკოვი), რეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967). დაამთავრა თბილ. კინოსტუდიასთან არსებული კინომსახიობთა სასწავლებელი (1942), მოსკ. ვახტანგოვის სახ. თეატრთან არსებული ბ. შჩუკინის სახ. თეატრ. სასწავლებელი (1950) და ლენინგრადის (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი) თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტი (1955). 1954-იდან იყო მოსკ. ვ. კომისარჟევსკაიას სახ. თეატრის რეჟისორი და მსახიობი. გადაღებულია ფილმებში: „უჩინარი იანი'' (სტუდენტი, 1942), ,,შიპკის გმირები'' (ვარშინი, 1954) და სხვ. 1960-იდან მუშაობდა საქართვ. ტელევიზიის მთ. რეჟისორად. გადაიღო ქართ. სატელევიზიო ფილმები: ,,გამზრდელი'' (1961), ,,ექიმი მიდის ფეხბურთზე'' (1962), ,,ანკესი და სეინერი'' (1962), ,,მე თვითონ'' (1966), ,,მიხაი ზიჩი'' (1967, უნგრელ. რეჟ. ი. მატესთან ერთად) და სხვ. 1968-იდან საცხოვრებლად გადავიდა მოსკოვში. წლების განმავლობაში იყო ცენტრ. ტელევიზიის ფერად გადაცემათა სტუდიის მთ. რეჟისორი. დადგა ტელესპექტაკლები, გადაიღო ფილმ-სპექტაკლები და ფილმები, მ. შ. ,,ჰამლეტი'' (1970, ფილმ-სპექტაკლი), „პოეტის დაბადების დღე'' (1973), ,,ოდესღაც კალიფორნიაში'', ,,მარტინ იდენი'' (ორივე 1976), ,,გრძელი დღეების თვე'' (1978), ,,რისხვა''



ს. ი. ე ვ ლ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ესკამილიო, ჟ. ბიზეს ,,კარმენი''.

(1979), ,,ტროპინინები'' (1984), „რევოლუციისათვის მოწოდებული'' (1986), „პორტრეტი'' (1987) და სხვ. 1987–2004 იყო მოსკოვის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინ-ტის საეკრანო ხელოვნების კათედრის პროფესორი. *ა. გვენცაძე.*

ევლია ჩელები (Evllya Çelebi) (25. III. 1611, სტამბოლი, – 1682/83, იქვე), თურქი მოგზაურ-გეოგრაფი და ისტორიკოსი. ე. ჩ-ის დედა წარმოშობით აფხაზი ყოფილა. მის ათტომიან ,,მოგზაურობის წიგნში'' მოცემულია გეოგრ., ეთნოგრ., ეკონ., ისტ., ლინგვ. ხასიათის ცნობები აღმ. და სამხრ.-აღმ. ევროპის, აზიისა და ჩრდ.-აღმ. აფრიკის ქვეყნების შესახებ, რ-ებიც 1640–73 მოიარა. ,,მოგზაურობის წიგნის'' ათივე ტომი სტამბოლში დაიბეჭდა (1897–1938). ქართულად თარგმნილია ნაშრომის II ტომი, რ-შიც მოცემულია ცნობები ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართვ. შესახებ. საქართველოში ე. ჩ-მ პირველად 1640 იმოგზაურა (ტრაპიზონის ფაშის ელჩობას გამოჰყვა სამეგრელოში). მან ხომალდით შემოიარა შავი ზღვის სანაპირო და მოკლედ აღწერა სამეგრელოსა და აფხაზეთის სანაპირო მხარეები. ,,მოგზაურობის წიგნში'' მრავალი ცნობაა ქართ. მიწების, მოსახლეობის, მათი ადათ-წესების, ქალაქების, დაბების, ციხეების, სას.-სამ. სავარგულების, ნავსადგურებისა და ბაზრების შესახებ.

წიგნიდან კარგად ჩანს, რომ ოსმალეთი სამეგრელოს თავის ქვეყნად თვლიდა, თუმცა მისი დიდი ნაწილი ფაქტობრივად დამოუკიდებელი იყო. ზღვისპირა სამეგრელო ოსმალების მიერ იყო დაპყრობილი და გაჩანაგებული. ,,მთებში ბაღ-ვენახიანი დასახლებული და აყვავებული, დაუმორჩილებელი მეგრული სოფლებია... მათ მთებში შესვლა ძნელია. ორმოცორმოცდაათათასამდე თოფით შეიარაღებული მოსახლეობაა''. ე. ჩ-ს საყურადღებო ცნობები აქვს საქართვ., კერძოდ, სამეგრელოს სოფ. მეურნ. შესახებ: ,,ბაღ-ვენახიანი, ეკლესიებიანი, კეთილმოწყობილი ციხეები და სოფლები აქვთ. ისინი ძველი ხალხია და მათი მიწა დიდი ქვეყანაა. ბევრი ჰყავთ ცხვარი, თხა და ღორი, საუკეთესო ცხენები. პურს და ქერს ცოტას თესენ და ცოტაც მოდის. სიმინდი და ღომი ბევრი მოდის''.

ზღვისპირა აფხაზეთს ე. ჩ. ოსმალების მიერ დამორჩილებულად თვლის, მაგრამ აღნიშნავს, რომ მთაში ოსმალეთის გავლენა ვერ აღწევს: ,,ხარაჯას, ბაღ-ვენახის მოსავლის გადასახადს არ იხდიან... ურჩი და მეამბოხე ხალხია''.

აღმ. საქართველოში ე. ჩ-მ 1646–47 იმოგზაურა. ამ დროს ქართლს როსტომი მართავდა. სამფლობელოში შედარებით წესრიგი იყო დამყარებული, რის შედეგადაც ქვეყანაში გამოცოცხლდა ვაჭრობა-ხელოსნობა, დატრიალდა დღვლათი. ქალაქები, და მათ შორის თბილისიც, მისი სიტყვებით, ,,ძალიან აყვავებული და გაშენებული'' ყოფილა. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, თბილისის გალავანში ექვსასი სახლი იდგა, მარცხენა ნაპირზე, მეტეხის ციხის გალავანს შიგნით – სამასი. ქალაქს სასტუმრო და კეთილმოწყობილი აბანოები ჰქონდა სასარგებლო ცხელი წყაროებით. ვრცლად არის აღწერილი თბილისის ციხე, გალავანბურჯები, წყლით მომარაგების სისტემა.

ე. ჩ. ვაჭრობის შესახებ გვაწვდის მრავალ ცნობას, რომელთა მიხედვით სამეგრელოში როგორც ზღვით, ასევე მდ. ჭოროხითა და ხმელეთით მოდიოდნენ ოსმალო, ყირიმელი, ლაზი ვაჭრები: ,,...წელიწადში ერთხელ ყველა ქვეყნის გემებს მოაქვთ დენთი, ტყვია, თოფი, მშვილდ-ისარი, მასრა, ხმალი, ფარი, შუბი და სხვა საომარი იარაღი; ფეხსაცმელი, მაუდი, საპერანგე და სასარჩულე ქსოვილი, კერის რკინეულობა, დიდი ქვაბები, რკინის ჯაჭვები ცეცხლზე ქვაბის დასაკიდებლად, მარილი, საპონი და სხვა ასეთი საგნები'', რასაც, მისივე ცნობით, ცვლიან მშვენიერ გოგო-ბიჭებზე, ცხიმეულზე, თაფლზე, სანთელზე, მუშამბაზე, კვერნის ბეწვზე.

XVII ს-ში დას. საქართველოში ფართოდ გავრცელებული ტყვის სყიდვის თაობაზე ე. ჩ. წერს: მდ. ფაშას (ფაზისი) ,,აღმოსავლეთ ნაპირზე მთლიანად ურჩი სამეგრელოს სოფლებია. დასავლეთი ნაპირი აბაზას ჩაჩების ტომის ქვეყანაა. რადგანაც მდინარის ორივე მხარე ბუჩქნარიანი და ტყიანია, აბაზები მეგრელებს იტაცებენ, მეგრელები – აბაზებს და ვაჭრებს მიჰყიდიან ხოლმე'' ან ,,აბაზები ერთმანეთს ებრძვიან, ბავშვებსა და ქალებს იტაცებენ, ტყვეებს ჰყიდიან და ამით ცხოვრობენ''. თავის თხზულებაში ე. ჩ. ისტ. ექსკურსებსაც აკეთებს (გონიოს, თბილისის, გორის, მცხეთის, ქუთაისის, არტანუჯის, აწყურის, ქაჯის ციხეების აღწერა; ჩილდირის ვილაიეთის სანჯაყების ჩამოთვლა, თითოეულ სანჯაყში არსებული ზეამეთებით და თიმარებით; შავშეთის ქართველების ენის ნიმუშები, საქართვ. მეფეების წარმომავლობა და სხვ.). ვრცელ ცნობებს გვაწვდის ლალა მუსტაფა-ფაშას 1578 ლაშქრობაზე და ა. შ. ,,მოგზაურობის წიგნის'' სხვადასხვა ნაწილი თარგმნილია ქართ., სომხ., რუს., სერბულ., პოლ., ინგლ. ენებზე.

თხზ.: მოგზაურობის წიგნი, გ. ფუთურიძის გამოც., ნაკვ. 1 – ქართული თარგმანი, თბ., 1971; ნაკვ. 2 – გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973.

გ. ფუთურიძე.

ევლოგი, XIII ს. სასულიერო მოღვაწე, „სალოსად წოდებული და წინასწარმეცნობლობისა ღირსქმნილი''. ბასიანის ბრძოლის წინ სალოცავად ოძრხეში წასულ თამარ მეფეს თან ახლდა ქართლის კათოლიკოსი თევდორე, ეპისკოპოსებთან და მონაზვნებთან ერთად, რ-თა შორის იყვნენ იოანე შავთველი და ე. ოძრხეში ყოფნის ჟამს დღედაღამ აღესრულებოდა „ლიტანიობა და ვედრება ღმრთისა'' ბასიანში ქართველთა ლაშქრის გამარჯვებისათვის. ერთ-ერთი წირვის დროს ე. სამგზის დაეცა მიწაზე, შემდეგ ხელები აღაპყრო და დაიძახა: „აჰა, წყალობა ღმრთისა სახლსა ზედა თამარისსა მოიწია!''. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ე-მ საღვთო გამოცხადება იხილა. მან იოანე შავთველს გაანდო ხილვის საიდუმლო – ღვთის შეწევნით ქართველებმა ბასიანში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვესო, რის შემდეგაც „მყის წარვიდა ევლოგი პირისაგან მათისა და დაიმალა''.

საქართვ. მართლმადიდებელმა ეკლესიამ ღირსი ე. წმინდანად შერაცხა. მოიხსენიება წმ. იოანე შავთველთან ერთად 1(14). IV.

წყარო: ბასილი ეზოსმოძღუარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბ. – ათენი, 2003.

თ. მარგველაშვილი.

ევლოგია (ბერძნ. eulogia – კურთხევა, დალოცვა), ეკლესიაში ნაკურთხი სეფისკვერი, წყალი, ხილი და სხვ., რ-ის ნაწილი მორწმუნეებს გადაეცემა სახლში წასაღებად. უფრო ფართო მნიშვნელობით ნიშნავს ეკლესიისადმი შეწირულ ძღვენს. ტერმინი ე. პირველად ახალ აღთქმაში, პავლე მოციქულის

კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლეში გვხვდება (9. 5).

ლიტ.: Православная энциклопедия, т. 11, M., 2006. *ზ. ეკალაძე.*

ევმელოს კორინთელი (Eumēlos ho Corinthios) (დაახლ. ძვ. წ. VIII ს.), ძვ. ბერძენი ეპიკოსი პოეტი. ჩვენამდე მოაღწია მისი პოემის ,,კორიანთიაკას'' რამდენიმე მეტნაკლებად სანდო ფრაგმენტმა. პოემა გადმოგვცემს ე. ჰ-ის მშობლიური ქალაქის (ეფირის, ანუ კორინთის) ლეგენდარულ ისტორიას. ერთ-ერთ ფრაგმენტში (2c) მოცემულია სხვა ბერძნ. წყაროთაგან სრულიად განსხვავებული ცნობა – *აიეტი* და *ალოევსი* ჰელიოსს ანტიოპესგან შეეძინა. მამამ შვილებს გაუყო ქვეყანა – ალოევსს ასოპოსის მხარე ერგო, ხოლო აიეტს – ეფირა. აიეტმა თავისი სამფლობელო ვინმე ბუნოსს დაუტოვა იმ დრომდე, სანამ ვინმე აიეტის ახლობელი არ მობრუნდებოდა იქ, თავად კი კოლხეთს გაემართა. ეს ცნობა ეფირა-კორინთოსსა და კოლხეთს შორის უძველეს კავშირზე მიანიშნებს, ამასთან, იგი პირველად ახსენებს ტერმინს ,,კოლხისს'' და მას აიეტის ლეგენდარულ სამეფო აიასთან აიგივებს. თუკი ეს ფრაგმენტი მართლაც ე. ჰ-ის დროინდელია, მაშინ იგი უკვე ასახულია არგონავტების თქმულების უძველეს ვერსიებში და კოლხეთთან იდენტურობაზე უნდა მიუთითებდეს.

ლიტ.: ურუშაძე ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964; Huxley G. l., Greek epik poetry from Eumelos to Panyassis, L., 1969; Greek Epic fragments, ed. M.L. West, 2007.

რ. ბ. გორდეზიანი.

ევნონი, ენონი, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. VII ს. 40-იან წლებში, ერისმთავარ სტეფანოზ II-ის დროს, კათოლიკოს სამოელის შემდეგ.

წყარო: ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ'', წგ.: შატბერდის კრებული X საუკუნისა. ბ. გიგინეიშვილისა და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

ევნოცია (Eunotia), კაჟოვანი წყალმცენარის გვარი პრიმიტიულნაჭდევიანთა ქვერიგისა. უჯრედები ერთეულია ან შეერთებულია ლენტისებრ კოლონიებში. თავისუფლად ცხოვრობს ან მიმაგრებულია სუბსტრატზე. მტკნარი წყლის სახეობებია, გვხვდება კირით ღარიბ წყლებში, ხავსებს შორის, ნესტიან კლდეებზე; დამახასიათებელია მთის წყალსატევებისათვის.

საქართველოში ცნობილია 34 სახეობა და სახესხვაობა, რ-ებიც გვხვდება ერთეულებად – E. alpina, E. bidentula, E. bigibba, E. cristo და სხვა. *ქ. ყანჩაველი.*

ევჟენტი, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ჩეკურაანთგორის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ქართლის ქედის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1200 *მ,* თიანეთიდან 15 *კმ.* 64 მცხ. (2002).

წყაროებში ე. პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში. 1579 კახეთის მეფე ალექსანდრემ სვეტიცხოველს დაუმტკიცა ძველად შეწირული სოფ. ,,ევჟეტი''. 1865 ე. შედის თიანეთის ოლქის საყარაულოს სასოფლო თემში, სადაც 12 კომლი ცხოვრობდა. სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, დგას გვიანდ. შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყისა და ნატეხი ქვით.

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი, იხ. *ევროპა–კავკასია–აზიის სატრანსპორტო დერეფანი.*

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი, ევრაზიის სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ტელესაკომუნიკაციო დერეფნის განვითარების ხელშემწყობი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. 1993 ევროკომისიის კონფერენციის გადაწყვეტილებით საქართვ. გახდა TRACECA-ს (სატრანსპორტო დერეფანი ევროპა–კავკასია–აზიისათვის) სახელმწიფოთაშორისი პროგრამის ერთ-ერთი მონაწილე ქვეყანა. საქართვ. პრეზიდენტის 1996 წ. ბრძანებულებით შეიქმნა ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საპრობლემო ცენტრი, რ-ის ბაზაზე შემდგომ ჩამოყალიბდა **ე. ს. დ. ს. ც.** (ფუნქციონირებს 2000 წ. 1 მაისიდან). ცენტრის საქმიანობის მიზანია: სატრანსპ. დერეფნის საინვესტიციო პროექტების მომზადება და მათ განსახორციელებლად ინვესტიციების მოზიდვა, სატრანსპ. დერეფნის ტერიტორიაზე ეკონ. განვითარების ზონების დაპროექტება, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტთა მომზადება, საინვესტიციო-საკონსულტაციო და საექსპერტიზო საქმიანობა, საერთაშ. საფინანსო ორგანიზაციების მიერ სატრანსპ. დერეფნისთვის გამოყოფილი საკრედიტო რესურსების მართვა. წლების მანძილზე ცენტრი საქმიანობს უცხ. ინვესტიციების მოზიდვისა და სატრანსპორტო პროექტების მართვის სფეროში. მსოფლიო ბანკის სატრანსპორტო პროექტებია: ტრანსპ. რეფორმის (1996–2001), საქართვ. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს რესტრუქტურიზაციის (1998–2003), საავტ. გზების (2000–05), შიდასახელმწიფო და ადგილობრივი გზების (2004–11), აღმ.–დას-ის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (I–III პროექტი; 2006–13), ვაზიანი–გომბორი–თელავის გზის (2009–13), აზიის განვითარების ბანკის (ქ. ზესტაფონისა და ქ. ქუთაისის შემოვლითი გზები; 2010–14), იაპონიის განვითარების ასოციაციის (ქ. ქობულეთისა და ქ. ბათუმის შემოვლითი გზები; 2010–15) და სხვა პროექტები. ცენტრი ახორციელებს აგრეთვე იაპონიის, ჰოლანდიის, აშშ-ის მთავრობათა მიერ გამოყოფილი გრანტების ათვისების მართვას.

გ. ცაგარელი.

ევრაზიული რასა, ევროპეოიდული რასა, ერთ-ერთი პირველადი ანუ დიდი რასა. ქართველი ანთროპოლოგები მართებულად თვლიან ვიხმაროთ ტერმინი *ევროპული კონტინენტური რასა.*

ევრიპიდე (Euripidēs) (ძვ. წ. 485 ან 480, ათენი, – ძვ. წ. 406, მაკედონია), ძველი ბერძენი დრამატურგი. ავტორია დაახლ. 90-მდე დრამისა, რ-თაგან ჩვენამდე მოაღწია 17 ტრაგედიამ და ერთმა სატირულმა დრამამ. ე-ს ნაწარმოებთაგან საყურადღებოა ტრაგედია ,,მედეა'' (431), რ-იც შემდგომში *აიეტის* ასულის, მედეას, სახის მხატვრული ინტერპრეტაციის საფუძველი გახდა. ტრაგედიაში აღწერილია კორინთში დატრიალებული დრამ. ამბები: კოლხ მედეას უღალატა მეუღლემ, იასონმა, რ-მაც დატოვა ოჯახი და ცოლად შეირთო ქალაქის გამგებლის, კრეონტის, ასული კრეუზა. მედეამ სასტიკად იძია შური: ჯერ შხამით გაჟლენთილი მოსასხამი და გვირგვინი უძღვნა თავის მეტოქეს, რამაც იმსხვერპლა კრეუზა და კრეონტი, შემდეგ კი საკუთარი შვილები დახოცა. ამით მან ელადასა და იასონთან დამაკავშირებელი უკანასკნელი ძაფი გაწყვიტა. ანტ. წყაროების მიხედვით, ევრიპიდემდელი მედეა არ კლავდა შვილებს. ეს სიუჟეტური სიახლე სწორედ ბერძენმა ტრაგიკოსმა შეიტანა და ამით შექმნა ქალის ჭეშმარიტად ტრაგიკული სახე. არისტოტელეს შეხედულებით, ე-მ შექმნა დრამათა შორის ყველაზე უფრო ტრაგიკული პიესა, რ-შიც გადმოცემულია უსასტიკესი ქმედება – დედის მიერ შვილების დახოცვა.

ე-ს ნაწარმოები არ არის მხოლოდ უკიდურეს დანაშაულამდე მისული დედის ტრაგედია, ეს არის სამშობლოსა და ახლობლების მოღალატის, უცხო მხარეში მარტოობის განცდისა და დაკარგული სიყვარულის ტრაგედია; ეს არის ადამიანის დრამა, რ-იც მოხვდა საზ-ბაში, სადაც ტრად. ეთიკურ ღირებულებებს ფასი დაუკარგავს, სადაც შესაძლებელია ფიცის გატეხისა და ღალატის გამართლება. მედეას ტრაგედიაა ისიც, რომ მან გადაწყვიტა უჩვეულოდ სასტიკი შურისგებით წინ აღდგომოდა ამგვარი საზ-ბის უზნეობას.

,,მედეა'' 1962 დაიდგა თბილ. კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. აკად. თეატრში (რეჟ. ა. *ჩხარტიშვილი;* თარგმნა პ. *ბერაძემ,* გამოქვეყნდა 1969).

ლიტ.: გორდეზიანი რ., არგონავტები, თბ., 1999; მისივე, ბერძნული ლიტერატურა. ელინური ეპოქის ეპოსი, ლირიკა, დრამა, გამოც. მე-2, თბ., 2009; ურუშაძე ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964; ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1950; წერეთელი გ., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1935. *რ. ბ. გორდეზიანი.*

ევრო (ვალუტის ნიშანი – €, საბანკო კოდი – EUR), ევროზონის 17 ქვეყნის (ავსტრია, ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, კვიპროსი, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პორტუგალია, სლოვენია, სლოვაკია, ფინეთი, საფრანგეთი, ესტონეთი) ოფიციალური ვალუტა (2011 წ. 1 იანვრისთვის). ე. ასევე გამოიყენება სხვა სახელმწიფოებშიც. მას ოფიციალურად იყენებს ვატიკანი, მონაკო, სან-მარინო და სხვა ქვეყნები, არაოფიციალურად – ანდორა, კოსოვო, ჩერნოგორია და სხვ. 2006 წ. დეკემბრისათვის ნაღდ მიმოქცევაში იყო 610 მლრდ. ე. და მას მსოფლიოში ცირკულირებად ვალუტებს შორის აშშ დოლარის შემდეგ მეორე ადგილი უკავია.

ე., როგორც საანგარიშსწორებო ვალუტა, შემოღებულ იქნა 1999 წ., მიმოქცევაში გაშვებულ იქნა 2002 წ. 1 იანვარს. მან შეცვალა ევროპული სავალუტო სისტემა (ეკიუ), რ-იც გამოიყენებოდა 1979-იდან 1998-მდე.

ე. იმართება და ადმინისტრირდება ევროპული ცენტრალური ბანკის (ეცბ, მდებარეობს ქ. ფრანკფურტში) და ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემის (ცბეს) მიერ, სადაც გაერთიანებულია ევროზონის ქვეყნების ცენტრ. ბანკები. ეცბ არის დამოუკიდებელი ცენტრ. ბანკი და უფლებამოსილია განსაზღვროს ევროზონის მონეტარული პოლიტიკა. ცბეს უზრუნველყოფს ე-ს ბანკნოტების ბეჭდვას და მონეტების მოჭრას, ანაწილებს ნაღდ ფულს ევროზონის ქვეყნებს შორის.

ე. შედგება 100 ცენტისაგან (ხშირად ევროცენტსაც უწოდებენ). იბეჭდება 5-; 10-; 20-; 50-; 100-; 200-; 500-ევროიანი ბანკნოტები, ხოლო იჭრება 0,01; 0,02; 0,05; 0,10; 0,20; 0,50; 1; 2 ნომინალის მონეტები. ბანკნოტები ძირითადად იბეჭდება მოყვითალო ფერისა ლურჯ ფონზე. ნომინალების მიხედვით ბანკნოტები განსხვავებული სიდიდისა და ფერისაა. დიზაინის ვარიანტი შეირჩა გამოკითხვის წესით. მონეტები ძირითადად მზადდება სპილენძით დაფარული ფოლადისაგან. 1- და 2-ე-იანი მონეტები იჭრება სპილენძ-ნიკელის ნაღნობისაგან, რ-იც გარედან მონიკელებულია. ევროზონის თითოეულ ქვეყანას გააჩნია მონეტის საკუთარი დიზაინი. მის ერთ მხარეს გამოსახულია ნომინალი, მეორე მხარეს – 12 ვარსკვლავი და ევროზონის ქვეყნების სხვადასხვა ნახატები.

ე. შემოღებულ იქნა რეფერენდუმის წესით. შვედეთმა, დანიამ და დიდმა ბრიტანეთმა ეროვნული ვალუტის შეცვლისაგან თავი შეიკავეს. ლატვია, ლიტვა, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, ჩერნოგორია და კოსოვო უახლოეს მომავალში გეგმავენ ე-ს შემოღებას.

საქართველოში ე. თავისუფლად იცვლება ქართ. და უცხოურ ვალუტებზე. 2012 წ. 1 იანვრისათვის 2,16 ლარი იცვლებოდა ერთ ე-ზე. *ი. მესხია.*

ევროკავშირი, საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია, 1993 წ. 1 ნოემბრამდე – ევროგაერთიანება. ევროგაერთიანება დაარსდა 1957 რომის ხელშეკრულებით სამი საერთაშ. ორგანიზაციის საფუძველზე: ,,ფოლადისა და ქვანახშირის გაერთიანება'' (1952), ,,ევროპის ეკონომიკური გაერთიანება'' (1957) და ,,ატომური ენერგიის გაერთიანება'' (1958). გაერთიანების წევრები თავდაპირველად იყვნენ: ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი და საფრანგეთი. შემდეგ წლებში მათ შეუერთდნენ: ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, დანია, ესპანეთი, ირლანდია, პორტუგალია, საბერძნეთი, ფინეთი და შვედეთი. 2004 ე-ს შეუერთდა 10 ქვეყანა: სლოვენია, სლოვაკეთი, პოლონეთი, მალტა, ლიტვა, ლატვია, უნგრეთი, ესტონეთი, ჩეხეთი, კვიპროსი; 2007 – ბულგარეთი და რუმინეთი. ამჟამად ე-ში 27 წევრი სახელმწიფოა. ევროგაერთიანების მთავარი მიზანი იყო: წევრ სახელმწიფოებში ეკონ. განვითარების დაჩქარება, ცხოვრების დონის ამაღლება და დას. ევროპის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება. 1993 წ. 1 ნოემბ. ძალაში შევიდა მაასტრიხტის (ნიდერლანდი) ხელშეკრულება, რ-ითაც ევროგაერთიანებას ევროკავშირი ეწოდა. მაასტრიხტის ხელშეკრულება ითვალისწინებდა ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებას, საერთო ევროპ. მოქალაქეობის შემოღებას და სავალუტო კავშირის შექმნას ერთიანი სავალუტო ერთეულით – ევრო, რ-იც მიმოქცევაში შევიდა 2002-იდან (ევროზონის წევრები არ არიან დიდი ბრიტანეთი, დანია და შვედეთი).

1985 ხელი მოეწერა შენგენის შეთანხმებას, რ-ის საფუძველზეც ე-ის წევრ ქვეყნებს შორის გაუქმდა საზღვრები და შეიქმნა შენგენის სივრცე. შენგენის სივრცის ქვეყნებში ე-ის მოსახლეობას ან შენგენის ვიზის მქონე პირებს თავისუფლად შეუძლიათ გადაადგილება (შენგენის სივრცეში არ შედის დიდი ბრიტანეთი და ირლანდია).

ე-ის ძირითადი ორგანოებია: ევროპული საბჭო, ევროკავშირის საბჭო, ევროპარლამენტი, ევროკომისია, ევროკავშირის სასამართლო, ევროპული ცენტრალური ბანკი, აუდიტორთა ევროპული სასამართლო.

ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ე-ის წევრი, თუ ის აკმაყოფილებს ე.წ. კოპენჰაგენის კრიტერიუმებს (ქვეყანა უნდა იყოს სტაბილური, დემოკრატ. სახელმწიფო, სადაც დაცული იქნება კანონის უზენაესობა, ადამიანთა უფლებები და ეროვნ. უმცირესობების უფლებები; ქვეყანას უნდა ჰქონდეს ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა და გაუძლოს ე-ის ბაზარზე არსებულ კონკურენციას, შეეძლოს ე-ის ერთიანი პოლიტიკის ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის პრინციპების გაზიარება).

ე-მა საქართველოსთან ორმხრივი დიპლ. ურთიერთობა დაამყარა 1993 წელს.

1995 საქართველოში გაიხსნა ე-ის აღმასრ. ორგანოს – ე ვ რ ო კ ო მ ი ს ი ი ს წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა (2009-იდან ეწოდა ე ვ რ ო კ ა ვ შ ი რ ი ს წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა). ე-ის წარმომადგენლობას ხელმძღვანელობს აკრედიტებული ელჩი.

1996 წ. 22 აპრ. ლუქსემბურგში ე-მა და საქართველომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ. შეთანხმების მთავარი მიზნებია: მხარეებს შორის პოლიტ. ურთიერთობების განვითარება პოლიტ. დიალოგის გზით; დემოკრატიის გაძლიერება; საბაზრო ეკონომიკის განვითარება; მხარეებს შორის ვაჭრობისა და ინვესტირების, აგრეთვე, ჰარმონიული ეკონ. ურთიერთობების მხარდაჭერა; სამართ., ეკონ., სოც., ფინანს., სამოქალაქო, ტექნოლ. და კულტ. თანამშრომლობის განვითარება.

საქართვ.-ე-ის პოლიტ. დიალოგის ფარგლებში ფუნქციონირებს შემდეგი ინ-ტები: საქართვ.-ე-ის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი, საქართვ.-ე-ის თანამშრომლობის საბჭო, საქართვ.-ე-ის თანამშრომლობის ოთხი ქვეკომიტეტი (ვაჭრობის, ეკონ. და შესაბამის სამართ. საკითხებზე; სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებზე; ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და ტრანსპორტის საკითხებზე; განათლების, მეცნიერებისა და ინოვაციის საკითხებზე). განიხილება, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა საკითხები.

1997 წლის 1 სექტემბრიდან საქართველომ დაიწყო ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ე-ის კანონმდებლობასთან.

2004 წ. 14 ივნისს ე-ის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველო ჩაერთო ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში. 2004 შეიქმნა საქართველოს ე-თან ინტეგრაციის სამთავრობო კომისია. 2006 წ. 14 ნოემბ. მიღებულ იქნა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ეგიდით საქართველო-ე-ის სამოქმედო გეგმა, რ-იც თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი პოლიტ. და ეკონ. პრიორიტეტების განხორციელებას უწყობს ხელს.

2008 რუს.-საქართვ. ომისა და შემდგომ პერიოდში ე-მა საქართველოს მნიშვნელოვანი პოლიტ. მხარდაჭერა გაუწია. ე-ის იმჟამინდელი თავ-რე ქვეყნის, საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობით მოხერხდა საქართვ. და რუს. შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წ. 12 აგვ. ექვსპუნქტიანი შეთანხმების გაფორმება, რომელიც რუსეთის მხრიდან ჯერ კიდევ შეუსრულებელი რჩება. 2008 წ. 1 სექტ. გაიმართა ევრ. საბჭოს საგანგებო სხდომა, რ-ზეც მიღებულ იქნა საქართველოსთან თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების გადაწყვეტილება. 2008 ოქტ-იდან საქართველოში განლაგდა ე-ის მონიტორინგის მისია, რ-იც 2008 წ. 12 აგვ. ექვსპუნქტიანი სამშვიდობო შეთანხმების შესრულების სამოქალაქო მონიტორინგს ახორციელებს. ე-ის მონიტორინგის მისიის მანდატი საქართვ. მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით, თუმცა ამ ტერიტორიებზე მონიტორინგის საშუალება მისიას არ ეძლევა. მისიის ამოცანაა ხელი შეუწყოს სიტუაციის სტაბილიზაციას, ნორმალიზაციას, მხარეებს შორის ნდობის აღდგენას და ე-ის წევრი ქვეყნებისათვის არსებული მდგომარეობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას. 2008 წ. 22 ოქტ. ბრიუსელში ე-ისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გაიმართა დონორთა კონფერენცია, რ-ზეც საქართველოსთვის გამოყოფილმა დახმარებამ 2008–10 წლებში 4,5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

2009 მაისში საქართველო ჩაერთო ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის'' ინიციატივაში. ქართ. მხარისათვის ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის'' ინიციატივას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მისი მთავარი პრინციპები და პერსპექტივები, ძირითადად, ემთხვევა საქართვ. ისეთ პრიორიტეტებს, როგორიცაა ე-სა და საქართვ. შორის სავიზო რეჟიმის ეტაპობრივი ლიბერალიზაცია, თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა, საქართველო-ე-ის ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმება და სხვა.

2009 წ. 30 ნოემბ. ბრიუსელში ხელი მოეწერა ,,პარტნიორობა მობილურობისათვის'' ერთობლივ დეკლარაციას.

1992–2009 წწ. სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, საქართველოსთვის ე-ის მიერ გამოყოფილმა დახმარებამ დაახლოებით 862 მლნ. ევრო შეადგინა.

2010 მაისში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირებული წევრობის შესახებ ხელშეკრულების მოსამზადებლად მოლაპარაკებათა დაწყების თაობაზე.

2011 წ. 19 იანვარს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, სადაც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულ ტერიტორიებად არის მოხსენიებული. რეზოლუცია მოუწოდებს რუსეთს შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება.

ევროპა – კავკასია – აზიის სატრანსპორტო დერეფანი, ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის ერთიანი სისტემა, რ-იც უზრუნველყოფს ამ რეგიონის სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურსა და კულტურულ ურთიერთობათა განვითარებას.

ისტორიულად ცენტრ. და წინა აზიის ქვეყნების კავშირი ევრ. ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებთან კავკასიის, კერძოდ, საქართველოს მეშვეობითაც ხორციელდებოდა. შემდგომ, ბერძნ. კოლონიზაციის დროს (ძვ. წ. VIII–VII სს.), როცა კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროზე მათი სავაჭრო ფაქტორიები დაარსდა, სამხრ. კავკასიის გზების ხელშეწყობით გაძლიერდა დას-ისა და აღმ-ის ქვეყნებს შორის სავაჭრო კონტაქტები. ძვ. წ. IV–III სს-იდან ვაჭრობამ ფართო საერთაშ. ხასიათი მიიღო – აღმოცენდა დიდი სავაჭრო-სატრანსპ. გზა, რ-იც ინდოეთიდან იწყებოდა. ეს გზა შუა აზიიდან (ახლანდ. ცენტრ. აზია) სანაოსნო იყო, შემდეგ – სანაოსნო-სახმელეთო და მდ. ოქსოსის (ახლანდ. ამუდარია), კასპიის ზღვის, მდ. მტკვრის, სურამის უღელტეხილის, მდ. ფასისის (ახლანდ. რიონი) გავლით ქ. ფასისს (ახლანდ. ფოთი) აღწევდა. იქიდან კი, შავი ზღვით, მცირე აზიისა და ხმელეთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებსა და ქალაქებს უკავშირდებოდა.

ძვ. წ. II ს-იდან დაიწყო ინდოეთიდან მომავალი დიდი სავაჭრო გზის ხელახალი აღორძინება. ამავე საუკუნეში პოლიტ. და ეკონ. აღმავლობის გზაზე მყოფმა ჩინეთმა სავაჭრო გზები გაიკვლია ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოებისაკენ. ამავე გზით რომის, ხოლო შემდეგ ბიზანტ. იმპერიებმა თავის ქვეყნებში მაღალხარისხოვანი ჩინური აბრეშუმის შეტანა დაიწყეს. ამ მაგისტრალს *აბრეშუმის დიდი გზა* ეწოდა. შუა სა-


ევროპის კავშირი
ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (ტრასეკა)
(სქემატური რუკა)
აბრეშუმის გზა XXI საუკუნეში
რუსეთის ფედერაცია
ბელორუსი
უკრაინა
მოლდავეთი
რუმინეთი
ბულგარეთი
საბერძნეთი
თურქეთი
ყაზახეთი
ყირგიზეთი
ტაჯიკეთი
უზბეკეთი
ირანი
ერაყი
სირია
ავღანეთი
პაკისტანი
ჩინეთი
მონღოლეთი
შავი ზღვა
ხმელთაშუა ზღვა
კასპიის ზღვა
არალის ზღვა
ბალხაშის ტბა
მინსკი
სანქტ-პეტერბურგი
მოსკოვი
ნიჟნი-ნოვგოროდი
კიროვი
პერმი
ეკატერინბურგი
ომსკი
პავლოდარი
სემიპალატინსკი
უსტ-კამენოგორსკი
ასტანა
ყარაგანდა
ბალხაში
ალმა-ათა
ბიშკეკი
ჩუ
ჯალალაბადი
ანდიჯანი
ოში
ფერღანა
ხუჯანდი
ტაშკენტი
სამარყანდი
ბუხარა
ყარში
ჩარჯოუ
ნუკუსი
ურალსკი
აქტიუბინსკი
შუბარკუდუკი
შალყარი
არალსკი
ყიზილ-ორდა
გურიევი
ასტრახანი
ვოლგოგრადი
დონეცკი
ლუგანსკი
დნეპროპეტროვსკი
ზაპოროჟიე
მელიტოპოლი
სიმფეროპოლი
სევასტოპოლი
ოდესა
კიშინიოვი
ბელგოროდი
კურსკი
ვორონეჟი
სმოლენსკი
სამარა
ბრესტი
გომელი
მინსკი
კიევი
ხარკოვი
პოლტავა
ლვოვი
ტერნოპოლი
ივანო-ფრანკოვსკი
ვინიცა
ჟიტომირი
კოველი
სარნი
კროსტენი
ბერდიანსკი
მარიუპოლი
ტუაფსე
სოჭი
სოხუმი
ფოთი
ბათუმი
ქუთაისი
ზესტაფონი
ბორჯომი
თბილისი
რუსთავი
ბაქო
სუმგაითი
ნებითდაღი
თურქმენბაში
აშხაბადი
ყაზანჯიქი
ბაირამ-ალი
მარი
თეჯენი
ლენქორანი
ქრწანისი
ბანჯა
ბარდინი
სამსუნი
სინოპი
სტამბოლი
ბურსა
ანკარა
ესკიშეჰირი
სივასი
ერზურუმი
ნახიჩევანი
თავრიზი
ტატვანი
მალათია
კონია
ადანა
ისკენდერუნი
ალეპო
თეირანი
მოსული
ქალაქი
ქალაქი 500.000-ზე მეტი მცხოვრებით
პორტები
საზღვაო მარშრუტი
სარკინიგზო დერეფანი
საგზაო დერეფანი
რკინიგზა
მთავარი ქალაქი
პირობითი აღნიშვნები
სექტორი
აღწერა
1 ოდესის პორტი
2 ოდესა/ფოთი/ბათუმი
3 ფოთის პორტი
4 ბათუმის პორტი
5 ფოთი/ბათუმი/თბილისი
6 თბილისი/ერევანი
7 თბილისი/ბაქო
8 ერევანი/ბაქო
9 ბაქოს პორტი
10 აქთაუს პორტი
11 თურქმენბაშის პორტი
12 თურქმენაბაში/ჩარჯოუ
13 ჩარჯოუ/ბუხარა სამარყანდი/ტაშკენტი
14 სამარყანდი/თერმეზი დუშანბე
15 ყურღანთეფა/კულაბი (მხოლოდ რკინიგზა)
16 აქტაუ ბეინეუ/ჩუ/ალმა-ათა/ფრუნზე
17 ლუგოვაია/ბიშკეკი ბალიქჩი

უკუნეების დიდმა გეოგრ. აღმოჩენებმა აბრეშუმის გზას თავდაპირველი მნიშვნელობა და ეპოქის შესაბამისი აქტუალობა დაუკარგა. თუმცა ცალკეულ მონაკვეთებზე იგი მაინც ფუნქციონირებდა და ამ მარშრუტის ქვეყნების ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

XX ს. დასასრულსა და III ათასწლეულის დასაწყისში ისე, როგორც ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით ორი-სამი საუკუნით ადრე (დიდი აბრეშუმის გზის ფორმირებისას), კვლავ აქტუალური გახდა აღმ-ისა და დას-ის, ევრაზიულ კავშირურთიერთობათა სრულყოფა. XX ს. დასასრულის უმნიშვნელოვანესმა ისტ. მოვლენებმა, პირველ რიგში, სსრკ-ის დაშლამ, საბჭ. რესპუბლიკების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებამ, იაპონიის, სამხრ.-აღმ. აზიისა და ჩინეთის დაჩქარებულმა ეკონ. აღმავლობამ, ცენტრ. აზიის, ყაზახეთის, სამხრ. კავკასიის ქვეყნების ეკონომიკის ევროპისა და მსოფლიო ბაზართან ინტეგრირების აუცილებლობამ, ამ ქვეყნებში დამოუკიდებელი ეკონომიკის მშენებლობის დაჩქარებამ და სხვა გარემოებებმა დღის წესრიგში დააყენა ისტ. აბრეშუმის გზის, დღეს კი Ე.–კ.–ა. ს. Დ-ის აღორძინების აუცილებლობა.

1990 ქ. ვლადივოსტოკში ჩატარებულ საერთაშ. კონფერენციაზე (,,აზია–წყნარი ოკეანის ქვეყნები: დიალოგი, მშვიდობა, თანამშრომლობა'') გამოითქვა ისტ. აბრეშუმის გზის თანამედროვე მრავალფუნქციურ სატრანსპ. დერეფნად გარდაქმნის იდეა. მისი ხორცშესხმა კი მხოლოდ სსრკ-ის დაშლის შემდეგ გახდა შესაძლებელი. აღსანიშნავია დას. ქვეყნების დიდი დაინტერესება ამ პრობლემით. 1993 ბრიუსელში ევროკავშირის ეგიდით ჩატარდა საერთაშ. კონფერენცია, რ-მაც დასაბამი მისცა ტასისის (TACIS – ტექნიკური დახმარება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებისათვის) ჩარჩოებში მეტად ფართო მასშტაბის რეგიონული ტექ. დახმარების პროგრამების ჩამოყალიბებას, რ-საც ეწოდა ტრასეკა (TRACECA – სატრანსპორტო დერეფანი ევროპა–კავკასია–აზიისათვის). თავდაპირველად ტრასეკას პროექტში რვა სახელმწიფო მონაწილეობდა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი და ყაზახეთი), შემდგომ შეუერთდნენ სხვა ქვეყნებიც (მოლდოვა, უკრაინა, მონღოლეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი). 1995–2008 ტასის-ტრასეკას ფარგლებში სამ ათეულამდე ტექ. დახმარების პროექტი განხორციელდა. ტექ. დახმარების პროექტების განხორციელებამ შესაძლებელი გახადა რიგი უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტა: ტრასეკას პროექტის წევრი სახელმწიფოების სატრანსპორტო სისტემების ინსტიტუციონალური მშენებლობა და მართვის სისტემის რეფორმა, საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის სრულყოფა და მისი ჰარმონიზაცია დასავლურ ანალოგებთან, სატრანსპ. სისტემების ტექ. მდგომარეობის შესწავლა, მათი რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის პროექტებისა და განვითარების გეგმების შემუშავება და ა.შ. ტრასეკას განხორციელებული პროექტებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისეთი საინვესტიციო პროექტები (საერთო რაოდენობა – 10, თანხა – 48 მლნ. ევრო), როგორიცაა: ამიერკავკ. რკინიგზის რეაბილიტაცია (5 მლნ. ევრო); საქართვ.-აზერბ. საზღვარზე ე. წ. წითელი ხიდის რეაბილიტაცია და იქვე ახ. ,,ტრასეკას ხიდის'' მშენებლობა (2,5 მლნ. ევრო); საბორნე გადასასვლელი ხიდების მშენებლობა ფოთისა და ილიჩოვსკის (უკრაინა) პორტებში (6,4 მლნ. ევრო); ფოთისა და ილიჩოვსკის პორტების კომპიუტერული სისტემებით უზრუნველყოფა (1,5 მლნ. ევრო); ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანა სამხრ. კავკასიის რკინიგზების სასიგნალო სისტემებისათვის (15,0 მლნ. ევრო); საკონტეინერო ტვირთების მომსახურების ხელშეწყობა ფოთის, ბაქოს, თურქმენბაშისა და ილიჩოვსკის პორტებში (5,8 მლნ. ევრო); საბორნე გადასასვლელის ბაქო–აქთაუს მოწყობა და ა. შ. აღნიშნულმა პროექტებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სატრანსპ. დერეფნის ე. წ. ,,ვიწრო ადგილების'', ,,სატრანსპორტო საცობების'' დარეგულირებასა და ახ. მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობაში. ამასთან ერთად, საფუძველი ჩაეყარა Ე.–კ.–ა. ს. Დ-ის საერთაშ. სახელშეკრულებო ბაზას. 1996 თურქმენეთის ქ. სერახსში ოთხმა ქვეყანამ – აზერბაიჯანმა, თურქმენეთმა, უზბეკეთმა და საქართველომ – ხელი მოაწერა ცნობილ ,,სერახსის ხელშეკრულებას'' (შეთანხმება საერთაშ. ტრანზიტის შესახებ და სარკინიგზო უწყებებს შორის ხელშეკრულება სარკინიგზო ტრანსპორტის კოორდინაციის შესახებ). შემდგომ მათ შეუერთდნენ სომხეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი. ეს იყო პირველი საერთაშ. ხელშეკრულება, რ-იც მიზნად ისახავდა ტრასეკას პროექტის მონაწილე ქვეყნებისათვის სატრანსპ. დერეფნის განვითარების ხელშეწყობას. მოგვიანებით, 1998 წ. სექტემბერში, ქ. ბაქოში გამართული ტრასეკას პროექტის მონაწილე სახელმწიფოების მეთაურთა სამიტის დროს 12 სახელმწიფოს მეთაურმა ხელი მოაწერა მრავალმხრივ ხელშეკრულებას ,,ევროპა–კავკასია–აზიის სატრანსპორტო დერეფანში საერთაშორისო ტრანსპორტის განვითარების შესახებ''. ამ ხელშეკრულებას ახლავს 4 ტექ. დანართი: სარკინიგზო ტრანსპორტის, საავტომობილო ტრანსპორტის, საერთაშ. სავაჭრო-საზღვაო ნაოსნობის, სასაზღვრო-საბაჟო პროცედურებისა და დოკუმენტების შესახებ. აღნიშნულმა ხელშეკრულებამ სატრანსპ. დერეფნის მონაწილე ქვეყნების საერთაშ. სატრანზიტო გადაზიდვების, საზღვრის გადაკვეთის გამარტივებისა და სახელმწიფოთაშორისი სატრანსპ.-ეკონ. ურთიერთობების შემდგომი სრულყოფისა და განვითარების ფართომასშტაბიანი საერთაშ. სახელშეკრულებო საფუძველი შექმნა.

Ე.–კ.–ა. ს. Დ-ის შემდგომ განვითარებას მნიშვნელოვანი იმპულსი მისცა ევროკავშირის ახ. ინიციატივამ, რითაც საფუძველი ჩაეყარა სატრანსპ. დერეფნისა და ტრასეკას პროექტის საერთაშ. ინსტიტუციონალიზაციას. ტრასეკას პროექტის საერთაშ. ტრანზიტის შესახებ ხელშეკრულებებისა და სატრანსპ. დერეფნის მონაწილე ქვეყნების სამთავრობათაშორისო გადაწყვეტილებების კოორდინაციის მიზნით ქ. ბაქოში შტაბბინა დაიდო ტრასეკას სამთავრობათაშორისო კომისიის მუდმივმოქმედმა სამდივნომ (2000 წ. აპრ.). პროექტისა და სატრანსპორტო დერეფნის საერთაშ. კოორდინაციისა და მართვის ამ ახ. ინსტიტუტმა დაიწყო პროექტის მონაწილე ქვეყნების სამთავრობო კომისიების ეროვნული სამდივნოები, რასაც სატრანსპ. დერეფნის საქმიანობის სრულყოფის, პერსპექტიული განვითარების სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ახ. ეტაპი მოჰყვა.

თბილისმა, როგორც ტრასეკას პროექტისა და საკუთრივ Ე.–კ.–ა.

ს. დ-ის ინიციატორი სახელმწიფოს დედაქალაქმა, სატრანსპ. დერეფნის, სამხრ. კავკასიის ქვეყნების ეკონომიკის ,,საყრდენი კარკასის'' მაინტეგრირებელი როლი ითამაშა, გაიზარდა მისი სადისტრიბუციო-ლოგისტიკური ფუნქცია, რ-ის მასშტაბი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მეზობელი ქვეყნების ტერიტორიასაც მოიცავს. მოეწყო რამდენიმე საერთაშ. ფორუმი პროექტის მონაწილე ქვეყნებისა და ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთა მონაწილეობით.

შთამბეჭდავია ე.–კ.–ა. ს. დ-ის თანამედროვე განვითარების ტემპები და შედეგები. 2002–08 წლებში საქართველოში დაახლოებით 40%-ით გაიზარდა რკინიგზით გადაზიდული ტვირთების მოცულობა, რაშიც სატრანზიტო ტვირთების ხვ. წილი 85%-ს აღწევდა. ასევე აღმავალია შავიზღვისპირა პორტების მიერ (ბათუმი, ფოთი, სუფსა, ყულევი) გადამუშავებული ტვირთების დინამიკა.

ბათუმსა და ფოთში 2004–08 გადაზიდული ტვირთების რაოდენობა განუხრელად გაიზარდა, მაგ., 2008 გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობამ 209,6 ათასი ერთეული შეადგინა, რაც 129,6 ათასი ერთეულით აღემატება 2004 წლის მაჩვენებელს. 2006 სუფსის ტერმინალზე გადატვირთული ნედლი ნავთობის რაოდენობამ 13,2 მლნ. *ტ* შეადგინა, რაც 2004 წლის მაჩვენებელს თითქმის 2-ჯერ აღემატება. 2004–08 დაახლოებით 1,6-ჯერ გაიზარდა აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა და გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა. მზარდი დინამიკა ახასიათებს საქართვ. ტრანსპორტის განვითარების სხვა ძირითად მახასიათებლებსაც, მაგ., 2002–08 დარგიდან შემოსული საბიუჯეტო შემოსავლები თითქმის 3-ჯერ გაიზარდა და ამ მაჩვენებლით იგი კვლავაც ინარჩუნებს ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის სახელს.

ე.-კ.-ა-ს. დ-ის შემდგომი განვითარების მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოსა და თურქეთის შემაერთებელი რკინიგზის (ბაქო–თბილისი–ყარსის) ხაზის ექსპლუატაციაში შესვლა. ამ პროექტის განხორციელებას საფუძველი დაუდო 2007 წ. თებერვალში საქართველო–აზერბაიჯანი–თურქეთის სამმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერამ. სარკინიგზო ხაზის პირველი ეტაპის ექსპლუატაციაში შესვლა ივარაუდება 2012. პირველი ეტაპის სარკინიგზო ხაზის წლიური ტვირთბრუნვა განისაზღვრება 5 მლნ. *ტ*, ხოლო სამომავლოდ იგი დამატებით 10 მლნ. *ტ* გაიზრდება. ბაქო–თბილისი–ყარსის რკინიგზის შემაერთებელი მშენებარე ხაზის საერთო სიგრძე შეადგენს 93 *კმ*, საიდანაც 25 *კმ* (ახალქალაქი – კარწახი) საქართვ. ტერიტორიაზეა. პროექტის ფარგლებში ნავარაუდევია აგრეთვე მარაბდა–ახალქალაქის 160 *კმ* სიგრძის რკინიგზის არსებული მონაკვეთის რეკონსტრუქციის სამუშაოებიც. პროექტის პირველი ეტაპის სავარაუდო ინვესტიციების მოცულობა 340 მლნ. ლარია, ხოლო მთლიანად პროექტის განხორციელებას 1 მლრდ. 300 მლნ. ლარის ინვესტიცია დასჭირდება. პროექტის განხორციელება შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად გაიზარდოს ე.–კ.–ა. ს. დ-ის ტვირთბრუნვა. მისი მნიშვნელობა ბევრად სცილდება ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საზღვრებს.

ტრასეკა, განვითარების დღევანდელ ეტაპზე, არა მხოლოდ ევროპა – კავკასია – აზიის დამაკავშირებელ მრავალფუნქციურ დერეფნად გადაიქცა, არამედ სამხრ. კავკასიისა და ცენტრ. აზიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ეკონ., სოც. და პოლიტ. განვითარების მძლავრ მამოძრავებელ ფაქტორად ჩამოყალიბდა. *გ. ცაგარელი.*

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევრობანკი (European Bank for Reconstruction and Development – EBRD), საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, შეიქმნა 1990. ბანკის აქციონერია (2010 წ. მონაცემებით) 61 ქვეყანა და ორი სამთავრობათაშორისო ინ-ტი (ევროკავშირი და ევროპის საინვესტიციო ბანკი), კერძოდ: ევროპის ყველა სახელმწიფო, აშშ, კანადა, მექსიკა, მაროკო, ეგვიპტე, ისრაელი, იაპონია, ახალი ზელანდია, ავსტრალია, სამხრეთ კორეა, მონღოლეთი, თურქეთი, საქართველო (1992-იდან), ბალტიისპირეთისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ყველა ქვეყანა. ევრობანკმა ოპერაციების წარმოება დაიწყო 1991-იდან და 2010 წლისათვის საქმიანობას ეწევა 29 ქვეყანაში. მისი შტაბბინა განთავსებულია ლონდონში.

ევრობანკის მიზანია ფინანსურად დაეხმაროს ცენტრ. და აღმ. ევროპის, აგრეთვე დსთ-ის ქვეყნებს საბაზრო ეკონ. განვითარებაში. ევრობანკი უმსხვილესი დამოუკიდებელი ინვესტორია, რ-იც, საკუთარი თანხების გამოყოფის გარდა, იზიდავს მნიშვნელოვანი მოცულობის პირდაპირ უცხ. ინვესტიციებს. ბანკი აფინანსებს როგორც ახალწამოწყებული საქმიანობის, ასევე არსებული ბიზნესის პროექტებს, თანამშრომლობს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორთან და აქვს დაფინანსების ფართო სპექტრი (სესხების გაცემა, კაპიტალის შექმნაში მონაწილეობა, ბანკებისათვის საკრედიტო ხაზების გახსნა და სხვ.).

საქართველოში, კერძოდ თბილისში, ევრობანკის წარმომადგენლობა 1997 წ. ნოემბერში გაიხსნა. 2006 წ. ოქტომბერში ევრობანკმა თბილისში კავკასიის რეგიონული ცენტრი დააფუძნა. 1994-იდან 2010-ის ჩათვლით მის მიერ საქართველოში ხელმოწერილი და განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ 1453 მლნ. ევრო შეადგინა, მ. შ. 46,5 მლნ. განკუთვნილი იყო გარდაბნის, ენგურისა და მცირე ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციისათვის, 80 მლნ. – 500 *კვ*-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის, 26,4 მლნ. – აეროპორტის რეაბილიტაციისათვის, 13,9 მლნ. – საქართველოს რკინიგზისათვის, 18,5 მლნ. – მუნიციპალური სექტორის, 101,2 მლნ. – სოფ. მეურნეობის სექტორის, 805 მლნ. – ფინანს. სექტორის, 35 მლნ. – მრეწველობის განვითარებისათვის (1 ევრო=1,34 აშშ დოლარს, 2010 წ. 31. XII) და სხვ. *ვ. ზურაბიშვილი.*

ევროპის საბჭო, რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაცია. დაარსდა 1949 წ. 5 მაისს. ე. ს-ს შტაბბინა მდებარეობს სტრასბურგში (საფრანგეთი). აერთიანებს 47 წევრ-სახელმწიფოს. საბჭოს პოლიტ. მიზანია წევრ ქვეყნებში ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვა, აგრეთვე დემოკრ. ინ-ტების გაძლიერება. ე. ს-ს ძირითადი ორგანოებია: მინისტრთა კომიტეტი, საპარლამენტო ასამბლეა, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ასევე სტრასბურგში). ე. ს-ს გენ. მდივანი (ირჩევენ 5 წ. ვადით) ხელმძ-

ღვანელობს სამდივნოს და კოორდინაციას უწევს ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობას. ე. ს-ს აფინანსებენ წევრი ქვეყნები მოსახლეობის რაოდენობისა და ქვეყნის ბიუჯეტის შესაბამისად.

საქართველო ე. ს-ს სრულუფლებიანი წევრი გახდა 1999 წ. 27 აპრილს. ე. ს-ს მინისტრთა კომიტეტში საქართველოს წარმოადგენს ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი. საბჭოში იმყოფება აგრეთვე საქართვ. მუდმივი წარმომადგენელი. საპარლამენტო ასამბლეასა და ადგილ. და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესში საქართველოს დელეგაცია წარმოდგენილია 5 მუდმივი წევრითა და ამავე რაოდენობის შემცვლელით. ე. ს. პერმანენტულ დახმარებას და მონიტორინგს უწევს საქართველოს გაწევრიანებისას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

2001 წ. 20 აპრ. საქართველოში დაფუძნდა ე. ს-ს საინფორმაციო ბიურო, რ-ის მთავარი ამოცანაა მისი საქმიანობის, მიზნებისა და მიღწევების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ე. ს-ს პროგრამებისა და პროექტებისათვის ხელშეწყობა, საერთაშ. დონორებთან ერთობლივი საქმიანობის დასახვის მიზნით კავშირის დამყარება და სხვ.

საქართველოში იმყოფება ე. ს-ს გენ. მდივნის საგანგებო წარმომადგენელი, რ-საც ნიშნავს გენ. მდივანი.

ე. ს-ს საპარლამენტო ასამბლეამ 2008 საშემოდგომო სესიაზე მიიღო საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია – ,,საქართველო – რუსეთის ომის შედეგები''. რეზოლუცია მოუწოდებს ე. ს-ს წევრ ქვეყნებს თავი შეიკავონ საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის – დამოუკიდებლობის აღიარებისაგან; განხორციელდეს გაძლიერებული მონიტორინგი რუსეთზე და საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების, აგრეთვე 2008 წ. 12 აგვ. ,,სარკოზი-მედვედევის'' შეთანხმების შესრულებაზე. რეზოლუცია გმობს რუსეთის აგრესიას და ეთნიკური წმენდის ფაქტებს; გმობს რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას და მოუწოდებს რუსეთს გააუქმოს აღნიშნული გადაწყვეტილება.

2009 ზამთრის სესიაზე საპარლამენტო ასამბლეამ განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეასრულეს საქართველომ და რუსეთმა ასამბლეის მიერ 2008 რეზოლუციით გათვალისწინებული რეკომენდაციები და მოთხოვნები. სხდომაზე მიიღეს 2 რეზოლუცია და 1 რეკომენდაცია.

ე. ს-ს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციები და რეკომენდაციები მიიღო აგრეთვე 2009 წ. 28 სექტ. და 2010 წ. 23 აპრ. სესიებზე.

ევროპის სახლი, დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი. დაფუძნებულია საქართვ. სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე 2009 წ. 27 ივლისს. ე. ს-ის დამფუძნებლები არიან: ა(ა)იპ ,,საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი'' (უფლებამოსილი პირები: – ა. რონდელი, ნ. ყანჩელი). ე. ს. თავის საქმიანობას ახორციელებს საქართვ. კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსის, საქართვ. სხვა ნორმატიული აქტებისა და საკუთარი წესდების შესაბამისად. ე. ს-ის მმართველი ორგანოა ადმინისტრაციული საბჭო. საბჭოში შედის არანაკლებ 2 და არაუმეტეს 4 წევრი; საბჭოში თანამდებობრივად შედის აგრეთვე აღმასრულებელი დირექტორი. ე. ს-ს გააჩნია ანგარიში საქართვ. საბანკო დაწესებულებაში (როგორც სალარო, ასევე სავალუტო).

ე. ს-ის მიზანია: საქართველოში ევრ. ღირებულებებისა და კულტურის გავრცელება, ევრ. ინსტიტუციების პოპულარიზაცია, ევროპაში საქართველოს ინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობა. დასახული მიზნების მისაღწევად ე. ს. ხელს უწყობს საქართველოსა და ევროპაში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობას; აარსებს ევრ. შესახებ საინფორმაციო ცენტრს, რ-იც ეწევა საქართვ. მოსახლეობის ინფორმირებას ევრ. ინსტიტუციებისა და მათი საქმიანობის შესახებ; აარსებს ევრ. ენების შემსწავლელ სერტიფიცირებულ კურსებს. აწყობს გამოფენებს, სემინარებს და თემატურ შეხვედრებს ევრ. კულტურისა და ღირებულებების საკითხებზე; გამოსცემს პერიოდულ და თემატურ გამოცემებს ევრ. ისტორიის, კულტ. მემკვიდრეობის, თანამედროვეობისა და ინსტიტუციების შესახებ; მართავს თემატურ საჯარო განხილვებს საქართველო-ევრ. ურთიერთობების შესახებ; ხელს უწყობს საქართველოში არსებული არასამთავრობო სექტორის აქტ. კავშირს ევროპაში არსებულ პარტნიორებთან; მონაწილეობას იღებს ევროკავშირისა და ინდივიდუალური ევრ. სახელმწიფოების მიერ საქართველოში განხორციელებულ პროგრამებში; დახმარებას უწევს ევროპელ მეცნიერ-მკვლევრებს, საზ. მოღვაწეებს, ხელოვანებს; ასევე ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, ხელს უწყობს ევრ. ინსტიტუციებისა და ევრ. სახელმწიფოების წარმომადგენლობების საქმიანობას საქართველოში; ორგანიზებას უწევს და ასრულებს ნებისმიერ კანონიერ მოქმედებას, რაც უკავშირდება ე. ს-ის მიზნების განხორციელებას.

ნ. ყანჩელი.

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია, რ-იც ევროპის, აზიისა და ამერიკის 56 წევრსახელმწიფოს აერთიანებს. ეუთოს, რ-საც თავდაპირველად ,,ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი'' ეწოდა, საფუძველი ჩაეყარა 1975 წ. 1 აგვისტოს ჰელსინკის კონფერენციაზე. იგი ფუნქციონირებდა როგორც შეხვედრებისა და კონფერენციების ფორუმი. 1994 ბუდაპეშტის სამიტზე მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურების გადაწყვეტილებით თანამშრომლობის ფორმატი შეიცვალა და მას ეწოდა ,,ეუთო'' ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფო სარგებლობს თანაბარი უფლებებით. გადაწყვეტილებები მიიღება კონსენსუსის საფუძველზე.

1999 სტამბულის უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიიღეს ეუთოს უსაფრთხოების ქარტია.

ეუთოს საქმიანობა ხორციელდება სამი განზომილების ფარგლებში: 1. სამხედრო-პოლიტიკური, 2. ეკონომიკური და გარემოსდაცვითი, 3. ადამიანური განზომილებები.

ეუთოს ინ-ტების საქმიანობის კოორდინატორია მოქმედი თავმჯდომარე, რ-საც ირჩევენ ყოველწლიურად წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებიდან. მას დახმარებას უწევს ეუთოს გენ. მდივანი – სამდივნოს ხელმძღვანელი.

ეუთოს მნიშვნელოვანი ინსტიტუტებია: 1. საპარლამენტო ასამბლეა – შედგება ეუთოს ყველა წევრი სახელმწ. პარლამენტარებისაგან, იღებს რეზოლუციებსა და რეკომენდაციებს ეუთოს საქმიანობის შესაბამისად.

მისი მიზანია თანამშრომლობის გაღრმავება წევრი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებს შორის. ადგილსამყოფელია კოპენჰაგენი (დანია); 2. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი – მის საქმიანობას წარმოადგენს ეუთოს სივრცეში დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობა, კანონის უზენაესობის განმტკიცება, არჩევნების მონიტორინგი. შტაბბინა განთავსებულია ვარშავაში (პოლონეთი); 3. ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისი, რ-ის მიზანია მშვიდობისათვის საშიშროების შემქმნელი ეთნ. დაძაბულობის ადრეულ ეტაპზე გამოვლენა და მისი მოგვარების ძიება. მდებარეობს ჰააგაში (ნიდერლანდი); 4. ეუთოს წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხში ახორციელებს მონიტორინგს მედიის თავისუფალ განვითარებაზე წევრ ქვეყნებში; 5. სამდივნო, რ-იც უზრუნველყოფს ორგანიზაციის სამუშაო პროცესს გენ. მდივნის ხელმძღვანელობით. ოფისი განთავსებულია ვენაში (ავსტრია).

ეუთოს წევრი ქვეყნების შეხვედრები ხორციელდება გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოებში შემდეგი ფორმატით: 1. სამიტი – სახელმწიფოებისა და მთავრობის მეთაურთა პერიოდული შეხვედრა, რ-იც სახავს პრიორიტეტებს უმაღლეს პოლიტ. დონეზე; 2. მინისტერიალი – საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა იმ წლებში, როცა სამიტები არ ტარდება; 3. მუდმივი საბჭო – შედგება მონაწილე ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლებისგან. მუშაობს ვენაში (ავსტრია); 4. უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის ფორუმი – განსაზღვრავს ეუთოს უსაფრთხოების სამხედრო ასპექტებს; 5. ეკონომიკისა და განვითარების ფორუმი – ეუთოს წევრი ქვეყნების მაღალი დონის წარმომადგენლები იკრიბებიან წელიწადში ერთხელ პრაღაში (ჩეხეთი) ეკონ. და გარემოს საკითხების განსახილველად. ეუთოს აქვს აგრეთვე შერიგებისა და არბიტრაჟის სასამართლო ჟენევაში (შვეიცარია).

საქართველო ეუთოს წევრი ქვეყანა გახდა 1992 წ. 24 მარტს. იმავე წლის დეკემბერში საქართველოში გაიხსნა ეუთოს წარმომადგენლობა, რ-იც აქტიურ დახმარებას უწევდა საქართველოს კონფლიქტების მოგვარების, ქვეყნის დემოკრატიზაციის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების საკითხებში. საქართველომ ეუთოს მისიის მანდატი მიიღო 1992 წ. 13 დეკ. მისიის ძირითადი ღონისძიებები ეუთოს სამივე განზომილების ფარგლებში ხორციელდებოდა.

ეუთოს მისია აქტიურად იყო ჩართული საქართვ. ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესში და მხარს უჭერდა მოლაპარაკებებს მხარეებს შორის (ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში – 1992-იდან და გაეროს მიერ წარმართულ სამშვიდობო პროცესს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში – 1993-იდან).

2008 რუს. მიერ საქართველოზე განხორციელებული აგრესიის შემდეგ, ეუთომ აქტიურად იმუშავა იმისათვის, რომ შეემცირებინა მხარეებს შორის არსებული დაძაბულობა და შეექმნა პირობები შემდგომი პოლიტ. დიალოგისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისათვის; როგორც თანათავმჯდომარე მხარე, აქტიურად ჩაერთო ევროკავშირთან და გაეროსთან ერთად ჟენევის მოლაპარაკებების პროცესში (დაიწყო 2008 ოქტ.). ეუთოს მისიამ საქართველოში დონორი სახელმწიფოების მეშვეობით დააფინანსა პროგრამა შეიარაღების ვადაგასული მასალების განადგურებისათვის, ასევე საშიში ქიმიური ნივთიერებების განეიტრალებისათვის, რ-ებიც საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზებმა დატოვეს. მისიის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ანტიტერორისტულ ღონისძიებებს.

ეუთოს მისია საქართველოში აქტიურად მუშაობდა საზღვრის დაცვის საკითხებზე. მხარს უჭერდა უწყებათა შორის კოორდინაციას და ამ სფეროში საერთაშ. თანამშრომლობას. მესაზღვრეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პერიოდულად ტარდებოდა სემინარები.

1999-იდან 2005-მდე ეუთოს მისია მონიტორინგს უწევდა საქართვ.-რუს. სახელმწ. საზღვრის ჩაჩნეთის, ინგუშეთისა და დაღესტნის მონაკვეთს. საზღვრის მონიტორინგის ოპერაცია 2004 წ. 31 დეკ. რუს. მხარის მოთხოვნით შეწყდა.

ეკონ. და გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით ეუთოს მისია საქართველოში რეგულარულად ახორციელებდა მონიტორინგს ეკონომიკის, ენერგეტიკისა და გარემოსდაცვით სექტორებში. მისიის დახმარებით საქართველოში განხორციელდა მრავალი ეკონომიკური პროექტი და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. კერძოდ, აღადგინეს კონფლიქტის რეგიონში არსებული რამდენიმე სკოლა, მოაწყვეს ახ. წყალგაყვანილობის სისტემა.

ეუთოს მისია დახმარებას უწევდა საქართველოს მთავრობას ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიის განვითარებაში.

დემოკრატიული ინ-ტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი საქართველოში (ეუთოს მისიის ფარგლებში) 2006-იდან ეწეოდა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგს, მჭიდროდ თანამშრომლობდა საქართვ. ცენტრ. საარჩევნო კომისიასთან; ეუთოს დემოკრ. ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა ეროვნ. უმცირესობათა უმაღლეს კომისართან ერთად 2008 აგვისტოში განხორციელებული რუს. აგრესიის საფუძველზე იმავე წლის 27 ნოემბ. გამოაქვეყნა ანგარიში, რ-იც ასახავს საქართველოში არსებულ მდგომარეობას რუს.-საქართვ. ომის შემდეგ. ანგარიშში შემუშავებულია არსებული ვითარების დასარეგულირებელი გარკვეული რეკომენდაციები, რებიც რუსეთის ფედერაციის მხრიდან ჯერ კიდევ შეუსრულებელი რჩება.

საქართველოში ეუთოს მისიის მანდატი დასრულდა 2008 წ. 31 დეკ., როდესაც ეუთოს მუდმივმა საბჭომ ვერ მიაღწია კონსენსუსს მანდატის გაგრძელების თაობაზე. 2009 იანვრიდან ეუთოს ძალისხმევით კვლავ მიმდინარეობდა პროექტების აქტ. განხილვა და ტარდებოდა მრავალმხრივი კონსულტაციები აღნიშნული მისიის მანდატის გასაგრძელებლად. თუმცა 2009 წლის 13 მაისს რუსეთმა ეუთოს მიერ შემოთავაზებული პროექტი დაბლოკა და იმავე წლის ივნისიდან ეუთოს მისიამ საქართველოში შეწყვიტა მოქმედება 2008 ბოლოს საკუთარი მანდატის ამოწურვასთან დაკავშირებით.

ევროპული კონტინენტური რასა, ევრაზიული ანუ ევროპეოიდული რასა, გავრცელებულია ევროპის, ჩრდ. აფრიკის, წინა და ცენტრ. აზიისა და

ჩრდ. ინდოეთის მოსახლეობაში. დამახასიათებელია ღია ან ზომიერად მუქი კანის ფერი, სწორი ან ტალღისებრი რბილი თმა, ძლიერ განვითარებული თმის საფარველი, ვიწრო და მკვეთრად გამოხატული ცხვირი მაღალი უნაგირით, მკვეთრად პროფილირებული სახე, სწორი და ზომიერი სისქის ტუჩები, დახვეწილი ყვრიმალები და სხვ. Ე. ჰ. რ. იყოფა ორ შტოდ: ჩრდ. ევროპულ ანუ ბალტიურ და სამხრ. ევროპულ ანუ ინდო-ხმელთაშუაზღვისპირულ მეორეულ (ანუ მცირე) რასებად. საქართველოს თანამედროვე მოსახლეობა ძირითადად ეკუთვნის მეორე შტოს წინააზიურ განშტოებას. ქართვ. ანთროპოლოგების მიერ შემოთავაზებულია სამხრ. ევრ. (და საერთოდ ევრ. კონტინენტური) რასის გენეზისის ორიგინ. კონცეფცია, რაც ითვალისწინებს კავკასიისა და მისი მიმდებარე სამხრ. რეგიონების ალიარებას რასოგენეზურ არეალად.

ლიტ.: Абдушелишвили М. Г., Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964; Рогинский Я. Я., Левин М. Г., Антропология, М., 1978; Abdushelishvili M. G., The formation and the overspreading of the European („Caucasian“) race. Main subdivisions in the light of the recent anthropological data from the Caucasus, Middle Asia, Afghanistan and India. – V Congresso da Sociedade Europeia de Anthropologia, vol. 1, Lisboa, 1988.

მ. აბდუშელიშვილი.

ევროპული მონეტების განძი, პოლონური პოლტორაკებისა და ბრანდენბურგულ-პრუსიული დრაიპოლკერების განძი. აღმოჩენილია თბილისში, ყოფ. ტრამვაი-ტროლეიბუსის პარკის (დიდუბის რ-ნი) ტერიტორიაზე. პოლონური მონეტები (19 ც.) სიგიზმუნდ III-ის პერიოდს (1587–1632) ეკუთვნის და ყველა მოჭრილია ბიდგოშჩის ზარაფხანაში. 3 ც. მიეკუთვნება მარკგრაფ გეორგ ვილჰელმს (1619–40) და მოჭრილია კროსნის ზარაფხანაში. მონეტები დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში. *გ. დუნდუა.*

ევროპული წაულა (Mustela lutreola), მტაცებელი ძუძუმწოვარი კვერნისებრთა ოჯახისა. გავრცელებულია ევროპაში, დას. კავკასიაში, ურალის ქედის აღმ. კალთებზე, აღწევს მდ. ირტიშამდე.

საქართველოში მცირე რაოდენობით გვხვდება აფხაზეთში – ბზიფის ხეობაში, სოფ. ფსხუსთან. ბინადრობს ტყით, ბუჩქნარით ან მაღალი ბალახით დაფარული მდინარეებისა და დიდი გამდინარე წყალსატევების სანაპიროებზე. ბუნაგს იკეთებს სორში, რ-ის ერთი გასასვლელი დაკავშირებულია წყალთან, მეორე – მიწის ზედაპირთან. სხეული ვიწროა, წაგრძელებული და მოქნილი, სიგრძე 28–43 *სმ*-მდეა, კუდი – 12–19 *სმ*, მასა – 660–900 *გ*. ყურები მცირე ზომისაა, ფეხები – მოკლე, თითებს შორის გაჭიმულია საცურაო აპკი. ნახევრად წყლის ცხოველია, კარგად ცურავს და ყვინთავს. აქტიურია ღამით და შებინდებისას. სქესობრივად მწიფდება 1 წლის ასაკში, მძუნაობს აპრ.-მაისში, მაკეობს 45 *დღ-ღ*, შობს 2–7 უსუსურ ნაშიერს. იკვებება თევზით, თაგვისებრი მღრღნელებით, პატარა ზომის ფრინველებით, ამფიბიებით, მწერებით, მცენარეთა ნაყოფით. აქვს მაღალი, უხეში, თხელი ბეწვი, თივთიკი რბილია, ფაფუკი, ღია წაბლისფერი, მოწითალო ელფერის. ბეწვი ძვირფასი ხარისხისაა. შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში“.

ქვესახეობებიდან საქართველოში ბინადრობს მხოლოდ *კავკასიური წაულა*. *გ. ენუქიძე.*

ევსებიუს კესარიელი (ლათ. Eusebius Caesariensis, ბერძნ. Eusebios ho Kaisareus), ევსები პამფილიელი (260 და 263 შორის – 340), რომაელი საეკლესიო მწერალი, ისტორიკოსი, პალესტინის კესარეის ეპისკოპოსი 331-იდან. მსოფლიო ისტ. პროცესის ბიბლიურ-ქრისტ. კონცეფციის ერთ-ერთი ფუძემდებელი. Ე. ჰ. ცდილობდა ანტ. მეცნიერების მიღწევათა გამოყენებას ეკლესიის ინტერესებისათვის. ერთხანს თანაუგრძნობდა არიანელობის ფუძემდებელს – არიოზს, შემდგომ განუდგა მის მოძღვრებას. Ე. ჰ-ს ეკუთვნის ,,ქრონიკა“, ,,საეკლესიო ისტორია“, მასვე მიაწერენ პანეგირიკულ ,,ნეტარი იმპერატორის კონსტანტინეს ცხოვრებას“. Ე. ჰ-ის ძირითადი შრომა ,,საეკლესიო ისტორია“ ძველთაგანვე ყოფილა თარგმნილი ქართულად, რაც ჩანს გაიორგი ჭყონდიდელისადმი ექვთიმე ათონელის პასუხიდან, რ-შიც ეს წიგნი ეკლესიისთვის მიუღებელ თხზულებად არის მიჩნეული (,,იგი ქართულად უთარგმნია... კარგიცა მრავალი სწერია, გარნა ღუარძლიცა მრავალი ჩაურთავს და მით უკმარ არს“). ალბათ, ამის გამო არ მოუღწევია ჩვენამდე ,,საეკლესიო ისტორიის“ სრულ თარგმანს, გვხვდება მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. ესენია: ,,წამებაჲ იაკობ მოციქულისაჲ“ (თარგმანი შესრულებულია ბერძნულიდან VIII ს-ში და მნიშვნელოვნად განსხვავდება დედნისგან), ,,ქებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ“ (კომპილაციური ნაშრომი, შესრულებული ,,საეკლესიო ისტორიის“ სხვადასხვა თავის მიხედვით, თარგმნილია VIII ს-ში სომხურიდან, მაგრამ რედაქციულად სომხ. წყაროსგანაც განსხვავდება), ,,წამებაჲ წმინდისა პროკოპისი“ (ფრაგმენტი ამოღებულია Ე. ჰ-ის შრომიდან ,,პალესტინელ მოწამეთა შესახებ“, თარგმნილია არა უგვიანეს VII ს-ში. ქართ. მწერლობაში პირველად ამ ძეგლში გვხვდება ციტატა ,,ილიადიდან“: ,,არა კეთილ არს მრავალუფლება, ერთ უფალ იყავნ და ერთ მეუფე“ (,,ილიადა“, II, 204–205). Ე. ჰ-ს აქვს ცნობები არგონავტების, მედეას, ტიბარენების, იბერების, სანიგებისა და ტრაპეზუნტის შესახებ.

თხზ.: Kirchengeschichte, 5. Aufl., B. – Lpz., 1952; Werke, Bd. 8, B., 1954; Соч., 2 изд., т. 1 – 2, СПб., 1950–58.

ლიტ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ალ. გამყრელიძის და ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1961; კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 6, თბ., 1972, გვ. 135–147; ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1973, გვ. 76–77; Wallace – Nadrill D., Eusebius of Caesarea, Westminster, 1961.

რ. მიმინოშვილი.

ევსევი [ერისკაცობაში – ალექსი ალექსანდრეს ძე ილინსკი (გ. 1879)], საქართველოს VII ეგზარქოსი 1858–77 წლებში, მანამდე კამენეც-პოდოლსკის არქიეპისკოპოსი იყო. უმაღლესი განათლება მიიღო კიევის სას. აკადემიაში, 1844 აკურთხეს ეპისკოპოსად. სხვადასხვა წყაროს ცნობით, Ე-ს მონაწილეობით 1860 დაარსდა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“; საქართვ. მთიანეთში „საზოგადოების“ სახელით შეიქმნა სას. სკოლები; მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში, დაარსდა სასწავლებელი სამღვდელო პირთა ქალიშვილებისათვის; თბილისის სას. სემინარიასთან შეიქმნა საკვირაო სკოლა. იმდროინდელი ოფიც. ვერსიით ეგზარქოსი, რ-იც „კარგა ხანს ემსახურა თავის სამწყსოს... დიდი სიყვარულით გააცილა საქართვ. სამწყსომ ტვერის ეპარქიაში გადაყვანის დროს“. სინამდვილეში რუს. ხელისუფლებისაგან დიდი უფლებებით აღჭურვილი Ე. დევნიდა ყოველგვარ თავისუფალ აზ-



ევროპული მონეტების განძი. გეორგ ვილჰელმის მონეტა. ვერცხლი. XVII ს. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.



ევროპული წაულა.

როვნებას, ლანძღვა-გინებით მოიხსენიებდა ქართვ. სამღვდელოებას და ქართვ. პედაგოგებს, ხშირად ფიზ. შეურაცხყოფასაც აყენებდა მათ, ზიზღით იყო განწყობილი ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძისადმი და ცდილობდა მის თავიდან მოშორებას. პირადი გამდიდრების მიზნით, ე-მ გაძარცვა საქართვ. ყოფილი საპატრიარქოს მიტრები, ძვირფასი ჯვრები და თავისი აგენტების მეშვეობით კოლექციონერებზე გაყიდა. ე-ს ხელშეწყობით 1869 ქუთაისის გენ.-გუბერნატორმა ლევაშოვმა გელათის მონასტრიდან გაიტანა მინანქრიანი, ოქროთი დაფერილი ვერცხლის ჩუქურთმიანი ხატი, მანვე საქართველოდან წაიღო XI ს. ოქროთი მოჭედილი დატიხრული მინანქრით დამშვენებული სახარება. ე-ს მითითებით გაიძარცვა თბილისის სიონის, მცხეთის, ალავერდის, ბოდბის, ჯუმათისა და სხვა მონასტრები. 1877 გადაიყვანეს ტვერისა და კაშინის არქიეპისკოპოსად.

ლიტ.: ბუბულაშვილი ე., ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში და მისი შედეგები (XIX ს. II ნახ.), «რელიგია», 2003, №4–5–6; მ ი ს ი ვ ე, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსები (ზოგადი დახასიათება), კრ.: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2004; ფ ე რ ა ძ ე ი., საქართველოს ეგზარქოსები, «მოგზაური», 1901, №4.

ე. ბუბულაშვილი.

ევსტათი, კათოლიკოს-პატრიარქი, დაახლ. XI ს. I ნახევარში. ზეობის წლები უცნობია, მოიხსენიება ნიკორწმინდის ხელნაწერის კათოლიკოსთა სიაში. მის სახელს მოსდევს კათოლიკოსების გიორგი III-ის, დიმიტრის და ბასილი III-ის სახელები.

ლიტ.: თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში ,,დაბრუნება'', წგ.: ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, გ. შარაძის რედ., ტ. 1, თბ., 1991; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

ევსტათი ანტიოქიელი (Eustathios ho Antiochos) (დაახლ. 280–360), საეკლესიო მოღვაწე და მწერალი. 324–330 ანტიოქიის ეპისკოპოსი. გამოდიოდა არიანელობის წინააღმდეგ. ეკუთვნის პოლემიკური თხზულებები ,,ორიგენეს წინააღმდეგ'', ,,მელქისედეკის შესახებ'', იოსებ ფლავიუსის ნაშრომის კომენტარები. ქართულად უთარგმნიათ მისი ,,ჰომილია ლაზარეს, მარიამისა და მართასათვის''. იოსებ ფლავიუსის თხზულების კომენტარში აღნიშნავს, რომ ნოეს შთამომავალთა შორის იყო ობელი, რ-ის შემდგომი მოდგმა არიან თეობელები (სხვა წყაროებით, თობელები), დღევანდელი იბერები, აგრეთვე მოსოხი, რ-ისგანაც მოდიან მესხენები, იგივე კაპადოკიელები.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ალ. გამყრელიძის და ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1961.

ნ. ლომოური.

ევსტათი თესალონიკელი (Eustathios ho Thessalonikeus) (გ. 1195), ბიზანტიელი თეოლოგი და კომენტატორი, წარმოშობით ქ. კონსტანტინოპოლიდან. თავდაპირველად იყო მირის ეპისკოპოსი ლიკიაში, 1175-იდან – თესალონიკეს მიტროპოლიტი. მას ეკუთვნის თეოლ. ტრაქტატები და წერილები. დიონისე პერიეგეტეს ეპიკური პოემის მისეული სქოლიოები შეიცავს სტეფანე ბიზანტიელისა და *არიანეს* ამჟამად დაკარგულ ფრაგმენტებს. მნიშვნელოვანია ე. თ-ის ჰომეროსის ,,ილიადისა'' და ,,ოდისეის'' კომენტარები, რებიც შეიცავს ამონარიდებს ამ თხზულებების იმ კომენტატორთა სქოლიოებიდან, რ-თა შრომებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ე. თ გვაწვდის ცნობებს კოლხეთისა და მისი დედაქალაქის სახელწოდების, არგონავტების, იასონისა და მედეას შესახებ. შრომაში ,,თესალონიკეს აღება ნორმანების მიერ 1185 წელს'' (,,De Thessalonica alatinis capta'') ქალაქის დამცველთა შორის ე. თ. განსაკუთრებით აღნიშნავს იბერებისა და ალანების გულადობას. აქვე უთითებს, რომ ქალაქის დაცვის მთავარსარდალს, დავით კომნენოსს, ,,თავზე ეხურა იბერიული ყაიდის უცხოური წითელი ქუდი'', ხოლო შემდეგ ნაწყვეტში, უცხოურ ქუდს, რ-იც იმპ. ანდრონიკეს ეხურა, უკვე ლაზურს უწოდებს.

თხზ. [წიგნში]: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 8, თბ., 1970.

ნ. მიწიშვილი.

ევსტათი მცხეთელი (გ. დაახლ. 550), ქრისტიანობისათვის წამებული სპარსელი არშაკეთის პროვინციის ქ. განძაკიდან. გაქრისტიანებამდე ერქვა გვირობანდაკი. მამამისი მოგვი იყო და მასაც მოგვად ზრდიდა, მაგრამ ე. მ. ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნისას დაეჭვდა მაზდეანური სარწმუნოების ჭეშმარიტებაში და ქრისტიანობის მხარეზე გადაიხარა. ამ გრძნობით შეპყრობილი 30 წლის ე. მ. სპარსეთის შაჰის ხოსრო ანუშირვანის (531–579) მეფობის მე-10 წელს ქართლში ჩამოვიდა და მცხეთაში დასახლდა. აქ მან შეისწავლა მეწაღეობა, დაუახლოვდა ადგილ. ქრისტიანებს და ცოლად შეირთო ქრისტიანი ქალი. ამის შემდეგ უფრო შეიყვარა ქრისტ. რჯული და მოინათლა კიდეც კათოლიკოს სამოელის ხელით, რ-მაც მას ევსტათი დაარქვა. ე. მ-მა მცხეთაში მცხოვრებ სპარსელ ხელოსნებს უარი უთხრა, მათთან ერთად მაზდეანთა მთავარ რელიგ. დღესასწაულში მონაწილეობის მიღებაზე. ამის გამო იგი დააბეზღეს მცხეთის სპარსელ ციხისთავ უსტამთან, რ-მაც ე. მ., სხვა შვიდ გაქრისტიანებულ სპარსელთან ერთად, მარზპან არვანდ გუშნასპს თბილისში გაუგზავნა დასასჯელად. ქართლის კათოლიკოსისა და მთავრების თხოვნით იმავე მარზპანმა 6 თვის შემდეგ სპარსეთში გამგზავრების წინ ე. მ. ციხიდან გაათავისუფლა. სამი წლის შემდეგ, როცა ქართლში ახ. *მარზპანი* – ვეჟან ბუზმირი მოვიდა, მცხეთელ სპარსელებს ევსტათი მასთანაც დაუსმენიათ. მარზპანი ცდილობდა ე. მ. მამაპაპეულ სარწმუნოებაზე დაებრუნებინა, მაგრამ ამაოდ. ე. მ. სიკვდილით დასაჯეს. მისი ცხოვრება აღწერილია VI ს. უცნობი ავტორის თხზულებაში *,,ევსტათი მცხეთელის მარტვილობა''*.

საქართვ. მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმ. მოწამე ე. მ. წმინდანად შერაცხა. ხსენების დღეა 29. VII (11. VIII).

წყარო: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წგ. 1, თბ., 1963.

ა. პოგვერაძე.

,,ევსტათი მცხეთელის მარტვილობა'', VI ს. შუა წლების ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ლიტერატურული ძეგლი, შეთხზული უცნობი ავტორის მიერ. ასახავს მცხეთაში მცხოვრები სპარსელი ხელოსნის, *ევსტათი მცხეთელის,* ამბავს. მან დაგმო მაზდეანობა და მიიღო ქრისტიანობა, რისთვისაც, *მარზპანის* ბრძანებით, სიკვდილით დასაჯეს. თხზულების ავტორი მოწამის თანამედროვეა, ამიტომ ძეგლში დაცული ცნობები სანდოა. ის, როგორც VI ს-იდან შემორჩენილი ერთადერთი ნარატიული ძეგლი, წარმოადგენს ძვირფას საისტ. წყაროს, რ-შიც ასახულია იმ პერიოდის ქართლის სოც.-ეკონ. და პოლიტ. ვითარება. ამ დროს აქ მეფობა გაუქმებულია, აღარ არსებობს ეროვნ. სახელმწიფო. ქვეყა-

ნას განაგებენ ირან. მოხელეები – მარზპანი (რომელიც თბილისში ზის) და მისადმი დაქვემდებარებული ციხისთავები (ცალკეული ციხე-ქალაქების გამგებლები). ამავე დროს, კვლავ ფუნქციონირებს ეროვნ. სამოხელეო სისტემაც: ქართლის პიტიახშში (საყურადღებოა, რომ აქ მოხსენიებულია ქართლის პიტიახშიი არშუშა, რ-იც, სახელის მიხედვით, აშკარად V ს. ცნობილი *არშუშა* ქართლის პიტიახშის სახლის წარმომადგენელია), ქართლის მამასახლისი და სეფეწულები (ქართლის უმაღლესი არისტოკრატია). ავტორი განსწავლული მწერალი ჩანს, კარგად იცნობს მოწამეთა აქტებს და ანტიმაზდეანურ პოლემიკურ ლიტ-რას. ძეგლის უძველესი ხელნაწერი (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინ-ტი, H-341) XI ს-ისაა. ,,Ე. მ. მ.'' პირველად გამოსცა მ. საბინინმა (,,საქართველოს სამოთხე'', 1882), გერმანულად თარგმნა ი. ჯავახიშვილმა (1901).

ტექსტ.: მარტჳლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგ. 1 – ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V–XVIII სს.), თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977.

ნ. შოშიაშვილი.

ევსუძი, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. 887–914 წლებში.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილის და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

ევტროპიუსი (Eutropius) (IV ს.), რომის იმპერატორ ვალენტის (364–378) მოხელე, ისტორიკოსი. დაწერა რომის ისტორია ქ. რომის დაარსებიდან ვალენტის მეფობის დასაწყისამდე. ძირითად მოვლენათა მოკლედ, მაგრამ საკმარისი სიზუსტით გადმოცემის გამო მისი ნაწარმოები ფართოდ გავრცელდა და ბერძნულადაც ითარგმნა. Ე-ის ნაშრომს იყენებდნენ გვიანდელი ისტორიკოსები, კერძოდ კი სოკრატე სქოლასტიკოსი (სავარაუდოდ, იბერთა გაქრისტიანების აღწერისას).

გამოც.: R ü h l R., Bibliotheca Teubneriana, Lpz., 1887. *ნ. ლომოური.*

ევტუშენკო ევგენი ალექსანდრეს ძე (დ. 18. VII. 1933, სადგური ზიმა, ირკუტსკის ოლქი), რუსი პოეტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა მ. გორკის სახ. ლიტერატურულ ინ-ტში (1951–54). ნაწარმოებებს აქვეყნებს 1949-იდან. ლექსების პირველი კრებ. ,,მომავლის მზვერავები'' გამოსცა 1952. ავტორია ლექსთა კრებულებისა: ,,ენთუზიასტთა გზატკეცილი'' (1956), ,,დაპირება'' (1957), ,,სინაზე'' (1962), ,,მოდის თეთრი თოვლი'' (1969), ,,ინტიმური ლირიკა'' (1973), ,,ფანჯარა თეთრ ხეებს გადაჰყურებს'' (2007), ,,ჩემი ფუტბოლიადა'' (1969–2009) და სხვ. Ე. უპირატესად ლირიკოსი პოეტია, თუმცა მისი შემოქმედებისათვის არც პუბლიც. ნაკადია უცხო. ეკუთვნის პოემებიც, რ-თაგან განსაკუთრებით გამოირჩევა პუბლიც. პოემა ,,ბრატსკის ჰესი'' (1965) და ,,ყაზანის უნივერსიტეტი'' (1970). მისი შემოქმედება შთაგონებულია პოეტის თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებითა და პრობლემებით, ჭარბობს სამოქალაქო მოტივი. 1982 გამოაქვეყნა ავტობიოგრაფიული ხასიათის რომანი ,,კენკროვანი ადგილები'', რ-იც საფუძვლად დაედო მისივე რეჟისორობით გადაღებულ მხატვრულ ფილმს. სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობამ გაამდიდრა მისი შემოქმედება. 1991-იდან Ე. ცხოვრობს და მოღვაწეობს აშშ-ში.


Ე. თავისი შემოქმედებით ადრიდანვე დაუკავშირდა საქართველოს და ქართვ. პოეტებს. მან რუს. ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის პოემა, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და ასევე თავისი თანამედროვე ქართვ. პოეტების ლექსები. თბილისში გამოვიდა Ე-ს საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსების კრებულები: ,,მშვილდი და ლირა'' (1959) და ,,მიწაზე მძიმე'' (1979, გამომც. ,,მერანი''). ამ უკანასკნელში შეტანილია მის მიერ თარგმნილი ქართვ. პოეტების (გ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, ა. კალანდაძე, კ. კალაძე, გ. ლეონიძე, მ. მაჭავარიანი, ა. მირცხულავა, კ. ნადირაძე, ი. ნონეშვილი, მ. ქვლივიძე, ს. ჩიქოვანი, თ. ჭილაძე, ო. ჭილაძე და სხვ.) ლექსები. Ე-ს პოეტური ნაწარმოებები თარგმნილია ქართ. ენაზე.

თხზ.: Собр. соч. в 3-х томах, М., 1983; Стихотворения и поэмы в 3-х тт. Предисл. Ч. Айтматова, М., 1987; Зеленая калитка. Стихотворения, поэмы, переводы, проза. Вступ. статья Г. Гвердцители, Тб., 1990; [წიგნებში]: სიბრძნე სიყვარულისა (საბჭოთა პოეტების ლექსები), თბ., 1963; შთაგონება (თანამედროვე ახალგაზრდა რუსი პოეტების ლექსების კრებული), თბ., 1964; გზაჭრილი. პოემა, თბ., 1976; როცა ორმოცი წლისაა კაცი, თბ., 1979; ორი ქალაქი, თბ., 1985.

ლიტ.: Л а в л и н с к и й Л., „Сороколетье – строгая пора". О лирике Евгения Евтушенко, «Дружба народов», 1971, №8.

ევფონია (ბერძნ. euphōnia, სიტყვასიტყვით – კეთილხმოვანება < eu – კეთილი + phōnē – ბგერა), პოეტიკის ნაწილი, რ-იც შეისწავლის მხატვრული ნაწარმოების ბგერით ორგანიზაციას. ბგერას (ფონემა), ბგერით განმეორებებს მხატვრულ-გამომსახველობითი ფუნქცია აქვს. Ე-ის სახეებია: ალიტერაცია, ასონანსი, ონომატოპეა. ამავე დროს, Ე., როგორც ზოგადად კეთილხმოვანება, დაკავშირებულია რიტმსა და რითმასთან. Ე. არსებითად ლექსის კუთვნილებაა. ლექსისა და პროზის განმასხვავებელ ნიშანთაგან იგი ყველაზე უფრო არსებითი და სპეციფიკურია. Ე-ის ნიმუშია ვეფხისტყაოსნის სტრიქონები: ,,კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე''. *ა. ხინთიბიძე.*

ევფრატა (VI ს.), ბიზანტიის საიმპერიო კარზე პალატის ერთერთი საჭურისი, ტომით აბაზგი. იგი ეგრისის სამეფოში, კერძოდ, აბაზგიაში (აფხაზეთში) VI ს. 30-იან წლებში სახელმწ. საქმეების მოსაგვარებლად მიავლინა იუსტინიანე I-მა. Ე-მ აკრძალა აბაზგი ბავშვების დასაჭურისება და გაყიდვა. ხელი შეუწყო კეისარ იუსტინიანეს მიერ აბაზგიაში გავრცელებული ქრისტიანობის განმტკიცებას. მისი მოღვაწეობისას აბაზგიის მთავრის ხელისუფლებას დაექვემდებარა სანიგთა სამთავრო მდ. აბასკოსიდან (მდ. მზიმთა ან ფსოუ) ჯიქებამდე.



ე. ევტუშენკო.

წყარო: პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1965.

დ. ლეთოდიანი.

ევძარისტია, იხ. *ზიარება.*

ევქსინის პონტო (ბერძნ. Pontos Euxeinos, სიტყვასიტყვით – სტუმართმოყვარე ზღვა), შავი ზღვის უძველესი სახელწოდება. ძვ. წ. VI ს-მდე ეწოდებოდა აქსინოს პონტოს (არასტუმართმოყვარე ზღვა). სახელის გადარქმევა დაკავშირებული იყო შავიზღვისპირეთის მოსახლეობასთან ბერძნების ეკონ. და კულტ. ურთიერთობის გაცხოველებასა და ბერძნ. კოლონიების დაარსებასთან. Ე. პ. იყო მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა ზღვისპირეთის ხალხებს, ბერძნ. სამყაროსა და სამხრ.-აღმ. ევროპას შორის. ქარიშხლებისა და ხშირი მეკობრეობის გამო ძვ. წ. IV ს-მდე გზა გადიოდა სანაპიროს გასწ-

ვრივ. ანტ. ხანის ბერძენი და რომაელი მწერლები და გეოგრაფები ადგენდნენ ე. წ. პერიპლუსებს, სადაც დაწვრილებით აღწერდნენ Ე. პ-ს გზების თავისებურებებს, ზღვისპირა ტერიტორიებსა და მოსახლეობას. ძვ. წ. I ს-ში ჩრდ. შავიზღვისპირეთში სკვითების მზარდი გავლენის გამო Ე. პ-ს ხშირად უწოდებდნენ სკვითების ზღვას.

ეზატი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის კავთისხევის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. კავთურის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 720 *მ,* კასპიდან 10 *კმ,* კავთისხევიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ.* 307 მცხ. (2002).

Ე. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XIV ს-ში. გიორგი სააკაძემ Ე-ის მამულები უბოძა იმერეთიდან გადმოსულ ჩივაძეებს. 1398 ალექსანდრე მეფემ Ე-ის შეწირულობა განუახლა სვეტიცხოველს. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით (XVIII ს.) Ე. კავთისხევს ეკუთვნის.

სოფელში, ჩივაანთ უბანში, დგას გვიანდელი შუა საუკუნეების ნათლისმცემლის დარბაზული ეკლესია.

ლიტ.: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., კავთურას ხეობა, თბ., 1960.

ეზდერიოს სამთავნელი, ერთერთი ასურელი მამა. იხ. *ისიდორე სამთავნელი.*

ეზეკიელი, ძველ ებრაელთა ერთერთი წინასწარმეტყველი (ძვ. წ. VI ს.). იერუსალიმის დაცემის შემდეგ (ძვ. წ. 587) ბაბილონში გადაუსახლებიათ მეფე იეჰოიახინთან ერთად. ტრად. მოსაზრება, რ-ის მიხედვითაც ძვ. აღთქმაში ,,წინასწარმეტყველება ეზეკიელისა'' მთლიანად Ე-ის თხზულება იყო, ამჟამად უარყოფილია. ,,წინასწარმეტყველება ეზეკიელისა'' ადრევეა ქართულად ნათარგმნი, შეტანილია ,,ოშკის ბიბლიაში'' (978).

გამოც.: ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, თ. ცქიტიშვილის გამოც., თბ., 1976. *მ. შანძე.*

ეზიდები (საკ. სახელწ. ე ზ დ ი), ქურთების ნაწილი, სუბეთნოსი დიდ ქურთულ ეთნიკურ ჯგუფში, რ-იც აღიარებს *ეზიდიზმს.* სხვადასხვა წყაროს თანახმად, Ე-ის რიცხვი მილიონს აღწევს. მათი ძირითადი ნაწილი ისტ. ტერიტორიაზე – სამხრ. ქურთისტანში (ერაყი) ცხოვრობს, ნაწილი კი – სამხრ.-დას. და ჩრდ. ქურთისტანში, აფრიკაში, უკრაინაში, სომხეთში, რუსეთის ფედერაციასა და დას. ევრ. ქვეყნებშიც. ლაპარაკობენ კურმანჯიზე – ქურთებში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დიალექტზე.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი Ე. ვანის ვილაიეთიდან, ბაიაზიდის სანჯაყიდან, სურმალის მაზრიდან და ყარსის ოლქიდან გადმოსახლდნენ, რაც ოსმ. იმპერიაში მუსლიმების მიერ მათმა დევნამ განაპირობა. Ე-ის ძირითადი ნაწილი 1918-იდან შემოვიდა. Ე. უმთავრესად თბილისის ძვ. უბნებში (სოლოლაკი, ვერა, ზემელი, დიდუბე, მეიდანი და ა. შ.), ასევე კახეთში, თიანეთში, ოზურგეთსა და ბათუმში დასახლდნენ.



ეზიდი ქალები. XX ს. შუა ხანა. თბილისი.

ისტ. ცნობებზე დაყრდნობით, Ე-სა და ქართველებს შორის გარკვეული ურთიერთობა შემდგარა ერეკლე II-ის დროს. მას მიწერ-მოწერა ჰქონდა ეზიდ დიდებულ ჩობან აღასთან ოსმალეთზე ერთობლივი ლაშქრობის მოწყობის თაობაზე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

საქართველოში, 2002 აღწერის მიხედვით 19200 ეზიდი ცხოვრობდა.

ლიტ.: ნ ა დ ი რ ა ძ ე ე., მსოფლიოს რელიგიები, თბ., 2005; რელიგიები საქართველოში, თბ., 2008.

ეზიდიზმი, ი ე ზ ი დ ი ზ მ ი (ქურთ. ე ზ დ ი ა ტ ი), ეზიდების ტრადიციული, ნაციონალური რელიგია. მისი წარმომავლობისა და ჩამოყალიბების შესახებ არ არსებობს მეცნიერთა ერთიანი აზრი. ცხადია ის, რომ Ე. ერთ-ერთი ძვ. აღმ. რელიგიაა, რ-იც შუამდინარეთის უძველეს კულტებთან ამჟღავნებს კავშირს. იგი საუკუნეების განმავლობაში, საკუთრივ ქურთულ სივრცეში, უძველესი ხალხ. წარმოდგენების საფუძველზე ვითარდებოდა. მიიჩნევენ, რომ Ე-ს დასრულებული სახე შეიხმა ადი იბნ მუსაფირმა (XII ს.) მისცა. სავარაუდოდ, Ე. მაზდეანობის (იხ. *ზოროასტრიზმი*) გავლენით ჩამოყალიბდა, თუმცა მათ შორის ფუნდამენტური განსხვავება არსებობს. ამავე დროს Ე-ში ასახულია იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის ელემენტები. Ე. მონოთეისტურ რელიგიად ჩამოყალიბდა – აღიარებენ ერთიან ღმერთს, თაყვანს სცემენ მთავარანგელოზს – მალაქ-ტაუსს (ანგელოზთა სიმბოლოდ ფარშევანგი ითვლება) და მზეს. იყოფიან საერო (მურიდები) და სას. (თარიყები, რუჰანი) კასტად. სას. კასტა შედგება მაღალი წოდებისა (ემირი, შეიხი, ფირი) და დაბალი წოდებისაგან (ყავალი). ცნობები მათი საზ. წყობისა და რელიგ. შესახებ გადმოცემულია მათსავე რელიგ. წიგნებში: ,,გამოცხადების წიგნი'' (,,ქითაბი'', ,,ჯილვა''), ,,შავი წიგნი'' (,,მასხავი რაში''), რ-ებიც საიდუმლო შრიფტითაა დაწერილი. Ე-ის საკულტო ნაგებობაა ლალიშის ტაძარი და იქვე დაკრძალული შეიხ ადი იბნ მუსაფირის საფლავი (ერაყის ქურთისტანი). საქართველოში Ე-ის საკულტო ნაგებობა არ არსებობს. მსახურება და რელიგ. დღესასწაულები ოჯახებში აღესრულება.

ლიტ.: ნ ა დ ი რ ა ძ ე ე., მსოფლიოს რელიგიები, თბ., 2005; რელიგიები საქართველოში, თბ., 2008.

თ. მარგველაშვილი.



მალაქ-ტაუსი. ეზიდიზმის სიმბოლო.

ეზიკაშვილი ოთარ სიმონის ძე [18 (31). XII. 1915, ქუთაისი, – 26. IX. 1994, თბილისი], ინჟინერ-მექანიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1954), პროფესორი (1955), საქართვ. მეცნიერებისა და ტექნიკის დამს. მოღვაწე (1967). დაამთავრა საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტის ენერგომექანიკის ფაკ-ტი (1939). 1939–42 მუშაობდა ქუთაისის ლითოფონის ქ-ნის მთავარი ინჟინერ-მექანიკოსის მოადგილედ, 1942–46 – თბილისის ელექტრომექანიკური ქ-ნის დირექტორად, 1946-იდან – საქართვ. პოლიტექნიკურ ინ-ტში, სადაც 1954-იდან

იყო მანქანათა ნაწილებისა და ამწევ-სატრანსპ. მანქანების კათედრის გამგე; 1990-იდან გარდაცვალებამდე – ამავე კათედრის პროფესორი. ე-ის სამეცნ. შრომები ეხება მანქანათა გაანგარიშება-დაპროექტების მეთოდების სრულყოფას. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: მანქანათა ნაწილები (სახელმძღვანელო), ნაწ. 1–2, თბ., 1975–77.

ეზო, შემოზღუდული ადგილი, სადაც განლაგებულია საცხოვრებელი, სამეურნეო და სხვა დანიშნულების ნაგებობანი. ტერმინი ,,ე.'' სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა, მაგ., ოთხთავის მიხედვით ნიშნავს მოზღუდულ ადგილს, კარის ფარდას, პორტიკს. სვანეთში ე. (ჰაზუ) ეწოდება ყორესა და სახლს შორის მოქცეულ გასასვლელს, ხოლო ხევსურეთში – სენეს, ქარიპანს, საძროხესა და საცხენეს შორის მდებარე ადგილს. ქსნის ხეობის მთიანეთში ე-ს მეტწილად ,,გარეშემო'' ეწოდებოდა. საქართვ. მთიან რ-ნებში (განსაკუთრებით აღმ-ში) მიწის სიმცირის გამო სოფლები მთის წვერზე ან ფერდობებზე მჭიდროდ იყო შეფენილი და მეკომურთა საცხოვრებელი და სამეურნ. ნაგებობანი ერთ მთლიან ვერტიკალურ კომპლექსს ქმნიდა. ასეთ სამოსახლოებში ე. უმნიშვნელო სამეურნ. ფუნქციას ასრულებდა.

დას. საქართველოს ბარში ე. 2 ნაწილად იყოფოდა: ,,თეთრი'' (ბალახ-ყვავილოვანი და ხეხილი) ე., სადაც იდგა საცხოვრებელი და სამზადი სახლი, ბეღელი, ხულა, სასიმინდე, მარანი..., და ,,შავი'' ე. აქ განთავსებული იყო გომური, ბოსელი, საქათმე და სხვ. ქართლსა და კახეთში ე-ს უმეტესად ქვის გალავანი აქვს შემოვლებული, დას. საქართველოში კი ჭარბობს ცოცხალი (მცენარეული) ღობე.

თანამედროვე სოფლის ყოფაცხოვრებასა და მეურნეობაში მომხდარი ცვლილებები სამოსახლოზეც აისახა. მნიშვნელოვნად შემცირდა სამეურნეო ნაგებობები გლეხის კარმიდამოში, სამაგიეროდ, გაიზარდა ე-ს დეკორ. ფუნქცია. განსხვავებუ-



თბილისური ეზო.

ლია ე. წ. ,,ქალაქური (თბილისური) ეზო'', რ-ის არქიტექტურულ ფორმას განსაზღვრავს განაშენიანების სიმჭიდროვე და რ-საც, სრულიად უმართებულოდ, იტალიურს უწოდებენ. თბილისური ე. თავისი ცხოვრების წესით, ეთნ. თავისებურებით, სოც. შინაარსით, გეგმარებით და სივრცითი სტრუქტურით უნიკალური მოვლენაა. იგი ქალაქის ისტ. განუყოფელი ნაწილია. ამჟამად მხოლოდ ძვ. უბნებშია შემორჩენილი.

XIX ს. სხვადასხვა მონაკვეთსა და XX ს. დასაწყისში შექმნილი ეზოიანი საცხოვრებელი სახლი ორი ტიპისაა – ე. წ. გახსნილი და დახურულეზოიანი სახლები გარკვეული ვარიაციებით, რაც დღემდე განსაზღვრავს ძველი თბილისის საცხოვრებელი კვარტალების თავისებურებას. აღნიშნული ორი ტიპის ეზოს გარკვეული მონაცვლეობითი კანონზომიერებით ქალაქურ ქსელში განლაგება თბილისის ურბანული სტრუქტურის სპეციფიკურ სივრცით აღქმას და მთელის უნიკალურ ხასიათს განაპირობებს.

ლიტ.: ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801–1917 წლები, ტ. 1–2, თბ., 1960 – 63; კახიანი კ., გლეხის კარმიდამო იმერეთში, თბ., 1964; მანია მ., ეზო როგორც ისტორიული თბილისის სივრცითი სტრუქტურის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი, «მაცნე». ისტორიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1989; ჩიტაია გ., ხევსურული სახლის ,,სენე'', «ანალები», 1947, [ტ.] 1; ცაგარეიშვილი თ., ტერმინ ,,ეზოს'' გაგების საკითხისათვის, «ძეგლის მეგობარი», 1974, №34.

კ. კახიანი. მ. მანია.

ეზოვი (ეზიანი) კარაპეტ არუთინის ძე (5. IX. 1835, მოსკოვი, – 31. V. 1905, პეტერბურგი), ფილოლოგი, ისტორიკოსი, ეროვნ.-კონსერვატიული, არსებითად, სომხური ნაციონალისტური მიმართულების მოღვაწე. დაამთავრა ქ. მოსკოვის აღმოსავლური ენების ინ-ტი, შემდეგ პეტერბურგის უნ-ტის აღმოსავლური ენების განყ-ბა. მთავარი ნაშრომი, რითაც ის შედარებით ფართო საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი, არის მსხვილფორმატიანი წიგნი „Сношения Петра Великого с армянским народом''. წიგნი საარქივო დოკუმენტთა კრებულია, რ-იც 300-ზე მეტ ისტ. საბუთს შეიცავს. მას დართული აქვს ვრცელი ნარკვევი, სადაც რუსეთთან ურთიერთობის ჭრილში ქართ.-სომხ. ურთიერთობის ზოგიერთ საკითხსაც ეხება. სხვა ნაციონალისტ სომეხ ავტორთა მსგავსად, ე-ც ცდილობს საქართვ. ისტორიაზე უარყოფითი საზ. აზრის შექმნას. ამის გამო ილია ჭავჭავაძე შენიშნავდა: „რაც კი სადმე ქართველებზე ცუდი თქმულა, ბ-ნ ეზოვს ყველა თითქოს რაღაც სიხარულით მოუკრებია და გულში გვახლის, რაც კეთილი თქმულა, ყველა ეს სანაქებოდ მიუმალავს''. ილიას განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია ე-ის მიერ საქართვ. ისტორიის საზიანოდ ფაქტების გაყალბებამ. კერძოდ, 1782 რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების დროს ერეკლე II-ის მიერ გამოთქმული წინადადების კომენტირებისას ე. ცინიკურად განმარტავდა, რომ ერეკლე უთმობდა რუსეთს იმას, რაც უფლებით ეკუთვნოდა სპარსეთს და არა თვითონ, უთმობდა უმაღლეს ხელისუფლებას, რ-იც უღონობით, ხელში ვეღარ შეემაგრებინა და ამის სანაცვლოდ ითხოვდა მეფობის შენარჩუნებას. ამხელდა რა ე-ს ფაქტების გაყალბებაში, ილია

წერდა: ,,ზღაპარს მაშინ გამოიცნობთ, როცა გაიხსენებთ ეზოვის დაფარულ აზრსა: საქართველო საქართველო კი არ არის, ძველი სომხეთიაო. ეს მაცდური და წყეული სურვილი გზას უბნევს ბ-ნ ეზოვს და სისულელეს აროშვინებს მეცნიერების სახელით''.

გ. მაისურაძე.

ეზოსმოძღვარი, მეფის სასახლის სამეურნეო-საფინანსო უწყების გამგებელი ძვ. წ. უკანასკნელი და ახ. წ. პირველი საუკუნეების საქართველოში. დამოწმებულია *არმაზის ბილინგვის* არამეულ ტექსტში, სადაც Ე. ,,ძლევამოსილად და მრავალი გამარჯვების მომპოვებლად'' იწოდება. ამ ორენოვანი წარწერის ბერძნ. ტექსტში მას შეესატყვისება ,,ე პ ი ტ რ ო პ ო ს ი'', რ-იც სახლის მმართველს (პროკურატორს) ნიშნავდა ძვ. რომში. არმაზის ბილინგვიდან ჩანს, რომ Ე-ის თანამდებობა მემკვიდრეობითი იყო. *გახუშტი ბატონიშვილი* (XVIII ს.) Ე-ს ფეოდ. პერიოდის საქართვ. სახელმწიფოებრივი წყობილების მნიშვნელოვან მოხელედ წარმოგვიდგენს. მისი სიტყვით, Ე-ის ,,ჴელისა იყო: ყოველნი საგანგაონი, მეფისა ხარჯნი და წარსაგებელნი, წესნი და რიგნი დარბაზისა, მეფის ტაბლისა და სანოვაგისა, ანუ სხუათა''. არმაზის ორენოვანი წარწერის, ვახუშტის ცნობისა და სხვა მონაცემების მიხედვით, Ე-ის სახელო აერთიანებდა სამხ., ფინანს. და სხვა ადმ. ფუნქციებს.

თამარის მეორე ისტორიკოსს მოხსენიებული ჰყავს *ბასილი ეზოსმოძღვარი.*

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, «საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე», 1941, ტ. 2, №1–2; წ ე რ ე თ ე ლ ი გ., არმაზის ბილინგვა, «ენიმკის მოამბე», 1942, ტ. 13; Ш а н и д з е А. Г., Данные греческо-пехлевийской билингвы из Армази для истории термина ეზოსმოძღუარ-ი эзоисмодзгвари в древнегрузинском, «საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე», 1941, ტ. 2, №1–2.

ი. სურგულაძე.

ეზრა, X ს. ჰიმნოგრაფი, ავტორი ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი საგალობლისა, რ-იც მიძღვნილია ექვთიმე პალესტინელისადმი. Ე-ს თხზულება მოთავსებულია მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიულ კრებულში (978–988). საგალობელი აკროსტიქულია: ,,ეზრა. ქრისტე, ადიდე საურმაგ და ძე მისი მირვან, ამენ''. მამა-შვილი საგალობლის შემკვეთნი უნდა იყვნენ. კ. კეკელიძის აზრით, Ე. უნდა იყოს გიორგი მერჩულის ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში'' მოხსენიებული ანჩის ეპისკოპოსი, თანამედროვე ბაგრატ ერისთავთერისთავისა (გ. 966).

თხზ.: დასდებელნი წმიდისა ევთჳმი მოღუაწისანი, წგ.: ჩვენი საუნჯე, [ტ.] 1, თბ., 1960.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ჯ ღ ა მ ა ი ა ლ., X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები, «მაცნე». ენისა და ლიტ. სერია, 1973, №4.

შ. ონიანი.

ეზრა ანჩელი, ანჩის ეპისკოპოსი XI ს. I ნახევარში. *ბაგრატ IV-ის* ცენტრალისტური პოლიტიკის მომხრე. ბიზანტ. აგრესიის დროს Ე. ა. და *სპა მტბევარი* სათავეში ჩაუდგნენ შავშეთ-კლარჯეთის თავდაცვის ორგანიზაციას, გაამაგრეს ეს მხარე და მტერს არ მისცეს ქვეყნის დაპყრობის საშუალება.

Ე. ა. საქართვ. სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად. მოიხსენიება 5 (18). X. კლარჯეთის უდაბნოს ღირს მამათა და დედათა (VIII–IX სს.) შორის.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლ. ფარცხალაძე.

ეზრა მთაწმიდელი, XI ს. ჰიმნოგრაფი, ათონის ივერთა მონასტრის მოღვაწე. მონასტრის ერთ-ერთი დამაარსებლის *იოანე მთაწმიდლის* სახელზე 1044–74 შეუთხზავს საგალობელი (ადრინდ. ნუსხა თარიღდება 1074-ით), რ-შიც, იოანესთან ერთად, შექებულია მისი შვილი *ექვთიმე მთაწმიდელიც.* ჰიმნოგრაფს უსარგებლია *გიორგი მთაწმიდლის* ჰაგიოგრაფიული თხზულებით ,,იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება'', საიდანაც ამოუღია ფაქტობრივი მასალა, ცალკეული ფრაზები და მხატვრული სახეები.

თხზ. იხ.: ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი აღაპებით, თბ., 1901; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946.

ლ. ჯღამაია.

ეთერაშვილი თამაზ ვასილის ძე (დ. 9. IV. 1947, ლაგოდეხი), ფიზიკოსი, ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1996), პროფესორი (2002). დაამთავრა საქართვ. პოლიტექნიკური ინ-ტის საინჟინრო-ფიზიკის ფაკ-ტი (1971). 1971–79 მუშაობდა მოსკოვის ლითონთა ფიზ. ინ-ტში. 1979-იდან არის საქართვ. ტექნიკური უნ-ტის ფიზ. კათედრის პროფესორი. კვლევის ძირითადი თემა: მყარი სხეულების ფიზიკა. Ე. მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორია. 1991 და 1999 დაჯილდოებულია გერმანიის მეცნ. აკადემიის (DAAD) პრემიით.

ეთერზეთების მრეწველობა, კვების მრეწველობის ქვედარგი, აწარმოებს ეთერზეთოვანი კულტურებისაგან (გერანის, ვარდის, ლავანდის, ევგენოლის რეჰანის, პაჩულის, დაფნის, ევკალიპტის და სხვ.) სხვადასხვა სახის ეთეროვან ზეთებს, რომლებიც ფართოდ გამოიყენება პარფიუმერია-კოსმეტიკურ, კვების, ფარმაცევტულ, ქიმიურ და მრეწველობის სხვა დარგებში.

ეთეროვანი ზეთების გამოყენების ისტორია კოსმეტიკასა და სამკურნ. პრაქტიკაში ათასწლეულებს ითვლის. ჯერ კიდევ 5 ათასი წლის წინათ კაცობრიობისათვის ცნობილი იყო ეთეროვანი ზეთების გამწმენდი, მაკონსერვირებელი, სამკურნ. და არომატული თვისებები. ეთეროვანი ზეთების გამოყენება სამკურნ. პრაქტიკაში (არომათერაპია) დამახასიათებელი იყო ყველა დიდი ცივილიზაციისათვის. მცენარეების სამკურნ. თვისებები პირველად აღმოჩენილ იქნა ჩინეთში ჩვ. წ-მდე 4500 წელს. ამასთან ამ მცენარეებიდან ეთეროვანი ზეთების მიღებისა და გამოყენების პირველობა ეკუთვნის ეგვიპტელებს. დედამიწაზე არსებობს 3 ათასამდე დასახელების ეთერზეთოვანი მცენარე. ამათგან სამრეწვ. მიზნით სხვადასხვა ქვეყნებში გამოიყენება რამდენიმე ათეული დასახელების ზეთი. ეთეროვანი ზეთების სამრეწვ. წარმოება განვითარებულია მთელ რიგ ქვეყნებში – აშშ-ში უმთავრესად მისდევენ პიტნის კულტურის გაშენებას და ყოველწლიურად ღებულობენ რამდენიმე ასეულ ტონა პიტნის ეთეროვან ზეთს, იაპონიაში პიტნის ზეთთან ერთად აწარმოებენ ქაფურის ეთეროვან ზეთს; ავსტრალიაში – ევკალიპტის ეთეროვან ზეთს; ბულგარეთი ითვლება ვარდის ზეთის მწარმოებელ უძველეს ქვეყნად; ლავანდის ზეთის წარმოებით გამოირჩევა უკრაინა; საფრანგეთში, ჩინეთსა და ალჟირში ფართოდაა გავრცელებული გერანის კულტურა ეთეროვანი ზეთის მისაღებად და ა. შ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ნატურალური ეთეროვანი ზეთების წარმოებას საკმაოდ დიდი ხნის ის-

ტორია აქვს. XVIII ს-ში ვახუშტი ბატონიშვილს აღწერილი აქვს ეთერზეთოვანი კულტურები (ვარდი, ლავანდა, ქაფურის ხე და სხვ.), რ-თა მოვლა-მოყვანას მისდევდნენ იმდროინდელ საქართველოში. რაც შეეხება უშუალოდ ეთერზეთების მრეწველობას, მას საფუძველი ჩაეყარა XIX ს. ბოლო ათწლეულში, ანუ მაშინ, როდესაც თელავის რ-ნის სოფ. ნაფარეულში 6,5 ჰა-ზე გაშენდა კაზანლიკური ვარდის პირველი პლანტაცია და აქვე პირველი ზეთსახდელი ქ-ნაც აშენდა (1897). შემდგომ წლებში დანერგილ იქნა მსხვილყვავილა ჟასმინის, პაჩულის, ვეტივერიის, ევკალიპტის, ევგენოლის რეჰანისა და სხვა ეთერზეთოვანი კულტურები.

ახლო წარსულში ეთერზეთების მრეწველობა ჩვენი ქვეყნის კვების მრეწვ. ერთ-ერთი გამორჩეული ქვედარგი იყო. ეთერზეთების მრეწველობა ძირითადად ბალახოვანი ეთერზეთოვანი კულტურებისაგან მიღებული ნატურალური ეთეროვანი ზეთების წარმოებაზე იყო სპეციალიზებული. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოში დაახლოებით 15-მდე სხვადასხვა დასახელების ნატურალური ეთეროვანი ზეთი იწარმოებოდა, მ. შ. ევგენოლის რეჰანის, გერანის, ვარდის, ჟასმინის, ევკალიპტის, დაფნის და სხვ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ეთერზეთოვანი ნედლეულის წარმოების მხრივ საქართვ. საბჭ. კავშირში მე-6 ადგილი ეკავა. მის წილად მოდიოდა კავშირში დამზადებული ეთერზეთოვანი ნედლეულის 7,5%. ამასთან ერთად ისეთი ეთერზეთოვანი კულტურები როგორიცაა: რეჰანი, ჟასმინი, პაჩული, ევკალიპტი, დაფნა და სხვა მხოლოდ საქართველოში კულტივირდებოდა. სპეციალიზებულ მეურნეობა-ქარხნებში მზადდებოდა საბჭ. კავშირში გადამუშავებული ბაზილიკის 80%-ზე მეტი, გერანის 13% და ვარდის ნედლეულის 6%.

ბალახოვანი ეთერზეთოვანი კულტურებით ყოველწლიურად დაკავებული იყო 3,0 ათ. ჰექტარამდე სახნავი მიწა. იწარმოებოდა საშუალოდ 25–30 ათ. ტ ნედლეული, რ-ის სამრეწვ. გადამუშავებიდან საშუალოდ 60–70 ტ სხვადასხვა დასახელების ეთეროვანი ზეთები მიიღებოდა. ეთერზეთების მრეწვ. ხვედრ. წილი საქართვ. კვების მრეწვ. საერთო პროდუქციაში 0,6–0,7%-ს არ აღემატებოდა.

ეთერზეთოვანი კულტურები ძირითადად შავი ზღვის სანაპირო რაიონებში (გულრიფში, ოჩამჩირე, გალი, ქობულეთი, ხელვაჩაური) იყო გაშენებული. მათ მოვლა-მოყვანას მისდევდნენ ასევე აბაშის, სენაკის, ლაგოდეხის, ყვარლის, თელავის და მარნეულის რაიონებში. იქვე იყო განთავსებული ეთერზეთოვანი ნედლეულის გადამმუშავებელი ქ-ნებიც, რ-თა ჯამური სიმძლავრე სეზონზე შეადგენდა: ვარდის გადამუშავების – 662 ტ, ჟასმინის – 25 ტ, გერანის – 24 ათ. ტ, რეჰანის – 32 ათ. ტ, ევკალიპტის – 1600 ტ.

ეთერზეთების მრეწველობა 10 მეურნეობა-ქარხნით იყო წარმოდგენილი, რ-ებიც გაერთიანებულნი იყვნენ ,,საქეთერზეთმრეწვში''. წარმოებული ეთეროვანი ზეთების უდიდესი ნაწილი საბჭ. კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებს მიეწოდებოდა.

XX ს. 90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, ეთერზეთების სპეციალიზებული მეურნეობა-ქარხნები მთლიანად განადგურდა. მიწები კერძო საკუთრებაში გადაეცა მოსახლეობას და ეთერზეთოვანი კულტურებისა და ნატურალური ეთეროვანი ზეთების წარმოება საერთოდ შეწყდა.

2000 წლიდან შეინიშნება ერთგვარი გამოცოცხლება ეთერზეთოვანი ნედლეულისა და ეთერზეთების წარმოების მიმართულებით. ქვეყანაში შექმნილია რამდენიმე შეზღუდული პასუხისმგებლობის სა-ბა (შპს): ,,*ეთერზეთი*'' (ქ. ზუგდიდი), ,,საქტუნგოეთერზეთი'' (სოფ. დამია, მარნეულის მუნიციპალიტეტი), ,,კოპალა–1898'' (სოფ. ნაფარეული, თელავის მუნიციპალიტეტი), რ-ებიც ძირითადად დაკავებული არიან დაფნის, ლავანდისა და ვარდის ზეთის წარმოებით, თუმცა მათი საწარმოო მაჩვენებლები ჯერჯერობით მოკრძალებულია.

ნ. ბალათურია. გ. ზიბზიბაძე. პ. კოლუაშვილი.

,,ეთერზეთი'' (შპს), ეთეროვანი ზეთების ქარხანა. შეიქმნა 1995 წ. 25 დეკემბერს სახელმწიფო საწარმო ,,ზუგდიდის ეთერზეთების კომბინატის'' ბაზაზე, რ-იც დაარსდა 1988 ზუგდიდის ტუნგის დამამზადებელ კანტორასთან ეთერზეთების სახდელი ქ-ნის შეერთების შედეგად. კომპანიის პროფილია ეთერზეთოვანი, კერძოდ, დაფნის, ევკალიპტის, რეჰანის და სხვ. კულტურების გადამუშავება და მათგან ეთეროვანი ზეთების წარმოება, ამჟამად იგი აწარმოებს მხოლოდ დაფნის ეთეროვან ზეთსა და მშრალი დაფნის დაწნეხილ ფოთოლს. საწარმო ერთადერთია საქართველოში და პოსტსაბჭოთა სივრცეში, რ-იც ზემოაღნიშნული პროფილით მუშაობს. ქ-ნა წარმოებისთვის იყენებს დაფნის ნედლეულს, რ-ის მომწოდებლები არიან დაფნის ფოთლის დაწნეხვა-დაფასების მცირე და საშუალო საწარმოები, ასევე მოსახლეობა დას. საქართველოს რეგიონებიდან. საწარმოს შეუძლია ყოველწლიურად გამოუშვას 10–12 ტ დაფნის ზეთი და 1000 ტ დაწნეხილი, დაფასებული მშრალი ფოთოლი. გამოშვებული პროდუქცია აკმაყოფილებს საერთაშ. სტანდარტებს და თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდება მსოფლიოში დაფნის ზეთის წარმოებით ცნობილი ქვეყნების (თურქეთი, იტალია, ყოფ. იუგოსლავია, ავსტრალია და სხვ.) ნაწარმს. აღნიშნული პროდუქცია გამოიყენება პარფიუმერია-კოსმეტიკის, კვებისა და ფარმაცევტულ მრეწველობაში, ხოლო რექტიფიკაციის შემდგომ – არომათერაპიაში. წარმოებული ეთეროვანი ზეთი მთლიანად ორიენტირებულია ექსპორტზე, რ-ის ძირითადი მომხმარებლები არიან ევროპისა და დსთ-ის ქვეყნები. ფირმის პროდუქცია წარდგენილი იყო რამდენიმე საერთაშ. გამოფენაზე, მ. შ. საფრანგეთში, ავსტრიაში, პოლონეთსა და გერმანიაში. *ი. წოწერია.*

ეთერზეთოვანი მცენარეები, მცენარეები, რომელთა ფოთოლი, ყვავილი, ფესვი და სხვა ორგანოები შეიცავენ აქროლად სურნელოვან ეთეროვან ზეთებს. იყენებენ ეთერზეთების მრეწველობაში, პარფიუმერიაში, მედიცინაში, კვების მრეწველობაში, კულინარიაში და სხვ. ე. მ. გავრცელებულია უმთავრესად ტროპ. და სუბტროპ. რ-ნებში. ეთეროვანი ზეთების შედგენილობა მეტად ცვალებადია არა მარტო სხვადასხვა სახეობის, არამედ ზოგჯერ ერთი და იმავე სახეობისა და ჯიშის სხვადასხვა ინდივიდშიც, რაც დამოკიდებულია ეკოლ. და აგროტექ. პირობებზე. ცნობილია ე. მ-ის 3000-მდე სახეობა.

ეთერზეთოვანი მცენარეები



პიტნა.



ჟასმინი.

სქართველოში უმთავრესად გავრცელებულია და წარმოებაში გამოიყენება ევკალიპტი, ციტრუსები, დაფნა, გერანი, რეჰანი, ეთერზეთოვანი ვარდი, ჟას-

ეთერზეთოვანი მცენარეები



რეჰანი.

მინი, პიტნა, ქინძი და სხვ. აღნიშნული კულტურების პლანტაციები იყო აბაშის, სენაკის, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, მარნეულის რაიონებში. *ე. ჩიქვანაია.*

„ეთერიანი“, ქართული ხალხური სამიჯნურო-რომანტიკული ეპოსი, თქმულება აბესალომისა და ეთერის ტრაგიკულ სიყვარულზე. მკვლევართა ვარაუდით, „ე-ის“ ხალხ. რედაქცია X–XI სს. პატრონყმურ საზ-ბაში ჩამოყალიბდა. თქმულების სიუჟეტი გაცილებით ძველია და ზღაპრულ ეპოსში გავრცელებულ გერ-დედინაცვლის მოტივზეა აღმოცენებული.

„ე-ის“ მთავარი გმირები სხვადასხვა სოც. ფენის წარმომადგენლები არიან (აბესალომი მეფის ძეა, ეთერი – გლეხის ქალი).

დედინაცვლისაგან დაჩაგრული ეთერი თავდავიწყებით შეიყვარა აბესალომმა. მათ ბედნიერებას წინ აღუდგა აბესალომის ყმა მურმანი, რ-საც შეუყვარდა ეთერი. მურმანმა უკურნებელი სენი შეჰყარა ქალს და აბესალომმა დათმო იგი. მეფის ძის მიერ ფიცის გატეხამ „ღვთისგან დადგმული გვირგვინი ლაფში ამოსვარა“. აბესალომმა ეთერთან ერთად დაკარგა მხნეობა. ის დაძაბუნდა როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად. ეთერი ბრუნდება აბესალომთან, მაგრამ აბესალომი კვდება. ეთერი მისივე ნაჩუქარი დანით იკლავს თავს (მათ საფლავზე ამოსული ია და ვარდი მარადიული სიყვარულის სიმბოლოა – სიცოცხლეში შეუყრელნი, სიკვდილში შეეყრებიან ერთმანეთს).

მურმანი (ვარიანტებით: მურვანი, შერედომა, შერევლო, შარამბალა, აშირალომა და სხვ.) ეთერის სიყვარულმა მეფის ძის მტრად აქცია. მან ეშმაკს მიჰყიდა სული და საწადელი აისრულა – ეთერს დაეპატრონა, თუმცა ბედნიერებას ვერ ეწია. მათი სიკვდილის შემდეგ მურმანმაც თავი მოიკლა და აბესალომისა და ეთერის საფლავებს შუა დაიმარხა. ხალხ. წარმოდგენით, მის საფლავზე, ეშმაკეული ძალის ნიშნად, ეკალი აღმოცენდა, რ-იც ია-ვარდის გადახვევას ხელს უშლის (აქედან მოდის გამოთქმა – „მურმანის ეკალი“).

მარადიული სიყვარულის განდიდებამ, სოც., ფილოს.-ესთეტ. პრობლემების დიდი მხატვრული გემოვნებით დამუშავებამ „ე-ს“ განსაკუთრებული პოპულარობა მოუპოვა. ძეგლი გავრცელებულია საქართვ. თითქმის ყველა კუთხეში. გვხვდება „ე-ის“ პროზაული, პოეტური, ყველაზე მეტად კი პროზისა და ლექსის მონაცვლეობით შედგენილი ტექსტები. პირველ გამოცემას (1875, პ. *უმიკაშვილი*) ცამეტი ვარიანტის შერწყმის საფუძველზე მიღებული ტექსტი დაედო საფუძვლად. თქმულების ყველაზე ადრინდელი ფშაური ვარიანტი გამოქვეყნდა „ივერიაში“ (1888). საქართვ. აღმ., დას. და სამხრ. რნებში ფიქსირებული ტექსტები გამოსცა მ. *ჩიქოვანმა* (1954).

„ე-ს“ სიუჟეტური ანალოგები მოეპოვება შუა საუკ. ფოლკლორსა და ლიტერატურაში („ტრისტან და იზოლდა“, „ვისრამიანი“). თქმულებამ მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია ქართ. ხელოვნების განვითარებას (ვაჟა-ფშაველას პოემა „ეთერი“, ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“, ლ. გუდიაშვილისა და მ. თოიძის მხატვრული ტილოები და სხვ.).

ტექსტი: ეთერიანი, მ. ჩიქოვანის გამოც., წგ.: ხალხური სიტყვიერება, [ტ.] 4, თბ., 1954; ეთერისა და აბესალომის ამბავი, წგ.: ხალხური სიბრძნე, ტ. 3, თბ., 1964.

ლიტ.: ბ ა რ ნ ო ვ ი ვ., თხზულებათა სრული კრებული, ტ. 10, თბ., 1964; ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, «რუსთაველის კრებული», ტფ., 1938; კ ი კ ნ ა ძ ე ზ., ქართული ხალხური ეპოსი, თბ., 2001; ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ქ., ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, თბ., 1956; ქ უ რ დ ო ვ ა ნ ი ძ ე თ., ეთერიანი, თბ., 1974; ჩ ხ ე ი ძ ე რ., მურმანის ტრაგედია. ლიტერატურულ-ფოლკლორული ცდა, თბ., 1995. *ფ. ზანდუკელი.*

ეთვალისი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჟინვალის ტერიტორიულ ორგანოში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. არაგვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1115 *მ,* დუშეთიდან 17 *კმ.* 14 მცხ. (2002). ე. მოიხსენიება ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ბაზალეთის მხარის სოფელთა სიაში.

1865 ე. შედიოდა დუშეთის უბნის არანისის სას. თემში და ცხოვრობდა 17 კომლი.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; Документы по истории Грузии, т. 1, ч. 1, Тб., 1954. *კ. გვასალია.*

ეთიკა (ბერძნ. ēthika <ēthos – 1. საცხოვრებელი ადგილი; 2. ხასიათი, ზნე, ჩვევა), ფილოსოფიური მეცნიერება ზნეობრივი ღირებულების, მისი როლის, არსებისა და კრიტერიუმების შესახებ; ამდენად, ე. შეიძლება განისაზღვროს როგორც ზნეობრივი კულტ. თეორია.

ტერმინი ე. პირველად გამოიყენა *არისტოტელემ,* მანვე შექმნა: 1. ევდემეს ეთიკა; 2. დიდი ეთიკა; 3. ნიკომაქეს ეთიკა. ეს უკანასკნელი მათგან ყველაზე ავთენტურად არის მიჩნეული. არისტოტელეს ეთიკის წინამორბედებად შეიძლება განვიხილოთ *სოფისტები* (ძვ. წ. VI–IV სს.), *სოკრატე* და *პლატონი.*

ეთიკური აზრის განვითარებაში სამი ძირითადი ეტაპი გამოიყოფა: ევდემონისტური ანუ ბედნიერების, მოვალეობისა და ღირებულებითი ე. ანტიკური და შუა საუკუნეების ე. არსებითად ევდემონისტური იყო, ე. ი. ცხოვრების უმაღლეს მიზნად კარგ ცხოვრებას, კეთილდღეობას ითვალისწინებდა. მოვალეობის ე., რ-ის კლასიკური ფორმა ი. *კანტმა* ჩამოაყალიბა, ადამიანის უმაღლეს მიზნად ზნეობრივი მოვალეობის შესრულებას მოიაზრებს (თუნდაც ბედნიერებისკენ მისწრაფების საზიანოდ). ღირებულებითი ე., რ-იც XIX ს. 60-იან წლებში დააფუძნეს გერმანელმა ფილოსოფოსებმა მ. შელერმა (1874–1928) და ნ. ჰარტმანმა (1882–1950), ადამიანის ცხოვრების უმაღლეს მიზნად ღირებულებათა რეალიზაციას მიიჩნევს.

წინააღმდეგ კანტის ფორმალური ე-ისა, მ. შელერი და ნ. ჰარტმანი ასაბუთებენ მატერ. ღირებულებითი ე-ის აუცილებლობას; მათი აზრით, ასეთი ე. წინა პლანზე წამოსწევს ერთდროულად გრძნობად-გონით აქტებს (მოწონება, დაწუნება, სიყვარული, სიძულვილი და სხვ.), რ-ებშიც ვლინდება ადამიანის ზნეობრივი არსება ანუ პიროვნება.

ეთიკური ცოდნის მრავალფეროვანი და მრავალმხრივი მთელი სისტემა პირობითად შეიძლება დაიყოს შემდეგ დარგებად: ზნეობის თეორია, ზნეობის ფსიქოლოგია, ზნეობის სოციოლოგია, ზნეობის აქსიოლოგია, ე-ის ისტორია. თითოეულ მათგანს აქვს კვლევის საკუთარი ობიექტი, პრობლემატიკა და მეთოდი.

ეთიკური პრობლემატიკით ქართ. აზროვნების დიდი დაინტერესების დამადასტურებელია ძვ. ქართ. ჰაგიოგრაფიული ლიტ-რა, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, დ. გურამიშვილის „სწავლა-მოსწავლეთა“, XIX ს. ქართვ. სამოციანელების შემოქმედება.

ქართ. ეთიკური მემკვიდრეობა მოიცავს გამოკვლევებს არსებითად ზემოთ მითითებულ თითქმის ყველა ეთიკურ დარგში. კერძოდ, ა. *ჯორჯაძის* ძირითადი სოც.-ეთი-

კური ამოცანაა შემოიტანოს პრინციპი, რ-იც ხელს შეუწყობს ერის გამთლიანებას. ამ მიზანს ემსახურება მისი ,,საერთო მოქმედების ნიადაგის'' თეორია. ეს პრინციპი ეფუძნება კლასებად და პარტიებად გათიშულ საქართველოში ყველასათვის თანაბრად მნიშვნელოვან ღირებულებას – სამშობლოს სიყვარულს. ა. ჯორჯაძე საინტერესოდ წყვეტს სიცოცხლის საზრისის პრობლემას – მიაჩნია, რომ იგი გამოიხატება ერის სასარგებლოდ გაწეული საქმიანობით.

ი. *გომართელმა* წერილების სერიაში ,,ზნეობრივი კითხვები'' (1901) განიხილა ზნეობის ბუნების, წარმოშობის, ზნეობრივი პროგრესის და სხვ. საკითხები. ცნობილი ზნეობრივი პრინციპებიდან მან ყველაზე მისაღებად მიიჩნია სარგებლიანობის პრინციპი, თუმცა უტილიტარიზმის თეორიას მთლიანობაში არ იზიარებდა. მისი აზრით, თავისთავად ზნეობა უძლურია საზ-ბის შეცვლისათვის – მისი ფუნქციონირების საფუძველია მატერ. მდგომარეობის, ეკონ. პირობების გაუმჯობესება, რაზედაც დამოკიდებულია ,,ზნეობრივად და გონებრივად უმაღლესად განვითარებული ადამიანის მომავალი''.

მ. (მიხაკო) *წერეთელი* გამოკვლევაში ,,ერი და კაცობრიობა'' (1910) ზნეობას განიხილავს ადამიანთა ნებისმიერი ერთობის აუცილებელი ელემენტის სახით. მისი აზრით, პატრიოტიზმი, როგორც ერის სიყვარული, ერის არსებობის პირველი და აუცილებელი პირობაა. იგი დიდ ყურადღებას უთმობს აგრეთვე ერის უფლებებისა და ღირსების საკითხებს.

დ. *უზნაძის* სოც.-ეთიკური შეხედულებები გადმოცემულია წერილებში: ,,ფილოსოფიური საუბარი. სიკვდილი'' და ,,ომის ფილოსოფია'' (ორივე 1914). მისი აზრით, ,,სიკვდილი სიცოცხლეში მარხია, იგი იმანენტურია და არა ტრანსცენდენტური''. არსებობის მიზანია არა ერთეულის სიცოცხლე, არამედ ,,ცხოვრების ობიექტური შინაარსის შემოქმედება'', რაც იგივე კულტ. განვითარებაა. კულტ. სუბიექტი კი არის ,,ეროვნული სული''. ზნეობრივი ცხოვრების ფსიქოლ. საფუძვლების კვლევას ეძღვნება დ. უზნაძის წერილი «განდგომილობის პრობლემა ილია ჭავჭავაძის ,,განდეგილში''» (1911).

მ. *გოგიბერიძის* სოც.-ეთიკურ შეხედულებებში (,,რუსთაველი. პეტრიწი. პრელუდიები'', 1961) პირველ რიგში მნიშვნელოვანია სამშობლოს სიყვარულის ,,ქართველური'' განცდა და ,,ქართული სახლის'' ფილოსოფიის გამოკვლევა. აღნიშნული განცდის ძირითად ნიშნებად მას მიაჩნია: ა) მიწის სიყვარული; ბ) სამკვიდროს სიყვარული; გ) მზადყოფნა მის დასაცავად.

საქართველოში ზნეობრივი მოძღვრების წარმოშობის, განვითარებისა და ცვალებადობის ისტ. საკითხები პირველად სერიოზულად ი. *ჯავახიშვილმა* გამოიკვლია. მისი ,,ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში, ქველმოქმედება და საქველმოქმედო დაწესებულებანი'' (1956) მოიცავს პერიოდს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებიდან XIII ს-მდე. ავტორი იკვლევს ქველმოქმედების ზნეობრივ საფუძვლებს, ადგენს, რომ ქართვ. ხალხის ზნეობის ძირითადი ნორმები სახარებისეულ მოძღვრებაზე იყო დაფუძნებული. მისი აზრით, სამღვდელოებას სამონასტრო წყობილების შექმნის შემდეგ საზრდოთი უზრუნველყოფდა სამწყსო და სახელმწიფო, რითაც საფუძველი ჩაეყარა ქველმოქმედებას. თუმცა ჯავახიშვილი თვლის, რომ ქართვ. საზ-ბის აზრით, ქველმოქმედების სახით ,,მხოლოდ იმ ფულის და ქველსაქმარის მიცემა შეიძლება, რომელიც ადამიანს თავისი ოფლით და სინდისიერად ნაშოვნი და შეძენილი ჰქონდა''.

ე-ის ისტ. პრობლემებს იკვლევდნენ გ. *ქიქოძე* და ს. *დანელია*. პირველი მათგანის წერილში ,,ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი'' (1910) განხილულია ანტ. ე-ის, ქრისტ. მორალის, ი. კანტის ე-ის, უტილიტარიზმის, სიცოცხლის ფილოსოფიის (კერძოდ, ფ. ნიცშეს) ზნეობრივი პრინციპები, მხილებულია მეტაფიზიკური და ევდემონისტური სისტემების მთავარი ნაკლი, კერძოდ ის, რომ ეს სისტემები ცხოვრების მიზანს ცხოვრების უარყოფაში ეძებენ.

ს. დანელია ნაშრომში ,,კანტის ეთიკის ფორმალური ხასიათი'' (1911) აკრიტიკებს თვალსაზრისს კანტის ე-ში პრაქტიკული კანონის ფორმალურობის შესახებ; ამავე დროს, არც კანტს ეთანხმება პრაქტ. კანონის აპრიორულობის მტკიცებაში. აქვე ს. დანელია ასაბუთებს, რომ ზნეობრივი ღირებულების კრიტერიუმი არის საზოგადოებრივი აზრი. მასვე ეკუთვნის ვ. ვინდელბანდისა და ჰელვეციუსის ეთიკურ შეხედულებათა მნიშვნელოვანი გამოკვლევები («Изложение теории нравственности Гельвеция», Тб., 1922).

ე-ის ისტორიაში საყურადღებო ნაშრომები შექმნეს აგრეთვე შ. *ბიწაძემ* (,,ბელინსკის ეთიკური შეხედულებანი'', თბ., 1962), გ. შუშანაშვილმა (,,კანტის ეთიკური ფორმალიზმის მარქსისტული კრიტიკისათვის'', თბ., 1974), ა. პოპიაშვილმა (,,ფიხტეს ეთიკური იდეალიზმის მარქსისტული შეფასებისათვის'', 1976), ზ. ფირალიშვილმა (,,ი. გ. ფიხტე და ადამიანის ეთიკური კონცეფციის საკითხები'', 1994; მისივე, ,,ი. გ. ფიხტეს ფაუსტური ანთროპოლოგია'', 2003).

საერთოდ ე-ის არსის გაგებისათვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს შ. *ნუცუბიძის*, კ. *ბაქრაძის*, გ. *თევზაძის*, ს. *წერეთლის*, შ. *ხიდაშელის*, პ. შარიას და სხვათა გამოკვლევებს ფილოს. ისტორიაში, სადაც სხვა ძირეულ ფილოს. პრობლემებთან ერთად ე-ის პრობლემების ანალიზიცაა მოცემული.

XX ს. 60-იანი წლებიდან საქართველოში ეთიკური კვლევა-ძიების აღმავლობაში დიდი როლი შეასრულა გ. *ბანძელაძემ*. მისი ნაშრომები, იდეოლოგიური ზეწოლის მიუხედავად, შედარებით ობიექტურია. ამიტომ მისმა ნაშრომებმა, კერძოდ წიგნებმა: ,,Опыт изложения системы марксистской этики'' (1963) და ,,ადამიანური ღირსების ცნება მარქსისტულ-ლენინურ ეთიკაში'' (1975–77) მაღალი შეფასება დაიმსახურეს ევროპის მასშტაბით [იხ. Peter Ehlen, Die philosophische Ethik in der Sowjetunion, München, 1972, S. 8; ,,Menschenwürde und neues Denken'', Giessen, 1990 (გფრ)].

გ. ბანძელაძემ გამოიკვლია ე-ის ძირითადი კატეგორიებისა და პრინციპების შინაარსი, მორალისა და საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმების ურთიერთობის, ზნეობრივი აღზრდისა და სხვა პრობლემები. ნაშრომში ,,ზნეობრივი პროგრესის თეორია და პრაქტიკა'' (1982) მან ეთიკური პოზიციიდან განიხილა და შეაფასა საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები. იგივე პრობლემა დაკონკრეტებულია ო. *ბაკურაძის* შრომებში ,,თავისუფლება და აუცილებლობა'' (1964) და ,,მორალური მსჯელობის ბუნება'' (1982, რუს. ენაზე). ო. ბაკურაძის აზრით, მორალური თავისუფლების ბუნება შეიძლე-

ბა გავიგოთ მხოლოდ მორალურ აუცილებლობასთან (,,ჯერარსობა'') კავშირში. მორალური მსჯელობა კი ქცევის მორალური ღირებულების გამომხატველია, მაგრამ ქცევის მორალური შეფასება შეუძლებელია მოტივის ცოდნის გარეშე. მოტივი განსაზღვრავს საქციელის ღირებულებას და ამით გვეხმარება ქცევის მორალური ღირებულების დადგენაში.

ქართვ. ეთიკოსები იკვლევენ აგრეთვე ეთიკური კატეგორიების პრობლემას (თ. ჯაფარლი, 1922–88), მორალის სტრუქტურას (ვ. გულუა, ,,Диалектика эмоционального и рационального в морали'', 1981), უმაღლესი ზნეობრივი კანონის რეალიზაციის პირობებს, ერისა და ეთიკის ურთიერთობის საკითხს (ნ. ნათაძე, ,,ადამიანი ადამიანთა შორის'', 1979; ,,ერი და ეროვნული კულტურა'', 1988). არაძალადობრივი, იგივე ჰუმანისტური Ე-ის პრობლემებს იკვლევდნენ მ. ცუცქირიძე, ა. მთიბელაშვილი და სხვ.

Ე-ის პრაქტ. ღირებულება ნათლად წარმოჩნდება ზნეობრივი აღზრდის თეორიაში, რაც წარმოდგენილია ქართვ. ეთიკოსების შრომებში: ,,ახალგაზრდობის ზნეობრივი და მოქალაქეობრივი ფორმირების ძირითადი ფაქტორები'' (ლ. ჩინჩალაძე, 1975), ,,შრომითი კოლექტივი და ახალი ადამიანის აღზრდა'' (კ. ქურიძე, 1975), ,,ზნეობრივი აღზრდის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე'' (რ. *ბალანჩივაძე*, 1980).

უკანასკნელ წლებში აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება ღირებულებითი Ე-ის პრობლემებს, რაც არ დარჩენილა ქართვ. ეთიკოსების ყურადღების გარეშე (გ. შუშანაშვილი, ,,ზნეობრივი ღირებულების სპეციფიკა'', 1980; ,,ღირებულების იდეალისტური გაგების კრიტიკა'', 1987).

ასევე აქტუალურია გამოყენებითი (პროფესიული) Ე-ის პრობლემები. ქართვ. ეთიკოსები აქაც იჩენენ შესაბამის აქტიურობას: გამოქვეყნდა სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის ,,ბიოეთიკა'' (2000, გ. *ჯეკუა*, დ. *გეგეშიძე*, ბ. მამულაშვილი), გ. შუშანაშვილის მონოგრაფია ,,გამოყენებითი ეთიკის საფუძვლები'' (2004).

აშშ-ის ბიზნესეთიკის სამუშაო ჯგუფისა და საქართველოში მოქმედი ამერიკის სავაჭრო პალატის მხარდაჭერით 2004 წ. 27 დეკ. საქართველოში დაფუძნდა ბიზნესეთიკის ასოციაცია, რითაც საფუძველი ჩაეყარა ამ დარგის შექმნას. ასევე მიმდინარეობს მუშაობა ,,პოლიციის ეთიკის'' შექმნის ხაზითაც. ეთიკური პრობლემატიკის სხვადასხვა ასპექტების, განსაკუთრებით კი ზნეობრივი კულტ., როგორც პრობლემის, კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გ. პ. *ასათიანის*, ა. *ბოჭორიშვილის*, ა. ბრეგვაძის, თ. *ბუაჩიძის*, ზ. *კაკაბაძის*, ე. *კოდუას*, თ. მშვიდობაძის, ო. *ტაბიძის*, გ. *ცინცაძის*, ნ. ზ. *ჭავჭავაძის*, ო. *ჯიოევის* და სხვათა გამოკვლევებს.

ლიტ.: ბანძელაძე გ., ეთიკა, თბ., 1971; გაბიძაშვილი ო., ორი მორალი, თბ., 1978; გაფრინდაშვილი რ., ზნეობრივი აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბ., 1969; ეთიკა (სახელმძღვანელო), თბ., 2002; ზურაბაშვილი ა., შრომა და მოვალეობა, სინდისი და სიყვარული, თბ., 1983; მისივე, ოჯახი, დედობა, ზნეობა, თბ., 1985; კაკაბაძე ზ., ადამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა, თბ., 1970; კულტურის თეორია, თბ., 2009; მამულაშვილი ბ., ბიოეთიკა, თბ., 2004; რუსია გ., ადამიანის ცხოვრების აზრი, თბ., 1983; შუშანაშვილი გ., ღირებულების პრობლემა და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები, თბ., 1987; Аристотель, Соч. в четырех томах, т. 4, М., 1984; Бандзеладзе Г., О понятии человеческого достоинства, Тб., 1979; Джафарлы Т., Из истории домарксистских этических учений, Тб., 1970; Кант И., Соч. в шести томах, т. 4, ч. 1, М., 1965; Hartmann N., Ethik, B., 1949; Scheler M., Der Formalismus in der Ethik und die materielle Wertethik, Bern, 1954.

გ. შუშანაშვილი.

ეთნიკური ანთროპოლოგია, ზოგადი ანთროპოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი დარგი. შეისწავლის მსოფლიოს ხალხთა ანთროპოლ. შემადგენლობას აწმყოსა და წარსულში. ამ შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემები რასებს შორის ნათესაური დამოკიდებულებისა და მათი წარმოშობის დროის, ადგილისა და მიზეზების კვლევის საშუალებას იძლევა. Ე. ა. იკვლევს ძირითადად ადამიანთა სხვადასხვა გაერთიანების (რასობრივი, ეთნიკური, ისტორიული, ენობრივი, ტერიტორიული და სხვ.) წარმოშობისა და ჩამოყალიბების (რასოგენეზისი, ეთნოგენეზისი) პროცესს; ამიტომ მას ხშირად ისტორიულ ანთროპოლოგიასაც უწოდებენ; დროსა და სივრცეში განხილული ანთროპოლ. მონაცემები წარმოდგენას გვიქმნის ხალხთა შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებზე და მთლიანად მის მიერ განვლილ ისტორიულ გზაზე. ხალხის ისტ. კვლევის ამ გზას ანთროპოლ. ისტორიასაც უწოდებენ.

ქართვ. ანთროპოლოგთა კვლევის საგანია კავკასიის, განსაკუთრებით კი საქართვ. ყველა ქრონოლოგიური პერიოდის (ენეოლითიდან დღემდე) მოსახლეობის თავისებურებები, პალეოანთროპოლ. ტიპების ეპოქალური ტრანსფორმაცია, მათი უახლოესი გენოტიპების დადგენა.

ქართვ. ანთროპოლოგების მიერ შესწავლილია კავკასიის, კერძოდ, საქართველოს ყველა ეთნ. და ტერიტ. ჯგუფი, შექმნილია თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლ. კლასიფიკაცია და გამოყოფილია ძირითადი ანთროპოლ. ტიპები. მათ მიერ შესწავლილია აგრეთვე ინდოეთის თანამედროვე მოსახლეობის ძირითადი ენდოგამური კასტები, გამოყოფილია ძირითადი ანთროპოლ. ტიპები და შექმნილია სამხრ. ევროპული და საერთოდ ევროპული კონტინენტური რასის ორიგინ. რასოგენეზური კონცეფცია. იხ. აგრეთვე *ევროპული კონტინენტური რასა.*

ლიტ.: Abdushelishvili M. G., The formation and the overspreading of the European (Caucasian) race. Main subdivisions in the light of the recent anthropological data from the Caucasus, Middle Asia, Afghanistan and India, – 5^{0} Congresso da Sociedade Europeia de Anthropologia, vol. I, Lisboa, 1988.

მ. აბდუშელიშვილი.

ეთნიკური პროცესები, პროცესები, რ-ებიც წარმოიქმნება და ისტორიულად მიმდინარეობს მეზობელ ან მონათესავე ეთნიკურ ჯგუფთა შორის. ტერმინი ,,Ე. პ.'' სამეცნ. ლიტერატურაში პირველად შემოიტანა ნ. *მარმა* XX ს. 20-იან წლებში. იგი ძირითადად ყურადღებას ამახვილებდა ხალხებისა და ეთნ. ჯგუფების ასიმილაციის პროცესებზე. ეთნოლოგიის ტრადიციული შეხედულებით Ე. პ-ში ზოგადად იგულისხმება ამა თუ იმ ეთნოსში მიმდინარე ან ერებს შორის ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი პროცესები, რ-ებსაც მივყავართ ეთნ. ერთობათა გარკვეულ ცვლილებებამდე. Ე. პ-ში გამოყოფენ ეთნოევოლუციურ და ეთნოტრანსფორმაციულ პროცესებს. ეთნ. ერთობათა სოც.-ეკონ. განვითარება და მათი კონტაქტები სხვა ხალხებთან, რ-იც ყოფისა და კულტ. ელემენტების გარკვეულ ცვლილებებს იწვევს (აქ ეთნოსის თვითშეგნება არ იცვლება), ეთნოევოლუციური პროცესების შედეგია. ეთნოტრანსფორმაციული პროცესები კი განპირობებულია ეთნ. ერთობათა ან მათი ცალკეული ნაწილების ურთიერთზემოქმედებით, რაც

ეთნ. თვითშეგნების ცვლილებებს, ადამიანების ჯგუფების სხვა ეთნ. ერთობებში ჩართვას, ზოგჯერ კი ერთი ეთნ. ერთობის არსებობის შეწყვეტასა და მეორის აღმოცენებას იწვევს.

გამოყოფენ ეთნ. გაერთიანების პროცესების სამ ტიპს: კონსოლიდაციას (ცალკეული ხალხების ან მათი ნაწილის შერევა-გაერთიანება უფრო მსხვილ ეთნ. ერთობებთან, მაგ., ტომისა – ხალხთან), ასიმილაციას (ერთი მცირე ჯგუფის ხალხის შერწყმა მეორესთან, როდესაც ერთ-ერთი კარგავს ენას, კულტურას და ეროვნ. ცნობიერებას), ერთაშორის ინტეგრაციას (მრავალეროვან სახელმწიფოში მიმდინარე პროცესები, რებიც განაპირობებს ამ ქვეყანაში მცხოვრები ენობრივად და კულტურულად არსებითად განსხვავებული ხალხების დაახლოებასა და ზეეთნიკური ერთობის აღმოცენებას). თანამედროვე მეცნიერება Ე. Ბ-ის ამ დამახასიათებელ ნიშნებს არსებითად ვერ უარყოფს, მაგრამ ეთნიკურობის, ეთნ. ჯგუფისა თუ ზოგადად ეთნოსის განვითარების პროცესში ინსტრუმენტულ და კონსტრუქციულ მიდგომებს ანიჭებს უპირატესობას (იხ. სტ. *ეთნოლოგია*).

ისტ. საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე Ე. Ბ. გულისხმობს როგორც ეთნოევოლუციურ, ასევე ეთნოტრანსფორმაციულ ცვლილებებს. ამასთან, ძვ. საქართველოში ეთნოტრანსფორმაციული პროცესები ძირითადად კონსოლიდაციას გულისხმობდა, თუმცა ქართვ. ხალხის ეთნოგენეზის ადრეულ ეტაპზე, ეთნ. ერთობის აღმოცენების პროცესში იყო ასიმილაციისა და ერთაშორის ინტეგრაციის მაგალითებიც.

გვიანფეოდ. ხანასა და თანამედროვე საქართველოში ძირითადად ეთნოევოლუციურ პროცესებთან გვაქვს საქმე, რაც ქართველებთან ერთად ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსებისა და ეთნ. ჯგუფების (აფხაზები, ოსები, ებრაელები, ბერძნები და სხვ.) ხანგრძლივი სამეურნ.-კულტ. და სოც.-ეკონ. ურთიერთობის შედეგია (იხ. სტ. *ეთნიკური ჯგუფი* და *ეთნოგრაფიული ჯგუფი*).

თანამედროვე მსოფლიოს მრავალეროვან სახელმწიფოებში მიმდინარეობს ერთაშორის ინტეგრაციის აქტ. პროცესები, რაც იქ მცხოვრები ხალხების დაახლოებასა და ზეეთნიკური ერთობების წარმოქმნას განაპირობებს. ბოლო პერიოდში ასეთი ახ. ისტ. ერთობის – საბჭ. ხალხის – ჩამოყალიბების გაუმართლებელი ცდა საბჭ. კავშირის დაშლის ერთ-ერთ არსებით მიზეზად იქცა.

თანამედროვე ეთნიკურ პროცესებში გამოვლინდა ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორიცაა სეპარატიზმი (ეთნ. ჯგუფის გამოყოფა), რეცესია (სახელმწიფოს შემადგენლობიდან გამოსვლა), ირედენტიზმი (მოსაზღვრე სახელმწიფოსკენ, მონათესავე ტიტულოვანი ერისკენ სწრაფვა).

ლიტ.: აბესაძე ნ., თანამედროვე ეთნიკური პროცესები თბილისში, კრ.: ქართველი ხალხის თანამედროვე ყოფა და ტრადიციები, თბ., 1988; გეგეშიძე მ., ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1978; ოჩიაური თ., ეთნიკური პროცესები თბილისში, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1988, №2; Бромлей Ю. В., Этнос и этнические процессы, წგ.: Наука и человечество, М., 1976; Козлов В. И., К вопросу об исследовании этнических процессов у народов СССР, «Советская этнография», 1961, №4; Семионов Ю. И., Философия истории (Общая теория, основные проблемы, идеи и концепции от древности до нашых дней), М., 2003; Современные этнические процессы в СССР, М., 1977; Тишков В. А., Очерки теории и политики этничности в России, М., 1997; მისივე, Реквием по этносу. Исследования по социально-культурной антропологии, М., 2003.

ვ. შამილაძე.

ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲛᲔᲜᲓᲐ, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო დანაშაული – ერთი ეროვნული თუ ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი ჯგუფის მიზანდასახული პოლიტიკა, ქვეყნიდან ან ამა თუ იმ რეგიონიდან სხვა ეროვნული თუ ეთნიკური ჯგუფის (ჯგუფების) იძულებითი განდევნა (დეპორტაცია) დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლის მიზნით Ე. Წ-ის განმახორციელებელთა სასარგებლოდ. XX ს. 80–90-იანი წლების მიჯნაზე აგრესიული სეპარატისტების მიერ გაჩაღებული ეთნოკონფლიქტების შესწავლის საფუძველზე Ე. Წ-ს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული საერთაშ. დანაშაულის კვალიფიკაცია მისცეს გაეროს სისტემაში შექმნილმა ორგანოებმა (ექსპერტთა სპეც. ჯგუფი, ჰააგის საერთაშ. ტრიბუნალი და სხვ.). როდესაც Ე. Წ. ხორციელდება ამა თუ იმ ჯგუფის წარმომადგენელთა მასობრივი ფიზ. განადგურებით (დახვრეტა, ჩამოხრჩობა, წამებით მოკვლა), ხოლო დანარჩენთა მიმართ ტერორის საშუალებით (წამება, გაუპატიურება, საპყრობილეში ჩაგდება, საცხოვრ. ადგილების – ქალაქების, სოფლების – დაბომბვა), ე.ი. ისეთი პირობების შექმნით, რ-ებიც აიძულებს მათ ქვეყნიდან თუ რეგიონიდან გაქცევას, – ასეთი ქმედებანი განიხილება როგორც გენოციდის ნაირსახეობა. აფხაზეთში XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აფხ. სეპარატისტების პოლიტიკა და ქმედება განიხილება როგორც ქართვ. მოსახლეობის Ე. Წ.; საერთაშ. თანამეგობრობამ დაგმო აფხაზეთში ძირითადად ქართვ. მოსახლეობის ერთი ნაწილის ფიზიკური განადგურება, ხოლო დანარჩენის – ტერორის მეშვეობით განდევნა.

2009 წ. 30 სექტ. გამოქვეყნდა *ევროკავშირის* მიერ შექმნილი ,,საქართველოში კონფლიქტის შესახებ დამოუკიდებელი საერთაშ. ფაქტების დამდგენი მისიის'' მოხსენება, რ-იც აღიარებს საქართველოში განხორციელებულ Ე. Წ-ს. კერძოდ, ადასტურებს, რომ ცხინვალის რეგიონში მოხდა Ე. Წ. 2008 აგვ. კონფლიქტის დროსაც და მას შემდეგაც.

საქართველო მოითხოვს საერთაშ. თანამეგობრობისაგან, ხელი შეუწყოს დამნაშავეთა საერთაშ. ტრიბუნალისათვის გადაცემას. 2002 წ. ძალაში შესული ,,რომის სტატუტის'' მიხედვით, შეიქმნა სისხლის სამართ. საერთაშ. სასამართლო გენოციდის, ომით გამოწვეულ და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა განსახილველად. საქართვ. სისხლის სამართ. კოდექსში Ე. Წ-სათვის გათვალისწინებულია სასჯელი: 10-იდან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

წყარო: On the Revealed Facts of the Policy of Ethnic Cleansing/Genocide Conducted in the Territory of Abkhazia (Georgia), and Necessity of Bringing Persons Committed these Crimes Before Justice in Accordance with International Principles of the Due Process (E/CN. 4/1997/132, 2 April 1997).

ლიტ.: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი, «საერთაშორისო სამართლის ჟურნალი», 2002, ტ.4, № 1. *ლ. ალექსიძე.*

ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ, საერთო წარმომავლობით, ენითა და კულტურით დაკავშირებულ ადამიანთა ერთობლიობა, მოქცეული უცხო ეთნ. გარემოში. Ე. Ჯ. ამა თუ იმ ეთნოსში ინარჩუნებს სამეურნეო-ყოფითი და კულტ. ტრადიციების სპეციფ. თავისებურებებს (ხშირად ენასაც), ამასთან იგი, როგორც გარეშე ელემენტი, უცხო ეთნ. გარემოში ექვემდებარება ასიმილაციას

და კონსოლიდაციას. როცა ასიმილაცია დასრულდება, მაშინ ე. ჯ. არსებობას წყვეტს და მთლიანად ერწყმის უცხო ეთნოსს.

ე. ჯ. საკუთარი ეთნოსის პოზიციიდან განიხილება როგორც ეთნოგრ. ჯგუფი. ცნობილია დიდ ევრ. ხალხებში შემორჩენილი კელტური, სლავური და სხვა ე. ჯ-ები; ციმბირისა და შორეული აღმ. პალეოაზიური ხალხები; ესკიმოსები, ამერ. ინდიელები, აგრეთვე ამიერკავკასიაში კომპაქტურად მოსახლე ქურთები, ასურელები, ბერძნები და ა. შ.

წარსულში ისტ. საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი ე. ჯ. სახლობდა. ბევრმა მათგანმა, მაგ., ხეთურ-ხურიტულმა, ურარტულმა, სკვითურმა და სხვა ჯგუფებმა ქართვ. ხალხის ფორმირების ადრეულ პროცესში სრული ასიმილაცია განიცადა. მომდევნო ეპოქებში ე. ჯ-ები, კერძოდ, ებრაელები, ქისტები, ბერძნები და სხვ. ძირითადად კულტ. ასიმილაციას განიცდიან და ინარჩუნებენ ეროვნ. თვითშეგნების, კულტ. და ყოფის დამოუკიდებელ ნიშნებს.

უკანასკნელი წლების ეთნოლოგიურ ლიტ-რაში ტერმინ „ეთნიკურობის'' ახლებურ, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე დაუდგენელ და ბუნდოვან ინტერპრეტაციასთან ერთად (იხ. სტ-ები: *ეთნოგრაფია, ეთნოლოგია*) ე. ჯ-ის გაგება არსებითად კარგავს თავის ტრადიციულ მნიშვნელობას. ცნება ეთნიკურობა „ხალხის'', „ეთნოსის'' ტრანსფორმირებულ სინონიმად გამოიყენება, სადაც „ეთნოსის'', ე. ჯ-ის დამოუკიდებელ სოციალურ კატეგორიად არსებობა საბოლოოდ არაა განსაზღვრული.

ლიტ. იხ. სტ-თან ეთნოგრაფიული ჯგუფი. *ვ. შამილაძე.*

ეთნოგრაფია (ბერძნ. ethnos – ტომი, ხალხი და graphō – ვწერ. სიტყვასიტყვით – ხალხის აღწერა), ისტორიულ მეცნიერებათა სისტემაში შემავალი მეცნიერება, რ-იც შეისწავლის ხალხის ყოფას, ადათ-წესებსა და კულტურას, ეთნოგრაფიულ პროცესებს, სოციალურ კავშირთა მექანიზმებს საზოგადოებაში, მითოსურ-რელიგიური წარმოდგენებს და სხვ.; ეთნოსის ცხოვრების შემეცნებით თუ პრაქტიკულ ასპექტებს როგორც კულტურულ-ისტორიულ მთლიანობას (იხ. აგრეთვე სტ. *ეთნოლოგია*). ე. სხვა მომიჯნავე მეცნიერებებთან ერთად იკვლევს ხალხთა ეთნოგენეზს, ეთნ. ისტორიასა და კულტ. სხვადასხვა სფეროს.

ე-ის ძირითადი წყაროა საველე-საექსპედიციო კვლევა-ძიების პროცესში ცოცხალ სინამდვილეზე უშუალო დაკვირვების, ინტერვიუსა თუ ანკეტური გამოკითხვის შედეგად მოპოვებული ეთნოგრ. მასალა, აგრეთვე სამუზეუმო კოლექციები.

ე., როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, XIX ს. შუა წლებში ჩამოყალიბდა, თუმცა ეთნოგრ. ცოდნის საწყისები ძველეგვიპტური და შუამდინარული ცივილიზაციიდან იღებს სათავეს.

ეთნოგრ. ცოდნის დაგროვებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ანტ. ხანის, ადრეული შუა საუკუნეებისა და ფეოდ. ხანის მოგზაურ-მკვლევართა და მწერალთა ნაშრომებმა. ,,ახალი მსოფლიოს'' აბორიგენთა ყოფისა და კულტურისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა ქრისტიანობის წარმოშობის, ხალხთა დიდი გადასახლების, აღმ. რენესანსის დროს და დიდი გეოგრ. აღმოჩენების შედეგად.

დამოუკიდებელ სამეცნ. დისციპლინად ჩამოყალიბების პირველივე წლებიდან ე-ში ფეხს იკიდებს ევოლუციონიზმისა და დიფუზიონიზმის იდეური მიმართულებანი. ე-ის თეორ. საფუძვლების შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფრანგ. სოციოლოგიურმა, ინგლ. ფუნქციონალურმა სკოლებმა. თვალსაჩინოა რუს. ეთნოგრ. სკოლის მიღწევებიც. განისაზღვრა მსოფლიოს ხალხთა კლასიფიკაციის პრინციპები, პირველ რიგში კი ეთნოგენეზისა და ეთნ. ისტ. კანონზომიერებანი, საზ-ბის განვითარების საფეხურები, საბოლოოდ ჩამოყალიბდა ე-ის ობიექტი და საგანი, მეთოდ. საფუძვლები.

საქართველოში ე. დამოუკიდებელ სამეცნ. დისციპლინად XX ს. I ნახევარში ჩამოყალიბდა, მაგრამ ცნობებს ქართვ. ტომების ზნე-ჩვეულებებისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ უძველესი დროიდან ვხვდებით ასურულ, ხეთურ, ურარტულ და სხვა სოლისებრი (ლურსმული) და ხატოვანი დამწერლობის ძეგლებში, ასევე ბერძნ., რომაულ და ბიზანტ. საისტორიო მწერლობაში, სადაც მოცემულია ქართვ. ხალხის ეთნოგენეზისა და ეთნოკულტურული პრობლემების დასმისა და გადაწყვეტის ცდები, აგრეთვე საყურადღებო ცნობები კოლხეთისა და იბერიის მოსახლეობის კულტ. და ყოფის შესახებ. ეთნოგრ. ცნობებს საქართვ. შესახებ ვხვდებით ადრეული შუა საუკუნეებიდან სპარს., სომხ., არაბ., თურქ. და რუს. წყაროებში, მოგვიანებით კი – დას.-ევრ. და რუს მოგზაურ-მკვლევართა და მისიონერთა შრომებში. ქართვ. ხალხის წარმომავლობის, სამეურნეო ყოფის, საზ. წყობის, ნივთიერი და სულიერი კულტ. საკითხებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართ. წერილობით წყაროებში დაცულ ეთნოგრ. მონაცემებს. ეთნოგრ. მასალა ქართვ. და სხვა კავკ. ხალხთა შესახებ მოცემულია როგორც ჰაგიოგრაფიულ (V ს-იდან), ისე საისტორიო, ფილოს. და ქართულ მხატვრულ ლიტ-რაში.

ქართ. ეთნოგრ. აზრის ფორმირება *ლეონტი მროველით* იწყება, რ-მაც თავისი ეთნოგენეტიკური კონცეფცია ბიბლიურ გადმოცემებზე ააგო და კავკ. მკვიდრი ხალხების ეპონიმებად იაფეტის შვილიშვილის – თარგამოსის – შთამომავლობა მიიჩნია. შემდგომ ამ კონცეფციას იმეორებს *ვახუშტი ბატონიშვილი*. მისი შრომა ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა'' იმ პერიოდის ერთიანი ქართ. ეთნოსის კომპლექსური, ისტ.-ეთნოგრ. აღწერისა და ანალიზის სამაგალითო ნიმუშია. ვახუშტისთან დაცული ცნობები საქართვ. ცალკეული რეგიონების კულტურასა და ყოფაზე, დასახლებასა და საცხოვრებელზე, მეურნეობის ფორმებზე, ტრანსპორტზე, ჩაცმულობაზე, საქორწინო წეს-ჩვეულებებზე, შეიარაღებაზე და სხვ. ქართვ. ხალხის ისტ. და ეთნოგრ. შესწავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა. მასალის აღწერის, შედარება-შეპირისპირებისა და ეთნოგრ. რეალიების კარტოგრაფირების ვახუშტისეული მეთოდები იმდროინდელი მოწინავე ევრ. მეცნიერების დონეს უტოლდება.

XIX ს. 20–30-იან წლებში ქართ. ეთნოგრ. აზროვნების შემდგომ განვითარებას დიდი ღვაწლი დასდეს *იოანე ბატონიშვილმა* და *თეიმურაზ ბატონიშვილმა*. იოანე ბატონიშვილის ,,კალმასობა'' ქართვ. ხალხის ყოფა-ცხოვრების თავისებურებათა ენციკლოპედიაა, ხოლო თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ ჩამოყალიბებული თეორია საქართველოში გვაროვნული წყობის არსებობის შესახებ გავლენას ახდენს შემდგომი პერიოდის ისტ. აზროვნების განვითარებაზეც.

ეთნოგრ. აზრის განვითარებას ხელი შეუწყო დავით ციციშვილი-ფანასკერტელის საყურადღებო თხზულებამ ,,ქცევანი და ჩვევანი საქართველოსანი'' (1849), სადაც აღწერილია ძვ. ქართველების ყოფითი კულტურა და ზნეობრივი სახე.

XIX ს. შუა ხანებში საქართველოში ეთნოგრ. კვლევა-ძიების აღმავლობა სამუზეუმო საქმიანობის ორგანიზებას დაუკავშირდა. 1850 თბილისში დაარსდა რუსეთის გეოგრ. საზ-ბის კავკ. განყ-ბა, რ-თანაც 1852 ჩამოყალიბდა *კავკასიის მუზეუმი*. 1856 მუზეუმი დროებით დაიხურა, მუშაობა განაახლა 1865-იდან. ამ პერიოდში ეთნოგრ. საქმიანობის გაშლა-გაფართოებაზე მუშაობდნენ ცნობილი მკვლევრები და საზ. მოღვაწეები: რ. დ. *ერისთავი*, პ. *იოსელიანი*, დ. ციციშვილი, დ. ზ. *ბაქრაძე*, მ. *ბროსე* და სხვ., რ-ებმაც მუზეუმის ფონდები ქართვ. ხალხის ტრად.-ყოფითი კულტ. უმნიშვნელოვანესი კოლექციებითა და უნიკალური ხელნაწერებით გაამდიდრეს. აქვე ჩაეყარა საფუძველი სამუზეუმო კოლექციების შეგროვების, კონსერვაციისა და ფონდირების, აგრეთვე საველე-შემკრებლობითი საქმიანობის სპეც. პროგრამა-კითხვარის შემუშავების პირველ ცდებს, რ-თაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართ. ე-ის მეთოდური და მეთოდოლ. პრინციპების დახვეწასა და სრულყოფაში.

ქართვ. ხალხის კულტ.-ისტ. მემკვიდრეობის გამომზეურებისა და დაუნჯების საქმეს დიდი ყურადღება მიაქცია ი. *ჭავჭავაძემ*, რ-მაც ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა-ძიება ეროვნ.-განმათ. მოძრაობასა და ეროვნ. თვითმყოფადობისათვის ბრძოლის იდეას დაუკავშირა. ამ დროშის ქვეშ შემოიკრიბა ი. ჭავჭავაძემ ცნობილი ქართვ. საზოგადო მოღვაწეები და მკვლევრები: რ. დ. ერისთავი, ნ. *ხიზანიშვილი* (ურბნელი), ბ. *ნიჟარაძე*, ი. *გვარამაძე*, თ. *სახოკია*, პ. *ჭარაია*, დ. *ჯანაშვილი*, ნ. *ჯანაშია*, ს. *ზვანბა*, მ. *ჯანაშვილი*, *ვაჟა-ფშაველა*, ა. *ყაზბეგი* და სხვ., რ-თაც ნაყოფიერი მოღვაწეობა გააჩაღეს ქართ. ე-ის კვლევის სარბიელზე. მომზადდა საფუძველი საქართვ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ბის შექმნისა (1907), რ-იც ქართ. ე-ის ფორმირების გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა. მეცნ. ინტერესებისა და კვლევა-ძიების სფეროში მოექცა საქართვ. ბარისა და მთიანეთის თითქმის ყველა რეგიონი, ქართვ. ხალხის ყოფითი რეალიების ყველა სფერო. ქართ. ე-ის ცალკეული პრობლემების კვლევა ეპოქის შესაფერის დონეზე აიყვანეს დ. ზ. ბაქრაძემ, ა. *ხახანაშვილმა*, ნ. *მარმა*. ქართვ. ხალხის ისტ. ფუნდამენტური პრობლემების შესწავლისას ეთნოგრ. მონაცემებს უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ე. *თაყაიშვილი* და ივ. *ჯავახიშვილი*, რ-თაც საქართველოსა და კავკასიის ე-ის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვლიეს და საფუძველი მოუმზადეს საქართვ. ე-ის დამოუკიდებელ სამეცნ. დისციპლინად ფორმირებასა და შემდგომ განვითარებას.

1921-იდან საქართვ. სახელმწ. მუზეუმში დაიწყო ჯერ კიდევ 1852 დაარსებული კავკასიის მუზეუმის სტრუქტურის რეორგანიზაცია, დაგროვილი უნიკალური კოლექციების ინვენტარიზაცია და ახლებური საექსპოზიციო გეგმების შემუშავების ღონისძიებანი. ამ საქმეს სათავეში ედგა ეთნოგრაფთა მცირერიცხოვანი ჯგუფი (გ. *ჩიტაია*, ვ. *ბარდაველიძე*, ს. *მაკალათია*, ს. *იორდანიშვილი*, ს. *მენთეშაშვილი*, ფ. ქიქოძე, რ. *ხარაძე*, ლ. *პოჭორიშვილი*, ა. *რობაქიძე*). საქართვ. მუზეუმში შექმნილი ეს პატარა უჯრედი გახდა შემდგომში ქართ. ეთნოგრაფიული სკოლის საძირკველი. ამავე დროს თსუ-ში შეიქმნა ბიოლ., ანთროპოლ. და ეთნოლოგიის კათედრა (გამგე გ. ჯავახიშვილი), სადაც საფუძველი ჩაეყარა ე-ის სწავლებასა და ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებას. შემდგომ ეს საქმე გააგრძელა უნ-ტის ე-ის კათედრამ (1938), რ-საც სათავეში ჩაუდგა გ. ჩიტაია. 1925 გამოქვეყნდა მისი ,,ეთნოლოგიური შენიშვნები'', ხოლო 1926 –,,ქართული ეთნოლოგია'', სადაც ავტორმა ძირითადად ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი საველე ეთნოგრ. კვლევა-ძიების მეთოდიკის შესახებ, განსაზღვრა ქართ. ე-ის წყაროთმცოდნეობითი ბაზა, დარგის უახლოესი მიზნები და ამოცანები. აქედან დაიწყო საქართველოში ე-ის, როგორც სამეცნ. დისციპლინის, ჩასახვისა და განვითარების ისტორია.

ქართულ ე-ში დამკვიდრდა საველე-საექსპედიციო და ლაბორ. მუშაობის ახ. კომპლ.-ინტენს. მეთოდი, რ-ის მიხედვით ეთნოგრ. მოვლენები შეისწავლებოდა ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ერთიანობის, სინქრონული და დიაქრონული მოვლენების სათანადო ფიქსაციისა და ანალიზის პროცესში ისტორიზმის პრინციპების დაცვით. ახ. მეთოდური და მეთოდოლ. წანამძღვრების შემუშავებამ და პრაქტიკულმა განხორციელებამ ქართული ე-ის თეორ. საფუძვლები თვისებრივად ახ. ნიადაგზე დააყენა. გამოიკვეთა და დაიხვეწა ე-ის საგნობრივი სფერო, უარყოფილ იქნა ადრინდ. კონცეფციებიდან მომდინარე შეხედულება ე-ის როგორც პირველყოფილი პრიმიტიული ხალხების შემსწავლელი მეცნ. შესახებ.

საქართველოში ეთნოგრ. კვლევა-ძიება კიდევ უფრო გაფართოვდა თავდაპირველად საკავშ. მეცნ. აკად. საქართვ. ფილიალის აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინ-ტის ეთნოგრ. განყ-ბაში (1936-იდან), ხოლო შემდეგ – საქართვ. მეცნ. აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტში (1941), საქართვ. და კავკასიის ეთნოგრაფიულ სექტორში (1960), საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ეთნოგრ. განყ-ბასა და თბილ. სახელმწ. უნ-ტის ე-ის კათედრაზე. გარდა ამისა, ეთნოგრ. კვლევა-ძიებას საფუძველი ჩაეყარა საქართველოს მეცნ. აკად. აფხაზეთის დ. გულიას სახ. ენის, ლიტერატურისა და ისტორიის, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნ.-კვლ. და სამხრ. ოსეთის სამეცნ.-კვლ. ინ-ტებში. შემკრებლობითი, სამუზეუმო და საექსპოზიციო მუშაობა კონცენტრირებულია ქართ. ხალხ. არქიტექტურისა და ყოფის ღია ცისქვეშა და სხვა მხარეთმცოდნეობით მუზეუმებში.

ქართ. ე-ის ფორმირებისა და ჩამოყალიბების პირველსავე წლებში საფუძველი ჩაეყარა ქართვ. ხალხის სამეურნ. ყოფის, მატერ. და სულიერი კულტურისა თუ სოც. ურთიერთობის კვლევას. მატერ. კულტურის სფეროში ეთნოგრ. კვლევა-ძიების უმთავრეს ობიექტს წარმოადგენდა დასახლების ფორმები და ხალხ. საცხოვრებელი, სამეურნ. თუ თავდაცვითი ხასიათის ნაგებობანი, ტრანსპორტი, ტანსაცმელი.

მნიშვნელოვანი შედეგებია მოპოვებული საქართველოს მთიანეთის, დას. და აღმ. საქართველოს ბარის დასახლების სამეურნ.-კულტ. და სოც. თავისებურებების გამოვლენა-დადგენის (გ. ჩიტაია,

ა. რობაქიძე, გ. ჯავახიშვილი), დარბაზული ტიპის საცხოვრებელი და სამეურნ. ნაგებობათა კომპლექსის შესწავლისა და მისი შედარებით-ტიპოლოგიური კლასიფიკაციის (გ. ჩიტაია, თ. ჩიქოვანი), საქართვ. კოშკური კულტურის კვლევის (ს. მაკალათია, ა. რობაქიძე, ა. ქალდანი) თვალსაზრისით, რაც წინააზიურ-კავკ. არეალის ეთნოგრ. მონაცემებითაა განზოგადებული. საინტერესო გამოკვლევები მიეძღვნა აღმ. და დას. საქართვ. საცხოვრებელი, სამეურნ. და თავდაცვითი ნაგებობების შესწავლას (გ. ჩიტაია, ა. რობაქიძე, თ. ჩიქოვანი, ვ. ითონიშვილი, მ. ჩართოლანი, ჯ. რუხაძე, თ. ოჩიაური, ნ. თოფურია, ვ. ჩიქოვანი, კ. კახიანი, გ. დავითაშვილი, პ. ბუხრაშვილი, ჯ. მიქელაძე), რ-თა ანალიზი ასევე შუქს ფენს ქართვ. ხალხის კულტ.-ისტორ. და სოც. პრობლემების მნიშვნელოვან მხარეებს. კვლევის ფართო არეალით ხასიათდება ქართ. ხალხ. ტრანსპორტის (მ. *გეგეშიძე*, ზ. კუტალეიშვილი, ა. დავითაძე), ტანსაცმლის (ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ნ. ჩოფიკაშვილი, ლ. ბოჭორიშვილი, ი. ციციშვილი, ნ. გვათუა, გ. ჩაჩაშვილი, ც. ბეზარაშვილი, ლ. მოლოდინი, ა. სოხაძე), სტუმარ-მასპინძლობისა და ხალხ. კულინარიის (ნ. ჯიქია, გ. გოცირიძე, მ. მოწერელია, ნ. აბდუშელიშვილი), მეგალითური კულტ. ძეგლების (ს. მაკალათია, ა. სიხარულიძე, თ. ჩიქოვანი, მ. ჩხაიძე) ეთნოგრ. შესწავლის შედეგებიც, რ-თა ნიმუშებს ასევე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წინააზიურ-კავკ. ცივილიზაციის მიღწევებში.

მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული ქართვ. ხალხის სამიწათმოქმედო კულტურების, მემინდვრეობისა და მევენახეობის საკითხების შესწავლისას, სამიწათმოქმედო კულტურის სპეციფიკაციისა და სამიწათმოქმედო სისტემების, მათი შესაბამისი სახვნელი იარაღების ტიპოლოგიის დადგენაში. კერძოდ, საქართვ. სხვადასხვა კუთხეში მემინდვრეობის ძირითადი იარაღის – სახვნელის შესწავლამ გამოავლინა მისი მრავალგვარი სახეობა და მიკრორაიონების ლოკალურ თავისებურებებთან ადაპტირების უნარი. დასაბუთებულია ქართ. სახვნელის ადგილ. წარმომავლობა (იხ. სტ. *დიდი გუთანი*). გარკვეულია ის ცვლილებები, რ-ებიც განიცადა სახვნელმა იარაღმა საქართველოში კაპიტ. ურთიერთობათა განვითარების პროცესში (გ. ჩიტაია, ა. რობაქიძე, გ. ჯალაბაძე). აღწერილი და კლასიფიცირებულია მემინდვრეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები, ხელსაწყო-იარაღები და სამეურნეო სათავსები, შესწავლილია მემინდვრეობისათვის დამახასიათებელი სამეურნეო ნაგებობანი, ცალკეული ტიპების გავრცელების არეალი და მათთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები (გ. ჩიტაია, ნ. რეხვიაშვილი, ჯ. რუხაძე, თ. გელაძე, მ. ხაზარაძე, ბ. გრძელიძე). ირიგაციის ტრად. ფორმების შესწავლით დადგენილია მორწყვისა და ტერასული მიწათმოქმედების კლასიფიკაცია, მათი ადგილი სამიწათმოქმედო კულტურის გენეზისისა და განვითარების პროცესში (მ. გეგეშიძე, ნ. ჩიჯავაძე, ლ. ბერიაშვილი).

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მარცვლეული კულტურების ეთნოგრ. შესწავლას, მთის მიწათმოქმედებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებსა და აგროეთნოგრაფიის ზონალურ და ეკოლ. ასპექტებს (ნ. ბრეგაძე, მ. გეგეშიძე, მ. ქანთარია). სისტემ. მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის (ლ. ბოჭორიშვილი, ლ. ფრუიძე, ა. ლეკაიშვილი, ი. ნანობაშვილი, ჯ. სონღულაშვილი, ლ. გაბუნია, ლ. ჭყონია, ნ. კახიძე), მესაქონლეობის (ვ. შამილაძე, ბ. გამყრელიძე, მ. მაკალათია, ი. კვიციანი, თ. ცაგარეიშვილი, ვ. ვ. ითონიშვილი, ნ. თოფურია, ნ. კვარაცხელია, ნ. აზიკური), მებაღეობა-მებოსტნეობის (ჯ. სონღულაშვილი, დ. პავლიაშვილი), აგრეთვე შემგროვებლური მეურნეობის ადრეული ფორმების (მონადირეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა) ისტ.-ეთნოგრ. ასპექტების კვლევის თვალსაზრისით (ა. რობაქიძე, ს. მაკალათია, ლ. მირიანაშვილი).

ცალკე უნდა გამოიყოს ხელოსნობის დარგების, კერძოდ, ხისა და ქვის დამუშავების (ს. ბედუკაძე, გ. გასიტაშვილი, ე. ნადირაძე, ნ. კახიძე, ლ. ბედუკიძე), საოჯახო დგამ-ჭურჭლისა და ავეჯის (გ. ჩიტაია, ნ. თოფურია, მ. ხაზარაძე, ნ. ხაზარაძე, მ. კახიძე, ც. ბეზარაშვილი), ხალხური მეტალურგიის (ნ. რეხვიაშვილი, ნ. კახიძე), ოქრომჭედლობის (ლ. ბოჭორიშვილი, მ. ჩართოლანი, ლ. სოსელია), საბრძოლო იარაღების დამზადების (კ. ჩოლოყაშვილი), ტყავის დამუშავების (ი. ნანობაშვილი), მეაბრეშუმეობის (ნ. აბესაძე), კერამიკული წარმოების (ლ. ბოჭორიშვილი, თ. გარდაფხაძე, ს. ბედუკაძე, რ. თოდუა, მ. ზანდუკელი, ც. კაკაბაძე), ხალხური ფეიქრობის, ქსოვის წესების (გ. ჩაჩაშვილი, ც. ყარაულაშვილი) და ზეთსახდელების (ლ. მოლოდინი) ეთნოგრ. შესწავლის შედეგად მიღწეული წარმატებანი.

ქართვ. ეთნოგრაფთა ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა საფუძველი გამოაცალა XIX ს. II ნახ. უცხოელი მეცნიერების მიერ წამოყენებულ მცდარ თეორიას (ვ. კოპერსი, პ. ლეზერი, კ. ჰაქსტჰაუზენი, რ. ბრაუნგარტი), რ-ის მიხედვით საქართველოსა და კავკასიაში მოსახლე აბორიგენი ხალხები ორიგინ. კულტურის შემქმნელები კი არ იყვნენ, არამედ კულტ. ღირებულებათა უბრალო გადამცემის როლს ასრულებდნენ. ბოლო ათწლეულებში საქართველოში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადად აჩვენა ქართ.-კავკასიური კულტ. სამყაროს უაღრესად საინტერესო, ორიგ. ცივილიზაციის იერსახე.

მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული ქართვ. ხალხის სოც. ურთიერთობათა ეთნოგრ. შესწავლის ხაზით. დადგენილია და გამოკვლეულია *დიდი ოჯახის* სტრუქტურა და მმართველობის სისტემა, პატრონიმიულ გაერთიანებათა რაობა და ბუნება (რ. ხარაძე, ს. მაკალათია, ა. რობაქიძე, ს. ბახია), ოჯახი და საოჯახო ყოფის თავისებურებანი (ვ. ითონიშვილი, მ. ბექაია, გ. ცეცხლაძე, ნ. შოშიტაიშვილი, თ. აჩუგბა, ხ. იოსელიანი, მ. მოწერელია, ნ. ჩელებაძე), ქორწინების ინ-ტი (ი. ჭყონია, ნ. მაჩაბელი, მ. ბექაია, ლ. მელიქიშვილი, თ. იველაშვილი, ს. ხოსიტაშვილი, ნ. ანთელავა, ბ. ნანობაშვილი), ნათესაობის სისტემა (რ. ხარაძე, ნ. ჯავახაძე, ს. გოგინაშვილი, ნ. მგელაძე), სათემო ინ-ტების, კერძოდ, ხალხ. მმართველობისა (რ. ხარაძე, მ. კანდელაკი, გ. ჩაჩაშვილი, გ. ჩიქოვანი) და ჩვეულებითი სამართლის (რ. ხარაძე, მ. კეკელია, ვ. ლორია, ჯ. მერაბიშვილი, ქ. მამულაშვილი, გ. დავითაშვილი, გ. ჯალაბაძე, ო. ზოიძე) სისტემების თავისებურებანი, რ-თა ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე დაძლეულ იქნა XIX საუკუნის შუა ხანიდან დასავლეთის მეცნიერებაში მოარული შეხედულება კავკ. მთიანეთში გვაროვნული წყობილების ხანგრძლივი კონსერვაციის შესახებ (მ. კოვალევსკი).

კვლევის პროცესში ახ. მეთოდოლ. პრინციპების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ე. წ. კავკ. ,,მთური ფეოდალიზმის'' მეტად საყურადღებო თავისებურებათა გამოვლენა და დადგენა.

საყოველთაოდაა აღიარებული ქართვ. ეთნოგრაფების მიღწევები ქართვ. ხალხის სულიერი კულტურის შესწავლასა და განზოგადებაში. რელიგ. აზროვნების ისტ. კვლევის ერთ-ერთი ძირითადი თემა იყო წინაქრისტ. პანთეონის სტრუქტურის, ღვთაებათა ბუნების, იერარქიისა და ფუნქციების კვლევა, რ-იც საფუძვლად დაედო ქართვ. მთიელთა სოც. ურთიერთობის რთული საკითხების გარკვევასა და დადგენას (ვ. ბარდაველიძე, ს. მაკალათია, ა. სოხაძე, ჯ. რუხაძე, ა. ლეკიაშვილი, ნ. წერედიანი). საგანგებო ადგილი დაიჭირა საქართვ. მთიანეთის ტრად. საზ. საკულტო ძეგლების რთული კომპლექსების ხანგრძლივმა კვლევა-ძიებამ, აგრეთვე თემის, როგორც ეკონ. და სოც.-ეკონ. ინტის შესწავლამ და მისი ბუნების დადგენამ (ვ. ბარდაველიძე, რ. ხარაძე). გამოვლენილი და დადგენილია მეურნეობის სხვადასხვა დარგთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, აგრ.-რელიგ. დღესასწაულები და კულტები, ხალხ. ორნამენტის სემანტიკა და მისი კავშირი ასტრალურ კულტთან (ვ. ბარდაველიძე, ჯ. რუხაძე, ი. სურგულაძე, თ. ცაგარეიშვილი, ნ. ხაზარაძე, ნ. აბაკელია, ნ. ბრეგაძე, დ. გიორგაძე, თ. ღუდუშაური, გ. ჩინჩალაძე, თ. გვიმრაძე, ნ. ღამბაშიძე). შესწავლილია საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, ხატ-სალოცავებისა და სხვა საკულტო-რიტუალური ძეგლების სოც.-ეკონ. და იდეოლ. ფუნქციები, ქართვ. მთიელთა რელიგ. აზროვნებისა და მსოფლმხედველობის კულტ.-ისტ. და სოც. ასპექტები, მთიელთა მითოლ. წარმოდგენები და მათი კავშირი ეთნ. ისტორიის ცალკეულ საკითხებთან (გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, თ. ოჩიაური, ნ. აბაკელია, მ. კანდელაკი, ჟ. ერიაშვილი, გ. ჯალაბაძე, შ. ქურციკიძე, მ. ჩიხრაძე). ამ სფეროში მიღწეული შედეგი ხაზს უსვამს ქართვ. ხალხის სულიერი კულტურის ადრეულ კავშირს წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ცივილიზებულ სამყაროსთან.

ქართვ. ხალხის სულიერი კულტურის ეთნოგრ. შესწავლაში დიდი ადგილი უჭირავს მუს. ფოლკლორის თემატიკას. გამოვლენილია ქართვ. ხალხის მუს. კულტურის დიალექტთა მრავალფეროვნება, მათი ლოკალური თავისებურებანი, ზოგადქართ. ნიშნები და კავკ.-წინააზიური პარალელები; შესწავლილია ხალხ. მუს. საკრავები, მათი დამზადების ტექნოლოგია და ფუნქციები, ხალხ. სიმღერების სტრუქტურა და კავშირი სამეურნ. საქმიანობასთან, ყოფისა და კულტურის სხვა სფეროებთან (თ. მამალაძე, ნ. მაისურაძე, მ. შილაკაძე, ს. ჭანტურიშვილი, ქ. ჭითანავა, ქ. ნაკაშიძე).

სულიერი კულტურის კვლევა-ძიების სფეროშია განხილული ხალხ. მედიცინის საკითხები. გამოვლინდა ხალხ. დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საშუალებათა კომპლექსი (ნ. მინდაძე, მ. ბურდული, ნ. ჩირგაძე, ლ. ჭედია), კოსმეტიკისა და ჰიგიენის ეთნოსპეციფიკური ნიშნები (ქ. სიხარულიძე).

საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს აგრეთვე რეგიონალურ (სოფელი, თემი, ხევი, კუთხე) გამოკვლევებს (ს. მაკალათია, ვ. ბარდაველიძე, ა. რობაქიძე, რ. ხარაძე, ვ. ითონიშვილი, ვ. გოგოლაძე, ვ. ვ. ითონიშვილი, ნ. ომარაშვილი, ნ. მღებრიშვილი, ზ. ქუქჩიშვილი, თ. გვიმრაძე, მ. ილურიძე), რ-ებითაც კომპლექსურადაა შესწავლილი და გაანალიზებული მოსახლ. მატერ. და სულიერი კულტურის, სამეურნ. ყოფისა და სოც. ურთიერთობის პრობლემები.

ცენტრ. კავკასიის მთიანეთში გამოვლენილი ახ. ეთნოგრ. მონაცემების შედარებით-ისტ. ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე გამოკვლეულია ქართვ. და კავკ. მთიელთა ეთნოკულტ. ურთიერთობის რთული და მრავალმხრივი პროცესები, შესწავლილია კავკ. მთიელთა დიდი ოჯახის სტრუქტურა, დასახლების ფორმები, საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობანი, ხალხ. მმართველობის სისტემა და საოჯახო ყოფის სხვა მხარეები (ა. რობაქიძე, რ. ხარაძე, ვ. ითონიშვილი), ნათესაობის სისტემა (ნ. ჯავახაძე) და ქორწინების ინ-ტი (ლ. მელიქიშვილი). მნიშვნელოვანი შედეგებია მოპოვებული ხალხ. ნაიდაგმცოდნეობისა და სელექციის, შრომის იარაღებისა და ორგანიზაციის ფორმების, მეტეოროლოგიის (მ. ქანთარია), მესაქონლეობის წლიური ციკლის, მიწათსარგებლობის ფორმების (ბ. გამყრელიძე, ვ. შამილაძე), მთიელი ქალის ჩაცმულობის (ლ. მარგოშვილი) შესახებ. სისტემ. მუშაობა მიმდინარეობს საქართველოში მცხოვრები არაქართ. მოსახლეობის ტრად.-ყოფითი კულტურის შესასწავლად და მათი ეთნოსპეციფიკური ნიშნების, აგრეთვე ეთნ. პროცესების თავისებურებათა გამოსავლენად და დასადგენად (ლ. ფაშაევა, ბ. გამყრელიძე, ლ. მარგოშვილი, ნ. ომარაშვილი).

ქართულმა ე-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე ე-ის კვლევა-ძიების საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო თანამედროვე საოჯახო და საზ. ყოფის ძირითად სფეროში მომხდარ ცვლილებებს (გ. ჩიტაია, ა. რობაქიძე, ი. ჭყონია, მ. გეგეშიძე, ა. ლეკიაშვილი, ჯ. რუხაძე, თ. ოჩიაური, თ. ჩიქოვანი, ნ. აბესაძე, გ. ჯავახიშვილი, ვ. ითონიშვილი, მ. ხაზარაძე, ა. ქალდანი, ნ. ბრეგაძე, ლ. ბერიაშვილი, მ. კანდელაკი, რ. თოდუა, ც. ბეზარაშვილი, გ. ჩაჩაშვილი, ნ. რეხვიაშვილი, ს. ბედუკაძე, მ. ჩართოლანი, გ. დავითაშვილი, ნ. თოფურია). შესწავლილია სამეურნეო-ყოფითი ტრადიციები, ხალხ. დღესასწაულები, მათი გენეზისისა და განვითარების თავისებურებანი, ყოფისა და კულტურის ის პროგრესული ფორმები, რ-თა გამოყენება მათი ისტორიულად ჩამოყალიბებული ფუნქციების მიხედვით დღესაც შეიძლება (ჯ. რუხაძე, მ. გეგეშიძე, ლ. ფრუიძე. მ. გუგუტიშვილი, მ. ქანთარია, გ. ჩიქოვანი, ვ. ჩიქოვანი).

ჩატარებული ეთნოგრ. კვლევა-ძიების შედეგები საფუძვლად დაედო საქართვ. ისტ.-ეთნოგრ. ატლასის იმ ხუთტომეულის მომზადებასა და გამოცემას, სადაც მოცემულია მემინდვრეობის, მევენახეობა-მეღვინეობის, მესაქონლეობისა და საცხოვრებელი ნაგებობების უმთავრეს დამახასიათებელ ნიშანთა და თავისებურებათა ტექსტობრივი აღწერილობა და კარტოგრაფიული ფიქსაცია. დაწყებულია მუშაობა საქართვ. ე-ის ნარკვევების ხუთტომეულის გამოსაცემად.

ბოლო პერიოდის ქართვ. ეთნოგრაფთა გამოკვლევებში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ქალაქების ე-ის (ნ. აბესაძე, ვ. ითონიშვილი, თ. ოჩიაური, ჯ. რუხაძე, ნ. მაისურაძე, ნ. მინდაძე, გ. ჯალაბაძე, გ. ჩინჩალაძე, ნ. ჯიქია, გ. გოცირიძე, მ. შილაკაძე, გ. გეგეჭკორი, ზ. შენგელია, თ. ცაგარეიშვილი, კ. ჩოლოყაშვილი), განსაკუთრებით კი შიდამიგრაციული პროცესების

(გ. ჩიტაია, ლ. ბოჭორიშვილი, ა. კაცაძე, რ. თოფჩიშვილი, ვ. ითონიშვილი, ბ. გამყრელიძე, ი. კვიციანი, თ. ფუტკარაძე, თ. ცაგარეიშვილი, ლ. მარგოშვილი, ბ. სულაძე), ეთნ. პროცესებისა და ინოვაციების (ა. კაცაძე, ნ. აბესაძე, ნ. შოშიტაიშვილი, გ. ჯავახიშვილი), ეთნოპედაგოგიკისა და სპორტის ხალხ. სახეობების (ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ა. რობაქიძე, ვ. ელაშვილი, ნ. შიშნიაშვილი, ნ. კაპანაძე, ნ. ღოღობერიძე) მნიშვნელოვანი საკითხების ეთნოგრ. შესწავლა. ყურადღებას იპყრობს ეთნოგრ. ისტორიოგრაფიის (გ. ჩიტაია, ა. რობაქიძე, ვ. ითონიშვილი, ვ. შამილაძე, თ. ცაგარეიშვილი, ო. მიმინოშვილი), ისტ. Ე-ისა (გ. ჩიტაია, ა. რობაქიძე, ვ. შამილაძე, ს. ჭანტურიშვილი, ო. მიმინოშვილი, ლ. მელიქიშვილი, თ. ღუდუშაური, პ. ყიფიანი, ნ. კვიციანი, გ. აფციაური, ლ. მაძღარაშვილი) და ეთნოგრ. ზოგადთეორიული პრობლემების ირგვლივ ჩატარებული გამოკვლევები (მ. გეგეშიძე, ა. რობაქიძე, ვ. შამილაძე, ა. ლეკიაშვილი, პ. ყიფიანი, ნ. ჩინჩალაძე, ს. გაბუნია, ვ. ვ. ითონიშვილი).

მნიშვნელოვანი ეთნოგრ. კვლევა-ძიება ტარდება ჩვენი ქვეყნის მუზეუმებში, რ-თა შემკრებლობით, საექსპოზიციო და სამეცნ. მუშაობას კოორდინაციას უწევს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის Ე-ის განყ-ბა. იგი წარმოადგენს უნიკალური ფონდის საგანძურს, სადაც დაცულია ოქრომჭედლობის, იარაღის, ტანსაცმლის, ხალიჩების, აგრეთვე ქართვ. ხალხის მატერ. და სულიერი კულტურის სხვა რეალიების იშვიათი ნიმუშების კოლექციები. მუზეუმის არსებული ფონდები ინტენსიურად ივსება ახ. კოლექციებით, ეწყობა ახ. ექსპოზიციები, რეგიონალური თუ თემატიკური გამოფენები, ქვეყნდება ძირითადი კატალოგები, რ-საც საფუძვლად უდევს მაღალკვალიფიციურ ეთნოგრაფთა და სამუზეუმო საქმის სპეციალისტთა (გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, ნ. რეხვიაშვილი, ი. ნანობაშვილი, ს. ბედუკაძე, ბ. კვირკველია, გ. ჯალაბაძე, მ. ჩართოლანი, ე. ნადირაძე, გ. გასიტაშვილი, ნ. შოშიტაიშვილი, ლ. მოლოდინი, მ. ზანდუკელი, ც. კაკაბაძე. ნ. ჯიქია, მ. მაკალათია, ლ. ბედუკიძე, მ. ხუციშვილი, მ. გუგუტიშვილი, ც. ბეზარაშვილი, ც. ყარაულაშვილი, ლ. სოსელია, თ. გელაძე) ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგები.

მნიშვნელოვანი ეთნოგრ. კვლევა-ძიება მიმდინარეობს ბათუმის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, ახალციხის, ქუთაისის, თელავისა და სხვა კუთხეების მხარეთმცოდნეობით მუზეუმებში. მომზადდა და გამოქვეყნდა აქ მოღვაწე ეთნოგრაფთა (გ. ელიავა, კ. სამუშია, ა. დავითაძე, ც. ჩართოლანი, ც. ლაფაჩი) არაერთი საინტერესო გამოკვლევა.

ეთნოგრ. კვლევა-ძიების ერთ-ერთი წამყვანი ცენტრი იყო აგრეთვე თბილ. ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტის Ე-ის კათედრა (გაუქმდა 2000), მასთან არსებული ეთნ. კულტურისა და ეროვნ. ტრადიციების შემსწავლელი ლაბორატორია (1991-იდან, გაუქმდა 2006). კათედრაზე ასპირანტურისა და ხარისხისმაძიებლობის კურსს გადიოდნენ და კვალიფიკაციას იმაღლებდნენ საქართველოს, კავკასიისა და სხვა ქვეყნების, მ. შ. საზღვარგარეთის (გერმანია, ავსტრია, ბულგარეთი, პოლონეთი და სხვ.) ახალგაზრდა სამეცნ. კადრები. აქ მოღვაწე პროფესორ-მასწავლებელთა მიერ შესწავლილია საქართვ., კავკ. და წინა აზიის ხალხთა Ე-ის მნიშვნელოვანი საკითხები, მომზადებული და გამოცემულია თემატური კრებულები, ზოგადი და საქართვ. Ე-ის სახელმძღვანელოები, სპეც. კურსები და სამუშაო პროგრამები. ქართულმა Ე-მ დაიბრუნა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში გ. ჩიტაიას მიერ შემოტანილი სახელწოდება ,,ეთნოლოგია‘‘. XX ს. ბოლოდან ვითარდება ახალი მიმართულებები დარგებში – ეთნოპოლიტიკა (ლ. მელიქიშვილი) და ეთნოეკოლოგია (თ. ცაგარეიშვილი).

ეთნოგრ. კვლევა-ძიებას დიდი ყურადღება დაეთმო საქართვ. მეცნ. აკადემიის ბათუმის, სოხუმისა და ცხინვალის კომპლექსურ სამეცნ. დაწესებულებებში.

აჭარისა და, საერთოდ, სამხრ.-დას. საქართვ. მოსახლეობის ყოფისა და კულტურის ეთნოგრ. შესწავლას სათავე დაედო 1908 აჭარის სახელმწ. მუზეუმის დაარსებით, რ-იც 1925 მხარეთმცოდნეობის ინტად გადაკეთდა.

1933 აჭარაში მუშაობდა პირველი კომპლ. ეთნოგრ. ექსპედიცია (გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, რ. ხარაძე, ს. მენთეშაშვილი, ვ. იაშვილი, ჯ. ნოღაიდელი), 1958-იდან კი გეგმაზომიერ ეთნოგრ. კვლევა-ძიებას საფუძველი ჩაეყარა ბათუმის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ეთნოგრ. განყ-ბის დაარსებით. აჭარასა და სამხრ.-დას. საქართველოს მომიჯნავე რეგიონებში ჩატარებული ეთნოგრ. კვლევა-ძიების შედეგებში ასახულია დასახლების, საცხოვრებელი და სამეურნ. ნაგებობების, ხალხ. ორნამენტის, ტერასული მიწათმოქმედების, მევენახეობა-მეღვინეობის, ალპ. მესაქონლეობის, ხელოსნობის სხვადასხვა დარგის, ოჯახისა და საოჯახო ყოფის, ძვ. და ახ. საქორწინო ტრადიციების, ნათესაობის სისტემის, ხალხ. რწმენა-წარმოდგენებისა და აგრ.-რელიგ. დღესასწაულების, დემოგრ. და მიგრაციული პროცესების, აგრეთვე თანამედროვე ყოფისა და კულტ. მნიშვნელოვანი პრობლემები; გამოვლენილი და დადგენილია მათი ზოგადქართ. და ლოკალური თავისებურებები (ა. რობაქიძე, ვ. მგელაძე, ნ. ჩიჯავაძე, ვ. შამილაძე, მ. ბექაია, ნ. კახიძე, ნ. მგელაძე, ჯ. ვარშალომიძე, თ. ფუტკარაძე, ი. სამსონია, ჯ. მიქელაძე, ნ. ჩელებაძე, თ. აჩუგბა, ლ. კალანდარიშვილი, მ. თავაძე, ზ. თანდილავა).

ეთნოგრ. კვლევა-ძიებას ხანგრძლივი ტრადიციები აქვს აფხაზეთშიც, სადაც 1922 დაარსდა აფხაზეთის სამეცნ. საზ-ბა. მოგვიანებით მის ბაზაზე შეიქმნა თავდაპირველად მხარეთმცოდნეობის, ხოლო შემდეგ აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინ-ტი.

აფხაზეთის Ე-ის პრობლემური თემატიკიდან ინტენს. კვლევა-ძიებაა გაშლილი აფხაზთა ეთნ., ისტ., დასახლების ფორმების, საცხოვრებელი და სამეურნ. ნაგებობების, ტანსაცმლისა და ორნამენტის, ხალხ. კულინარიის, მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ოჯახისა და საოჯახო ყოფის, მითოლოგიისა და რელიგ. ისტორიის, ეთნომუსიკოლოგიის, აგრეთვე თანამედროვე ყოფისა და კულტ. უმნიშვნელოვანეს საკითხებზე (დ. გულია, შ. ინალ-იფა, ი. აჯინჯალი, წ. საქანია, ლ. აკბა, ლ. მალია, რ. ჭანბა, ქ. სმირი, გ. კობეშავიძე, მ. ხაშბა, ვ. ბიგვავა, ი. არღაუნი).

საქართველოში ოსების ყოფისა და კულტ. Ე-ის შესწავლას ამიერკავკ. სამეცნ.-ასოციაციის ოსეთის კომპლექსური ექსპედიციის დაარსებით ჩაეყარა საფუძველი. ფართოდ გაიშალა ეთნოგრ. კვლევა-ძიება ცხინვალში საქართვ. მეცნ. აკადემიის სამხრ. ოსეთის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დაარსების შემდეგ.

განისაზღვრა და ჩამოყალიბდა საველე ეთნოგრ. და კამერალური კვლევა-ძიების მნიშვნელოვანი მიმართულებანი – დასახლება, საცხოვრებელი და სამეურნ. ნაგებობანი, ხალხ. ჩაცმულობის ნიმუშები, სამიწათმოქმედო კულტურა, მესაქონლეობის ფორმები, ოჯახი და საოჯახო ყოფა, ოსური გვარის სტრუქტურა და ნათესაობის სისტემა, საზ. ყოფისა (მონობის ინ-ტი) და პატრონიმიული ორგანიზაციის თავისებურებანი, რელიგ. აზროვნების ისტორიის ეთნოგრ. შესწავლა, აგრეთვე ოსთა თანამედროვე საოჯახო ყოფა (ზ. ვანეევი, ზ. გაგლოითი, ლ. ჩიბიროვი, ა. ჩოჩიევი, ა. კოკოევა, ზ. ცხოვრებოვი).

დამოუკიდებლობის აღდგენის და სუვერენული სახელმწიფოებრიობის დამკვიდრების პროცესში ქართ. ე-ის წინაშე განვითარების ახალი, დასავლური ორიენტაციის მქონე ამოცანები დაისახა. ე. წ. ,,აბრეშუმის გზის'' აღდგენისა და ,,ევრაზიის დერეფნის'' პრობლემების წინ წამოწევამ, მოითხოვა ქართ. ხალხის ყოფისა და კულტურის, ეროვნ. ტრადიციებისა და ეროვნ. თვითშეგნების, ცხოვრების ქართ. წესის კვლევა ახ. მეთოდოლ. პრინციპების გათვალისწინებით.

ქართ. ეთნოგრაფთა დიდი ძალისხმევა სჭირდება შესაძლო ეთნოკონფლიქტების დროულ გამოვლენასა და პროფილაქტიკას. ამ მხრივ ფართო საკვლევაძიებო მუშაობა მიმდინარეობს ი. ჯავახიშვილის ისტ. და ეთნოლოგიის ინ-ტსა და ეთნოგრ. კვლევა-ძიების სხვა ცენტრებში. ახლებურ მიდგომასა და გაშუქებას მოითხოვს საქართ. ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებისა და ეთნ. ჯგუფების ყოფისა და კულტ. პრობლემების, ქართ. ხალხთან მათი მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების ისტ. თავისებურებების კვლევა. ,,მშვიდობიანი კავკასიის'' ჰარმონიული პრინციპების მშენებლობის პროცესში ეთნოგრ. კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებად ისახება ,,ერთიანი კავკასიური კულტურული სამყაროს'' ფენომენის შესწავლა და მასში საქართველოს და ქართველი ხალხის ადგილი და როლი.

საქართველოში ეთნოგრ. კვლევა-ძიების შედეგები ქვეყნდება სხვადასხვა გამოცემაში. მათგან ძირითადია სპეც. და სერიული კრებულები, საქართველოს ისტ.-ეთნოგრ. ატლასის მასალები, ცალკეული მონოგრაფიები, ეთნოგრ. ალბომები და სამეცნ.-პოპულარული გამოცემები ქართულ, რუს. და უცხო ენებზე.

ეთნოგრაფიული ჟურნალები და კრებულები, რ-ებშიც გამოქვეყნებული იყო და ქვეყნდება საქართვ. ეთნოგრაფიის მასალები, გამოკვლევები და წერილები:

,,მოამბე'' (თბ., 1894–1905); ,,ძველი საქართველო'' (საქართვ. საისტ. და საეთნოგრ. საზ-ბის კრებული), ტ. 1–4, თბ., 1909–15; ,,მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის'' (1938-იდან); ,,მიმომხილველი'' (საქართვ. საისტ. და საეთნოგრ. საზ-ბის ორგანო, თბ., 1926); ,,საქართველოს მუზეუმის შრომები'' (ტ. 1–6, თბ., 1920–33); ,,აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე'' (1922-იდან); ,,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები'' (1936-იდან); ,,აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინ-ტის მოამბე'' (ტ. 1–14, თბ., 1937–44); ,,საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე'' (1940-იდან); ,,საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე'' (2003-იდან); ,,ანალები'' (1947), ,,მიმომხილველი'' (ტ. 1–3, თბ., 1949–53); საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ,,მაცნე'' (1964–70); ,,საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე''. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია (1971–97); ,,ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომები'' (1955-იდან); ,,კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული'' (1964-იდან); ,,სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა'' (1970-იდან); ,,მასალები საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასისათვის'' (ტ. 1–4, თბ., 1998); ,,ტრადიცია და თანამედროვეობა'' (ნაკვ. 1–27, 1976-იდან); ,,დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტის შრომები'' (1934-იდან); სამხრეთ ოსეთისა (1933-იდან) და ბათუმის (1960-იდან) სამეცნ.-კვლევითი ინ-ტების შრომები; საქართველოს სახელმწ. მუზეუმისა და რესპუბლიკის სხვა მხარეთმცოდნეობის და ისტ. მუზეუმების ერთდროული კრებულები.

რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კრებულები, სახაზინო დავთრები, აღწერები და ჟურნალები: „Записки Кавказского отдела Русского географического общества“ (кн. 1–31, Тфл., 1852–1919); „Кавказский календарь“ (в. 1–72, Тфл., 1845–1916); „Кавказский вестник“ (Тфл., 1900–05); „Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края“ (т. 1–7, Тфл., 1885–87); „Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края“ (т. 1–5, Тфл., 1887–88); „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“ (в. 1–46, Тфл., Махачкала, 1881–1929); „Этнографическое обозрение“ (М., 1889–1916); „La Caucase illustrée“, Tifl., 1879–93.

ვ. შამილაძე.

ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ გ. ჩიტაიას სახელობისა, საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ღია ცის ქვეშ მუზეუმის გახსნის იდეა დაიბადა კავკასიაში XX ს. 30-იან წლებში, რაც მსოფლიოს სამუზეუმო პრაქტიკის გამოცდილებიდან მოდის. იდეის ავტორი და განმახორციელებელი იყო ქართ. ეთნოგრ. სკოლის ფუძემდებელი გ. *ჩიტაია*. მუზეუმის გენ. გეგმის ავტორი – ლ. *სუმბაძე*, კონსულტანტი – გ. ჩიტაია.

1956 წ. 17 დეკ-ის დადგენილებით, საქართვ. სახელმწ. მუზეუმის სამეცნ. საბჭომ მიზანშეწონილად ცნო, გაეხსნა მუზეუმი ღია ცის ქვეშ. 1960 ივლ. თბილისის საბჭოს აღმასკომის დადგენილებით მთაწმინდის ქედის ჩრდ. კალთაზე გამოიყო სამუზეუმო ტერიტორია – 35 ჰა. 1965 დაზუსტდა და გაფართოვდა მისი საბოლოო საზღვრები (ფართობი 50 ჰა). 1964 მუზეუმის მშენებლობას სათავეში ჩაუდგა საქართვ. კულტ. ძეგლთა დაცვის საზ-ბა, 1968 – დამტკიცდა გენ. გეგმის პროექტი.

მუზეუმის დაარსების თარიღად მიჩნეულია 1966 წ. 27 აპრ., თუმცა ეთნოგრ. მუზეუმი ღია ცის ქვეშ გაიხსნა 1976 წ. 17 ივლ. მუზეუმში გაერთიანდა 3 ფილიალი: დართლოს (თუშეთი), ჩაჟაშის (სვანეთი), შატილის (ხევსურეთი).

1987 მუზეუმს მიენიჭა გ. ჩიტაიას სახელი.

1966-იდან მუზეუმი საქართვ. კულტ. ძეგლთა დაცვის საზბას ექვემდებარებოდა, შემდგომ კულტ. სამინისტროს ძეგლთა დაცვის სამმართველოს გადაეცა (2005-მდე) როგორც ხალხ. ხუროთმოძღვრების ძეგლთასაცავი. 2005 წ. 30 დეკ-იდან საქართვ. ეროვნ. მუზეუმის კუთვნილებაა.

თავდაპირველად მუზეუმს ეწოდა ,,თბილისის ღია ცის ქვეშ

მუზეუმი'' (1955), 1960 – ,,ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიული მუზეუმი'', 1963 – ,,ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმი'', 1966 – ,,ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცის ქვეშ''; 2005 კი – ,,გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ''.

Ე. Ბ. ღ. ც. ჟ. წარმოადგენს საქართვ. მინიატურულ მოდელს და



ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ. თბილისი.

ასახავს მის მრავალფეროვან ეთნოკულტურას. მუზეუმის ტერიტორია დაყოფილია ზონებად. ხალხ. ხუროთმოძღვრებისა და ყოფისათვის დამახასიათებელი ობიექტები წარმოდგენილია ათ ისტ.-ეთნოგრ. ზონაში, რ-თაგანაც ხუთი აღმოსავლეთ, ხუთი კი დას. საქართველოს წარმოაჩენს.

პირველი ექსპონატები მუზეუმის ტერიტორიაზე გადმოტანილია ივრის ხეობიდან – სიონის მიწისქვეშა აკლდამა (1966) და სიონის ბაზილიკა (1967).

მუზეუმში ექსპონირებულია 69 საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო ნაგებობა (XVII–XIX სს.). მისი ფონდის შევსება ხდება შესყიდვით და შემოწირულობით. 2006 ფონდის რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა 3 ფონდი, რ-შიც გაერთიანდა ხის, ქვის, თიხის, ძვ. ლითონების, ქსოვილების, ტყავის, ლითონის ფონდები (სულ 7943 ექსპონატი).

2005-იდან მუზეუმში მიმდინარეობს მრავალმხრივი რეფორმა, შემუშავდა მუზეუმის განვითარების 10-წლიანი გეგმა. 2007-იდან ხორციელდება UNESCO-სა და საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ერთობლივი პროექტი ,,ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ რეაბილიტაცია'' (დონორი: ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო), რ-ის მიზანია მუზეუმში დაცული უნიკალური დარბაზული სახლების რეაბილიტაცია.

დაწყებულია ახ. სამუზეუმო ზონის ,,ქართული ბაღის'' ექსპოზიციის მშენებლობა.

სამეცნ.-კვლ. მუშაობის გაფართოებისათვის შეიქმნა არქივი, სადაც გაერთიანდა სამუზეუმო და გ. ჩიტაიას პირად არქივში დაცული მასალები. მოხდა ექსპონატ-ნაგებობების პასპორტიზაცია, მზადდება პროგრამები ახ. ექსპოზიციების მოსაწყობად, ჩატარდა სამეცნ.-კვლ. ექსპედიციები სამცხე-ჯავახეთში (2008–09) დარბაზული ტიპის სახლების მშენებლობის, გადახურვის ტექნოლოგიების გამოკვლევის მიზნით.

მუზეუმში ტარდება საერთოსახ. დღესასწაულები: 2006 გაიმართა ,,მუზეუმის დაარსებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება'', 2007 – ,,გაზაფხულის დღესასწაული'', ,,ბერიკაობა'', 2008 – ,,თუშეთის დღე'', 2009 – ,,აფხაზეთის დღე'', 2010–11 – ქართული ნაწარმის გამოფენა-გაყიდვები.

ლიტ.: საქართველოს ეროვნული მუზეუმი: ს უ მ ბ ა ძ ე ლ., ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცის ქვეშ, თბ., 1976; ჩ ი ტ ა ი ა გ., ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ, შრომები, ტ. 3, თავი IV, თბ., 2001; გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ. შემდგენლები: თ. ცაგარეიშვილი, ნ. მეფარიშვილი, თბ., 2010 (ქართ., ინგლ. ენებზე).

თ. ცაგარეიშვილი.

ᲔᲗᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᯒᲒᲣᲤᲘ, ხალხის, ეთნოსის ორგანული ნაწილი. იგი ეთნოსთან დაკავშირებულია საერთო წარმოშობითა და ეროვნ. თვითშეგნებით, კულტ. და სახელმწ. თანაცხოვრების საერთო ტრადიციებით. Ე. ᯒ-ს შენარჩუნებული აქვს სულიერი და მატერ. კულტურის სპეციფ. ფორმები, დიალექტი, კილო, ზოგ შემთხვევაში ენა, რ-იც ერთიანი ეთნოსის ენათა ოჯახს განეკუთვნება. Ე. ᯒ-ს შესაძლოა ჰქონდეს განსხვავებული რელიგია და სოც. განვითარების დონე.

Ე. ᯒ-ის სპეციფ. თავისებურებათა აღმოცენება განპირობებულია მონათესავე ტომთა ერთ ერად კონსოლიდაციის პროცესით, რ-შიც მონაწილე სხვადასხვა ეთნიკური ერთეული ყალიბდება საერთო ეროვნ. თვითშეგნების მქონე დიდ ეთნოსად და ინარჩუნებს ან იძენს ყოფაში მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სპეციფ. ნიშნებს. Ე. ᯒ., რ-იც ისტორიულად მოქცეულია უცხო ეთნიკურ სამყაროში, ამ სამყაროს მიერ განიხილება როგორც ეთნიკური ჯგუფი (აზერბაიჯანში – ინგილოები, თურქეთში – ლაზები, ირანში – ფერეიდნელი ქართველები და ა. შ.), მაშინ, როდესაც საკუთარი ეთნოსისათვის იგი ისტორიულად მისგან მოწყვეტილ, უცხო ეთნიკურ სამყაროშია მოქცეული. ეთნიკური ჯგუფი მოსახლეობის ძირითადი მასისაგან განსხვავებული ჯგუფია, ხოლო Ე. ᯒ. პირიქით, ხალხის ორგან. ნაწილია, რ-იც ხასიათდება ვიწრო, ლოკალური, სპეციფ. კულტურულ-ყოფითი ნიშნებით.

ქართვ. ხალხის ეთნოგენეზის მრავალსაუკუნოვანი პროცესი ძირითადად გენეტიკურად მონათესავე ტომთა კონსოლიდაციის შედეგია. ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის დროს დაწყებული ეს პროცესები XI–XII სს. ქართ. ფეოდ. ეროვნების ჩამოყალიბებით დასრულდა. მის შემადგენლობაში შესული ქართველთა მრავალი Ე. ᯒ. (ქართლელები, კახელები, ხევსურები, ფშავლები, იმერლები, გურულები, ინგილოები, მეგრელები, სვანები, რაჭველები და სხვ.) ძვ. ტომობრივი დანაწევრების რელიქტის სახითაა შემონახული.

ეთნოსის თანამედროვე სტრუქტურაში Ე. ᯒ-ების შემორჩენა დამახასიათებელია არა მხოლოდ საქართველოს სპეციფიკისთვის, არამედ მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყნისთვისაც – ინგლ. საგრაფოები, შვეიცარიის კანტონები, საფრ. დეპარტამენტები თუ იტალ. პროვინციები დღემდე ატარებენ ძვ. ტომობრივი შემადგენლობის

ცალკეულ ნიშნებს. „მიწების“ ასეთი სიჭრელით ევრ. ქვეყნებში გამოირჩევა გერმანია, სადაც დღესაც განასხვავებენ ბავარიას, შვაბიას, საქსონიას, ვესტფალიას და სხვა მრავალს, რ-თა მოსახლეობაც სწორედ ე. ჯ-სათვის დამახასიათებელ კულტ.-ყოფითი თავისებურებებით გამოირჩევა.

ლიტ.: რობაქიძე ა., ტერმინ „ეთნოგრაფიული ჯგუფის“ მნიშვნელობისათვის, «მაცნე». ისტ. არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1980, №4; მისივე, ტრადიცია და ცხოვრების წესი, თბ., 1981; Бромлей Ю. В., Современные проблемы этнографии, М., 1981; მისივე, Очерки теории этноса, М., 1983; Козлов В. И., Классификации этнических общностей, კრ.: Исследования по общей этнографии, М., 1979; Levinson D., Ethnic Groups Worldwide: A Ready Reference Handbook, p. 1: Europe, Greenwood, 1998. *ვ. შამილაძე.*

ეთნოლოგია (ბერძნ. ethnos – ტომი, ხალხი; logos – სიტყვა, მოძღვრება), მეცნიერება ხალხების შესახებ, რ-იც შეისწავლის კულტურის განვითარების ზოგად კანონზომიერებებს. *ეთნოგრაფიის* დამოუკიდებელ სამეცნ. დისციპლინად ჩამოყალიბების პროცესში ე., როგორც თეორ. ეთნოგრაფია, დაუპირისპირდა აღწერილობით ეთნოგრაფიას. შეხედულება ეთნოგრაფიის საველე-შემკრებლობითი, აღწერილობითი, ხოლო ე-ის თეორ. განმაზოგადებელი ხასიათის შესახებ დღესაც აღიარებულად ითვლება, თუმცა ეთნოგრ. აღწერითი ხასიათი სხვა ფაქტორებითაც აიხსნება. ტერმინი „ე.“ პირველად გამოიყენა ა. შვანმა (საფრ.) 1784, მეცნიერებაში კი დაამკვიდრა უ. ედვარდსმა (ინგლ.) და ფრანგ. ფიზიკოსმა ა. მ. ამპერმა (XIX ს. 20–30-იან წწ.).

XIX ს. 30–40-იან წწ. ევრ. და ამერ. ქვეყნებში ჩამოყალიბდა პირველი ეთნოლოგიური საზოგადოებები: „პარიზის ეთნოლოგიის საზოგადოება“ (1839), „ამერიკის ეთნოლოგიური საზოგადოება“ (1842) და ა. შ. ამ პერიოდში ე. მოიცავდა ფიზ. ანთროპოლოგიასაც. XIX ს. შუა ხანებში ე. მიიჩნიეს ხალხების, ხოლო ანთროპოლოგია – ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებად. გერმანიაში დაარსდა „ანთროპოლოგიის, ეთნოლოგიისა და ისტორიის საზოგადოება“ (1869), ხოლო იტალიაში – „იტალიის ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის საზოგადოება“ (1871). ანთროპოლოგია ე-ს საბოლოოდ გაემიჯნა XX ს. 30-იან წლებში.

ეთნოგრ., ე-ისა და ანთროპოლ. საგნობრივ სფეროთა განსაზღვრა საინტერესოდაა ახსნილი კ. ლევი-სტროსის მოძღვრებაში, რ-ის მიხედვითაც კულტურის მეცნ. შესწავლისა და განზოგადების პროცესში მეცნიერების ეს დარგები სამ თანამიმდევრულ ეტაპადაა წარმოდგენილი: 1. ეთნოგრაფია – საველე კვლევა-ძიება, კულტურის ცალკეულ გამოვლინებათა აღწერა და კლასიფიკაცია; 2. ე. – გეოგრ., ისტ. ანუ სისტემატურ მიმართულებათა სინთეზის საწყისი; 3. ანთროპოლოგია – ადამიანის შეცნობისაკენ ლტოლვა. კ. ლევი-სტროსის აზრით ეთნოგრაფია, ე. და ანთროპოლოგია წარმოადგენს არა ცალკე სამეცნ. დისციპლინებს, არამედ ერთიან კომპლ. მეცნიერებას, სადაც შეუძლებელია ერთი მათგანი მთლიანად მოსწყდეს დანარჩენ ორს.

საბჭ. მეცნიერებიდან ტერმინ ე-ის გამოდევნას პოლიტ. დატვირთვა ჰქონდა. 20–30-იან წლებში ცნობილი რუსი ეთნოლოგები (ლ. შტერნბერგი, ვ. ბოგორაზტანი, პ. პრეობრაჟენსკი, ი. პეტრი და სხვ.) ძირითადად ხალხთმცოდნეობის თეორ. პრობლემებს იკვლევდნენ და დას. მეცნიერებაში დამკვიდრებული ევოლუციონიზმის, დიფუზიონიზმისა და სხვა იდეურ მიმართულებათა გავლენას განიცდიდნენ, რაც მკვეთრად უპირისპირდებოდა იმხანად მეცნიერებაში ახალფეხადგმულ მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას. ამიტომ XX ს. 30-იან წლებში, როდესაც ე., როგორც საზ. მეცნიერება ძალას იკრებდა, ის ,,ბურჟუაზიულ მეცნიერებად გამოაცხადეს და ფაქტობრივად აკრძალეს. თვითგადარჩენის მიზნით ეს მეცნიერება იძულებული გახდა ტრადიციული კულტურისა და ყოფის ემპირიული აღწერით შემოფარგლულიყო. ამიტომ სსრ კავშირში მეცნიერებამ ხალხის შესახებ დაიმკვიდრა სახელი ,,ეთნოგრაფია“. ე-ის აკრძალვით ფაქტობრივად შესუსტდა ხალხის, ეთნოსის, ერის, სახელმწიფოს თუ სხვ. სერიოზული საკითხების თეორიული კვლევა, რაც საბჭოთა წყობისათვის მიუღებელი იყო.

თეორ. ე-ის კვლევის უკანა პლანზე გადაწევას, იდეოლოგიურ შეუთავსებლობასთან ერთად, პრაქტ. ამოცანებიც დაედო საფუძვლად. სსრ კავშირის განაპირა რეგიონებში მცხოვრები მრავალეროვანი ხალხების ეთნოგრ. შესწავლა, რ-იც საბჭ. წყობილების დამკვიდრების პრაქტ. ამოცანებით იყო განპირობებული, ძირითადად ხალხთა ყოფისა და კულტ. აღწერას ისახავდა მიზნად. ასე გამოეცალა საფუძველი ფუნდამენტურ ეთნოლოგიურ გამოკვლევებს და იგი არსებითად აღწერილობითი ხასიათის მეცნიერებად იქცა.

ანალოგიური პროცესები ხდებოდა საქართველოშიც, სადაც ტერმინი ,,ეთნოლოგია“ გ. *ჩიტაიამ* ჯერ კიდევ XX ს. 20-იანი წწ. დასაწყისში შემოიტანა მეცნიერებაში და განსაზღვრა მისი მიზანი და ამოცანები. შემდგომ, სსრკ სამეცნ. ცენტრების კვალდაკვალ, საქართველოშიც ე-ის ნაცვლად ტერმინი ეთნოგრაფია დამკვიდრდა. ქართ. საბჭ. ეთნოგრაფიაში კვლევის მიმართულებათა ხასიათი, რაც, პირველ რიგში, საქართვ. მოსახლეობის ყოფისა და კულტ. აღწერასა და საველე ეთნოგრ. მასალების კვლევას ისახავდა მიზნად, პრაქტიკულად ტერმინ ე-ს შეესაბამებოდა.

გასული საუკუნის 80–90-იან წლებში აღმ. ევროპისა და ყოფ. სსრკ-ის ქვეყნებში ტერმინმა „ეთნოლოგიამ“ კვლავ დაიბრუნა თავდაპირველი მნიშვნელობა. გაჩნდა ე-ის საგნობრივი სფეროს – ეთნოსის ალტერნატიული, ეთნ. ჯგუფებისა და ეთნ. იდენტურობის აღმნიშვნელი ახ. ცნება – ეთნიკურობა. მეტნაკლები ცვლილებები განიცადა ე-ის საგნობრივ სფეროსთან დაკავშირებულმა სხვა ტერმინებმა და ცნებებმა (ეთნოგენეზი, ეთნ. პროცესები, ეთნ. ჯგუფი, ერი-ნაცია და ა. შ.).

თანამედროვე ე-ში ეთნოსის ტრადიციულ შეხედულებასთან ერთად ჩამოყალიბდა ახალი ე. წ. რაციონალისტურ-ინსტრუმენტალისტური და კონსტრუქციულ-თეორიული კონცეფციები. ამასთან სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან ერთად XX ს. 50-იან წლებში საქართველოშიც მოხდა დარგის სახელწოდების – ე-ის აღდგენა. თუმცა იხმარება კონკრ. პრობლემური მიმართულებების აღმნიშვნელი ცნებები – „კულტ. ანთროპოლოგია“ და „სოც. ანთროპოლოგია“.

ლიტ.: მელიქიშვილი ლ., ეთნოგრაფია თუ ეთნოლოგია, თბ., 2000; შამილაძე ვ., ქართული ეთნოლოგიის გზები და პერსპექტივები, კრ.: ქართული ეთნოლოგია, I, თბ., 2005; შამილაძე ვ., მიმინოშვილი ო., საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია, I., თბ., 2009; ჩიტაია გ., ქართული ეთნოლოგია, «მიმომხილველი», 1926, ტ. 1; ყიფიანი პ., ეთნოლოგიის პრობლემები, თბ., 1995; Бромлей Ю. В., Этнос и этнография, М., 1973; მისივე, Очерки теории этноса, М.,

1982; Леви-Стросс К., Структурная антропология, М., 1983; Лурье С. В., Историческая этнология, М., 1997; Преображенский П. Ф., Курс этнологии, М.–Л., 1929; Тишков В. А., Очерки теории и политики этничности в России, М., 1997; მ ი ს ი ვ ე, Реквием по Этносу, Исследования по социально-культурной антропологии, М., 2003; მ ი ს ი ვ ე, Этнология и политика, М., 2001.

ვ. შამილაძე.

ეთნოფსიკოლოგია, იხ. *მუსიკოლოგიური ფოლკლორისტიკა.*



ლ. ეილერი.

ეიალეთი, უმაღლესი ადმინისტრაციული ერთეული ოსმალეთის იმპერიაში სულთან მურად III-ის (1574–95) დროიდან. პარალელურად იხმარებოდა ვ ი ლ ა ი ე თ ი ც. ე-ებად იყოფოდა ოსმალეთის სახელმწიფო თანზიმათამდე (პროგრ. რეფორმების პერიოდი 1839-იდან XIX ს. 70-იანი წლების დასაწყისამდე). XVII ს-ში 30-ზე მეტი ე. იყო. ე-ს ბეგლარბეგი (მირ-მირანი, ფაშა) განაგებდა და მას საფაშოსაც უწოდებდნენ [იხ. *ახალციხის (ჩილდირის) საფაშო*]. ბეგლარბეგი განაგებდა სამხ. და ნაწილობრივ სამოქალაქო საქმეებს. მას ხელფასის ნაცვლად *ჩასი* ეძლეოდა და მისი წლიური შემოსავალი 400 000 ახჩაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ე. სანჯაყებად იყოფოდა. დროთა განმავლობაში მათი რიცხვი გაიზარდა, მაგ., ახალციხის (ჩილდირის) ე-ში 1595 წ. 8 სანჯაყი იყო, XVII ს-ში – 14, XVIII ს-ში – 21.



ეირენისი. საყელოიანი ეირენისი (Eirenis collaris).



ეირენისი. წყნარი ეირენისი (Eirenis modestus).

ე. ორი კატეგორიისა იყო. 1. სალიანეს (წლიური გადასახადი) არმქონე და 2. სალიანეს მქონე. სალიანეს არმქონე ე-ში თიმარული (იხ. *თიმარი*) სისტემა იყო გავრცელებული. ასეთი ე-ები არსებობდა საკუთრივ ოსმ. მიწაწყალზე და იმ დაპყრობილ ქვეყნებში, სადაც ოსმალებმა შედარებით მტკიცედ მოიკიდეს ფეხი და თავიანთი სოც.-პოლიტ. სისტემა დანერგეს. სალიანეს მქონე ე-ებში თიმარული სისტემა არ არსებობდა. მისი გამგებლები, რ-ებიც ნახევრად დამოუკიდებლები იყვნენ, ყოველწლიურად გზავნიდნენ გადასახადს ოსმ. ხაზინაში. ადგილ. წესები ძირითადად ხელუხლებელი რჩებოდა. სალიანეს მქონე ე-ები იყო ეგვიპტე, იემენი, აბისინია, ბაღდადი, ბასრა, ლაჰსა, ალჟირი, ტუნისი და დას. ტრიპოლი; სალიანეს არმქონე ეიალეთები – ახალციხის (ჩილდირის), არზრუმის, ტრაპიზონისა და სხვ.

ლიტ.: ს ვ ა ნ ი ძ ე მ., ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული წყობა და პროვინციული მართვა-გამგეობა XVI საუკუნეში, კრ.: მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, [ტ.] 1, თბ., 1963; Сафрастян Т. А., Административное деление Османской империи в XVII в., «Востоковедческий сборник », т. 1, Ер., 1960.

მ. სვანიძე.

ეილერი (Euler) ლეონარდ [4 (15). IV. 1707, ბაზელი, შვეიცარია, – 7 (18). IX. 1783, პეტერბურგი], მათემატიკოსი, მექანიკოსი, ფიზიკოსი და ასტრონომი. განათლება მიიღო ბაზელის უნ-ტში. 1727–41 მუშაობდა პეტერბ. მეცნ. აკადემიაში, ლექციებს კითხულობდა აკად. უნ-ტში, დაწერა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ,,არითმეტიკის სახელმძღვანელო'' (1938–40), წარმატებით მუშაობდა რუსეთის რუკების შედგენაზე, მონაწილეობდა სხვადასხვა ტექ. ექსპერტიზაში. პეტერბურგში ცხოვრების პირველ პერიოდში დასაბეჭდად მოამზადა 80 და გამოაქვეყნა 50-ზე მეტი ნაშრომი მათემატიკასა და მექანიკაში. 1741 მუშაობა დაიწყო ბერლინში მეცნ. აკად. მათ. კლასის დირექტორისა და გამგეობის წევრის თანამდებობაზე. აქ ე-მა საფუძველი ჩაუყარა ტურბინების თეორიას, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა როგორც ოპტ. ტექნიკის განვითარებაში, ისე მასალათა გამძლეობის მოძღვრებაში; სწავლობდა ქარის წისქვილების მოწყობილობას. 1766 ე. ოჯახთან ერთად ხელმეორედ ჩავიდა პეტერბურგში. მიუხედავად ხანდაზმულობისა და უსინათლობისა, მისი შრომისუნარიანობა არ დაქვეითებულა. პეტერბურგში ცხოვრების მეორე პერიოდში მან დასაბეჭდად მოამზადა 400-მდე შრომა, მ. შ. რამდენიმე დიდი წიგნი.

ე. იყო ბერლინისა და პარიზის აკადემიების, აგრეთვე ლონდონის სამეფო საზ-ბისა და სხვათა წევრი. დაწერა 850-მდე სამეცნ. შრომა. საინტერესოა მისი მიმოწერა სხვადასხვა მეცნიერთან (3000 წერილიდან მხოლოდ ნაწილია გამოქვეყნებული). ე-ის მოღვაწეობა ეხება მათ. და მექან. ყველა დარგს, მანქანების თეორიას, ოპტიკას, მუსიკის თეორიას, ბალისტიკას, საზღვაო მეცნიერებას, სადაზღვევო საქმესა და სხვ. მათ. ანალიზის მეთოდებით მან პირველმა ნათლად გადმოსცა წერტილის დინამიკა; დაამუშავა მყარი სხეულის კინემატიკა და დინამიკა – მიიღო უძრავი წერტილის ირგვლივ მყარი სხეულის ბრუნვის განტოლებები, რითაც საფუძველი ჩაუყარა გიროსკოპების თეორიას; მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მდგრადობის თეორიაში; გააღრმავა მთვარის მოძრაობის თეორია; შრომების დიდი ციკლი მიუძღვნა მათ. ფიზიკის ამოცანებს (სიმების, ფირფიტებისა და მემბრანების რხევის საკითხებს), სითხის დინების შესწავლას; საფუძველი ჩაუყარა კომპლ. ცვლადის ფუნქციათა თეორიას; შექმნა ვარიაციათა აღრიცხვა, დიფერენც. განტოლების თეორიის საფუძვლები; გაამდიდრა თვით დიფერენც. და ინტეგრ. აღრიცხვა (ცვლადთა გარდაქმნა, ერთგვაროვანი ფუნქციები, ეილერის ჩასმები, მწკრივთა თეორია, ჯაჭვწილადების თეორია); საფუძველი ჩაუყარა ტოპოლოგიას, გრაფთა თეორიას და მრავალწახნაგთა ზოგად თეორიას, სპეც. ფუნქციათა თეორიას (ბეტა-ფუნქცია, გამა-ფუნქცია, ელიფსური ინტეგრალები, ჰიპერბოლური და ცილინდრული ფუნქციები, ინტეგრალური ლოგარითმი და სხვ.); რიცხვთა თეორიას მან უძღვნა 100-ზე მეტი მემუარი – (დაამტკიცა პ. ფერმას მიერ გამოქვეყნებული მრავალი მოსაზრება, დაამუშავა ხარისხოვან ნაშთთა და კვადრ. ფორმათა თეორიის საფუძვლები; აღმოაჩინა, მაგრამ ვერ დაამტკიცა კვადრატულ ნაშთთა შექცევადობის კანონი, გამოიკვლია დიოფანტური ანალიზის მრავალი ამოცანა; მან პირველად გამოიყენა მათ. ანალიზის მეთოდები კომბინატორიკაში, დაყოფათა თეორიასა და მარტივ რიცხვთა თეორიაში.

დიდია ე-ის დამსახურება მათ. სხვა დარგებშიც. პ. ლაპლასის თქმით, ე. იყო XVIII ს. II ნახ. მათემატიკოსების მასწავლებელი.

ე-ის მიერ შემუშავებული მეთოდები განავრცო და გამოიყენა მრავალმა ქართველმა მეცნიერმა. მათემატიკაში, ფიზიკასა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში ძნელია მოიძებნოს მიმართულება, სადაც ე-ის მიერ მიღებული შედეგები არ იყოს გამოყენებული (ე-ის შედეგები განაზოგადა ა. *ბარაზიშვილმა*, ხოლო ე-ის ფუნქციები კი – ი. ლომიძემ, ნ. მახალდიანმა და სხვ.).

ეირენისი (Eirenis), გველების გვარი ანკარასებრთა ოჯახისა. აერთიანებს 14 სახეობას, რ-თაგან საქართველოში გვხვდება ორი. ს ა ყ ე ლ ო ი ა ნ ი ე. (E. collaris), გავრცელებულია თურქეთში, ერაყსა და ირანში, სომხეთში, აზერბაიჯანში, დაღესტანში, საქართველოს სამხრ.-აღმ. ნაწილში – ივრის ზეგანზე, შიდა და ქვემო ქართლში. წ ყ ნ ა რ ი ე. (E. modestus) გავრცელებულია

თურქეთში, ხმელთაშუა ზღვისა და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე, სომხეთში, დაღესტანში; საქართველოში გვხვდება შიდა ქართლსა და ივრის ზეგნის დას. ნაწილში, თბილ. მიდამოებში. ორივე სახეობა ბინადრობს მშრალ, ქსეროფიტულ, ქვიან ადგილებში. ე-ები იმალებიან ქვების ქვეშ და სოროებში, იკვებებიან უხერხემლოებით, ივნისსა და ივლისში დებენ 4–8 კვერცხს; სექტემბერ-ოქტომბერში იჩეკებიან 11 *სმ* სიგრძის ნაშიერები. მწერების განადგურებით სარგებლობა მოაქვთ.

თ. მუსხელიშვილი.

ეიხვალდი, აიხვალდი (Eichwald) კარლ ედუარდ (ედუარდ ივანეს ძე – რუს. საზ-ბაში) (4. VII. 1795, მიტავა, ახლანდ. ელგავა, – 4. XI. 1876, პეტერბურგი), გერმანელი ბუნებისმეტყველი, მოგზაური, პეტერბურგის მეცნ. აკადემიის წ.-კორ. (1826). პირველმა დაიწყო პალეონტოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის, სწავლება რუსეთში. 1825–26 იმოგზაურა კასპიის-პირეთსა და კავკასიაში. 1826 წ. 5 აპრ. ჩამოვიდა თბილისში, საიდანაც იმოგზაურა თავდაპირველად იმერეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთის შავიზღვისპირეთში, შემდეგ მოიარა აღმ. საქართველო, იყო ცხინვალში, კახეთში, ბელაქანსა და ელისუში. ამ მოგზაურობის შედეგია მისი ორტომიანი ნაშრომი ,,ედუარდ აიხვალდის მოგზაურობა კასპიის ზღვასა და კავკასიაში 1825–26 წლებში'' (1834–37). ცნობები საქართველოს შესახებ ძირითადად თავმოყრილია ნაშრომის მეორე ნაწილის (,,მოგზაურობა კავკასიაში'') – II, III, და IV თავებში. ნაშრომში დიდი ადგილი უჭირავს ქვეყნის გეოგრ. და მინერალ. აღწერას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნიადაგების შემადგენელ ქანებს, სასარგებლო წიაღისეულის საბადოებს. ე. დაწვრილებით შეეხო ადგილ. ფლორას და ფაუნას, დაგვიტოვა საინტერესო სტატისტ. მონაცემები ამინდის, წყალდიდობების, მიწისძვრების შესახებ და სხვ.

ე-მა აღწერა ქვეყნის სოც. და ეკონ. მდგომარეობა, სოც. ფენები და მათი ურთიერთობა რუს. ახალ მმართველობასთან, მოსახლეობის ეკონ. სიდუხჭირე და სხვა; ვრცლად შეეხო ვაჭრობას და მისი განვითარების პერსპექტივებს, ქვეყნის კულტურას, სწავლა-განათლების მდგომარეობას. მნიშვნელოვანია ე-ის ნაშრომში დაცული ეთნოგრ. ცნობები (წეს-ჩვეულებები, ნიშნობა-ქორწილი, საცხოვრებელი სახლების ტიპები, სატრანსპორტო საშუალებები, ჩაცმულობა და სხვ.). გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი მოსახლეობის ეროვნ. შემადგენლობას, თითოეული ეთნოსის დახასიათებას, რაოდენობას, საქმიანობას, სარწმუნოებას, ღვთისმსახურების წესებს, ენას. აქვე ცდილობს ქართ. ენის წარმომავლობის დადგენას და მკვეთრად ემიჯნება ზოგიერთ მოსაზრებას, რ-ის მიხედვითაც ქართ. დამწერლობა და ენა სომხურიდან წარმოდგება. ,,ქართული ენის ფესვები საკუთარია'' – ასკვნის ის.

ე. საკმაოდ ფართოდ იყენებს ისტ. ცნობებს, თუმცა ბევრ უზუსტობას უშვებს ძვ. ისტორიის გადმოცემისას; ამასთან თითქმის ზუსტად მოგვითხრობს XVIII–XIX ს. პირველი მეოთხედის ისტორიას, რუსეთის მმართველობის დამყარებას საქართვ. სხვადასხვა მხარეში, ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოთა გაუქმებას, სამთავროთა დამორჩილებას, გვაწვდის ცნობებს ამ მოვლენებთან დაკავშირებული აჯანყებების [მთიელთა (1804), კახეთის (1812), იმერეთის (1819), აფხაზეთის (1824)] შესახებ. როცა რუსეთის მთავრობასთან მოსახლეობის ურთიერთობაზე საუბრობს, აღნიშნავს, რომ ,,სომხები ყოველთვის რუსეთის ერთგულნი რჩებოდნენ და არც ერთ ამბოხებაში არ მონაწილეობდნენ''.

ე. დიდ ყურადღებას უთმობს ქართ. კულტურას, აღნიშნავს მის დიდ კულტ. წარსულს, რასაც ადასტურებს, თუნდაც, ეკლესიებისა და ნანგრევების სიმრავლით. ამავე დროს კარგად იცის ამ კულტურის დაცემის მიზეზებიც – ქვეყნის ისტორიას იგი უწოდებს დამპყრობთა წინააღმდეგ გამუდმებული ომების ისტორიას.

თხზ.: Reise auf dem Caspischen Meere und in den Kaukasus, Tübingen, 1834.

ლიტ.: ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005; Полиевктов М. А., Европейские путешественники по Кавказу 1800–1830 гг., Тб., 1946.

გ. გელაშვილი.

ეკალაურის განძი, ძვ. წ. XI ს. ბრინჯაოს ნივთების განძი. აღმოჩნდა 1960 სოფ. ერგეთში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), ეკალაურის უბანში, ადგილ ხორჩენაზე. განძში შედის ბრინჯაოს 2 ცული, 4 თოხი, 2 წალდი და წიდა. ბრინჯაოს ერთი ცული დ. ქორიძისეული III სახეობისაა, მეორე – IV ქვესახეობის. ოთხივე თოხი ტრაპეციის ფორმისაა, ფართოპირიანი. ერთი წალდი დაზიანებულია.

განძი დაცულია ხ. ახვლედიანის სახ. აჭარის სახელმწ. მუზეუმში.

ლიტ.: რამიშვილი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974; ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

ა. რამიშვილი.

ეკალაძე ია (ნამდვ. გვარი და სახელი – ცინცაძე იაკობ თომას ძე) [14(26). III. 1872, სოფ. ჯავა, გორის მაზრა, ახლანდ. ცხინვალის მუნიციპალიტეტი, – 11. X. 1933, თბილისი], მწერალი და საზოგადო მოღვაწე. 1893 გარიცხეს თბილ. სას. სემინარიიდან როგორც ,,პოლიტიკურად საეჭვო''. 1911 დაამთავრა ყაზანის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი. იყო გაზ. ,,ქართლის'' (1912–13), ,,სამშობლოს'' (1915–16), ,,სამშობლოს'' სურათებიანი დამატების რედ.-გამომცემელი. 1894 გაზ. ,,ივერიაში'' თომაანთ კობას ფსევდონიმით გამოაქვეყნა პირველი მოთხრობა ,,ილიკო ბედენიძე'', 1897 – მოთხრ. ,,რას იცინი?'' ე. ქართვ. ხალხისან მწერალთაგან განსხვავებით, უმთავრესად აღწერდა წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ცხოვრებას. დაბეჭდილ გლეხებში განათლების შეტანისთვის მებრძოლი ღარიბი ინტელიგენციის ბედია აღწერილი მოთხრობაში ,,თეო'' (1895), წვრილბურჟუაზიული ფენის ცხოვრების წესია ნაჩვენები მოთხრობებში: ,,წერილები'', ,,ჩემი ცოდვა გქონდეს!'' (1894), ,,კრებაზე'' (1897). ქართ. სცენაზე წარმატებით იდგმებოდა ე-ის პიესა ,,ნომერი ოცდაერთი ჯვრით'' (1916). მასვე ეკუთვნის პატრ. სულისკვეთებით გამსჭვალული თეთრი ლექსები, რ-თაც ,,ლექსისებურს'' უწოდებდა. 1927 მისი რედაქტორობით გამოვიდა ,,ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია'' (ტ. I, II – 1928, III – 1930).



ი. ეკალაძე.

თხზ.: რჩეული ნაწერები, ტფ., 1934; კრებული, თბ., 1949.

ლიტ.: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 5, თბ., 1982.

ა. მირიანაშვილი.

„ეკალი“, 1. იუმორისტული ჟურნალი, გამოდიოდა თბილისში 1907. იბეჭდებოდა პოლიტ. სატირით გამსჭვალული წერილები, კარიკატურები, რ-ებიც ეკუთვნოდა როტერსა (ო. შმერლინგი) და გ. ზაზიაშვილს. თარიღის აღუნიშნავად გამოვიდა

ორი ნომერი (რედ. – ა. წერეთელი, გამომც. – თ. ბაქრაძე).

2. ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი სოციალ-დემოკრატიული მიმართულებისა, გამოდიოდა თბილისში 1907–08. ლიტ. გარდა იბეჭდებოდა სტატიები პოლიტეკონომიის საკითხებზე, როტერისა (ო. შმერლინგი) და გ. ზაზიაშვილის კარიკატურები და სხვ. 1907 გამოვიდა 7 ნომერი, 1908 – 5 (რედ.-გამომც. – პ. გაჩეჩილაძე). დაიხურა თბილ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით.

„ეკალი“, ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი სოციალ-დემოკრატიული მიმართულებისა. გამოდიოდა თბილისში 1908. გამოვიდა 32 ნომერი (რედ.-გამომც. – პ. გაჩეჩილაძე). დაიხურა თბილისის გენ.-გუბერნატორის განკარგულებით.



ეკალღიჭი. ეკლიანი ღერო ნაყოფით.

ეკალღიჭი (Smilax excelsa), მხოხავი ბუჩქი შროშანისებრთა ოჯახისა. სიმაღლე 10–15 (20) *მ* აღწევს. მის გრძელ მცოცავ ღეროებს მაგარი მჩხვლეტავი ეკლები აქვს, ფოთლის ყუნწს კი – ძირში ორი მოწითალო ან მწვანე ულვაში, რითაც საყრდენს ეხვევა. მომწვანო წვრილი ყვავილები მტევნისებრ ქოლგა ყვავილედებშია თავმოყრილი. ნაყოფი წითელი კენკრაა. იზრდება კავკასიაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში, მცირე აზიასა და ირანში. ფართოდ არის გავრცელებული საქართვ. დაბლობისა და ჭალის ტყეებში; ხეებზე ძალიან მაღლა ადის და ისე იხლართება, რომ ტყე ხშირად გაუვალი ხდება. როგორც სარეველა, იშვიათად გვხვდება ჩაის პლანტაციებშიც. მის ნორჩ ყლორტებს საჭმელად იყენებენ, ხოლო ფოთლებს – ხალხ. მედიცინაში. დეკორატიულია, განსაკუთრებით ლამაზია შემოდგომაზე, როცა ნაყოფი წითლდება.



ეკატერინე დადიანი. მხატვარი ფ. ქ. ვინტერჰალტერი. XIX ს. 60-იანი წლები. დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი. ზუგდიდი.

ეკატერინე II ალექსის ასული [21. IV (2.V). 1729, შტეტინი, გერმანია, – 6 (17). XI. 1796, ცარსკოე-სელო, ახლანდ. ქ. პუშკინი], რუსეთის იმპერატორი 1762 წ. 28 ივნისიდან. ე. II წარმომავლობით ღარიბ გერმ. მთავართა გვარიდან იყო (ქალიშვილობაში – სოფია ფრედერიკა ავგუსტა ფონ ანჰალტ-ცერბსტი). 1745 ცოლად გაჰყვა რუს. ტახტის მემკვიდრეს (შემდგომ პეტრე III-ს), რ-იც გამეფებისთანავე ტახტიდან ჩამოაგდო და თვითონ გამეფდა. ე. II-მ საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია (საკანონმდებლო აქტები, სახელმწ. ტერიტ. ზრდა და სხვ.). იგი აქტიურად მონაწილეობდა იმპერიის ცხოვრებაში, მტკიცედ ატარებდა თავად-აზნაურთა ინტერესების გამომხატველ პოლიტიკას, თუმცა ნიღბავდა მას ლიბერალური ფრაზებით, რაც დამახასიათებელი იყო ე. წ. ,,განათლებული აბსოლუტიზმისათვის“. ე. II-ის დროს მოხდა გლეხთა ამბოხი ემელიან პუგაჩოვის წინამძღოლობით (1773–75). ამას მოჰყვა რეაქციის გაძლიერება და თავად-აზნაურთა უფლება-პრივილეგიების განმტკიცება (1785 წყალობის სიგელი). ე. II-ის საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო დასავლეთით (რეჩპოსპოლიტა – პოლონეთის სამეზის დაყოფა) და სამხრეთით (ოსმალეთი, ჩრდ. შავიზღვისპირეთი, ყირიმი, ჩრდ. კავკასია). რუსეთს ოსმალეთთან ომში ევრ. სახელმწიფოების მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდა და მოკავშირეებს ბალკანეთსა და კავკასიაში ეძებდა. ამ მიზნით ე. II-ს მთავრობამ მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა სოლომონ I-თან, ერეკლე II-თან და ისინი ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაითრია. ამის შედეგად ქართვ. მეფეებს კიდევ უფრო გაურთულდათ ურთიერთობა ოსმალეთთან, რუსეთმა კი დიდ დიპლ. და სამხ. წარმატებებს მიაღწია. ამ ომების შედეგად რუსეთი მტკიცედ დამკვიდრდა შავ ზღვასა (1783 შეიერთა ყირიმი) და კავკასიაში (1783 ქართლ-კახეთის სამეფოსთან დაიდო მფარველობითი ტრაქტატი. იხ. *გეორგიევსკის ტრაქტატი 1783*), რაც განპირობებული იყო რუსეთის ატტ. კოლონ. პოლიტიკით. რუსეთს თავისი მიზნები ჰქონდა და სრულიადაც არ აპირებდა ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას (იხ. *კრწანისის ბრძოლა 1795*). ე. II-მ ფაქტობრივად მოამზადა რუს. მიერ საქართვ. ანექსია.

ე. II-მ დატოვა ფართო ლიტ. მემკვიდრეობა (სტატიები, კომედიები, ზღაპრები, ისტ. თხზულებები, მიმოწერა დას. ევრ. განმანათლებლებთან), რაც მნიშვნელოვანი წყაროა მისი მოღვაწეობის შესასწავლად.

ლიტ.: Соловьев С. М., История России с древнейших времен, Соч., т. 25–29, М., 1965–66; Тарле Е. В., Екатерина Вторая и ее дипломатия, ч. 1–2, М., 1945.

ნ. ნაკაშიძე.

ეკატერინე დადიანი (19. III. 1816 – 13. VIII. 1882), სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფალი; ა. *ჭავჭავაძის* ასული. 1839 ცოლად გაჰყვა სამეგრელოს მთავრის მემკვიდრეს – *დავით დადიანს.* აქტიურად მონაწილეობდა სამთავროს მართვა-გამგეობაში. 1853, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრე ნიკოს სრულწლოვანებამდე, რუსეთის იმპერატორმა ე. დ. რეგენტად დაამტკიცა. ყირიმის ომის დროს (1853–56), როდესაც სამეგრელოს დიდი ნაწილი ოსმალებმა დაიკავეს, ოსმალთა სარდალმა ომერ-ფაშამ სცადა სამეგრელოს დედოფალთან შეთანხმება, მაგრამ ე. დ. ლეჩხუმში გაიხიზნა და შეუდგა სახ. ლაშქრის ორგანიზებას, პირადად მონაწილეობდა მტრის რაზმებზე თავდასხმაში. 1856 ე. დ. მიიწვიეს პეტერბურგში ალექსანდრე II-ის მეფედ კურთხევის ცერემონიალზე; იგი დიდი პატივით მიიღეს, მიანიჭეს ,,სტატსდამის“ წოდება და წმ. გიორგის მედლით დაჯილდოეს. 1857 სამეგრელოში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა. ე. დ-მა დახმარებისათვის რუს. ხელისუფლებას მიმართა, იგი გლეხთა სასტიკად დასჯას ითხოვდა. მთავრობამ ეს მომენტი სამეგრელოს სამთავროს გაუქმებისათვის გამოიყენა, აჯანყების მიზეზად მმართველობის უვარგისობა ჩათვალა და შეეცადა დაერწმუნებინა ე. დ. ნებაყოფლობით წასულიყო სამთავროდან, მაგრამ რაკი ეს ვერ მოახერხა, მას სამემკვიდრეო უფლების შენარჩუნების გარანტია მისცა – სამთავროში შემოღებული ახ. მმართველობა, ვითომდა დროებით, მემკვიდრის სრულწლოვანებამდე ცხადდებოდა. 1857 წ. 26 სექტ. სამეგრელოს ,,დროებით“ მმართველად გენ. ნ. კოლუბიაკინი დაინიშნა. ეს ფაქტობრივად სამეგრელოს ავტონომიის გაუქმებას ნიშნავდა. სიცოცხლის უკანასკნელი წლები ე. დ-მა სამეგრელოში გაატარა. დაკრძალულია მარტვილის ტაძარში. ე. დ-მა შემოუნახა შთამომავლობას ნ. ბარათაშვილის ხელნაწერი რვეული (ლექსები და პოემა ,,ბედი ქართლისა“).

ლიტ.: დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957; მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941; მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939; მისივე, ქართველი მწერლები, ს. ცაიშვილის გამოც., [ტ.] 2, თბ., 1957; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970.

დ. კაჭარავა.

ეკატერინე II-ის განაწესი 1767, რუსეთის იმპერიის სამართლებრივი ძეგლი, ფილოს.-იურიდ.

ტრაქტატი სახელმწიფო, ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის, აგრეთვე სასამართლო პროცესის საკითხებზე. განაწესი დაწერა ეკატერინე II-მ ახ. სჯულდების შემდგენელი კომისიის დეპუტატთა სახელმძღვანელოდ. გამოიცა რუსულად, ფრანგულად, გერმანულად და ლათინურად. შეიცავს განმანათლებლური ლიტ-რის აზრებსა და მოარულ გამონათქვამებს. განაწესი 1786 ქართ. ენაზე თარგმნა გ. ნაცვლიშვილმა. საქართველოში XVIII ს. დამლევს განმანათლებლური იდეების სულისკვეთებით შედგენილი კანონპროექტები, კერძოდ, ,,*სამართალი ბატონისშვილის დავითისა*‘‘, მოწმობს, რომ მათი შემუშავება ე. II-ის ბ-ის გათვალისწინებით ხდებოდა.

ლიტ.: სამართალი ბატონისშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის გამოც., თბ., 1964, გვ. 08–010, 016, 075 და სხვ.

დ. ფურცელაძე.

ეკატერინეს დედათა მონასტერი, მდებარეობს იერუსალიმში წმ. საფლავის ეკლესიის მახლობლად. ტიმოთე გაბაშვილის გადმოცემით, ,,მონასტერი დედათა წმიდისა ეკატერინესი – ფანასკერტელისა-ციციშვილისა ამილღაბარისა და მაჩაბელთა, მოხსენება მუნ (არს). ესე მონასტერიცა დედათა არს‘‘. მაშასადამე, მონასტრის ერთ-ერთი ამშენებელი ფანასკერტელ-ციციშვილი იყო. ტიმოთე გაბაშვილის ნათქვამის მიხედვით, ამილღაბარ ფანასკერტელ-ციციშვილთან ერთად წმ. ეკატერინეს მონასტრის დამაარსებელი მაჩაბელიც იყო. მართალია, მაჩაბელი აღაპებში არ მოიხსენიება, მაგრამ ეს სხვა წერილობითი წყაროებით დასტურდება.

იერუსალიმის წმ. ეკატერინეს მონასტერი სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის მეტოქად (მონასტრის კუთვნილ და დაქვემდებარებულ ეკლესიად) იქნა დადგენილი, რ-ის ერთ-ერთი დანიშნულება საქართველოდან წმ. მიწაზე მისული პილიგრიმების სინას მონასტერთან დაკავშირება და შეწირულობათა გადაგზავნა იყო. სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერს მრავალ ქვეყანაში ჰქონდა მეტოქი ეკლესია-მონასტრები და მამულები. თბილისში მას ეკუთვნოდა წმ. ეკატერინეს ეკლესია, სოფ. მელვრეკისში (გორის მახლობლად) კი – მამულები.

გამოთქმულია ვარაუდი (ე. მეტრეველი), რომ იერუსალიმის წმ. ეკატერინეს მონასტერი დაარსებული უნდა იყოს XIV ს. პირველი ნახევრიდან XV ს. დამდეგამდე. დროის დაზუსტებისას შესაძლებელია უპირატესობა მიენიჭოს XV ს. დამდეგს, რადგან ქტიტორები იმ მაჩაბელთა შორის უნდა ყოფილიყვნენ, რ-ებმაც თავი გამოიჩინეს თემურ-ლენგის წინააღმდეგ ბრძოლაში. XVIII ს. შუა ხანებში მონასტერში ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ ქართველები. ე. დ. მ. ამჟამად ბერძნების კუთვნილებაა.

წყარო: გაბაშვილი ტ., მიმოსლვა, ე. მეტრეველის გამოც., თბ., 1956; მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI–XVII სს.), თბ., 1962.

ლიტ.: კლდიაშვილი დ., სინის სულთა მატიანე. ფანასკერტელ-ციციშვილთა საქტიტორო მოღვაწეობა წმინდა მიწასა და სინაზე, «ენიმკი». ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 2002; მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, გორი, 1998. *ე. მამისთვალიშვილი.*



წმინდა ეკატერინეს დედათა მონასტერი. XVI ს. იერუსალიმი.

ეკი, სოფელი სენაკის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ცივის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: ე., საადამიო, საგუნიო, საცხვიტავო, შრომისკარი). ზ. დ. 50 *მ,* სენაკიდან 18 *კმ.* 127 მცხ. (2002). სოფელში არის აკად. თ. *დავითაიას* სახლ-მუზეუმი.

ე. წყაროებში პირველად XVII ს. 20-იანი წლებიდან მოიხსენიება. შემონახულ ძეგლთაგან ყველაზე ძველია მდ. ცივის მახლობლად მაღალ მთაზე აღმართული ციხე, რ-იც ეგრისის სამეფოს ადრინდ. ხანას, IV–V სს. მიეკუთვნება. ციხე ძლიერ დაზიანებულია, შედგება კოშკისა და გალავნისაგან. სოფლის სამხრ.-აღმ-ით, გრძელ ბორცვზე, იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსია. დღემდე მოღწეულია შვერილაფსიდიანი ერთნავიანი ეკლესია (IX–X სს.), სამრეკლო, გალავანი, პალატი და საცხოვრ. ნაგებობათა ნაშთები. ეკლესია მრავალჯერაა გადაკეთებული. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. XIII–XIV სს-ში ეკლესიას დას. მხრიდან თლილი ქვით ნაგები ვრცელი სათავსი მიაშენეს. გალავნის ჩრდ. ნაწილში მოწყობილია შესასვლელი. მის ერთ მხარეს პალატია, მეორე მხარეს – XIII–XIV სს. ორსართულიანი სამრეკლო, რ-ის II სართულის ქვით ნაგები, თაღებით გახსნილი ფანჩატური მდიდრულადაა მოჩუქურთმებული.

სოფლის ჩრდ.-აღმ. მონაკვეთში მდებარეობს მეორე ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რ-ის მთავარი ნაგებობაა ორიგინ., გეგმით ჯვრისებრი ეკლესია მაცხვარკარი (XIII ს. II ნახ.). მას აღმ-ით შვერილი წახნაგოვანი აფსიდი აქვს. ეკლესიას მოგვიანებით დას-იდან მიაშენეს მდიდრულად მოჩუქურთმებული სფერულკამარიანი კარიბჭე. ეკლესიის დას-ით შემორჩენილია ეკლესიისავე თანადროული ორსართულიანი სამრეკლოს ნანგრევები. სოფლის სხვადასხვა უბანში კიდევ 2 ეკლესია ყოფილა. ერთს ,,მაცხოვარს‘‘ უწოდებენ, მეორეს – ,,უფლისკარს‘‘, 1971 ე-ში აღმოაჩინეს ვერცხლის მონეტების განძი (იხ. *ეკის განძი*).

ლიტ.: ადამია ი., ეკის ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსის ხუროთმოძღვრება, «ძეგლის მეგობარი», 1980, №55; 1981, №57. *პ. ზაქარაია.*

ეკიზაშვილი გიორგი კარლოს ძე (დ. 13. II. 1943, ბათუმი), მწერალი, მთარგმნელი. 1964 დაამ-

ეკის განძი





ადრიანეს დიდრაქმა. ვერცხლი. II ს. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.





სეპტიმუს სევერუსის დენარი. ვერცხლი. II–III სს. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

თავრა თსუ-ის დას. ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტის ფრანგული განყ-ბა. 1969-იდან მოღვაწეობს თსუ-ში. 1998–2004 ლექციებს კითხულობდა თბილ. ენისა და კულტურის სახელმწ. უნ-ტში. პირველი თარგმანი (ა. კამიუს ნოველა ,,სტუმარი'') 1968 გამოაქვეყნა თსუ-ის სალიტ. ალმანახში ,,პირველი სხივი''. მისი თარგმანები (შ. ბოდლერი, გი დე მოპასანი, ა. რემბო, მ. მეტერლინკი, გ. აპოლინერი, ა. მორუა, ე. ბაზენი, ფ. საგანი, ჟ. პ. სარტრი, ნ. საროტი) იბეჭდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. 1981 კრებულში ,,ფრანგული დრამა'' დაიბეჭდა ე-ის ნათარგმნი მოლიერის პიესა ,,დონ ჟუანი''. ცალკე წიგნებადაა გამოცემული თარგმანები: მ. უელბეკის ,,ბრძოლის ველის განვრცობა'' (2000), ს. ბეკეტის ,,თამაშის დასასრული'' (2001), პ. მოდიანოს ,,დორა ბრუდერი'' (2001), ა. კამიუს ,,სამტომეული'' (ესეები და ნოველები; 2003), ა. დე სენტ-ეგზიუპერის ,,პატარა პრინცი'' (2004). გამოქვეყნებული აქვს საკუთარი ლექსების ორი კრებული: ,,ტრამალები'' (2002) და ,,ბილიკები'' (2006).

2001 საფრ. მთავრობის გადაწყვეტილებით, ,,ფრანგული კულტურის წინაშე დამსახურებისათვის'', ე-ს გადაეცა საფრ. სახელმწ. ორდენი ,,აკადემიური პალმის რტოს ოფიცერი''. 2009 წლის საუკეთესო თარგმანისათვის (დ. პენაკი, ,,ძაღლი ძაღლი'') ე-ს მიენიჭა ლიტერატურული პრემია ,,საბა''.

ეკის განძი, სოფ. ეკში (სენაკის მუნიციპალიტეტი) 1971 აღმოჩენილი ვერცხლის მონეტების განძი (907 ც.). მასში შედის პართიის მეფე ოროდე I-ის დრაქმა და რომის იმპერატორების – ნერვას, ტრაიანეს, ადრიანეს, ანტონინუს პიუსის, ლუციუს ვერუსის, კომოდუსის, პერტინაქსის, ნიგერიუსის, სეპტიმიუს სევერუსის, იულია დომნას, კარაკალას, გეტას, ელა გაბალუსისა და ალექსანდრე სევერუსის სახელით მოჭრილი დიდრაქმები და დენარები. ე. წ. ბაზილიკა, და ცენტრული – მრგვალი, მრავალწახნაგა, ჯვრისებრი შენობა, რ-იც ყოველთვის გუმბათით არ იხურებოდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ორი სახეობა შენობათა ორ განსხვავებულ ფუნქციას შეესაბამებოდა: ცენტრული შენობები – მარტირიუმები, წმინდანის საფლავთან დაკავშირებული მემორიალური სამლოცველოები იყო, ხოლო ბაზილიკები – ჩვეულებრივი ე-ები, სადაც ყოველდღიური წირვა-ლოცვა აღესრულებოდა.

საქართველოში გავრცელებულია ქრისტ. საკულტო არქიტექტურის ორი სახეობა – წაგრძელებული უგუმბათო შენობები და ცენტრული შენობები, თუმცა მათ შორის ფუნქციური სხვაობა არ არსებობს, ე. ი. გეგმის ცენტრულობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ე. წმინდანის ნაწილებთანაა დაკავშირებული. საქართველოსთვის უცხო იყო ისეთი მრგვალი ან მრავალწახნაგა ე-ები, რ-ებიც დასავლეთისა და წინა აღმოსავლეთის ზოგიერთმა ქვეყანამ მემკვიდრეობით მიიღო წინაქრისტიანული რომაული არქიტექტურისგან.

ქართ. ცენტრული ტაძრების (მცირე გამონაკლისის გარდა) ძირითადი ნაწილი კვადრატულია, რ-ზედაც აღმართულია გუმბათი და გარშემო კი ვითარდება ჯვარისებრი გეგმა (სხვა ტიპები გამონაკლისია ან გარდამავალ საფეხურს შეადგენს).

საქართველოში შემუშავდა ბაზილიკის თავისებური ვარიანტი, რ-საც ქართველმა მეცნიერებმა სამეკლესიიანი ბაზილიკა უწოდეს – აქ ერთ შენობაში გაერთიანებულია სამი დამოუკიდებელი სამლოცველო. მისი წარმოშობის მიზეზი, როგორც ჩანს, დღის განმავლობაში რამდენიმე წირვის გადახდის სურვილი იყო, ყოველი წირვისათვის კი ცალკე საკურთხეველი იყო საჭირო.

სამნავიანი და სამეკლესიიანი ბაზილიკების გვერდით საქართველოში იმთავითვე გავრცელდა უგუმბათო ნაგებობათა კიდევ ერთი, უმარტივესი სახეობა – ერთნავიანი ანუ დარბაზული ე.

ხუროთმოძღვრების საფუძვლად დადებული ძირითადი იდეით და უმთავრესი შემადგენელი ნაწილების განლაგების მხრივაც, ქართ. ე. მთლიანად და სავსებით იზიარებს მთელ ქრისტ. სამყაროში მიღებულ ნორმებს, ფუნქციური თვალსაზრისით იგი სხვა ქრისტ. (უპირველეს ყოვლისა მართლმადიდებელი) ქვეყნების ე-ებს ემთხვევა და შედგება აღმოსავლეთისკენ მიმართული აფსიდიანი (მცირე შემთხვევაში უაფსიდო) საკურთხევლისა (მის ორსავე მხარეს განლაგებულია სამკვეთლო და სადიაკვნე, გარდა უძველესი ე-ებისა, სადაც ეს სათავსები ჯერ კიდევ არ იყო) და მლოცველთა დარბაზისაგან — ესაა ყოველი ქართული ე-ის ძირითადი შემადგენელი ნაწილები. ქართული ე-ები იმთავითვე ატრიუმების გარეშე შენდებოდა, მათ არ გააჩნდათ არც ნართექსები დასავლეთის მხარეს (გამონაკლისი

ლიტ.: დუნდუა გ., საქართველოს სამონეტო განძები (რომაული ხანის მონეტები სოფ. ეკიდან და სეფიეთიდან), თბ., 1979; დუნდუა გ., წერეთვა ვ., ეკის განძი, «ძეგლის მეგობარი», 1971, №27–28; Дундуа Г. Ф., Клад римских монет I–III вв. из с. Эки, «Краткие сообщения Ин-та археологии АН СССР», 1977, №151.

გ. დუნდუა.

ეკლარის ძვა, ამ სახელწოდებით ცნობილია ქუთაისის მიდამოებში (თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭოგნართან) გვიანდ. ცარცული ასაკის სქელშრეებრივი კირქვები. არსებობს ე. ძ-ის ორი სახეობა: მოთეთრო-მონაცრისფრო და მოვარდისფრო-აგურისფერი. იგი ლამაზი შეფერილობის ადვილად დასამუშავებელი ქვაა, რის გამოც ფართოდ იყენებენ მშენებლობაში. ე. ძ-ით არის მოპირკეთებული თბილისის სპორტის სასახლე, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნ. რედაქციის ყოფ. შენობა, აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტი, მრავალი შენობა ქუთაისში და სხვ.

გ. ქოიავა.

ეკლესია (ბერძნ. ekklēsia — შესაკრებელი). 1. ძველ საბერძნეთში სახალხო კრების გავრცელებული სახელწოდება. 2. რელიგ. ორგანიზაცია, სარწმუნოებისა და კულტის ერთიანობაზე დამყარებული ამა თუ იმ რელიგიის მიმდევართა გაერთიანება, რ-ის ძირითადი ნიშნებია: მეტ-ნაკლებად დამუშავებული დოგმატიკა და საკულტო სისტემა, იერარქიული წყობა და მმართველობის ცენტრალიზაცია; მორწმუნეთა დაყოფა სასულიერო პირებად, რ-ებიც განსაკუთრებულ მსახურებას აღასრულებენ (სამღვდელოება), და ერისკაცებად. 3. ქრისტიანული რელიგიის საკულტო ნაგებობა ღვთისმსახურებისათვის. დროთა განმავლობაში შეიქმნა გეგმის, შიდა სივრცისა და გარეგნული სახის მხრივ განსხვავებული, ადგილ. სამშენებლო ტრადიციებთან შეხამებული სხვადასხვა ტიპის საეკლ. ნაგებობანი. ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში, ძველ ქრისტიანულ ხანაში, გავრცელებული იყო საეკლესიო ნაგებობათა ორი უმთავრესი სახეობა: წაგრძელებული უგუმბათო შენობა, ე. წ. ბაზილიკა, და ცენტრული – მრგვალი, მრავალწახნაგა, ჯვრისებრი შენობა, რ-იც ყოველთვის გუმბათით არ იხურებოდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ორი სახეობა შენობათა ორ განსხვავებულ ფუნქციას შეესაბამებოდა: ცენტრული შენობები – მარტირიუმები, წმინდანის საფლავთან დაკავშირებული მემორიალური სამლოცველოები იყო, ხოლო ბაზილიკები – ჩვეულებრივი ე-ები, სადაც ყოველდღიური წირვა-ლოცვა აღესრულებოდა.

იშვიათია), არც ცალკე აშენებული სანათლავები, ხოლო სამრეკლოები შედარებით გვიან გაჩნდა – შემორჩენილთაგან უძველესია გუდარეხის მონასტრის სამრეკლო, რ-იც წარწერის თანახმად აშენებულია 1278.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.

ეკლესიათა გაჟღოფა, იხ. *სქიზმა.*

ეკლესიათა მსოფლიო საბჭო (World Council of Churches), ეკუმენური მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანო. შეიქმნა ამსტერდამში 1948. აერთიანებს მართლმადიდებელი ეკლესიების უმრავლესობას და პროტესტანტული კონფესიების მნიშვნელოვან ნაწილს. 1961 ე. მ. ს-ს წევრი გახდა რუს. მართლმადიდებელი ეკლესია, 1963 კი – საქართვ. მართლმადიდებელი ეკლესია. 1978–83 წლებში სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქი იღია II ე. მ. ს-ს ერთ-ერთი პრეზიდენტი იყო.

ე. მ. ს-სა და ეკუმენური მოძრაობის მიზანია ქრისტ. ეკლესიებისა და კონფესიების გაერთიანება. მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციის მიხედვით, გაერთიანება მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა დაუბრუნდება ერთადერთ ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ეკლესიას. პროტესტანტები კი ხელშეკრულების ან კონფედერაციის პოზიციებზე დგანან. საქართვ. ეკლესიამ 1997 დატოვა ე. მ. ს-ს რიგები. *ვ. კობახიძე.*

ეკლესიასტე (ბერძნ. Ekklēsiastēs – ,,საკრებულოს მქადაგებელი''), ძველი აღთქმის წიგნი. განეკუთვნება ე. წ. ,,სიბრძნის ლიტერატურას'', რის გამოც იგი მიეწერება ებრაელთა მეფე სოლომონს (ძვ. წ. X ს.), თუმცა ენობრივი და სტილური ნიშნებით გაცილებით გვიან უნდა იყოს შექმნილი (დაახლ. ძვ. წ. III ს.). ე. შეიძლება ჩაითვალოს ცოდვილი და ცხოვრებით მოყირჭებული, წუთისოფელზე გულაცრუებული მეფის აღსარებად. მასში გაცხადებულია წუთისოფლის წარმავლობა, ღრმად არის განცდილი ყოფიერების ტრაგიზმი, მისი ,,ორგემაგეობა'' (დავით გურამიშვილის გამოთქმა), ადამიანის ბუნების უცვლელობა, მისი შემეცნებითი შესაძლებლობების დასაზღვრულობა – ადამიანი ვერ ჩასწვდება ცხოვრების აზრს, სიბრძნის დასაბამი ღვთის შიშია. ე-ს სულისკვეთების გასაღებია სიტყვები: ,,ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო'' (1,2). წიგნი შედგება ცალკეული შეგონებებისა და ბრძნული გამონათქვამებისგან, რ-ებიც ხშირად ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული. გვიანდ. იუდაისტურ ლიტ-რაში წიგნში გამოვლენილი მსოფლმხედველობა მეტად უარყოფითად იყო შეფასებული. ქართულად ე. ადრევე უთარგმნიათ, შეტანილია ძველი აღთქმის უძველეს ხელნაწერში – ,,ოშკის ბიბლიაში'' (978).

ზ. კიკნაძე.

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობას განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია (მ. 9). სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან; ამასთან, იგი აღიარებს საქართვ. სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართვ. ისტორიაში. საქართველოში ისტორიულად სახელმწ. რელიგია იყო მართლმადიდებლობა, რ-მაც მნიშვნელოვანწილად ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართ. კულტურა, ეროვნ. მსოფლმხედველობა და ფასეულობანი. საქართვ. სახელმწიფოსა და საქართვ. მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობას 2002-იდან აწესრიგებს კონსტ. შეთანხმება – სამართლებრივი აქტი, რ-საც საქართვ. კონსტიტუციის შემდეგ უპირატესი იურიდ. ძალა აქვს სხვა სამართ. აქტების მიმართ. კონსტ. შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ძირითადი კანონის მოთხოვნებს და საერთაშ. სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში. კონსტ. შეთანხმებით სახელმწ. და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

კონსტიტუციური შეთანხმებით საქართვ. მართლმადიდებელი ეკლესია ,,წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, – სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს''. გამომდინარე აქედან, იგი არ საჭიროებს რაიმე სახის რეგისტრაციას იურიდ. პირის სტატუსის მოსაპოვებლად. კონსტ. შეთანხმება განსაზღვრავს საქართვ. მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებს საზ. ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, აგრეთვე სახელმწიფოსთან მისი თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებს, ეკლესიასთან ურთიერთობაში სახელმწ. ვალდებულებებს. შეთანხმება ადგენს სას. პირების სამართ. მდგომარეობას, მათი უფლებების დაცვის სამართ. გარანტიებს, ეკლესიის საკუთრების საკითხებსა და სხვ.

შეთანხმებას ხელს აწერენ საქართვ. პრეზიდენტი და სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქი, ამტკიცებს პარლამენტი და წმინდა სინოდი.

საქართვ. მართლმადიდებელი ეკლესიისაგან განსხვავებით, საქართველოში მოქმედი სხვა რელიგ. გაერთიანებების სამართ. სტატუსს განსაზღვრავს საქართვ. სამოქალაქო კოდექსი (მმ. 1509, 1509[1]), რომლის თანახმად 2011-იდან რელიგ. გაერთიანებები შეიძლება დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის ან არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდ. პირებად, აგრეთვე ეწეოდნენ საქმიანობას, როგორც ამ კოდექსით გათვალისწინებული არარეგისტრირებული კავშირი. რეგისტრაციას ახორციელებს საქართვ. იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნ. სააგენტო. იგი უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდ. პირად დაარეგისტრიროს მხოლოდ ის რელიგ. გაერთიანება, რ-საც საქართველოსთან ისტ. კავშირი გააჩნია ან ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად. საჯარო სამართლის იურიდ. პირად რეგისტრირებულ რელიგ. გაერთიანებაზე არ ვრცელდება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ'' საქართვ. კანონი. ამ რელიგ. გაერთიანებების რეგისტრაციის მიმართ მოქმედებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდ. პირების რეგისტრაციისათვის დადგენილი წესი და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება სამოქ. კოდექსის I კარის II თავით.

რელიგ. გაერთიანებას საჯარო სამართლის იურიდ. პირად ან არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდ. პირად რეგისტრაციაზე შეიძლება უარი ეთქვას იმ შემთხვევაში, თუ სარეგისტრაციოდ წარდგენილი საბუთები არ შეე-

საბამება კანონის მოთხოვნებს და მისი მიზნები ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართვ. კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს. იხ. აგრეთვე სტ. *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.*

წყარო: კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, «საქართველოს საკანონმდებლო მაცნე», 27. XI. 2002, №116, მ. 1017.

ლიტ.: ხ ე ც უ რ ი ა ნ ი ჯ., კონსტიტუციური შეთანხმება და რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსის ზოგიერთი საკითხი საქართველოში, მის. წგ.: ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბ., 2011, გვ. 48–90.

ჯ. ხეცურიანი.

„ეკლესიის მამები“, ქრისტიანული ეკლესიის დოგმატიკისა და ორგანიზაციის შემქმნელი ცნობილი მოღვაწეების (II–VIII სს.) ტრადიციული სახელწოდება. კათოლ. ეკლესიაში „მ. მ.“ არიან ამბროსი მედიოლანელი, ავგუსტინე ნეტარი, იერონიმე და გრიგოლ I დიდი, მართლმადიდებელში – *ათანასე ალექსანდრიელი, ბასილი დიდი* კესარიელი, *გრიგოლ ნაზიანზელი* (გრიგოლ ღვთისმეტყველი), *გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქროპირი, იოანე დამასკელი.* „მ. მ-ს“ მიაკუთვნებენ გარკვეული პერიოდის საეკლ. მოღვაწეებს (ზოგი მეცნიერი თვლის, რომ ეს პერიოდი XII ს-მდე გრძელდება) და ეკლესიის მიერ წმინდანებად შერაცხულ იმ პირებს, რ-თა მოძღვრება ორთოდოქსულად არის მიჩნეული. „მ. მ-ის“ არაერთი დოგმატიკური, ლიტურგიკული, მორალისტურ-ასკეტური, ჰაგიოგრაფიული თუ ფილოს. ნაწარმოები ითარგმნა ქართულად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ძვ. ქართულ მწერლობაში ბასილი დიდის თხზულებამ „ექუსთა დღეთაჲ“, გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათჳს“, ათანასე ალექსანდრიელის „ცხოვრება წმიდისა ანტონისი“ და სხვ. თხზულებები თარგმნეს ექვთიმე და გაორგი მთაწმიდელებმა, ეფრემ მცირემ, გრიგოლ ოშკელმა, დავით ტბელმა და სხვ. იხ. აგრეთვე *პატრისტიკა.*

ეკლექტიზმი, ე კ ლ ე ქ ტ ი კ ა, ე კ ლ ე ქ ტ ი ც ი ზ მ ი (<ბერძნ. eklektos – ამორჩეული, განსხვავებული), სხვადასხვაგვარ შეხედულებათა, იდეათა, ანდა თეორიათა ნებისმიერი, უბრალო შეერთება.

ტერმინი ე. ფილოსოფიაში შემოიტანა და დაამკვიდრა პოტამონ ალექსანდრიელმა (II ს.), რ-იც თავის სკოლას ეკლექტიკურს უწოდებდა. ე. ემყარება ერთი სახეობის ლოგიკური საფუძვლების მეორეთი ჩანაცვლებას, ცვლილებათა მეტაფიზიკურ აბსოლუტიზაციას და ადამიანური შემეცნების რელატიურობას, ფარდობითობას. ეკლექტიკურ გააზრებათა უნაყოფობას სოკრატედან და არისტოტელედან მოყოლებული, არაერთი ფილოსოფოსი აღნიშნავდა. ე-ის ტიპური წარმომადგენლები არიან ფილონი, ციცერონი. ე-მა გავლენა მოახდინა ეპიკურეიზმსა და პერიპატეტიზმზე. ე-მა დროთა განმავლობაში აშკარად პოზიტიური შეფერილობა მიიღო და თავისებური „სტატუს-კვოც“ შეიძინა, – იგულისხმება ფილოს. აზროვნების პანესთეტიკურ-ესეისტური (ფ. ნიცშე) და ინტერტექსტუალური ხასიათი, რომლის უკიდურესი ფორმა XX ს. 50–60-იან წწ. დამკვიდრდა და გამოიხატა პოსტსტრუქტურალისტურ-პოსტსემიოლოგიური შეხედულებებით (რ. ბართი, ჟ. დერიდა, უ. ეკო და სხვ.).

ქ ა რ თ უ ლ ფ ი ლ ო ს. ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა შ ი ე-ის მეთოდური სახეობა, ანუ „პრინციპული ეკლექტიზმი“, არ გამოვლენილა, თუმცა მისი გარკვეული თავისებურებანი იკვეთება კ. კაპანელის (1889–1952) „ორგანოტროპიზმში“ (1925), შ. *ნუცუბიძის* „ალეთოლოგიის საფუძვლებსა“ (1922) და „მონისტური ესთეტიკის საფუძვლებში“ (1929), მოგვიანებით კი – მ. *მამარდაშვილის* ნააზრევში. ე-ის ნიშნებს შეიცავს იმ ქართველ ფილოსოფოსთა შემოქმედება, რ-თა აზროვნებაც ინტერდისციპლინარულ ხასიათს ატარებს; ეს ნიშნები ვლინდება აგრეთვე იმ ავტორთა ნაშრომებში, სადაც იგრძნობა ხელოვნ. ფილოს. მეტათეორიის, ანდა მეტაფილოსოფიური კონსტრუქციების აგების მცდელობა (ა. *ბეგიაშვილი*).

ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ა ს ა და ს ა ხ ვ ი თ ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა შ ი ე. სხვადასხვა წარმომავლობისა და ბუნების ელემენტების მექანიკური გაერთიანებაა. ე. თავს იჩენს დიდ მხატვრულ მიმართულებათა დაცემის პერიოდებში (გვიანდ. ანტიკური, გვიანდ. რომაული ხელოვნება; XIV–XVIII სს. ქართ. საეკლ. ხუროთმოძღვრება). XIX ს. II ნახევარში ე. გაბატონდა ევრ. არქიტექტურაში. ამ პერიოდში დაიწყეს სხვადასხვა სტილის ფორმების არაკრიტიკულად გამოყენება, აგრეთვე ახდენდნენ სპირისპირო არქიტ. ელემენტების შერწყმას (ნეორენესანსი, ნეოროკოკო და სხვ.). ე-მა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია „მოდერნის“ სტილის ჩამოყალიბებაზე. ეკლექტიკური ტენდენციები ფართოდ გავრცელდა XX ს. 60-იანი წლებიდან „პოსტმოდერნისტულ“ არქიტექტურაში (აშშ; დას. ევროპა).

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ევროპული ე-ის რიგზეა აგებული XIX ს. II ნახ. და XX ს. დამდეგის მრავალი საზ. ნაგებობა და საცხოვრ. სახლი (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი და სხვ.). თბილისში წარმოდგენილი სხვადასხვა ფსევდოისტორიული სტილიდან აღსანიშნავია ფსევდორენესანსული, რ-ის ნიმუშია სასტუმრო „მაჟესტიკი“ XX ს. 10-იანი წწ. არქიტ. გ. *ტერ-მიქელოვი*; ახლანდ. „თბილისი მარიოტი“); ფსევდობაროკული, რ-ის ნიმუშია საარტისტო საზ-ბის სახლი (1901, არქიტექტორები: კ. *ტატიშჩევი*, ა. *შიმკევიჩი*; ახლანდ. რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრი). ორიენტალიზმის ნიმუშებია: სახაზინო თეატრი (1880–96, არქიტ. ვ. შრეტერი; ახლანდ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ეროვნ. აკად. თეატრი), ქალაქის სათათბიროს შენობა (1882–84 წწ. არქიტ. პ. *შტერნი*, ახლანდ. ქალაქის საკრებულო); ე. წ. რუსული სტილისაა მეაბრეშუმეობის სადგური (XIX ს. 80-იანი წწ., არქიტ. ა. შიმკევიჩი; ახლანდ. აბრეშუმის მუზეუმი) და სხვ.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება 1801–1917, [ტ.] 2, თბ., 1963; К и р и ч е н к о Е. И., Русская архитектура 1830–1910-х годов, М., 1982; P a t a t t a L., L'architettura dell'eclettismo, Mil., 1975.

გ. ბერიძე.

ეკოლოგია (ბერძნ. oikos – სახლი, logos – მოძღვრება), ბიოლოგიური მეცნიერება, რ-იც სწავლობს სახეობებისა და ზეორგანიზმული სისტემების ორგანიზაციას და ფუნქციონირებას. ასეთებია: პოპულაციები, ბიოცენოზები, ეკოსისტემები, ბიოსფერო. ტერმინი შემოიღო გერმ. ზოოლოგმა ე. ჰეკელმა (1866), მასვე ეკუთვნის ე-ის პირველი განმარტება: ე. „არის ორგანიზმთა ერთმანეთთან და არაცოცხალ გარემოსთან ურთიერთქმედების შემსწავლელი მეცნიერება“. ე-ის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით XVIII ს. ბუნებისმეტყველებს – ჟ. ტურნეფორს, ჟ. ბიუფონს, პ. პალასსა და სხვ. XIX ს. ბოლოსა და XX ს. და-

საწყისში ძირითადად იკვლევდნენ გარემოს ცალკეული კლიმ. ფაქტორების გავლენას ორგანიზმთა გავრცელებასა და დინამიკაზე.

Ე-ის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იცვლებოდა შეხედულებები მისი საგნისა და ამოცანების შესახებ.

შესწავლის ობიექტების შესატყვისად ჩამოყალიბდა ეკოლ. მეცნიერების დონეები: 1. ა უ ტ ე კ ო ლ ო გ ი ა (სინონიმი – ფიზიოლოგიური, ფუნქციური Ე.), რ-იც შეისწავლის სახეობის ცალკეული ინდივიდების დამოკიდებულებას გარემოსთან; 2. დ ე მ ე კ ო ლ ო გ ი ა სწავლობს პოპულაციებში მიმდინარე პროცესებს, არსებობის პირობებსა და დემოგრაფიულ მოვლენებს; 3. ს ი ნ ე კ ო ლ ო გ ი ა – სწავლობს ეკოსისტემებს, ბიოცენოზებს, მათ შორის ფიტოცენოზებს, ბუნებრივ დაჯგუფებებში შემავალ სხვადასხვა პოპულაციის ურთიერთობას, თანასაზოგადოებათა ჩამოყალიბების გზებსა და ურთიერთობას გარემოსთან.

Ე., როგორც მეცნიერება, სწრაფად ვითარდებოდა: შემუშავდა კვლევის სპეციფ. მეთოდები, დადგინდა მრავალი ეკოლ. კანონი, გამოვლინდა ცოცხალი სამყაროს დინამიური წონასწორობის განმსაზღვრელი ფაქტორები და პირობები. XX ს-ში Ე-ში ჩამოყალიბდა პოპულაციებისა და თანასაზოგადოებების შესწავლის პრინციპები და რიცხვთა პირამიდის კანონი (ჩ. ელტონი), შემოთავაზებული იყო პოპულაციების რიცხოვნობის ზრდისა და მათი ურთიერთობის მათ. მოდელები (ვ. ვოლტერა, ა. ლოტკა), დასაბუთდა კონკურენტული გამორიცხვის პრინციპი (გ. გაუზე), დამუშავდა დისპერსიული ანალიზის მეთოდი (რ. ფიშერი) და სხვ. XX ს. 50-იანი წლებისთვის ვითარდება ევოლუციური Ე. (ს. შვარცი).

XX ს. მიწურულში ჩამოყალიბდა ახ. მეცნიერული მიმართულება – გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი თ ი Ე. მისი ამოცანაა გარემოს დაცვის მეთოდოლოგიური და მეთოდური საკითხების გაშუქება, ბუნების დაცვის ეკოლოგიურ ღონისძიებათა საფუძვლების დამუშავება, ეკოლ. განათლების სისტემის სრულყოფა, დაცული ტერიტორიების საქმიანობის ორგანიზაცია და სხვ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი პირველი ეკოლ. მონაცემები შეიძლება ვიპოვოთ ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) თხზულებებში. XIX ს-ში დაარსდა კავკასიის მუზეუმი, ამასთან დაკავშირებით გააქტიურდა საქართვ. ფლორისა და ფაუნის ინვენტარიზაცია, მცენარეთა და ცხოველთა სისტემატიკის შესწავლა, ერთდროულად დაიწყო ეკოლ. კვლევა, რ-იც XX ს-ში უფრო თანმიმდევრული და გეგმაზომიერი გახდა. შესწავლის ობიექტები იყო სას.-სამ. კულტურები, საკვები ბალახი, ვაზი, ტყე, მცენარეთა და ცხოველთა მავნებლები და ა.შ.

მიმდინარეობდა პალიასტომის ტბის და სხვა წყალსატევების პლანქტონის გრძელვადიანი კვლევა, ამიერკავკასიის მღრღნელების შესწავლა და მათი ჰაბიტატების რუკაზე დატანა. ზოოლოგიის ინ-ტში, საქართველოს მუზეუმსა და თსუ-ში მომზადდა საქართველოში გავრცელებულ ცხოველთა სახეობების ნუსხები, მათი ბიოგეოგრაფიული ანალიზი (ა. ბენინგი, ი. ელიავა, ლ. კუტუბიძე, ა. გეგეჭკორი, რ. ჟორდანია).

ბოლო წლებში საქართველოში ეკოლოგიური კვლევების არე გაფართოვდა და მოიცავს ცალკეული სახეობების ქცევით ეკოლოგიას, პოპულაციური დინამიკის აღწერას, არეალების მოდელირებას, ევოლუციური ეკოლოგიის საკითხებს. ეკოლოგიური კვლევების უმრავლესობა ამჟამად მიმდინარეობს უნ-ტებში და მათთან არსებულ კვლევით ინ-ტებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, თბილისის ზოოპარკში. კვლევის შედეგები გამოიყენება დაცული ტერიტორიების, სათევზაო და სანადირო მეურნეობების დაგეგმარებისას, გარემოზე მშენებლობისა და ინდუსტრიის გავლენის შეფასებისას.

მ ც ე ნ ა რ ე თ ა შესწავლა ეკოლ. (უფრო ეკოფიზიოლოგიური ანუ ფუნქციური) თვალსაზრისით საქართველოში XX ს. დამდეგიდან დაიწყო. დადგენილია ქსეროფიტებისა და მეზოფიტების ტრანსპირაციის, ოსმოსური წნევის თავისებურებანი. 30-იან წლებში ეკოფიზიოლოგიური კვლევა გრძელდებოდა მერქნიან მცენარეებზე, დადგენილია გვალვიან პერიოდთან მათი შეგუების კანონზომიერებები.

40-იან წლებში დაიწყო კოლხეთის მარადმწვანე მცენარეთა ეკოლ. შესწავლა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვეტყის ბიოეკოლოგიური კვლევის შედეგები. სატყეო ინ-ტის დაარსებასთან დაკავშირებით 1945 წლიდან დაიწყო ტყის დომინანტ მერქნიან მცენარეთა ბიოეკოლოგიური შესწავლა. 1961-იდან საფუძველი ჩაეყარა მაღალმთის მცენარეთა ეკოლ. კვლევას კავკასიაში, რ-ის ინიციატორი იყო ბოტანიკის ინ-ტის მცენარეთა ეკოლოგიის განყოფილება.

XX ს. 80-იან წლებში საქართვ. ბოტანიკოსებმა და ფიტოეკოლოგებმა ავსტრიელ კოლეგებთან (ინსბრუკის უნ-ტის ბოტანიკის ინ-ტი) ერთად დაიწყეს მაღალმთის მცენარეთა და ფიტოცენოზების Ე-ის, მიკროკლიმატის, ენერგეტიკული ბალანსის, ფიტომასის სტრუქტურისა და სივრცობრივი განაწილების, წყლის რეჟიმის, CO_2 გაზთა ცვლის (ფიტოსინთეზი, სუნთქვა) შესწავლა. შედეგად ქართვ. ფიტოეკოლოგებმა გამოიკვლიეს სისტემურ დონეზე მცენარის და გარემოს, აგრეთვე ფიტოცენოზის და გარემოს ურთიერთდამოკიდებულება. ამ კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ანთროპოგენური ფაქტორის ზემოქმედებას მაღალმთის მცენარეებზე და მცენარეულ თანასაზოგადოებებზე.

2010 წ. ილიას სახელმწიფო უნ-ტში შეიქმნა ეკოლოგიის ინ-ტი, სადაც კვლევა სამი პროგრამის („რაოდენობრივი ეკოლოგიის პროგრამა“, „მსხვილი ძუძუმწოვრების ეკოლოგიისა და კონსერვაციის პროგრამა“ და „მაღალმთის ეკოსისტემების კვლევის პროგრამა“) ფარგლებში მიმდინარეობს. მცენარეთა ეკოლოგიის მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკოსისტემების სტრუქტურულ-ფუნქციური ორგანიზაციის, კლიმატის გლობალური ცვლილების პერსპექტივების, მთის ლანდშაფტების გამოყენებისა და მათი ტრანსფორმაციის, ეკოლ. მოდელირების, ბიოლოგიური რესურსების, ეკოსისტემების დაცვა-აღდგენითი ღონისძიებებისა და მდგრადი მენეჯმენტის, ეკოლ. განათლების საკითხებს და სხვ. 2009-იდან საქართველო მიუერთდა მაღალმთის სახეობებისა და მცენარეული თანასაზოგადოებების მრავალფეროვნების ღია მონაცემთა ბაზას, სადაც თავი მოიყარა ქართვ. ბოტანიკოსების მიერ 60-ზე მეტი წლის განმავლობაში შეგროვილმა ფაქტობრივმა მასალამ. 2001-იდან საქართველო ჩართულია ევროკავშირის ხელშეწყობით დაარსებულ საერთაშ. სამონიტორინგო ქსელში – მაღალმთის გლობალური კვლე-



ვის ინიციატივა ალპურ გარემოში (Global Mountain Research Initiative in Alpine Environments). კვლევა მიზნად ისახავს დაკვირვებას გრძელვადიან პერსპექტივაში მაღალმთის მცენარეულობის ტრანსფორმაციაზე როგორც კლიმატის ცვლილების უმნიშვნელოვანეს ბიოკლიმატურ ინდიკატორზე. კავკასიაში კვლევები ყაზბეგის რეგიონში მიმდინარეობს.

საქართველოში ცხოველთა ე-ის პრობლემებს შეისწავლის საქართვ. ეროვნული მუზეუმი, თსუ, ილიასა და საქართვ. აგრარული უნტები. ამ დაწესებულებებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე დამუშავდა თვისებრივი და რაოდენობრივი ცვლილებები ლანდშაფტებისა და ვერტიკალური სართულების მიხედვით; ბიოტური და აბიოტური ფაქტორების მნიშვნელობა უხერხემლოთა სხვადასხვა სახეობის რიცხოვნობის მერყეობაში. გამოვლინდა აღმ. საქართვ. სტეპებისა და კოლხეთის ჭარბტენიანი ცენოზების ენტომოკომპლექსების სუქცესიური პროცესები ტერიტორიის სას.-სამ. ათვისებასთან დაკავშირებით. შესწავლილია ფეხსახსრიანთა ცალკეული ჯგუფების მორფო-ეკოლ. თავისებურებები ვერტიკალური ზონების მიხედვით. დადგინდა სხვადასხვა ტიპის ნიადაგის ბინადართა სახეობრივი შედგენილობა, ფორმირების ხასიათი, სიმჭიდროვე, სეზონური დინამიკა, ეკოლ. ფაქტორების მნიშვნელობა ფიტონემატოდების ზოგიერთი ჯგუფის ფორმირებასა და ევოლუციაში.

მტკნარი წყლების კომპლექსური ჰიდრობიოლოგიური შესწავლის საფუძველზე დამუშავდა თევზმეურნეობის ეკოლ.-ბიოლ. საფუძვლები; შესწავლილია ანთროპოგენური ფაქტორის მნიშვნელობა ტბების ბიოპროდუქტიულობაში და ა.შ.

XX ს. ბოლო წლებში ფართოდ გაიშალა ე-ის ეთოლოგიური კვლევა, რ-ის მიზანია იშვიათ და გადაშენების პირას მისული ცხოველების განაწილებისა და ქცევის შესწავლა მათი რეინტროდუქციისა და რიცხოვნობის აღსადგენად. დამუშავდა მტაცებლის კვებითი ქცევის ონტოგენეზი მგლის მაგალითზე, ტყეობაში გაზრდილი ძუძუმწოვრების ბუნებაში დაბრუნების ეთოლოგიური მექანიზმები მოდელურ ობიექტებზე.

1992 საქართველოში მუშაობა დაიწყო ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის წარმომადგენლობამ (WWF), რ-მაც დიდი წვლილი შეიტანა დაცული ტერიტორიების ქსელის ჩამოყალიბებასა და ეკოლ. განათლების განვითარებაში.

საქართველოში ჩატარებული ეკოლ. კვლევის შედეგად გამოიცა არაერთი წიგნი, შრომათა კრებული და სტატია, მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ეკოლ. განათლების მიმართ, რამაც ბიძგი მისცა ეკოლ. და გარემოსდაცვითი შინაარსის სახელმძღვანელოების შედგენასა და გამოცემას. ე-ის დაცვისა და ბუნებათსარგებლობის წესებს არეგულირებს *ეკოლოგიური კანონმდებლობა.* ითარგმნა და გამოიცა ცნობილ მეცნიერთა წიგნები.

ამჟამად ე. ვითარდება მრავალი მიმართულებით: კონსერვაციული, კოსმოსური, რადიაციული, ლანდშაფტური, გლობალური, აგრარული, საინჟინრო, რეკრეაციული და სამედიცინო. XXI ს. დასაწყისში, დედამიწაზე მიმდინარე გლობალური და სწრაფი ცვლილებების გათვალისწინებით, ე-ის როგორც გარემოსდაცვითი მეცნიერების როლი განუზომლად გაიზარდა.

ლიტ.: ელიავა ი., ნახუცრიშვილი გ., ქაჯაია გ., ეკოლოგიის საფუძვლები, თბ., 2009; კიორნერი ქ., ალპურ მცენარეთა ეკოლოგია, თბ., 2008; ლარხერი ვ., მცენარეთა ეკოლოგია, თბ., 2006; ქაჯაია გ., გამოყენებითი ეკოლოგიის საფუძვლები, თბ., 2002; Экология высокогорий, ред. Г. Ш. Нахуцришвили, Тб., 1988; Körner Ch. & Sphen E. (eds), Mountain Biodiversity: A Global Assessment, London, 2002; Odum E. P., Barrett G. W., Brewer R., Fundamentals of Ecology, Pacific Grove, 2004; Smith R. L., Smith T. M., Hickman G. C., Hickman S. M., Elements of Ecology, San Francisco, 2005; Sphen E., Körner Ch. (eds), Data Mining for Global Trends in Mountain Biodiversity, Boca Raton, 2010; Tyler Miller G. Jr., Essentials of Ecology, Pacific Grove, 2004.

გ. ნახუცრიშვილი.
ო. აბდალაძე. დ. თარხნიშვილი.

ეკოლოგიური განათლება, განათლების სისტემა, რომლის საფუძველია ინტერდისციპლინარული სამეცნიერო სწავლება ცოცხალი ორგანიზმების შესახებ, აგრეთვე ცოცხალ ორგანიზმებსა და მათ საცხოვრებელ გარემოს შორის ურთიერთკავშირზე. მოქალაქის უფლება-მოვალეობას, მიიღოს ე. გ., აიმაღლოს გარემოსდაცვითი ცნობიერების დონე, უზრუნველყოფს საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ.

ე. გ. ეკოპოლიტიკის ნაწილია. მისი მიზანია გარემოს დაცვა და გაჯანსაღება, ბუნებრივი რესურსების რაციონალური მოხმარება და განახლება, სოციოსფეროს შენარჩუნება და განვითარება.

ე. გ., რ-საც საფუძველი XIX საუკუნეში ჩაეყარა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძველზე აღმოცენდა. განათლების სისტემაში მას გარემოსდაცვითი განათლება ჩაენაცვლა. XX ს. 60-იან წლებში დაიწყო მნიშვნელოვანი ცვლილებები – მსოფლიოს ქვეყნებმა შემოიღეს დედამიწის დღე (22 აპრ.), ხოლო 1972 სტოკჰოლმში გაეროს კონფერენციაზე ,,ადამიანის საარსებო გარემო'' დეკლარირებულ იქნა ე. გ-ის აუცილებლობა. გარემოს დაცვის მიზნით თბილისში 1977 მსოფლიოს პირველ სამთავრობათშორისო კონფერენციაზე ,,გარემოს შესახებ განათლება'' მიიღეს ,,თბილისის დეკლარაცია'', რ-შიც ხაზი გაესვა ე. გ-ის აუცილებლობას როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებაში.

საქართველოში ე. გ-ის დიდი ტრადიციები არსებობს. შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი გაჯერებულია ფილოს. ცოდნით სამყაროს აგებულების შესახებ, მოცემულია ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული ურთიერთობის მაგალითები; მნიშვნელოვანია ვახუშტი ბატონიშვილის ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა'', სადაც იკვეთება ე. გ-ის საწყისები; ასევე არ შეიძლება ე. გ-ის მნიშვნელობის უგულებელყოფა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში; ი. გოგებაშვილის ,,ბუნების კარი'' კი პედ. თვალსაზრისით ბავშვის გარემოსთან დაახლოების კონცეფციაა, რაც მოზარდს აძლევს საბუნებისმეტყველო ცოდნას, უნერგავს მას ბუნების სიყვარულს.

საქართველოს ,,გარემოს დაცვის შესახებ'' კანონი ითვალისწინებს საზოგადოების გარემოსდაცვითი დონის ამაღლებას და სპეციალისტების მომზადებას ერთიანი სისტემით, რ-იც მოიცავს საგანმან. სასწავლებლების, კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დაწესებულებათა ქსელს.

საყოველთაო, სავალდებულო, ერთიანი და უწყვეტი ე. გ-ის სისტემა გულისხმობს გარემოსდაცვითი განათლების თანმიმდევრულ დანერგვას, სკოლამდელი განათლების სტრუქტურებიდან დაწყებული – საშუალო და უმაღლესი სკოლის ყველა საფეხურის ჩათვლით და საბაკალავრიატო – სამაგისტრატურო – სადოქტორანტურო სისტემით დამთავრებული.

განათლების სისტემაში წარმოჩენილ თანამედროვე გარემოსდაცვით პრობლემებს შორისაა: გარემოსდაცვითი (გლობალური დათბობა,

მჟავა წვიმები და სხვ.), სოც. (ადამიანის უფლებების დარღვევა, კულტურათაშორისი კონფლიქტი და სხვ.) და ეკონ. (მდიდარ და ღარიბ ქვეყანათა შორის სხვაობა და სხვ.) პრობლემები. გარემოს დაცვისა და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ სავალდებულო ცოდნის მინიმუმის დაუფლება უზრუნველყოფილია საგანმან. დაწესებულების სასწ. პროგრამით. გარემოსდაცვითი განათლების ერთიანი სისტემა მოიცავს სკოლამდელი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო, პროფ. და უმაღლესი განათლების ეტაპებს.

გარემოსდაცვითი მიმართულებები წარმოდგენილია სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მაგ., თსუ-ში საბაკალავრო პროგრამებია გეოგრაფიაში, ეკოლოგიაში, გამოყენებით ბიომეცნიერებებსა და ბიოტექნოლოგიაში, ხოლო სამაგისტრო პროგრამები – ფიზ. გეოგრაფიასა და გარემოს მდგრად განვითარებაში. ილიას სახელმწ. უნ-ტში საბაკალავრო კურსს გადიან ცოცხალი სამყაროსა და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში, ხოლო მაგისტრატურაში სწავლობენ გარემოს დაცვის ბიოტექნოლოგიებს, ეკოლ. გენეტიკას, გეოეკოლოგიას, ბუნებრივი კატასტროფების რისკის შეფასებას, ეკო-, აგრო- და სასოფლო ტურიზმის მენეჯმენტს, დედამიწის, კავკასიისა და საქართვ. ბიოლოგიურ რესურსებსა და ბიომრავალფეროვნებას მდგრადი განვითარების პარადიგმის კონტექსტში.

საქართველოში არსებული კვლევითი ინ-ტების ნაწილი გარემოსდაცვითი მიმართულებისაა.

მოქალაქეთა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას, ზრდასრულთა განათლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე სწრაფადცვალებად სამყაროში. სახელმწიფოსთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციებიც ახორციელებენ პროექტებს ეკოლ. განათლების ხელშესაწყობად როგორც სკოლებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში. *მ. რატიანი.*

ეკოლოგიური კანონმდებლობა, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ერთობლიობა, რ-იც მოიცავს გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის პრინციპების, წესების, მათი დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ზომების დამდგენ, აგრეთვე გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში სახელმწიფოს საქმიანობის, ბუნებათმოსარგებლეთა უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელ სამართლებრივ ნორმებს. საქართვ. Ე. პ. ეფუძნება იმ საერთაშ. ხელშეკრულებებს, რ-თა მონაწილეც არის საქართველო. Ე. პ-ის საფუძვლებში ჩადებულია პრინციპი, რ-ის მიხედვითაც საქართველოში ყოველგვარი ბუნებათსარგებლობა ფასიანია. შემოღებულია სხვადასხვა მოსაკრებლები, ხოლო ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა საქმიანობა რეგულირდება ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის სისტემით. Ე. პ-ის ძირითადი წყაროა საქართვ. კონსტიტუცია (მ. 37, პ. 3–5). სპეც. კომპლექსური ეკოლ. სამართ. აქტია ,,საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ'' (,,პარლამენტის უწყებანი'', 1997). იგი არეგულირებს სამართ. ურთიერთობებს სახელმწ. ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზ. და იურიდ. პირებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში. კანონით ბუნების დაცვა გამოცხადებულია პოლიტ. და ეკონ. მნიშვნელობის ამოცანად, სახელმწიფოსა და საზ-ბის ყოველდღიური ზრუნვის საგნად, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ეკოლოგიური აღზრდისა და სწავლების ორგანიზებას. იგი ქმნის სხვა საკანონმდებლო აქტების სამართლებრივ საფუძველს გარემოს დაცვის სფეროში. ამ კანონის შესაბამისი საკანონმდებლო აქტებია: კანონი ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ'' (2007), მისი რეგულირების სფერო არის ისეთი ორგანიზებული საქმიანობა ან ქმედება, რ-იც ეხება პირთა გადაწყვეტილებების მიღებას, რომელთაც შეიძლება გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, ბუნებრივ რესურსებსა და კულტურულ ძეგლებზე. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება: სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე; ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საქართვ. პარლამენტის მიერ დადგენილ ობიექტებზე განხორციელებულ საქმიანობაზე; ტყეში ან სხვა მცენარეულ საფარში ხანძრის გაჩენის საფრთხის აღმოფხვრის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებზე; ტყის ან სხვა მცენარეული საფარის ხანძრით დაზიანების ან განადგურების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურების

სარგებლობის სფეროში არსებულ სამართ. სპექტრს თანამედროვე სოც.-ეკონ. და საკანონმდებლო რეალიების გათვალისწინებით.

საქართველოს ,,ტყის კოდექსი'' (1999) აისახა ტყის მართვისა და ტყით სარგებლობის დაგეგმვის სამართ. საფუძვლები. განისაზღვრა აღნიშნულ სფეროში საზ-ბის წარმომადგენელთა უფლებებიც. გათვალისწინებულ იქნა ტყეთმოწყობის პროექტების სავალდებულო წესით გამოქვეყნების, საჯაროდ განხილვისა და მოქალაქეთა წინადადებების განხილვის წესი.

საქართველოს კანონი ,,წიაღის შესახებ'' (1996) უზრუნველყოფს წიაღისა და სასარგებლო წიაღისეული რესურსების რაციონალურ გამოყენებას. საქართვ. წიაღი სახელმწიფოს საკუთრებაა. მიწაზე საკუთრების უფლება არ ნიშნავს და არ იძლევა წიაღზე საკუთრების უფლებას. წიაღით სარგებლობა ფასიანია.

ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებულ ოპერაციებს არეგულირებს კანონი ,,ნავთობისა და გაზის შესახებ'' (1996).

კანონი ,,ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ'' (1999) არეგულირებს საქართვ. მთელ ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაცვას მავნე ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან. ეს კანონი არ ეხება შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის დაცვის სამართ. რეჟიმს.

საქართველოს კანონი ,,ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ'' (1998) აწესრიგებს ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სამართ. ურთიერთობებს სახელმწ. ხელისუფლების დაწესებულებებსა და ფიზ. და იურიდ. პირებს შორის.

კანონში ,,საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ'' (1997) მოცემულია სახიფათო და რადიაქტიური ნარჩენების ჩამონათვალი, მათი იდენტიფიკაციის წესი და ეკოლ. მოთხოვნები ნარჩენების მიმართ.

კანონი ,,ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ'' (2010) არეგულირებს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებს და მასთან დაკავშირებულ პროცესებს, რ-თა წარმოება, მშენებლობა, შენახვა, ტრანსპორტირება, ბრუნვა, გამოყენება და განადგურება მოიცავს ნგრევის, აფეთქების, ემისიისა და ინტოქსიკაციის შესაძლებლობას და წარმოადგენს მომეტებულ რისკს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოსათვის.

,,გარემოს დაცვის ინსპექციის შესახებ'' კანონის (2010) ძირითადი მიზანია გარემოს დაცვის სახელმწ. კონტროლის ეფექტიანი და სამართლიანი სისტემის ამოქმედება, რ-იც უზრუნველყოფს ბუნებრივი ეკოსისტემების მდგრადობისა და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას, შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

Ე. პ-ს ასევე ქმნის საკანონმდებლო აქტების საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, მთავრობის დადგენილებები, პრეზიდენტის ნორმატიული აქტები, საუწყებო და ადგილ. თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა (თანამდებობის პირთა) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

Ე. პ-ის ნორმათა დარღვევისათვის გათვალისწინებულია ადმ. და სისხლის სამართ. პასუხისმგებლობა. *ნ. რომაშვილი.*

ეკონომეტრიკა, ეკონომეტრია (*ეკონომიკა* და ბერძნ. metreō – ვზომავ), მეცნიერება, რომელიც მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდებისა და მოდელების მეშვეობით შეისწავლის ეკონომიკური ობიექტებისა და პროცესების განვითარების რაოდენობრივ კანონზომიერებასა და ურთიერთკავშირს. Ე-ის გამოყენების სფეროა აგრეთვე ეკონ. თეორიაში შემუშავებული ჰიპოთეზებისა და მოდელების დაკონკრეტება და ფაქტობრივი მასალით შემოწმება.

Ე., როგორც დამოუკიდებელი მეცნ. მიმართულება, XX ს. I ნახევარში ჩამოყალიბდა. 1930 წ. 29 დეკემბერს ქ. კლივლენდში (აშშ, ოჰაიოს შტატი) მეცნიერების განვითარების ამერიკული ასოციაციის სხდომაზე ი. ფიშერის, რ. ფრიშის, ი. ტინბერგენის, ი. შუმპეტერის, ჯ. ანდერსენის და სხვა ცნობილი მეცნიერების ინიციატივით შეიქმნა ეკონომეტრისტთა საზ-ბა, სადაც ნორვეგიელმა მეცნიერმა რ. ფრიშმა სტატისტიკის, ეკონ. თეორიისა და მათემატიკის შერწყმის შედეგად წარმოქმნილ ახ. მეცნიერულ მიმართულებას Ე. უწოდა. ამავე დროს დაარსდა სპეციალიზებული ჟურნ. „Econometrica'', რ-იც 1933-იდან გამოდის.

თანამედროვე Ე. ორი ნაწილისგან შედგება: ეკონომეტრიკული მეთოდები და ამ მეთოდების გამოყენება კონკრეტულ ეკონ. ამოცანებში. ეკონომეტრიკული მეთოდები ძირითადად რეგრესიულ ანალიზს ეფუძნება, რ-იც სტატისტ. თეორიისა და სტატისტ. მეთოდების ჩვეულებრივი შემადგენელი ნაწილია. ამავე დროს, პრობლემის სპეციფიკა, რ-ის გადაწყვეტისთვისაც გამოიყენება Ე-ის მეთოდები, განაპირობებს სტატისტ. ტრადიციულ მიდგომებში როგორც გარკვეული ცვლილებების შეტანის აუცილებლობას, ისე ახ. მიმართულების შემუშავებას.

გამოყენებითი ნაწილი კი მთლიანად ეკონ. თეორიაზეა დაფუძნებული და შესაბამისი ეკონომეტრიკული მოდელების აგებითა და გამოკვლევით ეკონ. კანონზომიერებების გამოვლენას ან ჰიპოთეზური თეორიული მოსაზრების ემპირიულ დადასტურებას ემსახურება. აქედან გამომდინარე, Ე. შეიძლება განვიხილოთ როგორც სტატისტიკისა და ეკონ. თეორიის მიმართულებათა სინთეზი. ამ სინთეზში მნიშვნელოვან როლს მათემატიკა ასრულებს. მის საფუძველზე ხდება თეორიული კავშირურთიერთობების მოდელირება და სტატისტიკური მეთოდებით შემოწმება.

მსოფლიო მეცნიერებაში Ე-ს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატები გახდნენ ეკონომეტრისტები: ი. ტინბერგენი, რ. ფრიში, ლ. კლაინი, ტ. ჰოველმო, ჯ. ჰეკმანი, დ. მაკფადენი.

საქართველოში Ე-ის სფეროში კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოების შესრულება XX ს. 60-იან წლებში დაიწყო. ამ პროცესში ჩართული იყო ვ. მელქაძის სახ. სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნ.-კვლ. ინ-ტი (2007-მდე), პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინ-ტი, ი. ჯავახიშვილის სახ. თბილ. სახელმწ. უნ-ტი და სხვ., სადაც სპეციალურად შექმნილ ლაბორატორიებში, განყ-ბებში და კათედრებზე მიკრო- და მაკროეკონომიკური ეკონომეტრიკული მოდელების აგებითა და გამოყენებით ხორციელდებოდა ეკონ. ანალიზი, პროგნოზირება და დაგეგმვა. ამჟამად საქართველოში Ე. ძირითადად მაკროეკონომიკური

კანონზომიერებების ანალიზისა და დასაბუთებისათვის გამოიყენება. 1997-იდან საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიაში ე-ის დარგში ჩამოყალიბებულია სამეცნ. მიმართულება. ი. ჯავახიშვილის სახ. თბილ. სახელმწ. უნ-ტში არსებობს ე-ის კათედრა, რ-ის ბაზაზეც 2002-იდან რეგულარულად მიმდინარეობს მაგისტრების მომზადება სპეციალიზებული პროგრამის შესაბამისად. ქართვ. მეცნიერთაგან ე-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: ი. ანანიაშვილმა, კ. აჩელაშვილმა, გ. მახვილაძემ, ი. *მესხიამ*, ვ. *პაპავამ*, ს. სანაძემ, რ. სარჩიმელიამ, გ. შ. *წერეთელმა* და სხვ.

ლიტ.: ანანიაშვილი ი., ეკონომეტრიკა, ნაწ. 1, თბ., 2008; Елисеева И. И., и др., Эконометрика, М., 2005; Greene W. H., Econometric Analysis, fifth edition, New Jersey, 2002.

ი. ანანიაშვილი. ს. სანაძე.

ეკონომიკა (ბერძნ. oikonomikē < oikos – სახლი, მეურნეობა, nomos – წესი, კანონი), მეცნიერება მეურნეობის გაძღოლის კანონების შესახებ. თავდაპირველად ეს ტერმინი გულისხმობდა საოჯახო მეურნეობის მართვის ხელოვნებას, თუმცა შემდეგ უფრო ფართო შინაარსი შეიძინა. ,,ეკონომიკა'' მოიაზრება როგორც: 1. ეკონომიკურ (წარმოებრივ) ურთიერთობათა ისტორიულად განსაზღვრული ერთობლიობა (მაგ., კაპიტალიზმის ე.); 2. ქვეყნის ე. (*მაკროეკონომიკა*); 3. რაიონის, მხარის ე. (*რეგიონული ეკონომიკა*); 4. საწარმოს, ფირმის ე. (*მიკროეკონომიკა*); 5. დარგის, სფეროს, დარგთაშორისი კომპლექსის ე. (*მეზოეკონომიკა*); 6. მსოფლიო ე. (*მეგაეკონომიკა*). ე-დ იწოდება, აგრეთვე, კონკრეტული ეკონ. მეცნიერებანი, მ. შ. დარგობრივი (მაგ., მრეწველობის ე., სოფლის მეურნეობის ე., მშენებლობის ე. და ა. შ.) და ფუნქციური (ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი; სტატისტიკა; ბუღალტერია და აუდიტი; მენეჯმენტი; მარკეტინგი და სხვ.) ე.

ე-ის ცნება და ამ ცნებით გამოხატული შინაარსი, ობიექტური რეალობა, ისევე ძველია, როგორც ცივილიზებული საზოგადოება. იგი ცივილიზაციის მიზეზიც არის და შედეგიც.

ე-ის შესახებ პრიმიტიული, იმდროინდელი ცივილიზაციის შესაბამისი, წარმოდგენები მოცემულია ძველეგვიპტურ პაპირუსებში, ქვაზე ამოკვეთილ სოლისებრ წარწერებში, ძველ ინდურ „ვედებში“, ბაბილონის მეფის ხამურაბის (ძვ. წ. 1792–1750) კანონებში, ჩინელი მოაზროვნის – კონფუცის (ძვ. წ. VI–V სს.) შეხედულებებში და სხვ.

ე-მ, ისევე როგორც მეცნ., ხელოვნ. და ლიტ-რის თითქმის ყველა დარგმა, თავის დროისათვის განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ძველ საბერძნეთში. ითვლება, რომ ტერმინი „ეკონომიკა“ ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII–VII სს. პირველად მოიხსენია ბერძენმა პოეტმა ჰესიოდემ, ხოლო სამეცნ. ლიტერატურაში შემოიტანა ძველბერძნული ეკონ. აზრის თვალსაჩინო წარმომადგენელმა – ქსენოფონტმა (დაახლ. ძვ. წ. 435/431–355/354), რ-მაც დაწერა ნაშრომი სახელწოდებით „ეკონომიკა“ („οικονομία“). ეკონ. მეცნიერების საწყისების შექმნასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით აგრეთვე ანტ. პერიოდის ძველბერძენ მოაზროვნეებს პლატონსა (ძვ. წ. 428/427–348/347) და არისტოტელეს (ძვ. წ. 384–322). ისინი მსჯელობდნენ საქონლის ღირებულებასა და სახმარ ღირებულებაზე, ნივთის სარგებლიანობაზე, როგორც მატერ. დოვლათის ამოსავალ ფასეულობაზე, თანაბარი სიდიდის ღირებულებათა გაცვლის ეკვივალენტურობაზე და სხვ., რითაც ეკონ. მეცნიერების ამოსავალ დებულებებს აყალიბებდნენ. არისტოტელე ე-ს, როგორც მეცნიერებას სიმდიდრის შესახებ, ორ ნაწილად ყოფდა: საკუთრივ ე. – სახმარ ღირებულებათა ერთობლიობა და მისი შექმნის ხელოვნება–, და ქრემატისტიკა – ფულის კეთების ხელოვნება. პირველს იგი მაღალ შეფასებას აძლევდა და საზოგადოების განვითარების აუცილებელ პირობად მიიჩნევდა, ხოლო მეორეს დაბალი ღირსების ადამიანთა საქმიანობად თვლიდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ძველბერძენმა მოაზროვნეებმა მოგვცეს თანამედროვე ეკონ. მეცნიერების ამოსავალი ძირითადი თეორ. დებულებანი.

ე-ის რიგ საკითხებზე საყურადღებო მოსაზრებებს ავითარებდნენ ანტ. რომის მოაზროვნეებიც: სენეკა (ძვ. წ. 4–ახ. წ. 65), ლუკრეციუსი (ძვ. წ. I ს.), კატონ უფროსი (ძვ. წ. 234–149), ვარონი (ძვ. წ. 116–27), ძმები ტიბერიუს (ძვ. წ. 162–133) და გაიუს (ძვ. წ. 153–121) გრაკჭუსები, კოლუმელა (ახ. წ. I ს.) და სხვ. მაგრამ ძვ. სამყაროს მოაზროვნეებმა ვერ შეძლეს ეკონ. მოვლენების გამოყოფა საზ. პროცესების მთელი ერთობლიობიდან და სისტემატიზებული მოძღვრების შექმნა ე-ზე.

სამეურნეო საქმიანობის, ე. ი. ე-ის არსის გაგებაში სიცხადე შეიტანა ქრისტიანულმა მოძღვრებამ. მან ყველაზე მარტივი სამეურნეო შრომა გამოაცხადა აუცილებელ და წმინდა საქმედ. ამ პრინციპს ადასტურებს პავლე მოციქულის სიტყვები: „თუ ვინმეს არ უნდა იშრომოს, ის არ ჭამს“. ქრისტ. მოძღვრებაში გარკვეულწილად მოცემულია სამართლიანი ფასის, პროდუქტების სოციალური და არა ინდივიდუალური შეფასების პრინციპები, გაშუქებულია საკუთრება, სიმდიდრე და სხვა ეკონ. პრობლემები.

ეკონ. მეცნიერება მეტ-ნაკლებად ვითარდებოდა შუა საუკუნეებშიც, თუმცა არსებითი წინსვლა მას ამ პერიოდში არ განუცდია, მეცნიერების დარგად არ ჩამოყალიბებულა. კაპიტალიზმის წინა და ჩასახვის პერიოდში კი წარმოიშვა ეკონ. მიმდინარეობები, რ-თა წარმომადგენლების შრომებმა მყარი ნიადაგი მოამზადა და რეალური წანამძღვრები შექმნა კლასიკური ეკონ. მეცნიერების წარმოშობა-განვითარებისათვის. ეს მიმდინარეობები იყო: მერკანტილიზმი (ქვეყნის სიმდიდრის ზრდის გადამწყვეტ პირობად საგარეო ვაჭრობის განვითარებას მიიჩნევდა) – ცნობილი წარმომადგენლები: ტომას მანი (1571–1641), ანტუან დე მონკრეტიენი (1575–1621), ჰესკარ სკარუფი (1519–85), დედლი ნორე (1641–91), დეივიდ ჰიუმი (1711–76) და ფიზიოკრატიზმი (ქვეყნის სიმდიდრის ზრდის ერთადერთ წყაროდ სოფ. მეურნეობის, კერძოდ, მიწათმოქმედების განვითარებას აღიარებდა) – მთავარი წარმომადგენლები: ფრანსუა კენე (1694–1774), ვიქტორ მირაბო რ ი კ ე ტ ი მარკიზ დე (1715–89), დიუპონ დე ნემური (1739–1817), ანნ რობერ ჟაკ ტიურგო (1727–81).

ეკონ. მეცნიერება სისტემატიზებული სახით, პოლიტ. ეკონომიის სახელწოდებით პირველად ჩამოყალიბდა აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქაში, XVII ს-ში. მან წარმოშობიდან დღემდე განიცადა ტრანსფორმაცია სხვადასხვა მიმართულებების სახით (იხ. სტ-ები: *ეკონომიკური თეორია* და *ეკონომიკური მეცნიერება*).

ე., როგორც ინტეგრირებული სისტემა, შეიძლება სხვადასხვა



ჟურნალ ,,ეკონომიკის'' გარეკანი.

კუთხით განვიხილოთ: როგორც მეურნეობა, მეცნიერება და კულტურა. როგორც მეურნეობა, იგი შეისწავლის ადამიანთა ურთიერთობის კულტურას მეურნეობრიობის, წარმოების სფეროში და, შესაბამისად, წარმოების კულტურას; როგორც მეცნიერება, იგი სწავლობს და იკვლევს მეურნეობას. ორივე ერთად კი წარმოადგენს კულტურის ნაწილს.

წარმოების განვითარების, ეკონ. ძლიერების მიღწევის აუცილებელი, ზნეობრივად გამართლებული, ჰუმანური გზაა წარმოებისა და შრომის ანუ Ე-ის სწორი ორგანიზაცია; ბუნებრივი, შრომითი, ინტელექტუალური, მატერ. და ფინანს. რესურსების რაციონალური გამოყენება; სამეცნ.-ტექნიკური მიღწევების დროული დანერგვა წარმოებაში; მეურნეობრიობის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების გამოყენება; ობიექტურ შესაძლებლობებზე დამყარებული მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამების შედგენა და მათი რეალიზაცია.

ბუნებრივად განვითარებადი, გაწონასწორებული Ე. ობიექტურად გამორიცხავს ყოველგვარ უკიდურესობას მეურნეობრიობაში. მაგ., ერთნაირად მიუღებელია სახელმწიფოს მიერ როგორც მეურნეობის მართვის ყველა ფუნქციის შესრულება (მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის დროს), ასევე მისგან სახელმწიფოს განთავისუფლება (როგორც ეს მოხდა XX ს. 90-იანი წლების საქართველოში და ბევრ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში). ეკონ. მეცნიერებისა და სამეურნეო პრაქტიკის უმთავრესი ამოცანაა შეიმუშაოს მეურნეობრიობის ისეთი მეთოდები, პრინციპები და პროგრამები, რ-თა ცხოვრებაში გატარება უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა ფენის, კლასის, ადამიანთა ჯგუფების, თითოეული ადამიანის ინტერესების ურთიერთშეხამებას, ხელშემწყობი ფაქტორების ამოქმედებას და ხელშემშლელი ფაქტორების გაუვნებელყოფას, წარმოების მამოძრავებელი ძალების მოქმედებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას და, ყოველივე ამის შედეგად, Ე-ის ბუნებრივ განვითარებას, მის წინაშე მდგარი ამოცანებისა და პრობლემების რაციონალურ გადაწყვეტას.

ამდენად, Ე. წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთობების გარკვეულ მოდელს და, ისევე როგორც ადამიანის შემოქმედების ყველა დანარჩენ სფეროს, მასაც თავისი ადგილი უკავია და ყველა სხვა ურთიერთობათა საფუძვლადაც კი გვევლინება.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ე კ ო ნ ო მ ი კ ა იხ. სტ-ებში: *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა; საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა; საქართველოს რესპუბლიკა; საქართველო.*

გ. ჟუფუნია.

„ეკონომიკა“ (შპს „ჟ უ რ ნ ა ლ ი ე კ ო ნ ო მ ი კ ა“), ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო–პრაქტიკული ჟურნალი. პირველი ნომერი „საქართველოს ეკონომისტის“ სახელწოდებით გამოვიდა 1918 წ. 13 სექტ., იყო ორკვირეული ჟურნალი; იბეჭდებოდა ქართ. და რუს. ენებზე. შემდეგ იგი გამოდიოდა სხვადასხვა სახელწოდებით: „ეკონომისტი“ (1925–26), „საქართველოს ეკონომისტი“ (1926–31), „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“ (1931–41). 1941–57 ჟურნალი არ გამოსულა. 1958–იდან მისი გამოცემა განახლდა პ. *გუგუშვილის* ინიციატივით და 1967-მდე ჟურნალს ერქვა „საქართველოს ეკონომისტი“, 1967–73 – „საქართველოს სახალხო მეურნეობა“, 1974–90 – „ეკონომისტი“, 1991-იდან – „ეკონომიკა“. სხვადასხვა წლებში იყო საქ. სსრ უმაღლესი ეკონ. საბჭოს, საქ. სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის, საქართვ. მეცნ. აკად. ეკონომიკისა და სამართლის ინტისა და სხვათა ორგანო. 1992–93 ჟურნალი დამოუკიდებელი იყო, 1993-იდან კი საქართვ. რესპ. ეკონომიკის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს ორგანო გახდა. 1998-იდან ჟურნალი ექვემდებარებოდა საქართვ. ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულ ეკონ. და სოც. პრობლემების სამეცნ.-კვლ. ინ-ტს. 1999-იდან არის შპს. ჟურნალი აშუქებდა ქვეყნის სოც.-ეკონ. განვითარების მწვავე და აქტუალურ საკითხებს. ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისა და სოც.-ეკონ. განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

ჟურნალს რედაქტორობდნენ: დ. თოფურიძე (1918–19), ს. ჩიხლაძე (1925–26), ვ. ავაქოვი და ა. კვირიკაძე (1926–31), კ. ორაგველიძე (1931–32), რ. მელაძე (1933–37), კ. თარგამაძე (1937–41), პ. გუგუშვილი (1958–67), ს. ინწკირველი (1967–69), თ. გოქსაძე (1969–76), ი. კრავცოვი (1976–93), 1993-იდან მთ. რედაქტორია რ. შენგელია.

ლიტ.: გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ., ქართული ეკონომიკური პუბლიცისტიკის ფლაგმანი, «ეკონომისტი», 1975, №12; შ ე ნ გ ე ლ ი ა რ., ეკონომიკური აზრის მატიანე, «ეკონომიკა», 1998, №7–9; ჯ ი ბ უ ტ ი მ., რა ხნისაა ქართული ეკონომიკური ჟურნალი, «მაცნე». ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1987, №1. *მ. ჯიბუტი.*

ეკონომიკა დირექტიული, იხ. *დირექტიული ეკონომიკა.*

ეკონომიკა ინსტიტუციონალური, იხ. *ინსტიტუციონალური ეკონომიკა.*

ეკონომიკა საბაზრო, იხ. *საბაზრო ეკონომიკა.*

ეკონომიკა ჩრდილოვანი, იხ. *ჩრდილოვანი ეკონომიკა.*

ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი (სესსუ), (შპს). ფუნქციონირება დაიწყო 1965, როგორც მოსკოვის კოოპერაციული ინ-ტის თბილისის ფაკ-ტმა; სხვადასხვა დროს ეწოდებოდა: ლვოვის სავაჭრო-ეკონ. ინ-ტის თბილისის ფაკ-ტი; მოსკოვის კოოპერაციული ინ-ტის თბილისის ფილიალი. 1995 წ. 20 ივლ. ეწოდა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალური კავშირის ,,თბილისის კოოპერაციული ინსტიტუტი“; 2000 – ,,ცეკავშირის თბილისის კოოპერაციული ინსტიტუტი“; 2006 – ,,საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი“; 2009 – სესსუ.

უნ-ტი მთლიანად თვითდაფინანსებაზეა, მის შემოსავლებს ქმნის სტუდენტთა სწავლების გადასახადი და სასწ. გრანტები.

სწავლების ორივე საფეხურზე – ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში – დღის დასწრებული ფორმაა. ბაკალავრიატში ეკონ. და ბიზნესის, იურიდ. და ჰუმანიტარულ ფაკ-ტებზე სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია, ჯანდაცვის ფაკ-ტზე – 5 წელი; მაგისტრატურაში 2 წელი.

უნ-ტში ფუნქციონირებს ფაკ-ტები: ეკონ. და ბიზნესის (სპეციალობები – საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა, მენეჯმენტი და ადმინისტრირება), იურიდიული (სპეციალობა – სამართალმცოდნეობა), ჯანდაცვის (სპეციალობა – სტომატოლოგია), ჰუმანიტარული (სპეციალობა – ინგლისური ენა და ლიტ-რა). კათედრები: ეკონ. და ბიზნესის, სამართალმცოდნეობის.

უნ-ტს აქვს ხარისხის უზრუნველყოფის, სასწ. პროცესის მართვისა და სამეცნ. საქმიანობის კოორდინაციის, საზ-ბასთან ურთიერთობის სამსახურები.

სესსუ-ს გააჩნია კომპიუტერული ცენტრი (აღჭურვილი 73 კომპიუტერით); ბ-კა სამკითხველო დარბაზით, სადაც ფუნქციონირებს ინტერნეტ-კუთხე (ბ-კის წიგნადი ფონდი შეადგენს 10,5 ათ. ეგზემპლარს, მ. შ. – 5,881 ათ. სახელმძღვანელოა); გამომცემლობა (2008); სტომატოლოგიური კლინიკა (განთავსებულია სასწ. კორპუსში, წარმოადგენს ჯანდაცვის ფაკ-ტის სტუდენტთა პრაქტიკის ბაზას და ემსახურება უნ-ტის სტუდენტებს); სპორტ. დარბაზი და მოედანი; სასწავლო კორპუსი (3416 *კვ. მ*) და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი (3677 *კვ. მ*).

2010 წ. 1 იანვ-თვის უნ-ტში სწავლობდა 439 სტუდენტი, მ. შ. 419 – ბაკალავრიატში, 20 – მაგისტრატურაში; მუშაობდა 11 სრული, 20 ასოცირებული პროფესორი, 24 მოწვეული პროფესორ-მასწავლებელი.

უნ-ტში ფუნქციონირებს სტუდენტთა სამეცნ. წრეები, ლიტერატურული სალონი (ეწყობა შეხვედრები ქართვ. მწერლებთან, აქვე საფუძველი ჩაეყარა კონკურსს ,,მცირე პოეზია''), ფეხბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ბილიარდის, მკლავჭიდისა და სხვ. გაერთიანებები.

უნ-ტში დაწესებულია იღია ჭავჭავაძის და ლევან სანიკიძის სახელობითი სტიპენდიები.

სესსუ თანამშრომლობს პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინ-ტთან, თ. წერეთლის სახ. სახელმწ. და სამართლის ინ-ტთან, საქართვ. ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრთან (აშშ საერთაშ. ეკონ. განათლების პარტნიორი ორგანიზაცია საქართველოში), ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტთან; გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საბერძნეთის პირეუსის უნ-ტთან.

სხვადასხვა წლებში უნ-ტს ხელმძღვანელობდნენ: მ. დარჩია, გ. ჯოხაძე, გ. ჯულაყიძე, რ. კრიჭინაშვილი, ვ. დარსაველიძე, ნ. უჯმაჯურიძე, ს. ქადაგიძე; 1995-იდან უნ-ტის რექტორია ს. მელაძე.

ს. მელაძე.

ეკონომიკის ინსტიტუტი პ. გუგუშვილის სახელობისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (2006), ფუნდამენტური, პრიორიტეტული სამეცნ. მიმართულებების განმსაზღვრელი და სამეცნ.-კვლ. სამუშაოების კოორდინატორი ქვეყნის ეკონ. სფეროში. დაარსდა 1944 წლის 29 ნოემბ. პ. *გუგუშვილის* ინიციატივით და ექვემდებარებოდა საქართვ. მეცნ. აკადემიას. 1944–76 ინ-ტს ხელმძღვანელობდა პ. გუგუშვილი, 1976–91 – ა. *გუნია*, 1991–96 – ვ. *პაპავა*, 1996–2008 – გ. შ. *წურეთელი*, 2008-იდან ინ-ტის დირექტორია ეკონ. მეცნ. დოქტორი რ. აბესაძე.

1957 ე. ი-ში შეიქმნა სამართლის განყ-ბა, რ-ის სექტორად გარდაქმნის შემდეგ (1963) მას ეწოდა ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტი (ესი). 1973 ინ-ტში ჩამოყალიბდა ეკონ.-მათ. გამოკვლევათა და მათ. სტატისტიკის სექტორი, რ-იც 1983 საქართვ. მეცნ. აკად. მათემატიკის ინ-ტს შეუერთდა. ეკონ. და სამართლის ინ-ტის ბაზაზე შეიქმნა სამეცნ. დაწესებულებები: 1963 ინ-ტს გამოეყო რამდენიმე სამეცნ. ერთეული და ჩამოყალიბდა სახალხო მეურნ. ეკონ. და დაგეგმვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, რ-იც დაექვემდებარა საქ. სსრ სახელმწ. საგეგმო კომიტეტს; 1989 ინ-ტს გამოეყო სახელმწიფოსა და სამართლის, ხოლო 1990 – დემოგრაფიის სოც.-ეკონ. პრობლემათა კვლევის ცენტრები, რ-ებიც ასევე ცალკე ინ-ტებად ჩამოყალიბდნენ და უშუალოდ საქართვ. მეცნ. აკადემიას დაექვემდებარნენ. 1989-იდან ეკონ. და სამართლის ინ-ტს კვლავ ე. ი. ეწოდა, ხოლო 1991-იდან მას მიენიჭა მისი დამაარსებლის – პ. გუგუშვილის სახელი. ე. ი-ის შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ეკონ. მეცნ. განვითარებისა და ეკონ. აზროვნების კულტ. ამაღლებისათვის. ე. ი-ის არსებობის სხვადასხვა ეტაპზე განვითარდა პრიორიტეტული გამოკვლევები სხვადასხვა მიმართულებით. გასული საუკუნის 40–50-იან წლებში უპირატესობა ეთმობოდა კონკრეტული დარგობრივი ეკონ. პრობლემების კვლევას, 60-იან წლებში ფუნდამენტური (მეთოდოლოგიური) გამოკვლევების წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო 70–80-იან წლებში ეს მიმართულება წამყვანი გახდა. 90-იანი წლებიდან ინ-ტში გააქტიურდა ისეთ პრობლემებზე მუშაობა, რ-ებიც ქვეყნის სოც.-ეკონ. სტაბილურობასთან და საბაზრო ეკონ. ურთიერთობების ფორმირებასთან იყო დაკავშირებული. ინ-ტის გამოკვლევები სამთავრობო და საკანონმდებლო დოკუმენტების, საქართვ. სოც.-ეკონ. კრიზისის დაძლევის კონცეფციებისა და პროგრამების საფუძვლად იქცა.

თანამედროვე ეტაპზე ინ-ტის კვლევის ძირითადი მიმართულებაა საბაზრო ურთიერთობების სრულყოფის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების შესწავლა. აღნიშნულ პრობლემებზე მუშაობს 7 განყ-ბა (ეკონომიკური თეორიის, მაკრო- და მიკროეკონომიკურ პრობლემათა კვლევის, ბიზნესის პრობლემათა კვლევის, საჯარო ეკონომიკის, ინოვაციებისა და საერთაშ. კონკურენციის, მეწარმეობის განვითარებისა და რეგიონული ეკონომიკის, მდგრადი ეკონ. განვითარების). ე. ი-ში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები: ფ. *გოგიჩაიშვილი*, პ. გუგუშვილი, ს. *ჯანაშია*, ნ. *კეცხოველი*, გ. *გეხტმანი*, ი. *დოლიძე*, ვ. *ჩანტლაძე*, ა. გუნია, ვ. *მელქაძე*, თ. *წურეთელი*. ე. ი-ის თანამშრომლების მიერ გამოცემულია მრავალი ცალკეული ნაშრომი (მონოგრაფია, ბროშურა, კრებული). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონ. ინ-ტის სამეცნ. შრომების თხუთმეტტომეული (1946–68) და კრებ. ,,ეკონომიკის'' ექვსტომეული (1969–77). 2000–04 გამოდიოდა ინ-ტის სამეცნ. ნაშრომთა კრებ. ,,საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში'' (გამოვიდა 4 ტ.), რ-ის გამოცემაც 2008-იდან აღდგა სახელწოდებით ,,პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული''. 1958 პ. გუგუშვილის ინიციატივით განახლდა ჟურნ. ,,ეკონომისტის'' გამოცემა (1918–41) ახ. სახელწოდებით ,,საქართველოს ეკონომისტი'', რ-იც ათი წლის განმავლობაში ინ-ტის სამეცნ. გამოცემა იყო. 2009-იდან კვლავ დაიწყო აღნიშნული ჟურნალის გამოცემა სახელწოდებით ,,ეკონომისტი''. 1980-იდან 2006-მდე ინ-ტი კვარტალში ერთხელ გამოსცემდა საქართვ. მეცნ. აკადემიის ჟურნ. ,,მაცნეს'' თავდაპირველად ეკონომიკისა და სამართლის, ხოლო შემდეგ (1992-იდან) ეკონომიკის სერიით. ინ-ტში შექმნილ ნაშრომს ,,მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები'' (ავტორები: ი. ანანიაშვილი, კ. აჩელაშვილი, ი. მესხია, ვ. პაპავა, ა. სილაგაძე, გ. წერეთელი) 2004 წელს მიენიჭა საქართვ. სახელმწიფო პრემია მეცნ. და ტექ. დარგში. 2009 ინ-ტში დაარსდა აკად. პ. გუგუშვილის კაბინეტი, შეიქმნა ინ-ტის

გამომცემლობა, არაფორმალური სწავლების ცენტრი, საკონსულტაციო-საექსპერტო ცენტრი. წლის საუკეთესო მეცნიერ თანამშრომელთა წასახალისებლად დაწესდა აკად. პ. გუგუშვილის, აკად. ა. გუნიას და პროფ. გ. შ. წერეთლის პრემიები.

ე. ი-მა თავისი არსებობის მანძილზე დიდი როლი შეასრულა საქართველოში ეკონ. მეცნ. განვითარებასა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში.

ლიტ.: წ ე რ ე თ ე ლ ი გ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი – 60, «პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული», ტ. 4, თბ., 2004; ჯ ი ბ უ ტ ი მ., ბ ე დ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი გ., პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი (1944–1994), თბ., 1994.

რ. აბესაძე.

ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტი, ეკონომიკური პროფილის კვლევითი დაწესებულება. შეიქმნა 1963 საქ. სსრ სახელმწ. საგეგმო კომიტეტთან. თავდაპირველად სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ერქვა, ხოლო რეორგანიზაციისა და კვლევის მიმართულებებში აქცენტების შეცვლის გამო 1982-იდან ეწოდა სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 1991-იდან – ეკონომიკისა და ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (დაექვემდებარა ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს), 1992-იდან – ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (დაექვემდებარა ეკონომიკის სამინისტროს), 1994-იდან – ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2002-იდან გახდა საჯარო სამართლის იურიდ. პირი და ეწოდა ვ. მელქაძის სახ. სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ), 2004-იდან – ე. კ. ი. (ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ), 2006-იდან კი – საფინანსო-ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტი. იმავე წელს ინ-ტმა შეწყვიტა ფუნქციონირება. ინ-ტს სხვადასხვა დროს სათავეში ედგნენ: ვ. *მელქაძე* (1963–81); კ. *ჩარკვიანი* (1981–87); ვ. *ადვაძე* (1987–91 და 1992–93); ი. *მესხია* (1991–92); ნ. *ჭითანავა* (1993–2004); დ. ჭკადუა (2004–05); მ. კაკულია (2005); ს. სანაძე (2006). სხვადასხვა ეტაპზე ინ-ტის კვლევის ძირითადი მიმართულებები იყო: საქართველოს ეკონ. და სოც. განვითარების სხვადასხვავადიანი პროგნოზების, პროგრამებისა და ინდიკატიური გეგმების შედგენის თეორიულ-მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფა და მათი პროექტების მომზადება; საქართვ. სოც.-ეკონ. სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისათვის მეცნ. რეკომენდაციების შემუშავება; ეკონ. რეფორმის თეორ. და პრაქტ. საკითხების, ცხოვრების დონის, სოციალური ინფრასტრუქტურის პრობლემების კვლევა; მაკრო- და მიკროეკონომიკური პროცესების, მეურნეობის დარგებისა და დარგთაშორისი კომპლექსების ანალიზი და მათი განვითარების კონცეფციების შემუშავება; ფულის მიმოქცევის, ფასწარმოქმნის საკითხების მარკეტინგული კვლევა; საგარეო ეკონ. ურთიერთობების რაციონალიზაციის მეცნ. რეკომენდაციების შემუშავება; დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემების შესწავლა; დემოგრაფიული საკითხებისა და რეგიონული პრობლემების კვლევა; ეკონ.-მათ. მოდელების შემუშავება; ქვეყნის მაკროეკონომიკური პროგნოზირებისა და სტრატეგიული განვითარების, საქართველოს ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის, სოც. სფეროსა და სოც. პოლიტიკის, საერთაშორისო ბიზნესის, რეალური სექტორის ეკონ. საკითხების შესწავლა.

XX ს. 70-იანი წლებიდან ინ-ტმა ეკონომიკის დაგეგმვის, მართვის, რეგულირების მაკრო-, მეზო- და მიკროეკონომიკის კვლევის პარალელურად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ამ პრობლემების რეგიონულ ჭრილში შესწავლას. ამ მიზნით თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ზუგდიდში, თელავში, ოზურგეთში, გორსა და ახალციხეში გაიხსნა რეგიონული განყ-ბები, რ-ებიც 1994-იდან გარდაიქმნა რეგიონულ სამეცნიერო ცენტრებად, შემუშავდა საქართველოს რეგიონების ეკონ. და სოც. განვითარების კომპლექსური პროგრამა გრძელვადიანი პერიოდისათვის ,,საქართველო 2000–რეგიონები‘‘. გამოსაცემად მომზადდა ამ პროგრამის 15 ტომი, გამოიცა 8 ტომი.

სამეცნ.-კვლევითი მუშაობის პარალელურად ინ-ტი სისტემატურად ასრულებდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სხვადასხვა საერთაშ. ორგანიზაციების დაკვეთებს, აქტიურად მონაწილეობდა ეკონ. რეფორმის სრულყოფის ეტაპობრივ სამუშაოებში, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავებაში, ქვეყნის ეკონ. კრიზისიდან გამოყვანის ღონისძიებების შესახებ წინადადებების მომზადებაში.

ინ-ტში შექმნილი სამეცნ. პროდუქცია არაერთხელ აღინიშნა სხვადასხვა პრემიით. კერძოდ, კოლექტიურ მონოგრაფიას ,,საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები‘‘ (ავტორთა ჯგუფი: ვ. მელქაძე, ი. მიქელაძე, კ. ჩარკვიანი, პ. ჟღენტი, ნ. სანთელაძე, გ. მალაშხია, გ. ბუაჩიძე) 1975 მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნ. და ტექ. დარგში. ე. ჰ. ი. დაარსების დღიდან სისტემატურად გამოსცემდა შრომების კრებულს ,,საქართველოს ეკონომიკის პრობლემები‘‘; 1996–2004 კი გამოდიოდა სახელწოდებით: ,,საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში‘‘. 2005-მდე ინ-ტში ფუნქციონირებდა სამეცნ. კადრების მომზადების სისტემა ასპირანტურისა და სამეცნ. ხარისხის მაძიებლობის ფორმით, აგრეთვე სამეცნ. ხარისხის მიმნიჭებელი საბჭო, რ-იც განათლებისა და მეცნიერების სფეროში გატარებული რეფორმის შედეგად გაუქმდა.

ლ. ხელიძე.

ეკონომიკური განათლება, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ეკონომისტების მომზადების სისტემა. XX ს. დასაწყისში ეკონომისტთა კადრებს ამზადებდა ამიერკავკასიის პირველი უმაღლესი სასწავლებელი – *ქალთა უმაღლესი კურსების* ისტორია-სიტყვიერების ფაკ-ტი, თბილისის საკომერციო სასწავლებელი (1906–09), თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონ. ფაკ-ტი (1917–28), მაგრამ უმაღლესი კვალიფიკაციის ეკონომისტთა ეროვნ. კადრების მომზადების პირველი კერა ივ. ჯავახიშვილის

სახ. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი* (თსუ) იყო. უნ-ტის გახსნისთანავე მისი ერთ-ერთი ფუძემდებლის ფ. *გოგიჩაიშვილის* ხელმძღვანელობით სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტზე დაარსდა ეკონ. განყ-ბა და ჩამოყალიბდა პოლიტ. ეკონომიის კათედრა. პირველ ხანებში მომზადებულ ეკონომისტთა ეროვნ. კადრების რაოდენობა უმნიშვნელო იყო; უნ-ტის პირველი გამოშვების (1922) 28 სპეციალისტს შორის მხოლოდ ერთი იყო ეკონომისტი.

1922 თსუ-ში შეიქმნა სოც.-ეკონ. ფაკ-ტი ეკონომიკური და იურიდ. განყ-ბებით. უნ-ტის რეორგანიზაციის (1930) დროს ის წარმოადგენდა საფინანსო-კოოპერაციულ ინ-ტს, 6 თვის შემდეგ ეწოდა საფინანსო-ეკონომიკური ინ-ტი, რ-იც უნ-ტის აღდგენისას (1933) შევიდა მის შემადგენლობაში როგორც ეკონომიკური ფაკ-ტი პოლიტ. ეკონომიის საგეგმო და საფინანსო განყ-ბებით. 1972 უნ-ტში შეიქმნა სახ. მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკ-ტი, სადაც წლიურად იღებდნენ 2000 კაცს; სწავლების ვადა წარმოებისაგან მოწყვეტით 1 თვე იყო, მოუწყვეტლად – 6 თვე. 1988-თვის თსუ-ში იყო ეკონ. პროფილის 2 ფაკ-ტი, 1992–97 – 3 ფაკ-ტი, ხოლო 1997–98 სასწ. წელს კი – 4 ფაკ-ტი.

თსუ უმაღლესი განათლების მქონე ეკონომისტთა მომზადების ერთ-ერთი მთავარი ცენტრია.

ეკონ. ფაკ-ტზე 1995-იდან შემოღებულია სწავლების 2-საფეხურიანი სისტემა – ბაკალავრიატი+მაგისტრატურა (4+2). ოთხი წლის მანძილზე ბაკალავრიატში სტუდენტები იღებენ ზოგად ეკონ. განათლებას. კურსდამთავრებულს სახელმწ. გამოცდების ჩაბარების შემდეგ ენიჭება ბაკალავრის აკად. ხარისხი (დიპლომის დანართში მინიშნებულია სპეციალობა), ხოლო მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ – მაგისტრის ხარისხი.

ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გადასვლამ მოითხოვა უმაღლესი ტექ. განათლების ისეთი სისტემის შექმნა, რ-იც უზრუნველყოფდა სპეც. ტექ.-საინჟინრო ცოდნისა და ნებისმიერი საინჟინრო დამუშავების მოსალოდნელი ეკონ., ეკოლოგიური და სოც. შედეგების გააზრების ერთიანობას.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დამკვიდრდა საბაზრო ეკონ. ურთიერთობათა ფართო სპექტრის შესაბამისი ეკონ. სპეციალობები, რ-ებიც ეფუძნება სათანადო ეკონ. პროფილის კათედრების მუშაობას.

საქართვ. ტექნიკურ უნ-ტში ეკონ. პროფილით კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის (4 წელი) ან მაგისტრის (2 წელი) აკად. ხარისხი და ეკონომისტის კვალიფიკაცია (დიპლომის დანართში მინიშნებულია სპეციალობა).

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ეკონ. ფაკ-ტი 1934-იდანაა. ფაკ-ტის ფუძემდებლები იყვნენ ი. ჯაში და ნ. ლაჭყებიანი. აგრარიკოს-ეკონომისტთა კადრების მომზადებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით პროფესორებს: პ. ჟღენტს, გ. კუპრეიშვილს, ი. ორაგველიძეს, დ. ბერუჭაშვილს, ა. მახარაძეს, კ. მიროტაძეს.

თბილისის *ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში* იყო საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სექტორები, სწავლების 2-საფეხურიანი სისტემა (4+2); პირველი საფეხურის – ბაკალავრიატის დამთავრების (სახელმწ. გამოცდები და საკურსო ნაშრომის დაცვა) შემდეგ სტუდენტს უფლება ეძლევა, შევიდეს მაგისტრატურაში, რ-საც ამთავრებს დიპლომის დაცვით.

საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და საბაზრო ეკონ. ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ თვისებრივად შეიცვალა მოთხოვნები ეკონ. განათლების კადრებზე. პოსტსაბჭოურ პერიოდში საქართვ. განათლების სისტემაშიც შეიქმნა კონკურენტული გარემო – სახელმწ. სასწავლებლის გვერდით ჩამოყალიბდა კერძო სასწავლებლები (როგორც ეკონ. პროფილის, ასევე მრავალდარგოვანი).

პრაქტ. მოთხოვნის შესაბამისად საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გაჩნდა ახ. ეკონ. სპეციალობები, რ-ებიც დაკავშირებულია მენეჯმენტთან, მარკეტინგსა და ბიზნესთან. მაგ., საგადასახადო და საბანკო საქმიანობის მენეჯმენტი; საკურორტო და ტურისტული მეურნეობის მენეჯმენტი; საკურორტო და სასტუმრო მეურნეობის ორგანიზაცია და მენეჯმენტი; ფერმერული მეურნეობის ეკონომიკა და მენეჯმენტი; ხელოვნების ეკონომიკა, ორგანიზაცია და მენეჯმენტი; სამთო მრეწველობის ეკონომიკა მენეჯმენტი და მარკეტინგი; საბაზრო ეკონომიკა და ბიზნესი; აგრობიზნესი; აგრარულ-საინჟინრო ბიზნესი; მსუბუქი მრეწველობის ეკონომიკა და ბიზნესი; საბირჟო საქმე; საგარეო ეკონ. საქმიანობის მენეჯერი; საწარმოო საქმიანობის მენეჯერი; ხელოვნებათმცოდნეობის ექსპერტ-მენეჯერი; საკომერციო საქმიანობის მენეჯერი; სამედ. სამსახურის მენეჯერი; საფინანსო და საბანკო-საკრედიტო საქმიანობის მენეჯერი; აგროეკოლოგიის მენეჯერი; აგროსელექციის მენეჯერი და სხვ.

საბაზრო ეკონ. ურთიერთობების დამკვიდრებამ განსაკუთრებულად მოითხოვა ეკონ. სამართლებრივი საფუძვლების ცოდნის გაღრმავება. შესაბამისად ამისა, გაჩნდა ახ. სპეციალობები: სავაჭრო ეკონ. ურთიერთობათა სამართლებრივი უზრუნველყოფა, იურისტ-ეკონომისტი, ბიზნესის ინფორმატიკა და სხვ.

ახ. ეკონ. სპეციალობები წარმოდგენილია *თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში, კავკასიის უნივერსიტეტში, საქართველოს უნივერსიტეტში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გორის უნივერსიტეტში* და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

შ. ბენია. ე. მექვაბიშვილი. რ. სტურუა. მ. ჯიბუტი.

ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკის სრულყოფა, მისი ახალ თვისებრიობაში გადასვლა. ცნება ,,ე. გ.'' პრაქტიკაში ხშირად გაიგივებულია ცნებასთან ,,ეკონომიკური ზრდა'', რაც ნიშნავს ეკონ. მასშტაბების რაოდენობრივ გადიდებას. ეკონომიკურ ზრდასა და ე. გ-ს შორის სიღრმისეული კავშირი არსებობს. ეკონ. ზრდა განვითარების ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია, ხოლო, თავის მხრივ, ე. გ. ქმნის ეკონომიკის რაოდენობრივი ზრდის განუსაზღვრელ პირობებს. თუმცა ეკონ. ზრდა შესაძლებელია ე. გ-ის გარეშეც, მაგ., მაშინ, როდესაც წარმოების ფაქტორები ექსტენსიურად იზრდება. ე. გ-ის არსებობაც შესაძლებელია ეკონ. ზრდის გარეშე, მ. შ. ეკონომიკური დაქვეითების პირობებშიც.

. ე. ბ. ნებისმიერი ეკონ. წყობისა და ნებისმიერი განვითარების დონის მქონე ქვეყნების თანმხლები მოვლენაა. მნიშვნელოვნად განსხვავებულია მხოლოდ მისი მიზნები და ამოცანები. ე. ბ-ს, საბოლოო ანგარიშით, უნდა მოჰყვეს საზ-ბის კეთილდღეობის ამაღლება, რაც გამოიხატება არა მხოლოდ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდით, არამედ მოსახლეობის ფენებს შორის შემოსავლების თანდათან გათანაბრებით.

ე. ბ-ის რაოდენობრივი გაზომვის მიზნით ერთმანეთისაგან განასხვავებენ ე. ბ-ის ეკონომიკურ (მთლიანი შიდა პროდუქტი, სიღარიბის დონე, ჯინის კოეფიციენტი და სხვ.), სოციალურ (ადამიანის განვითარების ინდექსი, საშ. და უმაღლესი განათლების დონის ხარისხი, დასაქმების დონე, გაზეთების რაოდენობა, ელექტროენერგიისა და სხვათა მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე, სიცოცხლის ხანგრძლივობა, შობადობის საერთო კოეფიციენტი, დემოკრ. ინ-ტების სიმყარე და სხვ.) და თვისებრივი ცვლილებების (საკუთრების ფორმების ცვლილება, ახ. ტექნოლოგიების დანერგვა, საწარმოთა რესტრუქტურიზაცია, საწარმოთა პრივატიზება, საწარმოთა რეკონსტრუქცია-გადაიარაღება, ინსტიტუციური ცვლილებები, ინოვაციებზე გაწეული ინვესტიციების ხვედრითი წილი ინვესტიციების საერთო რაოდენობაში, მეცნ. განვითარებაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი მთლიან ეროვნ. პროდუქტში, განათლების დონე და სხვ.) გამომხატველ მაჩვენებლებს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ეკონომიკა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ არაერთგვაროვნად ვითარდებოდა. შეიძლება გამოიყოს ე. ბ-ის ხუთი ეტაპი. პირველი – მოიცავს პერიოდს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 1994 წ. II ნახ-მდე. ეს არის პერიოდი, როდესაც ქვეყანას ერთდროულად უხდებოდა ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ახ. ეკონ. წყობაზე გადასვლისათვის. თანაც, ყოველივე ეს ხორციელდებოდა შიდა პოლიტ. დაძაბულობისა და ტერიტ. მთლიანობის შენარჩუნებისათვის ომის პირობებში. სახელმწიფო, ძირითადად, მხოლოდ სხვა ქვეყნების დახმარების, სესხებისა და კრედიტების ხარჯზე ახერხებდა უკიდურესად გამწვავებული სოც.-ეკონ. პრობლემების შემსუბუქებას. რაც მთავარია, ეკონ. რეფორმებს ამ ეტაპზე არ ჰქონდა კომპლ. ხასიათი, დაშვებული იყო არაერთი სტრატეგიული ხასიათის შეცდომა. მიუხედავად ამისა, ე. ბ-ის მიმართულებით, ახ. ეკონ. წყობაზე გადასვლის თვალსაზრისით, არაერთი ღონისძიება გატარდა: მოხდა ფასების ლიბერალიზაცია, შეიქმნა საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა, გატარდა სას.-სამ. მიწების და საბინაო სექტორის რეფორმა, განხორციელდა მცირე პრივატიზაციის პირველი ეტაპი და სხვ.

მეორე – მოიცავს პერიოდს 1994 წ. II ნახ-იდან 1998 წ-მდე. საერთაშ. ორგანიზაციების (უპირველეს ყოვლისა, საერთაშ. სავალუტო ფონდის) და ქვეყნის ეკონომისტთა მიერ ერთობლივად შემუშავებული პროგრამის საფუძველზე 1994 წ. II ნახ-იდან იწყება რეფორმების ახ. ეტაპი. შემოღებულ იქნა ეროვნ. ვალუტა – ლარი, შემცირდა ინფლაცია და ეროვნ. ვალუტასა და აშშ დოლარს შორის დამყარდა სტაბილური გაცვლითი კურსი. გარდა ამისა, განვითარების ამ ეტაპზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და შეივსო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკანონმდებლო ბაზა, ძირითადად დამთავრდა მცირე და საშუალო საწარმოთა პრივატიზება, განხორციელდა მიწის საკუთრების ტრანსფორმაცია, შემცირდა სახელმწ. ბიუჯეტის დეფიციტი, გაძლიერდა უცხ. ინვესტიციების მოზიდვა, გაუმჯობესდა ფულად-საკრედიტო სისტემა, გაუქმდა ლარის კურსის ხელოვნური რეგულირება და იგი მიენდო საბაზრო კანონებს, გაუმჯობესდა საინვესტიციო პირობები და სხვ. ყოველივე ამას მოჰყვა წარმოების ვარდნის შეჩერება და ზრდის ტენდენციის ჩამოყალიბება – 1996–97 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტი საშუალოდ 11%-ით იზრდებოდა მყარი ეროვნ. ვალუტისა და ინფლაციის დაბალი ტემპის პირობებში.

მესამე – იწყება 1998-იდან და გრძელდება 2004-მდე. ამ ეტაპზე იწყება მიღწეული ეკონ. ზრდის მაღალი ტემპების შემცირება, რასაც ვალუტის კურსის დაცემა და ინფლაციის დონის გაზრდა, საბიუჯეტო, საფინანსო და ენერგეტ. კრიზისი მოჰყვა.

მეოთხე – იწყება ,,ვარდების რევოლუციის'' შემდეგ და გრძელდება რუს.-საქართვ. ომამდე (უფრო ზუსტად, 2003 წ. 23 ნოემბრიდან 2008 წ. 8 აგვისტომდე). ამ ეტაპზე დაძლეულ იქნა წინა პერიოდის ეკონომიკაში არსებულ ნაკლოვანებათა დიდი ნაწილი. კერძოდ: აღმოიფხვრა საბიუჯეტო და საფინანსო კრიზისი (სახელმწ. ბიუჯეტის დეფიციტი, დაიფარა საპენსიო და სახელფასო დავალიანებები და ა. შ.); მნიშვნელოვნად გამყარდა ეროვნ. ვალუტა; აღმოიფხვრა ენერგეტ. კრიზისი (ქვეყნის მთელ მოსახლეობას და საწარმოებს ელექტროენერგია და გაზი შეუფერხებლად მიეწოდებოდა); მთლიანი შიდა პროდუქტის საშ. ზრდის ტემპებმა 9–10 % შეადგინა. მოიმატა მოსახლეობის შემოსავლებმა – საშ. ხელფასი ქვეყანაში 3-ჯერ და მეტად გაიზარდა; აღდგენილ იქნა საქალაქო და საავტომობილო გზების უდიდესი ნაწილი; გაუმჯობესდა მაკროეკონომიკური გარემო; გამარტივდა საგადასახადო კოდექსი, ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემის პროცედურები; გაღრმავდა პრივატიზების პროცესი; კიდევ უფრო გაძლიერდა საბანკო სექტორი. თუმცა, აღსანიშნავია ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანი მხარეებიც, კერძოდ: შეირყა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპი, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ფაქტობრივი გაუქმების გამო შემცირდა კონკურენციის დონე და ა.შ.

მეხუთე – მოიცავს რუს.-საქართვ. ომის შემდგომ პერიოდს, რ-საც თან ერთვის მსოფლიო საფინანსო კრიზისი. ბუნებრივია, ამ მასშტაბურმა მოვლენებმა ნეგატიური გავლენა იქონია საქართვ. ეკონომიკაზე. ომმა დიდი მატერ. ზარალი მიაყენა საქართველოს, შემცირდა ეკონ. ზრდის ტემპები როგორც შიდა, ისე უცხ. ინვესტიციების კლების გამო; დაიწყო ლარის კურსის ვარდნა, რამაც გამოიწვია ფასების ზრდა იმპორტ. საქონელზე; საბანკო სექტორში წარმოშობილ შეფერხებებს მოჰყვა კრედიტებისა და, შესაბამისად, ინვესტიციების შეკვეცა, სერიოზული ფინანს. პრობლემები შეექმნა სამშ. ბიზნესს; გაუარესდა ქვეყნის ეკოლ. სიტუაცია; მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა საკურორტო მეურნეობამ და ა. შ. ყოველივე ამან გამოიწვია ეკონ. რეცესია საკრედიტო-საინვესტიციო კრიზისის ფონზე, თუმცა 2009-იდან დაიწყო მისი დაძლევისა

და ეკონ. კრიზისიდან გამოყვანის პროცესი. *რ. აბესაძე.*

ეკონომიკური გეოგრაფია, მეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზებას ტერიტორიის მიხედვით, ადამიანთა ცხოვრების მოწყობის სივრცობრივ პროცესებსა და ფორმებს, პირველ ყოვლისა, წარმოების ეფექტიანობის თვალსაზრისით. არსებობს სხვა განსაზღვრებებიც. მაგ., ე. გ. შეისწავლის საზ. წარმოების სივრცობრივ კანონზომიერებებს, როგორც დარგობრივ, ისე რეგიონულ ასპექტში, ან ქვეყნების, რაიონების სამეურნ. თავისებურებებს, სივრცით სხვაობებს და სხვ. ე. გ. ეყრდნობა მოძღვრებას შრომის გეოგრ. დანაწილების შესახებ და წარმოების განლაგების თეორიას. ე. გ-ის ძირითადი კატეგორიებია: წარმოების განლაგების ფაქტორები და პირობები, ეკონ.-გეოგრ. მდებარეობა, ხოლო კვლევის ობიექტები – მეურნ. ტერიტ. სტრუქტურა სხვადასხვა ისტ. პირობებსა და სივრცობრივ (ადგილობრივ, რაიონულ, ეროვნულ, საერთაშორისო, გლობალურ) ჭრილში. ამ სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტებია – ეკონ. რაიონები, ტერიტ.-საწარმოო კომპლექსები, სატრანსპ. კვანძები, სამეურნ. ცენტრები და სხვ. ე. გ-ის კვლევის სფეროა აგრეთვე ბუნებრივი პირობებისა და რესურსების სამეურნ. შეფასება, ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა. მეურნ. ცალკეული დარგების ტერიტ. ორგანიზებას, განლაგების თავისებურებებსა და კანონზომიერებებს სწავლობს ე. გ-ის დარგობრივი დისციპლინები: მრეწვ. გეოგრაფია, სოფ. მეურნ. გეოგრაფია, ტრანსპ. გეოგრაფია, მომსახურე სფეროს გეოგრაფია და სხვ. რეგიონული (ლოკალური, რაიონული, რაიონთაშორისი) დონის ობიექტების კვლევისას ე. გ. მჭიდროდ უკავშირდება რეგიონულ ეკონომიკას; უფრო მაღალი იერარქიული დონის ობიექტებს სწავლობს ისეთი დისციპლინები, როგორიცაა მსოფლიო მეურნ. გეოგრაფია, საგარეო ვაჭრობის გეოგრაფია, სხვადასხვა ტიპის ქვეყნების გეოგრაფია და ა. შ. თანამედროვე ე. გ-ს აქვს კვლევის მეთოდების ფართო სპექტრი: საველე, შედარებითი, კარტოგრაფიული, ისტორიული, სტატისტიკური, მათემატიკური, სოციოლოგიური, დისტანციური, გეოინფორმაციული და სხვ.

XVII ს-ში ევროპაში კაპიტალ. ეკონ. განვითარებასთან დაკავშირებით შეიქმნა ეკონ.-გეოგრ. შინაარსის ქვეყანათმცოდნეობითი შრომები, ხოლო XVIII ს-ში საფუძველი ჩაეყარა განსხვავებულ ეროვნ. სკოლებს გერმანიაში (კამერალური სტატისტიკა), რუსეთში (სადაც მ. ლომონოსოვმა 1760 პირველად იხმარა ტერმ. ,,ე. გ.''), საფრანგეთსა და შემდეგ ინგლისში (კომერციული გეოგრაფია). მათი მიზანი იყო ,,აღწერილობითი სახელმწიფოთმცოდნეობის'' ბაზაზე ინფორმაციის შეგროვება და სისტემატიზაცია, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მოხელეების მომზადება. XIX ს-ში გეოგრ., კერძოდ, ე. გ-ის (ხშირად მას სტატისტიკას უწოდებდნენ) სამეცნ. დარგად ფორმირებას ხელი შეუწყო კ. რიტერის, ფ. რატცელის, ი. ტიუნენის, ე. რეკლიუს, ხოლო შემდეგ – ა. ჰეტნერის, პ. სემიონოვ-ტიან-შანსკის, ა. ვებერის, პ. ვიდალ დე ლა ბლაშის და მათი მიმდევრების გამოკვლევებმა. თვით ტერმ. ,,ე. გ.'' სამეცნ. წრეებში დაინერგა 1882, როდესაც გერმ. მეცნიერმა ვ. გოცმა ამ დარგის ძირითადი დებულებები ჩამოაყალიბა. ამავე პერიოდში გაჩნდა ფუნდამენტური ნაშრომები კომერციულ გეოგრაფიაში, რ-თა შორის მრავალჯერ გამოიცა და კლასიკურ წიგნად იქნა აღიარებული ინგლ. გეოგრაფის ჯ. ჩისჰოლმის ,,კომერციული გეოგრაფიის სახელმძღვანელო'' (1889). 1910 ნიდერლანდში გამოვიდა მსოფლიოში პირველი ,,ეკონომიკურ-გეოგრაფიული ჟურნალი'', ხოლო 1914-იდან როტერდამში ეკონომიკის შემსწავლელი სტუდენტებისათვის ე. გ. სავალდებულო საგანი გახდა.

რუსეთში ე. გ-ის პირველი კათედრა სანქტ-პეტერბურგის პოლიტექ. ინ-ტში დააარსა პროფ. ვ. დენმა 1902. საბჭ. კავშირში XX ს. 30-იანი წლებიდან დაიწყო დარგობრივ-სტატისტ. მიმართულების შეცვლა რაიონული მიმართულებით. ნ. ბარანსკისა და მისი მიმდევრების (ნ. კოლოსოვსკის, ი. საუშკინის, ი. ვიტვერის, ი. მაერგოიზის, ო. კონსტანტინოვის, ვ. პოქშიშევსკის, ა. მინცის, ი. კომარის, ბ. გოხმანის და სხვ.) გამოკვლევების საფუძველზე შეიქმნა საბჭ. ეკონ.-გეოგრ. სკოლა, რ-მაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დარგის განვითარებაში.

კვლევის ობიექტების სოც. შინაარსის მეტად გაფართოებამ გარკვეული შეუსაბამობანი წარმოშვა ეკონ.-გეოგრ. ცნებებისა და კატეგორიების სისტემაში და თანდათანობით გამოიწვია *მოსახლეობის გეოგრაფიის, სოციალური გეოგრაფიის,* პოლიტ. გეოგრაფიის და სხვათა გამიჯვნა და ცალკეულ დამოუკიდებელ სამეცნ. დარგებად ჩამოყალიბება. ისინი ,,ტრადიციულ'' ე. გ-თან ერთად ქმნიან დისციპლინების ერთობლიობას – *საზოგადოებრივ გეოგრაფიას,* რ-ის ანალოგად დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში იხმარება ტერმ. ,,სოციოგეოგრაფია''.

სა ქა რთ ვე ლო ს შესახებ ეკონ.-გეოგრ. შინაარსის საყურადღებო ცნობები მოცემულია *ვახუშტი ბატონიშვილის* თხზულებაში ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა'', ი. *გოგებაშვილის* სასკოლო სახელმძღვანელოში ,,ბუნების კარი'', აგრეთვე რევოლუციამდელი პერიოდის ზოგიერთი ქართ. და უცხოელი მეცნიერის, მოგზაურისა და პუბლიცისტის ნაშრომებში. საქართველოში ე. გ-ს, როგორც სასწ. და სამეცნ. დარგს, საფუძველი ჩაუყარა გ. *გეხტმანმა* XX ს. 20-იან წლებში. მას ეკუთვნის საქართვ. შესახებ პირველი ეკონ.-გეოგრ. გამოკვლევები, სახელმძღვანელოები და ეკონომიკური დარაიონების სქემა. 50–70-იან წლებში საქართვ. მეცნ. აკად. ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრ. ინ-ტის ე. გ-ის განყ-ბის (დაარსდა 1946) ხელმძღვანელის გ. *გველესიანის* უშუალო მონაწილეობითა და თაოსნობით განყ-ბა გახდა საქართვ. (როგორც მთიანი ქვეყნის), ცალკეული რ-ნებისა და სამეურნ. დარგების ეკონ.-გეოგრ. კვლევის წამყვანი საკავშ. ცენტრი. შემუშავდა *ეკონომიკური დარაიონების* ბადე, მომზადდა საქართვ. კომპლ.-გეოგრ. ატლასის ეკონ. რუკების სერია და აღიზარდა მეცნიერთა ახ. თაობა. ე. გ-ის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის აგრეთვე ვ. *ჯაოშვილს,* რ-მაც ქვეყნის სამეურნ. დარგების განლაგების საკითხების კვლევასთან ერთად საქართველოში საფუძველი ჩაუყარა მოსახლ. და ქალაქების ეკონ.-გეოგრ. შესწავლას. ამ ორი მეცნიერისა და მათი თანამშრომლების (რ. *კვერენჩხილაძე,* ე. *კობახიძე,* ვ. ნეიძე, ნ. დორეული, მ. შენგელაია, მ. ბოკერია, ჟ. ზონენაშვილი, ნ. დევიძე, ნ. ნადარეიშვილი, თ. ღვინიანიძე და სხვ.) მრავალწლიანი შრომის

შედეგად მომზადდა და გამოიცა (ქართ., რუს., ინგლ., ფრანგ., პოლ. ენებზე) მონოგრაფიები საქართველოს, მისი ეკონ. რაიონებისა და ისტ.-გეოგრ. მხარეების, დედაქალაქის, სამრეწვ. კვანძების, რეგიონული ცენტრების შესახებ. მნიშვნელოვანი ფუნდამენტური გამოკვლევები მიეძღვნა საქართვ. ეკონ. დარაიონების (გ. გველესიანი, გ. *ზარდალიშვილი*), საწარმოო ძალების, მრეწვ., საკურორტო და ტურისტული მეურნ. (ე. კობახიძე), ტრანსპ. (რ. კვერენჩხილაძე) განვითარებისა და განლაგების საკითხებს. საყურადღებო ეკონ.-გეოგრ. ნაშრომები გამოიცა ავტონ. წარმონაქმნების: აფხაზეთის (შ. ლაშხია), აჭარის (ნ. *ნიჟარაძე*), ყოფ. სამხრეთ ოსეთის (რ. კვერენჩხილაძე) შესახებ. 70-იანი წლებიდან ძირითადად თსუ-ის ე. გ-ის კათედრაზე (დაარსდა 1923) მიზანმიმართულად წარიმართა საზღვარგარეთის ქვეყნების (უმთავრესად ახლო აღმოსავლეთის) შესწავლა (ნ. ნაჭყებია, რ. გაჩეჩილაძე, ა. რონდელი, ზ. დავითაშვილი, ვ. მელიქიძე, ფ. ზურიკაშვილი, ლ. მიქელაძე, გ. გოგსაძე და სხვ.), რამაც დადებითი როლი ითამაშა ქართ. დიპლ. და პოლიტოლოგიური კადრების მომზადებაში. საზ.-გეოგრ. კვლევის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს 2003 წ. გამოცემული რ. გაჩეჩილაძის მონოგრაფია ,,ახლო აღმოსავლეთი (სივრცე, ხალხი და პოლიტიკა)‘‘.

საინტერესო ეკონ.-გეოგრ. გამოკვლევები მიეძღვნა საქართვ. საქალაქო აგლომერაციებს, შრომითი რესურსების დასაქმებისა და მიგრაციის (ვ. გუჯაბიძე, თ. გუგუშვილი) საკითხებს, აგროსამრეწველო კომპლექსებს, თბილ. კომპიუტერული ატლასის შექმნას (გ. ცაგარელი), მიწის რესურსების (ნ. კეკელია, ი. სალუქვაძე), ბუნებრივი რეკრეაციული რესურსების (ნ. პავლიაშვილი) შეფასებას, საქართველოში მომხდარი საომარი კონფლიქტებისა და სპორტის გეოგრ. შესწავლას (ვ. ნეიძე), ქვეყანაში მიმდინარე სოც.-ეკონ. პროცესების ანალიზს (რ. გაჩეჩილაძე, ა. გეგეშიძე) და სხვა აქტუალურ საკითხებს. სხვადასხვა დროს ქართ. ენაზე შეიქმნა ე. გ-ის ორიგინ. სახელმძღვანელოები საშ. და უმაღლესი სკოლებისათვის (გ. გეხტმანი, ლ. *კარბელაშვილი,* ვ. ჯაოშვილი, გ. ზარდალიშვილი, რ. კვერენჩხილაძე, ე. კობახიძე, ვ. ნეიძე, მ. ბოკერია, ზ. დავითაშვილი და სხვ.). ეკონ.-გეოგრ. კვლევის ფართო სპექტრია წარმოდგენილი სპეც. კრებულებში: ,,რეგიონული გეოგრაფია‘‘ (I ტ. – 1983; II ტ. – 1991), ,,საქართველოს მოსახლეობა და მეურნეობა‘‘ (1988; გეოგრ. ინ-ტის გამოცემა), თსუ-ის მიერ ვ. გუჯაბიძის რედაქტორობით გამოცემული ტომები (1976, 1983, 1988), სადაც ქართვ. ავტორებთან ერთად წარმოდგენილნი არიან ლოძისა და ბრატისლავის უნ-ტების მეცნიერები.

უკანასკნელ წლებში ისევ აღდგა ქართვ. გეოგრაფების სამეცნ. კონტაქტები უცხოელ კოლეგებთან, აღსანიშნავია ბრიტანულ-ქართ. (1993, 1995, 1997), ფრანგულ-ქართ. (1993), რუსულ-ქართ. (1995), პოლონურ-ქართ. (1996), ისრაულ-ქართ. (2001–02) სემინარები.

ეკონ.-გეოგრ. გამოკვლევები ძირითადად მიმდინარეობს თსუ-სა და ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრ. ინ-ტში, ასევე საქართვ. სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ლიტ.: გ ე ხ ტ მ ა ნ ი გ., საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, ტფ., 1925; თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა (ავტორთა კოლექტივი), თბ., 1989; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 2. სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია (ავტორთა კოლექტივი), თბ., 2003; საქართველოს სსრ ეკონომიური გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, წგ. 1–2, თბ., 1970–73; ჯ ა ო შ ვ ი ლ ი ვ., საქართველოს მოსახლეობა. ისტორიულ-დემოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1996; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 1996; Г в е л е с и а н и Г. Г., Развитие и размещение социалистического производства в Грузинской ССР, Тб., 1965; Д ж а о ш в и л и В. Ш., Урбанизация Грузии, Тб., 1978; К в е р е н ч х и л а д з е Р. И., Географические проблемы транспорта Грузии, Тб., 1976; К о б а х и д з е Э. Д., Развитие и размещение производительных сил Советской Грузии, Тб., 1982; С а у ш к и н Ю. Г., Экономическая география: история, теория, методы, практика, М., 1973; С к о р и н А. Ю., Введние в экономическую географию, М., 2001.

ვ. ნეიძე.

ეკონომიკური დარაიონება, ქვეყნის დაყოფა ეკონომიკურ რაიონებად, რომლებიც ობიექტურად ასახავენ შრომის ტერიტორიული დანაწილების ჩამოყალიბებულ სურათს. ე. დ-ის ძირითადი მიზანია ოპტიმალური პირობების შექმნა ტერიტ. დაგეგმვის, პროგნოზირებისა და სოც.-ეკონ. რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისათვის. რაიონები ფორმირდება ურბანიზაციის ფონზე, საერთო-სახელმწიფოებრივი სამეურნ. სპეციალიზაციის გავლენით და მათ შორის ხდება პროდუქციისა და მომსახურების გაცვლა. განასხვავებენ ინტეგრალურსა (მთლიან) და დარგობრივ (სამეურნ. დარგების მიხედვით) ე. დ-ს. ი ნ ტ ე გ რ ა ლ უ რ ი დარაიონების ძირითადი პრინციპებია: გენერალურობა (ე. დ. სრულად მოიცავს ქვეყნის ტერიტორიას, სადაც შედის აუთვისებელი და ნაკლებათვისებული ტერიტორიები); ეკონ. რაიონების აგების სისტემის იერარქიულობა; ტერიტ. მთლიანობა და ტერიტ.-საწარმოო კომპლექსის ბირთვის არსებობა; ეროვნ.-ეთნ. მთლიანობა; შესაბამისობა ქვეყანაში ჩამოყალიბებულ ადმ.-ტერ. დაყოფასთან.

ქვეყნების სამეურნ. განვითარების შეგატერიტორიული სხვაობა პროფილისა და დონის მიხედვით ადრეულ ეპოქებშიც არსებობდა. ასე იყო საქართველოშიც, სადაც დროთა განმავლობაში ბუნებრივ-სამეურნ. თავისებურებებით გამოჯვნული და ფეოდ. მმართველობით განმტკიცებული სხვადასხვა ისტ.-გეოგრ. რაიონები (ქართლი, კახეთი, იმერეთი და სხვ.) ჩამოყალიბდა. საქართველოში ე. დ-ის საკითხებზე მუშაობდნენ: გ. *გეხტმანი* (მას ეკუთვნის დარაიონების პირველი სქემა, 1944), ლ. *კარბელაშვილი,* გ. *ზარდალიშვილი,* ი. *მიქელაძე* და სხვ. პრიორიტეტულად იქნა აღიარებული საქართვ. მეცნ. აკად. ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრ. ინ-ტში XX ს. 60-იანი წლების დასაწყისში გ. *გველესიანის* მიერ შემუშავებული დარაიონების ბადე, რ-ის მიხედვითაც საქართვ. ტერიტორიაზე გამოიყო 8 ეკონ. რ-ნი. ჩატარებულია აგრეთვე დარგობრივი ე. დ. – სას.-სამ., სამრეწვ., სატრანსპ., საკურორტო-რეკრეაციული.

საქართვ. ე. დ-ის თანამედროვე ბადე დარაიონების პრინციპების ახლებური გააზრებისა და ეკონ. რეალობის გათვალისწინების საფუძველზე გარკვეულ კორექტივებს საჭიროებს.

ლიტ.: გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი გ., საქართველოს ეკონომიური დარაიონების საკითხის სწორი გაგებისათვის, «საქართველოს ეკონომისტი», 1960, №8; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს სსრ რესპუბლიკის ეკონომიური დარაიონება, წგ.: საქართველოს სსრ ეკონომიური გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, წგ. 2, თბ., 1973; ზ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი გ., საქართველოს სსრ ეკონომიური დარაიონება, თბ., 1970.

ვ. ნეიძე.

ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, ეკონომიკური გეოგრაფიის შეცვლილი და შინაარსობრივად

გაფართოებული უმართებულო სახელწოდება, რ-იც 1977 შემოიღო სსრკ მეცნ. და ტექ. კომიტეტმა თავიანთი სპეციალობების ნომენკლატურაში და საქართველოშიც გავრცელდა. დღეს, როგორც *ეკონომიკური გეოგრაფია*, ისე *სოციალური გეოგრაფია* ცალ-ცალკე აღიარებული დარგებია. ამიტომ, მათი ხმარება საერთო ტერმინის სახით მხოლოდ ტრადიციულად არის შემორჩენილი. *ვ. ნეიძე.*

ეკონომიკური ზონა განსაკუთრებული, ტერიტორიული წყლების ფარგლებსგარე და მისი მიმდებარე რაიონი, სადაც მოქმედებს გაეროს საზღვაო სამართლის 1982 წ. კონვენციის დებულებით გათვალისწინებული განსაკუთრებული სამართ. რეჟიმი. განსაკუთრებული ე. ზ. დადგინდა საზღვაო სახელმწიფოს სანაპირო ზოლის ეკონ. ინტერესების დასაცავად. ე. ზ-ის სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 200 საზღვაო მილს. ზონა აითვლება იმავე ამოსავალი ხაზიდან, საიდანაც – ტერიტ. წყლები.

საქართველოს, როგორც სანაპირო ზოლის სახელმწიფოს, ე. ზ-ში აქვს სუვერენული უფლებები: კერძოდ, ზღვის ფსკერზე, მის წიაღსა და წყლებში ბუნებრივი რესურსების დაზვერვის უფლება, მათი დამუშავებისა და შენარჩუნების მიზნით; იურისდიქცია ხელოვნური კუნძულების, მოწყობილობებისა და დანადგარების შექმნასა და გამოყენებაზე, საზღვაო სამეცნ. კვლევებზე, ზღვის გარემოს დაცვასა და შენარჩუნებაზე. ამ უფლებების განხორციელებისას სანაპირო სახელმწიფო მოვალეა გაითვალისწინოს მესამე სახელმწიფოს უფლებები ე. ზ-ში. განსაკუთრებული ე.ზ-ის სტატუსი და მისი დაცვა მხოლოდ საქართვ. უმაღლეს სახელმწ. ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება (საქართვ. კონსტ. მ. 3, პ. 1, ქვეპ. ,,ბ''). იხ. აგრეთვე *თავისუფალი ეკონომიკური ზონა.*

ეკონომიკური ზრდა, მაკროეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ცნება, რომელსაც იყენებენ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის პოზიტიური ცვლილებების გამოსახატავად. ე. ზ-ში იგულისხმება ეკონომიკის რაოდენობრივი ზრდა, ქვეყნის დოვლათის (რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის – მშპ) მოცულობისა და საწარმოო პოტენციალის გადიდება. ე. ზ-ის მაჩვენებლად გამოიყენება რეალური მშპ-ის ზრდის წლიური ტემპი. უფრო ზუსტად მას ასახავს ქვეყანაში მოსახლეობის ერთ სულზე შექმნილი დოვლათის მოცულობის გადიდება. შესაძლებელია გაიზარდოს მშპ, მაგრამ ქვეყნის სიმდიდრე არ გადიდდეს ან, პირიქით, – შემცირდეს კიდეც, თუ ახლად შექმნილი სიმდიდრე არ გადააჭარბებს ბუნებრივი პროცესით ან სხვა მიზეზით მწყობრიდან გამოსული დოვლათის მოცულობას. იმ შემთხვევაში თუ ქვეყანაში მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ახალშექმნილი სიმდიდრე, ე. ზ. რეალურად არ მოხდება, ვერ უზრუნველყოფს პროგრესს.

ე. ზ-ის ცნება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მასში აისახება ეკონ. განვითარების ხასიათი. მთავარია მისი კავშირი მოსახლ. ცხოვრების დონესთან. ე. ზ-მ უნდა უზრუნველყოს ხალხის კეთილდღეობის ამაღლება, რაც გამოიხატება ერთ სულ მოსახლეზე ქვეყნის სიმდიდრის მოცულობის გადიდებით.

ე. ზ., თავისი ხასიათითა და ფაქტორებით, არაერთგვაროვანი, რთული პროცესია. იგი მერყეობა და დაკავშირებულია ეკონ. დინამიკის ციკლურობასთან და არაციკლურ ცვლილებებთან. ეკონ. დინამიკა არ არის მხოლოდ აღმავალი პროცესი. მისი ტემპები შეიძლება იყოს ნულოვანიცა და უარყოფითიც (კლებადი). ძირითადი კანონზომიერება არის ზრდის ტენდენცია, რაც ეკონ. განვითარების დონის ამაღლების ერთ-ერთი პირობაა.

ე. ზ. დამოკიდებულია, ერთი მხრივ, წარმოების ფაქტორების რაოდენობის გადიდებაზე, მეორე მხრივ, ეკონ. განვითარებაზე (იხ. *ეკონომიკური განვითარება*), ამ ფაქტორების თვისებრივ გაუმჯობესებაზე. ე. ზ-ის გადამწყვეტი პირობა უფრო მეტად თვისებრივი და არამატერ. ფაქტორებია, რებიც ნაკლები დანახარჯებით ან სულაც უდანახარჯოდ ე. ი., საბოლოოდ, დანახარჯებზე მეტად ზრდიან ეკონ. დოვლათს (სიმდიდრეს). ფაქტორებთან მიმართებით არსებობს ე. ზ-ის ორი გზა: ექსტენსიური და ინტენსიური, რ-ებიც აბსტრაქტული თეორიული მოდელებია, ხოლო პრაქტიკაში, როგორც წესი, შერწყმულად თანაარსებობენ.

ექსტენსიური ე. ზ. ნიშნავს გამოყენებული რესურსების რაოდენობის შესაბამისად დოვლათის (სიმდიდრის) გადიდებას შრომის დანახარჯების, ძირითადი კაპიტალისა (შენობა-ნაგებობანი, მანქანა-იარაღები, უახლესი ტექნოლოგია და სხვ.) და საბრუნავი კაპიტალის (ნედლეულის, მასალების, ენერგიის და სხვ.) ზრდის ხარჯზე. ამ შემთხვევაში ე. ზ-ის ტემპი მოხმარებული რესურსების რაოდენობის გადიდების ტემპის ტოლია.

ინტენსიური ე. ზ. კი წარმოების ეფექტიანობის, ანუ რესურსების გამოყენების გაუმჯობესებით, და შედეგიანობის გადიდებით მიიღწევა. მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად სჭარბობს ინტენს. ფაქტორის როლი ე. ზ-ში, ანუ რამდენად მნიშვნელოვანია დოვლათის მატება დანახარჯებთან შედარებით, ე. ი. როგორია უტოლობის – ,,შედეგები > დანახარჯებზე'' – სიდიდე.

თანამედროვე ეკონომიკა უპირატესად ხასიათდება ინტენს. ფაქტორების როლის გაძლიერებით, ე. ი. ეფექტიანობის გადიდებით, რაც ნიშნავს, რომ მცირდება წარმოებული დოვლათის შრომატევადობა, მასალატევადობა, ენერგოტევადობა, იზრდება სასარგებლო თვისებები.

საქართველოში ე. ზ-ის პროცესი წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს. XX ს-ში, საბჭოთა პერიოდის გარკვეულ ეტაპზე, მიღწეული იყო ეკონ. განვითარების შთამბეჭდავი წარმატებები. შეიქმნა განვითარებული მრეწველობა, სოფ. მეურნეობა, ტრანსპორტი, მშენებლობა, მომსახურება – თანამედროვე დარგებით, მეცნ.-ტექ. ბაზით და სხვ. საბჭოთა საქართველოს არსებობის ბოლო პერიოდისათვის მშპ რამდენიმე ათეულჯერ აღემატებოდა საუკუნის დასაწყისის დონეს. ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით ქვეყნის ეროვნ. სიმდიდრის და მშპ-ის წარმოების მოცულობით საბჭოთა საქართველო მსოფლიოში საშ. განვითარების ქვეყნების დონეს უტოლდებოდა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, XX ს. 90-იან წლებში სოც.-ეკონ. სისტემის ტრანსფორმაციის, სამოქალაქო უთანხმოებათა და კონფლიქტების შედეგად გამოწვეულმა ღრმა ეკონ. კრიზისმა საქართველოში ე. ზ. არა მარტო შეაჩერა, არამედ ეკონომიკა მკვეთრად დააქვეითა, რაც 1995-მდე გაგრძელდა. ქვეყნის მშპ შემცირდა თითქმის 4-ჯერ, სამრეწვ. პროდუქცია – დაახლ. 7-ჯერ,

ეკონომიკური ზრდა

მთლიანი შიდა პროდუქტის მატების ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით (%-ობით)

1995	5,6
1996	11,2
1997	10,6
1998	3,1
1999	2,9
2000	1,8
2001	4,8
2002	5,5
2003	11,1
2004	5,9
2005	9,6
2006	9,4
2007	12,3
2008	2,3
2009	–3,8
2010	6,3
2011	7,0

სოფ. მეურნ. პროდუქცია – 2-ჯერ და ა. შ., რაც სისტემური კრიზისისა და პოლიტ. დაძაბულობის პირობებში მიმდინარეობდა. ამ წლებში მწყობრიდან გამოსული ეროვნ. სიმდიდრე მწყობრში შესულს სჭარბობდა. შემცირდა მოსახლეობის ქონება, რაც ხალხის უმრავლესობის ცხოვრების დონეზე აისახა. 1995-იდან დაიწყო ეკონ. ნელი გამოცოცხლება. ამის შემდეგ შეიმჩნევა მშპ-ის ზრდის მერყევი ტემპი, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებიდან (იხ. ცხრ.).

2008 ქვეყანაში მშპ-ის ტემპის დაცემა, 2009 კი მისი აბსოლუტური კლება გამოწვეული იყო მსოფლიო ეკონ. კრიზისითა და რუსეთის აგრესიით საქართველოში. დოვლათის წარმოების ზრდის ეს ტემპები საკმარისი არ აღმოჩნდა მწვავე ეკონ. კრიზისის დასაძლევად. 2011 წ. მშპ-ის წარმოების მოცულობამ 1990 წ. მაჩვენებლის 76% შეადგინა. ეკონ. კრიზისის საბოლოოდ დაძლევა და ქვეყნის განვითარება დროის მოთხოვნებისა და კეთილდღეობის ამაღლების ამოცანების შესაბამისად გვკარნახობს ე. ზ-ის ტემპების დაჩქარების აუცილებლობას.

ე. ზ-ის ტემპის დასაჩქარებლად საქართველოში არსებობს საჭირო წანამძღვრები – ადრე მიღწეული ეკონ. დონის, ბუნებრივ-რესურსული და ადამიანური (ინტელექტუალური, საწარმოო-შრომითი) პოტენციალის სახით. ნეგატიური მოვლენების დაძლევით, ეკონომიკური რეფორმების გაღრმავებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მეშვეობით, სავარაუდოა, რომ საქართველოში ე. ზ. ახლო მომავალში მაღალი ტემპებით წარიმართოს, რაც სათანადო პროგნოზული გათვლებით დასტურდება.

ლიტ.: კ ე ი ნ ს ი ჯ. მ., დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია, თარგმ. ინგლისურიდან, ქუთ., 1995; მ ა ლ ა შ ხ ი ა გ., საქართველოს ეკონომიკა. საუკუნოვანი პანორამის შტრიხები, თბ., 2002; ჭ ა ნ ი ა მ., ეკონომიკური ზრდისა და საგადასახდელო ბალანსის პრობლემები პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში (საქართველოს მაგალითზე), თბ., 2004; H a r r o d R., Economic Dynamics, L.–N. Y., 1973.

გ. მალაშხია.

ეკონომიკური თეორია, მეცნიერების მიმართულება, რომელიც შეისწავლის საზოგადოების განუსაზღვრელი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზებსა და ოპტიმალური არჩევანის პრობლემას, ადამიანთა ეკონომიკურ ქცევას სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემაში მატერიალური და არამატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების დროს. ე. თ. განიხილება ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით იგი ეკონ. მოვლენებისა და პროცესების კვლევის სხვადასხვა მიმართულების ამსახველი თეორიაა, ფართო გაგებით – ეკონ. განვითარების ზოგადი თეორია, მეცნიერება, რ-იც შეისწავლის ეკონ. კანონებსა და კანონზომიერებებს, იკვლევს არსებით მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ეკონ. მოვლენებსა და პროცესებს შორის.

ე. თ-ს საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის წამყვანი ადგილი უჭირავს, ვინაიდან საზ-ბის ანატომიას, მისი ეკონ. განვითარების პროცესებს სწავლობს; ამასთან იგი კონკრეტული (დარგობრივი თუ ფუნქციური) *ეკონომიკური მეცნიერების* ფუნდამენტი და მეთოდოლ. საფუძველიცაა.

ე. თ-ის, როგორც მეცნიერების, წარმოშობა დაკავშირებულია საზ-ბის სიმდიდრის შესწავლასთან, რაც დასაბუთებულია უილიამ პეტის, ადამ სმითის, დევიდ რიკარდოს, კარლ მარქსის და სხვა გამოჩენილ ეკონომისტთა ნაშრომებით, თუმცა ეკონ. მეცნიერების წანამძღვრების ჩანასახი უძველესი პერიოდის აღმოსავლელ, ბერძენ და რომაელ მოაზროვნეთა მოძღვრებებშიცაა მოცემული.

XVIII ს. უკანასკნელ მესამედში, როდესაც ინგლისში აღმოცენდა კ ლ ა ს ი კ უ რ - ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი მიმდინარეობა (კლასიკური პოლიტიკური ეკონომია), მეცნიერების ერთიან სისტემას, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, გამოეყო *ეკონომიკა* ე. თ-ის სახით, რ-საც იმ პერიოდში პოლიტ. ეკონომია ეწოდებოდა. ტერმინი ,,პოლიტიკური ეკონომია'' სამეცნ. ლიტერატურაში პირველად შემოიტანა ფრანგმა მერკანტილისტმა ანტუან მონკრეტიენმა. მან ჯერ კიდევ 1615 გამოსცა წიგნი ,,პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი'', რითაც ახ. ელფერი შესძინა ქსენოფონტის მიერ შემოღებულ ტერმინ ,,ეკონომიკას''. სიტყვა ,,პოლიტიკური'' მან პლატონისაგან ,,ისესხა'' (,,პოლიტიკოს'' ბერძნულად სახელმწიფოებრივს ნიშნავს). აქედან გამომდინარე, პოლიტ. ეკონომიის, როგორც მეცნიერების, კვლევის სფეროდ მთლიანად ქვეყნის მეურნეობის მართვა წარმოჩნდა. ამასთან იგი საფუძვლად დაედო ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და მის კლასიფიკაციას.

კლასიკურმა პოლიტ. ეკონომიამ მეცნიერულად დაასაბუთა, რომ სიმდიდრის წყარო უნდა ვეძიოთ არა ვაჭრობაში ან მხოლოდ მიწათმოქმედებაში, არამედ მთლიანად წარმოებაში. ადამ სმითის ცნობილი ნაშრომი – ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ'' (1776), აღიარებულია კაცობრიობის სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლად, რ-მაც მის ავტორს ,,ეკონომიკის მამამთავრის'' სახელი დაუმკვიდრა.

კლასიკური პოლიტ. ეკონომიის შემდგომი განვითარება უკავშირდება დეივიდ რიკარდოს სახელს. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ეკონომიკის არაერთი სფეროს კვლევაში. კლასიკური პოლიტ. ეკონომიის მთავარი კრედო ეკონომიკის ლიბერალიზაციაა, რაც ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალურ ჩარევას, მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ჩამოყალიბებული თავისუფალი ფასებით ბაზრის თვითრეგულირებას (,,უხილავი ხელის'' თეორია) გულისხმობს.

კლასიკური პოლიტ. ეკონომია საუკუნე-ნახევარზე მეტხანს (XVIII ს. 70-იანი წლებიდან XX ს. 30-იან წლებამდე) საფუძვლად ედო მსოფლიოს წამყვანი კაპიტალ. ქვეყნების ეკონ. პოლიტიკას. მის ბაზაზე ე. თ-ში აღმოცენდა სხვადასხვა მიმდინარეობა. ერთ-ერთი მათგანი მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ა ა, რ-იც სოციალ. საზ-ბის მშენებელი ქვეყნების საპროგრამო დოკუმენტად იქცა. ამ მიმდინარეობასთან არის დაკავშირებული მიწასა და წარმოების სხვა საშუალებებზე კერძო საკუთრების გაუქმება და საზ-ბის თითოეული წევრის თანაბარი უფლებით, საზოგადოებრივი საკუთრების ცენტრალიზებული მართვის საფუძველზე, სახელმწ. ტიპის ეკონომიკის შექმნა. მარქსისტულ-ლენინური პოლიტ. ეკონომია საფუძვლად დაედო საბჭ. კავშირისა და სხვა კომუნისტური სახელმწიფოების ეკონ. პოლიტიკას. ეს 70–წლიანი ექსპერიმენტი მარცხით დასრულდა და ადგილი დასავლურ თეორიებს დაეთმო.

მარქსისტულ პოლიტ. ეკონომიას ეწინააღმდეგებოდა ნ ე ო კ ლ ა ს ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი კ უ -

რი მიმდინარეობა, რ-იც წარმოიშვა XIX ს. ბოლოს. მისი წარმომადგენლები იყვნენ: ა. მარშალი, ო. ბემ-ბავერკი, კ. მენგერი, ფ. ვიზერი, უ. ჯევონზი, ვ. პარეტო, ლ. ვალრასი, ჯ. კლარკი და ა.შ., ხოლო თანამედროვე წარმომადგენლები არიან: ჯ. ჰიქსი, ჯ. მილი, რ. სოლოუ, მ. ჯ. ბრაუნი, მ. ფრიდმენი და სხვ.

1929–33 მსოფლიო ეკონ. კრიზისმა წარმოაჩინა კლასიკურ-ლიბერალური მიმდინარეობის ნაკლოვანებები და ის წინააღმდეგობები, რ-ებიც წარმოქმნა ,,უხილავი ხელის'' თეორიაზე აღმოცენებულმა ეკონ. პოლიტიკამ. მსოფლიოს წამყვან კაპიტალ. ქვეყნებში საჭირო გახდა ქვეყნის ეკონომიკის მართვაში ცვლილებების შეტანა. ასეთ ვითარებაში ჩამოყალიბდა ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობა, რ-იც კეინზიანელობის სახელითაა ცნობილი. მას საფუძველი ჩაუყარა გამოჩენილმა ინგლ. ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზმა, რ-ის შეხედულებები ძირითადად აისახა მის ცნობილ ნაშრომში ,,დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია'' (1936). ამ თეორიის მიმდევრები იყვნენ ს. ჰარისი, ა. ჰანსენი, რ. ჰაროდი და სხვ. შეიქმნა ეკონ. ლიბერალიზაციის საპირისპირო – სახელმწიფო რეგულირების თეორია, რ-მაც ეკონ. აზროვნებაში რევოლ. გადატრიალება მოახდინა. კეინზმა პირველმა გამოთქვა აზრი კრიზისული მოვლენების თავიდან აცილების მიზნით ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობის შესახებ.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თეორიის პრაქტიკაში დამკვიდრებით კეინზიანელობამ უდიდესი ისტ. როლი შეასრულა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონ. პოლიტიკასა და კაპიტალიზმისაგან თვისებრივად განსხვავებული ახ. საბაზრო ეკონ. სისტემის ფორმირებაში. კეინზიანურ მოდელს XX ს. 30-იანი წლების ღრმა ეკონ. კრიზისის შემდეგ 70-იანი წლების II ნახ-მდე წარმატებით იყენებდნენ მსოფლიოს წამყვანი კაპიტალ. ქვეყნები.

შემდგომში თანდათან მომწიფდა ნიადაგი ეკონომიკაში მომხდარი ახ. რევოლუციური ცვლილებების ასახვისათვის. ამ პერიოდში ეკონ. თეორიას გამოეყო მისი ერთ-ერთი განშტოება *ეკონომიქსის* სახით.

XX ს. 70-იანი წლების II ნახ-იდან დაიწყო კეინზიანური თეორიის მოწინააღმდეგეთა თავისებური ,,რენესანსი'', ხელშემწყობი პირობები შეიქმნა ნეოკლასიკური თეორიის აღორძინებისათვის. ეკონომიკაში წარმოქმნილი ახ. მოვლენების გავლენით ნეოკლასიკოსებმა ნაწილობრივ შეცვალეს თავიანთი დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ. მათ აღიარეს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა, თუმცა იგი ფულად-საკრედიტო სისტემის რეგულირებით შემოფარგლეს. რაც შეეხება ამ თეორიის თანამედროვე გავლენიან მიმართულებას – მონეტარიზმს (მილტონ ფრიდმენი და ,,ჩიკაგოს სკოლის'' სხვა წარმომადგენლები), იგი ეწინააღმდეგება ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას. მონეტარისტებისთვის ბაზარი თვითრეგულირებადი სისტემაა, რ-ზედაც ზემოქმედება შესაძლებელია, ძირითადად, ფულადი მასის მოცულობის რეგულირებით.

XX ს. 50-იან წლებში კეინზიანელობის საფუძველზე აღმოცენდა Ე. თ-ის ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობა ნეოკეინზიანელობა. მისი წარმომადგენლები (ე. დომარი, ნ. კალდორი, ჯ. რობინსონი და სხვ.) ასაბუთებენ ეკონომიკის გრძელვადიანი დაგეგმვის აუცილებლობას, რითაც უპირისპირდებიან ნეოკლასიკურ მიმდინარეობას და მისგან განსხვავებით, ეკონ. სტაბილიზაციის მიზნით, უპირატესობას საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის რეგულირებას ანიჭებენ.

XX ს. 90-იანი წლებიდან Ე. თ-ში ჩამოყალიბდა ახ. მიმართულება ნეოკლასიკური სინთეზის სახით, რ-იც საფუძვლად უდევს განვითარებული ქვეყნების თანამედროვე ეკონ. პოლიტიკას. იგი გულისხმობს ეკონ. დაცემის პირობებში კეინზიანური, ხოლო ეკონ. აღმავლობისას – ნეოკლასიკური მეთოდების გამოყენებას. ნეოკლასიკური სინთეზის მამამთავრად აღიარებულია პოლ სემიუელსონი.

Ე. თ-ის ინსტიტუციურ-სოციოლოგიური მიმდინარეობა წარმოიშვა XIX ს. ბოლოს და ჩამოყალიბდა XX ს. 20–30-იან წლებში. მისი წარმომადგენლები არიან თ. ვებლენი, გ. როშერი, გ. შმოლერი, ვ. ზომბარტი, ჯ. გელბრეითი და სხვები, რ-თა აზრით მეცნ.-ტექ. პროგრესს ევოლ. გზით მივყავართ უკონფლიქტო საზ-ბის ჩამოყალიბებისაკენ. ამ მიმდინარეობის საფუძველზე წარმოიშვა ინდუსტრ. და პოსტინდუსტრიული საზ-ბის თეორიები, კონვერგენციის თეორია და ა.შ.

ნეოინსტიტუციონალიზმი, რ-ის მთავარი წარმომადგენლები არიან რ. კოუზი, ჯ. ბიუკენენი და სხვები, აქცენტს სოც. პრობლემებზე აკეთებს. ამ თეორიის საფუძველზე გარკვეული ცვლილებები მოხდა განვითარებული ქვეყნების ეკონ. პოლიტიკაში. დღის წესრიგში დადგა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონ. სოციალურ-საბაზრო ეკონომიკად გარდაქმნის აუცილებლობა.

ამრიგად, Ე. თ-მ განვითარების მეტად რთული და საინტერესო გზა განვლო. იგი ჩაისახა მერკანტილიზმის დროს, მომწიფდა ფიზიოკრატიზმის პერიოდში, ხოლო აღმოცენდა ინგლისური კლასიკური პოლიტ. ეკონომიის ჩამოყალიბების საფუძველზე. მისი გამოყენების მასშტაბების ზრდამ ხელი შეუწყო და დააჩქარა კიდეც ინდუსტრიული საზ-ბის ტრანსფორმაცია, დასაბამი მისცა პოსტინდუსტრიულ ერას.

XX ს. ბოლო ათწლეულში განვითარებულმა მოვლენებმა – მსოფლიო სოციალ. სისტემის დაშლამ და მრავალი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ Ე. თ-ის წინაშე ახ. პრობლემების თეორიული გააზრება-გაანალიზება მოითხოვა. ამასთან, ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე საზ-ბის ეკონ. განვითარების ანალიზი, მისი პერსპექტივების განჭვრეტა და შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება.

საქართველოში Ე. თ-ის, როგორც მეცნიერების, დამკვიდრებასა და განვითარებას საინტერესო ისტორია აქვს.

1918 წლის 26 იანვარს (ძვ. სტ.) თსუ-ის დაარსებისთანავე მის ერთადერთ სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტთან ივ. *ჯავახიშვილისა* და ფ. *გოგიჩაიშვილის* მიერ შემუშავებული პროექტით შეიქმნა ეკონომიკური განყ-ბა, ჩამოყალიბდა პოლიტ. ეკონომიის კათედრა, რ-ის პირველი გამგე 1923 წ. ნოემბრამდე პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი იყო. პოლიტ. ეკონომიის კურსს ფ. გოგიჩაიშვილთან ერთად კითხულობდნენ პროფ. ნ. *ქოიავა*, მოსკოვიდან მოწვეული პროფ. ა. მანუილოვი, ვ. თევზაია და სხვ.

1922-იდან უნ-ტში პოლიტ. ეკონომიის კათედრის ბაზაზე დაარსდა სოც.-ეკონ. ფაკ-ტი ეკონ. და იურიდ. განყ-ბებით. 1944 სა-

ქართვ. მეცნ. აკადემიის ეკონ. ინ-ტის დაარსებამ და უმაღლეს სასწავლებლებში პოლიტ. ეკონომიის კათედრების გახსნამ საფუძველი ჩაუყარა სამეცნ.-კვლ. მუშაობას. ამ დროს საქართველოში მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ პ. *გუგუშვილი*, გ. ს. *გამყრელიძე*, ბ. რამიშვილი, ი. *ბაჯაძე*, ი. *მიქელაძე*, ვ. *მელქაძე*, გ. გ. *გველესიანი*, ქ. *დადიანი*, ა. *გუნია*, ნ. *ხურციძე*, ა. *ფანცხავა*, ა. *ნუცუბიძე* და სხვ. ფართოდ გაიშალა მუშაობა უცხ. ეკონომიკური, მ. შ. თეორ. ლიტერატურის თარგმნისა და გამოცემისათვის, ეკონ. ტერმინოლოგიის შედგენისათვის და ა.შ. ფ. გოგიჩაიშვილმა თარგმნა დ. რიკარდოს ,,პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები'' (1937), ა. სმითის ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ'' (1938), კ. მარქსის ,,კაპიტალის'' ყველა ტომი. პ. გუგუშვილმა გამოაქვეყნა სპეც. გამოკვლევა ,,ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და მეცნიერული თარგმანისათვის'' (1952) და პ. კუჭაიძესთან ერთად 1947 გამოსცა ,,ეკონომიკის ტერმინოლოგია''. იგი აქტიურად მუშაობდა ე. ო-ის, ეკონ. აზრის ისტორიის, სოციოლოგიისა და დემოგრაფიის საკითხებზე. აკად. ვ. ჩანტლაძემ 1959 გამოსცა ,,სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები'', ხოლო 1979 (რუს. ენაზე) – ,,ფინანსების თეორიის საკითხები'' (ქართ. ენაზე – 1987).

ეკონომისტთა კადრების მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვის თსუ-ის ე. ო-ის კათედრას. ე. ო-ის ქართველი მკვლევრებიდან, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ცნობილი არიან: გ. *ადეიშვილი*, რ. ასათიანი, მ. გველესიანი, რ. გველესიანი, რ. *გოგოხია*, გ. *თოდუა*, ი. კრავცოვი, გ. *მალაშხია*, ვ. *პაპავა*, ჯ. პაჭკორია, ი. ქვაჩახია, დ. ქორიძე, გ. ყუფუნია, თ. *ჩიკვაიძე*, ლ. *ჩიქავა*, ჯ. ჩხიკვაძე, გ. ჭანუყვაძე და სხვ.

ე. ო-მ ახალი დატვირთვა შეიძინა XX ს. 90-იანი წლებიდან – წინა პლანზე წამოიწია საბაზრო ეკონ. თეორიამ. ქართვ. მეცნიერთა ძალისხმევით არსებითი ცვლილებები მოხდა სასწ. პროგრამებსა და მეცნ. კვლევის მეთოდებში. ახალი და დამხმარე სახელმძღვანელოები გამოსცეს ი. მესხიამ, რ. ბასარიამ (,,გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები'', 1995); ჯ. კახნიაშვილმა (,,მაკროეკონომიკა'', 1996; ,,მაკროეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა'', 1997) და ლ. ჩიქავამ (,,ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი'', 1997); თსუ-ის ე. ო-ის (ყოფ. პოლიტ. ეკონომიის) კათედრამ გ. ადეიშვილისა და რ. ასათიანის რედაქციით 1998 დასტამბა ეკონ. თეორიის სახელმძღვანელო ეკონ. ფაკ-ტების ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის; 2000 გამოვიდა მ. გველესიანის ,,ეკონომიკსი'' (ლექციების კურსი) და სხვ.

მონოგრაფიული გამოკვლევები გამოსცეს ასევე ი. მესხიამ (,,მაკროეკონომიკური პროგნოზირების თეორია და პრაქტიკა'', 1989, რუს. ენაზე); რ. შ. ასათიანმა (,,მომსახურება და საბაზრო სისტემა'', 1993; მისივე, ,,საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა'', 2009; მისივე, ,,გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო'', 2010); გ. მალაშხიამ (,,მეტაეკონომიკა'', 1995); რ. გოგოხიამ (,,საბაზრო ეკონომიკა'', 1996); ი. მესხიამ, მ. მურჯიკნელმა (,,ეკონომიკური რეფორმები საქართველოში'', 1996); ნ. ჭითანავამ (,,გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები'', სამ ნაწილად, 1997, 1999, 2001). 2001 გამოვიდა თ. ბასილიას, ა. სილაგაძის, თ. ჩიკვაიძის მონოგრაფია ,,პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე''; 2006 – ლ. ჩიქავას ,,ინოვაციური ეკონომიკა''; 2006 – გ. ყუფუნიას მონოგრაფიული ხასიათის სახელმძღვანელო ,,საქართველოს ეკონომიკა (მაკროეკონომიკური ასპექტები)''; 2009 – ი. ანანიაშვილის და ვ. პაპავას ,,გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფეროკეინზიანური სინთეზი''; 2009 – ვ. პაპავას ,,შერეული საბაზრო ეკონომიკის რეალობათა თვისებრიობის შეცნობის მეთოდოლოგია და პარალოგიზმი'' (რუს. ენაზე); 2010 – მისივე ,,ნეკროეკონომიკის ზომბირება''; 2010 – ა. სილაგაძის ,,ეკონომიკური დოქტრინები'' და სხვ.

გამოიცა ლექსიკონები: რ.შ. ასათიანის ,,ეკონომიქსი'' (განმარტებითი ლექსიკონი, III გამოცემა; 2006); მისივე, ,,ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი'' (2010); ,,ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი'' (ა. სილაგაძის საერთო რედაქციით, 2005); ,,ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია'' (ლ. ჩიქავას საერთო რედაქციით, 2001) და სხვ.

ითარგმნა ცნობილ უცხოელ ავტორთა სახელმძღვანელოები, ამასთანავე შეიქმნა ახ. სასკოლო სახელმძღვანელოებიც ეკონომიკაში.

ლიტ.: ა ს ა თ ი ა ნ ი რ., ეკონომიკური თეორია და ეკონომიქსი: ერთიანობა და განსხვავება, თბ., 2005; ეკონომიკური თეორია. სახელმძღვანელო, გ. ადეიშვილისა და რ. ასათიანის რედ., თბ., 1998; პ ა პ ა ვ ა ვ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002; ჩ ი ქ ა ვ ა ლ., ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბ., 1997; G a l b r a i t h J. K., Economic Theories and Goals of the Society, N. Y., 2009; M a n k i w N. G., Principles of Economics, N. Y., 1998; S a m u e l s o n P. A., N o r d h a u s W. D., Economics, 16th ed., N.Y., 1998.

რ. შ. ასათიანი.

ეკონომიკური კიბერნეტიკა, მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს კიბერნეტიკის ზოგადი კანონებისა და მეთოდების გამოყენებას ეკონომიკური პროცესების მართვასა და რეგულირებაში. ფართო მნიშვნელობით ე. კ. ეკონომიკაში მართვის პროცესების კვლევის მეთოდების ერთობლიობაა.

ე. კ-ის ცნება XX ს. 60-იან წლებში გაჩნდა ვ. ნემჩინოვის (სსრკ), ო. ლანგეს და ჰ. გრენევსკის (პოლონეთი), ს. ბირის (ინგლისი) შრომებში. იგი მოიცავს ეკონ. სისტემებისა და მოდელების თეორიას, ეკონომიკის სისტემური ანალიზისა და მისი მოდელირების მეთოდოლოგიას, ეკონ. ინფორმაციის თეორიას, რ-იც ეკონომიკას განიხილავს როგორც ინფორმაციულ სისტემას, და სწავლობს ეკონომიკურ-ინფორმაციულ ნაკადებს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ე. კ. ვითარდებოდა სამეცნ.-კვლ. ინ-ტებსა და თსუ-ში. საქართვ. მეცნიერებათა აკად. პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინ-ტში დაამუშავეს წარმოების ნატურალურ–ნივთობრივი ეფექტიანობის ამაღლების პრობლემები (ვ. *პაპავა*), რეგიონული ბუნებათსარგებლობის ეკონ. პრობლემების მრავალმიზნობრივი ოპტიმიზაციური მოდელები (გ. შ. *წერეთელი*), დეფიციტური ეკონომიკის მოდელირების მექანიზმი (რ. სარჩიმელია) და სხვ.; საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახ. მეურნ. ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში – საქართვ. დარგთაშორისი კავშირების მოდელირების (მ. კეკელიძე, ს. სანაძე და სხვ.) და მაკროეკონომიკური პროგნოზირების ერთპროდუქტიული და მრავალპროდუქტიული

მოდელები (ი. *მესხია*), მიღწეულია რიგი მნიშვნელოვანი მეცნ. შედეგები; თსუ-ში ეკონომიკის ანალიზის მათ. მეთოდების (ახლანდ. ეკონომეტრიკის) კათედრაზე დამუშავდა აგრეგირებული დარგთაშორისი კავშირების მოდელირების საკითხები (ი. ანანიაშვილი) და რეგიონთაშორისი დარგთაშორისი კავშირების მოდელები, რ-თა საფუძველზეც შედგა სამხრ. კავკასიის ქვეყნების (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) რეგიონთაშორისი ბალანსი (კ. აჩელაშვილი). ქართვ. მეცნიერთა კვლევის შედეგები **ე. ჰ**-ის დარგში აღიარებულია საქართვ. ფარგლებს გარეთაც და ასახულია აღნიშნულ მეცნიერთა მონოგრაფიებსა და მრავალ სამეცნ. სტატიაში.

თსუ-ში 1970–2006 ამზადებდნენ უმაღლესი კვალიფიკაციის შესაბამის სპეციალისტებს.

ლიტ.: კობრინსკი ნ., მაიმინასი ე., სმირნოვი ა., შესავალი ეკონომიკურ კიბერნეტიკაში, თარგმ. რუსულიდან, თბ., 1980; Lange O., Wstęp do cybernetyki ekonomicznej, Warsz., 1965.

კ. აჩელაშვილი.

ეკონომიკური კრიზისი, კვლავწარმოების ციკლის ერთ-ერთი ფაზა, ღრმა წინააღმდეგობათა ყველაზე კონცენტრირებული, მძაფრი და დამანგრეველი გამოვლინება, როდესაც მკვეთრად უარესდება ქვეყნის ეკონ. მდგომარეობა. **ე. ჰ**-ის დროს მნიშვნელოვნად (ზოგჯერ არსებითად) ეცემა წარმოების დონე, ირღვევა ჩამოყალიბებული საწარმოო კავშირები, კოტრდება საწარმოები, სწრაფად იზრდება უმუშევრობა და შედეგად – ეცემა მოსახლეობის ცხოვრების დონე. **ე. ჰ.** მოიცავს საკუთრივ კრიზისს, დეპრესიას, გამოცოცხლებას და აღმავლობას. იგი ამწვავებს სოც. წინააღმდეგობებს. წარმოების შემცირება და უმუშევრობის ზრდა გადაჯაჭვულია აგრარულ, საბირჟო, ფულად–საკრედიტო, სავალუტო, ფინანს. კრიზისებთან, რაც განსაკუთრებულად ამძაფრებს ინფლაციის პროცესს, რ-იც უფრო და უფრო უმართავი ხდება. ამასთან, კრიზისი პოტენციურად დადებითი თვისებების მატარებელიც არის. იგი განვითარების გარკვეული ეტაპისათვის არა მხოლოდ კრიტიკული წერტილი, არამედ ახალი, უფრო მაღალი ეტაპის წანამძღვარი და საწყისია. **ე. ჰ**-ში იგულისხმება აგრეთვე გაყინვა (უძრაობა, სტაგნაცია), შეჩერება, დამთავრება და იმავე დროს გამოცოცხლების, მოძრაობის დაწყების წანამძღვრებიც.

ცნობილია **ე. ჰ**-ის ორი ძირითადი სახეობა: ჭარბწარმოებისა და ნაკლწარმოების. **ჭარბწარმოების ე. ჰ**-ს (წარმოების მეტობა მოთხოვნასთან შედარებით) ახასიათებს პროდუქციის გასაღების სიძნელეთა უკიდურესი გამწვავება, არარეალიზებული პროდუქციის მარაგის ზრდა, მოწყობილობებსა და მშენებლობაზე შეკვეთების მკვეთრი შემცირება, სავაჭრო და სამრეწველო ფირმების მასობრივი გაკოტრება, საკრედიტო-ფინანს. სისტემის მოშლა, საქონლის წარმოების შეწყვეტა ან მნიშვნელოვანი შემცირება, რაც იწვევს უმუშევართა რაოდენობის სწრაფ ზრდასა და ხელფასის შემცირებას, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის მკვეთრ დაქვეითებას. ჭარბწარმოების **ე. ჰ.** პერიოდულობით ხასიათდება. პირველი კრიზისი მოხდა ინგლისში (1825), სადაც ყველაზე ადრე განვითარდა კაპიტალისტური ურთიერთობანი. მას შემდეგ II მსოფლიო ომამდე **ე. ჰ.** მეორდებოდა ყოველ 8–10–12 წელიწადში, ომის შემდგომ კი მისი პერიოდულობა შემცირდა (3–5 წელიწადში ერთხელ) და კრიზისი ნაკლებად მწვავე გახდა.

ომის შემდგომ წლებში ჭარბწარმოების **ე. ჰ.** წარმოიშვა აშშ-ში (1948–49, 1953–54, 1957–58, 1960–61, 1969–70, 1973–75 და ა. შ.) და სხვადასხვა დროს – რიგ სხვა ქვეყნებში.

კაპიტალ. ქვეყნებისაგან განსხვავებით, სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი იყო **ნაკლწარმოების** კრიზისი (წარმოების ჩამორჩენა მოთხოვნასთან შედარებით), რაც გამოიხატებოდა მოთხოვნასთან შედარებით მიწოდების ჩამორჩენით, ამასთან, მოთხოვნა მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარიანობის გამო მკვეთრად ჩამორჩებოდა მოსახლეობის რეალურ მოთხოვნილებებს. ყოველივე ამას განაპირობებდა მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი. კერძოდ: წარმოების საშუალებებზე სახელმწ. საკუთრების აბსოლუტური ბატონობა; სამეურნეო საქმიანობის ზღვარდაუდებელი ცენტრალიზაცია, კონცენტრაცია და ბიუროკრატიზაცია სახელმწიფოს ხელში; კერძო საკუთრების, პირადი დაინტერესებისა და ინიციატივის, თავისუფალი კონკურენციისა და მეწარმეობის არარსებობა ან მაქს. შეზღუდვა; ეკონომიკის საბაზრო თვითრეგულირების თითქმის მთლიანად ჩანაცვლება არაეფექტური, წარმოების განვითარების ბუნებრივი პროცესების შემაფერხებელი ფაქტორებით. სახელმწ. ცდილობდა ეკონ. განვითარების აღურიცხავი პროცესები და მაჩვენებლები, მაგ., მილიონობით დასახელების საქონლის წარმოების ხარჯები, რ-ებიც მრავალ ელემენტს მოიცავდა (ფასები და მისი ელემენტები, ყველა საწარმოს შემოსავალი, მოგება, რენტაბელობა ცალკეული საქონლის მიხედვით) ყველა დარგში, რეგიონში, მთელ უზარმაზარ იმპერიაში, ცენტრალიზებული წესით თვითონ განსაზღვრა, რაც რეალურად ყოვლად შეუძლებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეს საკმარისად კვალიფიციური სპეციალისტების უზარმაზარი არმია ემსახურებოდა. არსებითად ბიუროკრატ. აპარატის მუშაობა, როგორც წესი, უფრო ხელს უშლიდა, ვიდრე უწყობდა ეკონომიკაში ბუნებრივად მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების განვითარებას. ეს იყო მეურნეობრიობის საბჭ. სისტემის ერთ-ერთი პარადოქსი, რ-ისაგანაც თავის დაღწევის აუცილებელი პირობა იყო თვით საბჭ. სისტემის შეცვლა. აღნიშნული პარადოქსებისა და სხვა მანკიერებათა შედეგად საბჭ. სოც.-ეკონ. სისტემა, სოციალიზმის საბჭოური მოდელი, რეალურად ფსევდოსოციალიზმი, შეურიგებელ წინააღმდეგობაში მოვიდა იმ დროსთან რ-შიც მას უხდებოდა ფუნქციონირება. ასეთ სისტემას ობიექტურად არ შეეძლო დიდხანს ეარსება. განვითარების დიალექტიკა, კანონზომიერება მოითხოვდა საზ-ბის განვითარების ბუნებრივ რელსებზე გადასვლას. სწორედ ეს პროცესი თავიდან გაუბედავად, სპონტანურად დაიწყო XX ს. 80-იანი წლების შუახანებიდან, ხოლო უფრო რადიკალურად – 90-იანი წლების დასაწყისიდან. პროცესები უაღრესად რთული და მძიმე იყო პოსტსაბჭ. სისტემის ქვეყნებისათვის.

ისტორიაში ცნობილია მრავალი **ე. ჰ.**, რ-თაგან ძირითადად უნდა აღინიშნოს I და II მსოფლიო ომების შემდგომი კრიზისები. პირველი მსოფლიო **ე. ჰ.** იყო 1857. ყველაზე ღრმა, ხანგრძლივი და ყოვლისმომცველი მსოფლიო **ე. ჰ.** მოხდა 1929–33, რ-მაც შეარ-

ყია კაპიტალიზმის მსოფლიო ეკონომიკური სისტემა. ზოგიერთ ქვეყანაში სამრეწველო წარმოება შემცირდა 32–46%, კომპანიების აქციების კურსი დაეცა 48–87%. უზომოდ გაიზარდა უმუშევართა რიცხვი. 1933 წ. 32 კაპიტალისტურ ქვეყანაში 30 მლნ. უმუშევარი იყო, მ. შ. აშშ-ში – 14 მლნ.

II მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიო ე. ჰ. განმეორდა 1957–58 და 1974–75 წლებში, თუმცა ისინი გაცილებით ნაკლებად მწვავე იყო. აღსანიშნავია, რომ ეკონ. ზრდის გრძელვადიანმა სახელმწ. პროგრამირებამ, რაც II მსოფლიო ომის შემდეგ განახორციელეს უმეტესმა კაპიტ. ქვეყნებმა, აგრეთვე ჯ. მ. კეინზის მიერ შემუშავებულმა ე. ჰ-ის რეგულირების თეორიამ და ამის საფუძველზე მთავრობათა მიერ განხორციელებულმა ანტიციკლურმა რეგულირებამ, გარკვეული მასტაბილიზებელი გავლენა მოახდინა კაპიტ. ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაზე. ე. ჰ-ები შემდგომ პერიოდშიც, მეტ-ნაკლები სიმწვავით მეორდებოდა, მაგრამ მათ უკანასკნელ დრომდე დიდი მასშტაბები არ მიუღიათ. 2008 წ. ზაფხულში აშშ-ში წარმოიშვა ფინანს. კრიზისი, რ-იც შემდგომ გადაიზარდა მსოფლიო ფინანს. და ეკონ. კრიზისში. ყველაზე განვითარებულ 30 ქვეყანაში უმუშევრობის დონემ, 2009 წ. მონაცემებით, 8,5 %-ს მიაღწია, რაც II მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. საერთაშ. სავალუტო ფონდის მონაცემებით მსოფლიოს უმსხვილესმა ეკონომიკებმა (სახელმწიფოებმა, ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა, საერთაშ. საფინანსო ორგანიზაციებმა) გლობალურ კრიზისთან საბრძოლველად 10 ტრილიონი დოლარი დახარჯეს. მთელი მსოფლიო 2008–2010 წწ. განმავლობაში წარმოების შემცირების, უმუშევრობის ზრდის, მოხმარების შეკვეცის, ინფლაციის ზრდის მომსწრე გახდა. მიმდინარე კრიზისი იმდენად ღრმა და მასშტაბური აღმოჩნდა, რომ მან ეჭვქვეშ დააყენა ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობისა და მიზანშეწონილობის საკითხი. 2011-იდან ფინანსურმა კრიზისმა განმეორებით იჩინა თავი ევროზონაში. სახელმწიფო ვალების ზრდისა და საბიუჯეტო დეფიციტის გაღრმავების შემდეგ დეფოლტის წინაშე აღმოჩნდნენ საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი და პორტუგალია. ევროკავშირის ფინანსური დახმარებით ამ ქვეყნებში მდგომარეობა 2012-თვის ნაწილობრივ გაუმჯობესდა.

საქართველო გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა, მის პირველ ეტაპზე (1991–94) ღრმა, უმწვავესი კრიზისის მდგომარეობაში აღმოჩნდა. იგი მიმდინარეობდა განვითარებული საბაზრო ეკონ. ქვეყნებისათვის დამახასიათებელი საქონლისა და მომსახურების არა ჭარბწარმოების ფონზე, არამედ უკიდურესი ნაკლწარმოების ბაზაზე, კერძოდ, მკვეთრად შემცირდა ეკონომიკის განვითარების დონის ამსახველი განმაზოგადებელი მაჩვენებლები და წარმოების მოცულობა, უკიდურესად მოიშალა საფინანსო სისტემა, ზღვარგადასულ მასშტაბებს მიაღწია ინფლაციამ, მინიმუმამდე დაქვეითდა მოსახლ. უდიდესი ნაწილის ცხოვრების დონე. 1994 წელს, 1990 წლის დონესთან შედარებით, ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება შემცირდა 72,5%-ით.

გარეეკონ. კავშირების მოშლამ, სათბობ-ენერგეტ. რესურსების მწვავე უკმარისობამ, სატრანსპ. კომპლექსის პარალიზებამ ქვეყნის მეურნ. ძირითადი დარგებიდან ყველაზე უარყოფითად მრეწველობაზე იმოქმედა. იმავე წლებში მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოება დაეცა 84%-ით. ცალკეული სახის სამრეწვ. პროდუქციის წარმოება 90–98%-ით შემცირდა. ბევრი სახის სამრეწვ. პროდუქციის წარმოება, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობაში, საერთოდ შეწყდა.

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა აგროსამრეწვ. კომპლექსის დარგებშიც. 1994 წელს, 1990 წელთან შედარებით, სოფ. მეურნ. მთლიანი პროდუქციის წარმოების მოცულობა შემცირდა 38,3%-ით. განსაკუთრებით დაქვეითდა მეცხოველეობის პროდუქციის სამრეწვ. წარმოება საზ. მეურნეობაში, აგრეთვე მკვეთრად შემცირდა კვების პროდუქტების წარმოება.

კრიზისის წლებში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სამშ. კომპლექსშიც. არსებითად იკლო არასაწარმოო სფეროს ობიექტების, განსაკუთრებით კი საცხოვრ. სახლების მშენებლობამ.

გარდამავალი პერიოდის მეორე ეტაპზე (1995–2003) ეკონომიკამ ნელ-ნელა იწყო გამოცოცხლება. 1995 წ. I ნახევარში შეჩერდა მეურნეობის უკანსვლა, ხოლო II ნახევრიდან გამოიკვეთა წარმოების ზრდის ტენდენცია, მაგრამ 1998 რუსეთსა და რიგ ქვეყნებში განვითარებული კრიზისის გამო საქართვ. ეკონომიკა კვლავ კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რაც წარმოების დაქვეითებასა და სამეურნეო აქტიურობის შემცირებით გამოიხატა. მომდევნო წლებში ეკონომიკას კვლავ დაეტყო გამოცოცხლება, თუმცა 2000 წლის მაჩვენებლები 1990 წლის დონეს არსებითად ჩამორჩებოდა. 2004-იდან დაიწყო მდგომარეობის გაუმჯობესება. ქვეყნის ეკონომიკაში დაწყებულმა გამოცოცხლებამ მხოლოდ ნაწილობრივ გადაფარა 1991–94 ეკონომიკის კატასტროფული უკუსვლა. 2008 წ. ზაფხულში დაწყებულმა მსოფლიო ეკონ. კრიზისმა და რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ თავსმოხვეულმა ომმა უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოში ეკონ. განვითარების ტემპზე, რ-იც 2004–07 წწ. საშუალოდ 8–10%-ის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო 2009 წელს აღინიშნა 3,9%-იანი კლება.

აღნიშნული კრიზისის მთავარი მიზეზი იყო გადახდისუუნარო სუბიექტებზე დიდი მოცულობის იპოთეკური სესხების გაცემა. ბანკებმა შეწყვიტეს კომპანიებისა და ერთმანეთისათვის ფულის სესხება. გაძნელდა კრედიტის მოპოვება, რაც ეკონომიკისათვის სიცოცხლისუნარიანობის დაკარგვის ან უკიდურესი დაქვეითების ტოლფასი იყო. იპოთეკური კრიზისის მსხვერპლი გახდა ბევრი კომპანია.

ევრ. ქვეყნებისა და ბაზრების კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართვ. ეკონომიკაზე. მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა, ისეთივე ღრმა ზეგავლენა ვერ მოახდინა საქართვ. ეკონომიკაზე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებზე, გამომდინარე იქიდან, რომ 2008 საქართველომ მიიღო მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება (4,5 მლრდ. აშშ დოლარი) ევროპის განვითარებული ქვეყნებიდან, აშშ-იდან და საერთაშ. საფინანსო ორგანიზაციებიდან (საერთაშ. სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვ.) და აგრეთვე, იმის შედეგადაც, რომ საქართველო არ იყო ღრმად ინტეგრირებული ევროპისა და მსოფლიო ეკონომიკაში. ამასთანავე, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ძირითადად, ქვეყანაში სწორად გატარებულმა რეფორმებმა.

2009-იდან საქართველოში დაიწყო ე. კ-ის დაძლევის პროცესი. 2011 წ. ქვეყნის მშპ-ის ზრდამ წინა წელთან შედარებით შეადგინა 7%. *გ. ყუფუნია.*

ეკონომიკური მეცნიერება, საზოგადოების ცხოვრების შემსწავლელ მეცნიერებათა ერთ-ერთი სისტემა, რომელიც შეიმეცნებს ადამიანთა საარსებოდ და კეთილდღეობის ამაღლებისათვის აუცილებელი დოვლათის წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების კანონებს, განვითარების კანონზომიერებებს; იკვლევს ეკონომიკური მოწყობის და სრულყოფის პირობებსა და გზებს; შეიმუშავებს ეკონ. ცხოვრების პროცესებზე მიზანმიმართული, საზ-ბის სასარგებლო ზემოქმედების ღონისძიებათა მეცნ. საფუძვლებს; ქმნის ადამიანთა თვითდამკვიდრებისათვის და ცხოვრების პროგრესისათვის საკუთარი შემოქმედებითი საწარმოო პოტენციალის, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების სრულად გამოყენებისათვის საჭირო ორგანიზაციულ-რეგულირებით სამუალებათა მეცნ. ბაზას. ე. მ. ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის გაძღოლის საფუძვლების, შინაარსის, მისი შედეგების გამოყენების წესისა და მნიშვნელობის თეორ. გამოხატვაა, რ-იც საზ-ბის ეკონ. ცნობიერების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ ფუნქციას ასრულებს.

ე. მ. პირველ რიგში მიმართულია ეკონ. ცხოვრების ფუნდამენტური, სიღრმისეული მოვლენებისა და პროცესების შემეცნებისაკენ, რაც კონკრ. გამოკვლევების, ცოდნის საფუძველია. ამ ფუნქციას ასრულებს ზოგადი *ეკონომიკური თეორია.* გამოყენებითი მეცნ. ცოდნის შემუშავებას ემსახურება ისეთი კონკრ. ე. მ-ები, როგორიცაა *მენეჯმენტი, მარკეტინგი,* ფირმებისა და დარგების ეკონომიკა, *დაგეგმვა, რეგიონული ეკონომიკა,* ასევე ფინანს. და საკრედიტო ურთიერთობათა და დაწესებულებათა საქმიანობის, აღრიცხვის და აუდიტის, *ეკონომიკური პროგნოზირებისა* და სხვა საკითხების შემსწავლელი მეცნიერებები. ე. მ-ის სისტემის შემადგენელი ნაწილია ეკონომიკის ისტორია და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. სპეციალური ე. მ-ები სხვადასხვა კუთხით სწავლობს ქვეყნებს შორის ურთიერთობის პრობლემებს – საგარეო ვაჭრობას, სავალუტო, საფინანსო ურთიერთობებს და სხვ.

ე. მ. წარმოიშვა და ვითარდება ადამიანთა შემეცნებით და პრაქტ. მოთხოვნილებათა საფუძველზე, მათ დასაკმაყოფილებლად. ე. მ-ის მიერ შემუშავებული ცოდნა საფუძვლად უდევს სახელმწიფოთა ეკონ. პოლიტიკას, მიმართულია მთავრობებისა და ეკონ. სუბიექტების გადაწყვეტილებათა სრულყოფისაკენ.

ე. მ. შორეულ წარსულში ჩაისახა. ცალკეული ეკონ. შეხედულებები ასაწული იყო ჯერ კიდევ 3 ათ. წელზე მეტი ხნის წინ და შემდგომი პერიოდის ძვ. ეგვიპტის, ბაბილონის, მიდიის, აგრეთვე შუმერების და ხეთების სახელმწიფოთა დოკუმენტებში. ეკონ. შინაარსის მოსაზრებებს ვხვდებით ძვ. ჩინეთის და ინდოეთის (კონფუცი, ლაო ძი, კაუტილია) მოაზროვნეთა ნაწერებში, სადაც ავტორები მსჯელობენ ეკონ. საქმიანობის მოტივებზე, სახეებზე, შედეგებზე, ორგანიზაციაზე და სხვ.

ეკონ. ხასიათის შეხედულებები უფრო ფართოდაა წარმოდგენილი ძვ. ბერძენ და რომაელ მეცნიერთა და ფილოსოფოსთა (ქსენოფონტის, პლატონის, არისტოტელეს, კატონის, ვარონის და სხვ.) შრომებში. ქსენოფონტმა მეცნიერებაში შემოიტანა სიტყვა ,,ეკონომიკა''. შუა საუკუნეებში ეკონ. აზროვნებაში ორიგინ. იდეები შემოიტანეს იბნ-ხალდუნმა, თომა აკვინელმა, უტოპიური სოციალიზმის თეორეტიკოსებმა.

კაპიტალიზმის წარმოშობამ და განვითარებამ ბიძგი მისცა ე. მ-ის დამოუკიდებელი დარგების ჩამოყალიბებას. ეკონ. თეორიის პირველი მიმართულება იყო მერკანტილიზმი (უ. სტრაფორდი, ტ. მანი და სხვ.), რ-მაც კვლევის ძირითად ობიექტად გაიხადა ქვეყნის სიმდიდრის (იგულისხმებოდა მხოლოდ ფული) წყარო, ასეთად ამ მიმართულების მიმდევრები ვაჭრობის სფეროს, განსაკუთრებით კი საგარეო ვაჭრობას მიიჩნევდნენ. ეკონ. თეორიის წინსვლა აისახა ფიზიოკრატების მოძღვრებაში (ფ. კენე, ა. ტიურგო და სხვ.), სადაც ხალხთა სიმდიდრედ წარმოდგენილი იყო დოვლათი, საქონელი, ხოლო მათ წყაროდ კი გამოცხადდა წარმოების მხოლოდ ის დარგები, რ-ებიც ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან იყო დაკავშირებული (სოფლის მეურნეობა, მომპოვებელი მრეწველობა). ფიზიოკრატიული სკოლის დამსახურება იყო მაკროეკონომიკური ანალიზის საფუძვლის ჩაყრა.

ე. მ-ის განვითარების ახ. ეტაპი იყო კლასიკური პოლიტ. ეკონომიის წარმოშობა, რ-ის წარმომადგენელთა ღვაწლს შეადგენს თავისუფალი მეწარმეობის, ღირებულების შრომითი საფუძვლის, წარმოების ფაქტორების, ეკონომიკის თავისუფალი თვითრეგულირების, მოგების, ხელფასის, რენტის თეორიული დასაბუთება და ა.შ. (უ. პეტი, ა. სმითი, დ. რიკარდო, ჟ. სეი და სხვ.).

XVIII და XIX საუკუნეთა მიჯნაზე გარკვეული სიახლე იყო უტოპისტ სოციალისტთა (ა. სენ-სიმონი, შ. ფურიე, რ. ოუენი) კონცეფციები საზოგადოების მოწყობის შესახებ ევოლ. გარდაქმნათა საფუძველზე, რევოლუციებისა და პოლიტ. ბრძოლის გარეშე.

განსაკუთრებულ ადგილს ეკონ. აზრის ისტორიაში იკავებს მარქსიზმი (კ. მარქსის, ფ. ენგელსის და მათ მიმდევართა მოძღვრება), რ-ის მიხედვითაც მთავარია კაპიტალიზმის რევ.-ძალადობრივი გზით გარდაქმნის და ახ. კომუნისტური, საზოგადოებრივ საკუთრებაზე და საყოველთაო გეგმიანობაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობის კონცეფცია. ეს მოძღვრება ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში. იგი საფუძვლადაც დაედო სოციალ. რევოლუციებს, სოციალიზმის მშენებლობას მრავალ ქვეყანაში. მარქსიზმის ზოგიერთი ძირითადი დებულების სისწორე ცხოვრებამ არ დაადასტურა.

XIX ს-ში ე. მ-ის განვითარების თვალსაჩინო მოვლენა იყო ე. წ. ზღვრული სარგებლიანობის თეორია (მარჟინალისტური რევოლუცია) – ზღვრული ანალიზის, ეკონ. კვლევებში სუბიექტურ-ფსიქოლ. მომენტებთან ერთად მათ. მეთოდების შემოტანა (ჰ. გოსენი, კ. მენგერი, ფ. ვიზერი, ო. ბემ-ბავერკი, უ. ჯევონზი). საგულისხმო მოვლენა იყო, აგრეთვე, საერთო წონასწორობის თეორიის წარმოშობა (ლ. ვალრასი), რ-მაც ბიძგი მისცა ეკონ. კვლევებს ეროვნ. ეკონომიკათა დონეზე.

XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე და შემდგომ ე. მ-ში აღმოცენებული ახ. მიმართულებები აფართოებენ ეკონ. ცხოვრების შემეცნებას. გამოიყოფა სამი ძირითადი მიმართულება: 1. ნეოკლასიკური, 2. კეინზიანური და 3. ინსტიტუციურ-სოციოლოგიური, რ-ებიც, თავის მხრივ, არაერთგვაროვანია.

ნეოკლასიკური მიმართულება (ა. მარშალი, ჯ. ჰიქსი, ჯ. მიდი, რ. სოლოუ და სხვ.) კლასიკური ეკონ. თეორიისა და მარჟინალიზ-

მის შერწყმას წარმოადგენს. მისმა წარმომადგენლებმა შექმნეს *ეკონომიქსი* – საბაზრო ეკონომიკის თეორია. ნეოკლასიკური მიმართულების ფარგლებში გამოიყოფა თანამედროვე მონეტარიზმი და ნეოლიბერალიზმი. თანამედროვე მონეტარიზმს ფულადი ფაქტორების საფუძველზე შეიძლება ეწოდოს ეკონომიკის სტაბილურობის უზრუნველყოფის კონცეფცია (ი. ფიშერი, მ. ფრიდმენი). ნეოლიბერალიზმი უარყოფს რა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის საჭიროებას, მიიჩნევს, რომ სტაბილურობის გარანტიას ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმი იძლევა.

კ ე ი ნ ზ ი ა ნ ე ლ ო ბ ა წარმოიშვა დიდი დეპრესიის (1929–33) შემდეგ. მისი წარმომადგენლები (რ. ჰაროდი, ჯ. კეინზი, უ. ბევერიჯი, ჯ. რობინსონი, ა. ჰანსენი, ე. დომარი და სხვ.) ასაბუთებენ ეკონომიკის რეგულირებაში სახელმწიფოს მონაწილეობის აუცილებლობას, რადგან, ეკონომიკა ეფექტიანი თვითრეგულირების უნარს მოკლებულია. კეინზი და მისი მიმდევრები ცდილობდნენ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებების შემუშავებას.

ინსტიტუციურ-სოციოლოგიური მიმართულების წარმომადგენლებს (თ. ვებლენი, ჯ. კომონზი, უ. მიჩელი, ჯ. გელბრეითი) ეკონ. სისტემა წარმოდგენილი აქვთ ეკონ. და სხვა საზოგადოებრივი ინ-ტების ერთობლიობად. ინსტიტუციონალიზმმა ხელი შეუწყო ე. წ. კონვერგენციის თეორიის წარმოშობას (ჯ. გელბრეითი, ი. ტინბერგენი), რ-იც შესაძლებლად მიიჩნევს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შერწყმას მათი საუკეთესო ნიშნების სინთეზის საფუძველზე, ამის შედეგად კი ახ. საზოგადოებრივ-ეკონ. სისტემის ჩამოყალიბებას. ბოლო ხანებში ნეოინსტიტუციონალიზმი ავითარებს ადრინდელი ინსტიტუციონალისტების იდეებს, რ-თა ყურადღების ცენტრშია ადამიანი, სოც. მოვლენები (რ. კოუზი, ჯ. ბიუკენენი). ინსტიტუციონალიზმის მეორე თანამედროვე მიმართულებაა გლობალიზმი, რ-ის წარმომადგენლები ევოლ. განვითარების შედეგად პოსტინდუსტრიული საზ-ბის შექმნას ასაბუთებენ.

Ე. მ-ის განვითარება იმთავითვე მიმდინარეობდა სხვა მეცნიერებებთან – ისტორიასთან, ფილოსოფიასთან, ფსიქოლოგიასთან, მათემატიკასთან, ტექნიკურ მეცნიერებებთან მჭიდრო კავშირში. ამჟამად ეკონ. მოვლენათა კვლევაში გამოიყენება უფრო ფართო, დისციპლინათშორისი მიდგომები, შეინიშნება სხვა მეცნიერებებთან კავშირის გაძლიერება, განსაკუთრებით საერთო-სამყაროსეული და საერთო-საკაცობრიო თვალსაზრისით ხედვა, კერძოდ, ინფორმაციული თეორიის, აქსიოლოგიური და ევდემონისტური ასპექტების გამოყენებით, რასაც ეკონ. მეცნიერებათა სისტემის ფარგლებში ეკონომიკის ფილოსოფიის ჩამოყალიბებისაკენ მივყავართ. Ე. მ-ის ბოლოდროინდელი სიახლეები დაკავშირებული იყო ისეთ თვისებრივ ძვრებთან, როგორიცაა ე. წ. *ნეოეკონომიკის, ნანოეკონომიკის* წარმოქმნა.

Ე. მ-ის თანამედროვე მდგომარეობა, არსებული ცოდნის დიდი მარაგის, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და სინამდვილეზე დადებითი ზემოქმედების მიუხედავად, მაინც არ შეიძლება სახარბიელოდ ჩაითვალოს. ცალკეული თეორიები ბატონობენ ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებისა და ძალაუფლების შესაბამისად, მაშასადამე, არა ჭეშმარიტების ძალით, და ხელს უშლიან ნამდვილ საზოგადოებრივ პროგრესს, რაც ეკონ. მეცნიერებებს დიდი პრობლემებისა და ამოცანების წინაშე აყენებს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ეკონომიკურ მოვლენათა შესახებ მოსაზრებებს ვხვდებით ჯერ კიდევ ძვ. დროიდან – იაკობ ცურტაველის, გიორგი მერჩულის, შოთა რუსთაველის და სხვათა ნაწარმოებებში. ეკონ. ხასიათის მრავალი მასალაა მოცემული საისტ. თხზულებაში ,,ქართლის ცხოვრება''. ეს საკითხები წამოჭრილი იყო სხვადასხვა ეპოქის სახელისუფლებო დოკუმენტებშიც. აღსანიშნავია სულხან-საბა ორბელიანის ეკონ. მოსაზრება სიმდიდრის ზრდის წყაროების შესახებ, რ-იც ევროპელი ფიზიოკრატების შეხედულებებს უახლოვდებოდა. XVIII–XIX სს. მიჯნაზე ეკონ. საკითხები განხილულია იოანე ბატონიშვილის ,,კალმასობაში'' (,,ხუმარსწავლაში''), ბაგრატ ბატონიშვილის ნაშრომში ,,სოფლის ეკონომია''. XVIII ს-ში ქართულად თარგმნიდნენ ევრ. ავტორების ეკონ. ნაშრომებს. 1749 სვიმონ მაქაცარიძემ გადმოაქართულა ი. ციციშვილის მიერ ფრანგულიდან რუსულად ნათარგმნი ფლორინოვის ,,ეკონომია'', 1799 კი იოანე ბატონიშვილმა გამოსცა იტალიურიდან თარგმნილი წიგნი ,,პოლიტიკური ეკონომია ანუ სახელმწიფო მეურნეობის შესახებ''. XIX ს. II ნახ-იდან ქართულად ითარგმნა უცხოელ ავტორთა ცალკეული ნაშრომები. გ. ერისთავის ჟურნ. ,,ცისკარი'', ი. ჭავჭავაძის ჟურნალი ,,საქართველოს მოამბე'' და გაზ. ,,ივერია'' ბეჭდავდნენ მასალებს ეკონომიკის შესახებ. გამოდიოდა ამავე ხასიათის პრესა (გაზ. ,,გუთნის დედა'' – 1861–76, ,,სასოფლო გაზეთი'' – 1868–80). საზ-ბის ყურადღებას იპყრობდა გაზ. ,,დროების'' პუბლიკაციები ეკონ. თემებზე (1866–85). ეკონ. საკითხებს ეხებოდა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. ერისთავის, გ. წერეთლის, ლ. არდაზიანის, ვაჟა-ფშაველას, ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის, ნ. ნიკოლაძის და სხვათა მხატვრული და პუბლიც. ნაწარმოებები. XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში ქართ. პრესაში იბეჭდებოდა ნ. ჟორდანიას, ა. წულუკიძის, ი. სტალინისა და სხვათა ნაშრომები ეკონ. საკითხებზე. 1904 გამოვიდა ა. წულუკიძის წიგნი ,,ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან''. 1918 დაიწყო ჟურნ. ,,საქართველოს ეკონომისტის'' გამოცემა.

საქართველოში Ე. მ-ის განვითარებას ფართო გასაქანი მისცა თსუ-ის დაარსებამ და იქ ეკონ. განყ-ბისა და პოლიტ. ეკონომიის კათედრის გახსნამ, რ-საც ფ. გოგიჩაიშვილი ედგა სათავეში. 1922 უნ-ტში შეიქმნა ეკონ. ფაკ-ტი. პოლიტ. ეკონომიის კათედრები გაიხსნა საქართვ. ყველა უმაღლეს სასწავლებელში. 30-იან წლებში ქართულად ითარგმნა და გამოიცა ეკონ. მეცნიერების კლასიკოსების – ა. სმითის, დ. რიკარდოს, კ. მარქსის ნაშრომები. გამოვიდა ი. ჯავახიშვილის ,,საქართველოს ეკონომიური ისტორია'' (წგ. 1–2, 1930–34), პ. გუგუშვილის ,,სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება'' (2 ტ., 1931–34) და ,,საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX და XX საუკუნეებში'' (ტ. 1–7, 1949–84), აგრეთვე კ. ორაგველიძის, ბ. რამიშვილისა და სხვათა შრომები.

1944 დაარსდა საქართვ. მეცნ. აკად. *ეკონომიკის ინსტიტუტი,* შემდგომ შეიქმნა ეკონ. კვლევის ახ. ცენტრები: 1959 – სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის ეკონ. და ორგანიზაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი (2006-იდან საქართვ. სოფ. მეურნ. მეცნ. აკადემიის აგრარული ეკონომიკის ინ-ტი); 1963 – საქართვ. სახელმწ.

საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონ. და დაგეგმვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი (შემდეგში *ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტი*, არსებობდა 2006-მდე); 1966 – ვაჭრობის კონიუნქტურის შემსწავლელი საკავშირო სამეცნ.-კვლ. ინ-ტის საქართვ. ფილიალი (შემდეგში მარკეტინგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, არსებობდა 2004-მდე); 1991 – დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინ-ტი (ახლანდ. *დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი*); 1992 – საქართვ. ფინანსთა სამინისტროსთან არსებული *ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი* (არსებობდა 2006-მდე). 1995 შეიქმნა საქართვ. ეკონ. მეცნიერებათა და ბიზნესის მეცნ. აკადემიები (პრეზიდენტები ლ. *ჩიქავა*, ა. კუჭუხიძე). 2005 წ. ეკონ. მეცნიერებაში მოღვაწეობდა 556 მუშაკი, მათგან 64 – მეცნ. დოქტორი, 338 – მეცნ. კანდიდატი (სტატისტიკური აღრიცხვის ბოლო მონაცემების მიხედვით).

საქართველოში Ე. მ-ის წარმომადგენლები მუშაობენ მრავალი მიმართულებით: ეკონ. თეორიის, ეკონ. მართვისა და რეგულირების, ეკონ. მექანიზმის სრულყოფის, ქვეყნის ეკონ. და სოც. განვითარების პრობლემების, ცალკეული დარგების, რეგიონების ეკონ. განვითარების, ფინანსების, სტატისტ., ეკონ. მოძღვრებათა ისტორიის, ეკონომიკის ისტორიის, დემოგრაფიისა და შრომითი რესურსების გამოყენების საკითხებზე და სხვ. ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკონ. რეფორმირების, მისი პრობლემებისა და შედეგების, აგრეთვე საქართვ. მომავალი ეკონ. და სოც. განვითარების პრობლემატიკის კვლევას Ე. მ-თა თანამედროვე მოთხოვნების დონეზე. ეკონ. კვლევები მიმდინარეობს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, თელავის, გორის, ზუგდიდის, ცხინვალისა და სხვ. უმაღლესი სასწავლებლების კათედრებზე.

საქართველოში Ე. მ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ივ. *ჯავახიშვილმა*, ფ. *გოგიჩაიშვილმა*, ბ. რამიშვილმა, პ. *გუგუშვილმა*, გ. *გეხტმანმა*, ვ. *ჩანტლაძემ*, ი. *მიქელაძემ*, ვ. *მელქაძემ*, ა. *გუნიამ*, ნ. *იაშვილმა*, ი. *პაჭაძემ*, ს. *პერაძემ*, ნ. *ქოიავამ*, ი. *ჯაშმა*, გ. გ. *გველესიანმა*, ა. *ფანცხავამ*, ნ. *ტყეშელაშვილმა*, მ. კეკელიძემ, მ. კახეთელიძემ, ბ. ხასიამ, მ. მშვილდაძემ, ნ. ხურციძემ, ვ. *პატარაძემ*, ქ. *დადიანმა*, პ. *ჟღენტმა*, ვ. *ბურკაძემ*, ი. ბალანჩივაძემ, ი. ქადარიამ, გ. ს. *გამყრელიძემ*, გ. *მეგრელიშვილმა*, ა. *გოკიელმა*, გ. *ჭანუყვაძემ*, გ. *ადეიშვილმა*, ნ. დგებუაძემ, ლ. გ. *ასათიანმა*, ნ. *ლაჭყეპიანმა*, კ. *გაბუნიამ*, ა. კაკაბაძემ, ი. ქვაჩახიამ, ს. ინწკირველმა, ლ. ხაბურზანიამ, ნ. სანთელაძემ, თ. *ჩიკვაიძემ*, ნ. თოფურიამ, ი. კრავცოვმა, დ. ქორიძემ, თ. ხოშტარიამ, გ. *წერეთელმა*, გ. პაპავამ და სხვ.

აქტუალურ სოც.-ეკონ. პრობლემებზე წარმატებით მუშაობენ მეცნიერ-ეკონომისტები: ვ. *ადვაძე*, რ. ასათიანი, თ. ბერიძე, ბ. *გაბიძაშვილი*, გ. გამსახურდია, რ. *გოგოხია*, გ. *თოდუა*, მ. კაკულია, რ. კაკულია, ჯ. კახნიაშვილი, ა. კუჭუხიძე, გ. *მალაშხია*, ი. *მესხია*, ე. მექვაბიშვილი, ვ. *პაპავა*, ა. *სილაგაძე*, შ. ქისტაური, გ. ყუფუნია, გ. შუბლაძე, ლ. ჩიქავა, ნ. *ჭითანავა*, მ. ჯიბუტი და სხვ.

ქართვ. მეცნიერებმა შექმნეს თანამედროვე სახელმძღვანელოები ეკონ. დისციპლინებში. მათი ნაშრომები გამოქვეყნებულია უცხოურ ენებზე. ასევე ქართულადაა თარგმნილი მსოფლიოში გამოჩენილ მეცნიერთა ცნობილი სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და სხვ.


თეორიული და გამოყენებითი კვლევებისათვის ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა ჯგუფს ორჯერ მიეკუთვნა საქართვ. სახელმწ. პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში: 1975 – ი. მიქელაძეს, ვ. მელქაძეს, კ. ჩარკვიანს, გ. მალაშხიას, ნ. სანთელაძეს, პ. ჟღენტს, გ. ბუაჩიძეს საქართველოს ეკონ. და სოც. განვითარების პრობლემებზე შექმნილი მონოგრაფიისათვის; 2004 – ი. ანანიაშვილს, კ. აჩელაშვილს, ი. მესხიას, ვ. პაპავას, ა. სილაგაძეს და გ. წერეთელს ნაშრომისათვის ,,მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები''.

ეკონ. გამოკვლევები ქვეყნდება ჟურნალებში: ,,ეკონომიკა'' (გამოდის 1918-იდან), ,,საქართველოს ეკონომიკა'' (გამოდის 1997-იდან), ,,სოციალური ეკონომიკა'' (გამოდის 1999-იდან), ,,ბიზნესი და კანონმდებლობა'' (გამოდის 2004-იდან), ,,ეკონომიკა და ბიზნესი'' (გამოდის 2008-იდან) და სხვ., აგრეთვე სათანადო ინ-ტების პერიოდულ გამოცემებსა და თემატურ კრებულებში.

ლიტ.: ბერიძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ტ. 1–2, თბ., 1997; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. საქართველოს სსრ (სპეც. ტომი), თბ., 1981; Блауч М., Экономическая мысль о ретроспективе, пер. с англ., М., 1994; Экономическая энциклопедия. Политическая экономия, т. 3, М., 1979.

გ. მალაშხია.

ეკონომიკური პროგნოზირება, ეკონომიკური განვითარების სამომავლო მეცნიერულ შეხედულებათა სისტემისა და წინადადებების შემუშავება. Ე. პ. ხორციელდება საპროგნოზო ობიექტის შესახებ წარსულის ამსახველი ინფორმაციის დამუშავებისა და მისი ფუნქციონირების კანონზომიერებათა გამოვლენის საფუძველზე. Ე. პ-ის ძირითადი ფუნქციებია: ეკონ. და მეცნ.-ტექ. პროცესებისა და ტენდენციების მეცნ. ანალიზი; ეკონ. განვითარების საკვანძო პრობლემების და მიზეზშედეგობრივი კავშირების გამოვლენა; მომავალში ამ ტენდენციების შეფასება; იმ აქტუალური ეკონ. პრობლემებისა და წინააღმდეგობების განჭვრეტა, რ-ებიც საჭიროებენ გადაჭრას; სამომავლო ეკონ. განვითარების ალტერნატიული ვარიანტების განსაზღვრა და მათი შეფასება. Ე. პ. შეიძლება იყოს მოკლევადიანი (3 წლამდე), საშუალოვადიანი (3–5 წ.) და გრძელვადიანი (5 წ-ზე მეტი). Ე. პ-ის შემუშავებაში არსებობს ორი ძირითადი მეთოდოლ. მიდგომა: გ ე ნ ე ტ ი კ უ რ ი – მოითხოვს ეკონ. განვითარების შეფასებას მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენის საფუძველზე, რ-ის საშუალებითაც განისაზღვრება ეკონ. პროცესების განვითარების ლოგიკა მომავალში, და მ ი ზ ნ ო ბ რ ი ვ - ნ ო რ მ ა ტ ი უ ლ ი – Ე. პ-ის შემუშავება ხდება წინასწარ განსაზღვრული მიზნებისა და დადგენილი პარამეტრების გამოყენებით.



საქართველოში Ე. პ-ს საფუძველი ჩაეყარა XX ს. 60-იან წწ-ში. ამ დროიდან საქ. სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში მუშავდებოდა ქვეყნის ეკონ. და სოც. განვითარების გრძელვადიანი პროგნოზები, რ-ებსაც იყენებდნენ კომპლ. სახელმწ. გეგმების შესადგენად. საქართვ. საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების პროგნოზულ სქემას ადგენდა საქართვ. მეცნიერებათა აკად. პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისია. Ე. პ-ის თეორ.-მეთოდოლ. და გამოყენებით პრობლემებზე სამეცნ. კვლევები მიმდინარეობდა საქართვ. სახელმწ. საგეგმო

კომიტეტთან არსებული ეკონ. და დაგეგმვის და საქართვ. მეცნ. აკად. ეკონ. და სამართლის ინ-ტებში, დარგობრივ ინ-ტებსა და გამოთვლით ცენტრებში.

ე. პ-ის თეორ. და პრაქტ. პრობლემების კვლევაში, განსაკუთრებით ე. პ-ის ექსტრაპოლაციის, ექსპერტული შეფასებების და მათ. მოდელირების მეთოდების დანერგვაში მნიშვნელოვანი მეცნ. წვლილი შეიტანეს ქართველმა მეცნიერებმა: პ. *გუგუშვილმა*, ი. *მიქელაძემ*, ვ. *მელქაძემ*, მ. კეკელიძემ, ნ. სანთელაძემ, თ. მახვილაძემ, ი. *მესხიამ*, კ. აჩელაშვილმა, ი. ანანიაშვილმა, ვ. *პაპავამ*, გ. *მალამხიამ*, გ. ყიფშიანმა, ჯ. არაბიძემ, ს. სანაძემ და სხვ.

ლიტ.: მ ე ს ხ ი ა ი., ეკონომიკური ზრდის პროგნოზირების საკითხები, თბ., 1978; ს ა ნ თ ე ლ ა ძ ე ნ., სახალხო მეურნეობის გრძელვადიანი დაგეგმვა, პროგნოზები და მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები, თბ., 1980; М е с х и я Я. Е., Вопросы методологии регионального экономического прогнозирования, М., 1983; მ ი ს ი ვ ე, Теория и практика макроэкономического прогнозирования, Тб., 1989. *ი. მესხია.*

ეკონომიკური რეფორმა, იხ. *რეფორმა ეკონომიკური.*

ეკონომიკური უსაფრთხოება, ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური სისტემის დამოუკიდებლობას, თვითმყოფადობას, მის განვითარებას, საშინაო და საგარეო მუქარების აღკვეთას, წინასწარი ზომების მიღებას მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. სახელმწიფოს მუდმივი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ზრუნვა ე. უ-ზე.

უსაფრთხოების პრობლემა მსოფლიოში წარმოიშვა სახელმწიფოს შექმნისთანავე. ძველი დროის მოაზროვნეები თავიანთ ტრაქტატებში დიდ ყურადღებას უთმობდნენ უსაფრთხოების პრობლემას. ცნება ,,ე.უ.'' გამომდინარეობს უსაფრთხოების უფრო ფართო კატეგორიიდან, რ-იც საკმაოდ რთული და მრავალწახნაგოვანი შინაარსის შემცველია. იგი აერთიანებს პოლიტიკურ უსაფრთხოებას, სოციალურ უსაფრთხოებას და ე.უ-ს. ,,უსაფრთხოების'' ტერმინის გამოყენება დაიწყო დაახლოებით XII ს-იდან და ნიშნავდა ადამიანის მშვიდ სულიერ მდგომარეობას, მის დაცულობას ნებისმიერი საფრთხისაგან. თუმცა ამ შინაარსით იგი არ დაინერგა ლექსიკაში და ძალიან იშვიათად გამოიყენებოდა. შემდგომში შემოღებულ იქნა ტერმინი ,,სახელმწიფო უსაფრთხოება'', რაც გულისხმობდა ბრძოლას სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად. მოგვიანებით კატეგორია ,,უსაფრთხოება'' დაიყო ცალკეულ მიმართულებებად, რ-საც გამოეყო ,,ე. უ-ის'' კატეგორია. იგი ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ეტაპზე მთელ მსოფლიოში.

ე. უ. ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს: განვითარების ისტ. გამოწვევებისა და მუქარების გათვალისწინება; გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნებისა და ინტერესების განსაზღვრა; ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვა; ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების თავსებადობა. აქედან გამომდინარე, მისი უმნიშვნელოვანესი ეკონ. ინტერესია მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის ამაღლება; ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა; ერთიანი ეკონ. სივრცის შენარჩუნება; ეკონ. ეფექტიანობისა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; სახელმწიფოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში; ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების მიღწევა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ე. უ. მოითხოვს პრევენციული პოლიტიკის განხორციელებას, რაც ყველა ისტ. გამოწვევის, ეკონომიკური მუქარის, აგრეთვე უსაფრთხოების ზღვრული სიდიდეების განსაზღვრასა და მიღწევას გულისხმობს. ე. უ-ის ამოცანაა ქვეყნის წინაშე მდგარი შინაგანი და გარეგანი გამოწვევებისა და მუქარების განეიტრალება. შინაგან მუქარათა შორის აღსანიშნავია: ინტელექტუალური, საგანმანათლებლო, ინოვაციური პოტენციალის ჩამორჩენილობა; მოსახლეობის სოც. დიფერენციაციის გაღრმავება, სიღარიბის მაღალი დონე; ეკონომიკის სტრუქტურული დეფორმაცია; მსოფლიო ეკონომიკაში სუსტი მონაწილეობა; საინვესტიციო რესურსების უკმარისობა; ქვეყნის ფინანს. უზრუნველყოფის დაბალი დონე; საგარეო ვალის დიდი მოცულობა, რ-იც ინვესტიციურ შესაძლებლობებს ამცირებს; მკვეთრი დისპროპორციები რეგიონული ეკონომიკის განვითარებაში. გარეგანი მუქარებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ქვეყნის სუსტი მონაწილეობა საერთაშ. ეკონომიკაში, მსოფლიო შემოსავლების განაწილებაში; ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე; სამუშაო ძალისა და ინტელექტუალური პოტენციალის გადინება ქვეყნიდან; ტექნოლოგიური, მენეჯმენტური და ინსტიტუციური შეუთავსებლობა საერთაშ. ბაზრების მოთხოვნებთან; სურსათისა და ენერგიის იმპორტზე ქვეყნის ძლიერი დამოკიდებულება. ამ ორი უკანასკნელი პრობლემის გადაწყვეტა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ბოლო პერიოდში ენერგოუსაფრთხოების მოსაგვარებლად ინტენს. ღონისძიებები ხორციელდება. მიმდინარეობს შიდა ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისების პროცესი, რითაც შესაძლებელი ხდება საქართვ. ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფა და ჭარბი ენერგიის ექსპორტირება. დღეისათვის პრობლემად რჩება სასურსათო უსაფრთხოება. ერთი მხრივ, ქვეყანას გააჩნია სასურსათო პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი პოტენციალი, მეორე მხრივ, ამ პოტენციალს ან ვერ იყენებს, ან ცუდად იყენებს, რის გამოც საქართვ. სურსათის დიდ დეფიციტს განიცდის. შედეგად იძულებულია სხვა ქვეყნებიდან შემოიტანოს დიდი რაოდენობის სურსათი და ამ მიზნით გამოიყენოს ეროვნ. ვალუტის მნიშვნელოვანი ნაწილი. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობა აღიარებულ იქნა პრიორიტეტულ დარგად, გათვალისწინებულია მისი ფინანს. და სხვა რესურსული უზრუნველყოფის გაზრდა, რაც შექმნის სათანადო პირობებს სას.-სამ. წარმოების ტემპების ზრდისათვის.

ე. უ-ის კომპლექსური მართვა ემყარება მაჩვენებელთა სისტემას, რ-იც ე. უ-ის სტრუქტურული ელემენტების ზღვრულ ინდიკატორებსაც მოიცავს. ამ უკანასკნელთა პესიმისტური ზღვრული სიდიდე გულისხმობს იმ მინიმალურ ზღვარს, რ-ის გადაჭარბების შემთხვევაში ეკონომიკა მძიმე კრიზისულ ვითარებაში აღმოჩნდება და იწყება მისი სრული ან ნაწილობრივი ნგრევა, დეგრადაცია და ფუნქციონირების მოშლა. ოპტიმისტური ზღვრული სიდიდე გულისხმობს იმ ობიექტურ ზღვარს, რ-ის დროსაც (ან გადაჭარბების შემთხვევაში) ეკონომიკა მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ტრაექტორიაზე გადადის და ეკონომიკის დამანგრეველი, ღრმა და ხანგრძლივი კრიზისული პროცე-

სების წარმოშობა გამოირიცხება. მინიმალური ზღვრული სიდიდეების სასიგნალო სისტემა საჭიროა იმისათვის, რომ სახელმწიფომ, ეკონომიკურმა სუბიექტებმა არ დაუშვან მასთან მიახლოება და კრიზისული პროცესების დაწყება. ე. შ-ის ოპტიმ. ზღვრული სიდიდეების მიღწევა განვითარებული ქვეყნების ჯგუფში გადასვლას გულისხმობს, რ-თაც მდგრადი განვითარებისათვის საჭირო რეალური შესაძლებლობა აქვთ. ზღვრული სიდიდეები საორიენტაციო ხასიათისაა, რადგანაც განვითარების კვალობაზე ისინიც იცვლებიან.

ე. შ-ის მიღწევა და განმტკიცება საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. შემუშავებულია ,,საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია'', სადაც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქვეყნის ე. შ-ის შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს: სტაბილურობის მიღწევა მაკროეკონომიკურ სისტემაში, ახ. სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების დონის ამაღლება; მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება; საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება; სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და ინფრასტრუქტურის სფეროების პრიორიტეტული განვითარება; რეგიონთაშორისი განვითარების უთანაბრობის შემცირება; საქართვ. გლობალურ ეკონომიკაში მონაწილეობის გაზრდა; საექსპორტო პოტენციალის ხელშეწყობა; ჯანსაღი კონკრეტული გარემოს შექმნა.

ე. შ-ის უზრუნველყოფა საქართვ. გრძელვადიანი სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რაც ეკონ. მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ტრაექტორიაზე გადასვლას მოითხოვს. ეს კი, თავის მხრივ, ქვეყნის მაღალგანვითარებულ ეკონომიკაზე გადასვლის საფუძველი იქნება.

ლიტ.: გახოკიძე ჯ., ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები, თბ., 2007; მესხია ი., საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური უსაფრთხოების თანამედროვე პრობლემები, «ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინ-ტის შრომების კრებული», ტ. 4, თბ., 2000; საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია, თბ., 2003; ჩიკვაიძე თ., საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია, «ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინ-ტის შრომების კრებული», ტ. 7, თბ., 2003; Сенчагов В. К., Экономическая безопасность, М., 2002; Altins von Geusau, National economic security, In: Search of an operational concept, Tilburg, 1980; De Souza P. J., Economic strategy and national security, Boulder, 2000.

თ. ჩიკვაიძე.

ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები, მეცნიერული დისციპლინების კომპლექსის პირობითი სახელწოდება ეკონომიკის, მათემატიკისა და კიბერნეტიკის ზღვარზე; ძირითადად გულისხმობს ეკონომიკური ამოცანებისა და პრობლემების მათემატიკურად დასმასა და ამოხსნას, ანუ ეკონომიკაში მათემატიკის გამოყენებას. პირველად ამ შინაარსით ეს ცნება XX ს. 60-იანი წლების დასაწყისში რუსმა ეკონომისტმა ვ. ს. ნემჩინოვმა შემოიტანა და ფართოდ გავრცელდა სსრკ-ში. დასავლეთის სამეცნ. ლიტ-რაში ამ ცნების მიღებული ზოგადი სახელწოდებაა *ეკონომეტრიკა.* ჩვეულებრივ ე.-მ. მ. მოიცავს მრავალ მეცნიერულ დისციპლინასა და მიმართულებას, რ-თა შორის განსხვავებას და თითოეული მათგანის კვლევის საგანს სამეცნ. ლიტ-რაში სხვადასხვაგვარად განიხილავენ. მათგან აღსანიშნავია: 1. ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდები (ეკონომიკური სტატისტიკა და მათემატიკური სტატისტიკა); 2. ეკონომეტრიკა – ეკონომიკური პროცესების მოდელირება, რ-იც მოიცავს როგორც აბსტრაქტულ, ასევე სტატისტიკურ, საკუთრივ, ეკონომეტრიკულ მოდელებს (მაკროეკონომიკური მოდელები, საწარმოო ფუნქციები და სხვ.); 3. ოპტიმალური გადაწყვეტილების მეთოდები – ეკონომიკაში ოპერაციათა კვლევა. საერთოდ, ოპტიმიზაციის მეთოდების შესწავლა გამოყენებითი მათემატიკის სფეროა (მათემატიკური დაპროგრამება, თამაშების თეორია, მდგრადობის თეორია და სხვ.). ამ ჯგუფს მიაკუთვნებენ აგრეთვე ეკონ. პროცესების ნორმატიული და ოპტიმალური დაგეგმვის მოდელებს (ოპტიმალური დაგეგმვა, საწარმოო მოდელი, მარაგის მართვა და სხვ.); 4. *ეკონომიკური კიბერნეტიკა,* რ-იც ეკონომიკურ სუბიექტს განიხილავს სისტემური ანალიზის მეშვეობით, სწავლობს მისი მართვის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. ე.-მ. მ-იდან ზემოაღნიშნული თანმიმდევრობით აღმოცენდა და განვითარდა სხვადასხვა დისციპლინა. შედეგად იგი ყალიბდება როგორც სამეცნიერო მიმართულებათა კომპლექსი, რ-ის საზღვრებში მიმდინარეობს დისციპლინათა დიფერენციაცია და ინტეგრაცია. ასე გაჩნდა ახ. დისციპლინა – სტოქასტური დაპროგრამება, ამავე დროს იქმნება ზოგადი მათ. დაპროგრამების და ზოგადი ოპტიმალური გადაწყვეტილებების თეორიები. ე.-მ. მ-ის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება: ეკონ. განვითარების ოპტიმალური ტემპებისა და პროპორციების განსაზღვრის; წარმოების, განაწილებისა და მიმოქცევის პროცესების რეგულირების; მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების რაციონალური ორგანიზაციის უზრუნველყოფისა და ეროვნული ეკონომიკის მრავალი სხვა პრობლემის, მ. შ. რთული ეკონ. ამოცანების დროულად და სწორად გადაწყვეტის საქმეში.

საქართველოში ე.-მ. მ-ის კვლევა XX ს. 60-იანი წლებიდან დაიწყო საქართვ. საგეგმო კომიტეტთან არსებული სახ. მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტსა და საქართვ. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გამოთვლით ცენტრში, პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინ-ტში, თბილ. ივ. ჯავახიშვილის სახ. უნ-ტში და სხვ. კერძოდ, შემუშავდა ნაწილობრივპროდუქტიული მატრიცის თეორია და მის საფუძველზე განისაზღვრა ,,დანახარჯი-გამოშვების'' (დარგთაშორისი ბალანსი) დინამიკურ მოდელთა პროდუქტიულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები, აიგო ,,გადასახადების გარეშე ეკონომიკის'' თეორიული მოდელი, ლაფერის ეფექტის ამსახველი განზოგადებული მრუდები და საგადასახადო კორუფციის ინდექსები, რ-თა მეშვეობით შესაძლებელია შეფასდეს საგადასახადო სისტემის მუშაკთა კორუმპირებულობის დონე (ვ. *პაპავა*); შეიქმნა ეკონომიკური ზრდის სინთეზურ მაჩვენებელთა პასიური და აქტიური პროგნოზირების ერთპროდუქტიული, მრავალპროდუქტიული და ეკონომეტრიკული მოდელები, რ-თა საშუალებით ხდება საქართველოში ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზების შემუშავება. მათ ფართო გამოყენება პოვეს ქვეყნის ეკონომიკური და სოც. განვითარების კონცეფციების, პროგრამებისა და გეგმების შემუშავებაში (ი. *მესხია*); განხორციელდა რეგიონთაშორისი დარგთაშორისი მოდელების განზოგადება, რ-საც მარტივი მათ.

და ღრმა ეკონ. ანალიზის შესაძლებლობა გააჩნია. შემუშავდა რეგიონთაშორისი მატერიალურ-ნივთობრივი კავშირების მოდელირების მეთოდოლ. საფუძვლები, რ-იც გამოიყენება დარგობრივი და ტერიტ. პროპორციების ანალიზსა და პროგნოზირებაში (კ. აჩელაშვილი); აიგო ეკონომეტრიკული მოდელი ფორსმაჟორული ფაქტორის გათვალისწინებით. შემუშავდა ეკონ. მაჩვენებლების ზრდის სიჩქარისა და აჩქარების გაზომვის მეთოდები სტაციონარული და არასტაციონარული ეკონომიკური მწკრივებისათვის. დასაბუთებულ იქნა მოდელში ცვლადების რაციონალური რაოდენობის განსაზღვრის, აგრეთვე ეკონომიკური მდგრადობის გაზომვის მეთოდი. შემუშავდა სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტიზაციის ეფექტიანი ალგორითმები, რებიც ფორსმაჟორულ სიტუაციებში საწარმოს, დარგის, ქვეყნის განვითარების ეკონ. მაჩვენებლების პროგნოზირებისათვის გამოიყენება (რ. მითაიშვილი); შემუშავდა ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის მაკროეკონომიკურ პროცესთა ოპტიმალური მართვის ეკონ.-მათ. აპარატი, რ-იც პრაქტიკულად იქნა აპრობირებული საქართველოს პირობებში (გ. შ. *წერეთელი*); შემუშავდა ,,დანახარჯი-გამოშვების'' მეთოდზე დაფუძნებული ზოგადი წონასწორობის მაკროეკონომიკური მოდელი, აგრეთვე პირდაპირრეკურსიანი და განაწილებულლაგიანი დინამიკური დარგთაშორისი მოდელების ამოხსნათა ალგორითმები. კვლევის შედეგები გამოიყენება მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და პოლიტიკის შემუშავების დროს (ი. ანანიაშვილი).

ქართველ მეცნიერთაგან ე.-მ. მ-ის თეორიისა და პრაქტიკის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: ი. ანანიაშვილმა, ჯ. არაბიძემ, კ. აჩელაშვილმა, ბ. *გაბიძაშვილმა*, ჯ. იოსავამ, მ. კეკელიძემ, გ. მანაამ, გ. მახვილაძემ, ი. მესხიამ, რ. მითაიშვილმა, ვ. პაპავამ, ს. სანაძემ, რ. სარჩიმელიამ, გ. წერეთელმა, ჯ. ხავთასმა და სხვ.

მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდებისა და მოდელების სფეროში შეტანილი მნიშვნელოვანი მეცნიერული წვლილისათვის ქართველ მკვლევართა ჯგუფს (ი. ანანიაშვილი, კ. აჩელაშვილი, ი. მესხია, ა. სილაგაძე, ვ. პაპავა, გ. წერეთელი) 2004 მიენიჭა საქართველოს სახელმწ. პრემია.

ლიტ.: ანანიაშვილი ი. და სხვ., მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, თბ., 2003; Месхия Я. Е., Вопросы методологии регионального экономического прогнозирования, М., 1983; Митаишвили Р. А., Система показателей хозяйственной деятельности на пассажирском автомобильном транспорте, М., 1991; Папава В. Г., Эффективность общественного производства и межотраслевые модели, Тб., 1988.

რ. მითაიშვილი.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, გამოსაკვლევი ეკონომიკური ობიექტის ან პროცესის აღწერილობა, რომელიც ხორციელდება რიცხვების (რიცხვითი მოდელი), ფორმულების (ფორმალურ-ანალიზური მოდელი), ბლოკ-სქემების, ალგორითმების, გაანგარიშების პროგრამებისა და სხვა ლოგიკური ოპერაციების (ლოგიკური მოდელი) ან გრაფიკების (გრაფიკული მოდელი) საშუალებით. ფართოდ გამოიყენება სოც.-ეკონ. მოვლენებისა და პროცესების ანალიზსა, პროგნოზირებასა და დაგეგმვაში ეკონ. ყველა რგოლში და ყველა დონეზე. ამას განაპირობებს ორი გარემოება: 1. ე.-მ. მ-ში ხდება ეკონომიკური რეალობის ამა თუ იმ რაკურსით გამარტივება და პრობლემის წმინდა სახით წარმოდგენა, რაც ხელს უწყობს ეკონ. კანონზომიერებების მცირე დანახარჯებით ახსნას; 2. საკვლევი ორიგინალის მათ. კონსტრუქციით შეცვლა ქმნის აქსიომატური მეთოდის და თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის ეფექტიანად გამოყენების პირობას და იძლევა ტრად. მიდგომებისათვის მიუწვდომელი მრავალი პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას.

ერთ-ერთი პირველი ე.-მ. მ. (,,ეკონომიკური ცხრილი'') ააგო ფრანგმა მეცნიერმა ფრანსუა კენემ 1758 ეკონომიკური წრებრუნვის (ერთობლივი ეროვნ. შემოსავლის წარმოების განაწილება და გამოყენება) კანონზომიერებების შესასწავლად. XIX ს-ში ეკონ. მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლების ო. კურნოს, ლ. ვალრასის, ფ. ეჯუორთის, უ. ჯევონზის, ვ. პარეტოს და სხვ. მიერ ე.-მ. მ-ებზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი თეორიული შედეგები იქნა მიღებული. XX ს. 30-იანი წლებიდან მოყოლებული ე.-მ. მ-ები ფართოდ გამოიყენება ეკონ. თითქმის ყველა სფეროში. შეიძლება ითქვას, რომ ეკონ. დარგში ნობელის პრემიის ლაურეატთა დიდი ნაწილის (რ-თა შორისაა ი. ტინბერგენი და რ. ფრიში; პ. სამუელსონი; ს. კუზნეცი; კ. ეროუ და ჯ. ჰიქსი; ლ. კანტოროვიჩი და ტ. კუპმანსი; ლ. კლაინი; ჟ. დებრე; რ. სტოუნი; მ. ფრიდმენი; რ. სოლოუ; ტ. ჰააველმო; ჯ. ჰეკმანი და დ. მაკფადენი და სხვ.) ნაშრომებში ე.-მ. მ-ები ეკონ. კანონზომიერებების შეცნობისა და გამოვლენის ძირითადი ინსტრუმენტია. უფრო მეტიც, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონ. პოლიტიკის მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირებისათვის და რეკომენდაციების შემუშავებისათვის შესაბამისი სამთავრობო ორგანოები იყენებენ დიდი ზომის ეკონომეტრიკულ ე.-მ. მ-ებს.

საქართველოში ე.-მ. მ-ების გამოყენება თეორ. კვლევასა და პრაქტ. ამოცანების გადაწყვეტაში ინტენსიურად დაიწყო XX ს. 60-იან წლებში. ამ წამოწყების მოთავე იყო სამეცნ.-კვლ. ინ-ტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში (პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინ-ტი, ვ. მელქაძის სახ. სოც.-ეკონ. და რეგიონული პრობლემების სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტი და სხვ.) შექმნილი სპეც. ლაბორატორიები, განყებები და კათედრები. ერთ-ერთი პირველი ე.-მ. მ., რ-ის პრაქტ. რეალიზაცია ქართვ. ეკონომისტებისა და სტატისტიკოსების დიდი ჯგუფის მონაწილეობით განხორციელდა, იყო ვ. ლეონტიევის (ეკონ. დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, 1973) მიერ შემუშავებული პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსის სტატიკური მოდელი. მოგვიანებით აღნიშნული მოდელიდან მიღებული ინფორმაცია და გამოცდილება საფუძვლად დაედო ფართო სპექტრის გამოკვლევებს, რ-იც მიმდინარეობდა დარგთაშორისი რეგიონული და რეგიონთაშორისი, დარგთაშორისი დინამიკური, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზირების ეკონომეტრიკული, სატრანსპორტო გადაზიდვების ოპტიმიზაციის, ეკონომიკის ცალკეული დარგის განვითარებისა და განლაგების ოპტიმიზაციის და ა. შ. მოდელების საშუალებით. საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობით ე.-მ. მ-ები უფრო მეტად შემეცნებისა და მეცნ. ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებაა, ვიდრე მნიშვნელოვანი პრაქტ. ამოცანების გადაწყვეტისა, თუმცა ყველა პირობა არსებობს იმისათვის,

რომ ე.-მ. მ-ები წარმატებით იქნას გამოყენებული სხვადასხვა დონეზე.

საქართველოში ე.-მ. მ-ების შემუშავებასა და გამოყენებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მ. კეკელიძემ, ბ. *გაბიძაშვილმა*, ზ. ელიზბარაშვილმა, კ. აჩელაშვილმა, ი. *მესხიამ*, ვ. *პაპავამ*, ი. ანანიაშვილმა, გ. შ. *წერეთელმა*, რ. მითაიშვილმა, რ. სარჩიმელიამ და სხვ.

ლიტ.: ანანიაშვილი ი. და სხვ., მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, თბ., 2003; Математика и кибернетика в экономике. Словарь-справочник, М., 1975.

ი. ანანიაშვილი.

ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისისა (თეუსუ), დაარსდა 1992 წლის 19 მარტს როგორც თბილისის კომერციის ინსტიტუტი, 1995 წ. 13 მარტიდან გახდა ეკონომიკურ ურთიერთობათა თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი (2001 წ. 25 ივნისიდან მიენიჭა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი), 2005 წ. 25 აგვისტოდან – თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი (თეუსუ). უნ-ტის ძირითადი მიზანია ბიზნესისა და მართვის, სამართლისა და ჰუმანიტარული დარგების მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. ამ მიზნის მისაღწევად უნ-ტი ნერგავს ინოვაციებს. შემოღებულია თანამედროვე, საბაზრო ეკონ. მოთხოვნათა შესაბამისი ახ. სპეციალობები, შესაბამისად, გარდაიქმნა სასწ. გეგმები, რ-ებიც მოდულის პრინციპით არის აგებული; თითოეული საგანმან. პროგრამის, დისციპლინის სრულფასოვანი გააზრებისა და ათვისებისათვის შემუშავდა კურიკულუმები, სილაბუსები. სასწ. პროცესის შეფასების სისტემა სრულად პასუხობს ევრ. კრედიტების სატრანსფერო სისტემის მოთხოვნებს.

თეუსუ-ში მოქმედებს სტუდენტთა სახელმწ. და თვითდაფინანსების ფორმები.

უნ-ტში სამსაფეხურიანი სწავლებაა: ბაკალავრიატში სწავლის სტანდარტული ვადაა 4 წელი მაგისტრატურაში – 2 წელი (120 ECTS კრედიტი), ხოლო დოქტურანტურაში – 3 წელი. თეუსუ-ში ფუნქციონირებს სამი ფაკ-ტი: ბიზნესისა და მართვის, სამართლის, ჰუმანიტარულ-სოც. მეცნიერებათა (ქ. ქუთაისში). თბილისში ფუნქციონირებს 12 კათედრა და პროგრამული მიმართულება: კერძო სამართლის; საჯარო სამართლის; ფინანსების, სტატისტიკისა და ეკონომეტრიკის; ეკონ. თეორიის საფუძვლების; ტურიზმის ბიზნესის; მენეჯმენტისა და მარკეტინგის; ქართ. და ევრ. ენების მიმართულებები; საზ. მეცნიერებათა და ინფორმატიკის კათედრები. ქუთაისის ჰუმანიტარულ-სოც. მეცნიერებათა ფაკ-ტზე მოქმედებს სამი პროგრამული მიმართულება: საზ. მეცნიერებათა, სამართლისა და ეკონ. მიმართულებები. თელეთში (თბილისის მახლობლად) მოქმედებს თეუსუ-ის სამეცნ.-კვლ. ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს: ტურიზმის ლაბორატორია, სამართლის კლინიკა და სასწავლო ბანკი. ქ. რუსთავში მოქმედებს თეუსუ-ის მენეჯმენტისა და მარკეტინგის პროგრამული მიმართულება.

თეუსუ-ს გააჩნია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ინფორმატიკის ლაბორატორიები. 2010 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით სწავლობდა 1900 სტუდენტი, მ.შ.: I საფეხურზე (ბაკალავრიატი) – 1575; II საფეხურზე (მაგისტრატურა) – 258; III საფეხურზე (დოქტორანტურა) – 68.

თეუსუ-ში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა საკათედრო, საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო კონფერენციები. წარმატებით მუშაობენ სტუდენტთა სამეცნ. საბჭოები.

2011 წლის 1 თებერვლისათვის თეუსუ-ში მოღვაწეობდა 72 პროფესორი (მ.შ. 31 სრული, 10 ასოცირებული და 11 ასისტენტ-პროფესორი).

ბ-კის წიგნადი ფონდი შედგებოდა 2010 წ. 1 თებერვლისთვის 29,59 ათ. ერთეულისგან (მ. შ. 20,135 ათ. სახელმძღვანელო).

თეუსუ-ს გააჩნია საკუთარი სტამბა (2009-იდან). 2006 ნოემბრიდან კი გამოდის ყოველკვარტალური საერთაშ. რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნ. ჟურნ. ,,კომერსანტი'' (გამოსულია 8 ნომერი). ჰუმანიტარულ-სოც. მეცნიერებათა ფაკ-ტი 2006 წლიდან გამოსცემს სამეცნ. შრომების კრებულს (დაბეჭდილია 7 ნომერი).

თეუსუ თანამშრომლობს საქართვ. უმაღლეს სასწავლებლებთან, სამეცნ.-კვლ. და სხვა ინსტიტუციებთან, აგრეთვე საზღვარგარეთის სასწ. და სამეცნ. ცენტრებთან მ. შ.: ინჰოლანდის უნ-ტთან (ნიდერლანდები), პრაღის უნ-ტთან (ჩეხეთი), პირეის უნ-ტთან (საბერძნეთი). ინჰოლანდის უნ-ტთან თეუსუ-ის თანამშრომლობა ინტენსიურად მიმდინარეობს სამი მიმართულებით: ცენტრ. და აღმ. ევრ. ტრანსფორმაციის პროგრამა; ,,მეწარმეობა საზღვრებს გარეშე'' – სტუდენტური გაცვლითი პროექტის მეორე ეტაპის პერსპექტივები; სამეცნ. თანამშრომლობა.

2006-იდან თეუსუ-ში ფუნქციონირებს დოქტორანტურა. მოქმედებს სამეცნ.-მეთოდური სემინარი, სადაც განიხილება ეკონომიკის, ისტორიის, სამართლისა და სხვა აქტუალური საკითხები.

თეუსუ-ს აქვს აკრედიტაცია. მისი დამაარსებელი და პირველი რექტორი იყო პროფ. გ. თავართქილაძე (1992 წ. 19 მარტიდან – 2007 წ. 15 იანვრამდე). 2007 წ. 15 იანვრიდან თეუსუ-ის რექტორია პროფ. ა. ჩუთლაშვილი.

ბ. ალადაშვილი. ა. ჩუთლაშვილი.

„ეკონომისტი“, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი. გამოდის ორ თვეში ერთხელ. პირველი ნომერი გამოვიდა 2009 წ. იანვარ-თებერვალში. იგი საქართვ. მეცნ. აკადემიის ეკონ. ინ-ტში 1958–67 აკად. პ. გუგუშვილის ინიციატივითა და რედაქტორობით გამომავალი ჟურნ. ,,საქართველოს ეკონომისტის'' ტრადიციების გამგრძელებელია. აშუქებს საქართვ. და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერთა თანამედროვე, აქტუალური, თეორ. და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომებს. მისი ელექტრონული ვერსია ვრცელდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ჟურნალის მთ. რედაქტორია ეკონ. მეცნ. დოქტ. რ. აბესაძე.

ეკონომიძსი, მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საბაზრო სისტემაში, შეზღუდული რესურსების პირობებში, საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების გზებსა და საშუალებებს. იგი საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის სინთეზი და მასზე ორიენტირებული თეორიაა.

ე. *ეკონომიკური თეორიის* კვლევის შედარებით ახ. სფეროა. იგი წარმოიშვა და განვითარდა საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების კვალდაკვალ, განსაკუთრებული ეკონ. დისციპლინის სახით კი ფართოდ გავრცელდა XX ს. II ნახ-იდან.

ე., მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად ეყრდნობა იმ კანონ-

ზომიერებებს, რ-ებსაც ეკონ. თეორია ადგენს, გარკვეულწილად მისგან განსხვავებულ ხედვასაც ემყარება. Ე. ეკონ. პროცესებისა და მოვლენების ანალიზისას მხოლოდ შეზღუდული რესურსებით იფარგლება. მისი ლაიტმოტივია ამ რესურსების საბაზრო ეკონომიკაში ეფექტიანად გამოყენების გზების ძიება და ალტერნატიული ვარიანტებიდან ოპტიმალური არჩევანის გაკეთება. ეკონ. თეორიის საგანი კი გაცილებით ფართოა. იგი ყველა ფუნქციური და დარგობრივი ეკონ. მეცნიერების საფუძველთა საფუძველი და მეთოდოლ. ბაზაა. ეკონ. თეორია სწავლობს საზ-ბის ეკონ. განვითარების კანონზომიერებებსა და თავისებურებებს, იკვლევს სხვადასხვა ეკონ. სისტემაში არსებით მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ეკონ. მოვლენებსა და პროცესებს შორის, რის საფუძველზეც განსაზღვრავს საზ-ბის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს, აყალიბებს ეკონ. მსოფლმხედველობას, რასაც ვერ ვიტყვით Ე-ზე. Ე-ის მიზანი არ არის კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე საზოგადოების ეკონ. განვითარების კვლევა. იგი არ არის ერთიანი სისტემა, მხოლოდ ამ სისტემის ნაწილი და საბაზრო ეკონომიკაში ფუნქციური კავშირების შემსწავლელი მეცნიერებაა.

Ე. კმაყოფილდება ეკონ. ცხოვრების ზოგადი ანალიზით. იგი ეკონ. თეორიისაგან განსხვავებით არ იკვლევს ეკონ. მოვლენების სიღრმისეულ არსს და საზოგადოების სოც. მდგომარეობის მიზეზებს. Ე-ში წინა პლანზეა წამოწეული პრაგმატული მიზნები, ეკონ. თეორიაში კი – თეორიულ-მეთოდოლოგიური. Ე. მეტწილად რაოდენობრივი ანალიზია, ეკონ. თეორია კი – თვისებრივი. ეკონ. მოვლენებისა და პროცესების ახსნაში მათ. მოდელების გამოყენება ,,წმინდა'' თეორიისგან დამოუკიდებლად ნაკლებად ასახავს რეალობას. Ე. ფართოდ იყენებს ეკონომეტრიკულ ანალიზს, ეკონ. თეორია კი ორიენტირებულია შემეცნებაზე, ეკონ. მოვლენების სიღრმისეული არსის გამოვლენაზე, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენაზე, მაშინ, როდესაც Ე. მთავარ მიზნად ისახავს ეკონომიკის მართვისათვის პრაქტ. რეკომენდაციების შემუშავებას.

Ე. ეკონომიკური სინამდვილის ცალკეული ფრაგმენტებისა და მათი შესაბამისი თეორიების ერთობლიობაა. იგი ფრაგმენტებისგან ქმნის ეკონომიკის მთლიან სურათს, ეკონ. თეორიამ კი, პირიქით, მთლიანობის ადეკვატური სურათის მეშვეობით უნდა ასახოს ეკონ. სინამდვილის ესა თუ ის ფრაგმენტი.

Ე. წარმოების განვითარების საკითხებს დანახარჯებისა და შედეგების თანაფარდობის და სარგებლიანობის კუთხით განიხილავს; იგი მიზნად არ ისახავს ეკონ. სისტემის ღრმა მეცნიერულ ანალიზს და ძირითადად შეისწავლის ერთი ეკონ. სისტემის სამეურნეო მექანიზმს. ეკონ. თეორიის კვლევის ერთ-ერთი მეთოდი კი ეკონ. სისტემების შედარებითი ანალიზია.

Ე. საკუთრებას განიხილავს, როგორც ადამიანის დამოკიდებულებას ნივთისადმი. ეკონ. თეორია კი არკვევს ეკონ. მოვლენის ისტ. წინაპირობებს, მისი წარმოშობის მიზეზსა და შედეგს, გვეხმარება ტენდენციების დადგენაში და გვიჩვენებს ეკონ. განვითარების მიმართულებას. ამიტომაცაა, რომ ეკონ. თეორიისა და Ე-ის კვლევის საგნები ერთმანეთს კვეთს და გარკვეულწილად ემთხვევა კიდეც, ოღონდ შესწავლის კუთხე აქვთ სხვადასხვაგვარი.

Ე-ის პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო 1948 აშშ-ში გამოსცა პოლ სამუელსონმა. ეს იყო პერიოდი, როდესაც უკვე მომწიფდა ნიადაგი ეკონომიკაში მომხდარი რევ. ცვლილებების ასასახავად, ახალი ეკონ. მოვლენების ასახსნელად. Ე-ის ფართოდ გავრცელებასა და განვითარებას ხელი შეუწყო XX ს. 60–70-იანი წლებიდან მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ეკონ. პროცესების ცვლილებამ, ინტენსივობამ და მასშტაბურობამ. XX ს. ბოლო ათწლეულში სწრაფად განვითარებულმა მოვლენებმა და პროცესებმა – მსოფლიო სოციალ. სისტემის დაშლამ, მრავალი ქვეყნის (მ. შ. საქართველოს) მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ და განვითარების ახალ გზაზე დადგომამ მოითხოვა ეკონ. მეცნიერების წინაშე ახ. პრობლემების თეორიული გააზრება-გაანალიზების აუცილებლობა. ამ თვისებრივად ახალი პრობლემების გადაჭრა კლასიკური სქემის ფარგლებს სცილდება.

საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობამ სავსებით კანონზომიერად მოითხოვა უმაღლეს სასწავლებლებში Ე-ის სასწავლო კურსის შემოღება, რასაც მოჰყვა როგორც უცხოური სახელმძღვანელოების ქართულად თარგმნა, ისე ქართ. შესაბამისი ლიტ-რის გამოცემა. სახელდობრ, კ. ღურწკაიამ თარგმნა და გამოსცა: პ. სამუელსონისა და ვ. ნორდჰაუსის ,,ეკონომიკა'' (XV გამოცემა); კ. მაკ-კონელისა და ს. ბრიუს ,,ეკონომიკსი'' (XI გამოცემა); ს. ფიშერის, რ. დორნბუშის, რ. შმალენზის ,,ეკონომიკა'' (II გამოცემა). გამოქვეყნდა მრავალი სახელმძღვანელო და სპეც. ეკონომიკური ლიტ-რა, რ-თა შორის აღსანიშნავია: ,,ეკონომიკსი'', შემდგენელი პ. ლეიაშვილი (თბ., 2003); მ. გველესიანი, ,,ეკონომიკსი. ლექციების მოკლე კურსი'' (თბ., 2000); რ.შ. ასათიანი, ,,ეკონომიქსი. განმარტებითი ლექსიკონი''. I, II, III გამოცემა (თბ., 1996, 2003, 2006); ა. სილაგაძე, ჯ. კახნიაშვილი, ე. მექვაბიშვილი, ,,მიკროეკონომიქსი'' (თბ., 2006); რ.შ. ასათიანი, ,,ეკონომიკური თეორია და ეკონომიქსი: ერთიანობა და განსხვავება'' (თბ., 2005).

რ. შ. ასათიანი.

,,ეკო-ფუდი'' (შპს), რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია. დაარსდა 2004 თბილისში. აღჭურვილია თანამედროვე მანქანა-დანადგარებით და ლაბორატორიით, სადაც მოწმდება ნედლეული და პროდუქცია. უშვებს 40-მდე დასახელების პროდუქციას: რძეს, მაწონს, არაჟანს, კარაქს, კეფირს, ხაჭოს, მაიონეზს და სხვ. ,,Ე.-ფ-მა'' პირველმა დაიწყო საქართველოში მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ფართოდ დამკვიდრებული ბიოლოგიურად აქტიური ბიფიდო ბაქტერიებით გამდიდრებული პროდუქტების, კერძოდ, ბიფიდომაწვნის, ბიფიდო-კეფირის წარმოება, რ-იც ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებას, იცავს ალერგიისაგან, აღადგენს ენერგიას. კომპანიას რძე მიეწოდება სამხრ. და აღმ. საქართველოში არსებული რძის შემგროვებელი პუნქტებიდან. საწარმოს დღე-ღამეში 70–75 ტ რძის გადამუშავება შეუძლია. მზა პროდუქციის რეალიზაცია ხდება მთელ საქართველოში. კომპანიას აქვს თავისი საფირმო მაღაზიები თბილისსა (4) და მცხეთაში (2).

2005-იდან სავაჭრო მარკა ,,ეკო-ფუდის'' მესაკუთრე გახდა კომპანია შპს ,,ჯორჯიან ეკო''. კომპანია ფლობს სურსათის უვნებლობისა

(ISO 22000:2005) და ხარისხის მართვის (ISO 9001:2008) საერთაშორისო სერტიფიკატებს (2007-იდან). *ლ. აბრამიშვილი.*

„ეკრანი“ (სააქციო საზოგადოება), ტელევიზორების ქარხანა. ამ პროფილის ერთადერთი საწარმო სამხრ. კავკასიის რეგიონში. დაარსდა 1979 თბილისში, როგორც მოსკ. საწარმოო გაერთიანება „რუბინის“ თბილ. ფილიალი „ზარია“, 1984-იდან კი ამავე საწარმოო გაერთიანებაში შემავალი ქ-ნა გახდა (თბილისის ტელევიზორების ქარხანა „ეკრანი“). მისი რეორგანიზაციის შემდეგ 1993 ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბა „ე.“ საწარმო მდებარეობდა ორთაჭალაში, ეკავა 1,5 ჰა ფართობი, ხოლო შენობა-ნაგებობებს – 15600 $მ^2$. უშვებდა შავ-თეთრსა და ფერად ტელევიზორებს, აგრეთვე აწყობდა (მცირე რაოდენობით) სხვადასხვა სახის აპარატურას (ვიდეო- და აუდიოტექნიკას, მტვერსასრუტებს, საკასო აპარატებს და სხვ.), ენერგოსისტემისათვის – ახ. ტიპის სხვადასხვა მოდიფიკაციის ელექტრულ მრიცხველებს. საჭირო მასალები და მაკომპლექტებელი ნაწილები შემოჰქონდათ ინგლისიდან, იტალიიდან, რუსეთიდან, ჩინეთიდან, პოლონეთიდან, ლიტვიდან და სხვა ქვეყნებიდან. „ე-ის“ საწარმოო სიმძლავრე იყო 70000 ცალი ტელევიზორი წელიწადში. 1993 წლამდე პროდუქცია გაჰქონდათ არა მარტო სამხრ. კავკასიის რესპუბლიკებში, არამედ სხვა ქვეყნებშიც: რუსეთში, ყაზახეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთსა და უზბეკეთში. 1995-იდან საწარმო მუშაობდა არასრული დატვირთვით, ხოლო 2005-იდან საერთოდ შეწყვიტა ფუნქციონირება.

ლ. აბრამიშვილი.

ეკუმენიზმი, მოძრაობა, რომლის მიზანია ყველა ქრისტიანული კონფესიის გაერთიანება. ჩაისახა პროტესტანტული ეკლესიის წიაღში XIX–XX სს-ში. ოფიციალურად გაფორმდა 1910 ედინბურგში (დიდი ბრიტანეთი) მისიონერთა მსოფლიო კონფერენციაზე, რ-საც 1921 „მისიონერთა საერთაშორისო საბჭო“ ეწოდა. მან გამოაცხადა ქრისტ. ეკლესიების გაერთიანება დოგმატური და კანონიკური განსხვავებების ხელშეუხებლად. ეკუმენური მოძრაობის მომხრეები თანდათან გაჩნდნენ პროტესტანტული სამყაროს გარეთაც. შედეგად საფუძველი ჩაეყარა საერთაშ. მასშტაბის ორგანიზაციის, ანუ ეკუმენური მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანოს – *ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს* შექმნას.

ელაზნაურის შეთანხმება 1804, ხელშეკრულება რუსეთის იმპერიასა და იმერეთის სამეფოს შორის; ხელი მოაწერეს 25 აპრილს სოფ. ელაზნაურში [ახლანდ. სოფ. ვახანის (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი) მიდამოებთან] იმერეთის მეფე სოლომონ II-მ და რუსეთის მხრიდან გენ. პ. ციციანოვმა. ე. შ. შედგება 17 მუხლისაგან. ხელშეკრულების თანახმად იმერეთის სამეფო რუსეთის ქვეშევრდომად გამოცხადდა, თუმცა სოლომონ II-ს მეფობა საშვილიშვილოდ რჩებოდა; იმ შემთხვევაში თუ სოლომონს ვაჟი არ ეყოლებოდა, მის მემკვიდრედ *კონსტანტინე ბატონიშვილი* (იმერთა მეფის, დავით II-ის ძე) გამოცხადდებოდა. ტახტზე ახლად ასულ იმერეთის მეფეს სათანადო სიგელით ამტკიცებდა რუს. იმპერატორი. იმერეთის მეფე უნდა დამორჩილებოდა საქართველოში რუს. „უპირველეს მმართველს“. მეფის ხელში რჩებოდა ქვეყნის საშინაო საქმეების გამგებლობა. მას რუსეთის კანონებით უნდა ემოქმედა. რუსეთი კისრულობდა იმერეთის დაცვას. ამ მიზნით იქ თავის ჯარს ჩააყენებდა. იმერეთის მეფეს რუს. ჯარისათვის უნდა აეშენებინა სადგომები, მოემარაგებინა შეშით, სურსათითა და ფურაჟით; ხოლო თვითონ წილი უნდა მიეღო ქვეყნის ტერიტორიაზე რუსი სპეციალისტების მიერ აღმოჩენილი მადნიდან და რუსების მიერ აგებული ახ. ქალაქების შემოსავლიდან. ამასთან, მეფე ვალდებული იყო ახლად გახსნილი საბადოები უზრუნველეყო მუშახელით, მოეწესრიგებინა გზა ვახანიდან ქუთაისამდე და ფოთამდე, უსაფრთხო გაეხადა მიმოსვლა, შავი ზღვის ფლოტის მშენებლობისათვის ხეტყით მოემარაგებინა რუსეთი და გამოეყო მუშახელი. გურიის სამთავრო რჩებოდა იმერეთის მეფეს, რ-იც ვალდებული იყო დადიანისათვის დაებრუნებინა ოდიშსა და ლეჩხუმში დაკავებული ციხეები, გაეთავისუფლებინა ტყვეები და არ შეევიწროებინა სამეგრელოს მთავარი. იმერეთის მეფე არ აიღებდა ბაჟს სამეფოს ტერიტორიაზე გატარებული საქონლიდან, ჯილდოდ მიიღებდა რუს. საბაჟოების შემოსავლის ნაწილს. იმერეთიდან ქართლში ვერავინ გადასახლდებოდა მეფის ნებართვის გარეშე, ხოლო ქართლიდან იმერეთში – მთავარსარდლობის ნებართვის გარეშე. ეს წესი ადრე გადასახლებულებზე არ ვრცელდებოდა. რუს. იმპ. ალექსანდრე I-მა იმერეთის მეფის თხოვნით 1804 წ. 4 ივლისს გამოსცა სიგელი, რ-ითაც დაადასტურა მეფის „მუხლნი სათხოვრისანი“ – იმერეთის სამეფოს რუს. მფარველობაში შესვლა. ე. შ. იმერეთის სამეფოს, როგორც პოლიტ. ერთეულის, არსებობას ცნობდა და მფარველობის ფარგლებს არ სცილდებოდა.

პუბლ.: პაიჭაძე გ., იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის 1804 წლის შეთანხმება, კრ.: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, [ტ.] 2, თბ., 1973; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ.2, თბ., 1965.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; ბურჯანაძე შ., იმერეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან სოლომონ მეორის დროს (1794–1810 წწ.), «მაცნე», 1967, №3; დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1957; Дубровин Н., Закавказье от 1803-1806 года, СПб., 1866; Пирцхалаишвили А. Г., Имеретия и Гурия в период 1804-1840 г., «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1942, ნაკვ. 1.

ვ. მაჭარაძე.

ელანიძე ვალერიან აბრამის ძე (დ. 11. I. 1931, სოფ. ჩიღო, ახმეტის მუნიციპალიტეტი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1999). 1960 დაამთავრა ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწ. პედ. ინ-ტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკ-ტი. 1961–99 მუშაობდა ამავე უნ-ტში სხვადასხვა სამეცნ.-პედ. თანამდებობებზე, 1999-იდან იქვე ხელმძღვანელობს ისტორია-სამართლისმცოდნეობის ფაკ-ტს, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურს. ე. პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ეწევა სამეცნიერო საქმიანობას. მისი კვლევის საგანია თუშეთისა და კახეთის ისტორიის საკითხები. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

თხზ.: თუშეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1988; კახეთის ისტორიის პრობლემური საკითხები, თბ., 2006.

ელარის არქეოლოგიური ძეგლები, ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლთა კომპლექსი, აღმოჩენილია ქ. ერევნის ჩრდილოეთით 18 *კმ*-ზე სოფ. ელარში. ამ ძეგლებიდან განსაკუთრებით საინტერესოა აღრინდ. ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი. მიკვლეულია წრიული სახლები და სამეურნეო ორმოები, ტლანქად ნაგები ქვის სამარხები; აღმოჩე-

ნილია *მტკვარ-არაქსის კულტურის* ადრინდ. საფეხურისათვის დამახასიათებელი სადა კერამიკა და ბრინჯაოს სატევრისპირები. გათხრილია აგრეთვე 10 კრომლეხი (დიამეტრი 3×3,5 *მ*), ზოგი მათგანი – მიწაყრილიანი. ნაპოვნია რკინის ხანის ნივთები: რკინის სამაჯური, ბრინჯაოს ბუნიკი, შავპრიალა თიხის ჯამი, სარდიონის მძივები.

ლიტ.: Куфтин Б. А., Урартский «Колумбарий» у подошвы Арарата и Куро-Араксский энеолит, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1944, ტ. 13 B; Мартиросян А. А., Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ер., 1964; Чубинишвили Т. Н., К древней истории Южного Кавказа, [т.] 1, Тб., 1971. *თ. კილურაძე.*

ელაშვილი ვასილ ივანეს ძე (10. IX. 1914, სოფ. ჯუგაანი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 15. XI. 1997, თბილისი), ფიზიკური კულტურისა და სპორტის მოღვაწე. პედ. მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1979), საქართვ. ფიზ. კულტურისა და სპორტის დამს. მუშაკი (1987). 1941 დაამთავრა საქართვ. ფიზ. აღზრდისა და სპორტის აკადემია. 1941-იდან მუშაობდა ამავე დაწესებულებაში. 1949–75 განაგებდა ფიზ. კულტურის თეორიისა და მეთოდიკის კათედრას. 1976-იდან იყო იმავე კათედრის პროფესორი. ე. შეისწავლიდა სასკოლო ფიზ. აღზრდის პრობლემებს; დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართ. ხალხური მოძრავი თამაშების, ფიზიკური ვარჯიშების აღდგენისა და დანერგვის საქმეში. იუნესკოსთან არსებული სპორტის ისტ. და ფიზ. აღზრდის საერთაშ. კომიტეტის წ.-კორ. წლების მანძილზე იყო ქართ. ენციკლოპედიის სპორტის სამეცნ. საბჭოს აქტიური წევრი და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. არის მრავალი სამეცნიერო შრომის, მათ შორის 10 მონოგრაფიის ავტორი.



თ. ელბაქიძე. კატარინა, პადუის დედოფალი, ვ. ჰიუგოს ,,ანჟელო‘‘.

თხზ.: მშვილდოსნობა, თბ., 1959; სპორტული წვრთნის საკითხები, თბ., 1964; Парикаоба (хевсурское фехтование), Тб., 1956; Традиции грузинской народной физической культуры и современность, Тб., 1973. *ა. ციბაძე.*

ელაშვილი ზაზა მიხეილის ძე (15. V. 1934, სოფ. ჯუგაანი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 9. IV. 2008, თბილისი), ქიმიკოსი. ქიმ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (2002). დაამთავრა თსუ (1957). 1957–63 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკისა და ორგანული ქიმიის ინ-ტში, 1963-იდან – საქართვ. მეცნ. აკად. კიბერნეტიკის ინ-ტში, 1997-იდან კი – თსუ-ში (შეთავსებით). ე-ის შრომები ეხება თხევად კრისტალებში სპირალური სტრუქტურის ინდუცირების მიზნით ოპტიკურად აქტ. ნივთიერებების სინთეზს და ფოტოქიმიურად მდგრადი თერმომგრძნობიარე სისტემების სპექტროსკოპულ შესწავლას. მიღებული აქვს საქართვ. სახელმწ. პრემია (1989; სხვებთან ერთად). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი.

ელბაქიანთკარი, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტის ზღუდრის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ძამის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 860 *მ,* ქარელიდან 18 *კმ.* 116 მცხ. (2002).

სოფლის სამხრ-ით, 0,5 *კმ*-ზე, მდ. ორთუბნისწყლის აყოლებით, მთის ფერდობზე დგას XVIII–XIX სს. იოანე მახარებლის ერთნავიანი ეკლესია. ნაგებია რიყის ქვითა და ქვიშაქვის კვადრებით. გადამხური კამარა წყვილ პილასტრზე ამოყვანილ შეისრულ საბჯენ თაღს ეყრდნობა. ინტერიერში აგურით ნაგები კანკელის ნაშთია. სოფლის სამხრ-ით, მდ. ძამის მარჯვ. ნაპირზე, მთის ფერდობზე, განვითარებული შუა საუკ. მაცხოვრის ერთნავიანი ეკლესია დგას, რ-საც ჩრდ-ით ოდნავ მოკლე სათავსი – სამკვეთლო – ეკვრის. მოგვიანებით სამხრ-ით, დას-ით და ჩრდ-ით მიაშენეს დამატებითი სათავსები. ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეში ქვით. კონსტრუქციული ნაწილები შირიმის ქვისაა. ნაგებობა ძალზე დაზიანებულია. დას. ფასადზე, შესასვლელის თავზე, ლილვებით შედგენილ თაღოვან ჩარჩოში გამოსახულია განედლებული ჯვარი. სოფლის შუაში დგას ძლიერ დაზიანებული გვიანდ. შუა საუკ. ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესია. ნაგებია დაკუთხული ბაზალტის კვადრებით. წყობაში დაყოლებულია ლოდებიც. აღმ-ით, საკურთხეველში კედელზე მიშენებულია ტრაპეზი. გადამხური კამარა წყვილ პილასტრზე ამოყვანილ საბჯენ თაღს ეყრდნობოდა. სოფლის სამხრ-ით 1 *კმ*-ზე, მდ. ძამის ხეობაში, კლდის პირას 4 *მ* სიმაღლის სუბსტრუქციაზე დგას გვიანდ. შუა საუკ. წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია (დაზიანებული), რ-ის კედელ-კამარა შელესილი და მოხატული ყოფილა.

ელბაქითა, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის ხვწის თემში (შიდა ქართლის მხარე), გერმუხის ქედის დას. კალთაზე, მდ. ლიახვის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1260 *მ,* ჯავიდან 8 *კმ,* ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 30 *კმ.* 12 მცხ. (1989).

ელბაქიძე არკადი ყარამანის ძე (1879, სოფ. წესი, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 13. IX. 1919, თბილისი), ბოლშევიკი, ტერორისტი. კომპარტიის წევრი 1906-იდან. რუს. პირველი რევოლუციის დროს გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლებში მონაწილეობის გამო ორჯერ იყო დაპატიმრებული, მაგრამ ორჯერვე გაიქცა. 1912 ნოვოჩერკასკში ჩადენილი დანაშაულის გამო (ე. წ. ექსპროპრიაციაში მონაწილეობა) სამუდამო კატორღა მიესაჯა. 1917 თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და მონაწილეობა მიიღო ბოლშევიკთა მიერ ინსპირირებულ გლეხთა გამოსვლებში. ამის გამო საქართვ. მენშევიკურმა მთავრობამ გაასახლა ჩრდ. კავკასიაში, სადაც თერგის საბჭოთა რესპუბლიკის საგანგებო კომისიაში მუშაობდა. რუს. მოხალისეთა არმიის სარდლობასთან ურთიერთობის გამწვავებისა და პროვოკაციის მიზნით 1919 წ. 13 სექტ. ე-მ ყუმბარა ესროლა თბილისში ვერის დაღმართზე მიმავალ გენ.-ლ. ი. ოდიშელიძის ავტომანქანას, რ-შიც იჯდა კავალერიის გენ. ნ. ბარათაშვილი (ბარათოვი). იგი მოხალისეთა არმიის სარდლის, გენ. ა. დენიკინის სახელით სამშვიდობო მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართვ. მთავრობასთან. ამ აქტის შედეგად გენ. ბარათაშვილი და გენ. ოდიშელიძე დაიჭრნენ. ტერორისტმა მიმალვა სცადა, მაგრამ საპასუხო სროლის შედეგად სასიკვდილოდ დაჭრილი ე. მდ. მტკვარში ჩავარდა და დაიღუპა. 1928 საბჭ. მთავრობამ (სიკვდილის შემდეგ) წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

ფ. ლომაშვილი.

ელბაქიძე თინათინ კონსტანტინეს ასული (დ. 5. VIII. 1933, თბილისი), ჟურნალისტი, მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1985). დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრალური ინ-ტის სამსახიობო ფაკულტეტი (1956). მუშაობა დაიწყო სოხუმის სახელმწ. დრამ. თეატრში. იყო თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი. 1956–1961 წლებში შეასრულა 20 როლი: მაია წყნეთელი (ვ. კანდელაკის ,,მაია წყნეთელი‘‘), ბეატრიჩე (კ. გოლდონის

,,ორი ბატონის მსახური‘‘), ბიანკა (უ. შექსპირის ,,ოტელო‘‘) და სხვ.

ე. 1961-იდან 2004-მდე მუშაობდა საქართვ. რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის დიქტორად, ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას, ჰქონდა საავტორო გადაცემები: ,,რაღაც უნდა გადარჩეს‘‘ და ,,ლიტერატურული სალონი‘‘. პარალელურად 1980 დააარსა ,,ერთი მსახიობის პუბლიცისტური თეატრი‘‘, რ-ის პირველი სპექტაკლები დაიდგა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე. შემდეგ თეატრმა თსუ-ში გადაინაცვლა და 2005-მდე იარსება. ე. იყო ამ თეატრის მსახიობიც, რეჟისორიც, მხატვარიც, კომპოზიტორიც, რეპერტუარის ავტორიც. თეატრის მრავალფეროვანი რეპერტუარიდან აღსანიშნავია: ,,რუსთაველის ნაკვალევზე‘‘ (ი. აბაშიძე), ,,წინ, დავით აღმაშენებლისაკენ‘‘ (აკ. ბაქრაძე), ,,პატარა სამშობლო‘‘ (გ. ქიქოძე), ,,მხოლოდ სიმართლეა შეუმუსრავი‘‘ (აკ. გაწერელია) და სხვ.

ე. ავტორია კრებულებისა: ,,ჩემი კუნძული‘‘, ,,რადიოს ოქროს ფონდის საგანძური‘‘ და ,,სხვა და სხვა‘‘.

ელბაძიძე მიხეილ სიმონის ძე (დ. 20. IX. 1931, სოფ. ელბაქიანთკარი, ახლანდ. ელბაქიანი, ქარელის მუნიციპალიტეტი), საბჭოთა გენერალ-ლეიტენანტი (1988). დაამთავრა თბილ. მეტალურგ. ტექნიკუმი (1951), კიევის საერთო საჯარისო სასწავლებელი (1955), მ. ფრუნზეს სახ. სამხ. აკადემია (1965). 1955–62 მსახურობდა ბალტიისპირეთის სამხ. ოლქში. 1965-იდან მეთაურობდა კარპატისპირეთის სამხ. ოლქის მოტომსროლელ ბატალიონს, 1967-იდან – პოლკს. 1972–76 მუშაობდა დივიზიის შტაბის უფროსად, 1976–84 – კარპატისპირეთის სამხ. ოლქის შტაბის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, შტაბის უფროსად. 1982 მიენიჭა გენ.-მაიორის წოდება. 1984–92 იყო საქართვ. სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი, 1992–94 – საქართვ. თავდაცვის სამინისტროს შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, თავდაცვის სამინისტროს სამხ. მრჩეველი. 1994-იდან თადარიგშია. მიღებული აქვს საბრძოლო ჯილდოები. *ლ. დოლიძე.*

ელდარის დაბლობი, ე ლ დ ა რ ი ს ვ ე ლ ი, აკუმულაციური ვაკე-დაბლობი საქართველოსა და აზერბაიჯანში, მდ. ივრის ქვემო დინების ორივე ნაპირზე, მინგეჩევირის წყალსაცავის დას. ნაწილის ჩრდ-ით. აგებულია მეოთხეული ალუვიური და დელუვიური დანალექებით. საქართველოს ფარგლებში ვრცელდება მდ. ივრის მარცხ. სანაპიროს გასწვრივ 25 *კმ*-ზე. სიმაღლე ზ. დ. 100–200 *მ.* ე. დ. ერთადერთი ადგილია საქართველოში, სადაც ნამდვილი ნახევარუდაბნოს ლანდშაფტია. ნალექების წლ. ჯამია 300 *მმ,* ამის შესაბამისად, მდინარის ჩამონადენის მოდულიც დაბალია – 1–2 *ლ/წმ კმ*^{2}-ზე. რუხ-მურა ნიადაგებზე განვითარებულია აბზინდიანი ნახევარუდაბნოს მცენარეულობა, რ-ის ფონზეც ადგილ-ადგილ გავრცელებულია ხურხუმოიანები და უროიანები. აზერბაიჯანში, სოფ. ქესამანთან არის ბუნებრივი ასფალტის საბადო. საქართვ. და აზერბ. საზღვარზე შემორჩენილია ენდემური *ელდარის ფიჭვი.* ე. დ-ს იყენებენ ცხვრის საზამთრო საძოვრებად. *ლ. მარუაშვილი.*

ელდარის ფაუნა, გვიანსარმატული დროის (დაახლოებით 9 მლნ. წლის წინანდელი) ხერხემლიანების ერთობლიობა, ტიპური ჰიპპარიონული ფაუნა, რ-ისთვისაც ყველაზე დამახასიათებელი წარმომადგენელია სამთითა ცხენისნაირი *ჰიპპარიონი* და ზოგიერთი მისი თანამგზავრი. ე. ფ-ის ადგილსამყოფელი მდებარეობს ელდარის ველზე, საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე, მდ. ივრის მარჯვ. სანაპიროზე. ელდარის ხერხემლიანთა ფაუნის წარმომადგენლების განამარხებული ძვლები გვხვდება მოლუსკური ფაუნის ზედასარმატულად დათარიღებულ შრეებში, ე. წ. ფერადი წყების მკვრივ ქვიშაქვებში. სახეობათა რაოდენობა ორ ათეულს აღემატება. ჰიპპარიონული ფაუნისათვის დამახასიათებელი ისეთი ძუძუმწოვრების გარდა, როგორიცაა თვითონ ჰიპპარიონი, ხალებიანი აფთარი, ხორთუმიანები, მასტოდონტები, მარტორქა, ჟირაფი, ანტილოპა, არქაული ირემი, ღორისნაირი მიკროსტონიქსი, გვხვდება აგრეთვე კურდღელი, სელაპი, ხმელეთის კუ, სირაქლემა. ამ ცხოველთა თანაარსებობა იმაზე მეტყველებს, რომ გვიანსარმატულ დროს ელდარის მიდამოები და მოსაზღვრე უბნები ლანდშაფტის მრავალფეროვნებით და ზომიერად თბილი, ტენიანი ჰავით ხასიათდებოდა. *გ. მელაძე.*

ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica), მარადმწვანე დაბალტანიანი (12–15 *მ*) ხე ფიჭვისებრთა ოჯახისა. მესამეული პერიოდის რელიქტია. ხშირად მრუდე ღერო და ფართოდ გაშლილი ვარჯი აქვს. ქერქი მურა-ნაცრისფერია და დამსკდარი; ახალგაზრდა ღეროსი კი – გლუვი და ნაცრისფერი. ბუნებრივად იზრდება ელდარის ველის დას. ნაწილში, საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე, მდ. ივრის მარჯვ. ნაპირზე, ელიარ-ოუღის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთებზე, ზ. დ. 450-600 *მ*-ზე. აქ 392 *ჰა*-ზე, სარმატული პერიოდის მშრალ, ქვიან, ქვიშა-თიხოვან დიდი დაქანების ფერდობებზე ე. ფ. ქმნის მეჩხერ კორომებს ღვიასთან, ხეჭრელთან, ბროწეულთან, კოწახურთან და ჯორისძუასთან ერთად. ე. ფ. სამხრეთკავკასიური ენდემია, თუმცა ბოლო წლებში აღწერილია ირანში ელბურსის ქედის ფერდობებზე.



ელდარის ფიჭვი.

ე. ფ. კავკასიაში მოზარდ ფიჭვებთან შედარებით ყველაზე უფრო გვალვაგამძლეა, ნიადაგის მიმართ – ნაკლებმომთხოვნი. იზრდება თხელ, ქვიან ნიადაგზე, კარგად ხარობს კირიან და მცირედ დამლაშებულ ნიადაგზეც. ტიპური სინათლის და სითბოს მომთხოვნი მცენარეა. ზიანდება –20°C-ზე მეტი ყინვის დროს, ცუდად იტანს ხანგრძლივ, მშრალ ზამთარს. ფართოდ იყენებენ აღმ. საქართვ. მშრალ რ-ნებში, კერძოდ თბილისში, ეროზირებული ფერდობების გასამწვანებლად (ზ. დ. 600–700 *მ* სიმაღლემდე). თბილისის მიდამოებში გაშენებულია 300 *ჰა*-ზე მეტ ფართობზე, შეტანილია სსრკ, აგრეთვე ,,საქართველოს წითელ წიგნში‘‘. *ა. ჟკუა.*

ელეგი (თურქ. elek), კაცისა და ქალის მოკლე ზედატანი. გავრცელებული იყო უმთავრესად გურიაში, აჭარასა და ლაზეთში, ხოლო როგორც ქალის ტანსაცმელი – სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმსა და აფხაზეთში. მამაკაცის ე. დასავლურ ქართული *ჩაქურას* კომპლექსში შემავალი ერთ-ერთი ელემენტი იყო, რ-საც ჩოხის ქვეშ და ახალუხის (ზუბუნი) ზემოდან იცვამდნენ. ე-ის თარგი წარმოადგენდა წინა ორ კალთას, ზურგს, სახელოებსა და საყელოს (ზოგჯერ უსახელოდაც ამზადებდნენ). ქალის ე. ხშირად ყაითნითა და ნაქარგით იყო გაწყობილი. ე-ის გამოყენება XX ს. 30-იან წლებამდე დასტურდება.

ლიტ.: საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა. მეგზური, თბ., 1958; შ ა რ ა შ ი ძ ე გ., გურული ლექსიკონი, თბ., 1938.

ც. ბერაძე.

ელემენტარული ნაწილაკებისა და ბირთვის ფიზიკის განვითარების ძირითადი ეტაპები

ძვ.წ. V ს.
ბერძენმა ფილოსოფოსმა დემოკრიტემ ივარაუდა განუყოფელი ნაწილაკების (ატომების) არსებობა.

1887
გერმანელმა ფიზიკოსმა ჰ. ჰერცმა აღმოაჩინა გარე ფოტოეფექტი.

1895
გერმანელმა ფიზიკოსმა ვ. რენტგენმა აღმოაჩინა რენტგენის სხივები.

1896
ფრანგმა ფიზიკოსმა ა. ბეკერელმა აღმოაჩინა ბუნებრივი რადიოაქტივობა.

1897
ინგლისელმა ფიზიკოსმა ჯ. ჯ. ტომსონმა აღმოაჩინა ელექტრონი.

1898
ფრანგმა ფიზიკოსებმა პ. კიურიმ და მ. სკლოდოვსკა-კიურიმ მიიღეს და შეისწავლეს პოლონიუმი და რადიუმი.

1899
ინგლისელმა ფიზიკოსმა ე. რეზერფორდმა აღმოაჩინა α- და β-გამოსხივება.

1900
ფრანგმა ფიზიკოსმა პ. ვილარმა აღმოაჩინა γ-სხივები.
გერმანელმა ფიზიკოსმა მ. პლანკმა წამოაყენა კვანტების ჰიპოთეზა.

1902–03
ე. რეზერფორდმა და ინგლისელმა მეცნიერმა ფ. სოდიმ დაადგინეს რადიოაქტიური გარდაქმნების კანონი (წანაცვლების კანონი).

1908
გერმანელმა ფიზიკოსმა ჰ. გაიგერმა ე. რეზერფორდთან ერთად გამოიგონა ცალკეული დამუხტული მიკრონაწილაკების მთვლელი. 1928 მანვე გერმანელ ფიზიკოსთან ვ. მიულერთან ერთად გააუმჯობესა ეს ხელსაწყო (მას გაიგერ – მიულერის მთვლელი უწოდეს).

ელეგია (ბერძნ. elegeia), ლირიკული პოეზიის ჟანრი, სევდისა და წუხილის გამომხატველი ლექსი. წარმოიშვა საბერძნეთში. უძველესი ე-ების ავტორად ითვლება კალინე ეფესელი (ძვ. წ. VII ს. I ნახ.). ძვ. ბერძნ. ე. შედგებოდა რამდენიმე ელეგიური დისტიქისაგან. თავდაპირველად ე. ეძღვნებოდა სამხ. ძლევამოსილებას, პატრ. თემას, ზნეობრივ საკითხებს (მაგ., მიმნერმესა და არქილოქეს ე-ები). ე-ებს წერდნენ ჰორაციუსი, პროპერციუსი, ოვიდიუსი, ტიბულუსი. ალექსანდრიულ და რომაულ ე-ებში გამოხატული იყო სატრფიალო განცდები, გულგატეხილობა, სიმარტოვე. ახ. ევროპულ ლიტ-რაში ე-მ დაკარგა თავისი საზომი. იგი იქცა სევდიან და ფილოს.-მედიტაციური განწყობილების გამომხატველ ლექსად. ინგლ. ლიტ-რაში ე-ს სამგლოვიარო განწყობილების გამოხატვა დაეკისრა.

ქართ. პოეზიაში ელეგიური საზომი არ დამკვიდრებულა. ამ ჟანრის ნაწარმოებია ი. ჭავჭავაძის ,,ელეგია'', რ-შიც ეროვნ. გულისტკივილია გადმოცემული. პირადი განწყობილების გამომხატველია გ. ტაბიძის რამდენიმე ელეგია.

მ. გიგინეიშვილი.

ელელიძეები, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტის დეკანაშვილების თემში (აჭარის არ), მდ. აჭარისწყლის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 840 *მ*, ხულოდან 4 *კმ*. 173 მცხ. (2002). სოფელში არის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახ. სას. სასწავლებელი, აბუსერისძე ტბელის სახ. გიმნაზია.

სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლ. მასალით დასტურდება, რომ ადამიანს აქ ჯერ კიდევ ანტ. ხანაში უცხოვრია. სოფელს სახელი უწოდეს ელელიძეების საგვარეულოს მიხედვით.

ელემენტარული ნაწილაკები-სა და ბირთვის ფიზიკა, მეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის მატერიის შემადგენელი უმცირესი ნაწილაკების – ე ლ ე მ ე ნ ტ ა რ უ ლ ი ნ ა წ ი ლ ა კ ე ბ ი ს (ენ) და ძლიერად ურთიერთქმედი ნაწილაკების ბმული სისტემის (ატომბირთვის) თვისებებს, აგრეთვე მათი ურთიერთქმედებით გამოწვეული პროცესების კანონზომიერებებს. პირველი ენ-ის – ელექტრონის – არსებობა 1897 დაადგინა ჯ. ჯ. ტომსონმა. 1932-იდან, ნეიტრონის აღმოჩენის შემდეგ, იწყება ბ ი რ თ ვ ი ს ფ ი ზ ი კ ი ს (ბფ), როგორც მეცნ. დამოუკიდებელი დარგის, განვითარება. დ. *ივანენკოსა* და ვ. *ჰაიზენბერგის* მიერ შემოთავაზებულ იქნა ბირთვის აგებულების ნეიტრონულ-პროტონული მოდელი – ბირთვის ტრად. (ნუკლონური) მოდელი.

შემდგომში მნიშვნელოვანი გახდა მატერიის უმარტივესი შემადგენელი ნაწილაკების ძიება, მათი თვისებებისა და ურთიერთქმედების კანონების დადგენა. ამის შედეგად ჩამოყალიბდა თანამედროვე ფიზ. ერთ-ერთი ძირითადი დარგი – ე ლ ე მ ე ნ ტ ა რ უ ლ ი ნ ა წ ი ლ ა კ ე ბ ი ს ფ ი ზ ი კ ა (ენფ). XX ს. 50-იანი წლებიდან დაწყებული აღმოჩენილია რამდენიმე ასეული ენ. ამასთან დაკავშირებით, შეიცვალა წარმოდგენა ატომბირთვის აგებულების შესახებაც.

ენ მონაწილეობს ოთხი სახის ურთიერთქმედებაში – გრავიტაციულში, სუსტში, ელექტრომაგნიტურსა და ძლიერში. ენ-ებს, რებსაც ძლიერი ურთიერთქმედება არ ახასიათებს, ლ ე პ ტ ო ნ ე ბ ს უწოდებენ, ძლიერად ურთიერთქმედ ნაწილაკებს კი – ჰ ა დ რ ო ნ ე ბ ს. ენთა ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებაა მათი ურთიერთგარდაქმნა, რ-საც ისინი განიცდიან დაშლისას და ურთიერთქმედებისას. ეს პროცესები მიმდინარეობს მუდმივობის კანონების (ენერგია-იმპულსის, იმპულსის მომენტის, ელექტრული მუხტის, ლეპტონური და ბარიონული რიცხვებისა და სხვ.) დაცვით.

ენფ-ის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო XX ს. 60-იანი წლები, როდესაც გამოირკვა, რომ ჰადრონები შედგენილია უფრო ფუნდამენტური ნაწილაკების – *კვარკებისაგან*. თავისუფალი სახით კვარკები დამზერილი არ არის; თანამედროვე წარმოდგენებით, საქმე გვაქვს ე. წ. კ ო ნ ფ ა ი ნ მ ე ნ ტ ი ს მოვლენასთან – კვარკების ,,დატყვევებასთან'' ჰადრონების შიგნით. ამ მოვლენის რაოდენობრივი ახსნა ჯერჯერობით არ არსებობს. ცნობილია კვარკების ექვსი სახეობა (,,არომატი''). თითოეული მათგანი სამი ,,ფერისაა''. ეს ახ. კვანტური რიცხვი პირველად (1965) შემოიღეს ნ. *ბოგოლიუბოვმა*, ა. *თავხელიძემ* და ბ. სტრუმინსკიმ (სსრკ) და მ.-ი. ჰანმა და ი. ნამბუმ (აშშ). ამ შედეგისათვის, *კვარკული თვლის წესებთან* ერთად, ა. თავხელიძეს მიენიჭა ლენინური პრემია (1988). ,,ფერი'' პირობითი ტერმინია. არსებითად, ,,ფერი'' თავისებური მუხტია. იგი კვარკების ურთიერთქმედების წყაროა. ,,ფერით'' გამოწვეული ურთიერთქმედების თეორიის – *კვანტური ქრომოდინამიკის* (კქდ) შექმნა ენფ-ის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია.

ამჟამად ცნობილ ფუნდამენტურ ნაწილაკთა სიმრავლე (იხ. ცხრილი) მოიცავს 6 კვარკს (თითოეულს სამ ,,ფერად'') და 6 ლეპტონს. ამას უნდა დაემატოს შ უ ა ლ ე დ ურ ი ბ ო ზ ო ნ ე ბ ი, რ-თა მეშვეობით ურთიერთქმედება ფუნდამენტურ ნაწილაკებს შორის. ესენია: ფოტონი (γ-კვანტი, ელექტრომაგნ. ურთიერთქმედების გადამტანი), $W^{\pm}$ და Z^{0} ბოზონები (სუსტი ურთიერთქმედების გადამტანი) და





კვარკების სამი ,,ფერი'': წითელი, მწვანე და ლურჯი ფერები ზედდებისას იძლევა ნეიტრალურ (უფერო) კომბინაციას.

ანტიკვარკების სამი ,,ანტიფერი'' ასევე ანეიტრალებს ერთმანეთს.
,,ფერის'' ზედდება შესაბამის ,,ანტიფერთან'' აგრეთვე იძლევა უფერო კომბინაციას.

გლუონებს გადააქვთ ,,ფერი'' ერთი კვარკიდან მეორესთან. შესაბამისად, გლუონს შეიძლება ჰქონდეს ,,ფერი'', რომელიც მიიღება სამი ,,ფერიდან'' ნებისმიერის შერევით ნებისმიერ ,,ანტიფერთან''. ამასთან, 9 შესაძლო კომბინაციიდან ერთი არის ,,უფერო''. მას "ფერი" არ გადააქვს და, როგორც ექსპერიმენტი აჩვენებს ურთიერთქმედებაში არ მონაწილეობს. ამიტომ ურთიერთქმედების გადამტანი გლუონები 8 ,,ფერად'' მდგომარეობაში შეიძლება არსებობდეს.

8 გლუონი (,,ფერთა'' ურთიერთქმედების გადამტანი ბოზონები). გარდა ამისა, თეორია მოითხოვს კიდევ რამდენიმე ნაწილაკის არსებობას, რ-ებიც ცდებით ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის, მაგ., გრავიტონი (გრავიტაციული ურთიერთქმედების გადამტანი ბოზონი), ჰიგსის სკალარები (ე.წ. სტანდარტული მოდელის თანახმად, ეს ნაწილაკი არღვევს გაერთიანებული ელექტრო-სუსტი ურთიერთქმედების სიმეტრიას და წარმოქმნის ენ-თა მასებს) და სხვ. სულ, ანტინაწილაკების გათვალისწინებით, გვაქვს 60-ზე მეტი ფუნდამენტური ნაწილაკი.

ცხრილი

ნაწილაკის[1] დასახელება		მასა[2]	მუხტი	სპინი	სიცოცხლის ხანგრძლივობა τ (სრული სიგანე Γ)	ურთიერთქმედება
კალიბრული (ურთიერთქმედების გადამტანი) ბოზონები	ფოტონი, γ	0 (<1·10^{-18} *ევ*)	0 (<1·10^{-35} *e*)	*ħ*	სტაბილური	ელექტრომაგნიტური
	გლიუონი, g	0	ელექტრული 0, ,,ფერადი'' ოქტეტი	*ħ*	თავისუფალი სახით არ დაიმზირება	,,ფერადი'' (ძლიერი)
	W	80,4 *გევ*	ელექტრული ±*e*, ,,სუსტი''	*ħ*	Γ=2,1 *გევ*	ელექტრომაგნიტური და ,,სუსტი''[3]
	Z^0	91,2 *გევ*	ელექტრული 0, ,,სუსტი''	*ħ*	Γ=2,5 *გევ*	,,სუსტი''
	გრავიტონი G (ჰიპოთეტური, ჯერ არ არის აღმოჩენილი)	0 (<7·10^{-14} *ევ*)	0	2*ħ*	სტაბილური (?)	მხოლოდ გრავიტაციული[4]
ჰიგსის ბოზონი H^0, $H^\pm$ (აღმოჩენილია 2012, ჯერ არ არის შესწავლილი)		125-126 *გევ*	ელექტრული 0, ±*e* (?)	0	τ≈10^{-21} *წმ*	?
ლეპტონები	ელექტრონული ნეიტრინო ν_e	0 (<2 *ევ*)	0	*ħ*/2	სტაბილური	,,სუსტი''
	ელექტრონი e^-	0,511 *მევ*	*e* (–1,6·10^{-19} *კ*)	*ħ*/2	სტაბილური (τ > 4,6·10^{26} *წ*)	ელექტროსუსტი
	მიუონური ნეიტრინო ν_μ	0	0	*ħ*/2	სტაბილური	,,სუსტი''
	მიუონი μ	105,7 *მევ*	*e*	*ħ*/2	τ≈2,2·10^{-6} *წმ*	ელექტროსუსტი
	ტაუონური ნეიტრინო ν_τ	0	0	*ħ*/2	სტაბილური	,,სუსტი''
	ტაონი (ტაუ-ლეპტონი) τ	1776,8 *მევ*	*e*	*ħ*/2	τ≈2,9·10^{-13} *წმ*	ელექტროსუსტი
კვარკები	,,ზედა'' u	1,7-3,3 *მევ*	+2/3 *e*, ,,ფერადი'' ტრიპლეტი	*ħ*/2	თავისუფალი სახით არ დაიმზირება	,,ფერადი'' და ელექტროსუსტი
	,,ქვედა'' d	4,1-5,8 *მევ*	–1/3 *e*, ,,ფერადი'' ტრიპლეტი	*ħ*/2	თავისუფალი სახით არ დაიმზირება	,,ფერადი'' და ელექტროსუსტი
	,,მომხიბლავი'' c	1270 *მევ*	+2/3 *e*, ,,ფერადი'' ტრიპლეტი	*ħ*/2	თავისუფალი სახით არ დაიმზირება	,,ფერადი'' და ელექტროსუსტი
	,,უცნაური'' s	80-130 *მევ*	–1/3 *e*, ,,ფერადი'' ტრიპლეტი	*ħ*/2	თავისუფალი სახით არ დაიმზირება	,,ფერადი'' და ელექტროსუსტი
	,,ჭეშმარიტი'' (,,უმაღლესი'') t	172 *გევ*	+2/3 *e*, ,,ფერადი'' ტრიპლეტი	*ħ*/2	თავისუფალი სახით არ დაიმზირება	,,ფერადი'' და ელექტროსუსტი
	,,მშვენიერი'' (,,უდაბლესი'') b	4,1-4,7 *გევ*	–1/3 *e*, ,,ფერადი'' ტრიპლეტი	*ħ*/2	თავისუფალი სახით არ დაიმზირება	,,ფერადი'' და ელექტროსუსტი

1 – ყველა ნაწილაკს შეესაბამება ანტინაწილაკი, რომელსაც საპირისპირო ნიშნის მუხტები აქვს. ფოტონის, Z^0 და H^0 ბოზონების და გრავიტონის ანტინაწილაკები ემთხვევა ნაწილაკებს.
2 – მასა გამოსახულია ენერგეტიკულ ერთეულებში, $E = mc^2$ ფორმულის შესაბამისად.
3 – ელექტრომაგნიტური და ,,სუსტი'' ურთიერთქმედება განიხილება, როგორც ერთიანი ელექტროსუსტი ურთიერთქმედების კერძო ,,სახეობები''.
4 – ყველა ელემენტარული ნაწილაკი უნდა ურთიერთქმედებდეს გრავიტაციულადაც, მაგრამ, ლაბორატორიულ პირობებში ამ ურთიერთგმედების განსაკუთრებული სისუსტის გამო სხვა ურთიერთქმედებებთან შედარებით, ჩვეულებრივ მას უგულებელყოფენ.

1909
ჰ. გაიგერმა და ინგლისელმა ფიზიკოსმა ე. მარსდენმა აღმოაჩინეს α-ნაწილაკების დიდი კუთხით გადახრა თხელ ფოლგაში გავლისას.

ე. რეზერფორდმა და ინგლისელმა ფიზიკოსმა ტ. როიდსმა დაამტკიცეს, რომ α-ნაწილაკი ჰელიუმის ორჯერ იონიზებული ატომია.

1911
ე. რეზერფორდმა ივარაუდა ატომის შიგნით დადებითად დამუხტული ბირთვის არსებობა.

1912
ინგლისელმა ფიზიკოსმა ჩ. ვილსონმა გამოიგონა ,,ნისლოვანი კამერა'' (ვილსონის კამერა).

ავსტრიელმა ფიზიკოსმა ვ. ჰესმა აღმოაჩინა კოსმოსური სხივები.

1913
დანიელმა ფიზიკოსმა ნ. ბორმა წამოაყენა ატომის კვანტური მოდელი.

ამერიკელმა ფიზიკოსმა რ. მილიკენმა გაზომა ელექტრონის მუხტი.

ინგლისელმა ფიზიკოსმა ჰ. მოზლიმ ექსპერიმენტულად დაადგინა, რომ ბირთვის მუხტი განისაზღვრება ელემენტის რიგითი ნომრით.

1919
ინგლისელმა მეცნიერმა ფ. ასტონმა ააგო მასსპექტროგრაფი და მისი მეშვეობით განაცალკევა ელემენტების იზოტოპები (მას-სპექტროგრაფის მოქმედების პრინციპი 1907 წამოაყენა ჯ. ჯ. ტომსონმა).

ე. რეზერფორდმა განახორციელა ხელოვნური ბირთვული რეაქცია $N^{14} + \alpha \rightarrow p + O^{17}$ და დაამტკიცა, რომ ატომის ბირთვი შეიცავს პროტონებს (მანვე 1914 ივარაუდა ბირთვში პროტონების არსებობა).

1922
ამერიკელმა ფიზიკოსმა ა. კომპტონმა გამოიკვლია რენტგენის სხივების გაბნევა ნივთიერების ელექტრონებზე და დაამტკიცა ფოტო-

(გაგრძელება იხ. გვ. 618).

ნის არსებობა (ტერმინი შემოიღო ამერიკელმა ფიზიკოსმა გ. ლიუისმა 1929).

1924
ავსტრიელმა ფიზიკოსმა ვ. პაულიმ ჩამოაყალიბა ბუნების ერთ-ერთი ფუნდამენტური კანონი, ე. წ. პაულის პრინციპი.

გერმანელმა ფიზიკოსმა ვ. ბოთემ დაამუშავა იმპულსთა მოვლენათა რეგისტრაციის ახალი მეთოდი – დამთხვევათა მეთოდი.

1925
ჰოლანდიელმა ფიზიკოსებმა ს. გაუდსმითმა და ჯ. ულენბეკმა შემოიღეს სპინის ცნება.

1926
იტალიელმა ფიზიკოსმა ე. ფერმიმ დაადგინა სპინისა და სტატისტიკის შესაბამისობა.

1927
ფ. ასტონმა აღწერა ბირთვის ბმის ენერგიის დამოკიდებულება ნუკლონთა რაოდენობაზე.

1930
ამერიკელმა ფიზიკოსებმა ე. ლოურენსმა და ნ. ლივინგსტონმა ააგეს ციკლოტრონი.

1931
ვ. პაულიმ β-დაშლის ელექტრონების სპექტრის ასახსნელად წამოაყენა ნეიტრინოს არსებობის ჰიპოთეზა.

ამერიკელმა ფიზიკოსმა რ. ვან დე გრააფმა შექმნა ელექტროსტატიკური ამჩქარებელი (ვან დე გრააფის გენერატორი).

1932
ინგლისელმა ფიზიკოსმა ჯ. ჩედვიკმა აღმოაჩინა ნეიტრონი, რომლის არსებობა 1920 ივარაუდა რეზერფორდმა.

საბჭოთა ფიზიკოსმა დ. ივანენკომ და გერმანელმა ფიზიკოსმა ვ. ჰაიზენბერგმა ივარაუდეს, რომ ატომბირთვი აგებულია პროტონებით და ნეიტრონებით.


ამერიკელმა ფიზიკოსმა კ. ანდერსონმა აღმოაჩინა პოზიტრონი, ანუ ანტიელექტრონი (იწინასწარმეტყველა ინგლისელმა ფიზიკოსმა პ. დირაკმა 1931).


ინგლისელმა ფიზიკოსებმა ჯ. დ. კოკროფტმა და ე. უოლტონმა განახორციელეს ბირთვული

შედარებით დაბალი ენერგიების პირობებში, როცა შეიძლება უგულებელვყოთ პროტონებისა და ნეიტრონების (ნუკლონების) ზომები და სტრუქტურა, ატომბირთვის შესწავლა დაიყვანება წერტილოვან ნუკლონთა ურთიერთქმედების (ბირთვული ურთიერთქმედების ძალების) და ამ ურთიერთქმედებითა და ნუკლონთა მახასიათებლებით (ელექტრული მუხტი, მასა, სპინი, მაგნ. მომენტი) განპირობებული ბირთვის თვისებების დადგენაზე. ბირთვებზე მიმდინარე რეაქციების შესწავლაც ამ ორ ძირითად მიზანს ემსახურება. ბირთვული ძალები აიწერება ორი ტიპის მოდელით: ფენომენოლოგიური და *გელის კვანტურ თეორიაზე* (ვკთ) დამყარებული მოდელებით. იდეა იმის შესახებ, რომ ბირთვულ ძალებს განაპირობებს არანულოვანი მასის ნაწილაკების გაცვლა ნუკლონთა მიერ, წამოაყენა და დაამუშავა ჰ. იუკავამ 1935, ბფ-ის განვითარების ადრინდ. ეტაპზე. ეს იდეა ექსპერიმენტულად დადასტურდა მხოლოდ π-მეზონების (პიონების, 1947-48) და მძიმე მეზონების, განსაკუთრებით, ვექტორული მეზონების აღმოჩენის შემდეგ (XX ს. 60-იანი წლების დასაწყისი). ამჟამად ბფ-ში ბირთვული ძალების ორივე მოდელს იყენებენ. არის იმის ცდები, რომ ეს ძალები დაუკავშირონ ნუკლონთა კვარკ-გლუონურ სტრუქტურას. იმის გამო, რომ ატომის ბირთვი მრავალნაწილაკოვანი კვანტურ-მექან. სისტემაა და მისი შესწავლისას ჩნდება მათ. ხასიათის სიძნელეები, ბირთვის თეორიაში განიხილავენ ისეთ მოდელებს, რ-ებშიც იდეალიზებულია სისტემის დინამიკის ესა თუ ის მხარე. მაგ., წვეთურ ან ჰიდროდინამ. მოდელში წინ არის წამოწეული ბირთვისშიდა მოძრაობის კოლექტიური მხარე, გარსულ მოდელში კი – პაულის პრინციპით განპირობებული ერთნაწილაკოვანი მოძრაობანი. ბირთვის სხვა მოდელებს (განზოგადებული, ზედენადური, დამოუკიდებელი წყვილების, კლასტერული) ზემოხსენებულ ორ უკიდურეს მიდგომას შორის შუალედური ადგილი უკავია. განიხილება აგრეთვე ბირთვული რეაქციების მოდელები. ბირთვული რეაქციების პირველ მოდელში (1935) ბირთვის მოქმედება მასზე დაცემულ ბირთვულ ნაწილაკზე გამოხატული იყო მარტივი პოტენციალური ორმოთი. შემდეგ ნ. *ბორმა* შექმნა შედგენილი ბირთვის მოდელი. ამ ორი მოდელის ერთგვარი შეხამებაა ბირთვის ოპტიკური მოდელი. სშ. ენერგიების არეში იყენებენ ბირთვული რეაქციების პირდაპირ და დიფრაქციულ მოდელებს.

ბფ-ის განვითარება საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა, როდესაც აღმოაჩინეს და ახსნეს მძიმე ბირთვების გაყოფის მოვლენა (1939, ფ. შტრასმანი, ო. ჰანი; ლ. მაიტნერი, ო. ფრიში; 1940, გ. ფლეროვი, კ. პეტრჟაკი) და დაიწყო ბირთვული ენერგიის პრაქტიკული (სამხედრო და სამეურნეო) გამოყენება. XX ს. 40-იანი წლების ბოლოდან დაიწყო თერმობირთვული სინთეზის რეაქციების შესწავლა და გამოყენება როგორც სამხედრო, ასევე *მართვადი თერმობირთვული სინთეზის* განხორციელების მიზნით.

საქართველოში ენ-ისა და ბფ-ის თეორიაში კვლევას საფუძველი ჩაუყარა ვ. *მამასახლისოვმა* XX ს. 30-იან წლებში. მის სახელთანაა დაკავშირებული იმ დროისათვის მეტად გაბედული იდეა ნიშანცვლადი ბირთვული პოტენციალისა და ბირთვის შიგნით ნუკლონთა ინდივიდუალურ მდგომარეობათა არსებობის შესახებ, რაც ერთგვარი წინამორბედია გარსული და ე. წ. კლასტერული მოდელებისა. მამასახლისოვის იდეა ბირთვში ნუკლონთა ასოციაციების (კლასტერების) არსებობის შესახებ გამოიყენეს და განავითარეს 1943 თვითონ ვ. მამასახლისოვმა და მისმა მოწაფეებმა (ი. *გამკიძე*, თ. *კოპალეიშვილი*, გ. *ჭილაშვილი*, რ. *ჯიბუტი* და სხვ.). შემდგომ განვითარდა რამდენიმე ნუკლონიანი სისტემების შესწავლის მეთოდები, რ-ებიც წარმატებით იქნა გამოყენებული ბფ-ში, კერძოდ, ფადეევის განტოლებათა თეორიაში (ჯ. *მებონია*, გ. ჭილაშვილი, ა. *ხელაშვილი*); ჰარტრი–ფოკის თეორიაში (ი.ვაშაკიძე და სხვ.); ტრანსლაციურად ინვარიანტული ოსცილატორული ბაზისის თეორიასა (თ.მაჭარაძე და სხვ.) და ჰიპერსფერული ფუნქციების ბაზისის თეორიაში [შედეგები შეჯამდა რ. ჯიბუტისა და





ბუშტოვან კამერაში K^- მეზონის პროტონთან დაჯახების შედეგად Ω^-–ნაწილაკის დაბადების და შემდგომი დაშლის პირველი ფოტოსურათი (მარცხნივ) და სქემა (შუაში). უმუხტო ნაწილაკები კამერაში კვალს არ ტოვებს. სქემაზე მათი ტრაექტორია ნაჩვენებია წყვეტილით. უმუხტო ნაწილაკების ბუნების დადგენა ხდება ენერგიის, იმპულსის და სხვა მუდმივობის კანონების საფუძველზე. მარჯვენა ნახაზზე ნაჩვენებია Ω^-–ნაწილაკის დაბადების უმარტივესი კვარკული დიაგრამა (შეესაბამება შუა ნახაზზე წითელი წყვეტილით მინიშნებულ არეს). პროცესები მიმდინარეობს ძლიერი (ფერადი) ურთიერთქმედებით, გლუონების გაცვლით. კვარკები ნაჩვენებია მთლიანი ფერადი ხაზებით, გლუონები – კლაკნილი ორმაგი ფერადი ხაზებით.

ნ. კრუპენიკოვას მონოგრაფიაში ,,ჰიპერსფერულ ფუნქციათა მეთოდი რამდენიმე სხეულის კვანტურ მექანიკაში'' (თბ., 1984, რუს. ენაზე)]. შეიქმნა ,,ჰიბრიდული'' მეთოდი და მისი გამოყენებით შესწავლილ იქნა დაშლის ტიპის ბირთვული რეაქციები (რ. ჯიბუტი და სხვ.).

60-იანი წლების დასაწყისში ჩაისახა ბფ-ის ახ. დარგი – შუალედური და მაღალი ენერგიების ბფ. იგი შეისწავლის ბირთვზე მიმდინარე ისეთ პროცესებს, რ-თა დროსაც ბირთვულ სისტემას შეიძლება გადაეცეს 100 *მევე*-ზე მეტი ენერგია. მეცნ. ეს დარგი ვითარდებოდა ტრად. ბფ-ისა და ენფ-ის მიჯნაზე, შუალედური ენერგიების ბფ-ის ექსპერ. ბაზაა ე. წ. ,,მეზონური ფაბრიკები'', რ-ებიც მოქმედებენ აშშ-ში, კანადაში, რუსეთში და სხვ.

საქართველოში კვლევა შუალედური ენერგიების ბფ-ის დარგში დაიწყო მისი ჩასახვის მომენტიდანვე, თავდაპირველად საქართვ. მეცნ. აკად. *ფიზიკის ინსტიტუტში* (მაფი, 2006-იდან – ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინ-ტი) და შემდგომ, უფრო სისტემატურად, თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტის თეორ. ფიზიკის კათედრაზე, შემდეგ კი ბირთვული ფიზიკის სამეცნ.-კვლ. ლაბორატორიაში [შემდგომ მაღალი ენერგიების ბირთვული ფიზიკის პრობლემური ლაბორატორია, 1974-იდან – თსუ-ის *მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი* (მეფი), ატომბირთვების მიერ შუალედური ენერგიების γ-კვანტებისა და პიონების შთანთქმის პროცესების შესწავლით. ეს გამოკვლევები, რ-ებმაც ბიძგი მისცა ანალოგიურ გამოკვლევებს საზღვარგარეთ, ერთ-ერთი პირველი იყო ამ მიმართულებით. პირველად იყო ნაჩვენები, რომ ნუკლონ-ნუკლონის ურთიერთქმედებისას განმზიდავი შუაგულის არსებობით გამოწვეული წყვილური კორელაციური ეფექტები ადვილად შეიძლება შენიღბული ან ჩახშული იყოს რეაქციის შედეგად ატომბირთვიდან გამოტყორცნილი ნუკლონების ურთიერთქმედების ეფექტებით საბოლოო მდგომარეობაში (თ. კოპალეიშვილი, რ. ჯიბუტი). ამასთან, ნაწინასწარმეტყველები იყო პიონების შთანთქმის ორნუკლონიან რეაქციებში ბირთვის სტრუქტურის ეფექტი (თ.კოპალეიშვილი, ი.მაჩაბელი და სხვ.), რ-იც ექსპერიმენტულად დადასტურდა ევრ. ბირთვულ გამოკვლევათა ცენტრში (CERN). შრომათა ამ ციკლს მიენიჭა პ. მელიქიშვილის სახ. პრემია (1973, თ. კოპალეიშვილი). პირველად მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ არ შეიძლება ფოტობირთვული რეაქციების კვაზიდეიტრონული მოდელის უშუალო გამოყენება ნუკლონებზე პიონების ფოტოდაბადების ზღურბლის შესაბამის ენერგიაზე უფრო დაბალი ენერგიების γ-კვანტებისთვის, და განავითარეს კვაზიდეიტრონული სახეშეცვლილი მოდელი, რ-მაც აღწერა ექსპერ. მონაცემები. ეს შრომები შეიდა ბირთვების ფოტოგახლეჩის რეაქციებისადმი მიძღვნილ შრომათა ციკლში, რ-საც მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1977, თ. კოპალეიშვილი, რ. ჯიბუტი, სხვებთან ერთად). შემდგომ, ბირთვებთან პიონების ურთიერთქმედების შესწავლა წარიმართა მათი გაფანტვისა და გაფანტვა-შთანთქმის საერთო საკითხების თეორ. დამუშავების მიმართულებით. ბირთვებთან პიონების ურთიერთქმედების კვლევა თ.კოპალეიშვილის მიერ გაგრძელდა დეიტრონზე (ა. მაჭავარიანთან ერთად) და He^4 ბირთვზე (ვ. სხირტლაძესთან ერთად), გაფანტვის პროცესებში პიონებისათვის რელატივისტური ეფექტების შესწავლის მიზნით. პირველ შემთხვევაში გამოყენებული იყო ვკთ-ში შემუშავებული *ლოგუნოვ–თავხელიძის კვაზიპოტენციალური მეთოდი*, ხოლო მეორე შემთხვევაში – ე. წ. პირდაპირი ურთიერთქმედების რელატივისტური თეორია. ძირითადი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ რელატივისტური კინემატიკის გათვალისწინება იმავე რიგის ეფექტს იძლევა, რასაც მრავალჯერადი გაფანტვის ეფექტი. ამ კვლევების შედეგები შეჯამებულია თ. კოპალეიშვილის მონოგრაფიაში ,,π-მეზონების ატომბირთვებთან ურთიერთქმედების თეორიის საკითხები'', რ-საც მიენიჭა ნ. მუსხელიშვილის სახ. პრემია (1988). შესწავლილი იქნა აგრეთვე პიონების ორმაგი გადამუხტვის რეაქციები მცირენუკლონიან ბირთვებზე (რ. ჯიბუტი და სხვ.).

XX ს. 80-იანი წლებიდან საქართველოში მიმდინარეობს ჰადრონებისა და მცირეჰადრონიანი სისტემების კვარკული სტრუქტურის შესწავლა, თავდაპირველად, არარელატივისტური მიდგომით, ჯგუფთა თეორიის მეთოდების გამოყენებით (შრომებს მიენიჭა საქართვ. უმაღლესი და სპეც. საშ. განათლების სამინისტროს I პრემია, 1983, თ. ბაბუციძე, თ. კოპალეიშვილი, ი. მაჩაბელი, მ. ჩაჩხუნაშვილი). შემდგომში კვარკ-ანტიკვარკული სისტემების (მეზონების) შესწავლა გაგრძელდა ბეტე–სოლპიტერის განტოლების გამოყენებით; გაკეთდა დასკვნები კვარკ-კვარკული ურთიერთქმედებების კონფაინმენტული ნაწილის ლორენც-სტრუქტურის შესახებ (თ.კოპალეიშვილი, ა.არჩვაძე, თ.ბაბუციძე, ა.რუსეცკი, მ.ჩაჩხუნაშვილი). მიღებული შედეგები შემდგომში დადასტურდა და ფიქსირებული იქნა სხვადასხვა უცხოელი ავტორის შრომებში.

XX ს. 70-იან წლების დასაწყისში ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებულ ინ-ტში (ბგგი – დუბნა, რუსეთი) იწინასწარმეტყველეს და აღმოაჩინეს ნაწილაკთა კუმულაციური დაბადების ეფექტი მაღალი ენერგიების ბირთვების დაჯახებისას. ამ გამოკვლევებმა საფუძველი ჩაუყარა ახ. მიმართულებას – რელატივისტურ ბფ-ს, რამაც განაპირობა ბირთვებში მიმდინარე პროცესების რელატივისტური თვალსაზრისით განხილვის აუცილებლობა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შრომები შეიქმნა ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინ-ტში, რ-ებიც დაჯამდა ვ. გარსევანიშვილის და ზ. მენთეშაშვილის მონოგრაფიაში ,,რელატივისტური ბირთვული ფიზიკა სინათლის ფრონტის ფორმალიზმში'' (აშშ, 1993, ინგლ. ენაზე). შრომების ციკლისათვის ველის კვანტურ თეორიასა და რელატივისტურ ბფ-ში სინათლის ფრონტზე ავტორთა ჯგუფს მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (ა. ხელაშვილი, ვ. გარსევანიშვილი, მ. *ნიორაძე*, ზ. მენთეშაშვილი, 2009).

კვლევა ენ-ის თეორიის დარგში მიმდინარეობს მრავალი მიმართულებით (კვარკების თეორიის საკითხები, ჯგუფთა თეორიის გამოყენება მრავალკვარკიანი სისტემების შესასწავლად, შინაგანი სიმეტრიები, პარტონული მოდელის განვითარება და გამოყენება, კქდ, სხვადასხვა ჰადრონული პროცესის გამოკვლევა და სხვ.). *ინკლუზიური პროცესების* მასშტაბური თვისებების გამოვლინებათა ერთიანი აღწერისთვის ჩამოყალიბებულია ავტომოდელობის პრინციპი (ა. თავხელიძე სხვებთან ერთად), დადგენილია მაღალი ენერგიების ჰადრონების დიდ კუთხეებზე გაბნევის კანონზომიერება – კვარკული თვლის წესები, რ-ებიც ჰადრონების კვარკულ სტრუქტურას უშუალოდ ასაბუთებს (ა. თავხელიძე სხვებთან ერთად; ეს შედეგი რეგისტრირებულია, როგორც აღმოჩენა, №343, 1987). დადგინდა, რომ ენ-ის ურთიერთქმედების თანამედროვე თეორიის ფარგლებში შესაძლებელია ფერმიონული გარდაქმნა ხელოვნურად აჩქარებული პროტონებით.

ამერიკელმა მეცნიერმა ჰ. იურიმ აღმოაჩინა დეიტერიუმი – წყალბადის მძიმე იზოტოპი.

1933

ფრანგმა ფიზიკოსებმა ფ. ჟოლიო-კიურიმ და უ. ტიბომ ექსპერიმენტულად დაამტკიცეს ელექტრონისა და პოზიტრონის ანიჰილაცია.

გერმანელმა ფიზიკოსმა ო. შტერნმა და ინგლისელმა ფიზიკოსმა ო. ფრიშმა გაზომეს პროტონის მაგნიტური მომენტი.

ე. რუზერფორდმა და ინგლისელმა ფიზიკოსმა მ. ოლიფანტმა ექსპერიმენტულად დაამტკიცეს აინშტაინის $E=mc^2$ თანაფარდობის მართებულობა ბირთვული გარდაქმნებისას.

1934

ფ. ჟოლიო-კიურიმ და ფრანგმა ფიზიკოსმა ი. ჟოლიო-კიურიმ აღმოაჩინეს ხელოვნური რადიოაქტივობა.

ე. ფერმიმ ჩამოაყალიბა β-დაშლის თეორია და შემოიღო ახალი, ე. წ. სუსტი ურთიერთქმედება.

ე. რუზერფორდმა, მ. ოლიფანტმა და გერმანელმა ფიზიკოს-ქიმიკოსმა პ. ჰარტეკმა აღმოაჩინეს წყალბადის ზემძიმე იზოტოპი – ტრიტიუმი.

საბჭოთა ფიზიკოსმა პ. ჩერენკოვმა ს. ვავილოვის ხელმძღვანელობით აღმოაჩინა ნათება არასცინტილირებად სითხეებში რელატივისტური ნაწილაკების გავლისას (ჩერენკოვ-ვავილოვის ეფექტი).

1935

იაპონელმა ფიზიკოსმა ჰ. იუკავამ დაამუშავა ბირთვულ ურთიერთქმედებათა თეორია და წამოაყენა ჰიპოთეზა მეზონის არსებობის შესახებ, რომლის გაცვლით ხორციელდება ურთიერთქმედება ნუკლონებს შორის (აღმოაჩინეს 1947).

ამერიკელმა ფიზიკოსმა ა. დემპსტერმა აღმოაჩინა ურანის იზოტოპი U^{235}.

1937

კ. ანდერსონმა და ამერიკელმა მეცნიერმა

(გაგრძელება იხ. გვ. 620).

ს. ნედერმაიერმა ვილსონის კამერის საშუალებით აღმოაჩინეს მიუონი.

იტალიელმა ფიზიკოსებმა ე. სეგრემ და კ. პერიემ მოლიბდენის ბირთვის დეიტრონებით დაბომბვისას დაასინთეზეს პირველი ხელოვნური ელემენტი – ტექნეციუმი (იწინასწარმეტყველა რუსმა ქიმიკოსმა დ. მენდელეევმა, როგორც ეკა-მაგნიუმი).

1938

გერმანელმა მეცნიერმა ჰ. ბეთემ და ინგლისელმა მეცნიერმა ჩ. კრიტჩფილდმა აღმოაჩინეს თერმობირთვული რეაქციების პროტონ-პროტონული ციკლი, როგორც ვარსკვლავთა ენერგიის წყარო.

ჰ. ბეთემ და გერმანელმა ფიზიკოსმა კ. ვაიცზეკერმა აღმოაჩინეს ვარსკვლავთა ენერგიის კიდევ ერთი წყარო – ნახშირბად-აზოტური ციკლი.

1939

გერმანელმა მეცნიერებმა ო. ჰანმა და ფ. შტრასმანმა აღმოაჩინეს ურანის ბირთვის გაყოფა ნეიტრონებით დასხივებისას.

ავსტრიელმა ფიზიკოსმა ლ. მაიტნერმა და ო. ფრიშმა ახსნეს ო. ჰანისა და ფ. შტრასმანის ექსპერიმენტი. ლ. მაიტნერმა ამ მოვლენის ასახსნელად შემოიღო ცნება ,,ბირთვის გაყოფა‘‘.

დასაბუთებულ იქნა დაყოფის ჯაჭვური ბირთვული რეაქციის შესაძლებლობა (ჯაჭვური რეაქციის იდეა გამოთქვა ამერიკელმა ფიზიკოსმა ლ. სცილარდმა 1934).

ამერიკელმა ფიზიკოსებმა ლ. ალვარესმა და რ. კორნოგმა აღმოაჩინეს ჰელიუმის მსუბუქი იზოტოპი He^3 (იწანასწარმეტყველა მ. ოლიფანტმა 1934).

1940

ამერიკელმა ფიზიკოსმა დ. კერსტმა ააგო ბეტატრონი – ელექტრონების ციკლური ამჩქარებელი (1928 გამოიგონა ნორვეგიელმა მეცნიერმა რ. ვიდეროემ).

ამერიკელმა ფიზიკოსებმა ე. მაკმილანმა და ფ. ეიბელსონმა აღმოაჩი-

რიცხვის შენახვის კანონის დარღვევა, შეიქმნა საშ. ენერგიების არეში ნუკლონებზე პიონების ფოტოდაბადების დისპერსიული თეორია (სსრკ სახელმწ. პრემია, 1973, ა. თავხელიძე სხვებთან ერთად), დადგინდა მაღალი და დაბალი ენერგიების არეში მიმდინარე პროცესების ფუნდამენტური კანონზომიერება – გლობალური დუალობა, რ-ის მოდიფიკაციები გამოიყენება ისეთი ეფექტების გამოსათვლელად, რ-თა გათვალისწინება შეუძლებელია შეშფოთების თეორიის ფარგლებში.

კირალური სიმეტრიის დარღვევის ერთ-ერთი შესაძლო მექანიზმის საფუძველზე ქართვ. ფიზიკოსთა მიერ (ა. ხელაშვილი) მიღებულია ნულოვანი სპინის მეზონებისა და ოქტეტური ბარიონების მასათა სპექტრისა და მეზონების დაშლის თვისებების თვითშეთანხმებული აღწერა; ფერმიონ-ანტიფერმიონის ბმული მდგომარეობისათვის უსასრულოდ ზრდადი პოტენციალის შემთხვევაში შემოთავაზებულია რელატივისტური განტოლება და ამოხსნადი მოდელები, რ-ებსაც იყენებენ *კვარკონიუმის* სპექტროსკოპიაში (ა. ხელაშვილი და სხვ.), კვარკებისა და ლეპტონების თაობათა ერთიანი აღწერისთვის კი – ახ. ლოკალური $SU(8)$ სიმეტრია. დეტალურად არის შესწავლილი ამ სიმეტრიიდან გამომდინარე ფიზ. შედეგები: კვარკებისა და ლეპტონების მასური თანაფარდობები, კვარკების შერევის კუთხეები და CP-ინვარიანტობის დარღვევის ფაზა, ნეიტრინოს მასები და სხვ. (ზ. ბერეჟიანი, ჯ. *ჩქარეული* და სხვ.). ჰადრონული ინკლუზიური პროცესებისათვის განვითარებულია დიაგრამული ტექნიკა, რ-იც ჰადრონულ ფიზ. მოვლენათა ფართო წრის აღწერის საშუალებას იძლევა. შეიქმნა სწრაფი ჰადრონების ბირთვებთან ურთიერთქმედების რელატივისტურ სურათზე დაფუძნებული პარტონული მოდელი და მაღალენერგეტიკული ჰადრონული მრავლობითი პროცესების მოდელი, რ-შიც ქრომოდინამიკური მილების გაწყვეტის შედეგად იბადება მეორეული ჰადრონები (ო. ვ. *ყანჩელი* და სხვ.). განვითარებულია ენ-ის არაწრფივი კვარკული თეორია და ნაჩვენებია, რომ მათი ურთიერთქმედებები შეიძლება დაყვანილ იქნას კვარკების არაწრფივ ურთიერთქმედებაზე (დ. *კურდღელაიძე*).

ლოგუნოვ–თავხელიძის კვაზიპოტენციალის მეთოდი გამოყენებული იქნა მაღალი ენერგიების ჰადრონების დრეკადი გაბნევის აღსაწერად, აღიწერა pN და NN გაფანტვის ექსპერ. მონაცემები მცირე და დიდი კუთხეების არეში (ვ. გარსევანიშვილი, ლ. სლეპჩენკო და სხვ.); კვანტური ქრომოდინამიკის ფარგლებში შესწავლილი იქნა ჰადრონებისა და ჭავლების წარმოქმნის ინკლუზიური და ღრმად არადრეკადი პროცესების კვეთების ასიმპტოტური ქცევა, აიხსნა P_T დამოკიდებულებასთან დაკავშირებული სიძნელე ჰადრონულ დაჯახებებში გაბნევის ნებისმიერი კუთხეების შემთხვევაში (ლ. სლეპჩენკო სხვებთან ერთად).

შემოთავაზებულია ნეიტრალური K^0-მეზონების მასათა სხვაობის ნიშნის განსაზღვრის მეთოდი (ს. *მატინიანი*), რ-იც გამოყენებული იყო სსრკ-სა და აშშ-ში ჩატარებულ ექსპერიმენტებში. შემუშავებულია ნუკლონებისა და პიონების ელექტრომაგნ. ფორმფაქტორების განსაზღვრის მეთოდი გადაცემული იმპულსების დროისმაგვარ არეში; შესწავლილია ორმაგი მეზოატომების თვისებები, მიღებულია ფორმულა მათი სიცოცხლის ხანგრძლივობის გამოსათვლელად, თეორიულად შესწავლილია მეზონების იშვიათი დაშლების ზოგიერთი არხი, რის საფუძველზეც განისაზღვრა მეზონების ელექტრომაგნ. რადიუსი (ფ. *ტყებუჩავა* სხვებთან ერთად). შემუშავებულია ბინარული პროცესების დინამ. ამპლიტუდების აგების ხერხი ნებისმიერსპინიანი ნაწილაკებისთვის (მ. ჩავლეიშვილი).

ა. *კვინიხიძემ* (ბულგარელ დ. სტოიანოვთან ერთად) სამი რელატივისტური ნაწილაკის ამოცანა დაიყვანა ფადეევის ტიპის განტოლებაზე, რ-იც კარგად არის შესწავლილი არარელატივისტური სისტემებისათვის. მანვე (ავსტრალიელ ბ. ბლანკლაიდერთან ერთად) გამოიყვანა განტოლებები, რ-ებშიც ცხადად არის გათვალისწინებული ნაწილაკთა დაბადებისა და გაქრობის ეფექტები. ეს 3-განზომილებიანი განტოლებები შეიცავს გაცილებით უფრო მდიდარ ინფორმაციას, ვიდრე ნებისმიერი ცნობილი ანალოგიური განტოლებები, ამასთან, მათი ამოხსნა მოითხოვს ცნობილი მეთოდების მცირე მოდიფიცირებას. ამავე ავტორებმა გამოიყვანეს ანალოგიური 4-განზომილებიანი განტოლებები და გადაჭრეს დიდი ხნის ცნობილი ე.წ. ორმაგი თვლის პრობლემა. შეიმუშავეს კალიბრულად ინვარიანტული დენების აგების ზოგადი მეთოდი, რ-იც ცნობილი გახდა ,,gauging equations‘‘ სახელით. ეს მეთოდი და ა. კვინიხიძის მიერ მიღებული თეორიული გამოსახულებები ინტენსიურად გამოიყენება მსოფლიოს წამყვანი ჯგუფების მიერ, კერძოდ, კვარკების და ნუკლონების ფიზიკაში.

1967–73 წლებში სერპუხოვის (პროტვინო, რუსეთი) მაღალი ენერგიების ფიზ. ინ-ტში განავითარეს ახალი მიდგომა მაღალ ენერგიებზე მიმდინარე ენ მრავლობითი დაბადების პროცესების როგორც თეორიული, ასევე ექსპერიმენტული შესწავლისათვის. ამ ე. წ. ინკლუზიურ მიდგომაში, პროცესში დაბადებულ ათეულობით ნაწილაკთა შორის აკვირდებიან მხოლოდ ერთ ან რამდენიმე გარკვეულ ნაწილაკს, ხოლო დანარჩენი ნაწილაკებით ხდება გასაშუალოება. ასეთი მიდგომა უფრო შეესაბამება მაღალ ენერგიებზე მიმდინარე პროცესების თავისებურებებს და უფრო მკაფიოდ გამოავლენს ურთიერთქმედებათა ზოგად კანონზომიერებებს. ინკლუზიური პროცესების შესწავლის შედეგად დადგინდა მასშტაბური ინვარიანტობა (სკელინგი), ენ სხვადასხვა ურთიერთქმედებათა საერთო მახასიათებლები, ჰადრონთა კვარკული სტრუქტურა და ცალკეული კვარკების თვისებები. ინკლუზიური მიდგომის შემუშავების, ინკლუზიური პროცესების თეორიული და ექსპერიმენტული შესწავლისათვის, ასევე მასშტაბური ინვარიანტობის აღმოჩენისათვის მ. *მესტვირიშვილს* სხვებთან ერთად მიენიჭა ლენინური პრემია (1986).

თანამედროვე ენფ-ის კვლ. საგანია ფუნდამენტური ნაწილაკების საერთო საწყისების ძიება, სხვადასხვა ძალების გაერთიანება და ერთ ძირითად ურთიერთქმედებაზე დაყვანა, სივრცე-დროის სულ უფრო მცირე არეებში მიმდინარე მოვლენების კვლევა. ექსპერ. გამოკვლევათა ძირითადი მიმართულებაა სულ უფრო მაღალი ენერგიების ნაწილაკთა დაჯახებების შესწავლა, რაც სივრცე-დროის მცირე არეებს შეესაბამება. ამისთვის განვითარებულ ქვეყნებში აშენებენ ნაწილაკთა გიგანტურ ამჩქარებლებს. მაგ., სუსტი ურთიერთქმედების გადამტანი $W^\pm$ და Z^0 ბოზონები თავდაპირველად თეორიულად იქნა ნაწინასწარმეტყველები; მათი ექსპერ. აღმოჩენისათვის CERN-ში შეიქმნა ახალი პროტონ-ანტიპროტონული კოლაიდერი, რ-საც საკმარისი ენერგია ჰქონდა ამ ბოზონების დაბადებისთვის. 1983



ქართველი ფიზიკოსები ვ. როინიშვილი (წინა პლანზე), გ. ჩიქოვანი, ვ. მიხაილოვი მათ მიერ შექმნილ სტრიმერულ კამერასთან.

ეს ნაწილაკები აღმოაჩინეს (ს. ვან დერ მეერი, კ. რუბია, ნობელის პრემია, 1984). სტანდარტული მოდელის შესწავლა გაგრძელდა ელექტრონ-პოზიტრონულ კოლაიდერზე LEP, რ-იც სპეციალურად ამ მიზნისათვის შეიქმნა CERN-ში. ამ ამჩქარებელზე შესრულებულმა ექსპერიმენტებმა მაღალი სიზუსტით დაადასტურა თეორიის სამართლიანობა.

ამჟამად უდიდესი ამჩქარებელებია CERN-ში, ბატავიაში (აშშ, ფერმის ნაციონალური ამჩქარებელი ლაბორატორია, FNAL), ჰამბურგში (გერმანია, გერმანული ელექტრონულ-სინქროტრონული ცენტრი DESY) და სხვ.

ქართვ. ფიზიკოსთა მიღწევები ენფ-ის ექსპერ. ფიზიკაში ამჩქარებლების გამოყენებით მოპოვებულია, ძირითადად, საერთაშ. ცენტრების ამჩქარებლებზე მომუშავე დიდ საერთაშ. კოლექტივებთან თანამშრომლობის ჩარჩოებში. საქართველო არის ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებული ინსტიტუტის (დუბნა, რუსეთი) წევრი-ქვეყანა (2010-იდან ბგგი-ში საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელია ა. ხვედელიძე). 1958 ბგგი-ის ამჩქარებელზე შესრულებულ ექსპერიმენტებში ნეიტრონებზე პროტონების გაბნევის კვეთის დეტალური გამოკვლევის საფუძველზე ახ. მეთოდით დიდი სიზუსტით განისაზღვრა ენფ-ის ერთერთი ფუნდამენტური პარამეტრი – პიონ-ნუკლონის ურთიერთქმედების კონსტანტა (ნ. *ამაღლობელი* სხვებთან ერთად).

XX ს. 50-იანი წლების მიწურულს ზ. *მანჯავიძის* და გ. *ჩიქოვანის* ხელმძღვანელობით მაფი-ში შემუშავდა და აიგო ახ. მარეგისტრირებელი ხელსაწყოები. სხვებისგან დამოუკიდებლად შეიქმნა ნაპერწკლოვანი კამერა (გ. ჩიქოვანი, ვ. მიხაილოვი, ვ. *როინიშვილი*). მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ენ-ების რეგისტრაციის იმ ახ. პრინციპის შემუშავება, რ-ის საფუძველზეც აიგო *სტრიმერული კამერა* [ლენინური პრემია, 1970, გ. ჩიქოვანი, ვ. როინიშვილი, *თ. ასათიანი, ა. ალიხანიანი* (სომხეთი), სხვებთან ერთად]. გ. ჩიქოვანის ხელმძღვანელობით ჟენევაში აიგო ფართოლრეჩოიანი მაგნიტოსტრიქციული კამერები, რ-საც წარმატებით იყენებდნენ CERN-ში და სერპუხოვის (პროტვინო, რუსეთი) ამჩქარებელზე. 1976 მაფი-ში დასრულდა უნიკალური 5-მეტრიანი სტრიმერული კამერის აგება, რ-საც ძირითად დეტექტორად იყენებდნენ საერთაშ. თანამშრომლობის ექსპერიმენტ ,,რისკ-ში'' (რელატივისტური იონიზაციური სტრიმერული კამერა). დანადგარის შექმნისა და ამ ექსპერიმენტში მისი დანერგვისათვის ზ. მანჯავიძეს (სხვებთან ერთად) მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1983).



5-მეტრიანი კამერა ,,რისკ''.

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ჰადრონების სპექტროსკოპიის დარგში, რის შედეგად დამზერილი იყო H_1, A_3 და სხვა რეზონანსები (გ. ჩიქოვანი სხვებთან ერთად). საკავშ. თანამშრომლობის ჩარჩოებში მაფი მონაწილეობდა სერპუხოვის ამჩქარებელზე ბირთვების კულონურ ველში პიონების რადიაციული გაფანტვის შესწავლაში. ამ ცდებში პირველად იქნა შემჩნეული პიონის პოლარიზებადობა და გაიზომა დაშლის მუდმივა (ვ. როინიშვილი სხვებთან ერთად). სერპუხოვის ამჩქარებელზე თსუ-ის მეფი-ის ფიზიკოსთა ჯგუფი 1978–85 დააკვირდა ფარული უცნაურობისა და 1,96 *გევ* მასის მქონე უჩვეულოდ ვიწრო ახ. ბარიონულ რეზონანსს (საქართვ. სახელმწ. პრემია, 1986, ნ. ამაღლობელი, თ. *გრიგალაშვილი*, ვ. *კეკელიძე*, გ. *ნიკობაძე*, ვ. *ჯორჯაძე* და სხვ.). ამავე ჯგუფმა სხვებთან ერთად შეისწავლა Λ_c^+ ბარიონის დაბადება, XX ს. 90-იან წლებში კი ,,EXCHARM'' საერთაშ. თანამშრომლობის ჩარჩოებში განაგრძო Λ_c^+ და Σ_c^0 ჩარმიანი რეზონანსების დაშლის სხვადასხვა არხების შესწავლა.

ნუკლონების გარდა, არსებობს სხვა სამკვარკიანი წარმონაქმნები. ერთ-ერთი ასეთი წარმონაქმნის, Δ-იზობარის წვლილი დეიტრონში ექსპერიმენტულად პირველად შეისწავლეს თსუ-ის მეფი-ში (მ. ნიორაძე და სხვ.) ბგგი-ის სინქროფაზოტრონზე, ბუშტოვანი კამერის გამოყენებით, დუბნაში მომუშავე საერთაშორისო კოლექტივთან ერთად. შეისწავლებოდა გადამუხტვის რეაქციები დეიტრონზე, ბირთვული რეაქციების მექანიზმი და ეგზოტიკური მდგომარეობები (დიბარიონული რეზონანსების ანომალიები) ბირთვულ ურთიერთქმედებებში. იგივე ჯგუფი მონაწილეობდა ექსპერიმენტებში იულიხის (გერმანია) კვლევათა ცენტრის ამჩქარებლებზე პოლარიზებული ნაკადების და პოლარიზებული სამიზნის გამოყენებით.

XX ს. 90-იან წლებში მეფი-ის ფიზიკოსთა ორი ჯგუფის მიერ (ი. *თევზაძე* სხვებთან ერთად და ლ.ჩხაიძე სხვებთან ერთად) დუბნის ამჩქარებლებზე მიღებული ექსპერ. მასალის დამუშავების საფუძველზე ჩატარდა რელატივისტური ნუკლონებისა და ბირთვების სხვადასხვა ბირთვებთან დაჯახების მექანიზმების კვლევა (ბირთვული მატერიის თვისებების შესწავლა დიდი სიმკვრივისა და მაღალი ტემპერატურის პირობებში) და დადგინდა ან დაზუსტდა ამგვარი პროცესების მახასიათებლები.

ნეს 93-ე ქიმიური ელემენტი – ნეპტუნიუმი.

ამერიკელმა ფიზიკოსებმა დ. კორსონმა, კ. მაკ-კენზიმ და ე. სეგრემ ბისმუთზე α-ნაწილაკების დასხივებით დაასინთეზეს 85-ე ქიმიური ელემენტი – ასტატიუმი.

1941

ამერიკელმა მეცნიერმა გ. სიბორგმა და ე. მაკმილანმა დაასინთეზეს 94-ე ქიმიური ელემენტი – პლუტონიუმი.

1942

ე. ფერმიმ განახორციელა მართვადი ბირთვული ჯაჭვური რეაქცია თავისივე ხელმძღვანელობით აგებულ რეაქტორში.

1944

გ. სიბორგმა სხვებთან ერთად დაასინთეზა 95-ე და 96-ე ქიმიური ელემენტები – ამერიციუმი და კიურიუმი.

1944–45

საბჭოთა ფიზიკოსმა ვ. ვექსლერმა (1944) და ე. მაკმილანმა (1945) წამოაყენეს ავტოფაზირების პრინციპი.

1945

16 ივლისს ალამოგორდოს უდაბნოში (აშშ) განხორციელდა ექსპერიმენტული ბირთვული აფეთქება (დაყოფის ჯაჭვური რეაქცია).

ამერიკელმა მეცნიერებმა ჯ. მარინსკიმ, ლ. გლენდენინმა და ჩ. კორიელმა დაასინთეზეს 61-ე ქიმიური ელემენტი – პრომეთიუმი.

1946

ამერიკელმა მეცნიერმა გ. გამოვმა წამოაყენა ,,დიდი აფეთქების'' მოდელი და დაამუშავა ქიმიურ ელემენტთა სინთეზის თეორია.

1947–48

ინგლისელმა მეცნიერებმა ჩ. ლატესმა, ბ. მიუირჰელმა, ჯ. ოკიალინიმ და ს. პაუელმა აღმოაჩინეს π-მეზონი.

ამერიკელმა ფიზიკოსებმა ჯ. როჩესტერმა და კ. ბატლერმა აღმოაჩინეს K-მეზონი.

1948–50

ამერიკელმა ფიზიკოსმა ა. სნელმა, კანადელმა ფიზიკოსმა ჯ. რობსონმა და საბჭოთა

(გაგრძელება იხ. გვ. 622).

ფიზიკოსმა პ. სპივაკმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აღმოაჩინეს თავისუფალი ნეიტრონის β-დაშლა (იწინასწარმეტყველა ფ. ჟოლიო-კიურიმ 1934) და გაზომეს ნახევარდაშლის პერიოდი.

შეიქმნა და განვითარდა ბირთვის გარსული და კოლექტიური მოდელები.

1949

ამერიკელმა ფიზიკოსმა ი. პ. ვიგნერმა ჩამოაყალიბა ბარიონული რიცხვის შენახვის კანონი.

გ. სიბორგმა და ამერიკელმა ფიზიკოსმა ს. ტომსონმა დაასინთეზეს 97-ე ქიმიური ელემენტი – ბერკლიუმი.

1950

ამერიკელმა ფიზიკოსებმა რ. ბიორკლუნდმა, ვ. კრენდალმა, ბ. მოიერმა და სხვ. აღმოაჩინეს ნეიტრალური π-მეზონი.

გ. სიბორგმა სხვებთან ერთად დაასინთეზა 98-ე ქიმიური ელემენტი – კალიფორნიუმი.

1951

ამერიკელმა ფიზიკოსმა მ. დოიჩმა აღმოაჩინა პოზიტრონიუმი.

1952

აღმოაჩინეს ლეპტონური რიცხვის შენახვის კანონი.

აშშ-ში განახორციელეს თერმობირთული სინთეზის ხელოვნური რეაქცია უმართავი აფეთქების სახით.

1953

ამერიკელმა ფიზიკოსმა მ. გელ-მანმა და იაპონელმა ფიზიკოსმა კ. ნიშიჯიმამ შემოიღეს კვანტური რიცხვი უცნაურობა და აღმოაჩინეს უცნაურობის შენახვის კანონი.

ამერიკელმა ფიზიკოსმა დ. გლეზერმა შექმნა ბუშტოვანი კამერა.

წყალბადის ბომბის აფეთქების პროდუქტებში აღმოაჩინეს 99-ე (ფერმიუმი) და მე-100 (აინშტაინიუმი) ქიმიური ელემენტების იზოტოპები.

1954

ობნინსკში (სსრკ) ამოქმედდა პირველი ატომური ელექტროსადგური.

ნოვოსიბირსკის (რუსეთი) ბირთვული ფიზიკის ინ-ტში ლ. *ქურდაძის* უშუალო მონაწილეობით XX ს. 70-იან წლებში მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები: პირველად ექსპერიმენტულად შემოწმდა კვანტური ელექტროდინამიკის სამართლიანობის ფარგლები 3.1 *გევ* ენერგიამდე და დადგინდა, რომ მიუონი 6×10^{-17} *მ* მანძილებამდე ჯერ კიდევ წერტილოვანი ნაწილაკია (1971); პირველად ექსპერიმენტულად შემოწმდა კვანტური ქრომოდინამიკის ზოგიერთი წინასწარმეტყველება 2 *გევ* ენერგიებამდე (1972–79); რეკორდული სიზუსტით გაიზომა ρ, ω და φ-მეზონების დაბადების განივკვეთი ელექტრონულ-პოზიტრონული ანიჰილაციის პროცესებში, ρ-ω, ρ-φ და ω-φ ინტერფერენციის მოვლენა და მათი დაშლის იშვიათი არხები;



,,ყინულოვანი ბაზა'' იალბუზზე. 1950.

დაბალენერგეტიკულ არეში $2E<1.4$ *გევ* პრეციზიული სიზუსტით გაიზომა $\pi^{\pm}$, $K^{\pm}$ და K^0-მეზონების ელექტრომაგნიტური ფორმფაქტორები და სხვ. ამავე ჯგუფის მიერ დამუშავდა კოლაიდერში ელექტრონული (პოზიტრონული) კონების აბსოლუტური ენერგიის განსაზღვრის მეთოდი პოლარიზებული ნაკადის რეზონანსული დეპოლარიზაციის საშუალებით. ეს მეთოდი 2-3 რიგით აუმჯობესებდა კონების ენერგიის განსაზღვრის ექსპერიმენტულ სიზუსტეს. ამ მეთოდის გამოყენებით ჩატარდა ენ-ის – $K^{\pm}$, φ, ψ, ψ', Υ და Υ' მასების პრეციზიული გაზომვები. შემდგომში ეს მეთოდი დაინერგა და წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს ყველა წამყვან ცენტრში. ენ-ის მასის პრეციზიული გაზომვის მეთოდების შემუშავებისათვის ლ. ქურდაძეს სხვებთან ერთად მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1989).

თსუ-ის მაღალი ენერგიების ბფ-ის პრობლემურ ლაბორატორიაში XX ს. 70-იან წლებში შეიქმნა დამუხტული ნაწილაკების ტრეკების მარეგისტრირებელი დანადგარებით მიღებული ინფორმაციის დამუშავების ცენტრი, სადაც შემდგომში ჩატარდა გამოკვლევები ჰადრონული ფიზიკის სხვადასხვა მიმართულებით. აქ შესწავლილია მაღალი ენერგიების ჰადრონ-ჰადრონის დაჯახებისას ერთდროულად მრავალი ენ-ის წარმოქმნის პროცესები, შემჩნეულია მეორეული ნაწილაკების განაწილების ადრეული ავტომოდელური ქცევა, დადგენილია ანომალია ნეიტრალური უცნაური ენ-ების დაბადების კვეთის ენერგეტიკულ დამოკიდებულებაში (პ. მელიქიშვილის სახ. პრემია, 1976, ნ. ამაღლობელი, რ. *სალუქვაძე*, ი. თევზაძე, მ. ჩარგეიშვილი); ენერგიების მნიშვნელობათა ფართო ინტერვალში გამოკვლეულია π^+ და K^0-მეზონების პროტონებთან ურთიერთქმედებისას მიმდინარე რეაქციების მრავალი ექსკლუზიური და ინკლუზიური არხი და გაზომილია მათი კვეთები; შესწავლილია პიონების გაცვლითი გაფანტვა დაპოლარებულ პროტონებზე; დამზერილია სპინური ეფექტები π^0-მეზონების ინკლუზიური დაბადებისას.

თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტზე ფოტოემულსიური მეთოდით შესწავლილია პიონების დაბადება ბირთვებთან პროტონების დაჯახებისას, კერძოდ, დაბალი ენერგიების ე.წ. ,,ჯებირქვეშა'' პიონების გაჩენა (ქ.კოსტანაშვილი და სხვ.).

ლეპტონების აკრძალული და იშვიათი პროცესების გამოკვლევებში, პაულ შერერის ინ-ტთან (შვეიცარია) ერთად, დადგინდა ახ. ზედა ზღვრები მიუონის დაშლის ზოგიერთი არხისათვის და მიუონიუმის ანტიმიუონიუმად კონვერსიისათვის (დ. მჟავია და სხვ.).

2009 ბოლოს ამუშავდა *დიდი ჰადრონული კოლაიდერი* (LHC). კოლაიდერზე დამონტაჟებულ ოთხ დიდ კვლევით დანადგარზე (ALICE, ATLAS, CMS და LHCb) მომუშავე რამდენიმე ათას თანამშრომელს შორის სხვადასხვა დროს მუშაობდა 50-მდე ქართველი ფიზიკოსი.

XX ს. I ნახევარში დიდი ამჩქარებლების აგებამდე (1953, ბრუკჰეივენის ნაც. ლაბ., აშშ; 1955, ლოურენსის ნაც. ლაბ., აშშ; 1957, ბგგი, სსრკ) მაღალენერგიული ნაწილაკების ერთადერთი წყარო იყო *კოსმოსური სხივები*. ენ-თა ეს წყარო დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელობას – კოსმოსურ სხივებში ენ-თა ენერგია ხშირად ბევრად მაღალია, ვიდრე ამჩქარებლებით შეიძლება იქნას მიღებული. საქართველოში კოსმოსური სხივების შესწავლის დაწყება (1936) შეიძლება ჩაითვალოს ჩვენს ქვეყანაში ენფ-ის განვითარების დასაწყისად. 1949–50 წლებში იალბუზზე ზღვის დონიდან 3900 *მ* სიმაღლეზე მაფი-ის ახალგაზრდა თანამშრომელთა მიერ ე. *ანდრონიკაშვილის* ხელმძღვანელობით (მ. ბიბილაშვილი, ზ. მანჯავიძე, გ. ჩიქოვანი, გ. კახიძე, ვ. ცინცაძე და სხვ.) აიგო ,,ყინულოვანი ბაზა''. 1950 აქ დაიწყო დაკვირვებები 20 *სმ* დიამეტრის ვილსონის კამერით. სსრკ-ში პირველად აღმოჩენილი იქნა ე. წ. უცნაური ენ-ების (K-მეზონები, Λ-ჰიპერონები) ,,ორკაპა კვალები''. 1953–60 დაკვირვებები გაგრძელდა 1800 *მ* სიმაღლეზე (იალბუზი), შეწყვილებული ვილსონის კამერებით, 10 *გევ* ენერგიაზე. მსოფლიოში პირველად შემჩნეული იქნა $\Sigma^{\pm}$-ჰიპერონების კვალი.

1956–59 მაფი-ის თანამშრომლებმა სწრაფმოქმედი ერთმეტრიანი კონდენსაციური კამერის მეშვეობით შეისწავლეს K_L^0-მეზონების თვისებები და პირველად დაადგინეს მათი დაშლის ზოგიერთი მოდის ალბათობა (დ. კოტლიარევსკი, ზ. მანჯავიძე და სხვ.). 1965 ცხრაწყაროს უღელტეხილზე ზღვის დონიდან 2500 *მ* სიმაღლეზე, მაფი-ის მაღალმთიან სადგურზე (1968-იდან გ. ჩიქოვანის სახ. სადგური ,,*ცხრაწყარო*'') ამოქმედდა დანადგარი ,,ცხრაწყარო'' – 1000 *ტ* ელექტრომაგნიტის ღრეჩოში მოთავსებული ორი ვილსონის კამერა ($2\,მ\times1\,მ\times0{,}4\,მ$ ზომების), და ონ-ნიზაციური კალორიმეტრი – რამაც შესაძლებელი გახადა 10^{12} *გევ* ენერგიის მოვლენების შესწავლა. დამტკიცდა, რომ ორნაწილაკოვანი კო-

რელაციები ადასტურებს ჰადრონის მულტიპერიფერიულ კლასტერულ მოდელს. ნაჩვენები იქნა, რომ ჰადრონის სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად საჭირო დრო აღემატება ურთიერთქმედების ხანგრძლივობას.

1957–59 საქართველოში იწყება გამოყენებითი ბფ-ის განვითარება. ქ. მცხეთის მახლობლად, სოფ. მუხათგვერდის მიმდებარე ტერიტორიაზე, აშენდა ИРТ-2000 ტიპის საქართვ. მაფი-ის კვლევითი *ბირთვული რეაქტორი* (ბრ). 1960 იანვრიდან დაიწყო კვლევები ოთხ განყოფილებაში: ,,ნეიტრონოგრაფიის'' (ხელმძღვ. ა. მანჯავიძე), ,,მყარი ტანის რადიაციული ფიზიკის'' (ზ. *სარალიძე*), ,,დაბალტემპერატურული რადიაციული მასალათმცოდნეობისა'' (ი. *ნასყიდაშვილი*) და ,,გამოყენებითი ბირთვული ფიზიკის'' (თ. *ცეცხლაძე*). მაფი-ის ბრ-ზე მსოფლიოში პირველად დაიწყეს ნეიტრონების ბირთვული პრეცესიის ექსპერ. კვლევები. აიგო დანადგარი (1988, მ. წულაია და სხვ.) თბური პოლარიზებული ნეიტრონების გაბნევის გამოსაკვლევად პოლარიზებულ დაბალტემპერატურულ სამიზნეებზე. ამ კვლევების ჩასატარებლად ჩამოყალიბდა პოლარიზებულ-ოპტიკური ნეიტრონული კვლევების საკავშ. თანამშრომლობა ,,პონი'', რ-ის ფარგლებში იკვლევდნენ ნეიტრონების ბირთვულ და მაღალსიხშირულ პრეცესიებს, ბირთვულ პროცესებში მუხტურ-სივრცული სიმეტრიის დარღვევას, ხისტ და არახისტ პროცესებს პოლარიზებული ნეიტრონებისა და ბირთვების ურთიერთქმედებისას. ბრ-ის გაჩერების შემდეგ, ბგგი-ის მიწვევით, ეს კვლევები გაგრძელდა დუბნაში ი. ფრანკის სახ. ნეიტრონული ფიზიკის ლაბორატორიაში იმპულსურ რეაქტორზე იბრ-2. აქ გადაიტანეს და მოდერნიზაციის შემდეგ აამოქმედეს დანადგარი ,,კოლხიდა'' (მ. წულაია, 2010).



ბირთვული რეაქტორი (მცხეთა). 1981.

მყარი ტანის განყ-ბაში სხვადასხვა მეთოდებით შეისწავლებოდა რადიაციული დეფექტების გავლენა მასალათა ოპტიკურ, კინეტიკურ, დინამიურ და მექანიკურ თვისებებზე. დასხივების პირობებში ნივთიერების სტრუქტურის შეცვლის კვლევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბირთვული ენერგეტიკის განვითარებისთვის, კერძოდ, მომავალი თერმობირთვული რეაქტორების ასაგებად. დასხივების გავლენის შესწავლა ზეგამტარების თვისებებზე, რ-ებიც ამ დანადგარებში უნდა იქნას გამოყენებული, შესაძლებელია მხოლოდ დაბალი (თხევადი ჰელიუმის) ტემპერატურის პირობებში. ამ პირობებში ნივთიერებაზე რადიაციის მოქმედების შესასწავლად მაფი-ში შეიქმნა და ბრ-ის ერთერთ ჰორიზონტალურ არხში დამონტაჟდა სსრკ-ში პირველი დაბალტემპერატურული (85–100 K) მარყუჟი. ბრ-ის ექსპერ. შესაძლებლობები უფრო გაფართოვდა, როცა მის ბაზაზე შეიქმნა ინდიუმ-გალიუმის რადიაციული კონტური, რ-იც წარმოადგენდა ,,სუფთა'' (ნეიტრონებისაგან თავისუფალ) γ-გამოსხივების მძლავრ წყაროს. შედეგად, დაბალტემპერატურული რადიაციული მასალათმცოდნეობის დარგში საქართვ. მაფი აღიარებულ იქნა სსრკ მასშტაბით წამყვან დაწესებულებად. ამ კვლევების შედეგებს მსოფლიო სამეცნ. საზოგადოება ნაკლებად იცნობდა ბრ-ზე მიმდინარე სამუშაოების გასაიდუმლოების გამო.





პოლარიზებული ნეიტრონების დანადგარი ,,კოლხიდა''.

თ. ცეცხლაძე ხელმძღვანელობდა ბირთვულ-ქიმიური პროცესების კვლევას არამეტალურ მყარ სხეულებში. შეისწავლებოდა ბირთვულ რეაქციებში წარმოქმნილი ტრიტიუმის როგორც თბური, ასევე გამოსხივების ველში მიმდინარე დაჩქარებული დიფუზია. განისაზღვრებოდა კრისტალური მესრის დეფექტების როლი ამ პროცესებში. განყოფილებაში შეიქმნა თბური და სწრაფი ნეიტრონების აქტივაციური დეტექტორები, რ-ებშიც, დოზიმეტრულ პრაქტიკაში პირველად, გამოყენებულ იქნა ფენოლ-ფორმალდეჰიდური ფისები; შეიქმნა ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებში ტრიტიუმის მცირე კონცენტრაციების გასაზომი აპარატურა, რ-იც გამოიყენებოდა საქართველოს ნავთობის საბადოების დამუშავებისას მიწისქვეშა და გარედან ჩატუმბული წყლების მიგრაციის კონტროლის მიზნით, განისაზღვრებოდა ტრიტიუმის შემცველობა ატმოსფერულ ნალექებში.

1967–68 რეაქტორის სიმძლავრე გაზარდეს 2 *მეგვტ*-იდან 5 *მეგვტ*-მდე, აქტიურ ზონაში თბოგადაცემის პროცესის ინტენსიფიცირებით. ამას მიაღწიეს ე.წ. ორგანზომილებიანი ხელოვნური ხაოიანობის გამოყენებით, რ-იც შეიქმნა თბოგამომყოფი ელემენტების ზედაპირებზე (ვ. *გომელაური*). 1973–75 რეკონსტრუქციისას ალუმინის ავზი შეცვალეს კოროზიამედეგი უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებული ავზით; ახ. თბოგამომყოფი ბლოკების გამოყენებით ბრ-ის სიმძლავრე გაზარდეს 8 *მეგვტ*-მდე; რეაქტორზე შეიქმნა მძლავრი დაბალტემპერატურული კომპლექსი ახალი კრიოგენული დანადგარებისა და დაბალტემპერატურული მარყუჟების ბაზაზე; დამონტაჟდა მომატებული სიმძლავრის რადიაციული კონტური; გაიზარდა ბრ-ის გამაცივებელი სისტემის წარმადობა; განხორციელდა კრიოგენული სადგურის რეკონსტრუქცია, რ-იც, თხევადი აზოტის წარმოების გაზრდის გარდა, მიზნად ისახავდა თხევადი ჰელიუმის წარმოების გაზრდასაც. შედეგად, მაფი-ის ბრ გადაიქცა მძლავრ ბირთვულ-ტექნოლოგიურ ექსპერიმენტულ კომპლექსად, რ-ზეც ტარდებოდა ფუნდამენტური კვლევები 10–400 K ტემპერატურულ შუალედში ინტენსიური ნეიტრონული ნაკადებისა და γ-გამოსხივების პირობებში.

1990 საზოგადოების ნაწილის ზეწოლით მაფი-ის ბრ დაიხურა. რადიოაქტიური მასალებისა და

1955
ე. სეგრემ და ამერიკელმა ფიზიკოსმა ო. ჩემბერლენმა სხვებთან ერთად აღმოაჩინეს ანტაპროტონი.

1955–58
გ. სიბორგმა სხვებთან ერთად დაასინთეზა 101-ე ქიმიური ელემენტი – მენდელევიუმი.

ამერიკელმა მეცნიერმა რ. ჰოფშტადტერმა გაზომა პროტონის (1957) და ნეიტრონის (1958) ელექტრომაგნიტური ფორმფაქტორები.

1956
ამერიკელმა ფიზიკოსებმა ო. პიჩიონიმ, ბ. კორკმა და სხვ. აღმოაჩინეს ანტინეიტრონი.

ამერიკელმა ფიზიკოსებმა ფ. რეინესმა და კ. კოუენმა ექსპერიმენტულად აღმოაჩინეს ელექტრონული ანტინეიტრინო (იწინასწარმეტყველა ვ. პაულიმ 1931).

ამერიკელმა ფიზიკოსებმა ლიმ და იანგმა დაადგინეს სუსტ ურთიერთქმედებებში ლუწობის შენახვის კანონის დარღვევა, რაც ექსპერიმენტულად დაამტკიცა ამერიკელმა ფიზიკოსმა ც. ვუმ.

ლ. ალვარესმა აღმოაჩინა ბირთვული სინთეზის μ-კატალიზი (იწინასწარმეტყველა ამერიკელმა მეცნიერმა ფ. ფრანკმა 1947)

1958
გერმანელმა ფიზიკოსმა რ. მესბაუერმა აღმოაჩინა ე. წ. მესბაუერის ეფექტი.

1959
საბჭოთა ფიზიკოსებმა ს. ბელიაევმა, ვ. სოლოვიოვმა, ა. მიგდალმა შექმნეს ბირთვის ზედენადი მოდელი (საბჭოთა ფიზიკოსის ნ. ბოგოლიუბოვის 1958 წ. შექმნილი მეთოდის საფუძველზე).

იაპონელმა ფიზიკოსებმა ს. ფუკუიმ და ს. მიამოტომ გამოიგონეს ნაპერწკლური კამერა.

1960
ლ. ალვარესმა აღმოაჩინა რეზონანსები – ჰადრონები, რომლებიც განიცდიან ძლიერ დაშლას.

1961
მ. გელ-მანმა და ამერიკელმა ფიზიკოსმა უ. ნეემანმა ჯგუფთა თე-

(გაგრძელება იხ. გვ. 624).

ორიის საფუძველზე შემოიღეს ელემენტარულ ნაწილაკთა კლასიფიკაცია.

1961–70
დუბნასა (სსრკ) და ბერკლიში (აშშ) ამჩქარებლებზე დასინთეზეს 103-ე (ლოურენსიუმი) და 104-ე (რეზერფორდიუმი) ქიმიური ელემენტების სხვადასხვა იზოტოპი.

1962
ამერიკელმა ფიზიკოსმა ლ. ლედერმანმა დაასაბუთა განსხვავება ელექტრონულ და მიუონურ ნეიტრინოებს შორის.

1963
მ. გელ-მანმა და ამერიკელმა ფიზიკოსმა ჯ. ცვაიგმა წამოაყენეს ჰადრონების კვარკული მოდელი.

1964
ამერიკელმა ფიზიკოსებმა შ. გლეშოუმ და ჯ. ბიორკენმა შემოიღეს კვანტური რიცხვი ,,მომხიბლავობა'', ანუ ჩარმი.
ინგლისელმა მეცნიერმა პ. ჰიგსმა (ამერიკელი ფიზიკოსის ფ. ანდერსონის იდეებზე დაყრდნობით) ჩამოაყალიბა ჰიპოთეზა ელემენტარული ნაწილაკების მასების წარმოშობის შესახებ.

გამოუყენებელი ბირთვული საწვავის ნაწილი შეიძინა და საქართველოდან გაიტანა უზბეკეთის მეცნ. აკადემიამ თავისი კვლევითი ბრ-ის საჭიროებებისათვის; დარჩენილი ნაწილი შეიძინა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. გაჩერებული ბრ-ის ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მაფი-ში, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (აესს) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით, შემუშავდა პროექტი (შ. აბრამიძე, ზ. სარალიძე, ნ. ქათამაძე), რ-ის შესაბამისად, 2002 შესრულდა ბრ-ის ავზის ქვედა რადიოაქტიური ნაწილის და დაგროვილი მაღალი აქტივობის მქონე ნარჩენების დაბეტონება. აესს რეკომენდაციით, განიხილება მსოფლიოში მოქმედი სხვადასხვა კონსტრუქციისა და ტიპის დანადგარებზე საქართვ. ბრ-ზე გამოყენებული დაკონსერვების სქემის დანერგვის შესაძლებლობა. მიმდინარეობს მოლაპარაკება წყნარი ოკეანის ჩრდ.-დას. ნაც. ლაბორატორიასთან (აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტი, The Pacific Northwest National Laboratory, PNNL, Richland, Washington, USA) საერთო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობაზე.

ქართველი ფიზიკოსების მიერ ენფ და ბფ დარგში მიღებულმა შედეგებმა (როგორც თეორ., ასევე ექსპერ. კვლევების მიმართულებით) გაანაპირობა ის ავტორიტეტი, რ-იც ჰქონდა საქართველოში ჩატარებულ საერთაშ. და საკავშ. კონფერენციებს, სიმპოზიუმებსა და სხვ. ღონისძიებებს. გამორჩეული პოპულარობით სარგებლობდა ზამთრის სკოლები მაღალი ენერგიების ენფისა და ბფ-ში, მაღალ ენერგიებზე არადრეკად პროცესებში, ასევე მასალათა რადიაციულ ფიზიკაში, რ-ებიც სისტემ. ტარდებოდა მაფის მაღალმთიან ბაზაზე (დაბა ბაკურიანი). 1976 თბილისში ჩატარდა XVII საერთაშ. კონფერენცია მაღალი ენერგიების ფიზიკაში (ე. წ. როჩესტერის კონფერენცია), რ-იც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება იმ ქვეყნებში, სადაც მეცნიერების ეს მიმართულება განსაკუთრებით არის განვითარებული.

ლიტ.: რ ო ი ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი, თბ., 2009; ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ა., ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის განვითარების ძირითადი ეტაპები, კრ.: ,,...და იყო დღე ფიზიკისა'', თბ., 2005; А н д р о н и к а ш в и л и Э., Начинаю с Эльбруса, Тб., 1980.

ნ. ამაღლობელი. თ. კოპალეიშვილი. ნ. როინიშვილი. რ. ჯიბუტი.

ელემენტთა პერიოდული სისტემა დ. მ ე ნ დ ე ლ ე ე ვ ი ს ა, ქიმიური ელემენტების კლასიფიკაცია – დ. *მენდელეევის* პერიოდულობის კანონის გრაფიკული გამოსახულება. ქიმ. ელემენტების სისტემატიზაციის ცდები (მსგავსი ქიმ. თვისებების მიხედვით) ჯერ კიდევ XIX ს. 30-იან წლებიდან დაიწყო. 1864 დ. მაიერმა ატომურ მასათა მონაცემების საფუძველზე შეადგინა ტაბულა, რ-შიც აჩვენა ელემენტთა რამდენიმე ჯგუფის ატომური მასებისა და თვისებების ურთიერთშესაბამისობა, მაგრამ ზოგადი თეორ. დასკვნა მას არ გაუკეთებია. დ. მენდელეევის შეფასებით, ე. პ. ს-ის განმტკიცებას ხელი შეუწყო პ. *მელიქიშვილისა* და მისი მოწაფის ლ. *პისარჟევსკის* შრომებმა.

2012 წლის მონაცემებით, ე. პ. ს. მოიცავს 118 ქიმ. ელემენტს. მისი წინამორბედი იყო დ. მენდელეევის მიერ 1869 შედგენილი ცხრილი, რ-იც მეცნიერმა შემდგომი ორი წლის მანძილზე სრულყო – ელემენტები დაყო მწკრივებად, პერიოდებად, ჯგუფებად და უწოდა ელემენტთა პერიოდული სისტემა.
ე. პ. ს-ში ქიმ. ელემენტები დალაგებულია ატომური ნომრის (და არა ატომური მასის) მიხედვით, რაც ბუნებრივად აიხსნება

ელემენტთა პერიოდული სისტემა (ქიმიური ელემენტთა ქართული სახელწოდებები იხ. გვ. 629)

ჯგუფი	1 IA	2 IIA	3 IIIB	4 IVB	5 VB	6 VIB	7 VIIB	8 ----	9 VIIIB	10 ----	11 IB	12 IIB	13 IIIA	14 IVA	15 VA	16 VIA	17 VIIA	18 VIIIA
პერიოდი 1	1 H																	2 He
2	3 Li	4 Be											5 B	6 C	7 N	8 O	9 F	10 Ne
3	11 Na	12 Mg											13 Al	14 Si	15 P	16 S	17 Cl	18 Ar
4	19 K	20 Ca	21 Sc	22 Ti	23 V	24 Cr	25 Mn	26 Fe	27 Co	28 Ni	29 Cu	30 Zn	31 Ga	32 Ge	33 As	34 Se	35 Br	36 Kr
5	37 Rb	38 Sr	39 Y	40 Zr	41 Nb	42 Mo	(43) Tc	44 Ru	45 Rh	46 Pd	47 Ag	48 Cd	49 In	50 Sn	51 Sb	52 Te	53 I	54 Xe
6	55 Cs	56 Ba	*	72 Hf	73 Ta	74 W	75 Re	76 Os	77 Ir	78 Pt	79 Au	80 Hg	81 Tl	82 Pb	83 Bi	84 Po	(85) At	86 Rn
7	(87) Fr	88 Ra	**	(104) Rf	(105) Db	(106) Sg	(107) Bh	(108) Hs	(109) Mt	(110) Ds	(111) Rg	(112) Cn	(113) Uut	(114) Fl	(115) Uup	(116) Lv	(117) Uus	(118) Uuo

ლანთანოიდები*	57 La	58 Ce	59 Pr	60 Nd	(61) Pm	62 Sm	63 Eu	64 Gd	65 Tb	66 Dy	67 Ho	68 Er	69 Tm	70 Yb	71 Lu
აქტინოიდები **	89 Ac	90 Th	91 Pa	92 U	(93) Np	(94) Pu	(95) Am	(96) Cm	(97) Bk	(98) Cf	(99) Es	(100) Fm	(101) Md	(102) No	(103) Lr

ტუტე ლითონები; ტუტე-მიწათა ლითონები; ლანთანოიდები; აქტინოიდები; გარდამავალი ლითონები; მსუბუქი ლითონები; მეტალოიდები; არალითონები; ჰალოგენები; ნობელიუმი

ატომის აგებულებაზე არსებული თანამედროვე შეხედულებებით: ატომური ნომერი Ე. პ. ს-ში აჩვენებს ატომის ბირთვში პროტონების რაოდენობას და, შესაბამისად, ელექტრონების რაოდენობას ნეიტრალური ატომის ელექტრონულ გარსში, რაც განაპირობებს ელემენტის ქიმ. თვისებებს. თანამედროვე Ე. პ. ს-ში ერთი ქიმ. ელემენტის სახით გაერთიანებულია იზოტოპები, რ-ებიც განსხვავდება ერთმანეთისგან ატომის ბირთვში ნეიტრონების რაოდენობით და, ელექტრონულ გარსში ელექტრონთა ერთნაირი რაოდენობის მიუხედავად, აქვს განსხვავებული ატომური მასა.

ელენე (გ. V ს. ბოლოს), ქართლის დედოფალი. *ვახტანგ I* გორგასლის მეორე ცოლი. *ჯუანშერის* ცნობით, Ე. ბიზანტ. იმპერატორის ასული იყო. დაახლ. 468 ჩამოყვანეს ქართლში. Ე-სგან ვახტანგს შეეძინა ორი ძე (მირდატი და ლეონი) და ერთი ასული (სხვა ცნობით 3 ძე და 2 ასული).

ლიტ.: გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასლის ოჯახური ქრონოლოგია, «მნათობი», 1985, №4. *ვ. გოილაძე.*

ელენე, საქართველოს დედოფალი. *ბაგრატ IV-ის* პირველი მეუღლე, ბიზანტიის იმპერატორის რომანოზ III-ის ძმისშვილი.

1029-30 წლებში საქართველო–ბიზანტ. პოლიტ. ურთიერობის დარეგულირების მიზნით კონსტანტინოპოლს ეწვია ბაგრატ IV-ის დედა *მარიამ* დედოფალი. იმპ. რომანოზ III-მ ,,აფხაზთა და ქართველთა'' სამეფოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა და საქართველო-ბიზანტიის უფრო მეტად დასაახლოებლად ბაგრატ IV-ს თავისი ძმისშვილი Ე. შერთო ცოლად (საქართველოში იგი მარიამ დედოფალს გამოაყოლეს). Ე-მ და ბაგრატ IV-მ ქორწილი ბანაში გადაიხადეს. Ე-ს დიდხანს არ მოუწია საქართვ. დედოფლად ყოფნა, რადგანაც მალევე გარდაიცვალა. გადმოცემით, Ე-ს სახელთანაა დაკავშირებული ოქონის სასწაულთმოქმედი ხატის საქართველოში ჩამოტანა.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 5, თბ., 1963.

ლიტ.: ბუაჩიძე გ., ერთი ეპიზოდი საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობიდან იაჰია ანტიოქიელის ისტორიაში, კრ.: ქართული დიპლომატია, ტ. 3, თბ., 1996; სამუშია ჯ., XI საუკუნის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიიდან, იქვე, ტ. 9, თბ., 2002.

ჯ. სამუშია.

ელენე (გ. 1695), ქართლის დედოფალი, *თეიმურაზ I-ის* ძის, *დავით ბატონიშვილის* მეუღლე, *ერეკლე I-ის* დედა, ცნობილი მოღვაწის ლუარსაბ (ლეონ) დიასამიძის ასული. დიპლომატი, ქველმოქმედი. 1650 დაქვრივებული Ე. დიდი ამალით რუსეთში გაჰყვა ერეკლე (რუსეთში ნიკოლოზ) ბატონიშვილს. 1651 ასტრახანში ჩავიდა, 1652 – მოსკოვში, სადაც შვილს კარგი განათლება მიაღებინა. თავისი ტაქტით, დიპლ. ნიჭით Ე-მ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა რუს. სამეფო კარზე, შვილი დაუახლოვა სამეფო კარს და ნარიშკინთა საგვარეულოს. იღვწოდა შვილის იმერეთში, შემდეგ კი კახეთში გასამეფებლად. მოსკოვში ხანგრძლივი ყოფნის დროს ხელი შეუწყო ქართ. კულტურის პოპულარიზაციას რუსეთში. 1678 მრავალი საეკლ. ნივთი, კერძოდ ხატი, ,,გარდამოხსნა'' და საქართველოში გამოგზავნა. მოსკოვიდან სპარსეთში ჩავიდა. შაჰის კარზე ხელი შეუწყო ერეკლე I-ის კახეთში გამეფებას. ერეკლეს ქართლში მეფობისას Ე. სამშობლოში მოღვაწეობდა. დაკრძალულია ალავერდის მონასტერში.

ფ. სიხარულიძე.

ელენე (XVII ს. 80-იანი წლები, – 27. IV. 1749, მოსკოვი), ქართლის დედოფალი, მეფე *იესეს* მეუღლე, *ერეკლე I-ის* ასული, დაიბადა სპარსეთში. 1691-იდან ცხოვრობდა საქართველოში. კახეთისა და ქართლის სამეფოთა კავშირის განმტკიცების მიზნით იგი მეფე იესეზე დააქორწინეს 1715 ოქტ-ში. Ე. იყო სამშობლოსა თუ უცხოეთში არსებულ ქართ. კულტ. ძეგლთა დიდი ქომაგი და მზრუნველი. მან 1716 წყალობის სიგელით სიონის ტაძარი გაათავისუფლა გადასახადისგან, რ-საც ეკლესია ქართლის დედოფალს უხდიდა. თავისი ფულადი შემოსავლის მეათედი მან დიდოს მონასტერს (იხ. *დოდორქა)* დაუნიშნა, ამასთან ამ კერის ტაძრებს საეკლ. ინვენტარით, სამშენებლო მასალითა და ხელოსნებით დაეხმარა. მისი დაკვეთით მრავალი ხელნაწერი გადაინუსხა. ყურადღებას არ აკლებდა იერუსალიმში და სხვაგან არსებულ კულტ. კერებს. 1718 შეეძინა ვაჟი, თეიმურაზი (შემდეგში კათოლიკოსი *ანტონ I*), რ-საც იგი სამეფოდ ამზადებდა. ამ განზრახვის შესასრულებლად მონაზვნად შემდგარი Ე. ვაჟთან ერთად რუსეთში გაემგზავრა; 1738 ასტრახანში ჩავიდა, მაგრამ აქედან მოსკოვში გამგზავრება გაჭიანურდა და თეიმურაზი სამშობლოში დაბრუნდა, Ე-მ კი მოსკოვში ჩასვლა მაინც მოახერხა, სადაც 1739-იდან მამიდაშვილის *დარეჯან ბატონიშვილის* (არჩილ II-ის ასული) სახლში ცხოვრობდა. მალე რუს. იმპერატორის ბრძანებით მას საცხოვრებლად მიუჩინეს ნოვოდევიჩის მონასტერი. აქ შეიტყო იმერეთში გადასული თეიმურაზის ბერად აღკვეცის ამბავი, რამაც ძლიერ დაამწუხრა.

ანტონ I-ის კათოლიკოს-პატრიარქად არჩევის შემდეგ Ე-მ გამოუგზავნა საკუთარი ხელით მოქსოვილი და მორთული, ძვირადღირებული საპატრიარქო ქუდი. Ე. რუსეთიდანაც არ აკლებდა მზრუნველობას დავითგარეჯასა და კულტ. სხვა ცენტრებს. 1745 ანტონ I-მა მოსკოვს წარგზავნა ბერი ზენონი და *გიორგი ბატონიშვილს* (ვახტანგ VI-ის ძე) სთხოვა დახმარება დედის სამშობლოში გამოსამგზავრებლად. მისი დაბრუნება არ მოხერხდა, რადგან მალევე გარდაიცვალა. დაკრძალულია დონის მონასტერში.

ფ. სიხარულიძე.

ელენე ბატონიშვილი (1753–86), ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის უფროსი ასული. ცოლად გაჰყვა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ძმას არჩილს, რისაგანაც შეეძინა სამი შვილი – ბარბარე, მარიამი და არჩილი (შემდეგში იმერეთის მეფე სოლომონ II).

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მისთხოვდა ქართლ-კახეთის სამეფოს ცნობილ პოლიტ. და სამხ. მოღვაწეს ზაქარია თამაზის ძე ანდრონიკაშვილს, რ-ისაგანაც შეეძინა ქალიშვილი ხორეშანი (შემდეგში ზურაბ ორბელიანის მეუღლე და გრიგოლ ორბელიანის დედა).

ლიტ.: ბერძნიშვილი მაქს., მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980; ორბელიანი პ., ჰამბავნი ქართლისანი, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1981.

გ. გ. ლორთქიფანიძე.

ელენეს სამლოცველო, სამლოცველო იერუსალიმში, რომელიც ფრაგმენტული ცნობებით, ქართველებს XIV–XV სს-ში ეკუთვნოდათ.

ლიტ.: ფერაძე გრ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები იერუსალიმში ქართველი ბერების და ქართული მონასტრების შესახებ, გ. ჯაფარიძის გამოც., თბ., 1995.

ელერდაშვილი არსენ მიხეილის ძე (5. VI. 1943, სოფ. პატარძეული, ლიბა ელემენტარულ ნაწილაკთა მასის წარმოქმნის მექანიზმი ლოკალური კალიბრული სიმეტრიის სპონტანური დარღვევისას, სკალარულ ,,ჰიგსის ველთან'' ურთიერთქმედების შედეგად და იწანასწარმეტყველა ამ ველის კვანტი – ჰიგსის ბოზონი.

ამერიკელმა ფიზიკოსებმა ვ. ფითჩმა და ჯ. კრონინმა აღმოაჩინეს *CP* კომბინირებული ლუწობის (შემოიღო საბჭოთა ფიზიკოსმა ლ. ლანდაუმ 1957) დარღვევა K^0-მეზონების დაშლისას.

ბრუკჰეივენის ნაციონალურ ლაბორატორიაში (ამერიკელი ფიზიკოსი უ. ფაულერი და სხვ.) აღმოაჩინეს ჰადრონი Ω^-, რომლის არსებობა იწინასწარმეტყველა გელ-მანმა 1962.

1965

საბჭოთა ფიზიკოსებმა ნ. ბოგოლიუბოვმა, ბ. სტრუმინსკიმ, ა. თავხელიძემ და ამერიკელმა ფიზიკოსებმა ი. ნამბუმ და მ.-ი. ჰანმა შემოიღეს კვანტური რიცხვი ,,ფერი''.

1966

ლ. ლედერმანმა დაასინთეზა ანტიდეიტრონები.

საბჭოთა ფიზიკოსმა გ. ფლეოროვმა სხვებთან ერთად დაასინთეზა 102-ე ქიმიური ელემენტი – ნობელიუმი.

1967

ამერიკელმა ფიზიკოსმა ს. უაინბერგმა და პაკისტანელმა ფიზიკოსმა ა. სალამმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წამოაყენეს სუსტ და ელექტრომაგნიტურ ურთიერთქმედებათა ერთიანი მოდელი.

საბჭოთა ფიზიკოსმა ა. სახაროვმა განიხილა სამყაროს ბარიონული ასიმეტრიის წარმოქმნის მექანიზმი.

საბჭოთა ფიზიკოსებმა ა. ლოგუნოვმა და მ. მესტვირიშვილმა სხვებთან ერთად განავითარეს ახალი მიდგომა ელემენტარულ ნაწილაკთა ურთიერთქმედების შესასწავლად; ამ მიდგომას ამერიკელმა

(გაგრძელება იხ. გვ. 626).

ფიზიკოსმა რ. ფეინმანმა მოგვიანებით (1969) ინკლუზიური უწოდა.

1968

ექსპერიმენტულად აღმოაჩინეს ნუკლონების შინაგანი სტრუქტურა.

იტალიელმა მეცნიერმა გ. ვენეციანომ შექმნა ე. წ. ვენეციანოს მოდელი და ჩაუყარა საფუძველი სიმთა თეორიის განვითარებას.

1970

შ. გლეშოუმ და სხვ. ,,მომხიბლავი'' კვარკის ცნების შემოტანით მოახდინეს უაინბერგ – სალამის სუსტ და ელექტრომაგნიტურ ურთიერთქმედებათა თეორიის მოდიფიცირება და ააგეს ე. წ. სტანდარტული მოდელი.

საბჭოთა ფიზიკოსმა ი. პროკოშკინმა სხვებთან ერთად დაასინთეზა ანტიჰელიუმის ბირთვი $He\bar{N}$

გ. ფლეიოროვმა დაასინთეზა 105-ე ქიმიური ელემენტის – დუბნიუმის იზოტოპები.

1971

საბჭოთა ფიზიკოსებმა ი. გოლფანდმა და ე. ლიხტმანმა შემოიღეს სუპერსიმეტრიის კონცეფცია.

1973

მ. გელ-მანმა და სხვ. წამოაყენეს გლუონების ჰიპოთეზა და განავითარეს ძლიერი ურთიერთქმედების კვანტურ-ქრომოდინამიკური (კქდ) მოდელი.

იაპონელმა ფიზიკოსებმა მ. კობაიაშიმ და ტ. მასუკავამ ივარაუდეს მესამე თაობის კვარკების არსებობა ელექტროსუსტ ურთიერთქმედებაში *CP*-სიმეტრიის დარღვევის ასახსნელად.

ექსპერიმენტულად აღმოაჩინეს ნეიტრალური სუსტი დენი, რითაც დადასტურდა გლეშოუ–უაინბერგ–სალამის ელექტროსუსტი ურთიერთქმედების მოდელი.

1974

ამერიკელმა ფიზიკოსებმა ბ. რიხტერმა და ს. ტინგმა აღმოაჩინეს ,,მომხიბლავი'' კვარკ-ანტიკვარკის ბმული მდგომარეობა – ჩარმონიუმი.

გ. ფლეიოროვმა და დ. სიბორგმა სხვებთან ერთად დაასინთეზეს 106-ე ქიმიური ელემენტი – სიბორგიუმი.

ახლანდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, – 5. I. 2010, თბილისი), ბიოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1999). 1965 დაამთავრა საქართვ. სახელმწ. ფიზიკური კულტურის ინ-ტი. 1965–96 მუშაობდა სპორტის აკადემიაში სხვადასხვა სამეცნ. თანამდებობაზე. 1997–2006 იყო ანატომიის კათედრის გამგე, 2007–09 – თსსუ-ის ადამიანის ანატომიის დეპარტ. კონტრაქტით მოწვეული პროფესორი. ე-მ შეისწავლა ადამიანის ტერფის აქტ. აპარატის ევოლ. ზოგიერთი საკითხი და მისი მორფოფუნქციური ცვლილებების დინამიკა სპორტის სპეც. სახეების გავლენით.

ელესა, ჰელესა, ხალხური ლექს-სიმღერა, შრომის პოეზიის სახეობა; სრულდებოდა მძიმე ტვირთის გადატანისას. გავრცელებულია ლაზეთში, აჭარაში, გურიაში, იმერეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთში. ე-ს სიტყვიერი ნაწილი შედარებით განუვითარებელია, ისმის მხოლოდ ,,ელესა'' და ,,იო'' (გურიაში). ვარაუდობენ, რომ ეს ,,კირიელეისონიდან'' (ბერძნ. ,,კჳრიელეჲსონ'' – ,,უფალო შეგვიწყალე'') მიღებული სიტყვებია. ე-ის პირველი ჩანაწერი დასტურდება გ. ავალიშვილის ,,მოგზაურობაში'' (1819). ე-ს ასრულებდნენ მეზღვაურები ღუზის ამოღებისას. ლაზური ,,ე.'' მონოდიური (ერთხმიანი გუნდური) სიმღერაა. აჭარული და გურული – სამ- და ოთხხმიანი, იმერული და მეგრული – სამხმიანი.

ლიტ.: ავალიშვილი გ., მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ე. მეტრეველის გამოც., თბ., 1967; თანდილავა ზ., ლაზური ხალხური პოეზია, თბ., 1972; ქართული ფოლკლორი, [ტ.] 4, თბ., 1974; ჩხეიძე ჯ., შრომის პოეზია ქართულ ფოლკლორში, ბათ., 1973. *გ. ჭელიძე.*

,,ელექტროავტომატი'' (საქციო საზოგადოება), ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობის საწარმო. დაარსდა 1955 თბილისში, საექსპლუატაციოდ გადაეცა 1956. ექვემდებარებოდა საკავშ. ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს (1991-მდე). 1974 შევიდა საწარმოო გაერთიანება ,,ელექტროაპარატში'', რ-ის დაშლის შედეგად 1996 შეიქმნა დამოუკიდებელი სააქციო საზ-ბა ,,ე.'' საწარმო სპეციალიზებული იყო ელექტროავტომატური ამომრთველების წარმოებაზე; უშვებდა საგუშაგო სამსახურის შესამოწმებელ ხელსაწყოებს, ლითონკერამიკულ კონტაქტებს, კონტაქტის დამჭერებსა და პლასტმასის დეტალებს. პროდუქცია მოიხმარებოდა ქვეყნის შიგნით, ნაწილობრივ გადიოდა საზღვარგარეთ.

1996-იდან სააქციო საზ-ბა ,,ე-მა'' დაიწყო ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის მრიცხველების დამცავი კარადების დამზადება, აგრეთვე განახლებადი ენერგიის (წყალი, მზე, ქარი) მცირე და მიკროელექტროდანადგარების წარმოება, რ-ის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზე (წინასწარი დაკვეთებით). *ვ. ვაჩნაძე.*

ელექტროამძრავი, ელექტრული ამძრავი, ელექტრომექანიკური მოწყობილობა, რ-ის დანიშნულებაა მუშა პროცესების ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია. ე. ფართოდ გამოიყენება ლითონმჭრელ ჩარხებში, საგლისავი დგანებისა და სხვა მეტალ. წარმოების დანადგარებში, სამთო დარგში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, ტვირთების ტრანსპორტირებისა და მგზავრების გადაყვანისას, მოსახლეობის და საწარმოების წყლითა და ჰაერით მომარაგებისას, სოფლის მეურნეობაში, მსუბუქ და კვების მრეწველობაში და ა. შ. ვინაიდან, ტექნოლოგიური რეჟიმების შესაბამისად, იცვლება საწარმოო მანქანებისა და მექანიზმების მექან. სიმძლავრე, ამიტომ ე-ის დანიშნულებაა, აგრეთვე, მექან. ენერგიის ნაკადის მართვა, რ-იც წარმოებს ელექტრული მეთოდებით. ნებისმიერი ავტომატიზებული ე. შედგება ელექტრული ძრავისაგან, გადამცემი მოწყობილობისაგან (რ-იც აკავშირებს ძრავას საწარმოო მანქანის მუშა ორგანოსთან), ძრავის მართვის სისტემისა და გარდამქმნელი მოწყობილობისაგან. ე-ში გამოიყენება როგორც მუდმივი (დამოუკიდებელ-, მიმდევრობით-, ან შერეულაღგზნებიანი), ასევე ცვლადი დენის (ასინქრონული, სინქრონული, ხაზური, ბიჯური) ძრავები. ძრავის მიერ გამომუშავებული მექან. ენერგია გადამცემი მოწყობილობის (კბილანური, ფრიქციული, ღვედური და ა. შ.) საშუალებით გადაეცემა მანქანა-მოწყობილობის მუშა ორგანოს. ე-ის მართვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ძრავის ჩართვა, გამორთვა, რევერსირება, სიჩქარის რეგულირება, დაცვა და სხვ. გარდამქმნელი მოწყობილობა საშუალებას იძლევა ე-ის მკვებავი ქსელის სამფაზა დენი გარდაიქმნას მუდმივ ან სხვა სიდიდის ან სიხშირის მქონე სამფაზა დენად.

საქართვ. ტექნიკური უნ-ტი დაარსებიდანვე ამზადებდა ე-ის სპეციალისტებს (ინჟინერ-ელექტრომექანიკოსებს). ამჟამად ეს ტრადიცია გრძელდება უმაღლესი პროფ. მომზადების, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე გ. მაჩაბელის, ე. ღონიაშვილის, ჯ. დოჭვირისა და ბ. ჭუნაშვილის ხელმძღვანელობით, რ-თაც მნიშვნელოვანი შედეგები აქვთ მიღებული ე-ის დინამიკის, ბაგირგზების ე-ის მართვის სისტემის, ბრტყელი ბიჯური ძრავებისა და სხვა სისტემების გამოკვლევებისას. პროფ. ე. ღონიაშვილის ნაშრომი ,,პრეციზიული ბიჯური ბრტყელი ელექტროამძრავი'' აღინიშნა სსრკ სახელმწ. პრემიით (1981).

ლიტ.: Чиликин М. Г., Соколов М. Н., Терехов В. М., Шинянский А. В., Основы автоматизированного электропривода, М., 1974 .

გ. მაჩაბელი.

ელექტროგადამცემი ხაზი (ეგხ), საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ელექტროსადგურებსა და მომხმარებლებს ელექტრული ენერგიის გადაცემისა და განაწილების მიზნით. ეგხ ენერგოსისტემის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია და ელექტრულ ქვესადგურებსა და მანაწილებელ მოწყობილობებთან ერთად ქმნის ელექტროქსელს განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

განასხვავებენ საჰაერო და საკაბელო ეგხ-ებს. საჰაერო ეგხ ელექტროენერგიას გადასცემს ანძებზე იზოლატორებით დაკიდებული ერთ- ან მრავალძარღვიანი სადენებით. მის ასაგებად იყენებენ სხვადასხვა მასალისა (ფოლადი, რკინაბეტონი, ხე და ა. შ.) და კონსტრუქციის ანძებს. მიწისქვეშა საკაბელო ეგხ გაჰყავთ იქ, სადაც მიზანშეწონილი არ არის ან შეუძლებელია საჰაერო ეგხ-ის აგება. კაბელებს აწყობენ უშუალოდ მიწაში ან სპეც. გვირაბებში. ნომინალური ძაბვის მიხედვით არის დაბალი (0,38 და 0,6 *კვ*), საშუალო (3; 6; 10 და 35 *კვ*), მაღალი (110, 150 და 220 *კვ*) და ზემაღალი (330, 400, 500, 750 *კვ*) ძაბვის ეგხ-ები. ელექტროქსელში ძირითადად გამოიყენებენ ცვლადი დენის სამფაზიან, იშვიათად – მუდმივი დენის ეგხ-ს.

ერთ-ერთი პირველი საცდელი ეგხ მისპახი–მიუნხენი (სიგრძე – 57 *კმ*, ძაბვა – 1,5–2 *კვ*) ააგო ფრანგმა მეცნიერმა მ. დეპრემ (1882). პირველი სამფაზიანი ცვლადი დენის ეგხ ლაუფენი–მაინის ფრანკ-

ფურტი [სიგრძე – 170 *კმ*, ძაბვა – 15 *კვ*, გადასაცემი სიმძლავრე – 230 *კვ·ა*, დააპროექტა და ააგო მ. დოლივო-დობროვოლსკიმ (1891)].

საქართველოში პირველი 35 *კვ* ძაბვის ეგხ-ით ზაჰესი დაუკავშირდა თბილისს (1927). 1934 საექსპლუატაციოდ გადაეცა 110 *კვ* ძაბვის ეგხ ზაჰესი–რიონჰესი. 1956 ამუშავდა 220 *კვ* ძაბვის ეგხ ტყვარჩელსრესი–ქუთაისი, 1958 გაყვანილ იქნა 220-*კვ*-იანი, ხოლო 1964 – 500-*კვ*-იანი ეგხ საქართველო–აზერბაიჯანი. 1973 ამუშავდა ამიერკავკასიაში პირველი 500-*კვ*-იანი შიდასისტემო ეგხ ,,თბილსრესი–ზესტაფონი‘‘. ენგურჰესის აშენების შემდეგ საექსპლუატაციოდ გადაეცა (1978) ამავე ძაბვის ეგხ ქვემო ზესტაფონი–ენგურჰესი.

2012 წლისათვის საქართველოში ძირითადი მაგისტრალური ეგხები 500 *კვ* ძაბვისაა. საქართველოს ენერგოსისტემა ეგხ-ების საშუალებით დაკავშირებულია ყველა მოსაზღვრე ქვეყნის ენერგოსისტემასთან. ძირითადი ეგხ-ებია: ,,კავკასიონი‘‘, ,,თრიალეთი‘‘, ,,იმერეთი‘‘, ,,ქართლი-2‘‘, ,,სალხინო‘‘.

განვითარებული ენერგეტიკის მქონე ქვეყნებში ექსპლუატაციაშია 750 *კვ* ძაბვის ცვლადი დენისა და 1000 *კვ* ძაბვის მუდმივი დენის ეგხ-ები. მიმდინარეობს მუშაობა უფრო მაღალი ძაბვის, კრიოგენული, მაღალსიხშირული ეგხ-ების შესაქმნელად.

ლიტ.: ქურდიანი ი., ქურციკიძე გ., ელექტრული ქსელები და სისტემები, თბ., 1972. *შ. ნემსაძე.*

ელექტროენერგეტიკა, მეურნეობის დარგი, რომელიც მოიცავს ელექტროენერგიის გამომმუშავებელი, გადამცემი და მანაწილებელი სამრეწველო საწარმოების, ნაგებობებისა და მოწყობილობების კომპლექსს; *ენერგეტიკის* შემადგენელი ნაწილი. Ე-ს დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობისათვის, რადგან მისი გადაცემა დიდ მანძილზე იოლია, მომხმარებელთათვის კი – ადვილად გარდასაქმნელი მექან., თბურ, ქიმ., სინათლისა და სხვა სახის ენერგიად. ელექტროენერგიის ძირითადი ნაწილის გენერაცია ხდება დიდ სადგურებში (თესები, ჰესები).

საქართველოში პირველი ელექტროსადგური აშენდა 1887 წლის ბოლოს (თბილისი) ი. ჭავჭავაძის თაოსნობით. ამის შემდეგ თანდათან გაჩნდა პატარა ელექტროსადგურები, რ-თა საერთო სიმძლავრე 1913 წ. 8,0 ათ. *კვტ* იყო, ხოლო გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა – 20 მლნ. *კვტ.სთ.* ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრისა და მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 25% იმ პერიოდში ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესებზე) მოდიოდა. 1918–21 ელექტროსადგურების რიცხვი შემცირდა. 1922 თბილისში იყო 44 პატარა ელექტროსადგური (მათი საერთო სიმძლავრე – 6,15 ათ. *კვტ*). 1927 საქართველოში ამუშავდა პირველი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის, „*ზაჰესის*“ (ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური) პირველი რიგი. ამ დროიდან დაიწყო ელექტროენერგიის გამოყენება მრეწველობაში, ტრანსპორტზე, კომუნ. მეურნეობაში, საოჯახო ყოფაში, სახ. მეურნეობაში.

Ე. საქართვ. სათბობ-ენერგეტ. კომპლექსის წამყვანი დარგია. 2010 წლის მონაცემებით Ე-ზე მოდიოდა კომპლექსის ძირითადი ფონდების საერთო ღირებულების 90%, მომუშავეთა 66% და სამრეწველო პროდუქციის მოცულობის 76,7%. 2011 წ. საქართვ. ყველა სახის ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე შეადგენდა 3314,6 ათ. *კვტ*, ხოლო ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება – 9912,1 მლნ. *კვტ.სთ.* აქედან თესებზე მოდიოდა სიმძლავრის 21% და გამომუშავების 21,4% (იხ. ცხრ. 1).

საქართველოში Ე. ძირითადად წარმოდგენილია ჰიდროელექტროსადგურებითა და თბოელექტროსადგურებით, აგრეთვე ელექტრული- და თბოქსელებით. ენერგოსისტემაში გაერთიანებულია სხვადასხვა სიდიდის 64 ელექტროსადგური, მ. შ. 4 თბოელექტროსადგური და 60 ჰიდროელექტროსადგური (2011 წ.). ელექტროსადგურების ტექნიკური მდგომარეობა ასეთია: ჯამური დადგმული სიმძლავრიდან (3314,6 ათ.*კვტ*) ფაქტობრივად სახეზეა (ქონებული სიმძლავრე) 2677,2 ათ. *კვტ* (80,8%). თბოელექტროსადგურებს შორის ყველაზე დიდია *„თბილსრესი“* (თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგური) და *„მტკვარი ენერგეტიკა“*. თბილსრესის დადგმული სიმძლავრეა (2011 წ.) 272 ათ. *კვტ*. 2011 აქ გამოიმუშავეს 748,1 მლნ. *კვტ.სთ* ელექტროენერგია; „მტკვარი ენერგეტიკისათვის‘‘ აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად უდრის 300 ათ. *კვტ* და 1291,9 მლნ. *კვტ.სთ*-ს. ჰესებს შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია *„ენგურჰესი“*. მისი დადგმული სიმძლავრეა (ვარდნილჰესების ჩათვლით) 1510 ათ. *კვტ*. 2011-ში გამოიმუშავა 3810,8 მლნ. *კვტ.სთ* ელექტროენერგია (საქართველოში მთლიანად წარმოებული ელექტროენერგიის 38,4%).

ცხრ. 1. საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები 1990–2011 წლებში.

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	1990 წ.	1995 წ.	2000 წ.	2005 წ.	2008 წ.	2009 წ	2010 წ.	2011 წ.
დადგმული სიმძლავრე, წლის დასაწყისში	ათ. *კვტ*	4522	4100	4826	4564,3	3447,0	3449,3	3318,2	3314,6
მ. შ. ჰესი	–„–	2732	2731	2729	2733,2	2621,0	2623,3	2619,2	2619,4
ჰესების წილი	%	60,4	66,6	56,5	59,9	76,0	76,1	78,9	79,0
გამომუშავებული ელექტროენერგია	მლნ. *კვტ.სთ*	14245,7	7082,0	7451,3	6880,8	8279,1	8164,9	9919,2	9912,1
მ.შ. ჰესი	–„–	7599,8	6383,0	5952,1	6041,9	7053,6	7314,6	9263,3	7788,7
ჰესების წილი	%	53,3	90,1	79,9	87,8	85,2	89,6	93,4	78,6

1975
ამერიკელმა ფიზიკოსმა მ. პერლმა აღმოაჩინა τ-ლეპტონი.

ამჩქარებელზე SPEAR (აშშ) აღმოაჩინეს ჰადრონული ჭავლები, რაც იძლევა კვარკების თვისებების შესწავლის შესაძლებლობას.

1976–89
დუბნასა (სსრკ) და დარმშტადტში (გერმანია) ამჩქარებლებზე დაასინთეზეს 107-ე ქიმიური ელემენტი – ბორიუმი.

დარმშტადტში დაასინთეზეს 108-ედან 112-მდე ქიმიური ელემენტები: ჰასიუმი, მაიტნერიუმი, დარმშტადტიუმი, რენტგენიუმი და კოპერნიციუმი.

1977
ე. ფერმის ლაბორატორიაში (FNAL, **აშშ)** ლ. ლედერმანმა და სხვ. აღმოაჩინეს ,,მშვენიერი‘‘ კვარკანტიკვარკის ბმული მდგომარეობა – ბოტონიუმი.

1979
ექსპერიმენტულად დადასტურდა გლუონის არსებობა (DESY, გერმანია).

1980
შემოიღეს ახალი კვანტური რიცხვი ,,მშვენიერება‘‘.

ამერიკელმა ფიზიკოსებმა დ. პოლიტცერმა, დ. გროსმა და ფ. უილჩეკმა აჩვენეს, რომ კქდ აღწერს როგორც კვარკების ასიმპტოტურ თავისუფლებას ჰადრონში, ასევე (თვისებრივად) ჰადრონში კვარკების ,,დატყვევების‘‘ მოვლენას.

1983
e^+e^- კოლაიდერზე (CESR, აშშ) აღმოაჩინეს B-მეზონი.

CERN-ში (შვეიცარია) კ. რუბიამ და ს. ვან დერ მეერმა აღმოაჩინეს ვექტორული ბოზონები $W^{\pm}$ და Z^0.

1987
საბჭოთა მეცნიერებმა მ. დანილოვმა და სხვ. აღმოაჩინეს $B^0_d \leftrightarrow \bar{B}^0_d$ ოსცილაციები.

1989
Z^0 ბოზონის სიგანის ზუსტი გაზომვით დადგინდა, რომ არსებობს ლეპტონების და კვარკების სამი თაობა.

(გაგრძელება იხ. გვ. 628).

1995
აღმოაჩინეს t-კვარკი (FNAL, აშშ).

1998
დანადგარზე სუპერ-კამიოკანდე (იაპონია) აღმოაჩინეს ატმოსფერული ნეიტრინოების ოსცილაციები (იწინასწარმეტყველა საბჭოთა მეცნიერმა ბ. პონტეკორვომ 1957).

1998–2010
დუბნაში ფლეიოროვის სახელობის ლაბორატორიაში დაასინთეზეს 113-ედან 118-ემდე ქიმიური ელემენტები.

2000
FNAL-ში აღმოაჩინეს τ-ნეიტრინო.

2001
სადბერის ნეიტრინულ ობსერვატორიაში (SNO, კანადა) აღმოაჩინეს მზის ნეიტრინოების ოსცილაციები.

2001–04
აღმოაჩინეს *CP*-სიმეტრიის დარღვევა ნეიტრალური B-მეზონების სისტემაში.

2010
ბრუკჰეივენის ნაციონალურ ლაბორატორიაში დაასინთეზეს ანტიჰელიუმის ბირთვი $He\bar{N}$

2011
CERN-ში (შვეიცარია) მიიღეს კვარკ-გლუონური პლაზმა.

2012
CERN-ში დეტექტორებზე ATLAS და CMS აღმოაჩინეს ჰიგსის ბოზონი.

საქართვ. ელექტროენერგეტიკაში 1996-იდან დაიწყო ძირეული რეფორმები, რ-ებშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს წამყვანი ორგანიზაციები (მსოფლიო და ევრობანკები, აშშ საერთაშ. განვითარების სააგენტო, ცნობილი საკონსულტაციო კომპანიები და სხვ.) და საქართვ. სამეცნ. წრეები. 1999 მიიღეს კანონი ,,ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ‘‘; შეიქმნა საქართვ. ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია. საქართვ. პრეზიდენტის 1996 წლის 4 ივლისის №437 ბრძანებულების საფუძველზე დეპარტამენტი ,,საქენერგო‘‘ დაიშალა 3 დამოუკიდებელ ქვესექტორად – ,,საქენერგოგენერაციად‘‘, ,,საქელექტროგადაცემად‘‘ და ახალ ,,საქენერგოდ‘‘ (ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაცია და რეალიზაცია). შემუშავდა სექტორის პრივატიზაციის და რეაბილიტაციის სახელმწ. პროგრამები. საქართველოში შემოდინება დაიწყო მიზნობრივმა კრედიტებმა. 1996-იდან, პირველად საქართველოს ისტორიაში, დაიწყო ელექტროენერგიის სატრანზიტო გატარება თურქეთში. აღდგა მთლიანად განადგურებული 500 *კვ*-იანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი ,,კავკასიონი‘‘. 1997 პრაქტიკულად ახლიდან აშენდა 220 *კვ*-იანი ხაზი ,,ალავერდი‘‘. განხორციელდა იმპორტი მეზობელი ქვეყნებიდან (მლნ. *კვტ.სთ*): 1996 წ. – 419,3; 1997 წ. – 451; 1998 წ. – 809,8; 1999 წ. – 433,8; 2000 წ. – 599,5; 2001 წ. – 877,6; 2002 წ. – 713,2; 2003 წ. – 844,3; 2004 წ. – 1210; 2005 წ. – 1399; 2008 წ. – 649; 2009 წ. –254,8; 2010 წ. – 222,1; 2011 წ. – 470,9.

საქართვ. ენერგოსისტემაში შედის 0,4, 6, 10, 35, 110, 220, 330, 500 *კვ* ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები. მაღალი ძაბვის ხაზებისა და ქვესადგურების ძირითად (90%) ნაწილს მართავს სააქციო საზ-ბა „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა‘‘ და შპს „საქრუსენერგო‘‘. ამ უკანასკნელს ექვემდებარება 500 *კვ*-იანი ელექტროგადამცემი ხაზები: „ქართლი-1‘‘, „ქართლი-2‘‘, „იმერეთი‘‘; 330 *კვ*-იანი „გარდაბანი‘‘ და 220 *კვ-იანი* – „აჭარა‘‘. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა‘‘ შეიქმნა 2002 წ. სააქციო საზ-ბა „ელექტროგადაცემისა‘‘ და შპს ,,ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000-ის‘‘ შერწყმის შედეგად. იგი 5 წლის ვადით სამართავად გადაეცა ისლანდიურ კომპანიას („ისბი‘‘), რ-მაც მენეჯმენტ-კონტრაქტის განხორციელება 2003 წ. 3 მარტს დაიწყო და დაასრულა 2008 წელს.

მკვეთრად შეიცვალა ელექტროენერგიის მოხმარების სტრუქტურა. ადრე ელექტროენეგიის ძირითადი მომხმარებელი იყო მრეწველობა. მაგ., 1990 მრეწველობაში მოიხმარეს ქვეყანაში დახარჯული ელექტროენერგიის 46,2%, მშენებლობაში – 1,8%, ტრანსპორტში – 6,0%, სოფ. მეურნეობაში – 12,1%, კომუნალურ–საყოფაცხოვრებო სექტორში – 13,3%, სხვა დარგებში – 20,6%. 2000 წ. შესაბამისად – 9,7%, 0,1%, 4,7%, 0,1%, 35,3% და 50,1%.

2007 წლამდე საქართვ. ელექტრობალანსი დეფიციტური იყო (იხ. ცხრ. 2). თუმცა ბოლო ხანებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მდგომარეობის გამოსასწორებლად: აღდგა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა რამდენიმე ელექტროსადგურს, აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახ. სიმძლავრეებიც, მ. შ. ხადორის ჰესი (ახმეტის მუნიციპალიტეტი) და გაზტურბინული დანადგარი (გარდაბანი). საფუძველი ჩაეყარა 24-საათიან ელექტრომომარაგებას.

საქართველო მდიდარია ჰიდრო-

ცხრ. 2. საქართველოს ელექტრობალანსი (მლნ. *კვტ.სთ*).

მაჩვენებლები	1990 წ.	1995 წ.	2000 წ.	2005 წ.	2008 წ.	2009 წ.	2010 წ.	2011 წ.
ელექტროენერგიის წარმოება	14245,7	7082,0	7451,3	6880,8	8279,1	8164,9	9919,2	9912,1
მიღებულია ქვეყნის გარედან	4373,6	754,1	599,5	1399	649,0	254,8	222,1	470,9
მოხმარებულია სულ (დანაკარგების ჩათვლით)	17450,3	7836,1	7846,2	8159,8	8248,5	7670,3	8617,0	9452,4
გადაეცა ქვეყნის გარეთ	1169,0	–	204,6	120	679,6	749,4	1524,3	930,6
დეფიციტი (–) სიჭარბე (+)	–3204,6	–754,1	–394,9	–1279	+30,6	+494,6	+1302,2	+459,7

ელექტრორესურსებით, მაგრამ მათი ათვისების დონე ჯერჯერობით კვლავ დაბალია: 2011 საქართვ. ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მათი ტექ. შესაძლებლობის მხოლოდ 11,4% იყო. ქვეყანაში შესაძლებელია მცირე მდინარეთა ენერგეტ. პოტენციალის გამოყენება. ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მონაცემებით, საქართველოში შეიძლება აიგოს 229 მცირე ჰესი (1-იდან 20 ათ. *კვტ*-მდე სიმძლავრისა), რ-თა საერთო სიმძლავრე იქნება 2,1 მლნ. *კვტ*, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება – 12,3 მლრდ. *კვტ.სთ*. რაც შეეხება მიკროჰესებს (1 ათ. *კვტ*-მდე), მათი აგება საქართვ. თითქმის ყველა სოფელსა და დასახლებულ პუნქტშია შესაძლებელი. მცირე ჰესები

განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ცენტრიდან დაშორებული მთიანი რ-ნებისთვის. შედარებით მსხვილი ჰიდროენერგომშენებლობისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის ის გარემოება, რომ საქართველოში აღრიცხული 319 მდინარიდან მათი ტექ. ჰიდროენერგორესურსების 40% მოდის რვა მთავარ მდინარეზე (მტკვარი, რიონი, ენგური, ცხენის-წყალი, კოდორი, ბზიფი, ხრამი და არაგვი). მშენებლობის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ეკოლ. მოთხოვნები.

დ. ზუბიტაშვილი. დ. ჩომახიძე.

ელექტროენერგეტიკული სისტემა, *ენერგოსისტემის* შემადგენელი ნაწილი, რომლის დანიშნულებაა ელექტრული ენერგიის წარმოება, გადაცემა და განაწილება ელექტრომომხმარებლებს შორის. ელექტრული ენერგია წყაროდან ელექტრომომხმარებელს მიეწოდება ელექტროგადამცემი ქსელით, რ-იც შეიძლება იყოს საჰაერო ან საკაბელო. ელექტროსისტემა ცვლადი დენის (50 ან 60 *ჰც* სიხშირის) სამფაზა სისტემას წარმოადგენს.

ელექტროსადგურებიდან დიდი მანძილით დაშორებულ მომხმარებლამდე ელექტრული ენერგიის გადაცემა, დანაკარგების შემცირების მიზნით, ხდება მაღალი ნომინალური ძაბვის *ელექტროგადამცემი ხაზით* (ეგხ). ერთი საფეხურის ნომინალური ძაბვიდან მეორე საფეხურის ნომინალურ ძაბვაზე გადასვლა ხორციელდება ტრანსფორმატორებით. ელექტრული ენერგიის გადაცემისას გამოიყენება დაბალი, საშუალო, მაღალი და ზემაღალი ძაბვის ეგხ. მაღალი ძაბვის ეგხ ქსელი სისტემაწარმომქმნელ ქსელს წარმოადგენს, ხოლო საშ. და დაბალი ძაბვის ეგხ ქმნის მანაწილებელ ქსელებს.

საერთო ელექტროქსელზე ელექტროსადგურების მიერთებას და მათ პარალელურ მუშაობას დიდი ეკონ. ეფექტი აქვს: მაღლდება მომხმარებელთა ელექტრული ენერგიით მომარაგების საიმედოობის დონე და ხარისხი; მცირდება სისტემის ჯამური დადგმული სიმძლავრე და, შესაბამისად, მცირდება მშენებლობის ხარჯები, იქმნება უფრო მძლავრი ეკონ. ენერგობლოკების გამოყენების, აგრეთვე ელექტროსადგურებს შორის დატვირთვის ოპტიმალური გადანაწილების შესაძლებლობა; გაადვილებულია ენერგოდანადგარის გეგმურ რემონტში ჩაყენება; ენერგოსისტემის მართვა უფრო მობილურია; მცირდება ელექტრო-მომხმარებელთა შეთავსებული მაქსიმუმი და ა.შ.

ელექტრული ენერგიის წარმოება–გადაცემა–მოხმარების ტექნოლ. პროცესი განსაკუთრებული თავისებურებებით გამოირჩევა: 1. ელექტრული ენერგიის წარმოება–გადაცემა–მოხმარება, პრაქტიკულად, დროის ერთსა და იმავე მომენტში ხორციელდება, რაც ნიშნავს, რომ Ე. ს-ში მუდამ უნდა სრულდებოდეს აქტ. და რეაქტიულ სიმძლავრეთა ბალანსი. წინააღმდეგ შემთხვევაში სისტემის მდგრადი მუშაობა შეუძლებელია. ეს თავისებურება მოითხოვს, რომ სისტემაში მუდამ გაგვაჩნდეს სიმძლავრის აუცილებელი რეზერვი, რ-იც ენერგოსისტემის ჯამური დატვირთვის 10–12%-ს შეადგენს; 2. Ე. ს-ში პროცესები მიმდინარეობს თითქმის სინათლის სიჩქარით, რაც სისტემის საიმედო მუშაობისთვის მოითხოვს სწრაფმოქმედ ავტომატიკას, რ-ის საშუალებით თავიდან ავიცილებთ უეცრად წარმოქმნილი ავარიის შემდგომ განვითარებას; 3. Ე. ს-ში წარმოქმნილი ნებისმიერი ხასიათის შეშფოთება მომენტალურად შეიგრძნობა მომხმარებლის მიერ და ნეგატიურად აისახება მისი მუშაობის რეჟიმზე. ეს თავისებურება, მომხმარებელთა კვების საიმედოობის დონის უზრუნველყოფის მიზნით, მოითხოვს ელექტრული ენერგიის წარმოება–გადაცემა–განაწილების ყველა რგოლში ეკონომიკურად მიზანშეწონილ რეზერვს.

Ე. ს-ში, მისი საიმედო მუშაობისთვის, აყენებენ ავტომ. მოწყობილობებს, რ-ებიც უზრუნველყოფენ სიხშირისა და ძაბვის ნორმალურ დონეს; დიდი შეშფოთებებისას, სისტემის მუშაობის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, ახორციელებენ ნაკლებად საპასუხისმგებლო მომხმარებლების ავტომ. გამორთვას (ავტომ. განტვირთვა), რეზერვის ავტომ. ჩართვას და სხვ. ავტომ. მოწყობილობათა ჯგუფს განეკუთვნება სისტემაში გამოყენებული რელეური დაცვის მოწყობილობები, რ-თა დანიშნულებაა სისტემაში წარმოქმნილი დაზიანების ადგილის განმხოლოება. სრული ავტომატიზაციის პირობებშიც კი სისტემის მუშაობის მართვაში აუცილებელია ადამიანის ჩარევა. ამ მიზნით შექმნილია Ე. ს-ის სადისპეტჩერო სამსახური, რ-საც ევალება მართვის კონტროლი და ზედამხედველობა. სადგურების დატვირთვების, ელექტროგადაცემის ძირითად ხაზებში სიმძლავრეთა გადადინებების, ძირითად დანადგარ-მოწყობილობათა მდგომარეობის საკონტროლოდ და დისტანციური ზემოქმედებისა და რეგულირებისთვის გამოიყენება ტელეინფორმაციის სისტემა (ტელეგაზომვა, ტელესიგნალიზაცია, ტელემართვა და ა.შ.).

საქართველოს Ე. ს-ში დანერგილია SCADA (სისტემის კონტროლი და მონაცემთა შეგროვება) სისტემა. Ე. ს-ში მიმდინარე ყველა პროცესის გაანგარიშებისა და შედეგების ანალიზის ჩატარება ხორციელდება თანამედროვე კომპიუტერული ტექ. გამოყენებით. საქართველოს Ე. ს-ში დანერგილია აგრეთვე კომპიუტერულ პროგრამათა კომპლექსი – PSS/E.

გ. მახარაძე.

„ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (ესკო), შპს, ელექტროენერგიით (სიმძლავრით) საბითუმო ვაჭრობაში მონაწილე სახელმწიფო საწარმო, საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მემკვიდრე, რ-იც ფუნქციონირებდა 1999–2006 წლებში.

ესკო-მ ფუნქციონირება დაიწყო 2006 წ. 1 სექტემბრიდან ,,ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ'' საქართველოს კანონში 2006 წ. 9 ივნისს განხორციელებული ცვლილების საფუძველზე; ახორციელებს ელექტროენერგიითა და სარეზერვო სიმძლავრით საბითუმო ვაჭრობას საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ დადგენილი ტარიფით. მისი ძირითადი ფუნქციებია: ა) საბალანსო ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვა (მ. შ. იმპორტსა და ექსპორტზე საშუალო და გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმების გზით); ბ) ელექტროენერგეტიკული სისტემის სარეზერვო სიმძლავრით უზრუნველყოფა ამ კანონითა და ,,ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით'' განსაზღვრული წესით; გ) საქართველოს ერთიან ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ელექტროენერგიისა და სიმძლავრის მიწოდება-მოხმარების დაგეგმვის მიზნით დისპეტჩერიზაციის სამსახურისათვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა; დ) საბითუმო ყიდვა-გაყიდვის შესახებ ერთიანი ბაზის, მ. შ. აღრიცხვიანობის ერთიანი რეესტრის შექმნა და

ელემენტთა პერიოდული სისტემა

ქიმიური ელემენტთა ქართული სახელწოდებები*

1 H – წყალბადი
6 C – ნახშირბადი
8 O – ჟანგბადი
14 Si – კაჟბადი, სინონიმი – სილიციუმი
16 S – გოგირდი
26 Fe – რკინა
29 Cu – სპილენძი
30 Zn – თუთია
33 As – დარიშხანა
47 Ag – ვერცხლი
50 Sn – კალა
79 Au – ოქრო
80 Hg – ვერცხლისწყალი, სინონიმი – სინდიყი
82 Pb – ტყვია

* დანარჩენი ელემენტების ქართული დასახელება ეფუძნება საერთაშორისო სახელწოდებებს.

წარმოება; ე) მიღებული ინფორმაციის მიხედვით ელექტროენერგიის გამყიდველების, მყიდველების, მათ მიერ გაყიდული და შესყიდული ელექტროენერგიის რაოდენობების განსაზღვრა და ანგარიშსწორებისათვის ინფორმაციის წარდგენა; ვ) კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება, მ. შ. მრიცხველების სავალდებულო კონტროლი.

დიდია ესკო-ს როლი საქართველოს ელექტროენერგიით სტაბილურ მომარაგებაში, მ. შ. საგანგებო სიტუაციებშიც.

ესკო უფლებამოსილია გააფორმოს განზრახულობათა მემორანდუმი ელექტროენერგიის შესყიდვასთან დაკავშირებით მშენებარე ან რეკონსტრუქციაში მყოფ ელექტროსადგურებთან. ამასთან იგი ვალდებულია, ალტერნატიულ ან განახლებად ენერგიაზე მომუშავე ახალი ელექტროსადგურის აშენების შემთხვევაში, გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება გამომუშავებული ელექტროენერგიის სრულად ან ნაწილობრივ შესყიდვაზე. ესკო-ს შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს კვალიფიციური საწარმოების მიერ გადახდილი მომსახურების საფასური, რ-საც ადგენს სემეკი.

დ. ჩომახიძე.

ელექტროენერგიის, გაზის და წყლის წარმოება და განაწილება, მრეწველობის დარგი, რომელიც მოიცავს ელექტროენერგიის, გაზის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება-განაწილებას, აგრეთვე წყლის დაგროვებას, გაწმენდას და განაწილებას. იგი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მრეწველობის სამი შემადგენელი ქვედანაყოფისა – C+D+E, სადაც C სამთომომპოვებელი მრეწველობაა, D – დამმუშავებელი მრეწველობა, E – ელექტროენერგიის, გაზის და წყლის წარმოება და განაწილება. მისი წილი მთლიანად საქართვ. მრეწველობაში შეადგენს საწარმოთა რაოდენობის 1,7%-ს, წარმოებული პროდუქციის ღირებულების – 18,0%-ს, დასაქმებულთა რიცხოვნობის – 21,2%-ს და ძირითადი კაპიტალის – 57,3%-ს (2010 წ.).

საქართველოს ე., გ. და წ. წ. და გ-ის შიდა დარგობრივ სტრუქტურაში წამყვანია ელექტროენერგიის, გაზის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება და განაწილება. მასზე მოდის აღნიშნული პროდუქციის წარმოება-განაწილების 71,1% და ძირითადი კაპიტალის – 81,1%. 2003–10 წლებში დარგის პროდუქცია მოქმედ ფასებში გაიზარდა 84,3%-ით, მ. შ. ელექტროენერგიის, გაზის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება-განაწილება – 66,0%-ით, წყლის დაგროვება, გაწმენდა და განაწილება – 4,2-ჯერ (იხ. ცხრ., მლნ. ლარი):

ე., გ. და წ. წ. და გ. მიეკუთვნება ბუნებრივი მონოპოლიის დარგებს და არეგულირებს *საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია* (სემეკი). *დ. ჩომახიძე.*

„ელექტროვაგონწმენდელი ქარხანა“ (სააქციო საზოგადოება), რკინიგზის ტრანსპორტის ერთ-ერთი უძველესი საწარმო სამხრეთ კავკასიაში. დაარსდა 1883 როგორც *ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოები* (1926 მიენიჭა ი. სტალინის სახელი), რ-იც 1928 გადაკეთდა ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქ-ნად. რკინიგზებზე ელექტრული წევის დანერგვასთან დაკავშირებით 1933 ქ-ნაში ელმავლების შემკეთებელი საამქრო გაიხსნა (მის ბაზაზე შემდგომ შეიქმნა ახლანდ. *„ელმავალმშენებელი“*). 1933 საწარმო გაიყო 2 დამოუკიდებელ – ორთქლმავალშემკეთებელ და ვაგონშემკეთებელ ქ-ნებად. 1936 კვლავ გაერთიანდა. II მსოფლიო ომის დროს ქ-ნა ამზადებდა სამხ. საჭურველს. 1970 საწარმომ პროფილი შეიცვალა – ორთქლმავლების ნაცვლად მთლიანად გადავიდა ელექტრომავლების შეკეთებაზე და ეწოდა „თბილისის ელექტროვაგონწმენდელი ქ-ნა“. 1976-იდან დაიწყო მეტროპოლიტენის ვაგონების შეკეთებაც. საწარმო მთელ საბჭ. კავშირში წარმოადგენდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის შემკეთებელ ერთ-ერთ ძირითად ინდუსტრ. ბაზას. 1883–1983 შეკეთდა 11687 ორთქმავალი, 25215 სამგზავრო ვაგონი, 103268 სატვირთო ვაგონი, 249 ელმავალი, 1353 ელექტროსექცია, 5 თბომავალი, მეტროპოლიტენის 60 ვაგონი და სხვ. 1974–92 ქ-ნაში ჩატარდა გენ. რეკონსტრუქცია, განახლდა შენობა-ნაგებობები და დაზგა-დანადგარები. 1999 ქ-ნა სააქციო საზ-ბად ჩამოყალიბდა (100%-ით კერძო საკუთრებაა). აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და მოწინავე ტექნოლოგიებით. „ე. ქ.“ არემონტებს რკინიგზის ყველა სახის მოძრავ შემადგენლობას, ამზადებს მის სათადარიგო ნაწილებს და ამასთანავე ეწევა ახ. შემადგენლობების მშენებლობას. ქ-ნას, სრული დატვირთვის პირობებში, შეუძლია წელიწადში შეაკეთოს: ყველა ტიპის სამგზავრო და სატვირთო ვაგონი–1200 ერთეული, ელექტრომატარებლის სექცია–150, მეტროპოლიტენის ვაგონი–50, წევის ძრავი–2100; დაამზადოს ახ. ფორმირების წყვილთვალა–3000, ელმავლის და ელექტრომატარებლის დენმიმღები–120, აგრეთვე რკინიგზის მოძრავი შემადგენლობისათვის საჭირო სხვა სათადარიგო ნაწილები.

1997-იდან ქ-ნაში დაიწყო სამგზავრო ვაგონების, ელექტრომატარებლების და სატვირთო ვაგონების კაპიტ.-აღდგენითი შეკეთება-მოდერნიზაციის სამუშაოები. 2008-

ცხრილი

მაჩვენებლები	2000 წ.	2005 წ.	2006 წ.	2007 წ.	2008 წ.	2009 წ.	2010 წ.
ელექტროენერგიის, გაზის და წყლის წარმოება და განაწილება	407,2	495,2	603,3	718,4	755,3	779,5	871,0
აქედან:							
ელექტროენერგიის, გაზის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება და განაწილება	378,7	457,0	517,5	604,0	622,9	655,8	728,9
წყლის დაგროვება, გაწმენდა და განაწილება	28,5	38,2	85,8	114,4	132,4	123,7	142,1

იდან ჩინეთის, ჩეხეთის, გერმანიის, უკრაინის წამყვან ვაგონმშენებელ კომპანიებთან თანამშრომლობით საქართველოს *„ვაგონმშენებელ კომპანიაში“* შეიქმნა სრულიად ახალი, მუდმივ დენზე მომუშავე სამი ოთხვაგონიანი ელექტროშემადგენლობა, რ-იც 2010 საექსპლუატაციოდ გადაეცა „საქართველოს რკინიგზას“. 2011-იდან იქვე დაიწყო სატვირთო ვაგონების, მ. შ. ნავთობმზიდი ცისტერნების, ხორბალმზიდების, ნახევრადვაგონებისა



ჩქაროსნული ელექტრომატარებელიVMK001.

და პლატფორმების მშენებლობა.

ქ-ნა წელიწადში ამზადებს მილიონობით ლარის პროდუქციას, მისი 20–30% საექსპორტოა. საწარმოში დასაქმებულია 800 ადამიანი. ქ-ნას აქვს კულტურის სასახლე, პროფესიული სწავლების ცენტრი და დასასვენებელი სახლი ქობულეთში.

„Ე. ქ-ს“ მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. არის „რკინიგზების თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის“ წევრი (ვარშავა, 2007-იდან). ამას გარდა, სხვა ორგანიზაციებთან ერთად გაერთიანებულია „საქართველოს ვაგონმშენებელთა ჰოლდინგში“ (2008-იდან), რ-იც წარმართავს ვაგონმშენებლობის განვითარებას ქვეყანაში. *ბ. წილოსანი.*

„ელექტროიზოლიტი“ (სააქციო საზოგადოება), ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმო. ჩამოყალიბდა 1994 სსრკ-ის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საკავშირო საწარმოო გაერთიანება „სოიუზგლავიზოლატორის“ ქ-ნა „თბილელექტროიზოლიტის“ ბაზაზე, რ-იც შეიქმნა თბილისში 1958. ქ-ნის პროდუქციის ძირითადი სახეები იყო: გარსოვანი საიზოლაციო მასალები (მიკანიტები, ქარსპლასტები) და ფენოვანი პლასტიკატები (გეტინაქსი, მინატექსოლიტი). პროდუქცია იგზავნებოდა როგორც სსრკ-ის სხვადასხვა ქალაქში, ასევე საზღვარგარეთ. 1979–82 ჩატარდა ქ-ნის რეკონსტრუქცია. 1995-იდან საწარმო მუშაობს მცირე დატვირთვით.

ელექტრომავალი, ელმავალი, მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტისა და საიმედოობის მქონე ლოკომოტივი, რ-იც მოძრაობაში მოჰყავს წევის ელექტრულ ძრავებს, საკონტაქტო ქსელიდან (არაავტონომიური), ან მასშივე დადგმული აკუმულატორების ბატარეიდან (ავტონომიური) მიღებული ელექტრული ენერგიით. Ე-ში წევის ძრავის მიერ განვითარებული ძალის მომენტი კბილანური რედუქტორით გადაეცემა წყვილთვალს, რ-ის რელსზე დაწოლისა და მასთან ხახუნის შედეგად Ე. გადაადგილდება. Ე-ს აქვს რთული მექანიკური, ელექტრული და პნევმატური მოწყობილობები. მექანიკურია ძარა და ურიკა. ურიკა ბუქსებით აერთიანებს ჩარჩოს წამყვან თვლებს, რესორულ ჩამოკიდებებს და ბერკეტულ სამუხრუჭო მოწყობილობებს. მაგისტრალურ Ე-ს შეიძლება ჰქონდეს 2-, 3-, 4-, 6-, 8- ან 12-ღერძიანი ურიკა. Ე-ის ელექტრული ნაწილი შეიცავს წევის ძრავებს, დამხმარე მანქანებს (კომპრესორები, ტუმბოები, ვენტილატორები), ძრავების გაშვების, სიჩქარის რეგულირების, რევერსირების, დამუხრუჭების, აგრეთვე გადამეტძაბვის, გადამეტტვირთვისა და მოკლე შერთვისაგან დაცვის აპარატურას. პნევმატური მოწყობილობები მოიცავს ავტომატურსა და ხელის სამუხრუჭე სისტემებს და შეკუმშული ჰაერით მოქმედ სხვა აპარატურას. Ე-ის მართვა ხორციელდება მემანქანის კაბინიდან. შესაძლებელია რამდენიმე Ე-ის ერთ ჯგუფად გაერთიანება და მათი ერთდროული მართვა ერთი კაბინიდან, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ დიდწონიანი მატარებლების გადაზიდვებისათვის საჭირო ნებისმიერი სიმძლავრე და გავზარდოთ რკინიგზის გამტარუნარიანობა. Ე-ს ფართოდ იყენებენ რკინიგზის ტრანსპორტზე და მრეწველობაში. დანიშნულების მიხედვით ცნობილია სატვირთო და სამგზავრო მაგისტრალური, სამანევრო და სამრეწვ. (შახტის, მაღაროსი, კოქსმქრობი) Ე-ები. ელექტრული დენის სახეობის მიხედვით არსებობს მუდმივი და ცვლადი დენის Ე-ები.

1879 წლის 31 მაისს ბერლინის სამრეწვ. გამოფენაზე გაიხსნა პირველი ელექტრიფიცირებული რკინიგზა. სიმენსისა და ჰალკეს ფირმის მიერ აშენებული Ე. აღჭურვილი იყო 3 *კწ.ძ.* სიმძლავრის მუდმივი დენის მიმდევრობით აგმგზნებიანი ძრავით, რ-იც იკვებებოდა მესამე რელსიდან. ამ მოვლენამ ხელი შეუწყო ტრამვაის ხაზების, ხოლო შემდეგ რკინიგზის ელექტრიფიცირების განვითარებას. პირველად მსოფლიოში ელექტრიფიცირებულ იქნა ბალტიმორ–ოჰაიოს რკინიგზა [მუდმივი დენით (ძაბვა 600 *ვ*), აშშ, 1886], ხოლო შემდგომ – საფრანგეთის რკინიგზის უბანი (1900). მუდმივი დენის სისტემის დანერგვის პარალელურად, იტალიასა და შვეიცარიაში ინერგებოდა ცვლადი სამფაზიანი დენის სისტემა ასინქრონული ძრავის გამოყენებით. მაგრამ ექსპლუატაციის პერიოდში გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამო, რაც დაკავშირებული იყო საკონტაქტო სისტემის სირთულესა და სიჩქარის რეგულირების სიძნელესთან, ეს სისტემა ვერ გავრცელდა.

XX ს. დამდეგს განვითარებას იწყებს ცვლადი დენის ერთფაზიანი სისტემა შემცირებული სიხშირით (16 2/3 *ჰც*) და ცვლადი დენის კოლექტორული წევის ძრავის გამოყენებით. ამ მიმართულებით ვითარდება რკინიგზების ელექტრიფიცირება გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში. იმავე საუკუნის 20-იან წლებში მუდმივი დენით (ძაბვა – 1500 *ვ*) ელექტრიფიცირებული იქნა რკინიგზების ნაწილი საფრანგეთსა და ინგლისში, ხოლო შემდგომ აშშ-ში, იტალიაში, იაპონიაში, ჩეხოსლოვაკიასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. საბჭოთა კავშირმა დანერგა 3 *კვ* ძაბვის მუდმივი დენის სისტემები. 1926 წლის 6 ივნისს ბაქო–საბუნჩი–სურახანის უბანზე (სიგრძე 20 *კმ*) დაიწყო საგარეუბნო მიმოსვლა ელექტრომატარებლებით. 1932 საექსპლუატაციოდ გადაეცა 63 *კმ* სიგრძის ხაშური–ზესტაფონის ელექტრიფიცირებული უბანი (სურამის უღელტეხილი). 2000 უკვე ელექტრიფიცირებული იყო მსოფლიოს რკინიგზების საერთო სიგრძის 25% (238,5 ათ. *კმ*).

საქართველოს რკინიგზა (საერთო სიგრძე – 1840 *კმ*) მთლიანად ელექტრიფიცირებულია. ქვეყანაში არსებობს Ე-ის დაპროექ-

ტებისა და წარმოების მდიდარი ტრადიცია. თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის (იხ. *„ელმავალმშენებელი“*) საკონსტრუქტორო ბიუროში შეიქმნა ვლ 10, ვლ 10^{y} (*y* – გაძლიერებული), ვლ 11, ვლ 15, მაგისტრალური და ვლ 14 მარკის კოქსმქრობი ე-ები, რ-თა სიმძლავრის ზრდა შესაძლებელია წევის ძრავების სიმძლავრის ან მათი რაოდენობის მომატებით, რასაც ხშირად თან სდევს რელსზე დატვირთვის ზრდა. საქართველოში შექმნილ ე-ებში დანერგილია მთელი რიგი ტექ. სიახლეები: წევის ძრავათა შეერთებიდან შეერთებაზე წევის ძალის თითქმის უდანაკარგოდ გადასვლის ვენტილური სქემა, რეკუპერაციული დამუხრუჭების ავტომატური მართვის სისტემა, სტატ. აღგზნების სისტემები და სხვ.

შემცირებული მასის სამგზავრო და მსუბუქი სატვირთო მატარებლების გადაზიდვებისათვის 1998–2000 თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში შეიქმნა ოთხღერძიანი სამგზავრო მაგისტრალური 4E1 მარკის 3000 *კვტ* სიმძლავრისა და სატვირთო მაგისტრალური 4E10 მარკის 2680 *კვტ* სიმძლავრის ე-ები. 2007–09 მოდერნიზებულ იქნა 8-ღერძიანი მაგისტრალური ელექტრომავალი ვლ 11 m/6 (m – მოდერნიზებული), რ-იც აღჭურვილია თანამედროვე კომფორტული კაბინით.

2010–2011 მიმდინარეობდა ახ. თაობის რეოსტატული და იმპულსური ე-ების დამუშავება. ასინქრონული ძრავების, ნახევარგამტარული ტექნიკის განვითარება და სხვა ტექ. სიახლეების გამოყენება საშუალებას იძლევა შეიქმნას მაღალი ტექ.-ეკონ. მაჩვენებლების მქონე ეფექტური ე-ები.

ჯ. გიორგაძე.

ელექტრომეტალურგია, მეტალურგიის დარგი, რ-ის დანიშნულებაა ელექტროენერგიის სითბურ ენერგიად გარდაქმნის შედეგად ლითონშემცველი მასალების გახურება, გადნობა, შესაბამისი ფიზ.-ქიმ. გარდაქმნების ჩატარება ლითონების ამოკრეფისა და რაფინირებისათვის, აგრეთვე მაღალი ხარისხის შენადნობთა მიღება. ე. იყოფა ორ მიმართულებად: ელექტროთერმიად და ელექტროქიმიად.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქ-ნაში ელექტროთერმული პროცესით გამოადნობენ მანგანუმიან შენადნობებს (სასაქონლო სილიკომანგანუმს). სილიკომანგანუმის გამოსადნობად იყენებენ ღია და დახურულ ელექტროღუმლებს. სილიკომანგანუმის წარმოებისას იყენებენ მანგანუმის დაბალხარისხოვან (ძირითადად, კარბონატულ) მადნებს, დაბალფოსფორიან მანგანუმიან წიდას (გადასამუშავებელი სილიკომანგანუმის წარმოებისას), კვარციტსა და კოქსს.

რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტში“ (იხ. სტ. *რუსთავის სააქციო საზოგადოება „აზოტი“*) დანერგილია მანგანუმის გააქტივებული ორჟანგის მიღების ელექტროქიმ. პროცესი.

საქართველოში მანგანუმიანი შენადნობების ე-ის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით: გ. *ნიკოლაძეს,* ვ. *ჩიტაძეს,* ი. *ლორთქიფანიძეს,* ი. *კეკელიძეს,* ლ. *მაღლაკელიძეს,* ვ. *მელაძეს,* ე. ნადირაძეს, გ. *სიორიძეს,* გ. *შათირიშვილს,* დ. *ჩიკაშუას* და სხვებს, ელექტრომეტალურგიის მეცნ. საფუძვლების განვითარებაში კი – გ. ნიკოლაძეს, რ. *აგლაძეს,* მ. *კეკელიძეს,* გ. *მიქელაძეს,* ა. *ხვიჩიას,* ლ. ნ. *ჯაფარიძეს.*

მომავალში რუსთავის მეტალ. ქ-ნაში ფოლადის წარმოება, ნაცვლად არსებული მარტენის პროცესისა, განხორციელდება ე-ის პროცესით (ელექტრორკალურ ღუმლებში). 2010 რუსთავის მეტალურგიულ ქ-ნაში ექსპლუატაციაში შევიდა ოთხი 12-ტონიანი ინდუქციური ელექტროღუმელი, რ-თა წლიური წარმადობა 120 ათასი ტონა ფოლადია (სამშენებლო არმატურის დასამზადებლად). 2011 ქუთაისის მეტალურგიულ საწარმოში დამონტაჟდა 30-ტონიანი ელექტროღუმელი.

სამომავლოდ ელექტრომეტალურგია ვითარდება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, კერძოდ, მუდმივ დენზე მომუშავე ელექტროღუმლებისა და პლაზმური ღუმლების დანერგვით.

ლიტ.: მანგანუმიანი ფეროშენადნობების წარმოება და გამოყენება, თბ., 1968; ამიერკავკასიის რკინისა და მანგანუმის მადნების გადამუშავება, ტ. 1–5, თბ., 1972–86.

თ. სიგუა.

„ელექტრომექანიკოსი“ (სააქციო საზოგადოება), ელექტროტექნიკური მრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმო ქუთაისში. ამუშავდა 1946 ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხანა „მაღაროელის“ სახელწოდებით, რ-ის მშენებლობა განპირობებული იყო ქვეყანაში ქვანახშირის მოპოვების გაზრდის აუცილებლობით. საწარმო უშვებდა ქვანახშირის მრეწველობისათვის საჭირო მანქანებსა და მოწყობილობებს: ორმოსმთხრელ მანქანებს, ექსკავატორებს, საჰაერო-საბაგირო რონოდებს, საშახტე ელმავლებს და სხვადასხვა სახის არტეზიულ წყალსაქაჩ ტუმბოებს. 1960-იდან ქ-ნამ დაიწყო ახ. პროდუქციის გამოშვება ნავთობმომპოვებელი საწარმოებისათვის, კერძოდ, ნავთობმომპოვებელი ჩასაძირი ელექტროტუმბოებისა და მისი ამძრავის, ჩასაძირი ელექტროძრავების, აგრეთვე ჩასაძირი წყალსაქაჩი ტუმბოების და 5*ტ* ტვირთამწეობის ელექტროსატვირთულების წარმოება. ამ პერიოდიდან ქ-ნას შეეცვალა სახელი და ეწოდა „ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა“ (ექვემდებარებოდა საკავშირო ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს). იგი გახდა საბჭ. კავშირში ნავთობსამსალები მანქანების ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებელი. ქ-ნა უშვებდა აგრეთვე სახ. მოხმარების საყოფაცხოვრებო ტექნიკას – ელექტროგამათბობლებს და წყალსაქაჩ ვიბრაციულ ელექტრონტუმბოებს. XX ს. 80-იანი წლებიდან ნავთობმომპოვებელ დანადგარებზე მოთხოვნა მკვეთრად გაიზარდა, რის გამოც შემუშავდა საწარმოს რეკონსტრუქციისა და ტექ. გადაიარაღების სამწლიანი პროგრამა (1980–83), რ-ის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ქ-ნის სიმძლავრე და გამოშვებული პროდუქციის მოცულობა. ყველა სახის პროდუქცია შეესაბამებოდა იმ პერიოდისათვის მსოფლიოში არსებულ სტანდარტებს და მინიჭებული ჰქონდა ხარისხის უმაღლესი კატეგორია. პროდუქცია საექსპორტო იყო და მსოფლიოს 25 ქვეყანაში იგზავნებოდა. საქართვ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პროდუქცია მიეწოდებოდა ძირითადად რუს. ფედერაციის ნავთობსარეწებს და მცირე რაოდენობით – აზერბაიჯანს. ამ პერიოდისათვის საექსპორტო პროდუქციის მოცულობამ გამოშვებული პროდუქციის 90%-ს გადააჭარბა. 1994 „ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა“ გარდაიქმნა სააქციო საზ-ბა „ე-ად“. რუს. ფედერაციასთან ეკონ. ურთიერთობების გაწყვეტის გამო 2005-იდან საწარმომ თითქმის შეწყვიტა ფუნქციონირება. მისი პრივატიზების შემდეგ (2008 წ. ივლისი) საკონტროლო პაკეტის (66,7%) მფლობელი გახდა კერძო პირი. მიმდინარეობს ინტენს. მუშაობა წარმოების განახლებისათვის.

საწარმოს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო: ,,ოქროს მზე საუკეთესოს'' და ,,ოქროს გვირგვინი საუკეთესოს'' (მექსიკა, ქ. მეხიკო, 1998); ,,პლატინის ვარსკვლავი'' (ესპანეთი, ქ. მადრიდი, 1998); ,,სამეფო გვირგვინი საუკეთესოს'' (მექსიკა, ქ. მეხიკო, 2000); ,,ოქროს პრიზი'' (ესპანეთი, ქ. მადრიდი, 2000).

გ. ქვილითაია.

ელექტრონიკა, მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის დარგი, რომელიც სწავლობს ვაკუუმში, აირებში, სითხეებში, მყარ სხეულებსა და პლაზმაში (აგრეთვე მათ საზღვრებზე) ელექტრონების ურთიერთქმედებას ელექტრომაგნიტურ ველებთან, მათში მიმდინარე პროცესებს და იყენებს მათ ელექტრული ენერგიის გარდასაქმნელად, ინფორმაციის მიღების, გარდაქმნის, შენახვისა და გადაცემისათვის. ე-ის ამოცანაა სხვადასხვა სფეროში ელექტრონული ხელსაწყოების, აპარატურის და დანადგარების შემუშავება, წარმოება და გამოყენება.

ე-ს ტრადიციულად ყოფენ ფიზიკურ და ტექნიკურ ელექტრონიკად. ფიზ. ე. შეისწავლის სხვადასხვა გარემოში მიმდინარე ელექტრონულ და იონურ მოვლენებს, მათი გამოყენებით კი – ელექტრონული ხელსაწყოების შექმნისა და დამუშავების პრინციპებს. ტექ. ე-ს მიაკუთვნებენ ელექტრონული მოწყობილობების შემუშავების, წარმოებისა და გამოყენების საკითხებს.

ე-ის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა XVIII და XIX საუკუნეების გამოჩენილი ფიზიკოსების შრომებით. მისი, როგორც მეცნ. და ტექ. დამოუკიდებელი დარგის, განვითარება დაიწყო თერმოიონური (1883 აღმოაჩინა ამერ. გამომგონებელმა ტ. ედისონმა), ფოტოელექტრონული (1887 აღმოაჩინა გერმ. ფიზიკოსმა ჰ. ჰერცმა) და თერმოელექტრონული (1906 აღმოაჩინა ინგლ. ფიზიკოსმა ო. რიჩარდსონმა) ემისიების აღმოჩენების, ელექტრონულ-სხივური მილაკის (1897 გამოიგონა გერმ. ფიზიკოსმა კ. ბრაუნმა), ვაკუუმური დიოდის (1904 გამოიგონა ინგლ. მეცნიერმა ჯ. ფლემინგმა), ვაკუუმური ტრიოდისა (1906 გამოიგონა ამერ. ინჟინერმა ლ. ფორესტმა) და კრისტალური დეტექტორის (1906 გამოიგონა კ. ბრაუნმა) შექმნის შემდეგ. ე-ის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია რადიოტექნიკამ. ორივე დარგი ვითარდებოდა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში. მათ ხშირად აერთიანებენ და უწოდებენ რადიოელექტრონიკას. ე-ის განვითარების ძირითადი ეტაპებია ვაკუუმური, მყარსხეულოვანი (განსაკუთრებით ნახევარგამტარული) და კვანტური ე. (პირველი კვანტური გენერატორი ერთდროულად შექმნეს 1955 სსრკ-ში ნ. ბასოვმა და ა. პროხოროვმა და აშშ-ში – ჩ. ტაუნზმა). თითოეული მათგანი, გამოყენებული ფიზ. პროცესებისა და კონსტრ.-ტექნოლ. თავისებურებების მიხედვით, ცალკე მიმართულებებად იყოფა.

თანამედროვე ე-ის განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ნახევარგამტარული ხელსაწყოების, განსაკუთრებით, ტრანზისტორების გამოგონებამ, რ-საც დასაბამი მისცა გერმანიუმის მონოკრისტალში აღმოჩენილმა ტრანზისტორულმა ეფექტმა (ამერ. ფიზიკოსები ჯ. ბარდინი, უ. ბრატეინი, უ. შოკლი, 1948). ნახევარგამტარული ხელსაწყოების ისეთი განმსაზღვრელი უპირატესობანი, როგორიცაა მცირე ზომები ელექტროვაკუუმურ ხელსაწყოებთან შედარებით, საიმედოობა, მოხმარებული ელექტრული ენერგიის სიმცირე, გაუმჯობესებული მახასიათებლები, მაღალი მწარმოებლობა – ამ მიმართულებით განვითარების მთავარი ხელშემწყობი ფაქტორები გახდა. დაიწყო ნახევარგამტარული ელექტრონიკის ერა – შეიქმნა ე. წ. *ინტეგრალური სქემები*, რამაც გზა გაუხსნა ე-ის ახალი დარგის – *მიკროელექტრონიკის* განვითარებას. ე. შეიჭრა თანამედროვე მეცნ., ტექ. და მრეწველობის თითქმის ყველა დარგში, სამხედრო და კოსმოსურ ტექნიკაში, ადამიანის არასაწარმოო საქმიანობის სფეროში (ყოფა-ცხოვრება, ჯანმრთელობის დაცვა, ვაჭრობის ორგანიზება, მასმედია, მეცნიერება, განათლება, კულტურა, ხელოვნება). განუზომლად დიდია ე-ის როლი თანამედროვე ინფორმაციული ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნაში. გამოთვლითი ტექნიკისა და პერსონალური კომპიუტერების შექმნამ განაპირობა ე-ის სწრაფი ტემპით განვითარება, პროცესების ავტომატიზაციის საშუალებათა დამუშავება, ელექტრონული ხელსაწყოთმშენებლობის ჩამოყალიბება და ფართოდ გამოყენება.

ე-ის წვლილი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის სამეცნ.-ტექ. და ეკონ. განვითარების დონეს.

ელექტრონულ მოწყობილობებს ყოფენ სამ ძირითად კლასად: 1. საინფორმაციო (ელექტრონულ-გამომთვლელი და საინფორმაციო-საზომი ტექნიკა; ავტომატიკის მოწყობილობები; ინფორმაციის მიღების, დამუშავების, შენახვის, გადაცემისა და გამოყენების ელექტრონული საშუალებები; სხვადასხვა ობიექტებისა და ტექნოლ. პროცესების მართვისა და კონტროლის საშუალებები); 2. ენერგეტიკული (მოწყობილობები და სისტემები საშუალო და მაღალი სიმძლავრის ელექტრული ენერგიის მისაღებად, გარდასაქმნელად და გადასაცემად); 3. ტექნოლოგიური (მასალებისა და ნაკეთობების დამუშავების ტექნოლ. პროცესებში ელექტრომაგნიტური ტალღების, აგრეთვე ელექტრონული და იონური კონების გამოყენებაზე დაფუძნებული მოწყობილობები და მეთოდები).

მთავარი თვისებები, რამაც განაპირობა ელექტრონული მოწყობილობების ფართო გამოყენება, არის მაღალი მგრძნობიარობა, მცირე გაბარიტები, მაღალი სწრაფქმედება და უნივერსალობა. ე-ის განვითარება ხასიათდება მისი მოწყობილობების სირთულის სწრაფი ზრდით. ითვლება, რომ ელექტრონული აპარატურის სირთულე ყოველ 5 წელიწადში იზრდება დაახლოებით 10-ჯერ.


ფუნდამენტური მეცნიერებისა და მაღალი ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების გამოყენებამ ე-ში საფუძველი ჩაუყარა ისეთი ახ. პერსპექტიული მიმართულებების შექმნას, როგორიცაა: *ოპტოელექტრონიკა*, ფუნქციონალური ე., კვანტური ე., ბიოელექტრონიკა, აკუსტოელექტრონიკა, მაგნიტოელექტრონიკა, კრიოელექტრონიკა და სხვ. უდიდეს პერსპექტივებს სახავს თანამედროვე ე-ის უახლესი მიმართულების – ნანოელექტრონიკის განვითარება.

საქართველოში ჯერ კიდევ XX ს. 50-იან წლებში შეიქმნა მძლავრი სამეცნ.-ტექ. და საწარმოო ცენტრები: ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის ინ-ტი ქარხნითურთ (შემდგომ სსგ ,,*ელვა*''); ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეც. საკონსტრუქტორო ბიურო (დირექტორი გ. სიმონიანი), შემდგომ სსგ ,,*ანალიზხელსაწყო*'' (გენ. დირექტორი ზ. *ყრუაშვილი*); ელექტროტექნიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება ,,მიონში'' შექმნილი ხელსაწყოები



ინტეგრალური სქემები Ga As-ზე.



ოპტოელექტრონული ხელსაწყოები.

ელექტრონიკა

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება ,,მიონში'' შექმნილი ხელსაწყოები



ელექტრონული საათი ,,ელექტრონიკა 20-01''.



უმაღლესი კლასის სტერეოსისტემა ,,Б1-04''.

თბილისის განყ-ბა და სხვ. ქუთაისში, გორსა და რუსთავში შეიქმნა ამავე მიმართულების მქონე სპეც. საკონსტრუქტორო ბიუროები და ქ-ნები.

ე-ის, კერძოდ, მიკროელექტრონიკის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის XX ს. 60-იან წლებში თბილისში ჩამოყალიბებულ ნახევარგამტარული ხელსაწყოების ფიზიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტს და სპეც. საკონსტრუქტორო ბიუროს ქ-ნით (შემდგომ სსგ ,,*მიონი*'' თავისი ფილიალებით), სადაც, გარდა მიკროელექტრონიკისა, ფართოდ განვითარდა აგრეთვე ოპტოელექტრონიკაც.

აღნიშნული ორგანიზაციების მიღწევები აღიარებული იყო და დაინერგა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. მოწინავე ქვეყნებიდან მიიღეს მრავალი პატენტი, აგრეთვე საერთაშ. გამოფენების დიპლომები და მედლები. მთელი რიგი მიმართულებებით საქართველოს ორგანიზაციები ითვლებოდა სათავო უწყებებად საბჭოთა კავშირში, აღინიშნა სახელმწ. პრემიებით.

ე-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი სსგ ,,მიონის'', თსუ-ის, სტუ-ის, საქართველოს მეცნ. აკად. მართვის სისტემების ინ-ტის, კიბერნეტიკის ინ-ტის და სხვა ორგანიზაციათა მეცნიერებსა და ინჟინრებს. თსუ-სა და სტუ-ში ე-ის დარგში ფუნქციონირებდა კათედრები, სამეცნ. ცენტრები და პრობლემური ლაბორატორიები, სადაც ტარდებოდა სამეცნ.-კვლ. სამუშაოები, მზადდებოდნენ ტექ. ელექტრონიკის, ელექტრონული ტექნოლოგიების, ნახევარგამტარების, ელექტრონული ტექნიკის მასალებისა და კომპონენტების, ნახევარგამტარული ხელსაწყოების და მიკროელექტრონიკის, აგრეთვე ელექტრონიკის ეკონომიკის სპეციალისტები.

საქართველოში ე-ის სხვადასხვა მიმართულების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით: მიკროელექტრონიკაში – ი. *მირცხულავას*, რ. *ჩიქოვანს*, ვ. *ჭიჭინაძეს*; ა. ბიბილაშვილს, ა. გერასიმოვს, ნ. დოლიძეს, რ. კაზაროვს, ნ. *კეკელიძეს*, მ. კლემენტიევს, ნ. მაღულარიას, დ. სურგულაძეს; ნ. შარმაზანაშვილს, ზ. ჩიგოგიძეს, ნ. *ხუჭუას* და სხვ.; ტექ. ელექტრონიკაში – ჯ. ბენდელიანს, ს. *დადუნაშვილს*, გ. დგებუაძეს, დ. დვალს, ს. კარიპიდისს, ა. *კერესელიძეს*, პ. *მერაბიშვილს*, შ. *რაზმაძეს* და სხვ.; ოპტოელექტრონიკაში – ვ. *ჭავჭანიძეს*, ხ. *გაფრინდაშვილს*, ბ. კილოსანიძეს, თ. მხეიძეს, გ. ნაკაშიძეს, დ. სიხარულიძეს, შ. *ყაყიჩაშვილს*, რ. ჩიქოვანს, გ. ჭანტურიას, რ. ჭარმაკაძეს, გ. *ჭილაიას*, თ. ჯახუტაშვილს, მ. *ჯიბლაძეს* და სხვ.

ლიტ.: ბიბილაშვილი ა., ნახევარგამტარული მიკროელექტრონიკა, თბ., 2009; დგებუაძე გ., ელექტრონიკის საფუძვლები, თბ., 2011; კუშმანოვი ი., ვასილიევი ნ., ლეონტიევი ა., ელექტრონული ხელსაწყოები, თბ., 1980; რაზმაძე შ., დენის გარდამქმნელები, თბ., 1965; Герасимов В. Г., Князьков О. М., Краснопольский А. Е., Сухоруков В. В., Основы промышленной электроники, М., 1986; Ефимов И. Е., Козырь И. Я., Горбунов Ю. И., Микроэлектроника, М., 1987; Жеребцов И. П., Основы электроники, Л., 1989; Седов Е. А., Мир электроники, М., 1990

პ. მერაბიშვილი.

ელექტრონული გამოცემა, ინფორმაციის მატარებელზე ჩაწერილი პუბლიკაცია; იკითხება ელექტრონული მოწყობილობების დახმარებით. წარმოადგენს ელექტრონულ დოკუმენტს (ელექტრონულ დოკუმენტთა ერთობლიობას), რ-იც რედაქტირებულია, დამუშავებულია, განკუთვნილია უცვლელი სახით გავრცელებისათვის და ახლავს მონაცემთა აღწერილობა. ე. გ-ებს განასხვავებენ ბეჭდვითი ეკვივალენტის ოდენობისა და ძირითადი ინფორმაციის ხასიათის მიხედვით. ე. გ. შესაძლებელია იყოს web-რესურსის ფორმით, ანდა ვრცელდებოდეს ინფორმაციის ელექტრონული მატარებლით (CD, DVD, flash). ე. გ-ებს მიეკუთვნება მულტიმედია-ბიბლიოთეკები, ელექტრონული ჟურნალები, წიგნები, ფოტოალბომები და ა. შ., რ-ებიც ჩაწერილია CD (DVD-ზე). ე. გ. შესაძლოა იყოს პერიოდულიც (ელექტრონული ჟურნალი, წიგნების სერია და ა. შ.). ე. გ-ებზე მუშაობისას გასათვალისწინებელია ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გადაცემის საშუალებები, მაგ., web-გვერდი. ე. გ-ს გააჩნია გარკვეული სტრუქტურა. მისი ნავიგაციის სისტემა და დიზაინი გამიზნულია ინფორმაციის კომპაქტური განთავსებისა და ადვილი მოძიებისათვის.

ქართ. ე. გ-ების მაგალითებია: 2002-ში გამოცემული ელექტრონული წიგნების სერია – ,,ლიტერატურა თანამედროვე კარცერ ლუქსისათვის'', ,,გალაკტიონი'', ,,ქართული ფოლკლორი'', ,,ფიროსმანი'', ,,მსოფლიო ხელოვნების ოსტატები'' (I, II, III ნაწილი); ფოტოკონკურს ,,ქოლგის'' ორი ელექტრონული კატალოგი (2002); ელექტრონული ცნობარები – ,,თბილისი კულტურ-ინფო'', საქართვ. ვიდეოარტის პირველი ელექტრონული კატალოგი – ,,Moving in reality'' /Project in progress/, ელექტრონული წიგნი ,,დედამიწა ავად გახდა'' (2005) და სხვ.

არსებობს ელექტრონული ბიბლიოთეკები და ონლაინ მაღაზიები, რ-თა ნუსხა საკმაოდ შთამბეჭდავია: ,,ლიგამუსი'', lit.ge, რ-მაც ბაზარზე ახ. ქართ. ელექტრონული საკითხავი მოწყობილობა ,,იოტა რიდერი'' შემოიტანა. 2001 წლიდან არსებობს საქართვ. პარლამენტის ეროვნ. ბიბლიოთეკის ელექტრონული ვერსია (NPLG) (http://www.nplg.gov.ge/). ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია: ბეჭდური არქივის, დისერტაციებისა და ქართ. ლიტერატურის ციფრული კოლექციები; ელექტრონული ბ-კა ,,ივერიელი''; სამოქალაქო საზ-ბის ციფრული ბ-კა; იუნესკოს პროექტით შექმნილი ქართ. კლასიკური ლიტ-რის ანთოლოგიის ციფრული კოლექცია; ელექტრონული ლექსიკონები და ა. შ.; წიგნის გამავრცელებელი კომპანია ,,წიგნის სამყაროს'' მიერ შექმნილი საქართველოში გამოცემული წიგნების ელექტრონული კატალოგი (2009) და ინტერნეტ მაღაზია (www. bookland.ge); პირველი ქართ. ინტერნეტ-ბიბლიოთეკა (lib.ge; 2006), რ-იც მოიცავს ათი ათასზე მეტ ორიგ. და ნათარგმნ. ტექსტს (პროზა, პოეზია, დრამატურგია, სამეცნიერო, ისტორიული, საბავშვო, ფოლკლორი, ესეისტიკა, ინტერვიუ, სამართალი); დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია ALPE-ს მიერ გამოცემული ელექტრონული სახელმძღვანელოები: ,,ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში'' (2009); ,,ჩვენი კონსტიტუცია''; შემეცნებითი წიგნი ,,მხიარული მოგზაურობა უზენაეს სასამართლოში'' და სხვ. (www.alpe.ge); პრესისა და წიგნის გავრცელების სააგენტო ,,ელვა. ჯის'' ე. გ-ები: ,,ვეფხისტყაოსანი'', ,,აბდულმესიანი'', ,,წმ. დავით გარეჯელის ცხოვრება'', ,,შუა საუკუნეების ქართული ტიხრული მინანქარი'', ,,ნიკო ფიროსმანი'', ,,აკაკი წერეთელი'', ,,ელენე ახვლედიანი'' და ა. შ.; ინტერნეტ მაღაზია (www. elva.ge; 2010); ,,არტლაინსის აკადემიური წიგნები და გალერეა'' (www.artlines.ge) – ელექტრონული ბიბლიოთეკა და წიგნის ონლაინ მაღაზია, ქართველ მეცნიერთა და

ხელოვანთა საინფორმაციო ბაზა (2011), განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკა (http://elibrary.emis.ge/ge; 2011).

მ. შამილიშვილი.

ელექტრონული მედია, ტერმინი უკავშირდება ინფორმაციული საზოგადოების იდეას. ესაა საზოგადოება, რომელშიც ინფორმაციის შექმნა, განაწილება და მართვა უმთავრესი ეკონომიკური და კულტურული საქმიანობაა, რასაც, კერძოდ, კომპიუტერიზებული პროცესებისა და ინტერნეტის სულ უფრო ფართო გამოყენება უწყობს ხელს.

მედიის როლი და გავლენა განსაკუთრებით გაიზარდა ე. წ. ,,ახალი მედიის'' (ინტერნეტი, საკაბელო, სატელიტური ტელეკომუნიკაციები და ა. შ.) შექმნის შემდგომ. მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენების წყალობით, ე. მ. ადამიანთა უდიდეს რაოდენობასთან ამყარებს კავშირს, რაც მისი მასობრიობის საწინდარია. შესაბამისად, გაფართოვდა ე. მ-ის პოლიტიკური გავლენის არეალიც – იგი იქცა უმთავრეს მექანიზმად, რ-იც პოლიტიკურ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას და მის არჩევანსაც განაპირობებს. თანამედროვე ეტაპზე მკვეთრად გამოხატული მედიის გლობალიზაცია ,,მედიაიმპერიალიზმის'' საფრთხედ აღიქმება.

მ. შამილიშვილი.

ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სპეციალიზებული ინსტიტუტი ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის დარგში. დაარსდა 1958, როგორც თბილისის ელექტრო ტექ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. 1969-იდან ინ-ტმა შეიცვალა პროფილი და ეწოდა ე.-ი.ტ.ს.-კ.ი. ინ-ტის ბაზაზე შეიქმნა საცდელი წარმოება ზესტაფონის რ-ნის სოფ. სვირში. სამეცნ. კვლევის ძირითადი მიმართულებები იყო: ლითონის ნაკეთობათა დაფარვის პროგრესული ტექნოლ. პროცესების დამუშავება; მაღალი ძაბვის ნახევარგამტარული კვების წყაროების შექმნა; კომპოზიციური მასალების შექმნა; თხევადი პროდუქციისათვის მფილტრავი პოლიმერული მასალებისა და შესაბამისი დანადგარების შემუშავება; მზის ფოტოელექტრული ავტონომიური დენის წყაროების შექმნა. 1961–90 ინ-ტი გამოსცემდა სამეცნ. შრომებს, ხოლო 2002 აქ შეადგინეს და გამოსცეს ელექტროტექნიკის ტერმინოლოგიური რუსულ-ქართული ლექსიკონი (რედაქტორები: მ. სამხარაძე, დ. კოხრეიძე, ი. ჯიბუტი).

ელექტრონული ფოსტა, იგივე E-mail, არის კომპიუტერულ ქსელში მონაცემების, ტექსტური მასალის, პროგრამების, გრაფიკული მასალის, ციფრული ფოტოების, ვიდეო- და აუდიო-მასალის გადაცემა-მიღების ტექნოლოგია. ე. ფ. შეიქმნა 1965, როდესაც მასაჩუსეტსის ტექნოლ. ინ-ტის თანამშრომლებმა ნოელ მორისმა და ტომ ვან ვლეკმა დაწერეს პროგრამა MAIL ოპერაციული სისტემა CTSS (Compatible Time-Sharing System)-ისათვის. მსოფლიოში ე. ფ-მ პოპულარობის მოპოვება დაიწყო 1990-იდან და ამჟამად გამოიყენება როგორც პირადი, ისე საქმიანი ურთიერთობისათვის. ჩვეულებრივი ფოსტის მსგავსად და ტელეფონისაგან განსხვავებით, მომხმარებელი გადასაცემ მასალას კომპიუტერით გზავნის მაშინ, როცა ეს მისთვის მოსახერხებელია, ხოლო მიმღები წაიკითხავს მაშინ, როდესაც ის ამისათვის მოიცლის. მიღება-გაგზავნის პროცესი ხორციელდება Simple Mail Transfer Protocol-ის საშუალებით. ე. ფ-ის მისამართი შედგება ორი ნაწილისაგან, რ-საც ყოფს სიმბოლო @ (ინგლისური ,,at''-ის შემოკლებული ფორმა, ქართულად – ,,ზე''), მაგ., george@posta.ge. მარცხენა ნაწილი წარმოადგენს მომხმარებლის სახელს, მარჯვენა ნაწილი – დომენის სახელს, რ-ზეც ეს მომხმარებელი არის დარეგისტრირებული. დომენები ახორციელებენ მომხმარებლის აღრიცხვას და ქსელთან კავშირს. დომენები არის გვაროვნული და სახელმწიფოებრივი. მაგ., გვაროვნულია com (კომერციული), edu (სასწავლო), gov (სამთავრობო) და სხვა. სახელმწიფოებრივია ge (საქართველო), uk (ინგლისი), de (გერმანია), usa (აშშ), ru (რუსეთი) და ა. შ. ცნობილი საფოსტო სერვერებია Gmail, Yahoo, Hotmail, Yandex, Rambler და სხვ. ე. ფ-ის უპირატესობაა მაღალი სიჩქარე, სიმარტივე, მომსახურების დაბალი ფასი, ინფორმაციის გაგზავნის შესაძლებლობა ერთდროულად მრავალ ადრესატთან. მომხმარებელს შეუძლია გააგზავნოს კოდირებული (დაშიფრული) ინფორმაცია, აუკრძალოს მიმღებს წერილის გადაბეჭდვა, ჩაწერა, სხვა ადრესატისათვის გადაგზავნა; მოითხოვოს შეტყობინება მისი მიღების, წაკითხვის, წაშლის და მასზე განხორციელებული სხვა ქმედებების შესახებ. შეიძლება წერილის ასლი გაიგზავნოს ისე, რომ ძირითადმა ადრესატმა შეიტყოს ან ვერ შეიტყოს ამის შესახებ. შესაძლებელია მიმღების ელექტრონულ საფოსტო ყუთში მოხვედრილი გზავნილების ავტომატურად წაშლაც გარკვეული დროის შემდეგ.

სა ქა რთ ვე ლო ში პირველი ე. ფ-ის სერვერი (kheta.georgia.su და მოგვიანებით kheta.ge) გამართა გ. გომელაურის მიერ დაფუძნებულმა ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების საკონსულტაციო, საინჟინრო და მენეჯმენტის'' ჯგუფმა (იტსსმ, 1991). დღეისათვის E-mail მომსახურებას, რ-საც ასევე E-mail ჰოსტინგს უწოდებენ, ახორციელებენ, ძირითადად, ინტერნეტ-პროვაიდერები. ისინი სთავაზობენ კერძო და კორპორატიულ მომხმარებლებს E-mail ყუთებს, რ-ებზეც, ყუთის ფასის შესაბამისად, არსებობს E-mail მისამართების ესა თუ ის რაოდენობა. E-mail ყუთებთან კავშირი ხორციელდება ვებ-ინტერფეისის საშუალებით. E-mail სერვერების მფლობელი ინტერნეტ-პროვაიდერები საქართველოში არიან: Caucasus Online (რომელმაც შთანთქა პროვაიდერები Georgia Online, Caucasus Network, Sanet), Silk Net (შთანთქა UTG, Wanex), Axali Kselebi, CDN, Service NET, V-Tel, Grena, Geonet. დამოუკიდებელი E-mail ჰოსტერია Posta.ge. ქართული E-mail ჰოსტერები არ სარგებლობს პოპულარობით მომსახურების შედარებით დაბალი ხარისხის გამო. ამჟამად, ელექტრონული ინფორმაციის გადასაგზავნად სულ უფრო მეტი მომხმარებელი იყენებს *სოციალურ ქსელებს.*

ი. ლომიძე. ე. კამკამიძე.

ელექტრონული ფული, იხ. სტ. *ფული.*

ელექტროტექნიკა, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგი, რ-იც შეისწავლის ელექტროენერგიის გამომუშავების, გადაცემის, გარდაქმნისა და პრაქტიკული გამოყენების საკითხებს. ელექტროენერგია მეურნეობის ყველა დარგის წარმოებისა და განვითარების საფუძველია. მისი ფართოდ გამოყენება იმით აიხსნება, რომ იგი მრავალგვარი უპირატესობით გამოირჩევა. კერძოდ, შედარებით მარტივად მიიღება სხვა სახის ენერგიისაგან, დიდი დანაკარგის გარეშე გადაიცემა დიდ მანძილზე მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზებით და მიეწოდება მომხმარე-

ბელს მანაწილებელი ქსელის საშუალებით, იოლად გარდაიქმნება სხვა სახის ენერგიად (მექანიკურ, თბურ, სინათლის, ქიმიურ და ა. შ.).

ზოგიერთი ელექტრული მოვლენა ჯერ კიდევ უძველეს დროში იყო შემჩნეული. ტერმინი ,,ელექტრობა'', როგორც ელექტრული მუხტის თვისებების ერთობლიობა, შემოღებული იყო 1600 წ. ინგლ. მეცნიერის უ. ჰილბერტის მიერ. Ე-ის, როგორც მეცნ. და ტექ. დარგის, განვითარების საწყისად შეიძლება მივიჩნიოთ XVIII ს., შემდგომი პერიოდი კი მისი ინტენს. აღმავლობის ხანაა.

ელექტრული მოვლენების მეცნიერული ახსნა ეკუთვნის ფრანგ ფიზიკოსს შ. კულონს. მან აღმოაჩინა და გამოაქვეყნა ელექტროსტატიკის ძირითადი კანონი (კულონის კანონი, 1785). 1800 იტალ. მეცნიერმა ა. ვოლტამ შექმნა ელექტრული ენერგიის პირველი ქიმ. წყარო; 1820 დანიელმა მეცნიერმა ჰ. ერსტედმა აღმოაჩინა და შეისწავლა დენიანი გამტარის მაგნიტური ველი, ხოლო ფრანგმა მეცნიერმა ა. ამპერმა აღმოაჩინა დენიანი გამტარების ურთიერთქმედების კანონი, დაადგინა, რომ დენიანი სოლენოიდი ამჟღავნებს მუდმივი მაგნიტის თვისებებს, მაგნ. მოვლენების მიზეზი კი არის ელექტრული დენი.

Ე-ის განვითარების ახ. ეტაპი დაიწყო ინგლ. ფიზიკოსის მ. ფარადეის მიერ Ე-ის ერთ-ერთი ძირითადი მოვლენის – ელექტრომაგნიტური ინდუქციის აღმოჩენითა და შესაბამისი კანონის ფორმულირებით (1831). ეს კანონი საფუძვლად უდევს ელექტრული მანქანების (გენერატორის, ძრავას, ტრანსფორმატორისა და სხვა მოწყობილობების) მოქმედებას. 1833 რუსმა ფიზიკოსმა და ელექტროტექნიკოსმა ე. ლენცმა აღმოაჩინა ელექტრომაგნიტური ინერციის მოვლენა, ხოლო 1842 ე. ლენცმა და ინგლ. ფიზიკოსმა ჯ. ჯოულმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩამოაყალიბეს ელექტრული დენის სითბური მოქმედების კანონი – ე. წ. ჯოულ-ლენცის კანონი. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმ. ფიზიკოსების გ. ომისა (1826) და გ. კირხჰოფის (1847) მიერ აღმოჩენილ კანონებს, რ-ებიც საფუძვლად დაედო ელექტრული წრედების გაანგარიშებას. Ე-ის თეორიულ გამოკვლევებში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ინგლ. მეცნიერს ჯ. მაქსველს, რ-მაც ჩამოაყალიბა ელექტრომაგნიტური ველის თეორიის საფუძვლები. Ე-ის განვითარების შემდგომ ეტაპზე უდიდესი მოვლენა იყო ცვლადი დენის მიღება და გამოყენება. საკმარისია ითქვას, რომ დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ელექტროენერგიის ძირითადი ნაწილი მიიღება ცვლადი დენის ე. წ. სინქრონული გენერატორების საშუალებით. 50 *ჰც* სიხშირის (აშშ-ში – 60 *ჰც*) ცვლადი დენის ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ მძლავრი ჰიდრო-, თბური- და ატომური ელექტროსადგურები. ცვლადი დენით უფრო მარტივად მიიღება მექ. ენერგია შესაძლებელია ვცვალოთ ძაბვის სიდიდე ტრანსფორმატორებით, რაც საშუალებას იძლევა შევამციროთ ელექტრული ენერგიის დანაკარგები გადამცემ ხაზებში ძაბვის გაზრდით და სხვ.

Ე-ის განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს ნ. ტესლამ, მ. დოლივო-დობროვოლსკიმ და სხვ., რ-თა შრომების საფუძველზე შეიქმნა მრავალფაზა და, კერძოდ, სამფაზა ცვლადი დენის სისტემები, სამფაზა ასინქრონული და სინქრონული ძრავები. ამ სახის ძრავები ფართოდ გამოიყენება მრეწველობაში, ტრანსპორტში, სოფლის მეურნეობასა და საყოფაცხოვრებო ტექნიკაში.

Ე. და ელექტრული მოვლენები საფუძვლად დაედო ახ. დარგების ჩამოყალიბებას და განვითარებას, კერძოდ, რადიოტექნიკას, ტელეკომუნიკაციას, კომპიუტერულ ტექნიკას და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ Ე. ფართო გაგებით უწყვეტი პროგრესის საფუძველია ტექნიკის ყველა დარგში.

საქართველოში პირველი მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური ი. ჭავჭავაძის ინიციატივითა და თაოსნობით აიგო 1887 თბილისში. სადგური გათვალისწინებული იყო ქართული თეატრის შენობის გასანათებლად. მომდევნო ასეთივე სადგური აიგო 1895 ქარვასლისათვის. 1903 ააგეს პირველი ჰიდროელექტროსადგური (სიმძლავრე 200 *კვტ*) ბორჯომში.

ენერგეტიკის განვითარებასთან ერთად საქართველოში შეიქმნა და სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ელექტროტექნიკური მრეწველობა (ელმავალმშენებლობა, ელექტრული ძრავების, ელექტროაპარატურის, ელექტროშემდუღებელ მოწყობილობათა, ელექტროვიბრაციული მანქანების, სამთო ელექტრომექანიკური მოწყობილობების წარმოება), ხელსაწყოთმშენებლობა, ელექტრონული გამოთვლითი მანქანებისა და მართვის სისტემების წარმოება. დაფუძნდა აგრეთვე ელექტროტექ. პროფილის სამეცნ.-კვლ. და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინ-ტები და ბიუროები.

პირველი სერიოზული შრომები Ე-ში ეკუთვნის ა. *დიდებულიძეს.* მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1922 თბილ. სახელმწ. უნ-ტში შეიქმნა პოლიტექ. ფაკ-ტი, რ-იც 1928 გამოეყო თსუ-ს და ჩამოყალიბდა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტად (შემდგომში ტექ. უნივერსიტეტად). ამ პირველმა უმაღლესმა ტექ. სასწავლებელმა უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში საინჟინრო ტექ. დარგების, მათ შორის ელექტროტექ. დარგის განვითარებასა და სამეცნ. და საინჟინრო კადრების მომზადებაში.

ელექტროტექნიკური მეცნ. განვითარებისა და მისი პრაქტ. გამოყენების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით ლ. *აბელიშვილს,* ნ. *გაბაშვილს,* ა. დიდებულიძეს, ა. *კერესელიძეს,* ა. კოტიას, ვ. ლომინაძეს შ. ლუტიძეს, გ. მახარაძეს, პ. *მერაბიშვილს,* შ. ნაჭყებიას, შ. ნემსაძეს, შ. *რაზმაძეს,* გ. სეხნიაშვილს, გ. სისოიანს, გ. ტერ-კაზარიანცს, ა. ტერ-ხაჩატუროვს, გ. ტყეშელაშვილს, რ. ქსოვრელს, ი. ქურდიანს, გ. ქურციკიძეს, ს. ყირქესალიშვილს, გ. ჩიქოვანს, გ. *ჩოგოვაძეს,* გ. ჯავახიშვილს და სხვა მეცნიერებს. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოში ელექტრული სადგურებისა და ქსელების, ელექტრული მანქანებისა და აპარატების, ელექტრული წევის, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის, ელექტროთერმიისა და ელექტრორკალური ღუმლების, სამრეწვ. ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის, გამოთვლითი ტექნიკისა და სხვა დარგების განვითარებაში.

ლიტ.: მერაბიშვილი პ., ხოსროშვილი გ., ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლები, თბ., 1988; ნემსაძე შ., ნაჭყებია შ., ელექტრული წრედების თეორია, თბ., 2008; Круг К. А., Основы электротехники, т. 1–2, М.–Л., 1946; Нейман Л. Р., Демирчян К. С., Теоретические основы электротехники, т. 1–2, М.–Л., 1981.

პ. მერაბიშვილი.

ელექტროტექნიკური მრეწველობა, მანქანათმშენებლობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი, რომელიც ამზადებს ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, განაწილებისა და მოხმარების მოწყობილობებს. წარმოიშვა XIX ს. 80-იან წლებში. განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა გერმანიასა და აშშ-ში. საბ-

ჭოთა კავშირში დარგი თავდაპირველად განვითარდა ლენინგრადში, მოსკოვში, ხარკოვში, ხოლო II მსოფლიო ომის შემდგომ – თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. ამჟამად დარგის პროდუქციის წარმოებით წამყვანი ქვეყნებია აშშ, გერმანია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი და სხვ.

წარმოების მასშტაბების სწრაფი ზრდისა და ახ. ტექ. მიმართულებების განვითარების შედეგად ე. მ-ს გამოეყო რადიო- და ელექტრონული მრეწველობა, ელექტრო-გამზომი ხელსაწყოების წარმოება და სხვ. (აშშ-სა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში ისინი შედის ე. მ-ში).

მსოფლიოს უმსხვილესი და უძველესი ელექტროტექნიკური კომპანიებია: ,,ჯენერალ ელექტრიკი'', ,,ვესტინჰაუსი'' (აშშ), ,,სიმენსი'', ,,ოსრამი'' (გერმანია), ,,მაცუსიტა ელექტრიკ ინდასტრიალი'', ,,ტოშიბა'', ,,ჰიტაჩი'' (იაპონია), ,,ჯენერალ ელექტრიკ კომპანი'', ,,ფრიდლანდი'' (დიდი ბრიტანეთი), ,,ჯჟე'' (საფრანგეთი), ,,აბბ'' (შვედეთი – შვეიცარია), ,,ფილიპსი'' (ნიდერლანდები), ,,ელექტროსილა'', ,,დინამო'' (რუსეთი) და სხვ.

საქართველოში პირველი ელექტროტექნიკური საწარმოები 1955 ამუშავდა. ეს იყო თბილისის ქ-ნები: ,,ელექტროგამშვები'' და ,,ელექტროავტომატი''. მომდევნო წლებში თანდათანობით მწყობრში ჩადგა სულ სხვადასხვა პროფილის ელექტროტექნიკურ საწარმოთა მთელი ჯგუფი. 17 წლის შემდეგ (1972) ე. მ. საქართველოში ითვლიდა სხვადასხვა პროფილის 23 საწარმოს, მ. შ., გარდა ზემოაღნიშნულისა, იყო თბილისის ქ-ნები: ,,თბილელექტროიზოლიტი'', ,,ელექტროშედულება'', ,,ელექტროძრავა''; თბილისის საწარმოო გაერთიანებები: ,,საქელექტრომანქანა'', ,,ელვა''; ,,ელექტროაპარატის'' ქ-ნები ფოთსა და კასპში; თბილისის ელმავალმშენებელი, ქუთაისის ელექტრომექანიკური, ზესტაფონის ,,საქკაბელის'', შორაპნის ელექტროელემენტების ქ-ნები და სხვ. საწარმოთა ნაწილი ფუნქციონირებდა სამეცნ.-საწარმოო გაერთიანებების სახით, გააჩნდათ თავიანთი საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროები. მათ პროდუქციას წარმოადგენდა: ელექტრომანქანები, ელექტროშესადუღებლები, ავტომ. და ნახევრად ავტომ. მოწყობილობები, ამწის ელექტროძრავები, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მიკროძრავები, ელექტროქსელის აპარატურა, ელმავლების, ელექტროკარების, საწარმოო პროცესების მართვის აპარატურა, ლაბორატორიის ტრანსფორმატორები, ელექტროგანათების ნაკეთობანი, საყენებელი კაბელები, მომინანქრებული საგრაგნილე სადენები, ელექტროიზოლაციის მასალები და სხვ. ე. მ-ზე მოდიოდა საქართვ. მანქანათმშენებლობის მთლიანი პროდუქციის 20,3%, ძირითადი საწარმოო ფონდების – 12,8% და მომუშავეთა რიცხოვნობის – 19,1%. დარგის ნაკეთობათა დიდი ნაწილი იგზავნებოდა საბჭ. კავშირის სხვადასხვა რეგიონებში და საზღვარგარეთის ქვეყნებში.

საბჭ. კავშირის დაშლის შემდეგ საბაზრო ეკონ. პირობებში ე. მ. ღრმა კრიზისმა მოიცვა და საწარმოთა უმრავლესობამ ფუნქციონირება შეწყვიტა. ამჟამად მცირე დატვირთვით მუშაობს: ,,ელმავალმშენებელი'', ,,საქკაბელი'', ,,ელვა'', ,,ელექტროიზოლიტი'', ,,ელექტროავტომატი'' და სხვ. ,,საქსტატის'' მონაცემებით, 2008 საქართველოში ელექტრონულ მანქანებსა და ელექტრომოწყობილობებს უშვებდა 18 საწარმო, სადაც იწარმოებოდა 27,5 მლნ. ლარის პროდუქცია და თავმოყრილი იყო 8,4 მლნ. ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები. ყველა აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით ე. მ-ის წილი საქართვ. მრეწველობაში 1%-ზე ნაკლებია. საწარმოები ძირითადად მცირე ზომისაა, წლიურად 1,5 მლნ. ლარის პროდუქციას უშვებენ და მუშაობენ შეკვეთების საფუძველზე. *დ. ჩომახიძე.*

ელექტროქიმია, მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის იონური სისტემების (ხსნარი, ნალხობი, მყარი ელექტროლიტი) ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს, აგრეთვე ორი ფაზის საზღვრის აგებულებას და მასზე დამუხტული ნაწილაკების გადატანით გამოწვეულ მოვლენებს. ე. არის არაორგ. და ორგ. ნივთიერებათა ელექტროსინთეზის, გალვანოტექ., ლითონთა კოროზიისაგან დაცვის, დენის ქიმ. წყაროების, ინფორმაციის, ელექტროქიმ. გარდამქმნელების, ელექტროქიმ. მეთოდების (ვოლტამპერომეტრია, პოტენციომეტრია, კულონომეტრია), ლითონთა ელექტროქიმ. დამუშავებისა და ტექნიკისათვის მეტად მნიშვნელოვანი სხვა პროცესების საფუძველი. ელექტროქიმ. პროცესები მიმდინარეობს ცოცხალ ორგანიზმშიც (ნერვული იმპულსების გავრცელება, ფერადი მხედველობა და სხვა ბიოელექტროქიმიური პროცესები). ელექტროქიმ. გზით საწარმოო მასშტაბებში ღებულობენ და ასუფთავებენ Al, Mg, Na, Li, Ca, Be, Ti, Cu, Zn, Mn, Au, Ag, Cd, Ni, Cl_2, Fr, H_2, ტუტეებს, დამჟანგველებს, სამკურნალო პრეპარატებს და სხვ. ამ ტექ. ამოცანების შესაბამისი თეორია განიხილება ელექტროდიკამი, რ-იც სწავლობს ორი ფაზის საზღვარზე მიმდინარე მოვლენებს, ამ მოვლენების თერმოდინამიკას, ფაზათა საზღვრის აგებულებასა და ელექტროქიმიის კინეტიკის კანონებს. თეორ. ე-ის მეორე ქვედარგი – იონიკა – სწავლობს ცალკეული ფაზის მდგომარეობას, როგორც წონასწორობის, ასევე მათში მიმდინარე პროცესების პირობებში.

ე-ის, როგორც მეცნიერების, დასაწყისად ითვლება 1786, როდესაც იტალ. მეცნიერმა ლ. გალვანიმ აღმოაჩინა პოტენციალთა სხვაობა ორ სხვადასხვა ლითონს (Cu, Fe) შორის. 1799 იტალ. ფიზიკოსმა ა. ვოლტამ შექმნა პირველი გალვანური ბატარეა, რ-საც შემდეგ ,,ვოლტას სვეტი'' უწოდეს. 1807 ინგლ. მეცნიერმა ჰ. დეივიმ გალვანური ბატარეა გამოიყენა ელექტროლიზით წყლის დასაშლელად და კალიუმისა და ნატრიუმის მისაღებად. 1833–34 ინგლ. ფიზიკოსმა მ. ფარადეიმ ჩამოაყალიბა ელექტროლიზის ძირითადი კანონები. 1838 რუსმა ფიზიკოსმა ბ. იაკობიმ აღმოაჩინა გალვანოპლასტიკის მოვლენები. ამავე წლიდან იწყება გალვანოტექ. განვითარება. 1859 ფრანგმა ფიზიკოსმა გ. პლანტემ შექმნა ტყვიის აკუმულატორი, 1865 ფრანგმა ქიმიკოსმა ჟ. ლეკლანშემ – დენის ქიმ. წყარო თუთია-მანგანუმის დიოქსიდით (ე. წ. ლეკლანშეს ელემენტი), ხოლო პ. *ბაგრატიონმა* – დენის ,,მშრალი'' ქიმ. წყარო. ამერ. ფიზიკოსის ჯ. გიბზისა (1875) და გერმ. მეცნიერის ჰ. ჰელმჰოლცის (1882) შრომებში მოცემულია ელექტრომამოძრავებელი ძალის (ემძ-ის) თერმოდინამიკური ინტერპრეტაცია. 1887 შვედი მეცნ. ს. არენიუსი აყალიბებს ელექტრონული დისოციაციის თეორიას. 1888–89 გერმ. ფიზიკოსმა და ქიმიკოსმა ვ. ნერნსტმა საფუძველი ჩაუყარა გალვანური ელემენტის ემძ-ის თეორიას.

XX ს. 30-იან წლებში ჩამოყალიბდა ელექტროქიმ. კინეტიკის ძირითადი კანონები (გერმ. მეცნ. მ. ფოლმერი, უნგრ. მეცნ. ტ. ერდეი-გრუზი, რუსი მეცნ. ა. ფრუმკინი და სხვ.). ა. ფრუმკინმა პირველმა ჩამოაყალიბა ცნება ნულოვანი მუხტის პოტენციალის შესახებ, დაამყარა კავშირი ჰეტეროგენუ-

ლი და ჰომოგენური პროცესების კინეტიკებს შორის, ჩამოაყალიბა ,,ნელი განმუხტვის თეორია'' და სხვ.

საქართველოში ელექტროქიმიურ კვლევას საფუძველი ჩაუყარა რ. *აგლაძემ*, რ-მაც 1943 საქართვ. პოლიტექნიკურ ინ-ტში ჩამოაყალიბა ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლ. კათედრა, ხოლო 1956 – საქართვ. მეცნიერებათა აკად. გამოყენებითი ქიმიის და ელექტროქიმიის ინ-ტი. მან თავის მოწაფეებთან ერთად დაამუშავა მანგანუმის ელექტროქიმ. და ელექტრომეტალ. საკითხები (სსრკ სახელმწ. პრემია, გ. *სიორიძესთან* ერთად, 1943). რ. აგლაძის რედაქტორობით გამოიცა ,,მანგანუმის ელექტროქიმია'' (9 ტომი, 1957–87), რ-შიც თავმოყრილია მანგანუმშემცველი მადნებისა და კონცენტრატებისაგან ლითონური მანგანუმის, მისი შენადნობებისა და ნაერთების (პერმანგანატების, მანგანუმის დიოქსიდის, მანგანუმჟავას, მანგანუმიანი ფერიტების და სხვ.) მიღების კვლევის შედეგები, დამუშავდა ბიპოლარულად მომუშავე სამგანზომილებიანი ელექტროდები (რ. აგლაძე, ე. მანუკოვი), რ-ებიც წარმატებით გამოიყენეს პერმანგანატის წარმოების სრულყოფისათვის, ქლორისა და ბრომის ჟანგბადშემცველი, აგრეთვე მჟანგველების ელექტროსინთეზისა და ბუნებრივი თუ ჩამდინარე წყლების ელექტროქიმ. გაწმენდისათვის (გ. *აგლაძე*).

სსრკ-ის ქვეყნებიდან პირველად საქართველოში განხორციელდა ლითონური მანგანუმისა და კალიუმის პერმანგანატის სამრეწვ. (რ. აგლაძე) და საცდელ-სამრეწვ. მასშტაბით ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის (ემდ) წარმოება (ლ. *ჯაფარიძე*). მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა ემდ-ის წარმოების ტექნოლ. პროცესის სხვადასხვა კვანძის დახვეწას, ელექტროაქტიური, კოროზიულად და მექან. მდგრადი ანოდების შერჩევას (ლ. ჯაფარიძე, თ. ჩახუნაშვილი და სხვ.). ემდ-ის მსხვილმასშტაბოვან (14000 *ტ/წ*) საწარმოში დაინერგა ტიტან-მანგანუმის შენადნობის შემცველი ანოდები (თ. აგლაძე და სხვ.). მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული ერთჯერადი და გადამუხტვადი ლითიუმიანი დენის წყაროების საკათოდე მასალების სინთეზის, შესწავლისა და გამოცდის მიმართულებით (ე. ქაჩიბაია, ლ. ჯაფარიძე).

1964 საქართველოში დაიწყო კვლევა ელექტროქიმიის კინეტიკის დარგში. დადგინდა, რომ თეორ. Ø-ის ძირითადი კანონები, რ-ებიც აღწერენ ლითონ-ხსნარის აგებულებას, ადსორბციას, ელექტროქიმიურ რეაქციათა სიჩქარეს და რ-თაც მანამდე მხოლოდ წყალხსნარებში იყენებდნენ, რაოდენობრივად მიესადაგება არაწყალხსნარებსაც იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ მათში იონთა ასოციაციის მოვლენების შედეგად მორეაგირე ნაწილაკების მუხტის მნიშვნელოვან შემცირებას, ლითონ-არაწყალხსნარის საზღვარზე ორგ. ნივთიერებათა ადსორბციის უნარის 2–3 რიგით შემცირებას, ორმაგი ელექტრული შრის სტრუქტურის მნიშვნელოვან ცვლილებას (ჯ. *ჯაფარიძე*, თანამშრომლებთან ერთად). დადგინდა აგრეთვე პროტონულ გამხსნელებში ზოგიერთ ლითონთა იონების სხვადასხვა ლიგანდებთან კომპლექსწარმოქმნის კანონზომიერებანი (ვ. შავგულიძე), შეიქმნა ლითონ-ხსნარის გამყოფი ფაზის კვლევის პრინციპულად ახ. პრეციზიული მეთოდი (ვ. ჩაგელიშვილი, ჯ. ჯაფარიძე და სხვ.). მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული არაწყალხსნარებში ლითონთა კოროზიის მექანიზმის შესწავლის მიმართულებით. დადგენილია ამ პროცესზე გამხსნელის ბუნების, სისტემის კომპონენტთა ადსორბციისა და კომპლექსწარმოქმნის გავლენა. განხორციელდა ზოგიერთ მანგანუმშემცველ ორგ. ნაერთთა სინთეზი და შეიქმნა სწრაფი ელექტროდული რეაქციების კინეტიკის შემსწავლელი პოტენციოსტატური დანადგარი (თ. აგლაძე და სხვ.). ჩამოყალიბდა მენდელეევის პერიოდული სისტემის V–VII მთავარი და თანაური ქვეჯგუფის ელემენტების ,,ძნელად აღსადგენ'' ოქსიანიონთა და ოქსიმჟავათა ელექტროაღდგენის ორიგინ. თეორია, რ-შიც გადამწყვეტი როლი ენიჭება მორეაგირე ნაწილაკების პროტონის დონორთან ასოციატის წარმოქმნას, საელექტროდე ლითონთა ბუნებას (რ. კვარაცხელია და სხვ.). გამოვლენილია სპილენძის ელექტროკრისტალიზაციის პროცესის დამაჩქარებელი ნივთიერებები – ,,აქსელერატორები'', დადგენილია ლოკალური ომური ძაბვის ვარდნისა და ლითონის თერმოდინამ. აქტივობის ცვლილების როლი ელექტროკრის ტალიზაციის პროცესში, ჰიდროდინამ. რეჟიმის ოპტიმიზაციის კრიტერიუმები სტადიური პროცესების ინტენსიფიკაციისათვის (თ. ლეჟავა და სხვ.). მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული ციკლური აგებულების ზოგიერთ ორგ. ნივთიერებათა ელექტროაღდგენის მექანიზმის დადგენის მიმართულებით (ვ. წვენიაშვილი). შემუშავდა ძვირფასი ლითონებით (ოქრო, ვერცხლი) ზედაპირული დანაფარების იაფი შენადნობებით შეცვლის შესაძლებლობა, კატალიზური აქტივობისა და სხვა საექსპლოატაციო პარამეტრების შენარჩუნებით (თ. ხოფერია). ლხობილთა ელექტროლიზის მიმართულებით დადგენილია მოლიბდენის ჟანგბადნაერთების, პოლივალენტური ლითონების ფტორიდული კომპლექსების და სხვათა ელექტროაღდგენის მექანიზმები, ტანტალის, სილიციდის, ნიობიუმის ბორიდისა და სხვათა მაღალდისპერსიული ფხვნილების მიღების შესაძლებლობანი (ა. ავალიანი, ო. წიკლაური, ნ. გასვიანი).

1976-იდან რ. *დოლონძე* თავის მოწაფეებთან ერთად საქართველოში აგრძელებს კვლევას კონდენსირებულ სისტემებში, მ. შ. ელექტროქიმიის სისტემებში მუხტის გადატანის ელემენტარული აქტის თეორიის განვითარების მიმართულებით, რ-იც ითვალისწინებს გამხსნელის, იონური ატმოსფეროსა და მორეაგირე ნაწილაკთა შიგამოლეკულური რეორგანიზაციის, აგრეთვე ელექტროდის ლითონური თუ ნახევრადგამტარული ბუნების გავლენას ელექტროქიმ. რეაქციებზე; ამუშავებს ოპტ. მეთოდებით ელექტროქიმ. რეაქციების კვლევის თეორიას, რ-ის საფუძველზე შემდეგ განვითარდა ფოტოელექტროქიმ. პროცესების კვანტური თეორია (თ. მარსაგიშვილი).

XX ს. დასასრულს საქართველოში ელექტროქიმიის დარგში მოღვაწეობდა 100-ზე მეტი მეცნ. კანდიდატი და 12 მეცნ. დოქტორი, მათგან ტექ. ელექტროქიმიის დარგში – 4, ელექტროქიმიის თეორიის დარგში – 8.

საერთაშორისო აღიარება მოიპოვა 1990–2010 განმავლობაში ელექტროქიმ. ინ-ტში მიღებულმა შედეგებმა ფუნდამენტური კვლევების ისეთ დარგებში, როგორიცაა: მუხტის გადატანის კვანტურ-მექანიკური თეორია (თ. მარსაგიშვილი), ლითონ-ხსნარის აღნაგობა, ორგანულ და არაორგანულ ნაერთთა ადსორბცია, ელექტროქიმიური კინეტიკა (ჯ. ჯაფარიძე, შ. ჯაფარიძე, თ. ჭელიძე), ელექტროკრისტალიზაცია (თ. ლეჟავა), თერმოქიმია (თ. მაჩალაძე), რადიაციულ-ქიმიური გარდაქმნები (რ. თუშურაშვილი), ბიოლოგიურად აქტიური კოორ-

დინაციული ნაერთების სინთეზი და მათი ფიზ.-ქიმიური თვისებები (გ. ცინცაძე, მ. ცინცაძე), ნახშირის ქიმიისა (ნ. ჯიჯეიშვილი) და კატალიზის (ვ. ბახტაძე) მეცნიერული წინაპირობების შექმნა. ინ-ტში ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს სასარგებლო წიაღისეულიდან და მეორეული ნედლეულიდან ძვირადღირებული, კერძოდ, მანგანუმის შემცველი ნაერთებისა და სხვა მასალების მიღების ტექნოლოგიების სრულყოფისათვის (გ. აგლაძე, ვ. გაფრინდაშვილი, ჯ. გველესიანი, თ. ჩახუნაშვილი, ე. ქაჩიბაია, ბ. ფურცელაძე, თ. ჭყონია და სხვ.).

ლიტ.: Антропов Л. И., Теоретическая электрохимия, М., 1984; Дамаскин Б. Б., Петрий О. А., Введение в электрохимическую кинетику, М., 1975.


ჯ. ჯაფარიძე.

„ელექტროშედულება“ (სააქციო საზოგადოება), ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობის საწარმო თბილისში. ამუშავდა 1958 ე. ო. პატონის სახ. თბილისის ელექტროშედულების მოწყობილობათა ქ-ნის სახელწოდებით (ექვემდებარებოდა საკავშ. ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს). იგი ელექტროტექნიკური მრეწველობის ერთ-ერთი სპეციალიზებული საწარმო იყო სსრ კავშირში, უშვებდა ელექტროშესადუღებელ მანქანა-დანადგარებს და მათზე ქვეყნის მოთხოვნის გარკვეულ ნაწილს აკმაყოფილებდა. ქ-ნასთან არსებობდა ლენინგრადის ელექტროშემდუღებელი მოწყობილობების საკავშირო სამეცნ.-კვლ. ინ-ტის თბილისის განყოფილება (1992-იდან – სააქციო საზ-ბა „ელექტროთერმოშედუღება“), რ-იც პროდუქციის ახ. ნიმუშებს ამუშავებდა.

XX ს. 90-იან წლებში ქ-ნაში პროდუქციის წარმოება მკვეთრად შემცირდა. 1995 ქ-ნის ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბა „Ე.“ 2000-იდან საწარმომ შეწყვიტა ფუნქციონირება. *ლ. აბრამიშვილი.*

ელექტრული მადანაღმდგენი ღუმელი, ღუმელი, რომელშიც მადნის ელექტრული რკალით გახურებასთან ერთად ჟანგეულები აღდგება კაზმში შეტანილი აღმდგენით. ე. მ. ღ. მუშაობს დახურული რკალით, ე. ი. ელექტროდების ბოლოები ღრმადაა ჩასმული კაზმში, ხოლო გამოყოფილი აირები გაივლის საკაზმე მასალების ზედა ფენებს, აღადგენს მათ ნაწილობრივ და მოამზადებს დნობისათვის. ამავე დროს კაზმის ზედა ცივი ფენები ნაწილობრივ აკავებს აქროლებულ ლითონსაც. მიღებულ ძირითად პროდუქტში არის ჟანგეულიდან აღდგენილი ერთი ან რამდენიმე ქიმ. ელემენტი.

ე. მ. ღ-ს იყენებენ თუჯის, ფეროშენადნობების გამოსადნობად, ყვითელი ფოსფორის ასაქროლებლად და სხვ. მისი ძირითადი ელემენტებია: გარსაცმი, ცეცხლგამძლე ამონაგი, თვითშეცხობადი ელექტროდი, ელექტროდის საჭერი, ჩასაშვები და გადასაადგილებელი (უკუქცევით–წინსვლითი) მოწყობილობა, დენის მიმყვანი „მოკლე“ ქსელი, საღუმელე ტრანსფორმატორი და სხვ. ე. მ. ღ. არის ღია და დახურული. ღია ღუმელში ჟანგეულებიდან ლითონის აღდგენისას ჩატვირთული კაზმის ზედაპირზე (საკერძეზე) გამოიყოფა ნახშირჟანგი CO, რ-იც მაღალი ტემპ-რის პირობებში ჰაერის ჟანგბადთან შეხებისთანავე იწვის (წარმოიქმნება ნახშირორჟანგი CO_2) და გამოყოფს დიდი რაოდენობით სითბოს. ამავე დროს კაზმში მიწოდებული აღმდგენის 10–12% ამოიწვება. ამის შედეგად ნაადრევად ცვდება საღუმელე მოწყობილობა, რთულდება მომსახურე პერსონალის მუშაობა და მკვეთრად უარესდება ეკოლ. პირობები.



მეტალურგიის ინსტიტუტში შექმნილი დახურული ელექტრული მადანაღმდგენი ღუმელი (გააჩნია მთელი რიგი უპირატესობანი).


დახურულ ღუმელში მადნების აღდგენისას მდგომარეობა უმჯობესდება იმის გამო, რომ ღუმელი ჰერმეტული თაღით იხურება, რაც გამორიცხავს მასში ჰაერიდან ჟანგბადის შეღწევას და საკერძის აირების წვას. დახურულ ღუმელში წარმოქმნილი აირები სპეც. ტუმბოთი აირსაწმენდ ტრაქტში გაიწოვება.

პირველი დახურული ე. მ. ღ-ები მოწინავე ქვეყნების მრეწველობაში XX ს. 40–50-იან წლებში დაინერგა.

საქართველოში ელექტროღუმელთმშენებლობა დამოუკიდებლად ვითარდებოდა. 1957–61 გ. *მიქელაძის* ხელმძღვანელობით ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქ-ნაში გამოსცადეს სსრკ-ში პირველი 250 და 2500 *კვ•ა.* სიმძლავრის დახურული ე. მ. ღ. და შეისწავლეს ფერომანგანუმის, სილიკომანგანუმის, ფეროქრომის, ფეროსილიციუმისა და ტიტანიანი წიდების წარმოების თავისებურებანი. სილიკომანგანუმისა და ფეროქრომის დნობა განხორციელდა მსოფლიო პრაქტიკაში პირველად.

აღსანიშნავია, რომ საბჭ. პერიოდში საქართველოში შემუშავებული რეკომენდაციები დაედო საფუძვლად სხვა ქვეყნებში მომუშავე მძლავრ დახურულ ე. მ. ღ-ებს, რ-თა ათვისებასა და მრეწველობაში დანერგვას, კერძოდ, ზაპოროჟიესა და ალმაზნაიას ფეროშენადნობთა ქ-ნებში ქართველი სპეციალისტები (ბ. გოგორიშვილი, ა. გუნიავა, გ. დგებუაძე, ი. *ლორთქიფანიძე,* გ. მიქელაძე, ე. ნადირაძე, შ. ფხაკაძე, რ. ცხვედიანი, ა. ძოძუაშვილი) ხელმძღვანელობდნენ.

დახურული და ღია ღუმლების ძირითადი დეტალები ერთნაირია, ოღონდ დახურულს დამატებით აქვს თაღი, რ-იც დიდ თბურ და მექან. დატვირთვას განიცდის, ამიტომ იგი, როგორც წესი, კარკასულია და წყლით ცივდება ელექტროდების თაღში გავლის ადგილები სხვადასხვა ხერხით არის შემჭიდროებული, მ. შ. უმარტივესია ელექტროდების ირგვლივ მოწყობილი საკაზმე ძაბრები. კაზმი ღუმელს მიეწოდება ძაბრებით, რ-ებიც ყოველთვის სავსეა კაზმით (იგი სამჭიდროებლის როლსაც ასრულებს). ასეთ ე. მ. ღ-ს ხშირად ნახევრად დახურულსაც უწოდებენ, რადგანაც საკერძე აირების ნაწილი კაზმის შრეებში ჟონავს, ძაბრის თავზე გამოიყოფა და იწვის. ახ. ტიპის მამჭიდროებლები ელექტროდების საჭერებისა და საკონტაქტო ყბების თაღის ქვეშ „ჩაძირვის“ საშუალებას იძლევა, რაც საგრძნობლად ამცირებს ელექტრულ დანაკარგებს.



სქემა. მადანაღმდგენი დახურული ელექტროლუმელი თაღქვეშ ,,ჩაძირული'' საკონტაქტო ყბებით. 1 – შიგა წყლით გამაცივებელი სამჭიდროებელი ცილინდრი, 2 – გარე წყლით გამაცივებელი სამჭიდროებელი ცილინდრი, 3 – თაღი.

საქართველოს მეცნ. აკად. მეტალურგიის ინსტიტუტის გ. მიქელაძის სახ. ელექტროთერმიის ლაბორატორიაში (გაუქმებულია 1995-იდან) შექმნილი ე. მ. ღ-ის (ავტორები: გ. დგებუაძე, ბ. გოგორიშვილი, მ. ნიქაბაძე) ლიცენზია უნგრეთმა შეიძინა. ამავე ავტორების რეკომენდაციებით აგებული 16500 *კვ•ა.* სიმძლავრის 2 დახურული ე. მ. ღ. 1980 შეიძინა ინდოეთის ფირმამ – ,,იუნიფერო ინტერნეშლმა''.

ლიტ.: Выплавка титанистых шлаков в закрытой рудовосстановительной электропечи, კრ.: Титан и его сплавы, в. 8 – Металлургия титана, М., 1962; Гогоришвили Б. П., Цхведиани Р. Н., Чикашуа Д. С., Метревели А. П., Опыты по выплавке феррохрома в закрытой рудовосстановительной электропечи, «Бюллетень ЦНИИЧМ», 1 (405), М., 1961; Дуррер Р, Фолькерт Г., Металлургия ферросплавов, пер. с нем., 2 изд., М., 1976. *ბ. გოგორიშვილი.*

ელექტრული მანქანა, მანქანა, რომელიც გარდაქმნის მექანიკურ ენერგიას ელექტრულ ენერგიად (გენერატორი), ელექტრულს – მექანიკურად (ძრავა), გარკვეული პარამეტრების მქონე ელექტრულ ენერგიას – სხვა პარამეტრების მქონე ელექტრულ ენერგიად (ტრანსფორმატორი, სიხშირის გარდამქმნელი და სხვ.). ნებისმიერი ე. მ-ის მოქმედება შექცევადია, მაგრამ ექსპლუატაციის პირობებიდან გამომდინარე, თითოეული სახის ე. მ. განკუთვნილია მუშაობის გარკვეული რეჟიმისათვის. ე. მ-ების სიმძლავრის დიაპაზონი ერთეული ვატიდან ასეულ მეგავატამდეა.

ენერგიის გარდაქმნისათვის ე. მ-ების უმრავლესობაში გამოიყენება ბრუნვითი მოძრაობა. თითქმის ყველა ე. მ-ს გააჩნია გარეგანი უძრავი ნაწილი – სტატორი და მის შიგნით მბრუნავი ცილინდრული ნაწილი – როტორი, რომლებზეც განლაგებულია სხვადასხვა ტიპის ელექტრული გრაგნილი.

განასხვავებენ ცვლადი (სინქრონული და ასინქრონული) და მუდმივი დენის ე. მ-ებს. სინქრონულ მანქანებში როტორისა და სტატორის მბრუნავი მაგნიტური ველი ერთნაირი სიჩქარით ანუ სინქრონულად ბრუნავს და ბრუნვის სიჩქარე მუდმივი სიდიდეა (პროპორციულია ქსელის სიხშირის), ხოლო ასინქრონულ მანქანებში როტორისა და სტატორის მაგნ. ველის ბრუნვის სიჩქარეები ერთმანეთისაგან განსხვავებულია და ქსელის სიხშირესთან დამოკიდებულება არის ცვალებადი. ამიტომ, თუ ელექტრული ქსელის სიხშირე უცვლელია, სინქრონული მანქანის ბრუნვის სიჩქარე მუდმივია და არ არის დამოკიდებული დატვირთვაზე, ხოლო ასინქრონული მანქანის ბრუნვის სიჩქარე იცვლება მისი დატვირთვის ცვალებადობასთან ერთად. ასინქრონული მანქანები მზადდება როგორც გარდამქმნელი მოწყობილობით (კოლექტორული), ასევე მის გარეშე (უკოლექტორო). ასინქრონული მანქანებიდან ყველაზე ფართო გამოყენება პოვა უკოლექტორო ინდუქციურმა მანქანებმა. ცვლადი დენის მანქანებს განეკუთვნება ტრანსფორმატორები. მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს მბრუნავი ნაწილები და არსებითად ელექტრომაგნიტურ აპარატს წარმოადგენს, ე. მ-ებთან ანათესავებს ანალოგიური ელექტრომაგნიტური პროცესები. მუდმივი დენის მანქანების ძირითად ტიპს წარმოადგენს კოლექტორული მანქანები. გენერატორის შემთხვევაში კოლექტორი ცვლად დენს გარდაქმნის მუდმივ დენად (გამმართველი), ხოლო ძრავის შემთხვევაში – მუდმივ დენს გარდაქმნის ცვლადად (ინვერტორი).

ე. მ-ები გამოიყენება საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში: ყოფაცხოვრებაში, მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში, კოსმოსში და ა. შ.

საქართველოს გააჩნია ე. მ-ების გამოკვლევის, კონსტრუირებისა და წარმოების მდიდარი ტრადიცია. ე. მ-ების თეორ. კვლევისა და მათი გაანგარიშების საინჟინრო მეთოდების დამუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი ე. გერსამიას, ს. ყირქესალიშვილს, ვ. ლომინაძეს, გ. სეხნიაშვილს, გ. მახარაძეს. საქართველოში მზადდებოდა მუდმივი დენის წევის ელექტროძრავები, ჩაძირული კონსტრუქციის ელექტროძრავები, შემდუღებელი გენერატორები, ასინქრონული ძრავები, მცირე სიმძლავრის ტრანსფორმატორები, საყოფაცხოვრებო მანქანების ელექტროძრავები და სხვ.

ლიტ.: Волдек А. И., Электрические машины, Л., 1979; Иванов-Смоленский А. В., Электрические машины, М., 1986. *ა. ზამკოვი.*

„ელვა“, ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, რსდმპ თბილისის გაერთიანებული კომიტეტის ორგანო. გამოდიოდა 1906 (12. III–15. IV). რედ.-გამომც. – გ. მახარაძე (ფაქტობრივად – ფ. მახარაძე). ბოლშევიკებისა და მენშევიკების გაერთიანებული ორგანო (ბოლშევიკებიდან შედიოდნენ ი. სტალინი, მ. ცხაკაია და სხვ.), თუმცა თავისი მიმართულებით ბოლშევიკური გაზეთი იყო. ე-სთან თანამშრომლობდნენ: ი. ევდოშვილი, გ. ქიქოძე, მ. იაშვილი, ლ. ახმეტელაშვილი, შ. შარაშიძე და სხვ. ,,ე.'' დაიხურა ადგილ. ხელისუფლების განკარგულებით.

„ელვა“ (სააქციო საზოგადოება), ხელსაწყოთმშენებელი საწარმო. ყოფილი საკავშირო ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების სამინისტროს სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება, რ-შიც შედიოდა მმართველ-გამომთვლელი მანქანების ქ-ნა, ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, ქ-ნა ,,ჰიდრომეტხელსაწყო'' და გამოთვლითი ტექ. საშუალებათა საცდელი ქ-ნა – გტს; შეიქმნა 1969 თბილისში. გაერთიანება ამზადებდა ატომური და თბოელექტროსადგურების ტექნოლ. პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემებისათვის განკუთვნილ გამოთვლით ტექ. საშუალებებს, აგრეთვე ელექტროენერგიის მრიცხველებს, ელექტრონულ სალარო-აპარატებს. ქ-ნაში დასაქმებული იყო 2260 კაცი (1989). პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს გზავნიდნენ საქართველოს გარეთ (რუსეთი, გდრ, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ჩინეთი, ბულგარეთი, ისრაელი და სხვ.). 1994 სახელმწ. საწარმოო გაერთიანება ,,ელვა'' დაიშალა (ჯერ კიდევ 1991 მას

გამოეყო ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტი) და მასში შემავალი მმართველ-გამომთვლელი მანქანების ქ-ნის ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბა ,,Ე.'' 1991-იდან საწარმო ასრულებს სპეციალურ ტექნიკურ დაკვეთებს და ორიენტირებულია ადგილობრივ ბაზარზე.

ელი (თურქ., აზერბ., ილ, ელ – ტომი, ხალხი), მეჯოგე-მომთაბარე მოსახლეობა კახეთსა და ქვემო ქართლში XVI–XIX სს-ში. Ე-ის შემოჭრისა და დამკვიდრების ცდა საქართველოში დაკავშირებული იყო მომთაბარე ხალხების (სელჩუკები, მონღოლები, თურქმანები) შემოსევებთან. XI ს-იდან ისინი ბრძოლით იკავებდნენ მცირე აზიისა და ამიერკავკ. ტერიტორიას. საქართველოში Ე-ის ჩამოსახლება იქცა სეფიანთა დინასტიის შაჰების პოლიტიკად, რ-ის მიზანი იყო ქართ. ფეოდ. მიწათმფლობელობისა და სახელმწიფოებრიობის მოსპობა. შაჰ აბას I-მა Ე-ის დიდი ნაწილი ჩაასახლა მის მიერ გაჩლეტილი და ირანში გადასახლებული კახელების მიწაწყალზე. ქართულ ფეოდ. საზ-ბაში ფეხს იკიდებდა ნახევრად პატრიარქალური, ნახევრად ფეოდ. წყობის, ეთნიკურად უცხო სოც. ძალა, რ-ის ჩამორჩენილი ეკონ. ბაზა (ექსტენსიური მეურნეობა, ფეოდ. მიწათმფლობელობის ზრდადაუსრულებელი ფორმები) საფუძველს აცლიდა საქართვ. სამიწათმოქმედო მეურნეობის ინტენს. დარგებს და გადაგვარებით ემუქრებოდა ადგილობრივ სოც.-პოლიტ. წყობილებას. Ე-ის დამკვიდრება საქართველოს ტერიტორიაზე შაჰ აბას I-ის გეგმის, ქართ.-ქრისტ. სამეფოების ,,გურჯისტანის'' სახანოებად გადაქცევის დასაწყისი იყო. ეს გეგმა ჩაშალა მარტყოფის აჯანყებამ გ. სააკაძის მეთაურობით (იხ. *მარტყოფის ბრძოლა 1625*). თურქმანული ტომების ჩასახლების მორიგი ცდა შაჰ აბას II-ის დროს ჩაშალა *კახეთის აჯანყებამ* (1660). XVII ს. II ნახევრიდან კახეთსა და ქვემო ქართლში მეჯოგე-მომთაბარე და მკვიდრ-ბინადარი მოსახლეობის თანაფარდობა უკანასკნელის სასარგებლოდ შეიცვალა. Ე-ის ნაშთები ლოკალიზებულ იქნა ადგილ. ფეოდ. ურთიერთობათა გარემოცვაში. Ე-ის გააქტიურების პოლიტიკა, რასაც ნადირ-შაჰი XVIII ს. 30–40-იან წლებში ატარებდა ქართლსა და კახეთში, მარცხით დამთავრდა. XVIII ს. საქართველოში შემუშავებულ იქნა ,,ელის დებულება'', რ-იც შევიდა ,,დასტურლამალში''. Ე-ს ეკავა სომხითი, ალგეთისა და დმანისის ხეობები. მისი სოც. სტრუქტურა ირანში მცხოვრები ყიზილბაშური ტომების მომთაბარული ორგანიზაციის შესაბამისი იყო. საქართველოში განსახლებულ ყიზილბაშურ ტომთაგან ცნობილია ჯავანშირი, ქეშალუ, ნავჯბადილი, არახლუ, დემურჩი, აჰმადლუ, ჰასანლუ და სხვ. ამ ტომების ძირითად სოც. უჯრედებს ოიმახი და ობა ეწოდებოდა. Ე. განსახლებული იყო სახელმწ., სამეფო და საფეოდალო მიწებზე. საქართვ. ხელისუფლება ფისკალური და სამხ. მიზნებისათვის 3 წელიწადში ერთხელ ატარებდა Ე-ის აღწერას. XVIII ს-იდან შესამჩნევი გახდა Ე-ის მკვიდრბინადრულ ცხოვრებაზე გადასვლის ტენდენცია. Ე-ის სამეურნეო და სოც. პროგრესი საქართველოში უფრო სწრაფი ტემპით განვითარდა, ვიდრე მის მონათესავე ირანსა და ანატოლიის თურქმანულ ტომებში.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI–XVII საუკუნეებში, თბ., 1958. *ვ. ჩოჩიევი.*

ელია, ბიბლიური პერსონაჟი, ქართველთა რწმენის მიხედვით, წვიმა-სეტყვისა და ჭექა-ქუხილის განმგებელი. სახელი შეერქვა ბიბლიური ილია (ელია) წინასწარმეტყველის მიხედვით. ხალხური წარმოდგენით, იგი ცაზე ეტლით დაქრის, ბრმა არის და ზოგჯერ უადგილო ადგილას დაუშენს სეტყვას. ამიტომ, სეტყვის ღრუბელი რომ გამოჩნდებოდა, თოფის სროლასა და ზარების რეკვას ატეხდნენ: Ე. გაიგონებს, მიხვდება, რომ აქ სოფელია და გაგვეცლებაო. Ე-ს სამსხვერპლო ცხოველია თხა (ციკანი), რაც ამ კულტის წინაქრისტ. წარმომავლობას მოწმობს. ქრისტიანობამ, მიუხედავად ოფიც. ეკლესიის მცდელობისა, ვერ შეძლო Ე-ს კულტის მოსპობა და მხოლოდ ზოგიერთი ქრისტ. ელემენტი შესძინა მას. ლეგენდის მიხედვით, Ე-ს ხალენი (ტყავის მოსასხამი) უფლის კვართთან ერთად ჩამოუტანიათ საქართველოში. ზოგი წარმოდგენის თანახმად Ე. ეშმაკეულია და, როგორც ბრმა და სასტიკი ძალა, სეტყვით ანადგურებს ყანებს, ებრძვის ხატებს და ანგელოზებს, მეხს უშენს მათ ,,დასაბრძანებელ'' მაღალ ხეებს. ამ ოდესღაც ძლიერი ღვთაების სახელობის დღესასწაული – *ელიაობა* იმართებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ი. სურგულაძე.

ელია, ქართლის ეკლესიის IV მამამთავარი (დაახლ. IV ს. 90-იანი წწ. – V ს. დასაწყისი). მოღვაწეობდა მეფე თრდატის დროს. მისი ეპისკოპოსობის დროს აშენდა *პოლნისის სიონი.* ლეონტი მროველის ცნობით, მის დროსვე აშენებულა რუსთავისა და ნეკრესის ეკლესიები.

წყარო: ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილისა და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

ელია, მთა ხევის კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდ. ტოტზე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 2859 *მ.* მდინარეების ტერხენისა (თერგის მარჯვ. შენაკადი) და ართხმოსწყლის (სნოსწყლის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფი. აგებულია ზედაიურული კარბონატული ფიქლებით. შემოსილია ალპ. მდელოებით.

ელია, თბილისის ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთ-ერთი ძველი მიკროუბანი მტკვრის მარცხენა მხარეს, მახათას მთის კალთაზე, ავლაბრის ჩრდ.-დას-ით, რკინიგზის აღმ-ით (ისანი-სამგორის რ-ნი). სახელი ეწოდა მახათას მთაზე მდგარი ილია ანუ *ელია წინასწარმეტყველის ეკლესიის* (არ შემორჩენილა) მიხედვით (1654 საბუთის მიხედვით, მოიხსენიება როგორც ,,მახათას ეკლესია''). აქ 20 ივლ. მორწმუნე ქრისტიანები მართავდნენ საეკლ. დღესასწაულს – ელიაობას. დღეს ამ უბანში დგას *წმინდა სამების საკათედრო ტაძარი.* იხ. აგრეთვე სტ. *ელია* (ღვთაება).



გ. ელიავა.

ელია დიაკონი, ერთ-ერთი *ასურელი მამა, იოანე ზედაზნელის* მოწაფე. საქართველოში მოვიდა ქ. ანტიოქიიდან VI ს. შუა წლებში. ცხოვრობდა ზედაზნის მონასტერში.

წყარო: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1955.

ბ. ლომინაძე.

ელიავა გიორგი გრიგოლის ძე [13 (25) I. 1892, საჩხერე, – VI. 1937], მიკრობიოლოგი. 1909 შევიდა ნოვოროსიის (ოდესის) უნ-ტის სამედიცინო ფაკ-ტზე, საიდანაც 1910 გარიცხეს სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. 1912–14 სწავლობდა ჟენევის უნ-ტში, ხოლო 1916 დაამთავრა მოსკოვის უნ-ტის სამედიცინო ფაკ-



ი. ელიავა.



ლ. შ. ელიავა.

ტი. ამავე წელს დაინიშნა კავკ. ფრონტის ქ. ტრაპიზონის ბაქტერიოლოგიური ლაბორ. გამგედ. 1917–18 განაგებდა საქალაქთაშორისო კავშირის თბილ. ცენტრ. ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიას. 1918–21 და 1925–27 მუშაობდა პარიზში, პასტერის ინ-ტში, ე. რუს, შ. ნიკოლის, გ. რამონის, ა. კალმეტისა და ფ. დ'ერელის ლაბორატორიებში. 1923 მისი ინიციატივით თბილისში დაარსდა ბაქტერიოლოგიური ინ-ტი, 1936 მისივე თაოსნობითა და პროექტით შეიქმნა ბაქტერიოფაგიის საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, რ-ის პირველი დირექტორი თვითონ იყო.

1927-იდან ე. განაგებდა თსუ-ის ჰიგიენის, ხოლო 1929-იდან მიკრობიოლ. კათედრებს, 1936–37 კი მუშაობდა თბილ. სახელმწ. სამედიცინო ინ-ტში. 1934 ე-ს ხელმძღვანელობით თბილისში გაიხსნა შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგური.

ე-მ ფ. დ'ერელთან ერთად ბაქტერიოფაგის კულტურებში აღმოაჩინა სპეციფ. ლიზინი, ე. პოზერსკისთან ერთად კი დაადგინა ბაქტერიოფაგზე ქინაქინის ნაერთების სპეციფ. მოქმედება. ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა აზრი, რომ ბაქტერიოფაგი განაპირობებს მიკრობთა ფართო ცვალებადობას. ე. იცავდა ბაქტერიოფაგის ცოცხალი ბუნების თეორიას, რაც შემდგომში წარმატებით დადასტურდა. არის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი.

თხზ.: De l'action destructive des sels de quinine sur le bactériophage de d'Hérelle, «Comptes rendus de la Société de Biologie», 1921, t. 85 (თანაავტ. E. Pozerski); Dimensions du corpuscule bactériophage, იქვე, 1927, t. 96 (თანაავტ. E. Suarez); Unicité du bactériophage sur la lysine du bactériophage, იქვე, 1921, t. 85 (თანაავტ. F. D'Hérelle).

ელიავა ირაკლი იასონის ძე (დ. 23. XII. 1928, თბილისი), ბიოლოგი, ფიტოჰელმინთოლოგი, ფიტოჰელმინთოლოგიისა და ნიადაგის ზოოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1984), პროფესორი (1986), საქართვ. მეცნიერებათა აკად. წ.-კორ. (1988). 1953 დაამთავრა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწ. უნ-ტის ბიოლოგია-ნიადაგთმცოდნეობის ფაკ-ტი. ამავე წელს მუშაობა დაიწყო საქართვ. მეცნ. აკად. ზოოლ. ინ-ტში. 1972–82 ხელმძღვანელობდა ნიადაგის ზოოლ. ლაბორატორიას. 1982-იდან არის თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტის ზოოლოგიის კათედრის გამგე, 1987–89 – თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტის დეკანი, 1989–2005 – საქართვ. მეცნიერებათა აკად. ზოოლოგიის ინ-ტის დირექტორი, 2005-იდან ამავე ინ-ტის ნემატოლოგიის ლაბორატორიის გამგე. მისი გამოკვლევები ეხება ნიადაგის ზოოლ. ძირითად პრობლემებს (ფაუნისტიკა, ეკოლოგია), ნიადაგის ნემატოდების სისტემატიკას და მათი ფიტოპარაზიტიზმის წარმოშობის გზებს. მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის სახ. პრემია (1985), დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

თხზ.: Определитель свободноживущих нематод семейства Qudsianematidae (Dorylaimidae), Тб., 1982; Свободноживущие нематоды семейства Dorylaimidae, Л., 1984; მოკლე ზოოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2002. *რ. ჟორდანია.*

ელიავა ლია შალვას ასული (28. V. 1934, თბილისი, – 7. IX. 1998, იქვე), კინომსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1975). დაამთავრა მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახ. თეატრალური ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი (1955). 1956-იდან კი-



ლ. შ. ე ლ ი ა ვ ა. მზისა. კადრი ფილმიდან ,,ბაში-აჩუკი''.

ნოსტუდია ,,ქართული ფილმის'' მსახიობი იყო, 1986–91 – საქართვ. კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანი. ე-მ ეკრანზე შექმნა ქალთა საინტერესო სახეები, რ-ებიც გამოირჩეოდნენ გრძნობათა სიწრფელით, არტისტული ინდივიდუალობით, ლირიზმით. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ნინო (,,ჩრდილი გზაზე'', 1956), მზისა და მთვარისა (,,ბაში-აჩუკი'', 1957), ქეთო (,,ქალის ტვირთი'', 1957), ზეინაბი (,,მამლუქი'', 1958), ნანი (,,განაჩენი'', 1959), ელიკო (,,შეწყვეტილი სიმღერა'', საქართველო–ჩეხოსლოვაკიის ერთობლივი ფილმი, 1960), ანა ცალიკოვა (,,ირისთონის შვილი'', 1960, ,,ლენფილმი''), ირმა (,,ჭიაკოკონა'', 1961), ანა (,,საღამო მშვიდობისა'', 1962, ,,მოსფილმი''), ლეილა (,,ზღვის შვილები'', 1964), ქეთო (,,მე ვხედავ მზეს'', 1965), ნატო (,,მალე გაზაფხული მოვა'', 1967), მელიტა (,,ქალაქი ადრე იღვიძებს'', 1967), თაკუე (,,მმები სარიანები'', 1969, ,,არმენფილმი''), საალი (,,სალამურის ხმა'', 1975, ,,აზერბაიჯანფილმი''), ლია (,,არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ'', 1976), მსახიობი ამირევჯიბი (,,სინემა'', 1977), თიკო ორბელიანი (,,დათა თუთაშხია'', 1978), თინათინ დედოფალი (,,წიგნი ფიცისა'', 1983), ანა გრუზინსკაია (,,ბაგრატიონი'', 1985), რუსუდანი (,,ორომტრიალი'', 1986) და სხვ. ე-ს შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მაღალი პროფ. კულტურა და ოსტატობა. დაკრძალულია ქართვ. მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ელიავა ლიანა ტარასის ასული (დ. 31. VIII. 1939, ხობი), კინორეჟისორი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკ-ტი (1962) და კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (1969, მ. რომის სახელოსნო). გადაღებული აქვს ფილმები: ,,ბზიანეთი'' (1969), ,,ეპისკოპოსი ნადირობაზე'' (კინოალმანახი ,,დიდი ხნის წინათ'', 1971), ,,მშვენიერი კოსტიუმი'' (1973), ,,ფერმა მთაში'' (კინოალმანახი ,,მშობლიურ ხეთა ჩრდილებში'', 1974), ,,სინემა'' (1977; 1979 ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალის ორგანიზატორების კარლო ლიძანისა და ალბერტო მორავიას მიერ ჩვენებაზე წარდგენილმა ამ ფილმმა საყოველთაო მოწონება დაიმ-



ლ. ტ. ე ლ ი ა ვ ა. კადრი ფილმიდან ,,სინემა''.

სახურა და ვინაიდან ამ წელს პრიზებს არ ანიჭებდნენ, მიიღო ოქროს მედალი – მონაწილეობისათვის). მისი ფილმებისათვის დამახასიათებელია ლირიზმი, პოეტურობა და ფორმის შეგრძნება. ე. ავტორია წიგნებისა ,,სიზმრად ნანახი ფილმები'' (თბ., 2004), ,,კინო უეკრანოდ'' (თბ., 2011) და სხვ.

1999-იდან ცხოვრობს ფინეთში.

ელიავა შალვა ზურაბის ძე [18(30). IX. 1883, სოფ. ღანირი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 3. XII. 1937], რევოლუციონერი, საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მუშაკი. რსდმპ წევრი 1904-იდან. 1905–07 რევ. დროს ე. რევ. პროპაგანდას ეწეოდა დას. საქართველოს სოფლებში.

1911 დააპატიმრეს და ოლონეცის გუბერნიაში გადაასახლეს. გათავისუფლების შემდეგ, ისე როგორც ბევრმა ქართვ. ბოლშევიკმა, სამოღვაწეო ასპარეზად რუსეთი აირჩია, ვინაიდან ბოლშევიკური იდეოლოგია საქართველოში სათანადო ნიადაგსა და მხარდაჭერას ვერ პოულობდა. 1915 ე. დააპატიმრეს და გადაასახლეს თავდაპირველად ასტრახანის, შემდეგ ვოლოგდის გუბერნიაში. 1917 თებ. რევ. შემდეგ იგი ვოლოგდის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავ-რე გახდა, შემდეგ კი – საგუბერნიო აღმასკომის თავ-რე და სასურსათო საქმეთა კომისარი. სრულიად რუსეთის საბჭოების IV საგანგებო ყრილობაზე აირჩიეს სრულიად რუსეთის ცაკის წევრად. 1919, როგორც რკპ(ბ) ცკ-ის, რსფსრ სახკომსაბჭოსა და სრულიად რუს. ცაკის თურქესტანის საქმეთა კომისიის თავ-რე, აქტიურად იბრძოდა ამ მხარის რუსეთთან შესაერთებლად. 1920 დაინიშნა რსფსრ სრულუფლებიან წარმომადგენლად ოსმალეთსა და ირანში. 1920 წლის გაზაფხულზე დღის წესრიგში დადგა ამიერკავკ. დამოუკიდებელი რესპუბლიკების რუსეთთან შეერთების ანუ ე. წ. გასაბჭოების საკითხი. ამ ამოცანის განხორციელებაში რუსეთი ერთ-ერთ მთავარ ძალად მიიჩნევდა მეხუთე კოლონას – ადგილობრივ ბოლშევიკებს. 1920-ის დამლევს ე. დაინიშნა მე-11 წითელი არმიის სამხ. რევ. საბჭოს წევრად, რ-საც გადამწყვეტი დარტყმა უნდა მიეყენებინა საქართველოსათვის. შულავერში ინსპირირებული აჯანყების შემდეგ ე. შევიდა იმ ჯგუფში, რ-იც თავს საქართვ. რევკომს უწოდებდა. საქართვ. დამფუძნებელმა კრებამ 1921 წ. 21 თებერვლის სხდომაზე ე., ისე როგორც რევკომის სხვა წევრები, ქართვ. ხალხის მოღალატედ გამოაცხადა და იგი კანონგარეშე დააყენა. ე-მ აქტ. მონაწილეობა მიიღო საბრძოლო ოპერაციებში და დიდად შეუწყო ხელი საქართვ. ოკუპაციასა და ანექსიას. ე. მეთაურობდა რევკომის დელეგაციას, რ-მაც 1921 მარტში ქ. ქუთაისში ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის კანონიერ მთავრობასთან შეთანხმებას, სადაც გათვალისწინებული იყო საქართვ. ტერიტორიაზე თურქეთის მოსალოდნელი აგრესიის შემთხვევაში ერთობლივი საწინააღმდეგო მოქმედება.

ბოლშევიკური დიქტატურის დამყარების შემდეგ, 1921–23, ე. იყო საქ. სსრ სამხ.-საზღვაო საქმეთა კომისარი, 1923–27 – საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავ-რე. ამ პოსტებზე მუშაობის დროს მან დიდი როლი შეასრულა ამიერკავკ. ფედერაციის შექმნაში, როდესაც საქართველოს საბოლოოდ წაერთვა დამოუკიდებლობის მცირე ნასახიც კი. 1927–30 ე. ამიერკავკ. სფსრ სახკომსაბჭოს თავ-რე იყო. ე. აქტიურად უჭერდა მხარს ეროვნ. უმცირესობათა ე. წ. თვითგამორკვევის ბოლშევიკური ლოზუნგის რეალიზაციას, რ-მაც შემდგომში დიდი საფრთხე შეუქმნა საქართველოს მთლიანობას (მისმა უარყოფითმა როლმა განსაკუთრებით იჩინა თავი XX ს. 90-იან წლებში, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ). ე-მ სხვა ბოლშევიკებთან ერთად აშკარად დაუჭირა მხარი საკავშირო მთავრობის პოლიტიკას, რ-ის მეშვეობითაც საქართველომ დაკარგა თავისი ძირძველი მიწები. აგვისტოს აჯანყებისა (1924) და სხვა გამოსვლების დროს ე. განსაკუთრებით აქტიურობდა ქართვ. პატრიოტული ინტელიგენციის მიმართ განხორციელებულ რეპრესიებში. 1931 სამუშაოდ ისევ რუსეთში გადაიყვანეს, თავდაპირველად სსრკ საგარეო ვაჭრობის (1931–35), შემდეგ მსუბუქი მრეწველობის (1936) სახ. კომისრის მოადგილედ. 1937 ე. თავად გახდა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი.

ლიტ.: თ ო ი ძ ე ღ., შალვა ელიავა, თბ., 1965.

ელიაობა, ამინდის ღვთაების – *ელიას* სახელობის დღესასწაული. ქრისტიანული კალენდრით წმ. ელიას (ილიას) დღესასწაული იმართებოდა 20 ივლისს (ძვ. სტ.). გარდა საეკლესიო, ოფიც. დღესასწაულისა, არსებობდა ე-ის ხალხ. ვარიანტები, რ-თაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირად მართავდნენ. ე-ს მესხეთში საყდარში იხდიდნენ, ასევე სცოდნიათ იმერეთშიც, სადაც საყდრის გარშემო მამაკაცები ორსართულიან ფერხულს მართავდნენ, ქალები კი – ერთრიგიანს და ,,ოკრიალეს'' გაიძახოდნენ. კახეთში ე-ს მართავდნენ ელიას მთაზე, დედოფლისწყაროს მახლობლად. სამეგრელოში წირვიდან დაბრუნებული ოჯახის უფროსი მარანში საჭმელ-სასმელით დატვირთულ ტაბლას შეიტანდა, სანთლებს აანთებდა და ღვთაებას ქარისა და ავდრის არიდებას შესთხოვდა. ელიას სახელზე უნდა ყოფილიყო ტაროსის ღვთაების დღესასწაული *კოხინჯროპა* (მეგრ. ,,კოხობაში ოხვამერი''), რ-საც 7–9 მაისს იხდიდნენ. ელიას თაყვანისცემა ხშირად ემთხვეოდა *ლაზაროვის* – გვალვისა და დელგმის რიტუალებს, რ-იც სრულდებოდა არა კონკრ. დანიშნულ დღეს, არამედ ყოველთვის, როცა გვალვა ან დელგმა შეაწუხებდა ხალხს. ამ რიტუალებში ელია და ლაზარე ხშირად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. *ი. სურგულაძე.*

ელიაშვილი არჩილ ივანეს ძე [25. VII (7. VIII). 1904, თბილისი, – 16. XII. 1971, იქვე], მეცნიერი ელექტროტექნიკის დარგში, საქართველოში ავტომატიკის მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1927 დაამთავრა გრენობლის (საფრანგეთი) პოლიტექ. ინ-ტი. ე-ის ხელმძღვანელობით ჩატარდა ფოთისა და მისი მიდამოების ელექტრიფიკაცია. მონაწილეობდა საქართველოს ენერგოსისტემის პირველი კვანძებისა და უბნების დაპროექტებაში. 1956 მისი ინიციატივით დაარსდა საქართველოს მეცნ. აკად. ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექან. ინ-ტი (შემდგომში ა. ელიაშვილის სახ. *მართვის სისტემების ინსტიტუტი*), რ-საც იგი გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. ე-ის თაოსნობით დაიწყო და გაიშალა საქართველოში პირველი სამუშაოები მათ. ლინგვისტიკისა და ავტომ. თარგმნის დარგში. მონაწილეობდა ,,ტექნიკური ტერმინოლოგიის'' შედგენაში (გ. ნიკოლაძის სახ. პრემია, 1978, გარდაცვალების შემდეგ).



ა. ელიაშვილი.

თხზ.: დიფერენციალურ განტოლებათა მატრიცული ინტეგრების გამოყენება ელექტრულ წრედებში გარდამავალი პროცესების ანგარიშისათვის, «საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბე»,

1945, ტ. 6, №4; ასოთა წყვილების სტატისტიკა ქართულ სალიტერატურო ენაში, «ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინ-ტის შრომები», 1960, ტ. 1 (თანაავტ. თ. გაჩეჩილაძე).

ელიაშვილი ივანე სპირიდონის ძე (18. IV. 1864, ქუთაისი, – 12. I. 1932, თბილისი), ექიმ-ჰიგიენისტი, ჯანდაცვის ორგანიზატორი, საზ. მოღვაწე, მწერალი. 1921–29 საქართვ. ჯანსახკომის სტატისტ. განყ-ბის უფროსი იყო. 1926 ე-ის თაოსნობით დაარსდა თსუ-ის სოც. ჰიგიენის კათედრა, რ-საც თვითონვე განაგებდა 1929-მდე. 1888-იდან თანამშრომლობდა ქართ. პრესასთან. იყო ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა'' და ,,საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების'' წევრი, ,,სამედიცინო ფურცლის'' ქართ. გამოცემის ხელმძღვანელი (1896). ჟურნ. ,,ჯეჯილსა'' და ,,ნაკადულში'' აქვეყნებდა საქართვ. ფლორისა და ფაუნის ამსახველ მოთხრობებს, რ-ებიც შეტანილია ე-ის წიგნში ,,სამშობლო ბუნების სარკე'' (1911). ე-ს ეკუთვნის მოგონებები ა. წერეთელზე (მისი ანდერძის მიხედვით იგი იყო პოეტის ნების აღმსრულებელი), წვლილი მიუძღვის მისი ლიტ. მემკვიდრეობის აღნუსხვა-მოწესრიგებაში.

ელიაშვილი ლეონტი ვასილის ძე (17. VI. 1893, სოფ. გელათი, ახლანდ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი, – 20. VIII. 1958, თბილისი), მეან-გინეკოლოგი და ჯანდაცვის ორგანიზატორი. მედ. მეცნ. დოქტორი (1930), პროფესორი (1936), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1957). 1920 დაამთავრა პეტროგრადის სამხ.-სამედ. აკადემია. 1943–58 განაგებდა თბილ. ექიმთა დახელოვნების სახელმწ. ინ-ტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრას. ე-ის თაოსნობით გაიხსნა პირველი საკოლმეურნეო სამშობიარო სახლები საქართველოში, 2 სამშობიარო სახლი თბილისში (1937), შეიქმნა ქალთა კონსულტაციები. 1955–59 იყო თბილ. მეან-გინეკოლოგთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე. იკვლევდა საკვერცხეების მორფოლოგიასა და ფუნქციას საშვილოსნოს ამოკვეთის შემდეგ, ნიკოტინის გავლენას ქალის სასქესო სფეროზე, ქალის სასქესო ჯირკვლების ინკრეტულ ფუნქციას, საქართველოში სამეანო-გინეკოლ. დახმარების განვითარების საკითხებს და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: საკვერცხეები საშვილოსნოს ამოკვეთის შემდეგ, ტფ., 1930.

ლიტ.: გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი მ., ადამიანთა ჯანმრთელობის სამსახურში, თბ., 1972.

ელიაძე გიორგი ვასილის ძე (დ. 27. III. 1952, კამჩატკის პეტროპავლოვსკი, რუსეთი), რუსეთის ფედერაციის არმიის გენერალ-მაიორი (1993). მსახურობდა რფ-ის სხვადასხვა სამხ. ნაწილში. მეთაუროობდა რფ-ის ჩრდ. კავკ. სამხ. ოლქის მოტომსროლელ ბრიგადას, შემდეგ – დივიზიას. 2000 დაამთავრა გენ. შტაბის აკადემია. 2007–11 იყო შორეული აღმოსავლეთის მე-5 არმიის სარდლის მოადგილე. დაჯილდოებულია რფ-ის ორდენებითა და მედლებით.

ლ. დოლიძე.

ელია ფინასწარმეტყველის ეკლესია, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, რ-იც იდგა თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მახათას მთაზე. ჩვენამდე არ მოუღწევია. მახათას მთაზე ეკლესიის არსებობის შესახებ ცნობას პირველად ვხვდებით 1654 ქართლის მეფის – როსტომის მიერ ხოჯა ბეჰბუდასადმი გაცემულ, ქართ. და სპარს. ენებზე შედგენილ წყალობის წიგნში. ხოჯა ბეჰბუდას მეფისათვის უთხოვია მახათას ეკლესიის ქვემოთ მდებარე ვაკე ადგილი თავისი ახლობლებისათვის სასაფლაოს მოსაწყობად. საბუთში ზოგადად ეკლესია იხსენიება. რაც შეეხება მის სახელს, პ. იოსელიანი წერს: ,,ავლაბარში არის მახათას სახელით ცნობილი მაღალი მთა. მასზე იდგა წმ. ილია წინასწარმეტყველის ეკლესია... აქ, წმინდანის დღესასწაულზე – 20 ივლისს მოდიოდნენ და ეხლაც მოდიან თაყვანისმცემლები. ერთ არშინზე ამაღლებული აგურის საფუძვლები ჯერ კიდევ მთელია''. ამასვე ადასტურებს მ. ჯანაშვილი: ,,ტაძარი ელია წმინდა, მახათას მთაზე, აწ დანგრეული''. *იხ.* აგრეთვე სტატიები *ელია, ელიაობა.*

ლიტ.: ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ., საქართველოს დედა ქალაქი ტფილისი, ქუთ., 1899; И о с е л и а н и П. И., Описание древностей города Тифлиса, Тфл., 1866.

თ. ბერიძე.

ელიაწმინდა, სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალციხის ქვაბულში. თემის ცენტრი (სოფლები: ე., ანი, ჭვინთა). ზ. დ. 1440 *მ,* ახალციხიდან 10 *კმ.* 172 მცხ. (2002). სოფელი მდებარეობს ისტ. სამცხეში, მდ. ფოცხოვის-წყლის მარცხ. შენაკად ლერწიანის სათავეებთან.

სოფლის სახელი უნდა მომდინარეობდეს წმინდა ელიას ეკლესიისგან, რ-იც იქ ადრე მდგარა. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში'' ე. გაუკაცრიელებულ სოფლად მოიხსენიება. 1595 ოსმალთა მიერ დაპყრობილ სამცხეში სოფ. ე. შედიოდა ახალციხის ლივის მზვარის ნაჰიეში. 1829 ე. სამცხესთან ერთად რუს. იმპერიას შეუერთდა. 1870 ე-ში 4 კომლი ცხოვრობდა. 1944 იქაური მაჰმადიანები შუა აზიაში გადაასახლეს. ისტ. ძეგლთაგან სოფელში ერთიც არ გადარჩენილა.

სოფლის ჩრდ-ით ღრმა ტყიან ხეობაში, ქედის კეხზე, აღმართულია ერთნავიანი ეკლესია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდა აქვს. ჩრდ-ით აკრავს მისივე თანადროული აფსიდიანი პატარა ეგვტერი, რ-შიც შესვლა მხოლოდ ეკლესიიდან შეიძლება. სამხრ. შესასვლელის ერთადერთი კარიბჭისგან მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებია დარჩენილი. ინტერიერში სამხრ. და ჩრდ. კედელზე თითო პილასტრია, რ-თა პროფილირებულ კაპიტელზე კამარის საყრდენი თაღია ამოყვანილი. ნავის კამარა ქვაყორე დუღაბისაა, შენობის დანარჩენი ნაწილები – თლილი ქვისა. აქა-იქ შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები, გარედან ეკლესია შემოსილი იყო სუფთად გათლილი, კარგად ნაწყობი ქვის პერანგით, რ-იც დღეისათვის თითქმის შემოძარცულია.

ფასადები მარტივია, მორთულობის გარეშე. კედლებში თითო სარკმელია. საერთო პროპორციებით, ხუროთმოძღვრული დეტალებითა და შესრულების ხარისხით შენობა სამცხის XIII–XVI სს. უგუმბათო ტაძრების ჯგუფს მიეკუთვნება.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრება XIII–XVI საუკუნეებში, თბ., 1955.

დ. ბერძენიშვილი. თ. საყვარელიძე.

ელიგულაშვილი იოსებ არონის ძე (12. XI. 1890, ქუთაისი, – 20. X. 1952, პარიზი), სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, წარმოშობით ქართველი ებრაელი, ქუთაისის პირველი გილდიის ვაჭრისა და ქველმოქმედის არონ ელიგულაშვილის ოჯახიდან. საშ. განათლება ქუთ. რეალურ სასწავლებელში მიიღო, შემდეგ დაამთავრა მოსკ. კომერციული ინ-ტი და იქვე, ოჯახის კომერც. საქმიანობაში ჩაება. იმ ხანებშივე მიემხრო სოციალ.-დემოკრ. პარტიას. რუს. 1917 რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. იყო საგარეო ვაჭრობის კომიტეტის, საქართვ. ეროვნ. საბჭოს წევრი და

ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. 1919 აირჩიეს დამფუძნებელი კრების დეპუტატად, 1920 იყო საქართვ. ეკონ. აგენტი ევროპაში. ნ. ჟორდანიას მთავრობაში ეჭირა ფინანსთა და ვაჭრობა-ეკონ. მინისტრის მოადგილის პოსტი. 1921 წ. 17 მარტს საქართვ. დემოკრ. რესპ. მთავრობას ემიგრაციაში გაჰყვა.

აღსანიშნავია მისი დამსახურება საქართვ. ეროვნ. განძის გადარჩენაში. როგორც ე. თაყაიშვილი იგონებს, როცა იგი ივ. ჯავახიშვილის დავალებით ნ. ჟორდანიასთან მივიდა და ეროვნ. განძის დაღუპვის საშიშროება აცნობა, მთავრობის თავ-რემ მაშინვე გამოაძახებინა ე. და იქვე გაამზადებინა ბრძანებულება ე. თაყაიშვილის განძის მცველად და ე-ის მის თანაშემწედ დანიშვნის თაობაზე. ე. თაყაიშვილი იგონებს, რომ სწორედ ე-ის განსაკუთრებული ორგანიზატორული უნარის წყალობით შეძელით დავალების ბრწყინვალედ შესრულებაო. ე. ემიგრაციაშიც ერთგულად ემსახურებოდა განძის დაცვის საქმეს.

ემიგრაციაში ე. აირჩიეს გადახვეწილ ებრაელთა ასოციაციის თავ-რედ, მისი ინიციატივით საქართვ. ემიგრანტული მთავრობა ენერგიულად ჩაება ფაშისტური ტერორისაგან ებრაელთა გადარჩენის საქმეში და ასობით ადამიანის სიცოცხლე იხსნა. ე. ამბობდა: ,,ბევრი ქართველი დაგვეხმარა ჩვენ ამ საქმეში, ... მაგრამ ყველაზე მეტად ის ქართველი დაგვეხმარა, რ-საც საქართველოს ისტორია ეწოდებაო‘‘.

დაკრძალულია პარიზში, ბონიოს სასაფლაოზე.

ლიტ.: შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წგ. 2, თბ., 1993.

ელიზავეტპოლის 156-ე ქვეითი პოლკი გენერალ თავად პ. ციციანოვის სახელობისა, შეიქმნა 1863 ნოემბერს ე-ის ქვეითი პოლკის სახელწოდებით, 1864 წ. 25 მარტს მიანიჭეს №156, 1891 წ. 25 მარტს კი – გენ. თავად პ. ციციანოვის სახელი. პოლკმა თავი გამოიჩინა რუს.-ოსმ. ომში (1877–78). მის I, III და IV ბატალიონებს უბოძეს გიორგის დროშა, რ-ზეც ეწერა: ,,არდაჰანის აღებისათვის 1877 წლის 4 და 5 მაისს‘‘, ხოლო II ბატალიონს – იგივე დროშა წარწერით ,,ალაჯის მაღლობებზე ბრძოლისათვის 1877 წლის 3 ოქტომბერს‘‘.

ლიტ.: Хроника Кавказских войск, в 2-х частях. Сост. ген.-майор в отставке А. Л. Гизетти, под ред. ген.-лейт. Чернявского, Тфл., 1896. *ო. ჟორდანია.*

ელიზბარაშვილი ელიზბარ შალვას ძე (დ. 28. XI. 1946, თელავი), გეოგრაფი. გეოგრ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1991). 1969 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტი. 1970–78 მუშაობდა თსუ-ის გეოფიზიკის კათედრაზე, 1978–89 – კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1994-იდან იყო ჰიდრომეტეოროლ. ინ-ტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კლიმატის მოდელირების ლაბორატორიისა და კლიმატოლოგიის სექტორის გამგე. არის ამავე ინ-ტის კლიმატოლოგიისა და აგრომეტეოროლოგიის განყ-ბის გამგე და თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტის გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელი და სრული პროფესორი.

ე-ის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შესწავლილია მთის ჰავის ჩამოყალიბების მექანიზმის მრავალი საკითხი, გამოვლენილია საქართვ. კლიმ. რესურსების თავისებურებანი, კავკ. კლიმატის ცვლილების ძირითადი ტენდენციები. კვლევის შედეგები დაინერგა საქართვ. კურორტების დაგეგმარებაში, მშენებლობაში და საფუძვლად დაედო კლიმ. რესურსების ამსახველი მასალის მომზადებას ატლასისათვის – ,,საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები‘‘ (მოსკ., 1989; საქართვ. სახელმწ. პრემია).

ე-ს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. შრომა (მ. შ. მონოგრაფიები) და სახელმძღვანელო. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003). *კ. ხარაძე.*

ელიზბარაშვილი ზურაბ ალექსანდრეს ძე (დ. 3. X. 1930, ქ. ბორჯომი), აგრარიკოს-ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1984), პროფ. (1986). 1960 დაამთავრა საქართვ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტი. 1960–76 იყო საქართვ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინ-ტის უფროსი მეცნ. მუშაკი, ეკონ. განყ-ბის გამგე; 1976–2006 – საქართვ. სახელმწ. აგრარული უნ-ტის ეკონომიკური კიბერნეტიკის კათედრის გამგე. 2006-იდან პროფესორ-კონსულტანტია.

ე-ის სამეცნ. შრომები ეხება სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ეკონ.-ორგანიზაციულ პრობლემებს, საწარმოო და ეკონომიკურ სიტუაციათა ოპტიმიზაციის საკითხებს. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

ელიზბარაშვილი მელორ ირონდიონის ძე (დ. 13. XI. 1939, ბორჯომი), ფიზიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (1999). 1964 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტი. მუშაობდა საქართველოს პოლიტექ. ინ-ტის რადიოტექნიკის კათედრაზე, 1965–80 – ლენინგრადის მეტროლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის თბილისის ფილიალში. 1980-იდან პედ. საქმიანობას ეწევა საქართველოს ტექ. უნ-ტის რადიოტექნიკის კათედრაზე.

ე. იკვლევს უწყვეტი ერთ- და მრავალგანზომილებიანი სიგნალების ორთოგონალური და არაორთოგონალური გაშლის ოპერატორების გამოთვლითი მდგრადობის საკითხებს.

თხზ.: შეტყობინებათა გადაცემის ციფრული სისტემების საპროექტო გადაწყვეტათა სისწორის მაჩვენებლების ანალიზი, თბ., 2008 (თანაავტ. ა. ბერიძე).

ელიზბარაშვილი ნოდარ კლიმენტის ძე (დ. 28. VII. 1959, ბათუმი), გეოგრაფი. გეოგრ. მეცნ. დოქტორი (2003), პროფესორი (2004), ა. ჯავახიშვილის სახ. საქართველოს გეოგრ. საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების დარგში (2008), სამეცნ. ჟურნ. ,,საქართველოს გეოგრაფიის‘‘ მთ. რედაქტორი, თსუ-ის პროფესორი.

1982 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი. 1985-იდან კითხულობდა ლექციებს თსუ-ში და ს.-ს. ორბელიანის სახ. პედაგოგიურ უნ-ტში. 2006-იდან თსუ-ის საქართვ. გეოგრ. და ლანდშაფტური დაგეგმარების მიმართულების ხელმძღვანელია, 2010-იდან – საერთაშ. გეოგრ. კავშირის ლანდშაფტური ანალიზის და ლანდშაფტური დაგეგმარების კომისიის ხელმძღვანელი.

ე. 1998–2006 იყო თსუ-ის საქართვ. გეოგრაფიის კათედრის გამგე, 2005–06 – ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინ-ტის დირექტორის მოადგილე (შეთავსებით), 2006–08 – განყ-ბის გამგე, 2007–09 – სამეცნ. ფონდის გრანტის – ,,საქართველოს ნაციონალური ატლასი‘‘ – სარედაქციო ჯგუფის ხელმძღვანელი.

ე-ის შრომები ეხება მთიანი ტერიტორიების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური დაგეგმარების საფუძვლებს, გამოიკვლია და დააფუძნა ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგია საქართველოში.

ე-ს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. შრომა (მ. შ. მონოგრაფიები) და სახელმძღვანელო.

ელიზბარ ქსნის ერისთავი, ქსნის ერისთავი XVI ს. 60–70-იან წლებში. 1569, როდესაც ქართლის მეფე *სიმონ I* ირანელების წინააღმდეგ ფარცხისთან ბრძოლაში დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა, ე. ქ. ე. და ბარძიმ *ამილახვარი* თავს დაესხნენ კავთისხევს მდგომ დედოფალს და მისი ქონება ხელთ იგდეს. როდესაც ქართლს ოსმალები შემოესივნენ მუსტაფა ლალა-ფაშას მეთაურობით, ე. ქ. ე. დამპყრობელს მიეგება. 1578 სიმონ I-ის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ ე. ქ. ე-მა მიტაცებული ქონება უკან დაუბრუნა მეფეს და შენდობა სთხოვა. მეფემ შეიწყალა ერისთავი და მხოლოდ მამულების ნაწილი ჩამოართვა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.

გ. აკოფაშვილი.

ელიზბარ ქსნის ერისთავი (გ. 18. IX. 1662), *კახეთის აჯანყების* (1660) ერთ-ერთი მეთაური. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ე. ქ. ე., ბ. *ჩოლოყაშვილი* და *შალვა ქსნის ერისთავი* შაჰს ეახლნენ, ქვეყნისათვის მტრის ახ. შემოსევის თავიდან ასაცილებლად. შაჰმა ისინი განჯის ხანს გადასცა. განჯის ხანმა კი იმ თურქმანულ ტომებს, რ-ებიც აჯანყების დროს ამოწყვიტეს. თურქმანებმა ქართველი გმირები წამებით მოკლეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ე. ქ. ე. საქართველოში ჩამოასვენეს და იკორთაში (ახლანდ. ცხინვალის მუნიციპალიტეტი), ერისთავების საგვარეულო მონასტერში დაკრძალეს. ქართულმა ეკლესიამ ე. ქ. ე., ისევე როგორც აჯანყების სხვა წამებული გმირები, წმინდანად შერაცხა. წმინდა მოწამეთა ბიძინა ჩოლოყაშვილის და ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავების ხსენების დღეა 18. IX (1. X).

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. აკოფაშვილი.

ელინიზმი, პირობითი ცნება, რ-იც მოიცავს გარკვეულ ისტორიულ ეპოქას *ალექსანდრე მაკედონელის* სახელმწიფოს წარმოქმნიდან (ძვ. წ. 334–324) რომაელთა მიერ აღმ. ხმელთაშუაზღვისპირეთის უკანასკნელი დიდი სახელმწიფოს – ეგვიპტის – დაპყრობამდე (ძვ. წ. 30).

ბერძენ-მაკედონელთა პოლიტ. ექსპანსია ძვ. საქართველოს (იბერია, კოლხეთი) არ შეხებია. იგი დარჩა ,,ელინისტური ოიკუმენეს'' (ანუ ე-ის ეპოქის ანტ. სამყაროს) ფარგლებს გარეთ, თუმცა ელინისტურ სამყაროსთან პოლიტ. კონტაქტებმა, სავაჭრო-ეკონ. და კულტ. ურთიერთობამ გარკვეული გავლენა იქონია იბერიისა და კოლხეთის სოც.-ეკონ. განვითარებაზე, პოლიტ. წყობაზე, კულტურასა და იდეოლოგიაზე. ქართლის სამეფოს (იბერიის) დამაარსებელმა *ფარნავაზ I-მა* (ძვ. წ. III ს.) სახელმწ. ორგანიზაცია და ფინანს. კონტროლი სელევკიდური სირიის მსგავსად განაწესა: ძვ. ქართლის ათასისთავი მასზე დაქვემდებარებული ფისკალური ერთეულით ელინისტური აზიის ქალიარქიებს (უმაღლესი სახელმწ. თანამდებობა) შეესატყვისებოდა. ელინისტურ მონარქ-დესპოტთა მსგავსად, ფარნავაზმა თავი ღმერთად გამოაცხადა, მაგრამ მათგან განსხვავებით, იგი რომელიმე ბერძნ. ღვთაებას კი არ განასახიერებდა, არამედ ქართველთა უზენაეს ღვთაებას – *არმაზს.* ე-ის ეპოქაში საქართველოზე გადიოდა ერთ-ერთი დიდი მსოფლ. სავაჭრო-სატრანზ. მაგისტრალი, რ-იც დას. ქვეყნებს აღმოსავლეთთან აკავშირებდა (იხ. *ამიერკავკასიის ძველი სავაჭრო-სატრანზიტო გზები*). ამ გზით საქართველოს სხვადასხვა ოლქში ვრცელდებოდა ბერძნ. საქონელი: მხატვრ. და სამეურნ. კერამიკა, ტორევტიკისა და გლიპტიკის ძეგლები, მონეტები. საერთაშ. სავაჭრო ურთიერთობათა პროცესში აქტიურად იყო ჩაბმული როგორც ბარის, ისე მთის მოსახლეობაც, რაც ხელს უწყობდა დიდ სავაჭრო მაგისტრალზე მდებარე ქალაქების სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებად დაწინაურებას, ქვეყნის ინტენს. ურბანიზაციას.

გარე სამყაროსთან სავაჭრო-ეკონ. ურთიერთობას შედეგად მოჰყვა ელინისტური სამონეტო სისტემის დანერგვა: კოლხეთში დაიწყეს – ლისიმაქეს, ხოლო იბერიაში ალექსანდრე მაკედონელის სტატერების ოქროს მინაბაძების მოჭრა. ქალაქებში (,,დიდი მცხეთა'', ვანი და სხვ.) ფართოდ გავრცელდა ელინისტური სამშენებლო წესები (სწორკუთხა ქვათლილებითა და გამომწვარი თუ გამოუწვავი ალიზაგურით ნაგები, კრამიტით გადახურული შენობები) და არქიტ. ორდერის ელემენტები, საფორტიფიკაციო სისტემა და საკულტო თუ საზ. დანიშნულების ნაგებობათა ზოგიერთი ტიპი, ქვისა და ბრინჯაოს ქანდაკებები და რელიეფები, ტერაკოტული პლასტიკა. ამზადებდნენ ბერძნ. ტიპის სავაჭრო-სატრანზიტო ჭურჭელს – ამფორებს, აგრეთვე სათევზე ლანგრებს, სანელსაცხებლეებს და სხვ. ზოგჯერ ადგილობრივად დამზადებული ბერძნ. ფორმის თიხის ჭურჭელს ამკობდნენ ძირძველი კოლხ. ორნამენტით. ელინისტური ტრადიციები დაინერგა წარმოების ისეთ დარგებშიც, როგორიცაა საფეიქრო წარმოება (ვერტ. საქსოი დაზგა).

ელინისტური გავლენა შეიჭრა იდეოლოგიურ სფეროშიც: გავრცელდა ბერძნ. რელიგ. კულტები (განსაკუთრებით *დიონისეს* კულტი) და რწმენა-წარმოდგენები, რაც აისახა დაკრძალვის წესებშიც [სამარხებში მონეტების ჩატანება ქარონის (ქვესკნელის ბებერი მენავე) ,,მოსასყიდად'']. ელინისტური კულტურის გავლენა საქართველოში მაინც ზედაპირული იყო. მან უპირატესად ქალაქებსა და საზ-ბის ზედაფენებში მოიკიდა ფეხი. ამასთან, მახლობელი აღმ-ის სხვა ქვეყნებისაგან (მაგ. სირია) განსხვავებით, ელინისტური ტრადიციები საშ. საუკუნეების ქართ. კულტურასა და ხელოვნებაში არ დამკვიდრებულა და არც განვითარებულა.

ლიტ.: ლორთქიფანიძე ო., ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966; მისივე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), თბ., 1968; მისივე, ელინიზმი და კოლხეთი, «საბჭოთა ხელოვნება», 1970, №2, 9; 1971, №8.

ო. ლორთქიფანიძე.

ელიოზაშვილი ალექსანდრე (გ. XII. 1883), საქართველოს რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის მოღვაწე, სპეციალობით აგრონომი. XIX ს. 70-იან წლებში, შვეიცარიაში სწავლის დროს, ქართვ. ახალგაზრდობის რევ. საზ-ბის ,,უღლის'' წევრი იყო. იცავდა რუს. რევოლუციაში ქართველების მონაწილეობის იდეას, წინააღმდეგი იყო რუსეთისაგან კავკ. გამოყოფისა. 80-იანი წწ. დამდეგს აქტიურად მონაწილეობდა თბილ. ნაროდოვოლელთა წრის საქმიანობაში, რისთვისაც დააპატიმრეს. თავდებით დროებით გაათავისუფლეს. გამოძიების დასრულების შემდეგ მიუსაჯეს რუს. ერთ-ერთ შორეულ გუბერნიაში გადასახლება, მაგრამ როდესაც ჟანდარმებმა გადასახლებაში გადასაგზავნად მიაკითხეს, თავი მოიკლა.

ლიტ.: ანთელავა ი., საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში (XIX ს. მეორე ნახევარი), თბ., 1967; შველიძე ზ., რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960. *ზ. შველიძე.*

ელიოზი (გობირახისძე), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XIV ს. 90-იანი წწ. ბოლოდან 1419 წ-მდე. საპატრიარქო ტახტზე ასვლა მოუხდა ურთულეს პირობებში – თემურლენგის შემოსევების დროს. გვერდში ედგა საქართველოს მეფე ალექსანდრე I-ს გაპარტახებული ქვეყნის აღდგენაში, იავარქმნილი ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობასა და გამშვენიერებაში, ზრუნავდა სვეტიცხოველის ეკლესიის მატერ. მდგომარეობის გაუმჯობესებაზე (შეუძენია სოფლები მუხრანში; მიწები, გლეხები და ვენახები – გორსა და ატენში). 1401 გიორგი VII-ს დაამტკიცებინა სამეფო გადასახადებისაგან მცხეთის მამულების გათავისუფლების სიგელი.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: ლომინაძე ბ., XV საუკუნის საქართველოს ქრონოლოგიიდან, კრ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000. *ბ. ლომინაძე.*

ელიოზიშვილი იოსებ (დ. წ. და გ. წ. უცნობია), *გიორგი ერისთავის თეატრის* მსახიობი თეატრის დაარსების დღიდან დახურვამდე. შემდეგ მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში. 1867 მაღალდაძის ფსევდონიმით ითამაშა ზ. ანტონოვის კომედიაში ,,ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა''. ე. აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნ. ,,ცისკართან'', სადაც 1869-იდან გამოაქვეყნა კომედია ,,ჩემი ქმარი სხვას ირთავს'', მოთხრობები ,,კუკიის ძველი და ახალი მდგომარეობა'', ,,აი, დედაკაცი'' და სხვ. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ე-ის დამუშავებული ,,ეთერიანი. მოთხრობა აბესალომ და ეთერისა (ცოლ-ქმართ ტრფობის სურათი)'', რ-იც 6-ჯერ დაიბეჭდა ცალკე წიგნად (პირველად – 1869, უკანასკნელად – 1914).

ლიტ.: გერსამია ს., გიორგი ერისთავის თეატრი, თბ., 1950.

ელიოზიშვილი კონსტანტინე მალხაზის ძე (14. XII. 1874, სოფ. ქვემო ნიქოზი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 20. X. 1954, გორი), ექიმი. საქართველოს დამს. ექიმი (1945). 1899 დაამთავრა მოსკოვის უნ-ტის სამკურნალო ფაკ-ტი. 1900-იდან მუშაობდა თბილ. და საქართველოს სხვადასხვა რნის სამკურნ. დაწესებულებებში. 1924-იდან გარდაცვალებამდე იყო გორის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი და თერაპიული განყ-ბის გამგე. შეიმუშავა ახალშობილის ასფიქსიის დროს ხელოვნური სუნთქვის ახ. წესი (1938), აღწერა ახ. ავადმყოფობა – გაზაფხულის მწვავე შეშუპება (1949), შეადგინა სახელმძღვანელოები: ,,ადამიანის ნორმალური ანატომია'' (1932), ,,პირველი დახმარება უბედური შემთხვევისა და უცები ავადმყოფობის დროს'' (1934). მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. მისი სახელი ეწოდა გორის ერთ-ერთ ქუჩას.


ლიტ.: სრესელი ი., კოტე ელიოზიშვილი, თბ., 1976.

ელიოზიშვილი მერაბ აბელის ძე (18. VI. 1934, ქ. ცხინვალი, – 4. I. 2012, თბილისი), მწერალი, დრამატურგი, კინოსცენარისტი. დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1957). 1971–72 იყო კინოსტუდია ,,ქართული ფილმის'' სცენარისტთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრი. პირველი მოთხრობები: ,,უკანასკნელი კონწიალა'', ,,პირველი და ოცდამეთერთმეტე დღე გვირაბში'', ,,ბებერი მეზურნეები'' გამოაქვეყნა 1958 (ჟურნ. ,,ცისკარი'', №12), პირველი კრებული ,,მოლოდინი'' – 1961. ავტორია მოთხრობების კრებულებისა: ,,ბებერი მეზურნეები'', ,,სინოს წითელი ხარები'' (1968, 2011), ,,წრებრუნვა'' (1988), ,,მოგზაურობა და ხიფათი'' (1990), ,,ანდერძი'' (1992), ,,აღემართენით!'' (1997). კრებულში ,,ძმანო კახელნო!'' (1975) მოთხრობებთან ერთად შეტანილია პუბლიც. წერილებიც. ავტორია საბავშვო მოთხრობებისა: ,,დიდედები და შვილიშვილები'' (1964; გადაღებულია ამავე სახელწ. ფილმი, 1969, რეჟ. ნ. მჭედლიძე), ,,კურდღლის სიზმარი'' (1988) და სხვ. ე-ის ნაწარმოებები იდგმებოდა ქართ. თეატრების სცენებზე. თბილ. რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრში დაიდგა ,,ბებერი მეზურნეები'' (1966, რეჟ. ა. ჩხარტიშვილი), ,,დილა მშვიდობისა, გოგო!'' (იგივე ,,დათვები'', 1970, რეჟ. ლ. იოსელიანი) და სხვ. მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია კინოფილმები – ,,თეთრი ქარავანი'' (1964, რეჟისორები: ე. შენგელაია, თ. მელიავა; საქართველოს კომკავშირის პრემია, 1967), ,,დიდი მწვანე ველი'' (1967, რეჟ. მ. კოკოჩაშვილი), სატელევიზიო ფილმი ,,ბებერი მეზურნეები'' (1973, რეჟ. ვ. კვაჭაძე). ე-ს შესრულებული აქვს სახასიათო როლები სხვადასხვა ფილმებში. მისი მოთხრობები თარგმნილია უცხ. ენებზე. 1994 მიენიჭა ვაჟა-ფშაველას სახ. პრემია. 1995-იდან ე. თბილისში, მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის დიაკვანი იყო.

დაკრძალულია ქართვ. მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: პიესები და კინოსცენარები, თბ., 1972.

ელიოზ მცხეთელი, მცხეთის ებრაული თემის წარმომადგენელი ახ. წ. I ს. I ნახ-ში. მღვდელთმთავრის შთამომავალი დედის მხრიდან. ქართ. ისტ. წყაროები ე. მ-ის სახელს იესო ქრისტეს კვართის მცხეთაში ჩამობრძანებას უკავშირებს.



მ. ელიოზიშვილი.

როგორც წყაროებიდან ჩანს, ქართვ. ებრაელებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ იერუსალიმთან. ახ. წ. 30 წ. მღვდელმთავარმა ანამ იერუსალიმიდან გამოგზავნილი წერილით მცხეთელ ებრაელებს ამცნო ქვეყანაში მიმდინარე სოც. და რელიგ. ძვრების შესახებ, რაც იესო ქრისტეს მოღვაწეობას უკავშირდებოდა. მან შეატყობინა ებრაელებს, რომ იესო ქრისტე საკუთარ თავს ღვთის ძედ აცხადებდა, ეს კი მოსეს სჯულის კანონებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ მეფე ჰეროდეს ბრძანების მიხედვით სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეულ ებრაელებს თავი უნდა მოეყარათ იესოს გასამართლებაზე. ქართლიდან იერუსალიმს გაემგზავრა მცხეთის ებრაული თემის ოთხი წარმომადგენელი – ე. მ., ლონგინოზ კანისელი (ლეონტი მროველის მიხედვით – კარსნელი), თალენაკ და მიხაელი. წყაროების თანახმად წარგზავნილებს ე. მ. ხელმძღვანელობდა.

გამგზავრების წინ ე. მ-ს დედა შეევედრა, არ დაეჭირა მხარი იესოს დასჯისათვის, რადგანაც იგი დარწმუნებული იყო ქრისტეს ღვთაებრიობასა და მისი მოძღვრების ჭეშმარიტებაში. როგორც ჩანს, ქრისტეს იდეებს კარგად იცნობდნენ ქართლში. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, ე. მ. მანამდეც ყოფილა იერუსალიმში. მას ახლო მეგობრობა ჰქონია ფილიპე მოციქულთან და მისი მეშვეობით გაუცნია იესო ქრისტე. ჯვარცმის შემდეგ ,,განიყვეს სამოსელი'' იესოსი და კვართი წილად ხვდა ე. მ-ს. კვართის მცხეთაში ჩამოტანისთანავე ე. მ-მა შეიტყო, რომ დედამისი იესოს სიკვდილით

დასჯის ამბავს გადაჰყვა. ,,მოქცევაჲ ქართლისაჲს'' გადმოცემით, ე. მ-ს შეეგება თავისი და სიდონია, უფლის კვართი გულში ჩაიკრა და სული განუტევა, რაც გამოწვეული იყო ,,სიკვდილითა დედისაჲთა, და უმეტჱს ტკივილითა სიკვდილისა ზედა ქრისტესსა და სურვილითა მის სამოსლისათა''.

ამ ამბავმა დიდი ინტერესი გამოიწვია ქართლში. მეფე ადერკმა მოისურვა კვართის დაუფლება, ,,მაგრამ შეშინდა და ვერ იკადრა''. ე. მ-მა თავისი და უფლის კვართთან ერთად დამარხა ,,... მახლობელად ნაძჯსა მის ლიბანით მიღებულისა და მცხეთას დანერგულსა და აღორძინებულისა'', სადაც შემდეგ სვეტიცხოველი აღიმართა.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.

დიაკონი ზაზა (თევზაძე).

ელისაშვილი ვლადიმერ იღიას ძე (დ. 29. V. 1944, ოლოვიანაია, ჩიტას ოლქი, რუსეთი), ბიოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1996). 1970 დაამთავრა ლენინგრადის სახელმწ. უნტის ბიოლოგიის ფაკ-ტი. 1983–89 მუშაობდა ს. დურმიშიძის სახ. ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინ-ტში უფროს მეცნ. თანამშრომლად. 1989-იდან ამავე ინ-ტის მცენარეული სუბსტრატების ბიოკონვერსიის ლაბორ. ხელმძღვანელია. ე-ის კვლევის ძირითადი მიმართულებაა: უმაღლესი ბაზიდიომიცეტების ფიზიოლოგია, ბიოქიმია, ბიოტექნოლოგია; ლიგნოცელულაზური ფერმენტების ბიოსინთეზი; ბიოლოგიურად აქტ. ნაერთების წარმოქმნა მცენარეული ნედლეულის ბიოკონვერსიის გზით; იაფი კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების შემუშავება. *ი. ჯაფარიძე.*

ელისაშვილი იზოლდა ივანეს ასული (დ. 17. IV. 1929, თბილისი), მსახიობი. საქართველოს სახ. არტისტი (1979). 1949 დაამთავრა კ. მარჯანიშვილის თეატრ. სტუდია. 1950-იდან თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრის მსახიობია. შესრულებული აქვს 60-მდე როლი, რ-თაგან აღსანიშნავია: ნიკო (გ. ბერძენიშვილის ,,ბედნიერებისაკენ''), კუწო (გ. ნახუცრიშვილის ,,კომბლე''), ეტიენი (ც. სოლოდარის ,,მარსელელი ბიჭები''), წითელქუდა (ე. შვარცის ,,წითელქუდა''), სოფიკო (გ. ნახუცრიშვილის ,,აჩაკუნე''), რემი (ა. ბონდის ,,გამომგონებლები''), ვოვკა (ს. მიხალკოვის ,,სომბრერო''), პეტია (მ. შატროვის ,,რევოლუციის სახელით''), პეტკა (ი. დიკის ,,პეტკა კოსმოსში''), ჯიმი (რ. სტივენსონის ,,განძთა კუნძული''), მანანა (გ. ქელბაქიანის ,,დედინაცვალი''), აცა (ქ. ჭილაშვილის ,,აცა-ბაცა'') და სხვ. ე. ძირითადად ,,ინჟენიუ ტრავესტის'' ამპლუის (პატარა ბიჭებისა და გოგონების როლები) მსახიობია. მისი განსახიერებული როლები გამოირჩევა გულწრფელობითა და მაღალი ოსტატობით. *მ. ცუცქირიძე.*



ი. ელისაშვილი. კოლკა, დ. თაქთაქიშვილის ,,ნევის შეკარდენი''.

ელის დებულება 1707–09, *ვახტანგ VI-ის* მიერ შედგენილი ქართული სახელმწიფო სამართლის ,,დასტურლამალის'' ერთ-ერთი (26-ე, სხვა დაყოფით 21-ე) კარი, რ-საც ელის გამოსაღების რიგი ჰქვია. შედგება 18 მუხლისგან და განსაზღვრავს აღმ. საქართველოში სპარსეთიდან ჩამოსახლებული მომთაბარე თურქმანი, ძირითადად, ყიზილბაში, ტომების სოც. და პოლიტ. სტატუსს. იგი მოქმედი კანონი იყო XVIII ს-ში.

ე. დ-ის მიხედვით, სხვადასხვა სახელწოდების *ელი* გაერთიანებული იყო 76 თაბუნში. ყველა თაბუნის ტერიტორიის განსაზღვრა არსებული წყაროების მიხედვით არ ხერხდება. ისტორიკოსმა ი. ლორთქიფანიძემ 76-იდან აღადგინა 28 თაბუნის ადგილმდებარეობა: ალგეთში – 3, ქციის ხეობაში – 6, მტკვრის გაღმა მხარეს – 13, სომხითში – 5 და დაბნისის ხევში – 1.

ელის სოც. ორგანიზაცია საქართველოში ყიზილბაშური ტომების სოც. ორგანიზაციის ზუსტი გამეორება იყო.

ელისე თბილელი (სახელი – შვილი), ეპისკოპოსი და მიტროპოლიტი XVII ს. I ნახ-სა და შუა წლებში. დაახლოებული იყო ქართლის მეფე როსტომთან (1632–58) და დედოფალ მარიამთან. რუსი საეკლ. მოღვაწის და რუს. ელჩობის წევრის არსენი სუხანოვის მოწმობით, ე. თ. დედოფლის ,,სულიერი მამა'' იყო. მან მეფე-დედოფლის დახმარებით შეძლო ,,ჟამთა ვითარებისაგან მოშლილი და დაქცეული'' სიონის ეკლესიის განახლება. როსტომ მეფის 1650 წ. 15 აპრ. შეწირულობის წიგნში აღნიშნულია: ,,ტფილელ მთავარეპისკოპოზი საგინაშვილი პატრონი ელისე, გუეაჯნა განახლებასა და მეორედ აღშენებასა ტაძრისა თქუენისასა...''. ე. თ-მა მეფეს სიონისათვის მუდმივი შემოსავალიც გააჩენინა. როსტომ მეფის ხსენებული საბუთის სპარს. ნაწილში წერია: ,,გამოვიდა მაღალი ბრძანებულება მასზე, რომ ქრისტიან დიდებულთა ბურჯის, ქალაქ თბილისში მდებარე სიონად წოდებული ეკლესიის ეპისკოპოზის თბილელისადმი მაღალი ყურადღების გამო, ხსენებული ეკლესიის საქმეების მოწესრიგების [მიზნით], ჩვენ, ქვემოთ ქართულად დაწერილ საფუძველზე განვუჩინეთ ჯიქის წლის ათთვეობის დასაწყისიდან ექვსი თავრიზული თუმანი, რაც ას ცალ ყურუშისაგან შედგება, [იმ] ქარვასლის იჯარიდან, რომელიც ჩვენ ხსენებულ ქალაქში ავაშენეთ, იმ ადგილის (ე. ი. სიონის ეკლესიის) გასამშვენიერებლად და სხვა საჭირო ხარჯებისათვის''.

ეკლესიის გამშვენიერებისა და განძის გამრავლებისათვის ე. თ. არც საკუთარ სახსრებს იშურებდა. თბილისის სიონისადმი ე. თ-ის 1634 წ. 5 ნოემბ. შეწირულობის წიგნში არაერთი ძვირფასი საეკლ. ნივთია დასახელებული. ამას გარდა, მას ყმობიდან გამოუხსნია და სიონისათვის შეუწირავს ბარამაშვილი პატაი. მასვე მიეწერება 1657 მცირე სამლოცველოს მიშენება სიონის ტაძრისათვის სამხრეთის მხრიდან.

ე. თ. იყო ცნობილი კალიგრაფი და გადამწერი, საზ. და პოლიტ. მოღვაწე. იგი 1652 მეფის დავალებით მოლაპარაკებას მართავდა არსენი სუხანოვთან რუს.-ქართ. პოლიტ. ურთიერთობის პერსპექტივებზე.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1955; ცინცაძე ი., ვასილ გაგარასა

და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965.

გ. მაისურაძე.

ელისე მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – ელდარ რაჟდენის ძე ჯოხაძე) (დ. 16. II. 1949, სოფ. შქმერი, ონის მუნიციპალიტეტი), სასულიერო მოღვაწე. 1976 დაამთავრა თბილისის პოლიტექ. ინტი. 1982-იდან იყო ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის მნათე. 1983 წ. 19 ივნისს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, *ილია II-ის* მიერ ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, იმავე წლის სექტემბერში – მღვდლად და დაინიშნა წალკის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელმსახურად. 1983 ჩაირიცხა მცხეთის სას. სემინარიაში.

1996 წ. 14 მარტს ე. მ. წმ. სინოდის მიერ გამორჩეული იქნა ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად და ებოძა არქიმანდრიტის ხარისხი. ამავე წლის 17 მარტს ეკურთხა ეპისკოპოსად. 2000 წ. 28 ნოემბ. ებოძა მთავარეპისკოპოსის, ხოლო 2008 წ. 16 თებ. – მიტროპოლიტის ხარისხი.

ე. მ. პერიოდულად ღვთისმსახურებას აღავლენდა გორის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, სვეტიცხოველის, ანანურის ღვთისმშობლის, დიდუბის ღვთისმშობლის შობის, თბილისის წმ. პანტელეიმონის, ანჩისხატის და მეტეხის ეკლესიებში. თბილისის ეკლესიებში მსახურობის დროს იგი ასრულებდა საქართვ. საპატრიარქოს სახლთუხუცესის მოვალეობას და ხელმძღვანელობდა ახ. ეკლესიების გახსნის განყოფილებას.

ამჟამად ე. მ. საქართვ. საპატრიარქოს საეკლ. სიწმინდეთა მოძიებისა და დაცვის განყოფილების თავმჯდომარეა.

დაჯილდოებულია ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და წმ. გიორგის I ხარისხის ორდენით (2007).

ელისენი, ენისელი, მხარე ფეოდალური ხანის საქართველოში, ისტორიული ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. მოიცავდა მდ-ებს ბელაქნისწყალს, გიშისწყალს, ალაზანსა და კავკასიონის ქედს შორის მდებარე მიწებს (XVIII ს. 30-იანი წლებიდან საზღვრის ერთმა მხარემ გიშისწყლიდან ქურმუხისწყალზე გადაინაცვლა, რადგან აქ ამ დროისათვის ძირითადად უკვე ლეკი მოსახლეობა ცხოვრობდა). სახელწოდებას უკავშირებენ მისიონერ ელისეს, რ-იც სომეხი ისტორიკოსის მოვსეს კალანკატვაცის (X ს.) ცნობით, ახ. წ. I ს-ში აღმ. ამიერკავკასიაში ქრისტიანობას ქადაგებდა. როგორც ჩანს, V ს-იდან ე. ჰერეთის საერისთავოს ნაწილი იყო და პოლიტიკურად საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა.

VIII ს-ში ერისმთავარი არჩილი ამ ტერიტორიაზე კულტ. აღმშენებლობას ეწეოდა. XI ს-ში, კახეთის საერისთავოებად დაყოფის დროს, ე. მაჭის საერისთავოს შემადგენლობაში მოექცა. XV ს. II ნახევარში კახეთის მეფე *გიორგი VIII-მ* აქ სამოურავო შექმნა. XVI–XVIII სს-ში ე. კახეთის (XVIII ს. II ნახევარში ქართლ-კახეთის) სამეფოს ერთ-ერთი სამოურავო იყო. XVI ს-იდან ე-ში დაღესტნიდან გადმოსული ლეკი მოახალშენეები დასახლდნენ. მხარის ნაწილობრივმა ეთნ. ცვლილებამ ე-ს არ დაუკარგა ადრინდ. პოლიტ. შინაარსი, იგი კვლავინდებურად ქართვ. მეფეების ხელისუფლებას ემორჩილებოდა. XVII ს. დასაწყისში შაჰ-აბასმა კახეთის სამეფოს ჩამოაცილა ჰერეთის აღმ. განაპირა თემი. ამიერიდან კაკ-ენისელის (ძვ. ჰერეთის) აღმ. ნაწილი კახეთს ჩამოსცილდა და საფუძველი ჩაეყარა შემდეგი დროის – *ელისუს სასულთნოს.* კახეთში ყიზილბაშ ხანების მმართველობის წლებში (1677–1703) მდგომარეობა არსებითად შეიცვალა – როგორც კაკ-ში, ისე ე-ში ლეკი მოახალშენენი უკვე კომპაქტურად სახლდებოდნენ. დაიწყო მკვიდრი ქართ. მოსახლეობის იძულებითი გამაჰმადიანების პროცესი. 1803-იდან ე. ჭარ-ბელაქნის ,,თავისუფალ თემებთან'' ერთად დამოკიდებული გახდა რუს. იმპერიაზე, 1830-იდან კი საბოლოოდ შევიდა მის შემადგენლობაში როგორც ჭარ-ბელაქნის ოლქის (შემდგომ ოკრუგის) ნაწილი. 1921-იდან ისტ. ე. დანარჩენ *საინგილოსთან* ერთად აზერბაიჯანის ფარგლებშია.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: გვასალია ჯ., თოდრია თ., გვიანფეოდალური ხანის კახეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1971, [ტ.] 4; მუსხელიშვილი დ., კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII–XIII სს., იქვე, 1967, [ტ.] 3; პაპუაშვილი თ., ჭარ-ბელაქანი, თბ., 1972.

ჯ. გვასალია.

ელისუს სასულთნო, ჰერეთის აღმოსავლეთი განაპირა თემი, მდინარეებს ყანი-ყომბასა და ყაფიუჩაის შორის მდებარე ტერიტორია, რ-იც 1604 აბას I-მა მეფე ალექსანდრე II-ს გამოსთხოვა საჩუქრად და საგამგებლოდ წახურელ ალიბეგს უწყალობა, სულთნობა უბოძა და თავის გამგებლობას დაუქვემდებარა (სხვა მოსაზრებით, გამაჰმადიანებულ ქართველ თავად ვახვახიშვილს უწყალობა). ამით კახეთს აღმოსავლეთის კედელი მოერღვა და საფუძველი ჩაეყარა ე. ს-ს, რ-იც შემდგომ საქართვ. მტრული ძალების ფორპოსტი გახდა.

მუსლ. სასულთნოს შექმნამ დაასუსტა კახეთის თავდაცვისუნარიანობა, წახურელ ლეკებს გზა გაეხსნათ კახეთში ჩამოსასახლებლად. ადგილ. ქართ. მოსახლ. გვერდით ამიერიდან მთის გადაღმიდან თანდათან იწყეს ჩამოსახლება წახურელმა მოახალშენეებმა. ქართველები ე. ს-ს თავისად თვლიდნენ. ამის გამო წახურის სულთანსა და კახელებს შორის მტრობა ჩამოვარდა. წახურის მფლობელი დახმარებისათვის ხან ირანს, ხან კი ოსმალეთს მიმართავდა. ოსმალეთის სულთანი და ირანის შაჰი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ ელისუს სულთანს, რ-მაც მათგან თავისი მფლობელობის დამამტკიცებელი სიგელებიც მიიღო. XVIII ს. დამდეგს ე. ს. ჭარ-ბელაქნის სახელმწიფოს დაექვემდებარა და მასთან ერთად მონაწილეობდა ქართლ-კახეთზე თავდასხმებში.

ე. ს-ში პრივილეგირებულ ფენას ბეგები წარმოადგენდნენ. ეს ფენა თავისი ეკონ., პოლიტ. შესაძლებლობით ერთფეროვანი არ იყო. ბეგები თავიანთი სოც. ბუნებით გამოირჩეოდნენ აღმ. ამიერკავკ. სხვა ბეგებისაგან. მათგან განსხვავებით, ისინი თავიანთ მიწებს მემკვიდრეობითი მფლობელობის წესით ინარჩუნებდნენ და ამით ქართ. ბატონყმური ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენდნენ.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 3, თბ., 1966; დუმბაძე მ., აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბ., 1953; პაპუაშვილი თ., ჭარ-ბელაქანი, თბ., 1972.

გ. მაისურაძე.

ელიუს სპარტიანუსი (Aelius Spartianus), IV ს. რომაელი ისტორიკოსი. ერთი იმ ექვს ავტორთაგანი, რთაც რომის ისტორიოგრაფია აერთიანებს საერთო სახელით ,,ავგუსტუსების ისტორიის მწერლები''. რომაელ კეისართა ბიოგრაფიები შედგენილია IV ს. I ნახევარში.



ი. ელიშაკოვი.

თხზულებები კომპილაციური ხასიათისაა. მათში სანდო ისტ. მონაცემებთან ერთად არის ყალბი და ზოგჯერ ანეკდოტური ცნობებიც. მიუხედავად ამისა, ეს კრებული II–III სს. რომის ისტორიის მნიშვნელოვანი, ზოგ შემთხვევაში კი უნიკალური წყაროა. ე. ს. კრებულში ფიგურირებს როგორც იმპ. ადრიანეს ბიოგრაფი. საქართვ. ისტ. თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია ის ცნობები, რებიც ეხება *ადრიანესა* და იბერიის მეფე *ფარსმან II-ის* ურთიერთობას. სწორედ ე. ს-ის თხზულებიდან ვიცით, რომ ფარსმანმა ,,ქედმაღლურად უარი თქვა მიპატიჟებაზე'', როდესაც ადრიანემ მცირე აზიაში მოგზაურობისას თავისთან მიიწვია ვასალური და მოკავშირე სახელმწიფოთა ხელისუფალნი. ე. ს. მოგვითხრობს, რომ, მიუხედავად არაერთგზის მიწვევისა, ფარსმანი არც რომში ჩასულა ადრიანესთან. ე. ს. იმასაც აღნიშნავს, რომ ადრიანეს არავისათვის გაუგზავნია იმდენი საჩუქარი, რამდენიც გაუგზავნა ფარსმანს. ბრწყინვალე საჩუქრების გარდა, იმპერატორს მისთვის ორმოცდაათი კაცისაგან შემდგარი კოჰორტაც უბოძებია; ფარსმანს საპასუხოდ იმპერატორისათვის გაუგზავნია ძღვენი, რ-შიც ოქრომკედით ნაქარგი მოსასხამებიც ყოფილა, ადრიანეს კი ცირკის არენაზე გამოუშვია ამ მოსასხამებში გამოწყობილი სამასი ბოროტმოქმედი. ასე გადაუხდია სამაგიერო ფარსმანისათვის იმპერატორს. ე. ს-ის ცნობები მნიშვნელოვანია II ს. ქართლისა და რომის ურთიერთობის შესასწავლად.

თხზ.: [წიგნში] Scriptores Historiae Augustae, v. 1, Lpz., 1965.

ლიტ.: Ломоури Н. Ю., Грузино-римские взаимоотношения, Тб., 1981.

ნ. ლომოური.

ელიფსისი (ბერძნ. elleipsis – გამოტოვება, გამოვარდნა), სტილისტიკური ხერხი – წინადადებაში რომელიმე სიტყვის გამოტოვება მისი მხატვრული გაცხოველების მიზნით. ე. მეტყველებას სისხარტესა და ლაკონიურობას ანიჭებს. იგი გავრცელებულია როგორც ზეპირ საუბარში, ისე მხატვრულ მეტყველებაში. ე-ის ნიმუშია ,,ვეფხისტყაოსნის'' სტრიქონები:

,,ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,

მობურთალსა – მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,

მართ აგრეთვე მელექსესა – ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა...''

გამოტოვებული სიტყვა ,,გამოსცდის'', ტირეთია აღნიშნული.

ა. ხინთიბიძე.

ელიშაკოვი (Elishakoff) ისაკ ბენციონის ძე (დ. 9. II. 1944, ქუთაისი), მათემატიკოსი და მექანიკოსი. საქართვ. მეცნიერებათა ეროვნ. აკადემიის უცხოელი წევრი (2010), არჩეულია გამოყენებით მექანიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. სოხუმის საშუალო სკოლის დამთავრების (1962) შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის ენერგეტიკის ინ-ტის მანქანათა დინამიკისა და გამძლეობის ფაკ-ტზე, რ-იც 1968 დაამთავრა. 1971–72 მუშაობდა სოხუმის უნ-ტის მათ. ანალიზისა და ანალიზური გეომ. კათედრაზე. 1972-იდან არის ისრაელის, ხოლო 1989-იდან – აშშ-ის მოქალაქე.

სხვადასხვა დროს მუშაობდა მსოფლიოს მრავალ ცნობილ უნტში, მ. შ. ტექნიონში (ისრაელის ტექნოლოგიური ინ-ტი, ხაიფა), ტოკიოსა და კიოტოს (იაპონია), რომის ,,ლა საპიენსას'', ბოლონიის (იტალია) და სხვა უნ-ტებში. 1989-იდან არის ფლორიდის აშშ ატლანტიკური უნ-ტის პროფესორი. ე-ის სამეცნ. მოღვაწეობის სფეროა საიმედოობის თეორია, სტრუქტურათა შემთხვევითი რხევები, დრეკადობის თეორიის ამოცანების მათ. მოდელირება. ე. ავტორია 10 მონოგრაფიისა.

არჩეულია ამერიკის მექანიკის აკად. წევრად (1991), იაპონიის მეცნ. განვითარების საზოგადოების წევრად (1992), ევრ. მეცნიერებისა და ხელოვნების აკად. წევრად (2011), ამერიკის მექანიკოს-ინჟინერთა საზოგადოების წევრად (2011). დაჯილდოებულია სხვადასხვა სამეცნ. პრიზით.

თხზ.: Eigenvalues of Inhomogeneous Structures: Unusual Closed-Form Solutions. Boca Raton, 2004.

,,ელმავალმშენებელი'' (სააქციო საზოგადოება), ელექტროტექნიკური მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი საწარმო თბილისში. შეიქმნა 1949 ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქ-ნაში არსებული ელმავლების შემკეთებელი საამქროს ბაზაზე, როგორც ლოკომოტივშემკეთებელი ქ-ნა; 1957-იდან გადაკეთდა ელექტრომავალმშენებელ ქ-ნად (მეორე ქ-ნა საბჭ. კავშირში ნოვოჩერკასკის ელექტრომავალმშენებელი ქ-ნის შემდეგ), ხოლო 1975 ჩამოყალიბდა, როგორც თბილ. საწარმოო გაერთიანება ,,ელექტრომავალმშენებელი'' (მასში შევიდა: თბილ. ელექტრომავალმშენებელი ქ-ნა – სათავო საწარმო, თბილისის ქ-ნა ,,ელექტროძრავა'', ახალციხის ქ-ნა ,,ელექტროძრავა'' და სპეც. საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო; 1986-იდან შეუერთდა ბათუმის ქ-ნა ,,კავკაზტრანსფორმატორი'', თავისი ფილიალით ,,გელათი'' და ბათუმის ელექტრომექანიკური ქ-ნა), 1989 კი დაერქვა თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება ,,ე.'', რ-იც 1994, სააქციო საზოგადოებად



პირველი ქართული სამგზავრო ელმავალი 4E1.

გარდაქმნის შემდეგ, დაიშალა და მასში შემავალი საწარმოები დამოუკიდებელ შპს-ებად ჩამოყალიბდა (სპეც. საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო, შემდგომში შპს ,,ელექტროტრანსპორტპროექტი'', დარჩა სააქციო საზ-ბა ,,ე-ის'' დაქვემდებარებაში, 2002-იდან კი გაუქმდა და მასვე შეუერთდა). ქ-ნას არაერთხელ ჩაუტარდა გაფართოებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოები (1957–60, 1970–75, 1983-იდან – პერიოდულად).

თბილისის ელმავალმშენებელი ქ-ნა სპეციალიზებული იყო მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავლების გამოშვებაზე. 1957 წ. 30 დეკ. ქ-ნამ გამოუშვა 68-201 (Н8-201), შემდგომში ვლ8-201 (ВЛ8-201) ტიპის რვაღერძიანი, ორსექციიანი პირველი მაგისტრალური ელმავალი. შემდგომ წლებში კი აითვისეს ახ. ტიპის მაგისტრალური (ვლ10, ვლ11, ვლ15, ე13; სხვადასხვა მოდიფიკაციით) და სამრეწვ. (კოქსმქრობი) ელმავლების (ეკ13 და ეკ14) წარმოება. გარდა ამისა, გამოუშვეს ახ. სახის პროდუქცია – ელექტროთაკარა ეშ186 და ეშ188 (სასაწყობო მეურნეობაში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მექანიზაციისათვის).

თბილისური ელმავლები კონკურენტუნარიანი იყო და თავისი ტექ. პარამეტრებით არ ჩამოუვარდებოდა იმ დროისათვის არსებულ მსოფლიო ნიმუშებს. თბილ. ელმავალმშენებელი ქ-ნა საბჭ. კავშირში წარმოებული მაგისტრალური ელმავლების მესამედს უშვებდა. სამრეწველო (კოქსმქრობი) ელმავლები მზადდებოდა მხოლოდ საქართველოში და იგზავნებოდა არა მარტო მოკავშირე რესპუბლი-

კებში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

1993–98, ეკონ. კავშირების გაწყვეტისა და საჭირო ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებელი დეტალების დეფიციტის გამო, ქ-ნაში ელმავლების წარმოება დროებით შეწყდა. 1995 ,,ე.'' გამოეყო საქართველოს მრეწველობის სამინისტროს და შპს ,,საქართველოს რკინიგზის'' დაქვემდებარებაში გადავიდა, რ-საც დროებით სამართავად გადაეცა სახელმწ. საკუთრებაში არსებული ამ სააქციო საზ-ბის აქციების 51%. 1999-იდან ქ-ნაში დაიწყეს ახ. სამგზავრო ელმავლის დამზადება. 2000 წ. ,,ე-მა'' გამოუშვა პირველი ოთხღერძიანი სამგზავრო ელმავალი 4E1 (სიჩქარე 120 *კმ/სთ*).

2005 წ. თებერვლიდან ,,ე-ის'' აქციების საკონტროლო პაკეტი შეიძინა უცხოურმა კომპანიამ ,,დემა კომპიუტერს ლიმიტედმა'' („Dema Computers Ltd''). ამავე წლიდან ქ-ნამ დაიწყო ახ. მოდიფიკაციის ვლ 11მ/5 და ვლ 11მ/6 ტიპის ელმავლების, აგრეთვე სამრეწველო (კოქსმქრობი) ელმავლის – ეკ15-ის გამოშვება. ამასთან ერთად, ეწევა მაგისტრალური ელმავლების შეკეთება-მოდერნიზაციას, ამზადებს მათ სათადარიგო ნაწილებს, მუშაობს თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვით სამგზავრო და სატვირთო ელმავლების შექმნაზე.

თავისი არსებობის მანძილზე (1957–2010) ,,ე-მა'' სულ დაახლ. 4500-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის ელმავალი გამოუშვა.

პირველი ოთხღერძიანი სამგზავრო ელმავლის შექმნისა და ექსპლუატაციაში გაშვებისათვის შპს ,,საქართველოს რკინიგზის'' და ,,ე-ის'' სპეციალისტთა ჯგუფს 2002 წ. მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია მეცნ. და ტექნიკის დარგში. *ჯ. პოლაშვილი.*

ელოიანი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ქარჩოხის თემში (შიდა ქართლის მხარე), ქსნის ხეობაში. ზ. დ. 1420 *მ,* ახალგორიდან 34 *კმ.* 12 მცხ. (2002).

ელტურა, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ბელოთის თემში (შიდა ქართლის მხარე), გუდისის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ელტურის (პატარა ლიახვის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1160 *მ,* ერედვიდან 11 *კმ,* ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 20 *კმ.* 52 მცხ. (1989).

,,ელფი'', გამომცემლობა, დაარსდა 1996 წ. (დამფუძნებელი და დირექტორი – თ. დიდებულიძე). გამომცემლობის ძირითადი პრიორიტეტებია: მხატვრული ლიტერატურა, საბავშვო ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, საგანმან. ინოვაციები. აღსანიშნავია პროექტი – ,,მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები'', საბავშვო ლიტერატურის სერია: ,,ჩემი პირველი...'' (ჩემი პირველი ბიბლია, ცხოველების წიგნი, იგავ-არაკების წიგნი და ა.შ.), ,,ელფის პატარა მკითხველს'' და ,,რა არის რა''. ,,ე-ის'' გამოცემული ენციკლოპედიებიდან აღსანიშნავია ,,მსოფლიო ლიტერატურის ენციკლოპედია'' და ,,საქართველოს დიდი ბრძოლები''.

,,ე-ის'' პროდუქცია გამოირჩევა მაღალი პოლიგრ. დონით.

,,ე.'' იყო პირველი ქართული გამომცემლობა, რ-მაც 1997 ფრანკფურტის წიგნის საერთაშ. ფესტივალზე საავტორო უფლება გაყიდა. ქართ. სამზარეულოს წიგნის გამოცემისათვის ,,ე.'' 2001 საერთაშ. ასოციაცია Gourmand Word Cookbook Awards-მა დააჯილდოვა. გამომცემლობის წიგნები ყოველწლიურადაა წარდგენილი ფრანკფურტის წიგნის მსოფლიო ფესტივალსა და ბოლონიის საბავშვო წიგნების გამოფენაზე.



,,ელფი''. გამომცემლობის ლოგო.

ელყანთა, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის წონის თემში (შიდა ქართლის მხარე), ერწოს უღელტეხილის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1670 *მ,* ჯავიდან 27 *კმ,* ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 37 *კმ.* 25 მცხ. (1989).

ელჩი, უმაღლესი კლასისა და რანგის დიპლომატიური წარმომადგენელი. ე-ის რანგის სრული სახელწოდებაა ,,საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი'' (ვენის 1961 წ. კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ, მ. 14; საქართვ. 2007 წ. 7 დეკ. კანონი ,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ''). ე-ს, ისევე როგორც *დესპანს,* აგზავნის სახელმწიფოს მეთაური უცხო სახელმწ. მეთაურთან ე-ის კანდიდატურაზე თანხმობის (აგრემანი) მიღების შემდეგ. ე. ხელმძღვანელობს ქვეყნის *დიპლომატიურ წარმომადგენლობას* უცხო სახელმწიფოში და პირადად სარგებლობს დიპლ. პრივილეგიითა და იმუნიტეტით.

ქართ. წყაროებში ტერმინები ,,ე.'' და ,,დესპანი'' თანაბარი მნიშვნელობით იხმარებოდა საქართვ. მეფეების მიერ სხვა სახელმწიფოში გარკვეული პოლიტ. მისიით მივლინებული პირის აღსანიშნავად. *ლ. ალექსიძე.*

ელჩინისა და ზახარიევის ელჩობა სამეგრელოში 1639–40, რუსეთის სამეფოს ელჩობა ოდიშის სამთავროში. ელჩობას მეთაურობდა საგარეო საქმეთა საგანგაიოს თათრული ენის თარჯიმანი ფედოტ ელჩინი. ელჩობაში შედიოდნენ მღვდელი პავლე ზახარიევი და საგარეო საქმეთა საგანგაიოს მწერალი ბაჟენოვი. **ე. და ზ. ე.** პასუხი იყო ლევან II დადიანის ელჩის, გ. გეგენავას, ვიზიტისა რუსეთში. ელჩები 1639 წ. 2 ივნისს გამოვიდნენ მოსკოვიდან და ამავე წლის 13 ნოემბ. მიაღწიეს ოდიშის სამთავროს. **ე. და ზ. ე-ის** მიზანი იყო დაეზვერა და შეესწავლა გზა რუსეთიდან ოდიშამდე, შეეგროვებინა ცნობები ამ სამთავროს შესახებ, შეეტყო, რა მდგომარეობაში იყო მართლმადიდებელი ეკლესია. ელჩინს დავალებული ჰქონდა, შესაძლებლობის შემთხვევაში, დაეფიცებინა ოდიშის მთავარი რუსეთის ერთგულებაზე. ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა 1640 წ. 27 აპრ. მიიღო ელჩობა. მოლაპარაკება ფორმალური ხასიათისა იყო, რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის შესახებ საერთოდ არც განუხილავთ. ლევან II დადიანი დარწმუნდა, რომ რუსეთი არ აპირებდა აქტ. პოლიტიკის გატარებას შავიზღვისპირეთში და მისგან რაიმე დახმარების მიღება თურქეთის წინააღმდეგ არარეალური იყო. 1640 წ. 22 მაისს ელჩობა ოდიშიდან გაემგზავრა და იმავე წლის 4 დეკ. მოსკოვში დაბრუნდა. ელჩობამ მოსკოვში ჩაიტანა ლევან II დადიანის წერილი, რომლითაც ის სთხოვდა რუს. მეფეს, დახმარებოდა ოდიშის ეკლესია-მონასტრების მოხატვა-გამშვენიერებაში და პირობას დებდა, რომ უახლოეს ხანში ელჩს გაუგზავნიდა. ლევან II დადიანის აუდიენციის მოლოდინში ელჩობას საშუალება მიეცა მოეხილა ოდიშის სამთავროს ტერიტორია. ელჩობის ანგარიშები (ფ. ელჩინმა და პ. ზახარიევმა მუხლობრივი აღწერილობანი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეადგინეს) მნიშვნელოვანი წყაროა ამ პერიოდის ოდიშის ისტორიისათვის.

ლიტ.: Белокуров С. А., Материалы для русской истории, СПб., 1888; Накашидзе Н. Т., Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, Тб., 1968; Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII–XVIII вв. по Кавказу, Тб., 1935. *თ. ბერაძე.*

ელცინი ბორის ნიკოლოზის ძე (1. II. 1931, სოფ. ბუტკა, სვერდლოვსკის ოლქი, – 23. IV. 2007, მოსკოვი), რუსეთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი 1991–99

(1996 წ. 3 ივლ. აირჩიეს მეორედ, 1999 წ. 31 დეკ. გადადგა დაკავებული თანამდებობიდან). 1955 დაამთავრა ურალის პოლიტექ. ინ-ტი (სპეციალობა – ინჟინერ-მშენებელი). 1968–88 ეკავა სხვადასხვა პარტიული თანამდებობა. 1976-იდან იყო სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1985–86 – სკკპ ცკ-ის მდივანი, 1985–87 – მოსკ. ქალაქკომის პირველი მდივანი; 1989 აირჩიეს სსრკ სახალხო დეპუტატად. 1990 გამოვიდა კომპარტიიდან. 1990–91 გახდა რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავ-რე. 1991 დეკ. ბელორუსიასა და უკრაინასთან ერთად ხელი მოაწერა შეთანხმებას სსრკ დაშლის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნის შესახებ.

ე. სამჯერ იყო საქართველოში: პირველად, არაოფიციალურად – 1989 წ. 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით; მეორედ – 1991 (დაბა ყაზბეგში შეხვდა საქართვ. პრეზიდენტს – ზ. გამსახურდიას, სადაც გაიმართა მოლაპარაკება საქართვ.-რუს. ურთიერთობის, ყოფილი სამხრ. ოსეთის ავტონ. ოლქში შექმნილი ვითარებისა და სხვა საკითხების შესახებ); მესამედ – 1994 წ. 3 თებ., როდესაც ხელი მოაწერა საქართვ.-რუს. ხელშეკრულებას მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ. 1992 მაისში ე. მონაწილეობდა *დაგომისის შეთანხმების* შემუშავება-ხელმოწერაში.

ემბაზი (ბერძნ. embasis – შესვლა), მრგვალი და ფართო ზომის ქვის, ლითონის ან ხის ჭურჭელი, რ-იც გამოიყენება (მართლმადიდებლურ და კათოლ. ეკლესიებში) ნათლობის რიტუალის დროს. ძველი დროიდან იყენებდნენ ძირითადად ლითონის ე-ებს. მღვდელი ბავშვს სამჯერ ჩასვამს ე-ში ისე, რომ წყალმა დაუფაროს ტანი. „ემბაზით აღმოშობილი“ ან „ემბაზისშვილი“ ნიშნავს მონათლულს, ქრისტიანს, „ემბაზით მშობელი“ – ნათლიას.

ემბრიოლოგია ცხოველთა, (ბერძნ. embryon – ჩანასახი და logos – სიტყვა, მოძღვრება), მეცნიერება ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების (ონტოგენეზის) ჩანასახოვანი პერიოდის შესახებ.

ძველ მოაზროვნეთა თხზულებებში საკმაოდ ბევრი ცნობა მოიპოვება ჩანასახის განვითარების შესახებ. ძვ. წ. IV ს-ში ჰიპოკრატეს შეხედულებები უკვე გამოხატავდა პრეფორმისტულ იდეებს, არისტოტელესი კი – ეპიგენეზურს. XVII–XVIII სს-ში აღწერილია ქათმის ემბრიონის განვითარება (იტალ. ბიოლოგები ჯ. ფაბრიჩო, 1600–04; მ. მალპიგი, 1672), ძუძუმწოვრების საკვერცხის ფოლიკული (რ. დე გრააფი), სპერმატოზოიდები (ლ. გამი, ა. ლევენჰუკი), ბაყაყის კვერცხის გაყოფა, მწერების რთული განვითარება (ი. სვამერდამი, 1665–75), რეგენერაცია კიბოებში (რ. რეომიური), ჭიებში (შ. ბონე, 1741) და სხვ.

ჯერ კიდევ 1651 უ. ჰარვეიმ დაადგინა, რომ ყველა ცოცხალი არსება კვერცხიდან ვითარდება. ამ გამოკვლევის საფუძველზე შეიქმნა პრეფორისტული და ეპიგენეზური (კ. ფ. ვოლფი, 1759) თეორიები.

ე-ის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორგანიზმთა აგებულების უჯრედული თეორიის ჩამოყალიბებას (თ. შვანი და მ. შლაიდენი, 1838–39). ე-ის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის კ. ბერს, რ-ის გამოკვლევებმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა მეცნ. ე. მან დაამტკიცა, რომ ადამიანისა და ყველა სხვა ხერხემლიანი ცხოველის განვითარება ერთიანი გეგმით მიმდინარეობს (თუმცა კ. ბერი არ იყო თანამიმდევრული ევოლუციონისტი).

თანამედროვე ე. წარმოუდგენელია უჯრედული მოძღვრებისა და ევოლ. იდეის გარეშე. ე-ის განვითარებაზე უდიდესი გავლენა იქონია ჩ. დარვინის მოძღვრებამ. აღწერილობითი ე-ის წიაღში XIX ს. ბოლოს აღმოცენდა შედარებითი ე. განვითარების პროცესში სტრუქტურული გარდაქმნების შესწავლის შედეგად დაგროვილმა მასალამ შეამზადა ნიადაგი ექსპერიმენტული ე-ის განვითარებისათვის. ამ დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ვ. რუ, რ. ჰარისონი, კ. ფოგტი და ჰ. შპემანი. XIX ს. II ნახ-ში და XX ს. დასაწყისში წარმატებით განვითარდა ევოლუციური ე. მის დაფუძნებასა და განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ა. კოვალევსკისა და ი. მეჩნიკოვის, ხოლო შემდეგ – ვ. მიულერისა და ე. ჰეკელის, ა. სევერცოვის, პ. ივანოვის, ი. შმალგაუზენის, ა. ზავარზინის, ა. ზახვატკინისა და სხვათა გამოკვლევებს.

ე-ის, გენეტიკის, მოლეკულური ბიოლ. და ციტოლოგიის მიჯნაზე წარმოიშვა და სწრაფად განვითარდა ახ. მიმართულება – განვითარების ბიოლოგია, რ-იც შეისწავლის ონტოგენეზის კანონზომიერებებს მოლეკულურ, გენეტიკურ, ციტოლოგიურ, ქსოვილურ, ორგანულ და ორგანიზმულ დონეზე.

განვითარების ბიოლოგიის წარმატებების შედეგად ჩამოყალიბდა კონცეფცია ონტოგენეზის კლონური საფუძვლების შესახებ, რ-ის თანახმად, ემბრიოგენეზის ადრეულ სტადიებზე გამოიყოფა უჯრედული კლონები, რ-ებიც შემდგომში საწყისს აძლევენ სპეციფ. სტრუქტურებს. მრავალი მონაცემი ადასტურებს, რომ ამა თუ იმ უჯრედული კლონის საწყის (ანუ ღეროვანი უჯრედების) დეტერმინაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს უჯრედებს შორის ურთიერთქმედებას და პლაზმური მემბრანის მდგომარეობას.

განვითარების ბიოლოგია სწავლობს აგრეთვე ემბრიონული დიფერენცირების ინდუქტორების ბუნებას. განვითარების ბიოლოგიის პრობლემები ძირითადად ეხება ზოგად ბიოლ. მოვლენებს, რ-თაც დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სას.-სამ. წარმოების ბიოტექნოლოგიისა და მედიცინისათვის. მეცნ. იმ დარგების კომპლექსში, რ-ებიც შეადგენენ განვითარების ბიოლოგიას, ძირითადი ადგილი უკავია ე-ს.

საქართველოში ე-ის განვითარება დაიწყო 1919 თსუ-ში სამკურნალო ფაკ-ტის ჰისტოლოგიის და ემბრიოლოგიის კათედრის დაარსებით (გამგე ნ. კახიანი 1919–21; ა. *ნათიშვილი* 1921–30). 30-იან, განსაკუთრებით კი 40–60-იან წლებში, კვლევითი მუშაობა გაიშალა თსუ-ის, სამედ., პედ., საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო სასწ.-კვლ. ინ-ტების კათედრებზე. ამ სამეცნ. კვლევებს ხელმძღვანელობდნენ: ა. ნათიშვილი, ა. *ლეჟავა*, ნ. ა. *ჯავახიშვილი*, ს. *საყვარელიძე*, ვ. *ჟორონინი*, ა. *ზურაბაშვილი*, ა. ჩხარტიშვილი.

1941, საქართვ. მეცნ. აკად. დაარსების შემდეგ, ახლად შექმნილი ზოოლ. ინ-ტის შემადგენლობაში შევიდა მანამდე განსახკომთან არსებული ცხოველთა ე-ის სადგური და მაღალმთის ბიოლ. სადგური, რ-საც ცხოველთა ე-ის ლაბორატორია ეწოდა (გამგე პ. ჭანტურიშვილი). წლების განმავლობაში ლაბორატორია მუშაობდა განვითარების მექანიკის დარგში (პ. ჭანტურიშვილი, ა. მაჩაბელი).

ახ. ეტაპი აღინიშნა 60–70-იანი წლებიდან საქართვ. მეცნიერებათა აკად. ექსპერიმენტული მორფოლოგიის, ფიზიოლოგიის, აგრეთვე საქართვ. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ზოგიერთ სამეცნ.-კვლ. დაწესებულებაში და თსუ-ის ბიოლოგიის ფაკ-ტზე, ციტოქიმიის, ციტოლოგიის, ელექტრ. მიკროსკოპიის, განვითარების ბიოლ. და სხვა ლაბორატორიებისა და განყ-ბების შექმნის შემდეგ (გ. თუმანიშვილი, ა. მიქელაძე, ი. სვანიძე, ლ. ნათაძე და სხვ.). 1983–84 თსუ-ს შეემატა 2 ლაბორატორია – განვითარების ბიოლოგიის (ხელმძღვ. გ. თუმანიშვილი) და მორფოფიზიოლოგიის (ხელმძღვ. ი. მეფისაშვილი). აღნიშნულ ლაბორატორიებში დაინერგა კვლევის თანამედროვე მეთოდები, დადგენილია უჯრედების გამრავლების მაკონტროლებელ ნივთიერებათა უჯრედში ლოკალიზაცია და ამ ნივთიერებათა როლი უჯრედის ურთიერთქმედებაში, შექმნილია უჯრედთა დიფერენცირების ახ. თეორია (გ. თუმანიშვილი).

დღეს ემ-ის კვლევას მთელ მსოფლიოში კოორდინაციას უწევს შვედეთის ემბრიოლოგთა საერთაშ. კავშირი და ჰოლანდიის ემბრიოლოგიის საერთაშ. ინ-ტი.

ლ. ნათაძე. ი. ქორქია.

ემბრიოლოგია მცენარეთა, *ბოტანიკის* დარგი, რ-იც შეისწავლის მცენარეული ორგანიზმის ჩასახვასა და განვითარებას, აგრეთვე გამეტების ჩამოყალიბებას, განაყოფიერებას. ემ-ის ძირითადი განხრებია: ზოგადი (იკვლევს ემბრიოლოგიური სტრუქტურების განვითარების ძირითად კანონზომიერებებს); შედარებითი (შეისწავლის სისტემატიკური ჯგუფების ემ-ს სისტემატიკურ-ფილოგენეზური საკითხების გასარკვევად); კერძო (სწავლობს სახეობათა ემ-ს); ექსპერიმენტული (ადგენს ემბრიოლოგიური სტრუქტურებისა და პროცესების ბიოქიმ. გენეტიკის ფუნქციურ მნიშვნელობას); მოლეკულური (სწავლობს გენების ფუნქციას რეპროდუქციული ორგანოების განვითარების პროცესში); ეკოლოგიური (იგივეა, რაც რეპროდუქციული ეკოლოგია, იკვლევს გარემო ფაქტორების გავლენას თესლწარმოქმნის პროცესზე მცენარეში).

ემბრიოლოგიური პროცესების შესწავლა შესაძლებელი გახდა მიკროსკოპის გამოგონების შემდეგ. მცენარის ყვავილის გენერაციული ორგანოებისა და მათში მიმდინარე გარდაქმნების მიკროსკოპული შესწავლა დაიწყო XVIII ს. ბოლოს. XIX ს. II ნახევრამდე მცენარეთა ემ-ის შესახებ ძირითადად დაგროვდა აღწერილობითი და ფაქტობრივი მასალა. ამას მოჰყვა არსებული მასალის სისტემატიზაცია და განზოგადება, რაც ახ. მონაცემების საფუძველზე დღესაც გრძელდება. დადგინდა ფარულთესლოვანთა მიკროსპოროგენეზისა და მტვრის მარცვლის, აგრეთვე, მეგასპოროგენეზისა და ჩანასახის პარკების ტიპები, გაირკვა ემბრიო- და ენდოსპერმოგენეზის თავისებურებები. საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა ფარულთესლოვნებში ორმაგი განაყოფიერების აღმოჩენას (ნავაშინი, 1898, ლ. გინიარი, 1899), რამაც ცხადი გახადა, რომ მცენარეთა ამ ჯგუფში განაყოფიერების შედეგად ვითარდება არა მარტო ჩანასახი, არამედ მისი მკვებავი ქსოვილიც – ენდოსპერმი.

XX ს. 50-იანი წლებიდან მცენარეთა ემ-ში ფართოდ დაინერგა კვლევის ელექტრონულ-მიკროსკოპული და ბიოქიმ.-ფიზიოლ. მეთოდები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მამრობით და მდედრობით გამეტოფიტებში მიმდინარე პროცესების უკეთ გაგებას.

ცხოველთა ემ-ის მსგავსად მცენარეთა ემ-ის კვლევის მიმართულებებია: მორფოლოგიური, სისტემატიკურ-ფილოგენეზური, ბიოქიმიურ-ფიზიოლოგიური, ეკოლოგიური. კვლევის პროცესში გამოყენებულია სინათლისა და ელექტრონული მიკროსკოპია, ფლუორესცენტული და ლუმინესცენტური მიკროსკოპია, ჰისტოქიმია, ქსოვილთა კულტურების მეთოდები, ციტოფოტომეტრია, ავტორადიოგრაფია და სხვ.

მცენარეთა მოლეკულური ემ. სწავლობს გენთა აქტივაციის საკითხებს ჩანასახის განვითარების პროცესში. დღეისათვის დადგენილია ცალკეული გენების ფუნქცია ორგანიზმის ონტოგენეზის მიმდინარეობისას და მათ მიერ განსაზღვრული მორფოლ. სტრუქტურები. მაგ., გამოვლენილია გენები, რ-ებიც განსაზღვრავს თესლკვირტის ფორმას, ჩანასახის ტიპს და მის განვითარებას აპომიქსისის გზით, ყვავილის სტრუქტურის ცვლილებას და სხვ. მისი პრაქტ. მნიშვნელობა ძალიან დიდია, რადგანაც გენის ფუნქციის განსაზღვრა საშუალებას იძლევა, მიღებული იქნას მუტანტი მცენარეები. მათი მორფოლ. და ფუნქციური თავისებურებები წინასწარ იქნება განსაზღვრული, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება სელექციური საქმიანობისათვის. შედეგად, შესაძლებელია მივიღოთ მაღალმოსავლიანი და დაავადებებისადმი რეზისტენტული კულტ. მცენარის ჯიშები.

რეპროდუქციული ეკოლ. დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, რადგანაც გარემო ფაქტორები, როგორიცაა ტემპრა და ტენიანობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მცენარის რეპროდუქციული პროცესის მიმდინარეობის რიტმზე, ანუ რეპროდუქციულ ფენოლოგიაზე. კლიმატის გლობალური ცვლილებები პირველ რიგში გავლენას ახდენს მცენარის სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობაზე და განსაზღვრავს დროის იმ ხელსაყრელ მონაკვეთს, რ-იც სახეობას ისტ. ადაპტაციის შედეგად აქვს გამომუშავებული თესლის წარმოქმნის, მომწიფებისა და გავრცელებისათვის. ამდენად, აუცილებელია განვსაზღვროთ მცენარის გამრავლების ტენდენციები ცვლად გარემოში. ამ დროს თესლწარმოქმნასთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება თესლის გაღივებისა და აღმოცენებისათვის კონკრეტულ გარემოში დამკვიდრების პირობების განსაზღვრა. მნიშვნელოვანია დადგინდეს ის გადანაცვლებები ფენოლოგიურ ფაზაში, რაც გამოწვეული იქნება კლიმ. შეცვლით და მისგან გამოწვეული სეზონური ცვლილებებით და განისაზღვროს ამ ცვლილების გავლენა თესლწარმოქმნის პროცესის მიმდინარეობაზე. შედეგად, შესაძლებელია დადგინდეს მცენარის ცალკეული სახეობის გადარჩენის შანსი ცვლად გარემოში და მოხდეს მოსალოდნელი ცვლილებების მოდელირება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იშვიათი და საფრთხეში მყოფი სახეობებისათვის, აგრეთვე იმ მცენარეთათვის, რ-ებიც კლიმატისადმი მგრძნობიარე ჰაბიტატში იზრდებიან (ჭარბტენიანი ტერიტორიები, არიდული და მაღალმთიანი რეგიონები).

მცენარეთა ემ-ის მიღწევებს ფართოდ იყენებენ მორფოლოგები და სისტემატიკოსები, ევოლუციონისტები, ბიოქიმიკოსები და ფი-

ზიოლოგები, გენეტიკოსები და სელექციონერები. მცენარეთა ე. პრაქტიკულ დახმარებას უწევს სოფლის მეურნეობას ახ. ჯიშების შექმნაში.

საქართველოში პირველი ემბრიოლოგიური კვლევა დაკავშირებულია ს. ნავაშინისა (1915–23) და მისი მოწაფეების – ნ. კახიძისა და ლ. დელონეს სახელთან. 1937 საქართველოს სასელექციო სადგურთან შეიქმნა პირველი ციტოლოგიური ლაბორატორია, სადაც იკვლევდნენ ფარულთესლოვანთა სამტვრე პარკებში მეიოზის თავისებურებებს. 1938-იდან ციტოემბრიოლოგიური კვლევის ცენტრმა გადაინაცვლა საქართველოს მეცნიერებათა აკად. ბოტანიკის ინ-ტში. XX ს. 50-იანი წლებიდან საფუძველი ჩაეყარა მცენარეთა ემბრიოლოგიურ შესწავლას – მიკროსპოროგენეზისა და მამრობითი გამეტოფიტის შესწავლასთან ერთად დაიწყო მეგასპოროგენეზის, მდედრობითი გამეტოფიტის, ორმაგი განაყოფიერების, ემბრიო და ენდოსპერმოგენეზის ციტოპლაზმური მამრობითი სტერილობის თავისებურებების შესწავლა (მ. იაშვილი). ბოტანიკის ინ-ტის კულტ. მცენარეების განყოფილებაში ჩამოყალიბდა ჯგუფი გ. კანდელაკის ხელმძღვანელობით, რ-იც სწავლობდა ხორბლის სელექციის დროს ჯიშთაშორისი ჰიბრიდიზაციის ემბრიოლოგიურ საფუძვლებს. შემდგომში ეს კვლევა გაფართოვდა და მოიცვა საქართვ. ველური ფლორის სახეობები. ამან განაპირობა ცალკე განყოფილების ჩამოყალიბება, რ-იც დაკავებული იყო მცენარის ე-ის ფუნდამენტური საკითხების კვლევით. გ. ღვალაძის ხელმძღვანელობით ჩატარებული კვლევები მოიცავდა მდედრობითი გამეტოფიტის განსხვავებული ტიპების შედარებით ემბრიოლოგიურ კვლევას და მათი ევოლ. პრინციპების დადგენას. ამ დროს ემბრიოლოგიის ქართ. სკოლა თავისი კვლევების მნიშვნელობით და გამოქვეყნებული შრომების რაოდენობით სსრკ-ში მოიხსენიებოდა ერთ-ერთ უძლიერესად ლენინგრადის კომაროვის სახ. ბოტანიკური ინ-ტის შემდეგ.

60-იანი წლებიდან მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საქართვ. ენდემური ველური მცენარეების ემბრიოლოგიურ შესწავლას; კვლევის კომპლექსური მეთოდების (სინათლისა და ელექტრონული მიკროსკოპია, ჰისტოქიმია, ლუმინესცენტური მიკროსკოპია და სხვ.) გამოყენებამ, თესლწარმოქმნის რეალური პროცესების, ურთიერთკავშირისა და ემბრიოლოგიური სტრუქტურების მორფო-ფუნქციურ თავისებურებათა უკეთ გაგება განაპირობა.

XX ს. 80-იანი წლებიდან ინტენსიურად მიმდინარეობს ,,საქართველოს წითელ წიგნში'' შეტანილი მცენარეების თესლწარმოქმნის პროცესების ეკოლ.-ემბრიოლოგიური კვლევა. მიღებულ მონაცემებს (მ. ახალკაცი, გ. ღვალაძე, ლ. კობახიძე, ც. მიქატაძე-ფანცულაია, ნ. მელია, ლ. ჟღენტი, ბ. გაბედავა) ფართოდ იყენებენ ამ მცენარეთა შენარჩუნებისა და დაცვის კომპლ. ღონისძიებების შემუშავებისას.

ვაზის, ხეხილოვან მცენარეთა და სუბტროპ. კულტურების გამრავლებასთან დაკავშირებულ პრაქტ. საკითხებს განვითარების ადრეულ სტადიებზე სწავლობდნენ საქართვ. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტსა და სოხუმის სუბტროპ. კულტურების ინ-ტში (ლ. ხარიტონაშვილი, მ. სამუშია, ი. კაპანაძე, ნ. დგებუაძე).

საქართვ. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტსა და სოხუმის სუბტროპ. კულტურების ინ-ტში (ამჟამად ქუთაისშია) ემბრიოლოგიურ კვლევას იყენებდნენ ვაზის (ლ. ხარიტონაშვილი), ხეხილოვან მცენარეთა (მ. სამუშია) და სუბტროპ. კულტურების (ი. კაპანაძე, ნ. დგებუაძე) გამრავლებასთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად.

თბილისის ბოტან. ბაღისა და ბოტან. ინ-ტის კულტ. ფლორისა და მცენარის რეპროდუქციის განყოფილებაში ამჟამად იკვლევენ: მცენარის რეპროდუქციულ ეკოლოგიასა და თესლწარმოქმნის სტრუქტურულ საფუძვლებს, ჭურჭლოვანი მცენარეების შედარებით და ზოგად ემბროლოგიას, რ-იც სწავლობს რეპროდუქციული ორგანოების სტრუქტურულ ვარიაბელობას. ასევე მიმდინარეობს მცენარის რეპროდუქციული ორგანოების მორფომეტრიული და მოლეკულური შესწავლა.

გ. ნახუცრიშვილი.

ემიგრაცია (<ლათ. emigro – გადავსახლდები): 1. მოქალაქის წასვლა თავისი სახელმწიფოდან უცხო სახელმწიფოში მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად; 2. უცხოეთში გადახვეწილი პირების ანუ ემიგრანტების ერთობლიობა. ე. განპირობებულია უმუშევრობით, გაჭირვებით, პოლიტ. მოტივებით. პოლიტ. ემიგრანტები სარგებლობენ თავშესაფრის უფლებით.

XX ს. ქართ. ე-ის სამი ტალღა განსახლების დიდ არეალს – 4 კონტინენტს მოიცავს. I ტალღაში იგულისხმებიან ემიგრანტები, რებმაც სამშობლო 1921–30 დატოვეს, II-ში – II მსოფლიო ომის შემდეგ ე-ში აღმოჩენილი მოქალაქეები, III-ში – 1991–92 სამოქალაქო დაპირისპირების, აფხაზეთის ომისა და დღემდე მძიმე სოც. მდგომარეობის გამო საქართველოდან წასული პირები.

ე-ის I ტალღას (დაახლოებით 30000–40000) შეადგენენ პოლიტიკური, სამხედრო, კულტურული და ეკონომიკური სფეროს წარმომადგენლები, რ-ებმაც სამშობლო 1921 ბოლშევიკური ოკუპაციის, 1924 აჯანყების (იხ. *აგვისტოს აჯანყება 1924*) დამარცხების ან რეპრესიების გამო დატოვეს. ესენი არიან მთავრობის, დამფუძნებელი კრებისა (იხ. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება*) და პარლამენტის, პოლიტ. პარტიების ხელმძღვანელები და თვალსაჩინო წევრები, ქართ. არმიისა და გვარდიის შტაბების წევრები, კოჯორ-ტაბახმელასთან მებრძოლი სამხ. პირები, იუნკერთა სკოლის კურსანტები, მათი ოჯახები. მათ მიემატნენ ისინი, რომელთაც საიდუმლოდ გადალახეს საზღვარი. საქართველოში საოკუპაციო რეჟიმის დამყარების გამო უკან ვეღარ დაბრუნდნენ უცხოეთში მოღვაწე დიპლომატები, ეკონ. მრჩევლები, საელჩოებისა და საკონსულოების, ,,რუსეთ-სპარსეთის სანავთობო ამხანაგობისა'' და ჭიათურის ,,შავი ქვის'' მრეწველი საზოგადოების ,,ჩემოს'' თანამშრომლები, დამოუკიდებლობის დროს მთავრობის მიერ უცხოეთში გაგზავნილი თუ საკუთარი ინიციატივით სასწავლებლად ან სტაჟირებისათვის წასული მეცნიერები, სტუდენტები, ხელოვნების დარგის მოღვაწეები – მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები და ა. შ.

1921 თებ., როდესაც წითელი არმია თბილისს მიუახლოვდა, ივ. *ჯავახიშვილის* რჩევით, ე. *თაყაიშვილს*, ფინანსთა მინისტრის თანაშემწე ი. *ელიგულაშვილთან* ერთად, ბოლშევიკთა ხელყოფისაგან საქართვ. სახელმწიფო ხაზინისა და ეროვნ. განძის გადარჩენა დაევალა. განძი მარსელის ბანკში დააბინავეს. ხაზინის ვერ-

ცხლეულობის გაყიდვით სამუზეუმო განძის შენახვის საფასური გადაიხადეს და პარიზთან ახლოს, დაბა ლევილის მამული და ორსართულიანი სასახლე – ,,შატო'' შეიძინეს. მამული დღესაც საქართვ. ეკუთვნის და ქართ. Ე-ს დიდ სამსახურს უწევს.

საქართვ. ოკუპაციის შემდეგ ლტოლვილების პირველი დიდი ნაკადი სტამბოლმა მიიღო. 400 ქართველის დახმარება *ერთა ლიგამ,* ,,ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკულმა კომიტეტმა'' და ,,შრომის საერთაშორისო ბიურომ'' ითავა. 1921 ბოლოს საქართვ. საელჩომ მათი საშუალებით დაიწყო სამოქალაქო ომის ალში გახვეული სტამბოლიდან ევროპაში ლტოლვილთა გაყვანა და კონტრაქტების საფუძველზე ევრ. ქვეყნებში დასაქმება.

ბევრმა ქართველმა თავი ირანს შეაფარა. მათ შორის იყვნენ 1908 ირანის რევ. მონაწილეები. ლტოლვილთა ნაწილმა ჩინეთის საზღვარი გადალახა და მანჯურიაში გადავიდა, სადაც XIX ს. ბოლოდან ქ. ხარბინში ქართ. უბანი და მდიდარი ქართ. სათვისტომო არსებობდა.

1922–23 საბჭოთა ხელისუფლებამ 90-მდე ადამიანი, მათ შორის ოპოზიციური პარტიების ხელმძღვანელები და აქტ. წევრები თავდაპირველად დააპატიმრა და მეტეხის ციხეში ჩასხა, შემდეგ საზღვარგარეთ გაასახლა. მათ შორის იყვნენ: სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნ.-დემოკრატები. ისინი საფრანგეთმა, გერმანიამ და ჩეხოსლოვაკიამ შეიფარა.

1924 აგვისტოს აჯანყების დამარცხებისა და რეპრესიების გამო თურქეთს და ირანს მეორე დიდი ნაკადი მიაწყდა. სექტემბრის ბოლოს თურქეთში ქ. *ჩოლოყაშვილის* შეფიცულთა ჯგუფიც გადავიდა. 1924–30 წლებში საქართველო აჯანყების სხვა მონაწილეებმაც დატოვეს.

კოლექტივიზაციამ და მიწების ჩამორთმევამ 1929–30 მესხეთიდან და საქართვ. სხვა კუთხეებიდან მასობრივი Ე. გამოიწვია.

ქართვ. ემიგრანტთა ყველაზე დიდი რაოდენობა საფრანგეთსა და პოლონეთში იყო თავმოყრილი. ემიგრანტთა დიდი ჯგუფი მიიღო იტალიამ, ნაწილი კი – საბერძნეთმა. ესპანეთში ქართველები შედარებით ცოტანი იყვნენ.

XIX ს-ში ამერიკაში ერთეული ქართველები ჩადიოდნენ, XX ს-ში კი იწყება მასობრივი Ე. 1905 ჩასულ გურულ ცხენოსანთა ჯგუფის ნაწილი კოლორადოს შტატში დასახლდა, 1912 ამერიკელი მრეწველების მიერ რკინიგზის მშენებლობაზე დიდ ჯგუფებად მთიანი რაჭიდან და ალაგირიდან ჩაყვანილი მუშები კი – ქ. სიეტლსა და მის მიდამოებში. 1886 კანადაში, ქ. ვანკუვერის დაარსებისთანავე, გამოჩნდნენ ქართველები, რ-ებიც სიეტლიდან გადადიოდნენ.

უცხოეთის ქვეყნების უმრავლესობაში ლტოლვილებს დახვდათ საქართვ. დამოუკიდებლობის დროს შექმნილი ქართ. წარმომადგენლობები და საკონსულოები, რ-ებმაც იზრუნეს ემიგრანტების მიღებასა და ელემენტარული პირობების შექმნაზე, თუმცა მათი ლეგალიზაცია მხოლოდ საფრანგეთში მოხერხდა.

XX ს. 20–30-იან წლებში ქართულმა Ე-მ ურთიერთდახმარებისა და ეროვნული სახის შენარჩუნების მიზნით შექმნა ქართ. კოლონიები, სათვისტომოები და ასოციაციები: საფრანგეთში (პარიზი, სოშო-ოდენკური, მონპელიე, ორნის რკინის მაღაროები, მონბელიარი, გრენობლი, პონტემარი, ნანსი, მარსელი, ლიონი, ბორდო), გერმანიაში (ბერლინი, კელნი, მიუნხენი, ჰაიდელბერგი), პოლონეთში (ვარშავა), ჩეხოსლოვაკიაში (პრაღა), ლატვიაში, ბელგიაში, შვეიცარიაში (ლოზანა, ჟენევა), ესპანეთში, თურქეთში, ირანში, მანჯურიაში (ხარბინი), აშშ-ში, კანადაში.

Ე-ის პირველი წლებიდანვე შეიქმნა ახ. ქართული პოლიტ. ორგანიზაციები: ,,ინტერპარტიული საზღვარგარეთის ბიურო'', ,,სტამბოლის პოლიტიკური კომისია'' და მასთან არსებული ,,სამხედრო კომისია'', ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი'', ,,კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი'', ,,კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი'', ,,პრომეთეს ფრონტი''. პოლიტ. ორგანიზაციების კვალდაკვალ შეიქმნა პოლიტ. ხასიათის ახ. ეროვნ. გაერთიანებები: ,,მომავალი'', ,,თეთრი გიორგი'', ,,ქართული ფაშისტური დარაზმულობა''. ქართ. Ე-ის კონსოლიდაციაში განსაკუთრებული როლი შეასრულა პარიზში წმ. ნინოს სახელობის ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, მისმა პირველმა მოძღვარმა დეკანოზმა *გრიგოლმა* (ფერაძე) და მის მიერ დაარსებულმა ქართულმა ჟურნალმა ,,ჯვარი ვაზისა''.

XX ს. 20–30-იან წლებში დაარსდა ქართ. საქველმოქმედო-დამხმარე ორგანიზაციები (,,სტუდენტთა დამხმარე საგანგებო კომიტეტი'', ,,ტუბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტი'', ,,ქართველ უმუშევართა დამხმარე კომიტეტი'' და ,,ახალგაზრდული სექცია'') და პროფ. პრინციპზე დამყარებული გაერთიანებები (,,ქართველ ინჟინერთა და ტექნიკოსთა ასოციაცია'', ,,იუნკერთა კავშირი'', ,,ქართველ მხედართა დარაზმულობა'', ,,ყოფილ ქართველ მეომართა საზოგადოება'', ,,ქართველ ექიმთა კავშირი'', ,,ქართველ შოფერთა კავშირი'', ,,ქართველ ებრაელთა საზოგადოება'', ,,თავად-აზნაურთა საკრებულო'', ქალთა კომიტეტები და მრავალი სხვ.), რ-ებიც ევრ. სამეცნიერო წრეებთან და საერთაშორისო პროფ. ორგანიზაციებთან თანამშრომლობდნენ. Ე-ში ქართ. მენტალიტეტის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანი იყო კულტ.-საგანმან. ორგანიზაციების (,,ქართული კერა'', ,,პრომეთეს კლუბი'', ,,კავკასიის შემსწავლელი საზოგადოება'') საქმიანობა, რ-თა მიზანი იყო ბავშვებისათვის ქართ. ენის, ლიტერატურის, ისტორიის, ტრადიციების შესწავლა, კავკასიის პრობლემების უცხოელთათვის გაცნობა, კულტ. ღონისძიებებით მათი დაახლოება. საგანმან.-პროპაგანდისტულ მიზნებს ისახავდა ,,ქართული სამეცნიერო წრე'', ,,პარიზში მცხოვრებ ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა ასოციაცია''. დაარსდა სასპორტო საზ-ბა ,,შევარდენი''. ქართ. კულტურისათვის დიდად ფასეული იყო ქართ. ენის კათედრების დაარსება ევროპაში ბრიუსელის, ბერლინის, ვარშავის უნივერსიტეტებსა და ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიულ პრესას, ლიტ.-სამეცნიერო, კულტურულ და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამოცემულ პერიოდიკას, გამომცემლების, ქართ. სტამბების საქმიანობას, ასევე სამუსლიმანო საქართველოში, ლეჩხუმ-სვანეთში, იმერეთში, რაჭასა და გურიაში სხვადასხვა დროს ჩატარებული ექსპედიციების ანგარიშების (6 წიგნად) გამოსაცემად ე. *თაყაიშვილის* ინიციატივით შექმნილ ,,ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდს'', რ-მაც მხოლოდ 2 ტომის გამოცემა

მოახერხა. პერიოდიკა, ცალკეული გამოცემები და წიგნები უკვე 1921 იბეჭდებოდა სტამბოლსა და პარიზში, შემდეგ – ვალენტინეში, ჟენევაში, ბერლინში, მიუნხენსა და სხვა ქალაქებში.

ახ. თაობისა და უცხოელთათვის ქართ. ტრადიციების გაცნობის მიზნით, საერთაშ. საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად და საქართვ. საკითხის გასახმაურებლად დიდი როლი ენიჭებოდა ევროპაში, მანჯურიასა და ამერიკაში დღესასწაულებისა და მნიშვნელოვანი თარიღების – შობა-ახალი წლის, ნინოობის, თამარობის, 26 მაისისა და საერთო კავკ. დღესასწაულების აღნიშვნას. იხდიდნენ ცალკეულ პოლიტ. და საზოგადო მოღვაწეთა პანაშვიდებს. აღნიშნავდნენ ხსოვნის დღეებსა და საიუბილეო თარიღებს. ნაწილობრივ ითარგმნა ,,ვეფხისტყაოსანი'' უკრაინულ, პოლონურ, გერმანულ ენებზე, გამოიცა პოემის რუსული, ფრანგული, იტალიური თარგმანები. თუმცა Ე-ის საქმიანობას მთავარი შედეგი – საქართვ. დამოუკიდებლობის აღდგენა და ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნება არ მოჰყოლია.

II მსოფლიო ომის გამო ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების ნაწილი საერთოდ მოისპო, ნაწილმა კი დიდი ხნით შეაჩერა საქმიანობა. მეტიც, ომმა დიდი დარტყმა მიაყენა მთელ ქართ. Ე-ს როგორც ანტიგერმანულ ბანაკში, ასევე გერმანიის მხარეს მებრძოლთა რიგებში. ომში ქართველმა ემიგრანტებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს.

II მსოფლიო ომში საფრანგეთის ჩაბმის შემდეგ მობილიზაცია შეეხო ფრანგულ უცხოურ ლეგიონში მყოფ ქართველ ემიგრანტებსა და სამოქალაქო პირებს, რ-ებიც 1940 გ. *ოდიშელიძის* მეთაურობით, გააერთიანეს ქართ. სამხ. ნაწილში ,,Unité Géorgienne''. საფრანგეთის დამარცხების შემდეგ მათი ნაწილი პარტიზანებს შეუერთდა, ნაწილი დე გოლის ,,თავისუფალი საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებში'' და ,,ეროვნულ ფრონტში'' შევიდა და საფრანგეთის განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაება, ნაწილი კი გერმანულ არმიაში ჩაეწერა.

პოლონელებს ქართველები ომში არ გაუწვევიათ, თუმცა 80-მდე მხედარი თავისი ნებით ჩაება ბრძოლაში. როდესაც 1939 რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტით პოლონეთი გერმანიამ და სსრკ-მა გაიყვეს, ქართველები იატაკქვეშა ,,არმია კრაიოვასა'' და პარტიზანულ რაზმებში გაერთიანდნენ. მათზე ნადირობდა ესესიც და საბჭოთა უშიშროებაც. შეპყრობილებს გერმანელები ბანაკებში ათავსებდნენ, საბჭოელები – ხვრეტდნენ ან ციმბირში ასახლებდნენ. კატინის ტყეში დახვრეტილ 15000 პოლონელ ოფიცერს შორის ქართველებიც იყვნენ. ემიგრანტები იბრძოდნენ ბელგიის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის ჯარშიც. ამერიკა იყენებდა ავიაკონსტრუქტორების: მ. *გრიგორაშვილის* (მაიკლ გრეგორი) და ა. *ქართველის* (ქართველიშვილი) გამანადგურებლებს, მრეწველ გ. *კობახიძის* (ჯორჯ კობი) მინის ქარხნის სამედ. და ავიაპროდუქციას, განსაკუთრებით ახალგამოგონილ მინის ამპულებს ინექციებისათვის.

ქართველები გაერთიანებული იყვნენ ევრ. ქვეყნების პარტიზანულ რაზმებში. ,,მაკიზართა'' შემადგენლობაში შეიქმნა ქართ. პოლკი ,,მაკი ჟორჟიენ'' ო. იშხნელის ხელმძღვანელობით და ლეგიონი, რ-საც ქართველი ემიგრანტები პატრონობდნენ. ათასობით ტყვემ თავშესაფარი ჩრდ. იტალიის სოფლებში იპოვა. მათი ნაწილი პარტიზანულ რაზმებს (,,გარიბალდელები'', ,,ჯუზეპე მატეოტი'', ,,ოპიზო'', ,,პიავე'', ,,ფიამე ვერდსა'', ,,ლიბერასიონე'' და ა. შ.) შეუერთდა.

გერმ. ხელისუფლებამ გერმანიასა და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ემიგრანტებს, თანამშრომლობის სანაცვლოდ, სამშობლოს გათავისუფლებაში დახმარება აღუთქვა. ნაწილი ამ მოწოდებას გამოეხმაურა და გერმანიაში ჩავიდა. ამასთან, ქართველებს კარგად ახსოვდათ გერმ. როლი 1918 დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და საქართვ. დემოკრ. რესპ. დაცვის საქმეში. გერმ. სამხ.-პოლიტ. წრეებში ბევრი არ იზიარებდა ჰიტლერის კოლონიურ პოლიტიკას სსრკ-ში შემავალი ხალხების მიმართ. მათი აზრით, რუს. ექსპანსიის შესაჩერებლად აუცილებელი იყო სსრკ-ის ადგილას ეროვნ. სახელმწიფოების შექმნა. ამ მიზნით 1942–44 წლებში გერმანიაში სამი ქართ. პოლიტ. ორგანიზაცია ჩამოყალიბდა: ერთი საგარეო საქმეთა სამინისტროსთან – ,,ქართული პოლიტიკური კომიტეტი'' ი. ბაგრატიონის თავმჯდომარეობით, ორი – აღმოსავლეთის სამინისტროსთან – ,,ქართული ეროვნული კომიტეტი'' მ. *წერეთლისა* და ,,ქართული ცენტრი'' გ. მაღალაშვილის თავმჯდომარეობით. 1943 ნოემბერში შეიქმნა სამხ. ორგანიზაცია ,,ქართული სამეკავშირო შტაბი'' მ. *კედიას* მეთაურობით. შტაბი დაკავებული იყო პოლიტ. საკითხებითაც და ქართველებზეც ზრუნავდა. მათ ებრაელები ეთნიკურ ქართველებად გამოაცხადეს და ყალბი დოკუმენტებით 1000-მდე ქართვ. და ევრ. ებრაელი სიკვდილს გადაარჩინეს.

მომავალი გათავისუფლებული საქართველოს ეროვნ. არმიის შესაქმნელად და ტყვეთა გადასარჩენად დაიწყო ქართ. ნაწილების ჩამოყალიბება. ჯერ კიდევ 1939 მ. *კერესელიძის* მეთაურობით მოხალისე ემიგრანტთაგან შეიქმნა საჰაერო-სადესანტო რაზმი ,,თამარ პირველი'', 1941 კი ს. *ზალდასტანიშვილის* მეთაურობით – ,,თამარ მეორე''. საქართველოში ,,თამარ პირველის'' წევრთა დესანტად გადასმის შემდეგ მათი დიდი ნაწილი ან დაიღუპა, ან ტყვედ ჩავარდა. გადარჩენილი ნაწილი ,,თამარ მეორეს'' შეუერთდა. Ე-ს დაემატნენ ტყვეები, რ-თა რიცხვმა მკვეთრად იმატა II მსოფლიო ომში სსრკ-ის ჩაბმისთანავე. 1942 გერმანიაში შეიქმნა ,,ქართული ლეგიონი'', პოლონეთში (შ. *მაღლაკელიძის* მეთაურობით) – 6 ბატალიონი: ,,შალვა მაღლაკელიძე'', ,,გიორგი საакაძე'', ,,მეფე ერეკლე II'', ,,დავით აღმაშენებელი'', ,,მეფე თამარი'', ,,შოთა რუსთაველი'', უკრაინაში – 4 ბატალიონი, ხოლო ჩრდილოეთ იტალიაში – ერთი. 12 ქართ. ბატალიონში სულ 14000 ქართვ. იყო გაერთიანებული, მომმარაგებელ და სამშენებლო ბატალიონებში – 6800. კაპიტან ობერლენდერის მეთაურობით შეიქმნა განსაკუთრებული სამხედრო ნაწილი, სამთო შენაერთი ,,ბერგმანი''. მ. და ა. დადიანებმა ქართველ ცხენოსანთა ასეული – ესკადრონი – შეადგინეს. ყველა ამ სამხ. ნაწილში გაერთიანებული იყვნენ ტყვეებიც და ემიგრანტებიც.

,,ბერგმანის'' და გაერთიანებული ,,თამარის'' ბევრი წევრი ყირიმისა და ქერჩის ბრძოლებში დაიღუპა, ამიტომ ,,ქართული შტაბის'' მცდელობით ბატალიონები დას-ის ფრონტზე გადაანაწილეს. მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ პირველი დარტყმა ჩრდ. საფრანგეთში, ნორმანდიაში განლაგებულმა ნაწილებმა მიიღო. ის,

ვინც ინგლისელების ტყვე ხდებოდა, საბჭოთა კომისიის ხელში გადადიოდა. მათ ან ადგილზე ხვრეტდნენ, ან სსრკ-ში გზავნიდნენ შინსახკომის ჯურღმულებსა ან ციმბირის ბანაკებში მოსათავსებლად. გადარჩნენ ის ნაწილები, რ-ებიც დანიაში, ჩრდ. იტალიასა და ჰოლანდიაში იდგნენ (კ. ტექსელის ბატალიონის გარდა, რ-ის აჯანყებას 500-ზე მეტი ქართველი შეეწირა).

გერმ. კაპიტულაციის შემდეგ, იალტის 1945 წლის კონფერენციის შეთანხმებათა შესაბამისად, მოკავშირეებმა სსრკ-ს გადასცეს ბანაკებში მყოფი სამხედრო ტყვეების ნაწილი, რ-თაც სასტიკად გაუსწორდნენ. ვინც ხელში ვერ ჩაიგდეს, რეპრესიები მათ ოჯახის წევრებსა და ნათესავებს დაატეხეს თავს. კ. ლიპარის ბანაკში (იტალია) ტყვედ მყოფი ქართველების დასახმარებლად ემიგრანტ გ. აფხაზის თავმჯდომარეობით 1950 დაარსდა ორგანიზაცია ,,ქართული პოლიტიკური კომიტეტი იტალიაში'', რ-ის ძალისხმევითაც 1951 ტყვეები გაათავისუფლეს, სატრანზიტო ბანაკიდან გამოიხსნეს და ამერიკაში გადაგზავნეს. რეპრესიებს გადარჩენილი, გერმანელთა მხარეს მებრძოლი ქართველები ევროპას გაერიდნენ და ამერიკას შეაფარეს თავი.

Ე-ის II ტალღა გამოიწვია II მსოფლიო ომმა. ემიგრაციის I ტალღას დაემატნენ საბჭოთა არმიიდან ტყვედჩავარდნილი ქართველები, რ-თა ნაწილი აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში გადასახლდა, ნაწილმა კი ლათინურ ამერიკას მიაშურა. საფუძველი ჩაეყარა ახალ სათვისტომოებს, მათგან ყველაზე დიდი იყო არგენტინის.

ომის მიწურულს ქართველ Ე-თა ინტერესების დამცველი არც ერთი ქართული ორგანიზაცია აღარ არსებობდა, ამიტომ 1946 ვ. ღამბაშიძის თავმჯდომარეობით საფრანგეთში დაარსდა ,,ქართული ეროვნული კომიტეტი''. Ე-ის დიდი ნაწილი სოციალ-დემოკრატებს დაუპირისპირდა ნ. *ჟორდანიას* მოწოდების გამო, რ-იც ქართველებს სამშობლოში დაბრუნებას ურჩევდა.

II მსოფლიო ომის შემდეგ Ე-ის პოლიტ. აქტივობამ ამერიკაში გადაინაცვლა. ,,ცივი ომის'' პერიოდში, ამერიკის მთავრობის მხარდაჭერით, ნიუ-იორკში შეიქმნა რამდენიმე პოლიტ. ორგანიზაცია: ,,ქართველ-ამერიკელთა ლიგა'' თ. ბაგრატიონ-მუხრანელის თავმჯდომარეობით (1950), ,,ქართველთა დემოკრატიული კავშირი'' (,,საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო'') ი. გაჟონაის, შემდეგ ვ. აბაშიძის ხელმძღვანელობით (1952). ორგანიზაციებმა გამოსცეს 3 ჟურნალი – ,,*ცნობის ფურცლები*'', ,,*ჩვენი გზა*'' („Our Path"), ,,*თავისუფალი საქართველოს ხმა*'' („The Voice of Free Georgia"), რ-ის პირველ ნომერში (1953) დაიბეჭდა ა. *ცომაიას* მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი 1921 წლის კონსტიტუცია. მათ ინფორმაციას ამერიკის კონგრესი იყენებდა. დაიწყო ორი რადიოსადგურის ქართული რედაქციების გადაცემები: 1951 ნიუ-იორკში (შემდეგ – ვაშინგტონში) ე. ორბელიანის ხელმძღვანელობით (,,ამერიკის ხმა''), 1953 მიუნხენში ყოფილი იუსტიციის მინისტრის, სოციალ-დემოკრატ – რ. *არსენიძის* ხელმძღვანელობით (,,*თავისუფლება*''). 1955 ლ. დუმბაძის თავმჯდომარეობით დაარსდა ,,ქართველთა ეროვნული ერთობა''. 1959-იდან ქართ. Ე. მონაწილეობდა მე-5 ავენიუზე ჩატარებულ ,,დამონებულ ერთა კვირეულებში''. საფრანგეთში კი სსრკ-თან ურთიერთობის გაუმჯობესებამ, ე. წ. დათბობამ, შეზღუდა ქართველთა აქტივობა. მეტიც, 1960 ნ. ხრუშჩოვის ვიზიტის გამო საფრანგეთის ხელისუფლებამ სსრკ-ის ყველა მოწინააღმდეგე ემიგრანტი, მათ შორის 47 ქართველი, პარიზიდან დროებით კ. კორსიკაზე გაასახლა.

საბჭოთა სისტემის რყევამ, აშშ-ის პრეზიდენტის რ. რეიგანის მკაცრმა პოლიტიკამ სსრკ-ის მიმართ კვლავ გააააქტიურა ქართ. Ე. საფრანგეთში მოღვაწე პოლიტ. პარტიების მიერ გამოცემულმა ჟურნალ-გაზეთებმა: ,,*ბედი ქართლისა*'' (1948–85), ,,*იველია*'' (1961–77), ,,*კავკასიონი*'' (1964–78), ,,*თავისუფლების ტრიბუნა*'' (1974–84), ,,*გუშაგი*'' (1984–97) ახ. ძალით გაშალეს საქმიანობა. სსრკ-ის ნგრევაში თავისი წვლილი შეიტანა აღნიშნული ორი რადიოსადგურის ქართ. რედაქციების გადაცემებმა, რ-ებიც ეხმაურებოდნენ საქართველოში მომხდარ მოვლენებს და, ჩახშობის მიუხედავად, მაინც აღწევდნენ საბჭოთა მსმენელამდე.

Ე-ის III ტალღა გამოიწვია 1991–92 სამოქალაქო დაპირისპირებამ, აფხაზეთის ომმა და მძიმე სოც. მდგომარეობამ, რის გამოც დღემდე საქართველოდან წასულია მილიონამდე ქართველი. მათ ემატება სასწავლებლად და სტაჟირებისათვის წასული მოსახლეობა. დსთ-ის ქვეყნების გარდა, ქართ. დიასპორები შექმნილია ევროპის, აზიის, ამერიკის ქვეყნებსა და ავსტრალიაში.

დასავლეთის ქვეყნებიდან ყველაზე დიდი დიასპორა არის აშშ-ში. არაოფიციალური მონაცემებით ემიგრანტთა რიცხვი იქ 160 ათასს აღწევს. ქართველები ძირითადად ნიუ-იორკში, ნიუ-ჯერსის შტატში და სან-ფრანცისკოში ცხოვრობენ. მათ შორის არიან წარმატებული მოქალაქეებიც – მედიცინის, მეცნიერების, ხელოვნების, სპორტის წარმომადგენლები. თუმცა ემიგრანტთა 85% ქალები არიან, რებიც ძიძებად და მომვლელებად მუშაობენ, დანარჩენებს კი დროებითი სამუშაო აქვთ.


ძვ. ორგანიზაციებიდან ნიუ-იორკში შემორჩენილია 1931 ნ. ჯაფარიძის მიერ დაფუძნებული ,,ქართული სათვისტომო'' და 1958 მ. წერეთლის ხელმძღვანელობით დაარსებული ,,ქართული ასოციაცია'', რ-ის სათავო ოფისი ვაშინგტონშია. მისივე ხელმძღვანელობით დაარსდა ,,ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭო'', რ-იც მიზნად ისახავს ინვესტიციების მოზიდვასა და ორ ქვეყანას შორის სავაჭრო, პოლიტ. და კულტ. ურთიერთობის გაღრმავებას. მეორე თაობის ემიგრანტმა, კ. სიდამონ-ერისთავმა 1994 დააფუძნა საქველმოქმედო ორგანიზაცია ,,საქართველოს მეგობართა ფონდი'', რ-იც ეხმარება გაჭირვებულ ბავშვებსა და მოხუცებს.

ახ. ქართ. ორგანიზაციები ძირითადად ნიუ-იორკშია თავმოყრილი – ე. წიკლაურის ,,ამირანი'' სამეცნ. და კულტ. სფეროში მოღვაწე ქალებს აერთიანებს, ნ. ჩხეიძის ,,თვისტომი'' კი – 1000-მდე ძიძად და მომვლელად მომუშავე ქალს. მას გახსნილი აქვს სამედ. მომსახურების ფირმაც. ქუინსში მოქმედებს გ. და ნ. გელაშვილების საპროდიუსერო ცენტრი ,,გელანი'', მათ ვებ-გვერდზე ფუნქციონირებს ქართ. რადიოც. შ. ვაშაკიძის ,,კვალი'' 25 წელია კოორდინირებას უწევს ქართველ მეცნიერებს და აშშ-ში სასწავლებლად გზავნის წარმატებულ სტუდენტებს, გამოსცემს ინტერნეტ-გაზეთსაც. 2005-იდან გამოდის გაზ. ,,მამული'' მ. კაჭახიძის რედაქტორობით, 2008-იდან – ,,Tbilisi– New York'' მ. ერისთავის რედაქტორობით. აშშ-ში ქართული Ე-ის ოფიც. წარმომადგენელია თ. ფრანგიშვილი. კორ-

პორაციასთან ,,გრაალი – ქართული სახლი ნიუ-იორკში'' არსებობს საკვირაო სკოლა სადაც ქართ. ენას, ლიტერატურასა და ისტორიას 60-მდე ბავშვი სწავლობს. ბრუკლინში მოქმედებს საფოსტო ,,ქართველ ემიგრანტთა მომსახურების ცენტრი აშშ-სა და კანადაში'', რესტორნები: ,,თბილისი'', ,,საქართველო'', თონე ,,ქართული პური'' და სხვა. კალიფორნიაში, ლოს-ანჯელესში ი. მიხელსონ-შამელაშვილმა დააარსა საპროდიუსერო კინოჯგუფი. ფილადელფიაში გამოდის გაზეთი ,,ერთობა'' ნ. მუმლაძის რედაქტორობით. ვაშინგტონში არსებობს ,,თბილისური ქარვასლა'' და ა. შ.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს აშშ-სა და კანადაში ქართ. მართლმადიდებელი ეკლესიის არსებობას. ნიუ-იორკში წირვაზე მრევლი იკრიბება ძირითადად წმ. ნინოს ეკლესიაში, რ-იც 2003 დაარსდა, ხოლო ვაშინგტონში – წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში.

ლიტ.: დ ა უ შ ვ ი ლ ი რ., ქართული ემიგრაცია 1921–1939 წლებში, თბ., 2007. *რ. დაუშვილი.*



ე. ემსჰაიმერი.

ემინი იოსებ (1726, ჰამადანი, – 2. VIII. 1809, კალკუტა), XVIII ს. 60-იანი წწ. სომეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე. განათლება მიიღო ინგლისში. იგი ინდოეთის სომეხთა სავაჭრო ბურჟ. წრიდან იყო გამოსული და მისი მოწინავე ნაწილის მისწრაფებებს გამოხატავდა; ინდოეთის მდიდარმა სომხ. ბურჟუაზიამ საქართველოსთან ურთიერთობაში თავისი სოც.-პოლიტ. ინტერესების შესაფერისი ცვლილებები შეიტანა. მან დაგეგმა, შეექმნა ბურჟ. ტიპის ქართ.-სომხ. ფედერ. სახელმწიფო, რ-ის არსებობის გარანტია რომელიმე ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოს მფარველობას უნდა უზრუნველეყო. ეს თვალსაზრისი დაედო საფუძვლად ე-ის პოლიტ. პროგრამას, რ-ის რეალიზაციისათვის მხარდამჭერ მფარველებს იგი თავდაპირველად ინგლისში, შემდეგ კი რუსეთში ეძებდა. ე-ის პოლიტ. გეგმების მიმართ ინგლისის პრემიერ-მინისტრი უ. პიტი გულგრილი აღმოჩნდა, რუს. მთავრობა კი მხოლოდ თანაგრძნობით შემოიფარგლა. ე. პეტერბურგში თეიმურაზ II-ის ვიზიტს შეესწრო და იმედი მიეცა, რომ ქართვ. მეფე დაიყოლიებდა რუსეთს კავკასიის ქრისტიანების მფარველობაზე. ე. თეიმურაზ II-ის ხელშეწყობითა და კანცლერ მ. ვორონცოვის სარეკომენდაციო წერილით საქართველოში გამოემგზავრა თავისი პოლიტ. პროგრამის ერეკლე II-თან განსახილველად. ევროპაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე ე. დარწმუნებული იყო, რომ ერეკლე II-ს შეეძლო დამპყრობლებისაგან სომხ. მიწების გამოხსნა. მისი აზრით, ქართ. ხმლისა და სომხ. კაპიტალის შეერთება უზრუნველყოფდა მეზობელი ხალხების დამოუკიდებელ განვითარებას, რისთვისაც საჭირო იყო ბურჟ. ხასიათის ზოგიერთი რეფორმის გატარება. ერეკლე II-თან ე-ის შეხვედრა 1763 აპრილში შედგა. მალე გაირკვა, რომ ე-ს კაპიტალი არ ჰქონდა. ამის გარეშე კი მის ევრ. განმანათლებლურ იდეებსა და რეფორმატორულ წინადადებებს აზრი ეკარგებოდა. მიუხედავად ამისა, ერეკლე II-მ შესაძლებლად მიიჩნია ე-ის საქმიანი კავშირები სომხ. ორგანიზაციებთან ქვეყნის სასარგებლოდ გამოეყენებინა 1764 შემოდგომაზე ოსმალეთთან საომარი მდგომარეობის შექმნისას. მალე ოსმალეთიდან თავდასხმის უშუალო საფრთხემ განვლო, ე. კი თავისი პოლიტ. პროგრამის განსახორციელებლად ჯიუტად ცდილობდა ქართლ-კახეთის სამეფოს ირან-ოსმალეთთან შეჯახებას, რაც ავანტიურის სახეს იღებდა. ე-ის წინააღმდეგ გამოვიდნენ ეჩმიაძინის და თბილისის სომეხი ვაჭრებიც. ამის შემდეგ ერეკლე II-მ ,,სახიფათო'' სტუმარი მალე გაისტუმრა. თავისი თავგადასავალი ე-მა აღწერა ავტობიოგრაფიაში, რ-იც 1792 გამოვიდა ლონდონში (ინგლისურ ენაზე).

თხზ.: The life and adventures of Joseph Emin and Armenian, written in English by himself, L., 1792.

ლიტ.: И о а н н и с я н А. Р., Иосиф Эмин, Ер., 1989. *გ. მაისურაძე.*

ემისია (ლათ. emissio – გამოშვება), ყველა სახის ფულის ნიშნების, აგრეთვე ობლიგაციების, აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვება მიმოქცევაში. ძირითადად ნაღდი ფულის ნიშნების გამოშვების აღმნიშვნელ ტერმინად ხმარობენ. როცა მიმოქცევაში ფულის სახით ოქრო გამოიყენებოდა, ე-ის რეგულირება ხდებოდა ბუნებრივი გზით და მიმოქცევის მოთხოვნათა შესაბამისად. თუ მასზე მოთხოვნა მცირდებოდა, მაშინ ზედმეტი ფული განძად გადაიქცეოდა და მიმოქცევაში არ მონაწილეობდა, ხოლო თუ მოთხოვნა გაიზრდებოდა, განძად ქცეული ოქრო ისევ ჩაერთვებოდა მიმოქცევაში. მას შემდეგ, რაც მიმოქცევაში ოქროს ფული აღარ გამოიყენება და მისი ადგილი ქაღალდის ფულის ნიშნებმა დაიკავა, ე-ის თვითრეგულირების პროცესი მოიშალა – ქაღალდის ფულს განძად ქცევის უნარი არა აქვს და ამიტომ იგი მიმოქცევიდან ავტომატურად ვერ ამოვა.

ფულის ნიშნების დამატებითი ე. საჭიროა მაშინ, როცა წარმოებისა და საქონელბრუნვის მოცულობა იზრდება, ხოლო ფასები შედარებით მყარია და ფულის ბრუნვადობა არ ჩქარდება. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ნაღდი ფულის მასის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმოქცევის არხებში ჩერდება და ბანკებს არ უბრუნდება, ე. უკვე იძულებითი ღონისძიებაა და უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონ. მდგომარეობაზე.

ჭარბი ე-ის შედეგად ფული უფასურდება, ფასები იზრდება, ინფლაციის პროცესი ძლიერდება, მოსახლეობის ცხოვრების დონე ეცემა. ე-ის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სახელმწ. ბიუჯეტის დეფიციტი (იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება მის დაფარვას ფულის დამატებითი მასის გამოშვების გზით ცდილობს). ფულის ჭარბ ე-ს იწვევს აგრეთვე *ინფლაცია*.

მიმოქცევაში ნაღდ ფულს ქვეყნის ცენტრ. ბანკი და სახელმწ. ხაზინა (ემიტენტები) უშვებს (პირველი – ბანკნოტებს, მეორე – ხურდა ფულსა და სახაზინო ბილეთებს).

საქართველოში საერთაშ. სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა (1995 წ. 25 სექტ-იდან) მიმოქცევაში სრულფასოვანი ეროვნ. ვალუტის – *ლარის* შემოღებისათვის. ე. მკაცრ სახელმწ. კონტროლს დაექვემდებარა.

საბაზრო ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად იზრდება ფასიანი ქაღალდების ე., რაც აქციების გამოშვების გზით ხორციელდება სააქციო საზ-ბის დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალის ფორმირებისათვის, სააქციო საზ-ბის საწესდებო კაპიტალის გაზრდისათვის, აგრეთვე ნებისმიერი იურიდ. პირის სააქციო საზ-ბად გარდაქმნის დროს; ასევე სასესხო ვალდებულებათა გამოშვების გზით იურიდ. პირების, სახელმწიფოს ან ადგილ. ორგანოების მიერ სასესხო კაპიტალის მოზიდვისათვის.

ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას *ემიტენტს* მოეთხოვება ე-ის პროსპექტის მომზადება და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში (საქართვ. ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია) დასამტკიცებლად წარდგენა. ე-ის პროსპექტი წარმოადგენს განცხადებას (შეტყობინებას) წერილობითი ფორმით ან ელექტრონული თუ ბეჭდვითი საინფორმაციო საშუალებებით, რ-ის მიზანია ფასიანი ქაღალდის შეთავაზება გასაყიდად. ე-ის პროსპექტში, ძირითადად, უნდა შევიდეს ფინანსური, მ. შ. საპროგნოზო ინფორმაცია, რ-ის გაცნობის საფუძველზე პოტენციურ ინვესტორებს ეძლევათ შესაძლებლობა შეაფასონ, თუ რამდენად სარგებლიანი და გარანტირებული იქნება მათთვის სახსრების დაბანდება ფასიანი ქაღალდების შეძენის გზით.

საჯარო ფასიანი ქაღალდების ე. ითვალისწინებს წინასწარი, დამტკიცებული და საბოლოო ე-ის პროსპექტის არსებობას. საბოლოო პროსპექტის საფუძველზე საქართვ. ფასიანი ქაღალდების ეროვნ. კომისია რეგისტრაციაში ატარებს ფასიან ქაღალდებს.

ვ. ზურაბიშვილი. ვ. სვანძე.

ემიტენტი (ლათ. emittens, ნათ. ბრ. emittentis – გამომშვები), სახელმწიფო, ნებისმიერი ორგანო ან ორგანიზაცია (ცენტრ. ბანკი, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულება, საწარმო, კომპანია), რ-იც მიმოქცევაში უშვებს ფულის ნიშნებს და ფასიან ქაღალდებს, ანუ ახორციელებს მათ ემისიას.

საქართველოში ფულის ნიშნების ე. ქვეყნის ეროვნ. (ცენტრალური) ბანკია, სახელმწ. ფასიანი ქაღალდებისა – ფინანსთა სამინისტრო. ადგილ. თვითმმართველობის ორგანოები უშვებენ მუნიციპალურ ფასიან ქაღალდებს, საწარმოები კი – წილობრივ და სასესხო ფასიან ქაღალდებს.

ვ. სვანძე.

ემლიძლი, ვულკანური მთა ჯავახეთის ქედზე, დმანისისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების საზღვარზე. სიმაღლე 3054 *მ.* აგებულია პლეისტოცენური ანდეზიტ-დაციტური ლავებით. ჯავახეთში და დმანისის პლატოზე წარმოადგენდა ლავების ამონთხევის ცენტრს. შემოსილია ალპ. მდელოებით.

დ. უკლება.

ემსჰაიმერი (Emsheimer) ერნსტ (15. I. 1904, მაინის ფრანკფურტი, – 1989, სტოკჰოლმი), ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი, საკრავთმცოდნე. წარმოშობით გერმანელი. სწავლობდა ვენისა და ფრაიბურგის უნ-ტებში (გ. ადლერის, ვ. ფიშერის, ვ. გურლიტის, ჰ. ბესელესის ხელმძღვანელობით). 1932–36 მუშაობდა ლენინგრადის მეცნ. აკად. ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყ-ბაში. ამ პერიოდში მისი კვლევის საგანი იყო კავკ. ხალხთა მუს. შემოქმედება. კერძოდ, ე-მა შეისწავლა, გაშიფრა და ნოტებზე გადაიტანა ოსური (100-ზე მეტი) და გურული (30) ხალხური სიმღერა. სწავლობდა მონღოლურ, იუგოსლავიურ, ალბანურ, აფრიკულ, ციმბირის ხალხ. მუსიკას. შეაგროვა ხალხ. მუს. საკრავების კოლექცია (ერთ-ერთი უდიდესი მსოფლიოში). 1961-იდან ი. შტოკმანთან ერთად გამოსცემდა ,,ევროპული სამუსიკო საკრავების სახელმძღვანელოს'', დაინტერესებული იყო მრავალხმიანობის საკითხებით. 1937 ხელმძღვანელობდა ჩრდ. კავკასიაში ჩატარებულ ფოლკლორულ ექსპედიციას. მრავალხმიანობის საკითხებს მიუძღვნა შრომები: ,,ზოგიერთი შენიშვნა ევროპულ ხალხურ მრავალხმიანობაზე'' (1964) და ,,ქართული ხალხური მრავალხმიანობა'' (1967).

ნ. კალანდაძე.

ემუხვარი ნოდარ მუშნის ძე (დ. 2. VI. 1943, სოფ. შეშელეთი, გალის მუნიციპალიტეტი), კარდიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1997), მედ. მეცნიერებათა აკად. წევრი (2003). 1967 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედიცინო ინ-ტი; 1996–98 მუშაობდა თსსუ-ის №1 კლინ. დირექტორად, 1998–99 იყო თსსუ-ის სამკურნალო ფაკ-ტის დეკანი, 1995–2005 – თსსუ-ის პრორექტორი სამკურნალო დარგში, 1995–2006 – თსსუ-ის შინაგანი მედ. კათედრის გამგე. 2006-იდან დეპარტამენტის ხელმძღვანელი და კერძო თერაპიის მიმართულების სრული პროფესორია.

ე-ს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი (მ. შ. 1 მონოგრაფია), სახელმძღვანელო ,,შინაგანი სნეულებანი'' (ორ ტომად).

ე. არის ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის წევრი (1990), ჟურნალების ,,საქართველოს სამედიცინო მოამბე'', ,,კარდიოლოგია და შინაგანი მედიცინა'' სარედაქციო საბჭოს წევრი (2007).

ემხვარები, ემუხვარები (აფხაზურად – ემხაა), ფეოდალური საგვარეულო აფხაზეთში, თავადები. არსებობს გადმოცემა, რომ წარმოშობით უკავშირდებიან ქართლელ ამილახვრებს. თავდაპირველად ცხოვრობდნენ ჯირხვაში (ბზიფის აფხაზეთი), XVII ს. ბოლოს კი იკავებენ ოქუმისა და წარჩეს ხეობების ზემოწელს (ახლანდ. გალის მუნიციპალიტეტის ჩრდ. ნაწილი). მიწებს ფლობდნენ აგრეთვე აბჟუაში (ახლანდ. ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი) და გაგრასთან. XIX ს. – XX ს. დასაწყისის აფხაზეთის ისტორიაში არაერთი ემხვარია ცნობილი, მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: მელიტონ ემხვარი – 1877–78 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის მონაწილე, შემდეგ – სამურზაყანოს მარშალი, აფხაზთა დელეგაციის წევრი მეფისნაცვალთან (1916); მელიტონის ვაჟი ნიკოლოზ ემხვარი – ,,ველური'' დივიზიის აფხაზთა ასეულის ოფიცერი, ძიძიშვილთან ერთად მოკლეს ბოლშევიკებმა 1918 (ეს ამბავი დაედო საფუძვლად ლ. ქიაჩელის მოთხრობას ,,ჰაკი აბბა''); ა. *ემხვარი*; ლუდა (არსენ) ემხვარი – ცნობილი აბრაგი, უმცროს ძმასთან და ბიძასთან ერთად 1922-იდან აქტიურად ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას. მოკლეს 1935.

გ. ანჩაბაძე.



ა. ემხვარი.

ემხვარი არზაყან (დიმიტრი) ყაზილბაქის (კონსტანტინე) ძე (26. X. 1880, სოფ. ჩხორთოლი, ახლანდ. გალის მუნიციპალიტეტი, – 24. III. 1939, პარიზი), სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. წარმოშობით აფხაზ თავადთა ოჯახიდან. ადრე დაობლებული აღიზარდა ძიძის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება სოფ. ოქუმში მიიღო, სწავლა განაგრძო თავდაპირველად ახალსენაკის სას. სასწავლებელში, შემდეგ – ქუთაისის სას. სემინარიაში, რ-იც 1902 დაამთავრა. სწავლის პერიოდში ქრისტ. გამავრცელებელი საზ-ბის სტიპენდიანტი იყო. გადაწყვეტილი ჰქონდა რუსეთში სწავლის გაგრძელება, მაგრამ ვერ შეძლო. საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის დაფუძნების შემდეგ ე-ს საშუალება მიეცა თავისი ნიჭი და ენერგია ქვეყნის სამსახურისათვის მოეხმარებინა. დიდ წინააღმდეგობას უწევდა ადგილ. შოვინისტებს, ბოლშევიკ რენეგატებს, რუს. და თურქ. ინტერესების აქტიურ დამცველებს. 1919 მარტში აფხაზეთში ჩატარდა სახ. საბჭოს დემოკრ. არჩევნები. 18 მარტს ახლად არჩეული საბჭოს I-მა სხდომამ თავ-რედ ე. აირჩია. მალე იგი სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის მთავ-

რობას, კერძოდ, კომისარიატს. Ე. იყო საქართვ. უზენაესი ორგანოს – დამფუძნებელი კრების წევრი. იღვწოდა საქართველოს და, კერძოდ, აფხაზეთის კეთილდღეობისათვის. 1921 Ე. საქართვ. ეროვნ. მთავრობასთან ერთად იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. თავდაპირველად სტამბოლში ცხოვრობდა, ბოლოს პრაღაში დაბინავდა, სადაც მცირერიცხოვან ქართ. კოლონიას მეთაურობდა. 1939 წ. 8 მარტს იგი ეწვია ქართ. ემიგრაციას პარიზში, რათა უფრო ახლოს გასცნობოდა მათ მუშაობას; მოულოდნელად ავად გახდა და გარდაიცვალა. ქართულმა ემიგრაციამ იგი დიდი პატივით დაკრძალა ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

ემიგრაციაში მყოფ Ე-ს მიმოწერა ჰქონდა სამშობლოში დარჩენილ ოჯახთან – მეუღლე მარიამ ჩიკვაიძესა და შვილებთან: ვლადიმერსა (რ-იც, როგორც ჩანს, 1937 ამ მიმოწერას ემსხვერპლა) და გიორგისთან (გივისთან). ამ წერილებიდან ნათლად ჩანს, რომ Ე. იყო ,,აფხაზეთის დიდი მამულიშვილი და საქართველოს უსაზღვრო პატრიოტი‘‘.

ლიტ.: შ ა რ ა ძ ე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. 2, თბ., 1993. *დ. ჩიტაია.*

ენაგეთი (ყოფ. პ ა ტ ა რ ა ე ნ ა გ ე თ ი), სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ასურეთის თემში (ქვემო ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ენაგეთისხევის (ალაგეთის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 800 *მ,* თეთრი წყაროდან 21 *კმ.* 414 მცხ. (2002).

Ე. წყაროებში XVI ს-იდან მოიხსენიება. 1523, ბარათაშვილების გაყრისას, სოფელში ყოფილა მათი სასახლე. Ე-ში უცხოვრიათ დათონაშვილებს, ასათიშვილებს, ჯანიაშვილებს, თომიაშვილებს, პავლიაშვილებს, ყურშიაშვილებს, ყარაგოზიშვილებს... შემდგომ საუკუნეებშიც Ე. ბარათაშვილ-გოსტაშაბიშვილების მამულებში შედიოდა, თუმცა იქ იყვნენ სხვა მებატონეებიც. აღწერილი და დატანილი აქვს რუკაზე ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.). სოფლის ჩრდ.-დას-ით დაახლ. 2 *კმ*-ზე გვიანდ. შუა საუკ. ძვ. Ე-ის ნასოფლარია, სადაც შემორჩენილია 8 საყდარი ნანგრევების სახით. Ე-ის მიდამოებში კიდევ რამდენიმე ეკლესიის ნანგრევებია. ერთ-ერთი მათგანის, წმინდა სამების გვიანდ. შუა საუკ. ეკლესიის ირგვლივ XVIII–XIX სს. სასაფლაო და რამდენიმე ქვაჯვარია.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკ. I მეოთხედში, ნაწ. 1–2, თბ., 1935; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, ტფ., 1914.

ლიტ.: ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ი., მატერიალური კულტურის ძეგლები ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მასალების მიხედვით, «ძეგლის მეგობარი», 1979, №50.

ენაგეთის ბრძოლა 1488, ბრძოლა თურქმანთა და ქართველთა ლაშქარს შორის. საქართველოში შემოიჭრა თეთრბატკნიან (აყ-ყოიუნლუს) თურქმანთა ჯგარი ხალილბეგის სარდლობით. კოჯრის ციხის აღების შემდეგ თურქმანებმა თბილისს შემოარტყეს ალყა. ქართლის მეფე *კონსტანტინე II* მდ. ნიჩბისისწყალთან იდგა და ჯგარს აგროვებდა. სამცხის მთავარმა და კახეთის მეფემ დახმარებაზე უარი უთხრეს. თბილისთან მდგარმა თურქმანთა სარდალმა მარბიელი ლაშქარი შეუსია ქვემო ქართლს. მომხდურებმა ამოწყვიტეს ორბეთის ძირისა და მთის სოფლები, დადძალი ტყვე და ალაფი ჩაიგდეს ხელთ. სოფ. ენაგეთში იდგნენ სულხან ბარათაშვილი და მისი ძმები, რ-ებიც თავს დაესხნენ მოთარეშე თურქმანებს და სასტიკად დაამარცხეს. გაქცეული მტერი ,,მისჯარნეს ხევსა ხირხალასა, ასე ხოცა დაუწყეს, ვითა ქათამთა მართუეთა. ხოლო მოსცა ღმერთმან ძლევა ქრისტეანეთა, დახოცეს ურიცხვი... რაცა სიკუდილსა მორჩეს, ხელთა დაიპყრეს‘‘. მერაბ ბარათაშვილს დაუტყვევებია ერთი თურქმანი თავადი, რ-იც იაყუბ-ყაენის ნათესავი და უახლოესი პირი ყოფილა. პირველ ბრძოლას ვერ მოუსწრეს ქაიხოსრო ბარათაშვილმა, ჯავახ ჯავახიშვილმა და ქავთარ სოლოღაშვილმა, მაგრამ უკუქცეული მტრის არიერგარდს (ჩაღათაულთ) 20 კაცით შეებნენ. ამ გამარჯვების მიუხედავად, კონსტანტინე მეფეს თურქმანთა ძირითად ჯგართან საბრძოლველად ძალა არ ჰყოფნიდა; უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ 1489 თებერვალში თბილისი უბრძოლველად გადასცა ხალილ-ბეგს, იაყუბ-ყაენის გარდაცვალების (1490) შემდეგ კი კონსტანტინემ თურქმანები თბილისიდანაც განდევნა და ქართლიდანაც.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: კ ი კ ნ ა ძ ე რ., საქართველო–ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. მეორე ნახევარში, «ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები», 1963, ტ. 7; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967; მ ი ს ი ვ ე, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982. *ნ. ასათიანი.*

ენათმეცნიერება, მეცნიერება ენის რაობის, მისი ფუნქციებისა და აგებულების, ენის განვითარებისა და წარმოშობის შესახებ. შეიქმნა XIX ს. I მეოთხედში შედარებითი და ისტ. გრამატიკის საფუძველზე. ენათა შეგნებული შესწავლა, საზოგადოდ, დაკავშირებულია დამწერლობის შექმნასთან. ამიტომ Ე-ის წარმოშობის წყაროებს მივყავართ ინდოეთთან (პანინი, ძვ. წ. V–IV სს.), საბერძნეთსა და რომთან.

ქართ. Ე-ის კვლევის მთავარი ობიექტია ქართული ენა; აღწერითი და ისტ. თვალსაზრისით შეისწავლება როგორც ძვ., ისე ახ. ქართული დიალექტებითურთ. ქართ. ენის ყოველმხრივი შესწავლის საჭიროებამ მოითხოვა მისი კვლევა მონათესავე ქართველურ და მთის იბერიულ-კავკ. ენებთან კავშირში. ამან კი საფუძველი ჩაუყარა *იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებას,* რ-იც, თავის მხრივ, საყურადღებო მასალას იძლევა განზოგადებისათვის, ენისა და Ე-ის თეორ. საკითხთა დასამუშავებლად.

ჩვენს დრომდე დაცული მასალების მიხედვით, ქ ა რ თ უ ლ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ა X ს-იდან დაიწყო (ათონის სკოლა, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და სხვ.). შემდგომ, მონღოლთა და თურქ-სპარსთა შემოსევების შედეგად, მეცნ. აზრის განვითარება შეწყდა.

XVII ს-ში ქართ. ენის გრამატ. კვლევა განახლდა იტალ. კათოლიკე მისიონერების ინიციატივით. რომში 1629 ,,ქართულ-იტალიური ლექსიკონი‘‘ შეადგინა და გამოსცა ს. *პაოლინიმ,* რ-საც დახმარებას უწევდა ნიკიფორე ირბაქი (ნ. *ჩოლოყაშვილი*). რომშივე გამოიცა ფ.-მ. *მაჟოს* მიერ ლათ. ენაზე შედგენილი ქართ. სასაუბრო ენის გრამატიკა [(I გამოც. – 1643, II – 1670), ს. პაოლინის ლექსიკონი და ფ.-მ. მაჟოს გრამატიკა 1983 დაიბეჭდა თბილისში: არნ. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, ,,პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები‘‘].

1685–1716 ს.-ს. *ორბელიანმა* შეადგინა ქართ. ენის პირველი ვრცელი განმარტებითი ლექსიკონი, რ-იც დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობას. იგი შეიცავს ძვირფას მასალას ქართ. კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც.

ქართ. ენის ძვ. გრამატიკები ბერძნ.-ლათ. ფილოლ. გრამატი-

კის სისტემას ემყარებოდა. მათგან უძველესია ზ. *შანშოვანის* ,,მოკლე გრამატიკა ქართულისა ენისა'' (დაიწერა 1737, გამოიცა 1881). *ანტონ I-მა* შეადგინა ორი გრამატიკა: პირველი (1753) – მხითარ სებასტიელის სომხ. გრამატიკის მიხედვით, მეორე – უფრო დამოუკიდებელი და ორიგინალური (1767). ეს უკანასკნელი არის სამწერლობო ქართულის ფილოლ. გრამატიკა, რ-შიც ასახულია ქართ. ენის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი მორფოლ. და სინტაქსური თავისებურებანი.

ანტონ I-ის გრამატიკა დაედო საფუძვლად გრამატიკის სახელმძღვანელოებს XVIII ს. II ნახ. და XIX ს. I ნახევარში. განსაკუთრებით ითქმის ეს *გაიოზ რექტორის* (1796–1800), *დავით ბატონიშვილისა* (1790) და ეპისკოპოს *ვარლამის* მიერ შედგენილ (1802, რუს. ენაზე) გრამატ. სახელმძღვანელოებზე. ანტონისავე გრამატიკას ემყარება ი. *ქართველიშვილის* გრამატიკა (1809), გ. *ფირალიშვილის* თვითმასწავლებელი (1820), *იოანე ბატონიშვილის* გრამატიკა (1829), ს. *დოდაშვილის* ,,შემოკლებული ქართული ღრამმატიკა'' (1830), პ. *იოსელიანის* ,,პირველ დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა'' (1840). ცოცხალი სასაუბრო ქართულია წინ წამოწეული დ. *ჩუბინაშვილის* მოკლე ქართ. გრამატიკაში (1855, რუს. ენაზე). ქართ. გრამატიკები, დ. ჩუბინაშვილის გრამატიკის ჩათვლით, მეტწილად რუს. სასკოლო სახელმძღვანელოების სქემას ემყარება. ქართ. სასკოლო გრამატიკებიდან ყველაზე გავრცელებული იყო ა. ქუთათელაძის ,,პირველდაწყებითი ქართული გრამატიკა'' (1888–1907, გამოიცა ოთხჯერ) და ს. თ. *ხუნდაძის* ,,ქართული გრამატიკა'' (1904–20, გამოიცა შვიდჯერ), ანტონ I-ის, დ. *ყიფიანის* ,,ახალი ქართული გრამმატიკა'' (1882). ს. დოდაშვილის, ი. ქართველიშვილისა და იოანე ბატონიშვილის გრამატიკები ფასეულ დაკვირვებას შეიცავს ბრუნების, მეტადრე ზმნის ორპირიანობის, შესახებ. თ. *ყორდანია* ,,ქართულ გრამატიკაში'' (1889) ცდილობს, ისტორიულად ახსნას ზოგიერთი მოვლენა. ქართველურ ენათა მონაცემებს იყენებს მ. *ჯანაშვილი* და, ამრიგად, მისი ,,ქართული გრამატიკა'' (1906) შეპირისპირებითი ანალიზის ელემენტებს შეიცავს.

XIX ს-ში რამდენიმე ლექსიკონი შეიქმნა: ნ. დ. *ჩუბინაშვილმა* შეადგინა ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები (1812–1825); დ. ჩუბინაშვილმა, რ-იც პეტერბ. უნ-ტში მოღვაწეობდა, ფართოდ გამოიყენა თავისი ბიძის (ნ. დ. ჩუბინაშვილი) ლექსიკონი და შეადგინა ქართ.-რუს. ლექსიკონი, რ-ის პირველი გამოცემა (1840) მ. *ბროსემ* შეავსო ფრანგ. შესატყვისებით. დ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა აგრეთვე რუს.-ქართ. ლექსიკონი (1846). საყურადღებოა რ. *ერისთავის* ,,მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან'' (1884).

XIX ს. 70-იან წლებში პეტერბურგში საფუძველი ჩაეყარა ქართ. ენის მეცნ. შესწავლას. ა. *ცაგარელმა* ხელი მოჰკიდა ქართველურ ენათა ისტ.-შედარებით კვლევას. მან რუს. ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომები: ,,კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა'' (1872), ,,ქართული ენის საგრამატიკო ლიტერატურის შესახებ'' (1873) და სხვ. ქართ. და ქართველური ენების მეცნ. კვლევა განახლდა პეტერბურგში XX ს. დასაწყისში, როდესაც გამოქვეყნდა ნ. *მარის* ,,ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები'' (1908), მისივე ,,ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკა'' (1925) და ,,ჭანურის გრამატიკა'' (1910), აგრეთვე, ი. ა. *ყიფშიძის* ,,მეგრული გრამატიკა'' (1914) და სხვ. შრომები.

საქართველოში საენათმეცნიერო მუშაობა გაიშალა თსუ-ის დაარსების (1918) შემდეგ. უნივერსიტეტში დაცული პირველი დისერტაცია შეეხებოდა ქართ. ენის მორფოლ. რთულ საკითხს: ,,სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ზმნებში'' (ა. *შანიძე*, 1920). ქართ. ენის ისტ. კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ივ. *ჯავახიშვილის* მიერ ხანმეტი ძეგლების აღმოჩენასა და გამოქვეყნებას (1923).

XX ს. 20-იან წლებში საქართველოში ე-ის განვითარებას სათავეში ჩაუდგნენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში აღზრდილი თსუ-ის დამაარსებლები: ივ. ჯავახიშვილი, ი. ა. ყიფშიძე, ა. შანიძე, გ. *ახვლედიანი*, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ მათთან ერთად იღვწოდნენ თსუ-ის I გამოშვების კურსდამთავრებულნი – არნ. *ჩიქობავა*, ს. *ჯანაშია*, ვ. *თოფურია*.



ქართველი ენათმეცნიერები (მარცხნიდან): არნ. ჩიქობავა, ა. შანიძე, ვ. თოფურია.

გიაში ძირითადი ნაშრომებია: ს. *ჟლენტის* ,,ქართული ენის ფონეტიკა'' (1956) და ,,ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა'' (1963), ,,სალიტერატურო ქართული ენის გენერატორულ-ფონოლოგიური მოდელი'' (გ. ნებიერიძე, 1974), ,,ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა'' (თ. *უთურგაიძე*, 1976). დამუშავებულია ქართველური და მთის იბერიულ-კავკ. ენების ფონეტიკა-ფონოლოგიის არაერთი კარდინალური საკითხი.

ა. შანიძის მრავალრიცხოვანი გამოკვლევები მორფოლოგიის საკითხებზე შეჯამებულია მის ,,ქართულ გრამატიკასა'' (1930) და ,,ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში'' (1953; II გამოც. – 1973, III გამოც. – 1980). მორფოლ. საკვანძო საკითხებს ეძღვნება არნ. ჩიქობავას ,,ქართული ენის ზოგადი დახასიათება'' (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, II გამოც. ცალკე წიგნად, თბ., 1998), აგრეთვე წერილების სერია ,,რა თავისებურებები ახასიათებს ქართულის აგებულებას?'' (1929–30; II გამოც. ცალკე წიგნად – 1998). მნიშვნელოვანი გამოკვლევები ზმნათა სუფიქსაციის, დროისა და გვარის მაწარმოებელთა საკითხების შესახებ ეკუთვნის ვ. თოფურიას. გამოქვეყნებულია მონოგრაფიები ქართ. ენის მორფოლ. პრობლემებზე: ბ. *ჯორბენაძის* ,,ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები'' (1975), მისივე ,,ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები'' (1980); მ. დამენიას ,,ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები'' (1982); მ. სუხიშვილის ,,სტატიკური ზმნები ქართულში'' (1976) და ,,გარდამავალი ზმნები ქართულში (სისტემისა და ისტორიის ზოგი საკითხი'', 1986), დ. მელიქიშვილის ,,ქართული ზმნის უღლების სისტემა'' (2001), თ. უთურგაიძის ,,სახელის მორფოლოგიური ანალიზი ქართულში'' (1986), მისივე ,,გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში'' (2002), გ. გოგოლაშვილის ,,ქართული ზმნის უღვლილების სისტემა'' (1988), მისივე ,,ქართული ზმნა'' (2010) და სხვ.

სინტაქსის საკითხებია განხილული ლ. *კვაჭაძის* ,,თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში'' (1966; II გამოც. – 1977, III გამოც. 1988; IV გამოც. – 1996; V გამოც. – 2010), ა. ა. *დავითიანის* ,,ქართული ენის სინტაქსში'' (1973). გამოქვეყნდა აგრეთვე ლ. კვანტალიანის ,,ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები'' (1990), შ. აფრიდონიძის ,,სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში'' (1986), ა. *კიზირიას* ,,მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შემადგენლობის მიხედვით და კომუნიკატივები'' (1987), რ. ჭიკაძის ,,წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში'' (1995) და სხვ.

დასახელებული ავტორების გარდა, ქართ. ენის მორფოლ. თუ სინტაქსის საკითხებზე საინტერესო წერილები აქვთ გამოქვეყნებული გ. *როგავას*, გ. ი. *მაჭავარიანს*, ნ. აბესაძეს, დ. *გეწაძეს*, გ. კაჭარავას, ე. *პაპუნაშვილს*, გ. *ბურჭულაძეს*, ლ. გეგუჩაძეს, მ. *მაჭავარიანს*, ა. *ფოცხიშვილს* და სხვ.

ძველი ქართული გრამატ. წყობას მიეძღვნა ა. შანიძის ,,ძველი ქართული ენის გრამატიკა'' (1976, ქართ. ენაზე; 1982, გერმ. ენაზე), არნ. ჩიქობავას ,,მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. 1. ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში'' (1928; II გამოც. – 1968); მისივე ,,ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში. 1. ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით'' (1948). ძვ. ქართულის სტრუქტურისა და ქართ. ენის ისტ. საკითხებია განხილული აგრეთვე მონოგრაფიებში: ,,ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში'' (ი. *ქავთარაძე*, 1954); ,,ქართული ენის ისტორიისათვის'' (მისივე, 1964), ,,სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში'' (ი. *იმნაიშვილი*, 1964), ,,ზმნა ძველ ქართულში'' (ი. და ვ. იმნაიშვილები, ორ ნაწილად, 1996); ,,რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში'' (შ. *ძიძიგური*, 1989); ,,ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში'' (მ. ძიძიშვილი, 1960); ,,რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში'' (ფ. *ერთელიშვილი*, 1963); ,,ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში'' (მისივე, 1970); ,,მარტივი წინადადებების შედგენილობა ძველ ქართულში'' (ა. კიზირია, 1963); ,,რთული წინადადებების შედგენილობა ძველ ქართულში'' (მისივე, 1969); ,,ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში'' (დ. ჩხუბიანიშვილი, 1972); ,,იოანე პეტრიწის ენა და სტილი'' (დ. მელიქიშვილი, 1975); ,,ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები'' (ზ. *სარჯველაძე*, 1975); ,,ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი'' (მისივე, 1984); ,,ზმნისწინი ძველ ქართულში'' (ი. ვეშაპიძე, 1967); ,,ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები'' (კ. *დანელია*, 1983); ,,მესამე სერიის ნაკვთეულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში'' (ა. არაბული, 1984) და სხვ. ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია გამოკვლეული ილ. *აბულაძის*, კ. *დონდუას*, გ. როგავას, ლ. კიკნაძის, ქ. *ლომთათიძის*, ა. *მარტიროსოვის*, თ. უთურგაიძის, ც. ქურციკიძის, თ. ცქიტიშვილის, მ. *შანიძის*, ჭ. თევზაძისა და სხვათა წერილებში.

რუსთაველის ენას მიეძღვნა ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ილ. აბულაძის, ვუკ. *ბერიძის*, გ. ვ. *წერეთლის*, შ. ძიძიგურის, ქ. ლომთათიძის, ა. *ჭინჭარაულის*, ი. *მეგრელიძისა* და სხვ. წერილები; ი. *გიგინეიშვილის* ,,გამოკვლევები ვეფხისტყაოსნის ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ'' (1975); ა. ჭინჭარაულის ,,ვეფხისტყაოსნის'' ენისა და ტექსტის საკითხები'', წიგნი I (1982) და გ. *კარტოზიას* ,,ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები'' (1975).

მონოგრაფიულადაა შესწავლილი ი. ჭავჭავაძის (გ. შალამბერიძე, 1966), რ. ერისთავის (ო. ურიდია, 1966), ვ. ბარნოვის (ე. კოშორიძე, 1966), ე. გაბაშვილის (ი. კიკნაძე, 1982), კ. გამსახურდიას (ნ. ლემონჯავა, 1983) ენისა და სტილის საკითხები. ცალკეულ მწერალთა ლექსიკონები შეადგინეს ა. ჭინჭარაულმა ,,ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი'' (1969), თ. სანიკიძემ ილიას, აკაკისა და გალაკტიონის პოეზიათა ლექსიკონები და სხვ. სტატიები გამოქვეყნებული აქვთ აგრეთვე ა. შანიძეს, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, შ. ძიძიგურს, ი. გიგინეიშვილს, ბ. ჯორბენაძეს, ო. ურიდიას, გ. *კვარაცხელიას*, ზ. სარჯველაძეს და სხვ.

ქართ. ენის ლექსიკის თანამედროვე ვითარებას ასახავს საქართვ. მეცნ. აკადემიის მიერ გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (1950–64, 8 ტ.; დაახლ. 113 ათ. სიტყვა, მთ. რედაქტორი არნ. ჩიქობავა; საქართვ.

სახელმწ. პრემია, 1971); ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული, 1986, მთ. რედაქტორი არნ. ჩიქობავა, რედ. მ. *ჭაბაშვილი;* II გამოც., – 1990, 2 ნაკვეთად); დაიბეჭდა აღნიშნული ლექსიკონის განახლებული რედაქციის I (2007) და II (2010) ტტ., მთავარი რედ. ა. არაბული; რვატომეულის ბაზაზე შექმნილია ,,ინვერსიული ლექსიკონი'' (შედგენილი ბ. *ფოჩხუას* ხელმძღვანელობით, 1967). რამდენჯერმე გამოიცა უცხო სიტყვათა ლექსიკონი: ი. იმედაშვილისა (1904, 1928), გ. ახვლედიანისა (1933), მ. ჭაბაშვილისა (1964, 1973, 1989). გამოქვეყნდა ,,რუსულ-ქართული ლექსიკონი'' პ. ქავთარაძის რედაქციით (1937), აგრეთვე ენათმეცნ. ინ-ტის თანამშრომლების მიერ შედგენილი ,,რუსულ-ქართული ლექსიკონი'' (3 ტ., 1956–59), ,,რუსულ-ქართული ლექსიკონი'' (ერთტომეული, 1983). თანამედროვე ქართ. ენის ლექსიკა მიმოხილულია ნაშრომებში: ,,ქართული ენის ლექსიკოლოგია'' (ბ. ფოჩხუა, 1974); ,,ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები'', ,,ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები'' (ა. *ღლონტი*, 1964, 1983); ,,თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა'' (რ. *შამელაშვილი*, ნაკვ. 1–3, 1972–78); ,,ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის საკითხები'' (ჯ. სილაგაძე, 1981); ,,ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და რუსულ ენებში'' (ნ. მირიანაშვილი, 1986); ,,თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, I'' (ბ. ფოჩხუა, 1987). ქართ. ფრაზეოლოგია და იდიომატიკა შესწავლილი აქვს ა. თაყაიშვილს (,,ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები'', 1961).

ძვ. ქართ. ენის ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისით აღსანიშნავია ილ. აბულაძის ,,ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)'' (1973); ამავე ლექსიკონის ინვერსიული საძიებლები (1979); ზ. სარჯველაძის ,,ძველი ქართული ენის ლექსიკონის (მასალები)'' (1995). ქართ. ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი შეადგინა ი. იმნაიშვილმა (1948–49). ე. გიუნაშვილმა და ზ. კალანდაძემ შეადგინეს ,,ბიბლიის ლექსიკონი (მასალები)'', ორტომეული (2000). ნ. გოგუაძის, ზ. სარჯველაძისა და ზ. შანიძის რედაქციით გამოვიდა ,,ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი'' (I ტ. – 2005, II ტ. –2007), ასევე, ლ. ბარამიძის ,,ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი'' (2009). სამჯერ გამოიცა ,,ვეფხისტყაოსნის'' სიმფონია (1933 გამოსცა კ. ჭიჭინაძემ, 1956 – თსუ-მა ა. შანიძის ხელმძღვანელობით, 1973 – ენათმეცნ. ინ-ტმა მ. ჭაბაშვილისა და ა. ჭინჭარაულის რედაქტორობით). გამოიცა ,,ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი'' (წგ. I–II, 1986). მონოგრაფიულად შეისწავლება სხვადასხვა დარგის ლექსიკა: ,,ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში'' (ლ. გელენიძე, 1974), ,,ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში'' (ი. ქერქაძე, 1974).

ენათმეცნ. ინ-ტი ხელმძღვანელობს ტ ე რ მ ი ნ თ ა უნიფიკაციის, ტ ე რ მ ი ნ ო ლ ო გ ი უ რ ი ლექსიკოგრაფიისა და სტანდარტიზაციის საკითხებს. სათანადო დარგების სპეციალისტებთან თანამშრომლობით ინ-ტში დამუშავდა და გამოიცა სამოცზე მეტი დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონი (ხელმძღვ. ვუკ. ბერიძე, შემდეგ – რ. *ღამბაშიძე*, ი. ჯიბუტი). მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ისეთი ლექსიკონების გამოსვლა, როგორიცაა ,,ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი'' (ავტორ-შემდგენლები: ე. გაბიძაშვილი, მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე – 2007) და ,,ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონის'' ორტომეული, 2010 (პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი დ. მელიქიშვილი).

ქართ. სამეცნ. ტერმინოლოგიის ძირითად პრობლემებს ეძღვნება სპეც. მონოგრაფია ,,ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები'' (რ. ღამბაშიძე, 1986).

ახ. ქართული სალიტ. ენის ნ ო რ მ ი რ ე ბ ი ს ა და სადავო საკითხების მოსაგვარებლად მუშაობა არსებითად XIX ს. 60-იანი წლებიდან დაიწყო, როცა ი. ჭავჭავაძის თაოსნობით გატარდა მნიშვნელოვანი ორთოგრაფიული რეფორმა (ძვ. ასოების ხმარებიდან ამოღება). ეს მუშაობა კიდევ უფრო გაცხოველდა თსუ-ის დაარსების (1918) შემდეგ. 1921 განსახკომთან შეიქმნა სახელმწ. სამეცნ. საბჭო (ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით), შემდეგ (1925-იდან) – ცენტრ. სატერმინოლოგიო კომიტეტი. სხვადასხვა დროს განსახკომთან, ქართული ლიტ-რის ინ-ტთან, საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან მუშაობდა ქართ. სალიტ. ენის ნორმათა დამდგენი კომისია.

1954 საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან დაარსდა თანამედროვე ქართ. სალიტ. ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწ. კომისია. 1995-იდან იგი გადაიქცა საქართვ. პრეზიდენტთან არსებული სახელმწ. ენის მუდმივ სახელმწ. კომისიად (თავ-რე – პრეზიდენტი).

კომისიის სამუშაო ბაზა შეიქმნა საქართვ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტში ქართ. სალიტ. ენის ნორმათა განყ-ბის სახით (1953), რ-იც შემდგომ (1966) გარდაიქმნა ქართ. მეტყველების კულტურის განყოფილებად (ხელმძღვ. ი. გიგინეიშვილი, 1982-იდან – შ. აფრიდონიძე). გამოსულია ,,თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების'' I კრებული (1970, რედ. ი. გიგინეიშვილი; ფოტოტიპური გამოცემა 1986); 1985-იდან დამტკიცებული ნორმები გამოდის ბიულეტენის სახით.

1972-იდან გამოდის კრებ. ,,ქართული სიტყვის კულტურის საკითხები'', გამოქვეყნებულია 12 წიგნი (I–V რედ. ი. გიგინეიშვილი, VI–X რედ. შ. აფრიდონიძე). დაიბეჭდა წიგნები: შ. აფრიდონიძის ,,ჩვენი ენა ქართული'' (2002), ა. არაბულის ,,ქართული მეტყველების კულტურა'' (2004). სალიტ. ქართულის ნორმირება-დახვეწას ემსახურება ,,ორთოგრაფიული ლექსიკონი'' (ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, 1968, 1998), ,,ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი'' (2002, გამოსაცემად მოამზადა ენათმეცნ. ინ-ტმა). ენათმეცნ. ინ-ტმა და ქსე-ის მთავარმა სამეცნ. რედაქციამ ერთობლივად გამოსცეს კ. *გიგინეიშვილის* ,,ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი'' (1985), ,,საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი'' (1987, 2009), ,,საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი'' (1987), ,,საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი'' (1989), ,,უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი'' (1989). პირთა და გეოგრ. სახელთა მართლწერასთან დაკავშირებით ცალკე წიგნებისა და ბროშურების სახ-

ით გამოქვეყნებულია ა. შანიძის, ვ. თოფურიას, შ. ძიძიგურის, ზ. ჭუმბურიძის, გ. შალამბერიძის, ნ. ბასილაიას, ა. გვენცაძისა და სხვათა ნაშრომები. ქართ. სალიტ. ენის სამეცნ. და პუბლიც. სისტემები შესწავლილია გ. კვარაცხელიას მონოგრაფიაში ,,ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა'' (1990).

ქართ. დიალექტოლოგიის დარგში თსუ-ის დაარსებამდე გამოქვეყნდა მ. ჯანაშვილის ნაშრომი საინგილოს შესახებ (1911–13), ნ. მარის მიერ ჩაწერილი იმერხეული ტექსტები და ლექსიკონი (1911) და ა. შანიძის ,,ქართული კილოები მთაში'' (1915). თსუ-ში დამუშავდა არნ. ჩიქობავას შრომები გარეკახურის, მთიულურის, ფერეიდნულის შესახებ, ვ. თოფურიას წერილები ქართლური დიალექტის შესახებ. 20-იანი წლებიდან დაიწყო ქართ. კილოების გეგმაზომიერი შესწავლა. აღწერილია თითქმის ყველა დიალექტი. გამოიცა დიალექტოლოგიური ტექსტები და გამოკვლევები (ა. შანიძე, შ. ძიძიგური, ი. გიგინეიშვილი, ს. ჟღენტი, ი. ქავთარაძე, ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ბ. ჯორბენაძე, რ. ღამბაშიძე, ვ. ფანჩვიძე, ლ. კაიშაური, ი. მეგრელიძე, გ. დოლიძე, ა. ღლონტი, ო. ქაჯაია, შ. ნიჟარაძე, ჯ. ნოღაიდელი, ნ. ნოღაიდელი, ქ. ძოწენიძე, ა. ჭინჭარაული, თ. უთურგაიძე, ვ. სომხიშვილი, ო. კახაძე, მ. *ალავიძე*, კ. კუბლაშვილი, პ. *გაჩეჩილაძე*, კ. გუგუშვილი, ი. ქეშიკაშვილი, ნ. როსტიაშვილი, თ. სალარიძე, გ. ცოცანიძე, პ. ჯავჯანიძე, ო. მიქიაშვილი, შ. ფუტკარაძე და სხვ.). თავისი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა შ. ძიძიგურმა წიგნში ,,ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან'' (1954, I გამოც.; II – 1970). ვ. თოფურიას რედაქციით, ი. გიგინეიშვილისა და ი. ქავთარაძის მონაწილეობით გამოიცა ,,ქართული დიალექტოლოგია'' (1961); დაიბეჭდა ბ. ჯორბენაძის ,,ქართული დიალექტოლოგია I'' (1989), მისივე ,,ქართველურ ენათა დიალექტები'' (1995), ენათმეცნ. ინ-ტის ,,დიალექტოლოგიური კრებული'' (1987, 1988, 1991), ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ,,აჭარული დიალექტიკის დარგობრივი ლექსიკა'' (I–VIII – 1976–92). გამოქვეყნდა რამდენიმე დიალექტოლოგიური ლექსიკონი: აჭარულისა (შ. ნიჟარაძე, 1971), გურულისა (გ. შარაშიძე, 1938), ზემოიმერულისა (ბ. წერეთელი, 1938, ქ. ძოწენიძე, 1974 და პ. გაჩეჩილაძე, 1976), ლეჩხუმურისა (მ. ალავიძე, 1938), ქიზიყურისა (ს. მენთეშაშვილი, 1943), თუშურისა (პ. ხუბუტია, 1969), ინგილოურისა (ნ. როსტიაშვილი, 1978), ხევსურულისა (ა. შანიძე, 1931; ა. ჭინჭარაული, 1960, 2005), მთიულურისა (ლ. კაიშაური, 1967), ქართლურისა (თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, 1981), მოხეურისა (ი. ქავთარაძე, 1985), თუშურისა (გ. ცოცანიძე, 2002) და სხვ. ამჟამად ენათმეცნ. ინ-ტში თ. უთურგაიძის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს მუშაობა ქართ. დიალექტოლოგიურ ატლასზე. აგრეთვე ცალკე დარგები მიმოხილულია დიალექტური ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისით (,,ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში'', ლ. ასათიანი, 1977; ,,პურეულის ლექსიკა ქართულში'', ო. კახაძე, 1987).

იმთავითვე დიდი ყურადღება ეთმობოდა ქართულ-ქართველური ტოპონიმიკის შესწავლას. ფუძემდებლური ნაშრომია ვახუშტი ბაგრატიონის ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა'' (საქართველოს გეოგრაფია). ნაშრომი 4-ჯერ გამოიცა. I გამოცემა ეკუთვნის მ. ბროსეს (1882). მნიშვნელოვანი ტოპონიმიკური მასალაა წარმოდგენილი იოანე ბატონიშვილის ,,კალმასობასა'' (დაწერილია 1813–28; გამოიცა ტ. 1–2, 1936–48) და ,,ქართლ-კახეთის აღწერილობაში'' (შედგენილია 1794–99, ცალკე წიგნად გამოიცა 1986). ქართ. ტოპონიმიკის შესწავლის ისტორიაში ახ. ეტაპს ქმნის ნ. მარის, პ. იოსელიანის, ა. ცაგარლის, ი. ა. ყიფშიძის, ივ. ჯავახიშვილის, ა. შანიძის, მ. ჯანაშვილის, კ. კეკელიძის, ლ. *მელიქსეთ-ბეგისა* და სხვ. ტოპონიმიკური ძიებანი. ამ დარგის კვლევას თანამედროვე ეტაპზე სისტემური ხასიათი მიეცა მას შემდეგ, რაც თსუ-ის ახ. ქართ. ენის კათედრასთან შეიქმნა ტოპონიმიკის ლაბორატორია (1969). ინტენს. ტოპონიმიკური კვლევა-ძიება მიმდინარეობდა აგრეთვე საქართვ. მეცნ. აკად. მთელ რიგ სამეცნ.-კვლ. (არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის, აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა, ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის...) ინ-ტებში. ტოპონიმიკისა და ანთროპონიმიკის საკითხებზე გამოქვეყნებულია მონოგრაფიები, კრებულები, სტატიები (არნ. ჩიქობავა, ს. ჯანაშია, ვ. თოფურია, ნ. ბერძენიშვილი, ქ. ლომთათიძე, გ. როგავა, მ. *ქალდანი*, ა. ღლონტი, ზ. ჭუმბურიძე, ბ. ჯორბენაძე, ა. ჭინჭარაული, ი. მაისურაძე, თ. ზურაბიშვილი, შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია, გ. ბედოშვილი, თ. უთურგაიძე, გ. *თოფურია*, მ. ალავიძე და სხვ.). დაარსდა გამოცემათა სერია ,,ტოპონიმია'' [გამოვიდა 2 ტ. (1976, 1980) და მე-3 ,,ონომასტიკა I'' (1987) შ. ძიძიგურის საერთო რედაქციით]. გამოიცა გ. ბედოშვილის ,,ტოპონიმთა განმარტებითი-ეტიმოლოგიური ლექსიკონი. I'' (2002).

ქართველური ენების (კერძოდ, სვანურისა და ზანურის) შესწავლა, რაც ჯერ კიდევ პეტერბურგში დაიწყეს ა. ცაგარელმა, ნ. მარმა, ი. ყიფშიძემ, გაგრძელდა თსუ-სა და ენათმეცნ. ინ-ტში. სვანური ენის ფონეტ. და მორფოლ. საკვანძო საკითხები გაშუქებულია ა. შანიძის გამოკვლევაში ,,უმლაუტი სვანურში'' (1925) და ვ. თოფურიას წერილებში. საგანგებოდ აღსანიშნავია ვ. თოფურიას ,,სვანური ენა. I. ზმნა'' (1931; II გამოც. – 1967). სვანური ენის სტრუქტურის საკითხებს არკვევს ს. ჟღენტის ,,სვანური ენის ფონეტიკა'' (1949), თ. *გამყრელიძის* «დეზაფრიკატიზაცია სვანურში. ,,გადაწერის წესები'' დიაქრონიულ ფონოლოგიაში''» (1968), მ. ქალდანის ,,სვანური ენის ფონეტიკა I'' (1969), კ. გაგუას ,,დრონაკლი ზმნები სვანურში'' (1976), ა. ონიანის, ,,სვანური ენა'' (1998), სვანური ენა'' (2007, შემდგენლები: ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე), ს. ჯანაშიას, კ. დონდუას, თ. *შარაძენიძის*, გ. მაჭავარიანის, თ. გამყრელიძის, ზ. ჭუმბურიძის, ა. ონიანის, ე. ოსიძის, ნ. აბესაძის, ი. ჩანტლაძისა და სხვ. ნაშრომები. სვანური ენის შესწავლის თვალსაზრისით დიდად მნიშვნელოვანია გამოცემული სვანური ტექსტები (ოთხივე დიალექტისა) და ვ. თოფურიასა და გ. გალდანის ,,სვანური ლექსიკონი'' (2000). არნ. ჩიქობავას ნაშრომში ,,ჭანურის გრამატიკული ანალიზი'' (1936) ჭანურის ფონეტ., მორფოლ. და სინტაქსური მოვლენები განხილულია მეგრულსა და ქართულთან ისტ.-შედარებითი თვალსაზრისით. ზანურის (მეგრულ-ჭანური) ბგერით სისტემას შეეხება ს. ჟღენტის ,,ჭანურ-

მეგრულის ფონეტიკა'' (1953), ნ. იმნაძის ,,ზანური ენის მეგრული დიალექტის ბგერითი შედგენილობა'' (1981), ნ. კიზირიას ,,ჭანურის ბგერითი შედგენილობა'' (1981). მნიშვნელოვანი ნაშრომია გ. კარტოზიას ,,ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში'' (2005). ზანურის სტრუქტურის საკითხებია გამოკვლეული ვ. თოფურიას, გ. როგავას, ტ. *გუდავას*, გ. კარტოზიას, ი. ასათიანის, ნ. ქუთელიას და სხვათა შრომებში. ჭანური ტექსტები გამოსცეს არნ. ჩიქობავამ, ს. ჟღენტმა, გ. კარტოზიამ, ი. ასათიანმა, ნ. ქუთელიამ; მეგრული ტექსტები – მ. *ბუბუას*, ტ. გუდავამ, კ. დანელიამ. გამოქვეყნდა ი. ა. ყიფშიძის მიერ თურქ. ტერიტორიაზე 1916 ჩაწერილი ჭანური ტექსტები (1939, არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობითა და შესავალი წერილით) და მისივე ,,რჩეული თხზულებანი'', რ-შიც შესულია ,,მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა ქრესტომატიითა და ლექსიკონით'', ,,დამატებითი ცნობები ჭანური ენის შესახებ'' და სხვ. (1994; კ. დანელიას წინასიტყვაობითა და შენიშვნებით). ო. ქაჯაიამ შეადგინა ,,მეგრულ-ქართული ლექსიკონი'' (I–III ტ. 2001–2002).

ქართველურ ენათა ისტ.-შედარებით შესწავლას მიეძღვნა არნ. ჩიქობავას ,,ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი'' (1938) და ,,სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში'' (1942); ვ. თოფურიას წერილების სერიები: ,,ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში'' (1926–41) და ,,ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან'' (1927–38), ეს წერილები ზოგ სხვა გამოკვლევებთან ერთად თავმოყრილია ავტორისავე ,,შრომებში'' (III, 1979); ,,ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები'' (გ. როგავა, I – 1962, II – 1984); ,,სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი'' (თ. გამყრელიძე, 1959); ,,საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა'' (გ. მაჭავარიანი, 1965); ,,სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში'' (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965); ,,ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა. I. მარცვლის აგებულების პრობლემა'' (ს. ჟღენტი, 1960); ,,ნაცვალსახელი ქართველურ ენებში'' (ა. მარტიროსოვი, 1964); ,,ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები'' (ა. ონიანი, 1978); ,,ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები'' (მისივე, 1989); ,,მარტივი წინადადებების შედგენილობა ქართველურ ენებში'' (ი. ა. კიზირია, 1982); ,,კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში'' (ქ. ლომთათიძე, 1984); ,,ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემები ქართულში სხვა ქართველურ ენებთან შედარებით'' (ნ. ჩართოლანი, 1985); ,,მყოფადი ქართველურ ენებში'' (ზ. ჭუმბურიძე, 1986). ,,ზმნური და სახელური ფუძექმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში'' (ა. არაბული, 2001), ,,ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი'' (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990, II გადამ. და შევს. გამოც., 2000); ,,ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი'' (მ. ჩუხუა, 2003); ,,ქართველოლოგიური ძიებანი. I'' (ი. ჩანტლაძე, 1998); გარდა ამისა, გამოქვეყნდა არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, გ. როგავას, ქ. ლომთათიძის, გ. მაჭავარიანის, თ. შარაშენიძის, ი. *მელიქიშვილის*, ნ. აბესაძის, ე. ოსიძის, გ. ბურჭულაძის, მ. სუხიშვილის, ა. არაბულისა და სხვათა საყურადღებო წერილები.

ქართ. ენათმეცნ. აზროვნების ისტორიას იკვლევდნენ არნ. ჩიქობავა, ი. აბულაძე, მ. შანიძე, ე. ბაბუნაშვილი, თ. უთურგაიძე, ა. ფოცხიშვილი, ე. ნიკოლაიშვილი, ნ. აბესაძე, კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ა. კიზირია, ნ. კოტინოვი და სხვ.

სათანადო ყურადღება ეთმობა სხვა ენებთან ქართული გენეზისური ურთიერთობის პრობლემას. ამ საკითხზე სპეც. ლიტ-რაში განსხვავებული აზრებია გამოთქმული. ქართულს აკუთვნებდნენ ენათა ინდოევროპულ (მ. ბროსე, ფ. *ბოპი*), თურმანულ (მ. მიულერი), სემიტურ (ნ. მარი) ოჯახებს; უკავშირებდნენ წინააზიისა და ხმელთაშუაზღვის მკვდარ ენებსა და ცოცხალ ბასკურს, მთის კავკ. ენებს (ნ. მარი). ივ. ჯავახიშვილი წერდა: ,,თბილისის უნივერსიტეტს დაარსების პირველი დღიდანვე თავის მიზნად და მოვალეობად, ქართულისა და ქართველურის გარდა, კავკასიური ენებისა და მახლობელი აღმოსავლეთის ენების შესწავლა ჰქონდა დასახული''. იგი თვით შეუდგა ქართ.-კავკ. ენათა ურთიერთობის შესწავლას, რომლის შედეგები წარმოადგინა გამოკვლევაში ,,ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა'' (I გამოც. 1937, II – 1992). ამ მიმართულებით გაიშალა მუშაობა თსუ-ში არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით დაარსებულ კავკ. ენათა კათედრაზე (1933), თავდაპირველად ენიმკისა და შემდგომ საქართვ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნ. ინ-ტში, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ქართული Ე-ის მნიშვნელოვანი დარგი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. დღემდე გრძელდება ამ ოჯახში შემავალი ოთხი ენობრივი ჯგუფის (ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ნახური, დაღესტნური) შესწავლა, როგორც ცალკეული ენებისა და დიალექტების დაწვრილებითი აღწერის, ტექსტებისა და ლექსიკონების გამოცემის, ისე მათი ისტ. ურთიერთობის თვალსაზრისით. გამოქვეყნდა არნ. ჩიქობავას, ქ. ლომთათიძის, გ. როგავას, ტ. გუდავას, დ. იმნაიშვილის, ი. ცერცვაძის, ო. კახაძის, ზ. მაჰომედბეკოვას, ა. მაჰომეტოვის, შ. გაფრინდაშვილის, ე. ჯეირანიშვილის, ვ. ფანჩვიძის, ე. ლომთაძის, გ. თოფურიას, გ. ბურჭულაძის, ვ. *შენგელიას*, რ. ფარეულიძის, ნ. არდოტელის და სხვათა მონოგრაფიები. დაიბეჭდა ენათა ცალკეული ჯგუფების შესახებ განმაზოგადებელი ხასიათის შრომები: გ. როგავას ,,სახელის ფუძის აგებულებისა და გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ადიღურ (ჩერქეზულ) ენებში'' (1956, რუს. ენაზე) და ,,ორგანული და ნივთიერი კუთვნილების კატეგორია ადიღურ ენებში'' (1980); ქ. ლომთათიძის ,,აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები'' (1976) და ,,ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი, მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში'' (1984); ტ. გუდავას ,,ანდიურ ენათა კონსონანტიზმი'' (1964 რუს. ენაზე) და ,,დიდოურ ენათა კონსონანტიზმის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი'' (1979 რუს. ენაზე); დ. იმნაიშვილის ,,ნახური ჯგუფის ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი'' (1977, რუს. ენაზე); ო. კახაძის ,,გრამატიკული კლასები ლეზგიურ ენებში'' (1984); ე. ლომთაძის ,,სიტყვათმახვილი დიდოურ ენებში'' (1984), ,,დიდოურ ენათა ვოკალიზმის დიაქრონიული

ანალიზი“ (1994); გ. თოფურიას ,,ბრუნების მორფოლოგია დაღესტნურ ენებში“ (1995, რუს. ენაზე); კ. ჭრელაშვილის ,,ნახური ენების თანხმოვანთა სისტემა“ (1975); ბ. გიგინეიშვილის ,,დაღესტნურ ენათა შედარებითი ფონეტიკა“ (1978, რუს. ენაზე); ნ. *ანდღულაძის* ,,კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში“ (1968); ლ. *ღვინჯილიას* ,,არსებით სახელთა მრავლობითის წარმოება დარგუულსა და ლაკურში“ (1978); მ. ქურდიანის ,,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები (2007) და მ. ჩუხუას ,,იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკა I“ (2008). დასახელებულთა გარდა, ამ დარგში მნიშვნელოვანი წერილები გამოაქვეყნეს ს. ჯანაშიამ, ვ. თოფურიამ, თ. გონიაშვილმა, რ. გაგუამ, ლ. სანიკიძემ, ზ. ჯაფარიძემ, რ. ჯანაშიამ, ვ. შენგელიამ, თ. გვანცელაძემ და სხვ.



1946-იდან გამოდის სპეც. პერიოდული ორგანო ,,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ (დაიბეჭდა 34 ტომი). 1974-იდან არნ. ჩიქობავას ინიციატივით დაარსდა საერთაშ. პერიოდული ორგანო ,,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“ (გამოიცა I–XX ტ.). დაიბეჭდა კრებულები: ,,ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები“ (1978), ,,ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან“ (1980). 1965-იდან კავკასიის სხვადასხვა სამეცნ. ცენტრში სისტემატურად ტარდებოდა იბერიულ-კავკ. ენებისადმი მიძღვნილი რეგიონალური სესიები. თბილისი იქცა ამ ენების შესწავლის ცენტრად. თსუ უკვე 65 წელზე მეტია ამზადებს არა მხოლოდ ქართველურ, არამედ მთის იბერიულ-კავკ. ენათა სპეციალისტებსაც, რ-ებიც წარმატებით მუშაობენ ჩრდ. კავკასიაში, მოსკოვსა და პეტერბურგში, კავკასიისმცოდნეობის სხვა სამეცნ. ცენტრებში. თსუ-სა და ენათმეცნ. ინ-ტში სისტემატურად გადიან სტაჟირებას უცხოელი სპეციალისტები.

დაწყებულია იბერიულ-კავკ. ენებთან ბასკურისა და წინა აზიის ძვ. ცივილიზაციის ენების (ურარტულის, ხურიტულის, პროტოხეთურის) გენეზისური ურთიერთობის საკითხის კვლევა.

1977 საქართვ. მეცნიერებათა აკად. ენისა და ლიტ-რის განყ-ბასთან ჩამოყალიბდა *ბასკური ენისა და კულტურის საზოგადოება*. 1976 თსუ-ში ახ. ქართ. ენის კათედრაზე დაიწყეს მუშაობა ბასკური ენის პრობლემებზე; გამოქვეყნდა მონოგრაფიები: ,,ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა“ (არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობით და რედაქციით, 1976), შ. ძიძიგურის ,,ბასკურ-კავკასიური პრობლემა“ (1981) და ,,ბასკები და ქართველები“ (1978, ქართ. ენაზე, 1982, რუს. ენაზე), ნ. მარის ,,ბასკურ-კავკასიური ლექსიკური პარალელები“ (1987, რუს. ენაზე), ი. *ზიცარის* ,,რეკონსტრუქციები ბასკური ენის სფეროში“ (1987, რუს. ენაზე). გ. წერეთელმა გამოაქვეყნა ნაშრომი ,,საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები“ (1939). თ. გამყრელიძემ გამოიკვლია არაინდოევროპული ელემენტები ხეთურ-ნესიტურში (1956). მიმდინარეობს სხვა ენებთან ქართველურ ენათა უძველესი კონტაქტების კვლევა. გამოვლენილია ლექსიკური შეხვედრები წინა აზიის ძვ. ენებთან – ურარტულთან (გ. მელიქიშვილი), ხეთურთან (გ. გიორგაძე). გამოიცა რ. *გორდეზიანის* ნაშრომები ,,ეტრუსკული და ქართველური“ (1980), ,,წინაბერძნული და ქართველური“ (1985). წინარექართველური და წინარეინდოევროპული ენების ურთიერთობა შესწავლილია თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ფუნდამენტურ ორტომიან ნაშრომში ,,ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ (1984, რუს. ენაზე).

ქართველურ ენებს ისტ. ხანაშიც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სხვა ენებთან. ეს აისახა ამ ენათა ლექსიკაში. ქართ. Ø-ის მნიშვნელოვანი სფეროა სხვა ენებთან ლექსიკური ურთიერთობის კვლევა. ქართ.-ბერძნ. ლექსიკური შეხვედრები გამოვლენილია ს. *ყაუხჩიშვილის*, ა. *ურუშაძის*, გ. როგავას, თ. გამყრელიძის, რ. გორდეზიანის შრომებში; ქართ.-სომხ. – ნ. მარის, ი. აბულაძის, ზ. *ალექსიძის*, ი. შილაკაძის, ე. დოჩანაშვილის, ა. მარტიროსოვის, ლ. სანიკიძის, ც. ქურციკიძის, მ. რაფავას და სხვათა შრომებში; ქართ.-ირან. კონტაქტები გამოკვლეულია გ. ახვლედიანის, იუსტ. აბულაძის, მ. კ. *ანდრონიკაშვილის* (1966 – გამოიცა მისი მონოგრაფია ,,ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“), დ. კობიძის, ო. *თედეევის*, ა. *გვახარიას*, მ. თოდუას, ჯ. *გიუნაშვილისა* და სხვათა ნაშრომებში; ქართ.-სემიტური ლექსიკური ურთიერთობა – ნ. მარის, გ. წერეთლის, კ. წერეთლის, მ. შანიძის ნაშრომებში; ქართ.-თურქ. – ს. *ჯიქიას*, ე. გუდიაშვილის, ვ. ჯანგიძის, შ. გაბესკირიას ნაშრომებში.

იბერიულ-კავკ. ენების თავისებური სტრუქტურა და ისტორია, ენათა მჭიდრო კონტაქტები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ერთის მხრივ, ზოგადი Ø-ის თვალსაზრისით (მაგ., გრამატ. კლასების, სინტაქსურ კონსტრუქციათა წარმოქმნის, ფონეტ. კანონზომიერებათა, ენათა ურთიერთგავლენის პრობლემები და სხვ.), მეორე მხრივ, გაღრმავებული მუშაობა ენის თეორიის საკითხებზე ხელს უწყობს კონკრეტულ ენათა ნაყოფიერ კვლევას. ამან განაპირობა ზოგადენათმეცნიერული კვლევის დონე საქართველოში.

ქართ.-ქართველურ და მთის იბერიულ-კავკ. ენათა წარმატებით კვლევა გულისხმობდა დასაბუთებულ თეორ. პოზიციას Ø-ის ძირითად საკითხთა გაგების თვალსაზრისით. პირველ ყოვლისა, ეს ეხებოდა საკითხს ენის სისტემის აღწერისა და ენის ისტორიული ადგილის შესახებ ენის კვლევაში.

სათანადო თეორ. პრინციპები ზოგადად ჩამოყალიბებული იყო ჯერ კიდევ 1924 ,,ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეულში“ (არნ. ჩიქობავა).


ენის სისტემის აღწერის ძირითადი პრინციპული საკითხები გაანალიზებულია მონოგრაფიაში ,,მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ (არნ. ჩიქობავა, I გამოც. – 1928. II გამოც. – 1968), ხოლო ენის ისტორიისა და აღ-

წერითი Ე-ის მთავარი საკითხები განხილულია მონოგრაფიებში: ,,ზოგადი ენათმეცნიერება, II. ძირითადი პრობლემები'' (I გამოც. – 1945; II გამოც. – 1983), ,,ენის როგორც ენათმეცნიერების საგნის პრობლემა'' (1959, რუს. ენაზე).

პირველი ქართ. სახელმძღვანელო ,,ენათმეცნიერების შესავალი'' ეკუთვნის გ. ახვლედიანს (1918–19). Ე-ის შესავალს წარმოადგენს არნ. ჩიქობავას ,,ზოგადი ენათმეცნიერება, I. პროპედევტიკული ნაწილი'' (1935; III გამოც. 1946), მისივე ,,ენათმეცნიერების შესავალი'' (1952), გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით შედგენილი ,,ენათმეცნიერების შესავლის საკითხები'' (1972), თ. შადურის ,,ზოგადი ენათმეცნიერება'' (1983, რუს. ენაზე), გ. ნებიერიძის ,,ენათმეცნიერების შესავალი'' (1991). 2003 წელს გამოვიდა ,,თეორიული ენათმეცნიერების კურსი'' (თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია).

თანამედროვე Ე-ის ძირითადი მიმდინარეობები და საკვანძო მეთოდოლ. პრობლემები გაანალიზებულია თ. შარაძენიძის მონოგრაფიებში: ,,ენათა კლასიფიკაციის პრინციპები'' (1959), ,,თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები'' (1972), ,,ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა'' (1974), ,,ი. ბოდუენ დე კურტენეს ლინგვისტური თეორია'' (1978), ,,ენათა ტიპოლოგია სინქრონიულ და დიაქრონიულ ასპექტში'' (რუს. ენაზე, 1982). სხვადასხვა თეორ. საკითხს ეძღვნება თ. უთურგაიძის ,,ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში'' (2009), ი. რამიშვილის ,,კოპენჰაგენის სტრუქტურალისტური სკოლის ამოსავალი პრინციპები'' (1974), ნ. სტურუას ,,სიტყვა, როგორც ენობრივი ერთეული'' (1975), გ. ხუხუნის ,,აღწერითი ანალიზის პრინციპები ა. პეშკოვსკის შრომებში'' (1978), გ. *რამიშვილის* ,,ენის ენერგეტული თეორიის საკითხები'' (1978) და ,,ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით'' (1995), ს. ომიაძის ,,ქართული დისკურსის ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა'' (2009), ზ. ჯაფარიძის ,,პერცეფციული ფონეტიკის საკითხები'' (1975), ი. ქობალავას ,,ფონემის ცნება ენათმეცნიერებაში'' (1976), ი. მელიქიშვილის ,,მარკირების ცნება ფონოლოგიაში'' (1981), ლ. ენუქიძის ,,ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში'' (1987), მ. მაჭავარიანის ,,ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა'' (1987), კ. ლერნერის ,,ენის სოციალური ბუნება და ენობრივი ურთიერთობის პროცესი'' (1989, რუს. ენაზე), გ. კვარაცხელიას ,,მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები'' (1995) და სხვ.

ენათა ტოპოლოგიისა და ზოგადი კანონზომიერებების (უნივერსალიების) კვლევას ეძღვნება თ. შარაძენიძის, თ. გამყრელიძის, ი. მელიქიშვილის, მ. სახოკიას, ე. სოსელიას, რ. ასათიანის, ტ. გურგენიძისა და სხვათა შრომები; ტექსტის ლინგვისტიკის თეორ. საკითხებია განხილული მ. გვენცაძის, შ. შაბურიშვილისა და სხვათა მონოგრაფიებში. სემანტიკურ ველთა თეორიის საკითხებია დამუშავებული ბ. ფოჩხუას, ლ. აბულაძის, გ. კვარაცხელიას, მ. ჟღენტისა და სხვათა გამოკვლევებში. ენის ფილოს.



პრობლემებს ეძღვნება არნ. ჩიქობავას, მ. მაჭავარიანის, ი. რამიშვილის, გ. რამიშვილის, გ. მარგველაშვილის, გ. ლებანიძისა და სხვათა ნაშრომები. ზოგადი სტილისტიკის საკითხებია განხილული მ. ნათაძის, გ. კვარაცხელიასა და სხვათა მონოგრაფიებში.

50-იანი წლების I ნახევარში დაიწყო მუშაობა ენის კვლევაში მათ. მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებულ ზოგადენათმეცნ. საკითხებზე. ენათმეცნ. ინ-ტში ამ სპეციალობით დაცულია რამდენიმე დისერტაცია (ლ. აბულაძე, ლ. ენუქიძე, ლ. თამარაშვილი, გ. კვარაცხელია, კ. ლერნერი, ლ. მარგველანი, ვ. მდივანი); გამოქვეყნებულია თეორ.-მეთოდოლ. ხასიათის ნაშრომები (მ. მაჭავარიანი). თსუ-ში კიბერნ. ფაკ-ტზე დაარსდა სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრა (1961, გამგე თ. გამყრელიძე); მანქანური თარგმნის საკითხებზე მუშაობს მართვის სისტემების ინ-ტის თანამშრომელთა ჯგუფი (გ. ჩიკოიძე, ლ. თამარაშვილი, ლ. მარგველანი და სხვ.), ამავე ინ-ტში ამუშავებდნენ ქართ. მეტყველების კომპილაციური სინთეზის პრობლემას (გ. რამიშვილი, ზ. ჯაფარიძე). საქართვ. მეცნ. აკად. ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლით ცენტრში 60-იანი წლებიდან მუშაობდნენ ქართ. წინადადების სინთეზსა და მანქანური თარგმნის საკითხებზე (ე. დეკანოსიძე, მ. ჩხაიძე, გ. მახარობლიძე, დ. გრიქუროვა და სხვ.). კომპიუტერული ლინგვისტიკის განვითარებაში მონაწილეობენ მეცნიერთა ჯგუფები როგორც თსუ-ში, ისე ენათმეცნ. ინ-ტში, სადაც მუშაობენ ქართ. ენის მორფოლ. კომპიუტერული მოდელის აგებაზე, ქართ. ენის ლექსიკური მარაგის მონაცემთა ბაზებისა და მანქანური ფონდის შექმნაზე (თ. უთურგაიძე, მ. მაჭავარიანი, ლ. ჩხაიძე, მ. თანდაშვილი, ქ. დათუკიშვილი, ე. გოდუაძე, მ. ბერიძე და სხვ.). აქვე ყოველწლიურად იმართება სამეცნიერო კონფერენციები ,,ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები''.

ზოგადი Ე-ის პრობლემატიკას მიეძღვნა კრებულები: ,,თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები'' (I, II, III, IV; 1966–74), ,,თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები (V, VI; 1980–81), აგრეთვე გ. ახვლედიანისადმი მიძღვნილი ორი ,,საენათმეცნიერო კრებული'' (1984, 1988).


თბილისში ჩატარდა ორი საკავშ. სამეცნ. სესია ზოგადი Ე-ის საკითხებზე (1971, 1977).

ქართ. Ე-ში მუშაობა, გარდა თსუისა და საქართვ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტისა, მიმდინარეობდა თბილ. ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. უნ-ტში, ქუთ. და ბათუმის უნ-ტებში, ცხინვალის, თელავის პედ. ინ-ტებში, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნ.-კვლევით ინ-ტში, აფხ. უნ-ტში. აფხ. ენას იკვლევენ დ. გულიას სახ. აფხაზური ენის, ლიტ-რისა და ისტორიის ინ-ტსა და აფხაზეთის უნ-ტში.

თსუ-ს აქვს ქართ. ენის 2 კათედრა (ძველი და ახალი), კავკასიურ

ენათა კათედრა, ზოგადი ენათმეცნ. კათედრა ექსპერ. ფონეტიკის კაბინეტითურთ, სტრუქტურული და გამოყენებითი ენათმეცნ. კათედრა. ენათმეცნიერების ინ-ტში არის ქართველურ ენათა, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა, ლექსიკოლოგიის, თარგმნითი ლექსიკონების, ტერმინოლოგიის, მეტყველების კულტურის, ზოგადი ენათმეცნ. განყ-ბები, ექსპერ. ფონეტიკის, ისტ.-ეტიმოლოგიური ლექსიკონისა და აგრეთვე კომპიუტერული ლინგვისტიკის ლაბორატორიები.

საენათმეცნიერო ხასიათის წერილები, გარდა დასახელებულისა, სისტემატურად იბეჭდებოდა სპეც. გამოცემებში: ,,ტფილისის უნივერსიტეტის მოამბეში'', I–X (1920–30), ,,*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში*'' [ენათმეცნიერება (1936-იდან)], ,,ენის, ისტორიისა და მატერიალური



კულტურის ინსტიტუტის მოამბეში'' (I–XIV; 1937–44), ,,საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში'' (1941-იდან), ,,მაცნეში'' (ენისა და ლიტერატურის სერია; 1971-იდან), ცალკე პედ. ინ-ტების შრომებში (ამჟამად შეერთებული კრებულების სახით). ენათმეცნ. ინ-ტმა გამოსცა თემატური კრებულები: ,,ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები'' (6 ტ., 1959–96), ,,მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები'' (6 ტ., 1969–82), ,,ეტიმოლოგიური ძიებანი'' (6 ტ., 1987–97).

საერთაშ. რეზონანსი აქვს ქართ. ე-ს ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ი ს განხრითაც (იხ. *აღმოსავლეთმცოდნეობა*).

წინარეინდოევროპული ენის კვლევა თ. გამყრელიძის სახელთანაა დაკავშირებული (,,ხეთური ენა და ლარინგალური თეორია'', 1960; ,,ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები'' I, II, 1984). ქართვ. ენათმეცნიერებს გარკვეული წვლილი შეაქვთ *არმენოლოგიასა* და რუსისტიკაში, კლასიკურ ენათა და რომანულ-გერმანიკული ენების შესწავლაში. ჯეროვანი ყურადღება ეთმობა ძვ. ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ენის გრამატიკის საკითხებს, ბიზანტ. ეპოქის ბერძნ. ფონეტიკის, ბერძნ. ეპიგრაფიკული ძეგლების ენის, ბერძნ. და ლათ. დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის საკითხების შესწავლას (ს. ყაუხჩიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ა. ურუშაძე, რ. გორდეზიანი).

დიდი ყურადღება ექცევა რ ო მ ა ნ ულ - გ ე რ მ ა ნ ი კ ულ ი ენების სწავლების მეთოდიკას და ამ სფეროში სახელმძღვანელოებისა და ლექსიკონების შედგენას (გ. ახვლედიანი, პ. იაშვილი, ი. *გვარჯალაძე*, კ. *ჩხენკელი*, ნ. *ქადაგიძე*, მ. იანქოშვილი, ნ. ქადეიშვილი, შ. შაბურიშვილი, ც. გოგლიჩიძე, რ. გაჩეჩილაძე, გ. მეგრელიძე, ვ. ფურცელაძე, რ. ენუქიძე, მ. ნათაძე, ლ. გოქსაძე და სხვ.).

2008 ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახ. მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ და არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ერთობლივად გამოსცეს ,,ქართული ენა. ენციკლოპედია'' (შემდგენელი ი. ქობალავა, რედაქტორი გ. კვარაცხელია, ა. შანიძის სახ. პრემია, 2011), სადაც თავმოყრილია ქართული ენის სტრუქტურის, სემანტიკის, ფუნქციონირებისა და ისტორიის საკითხები, ასახულია ქართული ენათმეცნიერული აზროვნების განვითარების ეტაპები, ქართველ და უცხოელ ლინგვისტ-ქართველოლოგთა მიღწევები.

გ. ბურჭულაძე. გ. კვარაცხელია. მ. მაჭავარიანი. ბ. ფოჩხუა. თ. შარაძენიძე.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი არნოლდ ჩიქობავას სახელობისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. დაარსდა 1936 აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკი) ბაზაზე. 1941-იდან, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებით, ,,ენიმკის'' გაყოფის შემდეგ ჩამოყალიბდა ,,აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი'', რ-საც 1950-იდან ე. ი. ეწოდა. 1988 მიენიჭა არნ. ჩიქობავას სახელი. 2006-იდან ინ-ტი გახდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ინ-ტის დირექტორები იყვნენ: ს. *ჯანაშია* (1941–43), ვ. *თოფურია* (1943–49), გ. ს. *ახვლედიანი* (1949–50), არნ. *ჩიქობავა* (1950–52), ი. *გიგინეიშვილი* (1952–53), ქ. *ლომთათიძე* (1953–63, 1975–87), ვ. *ფანჩვიძე* (1963–75), ბ. *ჯორბენაძე* (1987–93), გ. *კვარაცხელია* (1993–2006), ლ. ეზუგბაია (2006-იდან).

ინ-ტის ძირითადი მიმართულებაა ქართ. ენის შესწავლა როგორც ნორმატიული, ისე ისტ. თვალსაზრისით, სხვა ქართველური (მეგრულ-ჭანური, სვანური) და მთის იბერიულ-კავკ. (აფხაზურ-ადიღური, ნახური, დაღესტნური) ენების – მათი ფონეტიკის, გრამატ. სტრუქტურის, სინტაქსის, ლექსიკისა და დიალექტოლოგიის საკითხების კვლევა სინქრონიულ და დიაქრონიულ ასპექტში, აგრეთვე ტიპოლოგიური თვალთახედვით ამ ენათა სხვა ჯგუფის ენებთან კონტაქტები და ამ თვალსაზრისით თანამედროვე ზოგადი ენათმეცნ. ძირითადი პრობლემატიკა. ინ-ტის სტრუქტურული ერთეულებია: ზოგადი ენათმეცნიერების, ქართველური ენების, მეტყველების კულტურის, ლექსიკოლოგიის, სამეცნ. ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების, მთის იბერიულ-კავკ. ენების, ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავებისა და სამეცნ. ინფორმაციის განყ-ბები. 2006-მდე მუშაობდა ექსპერ. ფონეტიკის, ისტ.-ეტიმოლოგიური ლექსიკონის, ონომასტიკის პრობლემური კვლევის, ქართველურ ენათა დიალექტოლოგიური ატლასის, ზოგადი ენათმეცნ. განყ-ბასთან არსებული კომპიუტერული ლინგვისტიკის, ქართველურ ენათა (ზუგდიდის) ლაბორატორიები და ენციკლოპედიისა და ინფორმაციის ჯგუფი.

ე. ი-ის ძირითადი სამეცნ. პერიოდული ორგანოა ,,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება'' (დაარსდა 1946); აგრეთვე: ,,ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები'', ,,ქართული სიტყვის კულტურის საკითხები'', ,,ეტიმოლოგიური ძიებანი'', ,,ქართველოლოგიური კრებული'', ,,დიალექტოლოგიური კრებული'', ,,თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები''. ინ-ტის ბაზაზე საქართვ. მეცნიერებათა აკადემია გამოსცემდა საკავშ. პერიოდულ ორგანოს ,,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწ-

დეულს“ (დაარსდა 1974, ბოლო ტ. – 2003). 1950–64 ე. ი-მა გამოსცა ,,ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული (1971, საქ. სსრ სახელმწ. პრემია); გრძელდება მუშაობა ლექსიკონის ახალ რედაქციაზე (2007 დაიბეჭდა I, ხოლო 2010 – II ტ.), ამავე ინ-ტის გამოცემულია რამდენიმე ასეული მონოგრაფია, კრებული, სხვადასხვა სახის ლექსიკონები.

ინ-ტში 2007-მდე მუდმივად ფუნქციონირებდა სადისერტაციო საბჭო, რ-იც ანიჭებდა საკანდიდატო და სადოქტორო სამეცნიერო ხარისხებს როგორც ქართველ, ისე უცხოელ მაძიებლებს ზოგადი ენათმეცნიერების, ქართული ენის, ქართველური ენებისა და იბერიულ-კავკასიური ენათა სპეციალობით.

ე. ი-ს უწყვეტი კონტაქტი აქვს უცხოეთის სხვადასხვა სამეცნ. ცენტრებთან.

ლიტ.: ლომთათიძე ქ., ენათმეცნიერების ინსტიტუტი ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავზე. – «მაცნე» (ენისა და ლიტ. სერია), 1977, №3; საქართვ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამოცემათა ბიბლიოგრაფია (1936–1972). – «იკე», XIX, თბ., 1974; XXX, თბ., 1991.

გ. თოფურია.

ენაკოლოფაშვილი გურგენა, *ერეკლე II-ის* საგანგებო ელჩი ოსმალეთში 1776–78. ე-ის მამა მკვიდრი თბილისელი იყო. ,,*ოსმალობისას*“ თბილისიდან აიყარა და ყარაბაღში გადასახლდა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ ე-მა და მისმა ძმებმა იმოგზაურეს სპარსეთში, შეისწავლეს მრავალი ენა და სპარსულ საკრავებზე დაკვრა. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ე-მა სამსახური დაიწყო მეფე ერეკლეს ვაჟთან – გიორგისთან, რ-მაც მას მირზობა უბოძა. შემდგომ მას მირზობა და ვეზირობა უბოძა მეფე ერეკლემაც (თ. ბაგრატიონი). ო. ხერხეულიძის ცნობით, ე. ,,სპარსულისა და თათრულისა და არაბულისა მთარგმნელი და მწერალი იყო ესე მრავალსა ენასა ზედა განსწავლული და ფრიად ჭკვიანი კაცი სწავლული და ერთგული მეფისა და რიტორი და სიტყვიერი კაცი“.

1776 ზაფხულში ერეკლე II-ის დავალებით ე. ახალციხის ფაშასა და სოლომონ I-ის წარმომადგენლებთან ერთად სტამბოლში ჩავიდა. იგი არა მარტო ერეკლე II-ის, არამედ ამიერკავკ. ხანების სახელითაც მართავდა მოლაპარაკებას ოსმალეთთან.

ამ ელჩობის მიზანი იყო ოსმ. მფარველობის აღიარებით სამცხე-საათაბაგოს დაბრუნება. ოსმალეთს ერეკლეს თხოვნა ხელს აძლევდა, რამდენადაც მას რუსეთისაკენ მიმავალი პოლიტ. გზების ჩაკეტვა სურდა. ამავე დროს ეს ალიანსი გულისხმობდა ერეკლეს ანტი-ირანულ კურსსაც, დროებით მაინც. სტამბოლში მყოფი რუსი ელჩის სტაციევის ცნობით, ,,ერეკლესა და ოსმალეთის სულთანს შორის სამეგობრო და საკავშირო ტრაქტატი დაიდო“, რ-ის შედეგად შეწყდა მარბიელი თავდასხმები აღმ. საქართველოზე, გაათავისუფლეს ახალციხიდან გატაცებული ქართვ. ტყვეები და ქართლ-კახეთის ასაოხრებლად გამზადებული ლაშქარიც დაშალეს. 1778 ამ შეთანხმებამ ოფიც. ხასიათი მიიღო, რის შემდეგაც ე. ოსმალეთიდან დაბრუნდა და სულთნის მიერ ერეკლესათვის გამოგზავნილი ძვირფასი საჩუქრებიც ჩამოიტანა. მალე აღმ. ამიერკავკასიაში ძალთა თანაფარდობა შეიცვალა და ეს განზრახვაც ჩაიშალა.

წყარო: თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, თბ., 1983.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967; გიგინეიშვილი ო., ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბ., 1982; იოსელიანი ა., საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII–XIX სს., თბ., 1980; ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, თბ., 1989; Маркова О. П., Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., 1966; Ahmad Cevlet Paşa, Tarihi Cevlet, c. II, Ancara, 1973; Sadik Belge M., Osmanli Devleti ve Kafkasya, Istanbul, 2005.

გ. საითიძე. მ. სვანიძე.

ენამთის სამაროვანი, ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულისა და I ათასწლეულის დასაწყისის არქეოლოგიური ძეგლი სოფ. ყარაღაჯის (სიღნაღის მუნიციპალიტეტი) სამხრ.-აღმ-ით 5–6 *კმ*-ზე, წნორი – სამთაწყაროს ტრასის მარჯვ. მხარეს. არქეოლ. კვლევა ჩატარდა 1984 (კ. ფიცხელაური, მ. კინწურაშვილი). გაითხარა ქვაყრილიანი 2 კრომლეხი და მათში ჩაშვებული 6 ორმოსამარხი. კრომლეხებს შემოუყვება ქვაყრილი, რ-ის დიამეტრია 8 *მ*. სამარხი ორმოები (2,1 *მ* × 1,4 *მ*, 2,1 *მ* × 1,7 *მ*) გადახურული იყო ქვის ძელებით. ყველა მიცვალებული ესვენა ტყავით მოფენილ იატაკზე, მარჯვ. გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით სამხრ.-დას-კენ (ტყავით მოფენილ იატაკზე შემორჩენილია მოყავისფრო-წითელი ლაქები). მიცვალებულებს ჩატანებული ჰქონდათ ქვიშანარევი თიხისაგან სამეთუნეო მორგვზე დამზადებული ჭურჭელი (ქოთნები, დერგები, ჯამები და სამფეხა ჭურჭელი), რ-თა უმრავლესობა შემკულია კონცენტრული წრეებით, ღარებით, ნაჭდევებით, ნაპრიალები ორნამენტით. გამოვლინდა აგრეთვე ბრინჯაოს მთლიანადსხმული შუბისპირი, ლითონის თხელი ფურცლისაგან დამზადებული მახვილი, ბრინჯაოს ცული.

სამაროვანზე გამოვლენილი ჩაშვებული ორმოსამარხები (1,0 *მ* × × 0,7 *მ*, 1,3 *მ* × 1,0 *მ*) დაზიანებულია. არის სარეცლიანი სამარხებიც. მიცვალებულებს კრძალავდნენ მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე მოხრილი კიდურებით, თავი მიმართული აქვთ ჩრდ.-დას-ით. მოპოვებული სამარხეული მასალიდან აღსანიშნავია ქვიშანარევი თიხისაგან მორგვზე დამზადებული რუხი ნაცრისფერი და მოშავო ყავისფერი დოქები, ტოლჩა, ქოთანი, ლანგარი. მათი ზედაპირი შემკულია კონცენტრული ღარებითა და ნაჭდევებით. ზოგ მათგანზე ზოომორფული ფიგურებია. გამოვლინდა აგრეთვე ბრინჯაოს რკალგახსნილი სამაჯური, ბრინჯაოს თავდაბრტყელებული მახათი და ზღვის ნიჟარა.

მასალა ინახება გურჯაანის საცავში. *მ. კინწურაშვილი.*



ენასკო.

ენასკო (Clavariadelphus ligula), საჩეჩელა სოკოების ოჯახის ერთ-ერთი სახეობა. აქვს ენისებრი ან ქინძისთავისებრი, 8 *სმ*-მდე სიმაღლისა და 1 *სმ* სისქის ნაყოფსხეული, რ-იც ძირისკენ წვრილდება, ძირში ქეჩისებურადაა შებუსული; მყიფეა, თავდაპირველად ყვითელი ან მოყვითალო ფერისაა, შემდეგ კი – მურა. იზრდება ნიადაგზე წიწვოვან ტყეში ზაფხულსა და შემოდგომაზე. საქართველოში გავრცელებულია ყველგან. არის მდარე ხარისხის სოკო.

ი. ნახუცრიშვილი.



ფ. ენგელსი.

ენგელსი (Engels) ფრიდრიხ (28. XI. 1820, ბარმენი, – 5. VIII. 1895, ლონდონი), მარქსიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. კ. მარქსისაგან დამოუკიდებლად გაიარა იდეური და პრაქტ. მოღვაწეობის გზა იდეალიზმიდან მატერიალიზმამდე და რევ. დემოკრატიზმიდან კომუნიზმამდე.

ბარმენის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ე. სწავლობდა ელბერფელდის გიმნაზიაში, შემდეგ – ბრემენში ჰაინ-

რიხ ლეოპოლდის სავაჭრო ფირმაში. 1838 ე. საფუძვლიანად გაეცნო მუშათა მდგომარეობას, რამაც ზეგავლენა მოახდინა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. გ. ჰეგელის შრომების გაცნობისა და მისი მსოფლმხედველობის შესწავლის შემდეგ იგი ჰეგელიანელი იდეალისტი ხდება, მალე კი – ათეისტი. ე-მა გ. ჰეგელის ფილოს. რევ. მხარის პირველი შეფასება მოგვცა თავისი ადრინდ. იდეური განვითარების ბერლინის პერიოდში, როდესაც იგი დაუკავშირდა მემარცხენე ჰეგელიანელების სკოლას. იგი გ. ჰეგელის ფილოსოფიაში ხედავს, აქტიური პოლიტ. პრაქტიკის მიმართულებით, პროგრესისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის იარაღს.

ამ პერიოდში ე. მემარცხენე ჰეგელიანელობის დამცველი და შელინგიანელობის აშკარა მოწინააღმდეგეა. იგი რევ. დემოკრატიზმის პოზიციებიდან იბრძვის ახალშელინგიანური იდეალ. ფილოს. წინააღმდეგ, ამასთან აფასებს გ. ჰეგელისა და ლ. ფოიერბახის ფილოსოფიის პროგრესულ მხარეებს, ხოლო მათ კონსერვატიულ პოლიტ. შეხედულებებს მკაცრად აკრიტიკებს.

მატერიალიზმისა და კომუნიზმის პოზიციებზე ე-ის გადასვლა განაპირობა მის მიერ განვითარებული კაპიტალ. ინგლისის ეკონ. და პოლიტ. პრობლემების გაანალიზებამ. ე. ინგლისში ხდება პროლეტარული რევოლუციონერი და მატერიალისტი. ამ პერიოდის ნაშრომებში კრიტიკულად აქვს განხილული ჰეგელისა და ფოიერბახის ფილოსოფია, ინგლ. პოლიტ. ეკონომია და უტოპიური სოციალიზმი. ამის საფუძველზე იგი დამოუკიდებლად მიდის მატერიალ. შეხედულებამდე.

1844 გამოქვეყნებულ ე-ის ნაშრომს ,,ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის'' კ. მარქსი გენიალურ ნარკვევს უწოდებს. ამ ნაწარმოებში ე. იცავს თვალსაზრისს, რომ ბრძოლა მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის გარდაუვალად მიგვიყვანს სოციალ. რევოლუციამდე. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ე-ის წიგნი ,,მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში'' (1845), რ-იც, ვ. ლენინის აზრით, ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება მსოფლიო სოციალ. ლიტერატურაში.

1844 წლის გაზაფხულზე პარიზში ე. პირველად შეხვდა კ. მარქსს, რ-საც მანამდე მიმოწერით იცნობდა. გამოირკვა, რომ მათი შეხედულებები ყველა თეორიულ საკითხში ერთმანეთს ემთხვეოდა. სწორედ ამ პერიოდიდან ჩამოყალიბდა მათი მარქსისტული დიალექტ.-მატერიალ. მსოფლმხედველობა. იგი კ. მარქსმა და ე-მა პირველად ჯერ კიდევ განუვითარებელი სახით გაღმოსცეს ერთობლივ შრომაში ,,წმინდა ოჯახი'' (1844–45), ხოლო შემდეგ შედარებით გაშლილი და სისტემ. ფორმით – ,,გერმანულ იდეოლოგიაში'' (1845–46).

თავიანთი მოღვაწეობის დასაწყისში კ. მარქსი და ე. ცდილობდნენ დაესაბუთებინათ პროლეტარიატის მსოფლიო-ისტ. როლი, კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პროლეტარული კომუნისტური პარტიის, როგორც ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი ძალის, აუცილებლობა. ასეთი პარტია იყო 1847 წლის ზაფხულში შექმნილი ,,კომუნისტთა კავშირი'', რ-ის პროგრამა შეკუმშული სახით შემუშავებული იყო ე-ის ,,კომუნიზმის პრინციპებში'', სრული სახით კი – კ. მარქსისა და ე-ის სახელგანთქმულ ,,კომუნისტური პარტიის მანიფესტში'' (1848).

ამ პროგრამის პოპულარიზაციასა და განხორციელებაში დიდი როლი ითამაშა 60-იან წლებში მათ მიერ მუშათა საერთაშ. ამხანაგობის – პირველი ინტერნაციონალის შექმნამ. 70–80-იან წლებში გამოდის ე-ის შრომები: ,,ანტიდიურინგი'', ,,ბუნების დიალექტიკა'', ,,ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა'', ,,ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული'', რ-ებშიც გაანალიზებულია ფილოს., ბუნებათმეცნიერებისა და საზოგადოებრივ მეცნ. პრობლემები მარქსისტული თვალსაზრისით.

შემეცნების თეორიაში ე-ის გავლენით გავრცელდა (ვ. ლენინი და სხვ.) ჭეშმარიტების კრიტერიუმის მცდარი გაგება, რომ პრაქტიკული შედეგი ნიშნავს იმ აზრის ჭეშმარიტებას, რომლითაც ეს პრაქტიკა ხელმძღვანელობდა. ამ მიდგომით, რომელიმე ნივთიერების (მაგ. ალიზარინის) ლაბორატორიაში მიღება ნიშნავს მანამდე, ,,თავისთავად'' ე. ი. ჩვენთვის შეუცნობლად არსებული ამ ნივთიერების (ალიზარინის) გადაქცევას ,,საგნად ჩვენთვის'', ე. ი. მოვლენად, რომელიც ამ ფაქტით (ლაბორატორიაში მიღებით), უკვე შემეცნებულია და შემეცნებადი.

შემეცნებაში პრაქტიკის კრიტერიუმის ამგვარი გაგება კ. მარქსის ,,ფოიერბახის შესახებ თეზისებიდან'' (1845) მოდის.

ე-ის როლი მუშათა მოძრაობაში განსაკუთრებით გაიზარდა კ. მარქსის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც იგი ამ მოძრაობის ერთ-ერთი აღიარებული ხელმძღვანელი და მრჩეველი გახდა.

თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში ე-მა დაასრულა და გამოსცა ,,კაპიტალის'' მეორე და მესამე ტომები, რ-თა დამთავრება კ. მარქსმა ვერ მოასწრო.

გარდაცვალების შემდეგ, ე-ის სურვილის შესაბამისად, ურნა, რ-შიც მისი ფერფლი იყო, ისტბორნის (ინგლისი) მახლობლად ზღვაში ჩაუშვეს.

ე. საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და საქართველოში გატარებული რუსეთის პოლიტიკის ხასიათს არაერთხელ შეხებია თავის ნაშრომებში. განსაკუთრებულ ინტერესს საქართველოსადმი ე. იჩენდა რუსეთ-თურქეთის ე. წ. *ყირიმის ომის 1853–56* მსვლელობისას. ასე მაგალითად, ე. თავის სტატიაში ,,მდგომარეობა საომარი მოქმედებების თეატრზე რუსეთ-თურქეთის ომის დროს'' წერდა, რომ ,,ერთადერთი პუნქტი, სადაც რუსები დაზარალდნენ არის კავკასია. მათ დატოვეს თითქმის ყველა თავიანთი სიმაგრე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არა მოკავშირეთა ფლოტის შიშით, არამედ იმისათვის, რომ გააძლიერონ თავიანთი არმია საქართველოში... რუსების მანევრი მოწმობს ყოველ შემთხვევაში იმას, რომ მათ თავიანთი მდგომარეობა საქართველოში არამტკიცედ ჩათვალეს და რომ სანაპიროს მხრიდან მაშველი ჯარები მათთვის უკიდურეს საჭიროებას წარმოადგენდა'' (Маркс К. и Энгельс Ф., Соч., т. 10, с. 287). საინტერესოა, აგრეთვე ე-ის აზრი სამხრეთ კავკასიის და საქართველოს განვითარების იმ თავისებურების შესახებ, რომლის თანახმადაც ,,რუსების მიერ ოკუპირებული ამიერკავკასიის მხარე ცენტრალური ქალაქით – თბილისით – უფრო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე მძლავრი იმპერიის შემადგენელ ნაწილად'' (მათივე, т. 9, с. 573).

ე-ის თეორიულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული შრომებიდან საყურადღებოა აგრეთვე ქართვ. ავ-

ტორების: ვ. *ჩერქეზიშვილის*, მ. *გოგიბერიძის*, ვ. *კეშელავას*, მ. *ჭელიძის*, ვ. *გაგოძის*, ო. *ბაკურაძის*, პ. *გუგუშვილის*, ა. *ქუთელიას*, ნ. *ჯაშის*, ლ. *გორგილაძის*, გ. ბაქრაძის, ვ. *კალანდარიშვილის*, ი. *კაჭარავას*, შ. *რევიშვილის*, გ. *მუჩაიძის*, გ. პ. *ასათიანის*, ვ. სვანიძის, ა. ბახტაძის, გ. *ყორანაშვილის*, შ. კობახიძისა და სხვათა შრომები, რ-ებშიც გაშუქებულია: გ. ჰეგელის, ლ. ფოიერბახისა და ახალგაზრდა ჰეგელიანელების ფილოსოფიასთან ე-ის დამოკიდებულება; ე-ის ფილოს., ეკონ. და სოც.-პოლიტ. შეხედულებათა ფორმირება და ევოლუცია; მისი როლი მარქსისტული თეორიის შემუშავებასა და განვითარებაში; ე-ის თეორ. მემკვიდრეობის ცალკეული საკითხებისა და მათ გარშემო იდეოლოგიური ბრძოლის პრობლემები.


აღსანიშნავია, რომ ვ. ჩერქეზიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა მიიჩნია პლაგიატად კ. მარქსისა და ე-ის ,,კომუნისტური პარტიის მანიფესტი'' და ამაში მრავალი მკვლევარი დაარწმუნა. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალისტური ბანაკის არსებობის ბოლო პერიოდში ე-ს თანდათან ანიჭებდნენ კ. მარქსის მოწაფის იმ როლს, რ-ზეც ვ. ჩერქეზიშვილმა XIX ს. ბოლოს ილიას ,,ივერიაში'' მიუთითა.

თხზ.: ანტი-დიურინგი, თბ., 1952; ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954; მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, თბ., 1935; ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1946; მარქსი კ. და ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, ტ. 1–2, თბ., 1963–64; მათივე, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბ., 1975; მათივე, რჩეული წერილები, თბ., 1949; Маркс К. и Энгельс Ф., Сочинения, 2 изд., т. 1–43, 46 (ч. 1–2), 47, 49, М., 1955–76.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., ფრიდრიხ ენგელსი, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 2; კალანდარიშვილი ვ., ფრიდრიხ ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებათა ჩამოყალიბების საკითხისათვის, თბ., 1961; მისივე, ფრიდრიხ ენგელსი და საზოგადოებრივი პროგრესის პრობლემა, თბ., 1981; კაჭარავა ი., კ. მარქსი და ფ. ენგელსი საქართველოს შესახებ, თბ., 1969; მუჩაიძე გ., კ. მარქსი და ფ. ენგელსი პარტიის შესახებ, თბ., 1975; ქუთელია ა., ახალგაზრდა ენგელსი და ჰეგელის ფილოსოფია, თბ., 1975.

ვ. კალანდარიშვილი.

ენგური, მდინარე დას. საქართველოში, სვანეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე და კოლხეთის ბარში, მესტიის, წალენჯიხის, ზუგდიდისა და გალის მუნიციპალიტეტებში. სიგრძე 213 *კმ*, აუზის ფართ. 4060 *კმ*^{2}. ე. წარმოიქმნება შხარის, ნამყვამისა და ენგურ-უხვანის მყინვარებიდან გამომდინარე რამდენიმე ნაკადის შეერთებით. ე-ის აუზის წილად მოდის საქართვ. მყინვარების საერთო რაოდენობის 38% და ფართობის 57,7%. ხეობაში განლაგებულია საქართვ. უდიდესი მყინვარები: ლეხზირი, წანერი, ჭალაათი, ადიში, ხალდე და სხვ. ე. სოფ. ანაკლიასთან ერთვის შავ ზღვას. მისი მთავარი შენაკადებია: მარჯვენა – ადიშჭალა, ხალდეჭალა, მულხრა, დოლრა, ნაკრა, ნენსკრა; მარცხენა – ხაიშურა, ხუმფრერი, ლასილი, მაგანა, ჯუმი და სხვ. ე. ზემო წელში კვეთს სვანეთის ქვაბულს, შემდეგ კი ღრმა და ვიწრო ხეობაში მიედინება. მდინარის



მდინარე ენგური.

კალაპოტი ზემო და შუა დინებაში ჭორომიანია. ქ. ჯვართან ე. გამოდის კოლხეთის დაბლობზე. სოფ. რუხთან იყოფა ორ ტოტად, რ-თა შორის მოქცეულია 12 *კმ* სიგრძისა და 0,5–2,0 *კმ* სიგანის კუნძული, რ-ზეც გაშენებულია სოფ. შამგონა. ე. შერეული საზრდოობის მდინარეა: ზემოთში წლ. ჩამონადენის 66%-ს შეადგენს თოვლისა და მყინვარის წყალი, 22%-ს – გრუნტის წყალი, 12%-ს – წვიმის წყალი; ქვემოთში, შესაბამისად – 18%, 26% და 56%-ს. წყალდიდობა იცის გაზაფხულსა და ზაფხულში, წყალმცირეა ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი სოფ. ხაიშთან 109 $მ^3/წმ$ შეადგენს. ზემოთში ე-ს იყენებენ ხეტყის დასაცურებლად, ქვემოთში – ენერგეტ. მიზნებისათვის და სარწყავად. მდინარეზე აგებულია *ჯვრის წყალსაცავი* და ,,*ენგურჰესი*''. ე-ის წყლის დიდი ნაწილი ენგურჰესის დაწნევითი დერივაციული გვირაბით ჩაედინება *გალის წყალსაცავში*. *ნ. უკლება.*

ენგური, ენგურ-უხვანი, ხეობის მყინვარი სვანეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მესტიის მუნიციპალიტეტში, სიგრძე 3,1 *კმ*, ფართ. 3,5 *კმ*^{2}. მყინვარის ენა ეშვება ზ. დ. 2730 *მ* სიმაღლემდე. ფირნის ხაზის სიმაღლეა 3550 *მ*. მყინვარიდან სათავეს იღებს მდ. ენგურის ერთ-ერთი მდგენელი.

ენგურის ბრძოლა 1856, ბრძოლა რუსეთ–საქართველოსა და ოსმალეთის ჯარებს შორის 25 ოქტომბერს. *ყირიმის ომის 1853–56* დროს მოკავშირეების მიერ სევასტოპოლის აღების (1855) შემდეგ კავკ. და, კერძოდ, საქართვ. სანაპირო ზოლი დაუცველი დარჩა. ამით ისარგებლეს თურქებმა და დიდძალი ჯარი გადმოსხეს ყულევში, ტრაპიზონში, ხოლო 1856 სექტემბერ-ოქტომბერში 36-ათასიანი არმია გადასხეს აფხაზეთში ომერ-ფაშას მეთაურობით, რ-იც მთელი დას. საქართველოს თუ არა, აფხაზეთ-სამეგრელოს ხელში ჩაგდებას ვარაუდობდა. ამავე დროს საქართველოში გამარჯვება მდგომარეობას შეუმსუბუქებდა ალყაში მოქცეულ ყარსის თურქ. გარნიზონს. 1856 ოქტ-ში ოსმალთა ლაშქარი ომერ-ფაშას სარდლობით აფხაზეთიდან სამეგრელოსკენ დაიძრა. მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ იდგა ე. წ. „გურიის რაზმი'' – 7 ბატალიონი და ქართველთა სახალხო ლაშქარი – დაახლ. 5 ათ. კაცი. „გურიის რაზმის'' სარდალმა ი. მუხრანბატონმა სცადა გაემაგრებინა გადასასვლელები მდ. ენგურზე (ყველაზე უკეთ იყო გამაგრებული რუხის გადასასვლელი, რ-იც ზუგდიდის გზას კეტავდა). ომერ-ფაშამ იერიში მიიტანა რუხის გადასასვლელზე, მაგრამ ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. მაშინ მან მოულოდნელად შეუტია ნაკლებად გამაგრებულ სანარმანიოს გადასავლელს. უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვება ოსმალებს დარჩათ. თურქებმა იერიში მიიტანეს კოკის გადასავლელზეც და გარემოცვის მუქარით რუსებისა და ქართველების გაერთიანებული ჯარი აიძულეს უკან დაეხიათ. ე. ბ-იდან რამდენიმე დღის შემდეგ მუხრანბატონმა საერთოდ დატოვა სამეგრელო და ჯარებს ცხენისწყლის მარცხ. ნაპირთან მოუყარა თავი. სამეგრელო თურქების ხელში დარჩა.

ლიტ.: ბურჭულაძე ე., ყირიმის ომი და საქართველო, თბ., 1960; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970.

დ. კაჭარავა.

„ენგურჰესპროექტი“ (სააქციო საზოგადოება), ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის მნიშვნელოვანი საწარმო ქ. ზუგდიდში, მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე,

ყოფ. ,,ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატი‘‘. ამოქმედდა 1939, ამუშავდა ცელულოზის ორი სახარში ქვაბი (სიმძლავრე – 12 ათ. *ტ* სულფიტური ცელულოზა წელიწადში) და ერთი ქაღალდსაკეთებელი მანქანა (სიმძლავრე – 14,4 ათ. *ტ* საწერი ქაღალდი წელიწადში). 1949 დაიწყო საწარმოს რეკონსტრუქცია, დაიდგა სამი ქაღალდსაკეთებელი მანქანა, ამოქმედდა რვეულების დამამზადებელი საამქრო. 1960 საექსპლუატაციოდ გადაეცა საფუვრის საამქრო, 1963 – მერქნის მასის გადასამუშავებელი საამქრო, 1969 – მუყაოს საამქრო და ცელულოზის სახარში ქვაბი, 1970 – გოფრირებული ტარის საამქრო, 1975 კი – 48-ფურცლიანი რვეულების დამამზადებელი ავტომ. ხაზი (წლიური სიმძლავრე – 40 მლნ. ც. რვეული). 1977 გოფრირებული ტარის საამქროში დამონტაჟდა გოფრირებული ყუთების დამამზადებელი ავტომ. ხაზი ,,ტრანსლაინ-924‘‘, 1981 მუყაოს საამქროში – 2- და 3-ფენიანი შეწებებული მუყაოს მწარმოებელი მანქანა (წლიური სიმძლავრე – 31,8 ათ. *ტ* მუყაო). საწარმოში 1981–86 მოხდა ტექ. გადაიარაღება. ამ პერიოდში ამოქმედდა: გოფრირებული ტარის საამქროში – ორი ავტომ. ტექნოლ. ნაკადური ხაზი 3- და 5-ფენიანი ფურცლოვანი გოფრირებული მუყაოს წარმოებისათვის (თითოეული მანქანის წლიური სიმძლავრე – 43 მლნ. $მ^2$ ფურცლოვანი გოფრმუყაო); გოფრირებული მუყაოს ყუთების დამამზადებელი ორი ავტომ. ნაკადური ხაზი ,,ტრანსლაინ-1228‘‘; ფართო მოხმარების საგნების წარმოების საამქროში – 96-ფურცლიანი საერთო რვეულების დამამზადებელი ორი ავტომ. ნაკადური ხაზი ,,ბილომატიკი‘‘ (თითოეულის წლიური სიმძლავრე – 20 მლნ. ც. რვეული); ჩაის შესაფუთი ერთჯერადი მოხმარების ფორიანი ქაღალდის წარმოების საამქრო (წლიური სიმძლავრე – 2000 *ტ* ქაღალდი). 1988 დაიწყო სანიტ.-ჰიგიენური დანიშნულების ქაღალდის წარმოების საამქროს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები (წლიური სიმძლავრე – 15000 *ტ* ქაღალდი), მშენებლობა შეჩერდა უსახსრობის გამო.

1981 ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის ბაზაზე შეიქმნა საწარმოო გაერთიანება ,,საქქაღალდმრეწვი‘‘, რ-შიც შევიდა: ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატი (როგორც სათავო საწარმო), თბილისის ქაღალდის ფაბრიკა, სამშენებლო სამმართველო ,,ენგური‘‘ და ერგეტის სოფ. მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი დამხმარე მეურნეობა. გაერთიანება ამზადებდა საწერსა და ერთჯერადი მოხმარების ჩაის შესაფუთ ფორიან ქაღალდს, სატარე და საკოლოფე მუყაოს, 2- და 3-ფენიან შეწებებულ მუყაოს, 3- და 5-ფენიან გოფრირებული მუყაოს ყუთებს, ფურცლოვან მუყაოს, რვეულებს, ბლოკნოტებს, ალბომებს და ა. შ. 1986 ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების გამო ცელულოზის წარმოების საამქრო დაიხურა და კომბინატს ეწოდა ,,ენგურქაღალდკომბინატი‘‘. წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის – ცელულოზის შემოტანა დაიწყეს რუსეთიდან. 1992-მდე წარმოებული პროდუქცია სსრკ-ის თითქმის ყველა რესპუბლიკაში იგზავნებოდა. 1994 საწარმოო გაერთიანება ,,საქქაღალდმრეწვის‘‘ ბაზაზე ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სააქციო საზ-ბები: ,,ე.‘‘, ,,თბილისის ქაღალდის ფაბრიკა‘‘, სამშენებლო სამმართველო ,,პროგრესი‘‘ (ყოფ. ,,ენგური‘‘), ,,ერგეტა‘‘ და ,,ავტოტექნიკა‘‘, 1996 კი მოხდა სააქციო საზ-ბა ,,ე-ის‘‘ რეორგანიზაცია და მის ბაზაზე ჩამოყალიბდა 12 სააქციო საზ-ბა:

,,ჩაის ქაღალდის ფაბრიკა‘‘ (ჩაის შესაფუთი ერთჯერადი მოხმარების ფორიანი ქაღალდის დამამზადებელი საწარმო), ,,ეგრისი‘‘ (რვეულების და სახ. მოხმარების ნაკეთობათა საწარმო), ,,შემკეთებელი‘‘ (შენობა-ნაგებობათა კაპიტ. შეკეთებისა და ხის დამმუშავებელი საწარმო), ,,მექანიკოსი‘‘ (მანქანა-დანადგარების სარემონტო მექანიკური საწარმო), ,,ტარა‘‘ (შესაფუთი ტარის საწარმო), ,,მუყაო‘‘ (ტარის წარმოებისათვის საჭირო მუყაოს დამამზადებელი საწარმო), ,,ელექტროენერგეტიკა‘‘ (სააქციო საზ-ბების ელექტროენერგიით მომარაგების საწარმო); ,,სანი‘‘ (ელექტროკარების საწარმო), ,,რკინიგზელი‘‘ (შიგა საქარხნო სარკინიგზო გადაზიდვების საწარმო), ,,ქაღალდი‘‘ (ტექ. დანიშნულების ქაღალდის საწარმო), ,,ზუგდიდის ქაღალდი‘‘ (კომერც. საქმიანობისა და მატერ. უზრუნველყოფის საწარმო), ,,თბოენერგია‘‘ (ტექნოლ. ორთქლის საწარმო).

აღნიშნული სააქციო საზ-ბებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი მუშაობს უმნიშვნელო დატვირთვით, ხოლო დანარჩენი არ ფუნქციონირებს ფინანსური რესურსების უქონლობის გამო. *მ. ნაჭყებია.*

„ენგურჰესი“ (შპს), ენგურის ჰიდროელექტროსადგურისაგან (საკუთრივ ენგურჰესი და 4 ვარდნილჰესი) შემდგარი კასკადი. მდებარეობს გალისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.

ენგურის ენერგეტ. მიზნით გამოყენების იდეა წარმოიშვა 1913–14 წლებში. 1955-მდე სხვადასხვა დროს მდ. ენგურზე ჰესების მშენებლობის რამდენიმე ვარიანტი იყო დამუშავებული, რ-იც ითვალისწინებდა ძირითადად დერივაციული ტიპის დაბალკაშხალიანი ელექტროსადგურების აშენებას. 1955 „ჰიდროპროექტის“ თბილ. განყ-ბამ დაამუშავა სქემა, რ-ის მიხედვით მდ. ენგურზე 5 მაღალკაშხალიანი ჰესისაგან შემდგარი კასკადი უნდა აშენებულიყო. შემდგომ ეს სქემა რამდენჯერმე შეიცვალა. საბოლოოდ ენგურის ჰესის მშენებლობა ორი მოსაზღვრე მდინარის – ენგურისა და ერისწყალის (ენგურის ერისწყალის კალაპოტში გადაგდებით) ვარდნის გამოყენებით განხორციელდა. „ე-ის“ მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები 1961 დაიწყო. პირველი ჰიდროაგრეგატი გაუშვეს 1978 წლის 11 მარტს; ბოლო, მეხუთე – 1980 წლის 21 ოქტომბერს.

„ე.“ მაღალი დაწნევის, მარეგულირებელი კაშხალოვან-დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურია. იგი უდიდესია სამხრ. კავკასიაში. მისი დანიშნულებაა ენერგოსისტემაში სიმძლავრის სეზონური რეგულირება.


სადგურის შემადგენლობაში შედის: 1. უნიკალური თაღოვანი კაშხალი, რ-იც ერთ-ერთი უმაღლესია მსოფლიოში (271,5 *მ*). კაშხალი დაბა ჯვართან (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) ქმნის სეზონური რეგულირების წყალსაცავს (მოცულობა – 1,08 მლრდ. $მ^3$, სიგრძე – 30 *კმ*); 2. სადაწნეო დერივაციული გვირაბი, პარამეტრებით უდიდესი ევროპაში (დიამეტრი – 9,5 *მ*, სიგრძე – 15,04 *კმ* მაქს. დაწნევა – 165 *მ*), რ-იც მთავრდება გამათანაბრებელი კოშკით; 3. მიწისქვეშა სატურბინე წყალსატარები (680 *მ* საშუალო სიგრძის 5 სადაწნეო ძაფი); 4. მიწისქვეშა სამანქანო დარბაზი, რ-იც ერთ-ერთი უდიდესია ევროპაში (სიგრძე – 127,0 *მ*, სიმაღლე – 51,35 *მ*, სიგანე – 22,35 *მ*). მისი ტურბინებიდან წყალი გამყვანი უდაწნეო გვირაბით (სიმაღლე –

13 *მ*, სიგრძე – 3,2 *კმ*) ჩაედინება გალის წყალსაცავში (მოცულობა – 1,9 მლნ. *მ*^{3}), იქიდან კი მიეწოდება ვარდნილჰესების კასკადს (I, II, III, IV).

ენგურის ჰესების კასკადის საერთო საპროექტო დადგმული სიმძლავრეა 1640 *მგვტ*, აქედან საკუთრივ ენგურჰესისა – 1300 *მგვტ* (5 აგრეგატი, თითოეული 260 ათ. *კვტ* სიმძლავრისა), საპროექტო გამომუშავებაა 5441 მლნ. *კვტ•სთ*, მ. შ. ენგურჰესისა – 4330 მლნ. *კვტ•სთ*. ,,ე-მა'' გამოიმუშავა (ვარდნილჰესების გარეშე; მლნ. *კვტ•სთ*): 1980 წ. – 2856,3; 1985 წ. – 2882,9; 1990 წ. – 3579,3; 1995 წ. – 3076,8; 2000 წ. – 2742,6; 2005 წ. – 2535; 2010 წ. – 4270,3; 2011 წ. – 3232,3, ელექტროენერგია. 2011 წ. ენგურჰესზე (ვარდნილჰესებთან ერთად) მოდიოდა საქართვ. ჰესების საერთო გამომუშავების 48,9%, ხოლო საკუთრივ ენგურჰესზე – 41,5%. 1999 წ. 6 ოქტ-იდან ჰესი არის შპს. 2004 დაიწყო და ამჟამად ძირითადად დამთავრებულია ენგურჰესის კასკადის რეაბილიტაცია, რისთვისაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა გამოყო 38 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო ქართულმა მხარემ ეს პროექტი უზრუნველყო 14 მლნ. აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით.

აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად აფხაზეთის რეგიონთან მოუგვარებელი კონფლიქტისა, ქართველი და აფხაზი ენერგეტიკოსები საკმაოდ ნაყოფიერად თანამშრომლობენ ,,ე-ის'' როგორც საექსპლუატაციო, ისე რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის საქმეში.

დ. ჩომახიძე.



ენგურჰესის კაშხალი.

ენდელაძე თენგიზ გრიგოლის ძე (დ. 30. IX. 1954, ქუთაისი), გენერალ-მაიორი (2000). ისტ. მეცნიერებათა დოქტორი (2004). 1973–75 მსახურობდა საბჭ. არმიაში. 1979 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1982-იდან, სსრკ უშიშროების კომიტეტის მინსკის უმაღლესი კურსების დამთავრების შემდეგ, 1994-მდე მსახურობდა საქართველოს სახელმწ. უშიშროების ორგანოებში, 1994–97 – სახელმწ. დაცვის სპეც. სამსახურში. 1997–99 იყო საქართველოს სახელმწ. უშიშროების სამინისტროს სამართველოს უფროსი, 1999–2003 – საქართველოს სახელმწ. უშიშროების სამინისტროს აკადემიის რექტორი, 2003-იდან 2004-მდე – პრორექტორი. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საპატიო თანამშრომელი (1996). 2004-იდან თადარიგშია.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. *ლ. დოლიძე.*

ენდემია (ბერძნ. endēmos – ადგილობრივი, მკვიდრი), ენდემური კერა, გარკვეულ ტერიტორიაზე ინფექციური ან არაგადამდები (არაინფექციური) დაავადების მუდმივი (მრავალი წლის მანძილზე) არსებობა. იგი განპირობებულია გარკვეული გარემო პირობებით, რაც ხელს უწყობს ამ ტერიტორიაზე აღნიშნულ ინფექციურ დაავადებათა გამომწვევების ცირკულაციას და მათ გადამტანთა ინტენსიურ გამრავლებას. არაგადამდებ დაავადებათა შემთხვევაში კი ე-ს იწვევს გარემოს ელემენტებში (ნიადაგი, წყალი და სხვ.) ზოგიერთი ქიმიური ელემენტის სიჭარბე ან დეფიციტი. ასეთ ტერიტორიას ენდემური კერა ეწოდება. მაგ.: მალარია ენდემურია ყველგან, სადაც არსებობს მალარიის გადამტანი კოღო ანოფელესი და ისეთი გარემო პირობები (მაგ. ჭაობი), რ-იც ხელს უწყობს კოღოსა და მის სხეულში არსებული მალარიის გამომწვევი პლაზმოდიუმის გამრავლებას. მაგ., მე-20 საუკუნის I ნახევარში საქართველოში მალარია ენდემური დაავადება იყო, განსაკუთრებით კოლხეთის დაბლობზე. ამჟამად ენდემური ინფექციური დაავადებებია: ანკილოსტომოზი, ტულარემია, ლეიშმანიოზი და სხვ.

არაგადამდებ დაავადებათაგან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ენდემური ჩიყვი, რ-საც იწვევს გარემოში (ნიადაგში, წყალში) მიკროელემენტ იოდის დეფიციტი. მე-20 ს. ბოლოსა და 21-ე ს. დასაწყისში ეს პათოლოგია ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა. ენდემურ დაავადებას მიეკუთვნება ფლუოროზიც, რ-იც განპირობებულია გარემოს ელემენტებში ფთორის შენაერთების სიჭარბით.

სათანადო სამეურნეო და სამედიცინო-სანიტარიული ღონისძიებების გატარებით შესაძლებელია ბუნებრივი ბიოლოგიური კავშირების გაწყვეტა, ენდემური კერის განმსაზღვრელი პირობების შეცვლა და ადგილმდებარეობის გავჯანსაღება, რაც იწვევს ენდემური დაავადების გავრცელების შემცირებას და ენდემური კერის ლიკვიდაციას.

ი. მჭედლიშვილი.

ენდლერი (Endler) ადოლფ (10. IX. 1930, დიუსელდორფი, – 2. VIII. 2009, ბერლინი), გერმანელი მწერალი და მთარგმნელი. მის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საქართველოს თემას. რ. *კირმთან* ერთად თარგმნა ქართ. პოეზიის ნიმუშები ანთოლოგიისათვის – ,,რვასაუკუნოვანი ქართული პოეზია'', რ-იც 2-ჯერ გამოიცა (1971 და 1974). ე-მა წიგნს წაუძღვარა ვრცელი წერილი ,,ცდა ქართულ პოეზიაზე''. 1976 გამოაქვეყნა მოგზაურობის, მოგონებებისა და შთაბეჭდილებების წიგნი ,,საქართველოს შესახებ თხრობის ორი ცდა''. *ნ. კაკაბაძე.*

ენდოკრინოლოგია (ბერძნ. endon – შიგნით, krinō – გამოვყოფ, logos – მოძღვრება), მეცნიერება,



ენდრო. ქართული ენდრო (Rubia iberica).

რ-იც სწავლობს შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების (ჯირკვლოვანი სტრუქტურის სპეციალიზებული ორგანოების) განვითარებას, აგებულებას და ფუნქციას, აგრეთვე – მათ მიერ გამომუშავებული, უშუალოდ სისხლში გამოყოფილი სპეციფიკური პროდუქტების (ჰორმონების) ბიოსინთეზს, სეკრეციას, ცვლასა და ორგანიზმზე მოქმედების მექანიზმებს ნორმაში, ასევე ამ ჯირკვლების დისფუნქციის შედეგად წარმოქმნილ ენდოკრინოლოგიურ ავადმყოფობებს. ამგვარად, Ე. კომპლ. მეცნიერებაა, რ-იც მოიცავს მორფოლოგიას, ფიზიოლოგიას, პათოფიზიოლოგიას, ჰორმონების ქიმიას, ბიოქიმიას, გენეტიკას და იმუნოგენეტიკას, მოლეკულურ ბიოლოგიას, ჰორმონების ხელოვნურ სინთეზსა და ამ სინთეზური ანალოგების პრაქტიკაში გამოყენებას არა მხოლოდ ენდოკრინოლოგიური, არამედ სხვა ავადმყოფობების დროსაც. ენდოკრინოლოგიის თანამედროვე მიღწევები პირდაპირ თუ ირიბად, გამოყენებულია კლინიკური მედ. თითქმის ყველა დარგში.

საქართველოში ენდოკრინოლოგიური პროფილის პირველი დაწესებულება – ჩიყვის საწინააღმდეგო სადგური – დაარსდა 1921 ი. ასლანიშვილის ინიციატივით. ენდოკრინოლოგიური პროფილის პირველი სამეცნ. ლაბორატორია გაიხსნა 1958 ამჟამინდელ ი. ჟორდანიას სახ. რეპროდუქტოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, ვ. *ივერიელის* ხელმძღვანელობით. მისივე თაოსნობით, პირველად 1961 გაიხსნა ენდოკრინოლოგიური სტაციონარული განყ-ბა თბილისის I კლინიკურ საავადმყოფოში. 1967 პირველად კავკასიაში, მაშინდელი სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების თბილ. ინ-ტში ჩამოყალიბდა Ე-ის კათედრა (გამგე – ვ. ივერიელი), რ-მაც დიდი როლი შეასრულა საქართველოსა და მთელ კავკასიაში Ე-ის დარგის სპეციალისტების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს ენდოკრინოლოგიური სამსახურის ფართო ქსელი. რაიონული და საქალაქო პოლიკლინიკების შემადგენლობაშია ენდოკრინოლოგიური კაბინეტები. საქართველოს ქალაქებში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, თელავი, გორი, ზუგდიდი და ა. შ.) ავადმყოფთა სპეციალიზებული ამბულატორიული და სტაციონარული დახმარება ხორციელდება ენდოკრინოლოგიურ დისპანსერებსა და ენდოკრინოლოგიურ (დიაბეტოლოგიურ) ცენტრებში, აგრეთვე სამეცნ.-კვლ. ინ-ტების ენდოკრინოლოგიურ განყ-ბებში. სპეციალიზებული ქირურგიული დახმარება ხორციელდება თბილისის მეოთხე კლინიკური საავადმყოფოს ენდოკრინოლოგიურ კლინიკაში (ხელმძღვანელი – ვ. ჩაჩიბაია) და ი. ჟორდანიას სახ. რეპროდუქტოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (დირექტორი – ა. *ხომასურიძე*). დიდი მოცულობისა და პრაქტიკული მნიშვნელობის სამუშაო სრულდება ისეთი სახელმწიფო-სამედიცინო პროგრამების ფარგლებში, როგორიცაა იოდის დეფიციტით გამოწვეულ დაავადებათა პროფილაქტიკის სახელმწ. პროგრამა (კოორდინატორი – ზ. სეხნიაშვილი) და სპეციფიკურ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწ. პროგრამა (კოორდინატორი – დ. მეტრეველი). ავადმყოფთა თანამედროვე დონეზე მოვლისა და მკურნალობის ორგანიზებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დიაბეტიან ბავშვთა ასოციაცია და დიაბეტიან ბავშვთა საზაფხულო ბანაკი, საქართველოს დიაბეტური ასოციაცია და სხვ. ენდოკრინოლოგთა კადრების აღზრდას და ენდოკრინოლოგიის დარგში სამეცნ. კვლევის ჩატარებას ემსახურება ისეთი დაწესებულებები, როგორიცაა თსსუ (ენდოკრინოლოგიის მიმართულების ხელმძღვ. – დ. *ვირსალაძე*), ი. ჟორდანიას სახ. რეპროდუქტოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, საქართველოს დიაბეტის ცენტრი (დირექტორი – რ. ყურაშვილი), კლინიკა ,,ჯანმრთელი ცხოვრება'' (ხელმძღვ. – ე. გიორგაძე), აკად. ვ. ივერიელის სახ. ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრი (,,ენმედიცი'', დირექტორი – დ. მეტრეველი) და სხვ. *დ. მეტრეველი.*

ენდოსკოპიური ქირურგია, იხ. სტ. *ქირურგია.*

ენდრო (Rubia), მცენარეთა გვარი ენდროსებრთა ოჯახისა, მრავალწლოვანი ბალახები, ბუჩქები ან ნახევრად ბუჩქები. აერთიანებს 55-მდე სახეობას. გავრცელებულია ზომიერ სარტყლებში. საქართველოში Ე-ს 2 სახეობა იზრდება: ქართული ანუ საღებავი Ე. (R. iberica, R. tinctorum) და ამიერკავკასიური Ე. (R. transcaucasica). ქართულ Ე-ს აქვს 2 მ-მდე სიგრძის მხოხავი, დატოტვილი, ხორკლიანი ღერო, რგოლურად (4–6 ერთად) განლაგებული ფართო ლანცეტა ან ელიფსური უხეში ფოთლები და ნახევარქოლგებად შეკრებილი მოყვითალო-მომწვანო ყვავილები. იზრდება ქართლში, გარეკახეთში, გარდაბანში, ქიზიყსა და მესხეთში მთის ქვედა და შუა სარტყლის ბუჩქნარებში, მდინარეებისა და არხების ნაპირებზე, ღობეების გაყოლებაზე. Ე-ს ფესვები შეიცავს წითელ საღებავს, რ-საც ძველთაგანვე იყენებდნენ ქსოვილების შესაღებად (შუა აზიაში დღესაც იყენებენ საღებავად). მის ნაყენს ხალხ. მედიცინაში ხმარობენ კუჭის შემკვრელ და შარდმდენ საშუალებად (ადრე რაქიტის სამკურნალოდაც იყენებდნენ). ამიერკავკასიურ Ე-ს მოთეთრო ყვავილები აქვს. იზრდება მხოლოდ ქიზიყში.

ლ. ხინთიბიძე.

II ტომის მომზადებაში მონაწილეობდნენ:

რევაზ **ავალიანი**, მარინე **ამირანაშვილი**, შორენა **ანჯაფარიძე**, ბეჟან **ასათიანი**, ია **ასიტაშვილი**, თინათინ **აფაქიძე**, მზია **ბალიაური**, თამაზ **ბარამიძე**, მელიტა **ბაქრაძე**, ნანა **ბლიაძე**, გულნარა **ბოლქვაძე**, ელენე **ბოჭორიშვილი**, დონარა **ბუჯნიაშვილი**, მარინე **გაბუნია**, მარინე **გელიტაშვილი**, ლამარა **გიორგობიანი**, ირინე **გოგოლაშვილი**, ნინელი **გომართელი**, მაყვალა **გოცირიძე**, ეკატერინე **გუგუშვილი**, დალი **გურგენიძე**, ლილი **დადიანი**, მზიური **დუგლაძე**, ნოდარ **ებრალიძე**, შოთა **ვადაჭკორია**, ნინო **ვაჩეიშვილი**, ვახტანგ **ზესაშვილი**, ციალა **თავაძე**, ზოია **თევზაძე**, ლეილა **კაჭარავა**, ოთარ **ლაბაძე**, ზურაბ **ლაოშვილი**, მანანა **მაკალათია**, მარინე **მარი**, ელენე **მარტაშვილი**, ქეთევან **მენაღარიშვილი**, ნუნუ **მექვაბიშვილი**, თინათინ **მურმანიშვილი**, ლიანა **ნაკაიძე**, მერი **ნამიჩეიშვილი**, გივი **ნარსია**, ნინო **ნიაზაშვილი**, მირა **პაპავა**, მზია **პაპინაშვილი**, მაია **პატარიძე**, ლილი **რცხილაძე**, ეკა **საათაშვილი**, შარლოტა **სალარაძე**, დალი **სვანიძე**, ეთერ **ტაბუცაძე**, მარინე **უთმელიძე**, ლილი **ფარცხალაძე**, გიორგი **ქველაძე**, ირინე **ქორქია**, დევი **ღარიბაშვილი**, ნინო **ღვინიაშვილი**, პაატა **ყიფიანი**, ცირა **ყიფიანი**, ნანა **შალუტაშვილი**, მედეა **შონია**, ნანა **ჩხენკელი**, ალისა **ცინცაძე**, ნანა **ცინცაძე**, რუსუდან **წერეთელი**, ელზა **წიკლაური**, თინა **ჭილაძე**, რუსუდან **ხაბეიშვილი**, მანანა **ხერხეულიძე**, დარეჯან **ხიდეშელი**, მაია **ხინთიბიძე**, ელეონორა **ხომერიკი**, ირინე **ჯაფარიძე**, დალი **ჯიბლაძე**.

საილუსტრაციო მასალებისა და სტატისტიკური მონაცემების მოწოდებისათვის რედაქცია მადლობას უხდის:

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმს და შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმს, საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, ასევე შემდეგ პიროვნებებს: ნანა **ბოლაშვილს**, მაია **მანიას**, ნათია **ქველაძეს**, პაატა **ქორქიას** და კობა **ხარაძეს**.

რუკების სია
(ფრჩხილებში მითითებულია გვერდები)

გლობალური დათბობა (48), გორის მუნიციპალიტეტი (115), გუდაუთის მუნიციპალიტეტი (181), გულრიფშის მუნიციპალიტეტი (197), გურიის სამთავრო XV—XIX სს. (221), გურჯაანის მუნიციპალიტეტი (228), რ. დანიბეგაშვილის მოგზაურობა (312), დედამიწა (348), დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი (352), დმანისის მუნიციპალიტეტი (457), დუშეთის მუნიციპალიტეტი (519), ებსტორფის მსოფლიოს რუკა XIII ს. (532), ეგრისის სამეფო IV—V სს. (542), ევროპა—კავკასია—აზიის სატრანსპორტო დერეფანი (ტრასეკა) (555).

პირობითი აღნიშვნები რუკებზე

დასახლებული პუნქტები

ადმინისტრაციული მნიშვნელობის მიხედვით

- საქართველოს დედაქალაქი
- ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქები
- ქალაქები
- მუნიციპალიტეტების ცენტრები
- დაბები
- თემების ცენტრები
- სოფლები

მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით

თბილისი	1 000 000-ზე მეტი
ქუთაისი	100 000 – 500 000
ზუგდიდი	50 000 – 100 000
გორი	10 000 – 50 000
პატარძეული	10 000-ზე ნაკლები

საზღვრები

- სახელმწიფო
- ავტონომიური რესპუბლიკების
- საქართველოს მუნიციპალიტეტების
- ნაკრძალების

გზები

- რკინიგზები
- მაგისტრალური საავტომობილო
- შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის
- უღელტეხილები
- ნავსადგურები
- აეროპორტები

სხვადასხვა აღნიშვნები

- სამელიორაციო არხები
- მდინარეები და ჩანჩქერები
- პერიოდულად შრობადი მდინარეები
- ა - წყალსაცავები და ტბები, ბ - მლაშე ტბები
- ჭაობები
- 2757 — სიმაღლეების ნიშნულები ზღვის დონიდან მეტრობით

შემჩნეული შეცდომების გასწორება

I ტ ო მ ი					
გვერდი	სვეტი	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
		ზემო-დან	ქვემო-დან		
56	I	29–30	—	(თ. *გონიაშვილი*),	(თ. გონიაშვილი),
81	I	—	24	პენტაქორდი.	პენტაკორდი.
107	I	—	7	გ. ძოწენიძე),	გ. ქართველიშვილი),
119	III	33	—	, 1986),	, 1982),
155	III	—	20	ჭ. *გოროზიანს*	ჭ. გოროზიანს
255	I	28	—	*ერისმთავარმა*	ერისმთავარმა
261	III	2	—	ცენრტი	ცენტრი
298	III	—	23	1973;	1979;
376	III	17	—	ლ. გოცაძესთან,	ლ. *გოშაძესთან*,
575	I	5	—	(1956).	(1955).
587	II	—	35	(ა. *გროსგეიმი*,	(ა. *გროსჰეიმი*,

678



გ. გაბაშვილი. ,,ხევსურები ალავერდობაზე“. 1889. შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი.

გერბები



ერეკლე II-ის ბეჭედი.



გიორგი XII-ის გერბი.



ბაგრატიონ-გრუზინსკების გერბი.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი (1918–21).



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გერბი (1922–91).



საქართველოს რესპუბლიკის გერბი (1991–2004).



გელათის მოზაიკა. XII ს. II ნახევარი.



გელათის მონასტერი. სამონასტრო კომპლექსი. XII–XIV სს.